

## დონ კიხოტ ლამანჩელი

წიგნი I

პროლოგი

მოცლილო მკითხველო, დაუფიცებლადაც დამიჯერებ, თუ როგორ მსურს ეს ჩემი წიგნი, ჩემი ჭკუა-გონების შვილი, იყოს ყველა წიგნზე მშვენიერი, ყველაზე სასაიმოვნო საკითხავი და გონივრული, ხელიხელსაგომანებელი და უნაკლო თხზულება, როგორც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. მაგრამ განა შემემლო ბუნების კანონებს წინ აღვდგომოდი? ნათქვამია: როგორც მამა - ისეთი შვილიო, ამიტომ ჩემი უნაყოფო და გაუნათლებელი ჭკუის ნაწარმოები სხვა რა უნდა იყოს, თუ არა მოთხრობა გამვალტყავებულ, ჩაჩანაკ და ახირებული ხასიათის, ნაირ-ნაირი აზრებით შეპყრობილ გმირზე. მისი მსგავსი ძნელად თუ იქნება სადმე. მისგვარი ზრახვები კი ჯერ არასოდეს ფიქრადაც არავის მოსვლია თავში? ან კი რა გასაკვირველია: უკეთესი რა დაიბადებოდა საპყრობილეში, სადაც ვაი-უბედურების მეტი არა არის-რა, სადაც ყოველგვარ სიდუხჭირეს დაუდევს თავშესაფარი და სევდასა და ვარამს დაუსადგურებია? წყნარი, სასაიმოვნო ადგილი, მშვენიერი წარმტაცი ველები, ლაჟვარდოვანი ცა, ნაკადულების ჩხრიალი, სულის დამამშვიდებელი მდგომარეობა, - დიახაც რომ სხვარიგად მომართავენ ადამიანის ჭკუა-გონებას და თვით უნაყოფო მუხებსაც კი ნაყოფიერს გახდიან მთელი ქვეყნის სასაიმოვნო და გასაოცარი შთამომავლობის შესაქმნელად. მართალია, ისიც ბერვჯერ მოხდება ხოლმე, რომ მახინჯი და უხეირო შვილის მამა, მშობლიური სიყვარულის გამო თვალეზავილივით არათუ ვერ ხედავს თავისი შვილის ნაკლს, არამედ უფრო მეტიც, ჭკუა-გონებისა და სიჩაუქის ნიშანი ჰგონია ის და მეგობრებს წამდაუწუმ შვილის მახვილგონიერებაზე, შნოსა და ლაზათზე მოუთხრობს. მაგრამ, სწორე მოგახსენო, მე დონ კიხოტის ნამდვილი მამა არც კი ვარ, უფრო მის მამინაცვლად ჩავითვლები, და არ მინდა, უძვირფასესო მკითხველო, სხვების ფეხის ხმას ავყვე და მათ მსგავსად თვალცრემლიანმა გევედრო, დამითმო რამე, და ან, რასაც ჩემ ჩვილშვილ წიგნში ნაკლოვანებასა ნახავ, დაფარო და ისე მოიქცე, თითქოს ამას ვერ ამჩნევდე. რას დაემებ? შენ არც ნათესავი ხარ ამისი, არც მეგობარი; შენც ყველა ჩვენგანით შენი აზრისა და თავისუფალი ნება-სურვილის სრული ბატონ-პატრონი ხარ, შენს სახლში ზიხარ და იქ ისეთივე უფლება შეგფერის, როგორც მეფეს თავის ხაზინაში; ხომ გაგიგონია ანდაზა: "ჩემს ქურქქვეშ გინდ მეფესაც მოვკლავო". ყველაფერი ეს გიხსნის და გათავისუფლებს ყოველგვარი პირმოთნეობის, თვალთმაქცობისა და ვალდებულებისაგან, ამიტომაც ამ ისტორიაზე რაც გენებოს, ისა სთქვი; ნუ გეშინია: ცუდს იტყვი - არავინ დაგემდურება, კარგს იტყვი - არავინ დაგაჯილდოვებს.

მინდოდა ეს წიგნი, როგორც დამიწერია, ისე გაულამაზებლად და მოურთავ-მოუკაზმავად მომერთმია შენთვის; არც პროლოგი დამერთო თავში, ან სხვადსხვა უამრავი წარწერები, არც ჩვეულებრივი სონეტები, ეპიგრამები და ქებათა-ქებანი წამემძღვარებია წინ, როგორც სხვა მწერლები ჩადიან ხოლმე. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ წიგნის შეთხზვამ ცოტად კი არ გამიჭირვა საქმე; მაგრამ ახლა რომ პროლოგს კითხულობ, იმის დაწერას რაც შრომა მოვანდომე, იმდენი, მგონია, არაფრისთვის არ მომინდომებია. ბევრჯერ ავიღე კალამი და ისევ დავდე, რადგან არ ვიცოდი - რა დამეწერა. და აი, ერთხელ, მაგიდასთან ვიჯექი, ერთი თაბახი ქალაღი მედვა წინ, კალამი ყურს უკან მქონდა გაჩრილი, იდაყვით მაგიდაზე ვიყავი დაბჯენილი და ლოყით ზელზე დაყრდნობილი; ამ მდგომარეობაში ვფიქრობდი და ვყოყმანობდი, რა დამეწერა. ამ დროს მოულოდნელად ერთი ჩემი მეგობარი მეწვია, ჭკვიანი და მხიარული ხასითის კაცი, და ასეთ გაჭირვებაში რომ მნახა, დაღრეჯილობის მიზეზი მკითხა. არაფერი დავუმაღე და ვუთხარ - ძალიან მეძნელება დონ კიხოტის ამბისათვის წინასიტყვაობის დაწერა-მეთქი; მგონი, ყველაფერს თავი დავანებო და ესოდენ პატიოსანი და კეთილშობილი რაინდის საგმირო საქმენი აღარ გავაქვეყნო-მეთქი.

- აბა, როგორ გნებავთ, განა არ უნდა დავლონდე? რას იტყვის უძველესი კანონმდებელი, ანუ ხალხი, რომ ამოდენა ხანი დავიწყებაში ვიმყოფებოდი და ახლა სიბერის თვითით დაუძღვრებული კვლავ ასპარეზზე გამოვდივარ და ისიც ჩალასავით გამოფიტული თხზულებით, სადაც მკითხველი ვერცა-რა მახვილგონიერებას შეხვდება, ვერც მჭერმეტყველებას, ვერც სიბრძნესა და მეცნიერებას, ვერც სქოლიოებს კაბადონებზე და ვერც განმარტებასა და შენიშვნებს წიგნის ბოლოში, სხვა წიგნები კი, თუმცა წმინდა მოგონებებითა და ზღაპრებითაც არიან სავსენი, მაინც ისე არიან შეზავებულნი არისტოტელეს, პლატონისა და სხვა ფილოსოფოსთა აზრებით, რომ აღტაცებული მკითხველი წიგნის ღირსებით გაოცებულია და მთხზველიც მწიგნობრად, განათლებულად და მჭერმეტყველად მიაჩნია-მეთქი. აბა უცქირეთ, ზოგი მწერალი რას ჩადის! თავის ნაწერში საღვთო წერილსაც კი იმოწმებს-მეთქი: გეგონებათ წმინდა თომები, ან ეკლესიის მოძღვრები იყვნენ. მასთან ასე ოსტატობენ: ერთ გვერდზე რომ ვიღაც ჩერჩეტ და გარყვნილ მოარშიყეზე გვიამბობენ, მეორეში უმაღლ საღვთო წერილებიდან ქრისტიანულ ქადაგებას მოგიყვებიან და ისეთს დარიგებას გეტყვიან, რომ ყურს ვერ მოაშორებ და თვალს ვერ მოარიდებთ. ჩემს წიგნს ასეთი არა ეცხება-რა: არც სქოლიოში მაქვს რამე ჩასაწერი და არც ბოლოში რამ გასამარტებელი: ისიც არ ვიცი, რომელ ავტორს მივყვე, რომ წიგნის ბოლოში მისი სახელი მაინც გამოვაცხადო, როგორც სხვები სჩადიან ხოლმე, ანბანის რიგზე, არისტოტელედან მოკიდებული ჰომეროსამდე, ქსენოფონტე, ზოილი და ზევქსისიც შიგ ჩავატანო და არავითარი ყურადღება არ მივაქციო იმას, რომ პირველი ბოროტი მოლაყბე იყო და მეორე კი მხატვარი. ჩემს წიგნს არც სონეტები ექნება დართული წინასიტყვაობის მაგიერ; მეტადრე მარკიზების და ჰერცოგების შეთხზულები, ანუ გრაფების და ეპისკოპოსებისა, ანუ კიდევ გამოჩენილი სეფე-ქალებისა და შესანიშნავი პოეტებისა, თუმცა შემემლო ორიოდე ჩემი მეგობრისათვის მეთხოვა, - ისეთ სონეტებს შემითხზავდნენ, მთელს ესპანეთში ბადალი არა ჰქონოდათ-მეთქი. ერთი სიტყვით, ჩემო ხელმწიფე და მეგობარო, - განვაგრძე მე, - ჩემი გადაწყვეტილება ეს არის-მეთქი: ბატონმა დონ კიხოტმა ლამანჩის არქივებში იმ დრომდის განისვენოს, ვიდრე ჩემზე ნიჭიერი მწერალი ვინმე გამოჩნდებოდეს და იმ ნაკლს შეუვსებდეს, რაც მე ვერ შევიძელე: არც ძალა შემწევს და არც სწავლა მაქვს, რომ ამას ვუშველო რამე, მასთან ბუნებითაც ზარმაცი და უსაქმური ვარ, - თავის შეწუხება მეზარება: ვერ წავალ და იმ მწერლებს ვერ მოვძებნი, რომელნიც იმის მეტს ვერას მეტყვიან, რაც თვითონ

შემიძლია ვთქვა. აი, ამიტომ ვარ ღრმად დაფიქრებული და დაღონებული, ყველა ამ მიზეზს, რაც ახლა გაგაცანით, მგონია, კაცს დაღონება შეუძლია-მეთქი.

ჩემმა მეგობარმა მოისმინა ჩემი ნათქვამი, შუბლზე ხელი იტკიცა და ხმამაღალი ხარხარით მითხრა:

- გარწმუნებთ, ძმობილო, ახლა იმ ცდომილებიდან გამომიყვანეთ, რა ცდომილებაშიც ჩვენი ხანგრძლივი ნაცნობობის აქეთ ვიმყოფებოდით. ყოველთვის გონიერი და მოფიქრებული კაციმეგონეთ და ახლა კი ვხედავ - ერთი ბეწვის ოდენა ჭკუაც არა გქონიათო. ნუთუ ასეთ უმნიშვნელო და ადვილად გამოსასწორებელ გარემოებას დაუფიქრებიხართ? მაგ ჭკუის პატრონი ასეთმა უბრალო რამემ როგორ შეგაწუხათ, როდესაც უფრო მძიმე საქმეები დაგიძლევიათო? პატიოსნებას გეფიცებით, ეგ იმიტომ კი არ მოგდით, რომ ნიჭი გაკლიათ, არამედ იმიტომ, რომ ზანტი ხართ და მოსაზრება არა გყოფნითო. გინდათ დაგარწმუნებთ, რომ სიმართლეს მოგახსენებთო? მაშ, აბა ყური დამიგდეთ, ბეჯითად მომისმინეთ, რასაც გეტყვით და დაინახავთ, მაგ გაჭირვებასა და ყველა სიძნელეს ერთ წამში გაგიქარწყლებთ და იმ ნაკლს შეგივსებთ, რომლის გამო, როგორც ამბობთ, ძლიერ შეწუხებული ხართ, აღარ გყოფნით გამბედაობა და ლამის თავი დაანებოთ თქვენი შესანიშნავი დონ კიხოტის - მთელი მოგზაური რაინდობის ამ სარკისა და მანათობლის - ამბების გამოქვეყნებასო.

- კეთილი, - მივუგე მე, როცა მისი სიტყვები მოვისმინე. - აბა მითხარით, როგორ აპირებთ ამოავსოთ უფსკრული ჩემი შეძრწუნებისა და გაფანტოთ ქაოსი ჩემი დაღრეჯილობისა-მეთქი.

ამის საპასუხოდ წარმოთქვა:

- თქვენი შეწუხების პირველი მიზეზი ის არის, რომ წიგნის დასაწყისში დიდებულ და სახელოვან კაცთა მიერ შეთხზული სონეტები, ეპიგრამები და შესხმანი არ დაგიტანებიათ. ამ უბედურებას აი, როგორ უნდა უშველოთ: ეგ შესახმანი და სონეტები როგორმე თქვენ თვითონ შეთხზეთ, და ქვეშ - ვისი სახელიც უფრო მოგწონთ, ის მიაწერეთ, თუნდ მღვდელმთავარ იოანე ინდოეთელისა ან ტრაპიზონის იმპერატორისა. გამიგონია, და ამის შესახებ ცნობებიც კი მოიპოვება, რომ ესენი ჩინებული პოეტები ყოფილან; თუნდაც პოეტები არ ყოფილიყვნენ, და ვინცობაა ვინმე ახირებულმა, პედანტებმა ანუ თვითონ ბაკალავრებმაც კამათი დაგიწყონ, გაგათახსირონ და გეკინკლავონ, ეს სიცრუეაო, - ყველაფერ ამას აინუშიც ნუ ჩააგდებთ, რადგან სიცრუე კიდევ რომ დაგიმტკიცონ, რას გიზამენ? იმ სიცრუის დამწერ ხელს ხომ ვერ მოგჭრიან?

რაც შეეხება კაბადონებზე იმ წიგნთა და ავტორთა ციტატების მოთავსებას, რომელთაგანაც ამოიღეთ სენტენციები და წარმონათქვამები თქვენი მოთხრობისათვის, გირჩევთ ასე მოიქცეთ: გარემოებისდაგვარად შეუფარდეთ რომელიმე სენტენცია ან ანდაზა, რომელიც ზეპირად იცით, ან ყოველ შემთხვევაში ადვილი მოსაძებნია. მაგალითად, როცა თავისუფლებასა და მონობაზე ალაპარაკდებით, ეს დაატანეთ:

Non bene pro toto libertas venditur auro, და იქვე კაბადონებზე აღნიშნეთ, რომ ეს ჰორაციუსის, ან ვინმე სხვა მწერლის სიტყვებია-თქო. თუ ვინცობაა წიგნში სიკვდილის დაუნდობლობასა და მის მომსრავ ძალაზე იყოს ლაპარაკი, დაუყოვნებლივ მიაწერეთ:

Palliada mors aequo pulsat pauperum tanbrnas, Regumuque turres. თუ მეგობრობასა და სიყვარულზე გინდათ, ანუ მტრის სიყვარულზე, რასაც თვითონ ღმერთი გვიბრძანებს, მაშინვე საღვთო წერილი გადაშალეთ და ადვილად იპოვით თვით უფლის ნათქვამს: Ego autem dico vobis; diligit inimicos vestros. თუ ბოროტ განზრახვაზე მოგიხდეთ ლაპარაკი, გაიხსენეთ სახარება: De corde exeunt cogitationes malae; თუ მეგობრის გაუტანლობაზე იმსჯელებთ, მაშინ კატონი მოიხმარეთ თავის ორსტრიქონიანი ლექსით:

Donec eris felix, multos numerabis amicos, Temnora si fuerint nubila, solus eris

ასეთი ციტატების გამო, სხვა რომ არა იყოს-რა, ლათინური ენის დიდ მცოდნედ მაინც ჩავთვლიან, და ეს კი ჩვენს დროში ძალიან საპატიო და სასარგებლო სახელია.

ახლა წიგნის ბოლოში თუ შენიშვნებსა და განმარტებას დაურთავთ, ამის შველაც ადვილია. დამშვიდებით შეგიძლიათ ასე მოიქცეთ: თქვენს წიგნში თუ ვინმე ფალავანზე შეგხვდეთ ლაპარაკი, ისე მოახერხეთ, რომ იმ ფალავანს უთუოდ გოლიათი დაარქვათ, - ეს ადვილია. ამით არაფერი დაგიშავდებათ, ხოლო ამ სახელიდან წიგნის ბოლოს მთელი ერთი გრძელი შენიშვნა გაგიჩნდებათ, მაგალითად, ამგვარი: "ფალავანი გოლიასი, ანუ გოლიათი, ფილისტიმლელი იყო, რომელიც თერეფინტოს ველზე მწყემსმა დავითმა შურდულიდან ქვის სროლით მოკლა, როგორც მოგვითხრობს წიგნი მეფეთა ამა და ამ თავში, ამა და ამ მუხლში, სადაც შეგიძლიათ ეს ამბავი წაიკითხოთ", და სხვა (მონახეთ და აღნიშნეთ ეს თავი).

მერე, თუ გინდათ სწავლულ კაცად აჩვენოთ თავი, სხვადასხვა საერო მეცნიერების მცოდნედ და დიდ კოსმოგრაფადაც, ეცადეთ როგორმე წიგნში მდინარე ტახო მოიხსენოთ. მაშინ შეგეძლება ერთი გრძელი და ჩინებული შენიშვნა დაურთოთ. ასე იტყვით: "მდინარე ტახოს ეს სახელი ესპანეთის ერთი მეფისაგან დაერქვა; ამ მდინარეს სათავე ამა და ამ ადგილას აქვს, და ჯერ რომ ჩინებული ქალაქის ლისაბონის კედლებს ეამბორება, მას შემდეგ იგი ოკეანეს ერთვის. ამბობენ, ვითომც ამ მდინარეში ოქროს ქვიშა იპოვებოდეს"... და სხვა. თუ ქურდებისა და ავაზაკების აღწერა დაგჭირდეთ, კაკუსის ამბავს მოგცემთ, რომელიც ზეპირად ვიცი. თუ ზნედაცემულ მანდილოსნებზე სწეროთ, - აი მონდონედის ეპისკოპოსი, ის მოიხმარეთ: მისი ლამია, ლაისა და ფლორა აიღეთ საგნად და ამაზე ერთი დიდი შენიშვნა შეთხზეთ, რითაც საყოველთაო პატივისცემას დაიმსახურებთ; თუ სასტიკ და გულქვა ქალებზე თქვით რამე - ოვიდიუსი დაგეხმარებათ მისი მედეთი; თუ გრძნეულ და ჯადოსან ქალებზე ჩამოაგდოთ ლაპარაკი - ჰომეროსი მიგითითებთ თავის კალიფსოზე და ვირგილიუსი თავის ცირცეაზე; თუ მამაცი სარდალი იქნება სავაჭრო - თვითონ იულიუს კეისარი აქ არ არის თავის მოგონებებით, ან კიდევ პლუტარქე არ შემოგთავაზებთ ათასობით ალექსანდრეას? თუ მიჯნურობაზე მოგიხდეთ ლაპარაკი და ტოსკანური ენა ოდნავ მაინც გაგეგებათ, მაშინ ლეონ ჰებრეო ასეთებით ყელამდის აგავსებთ, და, თუ სხვა ქვეყანაში დაგეზაროთ წასვლა, ფონსეკა და მისი თხზულება ხომ შინა გაქვთ. მის "ღვთისწიერ სიყვარულში" მოთავსებულია ყველაფერი, რაც კი ამ თემაზე დაწერილა: ვერც თქვენ და ვერც სხვა ვინმე დიდი მცოდნე უკეთესს ვერ ინატრებს და მას თქვენ კი არა, თვითონ ღრმა მეცნიერიც მრავალგვარად გამოიყენებს. ერთი სიტყვით, ეცადეთ თქვენს ამბავში მხოლოდ ის სახელები მოიხსენიოთ, რომლებიც გითხარით, ცოტაოდნად ისტორიასაც გამოჰკარით კლანჭი, მაშინ შენიშვნებისა და მაგალითების დაწერა მე მომანდეთ, და, გარწმუნებთ, იმდენი რამ მოვიგონო, რომ ოთხი დაბეჭდილი თაბახიც არ ეყოს.

ახლა თუ იმ მოხვედრების მოხსენება იქნება საჭირო, რომლებიც სხვა წიგნებისათვის დაურთავთ და თქვენსაში კი არ არიან, ამაზე ადვილი რა არის? მხოლოდ ისეთი წიგნი იშოვნეთ, სადაც ყველა ავტორის სია იყოს ჩართული ან დანა მოყოლებული ომედი, როგორც თქვენ ბრძანებთ, და ეს ანბანური სია დაურთეთ თქვენს წიგნს; და თუ სიცრუეში დაგიჭირეს, ამით ბევრი არა დაგაკლდებათ-რა, რადგან თქვენთვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მიბამოთ ამ ავტორებს. უეჭველია, თქვენს წიგნს ისეთი გულუბრყვილო მკითხველიც ბევრი შეხვდება, რომ დაიჯეროს - ვითომ თქვენი უმანკო ამბის დასაწერად სიაში მოქცეული ყველა ავტორით იხელმძღვანელებთ. სულ რომ არა იყოს-რა, გამოჩენილი, სწავლულებისა და მეცნიერების სახელები თქვენს წიგნს ღირსებას მისცემს. მასთან, ვისთვის არის საჭირო გამოიკვლიოს მოხსენებული ავტორები მართლა მოგიხმარიათ თუ არა. მაგრამ უფრო მეტს ვიტყვი: ასე მგონია - თქვენი წიგნი არავითარ შევსებას და შელამაზებას არ საჭიროებს. თქვენ თქვენი წიგნი სარაინდო რომანების გასაკიცხავად დაგიწერიათ, - ამ საგანზე კი არც არისტოტელეს უწერია რამე და არც წმინდა ბასილს; ციცერონს ხომ სარაინდო რომანებზე არავითარი წარმოდგენა არ აქვს, მოჩმახულ სისულელებებს და აბდაუბდას არავითარი საერთო არა აქვს ჭეშმარიტების ზუსტ მოთხოვნილებასა და ვარსკვლავთმრიცხველობის დაკვირვებებთან; თქვენს წიგნს რა ხელი აქვს გეომეტრიულ განზომილებასთან ან საისტორიო საბუთებთან და წესებთან; მისი საგანი არც ქადაგებაა, სადაც ღვრთაებრივი და კაცობრიული ერთმანეთში არის არეული: ამგვარი ქადაგებისაგან ღმერთმა ყველა ქრისტიანი დაიხსნას. ერთადერთი, რითაც უნდა ისარგებლოთ თქვენს თხზულებაში, ესაა ძველი წიგნების მიბამვა, რადგან, რაც უფრო სრულყოფილი იქნება მიბამვა, რაც უკეთესი კილოთი იქნება დაწერილი იგი, მით უმეტესად უნაკლულო იქნება წიგნი; რაკი ისა გაქვთ საგნად და გსურთ, რომ თქვენი თხზულება მიმართული იყოს იქითკენ, რათა მოსპოთ და ყველას თვალში დაამცროთ რაინდული რომანების მნიშვნელობა და გავლენა, რაც ჯერ კიდევ აქვთ მათ გაუნათლებელ ხალხში, ამისათვის როდია საჭირო სამოწყალოდ დაემბდეთ ფილოსოფოსებისაგან - ბრძნულ გამონათქვამებს, საღვთო წერილიდან - დარიგებებს, პოეტებისაგან - ზღაპრულ ოცნებებს, რიტორებისაგან - მჭევრმეტყველებას და წმინდანებისაგან - სასწაულებს. ეცადეთ მხოლოდ, რომ თქვენი სიტყვები გასაგები, ცხადი, თავაზიანი და წრფელი იყოს, რომ ამბავი გასართობი და კილოჟღეროვანი გამოვიდეს და სავსებით გამოხატოთ, რაც თქვენს ოცნება-გამოხატულებას წარმოუდგენია; ეცადეთ, სადაც ეს შესაძლებელია და დასაშვებია, აზრები ერთმანეთში არ არიოთ და არ დახლართოთ, გასაგებად და ნათლად გამოთქვათ გულისხმადები; ეცადეთ აგრეთვე ამბავს მხიარული ხასიათი მისცეთ, რომ თქვენი მოთხრობის წაკითხვამ გულჩათხრობილი კაცი გააცინოს, მხიარული ჩვეულებრივზე მომეტებით ახარხაროს. მარტივსა და ჩერჩეტს თავი არ მოაბეზროს, გამოცდილი თქვენმა ხელოვნებამ გააკვირვოს, დარბაისელმა იგი არ აითვალისწუნოს და ბრძენსაც თქვენი ქება ათქმევინოს, ერთი სიტყვით, მუდამ ისა გქონდეთ მიზნად, ძირს დასცეთ ის უზარმაზარი ფუტურონაგებობა სარაინდო რომანები რომ ჰქვია და გამკიცხავებზე უფრო მეტი მაქებარი რომა ჰყავს. და თუ ამას მოახერხებთ, - თქვენს ფრიად საქებარს მიზანს მიაღწევთ.

ულრმესი ყურადღებით ვუსმენდი ჩემს მეგობარს და მისი აზრები ისე მომეწონა, ისე აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში მისი სიტყვები, რომ სიტყვის შეუბრუნებლად სამართლიანად ჩავთვალე ისინი და წინასიტყვაობის ნაცვლად ამ ჩემს ამბავს პროლოგად დავურთე. დახე შემთხვევას, საყვარელო მკითხველო! როცა ამ პროლოგს წაიკითხავ, მიხვდები, თუ რა ჰქვია იგი ყოფილა ჩემი მეგობარი და რარიგად მიშველა მისმა ფიხელმა გონებამ: მერე და რა გაჭირვების ტალკვესად მომევიღინა ასეთი მრჩეველი! გარდა ამისა, შევბას იგრძნობ, რომ რაღაც-რაღაცეების

მოგონებით აღარც მე გავიხეთქე თავი და არც შენ შეგაწუხე და ასე შეულამაზებლად და შეუმკობლად წარმოგიდგინე ისტორია სახელოვანი დონ კიხოტ ლამანჩელისა; შენთვისაც ასე სჯობია; ერთიც, რომ - წაკითხვაზე ცოტა დრო დაგეხარჯება და მეორე - რაც მომხდარა, მხოლოდ იმას შეიტყობ. ბევრს არ დაგამუნათებ, რომ ასეთი შესანიშნავი რაინდის თავგადასავალს გიამბობ, რომელზედაც მონტიელის მიდამოს მცხოვრებნი ახლაც კი აზრისანი არიან, რომ იგი უბიწო მიჯნური და უშიშარი რაინდი იყო და მისი მსგავსი ჩვენს მხარეში დიდი ხანია აღარ ყოფილაო. არ მსურს თქვენს წინაშე გავაზვიადო ჩემი დამსახურებანი ასეთი გამოჩენილი და სასახელო რაინდის გაცნობით, მაგრამ შესანიშნავი სანჩო პანსას, ჩვენი რაინდის საჭურველმტვირთველის გაცნობას კი, იმედი მაქვს - დიდად დამიმადლებ; რადგან, ასე მგონია, ამ კაცში თავმოყრილია საჭურველმტვირთველთა ყველა ნიჭი და ღირსება, რომელთა აღწერა გაბნეულია უამრავ სულელურ სარაიდო რომანებში. დასასრულ, ღმერთმა მშვიდობა შენც მოგცეს და მეც ნუ დამივიწყებს. Vale!

თავი I

სადაც მოთხრობილია სახელოვანი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელის ზნე-ხასიათისა და ჩვეულების ამბავი

ლამანჩის რომელიდაც სოფელში - სახელის მოგონება არა მსურს, არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ცხოვრობდა ერთი იდალგო - იმათთაგანი, რომელთა მთელ სიმდიდრეს შეადგენს მამაპაპური შუბი, ძველისძველი ფარი, ერთი ჯაგლაგი ცხენი და ერთიც მწევარი. ეს იდალგო ძალიან უბრალო ცხოვრებას ეწეოდა: ბევრჯერ სადილად ძროხის ხორცის ოლასა ჭამდა, ცხვრის ხორცს კი იშვიათად მიირთმევდა, თითქმის ყოველ ვახშმად ვინეგრეტს გიახლებოდათ, შაბათობით ქონიან ტაფამწვარს, პარასკეობით ოსპის შეჭამანდს, და კვირაობით კი, სხვა ჩვეულებრივ სანოვაგეს გარდა, მტრედის ტაბაკს, - ამას უნდებოდა მისი შემოსავლის სამი მეოთხედი, ხოლო დანარჩენი ტანისამოსზე ეხარჯებოდა: სადღესასწაულოდ იკერავდა წმინდა მაუდის მოსასხამს, ხავერდის შარვალს და წაღებს; სამუდამდღეოდ საუკეთესო ხარისხის შინაური ქსოვილის ტანსაცმელს ხმარობდა. მასთან ცხოვრობდნენ: ერთი ორმოცწეულს გადასული სახლის გამგებელი მანდილოსანი, ერთი დისწული ქალი - დაახლოებით ოცი წლისა და ერთიც მსახური ბიჭი - შინ და მიხედვრად სამუშაოდ: ამ ბიჭის მოვალეობა იყო ბებერი ცხენის შეკაზმვა და ბაღში სასხლავის ხმარება. ჩვენი იდალგო ორმოცდაათი წლისა სრულდებოდა; თუმც კაფანდარა და პირხმელი იყო, მაინც ბრგე აგებულება ჰქონდა, ნადირობის დიდი ტრფიალი იყო და დილაადრიან ადგომა უყვარდა. ამბობენ, სახელად კიხადა თუ კესადა ერქვაო (ამ საკითხში მისი ცხოვრების აღმწერი ერთმანეთს არ ეთანხმებიან), მაგრამ ამ საგნის ბეჯითსა და უფო კეთილსინდისიერ მკვლევარს თუ დავეუჯერებთ, უფრო კეხანა უნდა რქმეოდა. თუმც ჩვენი მოთხრობისათვის ამას არც თუ ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ საკამათოა ნაამბობში ჭეშმარიტებას ოდნავადაც არ გავცდეთ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული იდალგო მოცლილობისას (ხოლო ის თითქმის მთელი წლის მანძილზე მოცლილი იყო), სულ სარაინდო რომანებს კითხულობდა და ისეთის გულმოდგინებით და თავდავიწყებით, რომ მამულის მოვლასა და ნადირობასაც კი მიანება თავი. მისი ცნობისმოყვარეობა და ჭკუადამთხვეულობა იქამდის მივიდა, რომ რამდენიმე ქცევა

ხოდაბუნნი გაყიდა, რათა საკითხავად სარაინდო წიგნები შეეძინა, და შინ იმდენი მოაგროვა ეს რომანები, რამდენის შოვნაც კი შეეძლო. ამ წიგნებში ყველაზე სახელგანთქმულად გამოჩენილი ფელისიანო დე სილვას თხზულება მიაჩნდა, რადგან მისი პროზის ბრწყინვალეობა და მაღალფარდოვანი სიტყვები ჩვენს იდალგოს უბრალოდ წარმოედგინა. მეტადრე მოსწონდა სატრფიალო წერილების ან ხმალში გამოწვევის ამბავთა წაკითხვა, სადაც ხშირად აღნიშნული იყო შემდეგი: "მსჯელობათა, რომლითაც თქვენ ჩემთა სჯათა განსჯით, ეგზომ აქვთ გავლენა ჩემთა განსჯათა ზედა, რომ მე განუსჯელად განვსჯი თქვენს მშვენიერებას." და კიდევ ასეთებსაც კითხულობდა: "... ცანი მაღალნი ვარსკვლავთა საშუალებით თქვენი ღვთაებრიობისა ღვთაებრივად დამამტკიცებელი, იმ ღირსებათა ღირსად გქმნიან თქვენ, რისიც ღირსია თქვენი ღირსეულობა..." ასეთი ფრაზების კითხვა ჩვენს საბრალო კაბალიეროს გონება შეურყიეს. მთელ ღამეს სულ იმ თავისხეთქაში ათენებდა, ეგებ მათი აზრი როგორმე ამოეხსნა და შეეგნო, მაგრამ ამას აბა როგორ შეიძლებდა, როდესაც იმათი აზრის შეგნება და გაგება თვითონ არისტოტელესაც გაუჭირდებოდა, თუნდაც ეს გამოჩენილი მეცნიერი განგებ ამისათვის მკვდრეთით ამდგარიყო. ადვილი როდი იყო წარმოედგინა, თუ როგორ ღებულობდა ბრძოლებში უამრავ ჭრილობას დონ ბელიანისი. ან, პირიქით, როგორ აშთობდა იგი სხვებს, რადგან იდალგოს ეგონა, რაც არ უნდა გამოცდილი ყოფილიყვნენ ექიმები, ამ რაინდს მთელი ტანი და სახე მაინც ჭრილობებით აჭრელებული ექნებოდაო. მაგრამ მაინც ძლიერ აქებდა ავტორს და ის უფრო მოსწონდა, რომ ამბავს ლაზათიანად აბოლოებსო და თან წიგნის კვლავ განაგრძობას გვპირდებო. ბევრჯერ მოუვლიდა ხოლმე ჟინი კალამი აელო და თვითონ ბოლომდე დაეწერა წიგნის გაგრძელება, როგორც იქ იყო დაპირებული. ამას, ალბათ, ჩაიდენდა, იქნებ სასიქადულოდაც აესრულებინა კიდევ, თუ ხელი არ შეეშალა სხვა ღირსშესანიშნავ და გადაუდებელ განზრახვებს. ჩვენი კაბალიერო ხშირად ეკამათებოდა ხოლმე თავის სოფლის მღვდელს (მღვდელი მეცნიერი კაცი იყო და სწავლულის ხარისხი სიგუნესაში ჰქონდა მიღებული) იმაზე, თუ რომელ რაინდს უფრო შეგნოდა პირველობა: პალმერინო ინგლისელს, თუ ამადის გალელს; მაგრამ სოფლის დალაქი, ოსტატი ნიკოლასი, ამტკიცებდა, რაინდ ფებს ვერცერთი ვერ შეედრებო. და თუ ვინმესთან შეიძლებოდა იმის შედარება, რასაკვირველია, ისევ დონ გალაორთან, ამადის გალელის ძმასთან, რადგან ზნითა და ხასიათით ყველას მჯობნია, ძმასავით მოწუწუნე და პრანჭია არაა და ვაჟკაცობითაც მას არ დაუვარდებო.

ერთი სიტყვით, ჩვენი კაბალიერო ისე გაიტაცა წიგნების კითხვამ, რომ მთელ ღღესა და ღამეს კითხვაში ატარებდა, ხოლო ამას ის მოჰყვა, რომ უძილობითა და ბევრი კითხვით მთლად გამოტვინდა და გაგიჟდა. სულ ისღა ელანდებოდა, რაც წიგნებში ამოიკითხა: გრძნეულებანი, აყალმაყალი, ჩხუბი და ბრძოლები, ხმალში გაწვევანი, ჭრილობები, არშიყობანი, სამიჯნურო პოემები, გულის წუხილი და სხვა მრავალი ახირებული სისულელე. ისე მტკიცედ სწამდა ყველა ეს მოჩმახული და სულელური ზღაპარი, რომ მათზე ჭეშმარიტი ამბავი ქვეყნად სხვა ალაარ ეჩვენებოდა-რა. სჯეროდა, რომ სიდი რუი დიასი სახელოვანი რაინდი იყო, მაგრამ - უმატებდა, მგზნებარე მახვილის რაინდს მაინც ვერ შეედრებოდა, ხმლის ერთი შემოკვრით ორი უზარმაზარი, მძვინვარე გოლიათი შუაზე რომ გაკვეთაო. უფრო მეტ პატივს სცემდა ბერნანდო დელ კარპიოს, რადგან მას რონსევეალის ხეობაში მოხიბლული როლანდი იმავე ხერხით მოეკლა, რა ხერხითაც ჰერკულესმა მიწის ძედ წოდებული ანთეოსი მოახრჩო. დიდ ხოტბას ასხამდა გოლიათ მორგანტს, რადგან იგი, თუმც ამპარტავანი და თავხედი

გოლიათებისაგან შთამომავლობდა, მაინც ზრდილობიანი და თავაზიანი ხასიათის იყო. მაგრამ ყველაზე მომეტებულად მას რეინალდო დელ მონტალბანელი მოსწონდა, მეტადრე მაშინ როცა მას თავის ციხე-დარბაზიდან გამოლაშქრებულ წარმოიდგენდა გამვლელ-გამომვლელთა სამარცვავად გამოსულს, ანუ ზღვის გაღმა ქვეყნებში გამგზავრებულს მაჰმადის კერპის მოსატაცებლად - ავტორის სიტყვით, პიტალო ოქროსი რომ ყოფილა. ხოლო მოღალატე განელონის ერთი მაგარი მიბეგვისათვის ჩვენი იდალგო სისამოვნებით დასთმობდა თავის სახლის გამგებელ ქალს და დისწულსაც მიუსართებდა.

ბოლოს სავსებით ჭკუნანდობობმა, ისეთი უცნაური საქმე განიზრახა, როგორც ამქვეყნად არასოდეს არც ერთ გიჟს ფიქრადაც არ მოსვლოდა. სახელდობრ ის, რომ მეტად საჭიროდ მიაჩნდა, როგორც პირადი დიდების მოსახვეჭად, ისე კიდევ სამშობლოს სასარგებლოდაც, მოგზაური რაინდი გამხდარიყო, იარაღი აესხა, ცხენზე შემჯდარიყო, ქვეყნის ქვეყნად ხიფათისა და ფათერაკების სამებნად ეხეტიალნა, - ერთი სიტყვით, ყოველივე ის გაეკეთებია, რასაც ჩვეულებრივ ჩადიოდნენ რომანებში ამოკითხული მოგზაური რაინდები: დათრგუნვილი ჭეშმარიტება აღედგინა, არავითარ საფრთხეს და გაჭირვებას არ მორიდებოდა, დევნილთა და უპატრონოთ გამოსარჩლებოდა და ამით საუკუნო სახელი და დიდება დაემკვიდრებია. საბრალოს, თითქოს, ამ თავითვე ელანდებოდა, რომ ვაჟკაცურ ღვაწლთა ჯილდო სულ არა ოყოს-რა, ტრაპიზონის სამეფოს გვირგვინ მაინც დაადგამდა თავზე. ასეთი საამური ფიქრებით გატაცებული და არაჩვეულებრივად გახარებული დონ კიხოტი დაემურა თავისი წადილი ჩქარა შეესრულებია. უწინარეს ყოვლისა, გაწმინდა სადღაც კუთხეში მიყრილი, საუკუნოვანი ჟანგითა და ობით დაფარული მამაპაპისეული იარაღი. როგორც შეემლო, კარგად გააპრიალა და შეაკეთა ის; მაგრამ ანაზდად შენიშნა, რომ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი აკლდა: ზარადიანი ჩაჩქანის ნაცვლად ნაგლეჯიღა დარჩენილიყო. მაგრამ მისმა ხერხიანობა აქაც უშველა: მუყაოსაგან ნახევრად-ჩაჩქანი გააკეთა, ნაგლეჯს მიამაგრა და ნამდვილი ჩაჩქანის მსგავსი რაღაც შეაკოწიწა. არ დაფვარავთ, რომ ჩვენს იდალგოს მოუხდა - გამოეცადნა მისი სიმტკიცე და გაეგო - გაუძლებდა თუ არა ის ბრძოლებს. ამ განზრახვით დაშნა აიღო, ორჯერ ღონივრად შემოჰკრა ჩაჩქანს და მთელი კვირის ნამუშევარი პირველივე დარტყმით ერთ წუთშივე გაანადგურა. ჩაჩქანი რომ ასე ადვილად ნაკუწ-ნაკუწად იქცა, არც თუ დიდად ესიამოვნა, და რომ ასეთი საბრთხისათვის კვლავ თავი დაეღწია, ჩაჩქანის კეთებებს ხელმეორედ შეუდგა. მეტი სიმაგრისათვის შიგ რამდენიმე ფირფიტა დაატანა და მავთულით რკინის ბალთები გაუკეთა. დაბოლოს, ფრიად კმაყოფილი დარჩა ჩაჩქანის სიმტკიცით, ამ ნაკეთობას ხელმეორედ გამოცდა აღარ მოისურვა, დიდად მოეწონა თავისი ნახელავი და დარწმუნდა, ასეთი ნამდვილი, მაგარი და რიგზე შეჭედილი ჩაჩქანი მთელს ქვეყანაზე არავის ექნებაო.

იარაღი რომ მოაწყო, ახლა თავისი ჯაგლაგი შეათვალიერა, თუმცა იმ ცხენს იმდენი სენი სჭირდა, რამდენი კუარტო რეალშიც არ იქნება და გონელის ცხენზედაც ბევრად საცოდავი სანახავი იყო, რადგან ტყავისა და ძვლებისაგანღა შესდგებოდა, მაინც ალექსანდრე მაკედონელის ფუცეფალსა და სიდის ბაბიეკზე უკეთესი მოეჩვენა. მთელი ოთხი დღე იმაზე იმტვრევდა თავს, თუ რა სახელი დაერქმია ამ უზადლო ცხენისათვის, რომ მისი შესაფერი ყოფილიყო. რადგან, ასე ფიქრობდა: განა უსამართლობა არ იქნება, ესოდენ შესანიშნავი რაინდის ცხენს და თავისთავადაც ესოდენ ჩინებულს, ყოველთვის ცნობილი სახელი არ ჰქონდესო? ამიტომ მოისურვა ცხენისათვის ისეთი სახელი დაერქმია, რომ იმ სახელით უმაღლესი გასაგები ყოფილიყო, თუ რა იყო ის ცხენი მოგზაური რაინდის ბედაურად გახდომამდის, და რა



შეიქმნებოდა მის შემდეგ: მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ თუ პატრონი იცვლიდა სახელს, მის ცხენსაც უნდა დარქმეოდა ახალი, უფრო სახელოვანი, მისი პატრონის ახალი, ღირსებისა და მდგომარეობის შესაფერი სახელი. დიდხანს იგონებდა სხვადასხვა სახელს, ზოგი დაიწუნა, ზოგი დაამოკლა, ათასნაირად გადააბრუნ-გადმოაბრუნა, კვლავ გამოიგონა და უარყო, ისევ დაძაბა მეხიერება და გონებას ძალა დაატანა. და ბოლოს შეჩერდა როსინანტზე, რადგან ეს სახელი უფრო დიდებული, უფრო ჭედროვანი და მთელს ქვეყანაზე საუკეთესო ცხენისათვის უფრო შესაფერისი მოეჩვენა. ეს სახელი იმას მოასწავებდა, რომ მისი ცხენი წინათ ურალო ჯაგლაგო იყო, ხოლო ახლა მთელს ქვეყანაზე უპირველესი ჯაგლაგი და ყველა დანარჩენზე წინამდებარი გახდა.

თავისი ცხენისათვის ასეთი მოხერხებული სახელი რომ მოიგონა, ახლა თავისთვის დაიწყო სახელის ძებნა და ამ ფიქრში გაატარა მთელი ერთი კვირა, მაგრამ როგორც იყო, ისიც გამოიხატა: დონ კიხოტი. სწორედ ამიტომ ამ მართალი ისტორიის ავტორები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფიქრობენ, რომ ჩვენს იდალგოს, უეჭველად, კიხადა ერქვა და არა კესადა, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ. მაგრამ როდესაც მოაგონდა: სახელოვანი ამადისი მარტოოდენ ამადისად არასოდეს იწოდებოდა, ამიტომ თავისი სახელს გალელი მიუმატა, - ალბათ, იმიტომ, რომ თავისი სამშობლო და სამეფო აღემაღლებია და ესახელებიაო, - ჩვენმა კაბალერომაც, როგორც რიგან რაინდს შეეფერებოდა, თავის სახელს სამშობლოს სახელიც მიუმატა და დაირქვა დონ კიხოტ ლამანჩელი. ამგვარად, ყველასათვის საცნაური ხდებოდა მისი ვინაობა და სადაურობა, მასთან ამითყმის სამშობლოსაც ღირსება ემატებოდა.

და აი, რაკი იარაღი გაწმინდა, ზარადიანი ჩაჩქანიც მიაკოწიწ-მოაკოწიწა, ჯაგლაგს ახალი სახელი გამოუგონა და თვითონაც, როგორც კონფირმაციის დროს, სახელი გამოიცვალა, ახლა მარტო ისლა დარჩენოდა, გასამიჯნურებელი გულის ვარდი მოეძებნა; რადგან ცნობილია, რომ უმიჯნურო მოგზაური რაინდი უფოთლო და უნაყოფო ხეს ან უსულო სხეულს ემსგავსება. რაინდი ეუბნებოდა თავის თავს: ვინიცობაა, ჩემი ცოდვების კითხვამ, ანუ უფრორე ჩემი ბედის ვარსკვლავმა ბედნიერი შემთხვევით ვინმე გოლიათს შემყაროს (რაიცა ჩვეულებრივი მოვლენაა მოგზაური რაინდისათვის) და პირველი დაჯახებითვე, ვინიცობაა დავამხო იგი, ანუ შუბი შიგ გულ-ღვიძლში გავუტარო და შუა განვკვეთო, ანდა დაბოლოს, ჩემს ნებად მოვიხელთო, ვძლიო იგი და ავიძულო შებრალება მთხოვოს, განა კარგი არ იქნება ამ შემთხვევისათვის სატრფო მყავდეს, რომ დამარცხებული გოლიათი მას საჩუქრად შევთავაზო? ის დაემხობა ჩემი უზენაესი მბრძანებლის ფეხთა ქვეშე და მორჩილების ხმით მოახსენებს: "ოი, უბადლო ქალბატონო, მე გახლავართ გოლიათი კარაკულამბრო, მალინდრანის კუნძულის მფლობელი; პირისპირ შერკინებისას დამამარცხა სახელოვანმა რაინდმა დონ კიხოტ ლამანჩელმა, რომლის გმირობა და ვაჟკაცობა ყოველგვარ ქება-დიდებას აღემატება; აწ მისი ბრძანებით მოველ, რათა თქვენი მშვენიერების წინაშე დავემხო და თქვენს ფეხთა ქვეშე თქვენს უზენაეს განაჩენს ველოდო". ო, როდენ დიდ ბედნიერებას ეწია ჩვენი კეთილი რაინდი ამ სიტყვების წარმოთქმისას, მაგრამ სიხარული და შვება გაუორკვედა, როდესაც, ბოლოს, იმ სულიერსაც მიაგნო, ვინაც გულის ვარდად უნდა დაესახა, ამბობენ მახლობელ სოფელში ერთი ფრიად კვკლუცი და ეშხიანი ნორჩი გლეხის გოგო ცხოვრობდაო, რომელსაც ერთ დროს ის ოდნავ ეტრფოდა კიდევ, თუმცა ეს ქალს არ გაუგია და ამიტომ გამიჯნურებულ რაინდს არავითარ ყურადღებას არ აქცევდაო. ქალს აღდონსა ლორენსო ერქვაო: ჩვენმა რაინდმა გადაწყვიტა ჩემ ფიქრთა მპყრობელი მზეთუნახავი სწორედ იგი უნდა გახდესო. ახლა ქალის სახელის ძებნას შეუდგა. ისეთ სახელს ეძებდა, რომ მის საკუთარ სახელსაც შეჰფარდებოდა და მასთან თავადის

ან ვინმე წარჩინებულის ქალადაც გამოეჩინა. დიდი თავის მტვრევის შემდეგ დუღსინეა ტობოსელი დაარქვა, რადგან ქალის სოფელ ტობოსოს მცხოვრები იყო. ეს სახელიც მეტად ჟღეროვანი, საგანგებო და არანაკლებ წარჩინებული ეჩვენა, ვიდრე მის მიერ უკვე გამოგონებული სხვა სახელები.

თავი II

სადაც მოთხრობილია მახვილგონიერი დონ კიხოტის პირველი გამგზავრება თავისი სამფლობელოდან

რაკი ყველა სამზადისი დამთავრდა, დონ კიხოტმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ შედგომოდა თავისი წადილის ასრულებას, ეგონა ამას იქით ჩემი დაყოვნება მთელ კაცობრიობას დიდ ზიანს მიაყენებსო: რამდენი შეურაცხყოფილი ელოდა გამოსარჩლებას, რამდენი უსამართლობა იყო აღმოსაფხვრელი, რამდენი უფლება - აღსადგენი, ქვეყანას დაამძიმებდა მრავალი გადაუხდელი ვალი, დაუსჯელი დანაშაული და ბოროტმოქმედბა! ყოველივე ამის პასუხისმგებლად ამიერიდან თავის თავს თვლიდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, განთიადამდის (ეს იყო თავარა ივლისი) ადგა, თავის განზრახვა არავის გაგებინა, ყველას შეუმჩნევლად აბჯარი აისხა, შეკვაზმა როსინანტი, ზედ შეჯდა, უბადრუკი ჩაჩქანი თავზე ჩამოიფხატა, ცალი ხელით ფარი აიღო, მეორეში შუბი დაიჭირა და ბაკის უკანა ჭიმკრიდან მინდორში გავიდა. მეტად გახარებული და ნასიამოვნები იყო იმით, რომ ესოდენ სასახელო და პატიოსან საქმეს ასე ადვილად შეუდგა. მაგრამ ის იყო ტრიალ მინდორს დაადგა, რომ საშინელმა აზრმა გაუელვა თავში, რამაც კინადამ ხელი ააღებინა დაწყებულ განზრახვაზე: მოაგონდა, რაინდად არა ვარ დალოცვილიო, და რაინდთა კანონით კი არ შეეძლო და ვერც გაბედავდა რომელიმე რაინდთან შერკინებას; ამასთან - თუნდაც დალოცვილი ყოფილიყო, მაშინაც, როგორც რაინდთა დასში ახლადშესულს, სადა აბჯარი და უდევიზო ფარი უნდა ეტარებინა, ვიდრე იმ დევიზს საკუთარი ვაჟკაცობით არ მოიპოვებდა. ამ ფიქრის გამო შეყოყმანდა, ცოტა გაწყდა - უკან არ დაბრუნდა, მაგრამ სიშმაგემ სძლია გონიერებას და ჩვენმა იდაღომ გადაწყვიტა, ვინც კი გზაზე პირველად შეხვდებოდა, რაინდად ის დალოცავდა; მრავალი რაინდი იქცეოდა ასე, თუ დაუუჯერებთ რომანებს, რომლებმაც ესრეთ სავალალო მდგომარეობაში ჩააგდეს იგი. რაც შეეხება სადა აბჯარს, თავის თავს შეჰფიცა, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ისე გაეხეხა თავისი ფარ-ხმალი, ყარყუმზე თეთრი გამხდარიყო. ამ გადაწყვეტილებით დამშვიდებულმა გზა განაგრძო და ცხენსაც სადავე მიუშვა; ფიქრობდა: ფათერაკების მამებარმა სწორედ ასე, თავის ცხენის ნებაზე უნდა იაროსო.

ეს შემაწუხებელი ეჭვები რომ თავიდან მოიშორა, ჩვენი ახლადგამომცხვარი რაინდი ნელ-ნელა მილოდავდა და თავის თავს ამას ეტუტუნებოდა:

- ოდეს შორეულ მომავალში ჩემს სახელოვან საქმეთა მართალი ამბავი საცნაურ გახდება და - ბრძენი ისტორიკოსი ჩემთა ესრეთ დიადთა ღვაწლთა აღწერას დაიწყებს, ეჭვი არ არის, ჩემს ესრეთ ადრინდელ გამოსვლას ასე მოუთხრობს: "სხივცისკროვანმა თებოსმა ახლადგამოფიზლებულს დედამიწის წიაღზე თავისი უხვი ზილფების მოფენა იწყო თუ არა, ოქროსენიან მოადრევე ფრინველთაც ათასფეროვნად მოსდეს თუ არა ჰაერს თავისი ნარნარი სიმღერები და მით სალამი უძღვნეს ვარდისფერ ავრორას, რომელსაც თავისი ეჭვიანი მეუღლის რბილი სარეცელი დაეტოვებია, რათა ლამანჩის ჰორიზონტის კარიბჭეებისა და აივნებიდან მომაკვდავთათვის გამოეხედნა და კასტილიის ცის კამარის გასანათებლად

ამოსულიყო, - სახელოვანმა რაინდმა დონ კიხოტ ლამანჩელმაც ბუმბულის ლოგინი დაუტევა, თავის შესანიშნავ ერთგულ როსინანტს შემოახტა და ძველს, დიდებულს მონტიელის ველზე გზას გაუდგა (ჩვენი გმირი სწორედ ამ ველზე იყო ახლა).

და შემდეგ დაუმატა:

- ბედნიერი იქნება ის დრო და ბედნიერი იქნება ის საუკუნე, როცა, დაბოლოს, საქვეყნოდ აშკარად დაინახავენ ჩემს მიერ ჩადენილ სახელოვან საქმეებს, რომელნიც ღირსნი არიან ბრინჯაოზე აღსაბეჭდად, მარმარილოზე გამოსაქანდაკებლად და ტილოზე დასახატავად მომავალ თაობათა სამახსოვროდ. იცოცხლონ მათ მუდამ, შეურყევლად, მომავალ თაობათა სამაგალითოდ და სამოდღვრებოდ! ხოლო შენ, ვინც უნდა იყო, ჰოი, ბრძენო მისანო, იმით ბედნიერო, რომ ჩემი უკვდავი მოგზაურობის აღწერა შენა გხვდება წილად. გვედრები, ჩემი ძვირფასი, ჩემს დაუსრულებელ მოგზაურობაში ჩემი ერთგული მეგობარი როსინანტიც არ დაივიწყო.

შემდეგ თითქოს მართლა შეყვარებული იყო, ეშხით აღტაცებულმა შეჰყვირა:

- ჰოი, ქალბატონო დულსინეა, ჩემი დამონებული გულის მფლობელო! რა მწარე ტანჯვას მაყენებ, რომ შენგან გამაძევე, შენი შეუდარებელიმშვენიერების ხილვა ეგრე სასატიკად ამიკრძალებ, მაგრამ, დაე, ამ ტანჯვამ მაინც გაგახსენოს, ქალბატონო, ეს შენგან მოხიბლული, შენი მიზეზით ამდენი ვაების ამტანი ჩემი გული.

ამ ბოდავას კიდევ მრავალი სხვაც დაურთო, ისეთივე აღტაცებით და იმ კილოთი და ჰანგით, როგორც თავის რაინდულ წიგნებში ამოეკითხა და შეძლებისამებრ ცდილობდა ამ წიგნების ენისათვის მიებადა და ამით ისე გაერთო და დაიხაფრა, რომ მზის კარგა მალლა წამოსვლა ვერ შენიშნა და ვერც იმის მცხუნვარებას გრძნობდა, რომელიც თავს ისე ძლიერ უხურებდა, რომ თვინი შეიძლება გალხობოდა, თუ კი ამის ნატამალი კიდევლა შერჩენოდა თავში. ჩვენმა გმირმა მთელი დღე ასე იარა და ისეთ ფათერაკს ვერას შეეჩეხა, საამბობლად რომ ღირდეს; ეს ძალიან წყინდა, რადგან დიდი სურვილი ჰქონდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა შეხვედროდა ვინმეს, რომ თავისი მარჯვე მკლავის ძალა მასზე გამოეჩინა. ზოგი მწერალი ამბობს, პირველი ფათერაკი ლაპიჩის ხეობაში შეხვდაო, სხვები ამას ამტკიცებენ, რომ პირველად ფათერაკი ქარის წისქვილებთან ბრძოლაში შეემთხვაო. მე კი ლამანჩის მატთანეთა ბეჯითი გამოკვლევით დანამდვილებით შემდეგი გავიგე: ჩვენი რაინდი იმ დღეს მზის ჩასვლამდის სიარულს მოუნდა და ისე დაიღალა და დაიშმა თავის ჯაგლაგანად, რომ საღამო ჟამს ერთიცა და მეორეც ფეხზე ძლივსლა დგებოდნენ. ასე გაჭირვებულმა დაიწყო აქეთ-იქეთ ცქერა, ეგებ ციხე დარბაზი ან მეცხვარის ქოხი დავინახო, რათა დავისვენო და ქანც მილეულმა ძალ-ღონე მოვიკრიბო, - უცბად, გზიდან შორიახლოს, ერთი ფუნდუკი შენიშნა, ამ სანახავმა გზის მაჩვენებელ ვარსკვლავივით გაუბრწყინა თვალები, რადგან მისი გაჭირვების სავანე ის ფუნდუკი უნდა ყოფილიყო. შექუსლა როსინანტი და ბინდისას იმ ფუნდუკს კიდევ მიატანა.

შემთხვევით ამ დროს ჭიშკართან ორი ახლაგაზრდა ქალი დახვდა, ისინი, რომელთა ზნეობას საეჭვო სახელი აქვს და მათ მსუბუქ ყოფაქცევის ქალებს უწოდებენ. ისინი მეჯორეებს მისდევდნენ სევილიაში და აქ ღამის გასათევად ჩამომხტარიყვნენ. ჩვენი რაინდი, რაკი ფიქრებით ძალიან შორს იცოდა ხოლმე წასვლა, ყველგან მხოლოდ იმას ხედავდა, რაც თავის

რომანებში ამოეკითხა; ამიტომ იმ ფუნდუკში ჯერ არ მისულიყო, რომ ჩინებულ ციხე-დარბაზად მოეჩვენა იგი, ოთხ წოწოლაგუმბათიან კოშკის მქონედ, მზის სხივებზე ბრწყინავი ვერცხლით დაფერილი ყავრულებითა და ქონგურებით, გარშემო ხანდაკემოვლებული ასაწევი ხიდებითა და მიწისქვეშა სავლელეებით გამართული. ერთი სიტყვით, ეს სახლი იმგვარ ციხე დარბაზად წარმოედგინა, როგორის აღწერაც თავის სარაინდო წიგნებში ბერვრჯერ წაეკითხა. მიუახლოვდა რა ფუნდუკს (მისი ჭკუით - ციხე-დარბაზს). დონ კიხოტმა ჭიშკრის შორიახლო როსინანტს ჯილავი მოსწია და შეაყენა, რადგან ელოდა, ციხე დარბაზის ქონგურებზე რომელიმე ქონდრისკაცი გამოჩენილიყო და რაინდის მობრძანება ბუკით ეცნობებინა, მაგრამ რაკი ქონდრისკაცი აყოვნებდა და ამასთანავე როსინანტიც დიდ სურვილს უცხადებდა ჩქარა თავლაში ამოეყო თავი, დონ კიხოტი რამდენიმე ნაბიჯით წინ წადგა, ჭიშკარს მიადგა და ზემოხსენებული მსუბუქი ყოფაქცევის ორი ქალი დაინახა. ისინი ტურფა ასულებად ან ციხე-დარბაზის გარეთ სარამო ჟამს მოსეირნე სეფექალებად მიიღო. ამ დროს ისე მოხდა, რომ იმათ გვერდზე რომელიღაც მელორე ნაპურალიდან მოდენიდა ღორების კოლტს (მაპატიოს მკითხველმა, რომ ისინი საკუთარი სახელით ვახსენე) და მათ მოსაგროვებლად საყვირი დააყვირა. დონ კიხოტმა ეს საყვირი უმაღვე იმის ნიშნად მიიღო, რაც ელანდებოდა. ეგონა, ქონდრისკაცი ციხე-დარბაზს ჩემს მოსვლას ატყობინებსო. ამიტომ ფიცხლად აათოხარიკა ცხენი, რომ ქალებთან ეშხიანად მისულიყო. ქალებმა რომ დაინახეს, შუბითა და ფართით უცნაურად შეიარაღებული რომელიღაც მხედარი გვიახლოვდებო, შეეშინდათ და ფუნდუკისაკენ გაიქცნენ. მაგრამ დონ კიხოტი მათი შიშის მიზეზს მიხვდა, მსწრაფლ ჩაჩქანის ჩაფხუტი აიწია, თავისი გამხდარი და მტვრიანი სახე ნახევრად გამოაჩინა, წელში გაიმართა და თავაზიანად, დინჯი, სასიამოვნო ხმით უთხრა:

- მშვენიერო მანდილოსანო, ნუ გარბიხართ და ნურც რაიმე შეურაცხყოფისა გეშინიათ ჩემგან! რაინდთა კანონი, რომელის დაცვაზედაც ფიცი მაქვს მიცემული, სხვის შეურაცხყოფას მიკრძალავს, ვინც უნდა იყოს, და მით უმეტეს ისეთ ქალწულთა შეურაცხყოფას, როგორებდაც თქვენ მეჩვენებით.

ქალებმა გაოცებით და გაშტერებით დაუწყეს ცქერა და თან ცდილობდნენ დანჯღრეული ზარადით ნახევრადდაფარული მისი სახე დაენახათ. ხოლო როცა დონ კიხოტმა უთხრა "ქალწულთაო", - სიცილი ვედარ შეიკავეს, რადგან ამ სახელს ძალიან დაშორებულები იყვნენ. ამ სიცილზე დონ კიხოტი გაწყრა და მკაცრი ხმით უთხრა ქალებს:

- სილამაზეს ზრდილობა შვენის, უმიზეზოდ სიცილი კი უმართებულო საქციელია, რასაც დიდი რეგვენი ჩადის. ამას იმიტომ არ ვამბობ, გაწყენინოთ, ანუ გუნება გაგიფუჭოთ. პირიქით, ერთადერთი ჩემი სურვილი ის არის, რითაც კი შემძლია - გემსახუროთ!

ამ მათთვის გაუგებარმა სიტყვებმა და მთქმელის საცოდავმა შესახედაობამ მხიარული მგზავრი ქალები უფრო მეტად გააცინა. და რაც უფრო უმატებდნენ სიცილს, მით უფრო ეკარგებოდა მოთმინება ჩვენ რაინდს, და ვინ იცის - საქმე სადამდის მივიდოდა, თუ მეფუნდუკე, მეტად სქელი და სიმსუქნისაგან მშვიდი ხასიათისა, დროზე არ გამოსულიყო. დაინახა თუ არა რაღაც, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი მოჩვენება, რომელიც შეჭურვილიყო ესოდენ სხვადასხვანაირი იარაღით: შუბით, მსუბუქი ფართით, ბეგთართა და ცხენის მძიმე სამკაულით, ეწადა შეერთებოდა ორივე ქალწულის მხიარულებას და ამასაც სიცილმა ღიტინი დაუწყო, მაგრამ ცხვირწინ რომ მთელი თოფხანის სიახლოვე იგრძნო, გადაწყვიტა თავაზიანად მიემართა და ასე დაიწყო:

- ბატონო რაინდო, თუ ამაღამ მოსვენებას ამ სახლში ინებებთ, ლოგინს გარდა ყველაფერს უხვად ჰპოვებთ, რაც კი მოსასვენებლად საჭიროა, - ლოგინი კი ამ ფუნდუკში ერთიც არა მაქვს.

დონ კიხოტმა მოისმინა ციხისთავის თავაზიანი ლაპარაკი (რადგან მეფუნდუკე, რასაკვირველია, ციხისთავად მიიღო, ხოლო ფუნდუკი - ციხე დარბაზად) და მოიგო:

- რაც არ უნდა შემომთავაზოთ, ბატონო კასტელანო, ყველაფრით კმაყოფილი ვიქნები, რადგან ნათქვამია:

ჩემი სამოსი არის აბჯარი

და დასვენება - ბრძოლა ფიცხელი

მეფუნდუკემ იფიქრა, დონ კიხოტმა კასტელანი მიწოდა და პატიოსან კასტილიელად მიმიღო (ნამდვილად ის ანდალუზელი იყო, სან-ლუკარის სანაპიროდან და ქურდობაში თვითონ კაკუსსაც გაეჯიბრებოდა, ხოლო გაიძვერობით ყოველ შეგირდს ან ფარემს გაუსწრებდა), და ამიტომ ასე უპასუხა:

- მაშასადამე, თქვენი საწოლი კლდე იქნება, და ძილის ნაცვლად მუდმივი სიფხიზლე, არა? და თუ ასეა, ჩემს ქოხში ჩამოხტომა თამამად შეგიძლიათ. ერთ ღამეს კი არა, მთელი წელიწადიც რომ უძილოდ გაატაროთ აქ, არავინ დაგიშლით.

ეს უთხრა და ცხენიდან ჩამოსასვლელად უზანგი დაუჭირა. დონ კიხოტმა ქოშინითა და ზღაზვნით დაიწყო ჩამოსვლა, რადგან მთელი დღის უსმელ-უჭმელი იყო. და თანაც შეატყობინა, როსინანტი მთელ დედამიწის ზურგზე საუკეთესო ბედაურიაო. მეფუნდუკემ ცქერა დაუწყო როსინანტს, იგი არც ისე შესანიშნავი ჩანდა, როგორც დონ კიხოტი ამბობდა, - პირიქით. მეფუნდუკეს მხოლოდ გუნებაში ეცინებოდა, მაინც როსინანტი თავლაში წაიყვანა და უკანვე დაბრუნდა, უნდოდა გაეგო სტუმარს ხომ არა ნებავს-რაო. ჩვენი რაინდი მგზავრ ქალებთან მთლად შერიგებული დახვდა, და ისინი, დონ კიხოტის ჭკუით, სეფექალები, იარაღსა ხსნიდნენ მას. მოხსნეს იარაღი, ქაშქანები, სამკლავეები, სამუხლები, და რიგი რომ ჩაჩქანისა და საყელოს მოხსნაზე მიდგა, ძალიან გაუჭირდათ, რადგან მათი შესაკრავი თასმები რაინდს მაგრად გაეკვანძა; ნასკვების გაჭრა იყო საჭირო, მაგრამ დონ კიხოტი ამაზე არაფრით არ დასთანხმდა და ისევ ის ირჩია, მთელი ღამე ჩაჩქანითა და საყელოთი დარჩენილიყო. ამაზე უფრო საოცარი და სასაცილო სურათის წარმოდგენა აღარ შეიძლებოდა. სანამ კახპა ქალები ზეიმით ხსნიდნენ იარაღს, დონ კიხოტი მიუბრუნდა მათ (მისი აზრით კეთილშობილთ, ციხე-დარბაზის სეფექალთ!) და მოხდენილად წამოიწყო:

"არასოდეს ასე ნაზად

ქალბატონნი არ უვლიდნენ

ქვეყნად არც ერთ პალადინსა,

ვით ზრუნავენ დონ კიხოტზე:

თვის ქვეყნიდან ჩამოსულზე.

სეფექალნი მას უვლიან,

მის ბედაურს - გრაფის ქალნი,

ესე იგი როსინანტს, რადგან ასე ეძახიან ჩემს ცხენს, მშვენიერნო მანდილოსანნო, - განაგრძო მან, - ხოლო დონ კიხოტ ლამანჩელი - თქვენს უმორჩილეს მონასა ჰქვიან. თუმცა მართალია, დაფიცებული ვიყავ, ჩემი ვინაობა არ გამემჟღავნებია, ვიდრე თქვენი სამსახურისათვის და ჩემდა სასახელოდ რაიმე ღვაწლს არ ჩავიდენდი, მაგრამ ხელსაყრელმა შემთხვევამ მაიძულა ამ ჩემს ახლანდელ გარემოებასთან შემეფარდებინა ლანსელოტის ძველი სიმღერა და ჩემი სახელი ადრე მათქმევინა, მაგრამ იქნებ ის დროც მოვიდეს, ბანოვანნო, როცა რაინდს თქვენი ბრძანება მოესმას და თავისი თავი ბედნიერად ჩასთვალოს, რომ საკუთარი ძლიერი მკლავით თქვენი სამსახურის გაწევა შესძლოს".

ასეთ ზეადმტაც მჭევრმეტყველებას უჩვევი ტურფები ხმაგაკმენდილი გაოცებით შესცქეროდნენ და არ იცოდნენ, რა ეპასუხნათ; ბოლოს ერთმა ისღა მოახერხა, რომ ჰკითხა: ხომ არას მიირთმევთო?

- დიდი სიამოვნებით, გეახლებოდით რაიმეს, - უპასუხა დონ კიხოტმა, - და რაც უნდა მომიტანონ, კმაყოფილებით მივიღებ, რადგან როგორც მგონია, ახლა ჩემთვის ყველა საჭმელი გამოსადეგია.

ეს ამბავი, თითქოს განგებ პარასკევს მოხდა, და მთელს ფუნდუკში არაფერი იშოვებოდა რაღაც წვრილი თევზის გარდა, რომელსაც კასტილიაში აზადებოს ეძახიან, ანდალუზიაში ბვალაოს, ხოლო სხვაგან კურადილიოს, ანდა კიდევ კალმახს. თუმცა იმ თევზს სახელის მეტი კალმახისა არა ეცხო-რა. დონ კიხოტს ჰკითხეს, მიირთმევდა თუ არა ამ მცირე სანოვავეს, რაკი მის მეტი სხვა არაფერი იშოვებოდა? მან უპასუხა:

- ნეტავი ბლომად მაინც იყოს ეს მომცრო კალმახები, მაშინ რამდენიმე წვრილი კალმახი ერთი დიდი გელაქურის ალაგას დაიჭერდა, განა სულ ერთი არაა რვა რეალს დახურდავებულად მივიღებ, თუ ერთ მსხვილ ფულს რვა რეალად? ამასთან თიკანი თხაზე გემრიელია, ხბო ძროხაზე, ამიტომაც შესაძლოა, წვრილი კალმახი მსხვილ გელაქურზე გემრიელი იყოს. მხოლოდ კი, რაც შეიძლება ჩქარა მომიტანეთ, რადგან ჩემი ფარ-ხმალ-აბჯარის დატებას მარტო მაშინ შეიძლებს კაცი, თუ კუჭი მამდარი ექნება.

რომ უფრო ესიამოვნებინათ, ტაბლა გარეთ აივანზე დაუდგეს, სუფთა ჰაერზე, და მასპინძელმა თევზით ცუდად მოხარშული და კიდევ უფრო ცუდად შეკაზმული წვრილი თევზი მოუტანა, მისი იარაღით შავი, და დაობებული ერთი ნაჭერი პურიც მიართვა. დონ კიხოტმა ჭამა დაიწყო, მაგრამ ვაი იმ ჭამას, რომ სიცილს მოჰგვრიდა კაცს: ზევიდან ჩაჩქანსა და ქვევიდან საყელოს ისე შეებოჭა მისი ყბები, რომ ძვრა არ შეეძლო და ვერაფერსაც ვერ შეჭამდა, თუ ერთ-ერთ ქალს მისთვის პირში ლუკმის ჩადება არ ეკისრა. ღვინის დალევინება კი სრულიად შეუძლებელი შეიქმნა და ჩვენი რაინდი მწყურვალი დაიხრჩობოდა, თუ მასპინძელს ამის ხერხიც არ მოეგონებინა. ფუნდუკიდან ლერწმის გრძელი მასრა გამოიტანა, ერთი ბოლი რაინდს პირში ჩაუდო და მეორეში წვრილად უსხამდა ღვინოს. ამ ტანჯვას დიდიმომთმინებით იტანდა დონ კიხოტი, და უფრო მეტსაც აიტანდა, ოღონდ მისი ჩაჩქანის შესაკრავები არ გაეჭრათ. ამ დროს სასტუმროს შემთხვევით ეწვია ერთი ტახის დამკოდავი გლეხი და შესვლისთანავე ოტხჯერ თუ ხუთჯერ ლერწმის სალამური ააჟღერა. ამან დონ კიხოტი სრულებით დაარწმუნა, რომ საჩინო ციხე-დარბაზში იმყოფებოდა და მის სადილს მუსიკით ატკბობდნენ; ახლა მთლად დარწმუნდა, რომ ქაშაყ-თევზა ნამდვილი გელაქური იყო, შავი

პური სპეტაკი და გამტკიცული ფუნთუშა, მატანტალა დედაკაცები რომ ემსახურებოდნენ - დიდი სეფე ქალები ბრძანდებოდნენ, მეფუნდუკე ციხე-დარბაზის ხელთუხუცესი იყო; და თანაც იმით იყო ძალზედ აღტაცებული, რომ ოგზაურ რაინდად გახდომა გადაწყვიტა და ამ მოგზაურობის პირველ დღეს ასეთი ჩინებული შედეგი ჰქონდა. მაგრამ ჯერ რაინდად დალოცვილი არ იყო - ეს ძალიან აწუხებდა, რაკი უამისოდ, რაინდთა კანონის ძალით, არ შეეძლო რაიმე ფათერაკებს შეხმოდა.

თავი III

სადაც მოთხრობილია, თუ რა სასაცილო წესით დალოცეს რაინდად დონ კიხოტი

ამ ფიქრებით განაწამებმა დონ კიხოტმა სწრაფად დაამთავრა სამიკიტნოს ღარიბული ვახშამი, ტაბლიდან წამოდგა, მეფუნდუკეს დაუძახა, საჯინბოში გაიყვანა, შიგნიდან კარი დაუკეტა და ამ სიტყვებით მიმართა:

- ჰიო, სახელოვანი რაინდო, აქედან არ ავდგები, ვიდრე არ აღმითქვამტ ჩემი თხოვნის აღსრულებას; ის, რაიცა ახლა უნდა გთხოვოთ, მარტო თქვენ როდი მოგფენთ დიდებას, არამედ ადამიანთა მთელს მოდგმას სამსახურს გაუწევს!

მეფუნდუკემ რომ თავისი სტუმარი მის წინაშე დაჩოქილი და ასე დამცირებული ნახა და მისი უცნაური სიტყვები მოისმინა, შეცბუნდა. აღარ იცოდა, რა ეთქვა, ან რა ჩაედინა; შემდეგ ხვეწნა დაუწყო - ფეხზე ამდგარიყო, მაგრამ დონ კიხოტი დიდხანს არ დგებოდა, ვიდრე, დაბოლოს, მასპინძელი თხოვნის ასრულებას არ დაჰპირდა.

- თქვენი უსაზღვრო სულგრძელობისაგან სწორედ მაგას მოველოდი, ჩემო ბატონო, - უთხრა დონ კიხოტმა. - ის თხოვნა, რომლითაც მინდა მოგმართოთ და აღსრულებაც უკვე აღმითქვით და მით დიდად დამავალეთ, იმაში მდგომარეობს, რომ ხვალ, განთიადისას, რაინდად უნდა დამლოცოთ; ხოლო უწინარეს ამ დიდი ღირსების მონიჭებისა, რისაც ესოდენ ძლიერ მომლოდინე ვარ, ნება მოზოძეთ თქვენი ციხე-დარბაზის სალოცავში იარაღის დარაჯობით ღამე გავათიო, რომ მას შემდეგ, სარაინდო წესების თანახმად, ნება მგონდეს ოთხივ კუთხით გზას გაუდგე ფათერაკების სამეზნელად. დამნაშავეთა დასასჯელად, ჩაგრულთა საშველად და, ერთი სიტყვით. ყოველივე იმის აღსასრულებლად, რასაც ჩემგან ნაკისრი ხელობა ვალად მდებს.

როგორც უკვე ვთქვით მასპინძელი გაქნილი კაცი იყო, თავისი სტუმრის ჭკუათმყოფელობას წინათვე ეჭვობდა, ხოლო ამ სიტყვების შემდეგ კი მთლად დარწმუნდა მის ჭკუათხელობაში. მოისურვა მისი დაცინვა და თხოვნის აღსრულება ღუთქვა. ამასთანავე უთხრა დონ კიხოტს: შენი გადაწყვეტილება, სურვილები და თხოვნა შენს დიდ ჭკუას მოწმობს და სრულიად შეჭვერის შენს დიდ აზნაურობას, რასაც ზვიად გარეგნობასა და ზრდილობიან ქცევაზე გატყობო. ამას ისიც დაუმატა, - ჩემს ახალგაზრდობაში მეც ამ საპატიო საქმეს მივდევი და ფათერაკების ძებნაში მთლად მოვიარე სხვადასხვა კუთხე, უნახავი არ დამიგდია ძალაგის პერჩელესი, რიარანის კუნძულები, სევილიის კომპასი, სეგოვიის ასოგეხო, ვალენსიის ოლივერუ, გრენადის რონდილიო სანლუკარის სანაპიროები, კორდოვის პორტო, ტოლედოს სამიკიტნოები და სხვა მრავალი ადგილი, და იქ ყველგან ჩემი ფეხების სიმკვირცხლე და ხელების სიმარდე გამომიციდია, ყველგან ჩემი იქ ყოფნის კვალი რამ დამიტოვებია, ქვრივების

შეურაცხყოფით, ყმაწვილი ქალების ცდუნებით, ოზლებისა და მცირეწლოვანთა მოტყუილებით და ასე ამგვარად ესპანეთის ყველა სამსჯავროში ცნობილი შევიქენ, მაგრამ ახლა სიბერემ რომ მიწია, აქ, ამ ჩემს ციხე-დარბაზში შევაფარე თავი; ვცხოვრობ ჩემთვის ჩემი და სხვისი ფულებით, სიამოვნებით ვუმასპინძლდები ყველა მოგზაურ რაინდს, რასაკვირველია, მათდამი პატივისცემის გამო და იმ იმედითაც, რომ ციხე-დარბაზში ისინი გულითადი მასპინძლობის სამაგიეროდ თავის ქისიდან მინაწილებენ რამეს. ბოლოს უთხრა, სალოცავი არა მაქვს, რომ იარაღის დაეჯობით ღამე იქ გაათიო, დაარწმუნა ახალის აშენებას ვაპირებ და ამიტომ ძველი დავაქციეო. მის სანუგეშებლად დაუმატა, რომ სარაინდო კანონები გაჭირვებაში, იარაღის დარაჯობის ნებას, სადაც უნდა იყოს, ყველგან აძლევენო. ამ საქმისათვის მთელი თავისი ციხე-დარბაზის ეზო დონ კიხოტს დაუთმო და იმედი მისცა, ღვთის შეწევნით, ხვალ განთიადისას დალოცვის წესს ყოველგვარი ცერემონიის დაცვით აგისრულებო, ისე რომ რამდენიმე საათის შემდეგ შეგიძლია თავი მთლად დალოცვილ რაინდად ჩათვალო.

დაბოლოს, მასპინძელმა თავისი სიტყვა იმით გაათავა, რომ დონ კიხოტს ჰკითხა: ფული გაქვს თუ არაო. მან მიუგო, ერთი გახვრეტილი ფარაც არ გამაჩნიაო, და თუ სადმე წამიკითხავს, მოგზაურ რაინდებს თან ფული ეტარებინოთო. ამაზე მასპინძელმა უთხრა, ძალიან სცდებითო. მართალია რომანებში ამის შესახებ არას ამბობენ, მაგრამ ეგ იმიტომ, რომ ისეთ ჩვეულებრივ საგანზე, როგორც ფული და საცვალი ტანისამოსია, არა შეშვებით ილაპარაკონო. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რაინდებს არც ერთი გააჩნდათ და არც მეორე: პირიქით, მე დანამდვილებით ვიცი, რომ ყველა მოგზაური რაინდი, რომელთა საგმირო საქმეებით სავსეა უამრავი რომანი, მუდამ და ყველა შემთხვევისათვის, კარგად გატენილ ქისას, სუფთა პერანგებს და ჭრილობისათვის კოლოფით მალამოს ატარებდა თან, რადგან განუწყვეტელი მოგზაურობის დროს და უდაბურ ღრე-ველებზე ბრძოლაში ჭრილობის შესახვევად და მოსავლელად მკურნალი მუდამ ვერ შეხვდებოდათო; რასაკვირველია, ზოგიერთი მათგანი მეგობრობდა რომელიმე ბრძენ ჯადოსანს, და მაშინ ის პირდაპირ მოუვლენდა ღრუბელზე მჯდომ მომვლელ ქალს ან ქონდრისკაცს იმ სასწაულებრივი წყლით სავსე შუშით, რომლის მხოლოდ ორი წვეთი დაკოდილი მყისვე ჰკურნავდაო; მაგრამ, როცა ასეთი მფარველი არ გააჩნდათ, ძველი დროის ყველა მოგზაური რაინდი თავის თავზე თვითონვე ზრუნავდა და წესად ჰქონდა მიჩნეული, რომ საჭურველმტვირთველებს ეტარებინათ ფული და ყველა საჭირო ნივთი, როგორც, მაგალითად, მალამო და დაჩეჩილი ტილო ჭრილობათა შესახვევადო; ხოლო იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც უსაჭურველმტვირთველოდ მიდიოდნენ იოლად, მაშინ ყველა ამ საჭირო საგანს თვითონ ატარებდნენ მომცრო აბგით, შეუმჩნევლად უნაგირს უკანს გულდასმით ჩაკრულს, როგორც დიდმნიშვნელოვან რაიმეს, რადგან სხვა რამ შემთხვევისათვის აბგების ტარება მოგზაურ რაინდებს ჩვეულებად არ ჰქონიათო. ამგვარად მეფუნდუკემ დონ კიხოტს ურჩია (თუმცა შეეძლო ებრძანებინა კიდევ, როგორც მისი უმცროსი თანამომძმისათვის; ასეთად მალე გახდებოდა იგი), აღარასოდეს დადგომოდა გზას უფულოდ და უთადარიგოდ: თვითვე დაინახავდა, რაოდენ გამოადგებოდა ეს რჩევა და არა ერთხელ ეტყოდა მადლობას თავის თავს ამ თადარიგისათვის.

დონ კიხოტმა სამერმისოდ ამ რჩევის უნაკლოდ აღსრულება აღუთქვა და დაუყოვნებლივ იქყო მზადება რაინდად დალოცვის წინ ღამე გაეთია ფუნდუკის უკანა ეზოში. ყველა იარაღი მოაგროვა, ჭის გვერდით მდგარ როფზე დააწყო, ფარი და შუბი აიღო ხელში და ამაყად და დამშვიდებით იწყო როფის წინ სიარული. უკვე ღამდებოდა, როცა მან ეს სეირნობა გამართა.



მეფუნდუკემ თავის ყველა მდგმურს უამბო დონ კიხოტის ჭკუამცდარობა და ისიც, რომ მას უცნაური რაღას სურვილი ჰქონდა რაინდად დალოცვილიყო, და ამისათვის მთელი ღამე იარაღის დარაჯობაში უნდა გაეტარებინა. ვინც კი იმ ფუნდუკში იყო, ყველა ცნობისმოყვარეობით აღიძრა, რომ ეს უცნაური სანახავი დაენახათ; გარეთ გამოვიდნენ და იმ სიშორიდან დაუწყეს ცქერა, საიდანაც ცხადად დაინახავდნენ, რასაც დონ კიხოტი სჩადიოდა. იგი, კმაყოფილი სახით, ხან ნელი, მწყობრი ნაბიჯით ბოლთასა სცემდა, ხანაც დადგებოდა, შუბს დაეყრდნობოდა და თავის იარაღს დააშტერებდა თვალებს. თუმცა ღამე კარგა გადასული იყო, მაინც მთვარე ისე კაშკაშებდა, რომ მცირედი მისი მოძრაობის გარჩევაც კი ადვილი იყო. ამ დროს ერთმა იმ ფუნდუკში ჩამომხტართაგანმა მეჯორემ ჯორებისათვის წყლის დალევინება მოინდომა და გაემართა, რომ როფიდან დონ კიხოტის იარაღი გადმოეღო, მაგრამ უკანასკნელმა რომ დაინახა ის კაცი, და განზრახვასაც მიუხვდა, ხმამალა დაუყვირა:

- ვინც არ უნდა იყო შენ, ჰოი თავხედო რაინდო, კადნიერად რომ უახლოვდები ყველა მომაკვდავთაგან უმამაცესი მოგზაური რაინდის იარაღს: მოიფიქრე, რის ქმნა გწადია! არ გაბედო შენ წინ მდებარე იარაღის შეხება, თუ არ გინდა მაგ გაბედულებისათვის შენი სიცოცხლით აგო პასუხი!

მეჯორემ დონ კიხოტის სიტყვებს ყურიც არ ათხოვა (თუმცა კი მისი კარგადმყოფელობისათვის უკეთესი იქნებოდა ასე მოქცეულიყო, თავი მაინც შერჩებოდა მთელი). პირიქით, იარაღის თასმებს ხელი წაავლო და კარგა შორს გადაისროლა. ეს რომ დონ კიხოტმა დაინახა, ზეცას აღახვნა თვალნი, თავისი სული, ალბათ, ფიქრით გულისვარდად დუღისინიას ჩააბარა და შესძახა:

- ჰოი, ჩემო ქალბატონო, ყურადღებით იყავ ჩემდამი ამ პირველი შეურაცხოვის წამს, თქვენგან დამონებულ გულს რომ ატყდება; დაე, თქვენი კეთილგანწყობა მექნას მოსარჩლედ ამ პირველ საშიშროებაზე, თავზე დატეხას რომ მემუქრის.

ეს წარმოთქვა და იმწამსვე ფარი გადააგდო, ორივე ხელი შუბს მოსჭიდა და ისე მაგრა დასთხლიმა მეჯორეს თავში, რომ იგი უგონოდ დაეცა ძირს. ასე რომ მეორედაც დაერთყა, უეჭველია, მას ექიმი არასოდეს არ დასჭირდებოდა. რაკი თავხედი დასაჯა, დონ კიხოტმა კვლავ მოაგროვა იარაღი, უწინდელ ალაგას დააწყო, და, თითქოს აქ არა მომხდარა-რაო, სრულიად დამშვიდებულმა კვლავ განაგრძო ბოლთის ცემა. ცოტა ხნის შემდეგ, ახლა მეორე მეჯორემ წინანდელი ამბის უცოდინარმა (რადგან დარტყმისაგან გაბრუებული პირველი მეჯორე ისევ მიწაზე იყო გაშხლართული), მოიწადინა თავის ჯორებისათვის წყლის დალევინება და როდესაც აგრეთვე დონ კიხოტის იარაღს ხელი შეახო, ახლა კი სიტყვიას უთქმელად და თავის მიჯნურის მოუწოდებლად დონ კიხოტმა მეორეჯერ გადააგდო ფარი, მეორეჯერ შუბს ხელი წაავლო და სამი თუ ოთხი ისე მარჯვედ სთხლიმა თავში, რომ ცოტას გასწყდა, შუბი მთლად არ დაემსხვრა, ხოლო მეჯორეს თავი კინაღამ ოთხად გაეპო. დაჭრილის ყვირილზე, ვინც კი ფუნდუკში მეჯორეები იყვნენ, და თვითონ მეფუნდუკეც, აქ მოცვივდნენ, დონ კიხოტმაც დაინახა ისინი, ფარი მოიფარა, ხმალი იშიშვლა და შეჰყვირა:

- ჰოი, მშვენიერთა მშვენიერო და ჩემი მოქანცული გულის ნავსაყუდელი და ციხე სიმაგრეც! ისმინე ჩემი ამ გაჭირვების წამს და შენნი მშვენიერნი თვალნი შენგან მოხიბლულ რაინდს მოაპყარ და იხილე - რა დიდი საშიშროება უნდა დაატყდეს მას თავზე ესრეთ დიდ ბრძოლაში!

ამ მიმართვის შემდეგ ისეთი ძალა იგრძნო ძარღვებში, რომ, მგონია, მთელი ქვეყნის მეჯორეებიც ვერ შესძლებდნენ მის უკან დახევინებას. მეჯორეებმა, რა ნახეს, როგორ უბედურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მათი დაჭრილი ამხანაგები, შორიდან ქვების სროლა დაუწყეს დონ კიხოტს, მაგრამ რაინდი, როგორც შეეძლო, ფარით იგერიებდა ქვებს და უშიშრად იდგა როფთან იარაღის მოდარაჯედ და არ ტოვებდა მას. მეფუნდუკე ყვირილით ყელს იხევდა, თავი დაენებებინათ გიჟისათვის, რომ მასთან ვერას გახდებოდნენ, რადგან ჭკუათმყოფელი ადამიანი არ იყო და ვერც ვერავინ რასმეს გადაახდევინებდა, თუნდაც მთელი ესპანეთის მეჯორეები სულ ამოეულიტა. დონ კიხოტი კიდევ იმაზე მეტად ღრიალებდა. რაინდი ლანძღავდა თავის მტერს, ურჯულოებსა და მოღალატეებს ეძახდა მათ, ხოლო თვითონ ციხე-დარბაზის პატრონს ფიცისგამტეხსა და გაუზრდელს უწოდებდა, თავის ციხე-დარბაზში მოგზაური რაინდებისადმი ამ შეუსაბამო მოპყრობისათვის; თანვე უმატებდა, ჯერ რაინდად დალოცვილი არა ვარ, თორემ ასეთი ღალატისათვის უმალ ჭკუას გასწავლიდიო.

- თქვენ კი, საზიზღარო და მურდალო ბრბოვ, მეზიზღებით და არაფრად არ მიმაჩნხართ! აბა, გამოდით, ყველანი ერთად დამატყდით თავს, რამდენიც გნებავთ, მესროლეთ ქვა, და მაშინ ნახავათ თქვენი კადნიერებისათვის რა სამაგიეროს მიიღებთ.

ისეთი რიხითა და სიამაყით ეუბნებოდა ამას, რომ მეჯორეები დააშინა. ამ შიშის გამო, და აგრეთვე მეფუნდუკის დარიგებით, ქვის სროლას თავი ანებეს. შემდეგ დონ კიხოტმა ნება დართო დაჭრილები წაეყვნათ, და კვლავ უწინდელი მედიდური დამშვიდებით იარაღის დარაჯობა განაგრძო.

მასპინძელს თავისი სტუმრის სისულელეები არ ეჭმნიკა. რომ ბოლო მოეღებოდა ამ დავიდარაზას. გადაწყვიტა ჩქარა დაელოცნა იგი რაინდად და, სანამ სხვა რამ უარესი არ ჩაედინა, თავიდან მოეშორებია. იგი მოწიწებით ეახლა დონ კიხოტს და სთხოვა - იმ რეგვენებისათვის უზრდელი ქცევა ეპატიებია, მით უმეტეს, რომ საკმაოდ იყვნენ დასჯილნი; ეფიცებოდა, ვითომ ყველა ეს ამბავი მის გაუგებრად მოხდა და ბოლოს გაუმეორა; სალოცავი არა მაქვსო და არც აუცილებლად საჭიროა იგი რაინდად დალოცვის წესის ასასრულებლადო, ამ დალოცვის არსი, - მეფუნდუკე ამას ისე ამბობდა, ვითომ ამ წესების კარგი მცოდნე იყო, - ხმლის ორჯერ დარტყმაში მდგომარეობს, ერთხელ მხარზე და მეორეჯერ კეფაში და ეს დარტყმა კი ყველგან შეიძლება - თუნდ გაშლილ მინდორზედაცო. ხოლო, რაც შეეხება იარაღის დარაჯობას, - დაუმატა მან, - ეგ დარაჯობა თქვენ ოთხი საათის განმავლობაში გასწიეთ, სარაინდო კანონების ძალით კი მაგისტვის ორი საათიც საკმარისიაო.

ჩვენმა რაინდმა მასპინძლის ეს სიტყვები ადვილად დაიჯერა. გამოუცხადა, მზად ვარ ყოველი შენი ბრძანება შევასრულოო, და მხოლოდ სთხოვა, დალოცვის წესი რაც შეიძლება ჩქარა დაებოლოვებინა, რადგან ასე ეუბნებოდა: თუ კიდევ თავს დამესხმიან, დალოცვილი რაინდი რომ ვიქნები, მაშინ ამ ციხე-დარბაზიდან ცოცხალს არავის გავიშვებ იმათ გარდა, ვის დანდობასაც თქვენ მიბრძანებთო.

ამ სიტყვებმა შემინებული მეფუნდუკე ვერაფრად დააშოშმინა; იგი მოსაზრებული კაცი იყო, საჩქაროდ წავიდა დავთრის მოსატანად, სადაც მეჯორეებზე დანახარჯ ქერსა და ბზეს წერდა, მოიტანა დავთარი, თან მოიყოლა ორი ჩვენი უკვე ნაცნობი დედაკაცი და ერთიც კიდევ პატარა ბიჭი ანთებული ნამწვავი სანთლით. მივიდა დონ კიხოტთან, დააჩოქა დავთარში თვალებს ცეცება დაუწყო და თან ტუჩებს აცოდვილებდა, შემდეგ კითხვის დროს ხელი აღმართა და

მთელის ძალ-ღონით დონ კიხოტს სილა გაართყა კეფაში. მერე თავის ხმალი ძალუმად დაჰკრა მხარზე და სულ რაღაცას ბუტბუტებდა, ვითომ ლოცვებს ამბობდა; ბოლოს ერთ-ერთი ქალთაგანი მოიხმო და ახლადდალოცვილი რაინდისათვის ხმლის შემორტყმა უბრძნა. იმანაც დიდი მოწიწებითა და სინარნართ შეასრულა ბრძანება და თუმცა ყოველწამს მზად იყო სიცილი წასკდომოდა, მაინც, რაც კი შეეძლო თავს იმაგრებდა, რადგან იმ ცოტახანში მეჯორეების შენამთხვევი მარცხი კარგად ახსოვდა. ხმაღს როცა არტყამდა, კეთილმა მანდილოსანმა უთხრა დონ კიხოტს.

- უფალმა გყოთ ბედნიერი რაინდი და გამარჯვებით განაცისკროვნოს თქვენი აბჯარაი.

რაინდმა ქალს სახელი ჰკითხა, რათა სცოდნოდა, რომელი სეფექალის სამსახურის მოვალე ხდებოდა იგი, რომ მომავალში გაეზიარებინა მისთვის ის პატივი და დიდება, რომელსაც გმირული საქციელით მოიპოვებდა. ქალმა მოკრძალებით მოახსენა, რომ ლა ტოლოსა მქვიანო, ტოლედელი მეჯღანის ქალი ვარ, მამაჩემი სანჩო ბიენაის რიგებში ვაჭრობსო და ყოველწამს და ყოველ ალაგას, რითაც კი შემიძლია, მზად ვარ გემსახურო. დონ კიხოტმა სთხოვა, ჩემი ხათრისათვის შენს სახელს ნაწილი დონ მიუმატე და დონა ტოლოსა დაირქვიო; ქალმაც თხოვნის ასრულება აღუთქვა. შემდეგ მეორე ქალმა დეზები გაუკეთა, და იმასაც თავის სახელის თქმა დასჭირდა. გაიგო-რა, რომ მოლინერა ერქვა, და მისი მამა ანტეკერის პატიოსანი მეწისქვილე იყო, მისგან მიიღო დაპირება, რომ თავის სახელს დონ-ს მიუმატებდა და დონა მოლინერას დაირქმევდა, დონ კიხოტმა დიდი მადლობა გადაუხადა და მრავალი სამსახურის აღთქმა დაუდო. ეს ჯერარნახული დალოცვის წესი მეტისმეტი სისწრაფით იყო აღსრულებული, ისეთი სისწრაფით, როგორც ჯერ არავის გაეგონა, დონ კიხოტმა ძალიან მოიწადინა ცხენზე ამხედრებულიყო. ისწრაფოდა ფათერაკების გზას დასდგომოდა, საჩქაროდ შეჰკაზმა როსინანტი, მოახტა მას, და ცხენდაცხენ მივიდა მეფუნდუკესთან, დაჰკოცნა, თან დიდი მადლობა უთხრა სამსახურის გაწევისათვის და ისეთი არაჩვეულებრივი სიტყვებით ეუბნებოდა ამ მადლობას, რომ მისი სავსებით გადმოცემა შეუძლებელია. მასპინძელს გაეხარდა, რადგან ამ უცნაური სტუმრის თავიდან მოშორება ეჩქარებოდა, დონ კიხოტს ალერსზე არანაკლები ენამზეობით რამდენიმე სიტყვა უთხრა, ბინის ქირადაც არაფერი მოსთხოვა და ისე გაისტუმრა იგი.

#### თავი IV

იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა ჩვენს რაინდს ფუნდუკიდან გასვლის შემდეგ

უკვე თენდებოდა, როდესაც დონ კიხოტი ფუნდუკიდან გამოვიდა, და თავის თავს დალოცვილ რაინდად რომ გრძნობდა, ისე კმაყოფილი, გაამაყებული და აღელვებული იყო, რომ სიხარულით უნაგირზე ცქმუტავდა და თრთოდა; მაგრამ, როდესაც სამგზავროდ საჭირო ნივთების, - განსაკუთრებით ფულისა და საცვლების შესახებ მეფუნდუკის რჩევა გაახსენდა, შინ დაბრუნება გადაწყვიტა, რომ ყველაფერი მოემარგებია, და მეტადრე კიდევ თავისთვის საჭურველმტვირთველი ემოვნა. ამ თანამდებობაზე ფიქრად ჰქონდა ერთი თავისი მეზობელი ბეჩავი გლეხი კაცი აყევანა, დაწვრილშვილებული, მაგრამ დონ კიხოტის აზრით, მოგზაურ რაინდთა საჭურველმტვირთველის ხელობისათვის მეტად გამოსადეგი. აქ ფიქრით დონ კიხოტმა როსინანტი შინისაკენ შეაბრუნა. ცხენი თითქოს მიხვდა პატრონის განზრახვას, ისეთი თოხარკით გასწია. ასე გეგონებოდათ, ფეხებს მიწაზე არც კი აკარებსო.

ცოტა მანძილი რომ გაიარა, ჩვენს გმირს ხელმარჯვნივ, უღრანი ტყიდან რაღაც მწუხარე და მისუსტებული ხმა მოესმა. ამ ხმას მოჰკრა თუ არა ყური, წარმოთქვა:

- ვმადლობ ზენაარს, რომ ასე ჩქარა მიგზავნის შემთხვევას ჩემი წოდების მოვალეობა შევასრულო და ჩემთა პატიოსანთა განზრახვათა ნაყოფი მოვიხვეჭო. ეს ხმა, უეჭველია, ვინმე გაჭირვებულის ხმაა, რომელსაც ჩემი შემწეობა და გამოსარჩლება სჭირია.

იმავე წამს დეზი ჰკრა როსინანტს და იქით გააქანა, საიდანაც ეს ხმა გამოდიოდა. როგორც კი ტყეში შევიდა. ერთ მუხაზე მიბმული ცხენი და იმის ახლოს მეორე მუხაზე მიკრული წელამდის გატიტვლებული თხუთმეტითდე წლის ბიჭი დაინახა. სწორედ ამ ბიჭის საშინელი კვნესა იყო, რომ მოესმა და არც უმიზეზო იყო ეს კვნესა: იმ ბიჭს ერთი ზორბა გლეხი მისდგომოდა და შეუბრალებლად სცემდა ქამრით და თან ყოველ დარტყმაზე რჩევა-დარიგებას აძლევდა:

- ხომ გეუბნებოდი, ფხიზლად იყავი-მეთქი, - აყოლებდა ის, - ახლა კი ხმა ჩაიკმინდე!

ბიჭი ეხვეწებოდა:

- მეტს აღარ ვიზამ, ბატონო: ღმერთმანი, არასოდეს აღარ ვიზამ; სიტყვას გაძლევთ, რომ კვლავ უკეთ მოვუვლი თქვენს ფარას.

დონ კიხოტმა დაინახა ეს სურათი და რისხვით აღზნებულმა მკაცრად შესძახა:

- უღირსო რაინდო, განა გეკადრება იმ კაცის თავს დაცემა, რომელსაც მოგერიების ღონე არა აქვს? აბა, ინებეთ, შებრძანდით ცხენზე და ხელში შუბი აიღეთ (ცხენი რომ მუხასთან ება, გლეხის შუბიც ზედ იყო მიყუდებული). მაშინ გიჩვენებთ თქვენი საქციელის ურიგობას.

გლეხმა რომ თავით ფეხებამდე შეიარაღებული რაღაც მოჩვენება დაინახა და თავის მკერდისკენაც მისი მოღერებული შუბი იგრძნო, ასე ეგონა, აღსასრულის დღე დამიდგაო და ამიტომ მშვიდობიანი კილოთი მიუგო:

- ბატონო რაინდო, ეს ბიჭი, რომელსაც ახლა ვსჯი, ჩემი ცხვრის მწყემსია, მაგრამ დიდი დოყლაპიაა და ისე დაუდევრად ეკიდება საქმეს, რომ დღე ისე არ გავა, არა დააკლდეს რა; აი ახლა, როცა ამ დაუდევრობისათვის და, ვინ იცის - ცულლუტობისათვისაც - ვსჯი, ასე მეუბნება, ამას სიავით ჩადიხარ, რადგან ჯამაგირის მოცემა არ გინდაო, ღმერთსა ვფიცავ და სულიც არ წამიწყდება, ტყუის!

- როგორ თუ "ტყუის!" და ამის თქმას ბედავ, ისიც ჩემს წინაშე, სამაგელო ხეპრეე! - შეჰყვირა დონ კიხოტმა. - სინათლის მომფენ მზესა ვფიცავ, ლამის ეს შუბი შიგ მკერდში გაგიყარო. რაც ერგება, დაუყონებლივ გაუსწორდი და კრინტი არ დამრა. თორემ ზეციერს გეფიცები, ერთის დაკვრით სულს გაგაცხებინებ და აქვე გაგათავებ. ახლავე ახსენ ეგ ბიჭი!

გლეხმა თავი ჩაჰკიდა და ხმაამოუღებლივ ახსნა ბიჭი; ხოლო დონ კიხოტმა ბიჭს ჰკითხა, რამდენი მართებს შენს პატრონსო? ცხრა თვის მართებს, თვეში შვიდ-შვიდი რეალიო, მიუგო ბიჭმა. დონ კიხოტმა იანგარიშა და გამოიყვანა, რომ სულ სამოცდასამ რეალს შეადგენდა, და გლეხს უბრძანა, ეს ფული ამ წამსვე ჩაებარებინა თავის მწყემსისათვის, თუ არ უნდოდა სიცოცხლეს გამოასალმებდა. შიშით აკანკალებულმა უთხრა, აკი წელანაც დავიფიცეო (თუმცა სულაც არ დაუფიცნია) და ახლაც ვფიცავ, მაგდენი არ მმართებსო; ამ ტანხიდან ანგარიშში

უნდა ჩაიწეროს და გამოიქვეითოს საფასური სამი წყვილი ფეხსაცმლისა, რომელიც ბიჭმა გაცვითაო, და ავდემყოფობისას ორჯერ სისხლის გამოშვებისა, რაც ერთ რელას შეადგენსო.

- ვთქვამთ, რომ ეს ასეა, - მიუგო დონ კიხოტმა, - მაგრამ, რაც ფეხსაცმელებისა და სისხლის გამოშვებაში დაგინარჯავს, უკვე გაინაღდეთ, როცა ამ ბიჭს უდანაშაულოდ სცემთ: რადგან, თუ მაგან თქვენგან ნაყიდი ფეხსაცმლის ტყავი დაგლიჯა, სამაგიეროდ თქვენ მაგის საკუთარი ტყავი დაგლიჯეთ; და თუ დალაქმა სისხლი გამოუშვა, როცა ბიჭი ავად იყო, ახლა თქვენ უშვებთ სისხლს, როცა მაგისთვის ეს საჭირო არ არის და ჯანმრთელია. მაშასადამე, ამაშიაც სრულიად ბარიბარში ხართ.

- ჩემდა საუბედუროდ, ბატონო რაინდო, ფული თან არა მაქვს, მაგრამ შინ წამყვეს ანდრესი და სულ წვრილად დავუთვლი, რაცა მმართვეს.

- ღმერთმა დამიფაროს მაგას შინ გავყვე, - შეჰყვირა ანდრესმა. - არა, ჩემო ბატონო, მაგაზე ფიქრის კი არ შემიძლია. მაგან რომ ცალკე მომიხელოს, წმინდა ბართლომეს რომ ტყავი გააძვრეს, სწორედ ისე გამაძრობს ტყავს.

- არა, არაფერსაც არ გიზამს, - უპასუხა დონ კიხოტმა. - ოღონდ რაინდთა ის ორდენი დაიფიცოს, რომელსაც ეკუთვნის, მე თავს დავდე, შენი ჯამაგირის თავდები ვიქნები.

- რასა ბრძანებთ, ბატონო, - უთხრა ბიჭმა, - ჩემი პატრონი რაინდი რამა ჰქნა, რაინდთა არც ერთ ორდერში არაა ჩაწერილი. ერთი უბრალო გლეხია, ხუან ალდუდო ჰქვია, სოფელ კინტანარის მდიდარი მცხოვრები.

- ეგ არაფერი, - შენიშნა დონ კიხოტმა: - ალდუდოებიც შეიძლება ისეთივე რაი, როგორც ყველა სხვები არიან, იმიტომ რომ ჩვენ სახელი კი არ გვპატიოსნებს, არამედ საქმენი ჩვენნი გვანიჭებენ ღირსებას: ყველა ჩვენთაგანი თავის საქმეთა შვილია.

- ეგ მართალი ბრძანებაა, - უთხრა ანდრესმა, - მაგრამ რა საქმეთა შვილად ჩაითვლება ჩემი პატრონი, ოფლით დამსახურებულს ჯამაგირს რომ არ მამღევს?

- ჩემო კარგო ანდრეს, - შეაწყვეტინა გლეხმა, - ეგრე რად მარცხვენთ? უარს როდის ვამბობ, მოიღეთ მოწყალება და წამომყევით, და ვფიცავ რაინდთა ყველა ორდენს, რაოდენიც კი ქვეყნად არსებობს, რომ, როგორც გითხარით, სრულიად ჩაგაბარებთ თქვენს ჯამაგირს და სარგებელსაც მოგცემთ სულ ახალთახალი ფულებით.

- სარგებლისა და ახალი ფულების მიცემისაგან გათავისუფლებ, - უთხრა დონ კიხოტმა, - რაც ერგება, უბრალო რეალები მიეცი, ამაზე მეტს არც ვითხოვ შენგან, - მაგრამ შენი სიტყვა გახსოვდეს; თუ არა და, იმავე ორდენებს ვფიცავ, სადაც არ უნდა იყო მოგძებნი, თუნდაც ხვლიკივით ხვრელში შეიმალო; და თუ გნებავთ გაიგოთ - ამას ვინ გიბრძანებთ, მაშ იცოდეთ (ახლა უფრო ბეჯითად ასრულებ დაპირებას): მე გახლავართ სახელოვანი და უშიშარი დონ კიხოტ ლამანჩელი, ბოროტების ლახტი და უსამართლობის მმუსრავი. ახლა კი მშვიდობით ბრძანდებოდეთ და არ დაივიწყოთ დაპირება და ფიცი, თორემ მე გავიხსენებ ჩემს სიტყვას და სამაგიეროს მოგიზღავთ.

ესა თქვა, როსინანტს დეზი შემოჰკრა და გასამართლების ადგილს გაშორდა. გლეხმა მიმავალ რაინდს თვალი გაადევნა და როდესაც იგი ტყეში შევიდა და თვალთაგან მიეფარა, ისევ თავის მწყემსს ანდრესს დაუბრუნდა და უთხრა:

- გამიგონე, შვილო, შენი ჯამაგირი უნდა ჩაგაბარო, როგორც იმ უსამართლობის შემმუსვრელმა მიბრძანა.

- სიტყვას გაძლევთ, - მიუგო ანდრესმა, - რომ ძალიან დიდ წყალობას იქმთ, თუ იმ კეთილი რაინდის ბრძანებას აღასრულებთ. ისემც დიდხანს და ბედნიერად აცოცხლოს ღმერთმა გმირობისა და სამართლიანობისათვის. ვფიცავ წმინდა როკეს, თუ სრულიად არ ჩამაბარეთ ჩემი ჯამაგირი, სადაც არ უნდა იყოს, მოვძებნი და თავის მუქარას ავასრულებინებ.

- ძალიან კარგი და პატიოსანი, მეც ვფიცავ, - უთხრა გლეხმა, - და აი, რომ დაგიმტკიცო, როგორ მიყვარხარ, მინდა დავალებული გაგიბევრო, რომ უფრო მეტი გერგოს.

ეს უთხრა, ხელი წაავლო ანდრესს, ისევ მუხაზე მიაკრა და იქამდის სცემა, სიკვდილის პირას მიაყენა.

- აბა, ბატონო ანდრეს, - წარმოთქვა გლეხმა, - ახლა დაუძახეთ უსამართლობის იმ შემმუსვრელს; აბა ვნახოთ, ამასაც შემუსრავს და შურს იძიებს თუ არა, მაგრამ, შენს მტერს, რომ თქვენ მან ველარა გიშველოს-რა და ველარ დამიშალოს თქვენი ტყავის გაძრობა. თუმცა, ასე მგონია, ეს შეურაცხყოფა ჯერ სავსებით არ მომიყენებია თქვენთვის. ო, როგორ მინდა ცოცხლად ტყავი გაგძრო, რისიც ასე გემინოდათ. - ცემით რომ გული მოიჯერა, ბიჭი მაინც ახსნა ხიდან და უთხრა:

- ახლა წადი და შენი მსაჯული მონახე - მოვიდეს და თავის განაჩენი შეასრულოს.

მდულარე ცრემლის ფრქვევით იფიცებოდა ანდრესი, სახელოვან დონ კიხოტს მოვძებნი, ყველაფერს დაწვრილებით მოვუთხრობ და ჩემს ჯამაგირს სარგებლით გადაგახდევინებსო. ამ მუქარით და ტირილით წავიდა ცოცხალ-მკვდარი, მისი პატრონი კი იდგა და ხმამაღლა მისცინოდა მიმავალს... აი როგორი საშუალებით იძია შური შეურაცხყოფისათვის დიდებულმა დონ კიხოტმა და ერთი ბოროტი უკვე მოსპო ქვეყანაზე.

ამ დროს კი, ჩვენს რაინდს ეგონა და აღტაცებული იყო იმით, რომ ეს პირველი ფათერაკი მის სარაინდო მოღვაწეობისათვის ბედნიერი დასაწყისი იყო. მომხდარი ამბებით სრულიად კმაყოფილი და თავისთავად ფრიად ნასიამოვნები განაგრძობდა გზას თავის სოფლისაკენ და ხმადაბლა მილაპარაკობდა:

- ჰოი, მშვენიერთა მშვენიერო, უბადლო დულისინია ტობოსელო, ჩემს მარჯვენას ვფიცავ, რომ ჭეშმარიტად შეგიძლია შენი თავი ამქვეყნად მცხოვრებთა შორის უბედნიერეს მოკვდავად ჩათვალო, რაკი ხელთ გიპყრია და ქვეშე ფერხთა შენთა ისეთი მამაცი და გამოჩენილი რაინდი გყავს დამონებული, როგორც არის და იქნება დონ კიხოტ ლამანჩელი, რომელიც როგორც მთელმა ქვეყანამ უწყის, წუხელ რაინდად დაილოცა და დღესკი ულმობლობისა და უსამართლობისაგან გაჩენილი დიდთა უდიდესი, ჯერ არნახული და უსასტიკესი ბოროტების დამხობა მოასწრო: ულმობელ და უსინდისო ჯალათს ხელს შოლტი წაჰგლიჯა და ჩვილი ბავშვის ტანი უმიზეზო გვემას გადაარჩინა.

ამ ლაპარაკში ერთ გზაჯვარედინს მიაღწა და მაშინვე მოაგონდა, რომ ამგვარ ალაგს მოგზაური რაინდები გაჩერდებოდნენ ხოლმე, რომ მოეფიქრათ, ოთხში რომელ გზას დასდგომოდნენ. არ უნდოდა თავის წოდების ხალხს რაშიმე ჩამორჩენოდა და იმანაც როსინანტი შეაყენა, მაგრამ რაკი გზის ამორჩევა ძალიან გაუჭირდა, ისევ ამჯობინა როსინანტისათვის სადავე მიეშვა და ჯაგლაგის ამორჩეულ გზას დასდგომოდა. ცხენმა რომ თავისუფლად იგრძნო თავი, ბუნებითი ალღოს ჩაგონებით, რაღა თქმა უნდა, თავლისაკენ მიმავალი გზა სხვა გზებს ამჯობინა. ორი მილი რომ გაიარა, დონ კიხოტმა შორიდან ვიღაც ექვსი ქოლგიანი ცხენოსანი დაინახა. მათ უკან ჯორებზე მჯდომი ოთხი მსახური მოსდევდა და სამ ბიჭსაც კიდევ თითო დასაპალნებული ჯორი მოჰყავდა სადავით. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ესენი ტოლედოს ვაჭრები იყვნენ და აბრეშუმის საყიდლად მურჩიას მიდიოდნენ. დაინახა თუ არა ეს, მისი აზრით მოგზაური რაინდები, მაშინვე თავში იმ ფიქრმა გაურბინა, ისე მოქცეულიყო, როგორც რომანებში წაეკითხა - და დიდი ხნიდანვე სწყუროდა მისი ასრულება, - ერთ-ერთი მათგანი ბრძოლაში გამოეთხოვა. ამიტომ ამაყად აიჭიმა უზანგებზე, შუბი მაგრად ჩაბლუჯა, ფარი მოიფარა, მგზავრების მოლოდინში შუა გზაში ჩადგა და იმ მანძილიდან, საიდანაც დანახვა შეეძლოთ მისი და გაგონებაც, ხმა აღიმალა და რიხიანად დაუყვირა:

- თქვენგანს ნურავის იმედი ნუ ექნება ამ ალაგს გადმოაბიჯონ, თუ არ აღიარებს, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე უმშვენიერესი ბანოვანია ლამანჩის დედოფალი, შეუდარებელი დულსინია ტობოსელი!

ვაჭრები გაოცებულნი შედგნენ რომ კარგად გაერჩიათ, თუ ვინ იყო ის უცნაური კაცი, მათ რომ უყვიროდა, და მისი გარეგნობითა და სიტყვებით მალე მიხვდნენ, რა ჭკუის პატრონიც უნდა ყოფილიყო იგი. სეირის გულისათვის და იმიტომაც, რომ შეეტყოთ, თუ რატომ მოითხოვდა მათგან ასეთ აღიარებას, - ერთმა, მათში უფრო ხუმარამ და ენამოსწრებულმა, უპასუხა:

- ბატონო რაინდო! ჩვენ ვერ ვიცნობთ იმ კეთილ ქალბატონს, თქვენ რომ ბრძანებთ; გვაჩვენეთ, და თუ მისი მშვენიერება მართლა ისე თვალწარმტაცია, როგორც თქვენ ამტკიცებთ, მაშინ ყოვლის უარისუთქმელად და დიდის სიამოვნებით ვაღიარებთ თქვენი სიტყვების ჭეშმარიტებას და თქვენს ბრძანებასაც დავემორჩილებით.

- თუკი გაჩვენებთ, - მიუგო დონ კიხოტმა, - და მხოლოდ მაშინ ირწმუნებთ დაურღვეველს ჭეშმარიტებას, ეს ვითომ რა ღვაწლი იქნება თქვენგან? საქმე ის არის, და მეც ამას მოვიტხოვ თქვენგან, რომ ჩემი სიტყვის ჭეშმარიტება იმ ქალბატონის უნახავად ირწმუნოთ, და ამას მთელ ქვეყანაზე ამტკიცებდეთ და ავრცელებდეთ, თუნდაც ამისათვის იარაღის ხმარებაც დაგჭირდებოდეთ. თუ არა და - ბრძოლაში გითხოვთ. უმსგავსნო და თახედო კაცუნებო! თითო-თითოდ გამოხვალთ, როგორც რაინდთა კანონი მოითხოვს თუ თქვენებრი ხალხის ბილწი ჩვეულებისამებრ ერთად დამესხმით თავს, ორივე სემთხვევაში, როგორც თავის სიმართლით ძლიერი კაცი, გელით - გამოდით და მე ღირსეულად დაგიხვდებით.

- ბატონო რაინდო, - მიუგო ვაჭარმა, - ყველა ამ სეფეწულების, ჩემი თანამგზავრების მაგიერ მოგახსენებთ, ჩვენი სინდისი გვიკრძალავს ის ვირწმუნოთ, რაც ჩვენ დღეში არც გვინახავს და არც გაგვიგონია და იმას ვამტკიცებდეთ, რაც ალკარიისა და ესტრემადურის იმპერატორიცებსა და დედოფალთ დიდად დაამცრობთ: გთხოვთ სინდისის დასამშვიდებლად თქვენი გულის დედოფლისა რაიმე პაწაწკინტელა სურათი გვაჩვენოთ, თუნდაც ხორბლის მარცვლის ოდენი იყოს; ნათქვამია: ბატკანს ერთი ბლუჯა მატყლითაც იცნობენო, ჩვენც იმ სურათის ნახვით

სინდისს დავიმშვიდებთ, და, რასაცა გვთხოვთ - სრული გულით ვადიარებთ. მასთან, ამასაც მოგახსენებთ: თქვენი მზეთუნახავის მშვენიერება ამთავითვე ისე გვჯერა რომ თუნდაც ცალი თვალით ბრუციანი იყოს და მეორედან გოგირდი და სინგური სდიოდეს, მაშინაც იმდენს ქება-დიდებას შევასხამთ, რამდენიც გესიამოვნებათ!

დონ კიხოტმა რომ ეს მოისმინა, ბრაზი მეტისმეტად მოერია და დაუყვირა.

- რას მიჰქარავ, შე ბილწო და არამზადავ; რასაც შენ ამბობ, ჩემს დედოფალს ისეთი არა სდის-რა, არამედ მხოლოდ მუშკსა და ამბრს აფრქვევს; არც ბრუციანია, არც კუზიანი და გვადარამის თითისტარით ტანწერწეტია. ძვირად დაგისვამთ მასეთ საზარელ ცილისწამებას, რაიცა ჩემი სატრფოს გასაოცარ მშვენიერებას შეჰკადრეთ!

ესა თქვა, შუბი მოიმარჯვა და კადნიერი ვაჭრისაკენ ისეთი რისხითა და გაშმაგებით გაექანა, რომ თუ ბედნიერ შემთხვევას როსინანტი შუა გზაზე არ წაებორძიკებინა, შენი მტერი, რაც იმ თავხედ ცილისწამებელს დაემართებოდა. როსინანტი წაიქცა, და დონ კიხოტი შორს გადასტყორცნა. და თუმცა ძალიან ცდილობდა წამოხტომას, მაინც ვერ ახერხებდა, რადგან ფარმა, შუბმა, დეხებმა და სხვა მისმა ძველმა, ჯავშან-აბჯარმა მეტად დაამძიმეს და ადგომა გაუძნელეს: ამოდ ცდილობდა წამოდგომას, მაგრამ ამ ფართხალში მაინც უყვიროდა ვაჭრებს:

- ნუ გარბიხართ, თქვე მხდალებო, ყურ-მოჭრილო მონებო, არამზადებო, ნუ გარბიხართ! მე თუ დავეცი - ცხენის ბრალია და არა ჩემი, აბა ერთი წამოვდგე, გაჩვენებთ სეირს!

ერთმა გულფიცხმა მეჯორემ ვეღარ მოითმინა, რომ ძირს გამოტილი საბრალო რაინდი განაგრძობდა უშვერი სიტყვებით მათს ლანძღვა-გინებას და გადაწყვიტა კარგად მოეხევა იგი. მივარდა დონ კიხოტს, ხელიდან შუბი გამოგლიჯა. ჯერ მთლად დაუმტვრია, მერე იმის ერთი ნატეხით თვითონ რაინდს მისდგა და ისე აუნთო გვერდები, რომ, თუმცა ბეგთარიც ეცვა, კინაღამ ძვლები მიუღლეწა. ვაჭრები მეჯორეს ამოდ ეძახდნენ, თავი დაენებებინა სარალო რაინდისათვის: მაგრამ, რადგან მეტად წახალისდა ცემით, მათ აღარ უსმენდა. ერთი ნატეხი რომ დაამტვრია ზედ, ახლა მეორეთი მიჰყო ხელი, მერე მესამეთი, ვიდრე ყველა ნატეხი ზედ არ მიაღლეწა, ჩვენი რაინდი ამ ყოფაშიაც არ იშლიდა მუქარას და ამ ავაზაკების თავზე ცა და ქვეყანას იხმობდა (ახლა ვაჭრები ავაზაკებად მიიღო).

ცემით რომ გული მოიჯერა, მეჯორემ თავი დაანება და თავის ბატონებს უკან გაედევნა; მიმავალთ გზა-გზა სალაპარაკოდ კარგი მასალა მიეცათ. დონ კიხოტმა რომ მარტო დაიგულა თავი, ადგომა მოიწადინა, მაგრამ განა ნაცემ-ნატყეპი და თითქმის მისიკვდილებული შესძლებდა იმას, რაც წინათ მთელმა და საღ-სალამათმა ვერ შესძლო? ამ სამწუხარო მდგომარეობაში თავს იმით ინუგეშებდა, რომ სწორედ ასეთი მარცხი მოგზაური რაინდებისათვის იშვიათი რამ შემთხვევა არ იყო, და რომ ეს მარცხი ცხენის მიზეზით მოუვიდა. მაგრამ ადგომა ვერაფრით ვეღარ შეიძლო, ისე ჰქონდა ძვლები დამტვრეული. რაკი ვეღარ ადგა, გარემოებას დაემორჩილა და ისევ წოლა ამჯობინა.

თავი V

სადაც გრძელდება ჩვენი რაინდის ბედუკუღმართი ამბები

რაკი დარწმუნდა, ფეხზე წამოდგომა და ოდნავი განძრევაც კი აღარ შემიძლიაო, ჩვენმა რაინდმა, გულის გადასაყოლებლად, თავის ჩვეულებრივ წამალს მიმართა, სახელდობრ -



მოეგონებინა რომელიმე შემთხვევა რომანებიდან; და მისმა გიჟურმა ოცნებამ წარმოიდგინა სცენა ბალდუინსა და მანტუანელ მარკიუს შორის, როცა კარლოტომ მთებში დატოვა დაჭრილი ბალდუინი, - ეს ისტორია კარგად იციან ბავშვებმა. ცნობილია ჭაბუკთათვისაც, მას სიყვარულითა და გულისხმიერებით ეპყრობიან მოხუცნიც, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ისევე სარწმუნო და დასაჯერებელია, როგორც მაჰმადის სასწაულები. ამ ისტორიის გახსენება მეტად ეამა დონ კიხოტს, რადგან ფიქრობდა, ჩემი ახლანდელი სავალალო მდგომარეობა ზედგამოჭრილიაო; და აი, უიმედო სახით მიწაზე გორაოდა დაიწყო და უღრმესი გრძნობით მისუსტებული ხმით იმ სიტყვებს იმეორებდა, რა სიტყვებსაც რომანის ავტორი დაჭრილ ტყის რაინდს ათქმევინებს:

ო, სენიორა, სადა ხარ, მოდი,

გაიზიარე ეს მწუხარება.

ან შენ არ უწყვი ჩემი წამება,

ან წამებული არ გებრალეება.

რომანსი განაგრძო და მივიდა შემდეგ ლექსამდის:

ო, მანტუის მბრძანებელო,

ბიძაჩემო და მეფევე...

ბედად ისე მოეწყო საქმე, რომ იმ დროს, როცა ამ სტრიქონებამდე მივიდა, გზაზე შემთხვევით გამოჩნდა მისი სოფლელი გლეხი; წისქვილში საფქვავე წაეღო და ახლა შინ ბრუნდებოდა. მიწაზე დაგდებული კაცი რომ დაინახა, დაუძახა: ვინა ხარ და რა სატკივარი დაგმართნია, რომ ეგრე საცოდავად ჰგმინავო? ახლა დონ კიხოტმა თავი ბალდუინად წარმოიდგინა და ეს გლეხკაცი კიდევ თავის ბიძად, მანტუის მარკიუსად მიიღო. ამიტომ არა უპასუხა-რა და განაგრძო თავისი რომანსი, სადაც მოთხრობილი იყო მისი უბედური ამბები, იმპერატორის შვილის მიჯნურობა მის მეუღლესთან, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც ამ რომანსში მღერიან.

ყველა ამ სისულელემ ფრიად განაცვიფრა გლეხი. ძალლიან გაუკვირდა რაინდის ბოდვა. დონ კიხოტს კეტიტ ცემისგან ჩამსხვრეული ზარადი მოხსნა, მტვრით გათხუპნული პირისახე მოსწმინდა, მაშინვე იცნო და უთხრა:

- სენიორ კეხანა (რადგან ასე ეძახდნენ სრულ ჭკუაზე ყოფნის დროს, როცა მშვიდობიან იდალგოდ ცხოვრობდა და ჯერ მოგზაურ რაინდად არ ქცეულიყო), ერთი მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, აქ როგორ გაჩნდით და ეგ ყოფა ვინ დაგაწიათ?

მაგრამ დონ კიხოტი პასუხს არ აძლევდა და ისევ თავის რომანსს განაგრძობდა. მაშინ, კეთილმა გლეხმა, კითხვით რომ ვერა გააწყობა-რა, გულდასმით, როგორც კი შეეძლო, ქაშქანები და სამკლავები მოხსნე და გასინჯა, ჭრილობა ხომ არსად აქვსო; რაკი დარწმუნდა, რომ ჭრილობა არ ჰქონდა, რის გაჭირვებით, დამტვრეულ-დაბეჭილი რაინდი ფეხზე წამოაყენა და ვირზე შესვა, მერე იარაღი მოაგროვა, ერთი ბეწო შუბის ნატეხიც კი არ დაუტოვებია, ერთნაირად როსინანტს დააკრა უნაგირზე, ვირსა და ცხენს სადავეები დაუჭირა და სოფლისაკენ გაემართა; იმ აბდაუბდისა კი სულ ვერა გაიგო-რა, რასაც დონ კიხოტი ბოდვაში იყო გართული, მაინც

ეტყობოდა, ძალიან ცუდად გრძნობდა თავს, პირდაპირ ჯდომა აღარ შეეძლო, რის ვაი-ვაგლახით გადაწოლილიყო უნაგირზე და ხანდახან ისეთი მწარე გმინვა აღმოხდებოდა, მისი ხმა ზეცამდე აღწევდა ხოლმე. გლესხ რომ საქმე გაუჭირდა, ჰკითხა: რა გაწუხებსო? მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ თვითონ ეშმაკი აგონებდა მისი საკუთარი ფათერაკების მსგავს ამბავს, რადგან ამჟამად ბალდუინი მიავიწყდა და მოიგონა ის ამბავი, როცა ანტეკერის მმართველმა როდრიგო დე ნარვაესმა მავრი აბინდარაესი შეიპყრო და თავის ციხე-დარბაზში ტყვედ წაიყვანა. ამიტომ, როცა გლესი მეორედ შეეკითხა, თავს როგორ გრძნობ და რა გაწუხებსო, მან მიგო იმავე სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლითაც უპასუხებს ტყვე აბენსერაჟი როდრიგო დე ნარვაესს, ხორხე დე მონტემაიორის "დიანაში". ეს წიგნი წანაკითხი ჰქონდა ჩვენს რაინდს. მერე ყველა ამას ისეთი მითვისებით ამბობდა, რომ გლესი თავს იმტვრევდა ამ აბდაუბდაში რამე გაეგო და მზად იყო სული ეშმაკისთვის მიეყიდა. ახლა კი მთლად დარწმუნდა, რომ მისი მეზობელი ჰკუაზე შემცდარიყო, და რაც კი შეეძლო, დაეშურა - ჩქარა მისულიყო შინ და უბედური რაინდის იმ სულელურ ბოდვას ჩქარა დაღწეოდა, რადგან თავი მოაძულა მისმა გულისგამაწვრილებელმა სიტყვებმა. დონ კიხოტმა მაინც კიდევ თავისი მოაყოლა:

- იცოდეთ, ჩემო ბატონო, სენიორ როდრიგო დე ნარვაეს, მე რომ ხარიფას მოგახსენებდით, ახლა იგი მშვენიერი ტობოსელი დუღსინეაა, და იმის სადიდებლად ჩამიდენია, აწცა ვიქმ და კვლავაც ჩავიდენ უდიდესთა სარაინდო ღვაწლთა, რომელთა მსგავსი არც უნახავთ, არცა ხედავენ და ვეჭვობ, რომ მომავალ საუკუნეებში ოდესმე იხილონ!

ამაზე გლესმა მიუგო:

- გამიგონეთ, ჩემო ბატონო, სენიორ, - ვაიმე ცოდვილს - დონ როდრიგო დე ნარვაესი და მანტუის მარკიზი საიდან ვიქნები, მე თქვენი მეზობელი ალონსო გახლავარ; არც თქვენ ხართ ბალდუინი და მავრი აბინდარაესი, თქვენ ბრძანდებით პატიოსანი იდალგო ბატონი კეხანა.

- მე თვითონ ვიცი, ვინცა ვარ, - უთხრა დონ კიხოტმა, - და ისიც ვიცი, რომ არათუ იმ რაინდებად შემძლია ვიყო, ვინც ახლა დავასახელე, არამედ საფრანგეთის ყველა თორმეტ დიდებულადაც და დიდების ცხრა გმირადაც, იმიტომ, რომ მათ მიერ ჩადენილი საგმირო საქმეები ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე ჩემგან ჩადენილ გმირობასთან შედარებით ჩირადაც არ ღირს.

ამგვარი ბაასით ჩვენმა მგზავრებმა მზის ჩასვლისას თავიანთ სოფელს მიაღწიეს; მაგრამ გლესკაცს არ უნდოდა ჩვენი იდალგო ნაცნობებს ამ ყოფით ენახათ - ნაცემი და ვირზე ძლივსლა მჯდომი, და ამიტომ სოფლის გარეთ შეიცადა. როდესაც მისი აზრით, კარგად დაბინდდა, სოფელში შევიდა და დონ კიხოტის სახლისაკენ გაემართა. ამ დროს იქ ყველანი გაოცებულნი და შეწუხებულნი იყვნენ იმით, რომ პატრონი ასე უკვალოდ გაქრა. იქ იყვნენ დონ კიხოტის გულითადი მეგობრები, სოფლის დალაქი და მღვდელი. სახლის გამგე ელაპარაკებოდა მათ და კითხავდა მღვდელს:

- რას იტყვით, თქვენო მოწყალეზავ, სენიორ ლიცენციატო პერო პერეს (ასე ეძახდნენ მღვდელს), ჩემი ბატონის უბედურებაზე? სად უნდა წასულიყო, აგერ სამი დღეა, რაც წავიდა და აღარც სადმე მისი ცხენია, აღარც შუბი, არც ფარი და არც სხვა იარაღი. აჰ, რა უბედური ქალი ვარ! გეფიცებით, ეს სულ იმ შეჩვენებული სარაინდო რომანების ბრალი უნდა იყოს, დილიდან საღამომდის მათ კითხვაში რომ იყო. იმ წიგნებმა აურიეს ტვინი; ეს ისე ნამდვილია, როგორც ისა, რომ თქვენ ახლა აქა ბრძანდებით. ახლა მაგონდება, თუ რამდენჯერ უთქვამს თავისთვის,

მოგზაური რაინდი უნდა გავხდეთ, ფათერაკების საძებნელად მთელი ქვეყანა უნდა მოვიარო. ვიმ, ნეტავ რა იქნებოდა, სატანასა და ბარბარას წაეღოთ ის წიგნები, რომ ისეთი გონიერი კაცი შეშალეს ჭკუაზე, - ლამანჩში ბადალი არ მოეპოვებოდა!

ამასვე ამბობდა დონ კიხოტის დისწული და უმატებდა:

- იცით, ბატონო ოსტატო ნიკოლას (ასე ეძახდნენ დალაქს), ხშირად მხდებოდა ხოლმე, რომ ბატონი ბიძაჩემი რამდენიმე დღესა და ღამეს ზედმიყოლებით იმ შეჩვენებული რომანების კითხვაში ატარებდა, შემდეგ ცნობადაკარგული გადააგდებდა წიგნს, წამოხტებოდა, იძრობდა ხმალს, რამდენჯერმე კედელს სთხლემდა, და ქანცმილეული იძახდა: ოთხი გოლიათი მოვკალი, ტანით ოთხ კოშკზე უმაღლესიო; ამ დროს რომ წურწურით რომ ოფლი სდიოდა, იმაზე კიდევ ამბობდა, ეს სისხლიაო და მათთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობებიდან მდისო. მერე ერთ ვეებერთელა აზარბეშა ცივ წყალს დალევადა, გულს გაიგრილებდა, დამშვიდდებოდა და გვარწმუნებდა, ეს წყალი კი არა, მკურნავი სასმელი დავლიეო, ჩემმა მეგობარმა, დიდმა ჯადოქარმა და ბრძენმა ესკიფემ მომიტანაო. ვაი, ჩემს თავს, სულ ჩემი ბრალია, რატომ მაშინვე არ შეგატყობინეთ რომ ბატონი ბიძაჩემი ასეთ გიჟურ საქმეებს ჩადიოდა, ეგებ დროზე გეწამლათ, რომ სენი ისე ძალიან არ გამძლეებოდა. მაშინ რომ მეთქვა, იქნებ მისი შველა ჯერ კიდევ შესაძლებელი ყოფილიყო. იმის მეტი კი არა უნდოდა-რა, ოღონდ ყველა ეს წყეული წიგნი (ასეთები კი ბლომად ჰქონდა) ერთიანად დაგეწვათ: მათში ბევრი ისეთია, რომ ერეტიკოსთა წიგნებივით დაწვის ღირსია.

- მართალს ამბობთ, - მიუგო მღვდელმა. - მეც ამას ვფიქრობ და სიტყვას გაძლევთ, რომ ხვალვე აუტოდაფეს გავუმართავთ მათ. ერთიანად ცეცხლში გამოვბუგავთ, რათა კვლავ არ აღძრან ადამიანები იმ საქმისათვის, რომელთაც ჩადის ახლა მათი წამკითველი ჩემი უბედური მეგობარი.

დონ კიხოტსა და მის თანამგზავრს ესმოდათ მთელი ეს საუბარი და გლეხისათვის სავსებით ნათელი გახდა მეზობლის ავადმყოფობის მიზეზი; ამიტომ ხმამაღლა გაიყვირა:

- კარი გააღეთ ქალბატონო: მოვიდა მძიმედ დაჭრილი სენიორი ბალდუინი და სენიორი მანტუის მარკიზი, იგივე სენიორი მავრი აზინდარაესი, იგი დატყვევებული მოჰყავს ანტეკერის ბძანებელს მამაც როდრიგო დე ნარვაესს.

ამ შეძახილზე ყველანი გარეთ გამოცვივდნენ: მამაკაცებმა დაინახეს თავიანთი მეგობარი, ქალებმა პატრონი და ბიძა, და ხვევნა-კოცნა დაუწყეს მას, ხოლო ამ დროს დონ კიხოტი განაგრძობდა ვირზე ჯდომას და ძირს ჩამოსვლას ვერ ახერხებდა. მან წარმოსთქვა:

- შესდექით ყველანი: მძიმედ ვარ დაჭრილი ჩემი ცხენის მიზეზით. ლოგინში ჩამაწვინეთ და თუ შესაძლოა დამიძახეთ ჯადოსან ურგანდას - წყლულები შემიხვიოს და განმიკურნოს.

- ხედავთ რა უბედურებაა! - შეჰყვირა სახლის გამგემ, - გამოვიცან თუ არა, რომელი ფეხით კოჭლობს ჩვენი სენიორი? მობრძანდით, ბატონო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, და ყველა უ რ გ ა დ ა ს თავი ანებეთ: ჭრილობას უიმისოდაც კარგად შეგიხვევთ და განგკურნავთ. ათასჯერ შეაჩვენოს ღმერთმა ის თქვენი წყეული რაინდული წიგნები, მაგ ყოფამდის რომ მიგიყვანეს.

შემდეგ დონ კიხოტი ლოგინში ჩააწვინეს და როცა გასინჯეს და ჭრილობა ვერსად კი ვერსად ჰპოვეს, მან აუხსნა, დაჭრილი არ ვარ, მხოლოდ ჩემი ცხენის მიზეზით დავიბეგვეო. როსინანტი სწორედ იმ დროს წაიქცა და ქვეშ მომიტანა, როდესაც ათას გოლიათს მარტოკა ვებრძოდო. ამბობდა, მათზე უსაშინლესი და უსაზარლესი ქმნილებანი დედამიწას არ წარმოუშვიაო.

- ო-ჰო-ჰო, ხედავთ რა ამბავია, - შენიშნა მღვდელმა, - გოლიათებამდისაც მისულა საქმე. თავს გეფიცები, ხვალ, მზის ჩასვლამდის, სულ ერთიანად ცეცხლს მივცემ იმ წიგნებს.

მეგობრებმა და შინაურებმა, მრავალი რამ გამოჰკითხეს დონ-კიხოტს, მაგრამ მან არაფრის თქმა არ მოისურვა, მხოლოდ ითხოვდა, რამე მაჭამეთ და მომასვენეთო, რადგან ყველაზე მეტად ჭამა და ძილი მინდაო. თხოვნა მსწრაფლ აუსრულეს და მასუკან მღვდელმა დაწვრილებით გამოჰკითხა გლეხკაცს, სად და როგორ იპოვა დონ კიხოტი; იმანაც უამბო, თუ როგორ ნახა შიგ შუა გზაში დაგდებული, როგორ წამოიყვანა ვირით. და გაიმეორა ყველა ის სისულელე, რასაც გზადაგზა რომავდა ჩვენი რაინდი. ამ ნამბობის შემდეგ ლიცენციანტს კიდევ უფრო გაუცხოველდა გეგმის შესრულების სურვილი. ასეც მოიქცა: მეორე დღეს გაუარა თავის მეგობარს დალაქს, ოსტატ ნიკოლასს, და ორივენი დონ კიხოტის სახლისაკენ გაემართნენ.

## თავი VI

თუ რა გულდასმითა და სეირით გასინჯეს მღვდელმა და დალაქმა ჩვენიმახვილგონიერი იდალგოს ბიბლიოთეკა

ხოლო დონ კიხოტს ჯერ ისევ ეძინა. მღვდელმა დისწულს იმ ოთახის გასაღები სთხოვა, სადაც ესოდენ დიდი უბედურების მიზეზი - წიგნები ინახებოდა. ძმისწულმა დიდი სიამოვნებით აუსრულა თხოვნა. კარი რომ გააღეს, ყველანი შიგ შევიდნენ სახლის გამგე ქალითურთ; აქ ასზე მეტი დიდ ტანიანი წიგნი დახვდათ, მშვენიერს ყდებში ლამაზად დაკაზმული, და იმათ გარდა კიდევ რამდენიმე მომცრო ტანისა იყო. როგორც კი სახლის გამგე ქალმა ისინი შემოსული დაინახა ფიცხლავ ოთახიდან გამოვიდა და პატარა ხანს უკან აიაზმის წყლითა და უსუფით დაბრუნდა.

- თქვენს მადლს, სენიორ ლიცენციანტო, - უთხრა მან, - ეს აიაზმა სახურეთ ამ ოთახს, ეგებ ძალა დაეკარგოთ, რაც ამ წიგნებში გრძნეულნი იმყოფებიან და ჩვენი მოჯადოება ვეღარ შეიძლოს, იმის სამაგიეროდ, აქედან რომ ვაძევებთ, თორემ გამოგვეცხადება ერთ-ერთი იმ გრძნეულთაგანი, ამ წიგნებს რომ ავსებენ, მოგვაჯადოებს და სამაგიეროს მოგვიზღავს, რადგანმ ვაპირებთ მის თანამომძმეთა გაპამპულავეზად და მიწის პირისაგან მის აღგვას.

ლიცენციანტს ამ გულუბრყვილობაზე გაეცინა და დალაქს სთხოვა, ის წიგნები რიგრიგობით მიეწოდებინა გადასასინჯად, თუ რა ეწერა შიგ, რომ უვნებელი წიგნებიც დაუმსახურებლად ცეცხლში არ მოჰყოლოდნენ.

- აჰა, ჰა, ჰა! ერთიც არ დაინდოთ, - წამოიძახა დისწულმა. - ყველანი არიან, ყველანი, ჩვენი უბედურების მიზეზნი. კარგიიქნება ფანჯრიდან გადაუძახოთ ეზოში, იქ ერთად მოვაგროვოთ და ცეცხლი წავუკიდოთ; ან არა, აქ რომ ბოლმა არ შეგვაწუხოს, ემჯობინება ბაკში გავიტანოთ და იქ ერთი კარგი კოცონი ავაგიზგიზოთ!

სახლის გამგე ქალიც ამავე აზრისა იყო: აი როგორ სურდათ მათ ამ უმანკო ბაღლების დაღუპვა. მაგრამ მღვდელი არ დაეთანხმა მათ. უნდოდა წიგნების სათაურები მაინც გაეგო და სინჟვა

დაუწყო. ოსტატ ნიკოლასისაგან მიწვდილი პირველი წიგნი აღმოჩნდა ამაღის გალელის ისტორია ოთხ ნაჭილად. მღვდელმა წარმოთქვა:

- აქ სწორედ ბედის განაჩენს ვხედავ, რადგან, როგორც მსმენია, ესაა ესპანეთში დაბეჭდილი პირველი რაინდული რომანი და იქიდან წარმოიშვა ყველა დანარჩენი. ამიტომ ვფიქრობ, როგორც მთელს ამ მანვნი სექტის მეთაურს, დაუნდობლად უნდა მივუსაჯოთ ცეცხლში დაწვა.

- არა, სენიორ, - შეესიტყვა დალაქი, - როგორც გამონაკლისი, მოდი ეგ წიგნი დავინდოთ, რადგან ბევრისაგან გამიგონია, ყველა სარაინდო წიგნზე უკეთესი ეგ არის თურმე, რომელიც კი ოდესმე დაწერილა.

- ეგეც კი მართალია: როგორც ნიმუში და მაგალითი, ღირსია ეპატოს, - მიუგო მღვდელმა; - მაშ მივიღოთ ეს მხედველობაში და ჯერხანად სიცოცხლე ვაჩუქოთ. აბა, ახლა ვნახოთ ამას რა მოსდევს.

- "ესპლანდიანის თავგადასავალი", ამაღის გალელის კანონიერი შვილისა, - უთხრა დალაქმა.

- სიმართლე უნდა ითქვას, წარმოთქვა მღვდელმა, - მამის ღვაწლი შვილს ღირსებად როდი ჩაეთვლება. აიღეთ იგი, ქალბატონო სახლის გამგეც და ფანჯრიდან გადაუძახეთ, ჩვენს კოცონს საფუძველი ამ წიგნმა დაუდოს.

სახლის გამგე ქალი ამ ბრძანების აღსრულებას სიამოვნებით დაეშურა დაკეთილი "ესპლანდიანი" დამსახურებული ხვედრის მისაღებად ეზოში გადააბრძანა.

- აბა, შემდეგ რა არის? - ჰკითხა მღვდელმა.

- შემდეგ "ამაღის ბერძენია", - განაგრძობდა დალაქი, - და, უეჭველია, ყველა წიგნი რაც თაროზე აწყვია, ამაღისების გვარეულობაზე იქნება დაწერილი.

- მაშ ყველა ეზოში გადაუძახე, - უთხრა მღვდელმა. - ისე ძლიერ მიხდა ცეცხლში გამოვბურო დედოფალი პინტიკინესტრა, მწყემსი გოგო დარინელი მისი ეკლოგებიანად და ამ ავტორის მთელი საშინლად გაბერილი აზდაუბდებით, რომ მათთან ერთად ჩემს მშობელს მამასაც კი გამოვწვავდი, ახლა რომ მოგზაური რაინდის სახით გამომცხადებოდა.

- მეც ეგრე მგონია, - დაეთანხმა დალაქი.

- მეცა, - მიაყოლა დისწულმა.

- მაშ თუ ეგრეა, ესენიც თავის ამხანაგებთან მიაბრძანდნენ, - თქვა სახლის გამგე ქალმა. იგი უამრავი ტომებით დატვირთეს, და იმანაც, კიბეზე ჩაუსვლელად, პირდაპირ ფანჯრიდან გადაყარა ისინი.

- ეგ კასრივით გაბერილი წიგნი რაღაა? - ჰკითხა მღვდელმა.

- ეს არის "დონ ოლივანტე დე ლაურა" - უპასუხა დალაქმა.

- ჰო, ეგ რომანიც იმის შემთხვევლია, ვინც "ყვავილთა წალკოტი" დაწერა, - თქვა მღვდელმა. - არ ვიცი, ღმერთმანი, რომელში უფრო ბევრი მართალია და, ანუ უკეთ, რომელი უფრო ნაკლებად სტყუის. ერთის თქმა კი შემძლია: მაინცდამაინც ბატონმა ოლივანტემაც ინებოს

ეზოში გადაბრძანება, იმის სამაგიეროდ, რომ ბევრი ახირებული და თავხედური სისულელეა შიგ მოჩმახული.

- შემდეგ მოდის "ფლორისმარტე ჰირკანელი", - განაგრძობდა დალაქი.

- აჰა, ვაჟბატონი ფლორისმარტეც აქ ბრძანებულა? - შესძახა მღვდელმა, - მაშ თავის ამხანაგებთან წაბრძანებას დაემუროს, ნუ დავინდობ მაგ უხეშს, უხეიროდ მოთხრობილ წიგნს - ნურც იმისათვის, რომ უცნაურად გაჩნდა და ნურც იმისატვის, რომ დაუჯერებელი ამბებით არის სავსე. აბა, ქალბატონო სახლის გამგე მაგასაც თავის გზა უჩვენეთ.

- სიამოვნებით, სენიორ, - ეუბნებოდა სახლის გამგე და უდიდესი ხალისით ასრულებდა, რასაც უბრძანებდნენ.

- აი ესეც, "პლატირ რაინდი", - აუწყა დალაქმა. - ძველი წიგნი, მაგრამ შიგ კი იმდენი არა ყრია-რა, მაგის დანდობა რომ ღირდეს. ეზო უჩვენეთ და მოისპო მაგის სახსენებელი.

ესეც შეასრულეს. შემდეგ სხვა წიგნი გადაშალეს და წაიკითხეს სათაური: "ჯვრის რაინდი".

- ასეთი ღვთიური სახელისათვის, მაგის ავტორის უვიცობის დანდობა შეიძლებოდა, მაგრამ ტყუილად როდი ამბობენ: "ჯვრის უკან ბოროტი სულისა გემინოდესო". - მაშ ეგ რაინდიც გადაუმახეთ - ჭიაკოკონა დაამშვენოს.

დალაქმა კიდევ აიღო ერთი წიგნი და თქვა:

- აი "რაინდობის სარკე".

- მაგას ვიცნობ, - მიუგო მღვდელმა. - მაგაში მართლისმოყვარე ისტორიკოს ტურპინისაგან მოთხრობილია ამბავი საფრანგეთის თორმეტი დიდებულისა, რეინალდო მონტალბანელისა და მისი მეგობარ-ამხანაგებისა. ყველა ისინი კაკუსზე უარესი ავაზაკები იყვნენ. ჭემმარიტად, მათ მხოლოდ სამუდამო ექსორიას მივუსჯიდი იმის პატივით, რომ მაგან მათეო ბოიარდოზე ზეგარდმო შთაგონება მოახდინა და ეს ბოიარდო კიდევ ქრისტიანმა პოეტმა ლოდოვიკო არიოსტომ თავის პოემისათვის მასალად მოიხმარა. ხოლო, თუ ეს უკანასკნელი ჩვენს წიგნებს შორის აღმოჩნდება და დავინახავთ, რომ თავის მშობლიურ ენაზე აღარ ლაპარაკობს, არავითარ პატივს არ დავდებ, მაგრამ თუ თავის ენით ილაპარაკა, თავყანისცემით თავზე დავიდებთ.

- არისტო იტალიურ ენაზე მაქვს, მაგრამ მისი არა გამეგება-რა, - წარმოთქვა დალაქმა.

- არცაა საჭირო, რომ გაიგო, - შენიშნა მღვდელმა. - მასთან არაფერი გვეთქმოდა სენიორ კაპიტნის საწინააღმდეგოდ, ჩვენს გასაცნობად, მთელს ესპანეთში კასტილურად მორთული რომ არ გაევერცელებინა ეს წიგნი, რადგან ამით ბუნებრივი შნო და ლაზათი დაუკარგა მას. ნეტა იმას შესანიშნავი ვერა გაეგო-რა. თუმცა ასე იქცევა ყველა, ვინც ცდილობს სხვა ენაზე თარგმნოს ლექსადთქმული თხზულება: რადგან, რაც არ უნდა გულისხმიერნი და დაოსტატებულნი იყვნენ მთარგმნელები, - ვერასოდეს მიაღწევენ სრულყოფილ ფორმას, სრულიად ვერ გადმოიღებენ დედნის იმ ღირსებას და მშვენიერებას, რომლითაც ეს პოემები გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე. ამიტომ ამ ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი საფრანგეთზე მოუბარი სხვა წიგნები ამომშრალი ჭის ფსკერში ჩავაწოთ და იქ შევიწახოთ, მანამ გონივრულად არ მოვიფიქრებთ, თუ რა უნდა ვუყოთ მათ. "ბერნარდო დელ კარპიოსა" და "რონსევალს" კი ამ წყალობას არ

ვადირსებ, და თუ აქ სადმე ხელში ჩამივარდებიან, მაშინვე ქალბატონთან სახლის გამგეს გადავცემ და ისე შეუბრალებლად ცეცხლს შეუკეთებს.

დალაქი მღვდელს ყველაფერში დაეთანხმა და აცხადებდა, ყველაფერი ეს მართალია და სწორიაო, რადგან იცოდა, მღვდელი ისეთი ჩინებული ქრისტიანი და ისეთი მართლისმოყვარე იყო, რომ მთელი ქვეყნის სიმდიდრე სიმართლის გზას ვერ გადაახვევინებდა. შემდეგ დალაქმა ერთი წიგნი გადაშალა. ეს იყო "პალმერინოს ზეთისხილისქვეყნელი". მის გვერდით იდო მეორე, "პალმერინოს ინგლისელის" სათაურიანი. ლიცენციანტმა დაინახა ისინი და თქვა:

- ჩქარა მოსჭერთ ეგ ზეთისხილის ხე, დაწვით და მტვერი ქარს მიეცით. ინგლისური პალმა კი შეინახეთ, - იგი ძვირფასი თხზულებაა და ისეთივე ძვირფასი კოლოფის ღირსია, როგორც ალექსანდრემ დარიოსის სასახლეში იპოვა და შიგ კომეროსის პოემებს ინახავდა. ეს წიგნი, საყვარელო მეგობარო, ორნაირად არის ძვირფასი: ერთი, რომ თავისთავად ჩინებულია, და მეორეც, ბრძენ და მახვილონიერ პორტუგალიის მეფის თხზულებად სთვლიან. მაგ წიგნში მოსხენებული ფათერაკები, მირაგვარდის ციხე-დარბაზში რომ მომხდარან, მოფიქრებულნიც ჩინებულად არიან და აწერილნიც საგანგებოდ; სიტყვა-პასუხი მსუბუქი და ცოცხალია. ცხადია, გონიერი და ზრდილობიანი და ყველაფერში მოუბარის ხასიათსა და მდგომარეობას შეესაბამება. ამიტომ ვფიქრობ, თუ თქვენი ნებაც იქნება, ბატონო ოსტატო ნოკოლას, ეს რომანი და "ამადის გალელი" კოცონს გადავანარჩუნოთ, ხოლო დანარჩენთა გასინჯვაც კი არა ღირს: დაე, ყველა დაიღუპოს.

- არა, სენიორ, მოითმინეთ, - შეჰყვირა დალაქმა, - ამ დიდებულ "დონ ბელიანისზე" რაღას იტყვით ხელში რომ მიჭირავს?

- მაგ წიგნის დამწერი, - თქვა მღვდელმა, - ურიგოს არ იზამდა, ცოტაოდენი რევანდი მიელო, რომ თავის ბელიანისის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილში იმდენი ნაღველი არ ჩაენთხია. მაგში რომ დიდების ტამარია და მრავალი სხვა უარესის სისულელე და აბდაუბდა, ჯერხანად ის ამოვგლიჯოთ, ხოლო საბოლოო განაჩენის დადგენა კი იმ იმედით შევიცადოთ, ეგებ ის ზნე გაისწოროს, და მაშინ გადავწყვიტოთ მკაცრად თუ ლმობიერად მოჰყრობა, ხოლო ჯერჯერობით, საყვარელო მეგობარო, შინ წაიღეთ და ისეთ ალაგს შეინახეთ, ვერავინ მიაგნოს და არ წაიკითხოს.

- დიდი სიამოვნებით, - მიუგო დალაქმა. მას აღარ სურდა რაინდული რომანების გადასინჯვით დაქანცულიყო, სახლის გამგეს მოუბრუნდა და სთხოვა - ყველა დანარჩენი გაუსინჯავი დიდრონი წიგნი მოჰხვეტე და ეზოში გადაყარეო.

სახლის გამგე არც ყრუ და არც სულელი, იმ გუნებაზე იყო, რომ მთელი ქვეყნის წიგნების დაწვა ერჩინა თხელი ტილოს ერთი ნაჭრის მოქსოვას; თხოვნა აღარ გაამეორებინა, რვა წიგნს ერთად მოხვია ხელი, ფანჯარასთან მიიტანა და გადაყარა, მაგრამ, რადგან ერთად ძლიერ ბევრი წიგნი აიღო, ერთი წიგნი დაუვარდა და სწორედ დალაქის ფეხებთან დაეცა. მან აიღო, გადაშალა და წაიკითხა: "სახელოვანი რაინდის ტირანს თეთრის ისტორია".

- უფალო შეგვიწყალო, - ხმამაღლა შესძახა მღვდელმა, - ნუთუ "ტირანტ თეთრიც" აქაა? მომეცი საჩქაროდ, ძვირფასო მეგობარო, დარწმუნებული იყავით, რომ ეს წიგნი მხიარულების სალაროა და შექცევის მაღანი. ამაშია დონ კირიელეების მონტალბანელის, მისი ძმის, სახელოვანი რაინდის ტომას მონტანბანელისა და რაინდ ფონსეკის ამბები; აქ მოთხრობილია

მამაცი ტირანის ბრძოლა დოგთან, ქალწულ პლასერდემავიდის თვალთმაქცობანი, ქვრივ რეპოსადას სამიჯნურო ოინები, და დასასრულ, იმპერატრიცისაგან თავისი მეჯინიბის იპოლიტეს შეყვარება. სიმართლე უნდა მოგახსენოთ, სენიორ, ეს წიგნი ისეთი კილოთია დაწერილი, რომ მთელ ქვეყანაზე ბადალი არ მოეპოვება. ამ წიგნში რაინდები ჭამენ, სვამენ, ძინავთ, ღვიძვთ, თავიანთ ლოგინში კვდებიან, სიკვდილის წინ ანდერძსა სწერენ, ერთი სიტყვით, აქ ბევრ იმისთანას შეხვდება კაცი, რასაც სხვა ამის მსგავს რომანებში ვერა ნახავს. ყველა ამის მიუხედავად, უნდა მოგახსენოთ, დამწერი ღირსია სამუდამოდ გალერებზე გაიგზავნოს იმ მრავალი სისულელისა და მოჩმახული აბდაუბდებისათვის, რითაც სავსეა ეს თხზულება. აბა თან წაიღეთ, წაიკითხეთ და დარწმუნდებით რომ რაც ვთქვი, ნამდვილი სიმართლეა.

- ბატონი ბრძანდებით, - მაგრამ იმ დარჩენილ წიგნაკებს რაღა ვუყოთ?

- ესენი რაინდული რომანები როდი იქნებიან. უთუოდ სხვადასხვა ლექსების კრებულება, - თქვა მღვდელმა.

ერთი მათგანი გადაშალა და წაიკითხა სათაური: ხორხე დე მონტემაიორის "დიანა" იფიქრა, დანარჩენებიც ამის მსგავსნი იქნებიანო, და წარმოთქვა:

- რომანებივით ამათი დაწვა საჭირო არ არის, რადგან ესენი უბრალო დროსგასატარებლად არიან გამოსადეგნი და მათ სარაიდო წიგნებივით არასოდეს არავის ვნება არ შეუძლიათ.

- რასა ბრძანებთ, სენიორ! - შეჰყვირა დისწულმა, - ჩემის აზრით მაგ წიგნების დაწვაც სხვებთან ერთად აუცილებელია, თორემ, ბიძაჩემმა განკურნების შემდეგ მოგზაურ რაინდობას თავი რომ დაანებოს და მაგ ლექსებს დაუწყოს კითხვა, შესაძლებელია ახლა მწყემსობა მოიწადინოს და მწყემსური სიმღერით და სალამურის დაკვრით მთა-ტყეებში სახეტიალოდ წავიდეს: ან, ვინ იცის, ახლა პოეტობა მოინდომოს და ლექსების წერა დაიწყოს. ეს სენი კი თურმე უარესია: გადამდებიც არის და უკურნებელიც.

- მართალს ამბობს ეს ქალი, - თქვა მღვდელმა. - გონივრული იქნება ჩვენს მეგობარს ყველაფერი მოვარიდოთ, რასაც კი მისი სენის ხელმეორედ დაბრუნება შეუძლია. მაშ რაკი მონტემაიორის "დიანად" ვიწყებთ, ჩემის აზრით, შეიძლება ის არ დავწვათ, მხოლოდ საჭიროდ მიმაჩნია, სულ ამოვგლიჯოთ, რაც მაგაში ბრძენ ფელისიას ნეტარებასა და ჯადოსნურ წყაროებს ეხება, და თითქმის ყველა გრძელსტრიქონიანი ლექსიც თან მივაყოლოთ: მაშინ, მაგის პროზის პატივისცემით, შეიძლებოდა თავისგვარ წიგნებში საუკეთესოდ ჩათვლილიყო.

- აი კიდევ ეგრეთ წოდებული "მეორე დიანა". თხზულება სალამანტინელისა, - განაგრძობდა დალაქი, - და აჰა, კიდევ ერთიც, ხილ პოლოს თხზულება.

- მერე რა, - მიუგო მღვდელმა, - დაე, სალამანტინელის "დიანა" დასჯილთა რიცხვს მიემეტოს და განამრავლოს დასაწვავად განწირულთა რიგები. ხოლო ხილ პოლოს "დიანა" კი იმ პატივით შევინახოთ, რა პატივითაც თვითონ აპოლონის თხზულებას შევინახავდით. მაგრამ ახლა, ბატონო ნათლიმამ, სხვა წიგნების გასინჯვას დავუჩქაროთ, თორემ დრო აღარ არის.

- აი, "ათი წიგნი სიყვარულის საუნჯისა", სარდინელი პოეტის ანტონიო დე ლოფრასოს თხზულება, - თქვა დალაქმა.



- ჩემი მღვდელობის მადლსა ვფიცავ, - წარმოთქვა მღვდელმა, - მას აქეთ, რაც აპოლონი აპოლონობს, მუზები მუზობენ და პოეტები პოეტობენ, მაგაზე სალადობო, უაზრო და შმაგიანი წიგნი ჯერ არავის დაუწერია, და იგი თავისგვარ წიგნთა შორის საუკეთესო და უძვირფასესი თხზულებაა, რომელიც ოდესმე უნახავთ ამქვეყნად. ვისაც ეგ არ წაუკითხავს, უნდა დამიჯეროს, იმას არასოდეს ჭეშმარიტად მხიარული არა წაუკითხავს-რა. აქ მომეცით ეგ წიგნი, ძვირფასო მეგობარო. მერწმუნეთ, ამ წიგნში რომ ფლორენციული აბრეშუმის ანაფორა შემომამლიონ, - არ გავიღებ.

- და მან უდიდესი კმაყოფილებით ცალკე გადასდო წიგნი; დალაქი კი განაგრძობდა:

- შემდეგი წიგნებია: "იბერიელი მწყემსი", "ჰენარესის ნიმფები" და "ეჭვიანობის წამალი".

- მაგათთვის თავს ნუ შეიწუხებთ, - უთხრა მღვდელმა. - ესენი ქალბატონო სახლის გამგის საერთო უფლებას გადავცეთ. გთხოვთ, ნუ მკითხავთ, რად ვიქცევი ასე, თორემ ვერასოდეს ვერ მოვრჩები ამ საქმეს.

- აი, "მწყემსი ფილიდი", ამაზე რაღას იტყვიო? - ჰკითხა ნიკოლასმა.

- ეგ მწყემსი კი არ არის, დედაქალაქის ბრძენი და ხელოვანი მკვიდრია. ისე უნდა შევინახოთ, ვითარცა ძვირფასი რამ განძი, - შენიშნა მღვდელმა.

- ამ სქელ ტომს, - განაგრძობდა დალაქი, - აწერია: "სხვადასხვა ლექსთა სალარო".

- მაგაში რომ მაგდენი ლექსები არა ყოფილიყო, - მიუგო მღვდელმა, - ბევრად უკეთესი წიგნი გამოვიდოდა და უფრო დავაფასებდით. ამ წიგნიდან უნდა გამოიმარგლოს სარეველა ბალახი და გაიწმინდოს რამდენიმე ურიგო ლექსიდან, სხვა მშვენიერ ლექსებში რომ არის არეული. შევინახოთ იგი, თუნდაც იმის პატივისცემით, რომ მაგათი მთხზველი ჩემი მეგობარია და სხვა თხზულებები უფრო გამირული და ჩინებული შინაარსისა აქვს.

- აი ლოპეს მალდონადოს "ლექსთა კონა".

- მაგის დამწერსაც ვიცნობ, ჩემი კარგი მეგობარია, - თქვა მღვდელმა. - საკვირველი საამო ხმა აქვს, როცა თავის ლექსებსა მღერის, მსმენელსა ხიბლავს, და როცა კითხულობს, აღტაცებით უსმენენ. მართალია, მაგას ცოტათი გაჭიანურებული ეკლოგები აქვს, მაგრამ არა უშავს-რა, კარგი რამ სიგრძით როდი დაიწუნება. მაშ, რჩეულებს ამოვუყენოთ გვერდში. აბა, ახლა ვნახოთ, მაგას გვერდზე რა უდევს?

- ეს მიგელ სერვანტესის "გალათეაა", - უპასუხა დალაქმა.

- ეს სერვანტესი ჩემი დიდი ხნის მეგობარია, - შენიშნა მღვდელმა. - საწყალი მიგელი! სიდუხჭირესა და უბედურებაში უფრო გამოცდილია, ვიდრე ლექსების წერაში. მის წიგნებში ჩანს გამომგონებლობა, მაგრამ, რასაც იწყებს, ვეღარ ამთავრებს ხოლმე. დავუცადოთ "გალათეას" დაპირებულ მეორე ნაწილს; იქნებ გამოსწორდეს, დაიმსახუროს ლმობიერება და ის ნაკლი აიცდინოს თავიდან, რისთვისაც ამ პირველ ნაწილს ჰკიცხავენ. მანამ კი, ბატონო ნათლიმამ, ეგ წიგნი თქვენსას შეინახეთ.

- დიდი სიამოვნებით, - მიუგო დალაქმა. - აი კიდეც სამი წიგნაკი: დონ ალონსო და ერსილიას "არაუკანა", კორდოველი მსაჯულის ხუან რუფოს "აუსტრიადა" და ვალენსიელი პოეტის ქრისტობალ დე ვირუესის "მონსერატი".

- სამივე წიგნი საუკეთესო გმირული ლექსებით არიან დაწერილი ესპანურად, - თქვა მღვდელმა; - ღირსებით იტალიელ ჩინებულ პოემებსაც არ ჩამოუვარდებიან. შევინახოთ ისინი, ვითარცა ჩვენი ესპანური პოეზიის თვალნი პატიოსანნი.

დაბოლოს, წიგნების გადასინჯვამ ძლიერ მოქანცა მღვდელი, და გადაწყვიტა ყველა დარჩენილი წიგნი გადაურჩევლად დაეწვათ. მაგრამ ამ დროს დალაქმა კიდეც გადაშალა ერთი მომცრო წიგნი და სათაური წაიკითხა: "ანჯელიკას ცრემლები":

- იმ ანჯელიკასთან ერთად მე თვითონაც დავღვრიდი ცრემლებს, ამ წიგნის დაწვა თუ მომიწევდა. - თქვა მღვდელმა - მაგის დამწერი არა მარტო ესპანეთის, არამედ მთელი ქვეყნის ყველაზე გამოჩენილი პოეტია. და მარტოდენ ეს ჩინებული წიგნი კი არ შესძინა ჩვენს მწერლობას, მან დიდი ოსტატობით თარგმნა ოვიდუისის რამდენიმე თქმულეზე.

## თავი VII

ამბავი ჩვენი გულკეთილი რაინდის დონ კიხოტ ლამანჩელის მეორედ გამგზავრებისა

მღვდელმა რომ ეს სიტყვები დაასრულა, სწორედ იმ წუთში დონ კიხოტის ხმა მოესმათ:

- აქეთ, აქეთ, უშიშარო რაინდებო! - გაჰყვიროდა ის. - დადგა დრო თქვენი ძლიერი მკლავის ძალ-ღონის გამოჩენისა. ამ კარისკაც რაინდებს სურთ მითვისონ ტურნირზე გამარჯვების სახელი და დიდება.

ამ ყვირილსა და ხმაურზე ჩვენმა მეგობრებმა წიგნების ჩხრეკას თავი ანებეს დ დონ კიხოტის ოთახში შეცვივდნენ. ზოგიერთები ფიქრობდნენ, ამ მიზეზით განუსჯელად და განუკითხავად ცეცხლის მსხვერპლნი გახდნენ "კაროლეა", "ლომი ესპანეთისა" და დონ ლუის დე ავილას თხზულება "საქმენი იმპერატორისა", თუმცა, შესაძლებელია, მღვდელს რომ მოესწრო მათი გასინჯვა, ასეთ მკაცრ განაჩენს არ გამოუტანდა.

სამილე ოთახში რომ შევიდნენ, დონ კიხოტი ლოგინიდან წამომხტარი დაინახეს, ხელში მახვილი ეჭირა და ერთი ყვირილით და აურზაურით თვალეზაჰყეტილი აქეთ-იქეთ იქნევდა ხმალს, ვითომც კედლებს ეომებო. ისე მხნედ და ხალისიანად იყო, თითქოს არც კი უძინაო. როგორც იყო დაამოშმინეს და ისევ ლოგინში ჩააწვინეს. ცოტა რომ დამშვიდდა, ამ სიტყვებით მიმართავდა მღვდელს:

- სენიორ მთავარეპისკოპოსო ტურპინე! ჭეშმარიტად დიდი სირცხვილია მათთვის, ვისაც თორმეტ დიდებულს ვუწოდებთ, რომ ისინი ამ ტურნირზე გამარჯვებას მაინცდამაინც კარის რაინდებს უთმობენ. განა ჩვენ, მოგზაურ რაინდებს უფრო არ შეგვფერის ეს გამარჯვება? წინა სამ დღეს გამარჯვება ხომ ჩვენსკენ იყო!

- დამშვიდდით, ჩემო ბატონო, ყოველივე ღვთის ხელთ არის, - მიუგო მღვდელმა, - და თუ მისი ნება იქნება, ის დროც ჩქარა მოვა, რომ გამარჯვებამ ხელდახელ თქვენს ფარხმალს მოჰფინოს ნათელი, ნუ დაღონდებით და გახსოვდეთ: ხშირად არის ხოლმე, - დღეის დაკარგულს ხვალ

ვპოულობთ. ახლა კი ამას გირჩევთ, თქვენს განკურნებაზე იფიქროთ; რადგან ასე მგონია, თუ მძიმედ დაჭრილი არა, ძალიან დაქანცული მაინც ხართ.

- არა, დაჭრილი არა ვარ, მაგრამ ძალიან დაქანცული და დაბეგვილი კი ვარ, - მიუგო დონ კიხოტმა: - ან კი რა საკვირველია, მუხის კეტიტ მბეგვა იმ ნაბიჭვარმა როლდანმა და იმაზე იძია შური, რომ მის ტრაზახობას მარტო მე აღვუდექე წინ და სარაინდო საქმეებში მარტო მე ვიყავი მისი მეტოქე. მაგრამ ერთი ამ ლოგინიდან კი ავდგე, და რენალდო მონტალბანელი ნუ ვიქნები, თუ ჩემი ცემა ძვირად არ დავუსვა, რაც არ უნდა მოჰადოებულ იყოს. მანამდე კი რაიმე საუბრე მომიტანეთ, რადგან ახლა ყველაზე უფრო მჭირია მოლონიერება, ხოლო სამაგიეროს გადახდა ჩემზე მოაგდეთ.

ასეც მოიქცნენ: საჭმელი მოუტანეს. ჩვენი რაინდი კარგად რომ გამოძღა, კარგად დაიძინა, მისი ასეთი უცნაური სიგიჟე ყველას უკვირდა.

იმავე ღამეს სახლის გამგე ქალმა ეზოში გადაყრილ წიგნებს და იამს, რის გასინჯვაც ვერ მოასწრეს, ერთიანად ცეცხლი წაუკიდა, და ალბათ - მათ შორის დაიწვა ისეთიც, რომელიც არქივებში სამუდამოდ დაცვის ღირსი იყო. მაგრამ ასეთი იყო ბედის განაჩენი, - გასინჯვა დაუდევრად ჩაატარეს, და, ბევრ მათგანს ამაოდ ეწია ეს ბედი, მაგრამ ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: დამნაშავის ხშირად მართალსაც მოიკითხება ხოლმეო.

ახლა მღვდელმა და დალაქმა არჩიეს წიგნების ოთახის კარები მთლად ამოექოლათ, რომ დონ კიხოტს სულ ვეღარ ეპოვნა იგი, (ამ ხერხით უნდოდათ მისი სნეულების მიზეზი მთლად მოესპოთ და იმედი ჰქონდათ - სრულებით განკურნავდნენ მას). თანაც გადაწყვიტეს, როცა რაინდი წიგნებს მოიკითხავს და, ეთქვათ, ვილაც ჯადოქარმა ოთახიანად მოიტაცაო. ყველაფერი ეს მეტად სწრაფად შეასრულეს.

ორი დღის შემდეგ დონ კიხოტი ლოგინიდან ადგა და მაშინვე თავის წიგნებისაკენ გაემართა. უწინდელი ალაგი რომ ვერ იპოვა, ძებნა დაუწყო, ყველა ოთახი დაიარა, იმ ალაგს ბევრი უტრიალა, სადაც უწინ კარები ეგულეობდა, კედლებს ხელით ეხებოდა, გარშემო ათვალიერებდა და გაჩუმებული კი იყო. ბოლოს, რომ გაუჭირდა, სახლის გამგეს ჰკითხა: ჩემი ბიბლიოთეკა რომელ მხარეზე არისო. ქალი წინასწარ იყო მომზადებული, თუ როგორ უნდა ეპასუხნა:

- რა ოთახსა ბრძანებთ, - ჰკითხა სახლის გამგემ, - ნეტავ რაღას ეძებთ, ჩემო ბატონო? აღარც ოთახი გახლავთ და აღარც წიგნები: ერთიცა და მეორეც კუდიანმა ეშმაკმა მოიტაცა... კვარი აქაურობას!.. - და პირჯვარი დაიწერა.

- კუდიანმა ეშმაკმა კი არა, ჯადოქარმა მოიტაცა, - გაუსწორა დისწულმა, - თქვენ რომ წახვედით, შუალამისას ერთი ჯადოქარი მოფრინდა გველემპიტო, გველემპიტოდან ჩამოხტა და თქვენი წიგნების ოთახში შევიდა; იქ რას აკეთებდა - არ ვიცით, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დავინახეთ - ბინიდან აფრინდა და მთელ სახლში რაღაც კორიანტელი დააყენე. მერე, რომ მივედით, გვინდოდა გვენახა, რად იყო იმ ოთახში, ვეღარც ოთახი ვიპოვეთ და ვეღარც ის წიგნები, ეს კი იყო, როცა ბოროტი ბებერი აქედან მიფრინავდა, ხმამალა ჩამოგვძახა: ამ წიგნებისა და ოთახის პატრონთან საიდუმლო მტრობა მაქვს და ამით სამაგიეროს ვუხდით. თანაც დაუმატა, ბრძენი მუნიატონი მქვიანო.

- მუნიატონს კი არა ფრესტონს იტყოდა, - შეაწყვეტინა დონ კიხოტმა.

- არ ვიცი, ღმერთმანი, ფრიტონი იყო თუ ფრესტონი, - უპასუხა სახლის გამგემ. - ეს კი მახსოვს, მისი სახელის ბოლო ტონი იყო.

- სწორად ის არის ბრძენი ჯადოქარი, - თქვა დონ კიხოტმა, - ჩემი დაუძინებელი მტერია; დიდად ვძულვარ, რადგან თავისი მაგიური წიგნებითა და ჯადოსნობით მიხვედრილია, რომ ოდესმე მის მფარველობის ქვეშ მყოფ რაინდს შევებრძოლები, და რაკი დარწმუნებულია, რომ იმ ბრძოლაში მას ყველა ხერხი და მეცადინეობა ფუჭად ჩაუვლის და გამარჯვება მე დამრჩება, ამიტომ, რაც კი შეუძლია, ცდილობს რითიმე მევნოს; მაგრამ ვაცხადებ, ტყუილად ირჯება: იცოდეს, რაც ზენაარისაგან გადაწყვეტილია, იმას ვერავინ წაუვა.

- მაგის ეჭვი ვის ექნება? - მიუგო დისწულმა. - მაგრამ, ძია-ბატონო, რად გინდათ, რომ ყველა ამ ჩხუბსა და აყალმაყალს ერევით? გარე-გარე ხეტიალს და ჩიტის რძის ძებნას, ის არ სჯობია თქვენთვის მშვიდობიანად იჯდეთ შინ და მყუდროს იცხოვროთ? ხომ მოგეხსენებათ, რამდენი ყოფილა - მატყლის საშოვნელად წასულა და შინ კი გაკრეჭილი დაბრუნებულა.

- ჰოი, დისწულო! - შესძახა დონ კიხოტმა, - ცუდად გესმის ეს საქმე. ვიდრე გამკრეჭდეს ვინმე, ვიდრე ვინმე თავზე ერთი ღერი თმის შეხებას გამიბედავს, მე წვერს გავაბდღვნი.

ქალებმა, რაკი აზნაურს გაჯავრება შეატყვეს, საწინააღმდეგო ლაპარაკი მაშინვე მოსპეს.

ამ საუბრის შემდეგ დონ კიხოტმა მთელი ორი კვირა შინ ისე მშვიდად გაატარა, კაცს ეგონებოდა, თავის განზრახვაზე - ხელახლად ფათერაკების სამეზნელად გამგზავრებაზე - მთლად ხელი აიღო. ამ ხნის განმავლობაში ყოველ საღამოს თავის მეგობრებთან - მღვდელთან და დალაქთან - საამო საუბარი ჰქონდა ხოლმე და სულ იმას ამტკიცებდა, ქვეყნიერებას მოგზაური რაინდები მეტად ესაჭიროებაო. ამასთანავე ამბობდა ხოლმე: მოგზაური რაინდობის ღვაწლმოსილი წოდება ჩემით უნდა აღვადგინო. მღვდელი ხანდახან წინააღმდეგს ეტყოდა ხოლმე. მაგრამ უფრო კი, ხშირად განგებ, ეთანხმებოდა, რომ უფრო მეტი გავლენა მოეპოვა მასზე.

ამასობაში დონ კიხოტი იდუმალად ურიგდებოდა თავის მეზობელს, ერთ კეთილ ადამიანს (თუ შეიძლება კეთილი ვუწოდოთ იმას, ვისაც მცირე სიკეთე და ქონება გააჩნია თან); ის გლეხი თუმცა ღარიბი იყო, მაინც ცოტა რამ მოეპოვებოდა, მხოლოდ ბრძენთა დასს არ ეკუთვნოდა.

ბოლოს და ბოლოს იმდენი ეჩიჩინა, იმდენი რამ მოეპოვებოდა და ისე დაარწმუნა, რომ საბრალო გლეხი დაითანხმა - საჭურველმტვირთველად წაჰყოლოდა. სხვათა შორის, ჩვენი რაინდი ურჩევდა, დიდხანს არ ეფიქრა და დაუყოვნებლივ შედგომოდ მოგზაურობას; გულუბრყვილო გლეხი დაარწმუნა, რაკი იგი მოგზაური რაინდის საჭურველმტვირთველი შეიქმნებოდა, ამით დიდი სარგებლობის იმედი უნდა მისცემოდა; შეიძლებოდა ისეთ ფათერაკს წაწყდომოდა, რომ იმ ფათერაკს თან რამე კუნძულის დაპყრობაც მოჰყოლოდა. დონ კიხოტი ასე ეუბნებოდა გლეხს: შენს სახნავებსა და ვენახებზე ბევრსაც ნუ ინაღვლი; ეჭვი არ არის, ერთ-ერთ დიდ კუნძულს დავიპყრობ სადმე და იმის სამისდღეშიო მმართველად გაგაწესებო.

ამ, და სხვა ამგვარი - ადგილშესაძლებელი დაპირებით ისე დაახვია თავბრუ საწიო პანსას (ეს სახელი ერქვა გლეხს), რომ მან ცოლ-შვილი მიატოვა და თავის მეზობლის საჭურველმტვირთველი გახდა.

დონ კიხოტმა რომ ეს მძიმე საქმე გაათავა, ახლა იმ ფიქრს შეუდგა, თუ როგორ ეშოვა ფული, და საამისო თადარიგი დაიწყო: ზოგი რამ გაჰყიდა, ზოგიც დააგირავა, სულ, რასაკვირველია, დიდი ზარალით, და ასე საკმაო თანხა შეაგროვა; შემდეგ ერთი თავის მეგობრისაგან მრგვალი ფარი იქირავა, დამსხვრეული ჩაჩქანი, როგორც იყო, შეაკეთა და ბოლოს თავის საჭურველმტვირთველს გამგზავრების დრო და საათი დაუნიშნა, უბრძანა იმ დროისათვის მომზადებულიყო, ყველაფერი წამოეღო, რაც მგზავრობისათვის საჭირო იყო, და მეტადრე სამგზავრო ჩანთა არ დავიწყებოდა. სანჩო დაპირდა, არ დავივიწყებო, და უთხრა: მაგას ყველაფერს წამოვიღებ, მაგრამ ნება მიბოძეთ ჩემი შესანიშნავი ვირიც თან წამოვიყვანო, ფეხით დიდი მანძილის გავლა არ შემიძლიაო. ვირის სხენებაზე დონ კიხოტი ცოტა სახტად დარჩა; დაფიქრდა და ცდილობდა თავის წიგნებიდან მოეგონებინა - რომელიმე რაინდს როდისმე ჰყოლია ვირითმოსიარულე საჭურველმტვირთველი, თუ არაო, და თუმც ამგვარი ვერა მოიგონა-რა, მაინც სანჩოს ვირის წამოყვანის ნება დართო იმ იმედით, რომ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში, პირველ შეხვედრაზედვე ვინმე თავხედ რაინდს შეებმოდა, დაამარცხებდა, ცხენს წაართმევდა და ამ უფრო საპატიო ცხოველზე გადასვამდა სანჩოს. ბოლოს, რაც კი რამ მეფუნდუკემ ურჩია, საცვალი და სხვა საჭირო ნივთები ჩაალაგა და ერთ მშვენიერ ღამეს დისწულსა და სახლის გამგეს გამოუმშვიდობებლად გაუსხლტა ხელიდან და თან სანჩოც გაიტაცა; იმანაც ისე მიატოვა თავის სახლ-კარი, ცოლ-შვილსაც კი არ გამომშვიდობებია. მთელი ღამე ისე ჩქარა იარეს, რომ გათენებისას, რაგინდ მარდი მდევარი გამოეყენებინა მათთვის, მაინც ვერ მოეწოდნენ. ამის შიშის აღარ ჰქონდათ, თუნდაც მათი ძებნა კიდევ დაეწყოთ.

ჩანთაკიდებული სანჩო პანსა პატრიარქივით მეტად დარბაისლურად იჯდა თავის ვირზე, გვერდზე სურის მაგიერ ტიკჭორა ჰქონდა ჩამოკიდებული და ფიქრებით აღთქმული კუნძულის გუბერნატორობას გაეტაცნა. ასე მისდევდა უკან თავის ბატონს იმავე მონტიელის ველზე, რომელზედაც ჩვენი რაინდი პირველი გამგზავრების ჟამს მიედინებოდა, ხოლო ახლანდელი მგზავრობა პირველივით სატანჯველი და შესაწუხარი აღარ იყო, რადგან ამომავალი მზე ახლა აღმაცერად უცქეროდა და მისი სხივები ჩვენს მგზავრებს ისე აღარ აწუხებდა. რამდენიმე ხანმა რომ გაიარა, დიდხანს ჩუმად ყოფნას უჩვევმა სანჩო პანსამ თავის ბატონს უთხრა:

- მოწყალეო ბატონო, სენიორ მოგზაურო რაინდო, გთხოვთ არ დაივიწყოთ, კუნძულს რომ დამპირდით; მე ვგრძნობ, რაც უნდა დიდი იყოს, მისი გაძლოლა მაინც არ გამიჭირდება.

ამაზე დონ კიხოტმა მიუგო:

- უნდა იცოდე, ჩემო მეგობარო სანჩო პანსა, რომ მოგზაურ რაინდებს მუდამჟამს ჰქონდათ ჩვეულებად - რასაც კი სამეფოებსა და კუნძულებს დაიპყრობდნენ, სულ თავიანთ საჭურველმტვირთველებს აჩუქებდნენ და მათ ამ კუნძულების და სამეფოების გუბერნატორებად გახდიდნენ ხოლმე. მეც არა თუ არა მსურს ამ საქებარს ჩვეულებას ვუღალატო, არამედ, ვფიქრობ, გადავაჭარბო კიდევ და აღვადგინო იგი. უწინდელი რაინდები, მხოლოდ მაშინ აჯილდოებდნენ თავიანთ საჭურველმტვირთველებს, როცა მათ სიბერისგან და რაინდების სამსახურში მრავალი დუხჭირი დღეებისა და უფრო მეტად გაჭირვებული ღამეების გატარებით ქანცი უწყდებოდათ და სამსახურის თავი აღარ ჰქონდათ. მხოლოდ მაშინ-მეთქი, ვამბობ, რაინდები ძლივს აღირსებდნენ ხოლმე თავის საჭურველმტვირთველებს გრაფისა, ან სულ ცოტა, მარკიზის ხარისხს და თანაც იმის შესაფერ რომელიმე უმნიშვნელო მიდამოს ან

პროინციას უბოძებდნენ. მე კი, იმედი მქავს ერთი კვირის განმავლობაშივე, თუ ღმერთმა ეს ხანი დაგვაცალა და ორივენი ცოცხალი გადავრჩით, ისეთი სამეფო დავიპყრა, რომ ხელქვეითად რამდენიმე სხვა პატარა სამეფოებიც ჰქონდეს. მაშინ ერთ-ერთის გვირგვინს, მასში საუკეთესო რომელიც იქნება, შენ მოგანიჭებ და მევედ გაგხდი. შენ ეს ნუ გაგიკვირდება, მე როდი ვაზვიადებ: მოგზაურ რაინდებს ხშირად მოუხდებათ ხოლმე ისეთი მოულოდნელი და უცნაური ფათერაკები, რომლის მსგავსი არც არავის უნახავს და არც არავის წარმოუდგენია. ასე რომ, სავსებით ადვილად შეიძლება დაპირებულზე მეტიც გაჩუქო.

- ამგვარად, - ჰკითხა სანჩომ, - ახლა, მართლაც რომ იმ სასწაულის ძალით, თქვენ რომ ბრძანეთ, უცებ ჯადოსნობით მეფე შევიქნე, ჩემი დედაკაცი ხუანა გუტერესიც ხომ დედოფალი გახდება და ჩემი შვილები კიდევ უფლისწულები იქნებიან?

- მაგას რაღა თქმა უნდა? - მიუგო დონ კიხოტმა.

- მე კი როგორღაც მეეჭვება, - შენიშნა სანჩო პანსამ. - რადგანაც, სულ რომ სამეფო გვირგვინები აწვიმოს ღმერთმა, მგონია, ჩემს დედაკაცს ერთიც ვერ გამოადგეს და არ მოერგოს. გამჩენს ვფიცავ, ჩემო ბატონო, იმისთანა დედოფალში გახვერტილ გროშს არავინ მისცემს, გრაფის ცოლობა კიდევ ჰო, იქნება როგორმე შეეშნო, ისიც თუ ღმერთი შეეწეოდა.

- შენც ღმერთს მიანდე, ჩემო სანჩო, შენზედა და შენიანებზე ზრუნვა, - უთხრა დონ კიხოტმა, - უეჭველია, იგი შენს ცოლს მას მიანიჭებს, რაც მისთვის უფრო შესაფერი იქნება; არც შენ დაგამცრობს. შენც სულით ნუ დაეცემი და ნუ იფიქრებ გუბერნატორობაზე ნაკლებს დასჯერდე.

- არხეინად ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემო, დიახაც არ დავჯერდები, - მიუგო სანჩომ, - მეტადრე თუ თქვენისთანა კარგი და ძლიერი პატრონი მეყოლება. აუცილებლად ისეთ რამეს მაჩუქებს, რისი გაძლოლის უნარიც მექნება და რის მართვასაც შევძლებ.

## თავი VIII

სახელოვანი დონ კიხოტის შესანიშნავი გამარჯვება და აქამდე არნახული საშინელი ფათერაკები ქარის წისქვილებთან, და აგრეთვე სხვა ღირსსახსოვარი და სასიამოვნო ამბები

ამ დროს ჩვენმა ფათერაკების მამებრებმა მინდორზე მდგარი ოცდაათი თუ ორმოციოდე ქარის წისქვილი დაინახეს. დონ კიხოტმა შენიშნა ისინი და თავის საჭურველმტვირთველს უთხრა:

- დახე, დალოცვილი ბედი უკეთ წარმართავს ჩვენს საქმეს, ვიდრე ამას ვისურვებდით. აბა, გაიხედეთ იქეთკენ, ჩემო მეგობარო სანჩო პანსა, ხედავ თუ არა აგერ დევების ბრბოს? ღმერთსა ვფიცავ, ახლავე შევერკინები და ყველას მუსრს გავავლებ; მათის ნადავლით ჩვენს გამდიდრებას საფუძველი დაედება და საქმესაც უფლის სასურველს ჩავიდენ, რადგან ასეთი ბრძოლა სამართლიანია, ღვთის წინაშე დიდი ღვაწლია ადამიანისაგან ამ შეჩვენებული დევების სინსილის გაწყვეტა.

- რომელ დევებზე ბრძანებთ? - ჰკითხა სანჩო პანსამ.

- აგერ, აი, იქ რომ დგანან, შენს წუნ, უზარმაზარმკლავიანები; ზოგისა თითქმის ორი მილის სიგრძე გამოვა, - უპასუხა დონ კიხოტმა და წისქვილებზე მიუთითა.

- რასა ბრძანებთ, - შეესიტყვა სანჩო, - მერწმუნეთ, ჩემო ბატონო, რაც იქ მოჩანს, დევები რამ ჰქმნა, ის ხომ წისქვილებია; მკლავებად რომ გეჩვენებთ, ის კიდეც მათი ფრთებია, ქარის დაბერვით რომ დოლაბებს ატრიალებენ.

- როგორ გეტყობა, ფათერაკებში ჯერ გამოუცდელი რომ ხარ, - მიუგო დონ კიხოტმა; - გეუბნები, დევებია-მეთქი; თუ გეშინია, განზე დადექ და ილოცე, მე კი ამ დროს საშინელ და უთანასწორო ბრძოლას გავუმართავ მათ.

ესა თქვა თუ არა, როსინანტს დეზი ჰკრა და საჩქაროდ ქარის წისქვილებისაკენ გაემართა. საჭურველმტვირთველი თუმცა ბევრს უყვიროდა და არწმუნებდა - დევები კი არ არიან, ქარის წისქვილებიაო, მაგრამ დონ კიხოტს აბა ვინ რას გააგონებდა? რამდენიც იმ წისქვილებს უახლოვდებოდა, იმდენად უფრო რწმუნდებოდა, რომ ისინი ნამდვილი დევები იყვნენ. აღარ ესმოდა თავისი საჭურველმტვირთველის სანჩოს ძახილი და ვეღარც ცნობდა წისქვილებს, თუმცა სულ ახლოს იყვნენ ისინი. ომახიანი ყიყინით მიჰქროდა წინ. ასე თვალეზაბმულმა, მთლად რომ მიუახლოვდა წისქვილებს, ხმამაღლა შესძახა:

- აჰა, თქვე შეჩვენებულო და სულმდაბალო არსებანო, სად გარბიხართ! ხომ ხედავთ მარტოდმარტო ერთი რაინდი მოვდივარ თქვენს შესამუსრავად.

ამ დროს ნიავმა დაუბერა და წისქვილის უზარმაზარმა ფრთებმა ტრიალი დაიწყეს, ეს რომ დონ კიხოტმა დაინხა, განაგრძო:

- იქნით, იქნით ეგ თქვენი მკლავები. ამით ვერ შემაშინებთ, თუნდაც იმდენივე მკლავების ქნევა დაიწყოთ, რამდენიც გიგანტ ბრიარეს ჰქონდა; ამწამსვე ყველას დაგასხებთ და, სულერთია, შურისგებას ვერსად გაექცევით!

ეს რომ თქვა, ახლა მისი მომხიბლავი დულსინეა გაახსენა გუნებაში, ამ წინამდებარე ბრძოლაში თავისი რაინდის გამხნევება შესთხოვა, ფარი მოიფარა, შუბი მაგრა ჩაბლუჯვით მოიმარჯვა, როსინანტი გაქუსლა და მახლობელ წისქვილს ფრთას შუბი აძგერა. სწორედ იმ წამს ქარმა ისე ძლიერ გადაატრიალა ფრთა, რომ შუბი მთლად ნაფოტივით მიულეწა, თვითონ რაინდიც თავის როსინანტით გადააყირავა და შორს მანძილზე შესაბრალისად გადაისროლა ისინი. ეს რომ სანჩომ დაინხა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ვირი გააქანა და ბატონის საშველად მიაშურა. დახედა თუ არა, შეატყო, რომ კეთილი არა დაჰყოდა-რა რაინდს, როსინანტიანად ისე მაგრა დაცემლიყო, ხელ-ფეხს ვეღარ ხმარობდა.

- უფალო, შენ გვიშველე! - შეყვირა სანჩომ. - არ მოგახსენებდით, ფრთხილად იყავით, ქარის წისქვილებია-მეთქი? ღმერთმანი, კაცს გოგრაში სწორედ ასეთი წისქვილები უნდა უტრიალებდეს, ისინი დევებად რომ მოეჩვენოს.

- ნუ სცოდავ, ჩემო კარგო სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა. - ჯერ კარგად უნდა გაიგო, რომ ბედის უკუღმართობა ისე ხშირად არაფერს სჭირს, როგორც ომს; ომი განპიროვნებული უკუღმართობაა. გითხრა, რას ვფიქრობ და რაში ვარ დარწმუნებული? ეს თვალთმაქცური ფერისცვალება რომ მოხდა, იმ ბრძენი ფრისტონის ახალი ოინბაზობაა, ჩემი წიგნები რომ ოთახიდან მოიტაცა. ახლა კიდეც დევები ქარის წისქვილებად გადაქცია, რა არის, გამარჯვების დიდება, ახლა რომ უნდა მომეხვეჭა, ხელიდან გამოეცალა ჩემთვის, მაგრამ რამდენიც უნდა მიმტროს, მაინც მოვა დრო და ჩემი მახვილი იმის ჯადოქრობას დაამხოვს.

-ყველაფერი უფლის ნებაა, - უპასუხებდა სანჩო

შემდეგ თავისი ბატონი წამოაყენა, მერე, როგორც იყო, როსინანტზე შესვა, თუმცა საბრალო პირუტყვს ორივე წინა ფეხი თითქმის ნაღრმობი ჰქონდა. წისქვილებად ქცეულ დევებზე საუბრით რაინდი და საჭურველმტვირთველი დაიდრნენ და პუერტო ლაპისის ხეობისკენ შარაგზას დაადგნენ, რადგან დონ კიხოტის სიტყვით, ამ გზაზე არ შეიძლებოდა ფათერაკებს არ შეჰხვედროდა კაცი, რაკი იქ მუდამ დიდძალი მგზავრი დაიარებოდა. რაინდი შუბის დამტვრევას ძალიან სწყუხდა. თავისი გულისტკივილი სანჩოს გაუზიარა და ეუბნებოდა:

- სადღაც წამიკითხავს, რომ ერთ ესპანელ რაინდს, დონ დიეგო პერეს და ვარგასს, ბრძოლაში მახვილი გასტეხია, მუხის ვეება ტოტი მოუტეხია, მსხვილი კეტით შეიარაღებულა და იმით თურმე იმ დღეს იმდენი საგმირო საქმე ჩაუდენია და იმდენი მავრი დაუხოცნია, რომ ხალხმა მეტსახელად მავრთამჟლეტი დაარქვა და მისმა შთამომავლობამაც ეს სახელი კეტი - ვარგასი თავის გვარს მიუმატაო. ეს იმიტომ გავიხსენე, რომ შემხვდება თუ არა სადმე მუხა, ერთ დიდ ტოტს მოვტეხ, ნედლი იქნება თუ ხმელი, სწორედ ისეთს, როგორც ვარგასს ჰქონდა და იმით შეიარაღებული, ვიმედოვნებ - ისეთი დიდი საგმირო საქმეები ჩავიდინო და სასწაულები მოვახდინო, რომ მათი ნახვით შენი თავი ბედნიერად ჩათვალო, რადგან ღირსი გახდები ესოდენ დიად საქმეთა მონაწილე და მოწმე იყო; ისეთ უმაგალითო საქმეებს გიჩვენებ, რომ მომავალში მნელად ვისთვისმე დასაჯერებელი იყოს.

- ღმერთმა ინებოს, - მიუგო სანჩომ: - მჯერა, რასაც თქვენი მოწყალება ბრძანებს, მაგრამ რატომ სწორად არ ჯდებით ცხენზე? როგორღაც გვერდულად ზიხართ უნაგირზე. წელან რომ დაეცით, უთუოდ დაგიშავდათ რამე?

- მართალს ამბობ, - უთხრა დონ კიხოტმა, - თუ ტკივილს არ ვჩივი, იმიტომ, რომ მოგზაურ რაინდებს ჩივილი აკრძალული აქვთ, თუნდაც მუცელი გამოფატრული ჰქონდეთ და შიგნეულიც გარეთ გამოცვენოდეთ.

- თუ ასეა და რაინდებს ასეთი კანონები ჰქონიათ, მაშ სიჩუმე გმართებთ, მე რა მეტქმის, - მიუგო სანჩომ. - მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, მარტო ერთმა ღმერთმა უწყის, რომ ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა გეკვნესათ, როცა რამე ტკივილსა გრძნობთ, ამით შვება მოგეცემოდათ. მე კი ჩემთავად ასეთ შვებაზე უარს ვერ ვიტყვი და ერთ უბრალო ტკივილზე უშველებელ წუწუნს მოვეყვები, თუკი რაინდების საჭურველმტვირთველებსაც აკრძალული არა აქვთ კვნესა.

დონ კიხოტმა თავის საჭურველმტვირთველის გულუბრყვილობაზე ღიმილი ვერ შეიკავა და უთხრა: როცა მიზეზით ან უმიზეზოდ რამე დაგემართოს, იმდენი იკვნესე და იღრიალე, რამდენიც გეამებოდესო, მაგით რაინდთა წესს არ დაარღვევო, რადგან რაინდულ წიგნებში საწინააღმდეგო წესები არასოდეს შემხვედრიაო. ამაზე სანჩოს აღარა უთქვამს-რა, მხოლოდ მოაგონა, დროა ვისადილოთო. დონ კიხოტმა მიუგო, ჯერჯერობით მაგის საჭიროებას სულაც არა ვგრძნობ, ხოლო შენ შეგიძლია ისადიო, როცა მოგეხასიათებაო. ბატონის ამ ნებართვით გახარებული სანჩო ლაზათიანად მოეწყო თავის ვირზე, ჩანთიდან საგზალი ამოიღო და დონ კიხოტის უკანმიდევნით ისე გემრიელად შეექცეოდა და თანაც დროდადრო ისე ბეჯითად და სიამით იყუდებდა თავის ტიკჭორას, რომ მალაგის ბევრი ყოჩაღი მიკიტანი შენატრებდა მას. სანჩო მიაგომანებდა ვირს, მადიანად ილუკმებოდა, ყლუპ-ყლუპით წრუპავდა ღვინოს და ასე ქეიფით მიმავალს მთლად დაავიწყდა დონ კიხოტის ყველა დანაპირი. ეგონა, ფათერაკების



სამებრად მოგზაურობა არავითარი სახიფათო არაა, პირიქით, ძალიან სასიამოვნო და შესაქცევარი საქმეაო.

დაბოლოს, შეღამებულზე, ჩვენი მოგზაურები ერთ ტყიან ალაგს ხისძირას ჩამოხტნენ და დონ კიხოტმაც ეს შემთხვევა თავისთვის კარგად გამოიყენა: ერთ ხეს გამხმარი ტოტი მოსტეხა, ბოლოს თავის შუბის ბუნიკი გაუკეთა და შემდეგ მთელი ღამე თვალმოუხუჭავად თავის გულივარდ დულსინეაზე ფიქრებში გაატარა, რადგან არ უნდოდა იმ ჩვეულებას გადასულიყო, რაც თავის წიგნებში ამოეკითხნა მოგზაურ რაინდებზე, რომელნიც ტყესა და უდაბნოებში ღამეებს სატრფოზე ფიქრებში ათევდნენ ხოლმე! სულ სხვაგვარად გაატარა ღამე სანჩომ: სტომაქი სავსე ჰქონდა, მაგრამ კოწახურის წვენიტ კი არა; კარგად გამაძლარმა და ტიკპორიდანაც საკმაოდ ჩაყლურჭულმა ისე მაგრად მიიძინა, რომ მეორედ დილით ვერ გამოაღვიძებდა ვერც ამომავალი მზის სხივები, ვერც უამრავი ფრინველთა გაძლიერებული ჭიკჭიკი და გალობა, რომლებიც განთიადს ესალმებოდნენ, თუ დონ კიხოტს ხუთჯერ-ექვსჯერ ხმამაღლა არ დაეძახნა მისთვის. თვალები რომ მოიფშვნიტა, ყველაზე უწინ ტიკპორას მიუალერსა, მაგრამ მეტად დაღონდა, თითქმის დაცალიერებული რომ ნახა და უფრო მეტად კიდევ იმან დააღონა, რომ ამ მოგზაურობაში მისი ავსების იმედი აღარ ჰქონდა. დონ კიხოტმა საუზმეზედაც უარი თქვა და ამჯობინა ისევ ტკბილი ოცნებებით გამოეკვებნა თავი. აიბარგნენ და უწინდელსავე გზას დაადგნენ. ნაშუადღევს სამი საათი იქნებოდა, რომ პუერტო ლაპისის ხეობის შესავალს მიადგნენ. აქ დონ კიხოტმა მიმართა სანჩოს და უთხრა:

- აქ, ჩემო ძმაო სანჩო, ის ადგილია, სადაც, როგორც იტყვიან ფათერაკების მორევში ყელამდი ჩავიფლებით: ყურადღებით მომისმინე და, რაც გითხრა, არ დაივიწყო. რაც უნდა დიდ გაჭირვებაში მნახო, არამც და არამც ხმალი არ ამოიღო და არ მომეშველო, თუ დარწმუნებული არ იყო, რომ მდაბიო ხალხთან ან ვინმე მაწანწალებთან გვექნება საქმე. ამ შემთხვევაში კი თამამად შეგიძლია მომეშველო; მაგრამ, თუ რაინდებთან მომიხდეს შეტაკება, მაშინ ჩვენი წესების ძალით მათთან შებრძოლება არ შეგიძლია, მაშინ ჩვენი წესების ძალით მათთან შებრძოლება არ შეგიძლია, ვიდრე შენ თვითონ რაინდად არ დაილოცები.

- დაშშვიდებული ბრძანდებოდეთ, სენიორ, მაგ ბრძანებას ავასრულებ, - მიუგო სანჩომ, - ამ საქმეში დავას არ დაგიწყებთ, მით უმეტეს სიამოვნებით ავასრულებ, რომ ბუნებით მშვიდობიანი ხასიათის კაცი გახლავარ, სხვის ჩხუბსა და აურზაურში გარევა არ მიყვარს; სინდისის ქვეშ უნდა მოგახსენოთ, თუ ვინიცობაა ჩემი თავის დაცვა დამჭირდა, მაშინ კი ნება მიბოძეთ ყოველგვარი რაინდული წესები განზე მივაგდო და ჩემებურად მოვუარო. ეს ჩემი თხოვნა, მგონია, არც ღვთისა და არც ადამიანის კანონს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს: ყველას აქვს უფლება ხელი გაანძრიოს, როცა მისი გათახსირება სწადია ვინმეს.

- მართალია, მეც ამას ვამბობ, - მიუგო დონ კიხოტმა, - მაგრამ მაინც კვლავ გიმეორებ: როცა რაინდებთან მექნება ბრძოლა, მაშინ შენი ბუნებითი სიამაყე, რაც შეგეძლოს შეიკავე, თორემ თავზე უბედურებას დაიტეხ.

- არხეინად ბრძანდებოდეთ, - მიუგო სანჩომ, - თქვენს ბრძანებას კვირა დღის შენახვის აღთქმასავით მტკიცედ შევასრულებ.

ასე მისაუბრობდნენ ისინი, როცა გზაზე ორი ბენედიქტელი ბერი გამოჩნდა, ორივე აქლემის ტოლა ჯორებზე ისხდნენ, სახეზე ნიღაბი ეფარათ და ხელში ქოლგები ეჭირათ. მათ შორიახლო ერთი ერთი ეტლი მოჰყვებოდა, ოთხი თუ ხუთი გამცილებელი ცხენოსნით და ორი ქვეითი

კაცი. ამ ეტლით, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ერთი ბისკაელი ქალი სევილიას მიდიოდა თავის ქმართან, რომელიც, რაღაც დიდ თანამდებობაზე გამწესებული, იმ ხანებში ამერიკას უნდა წასულიყო. ეს ბერები იმ ეტლის ამალას არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ იმავე გზით მიდიოდნენ. დონ კიხოტმა დაინახა თუ არა ისინი, მაშინვე თავის საჭურველმტვირთველს უთხრა:

- ან მე ძალიან უნდა ვცდებოდე, ან არა და ისეთ შესანიშნავ ფათერაკს ვაწყდებით ახლა, რომ ქვეყანაზე ჯერ არ მომხდარიყოს. აგერ ის, შავად რომ რაღაც ადამიანის მსგავსები მოიძვრიან აქეთ, ყოველ ეჭვს გარეშე, ჯადოქრები უნდა იყვნენ და აგერ იმ ეტლით, უეჭველია, ვინმე მოტაცებული სეფექალი უნდა მოჰყავდეთ. სანჩო, მე იმათ უთუოდ გზა უნდა შევუკრა და ეს ბოროტული საქმე ჩავფუშო.

- ქარის წისქვილებთან ბრძოლაზე უარესი საქმის ჩადენას აპირებთ, მგონია, - მიგო სანჩომ, - აბა კარგად დააცქერდით და მაშინვე დარწმუნდებით, რომ ის შავი რაღაც ადამიანის მსგავსი ბენედიქტელი ბერები არიან და ეტლითაც რომ მოდის, ვინმე მგზავრი იქნება. ღვთის გულისათვის, კარგა მოიფიქრეთ, თუ რას ჩადიხართ, და ეშმაკლა კიდეც არაფერზე გაცდინოთ.

- სანჩო, კვლავ გეუბნები, ფათერაკების საქმეში სრულებით არავითარი გაგება არ გაქვს - მე კარგად ვარჩევ ჭეშმარიტებას, და რომ ეს ასეა, ახლავ დაგიმტკიცებ, - უთხრა დონ კიხოტმა.

ამ სიტყვებით მსწრაფლ მგზავრებისაკენ გაემართა, ჩადგა შუა გზაში, სადაც უნდა გამოეველოთ ბერებს, და როცა იმდენად მოუახლოვდნენ, რომ მისი ვარაუდით ხმის მიწვდენა შეიძლებოდა, ხმამაღლა დაუყვირა:

- ჰოი, თქვენ, მზაკვარ ეშმაკეულთა გავარდნილნი და სატანის შთამომავალნი! მაგ ეტლით რომ დატყვევებული კეთილშობილი სეფექალები მოგყავთ, ამ წამს გაათავისუფლეთ, თორემ ახლავე ამ ჩემი ხელით სიკვდილს შეეყრებით, ვითარცა სასჯელს მაგ ბოროტებისათვის.

ბერებმა ჯორები შეაყენეს და, როგორც ამ მუქარით, ისე დონ კიხოტის სანახაობით გაოცებულებმა, უპასუხეს:

- პატიოსანო რაინდო, ჩვენ არც ეშმაკეულთა გავარდნილები ვართ და არც სატანის შთამომავალნი, არამედ წმინდა ბენედიქტეს ორდენის ბერები გახლავართ: ჩვენთვის მშვიდად გზას მივდივართ და არ ვიცით მოტაცებული ჰყავთ ვინმე ამ ეტლში თუ არა.

- მაგ მოთაფლული სიტყვებით ვერ გამაბრიყვებთ: ვიცი, ვინცა ხართ, თქვე მატყუარა არამზადებო, - მიუგო დონ კიხოტმა. პასუხს აღარ დაელოდა და მსწრაფლ ისე გაშმაგებით მიაგდო როსინანტი ერთ ბერს, რომ თუ მას ხერხი არ ეხმარა და ჯორიდან ძირს არ ჩამოვარდნილიყო, დონ კიხოტი ან უნაგირიდან ჩამოაგდებდა და საშინლად დასჭრიდა შუბით, ან იქნებ კიდეც მოეკლა. ეს რომ მეორე ბერმა ნახა, ჯორი შექუსლა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიმდვრისაკენ მოკურცხლა.

სანჩომ დაინახა ძირს ჩამოვარდნილი ბერი, საჩქაროდ ჩამოხტა ვირიდან, ბერს მივარდა და ძარცვა დაუწყო. ამასობაში ბერების მსახურნიც მოცვივდნენ და ჰკითხეს სანჩოს: ჩვენს ბატონს ტანთ რადა ხდის? მან უპასუხა, ნამდვილი კანონისამებრ მე მეკუთვნისო, რადგან ჩემმა ბატონმა დონ კიხოტმა იგი ბრძოლაში იშოვნაო. ეს პასუხი ბერების მსახურთ ვერაფრად ეჭაშნიკათ, რადგან არაფერი ხუმრობისა, არც არა ნადავლისა და ბრძოლებისა გაეგებოდათ რაიმე და, დაინახეს, რომ დონ კიხოტმა ეტლისაკენ გაითოხარეკა და მოგზაურ ქალს მუსაიფი

გაუბა, მივარდნენ სანჩოს და ქვეშ წაიგდეს, წვერ-ულვაში დააგლიჯეს და იმდენი სცემეს, სიკვდილის პირამდის მიიყვანეს. ამასობაში შეშინებულმა და ათრთოლებულმა ბერმა დრო იხელთა, თავის ჯორს საჩქაროდ მოაჯდა და გაფითრებული თავის ამხანაგებისაკენ გაეშურა, იქვე შორიახლო მინდორში რომ დამდგარიყო და უცქეროდა, თუ რით გათავდებოდა ეს ამბავი. ერთად რომ შეიყარნენ, ამ ალიაქოთის დასასრულს აღარ დაელოდნენ, სასწრაფოდ გზა განაგრძეს და თან ისეთი ძრწოლითა და შიშით იწერდნენ პირჯვარს, კაცს ეგონებოდა, უკან ავი სულები დასდევნებიანო.

ამ დროს, როგორც უკვე ვთქვით, დონ კიხოთი ეტლის კარებიდან ბისკაელ სეფექალს ესაუბრებოდა.

- მშვენიერო სეფექალო! - ეუბნებოდა ის, - თქვენ ახლა თავისუფალი ხართ და როგორც გენებოთ, თქვენი საქმე ისე განაგეთ. რადგან ჩემმა უშიშარმა მარჯვენამ თქვენი კადნიერი დამტყვევებელნი შემუსრა. რომ იცოდეთ გათავისუფლებისათვის ვისი მადლობელი უნდა იყოთ, გიცხადებთ: მე ვარ მოგზაური რაინდი დონ კიხოთ ლამანჩელი, ტყვე უბადლო და მშვენიერი დულსინეა ტობოსელისა: ამ ღვაწლის სამაგიეროდ, რაიცა თქვენი გათავისუფლებისათვის ჩავიდინე, ამის მეტს არას მოგთხოვთ - ტობოსოს წაბრძანდით, ჩემი გულისვარდი ინახულეთ და ყოველივე უამბეთ, რაც თქვენი გათავისუფლებისათვის ჩავიდინე.

ამ მგზავრი ქალის ერთმა მხლებელთაგანმა, ბისკაელმა, გაიგონა დონ კიხოტის სიტყვები, დაინახა, რომ დონ კიხოტი ასე დიდხანს აბრკოლებდა ეტლს და არ უშვებდა ქალს, ვიდრე პირობას არ ჩამოართმევდა, ახლავ ტობოსოსაკენ შეეხვია, - მოთმინებიდან გამოსული მივიდა დონ კიხოტთან, შუბს ხელი უტაცა და ცუდი ესპანურითა და უფრ ცუდი ბისკაური ენით შემდეგი უთხრა:

- იქით დაიკარგე, რაინდო, და ჯანდაბამდისაც გზა გქონია; თორემ ჩემს გაჩენას ვფიცავ, თუ ამ ეტლს არ ჩამოეცლები, თავს წაგაგდებინებ. ბისკაელი აღარ ვიყო, თუ ეს არ ჩავიდინო.

დონ კიხოტი მშვენივრად მიხვდა ბისკაელის ნათქვამს და გულგრილი თავდაჭერილობით უპასუხა:

- საცოდავო ქმნილება! შენ რომ რაინდი იყო და არა ყურმოჭრილი მონა, ნახავდი, რა სასჯელსაც მოგაყენებდი მაგ თავხედობისა და კადნიერებისათვის.

ბისკაელმა მიუგო:

-ვინა? მე არა ვარ რაინდი? გამჩენსა ვფიცავ, ასეთი სიცრუე ჯერ არც ერთ ქრისტიანს არ უთქვამს. აბა დააგდე ეგ შუბი და ხმალი იმიშვლე, მე გაჩვენებ თუ არა ვარ რაინდი. ვიდრე კატას წყალში შეაგდებდე, უმალ შენ ჩავარდები შიგ. მე ბისკაელი ვარ. ჯანდაბას იდალგოები, ზღვა და მეწყერში მათი თავი და ტანი! თუ სდუმხარ, მამასადამე, სტყუი!

- ამას ახლავე დაინახავ, როგორც ამბობდა აგრაპესი, - მიუგო დონ კიხოტმა.

და შუბი გადააგდო, ხმალი იმიშვლა, ფარი მოიმარჯვა და ბისკაელს თავს დაესხა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მისი მოკვლა. ბისკაელმა ეს რომ დაინახა, ჯორიდან ჩამოხტომა დააპირა, რადგან იგი ნაქირავები ჰყავდა და ბრძოლაშიც სანდოდ არ მიაჩნდა; მაგრამ ამ

უეცარი თავდასხმით ისიც ძლივსღა მოახერხა, რომ ხმალი იძრო. იმისი ბედი, რომ ეტლის ახლოს იყო და იქიდან ბალიშის გამოძრობა მოასწრო, რომ ფარის მაგიერ მოეფარებია. და აი, ჩვენი მოწინააღმდეგენი, ორი მოსისხლე მტერივით, პირისპირ დაუდგნენ ერთმანეთს. ყველა იქ მყოფი მებრძოლთა გაშველებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. ბისკაელი ისე გაჭირვეულდა, რომ თავის ჩიქორთული ენით მოკვლას ემუქრებოდა, ვინც მას ხელს შეუშლიდა, თუნდაც თვითონ ქალბატონი ყოფილიყო. ამ სცენით შეშინებულმა და გაცეხულმა ეტლში მჯდომმა ქალმა უბრძანა მეეტლეს - ეტლი ოდნევე განზე გადაეყენებინა, და ამ გააფთრებულ ბრძოლას შორიდან დაუწყო ცქერა. ამ დროს ბისკაელი ეცა თავის მოწინააღმდეგეს და ხმლით ერთი ისეთი სთხლიშა მხარში, თუ ფარი არ დახვედროდა, სწორედ შუაზე გასჩებდა ჩვენს რაინდს. საშინელი დარტყმისაგან გაბრუებულმა და გამწარებულმა დონ კიხოტმა ხმამაღლა შესძახა:

- ჰოი, უბადლო დულისინეა, დედოფალო ჩემი გულისაო, მშვენიერების მეფევ, მწედ ექმენ თქვენს რაინდს! თქვენს მორჩილების ქვეშ მყოფი რომ აწ ესოდენ საშიშროებაში ჩავარდა, რათა მართებულად შეაფასოს თქვენი სიქველე და სათნოება და ფიცხელ ბრძოლას აპირებს.

ამის თქმა, ხმლის მაგრად ჩაბლუჯვა, ფარის მოფარება და მტრის თავს მედგრად დაცემა ერთი წუთის საქმე იყო: მან განიზრახა თავი გაეწირა და ორთაბრძოლა ერთის დარტყმით დაემთავრებია. მოწინააღმდეგის მედგარ გამომეტყველებაზე ბისკაელი მიხვდა მის მამაცურ განზრახვას და გადაწყვიტა არანაკლებ ვაჟკაცურად დახვდომოდა შემოტევას: ბალიშის მოფარებით თამამად ელოდა ამ თავდასხმას, უძრავად იდგა, რადგან მისი დაუძლურებული და მსგავსი აყალმყალისათვის გაუწვრთნელი ჯორი ერთ ალაგას გახინდრულიყო და პატრონმა ვერც მარჯვნივ და ვერც მარცხნივ ვერ შეძლო მისი მიბრუნ-მობრუნება. ამგვარად, ვიმეორებთ, დონ კიოტი მიიწევდა ცბიერი ბისკავლისაკენ, ხმალამოწვდილი თავს ესხმოდა და ლამობდა მის შუაზე გაჩეხვას, ხოლო ბისკაელი ელოდა მას ბალიშმოფარებული, ხმალმომარჯვებული და იმედი ჰქონდა ბალიშის მოფარებით აეცდინა ეს დარტყმა: ამავე დროს მაყურებელნი სულგანაბულნი და შეშინებულნი უცდიდნენ, თუ როდის დაემეგობდნენ ბოლოს და ბოლოს ეს მაღლა შემართული მრისხანე ხმლები. ეტლში მყოფი ქალბატონი და მისი მოახლეები ლოცულობდნენ და ათას აღთქმას უდებდნენ ესპანეთის ყველა ღვთისმოსავთ და წმიდა სავანებს, ოღონდ უფალი მათ საჭურველმტვირთველს მეწეოდა და მათთვისაც ეს საშინელი განსაცდელი აურიდებია. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიის ავტორი სწორედ ამ საყურადღებო ალაგას წყვეტს ბრძოლის აღწერას და იმაზე აღარას ამბობს, თუ რით დამთავრდა ეს საშინელი ბრძოლა. თავს კი ასე იმართლებს დონ კიოტის თავგადასავალზე ზემოხსენებული ამბების გარდა სხვა ვერავითარი ცნობები ვეღარ ვიპოვე: მაგრამ ამ ნაშრომის მეორე ავტორს, მას, ვისაც ბედმა არგუნა ამ მეტად საყურადღებო ამბის გაგრძობა, არაგზით არა სჯეროდა, რომ ასეთი ჩინებული ისტორია დავიწყებას მიეცემოდა და ლამანჩის საუკეთესო მწიგნობრები ესოდენ მცირედ იზრუნებდნენ თავიანთი დადებისა და სახელისათვის, რომ საკუთარ დავთარხანებსა და წიგნთსაცავებში ამ სახელოვან რაინდზე ხელნაწერებს არ შეინახავდნენ. ამ მოსაზრებით დაიმედებულს წამდა, რომ ჩვენი თავშესაქცევარი მოთხრობის დასასრულს იპოვიდა: ღვთის მოწყალებით, მართლაც იპოვა ის დასასრული, ხოლო თუ როგორ და სად ეს მეორე ნაწილში იქნება მოთხრობილი.

თავი IX

სადაც მოთხრობილია მამაც ბისკაელსა და სახელოვან ლამანჩელს შორის გასაოცარი ბრძოლის ბოლო და დასასრული

ამ ისტორიის პირველ ნაწილში ჩვენ იმ დროს დავტოვეთ სახელოვანი დონე კიხოტი და მამაცი ბისკაელი, როდესაც მათ გაშიშვლებული ხმლები ააელვარეს და ისეთ სასტიკ დარტყმას უქადდნენ ერთმანეთს, რომ, თუ ფარები არ ჰქონოდათ, ორად გაჭრილ ბროწეულივით შუაზე გაიჩეხებოდნენ; და სწორედ ამ გადამწყვეტ წუთში შეწყდა ჩვენი საინტერესო ისტორია, მასთან ავტორმაც აღარ გვამცნო, თუ სად უნდა მოგვეძებნა მისი დასასრული.

ამ გარემოებამ მეტად დამალონა და რა სიამოვნებაც იმ მშვენიერი წიგნის ხანმოკლე კითხვის დროს ვიგრძენ, სავსებით ჩამიშხამდა: მით უმეტეს, როცა ვიფიქრე, თუ რა სიძნელენი და დაბრკოლებანი უნდა გადამელახა ამ თავშესაქცევარი მოთხრობის ფრიად ვრცელი ნაწილის საპოვნელად. მაინც კი - როგორღაც არ მჯეროდა, და ყოველგვარი წესების დარღვევად მიმაჩნდა, რომ ისეთ სახელოვან რაინდს, როგორც დონ კიხოტი იყო, თავის წილად ბერძენი ვინმე არ გამოსჩენოდა და მისი ჯერ არ გაგონილი, არნახული - თავგადასავალი ქვეყნისათვის არ ეამბნა, რადგან არც ერთი მოგზაური რაინდი,

სახელოვანი ქვეყნად ესოდენ

ფათერაკების მამიებლობით,

არ დარჩენილა თავის უისტორიკოსოდ: ყოველ მათგანს, თითქოს შეკვეთით, გამოუჩნდა თითო ან ორი ბრძენი მოხუცი, რომლებმაც არა თუ აღწერეს მათი ამბები, არამედ გვამცნეს ფრიად უმნიშვნელო აზრები და ბალღური ცელქობანი, როგორი დაფარულნიც არ უნდა გოფილიყვნე ისინი. არა მჯეროდა, რომ ჩვენი რაინდი ესოდენ ბედუკუღმართი აღმოჩნდებოდა და იმ პატივს მაინც არ ეღირსებოდა, რა პატივიც პლატირსა და მის მსგავს უხეირო რაინდებს ეღირსათ; კიდევაც ვიტყვი, არ შემეძლო იმ აზრს დავთანხმებოდი, რომ ეს შესანიშნავი ამბავი დაუსრულებელი, შეკვეცილი და დამახინჯებული დარჩენილიყო და ვფიქრობდი: ეგებ ყოვლის ჩანმთქმელმა დროთა ბრუნვამ შეასრულა და გააცამტვერა, ან ვინ იცის სადმე დავთარხანაში მტვერსა და ჩეჩქვეშ მიმალულია მეთქი.

მეორე მხრივ ამას ვამბობდი: თუ დონ კიხოტის წიგნებში ისეთი თანამედროვე თხზულებებიც ერივნენ, როგორცაა "ეჭვიანობის წამალი" ან "ჰენარესელი ნიმფები და მწყემსები", მაშ, ცხადია, მისი ამბავიც ძველი დროისა არ უნდა იყოს-მეთქი და თუ ჯერ არავის დაუწერია, იმ არემარის მცხოვრებთ მაინც ზეპირად ეხსომებათ, რა არემარეშიც რაინდი იყო დაბადებული-მეთქი. ეს ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა: დარდად გამიხდა, ჩვენი სახელმოხვეჭილი ესპანელის დონ კიხოტ ლამანჩელის ნამდვილი და მართალი ცხოვრება და გასაოცარი მოქმედებები შემეტყო, ლამანჩის რაინდობის ამ ბრწყინვალე მანათობელისა, იმ პირველი კაცისა, ჩვენს ეპოქასა და ტიალ დროში მოგზაური რაინდობის აღდგენა რომ განეზრახა, ბოროტის დევნა და ქვრივთა გამოსარჩლება ედვა თავს და კიდევ იმ უბედურ ქალწულთა მფარველობას დასდგომოდა, ცხენებზე მჯდარი, ხელში მათრახით, თავიანთი უმანკოებით დატვირთულნი მთა-ველებზე ხეტიალში რომ ატარებდნენ დროს ისე უზრუნველად, რომ თუნდაც რომელიმე ჩუგლუგიანი მაწანწალა გლეხუჭის, საშინელი გოლიათის ან უზრდელი რაინდის შემცოდე გახზრახვისაგან უვნებლადაც გადარჩენილიყვნენ, მაინც ოთხმოცი წლის ხეტიალის შემდეგ, რა ხანშიაც ერთი ღამეც არ გაუთევიათ თავიანთ ჭერქვეშ, საფლავს ისევე უმანკონი ჩადიოდნენ, როგორც მათი დედები იყვნენ უმანკონი. ამ მხრივ და სხვა მრავალ მოსაზრებათა გამო, ვადასტურებ, რომ ჩვენი უშიშარი დონ კიხოტი უკუნითი უკუნიდანღე ღირსსახსოვარ ქების ღირსია და ამ ქების ნაწილი მეც უნდა მეკუთვნოდო იმ დაუცხრომელი

მეცადინეობისათვის, რაც ამ სასიამოვნო ამბის დასასრულის ძებნასა და გამოქვეყნებაში გავწიე. რასაკვირველია საკვირველია, ბედნიერი შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, გამჩენი და ბედი რომ არ დამხმარებოდა, ჩემი მეცადინეობა სულ ფუჭად ჩაივლიდა და მთელ ქვეყანას ის ორიოდვე საათის სიამოვნება და თავშესაქცევარი მოაკლდებოდა, რასაც განიცდის ახლა ამ ისტორიის ყოველი გულდასმით წამკითხველი. მე კი ეს დასასრული აი, როგორ ვიპოვე:

ერთხელ ტოლედოში, ალკანის ქუჩაზე სეირნობის დროს, შემთხვევით თვალი შევასწარ, ერთი ბიჭი აბრეშუმეულის ვაჭარს რამდენიმე ძველ, რვეულს და ქალაქს სთავაზობდა. რადგან ბავშვობითვე ისე მიყვარდა კითხვა, რომ ქუჩაზე ნაგდებ ქალაქის ფარატინსაც კი ავიღებდი ხოლმე წასაკითხავად, ამ ბუნებითა თვისებამ წამძლია და იმ ბიჭს საჩქაროდ ერთა რვეული გამოვართვი: საუბედუროდ არაბულ ენაზე იყო დაწერილი. თუმცა ვიცოდი არაბული ნაწერი იყო, მაგრამ წაკითხვა არ შემეძლო და აი, ცოდნისმოყვარეობამ გამიტაცა, აქეთ-იქით ცქერა დავიწყე, ეგებ ვინმე მორისი დამენახა, რომ ის ნაწერი წაეკითხა და გადაეთარგმნა. ასეთი მთარგმნელის პოვნა არც ისე ძნელი საქმე იყო: ტოლედოში ამაზე უფრო ძნელი და უკეთესი ენის გადმომთარგმნელებიც მოიპოვებოდნენ. მალე ბედმა ერთ-ერთ ასეთ მავრს შემახვედრა; ჩემი სურვილი ავუხსენ და რვეული გადავეცი. შუაზე გადაშალა, რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა და ხმამაღლა სიცილი მორთო. რას იცინი-მეთქი - ვკითხე, და მან მიპასუხა: ამ რვეულის არშიებზე შენიშვნებად ჩართულმა წარწერამ გამაცინაო. ვთხოვე გადაეთარგმნა, და მან სიცილით მითხრა:

- ამ რვეულის არშიებზე, როგორც გითხარი, შემდეგი სწერია: ამ ამბავში რომ ასე ხშირად დულსინეა ტობოსელი იხსენიება, ამბობ, მთელს ლამანჩში ყველა ქალზე უკეთესად იცოდა შამხის გაკეთებაო".

დულსინეა ტობოსელის სახელი რომ გავიგონე, მეტად გამიკვირდა და გავოცდი: მაშინვე ვიფიქრე, ამ რვეულში უთუოდ დონ კიხოტის ამბავი უნდა იყოს-მეთქი, და ამ ფიქრით შეპყრობილმა მავრს ვთხოვე რვეულის სათაური საჩქაროდ წაეკითხა. იმან სურვილი შემისრულა და პირდაპირ არაბულიდან ესპანურად ასე გადმომითარგმნა: "დონ კიხოტ ლამანჩელის ისტორია, აღწერილი არაბი ისტორიკოსის სიდ ჰამედ მენენჰელის მიერ".

იმ წუთს, როცა ამ წიგნის სათაური გავიგე, ჩემი აღტაცება ძლივს შევიკავე. აბრეშუმის ვაჭართან გავიქეცი, პატარა ბიჭს მისი ქალაქები და რვეულები ხელიდან გამოვგლიჯე და ყველა ნახევარ რეალად ვიყიდე. ის რომ უფრო მიხვედრილი ყოფილიყო, ცოდნოდა, რარიგად საჭირო იყო ჩემთვის ის რვეულები, რაღა თქმა უნდა, ექვსიოდე რეალსაც სხვას დამათვლევინებდა. ვიყიდე თუ არა, შინისკენ წაველ და მორისკიც თან წავიყვანე. მარტო რომ დავრჩით, ერთი საკრებულო ტაძრის კედელს უკან, ვთხოვე რვეულები, ან მარტო ისინი მაინც, რომელნიც დონ კიხოტის ამბავს შეიცავდნენ, ესპანურ ენაზე გადაეთარგმნა, ისე კი, რომ არც რამ მოეკლა არც რამ თავისით მიემატებინა, და რასაც ამაში მთხოვდა, ამთავითვე მიცემას დავპირდი. ამ შრომის ჯილდოდ მან ორი არობა ქიშმიში და ორი ფანეგა ხორბალი მთხოვა და ყველა რვეულის ჩქარა და სიტყვასიტყვით გადათარგმნა აღმითქვა. მაგრამ ეს საქმე რომ დამეჩქარებია და აგრეთვე ბედნიერი ნაპოვარი ხელიდან აღარსად წამსვლოდა, მორისი მაშინვე შინ წავიყვანე. მთელი ისტორიის თარგმანი თვენახევარში გამითავა, სწორედ იმ სახით, როგორადაც აქ გადმოგცემთ.

პირველ რვეულში ბისკაელისა და დონ კიხოტის ბრძოლა იყო ფრიად ბუნებრივად დახატული; ორნიც სწორედ იმ მდგომარეობაში იყვნენ წარმოდგენილნი, რა მდგომარეობაშიც ჩვენ ისინი

დავტოვებთ - ორნივე ერთმანეთზე ხმლებშემართულნი იყვნენ-ერთი ფართი და მეორე ბალიშმოფარებული. ბისკაელის ქვეშ, რომლის ჯორიც ისე მშვენივრად და ცოცხლად იყო დახატული, რომ თოფის გასროლაზეც შეატყობდა კაცი - ნაქირავები უნდა ყოფილიყო, - ეწერა: დონ სანჩო დე ასპეიტია - ალბათ, ეს მისი სახელი იყო. როსინანტის ქვეშ კი ეწერა: დონ კიხოტი. როსინანტიც მშვენივრად იყო დახატულა: ისე მჭლე და გაგრძელებული, გაჭიმულკისრიანი, ქვიქვირჩამოგდებული და უბადრუკი სანახაობისა რომ ყველა ადვილად მახვდებოდა, თუ რად ერქვა მას როსინანტი. როსინანტიც გვერდით სანჩო პანსა იყო დახატული და თავის ვირის სადავე ხელით ეჭირა; იმის ქვეშ წარწერილი იყო - სანჩო სანკასი! ეს მეტსახელი მგონი ნი იქიდან წარმოდგებოდა, რომ სანჩოს როგორც სურათზე ეტყობა ადა, დიდი მდცელი, მოკლე წელი და დაგრეხილი. დეხები უნდა ჰქონოდა; ამიტომაც უნდა ყოფილიყო, რომ ისტორიკოსი მოთხრობაში იმას ხან პასად იხსენიებდა, ან სანკასად, შეიძლებოდა აქ ზოგი რამ სხვა წვრილმანიც მოგვეხსენებინა, მაგრამ, რადგან ისინი თავისთავად უმნიშვნელონი არიან და ჩვენი მართალი მოთხრობაც მათი მოხსენებით თავის სინამდვილისათვის ვერას შეიმატებს, - სინამდვილისათვის-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ არც ერთ მოთხრობაზე ცუდი არ ითქმის, თუ კი იგი მართალია, - ამიტომაც ამ წვრილმანებს უყურადღებოდ ვტოვებ.

ამ მოთხრობისათვის კი თუ შეიძლებოდა რაიმე სიცრუე გვეწამებინა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არაბისაგან არის დაწერილი და არაბები კი ჩვეულებრივ ცრუები არიან. მაგრამ, მეორე მხრივ, ასე უნდა ვთქვათ, რომ. რადგან არაბები ჩვენი მოსისხლე მტრებიც არიან - უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ისტორიკოსი ამ მოთხრობას უმაღლესად დააკლებდა, ვიდრე მიუმატებდა რამეს: მაინცდამაინც მე ასეთი აზრისა ვარ, მართლაც და იგი მეტად მოკლედ წერს, ბოგანაც, როცა რიგი იყო თავისუფლება მიეცა თავის კალმისათვის და უფრო გრძლად ელაპარაკა ჩვენი სახელოვანი რაინდის შესაქებად, ის თითქოს განგებ დუმილს არჩევს და სულ არას ამბობს. განს ეს საკადრისი საქციელია და მზაკვრული განზრახვა არაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ისტორიკოსთა მოვალეობაა - იყვნენ ზუსტნი, მართალნი და მიმკერძოებელნი, და ვერც რაიმე ანგარებამ, ვერც შიშმა, ვერც მტრობამ, ვერც მეგობრობამ ვერ უნდა ააცდინოს ისინი გზაა ჭეშმარიტებისა, რომლის მშობელი დედაა ისტორია. იგია კაცთა მოქმედების სალარო, წარსულ დღეთა ამბების პირუთვნელი მოწამე, აწმყო დროის ბრწყინვალე მაგალითი და ჭკუისმასწავლებელი, მყობადისათვის გამოსადეგი სწავლით მოფენილი გაფრთხილება და მე ვიცი: ამ ისტორიაში თქვენ იპოვით ყველაფერს, რასაც ჩვეულებრივად ეძებენ უაღრესად თავშესაქცევარ თხზულებებში; და უკეთუ შიგ რაიმე ნაკლი აღმოჩნდება, დარწმუნებული ვარ, ამის დამნაშავე სიუჟეტი როდი იქნება, არამედ იმ ქოფაკ-მწერლის უცოდინარობა და, მოუხერხებლობა. მაშ ასე, ამ ნათარგმნი ისტორიის მეორე ნაწილი ასე იწყება: ...როცა ჩვენმა მამაცმა და გამძვინვარებულმა მოწინააღმდეგეებმა თავიანთი ბასრი ხმლები იშიშვლეს და ერთმანეთს მედგრად შეუტყეს, ისეთი ვაჟკაცური და შეუპოვარი გამომეტყველება ჰქონდათ, რომ იფიქრებდით ორივეს ცა-დედამიწისა და თვით ჯოჯოხეთის შემუსვრა განუზრახავსო ბუ ფიცხმა ბისკაელმა პირველმა მოუქნია ხმალი და ისე გააფრებით და ძლიერად რომ თუ ის ხელში არჩადაატრიალებოდა, არა თუ ამ სასტიკ ორთაბრძოლას, ჩვენი რაინდის ყველა შემდეგ თავგადასავლებსაც ბოლოს მოუღებდა. მაგრამ, ალბათ, ბედი უფრო დიდი საქმეებისათვის ინახავდა დონ კიხოტს და, როგორც ვთქვით, ბისკაელს გვერდზე გაექცა ხმალი, ისე რომ მარცხენა მხარში მოხვდა რაინდს და ქაქანი მიუღწეა, მაგრამ ვიდრე ქაქანს მოხვდებოდა, გზა-გზა ჩაქანს გვერდი მოასხიპა და რაინდს ნახევარი ყური ჩაათალა, ყველაფერი ეს საშინელი რახრახით დაცვივდა ძირს, და ჩვენი რაინდი ფრიად სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა.

ღმერთო დიდებულო! განა წარმოიდგენს ვინმე, რა გაშამაგებამდის მივიდა ჩვენი ლამანჩელი, ეს დარტყმა, რომ იგორძნო? დონ კიხოტი ფიცხლავ უზანგებზე წამო მართა, ხმაც ორივე ხელი მოჭიდა და ბისკაელს ისე საშინლად დაარტყა თავში, რომ ბალიშის მოფარებამაც ვერ უშველა საბრალოდა ასე ეგონა, მთელი მთა თავზე დამენგრათ. ამ დარტყმა ცხვირ-პირიდან და ყურებიდან სისხლი წასკდა, შეტორტმანდა და უეჭველად ძირს ჩამოვარდებოდა, თუ თავის ჯორს კისერზე არ მოხვეოდა: ბოლოს უზანგებიდან ფეხები ამოუვარდა და იგი კისერზე დაეკიდა ჯორს. ამ უჩვეულო მოძრაობთ და საშინელი დარტყმით დამფრთხალი, სადავემოშვებული ჯორი შეშინდა, უცბად განზე გახტა და წიხლების ცემით მოკურცხლა, ბისკაელმა მიწაზე ბრაგვანი მოიღო.

დონ კიხოტი ამ ამბავს ძალიან გულგრილად უცქეროდა როცა თავისი მტერი მიწაზე გამხლართული დაინახა, მსწრაფლ ცხენიდან ჩამოხტა. მასთან მიიჭრა, ხმლის წვერი თვალებთან მიუღერა და შესძახა: დამმორჩილდი, თორემ თავს მოგკვეთო. ბისკაელი ისე იყო ღონემიხდილი და დარეტყანებული, ხმის ამოდებაც არ შეეძლო, და გაშამაგებული რაინ არც დაინდობდა, ისე იყო განრისხებული, თუ ეტლში მჯდომი, ამ შერკინების აქამდის შორიახლოდან მაცქერალნი ქალები შიშისაგან ათრთოლებულნი ეტლიდან არ ჩამომხდარიყვნენ და რაინდისთვის მუდარით არ მიემართათ, რომ მათი მსახურისათვის მოწყალება მოელო და სიცოცხლე ეჩუქებინა. ამაზე დონ კიხოტმა დინგად და მედიდურად უპასუხა:

- ოღონდაც, რომ დიდი სიამოვნებით უნდა ავასრულო თქვენი თხოვნა, მშვენიერო სეფე ქალნო; მხოლოდ ერთის პირობით კი: აღთქმა დამიდგას ამ რაინდმა, რომ სოფელ ტობოსოში მივა, ჩემი სახელით უებრო დულსინეას წინ წარსდგება და თავის ბედიღბალს მის განკარგულებას ჩააბარებს.

შეშინებულმა და შეწუხებულმა ქალებმა ეს თხოვნა კარგად ვერც კი გაიგეს, არ იცოდნენ და არც ჰკითხეს, ვინ იყო ის უებრო დულსინეა, მაინც აღუთქვეს, რომ მათი საჭურველმტვირთველი ყველა მის პირობას აასრულებდა.

- მაშ, დაე, იცოცხლოს თქვენი თავდებობით, - ბისკაძეზე მითითებით უპასუხა დონ კიხოტმა. - თქვენი მადლო. ბელი იყოს, თორემ თავის გოროზობისათვის ამ წყალობას ღირსი არ იყო. ამიერიდან არავითარ ზიანს არ მივაყენეო, თუმცა მან ეს დაიმსახურა.

თავი X

დონ კიხოტისა და მისი საჭურველმტვირთველის სანჩო პანსას

მახვილგონივრული საუბარი

ამასობაში ბერების მსახურთაგან ლაზათიანად დაბეგვილი სანჩო, როგორც იყო, ფეხზე წამოდგა, უკვე წელში გაიმართა და დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს თავისი ბატონის დონ კიხოტის ორთაბრძოლას. გულმოდგინედ ევედრებოდა ღმერთს გამარჯვება ჩვენი რანდისათვის მოემადლა, რადგან იმედი ჰქონდა იმ კუნძულს და-ი-პყრობდა და სანჩოს საგუბერნატოროდ აჩუქებდა. როცა თავის ბატონი გამარჯვებული დაინახა და ისიც, რომ როსინანტზე შეჯდომას აპირებდა, სწრაფად მივარდა უზანგის დასაჭერად, და სანამ ის შეჯდებოდა, წინ დაუჩოქა და ხელზე ამბორით უთ-ხ-რ-ა:



- მოწყალება მოიღეთ, ჩემო კეთილო ბატონო დონ კიხოტ, და ამ ცხარე ბრძოლაში, რომ კუნძული დაიპყართ, მე მაჩუქეთ; რაც უნდა დიდი იყოს, მაინც იმდენს ძალ-ღონესა ვგრძნობ ჩემში, რომ იმედი მაქვს, სხვა კუნძულების გუბერნატორებზე უარესად არ გავუძლვები.

ამაზე დონ კიხოტმა მიუგო:

- იცოდე, ჩემო მეგობარო სანჩო, ეს ფათერაკი ისეთი არ იყო, რომ კუნძული დამეპყრო, ეს ჩვეულებრივი შინა გზისებური წაკინკლავება იყო, საიდანაც არ შეიძლება კაცი იმის მეტს მოგებას რასმე გამოელოდეს, რომ ან კისერმოტეხილი დარჩეს და ან ყურმოთლილი. მაინც ნუ დაღონდები, ცოტაც მოითმინე: ჯერ კიდევ ბევრი ისეთი შემთხვევა მექნება, რომ არა თუ მარტო კუნძულის ჩუქებას და გუბერნატორად დაყენებას, არამედ სხვა უკეთეს რამესაც მოგიხერხებ.

ამის გამგონე სანჩომ აღარ იცოდა თავის ბატონისათვის მადლობა როგორ გადაეხადა. ხელზე და კალთაზე ეამბორა, როსინანტზე შეჯდომა უშველა, მერე თვითონ აფოფხდა თავის ვირზე და უკან დაედევნა. დონ კიხოტი ცხენზე შეჯდა თარა, მახლობელ ტყისაკენ ისე ჩქარა გაგქაჩა, ეტლში მჯდომ ქალებს არც კი გამოთხოვებია და ერთი სიტყვაც არ უთქვამს მათთვის, სანჩო, რაც კი შეეძლო, მიათოხარიკებდა თავის ვირს, მაგრამ როსინანტს მაინც ვერ ეწეოდა და ამ გაჭირვებაში, რომ იყო, თავის ბატონს დაუყვირა: დამიცადეო. დონ კიხოტმა გაიგონა ძახილი და როსინანტს შეაყენა. როცა მას მოქანცული საჭურველმტვირთველი წამოეწია, უთხრა:

- მგონია, სენიო, ურიგოს არ ვიზამდით, სადმე ეკლესიას შევეფარებოდით, რადგან იმ თქვენს დამარცხებულ მტერს ძალიან ცუდი და სავალალო საქმე დამართეთ; ვაი თუ, სანამ აქედან თავს დავაღწევთ, სანტა ჰერმანდადას ყურამდის მივიდეს ეს ამბავი და წმიდა სამსჯავრომ საპყრობილეში ამოგვაცოფინოს თავი. ღმერთმანი, ხელში თუ ჩაგვიგდეს, ვის იცის როდისღა გავგათავისუფლონ და ბევრ ოფლს დავღვრით, სანამ იქიდან თავს დავაღწევთ.

- ჩუმიად იყავ, რომ იცი, რას აბობ! - უთხრა დონ კიხოტმა. - განა სადმე გაგიგონია ან წაგიკითხავს, რომ მო ზაური რაინდი სამსჯავროში მიეხმობ, რაც უნდა ბევრი მტერი დაემარცხებინოს და თუნდაც მრავალი კაცი გაეჟლიტოს?

- მე თქვენი მტრებისა და კაცთჟლეტისა არა ვიცი-რა, მიუგო სანჩომ, - და არც ვისთანმე მქონია მტრობა და არა სოდეს ამ საქმეში არ გავრეულვარ. ის კი ვიცი, რომ სანტა ჰერმანდადას ყველა შარაგზაზე მოჩხუბარი ძლიერ აინტერესებს და ჭკუას ასწავლის მათ. მე მარტო ეს მაწუხებს.

- ტყუილად გაწუხებს... ნუ იდარდებ, ჩემო მეგობარო, უარა დონკიხოტმა. - დარწმუნებული იყავ, თუ გაჭირტა, არა თუ ჰერმანდადას ხელიდან, არამედ ქალდეელთა ხელიდანაც გამოგლეჯ. ახლა, შენს მზეს, გულახდილად მითხარ: როგორ გგონია, მთელი დედამიწის ზურგზე მოიპოვება სადმე ჩემებრ უშიშარიჩრინდი? გინახავს, ან სადმე რომანებში წაგიკითხავს, რომ ვინმე სხვა რაინდი ასე ჩემებრ გულადი ყოფილიყოს, ასე მედგრად შერკინებოდეს მტერს, ასე გამძლე ყოფილიყოს, მოგერიებაში, ასე მარჯვე და სწორი იარაღის ხმარებასა და მტრის დამხობაში?

- სწორე მოგახსენო არ მინახავს და უფრო კიდევ არავითარ რომანებში არ წამიკითხავს,; რადგან კითხვა სულ არ ვიცი. - მიუგო- სანჩომ; - მაგრამ იმაზე კი შემიძლია დავიფიცო, რომ ჩემს სიცოცხლეში (ერ ისეთ მამაც ბატონთან არავისთან - მახსახრნაა: როგორც თქვენა ბრძანდებით, ახლა ღმერთს მხოლოდ იმას ვთხოვ, მაგ სიზარმაცემ, ახლა, რომ ვახსენე, იმ მყუდრო სავანემდე არ გაგიყვანოთ, სადამდისა ჩემის ფიქრით, ადვილია მისვლა. მაგრამ, ჩემო

ბატონო, გვედრებით ემაგ თქვენს ყურს მოუარეთ, თორემ სისხლი ძალიან გდით. ჩანთაში ნაძენძი და ცოტაოდენი თეთრი მალამო მაქვს - მოგართმევთ.

- ეგენი არ მომინდებოდა, - მიუგო დონ კიხოტმა, ერთი შუშა ფიერაბრასის უებარი ბალზამი რომ მომემზადებინა და თან წამომეღო; იმის ერთი წვეთი ფიცხლავ გამკურნავდა. ამით დროსაც მოგაგებდი და წამალსაც დავზოგავდით.

- ეგ რა შუშაა, ან რა ბალზამი გახლავთ მაგისთანა: ჰკითხა სანჩო პანსამ.

- ისეთი ბალზამია, რომ მისთვის არავითარი ჭრილობა და სიკვდილი არ არსებობს. მე თვითონ ვიცი მისი გაკეთება, - მიუგო დონ კიხოტმა. - გამიგონე, სანჩო იმ საოცარ ბალზამს, რომ გავაკეთებ და ჩაგაბარებ ვინიცობაა მნახო, რომელიმე ბრძოლაში. შუაზე გამხეხონ (რაიცა მოგზაური რაინდისათვის ადვილი მოსალოდნელია), ნუ შეკრთები, ძირს ჩამოვარდნილი ჩემი ნახევარი დედამიწიდან ფრთხილად აიღე და სანამ სისხლი გაცივდებოდეს და შედედებოდეს, უნაგირზე დარჩე. წილ ნახევარს თანასწორად, კარგა ჯულიად და ზუსტად მიადგი, მაგრამ ისე ოსტატურად კი უნდა მიადგა, რომ მეტნაკლები არსად მოგივიდეს მაშინ იმ ბალზამის ერთი ორი ყლუპი ჩამაყლაპე და ნახავ. თუ როგორ ფიცხლავ გავცოცხლდები და ვაშლივით ლოყაწითელთ და საღი შევიქნები.

- მაშ თუ ეგრეა, - წამოიძახა სანჩომ, - დაუყოვნებლივ უარს ვამბობ თქვენგან დაპირებულ კუნძულის გუბერნატორობაზე და ჩემი დიდი და ერთგული სამსახურის ჯილდოდ გთხოვთ მარტო იმ ბალზამის გაკეთება მასწავლოთ და მისი შედეგნილების ნუსხა მომცეთ. მტკიცედ ვარ დარწმუნებულია, ერთი უნცი ყველგან, თუ უფრო ძვირად არა, ორ-სამ რეალად მაინც გაიყიდება. ეს ფული კი ძალიან საკმარისი იქნება ჩემი სიცოცხლე პატიოსნად და გაუჭირვებლად გავატარო. მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, მაგ საკვირველი წამლის მომზადება ძვირად ჯდება?

- სამ რეალად სამ ასუმბრაზე მეტს გააკეთებ. - მიუგო დონ კიხოტმა.

- ვაი, მე ცოდვილს, - შეჰყვირა სანჩომ, - მერე რაღას აგებინებთ და იმის გაკეთებას არ მასწავლით? ჩემო ბატონო, ერთი ეს მიბრძანეთ, რა გვიშლის ხელს, ახლავ რამდენიმე ასუმბრა ბალზამი, რომ გავაკეთოთ?

- მოითმინე, ჩემო მეგობარო, მე შენთვის უკეთეს ჯილდოს ვფიქრობ და სხვა საიდუმლოსაც ბევრს გასწავლი, - მიუგო დონ კიხოტმა. - ახლა კი ყური შემიხვიე, რაღაც... ტკივილმა მიმატა.

სანჩომ ჩანთიდან ნაძენძი და მალამო ამოიღო, ხოლო დონ კიხოტმა თავის ჩაჩქანი მოიხსნა, და ლუკმა-ლუკმა დამტვრეულთ, რომ ნახა, ცოტა გაწყდა, ის ერთი ბეწვა ჭკუა რომ შერჩენოდა, ისიც არ დაკარგა. ხმაღს ხელი წამოავლო, თვალები ზეცას ადახვნა და დაიძახა:

- ვფიცავ მაღალ ღმერთს, ქვეყნის დამზადებელსა და ოთხ თავს წმიდა სახარებასაც, რომ ისე ვიცხოვრო, ვითარცა დაღმა მანტუას მარკიზმა შეჰფიცა ცხოვრება, ოდეს თავისი დისწულის ბალდუინის მკვლელის სისხლის აღება განიზრახა; სწორედ ისე ვფიცავ - მეც მასავით პურის საჭე. ლად სუფრა აღარ გავიშალო, ჩემს ცოლს არ გავეხუმრო და მრავალ სხვა საჭიროებაზე უარი ვჰყო (თუმცა ყველა კარგად არ მახსოვს, სახელდობრ რა საჭიროებაზე უნდა ვჰყო უარი, მაგრამ სულ ერთია, რაც არ უნდა იყოს, ყველას ამ ფიცში ვურთავ), და იმ დრომდის მტკიცედ

და შეურყეველად დავიმარხავ ამ ფიცს, ვიდრე მაგიერს არ გადავუხდი, ვინც ეს შეურაცხყოფა მომაყენა და ჩაჩქანი დამიმტვრია.

ამ სიტყვების გამგონე სანჩომ უთხრა;

- ჩემო ბატონო, ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენგან დამარცხებულმა რაინდმა თუ თქვენი ბრძანება აასრულა და დუღსინეა ტობოსელთან თაყვანსაცემად მივიდა, ჩანს, თავის ვალი მოიხადა და მისი დასჯის უფლება აღარ გექნებათ, ვიდრე ახალს რასმეს არ დაგიშავებთ.

- მართლაც მისანი ხარ, სანჩო, ეს სწორედ შენიშნე და წარმოთქვი კიდეც, - უთხრა დონ კიხოტმა, - და მეც იმ რაინდისადმი სამაგიეროს გადახდის აღთქმას ახლავ ვარღვევ! ხოლო დანარჩენს რაიცა ჩემს ცხოვრებაზე დავსდე, ხელშეუხებლად ვტოვებ, და კვლავ ვფიცავ და აღთქმას ვდებ, ისე ვაცხოვრო როგორც წელან ვამბობდი, ვიდრე ძალით იქნება თუ რაიმე სხვა ღონისძიებით, რომელიმე რაინდისაგან ასეთივე ღირსეულ, და ჩინებულ ჩაჩქანს არ მოვიპოვებ, როგორც ჩემი იყო. და არ იფიქრო, სანჩო, რომ ჰაერზე ვლაპარაკობდე. ამ შემთხვევაში ჩემს წინაპარ რაინდებს მტკიცე მიზამავ და ისე მოვიქცევი, როგორც საკრიპანტი მოიქცა - ყოველგვარი შევიწროება აიტანა, ოღონდ მამბრინის ჩაჩქანი როგორმე ხელში ჩაეგდო.

- ეგეთს აღთქმას ღმერთი ხელს როდი მოუმართავს" ეგ აღთქმა ეშმაკეულია, ბატონო, - წამოიძახა სანჩომ, - იმიტომ, რომ ჯანსაღობისთვისაც მავნებელია და სინდისისათვისაც სამძიმო და საზარალოა. აბა მოიფიქრეთ: რა გემველებათ, რომ ჩაჩქანთან კაცს შემთხვევით დიდხანს ვერ შეხვდეთ? ნუთუ აღასრულებთ თქვენს აღთქმას, მიუხედავად ყოველგვარი სიდუხჭირისა და უსიამოვნებისა, და მთელი ეს ხანი გაუხდელმა უნდა დაიძინოთ, დაბაქალაქებში არ შეხვიდეთ, ღამეები ცისქვეშ გაატაროთ და კიდეც მრავალი სისულელე ჩაიდინოთ-იმ ვიღაც ჭკუაგამოლულ ბებრუხანა მანტუის მარკიზს რომ მოუგონია. ნუ კი გავიწყდებათ, ამ გზებზე შეიარაღებულ ლი რაინდები არ დაიარებიან და მხოლოდ გლეხკაცობა, მეურმეები და მეჯორეები მიმოდინან. ისინი არა თუ ატარებენ ჩაჩქანს, მისი სახელიც კი არ გაუგონოთ. მაშ, აბა აქ ჩაჩქანს ვის წაართმევთ?

- ჩემო მეგობარო, ძალიან ცდები, მაგას, რომ. ამბობს უპასუხა დონ კიხოტმა. - დამიჯერე, ორი საათიც არ გავა, რომ ამ გზა ბოდლებზე იმდენი შეიარაღებული მხედარი შეგვხვდეს, რამდენიც მაშინაც არ ყოფილიყოს, მშვენიერ ანჯელიკას ტყვეობიდან გამოსახსნელად ალბრაკის ციხესიმაგრეს, რომ შემოერთყენ.

- ეგრე იყოს და ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი საქმე კარგად წავიდეს და მეც ის კუნძული ჩქარა მიმეღოს, ასე ძვირად, რომ მიჯდება, - თქვა სანჩომ, - სიხარულით, რომ მოვკვდებოდე, კუნძულის გუბერნატორობაზე უარს მაინც არ ვიტყვი.

- კვლავ გეუბნები, სანჩო, ნუ ინაღვლი-მეთქი, - განაგრძო დონ კიხოტმა. - ღმერთი, რომ გავიწყრეს და კუნძულის დაპყრობა ვერ მოვახერხოთ, დანიის ან სობრადისის სამეფოები ხომ აქ არიან? ეს ისე ასლად მოგივა, როგორც ადამიანს თითებზე ბეჭედი აქვს მორგებული. შენთვის ეს სამეფოები კიდეც ჯობია, რადგან ხმელეთზე არიან და იმათ გამგეობაზე ვაი-ვაგლახი არ მოგინდება, მაგრამ კმარა, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. ახლა შენს ჩანთაში ჩაიხედე, ეგებ შიგ რაიმე საჭმელი იპოვო, ჩქარა ვჭამოთ, თუ არის რამე, და წავიდეთ, რომ ამაღამ სადმე ციხე-დარბაზში მივიდეთ, თორემ ის უებარი ბალზამი რომ გითხარ, გარეთ არსად გაკეთდება! და თანაც, ღმერთს გეფიცები, ყურმა ძალიან დამიწყო ტკივილი.

- ერთი თავი ხახვი გახლავს, პატარა ნაჭერი ყველი და ორიოდ ნაჭერი გამხმარი პური, - უთხრა სანჩომ, - მაგრამ ასეთ საჭმელს თქვენებრ დიდებული რაინდი როგორ მიირთმევს?

- ო, რა ცოტა რამ გესმის ამ საქმისა! - უთხრა დონ კიხოტმა. - ნუთუ აქამდის ვერ გაიგე, სანჩო, რომ მოგზაური რაინდები სასახელოდ თვლიან, რომ მთელი თვეობით არასა ჭამენ და, ბოლოს, თუ ჭამენ, რაც მოხვდებათ, იმით კმაყოფილდებიან. შენც, რომ იმდენი სარაინდო წიგნები წაგეკითხა, რამდენიც მე წამიკითხავს, ამის ეჭვი აღარ გექნებოდა. არც ერთი სარაინდო წიგნი არ წამიკითხავს, რომ მოგზაურ რაინდებს ეჭამოთ როდისმე, და თუ უჭამიათ, ისიც შემთხვევით, ანუ მათ პატივნაცემად გამართულ დიდებულ ნადიმზე; დანარჩენ დროს მარტო ჰაერით და ყვავილთა სურნელით იკვებებოდნენ თურმე. რასაკვირველია, ბუნების კანონით სულ უსაჭმელოდ ყოფნა არ შეიძლება და, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი მაინც მიირთმევდნენ საჭმელს და ბუნების სხვა მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებდნენ. ბოლოსდაბოლოს, ისინიც ხომ ჩვენსავით ადამიანები იყვნენ. ხოლო, ვინაიდან თავიანთა ცხოვრების უმეტეს ნაწილს ტყე-ღრესა და უდაბურ ადგილებში ატარებდნენ და მზარეულები არ ყავდათ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვეულებრივად ისეთივე უხეირო და უბრალო სოფლურ საჭმელს ჯერდებოდნენ, როგორსაც ახლა შენა მთავაზობ და მეც სიამოვნებით ვაპირებ შევექცე. ამიტომ, ჩემო მეგობარო სანჩო, ნუ დაგაღონებს ის, რაც მე მახარებს, მოიშორე. თავიდან ქვეყნის გარდაქმნის წადილი და მეტადრე ნუ ეცდები იმას გადაკეთებას და ჩვეულებრივი კალაპოტიდან ამოგდებას, რაც მოგზაური რაინდის ზნე-ჩვეულებას დაუმყარებია.

- მაპატიეთ, ჩემო ბატონო, - უთხრა სანჩომ, - მაგრამ, როგორც წინათაც მოგახსენეთ, ერთი უწიგნო კაცი გახლავარ, ჩემს დღეში არაფერი წამიკითხავს, მაშ მოგზაური რაინდების ჩვეულება და წესები აბა საიდან მეცოდინება! ამას იქით ამ ჩემს ჩანთაში თქვენთვის, რადგან რაინდი ბრძანდებით, ყოველნაირ ჩირს ჩავყრი, ჩემთვის კი, რადგან რაინდის ღირსებას მოკლებული ვარ, ცოტა უფრო ნოყიერ საჭმელს შევინახავ.

- იმას როდი გეუბნები, სანჩო, რომ მოგზაური რაინდები უთუოდ მარტოდნენ ჩირით უნდა იკვებებოდნენ-მეთქი, - უთხრა დონ კიხოტმა. - მე მხოლოდ აღვნიშნე, რომ მომეტებულ შემთხვევაში ისინი იძულებულნი იყვნენ უხეირო საკვებით ესაზრდოვათ და ზოგი რამ მინდვრის ბალახიც ეხმარათ საჭმელად; ამ ბალახების არჩევა იმათ კარგად იცოდნენ და არც თუ მე გამიჭირდება.

- დიდი და სასარგებლო რამ არის ბალახების არჩევა იცოდეს კაცმა, - თქვა სანჩომ, - და თუ არა ვცდები, მაგ თქვენი ცოდნის გამოყენება ბევრჯერ დაგვჭირდება.

შემდეგ სანჩომ ჩანთიდან საგზალი ამოალაგა, ორივემ, ბატონმა და მსახურმა, სიამტკბილობით და მადიანად დაიწვეს ჭამა, მაგრამ, რადგან ღამის გასათევი ადგილის საძებრად ეჩქარებოდათ, ცდილობდნენ მალე დაემთავრებიათ ისედაც ღარიბული სადილი. როცა გაათავეს, ერთი ცხენზე შევლა, მეორე ვირზე და ჩვენმა ფათერაკების მაძიებლებმა გააქროლეს თავიანთი ბედაურები, რომ დაბინდებამდის სადმე ღამის გასათევ ბინაზე. მისულიყვნენ. მაგრამ მზე ჩავიდა, ჩქარა დაულამდათ და მასთან დაეკარგათ ამ ნატვრის ასრულების იმედი. ხოლო, რადგან თხის მწყემსთა კარვის ახლოს აღმოჩნდნენ, გადაწყვიტეს მათთან გაეთათ ღამე. რამდენადაც სანჩო შეაწუხა იმედის გაცრუებამ, რომ სოფლამდის ვეღარ მიაღწიეს და ღამე სადმე ჭერქვეშ ვერ გაათიეს, იმდენად დონ კიხოტი, პირიქით, თავს ბედნიერად თვლიდა, რომ ცისქვეშ დაიძინებდა, კამკამა ვარსკვლავების საფარქვეშ, იმ რწმენით დაარხებულს, რომ

ასეთი შემთხვევები უფრო და უფრო უმტკიცებდნენ შენი დანიშნულება მოგზაური რაინდობააო.

თავი XI

იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა დონ კიხოტს

თხის მწყემსებთან

თხის მწყემსებმა გულთბილად მიიღეს ისინი. სანჩომ როსინანტს და ვირი კარგად, რომ დააბინავა, მაშინვე იქით გაემურა, სადაც მწყემსებს ცეცხლზე ქვაბი ედგათ და ხორცს ხარშავდნენ. სანჩოს კარგი ყნოსვა ჰქონდა, მეტადრე შიმშილის დროს, და მაშინვე გაიგო, რომ თიკნის ხორცი იხარშებოდა. და თუმცა მოუნდა დაუყოვნებლივ გაეგო, მზად ხომ არ იყო ხორცი ქვაბიდან მის მუცელში გადასასვლელად, მაგრამ მაინც თავი შეიკავა, რადგან ამ დროს ერთმა მწყემსმა ხორცს ქვაბიდან ამოლაგება დაუწყო. შემდეგ ძირს რამდენიმე ცხვრის ტყაპუჭი გააგეს, ზედ საჩქაროდ სუფრა გაშალეს და მოულოდნელი სტუმრები დიდის თავაზიანობით მცირე ვახშამს მიიპატიჟეს კარავში მცხოვრები ექვსი მწყემსი გარშემო უსხდა ცხვრის ტყაპუჭს, ხოლო დონ კიხოტს დასაჯდომად პირქვე დამხობილი ვარცლი შესთავაზეს, დონ კიხოტი დაბრძანდა, სანჩო უკან მოუდგა, რომ მერიქიფეობა გაეწია და თავის ბატონისათვის განით ღვინო მიერთმია, მაგრამ ჩვენმა რაინდმა, რომ თავის საჭურველმტვირთველი უკან დგომელა დაინახა, უთხრა:

- ჩემო მეგობარო სანჩო, რომ დარწმუნდე, რაოდენ აკეთეს შეიცავს მოგზაური რაინდობა და ვითარის სისწრაფით აღწევნ პატივისცემასა და სიყვარულს მის სამსახურში მყოფი ადამიანები, მე მსურს აქ, ამ პატიოსანი და კეთილი ხალხის წინაშე, ჩემს გვერდით დაჯდე, რომ შენ და მე - შენი ბატონი და მბრძანებელი - სწორი შევიქმნეთ, ერთი ჯამიდან ვჭამოთ და ერთი ყანწიდან ვსვაო, და ამით მოგზაურ რაინდობაზე ყველას ის ვათქმევინოთ, რომ იგი, რაინდობა, სიყვარულის მსგავსად ყველას ათანასწორებს.

- უმორჩილესად გმადლობთ. - მიუგო სანჩომ, - მაგრამ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, მოწყალეო ბატონო: როცა ხელში რამე საჭმელი მაქვს, იმპერატორის გვერდზე ჯდომას, განმარტოებით სადმე ფეხზე დგომელა ჭამა მირჩევნია: ან თუ ნებას დამრთავთ, უფრო გულახდილად ვიტყვი: ის მირჩევნია, ჩემთვის თავისუფლად და წამოუპრანჭავად სადმე კუთხეში ხმელი პურსა და ხახვს გაახლებოდეთ, ვიდრე სხვის სუფრაზე ვიჯდე, წინ მსუქანი ინდაური მედეას, გაკავებული ვიყო, მომცრო ლუკმას ვიდებდე პირში და ნელინელ ვცოხნიდე, პატარა ყლუპებით ვსვამდე ღვინოს, ყოველი ლუკმის შემდეგ ტუჩებს ხელსახოცით ვიწმენდე, როცა მომესურვება ვერც დახველებას ვბედავდე, ვერც ცხვრის დაცემინებას და ვერც ბევრ იმისთანა რამეს, რასაც კაცი ხალვათობაში და განმარტოებით მოურიდებლად ჩადის ხოლმე. მაშ, ჩემო ბატონო და ხელმწიფეო, თქვენ, რომ მე, საჭურველმტვირთველს, ახლა პატივს მადირსებთ, ვითარცა მოგზაური რაინდობის მსახურსა და თანამშრომელს, თუ შეიძლება სხვაზე, ჩემთვის უფრო სახეიროსა და სასარგებლოზე შეცვალებთ, ამიერიდან და სამუდამოდ უარს ვამბობ ყველა მაგისთანა გაპატიოსნებაზე დიდ მადლობასაც მოგახსენებთ.

- შენ რაც გინდა, ისა თქვი და მე კი აქ დაგსვამ. ნათქვამია: თავმდაბალსა ღმერთი აღამაღლებსო, - უთხრა დონ კიხოტმა, ხელი დაუჭირა და ძალით გვერდზე მოისვა.

მწყემსებს საჭურველმტვირთველებსა და მოგზაურ რაინდებზე ამ აბდაუბდისა არა გაეგებოდათ-რა, სტუმრებს შესცქეროდნენ და გაჩუმებულნი ვახშამს შეექცეოდნენ. სტუმრები კიდევ, თუმცა ლაპარაკს ძალასაც ატანდნენ, მაინც არც ჭამას აკლებდნენ ხელს და სწორედ მუშტის ტოლა ლუკმებს ყლაპავდნენ. ხორცი რომ გაათავეს, მწყემსებმა გუდიდან უამრავი ტკბილი რკო გადმოყარეს, და მასთან ერთად მოიტანეს ნახევარი კვერეული ყველი, ისეთი მაგარი, თითქოს კირისგან იყო გაკეთებული. არც ყანწს ჰქონდა მოსვენება და ხან სავსე და ხან ცარიელი დაუცხრომლად ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა, ასე რომ ორი ტიკჭორიდან ერთი უკვე დაცარიელდა. დონ კიხოტმა რომ მუცელი რიგზე აივსო, პეშვით რკო აიღო, რამდენიმე წუთს დაკვირვებით უცქირა და დაიწყო:

- ბედნიერი იყო ის დრო და ის საუკუნე, რომელსაც ჩვენმა წინაპრებმა ოქროს საუკუნე უწოდეს. ეს სახელი იმიტომ კი არ დაარქვეს, რომ ოქრო, ამ ჩვენს რკინის საუკუნეში ესოდენ პატივცემული, იმ სანეტარო დროს უშრომლად იშოვებოდა, არამედ იმიტომ, რომ მაშინ მცხოვრები ადამიანებისათვის ჯერ უცნობი იყო სიტყვა ჩემი და შენი, იმ კურთხეულ დროში ყოველივე საერთო იყო. სხეულისათვის ყოველდღიური სარჩოს მისაცემად საკმაო იყო ადამიანს დიდრონი მუხის ხის შტოსაკენ ხელი გაეწოდა და მისი მწიფე და ტკბილი ნაყოფი, ყოველთა საერთოდ და თითოეულთა ცალ-ცალკე კუთვნილი, უხვად მოეკრიფა; ანკარა წყაროები და ჩქარი მდინარენი მწყურვალთ მშვენიერ და გამაგრილებელს სასმელს მოჭარბებით აძლევდნენ; ხეების ღრუვებსა და კლდეების ნაპრალებში შრომისმოყვარე ფუტკარი უშიშრად იგებდა თავშესაფარს და ყველა მგზავრს თავის ტკბილი შრომის უხვი და მშვენიერი ნაყოფით უანგაროდ უმასპინძლდებოდა. უზარმაზარი კორპის ხეები თავის ბრტყელ ქერქს თავისთავად შემოიძარცვავდნენ ხოლმე, რომ ადამიანს აელო და გაურანდავ სვეტებზე დადგმული თავისი ქოხი გადაეხურა და მით წვიმას და მზეს მოჰფარებოდა. მაშინ ყველგან მეგობრობა, მშვიდობა და სიყვარული მეფობდა. მრუდე გუთნის მძიმე საკვეთი ჩვენი დედამიწის გულმოწყალე წიაღს ჯერ არ სერავდა, მაგრამ დედამიწა ძალდაუტანებლად თავისგულუხვ და ნაყოფიერ მკერდზე ყველაფერს აღმოაცენებდა, რაც კი მის პორველ შვილებს გაახარებდა და დააპურებდა. იმ დროს ლამაზი და გულუბრყვილო მწყემსი ჭალები, თმადა წნული და თავშიშველნი ველიდან-ველზე და ბორცვიდან-ბორცვეზე გადარბოდნენ; მათ ძვირფასი სამოსელი არ იცოდებ და მხოლოდ იმას იფარავდნენ, რის დაფარვასაც მორცხვობა ცდილობს. მათი ტანის ნაკვთებს სხვადასხვა ყაიდაზე მიკიბულ-მოკიბული ტოროსის ძვირფასი მოწეული და ფარჩის კაბები როდი მოსავდა, როგორც ახლას მიღებული; ყვავილებით ჩაწმინხული მწვანე დუმფარასა და ფათალოს გვირგვინი უკეთ ამკობდა იმათ, ვიდრე ახლანდელ მედიდურ ქალებს რაღაც უცნაური, ცუდობისა და ამო დიდების შთაგონებაო მოგონილი ტანსაცმელი ამშვენებს. მაშინ საუკეთესო გულისთქმანი უფრო გულწრფელად და მარტივად იხატებოდნენ, ამისათვის ხელოვნური სიტყვების თქმა როდი იყო საჭირო, ცილი, სიცრუე და ვერაგობა სიმართლეს და გულახდილობაო არა ბუნდავდა და ყველგან წმინდა მართლმსაჯულება სუფევდა; ახლანდელივით ვერაგობითა და ანგარებით შე მიკვლეული, დევნილი და დაჩაგრული როდი იყო იგი; მსაჯულის გულსაც პირადი თვითმნებელობა ჯერ არ მიჰკარებოდა; ან კი მსაჯულები მაშინ სად იქნებოდნენ, როდესაც განსასჯელიც არავინ იყო. როგორც უკვე მოგახსენეთ, ახალგაზრდა ქალი და უმანკოება განუყრელნი იყვნენ, ხელმძღვანელად და მფარველად მათთვის საჭირო არავინ იყო, არც იმის შიში ჰქონდათ, ურცხვ ენასა და ბოროტ განზრახვას მათი უმანკოება შეებღალა: და თუ ოდესმე მათგანი ვინმე შეცდებოდა, ისიც საკუთარი სურვილით მოხდებოდა ხოლმე. ახლა კი, ამ ჩვენს გარყვნილ და ამავე დროში ვერც ერთი ქალი თავისთავს უშიშრად ვერ ჩასთვლის, თუნდა

კრიტიკის ახალ ლაბირინთშიც იყოს ჩამალული და ჩაკეტილი, იმიტომ, რომ არშიყოზა და ეს წყეული თავაზიანობა ყველგან ძვრება, არშიყოზის სენით ჰაერი გაჟღენთილია და ცხოვრების სიკეთეს რყვნის. თვითონ მზეთუნახავიც ვერსად დაემალება მიჯნურობას, - იმისათვის ზღუდე აღარსად არის: ნემსის ყუნწის ტოლა ხვრელშიაც გამძვრება იგი და წადილს აისრულებს, და აი, რაკი გარყვნილებამ თანდათან ხალხში ფეხი გაიდგა, წინააღმდეგიც გამოუჩნდნენ მას, - დვაწლმოსილ მოგზაურ რაინდთა ორდენა დაარსდა, ყველა სიამოვნება უარყო თავის წუთისოფლის ცხოვრება ხალხის სამსახურს შესწირა, რათა ქალწულნი და ქვრივნი დაიცვას, ობოლთა და ჩაგრულთ შეეწიოს. ძმებო მწყემსებო თვითონ მეც იმ პატიოსან ორდენს ვეკუთვნი, და მაშ იცოდეთ, თქვენ ამ პურმარილით პატივსა სცემთ რაინდსა და მის საჭურველმტვირთველს, რისთვისაც, კეთილო ხალხო, დიდ მადლობას მოგიძღვებით. თუმცა ბუნებრივი კანონითა და წესით ყველა ამქვეყნად მცხოვრებთ მოვალეა მოგზაურ რაინდთ შემწეობა გაუწიოს და პატივი სცეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მოვალეობა ყველას არ ესმის. დარწმუნებული ვარ ეს წესი ჯერ არც თქვენ უწყით, მაგრამ თქვენმა ბუნებრივმა სტუმართმოყვარეობამ და უპურმარილობა ეს რაინდთა დიდი წესი უნებლიეთ შეგასრულებიათ და ამიტომ გარწმუნებთ, თქვენთვის ყოველივე ის კეთილი მსურს, რაც თვითონ თქვენ ჩემთვის გნებავთ.

ეს გრძელი სიტყვა (რომელიც შეეძლო არც კი წარმოეთქვა) ჩვენს რაინდს მუხის რკომ ათქმევინა, რადგან ოქრო საუკუნე მოაგონა და მის აზრთა გამოხატულებას ფრთები გაამლევიანა, მწყემსებთან ააყბედა. მწყემსები მთელ ამ სიტყვას გაოცებული მდუმარებით უსმენდნენ და გათავების შემდეგაც დიდხანს იყვნენ ისევ მდუმარედ გაბრუნებულნი. სახოც ჩუმი იყო და, რაც კი შეეძლო, პირში რკოს იყრიდა, თან ყელის ჩასარეცხად მალიმალ ეწვეოდა ხოლმე ღვინის გასაცივებლად მუხაზე ჩამოკიდებულ მეორე ტიკჭორას.

ვახშამი უკვე დამთავრდა, დონ კიხოტი კი ისევ ლაპარაკობდა. ბოლოს ერთმა მწყემსმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მას.

- თქვენი მოწყალება, რომ უფრო დარწმუნდეს ჩვენი მასპინძლობ გულწრფე-ლო-ბაში, გვინდა გაგართოთ და გაგამხიარულოთ, ჩვენი ამხანაგის სიმღერაც უნდა გაგაგონოთ. ჯერ კი აქ არ არის, მაგრამ მალე მოვა. უნდა მოგახსენოთ, ძალიან ჭკვიანი მწყემსია, რაც მთავარია, წერა-კითხვაც იცის და გამიჯნურებულიც არის; მერე კიდევ რაბელზედაც ისე უკრავს, უკეთესი აღარ შეიძლება.

მწყემსს ჯერ უკანასკნელი სიტყვები არ დაესრულებინა, რომ მათ რახელის ხმა მოესმათ და მალე თვით დამკვრელიც გამოჩნდა. ის ოცდაორი წლის ჭაბუკი იქნებოდა და მეტად სანდომიანი გარეგნობასა იყო მკითხვეს, თუ ივახშმეო, და როცა დასტური მიიღეს, მისმა მაქებარმა მწყემსმა უთხრა.

- მაშ, გვასიამოვნე, ანტონიო, და გვიმღერე რამე, დაე, ჩვენმა ბატონმა სტუმარმა გაიგოს, რომ ამ მთებში მომღერლებიც არიან და მოსაკრავენიცა. ჩვენ კიდევ ვუამბუთ შენა ცოდნა და ახლა მტყუანებად ნუ გამოგვიყვან. აბა, ძლიერ გთხოვ, დაჯექი და შენი მიჯნურობის ლექსი იმღერე, ბიძაშენმა მღვდელმა, რომ გალექსა და მთელ ჩვენს სოფელსაც ასე, რომ მოსწონს.

- დიდი სიამოვნებით, - მიუგო ჭაბუკმა, მეორედ აღარ ათხოვნინა, ერთ მუხას ჯირკზე ჩამოჯდა, რაბელი მომართა და სასიამოვნო ხმით შემდეგი რომანსი დაამღერა.

ოლალიავ, რომ გიყვარვარ,  
ვიცი, თუმცა არასოდეს  
ეს არ გითქვამს თუნდაც მზერით,  
სიყვარულის უხმო ენით.  
და შენც უწყი, ეს, რომ ვიცი.  
მიტომ არის უეჭველი,  
ვნება ესდენ შეგრძნობილი  
არ იქნება უბედური.  
ოლალიავ, ბევრჯერ სცადე  
მჩვენებოდი ისე, თითქოს  
სული გქონდა - ბრინჯაოსი,  
თეთრი მკერდი - უგრძნობ ქვისა.  
მაგრამ ამ შენს სიკერპესა  
და ზვიადურ დუმილს შორის,  
სასოება დამანახვებს  
ზოგჯერ თავის საცმლის კალთას.  
ამ სატყუარს მივვარდები,  
და ერთხელ ვერ მოგახერხე,  
ან მთლად დავჭკნე - განგდებული,  
ან ავყვავდე, ვით რჩეული.  
თუ აქვს ვნებას თავდაჭერა,  
შენი კდელა იმას ნიშნავს,  
რომ იმედსაც უნდა ექნეს  
ბოლო, ჩემთვის, საოცნებო.  
  
თუ ერთგული სამსახური  
ვინმეს გახდის ჯილდოს ღირსად,



ოდნავ მაინც ქცევა ჩემი  
მეც მანაჟებს ამ უფლებას.  
შენც არაეთხელ  
დაგენახა, თუ კი ამჩნევ  
რომ მაცვია სამის დღესაც  
სადღეობო ტანსაცმელი.  
რადგან მხოლოდ ერთი გზა აქვთ  
სიყვარულს და მორთულობას  
სულ ვისწრაფვი, შენს წინაშე  
ვიყდ კოხტად მოკაზმული.  
ზედ რომ აღარ დავუმატო  
ცეკვები, ან სერენადა:  
რასაც გამღერ დაისის ჟამს  
ანდა მამლის ყვილისას.  
არ ჩამოვთვლი იმ ჩემს ლექსებს  
მაგ სიტურის ხოტბად მუსა,  
მათ თავისი გულწრფელობით  
ბევრი ჩემზე გამწყრალეს.  
იმ ლექსებზე ტერეზამ თქვა:  
"უცხო მსმენელს ეგონება,  
ანგელოზი იყოს იგი,  
თუმც არისო მაიმუნი.  
განა როგორ იქნებაო,  
რახარუხით, ყალბი თმებით,  
დუქნის, ნაყიდ სილამაზით  
თუნდ ამურის მიტყუება!"  
შევესიტყვე. განმირისხდა,

წაეშველა ბიძაშვილიც,

ატყდა ჩხუბი და შენც იცი,

რა ამბავი დატრიალდა.

შენ მიყვარხარ განა ისე?

სხვათაშორის? განა ვცდილობ

შეგაცდინო? არა, ტურფავ,

მაქვს მიზანი საქებური:

ჩვენ საყდარი განგვიმზადებს

გვირგვინს, მარყუჟს აბრეშუმის,

იმ მარყუჟში თავი გაჰყავ,

და მეც იქვე აღმოვჩნდები.

თუ არა და აქვე ვფიცავ

ყველა წმინდანს, რაც კი არი,

ჩვენს უღრან ტყე მივატოვებ

და შევდგები სადმე ბერად.

ასეთი სიტყვებით მწყემსმა, რომ სიმღერა გაათავა, დონ კიხოტმა სთხოვა განეგრძო და კვლავ რამე ემღერა, მაგრამ სანჩო პანსა უარზე იყო, რადგან ძალი ძალიან მოერია და სიმღერის მოსმენისათვის აღარ სცხელოდა. ამიტომ თავის ბატონს ასე მიმართა:

- ახლა კი დროა თქვენმა მოწყალებამ მოსვენებაზედაც იფიქროს. ამ კეთილ ხალხს ნუ გვაწუხებთ, მთელი დღე უმუშავნიათ, მთელს ღამეს ხომ ვერ იმღერებენ.

- მესმის, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - მივხვდი, ტიკჭორასთან გულითადი საუბრით დამძიმებულ თავს ძილი ურჩევნია, ვიდრე მუსიკა.

- ღმერთს ნუ სცოდავთ, ბატონო, - წამოიძახა სანჩომ, რომელი ჩვენთაგანი არ სვამს ღვინოს, თანაც თავისი წილი არავის დაკლებია.

- თანახმა ვარ და არც დაგიშლი, - უთხრა დონ კიხოტმა, - მოისვენე, სადაც გენებოს? ჩემი ხელობის კაცს სიფხიზლე უფრო შეშვენის, ვიდრე ძილი, ხოლო მაინცდამაინც ცუდს არ იზამ, სანჩო, ამ ყურს ერთხელ კიდევ რომ შეიხვევდე, თორემ ძალიან მაწუხებს.

სანჩომ შეასრულა ბრძანება, ხოლო ერთმა მწყემსმა შეხედა ჭრილობას და თქვა: აქ საშიში არაფერიაო. ისეთ წამალს მოგცემ, ახლავე განგკურნავსო. ირგვლივ ბარაქიანად ყვაოდა როზმარინი. მწყემსმა რამდენიმე ფოთოლი დაკრიფა, დალეჭა ის, აურია მარილი და

ქრილობაზე დაადო, შემდეგ გულდასმით შეუხვია, თანაც ურჩია - არავითარი სხვა წამალი აღარ მიიკარო. და მართლა ის წამალი უებარი გამოდგა.

თავი XII

რა უამბო ერთმა თხის მწყემსმა დონ კობოტთან მყოფ თავის ამხანაგს

ამ დროს დაბრუნდა ერთი ყმაწვილი ბიჭი, სოფელში ჯერის მოსატანად, რომ წასულიყო, და თქვა:

- ამხანაგებო, იცით რა მოხდა სოფელში?

- საიდან გვეცოდინება? - უპასუხა ერთმა მწყემსმა. - მაინც რა მოხდა?

- ისა, რომ ამ დილით ცნობილი მწყემსი-სტუდენტი ქრიზოსტომი მომკვდარა, - განაგრძობდა ახლადმოსული. - ასე ამბობენ, იმიტომ მომკვდარა, ის ალქაჯი მარსელა ჰყვარებიაო, აი მდიდარი გიძლიეროს ქალი, მამას, რომ გამოქცევია და ამ ჩვენს ტყე-ღრეში მწყემსის ტანისამოსით დახეტილობს. - რას ამბობ, კაცო, განა მარსელა ჰყვარებია? - ჰკითხა მას ერთ-ერთმა ამხანაგმა.

- დიახ, სწორედ ისა, - უპასუხა მწყემსმა. -, მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი და შესანიშნავი ის არის, რომ ქრიზოსტომის ანდერძი დაუგდია - ტრიალ მინდორში დამმარხეთო, თითქოს ურჯულო მავრი იყოს. სწორედ იმ კლდის ძირში, სადაც წყარო გამოდის და ზემოთ მუხა აღმართულა. ხალხი ირწმუნება, ქრიზოსტომმა თითქოს მარსელა პირველად იმ ალაგას ნახაო. ანდერძში ბევრი რამ სხვაც უთქვამს, მაგრამ ჩვენს ხუცებს მათი აღსრულება არ უნდათ თურმე და განაჩენში ასე უთქვამთ: - მისი აღსრულება ქრისტიანული საქმე არ იქნება, უფრო წარმართულსა გავსო: განსვენებულის დიდი მეგობარი, სტუდენტი ამბროსიო, აგრეთვე მიცვალებულივით მწყემსად გადაცმული, ხუცებს ეწინააღმდეგება და ამბობს: ქრიზოსტომის ანდერძი და უკანასკნელი ნება, როგორც თვითონ მოითხოვს, მთლიანად და ბოლომდის უთუოვ უნდა აღსრულდესო. ამ დავას მთელი ჩვენი სოფელი აუფუტკნია, მაგრამ ასე ამბობენ, მიცვალებულის ანდერძი, როგორც ამბროსიოსა და სხვა მის მწყემს მეგობრებს სურთ, სწორედ ისე აღსრულდებო. ხეალ მარხავენ დიდი ამბით და სწორედ იმ ალაგას, სადაც თვითონ უჩვენებია ჩემის აზრით კარგი ამბავი იქნება, უთუოდ სანახავად წავალ, თუ ისევ ჯერის მოსატანად სოფელში არ მომიხდა წასვლა.

- ყველანი წავიდეთ, - წამოიძახეს მწყემსებმა. მაგრამ ჯერ წილი ვყაროთ. ფარეხებთან ვილა დარჩება.

- სწორია, პედრო, - შესძახა მეორე მწყემსმა, -, მაგრამ წილის ყრა ნუ გინდათ, - მე დავრჩები და ამისათვის არც მადლობას ვითხოვ თქვენგან და არ იფიქროთ, ამას გულკეთილობით ჩავდიოდე ან ცნობისმოყვარეობა არ გამაჩნდეს, - იმ დღეს, რომ ფეხში ხიჭვი შემერჭო, სიარულს ძალიან მიშლის.

- როგორც არ უნდა იყოს, ჩვენგან მაინც მადლობა გერგება, - მიუგო პედრომ.

დონ კობოტმა პედროს ჰკითხა, ვინ იყო ის მიცვალებული და ან ის მწყემსი ქალი ვინდააო, და პედრომაც ყველაფერი უთხრა, რაც კი ქრიზოსტომზე იცოდა, უამბო, რომ იგი ახლობელ მთებში მდებარე სოფლის მცხოვრები მდიდარი იდალგოს შვილი იყო, სალა მანკის

უნივერსიტეტში დიდხანს სწავლობდა და მან ძალიან ნასწავლ კაცად დაბრუნდაო. ამბობენ, ვითომც მიცვალებულმა კარგად იცოდა, ცაში ვარსკვლავები, მზე და მთვარე რასა შვრებიანო.

- იგი წინასწარვე ზუსტად გვეტყოდა ხოლმე, თუ რა დროს მოხდებოდა მზისა და მთვარის ჩაბნელება.

- ამას ჩაბნელება კი არა, დაბნელება ეწოდება, ჩემო მეგობარო, - გაუსწორა დონ კიხოტმა, - იმიტომ, რომ: ამ ორ დიდებულ მნათობთ ჩაბნელება კი არ მოსდით - მხოლოდ დაბნელდებიან ხოლმე.

პედრომ ამ წვრილმან შენიშვნას ყურადღება არ მიაქცია და ამბავი განაგრძო:

- ამასთან თურმე წინასწარ გაიგებდა რომელი წელიწადი იქნებოდა მსუქანი და რომელი მჭლე.

- ნაყოფიერი და უნაყოფო-თქო, ჩემო მეგობარო, - შენიშნა დონ კიხოტმა.

- მსუქანი და ნაყოფიერი განა ერთი არ არის? რა დიდი განსხვავებაა! - შეეკამათა პედრო. -საქმე ის არის, რომ მისი მამა, ნათესავები და მეგობრები თურმე ძლიერ მდიდრდებოდნენ, რადგან ენდობოდნენ და მის რჩევას მისდევდნენ. ერთ წელს ეტყოდა: ქერი დათესეთ, პური არაო; მეორე წელიწადს ეუბნებოდა. მუხუდო დათესეთ, ქერი ნუ გინდათო; ამ წელსო, ამბობდა ბევრი ზეთისხილი მოვაო და შემდეგ სამ წელიწადს კი ერთ მარცვალსაც არ მობამსო, და ყველა ეს მისი სიტყვა თურმე გამართლდებოდა ხოლმე.

- მაგ მაცნიერებას, ჩვენ რომ მყოფადს გვიჩვენებს, ასტროლოგია ჰქვია, - თქვა დონ კიხოტმა.

- მე მაგის რა მოგახსენო, არა ვიცი-რა, - უპასუხა პედრომ, - მხოლოდ ძალიან მეცნიერი კი იყო ცხონებული; კიდევ სხვაც ბევრი რამ იცოდა თურმე. სალამანკიდან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე თვემ რომ გაიარა, უცებ ერთ მშვენიერ დღეს, ყველასათვის მოულოდნელად, სტუდენტის გრძელ კალთებიანი ტანსაცმელი გადააგდო, მწყემსის ტყაპუჭი ჩაიცვა, ხელში კომბალი აიღო და ამ მთებში დაიწყო სიარული. მას ერთმა ერთგულმა ამხანაგმა ამბროსიომაც მიბაძა, ისიც მწყემსურად გამოეწყო და ამ მთებში წამოვიდა. ის კი დამავიწყდა მეთქვა, რომ ცხონებული ქრისტოსტომი ლექსების წერის ოსტატიც იყო: ის თხზავდა ვილიანსიკოებს, შობა ღამეს რომღერიან, დარაც კი რამ ჩვენს სოფელში ბიჭებს წარმოდგენები გაუმართავთ, სულ მისი დაწერილია. მის ნაწერებს ყველა ძალიან აქებდა. სოფელმა ხალხმა რომ ნახა ეს ორი ასე უცბად გამწყემსებული სტუდენტი, ძალიან გაოცდა და არ იცოდა რა მიზეზისათვის დაებრალეზინა მათი ასეთი არაჩვეულებრივი გადასხვაფერება. იმ ხანებში ქრისტოსტომს მამაც მოუკვდა და მრავალი სიმდიდრე დასტოვა, როგორც მოძრავი ისე უძრავი ქონება და დიდძალი ფული, მამული, ძროხა და ცხვარი. ყველა იმ სისმდიდრის მემკვიდრე ახლა ის იყო და, ღვთის წინაშე, კიდევ შეშვენოდა: მშვენიერი სიტყვა-პასუხი, გულკეთილი, პურადი და ყველა კარგი კაცის მეგობარი; სახითაც კალმით ნახატი იყო. როგორც უნდოდა, ისე შეეძლო მოეხმარებინა ის სიმდიდრე. ბოლოს გავიგეთ, ერთი მწყემსი ქალი მარსელა ძალიან შეჰყვარებოდა და თვითონაც იმის მიზეზით გამდარიყო მწყემსად და უდაბურს ადგილებში თან გამოჰყოლოდა; ახლა უნდა მოგახსენოთ, თუ რა ქალია ის მარსელა; მგონია, ადვილად შესაძლებელია და თითქმის ნამდვილიც, რომ ასეთი ქალი ვერსად და ვერასოდეს ვერ ნახოთ და ვერც რაიმე გაიგონოთ მის შესახებ, თუნდაც, დედაბერ სარნაზედაც მეტი ხანი იცოცხლოთ.- სარნა კი არა სარა-თქო, - შეაწყვეტინა და გაუსწორა დონ კიხოტმა, რადგან გადასხვაფერებული სიტყვები სძულდა და ვერ ითმენდა, რომ მწყემსი ასე ამახინჯებდა სიტყვებს.

- სარა თუ სარნა, სულ ერთი არ არის? სარნა უფრო გამძლეა. თქვენ რომ ყველა "სიტყვა გამისწოროთ, ჩემს ამბავს გაისამდისაც ვერ გავათავებ, - მიუგო პედრომ.

- უკაცრავად, ჩემო მეგობარო, - უახრა დონ კიხოტმა, - სიტყვა იმიტომ გაგისწორეთ, რომ სარნასა და სარას შორის დიდი განსხვავებაა. მაგრამ თქვენ ჩინებულად მიპასუხეთ, სარნა სარაზე უფრო დიდხანს ცოცხლობს, განაგრძეთ თქვენი ამბავი, აღარ შეგაწყვეტინებთ.

- ახლა ის უნდა მაგახსენოთ, ჩემო ძვირფასო ბტონო, თქვა თქვა მწყემსმა, -, რომ ჩვენს სოფელში ერთი გლეხკაცი გახლდათ, სახელად გილიერმო ერქვა, ქრიზოსტომის მამაზე უფრო დიდი სიმდიდრის პატრონი იყო და ამ სიმდიდრესთან ღმერთმა ერთი ქალიც მისცა, ცოლი კი წაართვა, ქალზე მშობიარობის დროს მოკვდა. საკვარველი ადამიანი იყო ის ცხოვრებული: თითქოს ეხლაც თვალწინ მიდგასო; სწორედ მზისა და მთვარისაგან იყი მოქსოვილი, ამასთან საკვირველად ლმობიერი და გულკეთილი, გლახაკთა გამკითხავი და მასთანაც ჩინებული დიასახლისი. იმ დალოცვილის სული ჯოჯოხეთში არ ჩავარდება, ის აქვე იყო სამოთხის ღირსი. ასეთი კეთილი ცოლის შემდეგ გილიერმომ დარდს დიდხანს ვერ გაუძლო, ისიც ცოლს ჩქარა თან გაჰყვა და თავის ნორჩი და მდიდარი მარსელა ობლად დასტოვა თავის ძმის, ჩვენს სოფლის მღვდლის ანაბარა. ამ მღვდელს ჩვენს სოფელში ჰქონდა ბენეფიციები. ეს ქალი, რამდენიც გაიზარდა, იმდენი უფრო და უფრო დედას ემსგავსებოდა და სილამაზით თითქოს კიდევ აჭარბებდა. თხუთმეტი წლისა რომ შეიქნა, ვინც კი ხედავდა, ყველა ღმერთს მადლობას სწირავდა ასეთი მშვენიერის გაჩენისათვის, მთელი სოფლის ბიჭები მისთვის გიჟდებოდნენ. ბიძამისი თითქოს ცხრაკლიტუკში ინახავდა, მაგრამ ხმა კი ყველგან ჰქონდა გავარდნილი, და ვისაც კი მისი სალამაზე, სიმდიდრე და ზრდილობა გაეგონა, - ბიძა თურმე მის კარგად აღზრდას ძალიან ეცადა, - ვინც კი ჩვენს არემარეში საუკეთესო საცოლო ბიჭი იყო, მარსელას შერთვას - ყველა ერთიმეორეს ეცილებოდა. პატიოსან მღვდელსაც სურდა მისი გათხოვება, მაგრამ ისე კი არ უნდოდა, საქმე ქალის უნებურად მომხდარიყო. არ იფიქროთ კი, მოგზაურო სენიორ, ვითომ მარსელას გათხოვებას იმიტომ აგვიანებდა, მისი ქონებით სარგებლობა უნდოდა; მთელი ჩვენი სოფელი უმოწმებს, რომ იგი ძალიან უანგარო კაცი იყო და ასეთი განზრახვა სულ არ ჰქონია. ბევრი ლაპარაკი ჩვენ სოფელშიაც უყვართ, ქებაცა და ძაგებაც, ვისაც როგორ მოუვა ჭკუაში, და ასეთ გარემოში ერთხელ კი არა, ასჯერ კარგი უნდა იყოს კაცი, რომ მთელს მრევლს თავისი ქება ალაპარაკოს.

- სავსებით მართალს ამბობ, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაგრამ, განაგრძეთ, თუ ღმერთი გწამთ: მაგ ამბავმა ჩემი ყურადღება ძალიან მიიპყრო და თქვენც, კეთილო პედრო, მშვენივრად მოგვითხრობთ.

- ღმერთმა თავისი წყალობა ნუ მოგვიშალოს. ყველაზე მთავარი ეს არის. ბიძას ძალიან უნდოდა თავისი ობოლი დაებინავებინა, - განაგრძო პედრომ, - მაგრამ ეს სურვილი ვერ უსრულდებოდა; რამდენიც კი საუკეთესო საქმრო აუჩინა, მარსელა ყველაზე ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა: ჩემი გათხოვება ჯერ ადრეაო, ახალგაზრდა ვარ და ოჯახს ვერ გაუძღვებიო. ბიძაც ძალას არ ატანდა, ასე ფიქრობდა: მშობლებისაგან რიგი არ არის გათხოვებაზე ან ცოლის შერთვაზე ძალა დაატანოსო და - იმედოვნებდა, მარსელა როცა ასაკში შევა, თვითონვე მოვა ჭკუაზელაო. ამგვარად უხიაკმა მარსელამ არც ნათესავებისა და არც ნაცნობების რჩევა მოისმინა და, ერთიც ვნახოთ, მწყემსად გახდა, სხვა მწყემს ქალებს აყვა და თავისი ფარა მინდორსა და მთებში გაირეკა. რაკი მისი სიმშვენიერე ყველამ ნახა, თვლა აღარ იყო, რამდენმა მდიდარმა და განათლებულმა, გლეხმა თუ აზნაურმა სახლ-კარს თავი დაანება, მწყემსის ტანისამოსი ჩაიცვა

და მინდორში ქრიზოსტომივით სახეტილოდ წავიდა, რომ მარსელასათვის უკან ედევნათ. ჩვენი ქრიზოსტომიც მათში იყო. იმაზე ამბობენ არა თუ მარტო უყვარდაო მარსელა, არამედ, როგორც ღმერთს, ისე ეთაყვანებოდაო. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ გარე-გარე ცხოვრებით ქალს უმანკოება და კეთილგონიერება რიდი დაუკარგავს, იმაზე ცუდი სულ არავის უთქვამს. ყველას ერთნაირი თავაზითა და ალერსით ეპყრობოდა და არავისთვის არ უჩვენებია, რომ შეეყვარებოდეს, და თუ სიყვა რულს გამოუცხადებდა ვინმე, ისე მარჯვედ მოისხლეტდა ხოლმე თავიდან, რომ მეორედ ამის თქმას ვეღარ უბედავდნენ. ბევრ ბოროტებას კი ჩადის იგი ამ მხარეს და შავ ჭირზედაც მავნებელია, რადგან მისი მშვენიერებით მოხიბლული ჩვენი ყმაწვილკაცობა მისთვის გიჟდება, ის კი ყველას თავიდან იშორებს. მისი მოსაწონი არავინ ხდება. რამდენიმე დღეს რომ დარჩეთ ამ მინდორსა და მთაში, თქვენი ყურით გაიგონებთ საზარელ გოდებას: იმდენი ცრემლი იღვრება იმის გამო, რომ ადვილი გასაგები იქნება თქვენთვის, თუ რად ემახის მას ყველა სასტიკს, ოციოდე ხეზე მაინც იქნება მარსელას სახელი ამოჭრილი და ყველა ამოჭრილს ზევიდან გვირგვინი აქვს გაკეთებული, ვითომ იმის ნიშნად, რომ მშვენიერების მეფეთა სთვლიან. ყური რომ დაუგდოთ: აქ ერთი მწყემსი ტირის მისთვის, იქ მეორე ოხრავს, იქით მესამე შაირს თხზავს, ხვა კიდევ სადმე ჭმუნავს; ერთს მუხის ქვეშ მჯდარს ნახავთ მეთლი დღე-დამე თვალმოუხუჭავად, თვალცრემლიანს და დრმად ჩაფიქრებულსა; მეორე კიდევ სიცხე-პაპანაქებაში გახურებულ ქვიშაზე გდია და ღმერთს ევედრება ჩქარა სიკვდილი მომივილინეო. ყველა ჩვენგანი კიდევ რომ უცქერის, რაც ამ არემარეში ხდება, ძალაუნებურად ფიქრობს: ყველაფერ ამას თუ რა ბოლო მოელის და ეინ ეღირსება სასტიკ მარსელას სიყვარულს ქრიზოსტომი რომ ასე მოიდნოვო. კარგს ინებებთ, ბატონო რაინდო, მისი დასაფლავება ნახოთ. განსვენებულს ბევრი მეგობარი ჰყავდა, და აქედან იმ ადგილამდის, სადაც ანდერძით უთქვამს დაასაფლავონ, სულ ნახევარი მილი თუ იქნება.

- უეჭველად წავალ, - მიუგო დონ კიხოტმა; - თანაც მადლობელი ვარ ასეთი საინტერესო ამბავი, რომ მიაშხეთ. სწორედ დიდად მასიამოვნეთ.

- კიდევაც შემემლო მარსელას მიჯნურობის ამბები სხვებიც მემამბნა, - თქვა პედრომ, მაგრამ ხვალ უეჭველია, გზაზე ვინმე მწყემსს შეხვდებით და იმ ამბებსაც ის მოგიტხრობთ. ახლა კი ურიგო არ იქმუბა სადმე მყუდრო ალაგას მოისვენოთ, რომ თქვენს ჭრილობას სიგრილემ არ აწყინოს; ფიქრი კი არ არის, ჩვენი ძალამოს შემდეგ შეგიძლიათ არხეინად ბრძანდებოდეთ.

ამასობაში სანჩო პანსამ მოამბე თავის გუნებაში ათასჯერ გაგზავნა ჯანდაბას და დონ კიხოტს აშურებდა, პედროს ქოხში შესულიყო; რაინდი ძლივს დაყვა თავის საჭურველმტვირთველს; მაგრამ მარსელას მიჯნურები, რომ აგონდებოდნენ, გუნებაში ფიცი დადვა, - მთელი ღამე დულსინეას ფიქრში გაეტარებინა. სანჩო პანსა უკვე როსინანტსა და თავის ვირს შუა მწყემსებისაგან დაგებულ თივაზე დაწვა და, როგორც აგზნებულმა და უიმედო მიჯნურმა კი არა, არამედ, როგორც მუცელსავსემ და მუშტებით მაგრად დაზელილმა ადამიანმა, ტკბილად ჩაიძინა.

### თავი XIII

რომელიც ეხება მწყემსი გოგო მარსელას მოთხრობის დასასრულს და სხვადასხვა ამბებს

როგორც კი აღმოსავლეთის აივანზე გადმოდგა განთიადი, მწყემსები წამოდგნენ, დონ კიხოტი გააღვიძეს და უთხრეს - თუ ქრიზოსტომის დასაფლავებაზე წასვლას აპირებდა, ერთად წასულიყვნენ. დონ კიხოტიც სწორედ ამაზე ფიქრობდა და სიამოვნებით დასთანხმდა, სანჩოს

უბრძანა დაუყოვნებლივ როსინანტი შეეკაზმა და თავისი ვირიც მოემზადებინა, რაც მან სწრაფად შეასრულა და ასევე სწრაფად გზას გაუდგინა. მეოთხედი მილიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ ერთ გზაჯვარედინზე ექვს თუ შვიდ მეცხვარეს შეეყარნენ, ყველას შავი ტყაპუჭები ეცვა და თავზე დაფნის, კვიპროზისა და ოლეანდრას ფოთლის გვირგვინები ეხურა, ხელშიც მუხის კომბლები ეჭირა. იმათ უკან, სამი მსახურის თანხლებით, სამგზავროდ მდიდრულად მორთულ-მოკაზმული, ორი აზნაური მოდიოდა. მგზავრებმა ერთმანეთს თავაზიანად უსალმეს და, რადგან ყველანი ქრიზოსტომის დასაფლავებაზე მიდიოდნენ და ერთი გზა ჰქონდათ, სიარულიც ერთად განაგრძეს. პატარა ხანს უკან ერთმა ცხენოსანმა მეორეს უთხრა:

- სენიორ ვივალდო! მგონი სანანებლად არ დაგრჩეთ, რომ ამ გასაოცარი დასაფლავების მიზეზით ცოტა შეგვიანება მოგვიხდება; იმის მიხედვით, რაც იმ მიცვალებულსა და მის გულქვა სატროფოზე ამ მწყემსებმა გვიამბეს, დასაფლავება ძალიან საყურადღებო უნდა იყოს.

- მეც ასე ვფიქრობ. - მიუგო ვივალდომ, - ერთი დღე კი არა, ოთხიც რომ შემეგვიანდეს, არას ვინაღვლი, ოღონდ კი ქრიზოსტომის დასაფლავება ვნახო.

დონ კიხოტი მგზავრებს შეეკითხა: რა იცით ან რა გაგიგონიათ ქრიზოსტომსა და მარსელაზედაო? ცხენოსანმა მიუგო: დილით ამ შავებით მოსილ მწყემსებს შევხდით, მგლოვიარობის მიზეზი ვკითხეთ და ამათ ერთი მშვენიერი მწყემსი ქალის გულსაკლავი ამბავი გვიამბესო. გვამცნეს ამ ქალის უთვალავ მოტრფიალეთა უბედური სიყვარული და ერთი მათგანის - ქრიზოსტომის სიკვდილიო. ახლა მის დასაფლავებაზე მიემშურებიანო. ერთი სიტყვით, დონ კიხოტს ის ამბავი გაუმეორეს, რაც პედროსაგან უკვე გაგონილი ჰქონდა.

შემდეგ მგზავრებმა სხვა საგანზე ჩამოაგდეს ლაპარაკი და იმ ცხენოსანმა, ვისაც ვივალდოს ეძახდნენ, სხვათა შორის, ჰკითხა დონ კიხოტს: ამ მშვიდობიან დროს და მშვიდობიან ქვეყანაში, აგრე შეიარაღებულს მოგზაურობა რა მიზეზთა განგიზრახავსო? ამაზე დონ კიხოტმა უპასუხა:

- ჩემი წოდება და დადებული აღთქმა სხვაგვარი მოგზაურობის ნებას არ მაძლევს. უქმად ყოფნა, ჭამა-სმა და ფუფუნება განებივრებულ კარისკაცთა ხვედრია, ხოლო იარაღი, მოუსვენარი ცხოვრება და შრომა ეგრეთ წოდებულ მოგზაურ რაინდებს ხვდომიათ წილად, და მეცა მაქვს ბედნიერება იმათ დასს ვეკუთვნოდე, ვითარცა მისი უმრწმესი და უღირსი წევრი.

ამის გაგონებაზე მგზავრებმა დონ კიხოტი ჭკუაზე შეშლილად ჩასთვალეს, და რომ ნამდვილად დარწმუნებულიყვნენ და ეს ახალი შეშლილობაც კარგად გაეცნოთ, ვივალდომ ჩვენს გმირს ჰკითხა: რას ეძახი "მოგზაურ რაინდებსაო?"

- განა თქვენ, თქვენო მოწყალებავ, - მიუგო დონ კიხოტმა, - არ წაგიკითხავთ ინგლისის მატთანენი და ისტორია, სადაც მოთხრობილია საგმირო საქმეები მეფე არტურისა, კასტილურად რომ ჩვეულებრივ არტუსს ვუწოდებთ? ძველი, მთელს ინგლისში ფრიად გავრცელებული ზეპირგადმოცემა გვაუწყებს, რომ იგი არ მომკვდარა, არამედ ჯადოქრობის ძალით ყორნად გარდაქცეულა, და დადგება დღე, ოდეს აღდგენილი არტური თავის სკიპტრას და გვირგვინს უკან დაიბრუნებს. ამიტომაც არის, რომ მას აქეთ არც ერთი ინგლისელი ყორანს არა ჰკლავს. აი, სწორედ ამ დიდებული მეფის დროს იყო დაფუძნებული მრგვალი მაგიდის რაინდთა დასი და ამავე დროს ეკუთვნის ტბის რაინდის, დონ ლანსელოტისა და დედოფალ

ჯინევრას მიჯნურობა, მესაიდუმლედ და შუამავლად რომ გადმეღი კინტანიონი ჰყოლიათ. ამაზე ჩვენი ხალხისაგან მშვენიერი სიმღერა არის გამოთქმული და ასე იწყება:

არასოდეს ასე ნაზად

ბანოვანნი არ უვლიდნენ

ქვეყნად არც ერთ პალადინსა,

ვით ზრუნავდნენ ლანსელოტზე,

ბრიტანეთით ჩამოსულზე...

და სხვა, სადაც ნაზად და ტკბილად მღერიან ლანსელოტის სამიჯნურო და საგმირო საქმეთა ამბებს. მას აქეთ არის, რომ ეს რაინდთა დასი დედამიწის კიდით-კიდემდე უფრო და უფრო ვრცელდება. მის დროში ქვეშ თავის გმირობით სახელი გაითქვა ამადის გალელმა და მისმა შთამომავლობამ ვიდრე მეხუთე თაობამდე, მამაცმა ფელისმარტე ჰირკანელმა, სახელოვანმა ტირანტ თეთრმა და დასასრულ დონ ბედიანის ბერძენმა, - მისი სახელი ხომ თითქმის ჩვენ დროში გახმაურდა და ჩვენ მას ვხედავდით, ვისმენდით და ურთიერთობაც გვქობდა მასთან. აი, ბატონებო, ისინი, რომელთაც მოგზაური რაინდები ჰქვიათ: აი, ის ორდენტა დასი, რომელსაც მეცა, თუმცაღა ცოდვილი, ვეკუთვნი და მუდამ ვისწრაფვი წარსულთა საუკუნეთა დიდებულ რაინდთაგან ანდერმად დატოვებული უმაღლესი აღთქმანი, რაც კი ღონე მაქვს, შევასრულო. ახლა იმედი მაქვს, გაიგეთ, თუ ამ გზებზე სიარულს და ფათერაკის ძებნას რა მაიმულებს იმ მტკიცე განზრახვით, რომ უდიდეს საშიშროებას არ შევუდრკე, თუ კი საქმე უმანკოთა ხსნას და დევნილთა გამოსარჩლებას შეეხება.

ეს სიტყვები საკმაო იყო. რომ მგზავრები დონ კიხოტი სიგიჟეში სავსებით დარწმუნებულიყვნენ და ისიც გაეგოთ, რა ნიადაგზე იყო მისი სიგიჟე. ეს ამათაც ისე გაუკვირდათ, როგორც სხვას მის მნახველსაც აკვირებდა ხოლმე. ვივალდო მხიარული კაცი იყო და, რომ დანარჩენი გზა ხალისიანად და შექცევით გაევილო და თანამგზავრებისთვისაც ეს იამოვნებინა (მწყემსების სიტყვით ის ადგილი მთებში, სადაც დაკრძალვა უნდა მომხდარიყო, უკვე ახლოს იყო), მოიწადინა დიდხანს ელაპარაკა დონ კიხოტს და განეგრძო სისულელეთა როშვა. ამიტომაც უახრა:

- პატოსანო მოგზაურო რაინდო! რაც ქვეყანაზე სარაინდო დასებია, მგონი, ყველაზე უსასტიკესი დასის ხელობას დასდგომიხართ, და თუ არა ვცდები, ეგეთი სასტიკი წესები კარტეზიანელ ბერ-მონაზონთა დასის წესებზეც არ არიან.

- დიახ, შეიძლება ისეთივე სასტიკი იყოს, მაგრამ განა ისეთივე საჭიროა ქვეყნისათვის? - მიუგო დონ კიხოტმა. - ამას ძალიან ვეჭვობ, იმიტომ, რომ ჯარისკაცი, თავისი უფროსის ბრძანების ამსრულებელი, იმდენსავე აკეთებს, რამდენსაც თვითონ იმ ბრძანების მომცემი. აი, რა მინდა ეთქვა. ბერები სრულს მშვიდობიანობასა და მყუდროებაში შესთხოვენ ღმერთს ქვეყნისათვის წყალობას, ხოლო ჩვენ, რაინდნი და მხედარნი, ყოველივე იმას საქმით ვასრულებთ. რასაც ისინი ლოცვით ითხოვენ: ზაფხულობით ცხარე მზის გულზე ვმოგზაურობთ, ზამთრობით კი გაყინული ცის ქვეშ, ერთისგანაც და მეორესგანაც მოუფარებელნი და ვისწრაფვით მკლავის სიმარჯვით და ჩვენთა მახვილთა სიბასრით ის აღვასრულოთ მოქმედებით, რასაც სულიერნი მამანი მხოლოდ თავიანთ ლოცვაში მოიხსენებენ. ქვეყანაზე ჩვენ ღვთის ნების იარაღნი ვართ,



ჩვენ ვართ უზენაესთა მისთა მსჯავრთა აღმსრულებელნი, და რადგან სამხედრო ღვაწლი მძიმე შრომით, შეჭირვებით, ოფლითა და სისხლით მოიპოვება, ამიტომაც მხედართა ღვაწლი ბერ-მონაზონთა ღვაწლზე უმძიმესია. ბერ-მონაზონნი ხომ მხოლოდ თავიანთ მყუდრო სენაკებში ევედრებიან ღმერთს წყალობას ყველა მამვრალთა და ტვირთმძიმეთათვის. მე იმას როდი მოგახსენებთ, ფიქრდაც არ მომდის, რომ მოგზაური რაინდობა ისევე წმინდა იყოს, ვითა ბერ-განდეგილთა წოდება არის, მაგრამ ვამტკიცებ ჩვენი წოდების წილნახვედრ შრომაზე მითითებითა და ჩემი საკუთარი გამოცდილებითაც, რომ რაინდის | ცხოვრება უფრო მძიმეა და უფრო მეტი შიში, შიმშილი, წყურვილი, სიცივე, სიტუტვლე, ტილიანობა და სხვა ამქვეყნიერი გაჭირვება ხვდება მას წილად. წარსულთა დროთა რაინდებს, - ამაში ეჭვი არავისა აქვს, - თავიანთი სახელოვანი სიცოცხლის განმავლობაში ბევრი გაჭირვება გამოუვლიათ, და თუ რომელიმე მათგანს საკუთარი ხმლის ძლიერებით იმპერატორის გვირგვინი უშოვნია, ის გვირგვინი იაფად როდი დაჯდომია, მაგრამ ესეც არის, ამაში მათ მფარველი ბრძენნი და გრძნეულნი შესწევნიან, და თუ ეს არა ყოფილა, მათს იმედებს ფუჭად ჩაუვლია.

- მეც ეგრე ვიქრობ - მიუგო მოგზაურმა, - მაგრამ ერთი რამ მაკვირვებდა მუდამ, - ისა რომ როდესაც მოგზაური რაინდები განსაცდელში ვარდებიან, საეჭვო რამ ფათერაკს შეეხეჩებიან, თუნდაც რომ სიკვდილიდან გადარჩენის იმედი არა ჰქონდეთ, იმის მაგიერ, რომ ღმერთს მიმართონ და თავისი სული მას შეავედრონ, როგორც ამას ყოველთ ქრისტიანი ჩადის ამგვარი ხიფათის დროს, მუდამ თავის სატრფოს მიმართავენ ხოლმე, ვითარცა ერთადერთს თავის ღვთაებას. ხომ დამეთანხმებით, რომ ეს, ცოტა არ იყოს, კერპთმსახურებასა ჰგავს.

- მოწყალეო ხელმწიფე! - უპასუხა დონ კიხოტმა, - სხვაგვარად მოქცევა რაინდს არ შეშვენის, და ვინც სხვებზე მოიქცევა, ცუდი საქმე დაემართება. დროისაგან განმტკიცებული ჩვეულება ითხოვს, რომ, როდესაც რაინდი თავის სატრფოს თვალწინ რაიმე ფათერაკის შეჯახებას აპირებს, უმაღვე თვისი შეყვარებულნი თვალნი მიჯნურისაკენ უნდა მიმართოს და ამით მას შველა და მფარველობა სთხოვოს წინამდებარე შებრძოლების ჟამს, თუნდაც მიჯნურს მისი დანახვა და მოსმენა არ შეეძლოს, მაინც რამდენიმე სიტყვა უნდა წაიჩურჩულოს თავისთვის და თავისი ბედი მას მიანდოს, ეს ჩემი თქმული შემემლო სარაინდო მოთხრობებიდან მრავალი მაგალითებით დამემტკიცებინა, მაგრამ ეს ყველა იმას როდი ამტკიცებს, რომ რაინდები ვითომც ღმერთს არ ავედრებდნენ თავიანთ სულს; ამისათვის თვითონ ბრძოლის დროსაც მოიცლიან ხოლმე.

- რაც უნდა იყოს, მე მაინც ეჭვი მაქვს, - მიუგო ვივალდომ. - რამდენჯერ წამიკითხავს, რომ ორი რაინდი უერთერთს შელაპარაკებიან, ერთმანეთი გაურისხებიან, მერე უცებ ერთმანეთს მედგრად დასჯახებიან და ამ შეტაკების დროს მხოლოდ თავიანთ სატრფოსადმი რამდენიმე სიტყვით მიმართვალა მოუსწრიან. ამგვარი ბრძოლა ხომ, ყველამ ვიცით, მომეტებულ ნაწილად ისე თავდება, რომ ერთი შუბით გაგმირული ცხენიდან ძირს ვარდება მომაკვდავი და მეორესაც ისეთივე ხვედრი მოელის, თუ ცხენის ფაფარს არ წასჭიდა ხელი. მაშ ერთი მიზრძანეთ, ღვთის გულისათვის, ის რაინდები ამ ცხარე და სწრაფ ბრძოლაში როდისღა პოულობენ დროს, ღმერთი ახსენონ? იმათთვის უკეთესი არ იქნებოდა, ვითარცა ჭეშმარიტ ქრისტიანებს, ის წამები, რასაც თავიანთ სატრფოს სწირავენ, ღმერთს შესწირონ ხოლმე; მით უფრო, რომ, როგორც მგონია, ყველა მოგზაურ რაინდს არა ჰყავს სატრფო, რომ იმის მფარველობას მიანდოს თავი, ხომ ბევრია ისეთი რაინდი, რომ არავინ უყვარს?

- ეგ შეუძლებელია, - შესძახა დონ კიხოტმა, - მოგზაური რაინდი უმიჯნუროდ საფიქრებელიც არ არის; როგორც ცა უვარსკვლავოდ არ შეიძლება, ისე რაინდს უმიჯნურობა არ შეესაბამება. აბა ერთი ისეთი სარაინდო მოთხრობა მიჩვენეთ, სადაც რაინდს მიჯნური არა ჰყავდეს, და თუ ასეთი სადმე კიდევ შეგხვდათ, ის უნდა ჩაითვალოს არაკანონიერ რაინდად, ასეთზე მხოლოდ ის ითქმის, რომ იგი ჩვენს ციხე-სიმაგრეში კარებიდან კი არ შემოსულა, არამედ, ვით ქურდი და ავაზაკი ღობეზე გადმოპარულა.

- კარგი, მაგრამ მამაცი ამადის გალელის ძმას დონ გალაორს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, დასაკუთრებული სატრფო ხომ არა ჰყავდა, რომ გაჭირვების ჟამს თავი მიენდო მისთვის, განა ამან დაუშალა სახელოვან და მამაც რაინდად გამოეჩინა თავი? - შენიშნა ვივალდომ.

ამაზე დონ კიხოტმა მიუგო:

- მოწყალეო ხელმწიფე, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი როდი მოასწავებს გაზაფხულს. ამას გარდა ნამდვილი წყაროებიდან ვიცი, რომ ის რაინდი იდუმლად იყო გამიჯნურებული, და თუ ყველა ლამაზ ქალს თავს ევლებოდა, ეს მისი ბუნებითი აგებულების თვისება იყო. მაინც უცილოა, რომ ერთი მიჯნური ჰყავდა და ის იყო მის ფარულ განზრახვათა და სურვილთა მფლობელი; მისი მფარველობისთვის ბევრჯერ მიუხდვია თავი, მაგრამ კი ფარულად, რადგან მოკრძალებული მიჯნურობით მომქონდა თავი.

- თუ როგორცა ბრძანებთ, მოგზაურ რაინდს სატრფოს ყოლა მოვალეობად ეთვლება, მაშ არც თქვენ მიეკუთვნებით თქვენი წოდების სჯულის გარდამავალთ, -უთხრა ვივალდომ, - და თუ თქვენც დონ გალაორით კრძალულობით თავი არ მოგაქვთ, მეცა და ჩემი ამხანაგებიც დაბეჯითებით გთხოვთ თქვენი სატრფოს სახელი გვითხრათ: სადაურია იდა მისი მშვენიერება და შთამომავლობა აგვიწეროთ. უეჭველია, იგი იამაყებს, მთელმა ქვეყანამ თუ გაიგო, რომ მის ფერხთა ქვეშ თქვენისთანა რაინდი იმყოფება.

- არ ვიცი, - უთხრა დონ კიხოტმა, და თანაც ღრმად ამოიხრა, - ეამება თუ არა ჩემს უნაზეს მტერს, მის ყურმოჭრილ მონად ჩემი ყოფნა მთელმა ქვეყანამ, რომ გაიგოს, მაგრამ თქვენი ზრდილობიანი თხოვნის პასუხად მოგახსენებთ, რომ მას ჰქვია დულსინეა, მისი სამშობლო ლამანჩის მაზრის სოფელი ტობოსო, და სულ მცირე, რომ ვთქვა, თავადის ასული მაინც უნდა იყოს, რადგან ჩემი გულისა და სულის მბრძანებელია: რაც კი რამ ოდესმე პოეტთა ოცნებას ქალთა მშვენიერება გამოუხატავს, ყოველივე მის არსებაშია თავმოყრილი. მისი ნაწნავი პიტალო ოქრომკედია, წარბები - ცისარტყელა, შუბლი - ელისეს ველს გაახსენებს ადამიანს, თვალები - ცის მნათობებს მიუგავს, ლოყები - გადაფურჩქნილ ვარდსა, ტუჩები - ხასხასა მარანსა, კბილები - უზადო მარგალიტს, ყელი - თლილ ბროლსა, მკერდი - თეთრ მარმარილოს და ხელები სპილოს ძვლისაგან ნათალს, მისი კანის სპეტაკი ფერი - თოვლსაც შემურდება. ხოლო დანარჩენი მშვენიერება, ყველა რასაც უმანკოება ადამიანის თვალთაგან ფარავს, როგორც ვფიქრობ და მგონია, მოკრძალების გამო არაჯერ არს რასმეს შევადარო, არამედ მათით აღტაცებულნი უნდა მდუმარებდეთ.

- ძალიან სასიამოვნო იქნებოდა მისი შთამომავლობაც შეგვეტყო, - უთხრა ვივალდომ.

ამაზე დონ კიხოტმა მიუგო:

- იგი არც ძველი საუკუნეების რომაელთა კურციუსების, გაიუსებისა და სციპიონების შთამომავალია, არც ჩვენი დროის რომაელთა - კოლონასი და ორსინის, არც კატალონელი

მონკადასი და რეკესენის, აგრეთვე არც ვალენსიელი რებელისა და ვილიანოვის, არც არაგონელი პალაფოქსის, ნუსის, როკაბერტის, კორელის, ლუნასი, ალაგონის, ურასი, ფისისა და ჰურეასის, არც კასტილიელი ბერდის, მანრიკეს, მენდოსისა და ჰუსმანის, არც პორტუგალიელი ალენკასტროს, პალისი და მენესესის. იგი მხოლოდ არის ლამანჩის მაზრის სოფელ ტობოსოს საგვარეულოდან. თუმცა ახალი მოდგმისაა, ჩემთვის მაინც, ექვს გარეშეა, რომ მომავალი საუკუნეები მისგან დიდებულს შთამომავლობას უნდა მოელოდნენ. ამაზე ვინც შემეკამათება, იმავე პირობას დავუდებ, რაც ზერბინს როლანდის ნადავლის კვარცხლბეკზე წაუწერია:

მათი შეხების იმას აქვს ნება,

როლანდს გმირობით ვინც შეედრება.

- თუმცა ლარედოელ კაჩოპინთა მოდგმისა ვარ, - მიუგო მოგზაურმა, - მაინც ვერ გავბედავ იგი ლამანჩელი ტობოსოს გვარეულობას დავადარო, თუმცა, კი, მართალი რომ გითხრათ, ასეთი გვარეულობა ჯერ არსად გამიგონია.

- მაგას ვერ დაგიჯერებთ. ძალიან მიკვირს, როგორ შეიძლება ეგ მომხდარიყო? - წამოიძახა დონ კიხოტმა.

ყველანი დიდი ყურადღებით უსმენდნენ მათ, და დონ კიხოტის ლაპარაკმა მწყემსებიც კი დაარწმუნა, რომ იგი სრულ ჭკუაზე არ უნდა ყოფილიყო. მარტო სანჩო პანსას ჯეროდა ყველაფერი, რასაც მისი ბატონი ლაპარაკობდა, რადგან პატარაობითვე მართალ და გონიერ კაცად იცნობდა მას. მაგრამ დულსინეა ტობოსელის მშვენიერების შესახებ კი მასაც ექვი დაეხდა, რადგან ტობოსოს მახლობლად მოსახლეობდა და თავის სიცოცხლეში არსად გაეგონა, რომ იმ სოფელში ისეთი გასაოცარი სილამაზით სავსე ვიხმე თავადის ქალი ყოფილიყო. ამ ლაპარაკით, რომ მიდიოდნენ, ჩვენმა მგზავრებმა ხეობის გასავალში ოციოდე შავტყაპუჭიანი მწყემსი დაინახეს, თავზე კვიპაროსისა და ურთხმელის ფოთლების გვირგვინებით. ექვს მათგანს სხვადასხვა ყვავილებითა და გვირგვინებით მოფენილი საკაცე მოჰქონდა. ეს რომ დაინახეს, ერთმა მწყემსმა დაიძახა:

- აგე ქრიზოსტომის ცხედარი მოაქვთ. აჰ, ამ მთის ძირში უანდერძებია დასაფლავება

მგზავრებმა ფეხი აუჩქარეს და სამგლოვიარო ლიტანიას სწორედ იმ დროს შეუერთდნენ, როდესაც საკაცე ძირს დაუშვეს და ოთხმა მწყემსმა წერაქვებით მთის ძირში კლდესთან, საფლავის თხრა დაიწყო.

ჩვენი მგზავრები ჭირისუფალ მწყემსებს თავაზიანად მიესალმნენ და საკაცესთან მივიდნენ. ქრიზოსტომის გვამი ყვავალებითა და ფოთლებით იყო შემკული; ცხედარს მწყემსის ტანისამოსი ეცვა და ხნით ოცდაათის წლისას ჰგავდა. მკვდარსაც ეტყობოდა, ლამაზი და წარმოსადეგი კაცი უზდა ყოფილიყო. ზედ საკაცეზე და მის გარშემო რამდენიმე წიგნი და ნაწერი ქაღალდები ეყარა ზოგი გაშლილი და ზოგი დაკეცილი. ყველა მდუმარებდა და, ბოლოს, ერთმა მიმართა მეორეს და ჰკითხა:

- ამბროსიო, შენ ბეჯითად გასურს ქრიზოსტომის ანდერძის აღსრულება? მაშ აბა, კარგად დაათვალიერე, განა სწორედ ამ ალაგს მოისურვა დასაფლავება?

- სწორედ ეს არის, - მიუგო ამბროსიომ. - ხშირად აქ მჯდომარე ჩემს საბრლო მეგობარს თავის სიყვარულის სამწუხარო ამბავი რამდენჯერ უამბნია ჩემთვის; პირველად აქ ნახა მან ადამიანთა მოდგმის ის დაუძინებელი მტერი მარგლა: აქ განუცხადებთ მისთვის თავისი მგზნებარე და წმინდა საყვარული; აქ იყო, რომ ცივი უარით ყოველი იმედი გაუცრუვა მას და სიკვდილის კარი გაუღო, რის შემდეგ გადაწყვიტა დაესრულებინა თვისი გაუბედურებული საცოცხლის ტრაგედია. ამ ყველა უბედურების სახსოვრად დასაფლავებაც აქ მოისურვა, რომ საუკუნო დავიწყებას აქ მისცემოდა.

ეს, რომ წარმოქვა, დონ კიხოტსა და მის თანამგზავრებს მიუბრუნდა და განაგრძო:

- ეს ცხედარი, ახლა, რომ გულმტკივნეულად ვუცქერით და ამ ცოტა ხნის წინ კი ზეციდან უხვად დაჯილდოებული სული ედგა, ეს ცხედარი ქრიზოსტომის ცხედარია. იგი პატიოსნებით, ჭკუით და სულგრძელობით განთქმული იყო. ამაყი იყო, მაგრამ ამპარტავნობა და ზვიადობა არა ჰქონდა, გულუხვი იყო და არ მედიდურობდა; ეს იყო ერთგული და უანგარო მეგობარი, მახვილგონიერი, თავდაუმიდაბლებლად და გაუზვიადებლად მხიარული; ყველა ღირსებით პირველი იყო, უბედურებითაც ბადალი არ მოეპოვებოდა. მას უყვარდა და ის კი სძულდათ; ეს აღმერთებდა, მას კი არ იწყნარებდნენ, ეს ცდილობდა მძვინვარე მხეცის გულში გრძნობა აღეგზნო, უნდოდა უსიცოცხლო მარმარილოს კერი განესულიერებინა, სურდა მისი ღაღადი უდაბნოში ესმინათ, და აი - უზომო სიყვარულის ჯილდოდ თავის სიცოცხლის საუკეთესო ხანაში იმ ქალის მიზეზით არის მკვდარი, რომლის ხსენებაც უნდოდა ადამიანთა შორის სამარადქამო გაეხადა. ამ ჩემს სიტყვებს ამ ნაწერებით დავამტკიცებდი, განსვენებულს დასაფლავების შემდეგ მათი დაწვა რომ არ ეანდერძებინა.

- ეგ, რომ ჩაიდინოთ, თქვენი საქციელი მაგის დამწერის სურვილზე უფრო მკაცრი და სასტიკი იქნება, - შენიშნა ვივალდომ. - სიმართლე და კეთილგონიერება ასეთი სურვილის აღსრულების წინააღმდეგია ასეთი სურვილი საღ გონებას არ შეესაბამება. ავგუსტოს კეისარზე რას იტყოდით, მას, რომ ღვთაებრივი მანტუელი მგოსნის ანდერძის აღსრულებას ნება მიეცა? მაშ ასე, სენიორ ამბროსიო, უკანასკნელი სამსახური გაუწიეთ თქვენს მეგობარს, მისი ცხედარი დასაფლავეთ, ხოლო ნაწარმოები დავიწყებას გადაარჩინეთ რაც გულნაწყენს უთქვამს, თვალახვეულმა როდი უნდა შეასრულოთ, ეგ ქაღალდები, რომ გადაარჩინოთ, მარსელას სასტიკობა შემდეგ თაობებს საშვილიშვილოდ გადაეცემა და გააფრთხილებს ყველას, ვინც ქრიზოსტომის უბედურ გზაზე დადგომას აპირებს. მაგის მიჯნურობის ამბავი ჩვენ ყველამ ვიცით; ყველამ ვიცით, რა პატივს ცემდა ის მიცვალებულს, მაგის უდროოდ სიკვდილის მიზეზიც გაგებულნი გვაქვს და ეგ თავგანწირული სურვილიც ვიცით. მაგის სიკვდილი ცხადად ამტკიცებს, თუ რაოდენ ძლიერნი ყოფილან მაგის გულისთქმანი, რაოდენ გულქვა ყოფილა მარსელა და ის უფსკრულიც ვიცით, საითაც კაცს უიმედო სიყვარული მიეზიდება. გუშინ საღამოს რაკი შევიტყვეთ, უბედური ქრიზოსტომის დასაფლავებლად აქ უნდა შევყრილიყავით, ჩვენს გზას გადავუხვიეთ და მოვედით - საკუთარი თვალთ გვენახა ის სამწუხარო შემთხვევა რომლის მოკლე ამბავმაც თვალს ცრემლი მოგეგვარა თქვენა მე კობრისადმი აქ მყოფთა საერთო პატივისცემისათვის ჩვენ ყველანი, განსაკუთრებით კიდევ მე, გემუდარებით, ამბროსიო, ამ ნაწერების დაწვა უარყოთ და ნება მომეცით რამდენიმე მათგანთ ჩემთვის ავიღო.

ეს, რომ თქვა ვივალდომ, პასუხი აღარ დააცალა, საკაცისაკენ ხელი გაიწოდა და რამდენიმე რვეული აიღო. ეს, რომ დაინახა, ამბროსიომ უთხრა:

- ზრდილობის გამო, ეგ რაც აიღეთ, თქვენთვის დამიტოვებია, მაგრამ ამის იმედს კი ნუღარ იქონიებთ, რომ დანარჩენები - აღარ დავწვავ.

ვივალდოს ძალიან უნდოდა მოტაცებული რვეულების შინაარსი ჩქარა გაეგო, ერთი მათგანი, გადაშალა და სათაური წაკითხა: "სასოწარკვეთილების სიმღერა", ამ სიტყვების მოსმენაზე ამბროსიომ უთხრა ვივალდოს.

- ეგ ჩემი უბედური მეგობრის უკანასკნელი ლექსია; და, თუ გსურთ გაიგოთ, რა მდგომარეობამდის მიიყვანა იგი ამ უბედურებამ, გთხოვთ ხმამაღლა წაკითხოთ; ვიდრე მწყემსები საფლავს გათხრიან, წაკითხვას მორწრებთ.

- დიდი სიამოვნებით წავიკითხავ, - უპასუხა ვივალდომ.

და, რადგან ყველა დამსწრეს სურდა მოსმენა, გარს შემოერთყნენ მას, და ვივალდომაც მკაფიო ხმით ასე დაიწყო.

#### თავი XIV

სადაც მოყვანილია აწგანსვენებული სასოწარკვეთილი მწყემსის ლექსები და სხვა მოულოდნელი ამბები

ქრიზოსტომის სიმღერა

უწყალოვ, რადგან შენც ისურვე, - ითქვას აშკარად,

ხალხთა, მოდგმათა საამბოდ და მოსაგონებლად

ამბავი შენი სიურჩისა დასამახებელი,

ისე მოვაწყობ, რომ ამინთოს ცეცხლი თაკარა

თვით ჯოჯოხეთმა დაჭრილ გულში ვით შთაგონება;

ხმას უფერულსა განგიახლებს ცეცხლი მდაღველი

და რამდენადაც შენი ქცევა, ჩემი ნაღველი,

გზნებით დავხატო, მეც იმდენად ეყო მარადისი

ესე ამბავი, როგორც დიდი საშინელება,

და ამ ამბავში იფართხალებს შეუნელებლად

ჩემი სიცოცხლის ნაფლეთები შესაბრალისი

მამ გულმოდგინედ მისმინე და შენს ყურს ჩაესმის,

ნაცვლად მშვენიერ ჰანგებისა, ხმა მშფოთვარესი,

რომელიც გულში, ვით საფარში, იყო მალული,

მაგრამ იქიდან დასძრა იგი მწარე ბრძანებამ! -

მე შვება მომცეს, გაგრძნობინოს შენ სინანული.  
ლომის ბუხუნი, მძვინვარე მგლის გაბმით ყმუილი,  
სისინიკ ბენად მომართული ჭრელი გველისა  
ტანქერცლიანის, თვალბედიტი ყორნის ჩხავილი,  
მთაზე ღრიალი ურჩხულების, ზღვაზე ღმუილი  
მდულარ ტალღებზე თავაწყვეტილ გრიგალებისა,  
და სულთმობრძავი, განწირული ხარის ბღავილი,  
თვალდაბინდულის, ყელში დანა, რომ აქვს გავლილი,  
მტრედის ღულუნი, ნაღვლიანის, შთენილის კენტად,  
ჭოტის ძახილი, ყველასათვის სამულველისა,  
თუ ღრიანცელი ქვესკნელიდან ბნელ სულებისა,  
ერთად შერწყმული, ვით ერთი ხმა, მგმინავი მკვეთრად,  
ჟამს სიკვდილისა დე აღმომხდეს მე სულთან ერთად,  
ისე, რომ, ყველას შეუშფოთოს გრძნობა-გონება...  
ამის გარეშე, ფარულ ტანჯვის გამოსათქმელად,  
მწამს, არ მეყოფა მე ძალ-ღონე და ხელოვნება.  
მაგრამ მშობლიურ ტახოს ველებს კი არ შეესმათ,  
ან ზეთისხილით სავსე ბალებს წყნარი ბეტისის  
ჩემი ძახილი უიმედო და ნაღვლიანი...  
დაე, შორს მისწვდეს ძირს უფსკრულებს, მაღლა კლდეებსა  
მკვდარი ბუნების ცოცხლად მღერად ხმა უმკვეთრესი...  
ან იქ, სად წყალთა ნაპირები ჩანს ნისლიანი,  
სადაც არასდროს არ ყოფილა ადამიანი,  
სად ვერ ანათებს მზე შავ ტევრებს ჩაბნელებულსა,  
ან სად მდუმარებს შლამიანი ნილოსის ტბორი.  
და შეფერებით ნთქავს ყოველსა ალიგატორი,  
ლიბიელისგან მოკრძალებით ძღვნად მირთმეულსა.

ყრუ, უკაცრიელ უდაბნოშიც აწ და მარადის,  
უსმენდნენ ქვანიც ჩემი სულის მძიმე ღაღადისს  
შენს სიმკაცრეზე, სათქმელადაც, რომ მეძნელება,  
მაგრამ უფლებით ჩემი შავი ბედისწერისა,  
მან სწრაფი ქროლვით მივლოს მთელი ქვეყნიერება  
მკვლელია ზიზღი, მაგრამ ეჭვი თუ მოგერია,  
ო, მთლად დაგმარხავს შემმუსრავი მოთმინებისა,  
ეს სულ ერთია, ტყუილია ის თუ მართალი,  
განშორებაზე მტკივნეული არაფერია.  
თუ შეყვარებულს აკრთობს შიშიც დავიწყებისა,  
ამოდ უხმობს სასაოებას იგი დამფრთხალი...  
ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლის მზეა ჩამქრალი.  
მე კი ცოცხალ ვარ, რომ ეჭვია ჭეშმარიტება,  
როს შემიზიზღე, და მარტო ვარ ახლა სრულიად,  
მოშორებული, არნახული სასწაულია...  
სულსაც ვუბერავ და ფარული ცეცხლი ღვივდება.  
თეთრად ვათენებ, ტანჯულს ძილი აღარ მეღირსა,  
ვეღარსად ვხედავ ნატამალსაც სასოებისა...  
თუმცა არც მინდა მომეველინოს იმედი მხსნელი,  
რადგან მსურველმა ჩემი ტანჯვის გაღრმავებისა,  
სასოებაზე სამუდამოდ ავიღე ხელი.  
რას ემსგავსება, ან განაა წარმოსადგენი  
ერთსა და იმავ დროს გქონდეს შიშიც და სასოებაც,  
როდესაც შიშის საფუძველი უფროა მყარი?  
ეჭვი სიმძიმით დამთრგუნავი, რომ შევიგრძენი,  
როგორ შემეძლო ჩემი ტანჯვის ამაოება  
არ დამენახა? ანდა ქვეყნად რომელი არი,

ურწმუნოებას არ გაუღოს ერთბაშად კარი,  
თუ ცხადად ნახა, რომ ის არის შეზიზღებული,  
რომ წინაგრძნობა, - რითაც ეგზომ ნაწამებია, -  
მთლად დადასტურდა, და სიმართლედ მოჩვენებია  
მხოლოდ სიყალბე, ფერადებით დამშვენებული?  
ექვო, მეფეო სიყვარულის ტანჯულ მხარეში!  
დაე, შემბორკე, მორჩილებით შენს წინ დავეშვი...  
ო, სიძულვილო, განმამზადე კვლავ სატანჯველად,  
მაგრამ ხსოვნაში გაიბრწყინებ, და აღტაცებულს,  
წამებით ენების დაოკება უკვე არ მჯერა...  
აი, მე ვკვდები, და, რომ მოვკვდე დამშვიდებული,  
არ მსურს ვიგემო სასოების შხამის ფიალა,  
მწამს, მართალია ქვეყნად მხოლოდ შეყვარებული,  
რომ მხოლოდ მისი სული არის ლაღი, ცქრიალა,  
რომელიც ამურს უდრტვინველად ემორჩილება,  
რომ იგი, ვისაც ვედავები, არის ქმნილება, -  
სულით, სხეულით მშვენიერი და საამური,  
რომ მისი ცივი სიამაყის მიზეზი მე ვარ,  
რომ სასტიკ ტანჯვას მხოლოდ ტანჯვა არ დაერქმევა,  
რადგან შიგ მადლსაც ხერხიანად ურთავს ამური.  
ამგვარ ფიქრებით და საშინელ განწირულებით,  
დასასრულისკენ სიცოცხლისა მივეშურები,  
ო, შენგან ზიზღი მაიძულებს მოვიქცე ასე...  
სულსა და სხეულს ნებისამებრ გავატან ქარსა,  
და რამე ნიშანს არ დავტოვებ ამ ქვეყანაზე.  
შენ, ვინაც შენი უსამართლო მოქცევით ამხელ, -  
რა მართალი ვარ, რომ ვექცევი ასე ველურად,



ჩემსა სიცოცხლეს, მოსაწყენსა, სათრევს წამებით,  
ო, კვლავ გმორჩილებ თავდადებით, - მოდი და ნახე, -  
გულის ჭრილობა ახლა უფრო მჭერმეტყველურად  
დაგიდასტურებს... და ცისფერი შენი თვალები,  
თუ შენ საჭიროდ მიიჩნის, რომ მწუხარების  
ნისლმა დათალოს ქრიზოსტომის სიკვდილის გამო,  
ჰოი, შეჩერდი, გლოვა-ტირილს თავი არიდე,  
რადგან მე მინდა შავს საფლავში ისე ჩამიდე,  
რომ ცხედარს ჩემსას ერთი ცრემლიც არ დაანამო.  
პირიქით, შეხვდი ამ ცუდ ამბავს ღიმილით წყნარო...  
დღესასწაული ჩემზე გლოვით არ ჩაიმწარო, -  
მაგრამ, ეჰ, იქნებ ეს სიბრყვედ გეუცხოება.  
რადგანაც ვიცი, შენთვის უფრო სასახელოა,  
რამდენად ჩქარა შემძულდება მე ეს ცხოვრება.  
დე, ქვესკნელიდან გამოცხადდეს - უკვე დრო არი, -  
თვით ტანტალოსი, კაცი მარად გაუძღომელი,  
და ვეებერთელა წვეტიან კლდის წამოკიდებით  
მას უკან მოჰყვეს სიზიფოსი შეუპოვარი,  
მოვიდეს ბორბლით იქსიონიც დაუცხრომელი,  
და ტიციუსიც ყორნით, კასრით დანაიდებიც...  
დე ეს ჭრელი ბრბო თავს დამადგეს, - არ შევშინდები.  
გულზე დამადოს თვითეულმა ტანჯვა თავისი,  
და თუ შეფერის შეუსრელონ ერთი მუდარა  
ცოდვილს, რომელრაც არ ეღირსა ბოლოს სუდარა.  
მასმინონ ხმანი ნაღვლიანი სულთათანასი,  
და ჯოჯოხეთის ყარაულმაც სამთავიანმა  
მათ ბანი მისცეს ქვესკნელიდან ომახიანად,

ურჩხულებთან და ქიმერებთან ხმაშეწყობილად.

განა რომელი ღირსებია ასეთ დიდებას,

ესდენ სასტიკი ბედისწერის ვინც არ ყოფილა?

სასოწარკვეთავ, არ მისმინო შენი კვნესა მე...

ოდეს ქვეყანას საძულველსა გამოვესალმე.

ო, ნებისყოფავ, ვისზეც ითქვა ეს საჩივარი,

რადგან ის ხედავს ჩემს სიკვდილში თავის დიდებას,

სახეზე ჭმუნვა დაკრძალვისას ჰქმენ უჩინარი.

ქრიზოსტომის ლექსი ყველას მოეწონა, მხოლოდ ვივალდომ წაკითხვის შემდეგ შენიშნა, რომ შიგ გამოხატული ეჭვები არ ეთანხმებოდნენ იმ ხმებს, რაც მარსელას სათნოებასა და თავმდაბლობაზე იყო გავრცელებული ხალხში. ლექსში ქრიზოსტომის ეჭვიანობდა და განშორებაზე ჩიოდა, ეს საქციელი კი სახელს უტეხდა მარსელას, მაგრამ ამბროსიომ, თავის მეგობრის გულისნადების კარგმა მცოდნემ, ასე უთხრა მათ:

- თქვენი ეჭვების გასაქარვებლად, სენიორ, უნდა მიგახსენოთ, რომ ქრიზოსტომმა ეს ლექსი მაშინ დაწერა, როცა თავის სატრფოდან შორს ცხოვრობდა იმ იმედით, ეგებ ამ განშორებას თავისი ჩვეულებრივი მოქმედება მოეხდინა, მარამ, რადგან არ შეიძლება განშორებულ მინურს ეჭვი არ შეეპაროს და ეს ეჭვი გულს არ უღრღნიდეს, ამიტომაც საკვირველი არ არის, თუ ქრიზასტომს ფრიად უსაფუძვლო ეჭვები ჰქეჯნიდნენ. მაინცდამაინც იმის ყვედრებას არ ძალუძს მარსელას კარგ სახელს რაიმე ბინდი მოჰფინოს ვინც კი იმ ქალს იცნობს, შეუძლია გულქვაობა, გულგრილობა დააყვედროს, მაგრამ რაც კი ქალის ზნეობას ჩირქსა სცხებს, ასეთ საქციელს მას თვითონ შურიც ვერ დასწამებს.

- სწორია, მართლსა ბრძანებთ, - მიუგო ვივალდომ.

და ის იყო მის მიერ დაწვასგადარჩენილ ხელნაწერიდან კიდევ ერთი ფურცლის წაკითხვა დააპირა, ამ დროს უეცრად მისი თვალი და აგრეთვე ყველასიც, ვინც ქრიზოსტომის დასაფლავებაზე იყო მოსული, ერთმა საოცარმა სანახავმა მოიტაცა, (რადგან მართლაც ეს ამბავი ყველას გასაოცრად მოეჩვენა). ეს თვითონ მარსელა იყო. როგორც ამბობდნენ, იგი იმაზე მშვენიერი იყო და სწორედ იმ სერზე გადმოდგა, რომლის ძირშიც მის ბედშავ მინურს სამარეს უთხრიდნენ. ვისაც ის ჯერ არ ენახა, განცვიფრებით დაუწყო ცქერა; მაგრამ, ვისაც კი უკვე ნანახი ჰყავდა არც ისინი იყვნენ მათზე ნაკლებ მოხიბლულნი. ამბროსიომ რომ ის ქალი დაინახა, განრისხებულმა შესძახა:

- აჲ რა გინდა, ამ მთების მძვინვარე ვასილისო, ერთი შეხედვით რომ შხამავ ადამიანს! იქნებ გინდოდეს შენი თვალითა ნახო, როგორ გადმოსჩქეფს სისხლი ამ უბედურის წყლულიდან, შენი ხელით, რომ უდროოდ საფლავს ჩააწვინე? იქნებ იმიტომ მოხველ, ამის უბედურება აბუჩად აიგდო და შენი სისხლიერი გამარჯვებით იამაყო?... ან იქნებ, ვით უღმობელმა ნერონმა გინდა ამ მთის მწვერვალიდან ცეცხლმოდებულ რომს უცქირო და ამით დატკბე? ან იქნებ გინდოდეს აბრალო ქრიზოსტომის ცხედარი თავხედურად ფეხით გასთელო, როგორც

ტარკვინიუსის გულქვა ასულმა მამამისის სისხლში მოსვრილი გვამი გათელა ფეხით? ერთი, ჩქარა მითხარ, რისთვის მოხველ და ან რას უფრო ისურვებ, - რადგან კარგა მოგეხსენება, სანამ ქრიზოსტომის ცოცხალი იყო, ყველაფერში შენ გემორჩილებოდა, მე ვეცდები მისი სიკვდილის შემდეგაც დაგემორჩილოს ყველა, ვინც ამ ტანჯულის მეგობრად თვლიდა თავს.

- ცუდად გცნობივარ, თუ ეგრე ფიქრობ ჩემზე. ვერც ერთი ის მიზეზი, რომელიც შენ ჩამოთვალე, ამბროსიო, ვერ აღმძრავდა აქ მოსასვლელად, - უპასუხა მარსელამ. - მე მოველ თავი გავიმართლო და დაგიმტკიცოთ, თუ რამდენად უსამართლონი არიან, ვინც თავის ტანჯვას და ქრიზოსტომის სიკვდილს მე მაბრალებენ. ამიტომ ორიოდ სიტყვის თქმა მაღირსეთ, მწყემსნო და ბატონებო, და იქნებ ის ორიოდ სიტყვა საკმაო იყოს ჩემი თავის გასამართლებლად.

თქვენ ამბობთ, ღმერთმა მშვენიერი გაგაჩინაო, და ვინც კი მნახავს, არ შეუძლია არ შემიყვაროს, მაგრამ ჩემი სილამაზე, რომ ჩემს თავს აყვარებს ხალხს, განა მე ყველა უნდა შევიყვარო, ვისაც უყვარვარ? ჩემი ჭკუით ვიცი, ყველა მშვენიერი ჩემთვის საყვარელია, მაგრამ აქაო და მშვენიერი ყველას თავს გვაყვარებს, განა სამართლიანი იქნება მასაც სამაგიერო სიყვარული მოვთხოვოთ ყველამ? რატომ იმას არ ფიქრობთ, რომ მშვენიერ ქალში შეყვარებული შეიძლება მახინჯი იყოს და ზიზღის მეტისა სხვა გრძნობის აღძვრა არ შეეძლოს. მოდის ის მახინჯი და გეუბნება: "მიყვარხარ იმიტომ, რომ ლამაზი ხარ და შენც უთუოდ უნდა შემიყვარო, თუმცა მახინჯიცა ვარო", რა სამართალია? მაგრამ ვთქვათ, რომ ორივე მხარე ერა, ნაირად ლამაზია, განა ამიტომ, აუცილებელია ორივე მხარე ურთიერთთან ერთნაირ მიმზიდველობას გრძნობდეს? თვალისმომტაცი მშვენიერება განა უთუოდ გულსაც იტაცებს მარტო სილამაზე, რომ იმონებდეს გულს, მაშინ ხომ მარტო ურიგო გაუმაძღარი სურვილების ფორიას. დაგინახვდათ ჩვენს გარშემო და ჩვენი სიცოცხლე მუდამ სიყვარულის საგნის გამოცვლა იქნებოდა და თუ სიყვარული ძალად არ შეიძლება, ვის შეუძლია ძალად შემაყვაროს თავი, თუ მისკენ გული არ მიმიწევს სიყვარული თავისუფალი უნდა იყოს და არა ძალდატანებითი, თუ ეს ასეა, მაშ ძალას რად მატანთ შეგიყვაროთ? ერთი მითხარით, თუ ღმერთი გწამო, გონჯი, რომ გავჩენილიყავი, სიმართლე იქნებოდა დაგმდურებოდით, რატომ არ გიყვარვართ-მეთქი? თუ, ღმერთმა ლამაზი გამაჩინა, რა შუაში ვარ, მე ხომ არ მითხოვნია? განა გველს დანაშაული აქვს, ნესტარში, რომ შხამი უდგას და თავის გარშემო სიკვდილსა ჰვენს? მაშ ჩემი სილამაზის გამო ჩემი გაკიცხვაც არ შეიძლება. პატიოსანი ქალის სილამაზე შორს მოვარვარე ცეცხლს ანუ უძრავადმდებარე ხმალს ედარება, ერთიცა და მეორეც მაშინ სწვავს და სჭრის, როცა ახლოს ეკარებიან, ნამდვილი ჩვენი სილამაზე სულის ღირსებაა: უამისოდ შეიძლება ლამაზიც ვიყოთ, მაგრამ ლამაზებად კი არ უნდა ვითვლებოდეთ. ნუთუ ქალი ვალდებულია თვისი საუკეთესო სამკაული მამაკაცის ამ წამირ სურვილს უმსხვერპლოს, ჩვენს ჭეშმარიტ მშვენებას, რომ გვტაცებს?

თავისუფლად დავიზადე და რადგან ამ თავისუფლებას ძვირად ვაფასებ, ამიტომაც ველად გამოველ: ჩემი მესაიდუმლენი ამ მთის ტყეებია, და ანკარა წყაროები - ჩემი სარკეა: ჩემს ფიქრებსა და მშვენებას ამათ ვუზიარებ. შორს მოვარვარე ცეცხლი და მიუკარებელი ხმალი ვარ. ვინც კი ერთის დანახვით შემიყვარა, ყველას გულწრფელ თვალეები ავუხილე, და თუ იმ უარმა ისინი გონს ვერ მოიყვანა, თუ მაინც კიდევ ამაო იმედებით შეიქცევენ თავს, თქვენა გკითხავთ, გასამტკენარი ეინ უნდა იყოს? ხემი სიმკაცრე, თუ მათი ჭირვეულობა? თქვენ ამბობთ: ქრიზოსტომის წადილები უმანკონი იყვნენ,, რომ მისთვის ხელი არ უნდა მეკრა. კარგია, მაგრამ, სიყვარული, რომ გამიმჟღავნა, განა არ გამოფუცხადე, სწორედ ამა ალაგას, სადაც ასაფლავებთ, რომ განმარტოებით მწადია ცხოვრება-მეთქი, რომ აღთქმა დაედე - ჩემი მშვენება მხოლოდ შავ მიწას დავუსაკუთრო-მეთქი? თუ კი ამანაც ვერ აუხილა თვალეები, თუ კედელზე

ბოზღვას არ მოეშვა, რაღა საკვირველია, თავის საკუთარი მოუფიქრებლობის მორევში თუ ჩაიღრჩო. მე, რომ იგი თითოეულ დამეხვია, უპატიოსნო გამოვიდოდი; თუ დავნებდებოდი, მაშინ ჩემს წმინდა გადაწყვეტილებას ვულალატებდი; ახირებული იყო და ამ თავის ახირებამ მიიყვანა სასოწარკვეთილებამდის. ახლაც გამამტყუნებთ და მის ტანჯვას მე დამაბრალებთ? მოვატყუე, გავიტაცე ვინმე, ფიცს ვულალატე? ჩემი გული აღუთქვი ვისმეს? მაშ ვის შეუძლია გამკიცხოს? ვის მივეცი მიზეზი სასტიკი და ორგული მიწოდოს?

ღმერთს ჩემთვის ჩემი საბედო არ უჩვენებია და არც მე წავალ სადმე მის საძებნელად. ეს ჩემი სიტყვები დაიხსომოს, ვისაც რამე გუმანი აქვს ჩემზე და თუ კვლავ ჩემი მიზეზით მოკვდება ვინმე, იცოდეთ, მისი სიკვდილი არც ეჭვისაგან იქნება და არც სიძულვილისაგან. რომელ ქალსაც არავინ უყვარს, არც ეჭვის აღძვრა შეუძლია და თუ ვისმეს თვალეზი ავუხილე და თავის შეცდომილება ვუჩვენე, ეს სიძულვილს როდი ნიშნავს. ვინც ვასილისკოს და აფთარს მეძახის, მომშორდეს, მომერიდოს როგორც ქაჯს; ვისაც გულქვად მივაჩნევარ, უკან ნულარ მდევს; ვინც მუხანათობას ხედავს ჩემში, ახლოს ნუ მეკარება. ყველამ იცოდეს, რომ შხამიანს, მუხანათს, გულქვას და უცნაურს არსებას არც მეძნა სურს ვისიმე, არც უკან დევნა, არც მიკარება, არც ცნობა თუ ჩემდამი მგზნებარე გრძნობამ და ვერდათმობამ ქრიზოსტომის ბოლო მოუღო, განა ამის ბრალი ჩემს გონიერებას და უმანკოებას უნდა დასდევან? ამას იქით ნულარავინ მოვა და ჩემს განმარტოებულს სიცოცხლეს ნუ შემიწყვეს, ძალას ნუ დამატან? ხალხს შევალთ უმანკოება, ეს განმარტოებული ხეები, რომ მინარჩუნებენ; როგორც იცით, მე საკუთარი ქონება მაქვს და სხვისაზე თვალი არ მრჩება; ბედმა თავისუფლად ცხოვრების ღონე მომცა და ამ თავისუფლებას მონობაზე არ გავცვლი არავინ მძულს და არც არავინ მიყვარს; ვერავის შეუძლია თქვას, რომ ვინმე მომეტყუებინოს, ან მოვფერებოდე ვისმე, ან მასხარად ამეგდოს ვინმე, ან მყვარებოდეს ვინმე ჩემთვის სასიამოვნო ცხოვრება ჩემი სოფლის მწყემს ქალებთან უბრალო ბაასი და ჩემს თიკნებზე ზრუნვაა. ჩემი სურვილები ამ მთებს იქით არ გადიან და თუ ხანდახან იმათ აღმაც ფრენენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ზეცის უკუნითი მშვენიერებით დასტკბნენ, იმ პირველყოფილი სავანის მშვენიერებით, საიდანაც ჩვენი სული ჩამოსულა და სადაც კულავად უნდა ავიდეს.

ეს წარმოთქვა თუ არა, პასუხს აღარ დაუცადა, გატრიალდა და მსწრაფლ იქვე მდებარე ხშირ ტყეს მიეფარა ვინც უსმენდა, ყველა მისი ჭკუითა და სილამაზით მოიხიბლა. ზოგმა მისი ნათქვამის მიუხედავად (მისი თვალის ისრით განგმირულმა) ის იყო უკან გადევნება დააპირა, მაგრამ დონ კიხოტმა, რომ ეს შენიშნა, ამ შემთხვევის გამოყენება მოიწადინა და მყისვე თავი ქალთა მფარველ რაინდად გამოაცხადა, ხელი ხმლის ვადაზე იტაცა და საშინელი ხმით დაიძახა.

- არავინ გაბედოთ მარსელას უკან გამოდგომა, ვისაც არ გინდათ ჩემი რისხვა გამოიწვიოთ; მან ცხადი საბუთი დაამტკიცა, რომ ქრიზოსტომის სიკვდილში არავითარი ბრალი არ უდევს და პირდაპირ თქვა, რომ არავინაც არ უნდინხართ. ამიერიდან თავისი სიყვარულით მისი თავის მობეზრება აღარავინ გაბედოს. ყველა კეთილგონიერმა კაცმა იმას მხოლოდ პატივი უნდა სცეს, რადგან მთელს ქვეყანაზე, მგონია, მარტო ეგ არის, რომ უმანკო ცხოვრებითა ცხოვრობს.

დონ კიხოტის ამ მუქარის ბრალი იყო, თუ ამბროსიოს თხოვნისა - დასაფლავების წესი ჩქარა დაესრულებინათ, ადგილიდან არავინ დამრულა, ვიდრე ცხედარი ტირილით საფლავში არ ჩაუშვეს და ქრიზოსტომის ქაღალდები არ დაწვეს. საფლავს დროგით დიდი ტინის ქვა დაადვეს, ვიდრე ამბროსიოსაგან შეკვეთილი ფიქალი მომზადდებოდა ეპიტაფიით:

აქ წევს საბრალო შეყვარებული,  
გულხელდაკრეფილს ქვა-ღორდი ფარავს.  
ის სიყვარულით მწყემსავდა ფარას,  
მაგრამ უგულომ მოუკლა გული.  
ო, სასიკვდილო ჰყო განწირული  
უგრძნობის ეშმა და სილამაზემ,  
და ამიტომაც დღეს ქვეყანაზე  
მძლავრობს ამური ავი და კრული.

შემდეგ საფლავს მრავალი ყვავილი და ნეშოები დააყარეს, განსვე ნებულის მეგობარ ამბროსიოს სამძიმარი უთხრეს და მწყემსები დაიშალნენ. ვივალდო თანამგზავრებიანად გზას გაუდგა, დონ კიხოტიც ყველას გამოეთხოვა და გამოთხოვებისას გზაზე გაცნობილმა მგზავრებმა გულმოდგინედ სთხოვეს თან წაჰყოლოდა სევილიაში; არწმუნებდნენ, ფათერაკების მამებრისათვის ასეთ მარჯვე ადგილს მთელ ქვეყანაზე მეორეს ვერ შე ხვდებო და რასაც თვითთულ მის ქუჩაზე ფათერაკს წააწყდები, სხვაგან მთელს ქალაქში ვერა ნახავო დონ კიხოტმა ასეთი რჩევისათვის მადლობა გადაუხადა და გამოუცხადა, რომ სევილიაში მათი გაყოლა არ შეეძლო, ვიდრე იმ გარშემო მთებში ავაზაკებს და ქურდებს არ შემუსრავდა. რაკი რაინდის კეთილი განზრახვა გაიგეს, მგზავრებმა თხოვნა აღარ გაუმეორეს, ხელმეორედ გამოემშვიდობნენ, თავის გზას დაადგნენ და გზა-გზა სალაპარაკო მასალაც ბლომად წაიღეს, როგორც მარსელასა და ქრიზოსტომის ისტორიაზე, ისე დონ კიხოტის სიგიჟეზე. ჩვენი რაინდი კი მშვენიერ მარსელას საძებნელად გაემგზავრა, იმ განზრახვით, რომ მისთვის თავისი სამსახური გამოეცხადებინა, მაგრამ, როგორც ფიქრობდა, გარემოება ისე არ მოეწყო და მისი განზრახვები არ განხორციელდნენ. ამის შესახებ მოთხრობილი იქნება ამ ნამდვილი ისტორიის შემდგომ გაგრძელებაში, რომლის მეორე ნაწილიც აქ მთავრდება.

#### თავი XV

სადაც მოთხრობილია უსიამოვნო ფათერაკი, დონ კიხოტს

გულქვა იანგვესელებთან შეხვედრისას, რომ შეემთხვა

ბრძენი სად ჰამეტ ბენენჰელი გვიამბობს: დონ კიხოტი, რომ თავის მგზავრებსა და მწყემსს. ქრიზოსტომის დასაფლავებაზე დამსწრე ხალხს გამოეთხოვა, მაშინვე საჭურველმტვირთველიანად იმ ტყისაკენ გაემურა, სადაც მარსელა მიეფარა. იმის ძებნაში ორი საათი გაატარა და ვერსად იპოვა. ბოლოს, მოულოდნელად, ერთ მშვენიერ მობიბინე ველზე გამოვიდა, სადაც ანკარა წყაროც მოჩხრიალებდა. ამ ადგილის მშვენიერებით აღტაცებულმა აქ მოიწადინა დასვენება და თანაც ისა ჰქონდა ფიქრად, შუადღის ცხარე მზისაგან შეეფარებინა თავი. ერთმა ცხენი და მეორემ ვირი საძოვარზე გაუშვა. შემდეგ ჩვენმა ფათერაკის მამებრებმა თავიანთ ჩანთაზე იერიში მიიტანეს და ბატონმა და მოსამსახურემ მშვიდობიანი მუსააფით დაუწყეს ჭამა, რაც კი ჩანთაში საგზალი მოეპოვებოდათ.

სანჩომ როსინანტს დუშაყი არ გაუკეთა, რადგან მისი დარბაისლობისა და გულცივობის იმედი ჰქონდა და დარწმუნებული იყო, ამ თვისებას მთელი კორდოვის ფაშატებიც ვერ შეურყევდნენ და ვერაფერ ცუდ საქციელს ვერ აფიქრებინებდნენ. მაგრამ ვაი, რომ მოსტყუვდა. ბედი და ეშმაკი არავის მოასვენებს, და აი იმ ეშმაკმა, (რომელსაც ყოველთვის როდი სძინავს) იმავე ველზე იანგვესელ მეჯოგეებს აკი მთელი გალისიელი ფაშატების ჯოგი არ გამოარეკინა; ამათ თურმე ჩვეულებად ჰქონდათ, ბინაზე მიმავლებს, ამ კარგ ბალახიან და წყლიან ალაგს უნდა შეესვენათ ხოლმე. როსინანტსაც აკი ეშმაკი შეუძვრა და თავისი ჯიშის გაარშიყება მოასურვებინა! დაინახა თუ არა ჯოგი, არც აცია, არც აცხელა, არც თავის ბატონს დაეკითხა და მსწრაფლ კობტა თოხარიკით ფაშატებისაკენ კენ გაეშურა. მათ ამჟამად თითქოს ჭამის სურვილი უფრო ჰქონდათ, ვიდრე არშიყობისა. ან იქნებ ჩვენი ბედაურის გარეგნობა არ მოეწონათ, ძალიან უგულოდ მიიღეს იგი, ტლინკების ყრა და კბენა დაუწყეს, კბილებით მოსართავეები სულ დაუგლიჯეს, უნაგირი მოაძვრეს და მთლად გააშიშვლეს, მაგრამ მისი მარცხი ამით არ დასრულებულა: რაც ფაშატებმა დააკლეს, ის მეჯოგეებმა შეუსრულეს. განზრახვა გაუგეს თუ არა, რმისცვივდნენ უბედურ მთარშიყე როსინანტს და კომბლვებით იმდენი ურტყეს, ფეხები მალა ააფშეკინეს. დონ კიხოტმა და სანჩომ ასეთ ყოფაშა, რომ დაინახეს როსინანტს, ფიცხლავ მისაშველებლად გაექანნენ და ამ დროს რაინდმა საჭურველმტვირთველს უთხრა:

- მეგობარო სანჩო, აშკარად ჩანს და მეც ვხედავ, ჩვენ ახლა რაინდებთან კი არა, რაღაც უმაქნის ბრბოსთან მოგველის ბრძოლა; ამიტომ ნება გაქვს დაურიდებლად მომშველო, რომ იმ უმაქნისთ სამაგიერო გადავუხადოთ როსინანტს ასე თვალდათვალ შეურაცხყოფისათვის.

- რა სააგიეროს გადახდას ბრძანებთ? - მიუგო სანჩომ, - შე დლოცვილო, იქ ოცი კაცია და ჩვენ კი სულ ორნი ვართ, ან უფრო მართალი ვთქვათ - ერთი და ნახევარი.

- მე ერთი ვუდრი ასს, - შეჰყვირა დონ კიხოტმა.

მეტი კრინტი აღარ დაუძრავს, ხმალი იძრო და შეუტია მეჯოგეებს. ამ მაგალითით წაქეზებული სანჩო გაგულისდა, გამხნევდა და პატრონს თან მიჰყვა. პირველი შეტევით ერთ მეჯოგეს დონ კიხოტმა ისე მაგრა სთხლიშა ხმალი, რომ ტყაპუჭი გაუჭრა და მხარიც კარგა ბლომად ჩაათალა; ახლა მეორეს დაუპირა დარტყმა. მაგრამ მეჯოგეებს თითქოს შერცხვათ, იმდენს რომ სულ ორი კაცი ასე კადნიერად ეპყრობოდა, კომბლები აიღეს, მჭიდრო ალყად შემოერთყნენ ფათერაკის მამებრებს და ისე მარჯვედ და გულმოდგინებით დაუწვევენ ტყეპა, რომ საქმე მალე გაუთავეს. სანჩომ დიდხანს ვერ გაუძლო, მეორე შეტევაზედვე მიწაზე გაიშხლართა, მაგრამ ვაი, რომ ვერავითარმა ხელოვნებამ და სიმამაცემ ვეღარც დონ კიხოტი დაიფარა მარცხისაგან, უღმობელმა ბედმა ისე იწება, რომ იგი სწორედ თავის როსინანტის ფეხებთან დაცემულიყო, რადგან უხეში ბრიყვების ხელში კომბალს თურმე ასეთი ძალთ ჰქონია. მეჯოგეებმა რომ ნახეს - ცუდი საქმე ჩავიდინეთო, თავიანთი ჯოგი საჩქაროდ მოაქუჩეს და სწრაფად გაუდგნენ გზას. ფათერაკების ორი მამიებელი კი მეტად სავალალო მდგომარეობაში დატოვეს.

ამ ვაი-ვაგლახის შემდეგ სანჩო პირველი მოვიდა გონს, და ბატონი რომ თავის ახლოს დაინახა, მიკნავებული, მწუხარე ხმით უთხრა:

- სენიორ დონ კიხოტ! ჰეი, სენიორ დონ კიხოტ?

- რა გინდა, ჩემო ძმაო სანჩო? - იმავე მწუხარე და მიკნავებული ხმით ჰკითხა დონ კიხოტმა.

- არ შეიძლება ახლა მაინც მიზომოთ თქვენი ფერტა ბლასის ბალზამის ორიოდე ყლუპი, ხელთა მაქვსო, რომ ამბობდით, იქნებ დამტვრეულ ძვლებსაც ისე არგოს, როგორც სხვა ჭრილობას რგებს?

- ვაი, რომ არ მაქვს! - წამოიძახა დონ კიხოტმა, - ის, რომ მქონდეს, საწუხარი რალა გვექნებოდა! მაგრამ, სანჩო პანსა, გაძლევ მოგზაური რანდის პატოსან სიტყვას, ორი დღეც არ გავა, რომ ის ბალზამი ხელთ მექნება და თუ ასე არ იყოს, ხელები დამაწყდეს.

- ორი დღე არ გავაო! მერე როგორა გგონიათ, რამდენი დღის შემდეგ შევიძლებთ ჩვენი ფეხების ხმრებას? - ჰკითხა სანჩო პანსამ.

- იმის მიხედვით, რა ყოფაშია ახლა ვარ, მაგის თქმა დარწმუნებით არ შემიძლია - უპასუხა დაბეგვილმა რაინდმა, - მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს უბედურება სულ ჩემი მიზეზით შეგემთხვა. აბა რა ჩემი საქმე იყო, რომ ჯერ რაინდად დაულოცავ ბრიყვსა და უზრდელ ხალხზე ვიშიშვლე ხმალი! ბრძოლის ღმერთმა სამართლიანად დამსაჯა, რაინდთა წესები, რომ დავარღვიე. ამიტომაც, ჩემო მეგობარო სანჩო, ახლა საჭიროდ მიმაჩნია ზოგი რამ ისეთი შეგატყობინო, რაც ჩვენს საერთო სარგებლობას შეეხება: კვლავ თუ ნახო, რომ შეურაცხყოფას ვინმე მდაბიო, უმაქნისი და ვიგინდარა ხალხი გვაყენებს, მაშინ იმის საპასუხოდ ხმალს მე ნუ დამამკრევიანებ ქარქაშიდან, იცოდე, რომ პასუხის გაცემა შენი ვალია, როგორც გერჩიოს, ისე მოეპყარ, იმდენი ურტყი, რამდენიც მოგესურვოს. ხოლო, თუ რაინდები მოემველებიან, მაშინ კი, - მაშინ იმათ დახვედრას მე მოვახერხებ. ხომ იცი, ათასი მაგალითი გიდევეს წინ, თუ რაოდენ ძლიერია ჩემი მკლავი.

აი, როგორ გადიდგულდა ჩვენი საბრალო სენიორი მამაც ბისკაელზე გამარჯვების შემდეგ, მაგრამ სანჩო პანსა სულ სხვა აზრისა იყო, ვიდრე მისი ბატონი, მას ვერაფრად ეჭაშნიკა რაინდის ნათქვამი, ვერ მოითმინა და უპასუხა:

- ჩემო ხელმწიფეო! ერთი მშვიდობისმოყვარე კაცი გაახლავარ და, ღვთის მადლით, ისიც ვიცი, რომ ჩემი შეურაცხყოფა ყველას უნდა ვაპატიო იმიტომ, რომ ცოლი და შვილები მასხედან კისერზე, მათი რჩენის და აღზრდის მოვალე ვარ. ამიტომაც დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ თქვენის ნებართვით, - მე ხომ ჩემდათავად ამის უფლება არა მაქვს, - არასოდეს ხმალს არ ამოვიღებ არც რაინდზე, არც უკანასკნელ ვინმე გლეხზე და ამიერიდან მეორედ მოსვლამდე რაც რამ ჩემთვის შეურაცხყოფა ვისმე მოუყენებია, ან კვლავ მომაყენებს, ან კიდევ, ახლა მაყენებს, მდიდარია, თუ გლახაკი, რაინდია, თუ გლეხი, - ყველასათვის ყველაფერი მიპატიებია.

ეს, რომ გაიგონა, მისმა ბატონმა ასე უთხრა:

- დარწმუნებული, რომ ვიყო, სუნთქვა არ შემეხუთებოდეს და გვერდების ტკივილი დიდხანს ლაპარაკს, არ დამიშლიდეს, სანჩო, მე დაგიმტკიცებდი, თუ რარიგ უვიცი ხარ იმაში, რასაც ამბობ, აბა ერთი მიპასუხე, შე გადაბრჯნილო ცოდვილო ბედი, აქამდის, რომ ხელს არ გვიწყობდა, იმ ბედმა უცებ, რომ ჩვენსკენ პირი მოიბრუნოს და ჩვენთა სურვილთა გაფარფაშებული იალქნებით, ერთ-ერთ იმ კუნძულზე მოგვაქროლოს, მე, რომ უკვე მითქვამს შენთვის, აბა მითხარ, რას მოიმოქმედებდი, ჩემგან დაპყრობილ კუნძულს, რომ მიღებდი? მის მართვას გონივრულად განა შეიძლებდი, როდესაც არც რაინდი ხარ და არც იმად გახდომას

ცდილობ, როდესაც საჭიროდ არ მიგაჩნია შენს შეურაცხმყოფელთ სამაგიერო გადაუხადო, და არც ძალა გაქვს შენი სამფლობელო დაიცვა? ნუთუ აქამდის არ იცი, რომ ახლად დაპყრობილი ქვეყნის მცხოვრებთ მშვიდობიან ბუნებაზე ყოფნა არ შეუძლიათ, უცხო ბატონობას ძნელად ეჩვევიან, მუდამ მზად არიან თავიანთი დამმონებელნი ძირს დასცენ და თავისუფლება უკან დაიბრუნონ. ნუთუ ფიქრობ, შენი ორგული ხალხის მართვა-გამგეობისათვის არც სიბრძნე იქნება შენთვის საჭირო, რომ თავის დაჭერა იცოდე, არც გაბედულება, რომ თავს დაცემა შეგეძლოს და არც სიმამაცე, რომ მტრის მოგერიება მოახერხო?

- ეგ სიბრძნე და სიმამაცე, იქნებ წელან გამომდგომოდა, როცა მეჯოგეები თავს დაგვესხნენ, - მიუგო სანჩომ, - ახლა კი, ღარიბი კაცის პატიოსნებას გეფიცებით, მერწმუნეთ, ყველა სიბრძნესა და ქადაგებას რამე მალამო მირჩევნია. აბა, ერთი, წამოდექით როგორმე და მიშველეთ როსინანტი ავაყენო, თუმცა სამართლით ღირსი არ არის კაცმა ამისათვის იზრუნოს, ეს მარცხი სულ მისი წყალობით არ დაგვემართა? ასეთ აფურფუტებას მისგან ვინ იფიქრებდა მე გონა, ჩემსავით მშვიდი და მოკრძალებულია-მეთქი. ტყვილად კი არ არის ნათქვამი - კაცი ძნელი საცნობიაო, და ამ წუთისოფელში სანდო არ არისაო იმ სასწაულის შემდეგ, თქვე, რომ ამას წინათ ის ვიღაც უბედური რაინდი დაამარცხეთ, ისეთი გამარჯვების შემდეგ განა ვიფიქრებდი, რომ ჩვენს ბეჭებს ასე ჩქარა ამდენი კომბლების ტყაპა-ტყუპი აედინებოდა?

- შენს ბეჭებს კიდევ რა უშავს, - მიუგო დონ კიხოტმა, - მაგ ყოფას შეჩვეულია, ჩემი უნდა ვთქვა, რომ ჩემს ბეჭებს სინაბაფესა და ჰოლანდური წმინდა ტილოს მეტი ჯერ არა მიჰკარებია-რა; ჩემს ზურგს ეს კომბლები დიდხანს არ დაავიწყდება. მე, რომ არა ვფიქრობდე, მაგრამ რას ვამბობ, მე, რომ ნამდვილად არ ვიცოდე, რომ ყველა უბედურება რაინდისათვის აუცილებელია, რომ ჩვენი წოდების ხვედრი ყველაფრის ატანა და მოთმინებაა, - ჯავრისა და სირცხვილისაგან აქვე გავთავადებოდი.

ამაზე მეაბჯრემ უპასუხა

- ჩემო ბატონო, თუ ასეთი მარცხი რაინდების ჭირნახულს შეადგენს, ერთი მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, მთელი წელიწადი აქვთ ხოლმე ეგეთი ჭირნახული, თუ მარტო მკის დროს? მე მგონია, წელანდელი ჭირნახულისთანა, რომ ორი მოიმკათ, მესამე ჭირნახულის მომკას კი ველარ მოვესწრებით, თუ ღმერთი თავისი უღვეველი ღმობიერებით არ შე გვეწია.

- იმასაც ნუ დაივიწყებ, ჩემო მეგობარო სანჩო - უთხრა დონ კიხოტმა, - რომ მოგზაური რაინდები ათასგვარ საშიშროებას და უბედურებას ელიან ყოველდღე, მაგიერად მუდამდღე იმპერატორებად ან მეფეებად გახდომის შემთხვევაც ეძლეათ. მე რომ ახლა ტკივილები არ მიშლიდეს, მრავალი რაინდის ამბავს გაიმბობდი, თვინთი მკლავის ძალ-ღონის მეოხებით სამეფო ტახტი, რომ მოუპოვებიათ. მერე კიდევ სწორედ ის რაინდები არავითარ მარცხს არ ყოფილან მირიდეებულნი, ზოგ მათგანს სამინელი უბედურებაც გადახდენა. აი, მამაცი ამადის გალეელი, თავის მოსისხლე მტერს გრძნეულ არკალაისს ჩაუვარდა ხელში, და ამ არკალაისმა თვისი სასახლის ეზოში იგი ბოძზე მკრა და აღვირის გაორკეცებული თასმით ორასჯერ მიარტყა. ერთი უჩინარი, მაგრამ დიდად სარწმუნო მწერალი კიდევ გვიამბობს, რომ რაინდი ფეზოსი, ერთ ციხე-დარბაზი ეზოში ღალატით სამგლე ხაროში ჩავარდნილი, შეუპყრიათ, ხელფეხშეკრული ბნელ სარდაფში ჩაუგდიათ, აქ მისთვის თოვლისა და ქვიშისაგან გაკეთებული რაღაც ისეთი საჭმელი უჭმევიათ, რომ კინაღამ არ მომკვდარა და ვინ იცის კიდევ რა დაემართებოდა, თუ ერთ გამოჩენილ ჯადოქარს, მის დიდ მეგობარს, საბრალო



რაინდთათვის დროზე არ ეშველა და იმ ბნელეთიდან არ გამოეყვანა. ასეთი ამბების შემდეგ, ჩემო სანჩო, მეც შემიდლია ყველა მარცხი ავიტანო, რაც იმ პატიოსან კაცებს აუტანოთ. მით უმეტეს, რომ, რაც ჩვენ ახლა დაგვემართა, მათ იმათზე უარესიც გადახდენით. ამასთან ისიც უნდა იცოდე, რომ შენ, თუ რაც ხელში იარაღი მოგხვდა, იმით დაჰკოდე ვინმე, ასეთი ჭრილობა დაკოდილს სრულებითაც არ შეურაცხყოფს. ჩხუბისა და ორთაბრძოლების კანონ-წესებში ეს ძალიან გარკვევით არის ნთქვამი; იქ სწერია "ხარაზმა, რომ ვისმე კალაპოტი დაარტყას, თუმცა კალაპოტი ხისაც არის, - მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ კაცი, ვრაც კალაპოტი მოხვდა, ნამდვილად ჯოხით ნაცემია". ამიტომაც ნუ იფიქრებ, სანჩო, რომ წელანდელი ჩვენი ცემა შეურაცხყოფას გვაყენებდეს. სულაც არა. ჩვენს წელანდელ მტრებს კომბლების მეტი არა ჰქონდათ-რა, უიმისოდ კი ისინი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამენ, და როგორც მახსოვს, არც ერთს მათგანს ხმალი ან ხანჯალი არა ჰქონია.

- განა დამაცადეს გამესინჯა, ვის რა იარაღი ჰქონდა, - მიუგო სანჩომ, - ისე დამიშინეს კომბლები, რომ ჩემი ტისონის ამოღება ძლივს მოვასწარ; იმათმა ცემა-ტყეპამ თვალთ დამიბნელა და მუხლიც მომეკვეთა. მას აქეთა ვარ გაშხლართული და წამოდგომა ჯერაც ვერ მომიხერხებია ახლა იმისათვის ადა მცხელა, ვიფიქრო - შეურაცხყოფა-მეთქი იმ ცემამ, თუ არა მხოლოდ ვგრძნობ: ამ ცემამ ბლომა ტკივილები დამმართა და ეს ტკივილები იქამდის მესხომება, სანამ ბეჭებიდან არ მომშორდება.

- ძმაო სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაინც უნდა იცოდე, ამ წუთისოფელში ისეთი ტკივილი არ არის და ისეთი უბედურებაც არ არსებობს, რომ მისი გახსენება დრომ არ გააქარვოს და სიკვდილმა არ განკურნოს.

- გმადლობთ ნუგემისათვის! - მიუგო სანჩომ, - ნეტა ვიცოდე, თქვენი აზრით, იმაზე მეტი უბედურება და ტკივილი რა იქნება, რაც მარტო დრო გააქარვებს და სიკვდილი განკურნავს? კარგია კიდევ, თუ ჩემი ჭრილობა იმნაირი გამოდგა, რომ მალამოს ორმა დადებამ მოარჩინოს; ასე მგონია, მთელი ქვეყნის საავადმყოფოთა მალამოებიც ვერ დაგვაყენებენ-მეთქი ფეხზე.

- გეყოფა, სანჩო, ეგ აზდაუბდა ლაპარაკი და წუწუნა. უბედურებას გაუმადრდი, ძალა მოიკრიბე: ჩემგან აიღე მაგალითი, -- უთხრა დონ კიხოტმა. -- მოდი, ერთი ვნახოთ, როსინანტი როგორღა არის. ამ საშინელ ბრძოლაში, მგონია, იმ საბრალოსაც ჩვენზე მაგრად მოხვდა.

- გასაკვირველი აქ არაფერია. ვითომ რატომ არ უნდა მოხვედროდა? განა ის კი მოგზაური მერანი არ არის? - მიუგო სანჩომ. - მე მარტო ის მაკვირვებს, რომ ჩემი ვირი სადსალამათი გადარჩა. მას ერთი ბეწვიც არ ჩამოვარდნია, ჩვენ კი მთელი ტყავი გაგვამკვრეს.

- სანჩო, უდიდეს უბედურებაში ბედი ერთ გასავალ კარს მაინც დატოვებს ხოლმე, - უთხრა დონ კიხოტმა. - ახლაც სწორედ ას მოხდა: როსინანტი, რომ დაგვიზიანა, სამაგიეროდ ვირი შეგვინახა და იგი მიმიყვანს მე რომელიმე ციხე-დარბაზამდის, სადაც ჩემს ჭრილობას უწამლებენ. კიდევ ამასაც დაფუმატებ, რომ ვირზე ჯდომისათვის არავინ დამძრახავს. მახსოვს სადღაც წამიკითხავს, რომ მოხუცი სილენი, სიცილის მხიარული ღმერთის ბახუსის მამობილი და გამზრდელი, ასბჰოვან ქალაქში მშვენიერ ვირზე კოხტადმჯდარი შევიდაო.

- კარგია, თუ ვილენივით კოხტად ჯდომა შეიძელით, - წარმოთქვა სანჩომ. - სწორად ჯდომასა ან ნავის ტომარასავით დებაში დიდი განსხვავებაა; თქვენ კი, მგონია, ახლა სხვარიგად მოგზაურობას ვერ მოახერხებთ.

- ამაზე დონ კიხოტმა უპასუხა:

- სანჩო, ბრძოლაში მიღებულ ჭრილობას მხოლოდ ჩვენი ამაღლება შეუძლია და დამცირება კი არასოდეს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი გავათავოთ, - ნუ კი მეკამათები, არამედ წამოდექი როგორიმე და ფრთხილად შენს ვირზე შემსვი, როგორც სჯობდეს. შემდეგ აქედან დავიძრათ, უდაბურს ალაგას ღამემ არ მოგვისწროს.

- რაღაც მახსოვს, ბრძანებდით ხოლმე, მოგზაური რაინდები დიდ სიამოვნებას ჰპოვებენ უდაბურ ადგილას ცის ქვეშ ღამის გათევაშიო და ეს დად წარმატებად მიაჩნიათო, - უთხრა პანსამ.

- მართალია, ესეც ხდება, - მიუგო დონ კიხოტმა - ისინი ღამეს აგრე ათევენ, როდესაც გამიჯნურებულნი არიან, ან სხვანაირად ღამის გათევა არ შეუძლიათ; ისეთი რაინდებიც ყოფილან, რომ მთელი წლობით რომელიმე გამოქვაბულ კლდეში უცხოურით. სიცხე-ყინვისაგან და ცუდი დარისაგან ყოველგვარი სიღუბჭირე და შეწუხება აუტანიათ და ყველაფერი ისე მომხდარა, რომ მათ სატრფოს არაფერი ცოდნია, ერთი რეთი რაინდი ამადისი იყო, რომელმაც ბელტენებროსი დაირქვა, პენია პობრეს კლდოვან კუნძულზე განმარტოვდა და იქ, ახლა კარგად არ მახსოვს, რვა თვე დაჰყო, თუ რვა წელიწადი. მაგრამ რამდენი ხანიც არ უნდა ყოფილიყო, საქმე იმაშია, რომ გულისვარდ ორიანისაგან ერთი უბრალო წყენის მიზეზით იმ კუნძულზე კარგა ხანს იცხოვრა, მაგრამ, გვეყოფა, ავჩქარდეთ, სანჩო, ნუღარ მოვუცდით, რომ შენს ვირსაც როსინანტივით ახალი რამ ფათერაკი დაემართოს.

- იქნებ ამჯერად ეშმაკმა ვეღარ გვიხიმანდროს, - უთხრა სანჩომ.

და ოცდაათჯერ ამოიოხრა, სამოცჯერ ვაი-ვიში თქვა, ასოცჯერ შეჩვენება შეუთვალა თავის დაბეგვის მიზეზთ და ამ ვაი-ვაგლახით, როგორც იყო, წამოდგა, ფეხზე, დადგა, მაგრამ წელში კი ვერას გზით ვერ გაიმართა, - ოსმალური შვილდივით მოკაკული დარჩა. ამ ყოფაში მას ვირი უნდა დაეჭირა, შეეკაზმა და როსინანტიც წამოუყენებია. მერე რა მდგომარეობაში იყო ეს საბრალო. ენა, რომ ჰქონოდა, ვაი-ვიში და წყევლა-კრულვაში ბატონსა და მის მსახურსაც გადააჭარბებდა. სანჩომ ერთიცა და მეორეც, როგორც იყო, მოახერხა და ბოლოს დონ კიხოტი ვირზე შედო, როსინანტი კურტანს უკან გამოაბა, ვირსაც სადავე დაუჭირა და ბარბაცით იქითკენ გაემართა, საითაც შარაგზა ეგულეობდა. ბედმა ახლა თითქოს წყალობით გამოხედა ჩვენს ფათერაკის მაძებართ, ერთი მილიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ ფუნდუკი გამოუჩნდათ გზაზე, რაც დონ კიხოტმა (და არა სანჩომ) დანახვის უმაღ ციხე-დარბაზად მიიღო. სანჩო უმტკიცებდა, ფუნდუკიაო, მაგრამ მისი ბატონი ციხედარბაზს გაიმახოდა; სანამ ესენი ერთმანეთს დაარწმუნებდნენ, სადავო სახლს კიდევ მიადგნენ. სანჩომ მთელი თავისი ქარავანი პირდაპირ ეზოში შეიყვანა და იმას აღარ დაგიდევდა, ფუნდუკი იყო ის, თუ ციხე-დარბაზი.

## თავი XVI

იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა მახვილგონიერ იდაგოს ფუნდუკში, ციხე-დარბაზად, რომ მოეჩვენა

მეფუნდუკემ დონ კიხოტი, რომ ვირის კურტანზე გარდიგარდმო გადებული დაინახა, სანჩოს ჰკითხა, ამ კაცს რა დამართიაო? სანჩომ მიუგო: მას ისეთი არავითარი ფათერაკი არ შეყრია, მხოლოდ ჩემი ბატონი კლდიდან ჩამოგორდა და ცოტა გვერდები იტკინაო. მეფუნდუკეს ცოლი, თავის ხელობის მიუხედავად, გულჩვილი ადამიანი იყო, და სხვისი უბედურებით

ადვილად გაიმსჭვალეოდა ხოლმე. მაშინვე რაინდის ნატკენების შეხვევას მიჰყო ხელი და თანაც თვისი ქალი მიიშველია, რომელიც, ჩვენს შორის, რომ ეთქვას, ლამაზი ქალი იყო. ამ ფუნდუკში ერთი ასტურიელი მოსამსახურე გოგოცა ჰყავდათ - სახეგატყაპნილი, ცხვირგაწყლელი, კეფაბრტყელი, ცალი თვალით ბრმა და მეორითაც წირპლიანი. თუმცა უნდა ითქვას, რომ მისი აღნაგობა ფარავდა ყველა ამ ნაკლს: მთელს ამ მშვენიერებასთან ეს გოგო მეტად დაბალი იყო. მერე ისეთი მსხვილი და მოგრებილი ბეჭები ჰქონდა, რომ თითქოს იმათი სიმძიმით წელი ვერ გაეშალა; სულ მოკუზული დადიოდა და მეტ წილად ძირს იცქირებოდა. ეს მშვენიერი არსებაც მოვიდა მეფუნდუკის ქალის საშველად და ორივემ ერთად დონ კიხოტს სხვენში მეტად ცუდი ლოგინი გაუშალეს; ეს სხვენი, როგორც ეტყობოდა, ადრიდანვე თვის შესანახი ადგილი უნდა ყოფილიყო. ამავე სხვენში დონ კიხოტის ლოგინის მახლობლად ერთი მეჯორეც დაბანაკებულიყო; იმას თავის ლოგინი კურტნებისა და ჩულებისაგან გაეკეთებინა და დონ კიხოტის ლოგინზე ბევრად მოხერხებულად იყო გამართული. დონ კიხოტის ლოგინი ოთხი გაურანდავი ფიცრისაგან შესდგებოდა, მაღალ-დაბალ ტორიკა ფეხებზე იყო შეყენებული და ზედ საზაფხულო საბნის სისქე გაუწეწავი მატყლის ნაალი ეგ ისეთი ფაფუკი, როგორი ფაფუკიც იქნებოდა, რიყის ქვით რომ ყოფილიყო გატენილი; საბანიც ისეთი გახოკილი იყო, რომ ლითონისას უფრო ჰგავდა, ვიდრე მატყლისას; ნაალს ზევიდან იყო გადაფარებული კიდევ ტილოს ზეწარი, ალბათ კამეჩის ტყავისა. საბანი კი ისეთი მტკიცე ქსოვილისა იყო, რომ მოცლილი კაცი მის ძაფებს ერთ საათში ადვილად დათვლიდა.

აი, ასეთ საშინელ ლოგინზე დააწვინეს დონ კიხოტი, და მარიტორნესის მიერ (ასე ერქვა ასტურიელ გოგოს) დამზადებული მალამოთი ჭრაქის ბუნდ სინათლეზე რაინდს მოვლა დაუწვეს. მეფუნდუკის ცოლმა და მისმა ქალმა თავიდან ფეხებამდის რაღაც მალამოთი ზელა დაუწყეს დონ კიხოტს და მის ტანზე, რომ მრავალი დალილებული ადგილი ნახეს, სანჩოს უთხრეს, ეს შენი ბატონი ნაცემს უფრო ჰგავს, ვიდრე საიდანმე ჩამოვარდნილსაო.

- ცემა რა ბრძანებაა, - მიუგო სანჩომ, - საცა დაგორდა, იმ კლდეს მრავალი ამოშვერილი წვეტი ჰქონდა და, რა თქმა უნდა, რამდენიც ასეთ წვეტს დაეცემოდა, იმდენი ღუბი უნდა გასჩენოდა.

ამასთან დაუმატა:

- დიასახლისო, მოიღეთ მოწყალეობა, ეგებ ეგ მალამო ცოტა ჩემთვისაც დაინარჩუნოთ. მეც როგორღაც წელი მტკივა.

- განა შენც ჩამოვარდი? ჰკითხა დიასახლისმა.

- არა, კი არ ჩამოვარდი, - მიუგო სანჩო პანსამ. - ჩემი ბატონი, რომ კლდეზე სრიალით წამოსული დავინახე, მთელი ტანი ისე შემერყა, ისეთი ტკივილი ვიგრძენ, თითქოს ათასი ჯოხი დამარტყეს-მეთქი.

- საკვირველიც არ არის, - წარმოთქვა მეფუნდუკის ქალმა, - სიზმარში რამდენჯერმე მინახავს, ვითომ მაღალ კოშკიდან ვვარდები, მოვსრიალებ და ძირს კი არ დავცემულვარ; მერე, როცა გამომღვიძებია, ისეთი მოშლილი ვყოფილვარ ხოლმე, თითქოს მართლა საიდანმე ჩამოვარდნილიყო.

- ჰო, სწორედ მეც ვგრე ვარ, სენიორა, - მიატანა სანჩომ - საკვირველია, არც სიზმრად მომჩვენებია, ახლანდელზედაც უფრო ფხიზლად ვიყავი, მაგრამ მაინც ჩემი ბატონი დონ კიხოტივით ტანი ღუბებითა მაქვს აჭრელებული.

- რა ჰქვია ამ კაბალიეროს? - ჰკითხა ასტურიელმა გოგომ მარიტორნესმა.

- დონ კიხოტ ლამანჩელი ეს ერთი იმ საუკეთესო მამაცი და სახელოვანი მოგზაურ რაინდთაგანია, რომელიც ოდესმე ყოფილა ქვეყანაზე, - მიუგო სანჩო პანსამ.

- მოგზაური რაინდი რაღაა? - კვლავ იკითხა გოგომ.

- ძალიან უვიცი ვინმე ყოფილხარ, დობილო, ეგეთი უბრალო რამ არა გცოდნია, - მოგზაური რაინდი, მე შენ მოგახსენო, ისეთი კაცია, რომ, ახლა ვთქვათ ჯოხებით მიბეგვეს, მეორე წამს, ხედავ, ხელად იმპერატორობა მიიღო; დღეს რომ მშიერი და საცოდავი რამ არის, ხვალ, გახედავ - ოთხი სახელმწიფოს მეფე გახდა, და იმ ოთხში, რომელსაც უნდა, ერთ-ერთს თავის საჭურველმტვირთველს უბოძებს.

- მაშ ეგ როგორ მომხდარა, რომ ასეთ დიდ კაცს ემსახურები და აქამდის უბრალო საგრაფოც კი არ გიჭირავს ხელში? - ჰკითხა დიასახლისმა.

- მაგის საშოვნელად ჯერ დრო არა გვქონია, ეს საქმე ასე სწრაფად როდი კეთდება, - მიუგო სანჩომ - ჯერ ხომ სულ ერთი თვეა, რაც ვმოგზაურობთ და ფათერა-კებს დავემებთ, მაგრამ სამაგისო ჯერ არა შეგვხვედრია-რა. ხომ მოგეხსენებათ, ხშირად კაცი ერთს ეძებს და სულ კი სხვასა პოულობს, მაგრამ ერთი კი ღმერთმა მოგვხედოს, ჩემი ბატონი დონ კიხოტი ამ სენს მოარჩინოს, და მეც არ დავშავდე, თორემ, მე შენ მოგახსენო, ჩემს იმედებს ესპანეთის საუკეთესო სამთავროშიც არ გავცვლი.

თავის ლოგინში მწოლიარე დონ კიხოტი ამ ლაპარაკს დიდის ყურადღებით ისმენდა, ახლა ცოტა წამოიწია, დიასახლისს ხელი ნაზად გამოართვა და უთხრა:

- მშვენიერო და პატიოსანო მანდილოსანო, მერწმუნეთ, შეგიძლიათ თქვენი თავი ბედნიერად ჩათვალოთ, რომ ციხედარბაზში ჩემისთანა პიროვნება მიიღეთ. იმაზე არას ვიტყვი, თუ მე ვინა ვარ, რადგან ვიცი, რომ თავის ქება ადამიანს ამცირებს, მაგრამ ჩემი საჭურველმტვირთველი გეტყვით, ვინცა ვარ. მე მხოლოდ ამას დავმენ, რომ თქვენს ჩემდამი სამსახურს საუკუნოდ დავიხსომებ და ვიდრე ცოცხალი ვარ, თქვენი მადლობელი ვიქნები. ზრარსს, რომ არ ენებებინა, - დუმატა მან და თან დიასახლისის ქალს ნაზად შეხედა, - და ჩემი თავი ერთი მომხიბვლელი მშვენიერების მქონე მტარვალისათვის არ დაემონებინა, რომლის სახელს ახლა ჩურჩულით წარმოვთქვამ, მაშინ იქნება ამ ქალწულ მშვენიერ თვალებს შეებოჭათ ჩემი თავისუფლება.

მოგზაური რაინდის ამ სიტყვებმა დიასახლისი, მისი ქალი და კეთილი მარიტორნესი მეტად გააოცეს. ისე არა ესმოდათ-რა, თითქოს რაინდი ბერძნულად ელაპარაკებოდა მათ, მთელი ლაპარაკიდან მადლობისა და ზრდილობის მეტს ვერაფერს მიხვდნენ და, რადგან ასეთ ლაპარაკს ჩვეულნი არ იყვნენ, ხან ერთმანეთს შეხედავდნენ გოცებით, და ხან რაინდს უცქეროდნენ, ვით რაღაც საოცარ ადამიანს. მაინც თავაზიანობისთვის დონ კიხოტს სოფლურ

მეფუნდუკური კილოთი მადლობა გადაუხადეს და დიასახლისი თავის ქალით თავისთვის წავიდა, ხოლო მარიტორნესმა მალამოთი ზელა დაუწყო სანჩოს, რომელსაც ეს თავის ბატონზე ნაკლებ არ სჭირდებოდა.

ახლა საჭიროა ვთქვათ, რომ მარიტორნესს მეჯორისათვის პირობა მიეცა იმ დამეს მასთან ქეიფი გაეწია, როცა სახლში ყველა მიყუჩდებოდა და პატრონებიც დაიძინებდნენ. ეს კეთილი ქალი თურმე პირობას არასოდეს არ გასტეხდა, თუნდა იგი სადმე დაბურულ ტყეში მოწმის დაუსწრებლად ყოფილო მიცემული; პირობასაც ვითომ იმიტომ იცავდა, რომ თავს თავს ნამდვილ აზნაურის ქალად სთვლიდა, და თუ ფუნდუკის მოსამსახურის ხარისხამდე იყო ჩამოყვანილი, ამას, როგორც ამბობენ, მხოლოდ ბედის სიმუხთლეს და დუხჭირ მდგომარეობას აბრალებდა.

დონ კიხოტის ვიწრო, ოკრობოკრო, ტორიკა და მუხთალი საწოლი სხვენის შიგ შესავალში კართანვე იდგა. სანჩო თითქმის იმის გვერდით მიწვა ჭილობზე და მისი საბანიც მუის ქსოვილს უფრო გავდა, ვიდრე მატყლისას, ხოლო მეჯორე იმათზე ცოტა მოშორებით თავის ორი გაუკეთესო ჯორის კურტნებსა და ჩულებზე გაწოლილიყო. ეს მეჯორე ოცი მშვენიერი ჯორის პატრონი იყო და არევალოელ მეჯორეებში მდიდარ კაცად ითვლებოდა, როგორც ამას ამ ამბის დამწერი მოწმობს, მისი კარგი ნაცნობი და ზოგიერთის სიტყვით ნათესავიცა. უნდა მოგახსენოთ, რომ სად ჰამეტ ბენენჰელი, ჩანს, მეტად სინდისიერი, ცნობისმოყვარე, გამოცდილი და წესიერი ისტორიკოსი ყოფილა, რაც იქიდან დასტურდება, რომ ასეთ წვრილმან და უმნიშვნელო ამბებზე ლაპარაკს არ თაკილობს, დუმილით არ უვლის გვერდს; დაე, მისგან აიღონ მაგალითი ზოგიერთმა სერიოზულმა ისტორიკოსებმა, რომლებიც ისე ზერელედ და მოკლედ მოგვითხრობენ ღირსშესანიშნავ ამბებს, რომ, შეიძლება ითქვას, არსებით საგანზედაც კი არას იტყვიან ხოლმე და დაუდევრობით, ვერაგობით თუ უვიცობით მთავარ შინაარსსა და საქმის ვითარებას სამელნის ფსკერში სტოვებენ. ათასჯერ დღეგრძელ იყოს "ტაბლანტე დე რიკამონტეს" დამწერი და იმ მეორე წიგნისაც, რომელშიც გრაფ ტომილიასის საგმირო ამბებია აღწერილი. რა სინამდვილით და გარკვევით აქვთ ყველაფერი მოთხრობილი!

მამ ასე, ვუბრუნდები რა ჩემს მოთხრობას, უნდა მოგახსენოთ, რომ მეჯორემ ჯორებს მეორეჯერ დაუყარა საჭმელი, სხვენზე ავიდა და პირიანი მარიტორნესის მოლოდინში კურტნებზე მიწვა. წამლით გათუთხნული და მალამოთი შეხვეული სანჩო აგრეთვე მიწოლილიყო და საბანში მაგრად გახეული ცდილობდა როგორმე თავის გვერდების ტკივილებს გაჰყუჩებოდა და დაეძინა. დონ კიოტსაც აგრეთვე გვერდების ტკივილისაგან გაკრთობოდა ძილი და კურდღელივით თვალდაჭყეტილი ლოგინში იწვა. მთელს სახლში დიდი სიჩუმე და სიბნელე სუფევდა, მხოლოდ ერთი რაღაც უხეირო სანათური ფუნდუკის შესავალ კარებთანღა ბჟუტავდა.

ამ მიმტკნარებულმა სიჩუმემ ჩვენი რაინდის სწეულ გონებაზე მეტად ძლიერ იმოქმედა და უიმისოდაც მუდამ იმ ფიქრებში მყოფს, რაც კი ოდესმე თავის წიგნებში წაეკითხა - და ყველა მისი უბედურების მიზეზიც ეგ იყო, - ახლა ისეთი ახირებული ფიქრებით აუესო თავი, როგორიც კი შესაძლებელი იყო მის არეულ ტვინში გაჩენილიყო. თავისი თავი ახლა ერთ ჩინებულ ციხე-დარბაზში წარმოიდგინა (რადგან ყველა სამიკიტნო, სადაც კი ის მოხვდებოდა ციხე-დარბაზად ეჩვენებოდა ხოლმე), და მოეჩვენა, რამ მეფუნდუკის ქალს, ანუ სხვანაირად, რომ ეთქვათ, ამ ციხე დარბაზის პატრონის ქალს, მისგან მოხიბლულს, შეუყვრდა იგი და ღამით

მშობლებისაგან ფარულად მასთან დასაწოლად წამოვიდა. ამ ახირებული ფიქრებით მოცული მეტად შიშობდა და წუხდა, ცთუნებას არ დაემლია და თავისი გულისვარდის დულსინეა ტობოსელის მოღალატე არ შექმნილიყო. მაინც კი გუნებაში ფიცი დასვა, დულსინეასთვის არ ეღალატა, თუნდაც მის საცთუნებლად თვითონ დედოფლი ჯინევრა თავის გამდელი კინტანიონის თანხლებით მოსულიყო.

ამასობაში, სანამ ამ სისულელეებზე ფიქრობდა, დრო მიდიოდა და ჩვენი რაინდისათვის ის ბედითი საათიც დადგა, როდესაც მეჯორესთან პირობისამებრ მარიტორნესი უნდა მოსულიყო. მარიტორნესმა სიტყვა არ გასტეხა და პერანგის ამარა, ფეხშიშველი, ჩითის ხილაბანდით თავწაკრული, ფეხაკრეფით მოიპარებოდა მეჯორესთან, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, რაინდისა და საჭურველმტვირთველის მეზობლად სხვენზე განისვენებდა. ჯერ კარებში არ შემოსულიყო, რომ დონ კიხოტმა მისი ფეხის ხმა გაიგონა. თავის დალურჯებულ, მალამოებით შეხვეულ ტანს და დაბეგვილ გვერდებს არ დასდია. მსწრაფლ ქვეშაგებში წამოჯდა და ორივე ხელი გაშალა, რომ მომხიბლავსა და ნორჩ მზეთუნახავს მოხვეოდა. სუნთქვაშეხუთული, თავის მიჯნურთან ფრთხილად და ჩუმად მიმავალი მარიტორნესი, სიბნელის გამო, აკი მოთლა დონ კიხოტს არ ჩაუვარდა გაპყრობილ ხელებში; რაინდმა მაგრად მოხვია ხელი და შიშისაგან ხმაგაკმენდილი გოგო თვის ხაწოლზე დაისვა. იმის ღამის პერანგს, რომ შეეხო, ფრიად უნაზეს და ფაფუკ აბრეშუმადაც კი მიიღო იგი, თუმცა ისეთი მსხვილი ტილოსი იყო, რომ ტომრებისათვის გამოდგებოდა. მაჯებზე დახვეული შუშის მძივები უძვირფასესი მარგალიტის სამაჯურები ეგონა. მისი თმა, ცხენის ფაფარს, რომ მოაგონებდა ადამიანს, არაბეთის პიტალო ოქრომკედად წარმოიდგინა, ბრწყინვალეობით მზის სხივებს რომ დააბნელებდა, ხოლო, ქალის სუნთქვა, ნივრიანი ხაშის სუნი რომ ასდიოდა, დონ კიხოტს მუშკამბრის სურნელებით უტკობდა ყნოსვას. ერთი სიტყვით, მას ისე ეგონა, როგორც თავის წიგნებში წაეკითხა, რომ მთავრის მშვენიერი ასული მოსულიყო მძიმედ დაკოდილი რაინდის სანახავად: ამგვარად გამოთაყვანებულ რაინდს ვერაფერმა აუხილა თვალი: ვერც შეხებამ, ვერც სუნთქვამ და ვერც ზოგმა რამემ, რაც იმ გოგოს განსაკუთრებულ თვისებებს შეადგენდა და მეჯორის გარდა სხვა ყველას გულისრევას მოჰგვრიდა; პირიქით, ჩვენს რაინდს ეგონა თვითონ სიყვარულის ქალღმერთს იკრავდა გულში, ამ ოცნებით მიბნედილი, მაგრად ეხვეოდა მას და ტკბილი და ნაზი ხმით ეუბნებოდა:

- ო, როგორ მინდა, მშვენიერო და სახელოვანო ბანოვანო, სულითა და გულით მადლობა გადაგიხადოთ იმ გამოუთქმელი ნეტარებისათვის, ახლა, რომ ვგრძნობ, ოდეს თქვენს საოცარ მშვენიერებას ვუცქერი; მაგრამ ბედმა, მუდამ, რომ კეთილშობილ ადამიანებს სდევნის, დამტვრეული და ღონემიხდილი ჩამაგდო ამ ლოგინში და ბევრიც, რომ მინდოდეს, აწ არ ძალმიძს თქვენს სურვილს ჩემიც შევუთანხმო, მაგრამ ვაი, რომ ამ შეუძლებლობას მეორეც ზედ ერთვის და ეს მეორე უფრო უდიდესია. ეს ის ფიცია, უბადლო დულსინეა ტობოსელს, ჩემთა ფარულთა განზრახვათა ერთადერთ მბრძანებელს, რომ დავუდე. გეფიცებით, წინ, რომ ეს არ შედობებოდეს, ისეთი უხეირო მოგზაური რაინდი როდი გამოვდგებოდი, იმ დაუფასებელი განძით და ბედნიერი შემთხვევით არ მესარგებლა, თქვენი უზომო გულკეთილობა რომ ახლა ჩემს ხელთ ხდის და უანგაროდ მთავაზობს.

მარიტორნესი შიშისაგან ცახცახებდა. დონ კიხოტის ხვევნაში მისი მდგომარეობა აუტანელი იყო. რაინდის მჭევრმეტყველებას სულ არ უგდებდა ყურს და ხმაგაკმენდილი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა როგორმე ხვევნიდან გამოსხლტომოდა. ამასობაში მოუთმენლად მომლოდინე ჩვენმა მეჯორემ, რომლისათვისაც ცოდვილ გულისთქმას ძილი გაეფრთხო,

მარიტორნესის სხვენზე ამოსვლა და დონ კიოტთან მისვლა გაიგონა. ეჭვით აღელვებული კურტნებადან წამოდგა, დამთხვეული რაინდის საწოლთან ფეხაკრეფით მიიპარა და ყურადღებით უცდიდა, მათი საუბარი რით გათავდებოდა. ასე, ეგონა, ასტურიელმა გოგომ მომატყუა და სხვაში გამცვალაო, მაგრამ, რა დაინახა, მარიტორნესი ყოველნაირი ღონით სცდილობდა დონ კიხოტს ხელიდან გამოჰგლეჯოდა და ის კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ებღაუჭებოდა მას, რაყიფის ასე თი ალერსიანობა ვერაფრად ეჭაშნიკა და თავისი ტლანქი მუშტი ერთი ისეთი სთხლიშა არშიყ რაინდს ყბაში, რომ პირი სისხლით აუვსო. გაშმაგებულმა მეჯორემ ესეც არ აკმარა საწოლზე აუვარდა, საკინძში ხელი სტაცა და მუშტებით ყველა გვერდი სათითაოდ დაუთვალა. უამისოდაც ტორიკა საწოლმა ასეთი სიმძიმე ველარ აიტანა და მთლად ჩაიფუშა, ამისგან გამოღებულმა გრიალმა მეფუნდუკე გამოაღვიძა; ის მიხვდა, რომ ეს მარიტორნესის რამე ოინი უნდა ყოდილიყო, მეტადრე ხმამალა დამახებაზედაც, რომ არ გააგონა. ამ განზრახვით მეფუნდუკე წამოდგა, საჩქაროდ სანთელი აანთო და იქით გაემურა, საიდანაც გრიალი მოესმა. გოგომ, რომ თავის გაშმაგებული პატრონის ფეხის ხმა გაიგონა, მეტად შეეშინდა, რადგან მისი ცხარე ხასიათი ნაცადი ჰქონდა და შიშისაგან აცახცახებული იქვე მშვიდად მძინარე სანჩო პანსას ლოგინზე ზღარბივით მოიკრუნჩხა დასამალავად. ზედ დატანებაზე მეფუნდუკეც ავიდა სხვენზე და დაიღრიალა:

- სადა ხარ, შე კახპავ! ეს ალბათ შენი ოინზაზობა იქნება!

ამ ღრიალმა სანჩო გამოაღვიძა, მუცელზე რაღაც სიმძიმე იგრძნო და რაკი ჯერ გამოურკვეველი იყო, მაჯდაჯუნის დაწოლა ეგონა. აქეთ-იქით ცხარე მუშტების ქნევა დაიწყო და ამ მუშტების ბევრი წილი საბრალო მარიტორნესს ხვდებოდა. მოთმინებიდან გამოსულმა ამასაც ყოველგვარი სირცხვილი დაავიწყა, სამაგავრო ცემა დაუწყო სანჩოს და ამით ძაუნებურად მთლად გამოაფხიზლა იგი. რაკი ახლა კარგად იგრძნო, რომ სცემდნენ და ის კი ვერ გაეგო, ვინ სცემდა და რისთვის სცემდა, ჩვენი საჭურველმტვირთველი საწოლზე წამოჯდა, მარიტორნესს ხელი წაავლო, და მათ შორის ერთი ისეთი მძვინვარე და შნოიანი ბლლარძუნი შეიქნა, ქვეყანაზე, მგონია, მსგავსი არ მომდგარიყოს. მეჯორემ მეფუნდუკის სანათურის მკრთალ შუქზე შეამჩნია, რომ მის მიჯნურს უდირად ეპყრობოდნენ, დონ კიხოტს თავი ანება და მარიტორნესის მისაშველებლად გაემურა. მეფუნდუკეც იქით გაექანა, მაგრამ გოგოს მისაშველებლად კი არა, არამედ მის დასასჯლად, რადგან მთელი ამ ვაივაგლახის ერთადერთ მიზეზად იმასა სთვლიდა. ანდაზისა არ იყოს: ძალლი კატას მივარდაო, კატა თავგსაო, თავვი თოკსაო, თოკი ჯოხსაო - სწორედ ასე მოხდა, - მეჯორე სანჩოს მივარდა, სანჩო მარიტორნესს და ოთხივე ისე გულმოდგინედ იქნევდნენ ხელებს, რომ ერთ წამსაც არ ჩერდებოდნენ. ამასობაში მეფუნდუკის სანათურიც ჩაქრა და ახლა ყველა მოქმედი პირი სიბზელით მოცული განურჩევლად და ალაღბედზე იქნევდა მუშტს და, ვისაც კი ხვდებოდა ეს მუშტი, მისას არც ტანისამოსს ინდობდა და არც ხორცს.

აკი ისე მოხდა, რომ ამავე ღამეს იმ ფუნდუკში წესიერების ერთი დამცველი, ტოლედოდან წამოსული სანტა ჰერმანდადას ქამანდარი ჩამომხტარიყო. ამას, რომ ის საკვირველი ვაი ვაგლახი მოესმა, აიღო თავისი ღირსების გამომხატველი ნიშნები, მოკლე კვერთხი და თუნუქის ყუთი, ჩუმად ავიდა სხვენზე და შესძახა:

- შესდექით, სახელითა მართლმსაჯულებისათა, სანტა ჰერმანდადას სახელით გიბრძანებთ, შეჩერდით!

ყველაზე უწინ იგი ბედშავ დონ კიხოტს წააწყდა. უბედური ლოგინის ნანგრევებში ჩავარდნილიყო და გონებაშიხდილი პირადმა ეგდო, ქამანდარმა წვერში ხელი წაავლო და რამდენჯერმე დაიძახა "დაეხმარეთ მართლმსაჯულებას!" მაგრამ, რა ნახა, რომ მის მიერ დაჭერილი კაცი არ ინძრეოდა და უგონო იყო, მოკლულად ჩასთვალა და ოთახში მყოფი დანარჩენები მკვლელებად მიიღო. ამ ეჭვით მოცულმა უფრო ცხარედ დაიყვირა:

- კარები და ყველა გასავალი ჩაკეტეთ, რომ აქედან გასვლა არავის შეეძლოს, აქ კაცის მკვლელობა მოუხდენიათ!

ამ ყვირილმა გაშმაგებულ მოჩუბართ შიშის ზარი დასცა, ყველანი მოსცილდნენ ერთმანეთს და მსწრაფლ შეწყვიტეს ბრძოლა. მეფუნდუკე საჩქაროდ თავის ოთახისაკენ გაიპარა, მარიტორნესმა თავის საკუჭნაოს მიაშურა, მეჯორე აფორიაქებულ კურტნებზე გაწვა, ალაგიდან მარტო საბრალო დონ კიხოტი და სანჩო ვერ დაიძრნენ. მაშინ ქამანდარმა დონ კიხოტის წვერს ხელი უშვა, ძირს ჩავიდა სანთლის ასანთებად, რომ ისევ სხვენზე ასულიყო და ბოროტმოქმედი დაეჭირა, მაგრამ მთელ ამ სახლში ერთი ნაპერწკალიც ვერსად იპოვა, რადგან მეფუნდუკეს განზრახ ფუნდუკის კარებზე ანთებული ფარანიც კი გაექრო; ამიტომ ქამანდარი იძულებული შეიქნა კერაში ნაკვერჩხალი მოეძებნა და სანათური ძლივს-ძლივობით იმით აენთო.

თავი XVII

სადაც აღწერილია, შემდგომი აურაცხელი გაჭირვება, მამაცმა დონ კიხოტმა და მისმა ერთგულმა ხაჭურველმტვირთველმა რომ განიცადეს ფუნდუკში, რომელიც რაინდს, თავის საუბედუროდ, ციხე-დარბაზად მიაჩნდა

პატარა ხანს უკან დონ კიხოტი გონს მოვიდა და რა ხმათაც წინადლით იანგვესელ მეჯორეებისაგან გვერდებდამტვრეული, კეტების ველზე მდებარე, ეძახდა თავის საჭურველმტვირთველს, ახლაც იმავე მწუხარე ხმით მიმართა მას:

- ჩემო მეგობარო სანჩო, გძინავს? გძინავს, სანჩო, ჩემო მეგობარო?

- რა ეშმაკი დამაძინებს? - გაეხმაურა სევდიანი და ბრაზმორეული ხმით სანჩო. - რა დამაძინებს, როდესაც მთელი ჯოჯოხეთის ეშმაკებმა ამაღამ ჩემთვის მოიცალეს!

- არც კი სტყუი, მჯერა! - დაიძახა დონ კიხოტმა. - ღმერთსა ვფიცავ, ან მე არა გამეგება-რა, ან ეს ციხე-დარბაზი მოხიბლული და მოჯადოებულია. უნდა გითხრა, ჩემო სანჩო, მაგრამ არა, ჯერ დამიფიცე, რომ, რასაც ახლა ვიტყვი, ვიდრე ცოცხალი ვარ, და ჩემი სიკვდილის შემდეგაც საიდუმლოვ შეინახავ.

- გეფიცები. - წარმოთქვა სანჩომ.

- ფიცი იმიტომ ჩამოგართვი, რომ ქვეყანაზე ვისიმე პატივღირსების შებღალვას არაფრის გულისათვის არ ვინდომებ, --- უთხრა დონ კიხოტმა.

- რაკი დავიფიცე, კიდევ ავასრულებ, თქვენს სიკვდილამდის სულ ჩუმად ვიქნები და ღმერთმა ინებოს, რომ ხვალვე გავთავისუფლდე ამ ფიცისაგან, - მიუგო სანჩომ.

- სანჩო, განა ისე ცუდად გეპყრობი, რომ აგრე ჩქარა გასურს ჩემი სიკვდილი? - ჰკითხა დონ კიხოტმა.



- იმიტომ კი არა, რომ ცუდად მეპყრობი - მიუგო საჭურველმტვირთველმა; - დიდხანს რაიმე საიდუმლოს შენახვის უნარი არა მაქვს, თითქოს, მეშინია დიდიხნის დებით კუჭში არ დამილპეს-მედექი.

- ასეა თუ ისე, მაინც შენს სიყვარულს უფრო ვანდობ, სანჩო, ჩემს საიდუმლოს, ვიდრე შენს ზრდილობას, ჩემო მეგობარო, - უთხრა დონ კიხოტმა, - იცოდე, რომ ამაღამ საკვირველი რამ შემემთხვა, ისეთი რამ, რომ შემიძლია იმით ვიამაყო კიდეც; მაგრამ სიტყვები, რომ ტყუილად არ დავხარჯო, მოკლედ გეტყვი: ამ რამდენიმე წამის წინ ციხე-დარბაზის ბატონის ასული, მეტად მორთულ-მოკაზმული და გულის წარმტაცად მშვენიერი, ქვეყანაზე ტოლი რომ არა ჰყავს, მალვით მოვიდა ჩემთან. მის გარეგნულ მშვენიერებაზე, მის ჭკუის სიმკვირცხლეზე და თვალთათვის სხვა უჩინარ სიტურფეზე რა გითხრა? რადგან მათზე ფიქრს ვერიდები, მეშინია, დუღსინეასთვის მიცემული ერთგულების აღთქმა არ დავარღვიო. მხოლოდ იმას გეტყვი, რომ ზენას შეშურდა ჩემი ესდენი ბედნიერება და ან ეს ციხე-დარბაზია მოჯადოებული (რაც უფრო სწორი უნდა იყოს): როდესაც იმ ტურფასთან საამო და სამიჯნურო საუბარი გავაბი, ერთიგ ვნახოთ, საიდანღაც ერთი უხალავი გოლიათის უზარმაზარი მუშტი დამატყდა. ის მუშტი გასაშტერებელი ღონით მთხლიშა შიგ ყბაში და პირი სისხლით ამივსო, მერე ჩემი წამიერი სიმუნჯით ისარგებლა და იმაზე უარესად გამთელა, გუშინ, რომ ჭაკი ჯორების მეჯოგეებმა როსინანტის მოუთმენლობით საქმე დაგვმართეს. ამის შემდეგ არ შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ამ ციხე-დარბაზის პატრონის ასულის მშვენიერების საუნჯე ვინმე ჯადოქარ მავრსა აქვს ჩაბარებული და იგი საჩემოდ არ არის გაჩენილი.

- უეჭველია არცწისაჩემოდ, - დაატანა სანჩომ, რადგან როდესაც თქვენ ეგ უბედურ-რე-ბა დაგემართათ, სწორედ იმ დროსვე ოთხას მავრზედაც მეტნი დამეცნენ და ისე დამიზილეს და მომიქნეს ტყავი, რომ იმასთან შედარებით გუშინდელი მეჯოგეების კომბლები ნაზ ღიტინად ჩაითვლება. მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, ბატონო, ნუტავ იმ ამბავს საგანგებო და იშვიათ შემთხვევად როგორა თვლით, რდესაც ასეთ საძაგელ ყოფაში ჩავარდით. თქვენ კიდეც რა გიჭირთ, ვიღაც საოცარ და შეუდარებ მზეთუნახავს მაინც ეხვეოდით; ვაი ჩემი ბრალი, რომ საშინელი მუშტების მეტი არა მიგემირა და იმის მეტიც, მგონია, ჩემს სიცოცხლეში არაფერიც არა მერგება-რა! უბედური ადამიანი ვარ; მეც შემაჩვენოს ღმერთმა და დედაჩემიცა, რომ ქვეყანაზე გამაჩინა! არც რაინდი ვარ და არც ოდესმე რაინდად ყოფნა მიფიქრია, მაგრამ, დალახვროს ღმერთმა, ყველა ვაი-ვაგლახში რაინდზე მეტს მე მიტყაპუნებენ.

- განა შენცა გცემა ვინმემ? - გაკვირვებით ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ნუთუ არ მომიხსენებია ეს თქვენთვის? მეც შემაჩვენოს ღმერთმა და ჩემი გასაგისიც! - გაიმეორა სანჩომ. - ახლა მაგას არ გელაპარაკებოდით!

- ჩემო მეგობარო, მაგას ნუ ინაღვლი, - უთხრა დონ კიხოტმა, - იმ უებარ ფიერაბრასის ბალზამს ახლავე გავაკეთებ და თვალის ერთ დახამხამებაში ორივეს მოგვარჩენს. ამასობაში ქამანდარმა, როგორც იყო, ლამპარი აანთო და წელან, რომ მოკლული კაცი ეგონა, იმის სანახავად წავიდა. სანჩომ, რომ პერანგის ამარა, თავზე ხელსახოცწაკრული უსიამოვნო სახის კაცი სხვენზე შემოსული დაინახა, თავის ბატონს ჰკითხა:

- ბატონო, ეს ვინ მოდის? მოჯადოებული მავრი ხომ არ არის და ამიტომ ხომ არ მოდის, რომ ხელები ექავება, და რაც მთელი გვერდები შეგვრჩა, ისიც უნდა დაგვიმტვიროს? - არა, ეს მავრი არ იქნება, - მიუგო დონ კიხოტმა, - მოჯადოებულის დანახვა არ შეიძლება.

- თუ დანახვა არ შეიძლება, - გააწყვეტინა სანჩომ, - საგრძნობელი ძალიანაც კი იქნება, ჩემი ზურგი და ბეჭები ამას ამბობენ და სხვისა კი რა მოგახსენო.

- რატომ გგონია, სანჩო, რომ ჩემი ბეჭები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ მაინც ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს კაცი უთუოდ მოჯადოებული მავრია, - უთხრა დონ კიხოტმა.

ქამანდარი მათთან მივიდა და მეტად გაუკვირდა, დონ კიხოტი და სანჩო ერთმანეთთან ასე მშვიდად, რომ მასლაათობდნენ.

დონ კიხოტი მაინც გულადმა გაშოტილი იწვა და, ისე იყო დაბეგვილი და მალამოებით შებოჭილი, რომ მოძრაობა არ შეეძლო. ქამანდარი მივიდა მასთან და ჰკითხა: - როგორა ხარ, კეთილო კაცო?

- თქვენს ადგილზე, რომ ვიყო, უფრო ზრდილობიანად ვილაპარაკებდი, - მიუგო დონ კიხოტმა.  
- თქვენში განა აგრე გულუბრყვილოდ ელაპარაკებიან მოგზაურ რაინდს, შე უზრდელო და ტუტუცო?

ქამანდარი ისეთი ვინმე როდი იყო, რომ ვიღაც საცოდავი კაცისაგან ასეთი უხეში ქცევა გულგრილად აეტანა, ვერ მოითმინა და გაბრაზებულმა დონ კიხოტს თავში ლამპარი სთხლიშა, ზეთიც ზედ გადაასხა, და დარწმუნებული, რომ თავი შუაზე გაუჩეხა, სხვენიდან საჩქაროდ ძირს ჩავიდა. ირგვლივ ისევ წყვიდადი გამეფდა.

- ჩემო ბატონო ავი გითხარით, მოჯადოებული მავრია მეტეჟი, - თქვა სანჩომ - იგი, ალბათ, საუნჯეს და ძვირფას განძეულს სხვას უნახავს და ჩვენთვის კი მუშტებისა და ლამპრის თხლეშის მეტი არა ემეტება-რა.

- თითქოს ეგრეც არის, - უპასუხა დონ კიხოტმა, და ასეთ გრძნეულებთან შერკინება არ გამოგვადგება. მხოლოდ იცი რა, სანჩო, გრძნეულების ავი საქციელი არც კი უნდა ვიწყინოთ, რადგან უხილავი არსებანი არიან და ვერავითარი ღონისძიებით ვერ დავინახავთ, რათა მაგიერი გადავუხადოთ. სანჩო, თუ შეგიძლია წამოდექი და ციხე-დარბაზის გამგებელს ცოტა ზეთი, ღვინო, მარილი და საკმეველი სთხოვე. იქნებ ის უებარი ბალზამი შევამზადო. უნდა გამოგიტყდე, მგონია, ძალიან მჭირდება ახლა ის ბალზამი; იმ რაღაც მოჩვენებამ, რომ ჭრილობები მომაყენა - სისხლის დენამ მეტად დამასუსტა.

რის ვაი-ვაგლახით და ხვნეშით წამოდგა სანჩო ლოგინიდან და ბნელში ხელების ცეცებით მეფუნდუკის მოსაძებნად გაემართა, - ქამანდარი იქვე ატუზულიყო, ყურს უგდებდა, რომ შეეტყო, რა მოახდინა მისმა ნასროლმა ლამპარმა. სანჩო, რომ გავიდა კარებში, ზედ შეეჩეხა მას, და რაკი სიბნელეში ვერ გაარჩია, ვინ იყო, უთხრა:

- მოწყალეო ბატონო ვინც უნდა ბრძანდებოდეთ, გთხოვთ წყალობა მოიღოთ და ცოტაოდენი მარილი, ღვინო, ზეთი და საკმელა ბალახი გვიბოძოთ. ჩვენთვის ეს იმტომ არის საჭირო, რომ მთელს ქვეყანაზე უწარჩინებულესი მოგზაური რაინდი უნდა მოვარჩინო, - ამ სახლში დაბუდებულ გრძნეულ მავრისაგან მძიმედ არის დაკოდილი.

ეს რომ ქამანდარმა გაიგონა, ჰკუაზე შემცდარად ჩათვალა ხანჩო, მაინც რაკი კიდეც თენდებოდა, ჩავიდა, ფუნდუკის კარი გააღო და საჭურველმტვირთველის სთხოვარი მეფუნდუკეს გადასცა. მეფუნდუკემ ყველაფერი მისცა სანჩოს, რასაც ითხოვდა. სანჩო, რომ

სხვენზე დაბრუნდა, რაინდს თავი ხელეზე დაეხრინა და ტკვილსა ჩიოდა. ეს ტკვილი იმისაგან იყო, რომ ლამპარის დარტყმას მისთვის შუბლზე ორი დიდი კოპი დაესვა და სხვა ვნება კი რა მიეცა-რა, ხოლო, მას, რომ სისხლი ეგონა, ის ლამპარის ზეთი იყო. შუბლზე რომ გადასხმოდა და წედანდელი ალიაქოთისაგან გამოხეთქილ ოფლს შიგ არეოდა.

რაინდმა სანჩოს მოტანილი ყველა მასალა ქვაბში ჩაყარა, აადულა, და როცა მოიგუნება, მზად არისო, იმის ჩასასხმელად შუშა მოითხოვა; რადგან, რადგან მთელ იმ სახლში შუშა არ მოიპოვებოდა, იმით დაკმაყოფილდა, რომ მეფუნდუკემ მუქთად თუნუქის ჭურჭელი აჩუქა, ლამპარში ზეთის ჩასასხმელად, რომ ხმარობდა. რაინდმა მოდულეებული წამალი ამ ჭურჭელში ჩაასხა, ზედ ორმოცჯერ "მამაო ჩვენო" წაიდუღუნა. მრავალი სხვადასხვა შელოცვა წარმოთქვა, ყველა ამ ლოცვის სიტყვაზე პირჯვარი გადაწერა წამალს და იგი მთლად მომზადებულად ჩათვალა. ამ სეირს სანჩო, მეფუნდუკე და ქამანდარი დაესწრნენ. რაც შეეხება მეჯორეს, იგი იქ აღარ იყო. ჩუმიად ადრიანად გასულიყო ჯორების მოსავლელად, რომ ამით ეგებ წუხანდელ ამბავში თავის მონაწილეობა დაეფარა. რაინდმა, რომ ბალზამის მომზადების წესი შეასრულა, მისი უებრობის გამოცდა მაშინვე მოინდომა და რაც ჭურჭელში არ ჩავიდა, თითქმის ნახევარი ჩარექის ოდენა, ერთიანად დალია. დაღვეის უმაღლესი გულისრევა დაემართა და, რაც კი რამ კუჭში ჰქონდა, სულ ერთიანად ამოანთხია; თანაც საშინელი ოფლი დაასხა. მაშინ მოითხოვა - ლოგინში ჩაეწვინათ, კარგად დაეხურათ და მარტო დაეტოვებინათ. თხოვნა აუსრულეს და ჩვენს გმირს მთელი სამი საათი მაგრად ეძინა. როცა გამოიღვიძა, ისე კარგად იგრძნო თავი. სავსებით დარწმუნდა, ფიერებრასის ბალზამის დამზადება მცოდნიაო. რაკი ასეთი სასწაულმოქმედი წამლის მცოდნედ დაიგულა თავი, სრულებით დაარხებინდა, რომ ამირიდან შეძლო ფრიად ახირებულ და სახიფათო ფათერაკებს თამამად გადაეყოლა, და არავითარ შეტაკებას, ბრძოლებსა და ცემა-ტყეპას აღარ შეკუებოდა.

დონ კიხოტის ასე სწრაფად მორჩენა სანჩომ მართლა სასწაულად ჩათვალა, და, მოწყალებასავით თხოვა - ნება დაერთო, ის მაინც დაელია, რაც ქვაბში ჩარჩენილიყო. ნებართვა, რომ მიიღო, ორივე ხელი წაავლო და ლამის ერთ ყლუპად გადაყლურჭა თითქმის იმდენივე, რაც წედან თვითონ დონ კიხოტმა შესვა. ალბათ საჭურველმტვირთველის კუჭი რაინდის კუჭზე მაგარი იყო, რომ დაღვეის უმაღლესი, ვიდრე ღებინებას დააწყებინებდა, სანჩოს ისეთი გულზიდობა, კუჭის ტკვილი და ჭვლები აუტყდა, რომ ეგონა, ეს არის, აღსასრულის დღე დამიდგაო, და ისე საშინლად იტანჯებოდა, რომ სიმწრით შეჩვენებას უთვლიდა წამალსაც და იმ ბოროტ სულსაც, ვინც მას ეს წამალი დააღვეინა. დონ კიხოტმა, რომ სანჩო ასეთ ყოფაში დაინახა, დინჯად უთხრა:

- სანჩო, მე მგონია, აგრე იმიტომ იტანჯები, რომ მოგზაურ რაინდად დალოცვილი არა ხარ, მართლა და, როგორც მახსოვს, ეს ბალზამი მარტო რაინდებისათვის არის გამოსადეგი.

- ღმერთმა ჩემი თავიც დასწყევლოს და ჩემი მშობლებისაც! - დაიკნავლა სანჩომ, - თუ კი ეგეც იცოდით, რაღა ჯანდაბისთვის მასმევდით?

ბოლოს წამალმა გაჭრა, ორივე მხრიდან ისეთი სწრაფი და შეუწყვეტელი დენა დაემართა, რომ რაზედაც იწვა და რაც ეხურა, ჭილობი და ხამის საბანი, მთლად გადასაყრელი შეიქნა. ცივი ოფლი დაასხა და გულისრევა ისეთი მაგარი ზიდებით ჰქონდა, დამსწრეთ ეგონათ, აი, ეს არის სულს თან ამოაყოლებსო. ამ ყოფამ ორ საათს გასტანა და ბოლოს, როცა მოეშვა, სანჩომ თავის ბატონივით უკეთესობა კი არ იგრძნო, პირიქით, ისე მოეშვა და გაიტანა, რომ სუნთქვა ძლივსღა

შეეძლო და ფეხზედაც ვეღარ დგებოდა. ხოლო დონ კიხოტმა, რაკი მთლად კარგად და ტანმრთელად იგრძნო თავი, მაშინვე ფათერაკების საძებნელად წასვლა მოინდომა, რადგან, როგორც მუდამ, სე ახლაც ყოველი წამის უსაქმოდ გატარება პასუხსაგებელ საქციელად უთვლიდა თავის თავს. იგი ფიქრობა, რომ აქ მისი უქმად ყოფნით ქვეყანას დიდი ვნება მოუვიდოდა და ყველა დავრდომილსა და უბედურს მისი მფარველობა და შემწეობა დაუგვიანდებოდა. ამასთანავე, რაკი თავისი ბალზამის უებროსაც გაიგო, უფრო მეტად მოსწყურდა ფათერაკები, რადგან ყოველგვარ მარცხსა და ჭრილობას აღარაფრად აგდებდა. ამ მოუთმენელ მდგომარეობაში რაკი ჩავარდა, ადგა, თავის ხელით როსინანტის შეკაზმა. სანჩოს ვირს კურტანი დაადგა, სანჩოს ტანისამოსის ჩაცმა უშველა და ვირზე შესვა, ცხენს აღვირი ამოსდო და ზედ მოაჯდა. ამ დროს ეზოს კუთხეში მიყუდებულ მეველის ფიწალს მოჰკრა თვალი, მივიდა, აიღო და საბრძოლო შუბის მაგივრად ხელმა დაიჭირა.

ამ ჩვენი რაინდის მზადებას დიდი ყურადღებით უცქეროდნენ ვინც კი იმჟამად ფუნდუკში იმყოფებოდა, - ასე ოციოდე კაცი იქნებოდა, - და მეტადრე მეფუნდუკის ქალი იყო გაოცებული, რადგან ასეთი რამ თავის სიცოცხლეში არ ენახა. რაინდსაც აგრეთვე თვალეზი სულ იმისაკენ ეჭირა და ხამუშ-ხამუშ კიდევ ამოიოხრებდა ხოლმე: რაზე ოხრავდა - ეს მარტო თვითონ იცოდა: მეფუნდუკის ცოლსა და მარიტორნესს კი, იმ ღამით რაინდის დაბეგვილ ტანს წამლებით, რომ უზელდნენ, ეს ოხვრა ტკივილების კვნესად მიაჩნდათ.

როცა ორივენი თავიანთ ბედაურებზე შესხდნენ, უცებ დონ კიხოტმა ფუნდუკის კარებთან შეაყენა ცხენი, მეფუნდუკე მოიხმო და მედიდურად უთხრა:

- ბატონო ციხე-დარბაზის გამგებელო! დიდი და მრავალი სამსახური გამიწიეთ ამ თქვენს ციხე-დარბაზში, რასაც, ვიდრე ცოცხალი ვარ, არ დავივიწყებ. იქნებ შევიძლო სამაგიერო სამსახური მეც გაგიწიოთ. მითხარით, თუ მტერი გყავთ ვინმე, ან თუ ოდესმე, რომელიმე თავზედს რამ უწყენინებია თქვენთვის, - მე იმათ თქვენს სამაგიეროს გადავუხდი. თქვენ კარგად უწყით, რომ ჩემი წმინდა მოვალეობა - სასჯელის მისჯაა ყველა ბოროტთა და მოღალატეთათვის, სუსტთა და დავრდომილთა მფარველობა და შეწევნაა. აბა თქვენს წესიერებას კარგად დაეკითხეთ, თქვენი წარსული გაიხსენეთ, და თუ ვიზედმე გულზვიადადა ხართ, პირდაპირ მითხარით, და ჩემი რაინდობის წოდებას გეფიცებით, ყოველი თქვენი სურვილი სამართლიანი იქნება და არც ერთ თქვენს შეურაცხმყოფელს დაუსჯელად არ დავტოვებ.

- ბატონო რაინდო! - ამგვარადვე დინჯად და მედიდურად უპასუხა მეფუნდუკემ. - ვმადლობ ღმერთს, რომ ჩემს შეურაცხმყოფელთათვის სამაგიეროს გადახნას თქვენგან არ ვსაჭიროებ, იმიტომ, რომ ამას თვითონ მეც კარგად მოვახერხებ. მხოლოდ იმას გთხოვთ, გამისწორდეთ, რაც ქერი აჭამეთ თქვენს ცხენსა და ვირს და რაც თვითონ თქვენ დახარჯეთ ფუნდუკში. უამისოდ აქედან არავინ მიდის ხოლმე.

- როგორ თუ! - შეჰყვირა დონ კიხოტმა, - ნუთუ ფუნდუკია?

- დიახ, ფუნდუკია და დიდად სახელგანთქმულიც, - მეგო მეფუნდუკემ.

- საკვირველია, როგორ შეეცდი, - თქვა დონ კიხოტმა, - აქამდისაც ციხე-დარბაზი მეგონა, მაგრამ რა გაეწყობა? რაკი ფუნდუკი ფოფალა, გთხოვთ მომიტევოთ, რომ ეგ თქვენი მოთხოვნა თქვენი ნებითვე უნდა უარყოთ და თქვენს მოვალედ უნდა დავრჩე. ფულად გადახდა არ შემიძლია, რადგან სარაინდო კანონებს ვერ დავარდვევ: ჩემს დღეში არსად წამიკითხავს, რომ მოგზაურ

რაინდებს სადმე ფუნდუკში ფული გადაეხადოთ. საღი გონება და მასთან დროისაგან დაკანონებული ჩვეულება გვამცნებს, რომ მოგზაურ რაინდებს ყველგან მუქთად უნდა გაუმასპინძლდნენ იმ მძიმე შრომას სამადლობელოდ, რომელიც ფათერაკების ძებნაში მათ მოგზაურობას თან ახლავს: დღედაღამ, ზამთარ-ზაფხულ, ქვეითად თუ ცხენოსანს მშვიდ-მწყურვალს, სიცხე-სიცივეში და, დასასრულ, ყველა ამ ქვეყნიერების ვაი-ვაგლახის მოურიდებლად.

- ეგ რა ჩემი საქმეა, - შეელაპარაკა მეფუნდუკე, - მე სხვა არა ვიცი-რა, ჩემი ვალი გადამიხადეთ; მუქთად არც არავის ვაჭმევ და არც ვასმევ.

- თქვენ ფრიად გაუთლელი და საძაგელი მიკიტანი ყოფილხართ! - შეუძახა დონ კიხოტმა. პასუხი აღარ დააცადა, დეზი ჰკრა როსინანტს, თავის ოცნებითი შუბით დაემუქრა მეფუნდუკეს და ისე გამოვიდა გარეთ, შეჩერებაც ვერ მოასწრეს. რაინდმა ის კი ველარ გაიგო, სანჩო თან გამოჰყვა თუ არა. რაკი ბატონი გაიქცა, მეფუნდუკემ დანახარჯის თხოვსანჩო დიდ უარზე დაუდგა და უმტკიცებდა, რომ მისი აზრით იმასაც ისეთივე უპირატესობა ჰქონდა, როგორც ნამდვილ რაინდს, გაბრაზებული მეფუნდუკე ათას მუქარას ეუბნებოდა, მაგრამ სანჩო მაინც თავისას გიძახოდა და თავის ბატონის, სარაინდო წოდებას ჰფიცავდა - არც ერთ მარავედისს არ გადავიხდი, თუნდაც ამისთვის სიცოცხლის დათმობაც დამჭირდესო, არ მსურსო, ამბობდა იგი, მომავალ დროთა საჭურველმტვირთველთათვის საწყევრად გავიხადო ჩემი სახსენებელი და ჩემი სულმოკლეობით ჩვენი წოდების არსებითი უპირატესობა შევლახო.

საბრალო სანჩოს ბედის უკუღმართობას ამ ფუნდუკში ოთხი სეგოვიელი მატყლის მწეწავი, სამი გაიძვერა კორდოველი მენემსე და კიდევ ორიც სევილიის ბაზრისუბნელი ვირეშმაკა დალალი მოყვანა - ყველანი მეტად ხუმარა, დარდიმანდი და ოინბაზი ბიჭები იყვნენ. ესენი თითქოს წინდაწინვე შეთქმულიყვნენ, უცებ სანჩოს მივარდნენ, ვირიდან ჩამოათრიეს, ერთი მათგანი მეფუნდუკის საბნის მოტანად გაიქცა, საბრალო სანჩო საბანზე დადეს და რადგანაც ალაყაფის კარი მეტად დაბალი იყო და იმათ ოინს დაუშლიდა, უკანა ფართო ეზოში გაიტანეს, სადაც ცის მეტი საფარი არ იყო, საბნის ნაპირები დაიჭირეს და მალლა სროლა დაუწყეს, სწორედ ისე როგორც კარნავალის დროს სტუდენტები ძაღლის მალლა სროლით შეექცევიან ხოლმე.

საბრალო საჭურველმტვირთველმა ისეთი საშინელი ყვირილი მორთო, რომ ამ ყვირილმა მისი ბატონის ყურამდე მიაღწია. რაინდს ჯერ ეგონა, ზენარსმა რაღაც ახალ ფათერაკს გადამკვიდაო, მაგრამ როდესაც თავის მსახურის ხმა გაარჩია, მაშინ კი მსწრაფლ მოატრიალა ცხენი და ფუნდუკისაკენ ფიცხლავ დააოთხა იგი. კარები დაკეტილი დახვდა. ახლა ეზოს კედელს დაუწყო გარს რბენა, ეგებ საიდანმე შესულიყო, მაგრამ შესავალი, რომ ვერსად იპოვნა, კედელთან შეჩერდა, ამ დროს უცებ თვალი შეასწრო სანჩოს ჰაერში აფრენ-ჩაფრენას, ისე კოხტად და მოხდენით, რომ უეჭველად გაცინებოდა თუ ქაჯივით გაბრაზებული არა ყოფილიყო. გაშმაგებული რაინდი ახლა კედელზე გადაცოცებას აპირებდა, მაგრამ ისე იყო დაბეგვილი და არაქათგაცილილი, რომ ცხენიდან ჩამოსვლასაც ვერ ახერხებდა. რაკი ეზოში შესვლის ღონე გადაუწყდა, იმითლა მოიოხა გული, რომ იმ ამგდებ ხალხს კალმით აუწერელი უშვერი ლანძღვა-გინება დააყარა და ყველას ხმაღში იწვევდა, მაგრამ ისინი მის ლანძღვასა და საჭურველმტვირთველის ღრიალზე მხოლოდ იცინოდნენ და მხიარულ თამაშობას განაგრძობდნენ. ბოლოს, გული, რომ მოიოხეს და ქანცი გაუწყდათ, მოეშვნენ ამ თამაშს. სანჩო,

ხან რომ ლანძღავდა და ხან კი ემუქრებოდა, ძირს დაუშვეს, თავის წამოსასხამში გაახვიეს და ასე უღვთოდ ნაწვალეები ვირზე შესვეს.

გულმტკივნეულმა მარიტორნესმა სანჩოს ტანჯვა-წვალეობთ გულნატკენმა, საჩქაროდ ჭიდან ახლადამოღებული ცივი წყალი მიუტანა. სანჩომ ხელადა პირზე მიიყუდა თუ არა, დონ კიხოტმა ფიცხლავ დაუყვირა:

- რას ჩადიხარ, შვილო სანჩო, ღვთის გულისათვის, ეგ წყალი არ დალიო. ნუ დალევ, თორემ მოკვდები. განა არ იცი, რომ სასწაულთმოქმედი ბალზამი მაქვს და სულ ორიოდე ყლუპი განგკურნავს?

სანჩომ თავის ბატონს აღმაცერად შეუბღვირა და უფრო ხმამალლა გაეხმიანა:

- ჩემო ბატონო, ნუთუ დაგავიწყდათ, რომ რაინდი არ გახლავართ წუხელის, რაც ერთი ბეწვი შიგნეული გადამირჩა, უთუოდ გინდათ, ისიც ამომანთხევინოს. ეგ თქვენი რაღაც დარდუბალა სასმელია, ეშმაკსა და ქაჯს შეუნახეთ, მე კი თავი დამანებეთ.

ეს უთხრა და ხელადა ხარბად მოიყუდა, მაგრამ, რა იგრძნო, წყალი იყო, ფიცხლავ პირიდან მოიშორა და მარიტორნესს ცოტა ღვინო სთხოვა. ამ, მთელი დედამიწის პირზე უგულკეთილესმა ადამიანმა, უბადრუკი გარეგნობის მიუხედავად ქრისტიანული სიკეთით გამსჭვალულმა, თხოვნა მაშინვე აუსრულა, თავისი ფულით უყიდა და მოუტანა. ღვინო, რომ დალია, სანჩომ მეკარეს ჭიშკარი გააღებინა, თავისი ვირი მაგრად შექუსლა და ფუნდუკის ეზოდან გამოვიდა - მეტად კმაყოფილი, რომ ხასიათის სიმტკიცემ არ უღალატა და მეფუნდუკეს დანახარჯი არ გადაუხადა; იმას კი აღარაფრად აგდებდა, რომ გვერდებით გადაახდევინეს, რასაც ედავებოდნენ, - მაგრამ რა უშავდა, იმ ბოლო ხანებში მის გვერდებს ასეთი სამაგიეროები უიმისოდაც ხშირად ხვდებოდა. საუბედუროდ სამგზავრო ჩანთა მეფუნდუკემ თავის დანახარჯში დაინარჩუნა, მაგრამ სანჩო ისეთი აჩქარებით წავიდა, ეს დანაკარგი ვერც კი შეამჩნია. ის რომ გაისტუმრეს, მეფუნდუკემ კარების მაგრად დაკეტვა დააპირა, მაგრამ მისმა მხიარულმა სტუმრებმა არ დაანებეს - ისეთი ბიჭები როდი იყვნენ, რომ სიმხდალისა რამე სცოდნოდათ: დონ კიხოტი კი მათ მაშინაც ვერ შეაშინებდა, თვით მრგვალი მაგიდის რაინდიც რომ ყოფილიყო.

თავი XVIII

სადაც მოთხრობილია სანჩო პანსას საუბარი მის ბატონთან და

კიდევ საამბოდ ფრიად ღირსშესანიშნავი სხვადასხვა ფათერაკები

სანჩო ძლივძლივობით თავის ბატონს წამოეწია და ისე არაქათგამოლეული იყო, რომ ძლივსღა ერეკებოდა ვირს. დონ კიხოტმა რომ ამ მდგომარეობაში დაინახა, უთხრა:

- ჩემო კეთილო სანჩო, ახლა სრულებით დავრწმუნდი, რომ ეს ციხე-დარბაზი, ან, თუ გინდა, ფუნდუკი, უეჭველად მოჯადოებულია, იმიტომ, რომ ის ბოროტნი, საბნით რომ გისროდნენ, ვინ უნდა ყოფილიყვნენ, თუ არა მოჩვენებანი ან საიქიოდან მოსულნი? ამაში მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ, როდესაც შენს საცოდავ ყოფას ვუცქეროდი, ეზოს შიგნით რომ გემართებოდა, სულ იმას ვცდილობდი, ეზოში შემოსასვლელი ადგილი სადმე მეპოვნა და ვერ ვპოულობდი. ეს კიდევ არაფერი; ვერც კედელზე ამოველ, ვერც გადმოველ და ისიც კი ვერ

შევიძელ, ცხენიდან ძირს ჩამოვსულიყავი. ცხადია, რომ ბოროტთა მეც მომაჯადოვეს. ეს რომ არ ყოფილიყო, განა გადამირჩებოდნენ? ჩემს პატიოსნებას ვფიცავ, კედელზე გადმოსვლა თუ შემძლებოდა ან ცხენიდან ჩამოსვლა, ისეთს ამბავს დავაღწევდი იმ ავაზაკებს, რომ თავიანთი სამაგლობა დიდხანს ხსოვნებოდათ. მე იმათ პირდაპირ შევებრძოლებოდი, სარაინდო წესებს აღარ მივხედავდი, აღარ დაგიდევდი; რაინდი მარტო რაინდთან საბრძოლველად იმიშვლებს ხმაღს, თუ კიდეც სხვა რამე ახირებულ შემთხვევაში ანუ თავის სიცოცხლის დასაცველად.

- რაინდი ვარ, თუ არა, - მიუგო სანჩომ, - ჩემს ხელთ რომ ყოფილიყო, მაგიერის გადახდას მეც მოვახერხებდი; მაგრამ უბედურება ის იყო, ვერა მოვახერხე-რა. მაინც შემძლია დავიფიცო, ისინი არც მოჩვენებანი იყვნენ და არც მოჯადოებულნი, როგორც თქვენა ბრძანებთ, ჩემო ბატონო, არამედ ისეთივე ადამიანები იყვნენ ძვალ-ხორციანნი, როგორც მე და თქვენა ვართ. ძალიან კარგად მესმოდა, ერთმანეთს რომ სახელს ეძახდნენ, როდესაც ჰაერში მახტუნავებდნენ. ერთს პედრო მარტინესი ერქვა, მეორეს ტენორიო ერნანდესი, თვითონ მეფუნდუკეს კიდეც - ხუან პალომეკე ცაცია. თუ კედელზე ვერ გადმოხვედით და ცხენიდანაც ვერ ჩამოხტით, ეგ იმიტომ როდი მოხდა, რომ მოჯადოებული იყავით, აქ სულ სხვა მიზეზია. ღმერთსა ვფიცავ, ბატონო და ძალიან ცხადადა ვხედავ, ჩვენს ამ ფათერაკების ძებნას ისეთი უბედურებით, დავასრულებთ, რომ იმის ღონეც გამოგვეცალოს - მარჯვენა ფეხი მარცხენისაგან გავარჩიოთ. ამ უგზო-უკვლო ხეტიალსა და დღე-მუდამ ვაისაგან ვუის შეყრას, უკეთესი არ იქნებოდა, ჩვენთვის შინისაკენ გავბრუნებულიყავით და ჩვენი საქმისათვის მოგვეკიდა ხელი? მაპატიეთ მე უბადრუკს, და მერწმუნეთ, ასე ემჯობინებოდა, მერე ახლა მკის დროც არის.

- ჰოი, შე საბრალოვ, ჩემო სანჩო! - მიუგო ღონ კიხოტმა. - რა მიაშიტი ხარ და სარაინდო საქმეების უვიცი! ჩემო მეგობარო დადუმდი და ჩემი რწმენა იქონიე; იმედი გქონდეს, მოვადრო, როდესაც კეთილშობილი რაინდობის დაუმრეტელს ბრწყინვალეებას შენი საკუთარი თვალებით დაინახავ, ერთი მითხარ, იმ სიამოვნებას რა შეედრება, პატიოსან ბრძოლაში რომ შენი მტერი დამხობილი ნახო? აღიარე, რომ ამაზე უმჯობესი არაფერია.

- მაგისი რა მოგახსენოთ არ ვიცი. - მიუგო სანჩომ და ის კი ვიცი, რომ, რაც მოგზაური რაინდები შევიქენით, - ესე იგი, თქვენ შეიქენით, თორემ მე ჩემს თავს ღირსად არა ვთვლი ასეთ წარჩინებულთა დასს ვეკუთვნოდე, - მას აქეთ ჩვენ არც ერთი ბრძოლა არ მოგვიგია იმ ბისკაელის დამარცხების გარდა, და ისიც ხომ იმად დაგიჯდათ, რომ ჩაჩქანი მიმსხვრიეთ და ნახევარი ყურიც ზედ მიაჭყლიტეთ; დანარჩენი ჩვენი გამარჯვება იმის მეტი ხომ არა იყო-რა, რომ ჩვენს გვერდებს მუშტები და კეტები სეტყვასავით ურახუნებდნენ. ამას ჩემს წილად იმ არამზადა მოჯადოებულებისაგან საბანზე ფრენაც მიუმატეთ, ეს ფრენა მით უფრო სამწუხაროა ჩემთვის, რომ გრძნეულებს სამაგიეროს ვერ გადაუხდის კაცი და მაშ მეც იმ სიამოვნებას სრულებით ვერ ვეღირსები, რასაც თქვენ ჩემო ბატონო, მტრის დამარცხებას ეძახით.

- სანჩო, ეგ ის ლოდია, მე, რომ გულს მიხუთავს და, უეჭველია, აგრეთვე შენცა, მაგრამ დამშვიდდი, იმედთ მაქვს, ჩქარა ისეთი ხმლის პატრონი შევიქნე, ვერავითარი ჯადოქრობა ახლო ვეღარ მომეკაროს, იქნებ ისე მოხდეს, რომ ჩემი ბედის ვარსკვლავმა ის ხმალიც ჩამიგდოს ხელში, რომელსაც მადისი ატარებდა იმ დროს, როდესაც მას მგზნებარე მახვილის რაინდს უწოდებდნენ. ის ხმალი მთელს ქვეყანაზე უჩინებულესი ხმალია და, რაც ღირსება გითხარ,

იმის გარდა, სამართებელსავით ბასრია და ვერავითარი აბჯარი, რაც უნდა მაგარი და მოჯადოებულ იყოს, ვერ გაუძლებს.

- მე იმ ბედისა ვარ, კიდევ, რომ მოიპოვოთ ის ხმალი, შვება არ მომეცემა - მიუგო სანჩო. - იმ თქვენი ბალზამის არ იყოს, ის ხმალი მარტო რაინდებისათვის იქნება გაჩენილი, მისი შოვნით ჩემს ზურგს, უეჭველია, მუშტები მაინც არ მოაკლდება.

- ეგ შიში თავიდან მოიშორე როგორმე, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა; - მომავალში ზენა წყალობის თვალთ შენც მოგხედავს.

ჩვენი ფათერაკის მამებარნი, რომ ასეთი საუბრით მითოხარიკობდნენ, უცბად დონ კიხოტმა შორს რაღაც დიდი მტვერი დაინახა; ეს მტვერი იმათკენ მომქონდა ქარს. დონ კიხოტმა ეს მტვერი დაინახა თუ არა, სანჩოს მიუბრუნდა და უთხრა:

- ის წამი დადგა, ჩემო მეგობარო სანჩო, როდესაც მთლი ქვეყანა დაინახავს, თუ რა სიხარულს მიმზადებდა მე ბედი. დადგა-მეთქი, გეუბნები ის წამი, როდესაც ჩემმა მკლავმა უფრო მომეტებული ძალა უნდა გამოიჩინოს და ისეთ ღვაწლით შეიმოსოს, რომ ღირსი შეიქმნას იმ უკვდავ სახელოვან წიგნისა, რომელშიც მომავალ საუკუნეთა სამოდვრებლად ჩემნი საქმენი აიწერებინან. ხედავ, სანჩო, აგერ იმ დიდ მტვრის ბუქსა და კორიანტელს? იცოდე, ის მტვერი უთვალავი ჯარისაგან არის ადენილი და ჯარიც მთელი ქვეყნიერების ხალხთა ჯარებისაგან არის შემდგარი.

- მაშ თუ აგრეა, ორი რაზმი უნდა იყოს, - შენიშნა სანჩომ, - რადგან აგერ მეორე მხარეზე ისეთივე მტვერი მოჩანს.

დონ კიხოტმა ფიცხლავ უკან მოიხედა, და რა დაინახა, სანჩო მართალს ამბობდა, მეტის მეტი სიხარულით აღივსო, რადგან სრულებით დარწმუნდა, (მაგრამ თუ არა სრულებით, სხვანაირად დარწმუნებული ის არასოდესაც არ ყოფილა), რომ ორი დიდი ლაშქარი ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდა. აქ გასაოცარიც არა არის რა, თუ გავიხსენებთ, რომ არეული გონება მის თვალებს ყოველ წამს უხატავდა გრძნეულებს, ჯადოქრებს, თვალთმაქცებს, მიჯნურთა სიშმაგეს, ბრძოლებსა და ფალავნობას, რომელთა შესახებ მოთხრობილია რაინდულ რომანებში. ის კი არა, მტვერი ორი პირდაპირ მიმავალ ცხვრის ფარისაგან აღიოდა და მტვრის სისქისაგან ორიოდ ნაბიჯზე თუ გაარჩევდა იმას კაცი, თორემ შორიდან სულ არა გაირჩეოდა-რა. რაკი ასეთი მტკიცე დარწმუნებით ეუბნებოდა დონ კიხოტი, ის მტვერი ჯარებისაგან არის ადენილიო, ბოლოს და ბოლოს, სანჩომაც დაიჯერა და ჰკითხა:

- ახლა ჩვენ რაღა უნდა ვქნათ, ბატონო?

- ჩვენ რა ვქნათ, მხარი უნდა დავუჭიროთ უღონოთა და დავრდომილთ, - მიუგო დონ კიხოტმა - მაგრამ, რადგან კარგი იქნება იმ მხედართა სახელები იცოდე, რომელნიც ახლავ წინ წარმოგვიდგებიან. საჭიროთ მიმაჩნია გითხრა, რომ აი ჩვენ პირდაპირ მომავალ ლაშქარს დიდი იმპერატორი ალიფანფარონი მოუძღვის, ტრაპო ბანის უზარმაზარი კუნძულის მფლობელი; ხოლო ჩვენს უკან მომავალ ლაშქარს - მისი მტერი გარამანტების მეფე პენტაპოლის "დამკლავებული" წინამძღვრობს, - ეს მეტი სახელი იმიტომ ჰქვია, რომ ბრძოლის დროს მარჯვენა ხელს ილიამდის დაიმკლავებს და დაიკაპიწებს ხოლმე.



- ამ მეფეებს რად მოსდით ჩხუბი, ან გასაყოფი რაღა აქვთ? - ჰკითხა სანჩომ.

- იმიტომ, რომ ალიფანფარონი გადაბრჯნილი წარმართია; პენტაპოლინის ქალი შეუყვარდა, გასაოცარი მშვენიერი, მაგრამ ქრისტიანი. პენტაპოლინს არ უნდა წარმართ მეფეს ქალი მისცეს, ვიდრე ცრუ წინასწარმეტყველ მაჰმადის სარწმუნოებას არ უარყოფს და ჩვენ სარწმუნოებას არ მიიღებს.

- ჩემს წვერსა ვფიცავ, პენტაპოლინი მართალია, - დაიძახა სანჩომ, - მზად ვარ მისი მხარე დავიჭირო, რითაც კი შევიძლებ.

- მაგით შენ მხოლოდ შენს მოვალეობას შეასრულებ, - უთხრა დონ კიხოტმა: - ასეთ ბროლაში მონაწილეობის მიღებისათვის საჭირო არ არის უთუოდ დალოცვილი რაინდი იყო.

- მით უკეთესი, - მიუგო სანჩომ, - ეს მეც კარგად მესმის, მაგრამ ამ ჩემს ვირს რაღა ვუყო? ისეთ ალაგს სად დავმალო, რომ ბრძოლის შემდეგ პოვნა ადვილად შევიძლო. ამით ომში ჩარევა კი უხერხულია, მგონი. ამასთანაც, ვეჭვობ, დიდ ომებში ვირებს ოდესმე მონაწილეობა მიეღო.

- მართალი ხარ. - უთხრა დონ კიხოტმა - გირჩევ ეგ შენი ვირი თავის ნებაზე გაუშვა; კიდეც, რომ დაგეკარგოს, სანანური არა გექნება-რა: გამარჯვების შემდეგ იმდენი ცხენი დაგვრჩება რომ ადვილად შეიძლება ერთი ბედაური აირჩიო შენთვის. ალიფანფარონის ჯარში ისეთი საგანგებო ბედაურები მეგულება, რომ ვფიქრობ ლამის როსინანტიც დავთმო-მეთქი. ახლა ყური დამიგდე სანჩო, ვიდრე ეს ორი ჯარი ერთმანეთს შეებმის, ვინც კი ორივეში შესანიშნავი რაინდია ყველას დაგისახელებ, და რომ უფრო ადვილად გაარჩიო თითოეული ცალცალკე. იმ ბორცვზე ავიდეთ, იქიდან უფრო კარგად დავინახავთ ორივე რაზმს.

ასეც მოიქცნენ ჩვენი გმირები, ბორცვის წვერზე ავიდნენ. მტვერს რომ არ დაეშალა, ორი ჯარის რაზმად მიჩნეულ ფარას ადვილად გაარჩევდნენ. მაგრამ რადგანაც რაინდი ყველას თავისი სწეული გონების თვალთ უცქეროდა, იმიტომაც სრულებით დაუფიქრებლად დაიწყო ხმამაღლა:

- აგერ, სანჩო, ხედავ იმ რაინდს, ნათელ-ყვითელი იარაღით, რომ არის შეჭურვილი და ფარზე ყმაწვილი ქალი უხატია ფერხთით გვირგვინოსანი ლომით? ის არის მამაცი ლაურკალკო, პუნტე დუ პლატას მფლობელი აგერ მეორე მხედარი, ოქროს ყვავილებიან თაღში რომ ზის და ფარის ლაჟვარდოვან ფონზე სამი ვერცხლის გვირგვინი უხატია, ის მრისხანე მიკოკოლემბოა, კიროსის დიდი ჰრცოგი: მის მარჯვნივ უზარმაზარ მხედარს ვერ ხედავ? ის არის მამაცი ბრანდაბარბარან დე ბოლიჩე სამი არაბეთის მბრძანებელი, ჯავშნის ნაცვლად გველის ქერქი აცვია და ფარის მაგიერ, როგორც ამბობენ, იმ ტამრის რკინის კარი უჭირავს, სიკვდილის ჟამს სამსონმა რომ ძირს დასცა ფილისტიმლელთა სამაგიეროს გადასახდელად. ახლა, თუ მეორე მხარეს მიხედავ, დაინახავ, რომ ამ მეორე ჯარს წინამძღოლობს ჯერ არავისგან ძლეული და ყველას დამმარცხებელი ტიმონელ კარკ-ხონელი, პატრონი ახალი ბისკაისა. მის აბჯარს ოთხ ფონად ოქრო, ვერცხლი, სევადი და მინანქარი აქვს გადაკრული. ფარს ოქროს კატა უმშვემუბს, მუქ ფონზე გამოხატული და ქვეშ სამი ასო უწერია მ. ი. უ. ეს ასოები მისი სატრფოს სახელის დასაწყილი ასოებია, როგორც ამბობენ, უბადლო მშვენიერი მიულისისა, ჰერცოგ ალფენიკენ დელ ალგარბეს ასულისა. ახლა აგერ იმ რაინდს მიხედე, დიდ-ლონიერ ტაიჭზე, რომ ამხედრებულა და თავისი სიმძიმით წელში გაუდრეკია; თეთრ-სპეტაკი იარაღი ასხია და უნიშნო თეთრი ფარი უჭირავს. ესა ხლად დალოცვილი რაინდია - პიერ პაპინი, საფრანგეთის

მშვენება უტრიკის საბატონოთა სენიორი. აი, ის მოშორებით კიდეც, ცისფერ ლაჟვარდოვანი იარაღი რომ ასხია და რკინის დეზებს ჭრელზოლებიან ფეხმარდ ზებრას გვერდებში ურჭობს, ის ნერბიის მძლავრი ჰერცოგი ესპარტაფილარდო დელ ბოსკეა, ფარზე სატაცურის კონა აქვს ნიშნად და კასტილურ ენაზე აწერია დევიზი: "ჩემი ბედ-იღბლის კვალი ეძიე".

და ასე, დონ კიხოტმა თავისი ოცნებით მოჩვენებულ ჯარებში ბევრი სხვა რაინდიც ჩამოთვალა, და როგორც მისი შერყეული გონება უჩვენებდა, ყველას იმ სახით ხატავდა და იმ ფერისა და ჯურის იარაღსა და ფარ-ხმალს ასხამდა. თავისი ჭკუა არეულობის ჩაგონებით გატაცებულმა შეუსვენებლივ განაგრძო:

ეს ჯარები, ჩვენ წინ რომ იშლებიან, მრავალი ერისა და ტომისაგან არიან შემდგარნი: აგერ ის ხალხი ღმერთთაგან ქსანტად წოდებულ ტკბილ მდინარეთა წყალს, რომ სვამს და თვითონ კი იმ მდინარეს სეამანორს ეძახის. მათ შემდეგ მასილიონის მინდვრებზე მცხოვრები მთიულნი არიან; იმათშემდეგ იმ ხალხის მხედრობა მოჩანს, ბედნიერ არაბეთში წმინდა ოქროს ქვიშას რომ სცრის, მათ იქით ისინი არიან, თერმოდონის მწვანე ნაპირებამდე, რომ ბინადრობენ და იანიც, მრავალგვარი საშუალებით, რომ ოქროს ქვიშაზე პაკტოლს სძარცვავენ. მათ მისდევენ უპირო და ცრუ ნუმიდიელნი და მშვილდოსნობაში განთქმულნი სპარსნი, მერე არიან რბენის დროს მარჯვედ მეზრძოლი მიდიელნი და პართიელები, არაბნი, თავიანთი საველე კარვებით, სკვითები, კანით თეთრნი და გულით მძვინვარენი, ეთიოპები, ტუჩებში რომ რგოლებს იყრიან, დასასრულ, მრავალი სხვა ხალხიც არის, რომელთა სახის მოყვანილობას ცხადად ვხედავ და კარგადაც ვცნობ, მაგრამ სახელები კი აღარ მახსოვს. მეორე ჯარში იმ ხალხის მხედრობა მოჩანს, ზეთისხილის ხეებით დაჩრდილულ მეტისის ბროლივით ანკარა წყაროს რომ სვამენ, ისინიც - ოქროს მომტანი ტახოს უხვი წყლით პირს რიმ იბანენ და გრილდებიან. ისინიც - ღვთაებრივი ხეხილის სამკურნალო წყლით რომ სტკვებიან, ისინიც - ტასტეზის პოხიერი სამოვრებით უხვს ველებს რომ თელავენ; ისინიც - ხერესის მინდვრებზე უდარდელად რომ მხიარულობენ, - მდიდარი ლამანჩელებიც, ოქროსფერი პურის თავთავის გვირგვინებით მორთულნი რომ არიან; ძველი გუთების უკანასკნელი შთამომავალნი, ჯაჭვ-ჯავშანში ჩამსხდარი ვაჟკაცებიც, მდორე მდინარე პისურგაში მოხანავე ადამიანები, ისინიც - თავის ურიცხვ ფარებს დაკლავნილი გვიდიანის შუა მდებარე ნოყიერ ხამოვრებზე რომ მწყემსავენ, ისინიც - პირენეის უღრან ტყეებსა და აპენინის თოვლიან მწვერვალებზე სიცივისაგან რომ ცახცახებენ, ერთი სიტყვით, ყველა ხალხი და ტომი, რომელსაც აცხოვრებს და კვებავს ევროპა.

ღმერთო ჩემო, ყველა ამ ხალხისა და ქვეყნის ჩამოთვლა ვის შეეძლო, რასაც დონ კიხოტი ასახელებდა და ხელდახელ, დაუფიქრებლად, იმ განსაკუთრებულ თვისებას აძლევდა, რაც სიცრუით სავსე წიგნებიდან ჰქონდა ამონაკითხი. სანჩო გულდასმით უსმენდა მას და, რაც კი შეეძლო, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, რომ თავის ბატონისაგან დასახელებული რაინდი ან გოლიათი დაენახა, მაგრამ რაკი ვერავინ დაინახა, აბეზარმოსულმა დაიძახა:

- ეშმაკმა რა მიყოს, თუ მე აქ ან რაინდსა და ან გოლიათს ვისმე ვხედავდე, მათი მსგავსი რამეც კი არსად ჩანს; გუშინდელი მოჩვენებისა არ იყოს, იქნებ ყველანი ესენი აჩრდილები არიან და ყველაფერი ეს ჯადოქრობაა?

- ნუთუ შენს ჭკუაზედა ხარ სანჩო? - შეუტია დონ კიხოტმა. - განა ცხენთა ჭიხვინი და დაფდაფ-საყვირის ხარ გესმის?

- ცხვრების ბლავილის მეტი არაფერიც არა მესმის-რა, - მიუგო სანჩომ.

მართალსაც ამბობდა, რადგან ახლა იმათ ახლოს სწორედ ცხვრის ორი ფარა იყო.

- მე როგორც ვატყობ, სანჩო, შიშისაგან ყველაფერი უკუღმა გეჩვენება, - უთხრა დონ კიხოტმა; - საკვირველიც არ არის, რადგან შიში გრძნობებს ურევს ადამიანს და გრძნობაარეული კი ნამდვილი სახით ვერას დაინახავს. თუკი შიშს აგრე ძალიან აუტაცხარ, განზე, გადექ და მარტო დამტოვე, მარტოც მოვახერხებ იმ მხარეს გადავწონო გამარჯვება რომელსაც მივემხრობი.

ესა თქვა აბჯარი მოიმარჯვა, როსინანტი შექუსლა და ელვის სისწრაფით ქვევით დაეშვა.

- ჩემო ბატონო, სენიორ დონ კიხოტ მოიცადეთ, შესდექით! - უკან მიჰყვიროდა სანჩო. მამიჩემის ცხონებამ - ცხვრის ფარებია. ღვთის გულისთვის, უკან დაბრუნდით! აბა სად ეშმაკებში ხედავთ მანდ რაინდებს, მხედრებს, ცისფერ ფარებს, კატებს, სატაცურს და სხვა ჯანდაბას; მანდ ხომ ცხვრების მეტი არა არის-რა; თუ ღმერთი გწამთ... აბა, რას ჩადიხართო ღმერთო, მიშველე, მე საბრალოს!

მაგრამ დონ კიხოტი ვერაფერმა შეაჩერა. იგი ხმამაღლა გაყვიროდა:

- მამაცად, რაინდებო, დიდგულ იმპერატორ პენტაპოლინ დამკლავებულის დროშის ქვეშ მეზრძოლნო ყოჩაღად! აქ მომყევით და გიჩვენებთ, როგორ ჩქარა და ადვილად გადავუხადო მაგიერი მის მტერს, ალიფანფარონ ტრაპობანელს!

ამ ყვირილით შიგ შუა ფარაში შეაგდო როსინანტს და საცოდავ ცხვრებს შუბის ძგერება დაუწყო. მერე ისეთი გაშმაგებით უგმირავდა იმათ, თითქოს მართლა თავის მოსისხლე მტერსა მუსრავსო. მეცხვარეებმა ჯერ ვედრება დაუწყეს - ცხვრებისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ რაკი ხვეწნით ვერა გააწყეს-რა, შურდულები მოიხსნეს და მუშტის ოდენა ქვებს ზუზნი აუყენეს. დონ კიხოტმა იმათ ყური სულ არ ათხოვა, თავის ჯაგლაგს ფეთიანივით აქეთ-იქით ატრიალებდა და თან ყვიროდა:

- ერთი მეჩვენე სადა ხარ, ამაყო ალიფანფარონ! ნუთუ ვერა ხედავ, რომ მარტო ერთი რაინდი მოვდივარ შეთან საბრძოლველად და ამ ჩემი ლახვრით კიდევ გაგმირავ; ხომ არა გგონია, შეგარჩინო, მამაც პენტაპოლინ გარამანტელს რომ შეურაცხყოფა გინდა მიაყენო?

ამის თქმაზე შურდულიდან ნატყორცნი ერთი ისეთი ქვა მოხვდა, რომ ორი გვერდი შიგ მუცელში შეედრიკა, ეს რომ იგრძნო, დონ კიხოტმა მოკლულად ანდა მძიმედ დაჭრილად ჩათვალა თავი, მაგრამ თავის სასწაულთმოქმედი ბალზამი მოაგონდა თუ არა, მაშინვე ჯიბიდან ამოიღო და მოიწაფა. ჯერ ორი ყლუპიც არ გადაეკრა და პირიდან არ მოეხსნა, რომ მეორე ქვა მოზუზუნდა, ჭურჭელი მთლად მიუღწეა, შიგ ნადგომი ზედ გადაასხა, ორი თითი დაუჟეჟა და თანაც სამი თუ ოთხი კბილი ჩაუმტვრია. პირველ ქვას თუმცა ვაჟკაცურად დაუხვდა, მაგრამ მეორეს კი ველარ გაუძლო და ცხენიდან ძირს ჩამოვარდა. ეს რომ მწყემსებმა დაინახეს, მსწრაფლ საშველებად მივიდნენ, მაგრამ მკვდარივით გაშხლართული, რომ ნახეს, შეშინდნენ, შვიდიოდე დახოცილი ცხვარი აკრიბეს, ზურგზე წამოიკიდეს და საჩქაროდ იქიდან აიბარგნენ.

სანჩო ამ თავხედურ ვაჟკაცობას ბორცვიდან უცქეროდა, გამწარებული წვერს იგლეჯდა და იმ დღესა და საათს წყევლიდა, რა დღიდანაც ბედმა ამ გიჟი ბატონოს მსახურად გახადა, და როდესაც ძირს ჩამოვარდნილი დაინახა და მწყემსებიც იქიდან წასულები, ბორცვიდან

ჩამოვიდა და ბატონთან მივიდა. რაინდი თუმცა თავის გონებაზედაც იყო, მაინც მეტად ცუდ ყოფაში დახვდა.

- ახლა ხომ გაიგეთ ჩემი სიმართლე, - უთხრა დონ კიხოტს, - განა უკან დაბრუნებას ტყუილად გეხვეწებოდით? ტყუილად გიყვიროდით, ჯარი არ არის, ცხვრების ფარაა მეთქი?!

- დიახ, - მიუგო დონ კიხოტმა, - ახლა ცხადად ვხედავ, რა ოინებსაც მიშვრება ის ბოროტი, მაგრამ დიდი ბრძენი, ყველგან ჩემი მდევნელი ჯადოქარი. იცოდე, სანჩო, გრძნეულებისა და ჯადოქრებისთვის მეტად ადვილია, რაც უნდათ, ის მოგვაჩვენონ. აი ახლაც იმ ჩემზე გადაკიდებულმა, იმ უმსგავსო კუდიანმა - გრძნეულმა წინადაცე იცოდა, რომ ამ ბრძოლაში დიდად გავითქვამდი სახელს და შურიტ მტრის ჯარი ცხვრის ფარებად გადააქცია თუ ჩემი არა გჯერა და გინდა გაფანტო შენი ექვები და ჩემს სიმართლეში დარწმუნდე, აგრემც ღმერთი გიშველის, აბა შენ ვირზე შეჯექ და ჩუმად უკან გაედევნე იმ ტყუილ ფარებს და ათვალიერე, - მაშინ თვითონ დაინახავ, რომ კარგა მანძილს გასცილდებიან თუ არა, მაშინვე ნამდვილი რაინდებისა და მხედრების სახეს მიიღებენ, სწორედ ისეთს, რიგორადაც წელან აგიწერე. მაგრამ დაიცა, ასე უცბად ნუ წახვალ, ჯერ ჩემთვისა ხარისაჭირო. მოდი, ერთი, გამისინჯე რამდენი კბილი ჩამიმტვრის ბრძოლაში? ასე მგონია, ერთი კბილიც აღარ შემრჩა-მეთქი.

ამ ბრძანებაზე სანჩო ისე ახლო მივიდა თავის ბატონთან, თითქოს შიგ პირში უნდა ჩასძრობოდა, და ეს სწორედ იმ დროს მოხდა, როცა ბალზამმა რაინდის კუჭში თავისებური მოქმედება დაიწყო. საჭურველმტვირთველი დონ კიხოტის ყბების გასასინჯად დაიხარა თუ არა, მან ისეთი საშინელი ბოყინი ამოუშვა, რომ რაც კი რამ მუცელში ჰქონდა, ყველაფერი თოფის გასროლის ძლიერებით ამოანთხია, შემბრალებ საჭურველმტვირთველს წვერებზე შეასხა და სულ შიგ ცხვირში შეუხრჩოლა.

- ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო! - წამოიძახა სანჩომ, - ეს რა ამბავია ჩემს თავს, ალბათ უკანასკნელი საათი დაუდგა ამ უბედურს, რომ წმინდა სისხლს ანთხევს.

მაგრამ როცა კარგად გასინჯა, ფერით, სუნით და გემოთი დარწმუნდა, რომ, რაც იმას სისხლი ეგონა, რაინდის მუცლიდან ამონანთხევი ძვირფასი ბალზამი იყო. მაშინ სანჩოს ისე აერია გული, რომ გულის ძმარება დაემართა, კუჭი მთლად გადმოუბრუნდა და შიგ პირში დაუწყო დონ კიხოტს ნთხევა. რაინდმა და საჭურველმტვირთველმა ამ მშვენიერს ყოფაში რამდენიმე წამი დაჰყვეს და ისე გაწუწეს ერთმანეთი და ისე აპრიალდნენ, ადამიანს ეგონებოდა, ორივესთვის მარგალიტი შეუყრიათო.

ამ სიამოვნების შემდეგ გონს, რომ მივიდნენ, სანჩო ვირთან გაექანა, მჩვარი რომ ამოელო ჩანთიდან თავისი და დონ კიხოტის პირის მოსაწმენდად, მაგრამ ჩანთა ვირზე აღარ დახვდა. ელდისაგან კინაღამ ჰკუაზე არ შესცდა. გინება და ბედის წყევლა დაიწყო და ბეჯითად გადაწვიტა დონ კიხოტისათვის თავი დაენებებინა და შინ დაბრუნებულიყო, თუმცა ამით ჯამაგირსაც კარგავდა და დაპირებული კუნძულის ოდესმე მართვა-გამგეობაზედაც ხელს იბანდა.

ამასობაში დონ კიხოტი ფეხზე წამოდგა, მარცხენა ხელი ყბაზე მიიღო, რომ პირიდან დანარჩენი კბილებიც არ გადმოსცვენოდა, მარცხენა ხელი წაავლო იქვე გვერდზე უძრავად მდგომ როსინანტის აღვირს (ასე წყნარი და ერთგული ცხოველი იყო ის ცხენი!) და რის ვაი-ვაგლახით საჭურველმტვირთველთან მივიდა, თავჩაქინდრული და დაღონებული თავის ვირს

კისერზე იდაყვით რომ დაბჯენოდა. მეტად შეწუხებული რომ ნახა სანჩო, დონ კიხოტმა უთხრა:

- სანჩო, ერთი კაცი მეორეზე რით უკეთესობს, თუ არა იმით, რომ ერთი მეორეზე მეტს აკეთებს? ჩვენ, რომ ვაი-ვაგლახი გვატყდება თავს, იმას გვაუწყებს, რომ კარგი დღეები ჩქარა დაგვიდგება და ბედნიერებასაც მალე მივალწევთ. ეს იმიტომ, რომ ქვეყანაზე ყველაფერს, კარგსაც და ავსაც, საზღვარი აქვს. რამდენად უფრო დიდხანს ვიქნებით ბედისაგან დევნილნი, იმდენად უფრო მეტი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბედნიერებას ჩქარა მივალწევთ. მაშ, ჩემო მეგობარო, შენ ძალიანაც არ უნდა დალონდე იმ უბედურებაზე, რაც მე მემართება, რადგან იმ უბედურებაში შენ არავითარი მონაწილეობა არა გაქვს.

- როგორ თუ მონაწილეობა არა მაქვს? - შეჰყვირა სანჩომ, - გუშინ რომ საბანზე მაფრენდნენ, ის განა მამაჩემის შვილი არ იყო? დღეს კიდევ საგზაო ავლადიდებით სავსე ჩანთა რომ დაგვარგე, სხვისა იყო და არა ჩემი?

- ნუთუ მართლა დაგვარგე? - შეჰყვირა დონ კიხოტმა.

- დაგვარგე, დიახ, დაგვარგე! - მიუგო სანჩომ.

- მაშ დღეს ჩვენ ლუკმასაც ვერ ჩავიდებთ პირში, თქვა რაინდმა.

- დიხაც ვერ ჩავიდებთ, - წამოიძახა სანჩომ, - გარშემო, ამ ველზე, ბალახი რომ არ იყოს და თქვენც ამის ძებნასა და არჩევაში გაოსტატებული არ იყოთ; აკი ბრძანეთ, გაჭირვებაში რაინდები ბალახითაც კმაყოფილდებიანო, მეტადრე თქვენისთანა ბედშავი რაინდები.

- ეგ ხომ აგრეა, მაგრამ მაინც ახლა ერთი ნატეხი თეირი ან თუნდაც უბრალო სოფლური პურის ყუა და ზედაც შესატანებლად ორიოდ შებოლილი სარდინი ყველა იმ ბალახ-ბულახს მირჩევნია, რაც კი რამ დოქტორ ლაგუნას განმარტებით დიოსკორიდს აქვს აღწერილი. მაინც, ჩემო კეთილ, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - ეგ მწუხარება იკმარე, ვირზე შეჯექ და გამომყევ, წავიდეთ. მერწმუნე ჩემო მეგობარო, ყოვლადმოწყალე ღმერთი, რომელიც ჰაერის კოლო-ბუზების, ჭიის მატლებისა და წყლის თავკომბალებისათვის ზრუნავს, კეთილთა და ბოროტთა ზედა ერთნაირად აწვიმებს, მართალთა და ცოდვილთა ზედა მზის სხივებს თანაბრად პფენს, ის ღმერთი, მით უმეტესად, ჩვენც არ დაგვტოვებს მისი წმინდა სახლის სადიდებლად მებრძოლთა.

- ღმერთმანი, თქვენ მქადაგებლობა უფრო შეგფეროდათ, ვიდრე მოგზაური რაინდობა, - უთხრა სანჩომ.

- მოგზაურ რაინდებს ყველაფერი უნდა ცოდნოდათ და ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ, - მიუგო დონ კიხოტმა, - და ძველი დროის რაინდებში იყვნენ ისეთებიც, რომ შარაგზებზე ან სამხედრო ბანაკებში საქადაგებლად დადგებოდნენ ხოლმე და ისეთი სიმარტივით და ცოდნით ასრულებდნენ ამ საქმეს, თითქოს პარიზის უნივერსიტეტიდან ყოფილიყვნენ დოქტორებად გამოსულები. დამიჯერე, სანჩო, ჯერ არასოდეს მომხდარა, რომ ხმაღს კალამი დაეჩლუნგებინოს ან კალამს ხმალი.

- ეგრე იყოს, - მიუგო სანჩომ. - ახლა კი წავიდეთ და ვეცადოთ ღამის გასათევი ბინა ვიპოვოთ სადმე. ღმერთმა კი ნუ ჰქნას, კვლავაც ახალ ჯადოქარ მავრებს, ახალ მოჩვენებებს, ან საბანზე

ფრენას და სხვა ჯანდაბას წავაწყდეთ. თუ არა და ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი. მიწამ მიყოს პირი, თუ რამე სურვილი მქონდეს მათთან შეხვედრისა.

- შვილო ჩემო, ღმერთი ახსენე, და საითაც გინდა, წამიყვანე, - უთხრა დონ კიხოტმა. - ამ ჯერობაზე ამალამისათვის ბინის მოძებნა შენთვის მომინდვია. მაგრამ, ჯერ ერთი, მოიტა შენი ხელი და ზედა ყბა გამისინჯე, მითხარ, რამდენი კბილი მაკლია; ამ ალაგს მეტისმეტ ტკივილსა ვგრძნობ.

სანჩომ პირში ხელი ჩაუყო, ყბა თავიდან ბოლომდის გაუსინჯა დონ კიხოტს და ჰკითხა: "

- ამ მხარეზე რამდენი კბილი გქონდათ, თუ გახსოვთ!

- ოთხი მთლად საღი, სიბრძნის კბილს გარდა, - უთხრა დონ კიხოტმა.

- და მერე არა ცდებით? - ჰკითხა კვლავ სანჩომ.

- აკი გეუბნები, თუ ხუთი არა, ოთხი მაინც-მეთქი, - გაუმეორა დონ კიხოტმა, - იმიტომ, რომ არც ერთი კბილი არ ამომიძვრია და თავისთავადაც არ ამომვარდნია, არც მატლს გამოუხრავს და არც სიცივეს დაუფშვნია.

- მაშ ახლა ამ მხარეზე, ქვევითა ყბაში თქვენს მოწყალებას ორი და ნახევარი კბილიღა დარჩენია, ზევით კი - აღარც მთელი და აღარც ნახევარი, აქ ყბა ისეა გასწორებულია, რომ ნაკბილევაც აღარა ჩანს, ხელისგულებით მოსწორებულია ყველაფერი.

- ვაი, ჩემს ბედშავობას! - ჯავრიანად შეჰყვირა დონ კიხოტმა, როცა საჭურველმტვირთველისაგან ეს სამწუხარო ამბავი მოისმინა, - კბილების დაკარგვას ხელის მოჭრა მერჩივნა, მარჯვენისა კი არა, რითაც მახვილი მიჭირავს უნდა იცოდე, სანჩო, რომ უკბილო პირი უდოლაბო წისქვილს მიემსგავსება, კბილი ჩვენთვის ალმასზე ძვირფასია. მაგრამ რაღას ვაზამ, რაკი რაინდის სამძიმო ცხოვრება ვიტვირთე, ყველა უბედურება უდრტვინველად უნდა ავიტანო. მაშ დავივიწყოთ, ჩემო სანჩო, კბილები და ჩვენს გზას გავუდგეთ. ვირზე შეჯექ და წინ გამიძეხი, სადაც კი წამიყვან დღეს, ყველგან უარის უთქმელად მოგყვები.

სანჩომ გაუგონა დონ კიხოტს და იმ გზას დაადგა, საითაც უფრო იმედი ჰქონდა, რაიმე ღამისგასათევ ბინაზე ჩქარა მისულიყო. თანაც იმ შარაგზას არ შორდებოდა, სადაც ბევრი ხალხი დაიარებოდა. რაკი ნელა მიდიოდნენ, რადგან დონ კიხოტს ყბების ძლიერი ტკივილის გამო ჩქარი სიარული არ შეეძლო. სანჩომ თავისი დარდისა და ვარამის გასაქარველად და ბატონის ოდნავ გასართობადაც ბაასი გამართა და მრავალი სხვადასხვა ამბავი მოუთხრო, რასაც შემდეგ თავში გავიგებთ.

თავი XIX

სანჩო პანსას გონივრული საუბარი თავის ბატონთან, მკვდარ კაცთან

მომხდარი ფათერაკი და აგრეთვე სხვა ღირსშესანიშნავი ამბები

- ყველა ეს უბედურება, ამ უკანასკნელ დროს რაც დაგვემართა, როგორც ვფიქრობ, ჩემო ბატონო, - ეუბნებოდა სანჩო, - ღმერთმა იმიტომ დაგვატეხა თავს, რომ რაინდობის წესს ვუღალატეთ, თქვენი აღთქმა არ აასრულეთ. აკი სუფრაზე იმ დრომდის არ უნდა გაგეტეხათ

პური, არც დედოფალთან გეცელებათ და არც ის დანარჩენი რაღაც ჩაგედინათ, რაც იმ ცელქობას მოსდევს, ვიდრე ის მალანდრინია, თუ ვიღაც მავრი, კარგად აღარ მახსოვს, იმის ჩაჩქანს არ იშოვნით.

- შენ მართალი ხარ, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - მაგრამ ღმერთია მოწამე, რომ ეგ ალექსა დამავიწყდა. აბა, შენც სწორედ იმიტომ დაისაჯე საბანზე ფრენით, რომ მაგ ჩემს ალექსას თავის დროზე არ მომაგონებდი ხოლმე. მაინც ვეცდები, ეგ ჩემი შეცდომა გამოვასწორო, - არც თუ ძნელია, - სარაინდო წესები გვიმძღვარებენ, რომ ყოველგვარი ცოდვის მონანიება შესაძლებელიაო.

- განა მე ალექსა დამიდვია რამე? - შეჰყვირა სანჩომ.

- ალექსა დაგიდვია თუ არა, ეგ სულ ერთია, - მიუგო დონ კიხოტმა, - შენს თავს იმ ბრალდებიდან ვერ გამოიხსნი, ვითომც ჩემი ცოდვების თანაზიარი არ იყო ასეა თუ ისე, მაინც საჭიროა ვეცადო როგორმე ბინდისა გავიწმინდო და შეცდომა გამოვასწორო.

- თუ აგრეა, - უთხრა სანჩომ, - მაშ ეცადეთ თქვენი სიტყვა იმ ალექსასავით არ დაივიწყოთ ხოლმე, თორემ ვინ იცის, იმ მოჩვენებებს კიდევაც ხალისმა მოუაროს - ჩემით შეიქციონ თავი და ვინ იცის, იქნებ თქვენი მოწყალებითაც, თუ მეორედაც წაიბორძიკეთ როგორმე.

ჩვენი ფათერაკების მამებარნი ამგვარი ლაპარაკით ისე გაერთვნენ, რომ შუა მინდორში დაულამდათ და აღარ იცოდნენ თუ იმ ღამის საფარი სად ეშოვნათ. უარესი ჭირი კიდევ ის იყო, რომ ორივეს შიმშილით კუჭი უხმებოდათ, რადგან მთელი მათი საგზალი დაკარგულ ჩანთას თან გაჰყვა. ამ გაჭირვებას ისიც ზედ დაერთო, რომ ახლა ოცნებითი კი არა, მართალი ფათერაკი დაემართათ. თუმცა ძალიან ბნელი ღამე იყო, მაინც განაგრძობდნენ გზას, რადგან სანჩოს იმედი ჰქონდა, ამ შარაგზაზე ერთი ორიოდ მილის შემდეგ რაიმე ფუნდუკს მივადებოდათ. ამ უკუნეთ ღამეში მიმავალმა, შიმშილისაგან შეწუხებულმა საჭურველმტვირთველმა და ჭამას მონატრულმა მისმა ბატონმა უცებ შორს გზაზე მომავალი მრავალი ანთებული მაშხალა დაინახეს. რაც უთვალავ მოძრავ ვარსკვლავად მოეჩვენათ. ამის დანახვაზე სანჩო სრულებით დაიბნა, დონ კიხოტს ციების მაგვარმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ჩვენმა ფათერაკის მამებრებმა თავის პირუტყვები შეაყენეს, ერთმა ვირს მოსართავი მოუჭირა, მეორემ ცხენს აღვირი მოქაჩა და იმ საოცარ სინათლეს ხმაგაკმენდილი გაშტერებით დაუწყეს ცქერა; რაც უფრო უახლოვდებოდა ეს სინათლე, მით უფრო იზრდებოდა. შეშინებულმა სანჩომ სინდიყით მოწამლულივით დაიწყო ცახცახი; დონ კიხოტსაც თმა ყალყზე დაუდგა, მაგრამ გული ჩქარა გაიმაგრა და ოდნავ შემრწუნებულმა უთხრა სანჩოს:

- არავითარი ეჭვი არ არის, სანჩო, რომ ჩვენ ახლა ყველაზე მეტად გასაოცარი, ღირსშესანიშნავი და უსაშინლესი ფათერაკის წინაშე ვდგევართ და მეც ვალდებული ვარ, სრული ჩემი ძალ-ღონე და სიმამაცე ახლა გამოვაჩინო.

- ვაი ჩემს თავს, - შებღავლა სანჩომ, - ახლა კი დავიღუპე: თუ ესენი კვლავ მოჩვენებანი არიან, და ანკი სხვას რას უნდა მოელოდეს აქ კაცი, ახლა საიმათო გვერდები ვისლა ვთხოვო?

- რაგვარი მოჩვენებანიც არ უნდა იყვნენ, - განუცხადა დონ კიხოტმა, - მაგ შენი სამოსის სულ მცირე ძაფსაც კი ვერ შეეხებიან. თუ ამას წინათ გაჭირვებაში ვერ მოგეშველე, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ კედელზე გადმოცოცება ვერ მოვახერხე; ახლა კი გაშლილ მინდორზედა ვართ და, როგორც მესურვება, ჩემს ხმაღს ისე დავატრიალებ.

ამათაც თუ ისე მოგაჯადოვეს, როგორც ამას წინათ მოხდა, - შენიშნა სანჩომ, - მაშინ ამ გაშლილ მინდორს რაღა ჯანდაბაში მოიხმარებთ!

- მაინცდამაინც სულით ნუ დაეცემი, ჩემო სანჩო, შენი ვაჟკაცობა მოიხმე და ჩემსას კი ჩქარა დაგანახვებ. - მიუგო დონ კიხოტმა.

- ნება თქვენი იყოს, - უპასუხა წაქეზებულმა სანჩომ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ვეცდები ყოჩაღად ვიყო.

მერე რაინდი და საჭურველმტვირთველი გზას იქით გავიდნენ და იმათკენ მოძრავ სინათლეს დაკვირვებით ადევნებდნენ თვალს. პატარა ხანს უკან თეთრად მოსილი ხალხის გუნდი გაარჩიეს. ამ უცნაური სურათის დანახვით, წინათ გაგულისებულმა სანჩომ შიშისაგან კბილების კაწკაწი მორთო, თითქოს გააციაო, და როცა გზაზე ოცამდის თეთრმოსასხამიანი ცხენოსანი ხელში ანთებული მაშხალებით ცხადად გაარჩია, შიში გაუორკვედა. ცხენოსნებს შემდგგ შავებგადაფარებული საკაცე მოჰქონდათ. ამ საკაცეს კიდევ ექვსი შავებმოსილი კაცი მოსდევდა და ისეთი გრძელი შავი ტოლომები ესხათ, ჯორის ფეხებსაც ფარავდა. დინჯ სიარულზე ეტყობოდა, რომ ისინი ჯორებზე ისხდნენ და არა ცხენებზე. გს თეთრი მოჩვენებანი წყნარი ნაბიჯით მოდიოდნენ და დაბალი მწუხარე ხმით რაღაც გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდნენ. ამ უცნაურ სანახავს, მეტადრე ასეთ დროს და ამ უდაბურ ადგილას, არ შეიძლებოდა სანჩოსათვის შიშის ზარი არ დაეცა. ვაი, რომ ასე არ მოუხდა დონ კიხოტს. რაც უფრო გული უსკდებოდა სანჩოს, იმდენად მის ბატონს სიმამაცე ემატებოდა და თვალეში რაღაც დიდებული, მის რომანებში აღწერილი ფათერაკები ეჩხირებოდა.

მან წარმოიდგინა, რომ მკვდარი ან მძიმედ დაჭრილი ვინმე რაინდი მოჰქონდათ და იმის გულისათვის სამაგიეროს გადახდევინება მხოლოდ ამის ვალი იყო. ეს, რომ წარმოიდგინა, ბევრი აღარ უფიქრია და როგორც მუდამ ჩვეულებად ჰქონდა, მაშინვე უნაგირზე გასწორდა, შუბი მაგრა ჩაბლუჯა, გაბედული სახით ჩადგა შუაგზაში, რომ ის მოჩვენებანი ვერ ასცდენოდნენ, და როდესაც მოახლოვდნენ, საშინელი ხმით შეუტია:

- შესდექით, რაინდნო! ვინც უნდა იკვეთ, შესდექით. მეთქი! საჩქაროდ მითხარით, ვინა ხართ, საიდან და სად მიდიხართ და მაგ საკაცით რა მიგაქვთ? მე როგორც ვამჩნევ, ან ბოროტების მსხვერპლნი ხართ და ან თქვენ თვითონ რაიმე საზარელი ბოროტების ჩამდენნი. მითხარით-მეთქი, რადგან ვალდებული ვარ ან თქვენი გულისათვის ვიძიო შური, ან თვითონ თქვენ მოგკითხოთ მაგიერი.

- თქვენთან ხანგრძლივად სალაპარაკოდ არა გვცალია, - უთხრა ერთმა თეთრ პერანგიანმა ცხენოსანმა. - ფუნდუკამდის შორს არის და მივეშურებით.

ეს უთხრა და ასაჩქარებლად ჯორს დეზი ჰკრა. მაგრამ ამაოდ ამ პასუხით ფრიად ნაწყენმა დონ კიხოტმა აღვირში წაავლო ხელი ჯორს და უწინდებურად დაუყვირა:

- შესდექით-მეთქი, გეუბნებით, და ცოტა მეტი ზრდილობა იქონიეთ. ჩემს კითხვაზე მიპასუხეთ, თუ არა ახლვე ყველას ერთად ბრძოლაში გიწვევთ.

ჯორი მხდალი გამოდგა, ხელის წავლებზე ყალყზე შედგა, თვითონაც წაიქცა და მხედარიც ქვეშ მოიყოლა. ამაზე ერთმა ამ მგზავრების მსახურმა დონ კიხოტს გინება დაუწყო. უამისოდაც გაბრაზებული რაინდი მივარდა ერთ შავებთან მგზავრს, ვინც კი პირველი მოხვდა ხელში, შუბი



ჰკრა და ჯორიდან ძირს ჩამოაგდო, მერე მეორეს მივარდა, მერე მესამეს, და უნდა გენახათ, ამ მგლოვიარე ხალხში რა სიმარდიტა და სიმარჯვით ათოხარიკებდა თავის თითქოს ფრთებშესხმულ, გაამაყებულ როსინანტს. უბედურება ის იყო, რომ ყველა ეს მგზავრი უიარაღო იყო, ამასთანავე მხდლებიც გამოდგნენ. პირველსავე შეტაკებაზე უბრძოლველად აქეთ-იქით გაიფანტნენ ანთებული მაშხალებით; მაშვარეთის ხალხი ეგონებოდა კაცს, ყველიერის ღამეებში, რომ მაშხალებით დარბიან ხოლმე. ხოლო, ვისაც შავი ტილომა ესხა, ისე გაიხლართა შიგ, რომ მოძრაობა ეძნელებოდა. მაშ რაღად გაუჭირდებოდა დონ კიხოტს, რომ გულის მოჯერებამდის მოეცხო მათთვის გვერდებში და ბრძოლის ველიდან მიმოეფანტა. იმ საბრალოებმა წარმოიდგინეს, რომ დონ კიხოტი ადამიანი კი არა, ეშმაკი იყო, ჯოჯოხეთიდან გამოვარდნილი, და იქ იმათ დასასჯელად მოსულიყო, რათა მათთვის მკვდარი გამოეგლიჯა ხელიდან.

სანჩო თვალებდაჭყეტილი უცქეროდა ამ ამბავს, და თავის ბატონის სიმამაცით მეტად გაოცებული ფიქრობდა: "დალახვრა ღმერთმა, ეს ჩემი ბატონი მართლა რა ყოჩაღი ყოფილა. ტყვილად კი არ ამბობდა ხოლმეო. ამასობაში, პირველად, რომ ჯორმა მგზავრი ძირს ჩამოაგდო, ის ისევ მიწაზე ეგდო და მისი მაშხალაც იქვე ახლოს ანთებული დარჩენილიყო. დონ კიხოტმა, რომ მაშხალის შუქზე დაინახა იგი, მივიდა, შუბი ყელში მიაბჯინა და მაღალი ხმით უბრძანა: დამნებდი, თორემ ახლავე მოგკლავო.

- ამაზე მეტად როგორღა დაგნებდე, - უპასუხა საბრალომ, - ადგილიდან კი ვეღარ დავძრულვარ და, მგონია, ფეხიც მოვიტეხე... მაგრამ ჩემო ხელმწიფეო, თუ აზნაური ბრძანდებით და ამასთან ქრის: ანი, გემუდარებით, ნუ მომკლავთ. მკრეხელობას ჩაიდენთ, რადგან ლიცენციატი ვარ პირველი ხარისხით დაჯილდოებული და უკვე სასულიერო წოდებაში გამწესებული.

- თუ სასულიერო წოდებისა ბრძანდებით, მაშ რაღა ეშმაკმა მოგიყვანათ აქ? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ეშმაკმა კი არა ჩემმა უბედურმა ხედმა-თქო, - მიუგო საბრალომ.

- უფრო უარესს მოელოდეთ, თუ ახლავ ყველა ჩემს კითხვაზე პასუხს არ მომცემთ, - შეუტია დონ კიხოტმა.

- ყველაფერზე სიამოვნებით გიპასუხებთ, თქვენო მოწყალეზავ, - წრიპინებდა ლიცენციატი, - უწინარეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა ლიცენციატი გათხარით, მაგრამ ჯერ მხოლოდ ბაკალავრი ვარ, ალონსო ლოპესი, ტომით ალკობენდასელი. მე და თერთმეტი სხვა მღვდელი, მაშხალებით, რომ აქეთ-იქით გაიქცნენ, - ქალაქ ბაესიდან მოვდივართ და იმ საკაცეზე მდებარე ცხედარს სეგოვიდან მივასვენებთ საგვარეულო აკლდამაში დასაკრძალავად. ის ცხედარი აზნაურისაა და დროებით ბაესში იყო დამარხული.

- მერე და ვინ მოჰკლა იგი? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ღვთისაგან მოვლენილმა სახადმა, - მიუგო ბაკალავრმა. - მაშ თუ ეგრეა, ღმერთს გაუთავისუფლებივარ, რომ მაგის სიკვდილი ვისმე გადავახდევინო. - თქვა დონ კიხოტმა. - რაკი ღვთის მარჯვენას მოუკლავს, ისღა მრჩება დავდუმდე, როგორც ამას მაშინ ჩავიდენდი, ეგეთი უბედურება, რომ მე დამმართოდა. ხოლო, უნდა მოგახსენოთ, თქვენო კურთხევავე, რომ მე გახლავართ მოგზაური რაინდი, დონ კიხოტ ლამანჩელი, რომელმაც აღთქმა დავდე, კეთილს

ვემსახურო, სიმართლე აღვადგინო და ბოროტი დავთრგუნო, რასაც დაუცხრომლად დავებებ მთელ ქვეყანაზე მოგზაურობით.

- არ ვიცი, ღმერთმანი, ბოროტს როგორ თრგუნავთ, - ამოოხვრით მიუგო ბაკალავრმა. - ეს კი ვიცი, რომ სულით და ხორციით უდანაშაულოს ისეთი სიკეთე მიყავით, რომ ფეხი მომტეხეთ და მთელთ ჩემი სიცოცხლე ჩაუხად დამტოვეთ. და თქვენს პატივისცემას სამუდამოდ ვერ დავივიწყებ. გარწმუნებ, უდიდესი ბოროტება და უსაშინელესი უსამართლობაა, როგორც კი შესაძლო იყო ოდესმე, სადმე თავს დამტეხოდა, - ეს თქვენი შეხვედრა იყო - თქვენგან ფათერაკის ძეგლის გზაზე.

- ქვეყანაზე ყველაფერი ისე არ კეთდება, როგორც ჩვენ გვსურს, - მიუგო დონ კიხოტმა. - ნეტავ რა გაჭირვება გქონიათ, რომ ამ შუალამისას მოდიხართ, რაღაც სუდარებში თუ ძაძვებში გახვეულები, ანთებული მაშხალებით, უცნაური დუდუნით, თითქოს მოჩვენებანი იკვეთ, ანუ საიქიოდან მოსულები. ერთი მითხარით, იმ თქვენი რაღაც უცნაური ლიტანიის მნახველს, განა შემემლო ჩემი მოვალეობა დამევიწყა? ამის იმედი თქვენ მაშინაც არ უნდა გქონოდათ, თუნდაც მართლა ეშმაკთა ურდოები ყოფილიყავით და არა ადამიანები. უთუოდ უნდა დამემარცხებინეთ.

- რა გაწყობა? თუ კი ჩემი ბედი ეგა ყოფილა, - მწუხარედ თქვა ბაკალავრმა, - ეს სიკეთე მაინც მიყავით, ბატონო მოგზაურო რაინდო, მოგზაურობის ღონე რომ გამომაცალეთ, მიშველეთ - ჩემს ჯორზე ავფოფხდე როგორმე; ეს ჩემი საბრალო ფეხი უზანგში გამეხლართა და უნაგირზე მიმეჭეჭყა.

- მერე აქამდის რაღა ეშმაკად იყავით ჩუმად? ახირებულა ვინმე ყოფილხართ! - დაუყვირა დონ კიხოტმა.

მაშინვე სანჩოს დაუძახა, მაგრამ იგი ამ ძახილზე მისვლას არ ეშურებოდა, კეთილი მოძღვრების ჩანთებიდან სხვადასხვა გემრიელი სანოვავის ამოლაგებით იყო გართული. როცა ხალთა-გუდად გადაქცეული თეთრი მოსასხამი საშოვრით პირამდის გაავსო, მაშინ მოირბინა დონ კიოტთან და ჯორის ქვეშიდან ბაკალავრის გამომძრობა უშველა. მერე საბრალო ორივემ ერთად ჯორზე შესვეს, ხელში მაშხალა მისცეს და ჩვენმა გმირმა უთხრა: მიბრძანდი შენს ამხანაგებთანაო, და თან დააბარა, ბერებთან ბოდიში მოეხადა, რომ წმიდა მამანი თავისდა უნებლიეთ გაათახსირა და აწამა. სანჩომ კი თავის მხრით დაუმატა:

- თუ, ვინიცობა, ამ წმიდა მამებმა მოისურვონ შეტყობა, ვინ არის ეს, ვაჟკაცურად რომ განფანტა ისინი, გადაეცით, რომ ეს არის სახელოვანი დონ კიხოტი ლამანჩელი, ანუ მწუხარე სახის რაინდი.

ბაკალავრი, რომ თავის გზას დაადგა, დონ კიხოტმა სანჩოს ჰკითხა: მწუხარე სახის რაინდი რა მიზეზით დამიძახეო.

- ახლავე აგისნით, - უპასუხა სანჩომ, - იმ მიზეზით, რომ ბერების მაშხალათა შუქზე უცებ შემოგხედეთ და თქვენი სახე ისეთი საცოდავი და საბრალო მეჩვენა, რომ იმ სახისა ჯერ არსად მინახიხართ. ამას წინათ, რომ ცემა-ტყევა გამოვიარეთ და მერე კიდევ კბილები ჩაგიმტვრიეს, ალბათ იმის გამო დაგედოთ ასეთი სახე.

- არა, სანჩო, იმის გამო კი არა, - უთხრა დონ კიხოტმა, არამედ იმ ბრძენმა, ვისაც ბედი ჩემთა ღვაწლთა აღწერას არგუნებს, საჭიროდ დაინახა, უწინდელ დროთა რაინდების მსგავსად, ჩემთვის რაიმე მეტსახელი მოეცა, როგორც, მაგალითად, ერთს ერქვა: მგზნებარე მახვილის რაინდი, მეორეს მარტორქისა, მესამეს ქალწულთა რაინდი, სხვებს კიდევ ფენიქსისა, ფასკუნჯისა, ზოგს სიკვდილისა და სხვა... ამ მეტსახელებით არიან ცნობილი ისინი მთელს ქვეყანაზე. ამიტომაც, ვფიქრობ, სანჩო, რომ ჩემმა მომავალმა ისტორიკოსმა ჩაგაგონა ეგ მეტსახელი, მწუხარე სახას რაინდი, გეწოდებინა ჩემთვის, და მეც ამიერიდან ამ სახელს ვირქმევ და მწადია პირველსავე შემთხვევაში ჩემს ფარზე რაიმე მწუხარე, კუმტი სურათი დავახატვინო.

- ეგ ხომ დროს ამაოდ დაკარგვა და ფულის ტყუილად გადაყრა იქნება, - შენიშნა სანჩომ. - რაღაც სურათების დახატვა რა საჭიროა, როდესაც საკმარისია თქვენი საკუთარი სახე დაანახვით, რომ უფროდ და უსურათოდ, აგრე თვეთავად, ყველამ მწუხარე სახის რაინდად გიცნოთ. ამას ხუმრობით კი არ მოგახსენებთ: შიმშილისაგან თუა და რამდენიმე კბილის ჩამტვრევისაგან, რომ თქვენი სახე, ღმერთსა ვფიცავ, მეტად მწუხარე შეიქნა.

სანჩოს ამ გულითად სიტყვებზე დონ კიხოტს გაელიმა, მაგრამ ამ ახალ მეტსახელზე უარი არა თქვა და არც ფარზე მის მიერ გამოგონილი სურათის დახატვა დაიშალა.

- იგი, სანჩო, - შენიშნა დონ კიხოტმა, - ასე მგონია, ახლა მე ეკლესიისგან განყენებული უნდა ვიყო, ვინაიდან სასულიერო პირს ხელი შევახე, თუმცა მართალი რომ ვთქვა, ხელი კი არა, შუბი შევახე, ხოლო მღვდლებისა და საეკლესიო ნივთების შეურაცხყოფა ფიქრადაც არასოდეს მომსვლია, პირიქით, როგორც ჭეშმარიტი კათოლიკე ქრისტიანი, წმიდა საგანს მუდამ შესაფერ პატივს ვცემდი. იმათი შეურაცხყოფა კი არ მინდოდა, არამედ მოჩვენებათა შემუსვრა მეწადა. ესეც კი მახსოვს, რომ რაინდმა სიდ რუი დიასმა თუმცა მეფის ერთი გამოჩენილი ელჩის სავარძელი თვითონ უწმინდესი პაპის თვალწინ დაამსხვრია და პაპამაც ამისათვის იგი, კადნიერი, ეკლესიისაგან გააყენა, მაგრამ სახელოვანი რაინდი როდრიგო დუ ვივარი, ესე იგი სიდი, ამ შემთხვევაში მაინც ისე მოიქცა, როგორც თავისი პატივ-ღირსება და მოვალეობა აიძულებდა.

ეს, რომ გაიგონა, ბაკალავრი, როგორც ვთქვით, ხმისამოუღებლად წავიდა, ხოლო დონ კიხოტმა მოისურვა გაეგო, საკაცზე მართლა ადამიანის გვამი თუ იდვა და რა იქნა იგი, მაგრამ სანჩომ დაუშალა.

- მაგას ნუ იზამთ, ბატონო, - უთხრა მან, - ღმერთს მაღლობა შესწირეთ, რომ ამ ხიფათმა უფრო მშვიდობიანად ჩაგვიარა, ვიდრე სხვა დანარჩენებმა. რად გინდათ, რომ ეშმაკს აგულისებთ? მართალია, გაფანტეთ ისინი და სცემეთ კიდევ, მაგრამ, ერთიც ვნახოთ, შეგროვდნენ, მოიფიქრონ და შეიგნონ, რომ ყველა ეს იმათ ერთმა კაცმა დამართა, - სირცხვილნაჭამნი და გაბრაზებულნი მოგვადგნენ და სულ კუდით ქვა გვასროლინონ. არა, ისევ ისა სჯობია, აქედან თავგაუტეხელნი წავიდეთ. ვირი კარგად მყავს, საგზალი ბლომად გვაქვს, მადაზედაც არა გვიჭირს-რა, მთაც აგერ ახლოა; ანდაზა გავიხსენოთ: მკვდარი წავიდეს საფლავსა, ცოცხალი სამოვარსაო, და ჩვენც ჩვენ გზას გავუდგეთ.

ესა თქვა, ვირს აღვირში ხელი მოჰკიდა, გზას დაადგა და დონ კიხოტს უკან გაყოლა სთხოვა. ისიც ადვილად დათანხმდა თავის საჭურველმტვირთველს, რადგანაც გრძნობდა, რომ კარგად იქცეოდა. შუა მიმავალ გზას აუქციეს, ერთ მშვენიერ ველზე გავიდნენ და დასასვენებლად

ჩამოხტენ. სანჩომ ვირს ბარგი ჩამოხადა, ბატონი და მსახური მოლზე დასხდნენ, მაღიანად ჭამა დაიწყეს და საუზმე, სადილი და სამხარი ერთად მიირთვეს, რითაც დაამტკიცეს, რომ შიმშილი საუკეთესო მზარეულია. ახლა იმ ბერების მეოხებით ყველაფერი ბლომად ჰქონდათ. როგორც უკვე ყველამ ვიცით, ქვეყნიური საჭიროება ბერებს ძნელად ავიწყდებათ ხოლმე, ამიტომაც, რასაკვირველია, რომ ჯორები ყოველგვარი ნუზლით საკმაოდ ჰყოლოდათ დატვირთული. რაინდი და საჭურველმტვირთველი გაძლომით კი კარგა გაძლნენ, მაგრამ იმათი გასაჭირი, და სანჩოსათვის ყველაზე უცუდესი ახლა ის იყო, რომ სასმელად ღვინო არა ჰქონდათ და არც თუ ერთი ცვარი წყალი იყო სადმე, რომ პირი გაესველებინათ. ამ გაჭირვებაში, რომ იყვნენ, სანჩომ, მოლზე, სადაც ისხდნენ, ნორჩი ბალახი შენიშნა და თავის ბატონს ის უთხრა, რასაც შემდეგ თავში გავდებთ.

თავი XX

არნახული და გაუგონარი გმირობა, რაც ამქვეყნად არც ერთ გამოჩენილ რაინდს უფრო მცირედი ხიფათით არ გადაუხდია, ვიდრე ეს ჩაიდინა სახელოვანმა დონ კიხოტ ლამანჩელმა

- აშკარაა, ჩემო ბატონო, არ შეიძლება აქ სადმე მდარე არ იყოს, ან ნაკადული მაინც, თორემ მოლი ასე ამწვანებული არ იქნებოდა. კარგი იქნება, ბატონო, ორიოდ ნაბიჯი წაგვედგა წინ, ეგებ სადმე წყალი გვეპოვნა, თორემ ამ საშინელმა წყურვილმა ლამის შიმშილზე მეტად შემაწუხოს.

დონ კიხოტს საჭურველმტვირთველის რჩევა მოეწონა და დაეთანხმა; როსინანტს აღვირს მოჭიდა ხელი და გასწია. სანჩომაც ვახშმის ნარჩენები აჰკიდა ვირს და რაინდს უკან გაჰყვა. ძლივძლივობით მიდიოდნენ, ალაღბებდნენ, რადგან ისეთი ბნელი ღამე იყო, თვალში თითხ ვერ მიიტანდნენ. ორასამდე ნაბიჯი, რომ გაიარეს, თითქოს მაღალი და უზარმაზარი კლდეებიდან გადმომქუხარე ჩანჩქერის ხმაური მოესმათ და ეს მეტად გაუხარდათ. ერთ წამს შედგნენ, რომ გაერჩიათ, რა მხრიდან მოდიოდა ეს ხმა, მაგრამ უცებ რაინდსაც და საჭურველმტვირთველსაც ისეთი ხმაური მოესმათ, რომ ნიშისაგან თავზარი დაეცათ. ამ ხმაურობამ წინანდელი სიხარულიც და წყურვილიც მთლად გადაავიწყათ. ბუნებით მხდალი სანჩო უფრო მეტად შეშინდა. ახლა ამათ რაღაც ძლიერი, ყრუ და ხანდაზმული ბგერა ესმადაო, და ამ ბგერას რაღაც რკინისა და ჯაჭვის ჟღერალი მოყვებოდა. ეს ხმები წყლის გაშმაგებულ შხუილს ერთვოდა და, რაც უნდა გულადი კაცი ყოფილიყო, რასაკვირველია, დონ კიხოტის გარდა, უეჭველია, შიშს მოჰგვრიდა. როგორც ვთქვით, მეტად ბნელი ღამე იყო და ამ შემთხვევამ ჩვენი გმირები წაბლის დიდრონი ხეების ქვეშ მიიყვანა. ღამის ნიავეზე იმათი ფოთლების წყნარი და ეცნაურა შრიალი და ბუტბუტი ერთსა და იმავე დროს რაღაც საზარელსა და თანაც საამო ძრწოლას ჰგვრიდა ადამიანს. ყველაფერი ეს: დრო, უკაცრიელი ადგილი, წყვდიადი, წყლის ჩხრიალი, ფთილების შრიალი - თითქოს იმიტომ შეერთებულიყო, ადამიანისათვის უნებურად თავზარი დაეცა. მაგრამ ეს შიში და ძრწოდა უფრო გაუორკვედათ, რადგან ახლა ის საზარელი ბგერაც არა ჩუმდებოდა, ქარი ზუზუნს არ იშლიდა, და განთიადიც ჯერ არსად იყო. ასე, რომ, ჩვენს ფათერაკების მამებართ ვერ გაეგოთ, თუ სად და რა გარემოებაში იმყოფებოდნენ. დონ კიხოტმა დიდხანს მაინც ვერ გაძლო უმოქმედოდ. უცებ ცხენს მოახტა, ფარი მიიფარა, შუბი მოიმარჯვა და სანჩოს უთხრა:

- ჩემო მეგობარო, იცოდე ამ რკინის საუკუნეში უზენაესის ნებით ქვეყანაზე იმიტომ დავიბადე, რომ ოქროს საუკუნე აღვადგინო! უდიდესი საშიშროებანი ჩემთვის არიან გაჩენილნი,

დიდებულნი ღვაწლი და უკვდავნი საქმენი მომელიან. ერთხელაც კიდეც ვიმეორებ, მოწოდებული ვარ-მეთქი, რომ მრგვალი მაგიდის რაინდები, საფრანგეთის თორმეტი დადებული და დიდების ცხრა რაინდი მკვდრეთით აღვადგინო, მოწოდებული ვარ - ქვეყანას დავავიწყო ბელიანისი, ალატირი, ფეხოსი, ოლივანტი, ტირანი, ტაბლანტი და სხვა უთვალავი სიმრავლე წარსულთა დროთა დიდებულ მოგზაურ რაინდებისა. და რითაც ისინი ამაცობენ, მათზე უაღრესი საქმენი და ღვაწლი უნდა ჩავიდინო და მით ჩავჩრდილო ისინი. ჩემო პატიოსანო და ერთგულო საჭურველმტვირთველო, ყურადღება მიაპყარ ამ უკუნეთს წყვდიადსა, გარს რომ გვახვევია, ამ მტკნარს სიჩუმეს, ამ ფოთლების ყრუ შრიალა და ჩურჩულს, ამ ნიაღვრის საზარელ შხუილს - თითქოს თვითონ მთვარის მთებიდან რომ გადმოქუხს, და ამ საშინელ ბგერას - ყურთასმენა რომ დაგვიხშო... ყველა ეს, რაც ჩამოვთვალე, ერთად, გინდ ცალ-ცალკე აღებული, არა თუ უბრალო მომაკვდავს, არამედ თვითონ ბრძოლის ღმერთს მარებსაც შეზარავდა და შეაძრწუნებდა, მით უფრო იმათ, ვინც ამგვარ ამბებს და ფათერაკებს ჩვეული არ არის. მაგრამ მე კი მხოლოდ მიმატებს და მიმტკიცებს ვაჟკაცობას. მკერდში გული არ დამიმშვიდდება, ვიდრე ამ ფათერაკს პირდაპირ არ შევეჩხებები, რაც უნდა საშინელიც იყოს იგი. აბა, სანჩო, როსინანტს ოდნავ მოსართავები მოუჭირე და შენ აქ დარჩი, ღმერთი იყოს შენი მფარველი. სამ დღე-ღამეს მელოდე და თუ ამ ხანში არ დავბრუნდი, მაშინ შინ წადი, მაღლი ჰქენი და ერთი უკანასკნელი სამსახურიც გამიწიე: ტობოსოს მიდი და ჩემს უბადლო სატრფოს დულსინეას გადაეცი, რომ შენგან ტყვექმნილი რაინდი სახელოვანი სიკვდილით მოკვდა, რაინდისათვის ღირსეულ საქმეში-თქო.

ეს, რომ სანჩომ გაიგონა, გული აუჩუყდა, ტირილი დაიწყო და დონ კიხოს უთხრა:

- ბატონო ჩემო, არ ვიცი, ღმერთმანი, რა ძალა გადგათ, რომ უთუოდ გინდათ რაღაც საშინელ ფათერაკში გაიხათ თავი. ამ ბნელაში ხომ ვერავინ გვხედავს, რა გვენაღვლება, გზას გადავუხვიოთ და ბოროტს მოვშორდეთ, თუნდაც ამისათვის სამი დღე უსმელობა მოგვიხდეს, თუ კი ვერავინ გვხედავს, სიმხდალეს ვინლა დაგვწამებს? მით უმეტეს, ჩვენი სოფლის მღვდლისაგან რამდენჯერ გამიგონია მშვენივრად რომ ჰქადაგებს ხოლმე: ვინც საფრთხეში ებმის, თავის თავისათვის უბედურება უნდაო. მართლაც, ღვთის ღმობიერების გამოცდა რა საჭიროა თავ-პირის მტვრევით? ისეთ ხიფათში ჩარევა რას გვარგებს, საიდანაც თავის დახსნა სასწაულით თუ შეიძლება, თორემ სხვა არაფრით? ღმერთი, რომ გფარავთ, ისიც ცხადია; იმან არ დაგიფარათ იმ შეჩვენებული საბნისაგან, მე რომ არ დამიფარა? იმან არ გიშველათ, ის რაღაც უცნაური ხალხი, რომ გაფანტეთ, ცხედარს რომ მოსდევდნენ? ერთი ბეწვიც კი არ გაგაკაწვრიათ. თუ ყველაფერი ეს ვერას დაგარწმუნებთ და თქვენს გულს ვერ მოალობს, მაგ თქვენმა ქვის გულმა ეგებ იმიტომ მაინც შემიბრალოს, რომ აქედან ორ ნაბიჯს გადადგამთ თუ არა, ისეთი შიში შემიპყრობს, რომ ჩემს სულს ყველას მივცემ, ვინც კი მომთხოვს. სამშობლო და სახლკარი დავტოვე თქვენთვის, ცოლ-შვილი ღვთის ანაზარად დავყარე, რომ თქვენი მოწყალების მსახური გავმხდარიყავი, და რაღა თქმა უნდა, ამით მოგება მიხდოდა და არა წაგება. მაგრამ, ჩანს, მართალი ყოფილა ანდაზა: პარკში მეტის ჩადებას ვინც მოინდომებს, პარკს დახვესო. აი, სწორედ იმ ნდობამ მიყარა ტლინკი და ყველა ჩემი იმედი გააქარწყლა. ასე მგონია, აგერ საცაა იმ უბადრუკ კუნძულს ხელითაც წავწვდები მეთქი, მრავალჯერ, რომ აღმითქვით, ის კი არა, ჩემი სამსახურის ჯილდო ამ შორეულ და უკაცრიელ ადგილს მიტოვებასაც მიპირებთ. შემიბრალებთ, მოწყალეო ბატონო, ღვთის გულისათვის მაინც შემიბრალებთ. და თუ აღარ დაგიშლიათ და ამ საშინელ ფათერაკში გაბმა ძალიან გსურთ, დილამდის მაინც მოიცადეთ მწყემსობიდან რაც ცოდნა გამოვიტანე, იქიდან ვიცი, რომ გათენებამდის სულ სამი საათი აღარ

დარჩენილა. უცქირეთ, აგერ, პატარა დათვის ხახა პირდაპირ თავზე დაგვყურებს, მის მარცხენა თათს თვალი გააყოლებთ და დარწმუნდებით, რომ ახლა ნაშუალამეცია.

- ვერა გამიგია-რა, - უთხრა დონ კიხოტმა. - ნეტა რას ჩმახავ და საიდან ხედავ ან დათვის ხახას, ან კეფას ამ უკუნეთში, როდესაც ერთი ვარსკვლავიც არსად ჩანს?

- რალა თქმა უნდა, თქვენ ვერას დაინახავთ, - მიუგო სანჩომ, - მარტო შიშმა იცის მკვირცხლი თვალები, და თუ, როგორც ამბობენ, იგი მიწის ქვეშაც ხედავს, მაშ მიწის ზევით უფრო კარგად არ დაინახავს ყველაფერს? ან კი რა საჭიროა, ისე აშკარაა, რომ გათენებამდის შორს აღარ არის.

- შორს არის თუ არა, ჩემთვის სულ ერთია. - უთხრა დონ კიხოტმა, - არც ახლა და არც სხვა დროს არავის ვათქმევინებ, რომ თხოვნამ ანუ ცრემლმა იმაზე უარი მათქმევინა, რასაც რაინდობის ღირსება მავალეზდა. მე გთხოვ, სანჩო, გაჩუმდე. ღმერთი, რომელიც ამ საშინელ და არნახულ საქმეზე მაქეზებს, მეც დამიფარავს და შენც განუგეშებს, ხოლო შენ ისღა უნდა ჰქნა, როსინანტს მოსართავები მოუჭირო და აქ დარჩე. სიტყვას გაძლევ, ცოცხალი ვიქნები თუ მკვდარი, აქეთ დავბრუნდები.

სანჩომ, რაკი თავის ბატონისაგან ასეთი შეუდრეკელი გადაწყვეტილება მოისმინა და შეიგნო, რომ ამჟამად იმაზე ველარაფერი იმოქმედებდა: ველარც თხოვნა, ვერც ცრემლი და ველარც რჩევა, განიზრახა - ცბიერობით მაინც მოეხერხებინა ისეთი რამ, რომ რაინდი გათენებამდის დაებრკოლებინა. მოსართავებს რომ მოჭერა დაუწყო, ჩვენმა საჭურველმტვირთველმა, ჩუმად, თითქოს აქ არავითარი ამბავია რაო, ვირის ავშარის თოკით უკანა ფეხები ისე გაუხლართა როსინანტს, რომ როცა დონ კიხოტი ცხენს მოახტა, მან ჩვეულებრივად სიარული ველარ შეიძლო და ხტომითლა მოძრაობდა. ამ ოინის მიზეზით რომ საქმე ველარ უჩქარდებოდა რაინდს, სანჩომ უთხრა:

- ჩანს, ბატონო, ზენაარსმა ჩემი ცრემლები შეისმინა და როსინანტს ადგილიდან აღარ უშვებს. ახლა თქვენი ნათქვამი აღარ გამოგადგებათ, ნულარ გაჯიუტდებით, ცხენს ნუ ქუსლავთ, ნურც ცემას დაუწყებთ, თორემ ეგ ის იქნება, ბედი გაარისხოთ და, როგორც იტყვიან, კედელს თავის ხლა დაუწყოთ.

დონ კიხოტს ბრაზი ერეოდა და გამძაგებით უტევდა ცხენს, მაგრამ რაც უფრო მეტად სცემდა დეზებს, მით უფრო ნაკლებ ეწეოდა თავის წადილს. ვერ მიმხვდარიყო, როსინანტს ფეხები შებორკილი ჰქონდა. ბოლოს, რაკი ნახა, ვერას აწყობდა, გადაწყვიტა - ბედს დამორჩილებოდა და გათენებამდის მოეცადა, ან იქამდის მაინც, ვიდრე როსინანტს სიარულის უნარი დაუბრუნდებოდა. დონ კიხოტმა ამ მარცხის მიზეზად, სანჩოს ოინს გარდა, ყველაფერი ჩათვალა, და მერე სანჩოს უთხრა:

- რაკი საქმე ასე მოეწყო, რომ როსინანტს ადგილიდან დაძვრა აღარ შეუძლია, რა გაეწყობა, სანჩო, ბედს უნდა დავემორჩილო და ცისკრის ნელინელ გაღიმებას თვალცრემლიანი ველოდო.

- თვალცრემლიანი რა ბრძანებაა, ბატონო, - მიუგო სანჩომ, - მთელი ღამე სულ ნაირნაირი ამბებით და ზღაპრებით გაგართობთ, თუ ნამდვილი მოგზაური რაინდის კვალობაზე ცხენიდან ჩამობრძანებას არ ინებებთ და ამ მშვენიერ მოღზე ცოტაოდენს არ ჩაიძინებთ. კარგს კი ინებებდით, ცოტა მოგესვენათ და სადილაოდ ჯან-ლონე მოგეკრიბათ; ის რაღაც შეუდარებელი და სამაგალითო ფათერაკი, რომ მოგელით, ეგებ უფრო ღონივრად და მხნედ შეხვდეთ.

- ცხენიდან ჩამოხტომა რასა ჰქვია? რას ჰქვია დასვენება? ვის თავაზობ ამას? - შეუტია დონ კიხოტმა. - ნუთუ გგონია იმ განებივრებულ რაინდთაგანი ვიყო, განცხრომაში რომ სწორედ იმ დროს არიან, როდესაც საშინელ ფათერაკისკენ უნდა მიისწრაფოდნენ! შენ დაიძინე, ძილისათვის გაჩენილი შენა ხარ, შენა ჰქენ, რაც გინდა, ხოლო მე იმას ჩავიდენ, რასაც ჩემი მოვალეობა მომიწოდებს.

- ნუ წყრებით, ჩემო ბატონო, საწყენად ხომ არ მოგახსენეთ, ისე, ხუმრობით, სიტყვას, - უპასუხა სანჩომ.

მერე მივიდა რაინდთან, ერთი ხელი უნაგირის წინა ტახტას წაავლო, მეორე უკანას, ასე თავისი პატრონის მარცხენა თეძოს მიეკრა და ერთი თითის დადებაზედაც ვერ შორდებოდა - ისე ძალიან შეაშინა იმ რაღაც თანაბარმა ბრახუნმა, ერთიმეორის შემდეგ რომ განუწყვეტლივ მოისმოდა. მაშინ დონ კიხოტმა უთხრა სანჩო: დაპირება შემისრულე და გასართობად რაიმე ისტორია მიაშბეო. სანჩო პანსამ მიუგო, სიამოვნებით შეგისრულებდი ამ სურვილს, ეს საშინელი ხათქახუთქი რომ არ მაშინებდესო.

- ეჰ, რაც გახდეს-გახდეს, ვცდი; ერთს ისეთს ზღაპარს მოგახსენებთ, თუ ღმერთი შემეწია და არავინ შემიშალა ხელი, თანაც არა დამავიწყდა-რა, - რომ სწორედ მშვენიერს. აბა ყური დამიგდეთ, ჩემო ბატონო, და ბეჯითად მომისმინეთ. აი, ვიწყებ იყო და არა იყო-რა... მაღლი და სიკეთე ყველა სულიერსა და უსულოს და ბოროტი კი იმათ, ვინც მას დაეძებს. იცოდეთ, თქვენო მოწყალეობა, რომ ძველი ხალხი საღამოს ზღაპარს ყოველთვის ამგვარად იწყებდა ხოლმე და ტყუილადაც არ იწყებდა ასე, იმიტომ რომ, ის სიტყვა ბოროტი იმათ, ვინც მას დაეძებსო, რომელიც ვიგინდარას მოგონილი კი არ არის, თვითონ რომაელ კატონ ცენზორინის ნათქვამია, და ეს ნათქვამი ისე ზედგამოჭრილია ახლა ჩვენთვის, როგორც ბეჭედი თითისათვის. ამით თითქო იმას გვეუბნებოდეს, ჰკვირანად ვიყოთ და ბოროტის საძებნელად არსად წავიდეთ. განა ის არა ჯობდა, ახლავე ამდგარიყავით და გზისათვის გადაგვეხვია, იმიტომ, რომ აბა ძალას ვინ გვატანს, იქ ვიაროთ, სადაც ყოველმხრივ ყველა ვაი-უბედურება და საშინელება გვემუქრება?..

- შენ შენი ზღაპარი განაგრძე, - გააწყვეტინა დონ კიხოტმა, - გზის არჩევანი ჩემი საქმეა.

- ჰოდა, ჩემო ხელმწიფევე, - განაგრძო სანჩომ... - ესტრემადურის ერთს დაბაში იყო და ცხოვრობდა ერთი თხის მწყემსი, ესე იგი ისეთი კაცი, რომელიცა რომ თხებსა მწყემსავდა, და რომელსაც, ესე იგი მწყემსს, როგორც ამ ზღაპარშია ნათქვამი, ლოპე რუისი ერქვა: ჰო და იმ მწყემსმა, ლოპე რუისმა, არც აქეთ, არც იქით, აიღო და ერთი მწყემსი ქალი ტორალბა შეიყვარა და ეს მწყემსი ქალი ტორალბა კიდევ მდიდარი კაცის ქალი იყო, მრავალი ფარის პატრონისა, და ეს მდიდარი ფარების პატრონს კიდევ...

- სანჩო, თუ ასე განაგრძე მოყოლა და თუ მაგ შენს ზღაპარში ყველა სიტყვა ორჯერ გაიმეორე, ორ დღესაც ვერ ვათავებ. ან ჰკუთათამყოფელი კაცივით რიგიანად თქვი და ან სულ თავი დაანებე და დადუმდი, - შეაწყვეტინა დონ კიხოტმა.

- რა ვქნა, ბატონო, მეც სწორედ რიგიანად მოგიტხრობთ, - მიუგო სანჩომ, - ჩვენს სოფელში ყველა სამილისპირო ზღაპარს ასე ამბობენ, ჩემთვის სხვანაირად არ დაუსწავლებიათ და თქვენი მხრითაც უსამართლობა იქნება, ახალი წესები მოითხოვოთ.

- კარგი, როგორც იცი, ისე თქვი, - დაეთანხმა დონ კიხოტი, - რაკი იძულებული ვარ შენს ზღაპრებს დავუგდო ყური, ჩემთვის სულ ერთია, როგორც გინდა მიაგებ.

- ჰოდა, ძვირფასო ბატონო, - განაგრძო სანჩო, ის ხომ მოგახსენე, იმ თხის მწყემსმა მწყემსი ქალი ტორალბა შეიყვარა-მეთქი, ის ქალი ერთი ზორბა, წითელ ლოყებიანი გოგო იყო, ცოტა ცხარე და ჭირვეული ხასიათისა, ერთი სიტყვით, აშარი დედაკაცი იყო, ესე იგი ნამდვილი აშარი დედაკაცი, ცოტათი მამაკაცსა ჰგავდა, უღვაშებიც კი ჰქონდა თურმე, ისეთი უღვაშები, რომ ას მგონია, ახლა ჩემი თვალით ვხედავ-მეთქი.

- განა შენ თვითონ იცნობდი მას? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- რა ბრძანებაა, მე საიდან მეცნობებოდა, - მიუგო სანჩო, - ვინც ეს ზღაპარი მიაგებო, იმან მითხრა: სწორედ, ნამდვილად მართალია და თუ ოდესმე უამბო ვისმეო, ამის სიმართლეზე ისე შეგიძლია დაიფიცო, როგორც შენი თვალთ ნანახზედაო. ასე ამგვარად დრო გადიოდა, და ბოლოს ეშმაკმა, მუდამ, რომ მოუსვენრად არის და ყველგან უთვალთვალეებს, სად რა გადმოაბრუნოს ყირამალა, ისეთი ოინი უყო, რომ მწყემსს სიყვარული სიძულვილად შეუცვალა: ამის მიზეზი კი თურმე, როგორც გრძელი და ბოროტი ენის პატრონები ამბობენ, ეჭვიანობა იყო. რაკი თავისი საყვარელი შეიძულა, მწყემსს მისი დანახვაც კი ეჯავრებოდა და, რომ აღარსად შეხვედროდა, გადაწყვიტა თავის სამშობლო ქვეყნიდან სადმე გადახვეწილიყო, ტორალბამ კი, რაც მწყემსმა ისე შეიძულა, მას შემდეგ უფრო ძლიერ შეიყვარა მწყემსი.

- დედაკაცის ბუნება ეგეთია, - შენიშნა დონ კიხოტმა: - ისინი უყვართ, ვისაცა სძულან, და ისინი სძულთ, ვისაც უყვარან. განაგრძე, სანჩო.

- ისე მოხდა, რომ მწყემსმა თავისი განზრახვა აასრულა, თავისი თხები შეაგროვა, და ესტრემადურის მინდვრებისაკენ გასწია, რომ იქიდან პორტუგალიაში გადასულიყო. ეს, რომ ტორალბამ გაიგო, ერთ ხელში ფეხსაცმელები დაიჭირა, მეორეში - ჯოხი, ზურგზე ჩანთა აკიდა და ფეხშიშველი უკან დაედევნა. როგორც ამბობენ, ჩანთაში თურმე სარკის ნატეხი, სავარცხლის ნამტვრევი და ერთი კოლოფიც პირისახეზე გასალესი ფერ-უმარილი ჰქონდაო, მაგრამ რაში მეჭირვება, რაც უნდა ჰქონდეს კოლოფში. ახლა ის უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც ამბობენ მწყემსი გვადიანის ნაპირს იმ დროს მიადგა, როცა მდინარე ადიდებული და ნაპირებზე გადმოსული იყო: ამასთან ნაპირზე არც ნავი იყო სადმე, არც მენავე და არც ბორანი, რომ თვითონ გაღმა გასულიყო, თავისი ფარაც გადაეყვანა. ამან მწყემსი ძალიან დაალონა და გააბრაზა იმიტომ, რომ თუ ჩქარა არ გასულიყო, ტორალბა მოეწეოდა და ცრემლთა ფრქვევითა და ხვეწნა-მუდარით თავს მოაბეზრებდა. იფიქრა, უცქირა, უცქირა და ბოლოს აკი ნავით მეთევზე დაინახა. მერე ისეთი პაწაწინტელა ნავით იყო ის მეთევზე, რომ შიგ ერთი თხა და ერთი კაცი ძლივს დაეტეოდა. მაგრამ მეტი რა გზა იყო მწყემსმა იმ მეთევზეს დაუძახა და თავისი სამასი თხის იქით ნაპირზე გადაყვანა თხოვა. როცა მორიგდნენ, მეთევზე ნავში ჩაჯდა და ჯერ ერთი თხა გაიყვანა გაღმა; მერე გამოვიდა, მეორე გაიყვანა, მერე კვლავ გამოვიდა, მესამე გაიყვანა. ღვთის გულისათვის, ბატონო, თლაში არ შეცდეთ, კარგად დაითვალეთ, თუ რამდენი გაიყვანე გაღმა, თორემ, თუ ერთი მაინც შეგცდათ, მაშინ ჩემი ზღაპარი მაშინვე გათავდება, ერთ სიტყვასაც ვეღარ მოვიგონებ. ახლა ის უნდა მოგახსენოთ, რომ მეორე ნაპირი თიხნარი ფლატე იყო, მოლიპული, ისე, რომ მეთევზეს იმ გასვლა-გამოსვლაში ბევრი დრო სჭირდებოდა. მაინც მობრუნდა თხის გასაყვანად. კიდევ გავიდა და ისევ გამოვიდა... და კიდევ...



- ღვთის გულისათვის, - უთხრა დონ კიხოტმა, - თქვა ბარემ ყველა გაიყვანა-თქო და მაგ გადავიდა-გადმოვიდას დაეთხოვე, თორემ იმ შენს თხებს ერთ წელიწადსაც ვერ გაიყვან გაღმა.

- რამდენი გაიყვანა? - ჰკითხა სანჩომ.

- ეშმაკმა იცის, რამდენი! არ ვიცი! - შეუტია დონ კიხოტმა.

- როგორც ვამბობდი, ისე გამოვიდა. აკი გითხარით, ანგარიში არ აგერიოთ-მეთქი, - უთხრა სანჩომ; - მაშ გათავდა ზღაპარი, განგრძობა აღარა გზით არ შეიძლება.

- დაგწყევლოს ღმერთმა, ეს როგორ შეიძლება! - შეჰყვირა დონ კიხოტმა. - საიდან სადა? თხების ანგარიშს ზღაპართან რა კავშირი აქვს? ეგ როგორ არის, რომ თვლაში ერთი თხა გაუშვი და ზღაპრის გაგრძელება აღარ შეგიძლია?

- ეგრე კი გახლავს და! აღარ შემიძლია! - მიუგო სანჩომ, - იმიტომ, რომ, როცა გკითხეთ, რამდენი თხა გადაიყვანა-მეთქი და თქვენ მიპასუხეთ, არ ვიციო, სწორედ იმ წამს ხსოვნა დამეკარგა; თავშიაც, რომ ქვა ვიხალო, მაინც ვეღარ მოვიგონებ, მხოლოდ, ღმერთმანი, მარტო ისლა მახსოვს, რომ რაც უკეთესი და საინტერესო იყო, ახლა იწყებოდა.

- მაშ გათავდა შენი ზღაპარი? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ისე, როგორც განსვენებული დედაჩემის სიცოცხლე, - მიუგო სანჩომ.

- სიმართლე უნდა გითხრა, მაგ ზღაპრის მსგავსად უცნაური და არაჩვეულებრივი ჯერ ქვეყანაზე არა გამიგონია-რა, მეტადრე როგორც მიაშობდი და როგორც დააბოლოვე; ან კი შენებრ ჰკუის პატრონისაგან უკეთესს როგორ მოველოდებოდი; მაგრამ, რასაკვირველია, რომ ამ განუწყვეტელს რახუნს და ხმაურობას შენთვის გონება გამოეცვალოს.

- ქვეყანაზე შეუძლებელი არა არის-რა, - მიუგო სანჩომ; - მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, ბატონო, რომ ეს ისეთი ზღაპარია, რომელიც სწორედ იმ დროს უნდა გათავებულიყო, როდესაც თხების სათვალავი შეგცდებოდათ.

- უნდა გათავებულიყო და - გათავდეს, თუ კი გაიმება, - მიუგო დონ კიხოტმა. - ახლა ისა ჯობია, ვცადოთ ეგებ როსინანტი ადგილიდან დაიძრას როგორმე.

ეს თქვა და დეზი პკრა ცხენს, მაგრამ რას ქვიან! როსინანტმა შეხტომის მეტი ვერა მოახერხა-რა და მხოლოდ წიხლებს იქნევდა ადგილიდან ერთ ნაბიჯზედაც ვერ დაიძრა ფეხები ისე კარგად შეეკრა სანჩოს.

ამ დროს, დილის სიგრილისაგან იყო, თუ იმისაგან, რომ წინადლით გასაფაღარათებელი რამ შეეჭამა ან იქნებ თვითონ ბუნებამ მოითხოვა (რაც ყველაზე უფრო სწორია), სანჩოს ძლიერმა სურვილმა მოუარა, ის ტვირთი მოეშორებინა თავიდან, ის მოშორებაც მისთვის სხვას არავის შეეძლო, მაგრამ შიშისაგან ისე იყო შეპყრობილი, რომ ერთ ბეწვზე დაც ვეღარ ბედავდა ბატონს მოსცილებოდა, ამასთანავე ის ისეთ სურვილი იყო, რომ სხვა დროსთვის მისი შესრულების გადადება არ შეიძლებოდა. რაკი სხვა ღონე აღარა მქონდა, უნაგირის ტახტას მარჯვენა ხელი მოაშორა და ფრთხილად ხონჯარი გაიხსნა, რის გამო ნიფხავი ძირს ჩაემვა და მის ფეხებს ბორკილივით შემოეხვია: შემდეგ უდიდესი სიფრთხილით პერანგის უკანა კალთა აიწია და კარგა ზორბა გავის ორივე ნახევარი გამოიჩინა ეს, რომ შეასრულა, სანჩოს ეგონა თავიდან დიდი

გაჭირვება მოვიშორეო და ჩემს მძიმე და მტანჯველ მდგომარეობას ბოლო მოეღო, მაგრამ უარესი დღე ახლა დაადგა: იცოდა, საქმეს ისევ ვერ შეასრულებდა, ხმა არ გამოეღო, და ამიტომ, რაც კი ძალ-ღონე მქონდა, კრიჭა შეიკრა და სუნთქვაც შეიგუბა, თავი მხრებში ჩამალა, მაგრამ, ამ სიფრთხილის მიუხედავად, მაინც რაღაც ხმა გამოიღო, იმ ხმების სულ არ მსგავსი, რაც მას ახლა აშინებდა. ეს, რომ გაიგონა, დონ კიხოტმა იკითხა:

- სანჩო, ეს რისი ხმა არის, თუ იცი?

- რა მოგახსენოთ, ბატონო, - მიუგო სანჩომ. - უთუოდ ახალი რამ ამბავია: ხომ მოგეხსენებათ, ყველა ფათერაკი და უბედურება ყოველთვის თვისებურად იწყება.

მერე ერთხელაც კიდევ სცადა ბედი და სურვილი ისე მარჯვედ შეასრულა, რომ სამძიმო ტვირთი მთლად ჩუმად მოიშორა თავიდან. მაგრამ რაკი სანჩო დონ კიხოტს ზედ მიკროდა, იმიტომ შეიძლებოდა, სუნი არა სცემოდა მას. ჩვენს რაინდს ისეთივე მახვილი ყნოსვა ჰქონდა, როგორც სმენა. იგრძნო თუ არა სუნი, ფიცხლავ ცხვირზე თითები მოიჭირა და სანჩოს დაღრეჯით უთხრია:

- როგორც გატყობ, სანჩო, ახლა შენ წელანდელზე უფრო გემინია.

- დიახ, ბატონო, ძალიანაც გემინია, - მიუგო სანჩომ -, მაგრამ რაზე მატყობთ, რომ წელანდელზე ძლიერ გემინია?

- იმაზე, რომ უწინდელზე ახლა უფრო მეტად გდის სუნი და ეგ სუნი მუშკამბრისას როდი ჰგავს.

- ეს სავსებით შესაძლებელია, - მიუგო საჭურველმტვირთველმა; - მაგრამ რა ჩემი ბრალია? ისევ თქვენი ბრალია, რომ ამ უდაბურ ალაგს და კლდე-ღრეში უდროო დრო მომიყვანეთ.

- ორიოდ ნაბიჯზე გამშორდი, ჩემო მეგობარო, - უთხრა დონ კიხოტმა და თან ისევ იჭერდა ცხვირზე თითებს - კვლავ გაფრთხილდი, და ნუ დაივიწყებ, ეგეთი შეურაცხყოფა აღარ მაკადრო, მეტის პატივისცემით მომეპყარ. უეჭველია, აგრე იმიტომ გაბრიყვდი, რომ უბრალოდ და თავისუფლად გეკიდები.

- ხომ არა გონით, ბატონო, ისეთი რამ ჩამედინოს, რაც არ უნდა ჩამედინა? თუნდ სანაძლეოს დავდებ, - წამოაძახა სანჩომ.

- კმარა, კმარა! მაგაზე ლაპარაკს თავი დავანებოთ, - უთხრა დონ კიხოტმა - უმჯობესია ხელი არ ახლო შენს ნამოქმედარს, ჩემო მეგობარო.

ბატონმა და მსახურმა ასეთ საუბარში გაატარეს ღამე. და როცა სანჩომ გათენება შეამჩნია, როსინანტს ბორკილი ფრთხილად შემოხსნა და თვითონაც ნიფხავი შეიკრა. თუმცა როსინანტი თავისი ბუნებით არასოდეს მკვირცხლი ცხენი არ ყოფილა, მაგრამ, თავი, რომ თავისუფლად დაიგულა, თითქოს გაეხარდაო, წელში გაიმართა, წინა ფეხების ბარტყუნი და ტოკვა დაიწყო დონ კიხოტმა ეს ამბავი კარგ ნიშნად მიიჩნია და იმწამსვე საშინელი ფათერაკების შესახვედრად გამგზავრება დააპირა ამასობაში გფენდა კიდევ და დონ კიხოტმა განთიადის ციაც სინათლეზე დაინახა, რომ წაბლის დიდრონი ხეების ჩრდილში იმყოფებოდნენ ბრახუნი მაინც მოისმოდა; მაგრამ იმის მიზეზს კი ჯერ ვერა ხედავდნენ. ახლა კი ერთი წამიც აღარ დაყოვნდა, როსინანტს დეზი ჰკრა, თავის საჭურველმტვირთველს კვალად გამოეთხოვა,

წელანდელივით უბრძანა სამი დღე ღამე ეცადა მისთვის და თუ ამ ხანში არ დაბრუნდებოდა, მაშინ იმ საშინელ ფათერაკში ნებითა ღვთისაა დაღუპულად ჩათვალა. კვლავ მოაგონა სანჩოს დულსინეასთან შენათვალი, სთხოვა თავის ჯამაგირზე არხეინად ყოფილიყო და დაარწმუნა, რომ შინიდან წამოსვლამდის ანდერძში ჩავწერე, რაც ჯამაგირი გერგება, უკლებლივ ჩაგაბარონო ბოლოს ესა თქვა რაინდმა თუ ღმერთმა ახლა გადამარჩინა, ჩემო სანჩო, მაშინ უცილობლად შეგიძლია შენი თავი ამთავითვე კუნძულის მფლობელად გასთვალო. თავისი კეთილი და სათნო ბატონის ამ გულსაკლავმა გამოთხოვებამ სანჩოს მეტად აუჩუყა გული და თვალზე დაც ცრემლები მომგვარა დარჩენას არა თანხმდებოდა და მასთან სამუდამოდ ხლებას თოვდა, ვიდრე ამ საშინელ ფათერაკს არ დაასრულებდა (სანჩო პანსას ამ ცრემლებისა და პატიოსნური და სულგრძელი წადილის მიხედულობით ამ ამბის მწერალი დაასკვნის, რომ იგი ბუნებით გულკეთილი კაცი იყო, დაბალი წოდებისა არც იქნებოდა და ყოველ შემთხვევაში მაინც ძველი მოდგმის ქრისტიანებს მიეკუთვნებოდა.

სანჩოს თანაგრძნობამ და ცრემლებმა დონ კიხოტს გული მოუღბო, მაგრამ წადილი კი ვერ შეაცვლევინა. ერთ წამსაც აღარ შეჩერებულა და ფიცხლავ იქით გაემართა, საიდანაც დაუცხრომელი რახარუხი და წყლის შხუილი მოისმოდა სანჩო უკან მისდევდა, ჩვეულებრივად ქვეითად და თავის ჭირშიც და ლხინშიც განუშორებელი ვირი სადავით მყავდა წაბლის ხეებს, რომ გასცილდნენ, ჩვენი ფათერაკების მამებარნი ერთს ფართო ველზე გავიდნენ და მაღალი კლდე დაინახეს, საიდანაც ხტომით და შხუილით ჩამოდიოდა ჩანჩქერი კლდის ძირში რაღაც უბადრუკი ქოხმახები იდგა, გარეგნობით უფრო ნანგრევების მინამგვანი, და სანჩო, რომ რახარუხმა შე ამინა. ის რახარუხი სწორედ იქიდან გამო დიოდა. ამ რახარუხმა და წყლის შხუილმა როსინანტს დააფრთხო, მაგრამ დონ კიხოტმა დაუყვავა და ალერსიანი სიტყვებით დაამშვიდა, იმ შენობებთან ახლო მიიყვანა, თან კი თავის თავს სატრფოს აბარებდა და ჩვეულებისამებრ შესთხოვდა ამ საშინელ წამში მის შესაწევნებლად ფხიზლად ყოფილიყო; ამასთანავე ღვთის შევედრებასაც არ ივიწყებდა. სანჩო კიდევ კუდისკუდ მიყოლის დროს წამისწამ კისერჩაწევით როსინანტს მუცელქვევიდან ცდილობდა როგორმე დაენახა, თუ რა იყო, რომ მთელი ღამის განმავლობაში ასეთ შიშსა და ძრწოლაში ამყოფებდა მას ამ ყოფით რაინდმა და საჭურველმტვირთველმა, რომ ასიოდე ნაბიჯი გაიარეს, წვეტიან კლდეს გარს შემოუარეს, და ცხადად დაინახეს იმ ჯოჯოხეთური ბრახუნის მიზეზი, მთელ ღამეს, რომ ათასგვარ საშიშ ფიქრებში აგდებდა მათ თუ მართალი გინდა გაიგო, მკითხველო, და იგი არ გაგაბრაზებს, არც შეგაწუხებს, იცოდე, რომ გველი ის ვაი-ვაგლახი, ჩვენ გმირებს თავს, რომ გადახდა, სამთელავოს ექვსი ჩარხის რიგ-რიგად დარტყმის რახუნნი იყო.

ეს, რომ დონ კიხოტმა დაინახა, ფერი ეცვალა და ისე გახდა, თითქოს საშინელი სიმაღლიდან ჩამოვარდაო. სანჩომ თავის ბატონს შეხედა: იგი თავჩაქინდრული იდგა, საშინლად არეული და დარცხვენილი რაინდმა შეხედა სანჩოს: იმას კიდევ ლოყები გაჰბერვოდა ჭიფხვისაგან, ღამის გასკდესო, ისე ვაი-ვაგლახით იმაგრებდა სიცილს. თუმცა ამ წამს დონ კიხოტი დაღონებული იყო, მაინც სანჩოს სასაცილო სახე, რომ დაინახა, გაელიმა: მაშინ საჭურველმტვირთველმაც, რაკი ბატონის ღიმილი დაინახა, თავის შეკავება საჭიროდ აღარ სცნო და ისეთი ხარხარი მორთო, კინაღამ შიგნეული არ ამოაყრევინა. ოთხჯერ დაისვენა და ოთხჯერვე ხელახლად დაიწყო სიცილი. დონ კიხოტი იმასაც და თავის თავსაც ჯანდაბას გზანდილა. მეტადრე მაშინ გაბრაზდა, როდესაც სანჩომ მისი ხმითა და კილოთი დაიძახა.

- "იცოდე, ჩემო მეგობარო, სანჩო, უზენაესის ნებით ქვეყანაზე ამ რკინის საუკუნეში იმიტომ დავიბადე, რომ ოქროს საუკუნე აღვადგინო; ჩემთვის არიან გაჩენილნი უდიდესი საშიშროებანი, მე მომელიან დიადნი ღვაწლნი და უკვდავნი საქმენი..."

და ამ სახით სიტყვა-სიტყვით გაიმეორა, რაც დონ კიხოტმა უთხრა მას, როცა პირველად ეს რახუნი გაიგონა. რა ნახა, სანჩო ასე პირში დასცინოდა, დონ კიხოტი ისე გაბრაზდა, რომ საბრალო სანჩოს ორიოდეჯერ შუბის ტარი უთაქა ზურგში, და მერე ისე ღონივრად, რომ თუ თავში მოხვედროდა, რაც საჭურველმტვირთველს ჯამაგირი ერგებოდა, უეჭველად მისი მემკვიდრეებისათვის მისაცემად დასჭირდებოდა. როცა დაინახა, რომ დონ კიხოტი აღარ ეხუმრებოდა და შიში მიეცა, ეს ალერსი აღარ გაეორკვეცებინა იმისათვის, სანჩომ მოკვდინებული ხმით და თითლიბაზური სახით უთხრა ბატონს.

დამშვიდდით, მოწყალეო ბატონო: განა ვერა ხედავთ, რომ გეხუმრებით?

- მეც სწორედ იმიტომ არა ვხუმრობ, რომ თქვენ ხუმრობთ, - უპასუხა დონ კიხოტმა. - ერთი აქეთ მობრძანდით, ბატონო მოლიზდარო, და მიპასუხეთ: ნუთუ გგონიათ, ამ სამთელავო უროების მაგიერ, რომ საშინელ ფათერაკს რასმე შევხვედროდი, ვერ გავბედავდი მასთან შეჯახებას და საქმის ბოლომდის მიყვანას? განა მოგზაური რაინდობის წოდება ვალდებულად მხდის გავარჩიო სათელავი უროები რა ხმას გამოიღებს და სხვა რამ საგანი კიდევ რა ხმას? მაშ, რაა საკვირველი, რომ სათელ-საბეგვების ხმა, რაცა ჩემს დღეში არსად გამიგონია, სხვა რამ ხმად მივიღე? თქვენ, ხეპრე და ბრიყვი, ამისთანა საბეგვებში ხართ გამოზრდილიც და აღზრდილიც, გინახავთ კიდევ და ამათი ხმაც გაგიგონიათ, მაშ ამათი რუნი რატომ ვერ გაარჩიეთ? დაე, ამ წამში ეს ექვსი საბეგვი ეჭვს გოლიათად გადაიქცეს და ყველა სათითაოდ გინდ ერთად თავს დამესხნენ, თუ ერთ წამში ყველა ყირამალა არ გადავატრიალო, მაშინ, რამდენიც გენებოთ, იმდენი დამცინეთ.

- კმარა, ჩემო კეთილო ბატონო, - უთხრა სანჩომ; - დავაშავე, რომ ზედმეტი სიტყვა გაგიბედეთ. მაგრამ ვიფიქრე, ცოტას ვიხუმრებ-მეთქი. რაკი ახლა ჩვენი შერიგება მოხდა და ფათერაკიც ასე კეთილად გათავდა (ღმერთმა ქმნას, ყველა ჩვენი ფათერაკი ასე ბედნიერად გათავდეს ხოლმე), ერთი მიბრძანეთ, განა შემდგომში სათქმელი და სალაპარაკო არისდა თანაც სასაცილო, ჩვენი წუხანდელი შიში, რომ გავიხსენოთ? ჩემი მაინცა, თორემ თქვენ ხომ არასოდეს არაფრისა არ გეშინიათ!

- თანახმა ვარ, რომ რაც მოგვიხდა, მართლა, ცოტა არ იყოს სასაცილოა, - მიუგო დონ კიხოტმა. - მაგრამ არ მესმის: რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი? ვინც შენგან მაგ ამბავს გაიგონებს, განა იმდენი მიხვედრა ყველას ექნება, რომ ყველაფერი სწორად გაიგოს და ღირსეულად დააფასოს?

- ჰო, დიახ, როგორც თქვენმა შუბმა ღირსეულად ან ადგილი დააფასა, სადაც მომხვდა, - მიუგო სანჩომ, - თქვენ მე თავში დამიღერლეთ, მაგრამ ჩემი გამჩენისა და სიმარდის წყალობით ზურგში მომხვდა. ეჰ, რაც იყო-იყო. გარეცხვის დროს ყველაფერი წაიშლება ქვეყანაზე ყველაფერს ივიწყებენ და ამასთანაც ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: ვისაც უყვარხარ, ის გიტირებსო. მერე კიდევ, დიდი ბატონების თვისება ისეთია, რომ ვერ გაგიწყრებიან და შემდეგ ახალი შარვლით დაგასაჩუქრებენ. ჯოხით ნაცემ მსახურებს რით დაასაჩუქრებენ ხოლმე არ ვიცი, მაგრამ იმაში კი მეტისმეტად ვარ დარწმუნებული, რომ მოგზაური რაინდები თავიანი საჭურველმტვირთველებს ლაზათიანი მიჯოხვის შემდეგ ზღვაში კუნძულს ან ხმელეთზე რამე სამეფოს უწყალობებენ ხოლმე.

- მართლაც! იქნებ ბედმა და იღბალმა საქმე ისე შეატრიალოს რომ ყველა შენი სიტყვა მართალი გამოდგეს საკვირველი არ არის, რომ შენი ნათქვამი აღსრულდეს, სანჩო, - წარმოთქვა დონ კიხოტმა. ამჟამად ჩემი გაბრაზება მომიტევე. მოფიქრებული კაცი ხარ და ძალიან კარგად გესმის, რომ განრისხების ჟამს ადამიანი თავის პირველი აღელვების დროს პასუხს არ აგებს. ხოლო ახლა ამას გეტყვი, სანჩო, და გაფრთხილებ, შემდეგ მეტისმეტ ბაასს ნუ გამიმართავ ხოლმე, რადგანაც არც ერთ სარაინდო წიგნში არ წამიკითხავს, - წაკითხვით კი ბევრი წიგნი წამიკითხავს, - რომ ვისმე ყბედ საჭურველმტვირთველს თავის ბატონისათვის იმდენი ელაპარაკოს, რამდენსაც შენ ელაპარაკები. მე ვფიქრობ ამაში ორივენი ვართ დამნაშავენი. შენ იმით, რომ საკმაო პატივს არა მცემ და მეც იმით - ისე ვერ მოგექეცი, რომ პატივი მქონოდა შენგან. ამადისის საჭურველმტვირთველი განდალინი გაიხსენე, თუმც ნახევარკუნძულის ბატონად შეიქნა, უიმისოდ არასოდეს არ ელაპარაკებოდა ხოლმე თავის ბატონს, თუ არ ქუდმოხდილი და მორე ტურქუესო თავდახრილ-წელმოხრილი, ან კიდევ დონ გალაორის საჭურველმტვირთველი გასაბალი მოიგონე, რარიგად მოკლე ენა ჰქონდა: კრინტს არ იღებდა და ყველგან ისე მდუმარე იყო, რომ ამ ჩინებული და ჭემმარიტი ისტორიის ავტორი მხოლოდ ერთხელ იხსენიებს მის სახელს და ისიც მაშინ, რათა აღნიშნოს ეს მისი გასაოცარი და სათნო თვისება - მდუმარება, ყველაფერ აქედან უნდა დაასკვნა, სანჩო, რომ საჭიროა ბატონსა და მსახურს შორის, ხელმწიფესა და ქვეშევრდომს შორის, რაინდსა და საჭურველმტვირთველს შორის რაიმე გარჩევა იცოდე. ამიტომაც ჩვენ გთხოვთ, ამიერიდან უფრო მეტი პატივისცემით მოვეპყრათ ერთმანეთს და თავი ვანებოთ სისულელეებს. ამასთან თქვენს თავს ნება აღარ მისცეთ ჩვენს წინაშე რაიმე თავნებობა და ლაზღანდარობა გასწიოთ. რადგან, თუ რაიმეთი გაგვარისხებთ, როგორადაც არ უნდა გამოიხატოს ჩემი რისხვა, მაინც ვაი ლიტრის ბრალი. რაც ჯილდო გაქვთ დაპირებული, თავის დროზე მოგეცემათ, მანამ კი, თვითონაც კარგად იცით, რომ შენი ჯამაგირი არ დაგეკარგება.

- თქვენი ნება აღსრულდეს, - მიუგო სანჩომ. - ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ, ერთი ეს მიბრძანეთ (ვინიცობაა განსაკუთრებულ რამ ჯილდოს ვერ ვეღირსო და ჩემი სამსახური მარტო ჯამაგირის ანაბარა დარჩეს), კარგი იქნებოდა მცოდნოდა, ძველს დროში რაინდთა საჭურველმტვირთველს რამდენი ჰქონდა დადებული ჯამაგირი და რა ვადაზე ეძლეოდა ხოლმე - თვეობით, თუ როგორც კალატოზებს - დღიურად?

- არა მგონია, - მიუგო დონ კიხოტმა, - რომ ძველი დროის საჭურველმტვირთველებს გადაჭრილი რამ ჯამაგირი ჰქონოდათ, ვგონებ, მუქთად მსახურებდნენ; და თუ ჩემს ანდერძში ჯამაგირი გადაგიჭერ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცი, რა შემემთხვევა; ღმერთმა უწყის ამ უბედურ დროში როგორ შეხედავენ რაინდობას და რა ბედი მოელის მას. ისეთ უბრალო საქმეზე კი, როგორც შენი ჯამაგირია, საიქიოს პასუხისგება სრულებითაც არ მეჭაშნიკება. მერწმუნე, სანჩო, არც ერთი გზა ისეთი ეკლიანი და მწელი არ არის, როგორც ის გზა, რომელზედაც ფათერაკების მამებარნი მიმოდინან.

დიახაც! - თქვა სანჩომ, თუ სათელავის საბეგვებმაც კი ისეთი უშიშარი მოგზაური რაინდი შეაშფოთა, როგორც თქვენა ბრძანდებით, მაგრამ ამიერიდან არხეინად ბრძანდებოდეთ, რამე ხუმრობის სათქმელად პირსაც არ გავაღებ და თუ კრინტი დავარ იმასაც იმიტომ ვიზამ ჩემი ნამდვილი ბატონისა და სენიორის პატიოსნება ვაქო და ვადიდო.

- კარგსაც იზამ, - უთხრა დონ კიხოტმა, - იმიტომ, რომ თქვენი მშობლების შემდეგ უმეტესი პატივისცემის ღირსი თქვენი ბატონები არიან, რადგანაც იმათაც მშობლების მსგავსი უფლება და მოვალეობა აქვთ თქვენზე.

თავი XXI

რომელიც მოგვითხრობს დიად ფათერაკებს, მამბრინის ძვირფასი ჩაჩქანის დაპყრობას და მასთან სხვა ამბებს, ჩვენს უძლეველ რაინდს რომ შეემთხვა

ამ დროს წინწკვლა დაიწყო და სანჩო იმ სამთელავო ქარხანაში შეფარებას აპირებდა, მაგრამ დონ კიხოტს, წუხანდელი ოინის შემდეგ, ის ქარხანა იქამდის შეეზიზღა, რომ თვალთ დასანახავადაც არ უნდოდა. როსინანტი მოატრიალა და თავის საჭურველმტვირთველით გუშინდელის მსგავს გზაზე გამოვიდა. ამ გზაზე მალე ვიღაც ცხენოსანი დაინახა, რომელსაც თავზე ოქროსავით ბრჭყვიალა რაღაც ეხურა. ეს რომ დაინახა, სანჩოს მიუბრუნდა და უთხრა:

- სანჩო, მგონია, ისეთი ანდაზა არ არის, ჭემმარიტი აზრი არა ჰქონდეს: ანკი, მართლაც, ანდაზა რა არის, თუ არ გამოცდილებისგან გასკვნილი ჭემმარიტება. ეს მეტადრე იმ ანდაზაზე შეიძლება ითქვას, რომელიც ამბობს: "ერთი კარი, რომ მიიხურება, მეორე გაიღებაო". მართლაც, თუ ბედმა გუშინ ერთი ფათერაკის კარი დაგვიხშო, საბეგვების რახუნით თუ მოგვატყუა, დღეს მეორე ფათერაკის კარს გვიღებს - უფრო უკეთესისას და ადვილისას და თუ ახლა ამ კარებში ვერ მოვახერხე შესვლა, მხოლოდ ჩემი დანაშაული იქნება და იმ დანაშაულში ვერც იმ ქარხნის უცნო ბლობა გამამართლებს და ვერც ღამის სიბნელე. ამას იმიტომ გეუბნები, სანჩო, რომ, თუ არა ვცდები, აგერ ჩვენსკენ ვიღაც, რომ მოდის, იმას სწორედ მამბრინის ჩაჩქანი ხურავს, რომლის გამო, შენ უკვე იცი, ფიცი დამიღვია.

- ღვთის გულისათვის, მოწყალეო ბატონო, კარგად მოიფიქრეთ, რასაცა ბრძანებთ, - მიუგო სანჩომ, - და მეტადრე, რის ქმნაც გწადიათ. ღმერთმანი, სულაც აღარ მეხალისება ხელახლად სამთელავო საბეგვების მსგავს რასმე შევეჩეხოთ, გონებას მთლად გამოგვიბნევენ.

- ეშმაკმა კი წაიღოს შენი თავი! - დაუყვირა დონ კიხოტმა. - ერთი მითხარ, საბეგვსა და ჩაჩქანს შორის საერთო რა არის?

- რა მოგახსენო, - მიუგო სანჩომ, - უწინდებურად, რომ ლაპარაკი შემემლოს, ისეთ საბუთებს წარმოგიდგენდით, რომ თქვენი შეცდომა ცხადად დაგენანათ.

- განა შესაძლოა, რომ ჩემს საკუთარ სიტყვებში ვცდებოდე? - ჰკითხა დონ კიხოტმა. - ერთი მითხარ, შე საზიზღარო მოღალატევე, განა იმ რაინდს ვერა ხედავ, ოქროს ჩაჩქანი, რომ ხურავს და ჩვენსკენ მოდის ლურჯა ცხენზე მჯდომი?

- ღმერთმანი, მე მარტო იმასა ვხედავ, - მიუგო სანჩომ, - რომ აქეთ ვიღაც კაცი მოდის, ისეთსავე ლურჯა ვირზე ზის, როგორიც ეს ჩემი ვირია და თავზედაც რაღაც ბრჭყვიალა ხურავს.

- ეგ რაღაც სწორედ მამბრინის ჩაჩქანია, - შეუტია დონ კიხოტმა. - განზე გადექ და იმის პირისპირ მარტოდ დამტოვე. მე შენ დაგანანებ, როგორ სიტყვის უთქმელად და დროის დაუკარგავად დავისაკუთრო ის ჩემი დიდი ხნის სასურველი ჩაჩქანი.

- განზე გადგომა ჩემი ხელობაა, - ბუტბუტებდა სანჩო, - მხოლოდ ვიმეორებ, ღმერთმა ქნას, რომ ეს თავშავა ბალახის ყვავილები აღმოჩნდეს, მაგრამ ისე არა ჰქნათ, რომ ახალ საბეგვებს შეეჩეხოთ.

- ჩემო ძმობილო, არ გითხარ ყურებს ნუ მიხვრეტ მაგ შეჩვენებული საბეგვებითა-მეთქი! - დაუჭყვივლა დონ კიხოტმა, - თორემ ღმერთსა ვფიცავ... მაგრამ დაუფიცებლადაც დამიჯერებ, სულს ამოგხდი.

რაკი დონ კიხოტი მეტად გაბრაზდა, სანჩოს შეეშინდა, ჩემმა ბატონმა მუქარა მართლა არ ამისრულოსო, და ხმა გაკმინდა.

ახლა ისა ვთქვათ, ის რა რაინდი იყო, დონ კიხოტმა რომ დაინახა როგორ ცხენზე იჯდა და რა ჩაჩქანი ეხურა. სადაც ახლა ჩვენი რაინდი იმყოფებოდა, იმ მიდამოებში ორი ერთმანეთის მახლობლად მდებარე სოფელი იყო. ერთს, უფრო მომცროში, არც აფთიაქი იყო და არც დალაქი; მეორეში კი, უფრო მოდიდოში - ერთიც იყო და მეორეც მოდიდო სოფლის დალაქი თავის ხელობით ორივე სოფელს ემსახურებოდა და ამჟამად იმ მომცრო სოფელში მიდიოდა ერთი ავადმყოფისათვის სისხლის გამოსაშვებად და მეორე კარგამყოფისათვის წვერის მოსაპარსად. ამ საქმეზე მიმავალს თან სადალაქო თითბრის თასი მიჰქონდა: გზაზე წვიმამ მოუსწრო და, რომ ქუდი არ გაფუჭებოდა. ალბათ ახალი ეხურა, ზედ თასი წამოეპირქვავებინა. ეს თასი ისე კარგად იყო გაწმენდილი, რომ მზეზე კრიალი გაჰქონდა. როგორც მართლა სანჩომ თქვა, ლურჯა ვირზე იჯდა; დონ კიხოტს კი ის ვირი ლურჯხალებიან ცხენად მოეჩვენა და თვითონ დალაქიც - ოქროს ჩაჩქნიან რაინდად მიიღო. რაც კი მის თვალებს ეუცხოებოდა, თავის გონებაში ფიცხლავ სხვადასხვა სარაინდო საგნებად გარდაქმნიდა და თავის სულელურ ფანტაზიებს შეუფარდებდა ხოლმე. მოახლოვდა თუ არა საბრალო დალაქი, დონ კიხოტი ხმაამოუღებლივ ისეთი სისწრაფით მივარდა მას, რა სისწრაფეც როსინანტს სიმარდისაგან შეიძლებოდა, და სურდა ერთი თვალის დახამხამებაში შუბით გაეგმირა იგი. ასე მკერდი-მკერდთან შესაჯახებლად გაქანებულმა შეჰყვირა დალაქს:

- დაიცავ თავი, საცოდავო ქმნილებავე, ან ნებით მოშეც, რაც სიმართლით მე უნდა მეკუთვნოდეს.

საბრალო მოწინააღმდეგე ამ მოულოდნელი რაღაც მოჩვენების შეტევით შემვებული სწრაფად ვირიდან ჩამოვარდა. მერე წამოხტა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მინდვრისკენ მოკურცხლა და ისეთი დაფეთებული გარბოდა, ქარიც ვერ მიეწეოდა. იმ სირბილში თასი ჩამოუვარდა ძირს და დონ კიხოტსაც ეს უნდოდა. ამიტომაც დაიძახა: "ჰკვიანი ყოფილა ეს წარმართი, სწორედ ისე მოიქცა, როგორც წავმა იცის, როცა | მონადირე დაედევნება ხოლმე, გაქცეული, ბუნებითი ალღოს ჩაგონებით, თვითონვე მოიკვნეტს და გადაუგდებს ხოლმე იმ ნაწილს, რისთვისაც იმას მონადირენი სდევნიან". დონ კიხოტმა სანჩოს უბრძანა მიწიდან ჩაჩქანი აეღო: საჭურველმტვირთველმაც აასრულა ეს ბრძანება, და თასი, რომ ხელში აწონა, დაიძახა:

- ღმერთსა ვფიცავ, არა უჭირს რა ამ თასს, რვა რეალი ისე ღირს, როგორც ერთი მარავედისი.

ესა თქვა და თასი ბატონს გადასცა, იმანაც მაშინვე თავზე დაიხურა. პირველად დიდხანს ატრიალა ყოველ მხარეზე, რომ საყბურები ეპოვნა. მაგრამ რაკი ვერა იპოვა-რა, გაჯავრებულმა წამოიძახა:

- ალბათ იმ ურწმუნოს, ვის თავზედაც პირველად ეს ჩინებული ჩაჩქანია გაკეთებული, კარგა მოზრდილი გოგრა ჰქონია, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამ ჩაჩქანისა ნახევარიღა გადარჩენილა.

ამის გამგონე სანჩომ სიცილი ვეღარ შეიმაგრა, მაგრამ, როცა მოაგონდა, რომ დონ კიხოტს იმის სიცილი მუდამ არ ეგუნებებოდა და ბრაზობდა, თავი მალე შეიკავა.

- რას იცინი? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- იმას ვიცინი, - მიუგო სანჩომ, - რომ კარგა ზორბა თავი უნდა ჰქონოდა ამ ჩაჩქანის პირველ პატრონს და ჩაჩქანიც ისე ძალიან ჰგავს დალაქის თასს, როგორც ერთი წვეთი წყალი მეორესა.

- იცი, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - მე მგონია, ეს ჩინებული, მოჯადოებული ჩაჩქანი რაღაც არაჩვეულებრივი შემთხვევის გამო ისეთ ბრიყვს ვისმეს ჩავარდნია ხელში, რომ ამის ღირსება კარგად არა სცოდნია და რაკი უნახავს ბაჯადლო ოქროსიაო, აუღია, ამის ნახევარი გადაუდვინა და ფულად უქცევია; ამიტომაც ეს ჩაჩქანი მართლაც თასს დამსგავსებია. მაგრამ ეს არაფერია, - იყოს, როგორც არის: ამისი ფასი კარგად ვიცი და მისი ცვლილებაც არ მაწუხებს. ამასთანავე, სადაც კი სოფელში მჭედელი შემხვდება, ისე გადავაერთებინებ, რომ მჭედლების ღმერთისაგან ბრძოლის ღმერთისთვის გამოკვეთილ ჩაჩქანსაც არ დაუვარდეს. მანამ კი სულ არარაობას ესეც სჯობია. მე თუ სადმე კიდევ ქვეები დამიშინეს, კარგ სამსახურს გამიწევს.

- დიახ, - უთხრა სანჩომ, - თუ მტრებმა შურდულივით ქვეები არ დაგიშინეს, როგორც იმ ორი დიდი ლაშქრის ბრძოლის დროს იყო, ყბები, რომ თითქმის ერთიანად დაგალეწეს და იმ სასწაულმოქმედი ბალზამის ჭურჭელიც მიგიმტვრიეს, მე, რომ შიგნეული კინაღამ ერთიანად ამომანთხევინა.

- იმ ბალზამისთვის ძალიან არა ვწუხვარ, - მიუგო დონ კიხოტმა, - შენ ხომ იცი, სანჩო, რომ მისი შედგენილობა კარგად მახსოვს.

- მეც ძალიან კარგად მახსოვს, - დაუმატა სანჩომ, -, მაგრამ მიწამ აქვე მიყოს პირი და თან ჩამიტანოს, თუ როდისმე ახლო მივეკარო. ამასთანაც, მართალი, რომ ვთქვა, სულაც არა მგონია, მე ის დამჭირდეს ოდესმე: ამიერიდან ყველა ჩემი ხუთივე გრძნობით იმ მეცადინეობაში ვიქნები, არც ვინმე დავჭრა და არც ვისგანმე ვიყო დაჭრილი: ოღონდ იმის პირობას კი ვერ დავდებ, იმგვარ ოინს ავცდე, შე ჩვენეულ საბანზე, რომ მახტუნებდნენ, ეს ისეთი უბედურებაა, თავიდან ვერაფრით ვერ აიცდენს კაცი და თუ როდისმე ამისთანა ხიფათში გაება, ისღა რჩება, მხრები შეიკუმშოს, სული შეიგუბოს, თვალეები დახუჭოს და საბანს გაჰყვას.

- სანჩო, ცუდი ქრისტიანი ყოფილხარ, - შენიშნა ამაზე დონ კიხოტმა, - ნაწყენ ობის დავიწყება და შენდობა არ გცოდნია. იცოდე, პატოსანი, კეთილი გული მახეთ უბრალო ცელქობას არაფრად ჩააგდებს. ერთი მითხარ, რომელი ფენ, მოგგლიჯეს, რომელი გვერდი ჩაგიმტვრიეს, ან რა თავი გაგიტეხეს, რომ ის ხუმრობა ვეღარ გადაივიწყე? აქამდის როგორ ვერ გაგიგია, რომ ის მხოლოდ ხუმრობა და დროს გატარებ, იყო და სხვა არაფერი? საყურადღებო რამ, რომ ყოფილიყო, განა მაგიერო, გადაუხდელად გავუშვებდი, უკან არ დავბრუნდებოდი და იმაზე უარეს დღეს არ დავაყენებდი, რაც ბერძნებმა ტროას დააყენეს, ელენეს მოტაცებისათვის სამაგიეროს, რომ უხდიდნენ: თუმცა, მოგონებაზე, ისიც უნდა ვთქვა. ის ელენე ახლა, რომ ყოფილიყო, ან დულისინეას ქვეყანაზე იმ დროს ეცხოვრა, ის ბერძნის ქალი სილამაზით სახელს თავის დღემდე ვერ გაითქვამდა.



შემდეგ თავი მაღლა ასწია, ზეცას მე ხედა და ღრმად ამოიოხრა. ხოლო სანჩომ კი უთხრა:

- ეგრე იყოს, თუ ბრძანებთ, საბანზე ის ჩემი აქნევ-დაქნევა ხუმრობა იყო, დაე, ხუმრობა იყოს: ჩემთვის ახლა მაინც სულ ერთია, ველარ ვუშველი, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ ხუმრობა იყო, თუ არ იყო, ისევე ძნელად გამოვა ჩემი გონებიდან, როგორც ეს ჩემი მხრები ჩემი ტყიდან ვერ გამოვლენ. მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ. ერთი მიბრძანეთ, რა ვუყო ამ ლურჯა ცხენს, გაჭრილ ვაშლივით რომ ლურჯა ვირსა ჰგავს, იმ მარტინისაგან უპატრონოდ დატოვებულს, ვაჟკაცურად რომ ძირს ჩამოაგდეთ. ვილიადეგოზე სწრაფად გარბოდა. არა მგონია ამ თავის იოველისათვის კიდევლა დაბრუნდეს. ამ ცხოველს კი არა უჭირს-რა, წვერებსა ვფიცავ, დასაწუნი არ არის.

- მე ჩვეულებად არ მაქვს, ვინც ვძლიო, გავძარცვო კიდევ, - მიუგო დონ კიხოტმა. - ამასთანავე რაინდებს წესად არა აქვთ თავიანთ მოწინააღმდეგეს ცხენი წაართვან და ქვეითად სიარული აიძულონ, თუ ბრძოლაში თვითონ არ გაუფუჭდათ ცხენი. იმ შემთხვევაში კი ნება აქვთ თავის მოწინააღმდეგის ცხენი დავლად აიყვანონ. ამიტომ, სანჩო, ეგ ვირია თუ ცხენი, ზედ რაც არის აქვე დასტოვე, მაგის პატრონი რომ აქედან წასულებს დაგვინახავს, უეჭველად დაბრუნდება.

- ღვთის წინაშე კი, რომ ვთქვათ - ამის წამოყვანა ძალიან მინდა, ან არა და გაცვლა მაინცა. მგონია, ჩემს ვირს ესა სჯობდეს, - მიუგო სანჩომ. - რაინდების წესი მეტად სასტიკი ყოფილა. რომ ვირში ვირის გაცვლასაც კი კრძალავს. ნეტა ეს მაინც ვიცოდე, კურტნის შეცვლაც არ შეიძლება?

- ნამდვილად არ ვიცი, - უთხრა დონ კიხოტმა; ეს საეჭვო შემთხვევაა. ვიდრე ნამდვილად გავიგებ, თუ ძალიან გესაჭიროება ამ ჯერობაზე კურტნის შეცვლის ნებას გაძლევ.

- ისე ძალიან მესაჭიროება, თითქოს თვითონ ჩემი ზურგისთვის მინდოდეს.

რაკი თავის ბატონისაგან ნებართვა მიიღო, მაშინვე მუტატო კაპპარუმ-ი მოახდინა, ახალ კურტან-სამკაულით ისე მორთო თავისი ვირი, რომ თვალი ზედ დარჩებოდა ადამიანს - სანჩოს მაინც ასე ეჩვენებოდა. ამის შემდეგ ჩვენი ფათერაკების მაძებარნი, წმიდა მამათაგან წართმეულ საგზალს შეექცნენ, ზედ იმ წყაროს წყალი დააყოლეს, სამთელავო მანქანების საბეგვებს, რომ არახუნებდა, და ეს ისე ქნეს, რომ იმ ბარხანისკენ არც მიუხედაიათ. ისე შეეჯავრათ იგი იმდამინდელი შიშისა და ძრწოლის გამო.

კარგა დანაყრების შემდეგ ჩვენ რაინდს მრისხანება გადაეყარა და კარგ გუნებაზე დადგა. ახლა იგი როსინანტზე შეჯდა, და რადგანაც არ იცოდა, სად და რისთვის უნდა წასულიყო (როგორც ჭეშმარიტმა მოგზაურმა რაინდმა), თავის ნებაზე მიუშვა ცხენი. სანჩო თავისი ვირით უკან გაედევნა. ჩვენი ფათერაკების მაძებარნი შარაგზაზე გამოვიდნენ და ალაღბედზე სიარული განაგრძეს, თუმცა ეს აღარ იცოდნენ, ეს გზა საით მიდიოდა. სანჩომ დიდხანს ითმინა და ბოლოს თავის ბატონს ასე მოახსენა:

- ბატონო ჩემო, ნებას მომცემთ მოგახსენოთ რამე? რაც მდუმარება მიბრძანეთ, მას აქეთ ჩემს კუჭში ოთხი მშვენიერი ამბავი ჩაღპა და ახლა კიდევ ენაზე მეხუთე მიტრიალებს; ამის ჩაყლაპვა კი ძალიან მეძნელება.

- მითხარ, რა არის, მაგრამ მოკლედ კი თქვი, - უთხრა დონ კიხოტმა, - იმიტომ, რომ კარგი ის არის, რაც მოკლედ ითქმის.

- მამ მოგახსენებ: აგერ რამდენიმე დღეა, ბატონო, დაიწყო სანჩო, - თავში მიტრიალებს, რომ ვერაფერი ხელსაყრელია ჩვენთვის ამ უდაბურ ადგილებში ფათერაკების ძებნა, აქ რაც უნდა ბევრიც გაიმარჯვოთ, რაც უნდა ათასგვარ საშიშროებას შეეჯახოთ, მაინც არა გამოვა-რა: ვერც ვერავინ ნახავს თქვენს ღვაწლს და ვერც ვერავინ მოჰფენს იმას ქვეყანაზე. ყველა თქვენი ღვაწლი საუკუნო დავიწყებას ეძლევა, ეს კი თქვენი წადილებისათვისაც საზიანოა და თქვენი მამაცობისათვისაც. ის არ ემჯობინება, მოწყალეო ბატონო, ვინმე იმპერატორისა ან ხელმწიფის სამსახურში შეხვიდეთ, ვინც რომელიმე თავის მტერს დიდ ომს უპირებს, იქ შეიძლებდით გამოგეჩინათ ყველა თქვენი ღირსება, დიდი ვაჟკაცობა და კიდევ უფრო დიდი ჭკუა. ის ხელმწიფე, ვისაც ჩვენ სამსახურს გავუწევდით, კარგადაც დაგვაჯილდოებდა, ვისაც რა გვერებოდა, და ამასთანავე იქ ალბათ მწიგნობარნიც მოიპოვებოდნენ, რომ თქვენი ღვაწლი აეწერათ და შთამომავლობისათვის გადაეცათ. ჩემზე აღარას ვამბობ: ჩემი ღვაწლი და საქმენი საქურველმტვირთველის დიდების წრეს იქით არ მიდის, თუმცა გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ, მგონია, საქურველმტვირთველების საგმირო საქმეთა აღწერაც რომ ჩვეულებად იყოს მიღებული, თქვენი მწერლები მეც მაღირსებდნენ თავიანთ ყურადღებას... არც მე დავრჩებოდი იმათგან პირში ჩალაგამოვლებული...

- შენი აზრი ურიგო როდია, სანჩო, - უპასუხა დონ კიხოტმა, -, მაგრამ საქმე ის არის, ვიდრე სადაც შენ მოგსურვებია, თავს ამოვყოფდეთ, ქვეყნიერებაზე ცოტაოდენი ხეტიალია საჭირო, რომ სახელი მოვიხვეჭოთ. რომელიმე დიდი მონარქის სასახლეში გასასვლელად საჭიროა რაინდმა თავისი ღვაწლით ისეთი სახელი და დიდება მოიხვეჭოს, რომ სატახტო ქალაქის კარს გადააბიჯებს თუ არა, ქალაქის ბავშვები გარს შემოეხვივნონ და უყვიროდნენ: "ეს არის მზის რაინდი, ანუ გველის რაინდიო". ანუ კიდევ სხვა რამ რაინდი, - ესე იგი ის სახელი უწოდონ, რა სახელითაც დიდი სახელოვანი საქმეები ჩაუდენია. "აი ის, - იტყვიან ისინი, - ორთაბრძოლაში ძალოვანი და საშინელი ფალავანი ბროკაბრუნი რომ დაამარცხა, აი ის, ვინც გაფანტა უსაშინლესი გრძნეულებაში, რომლითაც მოხიბლული სპარსეთის დიდი მამლუქი ცხრაას წელს იტანჯებოდა". ასე შეაქებენ და მის დიადსა და საგმირო საქმეებს მთელს ქვეყანას მოსდებენ. ამ ბავშვებისა ხალხის ბრბოს ყიჟინას იმ ქვეყნის ხელმწიფე, რომ გაიგონებ, თავის სასახლის სარკმელში გადმოდგება და რაინდის დანახვამდე აბჯრის ფერით და ფარზე წარწერილი დევიზით აუცილებლად იცნობს მას და ხმამაღლა შესძახებს: "არიქა, ჩვენი კარის ყველა რაინდო, გამოდით, რაინდობის მშვენიებას მიეგებებით, აწ რომ გვიახლოვდება". და ამ მეფის ბრძანებთ, კვლა რაინდი ეგებება მას, თვითონ მეფეც კიბის ნახევრამდე ჩამოდის. სტუმარ რაინდს გადაეხვევა, გულში მაგრად ჩაიკრავს და მერე პირზე კოცნით მიესალმება მერე ხელს დაუჭერს და დედოფლის პალატაში წაიყვანს. იქ ჩვენს რაინდს დედოფალი შეხვდება თავისი ინფანტათი, რომელიც, უეჭველია, ისეთი მშვენიერებისა და სათნოების პატრონი უნდა იყოს, რომ ქვეყანაზე ბადალი არ მოეპოვებოდეს. მერე ის მოხდება, , რომ ინფანტა მორცხვი თვალებით შეხედავს რაინდს, ხოლო რაინდი - ინფანტას, და ერთმანეთს ისინი უფრო ღვთაებრივ არსებად ეჩვენებიან, ვიდრე კაცობრივად. წამსვე ორივეს უნებლიეთ სიყვარულის მწვავე ტალღები მოიცავენ და მჭიმუნვარებთ გულგანგმირული იწყებენ ფიქრს, თუ თავიანთი გულისთქმა, სურვილი და მწუხარება ერთმანეთს როგორ გაუზიარონ. შემდეგ, რასაკვირველია, რაინდს დედოფლის პალატიდან გაიყვანენ და სხვა დიდმშვენიერ დარბაზში გაუძღვებიან, იქ საქურველს მოხსნიან და ჩასაცმელად მოწეულის მანტიას მიართმევენ. თუ იგი თავის აბჯარში მშვენიერი იყო, ამ ტანისამოსში უკეთესი გამოჩნდება. სალამო დგება: რაინდი მეფე-დედოფალთან და ინფანტასთან ერთად ვახშობს: ინფანტა არ აშორებს თვალს, შეპარვით უმზერს და ისიც აგრეთვე მალვით შეხედავს ხოლმე, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, ის ქალი

ძალიან ჭკვიანია და ფრთხილობს. ვახშამი, რომ გათავდება და სუფრას აალაგებენ, დარბაზში საზიზღარი პატარა ქონდრისკაცი შემოდის, უკან მშვენიერი ბანოვანი მოსდევს, აქეთ-იქით ორი გოლიათის თანხლებით. და ის ბანოვანი წინადადებას იძლევა: ერთი რამ საქმე შეასრულონ - ძველი დროის ბრძენის ხანგრძლივი შრომით მოგონილი, პირობით, რომ, ვინც იმას შეასრულებს, მთელს ქვეყანაზე უპირველეს რაინდად იქნება ცნობილი.

მეფე მაშინვე კარის რაინდებს უბრძანებს თავიანთი ძალღონე სცადონ. ისინი მეფის ბრძანების აღსრულებას ცდილობენ, მაგრამ არც ერთ მათგანს ამ საქმის შესრულების ღონე არა აქვს მაშინ ის უცხო რაინდი წამოდგება და იმ საქმეს შეასრულებს. ამით ის რაინდი უფრო დიდებით იმოსება, რაც ინფანტასაც ძალიან ახარებს ეს სიხარული თითქოს მას ჯილდოდ უხდება, რომ ასეთი სახელოვანი კაცი შეიყვარა. ამ ამბავში ყველაზე უკეთესი ის არის, რომ იმ მეფეს თუ მთავარს, ანუ ვინც უნდა იყოს, დიდი ომი აქვს ატეხილი სხვა, მისებრ ძლიერ მეფესთან. ეს სტუმარი რაინდი, რამდენიმე დღე მის სასახლეში ყოფნის შემდეგ, მეფეს ფხოვს, ნება უბოძოს იმ ომში სამსახური გაუწიოს. მეფე სიხარულით თანხმდება და რაინდიც ამ წყალობისათვის ხელზე მოწიწებული ამბორით მადლობას უხდის. იმავე დამეს რაინდი მიდის რომ თავის ახალ გულის ვარდს, მის მომხიბლავს ინფანტას გამოგთხოვოს და ბაღში მისი საწოლი ოთახის სერსეროდან ეთხოვება. რაინდმა უკვე იცის მისი ბინა, რადგან ინფანტას ერთი მესაიდუმლე ქალის შემწეობით რამდენჯერმე კიდევ უნახავს და უსაუბრია მასთან. რაინდი ღრმად ოხრავს, ინფანტასაც გული მისდის. მესაიდუმლე ქალი წყლის მოსატანად გარბის, მაგრამ შენს მტერს, მას, რომ ელდა ეცემა, როცა დაინახავს, რომ გათენება დაიწყო. შიშობს ამ სამიჯნურო საქმეში შუაკაცობა არ გაუმჟღავნდეს და თავის ქალბატონის უმანკობასაც ჩირქი არ მოეცხოს. ბოლოს ინფანტა გონზე მოვა, სერსეროში თავის თეთრ ხელს გაუწვდის რაინდს, რაინდიც თვალცრემლიანი ათასჯერ დაუკოცნის ხელს და მშვენიერი მიჯნურნი ერთად მოიფიქრებენ, თუ ერთმანეთს თავისი ავი და კარგი ამბავი რა საშუალებით აუწყონ ხოლმე. ინფანტა რაინდს ჩქარა დაბრუნებას ემუდარება, რაინდიც ათას ფიცს უდებს, რომ იმის თხოვნას არ დაივიწყებს. ერთსაც კიდევ უკანასკნელად ეამბორობა ხელზე და უბედურ ინფანტას ისეთი არეული და გატანჯული განშორდება, რომ კინაღამ იქავ ეცემა მკვდარი. დაღონებული რაინდი თავის ოთახში დაბრუნდება, ლოგინში ეცემა, მაგრამ განშორების დარდი არ დაამინებს. დილაზე ადრინად მიდის, სურს მეფე-დედოფალს და ინფანტას გამოეთხოვოს, მაგრამ მეფე-დედოფლისაგან შეიტყობს, რომ ქალი შეუძლოდ არის და გამოსათხოვებლად გამოსვლა არ შეუძლია. რაინდი იმის ავადმყოფობას თავის წასვლას მიაწერს, გული მეტად აუჩქროლდება და ისე ძლიერ არის აღელვებული, რომ ლამის თავის საიდუმლო გამოამჟღავნოს. ინფანტას მესაიდუმლეს იქვეა, ყველაფერს თვალყურს ადევნებს და, რაც რაინდს სტანჯავს, მისსავე თვალებში კითხულობს, ყველაფერს ინფანტას გადასცემს. ხოლო ეს უკანასკნელი თვალცრემლიანი მოუსმენს და ეუბნება, რომ იმისათვის უბედურება ის არის, - არ იცის ის ჩინებული რაინდი ვინ არის, მეფის შთამომავლობისაა, თუ არა? მოსამსახურე ქალი არწმუნებს ინფანტას, რომ ისეთი ვაჟკაცობა და ზრდილობა, როგორც იმ რაინდმა გამოიჩინა, მხოლოდ მეფის შთამომავალი ადამიანების შესაფერიაო; დაღონებული მეფის ასული ამით ცოტათი მოილხენს და თავის დარდის გულში ჩამარხვას ეცდება, რომ მშობლებმა ჭმუნვის მიზეზი არ გაუგონ. ამით გამხნეებული მესამე დღეს სასახლის დარბაზში გამოდის. ეს რომ აქ ამ ყოფაშია, რაინდი ბრძოლის ველზე იბრძვის, მეფის მტრებს ამარცხებს, გამაგრებულ ციხე-ქალაქებს იპყრობს, მრავალჯერ იმარჯვებს და ბოლოს სასახლეში ბრუნდება; მეფის ასულის სანახავად მოდის, სადაც უწინ ინახულებდა ხოლმე, და თავისი დიდი სამსახურის ჯილდო, ინფანტას მამა-მეფეს რომ გაუწია, ქალსა სთხოვს ცოლად. მეფე რაინდს უარს ეუბნება, რადგანაც მისი

ვინაობა არ იცის. მაშინ რაინდი ან მოიტაცებს ინფანტას, ან როგორმე სხვებზე ახერხებს საქმეს და მაინც მისი მეუღლე შეიქნება. შემდეგში მეფეს მისი სიძეობით თავიც მოაქვს, რადგან სახელოვანი რაინდი დიდი და ძლიერი ხელმწიფის შვილი აღმოჩნდება: არ ვიცი კი, რომელი სახელმწიფოსი, - ვფიქრობ, ის სახელმწიფო რუკაზე დაც არ იქნება აღნიშნული. თავის დროზე მეფე კვდება, ინფანტა იმის მემკვიდრეობას მიიღებს და რაინდიც, მოკლედ, რომ ვთქვათ, მეფედ დაჯდება. აი მაშინ რაინდი-მეფე, დაპირებისამებრ, აჯილდოებს თავის საჭურველმტვირთველს და ყველა იმას, ვინც ამ მაღალ ხარისხამდე ასვლაში ხელი შეუწყო. მერე თავის საჭურველმტვირთველს სეფე ქალსა რთავს ცოლად, უეჭველია, - ინფანტას მესაიდუმლე რომ იყო, იმას, - რა თქმა უნდა, იგი პირველი ხარისხის ჰერცოგის ასულია.

- ჰოო, აბა სწორედ მეც ეგ მინდა, - წამოიძახა სანჩო. - ჰოი, ბიჭო, მაშ ახლა ჩვენმა ხომალდმა იმ სამეფოსკენ წაგვიყვანოს. სწორედ მეც ეგ მინდა, - გაიმეორა სანჩო, - და დარწმუნებულიც ვარ, ყველა ეგ ასეც აღსრულდება, ოღონდ თქვენმა პატიოსნებამ მწუხარე სახის რაინდის სახელი ატაროს...

- შენ მაგის ეჭვი ნუ გექნება, სანჩო, - გააწყვეტინა დონ კიხოტმა, - იმიტომ, რომ მოგზაური რაინდები სამეფო და საიმპერატორო ტახტის საფეხურზე, როგორც გიამბე, სწორედ ასე ადიოდნენ და ახლაც ადიან. ჩვენთვის მხოლოდ ისდაა საჭირო, გავიგოთ როგორმე, რომელი ქრისტიანი ან წარმართ მეფესა აქვს ვინმესთან ომი და ასულიც მშვენიერი ჰყავს. მაგრამ დრო ჯერ ბევრი გვაქვს და ვიდრე რომელიმე მეფის სასახლეში მივიდოდეთ, ჯერ სახელი უნდა გავითქვათ. მართო ერთი რამ მაფიქრებს: ვთქვათ, რომ მეფე ვიპოვნეთ, ომიც გადავიხადეთ და მშვენიერი ასლიც ვნახეთ, მეც უმაგალითო სახელით საქვეყნოდ სახელი გავითქვი; ის მაინც ვეღარ მომიფიქრებია, თუ როგორ მოვახერხო, რომ მეფის შთამომავალი ვიყო, ან - ყოველ შემთხვევაში, იმპერატორის შორეული ბიძაშვილი მაინც გავხდე? საქმე ის არის, რომ რაც უნდა საკვირველიც იყვნენ ჩემი საქმენი, უიმისოდ მეფე თავის ქალს მაინც არ მომათხოვებს. ხედავ, სანჩო, აქაო და იმპერატორებთან ნათესაობა არა მაქვს, რასაც კი ვაჟკაცობით დავიმსახურებ, ყველაფერმა ფუჭად უნდა ჩამიაროს!? მე მხოლოდ ეს მაშინებს. მართალია, გამოჩენილი და უძველესი აზნაურის შვილი ვარ, დიდი მამულიც მაქვს და შეურაცხყოფისათვის თუ საჩივარი მომიხდა, ხუთასი სუელდო საბრიყვო შემიძლია მოვითხოვო. იქნებ ისიც მოხდეს, რომ ჩემი ამბის დამწერმა ბრძენმა ჩემი შთამომავლობა რომელიმე მეფის შვილიშვილისაგან გამოიყვანოს, მეხუთე ან მეექვსე თაობაში მაინც. რადგან, უნდა გითხრა, სანჩო, საგვარეულო შტო და აზნაურობა ორნაირია: ერთნი - მეფეებისა და მთავრებისაგან სწარმოებს და რამდენიც ძირს ჩამოდის, იმდენი წვრილდება, ასე, რომ განიერი ძირიდან წარმომავალი, ბოლოს, გადმობრუნებული პირამიდის მსგავსად, წერტილის ოდენა ხდება. მეორენი კი მდაბიო და უჩინარი წინაპრებისაგან წარმომდგარან და შემდეგში საფეხურიდან საფეხურზე ზევით ვერ ადიან, ვიდრე სახელოვანნი არ შეიქნებიან. მერე კი თანდათან ზევით იწევენ: სახელსა და დიდებას იძენენ. ამგვარად, სანჩო, ერთნი იმად გამხდარან, რანიც არ ყოფილან, ხოლო მეორენი ის ყოფილან, რაც ახლა აღარ არიან. და რადგანაც მე, ვინ იცის, იმ მეორე რიგს ვეკუთვნი, ურიგო არ იქნებოდა ჩემი ოდესმე დიდი გამოჩენილი გვარის სახელოვნება დამტკიცდეს და ჩემი სასიამაო მეფე დააკმაყოფილოს; თუ არა და ინფანტას ისე თავდავიწყებით უნდა ვუყვარდე, თუნდაც წყლისმზიდველის შთამომავალიც ვიყო, მაინც ცოლად გამოყოლაზე უარი არ მითხრას, მამამ ბევრიც, რომ უშალოს; მაშინ, რა თქმა უნდა, იმის მოტაცება და სადმე დამალვა დამჭირდება, ვიდრე ხანი ანუ სიკვდილი მისი მშობლების რისხვას არ გააქარვებს.

- მე მგონია, ამ შემთხვევისათვის ის ანდაზაა ზედგამოჭრილი, - შენიშნა სანჩომ, - ყველა გაქნილი კაცი, რომ მისდევს: "იმას ნურასოდეს ნუ მოითხოვ, რის წართმევაც შეგიძლიათ". თუმცა ისიც უნდა ვთქვა, მეორე ანდაზა უფრო ზედგამოჭრილია: "ლობეზე გადახტომა სჯობს ამაოდ თავის კანტურსო". ამას იმიტომ ვამბობ, რომ, თუ ვინცობაა ბატონ მეფეს, თქვენს სიმამრს, ვერ დავითანხმებთ - თავისი ქალი მოგათხოვოთ, მაშინ, რა თქმა უნდა, მეტი აღარ გაეწყობა-რა, უნდა მოიტაცოთ და სადმე სანდო ალაგას დამალოთ, მაგრამ ეს არის ცუდი, რომ ვიდრე მეფეს შეურიგდებით როგორმე და სამეფო ტახტზე დაჯდებით, თქვენს საწყალ საჭურველმტვირთველს შიმშილით კუჭი გაუხმება დიდთა და მდიდართა წყალობითა მოლოდინში, თუ მომავალი მისი მეუღლე, ინფანტას მესაიდუმლე სეფექალი, მოტაცებულ ინფანტას არ გამოჰყვება: აბა მაშინ დასჭირდება იმას მთელს თავის სიცოცხლეში ვაი-ვაგლახი, მანამ ძლივძლივობით ზენაარსის შეწევნით გვერგება გამეფება. და თუ ის სეფექალი მოტაცებულ ინფანტას გამოჰყვება, მოწყალეო ბატონო, განა არ შეგიძლიათ თქვენს საჭურველმტვირთველს მაშინვე მიათხოვოთ?

- ვითომ მაგას რა დამიშლის? - მიუგო დონ კიხოტმა.

- მაშ ისღა დაგვრჩენია, ღმერთს მივენდოთ და მივყვეთ, საითაც ბედი წაგვიყვანს, - უთხრა სანჩომ.

- ღმერთმა ქნას, ყველა ისე აღსრულდეს, როგორც მე მსურს და როგორც შენთვის არის საჭირო, - დაუმატა დონ კიხოტმა. - ნურამც ყოფილა ჩვენში, ვინც თავის თავს არ აფასებს.

- მადლობა ღმერთს, რომ ძველი ქრისტიანი ვარ, - თქვა სანჩომ, - გრაფად გახდომისათვის კი, მგონია, ესეც საკმაო იყოს.

- საკმაოზედაც მეტი იქნება, - უთხრა დონ კიხოტმა. - რაკი მეფე გავხდები, ძველი ქრისტიანი ხარ თუ არა, ვერ დამიშლის, უფულოდ ან სამსახურის გაუწევლად აზნაურობა მაინც გიბოძო. რაკი გრაფის ღირსებას მოგცემ, მაშინვე წარჩინებული რაინდი და აზნაური შეიქნები, მერე რამდენიც უნდა ილაქლაქონ ბოროტმა ენებმა, ბოლოს მაინც იძულებულნი შეიქნებიან წარჩინებულ სენიორად გიცნონ.

- ნუთუ გგონიათ, მაგ რაღაც კაპიტულის დამსახურება ვერ მოვახერხო? - იკითხა სანჩომ.

- შე გინდა თქვა ტიტული და არა კაპიტული, ხომ? - შენიშნა დონ კიხოტმა.

- დაე, ასე იყოს, - უთხრა სანჩომ. - ვფიქრობ, კარგად შევიფერებ წარჩინებას: დრო იყო ჩემს ცხოვრებაში, ერთ ამქარში დარაჯად ვიყავი და დარაჯის ტანისამოსი ისე მშვენოდა, ჩემმა მზემ, ყველანი ერთხმად გაიძახოდნენ, რომ ჩემი წარმოსადგეობით ამქრის მეთაურადაც კარგად გამოვდგებოდი. მაშინ თუ ასე იყო, აბა თქვენ თვითონ განსაჯეთ, ბატონო, ახლა რაღა იქნება, უცხოქვეყნელი გრაფის მსგავსად რომ ოქრომკერდითა და მარგალიტებით მოქარგული ტანსაცმელი ჩავიცვა, ჰერცოგის მანტია წამოვისხა? ღმერთმანი, მაშინ ჩემს სანახავად ახი მალის სიშორიდან დაიწყებენ დენას.

- ისე, ერთობ, ღვთის წინაშე, არა გიჭირს-რა, სანჩო, მიუგო დონ კიხოტმა, - მაგრამ წვერის პარსვა ხშირად დაგჭირდება, თორემ ისეთი სქელი, ჭუჭყიანი და აბურძგვნილი წვერი გაქვს, რომ თუ ორ დღეში ერთხელ მაინც არ მოიპარსე, თოფის გასროლის მანძილზე იცნობს კაცი შენს შთამომავლობას.

- ძალიან ძნელი კია, მე თქვენ მოგახსენოთ, სამუდამო დალაქის დაქირავება, - მიუგო სანჩომ, - მაგრამ რა გაეწყობა - უკან ვატარებ იმ დალაქს, როგორც რანდებს დასდევენ მეჯინიბეები.

- მერე საიდან იცი, რომ რანდები მეჯინიბეებს იახლებენ ხოლმე, - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ახლავე მოგახსენებ, საიდანაც ვიცი, - მიუგო სანჩომ. - რამდენიმე წლის წინ ერთ სასახლეში მთელი თვე ყოფნა მომიხდა და იქ ვნახე ერთი პაწაწინა კაცი, რომელსაც ყველანი ძალიან დიდ ბატონს ეძახდნენ. ის რომ სადმე წავიდოდა, უკან კუდივით ერთი ვილაც მაჩანჩალა ცხენით მისდევდა ხოლმე. ერთხელ ვიკითხე, რატომ მხარიმხარ არ დადიან და ერთი მეორეს უკან რად მისდევს-მეთქი, და აი სწორედ მაშინ მიპასუხეს, ის უკანა წინას მეჯინიბეაო. გამოდის ასე ყოფილა: რანდების უკან თურმე მათი მეჯინიბეები მიჩანჩალებენ. აი, ბატონო, როგორ გავიგე ესა და მას აქეთ არც დამვიწყებია.

- ისე მართალი ხარ, სანჩო, რომ მეტიც არ შეიძლება, - უთხრა დონ კიხოტმა, - და არხეინად შეგიძლია დალაქი დაგდევდეს უკან. ყველა ჩვეულება ერთი მეორის შემდეგ შემოღებულია და რატომ არ იქნება, რომ შენ იყო პირველი გრაფი, რომ უკან დალაქი დაგდევდეს. ამასთან, ვინც პირსა გპარსავს, მე მგონია, იმას უფრო მეტი ნდობა ეკუთვნის ჩვენგან, ვიდრე ვინც ცხენს გვიკაზმავს.

- მაშ, ჩემი დალაქის დარდი მე მომანდეთ, - უპასუხა სანჩომ, - და თქვენ კი იმას ეცადეთ, მეფე გახდეთ და მეც გრაფი გამხადოთ.

- ღვთის შეწევნით იმედი მაქვს მაგას მივაღწიო, - უთხრა დონ კიხოტმა და ზევით რომ აიხედა ის დაინახა რაც შემდეგ თავში იქნება მოთხრობილი.

## თავი XXII

თუ როგორ უბოძა დონ კიხოტმა თავისუფლება მრავალ უბედურს, რომელთაც იძულებით მიერეკებოდნენ იქითკენ, საითაც სრულიადაც არ უნდოდათ წასვლა.

არაბეთისა და ლამანჩის მწერალი სად ჰამეტ ბენენჰელი თავის ამ სერიოზულ, დარბაისლურ, წარმტაც, დაწვრილებითსა და მახვილგონივრულ ისტორიაში მოგვითხრობს, რომ როდესაც სახელოვანმა დონ კიხოტ ლამანჩელმა და მისმა საჭურველმტვირთველმა სანჩო პანსამ ოცდამეერთე თავში ნაამბობი ზემომოყვანილი საუბარი გაათავეს, დონ კიხოტმა აიხედა და იმავე გზაზე, რომლითაც თვითონ მიდიოდა, ქვეითად მომავალი ხალხის გუნდი დაინახა. თორმეტიოდე კაცი იქნებოდა, ხელებშეკრული იყვნენ და კრიალოსნის მარცვლებივით ყველანი ერთ ჯაჭვზე იყვნენ მიკრულნი კისერზე გადაცმული რკინის რგოლებით. ამ გუნდს ორი ცხენოსანი და ორიც ქვეითი მოსდევდა: ცხენოსნები კაჟიანი თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი, ქვეითები კი - ხმლითა და შუბებით. სანჩომ, რომ ესენი და ანანა დაიძახა:

- აგერ კატორღელთა გუნდი, მეფის მონები, რომლებიც გალერეებზე სამუშაოდ მიჰყავთ.

- რაო? როგორ თუ მონები მიჰყავთ? - იკითხა დონ კიხოტმა. - ნუთუ მეფე იძულებით ვისმეს ამუშავებს?

- მე ეგ როდი მითქვამს, - მიუგო სანჩომ - ის მოგახსენეთ, რომ ეს ხალხი განაჩენის ძალით დანაშაულისთვის გალერეებზე მეფეს იძულებით უნდა ემსახუროს-მეთქი.

- ერთი სიტყვით, განაჩენით არის თუ უგანაჩენოდ, თქვა დონ კიხოტმა, - სულ ერთია, ამ ადამიანებს მიერეკებიან, და ისინიც ემორჩილებიან ძალდატანებას და სკამოა, რომ იქ თავის ნებით არ მიდიან.

- დიახაც, რომ თავის ნებით არ მიდიან, - მიუგო სანჩომ.

- მაშ თუ აგრეა, - განაგრძო მისმა ბატონმა, - ჩემი მოვალეობა უნდა შევასრულო: უბედურთ უნდა ვუშველო და ძალმომრეობა მოვსპო.

- რასა ბრძანებთ, ბატონო, - გაიოცა სანჩომ, - ნუ დაივიწყებთ, რომ მართლმსაჯულება, რაიცა იგივე მეფეა, არც ძალმომრეობს და არც თუ ვისმეს შეურაცხყოფს, არამედ მხოლოდ დანაშაულსა სჯის.

ამ დროს კატორღელთა გუნდი ჩვენს ფათერაკების მამებართ მიუახლოვდა და დონ კიხოტმაც დიდი თავანით პკითხა დარაჯებს, იქნებ ინებოთ, მამცნოთ და განმიმარტოთ ის მიზეზები ან სხვა რაიმე საბაზი, რის გამოც ამ ადამიანებს ასე ძალის ძალით მიერეკებითო. ერთმა ცხენოსანმა დარაჯმა მიუგო, რომ ესენი კატორღელები არიან, მის უდიდებულესობას ეკუთვნიან და ახლა გალერეებზე მიგყავსო: ესაა და ეს. ამაზე მეტის ცოდნა ჩემი საქმე არააო.

- მაინც მინდოდა თითოეული ამათგანის დანაშაული გამეგო, - დაეჟინა დონ კიხოტმა.

ამას რამდენიმე მეტად თავაზიანი სიტყვაც დაუმატა, რომ უფრო ვრცელი პასუხი ეთქმევინებინა. ბოლოს მეორე ცხენოსანმა დარგმა უთხრა:

- თუმცა ამ უბედურ კატორღელთა სია თითოეულის დანაშაული აღრიცხვით თანა გვაქვს, მაგრამ ახლა არა გვცალთა აქ დაგიდგეთ, ქალღელები ამოვალაგოთ და წაგიკითხოთ; სჯობს, თქვენო მოწყალეზავ, მიბრძანდეთ: რაც გინდათ, თვითონ ამათა ვკითხეთ და, თუ ხალისი აქვთ, გიპასუხოთ. მაგრამ ამ უმაქნისთ, როგორც ყველა სამაგლების ჩადენი ხლისო აქვთ, ისე არც იმაზე ლაპარაკს დაგზარდებიან.

ეს ნებართვა, რომ მიიღო (მაგრამ თუ გაუჭირდებოდა, თვითონაც მისცემდა თავი თავს ამ ნებას), დონ კიხოტი ტუსაღებს მიუახლოვდა და ერთ-ერთ იმათგანს ჰკითხა, რა დანაშაულისათვის ჩავარდი ასეთ უბედურებში და ასე უპატრონოდ რად მიჰყევხარო?

- იმიტომ, რომ შეყვარებული ვიყავი, - მიუგო დამნაშავემ.

- კარგია, შენმა მზემ, - გაიოცა დონ კიხოტმა; - თუ ყველა შეყვარებულს გალერეებზე სამუშაოდ გზავნიან, მაშ ყველაზე უწინ იქ მე უნდა გავეგზავნე მენიჩბედ.

- ვაი ისაა, რომ ჩემი სიყვარული იმ ჯურის როდია, როგორც თქვენა გგონიათ, - მიუგო ტუსაღმა.

- მე, ჩემო ბატონო, ჩემს სულზე უტკბესად ერთი ფუთა თეთრეული შემიყვარდა და ისეთი სინაზით ჩავიკარ გულში, რომ, თუ სამართალს ძალად არ გამოეგლიჯა, მგონია, აქამდისაც იმის ალერსში ვიქნებოდი. მაგრამ ვერ იქნა: ნაქურდალიო დამიჭირეს და ჩემი საქმე ისე ცხადი იყო, რომ ჩემს ბეჭებზე ასი მათრახის მოხვედრას ვედარაფერმა დაუშალა, და თანაც გამომიცხადეს: თუ იმ მათრახებს ზედ სამი წლის გურაპსაც დავუმატებდი, მაშინ ყველა ანგარიშს გავასწორებდი.

- ეგ გურაპი რაღაა? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- გალერაზე ნიჩბის მოსმა, - მიუგო კატორღელმა.

ეს იქნებოდა ოცდაოთხი წლის ყმაწვილი და როგორც თვითონ ამბობდა, პედრაიტელი იყო. დონ კიხოტმა ასეთივე კითხვით მეორე ტუსადს მიმართა, დაღონებულსა და დაღვრემილს. მან პასუხი არ მისცა და მის მაგიერ ისევ პირველმა უპასუხა:

- ეს ვაჟბატონი, - თქვა მან, - კატორღაში მიდის, როგორც იადონი, ანუ სხვანაირად, რომ ვთქვათ, როგორც მომღერალი და მესაკრავე.

- ეგ რაღაა? - კვლავ იკითხა დონ კიხოტმა, - განა მომღერლებსა და მოსაკრავეთაც გალერებზე გზავნიან?

- მაშ, ბატონო, გზავნიან, - მიუგო ტუსადმა: - ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ იმაზე ცუდი არა არის-რა, როდესაც კაცი გაჭირვების დროს მღერას მოჰყვება ხოლმე.

- პირიქით, - თქვა დონ კიხოტმა, - ჩვენში ასეთა ანდაზაც არის: ჭმუნვა მღერით იქარვებსო.

- ჩვენში კი ბატონო, სულ უკუღმა მოხდება ხოლმე ჩვენში თუ მღერას მორთავ, მთელ სიცოცხლეს ვაით გაატარებ.

- არაფერი არა მესმის-რა, - მიუგო დონ კიხოტმა.

მაგრამ ერთი დარაჯთაგანი ჩაერია ლაპარაკში და რაინდი გაოცებიდან გამოიყვანა.

- სენიო კაბალიერო, - უთხრა მან, - ამ უმაქნისების ენაზე გაჭირვების დროს მღერა დანაშაულში გამოტყუას ნიშნავს. ამ გაიძვერას ძალა დაატანეს და მაშინ გამოტყდა, რომ საქონლის ქურდობას ეწოდა. ექვსი წლით გალერაზე მიუშაობა მიუსაჯეს და ამთავადაც მათრახები უთავაზეს, - მგონია, ზურგით ორასიოდეს მიეზიდება თან. როგორც ჰხედავთ, დაღონებული მიდის და თითქოს დარცხვენილიცა, მთელი გზა ამ ცუდი გუნებით არის, რადგან ამხანაგებს არ უყვართ, აბუჩად იგდებენ, აწვალევენ და სულ ცხვირში ძმარს ადენენ, რომ იმდენი ვაჟკაცობა აღარა ჰქონდა - ძალდატანებისათვის გაეძლო და დანაშაულში არ გამოტყუილიყო. ამათ ჯურის ხალხს სიტყვის მასალად აქვს: "ჰოცა" და "არაც" ორივე ერთნაირად ადვილი სათქმელიაო და ქურდისათვის უმჯობესია თვის სიცოცხლე და სიკვდილიც თავის ენაზე ჰქონდეს დამოკიდებული, ვიდრე მოწმეთა და საბუთების ენაზედაო, და მართლაც, ბატონო, მე მგონია, ამ შემთხვევაში ესენი ურიგოდ როდი მსჯელობენ.

- მეც ეგრე მგონია, - მიუგო დონ კიხოტმა.

შემდეგ მესამე ტუსალთან მივიდა და იგივე ჰკითხა, რაც პირველ ორს. იმან თამამად უპასუხა:

- მე მივდივარ, რათა ხუთი წლით სამსახური გავუწიო ბატონ გურაპებს იმისთვის, რომ ათიოდე დუკატი არ გამაჩნია.

- ორჯერ ათსაც უდიდესი სიამოვნებით მივცემდი, რომ მაგ ბატონებისაგან გამეთავისუფლებინე, - შესძახა დონ კიხოტმა.

- ეგ სიუხვე, ბატონო, შუა ზღვაში სავსე ჯიბე ფულსა ჰგავს, როდესაც შიმშილით სიკვდილს მოელი, რადგან ფულით ვერაფრის ყიდვას ვერ მოახერხებ, - მიუგო ტუსადმა. - ნეტა მაგ თქვენი ოქროებით ადრე შემხვედროდით, რომ ფულიც რიგიანად მომეხმარებინა და მოხვეისთვის



რამე წამესვა, ჩემი ვეჯილის ენაც ჩემებურად ამელაპარაკებინა. რა თავისუფლად ვისეირნებდი ახლა სოკოდეველის შუა მოედანზე, ტოლედოში, და იმ შარაგზებსაც არ გავთელავდი, ახლა რომ მიგვასეირნებენ საყელურიან ძაღლებით კისერში ჯაჭვებწაბმულებს. ღმერთი დიდია: მოითმინე, ადამიანო, - აი, ბატონო, ჩვენი საუბრის დასასრული ეს არის.

დონ კიხოტი მეოთხე დამნაშავეს მიუბრუნდა, დარბაისელი შეხედულებისას, ჭადარა წვერი რომ მთელ მკერდს უფარავდა. დონ კიხოტის კითხვაზე - რისთვის გგზავნიანო, პასუხის ნაცვლად ქვითინს მოჰყვა, და კრინტი არ დასძრა. მაგრამ უკანმდგარმა მეხუთე ტუსადმა მის მაგიერ უპასუხა:

- ამ დარბაისელს ჯერ ცხენით მდიდრულად მორთულ-მოკაზმულის ქალაქის ქუჩები მოატარეს და ახლა ოთხი წლით გალერებზე მენიჩხედ გზავნიან.

- ეგა , ძმობილო, იმას ხომ არ ნიშნავს, - გააწყვეტინა სანჩომ, - რომ ჯერ საჯაროდ ბოდიში მოახდევინეს და მერე ხალხის საჩვენებლად თვალსაჩინო ალაგას სამარცხვინო ბოძზე გამოჰქიმეს?

- სწორედ ეგ არის, - განაგრძო ტუსადმა, - და ეგ ყველა იმიტომ გადაახდევინეს, რომ, როგორც იტყვიან, სხვისი ყურებისა და თითქმის მთელი სხეულებისაც დალალი იყო, ესე იგი სიყვარულის საქმეში განსაკუთრებული მინდობილების მოხელეობას, შუამავლობას და მაჰანკლობას ჩემობდა: ამას გარდა კიდევ ოდნავ ჯადოსანიც იყო.

- მაგ ოდნავ ჯადოსნობაზე არას ვიტყვი, - მიუგო დონ კიხოტმა, - მაგრამ, რაც სამიჯნურო საქმეში შუამავლობას შეეხება, მართო ის რომ ავიღოთ თავისთავად და იმ ოდნავ ჯადოსნობას თავი დავანებოთ, მაშინ ეგ გალერებზე მენიჩხეობის ღირსი არ არის, თუ, რასაკვირველია, იქ იმიტომ არა გზავნიან, რომ უფროსობა გაგიწიოთ. სიყვარულის საქმეში შუაკაცობა ყველას როდი შეუძლია. ამისთვის მარჯვე კაცია საჭირო, სხვისა საიდუმლოთა დაფარვის მცოდნე, მე იმ აზრისა ვარ, , ასეთ მოხელეებს ყოველგვარ კეთილგანწყობილ საზოგადოებაში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, თუკი ისინი რიგიანი და განათლებული ხალხისაგან იქნებიან გამოსულნი. მე რომ მკითხონ, ისიც კი საჭირო იყო, ცალკე ზედამხედველები დაედგინათ და იმ პირთა რიცხვი ბეჯითად აღენუსხათ, ვისაც ეგ ხელობა უკისრია, სწორედ ისე, როგორც სავაჭრო დალალების რიცხვია განსაზღვრული და აღნუსხული. ამით ქვეყანას ბევრ ბოროტებას აარიდებდნენ, რაიც მხოლოდ იმიტომ მოხდება ხოლმე, რომ მრავალნი თავის შესაფერ საქმეს არ ჰკიდებენ ხელს. ჩვენში სამიჯნურო საიდუმლოებებს უმეცარნი და საექვონი განაგებენ: უწვერულვაშო, სრულებით გამოუცდელი ჭაბუკნი, ზოგი უჩინარი მანდილოსანი, დაბალხარისხოვანი მსახურნი, რომელნიც მძიმე რამ შემთხვევაში, როდესაც გაბედული მოქმედებაა საჭირო, იქამდის იფანტებიან და იბნევიან, რომ თავიანთ მარჯვენა ხელს მარცხენისაგან ვეღარ არჩევენ და პირში ჩალაგამოვლებული რჩებიან. ამ საგანზე მინდოდა ვრცლად მესაუბრა და დამემტკიცებინა, თუ რისთვის არის საჭირო, რომ ამ ყოველმხრივ რიგზე მოწყობილი საზოგადოებისათვის სარო დასს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, მაგრამ ახლა ამისთვის შესაფერი არც დროა და არც ადგილი. ოდესმე ამ საგანზე ჩემს აზრს ისეთ კაცს ვეტყვი, რომელიც ამისთვის იზრუნებს, მანამ კი ვიტყვი, რომ მძიმე შთაბეჭდილებამ, როგორც ჩემზე ამ ჭადარა თმამ და დარბაისლურმა შეხედულებამ მოახდინა, ასე სასტიკად დასჯილმა მიჯნურთა ზოგი რამ დავალების აღსრულებისათვის, ცოტა არ იყოს ამის ჯადოსნობაზე ბრალდება შეასუსტა, - თუმცაღა დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყანაზე არც შელოცვა არსებობს,

არც მოხიბლვა, ან ჯადოსნობა, ან გრძნეული ვახშე, რომ ჩვენი ნების ასე თუ ისე მიმართვა შეეძლოს, როგორც ზოგიერთ ბეჩავსა სწამს. ჩვენ თავისუფალი ნება გვაქვს მონიჭებული და მისი დაოკება, შეზღუდვა ან იძულებითი აღკვეთა არც მისნობას და არც რაიმე ბალახბულახს არ შეუძლია და რასაც ზოგი დედაკაცი თავისი სისულელით და ზოგიერთი კაცი თავისი გაიძვერობით ამზადებს, ყველა ის სასმელები და საჭმელები წმინდა შხამია, იმ ხალხის ჭკუიდან შემშლელი, რომელთაც თავიანთი მიაშიტობით სწამთ, ვითომც ბალახებს შეუძლია ადამიანს ის შეაყვაროს, ვინც არ უყვარს. ყოველივე ასეთი რამ, გიმეორებ, მტკნარი სისულელია, რადგან ჩვენ თავისუფალი ნების პატრონები ვართ და შეუძლებელია ამ ნებისყოფის მოდრეკა.

- მართალს ბრძანებთ, მართალს, - დაიძახა კეთილმა მოხუცმა. - ღმერთს გეფიცებით, რომ ჩემს სულს ჯადოსნობის ცოდვა არ ამძიმებს, მიჯნურობის საქმეში, რომ ბრალსა მდებენ, თავს არ გავიმართლებ, მხოლოდ იმას კი ვიტყვი, რომ ამაში ცოდვას ირასა ვხედავ. ამ ხელობით მხოლოდ ხალხის კმაყოფილებისათვის ვზრუნავდი; მინდოდა მშვიდობიანად და თანხმობით ეცხოვრა ყველას. უდარდელად და უშუღლო. მაგრამ, როგორც ხედავთ, ამ კეთილმა სურვილმა იქითკენ გამგზავრებას ვერ ამაცდინა, საიდანაც დაბრუნების იმედი აღარა მაქვს, რადგან ხნიერიც ვარ და შირიმის ავადმყოფობაც მჭირს, დღემუდამ მოსვენებას არ მაძლევს.

ეს, რომ თქვა, ისეთ ქვითინს მოყვა და იქამდის აუჩუყდა ნანოს გულთ, რომ ჯიბიდან მომცრო რკალი ამოიღო და მტირალ მოხუც კატორღელს სამოწყალოდ უბოძა.

ამასობაში დონ კიხოტმა სხვა ტუსაღს დაუწყო გამოკითხვა, რა დაგიშავებიაო, და მან თამამად უპასუხა:

- იმიტომ მივდივარ, ჩემო ბატონო, რომ ორ ჩემს ბიძაშვილ ქალთან და ორთანაც კიდევ სხვის ბიძაშვილ ქალთან მეტისმეტად ვცელქობდი; მერე იმ ჩვენ ცელქობას ისეთი რაღაც დახლართული ნათესაობის მატება მოჰყვა, რომ თვით ეშმაკიც ვერას გაარჩევდა. საქმე გამჟღავნდა, მომგები დაიბარეს, საბუთები ამოქექეს; მსაჯულებმა წყალობა არ მაღირსეს, არც ფული მქონდა, და განაჩენი დამიდგინეს. და უკვე მეგონა - სახრჩობელაზე მოვხვდები-მეთქი, მაგრამ გალერეებზე ექვსი წლით მუშაობა მომისაჯეს, - დავა აღარ დამიწყია: რაც მოხდა, მოხდა! ექვსი წლით მივდივარ; დიახაც უნდა გამესაჩივრებინა, მაგრამ რას იზამ, შევცდი. ეჰ, არა უშავს რა, ჯერ ახალგაზრდა ვარ, წინ დიდი, ხნის სიცოცხლე მიდევს, და თუ სიცოცხლეა, ქვეყანაზე ყველა დარდს ეშველება. თუ თქვენი მოწყალება რაიმეთი დაგვეხმარება და გაიმეტებს რასმე გვიბოძეთ საბრალეობს, ღმერთი საიქიოს გადაგიხდით მაგიერს, ხოლო ჩვენ სააქაოს დღედაღამ თქვენთვის ვილოცები, რათა ღმერთმა იმდენად დიდხანს და ჯანმრთელად გაცოცხლოთ, რამდენადაც ამის ღირსი ხართ.

ეს ტუსაღი სტუდენტის ტანისამოსით იყო, და ერთი დარაჯთაგანო ამბობდა, ძალიან მოლაპარაკეა და ლათინურიც იცისო.

ყველა ამათ უკან ერთი ტუსაღი მოდიოდა, ოცდაათიოდე წლისა იქნებოდა; კარგი ტანადი და შნოიანი სახის კაცი იყო, მხოლოდ რაღაც უცნაურად იცქირებოდა - ერთი თვალით მეორეს უმზერდა - შებოჭილიც სხვებივით არ იყო. ფეხიდან ჯაჭვი ტანზე შემოხვევით კისრამდის მქონდა ატანილი. კისერზე ორი დიდი რკინის საყელური ჰქონდა გაკეთებული; ერთზე ეს ჯაჭვი ჰქონდა მიმაგრებული, მეორედან აქეთ-იქით წელამდის ორი რკინის ჯოხი იყო ჩაშვებული, ბოლოებზე მიმაგრებულ რკინის სამაჯურებში მაჯები ჰქონდა გაყოფილი და დიდი ბოქლომებით იყო ჩაკეტილი. ამნაირად ტუსაღს არც თავის დახრა შეეძლო ხელეზამდის

და არც ხელების აღება თავამდის. დონ კიხოტს მოესურვა შეეტყო, თუ ეს ტუსადი, სხვებთან შედარებით, რად იყო ესე ძალიან შეჯაჭვული, დარაჯმა მიუგო:

- იმიტომ, რომ მარტომ იმდენი დანაშაულები ჩაიდინა, რამდენიც ყველა ამ დანარჩენი არ გაუდენიათ. ეს ისეთ დიდი გაიძვერა და გაბედულია, რომ გვეშინია, ასე ძალიან შებოჭილიც ხელიდან არ დაგვიძვრეს.

- ასეთი საშინელი რა ჩაიდინა, - იკითხა დონ კიხოტმა, - თუ კი გალერებზე მუშაობას მეტიც არა გადაუწყვეტიათ-რა?

- ათი წლით გალერებზე მუშაობა აქვს მისჯილი, ეს კი სამოქალაქო სიკვდილს უდრის, - მიუგო დარაჯმა, - ამაზე ბევრი ლაპარაკი ტყუილი თავის შეწყენა იქნება. საკმაოა მოგახსენოთ, რომ ეს ვაჟბატონი არის გამოჩენილი ხინეს დე პასამონტე და მეტსახელად ხინეზილიო დე პარაპილიას ეძახიან...

- წყნარად, ეგრე ნუ, იხარჯებით, ბატონო კომისარო, - გააწყვეტინა ტუსადმა, - სხვისი სახელებისა და მეტსახელების დამახინჯება თავის შესაქცევად ნუ გაგიხდიათ. მე მქვია ხინესი და არა ხინეზილიო - ჩემი გვარი პასამონტეა და არა პარაპილია, როგორც თქვენი კეთილშობილება ასხვაფერებს. უმჯობესი იქნებოდა თქვენს შთამომავლობაზე გეფიქრათ და თავის თავი გაგეცნოთ, - უფრო ბევრ საინტერესოს აღმოაჩენდით.

- ჩუმად იყავ, ბატონო უდიდესო და პირველხარისხოვანო არამზადავ, თუ არ გნებავს თქვენს ბეჭებს თქვენი ჩუმად ყოფნა ვაიძულო, - მიუგო კომისარმა.

- მართალს ამბობენ, როგორც ღმერთს უნდა, ადამიანი ისე ცხოვრობს, - შეელაპარაკა ტუსადი: - ამ ჯერობაზე მარტო იმას გეტყვით, რომ იქნებ ოდესმე როგორმე ვინმემ გაიგოს, ჩემი ნამდვილი სახელი რაც არის.

- მამ განა აგრე არ გეძახიან, შე გაიძვერავ და უმაქნისო! - დაუყვირა დარაჯმა.

- აგრე მეძახიან, აგრე, მიუგო ხინესმა. - და იქნებ ისიც მოხდეს, რომ აღარ დამიძახონ; თუ ასე მოხდეს, ამ ჩემს წვერს ჩემივე კბილებით დავიგლეჯ. სენიო კაბალიერო, - განაგრძო მან, - თუ რისამე მოცემა გნებავთ, ბარემ მალე გვიბოძეთ და გაგვეცალეთ, თორემ მაგ თქვენი გამოკითხვით თავი მოგვაბეზრეთ. თუ ჩემი ვინაობის გაგება გინდათ, ეტყვით: მე მქვია ხინეს დე პასამონტე და ჩემი ცხოვრების ამბავი ამ ჩემი ცხოვრების ამბავი ამ ჩემი ხელითაა მაქვს დაწერილი.

- ამას მართალს ამბობს, - შენიშნა კომისარმა; - თავისი თავგადასავალი მართლა თვითონ დაწერა და ისე დაწერა, რომ უკეთესი არ შეიძლება; მხოლოდ წიგნი საპატიმროში აქვს ორას რეალად დაგირავებული.

- გამოვიხსნი კიდეც, - გააწყვეტინა ხინესმა, - თუნდაც ორას დუკატადაც იყოს დაგირავებული.

- განა ეგრე კარგია? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ისე კარგია, - უპასუხა ხინესმა, - რომ "ლასარილიო ტერმისელი" და ყველა მისი მსგავსი წიგნები მასთან ფრჩხილადაც არ ჩაითვლებიან. მოვახსენებ თქვენს კეთილშობილებას, რომ შიგ

მხოლოდ სიმართლეა აღწერილი და ისე შნოიანად, წარმტაცად და სალალობოდ, რომ ყველა აღწერილ სიცრუეს სჯობია.

- რა სათაურით არის აღწერილი? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- მისი სათაურია "ცხოვრება ხინეს დე პასამონტესი", - მიუგო ტუსადმა.

- დამთავრებულია? - კვლავ ჰკითხა დონ კიხოტმა.

- როგორ დავამთავრებდი, როდესაც ჯერ ჩემი სიცოცხლე არ დამთავრებულა, - მიუგო იმან; - ჩემი დაბადების დღიდან ყველა იმ დრომდეა აღწერილი, როდესაც აი, ეს უკანასკნელი მიმისაჯეს.

- მაშ გალერაზე განა კვლავაც ყოფილხარ? - შეეკითხა დონ კიხოტი.

- ღმერთსა და მეფეს ოთხი წელიწადი უკვე ვემსახურე იქ, - უპასუხა ხინესმა, - გემო გავიგე ორცხობილასიც და ხარის მარდვის მათრახისაც; და სიმართლე უდნდა ვთქვა, ძალიანაც არა ვწუხვარ, რომ იქ წასვლა კიდევ მომიხდა, იმიტომ, რომ, სხვა არა იყოს-რა, დრო მექნება ჩემი წიგნი დავასრულო. ჯერ ბევრი რამ კარგი მაქვს სათქმელი, და ესპანურ გალერაზე კი, ღვთის მადლით, თავისუფალი დრო იმდენია, მეტი საჭიროც არ არის; ამასთან მოსაფიქრებელიც არა მაქვს-რა: რაც საწერი მაქვს, სულ ზეპირად ვაცი.

- როგორც გატყობ, მახვილი გონება გქონია და მარჯვე ბიჭი ჩანხარ, - უთხრა დონ კიხოტმა.

- დიახ, იმიტომაც უბედური ვარ, - შენიშნა ხინესმა, რადგან უბედურება მუდამ მიხვალ გონებას სდევნის.

- უბედურება ყოველთვის ავაზაკთა მდევნელია, - ჩაერია ლაპარაკში კომისარი. - უკვე რამდენჯერ გთხოვეთ, ბატონო კომისარო, - უთხრა ხინესმა, - ცოტა ფრთხილად იყავით-მეთქი. ნება მიბოძეთ, კვლად გითხრათ, რომ ბატონმა მოხელეებმა შავი ჯოხი ამ უბედურთა დასაჩაგრავად კი არ მოგცათ, არამედ, როგორც მე მგონია, იმიტომ, რომ ესუნა იქ მიაცილოთ, სადაც მეფემ ბრძანა. თუ არა და მიწამ მიყოს პირი და სიცოცხლეს... მაგრამ კმარა, აღარ დავამთავრებ. ყველა ლაქა შე-იძლება ოდესმე ნაცარტუტაში ჩავარდეს და ოდესმე კატას მოჰკითხავენ თავის ცრე-მლებს. მაშ, ყველა თავისთვის ჩუმად იყოს, კარგად იცხოვროს და უფრო კარგად ილაპარაკოს: ჩვენ კიდევ ჩვენს გზას გავუდგეთ; გვეყო, რაც სისულელე დავროშეთ.

ამ მუქარის პასუხად კომისარმა პასამონტეს ჯოხი მოუქნია, მაგრამ დონ კიხოტი მივარდა, ხელი აუკრა და თხოვა, ჩხუბს ნუ ასტეხთ და დამნაშავეს ნუ სცემთო: საკვირველი არ არის, თუ ხელებშეკრული კაცი გულს იმით იოხებს, რომ ენას თავისუფლად ხმარობსო. შემდეგ ტუსადებს მიუბრუნდა და უთხრა:

- რაც თქვენგან მოვისმინე, ძვირფასო ძმებო, ცხადად ვხედავ, რომ, თუმცა საკუთარი შეცდომილების მიზეზით ხართ ჩაგრულნი, მაინც რა ცხოვრებაც მოგელით, ვერაფრად საჭაშნიკოა თქვე თვის და გალერაზედაც თქვენი სურვილის წინააღმდეგ მიდიხართ: იმასაც ვხედავ, რომ ზოგს თქვენგანს ჩვენების ჩამორთმევის დროს გაუბედაობა და მხნეობის ნაკლებობა გამოუჩენია, ზოგს ფული არ ჰქონია, ზოგს უბრალო რამ უბედურება დამართნია, დასასრულ, მსაჯულის შეცდომა და მიკერძოება მომხდარა. საერთოდ, ყველა ეს გარემოება

თქვენი დაღუპვის მიზეზი შექმნილა და თქვენ წინ სამართლის კარი დაუხშავს. ყოველივე ეს, ჩემო მეგობრებო, მაიძულებს ახლავე ყველას დავანახვო, თუ რად ვარ ამქვეყნად წარმოგზავნილი, რისთვისა ვარ მიუწვდომელი განგების ნებით რაინდთა გუნდში ჩარიცხული, რად დავდე ფიცი ყველა დევნილისა და დავრდომილის შემწე ვიყო, სუსტი ძლიერთა ჩაგვრისაგან დავიფარო. მაგრამ, რადგან ამასთანავე ვიცი, არასოდეს არა ჯერ არს ძალით ვქნა იგი, რაც შეიძლება მშვიდობიანად გაკეთდეს, ამიტომ ვთხოვთ თქვენთა დარაჯთა და ბატონს კომისარს, ეგ ბორკილი შეგხსნათ და მშვიდობის გზა დაგილოცოთ. მეფეს სამსახურს თქვენ მაგიერ სხვები გაუწივეთ უფრო უკეთეს გარემოებაში და, ამასთან, სულს ქვეშ რომ ვთქვათ, განა საზარელი არ არის, ის შეიქმნას მონად, ვის ღმერთს და ბუნებას თავისუფალი გაუჩენია? ახლა თქვენ, ბატონებო, - დონ კიხოტი დარაჯთ მიუბრუნდა, - ვეჭვობ თქვენთვის ამ ხალხს დაეშავებინოს რამე, ამიტომაც განუტევეთ ესენი მშვიდობით და დაე, თითოეულმა ამათგანმა თავიანთ ცოდვებს თვითონ გასცეს პასუხი; დაე, უზენაესმა მსაჯულმა იქ საჯოს ესენი. იგია, რომელიც აჯილდოებს კეთილთა და სჯის ბოროტთა, ხოლო ჩვენ, ადამიანებს, რომელნიც ყველა ჩვენგანის კაცობრივს ღირსებას ვცემთ, პატივს, არ გვშვენის ჯალათად გავუხდეთ ჩვენთა მსგავსთ, ეს საქციელი ადამიანური ღირსების დამამცირებელია და მით უმეტეს მაშინ, როდესაც არავითარ სარგებლობას არ ვპოვებთ მასში. მაშ ვთხოვთ, ბატონებო ქვენა ნებით და მშვიდობიანად ამისრულოთ ეს გულითადი თხოვნა, ვინაიდან მსურს მიზეზი მქონდეს მადლობა გადაგიხადოთ, და თუ უარს მეტყვიით, მაშინ ეს ხმალი, ეს შუბი და ეს მკლავი ჩემს თხოვნას ძალით აგასრულებინებთ.

- სულელური ხუმრობაა, შენმა მზემ! - შეჰყვირა კომისარმა. - საქმე ხომ არ გამოგლევიათ, ბატონო რაინდო, რომ ასეთი გასაოცარი სურვილის გამოსათქმელად მაგდენი აზღაურდა ილაპარაკეთ. ნუთუ ხუმრობა გაშვებით გგონიათ, ვითომც ჩვენ, ან თუნდა იმას, ვინც ეს ტუსაღები მოგვანდო, შეგვიძლია, როცა კი მოვისურვებთ, ესენი გავუშვათ, კმარა, თქვენს მზეს, თავის აგდება. თქვენს გზაზე წადით თქვენთვის, ეგ თასიც გაისწორეთ თავზე და ნუ შეწუხდებით, სენიორ, ჩვენს კატას მეხუთე ფეხი გამოუჩნახოთ.

- თვითონ შენ ხარ კატაც, პირუტყვიც და ზედ დამატებით ბრიყვიც და არამზადაც, - შეჰყვირა დონ კიხოტმა, საჭიროდ არ დაინახა წინასწარ ეცნობებინა თავის განზრახვა და მსწრაფლ ისეთი გაშმაგებით მივარდა, როს ვიდრე მოპირდაპირე მოგერიებას მოიფიქრებდა, მიწაზე უკვე გაიშხლართა.

დონ კიხოტმა თავის საბედნიეროდ, სწორედ მაჟაროთი შეიარაღებულ დარაჯს დამართა ეს საქმე და ამ მოულოდნელმა თავდასხმამ სხვა დარაჯები გააოცა და დაიბნენ, მაგრამ გონს რომ მოვიდნენ, ცხენოსანმა დარაჯებმა ხმლები იძრეს, ქვეითებმა შუბები მოიმარჯვეს და დონ კიხოტს შეუტყეს. რაინდიც გასაოცარი გულგრილობით ელოდა მათ თავდასხმას. რაღა თქმა უნდა რაინდს ცუდი საქმე დაემართებოდა, თუ ამ შემთხვევაში წაქეზებულ ტუსაღებს ერთმანეთის შემწეობით, რაც ძალი და დონე ჰქონდათ, ჯაჭვების მტვრევა არ დაეწყოთ და ამით ალიაქოთი არ აეტეხათ. დარაჯებმა აღარ იცოდნენ რა ექნათ, ხან ტუსაღებს ეცემოდნენ, ხან იმათ განმათავისუფლებელ დონ კიხოტს, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყეს. სანჩო თავის მხრივ ხინეს დუ პასამონტეს შველოდა ჯაჭვების მტვრევას და თავიც პირველმა ამან გაითავისუფლა, და რაკი აღარა იჭერდა-რა ფიცხლავ მიწაზე გაშხლართულ კომისარს მივარდა, ხელიდან მაჟარო და ხმალი გამოსტაცა, ხან ერთს დაუმიზნა, ხან მეორეს და ასე უსროლედა დარაჯნი მიფანტ-მოფანტა. ისინი, რაც კი შეეძლოთ გარბოდნენ, ზოგი პასამონტეს მაჟაროს სროლის შიშით, ზოგიც დანარჩენი ტუსაღებისგან-დაშენილი ქვების რიდით. სანჩო ამ ამბით მეტად

შეშინდა, იმას ეშინოდა გაქცეულ დარაჯთ ეს ამბავი სანტა ჰერმანდადისთვის არ შეეტყობინებინათ, და იმასაც ზარების რეკვით და დაფდაფის ცემით მსწრაფლ მდევარი არ გამოეყენებინა მათთვის. ეს თავისი ფიქრი ბატონს შეატყობინა და ეხვეწებოდა, ჩქარა იმ ადგილს გასცლოდნენ, სადმე მთებს შეჰფარებოდნენ.

- კარგი, - უპასუხა დონ კიხოტმა, - მაგრამ თვითონ მე ვიცი, ყოვლის უწინარეს, რაც უნდა ვქნა.

შემდეგ გათავისუფლებულ ტუსალებს დაუძახა, კომისრის გამარცვის შემდეგ, რომ აქეთ-იქით უწესრიგოდ გარბოდნენ, და შეაგროვა: იმათ მეტად ეხალისებოდათ გაეგოთ, თუ მათი მხსნელი რას ეტყოდა. რაინდს გარს შემოეხვივნენ. დონ კიხოტმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა:

- ბატონებო, ყველა პატიოსანი კაცი მოვალეა სიკეთის მაღლიერი იყოს, იმიტომ, რომ ყველაზე მომეტებულად ღმერთს კაცის უმადურობა სძულს. ყველანი ხედავთ და გრძნობთ იმ სიკეთეს, რაც მე თქვენ მოგმადლეთ. ამის სამადლობლად ვითხოვ, ანუ უკეთ ეთქვათ, ჩემი ნებაა, ყველანი ერთად კისერზე კისერზე ჯაჭვის დადებით, რომლისგანაც გაგათავისუფლეთ, ტობოსოს ქალაქს წახვიდეთ, წარსდგეთ ჩემი მბრძანებლის დულსინეა ტობოსელის წინაშე, მოახსენოთ, რომ მწუხარე სახის რაინდი უღრმესს პატივისცემას გადამცემს, და ამასთანავე ეს შესანიშნავი ფათერაკი დაწვრილებით უამბოთ მას. შემდეგ ყველა თქვენგანს შეუძლია თავის გზას მშვიდობიანად, დაადგეს.

ყველა კატორღელის მაგიერ ხინეს დუ პასამონტემ უპასუხა და ასე უთხრა:

- ეგ ყველა რასაც გვიბრძანებ, ბატონო ჩვენო განმათავისუფლებელო რაინდო, მაგის აღსრულება ჩვენთვის შეუძლებელია, იმიტომ რომ ყველას ერთად კისერზე ჯაჭვდადებით შარაგზაზე სიარული არ შეგვიძლია; ახლა ჩვენთვის თითოობით ფარულად სიარულია საჭირო; ჩვენთვის ზრუნვა გვმართებს და არა თუ რაიმე გზებზე ვეჩვენოთ ვისმე, არამედ დედამიწის ქვეშ უნდა ვიაროთ, რომ სანტა ჰერმანდადას როგორმე არსად წავაწყდეთ; ახლა იგი უეჭველია, ჩვენს საძებნელად ყოველ მხარეს მდევარს გამოაგზავნის, სამართალი მოითხოვს, ბატონო რაინდო, რომ ჩვენი ტობოსოს გამგზავრება და თქვენი სატრფო დულსინეა ტობოსელის წინაშე წარდგომა, თქვენ სადღეგრძელოდ ლოცვად შეგვიცვალოთ. გვიბრძანეთ - რამდენჯერმე წავიკითხოთ ავე მარია და ცრედო. ასეთი მაღლობის გადახდა იმითაა კარგი, რომ დღისითაც შეი-ძლე-ბა და ღამითაც, სირბილშიც და მოსვენებაშიც, მშვიდობასა და ომშიც, ხოლო იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ-ჩვენი ნებითვე ჩვენს ეგვიპტურ ქვაბებს დავუბრუნდეთ, ანუ კისერზე ჯაჭვდადებულნი თქვენს დულსინეასთან წავიდეთ, ის იქნებოდა - გეფიქრათ, რომ ახლა ღამეა, თუმცა ჯერ დილის ათი საათიც არ არის და ან კიდევ მუხისაგან ვაშლი მოგეთხოვათ.

- თუ ეგრეა და, - მრისხანედ შეჰკვივლა დონ კიხოტმა, - ვფიცავ მაღალ ღმერთს, დონ უმაქნისო, დონ ხინესილიო დე პარაპილიო, ან ეშმაკმა იცის კიდევ რა გქვიათ, რომ სადაც გგზავნი, მარტო თქვენ წახვალთ კუდამოძუებული, კისერზე ჯაჭვმემოხვეული და თავმოდრეკილი!

პასამონტე ბუნებით გულფიცხი კაცი იყო (მასთან შეამჩნია, რომ დონ კიხოტს თავში უქროდა, ამის საკმაო საბუთი კატორღელთა სულელურად გათავისუფლებაში დაინახა), ამიტომ ჩვენი რაინდისაგან უდიერი სიტყვები რომ გაიგონა, ამხანაგებს თვალი უყო, ისინიც ფიცხლავ განზე გახტნენ. ისეთი ქვის სეტყვა დაუშინეს დონ კიხოტს, რომ ფართო მოგერიებას ვერ ასწრებდა. საწყალი როსინანტი კიდევ იმ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, რომ დეზების ჩხვლეტა სულ

აღარ ესმოდა, თითქოს ბრინჯაოსგან იყო ჩამოსხმული. სანჩო თავის სახედარს ამოეფარა და ქვის სეტყვას ამ ცოცხალი ფართით ირიდებდა. რაინდის ფარი საჭურველმტვირთველის ფარზე უხეირო გამოდგა და მარტო ღმერთმა იცის, რამდენი ქვა მოხვდა და ისე ძლიერაც, რომ ბოლოს მიწაზედაც გაიშხლართა იგი. ცხენიდან ჩამოვარდა თუ არა, სტუდენტი ტუსალი მაშინვე მივარდა, თავიდან თასი მოხადა, ორიოდეჯერ ლაზათიანად ჩაჰკრა მხრებში. მერე ის თასი რამდენჯერმე მიწაზე დაახეთქა, ისე, რომ სულ ნამსხვრევებად აქცია: შემდეგ, ამხანაგების დახმარებით, აბჯარზემოდან ჩაცმული სამოსი გახადა, წინდების გამრობაც სურდა, და მთლად დედიშობილად დასტოვებდა, თუ ბექთარს და სხვა სამკაულს არ დაეშალა. სანჩოსაც წამოსასხამი მოხადეს და მარტო ქვედა სამოსის ამარა დასტოვეს. მერე ეს სამხედრო ნადავლი გაიყვეს და სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ, იმ ზრუნვით, რომ მრისხანე სანტა ჰერმანდადას არსად შეჩეხებოდნენ, თორემ დულსინეას პატივსაცემად ჯაჭვდადებით ტობოსოს გამგზავრებისთვის სადა ცხელოდათ.

ბრძოლის ველზე მხოლოდ სახედარი და როსინანტი, დონ კიხოტი და სანჩო დარჩნენ. სახედარი იდგა დაფიქრებული, თავჩაქინდრული და ხანდახან ყურებს აბარტყუნებდა, თითქოს ისევ ქვები ხვდებო: როსინანტი თავის ბატონის გვერდით გაშხლართულიყო, რადგან ისიც ქვებმა წააქციეს. უწამოსასხამოდ დარჩენილი სანჩო სანტა ჰერმანდადას შიშით ცახცახებდა, ხოლო თვითონ რაინ დონ კიხოტს ისა სტანჯავდა, რომ მის მიერ გაბედნიერებულმა ადამიანებმა ასე უმადურად გადაუხადეს სიკეთე.

### თავი XXIII

თუ რა შეემთხვა სახელოვან დონ კიხოტს სიერა მორენაში, ანუ ერთ-ერთი ყველაზე საიშვიათო ფათერაკი, რაც მოთხრობილია ამ ნამდვილ ამბავში

ამ სამწუხარო მდგომარეობაში, რომ იყვნენ, დონ კიხოტმა უთხრა თავის საჭურველმტვირთველს.

- ბევრჯერ მსმენია და ტყუილადაც არ არის ნათქვამი, სანჩო გინდა უმაქნისისთვის გიქნია სიკეთე, გინდ ზღვაში წყალი ჩაგისხამსო შენთვის, რომ დამეჯერებინა, ამ უსიამოვნებას ხომ ავცდებოდი, მაგრამ რაღას ვუშველი, ისლა დაგვრჩენია, თავი მოთმინებას მივცეთ და ვეცადოთ, აწმყო მომავლისთვის სასარგებლო გაკვეთილად მოვიხმაროთ.

- თქვენ კი მოიხმართ, ეგ მაშინ თუ იქნება, როცა მე თურქი გავხდები, - წააყვედრა სანჩომ. - რაკი თვითონ ამბობთ, შენთვის, რომ დამეჯერებინა, უსიამოვნებას აცდებოდიო, მაშ მოდი, ახლა დამიჯერეთ, რომ უფრო უარესს უბედურებას ასცდეთ, თორემ სანტა ჰერმანდადას ყველა თქვენი მოგზაური რაინდი ჩირადაც არ მიაჩნია: ასე მგონია, მისი ისრები ყურებში უკვე მიზუზუნებენ-მეთქი.

- შენ ბუნებით მხდალი ხარ. სანჩო, და ეგ არის, - უთხრა დონ კიხოტმა. - მაგრამ, სიკერზე, რომ არ დამწამო და არ დამემდურო, რჩევას არ მიგონებსო, ამ ჯერობაზე დაგაჯერებ და დავემალეები, შენ, რომ გაშინებს იმ საშიშროებაზე, მხოლოდ ერთი პირობით კი: არც მკვდარმა და არც ცოცხალმა არასოდეს არავის უთხრა, ვითომც განსაცდელს შიშის გამო მოვერიდე, არამედ ისა თქვი, რომ შენი ხათრითა და ხვეწნით მოვიქეც ასე. თუ ასე არ იტყვი, - იცრუებ, და ამ ერიდან უკუნისამდე და უკუნითიდგან ამიერამდე არ დავცხრები და ამ სიცრუეს პირში გესვრი ხოლმე, მუდამ და ყოველ. თვის გეტყვი, რომ ცრუობ და კვლავაც იცრუებ, ვიდრე, გვარს რასმე

ილაპარაკებ. ნუ შემესიტყვები იმიტომ, რომ მარტო ერთი იმის წარმოდგენა, ვითომც ხიფათს, მეტადრე ახლანდელს, შიშის გამო ვერიდები, აქ დარჩენას მაიძულებს, რომ მარტო დავუხვდე არა თუ სანტა ჰერმანდადას, ანუ იმ ძმობას, რომ თავზარსა გცემს, არამედ ძმათა ისრაელთა თორმეტი მუხლისას, შვიდთა ძმათა მაკაბელთა, და აგრეთვე კასტორსა და პოლუქსს და ყოველგვარ ძმათა და მოძმეთა და მათითა ძმობითურთ, რაოდენიცა კი არსებობენ ამ ქვეყანაზე.

- ბატონო ჩემო, - მიუგო სანჩომ, - გაცლა გაქცევა როდია და არც თუ იმაშია დიდი სიბრძნე, ისეთ მტერს ველოდო, მის დასახვედრად ღონე არ შემწევდეს; ის უფრო გონიერება არ იქნება, დღეს თავი შევინახო ხვალისათვის და მთელი არსება ერთ დღეს არ შევალთ. მერწმუნეთ, ბატონო, ჩემს სულელს გლებურს ჭკუას კარგად ესმის, კაცმა თავის თავს როგორ უნდა მოუაროს. მამ ჩემი რჩევის აყოლას ნუ დაინანებთ, ჩქარა შებრძანდით როსინანტზე, თუ ღონე კიდევლა შეგრჩენიათ, თუ არა, მე გიშველით, და არხეინად გამომყევით უკან. ღმერთმანი გული მითქვამს, რომ ჩვენთვის ფეხები უფრო საჭიროა ხელებზე.

დონ კიხოტი თავის საჭურველმტვირთველის რჩევას მიჰყვება, ხმაამოუღებელივ აფოფხდა ცხენზე და სახედარზე მჯდომ სანჩოს წინამძღვრობით იქვე ახლოს მდებარე სიერა-მორენას ხეობისკენ გამართა. სანჩო ფიქრობდა მთელი ის ხეობა გაეარა, ვისოში ან ალმოდოვარ დელ კამპოში გასულიყო, და ასე რამდენიმე დღეში მთებში დამალვოდა სანტა ჰერმანდადას, თუ ვინცობაა იმას მათი ძებნა დაეწყო. ახლა სანჩო მთებისკენ მით უმეტესი ხალისით მიდიოდა, რომ კატორღელებთან შეტაკების შემდეგ მძარცველებისაგან თავისი ჩანთის გადარჩენა უხაროდა, - ეს მას ბედნიერ სასწაულად მიაჩნდა, რაკი გათავისუფლებულმა ტუსალებმა მეტისმეტი გულმოდგინებით წაართვეს მას, რაც კი რამ ხელში მოხვდათ და მოეწონათ.

ჩვენი ფათერაკების მაძებარნი საღამოს შიგ შუაგულ სირენა-მორენაში შევიდნენ. სანჩომ გადაწყვიტა აქ ჩამოხტომა და ის ღამე და რამდენიმე დღეც დარჩენაც, იმ დრომდე მაინც, ვიდრე საგზალი ეყოფოდათ. რაინდი და საჭურველმტვირთველი ღამის გასათევად მუხების ქვეშ ორ კლდის შორის მოეწყვნენ. მათთა საუბედუროდ, ბედისწერამ, - ურწმუნოთა აზრით რომ ყველაფერს თავისებურად განაგებს და წარმართავს, - ისე მოაწყო საქმე, რომ აქ მოიყვანა სახელოვანი გაიძვერა და ქურდი ხინეს დე პასამონტე. დონ კიხოტის სისულელითა და ვაჟკაცობით ტუსალობიდან განთავისუფლებულმა, სანტა ჰერმანდადას დევნისაგან შეშინებულმა (მას კი საკმაო საფუძველი ჰქონდა მისი შინებოდა) გადაწყვიტა ამ მთებში დამალულიყო, და შიშმა შემთხვევით ჯერ კიდევ დღისით სწორედ იმ ადგილას მიიყვანა, სადაც დონ კიხოტი და სანჩო პანსა იმალებოდნენ. გაიძვერამ იმ წამსვე იცნო ისინი და გადაწყვიტა შეეცადნა, ვიდრე დაარხინებით დაეძინებოდათ. რადგან ავნი მუდამ უმადურნი არიან, და რადგან მათ გაჭირვება აიძულებს ის იმოქმედონ, რაც არჩეულნი და ჩაიდინონ და აწმყოს იქით მომავალს ვერა ხედავენ, რასაკვირველია, ხინესსაც მაღლიერების გრძნობა იმდენივე ჰქონდა, რამდენიც პატიოსნება. მან განიზრახა სანჩო პანსასთვის სახედარი მოეპარა (როსინანტის დარდი კი არა ჰქონდა, რადგან ისე უხეიროდ მიაჩნდა, რომ არც გასაყიდად გამოდგებოდა, არც დასაგირავებლად). სანჩომ, რომ დამშვიდებით მიიძინა და ხვრინვა ამოუშვა ხინესმა სახედარი მოიპარა და ვიდრე გათენდებოდა, მისი კვალიც აღარსად იყო.

ალიონი ამოვიდა, დედამიწა გაახარა და სანჩო პანსა კი დაალონა; რაკი თავის საყვარელი ლურა ვერსად იპოვნა, ისეთი ტირილი და ხმამაღალი მოთქმა მორთო, რომ დონ კიხოტი გამოაღვიძა. სანჩო ასე მოთქვამდა:



- ვაიმე, ჩემო ღვიძლო შვილო, ჩემს საკუთარ სახლში ნაშობო, ჩემი შვილების შემაქცევარო, ჩემი ცოლის მალხენელო, ჩემს მეზობლებში შურისაღმძვრელო, შრომაში ჩემო შემწეო და ნახევარი ჩემი ოჯახის მარჩენალო, იმიტომ, რომ შენი ქირით შემოტანილი ოცდაექვსი მარავედისი ნახევარ ჩემს ხარჯს ფარავდა.

დონ კიხოტმა, რომ სანჩოს ტირილი გაიგონა და მიზეზიც გაიგო, რითიც კი შეემლო, ნუგეშს აძლევდა, თხოვდა, მოთმინება იქონიეო, და დაპირდა: ხელწერილს მოგცემ, სამი ჩოჩორი გითავაზონ იმ ხუთიდან, წამოსვლისას ჩემს თავლაში, რომ დავტოვეო. ამ დაპირებამ, ცოტა არ იყო, სანჩო ანუგეშა, ცრემლები შეუმშრალა, კვნესა დაუწყნარა, ქვითინი შეუწყვიტა. ასეთი წყალობისთვის სანჩომ დონ კიხოტს დიდი მადლობა გადაუხადა.

ამასობაში, დონ კიხოტი თანდათან მთების სიღრმეში შედიოდა და ეს მეტად უხაროდა, რადგან ფიქრობდა, ასეთი ადგილები სწორედ იმგვარი ფათერაკებისთვის იყვნენ გაჩენილნი, როგორსაც ამჟამად ეძებდა. ახლა ის სხვადასხვა საკპირველ შემთხვევებს იგონებდა, რაც ასეთ მქისე და უდაბურ ადგილებში მოგზაურ რაინდებს ოდესმე გადახდენოდათ, და ისე იყო გათანგული და გატაცებული ამ ფიქრებით და მოგონებებით, რომ ქვეყნიერებაზე ყველაფერი ავიწყდებოდა. ხოლო სანჩო, რაკი უშიშარ ალაგას დაიგულა თავი, იმასლა ფიქრობდა, ბერებისაგან ნადავლი საგზლის ნარჩენით კარგა ღონივრად ამოყესო თავის მუცელი ახლა ის ქვეითად მისჩანჩალებდა თავის ბატონს ყველა იმ ბარგწამოკიდებული, გუშინ, რომ მისი ლურჯა ატარებდა, და ასე მიმავალი ჩანთიდან ამოლაგებულ სანოვაგის ნაჭრებს ნელ-ნელა პირში იტენიდა ასეთი მგზავრობა ისე ძალიან ეხერხებოდა, რომ ამასთან შედარებით სხვა ფათერაკში ერთ გროშსაც არ მისცემდა

ამ დროს უეცრად მალა აიხედა და დაინახა: მისი ბატონი შემდგარიყო და მიწიდან შუბის წვერით რაღაც ნივთის აღებას ცდილობდა ფეხი ააჩქარა მისაშველებლად და მინამ მივიდოდა, დონ კიხოტმა პატარა ჩანთა და ზედ მიკრული ჩემოდანი აზიდა, და, რადგან კარგა მძიმე იყო, ამ დროს მისულმა სანჩომ ჩამოართვა იგი ჩემოდანი მთლად დახვრეტილი და ნახევრად დამპალი იყო დონ კიხოტმა უბრძანა სანჩოს გაესინჯა, თუ რა იყო ამ ჩემოდანში საჭურველმტვირთველმა ბრძანება საჩქაროდ აასრულა და თუმცა ის დაკეტილი იყო, ხვრელებიდან მაინც დაინახა, რაც შიგ იყო. ჩემოდანში ჰოლანდიური წმინდა ტილოს ოთხი პერანგი აღმოჩნდა, სხვადასხვა კოხტა ტანისამოსი და ყველაზე უკეთესი კი ხელსახოცში გამოკრული კარგა ბლომად ოქროს ფული ეს, რომ სანჩომ დაინახა, წამოიძახა.

- მადლი ზენას ასეთი ფათერაკის წარმოგზავნისათვის. ძლივს რამე სარგებლობა არა ვნახეთ!

ახლა გაორკეცებული ყურადღებით დაუწყო ჩხრეკა ყველაფერს, რაც კი ჩემოდანში იყო, და თეთრეულის, ტანისამოსისა და ფულის გარდა, ერთი ძვირფას ყდიანი უბის წიგნაკიც იპოვა შიგ. დონ კიხოტმა უბრძანა სანჩოს, წიგნაკი აქ მომეცი, ხოლო ფული შენთვის მიჩუქებიაო. მადლობის ნიშნით: სანჩომ ბატონს ხელზე აკოცა, და რაც ჩემოდანში თეთრეული ნეო, თავის სანოვაგიდან ჩანთაში გადააღაგა, დონ კიხოტმა ეკ, რომ დაანახა, უთხრა:

- სანჩო, მე მგონია და ასეც იქნება, ეს ნივთები ვინმე მგზავრისა უნდა იყოს! უთუოდ ამ მთებში გზა დაებნა, შემდეგ ავაზაკები დაეცნენ, მოკლეს და ის უბედური აქ სადმე ჩამარხეს.

- ეგ შეუძლებელია, - უპასუხა სანჩომ, - ავაზაკები ფულს არ დატოვებდნენ.

- მართალს ამბობ, - თქვა დონ კიხოტმა, - სრულიად არ მესმის და ვერ გამიგია, რა უნდა ყოფილიყო. დაიცა, აბა ამ წიგნაკში ვნახოთ, ეგებ საიდუმლო ამან აგვიხსნას და სწორ გზაზე დაგვაყენოს, რის გაგებაც ვწადია...

რაინდმა უბის წიგნაკი გადაშალა. პირველივე ლამაზი ხელით შავად დაწერილი სონეტი შეხვდა და ხმამაღლა შემდეგ წაიკითხა, რომ სანჩოსაც გაეგონა:

ვფიქრობ, - ან ამურს არაფერი აქვს ჭკვიანური,

ან მას, მრისხანეს, ქვეყნად არვინ არ ებრალება,

ან ამ ტკივილთა სათავეა იდუმალება

და ვერ გავიგებ, რამ ამინთო გულში აღმური.

მაგრამ, ცხადია, თუ კი ღმერთი არის ამური,

ჭკვიანიც არის არც შეფერის იყოს ღვთაება

მკაცრი, მძვინვარე. ჰო და მაშინ ჩემი ვაება

საიდან მოდის თან მწველი და თან საამური?

რომ გითხრა - შენგან, - ო, შევცდები მე ალბათ, ფილი,

რადგან სიკეთე ბოროტებას ვერ შეეწყობა.

რომ გითხრა - ღვთისგან, - არც ღმერთია ასე მტარვალი.

ერთი კი ვიცი, ახლო არის ჩემი სიკვდილი...

სადაც არ ვიციტ სნების არსი და წარმოშობა,

იქ სასწაულად ჩაითელება ვპოვოთ წამალი.

- მაგ ლექსიდან ძნელად რასმე გაიგებს კაცი, - თქვა სანჩომ - მანდ, რომ რაღაც ძაფია მოხსენებული, მაგ ძაფს რომ მივყვეთ, იქნებ გორგალამდის მიგვიყვანოს.

- რა ძაფს ამბობ? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ასე მომესმა, - მიუგო სანჩომ, რომ თქვენმა მოწყალებამ თითქოს რაღაც ძაფი ამოიკითხა.

- ძაფი კი არა, აქ ფილი წერია, - უთხრა დონ კიხოტმა, - სადაც ფილი გაიგონ სულ ძაფი უნდა გეგონოს ფილი ქალის სახელია, უეჭველია, ამის დამწერის სატრფოს ერქმეოდა. ლექსს, ღვთის წინაშე, არა უჭირს-რა, და დამწერიც კარგი მოლექსე ყოფილა, თუ კი ლექსებისა გამეგება რამე.

- როგორ, ბატონო, - გაკვირვებით უთხრა სანჩომ, - განა თქვენცა წერთ ლექსებს?

- დიახაც ვწერ, - მიუგო დონ კიხოტმა, - ამას შენი თვალითაც ნახავ, როდესაც დუღსინეა ტობოსელთან თავიდან ბოლომდის ლექსად დაწერილ წერილს გაგატან, რადგან, იცოდე, სანჩო, წარსულია დროთა მოგზაური რაინდები, თუ ყველა არა, მომეტებული ათი ნაწილი მაინც, შესანიშნავი ტრუბადურები იყვნენ, ესე იგი სახელოვანი პოეტები და გამოჩენილი

მოსაკრავენი. ეს ორი ტალანტი ანუ ზეციური ნიჭი მოგზაური მიჯნურებისთვის აუცილებელია ესეც კია, რომ ძველი რაინდების ლექსები უფრო ძლიერი გზნებით არიან შესანიშნავნი, ვიდრე შნოთი და ლაზათით.

- აბა კიდეს წაიკითხე, ბატონო, - უთხრა სანჩომ, იქნებ ჩვენთვის საყურადღებო იყოს რამე.

დონ კიხოტმა ფურცელი გადაშალა და თქვა:

- აქ პროზაა, რაღაც წერილსა ჰგავს.

- ესეც ეპისტოლე იქნება, - შენიშნა სანჩომ.

- დასაწყისით სამიჯნურო წერილს ჰგავს, - მიუგო დონ კიხოტმა.

- აბა, ბატონო, გაისარჯეთ და ხმამაღლა წაიკითხეთ, - სთხოვა სანჩომ, - სამიჯნურო ამბები საშინლად მიყვარს.

- სიამოვნებით, - მიუგო დონ კიხოტმა და სანჩოს თხოვნით ხმამაღლა წაიკითხა შემდეგი:

"შენი ფიცისა და დაპირების სიცრუემ და ჩემი უბედურების სინამდვილემ ისეთ ალაგს გადამკარგა, საიდანაც შენს ყურამდის უფრო ჩქარა ჩემი სიკვდილის ამბავი მოაღწევს, ვიდრე ჩემი ჩივილის ხმები. უგრძობელო და უმადლოვ! ჩემს თავს ის კაცი არჩიე, რომელსაც დიდი ქონება აქვს, მაგრამ ჩემზე მეტად ღირსეული არ არის. გრძობათა პატიოსნება, რომ აქ დიდ სიმდიდრედ ითვლებოდეს, სხვისი ბედნიერება როდი შემშურდებოდა და ჩემს დაღუპულ ბედნიერებასაც აღარ დავიტირებდი. შენმა სიმშვენიერემ მოხიბლა, მაგრამ შენმა საქციელმა ის მოხიბვლა განაქარწყლა: შენი სიმშვენიერით გატაცებული - ანგელოზად გასახავდი, შენმა საქციელმა კი - შენში მხოლოდ დედაკაცი დამანახვა. მშვიდობიანად იცხოვრე შენთვის, ჩემი აღშფოთების მიზეზო, მუდამ, რომ მებრძოდი, - ღმერთმა ინებოს შენი ქმრის ვერაგობა არასოდეს გამომჟღავნდეს, რომ შენი საქციელი სანანურად არ გაგიხდეს და, რასაც აღარ ვემებ, სამაგიეროს გადახდის შიში არ ჩაგივარდეს გულში".

დონ კიხოტმა რომ წერილის კითხვა გაათავა, თქვა:

- ამ წერილიდან უფრო ნაკლები გავიგეთ, ვიდრე ლექსიდან. მხოლოდ ერთი კი ცხადია, - ამის დამწერი რომელიმე უარყოფილი მიჯნური უნდა ყოფილიყო.

გადაფურცვლა დაუწყო მთელ წიგნაკს და კვალად რამდენიმე წერილი და ლექსი ნახა შიგ, მათგან ზოგის გარჩევა და ამოკითხვა მოახერხა, სხვების კი ვერა; მაგრამ ყველა მათგანში იყო მხოლოდ ჩივილი, დრტვინვა, ყვედრება, სიამოვნება მწუხარება და უარყოფა; დამწერი მოწყალებასა და სათნოებას, ქება-დიდებას ასხამდა, სისასტიკესა და ვერაგობას ცრემლის ფრქვევით მოიხსენიებდა. სანამ დონ კიხოტი ამ წიგნაკს ათვალიერებდა, სანჩო ჩემოდანსა და ჩანთას სინჯავდა, ყველა კუთხე გასინჯა, ყველა ნაკერი გაურღვია, ერთი სიტყვით, ნაპოვნმა ასიოდე ორომ მისი ცნობისმოყვარეობა ის გაიტაცა, რომ დიდის ყურადღებით გაუსინჯავად აღარა დაუტოვებია-რა. თუმც ვერც ჩემოდანში და ვერც ჩანთაში ვერა იპოვა-რა, მაინც ყველა თავის სამწუხარო მოგონებას შეურიგდა, - საბანზე ფრენასაც, სასაქმებელი ბალზამის მიღებასაც, მეჯორეთა კეტებსა და მუშტებსაც, ჩანთის დაკარგვასაც, მოსასხამის მოტაცებასაც, შიმშილსაც, წყურვილსაც, დაღლილობასაც, ერთი სიტყვით, ყველა ჯაფასა და ვაი-ვაგლახს,

რაც კი თავისი კეთილი ბატონის სამსახურში გამოველო; ყველა წარსული ტანჯვა დონ კიხოტის ნაპოვნმა და მისგან მოწყალედ ნაჩუქარმა ოქროებმა სარგებლით აუნაზღაურეს.

მწუხარე სახის რაინდი კი მეტად წუხდა, რომ არ იცოდა იმ ჩემოდნის პატრონი ვინ იყო. სონეტის, ოქროების, საუცხოო თეთრეულსა და წერილების მიხედვით, იგი კარგი გვარეულობის მიჯნური უნდა ყოფილიყო და სასოწარკვეთილებამდის უთუოდ სატრფოს ღალატსა და გაუტანლობას უნდა მიეყვანა, მაგრამ, ამ უდაბურ ალაგას იმის შესახებ რაიმე ცნობების შეკრება ძნელი საქმე იყო, ამიტომ გადაწყვიტა გზა განეგრძო და ამის რჩევაც როსინანტს მიანდო, მიმავალი რომ ფრთხილად ადგამდა ნაბიჯებს. რაინდს სულ ის ელანდებოდა და მტკიცედ სჯეროდა, რომ ამ უღრანსა და უდაბურ მიდამოებში უეჭველად რაიმე ფათერაკი შეემთხვეოდა.

ამ ფიქრით მოცულმა უცებ ჯაგნარში ვიღაც კაცი დაინახა, ბორცვიდან ბორცვზე ახირებული სიმარდით გარდამავალი. ის კაცი თითქმის შიშველსა ჰგავდა, შავი აბურძგნილი წვერი ჰქონდა, გრძელი აწეწილი თმა, უქუდო იყო და ფეხშიშველი. მართალია, თემოებიდან რაღაც მოწითალო ხავერდის შარვალი ჩამოეშვებოდა, მაგრამ ისე დაგლესილი იყო, რომ რამდენსამე ალაგს ხორცი უჩანდა. თუმცა იგი ძლიერ ჩქარა მიხტოდა, მაგრამ მწუხარე სახის რაინდმა მისი ტანი და მორთულობა მაინც კარგად შენიშნა და დააპირა აუცილებლად უკან დასდევნებოდა. მაგრამ როსინანტს აბა, იმ ქვა-ყორესა და ჯაგებში სიარული სად შეეძლო. - უიმისოდაც რაინდის ბედაური ახლა როგორღაც მეტად მძიმედ მიიზღაზნებოდა. როგორც ვიცით, იგი ბუნებით ფრიად ზოზინა და აუჩქარებელი იყო. დონ კიხოტმა მაშინვე იფიქრა ის უცნობი უთუოდ იმ დაკარგული ჩანთისა და ჩემოდნის პატრონიაო და გადაწყვიტა მოემებნა იგი, თუნდაც ამისთვის ამ მთა-ღრეში ხეტიალი მთელ წელიწადსაც დასჭირდებოდა. ამიტომ სანჩოს უბრძანა ჩამომხტარიყო და მისთვის ერთი მხრიდან მოეგლო, თვითონ მეორე მხრიდან მოუვლიდა. იმედი ჰქონდა, მათ თვალწინ ასე უცებ გამქრალ იმ უცნობ კაცს ამ ხერხით დაიჭერდა.

- მაგას ვერ ვიზამ, ბატონო, - უთხრა სანჩომ, - იმიტომ, რომ მოგმორდებით თუ არა, თვალებში ათასი რამ საშინელება და მოჩვენება მელანდება და ისეთი შიში ამიტანს ხოლმე, რომ სიკვდილის კარზე მიმაყენებს. ერთხელ და სამუდამოდ გთხოვ, მოწყალეო ბატონო, რომ გვერდიდან არასოდეს აღარ მომიშოროთ.

- როგორც გენებოს, თანახმა ვარ, - უთხრა მწუხარე სახის რაინდმა - აღტაცებული ვარ და ფრიად მსიამოვნებს, რომ ჩემის ვაჟკაცობით აგრე დაიმედებული ყოფილხარ. მუდამაც იმედი გქონდეს ჩემი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შენს სხეულს შენი სულის იმედი გადაუწყდება. მაშინ უკან მომყე ფეხდაფეხ, ან როგორც გეხერხებოდეს, და შენი თვალები მაშუქად გაიხადე. ახლავ ამ გორაკს შემოვუაროთ, ეგებ ის უცხო კაცი შეგვეჩეხოს სადმე, ელვასავით რომ თვალწინ გაგვიქრა, ჩვენი ნაპოვარი უთუოდ მას უნდა ეკუთვნოდეს.

ამაზე სანჩომ უთხრა:

- თუ აგრეა, მაშ იმის ძებნა რაღა საჭიროა, უმჯობესია, თავი ვანებოთ ამ ოქროების პატრონი რომ გამოდგეს, ხომ უნდა დავუბრუნო. მერწმუნეთ, ბატონო, უმჯობესი იქნება მაგ ძებნას თავი დავანებოთ და ეს ფული ჩვენ დავიტოვოთ, ვიდრე პატრონი თავისთავად გამოუჩნდებოდეს მანამ კი, ღვთის მადლით, იმედი მაქვს სულაც შემომეხარჯოს, და მაშინ ხომ მეფე გადახდისაგან გამათავისუფლებს.

- სანჩო, ამ შემთხვევაში ძალიან შემცდარი ხარ, უთხრა დონ კიხოტმა, - რაკი მიხვედრილი ვართ, რომ ის უცნობი კაცი ჩვენგან ნაპოვნი ნივთების პატრონია, მაშინ მოვალენი ვართ მოვძებნოთ იგი და მისი კუთვნილება დავუბრუნოთ და თუ არ მოვძებნეთ, მაშინ ნაპოვნი ნივთების პატრონიც რომ არ იყოს, ჩვენ მასთან დამნაშავენი ვიქნებით, როგორც ნამდვილი პატრონის წინაშე, იმიტომ, რომ საკმაო საბუთები გვაქვს ვიფიქროთ, ნაპოვნის პატრონი სწორედ ის უცნობი კაცია და სხვა არავინ. ამიტომაც, ჩემო მეგობარო სანჩო, ეძებე იგი, დარდად ნუ გაიხდი, რომ მისი არ მოძებნა უარესს დარდად მე გამიხადე.

ეს, რომ თქვა, დეზი ჰკრა როსინანტს: სანჩო უკან მიჰყვა, ხინესილიო დე პასამონტეს წყალობით ყველა იმ ბარგაკიდებულთ, რაც ამას წინათ მისი ვირის საპალნეს შეადგენდა. როდესაც რაინდმა და მისმა საჭურველმტვირთველმა მთას გარემემო თითქმის სულ შემოუარეს, ერთი ნაკადულის პირზე მკვდარ ჯორს მიადგნენ, ჯერ ისევ აღვირ-უნაგირიანს, მაგრამ ყვავებისა და ძაღლებისაგან ნახევრად შექმულს და გამოხრულს. ამან უფრო დაარწმუნა ისინი, რომ მათი ნანახი კაცი ნამდვილად ამ ჯორისა და ნაპოვნი ჩემოდნის პატრონი იყო.

ესენი, რომ ამ ჯორის ლეშს ყურადღებით ათვალიერებდნენ, უცებ ისეთი სტვენა მოესმათ, როგორც მწყემსი ფარის მოსაგროვებლად უსტვენს ხოლმე, ზედ დატანებაზე მარცხენა მხრისკენ ერთი თხის ფარა დაინახეს, რომელსაც უკან, სერზე, მოხუცი მწყემსი მოსდევდა. დონ კიხოტმა ხმამაღლა დაუძახა მწყემს და მწყემსმაც ყვირილით ჰკითხა რაინდს, აქ თხების, მგლების და ნადირის მეტი არაფერი ჭაჭანებს, შენ რამ მოგიყვანაო. მწყემსი რომ ჩვენ გმირებთან მივიდა, დონ კიხოტს უთხრა:

- სანაძლეოს დავდებ, რომ თქვენ ახლა მაგ ჯორსა სინჯავთ, ეს ექვსი თვეა, რაც აქ გდია, ერთი მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, ამის პატრონი არსად შეგხვედრიათ?

- არავინაც არ შეგხვედრია, მხოლოდ აქვე ახლო ერთი ჩემოდანი და ბალიში ვიპოვეთ, - მოუგო დონ კიხოტმა.

- ესენი მეც ვიპოვე, მაგრამ ხელი არ ვახლე, მეშინოდა საფრთხეში არ გავბმულიყავ, ქურდობა არ დაებრალეზინათ. ხომ მოგეხსენებათ, ეშმაკი მუდამ მზადაა, ფეხებში რამ წამოგვიგოროს და ანაზდად, წაგვაქციოს და მერე რისთვის და რატომ, ამას ვერც კი გავიგებთ.

- სწორედ მეც აგრე ვიფიქრე, - უთხრა სანჩომ. - ის ჩემოდანი მეც ვნახე, მაგრამ გასროლილი ქვის მანძილზედაც არ მივეკარე: როგორც იყო, ისევე დავტოვე. აღარაფრად მინდა ძაღლი და ისიც ექვნიბიანი.

- ერთი მითხარ, კეთილო კაცო, - ჰკითხა მწყემსს დონ კიხოტმა, - ხომ არ იცით ვინ არის იმ ნივთების პატრონი?

- მარტო ის ვიცი, - უთხრა მწყემსმა, - რომ ამ ექვსი თვის წინათ ჩვენს ქოხებს ერთი ვიღაც თვალტანადი ყმაწვილი კაცი მოადგა, აი ამ ჯორითა და თქვენ რომ გზაზე გინახავთ და ხელი არ გიხლიათ, იმ ჩემოდნით, და გვთხოვა: ამ მთებში ერთი რამ უდაბური ადგილი მიგვესწავლებინა. ჩვენ აი, ეს ხეობა მივასწავლეთ და მართალიც ვუთხარით; რადგან ნახევარი მილიც რომ გაიაროთ, აქედან გასვლას ვეღარ შეიძლებთ; მიკვირს აქ მოსვლა როგორ მოახერხეთ, აქედან არც გზაა სადმე და არც ბილიკი, მაშ ასე, მე განვაგრძობ: ადგილი რომ მივასწავლეთ, მან პასუხი არ მოგვცა, ჯორი გაატრიალა და ისარივით გამოექანა აქეთ. მისმა თვალტანადობამ და თანაც ასე საჩქაროდ გაჭრამ ძალიან გაგვაკვირვა. მას აქეთ მისი აღარა

ვიცოდით-რა, მანამ ამას წინათ ჩვენს მწყემსს უცებ არ შეჩებებოდა, დაეჭირა, რამდენიმე მუშტი და ერთი წიხლი ეთავაზებინა, მერე მის სახედარს მივარდნოდა, რაც ხურჯინში პური ყველი ჰქონდა, სულ ამოელაგებინა და შველზე მარდად მთებში გაქცეულიყო. ეს რომ გავიგეთ, მწყემსები შევიყარეთ და მის სამეზნელად წავედით. ორ დღეს ვიარეთ ტყეში და მერე საღამოს ის კაცი ერთი დიდი მუხის ფულუროში ვიპოვნეთ. ჩვენ რომ დაგვინახა, მშვიდად მივიდა ჩვენთან, მთლად დაგლეჯილი ტანისამოსით ეცვა და ისე გარუჯულიყო, ადამიანის სახე აღარ ჰქონდა: ისე შეცვლილიყო, ტანისამოსით თუ არა, იქნებ ვერც კი გაგვეგო - ის იყო, ვისაც ვეძებდით, თუ სხვა ვინმე. ალერსიანად თავი დაგვიკრა და ჰკვიანურად გვითხრა, ჩემი ასეთი ყოფა ნუ გაგიკვირდებათო, შეთქმული მაქვს და აქ იმიტომ ვარო, ჩემი მრავალი ცოდვები მინდა მოვინანიო. ჩვენა ვთხოვეთ, შენი ვინაობა გვითხარიო, მაგრამ არა გვითხრა-რა. მერე საჭმელზე ვუთხარით, ადგილი რამ გვითხარ და მუდამ დანიშნულ დროს მოგიტანთო; ან თუ ასე არ გინდა, როდესაც მოგესურვოს, გვთხოვეო, ოღონდ ძალით ნუ წაგვართმევო. მან მადლობა გადაგვინადა, ბოდიში მოიხადა, რომ ჩვენ მწყემსს ცუდად მოეპყრო და დაიფიცა, ამას იქით ძალას აღარ ვიხმარო. როცა მომშვიდება მოვალ და საჭმელს გთხოვთო., სადა ცხოვრობო, რომ ვკითხეთ, გვითხრა: საცხოვრებელი ბინა არსად მაქვსო, სადაც მილამდება იქ მითენდებაო. მერე ისე შესაბრალისად დაიწყო ტირილი, ღმერთმანი, ქვისაც რომ ვყოფილიყავით, მისი ცრემლები მაინც გულს მოგვილობდა, მაგრამ ადრინდელთან შედარებით, მისი ახლანდელი ყოფა ადამიანს როგორ არ შეებრალეობდა. მაშინ მშვენიერო ყმაწვილი კაცი იყო; მისი სიტყვა-პასუხიდან და მიხვრა-მოხვრიდან ჩანდა, რომ პატიოსანი გვარეულობისა და კარგად აღზრდილი უნდა ყოფილიყო. მასთან ჩვენ ნამდვილი გლეხუჭები ვიყავით, იმდენად ზრდილობიანი იყო, მისი ზრდილობა ჩვენმა უმეცრებამაც კი იგრძნო. ასე რომ გველაპარაკებოდა, უცებ გაჩუმდა. თვალები დედამიწას დააშტერა და დიდხნობამდის ისე იდგა. ჩვენ გაკვირვებულები ვუცქეროდით და ვუცდიდით, ეს ყოფა რით გათავდებოდა. უფრო და უფრო შეგვებრალა საწყალი; ის მაინც ხმამაუღლებლად იდგა, თვალებს ხან აჰყეტდა, ხან ხუჭავდა, ხან ძირს ხრიდა, ხან მალა აიხედავდა და თან თითქოს რაღაც ემართებოდა. ტუჩების კვნეტასა და წარბების ჰმუნას მოჰყვებოდა. მაშინ მივხვდით, რომ რაღაც სიგიჟე უნდა სჭირებოდა და ჩქარა კიდევ გაგვიმართლდა ჩვენი ეჭვი: მწოლიარე უცებ გაშმაგებული წამოხტა და ერთს ჩვენს ამხანაგს მივარდა, ისეთი გაცოფებული, რომ, თუ ხელიდან არ გამოგვეგლიჯა, მუშტებითა და კბილებით მთლად გაათავებდა. ამ ყოფაში საშინელი ხმით ყვიროდა: "ჰაი, შე მოღალატე ფერნანდო, აქ გაგისწორდები, აქ იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მომაყენე, ამ ხელებით ამოგლეჯე მაგ გულს; სადაც ყველა სიბილწე, მოღალატეობა და სიცრუე ბუდობს!" სხვაც ბევრი რამ იყვირა და ვიღაც ფერნანდოს მატყუარას, ფიცგამტეხისა და მოღალატის სახელით წყევლიდა და ლანძღავდა. ჩვენი ამხანაგი რომ ხელიდან გამოვგლიჯეთ, მაშინვე ხმამაუღლებლივ ჯაგებსა და კლდეებში ისე სწრაფად მიიმალა, რომ ვეღარსად დავანახეთ: იქიდან ისე წამოვედით, რომ მისი ვერა გავიგეთ-რა. მარტო ის შევიტყვეთ, რომ ხანდახან სიგიჟე მოუვლის ხოლმე და მისი გაშმაგების მიზეზი უთუოდ ის ვიღაც ფერნანდო უნდა იყოს. ამაში შემდეგ და შემდეგ ვრწმუნდებოდით, მას რომ შევხვდებოდით ხოლმე, როდესაც პურის სათხოვნელად მოვიდოდა, ან ძალით წაართმევდა ხოლმე მწყემსებს, ზოგჯერ, რაც უნდა აძლიო, მშვიდობიანად როდი იღებს, უთუოდ ძალა და მუშტები უნდა იხმაროს და ასე წაგართვას. როდესაც კი თავის გონებაზე არის, ზრდილობიანად გვთხოვს ხოლმე - "ღვთის გულისათვისაო", და როცა ვაძლევთ, მადლობას გვეუბნება და ზედაც ტირილს მორთვას ხოლმე. სიმართლე უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, - განაგრძო მწყემსმა, - გუშინ მე და ოთხმა მწყემსმა (ერთმა ჩემმა მეგობარმა და ორმაც ჩემმა

მოჯამაგირემ) გადავწყვიტეთ მოძებნოთ სადმე და, თუ ვიპოვეთ, ძალით იქნება თუ ნებით, ქალაქ ალმოდოვარში უნდა წავიყვანოთ, აქედან რვა მილია იქამდის. გვინდა წამლობა ვცადოთ, თუ კი რამე მოარჩენს საბრალოს, ან ის მაინცა ვქნათ, გავიგოთ: ვინ არის და ნათესავი ჰყავს ვინმე თუ არა, რომ მისი უბედურება შევატყობინოთ. აი, ეს არის, ბატონებო, რაც კი შემძლია იმ კაცზე გიამბოთ. ახლა უეჭველია, დარწმუნდით, რომ იმ ნაპოვნი ნივთების პატრონი სწორედ ის არის, თვალწინ რომ ელვასავით გაგიქრათ, ნახევრად შიშველი, - ან კი ელვასავით რატომ არ გაქრება, თუკი ტანისამოსი არ ამძიმებს. (ელვასავით რომ გაუქრათ თვალწინ - ეს დონ კიხოტმა წინათაც უთხრა მწყემსს).

ახლა ჩვენი რაინდი მწყემსის ნაამბობით მეტად გაკვირვებული იყო. მას საშინელი სურვილი აღედრა, გაეგო, თუ ვინ იყო ის უცნაური კაცი, და ამ სურვილის ასასრულებლად გადაწყვიტა, იმ მთებში ყველგან მოენახა იგი, არც ერთი ნაპრალი და მღვიმე გაუჩხრეკავი არ დაეტოვებინა. მაგრამ ბედმა უკეთ მოაწყო საქმე, ვიდრე იგი ამას იფიქრებდა, რადგან სწორედ იმ წამს ის კაცი იმ მთის გასავალში გამოჩნდა და სწორედ იმ ველზე გამოვიდა, სადაც ახლა დონ კიხოტი იყო. საბრალო წყნარად მიდიოდა და თან ისე ბუტბუტებდა რაღაცას, რომ კაცი ვერ გაიგებდა; მორთულიც ისე გახლდათ, როგორც ზემოთ იყო აღწერილი. მხოლოდ როდესაც დონ კიხოტს მთლად მოუახლოვდა, ბეჭებზე ძონძებად ქცეული კამზოლის ნარჩენებით გაიგო რაინდმა, რომ ის კამზოლი ამბრით გასურნელებული ირმის ტყავისა იყო. ეს მოწმობდა რომ მისი პატრონი დაბალი წოდებისა არ უნდა ყოფილიყო.

რაინდს რომ მიუახლოვდა, ზრდილობიანად, მაგრამ რაღაც ყრუ, ჩახლეჩილი ხმით მიესალმა. დონ კიხოტმაც არანაკლები ზრდილობით გადაუხადა სალამი. როსინანტიდან ჩამოხტა, ახლოს მივიდა და ისე ალერსიანად და მხურვალედ მოეხვია და გულში ჩაიკრა, კაცს ეგონებოდა, დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდაო. უცნობი განდევილი (ვისთვისაც შეიძლებოდა საბრალო გლახა გვეწოდებინა, იხევე როგორც თვითონ დონ კიხოტი მწუხარე სახის რაინდად იწოდებოდა) ხვევნას მოეშვა თუ არა, მხრებზე ხელები დააწყო და ისე დაშტერებით დააცქერდა, თითქოს ცდილობდა ეცნო იგი. ალბათ დონ კიხოტის ჩაცმულობით, მოკაზმულობით და მთელი სანახაობით უფრო იყო იგი გაკვირვებული, ვიდრე დონ კიხოტი მისი დაგლეჯილი და უბედური გარეგნობით. რამდენიმე წამის სიჩუმის შემდეგ უბედურმა მეუღლანემ პირველმა დაიწყო ლაპარაკი, და რაც თქვა, ამას შემდეგ თავში გავიგებთ.

თავი XXIV

სიერა-მორენაში მომხდარი ფათერაკის გაგრძელება

ჩვენი მოთხრობა გვაუწყებს, რომ დონ კიხოტი უდიდესი ყურადღებით უსმენდა სიერის დაფლეთილ რაინდს, რომელმაც ასე დაიწყო თავისი სიტყვა:

- მოწყალეო ხელმწიფევ, მართალი რომ გითხრათ, მე თქვენ სულ არ გიცნობთ, მაგრამ, ვინც უნდა იყოთ, დიდად გმადლობთ, რომ თანამიგრძნობთ: ამიტომ მინდოდა მადლობა გადამეხადა თქვენთვის, - მარტო კეთილი სურვილებითა და სიტყვით კი არა, - იმ გულითადი, მზრუნველობისათვის, რორომელიც ჩემდამი გამოიჩინეთ, მაგრამ ბედი მიკრძალავს სამაგიერო მოგაგოთ რითიმე.

- ჩემი სურვილი იმის მეტი არა არის-რა, რითაც შემძლია, სამსახური გაგიწიოთ, - უპასუხა დონ კიხოტმა, - და ეს ჩემი სურვილი ისე ძლიერია, რომ ამ მთებში დარჩენა გადავწყვიტე,

ვიდრე არ გავიგებ და თვითონ თქვენგან არ შევიტყობ: შეიძლება რითიმე ეშველოს თქვენს მწუხარებას, ეგ თქვენი უცნაური ცხოვრება რომ ესოდენ ცხადად ხატავს. ხოლო თუ თქვენი უბედურება იმგვარია, რომ ქვეყანაზე ნუგეში არ მოეპოვება, მაშინ მზადა ვარ ცოტაოდენი იმით მაინც შეგიმსუბუქოთ დარდი, რომ თქვენს კვნესასა და ცრემლებს ჩემი კვნესა და ცრემლები შევუერთო. თანამგრძობელი ძმა რომ გვერდით გეყოლებათ, ოდნავ მაინც გაგინელდებათ მწუხარება. თუ რამდენადმე მაინც ენდობით ჩემს წადილს, გვედრებით, სენიორ, ამიხსენით იმ თავაზიანობის გულისთვის, რომლითაც ესოდენ გამოირჩევით, და იმას გაფიცვით ვინც გიყვართ, ანუ ვინც ყველაზე უმეტესად გიყვართ ქვეყანაზე, შემატყობინოთ - ვინა ხართ და უგნური ნადირივით აქ ცხოვრება რამ გაიძულათ, ან ამ უდაბურ ადგილას სიკვდილი რად გადაწყვიტეთ? ხოლო ასეთი ცხოვრებისათვის რომ არა ხართ შექმნილი, ამას თქვენი სამოსელი და თვალ-ტანადობა ადასტურებს. ჩემს სარაინდო დასსა ვფიცავ, - განაგრძო დონ კიხოტმა, - რომლის წევრად გახდომის, თუმცაღა ცოდვილი, ღირსი შევიქმენ, ვფიცავ ჩემს მოგზაურთ რაინდის წოდებას, თუ თანახმა იქნებით და მომენდობით, ამიერიდან თქვენი უმხურვალესი, უერთგულესი მსახური შევიქმნები და თქვენი მწუხარების განკურნებაზე ზრუნვას არც ერთ წამს არ დავტოვებ. ხოლო თუ ეს შესაძლო იქნება, იმ მწუხარებას თქვენთან ერთად დავიტირებ.

ვიდრე მწუხარე სახის რაინდი ამას ამბობდა, ტყის რაინდი თავით ფეხებამდის სინჯავდა მას და, როცა გასინჯვა გაათავა, იქ მყოფთ მიმართა:

- ღვთის გულისათვის, თუ გაქვთ, მაჭამეთ რამე. როცა დავნაყრდები, თქვენი თანაგრძობის სამადლობლად, რაცა გსურთ, ყველას აგისრულებთ და ყველაფერს გაიმბობთ.

იმავე წამს სანჩომ და მწყემსებმა თავიანთი ხურჯინებიდან ამოიღეს, რაც კი უბედური მატანტალას გასაძლომად გამოსადეგი იყო, და ისიც ველური ადამიანივით მივარდა საჭმელს და ისეთი გაშმაგებით ღეჭავდა ყველაფერს, თითქოს კი არ ჭამს, მთელ-მთელს ყლაპავსო. ამ ხნის განმავლობაში ისიც და მასთან მყოფნიც მდუმარედ იყვნენ. ხოლო როდესაც მთლად გაათავა, რითაც უმასპინძლეს, გლახაკმა ყველას ანიშნა - თან გაჰყოლოდნენ და იქვე ერთი კლდის მწვანით მოსილ ველზე მიიყვანა. იქ, ისევ ხმამაუღლებლივ, მდელოზე წამოწვა; სხვებმაც მიჰბაძეს, ყველანი მდუმარებდნენ, ვიდრე უცნობმა მეუდაბნოემ ხმა არ ამოიღო და არ დაიწყო:

- ბატონებო, - თქვა მან, - თუ გსურთ მოკლედ გაიმბოთ ჩემი დიდი უბედურება, პირობა დამიდეთ, ლაპარაკი არ გამაწყვეტინოთ არც სიტყვით და არც რამე მოძრაობით. ეს იმიტომ, რომ სიტყვას შემშიშლით თუ არა, ჩემი ამბავიც იმ წამს შეწყდება.

ამ შესავალმა დონ კიხოტს მაშინვე ამასწინდელი სანჩოს ზღაპარი გაახსენა, მდინარეზე გაყვანილი თხების სათვალავის შეცდომის მიზეზით რომ გაუთავებელი დარჩა.

სიტყვა არ შემაწყვეტინოთო რომ თხოვა, ამის გასამართლებლად განდევილმა დასძინა:

- თქვენგან ამას ამიტომ მოვითხოვ, რომ მინდა ჩემი უბედურების ამბავი, რაც შეიძლება ჩქარა გაიმბოთ, რადგან მისი მოგონება მწუხარებას მიმატებს. რამდენიც ნაკლებ მომცემთ კითხვას, იმდენი უფრო ჩქარა და დაწვრილებით გაიმბობთ და ისეთი არა დამავიწყდება-რა, რაც კი თქვენთვის საყურადღებოა. ვეცდები სავსებით დავაკმაყოფილო თქვენი სურვილი.

დონ კიხოტმა ყველას მაგიერ ჩუმიად ყოფნა აღუთქვა, და დაფლეთილმა განდევილმაც ამბავი ასე დაიწყო:



- მე კარდენიო მქვია: ანდალუზიის ერთ უმთავრეს ქალაქში პატიოსან ოჯახში დავიბადე. ჩემი მშობლები თუმცა მდიდრები არიან, მაინც უბედურება ისე დიდია, რომ თუ ჩემი უბედურება გაიგეს, სიმდიდრე მათი ცრემლების შეშრობას მაინც ვერ შეძლებს; როგორც უწყით, ამქვეყნიურ სიმდიდრეს არ შეუძლია ზეცით მოვლენილ განსაცდელს შვება რამ მისცეს. სადაც ცხოვრობდი, იმავ ქალაქში ერთი ზეციური ანგელოზიც ცხოვრობდა, სიყვარულის ღმერთს ყველა თავისი მაღლი თითქოს მისთვის მიენიჭებინა, მისი გულის მოგება ჩემთვის ბედნიერებას და სიამაყეს შეადგენდა. ეს მარგალიტი ლუსინდა იყო, იგიც ჩემსავით პატიოსანი და მდიდარი ოჯახის შვილი იყო, მაგრამ ჩემზე კი მეტად ბედნიერი, ხოლო სიმტკიცე და პირიანობა კი იმაზე ნაკლები ჰქონდა, ვიდრე ჩემი სიყვარული და ჩემი გრძნობათა პატიოსნება ამისი ღირსი იყო. იმავ ყმაწვილობითვე მიყვარდა იგი და ვაღმერთებდი; მასაც აგრეთვე ვუყვარდი იმ სიწრფელითა და უმანკოებით, როგორც მის ყმაწვილქალობას შეშვენოდა. ჩვენი მშობლები გვატყობდნენ ერთმანეთის მიზიდულობას და თითქოს არ ამჩნევდნენ, რადგან კარგად ესმოდათ, რომ ყმაწვილობის ასაკიდან გამოვიდოდით თუ არა, ჩვენი მიზიდულობა სიყვარულად გადაიქცეოდა და სიყვარული კიდევ ქორწინების გვირგვინამდის მიგვიყვანდა. ერთნაირი სიმდიდრე და ერთნაირი პატიოსანი შთამომავლობა ჩვენი შეუღლების ყოველგვარ დაბრკოლებას აუქმებდა. რამდენიც ხანი გვემატებოდა, იმდენი სიყვარულიც ძლიერდებოდა და ამიტომაც ლუსინდას კეთილგონიერმა მამამ შესაბამისად დაისახა სახლში აღარ მიველე ხოლმე. (ამით მან პოეტებისაგან ხშირად ქება შესხმულ თისბეს მშობლებს მიჰბაძა). ამ ერთმანეთის ნახვის აკრძალვამ სურვილს სურვილი და ალს ალი მოგვიმატა. თუ ერთმანეთის ნახვა აღარ შეგვეძლო, წერას მაინც თავისუფლად ვახერხებდით, და კალამი კი ზოგ შემთხვევაში ენაზე უფრო სავსედ ხელოვნურად ახერხებს ჩვენი გულის სიღრმიდან ჩვენი სულის გამოფენას. სატრფოს სიახლოვე თვითონ გაბედულ ენასაც ხშირად ამუნჯებს და მტკიცე გადაწყვეტილების გამოთქმას უშლის. ოი, ზენაო, იმ ხანში რამდენი ბარათი გავუგზავნე მას, რამდენი საამო და პატიოსანი პასუხი მივიღე მისგან. რამდენი სიმღერა, რამდენი მწვავე სურვილებით აღსავსე, იდუმალი შიშით შემფოთებული, საამო მოგონებითა და ტკბილ-გატაცებით სავსე ლექსები აღმოთქვა მაშინ ჩემმა სულმა. ბოლოს სასოწარკვეთილებამდის იმით მიყვანილმა, რომ ჩემი სატრფოს უნახაობას ვეღარ ვძლევდი, გადაწყვიტე ლუსინდას მამასთან მივსულიყავი და მისი ქალი კანონიერ ცოლად მეთხოვა. იმედი მქონდა ამით ჩემი სანატრელი და დამსახურებული საუნჯე მეშოვა. ასეც მოვიქეცი. მამამისმა ამაზე მიპასუხა, რომ კარგად გრძნობდა, რა პატივსაც მოიპოვებდა იგი ჩემთან დანათესავებით და თავის მხრივ მზად იყო პატივი მოეგო ჩემთვის და თავისი ძვირფასი ასული მოეთხოვებინა, "მაგრამ, - დაუმატა მან, - რადგან მამა ჯერ ცოცხალი გყავს, ასეთი თხოვნის შემოთვლა მისი ვალიაო. ეგებ იმას ეს ქორწინება არ მოეწონოს, და თუ მისი გულწრფელი ნება-სურვილი და თანხმობა არ იქნება, ჩემი ქალი ისეთი არ არის, რომ მალვით ვისმეს ცოლად გაჰყვესო". დავრწმუნდი, რომ მართალს ამბობდა, პირდაპირობისათვის მაღლობა გადავუხადე და ვიმედოვნებდი, როცა ყველაფერს ავუხსნიდი, მამაჩემის თანხმობას წინ არა ედგა-რა. ამ იმედით მამაჩემთან წაველ და მის ოთახში შევედი თუ არა, ხელში გახსნილი წერილით დამხვდა და ჯერ სიტყვა არ მეთქვა, ის წერილი მომაწოდა და მითხრა. "კარდენიო, ეს წერილი წავიკითხე და გაიგებ, რომ ჰერცოგ რიკარდოს შენთვის სიკეთე უნდა". ჰერცოგი რიკარდო, როგორც უკვე უნდა უწყოდეთ, ბატონებო, ესპანეთის ერთ-ერთი დიდებულთაგანია და ანდალუზიაში საუკეთესო მამულებს ფლობს. წერილი რომ წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ არ შეიძლებოდა, მამაჩემი ჰერცოგის თხოვნაზე არ დათანხმებულიყო. ის ითხოვდა, ახლავე მასთან გავეგზავნე მისი უფროსი ვაჟის მხლებლად კი არა, არამედ

ამხანაგად, და პირდებოდა ისეთ მდგომარეობაში ჩავეყენებინე, რომ იმით ჩემდამი პატივისცემა დამტკიცებულიყო. წერილი რომ წავიკითხე, ხმა ვეღარ ამოვიღე, მეტადრე, როდესაც მამამ მითხრა: "ორი დღის შემდეგ, კარდენიო, ჰერცოგთან წახვალ და ღმერთს მადლობა შესწირე, რომ რისი ღირსიცა ხარ, ის ხვედრი მოგელისო". ამას, ჩვეულებისამებრ, რამდენიმე მამა-შვილური რჩევაც დასძინა...

დადგა ჩემი წასვლის დრო, წინა ღამეს ლუსინდას ნახვა მოვახერხე და, რაც მოხდა, ყველაფერი ვუამბე, აგრეთვე მამამისსაც ვუამბე ყველაფერი და ვთხოვე, ჩემი სიტყვა საიდუმლოდ შეენახა, რამდენიმე დღეს ასულის მითხოვებას არავის დაჰპირებოდა, ვიდრე შევიტყობდი, ჰერცოგს რიკარდოს ჩემგან რა უნდოდა. მან აღმითქვა და ეს აღთქმა ლუსინდამ ათასი ფიცითა და გულშელონებით შეამტკიცა. ბოლოს ჰერცოგთან რომ მივედი, ისე კარგად მიმიღო, რომ ყველა მის მხლებელს გულში შური აღედრა: ყველას შეეშინდა - არ დამეჩრდილა ისინი. ჩემი მისვლა ყველაზე მეტად ჰერცოგის მეორე შვილს დონ ფერნანდოს გაეხარდა. იგი ბრწყინვალე, გულუხვი, ლამაზი და ადვილად გამტაცი ყმაწვილი კაცი იყო. ჩქარა ისე დამიმეგობრდა, რომ ჩვენმა მეგობრობამ ყველას ყურადღება მიიპყრო. მის უფროს ძმასაც შევუყვარდი, მაგრამ დონ ფერნანდოსავით ჩემდამი მხურვალე დაახლოვებას მაინც არ იჩენდა. რადგან მეგობრებში საიდუმლო არ არსებობს, ამიტომ დონ ფერნანდომ რაც კი გულში ჰქონდა ყველა განმიცხადა და, სხვათაშორის, თავის მტანჯველი სიყვარულიც გამიმჟღავნა, რაც მას ძლიერ აღელვებდა. მას ერთი გლეხის ქალი უყვარდა, მამამისის მდიდარი ყმისა და ისეთი მშვენიერი, სათნო, კეთილი, ჭკვიანი და მასთან მდიდარიც, რომ მის ნაცნობთ არ იცოდნენ, რომელი მისი თვისებებისთვის მიეცათ უპირატესობა. ერთ გლეხის ლამაზ ყმაწვილ ქალში აღმდენ თავმოყრილ თვისებას ისე მოეხიბლა დონ ფერნანდო, რომ რაკი მისი გული ვერაფრით დაესაკუთრებინა, - ცოლად შერთვის აღთქმა მიეცა. როგორც მეგობარი ყველა საბუთით ვარწმუნებდი, რამდენადაც კი ჭკუა მიჭრიდა, ამ განზრახვაზე უარი ეთქვა და, რაკი დავინახე, ჩემი რჩევა ამაოდ რჩებოდა, გადავწყვიტე ყველაფერი მამამისის - ჰერცოგ რიკარდოსთვის გამეცხადებინა. მაგრამ ხეირიანი და მარჯვე დონ ფერნანდო ჩემს განზრახვას მიხვდა, რადგან კარგად ესმოდა, რომ მე, როგორც ერთგულ მოსამსახურეს, არ შემეძლო მისი ღირსების ამგვარი დამამცირებელი საქციელი მამამისთვის დამეფარა, ამიტომაც, რომ მოვეტყუებინე, მითხრა, ჩემი სიყვარულის გასაქარვებლად იმის მეტს საშუალებას ვერას ვხედავ, რომ რამდენიმე თვე სადმე წავიდეო და, თანაც მთხოვა, მე და ის მამაჩემთან წავსულიყავით, ვითომდა ცხენების საყიდლად, - რადგან ჩვენი ქალაქი კარგი ცხენებით განთქმული იყო მთელს ქვეყანაზე. მისი განზრახვა მომეწონა, როგორც ამ შემთხვევაში საუკეთესო და თან ეს მგზავრობა ჩემი ლუსინდას ნახვის შემთხვევას მამლევდა; ამ ფიქრებისა და სურვილის გამო მისი განზრახვა მოვიწონე; ამიტომაც მიამიტად ვურჩიე, რაც კი შეეძლო ჩქარა წავსულიყავით. ისიც ვიცოდი, რომ ასეთ შემთხვევაში განშორება ჩინებულად მოქმედებს ადამიანზე. შემდეგში გავიგე, რომ დონ ფერნანდოს შერთვის დაპირებით თავისი მომხიბლავი გლეხის ქალი კიდევ ეცდინა და ამ მოტყუების ცუდი შედეგისა და ჰერცოგის რისხვის შიშით, უნდოდა იქაურობას სადმე გასცლოდა. რადგან ყმაწვილი კაცის სიყვარულს სიყვარული არ ეთქმის და იგი მხოლოდ წამიერი სიტკბოების სურვილია, გულის ჩქარა გამაგრილებელი (რაიც ჭეშმარიტ სიყვარულზე არ ითქმის), ამიტომ იმ გლეხის ქალზე გული იჯერა თუ არა, მისი ვნება დაცხრა და ალიც ჩაუქრა, უწინ, რომ განშორებას ცდილობდა, ეგებ აღთქმის მიცემას გაქცეოდა, ახლა იმიტომ უნდოდა გაქცევა, რომ ის აღთქმა არ აესრულებინა. ჰერცოგმა წასვლის ნება დართო და მეც მიბრძანა თანა ვხლებოდი.

"ჩავედით ჩემს მშობლიურ ქალაქში; მამაჩემმა დონ ფერნანდო ისე მიიღო, როგორც მის დიდ ღირსებას შეეფერებოდა. ჩქარა ლუსინდა ვნახე და სიყვარული კვლავ შემომეგზნო, თუმცა იგი ჩემში არც გამქრალა და არც დანელებულა. საუბედუროდ დონ ფერნანდოს ჩემი საიდუმლო გავუმჟღავნე, რადგან მეგობრობას მოვალეობად მიმაჩნდა, მასთან დაფარული არა მქონდა რა და ლუსინდას სილამიზე, ჭკუა და ხასიათი ისეთი აღტაცებით ავუწერე, რომ მეტისმეტი სურვილი აღემძრა - ის მშვენიერი ენახა, ბუნებისაგან ასე უხვად დაჯილდოებული. ჩემმა ბოროტმა ბედმაც ერთ ღამეს, წმინდა სანთლის შუქზე ჩემი ხელით მაჩვენებინა ლუსინდა იმ ფანჯარასთან, სადაც ერთმანეთს ვნახულობდით ხოლმე. ნახა თუ არა, რაც კი სადმე მშვენიერი ქალი ენახა, მთლად დაავიწყდა; მას შემდეგ მდუმარება დაემართა, ჩაფიქრებული, გულჩათხრობილი, ყველაფერზე გულცივი შეიქნა. როგორც ჩემი სამწუხარო ამბიდან დაინახავთ, ჩემი სიცოცხლე, ჩემი სატრფო შეუყვარდა, და ეს უცებ ნაფეთქი სიყვარული უფრო მკტად აღეგზნო, როდესაც, თითქოს განგებ ჩემს საუბედუროდაო, ხელში ბარათი ჩაუვარდა, სადაც ლუსინდა მწერდა მამასთან მივსულიყავ და მისი თავი ცოლად მეთხოვა. ის ბარათი ისე სავსე იყო სიყვარულით, თავშეკავებით და სიტურფით, რომ, როცა დონ ფერნანდომ წაიკითხა, ასე მითხრა: მხოლოდ ლუსინდაში ყოფილა ჭკუა და მშვენიერება შეერთებულიო, სხვა ქალებში კი ეს ორი ნიჭი მოუთავებელნი არიანო. მართალიც იყო, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ დონ ფერნანდოსაგან ეს ქება არ მიაძებოდა და თითქოს მისი ნდობა დამეკარგა. მას შემდეგ წამდაუწუმ ლუსინდა აგონდებოდა და, რაზედაც უნდა გველაპარაკა, იმ ლაპარაკს უთუოდ ჩემ საცოლეზე გადაიტანდა ხოლმე. ამან ნელ-ნელა გულში ეჭვი აღმიძრა, და თუმცა მეჩვენებოდა, რომ ლუსინდასაგან ჩემი ღალატი მოსალოდნელი არ იყო, მაინც ჩემი ბედის გადაბრუნებას რაღაც ბუნდოვნად ვგრძნობდი. ისიც უნდა გითხრათ, რომ დონ ფერნანდო ყველა ჩვენს ბარათს კითხულობდა, ვითომც იმიტომ, რომ ჩვენი წრფელი და გონიერი მიწერ-მოწერა მეტად ესიამოვნებოდა.

ერთხელ ლუსინდამ როგორღაც თავისი საყვარელი სარაინდო რომანი "ამადის გალეი" მთხოვა წასაკითხად..."

დონ კიხოტმა გაიგონა თუ არა სარაინდო რომანი, მაშინვე დაიძახა:

- თქვენ ამბის დასაწყისშივე, რომ გეთქვათ, სენიორა ლუსინდას სარაინდო რომანების კითხვის ხალისი ჰქონდაო, მაშინ აღარავითარი მისი ქება აღარ დაგჭირდებოდათ, და მე უიმისოდაც ჯეროვნად დავაფასებდი მისი გონების აღმატებას; იმისაც მოგახსენებთ, რომ ის ქალი ეგოდენი ღირსებით არ იქნებოდა შემკული, როგორც თქვენ ახლა გეგულებათ, თუ იმ სანატრელი და საუცხოო წიგნების კითხვის გემოვნებას მოკლებული ყოფილიყო. ჩემთვის საკმაოა მისი გემოვნება ვიცოდე, რომ ვიწამო იგი, - უჩინებულეს და უგონიერეს ქალად მთელს ქვეყანაზე. მხოლოდ ამასლა ვისურვებდი, ჩემო ბატონო, ნეტა ამადის გალელთან ერთად ბარემ სახელოვანი დონ რუხელ ბერძენიც გაგეგზავნათ. დარწმუნებული ვარ, თქვენი ჩინებული ლუსინდა დარაიდას და გარაიას ამბითაც გაერთობოდა, აგრეთვე მწყემსი დარინელის მახვილგონიერული საუბრითაც, მისი საუცხოო მწყემსური ლექსებითაც, დიდი ლაზათით და საამოდ, რომ დამღერის მუსიკის ხმაზე. მაგრამ დრო კიდევ გაქვთ და თქვენი შეცდომის გამოსწორება ადვილია, თუ ინებებთ და ჩემს სოფელში წამომყვებით, სამასზე მეტ წიგნს მოგართმევთ, რომელნიც ჩემი გულის ღებნას და ჩემს შვებას შეადგენენ, თუმცა კი, როგორც მახსოვს, ამ წიგნებისა ერთიც აღარ შემრჩა, ჩემი მდევნელი ავი და ხარბი ჯადოქრების შურისა და ბოროტის წყალობით. მოწყალეო ხელმწიფევე, ბოდიშს ვიხდი, რომ დაპირება ვერ აგისრულეთ და ლაპარაკი გაგაწყვეტინეთ, მაგრამ რა გაეწყობა? გავიგონებ თუ არა სიტყვას

რაინდთა საქმეებსა და მოგზაურ რაინდებზე, ჩემი თავი ჩემს ხელთ აღარ მრჩება ხოლმე; ისევე შეუძლებელია მაშინ ჩემთვის შემაგრება, რომ სიტყვა არ ჩავურთო, როგორც მზის სხივებისათვის არის შეუძლებელი, სითბო არ მოჰფინოს დედამიწას და მთვარის შუქისთვის - სინოტივე არ გამოიღოს. მაშ ასე, გვაპატიეთ და თქვენი ამბავი განაგრძეთ, რადგან უკვე დროა თხრობას დაუბრუნდეთ.

დონ კიხოტი რომ ამას ამბობდა ვარდენიო თავჩაქინდრული იყო, თითქოს რაღაც ფიქრებმა გაიტაცესო. დონ კიხოტმა თავის სათხოვარი ორჯერ გაიმეორა, ის კი სულ დუმდა და თავს მაღლა არ იღებდა ბოლოს, რამდენიმე ხნის შემდეგ, წელში გაიმართა და წარმოთქვა:

- გონებიდან ვერ გამიშორებია და ვერცარა ძალა ვერ გამომაცლის ერთს რასმე: მე მგონია, უდიდესი ბოროტმოქმედი და ბრიყვი უნდა იყოს, ვინც არ დაიჯერებს ანუ სხვას დაუშლის დაიჯეროს, რომ დედოფალ მადასიმას მაწანწალა ელისაბეტი ჰყვარობდაო.

- როგორ, - შეჰყვირა ბრაზმორეულმა დონ კიხოტმა; - ეგ სიცრუე და ცილისწამებაა. მაგვარი სიცრუის დამტკიცება დიდი სიავე და ახირებული სისამაგლეა. დედოფალი მადასიმა პატიოსანი და სათნო ქალი იყო და არავითარი საბუთი არ არის ვიფიქროთ, რომ მას ვიღაც ცხენის ექიმბამთან გაეწიოს არშიყობა. ვინც ამის წინააღმდეგს მეტყვის, იგი იცრუებს, ვითარცა უკანასკნელი არამზადა და უმაქნისი ცილისმწამებელი. ამას დავუმტკიცებ, რა მდგომარეობაშია უნდა ვიყო, ცხენზე მჯდარი თუ ქვეითი, შეიარაღებული თუ უიარაღო, დღისით, გინდ ღამით, ერთი სიტყვით, როგორც თვითონ იგი ინებებს, ისე დავუმტკიცებ.

ამასობაში კარდენიო დონ კიხოტს დაშტერებით უცქეროდა, რადგან სწეულების ქარები ეშლებოდა, - და თავისი ამბის განგრძობის ღონე იმდენადვე ჰქონდა, რამდენადაც დონ კიხოტს დედოფალ მადასიმას შეურაცხყოფის გამო განრისხებულს, მისი მოსმენა შეეძლო. საკვირველია! ისე წაესარჩლა იმ დედოფალს, თითქოს საკუთარი და კანონიერი დედოფალი ყოფილიყოს, შეჩვენებული წიგნები ისე ძალიან ჰქონდა თავში გამჯდარი. სენმორეულმა კარდენიომაც, რომ გაიგონა: ცილისმწამებელს, მატყუარასა და არამზადას ეძახდნენ და სხვა საუცხოო სიტყვებით ამკობდნენ, ვერაფრად ნასიამოვნებმა, ერთ კარგად მოზრდილ ქვას წამოავლო ხელი და დონ კიხოტს მკერდში ისე მაგრა ჩაართვა, რომ მიწაზე გაშხლართა. ბატონის გაუპატიურებით გულნაწყენი სანჩო პანსა მუშტებით მივარდა გონებაარეულს, მაგრამ დაფლეთილი რაინდი ის მარჯვედ დაუხვდა, რომ ისიც თავის ბატონს მიაყოლა. ესეც არ იკმარა, ზედ მუცელზე დააჯდა და გვერდები ლაზათიანად დაუხილა. მწყემსმა სანჩოს მიშველება განიზრახა, მაგრამ მანაც იგივე მიიღო, და ასე სამი კაცის გალახვის შემდეგ განდეგილთ არხინად მთებისკენ წავიდა. ყველაზე ჩქარა სანჩო მოვიდა გონს და გაბრაზებული სულ უმიზეზოდ მივარდა მწყემსს: მისი აზრით ყველა ამ დავიდარაბის მიზეზი მწყემსი იყო. უყვიროდა, რატომ წინდაწინვე არ გაგვაგებინე, რომ იმ გაუბედურებულ კაცს სიგიჟე ემართებოდა ხოლმეო, წინასწარ გავფრთხილდებოდით და დასახვედრად მოვემზადებოდითო. მწყემსი არწმუნებდა, გაგაფრთხილეთო, და თუ ვერ გაიგონეთ, ჩემი რა ბრალიაო. სანჩო ეწინააღმდეგებოდა, მწყემსი თავისას გაიძახოდა და იქამდის შეეკამათნენ ერთმანეთს, რომ სიტყვა მუშტებამდის მიიყვანეს და ისე გამეტებით წამიძგილავდნენ, თუ დონ კიხოტს არ გაემველებინა, მგონი, ერთმანეთი ნაფლეთებად ექციათ. დონ კიხოტი რომ იმათ გაშველებას ცდილობდა, სანჩოს მწყემსი მაგრა მყავდა ჩაბლუჯული და დონ კიხოტს ეუბნებოდა:

- გამიშვით, ბატონო მწუხარე სახის რაინდო; ეს მწყემსი ხომ დალოცვილი რაინდი არ არის, ისეთივე გლეხია, როგორც მე ვარ; როგორც მეპრიანება, ჩემს გაბიაბრუებას ისე გადავახდევინებ და როგორც პატიოსანი ადამიანი, თანაბარი იარაღით შევებრძოლები.

- ეს მართალია! - მიუგო დონ კიხოტმა, - მაგრამ, რაც მოხდა, მოხდა. ვიცი, ეს საბრალო არაფრით არ არის დამნაშავე.

გაშმაგებულ მოჩუბართ შერიგება უბრძანა; შემდეგ ჰკითხა მწყემსს: სად შეიძლებოდა კარდენიო ეპოვნათ როგორმე? რაინდს ძალიან უნდოდა იმ გადარეული კაცის ამბავი გაეგო. მწყემსმა გაუმეორა ის, რაც უკვე წინათ უთხრა: კარდენიოს ბინა და მისი ასავალ-დასავალი დანამდვილებით არ ვიციო, და დაუმატა, თუ დონ კიხოტი ამ არემარეს ძირისძირობამდის მოივლიდა და მოათვალიერებდა, უეჭველად სადმე შეხვდებოდა მას - ან ჭკუაზე მყოფს ან გადარეულს.

თავი XXV

სადაც მოთხრობილია სახელოვანი ლამანჩელი რაინდის სიერა-მორენაში თავსგადამხდარი არაჩვეულებრივი ფათერაკები და სინანული, პირქუში მზეჭაბუკივით რომ იკისრა

დონ კიხოტი რომ მწყემსს გამოეთხოვა, კვლავ როსინანტზე შეჯდა და სანჩოს ვირით თან გაყოლა უბრძანა. საჭურველმტვირთველმა უხალისოდ აასრულა ბრძანება. დაიწყეს სიარული და თანდათან უდაბური მთების შუაგულში შევიდნენ. სანჩოს მეტად მოესურვა ლაპარაკი, თუმცა კი ბრძანების გადასვლას ვერ ბედავდა; სულ ელოდა, ეგებ ლაპარაკი თვითონ დონ კიხოტს დაეწყო. მაგრამ დიდხანს სიჩუმე ვეღარ აიტანა და ლოდინით გაბეზრებული თვითონვე ალაპარაკდა:

- სენიორ დონ კიხოტ, მოწყალება მოიღეთ, ბატონო, გზა დამილოცეთ და დამითხოვეთ. შინ მანდა წასვლა ჩემს ცოლ-შვილთან. იმათთან ლაპარაკს მაინც არავინ დამიშლის, როცა მომესურვება, ახლა კი ჩემი ყოფა რა ყოფაა ამ ტყედრეში, დღე-ღამის გაურჩევლად უკან უნდა გდიოთ და ხმის ამოღებაც კი არ შემეძლოს: გამოდის, რომ ჩემი თავი ცოცხლადვე დავმარხე. ამ დროში პირუტყვი მაინც რომ ალაპარაკდეს, ისე როგორც ჰიზოპეტის დროს ყოფილა, მაშინ თქვენ კი აღარ შეგაწუხებდით, ჩემს სახედარს დავუწყებდი ლაპარაკს, ან სხვა ცხოველს, რაც შემხვდებოდა, იმას გამოვეხმაურებოდი, და როგორც იქნებოდა, ამ ჩემს გაჭირვებას ავიტანდი. ახლა კი რა ვქნა, ფათერაკების დევნაში ტანტალს ვეღარ ვიტან, სულ ვიტანტალო, ქვები, ჯოხები და მუშტები მხვდებოდეს, საბანზე ალაყმალაყით ფრენა გამოვიარო და თანაც არ შემეძლოს სიტყვა წამოვაცრანტალო, პირგაკერილივით მუნჯად ვიყო და რაც გულზე ლოდივით მაწევს, იმაზე ხმის ამოღება არ შემეძლოს ეს ყოფა, მოწყალეო ბატონო, ვეღარ ამიტანია.

- შენი დარდი მესმის, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - დიდი სურვილი გაქვს მაგ ენას ყადაღა ავხსნა და უწინდებურად თავისუფლება მიცეცე; კარგი, ილაპარაკე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მატო ამ მთებში ყოფნის დროს გქონდეს მაგის ნება

- კეთილი, - უთხრა სანჩომ, - ოღონდ ახლა მოვიჯერო ლაპარაკით გული და შემდეგ რაც იქნება - მარტო ერთმა ღმერთმა უწყის. დასაწყისისათვის ვისარგებლებ თქვენი ნებართვით, გავკადნიერდები და გკითხავთ: ნეტა რისთვის გამოესარჩლეთ იმ ვიღაც დედოფალს, მაქიმასსა თუ ვიღაცა? ან იმის ცოდნა რა ეშმაკად გესაჭიროებოდათ, ვიღაც აბატი იყო მისი მეგობარი, თუ

სხვა? ღმერთმანი, მე რომ მკითხოთ, ყველას ის ემჯობინებოდა, თავი მიგენებებინათ, - აბა მისი მსაჯულობა რა თქვენი საქმე იყო, თქვენთვის რომ ყოფილიყავით, ის გიჟი კაცი თავის ამბავს ბოლომდის გვიამბობდა, აღარც თქვენ გთხლემდათ ქვას და აღარც ათიოდე სილა და ათიოდე წიხლი მე მომხვდებოდა.

- გარწმუნებ, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - შენ რომ ჩემსავით კარგად იცოდე, რა პატიოსანი და პატივცემული მანდილოსანი იყო დედოფალი მადასიმა, მჯერა, მაშინ გაგიკვირდებოდა, თუ როგორ მოვუთმინე, თავი შუაზე არ გავუხეთქე და ის პირი არ შევმუსრე, რომელმაც ასეთი საძაგელი ცილისწამება ამოანთხია. იმაზე საშინელი ცილისწამება განა შეიძლება, ვითომც დედოფალს ვიღაც უხეირო ექიმი ჰყვარებოდა? ისტორია გვამცნობს, რომ ელისაბატი - იმ გიჟმა კაცმა რომ ახსენა - გონიერი კაცი იყო და კარგი მრჩეველიც, რომ იგი მარტო ექიმი კი არა, არამედ დედოფლის ხელმძღვანელიც იყო. მაგრამ ის ფიქრი, ვითომც მას დედოფალთან სხვა რამ განსაკუთრებული განწყობილებაც ჰქონოდა, ასეთი ფიქრი სასტიკი სასჯელის ღირსი კადნიერებაა. დასარწმუნებლად რომ თვითონ კარდენიოს არ ესმოდა, რას ამბობდა, აბა მოიგონე: იმ სისულელის ჩმახვა რომ დაიწყო, რაღაც სწულდება სწორედ იმ დროს დაემართა.

- აბა, სწორედ მაგიტომაც არ უნდა მიგეციათ ყურადღება, - მიუგო სანჩომ, - გიჟს განა მოეთხოვება რამე? თქვენი ბედნიერი ვარსკვლავი რომ არ შეგწეოდათ და ის ქვა მკერდის მაგიერ თავში მოგხვედროდათ, მაშინ იმ ვიღაც მშვენიერი ქალის გამოსარჩლება ველარას გიშველიდათ, ახლა რომ თავისთვის დამშვიდებით მიწაში ლპება. კარდენიოს კი ვერაფერს გამორჩებით: ის ხომ გიჟია!

- გაიგე, სანჩო, რომ ამ შემთხვევაში კარდენიოს სიგიჟე თავის გასამართლებლად ვერ გამოადგებოდა. ხოლო მოგზური რაინდის მოვალეობაა როგორც ჰკვიანებისაგან ისე გჟებისაგანაც დაიცვას ყველა ქალთა ღირსება და პატივი, მით უმეტეს ისეთი მაღალი წოდების მანდილოსნის, როგორც დედოფალი მადასიმა იყო. დიდი პატივისცემა მაქვს მისი: იმას თავი დავანებოთ, რომ მეტისმეტად ლამაზი იყო. ამას გარდა ის იყო ჰკვიანი, მომთმენი და მრავალგვარი უბედურების იშვიათი სიმხნით ამტანი. აი სწორედ ასეთ დროს ელისაბატის სიახლოვე და რჩევა ბევრად შველოდა ბედის სიმუხთლე მტკიცედ და გონიერად აეტანა; ღვარძლიანმა მეჭორეებმა და უმეცრებმა აქედან დაასკვენეს, ვითომც დედოფალი მისი ხასა იყო. ამას ისე სცრუობენ, როგორც ათასჯერ იცრუებს ყველა, ვინც გაბედავს მაგვარი რამ იფიქროს, ანითქვას.

- მე მაგას არც ვფიქრობ და არც ვამბობ, - მიუგო სანჩომ. - და ვისაც ეგ ზღაპარი მოსწონს, თავის პურს შეატანოს. ერთად წოლილან თუ არა, ჩვენ რას დავსდევთ, მის პასუხს ღმერთს თვითონ გასცემს მე ჩემთვის ჩემი ზვრებიდან მოვდივარ, არც არა ვიცი-რა, არც ამაში ვერევი, სხვისა საქმეს არ შევეხები, და ვინც ჰყიდის და სცრუობს, მის დახლს თავის ქისაში ხედავს. შიშველი დავიბადე, შიშველადვე ვრჩები. არც არაფერს ვიგებ, არც არაფერს ვაგებ, ისევ საყვარლები იყვნენ, რა მენადვლება? განა ცოტანი არიან, რომ ლორი იქ ეგულებათ, სადაც იმის ჩამოსაკიდებელი კაჩოც კი არ არის! მინდვრის დაკეტვა ვის შეუძლია? ამასთანაც, რაც შეეხება ძრახვასა და კილვას, განა თვითონ ღმერთი კი არავის უგმია?

- ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო! - შეჰყვირა დონ კიხოტმა, - რამდენი სისულელე აასხი ერთმანეთზე? მაგ შენს ანდაზებს ჩვენს საუბართან რა კავშირი აქვს? სანჩო ღვთის გულისათვის ერთხელ და სამუდამოდ დადუმდი და მარტო შენი სახედარი გარეკე; იმ საქმეში ნუ ეჩხირები,

რასაც არა გკითხავენ, ყველა შენი ხუთი გრძნობა დაიხმარე და შეიგენ, რომ ყოველივე, რაც ჩამიდენია, რასაც ჩავდივარ და კვლავ ჩავიდენ, სრულიად თანახმა იქნება სადი გონებისა და სარაინდო კანონებისა, რაც მთელი ქვეყნის რაინდებზე უკეთესად ვიცი.

- არ ვიცი, ღმერთმანი, ბატონო, - მიუგო სანჩომ, - მაგ თქვენს სარაინდო კანონებში რა არის კარგი? მათი გადამკიდე არ შემოვეჩხირენით ამ მთებში, გზადაბნეულ ბავშვივით და ისეთ ალაგებში დავძრწივართ, სადაც გზისა ანუ რაიმე ბილიკის ნაკვალევაც კი არსად არის? ვილაც გიჟ კაცს ვეძებთ და თუ ვიპოვეთ, ვინ იცის, იმის გათავება მოეპრიანოს, რაც დაიწყო, რასაკვირველია, თავის ამბისა კი არა, თქვენი თავისა და ჩემი გვერდების მტკრევა.

- კვლავ გეუბნები, სანჩო, დადუმდი-მეთქი, - უთხრა რაინდმა, - შენ არ იცი, რომ ამ უდაბნოში არა მარტო გიჟი კარდენიოს ნახვა მიზიდავს, არამედ რაიმე ღვაწლის ჩადენის სურვილიც მაქვს, რომ სახელი გამითქვას მთელ ქვეყანაზე და ყველა ის თვისება დამისაკუთროს, რაც მოგზაურ რაინდებს შეესაბამება ან აღამაღლებს.

- მერე ეგ ღვაწლი საშიში არ არის? - ჰკითხა სანჩომ.

- არა, საშიში არ არის, - მიუგო დონ კიხოტმა; - მაგრამ ესეც კია, რომ შეიძლება კოჭი აღჩუხეც დაჯდეს. ეს ორივე შენს ხერხიანობაზე იქნება დამოკიდებული.

- რა ხერხიანობა ბრძანეთ? - გაოცებით წამოიძახა სანჩომ.

- იმაზე, რომ თუ იქიდან ჩქარა დაბრუნდები, სადაც გგზავნი, - განაგრძობდა დონ კიხოტი, - მაშინ ჩემი ტანჯვა ჩქარა დასრულდება და ჩემს დიდებას დასაბამი დაედება. მაგრამ შენთვის რომ ყველაფერი ცხადი იყოს, გეტყვი: შესანიშნავი ამადის გალელი ერთ-ერთი დიდებული მოგზაური რაინდი იყო, მაგრამ რას ვამბობ - ერთ-ერთი დიდებული-მეთქი? - არა, იგი იყო ერთადერთი, პირველი, სწორუპოვარი, იმ რაინდთა ხელმწიფე, ვინც კი ოდესმე ყოფილა ქვეყანაზე. და ვინც ამტკიცებს, რომ დონ ბელიანისი და ზოგიერთი სხვა ვითომც მას არ ჩამოუვარდებოდნენო, ღმერთსა ვფიცავ, სამარცხვინოდ ცდებიან. ახლა ისიც უნდა იცოდე, სანჩო, რომ, მაგალითად, მხატვარი თუ ცდილობს ხელოვნებით სახელი გაითქვას, მხოლოდ იმას მეცადინეობს საუკეთესო მხატვრების სურათებს მიჰბადოს. ყველა იმ ხელობაში, რაც კი ქვეყანას აღამაღლებს, ამასვე ვხედავთ. მიმბაძველობა ყველას მოვალეობაა, ვინც სახელის გათქმას ისწრაფვის. ჩვენს მოქმედებაში შეგვიძლია ულისს მივბადოთ, რომელშიც ჰომეროსმა გონიერი და უბედობაში მტკიცე ხასიათის კაცი, სწორედ ისე, როგორც ვირგილიუსმა ენეასში მამის ერთგული შვილის სიქველე და მამაცი ჯართწინამძღვრის გამჭრიახობა და სიბრძნე დაგვიხატა. ჰომეროსმაც და ვირგილიუსმაც იმგვარად კი არ დაგვიხატეს თავიანთი გმირები, როგორებიც ნამდვილად იყვნენ, არამედ ისეთებად, როგორებიც უნდა ყოფილიყვნენ, რადგან სურდათ მომავალი თაობისათვის დასრულებული სიქველის ნიმუში დაეტოვებინათ. ამადისიც სწორედ ასე, მამაც გამიჯნურებულ რაინდებისათვის იყო კომპასი, მანათობელი ვარსკვლავი და მზე. ამიტომაც ჩვენ ყველამ, რაინდობისა და მიჯნურობის დროშის ქვეშ მებრძოლთ, ყველაფერში მას უნდა მივბადოთ. ის რაინდი, რომელიც უფრო დაახლოებით მიბაძავს მას, სრული უებრო რაინდის სახეს უფრო მიუახლოვდება. ახლა იმას გეტყვი, რომ ღვაწლი, რაშიც უფრო ბრწყინვალედ იჩინა თავი ამადისის ღირსებამ, სიბრძნემ, მამაცობამ, სიმტკიცემ, მოთმინებამ, სიყვარულმა, - ეს ის ღვაწლი იყო რომ, როდესაც თავის სატრფოს ორიანეს სიძულვილი და უკმაყოფილება იგრძნო, პენია პობრეზე საცხოვრებლად განდგა, სინანული იკისრა, დაირქვა ბელტენებროსი, მრავალმეტყველი და იმ ცხოვრებისათვის მეტად

შესაფერისი სახელი, რა ცხოვრებასაც თავის ნებით კისრულობდა. რადგან ჩემთვის ამისი მიზამდა უფრო ადვილია, ვიდრე იმისა, რომ დევები ვხოცო, ანდრიაკებს თავები ვჭრა, დიდი ლაშქარი ვამარცხო, მტრის ფლოტილიები ვფანტო და ჯადოქართა გრძნეულება გავაქარწყლო, ამასთანავე ეს ადგილებიც თითქოს ტანჯვისათვისაა გაჩენილი, ამიტომ არ მინდა ეს მარჯვე შემთხვევა ხლიდან გავუშვა, სახელის გასათქმელად რომ თავისთავად გივარდება ხელში.

- ბოლოს და ბოლოს, მაინც ვერ გამიგია, ამ გადაკარგულ ადგილას რა უნდა ჩაიდინოთ? - ჰკითხა სანჩომ.

- განა არ გითხარ, მიუგო დონ კიხოტმა, - ამადისს მინდა მივბამო-მეთქი - შმაგს, სასოწარკვეთილს, გახელებულს და ბარემღაც სახელოვან როლანდსაც, სწორედ იმ წამიდან, როდესაც ჰკუა აერია, წყაროს პირს ხეებზე ნიშანი ნახა, რითაც მიხვდა, რომ ტურფა ანჯელიკამ მეღორე მეღორის შეყვარებით თავი გაიუპატიურა, და გაშმაგებულმა დაიწყო ფესვებიანად ხეების გლეჯა, ანკარა წყლის ნაკადულების ამღვრევა, მწყემსების ჟლეტა, ფარების მუსვრა, ქოხების გადაწვა, სახლების ნგრევა, თვის ტაიჭის თრევა და ათასგვარი საცხო ხსენების ღირსი დამთხვეულობა. რასაკვირველია, როლანდის, თუ ორლანდის, თუ როტოლანდის (ამ სამი სახელით არის იგი ცნობილი) ყველა გიჟურ საქციელს თითოეულად როდი მივბამავ; მხოლოდ ვეცდები, რამდენადაც კი შევიძლებ, ის გავიმეორო, რასაც უფრო საყურადღებოდ მივიჩნევ. იქნებ მარტო ამადისის მიზამვითაც გავათავო; იმას, სანჩო, რამე მავნებელი შმაგობა არ ჩაუდენია, მხოლოდ სტირი. და, იტანჯებოდა და ამით ისეთ დიდებამდე მიაღწია, რომ სხვას არავის ღირსებია.

- მგონია, ეს გაგიჟებული და ტანჯული რაინდები, უთხრა სანჩომ. - რამე განსაკუთრებული გარემოებით და მიზეზებით იქნებოდნენ ყველა ამ სისულელემდე მიყვანილი. თქვენ კი, მოწყალეო ბატონო, რა მიზეზით უნდა გაგიჟდეთ რომელი ქალი გაგიწყრათ? ან რა საბუთი გაქვთ, რომ თქვენ მიწვეულ დულსინეა ტობოსელს რაიმე შეცოდება დასწამოთ, რომ მას ვინმე ქრისტიანთან ან მავრთან ჩურჩურ-კურკურა დაეწყოს?

- საქმეც ეგ არის, რომ არაფერი საბუთი არა მაქვს, - მიუგო დონ კიხოტმა, - განა დიდი რამ იქნებოდა, მოგზაური რაინდი რაიმე მიზეზით ჰკუაზე შემცდარიყო! საქმე ის არის, იგი სულ უმიზეზოდ შეცდეს ჰკუაზე, რომ შემდეგში თავის გულის სატრფოს უთხრას; თუ ყველა ეს უმიზეზოდ ჩავიდინე, აბა, წარმოიდგინე, მიზეზი რომ მქონოდა, რაღას ვიზამდიო? ამასთანაც ჩემი სატრფო მბრძანებელის დულსინეა ტობოსელის ხანგრძლივი განშორება გაგიჟებისა და ტანჯვისათვის განა საკმაო მიზეზს არ მაძლევს? ხომ გაიგონე ამას წინათ ჩვენი მეგობარი მწყემსი ამბროსიო რომ ამბობდა, განშორებულს ყველაფრის შიში აქვსო, ყველაფრით იტანჯებაო. ამიტომაც, ჩემო საყვარელო სანჩო, დროს ცუდ-უპრალოდ ნუ კარგავ და ნურც სიტყვებს ჰკარგავ, ნუ მირჩევ, ასეთი საკვირველი და არ გაგონილი საქმის მიზამვაზე უარი ვყო. გიჯი ვარ და გიჟადაც უნდა დავრჩე, ვიდრე არ დაბრუნდები და იმ წერილის პასუხს არ მომიტან, ჩემს სატრფო დულსინეასთან რომ მიწერას ვაპირებ. თუ პასუხი ჩემი იმედების შესაფერი იქნება, ჩემი სიგიჟე და სინანული მისი მიღებისთანავე მოისპობა; თუ არა და - მაშინ ვაპირებ მართლა გავგიჟდე და გონება მთლად დაეკარგო. მაშ, აგრე, სანჩო, როგორი პასუხიც არ უნდა მომიტანო, იგი მაინც მოსპობს ჩემთა ტანჯვათა. კეთილი იქნება, დამამშვიდებს და გონებას დამიბრუნებს; უკეთური იქნება - გრძნობის ნიჭს გამომაცლის და ტანჯვასაც ვეღარ გავიგებ. მართლა, ერთი მითხარი, მამბრინის ჩაჩქანს ხომ კარგად ინახავ? იმ უმადლო ტუსაღს



რომ მისი დამსხვრევა ეწადა და ვერ შეიძლო, მახსოვს მიწიდან აიღე. რა საღად დამტკიცდა, რომ შესანიშნავი ჩაჩქანია, ჩინებულად და მკვიდრად ნაკეთები.

- შემოქმედსა ვფიცავ, ბატონო მწუხარე სახის რაინდო, თქვენი პატიოსნება რასაც ხანდახან ბრძანებს, ზოგიერთი რამ სულ ვერ მომინელებია მართალი რომ ვთქვა, ლამის მეგონოს, რასაც იმ რაინდობაზე ბრძანებთ, ან მომავალი იმპერიებისა და სამეფოების დაპყრობაზე, კუნძულების გამოყენებაზე და სხვა ბატონ რაინდების ზნის შესაფერ წყალობასა და სიუხვეზე, ყველა ეს მხოლოდ ბაქიბუქი და სიცრუე ყოფილა, იმიტომ, რომ ვინმემ თუ გაიგონა, რომ სადალაქო თასს მამბრინის ჩაჩქანს ეძახით და ისიც გაიგო, რომ მთელი ხუთი დღეა ვერა გზით ვერ დამირწმუნებინართ მაგ შეცდომაში, მართლა ჭკუაზემშლილად ჩავთვლოდათ. ის თასი მთლად დაგრეხილ-დაჭყლეტილია და ხურჯინში მიგდია; ვფიქრობ, შინ წავიღო-მეთქი, გავასწორებინო და პირის საპარსავად ვიხმარო ხოლმე, თუ ღმერთი შემეწია და კიდევ როდისმე ჩემს ცოლ-შვილში დაბრუნება მეღირსა.

- გამიგონე, სანჩო, სწორედ მეც იმავე შემოქმედსა ვფიცავ, შენ რომ ფიცულობ, რაცრქვეყანაზე საჭურველმტვირთველები ყოფილან, ყველაზე მოკლე ჭკუისა ხარ. აბა რასა ჰგავს? იმდენი ხანია მემსახურები და აქამდისაც ვერ შეიგნე, რომ რაც მოგზაურ რაინდს გარს ახვევია, ყველა ზმანებად, სისულელედ და უცნაურ რამედ ეჩვენება ადამიანს. მის გარშემო ყველაფერი უკუღმა ხდება; და ეს იმიტომ კი არ არის, ვითომ ნამდვილად ასე ხდებოდეს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მთელი თვალთმაქცთა ბრბო დაუცხრომლად მოქმედებს, ყველაფერს ყირამალა ატრიალებს, ყველას უჩვეულო სახეს აძლევს, იმისდა კვალად, რასაკვირველია, ჩვენი ვნება სურს, თუ მფარველობა. აი ამიტომაც არის, სანჩო, რომ იმ ნივთს, შენ რომ დალაქის თასად გეჩვენება მე მამბრინის ჩაჩქანად ვხედავ, სხვა კიდევ ამას სულ სხვა ნივთად დაინახავს. ჩემი მფარველი გრძნეულის მხრივ დიახ ბრძნული წინდახედულება იყო - შესანიშნავი მამბრინის ჩაჩქანი, - დიახ, ვამტკიცებ, იგი ნამდვილად მამბრინის ჩაჩქანია, - მთელს ქვეყანას დალაქის თასად მოაჩვენა: ასე რომ არ ექნა, იმ დაუფასებელი ნივთის წასართმევად მთელი ქვეყანა დამესეოდა. ახლა კი ზედაც არავინ უცქერის, იმ უმაქნისმა ტუსაღმაც კი მხოლოდ მისი დამტვრევა განიზრახა და არ წაიღო. მას რომ სცოდნოდა, რა დაუფასებელი ნივთი იყო, ვეჭვობ, ხელცარიელი წასულიყო. მაშ, ჩემო მეგობარო, მაგ ჩაჩქანს გაუფრთხილდი, კარგად შეინახე; ახლა ჩემთვის საჭირო არ არის, პირიქით, იარაღიც უნდა ავიყარო და ტანისამოსიც უნდა უარეყო, თუ, როლანდის მიბაძვას ამადისის დიდი ტანჯვა-მწუხარების მიბაძვა ვარჩიე.

ჩვენი ფათერაკების მაძებარნი ასეთი ლაპარაკით ერთ განცალკევებით ამართულ მთას მიადგნენ; ამ მთას ერთ ალაგას ცხვირწამოწვდილი კლდე ჰქონდა. მის ფერდობზე წყარო მოჩხრიალებდა, ხოლო გარშემო ხავერდის ხალისებრ მწვანე ველი გაშლილიყო, ზედ ხეები და მინდვრის ყვავილები მოჰფენოდა და ეს უფრო მეტად ამშვენებდა იმ ადგილს. მწუხარე სახის რაინმა დაბინავება და სინანული აქ მოისურვა. დაინახა თუ არა ეს ადგილი, თავი ფიცხლავ მთლად გიჟად ჩათვალა და ხმამაღლა დაიყვირა:

- ჰოი, ზენაო! აი ადგილი, სადაც ჩემი ბედის დასატირლად ვრჩები! აი ადგილი, სადაც ჩემი ცრემლები მთის პატარა ნაკადულს თავს გადაეფინება და ოხვრანი ამ უდაბნოს ხის ფოთლებს დაუცხრომლად შეარხევენ იმ დიდი მწუხარების აღსანიშნავად, ჩემს განდევილო გულს რომ შუაზე მიჰობს. ჰოი, თქვენ ვინც უნდა იყოთ, ამ უდაბნოთა მცხოვრებნო ძალნო, უსმინეთ იმას, რომელი მოვალ, რათა ხანგრძლივი განშორება და აჩემებული ეჭვიანობით გაჩენილი სულისკვეთება შემოგჩივლოთ... უსმინეთ იმ გულს, რომელი მოდის, რათა უბადლო

მშვენიერის სისასტიკეზე იმწუხაროს, იმ მშვენიერისა, ამქვეყნიური სილამაზის ხატებად რომ გაჩენილა. თვენც, ტყისა და ველის ფერიებო, საცხოვრებლად რომ მთების გული აგირჩევიათ, თქვენს ტკბილ მყუდროებას ამიერიდან უკუნისამდე ნუ შეაკრთობენ თქვენდა ურგებად მალმერთებელნი მკვირცხლნი, ავხორცი და ტკბილ ვნებიანი სატირნი. მხოლოდ მომეცით ღონე ჩემთა ტანჯვითა სიღრმე განგიცხადოთ, ან ის მაინც ქენით, არ განმარიდოთ და სამწუხარო ჩემი მოთქმანი მოისმინეთ ჰოი, დულსინეა ტობოსელო! დამისა შუქო, ჩემთა ტანჯვათა დიდებავ, ჩემი ბედნიერების გზის მაჩვენებელო ვარსკვლავო! ეგრემც უცვლელად გიცისკროვნოს შენ ზეცის შუქმა, ეგრემც ზენაარსი შენს სურვილებს დაყოვნებლივ აგისრულებდეს, შენნი თვალნი იქით მოიღე, სადაც შენმა განშორებამ მომიყვანა და გეაჯები, მწყალობელო, მოიღე საბოძვარი ჩემი ესდენი ერთგულებისათვის! ჰოი, თქვენ, ხენო უდაბნოსანო, ამიერიდან ჩემი ობლობის მოზიარენო, თქვენი ფოთლების ტკბილმა შრიალმა მითხრას, თუ ჩემი ობლობა არ გესიამოვნებათ! შენცა, ჩემო ერთგულო საჭურველმტვირთველო, ბედსა და უბედობაში ჩემო განუყრელო თანამგზავრო, კარგად დაიხსომე, რასაც აქ ჩავიდენ, და ჩემი მწუხარების მიზეზსა და საგანს სავესებით გარდაეც და ამცნე ყველაფერი!

ეს რომ თქვა, როსინანტიდან ჩამოხტა, საჩქაროდ უნაგირი და აღვირი მოხსნა, გავაზე ხელის მოცაცუნებით მიუალერსა და უთხრა:

- თავისუფლება მიიღე მისგან, ვინც თვითონ დაჰკარგა თავისუფლება. ჰოი, მერანო, შენი საქმეებით ეგოდენ სახელოვანო, რამდენადაც ხვედრიდან უბედური ხარ! შენს ჩინებულ შუბლზე სწერია, რომ სიმკვირცხლე-სიმსუბუქეში ვერავის დაუჯაბნიხარ: ვერც ასტოლოფის ჰიპოგრიფს, ვერც შესანიშნავ ფრონტინს, ბრადამანტს რომ ეგოდენ ძვირად დაუჯდა. ახლა, ჩემო მერანო, იარე შენს ნებაზე, სადაც შენმა სურვილმა წაგიყვანოს.

ხოლო სანჩომ ეს რომ დაინახა, წამოიძახა:

- ნეტა არ იქნებოდა, ახლა ჩემი სახედარიც აქ ყოფილიყო; მისთვისაც ხომ ცოტაოდენ ქებას და აღერსს არ დაიშურებდით. მაგრამ მისი კურტნის მოხსნის ნებას კი არავის მივცემდი; ან კი რისთვის? რა მიჯნურებისა და ტანჯულებისა სცხელა მის პატრონს, თვითონ მე რომ ვარ, რომელსაც, ვიდრე ღმერთი შველოდა, არც როდისმე ყვარებია და არცა ტანჯულა! მოწყალო ბატონო, თუ ტანჯვას ემზადებით და ჩემი გაგზავნა გწადიათ, სასაცილოდ კი ნუ გაგზავნით; ურიგო არ იქნება, როსინანტი ისე შეჰკაზმით, რადგან ფეხით თუ წავალ, ვინ იცის, როდისღა დავბრუნდები, სიარულში უხეირო ვარ.

- რაც გესურვოს ისა ჰქენ, - მიუგო რაინდმა, - შენს განზრახვას არა ვკიცხავ. სამ დღეს უკან წახვალ, ამ ხანებში კი დულსინეას სადიდებლად რასაც ჩავიდენ და ვიტყვი, მოწმედ უნდა დაესწრო და ყველაფერი იმას გადასცე.

- რაც ვნახე იმაზე მეტი რაღა უნდა ვნახო? - ჰკითხა სანჩომ.

- ჯერ სადა ხარ? სანახავი კიდევ ბევრი გაქვს, - მიუგო დონ კიხოტმა. - განა ტანისამოსი არ უნდა შემოვიხიო და იარაღი არ გადავყარო? განა რამდენჯერმე ამ კლდეზე მალაყს არ უნდა გადავიდე, თავი ქვეშ არ ვახალო, და კიდევ სხვა საკვირველი საქმე რამ არ უნდა ჩავიდინო?

- ოღონდ ამას გთხოვთ, ღვთის გულისათვის, ამ ქვეშე მალაყებს ცოტა ფრთხილად გადადით, - უთხრა სანჩომ; - შეიძლება გადავარდეთ და ისეთ ქვაზე დაეცეთ, რომ თქვენი ტანჯვები

პირველსავე მალაყზე დაასრულოთ. თუ თქვენთვის ეს მალაყები და შუბლით ქვებზე ხეთქება ძალიან საჭიროა, და თუ მთელი ეს ისტორია მთლიანად სიყალბე, ტყუილი და კომედიაა, უკეთესი არ იქნებოდა წყალში ან ბამბასავით რბილ რამეზე გემალაყნათ? ხოლო მე ქალბატონ დულსინეა ტობოსელს მოვახსენებდი, რომ თქვენს მალაყებს სულ აღმასივით მაგარ კლდეებზე გადადიოდით.

- მაგ კეთილ რჩევისათვის გმადლობ, ჩემო მეგობარო სანჩო, მაგრამ იმასაც გეტყვი, რომ ყველა ის, რაც აქ მწადია ჩავიდინო, სერიოზული იქნება და არა ხუმრობა და სასაცილო რამ. ასე რომ არა ვქნა, სარაინდო კანონებს შევლახავ, კანონები ყოველგვარ სიცრუეს გვიკრძალავენ და ამის სასჯელად გადაყენებით გვემუქრებიან; ერთის მაგიერ მეორის ქმნა კი იგივე სიცრუეა. ამიტომაც ჩემი მალაყები და ქვაზე თავისხეთქება ნამდვილი უნდა იყოს და არა მოჩვენებითი. მგონია, იარების შესახვევად ცოტაოდენი ნაძენძი დამჭირდება, რაკი ბედს ენება ჩემი ბალზამი დამკარგოდა.

- ყველაზე უარესი ის იყო, რომ სახედარი დაგვარგეთ, - წარმოთქვა სანჩომ, - იმიტომ, რომ ნაძენძიც მას გაჰყვა და ყველა ჩვენი ქონებაც. მაგრამ ბატონო, ღვთის გულისათვის, იმ რაღაც საეშმაკო სასმელს ნულარ მოიგონებთ ხოლმე, მის მოგონებაზე გულმუცელი მეწვის და მერვეა. ამასაც გთხოვთ; ალაცმალაყის საცქერლად რომ სამი დღე ჩემი აქ დატოვებ გნებავთ, უკვე გავლილად ჩავთვალთ; ღმერთმანი, ასე მგონია, კიდევ ვნახე-მეთქი მალაყები. ისეთ სასწაულებს ვუამბობ თქვენს მბრძანებელს ქალს, მეტი აღარ შეიძლებოდეს, ბარემდა წერილის დაწერა დაიშურეთ, და ჩქარა გამგზავნეთ. მეტისმეტად მინდა სალხინებლიდან ჩქარა გამოვიხსნათ, ახლა რომ გტოვებთ.

- სალხინებელიო? არა, სანჩო, ეს ჯოჯოხეთია, - თქვა დონ კიხოტმა, - ჯოჯოხეთზედაც უარესია. თუ კი ქვეყანაზე უარესი არისლა რამე.

- არა, ბატონო, ვინც ჯოჯოხეთში ჩავარდება - შენიშნა სანჩომ, ასე ამბობენ, იმასათვის ნულლა ესტ რეტენტო.

- არ მესმის, რას ნიშნავს, რეტენტო, - უთხრა დონ კიხოტმა.

- ლეტენტო ნიშნავს იმას, რომ ვინც ჯოჯოხეთში ჩავარდება, უკუნითი უკუნისამდე იქ უნდა დარჩეს, - მიუგო სანჩომ, - თქვენ კი, ბატონო, აქედან უნდა აიბარგოთ, ასე თუ არ იყოს, მაშე ეს როსინანტის ამაჩქარებელი ფეხის ქუსლები გამიხმეს. ახლა კი ქალბატონ დულსინეასთან გამგზავნეთ ტობოსოში. თქვენს სიგიჟესა და გადარევაზე (რაც ერთი და იგივეა) ისეთი რამეები ვუამბო, რომ თათმანზე რბილი გავხადო იგი, თუნდა კუნძოვით მაგარიც დამხვდეს, იქიდან თქვენთან მისანივით ჰაერში მოვფრინდები თაფლივით ტკბილი პასუხით და ამ სალხინებლისაგან გამოვიხსნით; ღვთის მადლით თქვენც დამეთანხმებით, რომ ასეთი სალხინებლისაგან გათავისუფლება შესაძლებელი საქმეა, რადგან თქვენ როდი კარგავთ იმედს აქედან თავი დაიხსნათ, ხოლო, როგორც მოვახსენეთ, ცოდვილებს ჯოჯოხეთში ეს იმედი აღარა აქვთ და, ვფიქრობ, თქვენს მოწყალეებასაც არაფერი ექნება ჩემი გასამტყუნებელი,

- მართალს ამბობ, სანჩო, - მიუგო მწუხარე სახის რაინდმა, - მაგრამ წერილი როგორ დავწერო?

- ამ მოგონებაზე, ჩოჩრების ბარათიც არ დაგავიწყდეთ, - დაუმატა სანჩომ.

- არ დამავიწყდება, მასაც ჩავურთავ, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაგრამ რადგან ქაღალდი არა გვაქვს, ურიგო არ იქნება ძელთა ჩვეულებას მივბადო და ხის ფოთლებზე დავწერო, ან ცვილის ფირფიტაზე, მაგრამ, რომ არც ერთი გაგვაჩნია და არც მეორე? მართლა, კარგა მომავონდა; კარდენიოს დაკარგული უბის წიგნაკის ფურცლებზე დავწერ და შენ კი პირველსავე სოფელში ერთ ფურცელ კარგ ქაღალდზე სოფლის მასწავლებელს ან დიაკონს ლამაზი ხელით გადააწერინებ, მაგრამ არამცა და არამც სოფლის მწერალს არ დააწერინო, თორემ ისე გადაბმულად წერენ, მათს იკლიკანტურ ნაწერს თვითონ ეშმაკიც ვერ გაიგებს.

- მერე თქვენს მაგიერ ხელს ვინ მოაწერს? - ჰკითხა სანჩომ.

- ამადისი თავის წერილებს ხელს სულ არ აწერდა, - მიუგო დონ კიხოტმა.

- თქვენი ნებაა, ეგრე იყოს, - უთხრა სანჩომ; - მაგრამ ჩოჩრების ბარათი კი უთუოდ ხელმოწერილი უნდა იყოს; ის რომ გადავაწერინო, მეტყვიან, ხელმოწერა ყალბიაო, და ცარიელს დამტოვებენ.

- ყველაფერი უბის წიგნაკში იქნება დაწერილი და ხელმოწერილიც, - უთხრა დონ კიხოტმა; - ჩემს დისწულს უჩვენებ და ისიც უარის უთქმელად აასრულებს. სამიჯნურო წერილზე კი ასე მოაწერინე: "სიკვდილამდის თქვენი მწუხარე სახის რაინდი". არა უშავს-რა, რომ სხვისი ხელით იქნება ხელმოწერილი. თუ არ ეცდები, დულსინეამ არც კითხვა იცის და არც წერა, ჩემი ნაწერიც არასოდეს არჩ უნახავს. ჩვენი სიყვარული მუდამ პლატონური იყო, მხოლოდ, როცა იშვიათად დავინახავდით ერთმანეთს, თვალს ჩავუკრავდით ხოლმე, ისიც შორიდან; დამშვიდებული სინდისით შემიძლია დავიფიცო, რომ თუმცა თორმეტი წელიწადიცაა, რაც ის ჩემს თვალთა გუგაზე უმეტესად მიყვარს, ოდესმე რომ მიწის მატლები ისაზრდობენ, - მაინც ოთხჯერ მეტად არ მინახავს; ამოთხ ნახვაზე იქნება ერთხელაც არ შეუძნევეა ჩემი ცქერა: ისე მოკრძალებით და ქვეყნისაგან მოშორებით აზარდეს მისმა მშობლებმა - მამამ - ლორენსო კორჩუელომ და დედამ - ალდონა ნოგალესმა.

- რასა ბრძანებთ? - შეჰყვირა სანჩომ, - მაშ ეგ თქვენი დულსინეა ტობოსელი ლორენსო კორჩუელოსი და ალდონსა ნოგალესის ქალია? მას ხომ ალდონსა ლორენსოს ეძახიან!

- სწორედ ის არის და იმ ბედის ღირსიცაა, რომ მთელი ქვეყნიერების დედოფლად შეიქნას, - მიუგო დონ კიხოტმა.

- კარგად ვიცნობ, - უთხრა სანჩომ. - და უნდა მოგახსენოთ, ბარას ტყორცნაში ისეა გამოჯეჯგილი, რომ არც ერთ სოფლის ბიჭს არ დაუვარდება. ჩემმა ძემ, კაი ზორბა გოგოა, ჯანსაღი, ღონიერი, ერთი სიტყვით, ისეთია, რომ ყველა მოგზაურ რაინდს, ვინც კი თავის მბრძანებელ მიჯნურად გახდის მას, სწორედ ასლად მოუვა და წვერებით ტალახიდან ამოათრევს! დალაზვროს ღმერთმა, მერე რა ზორბა გულ-მკერდი აქვს; ახლა, ხმა აქვს ისეთი, რომ ერთ რამედ ღირს. ერთხელ როგორღაც სამრეკლოზე ავიდა და ისეთი ხმით დაუძახა მინდორში მომუშავე მამამისის მოჯამაგირეებს, რომ თუმცა ისინი სოფლიდან ნახევარ მოლზე იყვნენ, ისე გარკვევით გაიგონეს, თითქოს სამრეკლოს ძირში არიანო. კარგი კიდეც ესა სჭირს, ჰკვიანი გოგოა, არც ავზნიანი არის და არც იპრანჭება; ყველას ემასლაათება, ყველას უცინის, ისე რომ, თამამად შემიძლია მოგახსენოთ, ბატონი მწუხარე სახის რაინდო: სწორედ რომ სათქვენოა, ღმერთსა ვფიცავ, მიხი გულისათვის არა მარტო უნდა გაგიჟდეთ, არამედ სასოწარკვეთილებით თავიც კი ჩამოიხრჩოთ; ვინც მაგას შეიტყობს, ყველა იტყვის, კარგად

ჩაუდენიაო, შემდეგ თუნდაც ეშმაკებმა ჯოჯოხეთში წაგიღონ. რომ იცოდეთ, რარიგად მინდა ახლა გზას ვადგე, რომ ის თქვენი სატრფო ჩქარა ვნახო; კარგა ხანია, აღარ მინახავს; ვინ იცის, რარიგად გამოიცვალა, ან კი როგორ არ გამოიცვლებოდა? თვითონაც კარგად იცით, ბატონო, რომ იმაზე ძალიან არა აფუჭებს-რა ქალის ელფერს, როგორც მუდამ მინდორში, მზესა და ქარში ყოფნა. ეს ხომ ასეა, მაგრამ მაინც მართალი უნდა მოგახსენო, - განაგრძო სანჩომ, - რადგან აქამდის არ ვიცოდი, ის თქვენი მიჯნური ქალი დულსინეა ტობოსელი ვინ იყო, ჩემი ალალი გულით სულ იმას ვფიქრობდი, უთუოდ მეფისა, ან სხვა ვინმე დიდკაცის ქალი იქნება მეთქი. რაკი ვხედავდი, რომ სულ ისეთ ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდით, მაგალითად: საბრალო ბისკაელს, ტუსაღობიდან გათავისუფლებულ კატორღელებს და კიდევ მრავალ სხვას, როგორც მრავალი იყო თქვენი გამარჯვება, იმ დროს მაინც, როდესაც მე ჯერ თქვენ საჭურველმტვირთველად ყოფნის ბედნიერება არ მქონდა. ახლა ერთი ეს მიბრძანეთ, ბატონო, იმ ალდონსა ლორენსოს, ან თქვენებურად დულსინეა ტობოსელს, რა ეშმაკად ეჭირება მუხლმოდრეკილი ბისკაელი ან სხვა თქვენი დამარცხებული ვიღაც-ვიღაცეები? რაში უნდა გამოიყენოს? მერე, თუ იმ დროსაც მიადგენ, როდესაც ქალი სელსა წეწავს ან ხორბალსა ცხრილავს; ერთიც ვნახოთ, ასეთი დედოფლის ხლება იმ ბატონებმა იწყინონ და გაწყინენ კიდევ, მან კიდევ პირში სიცილი მიაყაროს იმათ და ამგვარი საჩუქრებისთვის კიდევ გაგიწყრეთ.

- სანჩო, რამდენკერ მითქვამს შენთვის, - უთხრა დონ კიხოტმა, - რომ დიდი ყბედი ხარ-მეთქი და სხვა არაფერი; მაგ შენი ფუყე ჭკუით მახვილობასა და ხუმრობასაც კი ბედავ. ერთხელ და სამუდამოდ რომ დაგარწმუნო, თუ შენ რაოდენ სულელი ხარ და მე რაოდენ გონიერი, ერთ პატარა ზღაპარს გაიბოზო: იყო ერთი ახალგაზრდა, მშვენიერი, მდიდარი, გონიერი, თავისუფალი და უმეტესად ქეიფის მოყვარული ქვრივი. მან ერთი ყმაწვილი და, როგორც იტყვიან, ზორბა ბიჭი შეიყვარა. ეს ამბავი გაიგო აბატმა და ერთხელ მამობრივი დარიგების კილოთი უთხრა კეთილ ქვრივს: "სენიორა მიკვირს, და არც თუ უსაბუთოდ, რომ თქვენისთანა გვარიშვილმა, მშვენიერმა და მდიდარმა ქალმა ისეთი ბინძური, ხეპრე და სულელი გლეხკაცი შეიყვარეთო; სახლში იმდენი ექიმი გახვევიათ, იმდენი მეცნიერი და ღვთისმეტყველი, რომ მის მეტი არა დაგჭირდებოდათ-რა, ერთი აგერჩიათ, როგორც ასს მსხალში ერთს აირჩევს ხოლმე ადამიანი და ამბობს: აი ეს მოწონსო". ამაზე გონებაგამჭრიახმა ქვრივმა თამამად და მოსწრებულად უპასუხა: "თქვენი მოწყალება, ჩემო ბატონო, ძალიან ცდება, და როგორც ვხედავ, ისევ ძველებურად სჯის, თუ ჰგონია, ცუდად მიქნია, ის სულელი რომ შევიყვარე; რა მეცნიერებაც მე მესაჭიროება, იმ მეცნიერებაში ის თვით ფილოსოფოს არისტოტელეზედაც მეტი მცოდნეაო". მეც სწორედ ასე გეტყვი, სანჩო რისთვისაც დულსინეა ტობოსელი მინდა, იმაში იგი მთელი ქვეყნის დიდ გვაროვან სეფეპალებსაც არ დაუვარდება. როდი უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტებისაგან ყველა ნაქები ქალი იმათი საყვარლები ყოფილიყვნენ. იქნება გგონია, ყველა ის ამარილისები, ფილისები, სილვეები, დიანები, გალათეები, ფილიდები და სხვანი ამგვარნი, რითაც სავსეა ჩვენი წიგნები, შაირები, რომანსები, სადალაქოთა თაროები და თეატრები, - ცოცხალი ძვალ-ხორციანი არსებანი მათ მაქებარ პოეტთა სატრფონი ყოფილიყვნენ. სულაც არა. ისინი მხოლოდ პოეტთა წარმოდგენაში ცოცხლობდნენ, მათი შაირების საგანს შეადგენენ, რომ თავი მიჯნურად გამოეჩინათ ან მიჯნურობის ნიჭის მქონედ მაინც! ამიტომ ჩემთვის ისიც საკმაოა წარმოვიდგინო და მჯეროდეს, რომ ალდონსა ლორენსო ჭკვიანიც არის, მშვენიერიც და პატიოსანიც. რაც შეეხება მისი გვარეულობის სიწმინდეს, ამას რას დავებებ, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, მონაზონის კაბით ხომ არ ვაპირებ შევმოსო იგი. ამიტომ მისი დიდი გვარეულობის ცნობები ჩემთვის საჭირო არ არის და შემიძლია, თავი

სრულებთ დავირწმუნო, რომ იგი ყველა სეფექტალზე უადრესი შთამომავლობისაა. ორი ღირსებაა ისეთი, სანჩო, რომ ადამიანს თავს აყვარებს: სილამაზე და კარგი სახელი, ეს ორივე კი დულსინეას დიახ, უხვადა სჭირს, სილამაზეში მას ვერავინ შეედრება და სახელითაც ცოტა მეგულგა, რომ ისეთი კარგი სახელი ჰქონდეს, როგორც მას. სიტყვა რომ არ გავაგრძელო, ამასლა დავძენ: ჩემი მიჯნური ქალი როგორადაც მსურდა, ისეთად წარმოვიდგინე, ისეთი სიმშვენიერე და გარეგნობა მივეცი, რომ მასთან ვერც ელენე, ვერც ლუკრეცია, ვერც ძველი რომისა, საბერძნეთისა და ბარბაროსთა ყველა ქებული ქალი ფეხს ვერ გაიწვდიან. დაე, ამაზე ვისაც რა უნდა, ისა თქვას: უმეცარნი დამძრახავენ, გონიერმა მაინც იქნებ სხვარიგად შეხედოს საქმეს.

- ისლა დამრჩენია მოგახსენოთ, - უთხრა სანჩომ, - რომ თქვენ, ბატონო, მართლაც ყველაფერში ბრძენი ბრძანდებით და მე კი ნამდვილი ვირი ვყოფილვარ. დალახვროს ღმერთმა, ეს სიტყვა რა სულ ენახე მიტრიალებს? განა ჩამომხრჩვალის სახლში თოკი უნდა ახსენოს კაცმა? თქვენსა მზეს, მიბოძეთ წერილი და გზას გავუდგები.

ამის პასუხად დონ კიხოტმა კარდენიოს უბის წიგნაკი აიღო, განზე გადგა და მეტისმეტი დადინჯებით წერილის წერა დაიწყო. როცა გაათავა, სანჩოს უთხრა. წაგიკიოხავ, რომ ზეპირად კარგად დაისწავლო და, ვინიცობაა გზაზე დაჰკარგო, შეგედლოს გადამწერს სიტყვაშეუცვლელად დააწერინო. რაინდისათვის რომ გეკითხათ, ისეთ უბედურ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, რომ ასეთი მარცხი მისთვის ადვილი მოსალოდნელი იყო.

- ისე ჯობია ორჯერ ან სამჯერ ჩაწეროთ მაგ წიგნაკში, - მიუგო სანჩომ, - ნუ შეწუხდებით, არ დავკარგავ. ზეპირად კი ერთ სიტყვასაც ვერ დავისწავლი - ამის იმედი ნუ გექნებათ. ისეთი უხეირო მეხსიერება მაქვს, რომ ხშირად ჩემი სახელი და გვარი მავიწყდება ხოლმე. მაინც წაიკითხეთ, ძალიან მინდა შევიტყო, რა დაწერეთ, სწორედ დაბეჭდილივით კარგი იქნება.

- მამ ყური დაუგდე, თუ რა დავწერე, - უთხრა დონ კიხოტმა.

დონ კიხოტის წერილი დულსინეა ტობოსელთან

ჩემო დიდო მბრძანებლო ხელმწიფეო!

კიდევანობის მწვავე ისრებით გვემული, შიგ გულში დაკოდილი რაინდი, ჰოი უდულსინეასო დულსინეა ტობოსელო, კარგამყოფობას ვისურვებ შენთვის, რომელსაც თვითონ მთკლებული ვარ. თუ შენი მშვენება განმარინებს, თუ შენნი ღირსებანი შენი რაინდისათვის გაუქმდებიან, თუ შენი გულგრილობა ჩემს მწუხარებას ხანგრძლივ ჰყოფს, მაშინ, დიდი ხნის ტანჯვით ისეც შეწუხებულს, კვლავ ახალი და არა თუ უფრო ძლიერი, არამედ უფრო ხანგრძლივი ტანჯვა მომელის. ჩემი კეთილი საჭურველმტვირთველი სანჩო დაწვრილებით მოგიტხრობს, ჩემო სათაყვანებლო მტერო, ულმობელო მშვენიერებავ, რასაც შენი გულისათვის ვითმენ. თუ ხელს აღმიპყრობ, შენი ვარ, თუ არა და, იყოს ნება შენი, - სიცოცხლეს მოვისპობ და ამით ჩემს სურვილსაც ავისრულებ და შენს სიმკაცრესაც დავაკმაყოფილებ.

სიკვდილამდის შენი

მწუხარე სახის რაინდი.

- მამიჩემის სიცოცხლესა ვფიცავ, - წამოიძახა სანჩომ, - ასეთი მშვენიერი წერილი ჯერ არსად წამიკითხავს! დასწყევლოს ეშმაკმა! რის თქმაც გინდათ, რა მშვენივრად ბრძანებთ ყველაფერს, რა მშვენივრად უხდება ეგ ხელმოწერა: მწუხარე სახის რაინდი. სწორედ ეშმაკვით ყველაფერი გცოდნიათ, ჩემო ბატონო.

- ეგ იმიტომ, რომ ჩემს წოდებაში ყველაფერი უნდა ვიცოდე, - მიუგო დონ კიხოტმა.

- ახლა, მოწყალეო ბატონო, უკანა გვერდზე სამი ჩოჩორის ბარათიც ზედ დაურთეთ, - განაგრძო სანჩომ, - და რაც შეიძლება გარკვევით მოაწერეთ, რომ თქვენი ხელი ფიცხლავ იცნონ.

- სიამოვნებით, - უპასუხა დონ კიხოტმა, ბარათი საჩქაროდ დაწერა და სანჩოს შემდეგი წაუკითხა:

კეთილ ინებეთ, ჩემო დისწუდლო, და ამ ნომერ პირველი ასიგნობის მომტანს, ჩემს საჭურველმტვირთველს სანჩო პანსას, იმ ხუთი ჩოჩრიდარ, თქვენს მზრუნველობას რომ დავუტოვე, სამი ჩოჩორი უბოძეთ. ვბრძანებ, იგი სამი ჩოჩორი ზემორეაღნიშნულ სანჩოს უნდა მიეცეს თანაბარ საფასურად იმ ფულის ჯამში, რაც მან მე სრულიად ჩამაბარა; ამ ბარათზე მისგან ჩამორთმეული ქვითარით მასთან ყოველივე ანგარიში გასწორებული შეიქნება. ეს ბარათი მიეცა სიერა-მორენის უღრან ხეობებში ოცდაორ აგვისტოს აწ მიმდინარე წელსა.

- მშვენიერია! ახლა მარტო ხელისმოწერა დაგჭირდებათ, - უთხრა სანჩომ.

- ეს საჭირო არ არის, - მიუგო დონ კიხოტმა; - მხოლოდ ნიშანს დავუსვამ და მაშინ ამ ბარათს არა-თუ მარტო სამი ჩოჩრის ძალა ექნება, არამედ სამასისაც.

- მჯერა, სრულებით გერწმუნებით, ბატონო, - უთხრა სანჩომ. - ახლა ნება მიბოძეთ, როსინანტი შეგკაზმო, და თქვენც მოემზადეთ, გზა დამილოცოთ; ახლავე მინდა გზას გავუდგე; გთხოვთ, იმ სიგიჟეს ნუ მაცქერინებთ, რისჩადენაც გწადიათ; არხეინად ბრძანდებოდეთ, რის ჩადენასაც აპირებთ, ყველაფერს ისე დაწვრილებით ვუამბობ, რომ უკეთესი არ შეიძლებოდა.

- არა, სანჩო, ეს აუცლიებელია და ბეჯითადაც ვითხოვ, - უპასუხა დონ კიხოტმა, - ჩემი ჭკუადამთხვეულობის ათი ან თორმეტი ნიმუში ნახო, - სულ ნახევარ საათში გავათავებ. შენი თვალით რომ ნახავ, უფრო გაბედვით და დამშვიდებული შეგემლება დაიფიცო, რომ ის დანარჩენებიც ნახე, რასაც შენით მიუმატებ. დარწმუნებული იყავ, შენ იმდენს მაინც ვერ ეტყვი, რამდენსაც მე აქ ჩავიდენ.

- ღვთის გულისათვის, ბატონო, - უთხრა სანჩომ, - ნუ გატიტვლდებით მაინც, რომ თქვენი კანი არჩადავინახო, თორემ გულჩვილი კაცი ვარ, მაშინვე ტირილს მოვრთავ. ისედაც, ვირი რომ დავკარგე, გუშინდელი ტირილით თავი ახლაც მტკივა; დღეს მაინც ნულარ მატირებთ. თუ გინდათ რამე სიგიჟე, სისულელე მაჩვენოთ, ტანთ ნუ გაიხდით, აგრე ერთბაშად. როგორცა ხართ, რამდენიმე ალაყმალაყი გადადით, ესეც კმარა. მე რომ მკითხოთ, ღმერთსა ვფიცავ, სულაც არაფერია საჭირო; ჩემი აქ დაბრკოლება კი საამო, თაფლიანი პასუხით ჩემს დაბრუნებას დიდხანს სალოდნელს გაგიხდით. დაე, ქალბატონმა დულსინეამ კარგად იცოდეს: თუ ის შესაფერისად არ გიპასუხებთ, აღთქმას ვდებ, თქვენს საამო პასუხს სულ მუშტებით გამოვწვოვ შიგნეულობიდან. ჩვენში კი დარჩეს, ბატონო, და, მაგისტანა ჩინებულ მოგზაურ რაინდს რაღაც უმიზეზოდ ჭკუაზე არევა რაში მოგეპრიანათ იმ ვიღაც... ნუ მათქმევინებთ, ვინც არის; ვიტყვი

კი არა, შიგ პირშიც მივახლი; მე ხუმრობისა არა ვიცი-რა. ვაი, რომ ის ქალბატონი არ მიცნობს, თორემ ჩემთან ფართი-ფურთებს ვერ გაბედავს...

- სანჩო, - სიტყვა გააწყვეტინა დონ კიხოტმა, - მე მგონია, შენც ჩემსავით ჭკუა გამოგელია?

- არა, ბატონო, - უპასუხა სანჩომ, - ჭკუა, ღვთის მადლით, თქვენზე მეტი შემრჩა, მაგრამ ეს არის, რომ თქვენზე გულფიცხი ვარ; მაგრამ ეს არაფერი, ერთი ეს მითხარით, სანამ დავბრუნდებოდე, რა უნდა სჭამოთ? თქვენც იმ კარდენიოსავით ხომ არ ჩაუსაფრდებით მწყემსებს და საჭმელს ძალით არ წაართმევთ?

- გთხოვ, ჩემთვის ნუ იზრუნებ, - უთხრა დონ კიხოტმა; - სასმელ-საჭმელი ბევრიც რომ მქონდეს, მაშინაც ბალახისა და ხილის მეტს არასა ვჭამ, რასაც ამ ტყეში და ველზე ვიპოვნი. საცა სამართალია, სულაც არ უნდა მეჭამა-რა და ყველა სხვა ნაკლებობაც უნდა მომეთმინა.

ამაზე სანჩომ მიუგო:

- ახლა ესეც, ბატონო. ეს ისეთი უდაბური ადგილია, რომ მეშინია - დაბრუნებისას გზა არ დავკარგო.

- ყველაფერს ყურადღება მიაპყარ, - უთხრა დონ კიხოტმა, - ყველა ნიშნულად დაიხსომე, მეც აქედან არსად მოვშორდები და იმასაც ვეცდები - ხანდახან სულ უმადლეს კლდეზე ავფოფხდე, რომ დაბრუნებულმა შორიდანვე დამინახო; მაგრამ, რომ უფრო ადვილად მიპოვო, შავთავას ტოტები ბლომად დაჭერ, - ხომ ხედავ ირგვლივ რამდენი იზრდება ეს მცენარე, - და მიმავალმა გზა-გზა დაფანტე, სანამ სწორ გზაზე არ გახვალ: ის ტოტები იქნება შენი გზის მაჩვენებელი, როგორც თეზეოსის ძაფი ლაბირინთოში, და დაბრუნებისას ადვილად მომაგნებ.

- კეთილი, ეგრე ვიზამ, - მიუგო სანჩო პანსამ.

შემდეგ მთელი კონა თავშავა დაჭრა და ლოცვა-კურთხევის მისაღებად დონ კიოტთან მივიდა. ჩვენს გმირებს თვალთ ცრემლი მოერიათ და ერთმანეთს გამოესალმნენ. დონ კინომა გრძნობიერი სიტყვებით ჩააბარა სანჩოს როსინანტი, თხოვა, ისე მოევლო მისთვის, როგორც თავის თავისთვის. სანჩოც ზედ შეჯდა და გზას გაუდგა. გზა-გზა ბატონის დარიგებისამებრ თავშავას აქა-იქ ყრიდა და ჩქარა თვალთავან მიეფარა, რაინდი მეტად დაღონდა, რომ სანჩო ისე სწრაფად წავიდა, ვერ მოასწრო თავის საგულისგულო სურვილი აესრულებინა, - დამთხვეულობის ორიოდე რამ ნიმუში ეჩვენებინა. სანჩოს ასი ნაბიჯი არ გაუვლია, რომ უკან დაბრუნდა და შორიდან დაუძახა ბატონს:

- მოწყალეო ბატონო, წელან თქვენ სწორად თქვით, რომ ჩემი დამთხვეულობის ერთი ნიმუში მაინც ნახეო, რომ შემემძლოს წმინდა გულით დავიფიცო თქვენი გაგიჟება საკუთარი თვალთ ვნახე-მეთქი, როგორც ბრძანებდით, ერთი რამ გიჟური საქმე მართლაც უნდა მაჩვენოთ, თუმცა ღვთის მადლით ერთი თქვენი დიდი სიგიჟე კიდევ ვნახე: თქვენი აქ დარჩენის სურვილი დიდი სიგიჟე არა არის, მაშ რაა?

- განა ტყუილად გეუბნებოდი, - დაიძახა დონ კიხოტმა. - მაშ დაიცა, სანჩო, ვიდრე "მამაო ჩვენოს" წარმოთქმას მოასწრებდე, თვალის დახამხამებაში ერთ სიგიჟეს კიდევ გაჩვენებ.

წამსვე საჩქაროდ შარვალი გაიხადა, პერანგის ამარა დარჩა, კისერში ორჯერ ხელი წაიკრა, მაღლა შეხტა, ქუსლები უკანალზე ამოიკრა, ფეხებამვერილი ხელებზე დადგა, ორჯერ მაღაყს



გადავიდა და ისეთი რამ გამოიჩინა, რომ სანჩომ აღარ ისურვა მისი მეორედ დანახვა, როსინანტი მოაბრუნა და გზას გაუდგა. ამ სანახავმა სავსებით დააკმაყოფილა სანჩო და დაარწმუნა, რომ მის ბატონს სრულებით ჭკუა აერია, და ჩვენც აქ გავშორდეთ სანჩოს, სანამ უკან გაბრუნდებოდეს.

თავი XXVI

სადაც მოთხრობილია დონ კიხოტის შემდგომი სამიჯნურო თავგადასავალი სიერა-მორენაში

იმ ამბავს რომ დავუბრუნდეთ, თუ მარტოდ დარჩენილი მწუხარე სახას რაინდი რას აკეთებდა, ამაზე ისტორია მოგვითხრობს, რომ დონ კიხოტმა, ნახევრად ტიტვლმა, წელზევით ჩაცმულმა, წელქვევით შიშველმა, ხტომა და მალაყები რომ დაასრულა და სანჩოც თავისი სიგიჟის მოწმედ ვედარ იხილა, ერთი მაღალი კლდის წვერზე ავიდა და დაიწყო ფიქრი იმაზე, რის შესახებაც მრავალჯერ უფიქრია, მაგრამ აქამდის სწორ გზას ვერ დაადგა, სახელდობრ, რა უფრო უმჯობესი და სასარგებლო იქნებოდა: როლანდის შმაგი დამთხვეულობისათვის მიებადა, თუ ამაღისის სევდიანი სიგიჟისათვის? თავისთვის მსჯელობდა და ამბობდა:

- იმაში გასაოცარს დიდს ვერაფერს ვხედავ, რომ როლანდი მამაცი რაინდი იყო, როგორც ეს უკვე მთელმა ქვეყანამ უწყის, ამასთანავე, როგორც ცნობილია, იგი მოჯადოებულები იყო, მისი მოკვლა არავის შეეძლო, თუ უბრალო ქინძისთავით ქუსლში არ უჩხვლეტდნენ, ამიტომაც იგი მუდამ შვიდკეცი რკინის ლანჩიან ჩექმებს ატარებდა. მაინც ჯადომ ვერ უშველა, ბერნარდო დელ კარპიომ გაუგო ეშმაკობა და რონსევალის ვიწროებში თავის ხელით დაახრჩო. მაგრამ მის სიმამაცეს რას დავდევთ, მის სიგიჟეზე ვიფიქროთ, რადგან ის მართლაც გაგიჟდა, როცა ერთი მწყემსისაგან გაიგო და ერთა წყაროს გარშემო ხეებზე იმის საბუთებიც ნახა, რომ ანჟელიკას იმ წყაროსთან ორჯერზე მეტად სძინებოდა აგრამანტის პაჟთან, თმახუჭუჭა მავრ მედორთან. უტყუარი საბუთით დარწმუნებულს, რომ მისმა სატრფომ ასეთი ოინი უყო, მეტი რა ღონე პქონდა, თუ არ გაგიჟებულიყო? ეს მისგან დიდ ღვაწლად არ ჩაითვლება, მაგრამ საკითხი ეს არის, მე რისი გულისათვის უნდა მივბამო მის სიგიჟეს, როცა ამის მსგავსი არავითარი მიზეზი არ მაქვს? კარგად ვიცი და ფიციც შემიძლია, რომ ჩემს დულსინეა ტობოსელს მისდღეში ეროი ცოცხალი მავრიც არ უნახავს, არც ჩაცმული და არც შიშველი, რომ იგი ისევე უმანკოა, როგორც თავის დაბადების პირველ დღეს იყო; მაშასადამე, მისი ღალატის გამო როლანდი შმაგობა რომ დავიწყო, ამით ხომ აშკარა შეურაცხყოფას ავაყენებ. მეორეს მხრით, კარგად ვიცი, ამაღის გალეელი არც შმაგობდა და არც მომეტებულად აბეზრობდა, მაგრამ მიჯნურობით კი სახელი ყველაზე მეტად გაითქვა. მისი ისტორიიდან ჩანს, როდესაც თავისი სატრფო ორიანის სამდურავი დაიმსახურა და ბრძანება მიიღო, მის ნებართვამდე თვალითაც აღარ დანახვებოდა, მაშინვე პენია პობრეს კლდეზე განდეგილივით დაეყუდა ერთ მეუდაბნოესთან ერთად, და იქ იმ დრომდე ტიროდა, ვიდრე ზენამ არ შეიბრალა და ტანჯვა-ტირილისაგან არ დაიხსნა. თუ ეს მართალია (ხოლო ეჭვი კი ძნელია ვიქონიოთ), - მაშინ რა საჭიროა გავტიტვლდე, როგორც პირველად ვაპირებდი, და ეს საბრალო ხეები, ჩემთვის რომ არა დაუშავებიათ-რა, ძირფესვიანად ამოვგლიჯო, ანდა ჩემი წყურვილის მომკვლელ წყაროს წყალს მღვრევა დავუწყო. მაშ დიდება ამაღისის სახსენებელს და მიბამის მას, რაშიაც კი შესაძლოა, დონ კიხოტ ლამანჩელმა, ეგებ მომავალში მასზე იგივე თქვან, როგორც რომელიღაც გმირზე უთქვამთ: "თუ სიცოცხლეში სახელოვანი რამ საქმე არ ჩაიდინა, ის მაინცა ჰქმნა, რომ სახელოვანი საქმეების მიზეზით დაიღუპაო". თუ ამაღისივით ჩემი სატრფო დულსინეასგან განდევილი და მოძულეებული არა ვარ, ის ხომ მაინც არის, რომ მას დაშორებული ვარ. მაშ ჩქარა შევუდგე

საქმეს. თქვე კი, დიდნო საქმენტ ამადისისანო, მასწავლეთ, რითი და საიდან დავიწყო თქვენი მიზამვა? როგორც მახსოვს, ამადისი მომეტებულ დროს ღვთის ლოცვა-ვედრებაში ატარებდა, - მეც ეგრე ვიზამ, მხოლოდ კრიალოსანი რომ არა მაქვს, ნეტავი სად ვიშოვნო?

მაგრამ მალე მოიგონა, თუ როგორ გაეკეთებია კრიალოსანი; ფეხებამდის დაშვებულ პერანგის კალთას ფართო ზოლი ჩამოახია, მასზე თერთმეტი სკვნიდი გაუკეთა, ერთი მათგანი უფრო მსხვილი გამოიყვანა და მზად იყო კრიალოსანიც. იგი ეყო მილიონ ავე მარია-სთვის, რაც იქ ყოფნის დროს წაიკითხა. მარტო ისლა აწუხებდა, რომ ახლოს მეუდაბნოე არავინ ჰყავდა, აღსარება რომ ეთქვა და ნუგეშისცემა მიელო მისგან. სახელოვანმა რაინდმა ახლა ველზე სეირნობა დაიწყო და ამ სეირნობის დროს ხის ქერქზე მრავალ ლექსსა სწერდა და მათი შინაარსი დულსინეას ქება-დიდება და თავისი ჭმუნვის გაგამომჟღავნება იყო. მაგრამ, როცა ჩვენი რაინდი მოძებნეს, ყველა ამ ლექსიდან გადარჩენილიყო და წაიკითხებოდა მხოლოდ შემდეგი:

ო, ბალახნო, ბუჩქნო, ხენო,

ირგვლივ მწვანედ აქოჩრილნო!

მინდა დარდი მოგახსენოთ,

ჩემი ტანჯვა შემოგჩივლოთ.

მამ მისმინეთ, მშვენიერნო

დაე, ჩემი გულის შფოთი

ნუ აღგიძრავთ სევდას მწველსა...

რამდენიც გაქვთ ღერო, ტოტი,

იმდენ ცრემლს ვღვრი დონ კიხოტი,

რომ დავშორდი დულსინეა

ტობოსელსა

ადგილია უდაბური,

სად ტრფიალის შნო და ეშხი

გარდმომხვეწა ბედმა შურით...

ვეხეტები ორწოხებში...

რად? ვერ მივხვდი უბედური.

არ მასვენებს მე ეროტი,

დამილურჯებს ზურგს და მხრებსა...

ეს მდინარე კი არ მოდის,

ო, ცრემლებს ვღვრი დონ კიხოტი,

რომ დავშორდი დულსინეა

ტობოსელსა.

ვინც ფათერაკს ეძიებდა,

თვითონ ტყვეა პირქუმ კლდეთა.

ვინაც დაჰგმო მძულვარება,

დღეს უფსკრულში ჩაიკეტა,

რომ იწვინა დამარცხება

განა თასმით, მძიმე შოლტით

მცემს ამური მწუხარესა.

იგი ყრუა და ბოროტი...

ო, ცრემლებს ვღვრი დონ კიხოტი,

რომ დავშორდი დულსინეა

ტობოსელსა.

ეს ლექსი რომ იპოვნეს, სიტყვა ტობოსელის მიმატებაზე ბევრი იცინეს. წამკითხველნი ფიქრობდნენ: იქნებ რაინდის აზრით ამ სიტყვის მიუმატებლად ვერავის გაეგო რომელ დულსინეაზე წერდა და მართლაც დონ კიხოტმა სწორედ ასე იფიქრა, როგორც შემდეგში თვითონ აღიარა. მან კიდევ მრავალი ლექსი დაწერა, მაგრამ, როგორც ვთქვით, მხოლოდ ამ სამი ტაეპის გარჩევა და წაკითხვა მოხერხდა მთლიანად. ასე ატარებდა დროს გამიჯნურებული რაინდი, ხან ლექსებს თხზავდა, ხან ოხრავდა, ხან ტყეების მცხოვრებ ფაუნუსსა და სილვანუსს, წყაროების ნიმფებს, მწუხარე და ჰაეროვან ექოს მოუწოდებდა და აფიცებდა, ესმინათ მისი და ნუგეში ეცათ მისთვის; ხან გამოსაკვებად ბალახებს დაეძებდა და ასე ატარებდა განმარტოებულ ტანჯულ სიცოცხლეს სანჩოს მობრუნებამდის. ასეთმა ყოფამ იქამდის გასტანა, რომ თუ საჭურველმტვირთველს სამი დღის მაგიერ სამი კვირა დაჰგვიანებოდა, მწუხარე სახის რაინდს ისეთი საქმე დაემართებოდა და ისე გამოიცვლებოდა, რომ ღვიძლ დედასაც ვეღარ ეცნო.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ, დაე, იოხროს, ვაი და ვიმ ამრავლოს და ლექსები სწეროს. ახლა ისა ვთქვათ, მოციქულობაში სანჩოს რა მოუხდა. შარაგზაზე გავიდა თუ არა, ჩვენმა საჭურველმტვირთველმა ტობოსოს ძებნა დაიწყო და ამ ძებნაში მეორე დღეს სწორედ იმ ფუნდუკს მიადგა, სადაც ბედმა ამას წინათ საბანზე ფრენა არგუნა. ის შენობა დაინახა თუ არა, მაშინვე მოეზმანა, ვითომ ხელმეორედ ჰაერში ფრინავდა, და გუნებაში გადაწყვიტა, იმ ფუნდუკში არაფრით არ შესულიყო, თუმცა ის ფუნდუკი მეტად იზიდავდა თავისკენ. სადილობა იყო და ცხელი რამ საჭმელის დიდი მადა ჰქონდა, რადგან რამდენიმე დღე სულ ცივი სანოვაგით იკვებებოდა.

კუჭმა მაინც თავისი გაიტანა, ფუნდუკთან ახლო მიიყვანა, მაგრამ მაინც ყოყმანობდა, რადგან ნამდვილად არ იცოდა, იშოვიდა რასმეს თუ არა. ამ ორჭოფობაში რომ იყო, ფუნდუკიდან ვადაც ორი კაცი გამოვიდა და საჭურველმტვირთველი რომ დაინახა, ერთმა მეორეს უთხრა:

- ერთი მობრძანდით, ბატონო ლიცენციატო, ეს ცხენოსანი რომ მოდის, სანჩო პანსა არ არის, ჩვენი ფათერაკმამიებლის სახლის გამგე რომ ირწმუნება, ვითომ საჭურველმტვირთველად გაჰყოლოდეს თავის ბატონს?

- სწორედ ის არის, - მიუგო ლიცენციატმა, - ცხენიც ჩვენი დონ კიხოტისაა.

მათთვის ძნელი როდი იყო სანჩოს ცნობა, რადგან ეს ბატონები რვენი ნაცნობი მღვდელი და დალაქი იყვნენ, მისი მეზობლები, დონ კიხოტის სარაინდო წიგნები რომ გაასამართლეს და დაწვა მიუსჯეს. რაღა თქმა უნდა, როსინანტი და სანჩო მალე იცნეს და საჭურველმტვირთველთან საჩქაროდ მივიდნენ, რომ თავიანთი მეგობრის ამბავი გამოეკითხთ.

- ჩემთ მეგობარო, სანჩო პანსა, შენი ბატონი სადღაა, ან როგორ არის? - ჰკითხა მღვდელმა.

სანჩომაც მაშინვე იცნო ისინი, მაგრამ გადაწყვიტა, არ ეთქვა, სად და რა ყოფაში დატოვა დონ კიხოტი, და უპასუხა, ჩემი ბატონი ერთ რასმე ალაგას არის, და ერთ რასმე თავისთვის ძალიან საჭირო საქმეს აკეთებსო. თქმა კი არ შემიძლია, თვალებიც რომ დამთხაროთო.

- არა, მეგობარო სანჩო, უნდა გვითხრა, - უთხრა დალაქმა, - თუ არა და უნდა ვიფიქროთ, და კიდევაც ვფიქრობთ, შენი ბატონი გაგიძარცვავს და მოგიკლავს კიდევ; მაშ ეგ რა არის მისი ცხენით რომ დასეირნობ? თუ პასუხს არ მოგვცემ და ამ ჯაგლაგის პატრონს არ დაგვიბრუნებ, ღმერთსა ვფცავ, ეგ კისერი დაუზელავი არ გადაგირჩება.

- ტყუილუბრალოდ მემუქრებით, - უთხრა სანჩომ, - ღვთის მადლით არც ქურდი ვარ და არც კაცისმკველელი. დაე, ყველა თავის წერით მოკვდეს, როგორც ჩვენს გამჩენს ღმერთს უბრძანებია. ჩემი ბატონი აგერ აიმ მთებში დაბინავდა - ცოდვათა მოსანანიებლად.

თანაც სანჩომ ყველაფერი დაუსვენებლივ უამბო, თუ რა ყოფაში დატოვა დონ კიხოტი, რა ფათერაკები შეემთხვა; შემდეგ დაუმატა, ახლა წერილი მიმაქვს ქალბატონ დულსინეა ტობოსელთან, ლორენსო კარჩუელოს ქალი რაო, და ის ქალი ჩემს ბატონს გაგიჟებით უყვარსო.

თუმცა რაინდის უცნაური არევა მღვდლისა და დალაქისათვის ახალი რამ ამბავი არ იყო და მასთან ისიც კარგად იცოდნენ, თუ რა ხასიათისა იყო ეს სიგიჟე, მაინც სანჩოს ნათქვამმა ისინი მეტად გააოცა. სანჩოს თხოვეს დულსინეა ტობოსელთან გაგზავნილი წერილი ეჩვენებინა მათთვის და სანჩომაც უამბო, რომ წერილი დონ კიხოტმა უბის წიგნაკში ჩაწერა და უბრძანა პირველსავე სოფელში გადაეწერიებინა, სადაც კი ქალაღდის ფარატინს იშოვიდა. "აქ მომეცი", - უთხრა მღვდელმა, - "ვეცდები საგანგებოდ გადავწერო". სანჩო პანსამ უბეში ჩაიყო ხელი, რომ წიგნაკი ამოეღო, მაგრამ ამოდ დაუწყო ძებნა, რადგან დღევანდლამდისაც რომ ეძებნა, ვერ იპოვნიდა. უბედურება ის იყო, რომ დონ კიხოტს დაავიწყდა ის წიგნაკი სანჩოსათვის მიეცა და სანჩოსაც აღარ მოაგონდა გამოერთმია.

წიგნაკი რომ ვერ იპოვნა, საწყალ საჭურველმტვირთველს მკვდრის ფერი დაედო, შუბლზედაც ცივმა ოფლმა დაასხა; ყველგან დაუწყო ძებნა და რომ ვერ იპოვნა, წვერში ხელი წაივლო, ნახევარზე მეტი გამოიგლიჯა და თავისი ხლით ცხვირპირში ხუთი თუ ექვსი ლაზათიანი

მუშტი გაიკრა ისე ღონივრად, რომ პირისახე დაისისხლიანა. მღვდელი და დალაქი გაცელებული - უცქეროდნენ და ბოლოს ჰკითხეს: რა დაგემართა, შენს თავს ეგრე უდიერად რად ეპყრობიო?

- როგორ თუ რადა? - შეჰყვირა სანჩომ, - ჩემი ხელით სამი ჩოჩორი დავლუპე, სულ მცირედი იმათგანი მეფის სასახლედ მიღირდა.

- ეგ, ვითომ, როგორ? - ჰკითხა დალაქმა.

- ისე, რომ უბის წიგნაკი დამიკარგავს რაშიც დუღინეასთან წერილი იყო ჩაწერილი; მაგრამ იმას ვინ ჩივის, შიგ ჩემი ბატონის ბარათიც იყო თავის დისწულთან, რომ სიმი ჩოჩორი მოეცა ჩემთვის იმ ოთხიდან, თუ ხუთიდან, თავლაში რომ ჰყავს.

ამ უბდურებასთან სანჩომ ისიც უამბო, რომ თავისი ვირი დაკარგა. მღვდელმა ნუგეში სცა სანჩოს და უთხრა, როცა დონ კიხოტს ვიპოვნით, იმ ბარათს ხელახლად მოვაცემინებთ ყველა საჭირო წესების შესრულებით, მაგრამ ცალკე ქაღალდზე დაწერილსაო. ხოლო უბის წიგნაკში ჩაწერილ საბუთებს კი არავითარი ძალა არ ექნებოდაო.

სანჩო ამით დამშვიდდა და უთხრა მღვდელს, რომ დუღინეასთან წერილის დაკარგვას ძალიანაც არა სწუხდა, რადგან ზეპირად იცოდა და თავიდან ბოლომდის შეეძლო გადამწერისათვის ეკარნახა, თუ ეს საჭირო იქნებოდა.

- გვიკარნახე და ჩვენ გადავწერთ, - უთხრა დალაქმა.

სანჩო დაფიქრდა, თავი მოიქექა, ფეხების ტორტმანი დაიწყო, მაღლა აიხედა, დაბლა დაიხედა, ფრჩხილები ნახევრობამდის დაიკვნითა და, ბოლოს და ბოლოს, დაიძახა:

- ეშმაკმა წამილოს, თუ იმ წერილის დამხსომებოდეს რამე. მგონია ასე იწყებოდა: "დიდო შეზღუდულო ქალო".

- შეზღუდულო? - დაიძახა დალაქმა, - ეგ შეუძლებელია. უთუოდ მან ასე დაწერა შეზღუდულო...

- დიახ, დიახ, სწორედ ასე იყო ძალიან კარგად მახსოვს, რომ ასე იყო, - დაეთანხმა სანჩო, - მერე... ღმერთო, მომაგონე, მერე რა იყო. მგონია, ასე იყო. "ზარი დამეცა, ძილი გამიტყდა... დაწყლულელებული ხელებსა ვკოცნი თქვენს პატოსნებას, უმაღლო და მთლად გამოცვლილო მშვენიერებავ"... მერე... ვეღარ მაგონდება... რაღაც იყო კარგამყოფობაზე და ავადმყოფობაზე... რაც ვითომ იმისათვის სურდა... და სულ ამისთანები იყო. ბოლოს ამით თავდებოდა; "სიკვდილამდის თქვენი მწუხარე სახის რაინდი".

მღვდელი და დალაქი სიცილით იხოცებოდნენ. სანჩოსათვის კი რომ გეკითხათ - მისი ჩინებული მეხსიერებით იყვნენ აღტაცებულნი. შეაქეს სანჩო და სთხოვეს ორიოდეჯერ კიდევ გაემეორებინა, რომ კარგად დახსომებოდათ და პირველსავე შემთხვევაში ქაღალდზე დაეწერათ. სანჩომ სამჯერ გაიმეორა და სამჯერვე სამი ტომარა ათასნაირი სისულელე დარომა; შემდეგ ლაპარაკი გააბა, თუ მასა და მის ბატონს რა ფათერაკები შეემთხვათ, მაგრამ იმაზე კრინტიც არ დაუძრავს, საბანზე რომ აფრენდნენ სწორე იმ ფუნდუკში, ახლა რომ პირდაპირ თვალებში ეჩხირებოდა და იქ შესვლის სურვილი სულაც აღარ ჰქონდა. ყველა ამას ისიც დასძინა, რომ ჩემი ბატონი თავის დუღინეა ტობოსელისაგან სასურველ პასუხს მიიღებს თუ არა, მაშინვე ახალ მოგზაურობას შეუდგება და იმპერატორობის ან სულ ცოტა მეფობის მიღებას

ეცდებო, - პირობა ისე გვაქვს დადებულიო; თანაც დაუმატა: ჩემი ბატონი ისეთი მამაცი და ღონიერია, რომ მისთვის ხელმწიფედ გახდომა, ძნელი სულაც არ არისო. მეორე კიდეც ის თქვა, დონ კიხოტი სამეფო ტახტზე ავა თუ არა, მაშინვე ცოლს შემერთავსო (და საიმდროოდ კიდეც დავეკვირვებო, რადგან უამისოდ საქმე ვერ გარიგდებაო), და დონ კიხოტი დედოფლის მხლებელს გამირიგებსო, დიდს და მდიდარი ხმელეთ-სამფლობელოს მემკვიდრესაო; ყველა ამას სანჩო უდიდესი სერიოზულობით როშავდა, თან წვერსა და ცხვირს იწმენდდა და ისე ჰგავდა ჭკუიდან შემცდარს, რომ მღვდელი და დალაქი იმას ჰკვირობდნენ - დონ კიხოტის გადარევა რაოდენ ახირებული უნდა ყოფილიყო, რომ სხვაზე დაც ასე გადამდები სენივით ემოქმედა. მღვდელმა და დალაქმა სანჩოს შეცდომილების გაქარწყლება ჯერხანად არ მოინდომეს უნდოდათ ცოტადენი კიდეც ეცინათ მის სულელურ როშვაზე, რადგან იცოდნენ, რომ გულუბრყვილო და სინდის შეუბღალავი იყო. მხოლოდ ურჩიეს, თვის ღმერთს შევედრებოდა, ეგებ მართლა, შემთხვევით იქნებოდა, თუ მყობადის დასაზვრით, - იმპერატორი შექმნილიყო, ან სულ ცოტა მთავარეპისკოპოსი მაინც, ან კიდეც სხვა რამ ამგვარი.

- ჩემო ხელმწიფეო! - უთხრა სანჩომ, - თუ საქმე მართლა ისე ცუდად წავიდა, რომ ჩემმა ბატონმა იმპერატორობა არ ინდომა და მთავარეპისკოპოსად გახდომა მოეპრიანა, კარგი იქნებოდა ახლავ ვიცოდე: მოგზაური მთავარეპისკოპოსები თავიანთ საჭურველმტვირთველებს რით აჯილდოვებენ.

- ჩვეულებრივად რამე სამრევლოს აძლევენ, - მიუგო მღვდელმა, - ან ბენეფიციას, მღვდლისა ან დიაკვნის თანამდებობას - კარგ ჯამაგირიანს და ამის გარდა შემოსავლიანსაც, შემოსავალიც შეიძლება ჯამაგირს უდრიდეს.

- ასეთ თანამდებობაზე საჭურველმტვირთველი ხომ უცოლო უნდა იყოს, - თქვა სანჩომ, - და წირვაც უნდა შეეძლოს? ვაი ჩემს თავს რა ეშმაკმა მაცდინა, რა ჩემი ცოდვის კითხვა იყო, რომ ცოლი შევირთე: მერე წერა-კითხვაც არ ვიცი ანბანსაც ვერ ამოვიკითხავ. ღმერთო მომკალი რა მეშველება, რომ ჩემმა ბატონმა მოგზაური რაინდების ჩვეულებას უღალატოს და იმპერატორის მაგიერ მთავარეპისკოპოსი გახდეს.

- ნუ იდარდებ, ჩემო მეგობარო, სანჩო, - უთხრა დალაქმა, - ჩვენ ვურჩევთ შენს ბატონს და თითქმის კიდეც გვეხმარებით, რომ იმპერატორი გახდეს და დავარწმუნებთ, თუ ასე არ მოიმოქმედა, დიდ ცოდვას ჩაიდენს: მისთვის იმპერატორობა უფრო ადვილია, რადგან მამაცი მებრძოლი უფროა, ვიდრე ნასწავლი და მეცნიერი.

- მეც ეგრე ვფიქრობდი, - მიუგო სანჩომ, - თუმცა მართალი უნდა მოგახსენოთ, ჩემი ბატონი ყველაფერში მარჯვე და მოხერხებულია. მაინც ღმერთს იმას შევევედრები, ჩემი ბატონი იმად გახდეს, რაც უფრო შეშვენის და რაც ჩემთვის უფრო სახიერო იქნება.

- ჰო, ეგ ჭკვიანური თქვი და მაშ, როგორც კარგ ქრისტიანს შეჰფერის ისეც მოიქცევი, - თქვა მღვდელმა, შენს ბატონს იმ უსარგებლო სინანულზე ხელი ავაღებინოთ, რისთვისაც, შენი სიტყვით, თავი დაუდვია. ამ საქმის მოსაფიქრებლად, მოდი, ბარემ სადილობის დროც არის, ამ ფუნდუკში შევიდეთ.

სანჩომ უპასუხა, თუ სურდათ თვითონ შესულიყვნენ ფუნდუკში და ის კი გარეთ დაიცდიდა; რატომ არ მიყვებოდა, ამის მიზეზის თქმა კი შემდეგისთვის აღუთქვა. მხოლოდ თხოვა, რომ ცხელი საჭმელი ცოტა მისთვისაც გამოეგზავნათ და ისიც ებრძანებინათ, რომ როსინანტისთვის

ქერი დაეყარათ. ჩვენმა მეგობრებმა გარეთ დატოვეს სანჩო და ცოტა ხანს უკან დალაქმა სადილი გამოუტანა. მღვდელი და დალაქი როცა მარტო დარჩნენ, იმაზე დაიწყეს ფიქრი, დონ კიხოტის წამოყვანის საქმე როგორ მოეგვარებინათ. მღვდელმა ამ საქმისათვის ჩქარა ისეთი გეგმა შეადგინა, რომ მათ სურვილსაც შეეფერებოდა და დონ კიხოტის არეულ თავსაც გაიტაცებდა; მან განიცხადა დალაქს: მოგზაურ ქალად მოვირთვები, თქვენ ჩემს საჭურველმტვირთველად მოიკაზმეთ, ამ სახით მთებში წავიდეთ, დონ კიხოტი მოვძებნოთ. მე, მწუხარე, შემწეობის მამებარ ქალად დავსახავ ჩემს თავს, დონ კიხოტს წამოყოლას ვთხოვ, რომ ჩემს შეურაცხმყოფელ რაინდს მაგიერი გადაუხადოს. დონ კიხოტი, როგორც მოგზაური რაინდი, ამაზე უარს არ მეტყვის. ასთან ვთხოვ, რომ პირბადე არ ამხდოდა და ჩემი საქმისა არა მკითხოს-რა, ვიდრე ჩემს მოლალატეს საზღაურს არ გადაახდევინებსო. მღვდელი დარწმუნებული იყო, რომ დონ კიხოტი ამ პირობებში ყველაფერს აასრულებდა, ვინც რასმე ასეთს თოვდა და ამ ხერხით იმ მთებიდან გამოიტყუებდნენ, შინ მიიყვანდნენ და იქ მისი არაჩვეულებრივი სიგიჟის განკურნებაზე იფიქრებდნენ.

### თავი XXVII

როგორ შეასრულეს მღვდელმა და დალაქმა თავიანთი გეგმა და კიდევ ამ შესანიშნავ თავგადასავალში მოსახსენებლად ღირსი ამბები

მღვდლის გეგმა დალაქს ძალიან მოეწონა, და მეგობრებმა გადაწყვიტეს იმის აღსრულებას დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ. მეფუნდუკეს ცოლს კაბა და თავის სამკაული გამოართვეს და მღვდელმა იმაში გირაოდ თავის ახალი ანაფორა დაუტოვა. დალაქმა ლაბა ხარის ვეებერთელა კუდი გაიკეთა წვერად - ეს კიდევ მეფუნდუკეს ჰქონდა ფუნდუკში კედელზე დაკიდებული. სავარცხლის ჩასაგებად, და იმას გამოართვეს. მეფუნდუკის ცოლმა მოისურვა, გაეგო, ამ ხალხს ის ნივთები რაში ეჭირვებოდათ, და მღვდელმაც ორიოდ სიტყვით შეატყობინა დონ კიხოტის ჭკუაზე არევა და ისიც, რომ ასეთი მორთულობით უნდოდათ იმ კლდე-ღრეებიდან როგორმე გამოეტყუებინათ, სადაც განდევილიყო. მეფუნდუკე და მისი ცოლი მაშინვე მიხვდნენ, რომ გადარეული რაინდი სწორედ ის უნდა ყოფილიყო, ამას წინათ რომ ესტუმრა და ბალზამი გააკეთა. იმ საჭურველმტვირთველის ბატონი, ფუნდუკის ეზოში რომ საბნით მალა ისროლეს, და მღვდელსა და დალაქს უამბეს, რაც იმ დაუვიწყარ ღამეს იმ ფუნდუკში მოხდა და ისიც არ დაფარეს, რის დაფარვასაც სანჩო ძალიან ცდილობდა. ამის შემდეგ მეფუნდუკის ცოლმა მეტად სასაცილოდ მორთო მღვდელი. ერთი მაუდის კაბის დაგლეჯილი ქვედატანი ჩააცვა, ციდის სიგანეზე შავი ხავერდის ქობიანი, მერე მწვანე ხავერდის ზედატანი გადააცვა, თეთრი ატლასის ნაქარგით მორთული! (ორივე ჩასაცმელი ვეჭვობ, იმ დროს უნდა ყოფილიყო შეკერილი, როდესაც კეთილი ვამბა მეფობდა). თავზე სამკაულს გაკეთება კი მღვდელმა არ მოინდომა და ისევ თავის ტილოს საღამური არახჩინი დაიხურა, ზედ განივრად შავი ლეჩაქი შემოიხვია, ერთი ისეთი ლეჩაქის ნაჭერიც პირბადედ გაიკეთა და ამნაირად წვერულვაში მთლად დაიფარა. ზევიდან თავის სამღვდელო ქუდი ჩამოიფხატა, რომელიც ქოლგის მაგივრობასაც წევდა. მერე თავისი მოსახსნამი წამოისხა და ჯორზე ქალურად შეჯდა. დალაქიც, როგორც უკვე ვთქვით, ლაბა ხარის თეთრ-წითელი კუდის წვერით მორთული, წელამდის რომ ჩაპრმელებოდა, მეორე ჯორზე შეჯდა.

ყველას გამოეთხოვნენ და კეთილი მარტორნესიც არ დავიწყებიათ; მან, თუმცაღა ცოდვილმა, ღვთის ვედრება აღუთქვა, რომ ამ მძიმე ქრისტიანულ საქმეში მათთვის ხელი მოემართა, და ჩვენი მეგობრები გზას გაუდგნენ. მაგრამ ჯერ ფუნდუკის ეზოს კარებს არ გასცილებოდნენ,

რომ მღვდელი შეეყოყმანდა, რადგან ფიქრმა გაუარა, რომ სასულიერო პირს ქალურად მორვა არ შეჰფეროდა, თუნდაც იგი კეთილგანზრახვითაც ყოფილიყო. ეს აზრი დალაქს გაანდო და უთხრა, მოდი, ტანისამოსი შევიცვალეთ, მოგზაურ ქალად მორთვა თქვენ უფრო შეგფერით, ხოლო მე თქვენი საჭურველმტვირთველობა მომანდეთო. ეს უფრო შეესაბამება ჩემს წოდებას. თუ ამას არ იზამთ, წასვლას ვერ ვიკისრებ, თუნდაც დონ კიხოტი ეშმაკებმაც წაიღონო. ამ დროს სანჩო მოახლოვდა და, ჩვენი მეგობრების ტანსაცმელს რომ შეხედა, ახირებული სიცილი მორთო. დალაქი მღვდელს დათანხმდა, მორთულობა შეიცვალეს და მღვდელმა დარიგება დაუწყო დალაქს, როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა დონ კიხოტისთვის, რომ იმ ბუნაგიდან გამოეტყუებინათ, სადაც, როგორც გიჟი, დამთხვეულობის ჩასადენად და სატანჯველად გასულიყო. დალაქმა მღვდელი დაარხევინა, ჩემს მოვალეობას დაურიგებლად მოვახერხებო. ტანისამოსი მაშინვე არ ჩაიცვა და თან წასაღებად დაახვია იგი. ამასობაში მღვდელმა უკვე წვერი გაიკეთა. ორივე სანჩო პანსას თანამგზავრობით წავიდნენ და სანჩომ გზადაგზა უამბო, თუ მასა და დონ კიხოტს მთებში ერთი ვიღაც გიჟი კაცი როგორ შეხვდათ, ჩემოდანი როგორ იპოვნეს - შიგ ნადები ფულები კი დამალა თუმცა მიაშიტ კაცსაც ჰგავდა, მაგრამ, როცა მის სარგებლობას რამე შეეხებოდა, თავის თავის ყადრი იცოდა.

მეორე დღეს ჩვენმა მგზავრებმა იმ ადგილს მიატანეს, სადაც სანჩომ დონ კიხოტის ბინის საპოვნელად გზა შავთავას ტოტების მიმოფანტვით დანიშნა. ჩქარა მის ბინასაც მიაგნო და თავის თანამგზავრთ უთხრა, ახლა კი დრო იყო, ტანისამოსი გამოეცვალათ, თუ კი ამით რასმე გახდებოდნენ. საქმე იმაში იყო, რომ მღვდელმა და დალაქმა წინასწარ დაარწმუნეს სანჩო, რომ მისი ბატონის დასახსნელად ტანისამოსის გამოცვლა იყო საჭირო. ამასთან ძალიან გააფრთხილეს, ლაპარაკის დროს დონ კიხოტთან მათი სახელი არ ეხსენებინა და, ვინიცობაა რაინდს ეკითხა, დუღსინეას წერილი გადაეციო, სანჩოს ეპასუხა, რომ გადასცა, და რადგან, საუბედუროდ, იმ მშვენიერმა ქალმა წერა არ იცოდა, ახლავ საჩქაროდ თავისთან მისვლა პარადად დააბარა, რაღაც დიდად საჭირო საქმისათვის, და, თუ არ მივიდოდა, ძალიან გაუწყობოდა. ამას დაუმატეს: შენ რომ ამას ეტყვიო და ჩვენ, რაც განზრახული გვაქვს, იმასაო, იმედია ერთ წამსაც აღარ დაყოვნდეს და მაშინვე წამოგყვესო. რა არის, ჩქარა ხელმწიფე ან იმპერატორი გახდეს, ამისი ეჭვი კი, რომ შენმა ბატონმა ამჟამად მთავარეპისკოპოსად გახდომა განიზრახოს, ტყუილია, ნუ გექნებაო. ყველა ეს ნათქვამი სანჩომ ყურადღებით მოისმინა, თავის მეხსიერებას ძალა დაატანა, ყველაფერი დახსომებოდა, და ჩვენს ტანისამოს შეცვლილ მეგობრებს მადლობა მოახსენა დაპირებისათვის, რომ დონ კიხოტს ურჩევდნენ მთავარეპისკოპოსი გამხდარიყო და უწინდებურად ისევ იმპერატორობის შოვნას ცდილიყო. სანჩო ფიქრობდა, იმპერატორებს უფრო შეუძლიათ თავიანთი საჭურველმტვირთველების უხვად დაჯილდოვება, ვიდრე მოგზაურ მთავარეპისკოპოსებსო. შემდეგ დაუმატა, ემჯობინება, დავწინაურდე და ჩემს ბატონს მის მიჯნური ქალის პასუხი მოვახსენო, იქნებ ესეც საკმარისი იყოს და თქვენს გაურჯელადაც იგი ქვეყანაში გამოვიყვანოთო. მეგობრებს სანჩო პანსას აზრი მოეწონათ და გადაწყვიტეს, მოეცადნათ, ვიდრე დაბრუნდებოდა და დონ კიხოტის რამე ამბავს მოუტანდა მათ.

სანჩო მთებში წავიდა და თავის მგზავრები მაღალ კლდეებისაგან და დიდრონი ხეებისაგან დაჩრდილულ ვიწრო ხეობაში დატოვა. ამ ხეობის შუა მშვენიერი ვერცხლისფრად მოლაპლაპე ნაკადი მოჩხრიალებდა. იდგა აგვისტოს თაკარა, დღე, როცა პაპანაქება ამ მიდამოებში მეტად აუტანელი ხდება. ნაშუადღევს სამი საათი იქნებოდა, როცა ისინი აქ მოვიდნენ. ეს გარემოება ჩვენი მეგობრების ახლანდელს ბინას მეტად სასიამოვნოს ხდიდა და უადვილებდა სანჩოს



დაბრუნებისათვის მოთმინებით ელოდათ. ასეც მოიქცნენ, გრილში რომ ხალვათად დაბინავდნენ, უცებ ახლოდან წმინდა, ტკბილი ნაზი ხმის სიმღერა მოესმათ და მისი მშვენიერებით მთლად მოიხიბლნენ. ამ უდაბურ ალაგას სულ არ ელოდნენ ასეთი მშვენიერი მომღერალი ყოფილიყო: მართალია, ამბობენ - ტყე-მინდორსა და მწყემსის ქოხში ხშირად შეიძლება კაცი საუცხოო ხმას შეხვდესო, მაგრამ საქმით პოეტის ოცნებაში უფროა ეს, ვიდრე ნამდვილ ცხოვრებაში. ჩვენი მგზავრები იმან უფრო გააოცა, რომ ისეთი ლექსის მღერა მოესხათ, რომელიც უხეში მწყემსის ლექსს არა ჰგავდა. ხოლო მომღერალი საუცხოო ხელოვანი უნდა ყოფილიყო. და ისინი მართალი იყვნენ, რადგან უხილავი უცნობი ამას მღეროდა:

ბედნიერება დამემსხვრა რისგან?

სიამაყისგან.

რაა ოდითვე მტანჯველი გრძნობა?

ექვიანობა.

რამ დააბნელა ჩემი გონება?

ეჰ, განშორებამ.

ჰო და წამალიც არ იშოვება

რომ ესალბუნოს ჩემს მძიმე ნალველს,

რადგანაც იმედს ჰკლავს სიამაყე,

ექვიანობა და განშორება.

რით დაავადდა ეს ჩემი გული?

მწველ სიყვარულით.

წინ დაბრკოლებას რად ვხვდები ათასს?

ბედს აღუმართავს.

მე ერებოსის რად მერგო ტანჯვა?

ცამ მომისაჯა.

ჰო და ავად ვარ, დღე ღამედ მექცა

და ველი მხოლოდ უბედურებას,

რადგან მიპირებს განადგურებას

მე სიყვარული, ბედი და ზეცა.

რით მწყალობს ღმერთი მე ღონემიხდილს?

მიგზავნის სიკვდილს.

თვით სიყვარულში რაა მარადი?

სატრფოს ღალატი.

რა არის მტანჯველ ფიქრების ბოლო?

სიგიჟე მხოლოდ.

ჰო და მივდიოთ ჭკვიანურ მცნებას.

სხვა რა ვეძიოთ გამოსავალი, -

რადგან მოჰყვება, როგორც წამალი,

სიკვდილი ღალატს და გაგიჟებას.

დრომ, განმარტოებულმა ადგილმა, მშვენიერი ჰანგის სიმღერამ და მომღერლის ოსტატობამ ჩვენი მეგობრები გააოცა და გაიტაცა. კვლავ ახალი სიმღერის მოლოდინში სული განაბეს, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. გადაწყვიტეს გაეგოთ, ეს საოცარი მომღერალი ვინ იყო. ამ განზრახვით წამოიწიეს თუ არა, იმავე ხმამ კვლავ ახალი სიმღერა დაიწყო:

ჰოი, უმწიკვლო მეგობრობავ, სად გაგვიფრინდი...

ამ ქვეყანაზე დარჩა მხოლოდ შენი ხსენება,

თვითონ კი ასვლა უნეტარეს ცაში გენება

და ემპირეას სამყოფელში ნებივრობ მშვიდი.

ბევრჯერ ეცადე გაგერღვია სიშორის ბინდი,

ჩვენთვის მოგეცა მადლი ცისა სულის მშვენებად,

მაგრამ მიწაზე უბოროტეს საშინელებად

გადაიქცა, რასაც სათნოებით შენ გიგზავნიდი:

ციდან ჩამოდი, ო სიცრუეს ნუ მისცემ ნებას,

იყოს სიმართლის ტანსაცმელში გამოწყობილი,

რითაც სიწმინდე ღირსეული დღეს ილუპება.

ნუ გაახარებ თვალთმაქცობას და ცბიერებას,

თორემ, იცოდე, მთელს ქვეყანას პირველყოფილი

შუღლი და მტრობა სამუდამოდ დაეუფლება.

მომღერალმა სიმღერა ღრმა ამოხვრით დააბოლოვა და ჩვენმა მეგობრებმა კვლავ დაიწყეს ლოდინი, ეგებ კიდევ ახალი რამ გავიგონოთო. მაგრამ როდესაც სიმღერა ოხვრა-ტირილად გადაიქცა, მაშინ განიზრახეს, გაეგოთ, თუ ვინ იყო ის ტანჯული, ურვა რომ იმდენადვე მწარე ჰქონდა, რამდენადაც მისი ხმა იყო ტკბილი. მისი ძეგნა დიდხანს არ მოუხდათ. ერთი კლდის

შესახვევზე ჩვენმა მეგობრებმა კაცი დაინახეს, ტანით და მოყვანილობით სწორედ იმის მსგავსი იყო, რომელიც სანჩო პანსამ აუღწერათ, როცა კარდინოს ამბავი უამბო. უცნობი ხალხის დანახვაზე იმ კაცს არც შიში რამ დაეტყო და არც გაკვირვება. შედგა და თითქოს ღრმად დაფიქრებულმა თავი ჩაჰკიდა, თვალეზი კი არ აუღია მაღლა, რომ ის უცნობი ხალხი გაერჩია; მხოლოდ ეს კი იყო, პირველ შეჩერებაზე მათ ოდნავ შეხედა. გონიერმა და მოხერხებულმა მღვდელმა მაშინვე იცნო, რომ იგი სწორედ ის უბედური უნდა ყოფილიყო, რომელზედაც სანჩომ უამბო, მივიდა მასთან და ორიოდ, მაგრამ ბეჯითი სიტყვით სთხოვა, ან განდევილი ცხოვრებისათვის თავი დაენებებინა, რომ ამქვეყნიერს უდიდეს საშიშროებას - სიკვდილს აცდენოდა. საბედნიეროდ ვარდენიო ამჟამად სრულებით დამშვიდებული იყო, და ზოგჯერ რომ სიშმაგე მოერეოდა ხოლმე, იმ გვემისაგან სრულიად თავისუფალი იყო. ამ ორი კაცის შეხვედრა ძალიან გაუკვირდა, რადგან ესენი სამოსელით იმათ სულ არ ჰგავდნენ, ვინც ამ უდაბურ ადგილებში შეხვდებოდა ხოლმე, და უფრო კიდევ ის გაუკვირდა, რომ იმათაგან თავის საკუთარი თავგადასავალი მოისმინა, ის დაწვრილებით ნაამბობი, თითქოს მათი საკუთარი თვალით ნანახი ყოფილიყო (ეს სავსებით აშკარად ჩანდა მღვდლის სიტყვებიდან) და ასე მიუგო:

- ვინც არ უნდა იყოთ თქვენ, ბატონებო, ვხედავ რომ ზენაარსი, ყველა კეთილთა და ზოგჯერ ბოროტთაც უზომო მწყალობელი, ამ კაცთა საზოგადოებისაგან განშორებულ ადგილს თქვენი მოსვლით ჩემთვის დამსახურებულ წყალობას მიგზავნის. თქვენ ცხადი ფერებით მიხატავთ იმ ცხოვრების სავალალო სურათს, რა ცხოვრებისთვისაც თავი გაწვირე. ცდილობთ, უკეთეს ცხოვრებაში მიმიწოდოთ. მაგრამ, ბატონებო, ის აღარ იცით, რომ, თუ ეს ბოროტი უარყავ, სხვა უარესს შევეყრები. შეიძლება, არა თუ მარტო სულელად, არამედ გონებადაკარგულადაც მთვლიდეთ, და მართალს გეტყვით - მე ეს სულაც არ მაკვირვებს. ჩემი უბედურება ის არის, რომ მეტად მძიმე, მოულოდნელი ნაღველი მქეჯნის; ჩემთა უბედურებათა მოგონება ისე მშლის ხოლმე, რომ ხანდახან უსულო ქანდაკს ვემსგავსები და გრძნობა-შეგნების ღონეს მაცლის. ამას მე სხვები მეუბნებიან და კიდევ უნდა დავიჯერო, მეტადრე, როდესაც ამის საბუთებსაც მიჩვენებენ ხოლმე, - იმ დროს ჩადენილებს, როცა საშინელი სიშმაგე მემართება. იმ წამებში ჩემს ბედშავს ეტლს ვწყევლი და ვითომდა ჩემი სიშმაგის საბოდიშოდ, ჩემთა ტანჯვითა ამბებს გავიხსენე ხოლმე და მზად ვარ ყველას ვუამბო იგი, ვინც კი მის მოსმენას მოისურვებს. ვიცი, თუ გონიერმა ხალხმა მომისმინა და ჩემს საშველად ვერა იღონა-რა, არც იმას იზამს, რომ გამამტყუნოს, ჩემი საქციელი იმათ არ შეზარავს, პირიქით, კიდევ შემიბრალებენ. თუ, ბატონებო, თქვენც ამ განზრახვით მოსულხართ, რა განზრახვით სხვებიც ყოფილან, გემუდარებით, ჯერ ჩემი საზარო თავგადასავალი მომისმინოთ და თქვენი გულშემატკივარი რჩევა მერე მომცეთ; მაშინ ეგებ თავი აღარ შეგაწყინოთ უბედურის ნუგემისცემით, რომლისთვისაც ქვეყანაზე აღარც ნუგეშია სადმე და აღარც არაფერი, სულ აღარაფერი.

მღვდელსა და დალაქს იმის მეტიც არა უნდოდათ-რა, თვითონ კარდენიოსაგან გაეგოთ მისი უბედურების მიზეზი, და ერთხმად თხოვეს, ყველაფერი ეამბნა მათთვის და თანაც მხოლოდ იმგვარი შველა აღუთქვეს, რაგვარ შველასაც თავის შეღავათისა და განკურნებისათვის თვითონ იგი დაინახავდა სასარგებლოდ. მაშინ ბედშავმა კაბალიერომ მეორედ აღარ ათხოვნინა და დაიწყო გულისმომწველი და სამწუხარო თავგადასავალი. თითქმის ისე და იმავე სიტყვებით, როგორც რამდენიმე დღის წინათ დონ კიხოტსა და თხის მწყემსს უამბო, და ვერ დაასრულა კი, ვიღაც ბატონი ელისაბატისა და იმ დაწვრილებითი სინამდვილის მიზეზით, როგორსაც დონ კიხოტი ჰპოვებდა საჭიროდ ყველა საქმის შესრულების ჟამს, ვითარცა მოგზაური რაინდობის

წესების მტკიცე აღმსრულებელი, რაც უკვე იყო თქმული. საბედნიეროდ, ამ ჯერობაზე, კარდენიოსათვის სიშმაგეს არ მოუვლია და ამიტომაც თავისი ამბავი ბოლომდის მიიყვანა. როცა ამადის გალელის წიგნში დონ ფერნანდოსაგან ნაპოვნი ლუსინდას წერილი მოახსენა, კარდენიომ თქვა: ეს წერილი ზეპირად მახსოვს და შიგ ასე ეწერია:

ლუსინდა კარდენიოსადმი

რაც დღე მიდის, მე თქვენში ახალ ღირსებას ვხედავ და მით თქვენი პატივისცემა უფრო და უფრო მემატება. თუ გასურთ ჩემი თავი, ისე კი რომ პატივი არ შემებღალოს, თქვენთვის ამის ასრულება ადვილია. მამაჩემი გიცნობთ, მეც ძლიერ ვუყვარვარ; სურვილის ასრულებით თქვენს სურვილსაც ასრულებს, თუ კი მართლა ფასსა მდებთ რასმე, როგორც მგონია, და თქვენც მარწმუნებთ.

- ამ წერილმა, - განაგრძო კარდენიომ, - მე ლუსინდამ ცოლად თხოვნა გამაბედვინა, დონ ფერნანდოს კიდევ ყურადღება ლუსინდაზე მიაპყრობინა, რადგან მეტად ჭკვიან და სათნო ქალად ეჩვენა იგი; იმავე წერილმა ჩემი დაღუპვა ჩაუდო გულში. ლუსინდას მშობლების სურვილი დონ ფერნანდოს ვუამბე, რომ მათ სურდათ ლუსინდა თვითონ მამაჩემს ეთხოვნა ჩემთვის ცოლად და მე კი მათი სურვილის თქმას მამაჩემს ვერ ვუბედავდი, იმიტომ კი არა, რომ მეშინოდა, ლუსინდა არ დაეწუნებინა, ან კი როგორ დაიწუნებდე როდესაც თავის სიმშვენიერით და სხვა ღირსებით შეეძლო ესპანეთის ყველა ოჯახი დაემშვიდებინა; მარტო იმას ვმიშობდი, ვაითუ უარი ეთქვა, რადგან ჩემს დაქორწინებას ნაადრევად თვლიდა. ვიდრე არ გაიგებდა, ჰერცოგი რიკარდო რისთვის მიბარებდა დონ ფერნანდოს ვეუბნებოდი, რომ ამ და სხვა მიზეზებით რასაც საუბედუროდ წინდაწინვე ბუნდოვნად ვგრძნობდი, ვერაგვით ვერ ვბედავ მამაჩემს ჩემი სიყვარული გავუმჟღავნო-მეთქი; ეს რომ მექნა, ასე მეგონა, ყველა ჩემს საუკეთესო იმედებს უნდა გამოვსალმებოდი. დონ ფერნანდომ მიპასუხა, მამაშენის ყოველგვარ მოლაპარაკებას მე ვიკისრებო და კიდევაც დავიყოლიებ, ლუსინდა სთხოვოს შენთვის იმის მშობლებსო. ოი ზვიადო მარიესო! ოი, გულქვა კატილინავ! ოი, უკეთურო სულა! ოი, ვერაგო განელონო! ოი, მოდალატე გელიდო! ოი, მოსისხე იულიანუს! ოი, ხარბო იუდავ! ოი, უწვალო, მოშურნე და მუხთალო მოდალატე! შეჰყვირა კარდენიომ, რა დაგიშავე მე უბედურმა, ჩემი სიხარული, იმედები და გულის საიდუმლო რომ გაგიმჟღავნე? რა გიყავ? რა გითხარ, რა გირჩიე ისეთი, რომ შენი სასარგებლო არ ყოფილიყო? მაგრამ ვაი ჩემს თავს! ახლა ჩემთვის ასეთი დაგვიანებული სინანული რაღა ხელსაყრელია? განა ისეთი კიდევ არის ვინმე, ეჭვი მქონდეს, რომ უბედურება ჩვენი შავბედითი ეტლიდან შეუკავებელი სისწრაფით გვეცემა თავს და არავითარი კაცობრივი ღონე არ არსებობს შეიკავოს და ჩვენს თავს დასაცემად არ მოუშვას იგი? ვინ იფიქრებდა, რომ გამოჩენილი აზნაური დონ ფერნანდო, დიდი გვარიშვილი და დიდად ნიჭიერი, უახლოესი ჩემი მეგობარი, ჩემგან იმდენად დავალებული, ისეთი ბედის მქონე, რომ, ვინც არ უნდა მოესურვებინა, სიყვარულით იქნებოდა, თუ ვნებათაღელვის იძულებით, ყველა დაუსაკუთრებდა მას თავის გულს. ასეთი ბედის მქონე მოიწადინებდა ერთადერთი კრავი მოეტაცნა ჩემთვის, ისიც ისეთი, რომ ჯერ არც კი დამესაკუთრებინა? მაგრამ ეს უსარგებლო ჩივილი და უჭირველი გოდება რაღას მიშველის, - ისევ ჩემს ამბავს დავუბრუნდები. რადგან ჩემი იქ ყოფნა დონ ფერნანდოს ბიწიერი, უპატიოსნო წადილის შესრულებაში ხელს უშლიდა, ამიტომ თავის უფროს ძმასთან გამგზავნა, ვითომდა ფულის მოსატანად იმ ექვს ცხენში მისაცემად, სწორედ იმ დღეს რომ იყიდა, რა დღესაც მამაჩემთან ჩემს საქმეზე უნდა ელაპარაკნა; ეს ვაჭრობა იმ დღეს იმიტომ მოიწადინა, რომ თავიდან მოვეშორებინე, და თავისუფლად ემოქმედა. ღმერთო ჩემო! განა ასეთ ღალატს წარმოვიდგენდი? ან კი ამის მსგავს

რამეს ვიფიქრებდი? პირიქით, მისი ნავაჭრით აღტაცებულმა იმ წამსვე სიამოვნებით დავთანხმდი წასვლას. ამ ღამესვე მოველაპარაკე ლუსინდას, ვუამბე, დონ ფერნანდო რა სიკეთეს დამპირდა, და ვანუგეშე, ჩვენი წადილი ჩქარა აღსრულდება-მეთქი. ჩემსავით ვერც ლუსინდა მიხვდა ფერნანდოს ღალატს და მთხოვა, ჩქარა დავბრუნებულიყავი; ფიქრობდა, საქმე მამაჩემზედა იყო დამოკიდებული და, რაკი იგი ჩვენს ქორწინებაზე დათანხმდებოდა, ჩვენს შეუღლებას წინ ვედარავინ გადაეღობებოდა. ეს რომ თქვა, უცებ ხმა ჩაუწყდა და თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა. ცდილობდა, კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ შესძლო, თითქოს ყელში უჭერდა ვინმე. ამან ძალიან გამაკვირვა, რადგან ასეთი რამ თავის ღეში არ მოსვლია. უწინ, როდესაც კი ბედნიერი რამ შემთხვევა ან ჩემი გაბედულება ერთად შეგვეყრიდა ხოლმე, მუდამ თავისუფლად და ხალისიანად ლაპარაკობდა, და არასოდეს არ ყოფილა რომ ან ცრემლებს, ან ოხვრას, ანუ რამ წინათგრძნობას და ეჭვს მისთვის ლაპარაკში დაეშალოს. ღმერთს ვმადლობდი ხოლმე, რომ ასეთი საცოლე მომივლინა; აღტაცებით ვესაუბრებოდი და ამ საუბრის საგნადაც მხოლოდ მისი არსება, ჭკუა დამშვენიერება იყო. მასაც, თავის მხრივ, თითქოს მადლობის ნიშნად, ჩემშიც ის მოსწონდა და აქებდა, რასაც მოწონებისა და ქების ღირსად ხედავდა. შიგადაშიგ ამ საუბარში ვხუმრობდით ხოლმე, ნაცნობ-მეზობლების ცხოვრებიდან ზოგ რამ შემთხვევებს ვუამბობდით ერთმანეთს და ამ ხანებში იმის მეტი ნება არ მიმიცია ჩემი თავისთვის, რომ მის მშვენიერ ხელს მივკარებოდი და ძალისძალად ტუჩთან მიმეტანა. ახლა კი ჩემი წასვლის წინა ღამეს, იგი ტიროდა, ჭმუნავდა და ბოლოს სიტყვისუთქმელად გამშორდა და შეშინებული და შეწუხებული დამტოვა, რადგან ეს საქციელი იმას მოწმობდა, რომ ჩემი განშორება წყინდა. არ მინდოდა მისი იმედების სინათლე რითიმე დამეჩრდილა, ამიტომაც მისი საქციელი სიყვარულს და განშორებას მივაწერე, რადგან ვიცოდი - მიჯნურნი განშორებას ძნელად იტანენ. ბოლოს ჩემს საცოლეს დაფიქრებული და დაღონებული გავშორდი, ცუდს რაღაცას ვგრძნობდი და მეშინოდა, ის კი ვერ გამერკვია, რასა ვშიშობდი; გული თითქოს მეუბნებოდა, უკან დაბრუნებისას. საშინელი უბედურება უნდა დამტეხოდა თავს.

დონ ფერნანდოს ძმასთან მივედი, წერილი მივუტანე, კარგად მიმიღო, მაგრამ საუბედუროდ მთელი ერთი კვირა აღარ გამიშვა. ეს ხანი იქ ისეთ ალაგს ვცხოვრობდი, რომ ჰერცოგს ჩემი ნახვა არ შეეძლო, რადგან დონ ფერნანდო თხოვდა, ისე გამოეგზავნა ფული, რომ მამას ვერ გაეგო. როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ყველა ეს მატყუარა დონ ფერნანდოს მიერ განზრახ იყო მოხერხებული, თორემ მის ძმას მაშინვე შეეძლო დავებრუნებინე, რადგან თვითონაც ჰქონდა ფული და მამისგან გამორთმევაც არ დასჭირდებოდა. თუმცა დონ ფერნანდოს დავალება ნებას მაძლევდა პასუხისათვის არ მომეცადა და მაშინვე დავებრუნებულიყავი, მით უფრო, რომ არავის შეეძლო ჩემგან ასე ხანგრძლივად ლუსინდას განშორება მოეთხოვა, მით უმეტეს, რომ წასვლისას იგი მეტად მწუხარე დავტოვე. მაინც დონ ფერნანდოს მეგობრობის გულისათვის გადავწყვიტე უდრტვინველად მელოდნა, თუმცა კი გულში რაღაც იდუმალ შფოთსაც ვგრძნობდი. თანაც ცხადად ვხედავდი, რომ ეს ლოდინი დიდ რადმე დამიჯდებოდა. ოთხ დღეს უკან შიკრიკმა წერილი მომიტანა. მისამართზე ლუსინდას ხელი ვიცან. სამწუხარო წინაგრძნობით აღელვებულმა, წერილი გავხსენ, თანაც წინათვე ვიყავ დარწმუნებული, რომ მოწერის მიზეზი დიდი რამ უნდა ყოფილიყო, რადგან მეტად იშვიათად იცოდა წერილის წერა. წაკითხვამდე კვითხე მომტანს, ვინ გამოატანა წერილი და რამდენი ხანი მოუნდა გზას. მან მომიგო "შუადღის დროს ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე მოვდიოდი, უცებ ფანჯრიდან ვიღაც მტირალმა ლამაზმა ქალმა დამიძახა და საჩქაროდ მითხრა "ჩემო ძმობილო! თუ ქრისტიანი ხარ, ღვთის გულისათვის თხოვნა ამისრულე, ეს წერილი, რაც შეგეძლოს, ჩქარა აქა და აქ

მიიტანეო, ვისაც ვუგზავნი, ისიცა და ის ადგილიც, საცა არის, ყველამ იცის ეს დავალება დამდე და კეთილი საქმისათვის ღმერთი სამაგიეროს გადაგიხდისო. ეს დავალება რომ უფრო ადვილად შეასრულო, აჰა, რაც ამ ხელსახოცშია, მოიხმარეო". ეს მითხრა, თქვა შიკრიკმა, და ხელსახოცში გამოკრული ასი რეალი გადმომიგდო, თანაც, ამ თითზე რომ მაქვს, ეს ბეჭედი, და, ხელში რომ წერილი გიჭირავს ეგაო, და რაკი დაინახა, ხელსახოცი და წერილი ავიღე და ვანიშნე ყველას ავასრულებ მეთქი, უცნობი მშვენიერი ფანჯარას მოშორდაო. ასე უხვად დაჯილდოებულმა, წერილის მისამართიდან რაკი გავიგე იმ ბატონთან მგზავნიდა, რომელსაც, ღვთის მადლით, კარგად ვიცნობდი, და უფრო მეტად კიდევ იმ ტურფა ქალის ცრემლებით გულმოწყლულმა, გადავწყვიტე, არავისთვის არ მენდო და თვითონ ჩემი ფეხით წამომეღო. და აი, როგორც ხედავ, თექვსმეტი საათის განმავლობაში თვრამეტი მილი გამოვიარეო". ის მადლიანი კაცი რომ ამას მიაშობდა და მეც ისე ვიდექ, თითქოს, როგორც იტყვიან, მის სიტყვებთან ვიყავ მიჯაჭვული, ფეხები ისე საშინლად ამიკანკალდა, ტანი ძლივსღა მეჭირა. ბოლოს წერილი გავხსენ და შემდეგი წავიკითხე:

დონ ფერნანდომ რომ სიტყვა მოგცათ - მოახერხებდა მამათქვენი მამაჩემს მოლაპარაკებოდა, - შეასრულა, მაგრამ უფრო თავის სასარგებლოდ, ვიდრე თქვენი გულისთვის. იცოდეთ, სენიორ, რომ მან ჩემი თავი თხოვა ცოლად და მამაჩემმაც, იმ უპირატესობით თვალაბმულმა, რაც მისი აზრით, დონ ფერნანდოს თქვენთან შედარებით გააჩნია, უარი არ თხრა. ეს ამბავი სახუმარო არ არის, ორ დღეს შემდეგ ჩვენი, თითქმის საიდუმლო, ქორწინება უნდა მოხდეს, ამის მოწმედ მხოლოდ ზენაარსი და შინაურები იქნებიან. რა მდგომარეობაში უნდა ვიყო ახლა და საჭიროა თუ არა თქვენი საჩქაროდ მოსვლა, ამაზე თქვენ თვითონ იფიქრეთ, მიყვარხართ თუ არა, ამას მომავალი გიჩვენებთ. ღმერთს ვვედრი, ეს წერილი იმაზე ადრე მიიღოთ, ვიდრე ჩემი ხელი იმ კაცის ხელს ჩაერთვის, რომელმაც აღთქმული სიტყვის აღსრულება არ იცის.

მიღებული წერილი ასეთი იყო. წავიკითხე თუ არა აღარც პასუხს დავუცადე, აღარც ფულს და მაშინვე გზას გავუდექი. ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ დონ ფერნანდოს ცხენებმა მისაცემი ფულისათვის კი არ გავეგზავნე, არამედ ჩემი მშორებით უნდოდა თავისი ვერაგი განზრახვა უფრო თავისუფლად აესრულებინა. იმ უპატიოსნო მეგობრის საქციელზე საშინელმა გაშმაგებამ და თანაც შიშმა, რა დიდი ხნის სიყვარულით და მორჩილებით ნაშოვნ გულს ვკარგავდი, ფრთები შემასხეს. მეორე დღესვე ჩემს ქალაქში გავჩნდი და პირდაპირ ლუსინდას სანახავად მიველ. ჯორი იმ წერილის მომტან კეთილ ბიჭს დავუტიავ და იდუმლად შეველ მასთან. ბედზე ლუსინდა იმ რკინის სერსეროიან ფანჯარასთან დამხვდა, ჩვენი მიჯნურობის ერთადერთი მოწმე რომ იყო. ლუსინდამ მაშინვე მიცნო ისე, როგორც მე ვიცან იგი, მაგრამ, ვაჰმე, რომ ისე აღარ შემხვდა, როგორც მეგონა ვნახავდი. ვაჰ, ნეტა არის ვინმე ქვეყანაზე ისეთი მომაკვდავი, რომ მოღალატე დედაკაცის დაუდევარი აზრების სიღრმე და საქციელის უხანოზა გამოეცნოს? მგონი, არვინ. რომ დამინახა, დაიძახა: "აი, ვარდენიო, საქორწინოდ უკვე მოვირთე, მოღალატე დონ ფერნანდო და პატივმოყვარე მამაჩემი სხვა მოწმეებით დარბაზში მეღიან, მაგრამ ჩემს ქორწილს კი არა, ჩემს სიკვდილს ნახავენ. ნუ შეძრწუნდები, ჩემო მეგობარო, ეცადე ჩემს ჯვრისწერას შენც დაესწრო, და თუ იმ წესის აღსრულებას ჩემმა სიტყვებმა ვერ დაუშალეს, უბეში რომ ხანჯალი მაქვს, ის მაინც დამიხსნის ძალადობისაგან და შენდამი სიყვარულს ჩემი სიკვდილით დაგიმტკიცებო". ღელვისაგან ათრთოლებულმა მივუგე და თან მეშინოდა, ვაითუ პასუხი ვერ დამესრულებინა: "შენმა საქციელმა გაამართლოს შენი სიტყვები და თუ უბეში ხანჯალი გაქვს დამალული შენს გასაგმირად, მე თან ხმალი მაქვს შენს დასაფარად, და, თუ

ბედმა მიმუხთლოს - თავის მოსაკლავად". ამ დროს ეძახდნენ, ეკლესიაში წასვლას იშურებდნენ, ამიტომაც არ ვიცი, გაიგო თუ არა ჩემი პასუხი.

გამშორდა და ჩემი სიხარულის მზეც ჩაესვენა, მწუხარებისგან უკუნეთი ღამე დამიდგა. ჭკუა ამერია, თვალთ დამიბნელდა, ვეღარ შევიძელ გამოსავალი გზა მეპოვნა, ადგილიდანაც კი ვერ დავიძარ, მაგრამ რაღაც იდუმალმა შთაგონებამ მალე გამაგებინა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ლუსინდასათვის ამ სამძიმო წამში ჩემს იქ დარჩენას. ძალ-ღონე მოვიკრიბე და ჩემი ყოფილი საცოლის სახლში შევედი. რადგან ყველა მისი შესავალი დიდი ხნიდანვე ვიცოდი, ამიტომ საზოგადო ალიაქოთით ვისარგებლე და ყველას შეუმჩნევლად იმ დარბაზში შეველ, სადაც ჯვრისწერა უნდა მომხდარიო. ფანჯარასთან დავდექე ფარდებს უკან მოფარებით ისე, რომ ყველას დანახვა შემეძლო, მე კი ვერავინ დამინახავდა. შფოთი განა შემიდლია სიტყვით გამოვხატო, რასაც გულში მთელს იმ ხანს ვგრძნობდი? ის აზრები როგორ გადმოგცეთ რაც მაშინ თავში მომდიოდა, ან ის გადაწყვეტილება, რასაც გული მეუბნებოდა? იმათი განმეორება შეუძლებელია და იქნებ არც რიგი იყოს. პატარა ხანს უკან დავინახე, სასიძომ დარბაზნი გაიარა, საშინაო ტანისამოსით იყო, უკან მაყრად ლუსინდას ბიძაშვილი მოსდევდა, მთელს სახლში მოსამსახურეების მეტი არავინ იყო. ცოტა ხანი კიდევ რომ გავიდა ლუსინდა დედისა და ორი მოახლის თანხლებით საპირფარეშო ოთახიდან გამოვიდა, მშვენივრად, სწორედ თავისი სილამაზის შესაფერისად მორთული. ღელვისაგან კარგად დათვალა ვერ მოვახერხე, მხოლოდ ის შევნიშნე, ტანსაცმელი თეთრ-წითლად ღაღღაღებდა, თმასა და კაბაზე მობნეული ძვირფასი თვლები ათასფერად უბრწყვიალებდნენ. მაგრამ განა შეედრებოდა რამე მის ქერა თმის მშვენიებას, ძვირფას თვლებზე უმეტესად მოკაშკაშეს? ვაჰ, მოგონებავ! ჩემი მოსვენების დაუძინებელი მტერი! მუდამ წამს თვალწინ რად წარმომიდგენ უბრალო ნაკვთს, ჩემგან გაღმერთებული ჩემი მტრისას? მარტო იმასღა უნდა ვიგონებდე, რასაც მაშინ ის ჩადიოდა, რომ მისგან ასე მედგრად დაცემული თავზარი ეგებ გულში მიღვიძებდეს, თუ სამაგიეროს გადახდას არა, იმას მაინც, რომ სიკვდილს ვნატრობდე... ბატონებო, ეს წამიერი აღზნება და გადახვევა მთმიტევეთ, მაპატიეთ, ისიც, რომ თავი მოგაბეზრეთ. მაგრამ რა ვქნა ჩემი სამწუხარო ამბავი იმგვარი არ არის, რომ ჩქარა და მთკლედ გადმოსაცემი იყოს. მე რომ მკითხოთ, ამ საქმის თითოეული გარემოება ამის ღირსია, რომ კაცმა იგი გრძლად უამბოს ყველას... მასზე მსჯელობა დალაგებით გასწიოს.

ამის პასუხად მღვდელმა კარდენიოს უთხრა, რომ შენი ამბავი სულაც არ მოგვბეზრებიაო, პირიქით, ყველა ამ წვრილმანის მოსმენა დიდად სახალისოა და იმავე ყურადღების ღირსია, როგორც თვითონ ამბის არსიო.

- ყველანი რომ შეიყარნენ, - განაგრძო კარდენიომ, - მღვდელი დარბაზში შეიწვიეს. მან სარძლოს და სასიძოს ქორწინების წესის გადასახდელად ხელი გამოართვა; და როდესაც ლუსინდას ამ საღმრთო ხატყვებით მიმართა: "თქვენ გეერდით მდგომარე დონ ფერნანდო გსურთ კანონიერ ქმრად ჩვენი წმიდა ეკლესიის წესის თანახმად", წამსვე ფარდიდან თავი გამოვყავ და ღელვისგან ათრთოლებული სმენად გადავიქეცი, რომ ლუსინდას პასუხი გამეგონა, რაც ჩემი სიცოცხლის ანუ სიკვდილის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. ვაჰ! ამ ბედითს წამში ნეტა იქიდან რატომ არ გავიქეც? რატომ არ დავუყვირე: " ლუსინდა, კარგად მოიფიქრე, რას ჩადიხარ! გაიხსენე, რაც ჩემი გმართებს! ჩემი ხარ და სხვისი გაყოლა არ შეგიძლია! შენი ბედითი "ჰოს" წარმოთქმა ჩემი სიკვდილის განაჩენი იქნება! ხოლო შენ, მოღალატე დონ ფერნანდო, ჩემი სიცოცხლის და საუნჯის მპარავო, რა გინდა? რა გსურს? განა ვერ ხედავ, არ შეგიძლია სურვილი ქრისტიანულად შეასრულო, რადგან ლუსინდა ჩემი ცოლია და მეც იმის

ქმარი ვარ!.." მე საბრალო უბედურს, მოღალატისაგან შორს მყოფს, მესმის, რაც მაშინ უნდა მექნა და კი არ ვქენ; ახლა, როდესაც ჩემი თავი გავაძარცვინე, მძარცველს შეჩვენებას ამაოდ ვუთვლი, მისთვის სამაგიეროს გადახდა შემემძლო, მაშინ რომ მის მოსაკლავად იმდენი გაბედულება მქონდა, რამდენიც ახლა მის წყევლა-კრულვისათვის მაქვს, მაგრამ, რაკი მაშინ უგუნური და მხდალი ვიყავ, ამ სასჯელად ახლა გაუპატიურებული უნდა მოვკვდე, სინანულში ვატარო დღენი და ჭკუაარეული ვიმყოფებოდე!

მღვდელს ლუსინდას პასუხის ლოდინი დიდხანს მოუნდა, და მეც ვფიქრობდი, აგერ საცაა უბეში დამალულს ხანჯალს ხელს წაავლებს, რომ თავის სიტყვას არ უღალატოს-მეთქი, ან მოვაგონდები და ყველაფერს გაამჟღავნებს-მეთქი, და ამის ნაცვლად წყნარი, აკანკალებული ხმით წარმოთქმული მომესმა: "დიახ, მსურსო". დონ ფერნანდომაც იგივე სიტყვა თქვა, ხელზე ქორწინების ბეჭედი გაუკეთა და იმ წამიდან განუყრელი კავშირით შეუღლდნენ, შეკავშირდნენ. ქმარი მივიდა ცოლის საკოცნელად. მაგრამ მან მკერდს ხელი იტაცა და გულშემოყრილი დედის ხელებზე დაეშვა. ახლა ისღა დარჩა გითხრათ, რა მომივიდა, როცა ამ ბედითმა, "ჰომ" ჩემი იმედები აბუჩად აიგდო და დამარხა, როცა ლუსინდას ღალატი გამომჟღავნდა და ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ დანაკარგს ველარასოდეს ვერ დავიბრუნებდი. მე ვგრძნობდი, რომ ცამ და დედამიწამ განმარიდეს, ჩემს კვნესას ჰაერი არა ჰყოფნიდა, ჩემს ცრემლებს - წყალი, ცეცხლი მწვავდა და ჩემს გულს ეჭვიანობის და შურის აღს უკიდებდა. ლუსინდას გულშეღონებამ ყველანი შეაშფოთა. დედამ კაბა გაუხსნა, რომ სუნთქვა თავისუფლად შესძლებოდა, ამ დროს უბეში დაბეჭდილი წერილი უპოვნა; ეს წერილი დონ ფერნანდომ ხელიდან გამოგლიჯა და ერთ-ერთი ჩირაღდნის შუქზე კითხვა დაუწყო, წაკითხვის შემდეგ სავარძელში დაეცა. ცოლის მოსულიერებას ყურადღება აღარ მიაქცია, ხელებზე დაიყრდნო თავი და ჩაფიქრებული იჯდა.

ამ არეულობით ვისარგებლე და სახლიდან გამოსვლა დავაპირე, დაფარვას აღარ ვფიქრობდი, პირიქით, მზად ვიყავ, თუკი შემთხვევა მოიტანდა, ისეთი საქმე ჩამედინა, რომ მთელს ქვეყანას გაეგო, თუ რა საზარელმა და მასთან სამართლიანმა გულისწყრომამ გამომალბინა ხელი იმ მოღალატე დონ ფერნანდოზე და ვინ იცის, თვითონ მოღალატე ლუსინდაზედაც, იმ წამს რომ იქვე უგრძნობლად იწვა. მაგრამ ჩემმა ეტლმა, ახლა რომ გონება მთლად წამართვა, მაშინ გონება ბევრი მომცა, - ეგებ იმისათვის, რომ უფრო უარესი ბოროტებისათვის შევენახე, თუკი იმაზე უარესი კიდევლა იქნება რამე. ჩემი მძვინვარე მტრები დამშვიდებულმა დავტოვე (თუმცა სამაგიეროს გადახდა ადვილად შემემძლო, რადგან ჩემთვის მაშინ აღარავის სცალოდა), და გადავწყვიტე იმათ ნაცვლად სამაგიერო ჩემი თავისათვის გადამეხადა, და რაც ჩემგან ბოროტი სხვას უნდა გასტეხოდა, ისევ ჩემი თავისათვის მიმეზღო. აკი ჩემი თავი ამაზედაც ძლიერ დავსაჯე, ვიდრე ჩემს ჯალათებს დავსჯიდი, - ისინი რომ მომეკლა მაშინ. ხომ ასეა: როდესაც სატანჯველი მოულოდნელად და სწრაფად გვსრავს, ძალასაც ჩქარა კარგავს, ხანგრძლივი ტანჯვა კი ნელი შხამითა გვწამლავს, მუდამ კვეთებას გვგვრის და არა გვკლავს კი. ერთი სიტყვით, იქიდან გავიქეც და ჯორი რომ მივაბარე, იმ კაცთან მივედე, ხელახლა შევაკაზმვინე და ქალაქიდან ისე წამოველ, რომ არავის არ გამოვთხოვებოვარ: ლოთივით უკან მიხედვისაც კი მეშინოდა. ტრიალ მინდორზე, უკუნეთ ღამეში რომ მარტო დავიგულე თავი, გარშემო მყოფი სიჩუმე თითქოს ძალას მატანდა, ჩემი ნაღველი წამომენთხია და ჩემი უბედურების სამაგიეროდ დონ ფერნანდოს და ლუსინდას ღვთისაგან შეჩვენებას ვუთვლიდი. უმეტეს ლუსინდას ვწყევლიდი და მოღალატეს ვუწოდებდი, ფიცის გამტეხად და იმაზედაც უარესს - ხარბ არსებად, ანგარებისმოყვარედ ვთვლიდი: იმიტომ, რომ ჩემი რაყიფის სიმდიდრემ აუხვია



თვალი და ის არჩევინა, ვინც ფორტუნას უხვად დაეჯილდოვებინა, მაგრამ ამ წყევლა-კრულვის დროს მის გასამართლებელ საბუთსაც ვპოვებდი. საკვირველი რა არის-მეთქი, ვფიქრობდი, რომ ყმაწვილი ქალი, ხალხის მოშორებით აღზრდილი, მუდამ მშობლების ნება-სურვილის აღსრულებას მიჩვეული, ახლაც მშობლების სურვილს დაემორჩილა, როდესაც იმათ საქმროდ ყმაწვილი, კარგი გვარისშვილი, ბრწყინვალე, მდიდარი და თვალიანი კაცი აურჩიეს-მეთქი. უარი რომ ეთქვა, ხომ აფიქრებინებდა, რომ ჭკუიდან შეიშალა, ან თავისი გული უკვე სხვას აკუთვნა, ეს კი მას სახელს ძალიან გაუტეხდა-მეთქი. მაგრამ რისხვის ხმა შერიგების ხმას აყრუებდა და ჩამჩურჩულებდა: რატომ არ უთხრა, რომ მე ვიყავ მისი ქმარი? განა ასეთი არჩევანი მისთვის უკადრისი იყო? ვიდრე დონ ფერნანდო გამოჩნდებოდა, მისი მშობლები ხომ ჩემზე უკეთესს არავის ისურვებდნენ? ან განა არ შეეძლო იმ საშინელი საუბედურო ნაბიჯის გადადგამადის - სხვაზე მითხოვებამდის - გამოეცხადებინა, რომ სხვას ეკუთვნოდა? მეც ხომ მაშინვე დავემოწმებოდი, და რასაც კი მაშინ იტყოდა, განა ყველაფერში სარჩლს არ გავუწევდი? მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი, რომ იგი უგრძობელი, ქარაფშუტა და პატივმოყვარე არსება ყოფილა, რომელსაც ამაო დიდების წყურვილმა აღთქმის დავიწყება აიძულა და ჩემი სიყვარული და ერთგულება გამიცრუა.

ამ ფიქრებით აღელვებულმა მთელი ღამე ვიარე, აღშფოთებული ჩემს თავს ველაპარაკებოდი და განთიადისას ამ ჩემთა წადილია მიზანს მთებს მოვადექი. სამ დღე-ღამეს კიდევ ვიარე და თვითონაც არ ვიცოდი, სად მივდიოდი. ბოლოს სადღაც ველზე გაველ, მისი მდებარეობა ახლა აღარ მახსოვს, და მწყემსებს ვთხოვე, ყველაზე მეტად საზარო, უდაბური და მქისე ადგილი რამ ესწავლებინათ. მათ აი, ეს ადგილი მასწავლეს და მეც შევეფარე იმ განზრახვით, რომ ჩემი დღენი აქ დავლიო. ჯორიც აქ მომიკვდა შიმშილისაგან და დაღლილობისაგან, ან იქნებ იმიტომაც, რომ ჩემი სხეულის უსარგებლო ტვირთისაგან დაეღწია თავი, ამ უდაბურ ადგილამდის რომ მოიტანა. ამგვარად მარტო დავრჩი დაღალული და შეწუხებული, არავის ვეძებ და არცა მსურს მოვძებნო ვინმე, რომ აქედან დამხსნას. არ ვიცი ამ მდგომარეობაში რამდენხანს დავრჩი, მაგრამ, როდესაც გონზე მოვედი, რამდენიმე მწყემსი შემომხვეოდა და შიმშილსაც ადარა ვგრძნობდი, ალბათ იმათ მაჭამეს რამე. მწყემსებმა მიაძმეს, როგორ მიპოვნეს, ათასი სისულელე როგორ დავროშე და როგორ გონებაარეულად ჩამთვალეს. ვაი ჩემს თავს! თვითონაც ვგრძნობ, რომ დროდადრო გონება მერევა ხოლმე, შერყევისაგან მისუსტდება და ზოგჯერ ვგიჟდები კიდევ, ტანისამოსს ზედ ვიფხრეწ, ამ უკაცრიელ არემარეში ხმამაღლა ვლაპარაკობ, ჩემს უბედურ ვარსკვლავს ვწყევლი და ჯერაც ისევ ჩემი საყვარელი მტრის სახელს ვახსენებ მალ-მალე... ასეთ წამებში ნატრობ ხოლმე, ჩემი სული ჩემს ოხვრას თან ამოვიტანო და, როდესაც გონზე მოვდივარ, ისეთს დაქანცულობას ვგრძნობ, რომ ფეხზე ძლივსღა გდგევარ.

ღამის გასათევად ბინად ერთი დიდი ხის ღრუ ამოვირჩიე და იქ ვაფარებ ჩემს ტანჯულ სხეულს. ამ მთებში ძროხებისა და თხის მწყემსავი გლეხები მიბრალევენ, საქმელი მოაქვთ და ისეთ ალაგას სდებენ, რომ პოვნა შემეძლოს: რა ვქნა, სხეული კვეთების დროსაც თავისას ითხოვს, და ბუნებითი მოთხოვნილება მაიძულებს ხოლმე, ლუკმა რამ მოვიძიო, შიმშილი მოვიკლა. ხანდახან კიდევ, როგორც მწყემსები მეუბნებიან, როცა დამშვიდებულს მხედავენ, ვიძალები, საფარიდან დავეცემი ხოლმე და ძალიან ვტაცებ იმ საქმელს, თავისი ნებით რომ მოაქვთ ჩემთვის. ჩემს საზარელ სიცოცხლეს ასე ვატარებ და იმასღა ვნატრობ, ეგებ უფალმა სხვა ცხოვრებაში მიხმოს, ან მეხსიერება წამართვას, რომ ლუსინდას სიტურფე და ლალატი, ხოლო დონ ფერნანდოსაგან მოყენებული შეურაცხყოფა აღარ მაგონდებოდეს. თუ ზენა ასეთ

წყალობას მოიღებს და არ მომკლავს, იქნება გონება უკან დამიბრუნდეს; თუ არა, იმის მეტი აღარა დამრჩენია-რა, უფალს შევევედრო, ჩემი სული შეიწყნაროს, რადგან აღარც ვაჟკაცობა მაქვს და აღარც ძალა, რომ ეს სხეული იმ ტანჯვისაგან დავიხსნა, რა ტანჯვაშიც თვითონ მე ჩავაგდე.

ასეთია, ბატონებო, ჩემი უბედურების მწარე ამბავი. აბა მითხარით, განა შეიძლებოდა ამაზე ურო გულგრილად მეამბნა იგი და მისი გახსენებით გულში დარდი არ გამჩენოდა? ახლა ამას გთხოვთ, თავს ნუ შეიწუხებთ, ჩემი ტანჯვის განკურნებისათვის მირჩიოთ რამე, თქვენი რჩევა ისეთივე სარგებლობას მომიტანს, როგორც ავადმყოფს სახელოვანი ექიმის მიერ გამოწერილი წამალი, რომელსაც ის დასალევად არ მიიკარებს. ლუსინდას გარეშე კარგამყოფობას და განკურნებას მე აღარ ვეძებ და, თუ მან არჩია სხვას ეკუთვნოდეს, როდესაც ჩემი უნდა ყოფილიყო, მეც ვირჩევ უბედურებას ვეკუთვნოდე, თუმცა შემემძლო ბედნიერიც ვყოფილიყავ. თავის დაუდევრობით მას ჩემი დაღუპვა სურდა. აღსრულდეს მისი სურვილი, - დაე, მეც დავიღუპო ამიერიდან. დაე თქვან, რომ მხოლოდ ჩემთვის არ მოიპოვება ქვეყანაზე, რაც ყველა ტანჯულს ნუგემს აძლევს - უნუგემობა. მე კი, პირიქით, ვგრძნობ და იმ შეგნებით ვიტანჯვი, რომ ჩემს მწუხარებას ჩემს სიცოცხლესთან ერთად არ მოეღება ბოლო, არამედ საიქიოსაც თან წამყვება!

კარდენიომ თავისი მიჯნურობის გრძელი და სამწუხარო ამბავი ამ სიტყვებით დაასრულა, და როდესაც მღვდელს მის სანუგეშებლად რამე უნდა ეთქვა, იმ დროს რაღაც ხმა მოისმა და ყველას ყურადღება მან მიიპყრო. ის ხმა საცოდავად მოთქვამდა და თუ რას, ამ ისტორიის მეოთხე ნაწილში გაიგებთ, რადგან ამ ადგილას ბრძენი და შორსმჭვრეტელი ისტორიკოსი სად ჰამეტ ბენენჰელი ამთავრებს თავისი მოთხრობის მესამე ნაწილს.

### თავი XXVIII

სადაც მოთხრობილია ახალი და სასიამო თავგადასავალი, იმავე მთებში მღვდელსა და დალაქს რომ მოუხდათ

ბედნიერი და კურთხეული იყო ის დრო, როდესაც ქვეყნიერებას უშიშარი რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი მოევლინა. მართლაც დიდსულოვნური იყო მისი წადილი - მოგზაურ რაინდთა მომაკვდავი და თითქმის მთლად გამქრალი წოდება უნდა აღედგინა - და ამ წადილით ჩვენ იმით ვართ დავალებული, რომ ამ მხიარულ გასართობებითა და სახალისო თავშესაქცევებით ღარიბ დროში, არა თუ მარტო ისეთი ამბების წაკითხვით ვტკბებით, რომელნიც მოგონილნი სულაც არ არიან და მის დიდ სახელოვან ღვაწლზე არიან დაწერილნი, არამედ მრავალი სხვა წვრილმანი ამბითაც შევიქცევთ თავს, ისევე უტყუართა და საყურადღებოთი, როგორიც თვითო ლამანჩელი გმირის ისტორიაა. ამ ჩვენი ისტორიის დახლართული ძაფების დაშლას რომ ვიწყებთ, ვიგებთ, რომ, როდესაც მღვდელს კარდანისათვის სანუგეშო რამ უნდა ეთქვა, იმ წამში მის ყურებს უცებ ეს სამწუხარო სიტყვები მოესმა:

- ვიშ, ღმერთო, ნუთუ ადგილი ვპოვე ჩემი ძნელად სატარებელი სხეულის შესაფარად? დიახ, მგონია, ვპოვე, თუ ბედმა ჩემს განმარტოებას ამ უდაბნო მთებშიც ხელი არ შეუშალა. ვიშ, ეს ჯაგნარი და ეს კლდეები, ეს უდაბური ადგილები. აქ შემიძლია ზენაარს გული თავისუფლად გადავუშალო, ეს უდაბური ადგილი ბევრად საყვარელი შეიქნება ჩემთვის. იმ ადამიანებზე, რომელთა შორის ერთსაც ვერ იპოვი, შენი მწუხარება განკურნოს, ჰმუნვა შეგიმსუბუქოს და რჩევა-დარიგება მოგცეს!

რადგან მღვდელსა და მის თანამგზავრს ისე მოეჩვენათ, რომ ეს ჩივილი იქვე სადმე ახლოდან მოისმოდა (რაც მართლაც ასე იყო), ამიტომ მაშინვე წავიდნენ თავისი ბედის უბედური მომჩივნის მოსაძებნად. ოციოდე ნაბიჯიც არ გაევილოთ, რომ ერთი იფნის ქვეშ, კლდის ძირში, გლახურად ჩაცმულ ყმაწვილ ბიჭს მიაღვინენ. პირსახე კი ვერ დაუნახეს, რადგან ზურგშემოქცევით მოხრილი იდგა და წყაროს ნაკადულში ფეხებს იბანდა. ფეხების ბანაში გართულ ჭაბუკთან ჩუმად მივიდნენ და და დაინახეს, რომ მისი ფეხები ნაკადულში სხვა ქვებს შორის ნაშობ ორ თეთრ ბროლის ნატეხს ემსგავსებოდა. მათმა სითეთრემ და სილამაზემ გააკვირვა ისინი. ეტყობოდა, ეს ფეხები, გუთნის უკან დევნით ბელტის სათელად არ იყვნენ გაჩენილნი, თუმცა ტანსაცმელი გლახკაცისას უგავდა. რაკი შეატყვეს, რომ იგი ამათ ვერ ამჩნევდა, მღვდელმა თავის ამხანაგებს ანიშნა, კლდეს მოჰფარებოდნენ. იქიდან ხარბი ცნობისმოყვარეობით თვალყურის დევნება დაუწყეს. ამ საყურადღებო უცნობს იაფუნჯის მსგავსი მოკლე რაღაც და ჟღალი მაუდის შარვალი ეცვა, ზევიდან თეთრი ქამარი ჰქონდა შემორტყმული და ჟღალი ქუდი ეხურა. მუხლებს ზევით აკარწახბული შარვალი თეთრი მარმარილოსაგან ნაქანდაკევის მსგავს წვივებს უჩენდა. მშვენიერი ფეხების ბანა რომ გაათავა, ქუდიდან პირსახოცის მაგვარი ხელსახოცი ამოიღო, თმები აიქნია და პირსახე გამოაჩინა. მისმა მშვენიერებამ ყველანი გააოცა და თვითონ კარდენიომაც კი ჩუმად უთხრა მღვდელს:

- რადგან ეს ლუსინდა არ არის, ამიტომ ამქვეყნიური არსებაც არ უნდა იყოს.

ამასობაში მშვენიერმა ჭაბუკმა ქუდი მოიხადა და თავის ქნევით ისეთი მშვენიერი თმები გაშალა, რომ თვითონ მზის სხვებსაც შეშურდებოდა. ახლა კი მეგობრებისათვის ცხადი შეიქნა, რომ ეს გლეხი ქალი იყო და მასთან ისეთი მშვენიერი, რომლის ულამაზესი არამც თუ მათ, კარდენიოსაც არ ენახა ჯერ, ლუსინდა რომ არ ცნობებოდა. შემდეგში თვითონ კარდენიო არწმუნებდა მათ, რომ მარტო ჩემს სატრფოს შეეძლო ამ უცნობ ქალთან მეტოქეობის გაწევად. მისი გრძელი ქერა თმა არა თუ მარტო ბეჭებზე ეყარა, არამედ ხშირი ტალღებით მთლად ფარავდა მას და მთელი ტანიდან მხოლოდ ფეხებიღა რჩებოდა საჩინარი. მშვენიერი თითები სავარცხლის მაგივრობას უწევდნენ და ამჟამად სწორედ თითებით თმის ვარცხნაში იყო გართული. თუ მისი ფეხები წყალში ბროლად მოჩანდნენ, ახლა თითები თმების ტალღებში მგორავ თოვლის ქულებს ემსგავსებოდნენ. ყველაფერმა ამან ჩვენ მგზავრებს შეფრფინვა და აღტაცება გაუორკვეცა და თავიანთი საფარი დაატოვებინა. ამ მოძრობით გამოღებულნი ხმაურობა რომ გაიგონა, მშვენიერმა ქალმა მოიხედა, თვალებიდან თმა გადაიწია და, სამი უცნობი კაცის დანახვით შეშინებულმა ტანისამოსის ბოლჩას ხელი დასტაცა და თავმოგლეჯილი გაიქცა, მაგრამ ნაზმა ფეხებმა წვეტიანი ქვით მოდენილ გზას დიდხანს ვერ გაუძლეს, ექვსიოდე ნაბიჯის შემდეგ საბრალო ქალი ძირს დაეცა. ჩვენი მეგობრები მისაშველებლად მიცვივდნენ და მღვდელმა საჩქაროდ უთხრა:

- ქალბატონო, ვინც უნდა იყოთ, გვერწმუნეთ ჩვენი ნუ გეშინიათ, ჩვენი განზრახვა მხოლოდ ის არის, რითაც კი შეგვიძლია სამსახურო გაგიწიოთ. გაქცევას ნუ იფიქრებთ, მაგის ნებას აღარც თქვენი ფეხები გაძლევენ და არც ჩვენ მოგცემთ.

აღელვებულ და შემკრთალ ტურფას ხმა ჩაუწყდა და გაქვავებულივით ადგილიდან ველარ დაიძრა. მაშინ ისინი უფრო მიუახლოვდნენ, მღვდელმა ხელი გამოართვა და კვალად უთხრა:

- რასაც თქვენი ტანისამოსი გიმალავდათ, ის თქვენა თმებმა გამომამჟღავნეს, ჩვენთვის ცხადი შეიქნა, რომ ამ უდაბნოს სიღრმეში მარტო წამიერს ჟინს არ გამოუტაცნიხართ მაგ თქვენთვის

უკადრის ტანსაცმელით; ჩვენს თავს ბედნიერად ვთვლით, რომ აქ გიპოვნეთ, მზადა ვართ რჩევით მაინც გემსახუროთ, თუ მწუხარების განსაკუთრებულ წამალს ვერას ვიპოვნით თქვენთვის. იცოდეთ, ვიდრე ადამიანს სული უდგას, ქვეყანას, ისეთი ჭირი არ მოიპოვება, რომ წმინდა გულით ნათქვამი რჩევა არ მოისმინოს. დამშვიდდით, ჩემო ტურფა ქალბატონო, ანუ ტურფა ბატონო, ანუ ვინც გინდათ იყოთ, სულ ერთია; ჩვენმა დანახვამ რომ შიში დაგმართათ მოიშორეთ და, რაც გულზე დარდი გაწევთ, ყველაფერი გულახდით გვიამბეთ. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ ყველა და თითოეული ჩვენგანი მზადაა, რითაც კი შეუძლია ტანჯვა შეგიმსუბუქოთ.

ტანისამოსშეცვლილი მშვენიერი ასული მოხიბლულივით იდგა ხმაამოუღებლად და იმ გოცებულ სახით უცქეროდა მასთან მოსაუბრე მღვდელს, რა გოცებითაც გლეხი ბიჭი უცქერის რამე იშვიათს, უნახავ საგანს და მღვდელმა ხელმეორედ რომ მისადმი კეთილი სურვილების რწმუნება დაუწყო, სიტყვა გააწყვეტინა და უთხრა:

- თუ ამ უდაბურმა მთებმა უცხო თვალთაგან ვერ დამიფარეს და ჩამოშლილმა თმამ გამცა, მაშ ტყუილია იქნება ჩემგან გადასხვაფერებით იმისი თქმა, რასაც მხოლოდ ზრდილობის გამო თუ დაიჯერებენ და არა სხვა რაიმე მიზეზით. თუ ასეა, მაშ ნება მიბოძეთ, ბატონებო, ყურადღებისათვის მადლობა მოგიხადოთ, რაც მაიძულებს ყველაფერი მოგახსენოთ, რაც გსურთ. უნდა გაგიტყდეთ, რომ მეშინია, ვაითუ ჩემი უბედურების ამბავმა თქვენზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინოს, იმიტომ, რომ ვერც რასმე წამალს და ვერც ნუგეშს ჩემთვის ვერას იპოვით. მაგრამ, რომ ყმაწვილმა, ტანისამოსგამოცვლილმა და ამ მთებში მოხეტიალე ქალმა არაფერი ეჭვი არ აღძრას თქვენში და ქალის პატიოსნება არ დამიძრახოს, მზად ვარ გიამბოთ, რის დაფარვაც მინდოდა.

ეს სიტყვები დაუსვენებლივ წარმოთქვა და ისე ლაზათიანად, ისეთი მშვენიერი ხმით, რომ ჩვენი მეგობრები მისმა ჭკუამ ისე მოხიბლა, როგორც წინათ მისმა სახის სილამაზემ. კვლავ დახმარება აღუთქვეს და გულმოდგინედ თხოვეს, დანაპირები ჩქარა ეამბნა. ქალმა ბევრი არ ათხოვნინა, ფეხსაცმელი ჩაიცვა, თმები აიკრიბა, ერთ ლოდზე გარს სამი მსმენელი შემოისხა, ძალა დაატანა თავს - მოზღვავებული ცრემლები არ წამსკდომოდა და დინჯი, ჟღეროვანი ხმით თავის ცხოვრების სამწუხარო ამბავი დაიწყო.

"ჩვენს მეზობლად მდებარე ანდალუზიაში ერთი პატარა ქალაქია, და იმ ქალაქის სახელით ერთი ჰერცოგი იწოდება, რის გამო იგი ესპანელის დიდებულთა შორის ირიცხება. იმ ჰერცოგს ვაჟიშვილი ჰყავს: უფროსი, მისი საბატონოს მემკვიდრე, უეჭველია, მისი დიდი ღირსებათა მემკვიდრეც არის: ხოლო უმცროსი კი, არ ვიცი, ღმერთმანი, სხვას რას დაიმკვიდრებს თუ არა განელონის ვერაგობას და ველიდოს გამცემლობას. ჩემი მშობლები იმ ჰერცოგის ვასალები არიან, დაბალი ჩამომავლობისანი, მაგრამ ისეთი სიმდიდრე აქვთ, რომ თუ ბუნებითი მორჭმულობა ქვეყნიური საუნჯის - ფულის თანაბრად ფასობს, მაშინ, მგონია, სანატრელი აღარა ექნებოდათ-რა და მეც იმ უფსკრულში ჩავარდნისა არ შემეშინებოდა, რა უფსკრულის ნაპირზედაც ახლა ვდგავარ. ჩემი უბედურება ის არის, რომ დიდი შთამომავლობის ქალი არა ვარ. მართალია, ჩემი მშობლების შთამომავლობა ისეთი დაბალი არ არის, რომ მათ არცხვენდეს, მაგრამ არც ისეთი მაღალი, რომ, რაც უბედურება თავს დამატყდა, იმის მიზეზად ის არ ჩავთვალო. ისინი მიწის მუშები არიან, და როგორც იტყვიან, - ძველი ქრისტიანები და ოჯახიშვილები, მაგრამ წმინდა ესპანური სისხლი კი უდგათ ძარღვებში; ამასთანაც მათმა სიმდიდრემ და უხვმა ცხოვრებამ თანდათან მოუპოვეს მათ იდალგოს წოდება და თითქმის

კაბალიერობაც. მაგრამ თავის უდიდეს სიმდიდრედ და პატივად ისინი მე მხდიდნენ - ერთადერთ თავიანთ მემკვიდრეს და ფუფუნებაში მზრდიდნენ. ვეჭვობ, თუ ვისმე ისე ეფუფუნებინოს თავისი შვილი. მე მათთვის სარკე ვიყავ, რომელშიაც თავიანთ თავს შესტრფიალებდნენ, თავიანთ სიბერის ყავარჯნად მე მთვლიდნენ, მათი ფიქრების საგანი, მათი მოქმედების მიზანი მე ვიყავ; ჩემი ფიქრები და მოქმედებაც მათი თანამოზიარე იყო და ამით ვუხდიდი ჩემს კეთილ მშობლებს ჩემდამი სიყვარულის სამაგიეროს. რაკი მათი გული ჩემს გამგეობაში იყო, მათ სიმდიდრესაც ჩემს ნებად განვაგებდი. ჩემს ნებაზე ვიჭერდი და ვითხოვდი მოსამსახურეთ. რაც ითესებოდა და რაც იმკებოდა, მისი ანგარიშიც მე მეჭირა. ზეთის საქაჩავები, საწნახელი, წვრილი და მსხვილი ფარები, ფუტკარი, ერთის სიტყვით, ყველა ის ქონება, რაც კი მდიდარ მეურნეს შეჰფეროდა, სულ ჩემს განკარგულებაში იყო. მე ვიყავ ჩვენი ოჯახის სახლთუხუცესიცა და ქალბატონიც. ყველა საქმეს ისეთი მზრუნველობით და ისეთი სიამოვნებით ვასრულებდი, რომ ამას სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. მეურნეობის საქმეს რომ მოვრჩებოდი, მუშებსა და მოსამსახურეთ რომ თადარიგს მივცემდი, მერე, რაც ამას დრო გადამრჩებოდა, კერვასა და ყაისნალს ვახმარებდი. ხანაც ჯარაზე ვართავდი და როცა საქმე მომწყინდებოდა, კარგს რასმე წიგნს ვკითხულობდი. ან ქნარზე ვუკრავდი; გამოცდილებით გავიგე, რომ ადამიანისათვის მუსიკა ჩინებული დასვენებაა, დაღლილ გულს შვებას აძლევს და გონებას ასვენებო მშობლების ჭერქვეშ ასე ვცხოვრობდი და თუ ამაზე გრძლად გაიმბეთ, იმიტომ კი არ მომსვლია, ჩემი სიმდიდრე დამეკვებნა, მხოლოდ მინდოდა თქვენთვის დამენახებინა; ჩემი ნებით მოხდა თუ არა, რომ ის ფუფუნება დავთმე და ამ საცოდავ მდგომარეობაში ჩავვარდი.

გამოვიდა, რომ მთელ დროს საქმეში ამაოდ ვატარებდი; ამაოდ ვცხოვრობდი მონაზონივით ოთხ კედელში განმარტოებით, ამაოდ მეგონა, ჩემს შინაურებს გარდა არავინ მხედავდა, კვირა-უქმეობით ეკლესიაშიც კი დედაჩემს ან მოახლეებს ადრინადა მივყვებოდი ხოლმე და ისეთ სქელ პირბადეს ავიფარებდი, რომ ფეხს რაზედაც ვადგამდი, იმ დედამიწის ნაჭრის მეტს ვერას ვხედავდი, მაგრამ მაინც სიყვარულის თვალმა, ან უკეთ რომ ვთქვა, უსაქმობის თვალმა, ფოცხვრის თვალზე უფრო გამჭვრეტმა, დამღუპა: ჰერცოგის უმცროსმა შვილმა დონ ფერნანდომ მნახა და მიჯნურობა, უკან დევნა დამიწყო".

ფერნანდოს ხსენებაზე კარდენიოს უცებ სახე შეეცვალა და ისეთმა კანკალმა აიტანა და მღელვარება დაეტყო, რომ მღვდელმა და დალაქმა იფიქრეს, ალბათ თავისმა ჩვეულებრივმა სიმშაგემ მოუარაო, რადგან მათ იცოდნენ, რომ დროდადრო მას ასეთი ზნე სჭირდა, მაგრამ კარდენიოს ოფლს ასხამდა, კანკალებდა, ადგილიდან არ იძვროდა და მშვენიერ ქალს თვალს არ აშორებდა: იგი მიხვდა ვინც იყო ის ქალი. უცნობმა ქალმა მას ყურადღება არ მიაქცია და თავისი ამბავი განაგრძო:

"მომკრა თუ არა იმ კაცმა თვლი, საშინელი სიყვარული იგრძნო, რომელიც მალე კიდევ დამიმტკიცა. მაგრამ ეს ჩემი უბედურების ამბავი რომ ჩქარა დავასრულო, იმაზე არას ვიტყვი, თუ რა ხერხებს ხმარობდა თავისი სიყვარული გამოეცხადებინა ჩემთვის. მოსამსახურეებს ქრთამავდა, ჩემს მშობლებს საჩუქრებს უგზავნიდა, ჩვენს ქუჩაში დღისით დღესასწაულებს მართვა და ღამით სერენადებით არავის აძინებდა. უჩინარი გზით ათას სამიჯნურო ბარათებს მიგზავნიდა და ამ ბარათებში აღთქმა და ფიცი მეტი იყო, ვიდრე სიტყვა. ყველა ეს უფრო მამწარებდა და მოსისხლე მტერივით მაძულებდა მას. ეს იმიტომ კი არ მომდიოდა, რომ მის ღირსებას ვერ ვხედავდი, ან მისი სიყვარული ჩემთვის უკადრისად მიმაჩნდა. პირიქით, მომწონდა კიდევ, არ ვიცი კი რად, რომ ასეთი ბრწყინვალე ჭაბუკი მეტრფოდა და მის მოწერილ

ბარათებში ჩემს ქებას დიახ რომ სიამოვნებით ვკითხულობდი. რა გაეწყობა? ჩვენ, ქალებს, რაც უნდა გონჯები ვიყვეთ, ძალიან გვესიამოვნება, როდესაც ლამაზებს გვეძახიან, მაგრამ ჩემმა სიფრთხილემ და მშობლების რჩევამ შემინახა, რომ არ დავეყვი მის აღთქმას და სურვილებს. ჩემი მშობლები დონ ფერნანდოს წადილს ჩქარა მიხვდნენ, და არც თუ ძალიან ისა ჰფარავდა თავის გულისთქმას. მშობლები სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ, რომ მათი ბედნიერება, მშვიდობა და პატივი ჩემი კარგი სახელი იყო და ჩემსა და დონ ფერნანდოს შუა მდებარე მანძილის გათვალისწინება იყო საჭირო, რომ დავრწმუნებულიყავ, თუ მისი წადილი, თუმცა ბევრსაც იფიცავდა, წმინდა წყლისა არ იყო. მშობლები მეუბნებოდნენ, თუ მას დაჟინებულს ჩემს დევნას მოვაშლევიცნებდი, ახლავ ჯვარს გადამწერდნენ - ვიზუალურად კი მოვისურვებდი, გინდ ჩვენი ქალაქელი ყოფილიყო საქმრო, გინდ სხვა მხრიდან. ისეთი ქონების პატრონებს ამის აღსრულება არც გაუჭირდებოდათ, მით უფრო, მათ სიმდიდრესა და ჩემს კარგ სახელზე ყველგან ხმა იყო გავარდნილი. ყველა ეს სიმტკიცეს აძლევდა ჩემს გადაწყვეტილებას - პასუხი არ გამეცა დონ ფერნანდოსათვის, მცირე იმედიც არ მეგრძნობინებინა მისთვის, რომ როდისმე მაინც მივყვებოდი მის გულისთქმას.

მაგრამ ყველა ამით მას გულს წადილი უფრო აღზნებოდა. გულის წადილს ვამბობ იმიტომ, რომ ეს მის ყალბ სიყვარულს უფრო ახასიათებს. მისი სიყვარული რომ ნამდვილი ყოფილიყო, ახლა მე აქ ვერ მნახავდით. ბოლოს როგორღაც გაიგო, რომ ჩემმა მშობლებმა საჩქაროდ გათხოვება დამიპირეს, რა არის მფარველი გაეჩინათ ჩემთვის, მისგან უშიშარი ვყოფილიყავ და მისთვისაც ჩემი დასაკუთრების იმედი მოესპოთ. ამ მბავმა, ან იქნებ ეჭვმა, რომ შესაძლო იყო ასე მომხდარიყო, მას ის ჩაადენინა, რასაც ახლა გიამბობთ. ერთხელ ღამით, როდესაც მე და ჩემი მოახლე ჩემს საწოლს ოთახში მარტონი დავრჩით და ყველა კარი უმაღვე გვექონდა დაკეტილი, რომ საჭოროდ ვინმესთვის მიზეზი არ მიგვეცა, უცებ... წარმოიდგინეთ რა ელდა მეცა და რარიგად გამაოცა, რომ დონ ფერნანდო ჩემწინ გაჩნდა. მხოლოდ ღმერთმა უწყის, როგორ შემოსულიყო, რადგან სიფრთხილის თადარიგი ყოველმხრივ დაჭერილი მქონდა. ერთ წამს გოცებისა და რისხვისაგან თვალთ დამიბნელდა და ხმაც ჩამიწყდა, დაყვირებაც რომ მდობებოდა, ვერ მოვასწრებდი, რადგან იმწამსვე მომხვია ხელი, - შიშისა და აღელვებისაგან მოგერიება ვერ შევძელი, - ისეთი ფიცი და დარწმუნება დამიწყო, ახლა რომ მოვიგონებ, მხოლოდ ის მაკვირვებს, საიდან არის ის უძლეველი ძალა, სიცრუეს რომ უტყუარ ჭეშმარიტებად გვაჩვენებს ხოლმე? თავის სიტყვებს ცრემლით აზავებდა და თავის აღთქმას ოხვრით უმატებდა ძალას. მე საბრალომ, გამოუცდელმა, უმწეო ქალმა, თვითონაც არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ თანდათან ვირწმუნე, რასაც ის მატყუარა მეუბნებოდა; აქამდისაც მიკვირს, როგორ ჩქარა გამიტაცა მისმა ყოფამ. თუმცა პირველში ჩემს თავს იმის მეტს ნებას არ ვაძლევდი, რომ მხოლოდ მებრალებოდა მწუხარებისა და თვალთმაქცური ცრემლების გამო. შიშმა რომ გამიარა, თამამად ვუთხარი: "მძვინვარე ლომს რომ ვეჭირო ახლა ბრჭყალებში, სწორედ ისე, როგორც ახლა თქვენ გიჭერივართ, და რომ იმისაგან გათავისუფლება სხვებზე არ შემეძლოს, თუ არ ჩემი ქალწულების დათმობით, მერწმუნეთ, ამაზე თანხმობა ისევე ძნელი იქნებოდა ჩემთვის, როგორც დროთა ვითარებაში მომხდარის უკან გამობრუნება არის შეუძლებელი, თუ ჩემი ხორცი ახლა თქვენს ხელთ არის, სული მაინც ჩემს ხელთ რჩება და მხოლოდ ჩემი სინდისის ჩაძახილს ემორჩილება, და რომ იგი ძალიან განსხვავებულია თქვენი სინდისისაგან, ამას დაინახავთ, თუ ძალადობას მოინდომებთ. თქვენს ხელში ვარ, მაგრამ კი მონა არა ვარ თქვენი და თქვენი დიდი შთამომავლობა თქვენი უფლება როდია - ჩემი მდაბიო გვარი გააუპატიუროთ. მე, უბრალო ქალს, შეიძლება, იმდენადვე მქონდეს საკუთარი ღირსების გრძნობა, რამდენიც თქვენა გაქვთ. თქვენი დიდკაცობა და სიმდიდრე ჩემთვის არარა არის:

თქვენი სიტყვები ვერ მომატყუებენ და თქვენი ცრემლები ვერ მომიღობენ გულს. მაგრამ ჩემმა მშობლებმა ჩემი სურვილის წინააღმდეგ რომ თქვენზე მომითითონ ვითარცა მომავალ მეუღლეზე, მაშინ, თუკი ამით ჩემს კარგ სახელს ჩირქი არ მოეცხება, მე მათს ნებას ხმაამოუღებლივ დავმორჩილდებოდი, სამუდამოდ მისი აღმასრულებელი დავრჩებოდი და ჩემი ნებით გიძღვნიდით იმას, რაც ახლა ძალით გინდათ წამართვათ. გეფიცებით, ჩემი გული მარტო ჩემს კანონიერ ქმარს ეკუთვნის". "თუ მაგის მეტი საჭირო არა არის-რა, - შეჰყვირა უპატიოსნო და მაცდურმა კაბალიერომ, - მაშ აი, ჩემი ხელი, გამომართვი! შენია იგი ღვთაებრივო დოროთეა! (ეს სახელი მქვია მე უბდურს) - მე შენი მეუღლე ვარ და ამ ფიცის მოწმედ ზენაარსს ვუხმობ, რომლისაგანაც არაფერი დაიფარება, და აი კიდევ - წინ რომ გვისვენია, ამ ღვთისმშობლის ხატსო".

კარდენიომ რომ დოროთეას სახელი გაიგონა, კვლავ სიშმაგე აეშალა და ახლა იმ ეჭვებში სრულებით დარწმუნდა, რაც პირველად ამ მშვენიერი უცნობი ქალის შესახებ დაეხდა. რომ ამბავი არ შეეწყვეტინებინა, რომლის დასასრულს წინადავე მიხვედრილი იყო, კარდენიომ მხოლოდ ეს უთხრა ქალს:

- მაშ, თქვენ, ქალბატონო დოროთეა გქვიათ? ერთ დოროთეაზე მე ცოტა რამ მაქვს გაგებული: და იმ დოროთეას სვე-ბედი თქვენსას ძალიან მიემსგავსება. გთხოვთ განაგრძოთ თქვენი ამბავი. დრო მოვა, მეც ისეთს რამეს გაიმბობთ, რომ იმდენადვე გული მოგიკლათ, რამდენადაც გაგაოცოთ კიდევ. ეს რომ მოისმინა დოროთეამ, შეხედა, მერე მისი ძონძები ჩაათვალიერა და თხოვა ახლავე ეამბნა, რაც მის შესახებ იცოდა. ბედმა მარტო ისლა დამიტოვა, დაუმატა მან, რომ შემძლია ახალი რამ კვეთება ვაჟკაცურად და გულგრილად ავიტანო. დარწმუნებული ვარ, აღარაფერს შეუძლია ჩემს უბედურებას მიუმატოს რამ".

- ახლავ გეტყოდით, რასაც ვფიქრობ, - მიუგო კარდენიომ, - რომ ჩემი ფიქრების სინამდვილეში დარწმუნებული ვიყო; მაგრამ ჩემთვის იმის სათქმელად დრო არ დამდგარა, რის ცოდნაც ჯერ თქვენთვის აგრე რიგად საჭირო არ არის.

- არ აგიხირდებით, - უთხრა დოროთეამ, - და ისევ ჩემს ამბავს დავუბრუნდები. დონ ფერნანდომ ჩემს ოთახში დასვენებულს ღვთისმშობლის ხატს წაავლო ხელი და იმაზე დამიფიცა, რომ ცოლად შემირთავდა. ამ ფიცამდისვე მოვაგონე, რომ მისგან მდაბიო ქალის შერთვა მისი მამის, ჰერცოგის, საშინელ წყრომას გამოიწვევდა: ვურჩიე, გატაცებას ნუ აჰყვებოდა, ჩემი სილამაზე გასასამართლებელ საბუთად არჩამოადგებოდა. ისიცა ვთხოვე, თუ მართლა ჩემი სიკეთე უნდოდა, დამხსნოდა - ისეთ კაცს მივთხოვდებოდი, შთამომავლობით და მდგომარეობით ჩემი ფარდი ყოფილიყო. ბოლოს ისიც მოვაგონე, რომ უთანასწორო შეუღლება, უმეტეს ნაწილად, შეურჩეველი ბედნიერების ნაცვლად. მსწრაფლწარმავალი დატკობით თავდება-მეთქი. ყველა ეს და კიდევ ბევრიც სხვა, - ახლა ყველა სად მხსომებია, - მაშინვე ვუთხარ, მაგრამ დონ ფერნანდოს თავისი წადილი ვერ დავაშლევი, როგორც ვერავითარი მოვანხმის პირობა ვერ დააშლევი იმ ვალის აღებს, ვინც ვალს იმ განზრახვით იღებს, რომ სულაც აღარ გადაიხადოს. მაგრამ თანაც ჩემს თავს ვუთხარ: "მე ხომ არ ვიქნები პირველი ქალი, რომ ასეთი ბედი მერგოს-მეთქი, და არც დონ ფერნანდო იქნება პირველი კაცი, ქალის სილამაზემ რომ გაიტაცოს-მეთქი; განა თავისზე დაბალი შთამომავლობის ქალი ამის მეტს აღარავის შეუროავს-მეთქი? რაკი ქვეყნის ჩვეულების შეცვლა ჩემს ხელთ არ არის, ჩემგან სიგიჟე არ იქნება, კარზე მომდგარჩბედს ხელი ვკრა-მეთი". ასე ვფიქრობდი: "დონ ფერნანდოს სიყვარული ვნებათა დაკმაყოფილების შემდეგ კიდევ რომ განელდეს, მის ცოლად ხომ მაინც

დავრჩები-მეთქი, და თუ უარი ვუთხარ, ხომ, უეჭველია, აღარას დაერიდება, სინდისს გადაუდგება, ძალას მოიხმარს და მაშინ ხომ გაუპატიურებული დავრჩები. ისიც კი აღარ შემემძლება, როგორც სრულებით უდანაშაულომ, თავი გავიმართლო-მეთქი, ჩემს მშობლებს როგორ დავაჯერებ, რომ ჩემს უნებურად საწოლ ოთახში კაცი შემომივარდა?" ყველა ამან სწრაფად გამიარა თავში; მაგრამ იქნება ამასაც არა ექნა რა, თუ დონ ფერნანდოს ფიცით არ ავევსე, თვალებიდან ცრემლი ნაკადულად არა სდენოდა და ამასთანაც ისეთი გარეგნობისა არა ყოფილიყო, რომ ცივი გულის პატრონ ქალსაც კი გაიტაცებდა. წინააღმდეგობა ვეღარ შევიძელე, მოახლეს დავუძახე, რომ მის ფიცს მოწმედ დასწრებოდა, რადგან სხვა მოწმე ზენაარსის მეტი არავინ იყო. ფიცის გამტეხმა მოახლის წინ ფიცი და აღთქმა წარბშეუხრელად გაიმეორა, და წარბშეუხრელადვე სიწმინდე შეგინებულჰყო, ცისა და დედამიწას მეხის კვეთება დაიტეხა თავს, თუ ფიცს გასტეხდა. თვალეები კვლავ ცრემლით ავესო, უფრო მაგრად მომხვია ხელი და იმ ხვევნისაგან დაღწევის ღონე აღარა მქონდა. მოახლე ოთახიდან გავიდა და ჩემი შერცხვენისა და მისი ღალატისა და ვერაგობის საქმეც აღსრულდა.

ჩემი სიცოცხლის ბედითი ღამე ისე ჩქარა არ თენდებოდა, როგორც ვეჭვობ, დონ ფერნანდოს სურდა. ხომ ისეა: როდესაც ადამიანი თავის უწმინდურს სურვილს ისრულებს, ახალი სურვილები ებადება - ის ადგილი ჩქარა დასტოვოს, სადაც სურვილი აისრულა. მე მაინც ისე მეჩვენა, დონ ფერნანდოს წასასვლელად აჩქარებულ მზადებას რომ ვუცქეროდი. გათენებამდისვე გაისტუმრა იგი, ჩემთან რომ შემოეშვა, იმავ მოახლემ. გამომშვიდობებისას მთხოვდა, თითქოს კი ნაკლები გრძნობით, დამშვიდებული ვყოფილიყავი, მის აღთქმავზე დაიმედებული და, რომ თავის სიტყვისთვის ვითომდა ძალა მიეცა, ჯიბიდან ძვირფასი ბეჭედი ამოიღო და თითზე გამიკეთა. ბოლოს ერთმანეთს განვმორდით და არ ვიცი, ღმერთმანი, მწუხარე ვიყავით მაშინ, თუ მხიარული. მხოლოდ ის მახსოვს - მეტად მრცხვენოდა და ვწუხბი, ჩემი თავისა აღარა გამეგებოდა-რა, იმასაც კი ვერ ვახერხებდი, მოახლისთვის საყვედური მეთქვა, ჩემს ოთახში ასე ვერაგულად დონ ფერნანდოს დამალვისათვის: მოაზრება ვერ შემემძლო მაშინ, ყველა ეს ჩემს საბედნიეროდ მოხდა, თუ საუბედუროდ. მხოლოდ დონ ფერნანდოს ის ვუთხარ, რომ ამიერიდან შენ გეკუთვნი და, ვიდრე ჩვენს ქორწინებაზე მშობლების დათანხმებას მოახერხებ, რა გზითაც ამაღამ მოხვედი, იმავ გზით ყოველდამ შეგიძლიან მიხვიდე-მეთქი. მაგრამ ერთხელ კი მეჩვენა კიდევ და ამის შემდეგ აღარ დამნახვებია. აღარც ქუჩაში სადმე შემხვედრია, არც სახლში, არც ეკლესიაში და მის ამაოდ მოლოდინში მთელი ერთი ტანჯვის თვე გავატარე, თან ისიც ვიცოდი, დონ ფერნანდო არსად იყო წასული და მთელ დროს თავის საყვარელ ნადირობაში ატარებდა.

ვიშ, ღმერთო, რარიგ გრძელდებოდა ის დღეები, და ყველა წამი რარიგ მწარე იყო ჩემთვის. თავიდან მხოლოდ ეჭვი შემეპარა, მაგრამ მალე მის აღთქმაში რწმენა სულ დავკარგე. მაშინ ჩემს მოახლეს ყვედრება დავუწყე, და რომ მშობლები არ ამეშფოთებინა, მათთვის ჩემი დარდი არ შემემჩნევინებინა, იძულებული არ გავმხდარიყავი, ჩემი მწუხარება მათთვის გამემჟღავნებინა, რაც კი ღონე მქონდა, თვალეებში მოზღვავებულ ცრემლებს ვიკავებდი. ამწარაბუნებრივ მდგომარეობას დიდხანს ვერ გავუძლებდი. ის წამიც დადგა, რომ მოთმინება მთლად დამეშრიტა, გონება დამიდუმდ და ჩემი შერცხვენაც უნდა გამომჟღავნებულყოფიყო. ჩემამდის ამბავმა მოაღწია, რომ დონ ფერნანდომ მდიდარი და წარჩინებული გვარის ქალი შეირთო ცოლად; ძალიან ლამაზი, მაგრამ არც თუ იმდენად მდიდარი, რომ ასეთი საქმროს შოვნა თავისი მზითვისათვის დაებრალეებინა. ამბობენ, იმ ქალს ლუსინდა ქვიანო და დონ ფერნანდოსთან მისი ჯვარისწერის დროს რაღაც უცნაური ამბავი მოხდაო.



ლუსინდას სახელი რომ გაიგონა, კარდენიომ მხოლოდ მხრები აიტოკა, წარბები ჩამოუშვა, ტუჩებს კვნეტა დაუწყო, მაგრამ ამითაც ვერ შეიმაგრა თავი და თვალებიდან ჩქარა ცრემლებიც წამოსკდა. ხოლო დოროთეას თავის ამბავი მაინც არ შეწყვიტა და განაგრძობდა:

"ეს სამწუხარო ახალი ამბავი მალე გავიგე და მის მაგიერ, რომ იქვე გავქვავებულიყავ, რაღაც ისეთი იშმაგე დამემართა, გული ცოფითა და ბრაზით ამენტო, კინაღამ ქუჩაში არ გამოვვარდი და ის საზარელი ღალატი, რის მსხვერპლად გახდომა მარგუნა ბედმა, ქალაქის მოედანზე საჯაროდ არ გამოვაცხადე, მაგრამ სხვა აზრმაც გამიელვა თავში და სიშმაგე იმან დამიცხრო: ის აზრი მეორე ღამესვე შევასრულე. ჩემი საშინელი და სამწუხარო ამბავი ერთ ჩვენს მწყემს ბიჭს გვანდე, ეს ძონძები მოვატანინე, ჩავიცვი და იქ დავაპირე წასვლა, სადაც, იმედი მქონდა ჩემს დამლუპველს შევხვდებოდი. მწყემსს ვთხოვე თან გამომყოლოდა, მან ამ გაბედულებისათვის და ურიგო ქცევისათვის ცოტა დატუქსა, მაგრამ რაკი ვერა გააწყო-რა, გამოყოლაზე დამთანხმდა, თუნდაც ჯანდაბაშიაც წავსულიყავი. იმ წამში ამ ჩემს ტილოს პარკში ყველა მოულოდნელი შემთხვევისთვის ზოგი რამ ტანისამოსი და ფული ჩავიდე და დიდი სიფრთხილით, ხმისამოუღებლად, რაღაც ბოროტის მომასწავებელი წინათგრძნობით აღელვებულმა, მოღალატე მოახლის გაუფრთხილებლად, ჩემი სახლი დავტოვე და მარტო ის მწყემსი ბიჭი წავიყვანე. ქვეითად მივდიოდი, მაგრამ ქალაქში ჩქარა ჩასვლის სურვილმა თითქოს ფრთები შემასხა და იმას ვეშურებოდი, რომ, თუ ფიცის გამტეხ დონ ფერნანდოს თავის დანაშაულის გზაზე ვერ გადაველობებოდი, ის მაინც მექნა, მეკითხა მისთვის - ახლა იგი თავის თავს რა თვალთ უცქეროდა. მესამე დღეს ქალაქს რომ ჩაველ, მაშინვე ის ვიკითხე, ლუსინდა სად ცხოვრობდა. პირველ კითხვაზევე პასუხად, რაც მიხლოდა, იმაზე მეტი შევიტყვე. ვისაც ვკითხე, იმ კაცმა ჩემი რაყიფის სახლი მაჩვენა და ყველაფერი დაწვრილებით მიაგმო, რაც ლუსინდას ჯვრისწერის დროს მომხდარიყო. შევიტყვე, რომ ლუსინდამ ჯვრისწერის ჟამს მღვდლის კითხვაზე "ჰო" წარმოთქვა დონ ფერნანდოსთან შეუღლებისათვის, მაგრამ მაშინვე დაეცა და დიდხანს გულშეწუხებული იყო. როდესაც ქმარი მივარდა და კაბას უხსნიდა, უბეში ბარათი ეპოვნა, რაშიც დონ ფერნანდოს წერდა, რომ იმის ცლად ყოფნა არ შეეძლო, რადგან კარდენიოს ცოლი იყო უკვე, პატიოსანი ყმაწვილი კაცისა, იმავე ქალაქის მცხოვრებისა, სადაურიც ლუსინდა იყო, და რომ მან ის ბედითი "ჰო" მშობლების ნების თანახმად წარმოთქვა. სხვათა შორის იგი წერდა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, ჯვრისწერის შემდეგ თავი მოეკლა, რადგან ამას გარემოება აიძულებდა. ეს მისი განზრახვა იმით მტკიცდებოდა, რომ უბეში დამალული ხანჯალიც უპოვნეს. შეურაცხყოფილი და გაცრუებული დონ ფერნანდო ეცა, თურმე, თავის ცოლს, რომ მისი ნაპოვნი ხანჯლით გუშეღონებულისთვისვე გაეგმირა გული, მაგრამ ლუსინდას მშობლებსა და სხვა დამსწრეთ არ გაეშვათ. ამბობენ, დონ ფერნანდო, თურმე, თავის საცოლეს სახლიდან მაშინვე გავარდნილა, ლუსინდა კი მეორე დღეს მოსულა გონზე და თვის მშობლებისათვის უამბია, თუ კარდენიოს კანონიერ ცოლად როგორ შეიქნა იგი. ესეც თქვეს კიდევ, - განაგრძობდა დოროთეა, - ვითომც კარდენიოც დასწრებია იმ ჯვრისწერას და, როდესაც თავისი საცოლე სხვაზე ჯვარდაწერილი უნახავს, რასაც იგი არ მოელოდა, უბედურს სასოწარკვეთილებით ქალაქი დაუტოვებია და წერილი დაუგდია, სადაც ლუსინდას წყევლიდა და წერდა: ველარასოდეს ველარ მნახავო... მთელს ქალაქში ყველანი ამ ამბავზე ლაპარაკობდნენ... მაგრამ, როცა მამის სახლიდან ლუსინდას გაპარვა და ქალაქიდანაც გაქცევა შეიტყვეს, მაშინ უფრო მეტი მითქმა-მოთქმა ატყდა. უბედური, თურმე, ყველგან ძებნეს და შეწუხებულმა მშობლებმა არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, რა ეღონათ, რომ სადმე ეპოვნათ.

ყველა ამ ცნობებმა, ცოტა არ იყოს, ჩემი იმედები გამიცხოველეს. რაღა თქმა უნდა, ის უფრო იყო ჩემთვის სასიამოვნო, რომ დონ ფერნანდო უცოლოდ დავიგულე. მაშინ მეგონა ჩემი დარდი გაქარვებული იყო და იმას ვცდილობდი - თავი დამერწმუნებინა, რომ დონ ფერნანდოს მეორე ცოლის შერთვაში განგება გადაეღობა წინ, რომ მისთვის ან ალექსა მოეგონებინა, რაც პირველ საცოლე დაუდო: მოეგონებინა მისთვის, რომ, როგორც ქრისტიანი, მივალე იყო სულის ცხონებისა და ბედნიერებისათვის უფრო ეზრუნა, ვიდრე ამ ქვეყნის წამიერი სიტუაციებისათვის. ამ აზრებს ძალად ვნერგავდი ჩემში და საბუთის უქონლად ვნუგეშობდი, რაღაც ბუნდოვანი იმედით ვასულდგმულებდი ჩემს თავს, რათა ამქვეყნიური, ახლა ჩემთვის მეტად საძულველი სიცოცხლე, გამეადვილებინა. ამ ფიქრებით რომ ქალაქ-ქალაქ დავძრწოდი და არ ვიცოდი რა მექნა, რადგან დონ ფერნანდოს ვერ ვპოულობდი, უცებ მოედანზე გზირის ხმა გავიგონე. იგი აცხადებდა, რომ დიდი ჯილდო ენიშნებოდა, ვინც მე მიპოვნიდა, თანაც ჩემს ტანს, წლოვანებას და ტანსაცმელს აღწერდა. ისიც გავიგონე, რომ გარშემო ხალხი მკიცხავდა, ერთმანეთს ეუბნებოდა, ვითომც მშობლების სახლიდან იმ მსახურს გამოვეტაცენ, თვითონ მე ხალხის თვალში ისე ძალიან დავცემულყავ და ჩემი მშობლების სახლიდან გამოქცევას უბრალო, საზიზღარ, დაბალი წოდების კაცთან შეთქმულებას აბრალებდნენ. მთლად სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. ქალაქიდან მაშინვე გავიქეცი, რომ იმ ხმებს გავქცეოდი, და მსახურიც თან გავიყოლე, მაგრამ შევატყვე, რომ იგი, როგორც დამპირდა, ისე აღარ მექცეოდა. რომ არავის ვეპოვნე, იმავე დღეს ამ შთებში წამოვედი. მაგრამ მართალია ნათქვამი, რომ ერთს უბედურებას თან მეორე მოსდევს და ერთის ბოლო მეორის დასაწყისი ხდება. უდაბურ ალაგს რომ მარტო დამიგულა, ერთ გულმა მსახურმა გარყვნილი სურვილებით უფრო, ვიდრე ჩემი სილამაზით გატაცებულმა, ჩემთან მარტო დარჩენით მოინდომა თავისებურად ესარგებლა. ღვთის შიში დაივიწყა და თავისი წინანდელი ქალბატონის პატივისცემა მთლად დაჰკარგა და კადნიერი წინადადებით მომმართა და, როდესაც მძულვარე და მწვავე პასუხი მიიღო, თხოვნა-მუდარას თავი ანება და ძალდატანება დამიწყო. მაგრამ ყოვლადმოწყალე ღმერთი ხომ ადამიანის კეთილ განზრახვას უმწეოდ არა სტოვებს. ამ გაჭირვებაში მომხედა და ისეთი ღონე მომცა, ის კადნიერი კლდეზე გადავჩხეხე, ის კი აღარ ვიცი, მოკვდა თუ ცოცხალი გადარჩა. ჩემს დაღლილობასა და შიშს აღარ დავხედე. უდაბურ მთებში წამოველ და იმის მეტი სხვა განზრახვა არა მექონდა-რა, ვინც მეძებდა, მას დავმალოდი.

მას აქეთ რამდენიმე თვემ გაიარა. აქ ერთი მწყემსი შემხვდა, თანაშემწედ ამიყვანა და თავის ქოხში დამაბინავა; რამდენიმე ხანს დავყავი მასთან და ყოველთვის მთელი დღით მინდორში წავიდოდი ხოლმე, რომ ეს ჩემი გამცემი თმა იმისაგან როგორმე დამემალა; მაგრამ მაინც ჩქარა შემატყო, რომ ბიჭი არ ვიყავი და იმავე წადილით მომმართა, როგორც ჩემმა მსახურმა. რადგან ბედი გაჭირვების ჟამს მუდამ ვერ გვშველის ხოლმე და ამხელად უფსკრულიც არსად მექონდა - ისიც იმ სახურისათვის თან მიმეყოლებინა, ამიტომაც მასთან უთანასწორო ბრძოლას გაქცევა ვარჩიე და ამ მკვდარ ალაგს დავიდე ბინა. ასე მოვედი ამ მთა-ღრეში, რომ ხალხისაგან განშორებით ზეციერის წინ ცრემლები ვღვარო და ვევედრო, ეგებ წყალობა მოიღოს, სამუდამოდ დამტოვოს ამ უდაბნოში, ან უდანაშაულოდ კიცხვით დევნილს სახსენებელი მომისპოს".

სადაც მოთხრობილია ის საუცხოო ხრიკი და ხერხი, რომელიც იხმარეს ნაკისრი მონანიებისაგან ჩვენი გამიჯნურებული კაბალიეროს გამოსახსნელად

- აი, ბატონებო, ჩემი უბედური თავგადასავალს ნამდვილი ამბავი ეს არის. ახლა თვითონ თქვენ განსაჯეთ: მიზეზი მაქვს თუ არა, იმაზე უფრო მძიმედ ვოხრავდე, რაც თქვენ ისმინეთ, და იმაზე მეტად ცხარე ცრემლი ვღვარო, რაც თქვენ წინ ვღვარე. როგორც ხედავთ, საწუგემო აღარა მაქვს-რა. ჩემს მწუხარებას ვედარაფრით ვერ ეშველება. მხოლოდ ერთსა გთხოვთ, ამის აღსრულება თქვენთვის ადვილია: ისეთი ადგილი მასწავლეთ სადმე, რომ დარჩენა შემეძლოს და შიშისაგან მოუსვენრად ყოფნამ არ დამაკარგვინოს. მეტად ვშიშობ, ვინც მეძებს, ჩემს ბინას არ მოაგნოს. ვიცი, ჩემი მშობლების სახლში ჩინებულად მიმიღებენ; ამის თავდები ის არის, რომ მე მათ ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ როცა მომაგონდება, რომ მე იმად ველარ ვეჩვენები, რადაც იმედი აქვთ მნახონ, ისეთი სირცხვილი შემიძპრობს ხოლმე, რომ ისევ დამალვას ვარჩევ; როგორ ავიტანო მათი სახის მწუხარე გამომეტყველება, დალუპული ქალის დანახვით გამოწვეული?

ეს რომ თქვა, საბრალო ქალი გაჩუმდა, სახე წითლად აეტკრიცა; სირცხვილმა და სინანულმა ნორჩი გული აუღელვა, მისი უბედური სიყვარულის ამბავმა მსმენელთ გული მოუწყლა და მეტად შეაბრალა იგი. მღვდელმა ქალის დამშვიდება და ნუგეშისცემა დააპირა, მაგრამ კარდენიომ დაასწრო და ასე უთხრა:

- როგორ, ქალბატონო, - უთხრა მან. - მაშ, მშვენიერი დოროთეა თქვენ ხართ, მდიდარი კლენარდოს მამისერთა ასული?

- დოროთეა გაჰკვირდა თავის მამის სახელი რომ გაიგონა, ვინც ეს კითხვა მისცა, მის ძონძებს შეხედა (ხომ ვიცით, კარდენიო როგორ ღარიბულად იყო ჩაცმული) და ჰკითხა:

- თქვენ ვინა ხართ, ძმობილო? მამაჩემის სახელი საიდან იცით? მე მგონია, ჩემს ამბავში ერთხელაც არ მიხსენებია მისი სახელი?

- მე ის უბედური ვარ, - უპასუხა კარდენიომ, - რომელსაც ლუსინდაზე ჯვარი უნდა დამეწერა; მე ვარ ბედშავი კარდენიო, დაგლეჯილი, დამონძილი, შიშველ-ტიტველი, ყოველგვარ ნუგეშს მოკლებული და, რაც უარესია, გონებადაკარგული, რადგან ჩემს ჭკუაზე რამოდენიმე წამს ვარ ხოლმე. ამ საშინელ მდგომარეობამდის სწორედ იმ კაცმა მიმიყვანა, ვისაც თქვენ დაუღუპიხართ. დიახ, დოროთეა, ის თვითონ მე ვარ, დონ ფერნანდოს ღალატის მოწმედ რომ დავესწარ და იმ ღალატის მსხვერპლი შევიქმენ; ის მე ვიყავ, რომ იმ წამს ვუცდიდი სულგანაბული, ლუსინდამ რომ ბედითი "ჰო" წარმოთქვა და დონ ფერნანდოს ცოლი შეიქმნა; მე ის ვიყავ, რომ დაცდა ველარ შევიძელ, გამეგო - ლუსინდას გულშეღონება რით დამთავრდებოდა და უბეში რომ ბარათი უპოვეს, - რა ეწერა. მოთმინებაგამოლეული სახლიდან გამოველ, წერილი დავუტოვე და ამ უდაბნოს წამოველ და შემოვეხიზნე, იმ განზრახვით, რომ მოსისხლე მტერივით სიძულვილი ჩემი სიცოცხლე აქ დავლიო. მაგრამ ღმერთმა მხოლოდ ჭკუა გამომაცალა და სიცოცხლე კი დამიტოვა, ალბათ, იმიტომ, რომ თქვენ შემხვედროდით. თუ რაცა თქვით, სულ მართალია, მე კი ყველა მჯერა თქვენი ნათქვამი, - მაშ იქნებ ორივეს იმაზე უკეთესი დრო მოგველის, რაც აქამდის მძიმე სასოწარკვეთილებაში გვიტარებია? თუ ლუსინდას დონ ფერნანდოს ცოლად ყოფნა არ შეუძლია, რადგან იგი ჩემია, როგორც თვითონ საქვეყნოდ გამოაცხადა, და თუ დონ ფერნანდოსაც არ შეუძლია მის ქმრად ყოფნა, რადგან იგი თქვენი, მაშ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ზენა ჩვენ-ჩვენს სკუთრებას მთლიანად

დაიცავს და ორივეს ჩვენ-ჩვენსას მოგვცემს. ეს ნუგეში იქონიეთ, იგი ამაო ოცნებასა და ტყუილ იმედებზე არ არის დამყარებული: უკეთესი მომავლის იმედი ვიქონიოთ: ახლა გთხოვთ, ქალბატონო, თქვენი წინანდელი წადილი უარყოთ, როგორც მეც უარვყოფ ჩემს განზრახვას, როგორც ქრისტიანი და პატიოსანი კაცი, სიტყვას გაძლევთ, ამიერიდან არ დაგტოვებთ, ვიდრე თქვენს საქმროს - დონ ფერნანდოს არ ჩაგაბარებთ. და თუ ჩემმა სიტყვამ ვერ გასჭრა, მაშინ თქვენი პატივის დასაცავად, დონ ფერნანდოს რომ გაუქვლია, ხმაღს ვიშიშვლებ და, როგორც ჩემი აზნაურობის წოდება უფლებას მაძლევს, ძალით მოვაცემინებ, რაც თქვენთვის წაურთმევია, თქვენი უბედურების სამაგიეროს გადახდით ჩემს უბედურებას გავიქარვებ; ერთი სიტყვითაც არ გავუხსენებ დონ ფერნანდოს მისგან ჩემდამი მოყენებულ შეურაცხყოფას; მისი სამაგიეროს გადახდას ღმერთზე მივაგდებ.

კარდენიოს სიტყვებმა ისე გააკვირვა და გაახარა დოროთეა, რომ უბედურმა აღარ იცოდა ამ დაპირებისათვის მაღლობა როგორ გადაეხადა, და ის იყო ფეხებში უნდა ჩავარდნოდა კარდენიოს, მაგრამ მან არ გაუშვა. ახლა იმ ორივეს მაგიერ კეთილმა მღვდელმა დაიწყო ლაპარაკი კარდენიოს პატიოსნური განზრახვა მოუწონა და სოფელში თან გაყოლაზე დაითანხმა, აღუთქვა, რაც აკლდა, იქ შეუსრულებდა, მოიფიქრებდა... დონ ფერნანდო როგორ ეპოვნათ, დოროთეა თავის მშობლებთან როგორ მიეყვანათ, და რომ ყველაფერს, როგორაც ემჯობინებოდა, ისე მოაწყობდა. ასეთი წადილისათვის დოროთეამ და კარდენიომ მღვდელს მხურვალე გულითადი მაღლობა გადაუხადეს. აქამდის მდუმარე დალაქიც ჩაერია ლაპარაკში და თავის მხრივ აღუთქვა, რომ ისიც ყოველგვარ სამსახურს გაუწევდა, რაც კი მის ღონეს შესწევდა; თანაც მოკლედ უამბო, ამ უდაბნოში ისინი რამ მოიყვანა. კარდენიოსა და დოროთეას დონ კიხოტის უცნაური გაგიჟება უამბო, რომ აქ მის საჭურველმტვირთველის მოსვლას ელოდებოდნენ, ბატონის სამებნელად რომ გაემართა ამის თქმაზე კარდენიოს რაღაც ბუნდოვანი სიზმარით მოაგონდა დონ კიხოტთან მომხდარი უსიამოვნება და ეს ამბავი იმათაც უამბო. თუმცა ის კი ვეღარ მოიგონა, იმასა და რაინდს ჩხუბი რაზე მოუვიდათ. ამ დროს სანჩო პანსას ხმა მოისმა. რადგან მღვდელი და დალაქი სადაც დატოვა, იქ ვეღარ ნახა, ამიტომ საშინელი ხმით ეძახდა მათ. ჩვენი მეგობრები, დოროთეა და კარდენიოს თანხლებით მისკენ გაემართნენ, და რომ შეიყარნენ, დონ კიხოტის ამბავი ჰკითხეს. სანჩო პანსამ უპასუხა, რომ დონ კიხოტი იპოვა სრულიად შიშველი, პერანგისამარა, გაყვითლებული, ნაფოტივით გამხმარი, შიმშილისაგან მიქანცებული და სულ თავის მიჯნური ქალის გამო ტანჯვაში მყოფი. დულსინეას ბრძანება მოვახსენო, რომ ტობოსოში ელის და ახლავე წასვლა უბრძანა; მაგრამ რაინდმა მიპასუხაო მის მშვენიერ თვალებს იმ დრომდის ვერ დავენახვები, ვიდრე ისეთ დიდს რასმე ღვაწლს არ ჩავიდენ, რომ ჩემი საუცხოო მიჯნურის კეთილმდრეკილების ღირსი შევიქმნეო". "მე ის მაწუხებს, იმ ჯურღმულში რამდენიმე დღე თუ კიდევ დარჩა, - დაუმატა სანჩომ, - ღმერთსა ვფიცავ, იმპერატორობას კი არა, როგორც თვითონ აქვს გადაწყვეტილი, სულ უბრალო მთავარ ეპისკოპოსობასაც ვერ ეღირსება. ერთი იფიქრეთ რამე, ღვთის გულასათვის, რომ იქიდან როგორმე გამოვიტყუოთ".

მღვდელმა უთხრა სანჩოს არხეინად ყოფილიყო და დაარწმუნა, რომ დონ კიხოტს გასაჭირიდან გამოიყვანდა, შემდეგ კარდენიოსა და დოროთეას უამბო, რა საშუალებაც მოეფიქრებინათ მისი განკურნებისათვის; ან შინ დაბრუნებისათვის მაინც. დოროთეამ წინადადება მისცა, თუ სურდათ დღევანდელ ქალად თვითონ გახდებოდა, და არწმუნებდა, რომ ამ როლს დალაქზე უკეთ აასრულებდა. მით უფრო, რომ მისთვის შესაფერი სამკაულიც ჰქონდა და იმის შე მწეობით უფრო მეტი სინამდვილით წარმოადგენდა კომედიას. ქალი არწმუნებდა, რომ

მრავალი სარაინდო წიგნი ჰქონდა წაკითხული, ამიტომაც კარგად იცოდა, საქმისთვის ხელი როგორ მოეკიდა და მოგზაურ რაინდთან რა კილოთი ელაპარაკნა.

- ეგ უკეთესია - ალტაცებით თქვა მღვდელმა - მაშ ისლა დაგვრჩენია, საქმეს ჩქარა შევუდგეთ. ბედი სწორედ ჩვენსკენ არის. ჩვენ, ქალბატონო და მოწყალეო ხელმწიფე, მოულოდნელად და მოუფიქრებლად იმ იარაღად შევიქენით, რამაც იმედის კარი უნდა გაგიღოთ; ამასთანავე თქვენით მაშველი გვეძლევა, ამჟამად ჩვენთვის მეტად საჭირო.

იმავე წამს დოროთეამ თავის ბოხჩიდან მდიდრული კაბა და ფარჩის წამოსასხამი ამოიღო, ყუთიდანაც მარგალიტი ფარდული და ზოგი რამ სხვა სამკაული ამოალაგა და მცირე ხანში ნამდვილი მდიდარი და დიდებული ბანოვანის მსგავსად მოიკაზმა. ეს მორთულობა, როგორც ამბობდა, მოულოდნელი რამ გაჭირვებისათვის წამოეღო, მაგრამ ამის მეტად ჯერ არსად ეხმარა. ასე მშვენივრად მორთული რომ ნახეს, მისი მშვენიერებით ყველანი მოიხიბლნენ და დაასკვნეს, რომ დონ ფერნანდო უთუოდ გემოვნება მოკლებული კაცი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი მშვენიერება უარყო. მაგრამ ყველაზე ძალიან სანჩო პანსა მოიხიბლა და განცვიფრდა. ასეთი გასაოცარი მშვენიერი ქმნილება მას თავის დღეში არსად შეხვედროდა. მეტისმეტი ცნობისმოყვარეობით აღძრულმა ჰკითხა მღვდელს; ვინ არის ეგ გასაოცარი ქალი და ამ მთებში რა უნდაო?

- ეს მშვენიერი ქალი, ჩემო მეგობარო სანჩო, - მიუგო მღვდელმა, - მამა-პაპით, პირდაპირი შთამომავალი დიდი მიკომიკონის სამეფოს მემკვიდრეა. ამ მთებში შენი ბატონის სამეხნელად მოსულა, უნდა სთხოვოს იმ გაჭირვებიდან გამოიყვანოს, ამისთვის რომ ერთ ბოროტ დევს მიუყენებია. შენმა ბატონმა რომ მთელ ქვეყანაზე დიდი სახელი გაითქვა, როგორც გამოჩენილმა მოგზაურმა რაინდმა, ამ პრინცესას ყურამდისაც მიუღწევია და ესეც დონ კიხოტის მოსამებნელად გვინების ქვეყნიდან პირდაპირ აქ წამოსულა და უნდა თავისი ბედ-იღბალი მას ჩააბაროს.

- ბედნიერი აზრია და საპოვარიც ჩინებულია, - წარმოთქვა მაშინ სანჩო პანსამ, - თუკი ჩემი ბატონი ამის თხოვნას შეისმენს და იმ ბოროტებას მოსპობს ამისთვის რომ უმაქნისს დევს მიუყენებია, ეშმაკმა წამიღოს, თუ ჩემმა ბატონმა არ მოკლას ის დევი, თუ მართლა დევია და მოჩვენება არ არის, - მოჩვენების მოკვლა კი ჩემს ბატონსაც არ შეუძლია. მაგრამ, ბატონო მოძღვარო, თქვენთან ერთი მცირე სათხოვარი მაქვს: ეგებ ჩემს ბატონს მთავარეპისკოპოსად გახდომის ხალისი მთლად გაუქროთ, - ამისი მე ძალიან მეშინია, ეგებ ურჩიოთ ამ პრინცესაზე ახლავე გადაიწეროს ჯვარი. ცოლიან კაცს ხომ ეპისკოპოსობა არ შეუძლია, მაშინ რა მეტი ღონე ექნება, ძალაუნებურად იმპერატორი უნდა გახდეს და მეც მაგის მეტს არას ვეძებ. მე, ბატონო, ყველა კარგად მაქვს გამოანგარიშებული და ცხადად ვხედავ, რომ ი რაღაც ეპისკოპოსობაა, ხელს არ მომცემს: ეკლესიისათვის გამოსადეგი სულ არა ვარ; ამასთან, ჩემდა საუბედუროდ, ცოლიც მყავს და შვილებიც. მეცადინეობა რომ დავიწყო, ცოლშვილიან კაცს ბენეფიციის შემოსავლით სარგებლობის ნება დამართონ, ეგ ხომ ის იქნება, ამთავითვე ყველაფერზე ხელი დავიბანო. მაშ ახლა საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ჩემმა ბატონმა ამ ქალბატონზე, სახელი არ ვიცი რომ დაუძახო, - რაც შეიძლება ჩქარა ჯვარი დაიწეროს.

- ამას ჰქვია პრინცესა მიკომიკონი, - მიუგო მღვდელმა, - რადგან ამის სამეფოს მიკომიკონის სამეფო ჰქვია, ამასაც მიკომიკონი უნდა ეწოდებოდეს.

- რაღა თქმა უნდა, ეგრე უნდა იყოს, - თქვა სანჩომ. - ხშირად შემხვედრია ზოგიერთი ბატონი, რომ იმ ქვეყნის სახელი და გვარი რქმევია, სადაც ყოფილა დაბადებული. აი, მაგალითად, რამდენს ვიცნობდი: პედრო დე ალკალას, ხუან დუ უბედა, დიეგო დე ვალიადოლიდს: და ალბათ, იმ გვინეის ქვეყანაშიც ასეთი ჩვეულება აქვთ, რომ დედოფლები თავიანთ სამეფოს სახელით იწოდებიან.

- სწორედ ეგრე იქნება, - დაეთანხმა მღვდელი - შენი ბატონის ცოლის შერთვაზე არხეინად იყავ. მთელს ჩემ მჭვერმეტყველებას მოვიხმარებ, რომ ამ პრინცესის შერთვაზე დავითანხმო.

სანჩო მღვდლის დაპირებით მეტად კმაყოფილი დარჩა: ხოლო მღვდელი იმაზე იყო გაცხებული, თუ რაინდის გადარევა მის საჭურველმტვირთველსაც რარიგად გადასდებოდა და როგორ დარწმუნებულიყო, რომ მისი ბატონი ადრე იქნება თუ გვიან, იმპერატორი გახდებოდა.

ამასობაში დოროთეა მღვდლის ჯორზე შეჯდა, დალაქმა ხარის კუდი გაიკეთა წვერად და სანჩომ ბრძანება მიიღო გაძლოლოდა და დონ კიხოტთან მიეყვანა ისინი, მაგრამ არამც და არამც დონ კიხოტთან არ წამოსცდენოდა, რომ მღვდელსა და დალაქს იცნობდა იგი. დაარწმუნეს, რომ მხოლოდ ასეთი თავდაჭერით შეიძლებოდა დონ კიხოტი იმპერატორი გამხდარიყო. მღვდელი და ვარდენიო იმათ არ წაყვნიენ კარდენიოს ეფიფქებოდა დონ კიხოტის მასთან ამასწინანდელი ჩხუბი არ გახსენებოდა, მღვდელი კიდევ იქ წასვლას ჯერჯერობით ზედმეტად თვლიდა. ამათ დოროთეა, სანჩო და დალაქი წინ გაისტუმრეს და თვითონ ნელ-ნელა ქვეითად უკან მიჰყვნიენ. გზა-გზა მღვდელმა საჭიროდ დაინახა დოროთესთვის ცოტა რამ დარიგება მიეცა, თუ როგორ მოქცეულიყო, მაგრამ ქალმა დაამშვიდა და დაარწმუნა, რომ ყველაფერს ისე ასრულებდა, როგორც ასეთ შემთხვევებში სარაინდო რომანებში იყო აღწერილი. მილის სამი მეოთხედი გაიარეს და ბოლოს კლდეებს შუა ერთ ვიწრო გასავალში დონ კიხოტს მიადგნიენ: ტანისამოსი უკვე ჩაეცვა, მაგრამ იარაღი ჯერ არ აესხა. დოროთეამ რომ დაინახა და სანჩო პანსასგანაც შეიტყო, რომ სწორედ ეს იყო დონ კიხოტი, მაშინვე მათრახი გადაარტყა თავის ბედაურს, დაწინაურდა. დალაქიც თავის წვერით უკან მიჰყვა. რაინდს რომ მიუახლოვდნიენ, ცრუ საჭურველმტვირთველი უცბათ ჯორიდან ჩამოხტა, დოროთეასთან მიირბინა და ჯორიდან უნდა ჩამოეყვანა, მაგრამ ქალი, მის დაუხმარებლად მარჯვედ ჩამოხტა ძირს, მერე დონ კიხოტთან მივიდა, წინ დაუჩოქა და, თუმცა დონ კიხოტი ბევრს ეცადა ფეხზე წამოეყენებინა, მაინც ასე დაჩოქილმა უთხრა;

- არ წამოვდგები, ჰოი, მამაცო, გმირთა გმირო რაინდო, ვიდრე თქვენი გულკეთილობითა და ვაჟკაცობით არ გამაბედნიერებთ და იმ საქმეს არ ჩაიდენთ, რომელიც თქვენს დიდებას აღამაღლებს, მფარველობას გაუწევს და ანუგეშებს ქალწულს, ეგოდენ შეურაცხყოფილს, რომ მისი მსგავსის მოწმე ჯერ მზე არა ყოფილა. თუ მართალია, რომ თქვენი უძლეველი მკლავის სიმამაცე თქვენგან მოხვეჭილ უკვდავ დიდებას ეთანასწორება, მაშინ თქვენი მოვალეობაა ხელი გაუწოდოთ უბედურს, თქვენი დიდებული სახელის ბრწყინვალეობით მოხიბლული შორეული ქვეყნიდან შველის სათხოვნელად რომ მოსულა.

- მშვენიერო და პატიოსანო სეფექალო, - მიუგო დო კიხოტმა, - ვიდრე დაჩოქილი იქნებით, მე არც თქვენი უბედურების ამბებს მოგისმენთ და არც პასუხს მოგცემთ.

- ხოლო მე არ ავდგები, - განაგრძო ნაწყენი ხმით პრინცესამ, - ვიდრე სიტყვას არ მომცემთ, რომ რასაც გთხოვთ, შემისრულებთ.

- გაძლევთ სიტყვას და გპირდებით, - უთხრა დონ კიხოტმა, - თუ ისეთს არას მთხოვთ, რომ საზიანო იყოს ჩემი მეფისთვის, ჩემი ქვეყნისთვის და კიდევ მისთვის, ვისაც ჩემი გულისა და თავისუფლების გასაღები ხელთ უჭირავს.

- ისეთს ირასა გთხოვთ, - მიუგო უბედურმა პრინცესამ, - რომ ყველა იმისათვის რაცა თქვით, მავნებელი და საწინააღმდეგო იყოს.

ამ დროს სანჩო მივიდა და დონ კიხოტს ჩაუჩურჩულა:

- ღმერთსა ვფიცავ, ბატონო, თამამად შეგიძლიათ სათხოვრის ასრულება აღუთქვათ, სულ უბრალო საქმეა, ერთი ვიღაც უმაქნისი დევის მოკვლა კი მოგინდებათ, სხვა არაფერი: ეს საბრალო მანდილოსანი, თქვენ რომ ამ უბრალო სამსახურმა გთხოვთ, უკეთილშობილესი პრინცესა მიკომიკონია, ეთიოპიის ქვეყანაში მდებარე დიდი მიკომიკონის სამედის დედოფალი.

- ვინც უნდა იყოს. - მიუგო დონ კიხოტმა, - მე მარტო იმას ვიზამ, რასაც ჩემი რაინდული მოვალეობა და ჩემი სინდისი მიბრძანებს.

მერე დევნილ ქალს მიუბრუნდა და უთხრა:

- გთხოვთ, მშვენიერო მანდილოსანო, ფეხზე წამოდგეთ, აღთქმას გაძლევთ, აგისრულოთ, რასაც მთხოვთ.

- მაშ თუ ეგრეა, - შესთხოვა პრინცესამ, - სულგრძელო რაინდო, გთხოვთ ახლავე წამომყვეთ, სადაც წაგიყვანთ: მაგრამ პირობა კი უნდა დამიდოთ, რომ ვიდრე ჩემს მოღალატეს მაგიერს არ გადაუხდით, რომელმაც ღვთიური და კაცობრივი კანონები გაქელა და სამეფო წამართვა, იმ დროშ სხვა ფთერაკს არ გამოეკიდოთ.

- ვიმეორებ, რომ პირობას გაძლევთ, - უთხრა დონ კიხოტმა, - და ამასთანავე გთხოვთ, ამავე წამიდან თქვენი მტანჯველი მწუხარება გაიქარვოთ და დამჭუნარი იმედი კვლავ გაიცოცხლოთ. ღვთისა და ჩემი მარჯვენის შემწეობით თქვენს სახელმწიფოს ჩქარა ჩაიბარებთ, და დასთრგუნავთ რა მტერს, წინაპართა სახელოვან ტახტზე დაჯდებით. მაშ, დაუყოვნებლივ დავადგეთ გზას, რადგან ამბობენ, დაგვიანებას ხიფათი მოსდევსო.

მთხოვნელმა ქალწულმა დონ კიხოტისთვის ხელზე კოცნა მოისურვა, მაგრამ ზრდილიმა და თავაზიანმა რაინდმა ეს მეტად იუარა. პირიქით, თვითონ წამოაყენა ქალი, მოწიწებით ეამბორა ხელზე, და სანჩოს უბრძანა როსინანტისთვის მოსართავები მოეჭირა და დაუყოვნებლივ იარაღი მოერთმია.

სანჩომ თავის ბატონის ბრძანება აასრულა, როსინანტი მოამზადა, მერე მუხიდან ნადავლის მსგავსად ჩამოკიდებული დონ კიხოტის იარღი ჩამოიღო და რაინდს მიაართვა. თავი რომ მთლად მოკაზმული დაინანა, დონ კიხოტმა ხმამაღლა დაიძახა:

- ახლა, ღვთის შემწეობით, ამ სეფე ქალის დახმარებას შევუდგებით.

ამ ხნის განმავლობაში დალაქი ისევ დაჩოქილი იყო, სიცილს ძლივს იმაგრებდა და თან წვერი ხელით ეჭირა, რომ არ გამოვარდნოდა. ხოლო, როდესაც დონ კიხოტმა არა თუ საჭირო აღთქმა დაუდვა დოროეას, არამედ იმ აღთქმის ასასრულებლად მზად იყო გზას გასდგომოდა, მაშინ

დალაქი ფეხზე წამოდგა, წვერის ჭერისაგან მოცლილი მეორე ხელი დოროთეას მოჰკიდა და რაინდის დახმარებით ჯორზე შესვა; შემდეგ დონ კიხოტი როსინანტზე შეჯდა, და დალაქი თავის ჯორზე. მარტო სანჩოს ერგო ისევ ფეხით ჩანჩალი. რამაც თავისა დაკარგული ვირი ერთხელ კადევ მოაგონა და გულიდან ღრმა ოხვრა ამოაშვებინა. მაგრამ ამჯერობაზე, ცოტა არ იყოს, ეს დარდი ნაკლებ აწუხებდა, რადგან ფიქრობდა, რომ მი ბატონი ახლა სწორედ ნამდვილ გზას დაადგა საიმპერატორო ტახტამდის მისასვლელად: სრულიად არ ეჭვნეულობდა, რომ დონ კიხოტი პრინცესას შეირთავდა და, სულ ცოტა, მიკომაკონის მეფედ მაინც გახდებოდა. მას ახლა ის თულა აწუხებდა, რომ მისი ბატონის მომავალი სამეფო ზანგთა ქვეყანაში მდებარეობდა და ყველა მისი ვასალი შავკანიანი იქნებოდა, აგრამ საჭურველმტვირთველისებურმა მკვირცხლმა ფანტაზიამ ეს დარდიც ჩქარა გაუქარვა: "რა მენაღვლება, თუ ყმებად შავკანიანი ზანგები მეყოლებათ, შესაქცევარად ხომ არ მინდაო, - ფიქრობდა ის; - აქ ესპანეთში გადმოვიყვან და სულ წმინდა ბაჯალოებზე გავცვლი, იმ ფულებით ჩემთვის მამულს შევიძენ და იმ მამულში დანარჩენს ჩემს დღეებს უზრუნველად გავატარებო. არა და მართლა, რა ისეთი ბრიყვი მე ვარ, ან სულელი - ოცდაათი ან ათი ათასი ვასალის გაყიდვა ადვილად ვერ მოვახერხო! დიდპატარიანად გავასაღებ, პატარა ვარ თუ დიდი, ის კი ვიცი, ჩეხი საქმეები როგორ მოვაწყო: ადვილად მტერი მომიკვდეს, ადვილად მე ის შავი ხალხი ჩემს ჯიბეში თეთრ ან ყვითელ-ყვითელ ესკუდოებად გადავაქციო, თუნდა ემშაკის გულზედაც უშავესო იყოს. ახლა ერთი კი ხელში ჩამიგდონ ის ხალხი და მაშინ ნახავენ, რა ბიჭიცა ვარ, დოყლაპიასავით გულხელდაკრეფილი კი არ დავჯდებიო". ამ საამო ფიქრებით გართული სანჩო ქვეითი სიარულისაგან ფეხების გაჭირვებას ველარა გრძნობდა.

კარდენიო და მღვდელი ამ ამბავს ბუჩქებიდან უცქერდნენ და არ იცოდნენ, დონ კიხოტის მომყოლ ჯგუფს როგორ შეჰყრიდნენ. გამჭრიახი გონების პატრონმა მღვდელმა ჩქარა მოიფიქრა, ამ გაჭირვებიდან როგორ გამოსულიყვნენ. თავისი საგზაო მაკრატლით კარდენიოს მარჯვედ წვერი მოჰკრიჭა. თავისი ჟღალი მოსასხამი წამოასხა და შავი საყელო გაუკეთა, თვითონ კი მარტო კამზოლისა და შარვლის ამარა დარჩა. ამ მორთულობამ ისე შესცვალა კარდენიო, რომ თვითონაც ვერ იცნობდა თავის თავს, სარკეში რომ ჩაეხედა. სანამ ისინი ასე ეწყობოდნენ, ცხენოსნებმა უკვე გაასწრეს და დაწინაურდნენ. მაგრამ ისინი წავიდნენ და დონ კიხოტსა და მის მგზავრებზე ადრე შარაგზაზე გავიდნენ, რადგან ამათ დაწინაურებას, თუმცა უკანაც იყვნენ ჩამორჩენილები, ისე არ უშლიდა ოღროჩოლო გზა, კლდეები და შამბნარი, როგორც ცხენით მოსიარულეთათვის იყო გასაჭირი და შემაფერხებელი. ამგვარად ისინი გამოვიდნენ ხეობიდან და ვაკეს დაადგნენ, ხოლო, როცა შორს დონ კიხოტი და მისი თანამგზავრები გამოჩნდნენ, მთების გამოსასვლელში კარდენიო და მღვდელი შედგნენ. მღვდელმა რომ დონ კიხოტი დაინახა, დამტერებით დაუწყო ცქერა, შემდეგ ვითომ იცნო რაინდი, და ხელეგაშლილი მისკენ გაექანა.

- ო, რა ბედნიერ საათში შეგვხვდით, - რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეჰყვირა მან - მივესალმები რაინდობის სარკეს, ჩემს სათნო და კეთილ თანამემამულეს დონ კიხოტ ლამანჩელს, ყვავილს მშვენიერებისას, მწუხარეთა შემწეს და მფარველს და მოგზაური რაინდობის კვიტესენციას!

ამას ამბობდა და თან მარცხენა ბარძაყზე ხელმოხვეული მიყვებოდა დონ კიხოტს; ხოლო ის გოცებული უსმენდა და დაკვირვებით უცქეროდა მღვდელს, რადგან ვერ გაეგო, ვინ იყო, ასე რომ გადაეკიდა; ბოლოს კარგად დააცქერდა და თავისი მეგობარი ლიცენციატი იცნო. ამ არემარეში მის შეხვედრას სულ არ მოელოდა; ფიცხლავ ცხენიდან ჩამოსვლა დააპირა, მაგრამ მღვდელმა არ გაუშვა იგი. მაშინ დონ კიხოტმა უთხრა:



- სენიორ ლიცენციატო, ნება მიბოძეთ ისე მოვიქცე, როგორც რიგია, როდესაც თქვენი მაღალღირსება ფეხით მობრძანდებით, ცხენით სიარული არ შემეფერის.

- არა და არა, არასგზით არ ვიზამ მაგას, - შეეკამათა მღვდელი, - ცხენზე მჯდარი შეეფეთებით უდიდეს საშიშროებათა და ჩაიდენტ სახელოვან საქმეთა, რომელთა მსგავსი ჩვენს დროში ჯერ არ მომხდარა. ამიტომაც ცხენზევე დარჩით, თქვენო დიდებავ. ხოლო მე უღირს ხუცესს ნება მიბოძეთ ამ თქვენს მხლებლებში რომელსამე ჯორს უკან შემოვჯდე; ისე წარმოვიდგენ, ვითომც პეგასზე ვზივარ, ან იმ ველურ ცხენზე, მაგრი მუსარაკი რომ მგზავრობდა, აქამდის სულემის უზარმაზარ მთაზე დიდ ქალაქ კომპლუტის ახლოს, მოჯადოებულს რომ ძინავს.

- ამაზე არ მიფიქრია, სენიორ ლიცენციატო, - მიუგო დონ კიხოტმა, - დარწმუნებული ვარ, ქალბატონი პრინცესა ჩემი სიყვარულის გულისათვის თავის საჭურველმტვირთველს უბრძანებს ჯორი თქვენ დაგიტოვოთ და თვითონ უკან შემოგაჯდეთ, თუკი ის საბრალო ჯორი გაუძლებს და მისი ხვედრი ორი კაცის ზიდვა ყოფილა.

- რასაკვირველია, გაუძლებს, - მიუგო პრინცესამ, - მაგრამ ჩემს საჭურველმტვირთველს მაგის ბრძანება არა სჭირია. ჩემს სასახლეში ისეთი წვრთნა აქვს მიღებული, ის იმდენად თავაზიანია და ზრდილი, რომ არასოდეს არ იკადრებს სასულიერო პირი ქვეითად მიდიოდეს, როდესაც შეუძლია ჯორი შესთავაზოს.

- სავსებით სწორია, - დაატანა დალაქმა.

წამსვე ჯორიდან ჩამოხტა და მღვდელს მიართვა; ისიც უარის უთქმელად ზედ შეჯდა. სამწუხაროდ ეს ჯორი ნაქირავები იყო და ამიტომაც კარგი ნახედნი არ იყო, რის გამოც, დალაქმა რომ უკან შემოჯდომა დააპირა, ისეთი ტყუპი წიხლი გაიქნია, რომ, თუ ბატონ ნიკოლას თავში ან მუცელში მოხვედროდა, უეჭველია, დალაქი დონ კიხოტის ქვეყნად მოსვლას შეაჩვენებდა. თუმცა დიდი მარცხი არ მოსვლია, მაგრამ ამ წიხლის გაქნევისაგან მაინც ლაზათიანად დაეცა და ყველაზე უარესი ის მოუვიდა, რომ წვერი დაავიწყდა, რაც ამ დაცემის დროს მოვარდა. ეს რომ შენიშნა, უკეთესი ვერა მოიგონა-რა, მაშინვე სახეზე ხელები მიიფარა და ვაი-ვაის ძახილი დაიწყო, ვითომდა ჯორმა ყველა კბილი ჩამამტვრიაო. დონ კიხოტმა რომ დაცემული საჭურველმტვირთველის ახლოს მიწაზე დავარდნილი წვერი დაინახა, უხორცო და უსისხლო, გაკვირვებით შესძახა:

- აი, დიდი სასწაული! ღმერთს გეფიცებით, ამ კაცს ისე საკვირველად მოაგლიჯა ჯორმა წვერი, თითქოს დანით მოასხიპაო!

მღვდელმა რა დაინახა, საქმე სახიფათოდ მოტრიალდა და მისი განზრახული საქმე იფუშებოდა, მაშინვე მიირბინა, წვერი აიღო და ნიკოლასს მიუტანა, ისევ ძირს რომ ეგდო და კვნესოდა. დალაქის თავი მუხლებზე დაიდო, წვერი ხელად გაუკეთა, შეუკრა და თანაც რაღაც სიტყვებს ბუტბუტებდა, ვითომდა ისეთი საოცარი ძალის მქონეს, როგორც დამსწრეებს ეუბნებოდა, რომ ამ შელოცვით ყველა წვერის ხელად წაზრდა შეეძლო. მართიც ნიკოლასს მოშორდა თუ არა, ცრუ საჭურველმტვირთველი უწინდელივით საღსალამათი და წვეროსანი შეიქნა. ასეთმა სწრაფმა განკურნებამ დონ კიხოტი გიოცა და მღვდელს თხოვა, როდისმე მოცლილ დროს ის საოცარი ლოცვა ესწავლებინა მისთვის; მისი აზრით ამ შელოცვას არა თუ მარტო წვერის წაზრდა შეეძლო თავის ალაგს, არამედ უფრო მეტი ძალის მქონეც უნდა

ყოფილიყო. იმიტომ, რომ როდესაც წვერი მოეგლიჯება კაცს, მაშინ ლოყებიც უზიანდება, მაშასადამე, ყველა ის, რაც ერთს განკურნავს, მეორის განმკურნავიც უნდა იყოსო.

- სავსებით სწორია, - მიუგო მღვდელმა და აღუთქვა, პირველსავე მარჯვე შემთხვევაში გასწავლი ამ შელოცვასო.

ამ ხიფათის შემდეგ გადაწყვიტეს, მღვდელი მარტო შემჯდარიყო ჯორზე და მერე ხან კარდენიოს დაუთმობდა ამ ჯორს და ხან დალაქს, ვიდრე ფუნდუკამდე მივიდოდნენ, იქიდან ორიოდე მილის სიშორეზედა რომ იყო. ამგვარად მთელი ჯგუფი ორად გაიყო - ცხენოსნებად და ქვეთებად: დონ კიხოტი, მღვდელი და პრინცესა ცხენებით მიდიოდნენ, დალაქი, სანჩო და კარდენიო ქვეითად მიჩანჩალებდნენ. დონ კოხოტმა უთხრა დოროთეას:

- ახლა თქვენო უმაღლესობავ, ქალბატონო, საითაც გასურთ, წამიძეხით.

პრინცესას ჯერ პასუხი არ მიეცა დონ კიოტისათვის, რომ მღვდელმა ჰკითხა:

- რომელ სამეფოში აპირებთ ჩვენს წაყვანას, თქვენო ბრწყინვალეობავ? მიკომიკონის სამეფოში ხომ არა? მგონია, ასე უნდა იყოს, თუ სამეფოებისა რამე გამეგება.

დოროთეა მიხვდა, რისთვისაც იყო ეს კითხვა და საჩქაროდ უპასუხა:

- დიახ, ჩემო ბატონო, ჩემი გზა ამ სამეფოსაკენ მიემართება.

- თუ ეგრეა, მაშ ჩვენს სოფელზე გვიდევს გზა, - განაგრძო მღვდელმა, - იქიდან კართაგენს წახვალთ და იქ, ღვთის შეწევნით, გემში ჩასხდებით; ჩემი ფიქრით, თუ ზღვა დამშვიდებული იქნება, ზურგის ქარმა გიბერათ და ტაროსიც კარგი დაგიდგათ, ცხრა წლის შემდეგ იმ ალაგს მიაღწევთ, საიდანაც მეონის ანუ მეოტიის ტბას დაინახავთ, იქიდან კი თქვენი უმაღლესობის სამეფო სულ ასი დღის სავალზედაა.

- მგონია, ცოტა ცდებით, ჩემო ბატონო, - მიუგო პრინცესამ: - ორ წელიწადზე მეტი არ არ, რაც ჩემი სამეფოდან წამოველ; ზღვით ისე ვიარე, რომ პირქარი არა ყოფილა და ტაროსიც ხელს არ მიწყობდა, და მაინც ამ მოკლე ხანში ვპოვე რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი, ვისი დიდების ზარმაც ჩემი სმენა განმეხა - ესპანეთის მიწა-წყალზე დავდგი თუ არა ფეხი უმაგალითო ღვაწლთა ამბებმა მაიძულეს ეს რაინდი მომენახა, ჩემი თავი და ჩემი მართალი საქმე მისი მამაცობისა და ძალუმი მარჯვენისთვის მიმენდო.

- კმარა, კმარა, პრინცესა, - დაიძახა დონ კიხოტმა; - მაგდენს ქებას თავი ანებეთ, ყოველგვარი პირფერობის მტერი ვარ, თუმც თქვენი სიტყვები პირფერობა როდია, მაინც ქების სიტყვები უბიწო ყურებში უსიამოვნოდ ჟღერენ. მხოლოდ ერთს მოგახსენებთ, ქალბატონო მამაცი ვარ თუ არა, ჩემი სიცოცხლის დასასრულამდე სამსახურს გაგიწევთ იმ სიმამაცის რაოდენობით, რის პატრონიც ვარ. თქვენი გულისათვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ, მაგრამ ამის დროც კიდევ მოვა, ამით გავათავოთ ახლა კი იმის შეტყობა მინდა, ბატონი ლიცენციატი აქ რამ მოიყვანა, მარტო, უმსახუროდ და მასთან ასე უბრალოდ ჩაცმული. ყველაფერი ეს ძლიერ მაკვირვებს.

- მაგის პასუხს მოკლედ მოგახსენებთ, - დაიწყო მღვდელმა. - მე და ჩვენი საერთო მეგობარი დალაქი ნიკოლასი სევილიას მივდიოდით კარგა ბლომად ფულის მისაღებად, - ასე სამოცი ათასი პესო იქნებოდა, არც თუ ისე უმნიშვნელო თანხაა. ეს ფული ერთ ჩემს ნათესავს

გამოეზავნა, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ ინდოეთს წავიდა. და აი, როცა გუშინ ამ მიდამოებში გავლა მოგვიხდა, ოთხი ავაზაკი დაგვეცა და სულ ერთიანად გაგვმარცვეს, ასე გასინჯეთ, წვერებიც კი მოგვტაცეს, ასე რომ დალაქი იძულებული შეიქნა ყალბი წვერი გაეკეთებინა; აი ეს ბატონი კი (კარდენიოზე უჩვენა) მთლად გაატიტვლეს. მაგრამ ყველაზე გასაოცარი და საყურადღებო კი ის არის, რომ, ამბობენ, ვითომც ისინი კატორღელნი იყვნენ, ვიღაც უცნაური მამაცი კაცისაგან გათავისუფლებულნი; ის ვიღაც არც კომისარს შეკუებია, არც იმ ტუსალების ბადრავს. ყველანი თავთავისთვის გაუშვია. ის ვიღაცა ყოფილა, ალბათ ჭკუაზე შემცდარი იყო ან იმ ტუსალებივით არამზადა და ბოროტი, ურიგო და უსინდისო; თორემ აბა მგელს ცხვრის ფარაში როგორ შეუშვებდა, ან მელას საქათმეში და ან ონავარს - ფუტკრის სკაში. მან ხომ ამით მართლმსაჯულები გაქელა და შეურაცხყოფა მიაყენა, თავის კანდიერ ბატონ მეფეს წინ აღუდგა, რაკი ბრძნული ბრძანებები უგულვებელჰყო, გაღერებს, ვიმეორებ, საჭირო მუშა მოსტაცა და კარგა ხანს განსვენებაში მყოფი სანტა ჰერმანდადა შეაშფოთა. ერთი სიტყვით, ისეთი საქმე განიზრახა, რომ ამით თავის სულიც დაღუპა და ხორცსაც არა არგო-რა.

უნდა ვთქვათ, რომ მღვდელსა და დალაქს სანჩოსაგან ჰქონდათ უკვე ნაამბობი ტუსალებთან მომხდარი ფათერაკი, რომლიდანაც დიდებით მოსილი გამოვიდა მისი ბატონი და მღვდელმა ამიტომაც დაიწყო განგებ ლაპარაკი, უნდოდა გაეგო, რა პასუხს მისცემდა დონ კიხოტი. მღვდლის ყველა სიტყვაზე საბრალო რაინდს სახე ეცვლებოდა და კი ვერ ბედავდა ეთქვა, რომ იგი თვითონ იყო გაღერაზე გაგზავნილთა გამათავისუფლებელი.

- აი ამგვარმა ვაჟბატონებმა გაგვმარცვეს გუშინ და აღარა შეგვარჩინეს-რა, - დაამთავრა მღვდელმა. - მაინც ყოვლადმოწყალე უფალმა აპატიოს, ვინც მათ დამსახურებული სასჯელის გადახდა დაუშალა.

თავი XXX

რომელიც მოგვითხრობს მშვენიერ დოროთეას მახვილგონიერებას და აგრეთვე მრავალ სხვა ჩვეულებრივ და თავმესაქცევარ ამბებს

მღვდელს ჯერ ლაპარაკიც კი არ დაესრულებია, რომ სანჩომ წამოიძახა:

- იცით, მამაო ბატონო, ის ვინ იყო, ეგრე რომ გამოიჩინა თავი? თვითონ ჩემი ბატონი ბრძანდებოდა! თუმცა მაშინვე ვთხოვე, მოიფიქრეთ, რას ჩადიხართ-მეთქი; ისიც ვუთხარ ამაო პატიოსნებას, რომ ცუდკაცობისა და უდიდესი ბოროტმოქმედებისათვის გაღერაზე გაგზავნილი ავაზაკების გათავისუფლება დიდი ცოდვა და სულის წაწყმედა არის-მეთქი.

- რეგვენო! - დაუყვირა დონ კიხოტმა - მოგზაური რაინდები, როდესაც შარაგზაზე შეეყრებიან უბედურთ, დამცირებულთ და შებორკილთ, განა მოვალენი არიან იკითხონ, რად შეუყრიათ იმათთვის ბორკილი: კარგი კაცობისათვის, თუ ცუდი კაცობისათვის? რაინდის საქმე ისაა, იმათ უშველოს, ყურადღება მართო მათს უბედურებას მიაპყრას და არა მათს დანაშაულს. უბედურები შემხვდნენ ერთ ჯაჭვზე კრიალოსანივით, ან ფარდულის მიძივებივით ერთმანეთზე გადაბმულნი და ისა ვქენ, რაც უნდა მექნა, ვითარცა რაინდს, ხოლო შემდეგ რა მოხდებოდა, რას დავსდევ. და ვინც ამის წინააღმდეგს მეტყვის რასმე (პატივცემულ ბატონ ლიცენციატს გარდა, რომლის სასულიერო ხარისხს დიდ პატივსა ვდებ), მას ვუპასუხებ, რომ რაინდის მოვალეობისა არა გაეგება-რა, ის ტყუის, როგორც უკანასკნელი ხეპრე და არამზადა

და ამას დავუმტკიცებ კიდევ ხმლით, თუნდ შუბით, ქვეითი, გინდ ცხენზე მჯდარი, ანუ ისე, როგორც თვითონ მოისურვებს.

ეს რომ თქვა, დონ კიხოტი უნაგირზე გასწორდა და ჩაჩქანი თვალეზამდე ჩამოიფხატა. მამბრინის ჩაჩქნად მიჩნეულ სადალაქო თასს კი ახლა იგი უნაგირის ტახტაზე ჩაკრულს ატარებდა იმ დროის მოლოდინში, რომ მარჯვე შემთხვევაში გაესწორებინა იმ ზიანისაგან, მისგანვე გათავისუფლებული საგალერე ავაზაკების უხეშმა ხელეზმა რომ მიაყენეს.

გონიერმა და ხერხიანმა დოროთეამ, იცოდა რა, რომ დონ კიხოტი ჭკუა შერყეული იყო და სანჩო პანსას გარდა ყველანი მას დასცინოდნენ, ლაპარაკში ჩარევა მოიწადინა და ასე უთხრა გულმოსულ დონ კიხოტს:

- კეთილშობილო რაინდო, გთხოვთ აღთქმა არ დაივიწყოთ, რომ დრომდის არავითარ ბრძოლაში არ ჩაერევით, რაც უნდა საჭიროდაც დაინახოთ. დამშვიდდით, დაიოკეთ თქვენი მრისხანება, და დარწმუნებული იყავით, ბატონმა ლიცენციატა რომ იცოდეს, რა ძალოვანმა ხელმა გაათავისუფლა ის დამნაშავენი, მაშინ იგი თავისთა ბაგეთა სამკვეც ღუმლის ბეჭედს დაასვამდა და იმას არჩევდა, უმალ სამჯერ ეკვნიტა ენაზე, ვიდრე თქვენი მოწყალეობისათვის უსიამოვნო ერთი სიტყვა მაინც წარმოეთქვა.

- ღმერთსა ვფიცავ, რომ ეს მართალია. - წამოიძახა მღვდელმა, - უმალ უღვაშს მოვიგლეჯდი და ამგვარ საქმეს კი არ ჩავიდენდი.

- ვდუმვარ, ჩემო პატიოსანო სეფექალო! - მიუგო დონ კიხოტმა, - ამ სამართლიანს რისხვას, ჩემს გულში რომ აღიგზნო, ჩავაქრობ და იმ დრომდე ვიქნები მშვიდი და წყნარი, ვიდრე თქვენდა მოცემულ აღთქმას არ შევასრულებ. მაგრამ კი გთხოვთ, თუ თქვენთვის სამძიმო არჩიქნება, მიბრძანოთ: რა გვარია თქვენი უბედურება და ის რა ხალხია, რომელსაც თქვენს გამო მაგიერი უნდა გადავუხადო? როგორი და რამდენნი არიან ისინი, რომელთაც თავს უნდა დაატყდეს ჩემი სამარულიანი და ღირსეული შურისძიება?

- ყველაფერს სიამოვნებით გიამბობთ, - უპასუხა დოროთეამ, - თუ კი ჩემი გრძელი და ვრცელი უბედურების ამბავი თავს არ შეგაწყენთ.

- რა ბრძანებაა, სულაც არ შემაწყენს, ჩემო ქალბატონო! - მიუგო დონ კიხოტმა.

- მაშ თუ ასეა, გთხოვთ ყურადღებით მომისმინოთ, - უთხრა დოროთეამ.

როგორც კი ეს სიტყვები წარმოთქვა, ამ დროს კარდენიო და დალაქი დოროთეას გვერდით ამოუდგნენ, რომ კარგად მოესმინათ, თუ თავის მოგონილ ამბავს როგორ მოუთხრობდა დონ კიხოტს. ბატონივით მოტყუებული სანჩოც ასე მოიქცა. ქალი უნაგირზე გასწორდა, ხმისამოსაწმენდად ჩაახველა და თამამად და შნოიანად ასე დაიწყო:

- თავდაპირველად, ბატონებო, უნდა მოგახსენოთ, რომ მე მქვია...

მაგრამ შედგა, რადგან დაავიწყდა, მღვდელმა რა სახელი დაარქვა ბედზე მღვდელი ჩქარა მიხვდა ქალის გაჭირვებას, მაშინვე მიეშველა და უთხრა:

- ჩვენ როდი გვიკვირს, თქვენო უმაღლესობავ, რომ თქვენი უბედური ამბის გახსენებაზე მღელვარება გემართებათ... უბედურება თავის მსხვერპლს ხშირად მეხსიერებას ართმევს;

ხშირად მოხდება, რომ საკუთარ სახელსაც კი ავიწყებინებს, როგორც ახლა, თუ არა ვცდები, თქვენ მოგივიდათ და გონებიდან გადაგივარდათ, რომ თქვენ პრინცესა მიკომიკონი გქვიათ, როგორც მიკომიკონის სამეფოს კანონიერ მემკვიდრეს. ახლა, თქვენო უმაღლესობავ, ამ მოგონების შემდეგ, ეგებ უკეთ გაიხსენოთ თქვენი მწუხარების ამბავი, ჩვენთვის რომ უნდა გაამბნათ.

- თქვენ ნამდვილი სიმართლე ბრძანეთ, - მიუგო დოროთეამ, - მაგრამ ახლა არაფრის მოგონება არ დაგჭირდებათ, თვითონაც შემოდლია თქვენს დაუხმარებლად ბოლომდის გაამბოთ ჩემი უტყუარი ისტორია.

- მეფე მამაჩემი, რომელსაც ერქვა ტინაკრიო ბრძენი, მისნობის მეცნიერი იყო. ამ მეცნიერების შემწეობით მან აღმოაჩინა, რომ დედაჩემი დედოფალი ხარამილია, იმაზე წინ მოკვდებოდა, მაგრამ მამაც მას უკან დიდხანს ვერ იცოცხლებდა და თავის შემდეგ მთლად ობლად დამტოვებდა. ეს კიდევ ისე ძალიან არჩაწუხებდა, როგორც მეორე აღმოჩენამ შეაწუხა: მან დანამდვილებით გაიგო, რომ ჩვენს სამეფოსთან ახლო მდებარე დიდ კუნძულზე იმყოფებოდა ერთი საშინელი დევი პანდავილანდო მძვინვარეთვალა (ყველასათვის ცნობილია, რომ თუმცა თვალები სწორად და რიგზე ესხდა, - ელამივით განზე იცქარებოდა და ამას მზაკვრული განზრახვით ჩადიოდა, რომ ყველასათვის შიშის ზარი დაეცა). და აი, მამაჩემმა გაიგო, რომ ის საშინელი დევი ჩემი მშობლების სიკვდილის შემდეგ უთვალავი ჯარით დაეცემოდა ჩემს სამეფოს, ყველაფერს წამართმევდა, ერთ მცირე სოფელსაც არჩადამიტოვებდა, სადაც თავშეფარებას შევძლებდი. სრული აკლებისა და განადგურებისაგან მხოლოდ მისი ქმრად შერთვა დამიხსნიდა. რაკი წინასწარვე იცოდა, რომ მე მას ცოლად არ გავყვებოდი, - არც თუ ცდებოდა, არასოდეს არცერთი დევის შერთვა ფიქრადაც არ მომსვლია, - მამამ მიბრძანა, როცა მოკვდებოდა და პანდავილანდო ჩემს სამეფოს შემოესეოდა, მისთვის წინააღმდეგობა არ გამეწია, ჩემი სამეფო ჩემი ნებით დამეთმო მისთვის და ამით ჩემი თავიც სიკვდილისაგან გადამერჩინა და ჩემი ქვეშევრდომნიც დალუპვას ამეცდინა, რადგან ამ გოლიათო ქაჯური ძალის წინააღმდეგობა ჩემთვის სრულებით შეუძლებელი იყო. ამასთანავე ჩემი მშობლების სურვილი იყო, ჩემს სამეფოს რომ დავუტევებდი, რამდენიმე ერთგული კარისკაცის თანხლებით ესპანეთში წავსულიყავი და, მისი წინასწარმეტყველობით, იქ ერთი მოგზაური რაინდისაგან მომეცემოდა შემწეობა; იმ დროს ის რაინდი მთელს სამეფოში მეტად სახელგანთქმული იქნებოდა, სახელიც მითხრა, და თუ მეხსიერება არ მღალატობს, მგონი, ასე უნდა იყოს; დონ ასოცი თუ დონ ხივოტი...

- დონ კიხოტი, ქალბატონო, - გააწყვეტინა სანჩომ პანსამ, - ანუ სხვანაირად - მწუხარე სახის რაინდი.

- სწორედ, სწორედ ეგრე თქვა, - მიატანა დოროთეამ, - მამაჩემი ამბობდა, ის რაინდი მაღალი ტანისააო, გამხდარ-გამხდარიო და მარცხენა ბეჭს ქვეშ, ან სადმე ახლოს იმ ალაგებში, მუქი ხალი აქვს, ღორის ჯაგრის მსგავსი ბალნიანიო.

ეს რომ გაიგონა დონ კიხოტმა, მსწრაფლ დაუძახა თავის საჭურველმტვირთველს:

- აბა, ერთი აქეთ მოდი, მშობილო სანჩო, და ტანთ გახდა მიშველე, მინდა დავრწმუნდე, სწორედ ის რაინდი ვარ, იმ ბრძენ მეფეს რომ უწინასწარმეტყველნია?

- ტანთ გახდა რად გინდათ, - ჰკითხა დოროთეამ.

- მინდა შევიტყო, ის ხალი მაქვს თუ არა, მამათქვენს რომ უთქვამს, - მიუგო დონ კიხოტმა.

- მაგისათვის ტანთ გახდა რა საჭიროა, - უთხრა სანჩომ, - მე ვიცი, რომ ეგეთი ხალი შიგ ბეჭებს შუა გაქვთ; ეგ თურმე დიდი ღონის ნიშანია.

- ეგეც კმარა, - თქვა დოროთეამ: - კეთილ მეგობრობაში ასეთი წვრილმანი სისწორე რა საჭიროა? ნიშანი გინდ ბეჭზე ყოფილა, გახდა ზურგზე, სულ ერთია, ოღონდ კი იყოს. ყველაფრიდან ჩანს, რომ კეთილ მამაჩემს იგი რაინდი გამოუცვნია, მეც არ შევმცდარვარ და ბატონ დონ კიხოტში ვიპოვე იგი. უეჭველია, მამაჩემმა სწორედ ამაზე მითხრა; ამის სახის ნიშნები სრულებით ეთანხმებიან იმ დიდ სახელს, არა მარტო ესპანეთში, არამედ მთელს ლამანჩაშიც რომ მოუხვეჭია. ამას გარდა გემიდან გადმოველ თუ არა ოსუნში, მაშინვე ამის დიდებულ ღვაწლზე ლაპარაკი მომესმა და გულმა თითქოს მაშინვე მითხრა, ვინც უნდა მომეძებნა.

- ერთი ეს მიბრძანეთ, ჩემო ქალბატონო, ოსუნში როგორ გადმოხვიდოდით გემიდან. ოსუნი, მგონია ზღვისპირა ქალაქი არ არის? - უთხრა დონ კიხოტმა.

დოროთეას არ დააცადა მღვდელმა, ლაპარაკში ჩაერია და უპასუხა:

- ქალბატონ პრინცესას, უეჭველია, ის უნდოდა ეთქვა, მალაგაში რომ გემიდან გადმოვიდა, თქვენი ღვაწლის ამბები პირველად ქალაქ ოსუნში გაიგო.

- დიახ, დიახ, სწორედ ეგ უნდა მეთქვა, - დაატანა დოროთეამ.

- ცხადია, რომ ეგრე უნდა ყოფილიყო, - შენიშნა მღვდელმა. - ახლა, თქვენო უმაღლესობავ, შეგიძლიათ თქვენი ამბავი განაგრძოთ.

- ჩემი ამბავი კიდევ გავათავე, - თქვა დოროთეამ, ისლა შემიძლია დავუმატო, რომ რაინდი დონ კიხოტის შეხვედრა დიდი ბედნიერებაა ჩემთვის. მისი მეოხებით ჩემს თავს კვალად ჩემს სამეფოს მეფედ და მფლობელად ვხედავ, იმიტომ, რომ სულგრძელმა რაინდმა ჩემი წამოყოლა უკვე აღმითქვა. წავიყვან მას პანდაფილანდო მძვინვარეთვალას წინააღმდეგ, რათა იგი დევი დაამხოს და, რაც იმ ვერაგმა ღვთიური და კაცობრივი კანონების გაქელვით წარმტაცა, უკანვე დამიბრუნოს. დაამხობს კიდევ, როგორც ბრძენი მამაჩემის ტინაკრიოს წინასწარმეტყველებაშია ნათქვამი; ეს წინასწარმეტყველება მას თავის წიგნში აქვს ბერძნულად თუ ქალდეურად დაწერილი, - კარგად არ ვიცი, რადგან მათი წაკითხვა არ შემიძლია, მაგრამ იქ ასეა აღნიშნული: თუ რაინდი იმ გოლიათზე გამარჯვების შემდეგ ჩემს ცოლად შერთვას მოინდომებს, მისი სურვილი უარის უთქმელად უნდა შევასრულო და ვით ჩემი თავი, ისე სამეფოც მის მფლობელობას უნდა გადავცე.

- აბა რას იტყვი ამაზე. ჩემო მეგობარო სანჩო, - წაიტრახახა დონ კიხოტმა; - ან იქნებ ვერა ხედავ, რაც შენ თვალწინ ხდება? ახლაც იტყვი, სამეფო არა გაქვს, რომ ვიმეფოთო, და არც საცოლე არა გვყავს, რომ შევირთოთო?

- ღმერთმანი სწორია! - შეჰყვირა სანჩომ. - ჩემს წვერსა ვფიცავ, სულელი იქნებით, თუ იმ პანდაილადოს კისერს არ მოუგრებთ. მაგ თქვენ ხმაღს შიგ გულში არ გაუყრით და ამ ქალბატონსაც ცოლად არ შეირთავთ! აბა რას ბრძანებთ? ასეთი დედოფალი გვერდითა მყავდეს

და კიდევ სხვა რამე ვეძებო? განა ცუდი დედოფალია? ნეტავ ასეთებად მიქცია ჩემი საწოლის ყველა რწყილი!

ეს რომ თქვა გადამეტებული აღტაცებისაგან ორჯერ შეხტა, მერე დოროთეას ჯორთან მიიბრინა, დააყენა იგი, წინ დაუჩოქა და ემუდარებოდა, ნება მიეცა თავისი მომავალი დედოფლისა და მბრძანებლისათვის ხელზე ეკოცნა. ვის არ გაეცინებოდა ბატონის ასეთ სისულელესა და მსახურის გულუბრყვილობაზე! მაგრამ დოროთეამ ხელი გაუწოდა სანჩოს და დაჰპირდა, რა წამს ღმერთი უშველო და და ეთიოპიის სამეფოს მფლობელი შეიქნებოდა, სანჩოსაც მაშინვე დიდკაცობას მიანიჭებდა. სანჩომ მადლობის გადახდა ისეთი სიტყვებით დაუწყო, რომ ყველანი ხელახლად გააცინა.

- ჩემი უტყუარი ამბავი ასეთია, ბატონებო, - განაგრძო დოროთეამ - ისღა დამრჩენია, მოგახსენოთ, რომ მთელი ჩემი ამალიდან, რაც ჩემს სამეფოდან გამომყვა, ესღა დამრჩა, ჩემი კეთილი დიდწვერა საჭურველმტვირთველი; დანარჩენები საშინელი ქარიშხლის დროს ზღვაში დაიღუპნენ სწორედ მაშინ, როცა ნავსადგურს მივატანეთ. მე და ეს ჩემი ერთგული მსახური ვაი-ვაგლახით ორ ფიცარზე შევრჩით და რაღაც სასწაულით ნაპირზე გამოვირიყებით. მაგრამ რა? მთელი ჩემი სიცოცხლე განუწყვეტელი სასწაულია და საიდუმლოებანი, - უეჭველია, ამას თვითონ თქვენც შენიშნავდით. და თუ ხანდახან არეულად ვლაპარაკობ, ეს იმიტომ მომდის, რომ მეტისმეტმა გამუდმებულმა ტანჯვამ და არაჩვეულებრივმა განსაცდელმა, როგორც ამ ჩემი ამბავის დასაწყისში უკვე პატივცემულმა ლიცენციამა შენიშნა, გონება გამომაცალა...

- მე ჩემის მხრით დაგარწმუნებთ, მაღალ კეთილშობილო და მამაცო ქალბატონო, - განუცხადა დონ კიხოტმა, - რომ ვერავითარი უბედურება, რაც უნდა საშინელი და არ გაგონილიც იყოს, გონებას მაინც ვერ წამართმევს, ვიდრე თქვენ სამსახურად ვიქმნები! ჩემს აღთქმას კვლავად გაგიმეორებთ და გეფიცებით, ქვეყნიერების საზღვრამდე წამოგყვით, ვიდრე თქვენს ვერაგ მტერს არ შევხვდები და ღვთიასა და ჩემი მარჯვენის იმედით ამ მახვილით მის გესლიან თავს არ გავაგდებინებ, თუმცა კი ამ მახვილის სიკეთეს ვერც კი დავიკვებხნი, რადგან ჩემი საკუთარი ხმალი ხინეს დუ პასამონტემ გამომტაცა.

უკანასკნელი სიტყვები დონ კიხოტმა წაილულლულა და მერე ხმამაღლა განაგრძო:

- როდესაც იმ დევს თავს მოვკვით და თქვენს სამეფო ტახტზე მშვიდად აგიყვანთ, მაშინ სრული თავისუფლება მოგეცემათ თქვენი თავი ისე განაგოთ, როგორც თქვენი ნება იქნება; იმიტომ, რომ ვიდრე ჩემი ნება შებოჭილია, გული ტყვეობაშია, მეხსიერება დაზაფრული და აზრიც დამონებულია, იმ... სხვას აღარ ვიტყვი... იმ დრომდე, პრინცესა, ცოლის შერთვის ფიქრი ვერ გამივლის, თვითონ ფრინველი ფენიქსის შერთვაც რომ შემომთავაზოს ვინმემ.

დონ კიხოტის ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ცოლის შერთვის შესახებ სანჩო ისე გააკვირვა და გაამწარა, რომ ბრაზმორეულმა თავი ვეღარ შეიკავა და შეჰყვირა:

- ღმერთსა ვფიცავ, ბატონო რაინდო დონ კიხოტო, თქვენს ჭკუაზე არა ბრძანდებით! გაგონილა ასეთი დიდებული პრინცესის შერთვაზე კაცმა იყოყმანოს და უარი თქვას? ნუთუ გგონიათ, ბედი ყოველთვის გამოგიგზავნით ასეთ იღბლიან ფათერაკებს, როგორც ეს ახლანდელია? განა თქვენი მიჯნური დულსინეა ამ ქალბატონზე ლამაზია? რასაკვირველია, არა! ის ხომ პრინცესას ნახევრადაც არა ღირს. თუნდ დავიფიცებ, ის ხომ იმის ღირსი არ არის, ამას ფეხსაცმელსა

პხდიდეს? თუ ასე განაგრძეთ, რა იმედი უნდა მქონდეს, რომ თქვენგან აღთქმულ საგრაფოს მალე მივიღებ, თუ ყურძენში მარგალიტის ძებნას გამოუდევით. აბა, რასაკვირველია! - შეირთეთ, ბატონო რაინდო, ყველა ეშმაკს გეფიცებით, შეირთეთ, და ის სამეფო აიღეთ, თქვისთავად რომ ხელში მუქთად გივარდებათ; და მეფედ რომ გახდებით, მეც ნუ დამივიწყებთ, მარკიზობა მომეცით ანუ გუბერნატორობა... სხვა ყველაფერი ეშმაკებსაც წაუღია.

დონ კიხოტმა თავის გულისვარდ დულისინეას აუგი და გაათახა რომ გაიგონა, ასეთი შეურაცხყოფა ვეღარ აიტანა. ხმამოუღებლივ აიქნია შუბი და ორი ისეთი სდრუზა სანჩოს, რომ იქვე გაშხლართა, და დოროთეას რომ არ დაეკვივლა დონ კოტისათვის, შესდევითო, სწორედ იქვე სულს გააცხებინებდა.

- სულმდაბალო ყეყეჩო. - რამდენიმე ხნის შემდეგ უთხრა მან სანჩოს. - ნუთუ გგონიათ, რომ ყოველთვის უვნებლად ჩაგივლით ჩემთვის ასეთი კვანტის გამოღება? ნუთუ მე და თქვენ იმის მეტი საქმე აღარა გვაქვს, რომ თქვენ მუდამ თავხედობდეთ, საქმეს აშავებდეთ და მე ყოველთვის გაპატიოთ? ამას ნუ იფიქრებთ, შეჩვენებულო არამზადავ, არამზადავ-მეთქი, იმიტომ, რომ უბადლო დულისინეას ზრახვა და უპატიურად ხსენება გაბედეთ. განა ჯერ არ იცით, ლენჩო, უმაქნისო, ბრიყვო, რომ ამ მარჯვენას თუ ის ქალი არ ასულდგმულეზდეს, ბაღლინჯოს გაჭყლეტის ღონეც არ მექნებოდა! აბა ერთი ეს მითხარით, გველის ენიანო გაიძვერა, თქვენს ჭკუაში ეს სამეფო ვინ დაიპყრო, დევს თავი ვინ მოჰკვეთა და თვითონ თქვენც მარკიზად ვინ გაგხადათ (ყველა ეს ხომ შესრულებულ საქმედ შეიძლება ჩავთვალოთ), - ვინა, თუ არ დულისინეას ძალამ, დიდი საქმეების იარაღად რომ ჩემი მარჯვენა აირჩია? იგია, ბრძოლისთვის რომ მაქეზებს და ძლევას მანიჭებს, ის არის ჩემი მაცოცხლებელი, ის მასულდგმულეზს და ძალას მატებს ჩემს არსებობას! ჰოი, სამაგელო არამზადავ, რაოდენ უმადური ხარ! ტალახიდან სურთ თქვენი ამოთრევა, წარჩინებულ კაცად გხდიან და სამაგიეროდ თქვენს კეთილისმყოფელებს მადლობას ცილისწამებით უხდით!

თუმცა სანჩოს ზურგი ეწვოდა, მაინც, რაც დონ კიხოტმა უთხრა, ყველა კარგად გაიგო საჩქაროდ ფეხზე წამოდგა, დოროთეას ჯორს მოეფარა და იქიდან უთხრა თავის ბატონს.

- მოწყალეო ბატონო, თუ ამ პრინცესაზე ჯვარი არ დაწერეთ, სამეფოც არ გექნებათ და თუ სამეფო არ გექნებათ - მეც უარარაოდ დავრჩები. მე სწორედ ამას ვჩივი. დამიჯერეთ, ბატონო, ეს დედოფალი შეირთეთ, თითქოს ციდან რომ ჩამოგვივარდა, და მერე მიბრძანდით თქვენს დულისინეასთან და რამდენიც გნებავთ იხიდანკლეთ მასთან, ხომ იყვნენ ქვეყნად მეფეები, ხასები რომ ჰყავდათ! ხოლო, რაც თქვენი მიჯნური ქალის სიმშვენიერეს შეეხება, მაგ საქმეში, ღმერთმანი, არ ვერევი; ჩემთვის ეს ორივე ქალი მშვენიერია, თუმცა ქალბატონი დულისინეა არასოდესაც არ მინახავს.

- როგორ თუ არ გინახავს, მოღალატეც და ცილისმწამებელო! - შეაწყვეტინა დონ კიხოტმა. - შენ არა ხარ, რომ ეს-ესაა ახლა დაბრუნდი და მისგან პასუხი არ მომიტანე?

- მე ის მინდოდა მეთქვა, დიდხანს და, როგორც რიგია, ისე არ მინახავს, რომ ყოველმხრივ დამეთვალეიერებინა მისი სიტურფე და მშვენიერება; - გაასწორა სანჩომ, - მაინც კი, ჰო, ერთობ რიგიანი მეჩვენა.

- სანჩო, წარსული მიპატიებია, - უთხრა დონ კიხოტმა, - შენც ის მცირე უკმაყოფილება მაპატიე, ახლა რომ მოგაყენე; ჩვენი პირველი აფეთქება, ჩვენზე როდია დამოკიდებული.



- ვხედავ, - წაილაპარაკა სანჩომ; - უნდა მოგახსენო, მოწყალეო ბატონო, რომ ჩემი პირველი აფეთქებაც ლაპარაკის ხალისია და, რაც ენაზე მომადგება ხოლმე, ვერას გზით ვერ ვახერხებ, რომ არა ვთქვა.

- მაშ, მაინც გაფრთხილებ, სანჩო, - შენიშნა დონ კიხოტმა, - შენს სიტყვებს მეტი ყურადღება მიაპყარ ხოლმე, იმიტომ, რომ კოკა მუდამ წყალს... დანარჩენი ხომ შენც იცი, აღარ გავაგრძელებ.

- ვიცი, - მიუგო სანჩომ, - და ისიც მგონია, რომ ყოვლის მხილველი ღმერთი ცათა შინა განსჯის, ჩვენგანი ვინ უფრო ცუდად ირჯება: მე - სულელურად მოლაპარაკე, თუ თქვენ - ლაპარაკში რომ ჩემზე უარესად იქცევით.

- კმარა, კმარა, - გააწყვეტინა დოროთეამ. - მიდით, სანჩო, თქვენს ბატონს ხელზე აკოცეთ, შენდობა მოსთხოვეთ და კვლავ ქებასა და ზრახვაში მოფიქრება იქონიეთ. მეტადრე იქ ქალბატონ ტობოსელზე ნურას იტყვი, რომელსაც, თუმცა არ ვიცნობ, მაინც მზად ვარ ვემსახურო. დანარჩენში ღვთის იმედი გქონდეთ, იგი უმამულოდ არ დაგტოვებთ, რომ თქვენი სიცოცხლე დიდებულივით უზრუნველად გაატაროთ.

სანჩო ბრალეული სახით ღმობიერებით მივიდა და თავის ბატონს ხელი თხოვა. მან მედიდური და მრისხანე სახით გაუწოდა. სანჩომ რომ დონ კიხოტს ხელზე აკოცა, რაინდმა თავის საჭურველმტვირთველი დალოცა, მერე ფეხი აუჩქარა და სანსოც თან წაიყოლა, რათა თითქოს რაღაც საქმეზე ეწადა მასთან ლაპარაკი. სანჩო გაჰყვა დონ კიხოტს და, როცა ცოტაოდნად დარწმუნდნენ, რაინდმა უთხრა:

- მას აქეთ, სანჩო, რაც შენ დულსინეასგან დაბრუნდი, დრო არა მქონდა - ყველაფერი მეკითხა, რაც კი შენს ელჩობას და მოტანილ პასუხს შეეხებოდა. ახლა, როცა ბედი ამ ბედნიერებას გვიგზავნის და ჩვენც თავისუფლად შეგვიძლია მოლაპარაკება, ნუ დააყოვნებ დულსინეას კარგი ამბებით გამახარო.

- მკითხეთ, მოწყალეო ბატონო, რაცა გსურთ, - მიუგო სანჩომ, - ყველაფერს ისე მოგახსენებთ, როგორც იყო, მაგრამ, ღვთის გულისათვის, წყრომას ნულარ ინებებთ.

- მაგას რად მეუბნები? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- იმად, ბატონო, - მიუგო სანჩომ, - რომ ეს არის ახლა ჯოხით ცემა მიწყალობეთ, ეს სულ იმდამინდელი ჩხუბის გამოა, ჩვენს შორის რომ ეშმაკმა გააჩინა, და არა ქალბატონ დულსინეას გამო. მოგეხსენებათ, ქალბატონ დულსინეას დიდ პატივს ვცემ, როგორც წმიდანის ნაწილს ისე ვეთაყვანები (თუნდაც ამის ღირსიც არ აყოს); იმიტომ, რომ თქვენთვის ასე ძვირფასია და თქვენს სატრფოდ ითვლება.

- ღვთის გულისათვის, სანჩო, რაც იყო, ნულარ იგონებ და ამაზე მეტს ნულარაფერს იტყვი, - უთხრა დონ კიხოტმა; - ეგ მოგონება მაწუხებს და მაღელვებს. ახლა არ იყო, გაპატიე? ანდაზა ხომ იცი: ძვირის გახსენება ცუდკაცობააო.

ასე რომ დაიწყეს ლაპარაკი რაინდმა და საჭურველმტვირთველმა, მოულოდნელად, მათ პირდაპირ ვირით მომავალი ვიღაც კაცი დაინანეს და რომ მოახლოვდა, ბომა ეგონათ. ყველა ვირის დანახვაზე სანჩოს თვალები გადმოეკარკლებოდა ხოლმე და ეს ვირზემჯდარი ცრუ ბომა რომ დაინახა, მაშინვე ხინეს დე პასამონტე იცნო და ვირი კიდევ თავის საკუთარ ვირს

მიამგვანა; და როგორც კი ძაფს, ესე იგი ბოშას, ხელი წაავლო, გორგალიც გამოხსნა, ესე იგი მიხვდა, რომ ლურჯა ვირი, რომლითაც პასამონტე მოდიოდა, მისი საკუთარი იყო. მართლაც ასე აღმოჩნდა. მისი იყო ის ვირი. რომ არავის ეცნო და სარფიანად გაესაღებინა სახედარი, ხინესს ბოშურად ჩაეცვა, რაკი ბოშურად მშვენივრად ლაპარაკობდა და რამდენიმე სხვა ენაც თავის მშობლიურ ენასავით ჩინებულად იცოდა. სანჩომ რომ ის დაინახა, იცნო, რაკი დაინახა და იცნო, საშინელი ყვირილი მორთო:

- ჰა, შე ავაზაკო ხინესილო! მომე ჩემი საკუთრება, დამიბრუნე ჩემი სიცოცხლე, ჩემი ლოგინი, რომელზედაც ვისვენებ ხოლმე; აქედან მოუსვი, შე ქურდბაცაცავ, გადაეთრიე, უმაქნისო, ჩემი ვირიდან! მომეც, რაც შენ არ გეკუთვნის!

სანჩომ ამდენი სალანძღავი სიტყვა სულ ტყუილად დაჰკარგა, რადგანაც ხინესი პირველ დაყვირებისთანავე სწრაფად გადმოხტა ვირიდან და ისე მოკურცხლა, რომ რაინდისა და საჭურველმტვირთველის თვალთაგან სწრაფად მიიფარა. სანჩო თავის ლურჯას მივარდა, მოეხვია, კოცნა დაუწყო და თან ეუბნებოდა:

- გამარჯობა შენი, ჩემო გვრიტო, ჩემო სახედარო, ზემო შვილო, ჩემო ამხანაგო, ჩემო თვალისჩინო! ხომ კარგად ხარ, ჩემო მშვენიერო?

თან ამას ეუბნებოდა და თან ვირს ეფერებოდა და ჰკოცნიდა. საწყალმა ვირმა კი არ იცოდა ამდენ ალერსსა და კოცნაზე რა ეპასუხა. ამასობაში დანარჩენი მგზავრებიც მოვიდნენ და ყველამ ერთად სანჩოს ბედნიერი საპოვარის მილოცვა დაუწყეს, ხოლო დონ კიხოტმა მის სანუგეშებლად დაუმატა: მიუხედავად ამისა, ჩემს პირობა არ გავტეხ და ამის ნაცვლად რომ სამი ჩოჩორი გაჩუქე, შენთვის დამიტოვებიაო. და სანჩომაც ამ სიუხვისათვის კვლავ მადლობა გადაუხადა.

განმარტოებით მიმავალ რაინდსა და საჭურველმტვირთველს რომ ბაასი ჰქონდათ, მღვდელმა დოროთეას მიულოცა და მადლობა უთხრა ისე ხერხიანად მოყოლილი ამბისათვის, სარაინდო წიგნებში მრავალ ნაამბობ ზღაპრებს რომ მეტად მიემსგავსებოდა დოროთეამ უპასუხა, რომ მოწყენილობის ჟამს სარაინდო წიგნები ბევრი წაეკითხა და, თითქოს ბოდიშის მოსახდელად, დაუმატა, რომ, რადგან მაზრებისა და ზღვისპირა ქვეყნებისა და ქალაქების მდებარეობა კარგად არ იცოდა, ამიტომ ალაღბედზე თქვა, გემიდან ოსუნში გადმოვედიო.

- მე მაგას მივხვდი, - მიუგო მღვდელმა, - და შეცდომის გასწორებაში იმიტომ დაგეხმარეთ. მაგრამ არ გიკვირთ, რომ ეს უბედური იდაღო ყველა ზღაპარს და მონაჭორს რა ადვილად იჯერებს, რაც კი თავის წაკითხულ სისულელეს მიემსგავსება?

- დიახაც საკვირველია, - თქვა კარდენიომ; - ეგ ისეთი რაღაც გაუგებარი და გასაოცარი ჰკუის არევაა, განგებ რომ მოენდომებია ვინმე მახვილგონიერი ჰკუის პატრონს, მაშინაც, ვეჭვობ, ძნელად მოახერხებდა.

- უფრო საკვირველი ის არის, - თქვა მღვდელმა, - რომ თუ ამ აბდაუბდას თავი ანებეთ და სხვა რამ საგანზე დაუწვეთ ლაპარაკი, სულ ვედარ იცნობთ; ყველაფერზე მეტად საღად და გონივრულად მსჯელობს ამ რაღაც ეშმაკი რაინდობის გარეშე, გარწმუნებთ, მას ყველა გონიერ და მეტად განათლებულ კაცად ჩათვლიდა.

სანამ ისინი ასე საუბრობდნენ, დონ კიხოტი სანჩოსთან ბაასს განაგრძობდა:

- ჩემო მეგობარო სანჩო, - ეუბნებოდა მას, - თავი ვანებოთ ჩხუბსა და აყალმაცალს, დაე, განიბნეს და განქარდეს ჩვენგან ყოველი შფოთი და ბოროტება, დავივი-წყოთ ძველი შეურაცხყოფა, და ახლა უწყრომლად და გულდამშვიდებით მითხარ, დულსინეა სად, როგორ და როდის ნახე? რას აკეთებდა? რა უთხარ? რა გიპასუხა? მისი სახე რას გამოთქვამდა, როდესაც ჩემს უსტარს კითხულობდა? ის უსტარი ვინ გადაგიწერა? ერთი სიტყვით, ყველაფერი მითხარ, რაც კი საჭირო დაინახო ასეთ შემთხვევაში, ნურც რასმე მიუმატებ ჩემი სიხარულის გასამრავლებლად და, რაც მთავარია, ნურც რასმე დააკლებ მის შესამცირებლად.

- ჩემო ბატონო, მართალი რომ მოგახსენოთ, - მიუგო სანჩომ, - თქვენი წერილი არავისაც არ გადაუწერია და არც მიმიტანია მისთვის, რადგან არც წამიღია იგი.

- მართალი ხარ, - უთხრა დონ კიხოტმა; - შენი წასვლის შემდეგ ორ დღეს უკან აქვე ვიპოვე ჩემს უბის წიგნაკში და ამან ძალიან დამალონა. არ ვიცოდი, რას იზამდი, წერილს რომ ვერ იპოვიდი. სულ გელოდი, ეგებ დაბრუნდეს-მეთქი

- დავბრუნდებოდი კიდეც, რომ ზეპირად არ დამხსომებოდა, როცა თქვენ მიკითხავდით, - მიუგო სანჩომ. - ერო დიაკონს ვუკარნახე და ისე დავაწერინე; იმ დიაკონმა ფრიად ხელმარჯვედ და სიტყვასიტყვით ჩაწერა და ასე მითხრა, ჩემს სიცოცხლეში ბევრი წერილი მიწახავსო, მაგრამ ასეთი ლამაზი და კარგი წერილი ჯერ არც შემხვედრია და არ წამიკითხავსო.

- ახლაც გახსოვს ზეპირად? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- არა, ჩემო ბატონო, აღარ მახსოვს, - მიუგო სანჩომ; - დიაკონს დავაწერინე თუ არა, ვიფიქრე, რაღა ჯანდაბად დამჭირდება-მეთქი, და მაშინვე დამავიწყდა. მარტო აი ეს დასაწყისი მახსოვს. "აღმაშფოთებელი..." არა, ბოდიში, "აღმატებული ქალბატონო" და მერე კიდეც ბოლო: "თქვენი სამარემდის მწუხარე სახის რაინდი"; ამ დასაწყისსა და დასასრულს შუა ერთი სამასამდის მაინც "ჩემო სულიკო", ჩემო სიცოცხლე" და "ჩემო თვალისჩინო" ჩავურთე.

თავი XXXI

დონ კიხოტის ღირსშესანიშნავი საუბარი მის საჭურველმტვირთველ

სანჩო პანსასთან და სხვა შემთხვევები

- ეს ყველაფერი კარგია, - თქვა რაინდმა. - მერე მერე რაღა იყო? იმ მშვენიერების დედოფლის წინ რომ წარსდგე, რასა საქმობდა? უეჭველია, ოქროს ძაფზე მარგალიტს ასხამდა, ანუ თავის ტყვე რაინდისათვის სამიჯნურო რამ სიტყვას ჰქარგავდა ოქრომკედით.

- რა ბრძანებაა, - მიუგო სანჩომ. - საქონლის ბაკის ეზოში შემხვდა. ტომრით ორი ფანეგა ხორბალი ედგა და იმას ცხრილავდა.

- მის ხელში ხორბლის მარცვლები, უეჭველია, მარგალიტის მარცვლებად იქცეოდნენ, - უთხრა დონ კიხოტმა; ჩემო მეგობარო, ყურადღება მიაპყარ, თუ არა, როგორი იყო ის ხორბალი: სუფთა და მომუქო ფერისა?

- არა, ყვითელი, - მიუგო სანჩომ.

- გარწმუნებ, ჩემო მეგობარო, - უთხრა დონ კიხოტმა, - რომ მისი ხელით გაცრილი ხორბლიდან მშვენიერი თეთრი, პური გამოცხვება ახლა ის მითხარ, ჩემი წერილი რომ გადაეცი, ეამბორა იმ

წერილს; თავზე არ დაიდვა? ისეთი რამ არ ჩაიდინა, მიღებული უსტარის საკადრისი რომ ყოფილო, და, ბოლოს, მაინც რა ჰქნა? მითხარ, თუ ღმერთ გწამს ნუღარა მტანჯავ!

- მე რომ მასთან თქვენი წერილით მივედი, უთხრა სანჩომ, - როგორც შევატყვე, წერილებისთვის არა სცხელოდა, საქმეში იყო გართული, ემაგ ტომარაზე დადე, ძმობილო, მითხრა და თან ცხრილით ხვავი აიღო. საქმეს რომ გავათავებ, მერე წავიკითხავო.

- მესმის, მეყურება შენი საქციელი, უბიწო და ბრძენო მშვენიერო! - შესძახა დონ კიხოტმა; - განმარტოებით და და აუჩქარებლად გინდოდა წაგეკითხა, რომ ყველა მისი სიტყვით დამტკბარიყავი. მერე, სანჩო, განაგრძე, მითხარი საქმიანობას დროს ჩემზე რას გელაპარაკებოდა, და შენ რას უპასუხებდი? თქვენი საუბარი სიტყვასიტყვით გადმომეც, აღარაფერი დაიტოვო სათქმელი! მითხარ, რა გკითხა?

- არაფერიც არა მკითხა-რა, - მიუგო სანჩომ; - მე კი ვუამბე, თუ მის სადიდებლად როგორ იტანჯებით, რა ყოფაში დაგტოვეთ, კლდე-ღრეში შიშველი, როგორც ერთი ველური ვინმე; რომ უსუფროდ ჰამდით, წვერს არ ივარცხნიდით, ცარიელს მიწაზე იწექით, სულ ტანჯვაში იყავით და თქვენს ბედს წყევლიდით.

- ეგ კი ტყუილად გითქვამს, რომ ჩემს ბედს ვწყევლიდი, - შენიშნა დონ კიხოტმა. - პირიქით, მე ჩემს ბედს ვმადლობ და სიცოცხლის დასასრულამდეც მადლობელი ვიქნები. განა მან არა ჰქნა, რომ ისეთი დიადი და მაღალი მანდილოსნის სიყვარულის ღირსი შევიქნებ, როგორც დუდულსინეარინეა ტობოსელია?

- მართლაც რომ დიადია და მაღალი, - შენიშნა სანჩომ; - შე ვფიქრობ ჩემზე სამი გოჯით მაღალი იქნება.

- ეგ შენ საიდან იცი, დაეტოლე თუ? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- აი როგორ დავეტოლე, - უპასუხა სანჩომ: - ვირზე ხორბლიანი ტომარას აკიდებას რომ ვშველოდი, ძალიან ახლოს მიველ და მაშინ დავინახე, რომ მთელი მტკაველით ჩემზე მაღალი იყო.

- მისი მაღალი ტანი, - უთხრა დონ კიხოტმა, - ხომ მეტად ეთანხმება მის მაღალ გონიერებას და დიდად მშვენიერს მიხრა-მოხრასა? მის ურას ხომ ვერ იტყვი, სანჩო, რომ როცა მიახლოვდი, საგანგებო რამ ნაზმა სურნელებამ მოგბერა და მის გარშემო ისეთი მშვენიერი სუნი ჰფშვენდა, ენით არ გამოითქმება, გეგონა სურნელოვანი წამლებისა და მოღური ხელთათმანების სავაჭროში შეველო.

- ერთი რამ სუნის მეტი არ მომდენია, - მიუგო სანჩომ, - და ისიც, მგონია, იმისგან იყო, რომ მუშაობაში გაოფლიანებულიყო თუ ხვითქი გადადიოდა, რაღაც მამაკაცის სუნს მაგონებდა.

- ეს შეუძლებელია! - წამოიძახა დონ კიხოტმა. - მაშ სურდო გჭირვებია, ან თვითონ შენი სუნი მოგდენია, თორემ კარგად ვიცი, რა სურნელოვანიც არის იგი ვარდი ასკილებს შორის, იგი ბალის ზამბახი, იგი მუშკამბრი...

- იქნებ ჩემიც მომდენოდეს, - განაგრძო სანჩომ, მართლაც ისეთი სუნი ჩემგან ხშირად მომდის ხოლმე, როგორც თქვენი ქალბატონი დულსინეასაგან მომედინა, ეს არც ისე გასაკვირველია, იმიტომ რომ, როგორც ამბობენ, ერთი ეშმაკი მეორეს ჰგავსო.

- მერე, - ჰკითხა დონ კიხოტმა, - როცა ხორბალი გაცხრილა და წისქვილში გაგზავნა, რა ჰქნა, ჩემი წერილი რომ წაიკითხა.

- თქვენი წერილი სულაც არ წაუკითხავს, - მიუგო სანჩომ, - იმიტომ, რომ, როგორც თვითონ თქვა, არც წერა ცოლნია და არც კითხვა. აიღო და მაშინვე ნაჭერ-ნაჭერ დახია, ალბათ ეშინოდა, არავის წაეკითხა და მისი საიდუმლო არ გაეგო. ჩემი ლაპარაკიდანაც საკმაოდ გაიგო თქვენი სიყვარული და ტანჯვა და ისიც, მისი გულისთვის ცოდვათა ის გასაოცარი მონანიება რომ იკისრეთ. თან ისიც მიბრძანა, თქვენთვის გადმომეცა, რომ ხელს გეამბორებათ და თქვენს წერილზე უმეტესად თქვენი ნახვა იამება; ამიტომაც გიბრძანათ, ახლავე ეს ჯაგნარი დატოვოთ, ამ სისულელეებს თავი ანებოთ და სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები არ დაგაკავებენ, ტობოსოს წაბრძანდეთ. უნდა მოგახსენოთ, მეტად სწყურია თქვენი ნახვა; მერე იმაზე რამდენი იცინა, რომ მწუხარე სახის რაინდი გქვიათ, სიცილით სულ ფერდები გამოსცვივდა. ისა ვკითხე, ბისკაელი ეახდა თუ არა; მიპასუხა - მეახლაო, ძალიან ზრდილი და საამო კაცი იყო. ტუსაღებზედაც ვკითხე, მაგრამ ჯერ არც ერთს არ გაუჭაჭანია.

- ჯერ ყველაფერი ჩინებულად მიდის, - განაგრძო დონ კიხოტმა. - მაშ ერთი ესეც მითხარ, როცა გამოეთხოვე, რა ძვირფასი ნივთი გაჩუქა იმ ამბის ჯილდოდ, რაც მისი რაინდისაგან მიუტანე? ეს უნდა იცოდე, სანჩო, თუ ჯერ არ იცი, რომ ბანოვანთა და მოგზაურ რაინდთა შორის არსებული ძველი, შეურყეველი ჩვეულებით საჭურველმტვირთველებს, ქონდრისკაცებს და მოახლე ქალებს რამე ძვირფას ნივთებს უძღვნიდნენ, როდესაც ისინი სატრფოსაგან მის რაინდს, ანუ რაინდისაგან მის სატრფოს ამბავს მიუტანდნენ ხოლმე.

- იქნეს ასეთი ჩვეულებაც ყოფილიყოს, - თქვა სანჩომ, - და არც თუ ცუდი ყოფილა ეგ ჩვეულება, მაგრამ, ჩანს, ჩვეულება ძველ დროში ყოფილა მიღებული: ახლა კი კარგი ამბის მოტანისათვის ერთი ნატეხი პურისა და ყველის ნარის მეტს არას აჩუქებენ: ჩემთვის მაინც ქალბატონ დულსინეას ამის მეტი საჩუქარი არ მოუცია. ყველი სწორედ შემომთავაზა, როცა გამოვემშვიდობე და ბაკის წნულს გარეთ გამოველ. ნათქვამს ისიც შემძლია დავუმატო, ყველი ცხვრისა იყო.

- რამდენადაც ვიცნობ, დულსინეა ძალიან გულუბვი ქალია, - უთხრა დონ კიხოტმა, - და თუ ძვირფასი საჩუქარი არ მიგიღია, ეგ, უეჭველია, იმიტომ, რომ იმ დროს ხელთ არა ჰქონია-რა. თორემ რამე ძვირფას ნივთს გაჩუქებდა. მაინც არა დაგიკარგავს-რა, რადგან, როცა დულსინეას ვნახავ, ყველაფერს მაშინ მოვარიგებ საჩუქარი ნადღესასწაულებსაც როდი გვაწყენს. მაგრამ იცი, ჩემო მეგობარო, რა მაკვირვებს? ისე ნახველ და მოხველ, თითქოს ჰაერში გველოს: სამ დღეში კაი ოცდაათი მილი იმგზავრე, ეს მაფიქრებინებს, რომ ჩემს მფარველს და მეგობარ ბრძენ ჯადოქარს (ერთი მფარველ, ჯადოქარი უთუოდ უნდა მყავდეს, თორემ უიმისოდ მოგზაური რაინდი არ ვიქნებოდი) უთუოდ უჩინრად ჰაერში უტარებინარ. ამას ნუ გაიკვირვებ; ჯადოქარი ხშირად მძინარე რაინდს ლოგინიდან აიყვანს, და იმ რაინდს მეორე დილას უცებ ათასმილს იქით გაეღვიძება ხოლმე. ეს რომ ასე არ იყოს, რაინდები გაჭირვებაში ერთმანეთს ვერ უშველიდნენ, როგორც ახლა შველიან ხოლმე. მაგალითად, მოხდება ხოლმე, ვინმე რაინდი სომხეთის მთებში იბრძვის მძვინვარე ურჩხულთან, ან ანდრიაკთან, ანუ კიდევ სხვა რაინდთან; აგერ საცაა ფიცხელ ომში მტრისგან უნდა გაიგმიროს და ერთიც ვნახოთ, უცებ, სულ მოულოდნელად ღრუბლებზე ან ცეცხლის ეტლით მისი მეგობარი რაინდი ეშვება ძირს, რამდენიმე საათის წინ, რომ, ვინ იცის ინგლისში იყო. იგი მეგობარს ეშველება, სიკვდილისგან იხსნის და იმავე ღამეს უკვე ინგლისს გადაქანდება. იქა ჭამს ვახშამს და დაიძინებს, იმის

მიუხედავად, რომ ეს ადგილები ერთმანეთისაგან ორ ან სამ ათას მილზე არიან დაშორებულნი. ყველა ამას ჩემო მეგობარო ჩვენი მფარველი ჯადოქრები გვიხერხებენ, და შენცა, სანჩო, სულ ნუ შეიტან ეჭვს, რომ მართლა ტობოსოში იყავ და იქიდან დაბრუნდი. ხელმეორედ გეტყვი, რომ, უეჭველია. თვითონ შენც ვერ ამჩნევდი, რომ ჩემი ბრძენი მეგობრის მეოხებით სულ ფრინველივით დაფრინავდი.

- ძალიან შესაძლებელია ასეც იყოს, - უთხრა სანჩომ, - რადგან როსინანტი ისე მიაჰქროდა, თითქოს ყურებში ვერცხლისწყალი ჩაუსხამთ, როგორც ბოშებმა იციან, გასაფიცებლად ვირს რომ ჩაასხამენ ხოლმე.

- რის ვერცხლისწყალი! - შეჰყვირა დონ კიხოტმა, - ავი სულელების მთელი ლეგიონი მიგაქროლებდა; ისინი არასოდესაც არ იღლებიან. თვითონ რომ მიფრენენ, სხვას მიაფრენენ და რა მანძილიც უნდა იყოს, სრულებით არ იღლებიან. მაგრამ, ჩემო მეგობარო, ეს აღარ ვიცი: ჩემი მიჯნურის ბრძანება როგორ ავასრულო? ახლავ მასთან რომ წავიდე პრინცესას რომ სიტყვა მივეცი, ხომ ვეღარ ავასრულებ. ამასთანაც რაინდები თავიანთ აღთქმაზე უფრო მომეტებულად უნდა ფიქრობდნენ, ვიდრე თავიანთ სიამოვნებაზე. ერთის მხრივ ჩემი მიჯნურის ნახვის სურვილი მეხიდება და, მეორეს მხრივ, მოვალეობა მაგონებს მიცემულ აღთქმას და იმ დიდებასაც, რაიც მომელის. მაგრამ იცი, რას ვფიქრობ? ჯერ საჩქაროდ იქ წავალ, სადაც ის საშინელი დევი ბინადრობს, და როდესაც იმას თავს გავაგდებინებ და პრინცესას თავის სამეფოს ჩავაბარებ, მაშინ იმ მანათობელ ვარსკვლავთან გავემუხრები, თავის შუქს რომ მფენს. ჩემს უნებლიე დაგვიანებაზე ბოდიშს მოვიხდი, თავს გავიმართლებ; და დარწმუნებულიც ვარ, არა თუ გამიჯავრდეს, მრავალ ქებასაც შემასხამს. და ჩემს დაყოვნებას მომიწონებს, რადგან ის ღვაწლი თვითონ მასვე გაუთქვამ სახელს და აღამაღლებს კიდეც, ვითარცა მიზეზს ყველა იმ დიდებისას, რაც ამ ცხოვრებაში ჩემი ხმლით მომიხვეჭია და რასაც კვლავ მოვიხვეჭ.

- ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო! - შეჰყვირა სანჩომ, - ბატონო ჩემო, ღმერთმანი თქვენს ჭკუაზე აღარა ხართ! ერთი მიბრძანეთ, სენიორ, რა ეშმაკებისთვისღა მიხვალთ ცხრა მთას იქით? გასასეირნებლად? ნუთუ აპირებთ, საცოლე-დედოფალი ხელიდან გაუშვათ, მზითვად რომ ოცი მილის სივრცე სამეფოს მოგიტანთ, მეტად დოვლათიანს და ადამიანთა არსებობისათვის ყველაფრით უხვად შემკულს, იმაზე უდიდესს, პორტუგალია და კასტილია რომ ერთად ავიღოთ, სადაც ყველაფერი მოდის, რაც კი ადამიანისათვის საჭიროა. გაჩუმდით, ღვთის გულისათვის, ბატონო რაინდო; ან კი როგორ არა გრცხვენიათ, მაგას ამბობთ? დამიჯერეთ, სადაც პირველად სოფელი შეგხვდეთ, რომ მღვდელი მოიპოვებოდეს, მაგ პრინცესაზე ჯვარი დაიწერეთ; ან კი მღვდელი რა საჭიროა? განა ბატონი ლიცენციანტი თქვენს ჯვარის დაწერას ვერ მოახერხებს? მე, მოწყალეო ბატონო, ღვთის მაღლით პატარა ბიჭი არა ვარ და ცოტაოდენი რჩევა შემიძლია; რასაც ახლა გირჩევთ, სწორედ რომ თქვენთვისაა ზედგამოჭრილი. ანდაზისა არ იყოს დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს ჯობიაო, როცა ბეჭედს გაძლევენ, თითი გაუწოდეთ.

- გამიგონე, სანჩო! - უთხრა დონ კიხოტმა; - თუ მარტო იმიტომ მირჩევ ცოლის შერთვას, რომ, მოვკლავ თუ არა დევს, მაშინვე ტახტზე ავიდე და წყალობით აგავსო, ეგ ხომ ცოლის შეურთავადაც ძლიერ ადვილად შემიძლია. იცი რა, ჯერ დევთან შებრძოლებამდისვე პრინცესას პირობას დავუდებ: თუ გავიმარჯვე, ჯვარს დავიწერ იმაზე, თუ არ დავიწერ, მაინც თავის სამეფოს ერთ-ერთი ნაწილი უნდა დამითმოს, იმ უფლებით, რომ ვისთვისაც მინდა, გადაცემა შემეძლოს, აბა მითხარ, თუ არ შენ - სხვას ვის გადავცემ?

- ჰოო, ეგ ჭკვიანურად ბრძანეთ, - მიუგო სანჩო, - მაგრამ ისე კი ჰქენით, მოწყალეთ ბატონო, რომ სამეფოს ისეთი ნაწილი აირჩიოთ, ზღვისპირი იყოს, რომ რა ვიცი, ვინიცობაა იქაურობა არ მომეწონოს, ჩემი მონა ზანგების ხელით გემი მოვაწყო და, საითაც მიდოდეს იქით გავგზავნო, ხოლო, თქვენ ჩემო ბატონო, ქალბატონ დულსინეასთან ჯერ ნუ ინებებთ წაბრძანებას; ჯერ ღვთის სადიდებლად და ჩვენი სარგებლობისათვის დევთან გავათავოთ საქმე.

- სრულებით გეთანხმებით, სანჩო! - მიუგო დონ კიხოტმა, - და ვიდრე დულსინეასთან წავიდოდე, სჯობია იმ დევის დამხობას დავეშურო. მაგრამ არამც და არამც ეს ჩვენი საუბარი ვისმეს არ გადასცე, თუნდაც იმათ, უკან რომ მოგყვებიან, იმიტომ, რომ, თუკი მოკრძალებულ დულსინეას არ უნდა მისი საიდუმლო გამხელილი იყოს, მაშ ჩემის მხრივ და ყველას მხრივაც მისი გამჟღავნება ურიგობა იქნება.

- მაგრამ ამ შემთხვევაში, თუკი თქვენი მიჯნურობის საიდუმლოდ შენახვა გინდათ, - მიუგო სანჩო. - მაშ იმას რაღად ჩადიხართ, რომ ვისაც კი ამარცხებთ, ყველას მაშინვე დულსინეას აახლებთ ხოლმე? მაგით ხომ ყველას ეუბნებით, რომ გიყვართ. აბა, ერთი ეს გამაგებინეთ, თქვენი ბრძანებით რომ თქვენ სატრფოს მუხლს უდრეკენ და ყურმოჭრილ მონობას უცხადებენ, როგორ მოახერხებენ თქვენი საიდუმლო დაიცვან?

- რა ჩერჩეტი ხარ, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა. - იმდენი როგორ არ გესმისა რომ ყველა ეგ ჩემს მიჯნურ ქალს აღამაღლებს და მის დიდებას უფრო ადიდებს? აბა, ისეთი ქალი სად გინახავს, იმით არ ამაცობდეს, რომ რამდენიმე რაინდი ჰყავს მორჩილებასა და იმ მეცადინეობაში, რომ მას ემსახურონ და ჯილდოდაც მარტო ის აკმარონ, კვლავაც მის სამსახურში რომ იმყოფებოდნენ.

- ჩვენი მღვდელი ამბობდა, და მეც გამიგონია, მარტო ღვთის სიყვარული უნდაო ასეთი, - მიუგო სანჩო, - რომ ღმერთი იმიტომ უყვართ, რომ ღმერთია და არა იმიტომ, რომ მისგან სამოთხეს მოელიან, ან ჯოჯოხეთში ჩავარდნის შიში აქვთ; უყვართ და ემსახურებიან ისე, რომ არც კი იციან, რად და რისთვისო.

- ეშმაკსაც წაუღია ეს ყვეფი! მე რომ ამისი არა გამეგება-რა! - შეჰყვირა დონ კიხოტმა; - რა აზრები მოუვლის ხოლმე; ხანდახან კაცს აფიქრებინებს, სწორედ სკოლაში უსწავლიაო.

- მე კი, ღმერთმანი, წერა-კითხვაც კი არ ვიცი, - დაუმატა სანჩო.

ამ დროს დალაქ ნიკოლასის ხმა მოისმა. ველის პირას წყარო ჩამოდიოდა და მგზავრებმა იმ წყაროსთან მოიწადინეს ჩამოხტომა, ამიტომაც დალაქი უყვიროდა დონ კიხოტს, რომ შეეცადა. დონ კიხოტი შედგა და ამით სანჩო ძალიან გაახარა, რადგან იმდენი ტყუილის ლაპარაკი მოსწყინდა და თანაც ეშინოდა, რაიმე სიცრუე არ წამომცდენოდა თუმცა აცოდა, დულსინეა ერთი უბრალო ტობოსელი გლეხის გოგო იყო, მაგიამ მაინც თავის დღეში არსად ენახა იგი.

ამასობაში კარდენიომ დოროთეას ძველი ტანისამოსი ჩაიცვა; ის ტანისამოსიც მაგდენი არა იყო-რა, მაინც მის ძონძებს კი სჯობდა. მგზავრები წყაროს პირას დასხდნენ და იმ სანოვავით ისაუზმეს, რაც მღვდელმა დუქანში იყიდა.

ესენი რომ შეექცეოდნენ, გზაზე ერთი პატარა ბიჭი გამოჩნდა, წყაროს ახლოს მყოფი მოგზაურების დასათვალიერებლად ცოტა ხანს შედგა და დონ კიხოტი რომ შეიცნო, ფიცხლავ მასთან მიიბრინა, მუხლებზე მოეხვია და ტირილითა და ცრემლებით უთხრა:

- კეთილო ბატონო, ვერ მიცნობთ? მე ის საბრალო ანდრესი გახლავართ, მუხიდან რომ ამხსენით.

დონ კიხოტმა პატარა ბიჭი მაშინვე იცნო, საბრალოს ხელი მოჰკიდა, თანამგზავრებს დიდგულად მიუბრუნდა და ამაყად უთხრა:

- ბატონებო, რომ დარწმუნდეთ, მოგზაური რაინდები რამდენად სასარგებლონი არიან ქვეყნისათვის, რამდენად სდევნიან ისინი ბოროტს და სპობენ უსამართლობას, უპატიოსნო და გარყვნილი ხალხისაგან ჩადენილსა, მოგახსენებთ, რომ ამას წინათ, როდესაც ერთ ტყეში ვილაცის მწუხარე ყვირილი მომესმა, მომაგონდა-რა ჩემი მოვალეობა, ერთ წამსაც აღარ შევმდგარვარ და მყისვე იქით გავექანე, საიდანაც გოდება მესმოდა; იქ აი ეს პატარა ბიჭი ვიპოვე, ახლა რომ თქვენ წინაშე დგას, და მოხარული ვარ, რომ თავის პირით შეუძლია ჩემ ნათქვამს უმოწმოს. წელამდის გაშიშვლებული მუხაზე იყო მიკრული და ვილაც უხეში გლეხი (შემდეგ გავიგე, რომ ის ამ ბიჭის პატრონი ყოფილა) აღვირით ზურგზე კეცკეცად ტყავს აძრობდა. ამ სანახაობამ ჩემი თვალები შეზარა და იმ ბრიყვ გლეხსა ვკითხე: მაგ პატარა ბიჭს ვერე სასტიკად რად სცემ-მეთქი? იმ დათვმა მიპასუხა: ჩემი მოჯამაგირეა და დანაშაულისათვის ვსჯიო. ქურდული ჩვევები დასჩემდაო. სტყუისო, შებლავლა ბავშვმა, იმიტომაც მცემს, რომ ჩემს ჯამაგირს ვთხოვო. გლეხი რაღაცას მოჰყვა, მეც მოვუსმინე, მაგრამ იტომ კი არა, მის გასამართლებლად გამომეყენებინა. როცა დაასრულა, ვუბრძანე, საბრალო ბავშვი ხიდან აეხსნა და ფიცი დაედვა, რომ ჯამაგირს სრულიად ჩააბარებდა და სარგებელსაც მისცემდა. მართალს არ ვამბობ, ანდრეს? - ჰკითხა ბიჭს დონ კიხოტმა, - ხომ გაიგონე, როგორ სასტიკად ვუბრძანე შენს პატრონს და მანაც ყველაფრის აღსრულება, რაც კი მოვთხოვე, როგორ მოწიწებით აღმითქვა, თქვი, ნუ გეშინია, ყველაფერი როგორც იყო; დაე, ამ ჩემმა მეგობრებმა შეიტყოს, თუ რაოდენი სარგებლობა მოაქვთ შარავნაზე მოგზაურ რაინდებს.

- სულ მართალი გახლავთ, რაცა ბრძანეთ, - მიუგო ანდრესმა. - მაგრამ ვაი ის არის, რომ ბოლო ისეთი არ იყო, როგორც გგონიათ ყველაფერი პირიქით მოხდა.

- რაო? - შეჰყვირა დონ კიხოტმა, - როგორ თუ პირიქით? განა შენმა პატრონმა ჯამაგირი არ მოგცა?

- არც არა მომცა-რა და, პირიქით, ტყიდან გახვედით თუ არა, რაკი ისევ მარტო დამიგულა, ხელმეორედ იმავე მუხაზე მიმაკრა და აღვირის თასმებით ისე მიმშოლტა, რომ წმიდა ბართლომესავით სულ ტყავი გამაძრო. რამდენსაც დამარტყამდა, იმდენს ისეთნაირად გიგდებდათ სასაცილოდ, რომ ტკივილს თუ არ დაეშალა, მეც მასავით დიდი სიამოვნებით გიკვირებდით ისე უღმერთოდ ვიყავ ნაცემი, დღემდის სამკურნალოში ვიწექი და იმ სამაგელი გლეხუჭას მიერ მიყენებულ იარებს ვირჩენდი, სულ კი თქვენი ბრალი იყო, ბატონო რაინდო; თქვენ რომ თქვენს გზაზე წასულიყავით და ჩვენ საქმეში შემოჩხირვდა არ გენებებინათ, ერთ ათ-თორმეტოდეს მომარტყამდა და გაათავებდა; რაც ჯამაგირი მერგებოდა, იმასაც სრულად მომცემდა თქვენ კი სულ უდროოდ წამოგვეტანეთ, მაშინვე ლანძღვა დაუწყეთ და უფრო მეტად გააბრაზეთ; რაკი ჩემს გარდა ვერავისზე იყრიდა ჯავრს, ისიც მომდგა და ისეთი საქმე დამმართა, რომ არ ვიცი, როდისმე მოყვრებილა, თუ არა.

- მართალია, ცუდად ვქენი და შევცდი, რომ ჩქარა წამოველ, - უთხრა დონ კიხოტმა, - უნდა დამეცადა, ვიდრე ჯამაგირს სრულად ჩაგაბარებდა. გამოცდილებით განა არ უნდა მცოდნოდა, რომ მისი ჯურის უმაქნისი ხალხი თავის დღეში დანაპირებს არ ასრულებენ, თუ თავის



სარგებლობასაც არა ხედავს. მაგრამ, ჩემო კარგო ანდრეს, ხომ გახსოვს, რომ ფიცით დავემუქრე, თუ ფულს არ გადაუხდის, ყველგან მოგნახავ და გიპოვი, თუნდაც ვეშაპის მუცელშიც დაიმალო-მეთქი.

- მართალს ბრძანებთ, - მიუგო ანდრესმა, - მაგრამ აქედან აღარა გამოვა-რა.

- აბა ვნახოთ, თუ რა გამოვა, - დაიტრაბახა დონ კიხოტმა.

და ამ სიტყვებით მაშინვე სანჩოს დაუძახა, როსინანტი შეეკაზმა, თავისთვის ველზე რომ მშვიდობიანად ბალახსა სძოვდა, როცა ბატონები წყაროსთან შეექცეოდნენ.

დღროთეამ ჰკითხა დონ კიხოტს, რა გწადიანო?

მან მიუგო:

- ამ ბიჭის პატრონი უნდა მოვძებნო, ურჩობისათვის დავსაჯო და ამ საწყალ ანდრესისათვის, რაც ფული ერგება, მივაცემინო. მთელი თქვენის გლეხუჭების ჯიბრზე ერთ მარავედისსაც არ შევარჩენ.

დღროთეამ რაინდს თავისი აღთქმა მოაგონა, რომ არავითარ საქმეს არ დაიწყებდა, ვიდრე თავის სამეფო ტახტს არ ჩააბარებდა; თანაც შენიშნა - განა თვითონ შენ ყველაზე უკეთ არ იცი, რომ პატიოსნური გულისწყრომა უნდა შეიკავო, ვიდრე საქმეს არ გამითავებ და ჩემი სამეფოდან არ დაბრუნდებიო.

- თქვენ მართალსა ბრძანებთ, - მიუგო დონ კიხოტმა, - ანდრესმა ჩემს დაბრუნებამდე უნდა მოითმინოს. მაგრამ ვფიცავ, რომ არ დავმშვიდდები და არც მოვისვენებ, ვიდრე იმ არამზადას ამ საწყალი ბიჭისათვის ჯამაგირს სრულად არ გავაცემინებ.

- ეგ თქვენი ფიცი ჩემთვის საჭირო არ არის, - მიუგო ანდრესმა, - ყველა მაგიერის გადახდის ნაცვლად მაჭამეთ რამე, ან იმდენი ფული მომეცით, სევილიას მივალწიო როგორმე და ღმერთმა თქვენც მშვიდობა მოგცეთ და ყველა მოგზაურ რაინდსაც. ყველა იმათთვის იმ სიკეთეს ვისურვებ, რაც მე მათ დამაღწიეს.

სანჩომ თავის საგზლიდან პურის ნატეხი და ყველის წაჭერი ამოიღო, ანდრესს მიაწოდა და უთხრა:

- აჰა, ძმობილო, ჩვენი საერთო გაჭირვება ძმურად გავიზიაროთ!

- გაჭირვებაში ჩემთან საერთო რა გაქვს? - გაკვირვებით ჰკითხა ანდრესმა.

- აი ეს პური და ყველი. - მიუგო სანჩომ. - მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, ეს პური და ყველი რად მიღირს, იმიტომ, ჩემო საყვარელო მეგობარო, რომ მოგზაური რაინდების საჭურველმტვირთველნი შიმშილსაც ითმენენ, ვაი-ვაგლახსაც და ბევრ ისეთ რამესაც, რაც საგრძნობლად უფრო სახერხოა, ვიდრე სათქმელად.

ანდრესმა პური და ყველა გამოართვა და, რა ნახა, რომ სხვა რისამე მიცემას არავინ უპირებდა, თავი ჩაჰკიდა და წასვლა დააპირა, მაგრამ შედგა და გამოსამშვიდობებლად უთხრა დონ კიხოტს:

- ბატონო მოგზაურო რაინდო! თუ ვინცობაა, სადმე როდისმე კიდეც შევხვდეთ ერთმანეთს, ღვთის გულსათვის გთხოვთ ჩემს წასარჩლებას ნუ ინებებთ, თუნდაც მნახოთ ასო-ასო მგლეჯდნენ, ისევ ჩემი ბედის ანაბარა დამტოვეთ, იმიტომ, რომ თქვენს წასარჩლებაზე უარესი არასოდესაც არა დამემართება-რა. ღმერთმა დაგწყევლოთ და დაგკრულოთ ყველა რაინდიანად, რომელნიც კი როდისმე ქვეყანაზე დაბადებულან!

დონ კიხოტმა რომ ეს გაიგონა, გაბრაზებული წამოვარდა, რომ ის თავხედი ბიჭი დაესაჯა, მაგრამ პატარა ბიჭმა, რაც კი ფეხებში ღონე ჰქონდა, მოკურცხლა, - თუმცა მის გამოდგომას არავინაც აღარ ფიქრობდა, - და ჩვენი რაინდი ამ ნაამბობით სახტად დატოვა. დამსწრენი კი დიდი გაჭირვებით იმაგრებდნენ სიცილს, რომ დონ კიხოტი უარესად არ გაეცეცხლებინათ.

თავი XXXII

სადაც მოთხრობილია, თუ რა შეემთხვა ფუნდუკში

დონ კიხოტის ამალას

ჩვენმა მგზავრებმა, დიდებული სადილის შემდეგ, ჯორები შეკაზმეს, კვლავ გზას დაადგნენ და მთელი დღე ისე იარეს, რომ აღწერის ღირსი ფათერაკი არა შეხვედრიათ-რა. მეორე დღეს სწორედ იმ ფუნდუკში მივიდნენ, სანჩო პანსასათვის, რომ საფრთხობელას შეადგენდა; მაგრამ დღეს იქ შესვლა მისთვის აუცილებელი იყო. მეფუნდუკემ, მისმა ცოლმა, ქალმა და მარიტორნესმა დონ კიხოტი და სანჩო პანსა რომ დაინანეს, მაშინვე გამოეგებნენ და დიდი სიხარულით მიიღეს. რაინდი მათ, ცოტა არ იყოს, ამაყად შე ხვდა და მაშინვე ლოგინის მომზადება უბრძანა, მაგრამ ამასწინანდელ ლოგინზე უკეთესი კი უნდა ყოფილიყო. მეფუნდუკის ცოლმა უპასუხა, თუ კი ფასს გაიღებ, თავადურ ლოგინს გაგიშლიო; დონ კიხოტი ფასის მიცემას დაპირდა, და ისევ იმ ჩვენ ნაცნობ სხვენზე მართლაც უკეთესი ლოგინი გაუშალეს. რაინდი მაშინვე დასაძინებლად წავიდა, რადგან მისი სხეული ახლა ისევე იყო მოშლილი, როგორც გონება ჰქონდა შემოშლილი.

როგორც კი დონ კიხოტი სხვენზე ავიდა და კარები ჩაიკეტა, მეფუნდუკის ცოლი დალაქს მივარდა და თავისი ხარის კუდი მოსთხოვა:

- ჩემი კუდი მომეცით, - ეუბნებოდა იგი. - გეფიცებით ყველაწმნდანს, კვლავ ნებას არ მოგცემთ ჩემი კუდიდან წვერი გაიკეთოთ. გეყოფათ მაგის თრევა, ღმერთო ჩემო, გაგონილა ამისთანა სასაცილო ამბავი, შერცხვენა და თავის მოჭრა? ჩემი ქმრის სავარცხელი იატაკზე ტალახში გდია და მე კი კუდი აღარა მაქვს, რომ ავიღო და ზედ ჩამოვაგო.

დალაქი უარზე იყო, თუმცა მეფუნდუკის ცოლმა ხელიც წაავლო წვერში და თავისკენ ეწეოდა, ის მაინც არ აძლევდა კუდს, ვიდრე მღვდელმა არ უთხრა, რომ ნილაბი საჭირო აღარ იყო და ყველას შეეძლო ახლა დონ კიხოტს თავის სახით ჩვენებოდა. ისე უთხარიო, დაუმატა მან, რომ მისგან გათავისუფლებულ საგალერო ტუსალებს გამოექცია და აქ მოხვედი. და თუ პრინცესას საჭურველმტვირთველი იკითხოს, ვუთხრათ - დაწინაურდა-თქო, რომ დედოფლის ქვეშევრდომთ თავის სახელმწიფოში დაბრუნება და თან მისი ხალხის გამთავისუფლებელის მობრძანება შეატყობინოსო. მაშინ დალაქმა მეფუნდუკის ცოლს თავის კუდი დაუბრუნა და აგრეთვე ყველა სხვა მორთულობაც, რაც დონ კიხოტთან მთებში წასასვლელად გამოართვეს.

დღორითეას მშვენიერებამ და მწყემს-კარდენიოს საამო და შნოიანმა სახემ ფუნდუკში ყველანი მოხიბლა. ამასობაში მღვდელმა სადილის განკარგულება მოახდინა და მეფუნდუკემაც, კარგი ჯილდოს მოლოდინში, რიგიანი სადილი მოუმზადა. დონ კიხოტი კი ძილს განაგრძობდა და მის გაღვიძებასაც არავინ აპირებდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ მისთვის ძილი ჭამაზე უფრო საჭირო იყო. სადილობისას მეფუნდუკემ, მისმა ცოლმა, ქალიშვილმა, მარიტორნესმა და ყველა იქ დამსწრემ დონ კიხოტის უცნაურ სიგიჟეზე ჩამოაგდეს ლაპარაკი და კიდევ იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იპოვეს იგი მთებში. მოგონებაზე მეფუნდუკის ცოლმა უამბო, რაც რაინდს იმ ფუნდუკში მოარშიყე მეჯორისაგან გადახდა და, რაკი სანჩო ოთახში ვერსად დაინახა, ისიც უთხრა, თუ ჩვენი საჭურველმტვირთველი საბანზე როგორ ახტუნავეს და ამ ამბით ბევრი აცინა ყველა. როდესაც მღვდელმა შენიშნა, დონ კიხოტს ტვინი სარაინდო წიგნებმა აურიესო, მეფუნდუკემ გაოცებით თქვა:

- ვერ გამიგია, ეგ როგორ მომხდარა; მე რომ მკითხოთ, ჩემმა მზემ, სარაინდო წიგნზე უკეთესი არა არის-რა, და, უნდა მოგახსენოთ, ამ წიგნებს ხშირად სიცოცხლისაკენ გამოუბრუნებია, არა თუ მარტო მე, არამედ ბევრი კიდევ სხვა. მკის დროს, უქმეებში, საქეიფოდ აქ ბევრი მოდის ხოლმე; ბევრ ხალხში კითხვის მცოდნე ხომ ყოველთვის მოიპოვება: ასეთი ვინმე აიღებს წიგნს და დაიწყებს კითხვას, ჩვენც ოცდაათამდე კაცი შემოვუსხდებით და ისეთი სიამოვნებით ვუგდებთ ყურს, რომ მერწმუნეთ, ის სიამოვნება, სულ რომ ცოტა ვთქვა, თავზე ათას ღერ თეთრ თმას მოგვაკლებს ხოლმე. ჩემს თავზე მაინც შემძლია ვთქვა, რომ, როცა რაინდების საშინელი ხმლის ტრიალის და ჩახაჩუხის ამბებს ვისმენ, მეც მათსავით ბრძოლის ჟინი მომივლის ხოლმე და მათ სმენას მინდა ყური არ მოვაშორო: მგონია, მთვლი დღეები და ღამეები რომ ეკითხათ, მათთვის ყურისგდება არ მომწყინდებოდა.

- მათი მოსმენა მეც ძალიან მიყვარს, - დაუმატა მეფუნდუკის ცოლმა; - შენ რომ იმათ ყურს უგდებ, მარტო მაშინ ვარ მოსვენებული: აღარ ილანძლები ხოლმე.

- ჭემმარიტებაა, მეც მიყვარს მათი ყურისგდება, ღმერთმანი, - ჩაერია მარიტორნესი, - და ყველაზე მეტად ის მომწონს, როდესაც ვინმე ქალი ფორთოხლის ჩრდილქვეშ ეხვევა რაინდს და ამ დროს შურითა და შიშით ათრთოლებული მოახლე თავის ქალბატონს უდარაჯებს, არავინ მოასწროსო. ეს ისე ტკბილად მეჩვენება, თითქოს თავფლიაო.

- თქვენ რაღას იტყვით, პატარა ქალბატონო, - ჰკითხა მეფუნდუკის ქალს მღვდელმა.

- არ ვიცი, ღმერთმანი, რა მოგახსენოთ, - მიუგო ქალმა. - როცა იმ წიგნებს კითხულობენ, მეც ყურს ვუგდებ ხოლმე და, თუმცა იმათი ცოტა რამ მესმის, მაინც მგონია, გასართობი უნდა იყვნენ მაგრამ ხმლის ტრიალი კი არ მომწონს, მამაჩემი რომ აღტაცებაში მოჰყავს; მე ის უფრო მომწონს, რაინდები რომ ოხრავენ და ტირიან, როცა თავიანთ მიჯნურებს შორდებიან. ხანდახან ისე ძალიან მებრალებიან, რომ თვითონ მეც ტირილს მოვყვები ხოლმე.

- იმ რაინდების ტირილი, რომ თქვენს გამო იყოს, - ჰკითხა დღორითეამ, - მაშინ დიდხანს არ ატირებდით და ნუგეშს სცემდით, არა, ქალბატონო?

- სწორედ არ ვიცი, რას ვიზამდი, - მიუგო ქალმა, მაგრამ იმ მიჯნურ ქალებში ბევრი ისეთი გულქვაა, რომ რაინდებიც კი ძუ ვეფხვებს, აფთრებს და სხვა ცუდ სახელს არქმევენ მათ. იესო მაცხოვარო! რა გულქვანი და უგულონი უნდა იყვნენ ის ქალები, რომ ისეთი პატიოსანი კაცები იქამდის მიიყვანონ, რომ კვდებოდნენ ან ჭკუაზე ცდებოდნენ. არ მესმის, ისე რად ჩადიან: თუ

გონიერებითა და მოკრძალებით მოსდით და არ სურთ სახელი გაიტეხონ, არა სჯობია თავიანთ რაინდებს მითხოვდნენ? მათაც ხომ ამის მეტი არა უნდათ რა?

- ხმა ჩაიწყვიტე, გომბიო! - შეუტია მეფუნდუკეს ცოლმა. - ეგონებათ მაგ საქმეებისა ბევრი რამ გაგეგება; შენს ხანში ბევრის ცოდნა და ლაქლაქი რიგი და წესი როდია.

- ბატონი შემეკითხა და როგორ შეიძლება არ ვუპასუხო! - უთხრა ქალმა.

- ახლა კმარა, მასპინძელო, - უთხრა მღვდელმა მეფუნდუკეს - აბა ის წიგნგნი გვაჩვენეთ, მინდა ვნახო რა წიგნებია?

- ბატონი ბრძანდებით, - მიუგო მეფუნდუკემ; თავის ოთახში გავიდა, ერთი ძველი დაკეტილი ყუთი გამოათრია და იქიდან სამი სქელი, დიდტანიანი წიგნი და რამდენიმე კოხტა ხელნაწერი ამოიღო. მღვდელმა წიგნებს სინჯვა დაუწყო და ერთი აღმოჩნდა "დონ სირონხილიო თრაკიელი" მეორე "ფელისმარტე ჰირკანელი" და მესამე "დიდი კაპიტნის გონსალო ერნანდეს კორდოველის ისტორია და დიეგო გარსია დე პერედესის თავგადასავალი". პირველი ორი წიგნის სათაური რომ წაიკითხა მღვდელმა, უთხრა დალაქს:

- ცოდვა არ არის, ახლა დონ კიხოტის ძმისწული და სახლის გამგე აქ რომ არ არიან?

- უიმათოდაც მოვახერხებთ ბაკში მაგ წიგნების აქედან გადასროლას, - უთხრა დალაქმა - ან კი რა შორს მივდივართ, აი ამ ბუხარში შევუძახოთ, ბარემ ცეცხლიც ანთია.

- რაო? ეგ წიგნები უნდა შეუძახოთ ბუხარში? - წამოაძახა მეფუნდუკემ.

- მხოლოდ ეს ორი, - მიუგო მღვდელმა - "დონ სირონხილიო" და "ფელისმარტე".

- რადაო, მერე? განა ეგ წიგნები ერეტიკულია ან ფლეგმატური? - იკითხა მეფუნდუკემ.

- უთუოდ სქიზმატიკური გინდოდათ გეთქვათ და არა ფლეგმატური? - გაუსწორა დალაქმა.

- თუნდაც ეგრე იყოს, - მიუგო მეფუნდუკემ. - თუ რომელიმე წიგნის დაწვა აუცილებელია, ისევე "დიდი კაპიტანი" და "დიეგო გარსიაა" დასწვით, იმიტომ, რომ უმაღლეს საკუთარ შვილს გავიმეტებ დასაწვავად, ვიდრე რომელიმე მათგანსა.

- ძმაო ჩემო, - უთხრა მღვდელმა, - ეს წიგნები სირეგვენიტ და სისულელით არიან სავსე. "დიდი კაპიტნის" ამბავი კი ჭეშმარიტებაა. ის სახელოვანი სარდლის გონსაო ერნანდეს კორდოველის ნამდვილ ღვაწლსა და საქმეებს აგვიწერს. მას ჩანებული და მრავალი გამარჯვებით მთელს ქვეყანაზე დიდი კაპიტნის სახელი დაუმსახურებია და ეს დიდი სახელი მის მეტსაც არავის ეკუთვნის, ხოლო დიეგო გარსია დე პერედესიც პატიოსანი რაინდი იყო და მასთანვე დიდი მხედარი, ესტრემადურის ქალაქ ტრუხილოში დაბადებული; ამას გარდა იგი თავის საოცარი ღონითაც იყო შესანიშნავი, მაგალითად, წისქვილის დოლაბს ერთი თითის მინანებით თურმე აჩერებდა, რაც უნდა გაჩქარებულ ტრიალშიც ყოფილიყო. ერთხელ ხმალამოდებული მთელი დიდი ლაშქრისაგან მარტოდმარტო იცავდა ხიდს, და საერთოდ კიდევ ისეთ საზღაპრო საქმეებს ჩადიოდა, რომ თუ ყველაფერი ეს თვითონვე არ მოეთხრო და არ აეწერა აზნაურისა და საკუთარი ისტორიკოსის თავმდაბლობით, არამედ ეს სხვა ვინმე თავისუფალი და მიუდგომელი მოწმისათვის მიენდო, - მაშინ იგი გმირული ღვაწლით ჰექტორებს, აქილევსებს და როლანდებსაც კი დაჩრდილავდა.

- ძალიან არ გაგკვირვებიათ? ეგ საკენკი ბებიაჩემს დაუყარეთ! - დაიძახა მეფუნდუკემ. - დიდი რამ კია წისქვილის დოლაბის გაჩერება? ფელისმარტე ჰირკანელის ამბავი წაიკითხეთ, რა სწერია? ხუთი გოლიათი ერთი ხმლის შემოკვრით შუაზე გაუჩეხია, ისე დაუჩეხია მარტოს, თითქოს თალგამისაგან ყოფილიყვნენ გაკეთებულნი. ერთხელ კიდევ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ მთელ დიდ ლაშქარს, მილიონ ექვსასი ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარს, დასცემია და სულ ცხვრის ფარასავით მიმოუფანტავს. იმ სახელოვან ვაჟკაც დონ სირონხილიო თრაკიელზე რაღას იტყვით, რომელიც ისეთი მამაცი და გამბედავი რაინდი ყოფილა, როგორც წიგნში სწერია? ერთხელ თურმე ზღვაში მიცურავდა და უცებ წყალში უზარმაზარი ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი დაუნახავს, არც უცივებია, არც უცხელებია, ზედ შეხტომია, მის ზურგზე გადაულაჯნია და ქერქიან კისერში ისე მაგრა წაუჭერია ხელები, რომ გველეშაპს თავის დასაღწევად მეტი ღონე არ ჰქონია, ზღვის ძირს დაშვებულა და, რადგან რაინდს მისი ხელიდან გამშვება არასგზით არა ნდომებია, ისიც თან ჩაჰყოლია. ზღვის ძირს რომ ჩასულა, მშვენიერ სასახლეში კი ამოუყვია თავი, საგანგებო რამ წალკოტით შემკულში: გველეშაპი კიდევ საუცხოო მოხუცად გადაქცეულა და რაინდისთვის ისეთი სიტყვები უთქვამს, ადამიანი თურმე სმენით ვერ დასტკბებოდა. თქვენ რომ გაიგოთ მერე, რაინდს რა უთქვამს გველეშაპისთვის სიამოვნებისგან სწორედ გაგიჟდებით. თქვენი დიდი კაპიტანი და დიეგო გარსია, მე, რომ მკითხოთ, მასთან ცალ ფულადაც არ ღირან.

ეს რომ დოროთეამ მოისმინა, კარდენიოს წასჩურჩულა:

- მგონია, ეს მეფუნდუკე ჩვენ დონ კიოტზე შორს არის წასული და ადვილად გაუწევს მას ამხანაგობას.

- მეც ეგრე მგონია, - უპასუხა კარდენიომ; - რაც კი რამ თავის წიგნებში ამოუკითხავს, ჰგონია, ყველაფერი ნამდვილიაო და სწორედ ისე მომხდარა, როგორც აღწერილიაო; წინააღმდეგს ფეხშიშველი კარმელიტებიც ვერ დააჯერებენ.

- გამიგონეთ ძმაო ჩემო, - უთხრა მღვდელმა მეფუნდუკეს: - ქვეყანაზე არც არავითარი ფელისმარტე ჰირკანელი ყოფილა, არც დონ სირონხილიო თრაკიელი და არც სხვა ვინმე მათი მსგავსი ვაჟბატონი რაინდები, ვინც კი თქვენს წიგნებში არიან აღწერილნი. ყველა ეს სიცრუეა და ზღაპრებია, მოცლილი მჯღაბნელებისაგან განზრახ შეთხზული, რომ მათს კითხვაში ჩვენც ისე გავატაროთ დრო როგორც თქვენ, თქვენივე სიტყვით, მომკლებთან ატარებთ ხოლმე დროს, მაგრამ ჭეშმარიტებას გეფიცებით, ეგ რაინდები არც როდისმე ყოფილან ქვეყანაზე და არც ის სახელოვანი საქმეები და სიგაჯე ჩაუდენიათ, რასაც მათ ახვევენ თავს.

- ეგ ლათაიები მე არ მინდა, სხვას უამბეთ; გირჩევნიათ ენის მოსაქავებლად სხვა რამ მოძებნოთ სალაპარაკო, ღვთის მადლით ბავშვი არა ვარ და არც მთლად ლენჩი, ხუთამდის დათვლა კარგად შემიძლია, ფაფა ფუფა აღარ მეჭირვება. გასაოცარია, თქვენმა მზემ! გინდათ დამარწმუნოთ, ვითომც რაც წიგნებში სწერია, სულ სიცრუე და სისულელეა, ის კი გავიწყდებათ, რომ ის წიგნები სამეფო სათათბიროს ნებართვით არიან დაბეჭდილები; ყველა ეგ რომ სიცრუე ყოფილიყო, ის სათათბირო, მგონია, ნებას არ მისცემდა იმდენი რამ ბრძოლა და მოჯადოება დაებეჭდათ, - კაცი რომ კითხულობს, სწორედ თავბრუ ეხვევა.

- აკი წელანაც მოგახსენეთ, ძმაო ჩემო, - გააწყვეტინა მღვდელმა, - რომ ეგ ყველა იმისთვის არის დაწერილ, რომ მოცლილ დროს გავერთოთ და გული გადავაყოლოთ. როგორც რიგიანად მოწყობილ საზოგადოებაში ჭადრაკის, ბურთისა და ბილიარდის თამაშია ნებადართული, რათა

დრო გაატაროს, ვისაც საქმის გაკეთება არ შეუძლია, ან არა სურს, სწორედ ასეთი წიგნების ბეჭდვისა და გაყიდვის ნებას რთავენ - ხალხი გაერთოს და დრო გაატაროსო, განა ფიქრად მოუვა ვისმეს ისეთი ბეჩავი და მიამიტი ადამიანი მოიპოვებოდეს, რომ ეს ზღაპრულად ნათქვამი თავგადასავლები ნამდვილ ამბად მიიღოს? დრო რომ მქონდეს და მსმენელნიც მყავდნენ, დაწერილებით ვუამბობდი, თუ რა აკლია სარაინდო წიგნებს, როგორ უნდა დაეწერათ ისინი, რომ იმათი კითხვა სასიამოვნოც ყოფილიყო და სასარგებლოცა. მაინც იმედი მაქვს ოდესმე შემთხვევა მომეცემა ამ საგანზე თვალსაჩინო პირებს მოველაპარაკო. მანამ კი, ბატონო მასპინძელო, ჩემს სიტყვას ერწმუნეთ, გქონდეთ ეგ თქვენი წიგნები, მხოლოდ მიმალეთ სადმე, მაგათი სიცრუე და სიმართლე შეიგენით და ღმერთი იყოს თქვენ მწყალობელი, მე მხოლოდ იმის მეშინია, თქვენც თქვენი სტუმარი დონ კიხოტივით ცალ ფეხზე კოჭლობა არ დაიწყოს.

- მაგაზე კი ნურას უკაცრავად, - მიუგო მეფუნდუკემ, - ღვთის მადლით ჯერ ისე არ გავსულელებულვარ, მოგზაური რაინდობა დავიწყო. კარგად მესმის, რომ ახლა ის აღარ არის, რაც უწინ ყოფილა, როდესაც ის ჩინებულ რაინდებს, როგორც წერენ, მთელი ქვეყანა ფეხქვეშ ჰქონიათ.

სანჩომ ამ საუბრის ბოლოს შემოუსწრო და ძალიან გაუკვირდა, თანაც შეწუხდა, რაკი მოისმინა, მოგზაური რაინდობას დრო წავიდაო, და სარაინდო წიგნები სიცრუითა და სისულელით არიან სავსენიო. გუნებაში ბეჯითად გადაწყვიტა თავის ბატონის მოგზაურობის დასასრულისათვის მოეცადა და, თუ ის მოგზაურობა, როგორც იმედი მქონდა, ის არ დაბოლოვდებოდა, მაშინ თავის ცოლ-შვილთან დაბრუნებულიყო და ისევ ჩვეულებრივი შრომისათვის მიეყო ხელი.

ამასობაში მეფუნდუკემ წიგნების ყუთის გატანა დააპირა, მაგრამ მღვდელმა შეაყენა იგი.

- მოითმინეთ, - უთხრა მან, - აბა მაჩვენეთ ეგ რა წიგნია, მშვენიერი ხელით რომ არის ნაწერი.

მეფუნდუკემ ყუთიდან ხელნაწერი ამოიღო და მღვდელს მიაწოდა. ეს იყო რვა თაბახიანი რვეული; სათაურის ფურცელზე მსხვილი ასოებით ეწერა: "უგუნური ცნობისმოყვრის ამბავი". მღვდელმა სამი-ოთხი სტრიქონი წაიკითხა და დაიძახა:

- ამის სათაური ისე მომწონს და ისე მაცდუნებს, რომ მთელი მოთხრობის წაკითხვა მომესურვა.

- კარგსაც ინებებთ, თქვენო ღირსებავ, - უპასუხა მეფუნდუკემ, - ბევრ ჩემს სტუმარს წაუკითხავს ეს რვეული და ძალიანაც მოსწონებია; ბევრსაც უთხოვია, მაგრამ ვერასგზით ვერ დავუთმე; ამასთანაც იმედი მაქვს, პატრონს დავუბრუნო, ვისაც ეს ყუთი დარჩა აქ წიგნებით და ქაღალდებით. რა ვიცი, ეგებ როდისმე დაბრუნდეს და, თუმცა გულახდილად რომ მოგახსენო, ამ რომანების დათმობა ძალიან მეძნელება, მაინც დავუბრუნებ, - მართალია მეფუნდუკე ვარ, მაგრამ ქრისტიანი კაცი გახლავარ.

- დიახ, ჩინებულად ბრძანებ, ჩემო მეგობარო, - მიუგო მღვდელმა, - მაგრამ, - თუ მოთხრობა რიგიანი გამოდგა, ხომ ნებას მომცემთ ჩემთვის გადავიწერო?

- დიდი სიამოვნებით, - უპასუხა მეფუნდუკემ.

მანამ ესენი ლაპარაკობდნენ, კარდენიომ რამდენიმე სტრიქონს გადაავლო თვალი, მასაც ძლიერ მოწონა და შემდეგ მღვდელს სთხოვა - მოთხრობა ხმამაღლა წაეკითხა.

- სიამოვნებით, - უთხრა მღვდელმა, - თუკი აქ მბრძანებელნი ამ დროს ძილს კითხვას ამჯობინებენ.

- ჩემთვის უკეთესი დასვენება იქნება ორიოდე საათი ამ მოთხრობის კითხვას დავუგდო ყური, - თქვა დოროთეამ. - მღვღანეებისაგან მაინც სრულიად ვერ დავმშვიდებულვარ და იმედი არა მაქვს მალე დამეძინოს.

- მაშ თუ ეგრეა, სიამოვნებით წაგიკითხავთ, - მიუგო მღვდელმა, - თუნდაც მარტო ცნობისმოყვარეობისათვის და იქნებ ის ცნობისმოყვარეობა არც გაგვიცრუვდეს და კმაყოფილიც დავრჩეთ.

დალაქმა ნიკოლასმა და თვითონ სანჩომაც აგრეთვე წაკითხვა სთხოვეს მღვდელს. რაკი დარწმუნდა, რომ მოთხრობის წაკითხვით ყველა იქმყოფთ და თვითონ მასაც ასიამოვნებდა და მასთან იმედიც ჰქონდა - შრომა ტყვილად არ ჩაუვლიდა, მღვდელმა თქვა:

- მაშ თუ ასეა, ყურადღებით მისმინეთ, მოთხრობა ასე იწყება:

თავი XXXIII

სადაც მოთხრობილია "უგუნური ცნობისმოყვარის ამბავი"

იტალიაში, ტოსკანის პროვინციის ჩინებულ და მდიდარ ქალაქ ფლორენციაში, ოდესმე ორი კარგი გვარეულობის აზნაური ცხოვრობდა: ანსელმო და ლოტარიო. ამ ყმაწვილკაცებს ერთმანეთთან ისეთი მტკიცე მეგობრობა ჰქონდათ, რომ ვინც კი მათ იცნობდა, ყველანი ერთმანეთის ძმობილად თვლიდნენ. ორნივე ახალგაზრდები იყვნენ, უცოლონი, ამასთან ერთი წლოვანებისა და ერთნაირი ხასიათისანი, და ეს გარემოება საკმაო იყო, რომ ერთმანეთთან მეგობრობა და სიყვარული ჰქონოდათ, თუმცა ანსელმოს საზოგადოებაში ტრიალი და მიჯნურობის საქმე უფრო ართობდა, ხოლო ლოტარიო უფრო ნადირობას ეწყობოდა. მაინც თუკი შემთხვევა მოითხოვდა, ანსელმო ლოტარიოს შექცევას ადვილად აყვებოდა ხოლმე, ლოტარიოც თავის ნადირობას ანსელმოს შექცევაზე ადვილად შეიცვლიდა ხოლმე. ამგვარად, მათი სურვილები ერთმანეთს ისე ეთანხმებოდნენ, როგორც ორი ერთნაირად კარგად მომართული საათის ისრები თავიანთ მოძრაობაში ერთმანეთისაგა არაფრით განსხვავდებიან.

ანსელმოს ერთი მშვენიერი, კეთილშობილი ფლორენციელი ქალი შეუყვარდა. ეს ქალი ისეთი პატივცემული მშობლების ასული იყო და თვითონაც ისეთი ზნისა და ღირსების პდრონი, რომ ანსელმომ თავის მეგობრის ნებართვით და მოწონებით, ურომლისოდაც არაფერს არ აკეთებდა, მისი ცოლად შერთვა განიზრახა და ქალის პატრონებთან შუაკაცობა თვით ლოტარიომ იკისრა. მანაც ეს შუაკაცობა ისე კარგად და მეგობრის გუნებისად აღასრულა, რომ ანსელმო მოკლე ხანში თავის მიჯნურის პატრონი შეიქნა, ხოლო კამილაც იმ დენად კმაყოფილი იყო მისი ცოლობისა, რომ ღმერთსა და ამ ნეტარების მიზეზს ლოტარიოს ამისთვის მუდამ მადლობას უძღვნიდა.

ქორწილის წინა დღეებში ლოტარიო ჩვეულებრივად დაიარებოდა ანსელმოს სახლში, რა არის, ამით თავის მეგობრისათვის მომეტებული პატივი ეცა. მაგრამ რაკი ქორწილის დღეები გათავდა, მილოცვებიც დაასრულეს და სტუმრებიც წავიდ-წამოვიდნენ, მაშინ ლოტარიომ მეგობართან სიარულს თანდათან მოუკლო. როგორც გონიერმა და მოფიქრებულმა კაცმა იფიქრა, რომ ცოლიან მეგობართან ასე ხშირად სიარული, როგორც უცოლოსთან, აღარ

შეიძლებოდა. თუმცა გულწრფელ მეგობრებში რაიმე ეჭვის აღება უსაფუძვლო იყო, მაინც იცოდა, რომ ქმრის გული სათუთია და გრძნობიერი და არა თუ მეგობრისაგან, არამედ თვითონ ღვიძლი ძმისაგანაც შეუძლია განაწყენდეს.

თუმცა ანსელმო ცოლის ტრფობით ძალიან იყო გართული, მაინც ლოტარიოს თავისადმი გულის აყრა მალე შენიშნა. ყვედრება დაუწყო ლოტარიოს და არწმუნებდა, რომ თავის დღეში ცოლის შერთვას არ განიზრახავდა, თუ სცოდნოდა, ეს გარემოება მათ ერთმანეთს დააშორებდა. ანსელმო ეუბნებოდა, ჩემს ცოლს მხოლოდ მესამე პირად ვთვლი ჩვენი ერთმანეთის უფრო მტკიცე შეკავშირებისათვის და ტყუილუბრალოდ სიფრთხილე და რაღაც ქვეყნიური წესის მიმდევრობა ჩვენი ძმობის გამქარწყლებლად არ უნდა შეიქნესო. ამასთანავე არწმუნებდა, რომ მისი ცოლისთვისაც დიდად სასიამოვნო იქნებოდა იმ კაცის ხშირად სტუმრობა, რომელიც მისი გაბედნიერების მიზეზად შეიქნა, და რომ კამილაც შეწუხებული და გაკვირვებულია მათი ასეთი დაშორებისა, რადგან ორივეს უწინდელი წრფელი მეგობრობა გაგონილი ჰქონდა. ერთი სიტყვით, ანსელმო ყველა ღონისძიებას ხმარობდა უწინდელი განწყობილება აღედგინა და თან არწმუნებდა, უამისოდ მისი ბედნიერება სრული ვერ იქნებოდა.

ყველა ამ საბუთებზე ლოტარიომ ისეთი გონივრული პასუხი მისცა, რომ ანსელმომ სრულებით ირწმუნა მეგობრის კეთილი განზრახვა, და, ბოლოს, როგორც იყო, პირობა დაადებია, ლოტარიოს ყოველ დღესასწაული დღეს და ამას გარდა კიდევ კვირაში ორჯერ ესადილა მასთან. პირობა კი მისცა ლოტარიომ, მაგრამ მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა ისე მოქცეულიყო, როგორც მისი მეგობრის პატივის დაცვას მოუხდებოდა, რადგან მისი კარგი სახელი და პატივი თავისაზე ძვირად მიაჩნდა. ის ფიქრობდა, და დიახ საბუთიანადაც ფიქრობდა, რომ ლამაზი ცოლის პატრონი ქმარი ისევე ფრთხილი უნდა იყოს თავის მეგობრების არჩევაში, როგორც აგრეთვე სიფრთხილე მართებს თავის ცოლისთვის ტოლ ამხანაგების ამორჩევაშიც: იმიტომ, რომ, რა განზრახვაც საყდარში ვერ მოხერხდება, ანუ სეირნობის დროს, ან სხვა საზოგადო ადგილას, ის განზრახვა, მეტი ნდობით მოსილი, ტოლი-ქალის ანუ ნათესავის სახლში ადვილად ხერხდება. ლოტარიო იმასაც ფიქრობდა: ყველა ცოლიანი კაცისთვის ერთგული მეგობარი არის საჭირო, რომ შეცდომილებას უმხელდეს ხოლმეო. რადგან მომეტებულ ნაწილად მოხდება ქმარი მეტისმეტი სიყვარულისგან ანუ სიფრთხილით - ცოლს არ ვაწყენინოვო - მის ცუდს ვერ ამხელს, ვერ ეტყვის: "ჩემო სიცოცხლე, ეგრე ნუ იზამ, ასე ჰქენი". ამ გაქირვებაში შველა, ლოტარიოს აზრით, მხოლოდ ერთულ მეგობარს შეეძლებოდა. მაგრამ სად მოიპოვება ასეთი წრფელი, პატიოსანი და ერთგული მეგობარი? ამგვარი მეგობარი სხვა ვინ იქნებოდა ანსელმოსთვის, თუ არა თვითონ ლოტარიო, ისე ბეჯითად რომ ზრუნავდა თავის მეგობრის პატიოსნების დაცვას და ათას მიზეზს იგონებდა, ოღონდ აღთქმულ დღეებში მასთან მისვლა თავიდან აეცილებინა. იგი ამით ცდილობდა უქმი თვალებისთვის და ბოროტი ენისათვის მასალა არ მიეცა - მდიდარი და ლაზათიანი ყმაწვილი კაცის (როგორც თვითონ ეგონა) მშვენიერ კამილასთან ხშირი სიარულის გამო ჭორები რამ გაემართათ. მართალია, იმ ქალას კეთილზნეობას ვერავითარი ბოროტი მითქმა-მოთქმა ვერ შებღალავდა, მაინც არა სურდა, ეჭვი რამე შეეტანათ იმაზე. ანსელმოსთან სასიარულო დღეებს ლოტარიო ხშირად სხვა საქმეს ახმარებდა და თან იმით იხდიდა ბოდიშს, რომ ის საქმეები საჩქარო აღსასრულებელი იყო. ამ გარემოების გამო, როცა კი ერთმანეთს შეხვდებოდნენ, ანსელმოსა და ლოტარიოს სალაპარაკო ის იყო, რომ ერთი სულ აყვედრიდა და მეორე თავს იმართლებდა.

ერთხელ ქალაქგარეთ სეირნობის დროს ანსელმომ ხელიხელ გაუყარა ლოტარიოს და შემდეგი ლაპარაკი დაიწყო:



- ჩემო მეგობარო ლოტარიო, შენ, უეჭველია, იმას არა ფიქრობ, რომ მე ღვთის უმაღური ვიყო ყველა იმ წყალობისათვის, რაც მან მომხადლა; იმ ბუნებითი ნიჭისა და ამქვეყნიური სიკეთისათვის, რითაც მან დამაჯილდოვა და მეტადრე იმ უდიდესი წყალობისათვის, რომ შენი თავი მეგობრად გამიჩინა და კამილა მეუღლედ მომცა, - ეს ორი საუნჯენი, რომელნიც თუ შესაფერისად ვერ მიყვარან, იმდენად მაინც არიან ჩემთვის საყვარელნი, რამდენადაც ამისათვის ძალ-ღონე შემწევს, ამასთან კეთალშობილი მშობლების შვილი ვარ. მაგრამ რა გამოვიდა! ყველა ამქვეყნიური ბედნიერების პატრონი სიცოცხლეს ისე მივაჩანჩალებ, ვით კაცი მწუხარე, დავრდომილი და უიმედო, და ჩემზე უსაცოდავესი ამ წუთისოფელში, ვეჭვობ, თუ სხვა კიდე ვინმე მოიპოვებოდეს, ეს რამდენიმე ხანია ერთი უცნაური, ახირებული სურვილი მაწევს გულზე. ისეთი უცნაური, რომ თვითონვე მიკვირს და უმაღური ვარ ჩემი თავისა: მინდა ქვეყანას და ჩემს თავსაც დავუმალო ეს სურვილი, მაგრამ ვერას გზით ვერ მომიხერხებია! სულ ერთია, ის მაინც გამომჟღავნდება, და რადგან შენი მეგობრობის იმედი მაქვს, ვიცი, ჩემი განკურნებისათვის შენს მზრუნველობას არ მომკლებ, ეცდები, კვლავ დამიბრუნდეს ბედნიერება და ჩემი სიხარული ისე სრული შეიქნას, როგორც ახლა, ჩემივე გადარეულების მიზეზით, გული მწუხარებითა მაქვს აღსავსე. ამიტომ მინდა გაგიტყდე და ჩემი შემაწუხებელი სურვილი შეგატყობინო.

ანსელმოს ლაპარაკს ლოტარიო გულმოდგინედ ისმენდა და გაოცებული იყო, თუ ასეთი გრძელი წინასიტყვაობა რას მოასწავებდა. ამოდ ცდილობდა მიხედრილიყო - რა სურვილი უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ მისი მეგობრის სულის მშვიდობა ასე ძალიან აერია, მაგრამ ნამდვილს მაინც ვერ მიხვდა. ბოლოს ათასგვარი ეჭვებისაგან რომ ჩქარა გამოსულიყო, ლოტარიომ უთხრა ანსელმოს: შენი გულის საიდუმლოს რომ ეგრე კილოკავად მეუბნები, ეგ მეგობრობის შეურაცხყოფააო, რადგან ნაცადი მეგობრისაგან კაცი ყოველთვის უნდა მოელოდეს ან სურვილის მისაღწევი გზის მაჩვენებელს რჩევას და ანუ კიდევ სახსარს იმ სურვილების მიღწევისათვის.

- მართალს ამბობ, - უპასუხა ანსელმომ, - და იმიტომ გაგიტყდები და გეტყვი, რა სურვილიც მაწუხებს. ეს ის სურვილია, რომ მინდა შევიტყო, მართლა ისეთი ერთგული და კეთილზნეობიანია კამილა, როგორც ეს მეჩვენება? მე ამას ვერ ვირწმუნებ, ვიდრე ამას არ გამოვცდი და ის გამოცდა არ გამოაჩენს ჩემი ცოლის ზნეობის სისპეტაკეს ისე, როგორც ოქროს სიწმინდეს ცეცხლი გამოაჩენს ხოლმე. მე დარწმუნებული ვარ, ჩემო მეგობარო, ქალის სათნოება მაშინ გამოჩნდება, როდესაც მას განსაცდელს მიაყენებენ. მხოლოდ ის ქალი უნდა ვცნათ კეთილსათნოიანად, რომელიც არც მუდარას აყვება, არც ცრემლებს, არც საჩუქრებს და არც მოტრფეთაგან დაჟინებულ დევნას. ვითომ რა დიდი ღვაწლია ქალისთვის, - განაგრძობდა ის, - თუ ზნეობით არ ეცემა, როდესაც შემთხვევა არა აქვს დაცემისათვის? როდესაც მარტო იმიტომ არ ღალატობს ქმარს, რომ ათასი თვალი უდარაჯებს მის ყოფაქცევას და ყველა ცდუნებას არიდებს მას? როდესაც მასთანავე ისიც იცის, რომ ღალატის პირველსავე განზრახვას ქმარი მას სიცოცხლედ დაუსვამს? განა იმ ქალს, რომელიც კეთილზნეობიანი მარტო იმიტომ არის, რომ შიში აქვს, ან ცდუნების შემთხვევა არ ეძლევა, შეიძლება ისეთი პატივი ვცეთ, როგორც იმ ქალს ეკუთვნის, ვინც ყველა ცდუნების მახეს გაგლეჯს და ყოველგვარი ტრფობისაგან შეურყეველი დარჩეს, ეს კითხვები ერთიერთმანეთზე მეზადებიან და ისე მაწუხებენ რომ გადავწყვიტე კამილას ისეთი კაცი მივუჩინო გამომცდელად, რომ მისი სიყვარულის ღირსი იყოს. თუ ამ ცდუნებიდან, როგორც იმედი მაქვს, გამარჯვებული გამოვა, მაშინ ჩემს თავს უბედნიერეს კაცად ჩავთვლი ამქვეყნად და ვიტყვი: ჩემთა სურვილთა

საწყაული პირთამდე აღივსო და ბედმა ისეთი სათნო მეუღლე მარგუნა-მეთქი, რომელზედაც ბრძენმა თქვა: "ვინ უკვე ჰპოვოს იგი?". თუნდაც ეს გამოცდა მის სასარგებლოდ არ დაბოლოვდეს, მაშასადამე, არც ჩემს სასარგებლოდ, მაშინ იმით ვიქნები დაკმაყოფილებული, რომ ჩემმა ეჭვებმა არ მომატყუეს, და ეს მომცემს ღონეს ამ ბედითი გამოცდის ყველა შედეგი ვაჟკაცურად ავითანო. ამ განზრახვის წინააღმდეგ რაც უნდა მითხრა, მაინც ჩემს წადილს ვერ გადამათქმევინებ. ახლა ამას გთხოვ, ჩემო მეგობარო ლოტარიო, ამ გამოცდის იარაღად შენ გახდე და ამით ჩემი სურვილიც ამისრულო და ეჭვებიც გამიქარწყლო. მოქმედებისათვის შემიხვევას და ყველა იმ საშუალებას მოგცემ, რასაც კი საჭიროდ დავინახავ, რომ პატიოსანი, ნამუსიანი, წრფელი, და უანგარო ქალი შეარყო. ამ ძნელ საქმეს უფრო იმიტომ განდობ შენ, რომ ვიცი, თუ კამილა შენგან დამარცხებული იქნება, მაინც გამარჯვების საზღვარს არ გადახვალ და მხოლოდ იმას დამანახვებ, თუ სადამდის შეგემლო შენი გამარჯვების მაყვანა. ამგვარად მე შეურაცხყოფილი ვიქნები წადილით და არა მოქმედებით, და რადგან ეს შეურაცხყოფა ჩვენ ორთა გულში იქნება დამარბული, ისე მძიმედ აღარ დააწვება ჩემს გულს. ჩემო მეგობარო! თუ გსურს იმ სიცოცხლით ვსტკბებოდე, რაც იმის ღირსია, რომ სიცოცხლე ეწოდოს, მაშ ახლავ დაუყოვნებლივ დაიწყე მიჯნურობის ლაშქრობა, მაგრამ ზანტად აკრძალვით კი არა, არამედ იმ გულმოდგინებითა და გრძნობით, როგორც მე მსურს და როგორითაც უფლება მაქვს შენი მეგობრობისაგან მოველოდე.

ასე ლაპარაკობდა ანსელმო, ხოლო ლოტარიო ხმაგაკმენდილი უსმენდა მას და, რომ გაათავა, ჯერ დიდხანს დაშტერებით და გაოცებაო ცქერა დაუწყო, თითქოს რამე საოცარსა და უნახავ საგანს შეაჩერდაო, და ბოლოს უთხრა:

- ანსელმო! არ მჯერა, რომ, რაც მითხარ, ხუმრობა გაშვებით მეუბნებოდე, თორემ ყურს არც კი დაგიგდებდი. მე ის მგონია, ან შენ ვერ მიცნობ, ან მე ვერ გიცნობ, მაგრამ არა, შენ ძალიან კარგად იცი, რომ მე ლოტარიო ვარ, და არც თუ შენ გაქვს ეჭვი რომ შენ ანსელმო ხარ; მაგრამ, საუბედუროდ, მგონია, რომ შენ უწინდელი ანსელმო აღარა ხარ და მეც უწინდელი ლოტარიო აღარ გგონივარ. რაც ახლა შენ მითხარ, იმ ანსელმოსგან გაგონება უცნაურია, რომელსაც მე უწინ ვიცნობდი, და რასაც შენ მთხოვ, არ შეიძლება იმ ლოტარიოს მოსთხოვო, რომელსაც უწინ იცნობდი. ნუთუ დაგავიწყდა პოეტის სიტყვები, რომ კეთილი მეგობრები გამოცდიან თავიანთ მეგობრებს და მათ დახმარებას უსქუე ად არას-ს მიმართავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ არავითარ მეგობრებს არ შეუძლიათ მეგობრობას ის მოსთხოვონ, რაც ღვთის მცნების წინააღმდეგია! თუ წარმართი იყო ამ აზრისა, მაშ ჩვენ, ქრისტიანებს, განა ძვალ-რბილში არ უნდა გვქონდეს გამჯდარი ეს რწმენა, ჩვენ, რომელთაც ვიცით, რომ არავითარ ადამიანურ გრძნობას ღვთაებრივი გრძნობა მსხვერპლად არ შეეწირება? ნუთუ არ დამეთანხმები, ჩემო მეგობარო, რომ თუ ადამიანი მეგობრული მოვალეობის გულისთვის ღვთისადმი მოვალეობას ივიწყებს, ის მაინც უნდა იყოს, რომ ეს დავიწყება მარტო მაშინ მოხდებოდეს, როდესაც მეგობრის პატიოსნებისა ანუ სიცოცხლის დაცვამ მოითხოვოს, თუ არა, რას იტყვიან იმ კაცზე ვინც თავის საღვთო მოვალეობას დაარღვევს, აქაო და იმის მეგობარს მოეპრიანაო? აბა, ერთი მითხარი, რა არის განსაცდელში: შენი სიცოცხლე, თუ პატიოსნება? ეს უნდა ვიცოდე, რომ, რასაც ჩემგან ითხოვ, ის საზიზღარი საქმე უფრო თამამად ვიკისრო.

- არც სიცოცხლეა ჩემი განსაცდელში, არც პატიოსნება, - უპასუხა ანსელმომ.

- მაშ, როგორც გატყობ, - უთხრა ლოტარიომ, - შენ გინდა შევეცადო, რომ სიცოცხლე წაგართვა და პატივიც აგყარო, და როგორც შენ გიზამ ამას, ისე ჩემს თავსაც ასე დავმართო; პატიოსნებას

თუ აგერი, მაშ სიცოცხლეც წაგერთმევა, რადგან გაუპატიურებული კაცი მკვდარზე უარესია. და თუ შენი უბედურების იარაღად მე გავხდები, მაშინ მეც უპატიოსნო შევიქნები და, მაშასადამე, მეც მკვდარს უნდა დავემსგავსო; შენი დაღუპვით ჩემი თავიც დავღუპო. ჩემო მეგობარო, აბა მოთმინებას მიეცი თავი და ჩემი პასუხი მოისმინე, თუ წინააღმდეგი რამ გექნება სათქმელი, მოესწრები, დრო ბევრი გვაქვს.

- თანახმა ვარ, თქვი, რაც გსურს - უთხრა ანსელმომ.

- ანსელმო, მე მგონია, შენ ამჟამად იმ ჭკუაზედა ხარ, რა ჭკუაზედაც მავრები არიან მუდამ, რომ იმათი სარწმუნოების სიცრუეს ვერაფრით ვერ დაუმტკიცებ ვერც საღვთო წერილის საბუთებით და ვერც საღ მსჯელობაზე დამყარებული მოსაზრებით. მათ ცხადი, უექვო, საგრძნობელი საბუთებით უნდა ელაპარაკოს კაცი, რა საბუთების ექვი და უარყოფა არ შეიძლება; მაგალითად, იმგვარი საბუთებით, რომ ორ ტოლ საგანს თანასწორი ნაწილები რომ მოაკლო, ისევ ტოლნი დარჩებიანო; მაგრამ რადგან სიტყვიერად ასეთ ჭეშმარიტებასაც ვერ გააგებინებ (როგორც ეს ხშირად ხდება), არამედ საჭიროა, დაუღეჭო, და პირში ჩაუდო, ამიტომაც შეუძლებელია ისინი ჩვენი სარწმუნოების ჭეშმარიტი სწავლით გაანათლო. როგორცა ვხედავ, ანსელმო, შენთვისაც ამგვარი ჩაგონებაა საჭირო. შენს გულში რომ სურვილი გაჩენილა, ისე შორს არის საღ მსჯელობასთან, რომ ჩვეულებრივი წესით შენი უჭკუო განზრახვის დამტკიცება ჩემს მხრივ ტყუილი დროს დაკარგვა იქნება. უნდა გამოგიტყდე, რომ მიხდოდა ცოტახნობით მაინც დამეტოვებინე მაგ მდგომარეობაში და მით მაგ შენი გიჟური განზრახვისათვის დამესაჯნე, მაგრამ მეგობრობა ასე მკაცრად მოპყრობის ნებას არ მაძლევს და იმას მავალეებს, მაგ უფსკრულს მოგაშორო როგორმე, გადავარდნას რომ მიასწრაფვი. შენ დასარწმუნებლად, რომ მართალს ვამბობ, გთხოვ ჭკვიანურად მოიქეცე და შემდეგ კითხვებზე მიპასუხო: შენ არ ამბობ, სამიჯნურო დევნა ნამუსიან ქალს უნდა დაუწყე? შენ არ მეუბნები, პატიოსანი ქალი გავაუპატიურო? უანგარო ქალი საჩუქრებით მოვისყიდო? დასასრულ, შენ არ მეუბნები, სამსახური გავუწიო ქალს, რომელიც არავისგან არ ითხოვს სამსახურს? თუ დარწმუნებული ხარ, რომ შენი ცოლი ნამუსიანია, უანგარო, პატიოსანი, მაშ, ნეტა ვიცოდე, სხვა რაღა გინდა? თუ დარწმუნებული ხარ ამ განსაცდელისაგან გამარჯვებული გამოვა, ერთი მითხარ, ამით ის რას მოიგებს? ამ გამოცდის შემდეგ განა უკეთესი შეიქნება? ორში ერთი უნდა იყოს: ან ექვი გაქვს შენი ცოლის პატოსნებაში, ან თვითონ შენ არ იცი, რა გინდა. თუ მის პატიოსნების ექვი გაქვს, გამოცდა რაღას გიშველის? ისე მოექეც, როგორც ზნეობადაცემულს დედაკაცს შეჰფერის. მაგრამ, თუ იგი მართლა ისეთი პატიოსანი და სათნოიანია, როგორც გგონია, მაშინ ხომ უგუნურებაა ჭეშმარიტების გამოცდა, რადგან ამით ჭეშმარიტებას არა მიემატება-რა. მაშ, აბა მოიფიქრე, შენი სურვილი უცნაური და სასაცილო არ არის? ვნების მეტს განა მოგიტანს რასმეს, მით უფრო, რომ ეს ამბავი წინდაუხედავი და არაგონივრულია და მაგის ჩასადენად მიზეზი სრულებით არა გაქვს. ანსელმო! ქვეყნიურს ღვაწლს ადამიანი ან ღვთის გულისთვის ჩაიდენს, ანუ ქვეყნიური რამ სარგებლობისათვის და ან კიდევ ორივესთვის ერთად. წმიდათა საქმენი - ღვთის სადიდებლად ჩადენილი ღვაწლია იმ ადამიანთაგან, რომელთაც სურთ ამქვეყნად ანგელოზებრივი ცხოვრება იგრძნონ. მიწიერი სარგებლობისთვის ჩადენილი საქმენი-იმ ადამიანთა საქმეა, რომლებიც უნაპირო ზღვებზე მიმოცურავენ, უცხო ქვეყნებში მიმოვლენ, ცივსა და ცხელს ჰაერს არ ერიდებიან, რაა სიმდიდრე შეიძინონ. დასასრულ, ღვთის სადიდებლად და ქვეყნის სასარგებლოდ ჩადენილი საქმენი - ეს მხედართა ღვაწლია, რომელნიც მტრის სიმაგრეში ზარბაზნად ყუმბარისაგან მცირეოდენ შენგრეულ ხვრელს დაინახავენ თუ არა, მსწრაფლ, იმ სურვილით გატაცებულნი, რომ სარწმუნოება

დაიცვან, თავის ერსა და მეფეს სამსახური გაუწიონ, თამამად და უშიშრად იერიში მიაქვთ ციხეზე და იმას აღარ დასდევენ, რომ პირდაღებულ სიკვდილს წინ ეფეთებიან. აი ეს სახელოვანი საქმეებია მხოლოდ, რომ ადამიანი პატივით და დიდებით ჩაიდენს ქვეყნის სასარგებლოდ, ყველა გაჭირვებისა და შიშის მიუხედავად, მაგრამ შენ რომ საქმეს აპირებ, მით ვერც სახელოვანი შეიქნები, ვერც სიმდიდრე მოგემატება და ვერც წმიდანობას დაიმსახურებ; ის საქმე არც შენთვის იქნება სასარგებლო, არც ღვთისათვის და არც ხალხისათვის. მისი მოგება შენ ვერაფერს შეგმატებს, ხოლო წაგება კი განუკურნებელს სასოწარკვეთილებაში ჩაგაგდებს... ვერც ის მოგცემს რამე ნუგეშს, რომ შენს უბედურებას საიდუმლოდ დაიმარხავ გულში. შენთვის იმის ცოდნაც საკმაო იქნება, რომ გული დაგებზაროს და მთელი სიცოცხლე ჩაგეშხამოს. ჩემი სიტყვების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად სახელოვანი პოეტის ლუიჯი ტანსილოს პოემა "წმიდა პეტრეს ცრემლებიდან" შემდეგი უნდა მოგაგონო:

იმატა სევდამ და გამძაფრდა ქეჯნა სინდისის,

რომ პეტრემ იგრძნო განთიადის მოახლოება,

ზოგჯერ თუმც კაცის შეცოდება არავინ იცის, -

გულს სინანული თავისთავად განეწონება.

რა საჭიროა აქ სხვათაგან კიცხვა, ბრალდება?

სინდისის ქეჯნა სათნო გულში თვით იბადება,

ცოდვას მტანჯველი სინანულიც მუდამ თან მოსდევს,

თუნდ ცა და მიწა არ ხედავდეს ამ სიბოროტეს.

ვერავითარი საიდუმლო ვერ გიხსნის, ანსელმო, მწუხარებისაგან. შენ მუდამ იმ ცრემლებით კი არ იტირებ, თვალთაგან რომ დაგედინება, არამედ გულიდან გადმოგჩქეფს სისხლის ცრემლები. იმ ცრემლებით, რა ცრემლებითაც ჩვენი პოეტის სიტყვით, ცნობილს გულუბრყვილო ექიმს უტირია, როდესაც თასით გამოცდის საშუალებით იმ საიდუმლოს გაგება განუზრახავს, რა საიდუმლოს გაგებასაც კეთილგონიერმა რონალდომ თავი აარიდა. ეს ამბავი, მართალია, პოეტური გამოგონებაა, მაინც აზრით სავსეა. და ურიგო არ იქნება ჩვენც მაგალითად გამოგვეყენებია. ერთსაც გეტყვი რასმე, ეგებ იმან მაინც აგიხილოს თვალები და მაგ შენი გიჟური სურვილის აღსრულების ხალისი დაგიკარგოს. წარმოიდგინე, ანსელმო, ღმერთსა და ბედს მშვენიერი რამ ბრილიანტის პატრონად რომ გაეხადე, ძალიან სასტიკ ჯავაირჩს რომ ექო იგი და ყველას ერთხმად ეძახნა - წყლიანობითა და ელვარებით იმდენად საგანგებოა, რამდენადაც კი შეიძლება საგანგებო გყოს ძვირფასი თვალიო, ამასთან შენც რომ იმავე აზრისა ყოფილ იყავ, ერთი მითხარ, ისეთი წინდაუხედავი სურვილი მაინც გაგივლიდა თავში ზინდანზე დაგედო და ჩაქუჩიო გვეცადნა, მართლა ისე მაგარია თუ არა ძვირფასი თვალი, როგორც მეუბნებიანო? ამგვარის გამოცდა რომ აეტანა თვალს, განა ამით ან ელვარება მიემატებოდა ან ფასი? პირიქით, რომ გატეხილიყო (რაც ადვილი მოსალოდნელია) ხომ მთელს შენ სიმდიდრეს დაკარგავდი და მასთან უგუნურის სახელსაც დაიმსახურებდი. ჩემო მეგობარო! ქვეყნის თვალში და შენს თვალშიაც ეგ თვალი პატიოსანი კამილაა. ახლა თვითონ იფიქრე, რა სისულელე იქნება შენგან, იმ გარემოებაში ჩაადო, რომ მისი გატეხა შეიძლებოდეს: შენმა ცოლმა რომ მისდა მიყენებული განსაცდელი აიტანოს, მით ხომ უკეთესი არ შეიქნება; და

თუ დაეცა, აბა, მანამ დრო გაქვს, ახლავ იფიქრე, რა მოელის იმ გაუპატიურებულ ქალს; მაშინ განა ის აზრი არ დაგტანჯავს, რომ თვითონ შენ, განზრახ, მოფიქრებით, ისიცა და შენი თავიც დალუპე? ნუ ივიწყებ, რომ ქვეყანაზე პატიოსან დედაკაცზე ძვირფასი არა არის-რა; დედაკაცის პატიოსნება კი იმაში მდგომარეობს კარგი აზრისანი იყვნენ იმაზე და ამ მხრივ კი შენი ცოლი მეტად მაღლა დგას. მაშ ახლა სისულელე არ არის შენგან, ყველასაგან ცნობილ ჭეშმარიტებას ექვი დასწამო და განსაცდელში ჩააგდო? განა არ იცი - დედაკაცი სუსტი არსებაა? რაც კი ღონე გაქვს, განსაცდელი უნდა მოარიდო და ყოველგვარი მახე მოაცალო, რომ შიგ არ გაებას; პირიქით, ყველას საშუალება უნდა მისცე, ცხოვრების გზაზე მტკიცე და მსუბუქი ნაბიჯით ვიდოდეს და იმ სისრულეს უახლოვდებოდეს, რაც აკლია და რისი გვირგვინიც არის პატიოსნება. ამის ნაცვლად მახეს უგებ, ყველა ღონით ცდილობ დაეცეს იგი. ბუნების მეცნიერნი ერთი პატარა საოცარი თეთრი ბეწვის მქონე ცხოველს ყარყუმს ეძახიან და ამბობენ, მონადირენი მის დასაჭერად ამ ხერხს ხმარობენო: ჯერ გაიგებენ სად დადის ხოლმე, იმ ადგილს აატალახებენ, დაედევნებიან და ზედ იმ ტალახზე მიაგდენ; ყარყუმი ტალახში არასოდეს არ შევა და ურჩევნია მდევენელებს დაეჭვიროს, თავისუფლება და სიცოცხლე დასთმოს, ოღონდ უმტვერო, თოვლივით თეთრი ბალანი არ გაისვაროს! ჩემო მეგობარო! პატიოსანი და უბიწო ქალი ყარყუმსა ჰგავს. მისი სული თოვლზე უსპეტაკესია; და ვისაც უნდა მისი სისპეტაკე ბოლომდის დაიცვას, მის სიწმინდეს აფასებს, ისე როდი უნდა მოექცეს, როგორც - მონადირენი ყარყუმს. მისი ცხოვრების გზაზე აბეზარ თაყვანისმცემელთა საჩუქრებისა და გატაცებული არშიყოების სახედ ტალახი არ უნდა მოჰფინოს. ვინ იცის? ვაითუ იმდენი ძალა არა ჰქონდეს, ცდუნებას გაუძლოს. ყველა ასეთი რამ უნდა მოარიდოს კაცმა და მხოლოდ სიკეთის სიმშვენიერე და უზადო პატიოსნების ბრწყინვა-ელვარება უნდა დაანახოს. სათნო და ერთგული ცოლი ძვირფასი სარკეა, წმინდა და ელვარე, თვით მსუბუქი ქშენითაც დაუბინდავი. ქალს ისე უნდა მოექცეს კაცი, როგორც წმიდა რამ ნაწილებს შეეფერება - თაყვანი სცეს და ხელი კი არ შეახოს: იგი უნდა დაიცვას, როგორც ვარდ-ყვავილებით სავსე წალკოტი, რომლისაც ჭვრეტით დატკობა შეიძლება, მოწყვეტა კი აკრძალულია: ისიც საკმაოა, თუ გამვლელ-გამომვლელს იმ წალკოტის ღობიდან ჭვრეტა და სურნელებით დატკობა არ დაეშლება, დასასრულს, ერთ ლექსს გეტყვი ზეპირად, რომელიდაც თანამედროვე კომედიიდან დამამახსოვრდა. ამ ჩემს სალაპარაკო საგანს მეტად უხდება იგი. ღრმა მოხუცებული კაცი ურჩევს ერთი ყმაწვილი ქალის მამას, თავისი ქალი დაკეტილში ყავდეს, ბეჯითი თვალყური ადევნოს, გაუფრთხილდეს და, სხვათა შორის, ეუბნება:

ქალი მოგავს სათუთ მინას,

და ის ტყდება - თუ არ ტყდება -

არ დაუწყო შემოწმება,

ღმერთმა სუსტი გააჩინა.

ჰო, გატყდება - როგორც ხდება,

მაგრამ ზოგჯერ ჭკუათხელი

იმას ამხვრევს თავის ხელით,

რაც არასდროს გამრთელდება.

მჯერა სიბრძნე უეჭველი.

თუ ჩვენს შორის სადმე ბრწყინავს

დანაია, ოქროს წვიმაც

მოვა მისი მომნახველი.

რაც აქამდის გითხარი, ანსელმო, სულ შენ შეგეხებოდა: ახლა კი ნება მიბოძე, ჩემზედაც ორიოდ სიტყვა გითხრა, და თუ ჩემი საუბარი გრძელი გამოვიდეს, ნუ დამემდურები: მეტი ღონე არ იყო, გრძლად უნდა მეტქვა, რომ შენი თხოვნის თანახმად ლაბირინთიდან გამომეყვანე, სადაც გზადაბნეული დაეხეტები. ანსელმო, შენ მე მეგობრად მთვლი, და, ამის მხედვად, ჩემი პატივის აყრა კი მოგიწოდებია, - ეს განა მეგობრული საქციელია? ეს კიდევ ცოტაა. იმასაც ითხოვ ჩემგან, თვითონ შენ გაგაუპატიურო. აბა იფიქრე, თუ სწორედ ასე არ არის? ჩემიდან დავიწყებ. ჩემს გაარშიყებას დაინახავს თუ არა კამილა, მსწრაფლ უსირცხვილო და უპატიოსნო კაცად ჩამთვლის, რადგან მეგობრის მოღალატედ დამსახავს. მასთანვე იფიქრებს, რომ რაიმე სისუსტე შევამჩნიე, ქარაფშუტა ქალად ჩავთვალე და მისი გამიჯნურება ამან გამაბედვინა, და თუ ის გამიჯნურება თავის გაუპატიურებად ჩასთვალა, ეს ხომ შენი თავის გაუპატიურებაც იქნება. ხომ კარგად იცი, ცოლის ღალატი ქმარსაც ამცირებს. ხალხი როდი კითხულობს ქმარია დამნაშავე ცოლის ორგულობისა და მისმა საქციელმა ჩაადენინა ღალატი თუ არა? არა, ხალხს ისიც ეყოფა შეიტყოს, თვით ქალმა მრუშობა ჩაიდინა, რომ განუსჯელად იმის ქმარს შებრალების მაგიერ სიძულვილით დაუწყოს ცქერა, თუნდაც კარგად იცოდეს, რომ ქმარი არაფერშია დამნაშავე. ახლავე დაგიმტკიცებ, რატომ არის, რომ ცოლის უპატიოსნობა და ღალატი მართლა ჩირქს სცხებს ქმარს, თუნდაც არაფერში იყოს იგი დამნაშავე და არავითარი მიზეზი არ მიეცეს. იმედი მაქვს ეს მსჯელობა არ მოგწყინდება, რადგან იგი შენს სასიკეთოდაა მომართული. საღვთო წერილი ამბობს: ღმერთმა რომ პირველი კაცი - ადამი - შექმნა, ქვეყნიურ სამოთხეში ღრმა ძილით დააძინა იგი, მარცხენა გვერდიდან წიბოს ძვალი ამოუღო და იმ ძვლიდან ჩვენი პირველდედა ევა შექმნაო. ადამს რომ გაეღვიძა და თავის გვერდით დედაკაცი ნახა, შესძახა თურმე: "აი, ხორცი ხორცთაგან ჩემთა და ძვალი ძვალთაგან ჩემთა". ხოლო ღმერთმა უთხრა მას "დაუტეოს კაცმან მამაი თვისი და დედაი თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორივე იგი ერთ ხორც". მაშინ დადგინდა წმიდა საიდუმლო ქორწინებისა და მისი კავშირი ისე მტკიცეა, რომ სიკვდილის მეტი ვერაფერი ვერ დაარღვევს. ისეთი ძალა აქვს ამ საკვირველ წმიდა საიდუმლოს, რომ ამით ორი ადამიანის სხეული ერთ სხეულად იქცევა და იმის მსგავსად, როგორც ორი სული - ცოლისა და ქმრისა - ხანდახან ერთ სურვილში გამოიხატება ხოლმე. და თუ ცოლისა და ქმრის სხეულები ერთს შეადგენენ, ცოლის სხეულის გამსვრელი ყველა ლაქა ქმრის სხეულსაც გასვრის, თუნდაც რომ ქმარი როგორც წედან ვთქვი, მასთან შეკავშირებულ დედაკაცის დანაშაულში სულ არაფრით იყოს მონაწილე. ფეხის ტკივილს მთელი ტანი გრძნობს, რადგან მასთან ერთად ერთ სხეულს შეადგენს. ამ ტკივილს თავიც გრძნობს, თუმცა იგი ფეხის ტკივილის მიზეზი სულაც არ ყოფილა. სწორედ ასევე ცოლის მწუხარებას ქმარიც უნდა გრძნობდეს, რადგან მასთან ერთ ხორცს შეადგენს. ხომ ისეა რომ ყოველგვარი ურიგობა ცოლისა თუ ქმრისა სისხლისა და ხორცისაგან წარმოდგება; ღალატიც ხომ ურიგობაა, მაშ მოღალატე ცოლის ქმარიც, ნებაუნებლიეთ გაუპატიურებლად და შეურაცხყოფილად უნდა შეირაცხოს, თუნდაც, კიდევ ვიტყვი, მის შეცდომაში არაფერი მონაწილეობა არ მიეღოს. ანსელმო! თვალეები გაახილე და ის ჯურღმული დაინახე, სადაც ჩავარდნას ლამობ იმით, რომ შენი უბიწო მეგობრის მყუდროების დარღვევა გინდა. შეიგნე თუ

რა თავხედური ჟინისთვის, რა საცოდავი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გინდა გააღვიძო ვნებანი, კამილას უმანკო გულში რომ მშვიდობიანად სძინავთ. შეიგნე, თუ რა მცირეოდენი მოგებით, ამასთან რა უზომო წაგებით შეიძლება დაბოლოვდეს ეგ შენგან მოგონილი თამაშობა. ეს ისეთი წაგება იქნება, რომ მის გამოსახატავად სიტყვაც ვერ მიპოვნია. და თუ ყველა ჩემი ნათქვამი შენს გადაწყვეტილებას ვერ მოსდრეკს, მაშ შენი სამარცხვინო განზრახვის აღმსრულებელ იარაღად და თან, ვინ იცის, შენს სამუდამო დამღუპავადაც სხვა ვინმე მოძებნე; მე კი მაგის აღსრულებაზე უარს გეუბნები, თუნდაც ამ უარმა ჩემთვის უდიდესი საუნჯე - შენი სიყვარული კიდეც დამაკარგვინოს.

პატიოსანმა ლოტარიომ ამით დაასრულა ლაპარაკი. ანსელმომ ისე შემფოთებული და ჩაფიქრებული იყო, რომ დიდხანს ვერა უპასუხა-რა, ბოლოს გონება მოიკრიბა და უთხრია:

- ჩემო მეგობარო ლოტარიო! ხომ ნახე, რა ყურადღებით მოგისმინე სიტყვა. შენგან ნათქვამს მაგალითებში, შედარებაში და, ერთი სიტყვით, ყველა შენს სიტყვაში გონივრული მსჯელობა ვცანი და მეგობრული სურვილი - კეთილზე დაგეყენებინე როგორმე. დაგეთანხმები, რომ შენი რჩევის მიუხედავად ჩემი წადილისკენ დაჟინებით მივისწრაფვი და ცუდის გულისთვის კეთილს უარყოფ. მაგრამ რა გამეწყობა? წარმოიდგინე, რომ მე ახლა ისეთივე სწეულებითა ვარ ავადმყოფი, რა სწეულებაც გუნებანაქცევ დედაკაცს ნახშირის, მიწის, ალიზისა და ხან კიდეც ისეთი უარესი საგნის ჭამას მოასურვებს, რაც კარგამყოფ ადამიანს მარტო ერთი წარმოდგენაც კი ზიზღს გერის. მაშ არ უნდა სცადოს კაცმა ჩემი განკურნება? ან კი რა ძნელია? მხოლოდ განგებ და ისე თითქოს დაუდევრად, დაუწყე, ჩემო მეგობარო, კამილას არშიყობა; რა თქმა უნდა ისეთი სუსტი არ არის, პირველივე იერიშით დამარცხდეს. ამ მსუბუქი გამოცდით სრულებით დამამშვიდებ და თანაც იმ მოვალეობას აღასრულებ, რასაც მეგობრობა გდებს ვალად. ლოტარიო ჩემს თხოვნას უნდა დაემორჩილო, თორემ ამ ჩემი სურვილით ისე ვარ გატაცებული, რომ იძულებული ვიქნები, სხვას მივმართო და მაშინ ნამდვილად ამეყრება ის პატივი, შენ რომ აგრე ძალიან უფრთხილდები და ცდილობ შემირჩინო. თუ კამილას თვალში მისი არშიყობა ერთი წამით დაგამცირებს, ეგ არაფერია, რადგან მის სიმტკიცეს გავიგებ თუ არა, მაშინვე ჩემს განზრახვას გავაგებინებთ და მით მისი უწინდელი პატივისცემა კვლავ დაგიბრუნდება. ლოტარიო, გიმეორებ, თუკი შეგიძლია ამ მცირეოდენი თავის გამომეტებით მეტისმეტი დავალება გამიწიო, ნუთუ ამ თხოვნის აღსრულებაზე მაინც უარს მეტყვი? გიმეორებ, ამისრულე თხოვნა, თუნდაც ძალიან სამწუხაროდ მიგაჩნდეს იგი, და დამერწმუნე - დაიწყებ თუ არა ბრძოლას, მაშინვე თავს გამარჯვებულად მივიჩნევ და გამოცდასაც დამთავრებულად ჩავთვლი.

ანსელმოს ასეთი დაჟინება რომ ნახა და აღარც რამე საბუთი მოეპოვებოდა - თავხედური წადილი გადაეთქმევინებინა, ამასთან ეშინოდა - მუქარა მართლა არ აესრულებინა და ამ თხოვნით სხვისთვის არავისთვის მიემართა, ლოტარიო თავის მეგობრის სურვილის აღსრულებაზე დათანხმდა, იქნებ ამით მისთვის უარესი უბედურება აეცდინა; მაგრამ იმ მტკიცე განზრახვას კი დაადგა, რომ საქმე ისე წაეყვანა, ანსელმომც დაეკმაყოფილებინა და კამილას გულსაც სურვილებით არ შეხებოდა. ანსელმოს სთხოვა, ეს ამბავი არავისთვის არ გაემჟღავნებია და აღუთქვა, პირველსავე მოხერხებულ შემთხვევაში დაიწყებდა საქმეს. აღტაცებული ანსელმომ ნაზად და სიყვარულით გადაეხვია ლოტარიოს და არ იცოდა, რა სიტყვებით ეთქვა მადლობა, თითქოს მეტად დიდ დავალებას მოელოდა მისგან; შემდეგ მეგობრებმა გადაწყვიტეს, განზრახული აღარ დაეგვიანებიათ და დილიდანვე დაეწყით საქმე. ანსელმომ აღუთქვა რომ შემთხვევას მისცემდა ლოტარიო კამილასთან მარტო დარჩენილიყო,

აგრეთვე ქალის დასასაჩუქრებლად ფულსა და ძვირფასეულობას დაპირდა, რომ ცდუნება უფრო ძლიერი ყოფილიყო. ის ურჩევდა ლოტარიოს კამილასთვის სერენადები გაემართა, მის შესამკობად ლექსები მოეწერა და, თუ საჭირო იყო, ამ ლექსების დაწერასაც თვითონ კისრულობდა. ლოტარიო ყველაფერზე დათანხმდა, თუმცა იმ განზრახვაზე ძალიან შორს იყო, რასაც აკისრებდნენ. შემდეგ ანსელმომ ლოტარიო თავთან წაიყვანა. შინ რომ მივიდნენ, კამილა ცოტაოდენ შემფოთებული დახვდათ, რადგან ქმრის ასე გვიან დაბრუნებას ჩვეული არ იყო. ლოტარიო ჩქარა წავიდა შინ და ნაკისრი საქმით იმდენადვე იყო შემფოთებული რამდენადაც ამავე საქმით ანსელმო იყო კმაყოფილი. იმ ღამეს ლოტარიომ ერთი ხერხი მოიფიქრა, რითაც ანსელმომც უნდა დაეკმაყოფილებინა და მისი გულასთვისაც შეურაცხყოფა არ მიეყენებინა.

მეორე დღეს ლოტარიო ანსელმოსთან წავიდა სადილად. კამილამ იგი ისე მიიღო, როგორც მისი ქმრის საუკეთესო მეგობარს შეჰფეროდა. ნასადილევს ანსელმო სხვაგან წავიდა და ლოტარიოს თხოვა, დაბრუნებამდის, კამილასთან დარჩენილიყო, თანაც დაურთო, საჭირო გადაუდებელი საქმეები მაქვს და ორიოდვე საათში დავბრუნდებიო. კამილა ცდილობდა ქმარი არ გაეშვა, ლოტარიო კიდეც თან გაყოლას სთხოვდა, მაგრამ ანსელმომ არც ერთის თხოვნა არ მიიკარა; პირიქით, ლოტარიოს პირობა ჩამოართვა - არსად წასულიყო, რადგან, შინ დაბრუნებისას ვითომ ერთ დიდ საქმეზე რჩევა უნდა ეკითხა. ცოლსაც თხოვა, არსად გაეშვა ლოტარიო და არც მარტო დაეტოვებინა. ამ სახით ანსელმო წავიდა და ამ წასვლისათვის ისეთი აუცილებელი (უფრო სწორად - სულელური) მიზეზები მოიგონა, რომ ტყუილსა და განზრახულობას ვერავინ შეამჩნევდა.

ლოტარიო და კამილა მთლად მარტონი დარჩნენ, რადგან მოსამსახურენიც სასადილოდ წავიდნენ. ამგვარად ლოტარიო უცებ იმ ბრძოლის ველზე გაჩნდა, რაზედაც ანსელმომ ძალიად შეაგდო; მტერი მას პირისპირ დგა და ისეთი მტერი, რომლის მხოლოდ მარტო მშვენიერებას შევძლო აღჭურვილ რაინდთა მთელი რაზმისთვის იარაღი დაეყრევინებინა. წარმოიდგინეთ, რა საფრთხეში ჩავარდა იგი! ამ მდგომარეობაში მის მეტი ვერა მოიგონა-რა, - სავარძლის სახელურს იდაყვით დაეყრდნო, თავი ხელზე დაიდო, ამ უზრდელობაზე კამილასთან ბოდიში მოიხადა და უთხრა: ანსელმოს დაბრუნებამდის ცოტას მოვისვენებო. კამილამ ბალიში შესთავაზა და ტახტზე წამოწოლა თხოვა, რადგან იქ უფრო მოისვენებო, მაგრამ ლოტარიომ ცივი უარით უპასუხა და მიიძინა. ანსელმო რომ დაბრუნდა და ცოლი თავის ოთახში დახვდა, ხოლო ლოტარიო სავარძელში მიძინარე, იფიქრა, ალბათ კარგი დრო გასულა, რომ ლაპარაკი გაუთავებიათ და მოსვენებას მისცემიანო. მოუთმენლად ელოდა ლოტარიოს გამოღვიძებას, რომ მათი ლაპარაკის შედეგი გაეგო. ბოლოს მისი სურვილიც ასრულდა, ლოტარიომ მალე გაიღვიძა და ორივე მაშინვე სადღაც წავიდნენ. ანსელმომ გამოკითხვა დაუწყო, ხოლო ლოტარიომ უპასუხა, რომ რადგან პირველ შეხვედრაზედვე სიყვარულის გამოცხადება უგუნურება იქნებოდა, მთელი დრო ვითომ ქალის ქებაში გაატარა და კამილას არწმუნებდა, რომ მთელი ქალაქი მის გონიერებასა და მშვენიერებაზე ლაპარაკობდა. ამ დასაწყისით, ამბობდა ლოტარიო, ნელ-ნელა თავს მოვაწონებ და მისთვის სასიამოვნო მოსაუბრე შევიქნები. ისე ვიმოქმედებ მასზე, როგორც მაცდური ეშმაკიო, როგორც ბოროტი სული, სული წყვდიადისა ნათელი ანგელოზის სახეს იღებს და მომხიბვლელ გარეგნობას ითვისებსო და ამ სანახაობას მაშინ სტოვებს, როდესაც საქმეს დააბოლოებს და თავის მსხვერპლზე გაიმარჯვებსო, თუკი მისი მზაკვრული განზრახვა თავიდანვე არ გამოამჟღავნესო. ამ მოულოდნელი დასაწყისით აღტაცებულმა ანსელმომ აღუთქვა ლოტარიოს, რომ ასეთ შემთხვევას ყოველდღე მისცემდა კამილასთან შეხვედრისათვის და ისე მოახერხებდა,



თვითონაც შინვე თვის ოთახში დარჩენილიყო და ისე იმოქმედებდა, კამილას მისი განზრახვის ალღოც კი ვერ აეღო.

რამდენიმე დღემ ისე გაიარა, ლოტარიოს ერთი სიტყვაც არ უთქვამს კამილასთვის და ანსელმოს კი არწმუნებდა, თანდათან უფრო და უფრო გაბედულად ვმოქმედებ, მაგრამ მაინც ვერაფერი გავაწყო. და არც თუ მომავალში მაქვს იმედი, რამე გავარიგო, რადგან ვითომც კამილა ემუქრებოდა, შენს საქციელს ქმარს გავუმჟღავნებ, თუ მაგ არშიყობას არ დაეხსნებო.

- ჯერ კარგად მიდის საქმე - თქვა ანსელმომ, - კამილა სიტყვებს უმაგრდება. ვნახოთ, ახლა, რა იქნება, ხვალ ორი ათას ოქროს მოგცემ - საჩუქრად უთავაზე; ორი ათასსაც კიდევ ძვარფასი ნივთების საყიდლად მოგცემ იქნებ მათმა ბრწინვალეზამ მაინც აცდუნოს. ხომ იცი ყველა ლამაზ ქალს რაც უნდა კეთილ ზნეობიანიც იყოს, მორთვა-მოკაზმვა და თავის მშვენიერების გაბრწყინებულად გამოჩენა მეტად უყვარს. თუ ამ ცდუნებასაც გაუმაგრდა, მაშინ ჩემდა სასიხარულოდ საქმეს დაბოლოებულად ჩავთვლი და თავსაც აღარ მოგაბეზრებ.

ლოტარიომ უპასუხა: "რაკი საქმეს ხელი მოვკიდე, ბოლომდისაც მივიყვანო, თუმცა კი ამთავითვე დარწმუნებული ვარ დავმარცხდებიო". მეორე დღეს ლოტარიომ ოთხი ათასი ოქრო მიიღო და მასთან ოთხი ათასი მწუხარება დაემართა, რადგან აღარ იცოდა რა მოეგონებია რომ თავისი ტყუილები ბოლომდის გაეყვანა. მაინც გადაწყვიტა თავის მეგობრისთვის ეთქვა რომ საჩუქარიცა და ფულიც კამილას შერყევისთვის აგრეთვე უღონონი გამოდგენენ და საქმის კვლავ განგრძობა ტყუილად დროს დაკარგვალა იქნებოდა. მაინც ამით არ დაბოლოვდა საქმე. ერთ დღეს ანსელმომ კამილა და ლოტარიო მარტონი დატოვა, თივიონ კი მეორე ოთახში დაიმალა და გასაღების ჭუჭრუტანიდან ზვერვა დაუწყო. მეტად განეცვიფრდა, რომ მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ლოტარიომ კამილას ორი სიტყვაც კი არ უთხრა და ისიც ეტყობოდა, რომ არც ეტყოდა, თუნდაც მთელი ნახევარი საუკუნე დარჩენილიყო მასთან. ახლა მიხვდა ანსელმო, რომ ლოტარიო მას ატყუებდა. მაგრამ თავის ეჭვში რომ უფრო ბეჯითად დარწმუნებულიყო, ანსელმო ოთახიდან გამოვიდა და ჰკითხა ლოტარიოს, ახალი რა არის და კამილა როგორ გუნებაზეაო. ლოტარიომ პასუხად გადაწყვეტილი უარი უთხრა მიჯნურობის განგრძობაზე, რადგან ხალისი და გაბედულება სრულებით დამეკარგა, კამილა ძალიან ცივსა და მკაცრ პასუხებს მეუბნებაო.

- ეჰ, ლოტარიო, ლოტარიო რა ცუდად ასრულებ შენს აღთქმას, - შესძახა ანსელმომ, - რა ურიგოდ მიხდი მეგობრული ნდობის სამაგიეროს. კარის ჭუჭრუტანიდან დაგზვერე და აშკარად დავინახე, რომ არაფერიც არა გითქვამს-რა კამილასათვის ამით მივხვდი, რომ წინა პაემნების დროსაც ასევე დუმდი. თუ ეს ასეა, და, რასაკვირველია, სწორედ ასეც იქნება, - ნეტა რისთვის მატყუებ? რად გინდა ჩემი საგულისგულო სურვილის აღსრულების საშუალება ასეთი ცბიერებით ხელიდან გამომაკალო.

ანსელმომ მეტი აღარა თქვა-რა და რაც თქვა, ამით ძალიან შეაშფოთა ლოტარიო. ასე აშკარად მხილება მის პატიოსნებას ლაქას ცხება. ახლა კი ფიცი დაუდგა ანსელმოს და აღუთქვა, გამოცდა ბეჯითად და უტყუარად დაეწყო - თვითონ შენ შეგიძლია გამომცადო ხოლმე, - ეუბნებოდა ლოტარიო, - თვალყურის ადევნო ჩემს მოქმედებას, თუნდაც ამ დღიდან ყოველგვარი თვალყურის დევნება ტყუილ-უბრალოდა იქნება: უამისოდაც აშკარად დაგანახვებ, რომ გულხელდაკრეფილი აღარ დავჯდებიო. ანსელმომ სრულებით ირწმუნა მეგობრის სიტყვა და, თავისუფლად მოქმედების საშუალება რომ უფრო მიეცა, გადაწყვიტა,

კამილა მარტო დაეტოვებია და რამდენიმე დღით ქალაქგარეთ ერთ თავის მეგობართან წასულიყო. იმ მეგობარს თვითონ დააპატიჟებინა თავი და ამით მოახერხა კამილას წინაშე თავი გაემართლებინა წასვლაზე. უბედურო და უგუნურო ანსელმო რა გაგიზრახავს, რას ჩადიხარ, რა უბედურებას იმზადებ! შენი ცოლი უბიწოა; მშვიდობიანად ცხოვრობთ ერთად; შენი დალუპვა არავის სწადია, შენს თავს თვითონ შენ გადაქცევიხარ მტრად, თვითონ შენ ითხრი შენთვის სამარეს; კამილას ფიქრები თავის ოჯახს იქით არსაით მიდის; შენა ხარ მისი ამქვეყნიური სამოთხე, მისა სურვილების მიზანი, მისი სიხარული, მისი ნება-სურვილების საზომი და საწონი, ღვთისა და შენს ნებასთან შეთანხმებული; თუ სილამაზე და სათნოება შენგან უშრომლად მოგმადლებს ყოველივე თვისთა საუნჯეთა, რომელთა უაღრეს არ ძალგიძს ისურვო რამე, მაშ რაღად დაგიწყია მის სიღრმეში რაღაც სხვა უცნობი საუნჯის ძებნა; რად გავიწყდება, რომ რასაც ახლა ფლობ, შეიძლება შეარყიო, მირს დასცე, რადგან ყველა იგი საუნჯე ხრწნადი ბუნების სუსტ საფუძველზეა დაყრდნობილი! ანსელმო! გახსოვდეს, რომ შეუძლებელის მძებნელი კაცი შესაძლებელსაც ვეღარ იპოვის, როგორც ეს ჩემზე უკეთ და მშვენივრად გამოხატა პოეტმა ამ სიტყვებით:

ავდარში ვეძებ საამურ დარსა,

ჭირში - სიმართლეს და ნეტარებას,

სატუსალოში - თავისუფლებას,

გაუვალ ჩიხში - გზას გასავალსა.

მწარე ღალატში კი -ერთგულებას.

სიკეთეს უკვე მე აღარ ველი...

ო, ბედისწერა მკაცრი და ბნელი

ისე, ვით ზეცა, ჩემთვის ყრუ არი,

რადგან მას ვთხოვე შეუძლებელი,

შესაძლებელზეც მითხრა უარი.

მეორე დღეს ანსელმო სოფელში წავიდა და კამილას თხოვა, რაც კი შეიძლებოდა, ალერსიანად მიეღო ლოტარიო; ამასთან უთხრა, ლოტარიო უპატრონებდა და ყოველ დღეს სადილად იმასთან მოვიდოდა. ეს ამბავი უმანკო და ერთგული კამილას თავმოყვარეობამ, ცოტა არ იყოს, იწყინა და ანსელმოს უსაყვედურა, ქმარს არ შეშვენის შინ არყოფნის დროს თავის ადგილი სხვას დაუთმოსო; და თუ ამას იმიტომ ჩადიხარ - არ მენდობი, გეშინია, ვაითუ მარტომ როგორც რიგია, სახლს ვერ მოვუარო, ახლა ხომ შემთხვევა გემლევა ჩემი დიასახლისობის ნიჭი გამოსცადოო. კამილა არწმუნებდა ქმარს, რომ დიასახლისობა კი არა, არამედ, უფრო დიდი საქმის გაძლოლასაც მოახერხებდა. ამაზე ანსელმომ უპასუხა, რომ ასეთი იყო მისი ნება, რომ მისგან მარტო მორჩილება მოეთხოვებოდა, და საბრალო ქალიც დიდი დამშვიდებით დაჰყვა მის ნებას. ანსელმო წავიდა, ხოლო მეორე დღეს ლოტარიო მოვიდა და კამილამაც ღირსეულად და სიამოვნებით მიიღო იგი. მაგრამ ისე კი ახერხებდა, რომ ლოტარიოსთან მარტო ერთ წამსაც არ დარჩენილიყო. თან ყოველთვის ყავდა ხოლმე მოახლე ლეონელა, რომელიც ბავშვობიდანვე მშობლების ოჯახში მისი თანშეზრდილი იყო, განსაკუთრებით უყვარდა იგი და თან იახლა

ანსელმოზე გათხოვებისას, - ან არ იშორებდა რომელიმე სხვა მოსამსახურეს. პირველ დღეს ლოტარიოს ერთი სიტყვაც არ უთქვამს კამილასათვის, თუმცა ხანდახან სუფრის ალაგების შემდეგ, სანამ მოსამსახურენი ბრძანებისამებრ ხელდახელ ისადილებდნენ, მარტო დარჩებოდა ხოლმე კამილასთან. ლეონელას, მართალია, ნაბრძანები ჰქონდა. - ყველაზე ადრე ესადილა და, როცა სხვა მოსამსახურენი სადილობდნენ, ის კამილასთან ყოფილიო, მაგრამ მოახლეს ისეთი საქმე გაეჩინა, რომ უფრო თავის გუნებისა იყო და ისიც სწორედ სადილობის დროს ესაჭიროებოდა თავშესაქცევად, ამიტომ ქალბატონის ბრძანებას ხშირად ვერ ასრულებდა. ქალბატონს ძალიან ხშირად, თითქოს განგებაც, ლოტარიოსთან მარტოსა სტოვებდა ხოლმე. ამის დაუხედავად კამილას მოწიწებით ქცევა, ქალური კრძალულება და თავდაჭერილი ლაპარაკი ლოტარიოს ენას თითქოს ლაგმავდა.

მაგრამ, რაც მათ თავდაპირველად აჩერებდა, მალე სწორედ იმანვე დაღუპა ისინი, იმიტომ, რომ, როდესაც მათი ენა დუმდა, მათი გულის ზრახვა თავისუფლად მოქმედებდა. კამილას მშვენიერების თავისუფლად მჭვრეტი, ისეთი მშვენიერებისა, რომ არა თუ კაცის გულის, არამედ მარმარილოს ქანდაკების აღძვრაც კი შეეძლო, ლოტარიო უფრო და უფრო რწმუნდებოდა, თუ რაოდენი სიყვარულის ღირსი იყო ეს ქალი. მაგრამ ამ რწმუნებასთან მეგობრისადმი ვალდებულებაც აგონდებოდა. ასჯერაც გაუელვა ფიქრმა დაეტოვებინა ქალაქი და შორს სადმე გადავარდნილიყო, რომ ანსელმო თავისდღეში აღარსად შეხვედროდა, კამილაც აღარასოდეს აღარ ენას, მაგრამ თან იმასაც გრძნობდა, რომ იმ ქალის ჭვრეტის კმაყოფილება აკავებდა და აღარც სადმე გაუშვებდა მას. ამ ყოფაში თავის გრძნობებს ებრძოდა, ლამობდა თავის თავისთვის ელალატნა - იმ სიტკბოებაზე უარი ეყო, რასაც კამილას მომხიბლავი მშვენიერების მზერა ანიჭებდა და თავის თავი დაურწმუნებია, რომ ეს სიტკბოება - მსწრაფლ წარმავალი ცდუნებააო. კამილას რომ მოშორდებოდა, თავის უგუნურ ვნებებს სწყევლიდა, მუხთალ მეგობრად და უპატიოსნო კაცად სახავდა თავს. მაგრამ ნელ-ნელა მისი გონება მშვიდდებოდა და შეუმჩნევლად იწყებდა ხოლმე ანსელმოსთან თავის თავის შედარებას და მუდამ იმ დასკვნამდის მივიდოდა ხოლმე, რომ თუ მარცხი მოხდებოდა რამე, მისი ბრალი კი არ იქნებოდა, არამედ, იმისი, ვისმა უგუნურმა სურვილმაც შთააგდო იგი ამ უფსკრულში. უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ, თუ ისევ რიგიანად შეეძლებოდა ღვთის სამსჯავროს წინაშე თავის გამართლება, როგორც ხალხის საჯავროს წინაშე შეეძლო ეს, მაშ მისი გატაცებისთვის რაღა საშიში იქნებოდა ზეციური სასჯელი.

ერთი სიტყვით, საქმე იმით გათავდა, როს კამილას მშვენიერებამ და თვითონ ანსელმოსგან თავხედურად მიცემულმა შემთხვევამ მისი შერყეული სიმტკიცე მალე გასტეხეს, ანსელმოს წასვლის შემდეგ სამმა დღემ რომ გაიარა, იმ დრომ, როდესაც ლოტარიო ყველა ღონისძიებას ხმარობდა - გულში აგზენებული გრძნობა ჩაექრო, და მთელი ამ ხნის განმავლობაში კი თავის გარშემო იმ გრძნობის აღმძვრელი არსები სმეტი სხვას ვერავის ხედავდა, მან კამილას თავისი გადარეული სიყვარული გაუმჟღავნა. მთლად აღელვებულმა ეს გამჟღავნება ისეთი გაშმაგებული სიტყვებით უთხრა, რომ გონებადაფანტულმა კამილამ იმის უკეთესი ვერა მოახერხა რა ხმაამოუღებელივ ადგა და თავის ოთახში გავიდა. მაგრამ ქალის ამ გულგრილობამ ლოტარიოს იმედი მაინც ვერ შეუმცირა; ის იმედი ადამიანში რომ სიყვარულთან ერთად იბადება ხოლმე; პირიქით, სურვილი გაუძლიერა - საყვარელი ქალი დამლია, რომელმაც, მისმინა რა ლოტარიოსაგან სიყვარულის გამჟღავნება, აღარ იცოდა - რა გზას დასდგომოდა, მაგრამ გადაწყვიტა რომ სახიფათო და უმართებულო იქნებოდა რიმე ახალი საბაზი მიეცა

ლოტარიოსათვის მსგავსი რამ შემთხვევა კვლავ გაემეორებინა. იმ ღამესვე ანსელმოსთან კაცი გააგზავნა და შემდეგი შინაარსის წერილი გაატანა.

თავი XXXIV

სადაც გრძელდება "უფუნური ცნობისმოყვარის ამბავი"

"ამბობენ, ცუდია ლაშქრისათვის უსარდლოდ და ციხე-სიმაგრისათვის უკომენდანტოდ დარჩენაო. მე კიდევ იმას დავუმატებ, რომ ყველაზე უფრო ცუდი ახალგაზრდა ქმრიანი ქალისათვის უქმროდ დარჩენაა, თუ ამას მეტად დადმნიშვნელოვანი გარემოება არ მოითხოვს. თქვენგან მოშორებულმა არ ვიცი, რა ვქნა. უთქვენოდ ისე ძლიერ ცუდად ვგრძნობ თავს და სიცოცხლე გამიმწარდა, რომ, თუ ახლავე შინ არ დაბრუნდები, მაშინ იძულებული ვიქნები ჩემს მშობლებთან წავიდე და ჩვენი სახლკარი დავტოვო უპატრონოდ და უმეთვალყურეოდ, რადგან ის მეთვალყურე, რომელიც თქვენ დამიტოვებ (თუ კი ამ სახელის ღირსია იგი და მართლაც მას დააკისრეთ ეს მოვალეობა), მგონი, თავს კმაყოფილებაზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე თქვენს მყუდროებაზე. შენ მიმხვდომი კაცი ხარ, ამიტომ მეტს აღარ ვიტყვი და, მგონი, მეტის თქმა არც საჭიროა და არც შემფერის".

ამ წერილის მიღებისას ანსელმო მიხვდა, რომ ლოტარიოს მოქმედება დაეწყო და კამილაც ისე შეხვედროდა მას, როგორც იმედი ჰქონდა. ამ ამბით აღტაცებულმა ანსელმომ პასუხად მისწერა კამილას, არსად წასულიყო, და პირდებოდა, რომ თვითონაც ძალიან მალე დაბრუნდებოდა შინ. ამ პასუხმა მეტად გააკვირვა და თან შეაშფოთა კიდევ კამილა. ახლა აღარ იცოდა, რა ექნა, - შინ დარჩენისაც ეშინოდა და მშობლებთან წასვლისაც; შინ დარჩენა მისი პატიოსნებისათვის იყო საშიში, მშობლებთან წასვლით კიდევ ქმრის უნებურ საქმეს ჩაიდენდა; და როგორც ყოველთვის მოხდება - ორჭოფობაში მყოფი ადამიანი ორ ბოროტში ყოველთვის უარესს დაადგება ხოლმე, ისე კამილამაც უარესის ქნა გადაწყვიტა, ესე იგი, არა თუ შინ დარჩენა, არამედ ლოტარიოსაც აღარ ერიდებოდა, რაა ამ მორიდებით თავის მოსამსახურეებში ეჭვი რამ არ აღედრა. ისიც დარდად გაუხდა, რომ ქმარს წერილი მისწერა. ეშინოდა, ვაითუ ანსელმომ იფიქროს, ჩემი თავდაუჭერელი ქცევით ლოტარიომ რამე გამიბედაო. ამ ფიქრებით ღმერთსა და საკუთარი პატიოსნების გრძნობებს მიენდო და გადაწყვიტა, პასუხი არ მიეცა ლოტარიოსათვის და ანსელმოსთვისაც არა ეთქვა-რა იმაზე, რაა შუღლი რამ არ მოსვლოდათ. ისიც საზრუნველი გაუხდა, თუ რა საბუთები მოეგონებია ლოტარიოს გასამართლებლად, ვინიციობაა ქმარს იმ წერილის მიწერის მიზეზი ეკითხა. ამ უფრო პატიოსნურ, ვიდრე სასარგებლო და გონივრულ გადაწყვეტილების ზეგავლენით იმყოფებოდა, როცა მეორე დღეს კამილა ლოტარიოს შეხვდა და ამჯერად ისე შორს წავიდა, რომ კამილას სიმტკიცე შეირყა. მეტისმეტი ბეჯითი ყურისგდება უნდოდა თავის თავისა, რომ თვალების გამომეტყველებას იმედი რამ არ მიეცა ლოტარიოსათვის და მის გულში ეჭვი არ აღედრა, რომ მისმა მიჯნურობამ და ცრემლებმა გულში თანაგრძნობა გაუჩინეს. ეს კამილას რყევა, უფრო გატაცებულ ლოტარიოს თვალებს არ გამოეპარა. თავის მეგობრის შინ არყოფნით წაქეზებულმა გადაწყვიტა, უფრო ძლიერად მიეტანა ციხეზე იერიში. ქებას შეასხამდა კამილას მშვენიერებას და ამით, ვით საბერველი, უფრო და უფრო აღვივებდა ქალის გულში თავმოწონებას მბჟუტავ ნაპერწკალს. ეს კი მეტად უებარი საშუალებაა, ქალს თქვენი საუბრის მოსმენა აიძულოთ და მისი ზვიადობა გასტეხოთ. ეს ის არის, რომ თქვენი წადაღებისათვის თვითონ ზვიადობა დაიხმაროთ და თანაც მაცდური

ემშაკის ენით ქალის გრძნობა აღძრათ. ლოტარიოც სწორედ ასე მოიქცა. თავის მდგომარეობით და, რაც ხელთ ჰქონდა იმ იარაღად, ისე ხერხიანად ისარგებლა, რომ, კამილა, მგონი, მაშინაც კი დარბილებულიყო, ბრინჯაოსაგან რომ ყოფილიყო ჩამოსხმული. ლოტარიო ეფიცებოდა, ტიროდა, ემუდარებოდა, აჩქარებდა და დასასრულ, იმდენი გულწრფელობა და გულისთქმა გამოიჩინა, რომ კამილას სიმტკიცე დაირღვა და ლოტარიომაც იმას მიაღწია, რაც ყველაზე მომეტებულად სურდა და რისიც ყველაზე მცირედი იმედი ჰქონდა.

კამილას პატიოსნებამ ვეღარ გაუძლო და კამილა დანებდა, კამილა დაეცა - და რა არის აქ გასაკვირველი? ლოტარიოს მეგობრობამაც ხომ ვერ გაუძლო და ისიც ხომ დაეცა! რომ ტრფობა დასჯაბნო - ერთადერთი საშუალებაა - უნდა გაეცე; ამ საზარელი მტრის დამღევა, მისი ქვეყნიურ ძალებზე გამარჯვება მხოლოდ არაქვეყნიურ ძალებს შეუძლიათ. თავის ქალბატონის დამარცხება მარტო ლეონელამ იცოდა. მიჯნურთ ის ვეღარ მოახერხეს, თავიანთი ჩადენილი საქმე მისთვისაც დაემალათ. ლოტარიომ ხომ რასაკვირველია, კამილას არ გაუმჟღავნა, რომ თვითონ მისმა ქმარმა მისცა საშუალება ცოლის გული დაესაკუთრებინა და რომ თვითონ ანსელმო ეხმარებოდა მის გამარჯვებას, - ეშინოდა ამ გამომჟღავნებით კამილას მისადმი სიყვარული არჩესუსტებულიყო, და ვინ იცის, სრულებითაც გამქრალიყო. ქალს არ ეფიქრა, რომ განსაკუთრებული რამ იძულების უქონლად, შემთხვევით ეცადა მისი მოპოვება და ცდუნება.

რამდენიმე დღის შემდეგ ანსელმოც დაბრუნდა შინ, მაგრამ ვერ შენიშნა მის ოჯახს რა დაჰკლებოდა, თუმცა ის დანაკლისი მისი ოჯახისათვის ყველაზე უძვირფასესი საუნჯეც იყო და მი დაკარგვაც ყველაზე მეტად მაინც შეაწუხებდა. დაბრუნების უმალ ანსელმო ლოტარიოს სანახავად წავიდა. მეგობრები ერთმანეთს გადაეხევივნენ და შემდეგ ანსელმ ლოტარიოს ის ამბავი ჰკითხა, რაც იმჟამად მის სიცოცხლეს თუ სიკვდილს შეადგენდა.

- შენთვის სათქმელად ისა მაქვს, ჩემო მეგობარო, უთხრა ლოტარიომ, - რომ შენი ცოლი სამაგალითო ზნეობისა და სათნოების პატრონია, იგი ღირსია ყველა ერთგული ცოლის მაგალითი და გვირგვინი გახდეს. ჩემი სიტყვები მის ყურებს არ ეკარებოდნენ, თითქოს ქარს მიჰქონდა, ყველა ჩემი სამსახური მძულვარებით უარყო, არავითარი საჩუქარი არ მიიკარა, ჩემი თავლთმაქცური ცრემლები სამასხაროდ გახადა. ერთი სიტყვით, კამილა როგორც მშვენიერი მარგალიტია, აგრეთვე იგი ტამარიცაა, სადაც პატიოსნებას და სათნოებას თავისი საკურთხეველი აუშენებია და იქ ზრდილობა, კრძალულობა და ყველა ის სათნოება იმყოფება, რაც ქალსა და მეუღლეს ამშვენებს. შენი ფულები და საჩუქრები წაიღე. ესენი ჩემთვის საჭირო აღარ არის. ასეთი ყალბი სათამაშოები და ფუჭი აღთქმანი კამილას უბიწო გულს ვერ შეარყევს. ეს გამოცდა იკმარე, ანსელმო და ახალ-ახალს ნურას განიზრახავ. დედაკაცები რომ მოუსვენრობისა და ეჭვიანობას ზღვაში გვაგდებენ, იმ ზღვიდან შენ მშრალი გამოხვალ. იმ მღელვარე ზღვაში ნულარ შეცურდები და ახალი მესაჭით ნულარ გამოცდი იმ გემის სიმაგრეს, რაც ზენამ ამ ცხოვრების გზის გასავლელად გარგუნა. დარწმუნდი, რომ კარგ ნავსადგურს მოსდგომიხარ, ფრთხილად დამყარდი იქ კეთილგონიერების ღუზაზე და მაგ ჩინებული ადგილიდან იმ დრომდე ნუ დაიმგრი, ვიდრე იმ ვალის გადასახდელად არ მოგიწოდონ, რა ვალსაც ადამიანის შთამომავალი ვერსად წაუვა.

ანსელმო ლოტარიოს სიტყვებით აღტაცებული იყო და, როგორც ქურუმის წინასწარმეტყველებას, ისე ერწმუნა. მაინც სთხოვა, კამილას ტრფობა კვლავ განეგრძო, თუნდაც თავის შსაქცევად და ცნობისმოყვარეობისათვის, ოღონდ კი სიმშაგე და დაჟინება

შემეცირებინა. მე ისიც მინდა, ლექსი რამ დაუწერო და შეამკო იგი თუნდა ქლორიდას სახელით. კამილას დავარწმუნებ, ვითომც შენ ერთი ქალი გიყვარს და ქლორიდას სახელით ამკობ მას, რაა ნამდვილი სახელის გამომჟთავნებით არ დაამცრო, თუ შენ გეზარება ლექსის წერა, მე თვითონ დაგიწერო.

- ნუ შეწუხდები, - უპასუხა ლოტარიომ, - ისე როდი ვძულვარ მუზებს, დროდადრო მაინც ჩემი სტუმრობა არ მოესურვოთ. ჩემს ტყუილ ტრფობაზე, რაც გინდა უთხარ კამილას და ლექსების დაწერა კი მე მომანდე. მართალია, იქნებ ისეთი ვერ დავწერო, რომ თავის საგანს სავსებით შეეფერებოდეს, მაინც ვეცდები, რაც შეიძლება საუკეთესოდ დავწერო.

ბოლოს, ერთი მოღალატე და მეორე გაბრიყვებული მეგობრები ერთმანეთს მთლად კმაყოფილნი განშორდნენ. ანსელმომ შინ რომ დაბრუნდა, კამილას ჰკითხა, იმ ბარათის მოწერა რამ გაიძულაო. კამილას გაუკვირდა, აქამდის ეს რატომ არ მკითხაო, და უპასუხა, ვითომც იმას ეჩვენა, რომ ლოტარიო თითქოს ჩვეულებრივად უფრო თამამად ეპყრობოდა და რომ ახლა კი ეს ფიქრი მთლად გაუმტყუნდა, რადგან ლოტარიო, თითქოს ცდილობდა მის შეხვედრას მორიდებოდა და მასთან მარტო დარჩენაც თითქმის ეშინოდა. ანსელმომ ასეთი ფიქრები ძალიან გაუქარწყლა და თხრა: მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ლოტარიოს ერთი კეთილშობილი ყმაწვილი გასათხოვარი ქალი გაგიჟებით უყვარს და იმ ქალს, ქლორიდას სახელით, ლექსებითაც შეაქებს ხოლმეო, მაგრამო, დაუმატა მან, თუნდაც ლოტარიოს გული თავისუფალიც იყოს, ის მაშინაც საშიში კაცი არ არისო. კამილას რომ ეს ოინები ლოტარიოსაგან წინათვე გაგებული არ ჰქონოდა და არ ცოდოდა, რომ ქლორადაც იმ აზრით იყო მოგონილი, რომ ანსელმოსთვის თვალები აეხვია და ამ სახელით კამილასათვის თავისუფლად შეესხა ქება, მაშინ, უთუოდ, კამილა ეჭვიანობის მახეში გაებმებოდა, მაგრამ რაკი ყველა ეს წინათვე მქონდა შეტყობილი, ამიტომაც ისე მოისმინა ქმრის ლაპარაკი, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო.

მეორე დღეს სამივენი ერთად სადილობდნენ და ტკბილი საჭმელი რომ მიიერთვეს, ანსელმომ ლოტარიოს სთხოვა, რამე ლექსი წაეკითხა თავის სატრფო ქლორიდაზე, თანაც დაუმატა, რომ რაკი კამილა არ იცნობდა იმ ქალს, ამიტომ თავისუფლად შეემლო ეთქვა და წაეკითხა იმაზე, რაც კი ესამოვნებოდა.

- კამილას კიდევ რომ სცნობოდა ის ქალი, - უპასუხა ლოტარიომ, - მაინც რა საჭირო იყო, დამეფარა რამე. მოტრფე რომ თავის სატრფოს მშვენიერებას დამღერის და გულცივობას აყვედრის, განა ამაში ვისთვისმე რამ საწყენია? მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, წაგიკითხავთ იმ ლექსს, გუშინ იმ გულცივ და უწყალო ქლორიდაზე ხელდახელ რომ დავწერე:

სონეტი

მაშინ, როდესაც შუალამე დადგება წყნარი,

და ძილს კურთხეულს მიეცემა ხალხი სრულებით,

ცას და ქლორიდას შეპყრობილმა განწირულებით

მინდა ვუამბო ჩემი ტანჯვა და სატკივარი.

მაშინაც, როცა მაღლა ადის მზე მომღიმარი,

ფერად ქლამიდით, ვარდისფერი საფეხურებით,

ველავ განუკურნელ წუხილს ჩემსას ვეხმაურები

ოხვრა-ჩურჩულით, ძლივს გასაგონ ხმით მოუბარი.

თვით ოქროს ტახტზე წამომჯდარი მზე მოელვარე,

ნათელ სხივებით რომ აშუქებს ვრცელსა სამყაროს,

დარდს მიძლიერებს და თვალს მწველი ცრემლებით მივსებს.

მიწას ეწვევა ღამე, მე კი - ფიქრები მწარე...

შეყვარებული უნუგეშო რამ გამახაროს?

ყრუა ცის თალი და ქლორდაც არაფერს მისმენს.

ლექსი მოეწონა კამილას და მეტადრე ანსელმოს. მან ძლიერ შეაქო ლექსი და თან დაუმატა, რომ ქლორიდა უთუოდ ძალიან პირქუში ვინმე უნდა იყოსო, რომ მაგვარ წუხილს, გულის სიღრმიდან გამომდინარე სიტყვებს და გულწრფელ გრძნობას პასუხი არ გასცაო.

ეს რომ გაიგონა კამილამ, იკითხა:

- თქვენი ფიქრით, გამიჯნურებული პოეტები რაზაც წერენ, განა სულ ნამდვილად მართალია?

- დიახ, მართალია, - უპასუხა ლოტარიომ, - იმიტომ, რომ რასაც ისინი ამბობენ, ისე კი არ ამბობენ, როგორც პოეტები, არამედ როგორც ტრფიალნი; როგორც პოეტები, ისინი ტყუიან, მაგრამ როგორც მიჯნურები, ყოველთვის თავმდაბალნი და გულწრფელნი არიან, მათი ენა იმასვე ამბობს, რასაც გული გრძნობს.

- მაგის ეჭვი არავის აქვს, - შენიშნა ანსელმომ. იგი ცდილობდა, ვითომ კამილასათვის ლოტარიოს აზრი გაერკვია, ის კი აღარ იცოდა, რომ კამილა ახლა თავის ქმარს აღარავითარ ყურადღებას არ აქცევდა, და მისი თვალი და ყური მხოლოდ მიჯნურს ხედავდა და ისმენდა.

რაკი კარგად იცოდა, რომ ეს ქება და ლექსები მას ეკუთვნოდნენ და მოგონილი ქლორიდა თვითონ ის იყო, კამილამ ჰკითხა ლოტარიოს, - ამგვარი ლექსი ან სონეტი კიდევ თუ გაქვს ან ხომ არ გახსოვსო.

- მახსოვს, დიახ, - მიუგო ლოტარიომ, - მაგრამ, მგონი ამაზე უხეირო უნდა იყოს. მაინც წაგიკითხავთ და თქვენ თვითონ განსაჯეთ:

სონეტი

აი მე ვკვდები, ჯიბრზე მწარე დაეჭვებისა;

ისევ სჯობია შენს წინაშე დავლიო სული,

ვიდრე აღმოვთქვა თუნდ მცირედი რამ სინანული,

თუ რატომ გავხდი მსხვერპლი შენი ტრფიალებისა.

თითქოს ვარ უკვე ქვეყანაში დავიწყებისა:

უკვე გათავდა ყველა ტანჯვა და სიხარული,  
მაგრამ ძველს გული აღზნებული კვლავ სიყვარულით,  
შიგ სურათია შენი სახის მშვენიერისა.

მე ხომ იმისთვის შემინახავს ეს სილამაზე,  
რომ გამინათაოს ავბედითი ის ბრძოლის წამი,  
რომელსაც, მკაცრი მიახლოვებს ეგ მრისხანება?  
ვაი, მოგზაურს ბობოქარსა და ველურ ზღვაზე,  
როდესაც ზეცას დასწოლია ღრუბელი ღამის,  
ნისლში აღარ ჩანს ნავსადგური ვარსკვლავიც ქრება.

ანსელომ ეს მეორე სონეტიც პირველზე ნაკლებად როდი შეაქო, და ამით იმ ჯაჭვს, რა ჯაჭვითაც თავის პატიოსან სახელს ბორკავდა, ერთი რგოლიც მოუმატა. რამდენადაც ლოტარიო ანსელომს მეტად აუპატიურებდა და შეურაცხყოფას აყენებდა, იმდენად ანსელომს თავის თვალში მეტად პატივი ედებოდა და, რამდენიც კამილა უსირცხვილობის, უფსკრულისკენ იძირებოდა, იმდენად ის თავის ქმრის აზრით ზნეობისა და დიდებისკენ მაღლა-მაღლა იწევდა. ერთხელ კამილა თავის მოახლესთან მარტო დარჩა და უთხრა მას:

- რა რიგად მრცხვენია ჩემი თავისა, ჩემო მეგობარო ლეონელა, რა მცირედად დავაფასე ჩემი თავი, რა ადვილად და ჩქარა გავუპყარ ხელები ლოტარიოს, ჩემი დამარცხებისათვის მას არც შრომა რამე დაუხარჯავს და არც დრო. ნეტავ რა რიგად მეშინია გარყვნილება და ქარაფშუტობა არ შემწამოს და არ შევეზიზლო. განა დამიჯერებს, რომ ღონე აღარ მიმყვა იმ ტრფობის ალისათვის გამეძლო, მთელს ჩემ არსებას რომ სდაგავდა?

- მაგაზე ნუ იწუხებთ, ქალბატონო, - უპასუხა ლეონელამ, - აბა ერთი ისეთი ძვირფასი ნივთი მიბრძანეთ, რომ ადვილად გაცემით ფასი დაჰკარგოდეს; პირიქით, ასე ამბობენ: ჩქარა გაცემა ორზომად გაცემა არისო.

- მართალია, - უთხრა კამილამ, - მაგრამ იმასაც ამბობენ: რაც იაფია, მცირე ფასი აქვსო.

- ეგ ანდაზა თქვენ როდი შეგეხებათ, - უთხრა ლეონელამ, - რადგან სიყვარული, როგორც, გამიგონია, ხან დადის და ხან დაფრინავს: ერთთან მირბის, მეორესთან მიხობხავს, ერთს აცივებს, მეორეს სახმილს ააპრიალეზინებსო; აქეთ ჰკოდავს, იქით ჰკლავსო. ისეც მოხდება ხოლმე, რომ სიყვარულს თავის საქმე ჯერ არც კი დაუწყია, და ის კი არა თუ, მიზანს მიღწეულიც არის. დილით იერიში მიაქვს ციხეზე, საღამოს უკვე აღებული აქვს იგი; იმიტომ ქალბატონო, რომ იმდენი ძალა არავის აქვს, სიყვარულს გაუძლოს. ნეტავ ვიცოდე - რასა სწუხართ? განა ლოტარიომ არ იცის, რომ უნდა აჩქარებულიყავით და ყველაფერი მოგეწყოთ, ვიდრე ბატონი ანსელომ შინ დაბრუნდებოდა, თორემ მისი მოსვლის შემდეგ მიჯნურობის საქმეს ხელს ვეღარ მოჰკიდებდით. სიყვარულისათვის შემთხვევა დიდი საქმეა, მეტადრე პირველ ხანებში. მე ეს ყველა გამოცდილებით ვიცი, რადგან, ქალბატონო, მეც სხვებივით ხორციელი ადამიანი ვარ: ჩემს მარღვებშიც ახალგაზრდული სისხლი სჩქეფს და მოძრაობს. ამაზე მერეც გაიმბობთ როდისმე, და ახლა კი, თქვენ საწუგეშოდ ამას მოგახსენებთ, რომ თქვენს



სატრფოს, ისე ხომ არ ჩამოკიდებიხართ კისერზე და მალე არ დნებებიხართ, ვიდრე მის თვალეში, მის ცქერასა და საჩუქრებში მთელი მისი სულის მოძრაობა არ დაინახეთ; მგონია, დრო გქონდათ - გაგეცნოთ: სიყვარულის ღირსი იყო, თუ არა. კმარა, ქალბატონო, ნუ სწუხდებით. უკუაგდეთ ეგ თქვენი ეჭვიანობა და უნდობლობა. ისა სჯობია - თავი დააჯეროთ, რომ ლოტაროსაც ისე უყვარხართ, როგორც ოქვენ გიყვართ ის; რომ მემახური, რომელმაც მიჯნურობის მახეში გაგაბათ, თავის ნანადირევის ღირსია; ასე რომ იფიქროთ, ღმერთმანი, სჯობია, ვიდრე იმას ჩიოდეთ ჩქარა დავმორჩილდიო. ან კი რაღა გინდათ! თქვენს მიჯნურს არა თუ მარტო ოთხი შ აქვს, რაც ყველა პატიოსან მიჯნურს უნდა ქონდეს, არამედ მთელი ანბანიც. აბა ყური დაუგდეთ, ქალბატონო, რა ანბანია ეს და როგორ ვიცი მე იგი. ახლავე ზეპირად გეტყვით. როგორც ვხედავ და რამდენადაც შემძლია ის არის - Agradecido, Bueno, Caballero, Dadivoso, Enamorado, Firme, Gallardo, Honrado, Ilustre, Leal, Mozo, Noble, Onesto, Principal, Quantioso, Rico (ანუ მადლიერი, კეთილი, რაინდული, გულუხვი, შეყვარებული, პირიანი, ლამაზი, პატივსაცემი, სახელოვანი, ერთგული, ახალგაზრდა კეთილშობილი, პატიოსანი, დიდებული, ამპარტავანი, მდიდარი), შემდეგ ოთხი S, რომლის შესახებ უკვე ვლაპარაკობდით; შემდეგ Tacito (მდუმარე), Verdadero (მართალი), X - უხეში ასოა, არ უდგება, ისე როგორც Y, რჩება Z - Zelador (ქომაგი).

მოახლის ამ ანბანზე კამილამ ბევრი იცინა და თანაც აღიარა, რომ აქამდის ვერ წარმოიდგენდა, თუ მისი მოახლე საარშიყო საქმეებში ესოდენ იქნებოდა დახელოვნებული, და ლეონელაც გაუტყდა, რომ უკვე ერთ კარგი გვარის ყმაწვილ კაცთან სამიჯნურო ოინები ჰქონდა გამართული. ამ აღსარებამ დააფიქრა კამილა, რადგან გულში შიში ჩაუვარდა - ლეონელას ოინებს მისი საკუთარი უზნეობა არ გამოეაშკარავებია. მოახლეს კითხვა კითხვაზე მიაყარა, უნდოდა გაეგო, მისი მიჯნურობა სიყვარულის გამჟღავნებაზე შორს ხომ არ იყო წასული. ლეონელამ თამამად და ურცხვად უპასუხა, სიყვარულის გამომჟღავნების ხანამ დიდი ხანია გაიარაო და უფრო შორსაც შევტოპეთო. რა გაეწყობა? ქალბატონების დაცემა მოახლეებსაც თან იტაცებს და მათაც აკარგვინებს სირცხვილს; ერთი კი დაინახოს მოახლემ, რომ მისი ქალბატონი წაბორძიკდა, და მაშინ მას ორივე ფეხით კოჭლობაც აღარაფრად მიაჩნია. კამილამ მხოლოდ ის სთხოვა ლეონელას, თავისი საყვარლისათვის არაფერი ეთქვა ქალბატონის მიჯნურობაზე და თავიანთი მიჯნურობის საქმეც ფრთხილად და დაფარვით ჰქონოდათ, რომ ანსელმოს ან ლოტარიოს ვერაფერი გაეგოთ. ლეონელამ ამის აღსრულება აღუთქვა, მაგრამ ისე კი აასრულა, რომ კამილა მუდამ შიშში იყო - ლეონელას ოინებს მისი საკუთარი ოინები არ გამოემჟღავნებია.

გათამამებულმა და გარყვნილმა ლეონელამ, რაკი თავისი ქალბატონის საიდუმლო გაიგო, იქამდე გათამამდა, - თავის საყვარელს შინ მიიღებდა ხოლმე, იმ იმედით, რომ, თუნდაც კამილას შეემჩნია ეს, სახლიდან მაინც ვერ დაითხოვდა. აი, დედაკაცის სისუსტეს ასეთი შედეგი მოაქვს; ისინი თავისსავე მოახლეს უხდებიან მონად, იძულებულნი ხდებიან დაფარონ მათი ოინები და გარყვნილებაში ხელი მოუმართონ. კამილამ ეს თავის თავზე გამოსცადა; რამდენჯერ უნახავს, რომ მისი სახლის ერთ-ერთ ოთახში მოახლე და მისი საყვარელი ჩაკეტილან, მაგრამ არათუ ამაზე ხმა არ ამოუღია, არამედ თვითონაც ცდილა, მოტრფენი მის ქმარს როგორმე არ აღმოეჩინა. მაგრამ ამ მეცადანეობამაც ვერაფერი გააწყო და ერთხელ, განთიადისას, ლოტარიომ კამილას სახლიდან გამომავალი კაცი დაინახა. ვერ გაიგო, ვინ უნდა ყოფილიყო ის კაცი, და ჯერ მოჩვენებად მიიღო, მაგრამ რაკი ნახა, რომ ის მოჩვენება მოსასხამში იყო გახვეული და ფრთხილად მიიპარებოდა, მაშინ წინანდელი ფიქრი მიატოვა და სხვა აზრმა გაუელვა, ისეთმა აზრმა, რომ თვითონაც დაილუპებოდა და კამილასაც დალუპავდა,

თუ ამ განსაცდელის გაქარწყლება თვითონ კამილასვე არ მოეხერხებინა. ლოტარიოს ეჩვენა, რომ ის უცნობი კაცი, უდროოდ დროს კამილას სახლიდან გამოსული, ლეონელასთან კი არ იყო, - ან კი ახლა სად მიაგონდებოდა, რომ ლეონელა იყო სადმე ქვეყანაზე, არამედ თვითონ კამილასთან უნდა ყოფილიყო; მან იფიქრა კამილას ახლა გული ასე ადვილად სხვისთვის გაუშლიაო, როგორც ამას წინათ მე დამნებდაო. ქმრის მოლალატე დედაკაცის ბედი ეს არის - ვისთვისაც თავის პატიოსნებას თმობს, თვითონ მისგანვე ჰკარგავს თავის პატიოსნებაში რწმენას. მას მუდამ ჰგონია, ის ახლა სხვისთვის უფრო ადვილად დათმობს, ვიდრე მისთვის დათმო, ეჭვიანობა ემართება და თვლებახვეული ერწმუნება ყველაფერს, რასაც კი შეუძლია ჩირქი მოსცხოს მის პატიოსნებას. ამ წამში ლოტარიომ თითქოს მთლად დაკარგა გონება. კამილას მოხსენებითმა ღალატმა მის გულს ეჭვიანობის ალი მოსდო, მთლად გადარია და იქამდის გააშმაგა, რომ ისევ მძინარე ანსელმოს მიეჭრა და უთხრა:

- იცოდე, ანსელმო, - უთხრა მან, - იცოდე, რომ ეს რამდენიმე დღეა ერთი საშინელი ბრძოლა მაქვს ჩემს თავთან: ჩემს თავს ძალას ვატანდი დამეფარა, რის დაფარვაც არ შემძლია და არც თუ ნება მაქვს დავფარო. იცოდე, კამილას სიმტკიცე შეირყა და მზად არის, რაც კი მნებავს, ყველა ამისრულოს. ამ ბედითი ამბის შეტყობინება თუ დაგიგვიანე, ეს იმიტომ მომივიდა, რომ მიხდოდა, ბეჯითად დავრწმუნებულებიყავ: ვნება იყო შემცოდე, თუ განგებ მცდიდა შენი ცოლი. სურდა დარწმუნებულიყო, ნამდვილად მიყვარდა იგი თუ არა, რაც შენი სურვილით გამოვუცხადე. აქამდის სულ იმას ვფიქრობდი, თუ კამილა, მართლა, როგორც გვეგონა, ისეთი ზნეობიანი ქალია, შენთვისთვე უნდა შეეტყობინებინა ჩემგან თავგამოდებული მისი დევნა, მაგრამ რაკი ამის შეტყობინებას არ ეშურება, ამიტომ ვფიქრობ, მართალი გულით დამინიშნა შენს საპირფარეშო ოთახში მიღება პირველსავე შემთხვევაში, როდესაც კი შენ შინ არ იქნებოდი (მართლაც კამილა და ლოტარიო იმ ოთახში შეიყრებოდნენ ხოლმე სამიჯნუროდ). მაინც მაგიერის გადახდას ჯერ ნუ დაეშურები. დანაშაულის ჩადენა გადაწყვეტილია, მაგრამ ჯერ აღსრულებული არ არის და აღსრულების წამი რომ დადგება, ვინ იცის, ეგებ მაშინ მის გულში სინანული აღიმრას. როგორც აქამდის მისდევდი ჩემ რჩევას, ერთს გარდა, ისე ახლა აასრულე, რაც გითხრა მოქმედება მაშინ დაიწყე, როდესაც შენი ცოლის მოლალატობა დამტკიცდეს და შემთხვევა მოგეცეს, მისი საქციელის მიხედვით იმიქმედო. მოიგონე, ვითომც ხვალ ორი სამი დღით სოფელში მიხვალ შენს მეგობართან და საპირფარეშო ოთახში კი დაიმაღე, - ღვთის მადლით ბლომად დასამალავი აქვს ფარდებსა და ავეჯს უკან, - მაშინ ორნი ჩვენი საკუთარი თვალებით დავინახავთ, ერთგულია კამილა თუ მოლალატე. თუ ამის განზრახვა დანაშაულის ჩადენაა, რაც სამწუხაროდ უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მაშინ მოფიქრებით, ალიაქოთის აუტეხლად, შენი შერცხვენისათვის იქვე სამაგიერო გადაახდევინე.

საბრალო ანსელმო ლოტარიოსაგან ამ მეგობრული ამბის მოსმენით თითქოს გაქვავდა. საქმე ის არას, რომ მის თავზე მაშინ იჭექა მეხმა, როდესაც სრულები აღარ მოელოდა ამას; როდესაც გამარჯვების სიხარულსა გრძნობდა და მით სტკებოდა, სრულიად დარწმუნებული, რომ კამილამ ლოტარიოს მოჩვენებითი სიყვარული და სამიჯნურო დევნა ზიზღით უარყო. რამდენიმე წუთს გაქვავებულივით იდგა, თვალებდაშვებული, ხმაამოუღებელი და ბოლოს თქვა:

- ლოტარიო, ჩემი იმედი არ გამიცრუე, აქამდის ისე მოქმედებდი, როგორც ჩემი მეგობარი, და ყველა შენს რჩევას მივდევდი. ახლაც ის ჰქენ, რაც გერჩიოს, ოღონდ ისე საიდუმლოდ იმოქმედე, როგორც ამას მოითხოვს ესოდენ მოულოდნელი შემთხვევა.

ლოტარიომ ყველაფრის აღსრულება აღუთქვა, რაც კი ანსელმომ თხოვა, მაგრამ ჩქარა გონს მოვიდა და თავის სულელურ ნათქვამს ძალიან ნანობდა. ახლა მიხვდა, თუ რა შეუნდობელი შეცდომა მოუვიდა, ასე დაუნდობლად და თავლაფდასხმით რომ არ ყოფილიყო, განა სხვანაირად ვერ შეეძლო კამილასთვის მაგიერი გადაეხადა? თავის უგუნურ აჩქარებას წყევლიდა და არ იცოდა, რა საშუალება ეხმარა, რომ შეცდომა გამოესწორებინა, და, რაკი ვერა გააწყო-რა, გადაწყვიტა ყველაფერი კამილასათვის გაემჟღავნებინა. მისი საიდუმლოდ ნახვა, როცა კი მოასურვებდა, ყოველთვის შეეძლო. ამიტომაც იმავე დღეს წავიდა მასთან. მივიდა თუ არა, კამილამ როგორც კი დაინახა იგი და დარწმუნდა, რომ არავინ არ უსმენდა, ამ სიტყვებით მიმართა:

- ჩემო მეგობარო, საშინელი ნაღველი მაწევს გულზე და, როცა იქნება, ეს ნაღველი გადამიტანს უსირცხვილო ლეონელას ყოველდღიურ შემოყვას თავისი საყვარელი და გათენებამდის აქა ყავს ხოლმე. წარმოიდგინე, რა ხიფათში ვარ ჩავარდნილი, ვინც მას ჩემი სახლიდან დილაადრიან ძალვით გამომავალს დაინახავს, რამდენი მიზეზი მიეცემა, თვითონ მე დამწამოს ცილი და ჩემს პატიოსნებაზე ეჭვი შეიტანოს. ჩემთვის დიდი უბედურება ისაა, რომ არა თუ მისი გაგდება გაკიცხვაც კი არ შემიძლია, მან ჩვენი საიდუმლო სიყვარული იცის და მეც ხმა ვერ ამომიღია. ასე ვარ გაჩუმებული. მეტად მეშინია ამ ყოფამ რამე უბედურება არ დამმართოს.

ლოტარიოს ეს კამილას საჩივარი ჯერ განგებ, იმ აზრით მოგონილი ეგონა, თითქოს სურდა დაეჯერებინა იგი, რომ ამ დილით ნახული კაცი ლეონელას საყვარელი იყო; მაგრამ სატრფოს ცრემლებმა და ხვეწნამ ამ ეჭვიდან გამოიყვანეს, თვალები აუხილეს, მართალი დაანახვეს და ამან დილანდელი თავხედური საქციელის ჩადენის გამო უფრო მეტი მწუხარება დამართა. კამილას დამშვიდება თხოვა, ლეონელას შეუპოვრობის შეკავება აღუთქვა და ბოლოს უამბო, რომ ეჭვით გაშმაგებულმა ანსელმოს საიდუმლო გაუმჟღავნა, რომ ანსელმო საპირფარეშო ოთახში უნდა დაიმალოს და სამალავიდან თავის თვალთ დაინახოს, თუ სიყვარულის სამაგიეროს როგორ უხდინან. ლოტარიო ამ უგუნური საქციელის პატიებას ემუდარებოდა კამილას, თანაც თხოვდა ერთად მთეფიქრებინათ იმ გაჭირვებიდან როგორ გამოსულიყვნენ, მისმა ბედიტა, მოუფიქრებელმა აჩქარებამ რომ ჩააგდო.

ამ ამბავმა კამილას თავზარი დასცა, ჯერ ეჭვის აღებისათვის და მერე უფრო კიდევ იმ ცუდი საქციელისათვის, რაც გაგულისების უმაღლესი განუზრახა. ალერსიანად უსაყვედურა ლოტარიოს, და რადგან სუსტი დედაკაცის ჭკუა კეთილისა და ბოროტის ჩასადენად მამაკაცის ჭკუაზე უფრო გამჭრიახია (სამაგიეროდ მას არ ძალუძს დამშვიდებულად და დალაგებულად განსჯა), ამიტომ კამილამ ძნელი და გამოუვალი უბედურების საშველად ღონისძიება მალე იპოვა. დასტური მისცა ლოტარიოს, ანსელმო ხვალ საპირფარეშო ოთახში დამალულიყო, და დაპირდა ყველაფერს ისე მოაგვარებდა, რომ იმ გამოცდით მათ მიჯნურობას უფრო მეტი გასაქანი მიეცემოდა და კვლავ უფრო შეუშფოთებლად და უშიშრად შეეძლებოდათ ერთმანეთთან დატკობა. რას აპირებდა? ის კი აღარ უთხრა, მხოლოდ სთხოვა მაშინ შემოსულიყო ოთახში, როცა ლეონელა დაუძახებდა, და ყველა კითხვაზე ისე ეპასუხა, როგორც მაშინ უპასუხებდა, როცა ანსელმოს იქ დამალვა არ ეცოდინებოდა. ლოტარიო კამილას თხოვდა, თავისი განზრახვა აეხსნა მისთვის.

- გიმეორებ, - უთხრა კამილამ, - თქვენი საზრუნავი მარტო ის უნდა იყოს, რა კითხვაც მოგცეთ, იმაზე მიპასუხოთ.

კამილას არ უნდოდა ამთავით აეხსნა მისთვის რას უპასუხებდა, ემინოდა - ლოტარიო მის გეგმას არ მიჰყვებოდა და სხვა რამე უხერხულ რჩევას მისცემდა. ლოტარიო წავიდა, ხოლო მეორე დღეს ანსელმო ვითომც სოფელში გაემგზავრა თავის მეგობართან. შინიდან წავიდა, მაგრამ შინვე დაბრუნდა და საპირფარეო ოთახში დაიმალა. ლეონელამ და კამილამ წინდაწინვე ხელი შეუწვეს, რომ ადვილად, რიგიანად დამალულიყო. დამალული ანსელმო იმ ტანჯვით იყო აღსავსე, რა ტანჯვასაც იმის მომლოდინე გრძნობს, რომ აგერ საცაა, საკუთარი თვალთ დაინახავს ყველაზე უძვირფასესი ქალისაგან თავის პატივის შეგინებას. რაკი დარწმუნდნენ, რომ ანსელმო თავის სამალავში უკვე დაბინავდა, ქალბატონი და მოახლე ოთახში შევიდნენ და კამილამ მწუხარე ამოხვრით უთხრა ლეონელას.

- ვიშ, ლეონელა, ის არა სჯობია უმალ ამ მახვილით გავიგმრო ეს ურცხვი გული, ამ მკერდში რომ მიცემს, ვიდრე ჩემს საწადელს ავასრულებდე. არ მინდა გაგიმყდავრო ეს საწადელი, რადგან მეშინია მისი აღსრულება არ დამიშალო, მაგრამ არა, სხვის დანაშაულს მე რად უნდა ვანაცვალო თავი, ჯერ ერთი, უნდა გავიგო, რამ აიძულა ლოტარიო, იმ უშვერი წადილით რომ მომმართა და მით ჩემი პატიოსნებაც გაქელა ფეხით და თავის მეგობრისაც? ლეონელა, ფანჯარა გააღე და ანიშნე შემოვიდეს, უეჭველია, ახლა მანდ ქუჩაში იცდის იმ იმედით, რომ თავის უსირცხვილო სურვილს დაიკმაყოფილებს, მაგრამ ვიდრე იმ სურვილს აისრულებდეს, უმალ ჩემს საწადელს ავასრულებ, საზარელია ეს საწადელი, მაგრამ ამასთანავე პატიოსნურიც.

- ვიშ, ძვირფასო ქალბატონო! - შესძახა მოსაზრებულმა ლეონელამ, ნეტავ რა გწადიათი ჰქნათ? მაგ ხანჯლით რას აპირებთ? ლოტარიო უნდა მოჰკლათ, ან თქვენ თავს აუტეხოთ რამე? აბა იფიქრეთ ქალბატონო, ბოროტი ენები რა მიოქმა მოთქმას ასტეხენ თქვენზე? ის არა სჯობია, თქვენი შეურაცხყოფა დავიწყებას მასცთ და ის ავაზაკი აქ აღარ შემოუშვათ? სუსტ, უმწეო დედაკაცებს იმ უმაქნისის წინააღმდეგ რა შეგვიძლია! ის ხომ არავითარი სამაგლობის წინ არ დაიხვეს? ახლა მას თავის თავი ხელთ აღარა აქვს, მთლად აღზნებულია და ვაითუ, ვიდრე მოასწრებდეთ რასმეს, ისეთი რამ დაგმართოთ, თქვენთვის სიკვდილზედაც უარესი იყოს. ნეტავ ვგრე რას მიენდო ის დალოცვილი თქვენი ქმარი, ასეთ გარყვნილ კაცს სახლში როგორ უშვებდა. ქალბატონო, ახლა რომ მართლა მოჰკლათ ის კაცი (ისე ხართ არეული, რომ არც კი გამიკვირდება), მერე მკვდარს რაღა უნდა ვუყოთ?

- რა ვუყოთ! აქ ეგდოს, ვიდრე ანსელმო დაბრუნდებოდეს. დაე, თვითონ მან დამარხოს, თავისი საკუთარი გაუპატიურება თავისივე ხელით ჩაჰფლას მიწაში. ჩქარა დაუმახე ამ მოღალატეს, თორემ რამდენსაც მაგვერის გადახდას ვაგვიანებთ, იმდენი ჩემი ქმრისადმი თქმულ ერთგულებას ვლალატობ.

კამილას თითოეულმა სიტყვამ ანსელმოს აზრები მთლად გადაუბრუნა და ლოტარიოს მოკვლის მუქარა რომ გაიგონა, მაშინ ცოტას გაწყდა სამალავიდან არ გამოვიდა, რთა კამილასათვის მისი გადაწყვეტილების აღსრულება დაეშალა; მაგრამ თავი შეიმაგრა რომ გაეგო, თუ ცოლის გმირული თავგამოდება რით გათავდებოდა. დარჩა იმ ფიქრით, რომ დროზე შველას გაჭირვების წამსაც მოასწრებდა.

მერე კამილას განგებ გული შეუწუხდა, ხოლო ლეონელამ ანსელმოს საწოლზე დააწვინა იგი და მწუხარედ დასტიროდა.

- ვაჰმე, უბედურს, - მოსთქვამდა იგი, - ჩემი ბედი განა ეს იყო, რომ ჩემს მკლავზე დამჭკნარიყო ეს კრძალეულების ყვავილი, ეს სამოთხის ანგელოზი, ეს მთელი ქვეყნის ქალების თვალისჩინი და უმანკოების გვირგვინი!

ბევრიც სხვა ამგვარი ირატრატა, ისე, რომ, ვინც მის ლაპარაკს გაიგონებდა, მთელს ქვეყანაზე უერთგულეს, დიდად შეწუხებულ მოახლედ ჩასთვლიდა, ხოლო მის ქალბატონს - ბედისაგან დევნილ მეორე პენელოპედ. კამილა მალე მობრუნდა, თვალეები გაახილა თუ არა, მაშინვე დაიძახა:

- ლეონელა! ნეტა რაღას უცდი, რატომ არ დაუძახებ იმ ჩემი ქმრის უპატიოსნო მეგობარს, იმ გულმართალი ადამიანის მეგობარს, რომლის მსგავსიც ცის ქვეშ და დედამიწის ზურგზე არავინ დაიარება? გასწი, გაიქე, გადრინდი, ღვთის გულისათვის, დაეშურე, რომ შენმა დაყოვნებამ ჩემი რისხვის ალი არ გაანელოს და ჩემგან გადაწყვეტილთ სამართლიანი შურისძიება მარტო მუქარად და შეჩვენებად არ შეიცვალოს.

- ახლავე დავუძახებ, ქალბატონო, - მიუგო ლეონელამ, - მაგრამ ჯერ ეგ ხანჯალი მომეცი თორემ მეშინია, რომ გავალ, არა აიტეხოთ რა და ვისაც გვიყვარხართ, თქვენს ახლობლებს მთელი სიცოცხლე სატირალი არ გაგვისადოთ.

- ნუ სწუხარ, ჩემო კარგო ლეონელა, რაც უნდა გაბედულად და თავგამოდებით გისწრაფოდე ჩემი გამაუპატიურებლის მაგიერის გადახდევინებას, მანც ლუკრეციას გაბედულება ვერ მექნება, უდანაშაულოდ რომ გაიგმირა გული და თავის დაღუპვის მიზეზი კი ცოცხალი დასტოვა. თავს ისე არ მოვლავ, ჯერ მაგიერი მას არ გადავუხადო, ვინც უდანაშაულოდ ამ ცრემლებს მაფქვევინებს.

ლეონელამ ლოტარიოს დაძახება ერთიგ კიდევ ათქმევინა თავის ქალბატონს და შემდეგ ბრძანების ასასრულებლად გავიდა. მანამ დაბრუნდებოდა, კამილა თავის თავს ეუბნებოდა:

- ღმერთო, შემინდე ჩემი შეცოდება! არ ემჯობინებოდა ახლა ისე დამეთხოვა ლოტარიო, როგორც კვლავ დავითხოვდი ხოლმე, ვიდრე მისთვის მიზეზი მიმეცა უნამუსო, მსუბუქი ზნის ქალად დავესახე, თუნდაც ეს ჩემი განზრახვა ამის წინააღმდეგის დამტკიცებაც ყოფილიყო? დიახ, ასე რომ მექნა, ემჯობინებოდა, მაგრამ ჩემი გაუპატიურებისათვის მაგიერს როგორღა გადავუხდიდი, ჩემი ქმრის პატივს როდისღა აღადგენდი, თუ კი მოღალატე თავის უსირცხვილო განზრახვებს ასე ადვილად დაუმვრებოდა? არა, არა, თავის უგვანობა თავის სიცოცხლით უნდა ზღოს; ქვეყანამ უნდა გაიგოს, თუ კი ქვეყნისათვის საჭიროა ამის გაგება, რომ კამილამ არა თუ მარტო ქმრისადმი ერთგულება დაიცვა, არამედ ისიც დასაჯა, ვინც მისი გაუპატიურება განიზრახა. მაგრამ მაინც ემჯობინებოდა ყველაფერი ანსელმოსათვის შემეტყობინებია. მაგრამ, აკი ყველა მივწერე სოფელში, მეტი რაღა შეტყობინება უნდოდა? და თუ ბოროტის მოსასპობად მაშინვე რაიმე ღონისძიებას არ დაადგა, ვფიქრობ იმიტომ მოუვიდა ეს, რომ მეტისმეტი გულკეთილია და მინდობილი ხასიათისაა. ამიტომაც ვერ დაიჯერა, რომ მისმა ვერაგმა მეგობარმა მისი პატივის ახდა მოიწადინა. დიდხანს არც თუ მე მჯეროდა ეს და არც როდისმე დავიჯერებდი, თუ იმ ავაზაკს თავისი თავხედობა ძვირფასი საჩუქრებით არ გამოეამკარავებინა. დაუსრულებელი დევნით და დაუშრეტელი ცრემლებით არ მოეტანა იერიში. მაგრამ ამაზე ლაპარაკი რაღა დროსია? ბეჯითს გადაწყვეტილებას რყევა აღარ შეფერის, არა, არა, ღალატი უნდა დაემხოს და შურისგებამ ძლევა შეიმოსოს, მაშ მოდი, მოღალატეც, და აქ მოკვდი, მერე, დაე, იყოს - რაც იქნება, უმანკო შევეყარე, ვისაც ზენამ ცოლად მარგუნა და

უმანკოდვე უნდა გავეყარო მას, თუნდაც იმასათვის საკუთარი სისხლის დათხევაც დამჭირდეს და იმ მეგობართა შორის უპატიოსნო კაცს სისხლისაც, მეგობრობის გრძნობას რომ შეურაცხყოფს.

ამას ამბობდა და თან ხანჯალმოდერებული უცნაური ხელის ქნევითა და მიხრა-მოხრით აჩქარებული დადიოდა ოთახში და ნაზი დედაკაცის სახე რაღაც მძვინვარე, თავზეხელაღებული ადამიანის სახედ შესცვლოდა.

ანსელმო სამალავიდან ყველა ამას ისმენდა და ხედავდა. და, მისი აზრით, ეს სანახავიც საკმაო იყო, რომ მის ყოველგვარ ეჭვებზე უდიდესი ეჭვებიც გაექარებინა. რა ძალიან სურდა ამ სახიფათო წამში ლოტარიო არ შემოსულიყო, უბედურებას ზედ არ გადაყრიდა, და, ის იყო დააპირა სამალავიდან გამოსვლა, კამილას გადახვევა და მოალერსება, სწორედ ამ დროს ლეონელა შემოვიდა ოთახში და თან ხელმოკიდებით ლოტარიო შემოიყვანა. დაინახა თუ არა ლოტარიო, კამილამ ხანჯლის წვერით იატაკზე წრე შემოავლო და იმ წრეზე მითითებით უთხრა:

- ლოტარიო, ამ წრის გადმოხიჯება, თუნდაც მოახლოება თუ გაგიბეღია, იმწამსვე ჩემს გულს ხანჯლით გავიგმირავ. ჯერ მანამ ჩემს კითხვებზე მიპასუხებდე, ისე მოისმინე, რომ სიტყვა არსად გამაწყვეტინო; მერე მიპასუხე, რაც გენებოს. ჯერ ეს მითხარ: ჩემს ქმარს ანსელმოს იცნობ, თუ არა, და იმაზე შენ რა აზრისა ხარ? მერე - მიცნობ თუ არა მე, ახლა რომ გელაპარაკები? დამშვიდებით მიპასუხე, დაუბრკოლებლად, რადგან ძნელ საპასუხო კითხვებს გაძლევ.

რაკი ლოტარიომ იცოდა, იქვე გვერდზე ანსელმო იყო დამალული, ამ კითხვის აზრს მაშინვე მიხვდა და საბედნიეროდ ისეთი მარჯვე პასუხი მისცა, რომ გარეშე მსმენელი ვერაფერ ეშმაკობას ვერ შეამჩნევდა.

- არ მეგონა, მშვენიერო კამილავ, - უპასუხა ლოტარიომ, - რომ შენ მე ამ კითხვების საპასუხოდ დამიძახებდი, რომელნიც ჩემი აქ მოსვლის განზრახვებს სრულებით არ შეესაბამებთან. თუ შენ ამას იმიტომ ჩადიხარ, ჩემი აღზნებული სიყვარულის სამაგიერო ჯილდო უფრო დამიშორო, მაშ ბარემ უფრო შორიდან დაიწყებდი, იმიტომ, რომ ნეტარების სურვილი იმდენად მეტად მახელებს და მქანცავს, რამდენადაც მისი მიღწევის იმედი მიახლოვდება, მაგრამ, რომ არ გეგონოს შენი კითხვების პასუხზე უარსა ვყოფდე, გეტყვი, რომ ბავშვობოდანვე ვიცნობ ანსელმოს და ისიც მიცნობს მე. მაგრამ ჩვენი ერთმანეთის მეგობრობაზე კი დავდუმდები, ჩვენი მეგობრობა შენც იცი, და, ამასთანავე იმიტომ დავდუმდები, რომ ის შეურაცხყოფა არ მინდა გავიხსენო, რასაც მეგობრობას ვაყენებ იმით, რომ შენ მიყვარხარ. რა გაეწყობა? ყოვლადშემძლებელი სიყვარული უფრო უმეტეს დანაშაულსაც ამართლებს და ხდის ბოდიშს, რამდენადაც ანსელმოს ვიცნობ, შენც იმდენად გიცნობ, და შენი დასაკუთრება ჩემთვის ისეთივე ბედნიერებაა, როგორც მისთვის. ან კი როგორ განვიზრახავდი ჩემი თავის დალატს, მეგობრობის იმ წმინდა კანონთა დარღვევას, ახლა რომ ჩემში დათრგუნვილი არიან, მაგრამ ყველაფერი შემემთხვა იმ ძალოვანი და მკაცრი მტრისაგან, რასაც სიყვარული ჰქვია, მერე ისიც შენი მშვენიერებისაგან ჩანერგილი.

- თუ შე მაგას კიდევ აღიარებ, შე დაუძინებლო მტერო ყველა იმისა, რაც ამქვეყნად საყვარელია, - წამოიძახა კამილამ, - როგორ ბგდავ თვალებში უცქირო დედაკაცს, შენგანვე იმ სარკედ დასახულს, რომელშიც ის ადამიანი იცქირება, ვიხედავ ამჟამად თვალები უნდა

გკონდეს მიქცეული, რომ დაინახო, თუ რა ახირებულად შეურაცხყოფ შენ მას! მაგრამ, ვაი, მე უბედურს! ახლა ვგრძნობ, რამაც დამაკარგვინა შენი თავის პატივისცემა; იქნებ როგორმე მოუფიქრებლად დავიჭირე თავი; მაგრამ, მგონია, სამრახისი კი არა ჩამიდენია რა შენდამი. დედაკაცისათვის თავისუფალი ქცევა რა სამრახისია, როდესაც მოსარიდებლად არავინ მიაჩნია. აბა, მითხარ, მოლალატევ, შენ რომ ჩემს სიყვარულს აღიარებდი, ხვეწნა მუდართით რომ აღარ მასვენებდი, განა მე შენთვის ისეთი პასუხი რამ მომიცია სიტყვით ან ქცევით, რომ ადრე თუ გვიან შენი უწმინდური სურვილის აღსრულების იმედი მოგცემოდა? აბა მითხარ, როდის მომისმენია შენგან ტრფობის სიტყვები და პირიქით, მუდამ არ დამითხოვნიხარ და მკაცრი სატყვებით არ დამიგმიხარ? განა მრწმენია როდისმე შენი ფიცი, შენი ათასგვარი აღთქმანი, მიმიღია როდისმე შენი მაცდუნებელი საჩუქრები? მაგრამ, რადგან ვერ წამომიდგენია, რომ მუდამ დათხოვნილი და უგულვებელყოფილი კაცისთვის შესაძლო იყოს ეგრე ახარებთ დევნა და მიჯნურობა, იმიტომ ეგ შენი გაჯიქებული კადნიერება ჩემს თავს უნდა დვაბრალო, იქნებ ჩემმა რაიმე უნებლიე ქცევამ იმედი გაამტკიცა შენში - მაინც და მაინც შეგეცდინე, ამიტომ ჩემს თავს მინდა მივცე სასჯელი, რა რისხვაც შენმა დანაშაულმა დაიმსახურა, ის რისხვა თვითონ ჩემს თავს უნდა დავატეხო, მაგრამ რამდენადაც ჩემი თავის დანდობა არ მინდა, იმდენ არც შენი დანდობა მწაღია და ამიტომ მოგიხმე აქ, რომ იმ მსხვერპლს შეწირვის მოწმედ ყოფილიყავ, რა მსხვერპლითაც მსურს ჩემი ქმრის დიდ შეურაცხყოფილი პატივი და სახელი გავემინდო. კიდევ ვიტყვი, რომ მის შეურაცხყოფაში დანაშაული მეცა მაქვს, რადგან ფრთხილად არ მეჭირა თავი და ამით გულში იმედი გაგიჩინე - ოდესმე შენი შემცოდე მიზნისთვის მიგელწია. ის ფიქრი მეტად მაშფოთებს, რომ ჩემმა გაუფრთხილებლობამ შენი უშვერი განზრახვა გაგიმტკიცა და ძალას მატანს - ჩემი თავი ჩემივე ხელით განვმეხო, სხვა ჯალათის ძეგნა ხომ ჩემი შეცდომის საქვეყნოდ გამომჟღავნება იქნებოდა. მაგრამ კიდევ გეტყვი, მარტო არ მოვკვდები და თან იმასაც წავიყოლებ, ვისი სიკვდილიც ჩემს შურისძიებას გაადლებს, მაშინ გაიგებს იგი, სადაც უნდა იყოს მისი სული, გაიგებს, რომ სიმართლე დამნაშავეს ყველგან მოსძებნის და დათრგუნავს კადეც.

ეს უკანასკნელი სიტყვა რომ თქვა კამილამ, ისეთი სისწრაფით მივარდა ლოტარიოს გაშიშვლებული ხანჯლით და ისეთი მტკიცე განზრახვა გამოიჩინა მისი გულის განგმირვისა, რომ თვითონ ლოტარიოსაც ცოტა არ იყოს, შიშისაგან ფერი ეცვალა და იძულებული შეიქნა ყველა ხერხი და ღონე ეხმარა, რომ დარტყმა აეცდინა; ამ თვალთმაქცურმა მოქმედებამ იქამდის გაიტაცა კამილა და ისეთი გულმოდგინებით ასრულებდა იავას ოინზაზობას, რომ ორიოდე წვეთი თავის საკუთარი სისხლის შიწირვაც კი გაბედა, რაა ოინს უფრო ნამდვილი სახე მისცემოდა. თავი მიჩვენა - ვითომ ლოტარიოს ვერას აკლებდა და შეჰკვივლა:

- თუ ჩემს ბედს არ უნდა სრულიად დავიკმაყოფილო თავი, იმას ხომ ვეღარ დამიშლის, სანახევროდ მაინც შევასრულო ჩემი განზრახვა.

ხანჯლის წასართმევად ეჯაჯგურა ლოტარიოს და, რომ ვერ წაართვა, წვერი თავისაკენ მიიზიდა და იმ ადგილას იტაკა, სადაც ტანში ღრმად წასვლა ვერ შეეძლო; მარცხენა გვერდში იბგერა, ცოტაოდენად გაიკაწრა და, ვითომ უგონო, იატაკზე დაეცა.

კამილას ამ მოულოდნელმა საქციელმა ლოტარიოსა და ლეონელას თავზარი დასცა: გულშეღონებულსა და გასხლიანებულს რომ ხედავდნენ იატაკზე, შიშსა და განცვიფრებისაგან არ იცოდნენ რა ექნათ. ლოტარიო გამალელებული მივარდა კამილს ხანჯლის წასართმევად, მაგრამ რა ნახა კანი ოდნავ ჰქონდა გაკაწრული, სრულიად დამშვიდდა და მხოლოდღა ამ

ქალის სიმარჯვე და ოსტატობა უკვირდა. და რომ თვითონაც მაგიერი მიეზღო, კამილას გვამზე გრძელსა და მწუხარე გოდებას მოჰყვა, თითქოს მართლა მომკვდარიყოს, თავის თავსაც სწყევლიდა და იმასაც, ვინც ამ სისხლიერი უბედურების მიზეზი იყო. რაკი ანსელმო ისმენდა ამას, ამიტომ ისე საბრალოდ მოსთქვამდა, რომ ამის გამგონი ლოტარიოს უფრო შეიბრალებდა, ვიდრე კამილას, თუნდაც რომ მართლა მკვდარიც ყოფილიყო. ამასობაში ლეონელამ კამილა აიყვანა და საწოლზე დააწვინა, ხოლო ლოტარიო ემუდარებოდა ისეთი ვინმე მოეყვანა, რომ ქალბატონის ჭრილობა საიდუმლოდ შეეხვია და თანაც რჩევას ეკითხებოდა, ამ ჭრილობის მიზეზად ანსელმოსათვის რა ეთქვათ, თუ ვინიცობაა სოფლიდან მის მორჩენამდის დაბრუნებულიყო. ლოტარიომ უპასუხა, რომ ახლა რჩევისათვის არა სცხელოდა და ის ეთქვა, რაც თვითონ ჭკუაში მოუვიდოდა; მხოლოდღა იმას სთხოვდა ლეონელას, როგორმე სისხლის დენა შეეყენებინა; შემდეგ თვალთმაქცური სასოწარკვეთილებით, კრულვა-წყევლით გაემართა წასასვლელად და თანაც თქვა, ახლა ისეთ ალაგას მივდივარ, რომ კვლავ ვერარავინ მნახავსო. მარტო რომ დაიხელა თავი და დარწმუნდა, ვერარავინ ხედავდა, პარჯვრის წერა დაიტყო და საოცრად უკვირდა, ქალბატონმა და მოახლემ ასე ოსტატურად და ხერხიანად როგორ ითვალთმაქცეს და ანსელმოც რარიგად უნდა ყოფილიყო დარწმუნებული, რომ მისი ცოლი - მეორე პორცია არისო. ამასთან ფიქრობდა, ანსელმოს და მას საგანგებოდ ედღესასწაულათ ეს ამბავი, სადაც სიცრუემ ისე ჩინებულად მიიღო ჭეშმარიტების სახე, რომ ადამიანი რაიმე მისი მსგავსის ჩადენას ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა.

ლეონელამ, როგორც ვთქვით, თავის ქალბატონს სისხლის დენა შეუწყვიტა (და იმდენადაც არა სდენია, რომ შეწყვეტა გასჭირვებოდა, მაგრამ რაც ედინა, ანსელმოს მოსატყუებლად ისიც საკმაო იყო), ჭრილობა ღვინით გაჰბანა, როგორც კი შეეძლო, შეუკრა და თან ისეთს სიტყვებს ამბობდა, რომ ანსელმოს ადვილად დაარწმუნებდნენ: მისი ცოლი განხორციელებული სათნოება იყო. ლეონელას ნათქვამს კამილამაც დაურთო ორიოდე სიტყვა და თავის თავს აყვედრიდა, რომ სწორედ იმ წამში შეშინდა და დაემართა სულმოკლეობა, როდესაც მისთვის სიმტკიცე იყო საჭირო სამულველი სიცოცხლის თავისივე ხელით მოსპობისათვის. ახლა თავის მოახლეს კითხავდა რჩევას, საჭირო იყო თუ არა ყველაფერი ეს თავის ძვირფასი ქმრისათვის შეეტყობინებია. ლეონელამ არ ურჩია ეს, რადგან ამის შეტყობინებით ანსელმოს იძულებულს ხდიდა ლოტარიოსათვის მაგიერი გადაეხადა და ვაითუ ამას თვითონ ანსელმოს უბედურებაც მყოლოდა თან; რიგაინ ცოლს კი ქმრისათვის სისხლიერი შეტაკების მიზეზი არა თუ არ უნდა მიეცა, არამედ ყველა ღონე უნდა ეხმარა ასეთი შემთხვევა მოერიდებინა როგორმე. კამილა მოახლის რჩევას დაეთანხმა, მხოლოდ ესღა იყო მისი გაჭირვება - იმ გაკაწრულს ხომ ვერ დაუმალავდა ქმარს და მაშინ მიზეზად რაღა უნდა ეთქვა მისთვის. ლეონელამ ამაზე უპასუხა, ტყუილის თქმა არ მისწავლიაო, თუნდაც კეთილი განზრახვისათვის საჭირო იყოსო.

- განა მე კი მისწავლია ტყუილის თქმა, ჩემო დაო, შეუტია კამილამ. - ჩემი სიცოცხლის დასაცველადაც რომ იყოს საჭირო ტყუილის მოგონება, მაშინაც ვერ მოვიგონებდი. და თუ ამ გაჭირვებიდან სხვა ვერა გვიხსნის რა, ისევ ისა სჯობს, ანსელმოს ყველაფერი მართალი ვუთხრათ და საწუხრად ნუ გავიხდით - ვაითუ ტყუილი გამოგვაჩნდესო.

- ხვალამდის ჯერ კიდევ ბევრი დროა, ქალბატონო, - მოახსენა ლეონელამ, მაგრამ თქვენს ჭრილობაზე ბატონ ანსელმოს სათქმელად ან მოვიფიქრებთ რასმეს, ან სხვა საშუალებას გამოვნახავთ, რომ დავფაროთ, ვიდრე ღმერთი ინებებს და ჩვენს კეთილ განზრახვას ხელს მოუმართავს. ოღონდ ახლა კი დამშვიდდით, ქალბატონო, და გული მოიბრუნეთ, რომ ბატონმა



ანსელმომ შფოთსა და მღელვარებაში არ მოგასწროთ, დანარჩენი ჩემზე მოაგდეთ და ღვთის სასოება იქონიეთ, - ის არის ყველა კეთილი საქმის გამმართავი.

ამასობაში ანსელმო დიდი ყურადღებით ისმენდა და გაფაციცებით უმზერდა თავის პატიოსნების დაღუპვის ტრაგედიას, სადაც მოქმენი პირნი ისეთი სინამდვილით და ბუნებრიობით ასრულებდნენ თავიანთ როლებს, თითქოს დროებით მართლა იმ პირებად შეიქმნენ, ვისაც წარმოსახავდნენ. ახირებული მოუთმენლობით ელოდა დადამებას, სამალავიდან თავი დაეღწია, თავის ძვირფას მეგობართან გაფრენილიყო და მასთან ერთად ეხეიმა ეს სასიხარულო ამბავი და ამ უფასო განძის პოვნა, კამილას გამოცდით შექმნილი. ოინბაზებმა დადამებამდისაც აასრულებინეს ეს სურვილი, და დაიხელა თუ არა ანსელმომ დრო, მსწრაფლ ოთახიდან გავიდა და ლოტარიოსაკენ გაემურა. ადამიანის ენამ არ შეიძლება შესაფერად გამოთქვას, თუ რა ცხარედ გადაეხვია თავის მომტყუებელ მეგობარს, რა ქება-დიდებას შეასხამდა თავის ცოლს და რარიგ ბედნიერად სახავდა თავის თავს. მაგრამ ლოტარიო მისი სიხარულის გაზიარებას ვერ ახერხებდა. სინდისი სიცრუეს ამხილებდა და იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ სასტიკად მოტყუვდა ანსელმო და რა უსამართლოდ შეურაცხყო ლოტარიომ ის. ანსელმო თავს ბედნიერად მხოლოდ ამ სიცრუის მეოხებით თვლიდა. ანსელმო ხედავდა, რომ ლოტარიო მოწყენილი იყო, მაგრამ ეს იმას მიაწერა, რომ ლოტარიოს კამილას ჭრილობა აწუხებდა, რადგან ამის მიზეზი, უმთავრესად თვითონ ის იყო. მოტყუებული ქმარი ცდილობდა მეგობარი დაემშვიდებინა, არწმუნებდა, რომ კამილას იმით არა უშავდა-რა, რომ ჭრილობა უეჭველია მსუბუქი უნდა ყოფილიყო, რაკი კამილამ და მისმა მოახლემ ერთმანეთს პირი მისცეს ჭრილობა ანსელმოსათვის დაემალათ, "გეთაყვა, ნურას იწუხებ, - ეუბნებოდა იგი, - ჩემთან ერთად გაიხარე, რადგან შენი საშუალებით და ხერხიანობით ჩემს თავს ბედნიერების უმაღლეს წერტილამდე აყვანილს ვხედავ. ამიერიდან ყველა ჩემი თავისუფალი წამები მხოლოდ იმას უნდა მოვახმარო, რომ კამილას პატივსაცემად ლექსები ვწერო, ვაქო და ვადიდო იგი და ამით მას სამარადისო სახელი გავუთქვაო". ლოტარიომ ძალიან მოიწონა ანსელმოს ბრძნული აზრი და თავის მხრივაც აღუქვა მისი ცოლის საუკუნო სადიდებლად ძეგლის აღმართვაში შესწევნოდა.

ამგვარად ანსელმო მთელს ქვეყანაზე საუკეთესოდ მოტყუებულ ქმრად დარჩა. კვლავ მეგობრულად მიიღებდა ხოლმე ლოტარიოს, თავის დიდების იარღად მიჩნეულს, ნამდვილად კი მისი გაუპატიურების და დაღუპვის იარღს; ხოლო კამილა უკმაყოფილო და კუმტი სახით დახვდებოდა ხოლმე მას, გულში კი კმაყოფილი და აღტაცებული იყო. ამ თვალთმაქცობამ ცოტა ხანს კიდევ გასტანა და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩარხი უკულმა დატრიალდა; დიდხანს დაფარული უპატიურობა დამოაშკარავდა და ანსელმომაც უგუნური ცნობისმოყვარეობა სიცოცხლით ზღო.

თავი XXXV

სადაც მოთხრობილია სასტიკი და არაჩვეულებრივი ბრძოლის ამბავი, დონ კიხოტს რომ წითელი ღვინის ტიკებთან მოუხდა, და "უგუნური ცნობისმოყვარის ამბავის" დასასრული

ამ მოთხრობის რამდენიმე კაბადონი რომ დარჩათ წასაკითხი, სხვენიდან, სადაც დონ კიხოტს ეძინა, უცებ სანჩო გამოვარდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ღრიალებდა:

- ღვთის გულისათვის, ბატონებო, ჩქარა უშველეთ ჩემს ბატონს! ისეთს საშინელს ბრძოლაში და სისხლის ღვრაშია, რომ მისი მსგავსი ჯერ არა მინახავს რა! ღვთის მადლმა, პრინცესამიკომიკონის დამჩაგრავ დევს ისეთი დაჰკრა ხმალი, რომ თავი თალგამივით გააგდებინა.

- რას გაგიჟებულხარ, - დაუყვირა მღვდელმა და კითხვა შეწყვიტა. - დევი საიდან მოგეჩვენა, ძმობილო? ის აქედან ორი ათასი მილის სიშორეზე მაინც იქნება.

ამ დროს დონ კიხოტის სხვენზე საშინელი ხმაური გაისმა და თან მისი ყვირილიც მოყვა:

- დადექ! შე მოღალატევ, შე ქურდო და ყაჩაღო! - ღრიალებდა დონ კიხოტი; - დადექ! შე ფიცის გამტეხო, გამვლელ-გამოვლელთა მძარცველო, ხელში მყავხარ დაბლუჟული და ეგ მახვილი ველარაფრად გამოგადგება!

ამ ბოლო სიტყვებთან კედელზე ხმლის ტყაპა-ტყუპიც მოისმა. სანჩომ კი წამოიძახა:

- გულხელდაკრეფილი და ყურებჩამოყრილი სხდომის დრო არ არის, მოდით, მებრძოლნი გააშველეთ, ჩემს ბატონს უშველეთ რამე. მაგრამ დევმა, მგონია, თქვენი ჭირიც წაიღო და ახლა, ვინ იცის, ღმერთებს თავისი წარსული ცხოვრების ანგარიშსაც აბარებს. ჩემი თვალთ დავინახე, რომ იატაკზე სისხლისღვარი დაინთხა და სწორედ ტიკის ოდენა თავი კუნჭულისაკენ გაგორდა.

- თქვენი მოძულეებული მოვკვდე, - დაიძახა მეფუნდუკემ, - თუ იმ დონ კიხოტს თუ დონ ჯანდაბას ჩემი ღვინის ტიკები არ დაეჭრას, მის სასთუმალთან რომ ეწყო, და ამ რეგვენსაც ის ღვინო სისხლად არა სჩვენებოდეს.

ესა თქვა თუ არა, მაშინვე სხვენზე ავარდა, ყველანიც თან აყვნენ და მათ დონ კიხოტი სასაცილო სანახავი დახვდათ. პერანგისამარა იყო და ისიც ისეთი მოკლე ეცვა, რომ წინ ბარძაყებს ნახევრად ძლივს უფარავდა და უკან ექვსი თითის დადებზე უფრო მოკლე იყო. გრძელი, კანჭა და ბალნიანი ფეხები საკმაო ჭუჭყიანი ჰქონდა; თავზე პატარა წითელი ჩაჩი ეხურა, მეფუნდუკის თავის ცხიმით დიდხნობიდანვე გაქონილი; მარცხენა ხელზე დაეხვია სანჩოს სამულველი საბანი (მისთვის ცნობილი მიზეზის გამო - მართლაც სამულველი), ხოლო მარჯვენაში გამიშვლებული ხმალი ეჭირა და საშინელი მუქარით აქეთ და იქით უთხლაშუნებდა, თითქოს მართლაც დევს ებრძოდაო. მაგრამ ყველაზე უკეთესი ის იყო, რომ ეს ომი დევთან სიზმარში ჰქონდა და თვალდახუჭული იბრძოდა. ცხადლივ სულ იმის ფიქრში იყო, რომ ბრძოლა უნდა გადაეხადა, და ამიტომაც ესიზმრა, ვითომ მიკომიკონის სამეფოში უკვე მივიდა და დევს შეებრძოლა, მის მაგიერ კი სავსე ტიკებს ჩეხდა და მთელი სხვენი ღვინით მოღვარა.

ეს რომ დაინახა, გაბრაზებული მეფუნდუკე მივარდა დონ კიხოტს და მუშტებით ისეთი მიბეგვა დაუწყო, რომ, თუ მღვდელი და კარდენიო არ მიშველებოდნენ და ხელიდან არ გაეგდებინებინათ, ვინ იცის, მისთვის ეს დევთან ბრძოლა უკანასკნელი იქნებოდა. მაგრამ იმ მუშტებმაც ვერ გამოგაღვიძეს რაინდი, მაშინდა ძლივს გამოფხიზლდა, როცა დალაქმა ჭიდან ერთი ტოლჩა ცივი წყალი ამოიღო და თავზე ჩამოასხა. გამოფხიზლებისას მაინც დიდხანს ვერ მოვიდა გონზე, თუ სად იყო და ან როგორ იყო ჩაცმული. დოროთეამ რომ დონ კიხოტის ხალვათი მორთულობა დაინახა, თავის მჩაგვრელისა და მოსარჩლის ბრძოლას ვეღარ დაესწრო, სანჩო კი დევის თავს ბობღვით ეძებდა ყველა კუთხეში, და რომ ვერსად იპოვა, დაიძახა:

- კარგად ვიცოდი, რომ ეს შეჩვენებული სახლი ჯადოქრობითაა სავსე, ამას წინათ სწორედ ამავე ადგილას მუშტებითა და წიხლით რამდენი მბეგვეს და ის კი მაინც ვერ გავიგე და ვერც ვხედავდი, ვინა მცემდა. ახლა კი დევის თავი ჩაიყლაპა. ნეტავ ჩემი თვალით მაინც არ დამენახოს, რომ მოკვეთეს და სისხლის ნაკადულებმა რუსავით დაიწყეს დენა.

- ნეტავ რას მიედმოედები, რის სისხლი, რის ნაკადულები, რის შადრევანი, ღმერთმა დაგწყევლოს, შე ეშმაკის ნაგლეჯო, შენა! - შეუტია მეფუნდუკემ, - განა ვერა ხედავ: ეგ შენი ნაკადული და შადრევანი ხმლით დაჭრილი ტიკებია და სისხლიც ჩემი წითელი ღვინოა, ლამის რომ ოთახი მოიტვიტოვოს და შიგ კაცი აცურდეს? ისე მაგის სული ეშმაკებმა ტანჯონ და აჯახირონ ჯოჯოხეთში, როგორც ჩემი ტიკები დაუჭრია.

- მაგეებისა მე არა ვიცი-რა, - მიუგო სანჩომ, - მე მარტო ის ვიცი, რომ თუ დევის თავი ვერ ვიპოვე, ჩემი გრაფობა ისე გადნება, როგორც წყალში მარილი.

მღვიძარე სანჩო თავის მძინარე ბატონზე უფრო მეტად იყო გადარეული, დონ კიხოტის დაპირებამ მის სუსტ ტვინზე ისე ძლიერად იმოქმედა. მეფუნდუკეს ბრაზი ერეოდა, საჭურველმტვირთველი რომ თავისი ბატონისაგან აობრებულ ღვინოზე გულგრილად უტყუროდა. ფიცავდა, რომ ამ ჯერობაზე დონ კიხოტი და სანჩო პანსა წინანდელივით ფულის გადაუხდელად ვეღარ გაუსხლტებოდნენ ხელიდან, რომ რაინდობის უპირატესობა ვეღარას უშველიდა მათ და საზღაურისაგან ვეღარ დაიხსნიდა; იმასაც კი არ შეარჩენდა, რაც გაფუჭებული ტიკების დაკერებას მოუხდებოდა. ამასობაში დონ კიხოტის დასამშვიდებლად მღვდელს მისი ხელები ეჭირა; რაინდმაც ფათერაკი დასრულებულად ჩათვალა და ისე ეჩვენა, ვითომ ახლა პრინცესა მიკომიკონის წინ იდგა, მღვდელს დაუჩოქა და მოახსენა;

- მშვენიერო, მაღალ კეთილშობილო და დიდებულო მფლობელო სეფექალო! ამიერიდან უზრუნველად შეგიძლიათ იცხოვროთ და აღარავისი შიში აღარ გქონდეთ. მეც აგრეთვე ამავე დღიდან იმ მოვალეობისაგან გათავისუფლებულად ვთვლი ჩემს თავს, რაც ამასწინათ აღვითქვით; რადგან ღვთის შეწევნითა და იმ ქალის წყალობით, ვისითაც ვცოცხლობ და ვსუნთქავ, ის ალთქმა დიახ ბედნიერად აღვასრულე და თქვენი საქმე დავაბოლოვე.

ეს რომ მოისმინა სანჩომ, წამოიძახა.

- ახლაც იტყვით, ტყუილიაო? არა, განა მე მთვრალი ვიყავ, თუ რა იყო! ახლაც იტყვით, რომ ჩემმა ბატონმა დევი არ დასჩეხა? ღმერთსა ვფიცავ, ჩემი საქმე გაკეთდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა, გრაფობა ვითომ ჯიბეშიც მდებია.

ამ ორი გიჟი კაცის დამთხვეულობაზე ვის არ აუტყდებოდა სიცილი, და მართლაც იმდენი იცინეს, რომ თვალეში ცრემლები მოერიათ. მარტო მეფუნდუკე ვერ იყო სიცილის გუნებაზე. გაბრაზებული თავსა და ბედს აწყევლიდა. ბოლოს მღვდელმა, დალაქმა და კარდენიომ, როგორც იყო, დონ კიხოტი ლოგინში დააწვინეს და რაინდსაც დაწოლის უმაღვე დაეძინა, როგორც დიდი შრომით დაქანცულ კაცს დაეძინება ხოლმე. დონ კიხოტი დააძინეს თუ არა, ყველანი ქვევით ოთახში ჩამოვიდნენ და შეწუხებულ სანჩო პანსას, დევის თავი რომ ვერ იპოვა, რითაც იყო ანუგეშებდნენ. მაგრამ მეფუნდუკის ნუგეშისცემა კი ძალიან გაუჭირდათ, რადგან თავის ღვინის ისე უცებ ერთიანად ხელიდან გამოცლამ სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა. მეფუნდუკის ცოლმაც ერთი უშველელი ღრიალი ასტეხა და ხელების ქნევით იძახდა:

- შავ და უკუღმა ის დღე, და რისთვის თვალეები მაშინ არ დამიდგა, რა დღესაც ჩემს სახლში ეს შეჩვენებული მოტანტალე რაინდი შემოვიდა, ზარალის მეტს კი ვერასა ხედავს კაცი ამისაგან. ამას წინათ, ისე წავიდა აქედან, არც ბინის ფასი გადაუხდია, არც ვაზშმისა, არც ბზისა და ქერისა, არც თავის დანახარჯი მოგვცა, არც თავის მსახურისა, არც ცხენისა და არც ვირისა, აქაო და რაღაც ეშმაკი ფათერაკების მამებარი რაინდი ვარო. ისეთი ფათერაკიც დამართია მაგასაც და ყველა მაგისფერ ფათერაკის მამებარსაც, რომ კისერიც მოეტეხოთ. ჩვენაო, არაფრის გადახდის თავი არა გვაქვსო და არც გადახდის მოვალენი ვართო! რაღაც ეშმაკ მოტანტალე რადარების კანონებში ასე სწერიაო. მერე კიდეც, ამის გადამკიდე, ეს ვიღაც ბატონი მობრძანდა და იმანაც ჩემი კუდი მოიტაცა და დაბრუნებით კი ნახევარდა დამიბრუნა, ისიც ისე გაყველეფილი, რომ ჩემს ქმარს ვეღარც კი გამოადგება. დღესაც კიდეც, ბატონო, ამ რაინდმა, ჩემი ტიკები დახეთქა და ღვინო მთლად დამიღვარა. ვიშ, ნეტავ ახლა იმას სისხლსა ვხედავდე ასე დაღვრილსა. მაგრამ ვიცი, მამაჩემის ძვლებსა ვფიცავ და დედაჩემის სიცოცხლეს, ბებიაჩემის სულის განათლებამ, აქედან ფეხსაც არ გადავადგმევინებ, მანამ ყველაფერში არ დავათვლევინებ ფულს, უკანასკნელ გროშსაც არ შევარჩენ; თუ ასე არ ვუყო, მაშ ჩემი მშობლების ქალი ნუღარ ვყოფილვარ და ის სახელიც ნუღარ მრქმევია რაცა მქვია.

გაჯარებულ გულზე, მრავალი ასეთი მრისხანებით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა მეფუნდუკის ცოლმა და ამ სიტყვებს ბანს აძლევდა მისი ძელი და ერთგული მოსამსახურე მარიტორნესი; მხოლოდ მისი ქალიშვილი არას ამბობდა და მარტო ჩუმჩუმად იღიმებოდა. და, ბოლოს, მღვდელმა, როგორც იყო დააწყნარა ეს დავიდარაბა და აღუთქვა - ყველა ზარალს აუნაზღაურებდა: დახეულ ტიკებისასაც, დაქცეულთ ღვინისაც და უმეტესად კიდეც გაფუჭებული კუდისას, რომელზედაც დიასახლისს ყველაზე მეტი აყალმაყალი აეტეხა. დოროთეა სანჩო პანსას ანუგეშებდა და პირდებოდა: თუ შენმა ბატონმა დევს თავი ნამდვილად მოჰკვეთა, როცა ჩემი სეხელმწიფოს მფლობელობაში შევალ, რაც კი იქ საუკეთესო საგრაფო მეგულეა სწორედ იმას მოგცემო. ამ დაპირებამ დაამოშმინა სანჩო, და პრინცესას ემუდარებოდა, დამერწმუნე, რომ იატაკზე გაგორებული დევის მოკვეთილი თავი ჩემთ თვალითა ვნახეო, ამ ნიშნით, რომ სასარტყლემდის წვერი ქონდაო, და თუ ვეღარსად ვიპოვნეთ, ეს იმიტომ, რომ ამ სახლში ყველაფერი მოჯადოებულიაო; ეს მოჯადოება თვითონ ჩემს თავზე გამოვცადეო. დოროთეამ უპასუხა, ყველაფერი მჯერაო, სთხოვა სანჩოს დამშვიდებულებიყო, ნურაფერს ინაღვლი, ყველაფერს მოგიგვარებ და შენი სურვილისამებრ მოგიწყობო. როცა მშვიდობიანობა ჩამოვარდა და ყველამ მოისვენა, მაშინ კარდენიომ, დოროთეამ და ყველა იქმყოფთ მღვდელს სთხოვეს - მოთხრობის ორიოდე დარჩენილი ფურცელი წაეკითხა. მღვდელმა დაინახა, რომ მათ ისე სიამოვნებდათ მოსმენა, როგორც თვითონ მას წაკითხვა, კვლავ მიუბრუნდა ხელნაწერს და შემდეგ წაიკითხა:

"ცოლის ერთგულებაში დარწმუნებული ანსელმო რამდენიმე ხანს სრულებით დამშვიდებული იყო და ბედნიერად თვლიდა თავს. კამილა განზრახ უკმაყოფილო ბღვერით დახვდებოდა ხოლმე ლოტარიოს. უნდოდა თავისი ნამდვილი გულის ძგერა ანსელმოსათვის გადაბრუნებით ეჩვენებინ და რომ საყვარლის თვალთმაქცობა გაეყვანა. ლოტარიო თავის მეგობარს მუდამ უარს ეუბნებოდა მასთან სიარულზე, რადგან ვითომ ცხადად ხედავდა, რომ კამილასათვის მისი მოსვლა სასიამოვნო არ იყო. თვალეებამული ანსელმო იმაზე არასგზით არ თანხმდებოდა და ამით სწორედ მაშინ, როდესაც თავის თავს უაღრეს ხარისხამდე ბედნიერად სახავდა, ათასნაირად ხდებოდა თავისი გაუპატიურების მიზეზად. საუბედუროდ ლეონელა, იმით გატაცებული, რომ აზნაური მოტრფე ყავდა, უფრო და უფრო მეტი აღტაცებით ეძლეოდა

მიჯნურობას და თანაც დარწმუნებული იყო, რომ ქალბატონი არა თუ დაუთმობდა ამ უსაქციელობას, პირიქით, ხელსაც შეუწყობდა. ერთ ღამეს ანსელმოს ლეონელას ოთახიდან ფეხის ხმა მოესმა; გაღება მოესურვა, ვინ დადიოდა ოთახში და შესვლა დააპირა, მაგრამ კარები ვერ გააღო, რადგან შიგნიდან ვიღაც იჭერდა. ამით გაბრაზებულმა ანსელმომ, რაც ძალით და ლონე ჰქონდა, ერთბაშად გამოსწია, და სწორედ იმ დროს გააღო კარი, როდესაც ვიღაც კაცი ფანჯრიდან ქუჩაში გადახტა. ანსელმო გაექანა მისკენ, უნდოდა დაეჭირა, ან გაეგო მაინც ვინ იყო ის კაცი, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოახერხა, რადგან ლეონელა წინ გადაეღობა, ხელები მოხვია და უთხრა:

- დამშვიდდით, ბატონო, ღვთის გულსათვის, ხმაურობას ნუღარ ასტეხთ, ნუ გამოეკიდებით. ეგ კაცი ჩემი ძალიან ახლობელია... ჩემი ქმარი გახლავთ.

გაშმაგებულ ანსელმოს, რა თქმა უნდა, არ სჯეროდა ეს სიტყვები, ხანჯალი იშიშვლა და მოკვლას უქადდა ლეონელას, თუ ახლავ მართაღს არ იტყოდა, ლეონელა ისე შეშინდა, რომ თვითონაც არ იცოდა, რას ამბობდა:

- ნუ მომკლავთ, ბატონო, ისეთ მნიშვნელოვან საიდუმლოს შეგატყობინებთ, რომ თქვენ ფიქრადაც არ მოგსვლოდეთ.

- ჩქარა მითხარი, - უთხრა ანსელმომ, - თუ არა და ახლავე გაგათავებ!

- ახლა არ შემიძლია, ბატონო, - უპასუხა ლეონელამ, - გული ვერ მომიბრუნებია. ხვალამდის დამაცადეთ, ისეთ ამბავს შეგატყობინებთ, რომ გაგაკვირვოთ: იმაზე კი ნურას შესწუხდებით, ახლა რომ ფანჯრიდან კაცი გადახტა: ერთი აქაური ყმაწვილი კაცი გახლავთ, ცოლად შერთვის პირობა დამიდო.

ამ სიტყვებმა ანსელმო დაამშვიდეს. თანახმა გახდა ხვალამდის დაეცადა და იმას კი სულ არწმოდოდა რომ კამილაზე შეიტყობდა რასმეს: მის სათნოებაში მტკიცედ იყო დარწმუნებული. უბედური ქმარი ლეონელას ოთახიდან გამოვიდა, გარედან კარები გადაურაზა და თანაც უთხრა: ოთახიდან იმ დრომდის არ გამოუშვებდა ვიდრე არ შეიტყობდა, რაც ჰქონდა მისთვის სათქმელი.

შემდეგ საჩაქაროდ შევიდა კამილასთან და, რაც მოახლესთან შეემთხვა, ყველა უამბო და ისიც დაუმატა, რომ იგი სახელიოდ დიდი საიდუმლოების შეტყობინებას დამპირდაო. რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა, ამ ამბავმა კამილას თავზარი დასცა. იმ ფაქტმა, რომ ლეონელას ალბთ ანსელმოსთვის ცოლის ღალატის გამჟღავნება უნდოდა (და ეს ფიქრი შემცდარი როდი იყო), ისე შეასშფოთა კამილა, რომ მან იმდენი ღონე ვერ მოიკრიბა მოეცადა, მისი ფიქრი გამართლდებოდა თუ არა. იმავე ღამეს, როცა ანსელმოს დამინა, ადგა ქვეშაგებიდან, მოიკრიბა რაც უფრო ძვირფასი ნივთიულობა ქონა, ცოტაოდენი ფულიიც ჩაიდო, ფდრთხილად გარეთ გამოვიდა, ლოტაროსთან გაიქცა, ყველაფერი უამბო, რაც შეემთხვა და ემუდარებოდა: ან სადმე დაემალა, ან არადა ერთად სადმე წასულიყვნენ და ამით ანსელმოს რისხვას გადარჩენილიყვნენ. ლოტარიო კამილას მოულოდნელი მოსვლით ისე აირია, რომ არ იცოდა - რა ეპასუხნა და უმეტესად ვერ მოიფიქრა, თუ რა გზას დასდგომოდა. ბოლოს ურჩია კამილას მონასტერში გაყოლოდა, სადაც წინამძღვრად ლოტარიოს და იყო. კამილა დაეთანხმა, და ლოტარიომაც

გარემოების შესაფერისი აჩქარებით კამილა მონასტერში მიიყვანა და თვითონაც ჩუმად ქალაქიდან გაიქცა.

მეორე დღეს, გათენებისას, ანსელმო საჩქაროდ ადგა. ისიც კი ვერ შენიშნა, რომ კამილა გვერდით აღარ ყავდა, და რომ ჩქარა გაეგო, რა საიდუმლოს ეტყოდა ლეონელა, იმის ოთახისკენ გაემურა. ოთახი რომ გააღო და შევიდა, მოახლე შიგ აღარ დახვდა, მხოლოდ ფანჯარაზე მიბმულმა ზეწრებმა გააგებინეს, რა გზითაც გაპარულიყო. დაღონებული დაბრუნდა, რომ კამილასთვის ეამბნა ეს ხალი ამბავი, მაგრამ რაკი ისიც ვეღარ იპოვა, ძილად გონებადაფანტული დარჩა. ამოდ აკითხავდა მსახურებს ქალბატონის ამბავს, ვერავინ ვერაფერი შეატყობინა. კამილას ძებნაში რომ ოთახიდან ოთახში შედიოდა, შენიშნა: კამილას სკივრები დაღებული იყო და რაც უფრო ძვირფასი განძეულობა ეგულებოდა შიგ, აღარსად იყო: მაშინ მიხვდა საშინელ ჭემმარიტებას და გაიგო, რომ ლეონელა აქ რაფერ შუაში იყო. ტანთ ჩაცმა არც კი დაასრულა, მწუხარე და დაფიქრებული გაემურა, თავის უბედურება მეგობრისთვის შეეტყობინებინა. მაგრამ რაკი არც ლოტარიო დახვდა შინ და მსახურისაგან გაიგო, რომ ისიც ღამით სადღაც წასულიყო ქალაქიდან და, რაც ფული მქონდა, სულ თან წაეღო, ანსელმო კინაღამ ჭკუაზე არ შეცდა. შინ რომ დაბრუნდა, აღარც ერთი მსახური და მოახლე აღარ დახვდა, სახლი მთლად დაცარიელებული იყო.

ახლა კი აღარ იციოდა რა ეფიქრა, ან რა ეთქვა, ან რა ექნა; თავის მდგომარეობას რომ ჩაუკვირდა: აღარსად ცოლი, აღარად მეგობარი, არც მოსამსახურენი, ყველას დაეტოვებინა, ცასაც და დედამიწასაც, და ყველა ამ უბედურებასთან რაკი კამილას გაქცევამ თავი გაუპატიურებულად აჩვენა, გონებამ თანდათან რყევა დაუცო, ბოლოს ცოტა რომ გონს მოვიდა სოფელში წასვლა გადაწყვიტა იმ მეგობართან, ოდესმე რომ ესტუმრებოდა ხოლმე, და ამით საკუთარ დაღუპვას ხელს უწყობდა, სურდა, თავის უბედურება მისთვის ეამბნა. სახლის კარები დაკეტა, ცხენზე შეჯდა და დარდიანი გზას გაუდგა, მაგრამ მწუხარე ფიქრებმა ისე დასძლიეს, რომ ნახევარი გზა ძლივს გაიარა, ცხენიდან ჩამოხტა, ხეზე მიაბა, და თვითონაც დატანჯული და დაქანცული ოხვრითა და ვაებით ხის ძირს მიეგდო და დაღამებამდის ისე დარჩა. ამ დროს ქალაქიდან მომავალმა ერთმა ცხენოსანმა გამოიარა. ანსელმო მიესალმა და ჰკითხა ახალ ამბავს რას ლაპარაკობენ ფლორენციაშიო?

- ძალიან უცნაურ ამბებს ლაპარაკობენ, - მიუგო მგზავრმა - ისეთ ამბებს, რომ მსგავსი დიდი ხანია აღარ გაგვიგონია. ამბობენ, ვითომც ლოტარიოს, თვის გულითადი მეგობრის, მდიდარი ანსელმოს, წმიდა იოანას ახლოს რომ ცხოვრობს, იმის ცოლი, კამილა, მოეტაცნოს და თვითონ ანსელმოც ვითომ სადმე გადავარდნილიყოს. ეს ამბავი კამილას მოახლეს უამბია გუბერნატორისათვის. და ეს მოახლე კიდევ წუხელის სწორედ იმ დროს დაუჭერიათ მცველებს, როდესაც ანსელმოს სახლის ფანჯრიდან თურმე ზეწრებით ქუჩაში ჩამოშვებულა. დაწვრილებით არ ვიცი, ეს ამბავი როგორ მომხდარა, ის კი ვიცი, რომ მთელი ქალაქი ამ ამბით გაოცებულია, რადგან ასეთ რამეს იმ მტკიცე მეგობრობისაგან, როგორც ლოტარიოსა და ანსელმოს ჰქონდთ ერთმანეთში, არავინ მოელოდა, ისეთი მეგობრები იყვნენ, ყველანი - "ორ ძმობილს" ემახდნენ.

- შემთხვევით ხომ არ გაგიგონოთ, ლოტარიო და კამილა საით გაქცეულან? - მკითხა ანსელმომ.

- მაგისი კი რა მოგახსენო, - უპასუხა მგზავრმა და შექუსლა ცხენი.

ამ საშინელმა ამბავმა საბრალო ანსელმოს კინაღამ გონება კი არა და - სიცოცხლაც არ წაართვა. როგორც იყო, წამოდგა და, ძლივს, ვაივავლახით თავის მეგობრიან მივიდა. მას ჯერ ამის უბედურება არ გაეგო და გაფითრებული, სახეშემლილი და ათრთოლებული რომ დაინახა ანსელმო, მძიმე ავადმყოფი ეგონა, მით უფრო, რომ ანსელმომ მაშინვე ლოგინში დაწოლა მოინდომა და საწერ-კალამი და ქალაღი მოითხოვა. თხოვნა სწრაფად აუსრულეს. მარტო დატოვეს და მისივე თხოვნით კარებიც ჩაუკეტეს. მარტო რომ დარჩა, თვალწინ თავის უბედურება წარმოუდგა, მწუხარე ფიქრებმა მოიცვეს. ჯავრი და ვარამი საშინელთ ტანჯვით უქექნიდნენ გულს და ამ ყოფაში გრძნობდა რომ ხიცოცხლის ბოლო უახლოვდებოდა. თვისი უდროო სიკვდილის მიზეზი სურდა აეხსნა, კალამი აიღო, წერა დაიწყო, მაგრამ ვიდრე წერილს დაასრულებდა, სული შეუგუბდა და თვისა უგუნური ცნობისმოყვარეობისაგან ელდანაკრავმა და გატანჯულმა სული განუტევა. მეორე დღეს, რაკი დრო გავიდა და ანსელმოს ოთახში ჩამიჩუმი არ ისმოდა, მასპინძელი შევიდა მასთან მიზეზის გასაგებად, უძრავად კი დახვდა იგი. ფეხები ლოგინში გწყო და ტანი საწერ მაგიდაზე ედო, წინ ქალაღი ჰქონდა გადაშლილი, ხელშიც კალამი ისევ ეჭირა. მასპინძელი მიუახლოვდა ჯერ დაუძახა და, რაკი პასუხი არ მიიღო, ხელზე ხელი მოჰკიდა, მაგრამ ცივად რომ იგრძნო, მაშინ გაიგო, რომ ანსელმო მკვდარი იყო. თავზარდაცემულმა და შეწუხებულმა მსახურთ დაუძახა, რომ ამ უბედურების მოწმენი ყოფილიყვნენ, შეგმდეგ ხელნაწერი ქალაღი აიღო და ეს რამდენიმე სიტყვა წაიკითხა:

"უგუნურმა და სულელურმა სურვილმა მომიღო ბოლო. თუ ჩემი სიკვდილის ამბავმა კამილას ყურამდის მიაღწიოს, იცოდეს, რომ მიპატიებია მისთვის, რადგან ის ამქვეყნად სასწაულმოქმედად როდი იყო მოწოდებული, არც მე მქონდა უფლება სასწაული მომეთხოვნა მისგან. თვითონ მე ვიყავ ჩემი შერცხვენისა და გაუპატიურების მიზეზი, ამიტომ უსამართლობა იქნებოდა რომ..."

წერილი აქ წყდებოდა, ეტყობოდა მეტის დაწერა აღარ შეეძლო და ამ სიტყვაზე დაეღია სვლი. მეორე დღეს ანსელმოს სიკვდილი ნათესავებს შეატყობინეს, მათ უკვე იცოდნენ მისი უბედურება; აგრეთვე იმ მონასტერშიც იცოდნენ, სადაც კამილას სწადდა ქმრის კვალს დასდგომოდა, მიტომ კი არა, რომ ქმრის სიკვდილო შეიტყო, არამედ მიტომ, რომ თავის მიჯნურის ცუდი ამბები ესმოდა. ამბობენ, დაქვრივებულ კამილას მონასტრის დატოვება აღარ სურდა, მაგრამ არც თუ ქვეყნიერების დატოვება და მონაზვნად აღკვეცა უნდოდა, ვიდრე ლოტარიოს სიკვდილი არ გაიგო. გვიან შენანებული მეგობარი ნეაპოლის სამეფოში გაიქცა და იქ ლოტრეკსა და დიდ კაპიტან გონსალო ფერნანდეს კორდოველს შორის მომხდარ ბრძოლაში მოჰკლეს იგი. ამ ამბის შეტყობის შემდეგ კამილა მონაზვნად აღიკვეცა და დიდხანს იმასაც აღარ უცხოვრია. ცრემლსა და სინანულში დაუტევა ეს ქვეყანა. აი რა ბოლო მოყვა ერთ-ერთი მათგანის წინდაუხედავ სურვილს".

- ურიგო როდია ეს მოთხრობა, მე მომწონს, - თქვა მღვდელმა. - მაგრამ იმას კი ვერ დავიჯერებ, რომ ნამდვილად მომხდარიყო. თუ მოგონილია და - ეს მოგონებაც უხეიროდაა მოფიქრებული: არ შეიძლება ქვეყანაზე ისეთი სულელი ქმარი მოიპოვებოდეს ვინმე, რომ ასეთი სულელური გამოცდა მოიწადინოს, როგორც ანსელმოს განუზრახავს. მიჯნურებს შუა რომ მომხდარიყო ასეთი ამბავი - კიდევაც დასაჯერებელია, მაგრამ ცოლსა და ქმარს შუა არ შეიძლება. ისე კი რიგიანი კილოთია მოთხრობილი.

თავი XXXVI

სადაც მოთხრობილია ფუნდუკში მომხდარი სხვადასხვა

საიშვიათო ამბები

ამ დროს კარიბჭეზე მდგარმა მეფუნდუკემ დაიძახა:

- დიდება ღმერთს! რა ჩინებული სტუმრები მოდიან. თუ აქ ჩამოხტნენ, სწორე კაი საქმე დაგვემართება.

- ვინ მგზავრები არიან? - ჰკითხა კარდენიომ.

- ოთხი ცხენოსანია, - მიუგო მეფუნდუკემ, - მსუბუქად შეკაზმულ ცხენებზე, შუბებითა და ფარებით, სახეზე შავი ნიღბები აქვთ გაკეთებული, შუაში ვიღაც ქალი მოჰყავთ, თეთრებით მოსილი, ისეთ უნაგირზე ზის, თითქოს სავარძელიაო; მასაც ნიღაბი აქვს სახეზე, უკან ორი მსახური მოსდევთ ქვეითად.

- ახლოს არიან? - ჰკითხა მღვდელმა.

- ისე ახლოს არიან, რომ აგერ საცაა ჭიშკარში შემოვლენ კიდეც, - მიუგო მეფუნდუკემ.

დღროთეამ რომ ეს გაიგონა, პირბადე აიფარა, ხოლო კარდენიო საჩქაროდ იმ ოთახში ავიდა, სადაც დონ კიხოტს ეძინა. ესენი რომ თავის დასაფარავად მოემზადნენ, ამ დროს მგზავრები ფუნდუკთან შეჩერდნენ. ოთხი ლამაზი და მდიდრულად ჩაცმული კაცი ჩამოხტა ცხენებიდან; ქალს ცხენიდან ჩამოსვლა უშველეს და ერთმა მათგანმა ატაცებული მიიყვანა სელთან, იმ ოთახის კარებთან რომ იდგა, სადაც კარდენიო დაიძალა. ამ ხნის განმავლობაში არც ქალსა და არც კაცს ნიღბები არ მოუხსნიათ და არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ. მხოლოდ ქალი რომ სკამზე დაჯდა, ღრმად ამოიოხრა და ღონემიხდილივით ხელები ძირს დაუშვა. მსახურებმა ამასობაში ცხენები საჯინბოში შეიყვანეს.

მღვდელს მეტისმეტად მოესურვა შეეტყო, თუ ვინ იყო ეს ხალხი, ასე ბეჯითად რომ თავს იმაღავდა, და საჯინბოში წავიდა, რომ მსახურებისათვის გამოეკითხა. იქ ერთი მსახური მოახელა და, რაც უნდოდა ყველა იმას გაჰკითხა.

- რა მოგახსენოთ, ბატონო, - უპასუხა მსახურმა, - ძნელი გასაგებია მათი ვინაობა; მგონია კი, რომ დიდი კაცები უნდა იყვნენ, მეტადრე ის, ქალი რომ ხელში აიყვანა. ყველანი პატივით ეპყრობიან მას და რასაც უბრძანებს, უსრულებენ.

- ქალი ვინლაა, - ჰკითხა მღვდელმა.

- ვერც მაგას მოგახსენებთ, - უპასუხა მსახურმა. - მთელი გზა გამოვიარეთ და მაგის პირისახე ერთი ბეწვიც არ დამინახავს; ოხვრა კი, მე თქვენ მოგახსენოთ, ბევრი გავიგონე მაგისაგან, ხანაც ისეთ გმინვას ამოუშვებს ხოლმე, კაცს ეგონება, ეს არის ღმერთს სულს აბარებსო. ნუ გაგიკვირდებათ, ბატონო, რომ მე და ჩემმა ამხანაგმა რაც მოახსენეთ იმაზე მეტი მაგათი ვინაობისა არაფერი ვიცოდეთ. სულ ორი დღეა, რაც მოვდევთ. გზაში შემოგვეყარნენ და კარგ ჯილდოს დაგვიბრდნენ თუ ანდალუზიამდე გაგვყვებითო, და ჩვენც მივდევთ.

- სახელს მაინც არას ეძახიან ერთმანეთს? - ჰკითხა მღვდელმა.



- არა ჩემმა მზემ, - მიუგო მსახურმა, - რაც მოვდივართ, ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ, თითქოს პირობა მიუციათ, ერთმანეთს ხმა არ გავცეთო. ამ საბრალო ქალის ოხვრა და გმინვის მეტი არა გავგიგონია-რა, და ეს გულს გვიკლავს, მე და ჩემმა ღმერთმა. მე მგონია, ეს ქალი ძალად მიჰყავთ და თვითონაც არ იცის, სად მიყავთ. მის შავ აბას თუ მივხედეთ, ან მონაზონი უნდა იყოს, ან მონაზვნად ემზადებოდეს, და, ალბათ, იმიტომაც არის ასე მწუხარე, რომ მონაზვნობა არ უნდა და ძალად მიჰყავთ მონასტერში.

- შეუძლებელია ყველა ეგ მართალი იყოს, - უთხრა მდვდელმა, ისინი დატოვა და დოროთეასთან მივიდა.

ამასობაში, დოროთეას რომ მოსული ქალის ოხვრა ესმოდა, მისადმი თანაგრძნობა აღეძრა, როგორც დედათა სქესს თვისებადა სჭირს, მივიდა იმ ქალთან და უთხრა:

- რა გაწუხებთ, ქალიო, ხომ არაფერი გტკივათ-რა? თუ თქვენი მწუხარება იმგვარია, რომ დედაკაცს თავის გამოცდილებით და დახმარებით შეუძლია მისი განკურნება, მითხარით და სიამოვნებით გაგიწევთ სამსახურს.

მწუხარე ქალი ხმაგაკმენდილი იყო და არავითარ პასუხს არ აძლევდა, თუმცა დოროთეა უფრო და უფრო გულმოდგინედ თხოვდა მისი სამსახური მიეღო. ბოლოს იმ კაცმა, მსახურის სიტყვით რომ დანარჩენნი ემორჩილებოდნენ, უთხრა დოროთეას:

- ტყუილად ნუ სწუხხართ, ქალბატონო, და ნურა წინადადებას ნუ აძლევთ ამ ქალს, ამოდ დროს დაკარგვას თქვენგან; ამას ჩვეულებად არა აქვს, მადლობა გადაუხადოს ვინმეს სამსახურისათვის, ნურც იმას ეცდებით პასუხი რამე მიიღოთ მისგან, თორემ სიცრუის მეტი ამის პირიდან არა ამოვა-რა.

- სიცრუე თავის დღეშიაც არ მითქვამს, - მარდად წამოიძახა ქალმა, აქამდის მედგრად რომ მდუმარებდა; - პირიქით, ასე გამწარებული და უბედური იმიტომ ვარ ახლა, რომ მუდამ წრფელი და მეტად მარტივი ვიყავ. თუ ამ ის მოწმე დამჭირდება, თვითონ თქვენვე მოგიხმობთ მოწმედ; დიახ, თქვენ, რომელიც, ჩემმა მართლის მოყვარეობამ მატყუარა და ფიცისგამტეხ კაცად გაგხადათ.

- ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის? ეს რა ხმა მოესმა ჩემს ყურებს!

წამსვე მწუხარე ხმით დაიძახა კარდენიომ, რომელსაც უცნობი ქალის ყველა სიტყვა ესმოდა, რადგან ღონ კიხოტის ოთახში იმყოფებოდა, და იმათ შუა ერთი კარის მეტი არა იყო რა. აღელვებულმა და გაოცებულმა ქალმა იქითკენ მიიხედა, საიდანაც კარდენიოს სიტყვები მოესმა; მაგრამ, რაკი ვერავინ დაინახა, ადგა და შიგ ოთახში დააპირა შესვლა, მაგრამ უცნობმა კაცმა ყველა მის მოძრაობას რომ თვალყურს ადევნებდა, შეაყენა და წინ ერთი ნაბიჯიც არ გადაადგმევინა. ქალს შეშფოთებისაგან პირიდან ნიღაბი ჩამოუვარდა და გამოუჩნდა მზეთუნახავი სიმშვენიერე, ანგელოზისებური სახე. ქალს, თუმცა ფერმიმკრთალებულიც იყო და თვალებს რაღაც უცნაურად აცეცებდა გრემომ, მზერა ისეთი შეშფოთებული და არეული ჰქონდა, რომ ადამიანს ჰკუაშეშლილი ეგინებოდა; ამ შეშლილობის გარეგანმა ნიშნებმა დოროთეას და ყველა მის მნახველს შებრალების გრძნობა აღუძრეს, თუმცა კი ამ სულიერი შეშფოთების მიზეზი არავინ იცოდა. მის მოსაუბრე კაცს ორივე ხელით ქალის მხრები ეჭირა და მით დახაფრულმა ნიღაბი ვეღარ შეიმაგრა, ჩამოუვარდა და მასაც გამოუჩნდა სახე. უცებ დოროთეამ ახედა იმ კაცს და უცებ დონ ფერნანდო წარმოუდგა თვალწინ. ამ ნახვაზე საშინელი

მწუხარე გმინვა ამოუშვა და გული შეუღონდა, კარგი რომ დალაქი ედგა გვერდზე და ხელი მიაშველა, თორემ დაეცემოდა. საჩქაროდ მიეშველა მღვდელიც და პირბადე მოხსნა, რომ წყალი ეპკურებინა. ახლა დონ ფერნანდომ იცნო დოროთეა და გაოცებისაგან გაქვავებული დარჩა. მაინც კი ხელიდან არ უშვებდა ლუსინდას (უცნობი ქალი, დონ ფერნანდოს ხელიდან რომ დასხლეტას ცდილობდა, ლუსინდა იყო), რომელმაც ხმაზე იცნო კარდენიო და იმანაც აგრეთვე ლუსინდა იცნო. კარდენიომ რომ დოროთეას გულშეღონების ჟამს ამოშვებული გმინვა გაიგონა, ლუსინდას გმინვა ეგონა, გახელებული გამოვარდა ოთახიდან და დონ ფერნანდოს შეეჩეხა, რომელსაც ლუსინდა ეჭირა ხელმოხვეული. დონ ფერნანდომაც მაშინვე იცნო კარდენიო და გაოცებისაგან ოთხივე ხმაჩაწყვეტილები დარჩნენ და ისე დაიფანტნენ, რომ არ ესმოდათ, მათ გარშემო რა ხდებოდა.

ხმაგაკმენდილები ერთმანეთს უცქეროდნენ: დოროთეას დონ ფერნანდოზე დარჩა თვალები, და დონ ფერნანდოს კარდენიოზე, კარდენიოს ლუსინდაზე და ლუსინდას კარდენიოზე. პირველმა ლუსინდამ ამოიღო ხმა. მან მიმართა დონ ფერნანდოს და უთხრა:

- თავი დამანებეთ, ბატონო დონ ფერნანდო, თქვენი პატივის გულისათვის მაინც, თუ სხვა რამ საბუთი არ გაიძულებთ ამას. გამიშვით ისევ ჩემს დასაყრდენს, ჩემს მუხას დავუბრუნდე, რომელსაც მე ფათალოდ შევექმენ და ვერ მომაშორა მას, ვერც თქვენმა დევნამ, ვერც მუქარამ, ვერც თქვენმა აღთქმამ და საჩუქრებმა. ხომ ხედავთ, რა უცნაური და მიუწვდომელი გზით მომიყვანა მე ზეცამ ჩემს ნამდვილ ქმართან. ათასგვარი მძიმე განსაცდელის მეოხებით უკვე უნდა დარწმუნებულიყავით, რომ მარტო სიკვდილს შეუძლია ჩემი გულიდან ამის აღმოფხვრა, მაშ, დაე, თქვენმა იმედებმა, აწ ასე უწყალოდ ჩაფუშულმა, თქვენი სიყვარული სიძულვილად შეცვალოს და თქვენი წყალობა რისხვად გადააქციოს. გინდა მომკალით კიდეც, ოღონდ კი ნება მომეცით ჩემი მეუღლის თვალინ ერთი უკანასკნელად მაინც ამოვიოხრო და მაშინ ჩემს სიკვდილს ბედნიერებად ჩავთვლი. ეგებ ამ სიკვდილმა დაანახოს, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მისი ერთგული ვიყავ.

ამასობაში დოროთეა გონს მოვიდა, ლუსინდას სიტყვები რომ მოისმინა, მიხვდა, ვინც იყო ის ქალი, და დაინახა-რა, რომ დონ ფერნანდო ხელიდან არ უშვებდა ლუსინდას და არც მის გულისმომწყლავ მუდარაზე პასუხს აძლევდა, ძალღონე მოიკრიბა, ფეხებში ჩაუვარდა თავის მაცდუნებელს, თავისი მშვენიერი თვალებიდან უნაზესი ცრემლო, ორი ნაკადული გამოუშვა და მთრთოლვარე ხმით უთხრა:

- თუ მაგ მზის სხივები, ჩემო ბატონო, ემაგ ხელებით რომ აზნელებ, თვალს არა გჭირან, შენ წინ დაჩოქილი უბედური, - უბედური, ვიდრე შენ გსურს, - და მწუხარე დოროთეა უნდა იცნო. დიახ, სწორედ მე ვარ ის საწყალი გლეხის ქალი, შენ რომ, გულისთქმით იყო თუ გულკეთილობისაგან, მოიწადინე ეგოდენ აგემაღლებინა, რომ უფლება ჰქონოდა შენად ეცნო თავი. მე ის უბედური ქალი ვარ, ჩემს ცხოვრებას რომ მშვიდად და ბედნიერად იმ დრომდე ვატარებდი, ვიდრე შენმა სილამაზემ და სიყვარულზე მოუბარმა ხმამ არ ამიყოლია, თავდაცულობის კარები გაგიღო და ჩემი თავისუფლება და უმანკოება ხელში ჩაგიგდო. მაგრამ შენ ეს საჩუქარი ცუდად მიიღე და აქამდისაც შენვე მიმიყვანე, რომ აქ მხედავ, და შენც აგრეთვე იმავე ყოფაში გხედავ. მაგრამ არ იფიქრო, რომ აქ ჩემი უსაქციელობის კვალს მოვეყვანე. არა, აქ ჩემმა მწუხარებამ მომიყვანა და იმ ტანჯვამ, რომ შენ დამივიწყე. შენ ისურვე შენი შევქმნილიყავი და კიდეც მიაღწიე ამ წადილს, მაგრამ ამისათვის შენ ისეთი საშუალება იხმარე, რომ ახლა ბევრიც რომ გინდოდეს, მაინც არ შეგიძლია მე არ მეკუთვნოდე. კარგად იცოდე, ჩემო

კეთილშობილო ბატონო, რომ ჩემს უზომო სიყვარულს თამამად შეუძლია იმ სიმშვენიერესა და დიდ შთამომავლობას უნაცვლოს, რომლის გულისთვისაც მტოვებ... შენ მშვენიერი ლუსინდასი ვერ გახდები, რადგან მე მეკუთვნი: და ვერც ლუსინდას შეუძლია შენი გახდეს, რადგან ის კარდენიოს ეკუთვნის. კარგად მოიფიქრე, შენთვის უფრო ადვილია ძალა დაატანო შენს თავს და ის შეიყვარო, ვისაც უყვარხარ და თავყვანსა გცემს, ვიდრე თავი იმას შეაყვარო, ვისაც სძულხარ. შენ წარმტაცე უმანკოება, შენ დაამხე ჩემი კეთილზნობა; ჩემი შთამომავლობა არ დამიმაღლავს, და ისიც იცი, რა პირობითაც დავყე შენს სურვილებს. მაშ თავის გასამართლებელი აღარა გვაქვს-რა და არც რამ საბუთი თავს მოტყუებულად რაცხდე. თუ რასაც ვამბობ მართალია და თუ როგორც აზნაური, ისეთივექ რისტიანი ხარ, მაშ რლად ილტვი ჩემგან რლაც მიხვევ-მოხვევით და არგინდა დასასრულიც ისეთივე ბედნიერი მომცე, როგორი ბედნიერიც დასაწყისში გამხადე. თუ კანონიერ ცოლად არ გინდა ჩემი აღიარება, მხევლად მიყოლე: შენს ხელში რომ ვიქნები, მითაც ბედნიერად და დაჯილდოვებულად ჩავთვლი თავს. ნუ იზამ, ნუ დამტოვებ და ჩემს კარგ სახელს ბოროტი ხალხის საკიცხავად ნუ გახდი! ჩემს მშობლებსაც მოხუცებულობას ნუ ჩაუმწარებ: იმათ ერთგულად უმსახურიათ შენი მშობლებისათვის და შენგან ასეთი ჯილდო არ დაუმსახურებიათ. თუ იმას ფიქრობ, რომ ჩემს სისხლთან შენი სისხლის შერევით გვარს დაიმცირებ, მოიგონე, რომ ქვეყანაზე ისეთი გვარი ცოტა მოიპოვება, ამ ხიფათს ასცდენოდეს და ეს საყვედური არ ეთქმოდეს. ამასთანაც დედაკაცი ხომ არ ამაღლებს გვარს. ისიც გაიხსენე, რომ ჭეშმარიტი პატიოსნება ქველმოქმედებით გამოიხატება, და თუ უარყოფ ამას და, რაც მეკუთვნის, არ დამიბრუნებ, მაშინ შენზე პატიოსანი მე ვიქნები. დასასრულ, ისღა დამრჩენია გითხრა, რომ გინდა თუ არა, შენი ცოლი ვარ, და ამას შენი სიტყვები დაგიმტკიცებენ: ამის უარს ვერა ჰყოფ თუ იმით მოგაქვს თავი, რისთვისაც მე გბულვარ, ესე იგი შენი კეთილშობილებითა და დიდებულებით, ამას შენი წერილებიც დაამტკიცებენ, ზენაც მიმოწმებს, თავდებად რომ მიყენებდი, როდესაც აღთქმას მაძლევდი. დასასრულ, ყველა ესენიც რომ ხელთ არა მქონდეს, სინდისი ხომ მანდა გაქვს; შემცოდე სიხარულით გახელების ჟამს იგი მუდამ აღიმაღლებს შენს გულში თავის მრისხანე ხმას. იგი იქნება ჩემი სიმართლის მოსარჩლე და შენ სიცოცხლის ტკბილ წამებს ჩავიშხამებს.

ეს სიტყვები და კიდევ სხვა მრავალი საბრალო დოროთეამ ისეთი მწუხარე ხმით და ცრემლების ღვრით წარმოთქვა, რომ ყველა იქ მყოფს და თვითონ დონ ფერნანდოს ამაღის ხალხსაც კი თვალებში ცრემლი მოჰგვარა. დონ ფერნანდო ხსაამოუღებლად უსმენდა დოროთეას, ვიდრე ქალს გულზე მოწოლილი ნაღველისა და მწუხარებისაგან ხმა ხაუწყებოდა. ქვის გული უნდა ჰქონოდა კაცს, რომ მისი მწუხარებით არ აღძრულიყო. ლუსიდაც დაშტერებით უცქეროდა დოროთეას და იმდენადვე მისი ნაღველით იყო შეწუხებულ რამდენადაც მისმა მშვენიერებამ და ჭკუამ გააოცა. დიდი სურვილი ჰქონდა მისულიყო და რამდენიმე ნუგეშსაცემი სიტყვა ეთქვა მისთვის, მაგრამ დონ ფერნანდოს ისევ ჩაბღუჯული ეჭირა. დონ ფერნანდო განცვიფრებული და აღელვებული ჯერ რამდენიმე ხანს იდუმალ ბრძოლაში იყო და გაშტერებით უცქეროდა დოროთეას. შემდეგ გაუშვა ლუსიდა და შესძახა:

- შენ მძლიე, მშვენიერთ დოროთეა, შენ დამჯაბნე. განა შეიძლება ამდენს ჭეშმარიტ სიტყვებს გაეძლოს კაცმა?

ლუსიდა რომ დონ ფერნანდოს ხელიდან გათავისუფლდა, იქამდის შემკრთალი იყო და გონზე ვერ მოსულიყო, რომ სისუსტისაგან იატაკზე დაეცემოდა, თუ კარდენიო არ მიშველებოდა. ის ფერნანდოს უკან იდგა, რადგან არ სურდა მას ეცნო, მაგრამ ახლა აღარაფრის შიშს აღარ დასდია, მივარდა ლუსინდას, თავის საყვარელ არსებას ხელი მოხვია და შესძახა:

- თუ მოწყალე ზენას ნებაღვს შვება მოგცვცეს, ჩემო მშვენიერო, პატიოსანო და ერთგულო ქმნილებავ, მერწმუნე იმ მშვიდობას, უფრო საიმედოს და მყუდროს, ვერსად ვერ ჰპოვებ, თუ არ ამ ხელებზე დაყრდნობით, ახლა რომ უჭერიხარ. როგორც მაშინ ეჭირე ხოლმე, როდესაც ბედი ნებას მაძლევდა ჩემად მეგულვებინე.

ამ სიტყვებზე ლუსინდამ შეხედა კარდენიოს, წინათაც თითქოს ხმაზე სცნობდა და ახლა კი მთლად დარწმუნდა, ვინც იყო იგი. ყოველივე მართებულები დაავიწყდა, მაგრად მოეხვია კარდენიოს, სახე სახეზე მიადო და სიხარულით შესძახა:

- თქვენა ხართ დიახ, სწორედ თქვენა ხართ, იმ ქალის ნამდვილი მეუფე, ოდესმე რომ თქვენ გეკუთვნოდათ და ახლაც თქვენ გეკუთვნი, იმის მიუხედავად, რომ მუხთალმა შავბედმა გაგვთიშა და მრავალო ტანჯვა სიკვდილს მემუქრებოდა.

ამ მოულოდნელმა ამბავმა ყველანი გააკვირვა. დოროთეამ შენიშნა, რომ დონ ფერნანდოს სახე შეეცვალა და ხმაზე წაივლო ხელი; მიხვდა, რომ კარდენიოს მაგიერის გადახდას უპირებსო, და ელვაზე უსწრაფესად ფეხებში ჩაუვარდა, მუხლზე მოხვია ხელები, ცხარე კოცნა დაუწყო და ცრემლების ღვრით უთხრა:

- ამ მოულოდნელი ბედნიერების წამს რა გწადია, ჩაიდინო, ჩემო ერთადერთო ნუგეშო? შენს ფეხთ წინაშე მუხლმოდრეკილი გიდგას შენი მეუღლე, ხოლო ის, ვინც შენ ცოლად გინდოდა, თავის ქმარსა ჰყავს გულში ჩაკრული. განა შეგიძლია დაარღვიო, რაც ზენასა სურს? არ გირჩევნია. - ის ქალი აამაღლო, შენი თანასწორი გახადო, რომელმაც ყველა დაბრკოლებას გაუძლო, თვის სიმტკიცით ყველა უბედურება დათრგუნა და ახლა თვალეებში შემოგცქერის და სიყვარულის ცრემლებით თავის ნამდვილ მეუღლის სახესა ჰბანს? გაფიცებ ღმერთს, საკუთარ შენს მზეს გაფიცებ, ერთ წამს რისხვა დაუტევე, დაფიქრებით შეხედე იმას, რაც ახლა შენს შეცდომილებას არღვევს და ეს დაგამშვიდებს და ხელს აღარ შეუშლის, რომ ეს მიჯნურნი იმდენს ხანს დასტკბენენ ბედნიერებით, ვიდრე ამას ზენა ანებებდეს. ამით შენ შენს პატიოსანს სულგრძელობას აჩვენებ და ქვეყანაც დაინახავს, რომ შენი ვნებანი შენს გონებას მორჩილებენ.

მანამ დოროთეა ამას ეუბნებოდა, კარდენიოს მაგრა მოხვეული ეჭირა ლუსინდა და თან დონ ფერნანდოს თვალს არ აშორებდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ მის წინააღმდეგ ვინმე რასმეს განიზრახავდა, ისიც მამაცურად დახვდებოდა, თუნდაც ეს დახვედრა სიცოცხლედაც დასჯდომოდა. მაგრამ ამ დროს, ერთის მხრივ, დონ ფერნანდოს მეგობრები და, მეორეს მხრივ, მღვდელი და დალაქი, აგრეთვე ჩვენი კეთილი ხანჩო პანსა შემოეხვივნენ დონ ფერნანდოს და ხვეწნა დაუწყეს: დოროთეა შებრალებოდა და მისი სამართლიანი იმედი არ გაეცრუებინა, თუკი, რასაც დოროთეა ამბობდა, მართალი იყო, თუმცა არც ერთ მათგანს ამაში ეჭვი არ ეპარებოდა.

- ჩაუფიქრდით, ჩემო ბატონო, ამ შემთხვევას, - დაუმატა მღვდელმა, - ეს უბრალო რამ შემთხვევა როდია, არამედ ღვთის განგების განსაკუთრებული განკარგულებაა, რაკი ასეთ ალაგას შეგყარათ ერთად, სადაც, რასაკვირველია, არც ერთი თქვენგანი არ ფიქრობდა შეხვედრას. იგულისხმეთ აგრეთვე, რომ მხოლოდ სიკვდილს შეუძლია ლუსინდა კარდენიოს წაართვას, და თუნდაც ამათ გაყრას ბასრი მახვილით ემუქრებოდნენ, მაინც ერთმანეთის განშორებას სიკვდის არჩევენ, - ეს ამათ სიამოვნებად და ნეტარებად ეჩვენებათ, იგულისხმეთ, რომ ახირებულ შემთხვევაში, იმგვარ გარემოებაში, როდესაც საქმეს ხსნა არსაიდან აქვს, გონების უარესობა იმით დამტკიცდება, რომ კაცმა თავის თავს დასძლიოს და სულგრძელობა

გამოიჩინოს. მაშ ნება მიეცით ამ ერთმანეთის მოსიყვარულე მეუღლეთ იმ ბედნიერებით დასტკბნენ, რაც მათთვის ზენას გაუჩენია, ხოლო თქვენ მიხედეთ დოროთეას და აღიარეთ, რომ ქვეყანაზე ისეთ ქალს ვერ იპოვით, რომელმაც არა თუ გადააჭარბოს ამას, არამედ მხოლოდ დაედაროს ამის მშვენიერებს. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ამის მშვენიერებას ზედ ერთვის გულისმომწყვლელი სიმშვიდე და თქვენდამი უზომო სიყვარული. დასასრულ ყოვლისა, ის იგულისხმეთ, რომ თუ თქვენ იმას რადმე აფასებთ, რომ ქრისტიანი და აზნაური ბრძანდებით, მაშ მოვალე ხართ თქვენი, აღთქმა აასრულოთ და ამის მეტი არარაის ქმნა არ შეგიძლიათ. ამით ღმერთსაც ასიამოვნებთ და იმ ხალხსაც შეურიგდებით, ვისაც ცნობიერად ესმის, რომ სიქველეს ძალუმს მშვენიერება ყოველგვარ აზნაურობაზე უაღრეს ჰყოს, და ვინც იმას უმადლეს ხარისხამდეც აიყვანს, ამით თავის ღირსებას არ დაამცირებს. განვითარებულ ხალხს კარგად ესმის, რომ ვინც ვნებათა ძალას ემორჩილება, იგი გაკიცხვის ღირსი არ არის, თუ ამასთანავე ცუდი რამ არ ჩაუდენია.

მღვდლის საბუთებს სხვებმაც რამდენიმე სიტყვა დასძინეს, და ამ საერთო მეცადინეობის მეოხებით დონ ფერნანდოს პატიოსანი გული (ტყუილად კი არ ჩქეფდა იქ კეთილშობილი სისხლი!) დამშვიდდა, კეთილმოქმედების ძალის წინ ქედი მოიხარა, რომ ეჩვენებინა - კეთილ რჩევას ემორჩილებოდა, დონ ფერნანდო დაიხარა, მოეხვია დოროთეას და უთხრა:

- აბრძანდით, ჩემო სენიორა, უსამართლობა იქნება ჩემს წინ დაჩოქილს მას ვუყურებდე, ვისაც ჩემს გულში ვატარებ; და თუ აქამდე ვერ მოვახერხე საქმით დამემტკიცებინა, რაც ახლა ვთქვი, - ეს იქნებ განგების ნებით მოხდა, ეგებ განგებას სურდა თქვენი მტკიცე და წრფელი სიყვარული ეჩვენებინა და მით თქვენი იმ ზომად პატივისცემა ესწავლებინა ჩემთვის, რა ზომადაც ამის ღირსი ხართ. ნუ გამკიცხავთ, რომ თავი დაგანებეთ, იმავე ძალამ დამატოვებინა თქვენი თავი, რა ძალამაც თქვენთან მომიზიდა. თუ ჩემი არა გჯერათ, მიიხედეთ და ბედნიერად მომზირალი ლუსინდა დაინახეთ, ჩემი შეცოდების ბოდიშს იმაში იპოვით, მაგრამ, რადგან მან იპოვა, ვინც სურდა, და მეც ისა ვპოვე, ვინც მე მეკუთვნის, დაე, მრავალჟამიერ ბედნიერად და კმაყოფილად იცხოვროს თავის კარდენიოსთან, და მეც მუხლმოდრეკილი შევევედრები ზენას, მეც იმდენივე სიცოცხლე მომმადლოს ჩემს დოროთეასთან.

ესა თქვა და დოროთეა გულზე მაგრა მიიკრა და ისეთის გრძნობით მიეწება ტუჩებით, რომ თავის შემეგრება დასჭირდა, ცრემლებს არ გაემხილათ მისი სიყვარული, და თან სინანულიც. ლუსინდა და კარდენიო კი ცრემლებს ვეღარ იმაგრებდნენ და მათთან ერთად ყველა იქ მყოფთ საერთო ტირილი მორთეს. ზოგს თავის სიყვარული ატირებდა, და ზოგსაც სხვისი სიხარული და, ვინმე გარეშეს რომ შეეხედა მათთვის, ეგონებოდა, რაიმე ახირებული მოულოდნელი უბედურება დამართიათო. სანჩო აგრეთვე ცრემლებს აფრქვევდა, მაგრამ, როგორც შემდგომში აღიარა, მხოლოდ იმიტომ ტიროდა, რომ დოროთეა მიკომიკონის დედოფალი არ გამოდგა, რომლისაგანაც მრავალ წყალობას მოელოდებოდა. რამდენიმე ხანს ტირილი არ შეწყვეტილა და საერთო ჩოჩქოლიც ისევ გრძელდებოდა. ბოლოს ლუსინდამ და კარდენიომ დონ ფერნანდოს წინ მუხლი მოიდრიკეს და ისეთი მომხიბვლელი სიტყვებით ეუბნებოდნენ მადლობას წყალობისათვის, რომ დონ ფერნანდო მთლად დაიფანტა და არ იცოდა - რა ეპასუხა, მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ ფეხზე წამოაყენა ისინი და სიყვარულისა და სინანულის ნიშნად ეხვეოდა და ჰკოცნიდა მათ.

შემდეგ თხოვა დოროთეას - ეამბნა თავის სამშობლოდან ამ სიშორეზე როგორ წამოსულიყო. დოროთეამ იგივე ამბავი თქვა, რაც ამას წინათ კარდენიოს უამბო, და ისე მშვენივრად და

ლაზათიანად გადასცა ყველა თავის უბედურება და თავგადასავალი, რომ დონ ფერნანდოსა და მის ამაღას, ამ ამბებით აღტაცებულთ, ენატრებოდათ მისი ლაპარაკი კიდეც და კიდეც გაგრძელებულიყო. რომ გაათავა, ახლა დონ ფერნანდომ უამბო, რაც მას შემდეგ შემთხვეოდა, როდესაც ლუსინდას უბეში ბარათი უპოვნა და იმ ბარათში ამოიკითხა, რომ მისი მეუღლეობა არ შეეძლო, რადგანაც კარდენიოს კანონიერი მეუღლე იყო. დონ ფერნანდომ ჯერ ქალის მოკვლა გადაწყვიტა და კიდეც აასრულებდა, თუ მის მშობლებს არ დაეშალათ. აღელვებულმა და გახელვებულმა მაშინვე მათი სახლი დასტოვა და შურისძიება ჩაინერგა. მეორე დღეს შეიტყო, რომ ლუსინდა თავის მშობლებისაგან გაპარულიყო და არავინ იცოდა, სად წასულიყო. ბოლოს, რამდენიმე თვის შემდეგ, გაიგო, რომ ერთ მონასტერს შეხიზნებოდა იმ გადაწყვეტილებით, რომ მთელი სიცოცხლე იქ გაეტარებინა, თუ კარდენიოსთან მთელი სიცოცხლე ვერ მოუხერხდებოდა. გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე სამი მეგობარი წაიტანა და მონასტერში წავიდნენ ლუსინდას მოსატაცებლად. რამდენიმე დღე მონასტრის ახლო იმალებოდნენ, რომ მათ მოსვლა არ შეეცოთ და არ გაფრთხილებულიყვნენ. იმ დრომდის უდარაჯეს, სანამ მონასტრის ჭიშკარს გააღებდნენ. მაშინ ფერნანდომ ორი თანამგზავრი სადარაჯებლად კარებზე დაყენა, ხოლო მესამე თან შეიყოლა და ლუსინდას სენაკში შევიდა. ამ დროს ლუსინდა ვიღაც მონაზონს ელაპარაკებოდა. იმდენი აღარ დააცადა, რომ გონზე მოსულიყო და საშველად დაეძახა, მაშინვე მოიტაცა და ერთ მახლობელ სოფელში მიიყვანეს: რაც საჭირო იყო, იქვე იშოვეს და სამგზავროდ შეემზადნენ. ქალის მოტაცება ძნელი არ იყო, რადგან მონასტერი უდაბურ ალაგას დგას, ხალხის საცხოვრებლიდან მოშორებული. ლუსინდამ რაკი თავის თავი დონ ფერნანდოს ხელში დაგულა, ჯერ გული შეუღონდა და როცა მოსულიერდა, მას შემდეგ მხოლოდ ტიროდა, ოხრავდა და ერთ სიტყვასაც არ ეუბნებოდა მას. ასე ჩუმი ტირილით მიიყვანა ფუნდუკამდის, სადაც დონ ფერნანდოს თითქოს ცა გაეხსნა და ყველა ამქვეყნიური მღელვარება დაუსრულდა და დაავიწყდა.

თავი XXXVII

სადაც გრძელდება ინფანტა მიკომიკონის ამბავი და სხვა თავშესაქცევარი

ფათერაკები

სანჩო ყველა ამას მწუხარე გულით ისმენდა, რადგან აკრად ხედავდა, რომ მისი გრაფად გახდომის იმედები ჰქრებოდნენ, ვითარცა ბოლი ქარისაგან იმ წამს შემდეგ, რაც მომხიბლავი პრინცესა მიკომიკონი დოროთეად გადაიქცა და დევი პანდაფილანდო დონ ფერნანდოდ, მის ბატონს კი ამ დროს ნეტარი ძილით ეძინა სრულიად არ ესმოდა, თუ მის გარშემო რა ამბავი ხდებოდა. ხოლო დოროთეა, კარდენიო და ლუსინდა გულს ვერ აჯებებდნენ, თუ მათი ბედნიერება სიზმარი არ იყო; დონ ფერნანდო კი მადლობას სწირავდა ზენაარს, რომ წყალობა, მოიღო და იმ დახლართული მდგომარეობიდან გამოიყვანა, რაც მას პატივსა ხდიდა და დაღუპვასაც უქადდა. ყველა მათი მაცქერალნი სიხარულისაგან აღარჩიყვნენ, რომ ესოდენი მათი საეჭვო და სამწუხარო ფათერაკები ბედნიერად დაბოლოვდნენ, ხოლო მღვდელი თითოეულს მათგანს თვის წალადხდომილ ბედნიერებას ულოცავდა. მაგრამ ყველაზე ხმამაღლა მეფუნდუკის ცოლი აცხადებდა სიხარულს, და ის ახარებდა, რომ მღვდელმა და კარდენიომ დონ კიხოტისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება აღუთქვეს. ამ საერთო სიხარულში, როგორც ვთქვით, მარტოდმარტო სანჩო იყო დაღვრემილი და გულდაწყვეტილი.

ერთ ადღზე ცხვირჩამოშვებული თავის ბატონთან შევიდა, - იმას ის იყო გაკვლივობა - და მოახსენა:

- თქვენო მოწყალეზავ, ბატონო მწუხარე სახის რაინდო, ახლა შეგიძლიათ იმდენი დაიძინოთ, რამდენიც გნებავთ. ნულარც დევის მოკვლაზე გაირჯებით და ნულარც დედოფლებისთვის სამფლობელოების დაბრუნებაზე. ყველაფერი უთქვენოდ გარიგდა და კიდე გათავდა.

- დიხაც გარიგდებოდა - მოუგო დონ კიხოტმა, - ეს ეს იყო, ისეთი საშინელი ბრძოლა მქონდა დევთან, რომ მსგავსი, მგონია, ჩემს სიცოცხლეში არსად მომიხდეს. ერთი მოქნევით გავაგდებინე თავი და სისხლმაც ნაკადულებად ისე დაიწყო ჩქევა, წყალი გეგონებოდა.

- ისა სჯობია ბრძანოთ კიდევ, ღვინო გეგონებოდათქო, და უწყოდეს თქვენმა მოწყალეზამ, თუ ჯერ კიდევ არ უწყის, რომ თქვენგან მოკლული დევი ღვინით სავსე ტიკი გამოდგა და დაღვრილი სისხლიც ექვსი არობა წითელი ღვინო გახლდათ, მის მუცელში რომ იდგა. თქვენგან მოჭრილი თავიც ჩემი უბედური ბედია, ქვეყანაზე რომ გაუჩენივ; ყველა ამ მასხარაობას ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია.

- რას რომავ მხეცო, ხომ არ გაგიჟებულხარ, - შეუტია დონ კიხოტმა.

- აბრძანდით ბტონო, - განაგრძო სანჩომ, - აბრძანდით და თქვენი თვალით დაინახავთ, ჩინებული საქმეც ჩაიდინეთ და რაშიც ბლომად ფულის გადახდა მოგიხდებათ; მიკომიკონის დედოფალსაც ნახავთ, ახლა რომ ჩვეულებრივ ქალად - დოროთეად გადაიქცა და ბევრიც კიდევ სხვა რამ გაგაკვირვებთ, თუკი რისამე გაგება კიდევ შეგიძლიათ.

- მე არაფერიც არ გამაკვირვებს, - უთხრა დონ კიხოტმა, - რადგან თუ კარგი მეხსიერება გაქვს, გეხსომება, ამას წინათ ამ სასტუმროში რომ ერთი ღამე გავატარეთ, მაშინ არ გითხარი, აქაობა მთლად მოხიბლული და მოჯადოებულია მეთქი, და რაც კი რამ აქ ხდებოდა, სულ თვალთმაქცობისადა მანქანების საქმე იყო? მაშ რაღა საკვირველი იქნება, რომ ამჯერობაზედაც ასეთი რამ მომხდარიყოს.

- ყველაფერ ამას დაგიჯერებდით, ბატონო, - მიუგო სანჩომ, - რომ საბანზე ჩემი აფრენა და ჩამოფრენა თვალთმაქცურს ჰგვანებოდა: საუბედუროდ სწორედ ნამდვილი იყო და ჭეშმარიტი. ჩემი საკუთარი ოვალით ვხედავდი, რომ საბნის ერთი კუთხე, სწორედ აი აქ რომ არის, ამჩმეფუნდუკეს ეჭირა და ჰაერში ალაყმალაყს მათამაშებდა, თანაც დამცინოდა და მემასხარავებოდა. მართალი, სულელი და ბრიყვი გახლავარ, მაგრამ ის კი გამეგება, რომ თუ ადამიანი გავარჩიე და ვიცან, მაშინ იმდენადვე მოჯადოებული ვყოფილვარ როგორც ახლა ეს ჩემი ხელია მოჯადოებული; და როდესაც მუშტებს მარტყამენ და ტანს მილურჯებენ, მეც სწორედ მუშტებად და ტანის დალურჯებად მიმაჩნია. აქ მოხიბვლას, გრძნეულებას ან ჯადოქრობას რა ხელი აქვს!

- კმარა, კმარა, ჩემო მეგობარო, - უთხრა დონ კიხოტმა; ღმერთი მოწყალეა. მოიტა ერთი ტანთ ჩავიცვა, და ვნახო, რა გარდაქმნა მომხდარა.

სანჩო რომ დონ კიხოტს ტანთ ჩაცმას შველოდა, ამასობაში მღვდელმა დონ ფერნანდოს და მის ამაღას რაინდის გადარევა უამბო და ისიც, თუ რა ხერხითა და მოტყუებით ძლივძლივობით გამოეყვანათ "პენია პობრედან", სადაც თავის ჭკუით ვითომ მიჯნური ქალის სიმკაცრის

მიზეზით იყო გავარდნილი; აგრევე დონ კიხოტის ყველა ფათერაკი უამბო მათ, რაც კი სანჩოსაგან ჰქონდა ნაამბობი. ამ ამბავმა დონ ფერნანდო და მისი მეგობრები ბევრი აცინა და თან კიდევ გააკვირვა. მათ ისე მიიღეს (როგორც ყველა მიიღებდა), რომ დონ კიხოტის შემოწმება უცნაური და უმაგალითო შემოწმება უნდა ყოფილიყო. მღვდელმა დაუმატა, რომ დედოფლის ამ ბედნიერმა გარდაქცევამ მათი უწინდელი გეგმა შესცვალა და ახლა სხვა ოინი რამე უნდა მოეგონათ, რომ დონ კიხოტი შინამდის როგორმე მიეყვანათ. კარდენიომ თავის სამსახური აღუთქვა, ოინის ბოლომდის მისაყვანად და დოროთეას მაგიერ ამ საქმეში ლუსიდა მიიშველა.

- არა, არა, - დაიძახა დონ ფერნანდომ, - დაე, ისევ დოროთეამ განაგრძოს დაწყებული საქმე და, თუ ამ კეთილი კაცის სოფელი შორს არსადაა, ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნო იქნებოდა მის განკარგულებაში წილი ჩამედო.

- აქედან ჩვენს სოფლამდის ორი დღის სავალზე მეტი არ იქნება, - მიუგო მღვდელმა.

- მეტიც რომ იყოს, - მიუგო დონ ფერნანდომ, - მაინც სიამოვნებით წამოვალ, ოღონდ კი კეთილ საქმეს ეშველოს რამე.

ამ დროს ოთახში შემოვიდა დონ კიხოტი, მთლად შეიარაღებული, თავზე მამბრინის ჩაჩქანი ეხურა, ძალზე დაჟეჟილი და დაჭყლეტილი, მკლავზე ფარი ჰქონდა გაკეთებული და ხელშიც მარგილი თუ შუბი ეჭირა. ამ უცნაურმა მოჩვენებამ დონ ფერნანდო და მისი მეგობრები გააოცა. გაკვირვებით უცქეროდნენ მის გამხმარ, გაყვითლებულ ნახევარი ალაბის სიგრძე სახეს, მის სხვადასხვა ფერის იარაღსხმულობას, მის დამშვიდებულს და დიად შეხედულობას და ხმაგაკმენდილნი უცდიდნენ, თუ ეს საოცარი კაცი რას ეტყოდა მათ დონ კიხოტი დოროთეას დააშტერა თვალი და მედიდურად წყნარი ხმით უთხრა:

- ეს არის ახლა ჩემი საჭურველმტვირთველისაგან შევიტყვე, მშვენიერო და კეთილშობილო ქალო, რომ თქვენი დიდება დაფუძულა და თქვენი არსებობა მოსპობილა, რომ დედოფლიდან, დიდებული სეფექალიდან, როგორც ჩვეულებრივ ბრძანდებით, უბრალო ქალად გარდაქმნილხართ. თუ ეს ჯადოქარი მეფე მამათქვენის განკარგულებით მოხდა, ეგებ იმ ეჭვით, რომ თქვენი თანხლების ღირსი არ ვყო, ამაზე მხოლოდ ერთი ის დამრჩენა მოგახხენოთ, რომ მამათქვენს რაინდთა ისტორია ძალიან მცირედ სცნობია. მას რომ ყურადღებით წაეკითხა და მთლად გადაეკითხა ეს მოთხრობები, როგორც მე ჩავდიოდი ამას, მაშინ ეცოდინებოდა, რომ იმ რაინდებსაც კი, რომელნიც სახელგანთქმულობით ჩემზე ძალიან შორს ჩამორჩენილნი ყოფილან, კეთილად დაუბოლოებიათ ხოლმე ბევრად უფრო სამნელო საქმე, ვიდრე ისა, როგორაც ახლა მე მხვდა წილად. არ ვიცი, ღმერთმანი, რა დიდი საქმეა ერთი პატარა დევის მოკვლა, რაც უნდა საშინელი იყოს იგი. დიდი ხანი არ გასულა მას აქეთ, რაც მე პირდაპირ შევები მას და... მაგრამ მეტს აღარას ვიტყვი, რომ სიცრუე არ დამწამოთ; ყოვლის გამომჩენელი დრო დაამთავრებს ჩემს სიტყვას და ეს სწორედ მაშინ მოხდება, როდესაც ჩვენ ამის მოლოდინი სულაც არ გვექნება.

- დევს კი არა, და ორ ტიკს კი შეებით, - ჩაერია მეფუნდუკე.

მაგრამ დონ ფერნანდომ მაშინვე ანიშნა გაჩუმებულიყო და დონ კიხოტისათვის ლაპარაკი არ დაეშალა.



- დასასრულ, ამასაც მოგახსენებთ, დიდებულო, გვირგვინახდილო ქალბატონო, - განაგრძო დონ კიხოტმა, - თუ მამათქვენმა ჩამოგართვათ მეფობა იმ მიზეზით, რა მიზეზსაც მე ვფიქრობ, გთხოვთ, მაინც ნუ შეწუხდებით ამაზე, რადგან არავითარი საშიშროება არ არის ქვეყანაზე ისეთი, რომ ამ მახვილმა არა სძლიოს, ეს მახვილი, დაგიგდებთ რა აწ ფერხთა წინაშე თქვენი მტის თავს, მერწმუნეთ, იგივე მახვილი თქვენდა კუთვნილ გვირგვინსაც თავზე მალე დაგადგამთ.

დონ კიხოტი შედგა და პრინცესასავან პასუხს დაელოდა. დოროთეამ, რაკი დონ ფერნანდოს გადაწყვეტილება იცოდა, რომ დაწყებული ოინი იქამდის განეგრძოთ, ვიდრე დონ კიხოტს შინამდე მიიყვანდნენ, მეტად ხერხიანად და თამამად უპასუხა:

- ღვაწლმოსილო, მწუხარე სახის რაინდო! უცრუვინა, ვისაც თქვენთვის ჩემი გარდაქმნა უთქვამს, იმიტომ, რომ დღესაც იგივე ვარ, რაც გუშინ ვიყავ, მართალია ზოგიერთი ბედნიერი შემთხვევის მიზეზით ცოტა რამ ცვლილება მოხდა ჩემში და ამან ბედნიერების უმაღლეს ხარისხამდე მიმიყვანა, მაგრამ მაინც კვლავ გეტყვით, რაც ვიყავ, ისევ ისა ვარ. ახლაც უწინდებურად ვსაჭიროებ თქვენი უძლეველი მარჯვენის დახმარებას. მაშ, ჩემო პატიოსანო რაინდო, ექვს ნურას იქონიებთ მამაჩემზე, წინანდებურადვე გონიერ და გამოცდილ კაცად ჩათვალეთ იგი, ვინაიდან მან თავისი მეცნიერებით დიახ ნამდვილი და ადვილი საშუალება აღმოიჩინა ჩემი უბედურებისაგან გამოხსნისათვის. ბედნიერია ჩემთვის ის წამი, როდესაც თქვენ შემხვდით, უამისოდ მე იმ ნეტარებას ვერასოდეს ვერ მივალწევდი, რა ნეტარებასაც ახლა ვგრძნობ. აქ მბრძანებელნი მიმოწმებენ, რომ ჭეშმარიტ სიმართლეს ვამბობ. მაშ ახლა დაგვრჩენია, ხვალ გზას გავუდგეთ; - დღეს კი ბევრ მანძილს ვეღარ გავივლით, რადგან გვიანია, - დარომ ჩემი საქმე ბედნიერად დაბოლოვდება, ამის იმედი მაქვს ჯერ ღვთისა და მერე თქვენი პატიოსანი გულის ვაჟკაცობისა.

ეს უთხრა მოხერხებულმა დოროთეამ და ამის პასუხად დონ კიხოტი მიუბრუნდა სანჩოს მრისხანე სახით და უმადური კილოთი უთხრა:

- ახლა, ჩემო საწყალო სანჩოვ, უნდა გითხრა, რომ შენა ხარ უდიდესი არამზადა და სულელი მთელს ესპანეთში. შენ არ მეუბნებოდი, ქურდბაცაცავ და უმაქნისო ქმნილებზე, რომ დედოფალი ვიღაც უბრალო დოროთეად გადაიქცაო, შენ არ იყავ, რომ ის ჩემგან მოკვეთილი დევის თავი იმ რაღაც შავ ბედად გახადე, რამაც ქვეყანაზე გაგაჩინა? შენ არ მიედ-მოედებოდი რაღაც სისულელეს და მით ამაღელვე და ცნობა დამიფანტე იმზომად, რომ ჩემს საცოცხლეში ჯერ არ მომსვლია? ღმერთსა ვფიცავ, -(ცაში ახედვით და კბილების კრაჭუნით დაუმატა მან), არ ვიცი რა მიჭერს, ერთი კარგად არ მიგბეგვო და ყველა შენისთანა ცრუპენტელა საჭურველმტვირთველებს ეს მიბეგვა სამარადისო სახსოვრად არ დავუტოვო.

- დამშვიდდით, ჩემო ძვირფასო ბატონო, - მიუგო სანჩომ, ძალიან შესაძლებელია პრინცესა მიკომიკონის გარდაქმნაზე შემცდარი ვყო, მაგრამ რაც დევის თავს, ანუ ღვინით სავსე ტიკებს შეეხება და იმას, რომ თქვენ სისხლი კი არა, წითელი ღვინო დაჰღვარეთ, - ამას კი არა ვტყუი, ღმერთია მოწმე, თქვენგან დაჭრილი თხის ტყავი ჯერაც თქვენი საწოლის თავთან დევს და თვითონ თქვენი ოთახიც ღვინის ტბად არის გადაქცეული. თუ ასე არ იყოს, გაიგებთ, როცა დრო მოვა, და თავისმოქეჟვა მოგიხდებათ, ესე იგი, როცა მეფუნდუკე ყველა დაჭრილისა და დაღვრილის ფასს მოგთხოვთ. მე კი ნამდვილი გულით მიხარია, რომ დედოფალი როგორც

იყო, იმავე დედოფლად დარჩა, რადგან მის სამფლობელოში მეც წილი მაქვს, როგორც ყველა მონაწილეს წილი აქვს ამხანაგობაში.

- მე მხოლოდ გეუბნები, სანჩო, რომ ბრიყვი ხარ და სხვა არაფერი; ამაზე მეტსაც არას გეტყვი, - შენიშნა დონ კიხოტმა, - მაპატიე თუ გეწყინა, და ყველა ეს, რაც კი იყო, დავივიწყეთ.

- დიახ, დიახ, - დაიძახა დონ ფერნანდომ, - დავიწყებას არა სჯობია-რა, და რადგან გვიან არის და პრინცესას ხვალ ნებავეს გამგზავრება, ამიტომ იმის სურვილს უნდა დავემორჩილოთ. ეს ღამე გათენებამდის სასიამოვნო ბაასით გავათიოთ, ხოლო გათენდება თუ არა, გზას გავუდგეთ და ბატონი დონ კიხოტი გავაცილოთ, ჩვენი თვალთ ვნახოთ მისი დიდნი საქმენი და სახელოვანი ღვაწლი, რასაც მისი ვაჟკაცობა ჩაიდენს მის მიერ ეგოდენ სულგრძელად ნაკისრ გმირობითა შესასრულებლად.

- მე თქვენ უნდა გეახლოთ და გემსახუროთ, და არა თქვენ მე, - უპასუხა დონ კიხოტმა. ახლა კი იმის მეტი აღარა დამრჩენია რა, მადლობა გიძღვნათ მაგ წყალობისათვის და დავალებულად ვთვლიდე ჩემს თავს, რადგან კეთილი აზრისა ხართ ჩემზე, ვეცდები ყველა ღონე ვიხმარო და ეგ აზრი გავამართლო, თუნდაც არა მარტო სიცოცხლეს, არამედ სიცოცხლეზედაც მომეტებულს მოითხოვდეს ჩემგან.

მანამ დონ კიხოტი და დონ ფერნანდო ერთმანეთს აღერსიანად ელაპარაკებოდნენ და ერთმანეთს სამსახურის გაწევის სურვილს უცხადებდნენ, ფუნდუკში ერთი ვიღაც ახალგაზრდა მგზავრი მავიდა და ყველას ყურადღება მიიზიდა. მისი ტანსაცმელი ამხელდა, ქრისტიანი უნდა ყოფილიყო, მავრების ქვეყნიდან ახლად დაბრუნებული. ლურჯი მაუდის უსაყელო მოკლესახელოებიანი კამზოლი ეცვა, მწვანე შარვალი და ისეთივე ქუდი ეხურა, ფეხთ ყვითელი მოკლეყელიანი წაღები ეცვა. მხარილივ ფოლადის ყაიმზე მავრული მრუდე ხმალი ეკიდა, თან ვირზე მჯდომარე მავრულად ტანთჩაცმული ქალი მოჰყავდა, პირბადე ჩამოფარებული და თავზე დიდ საბურავმოხვეული. ამ საბურავს ზევიდან პატარა ფარჩის ქუდი ეხურა. ტანზე ქალს გრძელი არაბული კაბა ეცვა და წითელ, გრძელ ჩადრში იყო ფეხებამდის გახვეული. კაცი შავგვრემანი სახისა იყო, ჩასხმული და შნოიანად მოყვანილი ტანისა, ხნით ორმოც წელს ცოტა გადაცილებული უნდა ყოფილიყო. წვერულვაში ხშირი და გრძელი ჰქონდა, კოხტად დაყენებული. გარეგნობა და მიხრა-მოხრა კეთილშობილი და დიდებული კაცისას უგავდა, თუ უბრალოდ არ ყოფილიყო ჩაცმული. ფუნდუკში რომ შევიდა, ცალკე ოთახი მოითხოვა, და ძალიან უკმაყოფილო დარჩა, როცა გამოუცხადეს, ყველა ოთახი დაკავებულიაო, შემდეგ თავის ქალთან მივიდა და ვირიდან ჩამოსვლა უშველა. დოროთეა, ლუსიდა, მასპინძლის ცოლი, მისი ქალი და მარიტორნესი შემოეხვივნენ იმ ქალს. მისმა უცნაურმა ტანისამოსმა მიიზიდა ისინი, რადგან მსგავსი ჯერ არ ენახათ. მუდამ თავაზიანმა და კეთილმა დოროთეამ ქალს, ცალკე ოთახის უმოვნელობის გამო, წყენა შეამჩნია და დაყვავებით უთხრა:

- ნუ შეწუხდებოდი, ქალო, ამ სახლის მოწყობილობაზე, ყველა ფუნდუკის თვისებაა, რომ მოწყობილობა აკლია. თუ მოისურვებთ ჩვენთან ერთად (ლუსინდაზე აჩვენა) ყოფნას, იმედი მაქვს, მთელს თქვენს მგზავრობაში ჩვენზე სიამოვნებით არავინ მიგიღოთ.

მგზავრმა ქალმა, ისევ პირბადე ჩამოფარებულმა, არა უპასუხა-რა, ხოლო სელიდან წამოდგა, ხელები გულზე გადაიჯვარედინა და მადლობის ნიშნად მძიმედ თავი დაუკრა. მისმა ჩუმად ყოფნამ მთლად დაარწმუნა ყველა, რომ იგი მავრი იყო და ქრისტიანები ენა არ ეყურებოდა. ამ

დროს ტყვედნამყოფიც მოვიდა, აქამდის რომ სხვა საქმეში იყო გართული. რა ნახა, ყველა ქალი მის ქალს შემოხვეოდა, ის კი მათ ლაპარაკზე პასუხს არ აძლევდა, უთხრა ქალებს:

- მშვენიერო ქალბატონებო, ამ ქალს ჩვენი ენა მძლივს ეყურება და მარტო თავის სამშობლოს ენაზე ლაპარაკობს; ამიტომაც თქვენს კითხვაზე პასუხი ვერ მოუცია.

- ჩვენ იმას ვთხოვთ მხოლოდ, - უპასუხა ლუსინდამ, - ამაღამ ჩვენს ოთახში მოისვენოს, რამდენადაც კი შეგვიძლია და ეს ადგილიც ხელს შეგვიწყობს, იმ პატივით მოვუვლით, რა პატივითაც მოვალენი ვართ უცხო ტომი და მეტადრე უცხო ტომის ქალი მივიღოთ.

- ხელეებს გივოცნით, ქალბატონო, ამის მაგიერ და ჩემს მაგიერადაც და ღირსეულად ვაფასებ მაგ თავაზს. ჩემს გარემოებაში მყოფი კაცისათვის თქვენისთანა პიროვნებათაგან ასეთი წყალობა დიდ ფასადა ღირს.

- ერთი მითხარით, ყმაწვილო, - სიტყვა გააწყვეტინა დოროთეამ, - ეს ქალბატონი ქრისტიანია, თუ მაჰმადიანი? ამის ტანისამოსი და ჩუმიად ყოფნა გვაფიქრებინებს, რომ ეს ქალი იმ სარწმუნოებისაა, რა სარწმუნოებისაც არა გვსურს რომ ყოფილიყო.

- ტანისამოსით და სხეულით მაჰმადიანია, - მიუგო ტყვედნამყოფმა, - ხოლო სულით და გულით ნამდვილი ქრისტიანია, რადგან დიდი სურვილი აქვს გაქრისტიანებისა.

- მამ ჯერ მოუნათლავი ყოფილა, - დასძინა ლუსინდამ.

- დიახ ჯერ მოუნათლავია, - მიუგო ტყვედნამყოფმა, - შემთხვევა ვერსად მოგვეცა მონათლულიყო, რაც ამის სამშობლო აღჭირიდან გამოვედი, და რაკი არც ისეთი გაჭირვება რამ დასდგომია, რომ სჯულის შეუსწავლელად მონათვლა აუცილებლად საჭირო ყოფილიყო, ესეც არ დაჩქარებულა. ღმერთი მოწყალეა, იმ ღირსებით მონათვლას მალე შეაძლებინებს, როგორც მაგის დიდ შთამომავლობას შეჰფერის, თუმცა კი ტანისამოსი არ მოწმობს ამას.

ამ სიტყვებმა ყველა მის მსმენელს სურვილი აღუძრა შეეტყოთ, ის ტყვედნამყოფი და მავრი ქალი ვინ იყო; მაგრამ ვერ გაბედეს მაშინვე ეკითხათ, რადგან კარგად ესმოდათ, რომ ის უფრო მართებული იქნებოდა, ჯერ მათი დასვენებისათვის ეზრუნათ, ვიდრე მათი ამბის გამოკითხვას მოჰყოლოდნენ. დოროთეამ მავრ ქალს მოჰკიდა ხელი, გვერდით დაისვა და პირბადის ახსნა სთხოვა. ამის პასუხად მან ტყვედნამყოფს შეხედა. უკანასკნელმა არაბულად გადასცა, პირბადის ახდას გთხოვენო, და თანაც დაუმატა, კარგი იქნება აუსრულოო. ქალმა მაშინვე აიხადა პირბადე და ეგოდენ მშვენიერი პირსახე გამოაჩინა, რომ დოროთეას ლუსინდაზე და ლუსინდას - დოროთეაზე მშვენიერი ეჩვეათ, ხოლო ყველა იქ მყოფი იმ აზრისა იყო, რომ თუ ლუსინდას და დოროთეას მომხიბლავი მშვენიერების მეტოქე გამოჩნდებოდა ვინმე ქვეყანაზე, - ეს მეტოქეობა მხოლოდ მავრ ქალს შეეძლო; ზოგნი ამ ქალს კიდევ ამჯობინებდნენ მათ. და რადგან სიმშვენიერეს ის თვისება აქვს, რომ ყველას იხმობს და იზიდავს, ამიტომ ყველანი ცდილობდნენ მშვენიერი მავრი ქალისათვის სამსახური რამ გაეწიათ, ხოლო დონ ფერნანდომ ტყვედნამყოფს იმ ქალის სახელი ჰკითხა. "ლელა-ზორაიდა", - უპასუხა ტყვედნამყოფმა, ამ სიტყვებზე მავრი ქალი მიხვდა ქრისტიანის კითხვას და თითქოს წყენით, საჩქაროდ წყნარად წამოიძახა.

- არა, ზორაიდა არა, მარია, მარია! - ამით სურდა აეხსნა მათთვის, რომ მარიამი ერქვა და არა ზორაიდა. ისეთი საამო კილოთი და ტურფა ხმით იყო ეს სიტყვები წარმოთქმული, რომ

მსმენელთ ცრემლები მოგვარა, მეტადრე ქალებს, რომლებიც ბუნებით უფრო გრძნობიერნი და ლმობიერნი არიან.

- დახ მარიამი, მარამი, - გაიმეორა ლუსინდამ და აღტაცებით მოეხვია ქალს.

- დიახ, დიახ, მარიამი, ზორაიდა - მაკანში (რაც არას ნიშნავს).

ამასობაში ბინდმაც მოატანა და ფუზდუკის პატრონი დონ ფერნანდოს თანამგზავრთა ბრძანებით, ვახშმის მზადებას შეუდგა და ყველა ღონისძიებას ხმარობდა, რომ რაც კი შეეძლო, საუკეთესო ვახშამი გაეკეთებია. ვახშმობა რომ დადგა, მგზავრები შემოუსხდნენ გრძელ ვირწრო ტაბლას, რადგან ფუნდუკში არც მრგვალი და არც ოთხკუთხი მაგიდა არ აღმოჩნდა. თავში დონ კიხოტი დასვეს, თუმც ის ძალიანაც უარობდა ამ პატივს. მას გვერდით მისივე სურვილით მიკომიკონის დედოფალი მოუჯდა, ვითარცა თავის საკუთარ რაინდს. შემდეგ ლუსინდა და ზორაიდა დასხდნენ. და პირდაპირ დონ ფერნანდო და კარდენიო დაუსხდნენ; ქალებს გვერდით მღვდელი და დალაქი მოუსხდნენ და მათ ქვევით ტყვედნამყოფი და სხვა კაცები დასხდნენ. მხიარულ მასლაათში მადიანად მიირთმევდნენ; მაგრამ მეტისმეტი სიხარული მაშინ მიეცათ, როდესაც შენიშნეს, რომ დონ კიხოტი ჭამას მორჩა და იმავე გრძნობათ აღძრული, რა გრძნობითაც ოდესმე თხის მწყემსების წინაშე გრძელი სიტყვა წარმოთქვა, ახლაც რაღაც სიტყვის სათქმელად ემზადებოდა.

- ბატონებო, - დაიწყო მან, - უნდა დამეთანხმოთ, რომ ვისაც თავი მოგზაური რაინდების დასში შეურიცხავს, ის მუდამ ხედავს საქმეთა საკვირველთა, სასწაულებრივთა და არ გაგონილთა. აბა ერთი მიბრძანეთ, ისეთი ადამიანი მოიპოვება ვინმე ქვეყანაზე, რომ ამწამში ამ ციხე-დარბაზის ბჭეში შემოდგას ფეხი, ტაბლის გარშემო ამ სახით მჯდომარენი დაგვინახოს და წარმოდგენა შეეძლოს და დაიჯეროს, რომ ჩვენ სწორე ისინი ვართ, ვინცა ვართ! ვინ იტყოდა, რომ ეს ჩემს გვერდით მჯდომარე მანდილოსანი, დიდი დედოფალი მიკომიკონი ბრძანდება, ყველა ჩვენგანის მცნობი, და მეც ის მწუხარე სახის რაინდი ვარ, ვისი დიდებაც მთელს ქვეყანაზე მოიფინა! განა შეიძლება ეჭვი იქონიოს ვინმემ, რომ მოგზაური რაინდის ხელობა, ყველა იმ ხელობას აღემატება, რაც კი ოდესმე ადამიანის გონებას მოუგონია! რომ ადამიანი მით უმეტესი პატივის ღირსია, რადგანაც იგი უმეტეს საფრთხეში აგდებს თავის თავს. ჩემთა თვალთაგანაც გამქრალან ის ვაჟბატონები, რომელნიც ამტკიცებენ, ვითომ კალამი ხმალზე უაღრესობდეს, თუ არა, და მე ვეტყვი მათ, ვინც უნდა იყვნენ ისინი, რამეთუ არა უწყიან, რას ამბობენ. თავისი სიტყვების დასამტკიცებლად მათ ჩვეულებრივად ის საბუთი მოჰყავთ, რომ გონებრივი შრომა სხეულის შრომაზე უაღრესობსო და რომ სამხედრო ხელოვნებაში მარტო სხეული მოქმედებსო. თითქოს მხედარ კაცს ტვირთმზიდველ მუშასავით მარტო ღონიერი მხარ-ბეჭი მოეთხოვებოდეს; თითქოს სამხედრო ხელობისათვის სალაშქრო მეცნიერების სწავლას ჰკუთნის დიდი განვითარება არა სჭირდებოდეს; და თითქოს, დასასრულ, სპასალარი ლაშქრობის ჟამს, ბრძოლის ველზე რომ ჯარს ამოქმედებს, ან მეციხოვნეთ უფროსი, ალყაშემორტყმულ ციხეს რომ იცავს მტრისაგან, გონებითაც ისევე არ მოქმედებდეს, როგორც სხეულით. განა ძალგვიძს ჩვენი სხეულებრივი ღონით ვსცნათ მტრის განზრახვანი, მისი მოსაზრება და მოძრაობა გამოვიცნოთ, მივუხედეთ მის გაჭირვებას და ამით მოულოდნელი ბოროტება თავიდან ავიცილოთ? ეს ყოველივე გონებრივი შრომით მოხდება ხოლმე და ამ საქმეში ჩვენს სხეულს არავითარი ჯაფა არ მოსდის. თუ სამხედრო ხელობა მეცნიერთა და მწიგნობართა ხელობის მსგავსად გონების შრომას მოითხოვს, მამ ეცდები აგიხსნათ, თუ ვის შრომას ეკუთვნის უპირატესობა: მხედრისას თუ მწიგნობარისას? ამის გაგება ჩვენთვის ძნელი არ იქნება,

როდესაც იმ მიზანს გავითვალისწინებთ, რა მიზანსაც თითოეული მათგანი ელტვის, და იმ აზრსაც დავადგებით, რომ მომეტებული პატივის ღირსი ხელობაა, რა ხელობაც დიადი და პატიოსანი განზრახვით აღიმრება თავი და ბოლო მწერლობისა და მწიგნობრობისა ის არის (საღვთო მწერლობაზე როდი მოგახსენებთ, სასუფეველში შესასვლელად რომ სულთა მომზადება აქვს მიზნად; ამ დიადს მიზანს სხვა ვერა რომელი ვერ შეედრება. მე საერთო მწიგნობრობაზე მოგახსენებთ), დიახ, მწერლობის თავი და გოლო ის გახლავთ, მე გოგრებო, რომ სამართლიან კანონის აღსრულებას დაეხმაროს, მართლმსაჯულებას გამარჯვება მისცეს და ყველას ის მიანიჭოს, ვის რა ეკუთვნის: თქმა არ უნდა, რომ დიდი და საპატიო მიზანია ეს მიზანი და ყოველივე ქების ღირსიც არის, მაგრამ მხედრობის მიზანს მაინც ვერ უდრის, რომლის განზრახვა და მეცადინეობა ის არის, ქვეყნიერებას კაცობრიობისათვის ყველაზე უადრესი კეთილი - მშვიდობა მიანიჭოს. ლაშქრობის თავიდათავი მიზანი მშვიდობაა, ხოლო ლაშქრობა მხედრის ხელობაა. პირველი სასიხარულო ამბავი, ქვეყანამ რომ იმ ღამეს მოისმინა, რა ღამის მსგავსიც დღეს ჩვენ მოგვეცა, ის ამბავი იყო, რაც ანგელოზებმა ცაში გალობით აუწყეს კაცობრიობას: "დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა კაცთა შორის სათნოება". აგრეთვე საუკეთესო ნეტარება, რომელიც ცისა და ქვეყნის უდიდესმა მოძღვარმა თავის საყვარელ მოწაფეთ ასწავლა, ის იყო, რომ ოდეს შევიდოდნენ ისინი ვისიმე სახლში, უნდა ეთქვათ: "მშვიდობა სახლსა ამას".. ბევრჯერ ეტყოდა ხოლმე მათ იგი მოძღვარი: მე გაძღვეთ თქვე ჩემს მშვიდობას, იყოს თქვენდა მშვიდობა. მშვიდობა ძვირფასი თვალთა, თვინიერ რომლისაც არც ქვეყანასა ზედა და არც ცათა შინა ვერავითარი ბედნიერება ვერ შესაძლო არს. მხედრობის მიზანიც ეს მშვიდობაა და ამით იგი მწერლობის მიზანს აღემატება. მაშ ახლა შევადაროთ მხედრის სხეულებრივი შრომა მწიგნობრის სხეულებრივს შრომას, და ვნახოთ, რომელი მათგანი უფრო ძნელია.

დონ კიხოტმა თავისი სიტყვა ისეთი დალაგებით და ისეთი ჩინებული კილოთი განაგრძო, რომ მსმენელი მთლად გაიტაცა და სრულიად დაავიწყა, რომ მათ ნახევრად ჭკუარეული კაცი ელაპარაკებოდა პირიქით, რაკი მის მსმენელთა მომეტებული ნაწილი აზნაურობა იყო, ჩვეულებისამებრ სამხედრო წოდებისათვის გამწესებული, ამიტომ ისინი დიდის სიამოვნებით უსმენდნენ. დონ კიხოტი კი განაგრძობდა:

- აი, ბატონებო, მე ვამბობ, რომ მეცნიერთა და მწიგნობართა სიძნელე და გაჭირვება შემდეგია: ყველაზე უპირველესი, რაც მასთანვე უმთავრესიც არის - სიღარიბეა (ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ყველა მწიგნობარი ღარიბი იყოს, არამედ იმიტომ, რომ მინდა მათი ცხოვრების უცუდესი მხარე წარმოგიდგინოთ). რაკი სიღარიბე ვთქვი, ვგონებ საჭირო აღარ იქნება მწიგნობრის სხვა ბედკრულობაც მოვიხსენიო; იმიტომ, რომ ვინც ღარიბია, მას ქვეყანაზე კარგი აღარა ეჭირვება-რა. ამ სიღარიბეს მწიგნობარი ხან ნაწილ-ნაწილ ითმენს; ხან შია, ხან ცივა და ხან ფეხშიშველია, ხანაც კიდევ ყველა ეს ერთად ემართება ხოლმე. ესეც კია, რომ იგი არასოდეს არ არის ისე ღარიბი, რომ ლუკმაპური ვერ იშოვნოს, თუმცა ეს ლუკმა იქნებ ცოტა გვიანაც შეხვდეს და ვინმე მდიდრის ნასუფრალიც იყოს. ყველაზე უდიდესი უბედურება მწიგნობრისათვის ის არის, რაც ჩვენში წვენზე სიარულს ეძახიან, ამას გარდა გათბობა სადმე სხვის სამზარეულოში შეუძლიათ ან სხვის ღუმელთან, და თუ მთლად გათბობას ვერ მოახერხებენ, ცოტა მაინც მოილხვობენ გაშემებულ ტანს; დასასრულ, ღამით ყველას დახურულ სახლებში ძინავთ. ისეთი წვრილმანების ჩამოთვლა კი საჭიროდ არ მიმაჩნია, როგორც, მაგალითად, უპერანგობა და წაღების უქონლობა. ძველი და დაგლეჯილი ტანისამოსი და ის თვისება, ყელში რომ ამოიდენენ ხოლმე, თუკი სადმე კარგ სადილს შეხვდნენ. აი, ამ ნარეკლიანი გზით, მძიმე და

მწელით, აქა-იქ მიხლა-მოხლით, ხან აქ წაბორძიკებით, ხან იქ წაქცევით, ერთგან წამოდგომით, რომ მეორეგან წაიქცნენ, ისინი ბოლის თავიანთ მიზანს აღწევენ; და მაშინ ყველა იმ ეკლნარს გაცილებულნი, თავისებურ სცილასა და ქარიბდას შუა გავლილნი, თითქოს ბედნიერი ზურგის ქართ ხელშეწყობილნი, იმ სავარძლისკენ მიფრინავენ, საიდანაც მწყალობელი ფორტუნის ფრთებზე მაღლა მჯდარნი იწყებენ ქვეყნის მართვას, აღწევენ მაღალ თანამდებობებს და ნაცვლად შიმშილისა - მამღრისად ჭამენ, სიცივე საამო სიგრილედ ეცვლებათ, ძონძების მაგიერ სადღესასწაულო ტანსაცმელს იცვავენ, ჭილობის ცვლად წმინდა ჰოლანდიურ ტილოს ზეწრებს იგებენ, დამასკურ ქსოვილებს იცვამენ და ფარდებსაც დიბისას იკეთებენ. ეს ყველა იმათ ცოდნისა და ნიჭის სამართლიან ჯილდოდ უხდებათ. მაგრამ, თუ ავწონით მათს შრომას და მხედართა შრომასთან შევადარებთ, ისინი ამათ ძალიან შორს ჩამორჩებიან და ამას მე თქვენ ახლავ დაგიმტკიცებთ.

თავი XXXVIII

სადაც გადმოცემულია დონ კიხოტის საყურადღებო სიტყვა სამხედრო საქმესა და მწიგნობრობაზე

დონ კიხოტი შედგა, რომ სული მოებრუნებინა, და შემდეგ განაგრძო:

- რადგან მწიგნობრებზე ჩამოვადგეთ ლაპარაკი, მათ სიღარიბესა და იმ სიღარიბის სხვადასხვა გვარობაზე, ამიტომ მინდა აშკარად დაგანახოთ, ვინ უფრო ღარიბია: ესპანელი მხედარი, თუ ესპანელი მწიგნობარი; და მაშინ დარწმუნდებით, რომ ესპანელ მხედარზე ღარიბი ქვეყანაზე აღარავინ არის. იგი იძულებულია ან თვისი მცირედი ჯამაგირი იკმაროს, რაც თავის დროზე არ ეძლევა და ხან სულაც არ ეძლევა ხოლმე, და ან იმით ირჩინოს თავი, რასაც ქურდობით იშოვნის და ამით სულიცა და ხორციც მუდამ საფრთხეში ამყოფოს; ხანდახან იქამდის შემოაცვდება ხოლმე ტანისამოსი, რომ იგი თავის გაცვეთილ ტყავის კაშხოლს ერთსა და იმავე დროს პერანგადაც ხმარობს და საპარადო მუნდირადაც, და აბა მითხრით, რამ უნდა გაათბოს, როცა შუა ზამთარში, ტრიალ მინდორზეა ხოლმე. თვის პირიდან გამირული ორთქლითვე გაათბობს, მაგრამ ვაი იმ გათბობას; ბუნების კანონით ცარიელი კუჭიდან გამოსული ჰაერიც ხომ ცივი უნდა იყოს. ახლა, ღამდება - და მხედარმაც, მთელი დღის შრომით დაქანცულმა, უნდა მოისვენოს თავის ლოგინში. ვინ უშლის, - მოისვენოს, და თუ ლოგინი ვიწრო მოუვიდა, თავისი ბრალი იქნება, რამდენიც უნდა, იმდენი ადგილი ხომ შეუძლია მოზომოს დედამიწაზე და იმდენი გადაბრუნდ-გადმობრუნდეს, რამდენიც ესამოვნება, ვითომ ზეწრის დაჭმუჭნის შიში ექნება თუ? ბოლოს, თავის ხელობის შესაფერისი ბრძოლის დღე დგება და ჯილდო-ხარისხების მოხვეჭის იმედი ეძლევა. ამ დღეს ცივ წყალში დასველებულ ტილოს ძენძს დაადებენ თავზე და დოქტორის ქუდისოდენა ჭრილობას შეუხვევენ, ვინ იცის ერთი საფეთქლიდან მეორეში გავარდნილ ტყვიისა? ან ყუმბარისაგან ხელისა ან ფეხისა. მაგრამ ვთქვათ, ეს არც ერთი არ შეემთხვა და მოწყალე ზენამ მხედარი ბრძოლიდან ცოცხალი და დაუსახიჩრებელი გამოიყვანა; მაინც რა იქნება? შეიძლება უწინდებურადვე ღარიბად დარჩეს და კვლავ სხვა ომებს უცადოს. იქიდანაც მუდამ გამარჯვებული და უვნებელი გამოდიოდეს, რომ ოდესმე მაინც რამეს მიაღწიოს: მაგრამ ასეთი სასწაული ხომ იშვიათად მოხდება ხოლმე. ერთი მიზრძანეთ, ბატონებო, თუკი როდისმე ყურადღება მიგიპყრიათ ამისათვის, ბევრია ისეთი მხედარი, რომ ომს დაეჯილდოებინოს იმ მხედართა რიცხვთან შედარებით, რომელნიც ომში დაღუპულან? უეჭველია დამერწმუნებით, რომ ამ ორთა რიცხვის შედარება შეუძლებელია, რომ ომში დახოცილთა რიცხვი უზომოა, და გადარჩენილთა და

დაჯილდოებულთა რაოდენობა კი სამ ნიშნის რიცხვით შეგვიძლია აღვნიშნოთ. მწიგნობარ და სწავლულ ხალხის ცხოვრებაში სულ სხვასა ვხედავთ. ისინი თავისი კაბის კალთით, არ ვიტყვი სახელოებით-მეთქი, თავიანთ საცხოვრებელს იზოვნიან, მაშინ როდესაც მხედრის შრომის ჯილდო იმდენად მცირეა, რამდენიც უფრო მძიმეა მისი შრომა. ამაზე წინდაწინვე ვიცი, იმას მიპასუხებენ, რომ ორი ათასი ვექილის რიხიანად დაჯილდოება უფრო ადვილია, ვიდრე ოცდაათი ათასი მხედრისაო; მით უმეტეს, რომ პირველებს წოდებისა და თანამდებობის მიცემით აჯილდოებენ, რაც უთუოდ მათ უნდა ეკუთვნოდეს და სხვას არავისო; ხოლო მხედარს ჯილდო მარტო იმან უნდა მისცეს თავის საკუთარი ჯიბიდან, ვისაც ის ემსახურებაო. სწორედ ეს მხედრის რიგიანი დაჯილდოების შეუძლებლობა საბუთად უხდება ჩემს სიტყვას. მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ, თორემ ვაი თუ ისეთ ლაბირინთში შევხეტეთ, გამოსვლა ვეღარ მოვახერხოთ, და ისევე ამ საგანს მივუბრუნდეთ, რომ იარაღს მწიგნობრობაზე უპირატესობა აქვს. ამაზე დავა ჯერ აქამდის არ გადაწყვეტილა, ორივე მხარეს ამ საგანზე თავისი საბუთი მოჰყავს. სიტყვიერება თავის მხრივ ამტკიცებს, რომ საჭურველი თვინიერ მწიგნობრობისა ვერ იარსებებდა, ვინაიდან ომს თავის კანონები აქვს და იმ კანონებს ექვემდებარება იგი; ხოლო კანონებს მწერლობა და მეცნიერება მქმნის. ამაზე წინააღმდეგი მხარე უპასუხებს, რომ კანონებს დაცვა უნდა და მისი დაცვა მხოლოდ იარაღს შეუძლიაო, რომ იარაღი იფარავს სახელმწიფოებს, მწედ ეყოფის სამეფოთა, დარაჯად უდგება დაბათა და ქალაქთა, იგი უშიშარ ჰყოფს შარაგზებს, ზღვათაგან სდევნის მეკობრეთ; უმისოდ რესპუბლიკანი, სამეფონი, ყოველივე სამოქალაქო საზოგადოებანი, გზები და ზღვები მუდამ ომისაგან იქნებოდნენ შეძრწუნებულნი, აოხრებულნი და ნამალადევნიო. აღიარებულია, რომ რამდენადაც ძვირად ღირს ნივთი, იმდენად უკეთესია იგი. სამოქალაქო ასპარეზზე რომ საჩინო ადგილი დაიჭიროს კაცმა, ამისათვის დრო, სიფხიზლე, შიმშილი, სიშიშვლე, თავის ტკივილი, ჭკუის მოშლილობა და სხვა ამგვარი გაჭირვება არის საჭირო, რაც ზოგიერთი კიდევ მოგახსენეთ. მაგრამ, ვისაც სამხედრო ასპარეზზე ამალღება სურს, მან იგივე გაჭირვება უნდა გადაიხადოს, რაც სწავლულმა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ყველა ეს გასაჭირი, მხედრისათვის ერთიათად ძნელია, რადგან ყველა ამ გაჭირვების ჟამს მისი სიცოცხლე განსაცდელშია. როგორ შეიძლება სწავლულის შიმშილი ან ფეხშიშვლობა იმ გაჭირვებას შევადაროთ, რა გაჭირვებასაც მხედარი გრძნობს, როდესაც იგი მტრისაგან ალყაშემორტყმულ ციხეში სადმე ბურჯზე დარაჯად დგას, მიწათ მისკენ მიმავალი სანაღმო გვირაბის თხრა ესმის და იქიდან კი დაძვრა არ შეუძლია, რომ ხიფათს გაექცეს? მას მარტო ის შეუძლია, ეს ამბავი უფროსს შეატყობინოს; იგი ხიფათის ასარიდებლად მანქანის დადგმას შეუდგა, დარაჯი კი მაინც თავს ალაგისვე უნდა იდგეს და ყოველწამს აფეთქებას ელოდეს, ესე იგი, სრულებით მისდა დაუკითხავად, ღრუბლებამდის აფრენას და იქიდან უფსკრულში ჩავარდნას. თუ ასეთი სიკვდილი საზარლად არ გეჩვენებათ, მაშ ახლა ორი ხომალდი წარმოვიდგინოთ საბრძოლველად გადაბმულები უნაპირო ოკეანეში, ერთმანეთთან იერიშის მისატანად ქიმებზე ორიოდე ფუტის სიფართე ფიცარგადებულნი, აქ მხედარს იმდენი პირდაღებული სიკვდილი უქადის შთანთქმას, რამდენიც მოპირდაპირე გემიდან ზარბაზნებისა და არკებუზების ტუჩია მისკენ დამიზნებული, სულ ერთი შუბის ტარის მანძილზე; იგი ხედავს, რომ ხიდად გადებულ ფიცარზე ცოტადენი დატორტმანება ნეპტუნის სამფლობელოს სიღრმეში გაამგზავრებს, მაგრამ მაინც თავმოყვარეობით აღძრული და სიმამაცით წაქეზებული, მთელ იმ საჭურველს თავის მკერდით მიზნად უდგება და იმ ვიწრო ხიდით მტრის გემზე შევარდნას ცდილობს. აი, ხდება საშინელება, ერთი რომ ჩავარდება აქ, საიდანაც მეორე მოსვლამდის ვეღარ ამოვა, მსწრაფლ მის ადგილოს მეორე დგება, და თუ ესეც ჩაინთქა ზღვაში, მის ალაგს იმ წამს სხვა

დგება მის მაგივრად. და ასე, ამგვარად, ერთი მეორეს მოსდევს და ერთმანეთის სიკვდილს არ უცდის; ეს ისეთი გაბედულება და სიმამაცეა, რომ ქვეყანაზე ვერაფერი ვერ შეედრება. ნეტარ იყო ის დრო, როდესაც იმ საზარელ თოფ-ზარბაზნის სიმმაგე ჯერ არ იცოდნენ; მათი მომგონი შეჩვენებულად და ჯოჯოხეთის უფსკრულში შთავარდნილად მიმაჩნია, სადაც ისინი ამ ეშმაკეულ მდგომარეობისათვის ღირსეულად სასჯელს მიიღებენ. მათი მიზეზით მხდალი და უპატიოსნო ხელი ბოლოს უღებს მამაც რაინდსა, ვაჟკაცობით აღფრთოვანებულს უშიშარ გულს, საიდან არ გინდა, გზადაფანტული, როყო ტყვია ხვდება, ვინ იცის, ისეთი კაცისაგან გამოსროლილი, რომელიც თავისივე შეჩვენებული მანქანის ცეცხლისაგან შეშინებული გაქცეულა დასამალავად. უსპობს აზრებსა და სიცოცხლეს ისეთ მხედარს, რომელიც ღირსი იყო მრავალჟამიერ სიცოცხლით დამტკბარიყო. მერწმუნეთ, ამაზე რომ ვფიქრობ ხოლმე, დიდად ვნანობ, რომ მოგზაური რაინდობის მოვალეობა ვიდე კისრად. ამგვარ უშვერ და საძაგელ დროში. მართალია ვერავითარი შიში წარბსაც ვერ შეგახრევიანებს, მაგრამ მაიც ის ფიქრი მაძრწუნებს, რომ ერთი ბეწვა თოფის წამალს და ტყვიას შეუძლია მომიღოს ბოლო და მით შეძლება წამართვას - ჩემი მკლავის ძალითა და ჩემი მახვილის სიბასრით დედამიწას ზურგზე სახელი გავითქვა. მაგრამ იყოს ნება ღვთისა, ჩემს საწადელს თუ მშვიდობით მივაღწიე, იმდენით მეტი პატივის ღირსი შევიქნები, რამდენადიც წარსულია დროთა რაინდებთან შედარებით მომეტებულ შიშსა და გაჭირვებას დავჯაბნი.

ამ გრძელ სიტყვას რომ წარმოთქვამდა დონ კიხოტი, სხვები ვახშამს შეექცეოდნენ და მას კი პირში ლუკმაც ჩადებაც დაავიწყდა, თუმცა სანჩო პანსა რამდენჯერმე შეეხვეწა, ჯერ ვახშამი მიერთმია და მერე რამდენიც ნებავდა, იმდენი ექადაგა. მსმენელთ კი ძალიან ებრალებოდათ და წუხდნენ, რომ ასეთი ჭკუიანი კაცი ყველა საგანზე ასე მოფიქრებით და მჭერმეტყველურად განმსჯელი, რაღაც შეჩვენებულ რაინდობაზე გადარეულიყო. მღვდელმა დასძინა, რომ თუმცა თვითონაც მწიგნობართა დასს ეკუთვნოდა და სამეცნიერო ხარისაგა ჰქონდა მიღებული, მაინც ყველაფერში თანახმა იყო, რაც დონ კიხოტმა თქვა იარაღთ ხელში სამსახურის უპირატესობაზე ყველა სხვაგვარ სამსახურთან შედარებით. ნავახშმევს სუფრა რომ აიღეს, და მეფუნდუკის ცოლი, მისი ქალი და მარიტორნესი დონ კიხოტის დასაძინებელ ოთახს ქალებისათვის ალაგებდნენ, დონ ფერნანდომ ტყვედნამყოფს თხოვა თავგადასავალი ეამბნა. "ძალიან საყურადღებო უნდა იყოს თქვენი ამბავი, - დაუმატა მან, - რადგან თქვენი უცნაური მგზავრი ქალის ამბავთან კავშირი უნდა ჰქონდესო". ყოფილმა ტყვემ უპასუხა, რომ სიამოვნებით აღასრულებდა თხოვნას, მხოლოდ შიშობდა, ვაითუ მის ამბავს მათი მოლოდინი გაებცრუებინა; მაინც მათი თხოვნა აასრულა. მღვდელმა და იქ დამსწრეთ მადლობა გადაუხადეს და თვითონაც დასძინეს თხოვნა. რა ნახა, ყველანი თხოვდნენ, უპასუხა:

- თხოვნაზე რად სწუხდებით, როდესაც ბრძანება შეგიძლიათ. მაშ, გთხოვთ, ბატონებო, ყურადღება მოიღოთ და, მგონი, ვერც ერთი შეთხზული ამბავი ვერ შეედრება მას, რაც უნდა ოსტატურად და გულმოდგინედ იყოს მოთხრობილი.

ეს რომ თქვა, ყველა დამსწრე თავის ადგილზე გასწორდა და ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. რა ნახა, ყველა მოსასმენად მოემზადაო, ტყვედნამყოფმა დაწყნარებული და სასიამოვნო ხმით დაიწყო თავისი ამბავი:



სადაც მოთხრობილია ტყვედნამყოფის თავგადასავალი

ჩემს გვარეულობას დასაბამი ლეონის მთებში მდებარე ერთ პატარა სოფელში მისცემია. ბუნება უფრო მწყალობელი იყო და გულუბვი ჩემთვის, ვიდრე ბედი. ქვეყანა ღარიბი ყოფილა, მაგრამ მამაჩემს მაინც იმდენი მოუხერხებია, მდიდარი კაცის სახელი დაუმსახურებია, და მართლაც მდიდარი იქნებოდა, რომ ისევე გულმოდგინედ ეგროვებინა ქონება, როგორც გულმოდგინედ ფლანგავდა თურმე. გულუბვობას და ფლანგვას ყმაწვილობაში შეჩვევია, სალათად ყოფნის დროს, - სამხედრო სამსახური კი, ყველამ იცის, ისეთი სკოლაა, სადაც ძუნწი უბვობას სწავლობს და უბვი ფლანგვას. ხომ იშვიათი მოვლენაა, რომ ძუნწი მხედარი იყოს ვინმე. მამაჩემის გულუბვობა მფლანგვაობას უდრიდა თურმე და ეს თვისება კი ჯალაბის პატრონი კაცისათვის დიახაც გასაკიცხია, რადგან ადამიანის ქონებაც და კარგი სახელიც შვილების სამკვიდროს შეადგენენ. მამაჩემს სამი ვაჟი ყავდა და სამნი იმდენად მოზრდილები იყვნენ, რომ შეეძლოთ რამე საქმეს შესდგომოდნენ. გრძნობდა, ფულების მოხმარებაში უხეირო იყო, და ამ თავის სენს არც მალავდა, ამიტომ უნდოდა მფლანგველობისა და ხელგამლილობის ღონე როგორმე გამოცლიდა. ამ აზრით მოიწადინა თავისი ქონება სხვისთვის გადაეცა. ესე იგი იმაზე ეყო უარი, რისი უქონლობაც თვითონ ალექსანდრე მაკედონელსაც კი ძალაუნებურად ძუნწად გარდაქმნიდა. ეს რომ გადაწყვიტა, თავის ოთახში დაგვიძახა, კარები ჩაგვიკეტა, და ასე გვითხრა: "ჩემო საყვარელო შვილებო! მე რომ თქვენთვის კეთილი მსურს, ამის ეჭვი არ შემღება იქონიოთ, იმიტომ, რომ ჩემი შვილები ხართ: ხოლო, თქვენთვის რომ ბოროტი არა მსურს, ამაშიც თქვენ თვითონ დამერწმუნებით, რაკი შეიტყობთ, რომ არ მინდა თქვენს მამულს ზედ დავაჯდე. რომ დაგიმტკიცოთ ჩემი მამობრივი სიყვარული და ისიც, რომ თქვენი გალატაკება არ მინდა, ჩემი წადილი უნდა შეგატყობინოთ, რაზედაც დიდი ხანია ვფიქრობ და ახლა ყოველმხრივ მოფიქრებულად მაქვს. თქვენ ახლა იმ ასაკში ხართ, რომ შეგიძლიათ რაიმე ისეთ საქმეს დაადგეთ, რომ ღირსება და ფული შეგძინოთ. ჩემი ფიქრი ის არის, მთელი ჩემი მამული ოთხად გავყო, სამს თქვენ მოგცემთ სათითაოდ, და მეოთხე ნაწილს ჩემთვის დავიტოვებ, რომ მით დანარჩენი ჩემი დღეები ვიცხოვრო. მე მხოლოდ ისა მსურს, რაკი თითოეული თქვენგანი თავის ხვედრ წილს მიიღებდა, იმ ხელობას დასდგომოდა, რასაც მე ავურჩევდი. ჩვენ ესპანელებს, ერთი ძველი, დიახ მართალი და ბრძნული ანდაზა გვაქვს, - მაინც ყველა ანდაზები ხომ ასეთები არიან, რადგან ხანგრძლივი გამოცდილებისაგან არიან შეძენილნი: ანდაზა ამბობს: "ეკლესია, ზღვა, ანუ მეფის სამსახურიო", ესე იგი უფრო მკაფიოდ, ვისაც სურს დიდება და ქონება შეიძინოს, ის ან ბერად უნდა შედგეს, ან ზღვაზე სიარული დაიწყოს ვაჭრული მიზნით და ან მეფის სამსახურში შევიდეს და მის კარზე იყოსო. ამ უკანასკნელი სამსახურის შესახებ, თქვენც იცით, ჩვენში ასე ამბობენ: "მეფის ნამცეცები სჯობს ბატონის უხვ მოწყალებასაო". მე მსურს, რომ ერთი თქვენთაგანი მწიგნობრობას დაადგეს, მეორემ ვაჭრობას მიჰყოს ხელი და მესამე მეფის სამსახურში შევიდეს, მის მხედრობაში, რადგან სასახლეში სამსახური ძალიან ძნელია. მართალია, ლაშქრობა სიმდიდრეს ვერ შესძენს კაცს, მაგრამ მაგიერად დიდებას ანიჭებს, სახელს გაუთქვამს. რვა დღის შემდეგ თითოეულს ნაღდ ფულად მოგცემთ თქვენ თქვენს წილს და ერთ მარავედისსაც არავის დაგაკლებთ. ახლა კი მითხარით, თანახმა ხართ, თუ არა დაადგეთ ჩემს რჩევას და ჩემი სურვილი აღასრულოთ?" მამაჩემმა ჯერ მე მკითხა პასუხი, რადგან უფროსი ვიყავ. მე ვთხოვე არ გაეყო მამული, ყველაფერი თავისთვის დაეტოვებინა და ისე განეგო და მოეხმარებინა, როგორც თვითონ ესიამოვნებოდა, ხოლო ჩვენთვის ნურას ზრუნავდა, რადგან ჩვენ თვითონ ჩვენი შრომით შეგვეძლო საზრდოს მოპოვება; თანაც ვუთხარი, რომ მზად ვიყავი მისი სურვილი ამესრულებინა, და სამხედრო სამსახური ავირჩიე. ჩემმა მეორე ძმამ, აგრეთვე ჯერ უარი უთხრა

თავის წილზე და შემდეგ სურვილი განაცხადა - თავისი ხვედრი წილით ამერიკაში წასულიყო და იქ ვაჭრობა დაეწყო. ყველაზე უმცროსმა, და მგონი ყველაზე ჭკვიანმა, უგზასუხა, რომ ეკლესიის სამსახურს ირჩევდა, და სურდა სწავლა სალამანკაში დაესრულებინა.

ყველამ რომ ჩვენი სურვილი ვთქვით, - მამაჩემი მოგვეხვია, გვაკოცა და თავის დაპირების აღსრულებას საჩქაროდ შეუდგა. თვითოეულს ჩვენგანს ჩვენი წილი ჩავვაბარა ნაღდ ფულად, - ჯერაც კარგად მახსოვს, - სამას-სამასი ათასი ოქრო (ეს ფული ბიძაჩემს მიეცა მისთვის და მთელი მამული სულ მას შეესყიდა, რაა საგვარეულოდან არ გასულიყო და უცხო ხელში არ ჩავარდნილიყო). გამოთხოვების დრო რომ დადგა, მე ვიფიქრე ჩემთავად, რომ ჩემი მხრით უსვინდისობა იქნებოდა სიბერის დროს ისე მცირედი ფულით დამეტოვებინა მამაჩემი, და როგორც იყო ძალა დავატანე, ჩემი წილიდან ორი ათასი ოქრო უკანვე ავაღებინე; რაც დამრჩა, ისიც საკმაო იყო სალდათისათვის ყველა საჭირო სამკაული მომეპოვებინა. ჩემი ორი ძმაც ჩემს მაგალითს მიჰყვა, და მათაც ათას-ათასი ოქრო დაუბრუნეს, ასე, რომ მამაჩემს თავისი წილის გარდა, მამულიდანვე რომ დაინარჩუნა, ოთხი ათასი ოქროც კიდევ სხვა ერგო. შემდეგ მასა და ბიძაჩემს დიდი მწუხარებითა და ცრემლებით გამოვეთხოვეთ. ორივემ ყველაზე მომეტებულად ის გვითხრეს, რომ როცა კი შემთხვევა მოგვეცემოდა, ჩვენი კარგი და ცუდი ამბავი შეგვეტყობინებინა მათთვის. ამის აღსრულება აღვუთქვით, და გამოთხოვების, კოცნისა და ლოცვის შემდეგ ერთი ჩვენგანი სალამანკის გზას დაადგა, მეორე სევილიისას, ხოლო მე ალიკანტეს წაველ, რადგან იმ ხანში გენუელი გემი იდგა იქ და გენუაში წასასვლელად მატყლით იტვირთებოდა.

დღეს სწორედ ოცდაორი წელიწადია მას აქეთ, რაც მამაჩემს და ჩემს სახლ-კარს გამოვეთხოვე და ამ დიდი ხნის განმავლობაში, თუმცა რადენიმე წერილიც მიმიწერია, მაინც არაფერი ამბავი არ მიმიღია არც მამასაგან და არც ძმებისაგან. ხლა ვეცდები იმდროიდან აქამომდე ჩემი თავგადასავალი მოკლედ გაიმზოთ. ალიკანტეს ნავსადგურში გემში ჩაევჯექე და გენუაში მშვიდობიანად მივედი; იქიდან მილანს წაველ; იქ თოფ-იარაღი და სამხედრო ტანისამოსი ვიყიდე და მიწოდდა პიემონტის ჯარში შევსულიყავ; მაგრამ, ალექსანდრიას რომ მივდიოდი, გზაზე შევიტყვე, რომ სახელგანთქმული ჰერცოგი ალბა ფლანდრიას წასულიყო. მაშინვე გზა შევიცვალე და ჰერცოგის კვალს დავედევნე. ბევრ ბრძოლაში ვიყავ მასთან; გრაფები ჰორნი და ეგმონი რომ სიკვდილით დასაჯეს, იმასაც დავესწარ და ალამდარის ხარისხი მივიღე, მამაცი გვადალახრელი კაპიტნის დიეგო დე ურბინას ხელქვეითი შევიქენ. ფლანდრიაში მისვლის შემდეგ რამდენიმე ხანმა გაიარა, ხმა გავარდა, რომ მის უწმინდესობან ნეტარხსენებულ პაპს პიუს მეხუთეს ესპანეთთან კავშირი შეეკრა მთელი საქრისტიანოს მტრის - თურქების წინააღმდეგ, რომელსაც თავისი ძლიერი ფლოტის მეოხებით კვიპროსის ცნობილი კუნძული დაეპყრო, - რაც ვენეციელებისათვის დიახ დიდსა და უნაცვლო დანაკლისს შეადგენდა.

აგრეთვე უტყუარი ცნობა მივიღე, მოკავშირედა ჯარების მთავარსარდლად უგანათლებულესი მთავარი დონ ხუან ავსტრიელთ დაენიშნათ, ჩვენი კეთილი და დიდი მეფის დონ ფილიპეს უკანონო ძმა. სალამქროდ დიდი მზადების ხმა ისმოდა ყველგან. ამ ამბებზე მეტად მომესურავა ზღვის ომში მონაწილეობა მიმეღო, და თუმცა დარწმუნებულად ვიყავ, რომ პირველი კაპიტნის ადგილი დაიცლებოდა თუ არა, მაშინვე მე მომცემდნენ, მაინც თავი დავანებე და იტალიას წაველ. ჩემს ბედზე სწორედ იმ დროს მიველ იქ როდესაც დონ ხუან ავსტრიელი ნეაპოლს წასვლას აპირებდა, რადგან თავისი ხომალდები ვენეციის სამხედრო ხომალდებთან უნდა შეეერთებინა, მაგრამ ეს შეერთება მას უფრო ახლოს, მესინაშივე მოუხდა. ამგვარად, უნდა გითხრათ, რომ ინფანტერიის კაპიტნობას რომ მივალწიე, იმ საპატიო ხარისხს, რაც ბედს უფრო

უნდა დავაბრალოთ, ვიდრე ჩემს დამსახურებას, მე იმ დიდს და მარადის სახსოვარ ლეპანტოს ბრძოლას დავესწარ. იმ ქრისტიანობისათვის ბედნიერ დღეს, რა დღესაც თურქთა სიამაყე შეიმუხრა და ქვეყანამ დაინახა, რომ ისინი ზღვაზე მართლა უძლეველნი არ იყვნენ. იმ დღეს, იმდენ გაბედნიერებულ ხალხში ბედმა მარტო მე არ მარგუნა სიხარული (იმ დიდ ბრძოლაში დახოცილმა ქრისტიანებმა უფრო ბედნიერება ნახეს, ვიდრე, სიკვდილს გადარჩენილმა გამარჯვებულებმა). მის ნაცვლად, რომ ზღვაზე გამარჯვების გვირგვინი მიმეღო, როგორც რომაელების დროს იყო ჩვეულებად, ის დიადი დღე რომ დაღამდა, მე ჩემი თავი ხელფეხშებოჭილი დავინახე. აი როგორ შემემთხვა ეს უბედურება. თამამი და ბედნიერი მეკობრე ალჟირის მეფე უხალი შეება მალტას ორდენის კაპიტნის უმთავრეს ხომალდს. იმ ხომალდზე მხოლოდ სამი რაინდიღა გადარჩა და ისინიც მძიმედ იყვნენ დაჭრილები; იმათ კაპიტანი ჯოვანი ლორიას ხომალდი მიეშველა. მე ჩემი მხედრებით იმ ხომალდზე ვიყავ და, როცა მოვალეობის გამო მტრის ხომალდზე გადავხტი, იმ დროს იგი საჩქაროდ დაიდრა, რომ ჩვენზე დადევნებულ ხომალდებს გაქცეოდა, და ჩემმა მხედრებმაც ვეღარ მოასწრეს თან გადმომყოლოდნენ. ამგვარად მარტო დავრჩი მრავალი მტრის შუა, და თუმცა ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ ამ სიმრავლესთან რას გავაწყობდი. ბოლოს მრავალგან დაკოდილი და ქანცგამოცლილი დამიმორჩილეს, და, რადგან უხალიმ თავს უშველა და თავისი ხომალდებით წავიდა, მე ტყვედ თან წამიყვანა. ამგვარად მარტო მე ვიყავი უბედური იმდენ ბედნიერებში და მარტო მე ვიყავ ტყვე იმდენ ტყვეობიდან გათავისუფლებულებში: იმ დღეს თხუთმეტი ათას ქრისტიან ტყვეს, თურქთა ხომალდებზე მენიჩბეებად მყოფს, მიეცა ნანატრი თავისუფლება.

სტამბოლში წამიყვანეს, იქ სულთანმა სელიმმა ჩემი პატრონი, რაკი ლეპანტოს ბრძოლაში ყველაზე მეტად ისახელა თავი და გამარჯვების ნიშნად მალტის ორდენის დროშა მიართვა, ზღვის გენერლად დანიშნა. შემდეგ, ათას ხუთას სამოცდათორმეტ წელს ნავარინის ბრძოლაში ვიყავ და მენიჩბედ ვემსახურებოდი უმთავრეს ხომალდზე, სახელად რომ "სამი ფოთოლი" ერქვა. მაშინ გავიგე, თუ რარიგად წავაგეთ ჭკუა, რომ ლეპანტოს ბრძოლის შემდეგ შემთხვევით ვერ ვისარგებლეთ და მთელი თურქეთის ხომალდები ნავსადგურში არ შევიპყართ. ჩვენმა ხომალდებმა თურმე ისეთი თავზარი დასცეს თურქთა გემებზე მყოფ ალბანელთ და იანიჩართ, რომ შიგ ნავსადგურში მოელოდნენ ჩვენგან თავდასხმას, ბრძოლის მოცდას აღარ აპირებდნენ, ტანისამოსი და ფეხსაცმელები დაიმზადეს და თურმე ხმელეთზე გასაქცევად ემზადებოდნენ, მაგრამ ზენამ ჩვენთვის ამ ბედნიერების მონიჭება არ ინება, იმიტომ კი არა, რომ ჩვენი უფროსები დაუდევრები იყვნენ ანუ მოუხერხებლები, არამედ მთელი საქრისტიანოს ცოდვის კითხვა იყო; ღმერთმა ის ინება, რომ ჩვენს ქრისტიანებს ახლოს ჯალათები სდგომოდნენ და ყოველ წამს ჩვენი დასჯა შესძლებოდათ. უხალი ნავარინის ახლოს მოდონის კუნძულზე წავიდა, იქ თავისი ჯარი ხმელეთზე გადმოსხა, ნავსადგურში შესავალი გაამაგრა და დამშვიდებით დაჰყო კუნძულზე, ვიდრე დონ ხუანი უკან დაბრუნდებოდა. ამ ლაშქრობის დროს ქრისტიანებს ხომალდი "ლაპრესა" ჩაუვარდათ ხელში, იმ გემს გამოჩენილი მეკობრის ბარბაროსას ერთ-ერთი შვილი უფროსობდა. ეს გემი ნეაპოლის ხომალდმა "ლოობამ" დაიპყრო, უფროსად ჯარისკაცთა მამა, ომის მეხისტება, ბედნიერი და უძლეველი კაპიტანი ალვაო დე ბასანი, მარკიზი სანტა ყრუსი რომ ყავდა; ისიც უნდა გიამბოთ, თუ რა მოხდა "ლაპრესის" შეპყრობის დროს. ბარბაროსას შვილი ავი კაცი იყო და ისე ცუდად ეპყრობოდა თავის ტყვეებს, რომ მისმა მენიჩბეებმა მათკენ მიმავალი ხომალდი "ლობა" დაინახეს თუ არა, და მიხვდნენ, რომ მალე დაეწეოდა მათ, აღარ დასდიეს უფროსის ბრძანებას, მარდად აღარ მოუსვენს და ერთიანად თავი დაანებეს ნიჩბებს. მივარდნენ უფროსს, იმდენი ურტყეს და ათრიეს, რომ

ვიდრე გემის ქიმამდე აათრევდნენ - სული ეშმაკს ჩააბარა, ისე საძაგლად ეპყრობოდა თავის ტყვეებს და ისე საშინლად სძულდათ იგი.

სტამბოლს ათას ხუთას სამოცდაცამეტ წელს დავბრუნდით. იქ შევიტყვეთ, რომ დონ ხუან ავსტრიელს ტუნისი აეღო იერიშით, მული ჰამეტისათვის გადაეცა, და ამნაირად მეტად საშინელი და უმამაცესი მავრის მული გამიდისათვის ტენისის ტახტზე კვლავ დაბრუნების იმედი სრულებით ხელიდან გამოეცალა. ამ დანაკარგმა სულთანს ძალიან დასწყვიტა გული, და წინაპართაგან დამკვიდრებულმა გონიერებამ არჩევინა ვენეციელებთან შერიგებაზე ლაპარაკი ჩამოეგდო. ეს შერიგება კი ვენეციელებს უფრო უჭირდათ, ვიდრე თურქებს. ათას ხუთას სამოცდათხუთმეტ წელს თურქთა ჯარები გოლეთასა და იმ ციხეს შემოერთებენ, სენიორ დონ ხუანმა რომ ტუნისის შესავალში ააგო, მაგრამ, საუბედუროდ, დაუსრულებელი დარჩა. ამ ომების დროს მე ხომალდზე ვიყავ მენიხბედ და სრულებით იმედი მქონდა დაკარგული, რომ ოდესმე ტყვეობას თავს დავალწევდი; სასყიდლით მაინც ამის იმედი არა მქონდა, რადგან გადავწყვიტე ჩემს უბედურებაზე მამაჩემისათვის არაფერი არ მიმეწერა.

ბოლოს გოლეთეაც დაიპყრეს და ცოტა ხანს შემდეგ ციხეც აიღეს. ამ ორი ადგილის დაპყრობის დროს თურქთა ჯარში, როგორც ანგარიშობდნენ, სამოცდათხუთმეტი ათასი დაქირავებული თურქთა მხედრობა იყო და ოთხას ათასზე მეტი კიდევ მთელი აფრიკიდან მოსული მავრი და არაბი ამ აუარებელ მებრძოლთა ბუნტს იმდენი სამხედრო იარაღი და სურსათი მოჰყვებოდა თან და იმდენი მატანტალა უსაქმო ხალხი ასდევნებოდა, რომ ყველას თითო მუჭა მიწა რომ მიტანა და დაეყარა, გოლეთასა და ციხეს მთლად ჩაქოლავდა. პირველად გოლთა დაიპყრეს იმ დრომდის ეს ქალაქი უძლეველ ქალაქად ითვლებოდა; მისი დაცემა იმიტომ კი არ მოხდა, რომ დამცველთ ყველაფერი არ აასრულეს, რაც მისი დაცვისათვის იყო საჭირო, არამედ იმიტომ, რომ მის გარშემო ქვიშიანი ნიადაგი აღმოჩნდა და საფარი თხრილებს გაკეთება მეტად ადვილი გამოდგა; ჯერ ისევ ეგონათ, რომ სამი მტკაველის სიღრმეზე გამოჩნდება წყალი, ის კი არა და, თურქებმა ნახევარი მეტრის სიღრმეზე დაც ვერ უწიეს წყალს. ურიცხვი ტომრები გატენეს ქვიშით და სანგრებს ყორეზე დაუწვეს, რომ საფარი უფრო ამალელებულიყო. ყველაზე უფრო მაღალი თხრილიდან დაუწყეს ციხეს სროლა და ისეთი საქმე დამართეს, რომ არა თუ პასუხის გაცემა, იქიდან თავის გამოყოფაც ვეღარავინ გაბედა.

ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ჯარი გოლეთაში არ უნდა შესულიყო, არამედ გაშლილ მინდორზე უნდა დახვედროდა მტერს, და მისთვის ზღვიდან გამოსვლა დაეშალა, მაგრამ ვინც ამას ამბობს, ეტყობა სალაშქრო საქმისა არა გაეგება-რა, იმიტომ რომ, მაშინ გოლეთასა და ციხეში ჩვენი ჯარი სულ შვიდი ათას კაცამდის ძლივს იქნებოდა. ეს ერთი მუჭა ხალხი გაშლილ მინდორზე, აბა, როგორ შეებმოდა, თუნდაც რომ ურიცხვ მტერზე ბევრად მამაცებიც ყოფილიყვნენ? ან არა და, როგორ შეიძლებოდა ციხის დაცვა, როდესაც გარედან არავითარი შემწეობა არა ჰქონდა, ურიცხვი გააფთრებულო ჯარისაგან ალყაშემორტყმულს და ისიც სხვის ქვეყანაში? მაგრამ ამ ციხის დაცემა ჩემსავით ბევრ სხვასაც ღვთის წყალობად მიაჩნია ესპანეთისათვის, რადგან მისი დაცემით გარყვნილების ბუდე დაირღვა, ხერელი ჭია შეიმუსრა, დაღრენილი პირი მოკუმა, უნაყოფოდ რომ სულ აუარებელ ფულს ნთქავდა, და იმიტომ, რომ უძლეველ კარლოსს მეხუთესაგან მისი აღება სახსოვრად დარჩენილიყო, თითქოს იმის უკვდავებისათვის ქვა და კირი იყო საჭირო როგორც მოგახსენებთ, გოლეთას თან ციხეც მიჰყვა; მისი აღება თურქებმა ერთბაშად ვერ მოახერხეს მეციხოვნენი ისეთი სიმამაცით იბრძოდნენ, რომ ოცდაორჯერ მიტანილი იერიში უკუვაგდეთ. ოცდახუთი ათასზე მეტი ჯარი დაფუხოცეთ მტერს და სულ სამასი გადარჩენილი მეციხოვნისაგან თურქებს ტყვედ ერთიც არ ჩავარდნია

სადად. ამაზე ცხადი დამტკიცება რაღა ინება, რომ ციხის დამცველი მეციხოვნენი მამაცურად და თავგანწირვით იბრძოდნენ. ამ ციხესთან ერთი კომპიც დამორჩილდა მტერს, ესტანოს კუნძულმა შუა აგებული; ამ კომპს ვალენსიელი კაბალიერო და მამაცი მხედარი დონ ხუან სანოგერი მეთაურობდა. თურქებმა გოლეთის ციხისთავი დონ პედრო პუერტოკარერო ტყვედ წაიყვანეს. ამ მხედართუფროსმა ყველა ღონისძიება იხმარა ციხის დასაცავად, და რომ ვერას გახდა, ჯავრისაგან სტამბოლის გზაზე მოკვდა. თურქებმა აგრეთვე ციხის უფროსი გაბრიო სერველონიც შეიპყრეს ტყვედ; ეს კი მილანას აზნაური, ჩინებული ინჟინერი და მამაცი მხედარი იყო. ამ ორი ციხის იერიშის დროს ბევრი გამოჩენილი ხალხი დაიხოცა ხეთა შორის, წმინდა იოანეს კავალერი, სულგრძელი პაგანო დორია, ეგოდენ კეთილშობილურად რომ მოეპყრა თავის სახელოვან ძმას ჯოვანი ანდრეა დორიას, მისი სიკვდილი მით უფრო სამწუხარო იყო, რომ არაბებმა სიმუხთლით მოკლეს. რაკი ნახა ციხის დაცვა შეუძლებელი იყო, ამ არაბებს მიენდო იგი, მაგრამ არ დაინდეს. მათ აღუთქვეს მავრული ტანისამოსით გააპარებდნენ და ტაბარკის პატარა ნავსადგურამდის მიიყვანდნენ, რომელიც გენუელებს უჭირავთ მარჯნის დასაჭერად; მაგრამ ამის ნაცვლად გზაზე თავი მოჰკვეთეს და თურქების ხომალდების სარდალს მიაბრუნეს. მან ის ძღვენი გაიღო და ჩვენი კასტილიური ანდაზა დაუმტკიცა: კაცმა შესაძლოა ღალატი მოიწონოს, მაგრამ მოღალატე კი - არასოდეს. ამბობენ, ის მოღალატე არაბები მაშინვე ჩამოახრჩობინაო, იმიტომ, რომ რაინდი დორია ცოცხლად მიყვანის მაგივრად მკვდარი მიუტანესო.

ციხიდან ტყვედწაყვანილ ქრისტიანებს შორის ერთი ანდალუზიის რომელიღაც ქალაქიდან იყო, სახლად დონ პედრო აგილარი, მეციხოვნეთა რაზმში ალამდარად იყო. ეს კაცი მეტად მამაცი მხედარი და იშვიათი კუჭის პატრონი იყო, მასთანვე პოეტობის გასაოცარი ნიჭი ჰქონდა. მე ამას თამამად იმიტომ ვამბობ, რომ კარგად ვიცი, რადგან უბედურმა სვემ იმავე კაცს ჩაუგდო ის ხედში, ვის ტყვეობაშიც მე ჩავვარდი. ორივე ერთ ხომალდზე გიყავით, ვიდრე ნავსადგურიდან გამოვიდოდით. დონ პედრომ ორი ეპიტაფიის მსგავსი სონეტი დასწერა, ერთი გოლეთაზე და მეორე ციხეზე, ჯერაც ზეპირად მახსოვს ის სონეტები და წაგიკითხავთ, რადგან, მგონია, მოგეწონებათ.

ტყვედნამყოფმა დონ პედრო დე აგილარის სახელი წარმოთქვა თუ არა, იმ წამს დონ ფერნანდომ თანამგზავრებს გადახედა და ყველამ გაიღიმა, ხოლო, როდესაც ლექსებზედაც ჩამოაგდო ლაპარაკი, მაშინ დონ ფერნანდოს ერთმა მეგობარმა კაბალიერომ უთხრა ყოფილ ტყვეს:

- სანამ ამბავს განაგრძობდეთ და ლექსებს წაიკითხავდეთ, თქვენო მოწყალეზავ, ვერ გვეტყვით, რა მოუვიდა ამ დონ პედრო დე აგილარს, რომელიც ახლა ახსენეთ?

- მართო ეს ვიცი, - მიუგო ტყვედნამყოფმა, - რომ სტამბოლში ორი წელიწადი დაჰყო და შემდეგ ალბანური ტანისამოსით ერთ გზის მაჩვენებელ ბერძენს გაჰყვა და გაიქცა. თავისუფალი გადარჩა თუ არა, - ეს კი აღარ ვიცი. მგონი კი, თავისუფალი უნდა იყოს, რადგან მას შემდეგ ერთი წელიწადიც არ გასვლა, ის ბერძენი სტამბოლში ვნახე, მაგრამ, საუბედუროდ, ვერაფერი გამოვკითხე.

- მაშ მე მოგახსენებთ მის ამბავს, - უთხრა კაბალიერომ, - დონ პედრო ჩემი ძმია, ის ახლა თავისუფალია, თავის ქვეყანაშია, კარგად ცხოვრობს, მყუდროდ და ბედნიერად, ცოლი ყავს და სამი შვილის მამაცაა.

- მადლობა უფალს, - შესძახა ტყვედნამყოფმა, - რომ ეგოდენი წყალობა მიუნიჭებია მისთვის. განა იმაზე სანუკვარი ბედნიერება იქნებაღა რამე, როგორც დაკარგული თავისუფლების დაბრუნება?

- თქვენ რომ ჩემი ძმის მიერ შეთხზულ სონეტებს ამბობთ, ისინი მეც ვიცი, - დაუმატა კაბალიერომ.

- მაშ, ისევ თქვენ წაიკითხეთ ის ლექსები - მიუგო ყოფილმა ტყვემ. - უქველი თქვენ ჩემზე ეკეთესად წაიკითხავთ.

- დიდი სიამოვნებით, - მიუგო კაბალიერომ, - აი, ის სონეტი, გოლეთეზე რომ თქვა.

თავი XL

სადაც გრძელდება ტყვედნაყოფის თავგადასავალი

სონეტი

სულნო წმინდანო, თქვენ, რომელთაც დაუზარებლად

მართალ საქმისთვის განიძარცვეთ სხეული ხრწნადი,

და ამაღლებით გაბრწყინებულ ზეცაში ადით,

სადავ სინათლის სუფევაა და ნეტარება;

თქვენ, ვისაც გქონდათ წმინდა სწრაფვა და მგზნებარება,

გებრძოლათ მტკიცედ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდი,

და თქვენი სისხლით, თუ მტრის სისხლით ტრამალებს რწყავდით,

ზღვაც გააწითლეთ, სად ნაპარებს ემჩქეფარება.

განა მხნეობამ ჯერ სიცოცხლემ თქვენ მიგატოვათ,

თვითონ სიკვდილში მომხვეჭელნო გამარჯვებისა...

და თქვენს სახელსაც დავიწყება არ ეკარება.

სამძო საფლავი ტიალ ველზე ახლა მარტოა,

როგორც ნიშანი ნაღვლიანი, რომ თქვენ გელირსათ

ქვეყნად დიდება და ზეცაში კი უკვდავება.

- სულ სიტყვასიტყვით დაგხსომებიანო, - უთხრა ტყვედნამყოფმა.

- ციხისადმი მიძღვნილი სონეტი კი, როგორც მახსოვს, ასეა:

სონეტი

ო, ამ დარბეულ მიდამოთა ზღუდე-საფრიდან,

ამ კომპეტიდან რომ დაინთქნენ ცეცხლსა და კვამლში,

სამოთხის წყნარი სავანისკენ, კაშკაშა ცაში

სამი ათასი გმირის სული ცოცხლად აფრინდა.

ქვეყანა შესძრეს მათ და ყიჟინით, ბრძოლით მძაფრითა,

და მერე ზეცას მიაშურეს... ეს მოხდა მაშინ,

როცა ძალ-ღონე დაელიათ დამაბულ მკლავში,

უკანასკნელიც იმათ შორის რკინამ დაფლითა.

ჩვენს დედამიწას, ბევრის მოწმეს და მემასხოვრეს

მძიმე ამბავნი ჩვენი დროის თუ წინანდელი

ზედვე აჩნია მწუხარებით მოსაგონარი.

მაგრამ მის წიაღს, უნაყოფოს, ჯერ არასოდეს

აღუგზავნია ცაში სული უფრო ნათელი,

და არც უზიდავს გმირნი უფრო შეუპოვარნი.

ორივე სონეტი ყველას მოეწონა, და თავის ამხანაგის კარგი ამბით გახარებულმა, ყოფილმა ტყვემ თავეგადასაეალი განაგრძო:

- გოლეთისა და ციხის დაპყრობის შემდეგ თურქებმა გოლეთიე დანგრევის ბრძანება გასცეს, მაგრამ ციხე-სიმაგრეს დანგრევა აღარ ეჭირვებოდა, რადგან მიწასთან გასწორებული იყო. რომ ჩქარა აესრულებინათ ეს ბრძანება, სამი მხრიდან ნაღმი აუფეთქეს, მაგრამ ვერც ერთგან ვერ დაანგრის ის, რაც უფრო ნაკლებად მკვიდრი ეგონათ, ესე იგი ძველი კედლები; ხოლო, რაც ახალი ნაშენობა იყო, იჟინერ ფრატინოსაგან აგებული, ყველა ადვილად ააფეთქეს. მას შემდეგ ძლევამოსილი ესკადრა ზეიმით სტამბოლს დაბრუნდა და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემი ბატონი უხალიც მოკვდა. მას უხალი ფარტაქსს ეძახდნენ. რაც თურქულად ქეციან განდგომილს ნიშნავს, და მართლაც ასეთი კაცი იყო იგი. უნდა მოგახსენოთ, თურქებს ჩვეულებად აქვთ, ადამიანს მისი ღირსებისა და ნაკლოვანების შესაფერი სახელი უწოდონ ხოლმე. ნამდვილი თურქული გვარი იმათ სულ ოთხი აქვთ, რომლებიც ოტამანთა სახელიდან მომდინარეობს. დანარჩენი გვარები, როგორც მოგახსენეთ, ან ხელის სიკეთისა და ან სხეულის მანკიერების სახელისაგან მიუღიათ. ეს ქეციანი განდგომილი, თავის მონობის ჟამს, თოთხმეტ წელიწადს დიდი სულთანის ხომალდზე მენიჩხედ ყოფილა. ოცდაათოთხმეტი წლის რომ შექმნილიყო, ერთ ვიღაც თურქს სილა გაეწნა მისთვის, როცა ის ნიჩაბს უსვამდა თურმე; მისი ჯავრის ამოსაყრელად თავის სარწმუნოებას განდგომოდა და თურქის რჯული მიეღო თურმე, იმ განზრახვით, რომ ოდესმე მაგიერი გადაეხადნა თავის შეურაცხმყოფელისათვის. დიდი და გულადი კაცი იყო და ამ გულადობით აღჟირის შეფობა და საზღვაო ჯარების სარდლობა მიიღო და ამგვარად მთელ თურქთა სახელმწიფოში მესამე პირად შეიქნა. ამ დიდ ხარისხამდის

ისე მიაღწია, რომ ქვემძრომობით თავი არ დაუმაბლებია, როგორც სხვებმა იციან ხოლმე სულთანას წყალობის დამსახურება. ჩამომავლობით კალაბრიელი იყო და, მართალი რომ თქვას კაცმა, რიგიანი კაცი იყო თავის ტყვეებს, - თითქმის სამ ათასამდის ეყოლებოდა, - ძალიან გულკეთილად ეპყრობოდა. მისი სიკვდილის შემდეგ ანდერძის თანახმად, მისი ტყვეების მისმა მემკვიდრეებმა და, სულთანმა გაიყვეს (ხომ მოგეხსენებათ, სულთანი ყველა თავის ქვეშევრდომის მემკვიდრედ ითვლება და, თანაბარ წილს იღებს სხვა მემკვიდრეებთან ერთად). მე წილად ერთ ვენეციელ განდგომილს ვერგე; ეს კაცი, როდესაც ერთი ქრისტიანის ხომალდზე მომსახურე ბიჭად იყო, მაშინ უხალის ჩაუვარდა ტყვედ და შემდეგში მისი საყვარელი შეიქნა. ამ ჩემს ახალ ბატონს ასან ადა ერქვა და ყველა განდგომილზე უსასტიკესი კაცი იყო; დიდი სიმდიდრე შეიძინა და ამიტომ ალჟირის მეფედ გახადეს. სტამბოლიდან ალჟირში წამიყვანა და ამით ძალიან გახარებული ვიყავი, რადგან ესპანეთს დაუვახლოვდებოდი. ეს დაახლოება იმიტომ კი არ მიხაროდა, რომ ჩემს სამწუხარო მდგომარეობაზე წაწერას ვაპირებდი ვინმესთან, არა, მე ვფიქრობდი, ეგებ ბედმა ალჟირში მაინც გამიღიმოს-მეთქი, და სტამბოლში რომ დავაპირე გაქცევა და ვერ მოვახერხე, იქნებ იქ მაინც როგორმე მოვახერხო-მეთქი. ვფიქრობდი, ალჟირში სხვა რაიმე საშუალებას მოგძებნიდი და მით დიდიხნის სურვილს მივალწევდი, - გათავასუფლების იმედი გულიდან არ მეშვებოდა. ჩემი გათავასუფლების ცდა ერთხელ რომ გამიცრუვდებოდა, ხელახლად სხვა საშუალების ძებნას ვიწყებდი და კვლავ მომეცემოდა ხოლმე იმედი, და, რაც უნდა სუსტი ყოვილიყო ეს იმედი და საშუალება, მაინც ის მამხნევებდა. ასე ვატარებდი ჩემს სიცოცხლეს, საპატიმროში შეპყრობილი, თურქები რომ ბანიოს უწოდებენ. ყველა ქრისტიანი ამ ბანიოში ჰყავდათ დატყვევებული, იმის განურჩევლად - კერძო პირებს ეკუთვნიან ისინი, მეფეს, თუ ქალაქს საბჭოს. ამ უკანასკნელებს ალმასენის ტყვეებს უწოდებენ და სამოქალაქო საქმეებსა და მშენებლობებზე ამუშავებენ. ამ მუშა ტყვეებისათვის ოდესმე გათავასუფლება ძნელი მოსალოდნელია, რადგან საკუთარი პატრონი არა ჰყავთ, და გამომხსნელიც რომ გამოუჩნდეთ, არ იციან, ვის მიმართონ მორიგებისათვის. იმ საპყრობილებებში, ბანიოში, ბევრი კერძო პირი ამწყვდევს თავის ტყვეებს, მეტადრე ისეთებს, რომელთა გამოხსნასაც მოელის. ისინი აქ გამოხსნის დღემდე არიან გამომწყვდეულნი, როგორც უფრო საიმედო ადგილას, და ამასთან არაფერ საქმეს არ აკეთებინებენ. აგრეთვე ალჟირის მეფის ტყვეებსაც ამწყვდევენ ხოლმე, როდესაც მათ გამოხსნაზე დაიწყება მოლაპარაკება. არც მათ გზავნიან ხომალდზე სამუშაოდ; მაგრამ, თუ გამოსყიდვა გელანდება, მაშინ კი, იმ აზრით, რომ ძალა დაადგეს და თავის დახსნაზე ბეჯითად იმეცადინოს, სხვა ტყვეებივით ხე-ტყის საჭრელად გზავნიან; ეს შრომა, უნდა მოგახსენოთ, ადვილი როდია.

თუმცა ვარწმუნებდი, რომ მე არაფერი შეძლება და გამოსყიდვის იმედი არსაიდან მქონდა. მაინც შევძლე ტყვეებში ჩამრიცხეს, რადგან კაპიტანი ვიყავი და აზნაური. ფეხებშიაც ბორკილები გამიყარეს, უფრო იმის ნიშნად, რომ გამოსახსნელი ტყვე ვიყავ და არა იმიტომ, ვითომც ჩემი დამონება უნდოდათ. ამ სახით ისეთ საპატიმროში ჩავვარდი, სადაც ბევრი რიგიანი ხალხი იყო. თუმცა მუდამ შიმშილსა და სიდუხჭირეს ვითმენდი, მაინც ისეთ მწუხარებას არაფერი გვაყენებდა, როგორც ის, რომ თვალთ ვუყურებდით, თუ რა საშინლად სტანჯავდა ქრისტიან ტყვეებს ჩემი პატრონი. დღე არ გავილოდა, რომ ვინმე მათგანი არ ჩამოეხრჩო; დღეს რომ ერთს ჩამოაცვამდა მარგილზე, ხვალ მეორეს ყურებსა სჭრიდა სულ მცირე დანამაჟლისათვის, ხან სულ უმიზეზოდაც, და, როგორც თვითონ თურქები ამბობდნენ, ამ ბოროტებას მხოლოდ იმიტომ ჩადიოდა, რომ მძვინვარე ბუნების პატრონი იყო და თითქოს კაცობრიობის მტარვალად იყო დაბადებული. მართო ერთი ტყვე ეპყრობოდა მას ხერხიანად. ის იყო ესპანელი მხედარი, სახელად საავედრა. მან ბევრჯერ მომიდომა გაქცევა და ბევრი ისეთი



საშუალება იხმარა, რომ დიდხანს დახსომებოდათ იმ ქვეყანაში. მაინც ასან ადას ერთხელაც არ დაუკრავს მისთვის ჯოხი, ჯოხი კი არა, ერთი მაღალი სიტყვაც არ უთქვამს; ჩვენ კი მუდამ იმას მოველოდებოდით - მასაც კი ჰქონდა ამის შიში, - რომ სულ უბრალოდ ტყავს გაგვამოშობდა, ან მარგილზე ჩამოგვაცვამდა. მე რომ დრო ნებას მაძლევდეს, ბევრ რამეს გაიმბობღით იმ მხედარზე და მის ამბით უფრო მეტად გაგართობდით.

მაგრამ ისევ ჩემს ამბავს უნდა მივუბრუნდე. ჩვენი საპყრობილის ეზოს უცქეროდნენ ერთი მდიდარი და დიდი შთამომავლობას მავრის სახლის ფანჯრებ, უფრო სანათურების მსგავსები და მსხვილი რკინის გისოსიანები. ერთხელ მე და ჩემი სამი ამხანაგი ჩვენი ბანიოს კოშკთან ვისხედით და დროს გასატარებლად ბორკილებით ხტომაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. მარტონი ვიყავით, რადგან სხვა ქრისტიანები სამუშაოდ იყვნენ წასულნი. უცებ ზევით ავიხედე და დავინახე რომ მავრის ერთ-ერთი სანათურიდან ლერწმის ჯოხი იყო გადმოშვერილი და ბოლოზე პატარა ცხვირსახოცი ება. იმ ლერწამს ზევით-ქვევით აქნევდა, თითქოს გვანიშნებდნენ მივსულიყავით და ცხვირსახოცი მოგვეხსნა. მივიხედ-მოვიხედეთ და, რომ დავრწმუნდით, არავინ გვიცქეროდა, ერთი ჩემი ამხანაგი მოვიდა და ლერწამს ქვეშ დაუდგა. იმ მიახლოებაზე ლერწამი მაშინვე ასწიეს და ისევ დაუწყეს ქნევა, როგორც არას ნიშნად თავს გაიქნევენ ხოლმე. ახლა მეორე ამხანაგი მივიდა და ლერწამი ისევ აწია და იმავე ნაირად ქნევა დაიწყო, შემდეგ მესამე მივიდა და მესამესაც ისევე უარი უთხრეს, როგორც პირველებს. ჩემზე მოდგა რიგი, ახლა მე უნდა მეცადა ბედი, და კედლამდის არც კი მივსულვარ, რომ ლერწამი ჩამომიდგეს ძირს. სწრაფად მოვხსენ ხელსახოცი, ერთი ბოლო გამონასკული ჰქონდა, გავხსენ და ათი ოქრო ამოვიღე, მავრები სიანის რომ ეძახიან, და თითო ჩვენებურ რეალს უდრის. განა შეიძლება გითხრათ, თუ რა რიგად მასიამოვნა ამ საშოვარმა; საშინლად გამეხარდა, მაგრამ ამასთან ძალიანაც გამაოცა, რადგან არ ვიცოდი, საიდან მოგვევლინა ეს ბედნიერება, და უფრო მე მომევლინა, იმიტომ, რომ ჩემს მისვლაზე იყო ჩამოგდებული, მამასადამდე, ეს ფულებიც მე მეკუთვნოდა. ავიღე ის ძვირფასი საჩუქარი, ლერწამი გადავაგდე და ისევ კოშკისკენ ამოველ, რომ ერთიც კიდევ შემეხედა ჩემი მწყალობელი ფანჯრისთვის და, რომ შევხედე, დავინახე, თოვლივით თეთრმა ხელმა საჩქაროდ გააღო და ასევე მიხურა ფანჯარა. ამან გვაფიქრებინა, რომ უთუოდ მავრის სახლის ერთ-ერთმა ქალმა მოიღო მოწყალება. მადლობის ნიშნად მავრულად გულზე ხელების გადაჯვარედინებით და წელში მოხრით დავუკარით თავი. ერთ წამს შემდეგ იმავე ფანჯრიდან პატარა ლერწმის ჯვარი დაგვანახეს და იმ წამსვე უკან წაიღეს: ამ ნიშანმა დაგვარწმუნა, რომ ვინმე ქრისტიანი ქალი უნდა ყოფილიყო იმ სახლში ტყვედ და მოწყალებაც მისი მოცემული უნდნა ყოფილიყო. მაგრამ ეს ფიქრი ხელის სითეთრემ და მისმა სამაჯურებმა გავვიქარწყლეს. ახლა ვიფიქრეთ, უთუოდ რჯულიდან გადამდგარი ვინმე ქრისტიანი ქალი უნდა ყოფილიყო. და ეს იმიტომ გვეგონა, რომ მავრები ასეთ ქალებს თავიანთ ქალებზე მეტ პატივს სცემენ და მათს ცოლად შერთვას თავიანთთვის დიდ სახელად თვლიან. მაგრამ ყველა ეს ფიქრი ჭეშმარიტებისაგან ძალიან შორს იყო. იმ დროიდან ისღა გავვიხდა საქმედ, რომ იმ ბედნიერ ფანჯარას ვუცქეროდით, საიდანაც უცნაური ვარსკვლავი მოგვევლინა, მაგრამ მთელი ორი კვირის განმავლობაში იქიდან აღარც ლერწამი, აღარც სპეტაკი ხელი და აღარც თუ რამე სხვა ნიშანი გამოგვაცხადებია. ბევრი ვეცადეთ შეგვეტყო, თუ ვინ ცხოვრობდა იმ სახლში და იყო იქ ვინმე რჯულიდან გადამდგარი ქრისტიანი ქალი, თუ არა. მაინც იმის მეტი ვერა გავიგეთ-რა, რომ იქ ერთი მდიდარი და დიდი გვარის მავრი ცხოვრობდა. ხახელად აჯი მორატო ერქვა, ლა პატის გუბერნატორი იყო, იმ დროში დიახ, დიდი და საპატიო თანამდებობის პატრონი. ბოლოს, როდესაც იმედი სრულებით დავკარგეთ იმ ფანჯრიდან კიდევ რამ საჩუქარი მიგველო, ხელახლა გადმოეშვა ლერწამი, ბოლოზე უფრო

მოზრდილ ნასკვიანი ხელსახოცი ჰქონდა მობმული. ბანოში იმ დღესაც ჩვენს მეტი არავინ იყო დარჩენილი. პირვენდელივით ჯერ ჩემი ამხანაგები მივიდნენ თითო-თითოდ, მაგრამ ამაოდ; მე რომ მიველ, ლერწამი ძირს ჩამოაგდეს ხელსახოცში ორმოცი ესპანური ოქრო იყო და არაბულად დაწერილი ბართი, ბარათის ბოლოს დიდი ჯვარი იყო გამოხატული. მე ვაკოცე ჯვარს, ფულები ავიღე, ისევ კომპოზე აველ და იქიდან ყველამ სალამი მივეცით. ფანჯარაში კვლავ ხელი გამოჩნდა და მე რომ ვანიშნე ბარათს წავავთიხავ მეთქი, ფანჯარა მსწრაფლ მიიხურა. ამ ამბით ყველანი გაკვირვებულნი და გაოცებულნი დავრჩით, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ არც ერთმა ჩვენგანმა არაბული კითხვა არ ვიცოდით. რამდენადაც დიდი სურვილი გვქონდა - თუ რა ეწერა იმ ბარათში, იმდენად ძნელი იყო ჩემთვის ისეთი კაცის პოვნა, რომ ის ბარათი წაეკითხა. ბოლოს გავბედე და ერთ განდგომილ მურჩიელს გავენდე: ის კაცი ჩემს მეგობრობას დიდი ხნიდანვე ცდილობდა. მანამ გავენდობოდი რა, თქმა უნდა, ყველა ღონე ვიხმარე, რომ იძულებული გამეხადა ჩემგან განდობილი საიდუმლო მტკიცედ დაეცვა. მაჰმადიანთა ქვეყანაში ისეთ განდგომილებს შეხვდება კაცი, რომელათაც თავიანთ საქრისტიანო სამშობლოში დაბრუნება სურთ და ამიტომ ცდილობენ გამოჩენილი გვარის ქრისტიანი ტყვეებისაგან კარგი მოწმობა იშოვონ, საიდანაც ჩანდეს, რომ განდგომილი პატიოსანი და კარგი კაცია, ყველა ქრისტიანი ტყვეებისთვის სამსახური, გაუწევია და დიდი სურვილი აქვს პირველსავე შემთხვევაში მაჰმადიანებს გაექცეს. ზოგი განდგომილი იმგვარ მოწმობებს კეთილი განზრახვით ეძებს, ზოგი კი ეშმაკობით, რომ პირადი სარგებლობა რამ მოიპოვოს. ეს უკანასკნელნი საქრისტიანო ქვეყნებში მხოლოდ საქურდლად და სამარცველად მიდიან, და თუ უბედურება შემთხვათ რამე, მაშინვე იმ მოწმობას აჩვენებენ და იმით დაამტკიცებენ, რომ სურდათ ქრისტეს სარწმუნოებას დაბრუნებოდნენ და ამიტომ შემთხვევით ისარგებლეს და თურქებს გამოჰყენენ საქრისტიანოში. ამგვარად ისინი დევნასა და სიძულვილს ადგილად ირიდებენ თავიდან, ეკლესიისაგან შენდობას და ხალხთან შერიგებას ახერხებენ, მაგრამ გაირიგებდნენ თუ არა საქმეს და მოიხელებენ შემთხვევას, მაშინვე ბერბერში ბრუნდებიან და ისევ უწინდელ თავის ხელობას ადგებიან. ზოგი განდგომილი კი მართლა კეთილად ხმარობს ამ მოწმობას, კეთილი განზრახვით ცდილობს მის შოვნას და საქრისტიანო ქვეყანაში სამუდამოდ რჩება. ის მეგობარიც ამგვარ განდგომილთაგანი იყო. ყველა ჩემი ამხანაგისაგან ჰქონდა მოწმობა და ყველანი რიგთან კაცად იხსენებდნენ. თურქებს რომ მისთვის ის მოწმობები ეპოვნათ, ცოცხლადვე დასწავდნენ. მე შევიტყვე, რომ მან ლაპარაკის გარდა მავრულად წერა-კითხვაც კარგად იცოდა. ჯერ მაინც სრულად არ გავუტყდი. ასე ვუთხარი, ბარათი ჩემი საკნის კუთხეში ვიპოვე მეთქი, და წაკითხვა გთხოვე. მან ბარათი გაშალა, ჯერ ბეჯითად დაათვალიერა და შემდეგ ბუტბუტით დაიწყო კითხვა; ვკითხე, შიგ რაც სწერია, თუ გესმის-მეთქი?

- ძალიან კარგად, - მიპასუხა განდგომილმა - და თუ გინდათ, გადაგიტარებნით. საწერ-კალამი მომეცით, ქალაქში გადაგიტარებნა უფრო მეხერხება.

ჩვენ მაშინვე მივეცით საწერ-კალამი. მან წყნარად დაიწყო წერა და, რომ გაათავა, თქვა, რაც აქ ეპანურად დავწერე, ამ ბარათში სიტყვასიტყვით უმეტნაკლებოდ ეს წერია. მხოლოდ იცოდეთ, "ლელა მარიენი" სადაც შეგხედეთ, ყველგან "ჩვენ ქალბატონ ქალწულ მარიამს" ნიშნავსო. ბარათი წავიკითხეთ და შიგ შეგმდეგი ეწერა:

"ჩემს ბავშვობაში მამაჩემს ერთი ტყვე ქრისტიანი ქალი ჰყავდა, მან მასწავლა ჩემს ენაზე ქრისტიანების ლოცვები და ლელა მარიენზე მრავალ ამბავს მომითხრობდა ხოლმე. ეს ქრისტიანი ქალი მოკვდა და მისი სული ჯოჯოხეთის ცეცხლში კი არ ჩავარდნილა, ალაჰთან

წასულა ზეცაში, ეს იმით ვიცი, რომ სიკვდილის შემდეგ ორჯერ გამომეცხადა და მითხრა, ქრისტიანებს ქვეყანაში წავიდე და იქ ვნახო ლელა მარიენი, რომელსაც თურმე ძალიან ვუყვარვარ. არ ვიცი კი როგორ წავიდე. ბევრი ქრისტიანი მინახავს ამ ფანჯრიდან, მაგრამ შენს მეტი აზნაურ კაცად არავინ მჩვენებია. მე ყმაწვილი ვარ და ლამაზი; ბევრი ფულის წამოღება შემიძლია. აბა იფიქრე, შეგიძლია მოახერხო, რომ ერთად წავიდეთ საქრისტიანოში, და თუ ისურვებ, ჩემი ქმარი შიქნები, თუ არა და სულერთია ჩემთვის, ლელა მარიენი მომცემს ვინმეს ქმრად. ამას შენა გწერ, მაგრამ გაფრთხილდი, ვინმე კარგ კაცს წააკითხე, არამც და არამც რომელიმე მავრს არ ენდო, თორემ გიღალატებს, ეს ძალიან მაწუხებს. არ მინდოდა ვისთვისმე გამემჟღავნებია ეს ბარათი, თორემ მამაჩემმა თუ შეიტყო, მაშინვე ჭაში ჩამაგდებს და ქვებით ჩამქოლავს. ლერწამს მე ძაფს მოვაბამ და იმ ძაფზე შენი პასუხი შეაბი, და თუ შენ არავინა გყავს ისეთი, რომ არაბულად დაგიწეროს, რაიმე ნიშნებით მაინც დაწერეთ. ლელა მარიენი მიშველის ის ნიშნები გავიგო. ისა და ალაჰი იყოს შენი შემწე და ეს ჯვარიც, რომელსაც მე ხშირად ვკოცნი, როგორც ქრისტიანმა ტყვე ქალმა მასწავლა".

ვერ წარმოიდგენთ, ბატონებო, თუ რა რიგად გაგვაოცა და აღტაცებაში მოგვიყვანა ამ ბარათმა. რაკი ჩვენი სიხარული ვერ დავფარეთ, განდგომილი მიხვდა, რომ ბარათი შემთხვევით კი არ იყო ნაპოვნი, არამედ ერთ-ერთთან იყო განგებ მოწერილი, და ხვეწნა დაგვიწყო, გაგვენდო მისთვის ჩვენი საიდუმლო: სამაგიეროდ აღქმას გვიღებდა ჩვენი განთავისუფლებისათვის სიცოცხლე გაეწირა. ამას რომ ამბობდა, უბიდან პატარა ჯვარცმა ამოიღო და ცრემლით სავსე თვალებით დაგვიფიცა ჯვარცმული ღვთაება, რომ თუმცა რჯულისაგან განდგომილი იყო, მაინც ისევ სწამდა ჯვარი და, რასაც გავუმჟღავნებდით, მტკიცედ დაიცავდა საიდუმლოდ. ის გვეუბნებოდა, მე ისე მგონია. ანუ უფრო ნამდვილად რომ ვთქვათ, გული მითქვამს, რომ ამ ბარათის დამწერი ქალის შემწეობით თქვენ თავისუფლებას მიიღებთო. ხოლო მე იმედი მეძლევა ჩემი საგულისგულო სურვილი ავისრულო - კვალად წმიდა ეკლესიის წალს დავუბრუნდე, ახლა რომ ჩემი ცოდვასა და უმეცრებისაგან, როგორც სხეულის სნეული რამ ნაწილი, მოშორებული ვარო. ამას რომ ამბობდა, განდგომილი ისეთს ცრემლებს აფრქვევდა და ისეთი სინანული გამოსჭვიოდა მის სიტყვებში, - რომ ჩვენ ერთხმად გადავწყვიტეთ ყველაფერი გაგვემჟღავნებინა მისთვის, და, მართლაც, რაც მოხდა, ყველაფერი ვუამბეთ, აგრეთვე ის პატარა ფანჯარაც ვაჩვენეთ, საიდანაც ლერწამს გადმოუშვებდნენ ხოლმე და მანაც ბეჯითად დაათვალიერა ის სახლი და აღგვითქვა - ყველა ღონისძიებას მოიხმარებდა შეეტყო, თუ ვინ ცხოვრობდა იმ სახლში. შემდეგ გადავწყვიტეთ მავრი ქალის ბარათზე პასუხი მიგვეწერა და განდგომილმაც მაშინვე დაგვიწერა. ეს პასუხი ჩემი კარნახით იყო და შემიძლია სიტყვასიტყვით მოგახსენოთ მისი შინაარსი, ყველა ამ ამბის წვრილმანი შემთხვევაც კი ისე ჩამებეჭდა მეხსიერებაში, რომ ვიდრე პირში სული მიდგას, არასოდეს არ დამავიწყდება. აი რა მივწერე მავრ ქალს:

"ჭემმარიტი ალაჰი იყოს შენი შემწე და მარადის სანატრელი ლელა მარიენი, ჭემმარიტი დედა ღვთისა ჩვენისა. შენ მას ძალიან ყვარებიხარ, რომ შენს გულში საქრისტიანო ქვეყანაში წასვლის სურვილი ჩაუდვია, ევედრე მას ღონისძიება გაჩვენოს, მისი ნება როგორ აღვასრულოთ. იგი ეგოდენ კეთილია, რომ ამ თხოვნას აგისრულებს. მე და ჩემთან მყოფი ყველა ჩემი ქრისტიანი ამხანაგი მზად ვართ ყველაფერი ვიკისროთ და შენი გულისთვის სიკვდილსაც არ მოვერიდებით. აბა მომწერე, რას აპირებ და მე პასუხს შეგატყობინებ. როგორც ამ ბარათიდან დაინახავ, დიდმა ალაჰმა ერთი ქრისტიანი ტყვე მოგვცა, შენს ენაზე ლაპარაკისა და წერის მცოდნე. ამიტომ სრულებით უშიშრად შეგიძლია ყველაფერი შეგვატყობინო, რასაც კი

მოისურვებ შე რომ მწერ, ცოლად გაგიხდები, როცა საქრისტიანო ქვეყანაში მივალთო, ამაზე ქრისტიანულ აღთქმას გაძღვე, ცოლად შეგირთავ, თუ შენი სურვილი იქნება; იცოდე, ქრისტიანები თავის აღქმას მავრებზე უკეთესად ასრულებენ. ალაჰმა და ლელა მარიენმა თავისი წმინდა საფარველით დაგიფაროს შენ".

ეს წერილი დავწერე და დაბეჭდილი შევინახე, მანამ საპყრობილე ჩვეულებრივად დაცარიელდებოდა. ორმა დღემ რომ გაიარა, მარტონი დავრჩით საპყრობილეში და მაშინვე ერდოზე გაველ, ეგებ ფანჯრიდან ლერწამი გამოჩენილიყო. დიდხანს არ მილოდნია, რომ ფანჯრიდან ლერწამი გადმოეშვა. დავინახე თუ არა მაშინვე წერილი დავანახვე და ვანიშნე, თუმცა კი ვერავის ვხედავდი, ლერწმისათვის ძაფი მოეხატა, მაგრამ ძაფი მობმული ჰქონდა და ზედ წერილი შევაბი. რამდენიმე წამის შემდეგ ხელახლად მოგვევლინა ჩვენი ვარსკვლავი, თავის მშვიდობის დროშით, პატარა თეთრი ბოხჩით. ძირს რომ ჩამოუშვეს, გავხსენით და ორმოცდაათ ესკუდოზე მეტი იყო შიგ; ამან ორმოცდაათგზის მოგვიმატა სიხარული და გათავისუფლების იმედიც დაგვიმკვიდრა. განდგომილი იმავ დამეს დაბრუნდა საპყრობილეში. მას გაეგო, რომ იმ სახლში სწორედ მავრი აჯი მორატო ცხოვრობდა, საარაკო სიმდიდრის პატრონი; და მთელი თავისი ქონების მემკვიდრედ ერთადერთი ქალი ჰყავდა. მერე ისეთი მშვენიერო, რომ მთელს ბერბერთში უკეთესი არ მოიპოვებოდა; რომ იმ ქალს ალიჟირის მეფის ბევრი მოადგილე თხოულობდა ცოლად, მაგრამ ყველას უარს ეუბნებოდა, და რომ მას მოახლედ ქრისტიანი ტყვე ქალი ჰყავდა, რომელიც დიდი ხანი არ იყო, რაც მომკვდარიყო. ყველა ეს ქალის წერილის შინაარსს სრულებით ეთანხმებოდა.

შემდეგ რჩევა ვკითხე განდგომილს, როგორ მოგვეტაცნა ის ქალი და როგორ გავქცეულიყავით საქრისტიანოში. განდგომილმა გვირჩია ზორაიდას პასუხისთვის მოგვეცადა. ეს სახელი ერქვა იმ ქალს, ახლა რომ მარიამს ირქმევს, რადგან ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად მარტო მას შეეძლო რამე საშუალება მოენახა. განდგომილი გვამხნევებდა და თან გვეფიცებოდა, რომ თავს დასდებდა და გაგვათავისუფლებდა კი. ამას შემდეგ მთელი ოთხი დღის განმავლობაში საპყრობილე ხალხით იყო სავსე. ამიტომ ლერწამიც აღარ დაგვინახავს ფანჯრიდან. მეხუთე დღეს, დაპყრობილიდან რომ ჩვენს მეტი ყველანი გაიხვეტნენ, ლერწამი ისეთი დიდი ბოლჩით გადმოეშვა ფანჯრიდან, რომ კარგ საჩუქარს გვიქადდა. ბოლჩა რომ გავხსენი, შიგ ბარათი აღმოჩნდა და ასიც ოქროს ესკუდო. განდგომილიც იქვე ჩვენთან იყო და მაშინვე წაგვიკითხა წერილი; აი რასა გვწერდა ის ქალი:

"არ ვიცი, ბატონო ჩემო, რა ღონე ვიხმარო, რომ ჩვენ ესპანეთში შევიძლოთ წასვლა; არც ლელა მარიენმა მასწავლა რამე, თუმცა დავეკითხე კიდევ, მე იმის მეტი არა შემიძლია-რა, ამ ფანჯრიდან ბევრი ოქროს ფული მოგცეთ. ამით შენ და შენმა მეგობრებმა საპყრობილედან თავი გამოიხსენით, ერთ-ერთი თქვენგანი ახლავე საქრისტიანოს ქვეყანაში წავიდეს, იქ ბარკასი იყიდოს და ჩვენს წასაყვანად დაბრუნდეს. ჩემი ნახვა მამაჩემის ბაღში შეგიძლიათ; მე იქ ბარბაზონის შემოსავალთან ვიქნები ზღვისპირას და მთელს ზაფხულს მე და მამაჩემი ჩვენი ტყვეებიანად იქ გავატარებთ. იქიდან ღამით ჩემს მოტაცებას ადვილად შეიძლებთ და ბარკასამდის უშიშრად მიმიყვანთ. კარგად გახსოვდეს რომ ცოლად შერთვის პირობა დამიდე; თუ არ ამისრულებ, ლელა მარიენსა ვთხოვ, დაგსაჯოს, თუ შენ იმდენად ვერავის ენდობი, რომ ბარკასისათვის გაგზავნო, მაშინ თავი გამოიხსენ და თვითონ შენ წადი; მაინც შენ სხვაზე უფრო ადრე დაბრუნდები, რადგან აზნაური და ქრისტიანი ხარ. ეცადე ისწავლო, ჩვენი ბალი სადაც არის. როცა მაგ ეზოში სეირნობას დაიწყებ, ამით გავიგებ, რომ საპყრობილეში აღარავინ არის, და ბევრ ფულს მოგცემ. ალაჰი იყოს შენი შემწე, ჩემო ბატონო".

მეორე წერილში ამას მწერდა, რომ წავიკითხეთ, ყველა ჩემი ამხანაგი სიამოვნებით მიდიოდა ესპანეთში ბარკასის საყიდლად და აღთქმასაც სდებდა - უკანვე დაბრუნებულიყო; აგრეთვე მეც მზად ვიყავ წასასვლელად, მაგრამ განდგომილი წინააღმდეგი შეიქნა, ჩვენგანს ვისმე სხვაზე ადრე დაეხსნა თავი, რადგანაც გამოცდილებით იცოდა, რომ გათავისუფლებული კაცი ტყვეობაში მიცემულ სიტყვას ბეჯითად ვეღარ იცავდა ხოლმე. იგი გვეუბნებოდა, ძალიან ხშირად მომხდარა, რომ ვინმე დიდი გვარის ტყვეს რომელიმე თავისი ამხანაგი გამოეხსნას და ფული გაეტანებინოს ვალენსიაში, ან მაიორკაში ბარკასის მისატანად გამომსსნელების წასაყვანად, მაგრამ გაგზავნილები უკან დაბრუნებული აღარავის უნახავსო: თავისუფლების შოვნით მონიჭებული ბენიერება და ხელმეორედ ტყვეობაში ჩავარდნის შიში მათ მეხსიერებიდან ყოველგვარი მოვალეობის გრძნობას სრულებით ფხვრიდაო და ყოველივე აღთქმას ავიწყებდაო მათ. ამ სიტყვების დასამტკიცებლად ერთი ამბავი გვიამბო მოკლედ, იმ ცოტა ხანში რომ ალჟირში რამდენიმე ქრისტიან აზნაურს შემთხვეოდა. ისეთი უცნაური, რომ ყველანი გაეკვირვებინა, თუმცა იმ ქვეყანაში დღევ არ გავიდოდა ისე, რომ საკვირველი ამბავი არ მომხდარიყო. დასასრულ, გვითხრა, თუ ერთის გამოხსნაზე მიდგებოდა საქმე, ჯერ უთუოდ ის გამოგვხსნა, ფული მიგვეცა და იგი ალჟირშივე იყიდდა ბარკასს, ვითომ იმ განზრახვით, რომ ტუტუანთან და ზღვისპირის სხვა ქალაქებთან ვაჭრობა გაემართა; ბარკასი რომ მექნებო, ამბობდა განდგომილი, საპყრობილედან თქვენი გამოპარებაჩადვილად შეიძლებაო, და თუ მავრის ქალი თავის სდევას აასრულებს და მართლა იმდენ ფულს მოგვცემს, რომ ჩვენ ყველას თავის დახსნა შეგვეძლება, მაშინ ხომ აქედან გასვლას დღისითაც არავინ დაგვიშლისო. ახლა ჩვენი გაჭირვება ის იყო, რომ მავრები განდგომილებს ნავის ყიდვის ნებას არ აძლევდნენ და, თუ ასეთი რამის ყიდვა იყო, უთუოდ დიდი ხომალდი უნდა ეყიდათ: ეს იმიტომ, რომ შიშობდნენ, ვინც ბარკასს ყიდულობდა, მეტადრე თუ ესპანელიც იყო, იმიტომ ყიდულობდა, რომ მით საქრისტიანო ქვეყანაში გაქცეულიყო. მაგრამ ამ გაჭირვებასაც ვუშველიო, დაუმატა განდგომილმა, ბარკასის ყიდვაში ერთ ვინმე თავარელ მავრს გავიამხანაგებ და აღებ-მიცემობის მოგებას გავუყოფო. მისი სახელით ვიყიდი და ჩვენს საქმეს ასე გავჩარხავო.

თუმცა, მართალი მოგახსენოთ, მე და ჩემს ამხანაგებს მისი წინადადება ვერაფრად გვეჭაშნიკებოდა და უფრო უკეთესად მიგვაჩნდა მაიორკაში ბარკასისათვის ვინმე ჩვენგანი გაგვეგზავნა, როგორც თვითონ მავრის ქალიც გვწერდა. მაინც განდგომილისთვის უარის თქმა ვერ გავბედეთ, რადგან გვეშინოდა - გაჯავრებულს არ ელალატა და ხიფათში არ გავბმულიყავით, როგორც ჩვენ, ისე ზორაიდაც, რომლისათვისაც ყველანი მზად ვიყავით თავი გაგვეწირა.

ამგვარად მეტი ღონე აღარ გვექონდა, ჩვენი ბედი ღვთისა და განდგომილისათვის უნდა მიგვენდო. ზორაიდას მაშინვე პასუხი მივწერეთ, რომ მზად ვიყავით ყველა მისი რჩევა აგვესრულებია, რადგან ისე საკეთილოდ მიგვაჩნდა ის რჩევა, თითქოს თვითონ ლელა მარიენის ჩაგონებული ყოფილიყოს, და რომ ახლა ქალზე ისლა იყო დამოკიდებული, დაგვეჩქარებია ამ აზრის დასრულება, თუ ჯერ კიდევ შეგვეცადა. ბოლოს დავურთე, რომ აღთქმას უთუოდ ავუსრულებდი და ცოლად შევირთავდი მას. ამის შემდეგ, როცა კი საპყრობილეში ჩვენს მეტი არავინ დარჩებოდა ხოლმე, რამდენჯერმე ლერწმისა და ხელსახოცის შემწეობით ათასამდე ოქრო ჩამოგვაწოდა. ერთერთ ბარათში იმას გვწერდა, რომ პირველ ჯუმას (პარასკევს) ბაღში მივდივარ და წასვლამდის ფულებს კიდევ მოგცემთო, და თუ საკმაო არ იქნება, შემატყობინეთ და იმდენს ჩამოგაწოდებთ, რამდენსაც მოითხოვთო; მამაჩემს

მდენი ფული აქვს, რომ ვერაფერს გაიგებს და ამასთანაც მთელი მისი სიმდიდრის გასაღები ჩემს ხელშიაო.

მაშინვე ხუთასი ოქრო განდგომილს გადავეცი ბარკასის საყიდლად, ხოლო რვაასი ოქროთი ჩემი თავი დავიხსენი ერთ ვალენსიელი ვაჭრის საშუალებით, იმ ხანაში რომ ალჟირში შემხვდა. მან იმ პირობით დამიხსნა, რომ სასყიდელი ვალენსიიდან ხომალდის მოსვლისთანავე ჩაებარებია; მაშინვე რომ მიეცა ჩემი სასყიდელი, მეფის მოადგილე იფიქრებდა, ის ფული დიდი ხნიდანვე ჰქონია მოსულიო და აქამდის თავის სასარგებლოდ უტრიალებია აღებმიცემობაშიო. ამასთანავე ჩემი პატრონი ისეთი ვერაგი კაცი იყო, რომ თვითონ მეც არ ვურჩიე ვაჭარს, ჩემი გამოსახსნელი ფული მაშინვე ჩაებარებია. იმ პარასკევის წინა დღეს, როდესაც ზორაიდა ბაღში უნდა გამოსულიყო, ათასი ოქრო კიდევ მოგვცა და თანაც გვწერდა, რომ მზად იყო წამოგვეყოლოდა. ამასთანავე მთხოვდა, რომ, რაწამსაც თავს გამოვიხსნიდი, მაშინვე მამამისის ბაღი მომენახა და, როგორც უნდა ყოფილიყო, იმ ბაღში მისი ნახვა მომეხერხებია. რამდენიმე სიტყვით მივწერე, რომ აუცილებლად ავასრულებდი მის სურვილს და ვთხოვდი, ლელა მარიენისათვის შევევედრებინეთ იმ ლოცვებით, რა ლოცვებიც ქრისტიან მოახლეს უსწავლებია მისთვის. შემდეგ როგორც იყო, ჩემი სამი ამხანაგიც გამოვახსნევინე, რადგან მეშინოდა, რაკი მე თავდახსნილს მხედავდნენ, ეშმაკს არ ეცდინა ისინი და შურით ჩემსა და ზორაიდას საწინააღმდეგოდ რამე სისულელეც არ ჩაედინათ. თუმცა რიგიან კაცებად ვიცნობდი იმათ და ურიგო რამ საქციელის ეჭვი არ უნდა მქონოდა მათგან, მაინც არ მინდოდა ჩემი საქმე საფრთხეში ჩამეგდო. ისინიც ჩემსავით ჩემს ნაცნობ ვაჭარს გამოვასყიდვინე იმავე ხერხით, როგორც ჩემი გამოსყიდვისათვის ვიხმარე, ფულიც ამთავითვე გადავუხადე, რომ ჩემი პატრონისათვის უფრო გულდანდობით მიეცა საჭირო პირობა. ის კი სულ არ გაგვიმხილა მასთან, თუ რა საიდუმლო შეთქმულება გვექონდა, რადგან ასეთი განდობა ძალიან სახიფათო იქნებოდა.

თავი XLI

სადაც ტყვედნამყოფი განაგრძობს თავის ამბავს

ჯერ ორი კვირაც არ გასულიყო, რომ ჩვენმა განდგომილმა ერთი კარგი ბარკასი იყიდა, ისეთი, რომ შიგ ოცდაათი კაცი კარგად მოთავსდებოდა. თვალის ასახვევად, რომ ეჭვი არავის აელო, სარჯელს წავიდა, ალჟირიდან ოცი მილის მანძილზე, ირანის ახლოს, სადაც ლედვის ჩირით დიდი ვაჭრობა იყო გამართული. ორჯერ თუ სამჯერ იმგზავრა იმ ქალაქში და, წელან რომ მოგახსენეთ, ის თავარიც თან ჰყავდა, - თავარებს ბერბერში არაგონელ მავრებს ეძახიან და გრანადელ მავრებს კი მუდებარებს უწოდებენ; ამ უკანასკნელთ ფეცის სამეფოში ელჩები ქვიათ; ამ ქვეყნის მეფე მათგან კრებს თავის ჯარებს. განდგომილი რომ თავის ბარკასით გაივლიდა ხოლმე, ლუზას მუდამ იმ პატარა ნავსადგურში ჩაუშვებდა, რომელიც ზორაიდას საცხოვრებელი ხლიდან თოფის ორი გასროლის მანძილზე იყო. იმ ნავსადგურში ისა და მისი ახალგაზრდა მენიჩბე მავრები განგებ ლოცვად დგებოდნენ და ხანაც ვითომ ხუმრობით იმას ჩაიდენდნენ ხოლმე, რის ჩადენასაც მართლა აპირებდნენ. მაგალითად, ზორაიდას მამის სახლში წავიდოდნენ ხოლმე ხილის სათხოვნელად და ისიც ისე ამღევდა, რომ ვინაობასაც არ ჰკითხავდა. ძალიან სურდა თურმე ზორადა ენახა და ეთქვა, რომ ჩემი ბრძანებით მას უნდა წაეყვანა იგი საქრისტიანო ქვეყანაში. ამიტომ მას დანდობოდა და მუდამ მოლოდინი ჰქონოდა

მისი. მაგრამ ეს ვერ მოეხერხებია, რადგან მავრის ქალები მავრებსა და თურქებს არ ეჩვენებიათ, თუ მამისა ან ქმრისაგან ამის ნებართვა არა აქვთ (ქრისტიან ტყვეებს კი უფრო თამამად ეჩვენებიათ და ელაპარაკებიათ ხოლმე). მართალი უნდა ეთქვა, კიდევ მიხაროდა, რომ მას ზორაიდასთან ლაპარაკი არ შეხვდა. ძალიან შეეშინდებოდა, როცა გაიგებდა, რომ მისი საიდუმლო განდგომილის ენის ანაზარა უნდა გამხდარიყო. მაგრამ, ალბათ, ღმერთი განაგებდა ჩემს საქმეს, რომ არ მიუშვა მისი სურვილი ასრულებულიყო. ბოლოს განდგომილმა, რაკი ნახა, რა სარჯელში განგებისი მისი მოგზაურობა უხიფათოდ ჩაუვლიდა და სადაც უნდოდა, ღუზას იქ უშვებდა ხოლმე, რაკი მისი ამხანაგი თავარიც ყველაფერში ემორჩილებოდა და ამის მეტი აღარა იყო რა საჭირო, მენიჩბეზად ქრისტიანები გვემოვნა, მითხრა, სამ გამოსყიდულ აზნაურს გარდა ამერჩია, ვინც წასაყვანად მსურდა, და პირველი პარასკევისათვის ყველანი მზად ვყოფილიყავით, რომ დაუყოვნებლივ გზას გავდგომოდით. მეც მაშინვე თორმეტი ესპანელი საუკეთესო მენიჩბე დავიქირავე, ისეთები, რომ ქალაქიდან გასვლა თავისუფლად შეეძლოთ. იმ დროში ამდენი მენიჩბის ერთად შოვნა ადვილი არ იყო, რადგან წინააღმდეგობა ოცი გემი გავიდა ნავსადგურიდან სამეკობროდ და თითქმის ყველა მენიჩბე მათ დაიქირავეს. ის თორმეტიც იმიტომ ვიშოვნე, რომ მათი პატრონი იმ დროს სამეკობროდ ვერ გადიოდა, რადგან გემი ჰქონდა შესაკეთებელი და მის დასრულებას ემუშრებოდა. დაქირავებული მენიჩბენი დავარიგე, რომ პირველ პარასკევს დილით თითო-თითოდ გასულიყვნენ ქალაქიდან და აჯი მორატოს ბაღის გზაზე ელოდნათ ჩემთვის. ეს დარიგება ყველას სათითაოდ მივეცი და მასთანვე ვუთხარ, რომ, თუ ვინცობაა სხვა ქრისტიანებს შეჰყროდნენ, იმათთვისაც უსწავლებიათ ადგილი, სადაც უნდა ელოდნათ ჩემთვის.

ამ თადარიგის შემდეგ ერთილა დამრჩა - ჩვენი საქმის ვითარება ზორაიდასათვის შემეტყობინებინა, რომ მზად ყოფილიყო და არ შეშინებოდა, თუ ვინცობაა ბარკასი ადრე მოსულიყო და დანიშნულ დროზე ადრე მოგვეტაცა იგი. ამისათვის გადავწყვიტე თვითონ მე წავსულიყავ აჯი მორატოს ბაღში, ეგებ როგორმე სალაპარაკოდ შევხვედროდი ქალს. წასვლის წინა დღეს შეველ ბაღში, ვითომ მწვანილის მოკრეფა მინდოდა; შეველ თუ არა, ზორაიდას მამა შემეჩება წინ და ლაპარაკი დამიწყო იმ ენაზე, რა ენასაც მავრები ტყვეებთან სალაპარაკოდ ხმარობენ მთელი ბერბერის სამფლობელოში და თვითონ სტამბოლშიც; ეს ენა არც არაბულია, არც კასტილიური, და არც რომელიმე ხალხისა, - ყველა ენის ნარევია, მაგრამ მაჰმადიანებისათვისაც და ჩვენთვისაც სრულებით გასაგები. მისი პირველი კითხვა იყო, ვინ ვიყავი და რა მინდოდა მის ბაღში. მე ვუპასუხე, რომ ალბანელი მამის ტყვე ვარ (ასე იმიტომ ვუპასუხე, რომ ვიცოდი, ალბანელი მამა აჯი მორატოს დიდი მეგობარი იყო) და მწვანილის მოსაკრეფად შემოველმეთქი. მერე ისა მკითხა, გამოხსნას თუ მოელიო და შენი პატრონი რადენს ითხოვსო. პასუხი ჯერ არ მიმეცა, რომ ბაღში მშვენიერი ზორაიდა შემოვიდა. დიდი ხანი იყო არ ვენახე, და რადგან მავრის ქალები, როგორც მოგახსენეთ, ქრისტიანებს არ ერიდებიათ, ამიტომ ჩემსკენ თამამად წამოვიდა. მამამ, პირიქით, კიდევ დაუძახა - ჩქარა მოსულიყო, ჩვენთან.

ჩემთვის ახლა ძნელი მოსახერხებელია გადმოგცეთ, თუ ჩემი საყვარელი ზორაიდა რა ბრწყინვალე მშვენიერებით, რა ნარნარი რხევით და რა ძვირფასი სამკაულით წარმოუდგა მაშინ ჩემს თვალებს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ რაც მას კისერზე, ყურებში და კავებზე მარგალიტი ეკიდა, იმდენი თმა არ ექნებოდა თავზე. ოდნავ ტიტველ კანჭებზე (იქაური ჩვეულება ასეთია) პიტალოაოქროს კარკაჭები ჰქონდა გაკეთებული (ასე ეწოდება მავრულად ფხებზე გასაკეთებელ რგოლებს), იმდენი ალმასით მოფენილი, რომ, როგორც შემდეგში ზორაიდამ

მიამბო, მისი მამა ათი ათას დუბლონად აფასებდა. უთვალავი ძვირფასი მარგალიტით მოფენილი სამაჯურებიც იმდენივე ღირდა. თურმე მავრი ქალისათვის საუკეთესო სამკაული მარგალიტია, ამიტომაც მავრებს მარგალიტი ყველა სხვა ხალხზე მომეტებული აქვთ. ზორაიდას მამა მთელ ალჟირში იმით იყო განთქმული, რომ ყველაზე მეტი და საუკეთესო მარგალიტის პატრონი იყო. საზოგადოდ ამბობენ, რომ მას ორასი ათას ესპანურ ესკუდოზე მეტი ქონება ჰქონდა და ყველა ამ სიმდიდრის მფლობელი ის ქალი იყო, ვინც ახლა მე მეკუთვნის. ახლა თქვენ მხოლოდ მშვენიერების აჩრდილსა ხედავთ, მხოლოდ იმ ნაშთს, რაც მრავალი ტანჯვისა და მწუხარებისაგან გადარჩა; მაინც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თუ რა მომხიბლავი და მშვენიერი უნდა ყოფილიყო მაშინ, უთვალავი თვალმარგალიტით შემკული, სიამოვნებისა და ფუფუნების დროებში. სიმშვენიერესაც ხომ თავისი დრო და ხანი აქვს; ცხოვრების გარემოება ან აკლებს ან უმატებს ქალს სილამაზეს და, თუმცა სულიერი დეღვა სილამაზის მტერია, მაინც ხან ისიც მოხდება ხოლმე, რომ ეს დეღვა ქალს სილამაზეს უმატებს კიდევ. ზორადა მაშინ ისეთი მომხიბლავი მშვენიერების პატრონად მეჩვენა, რომ მსგავსი მშვენიერი და ტურფა ჩემს თვალებს არა უნახავს-რა. ამასთან, რაკი მადლობის გრძნობაც მიმიძღვოდა მისადმი, ამიტომ ასე მეგონა, თითქოს ჩემს წინ ზეციერი არსება დგას-მეთქი, ჩემი დახსნისა და ნეტარებისთვის ქვეყნად მოვლენილი.

მოახლოვდა თუ არა, მამამ უთხრა არაბულად, რომ მისი მეგობრის მამის ტყვე ვიყავი და მწვანელის მოსაკრეფად მიველ იქ. მაშინ დაიწყო ლაპარაკი ზორაიდას და იმ ნარევ ენაზე მკითხა, აზნაური ხარ თუ არა, და რატომ აქამდის არვის დაუხსნიხარო? მე ვუპასუხე, რომ ეს არის გამოვიხსენი თავი და ძალიან ძვირადაც დამაფასა ჩემმა პატრონმა. ათას ხუთასი სოლთანი გამომართვა-მეთქი.

- ჭემმარიტად, შენ რომ მამაჩემის ტყვე ყოფილიყავი, ისე ვიზამდი, რომ ორმაგ ფასადაც არ გაგიშვებდი ხელიდან, რადგან ქრისტიანები მუდამ ცრუობთ და საწყლად მოგაქვთ თავი, რათა მავრები მოატყუოთ.

- ეგ შესაძლებელია, ქალბატონო, - ვუპასუხე მე, - მაგრამ გარწმუნებთ, ამ ბატონს მართალი მოვახსენე და ამას ყველას ვეტყვი, ვინც კი შემხვდება ქვეყანაზე.

- როდის ჩადიხარ შენს ქვეყანაში? - მკითხა ზორაიდას.

- ხვალ ვაპირებ, - ვუპასუხე; - აქ ერთი ფრანგული ხომალდია, რომელიც ხვალ აუშვებს იალქნებს, და ვფიქრობ მას გაყვე.

- უკეთესი არ იქნებოდა, - მითხრა ზორაიდას, - ფრანგების გაყოლას ესპანური ხომალდებისათვის მოგეცადა და იმათ გაჰყოლოდი, ფრანგები ხომ არა გმეგობრობენ თქვენ?

- ნამდვილად რომ ვიცოდე, ესპანეთის გემი მოდის რამე, მოვიცდიდი, მაგრამ ხვალ წასვლა უკეთესი იქნება. ჩემი სამშობლო ქვეყნის ნახვა ისე ძალიან მსურს და ისე მეჩქარება ჩემს ნათესავებსა და მეგობრებში დავინახო ჩემი თავი, რომ მეორე შემთხვევამდის აღარ შემიძლია მოვიცადო, რაც უნდა უკეთესი შემთხვევაც იყოს.

- შენ უთუოდ ცოლიანი ხარ და ცოლის ნახვას ეშურები.

- არა, - ვუპასუხე, - უცოლო ვარ, მაგრამ პირობა მაქვს მიცემული - რა წამს ჩავალ, ცოლი შევირთო.



- ლამაზი ქალია, ვისაც შერთვის პირობა მიეცი? - მკითხა ზორაიდა.

- ისეთი ლამაზია - ვუპასუხე მე, - რომ იმის ღირსეულად დაფასებისათვის და მართლის სათქმელად უნდა ვთქვა, რომ სულ მთლად შენა გგავს.

ამ სიტყვებზე ზორაიდას მამას გულიანად გაეცინა და მითხრა:

- ალაჰსა ვფიცავ, ქრისტიანო, ძალიან ლამაზი ყოფილა, თუ ჩემს ქალსა ჰგავს, რომლის ბადალი ჩვენს ქვეყანაში არ მოიპოვება; თუ არა გჯერა, აბა კარგად შეხედე და დარწმუნდები, რომ მართალს ვამბობ.

მე და ზორაიდას, ლაპარაკში მამამისი გვეხმარებოდა, რადგან უფრო კარგი მცოდნე იყო იმ ნარევი ენისა; ზორაიდას თუმცა ესმოდა, მაგრამ თავისი აზრების გამოთქმას ნიშნებით უფრო ახერხებდა, ვიდრე სიტყვებით. ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ერთი მავრი მოვარდა, მთლად დაქანცული, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყვიროდა - ბაღის ღობეზე ოთხი თურქი გადმოვიდა და მკვახე ხილსა კრეფენო. ამ ამბავზე მოხუცი და ზორაიდა აცახცახდნენ, რადგან მავრებს თურქებისა ეშინათ და უმეტესად კიდევ მათი ჯარისკაცებისა, რადგან მეტად გათამამებულნი არიან და თავიანთ ქვეშევრდომ მავრებსა და მონებზე უარესად ეპყრობიან მათ, ამიტომ მამამ უთხრა ზორაიდას:

- შინ შედი, შვილო, და კარები ჩაიკეტე, მე კი იმ ძაღლებთან წავალ, ვნახო ერთი რა უნდათ, შენ კი, ქრისტიანო, - მომიბრუნდა მე, - მწვანელი მოძებნე შენთვის და ღმერთმა შინ მშვიდობით მიგიყვანოს.

მე დაბლა დავუკარ თავი, მან ქალის წასვლას აღარ დაუცადა, თურქებისაკენ გასწია და ამგვარად ზორაიდასთან მარტო დამტოვა. იმან მოაჩვენა, ვითომ მიდიოდა და, ხეებს მოეფარა თუ არა მამამისი, უკანვე დაბრუნდა.

- თამშიში, ქრისტიანო, თამშიში? - ცრემლიანი თვალებით მითხრა (ესე იგი მიდიხარ, ქრისტიანო, მიდიხარო?).

- დიახ, მაგრამ უშენოდ კი არასოდეს არ წავალ. პირველ ჯუმას მელოდე და, რომ მოვალთ, შენ ნუ შეგეშინდება, მოგიტაცებთ და საქრისტიანო ქვეყანაში წაგიყვანთ.

რაც ვუთხარ, გაიგო, კისერზე ხელი მომხვია და მთრთოლვარე ნაბიჯით წავიდა სახლისაკენ. ბედს თითქოს ჩვენი დაღუპვა უნდოდა, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ზენამ დაგვიფარა. ჩვენ რომ გადახვეულები მივდიოდით, სწორედ მაშინ, მამას თურქები გაერეკა და უკანვე დაბრუნებულიყო; რაღა თქმა უნდა, დაგვინახა და ჩვენც აგრეთვე დროზე შევასწარით თვალი. ამ სახიფათო წამში, გონიერმა და მოხერხებულმა ზორაიდა, არა თუ ხელი ჩამოიღო ჩემი კისრიდან, არამედ უფრო ახლოს მომეკრა. თავი მკერდზე დამაყრდნო, მუხლები ოდნავ მოიდუნა და გულშეღონებული სახე მიიღო. მეც ისე ვაჩვენე თავი, ვითომ ჩემდა უნებურად მეჭირა იგი. აჯი მორატო თითქმის სირბილით წამოვიდა ჩვენსკენ და ამ უგონო მდგომარეობაში რომ ნახა თავისი ქალი, მიზეზი ჰკითხა, მაგრამ რაკი ქალისაგან პასუხი ვერ მიიღო, თვითონვე დაიძახა:

- უთუოდ იმ ძაღლების შიშით შეჰღონებია გული.

ქალი გამომართვა და გულზე მიიკრა. მაშინ ქალმა ერთა ამოიოხრა, მე გადმომხედა და ჯერ ისევ ცრემლიანი თვალებით მითხრა:

- ამეში, ქრისტიანო, ამეში (ესე იგი წადი, ქრისტიანო, წადიო).

- ეს ქრისტიანი რას გიშველის, შვილო, - უპასუხა მამამ; - ამას ხომ შენთვის ბოროტი არა უქნია-რა; თურქები წავიდნენ აქედან, ნურაფრისა გემინია, შვილო! აკი გეუბნები, თურქები წავიდნენ-მეთქი.

- დიახ, ბატონო, მართალსა ბრძანებთ, სწორედ თურქებმა შეაშინეს, მაგრამ რაკი შენს ქალს ჩემი წასვლა სურს, მეც აღარ შევაწუხებ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ და, თუ ნებას მიბოძებ, ხანდახან მოვალ მწვანილის მოსაკრეფად. ჩემი პატრონი იტყვის ხოლმე, შენ ბალზე უკეთესი მწვანილი თურმე სხვა ბაღში არსად არის.

- როცა გინდოდეს, მოდი, - მიპასუხა აჯი მორატომ. - ჩემი ქალი იმიტომ კი არ გეუბნება წასვლას, რომ ქრისტიანის დანახვა ეჯავრებოდეს; არა, წადიო, რომ ამბობს, ვითომ თურქები წავიდნენო, ან იქნებ იმას ამბობდეს, მწვანილის დაკრეფას ნულარ აგვიანებო.

მამასაც და ქალსაც გამოვეთხოვე და წამოველ; ყველა ჩემი ნაბიჯის გადადგმაზე ზორაიდა ისე თრთოდა, თითქოს სულსა ხდიდნენ და ამ მდგომარეობაში მამამ იგი შინ მეიყვანა. მწვანილის მიზეზით მთელი ბაღი თავისუფლად შემოვიარე, ყველა შესასვლელი და გასასვლელი კარგად დავათვალიერე, ყველა გზა და კვალი გავსინჯე და გავიგე, საიდან როგორ უფრო ადვილად შეგვეძლო ჩვენი განზრახვა აგვესრულებინა. შინ რომ დავბრუნდი, განდგომილსა და ჩემს ამხანაგებს ვუამბე, რაც ვნახე და გავიგე. და მოუთმენლად ვფიქრობდი, ის დღე როდის გათენდებოდა, ცით მოვლენილი საუნჯის, ჩემი მშვენიერი ზორაიდას მფლობელი შევქმნილიყავ. ასე გადიოდა დღეები და ბოლოს სანატრელი დღეც გაგვითენდა. პირობა დავდეთ, ყველას ჩვენი წინათ მოსაზრებული საქმე ბეჯითად აგვესრულებინა და, როგორც იმედი გვქონდა, ისე მივალწიეთ სურვილს. ზორაიდას ნახვის შემდეგ პირველი პარასკევი რომ თენდებოდა, განდგომილმა წინაღამითვე თავისი ბარკასის ღუზა თითქმის იმ ადგილის პირდაპირ ჩაუშვა, სადაც პირობისამებრ აჯი მორატოს მშვენიერ ქალს უნდა ელოდნა.

ქრისტიანი მენიჩბენიც აგრეთვე მზად იყვნენ და აქა იქ დამალულები გვიცდიდნენ. ხალისიანად და მხიარულად იყვნენ და მოუთმენლად ელოდნენ, ჩქარა მივსულიყო, რომ ერთიანად სცემოდნენ მათ თვალწინ მდგომარე ბარკასს. რაკი ჩემი და განდგომილს პირობა არ იცოდნენ, ეგონათ, თავიანთი თავისუფლების გზის გასაკვლევად ბარკასში მყოფი მავრების დახოცვა დასჭირდებოდათ, დამინახეს თუ არა ჩემი ოთხი ამხანაგით, მაშინვე სამალავებიდან გამოვიდნენ და ჩვენთან მოვიდნენ. ქალაქის კარები ამ დროს დაკეტილი იყო და იმ ადგილებში აღარავინ ჩანდა. ერთად რომ შევიყარენით, ვითათბირეთ: ჯერ ზორაიდა მოგვეყვანა თუ მავრი ბაგარები შეგვეპყრო. ამ ყოფაში რომ ვიყავით, ჩვენი განდგომილიც მოვიდა და კარგა გამოგვლანძლა, რომ ძვირფას დროსა ვკარგავდით. მან ასე გვითხრა, ყველაზე უპირველესად ბარკასის დაპყრობა არის საჭირო და ეს ადვილია, რადგან მებარკასე მავრები არავითარ თავდასხმას არ მოეღიან და მშვიდობიანად სძინავთო; ამას რომ გავათავებთ, მაშინ ზორაიდა მოვიტაცოთო. მისი აზრი ყველას მოგვეწონა, განდგომილი მსწრაფლ წავვიძღვა წინ და ყველანი ბარკასთან მივედით. ჯერ ის ავიდა ზედ, ხმალი იმიშვლა და არაბულად დაუყვირა მავრებს;

- განძრევა არავინ გაბედოთ, თორემ სიცოცხლეს გამოგასალმებთ!

ყველანი თან ავეყვით ბარკასზე, მხდალ მავრებს შიშისზარი დაეცათ, რაკი თავიანთი მკაცრი არაესისაგან ასეთი სიტყვები გაიგონეს. ისინი ხელგაუნძრევლად და ხმაგაკმენდილები დაგვნებდნენ და ჩვენც ხელფეხი შევუკარით მათ, თან ვემუქრებოდით, თუ ვინმე ხმას ამოიღებდა, მაშინვე მახვილს გულ-მუცელში გავუტარებდით. ეს რომ გავათავეთ, ნახევარი ჩვენი ხალხი ბარკასზე დაეტოვებოდა ტყვეების სადარაჯოდ, ხოლო მე, განდგომილი და დანარჩენი ნახევარი, ისევ განდგომილის წინამძღოლობით აჯი მორატოს ბაღისკენ ავედი. ჩვენს ბედად ბაღის კარები ისე გავაღეთ, თითქოს დაკეტილი არც კი იყო. ისე ჩუმიად მივუახლოვდით მშვენიერი მავრი ქალის სახლს, რომ ჩვენი ხმა არავის გაუგია. ზორაიდა ფანჯარასთან გველოდებოდა და, გაიგონა თუ არა ფეხის ხმა, მაშინვე წყნარის ხმით გვკითხა, ნაზარეველნი ხომ არა ხართო, ესე იგი - ქრისტიანებიო. მე ვუპასუხე, რომ სწორედ ისინი ვართ-მეთქი და დავატანე ჩქარა ქვევით ჩამოსულიყო. მიცნო თუ არა ერთ წამსაც არ შემდგარა, საჩქაროდ ქვევით ჩამოვიდა, კარი გააღო და ისეთი ბრწყინვალე მშვენიერებით და ძვირფასი თვლებით მორთულ-მოკაზმული გამოგვეცხადა, რომ ამის გამოხატვა არ შემძლია. მივვარდი და ხელები დავუკოცნე, განდგომილმა და ორმა ჩემმა ამხანაგმაც აგრეთვე ხელზე აკოცეს, სხვა ქრისტიანებიც ჩვენს მაგალითს მიჰყვნენ, თუმცა სრულებით არ იცოდნენ, თუ რა სიკეთე მიუძღოდა ჩვენზე ზორაიდას. ამ სახით თითქოს ყველანი მაღლობას ვწირავდით და ჩვენ მხსნელად ვთვლიდით მას. განდგომილმა არაბულად ჰკითხა: მამაშენი ბაღშიაო?

- დიახ, - უპასუხა ზორაიდა, - ბაღში ძინავსო.

- მაშ უნდა გავაღვიძოთ, - თქვა განდგომილმა და ყველა ამ მშვენიერი ბაღის ძვირფასი განძეულით თან წავიყვანოთო.

- არა, არა, - უპასუხა მან, - მის ერთ თმასაც ვერავინ შეეხება. ამ სახლში იმაზე ძვირფასი აღარა არის-რა, რაც მე თან მომაქვს; ესეც საკმაოა, რომ თქვენ ყველანი გაგამდიდროთ და გაგაბედნიეროთ. ცოტა მოითმინეთ და დარწმუნდებით.

- ეს რომ თქვა, გვთხოვა დაგვეცადა და წყნარად ვყოფილიყავით, ხოლო თვითონ შინ შებრუნდა. მე ვკითხე განდგომილს, რას ელაპარაკებოდა ზორაიდას, და, რომ გავიგე, ვთხოვე ყველაფერში ისე მოქცეულიყო, როგორც ზორაიდა ისურვებდა. ამას, რომ ვეუბნებოდი, ზორაიდაც გამოვიდა, თან დიდი გაჭირვებით მოჰქონდა ერთი ყუთი, სულ ოქროს ესკუდოებით გატენილი. სწორედ ამ დროს გვღიძობოდა მის მამას და, ხმაურობა რომ გაიგონა, ფანჯარასთან გადმოდგარიყო. დაინახა თუ არა მის სახლს ქრისტიანები შემოხვეოდნენ, საზარელი ხმით არაბულად დაიწყო ყვირილი:

- არიქა, მაშველეთ, ქრისტიანები, ქრისტიანები, ქრისტიანები! ქურდები, ქურდები!

ამ ყვირილმა ჩვენ ყველანი შეგვაშინა. განდგომილმა რომ ნახა რაიმე ხიფათს გადავაწყებოდით, თუ საჩქაროდ არ დაგვებოლოებინა საქმე, მანამ აქაურობა ხმაურობაზე გაიღვიძებდა, ფიცხლავ აირბინა კიბეზე და აჯი მორატოს ოთახში შევარდა; ზოგი ჩვენგანი თან აჰყვა, მე კი დამვრა არ შემემლო იქიდან, რადგან ზორაიდა თითქმის გულშელონებული მეჭირა ხელში და თავს ვეღარ დავანებებდი; რამდენიმე წამის შემდეგ აჯი მორატო ხელეშეკრული და პირახვეული ჩამოიყვანეს და თან მოკვლას ემუქრებოდნენ, თუ ხმის ამოღებას გაბედავდა. ქალმა მისი ცქერა ვეღარ შეძლო და თვალები დახუჭა; ხოლო აჯი მორატო გამტერებული

დარჩა, რადგან ის აოცებდა, თუ რა მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ მისი ქალი თავისთავად დაგვნებებოდა. ახლა, რაკი ჩვენთვის ფეხების სიმკვირცხლე იყო საჭირო, საჩქაროდ დავბრუნდით ბარკასთან, სადაც ჩვენი ბიჭები შეწუხებულები დაგვხვდნენ, რადგან ეშინოდათ თურმე, ხიფათი რამ არ დაგვმართოდა.

შუადღის ორი საათი იქნებოდა გასული, როდესაც ჩვენ ყველამ ბარკასში მოვიყარეთ თავი; ზორაიდას მამას ხელები გავუხსენით და პირიდანაც ხელსახოცი ჩამოვხსენით. აქ განდგომილმა კვლავ გაუმეორა, რომ, თუ ხმას ამოიღებდა, მაშინვე მოკლავდნენ. აჯი მორატომ რომ თავისი ქალი ჩვენთან დაინახა, მწარედ ტირილი მორთო. მაგრამ უფრო მეტად იმაზე წუხდა, რომ მისი ქალი ჩემთან ჩახუტებული იჯდა, ამ მოხვევას არ უარობდა და არ ცდილობდა ჩემგან თავის დაღწევას, მაინც ხმას ვერ იღებდა, რადგან ეშინოდა განდგომილს თავის მუქარა არ აესრულებინა. ნიჩბები რომ წყალში ჩავუშვით და მოსმა დავაპირეთ, ზორაიდამ ბარკასში თავის მამა და ხელფეხშეკრული მავრები დაინახა. მაშინ განდგომილს თხოვა, ჩემთვის გადაეთარგმნა, რომ წყალობა მომელო და ის მავრები გამეთვისუფლებინა და მისი მამაც გამეშვა, რადგან ზღვაში ჩავარდნას უფრო აიტანდა, ვიდრე თავის მოსიყვარულე მამის ტყვედ შეპყრობილის ცქერას. მე თანახმა გავუხდი, თხოვნა ამესრულებია, მაგრამ განდგომილი უარზე დადგა. ჩვენ რომ ესენი აქ გავუშვათ, თქვა მან, ქალაქში შეატყობინებენ და მსუბუქი ნგებებით მდევარს გამოგვიყენებენ, გარს შემოგვეტყვიან ზღვითა და ხმელეთით და ხსნის ღონე აღარსაით გვექნებაო. ჩვენ ამათი გათავისუფლება მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როცა რომელიმე პირველ საქრისტიანო ქვეყანაში მივალთო. ამ აზრს ყველანი დავეთანხმეთ და ზორადაც აღარ აგვიხირდა, რაკი ავუხსენით, რომ იქვე განთავისუფლება ჩვენთვის მავნებელი იქნებოდა. ბოლოს, ღამის სიჩუმეში მხურვალე ლოცვით მივმართეთ ღმერთს, მენიჩბებმა ნიჩბები ღონივრად მოუსვეს და გახარებულებმა გავცურეთ მაიორკის კუნძულებისაკენ, რადგან ყველაზე ახლომდებარე საქრისტიანო ქვეყანა ეს კუნძულები იყო, მაგრამ ამ დროს აღმოსავლეთის ქარი ძლიერად ქროდა და ზღვაც ცოტა შფოთავდა. ამიტომ მაიორკისკენ ცურვა შეუძლებელი შეიქმნა. იძულებული ვიყავით ნაპირ-ნაპირ გვეცურა ალჟირიდან სამოც მილზე მდებარე ქალაქ სარჯელს ახლოს უნდა გაგვევლო; გვეშინოდა, კიდევ რომელიმე ხომალდი არ შეგვხვედროდა გზაზე, ტეტუანიდან რომ სავაჭრო საქონელი მოაქვთ ხოლმე. თუმცა სავაჭრო ხომალდის შეხვედრისა კი არ გვეფიქვებოდა, რადგან თითოეულ ჩვენგანს იმედი ჰქონდა, რომ არა თუ დაგვიმორჩილებდა, არამედ, პირიქით, იმ ხომალდს ჩვენ დავიმორჩილებდით და იმით უფრო უშიშრად განვაგრძობდით ჩვენს მოგზაურობას. ზორადა გვერდიდან არ მომშორებია და პირისახეც ჩემს მხარზე ჰქონდა მიყრდნობილი, რა არის მამამისი არ დაენახა, თან ჩურჩულით ლელა მარიენს ევედრებოდა ჩვენი შემწე ყოფილიყო.

რიჟრაჟმა რომ მოატანა, ოცდაათ მილზე მეტი გვექონდა გავლილი, მაინც ნაპირიდან თოფის სამი გასროლის მანძილზე ძლივს ვიქნებოდით დაშორებული. ნაპირი სრულიად უდაბური იყო და ჩვენც შიში აღარა გვექონდა, რომ იქიდან დავენახეთ ვისმეს. მაშინ ნიჩბებს ძალა დავატანეთ და თანდათან დამშვიდებულ ზღვაში შევედით. ნაპირიდან რომ ორი მალის მანძილზე ვიქნებოდით, მენიჩბებს ვუბრძანეთ რიგრიგად მოესვათ, მანამ ყველანი დანაყრდებოდნენ; მაგრამ მენიჩბებმა გვიპასუხეს, დასვენების დრო არ არის და ვინც უსაქმოდ არიან, მან ისაუზმოსო, ნიჩბებს ხელიდან არ უშვებდნენ, ჩვენც აღარ ავუხირდით, მაგრამ თითქმის იმავე ხანში ღონიერი ქარი ამოვარდა და ნიჩბების მოსმა საჭირო აღარ იყო. ახლა იალქნები ავუშვით და ირანისკენ ავიღეთ გეზი, რადგან სხვა გზით ცურვა შეუძლებელი იყო. იალქნებით საათში რვა მილზე მეტს გავიდოდით და ამის მეტი შიში აღარაფრისა გვექონდა,

მეკობრეთა გემს არ შეხვედროდით. მავრებს საუზმე გაჭამეთ და განდგომილი გულს უმშვიდებდა მათ, რომ ისინი ტყვედ არ მიგვყავდა და პირველსავე შემთხვევაში გავათავისუფლებდით. ზორაიდას მამასაც ასევე უთხრა, მაგრამ მოხუცმა უპასუხა:

- ქრისტიანებო, მე თქვენი სულგრძელობისა და ზრდილობისგან ყველაფერს მოველანდები, მაგრამ თავისუფლებას კი არა, განა ისეთი გულუბრყვილო ვარ, რომ ეგ სიტყვა დაგიჯეროთ? განა ტყუილად გაწირავდით თავს ჩემი დატყვევებით, რომ გათავისუფლებას აგრე ადვილად მოველოდე თქვენგან? მეტადრე, როდესაც ისიც იცით, ვინცა ვარ და ჩემი თავის დასახსნელად რა დიდი სასყიდელი შეგიძლიათ მიიღოთ. ბარემლა დამინიშნეთ ფასი, რასაც მთხოვთ, დაუყოვნებლივ მოგცემთ ჩემი და ამ საცოდავი ბავშვის, ამ ჩემი სულის საუკეთესო და უძვირფასესი ნაწილის დასახსნელად.

ამ უკანასკნელ სიტყვებზე მწარე ქვითინს მოჰყვა, ჩვენ ყველას გული აგვიჩქროლა და ზორადაც აიძულა მისთვის შეეხედა. მამის მწარე ქვითინმა ქალს გული მეტად აუდულა, ჩემი კალთიდან წამოდგა, მამასთან მივიდა, მოეხვია, ტუჩი ტუჩს შეაწებეს და ორივემ ისე გულსაკლავად დაიწყეს ტირილი, რომ ჩვენ ყველას თვალეზზე ცრემლი მოგვერია. მაგრამ, როდესაც აჯი მორატომ თავისი ქალი სადღესასწაულო ტანისამოსით მორთული და მრავალი თვალმარგალიტით შემკული დაინახა, თავის ენაზე ჰკითხა:

- ეგ რას ნიშნავს, შვილო? გუშინ საღამოს, ვიდრე ეს საშინელი უბედურება შეგვემთხვეოდა, საშინაო ტანისამოსით გხედავდი; ახლა კი ისეთი ძვირფასი სამკაულით გხედავ მორთულს, რომ ჩემს ბედნიერ დღესაც უკეთესს ვერ გაჩუქებდი. ან დრო სად გქონდა გამოსაცვლელად, ან რა ამბავი შეიტყვე ჩემგან ისეთი სასიხარულო, რომ ეგრე| სადღესასწაულოდ მორთულხარ? მიპასუხე შვილო: ახლა ეგ უფრო მეტად მაწუხებს და მაოცებს, ვიდრე ეს ჩემი უბედური ყოფა.

განდგომილმა ყველა გვითარგმნა, რასაც მავრი თავის ქალს ეუბნებოდა. ზორაიდამ პასუხად არა უთხრა-რა, მაგრამ, როდესაც აჯი მორატომ ნავში თავის სკივრი დაინახა, რომელშიც მთელი სიმდიდრე ჰქონდა შენახული, და ახსოვდა, რომ ზორაიდამ ის სკივრი ალჟირში დატოვა და აგარაკზე აღარ წაუღია, - უფრო მომატებულად გაოცდა და კითხვა დაუწყო ზორაიდას, ის სკივრი ჩვენ როგორ ჩავგარდნოდა ხელში და ან შიგ რა იყო? მაშინ განდგომილმა აღარ დააცადა ზორაიდას და უპასუხა მოხუცს:

- თავს ნუ იწუხებ, ჩემო ბატონო, ზორაიდას ნურასა ჰკითხავ, ერთ სიტყვას მოგახსენებ და დანარჩენი შენთვის ცხადი იქნება. იცოდე, რომ შენი ქალი ახლა ქრისტიანია, რომ ამან დაამსხვრია ჩვენი ბორკილი და ამან მოგვცა თავისუფლება. თავისი თავი ნებით ჩავვიგდო ხელში და, მგონია, არ ვცდები, ახლა ისევე ბედნიერია, როგორც ბნელიდან ნათელში გამოსული ადამიანი, როგორც მკვდრეთით აღდგენილი და ჯოჯოხეთიდან სამოთხეში ასული.

- შვილო, ეს კაცი რასაც ამბობს, მართალს ამბობს? - შეჰკვივლა მავრმა.

- მართალს ამბობს, მართალს, - უპასუხა ზორაიდამ.

- როგორ, - შენ ქრისტიანი ხარ? ქრისტიანი ხარ? - წარმოთქვა მოხუცმა, - მამ მამაშენიც მტრებს შენ თვითონ ჩაუგდე ხელში?

- დიახ, მე ქრისტიანი ვარ, - თქვა ზორაიდამ, - მაგრამ შენი აქ ყოფნა კი ჩემი ბრალი არ არის, მე არ მინდოდა მოგშორებოდი როდისმე, შენთვის კეთილის მეტი არასოდეს არა მსურვებია.

- შენ თავს რაღა დამართე, შვილო?

- მაგის პასუხი ლელა მარიენს ჰკითხე, ის უკეთესად აგისხნის, - მიუგო ზორაიდამ.

მავრმა რომ ეს მოისმინა, საოცარი სისწრაფით გადავარდა წყალში და უეჭველად დაიხრჩობოდა, თუ საცოდავი გრძელ ტანისამოსს ცოტა ხნით ზევით არ ამოეტივტივებინა. ზორაიდას კვილზე მაშინვე მცვცივდით, კალთებზე ხელი წავავლეთ და წყლიდან ამოვართიეთ უგონო და ცოცხალმკვდარი. შეშინებულმა ზორაიდამ მწარე ქვითინი მორთო თავის მამაზე, რადგანაც მკვდარი ეგონა. მავრი მაშინვე თავქვე დავდეთ; წყალმა პირიდან დენა დაუწყო და ორიოდ საათს შემდეგ მოსულიერდა კიდეც. ამასობაში ქარი შეიცვალა და ნაპირისკენ გაგვლო, და თუ ნიჩბებისთვის არ დაგვეტანა ძალა, უეჭველად ნაპირზე გაგვრიავდა. მაგრამ ჩვენმა ბედნიერმა ვარსკვლავმა, როგორც იყო, ერთ პატარა მოფარებულ ნავსადგურში მიგვაცურა. მავრები რომ კავა რუმის ეძახდნენ და ჩვენს ენაზე კი როსკიპ ქრისტიან დედაკაცს ნიშნავს. მავრების გადმოცემით იმ ალაგმა ის კავა იყო დამარხული, რომლის წყალობით მათ ესპანეთი დაკარგეს. არაბულად კავა როსკიპ დედაკაცს ნიშნავს, ხოლო რუმია ქრისტიან ქალს. მავრების აზრით რაიმე ცუდის მომასწავებელია, როდესაც ღუზის ჩაშვება აქ მოუხდებათ, და გაუჭირვებლად ამ ადგილს არასოდეს არ მოადგებიან ხოლმე. ჩვენ კი ძალიან სტუმრისმოყვარედ გვეჩვენა ეს ადგილი, რადგან იმჟამად ზღვა საშინელ ფრთონას იწყებდა. დარაჯები გადმოვსხით ხმელზე, და ნაჩბები ხელადან არ გაუშვიათ, ისე დანაყრდნენ იმ ნუზლით, რაც განდგომილს საგზაოდ წამოელო; მასუკან მხურვალედ შევთხოვეთ ღმერთსა და ყოვლად წმიდა ქალწულს შეგვეწოდნენ, რომ ჩინებულად დაწყებული ჩვენი საქმე კეთილად დაგვებოლოვებინა. ზორაიდას თხოვნით აქ დავაპირეთ მამამისისა და სხვა მავრების ნაპირზე გადასხმა, ქალი ვერ იტანდა, მამამისს რომ ავაზაკივით შებოჭილს და დატყვევებულ თანამემამულეთ უცქეროდა; ამ საბრალოთა სანახაობა სათუთ გულს უკოდავდა. აღვუთქვით, რომ, რაწამს აქედან დავიძროდით, თხოვნას ავუსრულებდით, - ამ უდაბურ ალაგას მისი მამისა და სხვა მავრების დატოვება უშიშრად შეიძლებოდა, ზეცამ შეიწყნარა ჩვენი ლოცვა ქარი გამოიცვალა დაზღვაც დამშვიდდა, თითქოს გზად წასასვლელად გვიწვევდაო, დრო დავახელეთ თუ არა, მავრებს ხელ-ფეჯხი გავუხსენით და მათდა გასაოცრად თიოო-თითიოდ ნაპირზე გადავსხით. რიგი ზორაიდას მამაზეც მიდგა; მან დაშვიდებით გვითხრა!

- ქრისტიანებო, ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ ამ ბოროტ დედაკაცს უხარია ჩემი გათავისუფლება? ნუთუ გგონიათ, რომ მე ამას ვებრალები? არა, არა, მას უნდა თავიდან მომიშოროს, რომ ჩემმა აქ ყოფნამ არ დაამალოს თავისი შემცოდე სურვილების ასრულება. მან იმიტომ კი არ დაუტევა თავისი მამა-პაპათა სარწმუნოება, რომ თქვენი სარწმუნოება ამჯობინა, არამედ იმიტომ, რომ თქვენს ქვეყანაში დედაკაცს უფრო ადვილად შეუძლია შემცოდე სურვილები აისრულოს და გარყვნილებას მიჰყოს ხელი.

შემდეგ დაუბრუნდა ქალს, და მეც მაშინვე სიფრთხილისთვის ხელები დავუჭირე, რადგან გაბრაზებული იყო და მეშინოდა ახირებული რამ არ ჩაედინა. ასე ჩემგან ხელებდაჭერილმა დაუყვირა თავის ქალს:

- ჰოი, შე პატივახდილო, ასე უდროოდ გარყვნილო! ბრმავე და უგულოვ, სად მიხვალ, სად? ამათ როგორ მისდევ, ამ ძაღლებს, ჩვენს მოსისხლე მტრებს? წყეული იყოს ის საათი, როცა შენ გაჩნდი ამქვეყნად! წვეული იყოს ჩემი მზრუნველობა და ალერსი, შენ რომ გაფუფუნებდა სიყრმეში!

რაკი შე ვატყუე, რომ მოხუცი თავის სიტყვის გათავებას აღარ აპირებდა, საჩქაროდ გადმოვიყვანე ნაპირზე, მაგრამ ახლა იქიდან დაუწყო მაღალი ხმით წყევლა-შეჩვენება და თან მაჰმადს ევედრებოდა, ალაჰთან მიშუამდგომლე, რომ ეს ყველანი ზღვამ დანთქასო. ხოლო როდესაც იალქნები ავუშვით და იმდნად გავშორდით ნაპირს, რომ მისი ხმა აღარ გვესმოდა, მაშინ ძლივს ვარჩევდით, რომ მოხუცი თმას იგლეჯდა, სახეს იხოკავდა და მიწაზე გორავდა. ბოლოს, ერთი კიდე მოიკრიბა ძალა და ისეთი საშინელი ხმით დაიძახა, რომ ჩვენამდისაც მოაღწია იმ ხმამ.

- შვილო, საყვარელო შვილო, - ყვიროდა მოხუცი, ნუ მიდახარ, დაბრუნდი! მოდი ჩემთან აქ, კიდეზე! ყველაფერს გაპატიებ, მიეცი მაგათ ყოველი შენი საუნჯე და შენ კი აქ ჩემთან მოდი, შენი მოხუცი მამა ანუგეშე, უშენოდ ვეღარ გიცოცხლებ. ამ უდაბურ ალაგას ნუ მომკლავ, ნუ მტოვებ მარტოს!..

ეს რომ გაიგონა ზორაიდან, მწდხარებით ისე აემღვრა გული და ისე მოერია ცრემლები, რომ ეს ორიოდ სიტყვადა უპასუხა:

- მამაჩემო, ინებოს ალაჰმა, რომ ვინც მე ქრისტიანად მაქცია - ლელა მარიენმა, - ნუგეში გცეს მაგ შენს მწუხარებაში! ალაჰმა იცის, რომ, რაც ვქენ, იმის უქმნელობა არ შემემლო და ამ ქრისტიანებსაც ეს საქმე მარტო ჩემი ნებით როდი ჩაუდენიათ. კიდეც რომ მინდოდეს თავი დავანებო ამათ და შენს სახლში დავბრუნდე, - ამის აღსრულება შეუძლებელია ჩემგან. ჩემი სული მიისწრაფვის აღსრულოს თავისი დიდი საქმე; ეს საქმე იმდენადვე წმინდად მიმაჩნია, რამდენადც შენ ცოდვა გგონია იგი.

ზორადა ამას რომ ამბობდა, მამამისი თანდათან მიგვეფარა თვალთაგან და მოხუცი, უქვევლია, თვის ქალის სიტყვების მოსმენას ვეღარ შეიძლებდა. მე ვანუგეშებდი ქალი, ვცდილობდი დამემშვიდებინა როგორმე. ამასობაში მენიჩბეებიც ერთგულად შეუდგნენ თავიანთ საქმეს, თან ზურგის ქარიც გვეშველებოდა და ისეთი სრიალით მივდიოდით, რომ იმედი მოგვეცა გათენებისას ესპანეთის კიდეებიც დაგვენახა. მაგრამ რადგან ამქვეყნიური ბედნიერება სრული არასოდეს არის, არამედ თან რამე უბედურებაც დაერთვის ხოლმე, ამიტომ ჩვენმა ბოროტმა ვარსკვლავმა, ან იქნებ მავრისაგან თავის ქალის წყევლა-შეჩვენებამ (მამის შეჩვენებისა უნდა გვეშინოდეს), ჩვენი სიხარული ჩაგვიშხამეს. დამე იალქნების შემწეობით ნიჩბებაკრეფილნი მივცურავდით არხინად, რადგან თანამგზავრი ქარი მენიჩბეებს დასვენების ნებას აძლევდა. უეცრად მთვარის სინათლეზე ერთი მრგვალი ხომალდი დავინახეთ, გაჩქარებით ჩვენსკენ მომავალი. ის ახლოს მოვიდა ჩვენთან, რომ შეგვეშინდა, არ დაგვეჯახებოდა, და იძულებული შევიქენით - იალქნები ჩამოგვეშვა; მაშინ, ხომალდმა გადაღრცა საჭე და გზა აგვიქცია. ხომალდის ქორედიდან დაგვიძახეს: ვინა ხართ, საიდან მოხვალთ და სად მიხვალთო? და რადგან ჩვენ ეს ფრანგულად დაგვიძახეს, ამიტომ განდგომილმა გვითხრა:

ჩუმად იყავით, არაფერი უპასუხოთ, ესენი უთუოდ საფრანგეთის მეკობრეები არიან, ყველას დაეცემიან ხოლმე, არავის არ ინდობენ.

ჩვენ გავუგონეთ განდგომილს, არაფერი არა ვუპასუხეთ-რა. ამასობაში ცოტა მანძილზედაც დავშორდით, ხოლო ხომალდიც მთლად ქარს მიეცა. მშვიდობით გადარჩენის იმედი რომ მოგვეცა, ამ დროს ორი ზარბაზნის სროლა გვითავაზეს უკანიდან. პირველმა სროლამ ანძა შუაზე გადაგვიმტვრია და იალქნიანად ზღვაში გადაგვიგდო, ხოლო მეორე ზედზმოყოლილი თვითონ ბარკასს მოხედა და რამდენიმე ალაგას შეანგრია. შიგ მყოფებს კი არავის მიკარები.ა

წყალმა ბარკასში დენა დაიწყო, ამან გვაიძულა ხმამაღლა აგვეტეხა ძახილი. ხომალდიდან მაშინვე სანდალი ჩამოუშვეს და არკებუზით შეიარაღებული თორმეტი ფრანგი მოცურდა ჩვენთან ანთებული მაშხალებით და თავიანთ სანდალში მიგვიწვიეს, თანაც გვითხრეს, რომ ეს მათი საქციელი უზრდელობისათვის ჭკუის სწავლება იყო. როდესაც სანდალში გადავიდოდით, განდგომილმა ზორაიდას საუნჯის სკივრი აიღო და ჩუმად ყველას შეუმჩნევლად ზღვაში ჩააგდო.

სანდალიდან ფრანგების ხომალდზე გადავსხედით. ჯერ ყველაფერი გამოგვეკითხეს, რაც უნდოდათ, და შემდეგ ისე გაგვმარცვეს, რომ ზედ აღარა შეგვარჩინეს-რა, ზორაიდას ყველაფერი მოხსნეს და ფეხსაცმლის აბზინდებიც კი ააჭრეს. მაგრამ მე ჩვენს დანაკარგზე იმდენად არა ვფიქრობდი, როგორც იმისი მეშინოდა, რომ მეკობრეებს უარესი არ ექნათ და ზორაიდასათვის ისიც არ წაერთმიათ, რაც უფრო ძვირფასი განძი იყო მისთვის. ჩემს ბედად გამოდგა, რომ ის ხალხი მხოლოდ ფულსა და ნადავლს ეტანებოდა, და ამ მხრივ იქამდის გაუმადლარი იყო, რომ უტანსაცმლოდაც დაგვყრიდა, თუკი იმედი ჰქონოდა, რომ რაიმეს გამოიყენებდა. ზოგ მეკობრეს ეწადა იალქანში გავეხვიეთ და ზღვაში გადავეყარეთ, რადგან ბრიტანეთის დროშით ესპანეთის ნავსადგურებში აპირებდნენ ვაჭრობას, და ჩვენი იქ ცოცხლად მიყვანისა კი ეშინოდათ. გაუგებდნენ და დასჯიდნენ, მაგრამ ზორაიდას გამმარცველმა ხომალდის უფროსმა თქვა, ნადავლით ისე კმაყოფილი ვარ, რომ ესპანეთის ნავსადგურებში სავაჭროდ შესვლას აღარ ვსაჭიროებო და გამოაცხადა, იმ ღამესვე ჰიბრალტარის სრუტეს გაივლიდა და საჩქაროდ ისევ ლა რომელს მივიდოდა. ამიტომ მეკობრეებმა თავიანთი ხომალდის სანდალი მოგვცეს და თან იმდენი საზრდო გაგვატანს, რამდენიც ჩვენი მოკლე მოგზაურობისათვის გვეყოფოდა. მეორე დღეს ესპანეთის ნაპირები დავინახეთ და სულ დაგვავიწყდა, რაც კი რამ უბედურება და გაჭირვება თუ სიგლახაკე გამოგვევლო, - თიდეოს ჩვენ კი არა სხვას გამოველო ის გაჭირვება: ასე ტკბილია დეარგული თავისუფლების დაბრუნება!

შუაღლე იქნებოდა, მეკობრეებმა სანდალში რომ გადმოგვსხეს და ორი კასრი წყალი და ცოტა ორცხობილა მოგვცეს; კაპიტანმა კიდევ, რაღაც გულმტკივნეულობით აღძრულმა ორმოცი იქროს ესკუდო აჩუქა ზორაიდას და ნება არ მისცა მეკობრეებს ეს კაბა გიცხადათ, რომელიც ახლა მას აცია. ჩავსხედით სანდალში და ღმერთს მადლობას გწირავდით მონიჭებული წყალობისათვის; იმ წამში ჩვენ მადლიერები ვიყავით; მეკობრეებისაგან მიყენებული ბოროტება სრულიად დაგვავიწყდა. მეკობრეებმა სრუტისაკენ გაუხვიეს, ხოლო ჩვენ კომპასისათვის ყური აღარ გვიგდია, ხმელეთი რომ მოჩანდა, ნიჩბები იქით მოვვუსვით ერთგულად და იმედი გვქონდა დაღამებამდის ნაპირსაც მივატანდით. ცა მოქუფრული იყო, მთვარეც არ გამოჩნდა და ამიტომ ჩვენთვის კარგი არ იქნებოდა ბნელ ღამეში მივდგომოდით ნაპირს. მაგრამ ბევრნი წინააღმდეგი აზრისანი იყვნენ და უეჭველად ნაპირზე გასვლას ითხოვდნენ, თუნდაც რომ უდაბური კლდოვანი ადგილიც ყოფილიყო ნაპირი. მათი აზრით მარტო ნაპირზე გასვლით შეგვეძლო ტეტუანის მეკობრეებს ხელიდან გავსხლტომოდით, რომელნიც ბერბერის ნაპირებიდან ღამით გამოვიდოდნენ ხოლმე, რომ დილით ესპანეთის ნაპირებზე მოსულიყვნენ, იქ ეპარპაშათ და იქიდან ღამითვე შინ დაბრუნებულიყვნენ. ავწონ-დავწონეთ ეს წინააღმდეგი აზრები და ბოლოს გადავწყვიტეთ ნელნელა მივახლოებულიყავით ნაპირს და, თუ ზღვის სიმშვიდე ხელს შეგვიწყობდა, - იმ ალაგას გადმოვსულიყავით ნაპირზე, სადაც უფრო ადვილი იქნებოდა. შუაღამე უნდა ყოფილიყო, როცა ერთ მაღალ მთის ძირს მივადექით. ამ მთას ზღვის ნაპირთან კალთა იმდენად ვაკე ჰქონდა, რომ ჩვენი გადმოსვლა



შესაძლებელი იყო. სანდალი ქვიშაზე მოვაპირქვავეთ და ნაპირზე გამოვედით, სამშობლო მიწას მუხლმოდრეკილი ვეამბორეთ და სიხარულის ცრემლით სავსე თვალებით მადლობა შევწირეთ უფალს, მგზავრობობის დროს რომ თავის საფარველ ქვეშ გვიფარავდა. მას უკან ავიკიდეთ ჩვენი საგზალი და მთას შევუდექით; მაგრამ გული კი მაინც ვერ დაგვერწმუნებია, როს ის ადგილი, სადაც ჩვენ გიდექით, სწორედ საქრისტიანო ადგილი იყო. ჩვენი ფიქრით გარიჟრაჟი ძალიან იგვიანებდა, მაგრამ მაინც ზევით-ზევით მივდიოდით მთაზე. ეგებ მაღლიდან სოფელი ან მეცხვარის ქოხი დაგვენახა. ბევრი ვიცქირეთ აქეთ-იქით, შორ მანძილზე ჩანდა მიდამო ადგილები, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ დავინახეთ. ვერც ადამიანის საცხოვრებელი, ვერც ბილიკი და ვერც რამ სულიერი არსება. მაინც მტკიცედ ვადექით გზას და იმედს არა ვკარგავდით, რომ ვინმესგან რაიმეს შევიტყობდით იქაურობისას. ყველაზე ძალიან ზორაიდასათვის ვწუხდი, რადგან საწყალი ქვა-ღრეებზე ფეხით მოდიოდა, მართალია, პატარა ხანს ხელში აყვანილი მომყავდა, მაგრამ ჩემს დაღლილობას ის იმდენად სწუხდა, რომ ამგვარი შეღავათით ვერაფერს შევებასა გრძნობდა. ისევ ფეხით წამოსვლა არჩია, ხელი-ხელს გამიყარა და მხიარულად მოთმინებით მომდევდა. მეოთხედი მილი რომ გავიარეთ, ზარის წკარუნი მოგვესმა. ამ ნახირის სიახლოვის ნიშანმა მსწრაფლ აქეთ-იქით მოგვახედა, და ერთ ხის ძირას დავინახეთ - ყმაწვილი ბიჭი იჯდა და ჯოხს თლიდა. მაშინვე დავუმახეთ, მაგრამ იგი სწრაფად წამოხტა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა. შემდეგ გავიგეთ, განდგომილი და ზორაიდა რომ მავრული ტანისამოსით იყვნენ, იმ ბიჭს მოეჩვენა, ვითომ მთელი ბერბერის მავრები დაედევნენ. ტყე-ტყე მირბოდა და თან საშინელი ხმით ღრიალებდა:

- არიქა, მავრები შემოგვესივნენ! გვიშველეთ, გვიშველეთო!

ეს რომ გავიგონეთ, ჯერ არ ვიცოდით რა გვექნა, მაგრამ, რაკი მოგვაგონდა, რომ მწყემსი ავის ღრიალით იმ არემარეში ალიაქოთს ასტეხდა და მოსაზღვრე დარაჯებს მოგვისევდა, განდგომილს მაშინვე თავის თურქული ტანსაცმელი გავახდევინეთ და ერთი ჩვენთან მყოფი გათავისუფლებული ქრისტიანის უსახელო ახალუხი ჩაგაცვით, შემდეგ ღვთის ნებას მივენდეთ, იმ ბიჭის კვალს მივყევით იმ ფიქრით, რომ სადაცაა მოსაზღვრე დარაჯებს შევხვდებოდით. მართლაც ასე მოხდა. ჯერ ორი საათი არ იქნებოდა გასული, რომ ჯაგნარიდან ველზე გავედით. ამ დროს ორმოცდაათი დარაჯი დავინახეთ, ქენებით ჩვენსკენ მომავალი. რომ დავგიახლოვდნენ და მავრების მაგიერ საწყალი ქრისტიანები დავგინახეს - გაოცებულნი შედგნენ. ბოლოს მაინც ერთმა მათგანმა გეკითხა: თქვენ ხომ არა ხრთ მიზეზი, მენახირემ რომ ალიაქოთი ასტეხაო? დიახ, ჩვენა ვართ-მეთქი, - ვუპასუხე. - და მანამ ვუამბობდი, ვინ ვიყავით და საიდან მივდიოდით, ერთმა ჩვენთან მყოფმა ქრისტიანმა ერთ-ერთი დარაჯი იცნო და შეჰყვირა:

- მადლობა უფალს ამ კეთილ ნავსადგურში რომ მოვუყვანივართ! თუ არ ვცდები, ახლა ველეს-მალაგაში ვიმყოფებით და თუ ხანგრძლივმა ტყვეობამ მეხსიერება არ დამისუსტა მე თქენა გცნობთ, მგონია, ბიძაჩემი პედრო დე ბუსტამენტე უნდა იყოთ.

მხედარმა რომ ეს გაიგონა, მსწრაფლ ცხენიდან ჩამოხტა და თავის დისწულს სიხარულით გადაეხვია.

- გიკან, ჩემო ძვირფასო დისწულო! - შესძახა მან, ასე მეგონა, ამქვეყნად აღარც კი იყავ. დედაშენმა, ჩემმა დამ და ყველა შენმა ნათესავმა დაკარგეთ შენი ნახვის იმედი. მაგრამ ღმერთს გადაურჩენიხარ. მათ გასახარებლად რა ბედნიერება იქნება მათთვის დაკარგული

შვილისა და ნათესავის ნახვა. ვიცოდით, რომ ალჟირში იყავ, და, შენი ამხანაგების ტანისამოსს რომ ვუცქერ, ასე ვფიქრობ, რამე სასწაული მომხდარა უთუოდ, რომ ტყვეობისათვის თავი დაგიღწევია.

- დიახ, მართალია, - უპასუხა ყმაწვილმა კაცმა, - ყველა ჩვენს თავგადასავალს მერე დაწვრილებით გაიმბობთ.

რაკი შეიტყვეს, რომ ტყვეობიდან დაბრუნებული ქრისტიანები ვიყავით, მხედარნი მაშინვე დაქვეითდნენ და ცხენები გვითავაზეს. ველეს-მალაგამდის მისასვლელად; ერთნახევარი მილილა იყო იქამდის. მერე გვითხრეს, სანდალი სად დასტოვთო, და რამდენიმე ცხენოსანი წავიდა იმის ქალაქში წამოსაღებად. დანარჩენი ცხენებზე შეგვსვეს და ზორაიდას ჩვენი ამხანაგის ბიძის ცხენი ერგო. ერთ დარწმუნებულ დარაჯს შეეტყობინებინა ქალაქში ჩვენი მისვლა და მთელი ქალაქი გამოგება ჩვენს სანახავად, - ტყვეობიდან გათავისუფლებული ქრისტიანების ნახვა იქაურებს ისე არ გააკვირვებდა, რგორც აგრეთვე არც დატყვევებული მავრების ნახვა იყო მათთვის საკვირველი: ველეს-მალაგაში ამგვარი ამბები იშვიათი როდი იყო, მაგრამ ზორაიდას სიმშვენიერემ კი, იმჟამად მეტისმეტად დამშვენებულმა, ყველანი გააოცა. ძნელი მოგზაურობით დაქანცულობამ და იმ სიხარულმა, საქრისტიანო ქვეყანაში რომ თავისუფალ და უშიშარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ახლა ისეთი საკვირველი ფერები მოფინა მის სახეს, რომ მე სიყვარულისაგან თვალები აბმული რომ არა მექონოდა, თამამად ვიტყოდი, რომ მთელს ქვეყანაზე იმ დროში იმაზე უმშვენიერესი ქმნილება არ მოიპოვებოდა.

ყველანი პირდაპირ ეკლესიაში მივედით, და შევიდა თუ არა ტაძარში ზორაიდა და ლელა მარიენის ხატი დაინახა, გაოცებისაგან უნებლიეთ შეჰკვივლა, ჩვენ ვუთხარით, რომ ღვთისმშობლის ხატია, ხოლო განდგომილმაც, როგორც კი მოახერხა - აუხსნა, თუ რას ნიშნავდა ხატი და ფიქრად ის ჰქონდა, რომ მისი გული იმგვარივე მოწიწებით აღივსო ღვთისმშობლის ხატისადმი, რა მოწიწებითაც თვით ლელა მარიენს შეჰფეროდა. ზორაიდამ თავისი გამჭრიახი ბუნებრივი ჭკუით ყველაფერი სწრაფად გაიგო, რაც განდგომილმა აუხსნა ხატების შესახებ. ეკლესიიდან ქალაქს წავედით და იქ სხვადასხვა სახლში დავბინავდით. მე, ზორაიდა და განდგომილი ველესელმა ქრისტიანმა, ჩვენმა თანამგზავრმა, თავის ნათესავების სახლში მიგვიყვანა, ძალიან შეძლებულ ოჯახში, და მათაც თავისი შვილებით მიგვიღეს.

ველესში ექვსი დღე დავყავით მანამ იქ ვიყავით, განდგომილი რენადას წავიდა ინკვიზიციისაგან ნებართვის ასაღებად, რომ კათოლიკური ეკლესიის წიაღში კვლავ დაბრუნებულიყო; სხვა ქრისტიანებიც თავთავისთვის წავიდ-წამოვიდნენ. მარტო მე და ზორაიდა დავრჩით და ფულიც იმის მეტი არა გვქონდა, რაც ფრანგმა კაპიტანმა თავის სადღეგრძელოდ მისცა ზორაიდას. იმ ფულით ეს ვირი ვიყიდე და ჩემს ქვეყანაში ამით მიმყავს ზორაიდა, არა როგორც მის მეუღლეს, არამედ ვითარცა მის საჭურველმტვირთველს და გზის მაჩვენებელს. იქ შევიტყობ, ცოცხალია თუ არა მამაჩემი, ჩემზე ბედნიერად მოწყობილა რომელიმე ჩემი ძმა თუ არა, თუმცა მართალი მოგახსენოთ, რაკი ზენამ ზორაიდას პატრონი გამხადა, ამით ისეთი საუნჯე მომანიჭა, რომ ჩემს ბედს არავის არ გავუცვლიდი. რასაც ეს გაჭირვებას ითმენს, რასაც ეს ნაკლოვანებასა და სიღარიბეს იტანს და მასთანავე მხურვალე სურვილი აქვს გაქრისტიანებისა, ისე საკვირველი და საოცარია, რომ მით სრულებით მოხიბლული ვარ და დიდის აღტაცებით და სიამოვნებით ვუძღვნი ამას ჩემს დანარჩენ სიცოცხლეს მაგრამ, ვაი, რომ ის ბედნიერება, ეს რომ მე მეკუთვნის და მეც ამას ვეკუთვნი, უეცრად გამიმზამდება ხოლმე, რიდესაც ვიფიქრებ: ნეტა ვიმოვნი-მეთქი ჩემს სამშობლოში

რამე მყუდრო თავშესაფარს ამისათვის და ჩემთვისაც. ვინ იცს, დრომ და სიკვდილმა მოშალეს მამაჩემისა და ჩემი ძმების ყოფა-ცხოვრება, და ჩემთვის ძვირფასი ადამიანების ნახვის ნაცვლად, მეშინია, ვაითუ სამშობლო ქვეყანაში ისეთივე ვერავინ შემხედეს, რომ გამოცნაურების ღირსი გამხადოს.

აი, ბატონებო, ეს გახლავთ ჩემი ამბავი. გასიამოვნათ თუ არა, არ ვიცი, ამისი მსჯავრი თქვენთვის მომინდვია, მინდოდა, უფრო მოკლედ მეამბნა, მაგრამ ვერ მოვახერხე, მაინც კი თავი რომ არ შემეწყინა თქვენთვის, ზოგიერთი შემთხვევა სულ გამოვტოვე და ზოგიც კიდევ მოკლედ მოგახსენეთ.

თავი XLII

სადაც მოთხრობილია, თუ რა მოხდა კიდევ იმ ფუნდუკში,

და ზოგიც სხვა რამ ღირსსაცნობი ამბავი

ეს რომ თქვა, ტყვედნამყოფი დადუმდა, ხოლო ფერნანდომ აღტაცებით წამოიძახა:

- მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო კაპიტანო, ეგ თქვენი უცნაური თავგადასავალი ისე რიგად გვიამბეთ, რომ თხრობის კილომ თვით ამბავზე არანაკლებ შეგვაქცია. მაგ ამბავში ყველაფერი არაჩვეულებრივია, ღირსაცნობია და იმგვარი შემთხვევებით არის აღსავსე, რომ მსმენელს კიდევ აკვირვებს, კიდევ იზიდავს. ხელმეორედ რომ დაიწყოთ ეგ ამბავი და ხვალამდისაც ილაპარაკოთ, მაინც დიდი სიამოვნებით მოვისმენდი მაგის განმეორებას.

ამ სიტყვების შემდეგ დონ ფერნანდომ, კარდენიომ და სხვებმა ტყვედნამყოფ კაპიტანს წრფელის გულით გამოუცხადეს სამსახურის გაწევის სურვილი და მაინც მხურვალე მადლობა გადაუხადა. დონ ფერნანდომ, სხვათა შორის, თავისი ძმა მარკიზი შესთავაზა ზორაიდას ნათლიად და თავისთან ეპატიჟებოდა მას, თანაც აღუთქვამდა, რომ მგზავრობაში მის სიამოვნებას ეცდებოდა. კაპიტანმა თავაზიანად მადლობა გადაუხადა დონ ფერნანდოს, მაგრამ მას გულკეთილ მიპატიჟებაზე კი უარი უთხრა.

ამასობაში დადამდა კიდევ და კარგა ხანი იყო გასული, როდესაც ფუნდუკს კარებთან ერთი ეტლი დადგა, რამდენიმე ცხენოსანის თანხლებით მოსული, და მეფუნდუკის ცოლს ჰკითხეს: ამაღამ აქ დაბინავება ხომ შეიძლებაო. დიასახლისმა რომ უპასუხა, მთელს ფუნდუკში ერთი თავისუფალი კუთხე არსად გამაჩნიაო, ერთმა ცხენოსანმა შეჰყვირა და თან ცხენიდან ჩამოხტა:

- როგორ თუ არ გაგაჩნია! ბატონი აუდიტორისათვის ადგილი ახლავ უნდა გააჩინო!

აუდიტორის გაგონებაზე დიასახლისს, ცოტას გაწყდა, ციება არ დაემართა, და საჩქაროდ უპასუხა:

- უბედურება ის არის, რომ ლოგინი არა მაქვს თუ ბატონ აუდიტორს ლოგინი აქვს, მობრძანდეს, კეთილი იყოს მისი მობრძანება. მე და ჩემი ქმარი ჩვენს ოთხს დავუთმობთ. ' - კარგი და პატიოსანი, - უპასუხა ცხენოსანმა.

ამ დროს ეტლიდან ერთი კაცი გადმოვიდა, მისი ტანსაცმელი ადასტურებდა, ვინც იყო იგი. გრძელი სამოსელი ყურთმაჯიანი სახელოებთ ამტკიცებდა მსახურის სიტყვას, - მართლა

აუდიტორი იყო. მას თან გამოგვა საგზაოდ მშვენიერად მორთული ყმაწვილი ქალი, ასე, თექვსმეტი წლისა, მეტად ლამაზი, ერთი სიტყვით ისეთი მშვენიერი, როგორსაც აგრე ადგილად ვერ შეხვდებოდა კაცი; ამას თვითონ ფუნდუკში მყოფი მგზავრებიც იტყოდნენ, რომ თვალიწინ ზორაიდა, ლუსინდა და დოროთეა არა ჰყოლოდათ.

დონ კიხოტი მიგეება აუდიტორს და ამ სიტყვებით მიიღო იგი:

- მოწყალეო ხელმწიფევ! ამ ციხე დარბაზში დიახ უშიშრად შეგიძლით გაატაროთ ღამე, თუმცა პატარაა და მდიდრული მოწყობილობით ვერა სალუქობს, მაინც ქვეყანაზე ისეთი განსაცდელი არ არის, არც იმგვარი მოუწყობლობა, რომ მახვილის ძალას წინ აღუდგეს და ცოდნის შესაძლებლობას გაუმაგრდეს; მით უმეტეს, როდესაც იმ მახვილსა და ცოდნას წინ უძღვის და თან ახლავს მშვენიერება, მის მსგავსად, ვითარცა თქვენით განპიროვნებულს მეცნიერებას თან ახლას ეს მშვენიერი ქალწული, რომლის წინაშეც არამარტო ფართოდ უნდა იღებოდნენ ბჭენი ციხე-დარბაზისანი, არამედ ყველიდან გზა გახსნით უნდა იპობოდნენ კლდენი და თავს იდრეკდნენ მთანი. მაშ შემობრძანდით, მოწყალეო ხელმწიფევ, ამ სამოთხეში, მუნ ჰპოვებთ მნათობთ, მაგ თქვენი მზის მხლებლად ღირსთა, მუნ ჰპოვებთ საჭურველს უბრწყინვალესად დარაჯად მდგარსა და მშვენიერებას მისი სრული ელვარებითა.

ეს შესხმა რომ მოისმინა, აუდიტორს თითქოს რეტი დაესხაო, დონ კიხოტის შესახედაობითა და სიტყვებით გაოცებულმა თავიდან ფეხებამდე სინჯვა დაუწყო, არ იცოდა რა ეპასუხა, და ამ გაჭირვებაში რომ იყო, ახლა ზორაიდა, ლუსინდა და დოროთეა დაინახა, და ამან კიდევ უფრო გააოცა, მეფუნდუკის ცოლიაგან ახალი სტუმრების მოსვლა და მგზავრი ქალის გასაოცარი სილამაზე გაეგოთ და ეს სამი მშვენიერი მის სანახავად გამოვიდა. დონ ფერნანდომ, კარდენიომ და მღვდელმა შერჩეულის ზრდილობით ზოგი რამ შესთავაზეს. აუდიტორი რასაც ხედავდა და ისმენდა, ყველაფრით გაოცებული დარჩა და ფუნდუკში შევიდა. ხოლო ჩვენი ნაცნობი მშვენიერი ქალები კიდევ იმას ცდილობდნენ, რაც კი შეიძლებოდა მისი ქალისთვის ესამოვნებინათ. აუდიტორმა მალე გაიგო, რომ ფუნდუკში სულ რიგიან ხალხს მოეყარა თავი, მხოლოდ დონ კიხოტის მოკაზმულობა და საერთოდ მთელი სანახაობა აოცებდა. თავაზიანობას რომ მორჩნენ და ძველმა და ახალმა სტუმრებმა ერთმანეთი, ასე ვთქვათ, გაიცნეს, ახლა ზრუნვა იმაზე დაიწყეს, თუ როგორ უფრო ხერხიანად დაბინავებულიყვნენ ფუნდუკში. გადაწყვიტეს, რომ ქალებს იმ ოთახში გაეთიათ ღამე, რომელიც უკვე რამდენჯერმე მოგიხსენიეთ, ხოლო კაცები გარეთ დაბინავებულიყვნენ, ვითომ ქალების სადარაჯოდ. აუდიტორი სიამოვნებით დათანხმდა, რომ ახალგაზრდა ქალს (რომელიც მისი ასული იყო) დანარჩენ ქალებთან ერთად დაეძინა. ისე კარგადაც მოეწყვნენ, მეფუნდუკეს საწოლსა და აუდიტორის მოტანილ ლოგინზე, რომ უკეთესს არც კი მოელოდებოდნენ.

პირველ შეხედვაზევე ტყვედნამყოფს გულმა შეუყო, რომ აუდიტორი მისი ძმა უნდა ყოფილიყო, ოთახიდან გამოვიდა და აუდიტორის ერთ-ერთ მსახურს ჰკითხა მისი ბატონის სახელი, გვარი და სადაურობა. მსახურმა მიუგო, ჩემი ბატონი ლიცენციატი ხუან პერეს დე ვიედმაა და, როგორც ჩანს, მისი გვარეულობა ლეონის მთებში მდებარე ერთი პატარა ქალაქიდან უნდა იყოსო. ამ სიტყვებმა და აუდიტორსა სახემ მთლად დაარწმუნა ტყვედნამყოფი, რომ ის მისი უმცროსი ძმა იყო, ოდესმე რომ მეცნიერების შესწავლის გზას დაადგა. სიხარულით აღტაცებულმა დონ ფერნანდო, კარდენიო და მღვდელი გაიხმო და აუდიტორის ვინაობა გაუმჟღავნა. მსახურმა უამბო აგრეთვე, რომ ჩემი ბატონი ამერიკაში მიდის, მექსიკის პროვინციაში აუდიტორად დანიშნესო, თან რომ ქალი ჰყავს, მისი შვილიაო,

ცოლი კი ამ ქალის დაბადებაზე მოუკვდაო, ცოლმა დიდი მზითევი მოუტანა და ახლა ძალიან მდიდარიყო, და ეს ერთი ქალია ამის სიმდიდრის მემკვიდრეო. ახლა რა ვქნაო? ჰკითხავდა ტყვედნამყოფი მღვდელს, კარდენიოს და დონ ფერნანდოს; პირდაპირ გამოვეცნაურო, თუ ჯერ დავრწმუნდე, გაეხარდება ჩემი ნახვა, ან უარს ხომ არა მყოფს, საწყლად რომ მნახესო.

- ნება მიბოძე, ეგ საქმე მე მოვაგვარო, - უთხრა მღვდელმა. - ახლავე ვიცი, ბატონო კაპიტანო, რომ თქვენი ძმა ისე შეგხვდებათ, როგორც ღვიძლ ნათესავს შეეფერება. მისი კეთილშობილი სახე და ქცევა აშკარად აჩვენებს, რომ იგი არც გულზავია, არც ამპარტავანია და ისიც ესმის, თუ ბედის კვეთებას რა შეუძლია.

- მაინც პირდაპირ გამოცნაურება არ მინდა, - თქვა კაპიტანმა.

- დამერწმუნეთ, - უთხრა მღვდელმა, - მაგ საქმეს ისე მოვაწყობ, ყველას მოგეწონოთ.

ამ დროს ვახშამიც მოიტანეს და კაცები, გარდა ტყვედნამყოფისა, სუფრას მიუსხდნენ, ქალები კიდევ სავახშმოდ თავიანთ ოთახში შევიდნენ ვახშამზე. მღვდელმა დრო მოიხელთა და უთხრა აუდიტორს:

- მე რომ სტამბოლში ტყვედ წამიყვანეს, იქ რამდენიმე წელს დავყავი. იქ ერთი ამხანაგი მყავდა, თქვენი გვარისა; დიახ მამაცი მხედარი იყო, და ესპანეთის ჯარში საუკეთესო კაპიტნად ითვლებოდა, მაგრამ საბრალო რამდენადიც ვაჟკაცი იყო, იმდენადვე ბედი არა სწყალობდა.

- სახელად რა ერქვა იმ კაპიტანს? - ჰკითხა აუდიტორმა.

- რუი პერეს დე ვიედმა, - უპასუხა მღვდელმა; ლეონის რომელიღაც ქალაქიდან იყო. ბევრი რამ უამბოა ჩემთვის თავის მამასა და ძმებზე, და, დიდი რწმუნება რომ არა ქონოდა მისი, ყველა მისი ნაამბობი ისეთივე ზღაპრებად მეჩვენებოდა, როგორცაც ზამთარში კერასთან ბებრები იტყვიან ხოლმე. ამბობდა, ვითომც მას მამას მთელი მამული თავის სამი ვაჟისთვის გაეყოს თანასწორად და მათთვის კატონზე უკეთესი დარიგება მიეცეს. მე კი მხოლოდ ეს ვიცი, რომ იმ კაპიტანს მისგან არჩეულ ასპარეზზე ძალიან წყალობდა ბედი, და თავის ვაჟკაცობითა და საიშვიათო ნიჭიერებით სხვის შეუწევნელად, ჩქარა ინფანტერიის კაპიტნის ხარისხი მიიღო და მომავალშიც კიდევ პოლკოვნიკობას მოელოდა, მაგრამ ბედმა მალე უმუხთლა, როდესაც ყველა კეთილის მოლოდინი ჰქონდა, სწორედ მაშინ დახვდა წინ უბედურება. ლეპანტოს ბრძოლის ბედნიერ და დიდებულ დღეს, როდესაც მრავალმა ქრისტიანმა მოიპოვა თავისუფლება, მარტო ის ჩავარდა ტყვეობაში. მე გოლეთაში დამატყვევეს და შემდეგ, სხვადასხვა შემთხვევის გამო სტამბოლში ერთად შეგვხვდა უღლის გაწევა; მასუკან ის ალჟირში გადაიყვანეს იქ, როგორც შემდეგში გავიგე, ერთი ფრიად საკვირველი შემთხვევა დაემართა თურმე...

ასე განაგრძო მღვდელმა საუბარი და აუდიტორს ტყვედ ნამყოფისა და ზორაიდას ამბავი უამბო, აუდიტორიც ისეთი ყურადღებით უსმენდა, რომ ისე ბეჯითად თავის სიცოცხლეში ჯერ არა უსმენია რა, და თითქოს მხოლოდ ახლა იყო იგი ნამდვილი აუდიტორი. იმაზე კი არა უამბო-რა მღვდელმა, თუ ამის შემდეგ რა მოუხდა კაპიტანს, როდესაც ტყვეობიდან დაბრუნებისას გემს ფრანგი მეკობრეები დაეცნენ. სწორედ იქ შეწყვიტა ამბავი, სადაც კაპიტანი და მშვენიერი ზორაიდა მეკობრეებისაგან სამწუხარო და უიმედო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. მერე რა მოუხდათ, მიაღწიეს ესპანეთის კიდეს, თუ ფრანგებმა თან წაიყვანეს - ამაზე მღვდელმა თქვა, არა ვიცი-რაო.

ტყვედ ნამყოფი შორიანლო იდგა და ყურადღებით ისმენდა მღვდლის ლაპარაკს, თან თავის ძმის ყოველ მცირედს მოძრაობასაც კი თვალყურს ადევნებდა მღვდელმა რომ ამბავი გაათავა, ტყვედნამყოფის ძმამ ღრმა ამოოხვრით თვალეში ცრემლმორეულმა უთხრა:

- ნეტავ იცოდეთ, მოწყალეო ხელმწიფე, თუ ვის უამბეთ ეგ ამბავი, თუ ვითარ შეარყიეთ ჩემი გულის სათუთი სიმები? თუმცა მაგარი გულსა ვარ და ძალასაც ვატანდი ჩემს თავს, მაგრამ ვეღარა გავაწყე-რა და ეს ცრემლები ვეღარ შევიმაგდრე. თქვენი ამხანაგი, ის ჩინებული კაპიტანი, ჩემი უფროსი ძმა გახლავთ. მე და ჩემს მესამე ძმაზე მეტად უადრესი გრძნობებით შეგულიანებულმა და უძლიერესი სულით მინიჭებულმა, მან მხედრის დიდებული ასპარეზი აირჩია, ერთი იმ ასპარეზთაგანი, მამაჩემმა რომ საარჩევნოდ დაგვიდო წინ, როგორც უკვე თითონ მასვე უამბია თქვენთვის (და თქვენ კი ბებრების ზღაპრად გჩვენებიათ) მე მწიგნობრობის საქმეებს დავუდე თავი, და ამ გზაზე ღმერთმა და ჩემმა ნიჭმა იმ თანამდებობამდას მიმალწევინა, რა თანამდებობაზეც ახლა მხედავთ. ჩემი მესამე ძმა პერუშია წასული. მან იქ დიდი სიმდიდრე შეიძინა და რაც აქამდის ჩვენთვის გამოუგზავნია. იქიდან, მით არა თუ მიღებული თავისი წილი სამკვიდრო დაუბრუნა მამაჩემს, არამედ შეძლებაც მისცა, რომ უწინდებურად მდიდრულად იცხოვროს, მეც აგრეთვე მისი შემწეობით შევიძელ ჩემს ხელობაში განვითარება და ჩემი სამსახურის საქმეც უფრო ადვილად მოვაწყვე. მამაჩემიც ჯერაც ცოცხალია, მაგრამ სიცოცხლე - სიცოცხლე აღარ არის მისთვის, ამქვეყნად აღარა ახარებს-რა, და მარტო ერთი სურვილია შერჩენია - შეიტყოს, თუ მის უფროს შვილს რა მოუვიდა, საქმედაც ის გაუხდა, დაუცხრომელი ლოცვით შეთხოვოს ღმერთს, რომ მისი უფროსი ძის უნახავად თვალე არ დაუხუჭოს. ერთი რამ მაკვირვებს, რატომ ჩემმა ძმამ ერთხელ მაინც არ მოიფიქრა და თავის უბედურება ნათესაებს არ შეგვაცტობინა; მამაჩემს ან ჩვენგანს ვინმე რომ მისი თავგადასავალი გვცოდნოდა, მაშინ მას განთავისუფლებისთვის რამე სასწაულის ლოდინი როდიდა მოუნდებოდა. აი ახლაც, ღმერთმა უწყის, გაათავისუფლეს ფრანგებმა, თუ ვინ იცის, კიდევ მოჰკლეს თავიანთი დანაშაულობის დასაფარავად. არ მეგონა, თუ სიხარულით დაწყებული გზის გაგრძობა, ასე მწუხარებით მომიხდებოდა. ერთ წამსაც აღარ მომასვენებს იმის უცოდინრობა, თუ რა მოუხდა ჩემს ძმას. ვაჰ, ჩემო კარგო ძმაო! ნეტავ ვინ იქნება ისეთი მაღლიანი, რომ მითხრას შენ ხლა სადა ხარ? მაშინვე წამოვიდოდი შენს გასათავისუფლებლად, თუნდაც ეს წადილი ჩემს თავისუფლებად დამჯდომოდა; ვინ იქნება ისეთი მაღლიანი ჩვენს მოხუც მამას უამბოს, რომ შენ ჯერ ცოცხალი ხარ, თუნდაც ბერბერის საპრობოლის ბნელ სარდაფებშიაც შთაგდებული. ნეტავ ვიცოდეთ, სადა ხარ, რომ მთელი ჩვენი სიმდიდრე შენი მძიმე ტყვეობიდან გამოსახსნელად მოგვეხმარა. შენც სულგრძელო, მშვენიერო ზორაიდავ, ნეტავ შემეძლოს მაგიერი გადაგიხადო, ყველა იმ სიკეთისთვის, რაც ჩემი ძმისთვის გიქნია! ნეტავ შემეძლოს შენი სულის განახლებას მოწმედ დავესწრო, ნეტავ შენი ქორწინების ნახვას ვეღირსო, რომ ჩვენ ყველამ ბედნიერად დავსახოთ ჩვენი თავი!

ასე უპასუხა აუდიტორმა, როდესაც თავის ძმის ამბავი მოისმინა; მასმა ღრმა მწუხარებამ ყველა მსმენელს გული დაწყვიტა. მღვდელმა რომ ნახა, მისმა მცირედმა სიცრუემ კარგად იმოქმედა და კაპიტნის სურვილიც შესრულებული იყო, არ ინდომა აუდიტორი შეწუხებული დაეტოვებია, ადგა სუფრიდან, წავიდა და ზორადა გამოიყვანა, ლუსინდა, დოროთეა და აუდიტორის ქალიც თან გამოჰყვინენ მათ. მერე კაპიტანთან მივიდა, ხელი მოჰკიდა და ზორადა და ასე ხელდაჭერილი აუდიტორთან მიიყვანა:

- ბატონო აუდიტორო, ცრემლები შეიშრეთ, - უთხრა მღვდელმა, - და რაც ინატრეთ, ყოველივე ამწამსვე აღსრულდეს. თქვენს წინაშე თქვენი ძმა და თქვენი მშვენიერი სარძლო დგანან, ეს არის

კაპიტანი ვიედმა - და ტყვედნამყოფზე მიუთითა, - ხოლო ეს, - ზორაიდაზე აჩვენა, - მშვენიერი მავრი ქალია, ამის გამომხსნელი ფრანგმა მეკობრეებმა სულ ცარიელები დატოვეს ესენი, ახლა ისლა დაგრჩენიათ, თქვენს ძმას თქვენი პატიოსანი გულის შესაფერი სულგრძელობა აღმოუჩინოთ.

კაპიტანი გადაეხვია აუდიტორს, მაგრამ მან უკან დასწია, რომ კარგად გაესინჯა. სინჯვა დიდხანს არ მონდომებია, უფროსი ძმა მალე იცნო, მაგრად მიიკრა გულზე და ტირილი მორთო. ამ უეცარმა შეხვედრამ ყველა დამსწრეთ გული აუჩქროლა და მათთან ერთად ატირდნენ. რას გრძნობდა იმ წამში ეს ორი ძმა, რა უთხრეს ერთმანეთს? ამის გადმოცემა კი არა, წარმოდგენაც ძნელია. ისინი ერთმანეთს ხან მოკლედ უამბობდნენ თავიანთ თავგადასავალს, ხან გულგასაგმირი ძმური ალერსით მიმართავდნენ ერთმანეთს; აუდიტორი ეხვეოდა ზორაიდას, ათას სიკეთეს პირდებოდა და თავის ქალსაც მალ-მალ უბრძანებდა მის კოცნას, ლამაზი ქრისტიანი ქალი და მშვენიერი მავრი ქალი სიყვარულსა და მადლიერებას ისე გულგასაგმირად უცხადებდნენ ერთმანეთს, რომ ყველას ძალაუნებურად თვალზე ცრემლები მოსდიოდა. მთელს ამ ამბავს დონ კიხოტი დუმილით, მაგრამ დიდის ყურადღებით უცქეროდა და ყველა ამ არაჩვეულებრივ შემთხვევას თავს რაინდულ ზმანებებს მიაწერდა. ამასობაში მეორე მხარემ გადაწყვიტა, რომ ზორაიდა და ყოფილი ტყვე, თავის ძმითურთ, სევილიაში დაბრუნდებოდნენ, თავიანთ მოხუც მამას აცნობებდნენ ყველაფერს და ზორაიდას ქორწილსა და ნათლობაზე მიიწვევდნენ მას. რადგან აუდიტორს არც გზის შეცვლა შეეძლო და არც გზაში გაჩერება, მან შეიტყო, რომ ერთი თვის შემდეგ სევილიიდან ახალ ესპანეთში ესკადრა უნდა წასულიყო და უხერხული იქნებოდა ეს შემთხვევა ხელიდან გაეშვა.

ყველანი გახარებულები იყვნენ ყოფილი ტყვისა და ძისი ძმის ბედნიერი შეხვედრით, მაგრამ რადგან შუალამე გადასული იყო, ყველანი დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ, რომ გათენებამდის ცოტა მაინც შეესვენათ. დონ კიხოტმა კი ციხე-დარბაზის დარაჯობა იკისრა, რომ ვინმე დევს ანუ ვინმე უმაქნისს, მუნ მყოფ ქალთა მშვენიერებით მოზიდულს, ბოროტი განზრახვა რამ არ ჩაედინა და ციხე-დარბაზში მათი მოსვენება არ შეერყია. ვინც კი რაინდს იცნობდა, ყველა მადლობას ეუბნებოდა ამ სამსახურისათვის და ბარემ აუდიტორსაც უამეს მისი ახირებული გადარევა და, რაღა თქმა უნდა, ძალიან გააკვირვეს იგი. მარტო სანჩო იყო ავ გუნებაზე, რადგან უძილობამ შეაწუხა, მაგიერად ყველაზე უკეთესად ის მოეწყო თავის კურტანზე (და იმას კი ვერა გრძნობდა, თუ ამ განცხრომას რა ძვირად გადაახდევინებდნენ, რაც თავის დროზე იქნება მოთხრობილი) დასასრულ, ქალები თავის ოთახში შევიდნენ, კაცები აქ-იქ წაწვნენ, როგორც კი მოახერხეს, დონ კიხოტიც, თანახმად აღთქმისა, გარეთ გავიდა და ოცნებითი ციხე-დარბაზის დარაჯად დადგა.

ის-ის იყო რიჟრაჟი დაიწყო, რომ ჩვენი ქალები მშვენიერმა სიმღერის ხმამ გამოაღვიძა; ეს ხმა ფუნდუკის ახლოდან მოისმოდა. ამ სიმღერას სიხარბით უგდებდნენ ყურს, მეტეადრე დოროთეა, ჩრომელსაც სხვებზე ადრე გაღვიძებოდა; აუდიტორის ქალს კლარა ვიედმას კი ჯერ ისევ ეძინა მის გვერდით. არავინ იცოდა, ვინა მღეროდა ასე მშვენივრად. ამ მომხიბლავ ხმას თან საკრავი არა მისდევდა-რა, და თითქოს ხან გარედან მოისმოდა იგი და ხან თავლიდან; გაცეხებული ქალები რომ ამ სიმღერას გაფაცვიცების ისმენდნენ კრდენიო მივიდა მათ კარებთან და დაუძახა:

- თუ არა გძინავთ, ყური დაუგდეთ ახალგაზრდა მეჯორეს, როგორ მღერის, სწორედ ხიბლავს ადამიანს.

- ყურს ვუგდებ, სენიორ, - უპასუხა დოროთეამ, უფრო და უფრო მეტი ყურადღებით დააკვირდა, და შემდგი სიმღერა მოისმინა:

თავი XLIII

სადაც მოთხრობილია მეჯორე ბიჭის საამო ამბავი და ფუნდუკში მომხდარი სხვა არაჩვეულებრივი ფათერაკები

სიყვარულის მღელვარ ზღვაზე,

სიყვარულის მეზღვაური,

უიმედოდ ვეხეტები,

არსად მოჩანს ნავსადგური.

გასწვრივ ერთი ვარსკვლავია,

გზას მინათებს ზღვაში მცურავს, -

იმ ვარსკვლავთა უტურფესი

რომ დასცქერის პალინურას.

მაგრამ ის კი აღარ ვიცო,

სად გამიყვანს მღელვარ ზღვიდან...

დარდიანს თუ უდარდელსა

სულ იმისი ცქერა მინდა.

მას კი ქცევა საკვირველი,

აღმაშფოთი მოკრძალება, -

რომ მე ვეღარ დავინახო,

ღრუბელივით ეფარება.

ო, ვარსკვლავო სხივოსანო,

სულს მინათებ სიკაშკაშით.

რა წამს სახეს მოიღრუბლავ,

მე მოვკვდები იმავე წამში.

მიმღერალი რომ უკანასკნელ ტაეპს ამთავრებდა, დოროთეამ იფიქრა, ურიგო არ იქნებოდა ამ სიმღერის, მოსასმენად კლარა გაუღვიძებინა, ოდნავ ხელი წაჰკრა და თან დაატანა:



- უკაცრავად, შენი გულისა, რომ გაგაღვიძე. მინდოდა ამ მშვენიერი სიმღერის მოსმენით მესიამოვნებინა შენთვის, ვინ იცის შენ დღეშიაც ვერსად შეგხედეს ასეთი ხმის მოსმენა.

კლარა ჯერ კი დევ ვერ გამორკვეულიყო და დოროთეას ნათქვამი ვერ გაეგო, ამიტომ თვალების ფშვნივით თხოვა გაემეორებინა, რას ეუბნებოდა. დოროთეამ გაუმეორა და მაშინ კლარამ საოცარ მომღერალს გულდასმით დაუგდო ყური, მაგრამ ორი-სამი ლექს მოისმინა თუ არა, მსწრაფლ ციებიანივით ათრთოლდა, დოროთეას კისერზე მოეხვია და უთხრა:

- ჩემო სიცოცხლე ნეტა არ გაგელვიძებინე, ნეტა ჩემს ბედს ისე ექმნა, რომ თვალიცა და ყურიც დახშობილი მქონოდა და ამ უბედური მომღერალს ხმა არ გამეგონა.

- რა დაგემართა, გოგონა? - ჰკითხა გაკვირვებულმა დოროთეამ, - რაზე შეწუხდი, ხომ ერთი უბრალო მეჯორეა ის მომღერალი?

- მეჯორე კი არ არის, - უპასუხა კლარამ, - მრავალი მამულისა და სულის მფლობელია, მასთან ჩემი სულისაც, და საუკუნოდაც იქნება იმის მფლობელი, თუ თვითონვე არა ჰყოფს ამაზე უარს.

ასეთი ნორჩი ქალისაგან სიყვარულის გამომჟღავნებამ გააოცა დოროთეა, რადგან წლოვანებასთან შედარებით უფრო მეტად განვითარებული ჰყოფა იგი.

- არ მესმის, რა სულებსა ან რა მამულებზე მეუბნებით, ან ეგ მომღერალი ვინ არის, რომ მაგისმა ხმამ აგრე აგაღელვათ? მაგრამ მაცადეთ, ჯერ ნურას იტყვი, ამ მშვენიერი სიმღერის მოსმენას ნუ დამიშლით და სიამოვნებას ნუ მომაკლებთ. თუ არა ვცდები, ახლა სხვა სიმღერას გავიგონებთ.

- თქვენი ნებაა, - უთხრა კლარამ და რომ ახალი სიმღერა არ გაეგონა, ორთვე ხელებით ყურები დაიცო. დოროთეას ძლიერ გაუკვირდა ეს, სმენად გადაიქცა და შემდეგი სიმღერა გაიგონა:

ჰოი, შენ ჩემო, იმედო ტკბილო,

თუმც მრავალია წინ დაბრკოლება,

შენ კველავ ჩვეული სიმტკიცით ცდილობ, -

მას მივალწიოთ, რაც გვენატრება.

და ნურასოდეს ნუ შევუკრთებით

სიკვდილს, რომელსაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით.

არა, ზარმაცებს არ უწერიათ

დიდი ზეიმი და გამარჯვება.

მწამს, მხოლოდ იგი ბედნიერია,

რომელიც აწრთო უბედურებამ,

და არა იგი, ვინაც მხდალია,

ან უსაქმურად მთქნარებაში დღენი დალია.

სამართლიანთ ამური მუდამ

მაღალ ფასს ადებს სიტკბო-სიამეს,

ყველაზე ძვირფასს, რაღა თქმა უნდა,

ადვილად არვის გაუზიარებს.

სწორად იქცევა, და როგორც უთქვამს: -

მცდარია, რასაც მოიპოვებ იოლად, მუქთად.

შეუპოვრობით სძლევს სიყვარული

და მიუღწევებს ხდის მისაღწევად.

ჰო და მგზნებარე ეს ჩემი გულიც

ტრფობისთვის ტანჯვას არ გვექცევა; -

რადგან ის არის იმ რწმენით სავსე,

რომ თვით შორეულ ვარსკვლავებთან მე ავალ ცაზე.

მომღერალი აქვითინდა და კლარა ისევ ოხვრას მოჰყვა. დოროთეას მეტისმეტად უნდოდა მიზეზი გაეგო, თუ რას ნიშნავდა ეს მშვენიერი სიმღერა და რად შეიქმნა იგი ამ მწარე ოხვრის მიზეზად; ამიტომ ჰკითხა, წედან რა გინდოდა გეთქვაო, კლარას ეშინოდა ლუსინდას არ გაეგონა, ახლო მიეკრა დოროთეას და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

- ის მომღერალი, ჩემო სიცოცხლე, ერთი არაგონელი აზნაურიშვილია. მადრიდში ცხოვრობდა ჩვენს პირდაპირ და თუმცა მამაჩემი ზამთარ-ზაფხულს ფანჯრებს ბეჯითად ბურავდა ხოლმე ფარდებითა და საფარავებით, მაგრამ არ ვიცო, სად და როგორ, ალბათ ეკლესიაში ან სადმე სხვაგან, მნახა ამ ყმაწვილმა კაცმა და შევუყვარდი. მას აქეთ თავის ფანჯრებიდან ცრემლებითა და სხვა ნიშნებით მაჩვენებდა, რომ ვუყვარდი, და ამნაირად თავიც შემაყვარა. თუმცა ის კი აღარ ვიცოდი, ჩემგან რა უნდოდა. უფრო ხშირად იცოდა ხოლმე, ფანჯარაში დადგებოდა და ორივე ხელს ერთმანეთზე გადააჭდობდა; თითქოს ამით მანიშნებდა, რომ ჩემი ცოლად შერთვა უნდოდა. მეც მიხაროდა და ვნტრობდი, ნეტავ ცოლად შემირთოსმეთქი, მაგრამ არ ვიცოდი ვისთვის მეთქვა ეს, რადგან მარტო ვარ, რღედა არა მყავს. რაც უნდა ენიშნებინა არ ვუარობდი, მე კი მისთვის სულ არა მინიშნებია რა. ეს იყო მხოლოდ, როცა მამაჩემი და მამამისი შინ არ იქნებოდნენ, ცოტაოდნად ფარდას ავწევდი, რომ ჩემთვის ეცქირა; მაშინ ის სიხარულისაგან თითქმის გადაირეოდა ხოლმე, ამასობაში მამაჩემს სხვაგან გადსვლის ბრძანება მოუვიდა; შეიტყო თუ არა, რომ თან უნდა წავეყვანე, - ეს ჩემგან არჩეულყოფილია, მისვას ერთი სიტყვის თქმაც ვერსად შემეძლო, - ნაღველისაგან ავად გახდა, მგონი ნაღველისაგან უნდა გამხდარიყო, და იქიდან ისე წამოვედი, შორიდან დანახვითაც ვერსად დავინახე და ვერ გამოვეთხოვე. ჩვენი წამოსვლის მესამე დღეს, ერთ სოფელში რომ მივედი - აქედან დღის სავალზე იქნება - ფუნდუკის კარებზე მეჯოგის ტანისამოსში დავინახე; ისე საგანგებოდ გამოცვლილიყო, რომ თუ მისი სურათი გულში მაგრად არა მქონოდა ჩაბეჭდილი, სრულიად ვერ ვიცნობდი. ვიცან თუ არა, დამბადებელო, რომ იცოდეთ რარიგად გამიკვირდა, თანაც რარიგად გამიხარდა. ცქერა დამიწყო და ისე ოსტატურად მიცქეროდა, რომ ჩანდა ცდილობდა - მამას გუმანი არ აელო;

მამაჩემის გვერდზე რომ სადმე გაივლის ხოლმე, სულ ცდილობს მის თვალებს თვალით არ შეხვდეს. მე ვიცი, რომ ჩემი სიყვარულით მოდის ქვეითად და ძალიანაც იღლება, ამიტომაც, დარდისაგან, საითაც ის ფეხს დადგამს, ჩემი თვალებიც იქითკენ მოიქცევიან ხოლმე, არ ვიცი, ღმერთმანი, რისთვის მოდის, ან მამას თავი როგორ დაანება. მერე, რომ იცოდეთ, რარიგად უყვარს იმას. მამის ერთაა და, ამას გარდაც - ისეთი ყმაწვილია, რომ არ შეიძლება კაცმა იგი არ შეიყვაროს. თვითონ რომ ნახავთ, ამაში თქვენც დამეთანხმებით. მერე იცი რა? რასაც მღერის სულ თავის შეთხზული ლექსებია, ჩინებული პოეტია და სტუდენტიც არის. ნეტა იცოდეთ, რა დამემრთება ხოლმე, როცა მაგას დავინახავ სადმე, ან მაგის ხმას გვიგონებ, მთლად ამაკანკალებს ხოლმე, რადგან მეშინია მამაჩემმა არ იცნოს და ჩვენი სიყვარული არ გაიგოს. ჯერ მაგისთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს, მაგრამ ისე მიყვარს, რომ უმაგისოდ სიცოცხლე არ შემძლია. აი, გენაცვალე, ვინ არს ეგ მომღერალი, აგრე ძალიან რომ მოგეწონათ, მაგის მშვენიერი ხმიდან გამოიცინობთ, რომ ეგ მეჯორე კი არ არის, არამედ, როგორც წელან გითხარით, მრავალი ყმისა და მამულის მფლობელია.

- კმარა, კმარა, დონა კლარა, - უთხრა დოროთეამ, და თან დაკოცნა. - ღმერთს ევედრეთ, რომ ჩქარა გათენდეს, იმედი მაქვს ღვთის შეწევნით ხვალ თქვენი სიყვარული ისე ბედნიერად დავაბოლოო, როგორც ჩინებულად დაწყებულა.

- ვაი, რომ ვერა! - უპასუხა კლარამ; - ბედნიერად როგორ დააბოლოებთ, როდესაც მაგის მამა ისეთი წარჩინებული და მდიდარი კაცია, რომ მე თავის შვილისათვის ცოლად კი არა, მოახლედაც არ მიკადრებს. საიდუმლოდ ჯვარის დაწერას კი მე თვითონ არასოდეს არ ვინდომებ. ნეტავ ხელი აელო ჩემგან და თავისთვის შინ დაბრუნებულიყო. ამის მეტს მაგისაგან არას ვითხოვდი. ეგებ მაგის დაშორებით, რაკი ჩემგან შორს იქნებოდა, ნაკლებად მენადვლა მაგაზე, თუმცა ისიც კი ვიცი, რომ დაშორება ვერას მიშველის. არ ვიცი, ღმერთმანი, რა ეშმაკმა გამხვია ამ საქმეში, საიდან გამიჩნდა მაგის სიყვარული, როდესაც ჯერ მეც ასე ნორჩი ვარ და ისიც ძალიან ყმაწვილია; მგონი, ერთი ხნისანი ვართ, მე კი ჯერ თექვსმეტი წლისაც არა ვარ. მამა იტყვის ხოლმე: თექვსმეტი წლისა წმინდა მიხეილის დღეს შესრულდებაო.

დოროთეამ დონა კლარას ამ ბავშვურ ტიტინზე სიცილი ვეღარ შეიმაგრა და მერე უთხრა:

- დილამდის ცოტა კიდევ დავიძინოთ, დღე რომ გათენდება, ღმერთი კეთილს რასმეს ჩავგავგონებს, იმედი მაქვს, თქვენი გული დაიმშვიდოთ, თუ არა და, ისე ვიფიქრებ, არც ხელები მქონია და არც ენა-მეთქი.

ამ ხიტყვების შემდეგ ყმაწვილ ქალს ჩქარა ჩაემინა და ფუნდუკში კვლავ ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა. მარტო მარიტორნეს და მეფუნდუკის ქალს ეღვიძათ. ამათ იცოდნენ, რა უცნაური ზნე-ხასიათი ჰქონდა ბატონ დონ კიხოტს. იცოდნენ, რომ თავიდან ფეხებამდე შექურვილი, ცხენზემჯდარი ციხედარბაზს გუშავობდა, და ამიტომ უნდოდათ რაიმე ოინი მოეწყობათ მისთვის, ანუ მისი აბდაუბდით ცოტაოდენად თავი შეეცქიათ.

უნდა მოგახსენოთ, ფუნდუკის სხვენს, სადაც თივას ინახავდნენ, ქურჩის მხარეს ერთგან პატარა ფარღალალა ადგილი ჰქონდა, საიდანაც თივას შეჰყრიდნენ და ჩამოყრიდნენ ხოლმე. სწორედ იმ ადგილას დაბანაკდნენ ჩვენი ნახევარ-ქალბატონები და იქიდან უცქეროდნენ, თუ რას შვრებოდა დონ კიხოტი. ხედავდნენ, რომ რაინდი ცხენზე იჯდა, შუბზე დაყრდნობილიყო და დროგამოშვებით ისე მძიმედ ამოიხვნეშებდა ხოლმე, თითქოს ამ ამოხვნეშასთან სულის თან

ამოყოლება უნდოდა, და მათ ესმოდათ როგორი ნაზი, ტკბილი და ალერსიანი ხმით ლაპარაკობდა რაინდი:

- ჰოი, ჩემო ქალბატონო, დულსინეა ტობრსელო! - ნაღვლიანი ხმით შესძახებდა ხოლმე, - მშვენიერებით უაღრესო, ჭკუით სრულო, სიტურფის სალაროვ, ყველა ღირსებათა კონავ, ყოველგვარ ქვეყნიურ მშვენიერებათა და სათნოებათა უსრულო განხორციელება! ნეტა ამ წამში რასა იქმ? ნეტავ იგონებ შენგან ტყვექმნილს რაინდს, ყველა საშიშროებაზე თავის ნებით პირისპირ მიმავალს მარტო იმიტომ, რომ შენ სამსახური გაგიწიოს? მარქვი რაიმე მისი ამბავი, ჰოი, სამპიროვანო დედა ღმერთო, მისი სიტურფის მოშურნეო, სად იხილავ ხოლმე მას? ამ წამში იგი თავისი დიადი ციხე-დარბაზის რომელიმე შუშაბანდში დასეირნობს, თუ მოაჯირზე დაყრდნობილი დგას და იმაზე ფიქრობს, ჩემი ნაწყენი გულის შფოთი როგორ დააცხროს, ისე კი, რომ თავის დიდებას და უბიწოებას არა ავნოს-რა. რა ნეტარებით დააჯილდოებს ჩემთა შრომათა, რით მისცემს შვებას ჩემს დაღლილობას, ჩემთა ღვაწლთა რას უწყალობებს და რა ცხოვრებას მიანიჭებს ჩემსა სიკვდილსა? ჰოი, შენ, მზეო, შენთა რაშთა შეკაზმვას რომ ესწრაფები, რაა - ადრიანად შეხვდე ჩემ ქალბატონს, ჩემი სალამი მიუტანე მას, მაგრამ მისი ამბორი კი არ იკადნიერო, თორემ იმაზე უარესს ეჭვს აღძრავ ჩემში, რა ეჭვიც იმ ფეხმარდმა და უმაღლო ქალწულმა აღძრა, ვისმა სიყვარულმა და ეჭიანობამ ეგოდენი ოფლი გადინა და ეგოდენი გარბენინა თესალიის ველზე, თუ პენეოსის ნაპირებზე, კარგად არ მახსოვს. ეს გულისმომწყვლევი მიმართვა დონ კიხოტს მეფუნდუკის ქალმა გააწყვეტინა: მან წყნარად დაუძახა მას და უთხრა:

- ჩემო კეთილო ბატონო, წყალობა მოიღეთ და ცხენი აქეთ მოაყენეთ.

დონ კიხოტმა მოიხედა და ბადრი მთვარის შუქზე ყარაულთან პატარა ღია ადგილი დაინახა (ეს მას ფანჯარად ეჩვენა და უბრალო ფანჯარად კი არა, ოქროს სერსეროიანად, სწორედ ისეთ ფანჯარად, როგორც იმგვარ დიდ მშვენიერ ციხე-დარბაზს შეეფერებოდა, რანაირ ცახე-დარბაზადაც დონ კიხოტს ფუნდუკი მიაჩდა). რაღა ჩიჩინი უნდა, შეშლილმა რაინდმა იმავწამს წარმოიდგინა, რომ ციხე-დარბაზის მფლობელის მზეთუნახავ ქალს, სტუმრად მოსული რაინდის სიყვარულით გატაცებულს, ამასწინანდელივით მისი მოხიბვლა და ცდუნება განუზრახავს. უზრდელად და უმაღლოდ რომ არ ეჩვენებია თავი, რაინდმა როსინანტი მოატრიალა, სათივის ხვრელთან მიჩაქჩაქდა და, ქალები რომ დაინახა, უთხრა:

- გულითა ვწუხვარ, მშვენიერო ქალბატონო, რომ თქვენი სიყვარულით აღსავსე თვალნი მისკენ მიმართეთ, ვისაც არ ძალუძს ისე გიგოთ პასუხი, როგორც თქვენს მშვენიერებას და გულკეთილობას ეკადრება. მე, საბრალო მოგზაურ რაინდს, იმისათვის ნუ გამკიცხავთ, რომ სიყვარული ნებას არ მაძლევს ჩემი იარაღი იმ ქალს გარდა სხვას ვამსახურო, ვინც ჩემს უეჭველ მფლობელად შეიქმნა იმ წამს აქეთ, რა წამსაც მის მშვენიერებას თვალი მოეკარი. მომიტევეთ, მშვენიერო ბანოვანო, და თქვენს ოთახში შებრძანდით. ნუ ინებებთ ჩემდამი სიყვარულის აღიარებას და მით ნუ მაიძულებთ თქვენდამი მეტი უკმეხობა გამოვიჩინო და თუ თქვენი ჩემდამი სიყვარული ჩემგან სიყვარულის გარდა სხვას რასმე მოითხოვს, მაშინ მიბრძანეთ, და იმ ჩემი მომხიბვლელი მტრის მზესა ვფიცავ, ვის შორს ყოფნასაც მე ახლა ვიგლოვ, ყველაფერი აგისრულოთ, თუნდაც ისიც მიბრძანეთ, რომ ერთი ბლუჯა მედუზის თმა, სულ გველებისაგან რომაა დაწნული, მიშოვეო, ანუ კიდევ პირდაცმული შუშით მზის სხივები მომიტანეო.

- ასეთი რომ ჩემს ქალბატონს არ უნდა, - უთხრა მარიტორნესმა.

- მამ მიბრძანეთ, რა უნდა, მოკრძალებული დუენია? - ჰკითხა დონ კიხოტმა

- თქვენი მშვენიერი ხელი სურს, - უპასუხა მარიტორნესმა, - ეგებ ჩემმა ქალბატონმა იმაზე მაინც მოიოხოს ის ახირებული ვნებანი, რამაც აქ მოსვლა აიძულეს ვაი ჩვენს დღეს თუ ამათი აქ მოსვლა ბატონმა მამამისმა როგორმე შეიტყო, ისე აკუწავს ჩემს ქალბატონს, რომ მისი სხეულის ყველაზე დიდი ნაჭერი ყურიდა იყოს.

- ნეტა არ მიანდა ეგა ქნას, - თქვა დონ კიხოტმა, - ხომ არ სურს ისეთ საშინელ ბოლოს ეწიოს, როგორც არც ერთ მამას ჯერ არ ხვდომია წილად!

მარიტორნესი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ დონ კიხოტი მის თხოვნას შეასრულებდა და ხელს მიაწოდებდა მეფუნდუკის ქალს, საჩქაროდ თავლაში გაიქცა, სანჩოს ვირავშარა მოხსნა და სწორედ იმ დროს მოირბინა სათივეში, როდესაც დონ კიხოტი, უნაგირზე შემდგარი, აწოწილიყო და თვის ჭკუაში სერსეროიან ფანჯარასთან მდგარს, მისი სიყვარულით ტყვედქმნილი მშვენიერი ქალისათვის ხელი გაეშვირა.

- აჰა, დაიჭირეთ ეს ხელი, ანუ უკეთ ვთქვა, ეს მთელი ქვეყნის ბოროტთა ჯალათი. - უთხრა მან და გაუწოდა ხელი, - დაიჭირეთ ეს ხელი: ამ ხელს ჯერ არც ერთი ქალის ხელი არ მიფარებია და არც იმ ქალისა, ვინც მთელი ჩემი არსების მფლობელია. ამას საკოცნელად კი არ გაწვდით, არამედ იმიტომ, რომ ნახოთ მისი ძაფების ხლართი, მარღვების სიფართოვე და კუნთების დაწყობილობა და მით განაჯოთ, თუ როგორი უნდა იყოს მისი ძალა.

- მაგასაც ვნახავთ, - უთხრა მარიტორნესმა...

ავშარადან მარყუჟი გააკეთა, მაჯაში მოსდო დონ კიხოტს და მეორე ჩვენი სათივის კარის ურდულს მაგრა მიაბა.

დონ კიხოტმა თოკის უღმობლობა ჩქარა იგრძნო.

- მშვენიერო ქალო, - უთხრა მან, - ეგ ხომ ფხაჭნა უფროა, პადრე ალერსი, ამ ხელს აგრე სასტიკად ნუ ეპყრობით, მაგის დანაშაული როდია, რაც თქვენ ჩემდა უნებურად მოგივიდათ. მაგიერს ნუ მახლით, ეს ჩემი არსების მცირედი ნაწილი იმად არა ღირს, რომ მთელს თქვენს რისხვას მარტო იმას უხდით. მოიფიქრეთ, რომ ვისაც ნაზად უყვარს, აგრე სასტიკად არ პყრობა.

დონ კიხოტის ეს ლაპარაკი სამწუხაროდ აღარავის მოსმენია, რადგან მარიტორნესმა მიაბა თუ არა, იმავე წამში ორნიც სიცილით დაოსებულნი, სათივიდან ქვევით ჩაცვივდნენ და საბრალო რაინდი ისეთ მახეში დასტოვეს, რომ იქიდან ვერასგზით ვერ დააღწევდა თავს.

როგორც ვთქვით, რაინდი მთლად გაჭიმული იდგა როსინანტის ზურგზე, ფანჯარაში ხელაწვდილი და სათივის ურდულზე მიბმული; მეტად ეშინოდა, მისი ბედაური როგორმე არ დამრულიყო და ხელით არ ჩამოკიდებულიყო. საბრალო რაინდი განძრევას ვერა ბედაედა, თუმცა როსინანტის მშვიდი ხასიათი იცოდა და იმედი ჰქონდა - ამ მდგომარეობაში თუნდ მთელს საუკუნესაც გაატარებდა. ბოლოს, რაკი მიხვდა, რომ თოკით იყო მიბმული და ქალბატონებიც აღარსად იყვნენ, წარმოიდგინა, ვითომც ისევ რაღაც ჯადოქრების გავლენას ქვეშ იმყოფებოდა, როგორც ამას წინათ იყო, როცა ამავე ციხე-დარბაზის მეჯორედ გადაქეუულმა გრძნეულმა მავრმა მიბეჟა. გუნებაში თავის წინდაუხედაობას ემდუროდა, თავს წყევლიდა, რომ ხელმეორედ იმ ციხე-დარბაზში მოვიდა, სადაც ერთი ხიფათი უკვე გადახდა,

და იმიტომ უფრო იწყებელიდა თავს, რომ მოგზაურ რაინდებს წესად ჰქონდათ: - თუ რამე განზრახვის შესრულება ერთხელ ვერ მოუხდებოდა, ეს იმის ნიშნად უნდა მიეღოთ, რომ იმ განზრახვის შესრულება სხვა რაინდის დანიშნულება იყო, და რა საქმესაც ერთხელ წააგებდა რაინდი, მეორედ მისთვის ხელი აღარ უნდა მოეკიდა. დონ კიხოტმა ხელი გამოსწია, სცადა - ეგებ გაეთავისუფლებინა, მაგრამ, საუბედუროდ, ისე მაგრა მქონდა მიბმული, რომ ყველა ცდამ ამაოდ ჩაუარა; ესეც კი იყო, ძალიან ფრთხილად აცოდვილებდა ხელს, რადგან ეშინოდა, როსინანტი ადგილიდან არ დაძრულიყო. უნაგირზე დაჯდომის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ საბრალო რაინდი იძულებული იყო ჯდომის მაგიერ ზედ მდგარიყო.

სწორედ ახლა ნატრობდა ამადისის მახვილის მფლობელი ყოფილიყო, რომ ყოველგვარი ჯადოქრობა დაეთრგუნა. ახლა თავის ვარსკვლავს დაუწყო წყევლა, რა წარმოიდგინა, რომ საშინელი ზარალი მიეცემოდა ქვეყანას, ვიდრე მოჯადოებული დარჩებოდა (ნამდვილად სწამდა, რომ მოხიბლული იყო) ჯერ არც ერთხელ ისე ძალიან არ მოჰგონებია თავისი მიჯნური დულსინეა ტობოსელი, როგორც ახლა მოაგონდა; თავის საჭურველმტვირთველ სანჩო პანსასაც ახლა ეძახდა გაჭირვებული, მას კი ყველაფერი დავიწყებოდა ქვეყანაზე და თავის ვირის კურტანზე მიწოლილი ტკბილად ხვრინავდა; ბრძენ ალკიფესა და ლირგანდოს და თავის კეთილ მეგობარ ქალს ურგანდასაც სწორედ ახლა შესთხოვდა შვექლას, მაგრამ მის საუბედუროდ მშველელი არსაიდან იყო და მთელი ღამე ამ სამწუხარო მდგომარეობაში გაატარა ძროხასავით ბლავილში. იმის იმედიც კი აღარა ჰქონდა, რომ დილაზე მის უბედურებას უშველიდა ვინმე. ფიქრობდა, სამუდამოდ იყო მოხიბლული და ეგონა ასე უძრავად უნდა მდგარიყო თავის ცხენით (როსინანტი მიცლი ღამე ოდნავადაც არ დაძრულა), უჭმელი, უძილო, ხახაგამშრალი, ვიდრე ვარსკვლავთა ბოროტი ზემოქმედება არ დასრულდებოდა, ან ვიდრე მის მოხიბვლას სხვა რომელიმე უფრო ბრძენი თვალთმაქცი არ გააუქმებდა.

მაგრამ ეს იმედებიც გაუცრუვდა. დილაადრიან ოთხი კარგი შესახედაობის და კარგად ჩაცმული ცხენოსანი მოადგა ფუნდუკს და ჭიშკარს მაგრა რახუნი დაუწყო. უნაგირის ტახტაზე ჯაზაირები ეწყოთ. დონ კიხოტმა რომ ისინი დაიხრა, ეგონა, ისევ ციხე-დარბაზს ვგუშაგობო, და მაღალი ხმით დაუძახა:

- ვინა ხართ მანდ? რაინდები ხართ თუ საჭურველმტვირთველები, ან ვინც გინდა იყოთ, ციხე-დარბაზის ჭიშკარს ნუ არახუნებთ, ჯერ ყველას სძინავს. განა არ იცით, რომ მანამ დედამიწას მზე არ მოივლის, ციხის კარებს არ აღებენ? გაეცალეთ აქედან და დილამდის სადმე მოიცადეთ, დილაზე ვნახავთ, შესაძლო იქნება კარები გაგიღონ თუ არა.

- რა ეშმაკების ცახე-დარბაზსა ან ციხესა ხედავ აქ? ეგ არის რაღა, აქ მოგიცდით, - უპასუხა ერთმა ცხენოსანმა, - თუ ამ ფუნდუკის პატრონი ხართ, უბრძანეთ კარი გაგიღონ, ცოტა ცხენებს ვაჭმევთ და ჩვენს გზას გავუდგებით, გვეშურება.

- რაინდო, ნუთუ მეფუნდუკესა ვგევარ ვისმე? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ღმერთმანი, არ ვიცი, ვისა გევხარ, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ რაღაცას მიედ-მოედები, ამ ფუნდუკს რომ ციხე-დარბაზს ეძახი.

- დიახაც ციხე-დარბაზია, - თქვა დონ კიხოტმა, - და საუკეთესო ციხე-დარბაზიც. ამჟამად აქ ის გვამნი განისვენებენ, ვისაც ხელში სკიპტრა სჭერია და თავზე გვირგვინი უტარებია.

- უკულმა რომ გეთქვა, ემჯობინებოდა, - შენიშნა მგზავრმა, - თავზე სკიპტრა და ხელში გვირგვინი-თქო. უთუოდ ტაკიმასხარათა დასი ჩამომხტარა. მათთვის, როგორც ცნობილია, სკიპტრები და გვირგვინები ძალიან ჩვეულებრივი ნივთებია. ნამდვილი გვირგვინოსანი გვამები კი, არა მგონია ასეთ მყრალ ფუნდუკსა ჩამომხტარიყვნენ.

- ეტყობა არაფერი გაგეგებათ იმ შემთხვევებისა, რაიც მოგზაურ რაინდებს მოუხდებათ ხოლმე, - მიუგო დონ კიხოტმა.

დონ კიხოტის ყურისგდება რომ მოსწყინდათ, მგზავრებმა ხელახლა ჭიმკარს რახუნი დაუწყეს და ისე უწყალოდ, რომ ვინც ფუნდუკში იყო, ყველას გაედვიდა და მეფუნდუკეც გამოვიდა გასაგებად, თუ ვინ არახუნებდა კარს.

ამ დროს ერთ-ერთი მგზავრის ცხენი როსინანტს მიუახლოვდა საალერსოდ, თუმცა გაშეშებული დგომისაგან დიდი სევდიანობაც ეტყობოდა როსინანტს, ყურებიც ჩამოეყარა და ხისას უფრო ჰგავდა, მაინც სისხლისა და ხორცისაგან იყო შემდგარი, და ვედარ გასძლო, რომ მასთან საალერსოდ მისულ ცხენისათვის პასუხი არ ეგო. შეტოკდა თუ არა, დონ კიხოტს უნაგირიდან ფეხები მოსხლტა, და ჩვენი რაინდი მიწაზე გაიშხლართებოდა, მაღლა რომ თოკით მიბმული არა ყოფილიყო. ამ დროს მან ისეთი საშინელი ტკივილი იგრძნო, თითქოს მისთვის ხელი მოეჭრათ, ან მოეგლიჯათ, და საუბედუროდ ის დარჩა დაკიდებული, რომ ფეხები ოდნავ ბალახს ეკარებოდა, მის საუბედუროდაო იმიტომ ვამბობთ, რომ დონ კიხოტი ამით ტანჯვას იმატებდა, რადგან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იჭიმებოდა და ძირს იწევდა, რა არის ფეხები მიწაზე დაუკარებია იმგვარად, როგორც უბედურები იორკეცებენ ხოლმე ტანჯვას, ჯაჯით წვალების ჟამს რომ ჭოჭონაქს ქვეშ იჭიმებიან, ეგებ ფეხები მიწას როგორმე დავაკაროთო.

#### თავი XLIV

სადაც გრძელდება ფუნდუკში მომხდარი

არაჩვეულებრივი ამბები

მეფუნდუკეს დონ კიხოტის გამწარებული კივილი რომ მოესმა, შეშინებულმა კარი გააღო და გარეთ გამოვარდა, უნდოდა შეეტყო, თუ ისე საშინლად ვინა ჰკიოდა. ამ კივილზე გამოღვიძებული მარიტორნესი მიხვდა, რა ამბავიც იყო. ფარულად სათივეზე ავარდა, თოკი მოხსნა და რაინდმა მეფუნდუკისა და მგზავრების თვალწინ დედამიწაზე ზღართანი მოიღო. ახლოს მივიდნენ და კითხეს, ისე უწყალოდ რა გაკივლებდაო? დონ კიხოტმა პასუხი არ უგო, ხელიდან თოკი მოიხსნა, საჩქაროდ როსინანტზე შეხტა, ფარი მოიფარა, შუბი მოიმარჯვა, ცოტა განზე გადაგა, რომ უფრო მომარჯვებულიყო, მოკლე თოხარკით წამოვიდა წინ და მეფუნდუკესა და მგზავრებს შესძახა:

- ვინც იტყვის, რომ ჩემი მოჯადოება სამართლიანი საქმე იყო, მე იმას ჩემი დედოფლის მიკომიკონის ნებართვით ცრუპენტელად ვაცხადებ, პასუხს მოვთხოვ და ბრძოლაში ვიწვევ!

ახლად მოსულმა მგზავრებმა რომ ეს გაიგონეს, საშინლად გაოცდნენ, მაგრამ მეფუნდუკე ყველაფერი აუხსნა, დონ კიხოტის ვინაობა უამბო და ისიც დაუმატა, რომ თავის ჭკუაზე არაა და ყურადღებასაც ნუ მიაქცევთო.

შემდეგ მგზავრებმა ჰკითხეს მეფუნდუკს, აქ ჭაბუკი ხომ არავინ მოსულა, ასე თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა, მეჯორის ტანისამოსით მოსილიო, და თანაც სწორედ იმ ყმაწვილი კაცის ტანი, სახე და სხვა ნიშნები აუწერეს, რომელიც დონა კლარას უყვარდა. მეფუნდუკემ უპასუხა, ფუნდუკი ყოველგვარი ხალხით გატენილია და სრულებით არ მიგდია ყური, არის ვინმე მაგისტანა ყმაწვილი კაცი, თუ არაო.

- აქ არის, აქ! - შეჰყვირა ერთმა ცხენოსანმა, აუდიტორის კარეტა რომ დაინახა - სწორედ აქ არის; აი ის კარეტა, ფეხდაფეხ რომ მისდევდა თურმე. ერთ-ერთი აქ დავრჩეთ, დანარჩენნი მოსაძებნად შევიდეთ, ურიგო არ იქნება ერთმაც ფუნდუკს გარშემო უდარაჯოს, რომ ღობეზე არსად გადმოხტეს და არ გაგვექცეს.

- ეგრე ვქნათ, - უპასუხა მეორე ცხენოსანმა.

ეს რომ მოილაპარაკეს, ორი ეზოში შევიდა, მესამე ჭიშკართან დარჩა და მეოთხემაც ფუნდუკს გარშემოვლა დაუწყო. ფუნდუკის პატრონი ყველა ამ ამბავზე გონს ვერ მოვიდა, თუმცა კი მიხვდა, რომ ცხენოსნები იმ ყმაწვილ კაცს ეძებდნენ, რომელსაც კითხულობდნენ.

ამასობაში კიდევ გათენდა და დონ კიხოტის ყვირილმა ფუნდუკში ყველანი გამოადვიმა. ყველაზე ადრე წამოდგნენ კლარა და დოროთეა, რადგან მათ სულაც არ მოუხუჭავთ თვალი: ერთს ის აწუხებდა, რომ ახლოს მიჯნური ჰყავდა, მეორეს კიდევ ისა, რომ მიჯნურის ნახვას მოუთმენლად ელოდა. დონ კიხოტს კიდევ სიბრაზისაგან აღარა გაეგებოდა-რა, რადგან მის გამოწვევაზე არცერთმა იმ ცხენოსანთაგანმა პასუხი არ გასცა და ყურადღებაც კი არავინ ათხოვა. სარაინდო კანონებით რომ აკრძალული არ ყოფილიყო რამე ფათერაკში გაბმა, ვიდრე წინათ აღთქმულ საქმეს არ დააბოლოებდა, მაშინ დონ კიხოტი, უეჭველად, დაგცემოდა იმ ცხენოსნებს და ძალაუნებურად მის გამოწვევაზე პასუხის გაცემას აიძულებდა. მაგრამ სხვა ფათერაკში თავის გახვევა აღარ შეიძლებოდა, ვიდრე მიკომიკონის დედოფალს ტახტზე არ აიყვანდა, ამიტომ იძულებული იყო გაჩუმებულიყო და გულხელდაკრე ფილს ეცქირა, რა გამოვიდოდა ცხენოსნების განკარგულებიდან. ერთმა ცხენოსანმა ჩქარა იპოვა თავისი ბატონი, ნამდვილი მეჯორის გვერდზე სრულებით გულდამშვიდებით მძინარე.

- ბატონო დონ ლუის, - დაუმახა ყმაწვილ კაცს და წყნარად ნძრევა დაუწყო, - ბატონო დონ ლუის, სწორედ ისე კი ხართ ჩაცმული, როგორც თქვენისთანა ბატონს შეჰფერის, და ლოგინიც ისეთი გაქვთ, როგორშიც თქვენისთანა სათუთად შენახულ და დედისგან განებივრებულ ყმაწვილს უნდა ეძინოს.

ჭაბუკმა ნამძინარევი თვალები მოიფშვინტა და, თავის გამღვიძებელს რომ დაკვირვებით შეხედა მამამისის მსახური იცნო. ამ უეცარმა შეხვედრამ ისეთი თავზარი დასცა, რომ რამდენიმე წამს სიტყვის თქმა ვერ მოახერხა.

- ახლა, ბატონო დონ ლუის, იმის მეტი აღარა დავრჩენიათ-რა, - განაგრძო მსახურმა, - ბედს დაემორჩილოთ და შინ წამობრძანდეთ, თუ არა გნებავთ, მამათქვენი საიქიოს გაემგზავროს, რადგან თქვენი მოშორებით ისეთი მწუხარება დაემართა, რომ უეჭველად ბოლოს მოუღებს.



- ნეტავ როგორ გაიგო მამაჩემმა, ან საით წაველ, ან რა ტანისამოსი ჩავიცვი? - ჰკითხა დონ ლუისმა.

- ისე გაიგო, - უპასუხა მსახურმა, - რომ სტუდენტისათვის თქვენი განზრახვა რომ გაგიმჟღავნებიათ, იმ სტუდენტმა უამბო ყველაფერი, რადგან მამათქვენის მწუხარებამ მეტად შეაწუხა იგი. გაიგო თუ არა ბატონმა, მაშინვე საჩქაროდ ოთხი მსახური გამოგიყენათ მდევრად, და აი, როგორც ხედავთ, ოთხივე აქ გახლავართ თქვენი სამსახურისთვის და ძალიან კმაყოფილნი ვართ, რომ შეგვიძლია იქ წავიყვანოთ, სადაც მეტისმეტი სიყვარული აქვთ თქვენი.

- ჩემი წაყვანა ჩემს სურვილზე იქნება დამოკიდებული, ანუ კიდევ ღვთის ნებაზე, - უთხრა დონ ლუისმა.

- ჩვენო ბატონო, - უთხრა მსახურმა, - ღვთის ნება იმის მეტი რა უნდა იყოს, ან იმაზე უკეთესს თქვენთვის ადამიანი რას ისურვებს, თუ არა თქვენს ოჯახში დაბრუნებას, თქვენი შინ დაბრუნება აუცილებელია.

დონ ლუისის გვერდით მწოლიარე ყმაწვილმა მეჯორემ რომ ეს ლაპარაკი მოისმინა, გავიდა და ყველაფერი დონ ფერნანდოს, კარდენიოს და სხვებს უამბო; ისინი ის იყო ამდგარიყვნენ და ტანთ იცვამდნენ. მეჯორე უამბობდა, უცნობი კაცი ბაკში მძინარ ყმაწვილ ბიჭს დონ-ს უწოდებსო და მისი შინ წაყვანა უნდაო, ყმაწვილი ბიჭი კი არ მისდევსო. ვისაც კი იმ ცრუ მეჯორის მშვენიერი ხმა გაეგონა, ყველამ მოისურვა გაეგო, თუ ვინ იყო ის საიდუმლო ჭაბუკი და მასთანვე გადაწყვიტეს, თუ საჭირო იქნებოდა, მსახურთ ძალადობისაგან კიდევ დაეფარათ იგი, ამ გადაწყვეტილებით, ვინც მამაკაცები იყვნენ, ყველანი იქ მივიდნენ, სადაც მსახური რჩევას აძლევდა, ხოლო ბატონი იმ რჩევას ყურს არ უგდებდა.

ამ დროს დოროთეაც გამოვიდა თავის ოთხიდან და აღელვებული კლარაც თან გამოჰყვა. დოროთეამ კარდენიო ცალკე გაიყვანა და მოკლედ შეატყობინა მომღერლისა და კლარას სიყვარულის ამბავი, ხოლო კარდენიომაც თავის მხრივ უამბო, რომ იმ მომღერლის წასაყვანად მამისაგან გამოგზავნილი მსახურები მოსულიყვნენ; კარდენიოს სიტყვებს კლარამ ყური მოჰკრა და ისეთი ელდა ეცა, რომ თუ დოროთეას არ დაეჭირა, იატაკზე ზღართან იმოსძვრებოდა. კარდენიომ სთხოვა დოროთეას - ოთახში შეეყვანა კლარა და ალუთქვა საქმეს მოაგვარებდა როგორმე.

ამ დროს დონ ლუისიც შემოვიდა ოთხში, მსახურებიც თან შემოჰყვნენ და ურჩევდნენ - დაუყოვნებლივ შინ გაყოლოდა და მით მწუხარე მამისთვის ნუგეში ეცა, მაგრამ დონ ლუისი ეუბნებოდა: ვერაგზით ვერ წამოგყვებთ, ვიდრე იმ საქმეს არ შევასრულებ, რა საქმეც ჩემს პატივსა და სახელს შეეხებაო. მსახურებმა ბოლოს გაუმჟღავნეს, რომ, თუ რჩევით ვერას გააწყობდნენ, მეტი ღონე არ ექნებოდათ - ძალით წაიყვანდნენ.

- ამას ვერ ჩაიდნით, ჩემს ცხედარს თუ წაიღებთ, თორემ ცოცხალს ვერასოდეს ვერ წამიყვანთ, - უპასუხა მან.

მათმა ბაასმა აუდიტორის, დონ ფერნანდოს და მისი ამხანაგების - ფერნანდოსი, მღვდლისა, დალაქისა და დონ კიხოტის ყურადღება მიიზიდა (დონ კიხოტმა გადაწყვიტა, რომ ციხე-დარბაზს მისი დარაჯობა აღარ ეჭირვებოდა). კარდენიომ, ცრუ მეჯორის ამბის უკვე მცოდნემ, ჰკითხა მსახურებს, რად გინდათ ამის ძალით წაყვანაო, მათ უპასუხეს: "იმითომ, რომ ამ

კეთილშობილი ბატონის მამას სიცოცხლე დაუვბრუნოთო, ნაღვლისაგან კვდება, თავის შვილს რომ ველარა ხედავსო".

- რა საჭიროა, რომ ჩემს საქმეში ერევით, - უთხრა დონ ლუისმა. - მე თავისუფალი კაცი ვარ, მინდა წამოგყვებით, არ მინდა - და ძალით ვერავინ წამიყვანს.

- მოწყალეო ბატონო! გონიერებამ უნდა წაგიყვანოთ, - უპასუხა ერთმა მსახურმა, - და თუ თქვენ არ ინებებთ გონიერებას გაუგონოთ, მაშინ ჩვენ უნდა მოვიქცეთ გონივრულად: ის უნდა ავასრულოთ, რისთვისაც გამოგზავნილები ვართ და რის ასრულებაც ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია.

- რიგიანად გამაგებინეთ, რა ამბავია? - ჩაერია აუდიტორი.

ერთმა მსახურთაგანმა იცნო თუ არა თავის ბატონის მეზობელი, საჩქაროდ უპასუხა.

- თქვენო პატიოსნებავ, ბატონო აუდიტორო, განა ვერა ცნობთ ამ ჩვენს ყმაწვილს, თქვენი მეზობლის შვილი გახლავთ? აბა უცქირეთ, რა უმართებულო ტანისამოსით გამოიქცა შინიდან.

ყურადღებით რომ დააცქერდა ცრუ მეჯორეს, აუდიტორმა მაშინვე იცნო დონ ლუისი, ხელი დაუჭირა და უთხრა:

- ღმერთო ჩემო, რა ბავშვობა მოგვლიათ, დონ ლუის! ერთი მითხარით, მამათქვენის სახლიდან გამოქცევა რამ გაიძულათ და მერე ასეთი არასაკადრისი ტანისამოსით!

დონ ლისმა აუდიტორის საპასუხოდ ვერა მოახერხა-რა; მხოლოდ გრძნობდა, რომ თვალში ცრემლები მოერია. აუდიტორმა ყმაწვილ კაცს მკლავში ხელი გაუყარა და განზე გაიყვანა, რომ შინიდან გამოქცევის მიზეზი გამოეკითხა, ამასთანავე მსახურები დაამშვიდა, რომ საქმეს მოაგვარებდა. აუდიტორი რომ დონ ლუისს ელაპარაკებოდა, ალაცაფის კარებიდან საშინელი ყვირილი მოისმა. საქმე იმაში იყო, რომ ორ ჩათუქესან ბიჭს, ფუნდუკში ღამის გამთევს, დაენახა თუ არა, ყველანი ცრუ მეჯორით და ახლად მოსული ოთხი ცხენოსნით არიან გატაცებული და ყურს აღარავინ გვიგდებსო, დანახარჯის გადაუხდელად გაქცევა დაუპირებია, მაგრამ მეფუნდუკე თავის საქმეს სხვისაზე უფრო ყურადღებით ეკიდებოდა, იმ ვაჟბატონების ოინბაზობა გაეგო და შიგ ალაცაფის კარებთან დაეჭირა ისინი. ფულის თხოვნა დაეწყო და თანაც ისეთი გინება დაუყოლებია, რომ მათ ველარ მოეთმინათ და მუშტებით მიეგოთ მისთვის პასუხი. ამ მუშტებზე საბრალო მეფუნდუკემ ყვირილი მორთო: "მიშველეთ, მომკლესო!" მეფუნდუკის ცოლი და ქალი ვერავის ხედავდნენ ისეთს, რომ იმ უბედურს დახმარებოდა. ყველას დონ კიხოტის იმედი ჰქონდა, ამიტომაც ყველაზე უწინ მეფუნდუკის ქალმა მას მიმართა:

- იხსენით, თქვენდა ღვთისაგან მონიჭებული ძალის სადღეგრძელოდ, ბატონო რაინდო, ჩემი საბრალო მამა განსსაცდელისაგან. ღამის ორმა ავაზაკმა ცემით მოკლას.

ამის პასუხად დონ კიხოტმა მეტად ნელა და გულცივად უთხრა:

- მშვენიერო ქალო! ამჟამად თქვენი თხოვნის აღსრულება არ ძალმიძს, ვინაიდან ნება არა მაქვს სხვა რამ ფათერაკში გავება, ვიდრე იმ საქმეს არ დავასრულებ, რასაც მთელი ჩემი ძალღონის შეწირვა აღვუთქვი. მაგრამ მაინც თქვენთვის ყველას ვიზამ, რაც კი ჩემს ხელთ არის, უწინარეს ყოვლისა, გთხოვთ საჩქაროდ მობრძანდეთ და მამათქვენს უთხრათ, რაც კი ძალ-ღონე აქვს,

ბრძოლას გაუძლოს, მტერს არ დაეჯახნინოს, ვიდრე მე მიკომიკონის დედოფალთან მივიდოდე და მისგან მამითქვენის საშველად ნებართვას ავიღებდე. თუ ნება მიბოძა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იმ ნებართვას ამაოდ არ ჩავატარებ.

- რაღა მეშველება, - შესძახა იქვე მყოფმა მარიტორნესმა, - სანამ თქვენ მაგ ნებართვას აიღებთ, ჩემი ბატონი, ვინ იცის, საიქიოსაც გაამგზავრონ კიდევ.

- მაშ, ქალბატონო, თქვენ მიიღეთ შრომა და ნებართვა მომიტანეთ, თუ არ და - უკაცრავად ნუ ვიქნები - არა შემიძლია-რა. კვალად გეტყვით, ოღონდ ნებართვა მივიღო, და მაშინ ჩემთვის სულ ერთია, თქვენი ბატონი საიქიოს იქნება თუ სააქაოს, თუ საჭიროება მოითხოვს, სააქაოს გამოჯავრებული, საიქიოდანაც დავაბრუნებ იმას, და თუ ეს ვერ მოხერხდა, მის მკვლელებს მაინც ისე დავსჯი, რომ სრულიად კმაყოფილი დამრჩეთ.

ესა თქვა თუ არა, გატრიალდა, დოროთეასთან მივიდა. მის წინ მუხლი მოიდრიკა და მოგზაური რაინდისებური სიტყვიერით თხოვა, მის დიდებულებას ნება დაერთო დიდს საშიშროებაში შთავარდნილ ციხე-დარბაზის მოურავს დახმარებოდა. დედოფალმა დიდი კმაყოფილებით მისცა ამის ნება, და დონ კიხოტიც მსწაფლ ფარმომარჯვებული და ხმაღამიშვლებული ჭიშკრისკენ გაემურა, სადაც ორი ზორბა ბიჭი მეფუნდუკეს ლაზათიანად ჰბეჭავდა. მაგრამ ჩხუბის ალაგას მივიდა თუ არა რაინდი, უცებ უკან დაიხია და გაშეშებულივით დადგა. თუმცა მეფუნდუკის ცოლი და მარიტორნესი ამ გაჩერებას აყვედრიდნენ და ჰკიცხავდნენ - ტყუილად რაღას იდგა და არ ეშველებოდა ერთის ქმარს და მეორის ბატონს.

- რა მაჩერებს? - თქვა დონ კიხოტმა, - ისა, რომ მე, როგორც რაინდს, არ ძალმიძს ხმალი ვახმარო მდაბიო ხალხის წინააღმდეგ. ეს ჩემი საჭურველმტვირთველის საქმეა, იმას დაუძახეთ, ის მოურიგდება ამ მაწანწალებს და თქვენი შეურაცხყოფისათვის მაგიერს ის გადაუხდის.

აი, რა მოხდა ჭიშკართან. საბრალო მეფუნდუკის ზურგზე შუმტებს ხეტყესავით ტყაპა-ტყუპი გაჰქონდა და ამის მაცქერალი ცოლი, ქალი, და მარიტორნესი თავზარდაცემულებივით იდგნენ, დონ კიხოტის სიმხდალეს ქოქავდნენ და იმ უკუღმართ საათს წყევლიდნენ, რა საათმაც ამ საზარელ მდგომარეობაში ჩააგდო იმათგანი - ერთის ქმარი, მეორის მიმა და მესამის ბატონი. მაგრამ ახლა ესენი აქ ამ ყოფაში დავტოვოთ (უეჭველია, ვინმე მიეშველება, თუ არა და, მისმა ბიჭებმა ინაღვლოს, ვისაც ფონის მოუძებნელად წყალში შეტოპვა ყვარებია. ასეთმა კაცმა ცხვირში ამოიკრას და "ჰკუისა მჭირსო" იძახოს), და ერთი ორმოცდაათიოდე ნაბიჯით უკან დავიწიოთ და გავიგოთ, აუდიტორმა დონ ლუისს რა უპასუხა. თვალთაგან ცრემლების დენით დონ ლუისს აუდიტორის ხელები მაგრა დაებლუჯა და გულზე მძიმე სევდამოწოლილი ამას ეუბნებოდა:

- სენიორ, იმის მეტს ვერას მოგახსენებთ, რომ იმ დღეს აქეთ, რაც ზენამ ინება და ჩვენმა მეზობლობამაც შემთხვევა მომცა, ჩემი გულის მეუფე თქვენი ქალი დონა კლარა დამესახა, მას აქეთ მისი მონა შევიქენი, და თუ წინააღმდეგნი არ იქნებით, თქვენი ასული დღესვე ჩემი მეუღლე შეიქნება. სახლიცა და მამაც მისი გულისთვის დავუტევე, მისი გულისთვის შევიმოსე ამ ტანისამოსით და მის კვალს ავედევნე, იმ განზრახვით, რომ ყველგან თან მედევნა, სადაც უნდა წაგეყვანათ იგი, - ისე მედევნა, როგორც ნატყორცნ ისარს მიზნისაკენ, როგორც მეზღვაურს კომპასისათვის. ეს ჩემი სურვილი თქვენმა ქალმა იმდენად იცის, რამდენადაც ჩემგან დაღვრილი ცრემლებით შეიძლებოდა მიხვედრილიყო. ჩემი ცრემლები კი, თუმცა

შორიდან, მაინც ხშირად უნახავს მას. ჩემი მშობლების გვარიშვილობა და სიმდიდრე იცით, ისიც იცით, რომ მამაჩემს ერთის მეტი არა ვყევარ. თუ ეს საკმაოა, რომ ჩემს გაბედნიერებაზე დაგითანხმოთ, მაშ ამავე წამიდან თქვენ შვილად მიწოდეთ და თუ ვინიცობაა მამაჩემი რაიმე ანგარიშების გამო ამ ჩემი ბედნიერებით კმაყოფილი არ იქნებოდა, მაშინ იმის იმედით დავრჩებოდი, რომ ყოვლად შემძლებელი დრო, ქვეყანაზე ყველაფრის შემცვლელი, მის აზრსაც ოდესმე ჩვენს სასარგებლოდ შესცვლიდა.

დონ ლუისი გაჩუმდა, ხოლო აუდიტორი მიჯნური ჭაბუკის ზრდილობიანმა გრძნობების აღიარებამ მეტად გააოცა, თანაც დაღონდა, რადგან არ იცოდა ამ საიშვიათო და სრულებით მოულოდნელ გარემოებაში როგორ მოქცეულიყო. დონ ლისს დაუყვავა და თხოვა დამშვიდებულიყო. აღუთქვა, მსახურებს ხვალამდის დააცდევინებდა და ამ ხანში თავის გადაწყვეტილებასაც მოიფიქრებდა. დონ ლუისმა აუდიტორს ძალად დაუკოცნა ხელები და ზედაც ცრემლები აპკურა, ეს გარემოება ქვასაც დაულობდა გულს და დონა კლარას მამამ კი უიმისოდაც თავის გამჭირაბი ჭკუით და ანგარიშთანობით ისიც მოისაზრა, რომ დონ ლუისი მისი ქალისთვის ჩინებული საქმრო იქნებოდა. მაგრამ ეს ქორწინება უნდოდა ისე მოეხდინა, რომ დონ ლუისის მამის თანხმობაც ყოფილიყო. ამ თანხმობის იმედი კი ჰქონდა, რადგან იცოდა, რომ დონ ლუისის მამას დიდი სურვილი ჰქონდა ოდესმე დიდ რამ მოხელებდ ენახა თავისი შვილი.

და როდესაც, ერთის მხრივ, დონ ლუისის მსახურები მოთმინებით ელოდნენ აუდიტორისა და მათი ბატონის ლაპარაკის დასრულებას, მეორე მხრივ, ზავი მოხდა მეფუნდუკესა და მის სტუმრებს შორის, მეფუნდუკე რომ დაბეჭეს, და ისინი, დონ კიხოტის გონივრული სიტყვების წყალობით, ღამის გასათევი ფასის გადახდას დასთანხმდნენ - სწორედ ამ დროს მუდამ დაუძინებელმა ემმაკმა ფუნდუკში ის დალაქი მოათრია, რომელსაც დონ კიხოტმა მამბრინის ჩაჩქანი მოსტაცა და სანჩო პანსამ კიდევ ვირის კურტანი თავის ვირის კურტანით შეუცვალა. დალაქს რომ ვირი თავლაში შეჰყავდა, სანჩო იმ დროს თავის ვირის კურტანს აჯღანებდა. დალაქმა თვალი მოჰკრა თუ არა სანჩოს, ისე სწრაფად მივარდა, რომ საჭურველმტვირთველმა ვერც კი მოასწრო დროზე დაენახა იგი, საყელოში ხელი წაავლო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუღრიალა:

- ჰაი, შე დონ ავაზაკო, ხლა კი ვერსად წამიხვალ, მომეც ჩქარა, ჩემი თასი და ჩემი ვირის სამკაული რომ მომტაცე.

ასე მოულოდნელად საყელოში ხელის წავლება და თანაც ცუდი ლექსებით ხსენება ვერ მოითმინა სანჩომ; ურთი ხელით რომ კურტანი ეჭირა, მეორეთი ისეთი მუშტი სთხლიშა დალაქს, რომ ცხვირპირი დაუსისხლიანა. დალაქი მაინც არ ეშვებოდა, ცდილობდა ხელიდან კურტანი წაერთმია და ისევ ისე საშინელი ღრიალი გაჰქონდა. ამ ყვირილზე ხალხი გამოცვივდა.

- მეფისა და მართლმსაჯულების გულისათვის, -ჰყვიროდა დალაქი, - ამ უმაქნისს, ამ შარაგზის ავაზაკს ჩემი მოკვლა უნდა იმიტომ, რომ ჩემს საკუთარ კურტანს ვართმევ.

- მიჰქარავ, მიქარავ! - უყვიროდა სანჩო; მე შარაგზის ავაზაკი არა ვარ, მხოლოდ იმ დავლით ვსარგებლობ, რაც ჩემს ბატონს დონ კიხოტს გამარჯვების შემდეგ დარჩება ხოლმე.

სადაც იყო, დონ კიხოტიც გამოჩნდა ამ ჩხუბის ალაგას და აღტაცებაში მოვიდა თავის საჭურველმტვირთველის მამაცობით, რაც მან ახლა მტრის შეტევასა და აგრეთვე მოგერიებაში გამოიჩინა. თითქმის შესანიშნავ ვაჟკაცად იცნო იგი და გუნებაში აღთქმა დაიდვა - პირველსავე შემთხვევაში რაინდად დაელოცა, რადგან, მისი აზრით, ეს წოდება ახლა სანჩოსათვის სწორედ ზედ გამოჭრილი იყო.

დალაქი ეუბნებოდა სანჩო პანსას:

- ეს კურტანი ისე ნამდვილად მეკუთვნის მე, როგორც ის არის ნამდვილი, რომ ზენას ჩემი სიკვდილი მართებს. ამ კურტანს ისე კარგად ვიცნობ, თითქოს სწორედ ჩემი ნაშობი იყოს. თვითონ ჩემი ვირია ამის მოწმე. ეს მე ტყუილს არ მაქმევინებს. ამაზე უკეთესი რა იქნება, აბა დავადგათ და თუ ზედგამოჭრილივით არ მოუვიდეს, უმაქნისი დამიძახეთ. ეს კიდევ არაფერი: როდესაც ეს კურტანი დავკარგე, სწორედ იმ დღეს ახალთახალი, ჯერ უხმარი თასი მომტაცეს, წითელი თითბრისა, მთელ ესკუდოდ მიღირდა.

ამის გამგონე დონ კიხოტმა ვეღარ შეიმაგრა თავი. მსწრაფლ მოჩხუბარნი გააშველა; მათ შუა ჩადგა, კურტანი მიწაზე დადვა, რომ ყველას კარგა დაენახა, ვიდრე სიმართლე თავს იჩენდა და მაღალი ხმით დაიძახა:

- ბატონებო, ახლავე ცხადად დარწმუნდით, თუ როგორ ცდება ეს კეთილი საჭურველმტვირთველი, ოდეს სადალაქო თასს უწოდებს მას, რაც ყოფილა, არის და იქნება მამბრინის ჩაჩქანი. ის ჩაჩქანი მე ამას პატიოსან ბრძოლაში წავართვი და ამ სრული სიმართლით ვმფლობელობ მას, ხოლო, რაც შეეხება უნაგირს - მის საქმეში არ გავერევი. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემმა საჭურველმტვირთველმა სანჩო პანსამ მთხოვა ნება დამერთო და ამ ჩემგან დამარცხებული მხდალი კაცის ცხენის იარაღი აეღო და მით თავისი ვირი მოგკაზმა; მეც ნება დავრთე, და თუ ახლა ჩვეულებრივი უნაგირი საპალნის კურტნად გადაგქცეულა, ამას მე სხვებზე ვერ ვხსნი, თუ არა ამ გარდაქცევით, რაიც მუდამ მოხდება ხოლმე მოგზაურ რაინდთა თაავგადასავალში. ამის დასამტკიცებლად, რაც მე ახლა თქვენ მოგახსენეთ, აბა გაიქეც, ჩემო სანჩო, და მამბრინის ჩაჩქანი აქ მოიტანე, ამ კეთილ კაცს სადალაქო თასად რომ ეჩვენება.

- არა, ბატონო, - უპასუხა სანჩომ, - თუ იმ მამბრინის ჩაჩქანის გარდა სხვა დამამტკიცებელი საბუთი არაფერი გაქვთ - ისევ სჯობია თქვენთვის ბრძანდებოდეთ, ის მამბრინის ჩაჩქანი ისეთივე სადალაქო თასია, როგორც ეს უნაგირი - სწორედ კურტანია და სხვა არაფერი.

- რასაც გიბრძანებ, ის აღასრულე, - შეუტია დიან კიხოტმა. - როგორ დავიჯერო, რომ ყველაფერი ჯადოქრობით სწარმოებდეს ამ ციხე-დარბაზში.

მამბრინის ჩაჩქანი რომ მოართვეს, დონ კიხოტმა ხელში აიღო და წარმოთქვა:

- ბატონებო, წყალობა მოიღეთ და მითხარით, რა პირით ბედავს ეს საჭურველმტვირთველი იმ აზრზე დამყარებას, ვითომც ეს სადალაქო თასი იყოს და არა ჩაჩქანი? იმ რაინდთა დასს გეფიცებით, რა რაინდთა დასსაც მეც ვეკუთვნი, რომ ეს ჩაჩქანი აწ იმ სახითვეა, როგორიც ხელში ჩამივარდა: არც არა მომიკლია ამისათვის და არც არა მომიმატებია-რა.

- ნამდვილად მართალსა ბრძანებ, - დაუმატა სანჩომ, -მას აქეთ, რაც ჩემმა ბატონმა ეს ჩაჩქანი იშოვნა, მხოლოდ ერთ ბრძოლაში ეხურა თავზე, როდესაც ფეხხუნდიანი ტუსაღები

გაათავისუფლა; და ეს თასი - ჩაჩქანი არა ჰქონოდა, ცუდი საქმე დაემართებოდა, რადგან ჩვენს თავზე სწორედ ქვის სეტყვა მოდიოდა.

თავი XLV

სადაც საბოლოოდ განიფანტება ეჭვი მამბრინის ჩაჩქანა და

კურტანზე, და მოთხრობილია სხვა ნამდვილად მომხდარი

ფათერაკები

- აბა რას გვიბრძანებთ, ბატონებო? როგორ გავიგოთ ამ ბატონის ნათქვამი? გაგონილა ასე თვალდათვალ ადამიანის გაბრიყვება, როგორც ეს ბატონები მამბრინებზე? მაშ ეს ჩემი თასი - თასი არ არის და მამბრინის ჩაჩქანია? - შეჰყვირა დალაქმა.

- დიახ, და ვინც წინაღმდეგ იტყვის, - შეაწყვეტინა დონ კიხოტმა, - მე მოვახერხებ დავარწმუნო იგი, თუ რაინდია, რომ ტყუის, და თუ საჭურველმტკირთველია, მას ვაგრძნობინებ, რომ ათასგზის ცრუობს.

ამ საიშვიათო ბაასს სხვათა შორის ოსტატი ნიკოლასიც დაესწრო და, რაკი დონ კიხოტის ხასიათსა და ზნეს კარგად იცნობდა, მოიწადინა ცეცხლისთვის მუგუზალი შეემატებინა და დამსწრენი უფრო გაეცინებინა. ამ განზრახვით უთხრა დალაქს:

- ბატონო დალაქო, ან ვინც გინდა ბრძანდებოდეთ, უნდა მოგახსენოთ, რომ თვითონ მეც დალაქი ვარ და ოც წელიწადზე მეტია, რაც ოსტატობის მოწმობა მივიღე, ამიტომ ყველა ჩემი ხელობის იარაღი და სამკაული ძალიან კარგად ვიცი, ამას გარდა, ყმაწვილობაში სალდათადაც ვმსახურობდი. მაშ ისიც გეცოდინება, თუ რა არის ჩაჩქანი, ჩაბალახი და სამხედრო სამკაული. დაბვჯითებით არ ვიტყვი (და, ვისაც შეუძლია, გამისწოროს), რადგან ჩვეულებადა მაქვს მუდამ უფრო გონივრულ აზრს დავუთმო ხოლმე, მარამ ამას კი მოგახსენებ, რომ ამ ბატონს რაც ახლა ხელში უჭირავს, არა თუ სადალაქო თასი არ არის, არამედ ის ჰგავს სადალაქო თასს, როგორც თეთრი შავსა და მართალი სიცრუესა; ჩემი აზრით ეს ჩაჩქანია, მაგრამ მთელი ჩაჩქანი კი არ არის.

- მართალია, მთელი არ არის, - დაიძახა დონ კიხოტმა. - ამას სრული ნახევარი აკლია.

- მართალსა ბრძანებთ, - ჩაერია მღვდელი, რაკი თავისი მეგობრის იდუმალ აზრს მიხვდა;

ამას მაშინვე კარდენიოც დაეთანხმა, დონ ფერნანდოც და მისი ამხანაგებიც. ამ ხუმრობას თვითონ აუდიტორიც დაეხმარებოდა, თუ ამჟამად დონ ლუისთან საუბრით არ ყოფილიყო გართული. არასახუმარო ფიქრებმა შეიპყრეს იგი და ამიტომ დონ კიხოტისა და დალაქის დავას ყურს სულაც არ უგდებდა.

- ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო! - შეჰყვირა გაჭირვებულმა დალაქმა, - გაგონილა, რომ ამდენი პატიოსანი ადამიანი მარწმუნებს, ვითომც ჩემი თასი - მამბრინის ჩაჩქანი იყოს; ასეთი გასაოცარი ამბავი ხომ უნივერსიტეტსაც კი მთელი თავისი მეცნიერებით განცვიფრებაში მოიყვანს. ბატონებო, თუ ეს ჩაჩქანია და არა თასი, მაშ ეს კურტანიც უნაგირი იქნება, რაღა?

- მე ეგ კურტნად მეჩვენება, - უპასუხა დონ კიხოტმა; - მაგრამ წელანვე ვთქვი, რომ მაგ საქმეში არ ვერევი მეტეჟი.

- კურტანია თუ უნაგირი, - სიტყვა ჩაურია მღვდელმა, - ესეც ბატონმა დონ კიხოტმა უნდა გადაწყვიტოს, რადგან ყველა იმ საქმეში, რაც რაინდობას შეეხება, მეცა და ეს ბატონებიც უპირატესობას მაგას ვუთმობთ.

- რა ბრძანებაა, ბატონებო, - უპასუხა დონ კიხოტმა, ამ ციხე-დარბაზში ორჯერ ჩამოვბტი და ორჯერვე ისეთი უცნაური შემთხვევები დამემართა, რომ ახლა გადაწყვეტით ველარაფრის თქმა ვერ გამიბედა. აქ ყველაფერი თვალთმაქცობითა ხდება: ამაში ახლა მე მტკიცედ დავრწმუნდი. ჯერ წინათ ჩემს აქ ყოფნაში რაღაც მოხეტიალე ჯადოქარმა მავრმა შემაწუხა, ხოლო მისი ამაღლა სანჩოს არ აძლევდა მოსვენებას. გუშინ საღამოს თითქმის ორი საათი ვეკიდე ხელით მიბმული და არც ის ვიცოდი, როგორ მიმაბეს, არც ისა თუ როგორ ჩამოვვარდი დედამიწაზე, ახლა კიდევ იმასა მთხოვთ - ეს დახლართული დავა გადავწყვიტო, არა ბადობენებო, მაგით იმას მეუბნებით, რომ მეტისმეტი ვაკისრებინო ჩემს თავს. ამ ბატონის უცნაურ დავას პასუხი უკვე გავეცი, როდესაც იგი ცდილობდა მამბრინის ჩაჩქანი სადალაქო თასად გადაექცია; ხოლო რახ შეეხება იმას, ეს ჩვეულებრივი უნაგირია თუ კურტანი, ამ საკითხის გადაწყვეტას არა ვკისრულობ და უკეთესად მიმაჩნია ამის გადაწყვეტა თქვენს გონიერებას მივანდო! რაკი რაინდად დალოცვილი არა ბრძანდებით, მოჯადოების გავლენისგანაც თავისუფალი ხართ, ამიტომ ყველაფერზე უკეთესად შეგიძლიათ განსაჯოთ, რადგან ამ ციხე-დარბაზში ყველაფერს ისე ხედავთ, როგორც ნამდვილად არის, და არა ისე, როგორც მე მეჩვენება.

- ბატონი დონ კიხოტი ნამდვილი მოგვი ბრძანდება, - თქვა დონ ფერნანდომ, - ისეთს ჭეშმარიტებას ბრძანებს, რომ ეჭვის მიტანა არავის შეუძლია, ამიტომაც, ბატონებო, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, რა არის ეს - კურტანი, თუ უნაგირია. ჩემი გადაწყვეტილება რომ სრულებით მიუდგომელი იყოს, ფარულად ამ ბატონებს კენჭს ვუყრი და ამ სადავო საგნის შესახებ ახლავე სრულსა და სწორ ანგარიშს მოგახსენებთ.

ვინც დონ კიხოტის ახირებას იცნობდა, ამ ოინებზე სიცილით იხოცებოდნენ, მაგრამ დონ კიხოტის უცნობნი კი მათ გაცობით უცქერდნენ, როგორც ჭკუიდან შემცდარ ხალხს. ყველაზე მეტად კი დონ ლუისი, მისი მსახურნი და სამიც სხვა შემთხვევით მოსული მგზავრი იყო გაცობული. (ეს სამი მგზავრი სანტა ჰერმანდადას ქამანდარნი აღმოჩნდნენ). ყველაზე მომეტებულად სასოწარკვეთილებაში, რაღა თქმა უნდა, მამბრინის ჩაჩქნის მფლობელი იყო. საბრალო სადალაქო თასი ხელდახელ მამბრინის ჩაჩქნად გადაექცია და კურტანი კიდევ ის ის იყო ძვირფას უნაგირად გადაქცევას ლამობდა. დონ ფერნანდომ მთელი საზოგადოების სიცილ-ხარხარში ყველას სათითაოდ ყურში ჰკითხა; რა ნივთად უნდოდათ, რომ ეს სადავო განძი გადაქცეულიყო. კურტნად თუ უნაგირად; ყველა დონ კიხოტის ნაცნობს რომ ჩამოუარა, ხმამაღლა დაიძახა.

- ბატონებო, დავიღალე ყველას სათითაოდ გამოკითხვით - კურტანი ეს თუ უნაგირი, და ყველამ გადაჭრით მიპასუხა. დიდი სისულელე იქნება, თქვა, რომ ეს ვირის კურტანიაო. ეს არის უნაგირი და ამასთანაც ჯიშიანი ცხენის უნაგირიო.

შემდეგ მიუბრუნდა დალაქს და უთხრა:

- გონს მოდი, კეთილო კაცო; ხომ ხედავ, ვერც შენმა დარწმუნებამ და ვერც შენი ვირის მოწმობამ უშველა საქმეს, და მაინც გამოვიდა, რომ ეს უნაგირია და არა ვირის კურტანი, როგორც ამტკიცებ და საბუთი კი სრულებით არა გაქვს-რა. - მაშ სამოთხეში ადგილი დამეკვეთოს, - შეჰყვირა საბრალო დალაქმა, - თუ თქვენ ყველანი არა ცდებით, რა ვქნა, ეს ოხერი, მთვრალი არა ვარ და არაფერი; ღმერთმანი, ჩემს პირში დღეს ლუკმა არ ჩასულა, სხვა რამ ცოდვის კითხვა თუა ჩემს თავს, არ ვიცი.

იმდენადვე დალაქის გულწრფელობა აცინებდა ხალხს, რამდენადაც დონ კიხოტის სისულელე.

- ის ემჯობინება, - თქვა დონ კიხოტმა, - ყველამ თავის კუთვნილი მიიღოს და საქმე ამით დაბოლოვდეს. რაც ღმერთს მოუცია, მას წმინდა პეტრე აკურთხებს!

ამ დროს დონ ლუისის ერთმა მსახურთაგანმა წამოიძახა:

- თუ ეს ყველაფერი წინასწარ განზრახული ხუმრობა არ არის - მაშ სრულებით ვერა გამიგია-რა, ასეთი ჭკუიანი ბატონები როგორ ამტკიცებენ, რომ ეს კურტანი არ იყოს და ეს კიდევ სადალაქო თასი. მე ესეც მგონია, ამათ უთუოდ რამე განზრახვა უნდა ჰქონდეთ, რომ ცდილობენ დაგვარწმუნონ, ვითომც ეს, რაც ჩვენ წინა დევს - ჩვენი საკუთარი თვალებით არა ვხედავდეთ. მაშ ღმერთი გამიწყრეს, - და ამ ფიცზე ხმა აიმაღლა, - მთელი ქვეყანაც რომ მომადგეს, თუ მათქმევინოს, რომ აი ეს ნივთი სადალაქო თასი არ იყოს და ეს კიდევ ვირის კურტანი.

- იქნებ ჭაკი ვირის კურტანია, - თქვა მღვდელმა.

- ეგ სულერთია, - უპასუხა მსახურმა, - საქმე ის არის: ვირის კურტანი, თუ უნაგირი, როგორც თქვენ ამტკიცებთ.

ამ დავისა და კამათის ბოლოს მოსულმა ერთმა ქამანდარმა ველარ მოითმინა და გულმოსულმა ხმამაღლა დაიძახა:

- ეს რომ ვირის კურტანია, ისევე ნამდვილია, როგორც ის არის ნამდვილი, რომ მამაჩემი კაცია და არა სხვა რამ, და ვინც წინააღმდეგს ამტკიცებს, ღვინის კასრივით მთვრალი უნდა იყოს.

- მიქარავ, როგორც ხეპრე და სულელი, - გაურისხდა დონ კიხოტი და ბევრიც აღარ უფიქრია, ისე ძლიერ მოუქნია თავის მუდამ განუშორებელი შუბი, რომ თუ ქამანდარს უკან არ დაეხია, აუცილებლად მიწაზე გაიშხლართებოდა. შუბი მიწას მოხვდა და მიიმსხვრა, ხოლო ქამანდრებმა რა ნახეს, მათ ამხანაგს ასე უდიერად ეპყრობოდნენ, სანტა ჰერმანდადის სახელით ხმამაღლა ყაყანი დაიწყეს. მეფუნდუკეც მათს მშობას ეკუთვნოდა, მსწრაფლ გაიქცა, ხმალი გამოიტანა და თავის ამხანაგების დასში ჩადგა: დონ ლუისის მსახურნი თავის ბატონს არა შორდებოდნენ, რადგან ეშინოდათ ამ ალიაქოთში არსად გაქცეოდათ. დალაქმა დრო მოიხელა, თავის კურტანს დაავლო ხელი და გაქცევას ლამობდა, მაგრამ სანჩო მაგრა ეჭიდებოდა და არ უშვებდა; დონ კიხოტმა ხმალი იშიშვლა და ქამანდართ შეუტია, კარდენიომ და დონ ფერნანდომ რაინდის მხარე დაიჭირეს; მღვდელმა ქადაგებით ფილტვები დაიწყვიტა; მეფუნდუკის ცოლი ძალზე ღრიალებდა; იმის ქალს ვაი-ვიში გაუდიოდა; მარიტორნესი კრუსუნებდა; ლუსინდას შეშინდა; დოროთეამ აღარ იცოდა რა ექნა, დონა კლარას გული შეღონდა; დალაქი სანჩოს ებლაუჭებოდა, სანჩო მას ეჭიდებოდა; დონ ლუისმა თავას მსახურს მუშტით კბილები ჩააყრევინა, იმიტომ, რომ მან გაბედა და ხელი დაუჭირა - არსად გაქცეულიყო; აუდიტორმა დონ ლუისი თავის მფარველობას ქვეშ მიიღო, დონ ფერნანდომ



ერთი ქამანარის ტანი თავის ფეხებით დაზილა, მეფუნდუკეც ხმამაღლა ყვიროდა და შველას მოითხოვდა. და, დასასრულ, მთელი ფუნდუკი დაუსრულებელ კვნესად, ყვირილად, მუქარად, ხმლის ჩხარაჩხურად, მუშტების ტყაპა-ტყუპად გადაიქცა და ერთი უშველებელი სისხლისმღვრელი ცემა, ტყეპა შეიქნა. ამ არეულობაში უცბად ერთმა ახალმა აზრმა განმეხადონ კიხოტი. მან ფიცხლად თავი აგრამანტეს ბანაკში წარმოიდგინა და ისეთი საშინელი ხმით დაიძახა, რომ ცოტას გაწყდა, ფუნდუკის კედლები არ შეირყნენ:

- შესდექით! ხმლები ქარქაშში ჩააგეთ! დამშვიდდით და ყური დამიგდეთ, თუ სიცოცხლე გიღირთ რადმე!

ამ საშინელი ღრიალით თავზარდაცემულნი ყველანი მართლა დაწყნარდნენ და მაშინ დონ კიხოტმა ამ სიტყვებით მიმართა მათ:

- აკი გითხარით, ბატონებო, რომ ეს ციხე-დარბაზი მოჯადოებულია-მეთქი და აქ ეშმაკთა ლეგიონები ბუდობენ? ამის დასამტკიცებლად მე მსურს, თქვენი საკუთარი თვალებით დაგანახოთ, თუ როგორ გადმოინერგა აქ ის მტრობა, აგრამანტეს ბანაკს რომ აღშფოთებდა. შეხედეთ: აქ მახვილის დაპყრობისათვის იბრძვიან, იქ ცხენის დასაკუთრებისათვის, ერთ მხარეს თეთრი არწივისათვის არის ომი, მეორეზე ჩაჩქნის გულისათვის, ერთი სიტყვით, ყველანი იბრძვიან და ერთმანეთისა კი არავის არა გაეგება რა. ამიტომ გთხოვთ, ბატონო აუდიტორო, და თქვენც, ბატონო მოძღვარო, მომიახლოვდეთ; ერთი თქვენგანი მეფე აგრამანტე იყოს, ხოლო მეორე მეფე სობრინო და ჩვენში ზავი ჩამოაგდეთ. ღმერთსა ვფიცავ, მეტად სამძიმოა ჩემთვის, რომ ამდენი პატიოსანი ადამიანი ერთი უბრალო რამ მიზეზით ერთმანეთს გასამუსრად არ ინდობს.

ქამანდართ დონ კიხოტის ქადაგებისა არაფერი გაეგებოდათ და დონ ფერნანდოს, კარდენიოსა და მათი ამხანაგებისაგან ძალზე დაჟეჟილები არ წყნარდებოდნენ, დალაქი კი დაწყნარდა, რადგან არეულობაში წევრიც დააგლიჯეს და კურტანიც დაუფლითეს. სანჩოც, როგორც მორჩილი მსახური, მაშინვე დაემორჩილა თავის ბატონს; დონ ლუისის მსახურნიც დაწყნარდნენ, რაკი ნახეს, რომ არაფერი გაუდიოდათ-რა; მარტო მეფუნდუკე იყო დიდ ამბავში და დაჟინებით ითხოვდა ეს გამოსულელებული დაესაჯათ, რადგან მისგან სახლი მუდამ არეულ-დარეული ჰქონდა. მაგრამ მას ყური არავინ ათხოვა და ყველანი დამშვიდდნენ: კურტანი უნაგირად დარჩა, თასი - მამბრინის ჩაჩქანად და ფუნდუკი - ციხე-დარბაზად, - რასაკვირველია, მარტო დონ კიხოტის წარმოდგენით.

აუდიტორისა და მღვდლის შემწეობით, ალიაქოთი დაწყნარდა თუ არა, მშვიდობიანობა ჩამოვარდა. დონ ლუისის მსახურთ განიზრახეს, როგორც უნდა ყოფილიყო, მაინც იმ წამსვე წაეყვანათ თავისი ბატონი, და ამ საგანზე რომ დონ ლუისი მათ ედავებოდა, აუდიტორმა დონ ფერნანდოს, კარდენიოსა და მღვდლებს გაუმჟღავნა ყმაწვილი კაცის საიდუმლო და რჩევას ჰკითხავდა, როგორ მოქცეულიყო. ერთხმად გადაწყვიტეს, დონ ფერნანდოს დონ ლუისის მსახურებისათვის თავის ვინაობა გამოეცხადებინა და ეთქვა, რომ მათ ბატონს იგი ანდალუზიაში წაიყვანდა თავის ძმასთან, მარკიზთან, რომ მას იქ საუკეთესოდ მიიღებდნენ და არა გაუჭირდებოდა-რა. ახლა კი, - დაუმატა დონ ფერნანდომ, - თქვენი ბატონი იმაზე უფრო ადვილად დაგეთანხმებათ, რომ ლუკმა-ლუკმა აკუწოთ, და მამასთან კი არ წამოგყვებათ; ეს დღესავით ნათელიაო. რაკი დონ ფერნანდოს ვინაობა გაიგეს და ისიც ცნეს, რომ გამიჯნურებული ყმაწვილი კაცი თავის სიტყვას უთუოდ გაიტანდა, მსახურთ ერთმანეთში

მოლაპარაკებით გადაწყვიტეს, სამნი უკან დაბრუნებულიყვნენ და დონ ლუისის მამისათვის ყველაფერი ეამბნათ, ხოლო მეოთხე პატარა ბატონთან მსახურად დარჩენილიყო და მასზე თვალყური დაეჭირა, ვიდრე მისი მამა რამე გადაწყვეტილებას დაადგებოდა, ან ხელმეორედ ვისმე გამოგზავნიდა იმის წასაყვანად. ამრიგად, აგრამანტეს უფლებითა და სობრინოს კეთილგონიერებით, ფუნდუკში ატეხილი ალიაქოთი სრულიად დაცხრა მაგრამ, როდესაც თანხმობასა და მშვიდობიანობის უღმობელმა მტერმა - ეშმაკმა დამარცხებულად იგრძნო თავისი თავი და, მაშასადამე, ნახა, ამდენი ხალხის ვაი-ვაგლახის ჯურღმულში ჩაყრით ვერაფერი სარგებლობა მოიხვეჭა, განიზრახა, ერთხელ კიდევ ეცადა ბედი - ახალი არეულობა და ჩხუბი აეტეხა.

როცა სანტა ჰერმანდადას ქამანდართ შეიტყვეს, თუ რა წარჩინებულ ხალხთან ჰქონდათ საქმე და იმასაც მიხვდნენ, რომ რა ბოლოც უნდა ჰქონოდა ჩხუბს, მაინც წილად ცემატყევის მეტი არა ერგებოდათ-რა, იარაღი დაყარეს. მაგრამ პატარა ხანს უკან ერთ მათგანს და სწორედ იმას, რომელიც დონ ფერნანდომ წიხლებით მაგრად დაზილა, მოაგონდა, რომ თან რაც ავაზაკების შეპყრობის შესახებ ბრძანებები ჰქონდა, იმათ შორის ერთი ბრძანებაც დონ კიხოტის შეპყრობას შეეხებოდა. სანტა ჰერმანდადა უბრძანებდა მის დატუსაღებას საკატორლო ავაზაკების გათავისუფლებისათვის (სანჩოს, როგორც ვიცით, ამისი ძალიან ეშინოდა, და ტყუილადაც როდი ეშინოდა). ეს ბრძანება რომ მოაგონდა, ქამანდარმა მოიწადინა შიგ ალწერილი ნიშნები დონ კიხოტის გარეგნობასთან და მოყვანილობასთან შეედარებინა. უბიდან დაგრაგნილი ქალადი ამოიღო, რაც ეჭირვებოდა, იპოვნა და ჩათვლით დაიწყო კითხვა, - მარდ კითხვაზე ცოტა მწყრალად იყო, - და ყველა სიტყვის ამოკითხვაზე თვალს ავლებდა დონ კიხოტს და ქალადში აღწერილ ნიშნებს რაინდის გარეგნობას ადარებდა. ამგვარად, ბოლოს ის დარწმუნდა, რომ ქალადში ნაბრძანები სწორედ დონ კიხოტის დატუსაღება იყო. გრაგნილი უბეშივე ჩაიღო, ერთ ხედში საჭირო ოქმი დაიჭირა და მერე ხელი ისე მაგრად სტაცა დონ კიხოტს ყანყრატოში, რომ სუნთქვა მთლად შეუგუბა.

- დაემორჩილეთ სანტა ჰერმანდადას! - ხმამაღლა დაიძახა ქამანდარმა; - ბეჯითად ვითხოვ დახმარებას! თუ არავის სჯერა, რომ მე ჰერმანდადას სახელით ვმოქმედებ, აი, ოქმი - ამაში შარავზის ავაზაკის დატუსაღებაა ნაბრძანები.

მღვდელმა ოქმი წაიკითხა და დარწმუნდა, რომ ქამანდარი მართალს ამბობდა: ოქმში მოხსენებული ნიშნები სწორედ დონ კიხოტზე უთითებდნენ. დონ კიხოტი გაბრაზდა ვიღაც უმაქნისი ქამანდრის უშვერ სიტყვებსა და მოპყრობაზე, ორივე ხელი სტაცა ყელში და თუ ამხანაგები არ მიშველებოდნენ გაშმაგებული რაინდის ბრჭყალებიდან ცოცხალი ვედარ დაიხსნიდა თავს. მეფუნდუკე, რაკი თავის თანამოდასეთა შველას ვალდებული იყო, სანტა ჰერმანდადას ქამანდართ მიემხრო. მეფუნდუკის ცოლმა ქმრის ჩხუბში ხელახლად ჩარევის გამო ერთი უშველებელი ყვირილი მორთო და ამით თავის ქალი და მარიტორნესი დააფეთიანა. ყვირილზე ესენიც მიცვივდნენ და ახლა სამმა ერთად გაახშირა წივილ-კივილი, - და ხან ზენას ემუდარებოდნენ შეწევას და ხან სტუმრებს ეხვეწებოდნენ შველას.

ხოლო სანჩო ამბობდა:

- ო, ღმერთო ჩემო, ყველაფერი მართალია, რასაც ჩემი ბატონი ამ ციხე-დარბაზში მომხდარ ჯადოქრობაზე გაიძახის, აქ ერთი საათიც კი არ შეიძლება მოისვენოს კაცმა!

დონ ფერნანდომ დონ კიხოტს ქამანდარი ხელიდან გამოსტაცა და გააშველა ისინი; ეს გაშველება, რაღა თქმა უნდა, ორივეს იამა, რადგან, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ერთს კლანჭები ყელში ჩაეყარა, მეორეს - ყანყრატოში. ქამანდრები მაინც დაჟინებით ითხოვდნენ, ბოროტმოქმედი ავაზაკი დონ კიხოტი ხელფეხებოჭილი ჩაებარებინათ მათთვის, როგორც ამას მეფისა და სანტა ჰერმანდადისადმი სამსახური მოითხოვდა ამის გამგონე დონ კიხოტი მხოლოდ მძულვარებით იცინოდა და დიდი სიამაყით მარტო ახლა უპასუხა:

- აბა ერთი გაბედეთ და ახლო მოდით, თქვე გაუნათლებლო მატანტალანო, სულმდაბალო კაცუნებო! მომიახლოვდით მეთქი, თუ შეგიძლიათ! ხუნდმეყრილების გათავისუფლება, ტუსალების გაშვება, დაცემულთა წამოყენება, გაჭირვებულთა ხელთაპყრობა, მწუხართა ნუგეშისცემა, - ამას ემახით გალობას, მმარცველობას და შარაგზის ავაზაკობას? ჰოი, უმაქნისნო! საძულველნო, გონებაჩლუნგობით უღირსნო, რომ ზეცამ მოგზაურ რაინდობაში პყრობილი საგანძურის კარი გაგიღოთ. თქვენ მხოლოდ ძალით უნდა გაგაგებინოთ კაცნმა თქვენი დანაშაულის დიადობა, გაუგებრობით რომ ჩადიხართ, და არ იცით, თუ რა დიდი პატივი უნდა სცეთ, როდესაც არა თუ თვითონ მოგზაური რაინდი, არამედ მხოლოდ მისი აჩრდილი გიდგათ წინ. მომიახლოვდით-მეთქი, უმეცარნო, თავხედნო, ბრიყვნო და არა მართლმსაჯულების მსახურნო; მომიახლოვდით, სანტა ჰერმანდადის სახელით მგზავრების მმარცველნო, და მითხარით მაგ ოქმზე ხელისმოწერა რომელმა ბრიყვმა გაბედა ისეთის რაინდის დასატუსაღებლად, რიგორიც მე ვარ? რომელი იყო, არ იცოდა, რომ რაინდობისათვის არავითარი სამსჯავრო არ არსებობს და არავითარი კანონი არ დაწერილა; რომ მათი სამსჯავრო და კანონი მათი საკუთარი მახვილია, მათი წესი და რიგი მათი საკუთარი ღვაწლია და გარდა საკუთარი ნებისა მათ სხვა დებულება არა აქვთ! რომელი ყეყეჩი იყო, არ იცოდა, რომ არავითარი აზნაურობის სიგელი არ აძლევს კაცს იმდენ უპირატესობას, არავითარი ხარისხი - ისეთს წარჩინებულებას, როგორიც რაინდს იმ დღეს ეძლევა, რა დღესაც მას რაინდად დალოცავენ და რა დღესაც ის სარაინდო დასში თავის მძიმე სამსახურს იწყებს! რომელი რაინდი იხდის როდისმე ხარკს, ან მარილის გადასახადს, ან ღვინის ბაჟს, ან მეფის საჩექმეს, ან მამულის საურავს, ან რომელიმე ჯარიმას, ან საქონლის ბაჟს, ან გზის ბეგარას, ანუ ფოსტის ფულს და წყლის გადასახადს? რომელ თერძს უკითხავს როდისმე რაინდისთვის მისი ტანისამოსის თარგი როგორია ან რა საფასურს გაიღებს მის შესაკერად? რომელი ციხე-დარბაზის მოურავს უთხოვია როდისმე მისთვის ღამის გასათევი ქირა? რომელი მეფე ყოფილა, რომ სუფრაზე თავის გვერდით არ დაუსვავს იგი? რომელ კეთილშობილ ქალწულს არ შეეყვებია იგი და მონური მორჩილებით ყველა თავასი საუნჯენი უძღვნია მისთვის? დასასრულ, რომელი მოგზაური რაინდი უნახავს ვინმეს, ანუ ახლა ხედავს სადმე, ან კვლავ ნახავს როდისმე, რომ ოთხასი ჯოხის მირტყმა მის წინააღმდეგ გაკადნიერებული ოთხასი ქამანდრისათვის?

თავი XLVI

ქამანდართა ღირსშესანიშნავი ფათერაკები და ჩვენი კეთილშობილი რაინდის დონ კიხოტის საშინელი მრისხანება

მანამ დონ კიხოტი ლაპარაკობდა, მღვდელი ქამანდართ არწმუნებდა, რომ რაინდი თავს ჭკუაზე არ იყო (ქანდარანი თვითონაც კი მიხვდნენ ამას დონ კიხოტის ლაპარაკისა და მოქმედებებიდან), ამიტომ ესონი ვალდებულნი როდი იყვნენ სანტა ჰერმანდადას ბრძანება

უთუოდ აესრულებინათ და დონ კანტი შეეპყროთ, რადგან სულ ერთი იყო, ნახავდნენ თუ არა, რომ რაინდი სრულ ჭკუაზე არ იყო, მაშინვე გაათავისუფლებდნენ, მაგრამ, ვისაც ბრძანება ჰქონდა, იმ ქამანდარმა უპასუხა რა ჩემი საქმეა, სრულ ჭკუაზეა, თუ არა დონ კიხოტო, ჩემი მოვალეობა მხოლოდ ის არის, მთავრობის ბრძანება ბეჯითად ავასრულო, მე დაგიჭერ და მერე თუნდა სამასჯერ გაათავისუფლონო.

- ამას კი გეტყვი განაგრძო მღვდელმა, - თუ მართლა არ დაიშლით ამის დაჭერას, ძალიან ვეჭვობ დაგნებდეთ.

ბოლოს, როგორც იყო, მღვდელმა თავის საბუთებით, ხოლო დონ კიხოტმა თავისი დამთხვეული ქცევით, ქამანდარნი დაარწმუნა, რომ დონ კიხოტზე მეტ სისულელეს ჩაიდენდნენ, თუ ვერ შეიგნებდნენ, რა შვილიც იყო რაინი. ქამანდარნი დაწყნარდნენ და თითქოს შუამავლობაც გასწიეს. ჯერ ისევ მოჩხუბარ სანჩოს და დალაქის შერიგებაზე, თუმცა კი სრულიად ვერ შეარიგეს ისინი, ერთმანეთის დათმობა მაინც აკისრებინეს. მოჩხუბარნი კურტნების გაცვლას დასჯერდნენ, კურტნის სამკაული კი თავთავისი დაიტოვეს. მამბრინის ჩაჩქანში კი მღვდელმა, დონ კიხოტის გაუგებლად, რვა რეალი მისცა პატრონს. დალაქმა იმ ჩაჩქანის დავაზე უარი თქვა, როგორც თავისად, ისე საშვილიშვილოდ და ხელწერილი მისცა მღვდელს, ამაზე არსად აღარ ეჩივლა, არც აწ, და არც - მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ამ ორ დიდ სადავო საქმეს რომ მორჩნენ (მართლა რომ დიდი საქმე იყო), ახლა ისღა დარჩათ, დონ ლუისის მსახურნი დაეთანხმებინათ - სამი მათგანი შინ დაბრუნებულიყო, ხოლო მეოთხე კი თავის ბატონს გაჰყოლოდა, სადაც დონ ფერნანდოს მიჰყავდა იგი. მიჯნურთა და მამაცთ ბედმა გაუღიმა და ისე სწრაფად დააბოლოვა საქმე, რომ არც კი მიელოდნენ. დონ ლუისის მსახურთ სრული თანხმობა გამოაცხადეს წინადადებაზე და ამან ისე ასიამოვნა კლარა, რომ მის სახეს აღტაცებული სიხარული აშკარად გამოეხატა. ზორაიდას ამ ამბის არა ეყურებოდა-რა, მხოლოდ სხვის სიხარულსა და ურვას ჰყვებოდა; რაც სხვას ეტყობოდა სახეზე - სიხარული იყო, თუ მწუხარება - მასაც უხაროდა და სწუხდა. მისი შინაგანი მდგომარეობა უმეტეს ყოვლისა ტყვედნამყოფი კაპიტნის სახის გამომეტყველებას ეთანხმებოდა, იმას არ აშორებდა თვალს, თითქოს სული მის სულში ჰქონდა გართხმული. ამასობაში მეფუნდუკემ დაინახა თუ არა - მღვდელი დალაქს ფულს აძლევსო, მაშინვე დონ კიხოტს დამის გასათევი ფული მითხოვა. აგრეთვე მითხოვა საჭმლისა, დაღვრილი ღვინისა და დაჭრილი ტიკების საფასურიც, და თან ფიცავდა, თუ ყველაფერში პირნათლად არ გაუსწორდებოდა, არც მას დაანებებდა როსინანტს და არც სანჩოს თავის ვირს. ბედზე ეს საქმეც გაჩარხა მღვდელმა: დონ ფერნანდო გაუსწორდა მეფუნდუკეს, თუმცა აუდიტორიც მზად იყო ეს გადასახადი ეკისრა. ბოლოს, როგორც იყო, ფუნდუკში სრული მშვიდობიანობა და მყუდროება ჩამოვარდა, ისე რომ იგი აღარ გავდა, დონ კიხოტმა რომ მიამსგავსა, მტრობით აღშფოთებულ აგრამანტეს ბანაკს, არამედ ადამიანს იმ სრულ მშვიდობიანობას მოაგონებდა, ოქტავიანეს დროს რომ სუფევდა რომის იმპერიაში, და ამის მადლობა, როგორც ერთბაშად ამტკიცებდნენ, მღვდლის მაღალ მჭევრმეტყველებასა და დონ ფერნანდოს სიუხვეს ეკუთვნოდა.

დონ კიხოტმა, რაკი თავისი და თავის საჭურველმტვირთველის მიზეზით ატეხილ ჩხუბსა და აყალმაყალს, როგორც იყო, მორჩა, იფიქრა ახლა კი დრო იყო გზას გასდგომოდა, ის განზრახვა ჩქარა დაებოლოებინა, რის აღსრულებაც საკუთრად მისი დანიშნულება იყო. ჯერ დოროთეასთან მივიდა და მუხლი მოუდრიკა, მაგრამ ის არ მოეშვა, მანამ ფეხზე არ ააყენა.

ასრულა თუ არა დედოფლის სურვილი და ფეხზე წამოდგა, დონ კიხოტმა შემდეგი სიტყვები მიმართა მას:

- მშვენიერო დედოფალო! ანდაზაა - სისწრაფე უცილობლად დედაა გამარჯვებისაო. დიდ საქმეებში მრავალგვარმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ საეჭვო რამ საქმეში კაცს მხოლოდ სწრაფი მოქმედებით ეძლევა გამარჯვება. ესეც ხდება, ვთქვა, რომ ეს ჭეშმარიტება ისე ბრწყინვალედ არსად გამომჟღავნებულა, როგორც სამხედრო საქმეში, გამბედაობითა და სისწრაფით, რომ მტრის განზრახვას დავასწრებთ, ჩვენ ამით მალე ვიმარჯვებთ ხოლმე, ვიდრე ის ჩვენს მოგერიებას მოასწრებს. გვირგვინოსანო და უკეთილშობილესო ბანოვანო ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩემის ფიქრით ჩვენთვის საჭირო აღარ არის კიდევლა დავყოვნდეთ ამ ციხე-დარბაზში: მცირედი რამ დაყოვნებაც კი საზიანო იქნება ჩვენთვის და ოდესმე შეიძლება გვეგონოს კიდევ, ვინ იცის? ეგებ დევს თავისი შიკრიკებისაგან გაგებულნიც აქვს, რომ მე მისი დმარცხება მწადია, და ჩვენ რომ აქ ვიგვიანებთ და ხანს გაძლევთ მას, ვაითუ ამ ხანში რომელიმე მიუვალ ციხეში გამაგრდეს და ჩემთა დაუღალავ მკლავთა ძალამ ველარაფერი ზიანი მიაყენოს მას. მაშ, სწრაფი გამგზავრებით მტრის განზრახვას წინ წავუბრუნოთ, ნურც ერთ წამს ნულარ დავკარგავთ, ახლავე გავემგზავროთ, და მერწმუნეთ, რა წამსაც პირისპირ გვხვდები თქვენ მტერს, იმ წამს მიიღებთ ყოველივეს, რაიცა გასურთ.

დონ კიხოტი გაჩუმდა, მეტი სიტყვა აღარ წარმოუთქვამს და მშვიდად ელოდა მშვენიერი ინფანტას პასუხს.

დოროთეამ მედიდური სახე მიიღო და დონ კიხოტის კილოს მსგავსებით უპასუხა:

- გმადლობთ, ბატონო რაინდო, თქვენი წრფელი სურვილისათვის, რომ ჩემი დიდი მწუხარების შეცვლა გწადიათ. სწორედ აგრე ჰხამს მოიქცეს ნამდვილი რაინდი, ქვეყანაზე ობოლთა მწედ და დევნილთა მაშველად წარმოგზავნილი. კეთილ ინებოს ზენამ, რათა ჩვენი სართო სურვილები აღსრულებულიყოს, - და მაშინ გაიგება, არიან თუ არა ქვეყანაზე მადლიერი მანდილოსნები. თქვენი სურვილის მორჩილი მზად ვარ ეს ციხე-დარბაზი ამ წამსვე დაუტევეო, რადგან თქვენი ნების გარეშე მე სხვა ნება არა მაქვს. მიბრძანეთ, რაც გასურთ: იმ ქალს, რომელმაც გადაწყვიტა თქვენს მარჯვენას მიანდოს თავისი ბედი და თქვენს საფარველს - ფეხით გათელილი თავისი ტახტის უფლება, არ ძალუძს წინ აღუდგეს, რასაც თქვენი სიბრძნე და გონიერება უბრძანებს.

- დიდ არს უფალი! - შეჰყვირა დონ კიხოტმა, - როცა ჩვენ თვალწინ ამხოზენ და შეურაუცხოფენ ასეთ დედოფალს, ამის ნებას არავის მივცემ. ამტომ დაუყოვნებლივ უნდა აღვადგინო მისი მიმა-პაპის ტახტი და ზედ დავსვა იგი. მაშ ამწამს წავიდეთ, რაკი მოუთმენლად მწყურია შორს ქვეყანას ჩქარა წავიდე, ვფიქრობ საშიში ახლა მხოლოდ დაყოვნებაა და რადგან ჯერ ზენას არ შეუქნია და ჯოჯოხეთსაც არჩამოუნთხევია ისეთი რამ, მე შგმამრწუნოს, ამიტომ, სანჩო, საჩქაროდ დააუნაგირე როსინანტი, შენს ვირსაც ლაგამი ამოსდე, და ბანოვანის ბედაურიც შეკაზმე, ციხე-დარბაზის მოურავს და ამ ბატონებს გამოვეთხოვოთ და აქედან პირდაპირ გზას გავუდგეთ ჩვენი მიზნისაკენ.

ყველა ამ ამბის მაცქერალმა სანჩომ მხოლოდ თავის ქნევით უპასუხა:

- ეჰ, ბატონო, ბატონო! საწყენად კი ნურავინ მიიღებს და მანდილოსნებთანაც ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ამას მოგახსენებთ: ისეთი უბედურება მოხდა ამ ჩვენს სოფელში, როგორიც ჯერ სიზმრადაც არ მოგვლანდებია და ლექსადაც არავის გამოუთქვამს.

- შე ჩერჩეტო! - შეუტია დონ კიხოტმა, - მთელი ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებში, სადაც კი ჩემს დიდებას მიუღწევია, განა რამე უბედურება შეიძლება მომხდარიყოს, ან ჩემს საზარალოდ ლექსები შეეთხზათ?

- თუ გაჯავრებას ინებებთ, ბატონო, - მიუგო სანჩომ, - დავდუმდები და რაც სიმართლე მინდოდა შემეტყობინებინა, როგორც ბატონის ერთგულ მსახურს აღარ შეგატყობინებთ.

- თქვი, რაც სათქმელი გაქვს, - უთხრა დონ კიხოტმა, - ოღონდ ნუ იფიქრებ, რომ შენი ნათქვამით შემაშინო, და თუ თვითონ შენ გეშინია, მაშ როგორც მოგიხერხებოდეს ისე ჰქენ. ხოლო მე ქვეყანაზე არაფრის მოშიშარი, იმას ვიზამ, რაც უფრო მომიხდება.

არა საქმე ამაში როდია, რასაც ბრძანებთ, ასეთი რამის თქმა სულაც არ მინდა, - უპასუხა სანჩომ. - მე ის მინდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ ეს ქალბატონი, დიდი მიკომიკონის სამეფოს დედოფლად რომ ასაღებს თავს, ისეთივე დედოფალია, როგორც დედაჩემია დედოფალი; მე ეს დანამდვილებით ვიცი. ეს რომ მართლა დედოფალი იყოს, იმას როდილა იქმდა, რომ თვალს მოაშორებენ თუ არა, აქა-იქ, კუთხეებში დაძვრება, რათა ერთ აქ მყოფ ვაჟბატონს ეხუნტრუცოს.

ამ სიტყვებზე დოროთეას სახეზე ალმური აედინა. მართლაც იგი თავის ქმარს დონ ფერნანდოს არაერთხელ მოხვევია და უკოცნია კიდეც, დონ ფერნანდო ცდილობდა ეს არავის დაენახა (სანჩომ შენიშნა ეს, დედოფლის ასეთი მოურიდებლობა ვიღაც უცნობ ვაჟბატონთან საეჭვოდ ეჩვენა: მისი აზრით ასეთი ქცევა მხოლოდ დიდი დედოფლის სეფექალს თუ შეჰფეროდა თორემ თვითონ დიდი ქვეყნის დედოფალს კი არასოდეს). დოროთეა მთლად დაიბნა, არ იცოდა რა ეთქვა და ისევ სანჩოს მიაჩნება სიტყვის განგრძობა:

- ამას იმიტომ მოგახსენებთ, ჩემო ბატონო, - განაგრძო სანჩომ, - რომ მეშინია, ვაითუ იმოდენა გზა განვვლოთ, მრავალი ცუდი ღამეები და უარესი დღეები გამოვიაროთ, და ბოლოს მე და თქვენც გაცრუებულეები დავრჩეთ და იმის მეტი არა შეგვრჩეს რა რომ ვუცქიროთ, თუ ეს ფუნდუკებში დედოფლების მოარშიყე ვაჟბატონი როგორ დაიწყებს ჩვენი შრომის ნაყოფის მირთმევას, და თანაც პირში ნერწყვი მოგვდიოდეს. თუ ასე იქნება, მაშ რაღა საჭიროა დავიშუროთ როსინანტის დაბუნაგება, ვირისათვის ლაგმის ამოდება და ბედაურის შეკაზმვა? ის არა სჯობია, ჩვენთვის განზე ვიყოთ? დაე, ანდაზისა არ იყოს, ყველა მანდილოსანმა თავის თითისტარს მოუაროს და ჩვენ კი სადილი მივირთვათ.

ღვთისმშობელო დედავ! განა აიწერება ის რისხვა რა რისხვითაც დონ კიხოტი თავის საჭურველმტვირთველის ამ კადნიერს სიტყვებზე აინთო?! ყელში მოწოლილმა ბოლმამ სუნთქვა გაუძნელა, ბრაზისაგან ანთებული თვალებიდან თითქოს ნაპერწკლებსა ჰყრიდა, ენა ძლივსღა მოუბრუნდა და ამ საშინელი სახით მედგრად დაუჭყვივლა სანჩოს:

- ო, შე სულმდაბალო არამზადავ, უხამსო, გაუზრდელო, უმეცარო, ბლუ, ავყია, უსირცხვილო ცილისმწამებელო და ჭორისგუდავ! ჩემს წინ და ამ წარჩინებულ სეფექალებისა და დიდებულ სენიორების წინაშე მაგ სიტყვების თქმა როგორ გაბედე? შენმა სულელურმა გონებამ როგორ შთაგაგონა ასეთი უშვერი, ურცხვი და უწმაწური აზრები? თვალთაგან გამეცალე, შე მახეზდარო, ცრუპენტელავ, ტყუილების ზახდუხჩავ, თაღლითობის საკუჭნაო, მზაკვრობის საბუდარო, უმაქნისო მოლაყბევ! რომ არ გესმის, თუ რაოდენ ვალდებულნი ვართ გვირგვინოსან გვამთ პატივი ვსცეთ! თვალთაგან მომშორდი, თუ არ გინდა ჩემი რისხვა გამოსცადო.

ეს რომ თქვა დონ კიხოტმა, წარბები მოღუშა, ლოყები გაიბერა, აღმაცერად დაუბღვირა, ფეხები დაუბრაგუნა, ერთი სიტყვით, საშინელი რისხვა გამოიხატა სახეზე და მკაცრი სიტყვებით, და ქცევით საბრალო სანჩო პანსას ისე გაუხეთქა გული, რომ ის მთლად ცახცახს მოჰყვა და ნატრობდა - დედამიწა გამსკდარიყო და შიგ ჩაეტანა. მსწრაფლ გამოტრიალდა და თავის გამძვინვარებულს ბატონს თვალთაგან მიეფარა. მაგრამ ამ დროს გონიერმა დოროთეამ, რომელიც კარგად იცნობდა დონ კიხოტის ხასიათს, მისი დამშვიდება განიზრახა და ასე უთხრა:

- ნუ სწყრებით, ბატონო მწუხარე სახის რაინდო! ყურადღებას ნუ აპყრობთ თქვენი საჭურველმტვირთველის კადნიერ სიტყვებს. ვინ იცის, იქნებ ყველაფერშიც არ იყოს მტყუანი, ამიტომ მაგის ქრისტიანულ სინდისს ჩემი ვინაობის წინააღმდეგ ცრუმოწმობას ნუ შევწამებთ. სრულიად უეჭველად უნდა ვირწმუნოთ, რომ ამ ციხე-დარბაზში, როგორც თვითონ თქვენც ამტკიცებთ, ყველაფერი მოხიბლულია, მამ თქვენ საჭურველმტვირთველსაც, ადვილი საფიქრებელია, ეშმაკებით ოინების გავლენით ჩემი პიროვნებისათვის სამრახისი რამ საქციელი მოლანდებოდეს.

- ყოვლადშემძლებელს ღმერთსა ვფიცავ, მარილსა ბრძანებთ, - შესძახა დონ კიხოტმა, - ეგ ცოდვილი, უეჭველია, რაიმე ცუდმა მოლანდებამ შეაცდინა და ისეთი რამ მოაჩვენა, რაც თუ არ მოხიბვლის შემწეობით, სხვაფერ არ შეეძლო ენახა: სწორედ ეს უნდა იყოს, რადგან მაგ საბრალო კაცის გულკეთილობა და უბიწობა ვიცი და არ შემიძლია იმის ეჭვი ვიქონიო, რომ მაგას ვისიმე ცილისწამების სურვილი მოუვიდოდეს.

- სწორედ ეგრე ყოფილა და ეგრეც იქნება, - დაიძახა დონ ფერნანდომ. - ამიტომაც, ბატონო რაინდო თქვენს საჭურველმტვირთველს უნდა მიუტევოთ და დაიბრუნოთ იგი თქვენი წყალობის წიაღთა შინა სიცუტ ერატ ინ პრინციპიო; ვიდრე შეჩვენებულ მოჩვენებებს მთლად არ გაუგოებია ეგ საბრალო.

დონ კიხოტი სანჩოს მიტევებაზე დათანხმდა, მღვდელმაც დანაშაულზე თავდადებული საჭურველმტვირთველი მიიყვანა, თავის ბატონის წინ დააჩოქა და ხელზე აამბორებინა. დონ კიხოტმა დალოცა სანჩო და უთხრა:

- ახლა კი, მგონია, შვილო სანჩო, შეგიძლია დარწმუნდე, რომ ამ ციხე-დარბაზში ყველაფერი ჯადოქრობის საშუალებით წარმოებს, როგორც შენთვის მე ეს მრავალჯერ მითქვამს.

- მჯერა, ბატონო, - უპასუხა სანჩომ, - მჯერა, რომ აქ ყველაფერი ჯადოქრობის საშუალებით წარმოებს; მხოლოდ საბნით რომ ამბავი მოხდა, ის კი ნამდვილი იყო.

- ნურც მაგას ერწმუნები, - უთხრა დონ კიხოტმა; - ეგ რომ ნამდვილად მომხდარიყო, არც მაშინ გამიჭირდებოდა და ახლაც მოვახერხებდი მაგიერის გადახდას. მაგრამ ვერც მაშინ ვხედავდი და არც ვიცოდი და ვერც ახლა ვხედავ და არც ვიცი, ვის უნდა გადავუხადო მაგიერი.

სტუმრებმა შეტყობა მოისურვეს, თუ რა ამბავი მოხდა საბნით, და მეფუნდუკემაც დაწვრილებით უამბო საბანზე სანჩო პანსას ჰაერში ალაყ-მალაყის თამაში; ყველამ ბევრი იცინა ამაზე, მარტო სანჩო აპირებდა გაჯავრებას, მაგრამ დონ კიხოტმა დაამშვიდა იგი და ხელმეორე დაარწმუნა, რომ საბნით მომხდარი ამბავი სწორედ ეშმაკთა გრძნეულების მიზეზით იყო მომხდარი. სანჩო მაინც იმ სიმარტივემდის თავის დღეში არ მისულა, რომ საბნის ამბავი მასაც

გრძნეულებად ეცნო. მუდამ მტკიცედ სჯეროდა ის, რომ საბნით მან ძვალხორცშესხმული ხალხი ისროდა მაღლა და არა მოჩვენებანი, როგორც დონ კიხოტი არწმუნებდა.

ორი დღე-ღამე ცხოვრობდა ეს ბრწყინვალე საზოგადოება ჩვენს ნაცნობ ფუნდუკში, და რადგან გადაწყვიტეს, რომ ახლა უკვე გამგზავრების დრო იყო, ამიტომ ყველა იმაზე ფიქრობდა, თუ რა ხერხი მოეგონათ, რომ დონ ფერნანდოსა და დოროთეასათვის დონ კიხოტის სოფლამდის გაცილება თავიდან აეცდინათ. სადაც რაინდს ვითომ მიკომიკონის სამეფოში კანონიერი დედოფალი მამა-პაპის ტახტზე უნდა აეყვანა და ამით დაებოლოებია თავისი მოგზაურობა. მღვდელსა და დალაქს უნდოდათ მხოლოდ დონ კიხოტის გაყოლა; მათ იმედი ჰქონდათ შინ რაინდის მოსარჩენ რაიმე საშუალებას იპოვნიდნენ. დონ კიხოტის წაყვანა ერთმა გლეხმა იკისრა ფასით; ეს გლეხიც შემთხვევით ამ ფუნდუკში იყო მოსული თავის ხარ-ურმით, სადაც რაინდი და ჩვენი ნაცნობი საზოგადოება იმყოფებოდა. დონ კიხოტს ხის გალიის მსგავსი რაღაც გაუმართეს, სადაც თავისუფლად შეეძლო დაბინავებულიყო, და როდესაც ყველაფერი მოამზადეს, მღვდლის, დონ ფერნანდოს და მისი ამხანაგების დარიგებით, ტანისამოსგამოცვლილი ქამანდარნი და დონ ლუისის მსახურნი, ნიღაბჩამოფარებულნი, რომ რაინდს არ ეცნო და სულ სხვა ხალხი ჰგონებოდა, შევიდნენ იმ ოთახში, სადაც განცდილ მღელვარებათა შემდეგ სასიხარულო იმედებით აღსავსე დონ კიხოტი განისვენებდა.

საბრალო რაინდის ლოგინთან მივიდნენ, ტკბილად მძინარეს ყველამ ერთად სტაცა ხელი და ისე მაგრა შეუკრეს ხელ-ფეხი, რომ, როცა გამოეღვიძა, ერთი ასოს დაძვრაც აღარ შეეძლო; მხოლოდ გაცეცხული იყო, რომ თავის თავს რაღაც უცნაური მოჩვენებებით გარშემორტყემულზე ხედავდა. შერყეული გონების მეოხებით, მუდამ ჯადოქრობა ელანდებოდა, იმ წამსვე წარმოიდგინა, და თუ არ წარმოიდგენდა, სავსებით დარწმუნდა, რომ მას ამ მისთვის დაუვიწყარ ციხე-დარბაზის მოჩვენებანი ეხვეოდნენ გარს და თვითონ ისიც უეჭველად მოჯადოებული იყო, რომ ვეღარც განძრევა შეეძლო და ვეღარც მტრის მოგერიება; ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც ამ მოხერხებული ოინის უმთავრესი მიზეზი, მღვდელი ფიქრობდა. ყველა იქ მყოფთ შორის ამ ამბავს გულგრილად და სახეშეუცვლელად მარტო სანჩო უცქეროდა, თუმცა შორს არც ის იყო, დონ კიხოტს კოჭლობაში აპყლოდა, მაგრამ მიხვდა, ის უცნაური მოჩვენებანი ვინც იყვნენ; ენის დაძვრას მაინც ვერ ბედავდა, ვიდრე არ გაიგებდა მის ბატონზე ასეთი მოულოდნელი თავდასხმა რით გათავდებოდა. აგრეთვე დონ კიხოტსაც წაერთვა ლაპარაკის ხალისი და თავისი საჭურველმტვირთველივით მოლოდინში იყო, რა ბოლო ექნებოდა ამ უეცარს მის უბედურებას. ყველა ამის ბოლო ის იყო, რომ ნიღაბოს ნებმა ხელფეხშეკრული რაინდი მის საწოლს ახლო დადგმულ გალიაში გადაიტანეს და ფიცრები ისე მაგრა დალურსმეს, რომ ორჯერ მაგრად დაბლაუჭებითაც არ შეიძლებოდა მათი გაგლეჯა.

შემდეგ მოჩვენებებმა გალია მხარზე შეიდგენ და, ოთახიდან რომ გამოჰქონდათ, ამ დროს უკანიდან საზარელი ხმა მოისმა, იმდენად საზარელი, რამდენადაც კი შეეძლო საზარელობა მიეცა თავის ხმისათვის დალაქს, - იმას კი არა, კურტანზე რომ ჩხუბი ატეხა, - მეორეს, ახლა რომ მოჯადოებულ რაინდს უკან მოსძახოდა:

- ოი, მწუხარე სახის რაინდო! სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი, რომ დაგატყვევეს და მაგ საპატიმროში შეპყრობილი მიჰყევხარო. შენი შეპყრობა აუცილებელი იყო, რათა უფრო ჩქარა დაგებოლოებია იგი საქმე, რა საქმეც შენმა დიადმა და ვაჟკაცურმა გულმა ჩაგაგონა და რაც აღსრულდება მაშინ, როდესაც ლამანჩის მრისხანე ლომი და ტობოსოს თეთრი გვრიტი ერთ



ბუდეში დაიბუდებენ და თავის დიდშვინიერ ქედს ქორწინების ტკბილ-მსუბუქ უღელქვეშ მოიხრიან. ამ შესანიშნავი კავშირისაგან ქვეყნის გასაოცრად მძლავრი ლომის ბოკვრები წარმოიშობიან მამაცი მამისებრ მმუსრავბრჭყალებიანი და ეს ყოველივე იმაზე ადრე უნდა მოხდეს, ვიდრე მიმსრბოლი ნიმფას მდევენელი ღვთაება თავის სწრაფმფრინავი სრბოლის ჟამს ორჯერ არ ესტუმრება ზეცის მოციალე ნიშნებს. და შენც ყოველთა წელხმალშემორტყმულთა, ნიკაპწვერშემოსილთა და ცხვირყნოსვისმქონეთა საჭურველმტვირთველთაგან უერთგულესო, უპატიოსნესო და უკეთილშობილესო საჭურველმტვირთველო, ნუ შეძრწუნდები და ნუ შეკრთები იმის მნახველი, თუ როგორ თვალდათვალ გტაცებენ მოგზაურ რაინდთა თვალისჩინს, რადგან ძლიერ მალე, თუ შემოქმედის ნება იქნება, მოიპოვებ ისეთს მაღალსა და საპატიო მდგომარეობას, რომ ვეღარც კი იცნო შენი თავი; და მაშინ აღსრულდებიან შენი დიდსულოვანი და კეთილი ბატონის ყოველივე დაპირებანი. ბრძენ ქალბატონ მენტრონიანს გაძლევ თავდებად, რომ სრული ჯამაგირი მოგეცემა. ამას შენ თვითონ ჩქარა საქმით დაინახავ. მამ მიჰყევ მამაცი და მოჯადოებული რაინდის, შენი ბატონის გზაკვალს, იმიტომ რომ შენი დანიშნულებაა იმ ადგილამდის ეახლო მას, სადაც ორივე ერთად განისვენებთ. ნება არა მაქვს ამაზე მეტი გითხრა რამე, და ახლა, მოუწოდებ რა თქვენზე ზეციურს ლოცვა-კურთხევას, იქ დავბრუნდები, სადაც ჩემთვის ჯერ არს.

თავის წინასწარმეტყველების ბოლო უხილავმა წინასწარმეტყველმა ჯერ მაღალი კნავანა ხმით წარმოთქვა, შემდეგ ისე ნელ-ნელა დაუშვა დაბლა უნაზესი ნოტებით, რომ ვინც ეს ხუმრობა იცოდა, ისინიც კინადამ არ მოტყუვდნენ ამ ოინით.

ამ წინასწარმეტყველებამ დონ კიხოტს ნუგეში სცა და დაამშვიდა, რადგან მისთვის სავსებით ნათელი იყო ამ წინასწარმეტყველების აზრი. მან გულისხმა ჰყო, რომ ამ დაპირებით აღეთქვა საღვთო და კანონიერი ქორწინებით შეუღლება გულისერად დუღსინეა ტობოსელთან, რომლის კურთხეული წიაღიდან ლამანჩის სამარადისო სადიდებლად დაიბადებოდნენ დომ კიხოტის შვილები - ლომის ბოკვრები. რაინდმა მტკიცედ ირწმუნა უხილავი წინასწარმეტყველის სიტყვები, ერთი მაგრა ამოიოხრა და დაიძახა:

- ჰოი, შენ, ვინც გინდ იყო, ეგოდენი ბედნიერება რომ მიწინასწარმეტყველე, გვედრები, ჩემს მაგიერ თხოვე ჩემს მფარველს ბრძენ მისანს, ნუ ინებებს ამ საპრობილეში ჩემს დაღუპვას, ვიდრე შენი სასიხარულო აღთქმანი არ აღსრულდებიან, და თუ ბედმა მათი აღსრულება ინება, მაშინ მე ამ პატიმრობაში განცდილ სიდუხჭირეს და უბედურებას, ზეციურ ნეტარებად ჩავითვლი, ამ ხუნდებს ნუგეშად და სიტკბოებად ვიგრძნობ და ეს ფიცრის ბუნაგი, ახლა რომ შიგ მსვამენ, მძაფრ ბრძოლის ველად კი არა, არამედ გრძნობას აღმტაც საქორწინო რბილ სარეცლად მომეჩვენება, ხოლო ჩემს კეთილ საჭურველმტვირთველ სანო პანსაზე, ამ პატიმრობაში ჩემს ნუგეშისმცემელზე, იმას ვიტყვი, რომ სრულებით იმაზედა ვარ დანდობილი, მისი კეთილი, პატიოსანი ზნე მარწმუნებს, რომ იგი არც ლხინში და არც უბედურებაში არ მიმატოვებს და თუ ჩემმა ან მისმა ვარსკვლავმა დიდი ხნიდან აღთქმული კუნძულის, ანუ სხვისა რისამე მისი მსგავსის ბოძების ნება არ მომცა, მაშინ ჯამაგირი ხომ მაინც არ დაეკარგება. ჩემს ანდერძში მოვიხსენებ, რომ იმდენი ჯამაგირი არ მიძლევია მისთვის, რამდენიც მისი ერთგული სამსახური და მრავალგვარი ჩემი სიამოვნება ღირებულა, არამედ იმდენი მიძლევია, რამდენიც ჩემი სიღარიბით შემძლება.

ამ უკანასკნელ სიტყვებზე სანჩომ დონ კიხოტს დაბლა დაუკრა თავი და ორივე ხელზე აკოცა (ესეც კია, რომ ერთ ხელზე კოცნა გასაჭირი იყო რადგან ორივე ხელი ერთად ჰქონდა თოკით შეტყუებული).

ამის შემდეგ მოჩვენებებმა გალია მხარზე შეიდგეს და ხარებშებმულ ურემზე დასადებად გაიტანეს.

თავი XLVII

სადაც მოთხრობილია დონ კიხოტ ლამანჩელის უცნაური

მოჯადოება და სხვა ღირსშესანიშნავი ამბები

როცა დონ კიხოტმა დაინახა, რომ ის გალიაში ჩასვეს და გალია ურემზე დადგეს, თქვა:

- მრავალი შესანიშნავი სახუმარო და მართალი ამბავი წამიკითხავს მოგზაურ რაინდებზე, მაგრამ არც წაკითხულსა და არც გაგონილში არსად შემხვედრია, რომ მოხიბლული რაინდები ასე ჩემსავით მოეტანოთ და გალიაში ჩასმული ასეთი ზანტი და დავარდნილი საქონლით სადმე წაეყვანოთ. ჩვეულებრივ ისე ყოფილა, რომ ჯადოქრებსა და მისნებს წარმოუდგენელი სისწრაფით ჰაერში გადაუფრენიათ ხოლმე ისინი რომელიმე ბნელი ან ყომრალი ღრუბლით, ან ცეცხლის ეტლით, ანუ კიდევ ჰიპოგრიფზე ან სხვა რომელიმე ურჩხულზე შესმული, მაგრამ, ღმერთო დიდებულო, ხარებშებმული ურმით ჩემი ასე წაყვანა რა საზარელია! მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ჩვენი დროის რაინდები და მათი მოხიბვლა სხვა კანონებს ექვემდებარება; ისიც შესაძლებელია, რომ ჩემთვის, როგორც ახალი მოასპარეზისათვის, მივიწყებული მოგზაური რაინდობის აღმადგენლისათვის, ახალნაირი მოხიბვლა და გადასაყვანადაც ახალი გაშუალება მოეგონოთ. შენ როგორღა ფიქრობ ამაზე, ჩემო მეგობარო სანჩო?

- ღმერთმანი, არ ვიცი, რასა ვფიქრობ, - უპასუხა სანჩომ, - რადგან მოგზაურ რაინდთა ნაწერები იმდენი არა წამიკითხავს-რა, რამდენიც თქვენს პატიოსნებას წაუკითხავს, მაგრამ იმისი ფიცი კი შემიძლია, რომ რაც ახლი მოჩვენებანი გვახვევია გარს, ნამდვილი და კეთილი კათოლიკენი არ უნდა იყვნენ.

- კათოლიკენიო! - შეჰყვირა დონ კიხოტმა! - ჩემო ძვირფასო, კათოლიკენი საიდან იქნებოდნენ, როდესაც ყველანი ეშმაკები არიან, რაღაც უცნაური მოჩვენებების სახე მიუღიათ და ამ ოინებს ჩადიან, ასეთ გასაკვირველ მდგომარეობაში ჩაუგდევარ. ჩემი თუ არა გჯერა, აბა ხელი შეახე მაგათ, გასინჯე და მაშინვე დარწმუნდები, რომ ესენი ჰაერისაგან შესდგებიან და მხოლოდ თვალსაჩენად არსებობენ.

- რასა ბრძანებთ, ბატონო, - უპასუხა სანჩომ, - ღმერთმანი შევეხე კიდევ და მოვრჩი, და უნდა მოგახსენოთ, რომ აგერ იმ ეშმაკს, იქ რომ რაღაც ფაციფუცშია, ვარდივით ღაჟღაჟი გააქვს და ისეა მორთულ-მოკაზმული, რომ ეშმაკისას არა უგავს რა. ეშმაკებსაო, მოგახსენებენ, გოგირდისა და სხვა საზიზღარი სუნი ასდით თურმე, და მისგან კი ნახევარი მილის მანძილიდანვე ამბრის სუნი მოედინება.

სანჩო დონ ფერნანდოზე ამბობდა ამას: მართლაც იმას, როგორც დიდებული შთამომავლობის კაცს, საამური სუნი ასსიოდა.

- ეგ ნუ გიკვირს, ჩემო სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - ეშმაკები დიდი ბრძენნი არიან, და თუნცა მათ თავისებური სუნიც ასდით, მაინც სულნი არიან და, მაშასადამე, როგორც სულებს, არავითარი სუნი არ ასდით. თვითონ მათ კი მუდამ საზიზღარი სუნი სცემთ, და არც საკვირველია: ისინი მუდამ ჯოჯოხეთს ატარებენ და თან თვისთა ჯოჯოხეთურ ტანჯვათაგან ვერსად ვერასოდეს ვერ ჰპოვებენ შვებას; ამიტომაც მათთვის საამო სუნი არ არსებობს. და თუ შენ გეჩვენება, რომ მაგ ეშმაკისაგან საამო სუნი გამოფშვენს, ეგ მხოლოდ ოცნებაა: ეშმაკი გაცდუნებს და მას უნდა შენ ის ეშმაკი არ გეგონოს.

ამასობაში, ვიდრე ბატონსა და მსახურს ამგვარი ლაპარაკი ჰქონდათ გამართული, დონ ფერნანდომ და კარდენიომ, იმიტომ, რომ სანჩო მათს ოინს არ მიხვედრილიყო (არც ისე შორს იყო ამ მიხვედრას), გადაწყვიტეს ჩქარა გაესტუმრებინათ დონ კიხოტი. ამიტომ მეფუნდუკე განს, გაიხმეს და უბრძანეს როსინანტი და ვირი საჩქაროდ შეეკაზმა, ეს ბრძანება საქებარი სიმარდით ასრულა მან. მღვდელი კიდევ სანტა ჰერმანდადას ქამანდართ დონ კიხოტის სოფლამდე გაცილებლაში ფასს ურიგდებოდა. დასასრულ, კარდენიომ როსინანტის უნაგირს ტახტაზე ერთ მხარეს ფარი და მეორე მხარე ჩაჩქანი ჩამოჰკიდა, სანჩოს ვირზე შეჯდომა ანიშნა და როსინანტის სადავე ხელში მისცა. შემდეგ გალიას აქეთ-იქით ორ-ორი ჯაზაირებით შეიარაღებული ქამანდარი ამოუდგა და ის იყო უნდა დაძრულიყვნენ, რომ ამ დროს დონ კიხოტის გამოსათხოვებლად მეფუნდუკის ცოლი, მისი ქალი და მარიტორნესი გამოვიდნენ და მოსაჩვენებელი ტირილით მის უბედურებას მწუხარება და სამძიმარი გამოუცხადეს.

- ნუ სტირით გულმობიერნო მანდილოსანნო, - უთხრა ამის დამნახავმა დონ კიხოტმა; რა გაეწყობა? ყველა ეს უბედურება იმდენად განუშორებელია ჩემი წოდებისაგან, რომ თუ საშინელი ამბავი არ შემთხვეოდა, არ შემეძლო ჩემი თავი შესანიშნავ მოგზაურ რაინდად ჩამეთვალა. ამგვარი რამ შემთხვევა მომცრო რაინდებს სულ არ გადახდენიათ და ამიტომაც ისინი არავის ახსოვს. უბედურება იმის ხვედრია ვინც თავი ვკაცობით და სხვაგვარი დინებით შურს აღძრავს პრინცთა და რაინდთა გულში, რომელნიც ყველა ღირსებას ხმარობენ და თვით უპატიოსნო, საშუალებასაც არ ერიდებიან, ოღონდ კი კეთილი გვამნი დაადაბლონ. მაინც კეთილმოქმედებისა და სათნოების ძალა იმგვარია, რომ მარტოდმარტო, თავისთავად ისეთ თვალთმაქცობის ძალასაც კი აუქმებს, როგორი თვალთმაქცობის ცოდნაც მარტო მის შემოქმედს ზოროასტრს შეეძლო, და ბრძოლიდან და განსაცდელიდან გამარჯვებული გამოდის. მასთანაც მის ბრწყინვალეობას ისე ჰფენს ქვეყნად, როგორც მზე აელვარებს ზეცას თავის სხივებით. მომიტევეთ, მშვენიერნო მანდილოსანნო, თუ როგორმე რაიმე შეურაცხყოფა მოგაყენეთ (რასაკვირველია, უნებლიეთ, თორემ განზრახ და უმიზეზოდ მე არასოდეს არავის ვაწყენინებ). ევედრებით ღმერთ რათა ამ საპრობილიდან გამომიხსნას, რომელიც ბოროტმა ჯადოქარმა რომ ჩამსვა. თუ ვინიციობაა ოდესმე აქედან თავი დავიხსენ როგორმე, დამერწმუნეთ, არასოდეს დავივიწყებ იმ გულუხვ მასპინძლობას, როგორითაც ამ ციხე-დარბაზში მიმიღეთ, და ვეცდები მაღლობა ღირსეულად გადავიხადოთ.

მანამ დონ კიხოტი მეფუნდუკის ცოლს, ქალს და მარიტორნესს ამას ეუბნებოდა, მღვდელი და დალაქი გამოეთხოვნენ დონ ფერნანდოს, მის ამხანაგებს, კაპიტანს, აუდიტორს და ბოლოს ბედნიერ დოროთეას და ლუსინდას, ყველანი ერთმანეთს გადაეხვივნენ და წერილობით ერთმანეთის ამბის შეტყობინება აღუთქვეს. დონ ფერნანდომ თვისი მისამართი უთხრა მღვდელს, დონ კიხოტის ამბავის მიწერა თხოვა და დაარწმუნა, რომ ამ ამბის შეტყობინებით ძალიან ასიამოვნებდა. თვითონაც დაჰპირდა ყველა ამბის მიწერას, რაც კი მღვდელისათვის საყურადღებო იქნებოდა. აღუთქვა თავის ქორწილის ამბის მიწერას, ზორაიდას ნათლობისას,

ლუსინდას შინ დაბრუნებისას და, დასასრულ, დონ ლუისის ამბის შეტყობინებასაც. რასაც კი თხოვდნენ, მღვდელი ყველაფრის ბეჯითად აღსრულებას დაჰპირდა, და ახალი მეგობრები ერთხელ კიდევ გადაეხვივნენ ერთმანეთს და კვალად მრავალი სამსახურისა და თავანის პირობა დაუდეს. ამ დროს მეფუნდუკე მოვიდა მღვდელთან და ზოგი რამ ქალაქელები გადასცა იმავე სკივრის სარჩულში ნაპოვნი, რომელშიც უგუნური ცნობისმოყვარეს ამბავი იყო. რადგან ქალაქელების პატრონი აღარ მოვიდაო, უთხრა მან, ამიტომ თამამად შეგიძლიათ ესენიც თან წაიღოთო. ამ საჩუქრისათვის მღვდელმა მეფუნდუკეს მადლობა გადაუხადა, ხელნაწერი გაშალა და ეს სათაური წაიკითხა: "რინკონეტე და კორტადილოს ამბავი". რაკი ეს ხელნაწერი და მისგან მოწონებული "უგუნური ცნობისმოყვარეს ამბავი" ერთად იშოვნა, მღვდელმა ამიტომ იფიქრა, ორივე ამბავი ერთი მწერლისა უნდა ყოფილიყო, და ესეც ისეთივე სახალისო წასაკითხი იქნებოდა; ამ ფიქრით შეინახა ხელნაწერი, რომ მოხერხებულ დროს წაეკითხა.

შემდგ ისა და მისი მეგობარი დალაქი, ორი ნიღაბაფარებულნი, რომ დონ კიხოტს არ ეცნო ისინი, ურემს უკან გაჰყვნენ შემდეგი რიგით: თავში ურემი მიჭრიჭინებდა, ურემს მართავდა მისი პატრონი - გლეხი მეურმე; ურემს აქეთ-იქით, როგორც ვთქვით, ჯაზაირებით შეიარაღებული ქამანდრები მისდევდნენ, უკან სანჩო პანსა მიდიოდა ვირით და როსინანტიც სადავით მიჰყავდა; ბოლოს კი მღვდელი და დალაქი კარგად მოზრდილ ჯორებზე მჯდარნი, ნიღაბაფარებულნი მიჰყვებოდნენ. დონ კიხოტი ხელეშეკრული იჯდა გალიაში, ფეხები გაეშლართა, ზურგი გალიის სერსეროსადვის მიებჯინა და ისე იყო გაჩუმებული და გატრუნული, თითქოს ხორცშესხმული ადამიანი კი არა, ქვის ქანდაკიყო. სრული დუმლით და წყნარი ნაბიჯით მიმავალთ ორიოდე მილი რომ გაიარეს, ერთ ველზე გავიდნენ; ეს ველი ძალიან მოეწონა მეურმეს თავის ხარების სამოვრად და დასასვენებლად. ამაზე მღვდელს დაეკითხა, მაგრამ დალაქმა გარეკვა უბრძანა, რადგან ცოტა იქით, ერთი გორაკის დაცემულ კალთაზე უფრო უკეთესი და კარგი ბალახიანი ველი ეგულებოდა. ყველანი დაეთანხმნენ დალაქს და გზა განაგრძეს.

ამ დროს მღვდელმა უკან მოიხედა და ექვსი თუ შვიდი რიგიანად ჩაცმული ცხენოსანი დაინახა. რადგან ის მგზავრები ხარების ზანტი ფეხით როდი დაიარებოდნენ, არამედ საბერო წვივმაგარ ჯორებზე ისხდნენ და დეხებიტაც ახალისებდნენ მათ, რათა ორიოდე მილის სიშორეზე მდებარე ფუნდუკეში სამხრობამდის მისულიყვნენ, ამიტომ ჩვენ მავრებს ჩქარა მოეწივნენ. ჩქარა მოსიარულენი რომ ნელა მოსიარულეთ მოეწივნენ, ზრდილობიანად უსალამეს ერთმანეთს და ერთმა მათგანმა - ტოლედოს მღვდელმონაზონმა - დანარჩენი ცხენოსნების უფროსმა, დაინახა რა თავის წინ რაღაც უცნაური, რიგზე დაწყობილი მგზავრები: ურემი, ქამანდარნი, სანჩო, როსინანტი, მღვდელი, დალაქი და გალიაშიც ხელფეხშეკრული დონ კიხოტი, - ვერ მოითმინა, რომ არჩეკითხა, თუ ყველა ეს ამბავი რას ნიშნავდა ან კაცი ამ უცნაური ამბით რად მიჰყავდათ. მაგრამ გალიის აქეთ-იქით შეიარაღებული ქამანდარნი რომ დაინახა, იფიქრა, რომ შეპყრობილი უთუოდ ვინმე შარაგზის ავაზაკი უნდა ყოფილიყო, ანუ ვინმე დიდი დამნაშავე, სანტა ჰერმანდადის სამსჯავროში მიცემული. ბერის კითხვაზე ერთმა ქამანდარმა ასე მიუგო:

- ბატონო, დაე, თვით ამ რაინდმა აგისხნათ, თუ ამ ყოფით გალიაში ჩასმული რად მიყავთ. ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით.

დონ კიხოტმა გაიგონა მათი საუბარი და ასე უპასუხა ბერს:

- მოწყალეო ხელმწიფე! ბატონო რაინდებო. საკმაოდ გაგეგებათ რამე მოგზაური რაინდობა თუ რას ნიშნავს? თუ გაგეგებათ, შემოდლია გაიმბოთ ჩემი უბედურება და თუ არ გაგეგებათ, მაშინ ამაზე ლაპარაკიც ტყუილი იქნება და მეც არ შევიწუხებ თავს.

რაკი ცხენოსანმა და დონ კიხოტმა საუბარი გააბეს, მღვდელმა და დალაქმა შენიშნეს ეს, შეეშინდათ, დონ კიხოტის წამოყვანის ოინი არ გაგვიმჟღავნდესო, მიუახლოვდნენ მათ და მაშინვე ლაპარაკში ჩაერთვნენ.

- ძმაო, - უპასუხა ბერმა დონ კიხოტს, - სარაინდო წიგნებასა უთუოდ მეტად გამეგება, ვიდრე ვილიალპანდოს "შუმულას"-ი და თუ ამაზე მეტი საჭირო არა არის-რა თქვენთვის, მაშ შეგიძლიათ თქვენი უბედურება თამამად მიამბოთ.

- დიდად მოხარული ვარ, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაშ იცოდეთ, უფალო რაინდო, ამ გალიით იმიტომ მივყავარ, რომ ბოროტი ჯადოქრების შურისძიებით ვარ მოჯადოებული. მან მომხიბლა, რადგან ბოროტნი სიქველისა და სათნოებას უმეტესად სდევნიან, ვიდრე კეთილნი იმ სიქველეს პატივსა სცემენ. მე მოგზაური რაინდი გახლავარ, მაგრამ იმათგანი კი არა, ვისი სახელიც უკვდავების ფურცელზე არ აღინიშნა, არამედ იმათგანი ვარ, ვისი სახელიც, შურის გამოჯავრებული, ყველა სპარსეთის მოგვთა, ინდოეთის ბრამინთა და ეთიოპიის ჰიმნოსოფისტთა ჯიბრზე უკვდავების ტამარში აღიბეჭდა, რათა ეს რაინდები გახდნენ მაგალითი და მისაბადი მომავალი თაობებისათვის, და ყველა მოგზაურმა რაინდმა დაინახოს და შეისწავლოს მომავალ რაინდთა გზა, რა გზის გავლითაც მათ ძალუმთ უცვალებელ დიდებამდე მიღწევა.

- ბატონი დონ კიხოტი მართალსა ბრძანებს, - ლაპარაკში ჩაერთა მღვდელი. - ეს მოჯადოებული მიბრძანდება ამ გალიით - თავის ცოდვებისა და ბოროტმოქმედებათა მიზეზით კი არა, არამედ იმ პირთა ბოროტი მანქანებით, ვისაც ყოველი სიქველე აწუხებს და ყოველივე სახელი და დიდება სძავს. თქვენს წინაშე, მოწყალეო ხელმწიფე, მწუხარე სახის რაინდსა ხედავთ, რომლის ამბავი იქნება კადეც გაგეგონოთ, რადგან ამის მამაცურნი ღვაწლი და დიადი საქმენი უკვდავ ბრინჯაოზე და საუკუნო მარმარილოზე იქნებიან აღბეჭდილნი; თუმცა შური და უკეთურობა ბევრსა ცდილობს ქვეყნისაგან დაჰფაროს მისი საქმენი.

ერთი დატყვევებული და მეორე დაუტყვევებელი კაცისაგან რომ ასეთი ლაპარაკი მოისმინა, ბერი გაოცდა, ცოტას გაწყდა, პირჯვარი არ გამოისახა; არც მას ესმოდა და არც მის მხლებლებს, თუ რა ხალხს შეეყარნენ. ამასობაში სანჩო პანსა მივიდა ბერთან და მღვდლის ნათქვამი ამ სიტყვებით გაასწორა:

- ბატონო ჩემო, არ ვიცი მომიწონებთ თუ დამიწუნებთ სიტყვას, და მაინც კი უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ბატონი დონ კიხოტი ისევე მოხიბლულია და მოჯადოებული, როგორც ახლა დედაჩემია მოხიბლული; როგორც იყო, ახლაც ისევე ისე სრულ ჭკუაზედაა, ისე ჭამს, ისე სვამს, ისე ძინავს, როგორც ჩვენ ყველა ცოდვილნი ჩავდივართ ამას და როგორც თვითონ ესეცა ჭამდა, სვამდა და ეძინა ხოლმე, ვიდრე ამ გალიაში ჩასვამდნენ. ამის შემდეგ მოდი და დამაჯერეთ, რომ ჩემი ბატონი მოხიბლულია, განა ეს შეიძლება? მაღლობა ღმერთს, ერთხელ არ გამიგონია და ორჯერ, რომ მოხიბლულები და მოჯადოებულები არც ჭამენ, არც სმენ, არც ძინავთ, არც ლაპარაკობენო; ჩემი ბატონი კი, პირი რომ არ ამოუღესონ, იმდენს ილაპარაკებს, ოცდაათმა ვექილმაც ვერ ილაპარაკოს იმდენი.

მერე შეხედა მღვდელს და დაუმატა:

- ეჰ, ბატონო მოძღვარო! ბატონო მოძღვარო! ნუთუ გგონიათ, მე თქვენ ვერა გცნობთ? იქნებ ფიქრობთ არ მესმოდეს და ვერ ვხვდებოდე, თუ ყველა ამ მოხიბლვას რისთვის ჩადიხართ? არა, მე მაშინვე გიცანით და მივხვდი კიდეც თქვენს განზრახვას, მაგრამ ამასაც კი გეტყვით, რომ სიუხვეე სიმუნწესთან ვერ მოთავსდება და შური კიდეც - კეთილ განზრახვასთან. თქვენი განზრახვა რომ ეშმაკს ჩვენ საქმეში არ გამოეჩხირა, ჩემი ბატონი აქამდის მიკომიკონის დედოფალზე ჯვარდაწერილი იქნებოდა; მე კიდეც, სულ ცოტა რომ ვთქვა, გრაფი მაინც ვიქნებოდი, რადგან ამაზე ნაკლები ჯილდოს მოლოდინი არც შეიძლებოდა მქონოდა ჩემი ბატონი მწუხარე სახის რაინდის გულკეთილობისაგან, თუ მისდა გაწეულ სამსახურს რიგზე დავაფასებ. მაგრამ, ჩანს, იმაზე მართალი არა ყოფილა-რა, რომ, როგორც ჩვენში იტყვიან, ბედის ჩარხი წისქვილის ჩარხზე ჩქარა ტრიალებსო და გუშინ რომ ზემო თაროს ისხდნენ, დღეს ისინი ტალახში ცვივიანო. ყველაზე მეტს ჩემს ცოლ-შვილსა ვწუხვარ: ან კი როგორ არ ვიწუხო, როდესაც ისევ ისე უბრალო მეჯინიბე დავბრუნდები იმათთან, როგორიც ვიყავ, მაშინ, როდესაც ახლა გუბერნატორი, ანუ რომელიმე კუნძულის მეფის მოადგილედ უნდა მივდიოდე შინ. ყველა ამას იმიტომ მოგახსენებთ, თქვენო მაღალ კურთხევავ, რომ ეგებ სინდისმა ცოტაოდენად მაინც გამხილოთ ჩემი ბატონის ასე ცუდად მოპყობა და საიქიოს ანგარიში აღარ მოგეკითხოთ ამ გალიაში მის შემწყვედვისათვის; ეგებ თქვენი სული იმ პასუხისმგებლობით არ დაიტვირთოს, რომ ვიდრე ასე შეკეტილი გეყოლებათ, ვედარავითარ სიკეთეს ვერ უზამს გაჭირვებულთა, და მრავალი მისი კეთილი განზრახვა ამაოდ ჩაივლის.

- ერიჰა! --შეჰყვირა დალაქმა; - შენც შენი ბატონის კვალზე წასულხარ, სანჩო, შენც მოხიბლვის ნიშნები გეტყობა, მაშ გალიაში უნდა შეგამწყვდიოთ. შენი ბატონის გაპარებას როგორღაც საბედნიეროდ არ დაუმსხვილებიხარ. ის რაღაც კუნძული ტყუილად გიდევს თავში; როგორც შენს საკუთარ ყურებს ვერ დაინახავ, ისე შენს სიცოცხლეში იმ კუნძულსაც ვერა ნახავ.

- სულაც არ დავმსხვილებულვარ, - მიუგო სანჩომ, და არც თუ ისეთი კაცი გახლავარ, რომ დამამსხვილოს ვინმემ, თუნდა თვითონ მეფეც იყოს. მართალია, საწყალი და ღარიბი კაცი გახლავარ, მაინც ძველი ქრისტიანი ვარ და არც ერთი სულიერისა არა მევალება-რა. საკვირველი ვითომ რა არის, რომ სურვილი მაქვს და კიდეც მოველი კუნძულის მიღებას? სხვას ამაზე მეტი სურვილიც აქვს. და ყველა ჩვენთაგანი - თავისთა საქმეთა შვილია. მეც ხხვასავით ადამიანი არა ვარ? მაშ რატომ არ შემიძლია კუნძულის გუბერნატორი გავხდე, თუნდაც პაპობა მეკუთვნოდეს, მით უფრო, რომ ისეთ კაცს ვემსახურები, რომელსაც იმდენი კუნძულის დაპყრობა შეუძლია, არც კი იცოდეს, თუ რა უყოს. აბა, ბატონო დალაქო, იფიქრეთ, რა თქვით: აქ საქმე მოსაპარავ წვერებზე როდი გახლავთ. მგონია, ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და ისიც იცით, რომ მე ანკესზე დასაჭერი კაცი არა ვარ. თუ ჩემს ბატონზე იტყვით და - ეგ მხოლოდ ღმერთმა იცის, რა რჯულად არის მოხიბლული. მაშ სანამ რამ იქნებოდეს, სჯობია ნაგავს გარეთ არ გავიტანდე.

დალაქმა ენა შეიკავა, რომ სანჩოს თავისი გულუბრყვილობით არა წამოეროშა-რა, რის დაფარვასაც ასე თავგამოდებით ცდილობდნენ ის და მღვდელი. მღვდელსაც ამისი ეფიქრებოდა. ამიტომ ბერს დაწინაურება თხოვა, რომ შეეტყობინებია გალიაში დამწყვდეული კაცის საიდუმლო და კიდეც სხვა სასაცილო ამბები ეამბნა. ბერი მღვდლის თხოვნას დათანხმდა, თავისი ამალით დაწინაურდა და დიდი ყურავებით ისმენდა მღვდლის ნაამბობს დონ კიხოტის ცხოვრებაზე, მის ხასიათზე, ჭკუასა და შემლაზე. მღვდელმა დალაგებით უამბო

რაინდის თავგადასავალი, თავიდან მოყოლებული იმ დრომდის, ვიდრე მას გალიაში ჩასვამდნენ, ეგებ წაეყვანათ როგორმე და იქ რამე საშუალებით მოერჩინათ. ბერმა და მისმა ამაღამ ეს უცნაური ამბავი კვლავ გაოცებით მოისმინეს და როცა მღვდელი დადუმდა, ბერმა უთხრა:

- ჭეშმარიტად, თქვენო მაღალ ღირსებავ, ბატონო მოძღვარო, სარაინდო წიგნები, ჩემი აზრით, ნამდვილი ჭირია, და თუმცა ხალისმა მეც წამძლია, და თავისუფალ დროს ყველა ამ წიგნის დასაწყისი წავიკითხე, მაგრამ იქამდის გაბედულება კი მაინც არა მქონია, რომ ერთ-ერთი მათგანი მაინც ბოლომდის გადამეკითხა. ისე მეჩვენებოდა ხოლმე, რომ ყველა მათგანში ერთი და იგივე ამბავი იყო აღწერილი, მხოლოდ ცოტაოდენი ცვლილებით კი, ასე რომ, რაც ერთში იყო, მეორეში იგივე ამბავი ეწერა, და რასაც მეორე წიგნში ამოიკითხავდი, პირველშიაც იგივე იყო. ჯერ ისიც მგონია, რომ სარაინდო წიგნები სწორედ იმ მიმართულებისანი არიან, რა მიმართულებაც ძველებურ მიღებული დამთხვეულ არაკებსა ჰქონდა მიზნად - მხოლოდ გართობა, და არა სწავლა, და სულ არ ჰგვანდნენ აპოლოგიურ არაკებს, მიზნად რომ გასართობთან სწავლაცა აქვთ დანახული. ვთქვით კიდევ, რომ სარაინდო წიგნების ერთადერთი მიზანი გართობა იყოს, მაინც გაკვირვებასა ვარ, ღმერთმა იცის, ან კი იმდენი სისულელით მიზნის მიღწევა როგორ შეუძლიათ? რომელიმე კარგ წიგნს რომ ვკითხულობთ, იმ ჰარმონიითა და სიმშვენიერით ვტკბებით, რა ჰარმონიაც ჩვენს სულს უნებლიედ ხიბლავს და იმონებს, წარმოადგენს რა ცხადად, თუ ოცნებით მის მშვენიერებას, მაგრამ სადაც უშვერობასთან ყოველგვარი წესების უარყოფასაც ხედავს კაცი, აბა ისეთი რამ ვინმეს როგორ დაატკბობს, ერთი მიზრძანეთ, რა სიმშვენიერეს, რა ურთიერთმორის ნაწილების თანაშეზომილებას იპოვის ვინმე იმ არაკში, სადაც თექვსმეტი წლის ბიჭი კოშკის სიმაღლე დევს ხმლის ერთი შემოკვრით შუაზე ისე ადვილად გაჩეხს, თითქოს ცომისაგან იყოს გაკეთებული. აბა რას ჰგავს იმ ბრძოლის აღწერა, სადაც ავტორის სიტყვებით, ერთ მილიონამდის მხედარი იბრძვის, და თუ მოთხრობის გმირი მათ შეებრძოლა, მაშინ მეტი ღონე არა გაქვს, გინდა თუ არა, უნდა დაიჯერო, იმ გმირმა, თავისთა მკლავითა ძალით მთელი მილიონი მოლაშქრე უთუოდ უნდა შემუსროს. ამ არაკებში რა ადვილად ეხვევა კისერზე ვიღაც მოგზაურ რაინდს რომელიმე დედაფალი ანუ მეფის მემკვიდრე ქალი. განა ოდნავ მაინც გახსნილი გონების პატრონს, რა ჩლუნგი და ბარბაროსული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს, რომ ისეთი სისულელის წავიკითხვა შეიძლოს, ვითომც ზღვაზე რაინდებით სავსე ციხე-დარბაზი ხომალდივით მოცურავდეს: ვითომ საღამოს ჟამს რომ ლომბარდიის ნაპირიდან გაცურავს, დილით ინდოეთში მღვდელმთავარ იოანეს ნაპირთან ამოყოფს თავს, ანუ სხვა რომელიმე ალაგას, რა ადგილებსაც არც პტოლომეოსი იხსენიებს სადმე და არც მარკო პოლოს სცოდნია მათი არსებობა? მე რომ მითხრას ვინმემ, ამგვარი წიგნების მკითხველთ მიზნად მარტო ისა ჰქონდათ, არსად მომხდარი და შეუძლებელი ამბები მოეგონათ, და იმისათვის არა დაუდევნიათ-რა ჭეშმარიტებისათვის მიუმსგავსებიათო, მე მაინც კიდევ იმას ვიტყვოდი, რომ ყველა მგონილი ამბავი იმდენად უკეთესია, რამდენადაც ნაკლებად ჰგავს მოგონილს, და იმდენად უფრო სასიამოვნოა და მოსწონს მკითხველებს, რამდენადაც უფრო მართალს მიემსგავსება. მოგონილმა ამბავმა მკითხველს აზრი უნდა აღუძრას, იგი ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ შეუძლებელს შესაძლებლად ხდიდეს, ყველა ახირებული უსწორმასწორობისაგან გაწმენდილი და გასუფთავებული უნდა იყოს, ისე რომ მკითხველის ყურადღება მიიპყროს, იგი სინამდვილედ სწამდეს, თანაც აღტაცებას, გაოცებას და კმაყოფილებას გვრიდეს და სტკბებოდეს კიდევ. ამგვარს ვერაფერს შეხვედებით ისეთი მთხვეულის ნაწერში, რომელიც ბუნებასა და სიმართლეს განზრახ შორდება, ესე იგი მას, რაც

ხელოვნური თხზულების უმთავრეს ძალას შეადგენს, ისეთი სარაინდო წიგნი ჯერ არ წამიკითხავს, რომ მისი ფაბულის ყველა ნაწილი ერთ სხეულს შეადგენდეს, რომ შუაგული შეესაბამებოდეს დასაწყისს და დასასრული კიდეც დასაწყისს და შუაგულს. პირიქით მათი მკითხველნი სხვადასხვაფერ და აქა-იქ ადებულ ნაჭრებიდან შეკოწიწებულ ქიმერას ან საშინელებას ადგენენ, თითქოს განგებ უნდათ რაღაც მახინჯი და უხამსი ფიგურა გამოიყვანონ. ამას გარდა მათი ენა რაღაც ხორკლიანი და მოუხეშავია, ფათერაკები - დაუჯერებელი, სიყვარულის ამბები - ავხორცული, თავაზიანობასა და ზრდილობაზე წარმოდგენა - უხეში, ლაშქრობათა აღწერა - უსასრულო და დაუბოლოებელი, მსჯელობა- უაზრო, ხოლო მოგზაურობითა ამბები რაღაც დამთხვეული და სულელურია; ამ რომანებში აშკარად გამოსჭვივის მათი მთხვეელის გონებრივი უზადრუკობა და სიბეჩავე, ისინი მოკლებულნი არიან ყოველივე ხელოვნურ ზომიერებას და შემოქმედებითი ძალის ნაპერწკალს, და მიტომაც ის მწერალნი ქრისტიანული სახელმწიფოდან სრული განდევნი ღირსნი არიან, როგორც უქმი და მავნებელი ხალხი.

მღვდელი დიდი ყურადღებით უსმენდა ბერს, გონიერ კაცად ცნო იგი და მისი ნათქვამიც - ნამდვილ ჭეშმარიტებად მიიღო. მან პასუხად უთხრა, რომ, რადგან თვითონაც სარაინდო წიგნების დიდი მტერი იყო, ამიტომაც ერთხელ იმ წიგნების მთელი გროვა დაუწვა ღონ კიხოტს. მასთან დაწვრილებით უამბო, თუ როგორ არჩევდა იმ წიგნებს, დაწვით რომელი დასაჯა და რომელი შეიწყალა. ბერმა ამ ამბავზე გულიანად იცინა, სიტყვა განაგრძო და თქვა: - დაუნდობლად ვკიცხავ სარაინდო წიგნებს, მაგრამ, მიუხედავად ზემო ჩამოთვლილ ნაკლოვანებებისა, მათში ერთ სიკეთეს ვხედავ, სახელდობრ - ასპარეზს, სარბიელს: ჭეშმარიტ ნიჭს ამ სარბიელზე ძალიან ფართოდ შეუძლია გაშლა და თავისი თავის ბრწყინვალედ გამოჩენა. იგი სარბიელი ფართო მოედანია, სადაც კალამს თავისუფლად შეუძლია მოძრაობა, შეუძლია სავსებით წარმოიდგინოს ქარიშხალი, ზღვის ფრთონა, გემების დაღუპვა, ომეგა და სხვა. მწერალს შეუძლია დაგვიხატოს სახელოვანი ვინმე სარდალი, ყველა იმ ნიჭით მორჭმული, რაც კი მისთვის დიდების მოსახვეჭად არის საჭირო: მისი ხელოვნება, გონიერება, მტრის განზრახვათა გამჭვრეტელობა, მისი შეძლება - მჭევრმეტყველურად გაუქარწყლოს ანუ დააჯეროს რამე თავის მხედრებს, თათბირში სიბრძნე და თავდაჭერილობა, საქმის აღსრულებაში სისწრაფე და მტრის მოგერიებაში იმდენადვე სიმტკიცე, რამდენადაც მტრის შეტევაში სიმკვეთრე. მწერალს შეუძლია გვიამბოს რამე სამწუხარო და სავალალო შემთხვევა, ხან მხიარული და მოულოდნელი ამბები: ერთ ალაგას რომ ვისმე პატიოსან, გონიერ და მშვენიერ ქალზე გლოვა მორთოს, მეორეჯერ - ვინმე ვაჟკაც, პატიოსან ქრისტიან რაინდზე დაიწყოს გოდება და თანაც თვალსაჩინო გარჩევისათვის ვინმე სულელი და ხეპრე მკვებარა ამოუყენოს მას გვერდზე; მესამე ალაგს კიდეც ვინმე მამაცი, სახელოვანი და გულმომბიერი უფლისწული გამოხატოს, მასთან სულგრძელ მთავართა სიუხვე აღწეროს და ერთგულ ყმათა პატიოსნება და შევრდომილება წარმოგვისახოს. ამგვარ თხზულებებში მწერალს შეუძლია თავი ხან ვარსკვლავთმრიცხველად გამოიჩინოს, ხან სწავლულ კოსმოგრაფად, ან მუსიკის მცოდნედ, ხან სახელმწიფოს დიდ მოხელედ და ხან კიდეც თვალთმაქცადაც, თუკი ამას მოისურვებს და ან შემთხვევა მიეცემა. მას შეუძლია ზედმიყოლით, გამოხატოს და მოგვითხროს ულისეს ხერხიანობა, ენეასის სათნოება, აქილევსის მამაცობა, ჰექტორის უბედურებანი, სინონის ღალატი, ევრიალეს მეგობრობა, ალექსანდრეს სიუხვე, კეისრის ვაჟკაცობა, ტრაიანეს სულგრძელობა და ალალმართლობა, ზოფირეს ერთგულება, კატონის სიბრძნე და გონიერება და დასასრულ, ყოველგვარი ღირსება, რაც კი ამშვენებს და სრულჰყოფს გმირს, სულერთია - ერთ კაცს მიაკუთვნებენ ყველა ამ ღირსებას, თუ რამდენიმეს. და თუ



ამგვარი თხზულება გონივრულად იქნა მოფიქრებული, სუფთა კილოთი დაწერილი და რაც კი შესაძლებელია, ნამდვილთან მიმსგავსებული, მაშინ მთხზველისაგან აღებული სარბიელი სხვადასხვა ძვირფასი სურათებით დამშვენდება, ხოლო თვითონ თხზულება მრავალ სიტურფეს წარმოგვადგენს, იმ სრულ და უაღრეს ხარისხამდე მიაღწევს, სადამდისაც ამაღლება ასეთ პოეტურ თხზულებას შეუძლია, რომლის დანიშნულებაც არის დატკობასთან ერთად გაწვრთნას კიდევ მკითხველი და მაშინ იგი თავისუფლად მიაღწევს მწერლობის მაღალ მიზანს. ამგვარი თხზულების გამოგონებასა და გამშვენებებში მწერალი თავისუფლად მოქმედებს და ეს გარემოება იმ ღონეს აძლევს, რომ რომანის დაწერისას საშუალება ეძლევა იყოს ეპიკოსიც, ლირიკოსიც, ტრაგიკოსიც და კომიკოსიც და ყველა ნაწარმოებში შეაერთ-შეათანხმოს ის საამო და ტკბილი მეცნიერების ლაზათები, რა მეცნიერებასაც პოეზია და მჭერმეტყველება ჰქვია, რადგან ჭეშმარიტად ეპიკური ნაწარმოებები, როგორც პროზად ისე ლექსადაც, ადვილად დაიწერება.

## თავი XLVIII

სადაც ბერი განაგრძობს მსჯელობას რაინდულ რომანებსა და

მისი მახვილი გონების შესაფერ სხვა საგნებზე

- სწორედ ნამდვილსა ბრძანებთ, თქვენო მოწყალეზავ, - უთხრა მღვდელმა ბერს, - ამიტომაც ამგვარი წიგნების მთხზველებში უმეტესი ძრახვის ღირსნი ისინი არიან, ვინც უფიქრლად და განუსჯელად წერენ, ხელოვნების იმ წესებს უარყოფენ, რა წესებიც ხელმძღვანელობას უწევენ ნიჭსა და მწერალს შველიან ისეთივე დიდება დაიმსახურონ პროზაში, როგორც რომაელთა და ელინა პოეზიის ორმა მთავარმა ლექსთ თხზვაში დაიმსახურა.

- მართალი უნდა მოგახსენოთ, - მიუგო ბერმა, - ერთხელ თვითონ მეც გავბრიყვდი და ვცადე სარაინდო რომანის დაწერა; რაც რომ პირობები დავასახელე წელან, ყველა შევასრულე და, ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, მთელი ასი თავახიც დავწერე. ახლა მინდოდა შემეტყო, მართლა ისე კარგი იყო ჩემი ქმნილება, როგორც თვითონ მე მომწონდა, თუ არა? ამიტომ იმ ჯურის წიგნების თავგამოდებულ მოყვარულთ, გონიერთა და განათლებულ პირთა სამსჯავროს წარვუდგინე; აგრეთვე ისეთ პირთაც ვთხოვე მისი გადაკითხვა, რომელნიც წიგნში მხოლოდ ახირებულ შემთხვევებს და მოჩმახულ აზრებს ეძებენ. მერე - როგორა გგონიათ? ორივე მხარემ ქებით აავსო ჩემი თხზულება, ამის მიუხედავად მაინც აღარ განვაგრძე წერა, ჯერ იმიტომ, რომ ეს საქმე ჩემი სასულიერო წოდების შესაფერისად ვერ დავინახე და მერე კიდევ იმიტომ, რომ ქვეყანაზე უმეცარი ხალხი მეტია განათლებულზე. მართალია, ორიოდ ბრძნისაგან ქების მიღება სჯობია მრავალი უგუნურისაგან ძაგების გაგონებას, მაგრამ მაინც ეგ ვიკისრე უმეცარი ბრბოს სიმსჯავროსათვის მიმეცა თავი, განსაკუთრებით რომ უფრო იმ ჯურის წიგნებს კითხულობს. ამ შრომაზე უფრო იმან ამაღებინა ხელი, რომ ახლახან ჩვენს თეატრებში წარმოდგენილმა კომედიებმა ზოგი რამ აზრი აღმიძრეს თავში. თუკი ეს ისტორიული და არაისტორიული კომედიები უთავბოლონი და უშვერობით სავსენი საზოგადოების გემოვნებისანი გამოდიან-მეთქი, ვიფიქრე მე; თუკი საზოგადოება აღტაცებით უკრავ ტაშს და მათი მთხზველნი და მოთამაშე მსახიობნი ერთხმად ჰლაღადებენ - კომედიები სწორედ ასეთები უნდა იყოს, რადგან საზოგადოებას სწორედ ასეთები მოსწონსო, გონივრულად და ხელოვნურად დაწერილნი კი მარტო სამ-ოთხ გონიერ კაცს მოეწონება და

დანარჩენნი ვერ გაიგებენ კარგი კომედიის ღირსებას, მასთანაც მსახიობთათვის და მთხზველთათვისაც უფრო ის არის სარფა, რომ მათ ცხოვრების სახსრის მიმცემს უმეტესობას მოაწონონ თავი, ვიდრე უმცირესობის პატივისცემის მოპოვებას მისდიონ, ამიტომ უნებლიეთ ფიქრმა გამიარა, ჩემს წიგნსაც ხომ ამგვარი სამწუხარო ბედი დაემართება-მეთქი, ტყუილ-უბრალოდ რომ თავი ვიმტვრიო და ამას ვეცადო იგი ბუნებასა და სინამდვილეს დავუახლოო-მეთქი. მაშ მთელი ღამეები ძილი უნდა გამიტყდეს და იმ მკერავს ვემსგავსო, მუშტარს რომ მუქთად კერავდა და თავის ძაფსაც ზედ ახმარებდა. ერთხელ და ორჯერ არა ვცდილვარ ჩვენი კომედიის მწერლები დამერწმუნებინა, რომ დიდად სცდებოდნენ, თუ ფიქრობდნენ, ვითომ ამ უთავბოლო თხზულებებით უფრო მეტ ხალხს მიიზიდავდნენ, ვიდრე ჭეშმარიტი ხელოვნების წესით ნაწერებით, მაგრამ ის ვაჟბატონები იქამდის კერპები არიან, რომ არავითარი ღონიბძიება არ არსებობს ისინი კაცმა ჭკუაზე მოიყვანოს. მახსოვს, ერთხელ ერთ ასეთ ჯიუტ მწერალს ვუთხარ: "გახსოვს, რამდენიმე წლის წინათ რომ ესპანეთში ერთი გამოჩენილი პოეტის დაწერილ სამ ტრაგედიას ადგენდნენ-მეთქი: იმ ტრაგედიებს უმეცარნიც და განათლებულნიც ერთნაირად მოჰყავდათ ალტაცებაში და უკეთეს შემოსავალსაც იძლეოდნენ, ვიდრე მათ შემდეგ ნათამაშები ოცდაათი საუკეთესო ტრაგედია-მეთქი". მწერალმა მიპასუხა: "თქვენ უეჭველად "იზაბელას", "ფილიდას", "ალექსანდრეს" გულისხმობთო". "სწორედ გამოიცანით-მეთქი", - ვუპასუხე. - იმ ტრაგედიებში ხელოვნების ძველი წესებია დაცული და მაინც საზოგადოებამ ძალიან მოიწონა და იმად მიიღო ისინი, რაც ნამდვილად არის. მაშ გამოდის, საზოგადოება კი არ არის დამნაშავე, რომ სისულელით კმაყოფილდება და თითქოს აბდაუბდა სულელურ სანახაობას მოითხოვს, არამედ ისინი, ვინაც არ იცის, რით გაუმასპინძლდეს მაყურებელს. "დასჯილ გულქვაობაში", "ნუმანსიაში", "გამიჯნურებულ ვაჭარში" თქვენ ვერ იპოვით სისულელეებს, ამათზე ნაკლები სისულელე და შეუსაბამობაა „მოწყალე მტარვალში“, და კიდევ ზოგიერთ განათლებულ და ნიჭიერ მწერალთა სხვა პიესებში, მაგრამ მაინც ამ დრამებმა თავიანთი მწერალნიც ასახელს და მათი წარმოდგენელი მსახიობნიც გაამდიდრე-მეთქი". ბევრიც კიდევ სხვა ვუთხარი და, ცოტა არ იყოს, ჩემი თანამოსაუბრე შევაშფოთე და შევარყიე კიდევ, მაგრამ ჩემი შენიშვნებით ბოლომდე მაინც ვერ დავარწმუნე და შეცდომილებიდან მაინც ვერ გამოვიყვანე.

- მაგ ბრძანებით ახლანდელ კომედიებზე დიდი ხნის ფიქრი ამიშალეთ, - უპასუხა მღვდელმა. - ახლანდელი დრამეები ისევე მძულან როგორც სარაინდო რომანები. ციკერონის სიტყვებით, დრამა უნდა იყოს სარკე ადამიანის ცხოვრების მაჩვენებელი, იგი სიმართლის განსახიერება და ზნეობის მაგალითი უნდა იყოს; ჩვენი კომედიები კი მხოლოდ უგუნურობას გვიჩვენებენ, გარყვნილებას ხატავენ და სულელობის გარდა სხვა არაფერ მაგილითს არ გვასწავლიან. მართლაც განა იმაზე უფრო დიდი შეუსაბამობა იქნება რამე, რომ პირველი მოქმედების პირველსავე სცენაში აკვნის ბავშვს წარმოგვიდგენენ, მეორეში ის ბავშვი წვერულვაშიან ვაჟკაცად გამოჰყავთ? აბა, თქვენი ჭირიმე, ამაზე მეტს სისულელეს რაღას მოიგონებს კაცი! ანუ კიდევ დიდი სისულელე არ არის, მოხუცს რომ მამაცად წარმოგვიდგენენ, ჭაბუკს - მხდალად, მსახურს - მჭერმეტყველად, პაჟს - სათათბიროს წევრად, მეფეს - კურტნიან მუშად და ბანოვანს - ჭურჭლის მრეცხავ დედაკაცად? დასასრულ, ისიც უნდა ვთქვათ, თუ როგორ ეპყრობიან ჩვენი დრამები ადგილისა და დროის ერთიანობის წესს. ისეთი კომედიები განა ცოტა გვინახავს, სადაც მოქმედება ევროპაში იწყება, აზიაში გადადის და აფრიკაში თავდება. ეს მაშინ, როცა სამ მოქმედებიანია; ოთხ მოქმედებიანი რომ ყოფილიყო, მაშინ უეჭველია, მეოთხე მოქმედებას ამერიკაში გაითამაშებდნენ, ისე რომ ერთი დრამა ქვეყნის ოთხსავე ნაწილში იწარმოებდა. თუ კომედიის აუცილებელი მოთხოვნილება და საფუძველი ის არის, რომ ისტორიული

სინამდვილე იყოს მასში დაცული, მაშინ როგორ შეიძლება კმაყოფილი იყოს კაცი, თუნდაც ფრიად საშუალო მაყურებელიც კი, როცა ხედავს, რომ პიესის მოქმედება ხდება მეფეების პიპინისა და კარლოს დიდის დროს, ხოლო მისი მთავარი გმირია იმპერატორი ირაკლი, რომელსაც ავტორი ჯვაროსნად აქცევს, და აიძულებს იერუსალიმში შესვლას და გოტფრიდ ბულონელივით უფლის საფლავის გამოხსნას ურწმუნოთა ხელიდან. ასეთი პიესების ავტორები იმას აღარ დასდევენ, რომ ამ ისტორიულ პირთა შუა დიდ დროს გაუვლია, თუ დრამის ამბავი მთლად მოჭორილი უნდა იყოს, მაშინ განაღდა შეიძლება მათში ნამდვილი ისტორიული ამბავი ასახოს კაცმა და ისიც მრავალი უშვერი შეცდომებით? ყველაზე უარესი ის არის, რომ ისეთი უმეცარნიც მოიპოვებიან, რომელთა თვალში ხელოვნური ნაწარმოების ლაზათს სწორედ ეს სიმახინჯე შეადგენს და ამის გარეშე სხვა რაიმეს მოთხოვნა, მათი აზრით, გუნებანაქცევი დედაკაცის ახირებულ სურვილად უნდა ჩაითვალოს. ახლა, თუ სასულიერო დრამებს შევხებით, - ღმერთო დიდებულო! რამდენს უცნაურ სასწაულებსა და დამახინჯებულ ამბებს შევხვდებით მათში! მათი დამწერნი იქამდის კადნიერნი არიან, რომ ჩვეულებრივი ცხოვრების დრამებშიაც კი გამოაქვთ სასწაულები, რა არის აღტაცებაში მოიყვანონ, თავბრუ დაასხან ხალხს, მისი გული მოინადირონ და ამ ხერხით თეატრში მიიტყუილონ, ყველაფერი ეს ესპანეთის მწერალთა სასირცხვილოდ, ჭეშმარიტებას შეურაცხყოფს და ისტორიას ამახინჯებს, და უცხოქვეყნელი დრამატურგნი ჩვენს დრამატულ თხზულებებს რომ კითხულობენ, თვითონ ხელოვნების ყველა წესის ბეჯითად აღმსრულებელნი, ჩვენ უმეცრებსა და ბარბაროსებს გვეძახიან. მწერალს იმით არ შეუძლია თავი გაიმართლოს, რომ კეთილგანწყობილი მმართველობა თეატრალური წარმოდგენების ნებას იმ აზრით აძლევსო, რომ ხალხს მოცლილობაში რაიმე ზნეობრივი დროს გატარება მისცეს და ამით უზნეო საქციელს მოაშოროს. ამ საბუთით როდი შეიძლება ითქვას, სულერთია, დრამა კარგი იქნება თუ ცუდი, თუ ამ მიზანს აღწევს, მამ არც მსახიობისათვის არის საჭირო და არც მთხზველისთვის ხელოვანის რაიმე კანონებს დაემორჩილოსო. ასეთი საბუთით თავის გამართლება არ შეიძლება, რადგან მოცლილ დროს ხალხის გართობა რიგიანი თხზულებებით უფრო უკეთესია, ვიდრე ურიგოებით. როდესაც გონივრული და ხელოვნური დრამის წარმოდგენას უცქერს კაცი, მაშინ ის ხუმრობაზე სიცილში მაღალი აზრებით ნათლდება და კარგი კილოს მოსმენით გემოვნებას იუმჯობესებს; წარმოდგენილი ოინები ცხოვრების გამოცდილებას ასწავლიან, მაგალითები გონებას უნათლებენ, ბიწიერება უმეტესი ძალით სმაგდება და კეთილის სიყვარული უფრორე უმტკიცდება. კარგმა დრამამ თვითონ მოუხეშავ და გრძნობა მოჩლუნგებულ მაყურებელზედაც კი ასეთი ზემოქმედება უნდა იქონიოს. არ შეიძლება ყველა ამ ღირსებით სავსე კომედია მომეტებულ ნაწილ ახლანდელ კომედიებზე ნაკლებად მოეწონოს, ნაკლები ხალისი აღუძრას და ნაკლები სიტკბოება აგრძნობინოს მაყურებელს. მაგრამ ესეც უნდა ვთქვა, რომ ახლანდელი კომედიის მწერალნი არც კი არიან გასამტყუნარნი. იმათ თავიანთი შეცოდება მომეტებულ ნაწილად კარგად ესმით, იციან, რაც მოეთხოვებათ, მაგრამ რა ქნან, რომ ახლანდელ დროში კომედია გასასყიდ საქონლად შეიქნა; ამიტომაც იმით იმართლებენ თავს (და არც თუ სტყუიან), რომ თუ დრამა ხალხის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს, მაშინ მსახიობნი მათ ხელსაც არ მოჰკიდებენ. ამ სახით მწერალი ძალაუნებურად იძულებულია საზოგადოების მოთხოვნილებას დაემორჩილოს, რადგანაც საზოგადოებაა მისი შრომის დამაჯილდოებელი. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ ის მრავალი დრამები გავიხსენეთ, ბედნიერი ესპანეთის გენიოსისაგან რომ არიან დაწერილნი ისეთ მშვენიერი ლექსთწყობით, ისე შნოიანად და გონივრულად, ისეთი საგანგებო ხუმრობით და ღრმა აზრებით აღსავსენი, რომ მათი მთხზველის დიდება მთელს ქვეყანაზეა

მოდებული. მაგრამ რა გამოვიდა? რაკი მსახიობთა მოთხოვნების შეფარდებით და იმათი გუნებისად არიან დაწერილნი, ამიტომ ყველა მათგანი როდია იმ მაღალი ღირსების მქონე, როგორცაც ზოგიერთი მათგანი ბრწყინავენ ჩვენს სცენაზე; როგორც მოგეხსენებათ, ისეთი ველური დრამები უთამაშიათ ხოლმე, რომ მსახიობნი თამაშობის უმაღლესი იმპულსები ყოფილან სასჯელისაგან თავს დასაძვრენად ესპანეთიდან გადახვეწილიყვნენ, ბევრ უშვერ სიტყვებს ხმარობდნენ ხელმწიფის წინააღმდეგ და ურიგოდ ოხუნჯობდნენ ზოგ წარჩინებულ პირზე. ამის მაგალითი რამდენიმეც შემემლო დამესახელებინა. ყველა ეს ნაკლოვანება და მრავალი კიდევ სხვა, რომელთაც მე აღარ მოვიხსენებ, ადვილი მოსასპობი იყო, რომ ჩვენში ვინმე ფრთხილი, განათლებული და დახელოვნებული კრიტიკოსი გამოჩენილიყო, ყველა სატახტო და საბაზრო თეატრებში წარმოსადგენი კომედიები მათ დადგამდის გაესინჯა და მის ნებადაურთველად, ხელმოუწერლად და ბეჭედ დაუსმელად ადგილობრივ მთავრობას არავითარ შემთხვევაში სცენაზე წარმოდგენის ნება არ მიეცა. მარტო ასეთი დრამების წარმოდგენით შეიძლებდნენ მსახიობნი ყველა ახლანდელი უსიამოვნება თავიდან აეცილებინათ. მაშინ კომედიების მთხოველნიც უფრო ბეჯითად მოეკიდებოდნენ და მოფიქრებით დაწერდნენ თავიანთ კომედიებს, რაკი ეცოდინებოდათ, რომ მათი ნაწერი, უწინარეს ყოვლისა, სასტიკი კრიტიკოსის წინასწარ განსახილველად უნდა წარედგინათ. მაშინ ჩვენში მშვენიერი კომედიები გაჩნდებოდნენ და რა მიზანსაც ველტვით, იმ მიზანს ჩინებულად მივაღწევდით. საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩებოდა, მწერალნიც ქება-დიდებას დაიმსახურებდნენ, მსახიობნიც გამდიდრდებოდნენ. მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნაც თავიდან აეხსნებოდათ და სასჯელიც მოსპობოდა. ამის გარდა, სხვა პირისათვის, ან თუნდა იმისთვისვე რომ, აგრეთვე, რაინდული თხოვრებების განხილვაც მიენდოთ, მაშინ ჩვენში, უეჭველია, ყველა იმ ღირსებით სავსე ნაწერები გაჩნდებოდნენ რაზედაც წელან ბრძანებლით. ასეთი ნაწერები ენას გაგვიმდიდრებდნენ მჭევრმეტყველების ძვირფასი საუნჯით და თავიანთი ბრწყინვალეობით ძველ წიგნებს დაამხოებდნენ. ეს წიგნები გამოიცემოდნენ არა მარტო უსაქმურთა დროს გასატარებლად, არამედ საქმიანი ხალხის გასართობადაც, ხომ მოგეხსენებათ, შვილდის ლარი მუდამ გაჭიმული ვერ დარჩება, აგრეთვე ადამიანის სისუსტეც რიგაინ გართობაში ეძებს შვებას.

მღვდელსა და ბერს ბაასი დალაქმა გააწყვეტინა:

- ბატონო ლიცენციატო, კარგი იქნებოდა აქ ჩამოვხტებოდეთ - თქვა მან. - მანამ ჩვენ დავისვენებდით, ხარებიც კარგად დამდებოდნენ ამ მშვენიერ ველზე.

- მეც აგრე მგონია, - უპასუხა მღვდელმა.

ბერიც ლიცენციატის აზრს დაეთანხმდა და მშვენივრად აშლილი ველის სანახაობით გატაცებულმა გადაწყვიტა ამ ახალ ნაცნობებთან ერთად დაესვენებინა. მას ინდოდა ამ ადგილმდებარეობის სანახაობით დაკობასთან ერთად დონ კიხოტის საგმირო ამბებიც დაწვრილებით გაეგო და მღვდელთანაც გულითადი ბაასი განეგრძო. ამ აზრით რამდენიმე თავის მსახურს უბრძანა იმ არემარეში ახლომდებარე ფუნდუკში წასულიყვნენ და იქიდან მთელი იმ საზოგადოებისათვის სადილი მოეტანათ. მაგრამ ამაზე ერთმა მსახურმა მოახსენა, ყოველგვარი საგზაო ნუზლით დატვირთული ჯორი აქამდის ფუნდუკში კიდევ მივიდოდაო და მამ ქერის გარდა აღარაფრის ყიდვა აღარ დაგვჭირდებაო.

- თუ ასეა, - უთხრა ბერმა, - ცხენები იქ წაიყვანეთ და ნუზლით დატვირთული ჯორი კი აქ მოიყვანეთ.

ამასობაში სანჩომ თავის ბატონთან თავისუფლად, მღვდლისა და დალაქის თანდაუსწრებლად ლაპარაკის დრო იხელთა. მივიდა დონ კიხოტის გალიასთან და მოახსენა:

- ბატონო, სინდისი მეტად მაწუხებს, თუ თქვენს მოჯადოებაზე ცოტაოდენი რამ არ მოგახსენეთ. ჯერ ერთი ისა, რომ ეს ორი ნილაბაფარებული ბატონი რომ მოგვდევს, ჩვენებური მღვდელი და დალაქია; იმათ, როგორც ვფიქრობ, თქენდამი შური აღემრათ. რაკი სანაქებო საქმეებით წინ გაუსწართ, ამტეომაც გალიაში ჩაგსვეს და შინ მიჰყევხართ, როგორც სულელი. ახლა იმასა გთხოვთ, ერთი გაისარჯეთ, თქვენო პატიოსნებავ, და ჩემს კითხვაზე პასუხი მომეცით: თუ როგორც მე ვფიქრობ, ისეთ პასუხს მომცემთ, მაშინ სწორედ შეიგნებთ ყველა ამ მოტყუილებას და ცხადად დაინახავთ, რომ თქვენ მოჯადოებული კი არა - ჭკუაზე თხლად ბრძანებულხართ.

- მკითხე, რაც გინდა, - უთხრა დონ კიხოტმა, - მე მზად ვარ ყველა კითხვაზე პასუხი მოგცე. მაგრამ იმას კი ყურადღებას ნუღარ მიაქცევ, რომ ჩვენი თანამგზავრი მოჩვენებანი ჩემს მეზობელ მღვდლად და დალაქად მიგაჩნია; დიახაც შესაძლებელია ეგრე გეჩვენებოდეს, მაგრამ შენ ეგ მაინც ნურასოდეს ნუ გჯერა, რადგან ისინი სრულიადაც არ არიან. მოხიბლულთათვის დიახაც ადვილია ის სახე მიიღონ, რა სახითაც ჩვენთან გამოჩენა სურთ. აი, მაგალითად, ახლა ამათ ჩემი მეგობრების სახე მიიღეს, რა არის სწორედ ის გაფიქრებინონ, რასაც ახლა ფიქრობ და იმ ეჭვთა და საოცრებათა ლაბირინთში ჩაგაგდონ, საიდანაც შენი გამოყვანა არავითარ თეზეოსის ძაფს არ ძალუძს. ჩემი ეჭვში შეყვანაც ეწადათ, რომ ვერ გამომეცნო, თუ საიდან დამატყდა ეს თავზარი. ამიტომ, როდესაც ერთის მხრივ, დამაჟინებენ, ვითომც ჩემი მე გოხარი მღვდელი და დალაქი ჩემს გარშემო არიან, ხოლო, მეორეს მხრივ, ჩემს თავს გალიაში ვხედავ შეპყრობილს და ამასთანავე დარწმუნებულად ვარ, რომ ვერავითარ კაცობრიულ ძალას, თუკი იგი ძალა ზებუნებრივი არ იქნებოდა, ამ გალიაში ჩემი ჩაკეტვა არ შეეძლო, - როგორ გგონია, მაშინ რა უნდა ვიფიქრო, ანუ ვთქვა? იმის მეტი, მგონია, არაფერი, რომ სულ სხვანაირად მომხიბლეს და მომაჯადოვეს და არა ისე, როგორც უწინდელ მოგზაურ რაინდებს ხიბლავდნენ. ამას მაფიქრებინებს მე ყველა ის, რაც რომ რაინდებზე მოთხრობა წამიკითხავს მაშ დამშვიდდი, ჩემო მეგობარო, და ნუღარ გჯერა, ვითომც ჩემი მეგობრები გვახვევიან გარს: ესენი ისე არიან ჩემი მეგობრები, როგორც მე თურქი ვარ. აბა ახლა თქვი, რაც გინდა, მე მზად ვარ, თუნდ ხვალამდის გამლიო პასუხი.

- ღვთისმშობელო დედაო! - შეჰყვირა ჩანჩომ; - ნუთუ, ბატონო, იქამდის დაგებნათ ჭკუა, რომ სრულიად ვეღარ გაგიგიათ, ნამდვილ მართალს რომ მოგახსენებთ ამ გალიაში მოჯადოებამ კი არა - ბოროტებამ და შურმა ჩაკეტათ. მაგრამ, აი ახლავე ჩინებულ დაგიმტკიცებთ, რომ მოხიბლული არა ხართ. ნება მიბოძეთ ერთი შემოგხედოთ... ღმერთმა ინებოს, ამ განსაცდელისაგან გათავისუფლდეთ და ქალბატონ დულსინეას გულში სწორე იმ დროს ჩავახუტოთ, როდესაც ამას სულაც არ მოელოდეთ.

- დაასრულე ეგ შენი სურვილი, - უთხრა დონ კიხოტმა, - და მკითხე რაც გინდა; აკი გითხარ, ყველა კითხვაზე ბეჯითად გიპასუხებ-მეთქი.

- მაგის მეტიც არა მინდა-რა, - განაგრძო სანჩომ. - მაშ მითხარით, თქვენო პატიოსნებავ, ნამდვილი ჭეშმარიტებით, როგორც ნამდვილმა მოგზაურმა რაინდმა, ისე რომ არც არც არაფერი დააკლოთ და არც არაფერი მიუმატოთ.

- გიმეორებ, არაფერს ვიცრუებ. მეთქი, - გააწყვეტინა დონ კიხოტმა. - ეს კი ჰქენ, ღვთის გულისათვის, ჩქარა თქვი, თორემ მაგ შენი წინასიტყვაობით გადაცემ-გადმოცემებითა და მიხვევ-მოხვევით ლამის თავი მომაბეზრო.

- მე მარტო იმას მოგახსენებთ, - უპასუხა სანჩო, - რომ სრულიად დაიმედებული ვარ თქვენს მართლისმოყვარეობასა და გულახდილობაზე და რადგანაც ჩვენს საქმეს მეტად შეეხება, ამიტომ გავკადნიერდები და ჯეროვანის პატივისცემით მოვმართავ თქვენს პატიოსნებას: მიბრძანე, ღმერთი გადღეგრძელებს, ჭამა არ გინდათ ან სმა, ან ძილი, ან კიდევ ისეთი რისამე ქნა, რაც თქვენს მდგომარეობაში მყოფს, სხვას არ მოუნდებოდეს? მაგალითად, როგორც იტყვიან, მცირე ან დიდ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გასვლა?

- არაფერი არ მესმის! რას ნიშნავს, სანჩო, "საჭიროებისათვის გასვლა"? უფრო ნათლად გამოთქვი შენი აზრი, თუ გსურს გიპასუხო.

- ნუთუ თქვენს მოწყალებას არ ესმის, რას ნიშნავს, "მცირე და დიდ საჭიროებათათვის გასვლა"? ეს ხომ ხკოლის ბავშვებმაც იციან! მე მინდოდა მეკითხა თქვენთვის: გქონიათ თუ არა სურვილი ჩაგედინათ ის, რისი შესრულებაც თქვენს მაგიერ სხვას არ შეუძლია და რომელსაც თავს ვერ დააღწევ?

- ჰო, ჰო, ახლა კი მივხვდი, სანჩო! - შეჰყვირა დონ კიხოტმა. - რასაკვირველია, ბევრჯერ მომივიდა ეს სურვილი და ხლაც ისევ მომიინდა. მიხსენ, სანჩო, ამ გაჭირვებისაგან, თორემ, მგონი, ცუდად გათავდეს საქმე! ყველაფერი თავის რიგზე როდი მაქვს!

#### თავი XLIX

სადაც მოთხრობილია ფრიად გონივრული საუბარი სანჩო პანსას და მის ბატონ დონ კიხოტს შორის

- ეჰ, ახლა კი დაგიჭირეთ, - წამოიძახა სანჩომ, - ჩემმა მზემ, სწორედ დაგიჭირეთ, და სხვაც არა მინდოდა-რა. ხომ მოგეხსენებათ, ბატონო, როცა ვისმეს ისე დაემართება, რომ თავის თავისას ველარას გაიგებს, იმაზე იტყვიან ხოლმე: ღმერთმა უწყის, მის თავს რა ამბავიაო. სწორედ მოჯადოებულებით არც ჭამს, არც სვამს, არც ძინავს, და რომ კიხავენ რამეს, პასუხს სულ სხვას იძლევა. მაშ გამოდის, მოჯადოებულნი ისინი ყოფილან, ვინც არც ჭამს, არც სვამს, არც ძინავს და არც აკეთებს რამეს. თქვენ კიდევ ჭამთ, კვც სვამთ, როცა კი საჭმელ-სასმელს მოგართმევენ, პასუხსაც აძლევეთ, რასაც გკითხავენ ხოლმე, და სხვასაც ყველაფერს ჩადიხართ, მაშ აბა სადაური მოხიბლული ხართ?

- შენ მართალი ხარ, სანჩო, - უპასუხა დონ კიხოტმა, მაგრამ ხომ მითქვამს შენთვის, რომ მოხიბვლა სხვადახვაგვარია-მეთქი. რაც უწინ ხდებოდა ხოლმე, შესამღებელია, დროს განმავლობით შეცვლილიყოს, და ჩვენ დროში მოხიბლულნი იმავე მოთხოვნილებას გრძნობდნენ, რასაც თვითონ მე ვგრძნობ. დროსაგან მომხდარი ცვლილებანი რაიმე წესს ძნელად ექვემდებარებიან. მე დასტურ ვიცი, რომ მოხიბლული ვარ და ეს ცოდნა ჩემთვის საკმაოა, რომ დამშვიდებული ვიყო, ასე რომ არ იყოს, მცირე ოდენი ეჭვი მაინც რომ მქონდეს ჩემს მოხიბვლაზე, გეფიცები, სინდისი ძალიან შემაწუხებდა, სულმოკლედ, გაუნძრევლად რომ ვგდივარ ამ გალიაში და მით შემწეობას ვაკლებ მრავალ უბედურთა და მაშვრალთა, რომელნიც

სხვა დროზე მომეტებულად, ალბათ, ჩემს მეოხებას და მხარდაჭერას ახლა უფრო უნდა საჭიროებდნენ.

- მე მაინც მგონია, დასარწმუნებლად კარგს იზამდით, მაგ გალიიდან გამოსვლა გეცადათ (მეც ღმერთმანი, რაც კი ღონე შემწევს გიშველიდით). აბა ერთი სცადეთ გამოსვლა, როსინანტზე შეჯდომა მოხიბლულივით თავჩაქინდრული და დაღონებული რომ დგას და ერთი კიდეც დავეშვათ ფათერაკების სამებნელად. თუ ეს ვერ მოხერხდა, განა დროს ველარ ვიპოვით, დავბრუნდეთ და ისევ ამ გალიაში შევძვრო, თუ ასეთი უბედურება დაგვემართა. ღმერთსა ვფიცავ, ბატონო, როგორც თქვენი ერთგული საჭურველმტვირთველი, მეც შემოვალ და თქვეთან გალიაში დავბინავდები, თუკი ან თქვენ არ დაგემართათ ისეთი უბედურება ან მე ისეთი სისულელე, რომ ამ გალიაში დაბრუნებაზე უკეთესი ველარა მოვახერხებ-რა.

- თანახმა ვარ და აი ჩემი ხელი, ჩემო ძმაო სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა. - თუ დროს მოიხელებ როგორმე და ამ გალიიდან გამომიყვან, მაშინ ყველაფერს ავასრულებ, რასაც კი მეტყვი. მაგრამ, ჩემო მეგობარო სანჩო, ამ ჩემს უბედურებას რომ უარყოფ - ცდები, და ამ შეცდომას ჩქარა დაინახავ.

მოგზაურ რაინდსა და ბედშავ საჭურველმტვირთველს მანამ ეს საუბარი ჰქონდათ, დონ კიხოტის ურემი იმ ალაგას მივიდა, სადაც მღვდელი, ბერი და დალაქი ჩამომხტარიყვნენ და უცდიდნენ. მეურმემ ხარები გამოუშვა და ფართო მინდორზე გარეკა სამოვრად. ამ ამწვანებულ მიდამოს მყუდროება და სიგრილე დასატკობად და დასასვენებლად იწვევდა ყველას. ვინც ისე წინდახედული და კეთილგონიერი იყო, როგორც ჩვენი საჭურველმტვირთველი, ხოლო დონ კიხოტით მოჯადოებულებს ამისთვის როდი სცხელოდათ. სანჩომ თხოვა მღვდელს - რაინდისათვის გალიიდან გამოსვლის ნება მიეცათ და ახუსნა, რომ თუ ამას არ ჩაიდენდნენ, მაშინ შეიძლება საპყრობილეში ისეთი უსიამოვნება მომხდარიყო, რაც არ შეეფერებოდა სახელოვანი რაინდი ღირსებას. მღვდელი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, და უპასუხა:

- სულით და გულით მივცემდი ნებას, მაგრამ მეშინია, ვაი თუ დონ კიხოტმა როგორმე დრო იხელთოს და ისეთ ალგას გაგვექცეს, რომ ველარ ვიპოვოთ.

- თავდებად მე დავუდგები, რომ არ გაიქცევა, - უთხრა სანჩომ.

- მეც ვუთავადებებ, - დაუმატა ბერმა, ან კი რისა გვეშინია, თუკი რაინდის პატიოსან სიტყვას დაგვიდებს, ჩრომ ჩვენ დაუკითხავად ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს არსად.

- გაძლევთ მაგ სიტყვას, - გამოეხმაურა დონ კიხოტი, რადგან მთელი ეს ლაპარაკი ესმოდა, - იმასაც ვიტყვი, რომ ვინც ჩემსავით მოხიბლულია ის თავის ნებასაც მოკლებულია. მომხიბვლელ ჯადოქარს შეუძლია მოხიბლულს მთელი სამი საუკუნის განმავლობაში ადგილიდან ფეხი არ მოაცვლევინოს და კიდეც რომ გაიქცეს სადმე, მოხიბლული, ჯადოქარი მას სულ ფრენით დააბრუნებს უკან. ამიტომ სრულებით უშიშრად შეგიშლიათ გალიიდან გამოსვლის ნება მომცეთო. - დაუმატა მან; - ამით ყველა სარგებლობას ნახავს; მით უმეტეს, რომ თუ არ გამომიშვებთ, ყველას გასაგონად ვაცხადებ, ვერ შევძლებ თავის შეკავებას, რომ თქვენი ყნოსვა არ შევეურაცხეყო.

ამის პასუხად ბერმა დონ კიხოტს ხელი გამოაწოდებინა (თუმცა ორივე ერთად ჰქონდა შეკრული), პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა და მისდა სასიხარულოდ გალიიდან გამოუშვა.

გალიიდან გამოვიდა თუ არა, არაჩვეულებრივად გახარებული დონ კიხოტი ჯერ ზედიზედ რამდენჯერმე ღონივრად გაიზმორა, შემდეგ როსინანტთან მივიდა, კისერსა და ფერდებზე ალერსით ხელი მოუთათუნა და უთხრა:

- შნოვ და ლაზათო ცხენებისავ! უცვალეზლად ვსასოებ ღმერთს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და იმედი მაქვს, ჩვენ ერთმანეთს ისევე მალე ვნახავთ, როგორც ორივესა გვსურს: მალე მოვესწრებით, რომ შე შენს ბატონს მიაქროლებდე და მეც შენზე მჯდომარე კვალად იმ მიზნისაკენ მივილტვოდე, რა მიზნის მისაღწევად ზენამ ამქვეყნად წარმომგზავნა!

ამ სიტყვების შემდეგ დონ კიხოტი სანჩოსთან ერთად გაეშურა განმარტოებული ადგილისაკენ, საიდანაც დაბრუნდა ფრიად შემსუბუქებული და უფრო გაძლიერებული სუვილით - შეესრულებია ის, რაც საჭურველმტვირთველმა ურჩია.

ბერი თვალეზდაჭყეტილი უცქერდა დონ კიხოტს და მის სისულელეს კვირობდა, მას ურო ის აოცებდა, რომ უბედური რაინდი ყველა საგანზე გონივრულად ლაპარაკობდა და აზდაუბდას მხოლოდ მაშინ მოჰყვებოდა ხოლმე, როდესაც, როგორც ჩვენ ეს ბევრჯერ ვნახეთ, ლაპარაკს რაინდობაზე გადაუხვევდა ხოლმე. ყველანი რომ სადილის მოლოდინში მწვანე მდელოზე წამოსხდნენ, ის მიუბრუნდა დონ კიხოტს და უთხრა:

- ნუთუ, ბატონო იდალგო, უთავბოლო და უსაფუძვლო სარაინდო წიგნების კითხვამ ასეთი მავნე გავლენა იქონია თქვენზე? თქვენ წარმოგიდგენიათ, ვითომც მოხიბლული იყოთ და ჭეშმარიტებად მიგაჩნიათ მრავალი სისულელე, ისევე მსგავსი მართლისა, როგორც სიცრუე ჰგავს მართალს არ მესმის, ღმერთმანი, როგორ შეიძლება ქვეყანაზე ისეთი მსუბუქი ჰკუის კაცი იყოს ვინმე, რომ მთელი იმ ადამიანების ხროვა და ყველა ის უთვალავი რიცხვი გამოჩენილ მოგზაური რაინდებისა სწამდეს. განა დასაჯერებელია, რომ იმდენი ტრაპიზონის იმპერატორი ყოფილიყო ქვეყანაზე, იმდენი უამრავი ამაღისი, იმდენი სახელოვანი რაინდთა გროვა, იმდენი ჰირკანელი ფელასმარტე, იმდენი მერანი და იორლა, იმდენი მოგზაური ქალწული, იმდენი გველი და გველეშაპი, იმდენი ანდრიკი, იმდენი დევი და ფალავანი იმდენი ახირებული ფათერაკი, იმდენი ბრძოლა და სასტიკი შერკინება, იმდენი საზარელი შემთხვევა და ჯადოქრობა, იმდენნაირი მორთულობა და ტანისამოსი, იმდენი შეყვარებული ბანოვანი, იმდენი გაგრაფებული საჭურველმტვირთველი, იმდენი ხუმარა ქონდრისკაცები, იმდენი სამიჯნურო წერილები და ლექსები, იმდენი სახელოვანი ჯარისკაცი და სარდალი და, დასასრულ, იმდენი დამთხვეულობა, აზდაუბდა და მოჩმახული სისულელე, რამდენსაც სარაინდო წიგნებში ამოიკითხავს კაცი? მართალი რომ ვთქვა, იმათი კითხვა ცოტაოდნად მეც მეხალისება, მაგრამ იმ დრომდე, ვიდრე გონება გამახსენებს, რომ სიცრუესა და სისულელეს ვკითხულობ; მაშინ უკეთეს მათგანს კედელსა ვთხლემდი ხოლმე, და შიგ ცეცხლშიაც შევუძახებდი, თუ სადმე ახლოს ანთებული მუგუზლები მექნებოდა. ღირსიც არიან ამისი, რადგან მათში ყოველი ცოტაოდნად მაინც ბუნებრივი და ნამდვილი უარყოფილია, მავნებელ აზრებს ავრცელებენ, რაღაც ახალ ცხოვრებას იგონებენ, უმეცარ ხალხს აიძულებენ, რომ ირწმუნოს და ყველა ის სისულელე სიმართლედ მიიჩნიოს, რითაც ისინი აღსავსენი არიან. ამასთან იქამდის კადნიერობენ, რომ პატიოსან იდალგოთა გონების დაზნელებასაც კი ჰბედავენ, აი როგორც თვითონ თქვენი გონება დაუზნელებიათ და იქამდასაც აუყვანიხართ, რომ საჭიროდ დაუნახავთ თქვენი გალიაში ჩასმა და ურმით შინ წაყვანა, იმის მსგავსად, როგორც ზოგიერთნი ლომსა და ვეფხვს ატარებენ სოფელ-სოფელ საჩვენებლად და ამით ცხოვრების სახსრად ორიოდე გროშს შოულობენ. გონზე მოდით, თქვენი თავი შეიბრალებთ,



ბატონო დონ კიხოტო, და კვალად საღი გონების წიადს დაუბრუნდით და თუ თქვენი ბუნების მიდრეკილება ისეთია, რომ ვერ გაძლებთ, თუ ისეთი წიგნები არ წაიკითხეთ, სადაც დიდი და სახელოვანი საჭირო საქმეებია აღწერილი, მაშინ საღვთო წერილი გადაშალეთ და "წიგნი სჯულთა" წაიკითხეთ, - იქ შეხვდებით დიადთა საქმეთა, ბრწყინვალეთა და ჭეშმარიტთა ამბავთა. ესეც რომ არ იყოს, განა ლუზიტანას არა ჰყოლია ვირიატო, რომს - კეისარი, კართაგენს - ჰანიბალი, საბერძნეთს - ალექსანდრე, კასტილიას- გრაფი ფერნან გონზალესი, ვალენსიას - სიდი, ანდალუზიის - გონსალო ფერნანდესი, ესტრემადურას - დიეგო გარსია დე პერედესი, ხერესს - გარსია პერეს დე ვარგასი, ტოლედოს - გარსილასო, სევილიას - დონ მანუელ დე ლეონი; ამ პირთა მოთხრობას შეუძლია თვით დიდი გენიოსებიც გაართოს, კიდეც შეაქციოს, კიდეც გააკვირვოს, კიდეც მოხიბლოს და მასთან ცოდნაც შესძინოს. თქვენი დიდი ჭკუისათვის სწორედ იმათი წაკითხვა არის შესაფერი, ჩემო ბატონო დონ კიხოტო. ისინი ისტორიული ცნობებით გაგაკვირვებენ, ყოველი კეთილისადმი სიყვარულს აღგიგზნებენ, სასარგებლო ცოდნით გაგანათლებენ, თქვენს გონებას განამტკიცებენ, შეგქმნიან მართლის მოყვარე გონიერად, და უებრო მამაცად, რომლისთვისაც უცხო და უცნობი იქნება სულმოკლეობა, სიცრუე და კადნიერება და ყველა ამით ღმერთსაც ადიდებთ, საკუთრ თქვენს თავსაც სარგებლობას მოუტანთ, ხოლო თქვენს სამშობლო ლამანჩსაც ასახელებთ.

დონ კიხოტი დიდი ყურადღებით უსმენდა ბერს, როცა ის გაჩუმდა, რაინდი დაშტერებით დააცქერდა და, ბოლოს უთხრა:

- მოწყალეო ხელმწიფე! თუ არ ვცდები, თქვენ გასურდათ დაგემტკიცებინათ ჩემთვის, ვითომც ქვეყანაზე მოგზაური რაინდები არასოდეს არ ყოფილან, ვითომც სარაინდო წიგნები სიცრუისა, სისულელისა და ვნების მეტს არაფერ შეიცავენ, ვითომ მე ძალიან ცუდად ვიქცევი, რომ ამ წიგნებს ვკითხულობ, უფრო ცუდი ისაა, რომ მჯერა ისინი და კიდეც უარესი, - რომ მათ ვბაძავ და მოგზაურ რაინდთა ნარეკლოვან გზაზე მოღვაწეობა გადამიწყვეტია. ყველა ამას თქვენ ამტკიცებთ მხოლოდ იმიტომ, რომ არც ამადის გალელისა და ამადის ბრძენის არსებობა გწამთ და არც მრავალთა სხვა რაინდთა, რომელთა ცხოვრება და მოქმედება თქვენგან გაკიცვულ რომანებში არის აღწერილი.

- დიახ, მართლსა ბრძანებთ, თქვენ ზუსტად გადმოსცემთ ჩემს აზრს, - დაუდასტურა ბერმა.

- ამას გარდა თქვენი სიტყვით, - განაგრძო დონ კიხოტმა, - ვითომც იმ წიგნებმა დიდი ვნება მომიტანეს, ტვინი შემირყიეს და გალიაშიც კი ჩაასმევინეს ჩემი თავი. ამიტომ ჩემთვის საჭიროა გონზე მოვიდე და რაინდული რომანების ნაცვლად იმათ კითხვას შევუდგე, რა წიგნებშიაც უფრო მართლის მსგავსი ამბებია აღწერილი და ადამიანს გართობასთან ერთად სწავლასაც შესძენენ.

- სწორედ მართალსა ბრძანებთ, - შენიშნა ბერმა.

- მხოლოდ მე ამას მოგახსენებთ, - შეჰყვირა დონ კიხოტმა, - რომ თვითონ თქვენ ყოფილხართ მოჯადოებული და საღ გონებას მოკლებული, რაკი ასე გაკადნიერდით და ეგოდენ გავრცელებულსა და მთელი ქვეყნისაგან ჭეშმარიტ წიგნებად ცნობილ რომანებს ცილი დასწამეთ და შეაგინეთ; ვინც იმათ უარჰყოფს, იმგვარივე სასჯელის ღირსი შეიქნება, რაგვარ სასჯელსაც თქვენ უქადდით იმ თქვენი აზრით, მოსაწყენ და უსიამოვნო ნაწერებს. თქვენ გრურთ დამაჯეროთ - ამადისისა და აგრეთვე სხვა რაინდების არსებობა ნუ გწამსო, რომელთა ამბებით თქვენგან გაკიცვული წიგნები პირთამდე სავსეა; ეს სწორედ იმასა ჰგავს, ადამიანს

არწმუნებდეთ, ვითომც მზე არ ანათებს, ყინვა ათბობს და დედამიწას თავის ზურგზე არ გჭერვივართ; რა ჭკუას შეუძლია დააჯეროს ვინმე, ვითომც ინფანტა ფლორიეს და გუი ბურგონელის ამბავი სიცრუე იყოს ანუ კარლოს დიდის დროს მონტილის ხიდზე ფიერბრაასის მიერ ჩადენილი გმირობა მათი მოგონილი ამბავი იყოს? ღმერთი გამიწყრეს, თუ ეს ისევე ჭეშმარიტი ამბავი არ იყოს, როგორც ის არის ჭეშმარიტი, რომ ახლა დღეა. თუ ეს სიცრუეა, მაშ ისიც სიცრუედ ჩათვალათ, რასაც ისტორია მოგვითხრობს ჰექტორზე, აქილევსზე ტროას ომზე, საფრანგეთის თორმეტ დიდებულზე და ყორნად გადაქცეულ ინგლისის მეფე ართურზე, ბრიტანელი ხალხი რომ მის კვლავ მოსვლას ახლაც ელის. განა გაბედავს ვინმე გუარინო მესკინოს ამბავი, ან წმიდა გრაალის საქვეყნოდ ძებნა ზღაპრად ჩასთვალოს? თქვენ იქნებ მოგონილად გამოაცხადოთ ტრისტანისა და დედოფალ იზოლდას სიყვარული, ან ლანსელოტისა და ჯინევრას მიჯნურობა, - მაშინ, როდესაც იმ პირთ ჩვენს დროში უცხოვრიათ, ვისაც ჯერაც ახსოვდათ თურმე დუენია კვინტანიონი, ბრიტანეთის საუკეთესო მერიქიფე ქალი; დიახ, ეს ასეა და თვითონ მეც მახსოვს ერთი ჩემი ბებიათაგანი შეხვდებოდა თუ არა ვინმე დუენიას, მაშინვე იტყოდა ხოლმე: "შეხედეთ შვილო დედაკაცი დუენია კვინდანიონს არა ჰგავსო" .. მაშ, უნდა ვიფიქროთ, რომ ბებიაჩემი იმ დუენიას იცნობდა, ან ის მაინც ყოფილა რომ მისი სურათი უნახავს. ვის შეუძლია პიერ პროვანსელსა და მშვენიერ მაგელონეზე დაწერილი მოთხრობის უტყუარობა უარჰყოს, როდესაც ჩვენი მეფეების თოფ-იარაღის დარბაზში ახლაც კი ინახება თავტაბიკის ტოლა რკინის კეტი პიერ პროვანსელის რკინის ცხენს რომ ამოდრავებდა, როდესაც იგი მამაცი ჰაერში მოგზაურობდა ხოლმე. იმ რკინის კეტის გვერდი ბაბიეკის უნაგირი დევს, სიდის საჯდომი ცხენისა, ხოლო რონსევალის გასავალში ახლაც ნახავს კაცი როლანდის საყვირს, მთელი ძელი ოდენა რომ არის თურმე. ყველა ეს ამტკიცებს, რომ ქვეყანაზე უცხოვრიათ საფრანგეთის თორმეტ დიდებულსაც, პიერსაც და სხვა მათ მსგავს რაინდებს;

ხალხში ესოდენ სახელგანთქმულებს

თავის ფათერაკთმამიებლობით.

თუ ამას უარყოფთ, მაშ სახელოვანი ლუზიტანელი მოგზაური რაინდის ხუან მერლოს არსებობაც უნდა უარჰყოთ, აგრეთვე მისი ბურგუნდიაში მოგზაურობაც. მისი ბრძოლა არისის მთებში, სადაც იგი ჩინებულ სენიორ დე შარნის ებრძოდა, მოსენ პიერად წოდებულს; აგრეთვე მისი მეორე ბრძოლაც ქალაქ ბაზელში მოსენ ჰანრი დე რამესტიანთან, რომელ ბრძოლაშიც ორჯერ გამარჯვებული და დიდებამოსილი გამოვიდა. აგრეთვე უნდა უარყოთ ბურგუნდიაში მომხდარი ბრძოლა, სადაც გრაფი დე სან პოლის შვილები იქმნენ ძლეულნი ორი გამოჩენილი ესპანელის - პედრო ბარბისა და გუტიერე კიხადასაგან (რომლისაგან პირდაპირი მამრობითი შტოთი მე ვშთამომავლობ). მაშ ისიც ტყუილი იქნება, დონ ფერნანდო დე გევარა რომ გერმანიაში წავიდა ფათერაკების სამეზნელად და იქ ავსტრიის რაინდს მესერ გეორგის შეერკინა. თქვენ იტყვით, რომ ყველაფერი ეს გამოგონილია და მოჭორილიაო; განა "პასოში" აღწერილი სუერო დე კინიონესის ტურნირი, მოსე ნლუი დე ფალსესის ლაშქრობა, კასტილელი რაინდის დონ გონსაო დე გუმანის წნააღმდეგ და სხვა მრავალი სახელოვანი საქმეები, ესპანელ და უცხოელ რაინდთაგან დენილი, ხალხის შესაქცევარ ზღაპრებად უნდა ჩავთვალოთ? მართლაც ისინი იმდენად ნამდვილი და უტყუარნი არიან, რომ მითქვამს და კვლავაც ვიყვირ: ყველა ამ ჭეშმარიტი ამბების უარისმყოფელი უგუნური უნდა იყო ანუ შემლილი.

ნამდვილი და მოგონილი ამბები ამ უცნაურმა არევ-დარევამ ბერი გააოცა და აგრეთვე იმანაც გააკვირვა, რომ დონ კიხოტმა ასეთი დიდი ცოდნა გამოიჩინა ყველა ომისა, რაც კი მის საყვარელ მოგზაურ რაინდობას ცოტაოდენად მაინც შეეხებოდა.

- მე იმას უარს არა ვყოფ, რომ ზოგიერთი თქვენგან ჩამოთვლილი ამბები მართალია, - უპასუხა ბერმა; - მეტარე თქვენგან დასახელებულ ესპანელ რაინდთა ღვაწლი ჭემმარიტ ამბებად მიმაჩნია. აგრეთვე იმაშიც გეთანხმებით, რომ ქვეყანაზე საფრანგეთან თორმეტი დიდებული სწორედ არსებობდა, მაგრამ იმას კი ვერ დავიჯერებ, ვითომც მათ ყველა ის მოეხდინოთ, რაც მათი ცხოვრების აღმწერი მღვდელმთავარი ტურპინი მოგვითხრობს. მართალია, ისინი ნამდვილი რაინდები იყვნენ, საფრანგეთის მეფისაგან არჩეულნი და ფრანგულად პერებად წოდებულნი, იმის ნიშნად, რომ ყველა ისინი თანასწორი იყვნენ (ანუ თანასწორი უნდა ყოფილიყვნენ) ახოვანებითა და მამაცობით. ეს იყო სამხედრო ძმობა, ახლანდელი სანტიაგოს ანუ კალატრავის ორდენის მსგავსი, და იმ დასში მხოლოდ რჩეულ, მამაც და კეთილშობილ ვაჟკაცთა მიღება შეიძლებოდა, და როგორც ახლა იტყვიან ხოლმე - სან ხუანის ორდენის რაინდი, ან ალკანტარის ორდენის რაინდი, ისე მაშინ ამბობდნენ ხოლმე: ათორმეტ პერთა რაინდიო. ქვეყანაზე რომ სიდი და ბერნარდო დე კარპიო არსებობდა, ამის ეჭვი არავისა გვაქვს, მაგრამ საქმე იმაშია, ყველა ის ღვაწლი ჩაუდენიათ მათ, რასაც მიაწერენ, თუ არა? რაც შეეხება გრაფ პიერის რკინის კეტს, მეფის თოფ-იარაღის დარბაზში რომ ბაბიეკის უნაგირის გვერდით ძევს, ის რკინის კეტი, თუმცა, თქვენი სიტყვით, დიდიც არის, მაგრამ არ ვიცი, ღმერთმანი, რა ცოდვისა დამემართა, რომ მე ის იქ ვერსად შევნიშნე, თუმცა მის გვერდზე მდებარე უნაგირი კი დიახ ცხადად დავინახე.

- მე მაინც იმას ვიტყვი, რომ სწორედ იგი იმ დარბაზში ძევს, როგორც ამბობენ, ტყავის ბუდეში შენახული, რათა ჟანგმა არ გააფუჭოს, - მიუგო დონ კიხოტმა. - იქნებ, ეგრეც იყოს, - უპასუხა ბერმა, - მაგრამ ჩემს ბერობას გეფიცებით, მე ის იქ არსად შემინიშნავს. მაგრამ, თუნდაც ის რკინის კეტი მართლაც მეფის დარბაზში ინახებოდეს, განა შეიძლება მან დამარწმუნოს ამადისებისა და სხვა რაინდთა ურიცხვი სიმრავლის არსებობა, რომლებზედაც მრავალ შეუძლებელ ამბებს მოგვითხრობენ? განა პიერის რკინის კეტს შეუძლია ასეთ ჭკვიან და განათლებულ კაცს გაიძულოთ ჭემმარიტებად ჩათვალოთ ყველა ის მოჩმახული ლაყბობა და ყველა უშვერი სიცრუე, რითაც სარაინდო წიგნები არიან აღსავსენი?

თავი L

დონ კიხოტის მახვილგონივრული პაექრობა ბერთან და სხვა ამბები

- კარგია, თქვენმა მზემ! - წამოიძახა დონ კიხოტმა, - მეფის ნებართვით და ცენზორის მოწონებით დაბეჭდილი წიგნები, ის წიგნები, რომელნიც საყოველთაო აღტაცებს აღძრავენ და იკითხებიან დიდთა და პატარათაგან, მდიდართა და ღარიბთაგან, ნასწავლთა და უსწავლელთაგან, მდაბიოთა და დიდებულთაგან, ერთი სიტყვით, ყველა ჯურისა და მდგომარეობის ხალხთაგან, - დიახ, ის წიგნები უშვერი სიცრუით ყოფილან აღსავსენი, მაშინ, როდესაც მათში დაწვრილებით არის აღწერილი გვარტომობა, დაბადების ადგილი, მოქმედების ადგილი, ასაკი და, დასასრულ, ყველა რაინდთაგან ჩანადენი საქმენი და ისიც, თუ რა დღეს და რა წამში ყოფილან მომხდარი. ღვთის გულისათვის, ბატონებო, გონზე მოდით, ცილს ნუ სწამებთ ჭემმარიტებას და დამერწმუნეთ - ამ საქმეში ისეთს რჩევას გაძლევთ, რომ

ყველა გონიერი კაცი მიჰყვებოდა ამ რჩევას. თუ ჩემი არა გჯერათ, მაშ აბა ის წიგნები წაიკითხეთ, მიწასთან რომ ასწორებთ, და მაშნ თვითონ გაიგებთ, თუ ყველა მათ წამკითხველთ ისინი რა სიტკბოებას ანიჭებენ. აბა ერთი მითხარით, იმ სიტკბოებას რა შეედრება, რა სიტკბოებასაც ამ აღმტაცი სურათის ნახვით მიეცემა ადამიანი: თქვენს წინ გაშლილი მდუღარე ფისის ტბა, შიგ ფუთფუთი გააქვთ უამრავ გველებს, ჯოჯოებს, გველ-ხოკერებს და შხამიან, საზიზღარ, საზარელ ქვემძრომთ. უეცრივ ტბის სიღრმიდან მწუხარე და მუდარების ხმა მოისმის: "ჰოი შენ, ვინც უნდა იყო, რაინდო, ჩვენი საზარელი ტბის კიდეზე მდგომარეე", ამოსძახის უცნობი ხმა, "ამ ტბის ზვირთებში დამალული ნაუნჯის მფლობელი თუ გინდა გახდე, მთელი შენი ვაჟკაცობა მოიკრიბე და ამ მდუღარე ტალღებში ჩაყურყუმელავდი. თუ ამას ვერ გაბედავ, მაშ ღირსი არა ყოფილხარ ის ენით უთქმელი სასწაული იხილო, რითაც სავსეა ამ ფისოვანი ტბის ფსკერზე მცხოვრებთა შვიდთა ფერიათა შვიდი ციხე-დარბაზი". ეს საზარელი ხმა ჯერ არც კი გამწყდარა, რომ რაინდი ყოველგვარი შიშისა და შეწუხების არამრიდე, თავის მძიმე საჭურველსაც კი იხსნის, ღმერთსა და თავის მიჯნურ ქალს აბარებს თავის თავს და მსწრაფლ ტბის შავ ზვირთებში გადაეშვება; და სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე ნაკლებ ფიქრობს, თუ რა დაემართება, იგი უცებ ისეთ მშვენიერ წალკოტში ჩნდება, რომლის მსგავსი თვით ელისეს მინდვრებშიაც კი არ მოიპოვება. მას ეჩვენება, თითქოს იქ ჰაერიც უფრო მსუბუქი და გამჭვირვალეა. თითქოს მზე რაღაც სხვაგვარი ბრწყინვალეობით ანათებს; იგი მშვენიერ ტყესაც ხედავს, ხასხასა მწვანედ შეფოთილი ტოტებით შემკული ხეებით სავსეს, და იქ, შეხლართულ ტოტებში, მხიარულად მოფართხალე უთვალავი, ცისარტყელასფეროვანი ფრინველნი საამო ჭიკჭიკით სმენას უტკბობენ. მის ფერხთით სარკისებრ ანკარა წყარო მიჩანჩქარებს თეთრ კენჭებზე, თითქოს ოქროს ცხრილში აღმოსავლეთის მარგალიტი იცხრილებო. ამის გვერდით მშვენიერი მარმარილოს და ფერადი იასპით ნაკეთები შადრევნები ამოსჩქეფს. ცოტა მოშორებით, მღვიმეში კიდეც მეორე შადრევანი მოჩანს, დიდი ხელოვანის ხელით რაღაც დაუდევრად გაკეთებული, ერთმანეთზე ურიგოდ მიყრილი ლოკოკინებისა და თეთრ ყვითელ სადაფებისაგან უწესრიგოდ, მაგრამ პიტალო ბროლის ნაჭრებთან საუცხოოდ არეულნი, ისინი რაღაც უცნაურ შენობას წარმოადგენენ, რომელთა აშენებაში ხელოვნება თითქოს ბუნებას შეეჯიბრებია, და კიდეც დაუძლევი იგი. მეორე მხრეზე კიდეც დიადი ციხე-დარბაზი თუ საუცხოო სასახლე აყუდებულა, ოქროთი ნაშენი მსხვილკედლებიანი, სუმბულის კარებ ასხმული, აღმასის ნაყმებით მორთული და ისეთი ღვთაებრივი გემოვნებისა, რომ მისი სურათი უფრო ძვირფასი და გასაოცარია, ვიდრე ყველა ის ლალი, ზურმუხტი, იაგუნდი, ზადახში ოქრო, და სხვა ამგვარი მასალის გროვა, არჩმასლითაც იგი ციხე-დარბაზია აშენებული. და როდესაც თქვენი თვალი ყველა ამ საკვირველებით არის გაცეხული, ციხე-დარბაზის მოაჯირიდან მოდიმარ მშვენიერთა გუნდი გამოდის, ისეთი მდიდრული ტანისამოსით მორთული, მათი მშვენიერების აღწერას რომ შევუდგე, როგორც რომანებშია მიღებული, ვერასოდეს ვერ გავათავებ.

იმ გუნდს რომ მშვენიერი ქალი მოუძღვის და დანარჩენთა დედოფალს ჰგავს, ქალი მიუახლოვდება თუ არა უშიშარ რაინდს, ხელს დაუჭერს, ხმაამოუღებლივ სასახლეში ან ციხე-დარბაზში შეიყვანს, ტანთ გახდის, ნელთბილი წყლით გაჰბანს, სურნელოვანი ნელსაცხებლით დაუხელს ტანს და შემდეგ საიშვიათო მუშკ-ამბრით შეზავებულ თეთრ-სპეტაკ პერანგს ჩააცმევს. მეორე ქალი მხარზე ისეთ ტოლომას წამოასხამს, სულ რომ ცოტა ვთქვა, ერთი ქალის ფასადა ღირს, და იქნება ამაზედაც მეტი ღირდეს. ახლა ერთი მითხარი, ამაზე გულის წარმტაცილა იქნება რამე, როდესაც ამას შემდეგ გეტყვით თქვენ, რომ იმ გრძნობათა წამლებ ქალებს ჰყავთ რაინდი ენით გამოუთქმელ მშვენიერ დარბაზში, სადაც იგი ისეთი საგანგებო

სანოვანო დატვირთვას სუფრასა ხედავს, რომ საოცრებისაგან ენა მუცელში უვარდება ადამიანს? იქ მას გაკამყამებული სურნელოვანი წყლით ჰბანენ ხელს, ხპილოს ძვლის ტახტზე დასვამენ და მშვენიერი ქალწული, სასტიკად მდუმარენი, სუფრაზე ემსახურებიან. ესენი ათასგვარ ისეთ საგულისგულო საჭმელებს თავაზობენ მას, რომ რაინდმა არ იცის, რომელი აილოს და რომელი არა, და ამ სადილის განმავლობაში რაღაც უხილავი თითები სიმებს უკრავენ და მუსიკის საამო ხმებით რაინდის ყურებს ატკობენ. ნასადილევს, სუფრა რომ ალაგდება და რაინდი რბილ სავარძელში დაუდევრად გადაიშლართება და, ვინ იცის, ჩვეულებისამებრ კბილების ჩიჩქნასაც მოჰყვება, ამ დროს მის წინ ანაზდად კარი გაიღება და ოთახში ერთი მშვენიერი ქალი შემოდის, ყველა იმ ქალებზე უმშვენიერესი, რაც ოდესმე ყოფილა ქვეყანაზე. ეს ქალი რაინდთან მივა, გვერდით მიუჯდება და ტკბილი ხმით უამბობს, თუ რა ციხე-დარბაზია ეს ციხე-დარბაზი, როგორ მოჯადოებული ცხორობს იგი ამ ციხე-დარბაზში, და კიდევ მრავალს სხვა ხაკვირველ ამბებს მოუთხრობს. და მის ნაამბობს რაინდი საოცრებაში მოჰყავს, ხოლო მკითხველი აღტაცებაში მაგრამ ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ, რაცა ვთქვი, ისიც საკმაოდ ამტკიცებს, რომ, რა კაბადონზედაც უნდა გადაშალოთ მოგზაური რაინდის მოთხრობა, მკითხველის გატაცება მაინც შეუძლია. ბატონებო, კვალად გეტყვით, როდესაც კაემანი მოგერიოთ, ან ცუდ გუნებაზე გრძნობდეთ თქვენ თავს, სარაინდო წიგნები წაიკითხეთ და ისინი მაშინვე გაგართობენ და დაგამშვიდებენ. ჩემთავად კი ამას ვიტყვი, რა დღიდანაც მოგზაური რაინდი შევიქენ, იმ დღიდან ჩემს თავს ვაჟკაცად ვგრძნობ, უხვადაც, სულგრძელადაც, წინდახედულადაც, თავგამოდებულადაც, თავაზიანადაც და აგრეთვე შრომას, დაღლილობას, ტანჯვას, პატიმრობას და, დასასრულ, მოხიბვლასაც ადვილად ვიტან. დიახ, თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც მე შემოილივით ჩამკეტეს ამ გალიაში, მაგრამ მაინც, ზენა შემეწევა და ბედიც არ გამეხირება წინ, ჩემი მკლავის იმედი მაქვს, მალე რომელიმე ქვეყნის მეფე შევიქნები. ამ დიდი ხარისხის პატრონი რომ გავხდები, მაშინ გამოვიჩენ მადლიერებას და სიუხვეს, რითაც აღსავსეა ჩემი გული, რადგან, ერწმუნეთ ჩემს პატიოსნებას, სენიორ, საწყალ კაცს სად შეუძლია სიუხვე გამოაჩინოს, რაც უნდა გულუხვი იყოს. მადლიერებაც მკვდარია, თუ იგი მხოლოდ სურვილად რჩება, როგორც მკვდარია სარწმუნოება თვინიერ საქმისა. აი ამიტომ მსურდა ბედს ჩემთვის მოეცა იმპერატორობა: რა კეთილისმყოფლობას გავუწევდი ჩემს მეგობრებს და უმეტესად ამ ჩემს საბრალო საჭურველმტვირთველს სანჩო პანსას, რომელსაც ქვეყანაზე საუკეთესო კაცად ვთვლი, თან იმდაც გამოვიჩენდი თავს, რადაც ბუნებას გავუჩენივარ. გულით მინდა ამ ჩემს სანჩოს რამე საგრაფო მივცე, როგორც ამ რამდენიმე დღის წინათ დავპირდი, მხოლოდ იმას ვშიშობ, ვაითუ მისი გამგეობა ვერ მოახერხოს-მეთქი.

სწორე დონ კიხოტის სიტყვის ბოლო შეესმა სანჩოს და თქვა:

- ოღონდ კი, ბატონო დონ კიხოტო, შრომა გასწიეთ და საგრაფო მიშოვეთ, სულწასული რომ ველი, და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მის მართვას მოვახერხებ. თუ ვერ გავუძღვები და, განა მე კი იმას ვერ ვიზამ, რასაც ბატონები ჩადიან - თავიანთ მამულს რომ იჯარით გასცემენ ხოლმე? მოიჯარე ყოველ წელიწადს გადაწყვეტილ ფულს იხდის და როგორც ეხერხება, ისე განაგებს მამულს, პატრონი კი ზის თავისთვის გულხელდაკრეფილი და იმის მეტი შრომა არა სჭირდება-რა - აიღონ ფული და თავის ნებაზე ხარჯოს. მეც ასე ვიზამ, თქვენო პატიოსნებავ, ან კი რად ვიმტვირო ამაზე თავი, ჩემს მამულს როგორ მოვუარო-მეთქი, რა სჭირია? ის არ ემჯობინება ყველა დავიდარაბა თავიდან ავიცილო და, როგორც ვინმე გრაფმა, მამულის იჯარის ფული ავიღო? რა ფეხებზე მკიდია, თუ ვინმე რამეს იტყვის ამაზე.

- ჩემო მეგობარო, - უთხრა ბერმა, - ასეთი გამგეობა მარტო ქვეყნის შემოსავალ-გასავალზე შეგიძლია იქონიო, მართლმსაჯულების საქმე კი თვითონ საგრაფოს პატრონს უნდა ეპყრას ხელთ. ამიტომ საჭიროა იგი განსხვავებული ნიჭის პატრონი იყოს, საღი გონებისა და ჭკმმარიტების სიყვარული ჰქონდეს, თუ არა, მის სამეფოში ყველაფერი არეულ-დარეული იქნება. მაგრამ ესეც უნდა ვთქვა, ღმერთი საწყალი კაცის კეთილ განზრახვათა შემწეა და გაქნილი კაცის ბოროტმოქმედებითა ხელისშემშლელი.

- მაგ ფილოსოფოსობისა არა გამეგება-რა, - უთხრა სანჩომ, - მე მარტო ის მინდა - ნეტავ საგრაფოს სწორედ მაშინ მივიღებდე, როდესაც მისი მართვის ნიჭი მომეცემა, იმიტომ, რომ, ღვთის მადლით, სულიც ისეთი მიდგას როგორც ყოველ ადამიანს, და არც თუ ხორციით დავუვარდები ვინმეს ქვეყანაზე; მეც ისეთი მეფე ვიქნები ჩემს სამეფოში, როგორც თავისაში სხვები არიან, და რაკი მეფე ვიქნები, რაც მიამება, იმას ვიზამ, და რაკი იმას ვიზამ, რაც მიამება, მამ სხვა რაღა ეშმაკი უნდა ვისურვო; რაკი სხვას აღარას ვისურვებ, მამ ნატვრაც არაფრისა მექნება, მამ ჩემი საქმე გაჩარხული იქნება. ერთი კი ჩქარა მოვიდეს ის საგრაფო და მერე ღმერთმა ყველას მშვიდობა მოგცეთ. ახლა კი კარგად გვენახოს ერთმანეთი, როგორც ერთმა ბრძამ უთხრა მეორეს.

- სანჩო, უთხრა ბერმა, - ეგ შენი ფილოსოფია არც ისე ტყუილ-უბრალოა, მაგრამ მაინც საგრაფოს მმართველობის შესახებ მრავალი რამ შეიძლება ითქვას.

- არ ვიცი, სხვას კიდევ რას იტყვით, - სიტყვა ჩამოართვა დონ კიხოტმა, - მე კი, ჩემის მხრივ, საგრაფოს ვუბოძებ სანჩოს, იმ მაგალითის მიმდევარი, რომ დიდმა ამადიმაც თავის საჭურველმტვირთველს ხმელეთი, ანუ კუნძული აჩუქა. თუ მან ასე ჰქნა, მე დამშვიდებული სინდისით შემიძლია გრაფობა მივცე ჩემს სანჩოს, რომელიც, რაც კი ქვეყანაზე მოგზაური რაინდების საჭურველმტვირთველნი ყოფილან, ყველაზე საუკეთესოდ მიმაჩნია.

ბერი გააოცა დონ კიხოტის აზრიანმა სისულელემ (თუკი სისულელეზე აზრიანობა შეიძლება ითქვას), მისგან ნაამბობმა, ტბის რაინდის თავგადასავალმა და იმ ღრმა შთაბეჭდილებამ, რა შთაბეჭდილებაც სარაინდო წიგნებიდან ამონაკითხ დამთხვეულ ამბებს მოეხდინა მასზე; აგრეთვე სანჩო პანსას გულუბრყვილობა და სიმჩატე უკვირდა, რომ იგი დონ კიხოტისაგან აღთქმულ საგრაფოს მიღებაზე ასეთი გატაცებით ოცნებობდა. ამ დროს ბერის მსახურიც დაბრუნდა ფუნდუკიდან და ჯორით საგზალი მოიტანა. ჩვენმა მეგობრებმა ოთხი ხის ჩრდილქვეშ მწვანეზე სუფრა გაშალეს და ლაზათიანად ისადილეს, თანაც ფიქრობდნენ ამ დროს მეურმე ხარების დასანაყრებლად გამოიყენებო. ესენი რომ დამშვიდებით შეექცეოდნენ, იქვე ახლოს ხშირი ჯაგნარიდან ხმაური და ექვნების ჟღარუნი მოისმა და წამსვე ლამაზი ჭრელი თხა გამოვარდა, ხოლო ცოტა მოშორებით ახალგაზრდა მწყემსი გამოჩნდა და თავისებური ალერსით ეძახდა თხას - უკან ფარეხში დაბრუნებულიყო. მაგრამ შემინებული პირუტყვი პირდაპირ მგზავრებთან მოვარდა და შედგა თითქოს მათ მოსარჩლეობას თხოვსო. პატარა ხანს უკან მწყემსმაც მოიბრინა, თხას რქებში წაავლო ხელი და, თითქოს გონიერი და მოაზროვნე არსებააო, ლაპარაკი დაუწყო:

- ოი, შე ველურო, შე ველურო; სად გარბოდი, ჩემო ჭრელავ! რა დაგემართა, შე აბეზარო? რაში გინდა, რომ ფეხებშეკრული სძოვდე ბალახს? რა ბუზი გაწუხებს, ან რომელი მგელი გაშინებს, ჩემო ლამაზო? აბა მითხარ, ჩემო საყვარელო, მიპასუხე. მაგრამ რა, ქალბატონო, დგდაკაცების ჯილაგისა ხარ და დამშვიდებული როგორ იქნები? ღმერთმა შეაჩვენოს თქვენი თვისება და

ისიც დასწყევლოს, ვისგანაც მაგალითს იღებთ. ისევ შენს ალაგს წამო, ჩემო კარგო; შენ რომ ასეთი ცელქი არ იყო, უფრო მშვიდობიანად და არხეინად იქნებოდი შენს ამხანაგებში, რატომ იმას არ ფიქრობ, რომ შენს ციკნებს ცუდი საქმე დაემართებათ; იმათ წინამძღოლის მაგიერ რომ აქა-იქ დარბიხარ.

ამ საუბარმა ბევრი აცინა ყველანი და მეტადრე ბერი. მან უთხრა მწყემსს:

- დამშვიდდი, ღვთის გულისათვის და წასვლასაც ნუ დაეშურები. შენ თვითონვე ამბობ, დედაკაცთა ჯილაგისააო, მაშ რაღას ერჩი, დაე, თავის ბუნების ალღოს მიჰყვეს, სულ ერთია - განსაცდელს ვეღარ უშველი. აბა, დაიჭი, ეს ლუკმა შაჭამე და ცოტა ღვინოც დაგვილიე. ცოტა შენც დაისვენე, ჩემო მეგობარო, და შენი თხაც დაასვენე.

ეს რომ უთხრა, თან დანის წვერით ცივად მოხარშული ხორცის ნაჭერი მიაწოდა. მწყემსმა ნათავაზები ჩამოართვა, ბერს მადლობა უთხრა, ღვინო დალია, ერთი ამოისუნთქა და თქვა:

- როდი მინდა, რომ სულელად ჩამთვალოთ. ამ თხას თუ ველაპარაკებოდი, იმიტომ, რომ, რასაც გეუბნებოდი, იმ სიტყვებს რაღაც ძალა აქვს. მართალია, უსწავლელი გახლვართ, მაგრამ არც ისე ბრიყვი ვარ, რომ არ ვიცოდე - პირუტყვს როგორ მოვექცე და ადამიანს - როგორ.

- მჯერა, - უპასუხა მღვდელმა, - და გამოცდილებითაც ვიცი, რომ მთა და ტყეები პოეტებსა და მეცნიერებს ჰკვებავენ, და მწყემსის ფანჩატურებში ფილოსოფოსები სადგურობენ.

- ფილოსოფოსები თუ არა, ისეთი ხალხი მაინცა, რომ ჭკუა და გონება თავიანთ თავისთვის თვითონ უსწავლებიათ, - უთხრა მწყემსმა, - და რომ ეს დაიჯეროთ და საკუთარი ხელის შეხებით გაიგოთ ჩემი სიმართლე, მინდა თქვენს უდასტუროდ ერთი ჭეშმარიტი ამბავი გიამბოთ, თუ ჩემი ამბავი არ მოგაწყენთ. ის ამბავი იმის სიმართლეს დაგიმტკიცებთ, რაც ამ ბატონმა ბრძანა, - მწყემსმა მღვდელზე უჩვენა, - და იმის სიმართლესაც, რაც მე თვითონ ვთქვი.

მაშინ დონ კიხოტმა წარმოთქვა:

- ყველა ეგ სარაინდო ფათერაკების რაღაც აჩრდილსა ჰგავს, ამიტომ მზად ვარ დიდი სიამოვნებით მოგისმინო. იმედი მაქვს, ეს ბატონებიც არანაკლები სიამოვნებით მოგისმენენ, იმიტომ, რომ ყველანი გონიერნი არიან და ისეთი ამბავის მოყვარულნი, რაც გააკვირვებს, შეაქცევს და გულს გადააყოლებინებს მსმენელს. შენი ამბავიც ასეთი უნდა იყოს. აბა დაიწყე, ჩემო საყვარელო, და ჩვენც სიამოვნებით დაგიგდებთ ყურს.

- ჩემს გარდა, - დაიძახა სანჩომ; - მე ამ ხაჭაპურს წავიღებ წყაროზე და იქ ისე გამოვძლები, რომ სამ დღეს აღარა მომინდეს-რა. ჩემი ბატონი დონ კიხოტი, ხშირად მიბრძანებდა ხოლმე, მოგზაური რაინდის საჭურველმტვირთველმა ყველა მარჯვე დროს იმდენი უნდა ჭამოს, რამდენიც მუცელში ჩაეტევაო, იმიტომ, რომ იქნება ისეთ ტყე-ღრეში შეხეტილდეს როგორმე, საიდანაც მთელს კვირას ვეღარ მოახერხოს გამოსვლაო, და თქვენი მტერია, - თუ უზმო, ან ცარიელი გუდით შეეხეტა, ღმერთსა ვფიცავ რომ იქიდან ის მეორედ მოსვლამდისაც ვღარ დაეღწევაო, და მაშ ძვალტყავად უნდა გადაიქცეს, როგორც ჩვენი ამქრის ხალხს ხშირად დაემართება ხოლმეო.

- შენ ყველაფერში შენ სარფას ეძებ, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაშ საითაც გინდა, დაიკარგე, და რაც გნებავს, ისა ჭამე. მე კი სრულებით მადლარი ვარ, მხოლოდ სულიერი სანოვაგეა მეჭირვება, და იმასაც, მე მგონია, ამ მწყემსის ამბავი მომცემს.

- აგრეთვე ჩვენც ამით გავიძლებთ ჩვენს სულს, - დაუმატა ბერმა, და თანაც მწყემსს თხოვა შეპირებული ამბავი დაეწყო.

მწყემსმა თხას ალერსიანად გადაუსვა ხელი და უთხრა: - დაწექ, ჩემო ცელქო ჭრელავ, ჩვენს ფარაში წასვლასაც მოვასწრებთ.

თხამ მისი სიტყვები თითქოს გაიგო, წამსვე პატრონს ახლოს წამოიჭიმა და ისე შეჰყურებდა პირში, გეგონებოდათ მწყემსის ნაამბობს ისიც ყურადღებით ისმენსო. მწყემსმა კი ასე დაიწყო თავისი ამბავი:

თავი LI

სადაც მოთხრობილია, თუ რა უამბო მწყემსმა დონ კიხოტის წამყვან ამფსონებს

- აქედან სამი მილის სიშორეზე ერთი პატარა სოფელია; მოსახლეობა კი ისეთი შეძლებული ჰყავს, რომ ამ ჩვენს მხარეში მათზე მდიდარი არ მოიპოვება. ამ სოფელში ერთი გლეხი კაცი ცხოვრობდა, ყველანი პატივს სცემდნენ სიმდიდრის გამო და უფრო კი გულდია და პატიოსანი ხასიათისთვის. მაგრამ ყველაზე დიდი სიმდიდრე და ბედნიერება ის იყო, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, რომ ერთი ჭკვანი, წყნარი და მშვენიერი ქალი ჰყავდა. იმ ქალის სილამაზე სიყრმითვე განთქმული იყო, მაგრამ მეთექვსმეტე გზაფარულში რომ ჩადგა, ისეთი ტურფა რამ შეიქნა, რომ მისი ცქერით კაცი ვერა ძღებოდა. მისი სიმშვენიერის ხმა მეზობელ სოფლებშიც გაისმა, მაგრამ რა სოფლებში - თვით შორეულ ქალაქ გზამდისაც კი მივიდა, ისე, რომ მეფეთა დარბაზებშიაც კი ლაპარაკობდნენ იმაზე, და ცნობისმოყვარე ხალხი იმ საკვირველების სანახავად თითქმის ცხრა მთას იქიდანაც კი მოდიოდა ჩვენს სოფელში. მამა გაფაციცებული ადევნებდა მას თვალყურს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი - საქმე ის არის, რომ თვითონ ქალსაც ეჭირა თავის თავზე თვალყური. ხომ მოგეხსენებათ, ბატონებო, ყმაწვილი ქალის დაცვა არავითარ ციხე-კოშკს არ შეუძლია, თუ თვითონ ქალი არ იცავს თავის თავს.

ახლო, თუ შორეული ადგილიდან უთვალავი საქმრო გამოუჩნდა, - მაშ ტყუილად ხომ არ იყო ლამაზი და ამასთან დიდად მდიდარიც, მამამ არ იცოდა, ვინ აერჩია იმათში და ვისთვის მიეცა თავის საუნჯე, სხვებთან ერთად მეც მეჭირა თვალი იმ ქალზე, მისი მიწაწყლისა ვიყავ, კარგად მიცნობდა, იცოდა, რომ რიგიანი ბიჭი ვიყავ, კეთილი ქრისტიანი და ისიც იცოდა, რომ ქონება მქონდა და ჭკუითაც არა მიჭირდა-რა. ყველაფერი ეს მტკიცე იმედს მამლევედა ის ქალი მეთხოვა. ჩემს საუბედუროდ იმ ქალს ერთი მოტრფიალაც კიდევ სხვა გაუჩნდა; ისიც ასე ჩემხელა ბიჭი იყო. ბერიკაცს გაუჭირდა, არ იცოდა როგორ გადაეწყვიტა, მისი მზეთუნახავი ქალი ვის ხელში უფრო ბედნიერი იქნებოდა; ამიტომაც ის ამჯობინა, თვითონ ლეანდრასთან მოელაპარაკა (ეს სახელი ჩემს დამღუპველ მშვენიერს ერქვა), და ჩვენ ორში ერთის არჩევანი თვითონ მის ნებაზე მიეგდო; ესე იგი ბერიკაცი ამ საქმეში ისე მოიქცა, როგორც ყველა გასათხოვარი ქალის პატრონი უნდა მოიქცეს ხოლმე. იმას კი ვერ ვამბობ, თავისთვის საქმრო უხეირო საცოლო კაცებში ამოარჩევინოს-მეთქი, არა, რიგიანი საცოლო კაცები უნდა შეჰყაროს ბლომად და ქალს თავისი გულის შესაფერი საქმრო მათში ამოარჩევინოს ხოლმე. სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცი, ლეანდრამ ჩვენში რომელი აირჩია, მაგრამ ის კი ვიცი, ორნი პირში



ჩალაგამოვლებულნი დაგვტოვეს; რაღაცას მიედმოედნენ, ვითომც ქალი ჯერ ძალიან ყმაწვილიაო და კიდევ სხვა რაღაცები გვითხრეს და გაათავეს. ისიც უნდა მოგახსენოთ, ლეანდრას თავს რომ მეცილებოდა, იმ ბიჭს ანსელმო ერქვა, მე კიდევ ეუხენიო მქვია; ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ იცოდეთ, თუ ამ სამწუხარო მოთხრობის უმთავრეს პირებს რა ერქვათ. მაინც ეს საქმე ჯერ მთლად არ არის გათავებული და მისი დასრულება უსისხლოდ და უსიკვდილოდ არ მოხდება.

ჩვენ რომ იმ ქალისათვის მოციქული გავგზავნეთ, სწორედ იმ დროს ჩვენ სოფელში ვიღაც უცხო კაცი გაჩნდა. სახელად ვინსენტე დე ლა როკა ერქვა. ის ჩვენს ახლოს მდებარე სოფლის გლეხის შვილი იყო, ასე საშუალო ქონების პატრონისა, და ჩვენს სოფელში იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან იყო მოსული; იმ ქვეყნებში თურმე სალდათად მსახურებდა. ათი წლის წინათ მათ სოფელზე ერთ კაპიტანს თავის რაზმით გაველო და ისიც, ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის ბავშვი, თან წაეყვანა, ახლა კი თავის სამშობლო ქვეყანაში უკან დაბრუნებულიყო სალდათურად ჭრელ-ჭრელად ჩაცმული მოვიდა ჩვენში, სულ ყვავილებით მორთული, მკერდზე შუშის ჭინჭილებითა და ფოლადის მეწკვებით დახლართული. ჩვენი ხალხი მეტად გაიძვერა ხალხია, ყველა ცბიერებაზე არის გამზადებული, მეტადრე თუ სხვა საქმეც არა აქვს-რა. ნახეს თუ არა, ყველაფერი დაუთვალეს: ან რამდენი ჩანჩხულები ჰქონდა ან რა მორთულობის პატრონი იყო. აღმოჩნდა, რომ სულ სამი ხელი ტანისამოსი ჰქონია თავის წინდა წვივსაკრავითა, მაგრამ ისე ოსტატურად ახერხებდა, ისე კარგა იცვლიდა ტანისამოსს, ისე მარჯვედ უხამებდა ერთი მეორეს, რომ თუ კაცს მისი სამკაული სათითაოდ არ დაეთვალა, ფიცით დაგარწმუნებდათ, რომ სულ ცოტა ათი ხელი ტანისამოსის პატრონი მაინც უნდა ყოფილიყო და ოციოდე კონა ფრთა-ბუმბული მაინც ჰქონოდა. არ მისაყვედუროთ მოსაბეზრებელი და სულელური ლაყბობისათვის, თუ ასე დაწვრილებით გიამბობთ მის სამკაულზე, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მათ დიდი როლი ითამაშეს ჩემს ისტორიაში.

ჩვენი მოედნის შუაგულში აღმართულ დიდი ჩინარის ქვეშ ქვის სკამზე ჩამოჯდებოდა და მოგვითხრობდა თავგადასავალს. ჩვენ კი სუნთქვაშეგუბებულნი და პირდაღებულნი ვუსმენდით. დედამიწის ზურგზე კი არ იყო ისეთი ქვეყანა, რომელიც მას არ ენახოს, არ მომხდარა ისეთი ბრძოლა, სადაც მონაწილეობა არ მიეღოს; მან უფრო ბევრი მავრი გაჟლიტა, ვიდრე მაროკოსა და ტუნისში იყო, და მას უფრო მეტი ღუელი ჩაუტარებია, ვიდრე განტე ლუნას, დიეგო გარსია და პერედესს და ათასობით მის მიერ ჩამოთვლილ სხვა მხედრებს, და ყველა ამ ბრძოლიდან ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა და კანიც არ გაუკაწრავს. ამასთან გვიჩვენებდა რაღაც უმნიშვნელო ჭრილობებს, სხვადასხვა ბრძოლებსა და შეტაკებებისა მოხვედრილი ჯაზაირების ტყვიის კვალიაო. და, ბოლოს, არნახული თავხედობით შენობით მიმართავდა ტოლებს და კარგ ნაცნობებს, და აცხადებდა: ჩემი ხელი მამაა ჩემი, ჩემი გმირული საქმეები - ჩემი შთამომავლობა და ამ ჯარისკაცურად მუნდირში მეფესაც კი არ ჩამოუფარდებო. ყველა ამ გაიძვერობას ემატებოდა ისიც, რომ ცოტა მემუსიკეც იყო და გიტარაზე ისე ლაზათიანად უკრავდა, რომ ასე ამბობდნენ ხოლმე ჩვენში: გიტარას კი არ უკრავს, ამეტყველებსო. ამასთან ლექსების წერაც იცოდა და ამ არემარეში მომხდარს ყველა უბრალო ამბავს მიღწახევიარის სიგრძე ქალაქზე გადააჭრელებდა ხოლმე.

აი, ამ ვაჟბატონმა სალდათმა, ამ კოხტას, მოლექსემ და მუსიკის მცოდნე ვინსენტე დე ლა როკამ ფანჯარასთან მჯდარი ლეანდრა თავისკენ მიახედა და აქედან ის გამოვიდა, რომ სალდათის ზიზილ-პიპილებმა და მისმა წრიპინა სიმღერებმა ქალი ჰკუიდან შეშალეს. საბრალოს ყველა ჭორი სჯეროდა, რასაც ის მხედარი ყბედობდა მასთან და, - ალბათ ეშმაკსაც ასე სურდა, - ის

საღდათი ისე მოეწონა ქალს, რომ იმაზე უკეთესი აღარავინ ეგონა ქვეყანაზე, თუმცა თვითონ საღდათს იმაზე ჯერ რიგიანად არც კი ეფიქრა. ხომ იცით, ბატონებო, ისე ჩქარა არა ხერხდება-რა, როგორც მიჯნურობის საქმე, და თუკი დედაკაცმა თვითონ მოჰკიდა მას ხელი სწორედ ასეც იყო: მანამ საქმროებმა მოიფიქრეს რამე ლეანდრასა და მოლექსე საღდათზე - ისინი არემარედან სადღაც ჩაიყლაპნენ. ლეანდრა თავის ძვირფასი მამის სახლიდან გაიქცა და საღდათს გაჰყვა (დედა არა ჰყავდა ლეანდრას და იმიტომ თვითონ იმანვე უშველა იმ მოხერხებულ მხედარს ასეთი გამარჯვება მოეხდინა, როგორც მგონია თავის დღეში არ მოეხდინოს, თუმცაღა თავის სხვადასხვა გამარჯვებებზე ბევრსაც ყბედობდა ხოლმე).

ამ ამბავმა მთელი სოფელი ააღელვა. მე და ანსელმო პირში ჩალაგამოვლებულნი დავრჩით და არ ვიცოდით რა გვექნა; ლეანდრას მამა ცოცხალმკვდარიღა იყო: ნათესაობა შერცხვენილი დარჩა, მსაჯულნი გამოფხიზლდნენ, პოლიციელები და ქამანდარნი უკან დაედევნენ. გაჩხრიკეს გზები, ტყეები და, ერთი სიტყვით, სადაც კი შეიძლებოდა, ყველგან მონახეს და ბოლოს, მესამე დღეს, ლეანდრა მთებში ერთ გამოქვაბული ალაგას იპოვეს პერანგისამარა და რაც შინიდან დიდძალი ფული და ნივთები წაეღო - ყველაფრიდან დაცარიელებული. საბრალო მამასთან მიიყვანეს და დაწერილებიო გამოკითხეს, თუ როგორ მოუხდა ის საზიზღარი ამბავი. ლეანდრამ პირდაპირ დაუფარავად უამბო, რომ ვინსენტე დე ლა როკამ აცდინა და სახლიდან გაქცევაზე დაითანხმა, ფიცი მისცა ჯვარს დაიწერდა, მერე მთელს ქვეყანაზე უმშვენიერეს ქალაქ ნეაპოლში წაიყვანდა, ასე მოტყუებულმა და თითქმის მოჯადოებულმა იმ უმაქნისს ყველაფერი დაუჯერა, მამა გაქურდა და მიჯნურს თან გაჰყვა. აგრეთვე უამბო, თუ როგორ წაიყვანა მთებში, როგორ გამარცხა იქ, მღვიმეში ჩააგდო და თვითონ კი, ვინ იცის, საით წავიდა. ამ ამბავმა უფრო მეტად გაგვაკვირვა ყველანი. სწორე მოგახსენოთ, ბატონებო, ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია იმ უმაქნისს თავი შეეკავებინოს, მაგრამ ლეანდრა კი ყველა წმინდანებს ფიცავდა, ჩემზე არავითარი ძალადობა არ ჩაუდენიაო, და ამან იკმარა, რომ მისი საბრალო მამა დამშვიდებულიყო. ამის შემდეგ იგი რაღად დაინანებდა თავის დაკარგულ სიმდიდრეს, რაკი ის საუნჯე მიიღო მთლიანად, რა საუნჯეც თუ ერთხელ დაკარგე, ხელახლად პოვნა აღარას გზით არ შეგიძლია. იმ დღეს აქეთ, რაც ლეანდრა შინ დაბრუნდა, მამამისმა არჩია ხალხის თვალთაგან მოეფარებინა სადმე და ერთ მახლობელ ქალაქში მონასტერში მისცა იმ იმედით, ღროთა განმავლობაში ხალხს მინი ქალის საქციელი დაავიწყდებოდა. ვინც კი ლეანდრას ქებას ან ძაგებას არა საჭიროებდნენ და მისი ხასიათი კარგად იცოდნენ, ისინი მის საქციელს ყმაწვილობას აწერდნენ და არ ჰკიცხავდნენ, იმათ კი, ვინც ქალის ჭკუასა და თავდაჭერილობას აცნობდნენ, მისი მარცხი მანდილოსანთ თავქარიანობას და თვისებას დააბრალებს, - მანდილოსნების ხასიათი ხომ ისეთია, რომ ხშირად ისეთ საქმეს ჩაადენინებს ხოლმე მათ, ჭკუიან კაცს ფიქრადაც არასოდეს არ გაუვლის.

რაც ლეანდრა მონასტერში ჩაკეტეს, მას აქეთ ანსელმოს თვალეზიც დადგა; ულევანდროდ მან ვეღარა დაინახა-რა, ან კი უიმისოდ ქვეყანაზე რაღა უნდა დაენახა? მეც მისი საქმე დამემართა: ულევანდროდ აღარც ჩემთვის იყო რამე გასახარელი: მას აქეთ არის მოთმინება თანდათან გველევა, მას აქეთ არის, მწუხარება გვემატება. ბევრი წყევლა-კრულვა შევუთვალეთ იმ ცრუპენტელა საღდათს თავის სამკაულებით. დავწყველეთ აგრეთვე ლეანდრას მამის თვალეზის აბმა და ბოლოს სამშობლო სოფელი დავუტევეთ და ამ ხეობას შემოვეფარენით, თან ჩვენი ფარებიც წამოვასხით: ანსელმომ - ცხვრები და მე - თხები; მას აქეთ აქ, ამ ჭალაში ვცხოვრობთ, ხან ჩვენი მიჯნურის მოგონებაში ვართ და ურვას მივეცემით ხოლმე. ხან ვმღერით და იმ სიმღერებში ლეანდრას მშვენიერებას ქებას ვასხამთ, ხანაც ვაყვედრით ჩვენს დალუპვას.

ჩვენს მაგალითს ბევრმა სხვა მისმა მოტრფიალებმაც მიჰბადეს და მათაც ამ მთებს შეაფარეს თავი. ამჟამად ლეანდრას მოტრფენი იმდენი არიან რომ ეს მთები სწორედ მწყემსთა არკადიას დაემსგავსნენ და იქ ადამიანს ყველა მხრიდან მარტო ერთი სიტყვა - ლეანდრა ესმის. ერთი მოლალტეს, უსინდისოს, ჭირვეულს, უცნაურს და თავქარიანს ეძახიან მას. მეორე - სალდათს წააყვედრებს ხოლმე, მესამე - ლოცავს და მიტევებას უთვლის, მეოთხე - კიცხავს და წყევლის. ზოგნი მის მშვენიერებას ქება-დიდება უძღვნიან და მის ზნეს შეჩვენებას უთვლიან. ერთი სიტყვით, ყველანი კიცხავენ და ამცირებენ მას და ამასთანავე როგორც თავის ღმერთს, თაყვანსა სცემენ. არ დაიჯერებთ, ზოგიერთის სისულელე იქამდის მივა ხოლმე, რომ კიცხავენ მას - უარი გვითხრაო, თუმცა არასოდეს ერთი სიტყვაც არ გაუგონიაო მისგან; ზოგს კიდევ ვინ იცის რა ემართება ეჭვიანობისაგან, თუმცა ეჭვიანობა სულაც არა მართებთ, რადგან, ჯერ ეგთი არა ჩაუდენია-რა, გასწორება არ შეიძლებოდა. ამ არემარეში ვერც ერთ მღვიმეს ვერ ნახავთ, ვერც ერთ გამოქვაბულს, ვერც ერთ ხესა, რომ სადმე მწყემსი არ შეგხვდეთ მჭმუნვარე და თავის გულის წუხილს, ვინ იცის, რამდენჯერ არ ამოთქვამდეს. ყველგან ლეანდრას სახელი ისმის: მთები გამოიძახიან - ლეანდრა ისმის, წყაროები - ლეანდრას გამოჩხრიალებენ, ლეანდრა ჩვენი ღმერთი ამ ხეობაში, ჩვენი მომწამვლელი და მომაჯადოებელი მისანი ის არის. მის გამო ყველანი რაღაც უცნაურ შიშში ვიმყოფებით და არ ვიცით კი - რად. მაგრამ ყველაზე მძიმე, ყველაზე გონივრული და ყველაზე უგუნური ანსელმოს მწუხარებაა: იგი ლეანდრას განშორებას დასტირის და იმ ტირილში მშვენივრად უკრავს რაბელას, ზედაც საუცხოოდ დაწყობილ მწუხარე ლექსებს დამღერის. მე კი, ჩემი აზრით, უფრო გონივრულად ვიქცევი: ხმამაღლა ვუთვლი შეჩვენებას მანდილოსანთა ორპირულ და ქარაფშუტა ხასიათს, მათს ცრუ ფიცს, დაუდგრომლობას და განურჩევლობას. ახლა კი უეჭველ გაიგებდით ბატონებო, თუ რტომ არ მიყვარს ეს თხა. თუმცა ჩემს ფარაში საუკეთესო ეს არის, - მდებრობითი სქესისაა და იმიტომ. აი ეს გახლავთ ჩემი ამბავი, აღვითქვით და გიამბეთ კიდევ, იქნებ ცოტა გრძელიც გამოვიდა; მაგრამ, დამერწმუნეთ, არც ჩემი სურვილია მოკლე - რითაც შემემღება სამსახური გაგიწიოთ. ბატონებო ჩემი ბინა აქ ახლოს გახლავთ. თუ წამობრძანებას ინებებთ, მადლობელი დაგირჩებით. ახალ რძეს მოგართმევთ, კარგ ყველს, გვმრიელ და საამურ ხილს შემოგთავაზებთ.

## თავი LII

დონ კიხოტის ჩხუბი მწყემსთან და საიშვიათო ფათერაკი მლოცველებთან, რაც ჩვენმა რაინდმა დიდის ჯაფით ბედნიერად დაავგირგვინა

მწყემსის მოთხრობა ძალიან საინტერესოდ დაურჩა ყველას და განსაკუთრებით აღტაცებულმა ბერმა შეაქო მოამბე, მახვილგონიერ კარისკაცს რომ უფრო ჰგავდა ვიდრე სოფლის მწყემსს, და მღვდლის ნათქვამს ამართლებდა - ადამიანი მთებში ხანდახან გონიერ და ნასწავლ ხალხს შეხვდებაო, ყველამ სათითაოდ შეაქო ეუხენიო და სამსახურის გაწევას დაპირდა, მაგრამ დონ კიხოტმა ყველაზე მეტი სულგრძელობა გამოიჩინა, და შემდეგი წარმოთქვა:

- გარწმუნებთ, ჩემო მეგობარო მწყემსო, მე რომ დღეს ნება მომეცემოდეს რომელიმე ფათერაკს გამოვეკიდო, გეფიცები, ამავე წამს მშვენიერი ლეანდრას დასახსნელად წავიდოდი. არავითარ წინამძღვარს არ დაგიდევდი. იმ მონასტრიდან მოვიტაცებდი, (სადაც საბრალო ქალი, ალბათ მისი ნების წინააღმდეგ ჰყავთ შეპყრობილი) და შენ გადმოგცემდი მას. მხოლოდ იმ პირობით

კი, რომ მოგზაურ რაინდთა ის კანონები მტკიცედ დაგეცვა, რომელნიც მანდილოსანთა შეურაცხყოფას კრძალავენ. მაინც ყოვლადშემძლებელი ზენისადმი მტკიცე რწმენა მაქვს და ვიმედოვნებ, რომ ბოროტი ჯადოქრის ძალა იმ მეორე, უკეთესი განზრახვებით აღსავსე კეთილი ჯადოქრის შემძლებლობაზე მუდამ ვერ გაიმარჯვებს და მაშინ შენ თამამად შეგიძლია დაიმედებული იყო ჩემს შენდა სამსახურად მზადყოფნაზე, ვინაიდან მე, როგორც რაინდი, ამქვეყნად ვარ წარმოგზავნილი შეჭირვებულთა მაშველად, ობოლთა და დევნილთა შემწედ.

აქამდის მწყემსი ყურადღებას არ აქცევდა დონ კიხოტს, მაგრამ ამ სულელური სიტყვების შემდეგ დიდად გოცებულმა გულდასმით თავიდან ფეხებამდე სინჯვა დაუწყო და, რაკი ერთი აყლაყლდა, საბრალო სანახაობის მქონე კაცის მეტი ვერა დაინახა-რა, თავის გვერდზე მჯდომარე დალაქს ჰკითხა:

- სენიორ, ვინ არის ეს ახირებული კაცი, ასე უცნაურად რომ ლაპარაკობს?

- სხვა ვინ უნდა იყოს, - მიუგო დალაქმა - თუ არა შესანიშნავი დონ კიხოტ ლამანჩელი, ბოროტის მომსვრელი, უსამართლობის დამსჯელი, ქალწულთა ხელთამპყრობი, დევთა თავზარდამცემი და ყველა დაუმარცხებელთა დამმარცხებელი.

- ეს როგორღაც იმ ამბებს მაგონებს, რაინდულ რომანებში რომ წერია, - თქვა მწყემსმა; - ისინიც ყველაფერ ამას ჩადიოდნენ, რისი მოქმედიც ეს რაინდი ყოფილა; მაგრამ, მგონია, ხუმრობთ, ბატონო, ასეთები რა ამ კეთილშობილი ბატონის ჭკუის საქმეა, - გოგრა რაღაც არეულს უგავს.

- უმაქნისო არამზადავ! - შეუყვირა დონ კიხოტმა; - გოგრა შენა გაქვს არეული, ხოლო მე იმ ვიგინდარებზე უფრო საღი თავი მაქვს, ვასაც შენ გავარდნიხარ ქვეყანაზე.

ამ უკანასკნელ სიტყვებთან სუფრიდან პურის ყუას წამოავლო ხელი და ისე თხლიშა მწყემსს, რომ ცხვირი ზედ სახეზე მიაჭყლიტა. მწყემსმა ასეთი ხუმრობისა არა იცოდა, დაინახა, მართლა მცემნო, აღარც ხალიჩას დასია, აღარც სუფრას და არც სუფრაზე მჯდომარე ბატონებს, ყველას თავზე გადაახტა, დონ კიხოტს დაემგერა და ორივე ხელით ისეთი გამმაგებით წასწვდა ყელში, რომ, თუ სანჩო არ მიშველებოდა თავის ბატონს, უეჭველად დაახრჩობდა. სანჩომ მწყემსს უკანადან მხრებში წაავლო ხელი, პირქვე წააქცია და თან რაც სუფრაზე ჭურჭელი იყო, სულ მიღწა და აურ-დაურია. დონ კიხოტი მწყემსის ბრჭყალებიდან გათავისუფლდა თუ არა, ზეზე წამოხტა და წიხლებით შესდგა მას მუცელზე, საწყალი სანჩოს მუშტებით დაბეჭილი და დასისხლიანებული რაინდის მოწინააღმდეგე ძირს ფორთხავდა და თავის ახლოს დანას ეძებდა, რომ დონ კიხოტისათვის ფაშვები გადმოუყრევინებია, მაგრამ ამაოდ, რადგან მღვდელმა და ბერმა ყოველგვარი იარაღი წინადვე მიმალეს. მაგრამ დალაქმა როგორღაც მოახერხა და მწყემსს ისევ ქვეშ ამოადებინა დონ კიხოტი, და მაშინ საბრალო რაინდს მწყემსმა თავისი სისხლის სამაგიეროდ იმდენი მუშტი უთავაზა სახეში, რომ თავ-პირი დაუსისხლიანა.

ამ აზის მაყურებლთ მღვდელსა და ბერს სიცილისაგან მუცლები ძლივსღა ეჭირათ, ქამანდარნი გულიანად ხარხარებდნენ. ეს საერთო სიცილი მეზრძოლთ მძვინვარებას უმატებდა და ისინი მოჩხუბარი ძაღლებივით გამმაგდნენ მატო სანჩო იყო დაღვრემილი, რადგან ბერის მსახურნი ბატონის საშველად არ უშვებდნენ მას.

ამასობაში, ზოგნი რომ იცინოდნენ და ზოგნიც ცემა-ტყეპაში იყვნენ გართული, უცბად მინდორში საყვირის მწყუხარე ხმა გაისმა და ყველას ყურადღება მიიპყრო, მომეტებულად დონ

კიხოტს დასცა ამან თავზარი. მწყემსისაგან ქვემამოდებულს თითქმის დასისხლიანებულს, შურისძიებაზე ფიქრი წამსვე დაავიწყდა და მეტისმეტად მოესურვა იმ ხმის მიზეზი შეეტყო.

- გამიგონე, ეშმაკო, - უთხრა მან თავის მოწინააღმდეგეს; - ეშმაკს გიწოდებ, რადგან სხვად არაფრად შეგიძლია ყოფნა, რაკი ეგოდენ მამაცი და ძალუმი ყოფილხარ, რომ ჩემი ძლევა შეიძელ, ერთ წამს გამიშვი, - საყვირის ეს მწუხარე ხმა, უეჭველია, რაღაც ფათერაკისაკენ მომიწოდებს.

დაქანცულმა მწყემსმა მაშინვე გაუშვა თავისი მოწინააღმდეგე. გათავისუფლდა თუ არა დონ კიხოტი, პირისახე მოიწმინდა, იმ მხარეს მიბრუნდა, საიდანაც საყვირის ხმა მოისმოდა და შორს ბორცვიდან ჩამომავალი რამდენიმე კაცი დანახა, თეთრ ტანისამოსში მოკაზმულნი, როგორც შენანების გზაზე დამდგარ ცოდვილთ ჰქონდათ ჩვეულებად.

უნდა გითხრათ, ის წელიწადი ძალიან გვალვიანი წელიწადი იყო და ესპანეთში ყველგან პროცესიებს, ლოცვა-ვედრებასა და მომნანიებელთა მსვლელობებს აწყობდნენ, რათა ღმერთს მოელო მოწყალება და წვიმა წარმოეგზავნა. და ახლაც ის იყო, რომ მახლობელი სოფლის გლეხებს საღვთო ლიტანია გაემართათ და ახლომდებარე პატარა მთაზე აშენებულ საყდრისკენ მიდიოდნენ. მლოცველების უცნაური ჩასაცმელი დაინახა თუ არა დონ კიხოტმა, სულ არ გახსენებია, რომ ის ტანსაცმელი არაერთხელ ენახა, სულ დაავიწყდა, რომ ბევრჯერ შეხვედრია ასეთ ადამიანებს, და წარმოიდგინა, ვითომც რაღაც ფათერაკი იყო მის წინ და ვითომც მხოლოდ მარტო მას, როგორც მოგზაურ რაინდს, შეეძლო იმ ფათერაკს წინ აღდგომოდა. ეს ოცნება უფრო იმან გაუმტკიცა, რომ შავებგადაფარებული მადონას ქანდაკება, რომელიც მათ მოჰქონდათ, ვიღაც დიდებულ სეფე ქალად მოეჩვენა, რომელსაც სამაგელი და არამზადა ავაზაკები იტაცებდნენ. ამ ფიქრებით წამსვე როსინანტთან გაექანა, თავისთვის მშვიდობიანად რომ ველზე ბალახსა ძოვდა, უნაგირის ტახტადან აღვირი და ფარი ჩამოხსნა, ხელდახელ ცხენს აღვირი ამოსდო, სანჩოს მახვილი მოსთხოვა და შემდეგ მაღალი ხმით შესძახა გაოცებულ საზოგადოებას:

- ახლა დარწმუნდებით, ბატონებო, თუ მოგზაური რანდები ქვეყნისათვის რა დაუფასებელ სიკეთეს შეადგენენ, ახლა, როცა ამ ავაზაკების ხელთაგან გავათავისუფლებ ამ კეთილ ქალბატონს, თქვენ დაინახავთ და იტყვით, საყოველთაო პატივისცემის ღირსნი არიან მოგზაური რაინდები თუ არა? ესა თქვა, როსინანტს ქუსლები მოუჭირა, - ამჟამად დეზები არა ჰქონდა, და ისიც მლოცველებისკენ გაექანა სწრაფი ჩოროთით (რადგან მთელს ამ მართალ ისტორიაში ვერსად წაიკითხავთ, რომ როსინანტი გაჭენებულიყოს). დონ კიხოტმა აღარც მღვდელს ათხოვა ყური, არც ბერსა და დალაქს, რომელნიც ცდილობდნენ მისთვის განზრახული დაემლევინებინათ. ვეღარც სანჩოს ღრიალმა გააწყო რამე, თუმცა იგი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უყვიროდა:

- რას ჩადიხართ, სად მიხვალთ, ბატონი, დონ კიხოტი! რა ეშმაკი გაჯანყებთ ჩვენი წმიდა კათოლიკე ეკლესიის წინააღმდეგ, გონზე მოდით! ეგ ხომ მომნანიებელთა პროცესიაა! ხოლო მათ რომ ჯალამბრით მოაქვთ, ეს ხომ უბიწო ქალწულის კურთხეული ქანდაკებაა დაფიქრდით, სენიორ, რას ჩადიხართ! სწორედ გითხრათ, ახლა ამ საქმეში თქვენი ჩარევა ძლიერ უადგილოა!

მაგრამ ყველაფერი ამო იყო ტყუილად იხევდა ყვირილით ყბებს სანჩო. მისმა ბატონმა მტკიცედ გადაწყვიტა თავს დასხმოდა იმ მოჩვენებებს და გაეთავისუფლებია სამგლოვიარო პირბადით შებურვილი სეფექალი. ამ საოცნებო მოჩვენებებით ისე იყო გატაცებული, რომ

აღარავისი ძახილი არ ესმოდა და, მგონია, იმ წამში თვითონ მეფის მოწოდებაც არ შეესმინა და არც დამორჩილებოდა მას. პროცესიას მიტანა თუ არა, შეაყენა როსინანტი, რომელსაც დიდი ხანია ქარის ამოშვება უჭირდა, და ხრინწიანი, აკანკალებული ხმით დაუწყვილა:

- შესდექით, ბოროტო, ეგ ავაზაკი პირისახე რომ დავბურავთ! შესდექით და მომისმინეთ, რაცა მაქვს თქვენთვის სათქმელი!

ამ სიტყვებმა მლოცველები ისე გააოცა, რომ მაშინვე შედგნენ. ერთმა ოთხთაგანმა დიაკონმა, ლიტანიაში მგალობელმა, დონ კიხოტის უცნაური შესახედაობით, როსინანტის საბრალო სანახაობით და, საზოგადოდ, რაინდის სასაცილო მოწყობილობით გაოცებულმა, უპასუხა მას:

- ძმაო, თუ სათქმელი გაქვს რამე, ჩქარა გვითხარ, საბაასოდ არა გვცალია; თუ ორიოდ სიტყვის მეტი დაგჭირდება, ვერ დაგიცდით.

- ერთ სიტყვაზე მეტსაც არ გეტყვით - შეუტია დონ კიხოტმა; - ეგ ქალი ამ წამსვე გაათავისუფლეთ; მაგის სამგლოვიარო თავსახური, ცრემლები და მწუხარე სახე, დიახ, აშკარად ამხილებს, რომ რაღაც მძიმე შეურაცხყოფა მიგიყენებიათ და ახლა ტყვედ მიგყავთ. როგორც რაინდი, ყველა ბოროტის მომსვრელად ქვეყნად წარმოგზავნილი, აქედან ერთ ნაბიჯსაც აღარ გადაგადგმევინებთ წინ, სანამ მას სასურველ და დამსახურებულ თავისუფლებას არ მივანიჭებ!

ეს რომ მლოცველებმა გაიგონეს, რაღა თქმა უნდა, საგიჟეთიდან გამოქცეულ გიჟად ჩასთვალეს დონ კიხოტი, და ხმამაღლა სასაცილოდ აგდება დაუწყეს მას. ამან რაინდი ისე გადარია, რომ ფიცხლავ ხმალი იმიშვლა და კრინტ დაუძვრელად ჯალამბარს მივარდა. ერთმა მეჯალამბრემ თავისი ადგილი ამხანაგს დაუთმო, წამოდგა წინ და ჯოხით შეუტია დონ კიხოტს (რომელიმე მეჯალამბრის შესვენებისას ამ ჯოხს შეუყენებენ ჯალამბარს) და თუმცა რაინდმა ისე ძლიერად დაჰკრა მას მახვილი რომ ჯოხი შუაზე გადაუმტვრია, მაინც ხელში შერჩენილი ნატეხით იმ კაცმა ისე ძლიერ სტკიცა ბეჭებში (იმ მხრისაკენ, სადაც ხმალი ეჭირა, და ამ გლეხური იარაღიდან თავს ვერასგზით ვერ დაიფარავდა, რომ რაინდი თავის ფარ-ხმალიანად ძირს დაეცა გულშეღონებული. წელანე ბატონს უკან დადევნებულმა სანჩომ, ქანცგამოლეულმა სწორედ ახლა მოირბინა და მის მოწინააღმდეგეს ხვეწნა დაუწყო შეეწყალებია მოხიბლული რაინდი და თანაც არწმუნებდა, საბრალოს თავის სიცოცხლეში არავისთვის ბოროტი არ უქნია და არცთუ მისი ჩადენა განუზრახავსო, მაგრამ სანჩოს მუდარა საჭირო აღარ იყო, - მკვდარივით უძრავად გაშოტილი რაინდის სანახაობაც საკმაო იყო, რომ დონ კიხოტის დამძლეველის ხელი შეჩერებულიყო. მას მკვდარი ეგონა, შიშინასგან ხალათის კალთები აიკრიბა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მინდვრისაკენ მოკურცხლა.

ამასობაში დონ კიხოტის თანამგზავრებიც მოემშურებოდნენ მის საშველად. ეს რომ პროცესიის მონაწილეებმა დაინახეს, მეტადრე მათში შეიარაღებული ქამანდარნი რომ შენიშნეს, ასე იფიქრეს, ვითომც მათ თავდასაცემად მიდიოდნენ, და ყველანი მტრის მოსაგერიებლად მოემზადნენ. ყვეალანი მადონას ქანდაკებას მჭიდროდ გარს შემოერთყნენ, თავზე ჩაბალახები ჩამოიცვეს, ხელთ მათრახები დაიჭირეს, დიაკვნებმა შანდლები მოიმარჯვეს და გადაწყვიტეს, არათუ მოეგერიებინათ მტერი, პირიქით, თვითონ დასცემოდნენ თავს. მაგრამ ბედმა მოსალოდნელზე უკეთ მოაწყო საქმე, რადგან სანჩომ იფიქრა, ჩემმა ბატონმა სული დალიაო, დაემხო მის ცხედარს და საცოდავი ხმით და მეტად სასაცილო სახით დაიწყო ტირილი. მლოცველებში ჩვენი მღვდლის ერთი ნაცნობი აღმოჩნდა და ასე მოულოდნელად ძველი მეგობრების შეხვედრამ მათ შიშსა და მიუხვდომლობას ბოლო მოუღო. მღვდელმა, რაღა თქმა

უნდა, მაშინვე უამბო თავის ნაცნობს დონ კიხოტის ვინაობა და ყველანი ერთად მივიდნენ სანახავად - ცოცხალი იყო საბრალო კაბალიერო, თუ არა, ხოლო ამ დროს სანჩო პანსა ამ საგანგებო მოთქმით თავს დასტიროდა რაინდს:

- ვაჰ მე! შნო და ლაზათო მთელი ქვეყნის რაინდებისავ, განა ეგ იყო შენი ბედისწერა, რომ ბრწყინვალე ცხოვრების ნახევარ გზაზე ერთი უბრალო ჯოხის დარტყმით მოგღებოდა ბოლო! ვაჰ მე, სიამაყე შენი გვარეულობისავ, ლამაზისა და მთელი ქვეყნის დიდებავ, ახლა რაღა ეშველება ქვეყანას, ხომ ბოროტთა მსხვერპლი შეიქმნება, უშენოდ ვიღას რას შეეპუებიან, ან ვიღას შიში და რიდი ექნეთათ. ჰოი, შენ ვაჟკაცო, სიუხვით რომ ყველა ალექსანდრეებს გადააჭარბე, რვა თვის სამსახურისათვის რომ მშვენიერი კუნძული მაჩუქე, ზღვისა ზვირთებით შემოზღუდული. ჰოი, შენ მდაბალო დიდთა წინაშე და ამაყო მდაბალთა ზედა, შიშში შეუპოვარო, შეურაცხყოფათა ამტანო, ეგოდენ გამიჯნურებულო, რომ არც კი იცოდი, ვინ იყო შენი მიჯნური; მტარვალო ბოროტთა, მართალთა მიმბაძავო, გარყვნილთა მტერო, ერთი სიტყვით - მოგზაურო რაინდო, რა სახელზე დაც მეტი ქება აღარ გინდა.

ამ მოთქმამ დონ კიხოტი გონზე მოიყვანა. თვალეზი გაახილა და წყნარი ხმით წარმოთქვა:

- ჰოი, უდულსინესო დულსინეა, ამაზე უფრო დიდს ტანჯვაშია იგი შთავარდნილი, ვინც მოკლებულია თქვენს სიახლოვეს, მიშველე, ჩემო მეგობარო სანჩო, ამ ჩემს მოხიბლულ, ეტლზე ავცოცდე როგორმე, როსინანტზედაც ვეღარ შევჯდები, უზანგებზე ფეხის დაბჯენა აღარ შემიძლია, ბეჭი მაქვს ჩალეწილი.

- ყველაზე მეტი სიამოვნებით აგისრულებ მაგას, ჩემო ძვირფასო ბატონო, - მიუგო სანჩომ, - და ამ თქვენის კეთილის მოსურნე ბატონების თანამგზავრობით შინისაკენ გავემართოთ. იქ მოვემზადოთ მესამედ გასალაშქრებლად, ეგებ ის მაინც უფრო დიდებული და სასიკეთო იყო ჩვენთვის.

- სანჩო, სწორედ ოქროს სიტყვები ამოგდის პირიდან, - უთხრა დონ კიხოტმა, - მართლაც უკეთესს ვიზამთ, ცოტა ხანს შევიცადოთ, მანამ ეს ცუდი ვარსკვლავები გადაივლიან, თორემ მათმა ცუდმა გავლენამ მეტად შეგვაწუხა.

მღვდელმა, ბერმა და დალაქმა დონ კიხოტს ერთხმად კვერი დაუკრეს, მას უკან ცოტაოდენი სანჩოს გულუბრყვილო სიტყვებზე იმასხარავეს, რაინდი მოხიბლულ ეტლზე შესვეს, მწყემსს გამოეთხოვნენ და ძლივს გზას დაადგნენ; რადგან ქამანდართ აღარ ინდომეს გაყოლა, მღვდელი იქვე გაუსწორდა მათ. აგრეთვე ბერიც თავის გზას დაადგა და გამოთხოვებისას მღვდელს თხოვა შეეტყობინებინა მისთვის, თუ რა მოუვიდოდა დონ კიხოტს - მორჩებოდა, თუ მისი მოჭკვიანებისთვის ყველა მეცადინეობა ამაოდ ჩაივლიდა, შემდეგ ისიც თავის გზას დაადგა. ამგვარად ყველანი დაიქსაქსნენ და დონ კიხოტთან მხოლოდ მღვდელი, დალაქი, სანჩო პანსა, ვირი და თავის ბატონივით ყველა უბედურების სამაგალითოდ ამტანი კეთილი როსინანტი დარჩა.

მეურმემ ხარები შეაბა. დონ კიხოტს ქვეშ ცოტა თივა დაუგო და თავისებურად წყნარად მღვდლის ნაჩვენებ გზას დაადგა. ექვსი დღის შემდეგ სოფელში მივიდნენ, და რადგან კვირა დღე იყო, ყველანი იმ გზას მოფენოდნენ, საითაც დონ კიხოტს უნდა გაევიდა. წარმოიდგინეთ, თუ რა გაცოცხლები უნდა დარჩენილიყვენ მისი მეზობლები, როდესაც მათი თანასოფლელი იდალგო გალიაში ჩასმული დაინახეს. ერთი პატარა ბიჭი მახარობლად გაიქცა რაინდის

დისწულთან და დიასახლისთან და აცნობა, რომ მათი პატრონი და ბიძა დაბრუნდა გამვალტყავებული, გაყვითლებული, და ის გალიაში ჩასმული ურმით მოჰყავთო. სამწუხარო მოსასმენი იყო, იმ ორმა კეთილმა მანდილოსანმა რომ ღრიალი მორთო. როგორ იცემდნენ მჯიღებს მკერდში, ლოყებს იკაწრავდნენ, სარაინდო წიგნებს წყევლა-კრულვას უთვლიდნენ და მათი სასოწარკვეთილება უნდა გენახათ, როდესაც დონ კიხოტმა თავის კარის ზღურბლზე შედგა ფეხი.

სანჩოს ცოლმაც მოირბინა თავის ქმრის ხანანავად, რაკი იცოდა, რომ იგი დონ კიხოტს საჭურველმტვირთველად ახლდა და დანახვის უმალ ისა ჰკითხა, ვირი ხომ კარგად რისო.

- თავის პატრონზე უფრო კარგად კი არის-და! - უპასუხა სანჩომ.

- მადლობა ღვთის მოწყალებას, - შესძახა სანჩოს ცოლმა. - აბა, ჩემო მეგობარო ახლა ის მითხარ, საჭურველმტვირთველობამ რა მოგაგებინა? რა საჩუქარი მომიტანე? ბავშებს ფეხსაცმელები თუ მოუტანე?

- არაფერიც არ მომიტანია, - არც ფეხსაცმელი, არც სხვა რაიმე. - უპასუხა სანჩომ; - ყველა საჩუქარზე უკეთესი და ძვირფასი მხოლოდ ერთი რამ მოვიტანე.

- მადლობა შენთვის უფალო, მადლობა შენს სახიერებას! - იძახდა სანჩოს ცოლი. - როგორ გამახარე, აბა ერთი მაჩვენე, ჩემო გვრიტო, ეგ უკეთესი რა მოგიტანია: ერთი მაინც გაიხაროს ჩემმა გულმა, უშენობით ნაღვლისა და დარდისაგან აღარ ვიყავ. მთელი საუკუნე გავიდა, რაც დაგმორდი.

- მოიცა ერთი, დედაკაცო, შინამდის მივალწიო, იქა ნახავ: ახლა კი ღმერთს მადლობა შესწირე, რადგან ყველაფერი ისე რიგიანად მოაწყო, რომ თუ ფათერაკების სამეზნელად მეორედაც მოგვიხდა წასვლა, მაშინ სხვა რომ არა იყო-რა, რომელიმე კუნძულის გრაფად ანუ გუბერნატორად მნახავ და უბრალო რამ კუნძულისა კი არ გეგონოს, მთელს ქვეყნიერებაზე საუკეთესო კუნძულისას.

- ღმერთმა ჰქნა, ჩემო იმედო, - უთხრა ცოლმა, - ეჰ კუნძული ძლიერ გამოგვადგება, თორემ ახლა ჩვენ მეტად გაჭირვებაში ვართ. მაგრამ, ერთი ეს მითხარ, ჩემო სიხარულო, კუნძული რაღა არის? ეს სიტყვა ჯერ არსად გამიგონია.

- ვირმა რა იცის ხურმა რა ხილია, - უპასუხა სანჩომ; მოვა დრო, იმასაც გაიგებ - კუნძული რა არის, და პირდაღებული მოისმენ, რომ შენი ყმის ცოლები ქალბატონს დაგიძახებენ.

- ნატა რას მიედ-მოედები, სანჩო, რის კუნძული, რა ყმის ცოლები და რის ქალბატონი, - შეჰყვირა ხუანა პანსამ (ასე ერქვა სანჩო პანსას ცოლს, იმიტომ კი არა, რომ მისი ნათესავი იყო, არამედ იმიტომ, რომ ესპანეთში ცოლებს ქმრის გვარით ახსენებენ).

- სულწასული ნუ ხარ, ხუანა, - გააწყვეტინა სანჩომ; - ისიც იკმარე-მეთქი, რომ ყველაფერს მართალს გეტყვი, და ამ მოგონებაზე ისიც კი უნდა გიხრა, რომ ფათერაკების მამებარი რაინდის ერთგულ საჭურველმტვირთველად ყოფნაზე უკეთესი ძნელად თუ იქნება რამე ქვეყანაზე. მართალია ამ ფათერაკების მომეტებული ნაწილი ისე არა ბოლოვდება ხოლმე, როგორც სასურველია. უნდა ვთქვა, რომ ას ფათერაკში ოთხმოცდაცხრამეტი ვერაფერი შვილი გამოდის ხოლმე; ეს მე გამოცდილებით ვიცი, რადგან ზოგი ისეთი ფათერაკი შემთხვევია, რომ



გვერდებდაზეულილი დავრჩენილვარ, ზოგი ფათერაკიდან კიდევ საბნით ვუფრენივარ ჰაერში, მაინც კარგი რამ არის ფათერაკების ძებნა, მთების გადავლა, ტყე-ღრეში ძვრენა, კლდეებზე ხოხვა, ციხე-დარბაზებში სტუმრობა, ღამეებისა და დღეების ფუნდუკებში გატარება უფასოდ, ერთი მარავედისის გაუღებლად, ერთი... სწორედ სულ მუქთად რაღა...

სანჩო რომ თავის ცოლ ხუანა პანსასთან ამ ბაასში იყო, ამასობაში სახლის გამგემ და დისწულმა დო კიხოტი შინ შეიყვანეს, ტანთ გახადეს და თავის ძველ და დანჯღრეულ ლოგინზე დააწვინეს. დონ კიხოტი თავის მახლობელ ქალებს ვერა სცნობდა, როგორღაც უცნაურად უცქეროდა მათ და ვერ მოეაზრა, თუ სად იყო და რა ემართებოდა. მღვდელმა, უამბო რა დისწულს, თუ რა წვლებით წამოიყვანეს დონ კიხოტი, თხოვა თვალყური კარგად დაეჭირათ, რომ ხელახლა არსად გაპარულიყო. ამ სიტყვებმა ახალი ალიაქოთი ასტეხა მანდილოსნებში: ერთი ვაი-უშველებელი შეუდგათ. დაწყეს სარაინდო წიგნების შეჩვენება და ღმერთს შეთხოვდნენ მათი მთხზველები ჯოჯოხეთის უფსკრულში ჩაენთქა. ახლა იმის მწუხარება შეუდგათ, ხელახლა არ დარჩენილიყვნენ უმისოდ და უბატონოდ. ცოტა რომ მოკეთებოდა დონ კიხოტი ვაითუ მესამედ ისევ გამგზავრებულიყო ფათერაკების სამებნელად და როგორც ფიქრობდნენ, მართლაც ასე მოხდა.

მაგრამ, თუ ამ ისტორიის ავტორი უდიდესი სიყვარულით და გულმოდგინებით ირკვევდა მესამე გამგზავრების დროს დონ კიხოტის მიერ ჩადენილ საგმირო საქმეებს, მაინც ვერ მოახერხა რაიმე ასეთი ცნობა ეპოვა, ყოველ შემთხვევაში უტყუარ წყაროებში არაფერი ამის მსგავსი არ აღმოჩნდა. ლამანჩის თქმულებები კი გადმოგვცემენ, რომ დონ კიხოტი მესამე გამგზავრებისას, თურმე, სარაგოსას სწვევია, მონაწილეობა მიუღია ამ ქალაქში გამართულ შესანიშნავ ტურნირებში და იქ ისეთი ფათერაკები შემთხვევია, რაც მის სიმამაცესა და მახვილგონიერებას შეეფერებოდაო.

რაინდის სიკვდილსა და გარდაცვალებაზეც მისმა ავტორმა ვერაფერი გაიგო და ვერც ვერაფერს გაიგებდა და იპოვიდა, ბედნიერი შემთხვევით ერთ მოხუც ექიმს რომ არ გადაყროდა. ამ ექიმს რომელიღაც ძველი საყდრის ნანგრევებში ერთი ტყვიის მომცრო ზარდახშა ეპოვა, შიგაც, თურე, ძველებურად ნაწერი ესპანური ლექსებით სავსე ეტრატე გრაგნილი იდვა. იმ ლექსებში ქება-დიდებას ასხამდნენ დონ კიხოტის ავკაცობას. მის მრავალ გმირობას, აღტაცებით შეაქებდნენ დულსინეა ტობოსელის მშვენიერებას, როსინანტის აღნაგობას, სანჩო პანსას ერთგულებას და ცრემლთა ფრქვევით აღწერდნენ ჩვენი რაინდის დაკრძალვას. აქვე აღმოჩნდა სხვადასხვა ეპიტაფია და სახოტბო ლექსები; წარმტაცი ფერებით იყო შემკობილი რაინდის ცხოვრება და მისი ზნე ხასიათი. ამ სამაგალითო და დღემდის არ გაგონილი ისტორიის ავტორი გვამცნობს ზოგიერთ მათგანს, რომელთა გარკვევით ამოკითხვაც მოუხერხებია. ამ დიდი შრომისა და ჯაფის ჯილდოდ, რაც მას გაუწევია ლამანჩის არქივის გამოკვლევისა და შესწავლისათვის, რათა საქვეყნოდ ცნობილი გაეხადა ეს ისტორია, ავტორი მხოლოდ ერთსა სთხოვს მკითხველებს: იმავე ნდობით მოეკიდონ მის ნაშრომს, როგორი ნდობითაც გონიერი ადამიანები ეპყრობიან რაინდულ რომანებს, ჯერ კიდევ ესოდენი გასავალი რომ აქვთ ჩვენში. ეს ნდობისთვის საკმაო და დამაკმაყოფილებელი ჯილდო იქნება ყველაფრისათვის და კვლავაც აღაფრთოვანებს სხვა მასალათა საძიებლად და გამოსარკვევად. ავტორი იმედოვნებს, რომ ეს მასალები ეტრატეში დაცული მასალებივით თუ მთლად ნამდვილი და ჭეშმარიტი არ იქნება, არანაკლებ შესანიშნავად და სასიამოვნოდ ჩაითვლება.

აი, ტყვიის ზარდახშაში ნაპოვნი ეტრატის პირველი სიტყვები:

ლამანჩის დაბა არგამასილიას აკადემიკოსები სახელოვანი დონ კიხოტ ლამანჩელის  
სიკვდილსა და გარდაცვალებაზე

ელ მონიკონგო, არგამასილიელი აკადემიკოსი,

დონ კიხოტის საფლავისადმი

ეპიტაფია

გმირი, ვინც ლამანჩს მეტი დავლით ევლინებოდა,

ვიდრე ძველ კრიტოსს - იაზონი, საოცრად ქველი,

ტვინი, სად აზრი, ვით პალოზე ფლუგერი მჭრელი,

სწრაფად ბრუნავდა ("სჯობდა - ჩლუნგი თუ იქნებოდა).

მკლავი, რომელიც დასაპყრობად გადასწვდებოდა

თვით გაეტამდე ჩინეთიდან მძლავრი და გრძელი,

მუზა, ყველაზე ჩუმი, ნაზი და საკვირველი,

რომლის პწკარები ბრინჯაოზე იკვეთებოდა.

ო, ის, ვინც ყველა გმირ ამაღისს გაუსწრო დიდად,

ვისაც დევკაცში ქონდრის კაცი ეჩვენებოდა

და ხმაღს იქნევდა სიყვარულს და ბედს მინდობილი,

ო, ის, ვინც ყველა ბელიანისს ხმა ჩაუკმინდა,

ვინც როსინანტით უგზო-უკვლოდ ეხეტებოდა, -

ამა დოდის ქვეშ გინისვენებს ხელდაჭდობილი.

პანიაგუადო, არგამასილიელი აკადემიკოსი;

ინ ლავდემ დულცინეაე დელ თობოსო

სონეტი

მხრებგანიერი, თავაწვდილი, მზირალი ლაღად,

უფრო მამაკაცს რომ ჩამოგავს სახის იერით,

დულსინეა, დედოფალი რა მშვენიერი,

რომელიც დიდმა დონ კიხოტმა მზედ დაისახა.

მან მხოლოდ მისთვის სÁერა-ნეგრის მთა გადალახა,

დაღლილი ფეხით გაიარა ტყე უსიერი,  
განთქმულ მონტელოს ველზე გაჩნდა მერე მშიერი  
და მიაღწია არანხუესს, გაშლილსა ბაღად.  
სულ როსინანტის ბრალი არის. ო, ვარსკვლავს შავსა  
ვერსად გაექცა ვერც რაინდი თავაწყვეტილი,  
ვერც დულსინეა, რომ აიგდო ბედმა აბუჩად.  
ჰოი, სიკვდილმა დულსინეა რას დაამსგავსა...  
და თუმც რაინდი მარმარზეა ამოკვეთილი,  
ის ხომ საყვარულს, შურს და მტრობას ვერ გადაურჩა?..  
ყაპრაჩისო, ფრიად ენაწყლიანი არგამასილიელი აკადემიკოსი,  
დონ კიხოტის ცხენის - როსინანტის შესაქებად  
სონეტი  
უმშვენიერეს ხის წვეროზე, რომელსაც მარსი  
თავისი ფეხით, სისხლიანით, წითლად დაღავდა.  
დაუდგრომელმა ლამანჩელმა დროშა აღმართა.  
არვის უნახავს ჯერ ამქვეყნად გმირობა მსგავსი.  
იქვე დაჰკიდა აბჯარი და ფოლადი ბასრი, -  
რითაც ფატრავდა, განაპობდა, ჩეხდა, ლახვრავდა,  
დიდი რაინდის გმირულ საქმეთ გამოსახავდა  
მხოლოდ ახალი ხელოვანის ხერხი და აზრი.  
თუ გალთა მხარე ეგზომ აქებს თავის ამადისს,  
რომლის ნაშიერთ სიმამაცე მუდამ თან ახლდათ,  
რომ განადიდეს საბერძნეთი მზით მოელვარე,  
დღეს თვით ბელონა სასახლეში გვირგვინს მარადისს  
ადგამს დონ კიხოტს, და ლამანჩაც უფრო ამალდა,  
ვიდრე ოდესმე საბერძნეთი თუ გალთა მხარე.  
და ჩვენც მის სახელს დავიწყებას არ მივაკარებთ,

რადგან საქვეყნოდ ცნობილია, რომ როსინანტი

მათ ბრილიადორს და ზაიარდს სჯობდა სიმარდით.

ბურლადორი, არგამასილიელი აკადემიკოსი, სანჩო პანსას.

სონეტი

დაბალი იყო სანჩო პანსა, მაგრამ, ო, სულით

იყო მაღალი (არნახული სასწაულია),

საჭურველმტვირთველს ჯერ მიწაზე არ გაუვლია

ეგზომ ალაღსა, და ეს არის სიმართლე სრული.

გრაფად გახდომას მოელოდა ის სიხარულით,

კინაღამ გახდა, მაგრამ ბედი ისე კრულია,

და ეს ქვეყანაც ისე სინდისდაკარგულია,

რომ ცოცხლეულად ვირსაც შესჭამს ავი და მტრული.

სწორედ ამ ვირზე (გთხოვთ ახსენოთ კეთილი სიტყვით),

მიჩაქჩაქებდა უწყინარი მესაჭურველე

უკან როსინანტს და გმირ ბატონს პატივისცემით.

ჰოი, ამაო იმედებო, საითკენ ილტვით? -

ტკბილ განსვენებას რომ აღუთქვამთ შვების მსურველებს,

და მერე მხოლოდ ზმანებად და ნისლად იქცევით?

კაჩიდიბლო, არგამასილიელი აკადემიკოსი, დონ კიხოტის საფლავისადმი

ეპიტაფია

აქ რაინდია განსვენებული,

მას სიცოცხლეში მოხვდა მრავალი..

ეხეტებოდა მუდამ ზარალით

მჭლე როსინანტზე ამხედრებული.

გულმიამიტი მისი ხლებულიც

აქვე მახლობლად წევს სანჩო პანსა, -

ჯერ არ შობილა მიწაზე არსად

მსახური ეგზომ თავდადებული.

ტიკიტოკი, არგამასილიელი აკადემიკოსი,

დულსინეა ტობოსელის საფლავისადმი

ეპიტაფია

ო, დულსინეა, მიწაში გძინავს,

შენ იყავ ზორბა, ნორჩი, კვანწია.

მაგრამ სიკვდილმა ნაცრად გაქცია,

არ შეებრალე ავსა და მძვინვარს.

იყოს მარადი შენი ხსენება,

გვართ და სისხლით, ღირსო ხოტბისა,

გულის მურაზო დონ კიხოტისა,

და მშობლიური სოფლის მშვენებავ!

ესაა ყველა ლექსი, რომელთა ამოკითხვა მოვახერხე, სხვებში ასოები ისეა დაღრღნილი მატლებისაგან, რომ ერთ აკადემიკოსს გადავეცი და ვთხოვე, როგორმე ამოეცნო. ამას წინათ გავიგე, ხანგრძლივი და ბეჯითი მუშაობით მას ეს საქმე გაუკეთებია და ახლა განზრახვა აქვს გამოაქვეყნოს ისინი დონ კიხოტის მესამე გამგზავრების აღწერისას.

წიგნი II

პროლოგი

მკითხველისადმი

ღმერთო ჩემო, ვინ იცის, სახელოვანო ან იქნებ მდაბიო მკითხველო, რა მოუთმენლად ელი ახლა ამ პროლოგს და ფიქრობ, ეგებ მასში ჰპოვო მუქარა, სამდურავი, ლანძღვა-გინება და გაკიცხვა მეორე დონ კიხოტის ავტორის წინააღმდეგ, იმ ავტორისა, რომელიც, როგორც ამბობენ, ჩაისახა ტორდესილასში და არაგონიაში დაიბადა. მაგრამ მართალი უნდა მოგახსენო, ამ სიამოვნებას მოგაკლებ, რადგან თუმცა შეურაცყოფა და წყენა რისხვას ჰგვრის მშვიდი გუნების ადამიანსაც კი, მაგრამ ჩემი გული ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს. იქნებ, გასურდა ამ ავტორს შიგ სახეში ვტკიცო და ვუწოდო ვირი, ბრიყვი, არამზადა, მაგრამ მე ეს ფიქრადაც არ მომდის, დაე, მისი ცოდვები იყოს მისთვის სასჯელად, დაე, იგი მან თავის პურს შეატანოს და საქმეც ამით გათავდეს! მაგრამ ერთადერთი და მთავარი, რამაც ამარელვა და შეურაცხმყო, ისაა, რომ მან ბებერი მიწოდა და მასთან - ცალხელა ბებერი, - თითქოს ჩემს ნებაზე შემეძლო დრო შემეფერხებინა, რომ ჩემ კერძ არ მიმდინარებულიყო, ანუ ჩემი სიმახინჯე და ხეიბრობა სადმე სამიკიტნოში შობილიყოს და არა საუკეთესო დიდებულ საქმესა და ყველაზე სახელოვან

ბრძოლაში, როგორც კი წარსულსა და აწმყო საუკუნეებს უნახავს, ანუ მისი ხილვის იმედი მომავალში კვლავ ექნება. თუ ჩემი ჭრილობები ყველას თვალში მე ბრწყინვალეობას არ მმატებენ, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც არის, - მათ პატივით უცქერიან, ვინ იცის, ისინი სად მოვიპოვე, რადგან ბრძოლის ველზე გმირულად მკვდარი ჯარისკაცი უფრო უკეთესად მოჩანს, ვიდრე საღსალამათად გადარჩენილი ლტოლვილი. მე ისე ვარ ამით განმსჭვალული, რომ ახლა მითხრან და შეუძლებლის განხორციელება გამომიცხადონ, მაინც იმ დიდებულ ბრძოლაში მონაწილეობას ვირჩევდი, ვიდრე არ მიმელო მონაწილეობა და იარებისაგან საღი დავრჩენილიყავ. ჯარისკაცის სახესა და მკერდზე ჭრილობები ვარსკვლავებია, რომელნიც სხვებისთვის დიდების ცისკენ და დამსახურებული ქების სურვილისაკენ გზის მაჩვენებელი არიან. მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ მწერლები ჭადარით კი არა სწერენ, არამედ მოაზროვნე ნიჭით და ეს ნიჭი წლოვანებით უფრო და უფრო უკეთესდება. მე იმანაც გამახელა, რომ ის მე მოშურნეს მეძახის და მიხსნის კიდევ, როგორც უვიცს, მოშურნეობა თუ რა არის. თუმცა სიმართლით და სინამდვილით ორი რიგობს მოშურნეობისაგან მე მარტო ერთს ვიცნობ - წმინდას, კეთილშობილურს და კეთილისმყოფელს. და თუ ასეა, როგორც საქმიანად არის, იმას არა ვგეგვარ, რომ მე რომელიმე სასულიერო პირს ვდევიდევ, მეტადრე თუ მასთანავე იგი უწმინდესი სამსჯავროს წევრიცაა. და თუ ხსენებული ავტორის თქმული იმ პირზე არის ნათქვამი, ვისზედაც თითქოს უთითებს კიდევ, ამაში იგი ძალიან ცდება, რადგან მე იმ კაცის ჭკუა-გონებისა და მისი შეუფერხებალი და ბეჯითი კეთილმდრეკილების წინაშე ქედს ვიდრეკ. მე იმ სენიორ ავტორის ნამდვილადაც მადლიერი ვარ იმის მტკიცების გამო, ვითომ ჩემი ნოველები უფრო სატირულია, ვიდრე სამომღვრებო, მაგრამ მაინც კარგია. ამ უკანასკნელ სიტყვას არ იტყოდა, თუ ისინი ყველაფერში მართლაც კარგები არ იყვნენ!

ვფიქრობ, მკითხველო, შენ მეტყვი, რომ ძალიან თავშეკავებული ვარ და მეტისმეტ თავმდაბლობას ვიჩენ, რადგან იცი, რომ რიგი და წესი არ არის მწუხარეს შეწუხება მიუმატო, ხოლო, რა წუხილსაც ის სენიორი გრძნობს, უეჭველად დიდი რამ უნდა იყოს, რადგან ვერ ბედავს ტრიალ მინდორზე ღია ცის ქვეშ გამოვიდეს, და თავის სახელსაც მალავს, სამშობლოსაც მოგონებულს ამბობს, თითქოს მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ სახელმწიფო დანაშაული ჩაედინოს. შენ თუ შემთხვევით მისი გაცნობა მოგიხდეს, გადაეცი ჩემგან, რომ ჩემს თავს საწყენად არა ვთვლი, რადგან კარგად მესმის, ეშმაკის ცდუნება რა არის, და ერთი უდიდესი ცდუნება ისაა - აზრი შთააგონო კაცს, ვითომ იგი შემძლეა შეთხზას და დაასტამბოს წიგნი, რომლისგანაც იმდენ დიდებას მოიხვეჭს, რამდენსაც ფულს, და იმდენ ფულს, რამდენსაც დიდებას, ხოლო ამის დასამტკიცებლად მინდა შენი ლამაზი, ხალისიანი და ხუმარა ჰანგი იმას შემდეგი არაკი გადასცე:

სევილიაში იყო ერთი გიჟი, შეპყრობილი რაღაც უცნაური და სულელური ჟინით, მეტად აკვიატებული ახირებით, როგორითაც კი შეიძლება შეიშალოს კაცი ამქვეყნად. საქმე ის არის, რომ მან ერთი ლერწმის წვეტიანი ღერო გამოფულრა, ერთ-ერთი წვერი მოხარა და ქუჩაში ან სხვა ალაგას ძაღლებს იჭერდა, იმ ძაღლის ერთ უკანა ფეხს თავის ფეხს დაადგამდა, მეორე ფეხს ხელში დაიჭერდა, იმ ლერწამს გულმოდგინედ უკანალში ჩაურჭობდა და ჩაბერვას დაუწყებდა, ვიდრე ძაღლი ბურთივით არ დარგვალდებოდა; მერე ერთ-ორჯერ მუცელზე ხელს დაუტყაპუნებდა და გაუშვებდა; შემდეგ უსაქმო მაცქერალთ (მუდამ რომ ზლომად შეგროვდებოდნენ ხოლმე) ეუბნებოდა: "იქნებ, თქვენო მოწყალეებავ, გგონიათ, ძაღლის გაბერვა ადვილი საქმე იყოს?" იქნებ ფიქრობთ, თქვენო მოწყალეებავ, წიგნის დაწერა ადვილი იყოს?

და თუ, ძვირფასო მკითხველო, ეს არაკი მას არ მოეწონება, ინებე და შემდეგი ისევ ძაღლისა და გიჟის ამბავი გადაეცი:

კორდოვაში მეორე გიჟი იყო და ჩვეულება ჰქონდა, თავზე დადებული მარმარილოს ფიქალის ნატეხი ანუ რამე სიმძიმე ეტარებინა. როდესაც ძაღლს შეხვდებოდა და ის ძაღლი არ მოერიდებოდა, მასთან ახლოს მივიდოდა და სიმძიმეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ზედ თავზე დაუშვებდა. გაბრაზებული ძაღლი წკმუტუნითა და ყმუილით იმ არემარიდან გადაიკარგებოდა. ერთხელ ერთი მედუქნისა ძაღლს, პატრონის საყვარელს, ქვა ზედ დასთხლიშა და თავი გაუტეხა. დაშავებულმა ძაღლმა საშინელი წკმუილი ატეხა. პატრონმა რომ გაიგონა და მიზეზი შეიტყო, არშინიანი აიღო, გიჟს მივარდა და ტანი მაგრად აუჭრელა, ყველა დარტყმაზე ასე გაიძახოდა: "შე ძაღლო, ქურდო! ეს ხომ მეძებარია? განა ვერა ხედავდი, შე არამზადავ, რომ ის ძაღლი ჩემი მეძებარი იყო?" ერთი ოცჯერ მაინც გაიმეორა სიტყვა "მეძებარი" და გუფთასავით დაკეპილ გიჟს თავი დაანება. ამ გაკვეთილით გიჟი ჭკუა ნასწავლი შეიქმნა, წავიდა და ერთ თვეზე მეტს გარეთ აღარ გამოდიოდა. ამის შემდეგ კვლავ თავისი ოინზაზობით და უფრო მძიმე ბარგით გაჩნდა ქუჩაში. მწოლიარე ძაღლს მიუახლოვდებოდა ხოლმე, დაშტერებით ცქერას დაუწყებდა, თითქოს მასზე ქვის ჩამოგდებას ვერა ბედავდა, და ამბობდა; "ფრთხილად იყავ, ეს მეძებარია!" ერთი სიტყვით, რა ძაღლიც უნდა შეხვედროდა, ნაგაზი თუ გოშია, ამბობდა: ეს მეძებარიაო, და ზედ ქავასაც აღარ აგდებდა ხოლმე. - იქნებ, იმ ჩვენ ცრუპენტელა მოამბესაც ასე დაემართოს და კვლავ თავისი ჭკუის სიმძიმე აღარ დაუსვას წიგნებში, რომლებიც თავიანთი უხეირობით სალ კლდეზე უფრო მაგარნი არიან!

უთხარი აგრეთვე მას, რომ მისი მუქარა, ვითომც თავისი წიგნის გამოცემით შემოსავალს მომაკლებს, გროშადაც არ მიმაჩნია, რადგან პ ე რ ე ნ დ ე ნ გ ი ს შესანიშნავი ინტერმედიის შესაბამისად მივუგებ: "დღეგრძელ იყოს ჩემდა საკეთილდღეოდ ჩემი სენიორი ვეინტიკუატრო და თქვენდა ყველასათვის ქრისტე უფალი ღმერთი ჩვენი!" დღეგრძელი იყოს დიდი გრაფი დე ლემოსი, ვისი ქრისტიანული კეთილმოქმედება და საქვეყნოდ ცნობილი სიუხვე ჩემი ბოროტი ბედის ყველა დარტყმისაგან მიფარავს, დღეგრძელი იყოს ჩემდა სასიხარულოდ უმაღლესი კეთილმოწყალე ტოლედოს უგანათლებულესი არქიეპისკოპოსის დონ ბერნანდო დე სანდოვალ-ი-როხასისა, - და თუნდაც სტამბის მანქანები არ არსებობდნენ ქვეყნიერებაზე და თუნდაც ჩემს წინააღმდეგ იმაზე მეტი წიგნები ისტამბებოდეს, რამდენის მინგო რევულგოს ლექსებში ასოებია. ამ ორმა დიდებულმა ბატონმა, არც მლიქვნელობით, არც რაიმე სხვანაირი ქებით ჩემგან დავალებულმა, მხოლოდ მარტო საკუთარი გულკეთილობით ისურვეს ჩემი წყალობა და მფარველობა, რის გამოც ჩემს თავს უფრო ბედნიერად და მდიდრად ვთვლი, ვიდრე მაშინ ჩავთვლიდი, რომ კეთილგანწყობილ ბედს ჩვეულებრივი გზით თავის მწვერვალამდის ავეყვანე. ღარიბებსაც შეუძლია თავისი პატივი და ღირსება გააჩნდეს, მაგრამ ბიწიერ კაცს კი - არასოდეს; სიღარიბეს შეუძლია კეთილშობილება დაჩრდილოს, მაგრამ სრულიად მისი დაბნელება აღარ ძალუმს. და რადგან კეთილმოქმედება უმძიმესი სილატაკის ჭუჭრუტანებშიც ატანს თავის ცხოველყოფელ სხივებს, ძაღალი და კეთილშობილი გონების პატრონები მის მიმართ პატივისცემით იქნებიან განწყობილნი, მამასადაძმე, მას მფარველობასაც გაუწევენ.

ამაზე მეტს იმას ნურაფერს ეტყვი, მკითხველო, და მეც აღარას დაგიმატებ, მხოლოდ გთხოვ - ყურადღება მოიღო, რომ ეს დ ო ნ კ ი ხ ო ტ ი ს მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი, რომელსაც მოგართმევ, იმავე ოსტატისგან არის შეკერილი და იმავე ქსოვილისგანაა გამოჭრილი, რაც პირველი ნაწილია, და რომ მე დონ კიხოტის თავგადასავალს გთავაზობ მთლიანად, ჩემი გმირის გარდაცვალებასა და

დაკრძალვამდე, რომ აღარავინ გაბედოს მასზე დავა და კინკლაობა. რადგან წინანდელიც საკმარისია, რომ პატიოსანმა და გონიერმა კაცმა ამ მახვილგონივრული სისულელის ისტორია დაწერა, და სურვილი აღარ ჰქონდა, მისთვის კვლავ ხელი მოეკიდა, ვინაიდან საგანთა სიუხვე, თუნდაც ისინი კარგებიც იყვნენ, იქამდის არის მიმყვანი, რომ მათ ფასს აღარა სდებენ, ხოლო ნაკლებობა, თუნდაც უხეირო საგნებისა, რაიმე ფასს აძლევს და მატებს მათ.

კინაღამ დამავიწყდა - შენთვის მეთქვა - ელოდე-მეთქი პ ე რ ს ი ლ ე ს ს, რომელსაც ახლა ვამთავრებ, და აგრეთვე გა ლ ა ტ ე ა ს მეორე ნაწილსაც.

თავი I

თუ რა შეემთხვათ მღვდელსა და დალაქს დონ კიხოტთან - მისი ავადმყოფობის დროს

ამ ისტორიის მეორე ნაწილში, სადაც მოთხრობილია დონ კიხოტის მესამედ გამგზავრება, სიტ ჰამეტ ბენენჰელი გვიამბობს, რომ, მღვდელსა და დალაქს თითქმის მთელი თვის განმავლობაში არ მოუნახულებიათ ჩვენი რაინდი, რადგან ეშინოდათ, - წინანდელი შემთხვევები არ გახსენებოდა მას და ჭკუადამთხვეულობა არ განეახლებინა. სამაგიეროდ ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე მის დისწულს და სახლის გამგე მანდილოსანს და მუდამ იმას ურჩევდნენ, კარგად მოევლოთ დონ კიხოტისათვის, შეერჩიათ მისთვის ყუათიანი საკვები, ფრიად მარგებელი გულისა და გონებისათვის, საიდანაც თუ საღად ვიმსჯელებთ, წარმოიქმნა ყველა მისი უბედურება. ქალები ირწმუნებოდნენ, ბეჯითად ვასრულებთ ამ საქმესო, და პირდებოდნენ, კვლავაც უადრესი გულმოდგინებით აღვასრულებთო, რადგან ასე გვგონია, ჩვენი ბატონი ზოგჯერ ჭკუიანი ადამიანივით იქცევა და სიგიჟისაგან სრულიად განკურნებული გვეჩვენებაო. ამ ახლამა ამბავმა ძლიერ გაახარა ჩვენი მეგობრები, რადგან იფიქრეს, ტყუილუბრალოდ როდი მოგვიყვანია შინ მოჯადოებული დონ კიხოტი ხარებშემული ურმითო, როგორც ეს მოთხრობილი იყო ჩვენი დიადი და ჭეშმარიტი ისტორიის პირველი ნაწილის უკანასკნელ თავში; და აი, გადაწყვიტეს - ენახათ დონ კიხოტი და პირადად დარწმუნებულიყვნენ, მართლა განიკურნა თუ არა, თუმცა ასეთი განკურნება შეუძლებლად მიაჩნდათ; თანაც შეთანხმდნენ - არ შეხებოდნენ მის სუსტ სიმებს - მოგზაური რაინდობა არ გაეხსენებინათ, რათა ამჯერად დაამაბული მისი წყლული ხელახლად არ გაარჯლებულიყო.

ამრიგად, ისინი დონ კიხოტს ესტუმრნენ. იგი ლოგინზე წამომჯდარი დაუხვდათ. მწვანე თივთიკის კამზოლი ეცვა და თავზე წითელი ტოლედური არახჩინი ეხურა. ამ უკანასკნელ ხანში ისე გამხდარიყო და ჩამომხმარიყო, რომ უფრო მჭკნარ მუმიას ჰგავდა ვიდრე ადამიანს. სტუმრებს ალერსიანად შეეგება და მათ მოკითხვაზე დიდი გონიერებით, თავდაჭერითა და თავაზიანად უპასუხებდა. მალე მუსაიფი გააბეს და ჩვეულებრივი საუბრიდან ნელ-ნელა სახელმწიფო საქმეებსა და მთავრობის განკარგულებებზე გადავიდნენ. ჩვენმა მეგობრებმა ზოგი ბოროტმოქმედება და ავზნეობა აღმოფხრეს, მეორენი დაგმეს და გაკიცხეს, ზოგი ზნე-ჩვეულება შესცვალეს, სხვები გააუქმეს, მასთან თითო მათგანს ახალს სჯულმდებლად, თანამედროვე ლიკურგად ან ახლადგამომცხვარ სოლონად მიაჩნდა თავი; და ისე საფუძვლიანად და ძირფესვიანად გადაახალისეს და გარდაქმნეს სახელმწიფო, რომ, გეგონებოდით, თითქოს ქურაში ჩააგდეს იგი და იქიდან სავსებით განახლებული ამოიღესო.



დონ კიხოტი ყველა საკითხზე ისე გონივრულად მსჯელობდა, ისე ჭკვიანურად ლაპარაკობდა, რომ სტუმრები მტკიცედ დარწმუნდნენ, სრულ ჭკუაზეა და სავსებით განკურნებულია.

ამ საუბარს ესწრებოდნენ დისწული და დიასახლისი და წამდაუწუმ შემოქმედს უმადლოდნენ, რომ მათ ბატონს გონება დაუბრუნდა. მღვდელმა მაინც შესცვალა თავის პირვანდელი გადაწყვეტილება, - მოგზაურ რაინდობაზე კრინტი არ დაემრა, - და განიზრახა საბოლოოდ დარწმუნებულიყო: დონ კიხოტის განკურნება ნამდვილი იყო თუ მოჩვენებითი, და მარჯვე დრო რომ მოიხელთა, სხვათა შორის, სასახლის ბოლო ხანების ახალ ამბებზე დაიწყო ლაპარაკი. სარწმუნო ხმები დადისო, ამბობდა იგი, ვითომ თურქეთის სულთანი დიდ სალაშქრო მზადებაშია და ძლიერი ფლოტის გამოგზავნას აპირებსო, მხოლოდ ის განზრახვა ჯერ არავისთვისაა ცნობილი და არც ის იციან, რომელ სანაპიროს დაატყდება ის საშინელი ქარიშხალიო. და კვლავ ისე, როგორც ეს თითქმის ყოველწლიურად ხდება, მთელი საქრისტიანო შეძრწუნებულია და მისმა უდიდებულესობამ ბრძანა ნეაპოლის, სიცილიისა და კუნძულ მალთის სანაპიროთა გამაგრებაო. ამაზე დონ კიხოტმა მიუგო:

- თავის სამფლობელოთა წინასწარი გამაგრებით მისი უდიდებულესობა კეთილგონიერი სარდალივით იქცევა და ზრუნავს, რათა მტერი ანაზღაოდ თავს არ დააცხრეს... მაგრამ, იმან რომ პატივი მაღირსოს და ამ საგანზე ჩემი აზრის გაგება მოისურვოს, მაშინ ისეთ გამაფრთხილებელ ღონისძიებას ვურჩევდი, რა ღონისძიებაც მის უდიდებულესობას ახლა, ალბათ, ფიქრადაც არ მოსდის.

დონ კიხოტს ეს სიტყვები ჯერ არ დაემთავრებინა, რომ მღვდელმა უნებლიეთ გაიფიქრა: "უფალი ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემო საბრალო დონ კიხოტო. იმასვე უბრუნდები, რომ შენი სისულელის უმაღლეს მწვერვალიდან კვლავ მიამიტობის ღრმა უფსკრულში ჩაინთქაო!" ხოლო დალაქი უკვე მიხვდა, თუ საითკენ უმიზნებდა მღვდელი, და ჰკითხა დონ კიხოტს, სახელდობრ-რა ღონისძიებებს ურჩევდი მეფესო, და ეს ღონისძიებები იმ უაზრო და სულელური წინადადებათა მსგავსი ხომ არ იქნება, რომელსაც ჩვეულებრივად ხელმწიფეებს სთავაზობენო?

- ჩემი ღონისძიება, სენიორ დალაქო, - მიუგო დონ კიხოტმა, - უაზრო როდია, არამედ უაზროდ აზრიანია და გონივრული.

- შესაძლებელია ეგრეც იყოს. მე რაიმე ცუდის თქმა როდი მსურდა, - შეეპასუხა დალაქი. - მაგრამ გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მისი უდიდებულესობისადმი წარდგენილ ღონისძიებათა მთელი ან უდიდესი ნაწილი ან განუხორციელებელია, ანდა სულელური და მოჩმახული, ან კიდევ მეფისა და სამეფოს საზიანოდაა მიმართული და უსარგებლოა.

- ჩემი ღონისძიება კი, - მიუგო დონ კიხოტმა, - განუხორციელებელი და სულელური როდია და ქვეყნად არც ერთ მგეგმავს არ მოუვა ფიქრად ამაზე უფრო იოლი, სწორი, ადვილად შესასრულებელი, მახვილგონივრული და მოკლე ღონისძიება.

- რაღას აყოვნებთ და არ გვეტყვი, თუ როგორია იგი, თქვენო მოწყალეზავ, სენიორ დონ კიხოტო? მოთმინება ადარ გვეყოფნის, - უთხრა მღვდელმა.

- ჯერჯერობით ასე მალე არ მინდოდა ამის გამხელა: მართალი გითხრათ, მეშინია, აქ ნათქვამი ხვალვე მეფის მრჩეველებმა რომ შეიტყონ და ჩემი ღვაწლის სანაცვლო ჯილდო და მადლობა სხვამ არ მიიღოს.

- რაც შემეხება მე, - უთხრა დალაქმა, - ფიცსა ვდებ ღვთისა და თქვენს წინაშე, არავის გავუმხელ თქვენს სიტყვებს, არც მეფეს, არც როქეს, არც ერთ მე-ხორციელს ამ ქვეყანაზე: ეს ფიცი ვისწავლე იმ რომანსიდან, სადაც ერთმა მღვდელმა წირვის დაწყებისას მეფეს სიტყვა გადაუკრა ქურდზე, ამ ღვთის მსახურს ასი დუბლიონი და თოხარიკი ჯორი რომ მოჰპარა.

- ეგ რომანსი არ გამოგონია, - თქვა დონ კიხოტმა, - მაგრამ თქვენს ფიცს ვერწმუნები, რადგან ჩინებულ და პატიოსან კაცად გიცნობთ.

- თუნდაც ამას პატიოსან კაცად სულაც არ იცნობდეთ, - დასძინა მღვდელმა, - მე შემიძლია თავდებად დავუდგე და პირობა მოგცეთ, რომ ამ შემთხვევაში ეს მუნჯივით კრინტსაც არ დასძრავს, თორემ სასამართლოს მთელ ხარჯებს მაგას გადაახდევინებენ.

- თქვენლა, მამაო, თქვენს თავდებად ვიღას მომცემთ? - ჰკითხა მღვდელს დონ კიხოტმა.

- ჩემს წოდებას, - მიუგო მღვდელმა, - რომელიც ვალად მდებს ყველა განდობილი საიდუმლო დავფარო.

- თუ ეგრეა, ჯანაბას! - წამოიძახა დონ კიხოტმა, - გეტყვით: დაე, მისმა უდიდებულესობამ ესპანეთში ყველა ამ მოხეტიალე-მოგზაურ რაინდ ბუკის ხმით მიმართოს და მათ დანიშნულ დღეს დედაქალაქში შეგროვება უბრძანოს. მაშინ იმ ბრძანებით ექვს რაინდზე მეტიც რომ არ მოვიდეს, დარწმუნებული ვარ, იმათში ერთი მაინც გამოჩნდება ისეთი, რომ სულთანის მძლავრობას ბოლო მოუღოს. ყური მიგდეთ, სენიორებო, და კარგად ჩაუკვირდით ჩემს სიტყვებს. მართლაც, ნუთუ ისეთი ბრძოლები არა გსმენიათ, რომ ერთ მოგზაურ რაინდს ორასათასიან ლაშქართან უბრძოლია და გაუჭლექია, თითქოს მთელ ლაშქარს მარციპანისაგან გაკეთებული ერთი თავი ბმოდეს მოსაკვეთად? არა, ერთი ეს მიბრძანეთ, განა მრავალი რომანი ასეთი საკვირველებებით არაა სავსე? დიახ, ახლა რომ, - თუ ეს ასე არ იყოს, აქვე მიწამ მიყოს პირი და შიგ ჩამიტანოს (სხვას არ ვუსურვებ ამას) - ახლა სახელოვანი დონ ბელიანისი ან ამადის გალელის უამრავ შთამომავალთაგან ვინმე რომ იყოს ცოცხალი, გეუბნებით, ვინმე მათგანი რომ იყოს-მეთქი დღეს ცოცხალი, და თურქებს შეერკინოს, პატიოსნებას გეფიცებით, სულთანის ალაგას ყოფნას აღარ ვისურვებდი! მაგრამ ღმერთი-უფალი არ დატოვებს უნუგემოდ თავის ერს და მოუვლენს თუ ძველებურ მოგზაურ რაინდთა მსგავსად მძლეთამძლე მხსნელს არა, ყოველ შემთხვევაში მათზე არანაკლებ მამაც გმირს. უფალი მისმენს და მეტს არას ვიტყვი.

- ვაიმე! - შეჰყვირა მაშინ დისწულმა, - აქვე მომკალით და გამათავეთ, თუ ბიძაჩემი კვლავ მოგზაურ რაინდობას არ აპირებდეს?

- დიახ, დიახ! - თქვა ამაზე დონ კიხოტმა, - მოგზაური რაინდი ვიყავი და მოგზაურ რაინდადვე მოგვკვდები, ხოლო თურქეთის სულთანმა, როცა მოეპრიანება, დაე გადმოსხას მთელი თავისი საშინელი ლაშქარი და უზარმაზარი ფლოტი. მე ისევ ვიტყვი: უფალი მისმენს!

აქ საუბარში დალაქი ჩაერია.

- გემუდარებით, სენიორებო, ნება მომეცით სევილიაში მომხდარი ერთი პატარა ამბავი მოგითხროთ, - იგი ახლა ჩვენთვის სწორედ შესაფერისი იქნება, გული არ მითმენს და ძლიერ მინდა გიამბოთ.

დონ კიხოტმა ნება დართო. მღვდელი და დანარჩენები მოსასმენად მოემზადნენ და დალაქმა ასე დაიწყო:

"ერთხელ სევილიის საგიჟეთში ერთი ავადმყოფი იყო, იქ მისმა ნათესავებმა მოათავსეს, რადგან გაგიჟდა. იმ კაცმა ოსუნის უნივერსიტეტში კანონიკური სამართლის სამეცნიერო ხარისხი მიიღო, მაგრამ ამანაც ვერ უშველა და, როგორც ამბობენ, მაინც გაგიჟდებოდა, თუნდაც სალამანკის უნივერსიტეტიდან ყოფილიყო გამოსული. საავადმყოფოში რამდენიმე წელიწადს რომ დაჰყო, ჩვენმა ლიცენციანტმა თავი მთლად განკურნებული და სრულ გონებაზე მყოფი წარმოიდგინა და ძალიან ჭკვიანური წერილი მისწერა არქიეპისკოპოსს - ღმერთმა მოწყალება მოიღო, გონება დამიბრუნაო, და სთხოვდა - შებრალებოდა უბედური და იმ საგიჟეთის სამწუხარო ცხოვრებისაგან დაეხსნა: იგი სწერდა: - ნათესავებმა თავიანთი სარგებლობისათვის საგიჟეთში ჩამსვეს და სწადიათ მთელი ჩემი ქონება ხელთ იგდონ და სიკვდილამდე შეშლილად მთვლიდნენო. მისმა დალაგებით და გონივრულად დაწერილმა მრავალმა წერილმა არქიეპისკოპოსი მის განკურნებაში დაარწმუნა და ერთ კაპელანს დაავალა - საგიჟეთის უფროსისაგან გაეგო, რამდენად მართალს სწერდა ლიცენციანტი, - თანაც თვითონ ავადმყოფიც ენახა და გამოეცადა და, თუ მართლა განკურნებული აღმოჩნდებოდა, საგიჟეთიდან გაეთავისუფლებინა და გამოეყვანა. კაპელანმა დავალება შეასრულა და გამგემ მას უთხრა: ლიცენციანტი როგორც იყო, ისევ ისეაო: მართალია, ხანდახან მთლად გონივრულად ლაპარაკობს, მაგრამ ბოლოს მაინც სისულელეს წამოროშავს და ამას ისე ხშირად და არაჩვეულებრივად სჩადის, როგორც გონივრულ აზრებს გამოთქვამსო. ამში გამოცდილებით დარწმუნებით, თუკი ერთხელ მაინც გაესაუბრებითო, რომ დაერწმუნებინა, გამგემ კაპელანი ავადმყოფთან წაიყვანა. კაპელანმა ამ ცდის ჩატარება მოიწადინა. ავადმყოფთან ოთახში ჩაიკეტა და მას ერთ საათზე მეტს ელაპარაკა, მაგრამ ერთი ბეწვისოდენა შეშლილობაც კი ვერ შენიშნა: პირიქით, რასაც კი ამბობდა, სულ ისე გონივრულად და თავის ალაგას იყო ნათქვამი, რომ კაპელანმა სავსებით განკურნებულად ჩათვალა იგი. საბრალო ჭკუადამთხვეული, სხვათა შორის, საგიჟეთის უფროსს უჩიოდა და ამბობდა, გიჟად იმიტომ მთვლის, შიშობს - საჩუქრები არ დაჰკარგოს, ჩემი ნათესავები ქრთამად რომ ამღევენ, რათა ყოველთვის ათქმევინონ, ლიცენციანტი კვლავ შეშლილიაო, თუმცა მე სრულ გონებაზე ვარო. ავადმყოფმა დაუმატა: მთელი ეს უბედურება ჩემსავე სიმდიდრის გამო შემემთხვაო, ჩემი მტრები ამ სიმდიდრისათვის ყოველნაირ მზაკვრობას მიმართავენ და არ სურთ დაიჯერონ, ღმერთმა რომ კვლავ მოწყალე თვალით გადმოხედა და პირუტყვიდან ისევ გონიერ ადამიანად მაქციაო. ერთი სიტყვით, გამგეს იგი არაკეთილსაიმედო პიროვნებად თვლიდა, ნათესავებს - გულქვა და ხარბ ადამიანებად, თავი კი სავსებით საღსალამათად მიაჩნდა, რის გამოც კაპელანი ლიცენციანტის განკურნებაში მთლად დარწმუნდა, გადაწყვიტა გაეთავისუფლებინა იგი და არქიეპოსკოპოსთან წაიყვანა, რომ მის მორჩენაში ისიც დარწმუნებულიყო. სამკურნალოს უფროსი ცდილობდა კაპელანს ამ განზრახვაზე უარი ეთქვა, არწმუნებდა, ეს აჩქარება მალე სანაწულად გაგიხდებო. მაგრამ გამოცდილი კაცის გაფრთხილებამ, რომ ლიცენციანტი ისეთივე გიჟია, როგორც იყოო, ამაოდ ჩაიარა. ყველა მისი საბუთის პასუხად კაპელანმა არქიეპისკოპოსის წერილი უჩვენა უფროსს და მაშინ მეტი ღონე არ ჰქონდა, ტანისამოსი მისცა ლიცენციანტს და კაპელანს ჩააბარა იგი. ლიცენციანტმა რომ ტანთ ჩაცვა, ზოგიერთ გიჟ ამხანაგთან გამოთხოვება მოისურვა, კაპელანს მათი ნახვის ნება სთხოვა. კაპელანმა ნება დართო და უთხრა, მეც გამოგყვები, უნდა ვნახო, როგორი გიჟები სხედან ამ სახლშიო. ისინი გაემართნენ და მათ რამდენიმე იქ დამსწრეთაგანაც გაჰყვა. ერთი ყაფაზის გვერდით რომ

გაიარა, ლიცენციანტი შედგა და შიგ მყდარს შმაგ, მაგრამ ამჟამად დამშვიდებულ ავადმყოფს უთხრა:

" - მშვიდობით, ძმაო, ხომ არას დამაბარებ? შინ მივდივარ. უზენაესის წყალობით გონება დამიბრუნდა და სავსებით ჯანმრთელი ვარ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ამისი ღირსი ვიყავ, არამედ ყოვლადმღიერი და სახიერი უფლის მოწყალებით. იგი შენც არ დაგივიწყებს, ჩემო მეგობარო, თუ მას მიენდობი და ილოცებ. მანამ კი ნუგბარს რასმე საჭმელს გამოგიგზავნი, რადგან გამოცდილებით ვიცი, ყველა ჩვენი სიგიჟე და ჭკუადამთხვეულობა იქიდან წარმოიშვა, რომ კუჭი ხშირად ცარიელი გვაქვს და თავი - ჰაერით სავსე. მაშინ მხნედ იყავ, ჩემო მეგობარო, და სულით ნუ დაეცემი - უბედურების ჟამს სულმოკლეობა აძლიერებს ტანჯვას და უკანასკნელ საათს გვიახლოებს.

"ლიცენციატის ეს სიტყვები იმ შლესის პირდაპირ ყაფაზაში მჯდარმა მეორე გიჟმა გაიგონა, ძველისძველ ჭილობზე მთლად ტიტლიკანა რომ ეგდო, წამოხტა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყვირილით იკითხა, რომელია ეს კაცი, ასე საღსალამათი და სრულ ჭკუაზე მყოფი შინ რომ მიდისო. ლიცენციატმა მიუგო:

" - ეს მე ვარ, ჩემო ძმაო, მე მივდივარ. ღმერთმა ისეთი წყალობა მომივლინა, ამას იქით აქ დარჩენა ჩემთვის საჭირო აღარ არის, რადგან სავსებით განვიკურნე.

" - ფრთხილად, მეგობარო, კარგად იფიქრე, - რომ შეიტყონ და ჩემი ღვაწლის სანაცვლო ჯილდო და მადლობა სხვამ არ მიიღოს.

- რაც შემეხება მე, - უთხრა დალაქმა, - ფიცსა ვდებ ღვთისა და თქვენს წინაშე, არავის გავუმხელ თქვენს სიტყვებს, არც მეფეს, არც როქეს, არც ერთ მე-ხორციელს ამ ქვეყანაზე: ეს ფიცი ვისწავლე იმ რომანსიდან, სადაც ერთმა მღვდელმა წირვის დაწყებისას მეფეს სიტყვა გადაუკრა ქურდზე, ამ ღვთის მსახურს ასი დუბლიონი და თოხარიკი ჯორი, რომ მოჰპარა.

- ეგ რომანსი არ გამიგონია, - თქვა დონ კიხოტმა, -, მაგრამ თქვენს ფიცს ვერწმუნები, რადგან ჩინებულ და პატიოსან კაცად გიცნობთ.

- თუნდაც ამას პატიოსან კაცად სულაც არ იცნობდეთ, - დასძინა მღვდელმა, - მე შემიძლია თავდებად დავუდგე და პირობა მოგცეთ, რომ ამ შემთხვევაში ეს მუნჯივით კრინტსაც არ დასძრავს, თორემ სასამართლოს მთელ ხარჯებს მაგას გადაახდევინებენ.

- თქვენლა, მამაო, თქვენს თავდებად ვილას მომცემთ? - ჰკითხა მღვდელს დონ კიხოტმა.

- ჩემს წოდებას, - მიუგო მღვდელმა, -, რომელიც ვალად მდებს ყველა განდობილი საიდუმლო დავფარო.

- თუ ეგრეა, ჯანაბას! - წამოიძახა დონ კიხოტმა, - გეტყვით: დაე, მისმა უდიდებულესობამ ესპანეთში ყველა ამ მოხეტიალე-მოგზაურ რაინდ ბუკის ხმით მიმართოს და მათ დანიშნულ დღეს დედაქალაქში შეგროვება უბრძანოს. მაშინ იმ ბრძანებით ექვს რაინდზე მეტიც, რომ არ მოვიდეს, დარწმუნებული ვარ, იმათში ერთი მაინც გამოჩნდება ისეთი, რომ სულთნის მძლავრობას ბოლო მოუღოს. ყური მიგდეთ, სენიორებო, და კარგად ჩაუკვირდით ჩემს სიტყვებს. მართლაც, ნუთუ ისეთი ბრძოლები არა გსმენიათ, რომ ერთ მოგზაურ რაინდს ორასათასიან ლაშქართან უბრძოლია და გაუჟლეტია, თითქოს მთელ ლაშქარს მარციპანისაგან

გაკეთებული ერთი თავი ბმოდეს მოსაკვეთად? არა, ერთი ეს მიბრძანეთ, განა მრავალი რომანი ასეთი საკვირველებებით არაა სახსრე? დიახ, ახლა, რომ, - თუ ეს ასე არ იყოს, აქვე მიწამ მიყოს პირი და შიგ ჩამიტანოს (სხვას არ ვუსურვებ ამას) - ახლა სახელოვანი დონ ბელიანისი ან ამადის გალელის უამრავ შთამომავალთაგან ვინმე, რომ იყოს ცოცხალი, გეუბნებით, ვინმე მათგანი, რომ იყოს-მეთქი დღეს ცოცხალი, და თურქებს შეერკინოს, პატიოსნებას გეფიცებით, სულთანის ალაგას ყოფნას აღარ ვისურვებდი, მაგრამ ღმერთი-უფალი არ დატოვებს უნუგემოდ თავის ერს და მოუვლენს თუ ძველებურ მოგზაურ რაინდთა მსგავსად მძლეთამძლე მხსნელს არა, ყოველ შემთხვევაში მათზე არანაკლებ მამაც გმირს. უფალი მისმენს და მეტს არას ვიტყვი.

- ვაიმე! - შეჰყვირა მაშინ დისწულმა, - აქვე მომკალით და გამათავეთ, თუ ბიძაჩემი კვლავ მოგზაურ რაინდობას არ აპირებდეს?

- დიახ, დიახ! - თქვა ამაზე დონ კიხოტმა, - მოგზაური რაინდი ვიყავი და მოგზაურ რაინდადვე მოვკვდები, ხოლო თურქეთის სულთანმა, როცა მოეპრიანება, დაე გადმოსხას მთელი თავისი საშინელი ლაშქარი და უზარმაზარი ფლოტი. მე ისევ ვიტყვი: უფალი მისმენს!

აქ საუბარში დალაქი ჩაერია.

- გემუდარებით, სენიორებო, ნება მომეცით სევილიაში მომხდარი ერთი პატარა ამბავი მოგითხროთ, - იგი ახლა ჩვენთვის სწორედ შესაფერისი იქნება, გული არ მითმენს და ძლიერ მინდა გაიმბოთ.

დონ კიხოტმა ნება დართო. მღვდელი და დანარჩენები მოსასმენად მოემზადნენ და დალაქმა ასე დაიწყო:

"ერთხელ სევილიის საგიჟეთში ერთი ავადმყოფი იყო, იქ მისმა ნათესავებმა მოათავსეს, რადგან გაგიჟდა. იმ კაცმა ოსუნის უნივერსიტეტში კანონიკური სამართლის სამეცნიერო ხარისხი მიიღო, მაგრამ ამანაც ვერ უშველა და, როგორც ამბობენ, მაინც გაგიჟდებოდა, თუნდაც სალამანკის უნივერსიტეტიდან ყოფილიყო გამოსული. საავადმყოფოში რამდენიმე წელიწადს, რომ დაჰყო, ჩვენმა ლიცენციატმა თავი მთლად განკურნებული და სრულ გონებაზე მყოფი წარმოიდგინა და ძალიან ჭკვიანური წერილი მისწერა არქიეპისკოპოსს - ღმერთმა მოწყალება მოიღო, გონება დამიბრუნაო, და სთხოვდა - შებრალელობდა უბედური და იმ საგიჟეთის სამწუხარო ცხოვრებისაგან დაეხსნა: იგი სწერდა: - ნათესავებმა თავიანთი სარგებლობისათვის საგიჟეთში ჩამსვეს და სწადიათ მთელი ჩემი ქონება ხელთ იგდონ და სიკვდილამდე შეშლილად მთვლიდნენო. მისმა დალაგებით და გონივრულად დაწერილმა მრავალმა წერილმა არქიეპისკოპოსი მის განკურნებაში დაარწმუნა და ერთ კაპელანს დაავალა - საგიჟეთის უფროსისაგან გაეგო, რამდენად მართალს სწერდა ლიცენციატი, - თანაც თვითონ ავადმყოფიც ენახა და გამოეცადა და, თუ მართლა განკურნებული აღმოჩნდებოდა, საგიჟეთიდან გაეთავისუფლებინა და გამოეყვანა. კაპელანმა დავალება შეასრულა და გამგემ მას უთხრა: ლიცენციატი როგორც იყო, ისევ ისეაო: მართალია, ხანდახან მთლად გონივრულად ლაპარაკობს, მაგრამ ბოლოს მაინც სისულელეს წამოროშავს და ამას ისე ხშირად და არაჩვეულებრივად სჩადის, როგორც გონივრულ აზრებს გამოთქვამსო. ამაში გამოცდილებით დარწმუნებით, თუკი ერთხელ მაინც გაესაუბრებითო, რომ დაერწმუნებინა, გამგემ კაპელანი ავადმყოფთან წაიყვანა. კაპელანმა ამ ცდის ჩატარება მოიწადინა. ავადმყოფთან ოთახში ჩაიკეტა და მას ერთ საათზე მეტს ელაპარაკა, მაგრამ ერთი ბეწვისოდენა შეშლილობაც კი ვერ

შენიშნა: პირიქით, რასაც კი ამბობდა, სულ ისე გონივრულად და თავის ალაგას იყო ნათქვამი, რომ კაპელანმა სავსებით განკურნებულად ჩათვალა იგი. საბრალო ჭკუადამთხვეული, სხვათა შორის, საგიჟეთის უფროსს უჩიოდა და ამბობდა, გიჟად იმიტომ მთვლის, შიშობს - საჩუქრები არ დაჰკარგოს, ჩემი ნათესავები ქრთამად, რომ აძლევენ, რათა ყოველთვის ათქმევინონ, ლიცენციატი კვლავ შეშლილიაო, თუმცა მე სრულ გონებაზე ვარო. ავადმყოფმა დაუმატა: მთელი ეს უბედურება ჩემსავე სიმდიდრის გამო შემემთხვაო, ჩემი მტრები ამ სიმდიდრისათვის ყოველნაირ მზაკვრობას მიმართავენ და არ სურთ დაიჯერონ, ღმერთმა, რომ კვლავ მოწყალე თვალთ გადამოხედა და პირუტყვიდან ისევ გონიერ ადამიანად მაქციაო. ერთი სიტყვით, გამგეს იგი არაკეთილსაიმედო პიროვნებად თვლიდა, ნათესავებს - გულქვა და ხარბ ადამიანებად, თავი კი სავსებით სადსალამათად მიაჩნდა, რის გამოც კაპელანი ლიცენციატის განკურნებაში მთლად დარწმუნდა, გადაწყვიტა გაეთავისუფლებინა იგი და არქიეპოსკოპოსთან წაიყვანა, რომ მის მორჩენაში ისიც დარწმუნებულიყო. სამკურნალოს უფროსი ცდილობდა კაპელანს ამ განზრახვაზე უარი ეთქვა, არწმუნებდა, ეს აჩქარება მალე სანაწულად გაგიხდებო. მაგრამ გამოცდილი კაცის გაფრთხილებამ, რომ ლიცენციატი ისეთივე გიჟია, როგორც იყო, ამაოდ ჩაიარა. ყველა მისი საბუთის პასუხად კაპელანმა არქიეპოსკოპოსის წერილი უჩვენა უფროსს და მაშინ მეტი ღონე არ ჰქონდა, ტანისამოსი მისცა ლიცენციატს და კაპელანს ჩააბარა იგი. ლიცენციატმა, რომ ტანთ ჩაიცვა, ზოგიერთ გიჟ ამხანაგთან გამოთხოვება მოისურვა, კაპელანს მათი ნახვის ნება სთხოვა. კაპელანმა ნება დართო და უთხრა, მეც გამოგყვები, უნდა ვნახო, როგორი გიჟები სხედან ამ სახლშიო. ისინი გაემართნენ და მათ რამდენიმე იქ დამსწრეთაგანაც გაჰყვა. ერთი ყაფაზის გვერდით, რომ გაიარა, ლიცენციატი შედგა და შიგ მჯდარს შმაგ, მაგრამ ამჟამად დამშვიდებულ ავადმყოფს უთხრა:

" - მშვიდობით, ძმაო, ხომ არას დამაბარებ? შინ მივდივარ. უზენაესის წყალობით გონება დამიბრუნდა და სავსებით ჯანმრთელი ვარ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ამისი ღირსი ვიყავ, არამედ ყოვლადძლიერი და სახიერი უფლის მოწყალეობით. იგი შენც არ დაგივიწყებს, ჩემო მეგობარო, თუ მას მიენდობი და ილოცებ. მანამ კი ნუგბარს რასმე საჭმელს გამოგიგზავნი, რადგან გამოცდილებით ვიცი, ყველა ჩვენი სიგიჟე და ჭკუადამთხვეულობა იქიდან წარმოიშვა, რომ კუჭი ხშირად ცარიელი გვაქვს და თავი - ჰაერით სავსე. მაშინ მხნედ იყავ, ჩემო მეგობარო, და სულით ნუ დაეცემი - უბედურების ჟამს სულმოკლეობა აძლიერებს ტანჯვას და უკანასკნელ საათს გვიახლოებს.

"ლიცენციატის ეს სიტყვები იმ შლეგის პირდაპირ ყაფაზაში მჯდარმა მეორე გიჟმა გაიგონა, ძველისძველ ჭილობზე მთლად ტიტლიკანა, რომ ეგდო, წამოხტა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყვირილით იკითხა, რომელია ეს კაცი, ასე სადსალამათი და სრულ ჭკუაზე მყოფი შინ, რომ მიდისო. ლიცენციატმა მიუგო:

" - ეს მე ვარ, ჩემო ძმაო, მე მივდივარ. ღმერთმა ისეთი წყალობა მომივლინა, ამას იქით აქ დარჩენა ჩემთვის საჭირო აღარ არის, რადგან სავსებით განვიკურნე.

" - ფრთხილად, მეგობარო, კარგად იფიქრე, - უთხრა გიჟმა, ეშმაკმა თვალი არა გკრას. ნუ აჩქარდები დამიჯერე და აქვე დარჩი, ხელმეორედ აქ მოსვლაზე, რომ აღარ შეწუხდე.

" - ვიცი, რომ კარგადა ვარ, და სამუდამოდაც მივდივარ აქედან. მეყო, რაც ვაივაგლახი გადამხდა, - მიუგო ლიცენციატმა.

" - შენ ხარ კარგად? შენ! კარგი ,ასე იყოს ღმერთი იყოს შენი შემწე, - შეჰყვირა გიჟმა. - წადი, მაგრამ ვფიცავ იუპიტერს, რომლის სიდიადის წარმომადგენელიც მე ვარ ამქვეყნად, რომ მარტო იმ ერთი შეცოდებისათვის, რასაც სევილია დღეს ჩადის და როგორც ჯანსაღს ამ საავადმყოფოდან გიშვებს, ისეთ სასჯელსა და ტანჯვას მოვუვლენ, რომ მისი ხსოვნა დარჩეს უკუნითი უკუნისამდე, ამინ! განა არ იცი, შე უტვინო და საცოდავო ლიცენციატუნავ, რა ყოვლადშემძლებელი ვარ? არ იცი, რომ, როგორც უკვე ვთქვი, მე ქუხილის ღმერთი და მეხთამტეხი იუპიტერი ვარ, ხელთ მიჰყრია ელვის ცეცხლოვანი ისრები და შემიძლია მთელი ქვეყანა დავანგრიო და ნაცარტუტად ვაქციო,? მაგრამ ამ უმეცარ ქალაქს მთლად როდი გავურისხდები, არამედ ცოტას დავსჯი და მერე როგორ: მთელი სამი წლის განმავლობაში, იმ დღე და საათიდან, რაც ეს განაჩენი და მუქარა წარმოითქმის, ერთ წვეთ წვიმას არ ვაღირსებ არც ქალაქს, არც მის მიდამოებს, არც მთელ ოლქს. მაშ, შენ კარგადა ხარ, სრულ გონებაზე და თავისუფლება მიიღე, მე კი ჩემს სატუსალოში ვრჩები ჭკუაშემლილი? კარგია, ძლიერ კარგი, მაგრამ კიდევ გეტყვი: იცოდეს სევილია, უმაღლეს თავს ჩამოვიხრჩობ და ზეცის ნამს კი აღუკვეთავ მას.

"ყველანი ყურადღებით ისმენდნენ გიჟის სიტყვებს და ყვირილს; ჩვენი ლიცენციატი კი უცბად მიუბრუნდა კაპელანს, ხელი ჩაჰკიდა და უთხრა:

" - ამ გიჟის მუქარით ნუ შეწუხდებით, ჩემო ბატონო, და მის სიტყვებსაც ყურადღებას ნუ მიაქცევთ. თუ იგი ქუხილის ღმერთი იუპიტერია და წვიმას აღარ გამოგიგზავნით, მე -ნეპტუნი ვარ, ზღვის ღმერთი და მამა, მაშასადამე, შემიძლია ვაწვიმო დედამიწას, რამდენიც მნებავს და როდესაც ამას საჭიროდ დავინახავ.

"ამაზე კაპელიანმა მიუგო:

" - ძალიან კარგი, ბატონო ნეპტუნო. მაინც ბატონ იუპიტერს ნუ გააჯავრებთ. ამიტომ, თქვენო მოწყალეზავ, გაისარჯეთ და ისევ თქვენს ოთახში შებრძანდით, - თქვენს წასაყვანად სხვა დროს მოვალთ, როცა მოვიცლით და მარჯვე შემთხვევაც მოგვეცემა.

"საავადმყოფოს უფროსმა და ყველა დამსწრემ გაიცინეს და ამ სიცილმა კინაღამ არ გაარისხა კაპელიანი. ლიცენციას წინანდელი ტანისამოსი ჩააცვეს და ის ჰოსპიტალში დარჩა. ამით დამთავრდა ეს ისტორიაც".

- აი, თურმე, როგორი ყოფილა ის ისტორია, - თქვა დონ კიხოტმა, -, რომელიც ახლანდელ გარემოებას ისე შეეფერება, რომ მისი უთქმელობა აღარ შეგეძლოთ. ჰოი, ბატონო დალაქო! ბატონო დალაქო! ჭეშმარიტად რამდენად ბრმა უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც საცერში გახედვითაც კი ვერაფერს იხილავს! ნუთუ, თქვენო მოწყალეზავ, არ იცით, რომ ყოველგვარი შედარება ერთი ჭკუისა მეორესთან, ერთი სიმაძაცისა მეორესთან, ერთი სილამაზისა მეორესთან, ერთი ჩინებული გვარისა მეორესთან არასასიამოვნო და მუდამ უადგილოა? მე, ბატონო დალაქო, ზღვის ღმერთი ნეპტუნი არა ვარ და დიდი ჭკუის პატრონობასაც არასოდეს არა ვჩემობ, მეტადრე, რომ ბედნიერება არა მაქვს ჭკუიანი ვიყო, მაგრამ მაინც ეს როდი დამიშლის მთელ ქვეყანას ვაუწყო, რომ მეტად ცდებიან ადამიანები, როდესაც არ სურთ აღადგინონ ის უბედნიერესი დრო, ოდეს ქვეყანაზე არსებობდა მოგზაურ რაინდთა ორდენი: ვაჰმე, გულდაწყვეტილი ვხედავ, რომ ჩვენი გარყვნილი საუკუნე ღირსი არ არის იმ დაუფასებელი ბედნიერებით ხარობდეს, რა ბედნიერებითაც წარსულნი დრონი ხარობდნენ, ოდეს მოგზაური რაინდები კისრულობდნენ სახელმწიფოს დაცვას, უფროხილდებოდნენ

ქალწულთა ნამუსს, ქვირვი-ობოლთ და უმწეოთ მფარველობდნენ, მუსრს ავლებდნენ ავაზაკთა და ბოროტმოქმედთ, ესარჩლებოდნენ სუსტსა და უსუსურს. ახლანდელ რაინდთა უმრავლესობამ აბჯრის ჩხარუნი აბრეშუმის, ფარჩისა და სხვა მდიდრული ქსოვილის შარიშურზე გასცვალა: აწ სადღა არიან ის დევგმირი რაინდები, მუდამ შეიარაღებულნი, ცხენზე მდგომარენი, ამაყად, რომ სჯაბნიდნენ ცივ მიწაზე ძილსაც, შიმშილსაც და აუტანელ სიცივესაც: ახლა მოგზაურ რაინდთა მსგავსად, აღარავინ ცდილობს შუბზე დაყრდნობილმა და უზანგებზე შემდგარმა, როგორც იტყვიან, "ხელხუნდი დაადოს ძილს". ახლა არავინ მოიქცევა ისე, როგორც ეს იყო ძველ დროში: ხდებოდა ხოლმე, ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ასეთი რაინდი გამოვიდოდა ტყიდან, ავიდოდა მთის მწვერვალზე, მერე დაეშვებოდა მშფოთვარე ზღვის უკაცრიელ და უდაბურს ნაპირას - და იქ დაინახავდა უანძო, უიალქნო და უნიჩბო ნავს, უშიშრად და გაბედულად ჩახტებოდა შიგ და გულადად გაჰყვებოდა უძირო ზღვის ბობოქარ ტალღათა ღელვას, რომელიც ხან ცაში აისროდა მას, ხან საშინელ უფსკრულისაკენ მიაქანებდა. რაინდი კი შეუპოვრად ებრძოდა მძვინვარე ქარიშხალს, და აი, მოულოდნელად, სამი ათას მილზე იმ ადგილიდან, საიდანაც გაემგზავრა, მიადგებოდა შორეულ და უცხო მხარეს, გადმოხტებოდა და იქ ჩადენილი, ეტრატსა და თვით ბრინჯაოზეც აღბეჭდვის ღირსი გმირობით საუკუნოდ უკვდავყოფდა თავს. ახლა კი, ჩვენს დროში, მცონარებამ და სიზარმაცემ დარია ხელი გულმოდგინეობას და ბეჯითობას, უსაქმურობამ დაჯაბნა შრომა, ბიწიერებამ - სათნოება, თავხედობამ და კადნიერებამ - სახელოვნება და გულადობა, გამეფდა უსაქმურობა და ფუფუნება. უნიათო თეორიამ დაჩრდილა სამხედრო ხელოვნება და პრაქტიკა, რაიცა ბრწყინვალეობა და ყვაოდა იმ ოქროს საუკუნეში, მოგზაურ რაინდთა დროს. თუ არ მეთანხმებით, აბა ერთი მითხარით: ვინაა სახელოვან ამადის გალელზე უფრო თავაზიანი და უმამაცესი? ვინაა პალმერინ ინგლისელზე უჭკუიანესი? ვინაა ტირანტოს სპეტაკზე უფრო მორჩილი და რიგიანი? რომელია ლისუარტე ბერძენზე უფრო ზრდილობიანი? განა დონ ბელიანისზე მეტი ჭრილობა ჰქონია ვისმეს, ან იმდენი კაცი დაუკოდავს? ვინაა პერიონ გალელზე უშიშარი? ვინ გადალახა ფელისმარტე ჰირკანელის ოდენი საფრთხე და საშიშროება? ვინაა ესპლანდიანზე უფრო გულწრფელი? ვინაა დონ სირონჰილიო თრაკიელზე შემმართებელი? რომელია როდამონტეზე გამბედავი? ვინაა მეფე სობრინოზე უბრძნესი? ვინაა რეინალდოზე უფრო შეუპოვარი? ვინაა როლანდზე უძლიერესი? ვინ იქნება კობტა, სასურველი და ლაზათიანი რუჯეროსავით, ფერარის ჰერცოგთა წინაპარი, რომ იყო, როგორც ამას ამბობს ტურპინე თავის კოსმოგრაფიაში. ყველა ამ რაინდმა და კიდევ სხვებმა, რომელთა სათითაოდ ჩამოთვლა შემძლია, მოგზაური რაინდობის დიდება შექმნეს, ბატონო მოძღვარო, და მეც ვურჩევდი მეფეს - თუ ერთგულ მსახურებს ეძებს, იმათ დაუძღვევს სიმამაცეს მოუწოდოს და ისინიც სინდისიერად გაუწევენ. სამსახურს, ზედმეტ ხარჯსაც ააცდენენ და თურქეთის სულთანსაც წვერებს დაიგლეჯდა. მაგრამ მე კი ჩემს სენაკში უნდა ვიჯდე, რადგან გარეთ გასვლა აკრძალული მაქვს და ჩემს კაპელანსაც თავისთან არ მივყავარ. და თუ იუპიტერს, როგორც ამას ბატონი დალაქი ბრძანებს, არა სურს ჩვენს მიწაზე აწვიმოს, მეც აქ ამიტომ ვზივარ - ჩემს თავს ვაწვიმო, როდესაც მომეპრიანება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დიდად პატივცემულმა სადალაქო თასმა იცოდეს, ნათქვამის აზრს, რომ მივუხვდი.

- ტყუილად ჯავრობთ, ბატონო დონ კიხოტო, - უთხრა დალაქმა, - პატიოსნებას გეფიცებით და ღმერთია მოწამე, კეთილი განზრახვით ვთქვი, თქვენი წყენა სულაც არ მინდოდა.

- ტყუილად ვჯავრობ თუ მართლა, - უთხრა დონ კიხოტმა, - ეგ მე ვიცი.

ამაზე მღვდელმა თქვა:



- თუმცა აქამდის თითქმის ორიოდ სიტყვაც არ მითქვამს, ახლა სურვილი მომეცა - ის ეჭვი ავუხსნა ჩემს თავს, რაც ჩემს სინდისს ქენჯნის და ტანჯავს, და იგი სენიორ დონ კიხოტის ახლა ნათქვამმა გამოაჩინა.

- ბევრი რამ სხვა საგნის ახსნის უფლებაცა აქვს მამა მღვდელს, - თქვა დონ კიხოტმა, - მაშ, თვისი ეჭვის გამოთქმაც შეუძლია, რადგან ეჭვით დამძიმებული სინდისი ძნელი ტვირთია.

- ვსარგებლობ რა ამ ნებართვით, - თქვა მღვდელმა, - ვაცხადებ: შეუძლებლად მიმაჩნია, რომ ყველა ის მოგზაური რაინდი, რომლებიც თქვენ აქ ჩამოთვალეთ ახლა, ბატონო დონ კიხოტო, ნამდვილი ადამიანები ყოფილიყვნენ: მე, რომ მკითხოთ, ისინი მოჩვენებანი ყოფილან, მოლანდებანი, ადამიანის წარმოდგენა-გამოხატულებაში უცხოვრიათ და იქიდან ხალხის შესაქცევრად დაწერილ ზღაპრებში გადასულან.

- ეს კიდევ სხვა რიგი შეცდომაა, რაიცა მრავალს ემართება, - უპასუხა დონ კიხოტმა. - არა ერთხელ ვიყავ იძულებული მაგ ეჭვისთვის, თითქმის, რომ საერთო შეიქმნა, სიმართლის ნათელი მომეფინა. ზოგჯერ ჩემი მეცადინეობა ფუჭად ჩამივლიდა, მაგრამ მომეტებულ შემთხვევაში ამ ჭეშმარიტებას ურწმუნოებს დავაჯერებდი ხოლმე: ჩემთვის იგი ისე ცხადია, რომ, მგონი, შემიძლია კიდევ ამადის გალელი აგიწეროთ სწორედ ისე, თითქოს ჩემი საკუთარი თვალთ მენახოს. დიახ, იგი იყო მაღალ-მაღალი ტანისა, თეთრი, მოძრავი სახისა, ხშირ შავწვერიანი, ამაყი და თან ნაზი თვალების პატრონი: ბევრი ლაპარაკის მოყვარული არ იყო, იშვიათად იცოდა გაჯავრება და თავის წყრომას მალე ივიწყებდა. ამადისი ხომ დაგიხატეთ, ასევე ყველა დიდებული რაინდის დახატვა შემიძლია, რადგან მათი ისტორიკოსებისაგან დატოვებული აღწერით სულაც არ არის ძნელი სრული ცნობა შევადგინოთ თითოეული გამოჩენილი რაინდი თუ როგორი თვალტანადი იყო.

- თუ ეგრეა, - უთხრა დალაქმა. - მაშ გოლიათ მორგანტეს ტანადობა აგვიწერეთ, ჩემო სენიორ დონ კიხოტო.

- ქვეყანაზე გოლიათები იყვნენ თუ არა, ეს სადავო საკითხია, - მიუგო დონ კიხოტმა. - ზოგიერთები ფიქრობენ, გოლიათები არ არსებობდნენო, მეორენი კი უარყოფენ ამას. მაგრამ საღვთო წერილი, რომლის ყოველი სტრიქონი ხალასი ჭეშმარიტებაა, მოწმობს, რომ გოლიათები არსებობდნენ, და იქ, ფილისტიმელთ გოლიათის ისტორიაში მოთხრობილია: მას შვიდ-ნახევარი წყრთა სიმაღლე ჰქონია, ესე იგი უსაზომოდ დიდი ყოფილა. აგრეთვე სიცილის კუნძულზე თემოსა და მხრების ძვლები უპოვიათ, რომელნიც კომპის სიმაღლე ადამიანისა უნდა ყოფილიყვნენ. ამ ჭეშმარიტებას გეომეტრია უეჭველსა ხდის და მაინც, მიუხედავად ამისა, გადაჭრით არ შემიძლია ვთქვა, თუ როგორი იყო მორგანტე, თუმცა ვფიქრობ, იგი მაინცა და მაინც არც ისე მაღალი იქნებოდა. ისტორია მოგვითხრობს, რომ იმას ზოგჯერ ღამე დახურულ შენობაში გაუტარებია, და თუ ისეთი შენობები ყოფილა, რომ იგი დაუტევია, მაშ, ცხადია, მაგდენად დიდი რამ ტანისა არ იქნებოდა.

- მართალია, - თქვა მღვდელმა, რომელიც დონ კიხოტის აზდაუბდა ლაპარაკს სიამოვნებით უგდებდა ყურს. და ამიტომ ჰკითხა ჩვენს რაინდს, იაგორი გარეგნობისა იყვნენ რეინალდო დე მონტალბანელი, დონ როლანდი და საფრანგეთის დანარჩენი პურები, რომლებიც მოგზაურ რაინდებად ითვლებოდნენო.

- რეინალდოზე მხოლოდ ის შემძლია ვთქვა, რომ მას, უეჭველია, განიერი, მწითური სახე და მკვირცხლი თვალები უნდა ჰქონოდა, რადგან ძალიან ფიცხი იყო და გოროზი, განსაკუთრებული სიყვარულით მფარველობდა ავაზაკებსა და ცუდ კაცებს. რაც შეეხება როლანდს, როტოლანდს ანუ ორლანდს (რომანებში ამ სამი სახელით არის იგი ცნობილი), გონია, არ შევცდები გითხრათ, რომ იგი იყო მხარბეჭიანი, შუათანა ტანისა, ოდნავ ფეხმოქცეული, შავგვრემანი, ქერაწვერიანი, ტლანქი ტანის პატრონი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოლაპარაკე და მუქარით მომზირალი. ეს ყველა მაინც ხელს არ უშლიდა მას ზრდილი, თავაზიანი და ჩინებულად განათლებული კაცი ყოფილიყო.

- თუ როლანდი მართლაც თქვენგან დახატულ სურათს ჰგავდა, - უთხრა მღვდელმა, - მაშ ადარ მიკვირს, ტურფა ანჟელიკამ ახალგაზრდა, უწვერულვაშო მავრს რად მისცა უპირატესობა და თავისი სიტურფის პატრონად ის გაიხადა და სავსებით გონივრულად მიაკუთვნა პირველობა უნაზეს მედოროს და არა იმ ტლანქ როლანდს.

- ის ანჟელიკა, სენიორ მოძღვარო, - მიუგო დონ კიხოტმა, - მეტად უხიაკი და თავქარიანი დედაკაცი იყო. მთელ ქვეყანაზე, სახელი სილამაზითა და ურიგო საქციელით გაითქვა: კარგი სახელი სიამოვნებას ემსხვერპლა, ათასი პატიოსანი დიდებული, ღვაწლმოსილი და გონიერი რაინდი უარყო და ყველა იმათ უწვერულვაშო, უგვარომო, პირმშვენიერი ძუძუმწოვარა პაჟი არჩია, რომლის ერთადერთი ღირსება მადლიერება და მეგობრობის ერთგულებაა. ამიტომაც ანჟელიკას დიდი მგოსანი, სახელოვანი არიოსტო ქალის უპატიური საქციელის შემდეგ (და ალბათ, ძლიერ ცუდი ამბავი შეემთხვა მას) ვეღარ ბედავს მისი ხოტბა განაგრძოს, ამბავს უცებ წყვეტს და ამბობს:

თუ როგორ გახდა ის ხატაეთს გვირგვინოსანი,

ამას ოდესმე ჩინებული იტყვის მგოსანი.

ეს ლექსი სწორედ წინასწარმეტყველური გამოდგა: პოეტებს ტყუილად როდი აღნიშნავენ სიტყვით ვატეს, რაც წინასწარმთქმელს ნიშნავს. ხოლო, ეს, რომ ხალასი სიმართლეა, იქიდან ჩანს, რომ მას შემდეგ ანდალუზიაში ერთი მგოსანი აღმოჩნდა, ანჟელიკას ცრემლების შესხმა დაწერა, ხოლო კასტილიაში მეორე სახელოვანი და გამოჩენილი პოეტი მისი მშვენების ქებას ამბობდა.

- ერთი მიზრძანეთ, სენიორ დონ კიხოტო, - უთხრა დალაქმა, - ანჟელიკას იმდენ მაქებარ მგოსნებში არავინ გამოვიდა ისეთი, რომ ქალბატონ ანჟელიკას წინააღმდეგ ეთქვა რამე?

- უდავოა, საკრიპანტი ან როლანდი მგოსნები, რომ ყოფილიყვნენ, - მიუგო დონ კიხოტმა, - დარწმუნებული ვარ, დაუდევარ ტურფას ლაზათიანად შეამკობდნენ, გულის ვარდთაგან განდევნილ და უარყოფილ შეყვარებულთ მიბამვდნენ, შურის სამიებლად, რომ თავიანთ მიჯნურებს დაცინვით და აბუჩად აგდებით ამკობდნენ, - თუმცა ასეთი შურისგება პატიოსან გულს სულ არ შეჰფერის. მაგრამ ჩემამდის დღემდე ერთი ღვარძლიანი ლექსიც არ მოსულა ისეთი, რომ მსოფლიოს ამრევი და ამქოთებელი ანჟელიკა გაეთახსირებინა.

- გასაოცარია! - წამოიძახა მღვდელმა.

მაგრამ ამ დროს ეზოში გაისმა დონ კიხოტის დისწულისა და სახლის გამგე დიასახლისის საშინელი ყვირილი. ისინი უფრო ადრე გასულიყვნენ ოთახიდან. მეგობრები წამოხტნენ და ყვირილის მიზეზის შესატყობად გაემშურნენ.

თავი II

სადაც მოთხრობილია შესანიშნავი ჩხუბის ამბავი, სანჩო პანსას, რომ დონ კიხოტის დისწულთან და ხახლის გამგე დიასახლისთან მოუხდა, და სხვა თავშესაქცევარი ფათერაკები

ჩვენს ისტორიაში მოთხრობილია, რომ დონ კიხოტს, მღვდელსა და დალაქს მოესმათ დისწულისა და სახლის გამგის ყვირილი,; ხოლო ალიაქოტის მიზეზი სანჩო აღმოჩნდა: მას დონ კიხოტთან შესვლა უნდოდა, ქალები კი არ უშვებდნენ.

- რა უნდა აქ ამ ზარმაცსა და მაწანწალას? - ყვიროდა დიასახლისი. - შენს სახლში წადი, ძმავ, აქ საქმე არა გაქვს რა, შენა რევ ჩვენს ბატონს და აქა-იქ შარაგზეზე და უღრან ტყეებში ფეთიანივით არბენინებ.

- ეშმაკის დიასახლისო, - უთხრა სანჩომ, - მე კი არა ვრევ და ვაბრიყვებ, თვითონ მე მრევენ და მაბრიყვებენ, აქა იქ მარბენინებენ. ანგარიში გეშლებათ. თქვენმა ბატონმა მომატყუა და სახლიდან მე გამიტაცა, კუნძულის ჩუქებას დამპირდა და აქამდისაც ველოდები.

- ნეტა რა შეჩვენებული კუნძული მოპრიანებაა ამას, - ყვიროდა სახლის გამგე, - რატომ ყელში არ გაგეჩხირება, შე წყეულო სანჩო, უბედურო ღორმუცელავ, ნუგბარი საჭმელი რამ არის ეს კუნძული, თუ რაა? იქნებ ასე გგონია კიდეც!

- დიახაც, ნუგბარი ლუკმაა, - მიუგო სანჩომ, -, მაგრამ საჭმელი კი არ არის, ისეთი ლუკმაა, რომ ოთხ ქალაქად და სატახტო ქალაქის ათი სასამართლოს შემოსავლად ღირს.

- რაც გინდა იყოს - არ შეგიშვებთ, - გაიძახოდა დიასახლისი. შე არამზადების გოდორო და ავზნეობის ტიკი-ტომარავ. შენთვის წაეთრიე, შენს ადგილმამულს მიხედე, მიწა დახანი და ეგ რაღაც ეშმაკის კუნძულები დაივიწყე.

მღვდელი და დალაქი ამ სამთა ჩხუბს, რომ ისმენდნენ, სიამოვნებით იცინოდნენ.: მაგრამ დონ კიხოტი თავის საჭურველმტვირთველს კარგად იცნობდა და ეშინოდა არაფერი დაეროშა ისეთი, რაც რაინდობას არაფრად მოუხდებოდა, და ამიტომ მან ქალებს უბრძანა, სანჩო ოთახში შემოეშვათ. მღვდელი და დალაქი თავის მეგობარს მაშინვე გამოეთხოვნენ, მის მორჩენაში იმედდაკარგულები: ხედავდნენ, რომ მას ახლა ის საუბედურო რაინდობა უწინ. ლელზე უფრო მეტად ჰქონდა მორეული.

- ნათლიმამ, ჩემი სიტყვა დაიხსომეთ, - უთხრა მღვდელმა დალაქს, - თუ ჩვენმა იდალგომ ხელახლად არ დაიწყოს ტყე-ღრე ხეტიალი.

- უეჭველია, - მიუგო დალაქმა, -, მაგრამ მე ისე ბატონის გადარევა არ მაკვირვებს, როგორც მისი საჭურველმტვირთველის გულუბრყვილობა. მას ის კუნძული ისე მაგრად ჩასჭედია თავში, რომ ველარაფრით ველარ ამოაცლის კაცი, მიუგო დალაქმა.

- ღმერთი იყოს მათი მფარველი, - თქვა მღვდელმა. - ჩვენ მაინც ერთ წამსაც ნუ მოვშორდებით, თვალყური ვადევნოთ, რით გათავდება რაინდისა და მისი საჭურველმტვირთველის გადარევა, ამ ორი ადამიანისა, თითქოს ერთმანეთისათვის, რომ არიან გაჩენილნი, ერთის სისულელე, რომ მეორის დამთხვეულობის აზავებს და ბატონის სიგიჟე მსახურის სისულელის გარეშე გახვრეტილ გროშადაც არ ეღირებოდა.

- თქვენ მართალი ხართ. ნეტა ვიცოდე, - უთხრა დალაქმა, - ახლა მარტონი, რომ დარჩნენ, რას განიზრახავდნენ?

- დარწმუნებული ვარ, მაგას ჩვენი მეგობრის შინაურებისაგან გავიგებთ, იმათ არაფერი გამოეპარებათ, - უპასუხა მღვდელმა.

ამასობაში დონ კიხოტმა ოთახის კარი ჩაიკეტა, სანჩოსთან მარტო დარჩა და უთხრა:

- სანჩო, ძალიან მეწყინა, როცა გავიგე, რომ ყველგან თურმე გილაპარაკია, ვითომც ძალად მოგწყვიტე ოჯახს, თითქოს მე ჩემი ოჯახი არ დამეტოვებინოს. ჩვენ აქედან ერთად წავედით, ერთი გზით დავდიოდით, ერთსა და იმავე ბედქვეშ ვიყავით და, თუ შენ ერთხელ გაფრინეს საბანზე, მაგიერად მე ასჯერ ჯოხით მცემეს. მთელ ჩემს მოგზაურობაში, შენთან შედარებით, მარტო ეს ერთი უპირატესობა მქონდა.

- ეს ეგრეც უნდა ყოფილიყო, - მიუგო სანჩომ, -, რადგან, თქვენივე საკუთარი სიტყვით, ფათერაკების ყველა სიმწარე რაინდებმა უნდა იწვნიონ და არა საჭურველმტვირთველებმა.

- ცდები, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - ეს სიტყვები გაიხსენე, როცა ცაპუტ დოლეტ ... და ა. შ.

- ჩემი დედაენის მეტი სხვა ენა მე არ ვიცი, - გააწყვეტინა სანჩომ.

- თავი, რომ დაავადდება, მასთან მთელი ტანის ყველა სახსარი ავადობს, - აუხსნა დონ კიხოტმა.

- მე, შენი ბატონი, იმ სხეულის თავი ვარ, რომლის ნაწილსაც შენ შეადგენ, ჩემი მსახური; ამიტომაც, რაც ტანჯვა მე შემართება, შენც უნდა იგრძნო, როგორადაც მე განვიცდი შენს ტანჯვას.

- ეგ დიახაც ეგრე უნდა იყოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ, როცა მე, სხეულის რაღაც უბედურ ნაწილს, საბანზე მათამაშებდნენ, ჩემი თავი ეზოს კედლის გადაღმა დასეირნობდა და ჩემს ჰაერში მოგზაურობას ისე უცქეროდა, რომ ერთი ბეწვი ტკივილსაც არა გრძნობდა. მე კი ასე ვფიქრობ: როცა სხეულის ასოები იტანჯებიან, თავიც უნდა განიცდიდეს სხეულის ყოველგვარ ტკივილს:

- ნუთუ გგონია, სანჩო, რომ მე შენს საბანზე თამაშს გულგრილად ვუცქეროდი! ნუ გგონია და ნურც ამბობ ამას, ჩემო მეგობარო, რადგან იმ წამში შენზე უფრო ვიტანჯებოდი სულით, ვიდრე ხორციით, მაგრამ ამაზე როდისმე მოცლილ დროს ვილაპარაკოთ. ახლა კი, ჩემო მეგობარო სანჩო, გულწრფელად მითხარი, რას ამბობენ ჩემზე სოფელში. რა აზრის არიან ჩემზე ჩვენი გლეხები, აზნაურები, რაინდები? რას ფიქრობენ ჩემს მამაცობზე, ჩემს გმირობაზე, ჩემს თავაზიანობაზე? როგორ მსჯელობენ ჩემს განზრახვაზე - მივიწყებული მოგზაური რაინდობის ორდენის აღდგენა, რომ მწადია? ერთი სიტყვით, გემუდარები, ყველაფერი დაწვრილებით მიაშბე, რა გაიგონე ჩემზე: ნურც ქებას შეალამაზებ და ნურც ძაგებას დააკლებ რამეს, რადგან ერთ გულმა მსახურმა თავის ბატონს ყოველთვის სიმართლე უნდა მოახსენოს, სწორედ ისე,

როგორც არის იგი, არც შეალამაზოს მლიქვნელობით და არც საამებელი გახადოს ზედმეტი მოკრძალებით; და შენც უნდა იცოდე, ჩემო სანჩო, რომ ალალი სიმართლე უპირმოთნეოდ და უზაკველად, რომ აღწევდეს ამ ქვეყნის მბრძანებელთა ყურამდე, მაშინ სულ სხვა ხანა დადგებოდა და ჩვენს დროსთან შედარებით წარსულ საუკუნეებს რკინის საუკუნეებს უწოდებდნენ, ხოლო ჩვენს საუკუნეს ყველა სხვა საუკუნესთან შედარებით ოქროს ხანას დაარქმევდნენ დაე, ამ სიტყვებმა გაგაფრთხილონ, სანჩო, რათა კეთილსინდისიერად, პირდაპირ და გულახდილად განმიცხადო ყოველივე სიმართლე, რასაც გეკითხები.

- დიდი სიამოვნებით მოგახსენებთ ყოველივეს, ჩემო ბატონო, - მიუგო სანჩომ, -, მაგრამ ერთი პირობით. თქვენი მოწყალეობა ნუ გაჯავრდება ჩემს სიტყვებზე. ხომ თვითონ გსურთ, სიმართლე გაგიცხადოთ, მთლად შიშვლად, უსამკაულოდ, ისე, როგორც ჩემამდე მოაღწია?

- არავითარ შემთხვევაში არ გაგიჯავრდება, - უთხრა დონ კიხოტმა, - შეგიძლია, სანჩო, სავსებით თავისუფლად და გულახდილად ილაპარაკო.

- მაშ ასე, პირველი, რასაც მოგახსენებთ, - უთხრა სანჩომ, ისაა, რომ ხალხს თქვენი მოწყალეობა სავსებით გიჟად მიაჩნია, მე კი - სულ ცოტა, რომ ვთქვათ - ჭკუადამთხვეულად მთვლიან. იდალგოები ასე ამბობენ, თქვენმა მოწყალეობამ იდალგოს უფლებები შელახაო, მეტიჩრობით თავის გვარს სიტყვა დონი მიუმატა და რაინდობას ჩემულობსო, თუმცა სულ ორიოდე ძირი ვაზი უდგას და ერთი დღიური სახნავი მიწაც არ გააჩნიაო, თანაც ტიტლიკანა დაეხეტებაო, ერთი კონკისძველა მუცლამდეც აღარ წვდება, მეორე - უკანალს ძლივს უფარავსო. კაბალეროები ამბობენ, არ გვსურს იდალგოები გაგვიტოლდნენო, განსაკუთრებით ისეთი იდალგოები, რომლებიც მხოლოდ საჭურველმტვირთველებად თუ გამოდგებიან, ჩექმებს ჟანგაროთი იწმენდენ და შავ წინდებს მწვანე აბრეშუმის ძაფით ინემსავენო...

- ეგ მე არ შემეხება, - შეაწყვეტინა დონ კიხოტმა, - მუდამ სუფთად ვიცვამ და დაკერებულ სამოსს სულაც არ ვატარებ. იქნებ ჩემი ტანისამოსი დახეულ-დაფხრეწილი იყოს, მაგრამ ეს უფრო იარაღის ბრალია, ვიდრე დრო და ჟამისა.

- რაც შეეხება თქვენი მოწყალეობის სიმამაცეს, თავაზიანობას, გამირულ საქმეთა და დიად განზრახვებს, - განაგრძო სანჩომ, - აქ უკვე აზრთა სხვადასხვაობაა; ერთნი ამბობენ: "ჭკუათხელია, მაგრამ სასაცილოაო". მეორენი: "მამაცია, მაგრამ ბედუკულმართიაო", მესამენი: "თავაზიანია, მაგრამ გიჟლარა და ხუმტურიანიაო". ხოლო ყველანი საერთოდ ისე ლაზათიანად გვამკობენ, ესოდენი მითქმა-მოთქმა ასტეხეს და ყბად აგვიღეს, რომ არც თქვენს მოწყალეობას და არც მე ტყავი მთელი აღარ შეგვრჩება.

- კარგად დაიხსომე, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - როგორც კი სადმე სათნოება უაღრეს საფეხურს მიაღწევს, მაშინვე დევნას დაუწყებენ. ძველს დროში თითქმის ვერც ერთმა სახელოვანმა გამირმა ვერ დააღწია თავი ღვარძლიან ცილისწამებას და გაკილვას. იულიოს კეისარს, უმამაცესს, უკეთილგონიერესსა და ყველაზე გულად მხედართმთავარს ცილი დასწამეს - პატივმოყვარე, ბინძური და გარყვნილი კაცი იყო; ვაჟკაცობით სახელგანთქმული დიდი ალექსანდრე გვარიან ლოთად გამოაცხადეს. სახელოვანი ჰერკულესი აზიზ და ავხორც კაცად დაჰსახეს; ამადის გალელის ძმა დონ გალაორი ერთობ ჩხუბისთავად მიიჩნიეს, მისი ძმა კი ვითომც მეტად მტირალა და ქალაჩუნა ვინმე იყო და არც ერთ დედაკაცს არ დაუვარდებოდაო. ამიტომაც, ჩემო საბრალო სანჩო, ეგ ლაპარაკი სულაც არა მწყინს და თავს იმით ვინუგეშებ, რომ ხალხის უსამართლობა მრავალი დიდი და სახელოვანი ადამიანის

ხვედრი ყოფილა. ამიტომ არც არავინ ყურადღებას არ მიაქცევს მთელ ამ სისულელესა და აზღაურებს, თუკი შენ ყველაფერი ეს მთლიანად ჩამომიკაკლე და არაფერს მიმაღავ.

- ხათაც ეს არის და ისე მამაჩემის სულმა გაიხაროს სასუფეველში, როგორც ეს მართალი იყოს, - შესძახა სანჩომ.

- კიდევ რაო? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ისა, რომ, - უპასუხა სანჩომ, - აქამდის სულ თავლს გთავაზობდით და, თუ მომეტებულის ცოდნა გინდათ, ერთ კაცს მოგიყვანთ და ის დაწვრილებით მოგახსენებთ დანარჩენს. გუშინ სალამანკიდან ჩამოვიდა ბართლომე კარასკოს შვილი. იქ ბაკალავრის ხარისხი მიუღია. მისი ჩამოსვლა, რომ გავიგე, მისალოცად წავედი და მან მიაშბო, თითქოს წიგნად დაუსტამბავთ თქვენი ისტორია, რომელსაც სახელად ჰქვია: "მახვილგონიერი იდაღო დონ კიხოტი ლამანჩელი". იმ წიგნში თურმე მარტო თქვენზე და ჩემზე არის ლაპარაკი და, თუ კარასკოს დაუუჯერებთ, იქ მთელი ქვეყნის საჩვენებლად ვარ გამოყვანილი ჩემი საკუთარი სახელით - სანჩო პანსათი. იმ წიგნში ქალბატონი დულსინე ტობოსელიც არის ჩაჩხირული და ბევრიც რამ სხვა მე და თქვენ შორის მომხდარი ფაქტორები. ასე, რომ გაცემისაგან პირჯვარიც კი გადავიწერე, - იმ ავტორს ჩვენი თავგადასავალი ასე დაწვრილებით ვინ ეშმაკმა უამბო-მეთქი.

- გარწმუნებ, სანჩო, რომ ის წიგნი ვინმე ბრძენ ჯადოქარს დაუწერია, რადგან მათთვის დაფარული არა არის რა, - შენიშნა დონ კიხოტმა.

- აბა რომელი ბრძენი და რა ჯადოქარი, - წამოიძახა სანჩომ, - როცა ბაკალავრი სამსონ კარასო (ასე ეძახიან იმ ახალგაზრდას) ამბობს, ამ წიგნის ავტორს სად ჰამეტ ბერენხენა ჰქვიაო.

- ეგ მავრული სახელია, - თქვა დონ კიხოტმა.

- შესაძლებელია, მავრებს, როგორც გამიგონია, თურმე ბადრიჯანი უყვართ, - მიუგო სანჩომ.

- შენ მგონია იმ სიდის სახელი არიე, - შენიშნა დონ კიხოტმა, - იმიტომ, რომ სიდი არაბულად "ბატონს" ნიშნავს.

- რა მოგახსენოთ... მაგრამ, თუ გნებავთ ის ბაკალავრი აქ მოგიყვანოთ, ახლავ გავფრინდები, - უთხრა სანჩომ.

- მაგით ძალიან მასიამოვნებ, მეგობარო. მაგ ახალმა ამბავმა ცნობისმოყვარეობა ისე ძლიერ აღმიძრა, - უთხრა დონ კიხოტმა, -, რომ ლუკმას ვედარ ჩავიდებ პირში, ვიდრე ყველაფერს დაწვრილებით არ გავიგებ.

- მაშ, თუ აგრეა, მის მოსაყვანად მივდივარ, - გაიმეორა სანჩომ, დატოვა თავისი ბატონი, წავიდა ბაკალავრთან და მალე მასთან ერთად დაბრუნდა. მათ შორის ფრიად სასაცილო და სასეირო საუბარი გაიმართა.

თავი III

სადაც მოთხრობილია, თუ რა სასაცილო საუბარი გაიმართა

დონ კიხოტსა, სანჩო პანსასა და ბაკალავრ სამსონ

კარასკოს შორის

ბაკალავრ კარასკოს მოლოდინში დონ კიხოტი ღრმა ფიქრებმა გაიტაცა. იმედოვნებდა, რომ ამ კარასკოდან გაიგებდა, თუ რას წერდნენ მის შესახებ სანჩოს მიერ ხსენებულ წიგნში; სულ არ სჯეროდა, რომ იმის საგმირო საქმეთა ამბავს თითქოს იმ დროს გამოაქვეყნებდნენ, როდესაც რაინდის ხმაღს მის მიერ გაჟღეტილ მტერთა სისხლის ოხშივარი ჯერ ისევ ასდიოდა. ამიტომაც წარმოიდგინა, ჩემი ამბავი, თავისი ჯადოსნური ნიჭის შთაგონებით ვინმე გრძნეულს დაუწერიაო - მოკეთეს ანუ მტერს: მოკეთეს - იმ სურვილით, რომ ცისქვეშეთის ყველა მოგზაურ რაინდზე მეტად აღემალღებინა და ედიდებინა იგი; მტერს კიდეც იმ განზრახვით - მისი დიდება დაეჩრდილა და უკანასკნელ საჭურველმტვირთველზე უფრო დაბლა დაემცრო. "თუმცაო, - თავისთვის ამბობდა იგი, - არ მახსოვს, რომ ვინმეს ოდესმე საჭურველმტვირთველთა ისტორია დაეწეროსო; თუ მართლა ჩემი ისტორია უკვე დასტამბულია, მაშინ იგი, ვითარცა მოგზაური რაინდის ისტორია, უსათუოდ ენამზიანი, განდიდებული, დიდმშვენიერი და მართლის მსგავსი უნდა იყოსო". ამ აზრმა ოდნავ დააშოშმინა იგი; მაგრამ კვლავ სასო წარეკვეთა, როცა მოაგონდა, რომ ამ ისტორიის ავტორის სახელი - სიდის მიხედვით მავრი იყო, ხოლო მავრებისაგან არავითარი სიმართლე არ იყო მოსალოდნელი, რადგან ყველა ისინი მატყუარები, ცრუპენტელები და ჭორის გუდები არიან. დონ კიხოტი შიშობდა: ვაითუ მავრ მწერალს წიგნში დუღსინე ტობოსელის მიჯნურობა ურიგოდ გამოეხატოს და მით მის შეუმწიკველ დიდებისთვის ჩირქი მოეცხოსო. მას უნდოდა, რომ წიგნში ფეროვნად ყოფილიყო აღწერილი მისი უსაზღვრო ერთგულება არჩეული ქალისადმი, რომლის გულისათვის მრავალი დედოფალი, სეფექალი და ქალწული დასთმო, რათა დუღსინესადმი მიცემული ფიცის სიმტკიცე არ დაეჩრდილა.

და მან კიდეც ბევრი რამ იფიქრა, ივარაუდა და თავი იტეხა. როცა კარასკოსა და სანჩოს მოსვლამ ამ ფიქრებიდან გამოიყვანა, თითქოს უცებ ღრმა ძილისაგან გამოღვიძებული რაინდი პირუთვნელი სიხარულით და ნატიფი თავაზიანობით შეეგება სტუმარს.

თუმცა სამსონი ერქვა, მაგრამ ბაკალავრი ჩია კაცი იყო და დიდი გაიბვერა ვინმე ჩანდა. მრგვალ, დონდლო სახეს მზაკვრული გამომეტყველება დასთამაშებდა. შესახედავად ოცდაოთხი წლისა იქნებოდა. მისი პაჭუა ცხვირი და დიდრონი ლაშები მოწმობდნენ, რომ სხვის სასაცილოდ აგდებას დიდ ცოდვად არ მიიჩნევდა, ხუმრობასა და ოინზაზობას ძლიერ ეწყობოდა და თანაც დამცინავი და მქირდავი იქნებოდა; ეს თვისებები მყისვე გამომჟღავნა, რადგან, როგორც კი დონ კიხოტთან შევიდა, ფიცხლავ დაუჩოქა და სთხოვა - ხელზე ამბრების ნება მომეციო, და უთხრა:

- თქვენო დიდებავ, ბატონო დონ კიხოტ ლამანჩელო, გეფიცებით ამ წმიდა პეტრეს სამოსელს, რომელსაც ვატარებ (თუმცა ჯერ მეოთხე ხარისხს არ ავშორებვიარ), რომ ყველა ყოფილ, აწმყო და მომავალ მოგზაურ, რაინდებზე უწარჩინებულესი თქვენა ბრძანდებით. კურთხეულ იყოსმცა სიდ ჰამეტ, ბენენჰელის სახელი, რომელმაც ესოდენი შრომა მიიღო და თქვენი უსწორო ისტორია აღწერა; იყოსმცა ათჯერ კურთხეულ ის ცნობისმოყვარე ადამიანი, ვინც იგი შრომა არაბულიდან ჩვენს მშობლიურ კასტილურ ენაზე თარგმნა და მით შეგვამღებინა ამქვეყნად ყველა წიგნზე უფრო გასართობი თხზულების წაკითხვით დავმტკბარიყავით.

დონ კიხოტმა კარასკო წამოაყენა და ჰკითხა:

- მითხარით, ნუთუ ჩემთა საქმეთა ისტორია უკვე დაწერილია და მისი ავტორი მართლაც ბრძენი მავრია?

- დიახ, ჩემო ბატონო, - მიუგო სამსონმა, - ეს მართალია. ჩემის აზრით, დღესდღეობით დასტამბულია ამ ისტორიის - სულ მცირე - თორმეტი ათასი წიგნი; აბა წარიმოიდგინეთ: იგი დასტამბეს პორტუგალეთში, ბარსელონასა და ვალენსიაში. ამბობენ, ახლა ანტვერპენშიც ბეჭდავენო. დარწმუნებული ვარ, ოდესმე მას ყველგან დასტამბავენ და ყველა ხალხის მშობლიურ ენაზედაც გადათარგმნიან.

- ყველა პატიოსანსა და გამოჩენილ კაცს ისე არა გაახარებს რა, - უთხრა დონ კიხოტმა, - როგორც ის, რომ სიცოცხლის ჟამს ნახოს თავისი ისტორია დაბეჭდილი, ნახოს თავისი თავი საზოგადო პატივით და შეუმწიკველი დიდების სხივით გარემოცული. მე ვამბობ: დიდების სხივით-მეთქი, რადგან პირუკუ, რომ იყოს, მაშინ იმას ვერავითარი სიკვდილი ვერ შეედრება.

- რაიცა დიდებას და კეთილ სახეს შეეხება, - მიუგო კარასკომ, - ამ მხრივ თქვენი მოწყალება ყველა ქვეყნის მოგზაურ რაინდებისათვის მიუწვდომელ სიმაღლემდის აღვიდა. ამიტომაც ავტორიც და მთარგმნელიც ცდილან, რომ რაც კი შეიძლებოდა, ბრწყინვალედ დაეხატათ თქვენი ხასიათი, უაღრესობით ეჩვენებინათ საფრთხის წინაშე თქვენი უშიშროება, ბედის სიმუხთლის ჟამს სიმტკიცე და, დასასრულ, დონა დულსინე ტობოსელისადმი კდემა-მოსილი და თავდაჭერილი პლატონიური ტრფიალი.

- დახე! - წამოიძახა სანჩომ, - მართალი, რომ მოგახსენოთ, აქამდის არსად გამიგონია, რომ ქალბატონი დულსინე დონად წოდებულიყოს, იგი უბრალო სენიორა დულსინე ტობოსელია, სრულებით უდონოდ. აი ესეც თქვენი პირველი შეცდომილება თქვენს ისტორიაში.

- მაგას მნიშვნელობა არა აქვს, - შენიშნა ბაკალავრმა.

- დიახაც, არაფერს ნიშნავს, დაადასტურა დონ კიხოტმა. - მაინც მითხარით თქვენო მოწყალებავ, - შეეკითხა იგი ბაკალავრს, - ჩემი საგმირო საქმეებიდან რომელი უფროა ქებული ამ ისტორიაში?

- მაგ საგანზე სხვადასხვა აზრისანი არიან, - მიუგო კარასკომ, - ერთნი ადიდებენ თქვენს ბრძოლას ქარის წისქვილებთან, რომლებიც თქვენს მოწყალებას ბრიარეებად და დევგმირებად მოეჩვენა; სხვებს ნაბდისა და მაუდის სათელ ქარხანასთან მომხდარი ფათერაკი უფრო მოსწონს, ზოგნიც აღტაცებულნი არიან - ორ დიდ ლაშქარს, რომ შეხვდით და ცხვრის ფარა კი გამოდგა; მეოთხეთ - თქვენი ცხედართან შემთხვეული ფათერაკი მოსწონთ, სეგოვიას, რომ მიასვენებდნენ. დასასრულ, ბევრნი თქვენგან განთავისუფლებული საკატორლო ტუსაღების ფათერაკით არიან განცვიფრებულნი; მაგრამ მკითხველთა უმრავლესობა იმას ამბობს, რომ ვერაფერი შეედრება ორ დევგმირ-ბენედიქტელთა ისტორიას და ბისკაელთან ბრძოლა ყველა ფათერაკს ჩრდილავსო.

- ერთი ეს მიბრძანეთ, ბატონო ბაკალავრო, - ჰკითხა სანჩომ, იმ ისტორიაში - აღწერილია თუ არა იანგვასელ მეჯორეებთან შეხვედრა, როდესაც როსინანტს რადაც ემშაკმა წასძლია და ზღვის ძირას აკრძალული ხილის ძებნა მოესურვა?



- ბრძენ ავტორს არაფერი დაუმალავს თავის სამეღონის ფსკერში. იქ ყველაფერია აღწერილი და მასთან მეტისმეტად დაწვრილებით. ისტორიკოსს არაფერი დავიწყებია და ჩვენი კეთილი სანჩოს საბანზე ფრენაც კი მოუხსენებია, - უპასუხა სამსონმა.

- არავითარ საბანზე მე არ მიფრენია, - წაიბუტბუტა სანჩომ, - ჰაერში კი ვიფრინე, რამდენიც მსურდა.

- რას იზამ? - შენიშნა დონ კიხოტმა. - ისეთი ისტორია არ არის, რომ შიგ მაღალ-დაბალი არ იყოს და ეს მეტადრე მოგზაური რაინდების ისტორიას ახასიათებს. მარტოოდენ ბედნიერი ამბებით იმათი ავსება მუდამ როდი ხერხდება.

- მართალს ბრძანებთ, - მიუგო კარასკომ, -, მაგრამ ამ ისტორიის ზოგიერთი მკითხველი ფიქრობს და უკეთესად მიაჩნია, რომ ავტორებს არაფერი ეთქვათ იმ მრავალ ცემა-ტყეპასა და კეტებით უანგარიშო გვემაზე, რაინ დონკიხოტს სხვადასხვა შეხლა-შემოხლაში უხვად, რომ ხვდებოდა.

- რადაო? ტყუილი ხომ არ არის? - თქვა სანჩომ. - განა ისტორია მართალი არ უნდა იყოს?

- მაინც უმჯობესი იქნებოდა ავტორს პირუთვნელობის გამო იმაზე არა ეთქვა რა, - შენიშნა დონ კიხოტმა, - რა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რაც ამბავს ღირსებას და საცნაურობას არა მატებს და რაც ისტორიისაგან არჩეულ გმირს კი ამცირებს? კაცმა, რომ მართალი თქვას, ენეასი ისეთი ღვთისმოშიში როდი იქნებოდა, როგორც ეს ვერგილიუსმა დაგვიხატა, ხოლო ულისე ისეთი მოხერხებული და ბრძენი, როგორც ჰომეროსი აგვიწერს.

- სავსებით სწორია, - მიუგო სამსონმა. -, მაგრამ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ პოეტსა და ისტორიკოსს შორის ცოტაოდენი განსხვავებაა. პოეტი ისე არა ხატავს ამბავს, როგორც მოხდა, არამედ ისე, როგორც უნდა მომხდარიყო,; ხოლო ისტორიკოსი - მომხდარ ამბავთა მონაა: იქიდან არც არაფრის ამოშლა შეუძლია და არც არაფრის მიმატება.

- დალახვროს ეშმაკმა, - წამოიძახა სანჩომ, - თუ ის მავრი სიმართლეზე დგას, მაშ როდესაც ჩემი ბატონის მოხვედრილ ჯოხებზე ამბობს, უეჭველია, რაც ჩემ წილად მომხვდა, არც იმას ფარავს, რადგან ჩემი ბატონის ზურგს ისე არ მოხვდებოდა ჯოხი, რომ იმავე დროს მთელ ჩემს სხეულსაც არ შეხებოდა. მაგრამ ეს სულაც არ არის საკვირველი: აკი ბატონი დონ კიხოტი ბრძანებს: როცა თავი იტანჯება, ყველა ასოც იტანჯებაო.

- დიდი გაიძვერა ვინმე ბრძანდებით თქვენ, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - თავს კი იკატუნებთ, მაგრამ, როცა მოგესურვებათ, ჩინებული მეხსიერება გაქვთ.

- განა შემოიძლია დავივიწყო ის ცემა-ტყეპა, როდესაც მისი კვალი ჩემს გვერდებს ახლაც ამჩნევია? - მიუგო სანჩომ.

- გაჩუმდი, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - ბატონ ბაკალავრს სიტყვას ნუ აწყვეტინებ; დაე, განაგრძოს და ყველაფერი მიაძლოს, რასაც იმ ისტორიაში ჩემზე მოუთხრობენ.

- მეც მინდოდა გამეგო, იმ ისტორიაში ჩემზე რაღაა ნათქვამი, - თქვა სანჩომ. - როგორც გამიგონია, იმ ისტორიაში უკანასკნელი ადგილი არც მე მიჭირავს და თურმე ერთ-ერთი მთავარი პრესონაჟიცა ვარ.

- პერსონაჟი და არა პრესონაჟი, ჩემო მეგობარო სანჩო, - გაუსწორა სამსონმა.

- კიდევ ერთი სასტიკი მასწავლებელი და სიტყვების გამსწორებელი გამომიჩნდა! - წამოიძახა სანჩომ. - ყოველ სიტყვას თუ ასე მოვებლაუქეთ, მთელ სიცოცხლეში ვერ დავამთავრებთ ამ ამბავს.

- ღმერთმა ჩემგან პირი იბრუნოს, თუ დონ კიხოტის ისტორიაში სანჩო მეორე პიროვნება არ იყოს, - განაცხადა ბაკალავრმა, - ზოგნი ისეთებიც არიან, რომ რაინდს საჭურველმტვირთველს ამჯობინებენ. მხოლოდ ამბობენ, მეტისმეტი ქარაფშუტა არისო: ბატონისაგან დაპირებული კუნძულის გუბერნატორობა მეტად ადვილად დაიჯერაო.

- ჯერ გვიან არ არის, - თქვა დონ კიხოტმა, - და სანჩოსაც რაც ხანი გაივლის, იმდენი გამოცდილება მიემატება, კუნძულის მართვის უნარსაც მოიპოვებს.

- თუ ახლა არ შემიძლია კუნძულის მართვა, - შესძახა სანჩომ, - მათუსალას ხანშიაც ვერ შევიძლებ. უბედურება ის კი არ არის, რომ მართვის უნარი და შნო არ გამაჩნია, არამედ ისა, - არ ვიცი, ის კუნძული სად ვიპოვო.

- ყველაფერში ღმერთს მიენდე, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - უიმისოდ ერთი ფოთოლიც კი არ მოწყდება ხეს. მაშინ ყველაფერი უკეთესად წარიმართება.

- მართალსა ბრძანებთ, - დაატანა სამსონმა. - თუ ღვთის ნება იქნება, სანჩო არათუ ერთს, არამედ ათას კუნძულსაც კი მოუვლის და განაგებს.

- ისეთი გუბერნატორებიც მინახავს, - თქვა სანჩომ, -, რომ ჩემს ნეკადაც არა ღირან და მაინც ბატონებივით დიდ პატივში არიან და საჭმელსაც სულ ვერცხლის სინებზე მიირთმევენ.

- ეგ კუნძულისა კი არა, უბრალო რამ მათი შესაფერი ადგილის გუბერნატორები არიან, - შენიშნა კარასკომ. კუნძულის გუბერნატორები, სულ ცოტა, რომ ვთქვათ, წერა-კითხვისა და გრამატიკის მცოდნენი უნდა იყვნენ.

- გრამი - ჰო, მაგრამ ტიკი-სა არა მესმის რა, - მიუგო სანჩომ. - ჯობს, გუბერნატორობის საქმე ღვთის ნებაზე დავუტევოთ. ის კი ვიცი, რომ უფალი ისეთ ადგილზე დამსვამს, სადაც მისი სამსახური უფრო უკეთ შემემძლება! მე მინდა, სულ სხვა რამე მოვახსენო ბატონ ბაკალავრ სამსონ კარასკოს: ძალიან მოხარული ვარ, თუ ამ ისტორიის ავტორს ჩემზე წერის ჟამს თავისი სიტყვა აუწონ-დაუწონია, ჩემი საწყენი არა უთქვამს რა და ჩემი თავგადასავალიც მკითხველისათვის მოსაწყენი არ გაუხდია; ასე, რომ არ მოქცეულიყო და ჩემებრ ძველი ქრისტიანი კაცისათვის შეუფერებელი ამბები შეეთხზა, გეფიცებით ყოვლადკეთილი საჭურველმტვირთველის პატიოსნებას, ერთს ისეთს დავიყვირებდი, ყრუებსაც კი გაეგონათ.

- მე კიდევ იმას ვფიცავ, - შენიშნა კარასკომ, -, რომ მაშინ თქვენზე დაიყვირებდნენ, როგორც სასწაულზე.

- საქმე სასწაულში როდია, - მოუჭრა სანჩომ. - ყველამ გონივრულად და აზრიანად უნდა იმსჯელოს ან წეროს პრესონებზე და არ ილაზნადაროს და იხოხმიკოს, რაც მას მოეპრიანება.

- იმ ისტორიის ერთ-ერთ ნაკლად კიდევ იმას თვლიან, - განაგრძო ბაკალავრმა, - და მწერალსაც იმას უსაყვედურებენ, რომ მასზედ მიუტმასნია მოთხრობა "უგუნური ცნობისმოყვარე".

მართალია, ის მოთხრობა ძლიერ კარგია და ცუდადაც არაა დაწერილი, მაგრამ ბატონი დონ კიხოტის ისტორიასთან არაფერო საერთო არა აქვს.

- მზად ვარ სანაძლეო დავდო, რომ იმ მამამაღლ მწერალს, - შესძახა სანჩომ, - რაც ხელში მოხვედრია, ყველაფერი თავის წიგნში ჩაუყრია, ერთმანეთში აურევია კომბოსტოცა და თალგამიც.

- თუ ეგ მართალია, - განაცხადა დონ კიხოტმა, - ვშიშობ, რომ ჩემი ისტორიის დამწერი ბრძენი გრძნეული როდი გამოდის, არამედ იგი უვიცი ყბედი ყოფილა, აუღია ხელი და ყველაფერს ალაღბედზე წერს - რაც გამოვა, გამოვაო, ისე, როგორც უბედელი მხატვარი ორბანეხი სჩადიოდა; როცა შეეკითხებოდნენ, რას ხატავო, მიუგებდა: რაც გამოვაო! ერთხელ მამალი დახატა და ისე ცუდი იყო და არ გედა მამალს, რომ საჭირო გახდა სურათის ქვეშ მსხვილი ასოებით მიეწერათ: "ესე არს მამალი". იქნებ ჩემი ისტორიაც ამის მსგავსია და მის გასაგებად განმარტებები იქნეს საჭირო.

- მაგ მხრივ არხეინად ბრძანდებოდეთ, - უთხრა სამსონმა, - ის წიგნი ისე გარკვევით და მკაფიოდ არის დაწერილი, რომ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს: ბავშვები მას ხელიდან არ იცილებენ, ჭაბუკები თავაუღებლად კითხულობენ, მოზრდილები მასზე მსჯელობენ, მოხუცები ქებას შეასხამენ; ერთი სიტყვით, ყველა წოდებისა და ჯურის ხალხი ისე ეტანება მას, ისე ჩასჩიჩინებენ და კითხულობენ, რომ, როგორც კი ვინმე გამვალტყავებულ ჯაგლაგს დაინახავს, მაშინვე შესძახებს: "აგერ როსინანტო,!" მაგრამ უფრო მომეტებული აღტაცება ამ წიგნმა პაუებში აღძრა. ძნელად ნახავთ დიდკაცთა ისეთ მისაღებ ოთახს, სადაც დონ კიხოტის ისტორია არ შეგხვდეთ; ერთი პაუი ძლივს გაათავებს კითხვას, რომ მეორე გამოსტაცებს ხელიდან; ერთიერთმანეთს არ აცლიან, ყველას ერთ დროს უნდა იგი ხელში ჰქონდეს. რაც კი ქვეყნად აქამდის წიგნები ყოფილა, ის წიგნი ყველაზე სასიამოვნო და უვნებელი გასართობია, ვერც ერთ უწმაწურ სიტყვას ვერ იპოვით შიგ, რომ მკითხველს შემცოდე რამ აზრი აღუძრას, ანდა კათოლიკური აზროვნების წინააღმდეგი იყოს.

- ავტორს, რომ ასე არ დაეწერა, - მიუგო დონ კიხოტმა, - ეს სიძარტლე ეი არა მტკნარი სიცრუე იქნებოდა. ვინც იმ წიგნს სხვანაირად დაწერდა, ყალბი ფულის მკეთებელივით კოცონზე ცოცხლად დაწვის ღირსი გახდებოდა. მხოლოდ ერთი ეს არ მესმის, რამ აიძულა მწერალი, რომ ჩემს ისტორიაში გარეშე შემთხვევითი ამბები და მოთხრობები ჩაუმარხია, რომელთაც ჩემთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს მით უმეტესად საკვირველია, რომ ჩემს მოგზაურობას სხვისა რისამე დაუმატებლად შეეძლო მისთვის მრავალგვარი და უხვი მასალა მიეცა, მაგრამ, ალბათ, იგი ისე მოიქცა, როგორც ანდაზაშია ნათქვამი: "თუნდ თივით, თუნდ ბზითაო, - კუჭის ამოვსებითაო". დიახ, მხოლოდ მარტო ჩემი ფიქრებით, ტანჯვითა და ცრემლებით, ჩემი უცოდველი წადილებით, გმირული საქმეებითა და ღვაწლით ისეთ სქელ წიგნს გაავსებდა, ტოსტადოს თხზულებათა სრულ კრებულს გადაამეტებდა. და, მართლაც, ასე ვფიქრობ და დავასკვნი, ბატონო ბაკალავრო, რომ რომანებისა და საერთოდ რაიმე სხვა წიგნების მწერალი კაცი კარგა მოწიფული აზრებისა და გამოცდილების პატრონი უნდა იყოს. მხოლოდ დიად გონებას აქვს ნიჭი მახვილგონივრულად იხუმროს, გულის გასაგმირად და ლამაზად ილაპარაკოს. ხომ იცით, კომედიაში ყველაზე ძნელი აღსასრულებელი როლი - ეს ხუმარას როლია, რადგან ძალიან ჭკვიანი კაცი უნდა იყოს, რომ თავი დროზე მოისულელოს ხოლმე. ისტორიაზე ჩუმი ვარ, - იგი წმინდა შრომაა, მასში მხოლოდ ჭეშმარიტება და სიძარტლე უნდა მეფობდეს და ღაღადებდეს და, სადაც ჭეშმარიტება და სიძარტლე სუფევს, იქ არის

ღმერთი, რამეთუ თვით ღმერთია ჭეშმარიტება და სიმართლე; მიუხედავად ამისა, არიან ადამიანები, რომლებიც ისე ადვილად თხზავენ წიგნებს, თითქოს ქადას აცხოვენო.

- ისეთი უვარგისი წიგნი არა არის რა, რომ კაცმა იქიდან ცოტა რამ კარგიც არ გამოიტანოს, - შენიშნა ბაკალავრმა.

- მართალია, - უპასუხა დონ კიხოტმა, -, მაგრამ რამდენი თხზულებაა, რომ ქებით ცამდის აყავთ, ვიდრე მწერლის ჩანთაში ინახება, და, გამოდის თუ არა ქვეყანაზე - არარად იქცევა ხოლმე.

- საკვირველიც არ არის, - უპასუხა კარასკომ. - დაბეჭდილი თხზულება მოცლილ დროს გულდადებით გაირჩევა, მცირედი შეცდომის პოვნაც შესაძლებელი ხდება და, რამდენადაც მწერალი ცნობილია, იმდენად ყველა მის მცირედ შეცდომას უფრო ბეჯითად ამჩნევს. ჩვენთა დიდ მგოსანთა და დიდებულ ისტორიკოსთ არასოდეს დალევიათ მოშურნეოა ბრბო, რომელთა ხელობა ის არის - თვითონ ვერაფერს ჰქმნიან, სხვისა ქმნილებას კი რაღაც ბოროტი სიამოვნებით ჰკილავენ.

- ამაში საკვირველი არა არის რა, - თქვა დონ კიხოტმა რამდენ ღვთისმეტყველს შეხვდებით, სხვისი ქადაგების ახირებულად გამკილავთ, თვითონ კი უარესს იტყვიან და უფრორეც ლაყბობენ.

- თანახმა ვარ, - მიუგო ბაკალავრმა, -, მაგრამ მაინც ურიგობა არ იქნებოდა ის სასტიკი მსაჯულები ცოტაოდენად გულმოწყალენი და ნაკლებად შურიანი ყოფილიყვნენ; დაე, ისინი ნუ აქცევენ ყურადღებას პაწაწკინტელა ლაქებს პირსხივოსან მზეზე და წარამარა ნუ ჩურჩულებენ: ალიქუარდო ბონუს დორმიტატ ჰომერუს: არა, ურიგო არ იქნებოდა - დაიხსომონ, რაოდენ ხანს უნდა ეგხიზლა ჰომეროსს, რომ მის უკვდავ და შუქმფინარ ქმნილებას ოდნავი ჩრდილი არ დასცემოდა. არავითარი ღონე არ არის, კაცი მცირედს რასმე შეცდომას ასცდეს ისეთ თხზულებაში, რომელიც დიდ დროსა და ჯაფას ითხოვს. ამასთან ღმერთმა უწყის, იქნებ ის ზოგიერთი მცირედი ლაქა, - კრიტიკოსთაგან შეცდომებად მიჩნეული, პოეტურ მომხიბლაობას უფრო აძლიერებს იმის მსგავსად, როგორც ბუნებრივი ხალი პირისახის დაგონჯების მაგივრად უფრო მეტ ლაზათსა და ეშხს მატებს მას. რაც უნდა იყოს, კაცი, რომ თავის თხზულებას გამოაქვეყნებს, ამით იგი, ჩემი აზრით, დიდ განსაცდელში ვარდება, რადგან ამქვეყნად ისეთი თხზულება არ არის, რომ ყველა მკითხველს ერთნაირად მოსწონდეს.

- ეგ მე იმას მაფიქრებინებს, - თქვა დონ კიხოტმა, -, რომ ჩემი ისტორიაც ბევრს ვერაფრად ექაშნიკება.

- სავსებით პირიქით, მიუგო ბაკალავრმა, -, რადგან სტულტორუმ ინფინიტუს ესტ ნუმერუს, - ესე იგი - რამდენადაც სულელების რიცხვს საზღვარი არა აქვს, იმდენად მათი თავყვანისმცემლების რიცხვიც უსაზღვროა. ამიტომაც თქვენი ისტორია მრავალ მკითხველს მოეწონა; თუმცა ამის დამწერს მხოლოდ მეხსიერების ნაკლულობას უსაყვედურებენ, რადგან იმ ქურდის მოხსენება დავიწყებია, სანჩოს, რომ ლურჯა მოჰპარა. მართლაც რასა პგავს? გვეუბნებიან, ვირი მოაპარესო, და რამდენიმე ხნის შემდეგ სანჩო ისევ იმავე ვირთან არხეინად ბრძანდება, ის კი აღარ ვიცით, სად და როგორ იპოვა იგი. იმასაც კი ამბობენ, თითქოს მწერალი არ იხსენიებდეს, სიერა-მორენაში, ცნობილ ჩემოდანში, რომ სანჩომ ასი ოქრო იპოვა, რა უყო;

შემდეგ იმ ოქროებზე ერთი კრინტიც არ არის დაძრული, ყველასათვის კი სასურველი იყო ცოდნოდა, ის ფული რა იქნა? აი ეს არსებითი წვრილმანები აკლია ამ ისტორიას.

- ბატონო სამსონ, - მიუგო სანჩომ, - მაგ თქვენს შეკითხვაზე ახლა პასუხის მოცემა არ შემიძახია და არავითარი ანგარიშის თავიც არა მაქვს, რადგან კუჭი სასტიკად მაქვს დასუსტებული და მივეშურები ორიოდე ჭიქა ძველი ღვინით მოვირჩინო, თორემ ნაფოტივით გამოვიფიტები. ჩემი ძვირფასი დიასახლისი ღვინიანად შინ მომელის, წავისადილებ და, ამ ჩემს კუჭსაც მოვუვლი თუ არა, მაშინვე მოვალ - ვირზედაც გაგცემთ პასუხს, ფულზედაც და, ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რის კითხვასაც კი მოისურვებთ.

ეს, რომ თქვა, სანჩომ ბაკალავრის პასუხს არ დაუცადა და შინ წავიდა.

დონ კიხოტმა კარასკო სადილად დაჰპატიჟა. ბაკალავრი დარჩა. ჩვეულებრივ სადილს ორიოდე მტრედის ტაბაკა მიუმატეს. სადილობისას სტუმარ-მასპინძელი რაინდობაზე საუბრობდნენ. კარასკო კარგად შეეწყო დონ კიხოტის ახირებულ ხასიათს და ყველაფერზე კვერს უკრავდა. ნასადილევეს ოდნავ თვალი მოატყუეს. ცოტა ხნის შემდეგ სანჩოც დაბრუნდა და შეწყვეტილი საუბარი განაახლეს.

#### თავი IV

სადაც სანჩო პანსა არკვევს ბაკალავრ სამსონ კარასკოს ბუნდოვან

საკითხებს და აგრეთვე მოთხრობილია სათქმელად

და საამბობლად ღირსსაცნაური სხვა ამბები

სანჩო დაბრუნდა დონ კიხოტის სახლში, განაგრძო შეწყვეტილი ლაპარაკი და თქვა:

- ბატონი სამსონი ამბობს, რომ სურს გაიგოს, როგორ, როდის და ვინ მოიპარა ჩემი ვირი? ინებეთ, ყველაფერს გიამბობთ. იმავ ღამეს, როდესაც მე და ჩემი ბატონი იმ შეჩვენებულ კატორღელებთან ფათერაკისა და სეგოვიას წასასვენებელი ცხედრის შეხვედრის შემდეგ სანტა ჰერმანდადას სიერა-მორენაში ვემალებოდით, დაბურულ ტყეში შევედით. მაშინ წინა ბრძოლებში დაბეგვილებმა იმ საოცარი ძილით დავიძინეთ, როგორითაც მხოლოდ რბილ ბუმბულებში მწოლიარეთ სძინავთ - ჩემმა ბატონმა შუბზე დაყრდნობით, მე კიდევ ჩემს ვირზე მჯდომარემ. განსაკუთრებით მე ისე მაგრად დამეძინა, რომ ვიღაც უცნობი მომეპარა, ოთხივე მხარეს კურტანს თითო ჯოხი შეუდგა და ისე დაყენებული კურტნიდან შეუმჩნევლად და თავისუფლად ვირი გააძვრინა. მე კურტანს შევრჩი.

- ეგ ერთობ იოლი საქმეა და შემთხვევაც ახალი როდია, შენიშნა დონ კიხოტმა. - მაგის მსგავსი საქმე საკრიფანტეს შეემთხვა ალბრაკის იერიშის დროს. როდესაც სახელგანთქმულმა ყაჩაღმა ბრუნელომ ასეთივე ოსტატური მოხერხებით გამოაცალა მას მერანი.

- ბოლოს, გათენდა თუ არა, - განაგრძობდა სანჩო, - როგორც კი ოდნავ გავინძერი კურტანს ფოჩები გამოემალა და მიწაზე ზღართანი მოვიღე. როცა წამოვდექი ვირს დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერსად ვიპოვე. თვალებიდან ცრემლი წამომსკდა და ხმამაღლა ისეთი ქვითინი მოვრთე, რომ, თუ ის ქვითინი ჩვენი ისტორიის დამწერმა მის წიგნში არ მოათავსა, შეუძლია თავის თავს

მიულოცოს, რომ ფრიად ჩინებული ამბავი გამოუტოვებია. რამდენიმე ხნის უკან როდესაც მიკომიკონის პრინცესას გავეყვი, გზაში ეროი კატორღელი ვიცანი, ჩემი ბატონისაგან განთავისუფლებულთაგანი, სწორედ უმაქნისი და არამზადა ჰინეს პასამონტე, რომ დაირქვა, ბომის ტანისამოსი ეცვა და ჩემს ვირზე იჯდა.

- შეცდომა ეს კი არ არის, - მიუგო სამსონმა, -, არამედ ის, რომ ვიდრე სანჩო ვირს იპოვიდა, ავტორის გულმავიწყობით იგი ისევ თავის ლურჯას დააგოგმანებდა.

- მაგისი ახსნა კი აღარ შემიძლია, - უთხრა სანჩომ, - აქ აღბათ ან ისტორიკოსი შეცდა, ანდა დაუდევარმა ასოთამწყობმა აურდაურია.

- რა თქმა უნდა, ასეც იქნება, მაგრამ ნაპოვნი ფულები რაღა უყავ? - ჰკითხა სამსონმა. სანჩომ მიუგო.

- ზოგი მე და ზოგიც ჩემსოჯახზე დავხარჯე. იმ ფულების მადლობელი ვარ, რომ ჩემმა ცოლმა ბატონი დონ კიხოტის კვალდაკვალ ჩემი მოგზაურობა რომ გაიგო, არ გამიწყრა. მე რომ უფულოდ და უვიროდ იმ შორი მგზავრობიდან დავბრუნებულიყავი, ჩემს ცოლს ეგრე იოლად ვერ გადავურჩებოდი. თუ კიდევ გსურთ რაიმე გაიგოთ ჩემზე, მზადა ვარ გიპასუხოთ. ისეთ გუნებაზედა ვარ, პირადად მეფესთან, მისი საკუთარი პრესონის წინაშეც კი, არ დავიზარებ ლაპარაკს; მხოლოდ იმას ნუ გამომკითხავთ, რა მოვიტანე და რა დავხარჯე, ეს არავის საქმე არაა. რაც ჩემს მოგზაურობაში ჯოხები მომხვდა, ყველა რომ დავთვალა და თითოეული დარტყმა ოთხ მარავედისად დავაფასო, ასი კი არა, ათასი ესკუდო ნახევარ ანგარიშსაც ვერ გამისწორებს. ყველამ თავის თავს უცქიროს, სხვას თავი ანებოს, შავს თეთრად ნუ ურევს და თეთრს შავად ნუ გაასაღებს და ახსოვდეს, რომ ყველა კაცი ისეთია, როგორც ღმერთმა გააჩინა, და ზოგჯერ იქნება უფრო უარესიც.

- ვეცდები შენი ნათქვამი ავტორს გადავცე, - უთხრა კარასკომ, - უეჭველია, არ დაივიწყებს და თავისი წიგნის ახალ გამოცემაში ჩაურთავს და მით, რა თქმა უნდა, წიგნის ღირსებას აღამაღლებს.

- ბატონო ბაკალავრო, იქნებ იმ წიგნში კიდევ არის რაიმე გასასწორებელი? - გამოკითხა დონ კიხოტმა.

- შესაძლებელია იყოს კიდევ, - მიუგო კარასკომ. - მაგრამ ამ გასწორებას ისეთი არსებითი მნიშვნელობა არ ექნება, როგორც იმას რაზედაც ახლა ვილაპარაკეთ.

- ერთი ეს მიბრძანეთ, - ჰკითხა დონ კიხოტმა, - ის ჩემი ისტორიკოსი ხომ არ აპირებს მეორე ნაწილის გამოშვებას?

- რა თქმა უნდა, აპირებს - უპასუხა სამსონმა. - მაგრამ რა წყაროებიდან შეადგენს - აი ეს არ იცის. ამიტომაც არავის შეუძლია თქმა ოდესმე გამოქვეყნდება თუ არა იგი, რაკი იციან, რომ ხალხი მეორე ნაწილს ყოველთვის უგულოდ ეკიდება. ზოგი ფიქრობს, რადგან მეორე ნაწილი არასოდეს კარგი და იღბლიანი არ გამოდის იქნებ ისტორიკოსი თავისი შრომის პირველ ნაწილზე შედგესო, ზოგი კი იმასაც ამბობს რომ დონ კიხოტზე რაც დაიწერა, უკვე კმარაო, და მეც მიეჭვება, რომ ოდესმე გამოსცეს იგი. თუმცა, საითაც კი მიიხედავ, ყველგან დონ კიხოტის ახალ ფათერაკებს ითხოვენ და მხიარული და ხალისიანი ადამიანები გაიძახიან: "გვიამბეთ

კიდევ რაიმე ახალი დონ კიხოტზე; დაე, დონ კიხოტმა იბრძოლოს, ხოლო სანჩო პანსამ იყბედოს ჩვენ ყველაფერი მოგვეწონება, ავტორმა რაც არ უნდა გეიამბოსო".

- მაინც რას ფიქრობს ავტორი, რა გადაუწყვეტია? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- თავის ისტორიის მეორე ნაწილისათვის მასალას დაუცხრომელი მეცადინეობით ეძებს და აგროვებს და, იპოვის თუ არა, მაშინვე დასტამბავს. ამას იმდენად სახელის მოსახვეჭად არ ჩაიდენს, რამდენადაც მოგებისათვის, - მიუგო სამსონმა.

- მაშ მარტო ფულსა და მოგებაზე ფიქრობს. - შენიშნა სანჩომ. - სწორედ სასწაული იქნება, რომ მართლა მოიგოს რამე. ეგ ისტორიკოსი სწორედ იმ თერძსა ჰგავს, აღდგომის წინა დღეს რომ ტანისამოსს დაბლანდვით კერავს, რა არის გაათავოს როგორმე და სრულყოფილი და უნაკლო არასოდეს არ გამოუდის. ეშმაკებმა წაიღონ, თუ იმის შეკერილის ერთი ნაჭერიც თავის ალაგს დაადგეს! მაინც იმ ბატონ მავრს, თუ ვინც უნდა იყოს, ავტორს, ურჩიეთ - ცოტა მოითმინოს და თავის საქმეს კარგად ჩაუფიქრდეს, მალე იმდენ ახალ მასალას მივცემთ თავისი ისტორიისათვის, იმდენ ნაირნაირ ფათერაკსა და შემთხვევას შევთავაზებთ, რომ იმით არათუ მეორე ნაწილს, არამედ მთელი ასი ნაწილის ავსებასაც შეიძლებს. იმ ბეჩავს, ეტყობა, ჰგონია, ჩვენ მარტო იმაზე ვფიქრობდეთ - კარგად გამოვიძინოთ, და ქერის ორმოში ვიმყოფებით. მაშ აქ მობრძანდეს და თავისი თვალით ნახოს, თითოეული ჩვენგანი რა უნარის პატრონია და რა განცხრომაში ვცხოვრობთ. ასეთი განცხრომა მალე ფეხებს გაგვაფხეკინებს. დიახ, დიდად პატივცემულო ბაკალავრო, ჩემი ბატონი რომ მიღერებდეს" დიდი ხანია ფათერაკების გზაზე დამდგარი ვიქნებოდით - შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს მისაგებად, უსამართლობის დასასჯელად, დევნილთა შესაწევად და, ერთი სიტყვით, ყველა იმ საქმის ასასრულებლად, რაც მოგზაურ რაინდებს ვალად ადევთ.

სანჩოს ღერ ეს სიტყვები არ გაეთავებინა, რომ როსინანტის ჭიხვინი მოისმა. დონ კიხოტმა ეს კეთილი ამბის მომასწავებლად ჩათვალა და გადაწყვიტა სამ-ოთხ დღეში კვლავ ახალ მოგზაურობას დასდგომოდა. თავისი აზრი ბაკალავრს გაუზიარა და რჩევა სთხოვა, საით გასდგომოდა გზას. თუ მზადა ხართ ჩემს რჩევას მიჰყევით, უპასუხა კარასკომ, მე სარაგოსაში წასვლას გირჩევდით. რამდენიმე დღის შემდეგ, გიორგობის დღესასწაულზე, იქ საზეიმო ტურნირი უნდა შესდგეს და თქვენ მრავალი შემთხვევა გექნებათ, იქ დიდი სახელი მოიხვეჭოთო. თქვენ თუ არაგონის რაინდებს დაამარცხებთ, მაშინ უფლება გექნებათ მთელი ქვეყნის რაინდების დამმარცხებლად ჩაითვალოთ თავიო. კარასკომ მოუწონა დონ კიხოტს მისი სულგრძელი და კეთილშობილური განზრახვა - ხელახლად ფათერაკების ძებნას დასდგომოდა, მხოლოდ ემუდარებოდა - საშიშროებას მეტისმეტი თავგანწირულებით ნუ შეეხეჩებოდა. გახსოვდესო, ეუბნებოდა რაინდს, რომ შენი სიცოცხლე მარტო შენ არ გეკუთვნის, არამედ ყველა ჩაგრულსა და გაჭირვებულს, ვისაც კი შენი უშიშარი მარჯვენის დახმარება სჭირიაო.

- დიახ, სწორედ! - დაატანა სანჩომ, - მაგ სახელის მოხვეჭამ ჯანაბაში წასვლა ბევრჯერ მანატრა, რადგან ჩემი ბატონი მარტოდმარტო ას შეიარაღებულ კაცს მაინც დაესხმება თავს ხოლმე, როგორც წუწვი ბავშვი ოც მწიფე ნესვს ერთად ეტანება. ეშმაკმა წამიღოს, ბატონო ბაკალავრო, ყველაფერს თავისი დრო აქვს: შეტევასაც და უკან დახევასაც. მუდამ ხომ არ უნდა იყვიროს კაცმა: "წინ, სანტიაგო და ესპანეთი!" მით უმეტეს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, თვითონ ჩემი ბატონი დონ კიხოტისაგან ბევრჯერ მსმენია, რომ ორი უკიდურესობის - სიმხდალისა და

უგუნურ მამაცობის შორის ნამდვილი ვაჟკაცობა დგასო; და თუ ეს ასეა, მაშინ, როგორც ბრძოლის ველიდან უმიზეზოდ მოძურწვა არაა საკადრისი საქციელი, არც ბრძოლაში შეჭრაა სასარგებლო, თუ მტრის ჭარბი ძალები ამის ნებას არ იძლევიან. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ვაფრთხილებ ჩემს ბატონს, რომ მზად ვარ გამოგყვეთ, მხოლოდ ამ პირობით: მე თქვენს საქმელსა და ტანსაცმელზე ზრუნვა მომაჩემეთ, ამ საქმეში თავს არ გავიზახებ. ხოლო თვითონ თქვენ - ბრძოლაში სახელის მოხვეჭას მიჰყევით. ასეთ პირობაში ვეღარ მისაყვედურებთ, მარჯვე არ არისო, ხოლო თუ გგონიათ, რომ მე თითქოს ოდესმე ხმაღს ვიშიშვლებ ნაჯახით შეიარაღებულ და ჩაბალახმოსხმულ არამზადა ავაზაკების წინააღმდეგ, ეგ, ნურას უკაცრავად, ჩემთვის განზე დავდგები! ჩემს დღეში ფიქრად არ მქონია, ბატონო ბაკალავრო, ვაჟკაცობით სახელი გამეთქვა. მხოლოდ მინდოდა ყველა იმ საჭურველმტვირთველებზე ალაღმართალი ვყოფილიყავი, ვისაც კი ოდესმე მოგზაურ რაინდებთან უმსახურია, და თუ ჩემს ბატონს დონ კიხოტს სურს ჩემი სამსახურისათვის იმ ერთ-ერთი კუნძულით დამაჯილდოს, რომელიც მას გზაზე შეხვდება, რა უშავს? კეთილი იყოს, ძალიან მადლობელი ვიქნები. არ მომცემს და რა გაეწყობა, უკუნძულოდაც იოლად წავალთ. ჩვენი სიცოცხლე ღვთის სიტყვაზე უნდა იყოს დანდობილი და არა თავის მადლობელის სიტყვაზე. ამასთან მე ვუბრძანებ თუ მე მიბრძანებენ, ამით პურის ლუკმა უფრო გემრიელად როდი მეჩვენება. მერე რა ვიცი, რომ ამ არაკის დასასრულს ჩემი გუბერნატორ ობის ადგილზე ეშმაკი ორმოს არ გამითხრის და კისრის მტვრევით შიგ არ ჩამაგდებს. დიან, ჩემო ხელმწიფეც, სანჩო დავიზადე და იმედი მაქვს სანჩოდვე მოვკვდე. მაინც, თუ ზენა უზრუნველად და უხიფათოდ კუნძულს გამომიგზავნის ანუ სხვას რასმე მისთანას, სულელი კი არა ვარ, ზურგი შევაქციო. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: "როდესაც ხბოს გაჩუქებენ, - თოკით გაიქეციო", და "თუ ბედი კარზე მოგადგეს, შინ შეუძებო".

- ჩემო მეგობარო სანჩო, - უთხრა ბაკალავრმა, - სწორედ პროფესორივით ილაპარაკე. მაშ სულით ნუ დაეცემი, ღმერთსა და დონ კიხოტს მიენდე და გწამდეს: ჩვენი სენიორი დონ კიხოტი თავის დროზე, უეჭველია, არათუ კუნძულით, არამედ მთელი სამეფოთიც დაგაჯილდოებს.

- როგორც მცირედს, ისე დიდ საჩუქარს - სულ ერთია - ერთნაირად მივიღებ, - მიუგო სანჩომ, - და შემოდგომა სენიორ კარასკოს მოვახსენო, რომ, თუ ჩემი ბატონი მართლა სამეფოს მაჩუქებს, იმედი მაქვს დაგლეჯილ პარკში არ ჩააგდებს მას. კარგა ხანია მაჯა გავისინჯე და დავრწმუნდი, რომ კუნძულებისა და სამეფოების მართვისთვის საკმაოდ ჯანსაღად ვგრძნობ თავს. ეს ჩემი ბატონისათვის ადრეც მომიხსენებია.

- ვაფრთხილდი, სანჩო, - შენიშნა სამსონმა, - პატივი და დიდება სცვლის ადამიანს; გუბერნატორად რომ გახდები, ადვილად შესაძლებელია, ღვიძლი დედა ვეღარ იცნო.

- მაგას ის იზამს, მიუგო სანჩომ, - ვინც შამბსა და ჟალტამში დაბადებულა, და არა ის, ვისაც ჩემსავით გულზე ოთხი თითის დადება ძველი ქრისტიანის ქონი შემოჰხვევია. არა, კარგად დააკვირდით ჩემს ხასიათს და დაინახავთ - განა შემოდგომა უმადური ვიყო და ვინმეს შესაფერი მადლი არ გადავუხადო?

- ღმერთმა ინებოს, - წაილაპარაკა დონ კიხოტმა, - მაგრამ შენს უნარსაც ჩქარა ვნახავთ. თუ არა ვცდები, კუნძული ჩვენზე ძალიან ახლოს არის, ისე ახლოს, თითქოს აგერ თვალითაც ვხედავ-მეთქი.



საუბრის დასასრულს რაინდმა ბაკალავრს მიმართა, როგორც პოეტს, ქალბატონ დულსინე ტობოსელთან გამოსათხოვარი ლექსი დაეწერა. "მინდა ისე დაიწეროს, - უთხრა დონ კიხოტმა, - რომ ყველა სტრიქონის პირველი ასოს ჩაყოლებით წაკითხული გამოვიდეს დულსინე ტობოსელი".

- თუმცა ბედნიერება არა მაქვს ვეკუთვნოდე ესპანეთის გამოჩენილ პოეტთა დასს, რომელიც, როგორც ისმის, სულ სამ-ნახევარი კაცისაგან შედგება, მაინც მზადა ვარ, თხოვნა აგისრულოთ და ეს ლექსი შევთხოვა, მაგრამ ძალიან მეძნელება, - მიუგო ბაკალავრმა, - რადგან ერთი დიდი დაბრკოლება მიშლის ხელს. საქმე ის არის, რომ მოხსენებული ბანოვანის სახელში თხუთმეტი ასოა და, თუ დაიწერა ოთხტაეპიანი ლექსი - თითოში ოთხ-ოთხი სტრიქონით (ეგრეთ წოდებული დესიმა ანუ რედონდილია, მაშინ ერთი სტრიქონი ზედმეტი იქნება; მეტი ღონე არ არის, ვეცდები, ის ერთი სტრიქონი როგორმე საიდანმე ჩავყლაპო, რომ დულსინე ტობოსელისათვის ოთხსტრიქონიანი ოთხი ტაეპი გამოდგეს.

- აუცილებლად ასე მოიქცით, - უთხრა დონ კიხოტმა. - უმთავრესად იმას ეცადეთ, ისე დასწეროთ, რომ ის ლექსები დულსინეს მეტს სხვა ვერც ერთ მანდილოსანს ვერ მიაჩემონ, რადგან დედამიწის ზურგზე არც ერთი ქალი არ დაიჯერებს, რომ ლექსები მისადმია მიძღვნილი, თუ იქ იმ ქალის სახელი გარკვევითა და სრულად არაა მოხსენებული.

კარასკომ გამოსათხოვარი ლექსის დაწერა იკისრა და მას უკან ერთად გადაწყვიტეს, რომ დონ კიხოტი ერთი კვირის შემდეგ კვლავ სამოგზაუროდ გაემართებოდა. მან სთხოვა ბაკალავრს ეს გადაწყვეტილება საიდუმლოდ შეენახა, განსაკუთრებით არ გაემხილა იგი მღვდლისა და დალაქ ნიკოლასისათვის და აგრეთვე დისწულისა და დიასახლისისათვის, რათა მათ ხელი არ შეეშალათ ამ კეთილშობილურ და სახელოვან განზრახვაში.

კარასკომ სიჩუმე აღუთქვა, დონ კიხოტს გამოეთხოვა და თანაც შეევედრა, დროდადრო ყველა შენი გამარჯვება და მარცხი შემატყობინეო, შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ და სანჩო მოგზაურობისათვის სამზადისის დასაჭერად გაემართა.

## თავი V

სანჩო პანსას მახვილგონივრული და სასაცილო საუბარი მის ცოლთან, ტერესა პანსასთან, აგრეთვე სხვა ფრიად სასიამოვნო და ღირსსახსოვარი ამბები

ამ ისტორიის მეხუთე თავს მთარგმნელი ყალბად აცხადებს, რადგან სანჩო აქ ისეთი ენით ლაპარაკობს, როგორც მის მოკლე ჭკუას აღმატება, და ზოგჯერ ისეთ მახვილგონიერებას იჩენს, რომ მთარგმნელისათვის ძნელი საფიქრებელია, იგი საკუთარი აზროვნების ნაყოფი იყოს. მაინც, რაკი ამ ისტორიის თარგმნა კისრად უდვია, მთარგმნელი თავს ნებას არ აძლევს რამე გამოტოვოს და ამიტომ ამ სახით განაგრძობს:

სანჩო ისეთი კმაყოფილი და მხიარული დაბრუნდა შინ, რომ ცოლმა მისი გაბრწყინებული სახე არბალეტის გასროლის მანძილზევე დაანახა და შორიდანვე ჰკითხა:

- რა დაგმართათ, ჩემო კარგო სანჩო, კარგ გუნებაზე რას დაუყენებინართ.

მან კი ცოლს ასე უპასუხა:

- იცი, დედაკაცო! უფრო კარგ გუნებაზე ვიქნებოდი, რომ ასე მხიარული არ ვიყო, როგორც შენ გეჩვენები.

- არ მესმის, რას ამბობთ, ჩემო ქმარო. თუმცა გაუნათლებელი ქალი ვარ და, თუნდაც სულელი დამიძახონ, მაინც ვერ გამიგია, ადამიანს მხიარულად ყოფნა ცუდ გუნებაზე როგორ დააყენებს.

- მაშ იცოდე, ტერესა, იმიტომ ვარ კარგ გუნებაზე, რომ ბატონი დონ კიხოტი მესამედ აპირებს ფათერაკების საქმენელად გამგზავრებას და მეც თან მივდევ. იცოდე, მივემგზავრები ჯერ იმიტომ, რომ გაჭირვება მაიძულებს და მერე იმ იმედით - ეგებ კიდევ იმდენი ფული ვიპოვო, ამას წინათ მე და შენ რომ დავხარჯეთ. რასაკვირველია, ღმერთს რომ ენებებინა და ლუკმაპურისათვის კლდე-ღრეებში ხეტიალის ნაცვლად ჩემს სახლში მშვიდობიანი და უზრუნველი ცხოვრება მოეცა (რაც მისთვის ძალიან ადვილი იყო), მაშინ ჩემი სიხარული უფრო სრული იქნებოდა, რადგან შენსა და შვილების განშორებას აღარ ვინაღვლიდი. მაშ ხომ მართალი გითხარი უფრო კარგ გუნებაზე ვიქნებოდი, რომ ასე მხიარული არ ვიყო-მეთქი.

- ყური მიგდე, სანჩო, რაც თავში ის რაღაც რაინდობა ჩაიდეთ, მას აქეთ არც მოსმენა შეიძლება თქვენი და არც იმის გაგება, რასაც ამბობთ, - შენიშნა ტერესამ.

- ღმერთი მისმენს და ჩემთვის ესეც საკმაოა, რადგან მისთვის ყველაფერი გასაგებია; მაგრამ ამას დავეხსნათ, - უპასუხა სანჩომ. - ახლა კი, დედაკაცო, ამ სამ დღეს ჩემს ვირზე მეტი მზრუნველობა გასწიე, საჭმელი ერთი ორად მიეცი, სამკაული გაუსინჯე და საერთოდ ეცადე, რაც გასამგზავრებლად საჭიროა, ყველაფერი რიგზე იყოს, რადგან ქორწილში როდი მივდივართ, ქვეყნის დასავლელად მივემგზავრებით, დევებთან, ანდრიაკებთან და ურჩხულებთან საბრძოლველად, ღმუილის, ყეფის, ბღავილის და ბრდღვინვის მოსასმენად. ყველაფერი ეს სუმბულის ყვავილს ედრებოდა და ზეციური მადლი იქნებოდა, თუ კვლავ იანგვასელ მეჯორეებთან და გრძნეულ მავრებთან არ მოგვიხდებოდა ჭიდილი და ცემა-ტყეპა.

- როგორც ვხედავ, ჩემო ქმარო, - უთხრა ტერესამ, - მოგზაური რაინდების საჭურველმტვირთველები თავიანთი ბატონების პურს მუქთად როდი ჭამენ. მეც თქვენს გარეთ ყოფნის დროს ლოცვა-ვედრებით თავს შევაწყენ უფალს, რათა ყოველგვარი განსაცდელისაგან დაგიფაროთ.

- გამიგონე, დედაკაცო, - უთხრა სანჩომ, - მე რომ მოკლე ხანში კუნძულის გუბერნატორად გახდომის იმედი არა მქონდეს, არას ვინაღვლიდი, ახლავ დედამიწა გამსკდარიყო და შიგ ჩავეტანე.

- ნეტავ, - შეაწყვეტინა ტერესამ, - რას ამბობთ, ჩემო საყვარელო ქმარო, - დღეგრძელი იყოს ქათამი თავის წიწაკის სენითა. ენამ არ გიყვილოს. შენ კი, ჩემო კარგო, იცხოვრე, როგორც აქამდის გიცხოვრია, ყველა ის კუნძული ემშაკსაც წაუღია. უკუნძულოდ დაიბადე, უიმისოდ იცხოვრე და უიმისოდ მოკვდები და იოლად წახვალ, როგორც სხვა ბევრი მიდის იოლად. საუკეთესო სანელებელი შიმშილია და, რადგან იგი ყველა ღარიბ კაცს აქვს, ამიტომაც ღარიბი მუდამ მადიანად ჭამს, მაგრამ, სანჩო, ვინიცობაა გუბერნატორი გახდეთ, თქვენი ცოლი და შვილები არ დაივიწყოთ. მოიგონეთ, რომ ჩვენი ვაჟი სანჩიკო მალე თხუთმეტი წლისა გახდება და სასწავლებელში მიცემის დრო დაუდგება. ბიძამისი აბატი ხომ დაჰპირდა მას, სასულიერო თანამდებობისათვის გაგზავნიდა. ჩვენი ქალი მარისანჩაც იმ ხანშია, რომ ქმრისა არ შეეშინდება

და, თუ არა ვცდები, ისევე ძალიან სურს გათხოვება, როგორც თქვენ გუბერნატორობა და, რაც არ უნდა ეთქვათ, კარგ კუროს ისა სჯობს იმ გოგოს უხეირო ქმარი მაინც ვუშოვოთ.

- იცი, დედაკაცო! თუ როგორმე გუბერნატორობა მერგო, ღმერთს გეფიცები, ისე დავაბინავებ ჩემს ქალს, რომ "ქალბატონოს" და „თქვენო ბრწყინვალეობას" უთქმელად სიტყვა ვერავინ გაუბედოს.

- არა, სანჩო, არა, - მიუგო ტერესამ. - მე დამიჯერე, მარისანჩა მის თანასწორს მიათხოვე; ამაზე უკეთესს შენ იმას ვერაფერს გაუკეთებ. თორემ, თუ ხის ქოშების ნაცვლად მაღალყელიანი ფეხსაცმელები ჩაიცვა, თუ ჭდალი მაუდის კაბის მაგივრად აბრეშუმის ტანსაცმელში მოირთო, თუ უბრალო მარისანჩა, ახლა რომ ყველა შენობით ელაზღანდარება, დონა მარიამი და ვინმე თქვენი ბრწყინვალეობა ქალბატონი გახდება, მაშინ საბრალო გოგოცუნა დაიბნევა, თავის თავს ვეღარ იცნობს, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე რაიმე ხათაბალაში გაებმება და მის უხეშ გლახუჭობას გამოამჟღავნებს.

- გაჩუმდი, სულელო! - შეუტია სანჩომ, - ორიოდ წელიწადი ისე გადააკეთებს იმ გლახის გოგოს, რომ ქალბატონებში ვეღარ გამოარჩიო, რა ბევრი გელაპარაკო: მთავარი ისაა - თქვენი ბრწყინვალეობა გახდეს, და დანარჩენზე საფიქრელად დრო მერეც გვექნება.

- სანჩო, - მიუგო ტერესამ, - ალალს რას არგებს არწივის ბუდე. შენი მდგომარეობის კვალად მოიქეცი და იმაზე მაღლა ასვლას ნუ ეცდები, როგორც ღმერთს გაუჩენიხარ. თანაც ნუ დაივიწყებ ანდახას: "შენი მეზობლის შვილს ცხვირი მოწმინდე და შინ სიძედ შემოიყვანეო". ერთი მითხარი, ღვთის გულისათვის, განა კარგი იქნება, ჩვენი მარისანჩა ვინმე გრაფს ან რაინდს მივათხოვოთ, და მან შემდეგ, როცა მოეპრიანება, ცუდაც მოეპყრა და უთხრას: გლახის გოგოვ - ქალბატონო, თითისტარი ატრიალეო. არა, ჩემო ქმარო, ღმერთმანი, ეს არ მოხდება. განა მაგისათვის გავზარდე ჩემი გოგო! შენ მარტო იმას ეცადე, ფულები მოგვიტანო, მარისანჩას საქმროს შოვნა კი ჩემზე მოაგდე. აქვე ახლოს ხუან ტოჩოს შვილი ლოპე ტოჩო გვყავს. ლოპე ტოჩო ჯანსაღი და მარჯვე ბიჭია. დიდი ხანია ვიცნობთ ორივე და ვიცი, რომ თვატი მისდის მარისანჩაზე. ყველა ჩვენ, დედები, მამები, სიძეები, შვილები და შვილიშვილები ერთად ვიცხოვრებთ და ერთმანეთს ხელს მოვუმართავთ და მაშინ ჩვენს შორის დამყარდება მშვიდობა და სათნოება. მაშ ნუღარ გაუმზადებ ჩვენს ქალს სრა-სასახლეებს და დარბაზებს, იქ ხომ ყველა უცხო იქნება მისთვის და თვითონაც ვერაფერს გაიგებს.

- შენ დედაკაცი კი არა, ქაჯი და ეშმაკი ხარ, ბარაბას ცოლო! - შესძახა სანჩომ. - ნეტავი აგრე უშნოდ რად მიტრიზავებ? რად მიშლი ჩემი ქალი ისეთ კაცს მივათხოვო, რომელიც აზნაურობის შთამომავლობას შემომახვევს გარს. გამიგონე, ტერესა, პაპაჩემი იტყოდა ხოლმე: ბედნიერებისაკენ ვინც მიფრინავს, მას ხელს ვერ წავლებსო. აღარც ბედს უნდა დაემდუროს, როცა ის ბედნიერება მისგან გაფრინდებაო, მაშ ამ მარჯვე წამით ვისარგებლოთ და ბედნიერებას ნუ უარვყოფთ, როდესაც იგი კარს მოგვდგომია და ჩვენს ქოხში შემოსასვლელად გეიკაკუნებს; ქარს მივყვეთ, ჩვენს იალქნებს რომ აწვება.

სწორედ ამ საუბრისა და იმის გამოც, რის თქმასაც სანჩო კიდევ აპირებდა, დონ კიხოტის ისტორიის მთარგმნელს ეს თავი ყალბად მიაჩნია.

- როდესაც რაიმე ისეთი თანამდებობის მიღებას მოვახერხებ, რომ ამ ტალახიდან ამომიყვანოს, - განაგრძო სანჩომ, - როდესაც ჩემს ქალს, მარისანჩას, ჩემი სურვილის თანახმად გავათხოვებ,

მაშინ ნახავ, შე ჩერჩეტო, თუ როგორ დაგიძახებენ დონა ტერესა პანსას ჩვენი სოფლის აზაურ ქალების გამოსაჯავრებლად, ეკლესიაში ხავერდის ბალიშებზე, ხალიჩებზე და საგანგებოდ ფარჩებზე დაჯდები. რაო? არ მოგწონს? მაშ ეგდე წინანდელ ადგილას, არც ამალდე და არც დადაბლდე, საყდრის უშნო ქანდაკსავით ერთ მდგომარეობაში დარჩი! ეჰ, რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი, რაც გინდა, ის იფიქრე და ისა სთქვი, მე კი ვიცი, რომ ჩემი სანჩიკა გრაფის ცოლი უნდა გახდეს.

- სანჩო, ფრთხილად იყავ, წამოიძახა ტერესამ, - ისე ნუ იზამ, რომ მაგ შენმა სიტყვებმა ჩვენი ქალი დალუპოს. რაც უნდა ჰქნა, მიათხოვე იგი თუნდ ჰერცოგს, თუნდ პრინცს, მაინც არასოდეს არ დავთანხმდები, რომ მარისანჩა გრაფის ცოლად დავიგულო. ხომ იცი, სულიკო, მუდამ ჩემი თანასწორი მიყვარდა, ფართიფურთობასა და მედიდურობას ვერ ვიტანდი. რომ მომნათლეს, ტერესა დამარქვეს, სრულიად უბრალო და უმწიკვლო სახელი, ყოველგვარი მიმატების, ზიზილპიპილებისა და ღვინჭილების გარეშე და უღონოდ და უზედონოდ; მამაჩემს კიდეც კასკახო ერქვა, მე კი, როგორც შენს მეუღლეს, ტერესა პანსას მეძახიან (თუმცა ნამდვილად ტერესა კასკახო უნდა მერქვას; მაგრამ, ხომ გაგიგონია, "მეფე საითაც იწებებს, კანონიც იქითკენ გადაიხრებაო); მე ჩემი სახელით კმაყოფილი ვარ და არა მსურს, კიდეც დონა წამიმატონ, არ მსურს გავაგრძელო იგი, მეშინია მეტისმეტი სიგრძისაგან სხვის ენებს არ წამოედოს. გრაფინია ან გუბერნატორის ცოლი, რომ გავხდე, იქნებ გგონია მოგვერიდნენ და არა თქვან: "შეხე, ამ მეღორის ცოლმა ცხვირი როგორ მაღლა აიწიაო. გუშინ არ იყო, ჯარას უჯდა და წირვაზე ლამის ცარიელი ჩიხოლათი დაიარებოდა, ახლა კი - ქალბატონია, ხავერდსა და აბრეშუმში გამოპრანჭულაო". თუ ღმერთი ჩემს ხუთ თუ ექვს ან რამდენიცა მაქვს გრძნობას შემარჩენს, უფალია მოწმე, ჩვენს მეზობელ დედაკაცებს არ გავახარებ, რომ ჩემზე ენები ილესონ. შენ შენთვის გუბერნატორად, ან კუნძულის მმართველად, ან რადაც გინდა გახდი და იამპარტავნე, მაგრამ, რაიცა ჩემს ქალსა და მე შეგვეხება, დედას გეფიცები, ჩვენი ფეხი ჩვენი სოფლის მიჯნას არ გადააბიჯებს. კარგი ცოლი ფეხმოტეხილივით თავისთვის შინა ზის; ხოლო - ნამუსიანი გოგოსათვის შრომა კიდეც დღესასწაულია. შენ გაჰყევი ბატონ დონ კიხოტს ფათერაკების საქმენელად, ჩვენ კი თავი დაგვანებე. პატიოსნად ვიცხოვრებთ, როგორც ღმერთს დაუწესებია. მაგრამ ნეტავ მითხრა, იმ შენს ბატონს ეს დონ-ი საიდან მისცემია? სწორედ მიკვირს. მისმა მამა-პაპამ თავისი სიცოცხლე ხომ უამისოდ გაატარა.

- დედაკაცო, სწორედ ეშმაკი შეგჯდომია, - დაუყვირა სანჩომ, - თორემ ამდენ სისულელეს როგორ დაროშავდი. ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, სად ჩემი ლაპარაკი, სად ეს ვილაც კასკასი, ხავერდი და აბრეშუმი, და ანდაზები. სულელი ხარ და ის არის სულელი ხარ იმიტომ, რომ განგებას არ ეკითხები და საკუთარ ბედნიერებას ისე გაურბიხარ, როგორც ჭირს. რომ დამეჭინებია, ჩემი ქალი კოშკიდან გადმოვარდეს-მეთქი, ან ინფანტა დონა ურიკასავით მთელ ქვეყანაზე სახეტილოდ წავიდეს-მეთქი, მაშინ კიდეც ჰო, საბუთი გექნებოდა, ჩემთვის არ გაგეგონა, მაგრამ, როდესაც იმედი მაქვს, ერთი ფეხის დაკვრით, ისე, რომ თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, იმდენი მოვიმოქმედო, მარისანჩასათვის ყველას ქალბატონი და წარჩინებული სენიორა დავაძახებინო; როდესაც მინდა ვნახო იგი ნამჯაზე მჯდომარე კი არა, არამედ ბალდახინს ქვეშ, საუცხოოდ მორთულ ციხე-დარბაზში, სადაც უფრო მეტი ხავერდის ბალიში იქნება, ვიდრე მაროკოელ ალმუდთა მოდგმაში მავრები იყვნენ; ნეტავ რა გაიძულებს, ჩემს სურვილს, რომ ეწინააღმდეგები?

- და განა არ იცი, თუ რისთვის, ჩემო ქმარო? - მიუგო ტერესამ. - იმიტომ, რომ ანდაზაა - "ტანისამოსი ადამიანს კიდეც ფარავს და კიდეც აშიშვლებსო". ღარიბს თვალი გაკვრით ეკარება,

მდიდარზე კი დიდხანს შესდგება ხოლმე. და, თუ მდიდარი ოდესმე ღარიბი ყოფილა, იმაზე ლაპარაკსა და სჯას ვეღარ ათავებენ, და ყველაზე უარესი კიდევ ის არის, რომ ოღონდ კი ერთი მითქმა-მოთქმა დაიწყონ, თორემ განაღა გაათავებენ ოდესმე? მეჭორებს ვინ არ იცის ფუტკარივით ფუთფუთი გააქვთ ქუჩებში.

- დაიცა შე საცოდავო! - წაიბუტბუტა სანჩომ. - გამიგონე, რაც გითხარი, და ისეთ რამეს გეტყვი, თავის დღეშიაც არ გაგეგონოს; ესეც იცოდე არც ჩემი გოგრიდან არის გამოსული, მღვდლის სიტყვებს გაგიმეორებ, წინა მარხვაში ქადაგების დროს რომ თქვა. იმან გვითხრა, თუ ხსოვნამ არ მიმტყუნა, - რომ ჩვენს გონებაში ის უკეთესად აღიბეჭდებაო, რაც თვალწინა გვაქვსო, ვიდრე ისაო, რაც ოდესმე გვინახავსო.

სანჩოს ზემომოყვანილი სიტყვები გახდნენ მეორე მიზეზად, რის გამოც მთარგმნელს ეს თავი ყალბად მიაჩნია, რადგან ისინი სანჩოს მოკლე ჭკუას აღემატებოდა. სანჩო კი ასე განაგრძობდა:

- ეს იმიტომ ხდება, რომ, როდესაც მდიდრულად ჩაცმულსა და მრავალი მსახურით ხლებულ კაცსა ვხედავთ, მისადმი უნებლიეთ პატივისცემას ვგრძნობთ, თუნდაც ოდესღაც იგი გლახაკიც გვენახოს. ეს იმიტომ, რომ, რა მდგომარეობაშია იგი ახლა გვეჩვენება, ოდესმე უწინ ნახულს ჩრდილავს და აბნელებს. მართლაც, ბედისაგან ამალღებული კაცი, თუკი იგი გულკეთილია და პატიოსანი, იმაზე ნაკლები პატივისცემის ღირსი რად უნდა იყოს, ვინც დაბადებიდანვე მდიდარია? მარტო მოშურნეთა თვისებაა - გამდიდრებულ ღარიბს უწინდელი სიღარიბე წააყვედროს.

- ეგ სიბრძნე ჩემთვის არ დაწერილა, - უპასუხა ტერესამ. - რაც გინდა, ისა ჰქენ, მე კი თავი დამანებე, თუ შენი განზრახულის აღსრულება ეგრე ბეჯითად გაქვს გაწყვეტილი.

- უნდა თქვა, გადაწყვეტილი-თქო, გაწყვეტილი კი არა, - შენიშნა სანჩომ.

- თავი დაანებე მაგ აბდაუბდას. - შეუტია ტერესამ. - ისე ვამბობ, როგორც ღმერთი მაგონებს, მეტიც არა მინდა რა. თუ მაინცა და მაინც გუბერნატორად გახდომა გინდა, ჩვენი ვაჟი სანჩოც თან წაიყვანე, რომ შენს გვერდით ყოფნით ქვეყნის გამგებლობა შეისწავლოს; ხომ იცი, ვაჟებმა მამის ხელობა ადრევე უნდა შეისწავლონ.

- როცა გუბერნატორის ადგილზე გამოვიჭიმები, მაშინ ფოსტის ცხენებით წავიყვან ჩემს ვაჟს და შენც ფულებს გამოგიგზავნი. მაშინ ფული არ შემომაკლდება, რადგან ყველა სიამოვნებით ჩაუდებს კიბეში ფულს გუბერნატორს, როცა მას ერთი გროშიც არ გააჩნია. ისე კი, იცოდე, კარგად დაიხსომე: როდესაც შვილს მიგზავნიდე, ისე მორთე და მოკაზმე, რომ არ გამოჩნდეს, თუ რა წოდებისაა, და ისე იყოს მორთული, როგორც შეეფერებოდეს.

- შენ ფული გამოგზავნე, - უთხრა ტერესამ, - და იმას კარგად მოვრთავ და გამოვაწყობ.

- როგორც იქნა, ხომ დაგითანხმე, დედაკაცო, - განაცხადა სანჩომ, - რომ ჩვენი ქალი გრაფის ცოლი უნდა გახდეს.

- რა დღესაც იმას გრაფის ცოლად დავინახავ, - მიუგო ტერესამ, - მაშინვე ვიფიქრებ, რომ ის დამიმარხავს. მაგრამ გიმეორებ, როგორც გენებოს, ისე მოიქეცი; ქმარი ხარ და თავი ხარ, მე კი შენი მონა ვარ. ქალები იმისათვის დავიბადეთ ამქვეყნად, რომ დავემორჩილოთ ქმრებს, თუნდაც ისინი ასეთი ჩერჩეტნიც იყვნენ.

ამ სიტყვებზე ტერესა ისე ატირდა, თითქოს მისი ქალი მართლაც მომკვდარიყო და უკვე დაემარხა. სანჩომ ცოტაოდენად ანუგეშა თავისი ცოლი, აღუთქვა, მართალია, სანჩიკას მაინც გაუხდი გრაფის ცოლად, მაგრამ ვეცდები, რაც შეიძლება დავაგვიანო ეს საქმეო. ამით დამთავრდა მათი საუბარი; და მას უკან სანჩო დაბრუნდა დონ კიხოტთან, მასთან გამგზავრების სამზადისზე საბოლოოდ რომ მოელაპარაკნა.

## თავი VI

თუ რა მოუხდა დონ კიხოტს თავის დისწულთან და დიასახლისთან,

რაც ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თავია მთელს ამ ისტორიაში

სანჩო პანსას რომ ცოლთან, ტერესა კასკახოსთან, ეს შესანიშნავი საუბარი ჰქონდა, დონ კიხოტის დისწული და დიასახლისი საშინლად იყვნენ აღელვებულნი, რადგან მრავალი ნიშნით ამჩნევდნენ, რომ მათი ბიძა და ბატონი ემზადებოდა მესამედ გასხლტომოდა მათ და ისევ თავის შეჩვენებულ რაინდობას დაბრუნებოდა. ყველა ღონისძიებით ცდილობდნენ დონ კიხოტისათვის ეს საზიანო განზრახვა დაემლევინებინათ, მაგრამ მათი მეცადინეობა უდაბნოში ღაღადებას ანუ ცივი რკინის კერვასა ჰგავდა. დიასახლისმა დონ კიხოტთან მთელი თავისი მჭევრმეტყველება, რომ დახარჯა, ბოლოს უთხრა მას:

- ჩემო ბატონო! თუ გადაგიწყვეტიათ შინ აღარ მოისვენოთ, ხელახლად დაგვტოვოთ და მთა-ღრეებში დამაშვრალი სულივით ხეტიალი დაიწყოთ, თქვენებურად - ფათერაკების, ჩვენებურად კი სხვადასხვა უსიამოვნების ძებნას მივყოთ ხელი, მე აუცილებლად ყვირილსა და ტირილს მოვყვები და ღმერთთან და მეფესთან გიჩივლებთ, რომ ამ საქმეში ხელი შეგიშალონ.

ამაზე დონ კიხოტმა მიუგო:

- არ ვიცი, ჩემო კარგო, შენს ჩივილზე ღმერთი რას გიპასუხებს, არც ის ვიცი, მისი უდიდებულესობა რას გეტყვის, მაგრამ ის კი ვიცი, მეფის ალაგს, რომ ვიყო, პასუხს არ გავცემდი ყველა ამ უამრავ უაზრო და სულელურ თხოვნაზე, რაც ყოველდღიურად სასახლეში შედის. გვირგვინოსან მეფეს მრავალი მოვალეობა აძევს, მაგრამ ყველაზე უმძიმესი ის არის - ყველას მოუსმინოს და ყველას უპასუხოს, და ამიტომაც არ მსურს ჩემი საქმეებით მეფე შევაწუხო.

- ერთი ეს მიბრძანეთ, ბატონო, - ჰკითხა დიასახლისმა, - განა მეფის კარზე რაინდები არ არიან?

- მრავალია, - მიუგო დონ კიხოტმა, - რადგან რაინდები ტახტის სიმაგრეს შეადგენენ და მას ელვარებას და დიდებას ჰმატებენ.

- რატომ თქვენც ერთ-ერთი იმ ბედნიერთაგანი არ შეიქმნებით, თქვენო მოწყალეობა, რომელთაც ქვეყანაზე მუდამ ტანტალი არა სჭირდებათ და მეფეს მის კარზე მშვიდობიანად ემსახურებიან?!

- დაიხსომე ჩემო კარგო! - მიუგო დონ კიხოტმა, - ყველა კარისკაცს მოგზაურ რაინდად ყოფნა როდი შეუძლია და არც ყველა რაინდს - კარისკაცობა; ქვეყნისთვის ყველაფერი ცოტ-ცოტა არის საჭირო და, თუმცა მოგზაური და კარის რაინდები ერთნაირ სახელს ატარებენ, მაინც მათ

შორის დიდი განსხვავებაა. ერთნი მათგანნი მეფის კარს ერთ წამსაც არა სცილდებიან, ერთ მარავედისსაც არა ხარჯავენ, ოდნავ დაღლილობას არა გრძნობენ, მთელ ქვეყნიერებაზე რუკაზე ცქერით არხეინად მოგზაურობენ; ჩვენ კი, ეგრეთ წოდებული მოგზაური რაინდები, დაუსვენებლად დავდივართ მთელი დედამიწის ზურგზე, ზაფხულის მზის მწვავე სხივებისაგან მოუფარე ბელნი და ზამთრის მძაფრ ყინვას მოურიდებელნი. ჩვენ სურათებით როდი ვიცნობთ მტერს, არამედ მუდამ შეიარაღებულნი მზად ვართ შევებათ მას ურთიერთ ბრძოლის წესთა დამოუკიდებლად, რაიცა ითხოვს მებრძოლთა მახვილი ერთი სიგრძის იყოს, იმას კი არა ჰკითხულობს - იქნება ჩვენი მოპირდაპირე თავის მფარველ რაიმე თილისმას ატარებს, აგრეთვე შებმის წინ მზის სინათლეს თანაბრად არ ვიყოფთ და არც სხვა ფართიფურთებს და ცერემონიებს არ ვასრულებთ, რაც ურთიერთბრძოლაშია მიღებული. იცოდე, ჩემო კარგო, რომ ნამდვილი მოგზაური რაინდი წარბსაც არ შეიხრის, ათი დევგმირი, რომ დახვდეს წინ, თუნდა ისეთი, რომ თავები ღრუბლებში ემალებოდეთ, ფეხები უდიდეს კოშკებზედაც მსხვილები ჰქონდეთ, ხელები - უზარმაზარი ხომალდის ანძებზე უგრძესი, თვალები წისქვილის ბორბლებზე უდიდესი და ლითონის სადნობ ქურის ცეცხლზე უმგზნებარესი. ყოველივე შიშის უცნობი რაინდი მამაცად და თავგამოდებით უნდა შეერკინოს მათ და ეცადოს დაამარცხოს და ნაჭერ-ნაჭერ აკუწოს ისინი, - მაშინაც კი, თუნდა იმ თევზის ქერქლითაც იყვნენ შემოსილნი, რომელიც, როგორც ამბობენ, ალმასზე უმაგრესია, და დამასკოს დაშნითაც იყვნენ შეიარაღებულნი, ანუ ჯევარდენის წვეტიანი არგანითა, როგორებიც მე ხშირად მინახავს. ყველა ამას იმიტომ გეუბნები, ჩემო კარგო, რომ ერთი რაინდისა მეირისაგან გარჩევა იცოდე, და ურიგო არ იქნებოდა მეფეთაც ცოდნოდათ, რომ მოგზაურ რაინდთა ღვაწლს უფრო მეტი დაფასება სჭირია. როგორც ისტორია გადმოგვცემს, მათში ისეთებიც ყოფილან, რომ ერთი კი არა მრავალი სამეფო უბედურებისაგან გადაურჩენიათ.

- ნეტავ რას ბრძანებთ, ჩემო ბატონო, - წამოიძახა დისწულმა, - ეგ ხომ სულ მოჩმახული ზღაპრებია, სიცრუეა და ჭორები, რასაც მოგზაურ რაინდებზე წერენ. ყველა ეს ისტორია უნდა დაიწვას, ყოველ შემთხვევაში ინკვიზიციის სანბენიტოებით შეიმოსოს ან განსაკუთრებული ნიშნებით დაიდალოს, რათა ყველამ დაინახოს, რომ ისინი სამარცხვინონი არიან და კეთილ ზნე-ჩვეულებებს ძირს უთხრიან.

- სინათლის მომნიჭებელ ღმერთსა ვფიცავ, - წამოიძახა დონ კიხოტმა, - ჩემი დისწული, რომ არ იყო, ჩემი ღვიძლი დის შვილი, მაგ ღვთის გმობისათვის ისე დაგსჯიდი, რომ მთელი ქვეყანა გამეკვირვებინა. განა გაგონილა, რომ ვიღაც პატარა გოგო, ჯერ, რომ თითისტარის ხმარებას ძლივს ახერხებს, მოგზაურ რაინდებს ასე გაბედულად იხსენიებს? რას იტყოდა დიდებული ამადისი, ასეთი სიტყვები რომ მოესმინა? მაგრამ მხოლოდ შეგიბრალებდა იმიტომ, რომ იგი თავისი დროის ნამდვილი რაინდი და ყმაწვილი ქალების სულგრძელი მოსარჩლე იყო. სხვებს კი აგრე ადვილად ვერ გადარჩებოდი. ყველა ერთნაირად მოწყალე როდი იყო, როგორც საზოგადოდ სხვაფრივაც ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ. ზოგი მათგანი, შეიძლება ვთქვათ, ბაჯალლო ოქრო იყო, ზოგი ყალბი, ზოგნი თავიანთი მამაცობით და სხვა ღირსებით მაღლდებოდნენ, ზოგნი ნებივრობით და ბიწიერებით მცირდებოდნენ. და. მიკერე, ძალიან გამოცდილი და შორსმჭვრეტელი კაცი უნდა, რომ რაინდების ეს ორი რიგი გაარჩიოს, - სახელს ერთგვარს რომ ატარებენ, მაგრამ საქმით კი განსხვავდებიან.

- უფალო შემიწყალე! - წამოიძახა დისწულმა. - თქვენ, ბატონო ბიძაჩემო, რამდენი რამ იცით, სწორედ, რომელიც გინდათ - კათედრაზე მქადაგებლად ხართ გაჩენილი; მაგრამ ისე თვალებაბმული ხართ, რომ მაგ თქვენს ხანში ეგრე სუსტს ახალგაზრდად და ღონიერ კაცად

მიგაჩნიათ თავი, და, რაც კიდევ უარესია, რაინდად და კაბალეროდ. იდალგოს, რა თქმა უნდა, რაინდად გახდომა შეუძლია, მაგრამ არა ღარიბს.

- მართალი ბევრია შენს ნათქვამში, - მიუგო დონ კიხოტმა. - შთამომავლობაზე შენთვის ბევრი რამ ახლის თქმა შემეძლო, მაგრამ ამას არ ვიზამ, რადგან მიწიერისა ციურთან არევა არა მსურს. მაინც გულდასმით მომისმინე, რაც ახლა მწადაია გითხრა. რაც ქვეყანაზე გვარები არსებობენ, ყველა ოთხ რიგად შეგვიძლია გავყოთ: ერთნი მცირე დასაბამიდან წამოსულან, ნელ-ნელა ამაღლებულან და სამეფო გვირგვინამდის მიუღწევიათ; მეორენი პატიოსანი წინაპრებიდან წარმომდგარან და ახლაც იმავე უწინდელი დიდებით იმყოფებიან; მესამეთა წარმოშობა შეიძლება პირამიდას მივამსგავსოთ, დიდი, განიერი საფუძვლიდან გამომდინარე გვარი თანდათან შევიწროებულა და ახლა ერთ პატარა, ძლივს შესამჩნევ წერტილად ქცეულა; დასასრულ, მეოთხე და მრავალრიცხოვანი მოდგმა - მდაბიო ხალხს წარმოადგენს, რომელიც იყო და ახლაც იმყოფება წყვილიადში. იმ გვარეულობითა ნიმუშად, რომელნიც მცირედი დასაბამიდან გამოსულან და ნელ-ნელ იმ დიდებამდის აღმაღლებულან, რა დიდებაშიაც იმათ ახლა ვხედავთ, მე მიგითითებთ ოტომანთა სამეფო გვარეულობაზე. მეორე დარგს მრავალი პრინცთაგანი ეკუთვნის, მემკვიდრეობით, რომ თავიანთ ქვეყნებში შეფობდნენ და მისი შერჩენა აქამდის მოუხერხებიათ; იმ გვარეულობას, რომელიც გონიერი საძირკვლიდან გამოსულა და შეუმჩნეველ წერტილად გადაქცეულა, უნდა ვაკუთვნოთ ეგვიპტელი ფარაონები - პტოლომეები, რომის კეისრები და მრავალნი თავადნი მიდიისა, ასურეთისა, სპარსეთისა, საბერძნეთისა და ბარბაროსთა, რომელთა აწ მარტო სასმელიდაა დარჩენილი, რადგან მათ შთამომავლობას ახლა ვერსად ვეღარ იპოვი და, თუკი ვინმეს გამოჩნახავ, ის ალბათ საცოდავ და დუხჭირ ბედში იქნება ჩავარდნილი. რაიცა მდაბიო ხალხს შეეხება, იმათზე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ისინი კაცთა ნათესავის გამრავლებას ემსახურებოდნენ და თავისადმი ისტორიის ყურადღება არ მიუპყრიათ. ყველა ეს იმიტომ ვთქვი, მეჩვენებინა, თუ სხვადასხვა გვარებში რა დიდი განსხვავება არსებობს და, რომ მათში ჭეშმარიტად დიდი და პატიოსანი ის არის, რომლის წევრნიც რამდენადაც სიმდიდრით არიან განთქმულნი, ისეც გულუხვობით და საქმიანობით, რადგან შემძლებელი დიდებული კაცი მოქალაქეობრივი სათნოების გარეშე მხოლოდ ჩინებული გარყვნილი იქნება, ხოლო მდიდარი სიუხვის უქონლად - ანგარების მოყვარულ გლახაკად. ფული კი არ გვანიჭებს ბედნიერებას, არამედ ის გვამლევს ბედნიერებას, თუ იმ ფულს როგორ მოვიხმართ. სწორედ ამიტომ ღარიბ რაინდს მხოლოდ თავისი ქცევით, პატიოსნებითა და უფრო კიდევ თავისი გულშემატკვირობით შეუძლია ყველას აჩვენოს, რომ იგი ნამდვილი რაინდია; და მან, რომ გლახაკს ორი მარავედისიც მისცეს და წმინდა გულით მისცეს, ამით იმდენივე სიუხვეს გამოიჩენს, რამდენადაც ზარების რეკვის ჟამს უხვი წყალობის გამცემი გლახა. ყველა, ვინც ეგოდენი სათნოებით დამშვენებულ რაინდს ნახავს, იმის სიღარიბის მიუხედავად, დიდი გვარეულობის კაცად ჩათვლის მას და საოცარიც იქნება, ასეთად არ ჩათვალათ, რადგან საზოგადოების პატივისცემა სათნოებას მუდამ აჯილდოებდა. სიმდიდრისა და პატივისაკენ, ჩემო შვილებო, ორ გზას მივყავართ: ერთი გზით სამოქალაქო მოღვაწენი მიდიან, ხოლო მეორით - მხედრები. მე მეორე გზა ამოვირჩიე, იგი უფრო დავინახე საჩემოდ, იარაღი მიზიდავდა და მეც ჩემს ბუნებითს მიზიდულელებას მივყევი. ტყუილადლა ეცდებით ღვთისგან ნაჩვენებ ამ გზას ამაცდინოთ, ჩემს ბედს, ჩემს სურვილს ამარიდოთ. ძალიან კარგად ვიცი, რა მძიმე შრომა აქვთ დანიშნული რაინდებს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ჩემს ხელობას დიდი სარგებლობაც მოაქვს. ვიცი, რომ კეთილმოქმედების გზა ვიწრო და ნარეკლიანია, ხოლო ცოდვის გზა მშვენიერი და განიერია; მაგრამ არც იმის უვიცი ვარ, რომ ორ გზას ორ სხვადასხვა მხარეს მივყავართ. ცოდვის მდიდრულ გზაზე გვდარაჯობს სიკვდილი,



თუმცა კეთილმოქმედების გზა ეკლოვანიც არის, მაგრამ იმ გზით მივალთ, სადაც საუკუნო ცხოვრების ნათელი მოგვეფინება. და მე მახსოვს სიტყვები ჩვენი დიდი კასტილიელი პოეტისა, რომელიც ასე ღაღადებს:

ჰა ეკლიანი გზა წამებისა,

რომლის უშიშრად გადამლახველი

ავა მწვერვალზე უკვდავებისა.

- ვაი, შენ ჩემო თავო! - შეჰყვირა დისწულმა, - ბიძაჩემი, როგორც ვხედავ, პოეტიც ყოფილა. ნეტავი ისეთი რა იქნება, მან არ იცოდეს? სანაძლეოს დავდებ; მან, რომ კალატოზობა მოისურვოს, ერთ სახლს ისე იოლად ააშენებდა, თითქოს პატარა გალია გაუკეთებიაო.

- ჩემო შვილო, - უპასუხა დონ კიხოტმა, - დამიჯერე მე, რომ მოგზაური რაინდობის ხელობით მთლად არ ვიყო დახაფრული, ქვეყანაზე ისეთი არა იქნებოდა რა, რომ ვერ მომეხერხებინა, და ისეთი საიშვიათო არა იქნებოდა რა, ჩემი ხელიდან არ გამოსულიყო, მეტადრე გალიები და კბილის საწმენდები.

ამ უკანასკნელ სიტყვებზე კარების კაკუნი და სანჩოს ხმა მოისმა: დიასახლისმა, რომ გაიგონა, მაშინვე გარეთ გავიდა, რათა თავის მოსისხლე მტერს არ შეხვედროდა, დისწულმა კარი გაუღო და რაინდი თავის საჭურველმტვირთველს სიხარულით მიეგება, მოეხვია, ოთახში შეიყვანა და იქ, კარჩაკეტილში მარტოდ გააბეს მეტად საგულისხმო საუბარი, რომელიც წინა საუბარს არაფრით ჩამოუვარდება.

## თავი VII

რა მოხდა დონ კიხოტსა და მის საჭურველმტვირთველს შორის

და სხვა ფრიად გასაოცარი ამბები

დონ კიხოტი და სანჩო პანსა ოთახში, რომ შეიკეტნენ, დიასახლისი მაშინვე მიხვდა, მათი საიდუმლო საუბარი დონ კიხოტის მესამე გამგზავრების მომასწავებელი, რომ იყო, ადგა, თავშალი მოიხვია და შეწუხებული ბაკალავრ სამსონ პარასკოსთან წავიდა. იმედი ჰქონდა, ის, რაინდის ახალი მეგობარი, ჩინებული სიტყვაპასუხის პატრონი, ყველაზე ადვილად მოახერხებდა - დონ კიხოტისათვის მისი უგუნური განზრახვა დაეშალა. მისი მისვლისას ბაკალავრი ეზოში დასეირნობდა. დიასახლისმა დაინახა თუ არა, გივიდა, ფეხებში ჩაუვარდა და მწუხარებისაგან გულგადალეულს სულ. თქმა უძნელდებოდა.

- რა დაგემართათ? - ჰკითხა ბაკალავრმა, როცა დიასახლისი ასე შეწუხებული დაინახა, - რა მოგიხდათ? ღმერთმანი, კაცს ეგონება - სულის ამოხდომაზედა ხართ.

- არაფერი არ მომხდარა იმის გარდა, სენიორ სამსონ, რომ ჩემი ბატონი კიდევ მიემგზავრება... დიახ, მიემგზავრება, - უპასუხა დიასახლისმა.

- საიდან მიემგზავრება, - ჰკითხა სამსონმა, - თავის სხეულიდან ხომ არა? სადმე ხომ არ დაიმტვრა?

- ისე, რომ მესამედ მიემგზავრება, სურს, ბედნიერ შემთხვევებს ერთხელაც კიდევ უკან სდიოს. არ ვიცი, ღმერთმანი, სენიორ ბაკალავრო, ბედნიერს რა დაემართა. პირველად ვირით მოიტანეს შინ ჯოხით ნაცემი, მეორედ ხარებით მოიყვანეს ყაფაზაში ჩასმული, რაშიც მოჯადოებულ-მოხიბლულად თვლიდა თავს და ისეთ უბედურ ყოფაში იყო - მშობელი დედა ვერ იცნობდა - ეტრატვიით გაყვითლებულს და თვალეზაცვივნულს; ღმერთია მოწმე და ჩემი საბრალო ქათმები, ექვსასზე მეტი კვერცხი უნდა შეეჭამა, რომ ფეხზე დამდგარიყო.

- მჯერა, მჯერა თქვენიცა და თქვენი ლამაზი და კარგად გაწვრთნილი ქათმებისაც, - მიუგო კარასკომ: - ისეთი მსუქნები, ჩინებულნი და ზრდილნი, რომ არიან. - ვიცი, ისინი უმაღლ დაიხოცებიან და არ იცრუებენ კი. მაშ, ქალბატონო დიასახლისო, მთელი უბედურება და მწუხარება ისაა, რომ შიშობთ, თქვენმა ბატონმა კვლავ გამგზავრება არ განიზრახოს?

- დიახ, ჩემთ ბატონო, უთხრა ქალმა.

- აპირებს და წავიდეს, მაგაზე ნუ შეწუხდებით. შინ წადით და საუზმისათვის ახალი რამ საქმელი მოამზადეთ. მიმავალმა წმიდა აპოლონიას ლოცვა თქვით, თუ გახსოვთ ის ლოცვა, და დაინახავთ, რომ საქმე ლაზათიანად გაიჩარხება.

- ვაი, ჩემს თავს! - მიუგო დიასახლისმა, - წმიდა აპოლონიას ლოცვა ხომ კბილის მტკივანს შველის და არა ტვინისას.

- ისა ჰქენით, რასაც სალამანკის უნივერსიტეტის ბაკალავრი გეუბნებათ, - გთხოვთ ეს არ დაივიწყოთ, მე ნუ მედავებით, ხომ იცით, როგორი ორატორიკა ვარ, ვერ მომერევი, - შენიშნა კარასკომ.

დიასახლისი წავიდა. ბაკალავრიც დაუყოვნებლივ მღვდელთან გაემურა იმაზე მოსალაპარაკებლად, რაც თავის დროზე გამოცხადდება.

ამასობაში დონ კიხოტა და სანჩოს კარჩაკეტილში გრძელი და საყურადღებო ბაასი ჰქონდათ და ამ ბაასმა ჩვენამდის სრულად მოაღწია.

- ბატონო ჩემო, - ეუბნებოდა სანჩო, - საქმე კარგად მიდის, ჩემი ცოლი დავიყოლიე და ნებას მამღვეს წამოგყვეთ, სადაც კი თქვენი გუნება იქნება.

- გუნება იქნება რა სიტყვაა? მოგეგუნებებათ-თქო, - გაუსწორა დონ კიხოტმა.

- რამდენჯერ მითხოვია თქვენთვის, სიტყვას ნუ გამისწორებთ-მეთქი, როდესაც გესმით, რისი თქმაც მინდა, - უთხრა სანჩომ. - თუ რამე არ გესმით, პირდაპირ მითხარით: სანჩო, არ მესმის რას ამბობ-თქო; და თუ შემდეგაც გაუგებრად გითხარით რამე, მაშინ გამისწორეთ იმიტომ, რომ ძალიან ფხვიერი კაცი ვარ.

- ფხვიერი კაცი რაღაა? არც ეს მესმის, - გააწყვეტინა დონ კიხოტმა, - რას ნიშნავს ეს?

- ფხვიერი კაცი... ისაა, რომ მე... ისე რაღა... - ჯუჯღუნებდა სანჩო.

- ეგ უფრო ნაკლებად მესმის, - გააწყვეტინა დონ კიხოტმა.

- თუ ახლაც არ გეყურებათ ჩემი სიტყვა, მაშ არ ვიცი, როგორღა უნდა გელაპარაკოთ. არ ვიცი და ესაა. ღმერთმა მაპატიოს! - მოუჭრა სანჩომ. - აცა, მგონია მივხვდი, სანჩო, რასაც ამბობ. შენ

გინდა თქვა, რომ ისეთი ხათრიანი კაცი ხარ, გამგონე და დამყოლი, რომ სიტყვაში არ შემეხმები და ყველა ჩემს სიტყვას მიჰყვები.

- ღმერთს ვფიცავ, ფიცხლად გაიგეთ ჩემი სიტყვა, მაგრამ განგებ მითხარით, არ მესმისო, რა არის, ათასი სისულელე გეთქმევინებინათ ჩემთვის.

- იქნებ აგრეც იყოს. მაგრამ ერთი ეს მითხარი, ტერესა რას ამბობს?

- იმას, რომ ჩემი თითი თქვენს თითს მაგრად მივაბა და "რაც კალმით აღინუსხება, ნაჯახითაც ვერ ამოძირკვავ", "როცა ქაღალდი ლაპარაკობს, ენა ჩუმად არის" და რომ, "ჯერ ფონს სინჯავენ და მერე წყალში გადიანო", თანაც "ერთი ნაჩუქები ორ დაპირებულად ღირსო". მეც ჩემი მხრივ დავუმატებ, რომ, თუმცა დედაკაცის რჩევა დიდი რამ სიბრძნე არ არის, მაინც უჭკუო უნდა იყო, რომ არ მოისმინო.

- მეც ეგრე ვფიქრობ, - მიუგო დონ კიხოტმა, - მაინც განაგრძე, სანჩო, დღეს შენ პირიდან მარგალიტი გცვივა.

- მე ვამტკიცებ, ხოლო თქვენმა მოწყალებამ ეს ჩემზე უკეთესად იცის, - განაგრძო სანჩომ. - რომ ჩვენ ყველა მომაკვდავნი ვართ, დღეს ცოცხლები ვართ, ხვალ კი, ვინ იცის, ფეხები გავჭიმოთ; კრავიც ისე ჩქარა კვდება, როგორც ცხვარი. ამიტომ არც ერთი ჩვენგანი იმაზე მეტს ვერ იცოცხლებს, რაც ღვთისაგან აქვს დანიშნული. სიკვდილი ყრუა, როდესაც მოვა და სიცოცხლის კარებს და გიკაკუნებს, მუდამ აჩქარებულია ამ დროს, მას ვერაფერი დააყოვნებს, ვერც განაშორებს: ვერც ლოცვა, ვერც სკიპტრები, ვერც მიტრები, ვერც გვირგვინები, მის წინაშე ყველა არარაა. როგორც ჩვენი მქადაგებელი ამბობს.

- მართალია, მაგრამ არ მესმის - რა გინდა თქვა?

- ის მინდა, რომ თქვენმა მოწყალებამ გადაწყვეტილი ჯამაგირი დამინიშნოს, თვითურად, რაც ხანი თქვენთან დავრჩები მოსამსახურედ, რომ ის ჯამაგირი თქვენი შემოსავლიდან მელეოდეს. ამ პირობით სამსახური უფრო სარუაა ჩემთვის, რადგან ღილო და საჩუქრები მოსამსახურეს ან სულ არ ეძლევა, ან დიდი გაჭირვებით: გადაწყვეტილი ჯამაგირით კი მეცოდინება - ჩემი საქმე როგორ დავიჭირო, - ბევრი იქნება თუ ცოტა - ჩემთვის საკმარისია, მეცოდინება, რომ ვიღებ რამეს. ქათამი ერთი კვერცხით იწყებს და დანარჩენებს ზედა სდებს, თავი და თავი ეს არის: ბევრჯერ აღებული ცოტა ბევრს შეადგენს. და ვინც რამეს იგებს, ის არაფერს აგებს. და თუ ბედს ენებება (რისაც იმედი არა მაქვს) და თქვენი მოწყალება დაპირებულ კუნძულს მაჩუქებს, ისეთი ხარბი და უმადური კი არა ვარ, რომ თქვენგან მიღებული ჯამაგირი იმ კუნძულის შემოსავლიდან არ დაგიბრუნოთ. მე მოვითხოვ ზუსტი აღრიცხვით განსაზღვრონ ამ კუნძულის შემოსავლის თანხა.

- ჩემო მეგობარო სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - ისე გამოდის, რომ აღრიცხვა უმჯობესია, ვიდრე ჩარიცხვა.

- მე უკვე მივხვდი, - უპასუხა სანჩომ. - სანადლეოსა ვდებ, რომ უნდა მეთქვა ჩარიცხვით და არა აღრიცხვით. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, როგორც უნდა თქვათ, რა მენადლეობა, საკმაოა, რომ ჩემი ნათქვამი თქვენმა მოწყალებამ გაიგო.

- გავიგე, - მიუგო დონ კიხოტმა, - და კარგადაც მესმის, საით უმიზნებ მაგ შენი უთვალავი ანდაზების ურიცხვ ისარს. მაგრამ, იცოდე, სანჩო, სიამოვნებით დაგინიშნავდი ჯამაგირს, რომ რომელიმე სარაინდო წიგნში მსგავსი რამ წამეკითხოს, ვითომც მოგზაური რაინდების საჭურველმტვირთველებს თავის ბატონებისაგან ჯამაგირი ეძლეოდათ თვითურად ანუ სხვა ვადით. ყველა რაინდის ისტორია ან მომეტებული ნაწილისა მაინც თითქმის ზეპირად ვიცი, მაგრამ იმის მაგალითი არ მაგონდება, საჭურველმტვირთველებს მოგზაური რაინდებისაგან განსაზღვრული ჯამაგირი რომ ჰქონდეთ. ისინი უსასყიდლოდ მსახურებდნენ და სწორედ იმ დროს როცა ამას არ მოელოდნენ მხოლოდ ჯილდო ეძლეოდათ. და თუ მათ ბატონებს უცბად ბედი ხელს შეუწყობდა კუნძულით ან სხვა რამ ამგვარით, ან კიდევ სულ ცოტა, რაიმე მაღალი ტიტულით და სენიორის წოდებით ასაჩუქრებდნენ მათ. სანჩო, თუ ჩემთან დაიმედებით სამსახური გასურს, ძალიან სასიამოვნო იქნება; მაგრამ თუ გგონია - მოგზაური რაინდების დიდი ხნით ნაკურთხ ჩვეულებას გადავალ, მაშინ ნურას უკაცრავად, - უშენოდაც იოლად წავალ, მაშ წადი, ჩემო მეგობარო, და ტერესას გადაეცი, თუ სურს მუქთად მემსახურო, მხოლოდ ჯილდოსათვის, გიმეორებ ბენე ქუიდეშ, თუ არადა ისევ ძველებურად მეგობრებად დავრჩეთ. მაგრამ იცოდე კი, სანჩო, ვიდრე სამტრედეში საკენკი იქნება, უმტრედოდაც არ დარჩება და უხეირო ნადავლს კარგი იმედი სჯობია. ასე იმიტომ ვამბობ, გაჩვენო, რომ ანდაზები შენზე ნაკლებად როდი მცოდნია. აი, ჩემო მეგობარო, ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეს არის. თუ ჩემთან ერთად იმავე მიზნის დევნაში მუქთად სამსახური არ გინდა, შენთვის დარჩი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. საჭურველმტვირთველს ადვილად ვიშოვი, უფრო ბეჯითს, დამჯერეს, ხეირიანს და ამასთანავე არა ისეთ ყბედს, როგორც შენა ხარ.

დონ კიხოტის ამ გადაჭრილი სიტყვის შემდეგ სანჩოს გული დაუდუნდა და თვალეზზე ბინდი გადაეკრა; აქამდის დარწმუნებული იყო, რომ მისი ბატონი არავითარი ქვეყნიური სიმდიდრის გულისათვის უიმისოდ ახალ მოგზაურობას არ იკისრებდა. დაფიქრებული საჭურველმტვირთველი, რომ ამ ყოყმანში იყო, რაინდის ოთახში სამსონ კარასო შემოვიდა და თან დისწული და დიასახლისი შემოჰყვენენ. მათ ძალიან უნდოდათ გაეგოთ, რით მოახერხებდა ბაკალავრი დონ კიხოტისათვის ახალი ფათერაკების საქმენელად გამგზავრება გადაეფიქრებინა. ცნობილი ხუმარა სამსონი თავშეკავებული დაცინვის ღიმილით მივიდა რაინდთან, როგორც პირველად, ახლაც ისე აკოცა და მჭახე ხმით უთხრა:

- ჰოი, მშვენებავ მოგზაურ რაინდებისავ, მხედართა სხივცისკროვანო მნათობო, სიამაყევ და დიდებავ ესპანეთის ერისაო! ინებოს მცა ყოვლად ძლიერმა უფალმა, რათა იმ პირთ , რომელთაც განუზრახავთ შენი მესამე გამგზავრება დაგიშალონ, თვით ვერა ჰპოვონ თვისთა სურვილთა ლაბირინთისაგან გამოსვლა და ვერასოდეს ვერ ეღირსონ იმით დატკობას, რაიცა მომეტებულად სურთ.

მერე დიასახლისს მიუბრუნდა და უთხრა:

- ახლა თქვენთვის წმიდა აპოლონიასადმი ლოცვებით მიმართვა საკმარისი აღარ არის, რადგან გავიგე, რომ ზენაარის უცვლელი ნების ძალით რაინდმა დონ კიხოტმა თავისი უმაღლესი განზრახვა აღსრულებაში უნდა მოიყვანოს. ჩემს სინდისს მძიმე ლოდით დავტვირთავ, არ ვურჩიო მას, რომ საჭიროა ახლავე ეს უმოქმედო ცხოვრება დაუტევოს და თავისი უშიშარი მკლავის ძალა და შეუდრეკელი გულის დაუსრულებელი სიკეთე ხელახლად მოუვლინოს ქვეყანას. ნუ უკვე მოაკლებს იგი თავისი უმოქმედობით უკანასკნელ იმედს უბედურთა, ნუ მოგვაკლებს ჩვენ ყველას მოგზაური რაინდობისაგან გამომდინარე სიკეთესა. გასწიო,

დიდებულო რაინდო დონ კიხოტი! რამდენიც ჩქარა წახვალთ, იმდენი უკეთესი იქნება და, ვინიცობაა თქვენს პატიოსან მისწრაფებას რამე გადაეღობოს წინ, გახსოვდეთ, რომ აქ არის კაცი, თავისი სიცოცხლით და ქონებით თქვენს სამსახურად გამზადებული, რომელიც მასთანვე დიდ ბედნიერებად ჩათვლიდა, რომ თქვენ საჭურველმტვირთველად გახდომა შეძლებოდა.

ეს, რომ დონ კიხოტმა გაიგონა, წელში გაიმართა და უთხრა სანჩოს:

- არ გითხარი, სანჩო, საჭურველმტვირთველის შოვნა არ გამიჭირდება-მეთქი! ხედავ, ვინა მთანხმდება საჭურველმტვირთველად გამიხდეს! თვით შეუდარებელი ბაკალავრი სამსონ კარასკო, სალამანკის სკოლათა ეზოების ყველა გართობისა და მხიარულების მეთაური, ჭკუიანი, მარჯვე, ხელოვანი, წყნარი, ფრთხილი, შიშხილისა და წყურვილის მოთმინებით ამტანი, სიცივისა და სიციხის არაფრად ჩამგდები, - ერთი სიტყვით - ყველა იმ ღირსებათა მქონე, რაც რაინდთა საჭურველმტვირთველთათვის საჭირო არის. ხომ ღმერთს გვარისხებ, რომ ჩემი პიროვნების სარგებლობისათვის მეცნიერების ეს ძვირფასი ჭურჭელი დავამსხვრიო, მწერლობის ბურღი ძირს დავცე და ძირშივე მოვკვეთო საპატიო და თავისუფალ ხელოვნებათა ეს ტანკენარი სარო. არა, დაე, ეს ახალი სამსონი თავის ქვეყანაში დარჩეს და თავისი სამშობლოს დამშვენებით ასახელოს და დაამშვენოს თავისი მოხუცი მშობლების ჭადარაც, ხოლო მე ვიპოვი სხვა საჭურველმტვირთველს, რადგან სანჩო ამაზე უარს მეუბნება.

- არა, არა, უარს აბა ვამბობ, - დაიყვირა სანჩომ და თვალეები ცრემლებით აევსო, - არავის ვათქმევინებ, რომ ჩემი ბატონის პურ-მარილი ვერ დავაფასე. მაღლობა ღმერთს, ეს ბიწიერება" ეს სიგლაზე არა მე, არც მამაჩემს და არც პაპაჩემს არ გვჭირვებია; ამას მთელი ჩვენი სოფელი მიმოწმებს, თუ რა ხალხი იყო პანსები. ამასთან თქვენი სიტყვიდან ვხედავ, რომ ჩემთვის სიკეთე გსურთ და, თუ ჯამაგირის დანიშვნა გთხოვთ, ეს მხოლოდ ჩემი ცოლის სასიამოვნოდ ვქენი. იმან თუ ერთი თავში ჩაიდო რამე, მთელ წვენს გამოსწოვს, მანამ თავისას არ გაიყვანს. მაგრამ, დაე დედაკაცი დედაკაცად დარჩეს, კაცი კი კაცად უნდა იყოს და მეც ჩემს ოჯახში და ყველგანაც მამაკაცად მინდა ვიყო, - ვინც რა უნდა ჰქნას და ვინც რა უნდა თქვას. მაშ, ჩემო ბატონო, ანდერძი მოამზადეთ, რომ ვედარავინ წამოგესვას, და შემდეგ დაუყოვნებლივ გზასაც გავუდგეთ; ბატონ ბაკალავრს სინდისს ნულარ დავუძმიებთ, როგორც ის ამბობს, სინდისი აიძულებს მას დააჩქაროს თქვენი მოწყალება - მესამედ გაუდგეთ გზას ქვეყნიერების და. სავლელად, ჩემი თავი თქვენს საჭურველმტვირთველად მომირთმევია და აღთქმას გიდებთ, უფრო პატიოსნად და ბეჯითად გემსახუროთ, არა იმათზე ნაკლებ, ვიდრე ოდესმე მოგზაურ რაინდთა საჭურველმტვირთველებში ყოფილან, ანუ ავლავ იქნებიან.

ბაკალავრმა, რომ სანჩოს სიტყვა მოისმინა, გაცეცხლებული დარჩა; თუმცა დონ კიხოტის ისტორიის პირველი ნაწილი წაკითხულიც მქონდა, მაინც ვერ წარმოედგინა, თუ ჩვენი საჭურველმტვირთველი სინამდვილეში ისეთი კარგი და სასაცილო იქნებოდა, როგორც წიგნში იყო. მაგრამ ახლა, როცა გაიგონა, რომ საჭურველმტვირთველი ამბობდა: ანდერძი მოამზადეთ, რომ "ვედარავინ წამოგედვასო", იმის ნაცვლად, რომ ეთქვა: "ვედარავინ წამოგედავოსო", მან დაიჯერა ყველაფერი, რაც სანჩოზე წაეკითხა და დარწმუნდა, რომ ბატონიცა და მისი მსახურიც ჩვენი დროის, უპირველესი გიჟები არიანო; გუნებაში კი გაიფიქრა, ასეთი ორი ჭკუადამთხვეული კაცი ქვეყნად ჯერ არავის უნახავსო.

ბოლოს და ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ სანჩო და დონ კიხოტი ერთმანეთს გადაეხვივნენ და ერთგულ მეგობრებად განშორდნენ იმ გადაწყვეტილებით, რომ მათთვის ქურუმად ქცეულ

კარასკოს რჩევის თანახმა სამი დღის შემდეგ გასამგზავრებლად მომზადებულიყვნენ. ამ ხანში შეიძლებოდა ყველა საგზაოდ საჭირო საგნის მომზადება, ფარისა და ზუჩის საცხვირის შოვნაც, რაც დონ კიხოტს უეჭველად უნდოდა ჰქონოდა. და კარასკოც მის შოვნას დაჰპირდა, რადგან იცოდა, რომ ერთ მის მეგობარს ჰქონდა ასეთი ზუჩი და სიამოვნებით გასცემდა მას, ვინაიდან ზუჩი ჟანგსა და ობს მთლად შეეჭამა და მისი გაუფერავი ფოლადი სრულიად აღარ ელავდა და ბრწყინავდა. განა აიწერება, დისწულმა და დიასახლისმა რა წყველა-კრულვა და შეჩვენება დააყარეს ბაკალავრს?! სულ თმებს იგლეჯდნენ, პირისახეს იხოკდნენ და ცხედარზე დაქირავებული ხელოვანი მომტირლების მსგავსად სტიროდნენ ისე უნუგეზოდ, თითქოს დონ კიხოტი ახალ ფათერაკების საძებნელად კი არ მიემგზავრებოდა, არამედ თავისი სამარის გასათხრელად მიდიოდა. იდუმალი განზრახვა, რამაც კარასო აიძულა დონ კიხოტი მესამე გამგზავრებაზე დაეყოლიებინა, შემდეგში გამომჟღავნდება. ამ საგანზე ბაკალავრი მღვდელსა და დალაქს წინდაწინ მოელაპარაკა და იმათაც მოუწონეს.

გამგზავრებამდის დარჩენილ სამი დღის განმავლობაში დონ კიხოტმა და სანჩომ ყოველივე მოამზადეს, რაც კი მოგზაურობისათვის საჭირო იყო. შემდეგ სანჩომ თავისი ცოლი, დონ კიხოტმა დისწული და დიასახლისი დაამშვიდეს, და ერთ მშვენიერ საღამოს, ყველასაგან ნამალავად, სახლიდან გავიდნენ. მარტო ბაკალავრმა იცოდა მათი წასვლის დრო და ნახევარ მილზე კიდეც გააცილა ისინი. ამ ჯერობაზე ჩვენი მგზავრები ტობოსოსკენ მიმავალ გზას დაადგნენ, დონ კიხოტი სახელოვან როსინანტზე, ხოლო სანჩო ჩვენ ნაცნობ ვირზე მჯდარი. საჭურველმტვირთველს თან საგზალით სავსე ხურჯინი და ფულით გატენილი ქისა ჰქონდა, რაც მას ყველა მოულოდნელი შემთხვევისათვის რაინდმა ჩააბარა. გამოთხოვებისას სამსონი გადაეხვია დონ კიხოტს და ემუდარებოდა, ყველა შენი მარცხი და გამარჯვება შემატყობინეო, პირველი გამახარებს, ხოლო უკანასკნელი ცრემლებს მადვრევენებსო, როგორც ამას მეგობრობის კანონი მოითხოვსო. დონ კიხოტი თხოვნის ასრულებას დაჰპირდა. სამსონი სოფელში დაბრუნდა და ორივე მგზავრი დიდებულ ქალაქ ტობოსოსკენ გაემართა.

## თავი VIII

სადაც მოთხრობილია, თუ რა შეემთხვა დონ კიხოტს თავისი

მიჯნურის დულსინე ტობოსელის სანახავად გამგზავრების დროს

"კურთხეულ იყოს სახელი ყოვლისშემძლე ალაჰისა!" - გაიძახის სად ჰამეტ ბენენჰელი თავისი მოთხრობის მერვე თავის დასაწყისში. "კურთხეულმც იყოს სახელი ალაჰისა!" - სამჯერ შესძახებს იგი და შემდეგ იწყებს ამ თავს უფლისადმი ქების შესხმით, რადგან დონ კიხოტი და სანჩო პანსა უკვე ტრიალ მინდორზე იმყოფებიან და ამ სასიამოვნო ისტორიის მკითხველებსაც ეცოდინებათ, რომ ამ წუთიდან იწყება დონ კიხოტის ახლი გმირობ ანი და მისი საჭურველმტვირთველის ოხუნჯობანი. ისტორიკოსი თხოვს მკითხველს - შესანიშნავი იდალგოს წინანდელი რაინდული საქმეები დაივიწყოს, რათა ბეჯითად ადევნოს თვალ-ყური იმას, რასაც ახლა ჩაიდენს ტობოსოსკენ მიმავალ გზაზე, იმის მსგავსად, როგორც უწინდლები მონტიელის მინდორზე დაიწყო; და მიუდგომლად, რომ ვთქვათ, რასაც ისტორიკოსი ითხოვს - სულ არაფერია იმასთან შედარებით, რასაც გვპირდება.

დონ კიხოტმა და სანჩომ თავი მარტო დაიგულეს და, ის იყო სამსონი განშორდაო, რომ როსინანტმა ჭიხვინი დაიწყო, ხოლო ვირმა ყროყინი მორთო. რაინდმა და საჭურველმტვირთველმა ეს კეთილი რამისა და ბედნიერების მომასწავებელ ნიშნად ჩათვალეს ვირის ყროყინი უფრო ხანგრძლივი და ხმამაღალი იყო ცხენის ჭიხვინზე და აქედან სანჩომ დაასკვნა, რომ მისი ბედნიერება და გამარჯვება ბატონის ბედნიერებაზე უაღრესად დიდი და გადამეტებული იქნებოდა; და ამ დასკვნას ერთ რაღაც ჩვენთვის უცნობს და, ალბათ, მისთვის კარგად ცნობილ სამოსამართლო ასტროლოგიაზე ამყარებდა, თუმცა ისტორია ამას სულაც არ განმარტავს; ცნობილია მხოლოდ ის, რომ, როცა სანჩო წაიბორძიკებდა ან მიწაზე ეცემოდა, ყოველთვის სახლიდან გამოსვლას ნაწილობადა და ამბობდა: რომ წაბორძიკებიდან ან წაქცევიდან იმის მეტი კეთილი არა გამოვიდოდა რა - ან კისერი უნდა მოეტეხა, ან ტანისამოსი დაეგლიჯა; გულუბრყვილოც იყო, მართალია, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი მსვლელობა, უნდა დავეთანხმეთ, სიმართლეს ბევრად როდია მოკლებული.

- ჩემო მეგობარო, - უთხრა დონ კიხოტმა, - რამდენიც მივდივართ იმდენად უფრო ბნელდება ღამე და ჩქარა, ისე მგონია ისე დაბნელდება დილასაც კი ვერ მივალწევთ ტობოსოს; მე კი სხვა ფათერაკების ძებნის დაწყებამდე მინდა იქ შევიარო და უბადლო დულსინეს ვთხოვო, გზა დამილოცოს და ნება დამართოს. იმედი მაქვს და არა თუ იმედი მაქვს, - მტკიცედაც ვარ დარწმუნებული გამარჯვებული და ძლევამოსილი გამოვიდე ყოველგვარი საშინელი ფათერაკიდან, რადგან მოგზაურ რაინდთა ვაჟკაცობას ისე არაფერი აძლიერებს, როგორც მიჯნური ქალის მათდამი კეთილმდრეკილება.

- მეც აგრე მგონია, - მიუგო სანჩომ, - მაგრამ ვეჭვობ, ვაი თუ თქვენი მიჯნური ისეთ ადგილს ვერა ნახოთ და ვერ ელაპარაკოთ, რომ მისგან თქვენი დალოცვა შეიძლებოდეს. საქონლის ბაღის ღობის გადაღმიდან თუ დაგლოცავთ, სადაც მე ვნახე იგი, როდესაც სიერა-მორენის ხეობაში თქვენს დამთხვეულობაზე წერილი მივუტანე.

- საქონლის ბაკის ღობე? - შეჰყვირა დონ კიხოტმა. - სანჩო, ნუთუ მართლა წარმოგიდგენია, რომ ის ვარსკვლავი და მთელი ქვეყნის მშვენება, რომლის ღირსეულად შექება ვერავის ძალუმს, მართლაც ბაკის ღობის გადაღმა ნახე? ცდები, ჩემო მეგობარო, შენ იგი სხვებზე არ შეგეძლო გენახა, თუ არა რომელიმე დიდებული სამეფო სასახლის აივანზე ან შუშაბანდში.

- შეიძლება ასეც იყოს, - მიუგო სანჩომ. - მაგრამ მე ის საქონლის ბაკის ღობედ მომეჩვენა, თუ მეხსიერება არა მღალატობს.

- ასეა თუ ისე, მაინც წავიდეთ იქ, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - და სადაც არ უნდა დავინანო იგი: სარკმელში, კედელთან, ჭუჭრუტანაში თუ ბაღის მესერს იქით, - სულ ერთია: დაე, ჩემს თვალთა მზერას დაეცეს მისი მზისდარი სიტურფის თუნდ ოდნავი სხივი, - უმაღ გონება გამინათლდება, სული გამიკაჟდება და შემდეგ ვეღარავინ შემედრება ჭკუითა და სიმამაცით.

- მართალი, რომ ვთქვა, ჩემო სენიორ, - უპასუხა სანჩომ, - როცა თვალთა ჩემთა იხილეს ეს მზე - სენიორა დულსინე ტობოსელი, იგი არც იმდენად ბრწყინავდა, რომ მისგან ნატყორცნი სხივები დამენახა. მაგრამ იქნება ეს იმიტომ მოხდა, რომ, როგორც მოგახსენეთ, მაშინ მისი ბრწყინვალეობა ხორბალს ცხრილავდა და ამ გაცხრილვისაგან ადენილმა მტვერმა მისი სახე დააბნელა.

- სანჩო, - ნუთუ მაინც არ იშლი და ფიქრობ, ვითომც დულსინე ხორბალს ცხრილავდა, როდესაც იცი, რომ ეგ საქმე მისი ღირსების შესაფერი არ არის? - უთხრა დონ კიხოტმა, - და სრულიადაც არ შეეფერება იმას, რასაც ჩადიან და აკეთებენ დიდებული მანდილოსნები, რადგან ისინი შექმნილნი და გაჩენილნი არიან სულ სხვა შექცევითა და საქმეთათვის, რაც არ ბალეტის გასროლის მანძილზეც კი ამჟღავნებს მათ სახელოვნებას? ნუთუ ჩვენი დიდი პოეტის ლექსები დაგავიწყდა, სანჩო, სადაც აწერილია, თუ რა საქმიანობას ეწეოდა თავის ბროლის სასახლეში ოთხი ნიმფა: აი საყვარელი ტახოს ანკარა წყლის სიღრმიდან აღმოჩნდა მათი თავები; აი დასხდნენ ისინი მწვანე მდელოზე და, როგორც ენაწელიანი პოეტი ამბობს, მარგალიტით, ოქრომკედით და აბრეშუმისაგან ძვირფასი ქსოვილების ქარგვა იწყეს. ასეთივე საქმით იყო გართული, ალბათ, ჩემი ქალბატონიც, სანჩო, და ასეთ ხელსაქმეზე უნდა მიგესწრო მისთვის. მე ვშიშობ კიდევ და ძალიანაც ვწუხვარ, იქნებ ჩემი გამირული საქმეების ისტორია (რაც, როგორც ამბობენ, უკვე დაბეჭდილია) ერთ-ერთი იმ ურწმუნო ჩემი მტრის - ბრძენ ჯადოქრის მიერ იყოს დაწერილი; იქნებ მან ერთი ამბავი მეორეთი შეცვალა, ოდნავი სიმართლის გარევით ათასი ჭორითა და სიცრუით გაავსო იგი და ასე გატაცებულმა იწყო სულ სხვა ფათერაკების მბობა, რაც ამ მართალი ისტორიის გაგრძელებას არც კი შეეხება. ჰოი, მოშურნეობავ, დაუსრულებელ უბედურებათა წყაროვ, ჰოი, ჭიავ, ყოველგვარი სიკეთისა და სიქველის მღრღნელო! სანჩო, ყველა სხვა ბიწიერება რაღაც სიტკბოებასა და სიამეს მაინც გვრის ხოლმე ადამიანს, მარტოოდენ მეშურნეობას თანა სდევს მწუხარება, გაბოროტება და გააფთრება.

- დიახ, დიახ, სწორედ მეც აგრე ვფიქრობ, - გააწყვეტინა სანჩომ, - სანამდღოს დავდებ, თუ იმ წიგნსა თუ ისტორიაში, რომელიც, როგორც ბაკალავრი კარასო ირწმუნება, მას წაუკითხავს ჩვენს შესახებ, მეც ისე არ ვიყო გათათხული, რომ, ვინ იცის, ჩემს კარგ სახელა და ღირსებას ზოგიერთი მჭლე ქოსმენივით ლაფში სვრიან, ის კი ოჩნობს არ მიდის, ფეხებით თითქოს გზასა გვის, ბდღვირსა და კორიანტელს აყენებს, თუმცა, ღმერთმანი, ჩემს სიცოცხლეში არც ერთ ჯადოქარზე ცუდი სიტყვა არ მითქვამს; ამასთან ასე ღარიბიცა ვარ, რომ, მგონია, ვერავის ვერ აღვუძრავდი შურს. იმას თუ დამაყვედრებენ, რომ ჩემი ენა ვერ დამიბამს, და თუ მოვიფიქრებთ, რომ ისე ბოროტი არა ვარ, როგორც მიამიტი და ბრიყვი, მაგრამ ყველაფერ ამას ჩემი გულუბრყვილობის ფართო საბურველიო ვფარავ, რაც მუდამ ბუნებრივია, და თავსაც არასოდეს მოვიკატუნებ. მასთან, ამას გარდა სხვა ღირსებებიც რომ არ გამაჩნდეს, რომ ყველაფერი ბეჯითად მწამს, რის რწმენასაც ჩვენი წმიდა რომის კათოლიკური ეკლესია გვიბრძანებს, რომ ებრაელთა მოსისხლე მტერი ვარ, მაშინ, მგონია, ესეც საკმაო იქნება, რომ თქვენმა ისტორიკოსებმა თავიანთ ნაწერებში ჩემი დანდობა იქონიონ. მაგრამ, დაე, რაც სურთ, ისა სწერონ; საწყალი ვიყავ და საწყალი დავრჩები, არც არაფერი მოვიგე, არც არაფერი წავაგე და იმ წიგნის გამო, რომელშიაც მე მომაქციეს და ერთი ხელიდან მეორე ხელში გადავდივარ, მართალი მოგახსენოთ, იმდენს ვწუხვარ, რამდენსაც დამპალ ლელვზე.

- სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა. - შენმა სიტყვებმა ჩვენი დროის ერთი სახელოვანი პოეტის სიტყვები მომაგონა, მეტად გესლიანი სატირა, რომ შეთხზა კურტიზან ქალებზე, მაგრამ იქ ერთ ერთი მათგანი არ მთიხსენია, რადგან მისი გაკილვა აშკარად ვერ გაბედა, და ამიტომ გამოურკვეველი შეიქნა, იყო თუ არა ის ქალი კურტიზანი. ამ უყურადღებობით გაცეცხლებულმა ქალმა პოეტთან მიირბინა და ჰკითხა, ხელი რად ამიღე და სხვებთან ერთად რად არ მომიხსენიეო; შემდეგ სთხოვა - შენი სატირის ნაკლი შეავსე და ჩემი სახელი დამატებით შიგ შეიტანე, თორემ საქმე ცუდად წავივაო. პოეტმა საჩქაროდ აღასრულა მისი სურვილი და ისე ლაზათიანად გათათხა, რომ გიასი გამდლის ენაც ვერ გათათხავდა ისე. მანდილოსანი ამით



ძალიან კმაყოფილი დარჩა, რადგანაც ამის შემდეგ ცნობილი შეიქნა, თუმცა ცუდი სახელითაც. აქ არ შეიძლება ის მწყემსიც არ გავიხსენო, რომელმაც მხოლოდ იმიტომ, რომ სამარადჟამისოდ სახელი გავითქვაო, ქვეყნის ერთ. ერთ შვიდ საკვირველებათაგან შერიცხული დანას შესანიშნავი ტაძარი გადაწვა და, თუმცა ბევრსაც ეცადნენ მისი სახელი დაგკარგათ, არც წერილობით, არც ზეპირად არსად მოეხსენებინათ, რომ მისი ნატვრა არ ასრულებულიყო და უკვდავი არ შექმნილიყო, მაინც ჩვენ ვიცით, რომ იმ მწყემსს ჰეროსტრატე ერქვა. კვლავ მაგონდება, თუ რა შეემთხვა დიდებულ იმპერატორ კარლოს მეხუთეს ერთ რომაელ აზნაურთან. ერთხელ იმპერატორმა რომში მოისურვა დაეთვალიერებინა როტონდის შესანიშნავი ტაძარი, რომელსაც ძველად ყველა ღმერთის ტაძარი ეწოდებოდა, ახლა კი სამართლიანად ყველა წმინდანის ტაძარს ეძახიან. წარმართობის დროის რომში აგებულ ყველა შენობათაგანის ყველაზე უფრო კარგადაა შენახული და დაცული და სხვა. შენობებზე უკეთესი მოწმეა მის მშენებელთა დიდებისა და შემძლეობისა. მას ნახევარი ფორთოხლის ფორმა აქვს, არაჩვეულებრივად დიდია და ძლიერ ნათელი, თუმცა სინათლე შიგ, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ზევით მდებარე ერთი მრგვალი ხვრელიდან ჩადის. სტუმარი იმპერატორი, ამ ღია ხვრელთან. მდგარი, სინჯავდა შენობას, ხოლო მის გვერდით იდგა ერთი რომაელი აზნაური და დაწვრილებით უხსნიდა მას ამ გრანდიოზულთ და ღირსშესანიშნავი ხუროთმოძღვრების სილამაზესა და მშვენიერებას. როცა იმპერატორი ამ ხვრელს შორდებოდა, აზნაურმა, უცებ უთხრა მას: "ხელმწიფეო, არ შემიძლია თქვენი უდიდებულესობის წინაშე ჩემი ახირებული აზრი დაგვარო, სულ, რომ მოსვენებას არ მაძლევდა, რა ხანსაც თქვენ იმ ხვრელის პირას იდექით. სულ ის მინდოდა, ხელი მეკრა თქვენთვის და თქვენი სიკვდილით ამქვეყნად უკვდავი შექმნილიყავი". "არ შემიძლია მადლობა არ გადაგიხადოთ თქვენი ცუდი სურვილის აუსრულებლობისათვის, - მიუგო იმპერატორმა, - და, რომ კვლავ ესრეთ უქვემდებარდომილეს ცთუნებაში არ შეგიყვანოთ, ამიერიდან, სადაც მე ვიქნები, იქ ყოფნას გიკრძალავთ". ეს, რომ უთხრა, იმპერატორი აღერსიანად გამოეთხოვა იმ აზნაურს და მდიდარი საჩუქარიც უბოძა. ყველაფერი ეს გვაჩვენებს, სანჩო, თუ ადამიანში რაოდენად დიდია სურვილი - თავის თავზე ყველა ალაპარაკოს. როგორა გგონია, რა იყო მიზეზი, რომ ჰორაციუსი, აბრით დამძიმებული, ხიდიდან ტიბრში, რომ გადავარდა? მუციუს სცევოლა რამ აიძულა გახურებულ რკინაზე ხელი დაეხრაკა? კურციუსი რამ შეაგულიანა რომის შუაგულ ამოხეთქილ ცეცხლის უფსკრულში ჩავარდნილიყო? არამ შთააგონა კეისარს იმდენი ბოროტის მომასწავებელი ნიშნების შემდეგ რუბიკონი გადაელახა? დასასრულ, თუ მაგალითებს ამ ჩვენი დროიდან მოვიყვანთ, ახალ ქვეყანაში რამ აიძულა ერთი მუჭა მამაცი ესპანელები, რომლებსაც მხნე კორტესი წინამძღოლობდა, თავიანთი ხომალდები წყალში ჩაეძირათ და უკაცრიელ ნაპირას მარტონი დარჩენილიყვნენ? ყველა ეს და მასთან სხვა დიადი და სხვადასხვა ღვაწლი იყო, არის და იქნება თავის გამოჩენის სურვილით ჩადენილი ღვაწლი, რაც მომაკვდავ ადამიანებს მათი სახელოვანი გმირობით დამსახურებულ უმაღლეს ფიდოდ და უკვდავებად მიაჩნიათ; მართალია, ჩვენ, ქრისტიან კათოლიკესა და მოგზაურ რაინდებს უფრო მეტად შეგვფერის ჩვენთვის ზეციერ საგანეში გამზადებული საუკუნო დიდებისკენ მივისწრაფოდეთ, ვიდრე იმ წარმავალ და ამაო თავის გამოჩენისაკენ, რის მიღწევაც სააქაოს შეიძლება და რაც ამ ქვეყანასთან ერთად გაქრება. იმიტომ, სანჩო, ჩვენი საქმენი იმ სარწმუნოების სწავლას დავუქვემდებაროთ, რომლის წიაღსა შინა მყოფობის ბედნიერება გვაქვს. ჩვენი სიამაყე დევების ხოცვით დავიცხროთ, შურა სულგრძელობით დავითრგუნოთ, რისხვა სიმშვიდით და გულგრილობით გავიქარწყლოთ, სიხარბე - მარხულობითა, ძილი - მცირედი საქმელითა და ბეჯითი მღვიძარებითა, დასასრულ, ვნებანი და ხურუმი - ერთგულებითა, როგორითაც რჩეულ მიჯნურთადმი ვართ

დავალებული; მცონარება ქვეყნის ოთხივე ნაწილის მოვლით ვძლიოთ და იქ შემთხვევები ვეძებოთ, რომელნიც არათუ მარტო ჭეშმარიტ ქრისტიანებად, არამედ სახელოვან რაინდებადაც შეგვქმნიან. აი, სანჩო, ის საფეხურები, რომლითაც შეიძლება და ჯერარს უკვდავებამდის მივაღწიოთ.

- ყველა ეგ ძალიან კარგად მესმის, - მიუგო სანჩომ, - მაგრამ წყალობა მოიღეთ და, მე, რომ ეჭვი მაწუხებს, იმ გამიხსენით.

- შენ გინდოდა, სანჩო, გეთქვა, მე, რომ ეჭვი მაწუხებს, ის ამიხსენითო, შეუსწორა დონ კიხოტმა, - მითხარ და, როგორც შემიძლია აგიხსნი.

- ერთი მიბრძანეთ, ის იულიოსები და ავგუსტოსები და თქვენგან ჩამოთვლილი სხვა სახელოვანი რაინდები ახლა სად არიან? - ჰკითხა სანჩომ, - ისინი ხომ ყველანი დაიხოცნენ?

- წარმართნი, უეჭველია, ჯოჯოხეთში არიან და ქრისტიანნი, თუ ამქვეყნად მართალ ცხოვრებას ატარებდნენ, - სამოთხეში ან სალხინებელში განისვენებენ.

- კარგი და პატიოსანი, - უთხრა სანჩომ. - ახლა კიდევ ეს მიბრძანეთ: იმ დიდებული ხალხის საფლავზე მუდამ გაუქრობელი ვერცხლის ლამპარი ანთია? მათი აკლდამები ფარჩით არიან შემკული? მათი სამლოცველოს კედლები ყავარჯნებით, სუდარებით, თმის კულულებით, ცვილის ფეხებითა და თვალებითაა მორთული? და თუ ეს ასე არაა, მაშ რა ამშვენებს მათ?

- წარმართთა აკლდამები, - მიუგო დონ კიხოტმა. მეტ ნაწილად უძვირფასესი ტაძრები იყო. აი, სახელდობრ: იულიოს კეისრის ნეშტი რომში უზარმაზარი ქვის პირამიდის ქვეშ არის დაკრძალული ახლა, რომ წმიდა პეტრეს ნემსს ეძახიან. იმპერატორ ადრიანს აკლდამაა ერთი სოფლის ოდენა ციხე-დარბაზი, წინათ მას მოლეს ჰადრიანი-ს ეძახდნენ, ახლა კი იგი წმიდა ანგელოზის ციხე-დარბაზია რომში. დედოფალმა არტემიზამ თავისი მეუღლე მავზოლე ისეთ აკლდამაში დაკრძალა, რომ იგი ქვეყნიერების ერთ-ერთ შვიდ საკვირველებად ითვლება. მაგრამ ჩემ მიერ ჩამოთვლილი არც ერთი აკლდამა ან სხვა წარმართული სამარხი არ ყოფილა მორთულ-შემკული არც სუდარებით, არც საჩუქრებით არც შემოწირულებით, რის მიხედვითაც შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ იქ დაკრძალულებს წმიდანებად თვლიდნენ.

- მეც სწორედ ამის გაგება მსურდა, - უთხრა სანჩომ. - ახლა ეს მიბრძანეთ, ჩემო ბატონო, რას უფრო ამჯობინებდით: დევის მოკვლას თუ მკვდრის აღდგენას?

- ამაზე პასუხის გაცემა ძნელი როდია, - მიუგო დონ კიხოტმა, - რა თქმა უნდა, მკვდრის აღდგენას.

- ახლა კი ჩაგიჭირეთ! - წამოიძახა სანჩომ. - მაშ თქვენ თანახმა ხართ, რომ იმათი დიდება, ვინც მკვდრები აღადგინა, ბრძებს, მხედველობა, კოჭლს ფეხები და სუსტებს ჯანმრთელობა დაუბრუნა და ვისი ნაწილებისა და აკლდამების წინაშეც მუდამ მუხლმოდრეკილი მლოცველი ხალხის ბრბო დგას და ანთებული ლამპები კამკაშებენ, მათი დიდება-მეთქი - სააქაოსაც და საიქიოსაც ყველა წარმართ იმპერატორსა და ყველა ოდესმე არსებულ რაინდზე მაღლა დგას?

- სავსებით გეთანხმებით, - მიუგო დონ კიხოტმა, - ეს ჭეშმარიტებად მიმაჩნია.

- მაშასადამე, წმიდანია სხეულსა და ნეშტს, - განაგრძობდა სანჩო, - გააჩნია ისეთი დიდება, სიკეთე ან, როგორც სხვანაირად იტყვიან, პრეროგატივა, რომ ჩვენი უწმიდესი დედა-ეკლესიის

ნებართვითა და მოწონებით მათ ამკობენ ჩაუქრობელი ლამპრებით, სანთლებით, სუდარებით, ყავარჯნებით, სურათებით, თმის კულულებით, თვალებითა და ფეხებით, - და ყველაფერი ეს ამტკიცებს ღვთის მოსავობას და ამრავლებს ქრისტიანულ სახლსა და დიდებას. თვით მეფეებიც კი ატარებდნენ მხრებით წმიდანია სხეულს ან ნემსს, ლომიან მათი ძვლების ნარჩენებს, იმით რთავენ და კაზმავენ თავიანთ სამლოცველოებსა და ყველაზე საპატიო საკურთხეველებს.

- დაამთავრე თუ არა? - უთხრა დონ კიხოტმა, ძალიან საყურადღებოა შევიტყო, მაგით რის თქმა გასურს?

- იმისი, რომ არა სჯობია ვეცადნეთ წმიდანები შევიქნეთ? ამ გზით მოკლე ხანში იმ დიდებასა და სახელს მივაღწევთ, რომელსაც ასე მიველტვით. ხოლო, იცით თუ არა, სენიორ, გუმინ ან სამი დღის წინათ (ასე იმიტომ ვამბობ, რომ ეს ამბავი სულ ახლახან მოხდა) წმიდანად შერაცხეს სამი ფეხშიშველი ბერი და ახლა დიდ ბედნიერებად ითვლება, შეეხონ ან ემთხვიონ იმ რკინის ჯაჭვებს, ისინი წელზე, რომ ირტყამდნენ სხეულის დასათრგუნავად? ამ ჯაჭვებს ახლა უფრო მეტ პატივსა სცემენ, ვიდრე როლანდის ხმალს, არსენალში, რომ ინახავს ჩვენი ბატონი მეფე, ფარავდეს მას ღმერთი! სხვა, ჩემო ბატონო, გამოდის, რომ რომელიმე უბრალო ბერად ყოფნა სჯობია მთელ ქვეყანაზე დიდად სახელგანთქმულ მოგზაურ რაინდად ყოფნას. ოცდაოთხი მოსანანიებელი და სხეულის დამთრგუნავი დარტყმა უფრო სათნოა ღვთისთვის, ვიდრე ორი ათასი შუბის ძგერება, სულ ერთია, ვის წინააღმდეგ, დევები იქნებიან ისინი, ურჩხულები თუ ანდრიაკები.

- თანახმა ვარ, - მიუგო დონ კიხოტმა, - მაგრამ ყველანი ხომ ბერები არ გავხდებით; უფალს სამოთხეში თავისი რჩეულნი მრავალგვარი გზით შეჰყავს, ჩემო მეგობარო! რაინდობაც სარწმუნოებრივი ორდენია, სამოთხეშიც არიან წმიდა რაინდები.

- იქნებ კიდევ არიან, - თქვა სანჩომ, - მაინც იქ ბერი უფრო მეტია.

- ეს იმიტომ, რომ ქვეყანაზე ბერებიც რაინდებზე მეტნი არიან, - უთხრა დონ კიხოტმა.

- მე კი მგონია, - თქვა სანჩომ, - ქვეყანაზე მოგზაური რაინდიც ბევრია.

- რასაკვირველია, ბევრია, მაგრამ ისეთი ძალიან ცოტაა, მოგზაურ რაინდად წოდების ღირსი რომ იყოს, - შენიშნა დონ კიხოტმა.

ამგვარ ლაპარაკში მათ მთელი დღე და ღამე გაატარეს, არავითარ მნიშვნელოვან ფათერაკს არ წაწყდომიან. დონ კიხოტს ეს ძალიან აღონებდა. მეორე დღეს ძლივს დიდებული ქალაქი ტობოსო დაინახეს და, რამდენადაც ამან რაინდი გაახარა იმდენად საჭურველმტვირთველი დააღონა, რადგან დულისინე თავის დღეში არსად ენახა და არც იცოდა, სად ცხოვრობდა, თუმცა დონ კიხოტიც ამ მდგომარეობაში იყო. სოფელს ოდნავ აღელვებულნი მიუახლოვდნენ. ერთს ის აღელვებდა, რომ დულისინეს ნახვა სურდა, მეორეს ისა, რომ ის ქალი არასოდეს არ ენახა და არც ახლა უნდოდა მისი შეხვედრა. სანჩომ არ იცოდა, რა ექნა, როცა ბატონი მას ტობოსოში თავის მიჯნურთან გაგზავნიდა. დაბოლოს დონ კიხოტმა გადაწყვიტა დაღამებამდის ქალაქში არ შესულიყო და დაღამების მოლოდინში საჭურველმტვირთველიანად ტობოსოს ახლო მდებარე მუხნარში გაჩერდა. როცა აღნიშნული დრო დადგა, ისინი შევიდნენ ტობოსოში, სადაც ის ამბავი შეემთხვათარჩის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

თავი IX

სადაც მოთხრობილია ის, რასაც დაინახავთ

სწორედ შუალამე იყო, როცა მუხნარიდან გამოსული დონ კიხოტი და სანჩო ტობოსოში შევიდნენ. დაბა დუმდა, რადგან ყველას ღრმა ძილით ეძინა. ძლიერ ნათელი ღამე იყო, მაგრამ სანჩოს უნდოდა უფრო წყვიადი ყოფილიყო, ეგებ ღამის სიბნელით მოებოდიშებინა ის უხერხული მდგომარეობა, რაც ჩქარა თავს უნდა გასტეხოდა. ყველგან ძაღლის საშინელი ყეფა ისმოდა და ეს ყურთასმენას უხშობდა დონ კიხოტს, ხოლო მის საჭურველმტვირთველს გულს უწუხებდა და აშინებდა. ხანდახან მოისმოდა ღორების ღრუტუნი, კატების ჩხავილი, ვირების ყროყინი და ამ შეწყობილ ხმებს თითქო კიდევ უფრო აძლიერებდა ღამის მდუმარება. ჩვენს შეყვარებულ რაინდს ყველაფერი ეს უბედურების მომასწავებლად მოეჩვენა, მაგრამ მაინც უთხრა სანჩოს:

- სანჩო, ძმობილო, დუღსინეს სასახლისკენ გამიძებ, ვინ იცის, იქნებ გამოეღვიძა კიდევ.

- რა ეშმაკების სასახლეში წაგიყვანო, - მიუგო სანჩომ მისი დიდებულება სასახლეში კი არა, პაწაწინა ქოხში ვნახე.

- მაშასადამე, უთხრა დონ კიხოტმა, - იმ დროს ის თავისი ციხე-დარბაზის მცირე ოთახში გაემართა და იქ სეფექალთა და პრინცესათა მსგავსად თავის ამაღლის ქალებთან ისვენებდა.

- ჩემო ბატონო, - განაცხადა სანჩომ, - თუკი ჩემს ჯიბრზე თქვენს მოწყალებას ნებავს ამტკიცოს, სენიორა დუღსინეს ქოხმახი ციხე-დარბაზია მაშინ ის მაინც იფიქრეთ, ნუთუ ახლა ის დროა, კარები ღია იყოს სადმე? განა შეგვფერის ვურახუნოთ ვინმეს, რომ გაიგონონ და კარი გაგვიღონ? ასე ხომ მდელ დაბას დავაფეთებთ და ფეხზე წამოვყრით? როგორ გგონიათ, განა იქ ისეთი მანდილოსნები ცხოვრობენ, რომლებსაც ღამღამობით კუროები დაუდით და, როგორც კი დაუძახებენ, მაშინვე კარებს გაუღებენ?

- ჩემო მეგობარო, ჯერ სასახლე მოვძებნოთ, - უთხრა დონ კიხოტმა, - და მერე მოვიფიქროთ, რა ვქნათ. დაიცადე, სანჩო, ან ვერარას ვხედავ, ან აგერ ის უნდა იყოს დუღსინეს სასახლე, შორს რაღაც შენობა რომ მოჩანს და რომელიღაც დიდ ადგილს ჩრდილავს.

- მაშ გამიძებნით, ეგებ მართლა სასახლეს მივადგეთ. მაინც გარწმუნებთ, - უთხრა სანჩომ, - ჩემი საკუთარი ხელიც რომ შევახო მას და საკუთარი თვალითაც დავინახო, მაშინაც ისე დავიჯერებ იმის სასახლეობას, როგორც ახლა დღეა.

დონ კიხოტი წინ წავიდა, სანჩოს გაუძღვა და, ორასიოდე ნაბილო რომ გაიარა, იმ შენობასთან მივიდა, რომელიც დიდ ადგილს იჩრდილებდა, მაშინ დარწმუნდა, რომ ის შენობა სასახლე კი არა, სოფლის საყდარი იყო.

- ჩვენ ახლა, სანჩო, საყდრის კარებთან ვართ, - თქვა დონ კიხოტმა.

- უთქვენოდაც ვხედავ, - უპასუხა სანჩომ, - და ღმერთმა ქნას ჩვენი სამარის კარებთანაც არ ვიყოთ მისული, რადგან ასე უდროოდ სასაფლაოზე ხეტიალი ცუდი ნიშანია. თუ მეხსიერება არ მღალატობს, აკი გითხარით, თქვენი მიჯნურის ქოხი სადმე მიყრუებულ ქუჩაშია-მეთქი.

- შეგაჩვენოს ღმერთმა, ყეყეჩო! - დაუყვირა დონ კიხოტმა, - ერთი მითხარი, სად, ვისგან და როდის გაგიგონია, რომ ციხედარბაზები და მეფეთა სასახლეები მიყრუებულ ქუჩებში შენდებოდეს?

- ბატონო, ყოველ ქვეყანას თავისი ჩვეულება აქვს, - მიუგო სანჩომ, - შესაძლოა ტობოსოში ჩვეულებად ჰქონდეთ სასახლეებისა და შესანიშნავი შენობების მიყრუებულ ქუჩებში აშენება, ამიტომაც, თქვენო მოწყალეზავ, გეთაყვა, ნება დამრთეთ, მოვძებნო ამ მიყრუებულ ქუჩებში. იქნებ რომელიმე შუკაში წავაწყდე ამ სასახლეს, ძაღლებსაც კი დაუჭამია იგი, როგორ ამოგვართვა სული და მოგვსპო ადამიანი.

- რაც ჩემს ქალბატონს შეეხება, - უთხრა დონ კიხოტმა, - მომეტებული პატივისცემით ილაპარაკე; და საერთოდ, სრული სიმშვიდე დავიცვათ, რადგან საჭირო როდია, როცა ჭაში ხოკერი ჩაგვივარდება, საბელიც თან გადავაყოლოთ.

- ვეცდები, თავი შევიკავო, - წაიდუღუნა სანჩომ, - მაგრამ როგორ არ უნდა მოვიდე აბუხარს, როცა მძაღლებთ ამ უკუნეთში ერთბაშად ვიპოვო ჩვენი ქალბატონის სასახლე, ჩემს სიცოცხლეში რომ მარტო ერთხელ მინახავს, როდესაც თქვენ იგი ასჯერ გინახავთ და კი ვერ გიპოვიათ.

- სანჩო! სწორედ ჭკუიდან შემშლი. განა, შე ერეტიკოსო, ათასჯერ მაინც არ მითქვამს შენთვის, - უპასუხა დონ კიხოტმა, რომ არასოდეს არ მინახავს მშვენიერი დულსინე, იმის სასახლის დირეზე არასოდეს არ გადამიბიჯებია-მეთქი, და თუ მიყვარს იგი, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ქვეყნად განთქმული ჭკუა და სილამაზე გამიგონია.

- ეგ მე პირველად მესმის და მოგახსენებთ, - შენიშნა სანჩომ. თუ იგი თქვენს სიცოცხლეში არასოდეს არ გინახავთ, მაშ მე ეშმაკმა წამიღოს, თუ როდისმე მეც მენახოს.

- ეგ შეუძლებელია შენ თვითონ არ მითხარი, ვნახეო, ხორბალსა ცხრილავდაო, როცა ჩემი წერილის პასუხი მომიტანე მისგან.

- ამას არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, სენიორ. მეც გაგონებით ვნახე იგი, - მიუგო სანჩომ, - და გაგონებითვე მოგიტანეთ მისგან პასუხი და მე ისევე შემიძლია ვიცნო ქალბატონი დულსინე, როგორც ახლა ზეცას მუშტს გავარტყამ.

- სანჩო, სანჩო! - გააწყვეტინა რაინდმა, - ყოველ ხუმრობას თავისი დრო და ადგილი აქვს, თორემ ის სულელური და უადგილო იქნება. თუ მე ვთქვი, ჩემი სულის ღვთაება, ჩემი მიჯნური არასოდეს მინახავს-მეთქი, ეს იმას როდი ნიშნავს - შენც იგივე გაიმეორო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ ტყუი.

ამ საუბრის დროს გზაზე ვიღაც კაცი გამოჩნდა, რომელიც ორ ჯორს მოერეკებოდა და გუთანს მიწაზე მოათრევდა. მისმა რახრახმა ჩვენს მგზავრებს აფიქრებინა, რომ ის კაცი მხვნელ-მთესველი გლეხი უნდა ყოფილიყო, ყანაში უთენია მიმავალი. არც მოტყუვდნენ. გლეხი მიდიოდა და შემდეგ რომანსს ღიღინებდა:

ო, ფრანგებო, რონსევალთან

ცუდი საქმე დაგემართათ.

- ახლავ, ამ ადგილზევე სული ამომხდეს, სანჩო, - შესძახა დონ კიხოტმა სიმღერის გაგონებაზე, - თუ ამაღამ რიგიანი რაიმე არ გავარიგოთ. გესმის, რას მღერის ეს გლეხი?

- როგორ არ მესმის, - მიუგო სანჩომ, - მაგრამ რა კავშირი აქვს ჩვენს საქმეს რონსეველის ნადირობასთან? ამ გლეხს მავრ ყალაინოსის ლექსის მღერაც შეუძლია, სულ ერთი არაა, ამით ჩვენ არც შეგვცოვია და არც დაგვცხება.

ამასობაში გლეხი მიუახლოვდა მათ და დონ კიხოტმა ჰკითხა მას

- ღმერთი იყოს შენი შემწე, კეთილო კაცო, ხომ არ შეგიძლია გვითხრა, სადა დგას უბადლო პრინცსა დონა დულსინე ტობოსელის სასახლე; ვერ მიგვასწავლი?

- ბატონო, აქაური არა ვარ, - უთხრა ბიჭმა, - დიდი ხანი არ არის, რაც აქ ერთ მდიდარ მემამულეს დავუდექი მოჯამაგირედ. მაგრამ აგერ იმ სახლში აქაური მღვდელი და მნათე ცხოვრობენ; იმათ ჰკითხეთ: უეჭველია, იმ ბანოვანის სასახლე ეცოდინებათ, რადგან ტობოსოს მცხოვრებთა სია იმათ აქვთ; მაგრამ, მართალი რომ გითხრათ, არა მგონია - აქ ვინმე პრინცსა ცხოვრობდეს; ესეც კია, აქ ორიოდ კეთილშობილი ქალი მოიპოვება, ისინი თუ თვლიან თავიანთ ოჯახში თავს პრინცის ქალებად.

- ჰო, სწორედ ერთ-ერთი იმ ქალთაგანი იქნება, ვისაც ვეძებთ, - უთხრა დონ კიხოტმა.

- იქნება იმათშიც იყოს, - მიუგო გლეხმა, - მაგრამ ახლა თენდება და სწორედ რომ არ მცალია. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! - ეს თქვა თუ არა, ჯორებს შოლტი გადაჰკრა და თავის გზას გაუდგა.

სანჩომ დაინახა, რომ გლეხის პასუხმა ვერ დააკმაყოფილა დონ კიხოტი და ყოყმანში ჩააგდო, ამიტომ უთხრა:

- ჩემო ბატონო, აგერ ცისკარი ამოვიდა და, მგონია, ჩვენთვის რიგი არ არის ტობოსოს ქუჩებში მოგვასწროს დილამ. წავიდეთ ამ ქალაქიდან და სადმე ტყეს შევეფარეთ, დილა რომ გათენდება, წამოვალ, ყველა ქუჩას გავჩხრეკ და ძალიან უბედური უნდა ვიყო, რომ თქვენი მინურის სასახლეს ვერ მივაგნო. როცა იმ სასახლეს ვიპოვი, მის მოწყალებას მოველაპარაკები, სად და როგორ უნდა ინახულოთ იგი, რომ მით ვნება რამ არ მოგეცეთ თქვენც და მის კარგ სახელსაც.

- სანჩო, ჰკვიანური სიტყვაა, - წამოიძახა დონ კიხოტმა, - ვფიცავ, ეგ რამდენიმე სიტყვა ათას ანდაზად ღირს, შენ რომ ისე ძალიან გიყვარს. შვილო სანჩო, შენს რჩევას დიდი სიამოვნებით მივყვები. მაშ წავიდეთ ტყეში და იქ ისეთი ადგილი მოვძებნოთ, რომ დამალვა შემეძლოს; ხოლო შენ წამოხვალ და იმ დაპირებისამებრ მშვენიერების მეფეს მოსძებნი, რომლის ჰკუა, კრძალულება და სილამაზე ათას საგრძნეულო წყალობას მიქადის.

სანჩოს ძალიან უნდოდა თავისი ბატონი აქედან წაეყვანა; ეშინოდა იმ პასუხის სიცრუე არ გამხელოდა, დულსინესაგან სიერამორენის ხეობაში რომ მიუტანა. ამიტომაც წასვლას აპირებდა დაროცა ორიოდ მილის მანძილზე პატარა ტყე თუ ჭალაკი დაინახა, რაინდს ურჩია, აქ დაეცადა, ვიდრე თვითონ დულსინესთან წავიდოდა. ამ ელჩობის დროს ბედმა იგი ერთ ისეთ ფათერაკს შეახეჩა, რაც განსაკუთრებული ყურადღებისა და ნდობის ღირსია.

თავი X

სადაც მოთხრობილია, თუ რა ეშმაკურად მოაჯადოვა სანჩომ

ქალბატონი დულსინე და კიდევ სხვა ფრიად სასაცილო და

უალრესად ჭეშმარიტი ამბები

ამ თავში მოთავსებული ამბის მოთხრობისათვის მზადებას რომ იწყებდა ჩვენი დიდებული ისტორიის ავტორი, თურმე ფიქრობდა, დუმილით აველო გვერდი ყველაფრისათვის იმის შიშით, რომ სიცრუე არ დაეწამებინათ, რადგან აქ დონ კიხოტის ჭკუა დამთხვეულობა ახირებულ ხარისხამდე აღწევს და ამქვეყნად მომხდარ ყველა სიგიჟის საზღვარს თითქმის თოფის ორი გასროლის მანძილით ცილდება. მიუხედავად ამისა, ის შიშითა და მორიდებით მაინც ბედავს დაწვრილებით აღწეროს დონ კიხოტის თავგადასავალია თავის ისტორიაში არც არაფერი ჩაუმატებია და არც ერთი ბეწვი სიმართლე დაუკლია. არც იმაზე უზრუნია, რომ ამით მართლაც, ბრალდებას წაუყენებდნენ სიცრუეში. და ის სავსებით მართალია, რადგან ჭეშმარიტება ხანდახან ქედს იდრეკს, მაგრამ არასოდეს არ იმსხვრევა და სიცრუეთა ზევით ისე ამოტივტივდება ხოლმე, როგორც ზეთი წყლის ზედაპირზე. ამგვარად, განაგრძობს რა თავის ისტორიას, ის ამბობს: შევიდა თუ არა დონ კიხოტი დიდებულ ტობოსოს მეზობლად მდებარე ქალაქში, ტყეში თუ ჯაგნარში, სანჩოს მაშინვე უბრძანა ქალაქში დაბრუნებულიყო და თვალითაც არ ჩვენებო და, ვიდრე მისი სახელით მის ქალბატონს არ მოელაპარაკებოდა და ვედრება-მუდართით არ დაიყოლიებდა მისვან ტყვედქმნილი რაინდი ენახა და დაელოცა აგი ყველა მომავალი ძნელად შესასრულებელი ფათერაკი კეთილად დაგვირგვინებისათვის. სანჩომ აღუთქვა ამ დავალებათა შესრულება და ისეთივე კარგი პასუხით დაბრუნება, როგორც პირველი ელჩობის დროს დაბრუნდა.

- მაშ წადი, შვილო, - უთხრა დონ კიხოტმა, - და ნუ დაირცხვენ და ნუ შეკრთები, თუ შენს თვალთა მზერას დააბრმავებს იმ ბანოვანის მზეოსანი სიტურფის ელვარება, ვისთანაც ახლა მიემგზავრები. ჰოი, ქვეყნიერებაზე უბედნიერესო საჭურველმტვირთველო! ყურადღებით მოიქეც და ნუ დაივიწყებ, თუ როგორ მიგიღებს იგი: როცა იმ მშვენიერების მზის წინაშე წარსდგები: შეეცვლება თუ არა სახე, როცა ჩემს დავალებებს გადასცემ, აღელდება ან შეკრთება თუ არა, ჩემს სახელს რომ მოისმენს. თუ იგი ძვირფასი ბალიშებით დაფენილ ტახტზე იჯდეს, როგორც მის დიდებულებას შეშვენის, ბეჯითად თვალყური ადევნე და შენიშნავ-მის სახეს იდუმალი მღელვარების რაიმე ნიშანი ხომ არ აჩნდება, და თუ ფეხზე მდგარმა მიგიღოს, კარგად დაიხსომე, ენა ხომ არ დაბმის, ხმას ხომ არ გამოიცივლის, ხომ არ წაიბორძიკებს; კარგად შენიშნე, პასუხი ხომ არ აერევა და სამჯერ და ოთხჯერ ხომ არ გაიმეორებს მას, გადაიქცევა თუ არა ის ნაზიდან მკაცრად ანუ უსულგულოდ მგრძნობიარედ. შეშფოთების დასაფარავად ხელს თმებთან ხომ არ მიიტანს, ვითომდა დავარცხნილის შესასწორებლად, თუმცა უამისოდაც რიგზე იქნება მორთული; ერთი სიტყვით, ჩემო შვილო და მეგობარო, შეისწავლე ყველა მისი მოქმედება და მოძრაობა, რადგან, თუ შენ ყველაფერს ისე ამიწერ, რაც მოხდება, მე ამ ნიშნებით ვიფიქრებ, რა იდუმალი ზრახვებია მის გულში და როგორ ეპყრობა ის ჩემს სიყვარულს; უნდა იცოდე, სანჩო, თუ ჯერ არ იცი, რომ შეყვარებულთა საქციელი და გარეგანი მოძრაობა ფოსტასა ჰგავს, რომელსაც მოაქვს ამბავი მათ გულის სიღრმეში დაფარულ იდუმალ ზრახვებზე. მაშ, წადი, ჩემო ერთგულო მეგობარო, რომელსაც ჩემს ხვედრზე უბედნიერესი ხვედრი გატარებს;

დაე, შენი მოგზაურობა უფრო წარმატებულად დამთავრდეს, ვიდრე აქ უშენოდ მწუხარებასა და საშინელ სიმარტოვეში დარჩენილი ადამიანის იმედები დაღადებენ.

- მივდივარ და მალე დავბრუნდები, - მიუგო სანჩომ, - მაგრამ, ღვთის გულისათვის, თქვენო მოწყალეზავ, ცოტა გული გაიმაგრეთ, - თორემ ახლა იგი, ალბათ, კაკლისოდენა გაგიხდებოდათ. მოიგონეთ ანდაზა: "ვაჟკაცობა ყოველთვის დათრგუნავს ბოროტ ხვედრს და, ვისაც ქონი არა აქვს, მას არც კაუჭი ექნება მის დასაკიდებლად" და კიდევ ნათქვამია: "კურდღელი იმ დროს გამოხტება, როდესაც ყველაზე ნაკლებად მოელიო"; ამას იმიტომ ვამბობ, რომ ღამით ჩვენთვის ძნელი იყო ჩვენი ქალბატონის სასახლეებისა და ციხე. დარბაზების პოვნა, დღისით, მისით მისი მონახვა არ გამიჭირდება, თუნდაც ამაზე სულაც არ ვფიქრობდე. ნეტავი მაპოვნინა და მაშინ მე ვიცი, როგორც მოველაპარაკები.

- რა კარგია, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - რომ ყოველთვის, საუბრის დროს, ანდაზების ასე მოხერხებულად ჩართვა შეგიძლია. ღმერთს რომ ასეთივე წარმატება მოეცა ჩემთვის ყოველ საქმეში!

ამ სიტყვების შემდეგ სანჩომ თავისი ლურა შეაბრუნა, შეუტია და ტობოსოს გზას დაადგა. დონ კიხოტი დარჩა ცხენზე მჯდომარე, უზანგებზე ამართული, შუბზე დაყრდნობილი, სევდიანი ფიქრებით დატვირთული და მწარე ოცნებაში შთანთქმული. ვერ ხანად ამ მდგომარეობაში დავტოვოთ იგი და გავყვეთ სანჩოს, რომელმაც, აგრეთვე დიდად შეწუხებულმა და გულმოკლულმა, დატოვა თავისი ბატონი. ტყიდან რომ გამოვიდა, უკან მოიხედა და, როცა დარწმუნდა, დონ კიხოტი ვეღარ მხედავსო, ვირიდან ჩამოხტა, ხის ქვეშ დაღთ და თავის თავთან ასეთი საუბარი გამართა:

- ერთი მითხარით, ჩემო ძმობილო სანჩო, საით მიბრძანდება თქვენი მოწყალეზავ? რა ეშმაკს ეძებთ? დაკარგული ვირის სამეზნელად ხომ არ მიხვალთ - რასაკვირველია, არა! - მაშ რას ეძებთ? - მე მივდივარ, არც მეტი, არც ნაკლები, პრინცესას სამეზნელად, რომელიც სილამაზის მზეა და მასთან ერთად - მთელი ზეცა. - მერედა სად გინდა ის იპოვო, ჩემო სანჩო? - დიდებულ ქალაქ ტობოსოში. - სადაო? მაშ კარგი და პატიოსანი, მაგრამ ვისი სახელით ეძებ მას? სახელგანთქმული რაინდის დონ კიხოტ ლამაზჩელის სახელით, რომელიც ამქვეყნადაა წარმოგზავნილი, რათა მწყურვალნი დააპუროს, მშიერნი დაარწყულოს. - ყველაფერი ეს კიდევ კარგი და პატიოსანი, ჩემო სანჩო, მაგრამ განა იგი, სად არის იმ ქალბატონის სახლი? - არა, არ ვიცი, მაგრამ ჩემი ბატონისაგან გამიგონია, ვითომც იგი მეფის მშვენიერ სასახლეში და საუცხოო ციხე-დარბაზში ცხოვრობდეს. - თქვენს სიცოცხლეში განა გინახავთ სადმე ის მანდილოსანი? - არა, არც მე, არც ჩემს ბატონს არასოდეს არ გვინახავს იგი. - ეს ყველაფერი მეტად კარგი რამ არის, მაგრამ, თუ ტობოსოს მცხოვრებთ გაიგეს, რომ მათი პრინცესის მოსატაცებლად და აქაურ დიდებულ მანდილოსანთა დასაბრძოლებლად აქ დაეხეტებით, ერთი ლაზათიანად მაგარ-მაგარი კეტებით რომ მიგტყეპონ და გვერდები აგიჭრელონ, განა უფრო მაგარ-მაგარი და სავსებით სამართლიანი არ იქნება? - დიახ, რასაკვირველია, ისინი სავსებით მართალნი იქნებიან, თუ მხედველობაში არ მიიღებენ, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ მარტოოდენ ელჩი ვარ;

რადგან ატარებთ დესპანის სახელს,

აქ, მეგობარო, ხელს ვერვინ გახლებს.



- სანჩო! გირჩევნია ხუმრობას თავი დაანებოთ, თორემ ლამანჩის მცხოვრებნი, მართალია - პატიოსანი ხალხია, მაგრამ მეტად ბრაზიანი და ხუმრობაც ეჯავრებათ. მერწმუნეთ, თუ განზრახვას მიგიხვდნენ, მეტს არაფერს გირჩევთ, რაც კი ღონე გაქვთ, გაექცით, თორემ თავს დაილუპავთ. თუ ეგრეა, მაშ რაღა ეშმაკების საქმეებზე მივდივარ? რა მრჯიდა, სხვის საამებლად კატის მეხუთე ფეხი მეძებნა? ამასთანაც ტობოსოში დულსინეს ძებნა რავენაში მარიკასა და სალამანკაში ბაკალავრის ძებნასა ჰგავს . ეშმაკმა, სწორედ ეშმაკმა გამჩხირა ამ საქმეში!

ეს საუბარი სანჩოს თავის თავთან ჰქონდა და იქიდან შემდეგი დასკვნა გამოიყვანა.

- კარგი და პატიოსანი! სიკვდილის მეტს წამალი ყველაფერს აქვს. სიკვდილია, რომ სიცოცხლის დასასრულს ყველამ უნებლიეთ ხარკი უნდა გადაუხადოს. ჩემი ბატონი, როგორც ათასი ნიშნით დავრწმუნდი, - ჭკუაარეულია, ნამდვილად გასათოკავია. მეც ისეთივე ვარ, იმაზე უფრო მეტად ჭკუაარეული, რომ მას ვემსახურები და უკან დავდე. ანდაზა მართალს ამბობს: "მითხარი, ვის იცნობ, მეც გეტყვი, ვინა ხარ", და კიდევ მეორე: "ერთად არავისთან დაბადებულხარ, ვის შეეთვისე?" უნდა ვიფიქრო: რაკი ამას ავდევენბივარ, ბევრით აღარ ჩამოვრჩები და, თუ ის გადაირია, თუ ისეთი განსხვავებული შეშლილობა დაემართა, რომ თეთრი შავად ეჩვენება და შავი თეთრად, ქარის წისქვილები დევებად, მღვდლის ღორები აქლემებად, ფუნდუკები ციხე-დარბაზებად, ცხვრის ფარები დიდ ლაშქრებად და სხვადასხვა ამგვარები, ეგ რაღა საქმეა, ვინც პირველი გლეხის გოგო შემხვდეს, დავარწმუნო, რომ დულსინე ტობოსელი სწორედ ის არის. თუ არ დაიკერებს, დავუფიცავ, თუ გაკერდება, ფიცს ძალას დავატან და, თუ ბოლოს დამერწმუნა, მაშინ რაღას ავუხირდები, ყველა შემთხვევაში მოგებული შევიქნე. მი. ამ გზით ეგებ გადაეჩვიოს როგორმე ასეთი ელჩობა აღარ გამაწვინოს, რაკი დაინახავს, ბევრი არა გამოდის რა იქიდან. ამ მარცხს, უეჭველია, თავის მტერს (ჯადოქარს) მიაწერს და იფიქრებს, რომ იმ ურწმუნომ მისდა სავნებლად და შესაწუხებლად მის სატრფოს სახე შეუცვალა.

ამ მოსაზრებამ სანჩო დაამშვიდა და გადაწყვიტა, საქმე გაჩარხულიყო. სადამომდის ხის ქვეშ დარჩა, რომ უფრო მოეტყუებინა დონ კიხოტი, თითქოს ტობოსოში ვიყავი და იქიდან დავბრუნდიო. იმის ბედზე, როცა ლურჯაზე შეჯდომას აპირებდა, საჭურველმტვირთველმა თავისდა ფრიად სასიხარულოდ, ტობოსოს გზაზე სამი გლეხის ქალი დაინახა, ულაყებზე თუ ჭაკ ვირებზე მჯდარი (ამაზე ავტორი დანამდვილებით არას ამბობს). მაინც კი უნდა ვიფიქროთ, რომ ჭაკი ვირები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ესპანეთის გლეხი ქალები ჩვეულებრივ უფრო ჭაკი ვირებით დაიარებიან, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა როდი აქვს, ამიტომაც აღარ ღირს დროს დაკარგვა ამ საკითხის გამოსარკვევად. ისინი რომ დაინახა, სანჩომ თავისი ვირით საჩქაროდ დონ კიოტისაკენ მოკურცხლა და იგი ისევ მწუხარე ოხვრითა და ტრფობის ჩივილსა და ოცნებაში გართული დახვდა. სანჩო რომ დაინახა, დონ კიხოტმა შეჰყვირა:

- ჩემო მეგობარო! აბა რა ამბავი მომიტანე? რა ფერის ქვით უნდა აღვნიშნო მე დღევანდელი დღე, შავით თუ თეთრით?

- უმჯობესია წითლით! - მიუგო სანჩომ. - წითლით აღნიშნეთ იგი, ჩემო ბატონო, როგორც პროფესორთა სადიდებელი, რათა ყველასათვის შორიდანვე. ადვილი დასანახავი იყოს.

- მაშ, ჩანს, სასიხარულო ამბავი მოგიტანია? - უთხრა დონ კიხოტმა.

- ისეთი სასიხარულო, რომ ერთი დეზი ჰკარით როსინანტს, მინდორში გამოაგოგმანეთ და მაშინვე დუღსინე ტობოსელს შეეგებებით, აგერ ორი მოახლის თანხლებით თქვენსკენ სტუმრად რომ მოდის, - უთხრა სანჩომ.

- მოწყალეო ღმერთო! - შესძახა რაინდმა. - ნუთუ მართალს ამბობ, ჩემო მეგობარო სანჩო? პირდაპირ მითხარ, ხომ არ ცრუობ? ნუ გგონია, ტყუილი სიხარულით ჩემი სასტიკი ჭმუნვა გააქარვო.

- თქვენი მოტყუებით განა რას მოვიგებ? თქვენ მხოლოდ ორი ნაბიჯის გადადგმა დაგჭირდებათ, რომ ჩემი სიტყვის სიმართლეში დარწმუნდეთ, - მიუგო სანჩომ. - აბა, დეზი ჰკარით როსინანტს და მომყევით, საკუთარი თვალით დაინახავთ თქვენს მბრძანებელს, მის შესაფერისად მორთულ-მოკაზმულს. ისა და მისი, მოახლეები, მე. თქვენ მოგახსენო, მთელ ალმასის მდინარეებს წარმოადგენენ; მარგალიტის მანიაკები, ოქრო-ვერცხლის ქსოვილები, ისე, რომ ღმერთმანი, ვერ მომიფიქრებია, საიდგან აქვთ იმდენი ღონე, რომ ყველა ამ სიმდიდრეს ზედ ატარებენ. იმათი თემები, ბრტყელ დალალებად ბეჭებზე მოფენილნი, მზის სხივებს ჰგვანან, ქარისაგან დარხეულთ, და მასთან სამნი მშვენიერ სამ იორღანა ცხენებზე სხედან.

- იორღანა კი არა, იორღა - თქო, - გაუსწორა დონ კიხოტმა. - სანჩო, აბა ერთი ჩაუკვირდი, რა უნდა იფიქროს ჩემზე დუღსინემ, შენგან ეგ სიტყვების გრეხა რომ გაიგონოს?

- იორღანა და იორღა სულ ერთი არ არის? - მიუგო სანჩომ. - მაგრამ რა ცხენებითაც უნდა მოდიოდნენ, მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ისე მდიდრულად მოკაზმული ქალები, მეტადრე როგორც ჩემი ქალბატონი პრინცის ასული დუღსინე არის; ადამიანის ხუთსავე გრძნობას ერთბაშად ხიბლავს.

- მამ წავიდეთ, ჩემო მეგობარო სანჩო! სამახარობლოდ ის ნადავლი მიჩუქებია შენთვის, რასაც პირველსავე მოსალოდნელ ფათერაკში ვიშოვით, ან თუ ეს საკმაო არ , იქნება და შენც გინდა, ის კვიციები მომიცია, ჩემს სამ ფაშაც ცხენს რაც ეყოლება მომავალში. შენ ხომ იცი, ის სამი ფაშატი ჩვენს სოფელში საერთო საძოვარზეა გაშვებული და მალე კვიციები შეეძინებათ , - უთხრა დონ კიხოტმა.

- არა, ბატონო, ნადავლს ისევ კვიციები მირჩვენია, - მიუგო სანჩომ, - რადგან დარწმუნებული ვარ, რომ პირველ ფათერაკში თქვენგან ნაშოვნი ნადავლი მაინცდამაინც ვერაფერი შვილი იქნება.

ჩვენი ფათერაკების მამებარნი ამგვარი საუბრით რომ ტყიდან გამოვიდნენ, დონ კიხოტმა ტობოსოს მთელი გზის გაყოლებაზე თვალი გადაავლო და მასზე რომ მხოლოდ სამი გლეხის ქალი დაინახა, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა და სანჩოს ჰკითხა: დუღსინე და მისი მხლებელნი ქალაქგარეთ ნახა თუ სად?

- როგორ თუ ქალაქგარეთ ნეტა ეგ თვალები წინ გასხიათ თუ უკან? - წამოიძახა სანჩომ. - განა ვერა ჰხედავთ სამ მანდილოსანს, შუადღის მზესავით მოკაშკაშეთ, ბედაურებს აქეთ რომ მოაქროლებენ.

- სანჩო, მე მხოლოდ ვირებზე მჯდარ სამ გლეხის ქალს ვხედავ, - მიუგო დონ კიხოტმა.

- ჩვენთან არს გვარი პატიოსანი! - შესძახა სანჩომ, - გაგონილა სადმე, რომ პირველ თოვლზედაც უთეთრესი იორღა - თუ რაც ჰქვია - ბედაურები სამ ვირად მიიღოს ადამიანმა? ღმერთს ვფიცავ, ან ბრმა ხართ, ან მოხიბლული. წვერებს დავიგლეჯ, თუ ეს მართალი არ იყოს.

- სანჩო მგონია შენ დაბრმავებულხარ, - უთხრა დონ კიხოტმა, - ეს რომ ულაცი ან ჭაკი ვირებია, ისევე ნამდვილია, როგორც ის არის ნამდვილი, რომ მე დონ კიხოტი ვარ და შენ სანჩო პანსა. მე კი ეგრე მეჩვენება და!

- კმარა, ნუ ხუმრობთ, ჩემო ბატონო, თვალები მოიფშვნიტეთ და ჩქარა სალამი მიეცით თქვენს ფიქრთა და ოცნებათა მპყრობელს, თქვენს სატრფოს, აგერ მოგიახლოვდა კიდეც, - უთხრა სანჩომ.

ესა თქვა და ქალებისაკენ გაეშურა და, რომ დაუპირდაპირდა, საჩქაროდ ვირიდან ჩამოხტა, ვიღაც გლეხის გოგოს ვირს აღვირში ხელი სტაცა, წინ დაუჩოქა და შესძახა:

- ჰოი, ბრწყინვალეო პრინცის ასულო, მშვენიერების დედოფალო! თქვენი ყურადღების ნათელი მოჰფინეთ თქვენგან დამარცხებულ რაინდს, აგერ რომ მარმარილოს ქანდაკებას ავით უძრავად დგას, თქვენი მოახლოებით გაფითრებული და შეშფოთებული. მე იმის საჭურველმტვირთველი სანჩო პანსა გახლავარ, ხოლო ჩემი ბატონი მოგზაური რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელია, მწუხარე სახის რაინდად ცნობილი.

სანჩო რომ ამას ლაპარაკობდა, გამიჯნურებული რაინდი თავისი საჭურველმტვირთველის ახლოს მუხლებზე დაეცა და თვალედაჭყეტილი უცქეროდა გლეხის ქალს, სანჩოსაგან პრინცის ასულის სახელით ამაღლებულს, ჩასუქებულ, ცხვირ-კომბოსტოს, სახეგასიებლ გოგოს ხედავდა და გაოცებული რისამე სათქმელად ტუჩებს ვედარა სძრავდა. გლეხის ქალებიც დონ კიხოტზე ნაკლებ არ იყვნენ გაოცებულნი, რომ ვიღაც ორმა უცნობმა, ერთმანეთის არაფრით მსგავსმა კაცმა წინ დაუჩოქა მათ და გზა გადაუღობა, ბოლოს იმ ქალმა, რომელსაც სიტყვით მიმართა სანჩომ, ჩვენი ფათერაკების მამებრებს უხეშად და გავავ რებით შესძახა:

- გზას ნუ გვიღობავთ, თქვე წვეულებო, ახლავ ჩამოგვეცალენით; საქმეზე მივეშურებით.

ამაზე სანჩომ ასე მიუგო:

- დიდი პრინცის ასულო! ჰოი, მბრძანებელო მანდილოსანო ტობოსოისავ! თქვენი სულგრძელი გული ნუთუ არ აღიდვრის, იხილავს რა მოგზაური რაინდობის დიდებას და მშვენიერებას, თქვენთა ფერხთა წინაშე გართხმულსა?

ეს რომ გაიგონა, მეორე გლეხის ქალმა თქვა:

- მამამთილის ვირს საურველით ნუ შეეხები! ვერა ხედავთ ამ ვაჟბატონებს, როგორ მობრძანებულან და სოფლის ქალებს მას. ხარად გვიგდებენ, თითქოს ჩვენ კი ვერ მოვახერხებთ ხუმრობას! თქვენ თქვენი გზით წადით, გზა მოგვეცით და მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

- ადექ სანჩო, - დაღვრემით უთხრა დონ კიხოტმა, - მე ვხედავ, რომ ჩემი უბედურებით ვერ კიდეც გაუმადლარ ბედს ყველა გზა დაუხშვია, რა გზითაც სიხარულს შესძლებოდა ამ ხრწნადი სხეულის მაცოცხლებელ სულამდის ჩაეღწია მერე მიუბრუნდა გლეხის ქალს და განაგრძო: - ხოლო შენ მიუწვდომელო საზღვარო მიწიერი მშვენიერებისავ, ღვთაებრივო შეერთებავ ყოველი მიწიერი სიხარულისავ, ერთადერთო საყრდნობელო შენდა მალმერთებელ ჩემი

სულისა, თუმცა ჩემმა მდევენელმა ჯადოქარმა ამ ჩემს ოვალებს რაღაც გაუგებარი ბინდი გადააფარა და შენს ციურ სახეს, შენს უბადლო მშვენიერებას გლეხის დედაკაცის ტლანქ სახედ მაჩვენებს, - მაინც გვედრები - სიყვარულით აღსავსე თვალით მომხედო თუ ჩემმა მტერმა ჯადოქარმა მეც ახლა მაჩქათელად არ გარდამქმნა რომ შენი რაინდი შენთა თვალთათვის საზარლად ეჩვენებინა, შენ ხედავ, ღვთაებრივო მანდილოსანო, ჩემს შენდამი ერთგულებას და შევრდომილებას, შენ ხედავ, რომ ჩემთა მტერთა მზაკვრობის მიუხედავად, არ ვიშლი მოგიძღვნა შენთა მშვენიებათა საკადრისი პატივისცემა.

- ეგ არის რაღა, მაგ აბდაუბდას ყურს ვათხოვებ. ასეთები ბაბუაჩემს უამბეთ, - უპასუხა გლეხის ქალმა. - თავი დაგვაზე ბეთ თქვენი ლაპარაკის სასმენად არა გვცალია გვეშურება.

სანჩო საჩქაროდ წამოხტა და გზა მისცა ცრუ დულსინეასთან აღტაცებული იყო, რომ ამ მისგან მოგონილმა ხრიკმა გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოიყვანა. დულსინეს როლის შემსრულებელმა გოგომ როცა გზა ხსნილად დაინახა დავის იორღანას ფერდში წვეტიანი ჯოხი ატაკა და მინდვრისაკენ გააქანა. მაგრამ ვირს ჯოხის წვერი რატომღაც ჩვეულებრივზე მეტად შეერჭო ძლიერ უმწვავე და ისეთი ცუნდრუკი და ხტომა დაიწყო, რომ ცრუ დულსინე ძირს ჩამოაგდო. შეყვარებულმა რაინდმა ეს რომ დაინახა ფიცხლავ მიეშველა, სანჩომ კიდევ ვირს მუცელზე მოქცეული კურტნის სწორება დაუწყო. დულსინეს დასაჯდომი რომ გაუსწორეს დონ კიხოტს უნდოდა ხელში აეყვანა თავისი მომხიბლავი მიჯნური და ისე შეესვა ვირზე, მაგრამ ოცნებითმა დულსინემ აგიშრო მისაგან გაათავისუფლა. ორივე ხელი ვირის კისერს დააბჯინა, სამი ნაბიჯი უკან გადადგა, შავარდენსავით შეხტა და ერთ წუთში ვირის კურტანს მამაკაცივით მოეწლო. მაშინ სანჩომ წარმოთქვა:

- ვვიცავ წმიდა როკეს, ჩვენი დედოფალი ჯეირანზე უსწრაფესია: რომელსაც გინდა კორდოველს ან მექსიკელს ჯიბეში ჩაისვამს და ცხენოსნობაში დასჯაბნის აბა ერთი უცქირეთ და! ერთი შეხტომით ცხენს ზედ მოექცა; შეხედეთ, როგორ უღეზოდ ქუსლავს თავის იორღას და ამაღაც როგორ უკან არა რჩება: ვიშ ყველანი როგორ მიაქროლებენ!

სანჩო მართალს ამბობდა, სხვა ორმა გლეხის ქალმა როცა დაინახეს დულსინე ვირზე ზისო, ვირებს მათრახი ჰკრეს და უკან მიუხედავად ოთხამოლებიო გაქუსლეს.

დონ კიხოტმა იმათ მზერა გააყოლა და, როდესაც თვალს მიეფარნენ, აუთხრა სანჩოს:

- ჩემო მეგობარო! ახლა რაღას იტყვი? ხომ შენი თვალით დაინახე თუ ჯადოქრებს სადამდის ვძულვარ. თვითონ ნახე, რა ოინებს ხმარობენ - ის ნეტარება ჩამიფუშონ, რა ნეტარებასაც დულსინეს მშვენიერების ცქერით ვიგრძნობდი. ვაჰ, ნეტავ ჩემზე უბედური იქნება ვინმე ქვეყანაზე? განა მე უბედურების განსახოვნებას არ წარმოვადგენ? მოღალატენი! იმას არა კმარობენ, რომ დულსინე მოუხეშავ გლეხის დედაკაცად გარდაქმნეს, არა ჰკმარობენ, რომ ჩემი მინური მისი წოდებისა და მშვენიების შეუსაბამო სახით მაჩვენეს, ისიც კი ჰკმნეს, რომ ის სურნელოვანი სუნთქვა მოაცალეს, მაღალ წოდების მანდილოსანთა თვისება რომ არის და არავითარ სურნელია და ყვავილთაგან არ გამომდინარეობს. იცი, სანჩო, როდესაც დულსინეს მივუახლოვდი, რომ შენებურად ცხენზე და ჩემებურად ვირზე შემესვა, ისეთი ნივრის სუნი შემომახრჩოლა, თავბრუ დამახვია და კინაღამ გულ-მუცელი არ ამერია.

- ოი, არამზადა და შეჩვენებულო ჯადოქრებო! - შეჰყვირა სანჩომ, - ნეტავ იმ დროს ვერ ვეღირსები, ყველანი ერთ ვერხვზე ჩამოკიდებული გნახოთ! ბევრი ძალა გაქვთ და ბევრ

ბოროტებას სჩადიხართ, მაგრამ განა ცოტა იყო თქვენთვის, თქვე საზიზღარო ქმნილებანო, რომ იმისი თვალთა მარგალიტი თხის თვალეზად გარდააქციეთ, ოქროს თმის ძაფები რაღაცნაირ თავლა ძროხის კუდად აქციეთ, ერთი სიტყვით ყველა მისი სიტურფე გაასაზიზღრეთ, რაღად წარტაცეთ მას ის ბუნებრივი მისი სურნელება, რომელიც ცოტაოდენად იმას მოაგონებდა, რაც მის საზიზღარ გარეგნობის ქვეშ დაფარული იყო. თუმცა კი, - განაგრძო მან, - მის მშვენიერების მეტი ვერა დავინახე რა, ყოვლად უხინჯო და მასთან ზემოთა ტურზე ხალი, ზედ ამოსული შვიდი თუ რვა ღია ნათელი თმით დამშვენებული ისე, რომ პიტალო ოქროს ძაფეზად მეჩვენა.

- მხედველობაში თუ მივიღებთ იმას, რომ პირისახეზე ხალს ტანის ხალთან შეთანხმებულები აქვს, - შენიშნა დონ კიხოტმა, - მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ დულსინეს ისეთივე ხალი მარჯვენა თედოზე დაც უნდა ჰქონდეს, მაგრამ ის კი არა მგონია, ხალზე ისეთი დიდი თმები იზრდებოდეს, როგორსაც შენ ამბობ, ეს არ მოხდება ხოლმე.

- ღმერთსა ვფიცავ, გარწმუნებთ, ჩემო ბატონო, მეტად შვენოდა ის თმები, - მიუგო სანჩომ.

- დარწმუნებული ვარ, - უთხრა დონ კიხოტმა, - იმიტომ რომ ბუნებას დულსინესათვის ისეთი არა მიუცია რა, რომ ხორცშესხმული სისრულე არ იყოს: და ეგ ხალები შენ რომ ამბობ, მის ნაკლულოვანებას არ შეადგენენ, არამედ მის თვალწარმტაც მშვენებას აძლიერებენ. ერთი ეს მითხარ, სანჩო, ის რაც მე ვირის კურტნად მომეჩვენა, მართლა კურტანი იყო თუ უნაგირი?

- არა, ჩემო ბატონო, - მიუგო სანჩომ. - ეს იყო მოკლე ავჯანდებიანი უნაგირი, ალბათ არაბული და ისეთი ძვირფასი ასალი ეფინა, რომ, ღმერთმანი, ნახევარ სამეფოდ ღირდა.

- მე კი ვერა დავინახე რა! - შეჰყვირა დონ კიხოტმა. - ვაჰ, აწ სულ იმას ვიძახებ და ათასჯერ გავიმეორებ, რომ ადამიანებში ყველაზე უბედური მე ვარ-მეთქი.

ჩვენი გაიძვერა სანჩო კი აღტაცებული იყო, სიცრუმე ჩინებულად რომ ჩაუარა, და ძლივს იმაგრებდა სიცილს, მისმა ბატონმა თვალეზი რომ აიბა და ისეთი ტლანქი ტყუილი დაიჯერა. ცოტა კიდეც ილაპარაკეს და შემდეგ თავიანთ ბედაურებზე შესხდნენ და სარაგოსის გზას გაუდგნენ იმ იმედით, რომ დროზე მივიდოდნენ იმ დიდ დღესასწაულზე, ყოველ წელიწადს რომ მართავდნენ იმ ქალაქში. მაგრამ მანამ სარაგოსას ჩავიდოდნენ, ბედმა მრავალი სხვადასხვა ისეთი საკვირველი და არნახული ფათერაკი შეახვედრა, რომ მათი აღწერა და წაკითხვა ერთ რამედ ღირს, როგორც ამას. შემდეგი თავიდან თვითონ მკითხველიც დაინახავს.

## თავი XI

ამბავი უცნაური ფათერაკისა, სახელოვან დონ კიხოტს „სიკვდილის სასახლის" ეტლთან თუ ურემთან შეხვედრისას რომ შეემთხვა

დონ კიხოტი გაჩუმებული და ჩაფიქრებული მიდიოდა და სულ ჯადოქრებზე ფიქრობდა მისი სატრფო დულსინე რომ ტლანქ, უმსგავს გლეხის დედაკაცად გადააქციეს და ამ მისთვის სავალალო უბედურების შველა კი არ შეეძლო. ამ ფიქრებში გართულ რაინდს აღვირი გაუგებრად ხელიდან გაეშვა და, როსინანტსაც, თავი რაკი თავისუფლად დაიხედა, ყოველ

ნაბიჯზე შედგებოდა ხოლმე და გზა. ზე უხვად მზარდ მწვანე ბალახს წიწკნიდა. ბოლოს იგი სანჩომ გამოაფხიზლა და, დაღონება და წუხილი რომ შეატყო, ასე უთხრა:

- ბატონო, მართალია, დაღონება ადამიანის თვისებაა და არა ცხოველებისა, მაგრამ, ვინც ნაღველს მეტისმეტად მიეცემა, ცხოველს ემსგავსება. მოეშვით მაგ ჭმუნვას, აღვირს მოჰკიდეთ ხე. ლა და მოგზაური რაინდის შესაფერი გულის სიმაგრე გვიჩვენეთ. ნეტავ რა ეშმაკებისათვის იხოლფოტებთ თავს აქა ვართ თუ საფრანგეთში? ჯანდაბასაც წაუღია ყველა დუღსინე, რადგანა მოგზაური რაინდების კარგამყოფობა ყველა ქვეყნის გარდაქმნასა და მოხიბვლაზე უძვირფასესია.

- დაჩუმიდი, სანჩო! ნუ უკვე ანთხევ ჩვენი მოხიბლული ქალბატონის დუღსინეს გმობას, - მიუგო საკმაოდ მტკიცე ხმით დონ კიხოტმა. - ვერა ხედავ, რომ ჩემს მოხიბლულ მინურს არა ვძრახავ. მას ჯადოქრების დევნა მის დღეში არ დაემართებოდა, რომ ის ჯადოქრები ჩემს დიდებას შურით არ უცქეროდნენ.

- მეც მაგას ვჩივი, - უთხრა სანჩომ, - მართლაც, გული მიწუხს, როდესაც გავიხსენებ, უწინ რა იყო იგი და ახლა რა არის.

- ჰოი, სანჩო. შენ შეგიძლია ეგ თქვა, რაკი დუღსინეს თვალწარმტაცი მშვენიება ნახე, რადგან ის მოხიბვლა მე, რომ ამიბა თვალეები, შენზე არ გავრცელებულა. მაინც, მგონია, კარგად ვერ ამიწერე მისი მშვენიება, როდესაც მითხარი, მარგალიტის თვალეები აქვსო. მარგალიტასთანა თვალეები თევზებში შეგვხვდება და არა ქალებში. დუღსინეს თვალეები კი ორი მშვენიერი ზურმუხტი უნდა იყოს, ცისარტყელას მსგავსი წარბებით დაჩრდილული. ჩემო მეგობართ, მარგალიტი თვალეებისთვის კი არა, კბილებისთვის შეინახე, შენი შედარებით კი, მგონია, კბილები და თვალეები ერთმანეთში არიე.

- ძალიანაც შესაძლებელია, - უთხრა სანჩომ, - რადგან მისი სილამაზით მეც ისე ვიყავ თვალეებაბმული, როგორც თქვენ - მისი სიგონჯით. მაგრამ ყველა ღვთის ნებაზე მივაგდოთ, მარტო მან იცის, რა უნდა მოხდეს ამ ცრემლის არეზე, ამ უსიხარულო ქვეყანაზე, სადაც ყველაფერი ცრუა, ყველაფერი ბოროტებით და ვერაგობით სავსეა. მართალი გითხრათ, ახლა მე ერთი რამ მაწუხებს: თქვენი დამარცხებული რაინდი ან დევი სად იპოვის თქვენს მიჯნურს, მასთან ხლებას, რომ უბრძანებს ისე მგონია, თითქოს კიდევ ვხედავ. მეთქი ერთ მათგანს, ტობოსოს ქუჩებში რაღაც მოჩვენებასავით პირლია და თვალეებაჭყეტილი, რომ დაეხეტება და არ იცის, სად იპოვოს დუღსინე, თუმცა, ვინ იცის, ასჯერაც წინ გაუარა და ვერც კი იცნო. მათთვის ის ისეთივე დუღსინე იქნება, როგორც მამაჩემი.

- იქნება იმდენად არ იყოს მოხიბლული, რომ ჩემგან ძლეულმა რაინდებმა ან დევეებმა ვერ იცნონ. მაინც პირველ ორზე ან სამზე, რომლებსაც დუღსინეს გავუგზავნი, ვცდი ამას. ვუბრძანებ - დაბრუნდნენ ჩემთან და თავიანთი მოქმედების ანგარიში ჩამაბარონ.

- ჰო, ეგ ძალიან გონიერული მოფიქრებაა, - უპასუხა სანჩომ, - მაგით ჩვენ იმას გავიგებთ, რაც ჩვენთვის საჭიროა. თუ ის მარტო თქვენთვის არის მოხიბლული, მაშინ ეგ თქვენი საწუხარო იქნება და არა იმისი; ან კი რაზე უნდა შევიწუხოთ თავი, თუკი ქალბატონი დუღსინე მშვიდობითა და კარგად ბრძანდება. მანამ კი სულით ნუ დავეცემით, ფათერაკები ვეძებოთ და დანარჩენზე ზრუნვა ყოვლის განმკურნავ დროს მივანდოთ, მას უარესი სენი გაუქარვებია და ამასაც ბოლოს მოუღებს.

დონ კიხოტს ის იყო უნდა ეპასუხა სანჩო პანსასათვის, და ამ დროს უცებ გზის შესახვევზე რაღაც უცნაური ფიგურებით სავსე ერთი ეტლი გამოჩნდა ეშმაკის მსგავსი მეეტლით. რადგან ეტლი თავახდილი იყო, ყველა შიგ მყოფი ადვილად გაირჩეოდა. ყოვლის უწინარეს დონ კიხოტის თვალეზი ადამიანის სახედ მოჩვენებულმა სიკვდილის სანახაობამ შეხარა. სიკვდილს გვერდით ანგელოზი უჯდა, დიდი ფერადფრთებიანი, იმის მარჯვნივ იმპერატორი ბრძანდებოდა, ოქროს მსგავსი ჯილით შემკული, ხოლო სიკვდილის ფერხით კუბიდონი იჯდა თავისი სამკაულებით: კაპარჭით, მშვილდით და ისრებით, მაგრამ თვალეზი აფარებული არა მქონდა. უკანა მხარეზე ყოველგვარი აბჯარ-საჭურველიო მოკაზმული რაინდი მოჩანდა, მხოლოდ კი უმუზარადო, - რის მაგიერ ფერადი ფრთებით მორთული ქუდი ეხურა. მას უკან რამდენიმე უცნაური სახე მოყვანილობის ფიგურა იყო და აღწერილი ჯგუფიც მით თავდებოდა. ამ მოულოდნელმა სანახაობამ დონ კიხოტი თითქმის შეაკრთო, ხოლო სანჩოს შიშის ზარი დასცა, მაგრამ რაინდი ჩქარა გონს მოეგო და წამიერი შეკრთომა მსწრაფლ სიხარულად გადაექცა, რაკი წარმოიდგინა, რომ რაღაც ახალ და საშიშარ ფათერაკს გადავეყარეო. ყოვლის დამჯახნავი ძალ-ღონით აღივსო, ეტლისკენ გაექანა, მის წინ ცხენი შეაყენა და ამაყი, მკაცრი ხმით დაუყვირა:

- მეეტლე ხარ თუ ეშმაკი, ახლავე ამიხსენი, ვინა ხარ, სად მიხვალ და ვინ მიგყავს მაგ ეტლით, ბარონის ნავს რომ უფრო მიემსგავსება, ვიდრე ჩვეულებრივ ეტლს?

ეშმაკმა აღვირი მოსწია და ტკბილი ხმით მიუგო:

- ბატონო ჩემო! ჩვენ ანგულოო უმაქნისის დასის მსახიობები გახლავართ. დღეს დილით, აგერ ის გორაკი, რომ მოჩანს, იმის გადაღმა სოფელში ქრისტეს ვნების დღესასწაულზე ერთი სასულიერო შინაარსის წარმოდგენა "სიკვდილის სასახლე" გავითამაშეთ და დღესვე საღამოზე მეორე მახლობელ სოფელში ვაპირებთ მის წარმოდგენას. და, რადგან დიდი მანძილი არა გვაქვს გასავლელი, ამიტომ ტანისამოსის გამოცვლა საჭიროდ აღარ დავინახეთ. აი, ეს ყმაწვილი კაცი, - სიკვდილზე მიუთითა და განაგრძო მან, - სიკვდილის როლს თამამობს; ეს მეორე - ანგელოზისას; ეს ქალი პიესის შემთხვევლის ცოლიც გახლავს და დედოფლის როლსაც თამაშობს; ეს კიდევ - იმპერატორისას; აი ესეც - სალდათია; მეც ეშმაკის როლი მაქვს და სიმართლით შემიძლია ჩვენს დასში უმთავრეს პირად ჩავითვალო თავი, რადგან ყველა პირველ როლს მე ვასრულებ. თუ ამას გარდა კიდევ რისიმე შეტყობა გნებავთ, მკითხეთ, მზადა ვარ გიპასუხოთ და, ვითარცა ეშმაკს, ყველა სიტყვის ღობეში ძებნა არ დამჭირდება და ჩემთვის შეუძლებელი არა არის რა.

- მოგზაურ რაინდთა პატივსა და ღირსებას ვფიცავ, - წამოიძახა დონ კიხოტმა, - თქვენი ეტლი, რომ დავინახე, მზად ვიყავ დამეფიცა, რომ რაღაც დიდსა და საშინელ ფათერაკს შევეხეჩემეთქი. ახლა კი ვხედავ, როგორ ნაკლებად უნდა დაენდოს კაცი გარეგნობას, რომ თავი მახეში არ გაიბას. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ, კეთილო ხალხო, ვისურვებ მშვიდობით გადაგებადოთ თქვენი დღესასწაული და, თუ ჩემი მხრივ, თქვენთვის რაიმე სამსახურის გაწევა შემიძლია, დარწმუნებული იყავით, დიდი გულმოდგინებით გაგიწევთ. მუდამ თეატრების დიდი მოყვარული ვიყავ, ხოლო ბავშვობისას სულ ის იყო ჩემი სურვილი, კომედიანტებისათვის მეცქირა.

სანამ ისინი ასე საუბრობდნენ, ბედად ამ დროს ერთი უკან ჩამორჩენილი მსახიობი წამოეწია მათ. მასხარად ჩაცმულს თავიდან ფეხებამდის ჟღარუნები ეკიდა და ღონის წვერზე სამი

გაბერილი ხარის ბუმტი ჰქონდა მიბმული. ეს ჰამპულად მორთული მსახიობი დონ კიხოტთან მივიდა და თავისი ღონით თამაშობა დაუწყო ბუმტებს: მიწაზე არტყამდა, ხან მარცხნივ გადაახტუნებდა, ხან მარჯვნივ და თანაც ჟღარუნებს აჟღერებდა. ამ უცნაურმა სანახაობამ როსინანტი დააფრთხო და იმის მიუხედავად, რომ დონ კიხოტი ბევრს ეცადა დაემშვიდებინა, აღვირს კბილი მოუჭირა და ისეთი სისწრაფით მოედო მინდორს, რომ იმისაგან ასეთ ამბავს არავინ მოელოდა, სანჩო საჩქაროდ ვირს მოახტა და ბატონის მისამველებლად გაექანა, მაგრამ სწორედ მაშინ მოეწია მას, როცა რაინდი და მისი ცხენი მიწაზე გართხმული ეყარნენ. როსინანტი თავის მარჯვე ახირებასა და თავდადებას მუდამ ასე აბოლოვებდა ხოლმე.

ამასობაში, სანჩო, რომ თავის ვირიდან ჩამოხტა და დონ კიხოტს მივარდა საშველად, მსწრაფლ ჰამპულასებური ჟღარუნები ანი კაცი შეახტა მის ლურჯას, ბუმტებით ცემა დაუწყო და ვირმაც ისე ტკივილისაგან არა, როგორც შიშისაგან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა იმ სოფლისაკენ მოკურცხლა, სადაც წარმოდგენისათვის ემზადებოდნენ. საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა სანჩო. აღარ იცოდა-თავის ბატონისაკენ წასულიყო თუ მასხარას დასდევნებოდა, მაგრამ ვირის სიყვარულს ბატონის სიყვარულმა დასძლია და საჭურველმტვირთველიც იმის მიუხედავად, რომ ბუმტებს მისი ვირის გავაზე ტყაპატყუპი გაჰქონდა, მაინც დონ კიხოტთან გაიქცა. ბუმტების ტყაპატყუპი სიკვდილის ლახვარივით ესობოდა სანჩოს გულს და ის ერჩინა, რომ ამ ბუმტებს მისთვის დაეზნელებინა თვალები, ვიდრე ლურჯას ძუას ოდნავადაც შეხებოდა.

გატანჯული და თავგზააზნეული მივარდა მეტად უმწეო მდგომარეობაში მყოფ დონ კიხოტს. როსინანტზე შეჯდომას, რომ შეელოდა რაინდს, სანჩომ უთხრა:

- თქვენო მოწყალეზავ, ეშმაკმა ჩემი ვირი მოიტაცა!

- რა ეშმაკმა? - გაკვირვებით ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ბუმტებიანმა ეშმაკმა, - მიუგო სანჩომ.

- დამშვიდდი, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - შენს ვირს უკანვე მოვაყვანინებ, თუნდაც ჯოჯოხეთის მიულწეველ უფსკრულეზშიაც დამალოს იგი. უკან მომყევ. ეტლი ნელა მიიზლაზნება და შენი დაკარგული ვირის სანაცვლოს მათი ეტლის ჯორებით აგინაზლაურებ.

- ნუ შეწუხდებით, თქვენო მოწყალეზავ, - დაიძახა სანჩომ, - ეშმაკმა ჩემს ვირს თავი დაანება და საწყალი აგერ უკანვე მოდის.

სანჩომ მართალი თქვა. ეშმაკი ვირიდან ძირს ჩამოვარდა, როგორც რაინდს როსინანტზე მოუვიდა და, რომ წამოდგა, მასხარა სოფლისკენ გაეშურა, ხოლო ვირი თავის ბატონებთან წამოვიდა.

- იმ ეშმაკის კადნიერებისათვის რიგია, რომელიმე მისი ამხანაგი დაისაჯოს, - თქვა დონ კიხოტმა, - თუნდაც თვითონ იმპერატორი.

- სასჯელის გადახდევინება სულ მეტია, ჯობს თავი დავანებოთ, - შეეკამათა სანჩო. - მე დამიჯერეთ და იმ მსახიობებს ნურავითარ ჩხუბს ნუ აუტეხთ. მაგათ ყველანი მფარველობას უწევენ, ერთ მსახიობს ვიცნობდი, ორი კაცის მოკვლისათვის სდევნიდნენ. ციხეშიც ჩასვეს. მერე როგორ გგონიათ, აშუშებს ისე გაუსხლტა ხელიდან, რომ თავზე ერთი თმაც არ შერხევია,



არც კი დაუჯარიმებიათ. ეს ხალხი სიამოვნებას გვაძლევს, ამიტომ მსახიობთ ყველა მფარველობს, მეტადრე თუ სამეფო დასის ანიც არიან!

- სულ ერთია, - მიუგო დონ კიხოტმა, - თუნდაც მთელმა ქვეყანამ გაუწიოს მფარველობა. იმ მასხარას მაინც დავსლა და არავის ვათქმევინებ, რომ ჩემს შურისძიებას დაუძვრა.

ეს თქვა თუ არა, რაინდი სოფელს მიახლოებულ ეტლისაკენ გაექანა, წამოეწია მას და მგრგვინავი ხმით დაუყვირა:

- შესდექით, უმაქნისნო მატანტალებო და მასხარებო! მე მსურს გაიძულოთ პატივისცემით მოეპყრათ მოგზაურ რაინდთა საჭურველმტვირთველის საჯდომ ცხოველს.

დონ კიხოტის ხმამაღალმა ყვირილმა მსახიობთა ყურამდის მიაღწია. რაკი დონ კიხოტის სიტყვებიდან ბრძოლის განზრახვა გამოდიოდა, სიკვდილი და ეშმაკი ეტლიდან გადმოხტნენ, იმათ ანგელოზი და იმპერატორი გადაჰყვა და მათ კიდევ კუპიდონი და დედოფალი, ყველამ ხელში ქვები აიღო, ეტლს ამოეფარნენ. გადაწყვიტეს დონ კიხოტის თავდასხმისათვის ელოდნათ. ჩვენმა გმირმა მტრის სიმტკიცე, რომ დაინახა, ხელეზმოდერებულნი რომ ლამობდნენ მის თავზე ქვის სეტყვა ეწვიმო, როსინანტი შეაყენა და მოსაზრება დაიწყო, როგორ მოქცეულიყო, რომ მტრისათვის მეტი სიმარჯვით შეეტია და იმათგან ნაკლები მარცხი მოსვლოდა. ამ გეგმაზე, რომ ფიქრობდა, საჭურველმტვირთველიც წამოეწია რაინდს და ასეთი დარაზმული ხალხის წინააღმდეგ შესატყვად მომზადებულ თავის ბატონს უთხრა:

- გონს მოდით, თქვენო მოწყალებავ! ქვის სეტყვისაგან შესაფარად რულის ზარის ქვეშ შეძრომა არის საჭირო. ამას ბარდაც, სისულელე არ არის იმ რაზმს დაეცეს კაცი, სადაც მებრძოლებში იმპერატორი ურევია, რომელსაც ანგელოზები და ეშმაკები მფარველობენ და სიკვდილი კიდევ წინამძღვრობს. დასასრულ იმას მაინც ვერა ხედავთ, რომ მთელ ამ ბრბოში ერთი რაინდიც არ ურევია?

- მედაჩემმაღმერთმა, მართალს ამბობ, - უთხრა დონ კიხოტმა, - და სწორედ ეგ მაიძულეხს ჩემი განზრახვა უარყო. არ ძალმიძს და არც ჯერ არს ჩემგან სხვებზე ვიშიშვლო ხმალი, თუ არა რაინდის წინააღმდეგ. სანჩო, იმათთან გასწორება შენი საქმეა; შენი ვირის შეურაცხყოფისათვის მაგიერი თვითონ შენ უნდა გადაუხადო. ხოლო მე აქ დავრჩები, რჩევას გაგიწევ და ბრძოლის დროსაც გაგამხნევებ.

- ჩემო ხელმწიფევ! - უთხრა სანჩომ, - უარს ვყოფ ყოველგვარ სამაგიეროს გადახდას. რადგან ჭეშმარიტი ქრისტიანი მოვალეა მისდა მიყენებული შეურაცხყოფა დაივიწყოს; ჩემი მშვიდობისმოყვარე სახედარიც, მგონია, ჩემი აზრისაა. მე დამიჯერებს.

- თუ შენ მაგ აზრისა ხარ, ჩემო გულკეთილო, გონიერო, ქრისტიანო და მშვიდობისმოყვარე სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაშ დავუტევოთ ეს მოჩვენებანი და უკეთესი ფათერაკების საძებნელად წავიდეთ; ეს მხარე, როგორც მგონია, სხვადასხვაგვართ ფათერაკებით უხვი უნდა იყოს.

ეს თქვა და გზას გაუდგა. საჭურველმტვირთველიც უკან მიჰყვა. ამის შემდეგ სიკვდილიც ამხანაგები ანად ისევ ეტლში ჩაჯდა და თავის გზას არხეინად დაადგა. გონიერი სანჩოს რჩევის წყალობით ჩვენთა ფათერაკების მაძებართაგან სიკვდილის ეტლის შეხვედრა ასე ბედნიერად გათავდა. მადლობა ვუთხრათ სანჩოს ის კეთილი რჩევისათვის, რომელიც მისცა დონ კიხოტს.

მას კი მეორე დღე ერთ სხვა გამიჯნურებულ და მოგზაურ რაინდთან ახალ შეხვედრას უქადა და ეს ამბავი იმად ღირს, ცალკე თავში, რომ მოვაქციოთ.

თავი XII

საშინელი ფათერაკი, სახელოვან დონ კიხოტს მამაც სარკეთა რაინდთან, რომ მოუხდა

სიკვდილის ეტლთან შეხვედრის დღეს, რომ ღამე მომყვა, ის ღამე რაინდმა თავის საჭურველმტვირთველით დიდრონი ხეების განიერ ჩრდილქვეშ გაატარა და ჩვენმა ფათერაკების მამებრებმა იქვე ივახშმეს იმ საგზლით, ვირს რომ ჩანთით მოჰქონდა. ვახშამს, რომ მიირთმევდნენ, სანჩომ უთხრა თავის ბატონს:

- ხომ ცუდად მოვიქცეოდი და სულელი და ხეპრე ვიქნებოდი, თქვენო მოწყალეზავ, სამი კვიცის მაგიერ ჩემს ჯილდოდ თქვენი უკანასკნელი ფათერაკის ალაფი რომ მერჩია? დიახაც მართალს ამბობს ანდაზა: "ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი გერჩივნოსო".

- არცთუ სტყუი, - მიუგო დონკიხოტმა, - მაგრამ მაინცვეჭვობ-ზარალში ყოფილიყავ, თუ გამიშვებდი როგორც მე მინდო და იმ მსახიობებს გავსწორებოდი, ახლა შენს ხელში იქნებოდა იმპერატორის ოქროს გვირგვინი და კუპიდონის გაფერადებული ფრთები.

- არასოდეს, - შეესიტყვა სანჩო, - ტაკიმასხარა იმპერატორების არც გვირგვინი და არც სკიპტრა ბაჯალლო ოქროსი არ ყოფილა. ყველაფერი ეს ზიზილპიპილებია ან თუნუქის ნაჭერი.

- მარილი ხარ, - დაეთანხმა დონ კიხოტი.-მართლაც უცნაური იქნებოდა სათეატრო სამკაული ძვირფასი მასალისაგან ეკეთებინათ. ისინი ისე მომჩვენებლნი და მიმბამველურნი უნდა იყვნენ, როგორც თვითონ დრამაც მომჩვენებელია. მართლა, სანჩო, რაკი თეატრი ვახსენეთ, გირჩევ აოვალწუნებით ნუ მოეკიდები ნურც დრამატიულ ოხზულებას და ნურც მსახიობებს. ერთიც და მეორეც საზოგადოებისათვის ყველა დიდად სასარგებლო ხალხს შეადგენენ. სცენა სარკეა, რომმელშიც სრულიად დაწვრილებით იხატება ჩვენი ცხოვრება. იგი გვიჩვენებს, რაც უნდა ვიყვნეთ და ნამდვილად რანი ვართ. ჩემო მეგობარო! უეჭველია, პიესები გინახავს, სადაც მოქმედნი პირნი ყოფილან მეფეები, ბერები, რაინდები, მანდილოსნები და სხვა პირები. ერთს გარყვნილი ყაჩაღი წარმოუდგენია, მეორეს ხრიკიანი გაიძვერა, მესამეს ჯარისკაცი, მეოთხეს მიჯნური, მეხუთეს ვაჭარი და სხვა. და ყველა ეს იყო პიესის დასასრულამდე; ხოლო დასრულების შემდეგ ყველა თავის ნიღაბს იხსნიდა და კულისებს შიგნით ყველანი თანასწორნი ხდებოდნენ.

- როგორ არა, ეგ ყველა მინახავს, - უპასუხა სანჩომ.

- ჩემო მეგობარო, განა ჩვენი ცხოვრების სცენაზედაც ყველა ეგ არა ხდება, სადაც ერთნი იმპერატორების როლს თამაშობენ, მეორენი - პაპებისას, ერთი სიტყვით ყველა პიროვნებას, როგორც კი კომედიებსა და დრამებშიც გვხვდება. და როდესაც ჩვენ სიცოცხლესთან ერთად ჩვენი საზოგადოებრივი როლიც თავდება, როდესაც სიკვდილი ჩვენს ამამალლებელ და დამამდაბლებელ ნაირფეროვან სამოსს მოგვხსნის, მაშინ საფლავში ყველანი თანასწორნი ვხდებით.

- ხშირად გამიგონია ეგ ძველი შედარება, მუდამ, რომ ჭადრაკის თამაშს გამახსენებს ხოლმე, - უპასუხა სანჩომ, - ჭადრაკის თამაშშიაც ყველა ფიგურას დროებით რამე ღირსება ეძლევა და, თავდება თუ არა თამაშში, ფიგურებს კრეფენ და კოლოფში ყრიან, ვით საფლაფში ხალხს მათი უწინდელი წოდებისადმი ყურადღების მიუპყრობლად.

- მე ვხედავ, სანჩო, რომ შენ დღითი დღე გონიერება გემატება, შენიშნა დონ კიხოტმა.

- დიახაც, - მიუგო სანჩომ, - დღემუდამ თქვენი მოწყალების გვერდით ვატარებ და როგორ შეიძლებოდა რამე არ მესწავლა მთლად ქვიშიანი ნიადაგი რომაა და არაფერი მოჰყავს სასუქს რომ დააყრიან და მოვლას დაუწყებენ, ისიც მოსავლის მოცემას დაიწყებს ხოლმე თქვენი ბრძნული ლაპარაკი და საუბარი რა იყო ჩემთვის, თუ არა განოყივრება ჩემი გონების მოუვლელი ნიადაგისათვის ღვთის მადლითაც მგონია ის ნიადაგი იმის ღირსი შეიქმნას, რაც მასზე შრომაა დახარჯული.

რაინდს არ შეეძლო თავისი საჭურველმტვირთველის ეს მაღალფარდოვანი სიტყვები და საგანგებო შედარება ღიმილით არ მოესმინა თანაც არ დაჰკვირვებოდა მისი ეგოდენი წარმატება. მართლაც, სანჩომ ბოლო ხანებში საკვირველად დაიწყო ლაპარაკი, მხოლოდ კი როდესაც მეტად მჭევრმეტყველური ლაპარაკი მო ეპრიანებოდა იმის მსგავსად, როგორც ახალგაზრდა სტუდენტებმა მეცნიერული კამათის დროს იციან, გადაჭარბებული მჭევრმეტყველებისაგან რომავს მოჰყვებოდა ხოლმე. უფრო შნოიანად კი ან დანებით ლაპარაკი გამოუდიოდა თუმცა მაშინაც შიგადაშიგ უადგილოდ სხვა ანდაზებსაც დაურთავდა, როგორც ეს მკითხველმა უკვე ნახა და კვლავაც კიდევ ნახავს ამ ისტორიის მანძილზე.

რამდენიმე ხანს კიდევ ილაპარაკეს ასე და სანჩომ ოვალები მილულა ეს იმის ჩვეულებრივი ნიშანი იყო, რომ ძილი ერეოდა ვირს კურტანი მოხდა და სამოვარზე გაუშვა, ხოლო როსინანტს მარტო აღვირი მოხსნა, რადგან უნაგირის მოხსნა დონ კიხოტისაგან სასტიკად ჰქონდა აკრძალული, როდესაც ღამის გათევა ცის ქვეშ მოუხდებოდათ ხოლმე. ამით დონ კიხოტი რაინდთა ძველ და სასტიკ ჩვეულებას იცავდა, რომელიც ამცნობდა: "აღვირი მოხსენ და უნაგირის ტახტაზე გაუკეთე, ხოლო უნაგირი არამც და არამც არ მოხსნაო". სანჩო ასე მოიქცა და როსინანტს ნება მისცა ვირთან ერთად თავისუფლად ებალახა. მამისაგან შვილებზე გადმოსული გადმოცემა ამბობს, რომ სახედარისა და როსინანტის - მთელ ქვეყანაზე ამ ორი უმშვიდობიანესი ცხოველის მეგობრობა ისეთი წრფელი და სამაგალითო იყო, რომ თაობიდან თაობაში დარჩეული იყო ხმა, თითქოს ამ მართალი ისტორიის ავტორმა საკუთრად ამ ცხოველთა მეგობრობას პირველ ხანებში რამდენიმე თავი უძღვნაო. მაგრამ შემდეგში ის თავები შეამოკლა, რათა თავისი შრომის ღირსება დაეცვა, ისეთი საგმირო ისტორიის შესაფერი, როგორც ჩვენი რაინდის ისტორიააო, მაინც შიგა და შიგ გულმავიწყ ობს, ამ წესს არღვევს და წერს, მაგალითად, რომ, როცა ჩვენი ცხოველები ერთად შეიყრებოდნენ, მაშინვე ერთმანეთს ფერდებსა ფხანდნენ და, როდესაც ეს ურთიერთსამსახური მოსწყინდებოდათ, მაშინ როსინანტი (ნახევარ ალაბზე კისერწაშვერილი) ვირის კისერზე თავს დადებდა, შემდეგ ორივე თვალებს ძირს დახრიდნენ და ამ ყოფაში მზად იყვნენ თუნდაც სამიოდე დღე ყოფილიყვნენ, თუ ამ ნეტარებისაგან ხალხი ან შიმშილი არ გამოიყვანდა. ამბობენ კიდევ, მწერალს ვითომც თხზულება დაეტოვებინოს, რომელშიც ეს მეგობრობა ნისესა და ევრიალეს და აგრეთვე პილადისა და ორესტის უმეგობრობისათვის შეუდარებია - ისე დიდად მიაჩნდა მას როსინანტის და ვირის მეგობრობა. მაგრამ ესეც არის, იქნება ამით უნდოდა შემთხვევით ესარგებლა და ადამიანთათვის სამარცხვინოდ გაეხსენებინა, თუ როგორ ადვილად ღალატობენ

და არაფრად აგდებენ ხოლმე ისინი მეგობრობას და სიამ ტკბილსა და საამურ ურთიერთობას, რასაც ცხოველებიც კი ერთგულად იცავენ, სწორედ ამიტომაც ნათქვამი:

ნამდვილ მეგობარს ვერსად ვერ ნახავ:

დაგედირება ლერწამი ლახვრად.

ანდა კიდევ:

უნდა უთმინო მეგობარს მუდამ,

თვალში ბაღლინჯოც ჩაგისვას თუნდაც.

ამ შედარებისათვის ნურავინ უსაყვედურებს მწერალს, ვითომც მან ჭეშმარიტებას გადაუხვიაო და ამ ცხოველთა მეგობრობა კაცთა მეგობრობას შეადარაო, რადგან ცხოველებისაგან ადამიანებმა ჭკუის სასწავლი მრავალი გაკვეთილი მიიღეს და ბევრი საყურადღებო რამ გაიგეს. ამის გასამართლებლად მე ვუჩვენებ ყველასაგანა ნაქებ-ნადიდებ ძაღლის ერთგულებას, ჭიანჭველის შორსმჭვრეტელობას, წეროს სიფრთხილეს, სპილოს კეთილგონიერებას და ცხენის გულწრფელობას, რომლებზეც თვითონ ადამიანს სამაგალითოდ, ვუთითებ ხოლმე.

დაბოლოს, ჩვენმა ფათერაკების მამებრებმა მიიძინეს თუ არა, სანჩომ თავის ახლოს მდებარე მორზე, ხოლო დონ კიხოტმა დიდი მუხის შეფოთლილ ტოტებს ქვეშ, უეცრად რაინდი მის უკანა ტეხილმა ხმაურობამ გააღვიძა, რომ გაეგო, რისგან იყო ეს ხმაურობა, დის კიხოტი წამოდგა და იქვე ახლოს ორი ცხენოსანი კაცის ლაპარაკი გაიგონა. ერთი მათგანი ცხენიდან ჩამოხტა და მეორეს უთხრა:

- ჩემო მეგობარო, ჩამოხტი და ცხენებს აღვირი წააძრე, ესენი აქ თავისთვის საკმაო ბალახს იშოვიან, ხოლო მე - ჩემთა სატრფიალო ფიქრთა ჩასართველად - სიჩუმესა და მყუდროებას, რაც ყველაზე უფრო მეჭირვება.

ესა თქვა და წამსვე მხართემოზე წამოწვა. ბალახზე, რომ წვებოდა, მისმა იარაღმა დააჩხრიალა, ახლა დონ კიხოტისათვის ცხადი იყო, რომ მის ახლოს სხვა მოგზაური რაინდი იმყოფებოდა. მაშინვე სანჩოს ხელი წაჰკრა, ძლივს გამოაღვიძა და ჩუმად უთხრა:

- ჩემო მეგობარო! ჩვენ ახლა ახალი ფათერაკის პირისპირ ვიმყოფებით.

- ღმერთმა ინებოს, ვარგისი გამოდგეს ეგ ფათერაკი, - მიუგო სანჩომ. - მაგრამ ერთი მიბრძანეთ, ჩემო ბატონო, ეგ ფათერაკი სად არის?

- სადა? - მიუგო დონ კიხოტმა, - აბა, გარშემო მიმოიხედე და დაინახავ მოგზაურ რაინდს, როგორც მგონია - რაღაც მიზეზით ძალიან შეწუხებულს. მე დავინახე, ისე მძიმედ დაეცა მიწაზე, რომ მთელმა მისმა საჭურველმა ჩხრიალი მოიღო.

- ფათერაკს მაინც ვერა ვხედავ, - გაუმეორა სანჩომ. - რატომ გგონიათ, რომ ეს მაინცდამაინც ფათერაკი უნდა იყოს?

- მე როდისღა ვამბობ ფათერაკს; მარტო იმას გეუბნები, ფათერაკის გზაზე ვდგავართ-მეთქი. ყველა ფათერაკი ასე იწყება. აცა, ჩუმად! რაინდი მგონია ჩანგსა მართავს ან ბარბითს და ჩახველებაც და ამოფურთხებაც იმას უგავს, რომ ყელს იწმენდს და სიმღერას აპირებს.

- ღმერთმანი, მართალსა ბრძანებთ, - უთხრა სანჩომ, - ყველაფრიდან ჩანს, გამიჯნურებული რაინდი უნდა იყოს.

- სანჩო, ნუთუ გგონია, რომ გაუმიჯნურებული მოგზაური რაინდი არის სადმე? ყველა მოგზაური რაინდი აუცილებლად გამიჯნურებულია, - მიუგო დონ კიხოტმა. - აბა ყური დაუფიქროთ. ძაფის წვერს ხელი წავატანოთ და მთელი გორგალი გაიხსნება. უეჭველია, სიმღერაში თვის მიჯნურს გაამყდვენებს, რადგან ხშირად მოზღვავებული გრძნობა ენას აალაპარაკებს ხოლმე.

სანჩოს რაღაც უნდოდა ეპასუხა თავის ბატონისათვის, მაგრამ მას ხელი შეუშალა ტყის რაინდის ხმამ, რომელიც არც ძალიან კარგი და არც ძალიან ცუდი იყო, ჩვენმა მეგობრებმა ყურადღებით მოისმინეს შემდეგი

სონეტი

ო, ქალბატონო, გთხოვთ მიბრძანოთ მოუკრძალებლად,

ერთი მიზანი დამისახეთ, როგორც გინდათ;

თქვენს წინ პირნათლად მოვიხადო მე ვალი წმინდა

და განუხრელად შევასრულო თქვენი ბრძანება.

იქნებ გსურთ მოგკვდე. მე სიცოცხლე არ მენანება,

აი, მე მოგკვდი წამებაში უხმოდ და მშვიდად.

თუ შორი მხრიდან ამის მაცნე არ მოგივიდათ,

თვითონ ამურმა შეასრულოს ეს დავალება.

ეს ჩემი გული თუმცა არის მტკიცე ალმასი,

შეერთებია მტკიცე ალმასს რბილი სანთელიც,

რომ ემსახუროს სიყვარულის ძალას მარადისს.

სანთელი არის თუ ალმასი, -თქვენ გითავაზეთ,

დაე, ჩემს გულზე ამოსჭერით თქვენი სათქმელი,

ვფიცავ, ვატარო წარუშლელად კუბოს კარამდის.

უკანასკნელ სიტყვებზე ტყის რაინდმა ღრმად ამოიოხრა და შემდეგ წამოიძახა: "ოჰ!"-და თითქოს ეს გმინვა მთელი გულის სიღრმიდან აღმოხდა; - შემდეგ უმაღვე მჭმუნვარე და სევდიანი ხმით იწყო ჩივილი:

- ჰოი, უმშვენიერესო და უუმაღურესო მთელი ქვეყნის ქალთა შორის! უბრწყინვალესო და უმაღლო კასილდე დე ვანდალია, რად მიუსაჯე შენგან ტყვექმნილ რაინდს საუკუნო ხეტიალი და გაუჩინე მძიმე მკაცრი გაჭირვებანი? ნუთუ ის არ იკმარე, რომ ჩემმა მამაცობამ და ჩემმა

მკლავმა აიძულა ნავარის, ლეონის, ტარტესის, კასტილიისა და ბოლოს ლამანჩის ყველა რაინდი მთელ მსოფლიოში უმშვენიერეს ბანოვანად ეცენე?

- ლამანჩელიო? ვერ მოგართვეს, - წაილაპარაკა დონ კიხოტმა. - მე თვითონ ლამანჩელი რაინდი ვარ, მაგრამ არასოდესაც ასეთი რამ არ გამიგონია და არც ვცნობ რასმე ჩემი ქალსა ტონის დულსინეს მშვენიერებისათვის საწყენსა და დამამცირებელს. სანჩო, - განაგრძო მან, - ეს რაინდი რაღაცას როშავს, მგირამ ყური დავუგდოთ, კიდევ რას იტყვის.

- დავუგდოთ, - მიუგო სანჩომ, - ეს ბატონი, ეტყობა, აქ საგოდებლად მთელი თვით დაბინავდა.

მაგრამ სანჩოს მოლოდინი არ გამართლდა, რადგან ტყის რაინდმა იქვე ახლოს ვიღაცის ხმა გაიგონა თუ არა ვილი შეწყვიტა, ადგა და ხმამაღლა. დაიძახა:

- ვინა ხართ აქ? რა ხალხი ხართ? მოხარულნი თუ მწუხარენი?

- მწუხარენი, - მიუგო დონ კიხოტმა.

- მაშ მომიახლოვდით. - დაუძახა ტყის რაინდმა. - იცოდეთ, რომ ჩემშიაც განსახოვნებულ მწუხარებას და სევდას შეხვდებით.

როცა ასეთი ალერსიანი და თავაზიანი პასუხი მოესმათ, სანჩო და დონ კიხოტი მივიდნენ ტყის რაინდთან მან რაინდს ხელი გამოართვა და უთხრა:

- დაბრძანდით, პატიოსანო რაინდო! იმის გამოსაცნობად, რომ თქვენ ნამდვილი რაინდი ბრძანდებით და მოგზაურთა დასს ეკუთვნით, ჩემთვის ისიც საკმაოა, რომ აქ შეგხვდით, ამ უღრან ტყეში, სადაც გშთენიათ მარტოოდენ განმარტოება და კაშკაშა ზეცა - მოგზაურ რაინდთა ჩვეულებრივი სამყოფელი და განსასვენებელი.

- გამოიცანით, - მიუგო დონ კიხოტმა: - მე ნამდვილად მოგზაური და მწუხარე რაინდი გახლავარ, და თუმცა ჩემს სიცოცხლეში ბევრი უბედობა, სიდუხჭირე და ტანჯვა გამომიცდია, მაინც სხვისი მწუხარებისათვის გრძნობა არ დამდუნებია. როგორც თქვენი წელანდელი სიმღერის სიტყვები მაგონებენ, უფლება მაქვს დავასკვნა, რომ თქვენც ულმობელი მშვენიერის სიყვარულით იტანჯებით, ვისი სახელიც წელან წარმოთქვით.

რაინდები მდელიოზე ერთიმეორის პირისპირ დასხდნენ და ისე მეგობრულად და მშვიდობიანად მუსაიფობდნენ, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ განთიადისას ისინი ერთმანეთს თავ-პირს დაამტვრევდნენ.

- პატიოსანო რაინდო! - ეუბნებოდა ტყის რაინდი დონ კიხოტს, - მითხარით, თქვენც გამიჯნურებული ხომ არა ხართ?

- საუბედუროდ გახლავარ, - მიუგო დონ კიხოტმა. - თუმცა ესეც არის, ზოგიერთ შემთხვევაში ღირსეული ბანოვანის გამიჯნურებით მიღებულ ტანჯვას შეიძლება უფრო ბედნიერება ეწოდოს, ვიდრე უბედურება.

- თანახმა ვარ, - ამბობდა ტყის რაინდი, - თუ ულმობელი მშვენიერის გულგრილობა ბოლოს ჩვენს გონებას არ არევს და მას შურისძიების გზაზე არ დააყენებს.

- რაიცა მე შემეხება, - თქვა დონ კიხოტმა, ჩემი მიჯნურისაგან არასოდეს არ მინახავს გულგრილობა და არც მისი სიძულვილი განმიცდია.

- არასოდეს, დაატანა ახლო მდგომმა სანჩო, ჩემი მიჯნური კარაქზე ნაზია და ბატკანზე უფრო მშვიდი.

- ეს თქვენი საჭურველმტვირთველი ხომ არ არის? - ჰკითხა ტყის რაინდმა დონ კიხოტს.

- სწორედ ის გახლავთ, - მიუგო დონ კიხოტმა.

- პირველად ვხედავ, რომ საჭურველმტვირთველი თავისი ბატონის ლაპარაკის დროს ასე თამამად ლაპარაკობდეს. ჩემს უკან ჩემი საჭურველმტვირთველი დგას, სიმაღლით თავის საკუთარ მამას არ ჩამოუვარდება, და მერწმუნეთ, რომ ჩემს წინ ხმის ამოდებას არასოდეს არ გაბედავს.

- მე კი ვლაპარაკობ და კვლავაც ვილაპარაკებ, - შეესიტყვა სანჩო, - არ შემეშინდება ასეთი... არ დავამთავრებ; ჯობს ამ საქმეს თავი დავანებო.

ამ დროს ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა კალთა დასწია სანჩოს და ყურში უჩურჩულა:

- გამიგონეთ, ძმობილო, მყუდრო ადგილი მოვნახოთ სადმე და ერთი ჩვენებურად ლაპარაკით გული გავიძლოთ მე და შენ. ჩვენმა ბატონებმა კი, და შუბები ერთმანეთს შეამტვირონ, თავსა ვდებ სანაძლეოდ, ის იყბედებენ თავიანთ მიჯნურობაზე, ალბათ დილამდეც ვერ გაათავებენ.

- აგრე ვქნათ, - დათანხმდა სანჩო, - და გეტყვით კიდევ, ვინცა ვარ და იმასაც დაგიმტკიცებთ, რომ იმ გვარებისა არა ვარ, ენის დაოკება არ ვიცოდე და სხვა საჭურველმტვირთველებივით მოლაყბე ვიყო.

ამ სიტყვებით საჭურველმტვირთველები გაშორდნენ ბატონებს და მათ შორის ისეთივე საყურადღებო და სერიოზული საუბარი გაიმართა, როგორც აგრეთვე მათმა პატრონებმა გააბეს ერთმანეთთან.

### თავი XIII

სადაც გრძელდება ფათერაკი ტყის რაინდთან

და მოთხრობილია ორი საჭურველმტვირთველის

გონივრული, არაჩვეულებრივი და სასიამო საუბარი

ბატონებს, რომ თავი დააღწიეს საჭურველმტვირთველებმა, ერთმანეთს თავიანთი ცხოვრება უამბეს. ბატონებმა კიდევ ურთიერთს თავიანთი საიდუმლო გაუზიარეს. ისტორია ჯერ საჭურველმტვირთველების საუბარს გადმოგვცემს და შემდეგ ბატო. ნების თავგადასავალს ეხება. ამ ამბავში ნათქვამია, რომ , როდესაც ისინი ბატონებს განშორდნენ, ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა უთხრა სანჩოს:

- ჩემო მეგობარო, შეუძლებელია არ გამოგიტყდეთ, რომ იშვიათი ადამიანის სიცოცხლეა ისეთი გაჭირვებული ყოფა, როგორცაა მოგზაური საჭურველმტვირთველის სიცოცხლე. სხვა

ადამიანებთან შედარებით, თითქოს მომეტებულად ჩვენ დაგვატყდა თავს ის ღვთის შეჩვენება, რა შეჩვენებაც ღმერთმა ჩვენს მამამთავარს დაატეხა, როდესაც უთხრა: ოფლითა პირისა შენისათა ჭამდე პურსაო.

- და ტანის სიცივითა, - დაუმატა სანჩომ, - რადგან, აბა ვინ იქნება, რომ მოგზაური რაინდის საჭურველმტვირთველზე მეტ სიცივეს და სიცხეს ითმენდეს. კარგია, თუ მუდამ გვაქვს თან წალბებული პური, "ცის ქვეშ პურით კარგად იცხოვრებო", ამბობს ანდაზა, მაგრამ ხათა ის არის, რომ რამდენიმე დღეობით ჩაყრი არ ჩადის ჩვენს პირში და, რომ ვსუნთქავთ, იმ ჰაერით ვიკვებებით.

- როდესაც მომავალში რისამე მიღების იმედი გაქვს, კიდევ ჰო, დიდი რამ არის მოითმინო, - თქვა ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა, - მაგრამ, აბა, თვითონ თქვენ იფიქრეთ, ის რა. იხდი რა რაინდია, რომ იმედი არა ჰქონდეს, ოდესმე მაინც დააჯილდოვოს თავისი საჭურველმტვირთველი რაიმე კუნძულით ან სულ ცოტა--საგრაფოთი მაინც.

- მე, - უთხრა სანჩომ, - უკვე ვუთხარი ჩემს ბატონს: რომელიმე კუნძულის გუბერნატორ ობითაც დავკმაყოფილდები-მეთქი, და ისე უხვი და მაღლიერია, რომ მის მოცემას ძალიან ბევრჯერ დამპირდა.

- მე მცირედითაც ვკმაყოფილდები, - მიუგო ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა, - მე ისიც მეყოფა, თუ ჩემი სამსახურისათვის მღვდლობას მომცემენ და ჩემი ბატონისაგან დანაპირები სამრევლო მივიღო.

- თქვენი ბატონი მაშ სასულიერო რაინდი ყოფილა, - უთხრა სანჩომ, - იმიტომ თუ დაგპირდათ სამრევლოს. ჩემი კი საურით, თუმცა ბევრი გონიერი, მაგრამ ჩემი ფიქრით, საეჭვო პირი, ურჩევდა მთავარეპისკოპოსი გამხდარიყო. ჩემდა საბედნიეროდ სხვა რამედ ყოფნას არასოდეს არ თანხმდებოდა, თუ არ იმპერატორად; მაინც მართალი უნდა გითხრათ, მუდამ იმ შიშში ვარ, არ იფიქროს-მეთქი და სასულიერო რაინდი არ შეიქმნას, რადგან, ჩვენში კი დარჩეს, თუმცა უჭკუო არა ვარ, მაინც სასულიერო რამ ადგილზე სულელთა სულელი ვიქნებოდი.

- მაინცდამაინც ნუ იფიქრებთ, რომ კუნძული ისეთი რამ დაუფასებელი განძი იყოს, როგორც თქვენ გგონიათ, - უთხრა სანჩოს მისმა მოსაუბრემ. - ბევრია ბეჩავი და უდაბური კუნძული, მაგრამ საუკეთესო მათგანიც მძიმე ტვირთია მათი პატრონებისათვის და ის სიმძიმის ქვეშ მათ ქანცი უწყდებათ ხოლმე. ღმერთმანი, ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა შინ ვყოფილიყავით და ხან გენადირა, ხან თევზთ დაგვეჭირა და ჩვენი თავი ამ დაუსრულებელ ტანჯვისთვის არ შეგვეწირა. ჩვენი ამქრის ხალხს, მოგზაურ საჭურველმტვირთველს, რაც უნდა ღარიბიც იყოს, ერთი წყვილი მწევარი მაინც მოეძებნება და ერთი რამ ჯაგლაგი ცხენიცა, და თუ ესეც არა ჰყავს, თევზის საჭერი ანკესი ხომ ეგდება სადმე.

- ჯაგლაგის გარდა დანარჩენი ყველა მომეპოვება, - მიუგო სანჩომ. - ამასთან ჩემი სახედარი (მისი თავის მოსაწონად არ ვამოზ), ღმერთსა ვფიცავ, ჩემი ბატონის ორ ცხენად ღირს, და ღმერთმა აღდგომის დილა სიხარულით არ გამითენოს, თუ ოდესმე ბატონის ცხენზე გავცვალო იგი, ზედ სართად ოთხი ფანეგა შვრიაც, რომ წამომიმატოს. თქვენ არც კი დამ იღერებთ, თქვენო მოწყალებავ, თუ რა შესანიშნავია ჩემი ლურა, - დიახ, მას ლურჯი ფერი აქვს. მწევრებს კი, რომ ამბობთ, რა ეშმაკად მიხნდა, ჩემთვის სულ ერთია-მყავს თუ არა; მე მგონია, ნადირობა მარტო სხვისი ხარით არის სასიამოვნო.



- იცით, რას გეტყვით, სენიორ საჭურველმტვირთველო, შენიშნა ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა, - მე გადავწყვიტე ამ სასაცილო რაინდობას გამოვესალმო და ჩემი სახლის გზას დავადგე, ვიცხოვრებ ჩემთვის მშვიდობიანად ჩემს ოჯახში და შვილებს აღვზრდი, ღვთის მადლით სამი, რომ მყავს, მშვენიერები, აღმოსავლეთის მარგალიტის მსგავსები.

- მე კი ორი მყავს, - მიუგო სანჩომ, მაგრამ ისეთები არიან, რომ შეიძლება პაპთან გაიგზავნონ საჩვენებლად, მეტადრე ქალი ფრიად მშვენიერი არსებაა. თუ ღმერთი შემეწია, იმედი მაქვს გრაფს ვისმე შევართო, თუმცა ჩემი ცოლი ამის წინააღმდეგ არის.

- რამდენი წლისა გყავს ის მშვენიერი არსება, გრაფის ცოლი, რომ უნდა გახდეს? - ჰკითხა მეორე საჭურველმტვირთველმა.

- თხუთმეტისა, ან იქნება ორი წლით მეტისა ან ნაკლებისა, მიუგო სანჩომ, - საროსავით ტანწერწეტია, აპრილის დილასავით ქორფაა და კურტნის მუშასავით ღონიერი.

- დალახვროს ღმერთმა, შესძახა ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა, ერთად რამდენი ღირსება ჰქონია. გრაფის ცოლად კი არა, მწვანე ჭალაკის ნიმიფად ყოფნაც უპრიანია იმისათვის" დახეთ იმ მეძავსა და მეძავის შვილსა, რა ტურფა რამ იქნება შეშის გუდღურა აკიდებული!

- ძალიან ტურფაა, - გააწყვეტინა სანჩომ, - მაგრამ არც ის, და არც მისი დედა, და არც ვინმე ჩვენგანი, ღვთის მადლით, მეძავი და მემრუშე არა ვყოფილვართ და იმასაც ინებებს უფალი არც ვიქნებით, ვიდრე პირში სული მიდგას. ამიტომ, თუ ღმერთი გწამთ, ცოტა ზრდილობიანად ილაპარაკეთ. მოგზაური რაინდების საზოგადოებაში ვართ აღზრდილი, ზრდილობის მაგალითად, რომ ითვლებიან, ამიტომ ეგ თქვენი სიტყვები ვერაფრად მეჭაშნიკება.

- ქებისა თქვენ არაფერი გცოდნიათ, თქვენო მოწყალეზავ, - მიუგო ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა, - განა არ გაგიგონიათ, მაგალითად, ცირკში, როდესაც კაბალიეროს ხარისთვის შუბი მარჯვედ უკრავს, ანუ როდესაც ვისმე რამე მარჯვედ მოუხდენია, მაშინ ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე: "შეხე იმ მეძავსა და მეძავის შვილს, რა მარჯვედ მოახერხა, ანუ რა მარჯვედ სტაკიგაო". მაშინ ეს სიტყვები ლანძღვა კი არ არის, პირიქით ქებას ნიშნავს მე, როგორც ვატყობ, არ შეგფერით ისეთი ბავშვების ყოლა, რომ ასეთი ქების ღირსნი იყვნენ.

- დასწყევლოს ღმერთმა, - შეჰყვირა სანჩომ, - თუ ეგრეა და ახლა ლანძღვა ქებადა ღირს, მამ მეცა და ჩემი ცოლიც და მთელი ჩემი საგვარეულოც ხორცმესხმულ გაიძვერებად და მეძავებად უნდა ვითვლებოდეთ, რადგან, რასაც ისინი რამეს ამბობენ, რასაც აკეთებენ, ყოველგვარი სალანძღავი და არა სალანძღავი ქების ღირსია. ნეტავი ჩქარა მაჩვენა ისინი. უფალს მუდამ იმას ვევედრები, ამ მომაკვდინებელი ცოდვისაგან დამიხსნას-ამ შეჩვენებული მოგზაური რაინდობის საჭურველმტვირთველის ხელობისაგან. რა ეშმაკმა მძლია, რომ მეორედ მოვკიდე ხელი ამ ხელობას; იმან წამიტყუილა, რომ მეორედ მეპოვა ასი ოქროთი სავსე ქისა, როგორც პირველში სიერა-მორენის ხეობებში ვიპოვე. აი, მას აქეთ ეშმაკი მაგულიანებს და სულ ოქროთი გატენილ დიდ ქისას მაჩერებს: ხან შიგ ცხვირის წინ მეჩვენება, ხან ერთ და ხან მეორე გვერდის ქვეშ მეჩვენება, თითქოს აი ეს არის ხელშიაც მიჭირავს, შინაც მიმაქვს, იქ იმდენ რამეს ვყიდულობ და იმდენ შემოსავალს ვშოულობ, თითქოს ვინმე თავადი ვიყო. და როდესაც ამაზე ფიქრს მოვყვები, მაშინ ყველაფერი მავიწყდება, რასაც გაჭირვებას ვიტან ამ ჩემს ცოტა ჰკუაზე

მწყრალად მყოფი ბატონის უკან ტანტალში. ცოდვა გამჟღავნებული ჯობია, ჩემი თვალითა ვხედავ, რომ ჩემი ბატონი ჭკუაზე შემცდარს უფრო ჰგავს, ვიდრე რაინდსა.

- ტყუილად კი არ ამბობს ანდაზა, - უპასუხა მოსაუბრემ სანჩოს, რასაც ნაპირს იქით დააწყო, იმას შიგ არ ჩააწყო. და თუ საქმე მართლის თქმაზე მივარდა, გეტყვი, რომ ჩემს დამთხვეულსაც მეორეს მსგავსს ზეტად უპოვი, რადგან კაცთა ის რიგს ეკუთვნის, რომელთა შესახებ ამბობენ: "ჩაიღრმო ვირი სხვისი ჯაფითაო". ეს ვაჟბატონიც იქამდის უზომოდ ზრუნავს თავის მახლობლებზე, რომ ერთი თავისი უჭკუო ნაცნობის ჭკუაზე მოსაყვანად თავის საკუთარ გონებას კარგავს.

- გამიჯნურებული ხომ არ არის? - ჰკითხა სანჩომ.

- დიახ, გამიჯნურებულიცაა, - მიუგო ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა: - ვილაც კასილდე დე ვანდალიას გაუმჯნურდა, მეტად სასტიკსა და უგერგილო მანდილოსანს. მაგრამ ის მარტო ერთი ფეხით არა კოჭლობს, იმისი გუნება სხვარიგადაც არის აფორიაქებული და ამას ჩქარა გამოაჩენს.

- მერე რა - უთხრა სანჩომ, - ისეთი გზა სად არის, რომ ქვეები და ღრანტეები არა ჰქონდეს და იმათი აქცევა არ დასჭირდეს ადამიანს? თუ შენ ჩემო ძამიავ, ცერცვს ჯერ ახლა გახარშვინებენ, მე დიდი ხანია შენელებულიცა მაქვს. ამ ქვეყანაზე, როგორც ვხედავ, უჭკუობას ჭკუაზე მეტი მეგია ბარი და ამფსონი ჰყავს. და თუ ის მართალია, რომ ამბობენ: დარდი თუ სხვას გაუზიარე გულს მოგეშვებაო, მაშ ჩვენ ორივემ უნდა ვინუგემოთ, ორნი ჭკუაარეულ ბატონებს, რომ ვემსახურიბით.

- ჩემი, რომ ჭკუაარეულია - მართალია, მაგრამ მამაცი არის და მასთან ისეთი უმაქნისიცა, რომ დამთხვეულობა და მამაცობა იმასთან შედარებით, რანაირი უმაქნისიც ის არის, არაფრად ჩაითვლებიან, - თქვა ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა.

- ეგ კი, ჩემო ძმაო, ჩვენებურად არა ყოფილა, - თქვა სანჩომ, - ჩემი და უმაქნისი? აპაპაპა! ჩემი მტრედივით უწყინარია და არავისთვის ბოროტი არ უქნია პირიქით-მარტო სიკეთეს უშვრება ყველას. ბავშვმაც, რომ თქვას დღისით-ღამეაო-მზადაა დაუჯეროს. აი სწორედ ამ გულკეთილობისათვის მიყვარს იგი, მიყვარს, ვითარცა გუგანი თვალთა ჩემთანი, და რაც უნდა სისულელე ჩაიდინოს, ვერ დავტოვებ, რაც უნდა მიყო.

- კარგია, ჩემო მეგობარო, მაგრამ ეს გახსოვდეს, - უთხრა ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა, - ბრმა, რომ ბრმამ წაიყვანოს, ბოლოს ორნი ხაროში ჩაცვივიან. ღმერთმანი, ძამიავ, არ ემჯობინება გავზრუნდეთ და ჩვენ-ჩვენი სახლის გზას დავადგეთ? თორემ ვინ იცის, იმით გავათავოთ, რომ ერთ საამო ფათერაკს დავუწყებთ ძებნას და მეორეს კი უფრო საშინელს, ზედ წავაწყდებით.

ამას, რომ ისმენდა სანჩო, რაღაც მშრალ ნერწყვს იფურთხებოდა. ეს, რომ ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა შენიშნა, უთხრა:

- ბევრი ყბედობით, მგონია ხახა გაგვიშრა, ამის საშველ წამალი ძამიავ უნაგირის კეხს ქვეშა მაქვს!

თავის ადგილიდან წამოდგა და დიდი ტიკჭორით ღვინისა და ნახევარწყრთიანი კუპატის მოსატანად წავიდა, საგზლად რომ ჰქონდა წამოდებული, და ერთ წამს უკან დატვირთული სანჩოს წინ გაჩნდა. კუპატი ისეთი ზორბა და მძიმე იყო, რომ სანჩოს შიგ შემძვრალი მთელი თხა მოეჩვენა.

- ჰმ... - თქვა მან, - დახე როგორი საგზლით გცოდნიათ გამგზავრება?

- მაშ, გეგონა თქვენი საჭურველმტვირთველი მარტო პურითა და წყლით იკვებება? ვერ მოგართვით. მე, ჩემო ძამიავ, იმდენი ხორაგით დავადგები ხოლმე გზას, რამდენსაც ლაშქრად წამსვლელი გენერალიც არ ატარებს თან.

სანჩომ ჭამა დაიწყო, მოჰატიჟებას აღარ დაუცადა და ღამის სიბნელით მოფარებული მუშტის ტოლა ლუკმებს ყლაპავდა.

- უთუოდ, თქვენო მოწყალეზავ, ნამდვილად კარგი საჭურველმტვირთველი და ჩინებული კაციც უნდა იყოთ, ერთგული, გულკეთილი, ლმობიერი, უხვი, როგორსაც ეს თქვენგან გამართული ჯაოსნური ნადიმი ადასტურებს, - უთხრა თავის მოსაუბრეს, - თუ ამ კუპატს მივხედე, თითქოს ჯადოქარმა მოიტანაო. მე კი საწყალი და ბედშავი სულ არ ვარგვივარ. ჩემი ხურჯინის მთელი სანოვაგე ერთი ნაჭერი ყველია, ზედ რომ დევმა თავი ახალოს - გაუხეთქავს, და ცოტოდენიც ხურმა და კაკალი. რას იზამ? ჩემმა ბატონმა ასე დაადგინა თავისთვის, ანუ უკეთ რომ ვთქვა, მოგზაურმა რაინდებმა დაადგინეს მისთვის, რომ იგი მხოლოდ მინდვრის ბალახითა და ჩირით უნდა იკვებოს.

- არა, ძმავ, ჩემი კუჭი პანტა მსხლისა და ნარ-ეკალა ბალახის ფესვებისათვის არ არის შექმნილი, - შენიშნა ახალმოსულმა საჭურველმტვირთველმა. - ჩვენმა ბატონებმა, დაე, რაც ენებოთ, ის მიირთვან და რომელსაც უნდა - რაინდის დადგენილებას მისდიონ, - რას დავდე. მე, ჩემო მეგობარო, უღვინოდ და უნოყიეროსაჭმლოდ არც ერთ ეშმაკს არ გავყვები გზად, ნამეტნავად ტიკჭორისა რაღაც განსაკუთრებული სიყვარული მაქვს. და, მგონია, ისე წამი არ გაივლის, რომ არ მოვეხვიო და არ ჩავკოცნო.

ეს რომ თქვა, ტიკჭორა სანჩოს გადასცა და იმანაც, მოიყუდა რა, მთელი საათის მეოთხედი ვარსკვლავებს შეჰყურებდა. ბოლოს, ტიკჭორა რომ ტუჩებიდან მოიძრო, თავი ჩაჰჰკიდა და მძიმე ამოოხვრით წარმოთქვა:

- იჰ, დახედეთ ამ მეძავის შვილის სითხეს! მერე რა ზორბაა და რა კათოლიკური ღვინოა!

- აბა, - გააწყვეტინა სიტყვა ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა. - შენ თვითონ რა სიტყვებით შეაქე ღვინო? მეძავის შვილი რად უწოდე?

- თანახმა ვარ, - უთხრა სანჩომ. - რომ ზოგიერთ შემთხვევაში ვისიმე მეძავის შვილად თქმა ლანძღვას არ ნიშნავს. მაგრამ ერთი ეს მითხარ, ღვთის გულისათვის, ეს სუდად რეალის ღვინო არ არის?

- გამოიცან, როგორი ჭაშნაგირი ყოფილხარ, - მიუგო მოსაუბრემ, - ეს სწორედ სუდად რეალის ძველი ღვინოა.

- მაშ გეგონა ისეთი ბეჩავი რამა ვარ, რომ შენი ღვინის ცნობაც არ შემეძლო. არა, ძმავ, - ეუბნებოდა სანჩო, - ჩემთვის საკმაოა ერთი ოდნავ დავყნოსო ღვინო და მაშინვე გეტყვი,

სადაურია, რა გემოსია, რამდენი წლისაა, როგორ შეიცვლება იგი, - ერთი სიტყვით, მთელი მისი ისტორია დაწვრილებით წარმოგიდგინო. მაგრამ რა არის აქ გასაკვირველი? მამის მხრივ ორი მოგვარე მყავდა ისეთი ღვინის მცოდნე, რომ ლამაზს მათი მსგავსი სხვა არავინ ახსოვს. ერთხელ თურმე სთხოვეს ღვინო გაესინჯათ კათხაში და თავიანთი აზრი ეთქვათ იმაზე. როგორ გგონია? ერთმა თურმე მხოლოდ ენა დააწო, მეორემ თურმე, როგორც იტყვიან, ცხვირი მიადო და ამ ჭაშნიკის შემდეგ ერთს უთქვამს - ღვინოს რკინის გემო ეტყობაო, და მეორეს კიდევ - თხის ხორცის გემო აქვსო. პატრონი არწმუნებდა, კასრი სუფთად მქონდა გარეცხილი, რკინის გემო ან თხის ხორცის სუნი საიდან უნდა გამოჰყოლოდაო? მაგრამ სახელოვანი ოსტატები თურმე თავის აზრზე მტკიცედ იდგნენ. დრო ტავის კვალად გადიოდა და ღვინოც თავის რიგზე იხარჯებოდა, და როდესაც კასრი დაიცალა, ფსკერზე ერთი პატარა გასაღები იპოვეს, მეშის ტყავზე შებმული. ხედავ, რა ბიჭები ყოფილან? მაშ, ასეთი წინაპრების პატრონს როგორ არ მეცოდინება ღვინის ცნობა!

- მაგიტომაც ვფიქრობ და გეუბნები, რომ ემჯობინება, რომ ამ ტანტალსა და ფათერაკების ძებნას გამოვეთხოვოთ, - უპასუხა ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა, - სხვაგან ხაჭაპურებს რას დავეძებთ, როცა შინ პურის ყუა გაგვაჩნია? ღმერთმანი, ჯობია, შინ დავბრუნდეთ, სადაც ღმერთი შეიძლება ჩვენს პოვნას, თუ იმის ნებაც იქნება.

- არა, - უთხრა ცანჩომ, - მანამ ჩემი ბატონი სარაგოსში არ მივა, არ მოვშორდები და მერე რა იქნება, იმის ფიქრსა და გადაწყვეტას მაშინაც მოვასწრებ.

როცა ჩვენი მოსაურენი ლაპარაკიტაც გაძღნენ და ღვინოც იმდენი დალიეს, რომ შეუმჩნევლად ძილის წიაღში გადავიდნენ, რამაც მათ ენა შეუკრა და წყურვილიც მოუკლა, - ხელში ცარიელ ტიკჭორა დაბლუჯულთ და პირში კუპატის ჩაუყლაპავი ლუკმით ხვრინვა ამოუშვეს, ჩვენც დროებით ამ მდგომარეობაში დავტოვოთ ისინი და ახლა ის გავიგოთ, თუ რა ამბავი მოხდა ტყის რაინდსა და მწუხარე სახის რაინდს შორის.

#### თავი XIV

სადაც გრძელდება ფათერაკი ტყის რაინდთან

ჩვენი ისტორია გადმოგვცემს, რომ ორ ერთმანეთთან შემთხვევით შეხვედრილ რაინდთა ხანგრძლივი ლაპარაკის დროს ტყის რაინდმა ბოლოს უთხრა დონ კიხოტს:

- დასასრულ, უნდა გამოგიტყდეთ, პატიოსანო რაინდო, რომ ბედმა ჩემს გულს უბადლო კასილდე დე ვანდალიაზე მიუთითა. უბადლოს იმიტომ ვუწოდებ, რომ ტანადობითა და სილამაზის ბრწყინვალეობით მართლა ბადალი არა ჰყავს. იმ კასილდემ ჩემი ჩემი მსადმი ესოდენ უმწიკვლო სიყვარულის ჯილდოდ მიბრძანა, როგორც ოდესღაც ჰერკულესის დედინაცვალმა ისურვა, მთელი რიგი მეტად სახიფათო ღვაწლი ჩამედინა, და აღმითქვამდა, რომ თითოეული ღვაწლის დასასრულს ჩემი იმედების აღსრულება მოჰყვებოდა. მაგრამ რა? ჩემთა ღვაწლთა რაოდენობა, ერთიმეორესაგან გამომდინარე, ყოველივე ზომასა და დასაჯერებელს აღემატებოდა და ერთი განსაცდელიდან გამარჯვებული რომ გამოვიდოდი, ის მარწმუნებდა, შემდეგი განსაცდელი უკანასკნელი იქნებოდა, და ბოლოს, შენს იმედებს შენდა სასიხარულოდ დავაგვირგვინებო. მაგრამ დასასრულს ვერ ველირსე და არ ვიცი, იმ უკანასკნელი ღვაწლის შესრულება როდისრა მომიხდება, რის შედეგადაც აღთქმულ ჯილდოს

ვეღირსები. ერთხელ კასილდემ მიბრძანა: სევილიაში დიდებული გმირი ქალი ხირალდა დამემხო, ბრინჯაოსავით მტკიცე და მაგარი, რომელიც ადგილიდანვე დაუძვრელად შეიძლება მთელ ქვეყანაზე ყოვლად ცვალებად და მოძრავ დედაკაცად ჩაითვალოს. ჩემი მბრძანებელი ქალის დამჯერემ, მიველ, ვნახე და ვძლიე იგი. იძულებული ვყავ ის გოლიათი ქალი ერთ კვირას უძრავად მდგარიყო, რადგან ერთი კვირის განმავლობაში ჩრდილოეთის ქარი ქროდა. მეორეჯერ მიბრძანა: გისანდოს უზარმაზარი ხარების უძველესი ქვეები ამეწია და ამეწონა. ეს საქმე კურტნიან მუშას უფრო შეეფერება, ვიდრე რაინდს. ეს კიდე რაა? მან მიბრძანა კაბრის მღვიმეში ჩავსულიყავ, მთელი მისი სიღრმე დამეთვალაიერებინა და შემდეგ მისი აღწერილობა წარმედგინა მისთვის, თუ მის ღრმა და ბნელ ჯურღმულში რა იმალებოდა. ხირალდის ტრიალიც შევაჩერე, გისანდოს ხარებიც ავწონე, ხიფათს არ მოვერიდე - საშინელ ჯურღმულში ჩავედი და იმ უფსკრულის წყვდიადში რაც საიდუმლო იმყოფებოდა, ჩემს მიჯნურს ავუწერე. და ამის მიუხედავად, მაინც კიდე იმედებით ვიკვებები, ხოლო ის თავის მოთხოვნილებასა და მიუკარებლობას არ მიმცირებს. ახლა იმის ბრძანებით მთელი ესპანეთი უნდა მოვიარო, ყველა მოგზაური რაინდი ვაიძულო და ყველას ვათქმევინო, რომ იგი მთელი ქვეყნის ლამაზებზე ულამაზესია, ხოლო მე ყველაზე უმამაცესი და ყველაზე მეტად გამიჯნურებული რაინდი ვარ. ნახევარი ესპანეთი უკვე მოვიარე, დიდძალი კადნიერი რაინდი, სიტყვას რომ შემიბრუნებდა, დავამარცხე, მაგრამ ისეთი ღვაწლი ჩავიდინე, ისეთი, რომ მით მეტად მომაქვს თავი. ეს ის ღვაწლია, რომ სახელოვან რაინდს, ლამანჩელ დონ კიხოტს შევერკინე, ორთაბრძოლაში დავამარცხე და ვაიძულე ჩემი კასილდე დულსინე ტობოსელზე უმშვენიერესად ეღიარებინა. ჩემთვის ეს ერთი გამარჯვებაც საკმარისია, რომ ჩემი თავი მთელი ქვეყნის რაინდების დამამარცხებლად ვიცნა, რადგან დონ კიხოტმა ყველა ისინი დაამაცხა და ახლა პოეტის ნათქვამისა არ იყოს:

რამდენად მძლავრი არის მტერი დამარცხებული, -

გამარჯვებული იმდენადვე ჩანს დიდებული.

ასე რომ მთელი დიდება დონ კიხოტისა და ქვეყნად მოდებული მის მრავალთა ღვაწლთა ქება მარტო მე ერთს მეკუთვნის.

ეს რომ დონ კიხოტმა მოისმინა, გოცებისაგან კინაღამ გაშტერდა. ბევრჯერ დააპირა თავხედ ტყუილში ემხილა იგი, ცოტას გაწყდა - ეს სახიფათო სიტყვაც არ უთხრა: "ცრუობო", მაგრამ თავი შეიკავა იმ განზრახვით, რომ თვითონ ტყის რაინდივე აეძულებინა თავისი სიცრუე თვითონვე გაემხილა. ამ აზრით დამშვიდებულმა უთხრა მას:

- დიხაც შესაძლებელია, პატიოსანო რაინდო, რომ თქვენ არათუ ესპანეთისა, არამედ მთელი ქვეყნის მოგზაურ რაინდთა მეტი ნაწილი დაგემარცხებინოთ, ამას არ შეგედავებით, მაგრამ ლამანჩელი რომ დაგეძლიათ, ამაში კი, ნება მიბოძეთ, ექვი შევიტანო. იქნება ვინმე ისეთი რაინდი დაამარცხეთ, რომ დონ კიხოტსა ჰგავდა? თუმცა, მართალი რომ გითხრათ, იგი თავის მსგავსს ცოტას იცნობს.

- სულაც არა, - შეჰყვირა ტყის რაინდმა, - ამ სინათლის მომცემ ცასა ვფიცავ, დონ კიხოტს ვებრძოლე და კიდეც დავამარცხე. იგი ჩემს ხელთ იყო, პატიებასაც კი მთხოვდა. გამხდარი კაცია, მაღალი, გრძელფეხება, მოყვითალო სახისა. ჭადარაშერთული, არწივისებურად ცხვირმოკაუჭებული, ძირს ჩამოყრილი შავი დიდი ულვაშები აქვს და ტანშიაც ოდნავ მოგრებილია. იგი მწუხარე სახის რაინდად არის ცნობილი და საჭურველმტკირთველადაც

გლები კაცი სანჩო პანსა ჰყავს. ჩინებულ ბედაურ როსინანტზე ზის და მიჯნურ ქალად ვინმე დულსინე ტობოსელი ჰყავს არჩეული, ოდესმე იგი აღდონა ლორენსოდ იყო წოდებული, სწორედ ისე, როგორც მე ჩემს მიჯნურ ქალს კასილდე დე კანდალიას ვუწოდებ, რადგან მისი ნათლობის სახელი კასილდეა და ანდალუზიის მცხოვრებია. თუ ჩემს სიტყვებს და ყველა ამ ნიშანს, რაც ახლა ვთქვი, არ ძალუძს დაგარწმუნოთ, მაშინ ამ ჩემს ხმაღს მოვუწოდებ მოწმედ და იმედი მაქვს თქვენს ეჭვს ეს გააქარვებს.

- თუ ღმერთი გწამთ, დამშვიდდით , ბატონო რაინდო, და დადინჯებით მომისმინეთ, - მიუგო დონ კიხოტმა. - უნდა მოგახსენოთ, რომ დონ კიხოტი ჩემი კარგი მეგობარია და ისევე ძვირფასია ჩემთვის, როგორც მე ვარ ჩემი თავისთვის. თქვენ, რომ ის რაინდი ისე დანამდვილებით და ზედმიწევნით აღწერეთ, ეს მაიმულებს ვირწმუნო, რომ თქვენ იგი ნამდვილად დაგიმარცხებიათ, მაგრამ, მეორე მხრით, საკუთარი თვალებით ვხედავ, ასე ვთქვათ საკუთარი ხელების შეხებით ვარჩევ მის სრულ შეუძლებლობას, რაც თქვენა თქვით. ეს თუ იქნებოდა რომელიმე მისი მტერი ჯადოქარი-მას ბევრი ჰყავს ისეთი (ერთი მათგანი ყველაზე მეტად მტრობს და დევნის მას)-დონ კიხოტის სახეს მიიღებდა იმ განზრახვით, რომ თავი დაემარცხებინებინა და მით თავისი მოქიშპის მრავალი რაინდული გმირობით მოხვეჭილი მსოფლიო დიდება დაემცირებინა. რომ ამაში სავსებით დაგარწმუნოთ, გეტყვით, რომ იმისმა ჯადოქარმა, ორი დღეც არ არის მას აქეთ, მომხიბვლელი მშვენიერების პატრონი დულსინე ტობოსელი ვიღაც გათხუპნილ და საზიზღარ გლების დედაკაცად გარდაქმნა. დამეთანხმეთ, რომ აგრეთვე თვითონ დონ კიხოტის გარდაქმნაც შეეძლო: თუ მაინცადამაინც ყველა ამას არ ძალუძს ჩემი ნათქვამის ჭეშმარიტზე ხაში დაგარწმუნოთ, მაშინ იცოდეთ დონ კიხოტი თვითონ მე გახლავარ, განმზადებულა იარაღით ხელში, ქვეითად, გინდ ცხენზე მჯდარი, ანუ როგორც თქვენი ნება იქნება, ჩემი სიტყვების სიმართლე დაგიმტკიცოთ!

ეს, რომ თქვა, ზეზე წამოდგა, ამაყად გასწორდა, ხმაღს ხელი გაივლო და ტყის რაინდის პასუხს ელოდა, მაგრამ მისმა მოპირდაპირემ აგრეთვე დამშვიდებით უპასუხა:

- კარგ გადამხდელს გადახდის ვადისა არ ეშინია და, ვინც იმ ვიღაც თქვენი სახის მიმღების დამარცხება მოახერხა , შეუძლია იმედი იქონიოს, რომ თვითონ თქვენც დაგამარცხებთ. მაგრამ რაინდებს სიბნელეში ბრძოლა არ შეჰფერით ქურდებისა და სამაგელი ავაზაკების მსგავსად. ამიტომ ცისკრის ამოსვლას დავუცადოთ და მაშინ მზის თანადასწრებით შევებრძოლოთ ერთმანეთს, იმ პირობით კი, რომ დამარცხებულმა ყველაფერი უნდა აღასრულოს, რასაც გამარჯვებული უბრძანებს, მხოლოდ კი ისეთს, რაც რაინდის პატივს არ შეზღაავს.

- თანახმა ვარ, სრული თანახმა, - მიუგო დონ კიხოტმა.

მერე რაინდები თავიანთ საჭურველმტვირთველებთან წავიდნენ და იმავე მდგომარეობაში ჰპოვეს ისინი, როგორადაც შენაყრების შემდეგ დაიძინეს. რაინდებმა გააღვიძეს ისინი და უბრძანეს, ხე ბები მზად ჰყოლოდათ, რადგან განთიადისას მათ შორის ჯერ არნახული სისხლისმღვრელი და სასტიკი ბრძოლა უნდა მომხდარიყო. ამ ამბავმა ისე შეაშინა სანჩო, რომ მთელი ტანი უკანკალებდა. მას შემდეგ, რაც მან ტყის რაინდის ვაჟკაცობა მოისმინა მისი საჭურველმტვირთველისაგან, დონ კიხოტისათვის მეტად სწუხდა. საჭურველმტვირთველები ხმაამოუღებელი ბრძანების ასასრულებლად წავიდნენ, ვირსა და სამ ცხენს უკვე მოესწროთ

დამეგობრება და ერთად იდგნენ. მიმავლობისას ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა უთხრა სანჩოს:

- უნდა გითხრა, ჩემო ძამიავ, რომ ანდალუზიაში ისეთი ჩვეულებაა: ვინც ხმალში ბრძოლას დაესწრება, გულხელდაკრეფილები როდი უნდა ისხდნენ, როდესაც სხვები იბრძვიან. ამიტომ ჩვენი ბატონები, რომ დაიწყებენ ბრძოლას, მე და შენ მცირეოდენად ხანჯლები უნდა დავატრიალოთ.

- ასეთი ჩვეულება, ბატონო საჭურველმტვირთველო, უთუოდ ვინმე ბაქია ადამიანებში ყოფილა, უპასუხა სანჩომ, - თორემ მოგზაური რაინდების ნამდვილ საჭურველმტვირთველებში სულაც არ არის; ჩემს ბატონს ასეთი რამ არასოდეს არ უთქვამს ჩემთვის; მოგზაური რაინდების ჩვეულება კი მე შენ გითხრა იმაზე უკეთესად არავისაც არ ეცოდინება. რაც უნდა იყოს, მე მაინც მაგისტანა სულელური ჩვეულების მიმდევრობა არ შემძლია, - აქაო და ჩემი ბატონო იბრძვის, მეც ვიბრძოლო. ის მირჩევნია, მშვიდობიანი საჭურველმტვირთველების მთელი ტვირთი ვიკისრო, ის ტვირთი ორ გირვანქა საეკლესიო ცვილზე უმძიმესი არ იქნება, ის უფრო იაფად დამიჯდება, ვიდრე ტილო ჩემი გოგრის შესახვევად, შუაზე გაჩეხილად, რომ უკვე ვთვლი. ამასთან ჩემთვის უხმლოდ ბრძოლა ძალიან ძნელია, ხმალი ჭა არცა მაქვს და არც როდისმე მქონია.

- არა უშავს რა, მაგ უბედურებას საშველი აქვს, - უთხრა მეორე საჭურველმტვირთველმა. - ორი გრძელი ტილოს პარკი მაქვს, ერთი შენ აიღე, მეორეს მე ავიღებ და ორივეს შეგვიძლია ერთნაირი იარაღით ვიბრძოლოთ.

- ძალიან კარგი, მაგის თანახმა ვარ, - დაიძახა სანჩომ. - მაგისტანა ბრძოლას არა უშავს რა, მხოლოდ გაგვამტვრიანებს, თორემ გასისხლიანება კი არ შეუძლია.

- ჰო, - მიუგო ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა, - მაგრამ სიმძიმისათვის და, რომ ქარმა არ ააფრიალოს, ის პარკები. ერთი თორმეტიოდე წვეტიანი ქვით უნდა გავტენოთ. მაშინ როგორც გვინდა, ისე ვიფარაკავებთ, მხოლოდ უნდა გავფრთხილდეთ, კანი არსად გავიფხაჭნოთ.

- არასოდეს! გიჟი როდი ვარ, რომ მაგისტანა ნაზი რამეებით. გავტენო პარკები. მარტო იმისათვის, რა არის თავი გავიჩეხო ან ძვლები დავიმტვრიო, - ვერ მოგართვი! ჩხუბი არა მწადია, თუნდა შენი პარკები სულ აბრეშუმის შულიებით გასტეხო. დაე, იხევა ჩვენმა ბატონებმა იბრძოლონ, რამდენიც ესამოვნებათ, ჩვენ კი ვჭამოთ, ვსვათ, ვიმხიარულოთ, რადგანაც ჩვენი სიცოცხლე მოკლეა და რიგიანად უნდა ვისარგებლოთ იმით და არა შემთხვევა . ვეძებოთ-ჩქარა კისერი წავიმტვრიოთ.

- მე და შენ მაინც ვიბრძოლებთ, ნახევარ საათს მაინც, - დაეჟინა ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა.

- არა, ძმაო; - უთხრა სანჩომ, - ისეთი უმაძლო პირუტყვი. როდი ვარ, იმ კაცს ვებრძოლო, ვინც მასვა და მაჭამა. ან რის გულისათვის უნდა ვიბრძოლოთ? ერთმანეთის საწინააღმდეგო რა. გვაქვს? ღვთის მადლით, მგონია, არაფერი.

- თუ აგრეა, მაგასაც ეშველება. ჩხუბის წინ მაშ რამდენიმე ალიყულს გაჭმევ, რომ ფეხზე ვეღარ დადგე. ამით ეგებ ზაზუნასავით შენი მიძინებული რისხვა და ბრაზი გაგიღვიძო.

- მაგისი წამალი კი ვიცი, - უპასუხა სანჩომ. - იმის მეტირა დამჭირდება რა, ერთს მუხის კეტს მოუტეხავ და, ვიდრე შენა ჩემს ბრაზებს გააღვიძებ, იმ კეტით შენს საკუთარ რისხვას მივაძინებ, რომ ვინ იცის მეორედ მოსვლამდისაც ველარ გაეღვიძოს. მე ისეთი ბიჭი გახლავარ, ყველას როდი მივცემ ნებას ტყუილუბრალოდ ხელი მახლოს. ისა სჯობია, ყველამ თავის თავზე დაიდოს ხელი და ის ურჩევნია-სხვისა რისხვას არ შეეხოს, რადგან, ვინ რა იცის, ვისთან აქვს საქმე; მე ისიც ვიცი, ვისაც სხვისა გაკრეჭა ნდომებია, ხშირად თვითონ გაკრეჭილი გამოსულა. ღმერთს მშვი დობა დაულოცავს და შფოთი შეუჩვენებია. გააფთრებული კატა. ლომად გადაიქცევა ხოლმე. მაშ, მე ხომ ადამიანი ვარ, და თუ გავაფთრდი, ღმერთმა იცის, რად შემძლია გადავიქცე. ამიტომ, მოწყალო ბატონო საჭურველმტვირთველო, ამ წამიდან ყველაფრისათვის, რითაც ჩვენი ბრძოლა შეიძლება დაბოლოვდეს, პასუხისგებას თქვენ გაკისრებთ.

- კეთილი, - თქვა ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა, ღამის ღვთის წყალობას დილის შარი სჯობიაო, ნათქვამია, - მაშ ჩვენც ხვალ ვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ.

ამ დროს ხეთა რტოებზე უკვე აჟღურტულდა და აჭიკჭიკდა უამრავი, ყოველნაირი ფერად ფერადი ბუმბულით მორთულ-მოკაზმული ჩიტუნა, თითქოს თავიანთი საამო, ნაირფეროვანი გალობით მიესალმნენ და შეეგებნენ მშვენიერ განთიადს, რომელიც უკვე აღმობრწყინდა აღმოსავლეთის კარიბჭიდან და გადმონათა სარკმლებიდან, მოიხსნა საბურველი ტურფა პირისახიდან და მის ოქროვან თმებზე ბრწყყვიალი იწყეს უთვალავმა ცვრის წვეთებმა. ამ მომჯადოებელი დილის ნიავისაგან აბიბინდა ზურმუხტოვანი ბალახი, ტირიფებმა თვლემას თავი ანებეს, წყაროები იცინოდნენ, ნაკადულები ჩხრიალებდნენ, ტყე ხარობდა, ველ-მინდვრები უფრო და უფრო ახმაურდნენ და ყველა ასე ხვდებოდა ალიონს.

მაგრამ ამომავალმა მზემ, რომ სანჩოს თვალებს პირველი საგამო გაუნათა და დაანახვა-ეს იყო ისტორიაში უმაგალითო ტყის რაინდის საჭურველმტვირთველის ცხვირი, რომლის ჩრდილი მთელ მის სხეულს ფარავდა. ამბობენ კიდევ, იგი თავისი ზომით რაღაც ზესთაბუნებითი ცხვირი იყო, შუაში ამოშვერილი, ჩასისხლიანებული, ზღმურდლებით შეხორხლილი და ორი თითის დადებად ტუჩს ქვევით ჩამოშვერილიო. ეს კუზიანი, შავ-წითელხორკლიანი ცხვირი ახალი საჭურველმტვირთველის სახეს მეტად საზიზღარ სანახაობას აძლევდა. სანჩო ისე შეაშინა, რომ ბნედამორეულ ბავშვივით დაიკრუნჩხა და გულში გადააწყვეტინა, ამ ურჩხულის გაბრაზებას და მასთან ბრძოლას ორასი სილა, რომ მაჭამოს ვინმემ, ისა სჯობიაო.

დონ კიხოტმაც თავისი მოპირდაპირე თვალთ გაზომა, მაგრამ იმან უკვე მოასწრო მუზარადის დახურვა და პირბადის ჩამოწევა, ისე, რომ რაინდს მისი სახის დანახვა აღარ შეეძლო. მხოლოდ იმას ჰგდავდა, რომ ის იყო შუა ტანისა და ჯმუხი კაცი. აბჯრის ზევით, ტანზე კამზოლი ეცვა, თითქოს ოქრომკედის ქსოვილისა, მთლად წვრილი სარკითა და ფიფინურებით მთვარის სახედ მოქარგული. ეს მდიდრული ტანისამოსი რაღაც გამოუთქმელად ამშვენებდა მას. მის მუზარადზე თეთრ ყვითელ-მწვანე ბუმბულები ფრიალებდნენ და. მის მეტად გრძელ და მსხვილ შუბს, ხესთან, რომ ეყუდა, ბოლოზე ზორბა ფოლადის თავი ჰქონდა გაკეთებული. დონ კიხოტს ყველაფერმა ამან აფიქრებინა, რომ მისი უცნობი მოპირდაპირე უთუოდ უბრალო ვინმე არ უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ეს იყო-სანჩო პანსას ავით ყველა ამას მისთვის შიშის ზარი არ დაუცია, პირიქითამ სარკეთა რაინდს გაბედული ხმით უთხრა:



- თუ ჩემთან ბრძოლის სურვილი ჩემი თხოვნის აღსრულების მზად ყოფნას არ ამცირებს თქვენში, გთხოვთ მოთარჯი აიწიოთ და სახე მიჩვენოთ , უეჭველია, იგი ისევე მშვენიერია, როგორც მორთულობა გაქვთ მშვენიერი.

- გაიმარჯვებთ თუ დამარცხდებით, ბატონო რაინდო, მა- შინაც მოასწრებთ ჩემი ხილვით დატკბობას , - უპასუხა სარკეთა რაინდმა. - და თუ თქვენს თხოვნას არ ვასრულებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბრძოლის დაყოვნებით, თუნდაც იმ ხანსაც, რაც ამ მოთარჯის აწევაზე დაიხარჯება, მშვენიერ კასილდე დე ვანდალიას დიდი წყენა არ მივაყენო, ჩქარა შეგებრძოლოთ და მისი აღიარება გაიძულოთ, რაც უკვე იცით.

- იმედი მაქვს, იმის უარს მაინც არ მეტყვით, ვიდრე უნაგირში გავსწორდებით-მითხრათ: თქვენს წინ ახლა ნამდვილ დონ კიხოტს ვერა ხედავთ, ოდესმე კიდეც, რომ დაგიმარცხებიათ?

- შემოდია დაგარწმუნოთ, - უპასუხა სარკეთა რაინდმა, - ისე გავხართ, როგორც ერთი კვერცხი მეორესა ჰგავს. მაგრამ, რადგან მარწმუნებთ, ჯადოქრები მმტრობენო, ამიტომაც არ აგიხირდებით , მართლა თქვენ დაგამარცხეთ, თუ სხვა ვინმე იყო.

- ჩემთვის ეგ საკმარისია, - უთხრა დონ კიხოტმა, - რომ სავსებით დავრწმუნდე თქვენს შეცდომაში და, რომ ამაში თქვენც დაგარწმუნოთ, ვთხოვ მოასხან აქ ჩვენი ცხენები. დარწმუნებული ვარ, ვიდრე თქვენ პირობადის აწევას მოასწრებდეთ, უმალ თვითონ მე აგხდით მას, თუ, რასაკვირველია, ამაში ღმერთი და ჩემი მიჯნური ქალი შემეწევა . თქვენ კიდეც იმაში დარწმუნდებით, რომ ჩემსა და იმ თქვენგან დამარცხებულ დონ კიხოტს შორის ცოტაოდენო რამ განსხვავება არსებობს.

ამაზე რაინდებმა უცებ შეწყვიტეს ლაპარაკი, ცხენებს მოახტნენ და შემოატრიალეს, რომ შეტევისათვის საჭირო ადგილთ დაეჭირათ. მაგრამ დონ კიხოტი ოც ნაბიჯზე დაც არ იყო გასული,.

რომ სარკის რაინდის ძახილი მოესმა: ის ნახევარ გზაზე შემდგარიყო და უყვიროდა დონ კიხოტს:

- პატიოსანო რაინდო! არ დაგავიწყდეთ ჩვენი პირობა დამარცხებული გამარჯვებულის განკარგულებას ემორჩილება.

- ძალიან კარგად მახსოვს , - მიაძახა დონ კიხოტმა, - მხოლოდ კი ისე, რომ დამარცხებულს რაინდობის პატივის დამამცირებელი არაფერი დაევალოს.

- ნამდვილია, - მიუგო სარკეთა რაინდმა.

ამ წამში დონ კიხოტმა თვალი შეასწრო მოპირდაპირის საჭურველმტვირთველს თავის უმაგალითო ცხვირით და, სანჩოზე არა ნაკლებ გაცეხულმა ჩვენმა გმირმა იმ ცხვირის პატრონი ადამიანი რაღაც ურჩხულად მიიღო ანუ დედამიწის ზურგზე ჯერ უცნობი ტომის ადამიანად. ხოლო სანჩომ, რა დაინახა თავისი ბატონი საბრძოლველად მომზადებული, არ უნდოდა იმ ცხვირა ადამიანთან მარტოდ დარჩენილიყო, ეშინოდა, ჩხუბი არ გაემართა და თავისი ხორთუმის დარტყმით ძირს არ დაეცა. ამ შიშით ატანილი მივარდა დონ კიხოტს, უზანგის თასმაში ხელი წაავლო და , როცა რაინდმა დააპირა როსინანტი მოეტრიალებინა, უთხრა:

- ჩემო ბატონო, ღვთის გულისათვის, გვედრებით, სანამ თქვენს მტერს დაეტაკებოდეთ, მიშველეთ ან მუხაზე ავცოცდე, იქიდან უკეთესად დავინახავ იმ რაინდზე თქვენს გმირულ თავდასხმას.

- მე მგონია, სანჩო, აქ ასვლა იმიტომ გინდა, უფრო უშიშრად დაინახო ხარების ჩხუბი, - შენიშნა დონ კიხოტმა.

- უნდა გამოგიტყდეთ, - მიუგო სანჩომ, - იმ საჭურველმტვირთველის საშინელი ცხვირი მეტად მაშინებს, შიშისაგან ახლოს ვერ მივდგომივარ.

- ოღონდაც, ისეთი რამ ცხვირია, - თქვა დონ კიხოტმა, - რომ მე ის არ ვიყო, რაც ვარ, შესაძლოა მეც შემშინებოდა. აბა, აძვერ მუხაზე, გიშველი.

დონ კიხოტი, რომ სანჩოს მუხაზე აცოცებას შველოდა, სარკეთა რაინდი საჭირო მანძილზე გავიდა და ეგონა, ჩემი მოპირდაპირეც ასევე მოიქცაო, აღარც ბუკის დაყვირებას დაუცადა, აღარც სხვა რამ ბრძოლის დაწყების ნიშანს, თავისი ცხენი მოატრიალა, სიმკვირცხლითა და შნოთი, რომ როსინანტის სრული მსგავსება იყო, და შემდგმ სრული ჩაქჩაქით, დავარდნილ თოხარიკს, რომ არ აღემატებოდა, დონ კიხოტის შესახვედრად გააქროლა. მაგრამ რა დაინახა, იგი ხეზე სანჩოს აცოცებით იყო გატაცებული, ნახევარ გზაზე შეაყენა, რისთვისაც ძალიან მადლობელი იყო მისი ცხენი, რადგან მეტი ნაბიჯის გადადგმა აღარ შეეძლო. დონ კიხოტს კიდევ მოეჩვენა, რომ სარკეთა რაინდი მის თავდასხმას სრული ძალ-ღონით ლამობდა, და ისე ხერხიანად ჰკრა როსინანტს დეზები, რომ, თუ ისტორიას დავუჯერებთ, პირველი შემთხვევა იყო, როსინანტი სრული კამარით, რომ გაექანა. მისი სიცოცხლის საგულისგულო წამებშიაც არსად მომხდარიყო ჯერ, რომ მოკლე ჩაქჩაქზე მეტად აჩქარებულიყო სადმე. დონ კიხოტი გაბედულად დაეტაკა სარკეთა რაინდს, ეს კიდევ თავის ცხენს ამაოდ უყრიდა გვერდებში ფეხებსა და დეზებს, მაგრამ ცხენი ისე მაგრად იდგა თავის ადგილას, თითქოს ღუზით იყო მიმაგრებული. ამ კეთილ გარემოებათა წყალობით დონ კიხოტმა თავის მოპირდაპირეზე სრული უპირატესობა მიიღო, რადგან მოპირდაპირის ხელისშემშლელი არა მარტო ცხენი იყო, არამედ მისი შუბიც, რომელსაც რატომღაც ვერ ხმარობდა. სრულებით უხიფათოდ, წინააღმდეგობის მიუღებლად დონ კიხოტს შეეძლო ძლევა მოსილებით განეგო სარკეთა რაინდის ბედი და-განაგო კიდევ. ისე მამაცურად და მარჯვედ დაეტაკა მას და ისე უგონოდ გაშხლართა მიწაზე, რომ მისი უძრავად დედამიწაზე გდება, რომ ენახა ვინმეს, ეგონებოდა-უბედურს ქვეყნიერებასთან ყოველგვარი ანგარიში გაუსწორებიაო. ეს, რომ სანჩომ დაინახა, მაშინვე ხიდან ჩამოვიდა და თავის ბატონთან მიიბრინა, ხოლო დონ კიხოტი ცხენიდან ჩამოხტა და საჩქაროდ დამარცხებულ სარკეთა რაინდთან მივიდა, მუხარადის შესაკრავები გაუხსნა, რომ გაეგო, მოკვდა თუ ცოცხალი იყო და, თუ სიცოცხლის ნიშანი ჰქონდა რამე, სახე გაეგრილებინა მისთვის და სუნთქვა გაეადვილებინა. მაგრამ... ღმერთო დიდებულო! რარიგად გაცოცდა, როგორც ისტორია მოგვითხრობს, ჩვენი დონ კიხოტი, როდესაც თავის წინ მიწაზე გაშხლართული ბაკალავრი სამსონ კარასკო დაინახა, სწორედ თვითონ ის, თავით ფეხამდის.

- სანჩო! - რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუყვირა თავის საჭურველმტვირთველს, - ჩქარა აქ მოდი, გამოიქე, დაუჯერებელი რამ უნდა დაგანახო, თუ რა შეუძლია ჯადოქრებსა და გრძნეულებს.

სანჩო დამარცხებულ რაინდთან მივიდა და, თავის წინ სამსონ კარასკო, რომ დაინახა, გაცოცხლდა მხოლოდ პირჯვრის გამოსახვა მოახერხა და, რადგან მიწაზე მწოლიარე სარკეთა რაინდს არავითარი სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, სანჩომ თავის ბატონს უთხრა:

- ჩემის აზრით, ჩემო ბატონო, ყოველ შემთხვევისათვის, უმჯობესია ამ კუდიანს, სამსონ კარასკოს სახე, რომ მიუღია, ყელში მახვილი გაუტაროთ, იქნებ მით ერთ - ერთ მტერ-ჯადოქრისაგან სამუდამოდ გავთავისუფლდეთ.

- მართალს ამბობ, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - რამდენიც ნაკლები გვეყოლება მტერი, მით უკეთესი იქნება.

და ის იყო, რაინდმა სანჩოს რჩევის ასასრულებლად, ხმალი იშიშვლა, რომ ამ დროს მათ წინ წამოდგა მათი მოწინააღმდეგის ცხვირა საჭურველმტვირთველი. ამჟამად ის საშინელი ცხვირი აღარ ჰქონდა:

- რასა სჩადიხართ, რასა! - დაუყვირა დონ კიხოტს, - სენიორ დონ კიხოტო, ეგ ხომ თქვენი მეგობარი და ჩემი ბატონი სამსონ კარასკოა.

- შენი ცხვირი რაღა უყავ? - ჰკიახა სანჩომ, როცა დაინახა, რომ ის წინანდლურად ისე მახინჯი აღარ იყო.

- შევინახე, - მიუგო საჭურველმტვირთველმა, მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო და იქიდან გალაქულ მუყაოსაგან გაკეთებული თავისი საშინელი ცხვირი ამოიღო.

გაოცებული სანჩო დაშტერებით უცქეროდა მას და ბოლოს გაოცების უკიდურეს საზღვრამდე მისულმა შეჰყვირა:

- ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო მარიამ, შენ დაგვიფარე! ეს ხომ ჩემი მეზობელი და ნათლიმამა თომა სესიალია!

- დიახ, დიახ, - უპასუხა უკვე ძირგამოგლეჯილმა საჭურველმტვირთველმა, - ნათლიმამაც და გულითადი მეგობარიცა, თომა სესიალია და ახლავ გაიმბობ, აქ როგორ გავჩნდი. მხოლოდ, თუ ღმერთი გწამს, ჩქარა შენს ბატონს უთხარ, ხელი არ ახლოს, არ დასჭრას, არა სცემოს და არც მოკლას მის ფერხთა მდებარე სარკეთა რაინდი, , რადგან იგი ჩვენი თავზედი და ჰკუადამთხვეული ბაკალავრი სამსონ კარასკოა, ჩვენი თანასოფელი.

ამასობაში დამარცხებული რაინდიც გონს მოვიდა და დონკიხოტმაც იმ წამს თავისი ხმალი სახეში მიუტანა.

- დაილუპებით, რაინდო, - უთხრა მან, - თუ ამ წამს არ აღიარებთ, რომ უბადლო დუღსინე ტობოსელი კასილდე ვანდალიაზე უმშვენიერესია. ეს კიდევ ცოტაა: თქვენ უნდა აღმითქვათ, თუ ამ ბრძოლისაგან ცოცხალი გადარჩით, ტობოსოს, რომ წახვალთ, ჩემი სახელით წარუდგებით დუღსინეს და მის ნებისად დასდებთ თავს. თუ თავისუფლება დაგიბრუნათ, მაშინ უნდა მომძებნოთ (ჩემთა ღვაწლთა და გმირულ საქმეთა კვალი მოგიყვანთ, სადაც ვიქნები), - და მიაბოთ, რაც თქვენსა და ჩემს მიჯნურ ქალს შორის მოხდება. ხომ ხედავთ, იმას გავალებთ, რაც ჩვენი ბრძოლის პირობას არ ეწინააღმდეგება.

- მიწამებია, - უპასუხა დამარცხებულმა რაინდმა, - რომ დუღსინეს დაგლეჯილი, გათუთხნული ფეხსაცმელი კასილდეს დაუვარცხნელს, თუმცადა სუფთა თმებზე უკეთესია. აღმითქვამს თქვენს მიჯნურ ქალთან წასვლა და შემდეგ ჯეროვანი ანგარიშით თქვენთან დაბრუნება.

- ებ კიდევ ცოტაა, - დაუმატა დონ კიხოტმა. - თქვენ უნდა აღიაროთ, რომ თქვენგან დამარცხებული რაინდი სულაც არ იყო ლამანჩელი დონ კიხოტი, არამედ იგი იყო სხვა ვიღაც, მისი მინამსგავსი, სწორედ ისე, როგორც თქვენ გავხართ ბაკალავრ სამსონ კარასკოს, თუმცა კარასკო სულაც არა ხართ, არამედ ჩემი მტრებისაგან მის სახედ გარდაქმნილი, რათა ამით ჩემი რისხვა შეასუსტონ და მაიძულონ ჩემი გამარჯვებით ნაკლებად ვისარგებლო.

- ყველა მიწამებია და აღმიარებია, ვცნობ და ყველა მჯერა. - ამბობდა მწოლიარე რაინდი, - სწორედ ისევე, როგორც თქვენ თვითონ გწამთ, ცნობთ და გჯერათ. ახლა კი, თუ ღმერთი გწამთ, ადგომა მიშველეთ, თუ ტკივილებმა არ დამიშალეს; თავს ძალიან ცუდადა ვგრძნობ.

დონ კიხოტმა თომა სესიალის დახმარებით იგი ფეხზე წამოაყენა, ხოლო სანჩო თომას თვალს ველარ ამორებდა, კითხვას კითხვაზე აყრიდა და მისი პასუხებიდან თანდათან რწმუნდებოდა, რომ მის წინ სწორედ ნამდვილი მისი ნათლიმამა თომა სესიალი იყო. მაგრამ მეორე მხრივ, დონ კიხოტის დარწმუნება, რომ ჯადოქარმა სამსონ კარასკოს სახე მიიღო, ნებას არ აძლევდა ამ გამოცანა-კაცს ნდობოდა, ნათლიას, მეზობელს, რომ ეძახდა, და მგონი კიდევ-მსახური თავისი ბატონივით იმ რწმენით დარჩა, რომ ყველაფერი ეს ჩვენი რაინდის ჯადოქარ-მტრების ახალი ოინი იყო და სხვა არაფერი. ამასობაში სარკეთა რაინდი თავისი საჭურველმტვირთველით ბრძოლის ველს შერცხვენილი და გვერდებდაზელილი განშორდა იმ სურვილით, რომ ჩქარა რომელიმე სოფლამდის მიეღწიათ, სადაც დამარცხებულ მებრძოლს როგორმე მოეხერხებინა თავისი დაბეგვილი გვერდების მოვლა-პატრონობა. დონ კიხოტი და სანჩო კიდევ სარაგოსის გზას დაადგნენ. და აქ ავტორი სტოვებს მათ, რათა მოუთხროს მკითხველებს, თუ ვინ იყვნენ სარკეთა რაინდი და მისი ცხვირა საჭურველმტვირთველი.

#### თავი XV

სადაც მოთხრობილია და ნაამბობი, თუ ვინ იყვნენ სარკეთა

რაინდი და მისი საჭურველმტვირთველი

ასეთ მამაც მოპირდაპირეზე გამარჯვებით, როგორადაც სარკეთა რაინდი მოჩანდა, გახარებულმა და გაამაყებულმა დონ კიხოტმა დიდებული ბრძოლის ველი იმ იმედით დაუტევა, რომ დამარცხებული რაინდი (მისი სიტყვის სრული რწმენა ჰქონდა) როცა უკანვე დაბრუნდებოდა, დონ კიხოტს ამცნობდა, დულსინე კვალად მოხიბვლის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა თუ არა. ნაპატიებ მოპირდაპირეს რაღა ჩიჩინი უნდა, ეს უნდა შეეტყობინებინა, თუ არადა - რაინდად ყოფნა როგორღა შეეძლო. მაგრამ დონ კიხოტი ერთს ფიქრობდა, ხოლო სარკეთა რაინდი კი, ამჟამად მალამოებისა და საცხების ფიქრით გართული-მეორეს.

საქმე იმაშია, რომ, როგორც ამ ჩვენს ისტორიაშია მოთხრობილი, ბაკალავრმა სამსონ კარასკომ ერჩია დონ კიხოტს მესამე გამგზავრებას დასდგომოდა. იგი ჯერ მღვდელსა და დალაქს მოელაპარაკა, თუ რა ღონე უნდა ეხმარათ, რომ დონ კიხოტს ახალ მოგზაურობაზე და ფათერაკების ძებნაზე ფიქრი დაეტოვებინა და თავისთვის შინ დამდგარიყო. სამივეს აზრი ის იყო, ბაკალავრის რჩევას დასდგომოდნენ, დონ კიხოტი გაეშვათ და უკან მოგზაური რაინდის სახედ კარასო გაჰყოლოდა: ამას ბრძოლაში უნდა გამოეწვია და, თუ დონ კიხოტს დაამარცხებდა რაც ადვილ საქმედ მიაჩნდა, ბრძოლამდისვე დადებული პირობის ძალით დონ კიხოტისათვის შინ დაბრუნება და იქ მთელი ორი წელიწადი დარჩენა ებრძანებინა, თუ ამ ხნის განმავლობაში თვითონ გამარჯვებული რაიმე რიგად იმ ბრძანებას არ შესცვლიდა. უეჭველი

იყო, დონ კიხოტი თავისი ძლევამოსილი მოპირდაპირის ამ ბრძანებას მტკიცედ აასრულებდა, და მაშინ ორი წლის განმავლობაში რამდენი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. იქნებ თვითონ დონ კიხოტსაც თავისი დამთხვეული აზრები გულიდან გადაჰყოფდა და მის მეგობრებსაც ვინძლო მისი სწეულების განმკურნავი სათანადო წამალი ეპოვნათ.

მოგზაური რაინდობა კარასკომ იკისრა, ხოლო სანჩოს ნათლიმამამ და მეგობარმა თომა სესიამა, მარჯვე და ჭკუამხიარულმა კაცმა - მისი საჭურველმტვირთველობა. დონ კიხოტი, რომ გაემგზავრა, კარასკოც იმ ტანისამოსით მოირთო, რომელშიაც ჩვენა ვნახეთ, ხოლო თომამ თავის ცხვირზე მეორე ხელოვნური, ყალბი ცხვირი დაიკრა, დახატული, რომ შეხვედრის ჟამს მის ნათლიმამას ვერ ეცნო იგი, და ასე ორნი ჩვენი რაინდის კვალს გაჰყვნენ. სწორედ სიკვდილის ეტლთან წამოეწეოდნენ, რომ არ დაგვიანდებოდა. ბოლოს ტყეში შეხვდნენ ერთმანეთს და, რაც იქ მოხდა, ცნობისმოყვარე მკითხველმა უკვე წაიკითხა და, დონ კიხოტი საოცარ აზრთა და ფიქრების პატრონი, რომ არ ყოფილიყო, ვითომც ბაკალავრი სამსონ კარასო სულაც არ იყო სამსონ კარასო, - სენიორ ბაკალავრი სამუდამოდ დაკარგავდა ღონეს ლიცენციანტი ახალი სამეცნიერო ხარისხი მიეღო, - იმ მიზეზით, რომ მეცნიერმა გვამმა გულის კვალი ვერა ჰპოვა იქ, სადაც ფრინველის დაჭერას ლამობდა. თომა სესიამა კი განზრახული საქმის ცუდი შედეგი, რომ ნახა, უთხრა ბაკალავრს:

- ჩემო სენიორ სამსონ კარასო! ჩვენ სწორედ ის მივიღეთ, რის ღირსნიც ვიყავით. რაიმე საქმის შედგომა ძალიან ადვილია, მაგრამ იმ საქმიდან თავის დაღწევა ამგვარადვე ადვილი როდია. დონ კიხოტი უჭკუოა, მე და თქვენ კი ჭკუიანები ვართ, მაგრამ რა გამოვიდა? უჭკუომ მოახერხა ჭკუიანები გაგცურებია და ახლა დაგვცინის ალბათ. ნეტავ ახლა გამაგებინა, ვინ უფრო უჭკუოა, ისა, ვისაც შუბლზე უჭკუობა ეწერა, თუ ის, ვინც თავის ნებით გაუჭკუოვდა?

- იმათში ის განსხვავებაა, - მიუგო კარასკომ, - რომ ერთი უჭკუო იყო და იმად დარჩება, ხოლო მეორეს მუდამ ჟამს შეუძლია მოიბრუნოს ჭკუა, როდესაც კი ამას საჭიროდ დაინახავს.

- სწორედ მაგ საბუთის ძალით გამოვტყდები, - მიუგო თომამ, რომ სისულელემ მომიარა და თქვენ საჭურველმტვირთველად შევიქენ. ხოლო ახლა, ღვთის მადლით, ისევ მომეცა სურვილი დაგჭკვიანდე და ამიტომაც შინ გეახლები.

- ეგ შენი საქმეა, უთხრა კარასკომ, მაგრამ იმაზე ფიქრი, რომ შინ დავბრუნდე, ვიდრე დონ კიხოტს გვერდებს არ გავუთხელებ, იმას ეგვანება, ღამე დღედ ჩავთვალო. მხოლოდ ახლა ამას იმიტომ კი არ ვიზამ, - მინდოდეს დონ კიხოტი ჭეშმარიტ გზაზე დავაყენო, არამედ იმიტომ, რომ სამაგიერო გადავუხადო. რას იზამ, გვერდების ტკივილი ყოველგვარ სიბრალულს მავიწყებინებს.

ჩვენმა ახალმა ფათერაკების მაძიებლებმა ბედზე რომელიღაც სოფელს მიაღწიეს, სადაც ნაღრძობის ექიმი იპოვეს უბედური სამსონის მოსავლელად. თომა სესიამა აქ დასტოვა იგი და შინ დაბრუნდა. თვითონ ბაკალავრი კი დარჩა განზრახული მომავალი სამაგიეროს გადასახდელად და გეგმის მოსაფიქრებლად: თავის დროზე ჩვენი ისტორია კვლავ დაუბრუნდება მას, ახლა კი ისწრაფვის დონ კიხოტის ამბებით გაგართოთ.

რა მოხდა დონ კიხოტსა და ერთ გონიერ ლამანჩელ

რაინდს შორის

როგორც უკვე ვთქვით, მხიარული, კმაყოფილი, აღტაცებული და ამაყი დონ კიხოტი გზას განაგრძობდა და ამას წინა გამარჯვებით გაგულისებული თავის თავს უდიდეს და უმამაცეს მოგზაურ რაინდად თვლიდა. ახლა მთლად დარწმუნებული იყო, რომ თავის ყველა შემდგომ ფათერაკს ბედნიერად დააბოლოოვებდა, აღარავითარ ჯადოქრობას და ჯადოქარს აღარაფრად აგდებდა, ამ წამს მთლად დაავიწყდა, რაც რამ თავის რაინდულ მოგზაურობაში კეტები ჰქონდა მოხვედრილი, რაც მისთვის ქვებს ნახევარი კბილები ჩაემტვრია, აგრეთვე - საკატორღეთა უმადურობაც და იანგვასელი მეჯორეების კადნიერებაც. იმასლა ფიქრობდა მხოლოდ--დულსინეს თუ მოხიბვლისაგან გამოიხსნიდა, მაშინ, რაც კი ოდესმე ქვეყანაზე საუკეთესო მოგზაური რაინდები ყოფილა, ყველა იმათზე უბედნიერესად ჩათვლიდა თავს. ამ ტკბილი ფიქრებიდან უცბად სანჩოს ხმამ გამოაფხიზლა. მან უთხრა:

- უცნაური არ არის, თქვენო მოწყალეზავ, რომ აქამდისაც იმ ჩემი ნათლიმამის თომა სესილის უზარმაზარი, საშინელი ცხვირი მეღანდება?

- ნუთუ მართლა გგონია, - მიუგო დონ კიხოტმა, - რომ სარკეთა რაინდი მართლა ბაკალავრი სამსონ კარასო იყო და მისი საჭურველმტვირთველი - შენი ნათლიმამა თომა სესილი?

- ღმერთმანი, არც კი ვიცი, რა ვიფიქრო-თქვა სანჩომ, - რაც ის ჩემს მეურნეობაზე, ჩემს ოჯახზე მელაპარაკა, ყველა მისი ცოდნა მარტო ჩემს ნათლიმამა თომა სესიას შეეძლო. მისი სახე, როცა ცხვირი მოიხსნა, სწორედ ჩემი ნათლიმამა თომასი იყო, მისი ხმაც: ერთი სიტყვით - ყველაფრით ის თომა იყო, რომელიც ათასჯერ და ასიათასჯერ მინახავს და მსმენია, რადგან ჩემი სოფლელია და მასთან ახლო მეზობლებიცა ვართ.

- სანჩო, მოდი, როგორც გონიერმა ხალხმა, ეს საგანი ისე განვსაჯოთ, - მიუგო დონ კიხოტმა, - აბა მითხარ. განა შესაძლებელია, რომ ბაკალავრი სამსონ კარასო, თავით ფეხებამდის შეჭურვილი - მოგზაური რაინდით-აქ ჩემთან საბრძოლველად მოსულიყოს? განა მე როდისმე მისი მტერი ვყოფილვარ? რამე მიზეზი მიმიცია მისთვის-ჩემზე გაჯავრებული ყოფილიყო? განა მისი მეტოქე ვარ? დასასრულ, რა მხედარი ის არის, რომ ჩემგან მოხვეჭილი სახელი და დიდება შემურებოდეს?

- მაშ, ღვთის გულისათვის ეს მიბრძანეთ, - მიუგო სანჩომ, საიდან უნდა ყოფილიყო, რომ ის ვიღაც იყო, ბაკალავრ სამსონ კარასკოს ძალიან ჰგვანებოდა და მისი საჭურველმტვირთველი კიდევ ჩემს ნათლიმამას თომა სესიას? და თუ, როგორც ბრძანეთ, ეს ჯადოქრობის ოინი იყო, განა არ შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, რომ ქვეყანაზე ორი ისეთი კაცი გაჩენილიყო, რომ ორი წვეთი წყალივით ორ სხვას ჰგვანებოდა?

- კვალად გეუბნები, სანჩო, - დაიჟინა დონ კიხოტმა, ყველაფერი ეს ჩემი მტერი ჯადოქრების ბოროტი ოინებია. რაკი ჩემი გამარჯვება ამთავითვე იცოდნენ, ისე მოაწყვეს საქმე, რომ დამარცხებული რაინდისათვის შემეხედა თუ არა, ჩემი მეგობარ ბაკალავრის სახე შემხვედროდა: მტრის ყელსა და ჩემს მკვეთრ მახვილს შუა მეგობრობა ჩააყენეს. ამ ხერხით უნდოდათ ჩემი სამართლიანი რისხვა შეესუსტებინათ - მისი სიცოცხლე დაეფარათ, ვინც ესოდენ მოღალატეობრივი ომით და ვერაგულად ჩემს სიცოცხლეს შემართა. სანჩო! ნუთუ იმის მაგალითების მოყვანა არის შენთვის საჭირო, თუ ჯადოქრებს ადამიანების სახის შეცვლა

როგორ შეუძლიათ? შენ ამაში, მგონია, საქმიანად დარწმუნდი. სულ ორი დღეა მას აქეთ, რაც შენი საკუთარი თვალთ ნახე დულსინე სრული თავისი ბრწყინვალეობითა და გამოუთქმელი მშვენიერებით: მე კი იგი რაღაც ტლანქ და საზიზღარ გლების გოგოდ მეჩვენა, თვალწირპლიანად, პირიდან მყრალი სუნი ამოსდიოდა. მაშ, რაღა საკვირველი და არაბუნებრივი, რომ დულსინეს ასეთი აღმაშფოთებელი გარდაქმნის მოქმედმა ჯადოქარმა მისი მსგავსი გარდაქმნა ახლაც მოახდინა და, ხელიდან გამარჯვება, რომ წაეგლიჯათ, სამსონ კარასო და შენი ნათლიმამა მოგვაჩვენა. მაგრამ რა სახითაც არ უნდა დამცემოდეს ჩემი მტერი, მე ის ვიცი, რომ დავამარცხე, და ამის მეტიც არა მინდა რა.

- მარტო ღმერთმა უწყის მართალი, - ცივად უპასუხა სანჩომ.

- მისთვის, რა თქმა უნდა, ძნელი იყო დონ კიხოტის საბუთებით დარწმუნებულიყო, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ დულსინეს მოხიბვლა ჯადოქრებისაგან კი არა, თვითონ მისივე გაიმვერობითა და ოინზაზობით იყო მოწყობილი. მაგრამ გადაწყვიტა -კრინტიც არ დაემრა ამაზე, რადგან ეშინოდა, არა გასცდენოდა რა და თავისი ტყუილი არ გაემჟღავნებინა.

ამ საუბრის დროს ჩვენს ფათერაკების მამებრებს ვიღაც უცნობი კაცი წამოეწია, მშვენიერ, ლურჯა ტაიჭზე იჯდა, მოკლე მწვანე ტილომა კახა რუხხავერდმოვლებული კაპუშონიანი. თავზე იმავე ფერის ხავერდის პატარა ქუდი ეხურა: ცხენის მოსართავებიც მწვანე და რუხი ფერისა ჰქონდა. არაბული ხმალი მწვანე ყაიშზე ეკიდა, იმნაირადვე მოკაზმული, როგორც მისი მოკლეველიანი წაღები იყო, დასასრულ, მწვანე ლაქწასმული დეზები ისეთი საგანგებო ხელოვნებისა ჰქონდა და ისე უზინავდა, რომ სრულებით ეფარდებოდა მის სრულ მოკაზმულობას, და ისე ამშვენებდა მას, რომ წმინდა ოქროსიც, რომ ყოფილიყო, ის ლაზათი არ ექნებოდა. შეხვედრისთანავე ჩვენს მოგზაურებს ზრდილო. ზიანად მიესალმა, ცხენს დეზი ჰკრა და დაწინაურებას აპირებდა, მაგრამ დონ კიხოტმა შეაყენა იგი.

- პატივსაცემო ბატონო, - უთხრა მან, - თუ თქვენც იქით მიბრძანდებით, საითაც ჩვენ მივალთ, და არც გეშურებათ, ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა ერთად წავსულიყავით.

- უნდა გაგიტყდეთ, - მიუგო უცნობმა, - ჩემს ცხენს დეზი იმიტომ ვკარი, ვმიშობდი თქვენი ცხენი არ აემფოთებინა.

- არა, ჩემო ბატონო, - დაატანა სანჩომ, - მაგაზე არხეინად ბრძანდებოდეთ. ჩვენი ცხენი ჩინებულად არის გაწვრთნილთ და მტისმეტად თავშეკავებულია. მაგვარი რამ თავის დღეში არ დაემართება: მთელ სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ჩაიდინა სისულელე და აკი მაგასაც და ჩვენც ის სისულელე ძვირად დაგვიჯდა. კვლავ მოვახსენებ თქვენს მოწყალებას, სრული დამშვიდებით შეგიძლიათ ჩვენთან ერთად იმგზავროთ, რადგან თქვენი ფაშატო ჩვენს ცხენს, რომ ორ კერძს შუა თაფლწასმული მოართვან, მაინც ხელს არ ახლებს მაგას.

უცნობმა ცხენი შეიკავა და გაოცებული უცქეროდა დონ კიხოტს, თავშიშველა მიმავალს, რადგან მისი მუზარადი სანჩოს თავისი კურტნის კეხზე მიკრული მიჰქონდა. მაგრამ თუ უცნობი ბეჯითად ათვალაიერებდა დონ კიხოტს, ეს უკანასკნელიც უფრო მეტი ყურადღებით სინჯავდა მწვანეტოლომიანს, იმის თვალში საჩინოსა და ძალიან რიგიან კაცს შესახედაობით იგი ორმოცდაათი წლისა უნდა ყოფილიყო; მის თმას მცირედად ჭაღარა ჰქონდა. შერთული; არწივისებური ცხვირი, პირმოცინარე, მიმკაცრო მზე რა, მიხრა-მოხრა, წარმოსადეგობა, ერთი სიტყვით - ყველაფერი მის რიგიანობას ამხელდა. უცნობი კი დონ კიხოტის თვალაიერების

დროს მარტო იმას ფიქრობდა, რომ ამგვარი კაცი მისდღეში არ ენახა. ჩვენი რაინდისა იმას ყველაფერი აოცებდა; ცხენი, სიგამხდრე, სახის სიყვითლე, შესახედაობა, იარაღი, ტანისამოსი და, დასასრულ - მთელი მისი ფიგურა, რომლის მსგავსი დიდი ხანია არსად აღარა ჩანდა. დონ კიხოტმაც შეამჩნია, თუ როგორი ყურადღებით სინჯავდა მას უცნობი და მის გაოცებულ სახეზე მისი სურვილი წაიკითხა. მეტისმეტად ზრდილმა და მუდამ ყველას სამსახურად გამზადებულმა რაინდმა აღარ დააცადა კითხვა და უთხრა:

- მესმის თქვენი დაკვირვება, - უთხრა მან, - რასაც აქ ხე დავთ, ყველაფერი რა თქმა უნდა, ახალ რამედ გეჩვენებათ, მაგ რამ თქვენი გაოცება განქარდება, როდესაც გეტყვით, რომ ვეკუთვნი რაინდთა დასს.

სახელმძოხვეჭილთ მით, რომ არიან

მუდამ ფათერაკთ მამიებელნი.

მე ჩემი სამშობლო და სახლი დავტოვე, მამული დავაგირავე, მოსვენებას სამუდამოდ გამოვეთხოვე და ჩემი თავი ბედისწერას მივანდე. დაე, ბედმა საითაც უნდა, იქით წამიყვანოს. მე განვიზრახე, ჩვენს დროში გამქრალი მოგზაური რაინდობა აღვადგინო და დიდი ხნიდანვე ერთგან წაბორძიკებული, მეორეგან დაცემული, მესამეგან ამდგარი - ჩემი მიზნისკენ მივისწრაფი: გამზადებული - ქვრივთა საშველად, ქალწულთა მოსარჩლედ, ობოლთა და დავრდომილთა მფარველად, ერთი სიტყვით, მოგზაური რაინდის კანონიერი მოვალეობის აღმსრულებლად. ჩემი მრავალრიცხოვანი რაინდული და ქრისტიანული საქმეებით იმას მივაღწიე, რომ ჩემი თავგადასავალი დაბეჭდილია და ცნობილია თითქმის მთელი ქვეყნის ყველა ხალხისათვის. ჩემი ისტორიის ოცდაათი ათასი ცალეული უკვე დასტამბულია და, როგორც მგონია, კიდევ ოცდაათი ათასჯერ ათასს დასტამბავენ მას, თუ, რასაკვირველია, უფლის ნება იქნება. მაგრამ, რამდენიმე სიტყვით, რომ მოვჭრა, ანუ მარტო ერთი სიტყვით ვთქვა, გეტყვით, რომ მე ვარ მოგზაური რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი, მწუხარე სახის რაინდად ცნობილი. თუმცა ვიცი, ხშირად თავის ქებაც სასარგებლო არ არის, მაინც არ ვუარობ მას, როდესაც ჩემს გარშემო ვერავის ვხედავ, რომ ჩემს მაგიერ ილაპარაკოს. მაშ ასე, თქვენო მოწყალებავ, არც ეს ცხენი, არც ეს შუბი, არც ეს საჭურველმტვირთველი, არც ყველა ეს აბჯარი, არც ფერის სიმკრთალე, არც ჩემი ტანის სიგამხდრე ამიერიდან, უეჭველია, აღარ გაგაკვირვებთ, რაკი გაიგეთ - მე ვინა ვარ და რა ვარ.

დონ კიხოტმა ეს თქვა, დადუმდა და გონებადაფანტულმა უცნობმა დიდხანს ვერ შეიძლო მოეფიქრებინა, თუ მისთვის რა ეპასუხა. ბოლოს გონზე მოსულმა უთხრა:

- ბატონო რაინდო, სწორედ მიხვდით ჩემი გაოცების მიზეზს, მაგრამ იგი გაოცება თქვენი ნათქვამით სრულებითაც ვერ გამიქარვთ, პირიქით, გავიგე რა - ვინა ბრძანდებით, უწინდელზე მეტად მივეც ჩემი თავი გაოცებას. განა შესაძლებელია ამ დროში კაცს მოგზაური რაინდი შეხვდეს, ანუ ნამდვილი რამ სარაინდო წიგნი დაიბეჭდოს? მე თავად მაინც ვერასგზით წარმოვიდგენდი ჩვენს დროში ქვრივთა შემწეს, ქალწულთა მოსარჩლეს, დავრდომილთა და ობოლთა მფარველს ვინმეს შეგხვედროდა, და თვითონ თქვენ, რომ არ შემხვედროდით, ასეთი კაცის არსებობას არასგზით არ დავიჯერებდი. ღმერთმა ინებოს, რომ თქვენი დიდებული და ნამდვილი რაინდული საქმეების ისტორიამ, როგორც თქვენ ბრძანებთ, უკვე დასტამბულმა, თქვენთა ისევე მრავალთა, როგორც ქვემარტთა საქმეთა ზედა, საუკუნოდ დამარხოს



სხვადასხვა ჯურის უთვალავ ცრუ რაინდთა სახსენებელიც კი, რომლებითაც ოდესმე ქვეყანა სავსე იყო ნამდვილ პატიოსან საქმეთა და ჭეშმარიტ ისტორიათა საზარალოდ.

- მაგაზე კი კამათის გაწევა შეიძლება: მოგზაურ რაინდთა ისტორია ჭეშმარიტებაა თუ სიცრუე, - მიუგო დონ კიხოტმა.

- როგორ! ნუთუ ვისმეს შეუძლია მათ სიცრუეში ეჭვი შეიტანოს? - შესძახა უცნობმა.

- მე მაინც ეჭვი მაქვს და ძალიან დიდი ეჭვიცა, - მიუგო რაინდმა. - მაგრამ ჯერ ხანად ამას თავი დავანებოთ. თუ ჩქარა არ გავშორდით ერთმანეთს, იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით, დავარწმუნოთ, რომ თქვენ იქნება ცოტა განუსჯელად მოქცეულხართ, რომ იმ ხმებისთვის დაგიჯერებიათ, ვითომ ამ რომანებში მოთხრობილი ამბები მართალი არ იყოს.

ეს, რომ მწვანე ტანისამოსით მოსილმა უცნობმა მოისმინა, ხუმრობა გაშვებით იფიქრა: ეს ჩემი მოსაუბრე გიჟი ხომ არ არიო, და მხოლოდ დროს ელოდა - ეს მისი ეჭვი თვითონ დროს ან გაექარებინა, ან გაემართლებინა; მაგრამ ლაპარაკის შეცვლა ვერ მოასწრო, რომ დონ კიხოტმა, რაკი თავისი თავი მთლად გააცნო უცნობს, მასაც თავისი ვინაობა ჰკითხა.

- მე აქაური იდალგო ვარ, - მიუგო უცნობმა, - აქედან ახლოს ვცხოვრობ სოფელში. გთხოვთ დღეს სადილად ჩემთან შემობრუნდეთ. ჩემი გვარია დონ დიელო დე მირანდა. ღვთის წყალობით შეძლება მაქვს და ბევრი მეგობარიცა მყავს, ჩემს დღეებს ჩემს ოჯახში, ცოლ-შვილთან და რამდენიმე მეგობართან ერთად ვატარებ. ნადირობა და თევზაობა მიყვარს, მაგრამ ქორ-მეძებრებს არ ვინახავ, მხოლოდ ერთი გაწვრთნილი კაკაბი მყავს და ერთიც მოჩხუბარი ქრცვინი. წიგნთსაცავში სამოცდაათიოდე ცალეული ესპანური და ლათინური წიგნი მექნება, ზოგი მხატვრული და ზოგიც სასულიერო შინაარსისა; სარაინდო წიგნებს, მართალი, რომ გითხრათ, ჩემი სახლის დირე არ გადმოუბიჯებია. საერო წიგნები სასულიერო წიგნებზე უფრო ხშირად გადამიფურცლავს, თუ სასარგებლო და საყურადღებო, მასთან კარგი ენით დაწერილი თხზულება შემხვედრია ჩემს მეგობრებთან და მეზობლებთან ხშირად ვარ სადილად და უფრო კიდევ ხშირად იმათ ჩემთან ვპატიჟებ ხოლმე. კარგი სუფრა ვიცი, ცუდი ლაპარაკი არავიზე არ მიყვარს და არცთუ სმენა მიყვარს სხვებზე ცუდი ლაპარაკისა, არ მინდა ვიცოდე, თუ ვინ როგორ ცხოვრობს და სხვის საქმეზე მსჯელობას ვერიდები წირვაზე ყოველდღე დავდივარ ჩემი ქონებიდან ღარიბთაც წილს ვუდებ და ამაზე საქვეყნოდ არ გავყვირი, მეშინია - თავმომწონეობამ და პირმოთნეობამ ხშირად, რომ შეუმჩნეველად თვით თავმდაბალ გულსაც კი იმონებს, ჩემს გულშიაც არ დაისადგუროს. ყველგან მშვიდობიანობის ჩამოგდებას ვცდილობ, ჩვენს ღვთისმშობელს ვლოცულობ და ჩემი სიცოცხლის ყოველ წამს უფლის განუსაზღვრელ მოწყალებაზე ვსასოებ.

ყველა ეს, რაც იდალგომ თავის ცხოვრებაზე თქვა, სანჩომ დიდი ყურადღებით მოისმინა გადაწყვიტა, ის კაცი ნამდვილ ღვთის მოშიშარ ცხოვრებას ატარებსო, და იგულისხმა, ყველა თავისი სიცოცხლის ასე გამტარებელი საკვირველ მოქმედი უნდა იყოსო ამიტომ საჭურველმტვირთველი ვირიდან გადმოხტა, მწვანე ტანისამოსით მოკაზმულ უცნობთან საჩქაროდ მივიდა, უზანგში ზოსჭიდა ხელები და, თვალებზე ცრემლმორეული და ლმობიერებით აღსავსე, რამდენიმეჯერ ფეხზე ეამბორა.

- რას სჩადიხარ, რასა, შე კაი კაცო, გაგონილა ასეთი კოცნა? - უთხრა გაკვირვებულმა იდალგომ.

- ნება მიბოძეთ, გეამბოროთ, - ეუბნებოდა სანჩო, - იმიტომ, რომ თქვენში პირველს ცხენზე მჯდარს წმიდასა ვხედავ.

- რას ამბობ, სადაური წმიდანი ვარ, - მიუგო იდალგომ, პირიქით - დიდი ცოდვილიცა ვარ შენ ეფროცა ხარ, ჩემო მეგობარო, მართალთა რიცხვში ჩასარიცხი რაკი ეგეთი ლმობიერი და მინდობილი კაცი ყოფილხარ.

სანჩო ძლივს მოეშვა იდალგოს და თავის ვართან დაბრუნდა, ამ საქციელით თვითონ სევდიანი დონ კიხოტიც კი გააღიმა, ხოლო დონ დიელო კვლავ გააოცა ამასობაში დონ კიხოტმა იდალგოს ჰკითხა რამდენი შვილი გყავსო, და თანაც დაუმატა, ჭეშმარიტი ღმერთის არმცნობი ძველი ფილოსოფოსები ადამიანის უმაღლეს ბედნიერებად ბუნებითს ნიჭს, ბედნიერ ცხოვრებას, მეგობრების სიუხვეს და ბევრ კარგ შვილს თვლიდნენო.

- მე, ბატონო დონ კიხოტი, მხოლოდ ერთი ვაჟი მყავს, - მიუგო დონ დიელომ, - და აგრე რიგად არც ის მახარებს. არ ვიტყვი, რომ ბოროტი იყოს, მაგრამ არცთუ ისე კეთილია, როგორც მე მსურს. თვრამეტი წლისაა, ექვსი უკანასკნელი წელიწადი სალამანკაში გაატარა ლათინურისა და ბერძნული ენების სწავლაში. როდესაც სხვა მეცნიერების სწავლის დრო დაუდგა, დავინახე, რომ ისეთნაირად დაუმონებია იგი პოეზიას (თუ იგი მეცნიერებად შეიძლება ჩაითვალოს), რომ ვეღარავითარ ღონეს ვერ ვხედავ უფლების სწავლაზე დავაყენო, ანუ ღვთისმეტყველების სწავლა შევაყვარო, ყველა მეცნიერების მეფე, რომ არის. მე მინდოდა ჩვენს გვარში რჩეული ყოფილიყო, რადგან ღვთის მადლით ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც გვირგვინოსანნი თავისი კეთილმოქმედებით ცნობილ მეცნიერთ და მწიგნობართ მეფურად აჯილდოებენ; კეთილმოქმედებითა - მეტი იმიტომ ვთქვი, რომ ტალანტი და მეცნიერება თვინიერ კეთილმოქმედებისა ნეხვის გროვაში მოყოლილ მარგალიტსა ჰგავს. ჩემი შვილი კი მთელ თავის დროს იმაში ჰკარგავს, რომ არჩევს და ამოწმებს, ჰომეროსმა კარგად თუ ცუდად თქვა ილიადაში ესა და ეს ლექსი; მისაღებია და მართებული თუ არა მარციალეს ესა თუ ის ეპიგრამა, ასე უნდა გვესმოდეს თუ სხვანაირად ვერგილიუსის ესა თუ ის სტრიქონი. ერთი სიტყვით, იგი საუბრობს ზემოდასახელებულ პოეტთა თხზულებებთან და მათ გარდა კიდევ ჰორაციუსთან, პერრისთან, იუვენალთან და ტიბულთან . ესპანეთის თანამედროვე პოეტებს აგრერიგად პატივს არა სცემს და ძველმა პოეტებმა ისე დაიმონეს იგი, რომ ჩვენს საკუთარ პოეტებს, მართალი უნდა ვთქვა, სრულებით ყურადღებას არ აქცევა, თუმცა კი ამჟამად მისი გონება სალამანკიდან მიღებული ოთხსტრიქონიანი გლოსით არის დაზაფრული და ოთხტაეპიანი ლექსი უნდა დაწეროს, ვფიქრობ, რომელიმე ლიტერატურული შეჯიბრებისათვის.

- შვილები თავიანთი მშობლების ნაწილს შეადგენენ, - უთხრა დონ კიხოტმა, - და ჩვენც თანამდებ ვართ გვიყვარდეს ისინი იმის განურჩევლად: კეთილნი არიან თუ არა, სწორედ ისევე, როგორც ჩვენი მშობლები გვიყვარს. შვილებს უნდა ვაყენებდეთ კეთილმოქმედების გზაზე დიადი და მშვენიერი მიზნების მისაღწევად, მეცადინეობით აღვზარდოთ და გონებას ვუხსნიდეთ მათ, რათა შემდეგში ყავარჯნად ექმნენ თავიანთ მოხუც მშობლებს და ასახელონ თავიანთი შთამომავლობა, იმ მამების საქციელიც არ მომწონს, რომელნიც ძალას ატანენ შვილებს ამა თუ იმ საგნების შესწავლისას, მაგრამ ამ მხრივ შესაფერი რჩევის სარგებლობასაც არ უარყვოფთ. როდესაც მოწაფეს ზენამ მისი ცხოვრებისათვის საკმაო შეძლების პატრონი მშობლები მიანიჭა და მას არ უხდება იმუშაოს პანე ლუცრანდო, მაშინ, მე მგონია, ყველას ისა სჯობია - ნება მისცეს მას, ის მეცნიერება შეისწავლოს, რა მეცნიერებისაკენაც ბუნებითს

მიზიდულებას გრძნობს, და თუმცა პოეზიაში მეცადინეობა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე სასარგებლო, იგი მაინც უპატიოსნო არ არის. პოეზია, ჩემის აზრით, სენიორ იდალგო, შეიძლება ტურფა და ნაზ ქალს მივამსგავსოთ, სათუთ ასაკოვანს, ყოველგვარი მშვენიერების პატრონს, რომლის გამდიდრებას, გამშვენიერებას, გალამაზებას ცდილობს ბევრი სხვა ქალი - სახელდობრ - ყველა მეცნიერება; იგი მათი დახმარებით უნდა სარგებლობდეს, ხოლო ყველა ისინი მისგან ბრწყინვალეობასა და კაშკაშს იძენდნენ. მაგრამ იგი ისეთი ქალია, რომელსაც არ უყვარს, რომ ყველა მას ებლაუჭებოდეს, ქუჩა-ქუჩა ათრევდეს, მოედნებზე, ქუჩებში და სასახლეთა ჯურღმულებში საჩვენებლად გამოჰყავდეთ" იგი ისეთი მასალისაგან არის შემდგარი, რომ, ვინც მისი მოხმარება იცის, პიტალო, დაუფასებელ ოქროდ შეუძლია აქციოს. ვინც იმას ფლობს, მზრუნველობით უნდა ვლიდეს და იცავდეს, არ უნდა მიუშვას იგი საზიზღარ სტრიქონებში და უზნეო სონეტებში სანავარდოდ, არავითარი სახით არ უნდა იყიდებოდეს იგი. გაყიდვა შეიძლება მარტო გმირული პოემებისა, მწუხარე ტრაგედიებისა და მხიარული კომედიებისა. იგი უნდა აშორეთ მასხარათა და ბრიყვ მდაბიოთა, რომელნიც მისია საუნჯეთა ვერ შეიგნებენ და ვერც დააფასებენ. ნუ გგონიათ, ჩემო ბატონო, მდაბიოს სახელით ბრბოს, ანუ დაბალი შთამომავლობის პირთ ვგულისხმობდე, - სულაც არა, ყველა უვცი, თავადი იქნება თუ აზნაური, ჩემის აზრით, მდაბიოთა რიცხვში უნდა შეირიცხოს, ხოლო ის, ვინც პოეზიის მოხმარებას შეიძლებს, მთელი ქვეყნის განათლებულ ერთა შორის გაითქვამს სახელს. და თუ თქვენი შვილი, როგორც ბრძანებთ, ჩვენს მშობლიურ ესპანურ პოეზიას არა სცემს პატივს, ამაში მის დიდ შეცდომას ვხედავ" დიდი ჰომეროსი ლათინურად არა დოდა იმიტომ, რომ ბერძენი იყო, და ვერგილიუსი ბერძნულად არა დოდა, რადგან რომაელი იყო. საზოგადოდაც ძველი პოეტები იმ ენაზე წერდნენ, რა ენაც, როგორც ამბობენ, დედის ძუძუსთან ჰქონდათ შეწოვილი, და თავიანთი დიადი აზრების გამოსახატავად სხვა ენას არ ეძებდნენ. ჩვენი დროის პოეტებიც მოვალენი არიან ამ მხრივ თავიანთ გამოჩენილ წინაპართ მიბადონ. განა შეიძლება შევიძულოთ რომელიმე გერმანელი პოეტი იმისათვის, რომ იგი გერმანულად წერს, ანუ კასტილიელი, ანუ ბისკაელი იმისათვის, რომ ისინი თავიანთ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ და წერენ? მაგრამ, როგორც მგონია, თქვენი შვილი ჩვენი პოეზიის წინააღმდეგი კი არ არის, არამედ ლექსების მჯღაბნელების წინააღმდეგია, ესპანურად რომ წერენ და თავი პოეტ. სად მოაქვთ, ერთი უცხო ენა აი არ იციან და რაიმე მეცნიერების გაგების უნარიც არა აქვთ, რომ მათი ბუნებითი ნიჭი გაეხსნა, გაენათლებინა და აღემაღლებინა. მაგრამ აქაც შეიძლება შეცდომაში ვიყოთ, რადგან ყოვლად საბუთიანი აზრი არსებობს, რომ პოეტებად იბადებიანო, - სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ნამდვილი პოეტი დედის მუცლიდანვე გამოდის პოეტად და ამ ზეციდან მინიჭებული მიდრეკილების მეოხებით, სწავლის მიუღებლად და ხელოვნების შეუსწავლელად ისეთ ლექსებს თხზავს, რომელნიც ადასტურებენ, თუ რაოდენი უფლება ჰქონდა ოვიდიუსს, რომ თქვა: ესტ ძეუს ინ ნობის და ა. შ. აქ იმასაც დავძენ, რომ ბუნებით პოეტი, ხელოვნებით დაოსტატებული, იმაზე აღმაღლდება, ვისაც პოეტად მოაქვს თავი, რადგან ხელოვნება იცის; და ეს სრულებით ბუნებრივია: ხელოვნება ბუნებაზე ვერ ამაღლდება, მხოლოდ განავითარებს მას და ნამდვილ პოეტად მხოლოდ იმას შეუძლია ყოფნა, ვისთანაც ბუნება ხელოვნებასთან შეერთებულია. ყველა ეს იმიტომ ვთქვი, რომ დაგიყოლიოთ, თქვენს შვილს იმ გზაზე სიარულის ნება მისცეთ, რა გზასაც მისი ვარსკვლავი უნათებს თუ იგი იმდენად კარგი სტუდენტია, თუ მან ცოდნის პირველ საფეხურს გამარჯვებით გადააბიჯა, ესე იგი ძველი ენები შეისწავლა, მამ იმათი შემწეობით ახლა თავისუფლად მივა მეცნიერების უმაღლეს საფეხურამდე, რაიცა ისევე აღამაღლებს და დაამშვენებს იდალგოსა და რაინდს, როგორც მიტრა - ეპისკოპოსს, მანტია - მეცნიერს - გამოცდილ მოსამართლეთ. დატუქსეთ

თქვენი შვილი, თუ სატირები დაწერა სხვისი პატივის ასაყრელად: ასეთი ნაწერები დაუწვით და თვითონაც დასაჯეთ. მაგრამ, თუ იგი საერთოდ ბიწიერებას კიცხავს, თუ იგი ხალხს ასწავლის ჰორაციუსის მსგავსად და მასთან ისე ჩინებულად, როგორც მისმა დიდებულმა რომაელმა წინაპარმა იცოდა, მაშინ შეაქეთ მისი ნაშრომი, რადგან პოეტებს ნება აქვთ გაამათრახონ მოშურნენი და თავს მეხი ატეხონ ბოროტებას, მხოლოდ კი პიროვნებას არ შეეხონ; თუმცა ისეთი პოეტებიც არიან, რომ პონტოს კუნძულზე განდევნასაც არ მოერიდებიან, ოღონდ რაიმე კადნიერი, გესლიანი სიტყვა თქვან. დასასრულ, დავძენ - თუ პოეტი თავის ცხოვრებაში უმწიკვლოა, ქმნილებანიც უმწიკვლო ექნება. კალამი სულის ენაა. რასაც სული ჩაიფიქრებს, კალამიც მას გამოხატავს. და, როდესაც მეფენი ამა ქვეყნის ანი ბრძენ და პატიოსან პირებში პოეზიის მომჯადოებელი მეცნიერებით შეპყრობილ ადამიანებს აღმოაჩენდნენ, ისინი აღამაღლებდნენ, ამდიდრებდნენ და ბოლოს აგვირგვინებდნენ მათ მეხის უშიშარი ხის ფოთლებით, ნიშნად იმისა, რომ არავინ ახლოს ხელი პოეტს, რომლის შუბლს ამშვენებს და ამკობს დიდების ეს გვირგვინი.

მწვანესა მოსიანი აზნაური ისე დიდად გააოცა დონ კიხოტის მსჯელობამ, რომ იფიქრა, ეს რაინდი არც ისე ჭკუადამთხეული ყოფილა, როგორც აქამდის მეგონაო. ხოლო სანჩო, რომელსაც ეს საუბარი ვერაფრად ეჭაშნიკა, ნახევარზე ყური უგდო, მერე გზიდან გადაუხვია და ცოტა მოშორებით ცხვრის მოსაწველად დამდგარ მწყემსებთან რძის სათხოვნელად მივიდა. დონ კიხოტის ჭკუითა და სიტყვებით აღტაცებული დონ დიელო ის იყო მასთან საუბრის განგრძობას აპირებდა, რომ რაინდმა გზაზე მომავალი სამეფო დროშებით მორთული ეტლი დაინახა. იფიქრა, ეს ახალი რამ ფათერაკი უნდა იყოსო, მუზარადის დახურვა სცნო საჭიროდ და სანჩოს დაუძახა. თავის ბატონის ხმა რომ გაიგონა, საჭურველმტვირთველმა მწყემსებს თავი დაანება, ვირს მათრახი გადაჰკრა და ქაქანით მოირბინა რაინდთან, რომელსაც იქვე საშინელი და სულელური ფათერაკი შეემთხვა.

## თავი XVII

სადაც აშკარავდება, თუ როგორ უაღრესსა და უკიდურეს საზღვრამდე შეეძლო მიღწევა და მიაღწია კალეც დონ კიხოტის არნახულმა ვაჟკაცობამ ლომებთან ბედნიერად დაგვირგვინებული ფათერაკის დროს

ჩვენი ისტორია გადმოგვცემს, რომ იმ დროს, როდესაც დონ კიხოტმა სანჩოს დაუძახა და მუზარადი მოსთხოვა, საჭურველმტვირთველი მაშინ მწყემსებთან ხაჭოს ყიდულობდა. იგი აჩქარდა, რათა ბატონის ძახილზე მალე მისულიყო. ხაჭოს დატოვებაც არ უნდოდა, რადგან ფული მიცემული ჰქონდა, და არც ის იცოდა, რაში ჩადო. და ბოლოს, ბევრი აღარ უფიქრია, აიღო, რაინდის მუზარადში ჩადო და დონ კიხოტთან მიირბინა საკითხავად, თუ რა ნებავდა.

- ჩემო მეგობარო, მოიტა მუზარადი, თუ ღმერთი გწამს, უთხრა დონ კიხოტმა, - ან მე არა გამეგება რა ფათერაკებისა, ან, რასაც ვხედავ, იგი მზადყოფნას მაიძულებს და ამ წუთში ჩემი საჭურველი მჭირდება.

ეს, რომ დონ დიელომ მოისმინა, ყოველ მხარეს მიმოიხედა, მაგრამ ვერა დაინახა რა პირდაპირ მათკენ მიმავალი ურმის მეტი, იფიქრა, უთუოდ სახაზინო ფული მოაქვთო, და თავისი აზრი

დონ კიხოტს გაუზიარა, მაგრამ მან არ დაუჯერა, რადგან სრულებით დარწმუნებული იყო, რომ, რაც კი მას შეეყრებოდა, სულ ერთიმეორის მომდევნო ფათერაკი იქნებოდა.

- საბრძოლველად მზადყოფნა, - მიუგო მან, - ბრძოლის ნახევრად მოგებას უდრის. რომ მოვემზადო, არას დაგვარგავ. მე ისიც ვიცი, რომ ხილული და უხილავი მტერი ბევრი მყავს, მხოლოდ არ ვიცი არც დღე, არც ღამე, არც ადგილი და არც სახე, თუ როდის, რა სახით და სად დამეცემიან.

მერე სანჩოს მიუბრუნდა და მუზარადი მოჰკითხა. საჭურველმტვირთველმა ხაჭოს ამოღება ვერ მოასწრო და ისე ხაჭოიანად მიართვა დონ კიხოტს. რაინდმა ყურადღება არ მიაქცია, თუ რამე იყო მუზარადში, თავზე დაიხურა და ხაჭო მიიჭყლიტა. შრატმა თმასა და სახეზე დაუწყო დენა. ამან ისე შეაშფოთა იგი, რომ სანჩოს მიუბრუნდა და უთხრა: - ლამის ვიფიქრო, თავის ქალა მირბილდება, ანდა თავში ტვინი მიდნება, ან კიდევ ოფლი მდის თავით ფეხამდის. მაგრამ, თუ მართლა ასე ძალიან ვიწურები ოფლში, უეჭველია, შიშით არ მომდის. ალბათ საშინელი ფათერაკი უნდა მომელოდეს. თუ ღმერთი გწამს, მომეცი რამე, თვალები მოვიწმინდო, ლამის ამ ოფლმა დამაბრმავოს.

სანჩომ მდუმარედ მიაწოდა ხელსახოცი და ღმერთს მადლობა უძღვნა, მისი ბატონი, რომ ვერ მიხვდა, თუ როგორ იყო საქმე. სახე, რომ მოიწმინდა, დონ კიხოტმა მუზარადში რაღაც თეთრი ფაფა დაინახა, ცხვირთან მიიტანა და, რომ უსუნა, გაბრაზებულმა შეჰყვირა:

- ჩემი მიჯნურის დუღსინე ტობოსელის სიცოცხლეს ვფიცავ, ამ მუზარადში შენ ხაჭო ჩაგიდვია, შე მოლაღატვე, მაწანწალავ, ხეპრე საჭურველმტვირთველო!

სანჩომ, თითქოს აქ არაფერიაო, მეტისმეტი დაუდევრობით უპასუხა:

- თუ ეგ ხაჭოა, ჩემო ბატონო, მიბოძე და მე შევჭამ, თუ ირადა ეშმაკმა ჭამოს, რადგან ეგ მანდ მისი ჩადებული იქნება. აბა რას ბრძანებთ, განა გავბედავდი შენი მუზარადის გასვრას? ჯადოქრები მეც მმტრობენ, ისე როგორც თქვენი მოწყალეების შემოქმედებასა და პატივს. ეგ რაღაც საძაგლობაა, სწორედ იმათ ჩაუდვიათ, რომ გაგარისხონ და ჯავრი ჩემს გვერდებზე ამოგაყრევიონ. მაგრამ კი, მგონია, ამ ჯერობაზე ხახამშრალნი დარჩებიან, განა თქვენი მოწყალეობა ვერ განსჯის, რომ მე არც ხაჭო მაქვს, არც რძე, და არც სხვა რამ იმგვარი და, კიდევ რომ მქონდეს, თქვენს მუზარადში შენახვას, უმალ ჩემს მუცელში შევიინახავდი.

- მაგას კი მართალს ამბობ, - ეგ ყველაფერი შესაძლებელია, - მიუგო დონ კიხოტმა.

ყველა ამას დონ დიელო გაოცებული ისმენდა და უცქეროდა. მეტადრე ის გაუგვიდა, რომ დონ კიხოტმა თავი, პირისახე და წვერი მოიწმინდა, მუზარადი კვლავ დაიხურა, უზანგებზე გასწორდა, ხმალი ნახევრამდის ქარქაშიდან ამოიხადა და შუბის ქნევით დააძახა:

- ახლა რაც იქნება, ის მოხდეს, მზადა ვარ თვითონ ხორცმესხმულ სატანას დავუდგე წინ! ამასობაში დროშები ანი ეტლიც მოახლოვდა, მეეტლე ჯორზე იჯდა და ისე ერეკებოდა. ერთი კაციც ეტლის წინ იჯდა მეტი არავინ ჩანდა. დონ კიხოტმა იმათ გზა გადაუღობა და ჰკითხა.

- საით მიემგზავრებით, ძმობილნო? ეს რა ეტლია? რა მიგაქვთ? ან ეს რა დროშებია?

ამაზე მეეტლემ მიუგო:

- ეს ეტლი ჩემია, ნაფაზებით ორი მშვენიერი ლომი მიმყავს, ირანის გუბერნატორი მის უდიდებულესობას საჩუქრად უგზავნის დედაქალაქში. ეს დროშა სამეფოა და იმას ნიშნავს, რომ ამ ეტლში მეფის ქონებაა მოთავსებული.

- დიდი ლომებია? - იკითხა დონ კიხოტმა.

- ისეთი დიდებია, მიუგო ეტლის კოფოზე მჯდარმა კაცმა, -, რომ მათი დარაჯი მოგახსენებთ, ასეთები აფრიკიდან ევროპაში ჯერ არსად გადმოუყვანიათო. მე ლომების მოძველები ვარ, ჩემს სიცოცხლეში ბევრი ლომი გადამიყვანია აქა-იქ და ასეთები ჯერ არ შემხვედრია; აქ ძუ და ხვადი ლომია; ხვადი წინა გალიაშია და ძუ - უკანაში, ახლა დამშეულები არიან, რადგან დილას აქეთ არა უჭამიათ რა. ამიტომ გთხოვთ, გზა დაგვილოცოთ, ეგებ ჩქარა სადმე მივიდეთ და ვაჭამოთ რამე.

ამ სიტყვებზე დონ კიხოტმა ოდნავი ჩაღიმებით მიუგო:

- ჰმ! რას ნიშნავს ლომები? სხვისთვის თუ ლომებია, ჩემთვის ლომის ლეკვებია. დიახ, ლეკვები, - იძახდა იგი. - ახლავე ვნახავთ და ჩვენთან ერთად ჯადოქრებიც ნახავენ, რომ ისეთი კაცი არა ვარ, ლომებისა მეშინოდეს. მშობილო, - დარაჯს მიუბრუნდა, - რადგან, შენ გაბარია ესენი, დამავალე, ჩამოდი ეტლიდან და შენი მხეცები მაგ გალიიდან გამოუშვი. ჩალადაც არ ჩავაგდებ ყოველგვარ ჯადოქრებს, ახლა, რომ ლომები მოუხევიათ ჩემთვის, და ამ ლომებით გარშემორტყმული გიჩვენებთ, ვინც არის დონ კიხოტი ლამანჩელი.

"ტა-ტა-ტა-ტა-! - წამოიძახა თავისთვის იდალგომ, - ვერა ხედავთ ამ ჩვენს კეთილ რაინდს: ხაჭოს მისთვის მართლა დაურბილებია თავის ქალა და ტვინიც აუშრავებია".

სანჩო კი მივარდა დონ დიელოს და შებღავლა:

- ღვთის გულისათვის, ბატონო, მოახერხეთ რამე, ჩემი ბატონი დონ კიხოტი ლომებს არ შეებრძოლოს, თორემ ხომ ყველას დაგვფლეთენ. - ნუთუ ასეთი გიჟია შენი ბატონი? - მიუგო დონ დიელომ, - შენა გგონია იმ საშინელ მხეცებს მართლა შეებრძოლება?

- არა, განა გიჟია, მაგრამ გიჟივით გაბედულია, - უთხრა სანჩომ.

- ნუ სწუხარ, ვეცდები ამ ჯერობაზე თავისი გაბედულება შეამციროს, - ანუგეშა დონ დიელომ.

მერე მივიდა უშიშარ რაინდთან, დაჟინებით, რომ სთხოვდა დარაჯს, გალიიდან ლომები გამოეშვათ, და უთხრა:

- სენიორ რაინდო! მოგზაური რაინდები მხოლოდ იმ ფათერაკებში უნდა ჩავბან, რომელნიც რაიმე გამარჯვებას უქადიან, თუნდა სულ მცირედსა, და არა ისეთებში, საიდანაც სულ არა გამოვა რა. გაბედულება, რომელიც უგუნურ კადნიერებამდის მიდის, უფრო სიგიჟესა ჰგავს, ვიდრე სიმამაცეს. ამასთან ეს ლომები თქვენს წინააღმდეგ კი არ გამოუშვიათ, მეფის საჩუქრად მიჰყავთ, და თქვენის მხრივ ურიგობა იქნება ამ საჩუქრის ჩქარა მიყვანა შეაფერხოთ.

- თქვენო მოწყალება, ბატონო იდალგო, წაბრძანდით და თქვენს გაწვრთნილ კაკაბსა და მოჩხუბარ-ქრცვინს მოუარეთ, - უთხრა დონ კიხოტმა, - და სხვისა საქმეში ნუ ერევით. მე აქ ჩემი მოვალეობა უნდა შევასრულო. ნება მიბოძეთ, თვითონ მე ვიცოდე, ვის ეგზავნება ეს ბატონი ლომები: მე თუ სხვას.

მერე ლომების მომვლელს მიუბრუნდა და უთხრა:

- ეი, შე ასეთო და ისეთო, სამგზის არამზადავ და მატრაბაზო. ვფიცავ, თუ ახლავე არ გააღებ გალიებს, ამ შუბით მაგ ეტლზე მიგალურსმნავ!

საბრალო მეეტლემ თავით ფეხებამდის შეიარაღებულ საფრთხობელასაგან ეს მუქარა, რომ მოისმინა, უთხრა დონ კიხოტს:

- ჩემო ბატონო, აღვასრულებ თქვენი მოწყალების ნებას, მაგრამ ჯერ ნება მიბოძეთ, ეს ჯორები გამოვუშვა და სადმე უშიშარ ადგილს წავიდე აქედან, თორემ, თუ ესენი ლომებმა დაფლითეს, ქვეყანაზე აღარ მეცხოვრება. ჩემი სიმდიდრე ეს ეტლი და ჯორებია.

- ჰოი, შენ, სუსტი რწმენის ადამიანო! - შესძახა დონ კიხოტმა! - გამოუშვი ეგ ჯორები და, რაც გინდა, ისა ჰქმენ, მაგრამ ჩქარა დარწმუნდები, რომ მაგ გაუფრთხილებლობითაც არა დაგიშავდებოდა რა. იმწამსვე მეეტლე ძირს ჩამოვიდა და ჯორებს საჩქაროდ გამოშვება დაუწყო, ხოლო მისმა ამხანაგმა მალალი ხმით თხრა იქ მყოფთ:

- მოწმედ იყავით, რომ მე გალიებს ჩემდა უნებურად ვაღებ, ძალდატანებით, და ამ ბატონს ვუცხადებ, რომ მხოლოდ ეს იქნება პასუხისმგებელი ყველა იმ ვნებისა, რასაც ეს ლომები მოახდენენ, იმ ჯამაგირისა, რაც მერგება და რასაც კიდევ ჯილდოს მოველი. ახლა, ჩემო ბატონებო, გთხოვთ, ვისაც სად შეგიძლიათ, დაიმალოთ, რადგან ეს არის ვაღებ გალიებს! მე კი აქ დავრჩები, შე ხელს არ მახლებენ.

დონ დიელო კიდევ შეეცადა, დონ კიხოტისათვის თავისი განზრახვა გადაეთქმევიინებინა და თან შენიშნა, რომ ასეთი სიგიჟის ჩადენა თვითონ ღვთის გამოცდას ნიშნავსო, მაგრამ დონ კიხოტმა უპასუხა, თვითონვე უკეთ ვიცი, იასაც ჩავდივარო.

- გაფრთხილდით, თქვენო მოწყალებავ, გარწმუნებთ, ძალიან სცდებით, უკანასკნელად უთხრა დონ დიელომ.

- ახლა, სენიორ, მიუგო მას დონ კიხოტმა, თუ არა გნებავთ ამ, თქვენი აზრით, სისხლი ერი ტრაგედიის ნახვა, რაც ახლა აქ უნდა მოხდეს, მაშ შეჰქუსლეთ თქვენი ლურჯა ტაიჭი და სადმე უშიშარ ალაგს შეეფარეთ.

ეს, რომ სანჩომ მოისმინა, ახლა იმან, თვალებზე ცრემლმორეულმა, დაუწყო მუდარა ბატონს, თავის საშინელ განზრახვაზე უარი ეთქვა, რომელთან შედარებით ქარის წისქვილები, ნაბდის სათელები და რაინდის ყველა სხვა ფათერაკი ნამდვილ ღვთის წყალობად ჩაითვლებოდა.

- გონს მოდით, ღვთის გულისათვის, თქვენო მოწყალებავ, - ეუბნებოდა სანჩო, - მერწმუნეთ, აქ არავითარი ჯადოქრობა არ არის და არც არაფერი იმის მსგავსი. ჩემი თვალთ ვნახე გალიიდან გამოწვდილი ნამდვილი ლომის თათი და იმ თათის კვალობაზე, ვფიქრობ, მთელი ლომი მთაზე დიდი უნდა იყოს.

- შიშისაგან, მგონია, ნახევარ ქვეყანაზე დაც დიდი მოგეჩვენოს, - უპასუხა დონ კიხოტმა. - მომშორდი, სანჩო, და მარტო დამტოვე. თუ აქ სიკვდილია ჩემი ბედისწერა, შენ ჩვენი პირობა იცი: დულსინეასთან წახვალ. დანარჩენზე დავდუმდები.

ამას ზოგი რამ სხვაც დაუმატა ისეთი, რომ რაინდს თავის დამთხვეულ გადაწყვეტილებას ვერავინ გადაათქმევინებდა. დონ დიელო ძალითაც აპირებდა, განზრახვა დაემლევინებინა, მაგრამ დონ კიოტის შეიარაღება ბევრით სჭარბობდა იმის იარაღს; ამასთან უგუნურებად თვლიდა ჭკუაზე არეულ კაცთან ბრძოლას, როგორადაც ახლა დაბეჯითებით მიაჩნდა დონ კიოტი. ამიტომ, როდესაც რაინდი ხელახლად მუქარით მიუბრუნდა მეეტლეს და იმ მეორეს, ლომების მომვლელად მიჩენილ კაცს, დონ დიელომ არჩია, თავისი ცხენი შეექუსლა და გალიიდან ლომების გამოშვებამდის გაშორებოდა სადმე. იმას თან გაჰყვნენ მეეტლე ჯორები ანად და. სანჩო. ეს უკანასკნელი ამთავითვე იგლოვდა თავის ბატონს, რადგან დარწმუნებული იყო, ლომები იმას არ მოებოდიშებოდნენ. თავის ბედს სწყევლიდა, იმ საათს გამობდა, რა საათსაც დონ კიოტის სამსახური ფიქრად გაიტარა, მაგრამ ამ წყევლა-კრულვაში და ცრემლთა ღვრაში ისიც არ ავიწყდებოდა-ღონივრად შეექუსლა თავისი ვირი, რათა ჩქარა შორს სადმე გასცლოდა ურემს.

როდესაც ლომების მომვლელმა გაქცეულები შორს დაიგულა, ერთხელაც კიდეც სცადა დონ კიოტისათვის თავისი განზრახვა გადაეთქმევინებინა.

- მე მესმის თქვენი სიტყვა. - უთხრა დონ კიოტმა, - კმარა ლაპარაკი, ტყუილად ვკარგავთ დროს... გთხოვთ, ჩქარა შეუდგეთ საქმეს.

მინამ პირველ გალიას აღებდა, დონ კიოტმა იფიქრა-უკეთესი იქნებოდა ქვეითი შებრძოლებოდა, და გადაწყვიტა-მართლა უკეთესი იქნებო, რადგან შესაძლო იყო როსინანტი ლომებისაგან დამფრთხალიყო. წამსვე ცხენიდან გადმოხტა, შუბი დააგდო, ფარი მიიფარა, ხმალი იმიშვლა და გაბედული, მტკიცე ნაბიჯით ნამდვილი მამაცური შემართვით მივიდა ეტლთან და თან თავის სულს ჯერ ღმერთსა და შემდეგ გულის ვარდს დულსინეს აბარებდა: და უნდა იცოდეთ, მკითხველნო, რომ როდესაც ამ ადგილზე მიდის ამ ნამდვილი ისტორიის ავტორი, აღტაცებით ღაღადებს: ჰოი, მამაცთა შორის უმამაცესო და უშიშარო რაინდო დონ კიოტო ლამანჩელო! ჰოი, სარკეო, რომელშიც ყველა გმირნი ამ ქვეყნის ანი უნდა იცქირებოდნენ! მეორე, არნახულო დონ მანუელ დე ლეონო, ესპანეთის რაინდთა სახელო და დიდებაჲ! ჰოი, შენ, დასავალს ჩასულ ესპანეთის რაინდთა დიდების მაგიერ, რომ მოგვევლინე და შენი პიროვნებით იგი მკვდრეთით აღადგინე! რა სიტყვებით მოვუთხრო ეს საზარელი, ისტორიაში უმაგალითო შენი ღვაწლნი? რა საბუთებით დავარწმუნო მომავალი თაობანი მის უტყუარ სინამდვილეში? რა ქებით შეგამკო? განა, ყოვლად ჩინებულო რაინდო, შენს შესაფერ ქებას შევიძლებ? ნუთუ მოიძებნება ქვეყნად შენს შესამკობად სიტყვები, ყველა ჰიპერბოლაზე ჰიპერბოლური, რომ იყოს? ქვეითი, მარტოდმარტო, შეიარაღებული მხოლოდ ხმლით და ისიც არა ლეკვის სურათიანი ხმლით, უვარგისი ფარით, შენ უშიშრად და სულგრძელად მოელოდები აფრიკის მინდვრების ორ ლომთან ბრძოლას. გადიდოს მცა შენ თვითონ შენმავე გმირულმა საქმეებმა. ჩემს მაგიერ იმ გმირულმა საქმეებმა ილადადონ, თორემ შენ სადიდებლად მე სიტყვები აღარ მყოფნის".

აქ თავდება ჩვენს მიერ თქმული ავტორის ღაღადი და იგი ისევ განაგრძობს შეწყვეტილ თხრობას შემდეგნაირად:

როდესაც ლომების მომვლელმა დაინახა, რომ დონ კიოტი საბრძოლველად უკვე გამზადებული იდგა, ძალაუნებურად უნდა დაეწყო საქმე, რომ თამამი რაინდის რისხვა თავს არ გასტეხოდა. როგორც იყო, გალიის ორივე ნახევრის კარი გააღო და მყისვე დონ კიოტის



თვალეებს საშინელი ტანის და უფრო კიდევ საშინელი სახის ლომი წარმოუდგა. იგი გაღებულ გალიაში წინ და უკან დატრიალდა, მერე მთლად გაწვა, თათები წინ გამოიშვირა და ბრჭყალები გამოუშვა, პატარა ხანს უკან პირი დაიღრინა, მცირედ დაამთქნარა, მერე ორიოდ მტკაველზე ენა გამოაგდო, თვალეები და პირი გაილოკა, შემდეგ გალიიდან თავი გამოვყო, ნაკვერჩხალივით ანთებული თვალეები მიმოავლო გარემოს, რის დანახვაც თვითონ სიმამაცესაც კი გულში სისხლს გაუყინავდა, მაგრამ დონ კიოტი კი შეუდრეკელი დამშვიდებით ნადირის ყოველ მოძრაობას თვალყურს ადევნებდა და მოუთმენლად მოელოდა, რომ ლომი გალიიდან გამომსხლტარიყო და იმას სცემოდა. რაინდი მხოლოდ ამას ელოდა და იმედი ჰქონდა, საშინელ ლომს წამსვე ლუკმა ლუკმად აჰკუწავდა.

აი, სადამდის აღწევდა მისი არნახული მამაცობის გამოუთქმელი სიგიჟე. მაგრამ ლომი, უფრო ლომობიერი, ვიდრე სასტიკი, ყურადღებას არ აქცევდა ადამიანის სიცელქეს. მარჯვნივ და მარცხნივ მიიხედა, მოტრიალდა, დონ კიოტს გავა შეაქცია და წელანდელივით გაწვა გალიაში. მაშინ დონ კიოტმა უბრძანა დარაჯს ჯოხი დაერტყა და იმით გაეხელებინა, რომ გალიიდან გამოვარდნილიყო. - მაგაზე კი ნურას უკაცრავად, - მიუგო დარაჯმა, - მაგის ჩამდენი არ გახლავარ, რადგან საფრთხეში პირველი მე გავებმები. ბატონო რაინდო! იკმარეთ, რაც მოახდინეთ, თქვენთ დიდებისათვის ეგეც სრულებით საკმაოა, მეორედ ნულარ ცდით ბედს. ლომის გალია, როგორც ხედავთ, გაღებულა, გამოსვლაცა და შიგ დარჩენაც ახლა სრულებით იმის ნებაა და, თუ აქამდის არ გამოვიდა, დვალამდისაც არ გამოვა. თქვენ, სენიო რაინდო, ჩინებულად გვიჩვენეთ სრული დიადობა თქვენი სულისა, და არავის მოეთხოვება თავისი მტრისთვის იმაზე მეტი გააკეთოს, რაც თქვენ ჩაიდინეთ. თქვენ იგი ბრძოლაში გამოიწვიეთ და იარაღით ხელში გაშლილ ველზე უცდიდით, თუ მტერი ბრძოლაზე უარს ამბობს, სირცხვილი იმას ატყდება თავს და გამარჯვების გვირგვინი მას დაამშვენებს, ვინც შეიარაღებული მტრისაგან შებრძოლებას ელოდა.

- მართალს ამბობ, - უთხრა დონ კიოტმა, - დაკეტე, ჩემო მეგობარო, ეგ გალიები და მოწმობა მომეცი, როგორც სამჯობინრად დაინახავ, იმაზე, რაც აქ შენ თვალწინ მოხდა: - ლომის გალიის კარები თუ როგორ გააღე როგორ დიდხანს ველოდი ლომს და ლოდინმა ფუჭად, რომ ჩამიარა, რადგან ლომმა ძილს მისცა თავი. მე ჩემი ვალი მოვიხადე. ჩემთვის ახლა მოხიბვლა აღარ არსებობს და მხოლოდ უზენაესი მსაჯული იყოსმცა ამიერიდან შემოქმედად და დამცველად გონებისა, სიმართლისა და ჭეშმარიტი რაინდობისა ნულარ აყოვნებ, დაკეტე გალია. მე კიდევ ლტოლვილებს ვანიშნებ-დაბრუნდნენ და ეს დიადი ფათერაკი და გმირობა შენი პირით მოისმინონ.

დარაჯმაც აღარ დაუცადა ბრძანების გამეორებას. დონ კიოტმა კიდევ შუბს თეთრი ხელსახოცი მოაბა, წელან, რომ თავპირიდან ხაჭოს ხსენი მოიწმინდა, მალა ასწია და ამ ნიშნით ლტოლვილებს იხმობდა მოსულიყვნენ. ლტოლვილნი კი ამასობაში ჭენებით მიქროდნენ და თან წამდაუწყუმ უკან იხედებოდნენ. სანჩო პირველმა დაინახა თავისი ბატონის თეთრი ხელსახოცი.

- აქვე სული გამაცხებინეთ, - დაიძახა მან, - თუ ჩემს ბატონს ლომები არ დაემარცხებინოს; აგერ ის არის, რომ გვეძახის.

ეს რომ მისმა თანამგზავრებმა გაიგონეს, შედგნენ და კარგად. რომ დააცქერდნენ, დაინახეს, მართლა დონ კიოტი ეძახდა მათ. ცოტა შიში, რომ გადაიყარეს, მობრუნდნენ და წყნარი

ნაბიჯით იწყეს სიარული, ვიდრე დონ კიოტის ძახილს გაიგონებდნენ. რომ გაიგონეს, ფეხს აუჩქარეს და ეტლთან მივიდნენ. ისინი, რომ დონ კიოტმა თავისთან ახლოს დაინახა, მეეტლეს უთხრა:

- ახლა კი, ძმობილო, შენი ჯორები შეაბი და მშვიდობის მოგზაურობა მოგცეს ღმერთმა. შენ კი, სანჩო, ამასა და დარაჯს ორი ოქრო მიეცი იმ დროის გამოსასყიდლად, რაც ჩემი მიზეზით დავაკარგვინე.

- მივცემ, სიამოვნებით მივცემ, - მიუგო სანჩო, -, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, ბატონო, ლომებს რა მოუვიდა? ცოცხლები არიან?

ამის პასუხად ლომების მომვლელმა დაწვრილებით უამბო, მასთან მეტისმეტი გაზვიადებით, დონ კიოტის ლომებთან შეხვედრა და მისი უმაგალითო სიმამაცე.

- რაინდი, რომ დაინახა, - უამბობდა იგი, - ლომი შეშინდა და გალიიდან გამოსვლა ვეღარ გაბედა, თუმცა კარები დიდ ხანსაც დავტოვე ღია, და, როდესაც ბატონ რაინდს მოვახსენე, რომ ლომის გახელება, როგორც ამას მისი მოწყალება ითხოვდა, და ძალდატანება, რომ ზედ დაგვცემოდა, თვითონ ღვთის გამოცდა იქნება-მეთქი, მხოლოდ მაშინ დამართო ნება, - და ისიც თავისდაუნებურად, გალიის კარები დამეხურა.

- აბა, ახლა რაღას იტყვი, სანჩო? - ჰკითხა დონ კიოტმა, - არისდა ქვეყანაზე ჯადოქრობა, რომ ჭეშმარიტ ვაჟკაცობას დაუდგეს წინ? ჯადოქრებს ეგებ შეუძლიათ გამომტაცონ ჩემი გამარჯვება, მაგრამ ჩემი ვაჟკაცობის შესუსტება კი - არა; აბა მოვიდნენ და შემებრძოლონ, ვიხმობ მე და ველი იმათ!

სანჩომ პასუხი არა მისცა რა; ვისაც ჯერ იყო - ფული მისცა. მეეტლემ ჯორები შეაბა. მისმა ამხანაგმა მადლობის ნიშნად დონ კიოტს ხელზე აკოცა და აღუთქვა, რომ ლომებთან რაინდის გმირულ ფათერაკს თვითონ მეფეს უამბობდა, როგორც კი დედაქალაქში ჩავიდოდა.

- თუ ვინიცობაა, მისმა უდიდებულესობამ მოისურვოს შეტყობა, ამ ღვაწლის ჩამდენი ვინ იყო, - უთხრა დონ კიოტმა, მოახსენე - ლომთა რაინდი იყო-თქო, რადგან ახლა ჩემს უწინდელ სახელს - მწუხარე სახის რაინდისას, ლომთა რაინდის სახელზე ვცვლი, - ამით მე მხოლოდ ძველ მოგზაურ რაინდთა ჩვეულებას ვბამავ, სახელებს, რომ იცვლიდნენ, როდესაც მოესურვებოდათ, ან როდესაც თავიანთთ ვის მოსახერხებლად დაინახავდნენ.

უკანასკნელ სიტყვებზე ეტლი თავის გზას დაადგა, ხოლო დონ კიოტი, სანჩო და მწვანესა მოსიანი აზნაური კიდევ თავიანთ გზას გაუყვნენ.

ამ ხნის განმავლობაში დონ დიელო დე მირანდას კრინტი არ დაუძრავს, ისე ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ჩვენი გმირის სიტყვებსა და მოქმედებას; იგი მას გონიერ სიგიჟემერეულ, ან გიჟ-გონიერება შერეულ კაცად ეჩვენებოდა. დონ კიოტის ისტორიის პირველი ნაწილი ჯერ წაკითხული არა მქონდა, თორემ დონ კიოტისა აღარც ლაპარაკი გაუკვირდებოდა, აღარც მოქმედება, რადგან ეცოდინებოდა, თუ რა მიზეზით იყო რაინდი ჭკუაზე გადამცდარი. მაგრამ რაკი მასთან პირველი შეხვედრა იყო, ამიტომ დონ დიელო ხან გიჟად თვლიდა მას, ხან ბრძენ კაცად, რადგან, რასაც დონ კიოტი ამბობდა, გონივრული იყო, მშვენიერი, თავისუფალი, დალაგებით გამოხატული; ხოლო - რასაც აკეთებდა - სულ უცნაური, სულელური და გიჟური. დონ დიელო უნებლიეთ ფიქრობდა: "ვერ გამიგია, იმაზე სულელური

იქნებოდა რამე, კაცმა ხაჭოთი სავსე მუზარადი დაიხუროს და წარმოიდგინოს - ჯადოქრებმა ტვინი დამირბილესო? რა გაბედულებაა და რა წარმოუდგენელი სისულელეა ლომებთან ბრძოლა განიზრახოს კაცმა?"

ამ ფიქრებიდან იგი დონ კიხოტმა გამოიყვანა.

- სანადლეოს დავდებ, - უთხრა დონ დიელს, - თუ შეშლილად არა მთვლიდეთ, და მართალი, რომ გითხრათ, მე ეგ არ მიკვირს, ჩემს საქციელს შგუძლია ასეთი რამ გაფიქრებინოთ. მაინც ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ ღვთის მადლით, ისეთი გიჟი არა ვარ, როგორც ეგებ გგონივართ, თქვენო მოწყალეზავ, - განაგრძო მან, - ვის ძალუმს სასახლის მოედანზე მეფის თვალწინ ძლიერი ხარის შუბით განგმირვა, თუ არ წარჩინებულ სასახლის რაინდს? ვის შეჭფერის დიდებულ ტურნირებზე, სასახლის სეფე ქალთა თვალწინ მოღვაწეობა, თუ არ სასახლის რაინდს, ბრწყინვალე იარაღით შეჭურვილსა? დასასრულ, ვინ უნდა შეაქცევდნენ სამეფო დარბაზებს სხვადასხვა სამხედრო ვარჯიშობით, თუ არა სასახლის რაინდები? მაგრამ უდაბური ადგილებისა, შარაგზებისა, ტყეებისა და მთების მოვლა და ყველა ამ ალაგს საშიში ფათერაკების ძებნა იმ სურვილით, რომ ბედნიერი ბოლო მისცეს ამ ფათერაკებს და თვითონაც უკვდავ დიდებას მიაღწიოს - ვისი ხვედრია, თუ არა მოგზაური რაინდებისა? ვინ უნდა ექმნეს ვინმე ქვრივს უდაბურ მინდორში კეთილისმყოფელად, თუ არა მოგზაური რაინდი? ეს მას ისევე შვენის, როგორც სასახლის რაინდს დიდკაცთა ქალების მოხიბვლა. მაგრამ, ამას გარდა, ყოველი მოგზაური რაინდი თავის თავს რამე განსაკუთრებულ მიზანსაც უსახავს. დაე, სასახლის რაინდი ქალებს ემსახუროს, თავისი მეფის სრა-პალატები დაამშვენოს, ჯილდო აძლიოს თავისი ამაღლის ღარიბ აზნაურებს, ტურნირებში ხმალი გამოთხოვილმა იბრძოლოს, იყოს დიდმშვენიერი, უხვი და კეთილშობილი, განსაკუთრებით კარგი ქრისტიანი და მაშინ იგი, როგორც რიგია, თავის დანიშნულებას აღასრულებს. მაგრამ მოგზაურმა რაინდმა ქვეყნის კიდით კიდემდე უნდა იქროლოს, გაუვალს უღრან ტყეებში იძვრინოს, ყოველ ნაბიჯზე შეუძლებელი შეიძლოს, დაუჯაბნავი დასჯაბნოს, უდაბნოში ზაფხულობით მწვავე მზის ცხარე ისარი და ზამთრობით ქარბუქი და ყინვის სუსხი უდრტვინველად აიტანოს. არ შეუშინდეს ლომებს, არ შეძრწოლდეს, როდესაც ურჩხულებს პირისპირ შეხვეტა, ერთი დასცეს, მეორე დაამხოს და ყოველსავე ერთად სძლიოს. აი რაში მდგომარეობს მოგზაური რაინდის ნამდვილი დანიშნულება. და ვინაიდან ღმერთმა მოგზაურ რაინდად ჩემი ყოფნა იწავა, ამიტომ დამეთანხმეთ, თქვენო მოწყალეზავ, რომ არ ძალმიძს ისეთ საქმეებზე უარი ვთქვა, რა საქმეებითაც ჩემი ამქვეყნიური დანიშნულება გამოიხატება. ლომების შეჩერება და მათთან ბრძოლა ჩემი პირდაპირი მოვალეობა იყო, თუმცაღა ამგვარი მოქმედების გაბედულებას უკიდურესობადაც ვცნობდი, მაგრამ ღვაწლმოსილმა, რომ თავი აღიმაღლოს და უგუნურ შემართებამდის მივიდეს, იმაზე ნაკლებ ცუდია, ვიდრე მან თავი დაიმდაბლოს და სიმხდალემდის ძირს დაეშვას, იმიტომ, რომ, როგორც მფლანგავს შეუძლოა უხვად გაცემა, ვიდრე ძუნწს, სწორედ ისე განუსჯელად შემმართებელს შეუძლია ნამდვილ ღვაწლმოსილად შეიქმნას, ვიდრე მხდალს - ნამდვილ მამაცობას მიაღწიოს. ხოლო რაიცა შეეხება ფათერაკების ძებნას, დამიჯერეთ, თქვენო მოწყალეზავ, სენიორ დონ დიელო, რომ სჯობია თამაში მაშინ წააგო, როდესაც ხელში ერთი ქაღალდით მეტი გიჭირავს, ვიდრე როდესაც ერთი ქაღალდით ნაკლები გაქვს, რადგან ყურებში უფრო სასიამოვნოდ ჟღერს, როდესაც გესმის: "ესა და ეს რაინდი განუსჯელად შემმართებელია" ვიდრე გესმოდეს: "ესა და ეს რაინდი გაუბედავი და მხდალიაო".

- ბატონო დონ კიხოტო, ყველაფერში მართალი ხართ, - მიუგო დოს დიელომ, - და მეც ახლა სრულებით დავრწმუნდი, რომ, თუმცა კანონები და ჩვეულებანი რაინდობისა ქვეყანაზე უკვე მოცდნენ, მაინც თქვენს გულში ისინი კვალად ცოცხლდებიან, როგორც თავის ბუნებრივ თავშესაყარსა და არქივში, მაგრამ ცოტა ავჩქარდეთ ჩემი სოფლისაკენ, რადგან ადრე აღარ არის, თქვენო მოწყალეზავ რაინდო, წელანდელი შრომით დამძიმებული იქ დაისვენებთ. იმ შრომამ თუმცა სხეული არ დაღალა. ეგებ ცოტაოდენად სული მაინც მოგექანცათ, იმასაც დასვენება ესაჭიროება.

- ჩემდა პატივად ვთვლი თქვენს მიწვევას და ამისათვის, სენიო დონ დიელო, გულითა და სულით გმადლობთ,- მიუგო დონ კიხოტმა.

ამ სიტყვის შემდეგ ჩვენმა მგზავრებმა ცხენები უფრო ფიცხად შეჰქუსლეს და ასე ნაშუადღევის ორ საათზე შევიდნენ სოფელში, სადაც ცხოვრობდა დონ დიელო, ანუ როგორც მას დონკიხოტმა უწოდა - მწვანე მოსასხამის რაინდი.

### თავი XVIII

რა შეემთხვა დონ კიხოტს მწვანე მოსასხამის რაინდის ციხე-დარბაზსა თუ სახლში და სხვა არაჩვეულებრივი ამბები

დონ დიელო დე მირანდას სახლი, სადაც დონ კიოტი მოხვდა, არც ისე მაღალი იყო და ფრიად ჩვეულებრივ სახლად ჩაითვლებოდა. სახლის ჭიშკარზე ქვის დერბი იყო გამოქანდაკებული, ხოლო ეზოში ღვინის მარანი იდგა და მის შესავალთან ქვევრები იყო მომწყვრივებული. რადგან ასეთი ქვევრები ტობოსოში კეთდებოდა, დონ კიოტს მაშინვე მისი მომხიბვლელი მიჯნური ქალი - დულსინე მოაგონდა და აღარც თავის სიტყვებს მიხედა, აღარც მსმენელთ, ერთი ღონივრად ამოიოხრა და შესძახა:

ძვირფასო განძნო, დღეს აღმძვრელნო მწუხარებისა,

გამხარებელნო ჟამსა ჩემი ნეტარებისა.

- ჰოი, ტობოსელო ქვევრებო, იმ ჩემი დიდი და მწარე მწუხარების ტკბილ საუნჯეს, რომ მომაგონებთ!

ეს ღალადება დონ დიელოს შვილს სტუდენტ-პოეტს მოსმა და, როცა ისა და დედამისი სტუმრის მისაღებად გამოვიდნენ, მისი უცნაური სანახაობით გაოცდნენ. ცხენიდან, რომ ჩამოხტა დონ კიხოტი, მსწრაფლ მეტისმეტი თავაზიანობით მივიდა დიასახლისთან და ხელზე კოცნის ნება სთხოვა.

- ნება მიბოძეთ, ქალბატონო, წარმოგიდგინოთ და გთხოვოთ თქვენი ჩვეულებრივი გულკეთილობით მიიღოთ მოგზაური რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი, მთელი ქვეყნის რაინდებში უმამაცესი და უთავმდაბლესი, - უთხრა მას ქმარმა და დონ კიხოტი წარუდგინა.

იმისმა ცოლმა, დონა ქრისტინამ, მეტად გულკეთილად და სიამოვნებით მიიღო რაინდი. დონ კიხოტმა დიდად ზრდილობიანი სიტყვებით მის სამსახურად განმზადება გამოუცხადა და

შემდეგ იმავე ფართიფურთით გაეცნო სტუდენტს, რომელსაც დონ კიხოტი ჭკვიან და საამო კაცად ეჩვენა.

აქ ავტორი დაწვრილებით აღწერს დონ დიელოს სახლს, მის მორთულობას და ამ სახით ესპანეთის სოფლის მდიდარი აზნაურის სახლის ნამდვილ სურათს იძლევა, მაგრამ მთარგმნელმა უმჯობესად ცნო ამ დაწვრილებითი აღწერისათვის გზა აეხვია, რადგან იგი არ შეესაბამება უმთავრეს საგანს და ამ ისტორიის ძალა ამბის არსებითი მხარის სინამდვილეში უფროა, ვიდრე მშრალ აღწერასა და ტყუილუბრალო გადახვევაში.

დონ კიხოტი ერთ-ერთ დარბაზში შეიწვიეს; აქ სანჩო მას იარაღი მოხსნა და რაინდი აქლემის ყელის კამზოლში დარჩა, მისი დაჟანგებული საჭურვლისაგან გახეხილსა და გასვრილში. იგი გახამებულ უბამთო საყელოს ატარებდა, სტუდენტისებურს, და ცვილით გაკრიალებული მოკლეყელიანი მუქ-მწვანე წაღები ეცვა. მასპინძლებთან, რომ გასვლა დააპირა, ხმალი მხარიღლივ გადაიგდო სელაპის ტყავის ყაწიმით (როგორც ამბობენ, ჩვენს რაინდს დიდი ხნიდანვე თირკმლების ტკივილი მქონდა და ამიტომ ხმალს წელზე ვერ იკიდებდა). ბოლოს მხრებზე წმინდა მაუდის ჟღალი წამოსასხამი მოისხა, ყველაზე უწინ კი პირი და თავი დაიბანა, ხუთი თუ ექვსი ქვაბი წყლის გადავლებით (ქვაბების რაოდენობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს), თუმცა ხაჭოს გამო და სანჩოს ღორმუცელობის გადამკიდე უკანასკნელად გადავლებულ წყალს მაინც შრატის ფერი მოსდევდა. და ამგვარად, დაბანილი და ჩაცმული დონ კიხოტი თამამი და ალერსიანი სახით მეორე დარბაზში შევიდა, სადაც მას სტუდენტი მიელოდებოდა, გამზადებული, რომ სადილობამდის საუბრით გაერთო იგი, რადგან დონა ქრისტიანს სურდა ეჩვენებინა ასეთი სახელოვანი სტუმრისათვის, თუ როგორ უნდა მიეღო და გამასპინძლებოდა მას. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ იმ დროს, როდესაც რაინდი თავის იარაღს იხსნიდა, დიელოს შვილმა დონ ლორენსომ მოასწრო და მამამისს ჰკითხა:

- მითხარით, ჩემო ბატონო, ვინ არის ეს კაბალურო, თქვენ რომ მოგყვით? მისმა სახელმა, სახემ და მოყვანილობამ, მოგზაური რაინდის წოდებამაც ძალიან გაგვაკვირვა მეც და დედაჩემიც!

- მე არაფერი არ ვიცი, - მიუგო დონ დიელომ, - მხოლოდ ეს შემძლია ვთქვა, რომ რამდენიმე მისი მოქმედება ვნახე, ჭკუიდან შეშლილისათვის შესაფერი, და მისი ლაპარაკიც მოვისმინე, რამაც მისი მოქმედება დამავიწყა, მაგრამ შენ თვითონ ელაპარაკე, მისი ცოდნა გამოსცადე და, რადგან შენს თავს ჭკუიანად თვლი, თვითონ განსაჯე მისი ჭკუა და უჭკუობა. მე კი, სწორე გითხრა, ის უფრო შემლილად მიმაჩნია, ვიდრე ბრძნად.

ამის შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, დონ ლორენსო გავიდა დონ კიხოტის გასართობად და საუბრის დროს რაინდმა, სხვათა შორის, შემდეგი უთხრა თავის მოსაუბრეს:

- მამათქვენმა, სენიო დონ დიელო დუ მირანდამ, უკვე მიაშო თქვენს გონიერებასა და იშვიათ ნიჭზე; განსაკუთრებით კი ჩემი ყურადღება თქვენს შესანიშნავ პოეტურ ნიჭს მიაპყრო.

- პოეტურზე შესაძლებელია, - მიეგო დონ ლორენსომ, მაგრამ შესანიშნავზე კი - ჯერ ძალიან ადრეა. მართალია, პოეზიისა ძალიან მოყვარული ვარ, შესანიშნავი პოეტების კითხვა მიყვარს, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, თითქოს მეც ერთი იმ რჩეულთაგანი ვიყო, როგორც მამაჩემს უთქვამს.

- მომწონს ეგ თქვენი თავმდაბლობა, შენიშნა დონ კიხოტმა, - რადგან მართალი უნდა გითხრათ, ყველა პოეტს საზოგადოდ ძალიან მოაქვს თავი; მეტად ქედმაღალნი არიან და ასე ჰგონიათ, რომ ისინი ყველაზე საუკეთესონი არიან მთელს ქვეყანაზე.

- წესი არ არის, რომ გამონაკლისიც არა ჰქონდეს, - თქვა ლორენსომ, - უეჭველად, ასეთი კარგი პოეტებიც არიან, რომლებიც მაინცდამაინც არ ქედმაღლობენ და ყველაზე უმჯობესადაც არ თვლიან თავს.

- ასეთები, მგონია, ცოტანი მოიპოვებიან, - შეესიტყვა დონ კიხოტი, - მაგრამ ერთი მიბრძანეთ, თქვენო მოწყალეებავ, ახლა რა ლექსებსა წერთ: და როგორც მამათქვენმა მითხრა, ამჟამად ძალიან ხართ ამ საქმით გართული. თუ რამე აზრი გაქვთ გასარკვევი, ანდა ეს რაიმე გლოსაა, მაგ საქმისა ცოტა რამ გამეგება, და ძალიან მოხარული ვიქნები, თქვენი ლექსები მოვისმინო. თუ ლიტერატურული შეჯიბრებისათვის წერთ ლექსს, ეცადეთ მეორე ჯილდო მიიღოთ, იმიტომ, რომ პირველს ყოველთვის კეთილგანწყობილების ან დიდი შთამომავლობის გამო იძლევიან, მეორე კი ნიჭის ჯილდოა, ის ენიჭება ნამდვილი სამართლიანობით. ამნაირად მესამე ჯილდო არსებითად მეორე ხდება. ხოლო პირველი - ნამდვილ მესამედ ლიცენციატა იმ ხარისხების მსგავსად, როგორებსაც ჩვენს უნივერსიტეტებში აძლევენ. მაგრამ მაინც პირველი ჯილდო დიდი სახელი და ღირსებაა.

"ჯერ ხანად შეშლილს არა ჰგავს, იფიქრა ლორენსომ, შემდეგ კი ვნახოთ რა იქნება".

- თქვენ, უეჭველია, უმაღლეს სკოლებში გისწავლიათ, უთხრა მან დონ კიხოტს, - ერთი მიბრძანეთ, რა საგანს სწავლობდით?

- მოგზაური რაინდობის მეცნიერებას. - მიუგო დონ კიხოტმა, - რაინდობა პოეზიას უკან არ ჩამორჩება და, ვგონებ, კიდევ აღემატება მას.

- მაგ მეცნიერებაზე სულ არაფერი გამიგონია, - მიუგო ლორენსომ, - ასეთ მეცნიერებას მე არ ვიცნობ.

- ეს ის მეცნიერებაა, რომელიც ყველა მეცნიერებას შეიცავს, ანუ მათგან მეტ წილს მაინც. ჩვენ ვალდებული ვართ ვიცოდეთ იურისპრუდენცია და კანონები მიმღებნი და გამანაწილებელნი, რათა ყველას ის მივცეთ, რაც ეკუთვნის, ანუ რისაც ღირსია. მოგზაური რაინდი ღვთისმეტყველიც უნდა იყოს, რათა შეეძლოს, სადაც დასჭირდება, ცხადად აუხსნას ქრისტიანობრივი სარწმუნოება, ვინც ამას მოითხოვს. იგი უნდა იყოს ექიმი და მეტადრე ბალზამების მცნობი, რომ უდაბურ ადგილებში თავის ჭრილობებისათვის სამკურნალო ბალახების მოძებნა იცოდეს, რადგან მას არც შეუძლია ყველგან იარების შემხვევი ექიმი იპოვოს. იგი უნდა იყოს ვარსკვლავთმრიცხველიც, რომ ვარსკვლავებით შეეძლოს შეტყობა - ღამის რომელი სათია, და იცოდეს - რომელ მხარეში და ქვეყნის რომელ ნაწილში იმყოფება. მან ზედმიწევნით უნდა იცოდეს მათემატიკა, რაიცა ყოველ ნაბიჯზე დასჭირდება, და იმას ნულარ ვიტყვით, რაც თავისთავად ცხადია, რომ ჭეშმარიტი მოგზაური რაინდი ყოველი იმ ღვთისმეტყველური და კარდინალური ღირსებით უნდა იყოს შემკული, რაიცა მის სულიერ პიროვნებას ამკობს. ზოგ წვრილმანსაც მოვისვენებ: რაინდმა უნდა იცოდეს ცურვა, როგორც ნიკოლასმა, ანუ თევზმა-ნიკოლაომ იცის; მან უნდა იცოდეს ცხენის დაჭედვა, შეკაზმვა, აღვირის ამოღება; და უფრო უაღრეს საგნებს, რომ დავუბრუნდე, ვიტყვი: იგი მუდამ ღვთისა და თავისი მიჯნური ჭადის ერთგულებაში უნდა იმყოფებოდეს; უნდა იყოს სადილებით

უბიწო, სიტყვებით მართებული, თავისი მოქმედებით კეთილი, პატიოსანი და უხვი, ხიფათის დროს უშიშარი, უბედურებაში მომთმენი, ტანჯულთა შემწყალებელი, ვალდებულია იყოს ქვეყნის შეურყეველი ბურჯი და მოსარჩლე და მისთვის თავის დასადებად მედამ გამზადებული. აი ამ დიდ და მცოდნე თვისებათაგან შედგება მოგზაური რაინდობის მეცნიერება. ახლა მიბრძანეთ, თქვენო მოწყალეზავ, სენიო დონ ლორენსო, განა უბრალო რამ ყოფილა ის მეცნიერება, რომელსაც სწავლობს და ახორციელებს რაინდი? შეუძლია თუ არა ამ მეცნიერებას გაუთანასწორდეს თვით უდიდეს და რთულ მეცნიერებებს, რასაც ჩვენს გიმნაზიებსა და სკოლებში ასწავლიან?

- ეგ რომ ეგრე იყოს, როგორცა ბრძანეთ, - უპასუხა დონ ლორენსომ, - მაშინ მაგ მეცნიერება ის სიდიადეზე კამათიც არ შეიძლება.

- როგორ უნდა მივიღო თქვენი სიტყვები: "ეგ, რომ ეგრე იყოს?" - წამოიძახა დონ კიხოტმა.

- ისე, რომ ეჭვი მაქვს, - უპასუხა დონ ლორენსომ, - ოდესმე და მეტადრე ჩვენს დროში მაგვარი ღირსებით დამშვენებული მოგზაური რაინდები ყოფილიყვნენ.

- ახლა მე გეტყვით იმას, რაც არა ერთხელ მითქვამს, - განუცხადა დონ კიხოტმა, - ამ ქვეყნიერების ხალხის მომეტებული ნაწილი თქვენსავით დარწმუნებულია, რომ ქვეყანაზე მოგზაური რაინდები არასოდეს არა ყოფილანო, და თუ ზენას ეს ურწმუნონი წინააღმდეგში ჩინებული სახით არ დაერწმუნებინა, მაშინ ჩემი სიტყვები, როგორც არა ერთხელ მაჩვენა გამოცდილებამ, არაფერში გამოდგებოდნენ. ამიტომ ახლა არა მწადია თქვენი შეცდომა ფა ვაქარწყლო, თქვენთან ერთად რომ სხვასაც ბევრსა სჭირს. ახლა მარტო იმასლა ვფიქრობ, ზენას შეევედრო, რათა თავისი ნათელი მოგფინოთ და დაგარწმუნოთ, თუ ვითაო ნამდვილნი და საჭირონი ყოფილან ძველთა დროთა მოგზაური რაინდები და ვითარი კეთილი საქმე მოყვებოდა ამ დროში მათ გაჩენას. მაგრამ ჩვენთა ცოდვათა მიზეზით დღეს ქვეყანაზე მეფობს სიზარმაცე, უქმად ყოფნა, ფუფუნება და ანგარება.

"მგონია ჩვენმა სტუმარმა უკვე აურია, - იფიქრა დონ ლორენსომ, - მაინც მეტად შესანიშნავი გიჟია და ჩემგან სისულელე იქნებოდა ასეთად არა ვცნო იგი".

ამით დასრულდა მათი საუბარი და სადილის საქმელად გავიდნენ. დონ დიელომ ჰკითხა შვილს: ჩვენს სტუმარზე რას იტყვიო?

- მთელი ქვეყნის ექიმები და სწავლულები, - მიუგო შვილმა, - ვერ გამოიყვანენ მას იმ უგუნურობის ნისლიდან, როგორითაც შეპყრობილია იგი. მას რთული შემლილობა სჭირს; ხანდახან კი გონივრულად მსჯელობს.

ყველანი მაგიდას მიუსხდნენ და სადილმა მთლად გაამართლა დონ დიელოს სიტყვები, სტუმრების გამასპინძლება სადი, ნოყიერი და გემრიელი საქმელებით, რომ უყვარდა მას. მაგრამ ყველაზე მეტად იმან გაიტაცა დონ კიხოტი, რომ მთელ სახლში საოცარი სიჩუმე სუფევდა, კარტეზიანული მონასტრის ბერების საცხოვრებელს ამსგავსებდა მას. როდესაც სუფრა აალაგეს, ყველა კეთილთა მომნიჭებელს მადლობა შესწირეს და ხელი დაიბანეს; დონ კიხოტმა დაჟინებით სთხოვა დონ ლორენსოს, პოეტური შეჯიბრებისათვის, რომ ლექსი დაგიწერია, ის წამიკითხო.

- ან პოეტებს, რომ არ დავემსგავსო, - უპასუხა დონ ლორენსომ, - თავისი ლექსების წაკითხვის უარს მაშინ, რომ ამბობენ, როდესაც მათ ამასა სთხოვენ, და მაშინ კითხულობენ, როდესაც ამას არავინ სთხოვს, თქვენს თხოვნას ვასრულებ, ჩემს ლექსს წაგიკითხავთ, თანაც ვიტყვი, რომ მისგან ჯილდოს არ მოველი, რადგან ჩემს შრომაში გონების ვარჯიშობის მეტს ვერარას ვხედავ.

- ერთი ჩემი მეგობარი, - თქვა დონ კიხოტმა, - საკმაოდ გონიერი კაცი, იმ აზრისა იყო, რომ გლოსის ან შეკვეთილ საგანზე ლექსის წერა რიგი არ არის, რადგან წინათ შედგენილ აზრსა და საგანს ყოველთვის შორდებო. ამასთანაც გლოსის დასაწერად. დადგენილი წესები მეტად სასტიკნი არიან. მათი მიხედვით არ უნდა ვიხმაროთ სხვადასხვა კითხვები, არც მან თქვა, არც მე ვიტყვი, არც სახელზმნა, არც აზრი შევცვალოთ. იმ ლექსებში არ შეიძლება იხმარო ალეგორიული გამოხატვა და, როგორც იცით, მთხზველთ ბევრი სხვა დაბრკოლება ელობება წინ.

- გამოტეხით უნდა გითხრათ, - მიუგო ლორენსომ, - მინდოდა თქვენი მოწყალება უხეირო ლათინურში ან რაიმე ოდნავ შეცდომაში დამ ეჭირეთ, მაგრამ არ შემძლია, რადგან გველთევზასავით ხელიდან მისხლტებით ხოლმე.

- აგრეთვე გამოტეხით გეტყვი, - უპასუხა დონ კიხოტმა, - არ მესმის მაგ სიტყვებით რა გინდათ გამოთქვით - "გველთევზასავით ხელიდან მისხლტებითო", რომ ბრძანეთ?

- ამას შემდეგ აგიხსნით და იმედი მაქვს, ჩქარა მიმიხვდებით ჩემს ნათქვამს, - უთხრა ლორენსომ, - ახლა კი, თუ ინებებთ, მოისმინეთ შეკვეთილი ლექსი და ჩემი გლოსაც. აი ისინი:

აწმყოდ, რომ იქცეს წარსული წლები,

იყოს უცვლელ და წარუვალი,

ან მყობადს შორსა ხედავდეს თვალი,

როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები!

გლოსა.

როგორც ჟამთაგვლას მიაქვს ყოველი,

წამილო ლხენა წარმავალობამ.

ბედმა გამწირა საბრალობელი,

მცირე სიკეთეც არ მიწყალობა.

ო, ბედო, შენს წინ ვარ დამხობილი,

და გულამოსკვნით ერთს გვედრები:

როს განვცხრებოდი მე ნეტარებით,

იგი წარსული ისევ მაღირსე,



ო, ბედნიერი ვიქნები ისევ,  
აწმყოდ, რომ იქცეხ წარსული წლები.  
არ მინდა ოქრო, დაფნა, სახელი,  
სიმდიდრე ხვად მონაპოვარი.  
ოღონდ წარსულის ვიყო მნახველი,  
დრო დამიბრუნდეს ტკბილსახსოვარი, -  
ჰა, ჩემი ნატვრა, ჩემი ნაღველი...  
თუ შემისრულდა ეს ნაფიქრალი,  
აღარ ვიქნები გულგაბასრული;  
ნეტავ დაბრუნდეს ჩემი წარსული,  
იყოს უცვლელი და წარუვალი.  
მაგრამ ამაოდ მთხოვს ამას გული,  
როგორ აღდგება იგი, რაც ქრება.  
ვით გაცოცხლდება ჩემი წარსული.  
ვის შესწევს ძალა და გრძნეულება,  
რომ მიცვალებულს ჩაუდგას სული.  
მსუბუქი ფრთებით დრო მიქრის მალი,  
ისე, რომ ქვეყნად არ რჩება კვალი,  
და ის გიჟია, ნატრობს, რომელიც,  
შეჩერდეს ჟამი დაუდგრომელი,  
ან მყობადს შორსა ხედავდეს თვალი.  
საშინელია ყოფნა მშფოთვარე,-  
იმედს თუ ეჭვი აედევნება.  
დაე, მოვიდეს სიკვდილი ბარემ,  
აქ ეს იქნება ბედნიერება.  
ჰოი, სამარევ, შენ შემიფარე...  
მე შენს სიბნელეს შევურიგდები,

დაყუჩდებიან ჩემი ფიქრები.

არ იქნებოდა დღეს ჩემი ძვალცი,

მაგრამ მაშინებს დრო მომავალი,

როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები.

როცა დონ ლორენსომ თავისი გლოსის კითხვა დაასრულა, დონ კიხოტი ადგა, ხელი გამოართვა და შესძახა, ან უფრო ნამდვილი, რომ ვთქვა, დაიყვირა:

- ზენაარს ვფიცავ და სრულს მის დიდებასა, სულგრძელო და კეთილშობილო ჭაბუკო, თქვენ საუკეთესო პოეტი ხართ ამ ქვეყანაზე და ღირსი ხართ დაგვირგვინებული იყოთ დაფნით არა მარტო კიპროსსა ან გაეტაზე, როგორც ერთმა პოეტმა თქვა, აპატიოსმცა მას უფალმა, - არამედ ათინის აკადემიისაგან! ახლაც, რომ არსებობდეს იგი და ჩვენი ახლანდელი პარიზისა, ბოლონია და სალი მანკის აკადემიებისაგანაც! განგმიროს მცა უფალმა აპოლონის ისრებით ის მსაჯულნი, რომელნიც პირველს ჯილდოზე უარს გეტყვიან დარომ მუზებმა არასოდეს შეაღონ მათი სახლის კარები ერთი სულ სხვაგვარად დაწერილი ლექსები წამიკითხეთ, მსურს, როგორც იტყვიან, ყოველმხრივ დავტკბე თქვენი შესანიშნავი ნიჭით.

განა საჭიროა იმის თქმა, თუ რა აღტაცებაში მოიყვანა დონ ლორენსო რაინდის ქებამ, იმის მიუხედავად, რომ ჭკუაარეულად სთვლიდა მას. ჰოი, ყოვლისშემძლე ბელო პირმოთნეობავ! რა უსაზღვროა შენი სამეფო, რა ტკბილია შენი სიტყვები! დონ ლორენსომ დაადასტურა ეს ქეშმარიტება, რადგან დააკმაყოფილა დონ კიხოტის თხოვნა და სურვილი და წაუკითხა ბას სონეტი პირამოსისა და თისბეს თქმულებაზე:

სონეტი

ყმაწვილმა ქალმა შეანგრია მტკიცე კედელი,

განგმირულია დიდსულოვან პირამის გული,

მოჰქრის ამური კვიროსიდან აჩქარებული,

რათა იხილოს იგი ხვრელი განსაჭვრეტელი.

ახლა ხვრელია მდუმარების სამკვიდრებელი...

არ ისმის ჩქამი, არცა სიტყვა ჩურჩულით თქმული,-

ეს სულის გზაა, სად ოცნებით ფრთაგამოსხმული

შეაღწევს მხოლოდ სიყვარული სადიდებელი.

მაგრამ სურვილმა აღარ იცის ზოგჯერ საზღვარი:

ქალმა სიკვდილი ჰპოვა ნაცვლად ნეტარებისა...

ერთსდაიმავე დროს (აი რაა განწირულება)

ქალსაც და ვაჟსაც ერთად მღუპავს ბედი საზარი.

ერთად ხარობდნენ და სამარეც ერთად ეღირსათ,

ისინი გაქრნენ... ცოცხალია მხოლოდ თქმულება.

- კურთხეულმც იყოს სახელი უფლისა! - შესძახა დონ კიხოტმა, დონ ლორენსოს სონეტი, რომ მოისმინა. რამდენადაც კი შემოდლია ამ ლექსის კვალობაზე ვბჭო, ჩვენი დროის პოეტებში თქვენებრ ჩინებული არ შემხვედრია. თქვენო მოწყალება, ჩემო სენიო, ამას თქვენი სონეტის ხელოვნური წყობილება საუკეთესოდ ამტკიცებს.

მასპინძლებისაგან გულკეთილად მიღებულმა დონ კიხოტმა დონ დიელოს სახლში ოთხ დღეს დაჰყო და ბოლოს გამოთხოვების ნება სთხოვა მათ. "სულით და გულით გმადლობთ გულკეთილი მიღებისათვის, - ეუბნებოდა მათ, - მაგრამ მოგზაურ რაინდებს. არ შეჰფერით უსაქმოდ და ფუფუნებაში დიდხანს დარჩნენ, ვხედავ - დროა ჩემი მოვალეობა გავიხსენო და ფათერაკების სამებნელად. წავიდე. როგორც ვიცი, ეს მხარე სავსე უნდა იყოს ფათერაკებით. ვფიქრობ, აქ მივიარ-მოვიარო სარაგოსის ტურნირებამდის, რაიცა ამჟამად ჩემს უმთავრესს მიზანს შეადგენს. მინდა მონტესინოსის მღვიმეცა ვნახო, მის მიდამოებზე, რომ მრავალ სასწაულებს ლაპარაკობენ. იმასაც შევეცდები, ეგებ დასაბამი და ნამდვილი სათავეები აღმოვაჩინო იმ შვიდი ტბისა, ჩვეულებივე. რუიდერის ტბებად, რომ იწოდებიან". დონ დიელო და მისი შვილი რაინდის ყველა ამ განზრახვას მრავალ ქებას შეასხამდნენ და სთხოვეს, მათი ქონებიდან აერჩია, რაც კი დასჭირდებოდა ანუ მოსწონდა რათა ამით თავიანთ მხრივ მის სამსახურად გამზადებულებმა და მის მი რადია ღვაწლია და ჩინებული წოდებისადმი პატივისცემა ეჩვენებინათ.

ბოლოს გამგზავრების საათიც დადგა, ისეთივე სასიხარულო დონ კიოტისათვის, როგორც სანჩოსთვის იყო სამწუხარო, რადგან დონ დიელოს სახლში ყოველივე კეთილს მიჩვეულს, ცხოვრების შეცვლა აგრერიგად არ უხაროდა, მეტადრე, როცა აგონდებოდა ტყეებსა და ველებში ხეტიალი და თავისი ხურჯინის მცირედი საგზლით საზრდობა, - თუმცა კი ამ ჯერობაზე ყველაფრით გასტეხა იგი, რაც უფრო საჭიროდ დაინახა. მასპინძლებს, რომ ეთხოვებოდა, რაინდი დონ ლორენსოს მიუბრუნდა და უთხრა:

- არ ვიცი, გითხარით თუ არა, და თუნდა კიდევ მეთქვა, კვალად გაგიმეორებთ: თუ გსურთ დიდების ტაძრის მიუწვდომელ ზეთავ ამდის მისასვლელად გზა და წვალემა შეიმოკლოთ, თქვენთვის ერთი რამ არის საჭირო - პოეზიის ვიწრო ბილიკს უნდა აუხვიოთ და მოგზაური რაინდობის ყველაზე ვიწრო ბილიკს დაადგეთ. ეს ბილიკი თქვენ ერთი თვალის დახამხამებაში იმპერატორობამდის მიგიყვანთ.

ამ სიტყვებით დონ კიხოტმა თითქოს უკანასკნელი დამტკიცება მისცა თავისი შეშლილობისა, მეტადრე მაშინ, როდესაც დაუმატა:

- მარტო ღმერთმა უწყის, რა სიამოვნებით წავიყვანდი თან დონ ლორენსოს, რომ დამარცხებულთა დანდობა და გოროზთა ჭკუის სწავლება მესწავლებინა, ესე იგი იმ ხელობის კეთილმოქმე დი თვისებანი, რა ხელობასაც მე ვეკუთვნი. მაგრამ, რადგან მისი სიჭაბუკე ამის მოთხოვნილებას არ აცხადებს და მისი საქებარი საქმიანობაც ამას უარყოფს, ამიტომ ვიკმარებ, რომ თქვენს მოწყალებას რჩევა მივცე - პოეზიის საქმეში სახელოვან კაცად შეიქმნებით, თუ უფრო მეტწილად უცხოთა აზრით იხელმძღვანელებთ და არა საკუთართა, რადგანაც ისეთი

დედ-მამა არ მოიპოვება, საკუთარი შვილები არ მოსწონდეს, მახინჯად ეჩვენოს, და ეს თავის მოტყუება მაშინ უფრო ძლიერია, როდესაც საქმე ჩვენი ჭკუის ნამოქმედარს ეხება.

მამაცა და შვილიც ხელახლა გააოცა დონ კიხოტის ამ არეულმა ლაპარაკმა, ხან ჭკვიანურმა და ხან უჭკუომ, აგრეთვე მისმა მედგარმა და დაჟინებულმა ფათერაკების ძებნის მიმდევრობამ, რაც ყველა მისი წადილისა და სურვილის დასასრულს შეადგენდა. ბოლოს, ურთიერთისადმი კეთილი სურვილებისა და სამსახურის გამოცხადების შემდეგ, ციხე-დარბაზის მფლობელის ნებართვით დონ კიხოტი გზას დაადგა თავისი საჭურველმტვირთველის თანხლებით - რაინდი, როგორც რიგი იყო, როსინანტზე მჯდარი, ხოლო საჭურველმტვირთველი - ვირზე ამხედრებული.

## თავი XIX

სადაც მთხრობილია ფათერაკი შეყვარებულ მწყემსთან და

სხვა ჭკმმართად სასაცილო შემთხვევები

დონ დიელოს სახლს, რომ ცოტათი გამოსცილდა, დონ კიხოტს ორი სასულიერო პირი თუ სტუდენტი და ორიც გლეხი კაცი შემოუერთდა, ყველანი დიდყურა ცხოველებზე მსხდარნი. ერთ სტუდენტს სამგზავრო ჩანთის მაგიერ მსხვილი მწვანე ტილოს ბოხჩა ჰქონდა, შიგ თეთრი მაუდის ტანისამოსი და ორი წყვილი მატყლის მაღალყელიანი წინდები გამოეკრა; ხოლო მეორეს ხელში მხოლოდ ერთი წყვილი ახალი სავარჯიშო დაშნა ეჭირა მათზე აცმული ფოლაქებით და მთელი მისი მარაგი ეს იყო. გლეხებს ბევრი რამ სხვა ნივთი მოჰქონდათ, უეჭველია, სადმე ახლო დიდ ქალაქში ნაყიდი. სტუდენტებმაც და გლეხებმაც დონ კიხოტი, რომ დაინახეს, განცვიფრდნენ (როგორც რაინდის ყველა პირველად შემხვედრი განცვიფრდებოდა ხოლმე) და მოესურვათ გაეგოთ, თუ ვინ იყო ეს არაჩვეულებრივი კაცი. დონ კიხოტი მიესალმა მათ და, რომ შეატყო, ერთი გზა ჰქონდათ, ერთად სიარულის წინადადება მისცა, თანაც სთხოვა-თავიანთი სახედრებისთვის ცოტა თავი დაეჭირათ, რადგან მისი ცხენი მათ ვერ მიჰყვებოდა. ორიოდ სიტყვით გააცხო თავისი თავი, სახელდობრ, რომ იგია დონ კიხოტი ლამანჩელი, ლომთა რაინდის სახელით ცნობილი, ქვეყნის ოთხსავე მხარეს ფათერაკების მამებარი. გლეხებმა მისი სიტყვები იმდენადვე გაიგეს, რამდენადაც ბერძნულ ლაპარაკს ან რაიმე აბდაუბდას გაიგებდნენ. სტუდენტები კი უცებ მიხვდნენ, რაინდი, რომ თავის ჭკუაზე არ უნდა ყოფილიყო. ამის მიუხედავად გაკვირვებით და თანაც პატივისცემით უცქეროდნენ და ერთმა მათგანმა უთხრა დონ კიხოტს:

- პატიოსანო რაინდო! თუ თქვენ წინადავე დანიშნულ გზას არ ადგახართ, როგორც ჩვეულებადა სჭირთ ფათერაკების მამებართ, ჩვენ გამოგვეყვით, ისეთ შესანიშნავ და მდიდრულ ქორწილს გაჩვენებთ, რომ მსგავსი ლამანჩსა და მის მიდამოში ბევრი არ მომხდარიყო.

- ეგ ქორწილი უთუოდ ვინმე პრინცის ან თავადისა იქნება? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- არა, - მიუგო სტუდენტმა, - არც პრინცისაა და არც თავადისა. აქაური უბრალო მდიდარი გლეხისაა და ისეთ ლამაზ ქალზე იწერს ჯვარს, რომ იშვიათად შეხვდება ადამიანს. ძალიან საგანგებო ქორწილი იქნება, სულ სხვანაირადაც გადაიხდიან გაშლილ ველზე პატარძლის სოფლის მახლობლად. თვითონ პატარძალიც მშვენიერი კიტერია. სანეფოს მდიდარ ქამაჩოს

ეძახიან. ქალი თვრამეტი წლისაა, სანეფო ოცდაორისა; შთამომავლობით, მართალი, რომ ვთქვათ, ერთნაირისა არიან, მაგრამ ვინც მთელი ქვეყნის გვარების შთამომავლობა იცის, ისინი ქალის შთამომავლობას კაცისაზე მაღლა აყენებენ, მაგრამ ფულით რას არ იზამ, - ქამაჩო კი მდიდარია და გულუხვი. აი, თუნდაც ახლა: მთელ ველზე ფანჩატურის გაკეთება მოეპრიანა ხის ტოტებისაგან, რომ მზე აღარ სწვავდეს, და სწორედ ამ ჩარდახის ქვეშ გვექნება ყოველნაირი ცეკვა ხმლებითაც, დაირებითაც და ქუსლებზე ხელის შემოკვრითაც. მაგრამ ყველაზე საცნაური ამ ქორწილის ნადიმზე ჩვენი საწყალი ბასილიოს ნახვა იქნება. ეს კაცი, უნდა მოგახსენოთ, ახალგაზრდა მწყემსია, ლამაზი კიტერიას სოფლისავე მოსახლე და ახლო მეზობელი. მათი მიჯნურობის ამბავი პირამოსისა და თიბეს დიდი ხნიდანვე დავიწყებულ მიჯნურობას აგონებს კაცს. ბასილიოს პატარაობიდანვე უყვარდა კატერია ამასაც ბავშვობიდანვე უყვარდა და ეალერსებოდა ბასილიოს და ამ ბავშვებს ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ ჩვენს სოფელში ყველაზე სასიამოვნო საუბრად მათ სიყვარულზე ლაპარაკი მიაჩნდათ. როცა წამოიზარდნენ, კიტერიას ამა ბასილიოს თავის სახლში აღარ უშვებდა, უწინ კი, როგორც საკუთარ სახლში, ისე დადიოდა და, რომ შიში და ზრუნვა თავიდან მოეშორებინა, ადგა და თავისი ქალი მდიდარ ქამაჩოს მიათხოვა, რადგან შესაფერისად ვერა სცნო ბასილისთვის მიეცა იგი იმიტომ, რომ, თუმცა ბუნებას მრავალი ნიჭით დაე ჯილდოვე ბინა ბასილიო, მაგიერად ბედი ძუნწად მქცეოდა ბასილიო - უნდა მოგახსენოთ, მთელ სოფელში საუკეთესო ბიჭია, მარჯვე, ღონიერი, ჩინებული მოჭიდავე, დახელოვნებული მობურთავე, ისე გარბის, როგორც ჯეირანი, ხტომაში ქურციკს სჯაბნის, ტოროლასავით მღერის, გიტარას, რომ უკრავს, თითქოს ალაპარაკებს, და დასასრულ, ხანჯალსა და დაშნას საგანგებოდ ხმარობს.

- მართლაც, მარტო ეს თვისებაც კი საკმაოა, - შეაწყვეტინა დონ კიხოტმა, - რომ ჭაბუკი ღირსი გამხდარიყო ექორწინა არათუ ისტერიაზე, არამედ თვით დედოფალ ჯინევრაზე, ახლა ცოცხალი, რომ იყოს-ლანსელოტისა და ყველა მოწინააღმდეგის ჟინაზე.

- ზოგი ჩემს ცოლს ჰკითხეთ, - უცბად წამოიძახა აქამდის მდუმარედ მყოფმა სანჩომ. - დაუქინია, ყველამ თავისი ტოლი უნდა შეირთოსო, როგორც ანდაზა ამბობსო "ცხვარი თავის ერკემალსაო". მებრალეა ის ვაჟკაცი ბასილიო, ნეტა კიტერია შეერთო; აცხონოს ღმერთმა ამქვეყნადაც და საიქიოსაც (მას პირუკუ უნდოდა ეთქვა), ვინც მას ხელს უშლის; ყველამ ის უნდა შეირთოს, ვინც გულითა სურს.

- ყველა გამიჯნურებულს, რომ ნება მივცეთ, თავისი სურვილით შეირთოს ცოლი ანუ გათხოვდეს, - უპასუხა დონ კიხოტმა, - ეგ ის იქნება, მშობლებს შვილების მომავალზე ზრუნვის კანონიერი უფლება წავართვათ. ქალებს, რომ ნება მივცეთ, საქმრონი თვითონ აირჩიონ, მაშინ მათგან ძლიერ ბევრი აღმოჩნდება, რომ თავიანთ მსახურებზე გათხოვდება, ანუ ქეჩაში შემხვედრს პირველ ჩერჩეტს ჩამოეკიდებიან კისერზე, თუნდაც ის ვინმე არამზადა, გარყვნილი და უმაქნისიც იყოს. სიყვარული ხშირად თვალეებს გვიხვევს, გონებას გვაცლის და თვალედახუჭულს გვიმოქმედებს, ისე, რომ, განსაკუთრებული ალღოს აღება თუ არ ვიცით, ან ზენაარსო არ შეგვწევნია, არჩევანში ხშირად შევცდებით, იმ არჩევანში, რომელიც, ვინ იცის, ჩვენი მთელი სიცოცხლის ბედსა სწყვეტდეს ჩვენ, რომ შორ გზას გავუდგებით ხოლმე, ერთგულსა და სასიამოვნო ამხანაგს ვირჩევთ. მამ რატომ ისევე არ უნდა მოვიქცეთ, როდესაც მთელი სიცოცხლის ამხანაგს ვირჩევთ, საფლავამდის ჩვენს თანამგზავრად დანიშნულს, როგორც ცოლია ქმრის თანამგზავრი, კანონიერი ცოლი ნივთი კი არ არის-გაყიდვა ან გაცვლა და დათმობა შეიძლებოდა, არამედ ჩვენი არსების ნაწილია, ჩვენი სიცოცხლის დასასრულამდის ჩვენგან განუყრელი, იგი ის კვანძია, ერთხელ, რომ ჩვენს კისერზე შეკვრის,

ახალ გორდიუსის კვანძად ხდება და მისი გახსნა აღარ შეიძლება. მარტო სიკვდილი სჭრის და კვეთს მას ამ საგანზე სხვასაც ბევრს ვიტყვოდი, მაგრამ ახლა ეს მინდოდა შემეტყო-ეგებ ბატონმა ლიცენციამა კიდევ რამე გვიამბოს ბასილიოს შესახებ.

- კიდევ იმას მოგახსენებთ, მიუგო ლიცენციამა, ბაკალავრმა თუ სტუდენტმა, როგორც დონ კიხოტი ეძახდა მას, - რომ მას შემდეგ, რაც ბასილიო მდიდარ ქამაჩოზე ლამაზი კიტერიას გათხოვება გაიგო, მხიარული აღარავის უნახავს. ჭმუნვა დაიწყო და რაღაც შავ ფიქრებს მიეცა. ხალხს შორდებოდა, თავის თავს ელაპარაკებოდა და თითქოს თავი ავიწყდებოდა ცოტასა ჭამს და უფრო ხილეულს და უფრო კიდევ ცოტა სძინავს ველური ნადირივით ცარიელ ალაგზე, ცის ქვეშ, ხანდახან თვალებს ცისკენ აღმართავს, ხან მიწას მიაჩერდება და შანდაკივით უძრავად დგას. ერთი სიტყვით, ყველაფრიდან ჩანს, რომ მას კატერია მეტისმეტად ჰყვარებია. ბევრი შიშობს, კიტერიას ხვალინდელმა "ჰომ" ბოლო არ მოუღოს მას.

- ღმერთი შეეწევა, - დაიძახა სანჩომ. - უფალი თუ ავადმყოფობას მოავლენს, მის წინააღმდეგ წამალსაც გზავნის ვინ რა იცის, ქვეყანაზე რა მოხდება: დღეიდან ხვალამდის ბევრი წყალი ჩაივლის და ერთ წამში, რომელი სახლიც გინდა, შეიძლება დაინგრეს. ხშირად ერთსა და იმავე დროს მზეცა და წვიმაც მინახავს და ისიც ხდება ხოლმე, რომ კაცი ღამე საღსალამათი იძინებს და დილით კი ფეხებს გაჭიმავს. ერთი მიბრძანეთ, სენიო, თქვენგანს ბედის ჩარხისათვის ხრიკი ვის გამოუდვია? ვეჭვობ-არავის. დედაკაცის "ჰოსა" და "არას" შუა ნემსის წვერიც არ ჩაეტევა ოღონდ ეს მითხარით, რომ იმ დედაკაცს-კიტერიას, ბასილიო უყვარდეს, და აღმითქვამს მათთვის მთელი ტომარა ბედნიერება, რადგანაც სიყვარული ისეთი სათვალეებით იცქირება, რომელიც სპილენძს ოქროდ აჩვენებს, სიღარიბეს - სიმდიდრედ და ნაგავს - მარგალიტად.

- აღარ დაჩუმდები, შეჩვენებულო ყბედო? - დაუყვირა დონ კიხოტმა, - ამან თუ თავისი ანდაზები მოაყოლა, თვითონ იუდაც - თანაც ჩაჰყოლოდე მას ქვესკნელში! - ველარ მიჰყვება ამ ყბედს. ერთი მითხარ, უმაქნისო ქმნილებავე, ჩარხებისა, ხრიკებისა ან კიდევ სხვა რამეებისა რა გაგეგება?

- ჩემი რა ბრალია, - უპასუხა სანჩომ, - რომ ჩემი არა გეყურებათ რა, და რასაც ვიტყვი, სისულელედ თვლით. მაგრამ ისიც კმარა, რომ თვითონვე მესმის და ვიცი, რომ მე უფრო ჭკვიანურად ვლაპარაკობ, ვიდრე სხვებს ჰგონიათ. თქვენო მოწყალებავე, ჩემო სენიო, მაინც გიყვართ ყველა ჩემი ნაბიჯი და ჩემი სიტყვა შეათანამოწმით.

- შეათანამოწმით კი არა, შეამოწმით-თქო, სულელო, ჩვენი ჩინებული ენის დამმახინჯებელო, - უპასუხა დონ კიხოტმა. - შეგარცხვინოს და თვისგანაც განგა რინოს შენ ღმერთმა.

- ნუ მიწყრებით, თქვენო მოწყალებავე, - უთხრა სანჩომ, - ხომ იცით, სალამანკაში არ მისწავლია, სასახლეში არ აღზრდილვარ და აბა საიდან მეცოდინება, ყველა სიტყვას რა ასო მივუმატო და რა დავაკლო განა მოსათხოვნია საიალოელმა გლეხმა ისე ილაპარაკოს, როგორც ტოლედოს მოქალაქემ, მაგრამ ტოლედოშიც, მგონია, თუ მოვძებნით, ისეთ ბატონებს ვიპოვით, - ეგრერიგად წმინდად ვერ ლაპარაკობდნენ.

- ეგ მართალია, შენიშნა ლიცენციატმა, - სავაჭრო დაზვის უკან და სოკოდოვერის დაბახანებში აღზრდილებს არ შეუძლიათ ისე ილაპარაკონ, როგორც იმათ, ვინც მთელი დღე საკრებულო ტამრის ეზოში დასეირნობს, თუმცა ერთნიცა და მეორენიც ტოლედოს მოქალაქენი არიან. ლამაზი, წმინდა და შემუშავებული ენით მხოლოდ მაღალი საზოგადოების განათლებული

ხალხი ლაპარაკობს, თუნდაც მახალაონდაში იყვნენ დაბადებულნი. განათლებულნი-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ მაღალი საზოგადოების ყველა როდია განათლებული. ენის საუკეთესო მასწავლებელი გრამატიკაა, ვარჯიშობით განვითარებული. ჩემი ცოდვების გამო სალამანკაში საეკლესიო სამართალს ვსწავლობდი და ცოტაოდენად ვკადნიერობ წმინდა, წესიერ და ცხად ენაზე მოლაპარაკედ ვთვლიდე ჩემს თავს.

- თქვენი მჭევრმეტყველობით, რომ თავი მოგაქვთ, იმას ის უმჯობანებოდა, გრამატიკაზე მომეტებულად, თან, რომ მოგაქვთ, იმ დაშნების ხმარება გესწავლათ, - უთხრა მეორე სტუდენტმა, - მაშინ ლიცენციატის ხარისხზე, რომ გამოცდას იქერდით, თავი გაგივარდებოდათ ხელში კუდის მაგიერ და აქ წამოიღებდით.

- გეტყვით, ბაკალავრო, - უპასუხა სტუდენტმა, - ხმლის ხმარებისა და ფარიკაობის ხელოვნების შესახებ უკუღმართი აზრისა ხართ, ნუთუ ეს ხელოვნება არაფრად მიგაჩნიათ.

- ეს ჩემთვის არა მარტო აზრია, არამედ შეურყეველი ჭეშმარიტებაა, - მიუგო ბაკალავრმა კორჩუელომ, - და თუ გნებავთ, ეს საქმით დაგიმტკიცოთ, ინებეთ: ამისათვის სწორედ კარგი შემთხვევა გვეძლევა. თქვენ დაშნები გიჭირავთ ხელში, მე კიდევ ძალა და მუშტები მაქვს და ამით ვეცდები ჩემგან ნათქვამ ჭეშმარიტებაში დაგარწმუნოთ. აბა ჩამობრძანდით თქვენი სახედრიდან და თქვენს საშველად მოიხმეთ მთელი თქვენი პოზიცია, ყოველი თქვენი წრეები, კუთხეები, მიტრიალ-მოტრიალება, ერთი სიტყვით, მთელი თქვენი ცოდნა და ხელოვნება. მე კიდევ მარტო დახელოვნებული ჩემი მუშტით იმედი მაქვს შუადღის ჟამს ვარსკვლავები დაგანა ხოთ და ბარემღაც დაგარწმუნოთ, რომ ჯერ არ დაბადებულა ის, ვინც ზურგს მაჩვენებინებს და ქვეყანაზე ისეთი ვაჟკაცი არ არის, ძირს არ დავცე.

- ზურგს გაჩვენებინებთ თუ არა, მაგას არ შევეხები, - უპასუხა მოფარიკავემ, მაგრამ შესაძლებელია მოხდეს-იქ ჰპოვოთ საფლავი, სადაც პირველად მამაცობაში გამოიღებთ თავს, ესე იგი, სხვანაირად, რომ ვთქვათ, თქვენ სწორედ - ხელოვნება ჩაკვლავთ, რომელიც ეგრე გძულვებიათ.

- მაგას ახლავ ვნახავთ, - მიუგო კორჩუელომ, საჩქაროდ ვირიდან გადმოხტა და ლიცენციას ერთი დაშნა ხელიდან მოსტაცა.

- ეგრე არა კეთდება საქმე, - დაიძახა დონ კიხოტმა, - ბრძოლის შუამავალი მე გაგიხდებით და თქვენი დავის მსაჯულიცა ბევრჯერ ატეხილა ასეთი დავა და ჯერაც არ არის გადაწყვეტილი.

ესა თქვა და როსინანტიდან ჩამოხტა, თავისი შუბი აიღო ხელში და შუა გზაზე ჩადგა. ამასობაში ლიცენციაში ზომიერი, მაგრამ გაბედული ნაბიჯით, თვალგანთებული მივარდა კორჩუელოს, მშვიდობიანი გლეხები ვირებიდან არ ჩამოსულან და სტუდენტების ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ისე უცქეროდნენ ამ ბრძოლაში ერთის მხრივ ყოველგვარი დარტყმა ერთიმეორეს მოსდევდა: "უკან", "ატაკე", "მალლა", "ძირს" და სხვ. ხოლო მეორეს მხრივ ბაკალავრი თავის მოპირდაპირეს გაშმაგებული უტევდა, მაგრამ ამოდ, ლიცენციაში თავისი დაშნით წამდაუწუმ მის იშმაგეს აოკებდა. ჩქარა ანაფორაც დაუხია, ზედ ყველა ღილი მოაგლიჯა, ორჯერ ქუდიც მალლა აუგდო ბაკალავრს და იქამდის გააბრაზა და დაქანცა, რომ მოთმინებიდან გამოსულმა ბაკალავრმა ხელიდან გამოსტაცა დაშნა, მოიქნია და სამ მეოთხედი მილის სიშორეზე გადაისროლა. ასე ამბობს ამ ბრძოლაში დამსწრე გლეხი, რომელიც დაშნის

მოსატანად წავიდა, და დაე მისი მოწმობა იმის უტყუარი დამამტკიცებელი შეიქმნას, რომ ოსტატობა ძალასა სჭარბობს.

დაქანცული კორჩულო ქაქანით მიწაზე დაეცა.

- თქვენო მოწყალეზავ, ბატონო ბაკალავრო, - უთხრა მას სანჩომ, - რჩევა დამიჯერეთ და დაშნებით ბრძოლაში ნულარავის გაჰყვებით, ჯოხებით ბრძოლა ამჯობინეთ, ანუ უკეთესი იქნება, რიკ-ტაფელა ითამაშეთ, რადგანაც ღმერთს თქვენთვის ღონე არ დაუშურებია. თორემ, გამიგონია, ხმაღში მებრძოლი ბატონები ხმლის წვერს ნემსის ყუნწშიაც გაატარებენო.

- ჩემ წილად მეყოფა, - მიუგო კორჩულომ, - რომ მე, როგორც იტყვიან, ვირიდან ჩამოვვარდი და გამოცდილებით გავიგე, რასაც ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ დავიჯერებდი.

ესა თქვა, ადგა, ლიცენციასთან მივიდა, გადაეხვია და ამ წამიდან უფრო დიდი მეგობრები შეიქნე. იმ გლეხის მოსვლას აღარ დაუცადეს, დაშნის მოსაძებნად, რომ წავიდა, რადგან ფიქრობდნენ, გვიან დაბრუნდებოდა, და გადაწყვიტეს უიმისოდ გასდგომოდნენ გზას, რომ კიტერიას ქორწილში მისვლა არ დაგვიანდებოდათ.

გზადაგზა ლიცენციაში თავის თანამგზავრებს ებასებოდა ფარიკაობის ხელოვნების დიდ ღირსებაზე და საბუთად ისეთი თვალსაჩინო მათემატიკური საბუთი მოჰყავდა, რომ თავისი მსმენელნი დაშნის მარჯვე ხმარების დიდ მნიშვნელობაში დააჯერა და თვითონ კორჩულომაც სრულებით უარყო თავისი გადაბრჯნილი ურწმუნოება.

სალამოს, ჩვენი მგზავრები, რომ სოფელს მიუახლოვდნენ, მთელი ცა ურიცხვი კაშკაშა ვარსკვლავებით მოჭედული ეჩვენათ და ქნარების, ნაღარების, ბობღნების, უბნების, დაფდაფებისა და სალამურების ტკბილი ხმები მოესმათ. სოფლის შესავალში ფართო ფანჩატური იყო გაკეთებული, ჭრაქებით გაჩაღებული, რადგან ოდნავი ნიავიც კი არა ქროდა ყველანი მხიარულობდნენ ზოგი ცეკვავდა, ზოგი მღეროდა, ზოგი თამაშობდა და მთელ ველს სიხარული და მხიარულება მქონდა მოფენილი მრავალი ადამიანი ამასობაში მართავდა ხარაჩოებს, სკამებს და კიბეებს, რომ წარმოდგენისა და ცეკვისთვის უფრო კარგად ეცქირათ. ასე აპირებდნენ ედღესასწაულათ მდიდარი ქამაჩოს ქორწილი და ლამაზი ბასილიოს ცოცხლად დამარხვა. დონ კიხოტმა, მიუხედავად გლეხებისა და სტუდენტების მრავალი თხოვნისა, სოფელში შესვლა არ ინდომა მისი აზრით, ამის საპატიო საბუთი ჰქონდა. მოგზაურ რაინდთა ჩვეულება იყო, ღამე გაეთიათ ცისქვეშ, მინდვრებსა და ტყეებში და არა სოფლებში, თუნდაც ოქროს ჭერქვეშ ამ საბუთით გზას გადაუხვია და ამით მეტად გაამწარა სანჩო, რომელსაც იმ წამში ციხე დარბაზში ანუ დონ დიელოს სახლში მყუდრო ბინა გაახსენდა.

თავი XX

სადაც მოთხრობილია მდიდარი ქამაჩოს ქორწილისა და ღარის

ბასილიოს ხვედრის შესახებ

როგორც კი თეთრ სპეტაკმა ავრორამ ნება მისცა ბრწყინვალე თებოსს მცხუნვარე სხივთა მხურვალეებით მისი ოქროსფერი დალალებიდან ცვარ-ნამის სველი მარგალიტები ამოეკრიფა, დონ კიხოტი დაემურა ფუფუნებას გაჰყროდა, ფეხზე წამოდგა და ტკბილი ხვრინვით მძინარე



სანჩო დაუძახა თავისი საჭურველმტვირთველი თვალეზდახუჭული და პირდია, რომ დაინახა, სანამ გააღვიძებდა, ვერ შეძლო - არ ეთქვა:

- ჰოი, ამ დედამიწაზე მცხოვრებ მომაკვდავთა შორის უნეტარესო არსებავე არავის მოშურნევ და არავისი შურის აღმძვრელო ბედნიერო! სულით და ხორციით განისვენებ არც ჯადოქრები გდევნიან და არც მოხიზვლისაგან ხარ შეშფოთებული! კვალად გეტყვი, იძინე, და ასჯერაც გაგიმეორებ ამას - შენ, შენი გულისვარდისადმი მწვავე ეჭვიანობის გამო საუკუნო უძილობით დამტანჯველო, შენ, რომელსაც არც ვადაგასულ ვალებზე ზრუნვა გიფრთხობს ძილს, არც შენი და შენი ცოლ-შვილისთვის სახვალიოდ საჭირო პური არსებობისა გაწუხებს; შენ, რომელსაც არც პატივმოყვარეობა გიღელვებს გულს, არც ამაო ბრწყინვალეობა გიტაცებს, რადგან ყველა შენი მისწრაფება მხოლოდ შენი ვირის გარშემო ტრიალებს და იმით თავდება, თვითონ შენზე ზრუნვა კი მე უნდა გავწიო ამ ტვირთს, ბუნებისა და ჩვეულებისაგან მაღალ წოდებათა სამართლიან მოვალეობად დადებულს, მე ვეზიდები მსახურს სძინავს, ბატონი მის მაგიერ ფხიზლობს, რათა იფიქროს, როგორ გამოკვებოს და ცხოვრება გაუუკეთესოს თავის მსახურებს მსახურს არ აშფოთებს ბრინჯაოსებრი გახურებული ცა, მაცოცხლებელ ცვარს, რომ აღარ იძლევა, ბატონმა კი გვალვისა და შიმშილის დროს უნდა იზრუნოს იმაზე, ვინც უხვსა და ნაყოფიერ წელიწადებში მას ემსახურებოდა!

ამაზე სანჩო პასუხად ერთი სიტყვაც არ უთქვამს, რადგან თავისთვის არხეინად ეძინა და, უეჭველია, არც ისე ჩქარა გაიღვიძებდა, თუ დოს კიხოტი მას შუბის წვერით არ შეხებოდა და გრძნობაზე არ მოეყვანა. რომ გაიღვიძა, სანჩო თვალეზის. ფშვნეტა დაიწყო, ხელები წინ გაიშვირა, ხან აქეთ მიიღო პირისახე, ხან იქით და წაილაპარაკა:

- თუ არ ვცდები, ამ ფანჩატურიდან ლორისა და მოხრაკული ქონის ოხშივარი უფრო მოდის, ვიდრე ნარგიზისა და ქიმიანურის სურნელება ღმერთსა ვფიცავ საგანგებო რამ ქორწილი უნდა იყოს, რომ ასე ადრე ასეთი სუნი მოგვედინა.

- გაჩუმდი, ღორმუცელავ, - შეუტია დონ კიხოტმა, - და ჩქარა ადექი; უნდა წავიდეთ, ენახოთ, ამ საქორწილო ნადიმზე განრიდებული ბასილიო რას იზამს.

- რაც უნდა, ისა ქნას, მიუგო სანჩომ, - თავისი ბრალის ღარიბი რად არის? მდიდარი, რომ ყოფილიყო, კიტერიას შეირთავდა. თუ კაცს ერთი გროში არ გააჩნია, რას იზამს, ღრუბლებში ხომ არ შეირთავს ცოლს? ღმერთმანი, თქვენო მოწყალეობავ, გლახა უნდა სჯერდებოდეს, რასაც შოულობს. ყურძენში მარგალიტს არ უნდა ეძებდეს. სანაძლეოს დავდებ, რომ ქამაჩოს იმ ბასილიოს ოქროებით სავსე ტომარაში ჩამალვა შეუძლია. თუ ეს ასეა, რა სულელი უნდა იყოს კატერია, რომ ყველას შეაფურთხოს, რაც მისთვის ქამაჩოს უჩუქებია და კიდევაც აჩუქებს, და ბასილიოს რიკ-ტაფელას სროლამ და დაშნებით ვარდი შობის ხელოვნებამ შეაცდინოს. მაგისტანა საგანგებო ოინებისათვის არც ერთ დუქანში ერთ ჭიქა ღვინოსაც არ მოგვეცემენ. ისეთი ნიჭი და უნარი რა საჭიროა, თუკი ფულად ვერ აქცევ. მაგისტანა ნიჭი, დაე, გრაფმა დირლოსმა წაიღოს. სულ სხვაა, თუ ნიჭით ღმერთი სქელ ჯიბიან კაცს დააჯილდოებს, მაშინ მისთვის დღეგრძელობას ვისურვებ იმიტომ, რომ კარგი სახლის აშენება მარტო კარგ საძირკველზე შეიძლება და საუკეთესო საძირკველი ამქვეყნად კიდევ - ფულია.

- თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი, სანჩო, - დაუყვირა დონ კიხოტმა - შენ თუ ლაპარაკი დაიწყე და გათავებამდის არავინ გაგაჩუმა, აღარც ქამისთვის დაგრჩებოდა დრო და აღარც ძილისთვის, სულ ლაპარაკს მოუნდებოდი.

- თქვენო მოწყალეზავ, - მიუგო სანჩომ, - თქვენ, რომ კარგი მეხსიერება გქონდეთ, მაშინ ჩვენს პირობას მოიგონებდით; გამოყოლაზე, რომ დაგთანხმდით, პირობა ჩამოგართვით - რამდენიც მომესურვებოდა, იმდენი მელაპარაკა, ოღონდ ჩემი ლაპარაკი მახლობლისა და თქვენთვის საზიანო არა ყოფილიყო, ეს კი, მგონია, ჯერ არ ჩამიდენია.

- ეგ პირობა არ მახსოვს,- უთხრა დონ კიხოტმა, - და თუნდაც ეგ მუხლი ყოფილიყოს პირობაში, მე მსურს დაჩუმიდე და თან გამომყვე. აგერ, გესმის, გუშინდელი საკრავები უკვე დაუკრეს და ეს ველები გაახარეს. ეტყობა ქორწილის გადახდას დილის სიგრილეზე ამჯობინებენ, ვიდრე ნაშუადღევს პაპანაქებაში.

სანჩომ თავის ბატონს დაუჯერა, ვირი და როსინანტი შეკაზმა, ჩვენი ფათერაკებისმამებარნი ზედ შესხდნენ და ნელი ნაბიჯით ფანჩატურში შევიდნენ. ყველაზე უწინ სანჩო თელის უზარმაზარ შამფურზე შესაწვავად აგებული მთელი ხარი ეცა თვალში. ცოტა მოშორებით ვეებერთელა გროვა შეშა ენთო და ცეცხლის გარშემო ექვსი სალამი იდგა - არაჩვეულებრივი მოყვანილობისა და ზომისა. ყველა ისინი ხორციით იყო სავსე. თითოეულში თითო ხარი თავისუფლად ეტეოდა, მთლიანი ცხვრები ხომ ისე იკარგებოდნენ შიგ, თითქოს მტრედებიაო.

ხეებზე მრავალი გატყავებული კურდღელი, დაკლული ქათამი, ნანადირევი და შინაური ფრინველი დაეკიდათ, რომ სიგრილეში ყოფილიყო. აქვე სანჩო მშვენიერი ღვინით სავსე სამოციოდე ტიკი დათვალა, თითოეულში ორ-ორი არობა რომ ჩადიოდა. თეთრი პური გროვებდა იყო დაყრილი, როგორც კალოზე ხორბალი, ხოლო სხვადასხვაგვარი ყველი აგურებივით, წყობისად ეწყო, თითქოს კედლებიაო, ყველის გვერდით ორი უზარმაზარი ქვაბი იდგა ერბოთი სავსე, შიგ კუპატები იხრაკებოდა, მოხრაკულს ნიჩბებით იღებდნენ და სხვა, თაფლით სავსე ქვაბში უშვებდნენ. ქურასთან ორმოცდაათ სუფთად ჩაცმულ მზარეულზე მეტი ტრიალებდა - ქალი და კაცი. შამფურზე შესაწვავი ხარის ფართო მუცელში თორმეტი ძუძუთა გოჭი იყო ჩადებული, რომ ხორცისთვის სინაზე და გემო მიეცა. სხვადასხვა ხილეული და სატკბილობელი გირვანქობით კი არა, ფუთობით ეყარა დიდ სკივრში. თუმცა ეს საქორწილო საქმელები სოფლურად იყო მომზადებული, მაინც მთელი ლაშქრის გაძღომა შეეძლოთ.

ყველა ამას სანჩო მოურიდებელი აღტაცებით და ხარბი თვალებით შესცქეროდა. ჯერ იგი მუცელგაბერილმა ქვაბებმა მოხიბლა, საიდანაც დიდი სიამოვნებით ამოიღებდა რასმეს თავისთვის; მერე ღვინის ტიკებმა დაატყვევა და, დასასრულ, ხილის კუპატებმა. თავი, რომ ვეღარ შეიკავა, ერთ გამრჯე მზარეულთან მივიდა და დამშეული მუცლის სრული ზრდილობით სთხოვა - ნება მიეცა ქვაბში ერთი ნაჭერი პური ამოეწო.

- ძმაო, - უპასუხა მზარეულმა, - დღეს, მადლობა მდიდარ ქამაჩოს, ისეთი დღე როდია, დამშეულზე, რომ ბატონობდეს. ვირიდან ჩამოხტით, აქ ახლო სადმე ქაფქირი მოძებნეთ, ერთი ან ორი ქათამი ქაფსავით მოხადეთ და ღმერთმა შეგარგოთ.

- აქ, რომ ქაფქირს ვერსად ვხედავ? - უთხრა სანჩომ.

- ცოდვილი ვარ, ცოდვილი, - შეჰყვირა მზარეულმა, - მაგრამ რა გაუბედავი ყოფილხართ და ასე რად ინაზებით? - უშნოდ თავპატიჟის გამოდება გცოდნიათ. - ესა თქვა, ტოლჩას ხელი წამოავლო, დევ-ქვაბში ჩაუშვა, იქიდან ერთბაშად სამი ქათამი და თარი ბატი ამოიღო და სანჩოს უთხრა:

- მიირთვით, მეგობარო, ჯერ ამ ქაფით გაიხსნილეთ და მერე სადილობის დროც მოვა.

- რომ არა მაქვს რა, ყველა ეს რითი წავიღო, - უთხრა სანჩომ.

- მაშ ტოლჩიანად წაიღეთ, - უპასუხა მზარეულმა, - ქამაჩო ისეთი მდიდარია და ბედნიერი, რომ გულს როდი დააკლდება!

სანჩო, რომ თავის საქმეს ითავებდა, დონ კიხოტმა ფანჩატურში შესული თორმეტი გლეხი დაინახა; ესენი ძვირფასი მოსართავებითა და სამკერდულებზე ეჭვნებით მოკაზმულ ლამაზ ბედაურებზე ისხდნენ, სადღესასწაულოდ მორთულებმა რამდენჯერმე ჭენებით შემოუარეს ველს და თან მხიარულად ყვიროდნენ:

- ღმერთმა ადღეგრძელოს ქამანო და კიტერია. ქამაჩო ისეთივე მდიდარია, როგორც კიტერიაა ლამაზი და იმაზე ლამაზი კი ქვეყანაზე არავინ არის.

ეს, რომ დონ კიხოტმა გაიგონა, ჩაილაპარაკა:

"ეტყობა ამ ბეჩავებს ტობოსელი დულსინე არ უნახავთ, თორემ შერცხვებოდათ და თავიანთ კიტერიას ცოტა თავდაჭერით შეაქებდნენ".

ერთ წამს შემდეგ ფანჩატურში სხვადასხვა მხრიდან მოცეკვავეთა გუნდები შემოვიდნენ და მათ შორის - ხმლებით მოცეკვავე გუნდიცა, და ამ გუნდში ოცდაოთხი ჭაბუკი იყო, სულ რჩეული ლამაზები, სუფთა, თეთრ ტილოს ტანისამოსში, თავზე სხვადასხვაფერ აბრეშუმის თავსახვევმოხვეულები. ამათ წინ მარჯვე ბიჭი მიუძღოდაო და ერთმა იმ ცხენოსანთაგანმა ჰკითხა იმ მოწინავე ბიჭს, შენს გუნდში ხომ არავინ დაჭრილაო?

- ღმერთი მფარავს, - მიუგო წინ მძღოლმა, - ჯერ ხანად ყველანი კარგად არიან.

მერე წყვილ-წყვილად დააყენა თავისი ამხანაგები და ისე მარჯვედ და მკვირცხლად ათამაშებდნენ ფეხებს, რომ დონ კიხოტმა, თავის სიცოცხლეში მრავალი ცეკვის მნახველმა, აღიარა, ამაზე უკეთესი ცეკვა ჯერ არ მინახავსო. ამაზე ნაკლებ არც მეორე გუნდმა გააოცა დონ კიხოტი, პირველის შემდეგ, რომ შემოვიდა .ფანჩატურში. ეს გუნდი სოფლის რჩეულ ლამაზ ქალებისაგან შედგებოდა, ყველანი თოთხმეტისა და თვრამეტი წლის შუა ხნისანი იყვნენ. ყველას მწვანე მსუბუქი მაუდის კაბები ეცვა, ნახევრადა დაწნული და ნახევრად გაშლილი მშვენიერი ღია ფერი მზისებრ ელვარე თმები იასამნისა, მიხაკისა და ყარამფილის ყვავილების გრეხილებით ჰქონდათ მორთული. ამ მომხიბვლელ გუნდს წინ მოხუცი კაცი და თვალსაჩინო მანდილოსანი მოუძღოდა. მოხუცებს თავის ხანზე მეტი სიმარჯვე ეტყობოდათ. ესენი სამორულ სტვირზე ფხის აყოლებით, მწყობრად მოდიოდნენ. ამ გუნდის მშვიდი, ცოცხალი და მშვენიერი ქალები, მგონია, მთელ ქვეყანაზე საუკეთესო მოცეკვავენი იყვნენ.

მათ უკან რთული, ეგრეთ წოდებული "მოლაპარაკე" ცეკვა გაიმართა. ამ გუნდში რვა ნიმფა იყო, ორ რიგად დამდგარი. პირველი რიგის წინ ღმერთი კუპიდონი მოდიოდა, მეორე რიგის წინ ანგარების ღმერთი. კუპიდონი თავისი ფრთებით, კაპარჭით და ისრებით იყო მორთული, ხოლო ანგარება - ძვირფასი დიბისა და აბრეშუმის ტანისამოსით. ამურის მომდევარი ნიმფების სახელები თეთრ ეტრატზე იყო ამოწერილი და ბეჭებზე ეკრა ყველას: პირველ ნიმფას პოეზია ერქვა, მეორეს სიბრძნე, მესამეს წარჩინებულება და მეოთხეს ვაჟკაცობა, აგრეთვე ანგარების მომდევარ ლიმფებსაც თავთავიანთი სახელი ჰქონდათ. პირველი იყო სიუხვე, მეორე ბარაქა, მესამე საუნჯე, მეოთხემ შვიდობიანი მფლობელობა. ამათ წინ ოთხ ველურ კაცს ხის ციხედარბაზი მიჰქონდა. ეს კაცები, სუროს ფოთლის კონებითა და მწვანედ შეღებილი ნამჯით

მორთულნი, ისე ნამდვილად, იყვნენ გამოყვანილნი, რომ საწყალ სანჩო შიშით კინაღამ გული არ გაუხეთქეს. ციხე-დარბაზის წინა პირზე და ოთხსავე მხარეზე ეწერა უმწიკვლობის ციხე-დარბაზი. ამ გუნდს ოთხი ჩინებული მესალამურე მოსდევდა და ორიც მოთარე. ცეკვა კუპიდონმა დაიწყო, ციხე-დარბაზის ქონგურებში მდგარ ყმაწვილქალს ისარი დაუმიზნა და უთხრა:

ყველგანმყოფელი ვარ მბრძანებელი

დედამიწაზე, ჰაერში, ცაზე,

თვით აღქადებულ, მღელვარე ზღვაზე

თუ ჯოჯოხეთში, ვიწრო და ბნელი,

ცოდვილთ სულეებით, რომ არის სავსე.

გული არასდროს არ შემიკრთება,

მყის შევისრულებ, რაც მომინდება,

თუნდაც ეს იყოს მიულწეველი.

მას კი ავკრძალავ ან დავრთავ ნებას,

რაც მისაღწევად არ არის ძნელი.

ეს ტაეპი, რომ დაასრულა, ამურმა ისარი ციხე-დარბაზის ზეთავს შესტყორცნა და თავის ადგილზე დაბრუნდა. ახლა ანგარების ღმერთი გამოვიდა და აგრეთვე ორჯერ შემოუარა საკრავების ხმაზე. საკრავები დადუმდნენ და იმანაც წარმოთქვა.

ყველას მეგზური გულისხმიერი,

მე თვით ამური მემსახურება.

ვარ მიწიერი და ბიწიერი,

ქვენად განთქმული მე ვარ ცთუნება,

ო, მე ფული ვარ ღმერთზე ძლიერი.

ჩემს მოპოვებას ვინც ხელი მიჰყო,

მათში ცოტაა პატიოსანი,

ჩემთვის ერთმანეთს მომკლავენ ძმანი,

მაგრამ, როგორც არ უნდა ვიყო,

სამარადისოდ შენი ვარ, ამინ.

შემდეგ ანგარების ღმერთი განზე გადაა და გამოვიდა პოეზია. იმანაც წინანდლებსავით ორჯერ ჩამოეარა, ციხე-დარბაზზე მდგარ ქალს ახედა და უთხრა:

კეთილხმოვანი, ნათელი, ბრძნული,  
ვარ ხელოვნება, ვარ თვითონ ლექსი,  
მსურს, სენიორავ, მოგართვა გული,  
ეგზომ სათუთი და უწრფელესი,  
ათას სონეტში აძგერებული.

ბოლოს თუ მოხდა, და სიხარულით  
ომს აღსარებას ათხოვე ყური,  
ცამდე აგიყვანს ეს სიყვარული,  
ბრწყინვით დაზრდილო შუქი მთვარული,  
ისე, რომ ყველას აღეძრას შური.

პოეზია, რომ განზე გადგა, ანგარების ღმრთის მხრიდან სიუხვე გამოვიდა, იცეკვა და თქვა:

ხელგაშლილობას მეძახის ყველა,  
მზად ვარ სიმდიდრე გავფლანგო მთელად,  
ვით შეყვარებულს შეეფერება,  
მაგრამ ძუნწიც ვარ, თუ უეჭველად,  
გრძნობებში ვცანი მანკიერება.  
შენთვის ტამარი ავდო მინდა,  
გავხდე მფლანგველი გონდაკარგული.

ეს თუმც ნაკლია, თვით წარსულიდან  
შეყვარებულთა წესია წმინდა,  
სატრფოს საჩუქრით ვუჩვენო გული,

ორივე გუნდიდან დანარჩენნიც ამავე რიგით გამოდიოდნენ და ბრუნდებოდნენ. თითოეული ნიმფა თავის ცეკვას ასრულებდა და რამდენიმე სიტყვას წარმოთქვამდა, ზოგს მშვენიერს და ზორაც სასაცილოს. მაგრამ დონ კიხოტმა მარტო ისინი დაიხსომა, - მეხსიერება კარგი ჰქონდა, - რაც ზევით აღვნიშნეთ. ამის შემდეგ ორივე გუნდი ერთმანეთში აირია და სხვადასხვა სურათების მოძრაობა დაიწყო მკვირცხლად და კეკლუცად. სიყვარული, რომ ციხედარბაზს გაუვლიდა, ზედ ისრებს გაისროდა ხოლმე, ხოლო ანგარება მის კედლებზე მოოქრული თიხის ყულაბებს ამსხვრევდა. ბოლოს, ცეკვით, რომ მოიღალნენ, ანგარებამ ჯიბიდან ვითომდა ფულით გატენილი ანგორულ ხატაურა კატის ტყავის დიდი ქისა ამოიღო და ციხე-დარბაზს მიართვა; ამ მირტყმისაგან მისი კედლები რახარუხით დედამიწაზე გაიქცა და შიგ მყოფი ქალი დაქცეულ კედლებს შუა უმწეოდ დარჩა. მაშინ ანგარება თავისი ამალით ალერსით მივიდა

მასთან, ყელზე მსხვილი ოქროს ჯაჭვი გაუკეთა და მოაჩვენებდა, ვითომც იგი დაიმორჩილა და ტყვედ მიჰყავდა. ამით გაბრაზებული კუპიდონი თავისი გუნდით მივარდა და მშვენიერი ქალი საჩქაროდ ტყვეობიდან დაიხსნა. თავდასხმაცა და მოგერიებაც საკრავებისა და ცეკვის აყოლებით მოხდა. ველური კაცები მეზრძოლთა გასაშველებლად მივარდნენ. წაქცეული ციხე-დარბაზის კედლები ისევ ამართეს, მშვენიერი ქალი შიგვე დაიმალა და მით მაცქერალთა ალტაცებაში მომყვანი ცეკვაც დასრულდა. ყველა კმაყოფილი დარჩა.

დონ კიხოტმა ერთ-ერთ ნიმფას ჰკითხა: ამ ცეკვის შემთხვევლი და მომწყობი ვინ არისო. იმან უპასუხა, - ამ ცეკვების ავტორი ჩვენი სოფლის მღვდელია, მსგავსი რამეების დიდი ოსტატიო.

- სანაძლეოს დავდებ, - თქვა რაინდმა, - რომ ის მღვდელი თუ ბაკალავრი ქამაჩოს უფრო დიდი მეგობარი უნდა იყოს, ვიდრე ბასილიოს, და მწუხრის ლოცვის შესრულებაზე უკეთ სატირით მახლობელთა ჩხვლეტა სცოდნია. ამ ცეკვაში დიდი ოსტატობით გამოუხატავს ბასილიოს ნიჭი და უნარი და ქამაჩოს სიმდიდრე! ეს, რომ სანჩომ გაიგონა, დაიძახა:

- ჩემი მეფე მამალია, მე ქამაჩოს მხარე მიჭირავს.

- ცხადად ჩანს, სანჩო, რომ უბირი გლეხი ხარ, - უთხრა დონ კიხოტმა, - და მუდამ მზადა ხარ იყვირო: გაუმარდოს გამარჯვებულსაო.

- როგორი ვარ, არ ვიცი, - შეესიტყვა სანჩო, - მაგრამ ბასილიოს ქვაბებიდან, რომ ვერასოდეს ვერ მოვხდი იმ ქაფს, რა ქაფიც დღეს ქამაჩოს ქვაბებიდან მოვხადე, ეს ძალიან კარგად ვიცი.

და დონ კიხოტს ბატებითა და ქათმებით სავსე ტოლჩა აჩვენა, იქიდან ერთი ქათამი ამოიღო და ხარბად ჭამა დაუწყო. თან იძახდა:

- ღმერთმა მშვიდობა მისცეს ბასილიოს საუცხოო ნიჭს. შენ იმად ღირხარ, რაცა გაქვს და ის გაქვს, რადაც ღირხარ. ქვეყანაზე ორი რიგი და ორი მდგომარეობა არსებობს, როგორც ჩემი დიდება იტყოდა ხოლმე, - ქონება და უქონლობა. ცხოვრებული მუდამ ქონების მომხრე იყო. ამ დროში იმას უფრო ეტანებიან, ჩემო სენიო დონ კიხოტო, ვისაც რამე აქვს, და არა იმას, ვინც რამე იცის. ოქროთი მორთული ვირი უფრო ლამაზი მოჩანს, ადრე ყველა მოურთავ-მოუკაზმავი ცხენი. დღეს, ხელმეორედ მოგახსენებთ, - ქამაჩოს მხარე მიჭირავს, რადგან ფრინველის ხორცს, კურდღლის ბაჭიებს და სხვა ათასნაირ საჭმელებს მაჭმევს. ბასილისგან კი გადასაყრელი ყურძნის გამონაწერი თუ მერგება.

- გაათავე? - უთხრა დონ კიხოტმა.

- მეტი რა ჩარაა, უნდა გავათავო, როდესაც ვხედავ - თქვენი მოწყალება მიბრაზდება, - უპასუხა სანჩო. - ეს, რომ არ იყოს, იმდენი მასალა მაქვს გამოსაჭრელი და სალაპარაკო, რომ სამ დღესაც ვერ გავათავებდი და სულ ბულბულივით ვიყეფებდი.

- ღმერთსა ვთხოვ, სანჩო, ვიდრე მოვკვდებოდე - მუნჯი მენახო, - უპასუხა დონ კიხოტმა.

- მე, რომ ამ ცხოვრების გზაზე ჩვენს სიარულს ვხედავ, - მიუგო სანჩომ, - შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ, ვიდრე მოვკვდებოდე, ამ ჩემი კბილებით თვითონვე მიწის ზელა დავიწყო, ჭიალუების კერძი გავხდე, და მაშინ შეიძლება ისე დავმუნჯდე, რომ ქვეყნის დასასრულამდე ანუ საშინელ სამსჯავრომდე მაინც ერთი სიტყვაც აღარ წამოვავრანტალო.

- ეგრეც რომ მოხდეს, ჰოი, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - შენი სიჩუმე ვერ გადააჭარბებს იმას, რაც გილაპარაკია ან ახლა ლაპარაკობ და შენი სიცოცხლის დასასრულამდე კიდევაც ილაპარაკებ. მე კი ამას ვერ მოვესწრები, რადგან ბუნების კანონით შენზე ადრე უნდა მოგვკვდე. ასე კი იმედი არა მაქვს მუნჯად გნახო ოდესმე, მაშინაც კი, როდესაც გძინავს ანუ სვამ.

- ღმერთს ვფიცავ, სენიორ, - თქვა სანჩომ, - სანდო არ არის ის ბებერი ჩონჩხი - სიკვდილი, ისევე მადიანად, რომ ბატკანსა სჭამს, როგორც ცხვარს; ჩვენი მღვდლისაგან გამიგონია, .რომ ის ერთნაირი ძალით ურახუნებს და ერთნაირად ადენს მუსრს როგორც მეფეთა დიდებულ სრა-პალატებს, ისე ღარიბთა ქოხებს. იმ ქალბატონს ძალა მეტი აქვს სინაზეზე და უფრო თავის ძლიე. რეხას ამჟღავნებს, ვიდრე კდემამოსილებას; არაფერი ეზიზღება, ყველაფერს მიირთმევს, ყველა მოსწონს და თავის ბალთას ყველა წოდებისა და წრის ხალხით ავსებს. ის, თქვენო მოწყალეზავ, მთიბავია, რომელმაც ერთი წამის მოსვენება არ იცის, მუდამ ყველგან ცელავს და მკის, როგორც ხმელ ბალახს, ისე მწვანესაც. ის არაფერს ღეჭავს, ერთბაშად ყლაპავს და, რასაც კი თვალთ ხედავს, ყველაფერს მუსრავს. რაღაც ძალღური შიმშილი სჭირს. ვერაფრით ვერ ძღება და, თუმცა კუჭი არა აქვს, მაინც შესაძლოა ვიფიქროთ, უთუოდ წყალმანკი სჭირს და ყველასაგანცოცხალი სიცოცხლის დაღევა უნდა, როგორც ჩვენ ერთ ჭიქა ცივ წყალს გადავკრავთ ხოლმე.

- კმარა, გეყოფა, სანჩო, - შესძახა დონ კიხოტმა, - მაგრამ დაჯექი, ნუ წაიბორძიკებ, რადგან სიკვდილზე რაც შენი სოფლური ენით ილაპარაკე, იმაზე უკეთესად ვერცერთი კარგა მქადაგებელი ვერ იტყოდა. სანჩო, ხელახლად გეუბნები, შენ, რომ მაგ შენს ბუნებით საღ გონებასთან შესაფერისი ცოდნაც გქონდეს, შეიძლებდი კათედრამდის აღმაღლებულ იყავ და კარგი ქადაგების სათქმელად მთელი ქვეყნიერება მოგველო.

- ვინც კარგად და მართლად ცხოვრობს, კარგად და მართლადაც ქადაგებს, - უთხრა სანჩომ, - სხვა რამე ღვთისმეტყველებისა არა ვიცი რა.

- და ეგ შენთვის არც საჭიროა, - უპასუხა დონ კიხოტმა.

მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია: სიბრძნის დასაბამი, როგორც ცნობილია, ღვთის შიშში არის, შენ კი ხვლიკისა უფრო გეშინია, ვიდრე ღმერთისა; და საიდან იცი მაგდენი?

- თქვენ რაინდობაზე იზრუნეთ, თქვენო მოწყალეზავ, - მიუგო სანჩომ, - სხვისა შიშსა და ღვაწლზე ნუ იმსჯელებთ, რადგან ღვისაც ისე მეშინია, როგორც ჩვენს მრევლში მისი ყველას ეშინია, და ამ ტოლჩის დაცარიელებას ნუ მიშლით. დანარჩენი მერწმუნეთ, ცუდ უბრალო ლაპარაკია. ამის ანგარიშს საიქიოს მოგვკითხავენ.

ესა თქვა და ხელახლად თავის ტოლჩას ეცა ისეთი გაშმაგებული მადით, რომ დონ კიხოტიც კინადამ შეაცდინა, და ისიც, უეჭველია, თავის საჭურველმტვირთველს უშველიდა ქათმებისა და ბატების განადგურებაში, რომ იმ შემთხვევას არ დაეშალა, რაც შემდეგ თავში უნდა მოგითხროთ.

სადაც გრძელდება ქამაჩოს ქორწილის ამბავი და სხვა

საინტერესო შემთხვევები

ზემომოყვანილი საუბარი დაასრულეს თუ არა, დონ კიხოტა და სანჩოს გლეხების ხმაურობა მოესმათ; მიზეზი ის იყო, რომ მათ დართულ-დაკაზმული ნეფე-პატარძლის მოახლოება დაინახეს მღვდლითა, საკრავებითა და ორივე მხრის ნათესავებით და მისაგებებლად და მისალოცად ყიჟინით მათკენ გაექანენ.

პატარძალი, რომ დაინახა სანჩომ, დაიძახა:

- ღმერთს ვფიცავ, სოფლურად კი არ არის მორთული, თითქოს სასახლის სეფექალი იყოს, სულ ხავერდებში ზის, ბეჭდები, მარჯნის საყურეები და აბრეშუმის ბაფთები; ჩვენებური თეთრი ჩაფარიშმოვლებული კუნკეს მაუდის სახსენებელიც არსად არის. შეხედეთ, ყელზე ატენიც კი არ ჩამოუბამს. დედამიწამ აქვე მიყოს პირი, თუ ეს ოქროს ბეჭდები არ იყოს, თუ ეს პიტალო ოქროს ძაფი არ იყოს, რძესავით თეთრი მარგალიტი, რომ არის ასხმული. ჰოი, ღვთისმშობელო! თითო ასეთი მარგალიტი ხომ ადამიანის თვალად ღირს, ერთი ამას შეხედეთ და! ამ მეძავის შვილს! რა დალაღებია და! ჩემს სიცოცხლეში ასეთი გრძელი და ღია ფერისა ჯერ არ მინახავს; ტანის რხევას და ნაბადს უცქირეთ და! ისე მოდის ყელზე და თმაზე ჩამოკიდებული მარგალიტებით, თითქოს საროს პალმის ხურმა აყრიას. გამჩენსა ვფიცავ, რა მშვენიერი ქალია, ფიჭვის ტახტზე დაც გვარიანი წოლა ეცოდინება.

სანჩო სოფლურმა ქებამ დონ კიხოტი გააღიმა, მაგრამ გულში კი მაინც აღიარებდა, რომ თავის ქალბატონის დულსინე ტობოსელის გარდა ასეთი მშვენიერი ქალი მასაც თავის სიცოცხლეში ჯერ არ ენახა. ტურფა კატერია ოდნავ ფერმიხდილი იყო და დაღლილობა ეტყობოდა, უეჭველია, ქორწინების წინა ღამის მოუსვენრად გატარების გამო, როგორც საერთოდ ყველა პატარძალსა სჭირს. ნეფე-პატარძალი წყნარად მოდიოდნენ ხალიჩებითა და მწვანეულობით მოფენილ მინდვრისაკენ, სადაც ჯვარისწერა უნდა მომხდარიყო და მერე იქიდან წარმოდგენებისა და თამაშობისათვის ეცქირათ. მაგრამ იმ წამს, როდესაც მათთვის დამზადებულ ადგილზე ფეხი უნდა შეედგათ, მათ უკან ვიღაცამ ხმამაღლა დაიყვირა.

- მოიცადეთ, მოიცადეთ, აგრე ნუ ეშურებით, უგუნურო და წინდაუხედავო ხალხო!

ამ ძახილით გაკვირვებულმა მასპინძლებმა და სტუმრებმა უკან მოიხედეს და ვიღაც შავტანისამოსიანი კაცი დაინახეს ცეცხლისფერ ჩაფარიშმოვლებულ განიერ წამოსასხამში. თავზე, როგორც შემდეგ შენიშნეს, კვიპაროსის ფოთლებისაგან დაწნული სამგლოვიარო გვირგვინი ჰქონდა ჩამოცმული და ხელშიც ვეებერთელა ყვარჯენი ეჭირა. ის, რომ ესტრადას მიუახლოვდა, იცვნეს, მშვენიერი ბასილიო იყო. ამ დროს მისმა მოსვლამ ყველა შეაშინა-უბედურება რამე არ მოეხდინა, და ფარული მოუსვენრობით ელოდნენ მისი გაუგებარი სიტყვების ახსნას.

სირბილისაგან გულამომჯდარი ბასილიო ძლივს ითქვამდა სულს, ესტრადასთან ნეფე-პატარძლის წინ მივიდა, ფოლადის წვეტიანი ჯოხი მიწაში ჩაურჭო, გაფითრებული და აკანკალებული კიტერიას წინ დადგა, თვალები დააშტერა და ყრუ, მთრთოლვარე, მოწყვეტილი ხმით უთხრა:



- უმადურო კიტერია! შენ კარგად იცი, რომ ჩვენი წმიდა ეკლესიის კანონით გათხოვება არ შეგიძლია, ვიდრე მე ცოცხალი ვარ. იცი, რომ დროისა და შრომისაგან მოველოდე ბოდი ჩემი მდგომარეობის გაუმჯობესებას და აქამდისაც ისეთი არა ჩამიდენია რა, შენი პატივის შეურაცხსაყოფი ყოფილიყო, შენ კი ფეხით გასთელე შენი ფიცი, სხვას აძლევ იმას, რაც მე მეკუთვნის, და ჰყიდი ჩემს ბედნიერებას. დე იყილოს ის ბედნიერება, ვისაც სავსაო ფული აქვს მის საყიდლად, თავისი თავი ნაყიდ ბედნიერების პატრონად დაინახოს და მით დასტკბეს (იმიტომ კი არა, რომ ამის ღირსია, არამედ იმიტომ, რომ ღვთის ნება ასეთი ყოფილა), მე მისთვის ბედნიერებას ვისურვებ და თვითონ მევე დავამხო იმ ზღუდეს, რაც მასა და კიტერიას შორისაა ამართული და მის ბედნიერებას ხელს უშლის. ეს ზღუდე მე ვარ და ჩემს თავს მევე შევმუსრავ. გაუმარდოს მდიდარ ქამაჩოს, გაუმარდოს უმადურ კიტერიას, მრავალჟამიერ იყოს მათი სიცოცხლე. და შენ კი, საბრალო და ღატაკო ბასილიო, სიღარიბემ, რომ ბედნიერების ფრთები შეგიკვეცა და სამარე გაგიტხარა, მოვედი და დაილუპე!

ესა თქვა და თავისი ჯოხი ორად გააპო, იქიდან, როგორც ქარქაშიდან, დაშნა ამოიღო, ტარი მიწაში ჩაურჭო და ერთბაშად მკერდით მარჯვედ და შეუპოვრად ზედ დაეგო; წამსვე დაშნის გასისხლიანებულმა წვერმა ბეჭებში ამოჰყო თავი და საბრალო, სისხლით გათხვრილი, გულგანგმირული მიწაზე დაეცა.

შეწუხებული და თავზარდაცემული მეგობრები მისცვიდნენ საშველად და ტიროდნენ მის ხვედრს, დონ კიხოტი სწრაფად როსინანტიდან ჩამოხტა, პირველებთან ერთად ისიც მივარდა ბასილიოს, ხელში აიყვანა და გაიგო, რომ ვერ ისევ სუნთქავდა. მკერდიდან მახვილის გამოძრობა დაუპირეს, მაგრამ მღვდელმა დაუშალა, რადგან უნდოდა ეზიარებინა, და ეშინოდა, გამოდების უმალ უზიარებელი არ მომკვდარიყო. ცოტა გონს, რომ მოვიდა, ბასილიო სუსტი, მიმქრალი ხმით თქვა:

- შენ, რომ ახლა, უღმობელო კიტერია, შენ, რომ ახლა, ამ საშინელ და უკანასკნელ წამს ჩემზე ღვარი დაიწერო, მაშინ ჩემს გამბედაობას დავლოცავდი და არხეინად მოგკვებოდი იმ ფიქრით, რომ ჩემს უგუნურ მოქმედებას გამართლება აქვს, ცა თავს უნეტარესად ჩავთვლიდი, რადგან შენი შევიქნებოდი.

მღვდელმა, რომ ეს გაიგონა, სთხოვა, ყოველივე ქვეყნიური საქმე დაეტოვებინა და სულის საქმეს შედგომოდა, ცოდვების მიტევებას შევედრებოდა ღმერთს და მეტადრე უკანასკნელი ცოდვისას. მაგრამ ბასილიო არაფრისთვის არ თანხმდებოდა ზიარებაზე, თუ კიტერია მასზე ახლავ ღვარს არ დაიწერდა; დაჟინებით ამბობდა, თუ საყვარელი ქალი ამ მსხვერპლს მოიტანდა მისთვის, მარტო ეს სიხარული მოაკარებინებდა ძალას თავისი უკანასკნელი ამქვეყნიური მოვალეობა აესრულებინა.

დონ კიხოტს მომაკვდავის ეს თხოვნა მეტად სამართლიანად მიაჩნდა და მასთან ასასრულებლად საადვილოდ, რადგან ქამაჩოსთვის სულ ერთი იყო-ერთ წამს შემდეგ თავგანწირული ბასილიოს ქვრივზე დაიწერდა ჯვარს თუ გაუთხოვარ ქალზე. აქ ყველაფერი ერთი უშედეგო "პოთი" დაბოლოვდებოდა, რადგან ბასილიოს საქორწინო სარეცელი კუბოში მზადდებოდა.

ქამაჩოს ყველაფერი ეს ესმოდა და შეძრწუნებულმა და გაბრუნებულმა არ იცოდა-რა ექნა. მაგრამ ბასილიოს მეგობრები ისე გულმოდგინედ სთხოვდნენ-კიტერიასათვის ნება მიეცა მათ მეგობარ, მომაკვდავ ბასილიოზე ჯვარი დაეწერა და იქამდის ნუ მიიყვანდა, რომ მისი სული

მოუწონებლად გაყრიდა ხორცს, ბოლოს ქამაჩო ძალაუნებურად დათანხმდა ამ თხოვნას, - რაც მხოლოდ ის იყო ერთი საათით გვიან დაეწერა ჯვარი თუ კატერია არ იუარებდა.

მაშინ ყველამ კიტერიას დაუწყო თანხმობის თხოვნა ზოგმა ცრემლით ზოგმა მხურვალე ვედრებით ბასილიოზე ჯვარი დაეწერა. მაგრამ კიტერია მარმარილოს უგრძობი ქანდაკივით უძრავი იდგა და ხმას არ იღებდა და, უეჭველია, არაფერსაც არ იტყოდაო მღვდელს დაჟინებით არ მოეთხოვა მისთვის პასუხი და არ გაეხსენებინა, რომ შესაძლო იყო ერო წამს უკან ბასილიოს ტანს სული გაჰყოფოდა, ამიტომაც ფიქრისა და რყევის დრო აღარ იყო ზარდაცემული, მწუხარე კიტერია ხმამაღლა მიუახლოვდა ბასილიოს, რომელიც მომაკვდავი ტუჩებით ჩურჩულებდა მისსა ხელს და მოუწონებელ ცოდვილ წარმართივით და არა ქრისტიანის წიგნით ლამობდა იმქვეყნად გადასვლას მის წინ კატერია მუხლებზე დაეშვა და თავის საქმროს ნიშნებით სთხოვა ხელი მიეცა მისთვის. ბასილიომ ჩამქრალი თვალები გაახილა, ზედ დააშტერა და უთხრა:

ჰოი, კიტერია, მაშინ მოხველ ჩემდა ნუგეშისსაცემად, როდესაც შენმა ალერსმა უკანასკნელი კვეთება უნდა დამმართოს, რადგან ღონე აღარ შემწევს ავიტანო ის, რამაც სიკვდილის წინ სიხარული უნდა მაგრძობინოს. ვაგლახ მე! ჩემს ცოლად გახდომას თანხმდები, მაგრამ მაგას ძალა აღარა აქვს, ის ტანჯა გააქარწყლოს, რაც ჩემს თვალებს სიკვდილის ბინდსა ჰყენს. ჰოი, ჩემო ბედითო ვარსკვლავო! ახლა მაინც ნუ მომატყუებ, სიბრალულით ნურც შენ მომცემ ხელს და ნურც ჩემი ხელი გინდა. ხმამაღლა თქვი, რომ შენი ნებით ხდები ჩემი ცოლი. კარგი არ იქნება ასეთ წამში ის მოატყუო, ვინც თავისი სიცოცხლის დასასრულამდე შენი ერთგული იყო.

ბასილიო, რომ ამას ამბობდა, თითქმის ყოველ სიტყვაზე გული უღონდებოდა, და ყველა შიშობდა-ერთ-ერთ იმ გულის შეღონებაზე სულაც არ გამქრალიყო. თვალებდახრილმა, თითქოს შეწუხებულმა კიტერიამ ბასილიოს ხელი გამოართვა და დაბალი ხმით უთხრა:

- ვერავითარი ძალდატანება ამქვეყნად ვერ შეიძლება ჩემი ნების გატეხვას. ჩემი სურვილით გაძლევ ჩემს ხელს და გართმევ შენსას; მე ვხედავ, რომ გიყვარვარ და სრული გონებით მაძლევ ამ ზელს. ვხედავ, რომ მომაკვდინებელ ჭრილობას, რითაც სასო. წაკვეთილმა განიზრახე სიცოცხლე მოგესპო, შენი გონება არ დაუბინდავს.

- დიახ,-სავსებით დამშვიდებით მიუგო ბასილიომ,-დიახ, ამ ხელს სრულ გონებაზე მყოფი გაძლევ და ჩემს თავს შენს ქმრად ვთვლი.

- მეც ჩემს თავს შენს ცოლად ვთვლი, - უპასუხა კიტერიამ, - და იმას არ ვკითხულობ, დიდხანს იცოცხლებ, თუ გვირგვინის ქვეშიდან სასაფლაოზე წაგიღებენ.

- საკვირველი საქმეა, - თქვა სანჩომ, - ნეტავ ეს ბიჭი როგორ ახერხებს, ასე დაჭრილი, ამდენ ლაპარაკს. ღმერთმანი, დროა მაგ ალერსებზე ხელი ააღებინონ და სულზე აფიქრებინონ რამე, თორემ ლამის თავის სიტყვებს აგერ საცაა თან გამყვეს კიდევაც.

ბასილიოს და კიტერიას, რომ თვალცრემლიანებს ერთმანეთის ხელი ეჭირათ, მღვდელმა დალოცა ისინი და ღმერთს შესთხოვა: ახლადდაქორწინებული ჭაბუკი მართალთა სავანეში დაემკვიდრებინა. ამ ლოცვის უკანასკნელი სიტყვები, რომ წარმოთქვა მღვდელმა, ახლადდაქორწინებული არხეინად წამოდგა და, თითქოს ქარქაშიდან, თავის ტანიდან დაშნა გამოიღო. უცბად გაცოცხლებული ბასილიო, რომ დაინახეს, გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, და ზოგიერთმა გულუბრყვილოდ დაიძახა კიდევ:

- სასწაული, სასწაული!

- "სასწაული" კი არა,-განაცხადა ბასილიომ,-ხერხი და ხელოვანება!

გაოცებულმა და დაბნეულმა მღვდელმა მიიღბინა მასთან, ჭრილობას ხელით სინჯვა დაუწყო და ნახა, რომ დაშნა ბასილიოს ტანს სრულებითაც არ შეხებოდა, არამედ მის ტანს გვერდზე სისხლით სავსე რკინის მილი ჰქონდა მოკრული და დაშნაც ამ მილში იყო გასული. სისხლი ისე იყო შეზავებული, რომ არ შედედებულყო. მაშინ მღვდელმა, ქამაჩომ და სტუმრებმა დაინახეს, თუ როგორ იყვნენ მოტყუებულნი და სასაცილოდ აგდებულნი. მხოლოდ საპატარძლოს არ გამოუჩენია არავითარი რისხვა, პირიქით, როდესაც ზოგიერთმა დაიწყო მტკიცება, ვითომ მოტყუებით და შეურაცხყოფით მომხდარი ჯვარისწერა ნამდვილ ჯვარისწერად არ შეიძლება ჩაითვალოსო, ქალმა ხელახლად აღიარა ქორწინების წინ მიცემული ფიცი; აქედან ის დაასკვნეს, რომ ეს ოინბაზობა საპატარძლოს თანხმობით იყო მომხდარი. ქამაჩომ და მისმა მომხრეებმა თავი ვერაგულად გაუპატიურებული ცნეს და იქვე იარაღით ხელში სამაგიეროს გადახდა მოინდომეს: ზოგი ხმალამოლებული კიდეც მივარდა ბასილიოს, მაგრამ ბევრმა მის მხრივაც იძრო ხმალი. დონ კიხოტმა ხელში შუბი მოიმართა ფარი მიიფარა, ხალხს განი აქნევინა და ცხენი წინ წააყენა. ასეთი დღესასწაულის არასოდეს არმნახველი სანჩო გაიქცა თავას საყვარელ ქვაბებში დასამალავად იმ ფიქრით, რომ ასეთი სამალავი კურთხეული იყო და ყველასათვისაც პატივსაცემი უნდა ყოფილიყო.

- შესდექით, სენიორებო, შესდექით!-ხმამალა დაიყვირა დონ კიხოტმა.-ისეთი წყენისათვის სამაგიეროს გადახდა არ შეიძლება რა წყენაც სავარგულისაგან წარმოდგება. სიყვარული იგივეა, რაც ბრძოლა. როგორც ომში ყოველგვარი ხერხი და მოტყუება ჯეროვნად არის ცნობილი სასურველი მიზნის მისაღწევად. ეს საქციელი ისევე სიყვარულშიც არის ნებადართული. ოღონდ ეს მოტყუება ქალის პატივს არ უნდა ბღალავდეს. ზენაარსის უცვალე ბელი განჩინებით კატერია ბასილიოს ეკუთვნოდა და ბასილიო კიტერიას. ჭამაო მდიდარო, სადაც უნდა, როგორ და როდესაც სურს, შეუძლია თავისთვის ბედნიერება იყიდოს, ბასილიოს ბედნიერება კი მხოლოდ მარტო კიტერიაა და, ვინც უნდა იყოს ან. რაც უნდა შემძლებელი, მას ამ საუნჯეს ვერ წაართმევს, ღვთისაგან შეერთებულ არსებათ ადამიანი ვერ განაშორებს და, ვინც ამგვარ რასმეს განიზრახავს, ყველაზე უწინარეს ამ ჩემი შუბის წვერთან ექნება საქმე!

ამას, რომ ამბობდა, ისე ძლიერ და მარჯვედ იქნევდა შუბს, რომ ყველა მისი უცნობი მნახველი შიშმა შეიპყრო. ამასთანავე კიტერიას გულგრილობამ ქამაჩოზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; მის გულში სიყვარული თითქმის ერთბაშად გაქრა და გონიერი მღვდლის რჩევას ადვილად დათანხმდა, - ეს ცდილობდა შეურაცხყოფილი საქმრო და მისი მომხრენი გონს მოეყვანა. მისი მეოხებით მშვიდობა ჩქარა ჩამოვარდა: უმადურთ იარაღები ქარქაშებში ჩააგეს და უფრო კიტერიას განუსჯელობას სდებდნენ ბრალს, ვიდრე ბასილიოს ხერხიანობას. ქამაჩომ იფიქრა, თუ კიტერიას ქორწინებამდის უყვარდა ბასილიო, ამის შემდეგაც ეყვარებაო, მამ ღმერთისთვის მადლობა უნდა შეეწირა, იმიტომ კი არა, რომ მისცა, არამედ-რომ წაართვა მას კიტერია.

როგორც კი მალე ქამანო და მისი ამფსონები დაშოშმინდნენ, ასევე დაწყნარდნენ ბასილიოს მომხრეებიც. ნუგეშცემულ ქმარს სურდა ყველასათვის ეჩვენებინა, რომ არავისზე გულძვირად არ იყო, დღესასწაულის შეწყვეტა არ ინდომა და იმგვარადვე სურდა განეგრძო იგი, როგორც მდიდარი ქამანო თავის ქორწილს გადაიხდიდა. მაგრამ ნუფე.პატარძალმა ნადიმზე დარჩენა არ

ისურვებს და ბასილიოს სახლში წავიდნენ. ნიჭიერ, სათნო და კეთილგონიერ ადამიანს, თუნდაც ის ღარიბი იყოს, მუდამ ჰყავს ქვეყნად მეგობრები, მუდამ მზადყოფნა-გაჭირვების ჟამს დაიფარონ და ანუგეშონ ის, სწორედ ისევე, როგორც მდიდრები შოულობენ მამამებელ ცბიერებს, მლიქვნელებს, ფულის გულისთვის მათ სადიდებლად გამზადებულებს.

ბასილიომ და კიტერიამ დონ კიხოტს სთხოვეს-თან წაჰყოლოდა, რადგან, როგორც დაინახეს, გაჭირვების ჟამს რაინდმა მათი მხარე დაიჭირა, და ამასთანავე იგი მამაცად და გმირად ჩათვალეს. საქმე იმით გათავდა, რომ, მგონია, ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ, სანჩო გარდა. მან მწუხარებით სცნო, რომ მდიდარ ქამაჩოს დღე. სასწაულზე გათენებამდის ქეიფის გაწევის .იმედი ეფუშებოდა. თავჩაქინდრული გაჰყვა თავის ბატონს ბასილი ოსთან და თან წაიღო, რასაკვირველია, გუნებაში,-ჩინებული "ეგვიპტური ქვაბები", მის ტაფაში მცირედი საუზმის ნარჩენის მეოხებით, რომ აგონდებოდა, რადგან ის "ქაფი", რომელიც მან მოხადა და თითქმის მთლიანად გადასანსლა, მოწმობდა ან დაკარგულ ქეიფსა და დროს გატარებას; ასე მიჰყვებოდა იგი როსინანტს თავისი ვირით, შეშფოთებული და ჩაფიქრებული, თუმცა მამდარი.

## თავი XXII

სადაც მოთხრობილია შუაგულ ლამანჩაში მდებარე მონტესინოსის

მღვიმეში მომხდარი დიდი ფათერაკის ამბავი და როგორ ბედნიერად დაასრულა იგი სახელოვანმა დონ კიხოტ ლამანჩელმა

ნეფე-პატარძალმა დონ კიხოტი დიდი პატივით მიიღო მის სამადლობლად, რომ მათი გამოსარჩლების დროს დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა, ათვლიდნენ რა იმას ისევე გონიერად, როგორც მამაცად, მათ თვალში იგი სილის მსგავსი ვაჟკაცი იყო და ციცერონის მსგავსი მჭევრმეტყველი. ნეფე-პატარძლის ხარჯზე კეთილი სანჩო სამი დღე ეწეოდა ქეიფს. ჩვენმა ფათერაკებისმამებრებმა სხვათა შორის იმათგან გაიგეს, რომ კიტერიამ არაფერი იტოლა ბასილიოს ოინისა. ის ოინი მარტო ბასილიო იცოდა და რამდენიმე მისმა ამხანაგმა, გაჭირვებაში, რომ მხარი დაეჭირათ.

-არ შეიძლება და არცა ჯერარს მოტყუებად ჩაითვალოს ის, რის მეოხებითაც კარგი საქმე კეთდება,-უთხრა დონ კიხოტმა;-გამიჯნურებულთათვის ქორწინებაზე უკეთესი არ არის რა, მაგრამ გაფრთხილდით, ჩემო მეგობარნო,-განაგრძო მან, - სიყვარულის უდიდესი მტერი სიღარიბეა, შიმშილი და უღმობელი სიღარიბე შეუღლებულ მიჯნურთა ცხოვრებაში ყველაფერი სიხარულია, ბედნიერება და ნეტარება; მაგრამ გიმეორებთ, დიდი მატერიცა ჰყავს მას: სიღარიბე და ხელ ნაკლებობა. ამიტომ ჯობს ბასილიო ახლა თავის ხელოვნებას ნაკლები ყურადღება მიაქციოს. ის თვალსაჩინო კაცად გახდის მას, მაგრამ ფულს კი ვერ შესძენს, - და რაიმე. პატიოსან ხელობას მიჰყვეს,-ხელობა შრომისმოყვარე კაცს მუდამ გამოკვებავს. ღარიბისთვის კარგი ცოლი ისეთი განძია, რომლის დაკარგვას შეიძლება პატივის დაკარგვაც მოჰყვეს. ღარიბი ქმრის პატიოსანი და ლამაზი ცოლი ღირსია დაფნით დამშვენდეს. სილამაზე თავისთავად თვალს ხიბლავს და გულს იმონებს; მისი გულისთვის, ვითა ძვირფასი დავლისთვის, იბრძვიან მეფეთა არწივები, კეთილშობილი შავარდნები და სხვა დიადი ფრინველები. მაგრამ სილამაზეს, სიღარიბით გარემოცულს, შიში აქვს-ყვავების, ქორების და სხვა მდაბალ მტაცებელ ფრინველთა თავდასხმის და ის ქალი, რომელიც ძლევა მოსილად

მოიგერიებს მათ უპატიოსნო თავდასხმას, თამამად შეიძლება ქმრის გვირგვინად იწოდოს. მხედველობაში იქონიეთ, გონიერო ბასილიო,-დაუმატა დონ კიხოტმა,-რომ ერთი ბრძენი, არ მახსოვს სახელდობრ რომელი, ამბობს, რომ მთელ ქვეყანაზე მუდამ მარტო ერთი ქალია კაჯჯი, და ყველა ქმარს ურჩევს თავისი სიმშვიდისათვის და ბედნიერებისათვის ფიქრობდეს და თავის თავს არწმუნებდეს, რომ ის ერთადერთი კარგი ქალი მისი ცოლია. თვითონ მე უცოლო ვარ და არცთუ როდესმე მდომებია ცოლის შერთვა, მაგრამ ამის მიუხედავად ცოლის არჩევის შესახებ ცოტაოდენი რჩევის მოცემა შემიძლია. ყველაზე უწინარეს ყველას ვურჩევდი, ვისაც კი ცოლის შერთვა სურს, მომეტებული ყურადღება იმას მიაქციოს-იმის არჩეულ საცოლეზე რას ლაპარაკობენ, და არა იმას, რა სიმდიდრე აქვს. სათნო და მაღლიანი ქალი მარტო იმიტომ კი არ არის საქებარი, რომ ის სათნო და კეთილისმყოფელია, არამედ იმიტომაც, რომ იმად მოჩანს. აშკარა შეცდომა ანუ მოუფიქრებელი რამ ნაბილა მეტსა ვნებს იმას, ვიდრე დაფარული ცოდვა. სახლში, რომ პატიოსანი ქალი შეგყავს, ჩვენთვის ძნელი არ არის განვაავითაროთ და დავიცვათ მასში ყოველივე, რაც კეთილი სჭირს, მაგრამ ურიგო ქალის გასწორება კი ადვილი არ არის: ერთი უკიდურესობიდან მეორეზე გადასვლა საზოგადოდ ძნელია, მაგრამ იმას კი არ ვიტყვი, შეუძლებელი იყოს.

ყველა ეს სანჩო ყურადღებით, რომ მოისმინა, წაიდუღუნა:

- საკვირველია, ეს ჩემი ბატონი, მე, რომ ჭკვიანურ რამეს ვიტყვი, მაშინვე ყელში მწვდება: შენ შეგფერის ქვეყანა მოიარო და იქადაგო. იმას კი ვერა ხედავს, როდესაც თვითონ დაიწყებს ხოლმე დარიგებას და რჩევას, მაშინვე უნებლიეთ იფიქრებ: რატომ ეს კაცი ორივე ხელში ორ-ორ ქადაგებას არ დაიჭერს, ყოველ გზა-მანძილზე არ დადგება და ყველაფერზე არ იქადაგებს, რაც ადამიანისა რვის საჭიროაო. არ ვიცი, ღმერთმანი, რა ეშმაკად დასჭირვებია, რომ ამ მეცნიერების პატრონი მოგზაურ რაინდად გამხდარა. ღმერთსა ვფიცავ, აქამდის მეგონა, თავისი რაინ. დობის მეტი არა გაეგება რა-მეთქი, ის კი არა, ვინ იცის, ქვეყანაზე ისეთი არა არის რა, იმან არ იცოდეს და მსჯავრის დადება არ შეეძლოს.

- რას დუღუნებ, სანჩო? - ჰკითხა დონ კიხოტმა, როცა სანჩოს დუღუნს მოჰკრა ყური.

- მე არაფერს ვდუღუნებ, - მიუგო სანჩომ,- მხოლოდ იმას ვამბობდი: აქ რაცა თქვით, ნეტავ ცოლის შერთვამდის მომესმინამეთქი, იქნებ ახლა მეთქვა: "აშვებული ხარი უფრო ადვილად აილოკავს თავის თავს-მეთქი".

- განა შენი ტერესა ასეთი ცუდი ვინმეა, სანჩო? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- არცთუ ისეთი ცუდია, არცთუ ისე დიდად კარგი, როგორც მე მინდოდა, - მიუგო სანჩომ.

- შენს ცოლზე ცუდს ტყუილად ლაპარაკობ, - შენიშნა დონ კიხოტმა, - ის ხომ შენი შვილების დედაა!

- მაგაზე უნდა მოგახსენოთ, რომ მაგ მხრივ მე და ის ერთმანეთის მოვალენი არა ვართ, - უპასუხა სანჩომ. - თქვენ გგონიათ ის კი ჩემზე კარგს ლაპარაკობს? როგორ არა, მეტადრე, თუ მოეჩვენა რამე და ეჭვიანობის სისულელემ მოუარა, მაშინ, მე თქვენ მოგახსენოთ, ეშმაკსაც გაუძნელდება მისი გაძლება.

სამ დღე-ღამეს დაჰყვეს ჩვენმა მოგზაურებმა ახლად დაქორწინებულებთან და ისინიც, როგორც პრინცებს, ისეთ პატივს სცემდნენ და მასპინძლობდნენ მათ. ამ ხანში დონ კიხოტმა სთხოვა

ჩვენს ნაცნობ ლიცენციას, - ფარიკაობის ოსტატს - ვინმე მოეძებნა, რომ მონტესინოსის მღვიმის გზა ესწავლებინა, რადგან რაინდს სურდა თავისი თვალთ დარწმუნებულიყო, თუ რამდენად მართალი იყო ხალხში გავრცელებული ხმა ამ მღვიმეზე. ლიცენციამა უპასუხა, რომ მისი ბიძაშვილი სტუდენტია, ფრიად განსწავლული ვინმე, სარაინდო წიგნების დიდი მოყვარული, სიამოვნებით წაიყვანდა შესანიშნავ მღვიმეში და რუიდეერის ტბებში, რომელნიც არა მარტო მთელს ქამანჩაში, არამედ მთელს ესპანეთში არიან ცნობილნი. გარწმუნებთ, ეუბნებოდა ლიცენციაში, მასთან დიდი სიამოვნებით გაატარებთ დროს. ახლა ის რამდენიმე წიგნს ამზადებს და აპირებს ისინი სხვადასხვა ხელმწიფეს უძღვნასო. ჩქარა ეს ბიძაშვილიც მოვიდა ზოლებიან ყაჯარგადაფარებული ვირით. სანჩომ ვირი და როსინანტი შეკაზმა, სამგზავრო ხურჯინი ისე მაგრად გატენა, როგორც იმ ბიძაშვილს ჰქონდა მსგავსი გუდა გატენილი, შემდეგ პირჯვარი გადაიწერეს, მასპინძლებს და სტუმრებს გამოეთხოვენ და დონ კიხოტი, სანჩო და ბიძაშვილი სახელგანთქმულ მონტესინოსის მღვიმისაკენ გზას დაადგნენ.

გზაზე დონ კიხოტმა ჰკითხა თავის სწავლულ თანამგზავრს, რა საქმის მკეთებელი იყო და რას სწავლობდა. მან უპასუხა, რომ მისი განზრახვა იყო ჰუმანისტი გამხდარიყო, და აპირებდა რამდენიმე, მეტად საყურადღებო და მასთან კარგი შემოსავლის მომცემი წიგნი დაებეჭდა. ერთ წიგნს, ამბობდა იგი, ტანსაცმელის წიგნი ჰქვიანო, შიგ შვიდას სამი მორთულობა არის აღწერილი მათი შესაფერი ფერადებით, დევიზებითა და ემბლემებით, ისე, რომ მისი სიტყვით - კარის რაინდებს და კაბალეროებს ისლა დასჭირდებოდათ, დღესასწაულებისა და შეჯიბრებათა დროს თავისი გემოვნების მორთულობა ამ წიგნიდან აერჩიათ, არც არავისი კითხვა მოუხდებოდათ და არც თავის მტვრევა იმაზე, თუ რა ტანისამოსი ჩაეცვათ.

- იმ წიგნში, - დაუმატა მან, - არის ტანისამოსი ეჭვიანთათვის, განრიდებულთათვის, დავიწყებულთათვის, სხვაგან მყოფთათვის და ყველა ისინი ისე გამოადგება რაინდებს, როგორც აბრეშუმის წინდა-პაჭიჭი ფეხს ადგება. ერთი სხვა წიგნიც დავწერე, - განაგრძო სტუდენტმა, - ვვიქრობ დავარქვა: მეტამორფოზები, ანუ ესპანეთის ოვიდიუსი; მეტად თავისებური და იშვიათი შინაარსიანია. ოვიდიუსის ხუმრობის კილოს მივბამე და იმას ვამბობ, რანი იყვნენ: სველიელი ხირალდა და წმიდა მაგდალინელის ანგელოზი, კორდოვის კანიო დე ვესინგერა, გისანდოს ხარები, სიერა მორენი, მადრიდში ლეგანიტოსისა და ლავაპიესის შადრევნები, აგრეთვე არ დამვიწყებია დელ პიოჰოს, დელ კანიო დორადოს და დე ლა პრიორას შადრევნებიც. თითოეულის აღწერას ალეგორიები, მეტამორფოზები და შესაფერი სიტყვების კილოკავები მოსდგეს. ასე, რომ ჩემი წიგნის წაკითხვა ერთსა და იმავე დროს ახალისებს, აცვიფრებს და ჰკუასაც ასწავლის მკითხველს. დასასრულ, ერთი სხვა წიგნიცა მაქვს: ვერგილიუს პოლიდორეს დამატებანი . იგი სხვადასხვა ნივთთა გამოგონებაზე მოუთხრობს. წიგნი სხვადასხვა ღრმა ცოდნით არის სავსე და მის დაწერაზე ბევრი შრომა და ცოდნა გავწიე იმიტომ, რომ, რაც პოლიდორს დაავიწყდა ეთქვა, ყველაფერი ცხადად და მახვილგონივრულად მე ავხსენი. ვერგილიუსი, მაგალითად, არაფერს ამბობს.ქვეყანაზე სურდოთი ვინ გახდა პირველად ავად, ან ფრანგული ავადმყოფობის წამლობა ზელით პირველმა ვინ დაიწყო. მე აღმოვაჩინე ესენი და ჩემი აღმოჩენა ოცდახუთი ცნობილი ავტორის თხზულებით დავასაბუთე. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, ასეთ წიგნებზე რამდენი შრომა უნდა გამეწია და შეუძლიათ თუ არა მათ სარგებლობა მოუტანონ ხალხს?

სანჩო დიდი ყურადღებით ისმენდა სწავლულ-მწიგნობარის ნაამბობს და ასე უთხრა მას:

- ბატონო ჩემო, ღმერთი იყოს თქვენს შრომაში შემწე. არ შეგიძლიათ მითხრათ, (მაგრამ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, რადგან ყველაფრის მცოდნე ხართ), - პირველმა ვინ მოიფხანა თავი? პირველი, როგორც მე მგონია, უთუოდ ჩვენი წინაპარი ადამი უნდა ყოფილიყო.

- მეც აგრე მგონია, - მიუგო სტუდენტმა, - რადგან ადამს, უეჭველია, თავი უნდა ბმოდა, და თავზედაც თმა ექნებოდა, ამიტომ და კიდევ იმიტომაც, რომ იგი პირველი კაცი იყო, ხანდახან თავიც უნდა ეფხანა.

- მეც აგრე ვფიქრობ, - მიუგო სანჩომ; - მაგრამ ერთი ესეც მიბრძანეთ, ქვეყანაზე პირველი ვინ იყო, თოკზე, რომ იცეკვა და მუყაითობა გასწია?

- ჩემო ძმობილო, - მიუგო სტუდენტმა, - გამოურკვეველად და საგნის შეუსწავლელად მაგის თქმა ახლა არ შემიძლია. მაგას, ჩემს წიგნებს, რომ დავუბრუნდები, გავიგებ და პირველსავე შეხვედრის დროს გეტყვი. იმედი მაქვს ეს ჩვენი შეხვედრა უკანასკნელი არ იქნება.

- მაგის გამოკვლევისა და გაგებისათვის ნუ შეწუხდებით, - უთხრა სანჩომ, - რადგან მევე აღმოვაჩინე. მე ვფიქრობ, ქვეყანაზე, რომ პირველად თოკზე იცეკვა, ლუციფერი იყო, ციდან კინწის კვრით, რომ ჩამოაგდეს; როგორც ვიცით, იგი ჯოჯოხეთის სიღრმეში ჩახტომამდე თავდაყირა და კირწიკორწით მიპროწიალებდა.

- ღმერთსა ვფიცავ, მართალი ხარ, - თქვა სტუდენტმა.

ხოლო დონ კიხოტმა დაატანა:

- სანჩო, დარწმუნებული ვარ, კითხვაც და პასუხიც თვითონ შენი თავით მოგონილი არ არის, უთუოდ სადმე გაიგონებდი?

- ჩუმად იყავით, თქვენო მოწყალება, გააწყვეტინა სანჩომ, თორემ, თუ კითხვა და პასუხი დავიწყე ხვალამდისაც ვეღარ გავათავებ. ნუთუ გგონიათ, თუ მეზობლებს არ დავეკითხე, რამე სისულელის კითხვა და იმაზე პასუხის მიცემა არ შემიძლია?..

- რაც იცი, იმაზედაც მეტი თქვი, - უთხრა დონ კიხოტმა. - ქვეყანაზე რამდენი იმტვრევს თავს ისეთი რამის გასაგებად და დასარწმუნებლად, რასაც არავითარი ფასი არა აქვს და რაც არავისთვის საჭირო არ არის.

ასეთ საამო ბაასში ჩვენმა მგზავრებმა მთელი დღე გაატარეს; ღამით ერთ პატარა სოფელში დაბინავდნენ, სადაც, სტუდენტის სიტყვით, მონტესინოსის მღვიმემდის ორ მილზე მეტი აღარ იქნებოდა, ისე რომ რაინდს თოკებილა სჭირდებოდა, რათა იმ ჯოჯოხეთში ჩაშვებულიყო. დონ კიხოტმა უპასუხა, მზადა ვარ ჩავეშვა არათუ მღვიმეში, არამედ თვით უფსკრულში და გავიგო მისი სიგრძე-სიგანეო. ამის შემდეგ ჩვენმა მგზავრებმა ასი საყენი თოკი იყიდეს და მეორე დღეს ასე ნაშუადღევს ორ საათზე, მღვიმესთან მივიდნენ, რასაც განიერი შესავალი მეძვით, გარეული ლელვის ხით, ასკილით და ჭინჭრით ჰქონდა დაბურული. მღვიმეს, რომ მიუახლოვდნენ, მგზავრები თავიანთ ცხოველებიდან ჩამოხტნენ და სანჩომ და სტუდენტმა დონ კიხოტს მაგრად თოკების მობმა დაუწყეს, ამასობაში სანჩო ეუბნებოდა თავის ბატონს:

- თქვენო მოწყალება, მე დამიჯერეთ: ამ მღვიმეში ცოცხლად ნუ იმარხებით, მეშინია იქ არ დაიკიდოთ თქვენი თავი, რორც ჭაში გასაცვივებლად ბოთლს ჩაჰკიდებენ ხოლმე. რა თქვენი

საქმეა, ბატონო იმ უფსკრულში ჩასვლა, რომელიც, უეჭველია, მავრულ საპყრობილეზედაც უარესია.

- შეშვარი და ჩუმად იყავ, - მიუგო დონ კიხოტმა. - ამ მღვიმის გასინჯვა, მეგობარო სანჩო, სწორედ მე მაქვს ხვედრად დანიშნული.

- გემუდარებით, თქვენო მოწყალეზავ, დონ კიხოტო, - უთხრა თავის მხრივ გამყოლმა, - ყველაფერი ასი თვალთ გასინჯეთ იმ მღვიმეში, ეგებ იქ მოინახებოდეს რამე გარდაქცევაზე ჩემი დაწერილი წიგნისათვის გამოსადეგი.

- არხეინად ბრძანდებოდეთ, - უთხრა სანჩომ, - ხომ მოგეხსენებათ, საქმეს ოსტატი მოუვლისო.

როცა ეს საუბარი დამთავრდა და დონ კიოტსაც თოკი კარგად მიაბეს (მას საჭურველის ზემოთ კი არ მოაბეს თოკი, არამედ ტანისამოსის გარეთ), მან თქვა:

- რა მოუფიქრებელნი ვართ, თან პატარა ზარი უნდა წამოგველო, თოკის ბოლოზე მივაბამდი და იმით შეგატყობინებდით, რომ ცოცხალი ვარ და მღვიმეში ჩასვლას განვაგრძობ. მაგრამ ახლა იმის მეტი რაღა დამრჩენია, ჩემი თავი ღმერთს მივანდო.

ესა თქვა და დაიჩოქა, ჩუმად მოკლე ლოცვა წარმოთქვა, ამ ლოცვით ღმერთს საშიში და სრულებით ახალი, არ გაგონილი ფათერაკის მშვიდობით დასრულებას ევედრებოდა და მას უკან ხმამალა დაიძახა:

- ჰოი, მფლობელო ჩემთა მოქმედებათა, უბადლო დულისინე ტობოსელო! თუ ჩემმა ლოცვამ შენამდის მოაღწია, გაფიცებ შენს შეუდარებელ სილამაზეს, ისმინე ჩემი და ამ საშინელ წამში შემწე შექმენი. მე ვაპირებ ჩემთა თვალთა წინ პირდაღებული მღვიმის უფსკრულში ჩავუშვა მხოლოდ იმიტომ-ქვეყანამ გაიგოს, რომ, ვისიც შენ მწყალობელი ხარ, მისთვის არავითარი ისეთი ფათერაკი არ არსებობს, რომელსაც არ შეეზას და კეთილ ბოლომდის არ მიიყვანოს.

ამას, რომ ამბობდა, მღვიმეს მიუახლოვდა, მაგრამ შიგ შესვლა შეუძლებელი იყო, ამიტომ გაძრომა დასჭირდა და ამისათვის ხმლით აგებს ჩეზვა და მიწვევ-მოწვევა დაუწყო. ამ ჩახი-ჩუხი ატეხილმა ხმაურობამ მრავალი ყვავ-ყორანი დააფრთხო და მათი უთვალავი რიცხვი ბაგებიდან ისეთი გრიალით და სისწრაფით გამიფრთხა, რომ დონ კიხოტს დაეტაკა და ისიც ძირს დაეცა. ის, რომ ისე ცრუმორწმუნე ყოფილიყო, როგორც რომის კათოლიკე სარწმუნოების კანონები სწამდა, ამ მარცხს ცუდი ამბის მომასწავებელ ნიშნად ჩათვლიდა და საშინელ მღვიმეში აღარ ჩაეშვებოდა.

ზეზე, რომ ადგა და ნახა, მღვიმიდან აღარც ყვავი, აღარც ღამურა და აღარც სხვა რამ ღამის ფრინველი აღარ გამოდიოდა, სანჩოსა და სწავლულ სტუდენტს სთხოვა მღვიმეში ნელ-ნელ ჩაეშვათ. რაინდი, რომ თანამგზავრებს თვალისა მიეფარა, სანჩომ ლოცვა-კურთხევა გააყოლა, თანაც მრავალჯერ პირჯვარი გადასწერა და თქვა:

- ღმერთმა და საფრანგეთის კლდემ , აგრეთვე გაეტის წმიდა სამებამ გატარონ შენ - მოგზაური რაინდობის დიდებავ, სახელო და ყვავილო! იარე, მსოფლიოს უპირველესო მეზრძოლო, ფოლადის გულო, რკინის მკლავო! მშვიდობით გატაროსმცა უფალმა და ამ ქვეყნის სინათლეზე საღსალამათი დაგაბრუნოს. შენ ეს სინათლე უარჰყავ, რათა იმ სიბნელეში დამარხულიყავ, რასაც ეძებ.



სწავლულმაც თითქმის ამ სიტყვებით და ლოცვით გააცილა იგი.

დონ კიხოტმა დაიწყო მღვიმეში ჩაშვება და თან ზემოთ მყოფთ უხმობდა, რათა თოკი თანდათან მიეშვათ, და ისინიც ნელ-ნელა უშვებდნენ მას. როდესაც მღვიმის სიღრმიდან რაინდის ძახილი შეწყდა, სანჩო და სწავლულმა თოკის ჩაშვება შეაყენეს და რაინდის ზევით ამოწევაც დააპირეს, მაგრამ ნახევარ საათს კიდევ შეიცადეს და მასუკან კი თოკს ამოწევა დაუწყეს. ჯერ ხანად მეტად მსუბუქად ამოჰქონდათ, თითქოს ბოლოზე სიმძიმე აღარა ება რა, რამაც მზიდველები ფიქრში შეიყვანა - დონ კიხოტი მღვიმეში ხომ არ დარჩაო. ამ ფიქრმა სანჩო ცხარედ აატირა და თოკს საჩქაროდ დაუწყო ზიდვა, რათა იავას ფიქრის სიმართლეში დარწმუნებულიყო. მაგრამ ჩვენმა მგზავრებმა ოთხმოციოდე ბაგენი, რომ ამოსწიეს, მხოლოდ მაშინ იგრძნეს სიმძიმე და მტისმეტადაც გაიხარეს, ხოლო როდესაც თოკი ათი საგნის სიღრმემდის ამოსწიეს, მაშინ თვითონ დონ კიხოტიც ცხადად დაინახეს. სიხარულით აღტაცებულმა სანჩო ჩასძახა:

- ამობრძანდით, ამობრძანდით, თქვენო მოწყალეებავ, ჩემო კეთილო ბატონო, ჩვენ უკვე გვეგონა, იმ მღვიმეში დარჩით.

დონ კიხოტმა არა უპასუხა რა და, როდესაც მთლად ზევით ამოიყვანეს, მაშინ ნახეს, რომ თვალებდახუჭული იყო და ეძინა. მიწაზე დააწვინეს, თოკი შეხსნეს, მაგრამ რაინდს მაინც ეძინა. მაშინ დაუწყეს ნძრევა, გადაბრუნ-გადმობრუნება და ბოლოს, არც ისე ჩქარა, ძლივს გამოაღვიძეს. გაზმორების შემდეგ, როგორც ღრმა ძილისაგან გამოღვიძებულმა ადამიანმა იცის, რაინდმა ჯერ გაკვირვებით აქეთ-იქით ცქერა დაიწყო და რამდენიმე ხანს შემდეგ თითქოს შეშინებულმა დაიძახა:

- ჩემო მეგობარნო, თქვენ მე ისეთ მშვენიერ სანახაობას მომწყვიტეთ, როგორსაც ჯერ არც ერთი მომაკვდავის თვალი არ გაუხარებია. ახლა ვხედავ, რომ ამქვეყნიური სიხარული წარმავალია, ვითა აჩრდილი ანუ სიზმარი, და მინდვრის ყვავილივით ჭკნება. ჰოი, უბედურო მონტესინოსო! ჰოი, მძიმედ დაჭრილო დურანდარტე! ჰოი, შავსვიანო ბელერმა! ჰოი, მტირალო გვადიანა! და თქვენცა, უბედურო ასულნო, ნათელ სვეს მოკლებულნო, რუიდერისანო, რომლის წყლები წარმოდგა იმ უხვი ცრემლებით, თქვენთა მშვენიერ თვალთაგან რომ აფრქვიეთ!

სწავლული სტუდენტი და სანჩო დიდი ყურადღებით უსმენდნენ დონ კიხოტს, ყველა ნათქვამს, რომ ისეთი გაჭირვებით ამზობდა, თითქოს ყოველი სიტყვის დაუსრულებელი მწუხარება მის სულს ჰგლეჯსო, თანამგზავრებმა სთხოვეს რაინდს - ეს მისი გამოცანა სიტყვები აეხსნა და ეამბნა - ჯოჯოხეთში, რომ ჩავიდა, რა ნახა.

- თქვენ ამ მღვიმეს ჯოჯოხეთს ეძახით? - შესძახა დონ კიხოტმა, - სულაც არა, ჩემო მეგობრებო, იმას ეგ სახელი არ ეკადრება, როგორც ამაში ახლავ დარწმუნდებით.

მაგრამ, ვიდრე მღვიმეში ნახულს უამბობდა, რაინდმა საჭმელი რამ მოითხოვა, რადგან ძალიან შიოდა. თხოვნა აუსრულეს, მწვანე მდელოზე სტუდენტის ვირის თექა გაშალეს, ხალთა-გუდა გახსნეს, ჩვენი გმირები გარს შემოუსხდნენ და ერთბაშად კიდევ ისადილეს და კიდევ ივახშმეს. სუფრა, რომ აალაგეს, დონ კიხოტმა უთხრა თანამგზავრთ:

- სუფრიდან ნუ ადგებით, ჩემო მეგობრებო, და ყურადღებით მისმინეთ.

თავი XXIII

ამაგი განსაცვიფრებელი ფათერაკებისა, ფრიად გამბედავმა დონ კიხოტმა მონტესინოსის უპირო მღვიმეში, რომ იხილა და რომლებიც ესოდენ არნახულია და დიდებული, რომ საფუძველი გვაქვს ისინი ყალბად მივიჩნიოთ

ნაშუადღევს ოთხი საათი იქნებოდა და, რაკი ცას ღრუბელი ჰქონდა გადაკრული, მზის შუქი რუხ ციან სინათლესდა ჰფენდა დედამიწას და არც ძალიან აცხუნებდა, ამიტომ ჩრდილქვეშ მოსვენებულ დონ კიხოტს დამშვიდებით შეეძლო თავის მსმენელთათ ვის ეამბნა ყველაფერი, რაც მონტესინოსის მღვიმეში ნახა, და შემდეგნაირად დაიწყო.

- თორმეტი ან სულ ბევრი თოთხმეტი საჟენის სიღრმეზე, ხელმარჯვნივ ამ მღვიმეში შეხნექილია და იმოდენა ცარიელ ადგილს წარმოადგენს, რომ ერთ ჯორებშებმულ ურემს ზედ თავისუფლად მოთავსება შეუძლია. დედამიწის ნაპრალებიდან მცირეოდენი სინათლე აღწევს იქამდის და ძლივ-ძლივობით ანათებს იქაურობას, ეს ცარიელი ადგილი მაშინ შევნიშნე, როდესაც დიდი ხნის თოკით ჩაშვებისაგან მოქანცულობა ვიგრძენ, და გადავწყვიტე ცოტა დამესვენა. მაშინ განიშნეთ თოკი აღარ ჩამოგეშვათ, ვიდრე ხელმეორედ ნიშანს არ მოგცემდით, მაგრამ თქვენ, ალბათ, ჩემი ნიშანი არ მოგესმათ. რაღას ვიზამდი, ავკეცე თოკი, მრგვალი დასაჯდომი გავაკეთე, ზედ დავჯექი და ვფიქრობდი, მღვიმის სიღრმემდის როგორღა ჩავსულიყავ, რაკი აღარავინ იყო-თოკი დაეჭირა და ისე ჩავშვებულიყავ. ამ ფიქრში, რომ შევედი, მკვდარივით დამეძინა და უცებ ისეთ მშვენიერ ველზე გამეღვიძა, როგორიც კი უხვ ბუნებას შეუძლია შექმნას და აღტაცებული ადამიანის წარმოდგენას-დახატოს. თვალები გავახილე, მოვისრისე, ვიგრძენ, რომ არა მძინავს, ფხიზლად ვარ, და მაინც კიდევ მკერდს და საფეთქლებს ვიხელდი, რომ მთლად დავრწმუნებულიყავ, მართლა მე ვიყავ, თუ ჩემს ალაგს სხვა რამ მოჩვენება დამჯდარიყო. მაგრამ შეგნება, გრძნობა, მსჯელობა, ერთი სიტყვით-ყველაფერი მიმოწმებდა, რომ სწორედ მე ვიყავ და სწორედ ისე ვიჯექ, როგორც აი ახლა აქ ვზივარ. უცბად ვუცქერი-მეფის დიდმშვენიერი სასახლე ანუ ციხე-დარბაზია, კედლები თითქოს ძვირფასი, გამჭვირვალე ბროლით აქვს ნაშენები; ვხედავ-უზარმაზარი კარი იღება და იქიდან ჩემს შემოსაგებებლად მხცოვანი მოხუცი გამოდის, გრძელ იისფერ წამოსასხამში გახვეული; მკერდსა და მხრებზე მოხუცს მწვანე ატლასის მოსახურავი ბურავს, როგორც კაც კოლეგიათა დამრიგებლები ატარებენ, და თავზედაც შავი ხავერდის პატარა ქუდი ხურავს. მისი თოვლზე უსპეტაკესი წვერი წელს ქვევით სცემდა. უიარალო იყო, ხელში მხოლოდ კრიალოსანი ეჭირა, რომლის მარცვლები კაკალზე უდიდესი იყო, ხოლო ყოველი მეთავე მარცვალი სირაქლემას კვერცხს შეედრებოდა. მისი სიარული, დარბაისლური სახე, მისი მკაცრი, პატივისცემის აღმძვრელი გარეგნობა, ყველაფერი ეს გაკვირვებითა და მოხუცისადმი პატივისცემით მავსებდა. მომიახლოვდა, მაგრად მომეხვია, მაკოცა და მითხრა: დიდი ხანია, დიახ, დიდი ხანია, მამაცო რაინდო დონ კიხოტო ლამანჩელო, ამ განმარტოებულ, მოხიბლულ ალაგს მცხოვრებნი თქვენს მოსვლას ველით! გელით, ჰოი, რაინდო, რათა ქვეყანას მოუთხოროთ, რაც მონტესინოსის ამ ღრმა მღვიმეშია, სადაც აწ ჩამოხვედით; აქ ჩამოსვლა, ამ ღვაწლის შესრულება მხოლოდ შენს უძლეველ ვაჟკაცობას, შენს შეუდრეკელ თავგანწირვას ჰქონდა ხვედრად დანიშნული. წამომყევ, უგანათლებულესო სენიორ, გიჩვენო ჩემი გამჭვირვალე სადგურის სასწაულნი, რადგან თვითონ თვითონ მე ვარ მონტესინოსის საუკუნო ალკაიდი და ამ მღვიმისა და ციხე-დარბაზის სამუდამო, უცვლელი დარაჯი". რაკი გავიგე, რომ თვითონ

მონტესინოსი იყო, ვკითხე - მართალს ამბობენ-მეთქი იქ, დედამიწაზე, რომ შენი დიდი მეგობარი დურანდარტესათვის პატარა ხანჯლით გული ამოგიჭრია, ის გული მისი მიჯნური ბელერმასათვის წაგიღია, როგორც დურანდარტეს სიკვდილის დროს შენთვის ანდერმად დაუტოვებია-მეთქი? მიპასუხა, ყველა ეგ ნამდვილად მართალია, მაგრამ ჩემი მეგობრის გული არც პატარა ხანჯლით ამომიჭრია და არც დიდითა, არამედ სადგისივით წვერწამახული, კარგად გალესილი სამკუთხა ბეჭუთითაო.

- ეგ უთუოდ რამინ დუ ოსესის ქარხნიდან იქნებოდა, სევილიელი მეხანჯლისა, - გააწყვეტინა სანჩომ.

- არ ვიცი, მაგრამ არა, შეუძლებელია იმ მეხანჯლისა ყოფილიყო; - უთხრა დონ კიხოტმა. - რამინ დე ოსესი ლამის გუშინ ცხოვრობდა. რონსევალის ბრძოლა იონადაც ის უბედურებო მოხდა, დიდი ხნის ამბავია, მაგრამ წვრილმანებს არაფერი მნიშვნელობა არა აქვს და, ახლა, რომ ამბავს გაიმბობთ იმის სიმართლეს და მშვენიერებას ვერ შეცვლის.

- მართალს ბრძანებთ, - უთხრა სწავლულმა, - განაგრძეთ, თქვენო მოწყალეზავ, ბატონო დონ კიხოტო, თქვნი ამბავი, მე მას დიდი სიამოვნებით ვისმენ.

- მეც სწორედ იმავე სიამოვნებით გაიმბობთ, - უპასუხა დონ კიხოტმა. - მე უკვე გითხარით - განაგრძო მან, რომ დარბაისიელმა მონტესინოსმა ბროლის ციხე-დარბაზში წამიყვანა, სადაც ქვემო სართულში, საკმაოდ გრილ დარბაზში საოცარი ხელოვნების მარმარილოს ტაგრუცი იდგა და იმ ტაგრუცზე მთლად გამოტილი რაინდი იწვა, მაგრამ ეშმისა კი არა, ან მარმარილოსო, და ან კიდევ ბრინჯაოსი, როგორადაც საფლავებზე ასეთ ძეგლებს შევხვდებით ხოლმე, არამედ ის რაინდი ნამდვილი ძვლისა და ხორცისა იყო. მისი მარჯვენა ხელი (მსხვილკუნთებიანი და ბალნიანი, - როგორც დიდი ღონის მარჯვენა) ზედ გულზე ედვა და, ვიდრე ვკითხავდი რასმეს, მონტესინოსმა ნახა რა, რომ ცხედარს დიდი გაოცებით ვუცქეროდი, თვითონ მითხრა: "აი აქა ძევს ჩემი მეგობარი დურანდარტე, თავისი დროის რაინდებისა და მიჯნურთა სიქადული და დიდება. ეს და ამასთან მეც და სხვა ბევრი რაინდი და ბანოვანი მოხიბლული და მოჯადოებული ვყავართ აქ ფრანგ ჯადოქარს ბერლინს, როგორც ამბობენ, თვითონ ეშმაკის შვილს. მე კი ვფიქრობ, თუმცა იგი სწორედ ეშმაკის შთამომავალი არ არის, მაინც ზოგ შემთხვევაში ეშმაკსაც გადააჭარბებს. რად და რისთვის მოგვაჯადოვა? ამას დრო გამოაჩენს და ეს დროც, როგორც ვფიქრობ, შორს არ არის. მაგრამ მე ეს დურანდარტე უფრო მეტად მაკვირვებს. მე ვიცი, ისე კარგად ვიცი, როგორც ის - დღეა ახლა თუ ღამე, - რომ ჩემს ხელზე მოკვდა, რომ ამის მკვდარი მკერდიდან გული მე ამოვგლიჯე, ნამდვილად ორი გირვანქის წონა იქნებოდა იმიტომ, რომ, როგორც ბუნებისმეტყველნი ამტკიცებენ, ადამიანის გული იმდენად მძიმეა, რამდენადაც მისი პატრონი მამაციანაო. ახლა ჩემთვის მიუწვდომელია: როგორ არის, რომ ჩემს ხელზე მომკვდარა რაინდი დროდადრო ჩივის და ისე მძიმედ ამოიოხრებს ხოლმე, თითქოს ისევე ცოცხალი იყოს?" მონტესინოსმა, რომ ეს თქვა, უბედურმა დურანდარტემ მაღალი ხმით დაიგმინა და ჩაილაპარაკა:

- მონტესინოსო, ძმაო კეთილო,

ჩემი გულო წრფელი თხოვნა ეს არის,

როს თვალთა ჩემთა გადაედნოს

შავი სიკვდილის შავი ზეწარი,

მაშინ ქალბატონს ჩემსას, ბელერმას,

დე, მიუტანეთ ეს ჩემი გული,

გაჭრილ მკერდიდან სატევრის წვერით

ანდა ბებუთით ამოღებული.

"ეს, რომ დარბაისელმა მონტესინოსმა გაიგონა, უბედურის წინ დაიჩოქა და უთხრა:

"ეგ მე უკვე დიდი ხანია ავასრულე, ჰოი, ჩემო ძვირფასო ბიძაშვილო, სენიორ დურანდარტე, და როგორც იმ თქვენი დაღუპვის ბედშავ დღეს მიბრძანეთ, ისე მოვიქცევი; გული მთლად ამოგიღეთ და ისე კარგად, რომ მკერდში ერთი ბეწვი მისი ნაწილიც კი არ დამიტოვებია, ბად-მაქმანის ხელსახოცით სუფთად გავწმინდო და საჩქაროდ საფრანგეთს გავექანე; ჯერ კი მიწაში ჩაგასვენეთ იმდენი ცრემლის ფრქვევით, რომ თქვენს მკერდში ჩხრეკის დროს გასისხლიანებული ხელების დასაბანად საკმარისი იქნებოდა. ამ ნათქვამ, დასადასტურებლად, ჩემო საყვარელო ბიძაშვილო, იმასაც გეტყვით, რომ რონსევალს შემდეგ პირველ სოფელშივე მისვლისას თქვენს გულს ცოტა მარილი მოვაყარე, რომ სუნი არ დასცემოდა, და, თუ ახალთახალს ვერ მივუტანდი, გამხმარი მაინც მირთმეოდა ბელერმას თვალებს. ის ქალი, თქვენ, მე, თვენი საჭურველმტვირთველი გვადიანი, დუენია რუიდერი მისი შვიდი ასულით და ორი დისწულით და მრავალი თქვენი მეგობარი და ნაცნობი, აქ ბრძენ ბერლინს მოჯადოებული ვყავართ. თუმცა მრავალი წელიწადია მას აქეთ და ხუთასმა წელიწადმაც განვლო, მაინც ჩვენგანი არავინ არ მომკვდარა მარტო რუიდერი, მისი ასულები და დისწულები დაგვაკლდა; ისინი ისე დაუცხრომლად ტიროდნენ, რომ ბერლინს შეებრალა და რამდენიც იყვნენ, იმდენ ტბად აქცია, - ახლა, რომ ცოცხლების ქვეყანაში და ლამანჩის მაზრაში რუიდერის ტბები ეწოდებათ. შვიდი მათგანი ესპანეთის მეფეს ეკუთვნის, ხოლო ორი ტბა - რაინდთა უწმიდეს ორდენს, იოანე ნათლისმცემლის ორდენად წოდებულს, თქვენი საჭურველმტვირთველი გვადიანა თქვენი უბედურების გლოვისაგან ახლა მდინარედ არის გადაქცეული და იმ მდინარს მისი საბელი ჰქვია. როდესაც დედამიწაზე ავიდა და ცა დაინახა, თქვენი მოშორებით ისეთი მწუხარება შეუდგა, დარდისგან ისევ მიწის გულში ჩაიმალა. მაგრამ, რადგან თავისი ბუნებით დენის შეცვლა ვერ შეიძლო, აპილომ დროდადრო ზევით, მიწაზე ადის და იქ ეჩვენება, სადაც მას მზე და ხალხი ხედავს. მე, რომ ტბები მოვიხსენიე, ისინი შიგ თავის წყალს ასხამენ, ამით და სხვა წელების მასთან შერთვით იგი დიდ და ფაშვამ მდინარედ პორტუგალიაში შედის. მაგრამ, სადაც ეს მდინარე მიმდინარეობს, ყველგან დაფიქრებული და დაღონებულია, არა ზრუნავს ძვირფასი და გემრიელი თევზებით თავი მოიწონოს, უგემურ და ტლანქ თევზებს აჩენს და ვერ მედრება ოქროვან მდინარე ტახის. რასაც ახლა გეუბნები, ჰოი, ჩემო ბიძაშვილო და ძმაო, მე კვლავაც მითქვამს თქვენთვის, მაგრამ თქვენ არაფერს მიპასუხებთ, იმიტომ ვამბობ, იქნება ან არ გასმით, იქნება ჩემი ნათქვამი არა გჯერათ და ყველად ერი ეს, ღმერთია მოწამე, მეტისმეტად მამწუხრებს. ახლა ახალ ამბავს გეტყვით და ეს ამბავი თუ თქვენ ტანჯვას არ შეგიმსუბუქებთ, არც არავითარ შემთხვევაში მისი დამძიმება არ შეუძლია, იცოდეთ თქვენს წინ (თვალი გაახილეთ და დაინახავთ) ის დიდი რაინდი დგას, რომელზედაც ბრძენი ბერლინი წინასწარ მეტყველებდა, სწორედ ის, დონ კიხოტი ლამანჩელი, სწორედ ის-მეთქი, ვამბობ, რომელმაც უმეტესი წარმატებით, ვიდრე წარსულ საუკუნეებში იყო, ან დავიწყებული მოგზაური რაინდობის წოდება გააცოცხლა და შესაძლოა მისი შემწეობით აგვეხსნას მოჯადოება, ვინაიდან დიადნი საქმენი დიდი ადამიანების წილად არიან

დანიშნულნი". - "თუნდ ეგეც არ იყოს, ძლივს გასაგონი ჩურჩულით წარმოთქვა ბედკრულმა დურანდარტემ, - თუნდაც მაგისტანა რამ არ მოხდეს, ჰოი, ჩემო ბიძაშვილო, - მაშინ მხოლოდ გეტყვი შენ - წაგებას ნუ იდარდებ, მოითმინე და კვლავ ქალაქები აურიე!" ესა თქვა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და კრინტი აღარ დაუძრავს. ამ დროს ხმამაღალი ტირილი და გოდება მოისმა, ღრმა ოხვრა და კვნესით აყოლებული. თავი იქითკენ მივიღე და ბროლის კედლიდან მეორე დარბაზისაკენ მიმავალი პროცესია დავინახე: ორი რიგობა მშვენიერი ქალწული ქალებისაგან შემდგარი. მათ მძიმე შავები ეცვათ და თავზე ოსმალური ჩაღებები ეხურათ. უკან ქალი მისდევდა - (ქალი უნდა ყოფილიყო, რადგან ამას მისი მორთულობა და გოროზი წარმოსადგობა აჩვენებდა), - ისიც აგრეთვე შავებში იყო და თეთრი პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული, ისეთი განიერი და გრძელი, რომ ბოლოები მიწას ეხებოდნენ. იმასაც თავზე ხალმა ეხურა, მაგრამ სხვა ქალებისაზე ორჯერ მაღალი. წარბები გადაჭიმული მქონდა, პირის ნაპობი განიერი, ტუჩები ჟი ფერწასული, ცხვირი ოდნავ გაჭყლეტილს უგავდა; კბილები იშვიათად, რომ გამოიჩენდ-მეჩხრად ესხა და უსწორმასწორო, თუმცა ფერდ გაფცქვნილი ნუშივით თეთრი იყო. ხელში წმინდა ტილოს ხელსახოცი ეჭირა და იმ ხელსახოცში - რამდენადაც კი შემეძლო დამენახა - გული ჰქონდა გახვეული, ისე გამხმარი და მოკრუნჩხული, როს მუმიას ემსგავსებოდა. მონტესინოსმა მითხრა: ეს ქალები - ყველანი დურანდარტესი და ბელერმას მოახლეები არიან და თავიანთ ბატონებთან ერთად მოჯადოებულნი. ხოლო ის ქალი, ხელსახოცში გახვეული გული, რომ ეჭირა - თვითონ ბელერმა არისო. კვირაში ოთხჯერ იგი თავისი სეფექალებით ასეთ სვლას მართავსო და ისინიც გალობენ, ანუ ნამდვილად, რომ ვთქვა, დასაფლავების გოდებას მითქვამენ ჩემი ბიძაშვილის ნეშტსა და უბედურ გულზედაო. თუ ულამაზოდ გეჩვენათ, ანუ ისეთ ლამაზად მაინც ვერა, როგორც მას სახელი მქონდა განთქმული, ამისი მიზეზი ის ცუდი დღე.მი და კიდევ ცუდი ღამეგბია, რა დღეებსა და ღამეებსაც თავის მოჯადოებაში ატარებს. ეს ამოშავებულ თვალებზე ემჩნევა და სახის დაავადებული ფერიდან ჩანს, ეს სახის სიყვითლე და თვალების ძირში ჩამავება დედაკაცების ბუნებითო თვიური შეუძლებლობისაგან კი არ არის, რადგან ბევრი წელიწადიც არის გასული, რომ მას ეს შეუძლებლობა აღარა სჭირს და მის კარებსაც აღარ მიახლოებია, არამედ რანდვისაგან, თავის გულში, რომ ზრდის იმ მეორე გულის გამო, რომელიც მის მეხსიერებას უახლოებს თავისი მინურის უბედურ სვეს. ეს, რომ არ იყოს, ვეჭვობ, სილამაზით, სინარნარით და ჭკუით ცნობილი დულსინე ტობოსელი, ყველა აქაურ ადგილებში და თითქმის მთელ ქვეყნიერებაზე დიდებული, შეიძლება მას დასზარებოდა.

"გთხოვთ, სენიო მონტესინოსო, - ვუთხარი მე მაშინ, - აქ დავსვით წერტილი! როგორც რიგია, ისე შეუდარებლად განაგრძეთ თქვენი ამბავი, ხომ იცით ყოველგვარი შედარება არასასიამოვნოა და საძულველი, მაშ რა საჭიროა ვინმე ვისმე შევადაროთ. უბადლო დულსინე ტობოსელი ის არის, რაც არის, ხოლო დონა ბელურმა იგივეა, რაც არის და ყოფილა, - და ამით გავათავოთ". ამაზე მან მიპასუხა: "სენიორ დონ კიხოტო, თქვენო მოწყალება, მაპატიეთ, რადგან ვაღიარებ, რომ შევცდი და ცუდად ვთქვი - დულსინე ტობოსელი, ვეჭვობ, დონა ბელერმას დაედაროს-მეთქი. რაკი ჩემთვის საკმაო იყო მივხვედრილიყავ - არ ვიცი კი - რა ნიშნებით, - რომ თქვენ, თქვენო მოწყალება, მისი რაინდი ხართ, ენა უნდა დამემოკლებინა და იგი არავისთან შემედარებინა და, მაინცდამაინც თუ შედარება იქნებოდა, ისევ ზევას თუ შევადარებდი მას". დიდი მონტესინოსის ამ ბოდიშით დაკვამყოფილდი და ჩემი გულიც იმ შერყევისაგან დამიმშვიდდა, რა შერყევაც იმან დამმართა, რომ ჩემი სენიორი დულსინე ბელერმას შეადარეს.

- მე ისიც მიკვირს, თქვენო მოწყალება, - უთხრა სანჩომ,-რომ იმ ბებრუხუნას მუცელზე არ შეახტით, გვერდები მუშტებით არ ჩაუმტვრიეთ და უკანასკნელ ღერამდის წვერი არ დააწიკნეთ.

- არა, მეგობარო სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - ჩემთვის საკადრისი არ იყო ეგრე მოვქცეოდი. მოხუცებს პატივი უნდა ვცეთ, მაშინაც კი, თუნდაც რაინდები არ იყვნენ, და მოხუცი რაინდები ხომ უფრო მეტი პატივისცემის ღირსნი არიან, მეტადრე მოჯადოებულნი. კარგად ვიცი, რომ ჩვენ ურთიერთ შორის გამართული სიტყვა-პასუხისა ეროიმეორეს მოვალენი არ დავრჩით...

- ერთი ეს მიბრძანეთ, თქვენო მოწყალება, სენიო რაინდო, - ჰკითხა სწავლულმა, - ასე ცოტა ხანში როგორ მოასწართ, რომ იმ ქვესკნელში მაგდენი რამ ნახეთ, მოისმინეთ, ჰკითხეთ და უპასუხეთ?

- განა რამდენ ხანს დავრჩი იქ? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ერთ საათზე ცოტა მეტს, - უპასუხა სანჩომ.

- ეგ შეუძლებელია, - შეესიტყვა რაინდი, - რადგან ჩემს იქ ყოფნაში სამჯერ დაღამდა და სამჯერ გათენდა, ისე, რომ ჩემი ანგარიშით იმ შორეულ და ჩვენ თვალთაგან ფარულ ადგილებში სამ დღეს დავრჩი.

- ჩემი ბატონი იქნება არც კი ცდებოდეს, - თქვა სანჩომ, - რადგან, რაც იმ მღვიმეში მოუხდა, ყველა ჯადოქრობით ხდებოდა; რაც ჩვენ ერთი საათი გვგონია, შესაძლოა იქ სამი დღე და სამი ღამე იყო.

- სწორედ ეგრეც უნდა იყოს, - მიუგო დონ კიხოტმა.

- თქვენო მოწყალება, სენიორ, სჭამეო რამე იქ? - ჰკითხა სწავლულმა.

- ერთი ლუკმაც არ ჩასულა ჩემს პირში და ჭამის სურვილი ფიქრადაც არ მომსვლია, - მიუგო დონ კიხოტმა.

- ერთი მითხარით, მოხიბლულნი და მოჯადოებულნი თუ სჭამენ რასმეს, - ჩაეკითხა სწავლული.

- არა, ისინი არავითარ საჭმელს არ ჭამენ, - მიუგო რაინდმა, - ბუნებრივ მოთხოვნილებებსაც არ იკმაყოფილებენ, თუმცა კი ზოგიერთები ფიქრობენ, წვერი, თმა და ფრჩხილები ეზრდებათო.

- იქნებ, სენიო, მოხიბლულებს სულ სძინავთ? - ჰკითხა სანჩომ.

- არასოდეს, - უთხრა დონ კიხოტმა, - სამ დღე და ღამეს ვიყავ მათთან და არც მე და არც იმათ ერთ წამსაც თვალი არ მოგვიხუჭია.

- აქ სწორედ ჩვენი ანდაზა ზედ გამოჭრილია, - თქვა სანჩომ. - "მითხარ, ვის იცნობ, და გეტყვი, რაცა ხარო". თქვენი მოწყალება მოხიბლულებთან იყო, რომელნიც არცა ჭამენ და არც სძინავთ. მაშ რაღა არის საკვირველი, რომ, ვიდრე იმათ საზოგადოებაში იყავით, თქვენც არ მოგშივებოდეთ და ძილიც არ მოგსვლოდეთ. მაგრამ მაპატიეთ, თქვენო მოწყალება ჩემო სენიორ, რომ, რაც აქ ილაპარაკეთ ღმერთმა (კინაღამ ვთქვი - ეშმაკმა-მეთქი) მრისხოს, თუ ერთი სიტყვა მაინც მჯეროდეს.

როგორ თუ არა გჯერათ? - შეუძახა სწავლულმა სტუდენტმა, - ნუთუ სენიორი დონ კიხოტი ცრუობს ამას, რომ სიცრუის თქმა კიდევ ნდომებოდა იმდენი დრო არ ექნებოდა, რომ მთელი მილიონი სიცრუე შეეთხზა და მოეგონებინა.

- მე იმას როდი ვფიქრობ, ვითომ ჩემი ბატონი სცრუობდეს, - უპასუხა სანჩომ.

- და თუ მაგას არა, მამ რას ფიქრობ? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- მე ვფიქრობ, - მიუგო სანჩომ, რომ ის მერლინი, ან ის ჯადოქარი, რომელთაც მთელი ის ხროვა მოხიბლეს, თითქოს გენახოთ და იქ, მიწის ქვეშ, მათთან გელაპარაკოთ, იმათი ნათქვამი აბდაუბდით გაგეტყნოთ თავი და აქ მათი აბდაუბდა გვიამბეთ და კიდევაც ბევრი დაგრჩათ საამბობი.

- ყველა ეგ შესაძლოა ყოფილიყო, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - მაგრამ მაგვარი არაფერი ყოფილა, რადგან რაც გითხარით ყველა ჩემი თვალთ ვნახე და ჩემი ხელით შევეხე. მაშინ რაღას იტყვი, როდესაც იმ უამრავ ღირსშესანიშნავ საგნებსა და უცნაურ სასწაულებს შორის, რაც მონტესინოსმა გადმომცა და ახლა გვიამბობთ (დაწვრილებით კი მოცლილ დროს გეტყვი როდესაც მოგზაურობას დავადგებით, რადგან ახლა მათი თქმა უადგილოდ მიმაჩნია), მონტესინოსმა სამი გლეხის ქალი დამანახვა, მშვენიერ მწვანე ველზე, რომ თიკნებივით ატროკებული დახტოდნენ. ერთში უბადლო დულსინე ტობოსელი ვიცანი და ისინი ის გლეხის ქალები იყვნენ, მას, რომ ახლდნენ, ტობოსოდან გამოსულებმა, რომ კიდევ ველაპარაკეთ. მონტესინოსს ვკითხე: იმ გლეხის ქალებს იცნობ-მეთქი? მან მიპასუხა, არ ვიცნობო, მაგრამ ვფიქრობ, უთუოდ ვინმე თვალსაჩინო მოხიბლული მანდილოსნები უნდა იყვნენო, ამ ველზე რამდენიმე დღის წინათ გაჩნდნენო და, რომ არ გამკვირვებოდა, მითხრა, იმ მღვიმეში მრავალი სხვა მანდილოსანი იმყოფება წარსულსა და აწმყო დროში სხვადასხვა უცნაური სახით მოხიბლულიო. იმათ შორის იდგა დედოფალი ჯინევრა და იმისი დუენია, სწორედ ისა, რომლის ხელიდან მიიღო თასით ღვინო ლანსელოტმა.

ბრიტანეთით ჩამოსულმა.

სანჩომ, რომ თავისი ბატონის ასეთი ლაპარაკი მოისმინა, შიში მიეცა, თვითონაც ჰკუაზე არ შემცდარიყო, ანუ სიცილით არ მომკვდარიყო, რადგან იცოდა - დულსინე ტობოსელის მოხიბვლა როგორ მოხდა და ამ მოხიბვლის მოქმედი და მესაიდუმლე მარტოდმარტო თვითონ იყო! ამიტომ სავსებით დარწმუნდა, მისი ბატონი თავის ჰკუაზე, რომ აღარ იყო და დანამდვილებით სიგიჟის გზას დასდგომოდა. და ასე დარწმუნებულმა უთხრა:

- თქვენო მოწყალებავ, ჩემო ძვირფასო ბატონო! ცუდ გარემოებაში და კიდევ უფრო ცუდ დროსა და უბედურ საათში ჩახვდით ძირს იმ სხვა ქვეყანაში და უბედურ საათზე შეხვდით იქ სენიო მონტესინოსს, რომელმაც თქვენი თავი სრულებით გამოცვლილი დაგვიბრუნა. აქ თქვენი მოწყალება სრულ ჰკუაზე იყავით, როგორც ღმერთმა გაგაჩინათ, ბრძნულ სიტყვებს გვეუბნებოდით, ყოველ ნაბიჯზე რჩევას გვაძლევდით, ახლა კი ისეთ მოჩმახულ და სულელურ აბდაუბდას გვიყვებით, რომ უარესის წარმოდგენა ადამიანს არ შეუძლია.

- სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - რადგან კარგად გიცნობ, ამიტომ შენს სიტყვებს ყურადღებას როდი ვაქცევ.

- ისე, როგორც მე თქვენი მოწყალების სიტყვებს, - უპასუხა სანჩომ, - თუნდაც მცემოთ და მომკლათ კიდეც იმ სიტყვების გამო, რაც გითხარით და კიდეცაა გეტყვით, თუ თქვენი ნათქვამი არ შეასწორეთ, ან არ შეცვალეთ. მაგრამ ერთი ეს მიზრძანეთ, თქვენო მოწყალება: ახლა, როდესაც ჩვენს შორის მშვიდობიანობაა, როგორ და რითი იცანით ჩვენი სენიორი ქალბატონი და, თუ იმას დაელაპარაკეთ, რა გითხრათ და რა გიპასუხათ?

- იმითი ვიცან, - მიუგო დონ კიხოტმა, - რომ სწორედ ის კაბა ეცვა, რაც იმ დილას ემოსა, როდესაც ის მაჩვენე, - დაველაპარაკე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ მიპასუხა, გატრიალდა და ისე ჩქარა გაიქცა, რომ, მგონია, მშვილდით გასროლილი ისარიც ვერ მოეწეოდა. მინდოდა - გამოვდგომოდი, მაგრამ მონტესინოსმა შემაჩერა და მოთხრა: მისი უკან გადევნება ტყუილი დროს დაკარგვა იქნებაო, და მასთანაც დრო ახლოვდებოდა მღვიმე დამეტოვებინა. მონტესინოსმა დაუმატა, რომ თავის დროზე შემატყობინებს, როგორ და რით შევიძლებ მოხიბვლიდან. დავიხსნა ის, ბელერმა, დურანდარტე და ყველა დანარჩენი იმ ქვესკნელში მყოფი მოკადოებული. მაგრამ ყველაზე მეტად ის გამიხდა დარდად, რომ, როდესაც მონტესინოსი მოკადოების გაუქმებაზე მელაპარაკებოდა, ბედკრული დულსინეს ერთ-ერთი ამხანაგი ქალი უჩინრად მომიახლოვდა და თვალცრემლიანმა რაღაც აღელვებული ხმით, ნაწყვეტ. გაწყვეტად, ჩურჩულით მითხრა: "ჩემი ქალბატონი დულსინე ტობოსელი ხელებს გიკოცნით, გთხოვთ აცნობოთ, როგორ მშვიდობით ბრძანდებით, და ბეჯითად გემუდარებათ, აი, ხელში, რომ მიჭირავს, ამ ახალთახალი კანი ფასის კაბის გირაოში ექვსიოდე ანუ, რამდენიც ლობეში მოგეპოვებათ, იმდენი რკალი ასესხოთ, და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რაც კი შეიძლება, ჩქარა გადაგიხდით". ასეთმა მომართვამ გამაკვირვა და კიდეც ამრია. მონტესინოსს მივუბრუნდი და ვკითხე: "სენიორ მონტესინოსო განა შესაძლებელია, რომ აქ მოხიბლული გამოჩენილი პირები გაჭირვებას ითმენდნენ?" ამაზე მან მიპასუხა: "დამიჯერეთ, თქვენო მოწყალება რაინდო დონ კიხოტ ლამანჩელო, რასაც გაჭირვება ჰქვია, ყველგან შეხვდებით, ყველაზე ვრცელდება, ყველას მიაგნებს, არც მოხიბლულებს ინდობს. და თუ სენიორი დულსინე ტობოსელი ექვს გალს გთხოვთ საიმედო გირაოთი, თხოვნა აუსრულებთ, რადგან მტისმეტ გაჭირვებაში ყოფილა". "არავითარ გირაოს არ ვიღებ, - მივუგე მე მონტესინოსს, - მაგრამ მისი თხოვნის სავსებით აღსრულებაც არ შემიძლია, რადგან ჯიბეში სულ ოთხი რეალი მიგდია". ავიღე ის ოთხი რეალი (სანჩო, ხომ გახსოვს სწორედ ის ფული, სამი დღის წინათ გზაზე გლახებისათვის საჩუქრად, რომ გამოგართვი), ქალს მივეცი და ასე ვუთხარი: "გადაეცით, ჩემო ტურფავ, თქვენს სენიორას, რომ მისი გაჭირვებული მდგომარეობა გულის სიღრმემდის მაწუხებს, და ნეტამც ფუგერი ვიყო, რომ მისთვის მეშველა. გთხოვთ გადასცეთ, რომ მე არ ძალმიძს და არც უნდა ვგრძნობდე ჩემს თავს საღსალამათად და დამშვიდებულად, როდესაც მის მზერას და მის გონიერ საუბარს მოკლებული ვარ, და რაც კი შეიძლება ბეჯითად ვემუდარები მის მოწყალებას, ეგებ კეთილინებოს-ვეახლო, რათა სალამი მივართვა მისგან ტყვექმნილმა და მოგზაურობით დაქანცულმა მისმა რაინდმა. აგრეთვე უთხარით, როდესაც მას ყველაზე ნაკლებად ექნება მოლოდინი, იგი გაიგებს, რომ მე ფიცი მიმიცია და შემითქვამს, როგორც მანტუას მარიზმა მისცა, როდესაც თავისი ძმისწული ბალდუინი მთებში მომაკვდავი იპოვა, მის მკვლელზე შური ეძია, დაიფიცა: სუფრაზე პური არ ეჭამა... და კიდეც რაღაც-რაღაცები, ვიდრე მის მკვლელს სამაგიეროს არ გადაუხდიდა, - როგორც იმან, მეც ისე დავიფიცებ: სუფრაზე პური აღარა ვჭამო, არსად შევისვენო, ქვეყნის შვიდივე ნაწილი დავიარო უფრო დიდი მეცადინეობით, ვიდრე ინფანტმა დონ პედრო პორტუგალელმა ეს ჩაიდინა,-მინამ ჩემი მინჯური ქალის-დულსინეს მოხიბვლას არ გავაუქმებ". "თქვენ მაგაზე მეტი სამსახურის გაწევის მოვალე ხართ ჩემი სენიორისათვის", მომიგო დულსინეს გამოგზავნილმა გოგომ, -



ოთხი რეალი გამომართვა და იმის მაგიერ, რომ მუხლმოყრით მადლობა ეთქვა, თითქმის საქენზე მალა შეხტა და თვალთაგან გამიქრა.

- წმიდაო ღმერთო! - მაღალი ხმით დაიძახა სანჩომ, - ნუთუ შესაძლოა ქვეყანაზე ისეთი რამ მოხდეს, რომ ჯადოქრებსა და მოეჯადოებულებს იმოდენა ძალა მისცეს, რომ ჩემი ბატონის გონიერება ამგვარ წარამარა სისულელედ აქციოს ოჰ,სენიო, თქვენო მოწყალებაზე; ღვთის სახელით გთხოვთ, თქვენს თავზე იფიქროთ, თქვენი პატივისთვის შესაფერ გონებაზე მოხვიდეთ და იმ სისულელისა ნურაფერი ეჯერათ, ეგრე, რომ მოშალა და მოადუნა თქვენი გონება.

- სანჩო, ვიცი, რომ მაგას ჩემი სიყვარულით მეუბნები, უთხრა დონ კიხოტმა, - მაგრამ, რადგან შენ ქვეყნის საქმეების გამოცდილება არა გაქვს, ამიტომაც ყველა ჩვეულებრივო მოვლენა შეუძლებლად მიგაჩნია, მაგრამ მოვა დრო, როგორც უკვე გითხარი, ბევრ სხვა რამეს გაიგონებ, იმ მღვიმეში ჩემგან ნახულს, და მაშინ იმასაც დაიჯერებ, რაც ახლა ვთქვი და რაც ყოველგვარ კამათსა და ეჭვს გარეშეა.

#### თავი XXIV

სადაც მოთხრობილია ათასი სხვადასხვა ამბავი, იმდენადვე სულელური და მოჩმახული, რამდენადაც საჭირო და აუცილებელია

ან დიდებული ისტორიის სწორად გასაგებად

ვინც ეს ჩინებული ისტორია პირველი მისი დამწერს სიდ ჰამეტ ბენენჰელის დედნიდან გადათარგმნა, ის ამბობს, რომ მონტესინოსის მღვიმის აღწერის თავამდის, რომ მივიდა, ხელნაწერის არშიაზე თვითონ ჰამეტის საკუთარი ხელით შემდეგი მინაწერი ნახა:

"ვერაფრით ვერ მივმხვდარვარ და ვერ დამიჯერებია, რომ წინა თავში აღწერილი ამბავი სახელოვან დონ კიხოტს მართლა შემთხვეოდეს, იმიტომ, რომ აქამდის მისი ისტორია მართლა მომხდარი ამბის მსგავსი იყო; მღვიმეში მომხდარი შემთხვევა კი ყველა ჭეშმარიტების გარეშეა და არასგზით არ შემიძლია ვირწმუნო იგი და ვიფიქრო, ვითომც დონ კიხოტმა იცრუა? რა საფიქრელია?! დონ კიხოტმა-თავისი დროის რაინდებში ყველაზე მეტად მართლისმოყვარემ და პატიოსანმა?-შეუძლებელია. ერთადერთ სიტყვას-სიცრუეს მაშინაც არ იტყოდა, ისრებით გასაგმირად, რომ თავს დასდგომოდნენ; ამასთანაც ისე მოკლე ხანში ამდენ შეუძლებელ საქმეს როგორ მოიგონებდა? ბრალს ნუ დამდებენ იმაში, რომ მონტესინოსის მღვიმის ამბავი ყალბსა ჰგავს, როგორც იყო, ისე ვწერ, მართალია თუ არა, არ ვადასტურებ. დაე, თვითონ გონიერმა მკითხველმა ისე განსაჯოს, როგორც ჭკუა გაუჭრის, მე კი მეტს ვერაფერს დავუმატებ და არც არაფერი შემიძლია.-ამას კი ამბობენ, სიკვდილის წინ დონ კიხოტს მონტესინოსის მღვიმეში ნახული სასწაულები უარუყვია და ვითომც უთქვამს: ის ამბავი იმიტომ შევთხზე, რომ ჩემს წიგნებში წაკითხულ ამბებს ძალიან უხდებოდაო". ამ სიტყვების შემდეგ ბენენჰელი ასე განაგრძობს თხრობას:

სანჩოს კადნიერება სწავლულს ისევე უკვირდა, როგორც დონ კიხოტის მოთმინება, და იფიქრა, ალბათ დონ კიხოტი დულსინეს (თუმცა მოეჯადოებულის) ნახვით არის ნასიამოვნები და სანჩო ამდენს ამიტომ უთმენსო,-თორემ ასეთი კადნიერებისათვის ხომ გვერდების ჩაღწევამდის

მოკითხვის ღირსიაო. სტუდენტს მართლაც მოეჩვენა, რომ სანჩო თავის ბატონს ცოტა თავხედურად ექცეოდა. სწავლულმა დონ კიხოტს მიმართა და უთხრა:

- სენიო დონ კიხოტ ლამანჩელო, მე თქვენთან გატარებულ დღეს საუკეთესოდ მოხმარებულად ვთვლი, ვთვლი, რადგან იმ დროს ოთხი რამ მოვიპოვე. პირველი-თქვენი მოწყალება გავიტან, რაც ჩემთვის დიდი ბედნიერებაა; მეორე-გავიგე, რას შეიცავს მონტესინოსის მღვიმე და როგორ მოხდა გვიდიანისა და რუიდერის ტბების გარდაქმნა, -ეს ჩემი თხზულებისათვის, ახლა, რომ ვწერ, -ჩემი "ესპანეთის ოვიდიუსისათვის" ძვირფასი მონაპოვარია; მესამე-სათამაშო ქაღალდების სიძველე აღმოვაჩინე: როგორც რაინდ დურანდარტეს სიტყვიდან ჩანს, მონტესინოსს, რომ უთხრა: ითმინე და ქაღალდები აურიეო. ყოველ შემთხვევაში სათამაშო ქაღალდები კარლოს დიდის დროს უკვე სცნობიათ. სიტყვას: ქაღალდები აურიე-დურანდარტე მოხიბლულობის დროს ვერ გაიგონებდა, ეს სიტყვა მან, უეჭველია, საფრანგეთში გაიგონა დიდი იმპერატორი კარლოსის ეპოქაში, რა ეპოქაშიაც მას უცხოვრია; ეს აღმოჩენა ჩემთვის მეტად დიდია, როგორც მასალა, ჩემგან განზრახული მეორე წიგნისთვის გამოსადეგი: "კვალად ნივთთა სიძველეზე, ვერგილიუს პოლიდორეს წიგნის დამატება". იგი თავის წიგნში სათამაშო ქაღალდების შემოწმების დროზე არაფერს ამბობს. ახლა მე აღვნიშნავ ამ დროს და მოწმედ ისეთ სანდო პირს მოვიყვან, როგორც რაინდი დურანდარტეა. დასასრულ, მეოთხე-მდინარე გვადიანას აქამდის ყველასათვის უცნობი სათავე აღმოვაჩინე.

- ეგ ყველა მართალი ბრძანებაა, თქვენო მოწყალება, -მიუგო დონ კიხოტმა, -მაგრამ გთხოვთ, ერთი ეს მითხარით, თქვენი წიგნის დაბეჭდვის ნება, რომ მიიღოთ, რაც მეექვსეა, -იმის მიძღვნას ვის უპირებთ?

- განა ესპანეთში ცოტანი არიან წარჩინებული სენიორები და რანდები, რომ წიგნის მიძღვნა შეიძლებოდეს? - მიუგო სწავლულმა.

- არცთუ ისე ბევრნი არიან, -უთხრა დონ კიხოტმა, -და არც იმიტომ, რომ ღირსნი არ არიან, არამედ იმიტომ, რომ მთხზველის მოვალენი არ შეიქმნან, ამ ძღვნის მიღებაზე უარს ამბობენ. ერთი .დიდებული ვიცი, ყველას მაგივრობა შეუძლია შეასრულოს, მაგრამ, რომ შემეძლოს, რასაც იმაზე ვფიქრობ, ყველაფერი ვთქვა, ამით ბევრ დიდსულოვან ადამიანის გულში შურს აღვძრავდი, მაგრამ ეს სათქმელი სხვა მოხერხებულ დროსთვის დავტოვოთ. ახლა კი იმაზე ვიფიქროთ, ღამე სად გავათიოთ?

- აქ ახლოს, - მიუგო სწავლულმა, - ერთი განდეგილის სენაკია, უწინ, როგორც ამბობენ, დარის კაცად ყოფილა, ახლა კი კარგი ქრისტიანის სახელი აქვს განთქმული; გონიერი და პურმარლიანი კაცია თურმე. იმის სენაკის გვერდზე თვითონ. მისივე ხელით პატარა სახლი აქვს აშენებული, მართალია, ძალიან პატარაა, მაგრამ სამი-ოთხი კაცისათვის ღამის გასათევად საკმარისია.

- იმ განდეგილს ქათმები ხომ არა ჰყავს? - ჰკითხა სანჩომ.

- ცოტაა ისეთი განდეგილი, რომ ქათმები არა მყავდეს, - მიუგო დონ კიხოტმა, - ახლანდელი განდეგილები თავიანთ წინაპრებს არა ჰგვანან, ეგვიპტის უდაბნოში საცხოვრებლად გასულებს, სახურავად, რომ პალმის ხის ფოთლებს ხმარობდნენ და საზრდოდ ხის ფესვებსა. არც კი იფიქროთ, ვითომც მე ძველ განდეგილებს ქებით, რომ ვიხსენებ, ამით ახლებს უპატივცემულობას ვუცხადებდე არა, მე იმას ვამბობ, რომ ახლანდელ დროში ისინი არც ისე

სასტიკ და ყარიბულ ცხოვრებას ეწევია, როგორც ეს უწინ იყო. მაინც ერთი განდევილი მეორეზე ცუდი არაა. ყველანი კარგები არიან. მე ასე ვფიქრობ და ვიტყვი, რომ ჩვენს დროში, როდესაც ყველაფერი უკუღმა ხდება, ფარისეველი, კეთილ კაცად თავის მო მჩვენებელი, დიდსა და აშკარა ცოდვილზე უკეთესია.

ამ საუბრის დროს ჩვენმა მგზავრებმა ვიღაც კაცი დაინახეს, მათკენ სირბილით მომავალი, წინ შუბებითა და დახტებით დატვირთულ ღორს მოერეკებოდა; ის დონ კიხოტს და მის თანამგზავრებს მიესალმა და თავის გზას გაუდგა.

- გამიგონე, კეთილო კაცო, უთხრა მას დონ კიხოტმა, - პატარა ხანს შესდე: მე მგონია, შენ უფრო ჩქარა მიდიხარ, ვიდრე შენს ჯორს სურს.

- გაჩერება არ შემიძლია, სენიორ! - უპასუხა უცნობმა, - რადგან ყველა ეს იარაღი ხვალ საქმეში უნდა იყოს გამოყენებული. თვითონვე ხედავთ, რომ დროს დაკარგვა არ შემიძლია, ამიტომ მშვიდობით ბრძანდებოდეთ. მაგრამ, თუ გინდათ იცოდეთ ეს იარაღი რისთვის არის საჭირო, იმ ფუნდუკში მობრძანდით, განდევილის სენაკის ახლოს, რომ დგას, იქ ღამეს გავათევ და, თუ თქვენც იქითკენ მიბრძანდებით, ერთმანეთს შევხვდებით და ისეთ ახირებულ ამბავს მოგიყვებით, რომ სწორედ საკვირველებაა. ახლა კიდევ მშვიდობით.

ამ სიტყვაზე ისე მაგრად დაჰკრა ჯორს და ისეთი სირბილით მოკურცხლა, რომ დონ კიხოტს აღარ დასცალდა ეკითხა, თუ რა ახირებული ამბები უნდა მოეთხრო, მაგრამ ბუნებით მეტად ცნობისმოყვარე იყო და ახალი ამბების გაგონება ძალიანაც ეხალისებოდა, ამიტომ გადაწყვიტა განდევილის სენაკისა. თავის გვერდი აეხვიათ და პირდაპირ ფუნდუკისკენ დასდგომოდნენ გზას, თუმცა სწავლული სწორედ განდევითან ღამის გათევას ამჯობინებდა.

ასეც მოიქცნენ: ცხენებზე შესხდნენ, პირდაპირი გზით ფუნდუკისაკენ გაემართნენ და საღამოს ჟამს მის კარს მიადგნენ. სწავლულმა მაინც სთხოვა დონ კიხოტს, განდევითან შეეველოთ და ცოტა ღვინო გადაეკრათ. ეს, რომ სანჩო გაიგონა, თავისი ვირი მაშინვე სენაკისკენ მოატრიალა და დონ კიხოტი და სწავლულიც იმას მიჰყვნენ. სანჩო ბედზე განდევილი შინ არ დაუხვდათ, შინ ერთი მორჩილი დედაკაცი იყო და, როდესაც ძვირფასიანი ღვინო მოსთხოვეს, პასუხად მიიღეს, მამა განდევილს ღვინო არა აქვს, თუ გწყურიათ, წყალს დიდი სიამოვნებით მოგართმევთო.

- გზაზე იმდენი ჭაა, რომ უთქვენოდაც ვიშოვიდით წყალს, - უპასუხა გულნაწყენმა სანჩო, რა ნუგბარი რამით გვმასპინძლობენ! ჰაი, გიდი, სადა ხარ ახლა, ქამაჩოს ქორწილო, დაიძახა მან, - სადა ხარ ახლა, დონ დიელოს სახლო? კიდევაც ბევრჯერ მომაგონდებით!

სენაკი დასტავე და ფუნდუკისაკენ გაეშურნენ. განდევილის სენაკს ცოტას, რომ გასცდნენ, დონ კიხოტმა მათ წინ მიმავალი ერთი ყმაწვილი ბიჭი დაინახა და ჩქარიც მიეწია მას. ამ ბიჭს დაშნა მხარზე ჯოხივით გაედო და ხედ პატარა ბოხჩა დაეკიდა, რომელშიც, ალბათ, რამდენიმე საცვალი, შარვალი და პატარა წამოსასხამი ჰქონდა გახვეული. ტანზე ხავერდის მოკლე ქურთუკი ეცვა, ატლასებით ჩასული, და ამ ჩასულებში პერანგი მოუჩანდა. ფეხზე გრძელყელიანი აბრეშუმის წინდები და დედაქალაქელთა ყაიდაზე ოთხკუთხეცხვირიანი ფეხსაცმელები ეცვა. თვრამეტი თუ ცხრამეტი წლისა იქნებოდა, მხიარულად მიდიოდა და გზის მოწყენილობას სეგიდილიას სიმღერით იქარვებდა.

როცა ჩვენი მგზავრები მას წამოეწივნენ, ის ამთავრებდა ერთერთ სიმღერას, რომელიც სწავლულმა დაიხსომა აი რა იყო ნათქვამი იმ სიმღერაში:

ომში მაგზავნის სილატაკე ავი და კრული.

შინ დავრჩებოდი, რომ მეშოვნა მე სადმე ფული.

- ძალიან მსუბუქად გაცვიათ მგზავრობისათვის, თქვენო მოწყალეზავ, - უთხრა დონ კიხოტმა, როდესაც დაუპირდაპირდა; - სად მიხვალთ? გვითხარით, თუ ძნელი არ იქნება.

ამაზე ყმაწვილმა მიუგო:

- მსუბუქად იმიტომ მაცვია, რომ ცხელა და თან ჯიბე ცარიელი მაქვს, საომრად მივდივარ.

- რომ ცხელა, ამის წინააღმდეგ ვერას ვიტყვი, - უპასუხა დონ კიხოტმა, - ხოლო ჯიბე, რომ ცარიელთ გაქვთ, ეს კი ჩემთვის გაუგებარია.

- სენიორ, - მიუგო ჭაბუკმა, - ამ ბოხჩაში ხავერდის შარვალი მაქვს, ქურთუკი კი ზედ მაცვია; შარვალი, რომ გზაში გავაფუჭო, ქალაქში რით შევიდე? საყიდლად კი ფული არა მაქვს. ამიტომაც, ძალიან, რომ არ დამცხეს, როგორც მხედავთ, ასე მივემგზავრები: მივდივარ, რომ ერთ რომელიმე ქვეითი რაზმში ღარის კაცად შევიდე, აქედან, რომ თვრამეტი მილის მანძილზე დგას. ის რაზმი, როგორც ისმის, კართა ხვნას მიდის და იქ ხომალდზე დაგვსხამენ, იქამდის ღვთის მადლით ტანისამოსი არ დამჭირდება: ჯარში კიდეც იმიტომ შევდივარ, რომ ლაშქრობაში მეფის სამსახური მირჩევნია მის რომელიმე ძუნწ და ლატაკ კარისკაცთან სამსახურსა.

- თქვენმა მოწყალეზავმა, ალბათ, უკანასკნელ ადგილზე ყოფნისას რაიმე ჯილდო მიიღო?-ჰკითხა სწავლულმა.

- ეჰ, მე, რომ ვინმე ესპანელი რანდისა ან სხვა დიდკაცის კარს ცოტაოდენი მემსახურა, - ამოოხვრით თქვა ჭაბუკმა, - ახლა ჯილდოც მექნებოდა და დამატებითი ჯამაგირიც. რომელიმე სასახლეში ბაგად სამსახური კარგია, პაპობიდან უცებ ოფიცრობას გაიკრავ, ან კარგ დამატებით ჯამაგირს, ან ჯილდოს დაიმსახურებ. მე კი, ბეჩავმა, აქა-იქ არა რაებსა და ბედისმამიებლებს ვემსახურე, ვინ იცის - სად გაჩენილებს, და ისეთ ჯამაგირს გიღებდი, მისი ნახევარი საყელოს გასახამებლად არა მყოფნიდა, ან კი ჩვენისთანა საბრალოებმა ფულებისთვის სად ვიფიქროთ, რამე სასწაულით თუ ჩაგვივარდება ხელში, თორემ...

- მაგრამ, ღვთის გულისათვის, მითხარით, მეგობარო, რამდენიმე წელიწადი ხომ გიმსახურია, ლივრეა მაინც როგორ ვერ დაიმსახურეს - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- ორიც დავიმსახურე, - მიუგო ჭაბუკმა, - მაგრამ, როგორც მოგხსენდებათ, თქვენო მოწყალეზავ, ადგილიდან როცა გადმოვდო ვართ, ბატონები ტანისამოსს გვხდიან, სწორედ ისე, როგორც მონასტრიდან გამოსულ მორჩილებს ანაფორას ატოვებინებენ, როცა მათ ბერად აღკვეცა აღარა სურთ და შინ ბრუნდებიან. ხომ იცით, ბატონები თავიანთი თავის მოსაწონად გვაცმევენ ლივრეის.

- აი ნამდვილი საოცარი სპილორცერია, როგორც იტალიელები ამბობენ, - თქვა დონ კიხოტმა. - შენს თავს მიულოცე, ჩემო კარგო, რომ შენი ბატონისათვის თავი დაგინებებია იმ ჩინებული

განზრახვით-მხედარი შეიქნე. ქვეყანაზე იმაზე პატიოსნური და სარფიანი სამსახური არა არის რა, როგორც ჯერ ღმერთსა და მერე იარაღით ხელში-მეფეს ემსახურო. ხმალი ადამიანს თუ დიდ სიმდიდრეს არ აძლევს, სამაგიეროდ მეტ პატივსა სძენს ვიდრე კალამი, რაიცა მე ბევრჯერ უკვე მითქვამს: და თუ მართალია, რომ კალამს ადამიანისათვის მეტი სიმდიდრე მიუცია, ვიდრე ხმალსა, სამაგიეროდ, იარაღი რაღაც სიდიადეს იპყრობს, უფრო მეტად აგვიმაღლებს სულს: მას რაღაც პატიოსნება და ელვარება აქვს-მხედართა ამამაღლებელი - უადრეს ყოველთა სხვათა მოღვაწეთა ზედა. ჩემო მეგობარო! ის ორიოდე სიტყვა, რასაც ახლა გეტყვი, ყურადღებით მომისმინე. ის სიტყვები შემდეგში შემწედ შეგექმნებიან. ეცადე, ჩემო მეგობარო, მოსალოდნელ რასმე. საშიშროებაზე არასოდეს არ იფიქრო; ყველაზე ცუდი, რაც ამ ქვეყანაზე მოგველის-სიკვდილია, მაგრამ დიდებით, რომ მოვკვდეთ-იმაზე უკეთესს ვერაფერს ვიზამთ. ერთხელ რომის დიდებულ იმპერატორს იულის კეისარს ჰკითხეს: ყველაზე უკეთესი როგორი სიკვდილიაო? მან უპასუხა-სწრაფი და მოულოდნელიო. თუმცა ეს სიტყვები ჭეშმარიტი ღვთის ცნებით გაუნათლებელი და წარმართი ბრძენისაგან არის ნათქვამი, მაინც ამით ჭეშმარიტებაა ნათქვამი, ადამონის სულის ბუნებრივი ალღოსაგან წარმოდენილი. დაე, პირველსავე შეტაკებაში მოგკლან, რითაც უნდა იყოს, ზარბაზნის სროლით თუ ყუმბარის აფეთქებით, შენ ერთნაირად მოკვდები და შენს საქმესაც შეასრულებ. ტერენციუსი ამბობს: მხედრისათვის ჯობია ომში მოკვდეს, ვიდრე ბრძოლის ველიდან გაქცეულმა იცოცხლოს, და ჯს მხედარი მოიპოვებს სახელსა და დიდებას, რომელიც დაე. მორჩილება თავის კაპიტანსა და სხვა უფროსებს. ჯარისკაცისათვის ამბრის სუნის ყნოსვას დენტის სუნის ყნოსვა სჯობიაო. ჩემო მეგობარო! თუ სიბერემ იარაღში მყოფს მოგისწროს, თუნდაც დასახიჩრებელიც იყო - კოჭლი, ჭრილობით სავსე, მასთანვე დიდებით მოსილიც იქნები და ვერავითარი სიღარიბე იმ ელვარებას ვერ დაჩრდილავს, რა ელვარებასაც დიდება მოგფენს, ამასთან ესეც ხომ არის, რომ ჩვენს დროში მოხუცებულ და დასახიჩრებულ მხედრებზე უკვე ზრუნავენ, რადგან ფიქრობენ, კაცი იმათ ისე არ უნდა მოექცეს, როგორც მონათმფლობელები ზანგებს ეპყრობიან მონობიდან განთავისუფლების ჟამს, როდესაც უბედური სიბერე ღონეს აცლის ბატონებისთვის სამსახურისას და ულუკმაპუროდ ათავისუფლებენ. მიერეკებიან რა მონებს თავიანთ ერთადერთ თავშესაფრიდან, ან როგორც ამბობენ, ათავისუფლებენ, იმ უბედურთ აგდებენ შიმშილის დიან ჭებში და იქიდან კი მხოლოდ სიკვდილილიაა მათი გამომხსნელი. ამის მეტს აღარას გეტყვი და მხოლოდ მოგიწვევ-ცხენს უკან შემომიჯექე - ფუნდუკამდის ერთად მივიდეთ იქ ერთად ვივანხმოო და დილით შენს გზას დაადგები: ღმურთიც შეგეწიოს ისე ბედნიერად განვლო გზა როგორიც შენი განზრახვა არის ამისი ღირსი.

ყმაწვილმა ცხენს უკან შემოჯდომაზე უარი თქვა, ერთად ვახშმის ჭამაზე კი დათანხმდა სანჩო კი ამბობენ ამ დროს დუდუნებდა: "ამ ჩემი ბატონისას ეშმაკი ვერ გაიგებს რასმეს. აბა ვინ დაიჯერებს, რომ სწორედ ის კაცი, რომელიც ახლა ისე ლაპარაკობს, რომ ადამიანი სმენად გადაიქცევა, ამას წინათ ირწმუნებოდა, მონტესინოსის მღვიმეში რაღაც შეუძლებელი ამბები ვნახეო. რას ვიზამ, მოვითმინოთ, დრო ყველაფერს გვაჩვენებს".

შელამებისას ჩვენი მგზავრები ფუნდუკში მივიდნენ. სანჩო ძალიან გაუხარდა, რომ ამ ჯერობაზე მისმა ბატონმა ფუნდუკი - ჩვეულებრივ ფუნდუკად მიიღო და არა ციხე-დარბაზად, როგორც უწინ ჩვეულებად ჰქონდა ხოლმე. დონ კიხოტმა შესვლის უმაღ მეფუნდუკს შუბლ-ლახტებიანი კაცი ჰკითხა. მეფუნდუკემ უპასუხა, თავლაში ჯორს უვლისო.

სწავლულმა და სანჩომ თავიანთი ვირები თავლაში წასახეს, ხოლო როსინანტსაც ბაგაში ყველაზე საუკეთესო ადგილი და საუკეთესო საკვები შესთავაზეს.

თავი XXV

სადაც აწერილა შემთხვევა ვირის ყროჟინის გამო, სასაცილო ფათერაკი თოჯინების თეატრთან და კიდევ მკითხავი მაიმუნის ღირსშესანიშნავი მისნობანი

დონ კიხოტი, როგორც იტყვიან, ეკალზე იჯდა, ისე მოუთმენლად ელოდა გაეგო საკვირველი ამბები, გზაზე შეხვედრილი იარაღის მზიდველი კაცი თქმას, რომ შეჰპირდა. გაემართა მასთან თავლაში, იპოვა იგი და სთხოვა, რადაც უნდა დაგიჯდეს, ახლავე და არა მერე, მიამბე, რასაც წელან დამპირდიო.

იმ კაცმა მიუგო:

- ფეხზედგომელა და აგრე საჩქაროდ ასეთი საკვირველი ამბის გადმოცემა შეუძლებელია. დამაცადეთ, ჯერ ჩემს ჯორს მოვყარო, მერე ისეთ ამბებს მოგითხრობთ, რომ ძნელად დასაჯერებელი და ფრიად გასაოცარი იქნება.

- თუ ჯორის მეტი არა გაბრკოლებს რა, უთხრა დონ კიხოტმა: - მოიტა, ღორის მოვლას მეც გიშველი.

იმწამსვე ბაგის წმენდას და ქერის გაცხრილვას მიჰყო ხელი. ამ შველისათვის გლეხი მზად იყო, თავისი საკვირველებანი დიდი სიამოვნებით ეამბნა, და პატარა ხანს უკან ქვის სკამზე დადლა, რაინდი გვერდით მოისვა, მეფუნდუკე, სანჩო, პაჟი და სწავლული სტუდენტიც წინ დაუსხდნენ და მათ შემდეგი უამბო:

- უნდა მოგახსენოთ, თქვენო მოწყალეზავ, - დაიწყო მან, - რომ ერთ პატარა სოფელში, აქედან ოთხი მილის სიშორეზე, რეხიდორს, გაუფრთხილებლობით იყო თუ მისი მოახლის გაიმვერობით, ამაზე ლაპარაკი შორს წავიყვანდა, ვირი დაეკარგა. რაც კი რამ მის მოსაძებნელად მოახდინა, ყველაფერმა ფუჭად ჩაუარა. ორიოდ კვირის უკან ვირის დამკარგავ რეხიდორთან იმავე დაბის მეორე რეხიდორი მიდის და ეუბნება: - "ნათლიამ, სამახარობლო მომეცით, თქვენი ვირი აღმოჩნდა". - "რატომ არ მოგცემ სამახარობლოს, ნათლიამ, მაგრამ ეს მინდა ვიცოდე, სად აღმოჩნდა?", - უთხრა პირველმა რეხიდორმა. - "მთაზე, ტყეში, - მიუგო მეორე რეხიდორმა. დღეს დილას დავინახე, მაგრამ უკურტნო, უმოსართაო და ისეთი გამხდარი, რომ ვუცქეროდი, მგბრალეობდა; მინდოდა პირდაპირ თქვენთან გამომეგდო, მაგრამ ამ ხანში ისე გაგარეულეებულა, დამინახა თუ არა, ფეთიანივით მოჰკურცხლა და შიგ შუაგულ ტყეში შეერია. თუ ისურვებო და წამომყვებით, ერთად მოვძებნოთ, - უთხრა ვირის მპოვნელმა რეხიდორმა მეორე რეხიდორს, - მაშინ ნება მომეცით, ჩემი ვირი შინ წავიყვანო, და ერთ წამში ისევ უკან დავბრუნდები". - დიდად დამავალეობთ და მეც ღმერთი შემეწევა, როგორმე სამაგიეროს გადაგიხდით", - უთხრა ვირის დამკარგავმა რეხიდორმა. აი, სწორედ ისე, როგორც ამ ამბავს მე გაიამბობთ, ამ საქმის მცოდნენი ყველას ასე უამბობენ. მეორე რეხიდორი, რომ დაბრუნდა, ორივემ ერთმანეთს ხელი-ხელსა გაუყარეს, მთაზე წავიდნენ ტყეში ვირის საძებნელად და არათუ, სადაც პოვნის იმედი ჰქონდათ, იქ ვერ იპოვეს იგი, არამედ ყველგან ეძებს და ვირი მაინც არსად გამოჩნდა. მაშინ მეორე რეხიდორმა, იმ დილით ვირის მნახველმა, უთხრა თავის ამხანაგს: - ერთი ხერხი მოვიგონე, იმ ხერხით იმედი მაქვს თქვენს ვირს მივაგნოთ, თუნდაც ამ ტყეში კი არა, ქვესკნელშიც იმალებოდეს. იცით რა? ძალიან ოსტატურად ვიცი ვირივით ყროჟინი და, თუ ცოტაოდენს თქვენც მიშველით, ჩვენი საქმე გაიჩარხება". -

"ცოტაოდენსო? ისე თქვით განა? - დაიძახა მეორე რეხიდორმა, - მე ისეთს დავიყოფინებ, ნამდვილ ვირსაც გადავაჭარბო". - "ვნახოთ, - უთხრა ამხანაგმა, - და აი საქმე როგორ მოვაწყოთ თქვენ მთას იქიდან და მე აქედან დავიწყოთ ზევით-ზევით, სიარული, ცოტა გავიაროთ და ორივემ ვირივით დავაყოფინოთ, მერე ცოტა წინ წავიდეთ და კიდევ დავაყოფინოთ, სულ ასე ვიაროთ... და, აუცილებელია, ვირიც ხმას მოგვცემს, თუკი ჯერაც კიდევ აქ სადმე არის" - მშვენიერი ხერხი მოიგონეთ, ჩემო ნათლიამ, - მიუგო ვირის პატრონმა, - ეგ ხერხი სწორედ თქვენისთანა ბრძენი კაცის შესაფერია". - იმავე წამს რეხიდორები ერთმანეთს დაშორდნენ და თავთავის ადგილზე წავიდნენ, ორივემ ერთად დაიყოფინეს და მაშინვე ერთმანეთისკენ გაიქცნენ, ეგონათ - ეს არის ვირი ვიპოვეთო. პირველი რეხიდორი, რომ თავის ამხანაგს შეეხეჩა, ლამის არ იჯერებდა, რომ მისი ამხანაგი იყო და არა ნამდვილი ვირი. - "ნუთუ, ნათლიამ, ეს ჩემი ვირი არ ყოფიანებდა?" - უთხრა მან. - "მე ვარ, მე, ვირი ნუ გგონიათ". - ამხანაგები ერთმანეთს არწმუნებდნენ. - "მაშ, ღმერთი გამიწყრეს, - უთხრა პირველმა რეხიდორმა მეორეს, - თუ ნამდვილი ვირისაგან რითიმე გაირჩეოდეთ. ასეთი გასაოცარი ვირის ყოფინი ჩემს სიცოცხლეში ჯერ არ გამიგონია". - "არა, ნება მომეცით და პირმოთნეობადაც არ მიიღოთ, ეგ ქება თქვენ უფრო შეგფერთ, - მიუგო ამხანაგმა. - მერწმუნეთ თქვენზე უფრო ზედგამოჭრილია, რადგან, ჩემს გამჩენს ღმერთს ვფიცავ, ქვეყანაზე თვითონ განთქმულ ვირსაც არ ჩამოუვარდებით: უფრო გრძლად და უფრო ხმამაღლა ყოფიანებთ. თქვენს ყოფინში სიმჭახე სწორედ, რომ ზომიერია, ხმის ამალღებ დადაბლება შეუდარებელი და, რაც გნებავთ, ისა თქვით - მაინც მე ვერ დაგედარებით: პატივი თქვენ და დიდება. მაგ დიდებულ ნიჭსა და უნარში უპირველესობას თქვენ გითმობთ". - "მით უკეთესი, - უპასუხა რეხიდორმა, - რადგან უწინდელზე მომეტებულ პატივს ახლა დავდებ ჩემს თავს; ის მაინც მეცოდინება, რომ მთლად უნიჭო, უტალანტო კაცი არა ვყოფილვარ, ტალანტი კი, როგორც არ უნდა იყოს მაინც ტალანტია, - ჩემთვის ესეც საკმარისია. მაგრამ მართალი, რომ გითხრათ თუმცა ვიცოდი ყოფინის ოსტატი ვიყავ, მაინც არ მეგონა, თუ ისე ჩინებულად ვიყოფინებდი, როგორც მარწმუნებთ". - "დიახ, - მიუგო მეორე რეხიდორმა, - უნდა მოვახსენო თქვენს მოწყალებას, რომ ქვეყანაზე მრავალი საგანგებო ტალანტი სულ უბრალოდ იკარგება, რადგან მისი მოხმარება არ იციან". - ".ჰო, მაგრამ, - მიუგო ამხანაგმა, - ეს ჩვენი ტალანტები მაშინ თუ გამოდგებიან, როდესაც დღევანდელის მსგავსი განსაკუთრებული შემთხვევა მოხდება. და ახლაც, ვინ იცის, ღმერთმა ჰქნას, ახლა მაინც გამოვიყენოთ". - ამ ლაპარაკის შემდეგ გაიყარნენ და კიდევ დაიყოფინეს და ასე რამდენჯერმე, ყველა დაყოფინებაზე ერთმანეთს დაკარგულ ვირად თვლიდნენ. ბოლოს, რომ დაინახეს ერთმანეთთან სირბილი ტყუილად რჩებოდათ, გადაწყვიტეს - ერთმანეთი, რომ ვირად აღარ მიეღოთ, თითოს მაგიერ ორ-ორჯერ დაეყოფინათ. ასე იარეს, იარეს, მთელი მთა მოიარეს, ბევრი იყოფინეს, მაინც დაკარგული ვირი არსად გამოჩნდა, ნიშანიც კი არსაიდან მისცა. ან კი რა ნიშანს მისცემდა თორემ, როდესაც ის ბედკრული და საცოდავი სადღაც ტყეში მგლებისაგან გამოხრული იპოვეს. - "ახლა კი არ მიკვირს, - თქვა ვირის პატრონმა, - რომ ჩემი საბრალო ვირი პასუხს არ მამღვედა, ცოცხალი კი, რომ ყოფილიყო, უეჭველად დაგვიყოფინებდა, თუ არა - მაშ რაღა ვირი იქნებოდა. მაინც ჩემი შრომა, ჩემო ნათლიამ, დაკარგულად არ მიმაჩნია, რადგან ჩემი ვირი თუმცაღა მკვდარი ვპოვე, მაგიერად თქვენი საკვირველი და მშვენიერი ყოფინი მოვისმინე". - მერწმუნეთ, ნათლიამ, ჩვენ ორნი ერთნაირად ვღირვართ, - მიუგო მეორე რეხიდორმა; - მღვდელიც სასიამოვნოდ გალობს და არც გუნდი არის ურიგო". - და ასე დაბრუნდნენ შინ მთლად დახრინწიანებულნი, დაღლილნი და მოწყენილნი, მერე ერთმანეთის ამბავი უამბეს მეზობლებს, მეგობრებს და ნაცნობებს, თუ როგორ კარგად სცოდნიათ ორივეს ყოფინი. ეს ამბავი მეზობელ სოფლამდისაც

მივიდა და, რადგან ეშმაკს, სადაც კი შეუძლია, შულღსა და ჩხუბს თესავს, ამიტომ მან მეზობელი სოფლის ხალხი ასე მომართა, რომ, როცა კი ჩვენიანს ვისმეს დაინახავს, მაშინვე ვირივით დაიწყებს ყროყინს, - და ასე მეზობელმა სოფელმა თითქოს ჩვენი სოფლის დაცინვა დაიწყო, რაკი წვენი რეხიდორები ისე ჩინებულად ყროყინებდნენ. ამ ამბავში ყველაზე უარესი ის არის, რომ საქმეში ბიჭბუჭები ჩაერივნენ და იქამდის მივიდნენ, იმ სოფლის ხალხს, სადაც ვირის ამბავი მოხდა, თითოთ უჩვენებენ, როგორც თეთრებში გარეულ შავ ზანგზე. ჩვენი სოფლის ხალხი, რომელსაც დასცინიან, - მეც, თქვენო მოწყალეზავ, იმ სოფლიდან გახლავარ, - შეიარაღებული გამოდიოდა ხოლმე დამცინავებთან საბრძოლველად და მას ვედარაფრით აწყენარებდა, ვერც დარცხვენით, ვერც დაშინებით, ვერც მეფე და ვერც სამსჯავრო. ხვალაც ჩვენი სოფლის ხალხი მეორე სოფლის ხალხთან საბრძოლველად უნდა გამოვიდეს. ის სოფელი ჩვენგან ორი მილის სიშორეზეა და ყველაზე მეტად ის გვაბეზრებს თავს. აი, თქვენო მოწყალეზავ. ეს შუბები და ლახტები სწორედ ჩემი სოფლის ხალხისთვის მიმაქვს და ის საკვირველი ამბავიც ეს გახლავს, წელან, რომ მოგახსენეთ - გამბობთ-მეთქი; თუ თქვენ საკვირველებად არ მიგაჩნიათ, ნურას უკაცრავად, ამის მეტს სხვას ვერას მოგახსენებთ.

თავისი ამბავი კეთილმა გლეხმა ამით დაასრულა და თითქმის იმავე წამს ფუნდუკის კარებში ვიღაც კაცი გამოჩნდა, თავით-ფეხებამდის აქლემის ტყავში ჩამჯდარი, ყველაფერი ტყავისა ეცვა: წინდები, შარვალი, ქურთუკი.

- სენიორ მასპინძელო! - ხმამალა დაიძახა მან, - ჩემთვის ადგილი გაქვს? თან ჩემი მკითხავი მაიმუნი და თოჯინები მყავს და, თუ გნებავთ, ახლავე შემიდლია წარმოგიდგინოთ მელისენდრას განთავისუფლება.

- ო, ღმერთო ჩემო, - წამოიძახა მეფუნდუკემ. - ეს ხომ სენიორ მასე პედროა! მაშ მხიარულად გავატარებთ ღამეს. მობრძანდით, თქვენო მოწყალეზავ!

დამავიწყდა მეთქვა, რომ მასე ვედროს მარცხენა თვალზე დათი თქმის მთელ მარცხენა ლოყაზე მწვანე ქალაღა იით რაღაც მალამო ეკრა და შეხვეული ჰქონდა, ალბათ - სახის მარცხენა მარგ სტკიოდა.

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სენიო მასე პუდრო, განაგრძო მასპინძელმა. - მაგრამ თქვენს მაიმუნს და თოჯინების თეატრს რატომ ვერ ვხედავ?

- ახლავე მოვა, - მიუგო ვედრომ, - დაწვინაურდი - გამეგო - ღამის გასათევი ადგილი გექნებოდათ თუ არა?

- თქვენთვის, ჩემო სენიორ, ადგილს თვითონ ჰერცო ალბასაც წავართმევი, - უპასუხა მეფუნდუკემ, - მოვიდეს თქვენი მაიმუნი და თეატრი; ბედზე დღეს სტუმრებიცა მყავს. წარმოდგენისა. და მაიმუნის ოინებისათვის სიამოვნებით დაგასაჩუქრებენ.

- მით უკეთესი, - თქვა პედრომ, - ძვირფას სტუმრებს შემიდლია ფასიც დავუკლო, იმასაც ვიკმარებ, ოღონდ ხარჯი ავინაზდაურო, თორემ მეტს არ გამოვუდგები. მაგრამ წავიდე, ჩემები დავაჩქარო.

ამ სიტყვებით იგი ფუნდუკიდან გავიდა. ხოლო დონ კიხოტმა მაშინვე გამოკითხა მეფუნდუკეს, ის მასე პუდრო რა კაცი იყო, რა თეატრი ჰქონდა და რა მაიმუნი ჰყავდა.



- ეს შესანიშნავი თოჯინების თეატრის პატრონია, - მიუგო მეფუნდუკემ, - ამ არაგონიის ლამანჩის მიდამოთა ძველი ნაცნობია. დიდი ხანია ამ ადგილებში დაიარება და სახელოვანი დონე გაიფეროსისაგან მელისენდრას განთავისუფლებას აჩვენებს. მეტად საყურადღებო წარმოდგენაა! უნდა მოგახსენოთ, ისეთი ჩინებული ამბავია, რომ ასეთის ნახვა ჩვენს მხარეში არასოდეს არ შემხვედრიან ამას გარდა, ვედროს თან ერთი ისეთი საკვირველი მაიმუნი დაჰყავს, რომ ძნელი დასაჯერებელია, და მაიმუნებს კი არა, ადამიანებსაც შემურდებათ მისი ნიჭი. თუ ჰკითხავთ რამეს, ყურადღებით მოგისმენთ, მერე პატრონს მხარზე შეახტება, ყურზე ტუჩებს მიადებს და თქვენს კითხვაზე პასუხს ეუბნება. პატრონი კიდევ თან ისმის, თან მის ნათქვამს იმეორებს. წარსულს უფრო კარგად იგებს, ვიდრე მომავალს, თუმცა, მართალია, მოხდება ხოლმე, რომ ტყუილსაც იტყვის, მაგრამ თითქმის მუდამ მართალს ამბობს, თითქოს შიგე ეშმაკი უჯდეს. პასუხის ფასი ორი რეალია, თუ ის.. ესე იგი, თუ მის მაგიერ პატრონი იტყვის, რასაც ის ჩასჩურჩულებს. ამბობენ, თავისი მაიმუნის მეოხებით ბლომად ფულები შეიძინაო. ეს მასე პედრო, მე თქვენ მოგახსენოთ, გალანტუომო-ა, როგორც იტალიაში იტყვიან ხოლმე, და ბუონ ცომპაგნო-ა, არხეინად ცხოვრობს, ექვსი კაცის ოდენს ლაპარაკობს, თორმეტის ოდენს ჭამს და სვამს და ყველა ამას თავისი ენისა, თეატრისა და მაიმუნის წყალობით ახერხებს.

ამ ლაპარაკზე მასე ვედროც მოვიდა თავისი თეატრით და მაიმუნით დატვირთული ეტლით. მისი შესანიშნავი მაიმუნი დიდი იყო, უკუდო, ქუჩის მსგავსი ბალნიანი უკანალით, თანაც გულკეთილი სახისა ჩანდა. დონ კიხოტმა, მაიმუნი დაინახა თუ არა, ჰკითხა:

- აბა მითხარ, ქალბატონო მკითხავო, ცვე პესცე პიგლიამო? ჩვენს თავს რა მოხდება? რა ხელობის ანი ვართ? სასუნისათვის აი ორი რკალი.

და მან უბრძანა სანჩოს - გადაეცა ფული მასე ვედროსათვის, მაგრამ მან მაიმუნის მაგივრად უპასუხა და ასე უთხრა:

- სენიორ, ეს ცხოველი მომავალს ვერ მოგიტხრობთ, წარსულისა კი ცოტა რამ იცის, აგრეთვე აწმყოსიც.

- ფუი ეშმაკს, თქვა სანჩომ, - ერთ გროშსაც არ მივცემ იმაში, მითხრან, თუ რა გადამხდენია თავს, ჩემზე კარგად ვის ეცოდინება, რაც მომსვლია. სულელი უნდა ვიყო, იმაში ფული მივცე, რაც ჩემზე უკეთ არავინ იცის. მაგრამ, თუკი მაიმუნს აწმყოზე მარჩიელობა შეუძლია, ეს სხვა არის. აბა, მაიმუნო, დაიჭი ორი რკალი და მითხარი, ახლა ჩემი მეუღლე ტერესა პანსა რას აკეთებს?

მასე ვედრომ არ აიღო ფული და თქვა:

- ფულს ამ თავით არ ავიღებ; მაიმუნი როცა გიპასუხებთ, მაშინ მომეცი.

ეს, რომ თქვა, მხარზე ორჯერ ხელი დაირტყა და იმწამს მაიმუნი ზედ შეახტა, თავისი პატრონის ყურთან დაიხარა და საკვირველი სიჩქარით კბილების კაწკაწი დაიწყო. რამდენიმე წამს აკაწკაწა კბილები და ძირს ჩამოხტა. მაშინ მასე პუდრო მივარდა დონ კიხოტს, წინ დაუჩოქა, მუხლებზე ხელები მომხვია და შეჰყვირა:

- შენ ფერხთ ვეამბორები, ჰოი დიდებულო, დავიწყებული მოგზაური რაინდობის აღმდგენელო! ვეამბორები მათ იმავე ძოწი ნებით, რა მოწიწებითაც ჰერკულესის ორ სვეტს ვუყოფდი ამბორს, ჰოი, რაინდო, ვისი შესაფერი ქების შესხმაც არავის ძალუძს! ჰოი,

სახელოვანო დონ კიხოტო ლამანჩელო, სუსტთა ხელთამპყრობო, დასაცემთა გამმაგრებელო, დაცემულთა მფარველო და ყოველთა მწუხარეთა ნუგეშო!

ეს, რომ დონ კიხოტმა მოისმინა, გაშტერდა, სანჩო თვალეზი დააჭყიტა, მწიგნობარი სტუდენტი გაოცდა, მეფუნდუკე ადგილიდან ვეღარ დაიდრა; ვირულად მოყროყინე სოფლის გლეხმა პირი დაალო და ყველას ერთიანად თმა ყალყზე დაუდგა ამასობაში შესანიშნავი თეატრის პატრონი სანჩო მიუბრუნდა და გულგრილად განაგრძო:

- შენცა, ჰოი კეთილო სანჩო პანსა, ქვეყანაზე უჩინებულესო საჭურველმტვირთველო უჩინებულესი რაინდისავ, გაიხარე: შენი ცოლი ტერესა პანსა კარგად იმყოფება და ამჟამად სელსა მენძავს. გვერდზე პირმოტეხილი დოქით ღვინო უდგას, თან საქმიანობს და თან ნაღვლის გასაქარვებლად იმ დოქს იწაფებს.

- ყველა ეგ შესაძლებელია ეგრეც იყოს - მიუგო სანჩომ, რადგან ჩემი ცოლია უნდა მოგახსენოთ, სწორედ პატიოსანი ადამიანია და, რომ ეჭვიანი არ იყოს, იმ ახმახ დევგმირ-ქალ ანდადონაზედაც არ გავცვლიდი, ჩემი ბატონი, რომ ბრძანებს - ჩინებული და ანგარიშიანი ქალი იყო, ჩემი ტერესა კი არაფერზე უარს არ ეტყვის თავის თავს, თავისი შვილების ქონებასაც არ და ზოგავს.

- ახლა ჩემი რიგია და ვიტყვი, - შეაწყვეტინა დონ კიხოტმა, - ვინც ბევრს კითხულობს და მოგზაურობს, ის ბევრსაც ხედავს და ბევრსაც შეიტყობს. მართლაც ისეთი ვინ იქნებოდა დავერ წმუნებინენდომ ქვეყანაზე მკითხავი მაიმუნები იქნებოდნენ როგორც ამას ჩემი თვალითა ვხედავ, რადგან მე ნამდვილად ის დონ კიხოტი ლამანჩელი ვარ, რომელიც მაგან დაასახელა, თუმცა იქნება მომეტებულადაც შემაქო, მაგრამ როგორიც უნდა ვიყო, მაინც ზენაარს ვმადლობ, რომ ჩვილი, შემბრალებელი ხასიათი მომმადლა და განმამზადა - ყველას კეთილ ვუყო არავისთვის ბოროტი არ ვინდომო. - მე, რომ ფული მქონდეს, - თქვა პაჟმა, - მეც ვკითხავდი სენიორ მაიმუნს გზაზე რა შემემთხვეოდა.

- აკი ვთქვი, - მიუგო უკვე ზნე ამდგარმა და დონ კიხოტის მოშორებით მდგარმა მასე პედრომ, - ჩემმა მაიმუნმა მომავლის გაგება არ იცის-მეთქი ეს, რომ არ იყოს ფულის უქონლობით არ დაგალონებდი, რადგან მზადა ვარ, პური არსობისა დავივიწყო, ოლონდ რითიმე ვემსახურო ბატონ რაინდს დონ კიხოტს და ამიტომაც ამის სიამოვნებისათვის მზადა ვარ თეატრი ყველა ამ ფუნდუკში მყოფთ მუქთად გაჩვენოთ.

ეს, რომ მეფუნდუკემ გაიგონა მეტად გაუხარდა და მასე ვედროს ადგილი უჩვენა თეატრის დაბინავება სადაც უფრო მოხერხებულად შეეძლო, რაც ერთ წუთში იქნა შესრულებული .

დონ კიხოტი მაინც როგორღაც მაიმუნის გულთმისნობით მთლად კმაყოფილი არ იყო, რადგან შეუძლებად მიაჩნდა, რომ ცხოველს წარსული და აწმყო სცოდნოდა და ვიდრე მასე პუდრო თეატრს აწყობდა, სანჩო თავის კუთხეში გაიხმო და იქ სხვების დაუსწრებლად უთხრა:

- სანჩო, - იმ მაიმუნმა დამაფიქრა იქნებ მის პატრონს ამ მასე პედროს, ეშმაკთან პირობა დაუდვია, რომ ორივემ მღვრიე წყალში თევზი იჭირონ.

- არათუ მღვრიე წყალში, არამედ მთლად ტლაპოშიც, - მიუგო სანჩომ, - თუ თვითონ ეშმაკი ამღვრევს, მაგრამ ეს არის, მასე პედროს იმ აუზებიდან რა მოგება უნდა ჰქონდეს?

- ჩემი ნათქვამი ვერ გაიგე, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - მე ის მინდოდა მეთქვა, რომ იქნებ მაესე ვედრომ ეშმაკთან დადო-მეთქი პირობა; ეშმაკი, უეჭველია, მის მაიმუნთანაა დაკავშირებული და იგი ატყობინებს მას ამ ამბებს. მაიმუნიც პასუხს იძლევა ამაში პედრო ფულეს იღებს, ალბათ, იმ პირობით, რომ, როდესაც გამდიდრდება, მადლობის გადასახდელად ეშმაკს თავის სულს მისცემს. შენ ხომ კარგად იცი, რომ ის, მუდამ კაცთა ნათესავის მტერი, ჩვენს სულს როგორ ყოველ ნაბიჯზე სდევნის; ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ მაიმუნი წარსულისა და აწმყოს ცოდნას სჯერდება მომავალს კი, რაც ეშმაკისთვისაც დაფარულია ვერ იტყობს ინას შეუძლია მხოლოდ მიხვედრით თქვას ცოტაოდენი რამ მომავალზე და ისიც ძალიან იშვიათად რა მოხდება ეს მარტო ერთმა ღმერთმა იცის, რადგან იმისთვის მყობადი არ არსებობს, არამედ ყოველივე აწმყოა, მამ ჩემთვის, სანჩო, სრულებით ცხადია, რომ იმ მაიმუნში ეშმაკი ლაპარაკობს. მხოლოდ ეს არის უცნაური, ინკვიზიციის წმიდა სამსჯავრო როგორ გაჩუმებულა და ამ კაცს არ შეიპყრობს, რომ გაიგოს, რა ძალით იგებს იმას, თუ რა ყოფილა და რა არის. დარწმუნებული ვარ, მაიმუნი ასტროლოგი არ არის და არც მან და არც მისმა პატრონმა არ იციან იმ ჯადოსნური ფიგურების დაწყობა, ასტროლოგიურს, რომ ეძახიან და ახლა ესპანეთში ისეა გავრცელებული, რომ - ერთი მოახლე, პაჟი, ქარგალი, ხარაზი არ მოიპოვება, ასტროლოგიური სურათის დაწყობას და გოროსკოპის გამოცნობას, რომ არ ჩემულობდეს - თითქოს ისევე ადვილი იყოს, როგორც მიწიდან ბანქოს ქალაქის აღება, და თავისი უმეცრებით ამ მეცნიერების საოცარ ქეშმარიტებას სახელს არ უტეხდეს. ერთ მანდილოსანს ვიცნობდი, რომელმაც ერთ ასტროლოგსა ჰკითხა: ჩემი ოთახის ძალი დამაკდება თუ არაო, ლეკვებს თუ დაყრისო და, თუ დაყრის, რამ. დენი და რა ფერიანი იქნებიანო. იმ ვაჟბატონ ცრუ-ასტროლოგმა თავისი ჰოროსკოპი დახაზა და დაუფიქრებლად მიუგო: შენი ძალი დამაკდება, სამი ლეკვი ეყოლებათ. მწვანე, წითელი და ჭრელიო, მაგრამ ერთი პირობით, თუ დილით ან ღამით თერთმეტსა და თორმეტს შუა დამძიმდა, ორშაბათს ან შაბათ დღესაო, ორიოდე დღის უკან იმ ძალმა საჭმელი ვერ მოინელა და მოკვდა. ცრუ ასტროლოგს კი ეხტიბარი წაუხდა, როგორც ეს ყველა ასეთ ვაჟბატონს ემართება ხოლმე. ამავე დროს კი იმ სოფელში სახელგანთქმულ ასტროლოგად ითვლებოდა.

- ნეტავ, თქვენო მოწყალება, დაავალოთ მაესე პედროს, - უთხრა სანჩომ, - თავის მაიმუნს ჰკითხოს, მართალია, რაც მონტესინოსის მღვიმეში ნახეთ? საწყენად კი ნუ მიიღებთ და მე ყველა ის თქვენი ნახული სიცრუედ მიმაჩნია; უთუოდ სიზმარში ნახეთ.

- შეიძლება ეგრეც იყოს, - მიუგო დონ კიხოტმა. - სიამოვნებით აღვასრულებ შენს რჩევას; თუმცა კი ამისათვის ცოტაოდენი ცოდვის ჩადენა მომიხდება.

ამ დროს მასე პედრო მოვიდა და დონ კიხოტს გამოუცხადა, ყველაფერი მზად არისო, და სთხოვა-წარმოდგენა თავისი ყურადღების ღირსი გაეხადა და დასწრებოდა. დონ კიხოტმა იქვე სთხოვა ვედროს მაიმუნისთვის ეკითხა: მართალი იყო თუ არა რაც მონტესინოსის მღვიმეში ნახა, სიზმარი იყო ის თუ სინამდვილე, ან იქნებ ორი, ერთმანეთში არეული.

მასე პედრო პასუხის უთქმელად მაიმუნის მოსაყვანად წავიდა და, რომ მოიყვანა, თავისი მაიმუნით დონ კიხოტსა და სანჩოს წინ დადგა და თქვა:

- ყურადღებით მოისმინე, სენიორ მაიმუნო, ბატონ რაინდს სურს შეიტყოს - მართალია, რაც "მონტესინოსის" მღვიმეში ნახა?

ეს უთხრა და მაიმუნს თავისებურად ანიშნა. ისიც მხარზე შეახტა და ისე მოაჩვენა თავი, ვითომც ყურში უჩურჩულებდა ვედროს. როცა გაათავა, მასე ვედრომ თქვა:

- მაიმუნი ამბობს, რომ მონტესინოსის მღვიმეში ყველა თქვენგან ნახული ნახევარი ტყუილია, ნახევარი კი მართალს ჰგავს. ამის მეტი ამჟამად არაფერი იცის და, თუ ინებებთ და ამაზე კიდევ ჰკითხავთ რასმე დაწვრილებით, ყველაფერს მომავალ პარასკევს გიპასუხებთ. ახლა გაგების ძალა დაკარგა, მომავალი პარასკევისათვის კი დაუბრუნდება.

- აკი მოგახსენეთ, - შეჰყვირა სანჩო, მართალი გამოველ თუ არა, რომ მოგახსენეთ, იმ მღვიმეში თქვენი ნათქვამის ნახევარი არა მჯერა-მეთქი.

- მაგას მომავალი ამბები გვაჩვენებენ, - მიუგო დონ კიხოტმა, - იმიტომ, რომ დრო ყველაფერს გამოაჩენს, ყველაფერი სინათლეზე გამოაქვს; მიწის გულში დაფარულიც კი ყველას სავენებლად ზევით ამოაქვს. ახლა კი წავიდეთ, კეთილი მამე ვედროს წარმოდგენა ენახოთ, მე მგონია, ის თეატრი ახალ რაღაცას გვაჩვენებს, მეტად საყურადღებოს.

- როგორ თუ ახალ რაღაცას, - დაიძახა ვედრომ, - ჩემი თოჯინების თეატრი სამოცდაათ ახალ სანახავს შეიცავს, მოგახსენებთ, თქვენო მოწყალეებავ, ჩემო სენიორ დონ კიხოტო, ქვეყანაზე უკეთესი სანახაობა არ მოიპოვება და ოპერებუს ცრედიტე, ეტნონ ვერბის . ახლა კი დავეშურნეთ, თორემ გვიანდება, სათქმელი, საჩვენებელი და საკეთებელი ბევრი გვაქვს.

დონ კიხოტი და სანჩო ვედროს გაჰყვნენ თეატრისაკენ, იქ ყველაფერი დაწყობილი იყო და ურიცხვი წვრილი ცვილის სანთლით იყო სასიამოდ გაჩაღებული, რაც ბრჭყვიალა და მშვენიერ სახეს ადებდა მას. რომ შევიდნენ, მამე პედრო ფარდულს უკან მოთავსდა, რადგან თოჯინებს თვითონ ამოძრავებდა; წინ კიდევ მისი მსახური პატარა ბიჭი დადგა, ხელში მომცრო ჯოხი ეჭირა და იმით მაყურებელს წარმოდგენის ამბავს უხსნიდა: გამოსულ ფიგურებს ასახელებდა. როცა მთელი საზოგადოება შეიკრიბა და თეატრის წინ ფეხზე დგომელა დაბინავდა, ხოლო დონ კიხოტი, სანჩო, მწიგნობარი სტუდენტი და პაჟი საპატიო ადგი. დეზზე დასხდნენ, ბიჭმაც დაიწყო ახსნა-განმარტება, ხოლო - სახელდობრ - რისა, ამას მოისმენს ან დაინახავს ის, ვინც მოუსმენს იმ ბიჭს, ან შემდეგ თავს წაიკითხავს.

თავი XXVI

სადაც გრძელდება სასაცილო ფათერაკი თოჯინების თეატრთან

და კიდევ მოთხრობილია ჭეშმარიტად საყურადღებო სხვა ამბები

დადუმდა ყველა, სირიელნიც და ტროადელნიც , - ესე იგი მე მინდა ვთქვა, როდესაც მაკქერალთა თვალნი სცენას მიეპყრო და ყურნი მოკარნახის ტუჩებს მიეჯაჭვა, როცა ყველა მოუთმენლად ელოდა ბიჭის ახსნა-განმარტების დაწყებას, უცებ სცენის უკანადაც წინწილისა, ბობლნისა და ზარბაზნების ხმა აისმა და ისევ ჩქარა დაჩუმდა, და მაშინ პატარა ბიჭმა ხმა აღიმალა და შემდეგი თქვა:

- ეს ჭეშმარიტი ისტორია, ახლა, რომ, თქვენო მოწყალეებავ, თქვენს წინაშე უნდა წარმოდგეს, სიტყვასიტყვით ამოღებულია ფრანგული ქრონიკებიდან და ესპანური სიმღერებიდან, ყველას, რომ პირზე აკერია და ყველა ქუჩაში დიდი და პატარა გიმღერის. ამ ამბავში გამოხატულია დონ

გაიფეროსისაგან თავისი ცოლის მელისენდრას განთავისუფლება, მავრებს, რომ ჰყავდათ დატყვევებული ესპანეთის ქალაქ სანსუენში, ასე ეწოდებოდა მაშინ ქალაქ სარაგოსას. შეხედეთ, თქვენო მოწყალეებავ, აგერ იქ თვით გაიფეროსი ზის და კოჭს თამაშობს, როგორც ეს სიმღერაში არის ნათქვამი:

ზის, კოჭს თამაშობს გაიფეროსი,

უკვე არ ახსოვს მას მელისენდრა .

"აგერ იქ ახლა თავგვირგვინოსანი, ხელში კვერთხით რომ შემოვიდა, თვითონ იმპერატორი კარლოს დიდია, საეჭვო მამა ხსენებული მელისენდრასი. მან გაიგო, რომ მისი სიძე უსაქმობაში ჩავარდნილა და დაუდევრად ატარებს დროს, განრისხებული მის გასაკიცხავად მოვიდა. შენიშნეთ, რა მკაცრად და მკვახედ ეპყრობა, თითქოს ეს არის - კვერთხის თავ-პირში თხლეშო, და ზოგიერთი ავტორი კიდევ ამბობს, მართლა რამდენიმეჯერ ძალიანაც მაგრად დაარტყაო. მას შემდეგ, რაც დონ გაიფეროსს ბევრი რამ უთხრა იმის შესახებ, რომ იგი თავს გაიუპატიურებდა, თუ მეუღლეს ტყვეობიდან არ დაიხსნიდა. მან სიტყვა ასე დააბოლოვა:

მე გითხარი და შენ დაუფიქრდი.

"აგრეთვე ყურადღება მიაქციეთ იმას, თქვენო მოწყალეებავ, რომ იმპერატორი ზურგს შეაქცევს გაიფეროსს და მარტოდ ტოვებს. ბრაზმორეული დონ გაიფეროსი განრისხებული მაგიდას და სათამაშო კოჭებს შორს გადაისვრის და მოითხოვს ჩქარა აბჯარი მოუტანონ, ხოლო თავის ბიძაშვილს დონ როლანდს სთხოვს დურინდანის მახვილი ათხოვოს. მაგრამ დონ როლანდი მახვილის თხოვებაზე უარს ეუბნება, მაგრამ მის საქმეში საშველად თან გაყოლაზე თანხმდება. დეაწლმოსილი გაიფეროსი გაბრაზებული ამ წინადადებას უარყოფს და ეტყვის, მარტოკაც შევიძლებ ტყვეობიდან ჩემი მეუღლის გამოხსნას, თუნდ ქვესკნელშიაც იყოს ჩამალულიო. ამის შემდეგ იგი იარაღს ისხამს და გასამგზავრებლად ემზადება.

"ახლა, ჩემო ბატონებო, თქვენი თვალი კოჭს მიაპყართ, აგერ იქ რომ უნდა გამოჩნდეს. ფიქრობენ, იგი ერთ-ერთი კოშკია სარაგოსის ციხე-დარბაზისა, ახლა ალხაფერიად წოდებული. იმ კოშკის აივანზე, რომ მანდილოსანი გამოდის, თუმცა მავრული ტანისამოსი აცვია, სწორედ ის არის უბადლო მელისენდრა, აივნიდან ხშირად იმ მხარისკენ მაცქერალი, სადაც მისი საფრანგეთია, და ფიქრებით პარიზში გადადის თავის მეუღლესთან და ტყვეობის მწუხარებას იმით იქარვებს.

"ახლა ერთი ახალი შემთხვევა შენიშნეთ. იქნებ, თქვენო მოწყალეებავ, ასეთი რამ ჯერაც არ გენახოთ. იმ მავრსა ხედავთ, ტუზებზე, რომ თითი მიუდვია და ჩუმი ფეხის თითებზე სიარულით მელისენდრას ეპარება? უცქირეთ, რარიგად კოცნის ტუჩებში მელისენდრას, მელისენდრა კიდევ როგორ იფურთხება და თავისი თეთრი პერანგის სახელოთი რა გაფაციცებით იწმენდავს ტუჩებს. როგორ ჩივის და რა განრისხებითა და გაცოფებით თავზე მშვენიერ თმას იგლეჯს, თითქოს მისი გაუპატიურების მიზეზი ის იყოს. კიდევ ყურადღება მიაპყართ ტანახოვან მავრს, ტალანში, რომ დგას. იგი სანსუენის მეფე მარსილიოა. დაინახა რა მავრის კადნიერება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბიძაშვილია და ძალიანაც უყვარს, ბრძანებას აძლევს - დაიჭირონ ორასი ჯოხი მიარტყან, მერე ქალაქის იმ ქუჩებში გაატარონ, სადაც მისებრ დამნაშავეს ატარებენ და

წინ ჰეროდები მიდიან წყებად,

კვერთხოსანთ რაზმი უკან მიჰყვება.

"უცქირეთ, ბრძანების ასასრულებლად როგორ უკვე გამოდიან დანაშაულის მოხდენის უმაღლესი რაღდას "ბრალდება", "მოწმეების დაკითხვა", "დაპატიმრებით გამოძახება", როგორც ჩვენ ვიცით, მავრებში არ არის."

- ბავშვო, ჰეი ბავშვო, თქვენი ამბავი მიუხვევ-მოუხვევლად განაგრძეთ, - მაღალი ხმით დაუძახა დონ კიხოტმა, - ამბავი სწორი გზით ატარეთ, გზაჯვარედინებსა და ლობე-ყორეს ნუ ედებით, თორემ ჭეშმარიტების მიღწევას ბევრი "ჰოსა" და "არას" დამტკიცება სჭირდება.

სცენის უკანადადნ მასე პედრომაც უთხრა:

- ბიჭო, რაც შენი საქმე არ არის ნუ ეჩხირები და, რასაც ეს სენიორი რაინდი გიბრძანებს, ისა ჰქენ, ყველაზე ჭკვიანური შენი მხრივ ეს იქნება; დაწვრილებით ნუ გამოეკიდები ახსნა-განმარტებას, თორემ საცა წვრილია, იქ გაწყდება.

- ბატონი ბრძანდებით, - მიუგო ბიჭმა და განაგრძო: - ეს ფიგურა, ცხენით, რომ გამოვიდა, გრძელ და განიერ გასკონურ წამოსასხამში გახვეული, თვითონ დონ გაიფეროსია, იქ კიდევ მისი მეუღლეა. რაკი იმ შეყვარებულ მავრს მისი შეურაცხყოფისათვის სამაგიერო მიეზლო, მხიარული სახით და დამშვიდებული .გულით გამოვიდა აივანზე. თავისი მეუღლე ვინმე უცხო მგზავრი ჰგონია და ლაპარაკს დაუწყებს იმ სიტყვებით, როგორც რომანსშია ნათქვამი:

როს საფრანგეთში მიხვალთ, რაინდო,

გთხოვთ - მოიკითხოთ გაიფეროსი.

"მაგრამ აქ მათ ლაპარაკს არ მოვიყვან, რადგან მრავალსიტყვობა მოსაწყენია. ისიც საკმარისია ვთქვა, რომ დონ გაიფეროსმა წამოსასხამი გაშალა და გამოეცნაურა მელისენდრას, მათი მხიარული მოძრაობა აჩვენებს, რომ ქალმა თავისი ქმარი იცნო. აივნიდან ჩამოდის, რომ საყვარელ ქმარს ცხენზე უკან შემოუჯდეს, მაგრამ, დახე უბედურებას: აივნის რკინის მოაჯირს კავის ბოლო წამოედო, ჰაერში დაეკიდა და ძირს ჩამოსვლა ვეღარ შეიძლო, მაგრამ მოწყალე ზენა გაჭირვებაში არასოდეს არ გვტოვებს. დონ გაიფეროსი, როგორც ხედავთ, მელისენდრას მიუახლოვდება, არ დასდევს, რომ თავის ცოლს შეიძლება ძვირფასი კაბა დაეხეს, მოაჯირს მოგლეჯს, მას ძირს ჩაიყვანს, ერთი თვალის დახამხამებაში ცხენზე მამაკაცურად შემოისვამს და ეტყვის, მაგრად მოხვიოს ხელები მის მკერდზე გადაღვარე დინებით, რადგან ცხენზე ასე ღდომას სენიორი მელისენდრა ჩვეული არ იყო. გესმით, გაიფეროსის ცხენი სიხარულით როგორ ჭიხვინებს, რომ ასეთი ჩინებული წყვილის ზიდვა ხვდა წილად, როგორც მისი პატრონი და მელისენდრა არიან. ხედავთ, ცხენი მიაბრუნეს, ქალაქს უკვე გასცდნენ და პარიზისაკენ მხიარულად მიაქროლებენ? იარეთ მშვიდობით, მამაცნო და ერთგულნო მიჯნურნო, სალსალამათად დაბრუნდით თქვენს ტურფა სამშობლოში და გზაში ყველა მარცხისაგან ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! დაე, მეგობართა და ნათესავთ კარგამყოფნი და ბედნიერნი გნახონ, დიდხანს და დიდხანს იცოცხლეთ, ვითარცა ნესტორმა, და იცხოვრეთ თანხმობით, სიუხვით და ბედნიერად".

ამ ალაგას მასე ვედრომ სიტყვა მეორედ გააწყვეტინა.

- ბიჭო! - დაუყვირა მან, - ღრუბლებისაკენ ნუ მიძვრები, მიწაზე გაიმაგრე ფეხი. რაში გეჭირვება ეგ გატყლარქული სიტყვა მი, შიგ, რომ აზრი არაფერია.

ყმაწვილმა არაფერი უთხრა და განაგრძო:

მზვერავები ხომ არსად გამოილევინა; ისეთი თვალელები არსებობენ, რომ ყველაფერს ხედავენ, და ახლაც დაინახეს, მელისენდრა აივნიდან, რომ ჩამოვიდა და ცხენზე შეჯდა; ეს ამბავი მაშინვე მეფე მარსილიოს შეატყობინეს. მან მსწრაფლ განგაში დააკვრევინა, აბა, უცქირეთ, მისი ბრძანება როგორ საჩქაროდ. აღსრულდა: ქალაქში რა ალიაქოთი ატყდა, რა ხალხის ჭედვაა, როგორ ყველა გამოდის და ერთიმეორეს ეხლება, ლამის ერთმანეთი ფეხით გასრისონ, ყველა კოშკსა და მინარევზე ზარის რეკვაა, მთელი ქალაქი შეიძრა!"

- სულაც არა, - დაიძახა დონ კიხოტმა, - მასე პედროს მხრივ დიდი შეცდომაა, რადგან მავრებს ზარები არა აქვთ, მარტო წინწილი და დულსაინის მსგავსი საკრავები აქვთ და მათ უკრავენ. სანსუენში ზარების რეკვა დიდი სისულელეა.

ეს, რომ მასე ვედრომ გაიგონა ზარების რეკვა შეაყენა და დონ კიხოტს უპასუხა:

- ყურადღებას ნუ მიაპყრობთ, თქვენო მოწყალეებავ სენიო დონ კიხოტო წვრილმანს და სისრულეს ნუ მოსძებნით, რადგან მისი პოვნა ძნელია განა ჩვენს ესპანეთში ათასი კომედია არ გინახავთ, სისულელითა და უარყოფითი ამბებით სავსე საზოგადოვ ჰა კი მაინც აღტაცებაში მოუყვანია პატარავ, შენი საქმე განაგრძე. დაე, რაც უნდათ ის ილაპარაკონ. ჩემმა კიბემ არ იხარა დოს, თორემ სხვას არას დავდევ თუნდაც იმაზე მეტი სისულელე წარმოვადგინო რაც მზის სხივებში შავი წერტილებია.

- მართალს ამბობთ, - უთხრა დონ კიხოტმა.

მერე პატარამ განაგრძო:

- უცქირეთ, რა მრავალრიცხოვანი ცხენოსანი გადის ქალაქიდან კათოლიკე ქრისტიანების მდევრად და გესმით რამდენი ბუკი აყვირეს დაფდაფი აბრაახუნეს წიწილი და დულსაინი ააწკრიალეს. მშვენიერი ცოლქმრის ბედი შიმსა მგვრის, არ დაიჯირო კი და თავიანთ ცხენის კუდზე მიბმულნი უკან არ დააბრუნონ, - რა საშინელება იქნება!

მის თვალთა წინ, რომ ამდენი მავრი დაინახა და მათი იარაღის ჩხრიალი შეესმა დონ კიხოტმა საჭიროდ სცნო გაქცეულ სისტვის შემწეობა აღმოეჩინა, ადგილიდან წამოხტა და საშინელი ხმით დაიღრიალა:

არავის მივცემ ნებას, რომ ჩემს თვალწინ და ვიდრე ცოცხადი ვარ, ისეთ ჩინებულ და მამაც რაინდს როგორც დონ გაიფეროსია, შეჭირვება მიაყენონ. შესდექ, უმაქნისო ბრბოვ! ნუ გაედევნები მათ, თორემ ჩემთან ბრძოლა მოგიხდება.

ესა თქვა და ხმალი იშიშვლა, სცენასთან მივარდა და მავრ თოჯინების ცხენოსან ჯარს საშინელი გამმაგებით დაუწყო ჩეხვა: ზოგი წააქცია, ზოგი განგმირა, ზოგს თავი მოაგდებინა, ზოგს - ფეხი და რისხვით გატაცებულმა, სხვათა შორის, ისე საშინლად დაიქნია ხმალი, რომ, თუ მასე, ვედროს ფიცრებს ქვეშ არ მოესწრო თავის შეყოფა, რაინდი ისე ადვილად გაუხეხავდა თავს, როგორც ადვილად გააპობდა, მარცხიანის ცომისაგან, რომ ყოფილიყო გაკეთებული. მასე პუდრო, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა, უყვიროდა:

- შესდექით, თქვენო მოწყალეზავ, სენიორ დონ კიხოტო! თუ ღმერთი გწამთ, გონზე მოდით; ყურადღება მიაპყართ, თქვენ, რომ ჰკლავთ, ხოცავთ და ამტვრევთ, ნამდვილი მავრები არ არიან, მუყაოსაგან გაკეთებული თოჯინებია; მოიფიქრეთ, რომ მე ცოდვილს ჩემს ერთადერთ ქონებას მიფუჭებთ და მიმუსრავთ.

დონ კიხოტი მაინც ყურს არ უგდებდა და მავრების ლაშქარს საშინელ მუსრს ავლებდა და რამდენიმე წამში თეატრი მთლად გაანადგურა: ყველა მავრი ლუკმა-ლუკმად აქცია, მეფე მარსილიო მძიმედ დაჰკიდა, იმპერატორი კარლოს დიდი თავის გვირგვინიანად ორად გაჩეხა და მთელ მაყურებელ საზოგადოებას თავზარი დასცა. მაიმუნი ბანზე ავარდა, მწიგნობარი სტუდენტი მთლად დაიფანტა, პაჟი შეშინდა, თვითონ სანჩოც შიშმა აიტანა, (რადგან არასოდეს არ შემთხვევია - როგორც ამ ვაივაგლახის შემდეგ ირწმუნებოდა, - მისი ბატონი ასე გაშმაგებული ენახა). ყველაფერი, რომ მიამტვრ-მოამტვრია, რაც სცენაზე იყო, დონ კიხოტი ცოტათი დამშვიდდა.

- ნეტავ ახლა აქ ბრძანდებოდეს, - თქვა მან, - ყველა ის ვაჟბატონი, რომელთაც მოგზაური რაინდები არა სწამთ და ყველანი, ვისაც ის სიკეთე არა სჯერა, რა სიკეთეც რაინდებს ქვეყნისათვის მოაქვთ, განა იმათთვის უნდა - მეკითხა: მელისენდრას და დონ გაიფეროსს რა მოუვიდოდათ, აქ, რომ შემთხვევით არ შევსწრებოდი? რა თქმა უნდა, აღსასრულის დღე დაუდგებოდათ. ეს ძალი მავრები იმ ჩინებულ მიჯნურთ - დაიჭერდნენ და საშინელ დღეს დააყენებდნენ. მაშ გაუმარჯოს მოგზაურ რაინდობას, ქვეყანაზე ყოველსა ზედა უაღრესს.

- გაუმარჯოს კი, - მწუხარე ხმით წამოიძახა მასე პედრომ, - დიახ, გაუმარჯოს და მე კი თავი აღარ მეცოცხლება, ისეთ უბედურ მდგომარეობაში ჩავვარდი, რომ ახლა მეფე დონ როდრიგოსათვის შემოდლია ვთქვა:

თუ გუშინ ვიყავ ქვეყნის მპყრობელი,

დღეს ერთი კომპიც არსად მშთენია,

რომელიც ჩემად ჩაითვლებოდეს

ნახევარი საათი არ არის, არა, - ნახევარი წამიც არ არის, რაც მე ჩემს თავს მეფეთ მეფედ ვთვლიდი, უთვალავი ცხენებით და ძვირფასი მოსართავეებით სავსე მრავალი თავლებისა და სკივრების პატრონად. - ახლა კი უპოვარი გლახა ვარ, განადგურებული, სულით დაცემული და უარეს ყოვლისა, ჩემი მაიმუნიც აღარ მყავს, რადგან, სინდისის ქვეშ რომა ვთქვა, ვიდრე მას ჩემ ხელთ ჩავიგდე. დუ, ოცჯერ მაინც ოფლი უნდა მედინოს და თვით კბილებიდანაც კი, - და ყველა ეს იმ სულელური გაშმაგების მიზეზით მომივიდა, - ეს სიტყვა მაპატიეთ, სენიო რაინდო, - რომელზეც ამბობენ, ვითომ ობოლთ მფარველობს, დაჩაგრულთ მეობ ეყვის, უქო. ნელთ შემწყობს და სხვა კეთილ საქმეებს სჩადისო. მხოლოდ ჩემზე ჩაიფუშნენ მისი კეთილი ზრახვანი. კურთხეულ იყოს ზენაარსო უზენაეს მის სამეფოში! ერთი სიტყვით მწუხარე სახის რაინდს ხვდა წილად ჩემი ფიგურების დასახიჩრება.

მასე პედროს სიტყვებმა გული აუჩვილეს სანჩო და მან უთხრა:

- ნუ სტირი, მაგესე პედრო, ნუ სწუხარ, თორემ ლამის გული დამიშაშრო. დამერწმუნე, ჩემი ბატონი დონ კიხოტი ისეთი კეთილ. სინდისიერი ქრისტიანია, რომ, რაც ვნება მოგაყენა, ერთიორად აგინაზღაურებს.



- ჩემი ზარალის რაიმე ნაწილი მაინც, რომ ამინაზღაუროს სენიორ დონ კიხოტმა დამტვრეულ თოჯინებში, - მიუგო მასე პედრომ, - მე კმაყოფილი დავრჩები და მისი მოწყალებაც სინდისს აიძულებს ოორემაუინც სხვისა ქონებას იჭერს და პატრონს თავისას არ უბრუნებს ონი ვერ ცხონდება.

ნამდვილ მართალს ამბობ, მასე პედრო, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაგრამ მაინც არ ვიცი რა ქონება დაგიჭირე?

- როგორ თუ არ იცით? - შესძახა მასე პედრომ. - მაშ ეს ნამტვრევები, აქ, რომ შიშველ და უნაყოფო მიწაზე ყრია, ვინ დაამტვრია, თუ არა თქვენმა ძალოვანმა და უძლეველმა ხელმა!

ეს ყველა მკვდარი სხეული ვის ეკუთვნოდა, თუ არა მე? რა მაცხოვრებდა, თუ არა ესენი?

- დიახ, - თქვა დონ კიხოტმა, - ახლა მთლად დავრწმუნდი, რაც არა ერთხელ მიფიქრია; ახლა სრულებით ცხადად ვხედავ, რომ ჩემი მდევნელი ჯადოქრები საგანს ჯერ თავისი სახით მიჩვენებენ და მერე უცებ იმ სახეს აძლევენ, როგორცა სურთ. სენიორებო, გარწმუნებთ, - ყველას მიუბრუნდა და განაგრძო, - ყველა აქ წარმოდგენილი ნამდვილ ამბად მეჩვენა: მელისენდრა, დონ გაიფეროსი, მეფე მარსილიო და იმპერატორი კარლოს დიდი ცოცხალ კარლოსად, მარსილიოდ, დონ გაიფეროსად და მელისენდრად მეჩვენნენ, ამიტომაც მომივიდა საშინელი რისხვა და, რადგან ვალდებული ვიყავ - მოგზაური რაინდის მოვალეობა ამესრულებინა, ამიტომ დავეშურე გაქცეულებისათვის მეშველა. ამ პატიოსანი განზრახვის გავლენით ის ჩავიდინე, რაც თქვენი თვალთ ნახეთ, და საქმე უკუდმა გამოვიდა. ამაში დამნაშავე მე კი არა, ჩემი მტრები ჯადოქრები არიან, მაგრამ, თუმცა ყველა ეს, გიგორებთ, ჩემი დანაშაული არ არის, მაინც მზადა ვარ ჩემი ღობიდან ავუნაზღაურო მასე ვედროს, რაც ზარალი მივაყენე. იანგარიშოს, რა ერგება თავის გაფუჭებულ ფიგურებში, და სულ კასტილურ ფულით გადავიხდი.

მასე ვედრომ თავი დაუკრა და უთხრა:

- მაგაზე ნაკლებსაც არ მოველოდი შესანიშნავი ლამანჩელი დონ კიხოტის უმაგალითო ქრისტიანული გულკეთილობისაგან, ყველა გაჭირვებული და დატაკი მატანტალოს ჭეშმარიტი შემწე და მფარველისაგან. ამ სახლის მასპინძელსა და ჩინებულ სანჩო მივანდობ ზარალის შეფასებას და მე და თქვენს მოწყალებას შორის შუამავლობას" ამათ შეაფასონ, რა უნდა ღირდეს ჩემი დაჩეხილი ფიგურები.

მასპინძელი და სანჩო ამაზე სიამოვნებით დასთანხმდნენ. მასე ვედრომ მაშინვე იატაკიდან თავმოჭრილი მარხილიო სარაგოსელი აიღო, ყველა იქ მყოფთ დაანახვა და თქვა:

- ბატონებო, როგორც ხედავთ, ამ მეფის დაკოწიწება შეუძლებელია. მოკვლისა, სიკვდილისა და ამის სიცოცხლის მოსპობისათვის მე მგონია, თუმცა სხვისა უკეთეს აზრსაც დავემორჩილები - ოთხი და ნახევარი რკალი უნდა მივიღო.

- აგრე იყოს, - მიუგო დონ კიხოტმა. - განაგრძეთ.

- თავიდან ბოლომდის შუაზე გაჩეხილ იმპერატორ კარლოს დიდში, - განაგრძო მასე ვედრომ, იატაკიდან აიღო რა იმპერატორ კარლოს დიდის ორი ნახევარი, - ვფიქრობ, ძვირი არ იქნებოდა ხუთი და ერთი მეოთხედი რკალი მომეთხოვა.

- მე მგონია, არცთუ იაფი იქნებოდა, - შენიშნა სანჩომ.

- არც ძვირია და არცთუ იაფი, - ჩაერია მასპინძელი, მაინც მთლიანი ანგარიშისთვის ხუთი რკალი იყოს.

- მთლიანად ხუთი და ერთი მეოთხედი მიეცით მას, - თქვა დონ კიხოტმა. - საქმე ნივთი როდია, საქმე ვედროსთვის მიყენებული უსიამოვნებაა, უსიამოვნება კი რკალის მეოთხედებით როდი ფასდება. გთხოვთ - დაუჩქაროთ, რადგან ვახშმის დროა და ძალიან მომშივდა.

- მშვენიერ მელისენდრაში, ცხვირმოჭრილ და თვალეზამოჩიქნილში, შეუვაჭრებლად ორ რკალსა და თორმეტ მარავედისს ვითხოვ, - განაგრძო პედრომ.

- ეშმაკმა იცის, რა იქნებოდა, - დაიძახა დონ კიხოტმა, ახლა, რომ მელისენდრა და მისი მეუღლე საფრანგეთის საზღვართან მაინც არ იყვნენ, იმიტომ, რომ, რა ცხენზედაც ისხდნენ, კი არ მიჭენაობდა, - მიფრინავდა; მაშ საჭირო არ არის კატა კურდღლად მომყიდოთ და უცხვირო მელისენდრას მიდგენთ მაშინ" როდესაც ნამდვილი მელისენდრა, კარგად, რომ ჩავუკვირდეთ საქმესა ხლა ქვეშაგებში მწოლარე თავის ქმართან შეექცევა საფრანგეთში ღმერთმა ყველას უშველოს, თავისი საკუთრება მიიღოს, სენიორმა ესე პუდრო, ყველამ სწორი გზით და წმინდა გულით ვიაროთ ახლა კი განაგრძეთ.

მასე პედრომ რა დაინახა, რომ რაინდმა ისევ აბდაუბდა ლაპარაკი დაიწყო, შეკამათებას მოერიდა და საჩქაროდ უპასუხა ეს ფიგურა იქნება მართლაც მელისენდრა არ იყოს, არამედ ერთი მისი მოახლეთაგანო, მაშ საკმაო იქნება ამაში სამოცი მარავედისი მივიღო.

მელისენდრას, რომ მორჩა, მასე ვედრომ ფიგურების შეფასება წინანდებურად განაგრძო. ორმა შუამავალმა შემფასებელმა. ორივე მხარის სასიამოვნოდ იმის ფასებს დაუკლო და საქმე ამით გათავდა, რომ მთელი ზარალი ორმოც და სამ მეოთხედ რეალად შეფასდა. სანჩო ფული ვედროს იქვე გადაუთვალა. მაშინ მასე პედრომ ორი რკალის დამატება სთხოვა მაიმუნის დასაჭერ შრომაში.

- ორი რეალიც მიეცი, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაიმუნის დაჭერისათვის თუ არა, იმის სადღეგრძელოს დასალევად მაინც. ორას რკალსაც სიამოვნებით მივცემდი, ვინც ახლა მეტყოდა, ნამდვილად მეტყოდა, მშვენიერი მელისენდრა და დონ გაიფეროსი საფრანგეთში მშვიდობიანად მივიდნენ და თავიანთ მოუბრებსა და ნათესავებში ბედნიერად ცხოვრობენო.

- ჩემს მაიმუნზე უკეთესად ეგ ვერავის ეცოდინება, - უთხრა მასე პედრომ, - მაგრამ ახლა, მგონია, ეშმაკმაც ვეღარ შეიძლოს მისი დაჭერა. ვფიქრობ, შიმშილი და პატრონის სიყვარული აიძულებს ღამით მომნახოს, ასე, რომ დილით კვლავ ერთმანეთს ვნახავთ.

ბოლოს და ბოლოს თოჯინებთან მომხდარი ვაივავლახი მიწყნარდა და მთელმა საზოგადოებამ სრული თანხმობით დონ კიხოტის ხარჯით ივახშმა, რაინდმა ამ ვახშამზე დიდი გულუხვობა გამოიჩინა. მერე დღეს შუბ-ლახტებიანი გლეხი ცისკრის ამოსვლამდის წავიდა, ხოლო დილით ადრე პაჟი და მწიგნობარი სტუდენტი გამოეთხოვნენ დონ კიხოტს: ერთი შინ წავიდა და მეორე თავის გზას დაადგა; დონ კიხოტმა პაჟს საგზაოდ ექვსიოდე რკალი აჩუქა. მასე პედროს ხელახლად დონ კიხოტის შეხვედრა აღარა სურდა, რადგან ძალიან კარგად იცნობდა მას. მზის ამოსვლამდის თავისი თეატრის ნამსხვრევები მოაგროვა და მაიმუნით ახალი ფათერაკების გზას დაადგა. მეფუნდუკე დონ კიხოტს სულ არ იცნობდა, მისი სისულელე და სიუხვე

ერთნაირად აკვირვებდა. სანჩო თავისი ბატონის ბრძანებით ყველაფერში დამატებით გადაუხადა ფასი და მას უკან რაინდი და საჭურველმტვირთველი მეფუნდუკეს გამოეთხოვნენ, ასე დილის რვა საათი იქნებოდა, ფუნდუკიდან გამოვიდნენ და გზას დაადგნენ. ჩვენ კი ჯერჯერობით მათ კვალს ნუ გამოვედევნებით, რადგან ზოგიერთ სხვა ამბებს უნდა შევხვით, რაც ფრიად საჭიროა ამ ჩინებული ისტორიის გასაგებად.

## თავი XXVII

სადაც ახსნილია, თუ ვინ იყვნენ მასე პუდრო და მასა მაიმუნი და მოთხრობილია მარცხი, დონ კიხოტს რომ ვირის ყოყინის გამო მომხდარი ფათერაკის ჟამს შეემთხვა, რაც მისი ფიქრისა და სურვილის მიხედვით არ დაბოლოვდა

ამ წიგნში აღწერილი შესანიშნავი ამბების შემატანე, სიდ ჰამეტ ბენენჰელი, ამ თავს შემდეგი სიტყვებით იწყებს: "ვფიცავ, ვითარცა კათოლიკე ქრისტიანეო". ამ სიტყვების გამო მთარგმნელი შენიშნავს, რომ, თუ ისტორიკოსი სიდ ჰამეტი - (ის მავრი მართლაც მავრი იყო) ამბობს: ვფიცავ, როგორც კათოლიკეო, - კათოლიკეო, - მაშ, ცხადია, ამ სიტყვებით გვპირდება - როგორცა ქრისტიანმა კათოლიკემ, სიმართლე თქვას დონ კიოტზე და მეტადრე მასზე, თუ ვინ იყო მასე პუდრო და მისი მარჩიელი მაიმუნი, თავისი მისნური ნიჭით მთელ მიდამო-მხარეს, რომ აკვირვებდა. მასუკან ამბობს, რომ, ვისაც მისი ისტორიის პირველი ნაწილი წაუკითხავსა უეჭველია, დონ კიოტისაგან სირა მორენაში ბორკილებიდან განთავისუფლებულ საკატორლოებში ხინეს პასამონტეს არ დაივიწყებდაო და იმასაც, თუ ამ სიკეთისათვის იმ გაბოროტებულმა და გათახსირებულმა ხალხმა დონ კიხოტს როგორ ურიგოდ გადაუხადაო. სწორედ იმ ხიეს პასამონტემ, რაინდი, რომ ხინესილიო დუ პარაპილიას ეძახდა, როგორც ვიცით, შემდეგ სანჩო ვირი მოიპარა და, რადგან პირველ ნაწილში ასოთამწყობთა დაუდევრობის გამო გამორჩათ იმისი ახსნა-განმარტება, თუ ვინ და როდის მოიპარა ვირი, ამ ამბავმა ყველას ნება მისცა ავტორისათვის მეხსიერების უქონლობა ესაყვედურა. ხელახლად გავიხსენოთ, თუ როგორ იყო ეს საქმე: ხინესმა ვირზე მჯდარ მძინარე სანჩოს ვირი მოჰპარა და ამ საქმეში სწორედ ის ხერხი მოიხმარა, რა ხერხითაც ალბრაკის ალყის შემორტყმის ჟამს ბრუნელომ საკრიპანტეს ქვეშიდან ცხენი გამოაცალა, როდის და როგორ იპოვა სანჩომ თავისი ვირი, ეს უკვე ნამბობია. ხოლო ხინესს, რაკი მრავალი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რაცა თავის ხელით აქვს აღწერილი მთელ დიდ წიგნად, და მართლმსაჯულება მას ეძებდა, ემინოდა არ დაეჭირათ და გადაწყვიტა - არაგონის სამეფოში გადასულიყო; მარცხენა თვალი აიხვია, თოჯინების თეატრის პატრონი შეიქნა, რადგან ეს საქმე და "ოცნებისა და თვალთმაქცობის" ხელოვნება კარგად იცოდა. შემდეგ ბერბერიის ტყვეობიდან განთავისუფლებული ქრისტიანებისაგან ერთი მაიმუნიც იყიდა, ასწავლა, როცა ანიშნებდა, მხარზე შეხტომოდა, ყურზე ცხვირი მიედო და ვითომ ეჩურჩულებოდა. თეატრი და მაიმუნი, რომ გაიჩინა, როცა რომელიმე სოფელში მივიდოდა, ჯერ ცნობებს მოკრეფდა: იმ სოფელსა და მიდამოში რა ხდებოდა, ვინ როგორ ცხოვრობდა, სადმე რამე განსაკუთრებული ხომ არა მომხდარიყო რა და, თუ მომხდარიყო, სახელდობრ. - რა? რაკი გაიგებდა ყველა ცნობას დაიხსომებდა, სოფელში ჯერ თავის თეატრს აჩვენებდა, სხვადასხვა გაცვეთილ, მაგრამ სახალისო წარმოდგენებს ათამაშებდა და წარმოდგენის შემდეგ თავის ნასწავლ მაიმუნს წარსულისა და აწმყოს გამოცნობას ჰკითხავდა. პასუხში ჩვეულებრივ ორ რეალს ართმევდა ხანაც გარემოების მიხედვით - ნაკლებს და, რადგან ისეთ ოჯახებში შედიოდა ხოლმე რა ოჯახების

საიდუმლოებაც ცოტაოდენად მაინც გაგებული პქონდა, ამიტომ ფულის დაზოგვის გამო თუნდაც არაფერი ეკითხათ, მაინც მაიმუნს თავისებურად ანიშნებდა ხოლმე და მერე ყველას არწმუნებდა, ესა და ეს მითხრაო და რა თქმა უნდა - ისეთ ამბავს ეუბნებოდა, რაც ოჯახში მართლა მომხდარიყო. ამ ხერხის წყალობით მდაბიო ხალხში დიდი ნდობა ჰქონდა დამსახურებულიონულ უკან დასდევდნენ დაადგან თავი არავის შეუწუხებია იმის გასაგებად, თუ მაიმუნი როგორ შეიძლებდა ეთქვა რამე იმიტომ მასე პედრო გუნებაში მათ გულუბრყვილობას დასცინოდა კიდეც და მათი ფულებით ჯიბეს ივსებდა. ამ უკანასკნელად, ფუნდუკში, რომ მოვიდა დონ კიხოტი და სანჩო მაშინვე იცნო, მაშ რად გაუჭირდებოდათ რაინდი მისი საჭურველმტვირთველი და ყველა, ვინც მათ გარს ეხვია განცვიფრებაში მოეყვანა. ამ ერობაზე კი მაინც ძვირად დაუჯდებოდა თავისი ხელობა, თუ დონ კიხოტს მეფე მარსილიოსა და მისი ცხენოსანი დარის შემუსვრის დროს ხელი ცოტა ძირს დაექნია, მაგრამ ამის შესახებ წინა თავში იყო მოთხრობილი. აი ეს არის რაც კი შეიძლება ითვქას მასე პედრონა და მის მაიმუნზე; ახლა კი დონ კიხოტ ლამანჩელს დავუბრუნდეთ.

როდესაც ის ფუნდუკიდან გავიდა, ებროს ნაპირებისა და მისი მიდამო ადგილების მოვლა განიზრახა, ჩრაკი სარაგოსის ტუ ნირამდის ჯერ კიდეც ბევრი დრო ჰქონდა თავისუფალი; ამ განზრახვით ორ დღეს იარა და ისეთი არაფერი შეხვედრია, აღწერის ღირსი, რომ იყოს, მესამე დღეს ერთ სერზე მიმავალს დაფდაფების ბრახუნი, საყვირის ხმა და თოფების სროლა მოსმა და იფიქრა, ალბათ, ღარი მოდისო. მისი დანახვაც მოესურვა, როსინანტს დეზი ჰკრა და საჩქაროდ სერის თავზე მოექცა. მაგრამ ღარის მაგიერ ქვევით, ველზე, ხალხის გროვა დაინახა, ასე, ორასიოდე კაცისა, - ყოველგვარი იარაღით შეჭურვილნი იყვნენ: მოკლეთარიანი შუბებით, ლახტებით, თოფებით და რამდენიმე მამაკაცი - ფარებითაც. რაინდი ქვევით დაეშვა და გროვასთან ისე ახლოს მივიდა, შეეძლო სხვადასხვაფერის დროშები და ზედ წარწერილებიც გაერჩია. მისი ყურადღება განსაკუთრებით თეთრი ატლასის დროშამ მიიპყრო; ამ დროშაზე ცოცხლად იყო გამოხატული მოყროყინე, პატარა სარდინული ვირი, მალლა თავაწეული, პირდაღებული და ენაგადმოგდებული. მის გარშემო დიდი ასობით ეს ორი სტრიქონი ეწერა:

ორი ალკალდი ხმაგასაკვირი

ფუჭად არ ყვირის, ისე, ვით ვირი.

ეს, რომ წაიკითხა, დონ კიხოტი მიხვდა, რომ იქ იმ სოფლის გლეხობა იყო თავმოყრილი, რა სოფლის რეხიდორები ვირივით ყროყინებდნენ.

- სანჩო, - უთხრა მან, - გლეხმა, რომ ვირის ამბავი გვიამბო, შეცდომით თქვა, რეხიდორებმა იყროყინესო; ამ წარწერიდან ჩანს, ალკალდები ყოფილან, რომ უყროყინიათ.

- იქნება მაშინ რეხიდორები იყვნენ და ახლა ალკალდები გახდნენ, - მიუგო სანჩომ, - ან კი სულ ერთი არ არის - ალკალდებს უყროყინიათ თუ რეხიდორებს? იყროყინოს კი ვინმემ და,! რადგან, როგორც რეხიდორს შეუძლია ყროყინი, ისე ალკალდსაც.

მათ მალე გაიგეს, რომ მასხრად აგდებული სოფლის გლეხები მასხრად ამგდებ სოფლის გლეხებთან საბრძოლველად გამოსულიყვნენ. დონ კიხოტს ბევრი აღარ უფიქრია და სანჩო სამწუხაროდ, რომელსაც რაინდისაგან სხვის საქმეში ჩარევა არ ეამებოდა ხოლმე, გლეხებთან მივიდა. გროვამ გზა მისცა, რაინდი შიგ შეუშვა, რადგან თავისი მომხრე ვინმე მეომარი ეგონა. დონ კიხოტმა მოთარჯი აიწია, ამაყად და თამამად მივიდა დროშასთან, რაზედაც ვირი ხატა და

იქ მას დასის უფროსები შემოეხვივნენ, რადგან თავის სანახაობით ისინიც ისე გააკვირვა, როგორც ყველას აკვირებდა, ვინც კი ოდესმე პირველად შეხვდებოდა ხოლმე. ყველანი, რომ გაცეხულნი და მდუმარენი ყურადღებით უცქეროდნენ, დონ კიხოტმა იფიქრა, ამ საერთო დუმილით ესარგებლა, და ხმამაღლა თქვა:

- კეთილო სენიორებო! გთხოვთ სიტყვა არ გამაწყვეტინოთ, ვიდრე თავს არ მოგაბეზრებთ, ან საწყენად არ დაინახავთ, და თუ ისეთი რამ მოხდეს, მაშინ თქვენგან ერთი ნიშანი საკმარისია, რომ ჩემთა ბაგეთა კლიტე დავადო.

ყველამ ერთხმად სთხოვა ელაპარაკა და სიამოვნებით მოსმენა აღუთქვეს. ეს ნებართვა, რომ მიიღო, დონ კიხოტმა განაგრძო:

- ჩემო ბატონებო, კეთილო ხალხნო! მე მოგზაური რაინდი ვარ. ჩემი ხელობაა - ყველას ვუშველო, ვინც კი ჩემს შველას საპირებს. ამ რამდენიმე დღის წინ გავიგე, უსიამოვნება, რომ შეგმთხვევიათ და ის მიზეზიც შევიტყვე, რა მიზეზითაც იარაღისთვის მოგიკიდიათ ხელი. ბევრჯერ დავფიქრებულვარ თქვენს საქმეზე და იმ დასკვნამდის მივედი, რომ, ბრძოლაში გამოწვევის კანონებს თუ მივხედეთ, თქვენ ძალიან ცდებით, რომ თქვენს თავს შეურაცხყოფილად თვლით. ერთ კაცს, ვინც უნდა იყოს, მთელი სოფლის ან ქალაქის მოსახლეობის წყენა არ შეუძლია, თუ მოღალატეობა არ დაბრალდა, და ეს იმიტომ, რომ ვის შეუძლია იცოდეს, თუ იმ სოფლისა ან ქალაქის მოსახლეობაში, სახელდობრ მოღალატე ვინ იყო. ამის მაგალითად დონ დიელო ორდონეს დე ლარაზე მიგითითებთ, მთელი ქალაქი სამირა, რომ ბრძოლაში გამოიწვია, რადგან არ იცოდა, რომ მარტო ერთმა ველიდო დოლოფოსმა ჩაიდინა დანაშაული, მხოლოდ მან მოგვლა ღალატით თავისი მეფე. დიელომ ბრძოლაში მთელი ქალაქი გამოიწვია, რათა მათში მომხდარ დანაშაულისათვის ყველა მოქალაქეს პასუხი ეგო: ამგვარად ყველანი გამოიწვია და სამაგიეროს გადახდის უბედურება ყველას თავს უნდა დასტებოდა. თუმცა, მართალი, რომ ვთქვათ, დიელო ამ შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, გატაცებით მოიქცა, რადგან რარიგი იყო ბრძოლაში გამოხმობა მკვდრებისა, წყლისა, ჰაერისა, დაუბადებ ელი ბავშვებისა და სხვა წვლილადობისა. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, რადგან როდესაც "რისხვა ჯებირს გადახეთქს, ენას აღარც მამა მყავს, აღარც მეგობარი და არც ლაგამი აქვს, რომ დააოკოს". თუკი ცნობილია, რომ ერთ კაცს არ შეუძლია შეურაცხყოფა მიაყენოს მთელ სახელმწიფოს, ოლქს, ქალაქს, მაზრას და რესპუბლიკას, მაშ ცხადზე ცხადია, რომ თქვენთვის საჭირო არ არის ბრძოლაში გამოსვლა იმ წვენისგამო, რაც არა ყოფილა. აბა დაფიქრდით - უცნაური არ იქნებოდა, რომ სოფელ ლარელახას მცხოვრებთ ყოველ ნაბიჯზე სასიკვდილო ბრძოლა აეტეხათ მათთვის, ვინც ეს სახელი დაარქვა, ანუ ასევე მოქცეულიყვნენ, ვისაც "მექვაბეებს", "მეზადრიჯნეებს", "მევემაპეებს", "მესაპნეებს" ეძახდნენ, ყველა ისინი დაეხოცათ, ანუ კიდევ ყველა ისინიც, ვისაც პატარა ბიჭები რამე მეტსახელს ეძახდნენ? რა იქნებოდა? ისა, რომ ამ ადგილების მცხოვრებნი მუდამ ერთმანეთთან ბრძოლაში უნდა ყოფილიყვნენ და თავიანთი სიცოცხლე ჩხუბში გაეტარებინათ. უფალმა გვიხსნას ამ ჭირისაგან, არცა სურს ესმას და არც ამის ნებას გვაძლევს! გონიერმა ხალხმა და კეთილმოწყობილმა სახელმწიფომ იათაღა ხელი მხოლოდ ოთხ შემთხვევაში უნდა მოჰკიდოს, ხმალი იშიშვლოს და თავი გაიწიროს: - პირველი - თავისი კათოლიკური სარწმუნოების დასაცავად; მეორე - თავისი სიცოცხლის დასაცავად, რაიცა ადამიანური და ღვთაებრივი კანონია; მესამე - თავისი პატივის, ოჯახისა და ქონების დასაცავად; მეოთხე - თავისი მეფის სამსახურში სამართლიან ბრძოლის ჟამს; და თუ მოვისურვებთ და მეხუთე მიზეზსაც მივუმატებთ, (რომელიც შეიძლება მეორე მიზეზად ჩაითვალოს - სახელდობრ: საკუთარი სამშობლოს დასაცავად. ამ ხუთ უმთავრეს მიზეზს

შეიძლება რამდენიმე მეორეხარისხოვანი მიზეზიც დავუმატოთ, ისეთები, რომ სრული სიმართლით შეეძლოს ხელში იარაღი აგვადებინოს, მაგრამ ხმალი, რომ უბრალო რისთვის მე ვიშიშვლოთ, რამე. ცელქობისა და ხუმრობისათვის და არა შეურაცხყოფისათვის, ამის ჩამდგნის სახე ეძლევა, რომ იგი საღ გონებას არის მოკლებული. მით უფრო, რომ უსამართლო შურისძიება (არავითარი შურისძიება არ შეიძლება სამართლიანი იყოს) იქნება ჩვენგან აღიარებული მცნების დარღვევა, რომელიც გვავალებს ჩვენთა მტერთა კეთილით მივუწყოთ და ჩვენი მოძულენი გვიყვარდეს, იმ მცნებისა, რომლის აღსრულება რამდენიმედ სამწიფოდ ითვლება, მაგრამ მარტო იმათთვის, ვისაც ღმერთზე მეტად ქვეყანა იზიდავს და სულზე მეტად სხეული. განა არ იცით, იესო ქრისტემ, ჭეშმარიტმა ღმერთკაცმა, რომელსაც არასოდეს არ უცრუვნია, არც შეეძლო და არც შეუძლია ცრუობა, - იყო რა ჩვენი კანონმდებელი, თქვა, რომ "უღელი მისი კეთილ არს და ტვირთი მსუბუქ", ამიტომ მას არ შეეძლო ის დაევალებინა ჩვენთვის, რის აღსრულებას ვერ შევიძლებდით. ისე, რომ, ჩემო სენიორებო, თქვენო მოწყალეებავ, ღვთიური და ადამიანური კანონების ძალით მოვალენი ხართ - დამშვიდდეთ.

"ემშაკმა წამიღოს, თუ ჩემი ბატონი ღვთისმეტყველი არ იყოს. - წაიბუტბუტა სანჩომ თავისთვის, - და თუ არ არის, ისე მაინცა ჰგავს მას, როგორც ერთი კვერცხი მეორესა.

ხოლო დონ კიხოტი ცოტას შეჩერდა, რომ სული მოებრუნებინა, და, რა ნახა ყველა ყურადღებით უსმენდა, დააპირა სიტყვა განეგრძო და კიდევ აასრულებდა, თუ სანჩო თავისი მჭევრმეტყველებით არ წაჩხირებულყო. რაინდი, რომ დაინახა, სიტყვა ჩამოართვა მას და თქვა:

- ჩემი სენიორი დონ კიხოტი ლამანჩელი, ერთ დროს, რომ სახელად მწუხარე სახის რაინდი ეწოდებოდა, ხოლო ახლა ლომთა რაინდი ეწოდება, - დიდად გონიერი იდალგოა და, ვითა ნამდვილმა ბაკალავრმა, თავის ენასთან ერთად ლათინური ენაც იცის. ის ყოველთვის კარგ რჩევას იძლევა და მოქმედებს. ისე ირჯება, როგორც ნამდვილი ჯარისკაცი, რომელმაც თავისი ხუთი თითივით იცის ბრძოლაში გამოწვევის კანონები და წესები. მაშ თქვენ იმაზე უკეთესს კვრას იზამთ - მის რჩევას უნდა მივყვეთ და, თუ შეცდომა რამ აღმოაჩნდება, ამის პასუხისგებას მე ვკისრულობ, მით უფრო, რომ იმის გამო გადარევა, აქაო და ვირის ყროყინი გავიგონეო - უჭკუობაა. მახსოვს, როდესაც პატარა ვიყავ, როცა კი მომეპრიანებოდა, ვირივით ვყროყინებდი, მაგრამ კი არავინ გამჯავრებია, ხოლო ისე მშვენივრად ვყროყინებდი, რომ ჩემს ყროყინზე, რაც ვირები იყო ჩვენს სოფელში, ყველა გამომეყროყინებოდა ხოლმე, და ამის მიუხედავად მაინც პატიოსანი მშობლების შვილად ვრჩებოდი. და, თუმცა ჩვენს სოფელში ბევრ კაი ბიჭს შურდა ეს ჩემი ხელოვნება, მე მაინც ამას გრომის ოდენ ყურადღებამაც არ ვაპყრობდი. და, რომ დარწმუნდეთ - მართალს ვამბობ, აბა ყური დაუგდეთ, როგორ დავაყროყინო. ხომ იცით, ეს ხელოვნება, როგორც ცურვა, თუ ერთხელ უსწავლია ვისმეს, თავის დღეში არ დაავიწყდება.

და მაშინვე ცხვირზე თითები მიიჭირა და ისე მჭახედ დაიყროყინა, რომ მისი ხმა მიდამო ბორცვებს და ველებს მოედო. მაგრამ ერთმა მის ახლოს მდგარმა გლეხმა ეს ყროყინი თავისი ხალხის გაპამპულებად მიიღო და, ხელში, რომ მუხის კეტი ეჭირა, მთელი ზურგის სიბრტყეზე ისეთი თხლიშა, რომ საბრალო სანჩო მიწაზე დაეცა. დონ კიხოტმა სანჩო, რომ ასეო მდგომარეობაში დაინახა, წამსვე თავისი შუბი მოიმარჯვა და თავხედ გლეხს გაშმაგებით ეცა, მაგრამ მას მაშინვე იმდენი ხალხი მიეშველა, რომ დონ კიხოტმა ვეღარაფრით ვერ მოახერხა საჭურველმტვირთველის შეურაცხმყოფელისათვის სამაგიერო გადაეხადა. პირიქით, დაინახა, რომ თვითონაც მთელი ქვის სეტყვა დაატყდა თავს და უთვალავი აკრებუზი და ლახტი

მოიმართა მის წინააღმდეგ, რაინდმა როსინანტი მოატრიალა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაექცა მტერს და თან თავისი სულის სიღრმიდან გვედრებოდა ღმერთს, ამ ხიფათიდან ცოცხალი გადაერჩინა. ამ გაქცევაში წამდაუწყუმ ჰაერს ღრმად ისუნთქავდა, რომ დარწმუნებულიყო, სული ხომ არ ეგებებოდა და სულ იმ ფიქრში იყო, უკანადან გამოსროლილი ტყვია ბეჭებში არ მოხვედროდა და მკერდში არ გამოვარდნილიყო. მაგრამ შეიარაღებული ბრბო მისი გაქცევით დაკმაყოფილდა და ერთი სროლაც აღარ დაუდევნებია მისთვის. ხოლო, როგორც კი სანჩო გონებაზე მოვიდა, ის ვირზე გადაჰკიდეს და ნება მისცეს თავის ბატონს გამოდევნებოდა; თუმცა საჭურველმტვირთველს ძალა აღარ ყოფნიდა ვირისთვის აღვირი დაეჭირა, მაგრამ თვითონ ვირი წაჩაქჩაქდა როსინანტისაკენ, ურომლისოდ ერთ წუთსაც აღარ შეეძლო გაძლება. კარგა მანძილზე, რომ განშორდა ბრბოს, დონ კი. ნოტმა უკან მოიხედა და დაინახა, რომ სანჩო მორბოდა და არც იმას დასდევნებოდა ვინმე, - და მოსაცდელად შედგა.

მებრძოლი გლეხები კი არ დაშლილან, სადამომდის დარჩნენ იმ ალაგს და, რადგან მათმა მოპირდაპირე მტერმა ბრძოლაზე უარი თქვა, ამიტომ სიხარულითა და ზეიმით დაბრუნდნენ შინ და, ამ კეთილ ხალხს ბერძენთა ძველი ჩვეულება, რომ სცოდნოდა, უეჭველია, იმ ლოდინის ალაგს საზეიმო სვეტს ამართავდა.

#### თავი XXVIII

ამბების შესახებ, რომლებიც, ბენენჰელის სიტყვით, გასაგები იქნება მკითხველისათვის, თუ იგი ყურადღებით წაიკითხავს მათ

როდესაც მამაცი გარბის - იმას ნიშნავს, რომ მან მტრის რიცხვობრივი უპირატესობა გამომამყლავნა, რადგან გონიერი გმირი. თავის თავს უკეთესი შემთხვევისა და დროისათვის ინახავს. ეს ჭემმარტება დაამტკიცა დონ კიხოტმა, როდესაც ბრძოლის ველი ქვებით შეიარაღებულ მოწინააღმდეგეა დაუთმო. ისიც დაივიწყა. თუ რა საშიშროებაში დასტოვა სანჩო, და გაეშურა - უშიშარ ადგილს შეეფარებინა თავი და საღსალამათი დარჩენილიყო. სანჩო თითქმის გარდიგარდმო იყო გადაწოლილი თავის ვირზე და ის დაედევნა თავის ბატონს. როდესაც დონ კიხოტს მოეწია, გულგახეთქილი, შეშინებული და ნაცემი ვირიდან ჩამოვარდა და როსინანტის ფეხებთან დაეცა. რაინდი ფიცხლავ როსინანტიდან ჩამოხტა, რომ თავისი უბედური საჭურველმტვირთველის ჭრილობა ენახა, მაგრამ, რაკი იგი თავიდან ფეხებამდის მთელი და საღსალამათი იპოვა, თითქმის წყრომით უთხრა:

- უბედურ საათში დაიწყე ღრიალი, სანჩო. რა რიგია ჩამომხრჩვალის სახლში თოკზე დაიწყო ლაპარაკი. შენს სიმღერას სხვა რა საკრავს ააყოლებდნენ, თუ არა კეტსა? კიდევაც ღმერთს. მაღლობა შესწირე, იაფად, რომ გადარჩი და მაგ თავ-პირზე ხმლებით პერ სიგნუმ ცრუცის გაგიკეთეს, მარტო გვერდები დაგიზილეს ჯოხებით...

- მაგაზე ახლა ვერაფერს გიპასუხებთ, - უთხრა სანჩომ, - რადგან ახლა ისე მგონია, რომ ჩემს მაგიერ დაბეგვილი ბეჭები ლაპარაკობენ. შევსხდეთ ჩვენს ცხოველებზე და აქედან წავიდეთ. ჩემს ვირულ ყროყინზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ იმაზე კი ვერ დავჭმდები, რომ მოგზაური რაინდები თავიანთ ნაცემ და ფეტვივით ან ძირტკბილასავით დაბეგვილ საჭურველმტვირთველებს მტრის შესაჭმელად სტოვებენ და თვითონ კი გარბიან.

- უკან დახევა გაქცევას როდი ნიშნავს, - უთხრა დონ კიხოტმა, რადგან უნდა იცოდე, სანჩო, სიმამაცეს თუ გონიერება აკლია, თავხედობას უდრის, თავხედის გამარჯვება მუდამ ბედნიერ შემთხვევას მიეწერება და არა ხელოვნებას და ვაჟკაცობას. მართალია, უკან დავიხიე, მაგრამ კი არ გამოვქცეულვარ. ამ შემთხვევა. მი მრავალ მამაცთა მაგალითს მივყევი, თავიანთ სიცოცხლეს, რომ უკეთესი დროისათვის ინახავდნენ. ისტორია მრავალ ასეთ მაგალითს გვიჩვენებს და, რადგან ახლა მათი ჩამოთვლა საჭიროდ არ მიმაჩნია, - რადგან ეს არც შენ მოგიტანდა სარგებლობას და არც მე რაიმე სიამოვნებას, ამიტომ მათზე არაფერს ვიტყვი.

ამასობაში სანჩო დონ კიხოტის დახმარებით ძლივს შეჯდა თავის ვირზე, ხოლო რაინდი - როსინანტზე ნაბითიო იარეს და მეოთხედი მილის მანძილზე მდებარე ტყეს მიაღწიეს დროდა დრო სანჩო მძიმე გმინვას ამოუშვებდა ხოლმე რა დაგემართაო ჰკითხა დონ კიხოტმა, ეგრე რად გმინავო. სანჩო უპასუხებდა, ძირიდან თავამდის ხერხემალი ისე ძალიან მტკივა ლამის გული შემიღონდესო.

- ეგ ადვილი გასაგებია, - მიუგო დონ კიხოტმა, - ბეჭების სიბრტყეზე გცემდნენ სქელ კეტს ამიტომაც ხერხემალი გტკივა სხვადასხვა ალაგს, რომ ეცემეთ ის ადგილებიც სწორედ ეგრე გეტკინებოდა.

- ღმერთმანი, - დაიძახა სანჩომ, - თქვენმა მოშველებამ დიდი ეჭვიდან გამომიყვანა და მისი მიზეზი საამო სიტყვებით ამიხსნა. ჩემს სხეულს ვფიცავ! ნუთუ ჩემი ტკივილები ისეთი საიდუმლოებრივი არიანა, ჩრომ ახსნა-განმარტება დისჭირდეთ და მე სწორედ ის ადგილი მტკივა, რა ადგილზედაც კეტი მარტყეს! მგონია აქ გამოსაცნობი არაფერია აბა თქვენო მოწყალება, რა დიდი სიბრძნე უნდა იმის გამოცნობას, რომ ადამიანს, თუ ბეჭებში კეტი სცხეს, უთუოდ ბეჭები ასტჯივა. მაგრამ, როგორც ვხედავ, სხვისა ჭირო - ღობეს ჩხირო, და იმასაც ვხედავ, თქვენო მოწყალებავო და მუდამდღ უფრო ცხადადაც, რომ თქვენს სამსახურში ვერაფერს კეთილს ვერ მივაღწევ. დღეს კეტით მიმეყევეს, ხვალ, ვინ იცის კიდევ საბანზე დამდონ და მაფრინონ, ზეგ კიდევ სხვანაირად ამათამაშონ. და ასე, ახლა, რომ ბეჭებს მიბეგვენ, მერე, ვინ იცის, თვალეზამდისაც მივიდნენ. მე, თქვენო მოწყალებავ უკეთესს ვიზამდი (მაგრამ ბარბაროსი ვარ და ჩემს სიცოცხლეში ვერაფერს უკეთესს ვერ ჩავიდე), დიახ, უკეთესს ვიზამდი, სიტყვას ვიმეორებ, შინ დავბრუნებულყავი ჩემს ცოლ-შვილში და ისინი მერჩინა და შვილები აღმეზარდა, როგორც ღმერთი შემამლებინებდა, ვიდრე უჭმელ-უსმელი თქვენს უკან ვეთრიო უდაბური გზებით და უკვალო ბილიკებით. ახლა ძილზე ვილაპარაკოთ. მიიზომე, ძმაო საჭურველმტვირთველო, შვიდი ციდა მიწა და, თუ ეს ციდაა, კიდევ მაგდენი მიუმატე, შენი ნებაა, რამდენიც გინდა, და ზედ სიამოვნებით გაიშოტე. ნეტა ის კაცი დამწვარი და ფერფლად ნაქცევი მაჩვენა, რომელიც პირველი დაადგა ამ რაინდულ მოგზაურობას, ანუ ის მაინც, რომელმაც პირველად მოისურვა საჭურველმტვირთველობა ისეთ სულებთან, როგორიც, უეჭველია, ყველა წინანდელი მოგზაური რაინდი იყო. ახლანდელეებზე არას ვიტყვი, რადგან თქვენი მოწყალებაც იმათ რიცხვშია და მათ პატივსაც ვცემ და ისიც ვიცი, რომ თქვენი მოწყალება რასაც ამბობს და ფიქრობს, თვითონ ეშმაკსაც ორ ქულას წინასწარ მისცეს.

- დიდ სანამლეოს დავდე, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - რომ ახლა, რაოდესაც ილაპარაკე და არავინ შეგაჩერა, მთელ სხეულში აღარაფერი ტკივილი არა გაქვს. მაშ, ილაპარაკე, ჩემო შვილო, რაც კი თავში მოგივა და ენაზე მოგადგება, მე სიამოვნებად ჩავთვლი, რასაც შენი კადნიერება დამმართებს; და თუ შინ დაბრუნების დიდი სურვილი გაქვს, შენს ცოლთან და შვილებთან, - წადი, ღმერთმა დამიფაროს ეგ დაგიშალო. ჩემი ფულები ხომ შენა გაქვს, ანგარიშე, რამდენი



ხანია, რაც სოფლიდან ჩვენი მესამე გამოსვლის შემდეგ გზაში ვართ, შენი ანგარიშით თვეში რა გერგება და შენს თავს ხვედრი ჯამაგირი თვითონ შენვე გადაუხადე.

- თომა კარასკოს, რომ ვემსახურებოდი ბაკალავრ სამსონ კარასკოს მამას, - მიუგო სანჩომ, - თქვენი მოწყალების კარგი ნაცნობი როა, საზრდოს გარდა თვეში ორ ოქროს ვიღებდი. თქვენ რამდენიღა უნდა გამოგართვათ, სწორედ არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ რაინდის საჭურველმტვირთველობა უფრო სამძიმოა, ვიდრე მოჯამაგირობა გლებთან. გლებთან როცა ვმუშაობ რაც უნდა მძიმეც იყოს, მთელი დღის მუშაობით რაც უნდა გასაჭირიც გამოვიარო, ის მაინც ვიცი, საღამოზე კერაზე მოხარშული ქვაბიდან ვჭამ და ღამე ლოგინში დავიძინებ; თქვენს სამსახურში კი ეს სიკეთე როდის მღირსებია, თუ ანგარიშში იმ ოქროს დღეებს არ მიიღებთ, რაც დონ დიელო დე მირანდასთან გამოვიარე, მერე ქამაჩოს ნადიმზე და კიდევ ის ხანი, ბასილი ოსთან, რომ ვჭამ და ვიძინე. დანარჩენ დროს კი რა ცხოვრება იყო ჩემი ცხოვრება? ტიტველ მიწაზე მეძინა, დარი იყო თუ ავდარი, ხმელი პურის ქერქებით და ცხვრის ხაჭოთი ვსაზრდობდი და ზედ იმ ჭებისა და ჭაობების წყალს ვაყოლებდი, რაც მე და თქვენ მოგზაურობისას სადმე ტყე-ღრეში შეგვხვდებოდა.

- რაცა თქვი, ყველა მართალია და ჭეშმარიტება, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაინც შენი ანგარიშით რასაც თომა კარასკოსგან იღებდი, იმაზე მეტი ჩემგან რამდენი გერგება?

- თუ თქვენი მოწყალება თვეში ორ რეალს მომიმატებს, - მიუგო სანჩომ, - ჩემთვის საკმარისი იქნება - საკუთრად ჩემს შრომაში; ხოლო თქვენი მოწყალება, რომ კუნძულის გუბერნატორობას დამპირდა, იმაშიაც სამართლიანად ექვს-ექვსი რეალი მერგებოდა, ასე, რომ ერთად ოცდაათი რეალი უნდა მომცეთ.

- ძალიან კარგი, - მიუგო დონ კიხოტმა, დღეს ოცდამეხუთე დღეა, რაც ჩვენ სოფლიდან გამოვედით. დათვალე რამდენი გერგება, და, როგორც გითხარი, შენი საკუთარი ხელით მიიღე.

- ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო! - შეჰყვირა სანჩომ. - რა რიგად სცდებით ანგარიშში, თქვენო მოწყალება! კუნძულისა ხომ იმ დღიდან მერგება, რა დღესაც მის მოცემას დამპირდით?

- მერე, მას აქეთ რამდენმა ხანმა გაიარა?

- მე ვფიქრობ, ოცი წელიწადი მაინც იქნება, სამი დღით ნაკლები, ან მეტი.

- ეს, რომ დონ კიხოტმა გაიგონა, გულიანად გადაიხარხარა, შუბლზე ხელი შემოიკრა და თქვა:

- მთელი დრო, რომ ვიანგარიშით რაც სირა მორენაში დავყავი და რაც დანარჩენ მოგზაურობას მოვანდომე, სულ ოთხ თვეზე მეტი არ გამოვა. შენ კი, სანჩო იმახი და მარწმუნებ, ოცი წელიწადია რაც კუნძულს დამპირდიო! როგორც გატყობ, შენ გინდ, რაც ჩემი ფული გაქვს, სულ შენს ჯამაგირში მიისაკუთრო. კარგი, წაილე და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, ხოლო მე სიამოვნებით დავრჩები უფროშოდ, ოღონდ შენისთანა საძაგელი საჭურველმტვირთველი თავიდან მომშორდეს, მაგრამ ერთი ეს მითხარი, მოლაღატე, მოგზაური რაინდობისაგან დაწესებული საჭურველმტვირთველების წესების დამმახინჯებელო, სად გინახავს ან წაგკითხავს, რომ მოგზაური რაინდის საჭურველმტვირთველს ვაჭრობა დაეწყოს რაინდთან - თავის ბატონთანა ძალა დაეტანებინოს: ამდენი და ამდენი უნდა მომცეო, თუ ჩემი სამსახური გინდაო. ჩაყურყუმელდი, ჩაყურყუმელდი, ავაზაკო, მხდალო, ურჩხულო ჩაყურყუმელდი-მეთქი გეუბნები, რაინდთა რომანების მარე მაგნუმ-ში და, თუ შენ იქ ერთ

საჭურველმტვირთველს იბოვი, რომ ისე ელაპარაკოს და ეფიქროს, როგორც შენ ახლა მელაპარაკები, მაშინ ის ნათქვამი შეგიძლია ამ შუბლზე მიმიღწერს და სართად, მძულვარების ნიშნად შენი ხუთი თითი ოთხჯერ ამ ჩემს სახეზე დააჭდო. მიატრიალე ეგ შენი ვირი, მოსართავები მოუჭირო და შენს სახლში გასწი. ჩემთან ერთ ნაბიჯსაც ვეღარ გადმოდგამ. აფსუს, ბურია მუშაობაზე დახარჯულო, აფსუს, დაპირებავ, ცუდად დაკარგულო ჰოი, ქმნილებავ, უფრო პირუტყვის მსგავსო, ვიდრე ადამია. ნისა როდესაც მზად ვიყავ, შენი ცოლის გამოჯავრებით, იმ ხარისხამდე აღმემალეებიან, რომ სენიორი დაგრქმეოდა, მაშინ განიზრახე ჩემი დატოვება და ახლა მიდიხარ, როდესაც ბეჯითად გადავწყვიტე მთელ ქვეყანაზე ერთ-ერთი საუკეთესო კუნძულის გამგებლობა მომეცა შენთვის, მაგრამ შენ თვითონ რამდენჯერ გითქვამს, ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო. ვირი ხარ, ვირი იქნები და მთელი სიცოცხლე ვირადვე დარჩები, რადგან ჩემთავად ვფიქრობ-შენი უკანასკნელი საათი იმაზე ადრე დადგება, ვიდრე შენ შეიგნეს და დაინახავ, რომ პირუტყვი ხრ და სხვა არაფერი.

სანამ დონ კიხოტი ამას ეუბნებოდა, სანჩო დაშტერებით უცქეროდა მას და რაინდის მწუხარე ყვედრების გავლენით სინდისმა ქენჯნა დაუწყო. საჭურველმტვირთველის თვალეხს სინანულის ცრემლები მოერია და საცოდავი, მისუსტებული ხმით უთხრა:

- ჩემო კეთილო სენიორ, მართალს ბრძანებთ, მხოლოდ კუდი მაკლია, რომ ნამდვილი ვირი ვიყო, და რომ თქვენმა მოწყალებამ კუდი გამომაბას, ვიტყვი, სწორედ მაგისი ღირსი ვარ-მეთქი, და როგორც ვირი, მთელ ჩემს სიცოცხლეს, ისე გემსახურებით. გთხოვთ, თქვენო მოწყალებავ, შემინდოთ, ჩემი სისულელე შეიბრალოთ, მხედველობაშიც მიიღეთ, რომ ცოტა ვიცი, თქვენო მოწყალებავ, და თუ ბგვრს ვლაპარაკობ, ბოროტი განზრახვით კი არ მომდის სისულელით მომდის. მაგრამ, ვინც სცოდავს და ინანიებს, მას ღმერთი შეივრდომებს.

- გამიკვირდებოდა ისე გეთქვა, რომ შენს სიტყვაში ანდაზა არ შეგერყვნა, - უთხრა დონ კიხოტმა. - სანჩო იმ პირობით მიპატიებია, რომ გამოსწორდე და ასეთი ხარბი აღარ იყო. ვაჟკაცობა მოიკრიბე და მოთმინებით უცადე აღთქმულ ჯილდოებს: ადრე ქნება თუ გვიან დანაპირებს მაინც მიიღებ.

სანჩომ, როგორც მოსალოდნელი იყო, დონ კიხოტს აღუთქვა, დავიცდი და ამიერიდან ყველაფერში შენი დამჯერე ვიქნებიო. სწორედ ამ დროს ტყეში შევიდნენ, სადაც დონ კიხოტი ერთი თელის ძირში დაბინავდა, ხოლო სანჩო იმ წიფლის ქვეშ, მას, რომ ჰგავდა, თითქოს მარტო ფეხები აქვს და ხელები არაო. საჭურველმტვირთველმა ღამე რაღაც მოუსვენრად გაატარა, კეტიტ ნაცემის ტკივილებს ადამიანი უფრო მეტად გარეთ, გრილ ნიაფზე ძილის დროს გრძნობს, - დონ კიხოტმა კი ჩვეულებისამებრ ოცნებასა და სამიჯნურო მოგონებას მისცა თავი. ძილმა ბატონსაც და მოსამსახურესაც მაინც ჩქარა დაუხუჭა თვალები, ხოლო მეორე დღეს კი ორნი დილაადრიან გზას დაადგნენ მშვენიერ ებროს ნაპირებისკენ, სადაც ის შეემთხვათ, რაც შემდეგ თავში იქნება ნაამბობი.

თავი XXIX

შესანიშნავი ფათერაკი მოჯადოებულ ნავთან

ტყიდან გამოსვლის შემდეგ ორმა დღემ, რომ გაიარა, დონ კიხოტი და სანჩო პანსა ებროს ნაპირებს მიადგნენ. ამ მშვენიერი მდინარის სანახაობამ მეტისმეტად გაახარა დონ კიხოტი:

მისი ლამაზი ნაპირების წარმტაცმა სურათებმა, მისმა წყნარმა სარკისებურმა მოკამკამე წყალმა ალტაცებაში მოიყვანა რაინდი და მას მრავალი სამიჯნურო ოცნება გაუღვიძა. განსაკუთრებით აქ გაახსენდა მას მონტესინოსის მღვიმის საკვირველებანი და, თუმცა მასე ვედროს მაიმუნმა უთხრა, ყველა იქ ნახული ზოგი ტყუილია, ზოგი მართალია, მაგრამ ის მაინც ისე ებლაუჭებოდა მას, როგორც მთლად მართალს, და ამით სანჩო ეწინააღმდეგებოდა, ყველა იქაური ამბავი, რომ სავსებით მოჭორილად მიაჩნდა. ნაპირ-ნაპირ მიმავალმა დონ კიხოტმა ნაპირას მდგარ ხეზე მიბმული პატარა უნიჩო ნავი დაინახა, როგორც ეტყობოდა, ღვთის ანაზარად მიტოვებული. ყოველ მხარეზე, რომ მიიხედა და ვერავინ დაინახა, მსწრაფლ როსინანტიდან ჩამოხტა და სანჩო უბრძანა, ცხენი და ვირი ალვის ხეზე ან ტირიფზე მაგრად მიეხა. სანჩო მკითხა, ასე მოულოდნელად რისთვის ჩამოხტი ცხენიდან და ცხენის და ვირის ხეზე მიბმას რად მიბრძანებო.

- სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა. - ეს ნავი აქ ტყუილად როდია. იგი სხვის დაუხმარებლად რომელიმე დიდ საფრთხეში ჩავარდნილი რაინდის მისამველებლად წამიღებს, იცოდე, ჩემო მეგობარო, რომ რაინდებსა და ჯადოქრებს შორის - ეს ყველა სარაინდო წიგნიდან ჩანს, - ასე მოხდება ხოლმე; თუ რაინდს ისეთი რამ საფრთხე ემუქრება, რომ იმ საფრთხიდან თავის დახსნა მარტო სხვა რაინდის დახმარებით შეუძლია, მაშინ ის, საფრთხეში ჩავარდნილი რაინდი, თუნდა ორი ან სამი ათასი და უფრო შედი მილის სიშორეზე დაც იმყოფებოდეს, ჯადოქრები იმწამსვე მაშველ რაინდს ღრუბლებზე ასწევენ და თვალის დახამხამებაში იქ მიაქანებენ, სადაც მის შველას საჭიროებენ. ჩემო მეგობარო, ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ეს ნავი აქ ჩემთვის არის ჯადოქრებისაგან დატოვებული, - ეს ისევე ნამდვილია, როგორც ისა, რომ ახლა დღე არის. ამიტომ ვირი და როსინანტი დააბი, ჩვენი თავი ღმერთს მივანდოთ და გზას გავუდგეთ, რადგან ამის დაშლას ყველა ფეხშიშველი ბერიც კი ვერ შემადლებინებს.

- თუკი თქვენს მოწყალეობას გადაუწყვეტია სხვადასხვა, ჩემი აზრით, მთლად უგუნური ფათერაკის მოსახდენად ხეტიალი, - მიუგო სანჩომ, - მეტი რა გზა მაქვს, უნდა დაგემორჩილოთ და თავი დავიხარო, როგორც ანდაზა ამბობს: "რასაც გიბრძანებენ, ისა ქმენ და, ვინც გიბრძანებს, სადილადაც გვერდზე მოუჯექიო". მაინც, თქვენო მოწყალეობავ, ჩემი საკუთარი სინდისის დასამშვიდებლად უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ნავი, როგორც მგონია, ვინ. მე ჯადოქარს კი არ უნდა ეკუთვნოდეს, არამედ რომელიმე მეთევზესი უნდა იყოს, რადგან ამ ადგილას ძალიან კარგი თევზი იცის.

სანჩო ამას ამბობდა, თან ვირსა და როსინანტს ხეზე აბამდა და, სამწუხაროდ, ჯადოქრის ანაზარად სტოვებდა მათ. დონ კიხოტმა, თითქოს სანუგეშებლად უთხრა მას: თუ ღმერთი გწამს, ჩვენი პირუტყვებისათვის ნუ შეწუხდები, ვინც ამ ლონგინკვალურ ქვეყნებში წავგიყვანს, მაგათთვისაც ის იზრუნებსო.

- მაგ ლოგიკალურისა არაფერი გამეგება, - უთხრა სანჩომ, - და ჩემს სიცოცხლეშიაც ეგ სიტყვა არ გამიგონია.

- ლონგინკვალური სიშორეს ნიშნავს, - მიუგო დონ კიხოტმა, - საკვირველი არ არის, რომ ეს სიტყვა ვერ გაიგე, რადგან ლათინურის ცოდნის მოვალე არა ხარ, როგორც ზოგიერთია, ლათინურის ცოდნას ჩემულობს და მისი არაფერი გაეგება.

- აჰა, ჩვენი პირუტყვები დავაბი; ახლა რაღა გავაკეთო, - უთხრა სანჩომ.

- პირველი გადავიწეროთ და ღუზა ავწიოთ, ანუ მდაბიურად, რომ ვთქვათ, ნავში ჩავსხდეთ და თოკი გადავჭრათ, - უთხრა დონ კიხოტმა.

ესა თქვა და წამსვე ნავში ჩახტა, თან სანჩო გადაჰყვა, თოკი გადასჭრეს და ნავი წყალს მისცეს. ორიოდ ვარას მანძილი რომ გაიარეს, სანჩო მთელი ტანით ცახცახი დაიწყო, რადგან ფიქრობდა, აუცილებლად უნდა დაღუპულიყო; სიკვდილის მოლოდინი მაინც ისე არ აშინებდა საბრალო საჭურველმტვირთველს, როგორც ვირის ყროყინი და როსინანტის ტოკვა აწუხებდა, ხიდან აშვებას, რომ ცდილობდნენ.

- საწყალი ჩემი ვირი, კვენესის, ჩემთვის დარდიანობს, - უთხრა დონ კიხოტს, - როსინანტს კიდევ უნდა როგორმე აეშვას და თან დაგვედევნოს. - ვაჰ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მანდ დარჩით მშვიდობით, ეგებ ჩვენმა სისულელემ ჩქარა უკანვე დაგვაბრუნოს და კვალად ერთმანეთს შევხვდეთ.

ამ უკანასკნელ სიტყვებზე ისეთი მწუხარე ტირილი ამოუშვა, რომ მოთმინებიდან გამოსულმა დონ კიხოტმა გაბოროტებით უთხრა:

- ნეტავ რისა გეშინია, შე მხდალო? რას ტირი, ალაო ცომის გულო? ვინ დაგედევნა, შე თავის მსგავსო მამაცო? რა გაკლია, ყველაფრით ყელთამდის სავსე? რაო, განა ფეხშიშველი დადიხარ რითეს მთებზე და ერცჰერცოგივით არა ხარ სკამზე წამოსკუპებული? და ამ მშვენიერი მდინარის რბილ ტალღებზე არ მიცურავ, მოკლე ხანში, რომ იგი უნაპირო ზღვაში შეგიყვანს? ახლა ჩვენ სულ ცოტა შვიდასი ან რვაასი მილი გამოვიარეთ და, აჰ რომ ასტროლაბია მქონდეს, რომლითაც პოლუსის სიმაღლეს გავზომავდი, დანამდვილებით გეტყოდი, რამდენი გამოვიარეთ, თუმცა ან არაფერი გამეგება, ან უკვე გავიარეთ, ან ჩქარა გავივლით შუადღის ხაზს, რომელიც ჩრდილო და სამხრეთ პოლუსებიდან დედამიწას ორ თანასწორ ნაწილად ჰყოფს.

- ჩვენ, რომ იმ ალაგს მივიდეთ, ახლა, რომ თქვით, მაშინ რამდენილა გვექნება გავლილი?

- ბევრი, ძალიან ბევრი, რადგან სამას სამოცი გრადუსიდან, რასაც უდიდესი ვარსკვლავთმრიცხველი პტოლომეოსის გამოანგარიშებით, დედამიწისა და წყლის ფართობი იპყრობს, წელან, რომ ხაზი ვთქვი, როდესაც იმ ხაზს მივაღწევთ, სწორედ ნახევარი გვექნება გავლილი. აჰ იმასაც გეტყვი, სანჩო, რომ, როდესაც ესპანელი კადიქსიდან აღმოსავლეთ ინდოეთს მიემგზავრებიან, შუადღის ხაზის მიახლოებას, სხვათა შორის, იმით იტყობენ, რომ, ვინც კი გეშუა, ყველას ტილები ეხოცება, ისე, რომ მათი პოვნა ოქროს ფასად არ შეიძლება. თვითონ შენს თავზედაც შეგიძლია სანჩო, ეს გამოსცადო. აბა თემოზე ხელი ჩაისვი თუ ერთიც არის - ცოცხალი ტილი იპოვე, ჩანს შუა ხაზი არ გაგვივლია, და, თუ ვერ იპოვე - გავლილი გვექნება.

მაგისი არა მჯერა რა, - მიუგო სანჩომ, მაინც თქვენს ბრძანებას ავასრულებ, თუმცა არ ვიცი, რა საჭიროა ასეთი გამოცდა როდესაც საკუთარი თვალებით შემიძლია გავზომო, რომ ნაპირს სულ ხუთი ალაბიც არ გამოვცილებულვართ, ხოლო ქვევით ჩვენი ცხოველებიდან სულ ორიოდ ვარა გამოვიარეთ. როსინანტი და ჩემი ვირი აგერ არა დგანან, სადაც დავტოვეთ? ჩემი საზომით, რომ გავზომო, მერწმუნეთ ჭიანჭველაზედაც ნელა მივდივართ.

- სანჩო, რაც გითხარ, ის გამოცდა მოახდინე და სხვაზე ნურაფერზე ზრუნავ, რადგან არ იცი, რა არის კოლურიები, ხაზები, პარალელები, ზოდიაქო, ეკლიპტიკები, პოლუსები, შუადღის ხაზი,

მზის მოქცევა, ბუნიობა, მერიდიანი, წიდეკერტები, ეკვატორი, პლანეტი, ერთი სიტყვით ყველა ის, რისგანაც დედამიწისა და ცის არე შედგება. შენ რომ ასეთების მცირედი გაგება გქონდეს, ანუ თუნდა მისი ნაწილისა, მაშინ ცხადად დაინახავდი, რამდენი პარალელები გვაქვს განვლილი, რამდენი ზოდიაქოს ნიშნები გავიარეთ, რამდენი ვარსკვლავები მოგექცა უკან და რამდენს კიდევ მოვიტოვებთ. კიდევ გეტყვი, კარგად გასინჯე და მონახე შენს ტანზე, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახლა შენ ეტრატის ქაღალდზე უფრო სუფთა ხარ.

სანჩო მარცხენა მუხლის ქვეშ ხელი ჩაიყო, ჩუმად და ფრთხილად თითებით გასინჯვა, თავის ბატონს შეხედა და უთხრა:

ან თქვენი გამოცდა ცრუობს, ან დიდი მანძილი აკლია იქამდის მისვლას სადაც ამბობთ.

როგორ! განა ერთი მაინც არის - იპოვე? - უთხრა დონ კიხოტმა.

- ერთი კი არა, რამდენიმეც, - მიუგო სანჩომ, თითები დაიბერტყა, ხელი დასაბანად წყალში ჩაჰყო, რაზედაც ნავი ფარული ძალით კი არა, ან ჯადოქრობით, არამედ მდინარის საკუთარი დენით, აქამდის, რომ მშვიდი და წყნარი იყო, ნელა მისცურავდა.

ჩქარა მათ შიგ შუა მდინარეში რამდენიმე წისქვილი დაინახეს და დონ კიხოტმაც, თვალი შეასწრო თუ არა, ხმამაღლა დაიძახა:

- ჰოი, მეგობარო სანჩო! უცქირე: ჩვენ წინ ქალაქი იშლება ციხე-დარბაზი ან ციხე, სადაც ის დაჩაგრული რაინდი, ანუ დედოფალი, ან ინფანტა, ანუ პრინცის ასული უნდა იყოს შეპყრობილი, ვის საშველადაც ვარ გამოგზავნილი.

- სადა ხედავთ ციხე-დარბაზს, ანუ ქალაქს? - ჰკითხა სანჩომ, - განა ვერ არჩევთ, რომ ეს წისქვილია სადაც ხორბალსა ფქვავენ?

- ჩუმად იყავ, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა. ეს შენობა, მართალია, წისქვილსა ჰგავს, მაინც წისქვილი სულაც არ არის... რამდენჯერ მითქვამს შენთვის, რომ ჯადოქრები საგანს ნამდვილი სახით არ გვიჩვენებენ. იმას კი არ ვამბობ, ვითომც ისინი გარდაქმნიდნენ მათ, არა, ისინი მართლ სახეს უცვლიან, ამაში, მგონია, ნათლად უნდა დარწმუნებულიყავ, ჩემი იმედების ერთადერთი საგნის უბადლო დულსინეს მნახველი.

ამასობაში ნავი შუა მდინარეში შევიდა და უფრო სწრაფად იწყო სვლა. მეწისქვილეებმა დაინახეს თუ არა, რომ რაღაც ნავი ჩარხის პირდაპირ მოდიოდა და ჩარხის ფრთები კი მას, უეჭველია, მიამსხვრევდა, გრძელი ლარტყეებით სასწრაფოდ გამოვიდნენ, რომ ნავი იქით მიეგდოთ, და, რადგან თავით ფეხებამდის ფქვილში იყვნენ გაგანგლულნი, ამიტომ მართლა რაღაც მოჩვენებებს ჰგავდნენ.

- აქ სად მოსცურავთ, თქვე დამთხვეულო ქაჯებო! ხმამაღლა ყვიროდნენ ისინი. - თავების ჩახრჩობა და ამ ჩარხების ქვეშ დაფლეთა მოგესურვათ თუ რა არის?

- სანჩო, არ გითხარ, რომ სწორედ იმ ალაგს მივედით, სადაც ჩემი მამაცობა უნდა გამოვიჩინო და სრული ძალ-ღონე ჩემი მკლავისა? ხედავ, რამდენი ჯადოქარი და ურჩხული გამოდის ჩემს წინააღმდეგ? რამდენი მოჩვენება გამოსულა თავის უცნაური სანახაობით, რომ შემაშინოს? გამოდით, გამოდით, ბოროტებო! - უყვიროდა იგი მეწისქვილეებს, - ჩემს თავს გაგაცნობთ!

ნავზე აიწია და თავის მოჩვენებულ მტერს - მეწისქვილეებს მუქარა დაუწყო და დაუყვირია:

უმაქნისო ბრბოვ, ახლავე გაათავისუფლეთ მაგ თქვენს ციხეში ვინც შეგიპყრიათ, გაათავისუფლეთ ვინც უნდა იყოს, დიდი თუ მცირე შთამომავლობისა, რადგან მე ვარ ლომთა რაინდი, დონ კიხოტი ლამანჩელი, რომელსაც ზეცათა უმაღლესმა ნებამ ამ ფათერაკის კეთილად დაბოლოება არგუნა.

ეს, რომ თქვა, მეწისქვილეებისაკენ ხმლის ქნევა და ჰაერის ჩეხვა დაიწყო. მეწისქვილეებმა გიჟი რაინდის ჩმახვისა ვერაფერი გაიგეს და ლარტყები წამოიშვირეს, რომ ჩარხების პირდაპირ მომცურავი ნავი შეეყენებინათ. სანჩო მუხლებზე დაეცა და ღმერთს ევედრებოდა ამ აშკარა ხიფათისაგან დაეხსნა. მის ბედზე მარჯვე მეწისქვილეებმა ნავის შეჩერება მოახერხეს. მაგრამ ის კი ვერ შეიძლეს, რომ ნავი არ გადაბრუნებულიყო და დონ კიხოტი და სანჩო წყალში არ ჩაცვივნილიყვნენ. დონ კიხოტმა ბედზე იხვივით იცოდა ცურვა, მაგრამ აბჯრის სიმძიმემ ორჯერაც ჩასძირა წყალში და, თუ მეწისქვილეები წყალში არ ჩამხტარიყვნენ, ჩვენი ფათერაკებისმამებარნი წყლიდან - ერთი თავით და მეორე ფეხებით არ გამოეთრიათ - ეს ადგილი მათი ტროადა გახდებოდა. ძლივს, რომ გამოათრირეს, უფრო დასველებულნი, ვიდრე მწყურვალნი. სანჩო მუხლებზე დაეცა, გულხელი დაიკრიფა და ზენაარს ევედრებოდა - სამუდამოდ გაეთავისუფლებინა იგი რაინდის - თავისი ბატონის - გაბედული საქმეებისაგან.

სწორედ ამ დროს მეთევზეებიც მოვიდნენ, იმ ნავის პატრონები, დონ კიხოტმა, რომ იმოგზაურა და წისქვილის ჩარხებმა, რომ მიახსვრიეს. ეს უბედურება, რომ ნახეს, სანჩო წაავლეს ხელი, ტანთ უნდოდათ გაეხადათ და დონ კიხოტს სთხოვდნენ - დამტვრეული ნავის ფული გადაეხადა. დონ კიხოტი ნავში დასის მიცემას სრული დამშვიდებით დაგთანხმდა, ოღონდ ითხოვდა: მეწისქვილეებს ციხე-დარბაზში დამწყვდეული პირები გაეთავისუფლებინათ.

- რა ციხე-დარბაზს ამბობ და რა დამწყვდეულებსა, უტვინო გოგრავე, - ჰკითხა ერთ-ერთმა მეწისქვილემ, - ხომ არა გწადია მესაფქვავე ხალხი წაიყვანო აქედან?

"კმარა-თავისთვის თქვა დონ კიხოტმა. - ამ ბრბოსაგან ლაპარაკი უდაზნოში დალადებაა. რაც უნდა თქვა, კეთილ საქმეს ვერ ჩაადენინებ. ამასთან ამ ფათერაკში ორი ჯადოქარი უნდა ერიოს: ერთმა ნავი გამომიგზავნა, მორგს ჩემი დახრჩობა უნდოდა. ისევ ის ღმერთი შვეწიოს უბედურ ტყვეებს; მე კი მათთვის არაფერი შემიძლია, რადგან, როგორც ვხედავ, ქვეყანა ორ ერთმანეთის წინააღმდეგ მოქმედ ძალად არის აღმართული".

ეს, რომ თავისთვის ჩაილაპარაკა, მერე მეწისქვილეს მიმართა და ხმამაღლა უთხრა:

- ჩემო საბრალო მეგობრებო, ვინც არ უნდა იყოთ, ამ ბნელეთში შეპყრობილნი, მაპატიეთ: ჩემი და თქვენი ბოროტი ანგელოზი ნებას არ მამლევს თქვენი გულის გამწყალელებელი ტყვეობიდან გაგათავისუფლოთ, ამის ჩადენა, უთუოდ, სხვა რაინდს აქვს დანიშნული.

ესა თქვა, მეთევზეებს მოურიგდა და ნავში ორმოცდაათი რეალი გადაუხადა. სანჩო ეს ფული დიდი მწუხარებით ჩააბარა მათ და შენიშნა:

- კიდევ ერთი ასეთი მოგზაურობა ნავით და მთელი ჩვენი ფულები წყალში ჩაიძირება.

მეთევზეები და მეწისქვილეები გაკვირვებულები უცქეროდნენ ამ ორ ფიგურას, ჩვეულებრივ ადამიანებს, რომ არა მგავდნენ. სულ ვერ მიხვდნენ, რას ელაპარაკებოდა მათ დონ კიხოტი, ან

რა უნდოდა მათგან; რაინდიცა და საჭურველმტვირთველიც გიჟებად ჩათვალეს, მოშორდნენ მათ და თავთავისთვის წავიდნენ: ზოგი შინ წავიდა და ზოგიც წისქვილში შევიდა. ხოლო სანჩო და დონ კიხოტი, თვითონ ჭკუადამთხვეულნი და უგონონი, თავიანთ გონიერ პირუტყვებთან დაბრუნდნენ და ამით დამთავრდა ფათერაკი მოჯადოებულ ნავთან.

თავი XXX

თუ რა მოხდა დონ კიხოტსა და მშვენიერ მონადირე ქალს შორს

რაინდი და საჭურველმტვირთველი ამ ღირსშესანიშნავი ცურვიდან დაღონებულნი და თავჩაქინდრულნი დაბრუნდნენ თავიანთ ბედაურებთან. სანჩო უფრო მეტად იყო დაღონებული. ფული, რომ გადასახდელი გაუხდა, ამ გარემოებას ერჩივნა, შიგ გულში დანა დაეცათ. თავიანთ პირუტყვებს ერთმანეთის სიტყვის უთქმელად აღვირები გაუკეთეს და შესანიშნავ მდინარეს ხმაამოუღებლივ გაშორდნენ. დონ კიხოტი თავის სამიჯნურო ოცნებებს მიეცა, სანჩო კიდეც ბედნიერ მომავალზე იწყო ფიქრი. სხვა დროს ის არა, როგორც ამ წამში, მას ძლიერ დაშორებულად მიაჩნდა ეს ბედნიერება. თუმცა არც ისე ჭკუიანი იყო, მაგრამ, მგონია, ახლა მაინც მიხვდა, რომ ყველა მისი იმედი, დონ კიხოტის ყველა დაპირება მხოლოდ გიგის ოცნება იყო, და იმ საშუალების გამოძებნას დაადგა, ერთ მშვენიერ დღეს თუ როგორ გასხლტომოდა რაინდს, არც რაიმე ანგარიში მოეთხოვა მისთვის, არც გამოთხოვებოდა, თავის სოფელში დაბრუნებულყო. მაგრამ მისმა ბედისწერამ, მიუხედავად ყოვლისა, სხვაგვარად განაგო, როგორც ამას ახლავ დაინახავთ.

მეორე დღეს, საღამო ჟამს, რომ ტყიდან გამოვიდნენ, დონ კიხოტმა ერთ მწვანე ველის ბოლოს მონადირეთა დიდი გუნდი შენიშნა და, ახლოს, რომ მივიდა, გაარჩია; შავარდნით მონადირეთა გუნდი იყო. უფრო, რომ მიუახლოვდა, გუნდში ერთი წარჩინებული ქალი დაინახა, მშვენიერ თეთრ-სპეტაკ, ცხენზე მჯდარი, საუცხოოდ მორთულ-მოკაზმული; ცხენის მორთულობაც მშვენიერი იყო, - მწვანე ფერისა, ხოლო უნაგირი ვერცხლით იყო შემკული. ამ სენიორის მარცხენა ხელზე შავარდენი ეჯდა და ამან დონ კიხოტს აფიქრებინა: სენიორი დიდი შთამომავლობის ვინმე უნდა ყოფილიყო და მთელი მონადირეთა გუნდის მბრძანებელიც. მართლაც ასე იყო. მაშინ დონ კიხოტმა უთხრა სანჩოს:

- გაიქეცი, შვილო სანჩო, და იმ სენიორის, აგერ, რომ იორღაზე ზის და ხელზე შავარდენი უზის, მოახსენე, რომ მე, ლომთა რაინდი, მის დიდმშვენიერ ხელს ვეამბორები და, თუ მისი დიდებულება ნებას დამრთავს, თვითონ ვეახლები ხელზე საამბორებლად და მის სამსახურად, რამდენადაც კი ღონე შემწევს და მისი უმაღლესობაც ისურვებს. მაგრამ გაუფრთხილდი, სანჩო, მოფიქრებით ელაპარაკე და შენს ელჩობას შენი ანდაზები არ ჩაატმასნო.

- რა შვილი მნახეთ? - მიუგო სანჩომ, - ამას ვის ეუბნებით! განა პირველია ჩემთვის დიდი მანდილოსნის მისალმება?

იმ მისალმების გარდა, დუღსინესთან, რომ გაგზავნე, - უთხრა რაინდმა, - სხვა რამ ამგვარი არ მახსოვს, - იმ ხანში მაინც, რა ხანსაც მე მემსახურები.

- ამას კი მართალსა ბრძანებთ, - უთხრა სანჩომ, - მაგრამ "ვალის კარგ გადამხდელს ვადისა როდი ეშინია" და "სავსე ოჯახში სუფრა როდი იგვიანებს" ხოლმე. ამით ის მინდა მოგახსენოთ,

რომ ღვთის მადლით სწავლა და ჩვენება არ მესაჭიროება. ცოტ-ცოტა ყველაფერი გამომივა ხელიდან.

მჯერა, - მიუგო დონ კიხოტმა, - მაშ წადი და ღმერთი იყოს შენი შემწე.

სანჩო მშვენიერი მონადირე ქალისაკენ სწრაფი ჩორთით გაექანა და, როცა მიუახლოვდა, ვირიდან საჩქაროდ ჩამოხტა, მონადირე ქალს დაუჩოქა და შემდეგი სიტყვებით მიესალმა:

- მშვენიერო და კეთილშობილო სენიორა! აგერ, იქ რომ რაინდს ხედავთ, ის ჩემი ბატონი, ლომთა რაინდია, ხოლო მე მისი საჭურველმტვირთველი სანჩო პანსა ვარ. ასე მეძახიან შინ. ჩემმა ბატონმა, ლომთა რაინდმა, ამ ცოტა ხნის წინ მწუხარე რაინდის სახელით წოდებულმა, თქვენს უმაღლესობასთან გამომგზავნა, ეგებ მოისურვოთ და კეთილინებოთ - და ნება დართოთ - აქ გაახლოთ და მისი თქვენდა სამსახურის გამზადებულებმა მოგიძღვნათ და მით თავისი სურვილი დაიკმაყოფილოს, რაიცა, თუ არა ვცდები, იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი უმაღლეს ობის მშვენიერებას და შავარდნისებრი მედიდურების ემსახუროს, რადგან, თუ ამის ნებას დართავთ, იგი იქნება თქვენთვის მეტად სასარგებლო, ხოლო რაინდი ამას დიდ წყალობად და სასიხარულოდ ჩათვლის.

- ეჭვს გარეშეა, კეთილო საჭურველმტვირთველო, რომ თქვენი დავალება ყოველივე წესრიგის დაცვით, რაც ასეთ საქმეს მოეთხოვება, ჩინებულად შეასრულეთ - მიუგო ქალმა. - გთხოვთ წამოდგეთ, რადგან ისეთი სახელოვანი რაინდის, როგორც მწუხარ სახის რაინდია, რომლის შესახებ აქ ბევრი რამ გაგვიგონია, საჭურველმტვირთველს არ შეჭვერის დაჩოქილი იყოს. ადექით, მეგობარო, და თქვენს სენიორს მოახსენეთ, რომ სწორედ კარგ დროს მობრძანდა. სთხოვეთ გვინახულოს და ჩვენ, მეცა და ჩემი ქმარიც დიდი სიხარულით მოვილოგინებთ მას ჩვენს საზაფხულო ციხე-დარბაზში, აქვე ახლოს, რომ არის.

სანჩო ფეხზე წამოდგა, იმდენადვე კეთილი სენიორის სილამაზით აღტაცებული, რამდენადაც მისი ზრდილობიანი და თავაზიანი მოპყრობით ნასიამოვნები და უფრო მეტად კიდევ იმით კმაყოფილი, რომ მან თქვა, ვითომც მისი ბატონის, მწუხარე სახის რაინდის ამბავი უკვე გაგონილი ჰქონდა, და, თუ მან იგი ლომთა. რაინდად არ მოიხსენია, ეს მხოლოდ იმიტომ იქნებოდა, რომ მისმა ბატონმა ეს სახელი დიდი ხანი არ იყო, რაც დაირქვა ჰერცოგის მეუღლემ (მისი სახელი დღემდე გამოურკვეველია) ჰკითხა სანჩოს:

- ერთი მითხარით, ძმაო საჭურველმტვირთველო, თქვენი ბატონი ის რაინდი ხომ არ არ არის, ვისი ამბავიც დაბეჭდილია წიგნში მახვილგონიერი იდაგო დონ კიხოტი ლამანჩელი და რომელმაც თავის ფიქრთა მბრძანებლად ვინმე დულსინე ტობოსელი აირჩია?

- სწორედ ის გახლავთ, სენიორა, - მიუგო სანჩომ, - ხოლო მისი საჭურველმტვირთველი, რომელიც იქ გამოყვანილია, ანუ გამოყვანილი უნდა იყოს სანჩო პანსას სახელით, ის - მე გახლავარ, თუ ჩემი სახელი სტამბაში არ გადაუსხვაფერებიათ.

- ყველა მაგისი ძალიან მოხარული ვარ, - უთხრა ჰერცოგის მეუღლემ, - წადით, ძმაო პანსა, და თქვენს სენიორს გადაეცით, - რომ იგი ჩემს სამფლობელოში მვირფასი სტუმარი იქნება და მისი სტუმრობით უდიდესად მასიამოვნებს.

ამ სასიამოვნო პასუხით სანჩო სულ ჭენებით დაბრუნდა და, რაც სენიორამ უთხრა, დიდი აღტაცებით უამბო დონ კიხოტს, თანაც თავისი სოფლური კილოთი ცამდის აიყვანა იგი, აქებ



ადიდებდა მის გასაოცარ სილამაზეს, ალერსიანობას, სიტურფეს და ზრდილობას. დონ კიხოტი იმავე წამს უნაგირში გამოიჭიმა, უზანგებზე მაგრად გასწორდა, დეზი ჰკრა როსინანტს და საამო შემართებით ჰერცოგის მეუღლის ხელზე საკოცნელად გაემართა.

ქალმა, რომ სანჩო გამოისტუმრა, თავის ქმარს მასთან დონ კიხოტის დანაპირები დარბაზობა შეატყობინა. ჰერცოგიც მოვიდა და თავისი ცოლითურთ ჩინებული რაინდის მისაღებად სამზადისს შეუდგნენ. მის მოსვლას მოუთმენლად დაუწყეს ლოდინი. რაკი მისი ისტორიის პირველი ნაწილიდან უკვე იცნობდნენ მას და წაკითხული ჰქონდათ ჩვენი რაინდის სიგიჟის ამბები, ამიტომ გადაწყვიტეს ისე მიგდოთ იგი, როგორც დონ კიხოტის აზრით მოგზაური რაინდების მიღების წესი და რიგი მოითხოვდა, და რა ხანიც რაინდი მათთან დარჩებოდა, მთელ იმ ხანს ბეჯითად დაეცვათ მოგზაური რაინდებისთვის დადგენილი წესები, ეს წესები მათ კარგად იცოდნენ, რადგან სარაინდო წიგნების მოყვარულნი იყვნენ და ამ შინაარსის მრავალი წიგნიც ჰქონდათ წაკითხული.

ამ დროს დონ კიხოტიც გამოჩნდა მოთარჯაწეული და, სანჩო, რომ ბატონის ცხენიდან ჩამოხტომის მოძრაობა დაინახა, ვირიდან ჩამოხტომას დაემურა, რომ ბატონისთვის უზანგი დაეჭირა. მაგრამ უბედურება დაემართა, - უზანგებად გაკეთებულ თოკებში გაიხლართა და ბევრი წვალეების შემდეგ, ფეხები თოკებიდან, რომ გაეთავისუფლებინა, კურტანზე დაეკიდა და პირისახითა და მკერდით მიწას მიეკრა. რაინდი ჩვეული არ იყო ცხენიდან უზანგის დაუჭერლად ჩამოსულიყო. ეგონა, სანჩო თავის მოვალეობას ასრულებდა, ცხენიდან ჩამოსასვლელად მთელი ტანის წინ გაქანებით შეინძრა, მიწაზე დასადგმელად ფეხი უზანგიდან გამოიღო, მაგრამ მოსართავ მოშვებულ უნაგირიანად როსინანტის ფეხებთან გაიშლართა - მთლად შერცხვენილი და თავის ბედკრულ საჭურველმტვირთველზე განრისხებული, რომელიც აგრეთვე ვაი-ვაგლახში იყო, როგორმე ფეხები თოკების ხლართიდან გაეთავისუფლებინა.

ჰერცოგმა საჩქაროდ თავისი მსახურები გაგზავნა რაინდისა და საჭურველმტვირთველის საშველად. მათ დონ კიხოტს ფეხზე წამოდგომა უშველეს და ცოტაოდენად დათეთქილი რაინდი კოჭლობით მის უგანათლებულესობასთან მივიდა. ჩვეულების თანახმად რაინდმა მის წინ მუხლის მოდრეკა დააპირა, მაგრამ ჰერცოგი არასგზით არ დაეთანხმა, პირიქით, თვითონ ჩამოხტა ცხენიდან, დონ კიხოტს გადაეხვია და ჰკითხა:

- დიდად ვწუხვარ, პატიოსანო მწუხარ სახის რაინდო, რომ ჩემს სამფლობელოში თქვენი მობრძანება და ჩვენი გაცნობა აგრე უხერხულად მოხდა. მაგრამ საჭურველმტვირთველთა დაუდევრობით ზოგჯერ უარესიც მოხდება ხოლმე.

- ყოველივე ამის გამო, რაიცა თქვენი ნახვის კმაყოფილებას მანიჭებს, კეთილშობილო პრინცო, - უთხრა დონ კიხოტმა, - ის რაც მომიხდა, უბედურებად არ ჩავთვლი და ამ წამში ჩემი უხერხულობა სანანურად არ მექნებოდა, თუნდაც მას უფსკრულშიაც შთავეგდე; თქვენი ნახვით მონიჭებული კმაყოფილება იქიდანაც ამოსვლის ღონეს მომცემდა. ჩემი საჭურველმტვირთველი, ღმერთმა მოჰკითხოს მას, მართალი, რომ მოგახსენოთ, თავისი ენის აღვირის ასხმაში უფრო ხელოვანია, ვიდრე ჩემი ცხენის შე ლაგმვასა და მოსართავების მოჭერაში. მაინც დგომელა, გინდა წოლელა, ქვეითი თუ ცხენზე მჯდომარე, მერწმუნეთ, მუდამ მზადა ვარ თქვენ და თქვენს ჩინებულს, მშვენიერებით სავსე მეუღლეს გემსახუროთ.

- ფრთხილად, ჩემო სენიორ დონ კიხოტო! იქ, სადაც დულსინე ტობოსელი მეფობს, - მიუგო ჰერცოგმა, - სხვათა სილამაზის ქება გაზვიადებულსა ჰგავს.

ამ დროს თოკებიდან უკვე განთავისუფლებული სანჩო მათ ახლოს იდგა და დონ კიხოტს პასუხი დაასწრო:

- დონა დულსინე ტობოსელის საოცარი სილამაზის უარყოფა არ შეიძლება, - თქვა მან, - ეს მე ფიცით შემიძლია დავამოწმო; მაგრამ კურდღელი სწორედ მაშინ გამოხტება ხოლმე, როდესაც ნაკლებად ელი მას, და ისიც გამიგონია, რომ, რასაც ბუნებას ეძახიან, მეჭურჭლესა ჰგავს, ქოთნების მკეთებელს, რომელსაც თუ ერთი ქოთნის გაკეთება შეუძლია, ანუ ერთი მშვენიერი ლარნაკისა, ის ორს, სამს და ასსაც გააკეთებს. ამ შედარებით მიიწინააღმდეგებოდა ჰერცოგის მშვენიერი მეუღლე, რომ მას ჩემი სენიორი დულსინე ტობო სელისა არაფერი არა აქვს შესაშურებელი.

ამაზე დონ კიხოტი ჰერცოგის მეუღლეს მიუბრუნდა და უთხრა:

- ამ თავითვე უნდა მოვახსენო თქვენს უმაღლესობას, როს ქვეყანაზე არც ერთ მოგზაურ რაინდს ისეთი ყბედი საჭურველმტვირთველი არა ჰყოლია, როგორც მე მყავს. და, რომ თქვენმა უმაღლესობამ ინებოთ რამდენსამე დღეს თქვენს სამსახურად დამტოვოთ, ჩემს ნათქვამში სრულებით დარწმუნდებით.

- კეთილი სანჩო თუ ასეთი ხუმარა ყოფილა, როგორც თქვენ ბრძანებთ, - მიუგო ჰერცოგის მეუღლემ, - მით უფრო მას დიდად ვაფასებ, - ეგ იმისი ნიშანია, ჭკუიანი ყოფილა: ენის სიმახვილე, მარჯვე ხუმრობა და დროზე მოსწრებული სიტყვა, ყველა ესენი, როგორც თქვენმა მოწყალებამ უწყის, სენიორ დონ კიხოტო, მძიმე გონებასთან ვერ თავსდებიან: და თუ თქვენი საჭურველმტვირთველი ენამახვილია და ხუმარა, ეგ მხოლოდ უფლებას მაძლევს ამიერიდან მას ჭკუიან კაცად ვცნობდე.

- დაუმატეთ, ყბედადაც-თქო, - უთხრა დონ კიხოტმა.

- მით უკეთესი, - ჩაერია ჰერცოგი, - ბევრი ხუმრობის თქმა ცოტა სიტყვით არ შეიძლება. მაგრამ ჩვენ თვითონ, რომ ლაპარაკში ტყუილად დრო არ დავკარგოთ, - დაუმატა მან, - წამობრძანდით, ჩვენო დიდებულო მწუხარე სახის რაინდო...

- ლომთა რაინდი უნდა ბრძანოთ, თქვენო უმაღლესობავ, - გაუსწორა სანჩომ, - რადგან მწუხარე სახე აღარ არსებობს. ახლა თვით ლომები გვყავს.

- მაშ სენიო ლომთა რაინდს ვთხოვ ჩვენთან ერთად ჩვენს ციხე-დარბაზში წამობრძანდეს, აქვე ახლოს, რომ არის. იქ რაინდს, ჩვენს სტუმარს, მე და ჩემი ცოლი იმ პატივით მივიღებთ, რიგორც მის მაღალ წოდებას შეჰფერის და როგორც ჩვეულებრივ მოგზაურ რაინდებს მივიღებთ, ვინც კი ოდესმე გვესტუმრება.

ამასობაში სანჩო უნაგირი გამართა, მოსართავები მაგრად მოუჭირა და დონ კიხოტი როსინანტზე შეჯდა, ხოლო ჰერცოგი თავის ძვირფას ცხენს მოახტა. ჰერცოგის მეუღლე შუაში ჩაუდგა მათ და ბრწყინვალე ცხენოსნები ჰერცოგის ციხე-დარბაზისკენ გაემართნენ. ჰერცოგის ცოლმა სანჩო მიიხმო და თავის გვერდზე უბრძანა სიარული, რომ მისი ლაპარაკით და მოსწრებული სიტყვის მასალებით შეექცია თავი. სანჩომ მეორედ აღარ ათხოვნინა და სამ

ცხენოსანს მეოთხე ცხენოსნად და მოსაუბრედ გვერდში მოექცა, ჰერცოგის მეუღლე და მისი ქმარი ასეთი მოგზაური რაინდისა და მისი საჭურველმტვირთველის სტუმრობით თავს მეტად ბედნიერად თვლიდნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, მათთან სასიამოვნოდ და მხიარულად გაატარებდნენ დროს.

თავი XXXI

სადაც მოთხრობილია მრავალი ღირსშესანიშნავი ამბავი

უსაზღვრო იყო სანჩო სიხარული, რაკი ჰერცოგის ცოლი თავისთან მეგობრულ ურთიერთობაში დაინახა. თავის თავს ციხე. დარბაზში ამ თავითვე ხატავდა იმ საშოვარს, რაც დონ დიელს მამულში და ბასილიოს სახლში იშოვავა, და, რადგან მედამ კეთილი ცხოვრების მოყვარული იყო, სადაც კი შემთხვევა კარგ მასპინძლებს უქადდა, ყველა ასეთ შემთხვევას ხელს ქეჩოში სტაცებდა ხოლმე.

შემდეგ ისტორია მოგვითხრობს, რომ, ვიდრე თავიანთ ქალაქგარეთა სახლში თუ ციხე-დარბაზში მივიდოდნენ, ჰერცოგი დაწინაურდა, რომ თავის მსახურთათვის ებრძანებინა, თუ როგორ მოჰქცეოდნენ დონ კიხოტს. რაინდი და ჰერცოგის მეუღლე ციხედარბაზის ჭიშკართან მივიდნენ თუ არა, ალისფერ ატლასის გრძელ, სადილად წოდებულ ტანისამოსში გამოწყობილი ორი მეჯინიბე თუ ლაქია გამოვარდა, სწრაფად მიიბრინა დონ კიხოტთან, ცხენიდან ციმციმ ჩამოიტანა და ყველასგან დაუნახავად და ჩუმად წასჩურჩულა:

- სენიორა ჰერცოგის მეუღლეს კი ცხენიდან ჩამოსვლა თქვენ უშველეთ, თქვენო უმაღლესობავ.

დონ კიხოტი ამას თვითონაც აპირებდა, ჰერცოგის მეუღლეს. თან მიიბრინა საშველად, მაგრამ მათ შორის ამაზე მომხდარი შემოთავაზებისა და ქათინაურების ბოლოს ბრწყინვალე მანდილოსანმა თავისი გაიტანა და უთხრა, რომ ღირსი არ იყო ასეთი სახელოვანი რაინდი იმ უსარგებლო ტვირთით შეეწუხებინა, როგორ ტვირთადაც თავის თავსა თვლიდა, და მასთან - ცხენიდან არასოდეს არ ჩამოდიოდა, თუ თვით ჰერცოგი არ შეაშველებდა ხელს. ბოლოს ჰერცოგი გამოვიდა და თავის ცოლს ცხენიდან ჩამოსვლა უშველა. და ასე, ცხენიდან, რომ ყველანი ჩამოხტნენ, ციხე-დარბაზის წინა დიდ ეზოში შევიდნენ; ორმა ლამაზმა მოახლემ დონ კიხოტს მხრებზე ძვირფასი გრძელი პირისფერი მოსასხამი წამოასხა. ერთი თვალის დახამხამებაზე ეზოს ყველა ტალანი ჰერცოგის ორივე სქესის მსახურებით აივსო და რაინდს ციხე-დარბაზში მობრძანება მაღალი ხმით მიუსალამეს:

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ყვავილო და თვალისჩინო მოგზაური რაინდობისავ!

და ყველანი, ანუ მათი მეტი წილი დონ კიხოტს და მასპინძელთ სურნელოვან წყალს აპკურებდნენ, რამაც დონ კიხოტი ძალიან გააკვირვა, და ეს პირველი დღე იყო, რომ სრულად დარწმუნდა და შეიგნო, რომ იგი ნამდვილი მოგზაური რაინდი იყო და არა ოცნებითო, - რაკი დაინახა, რომ ისე მიიღეს, როგორც სარაინდო წიგნებში წარსული საუკუნეების რაინდების მიღებაზე ჰქონდა წაკითხული.

სანჩო თითქოს ჰერცოგის ცოლის კალთებს მიეწევა, ციხე-დარბაზში მას შეჰყვავა თან, მაგრამ სინდისმა მაინც ჩქარა მოაგონა თავისი მიტოვებული ვირი და ერთ დარბაისელ, სხვებთან ერთად ჰერცოგის მეუღლის მისაგებებლად შემოსულ დუენიასთან მივიდა და უჩურჩულა:

- სენიორა გონსალეს, ანუ თქვენს მოწყალებას რა ჰქვია?

- მე მქვია დონა როდრიგეს დე გრიჰალბა, - მიუგო დუენიამ. - რა გნებავთ, ძმობილო?

- მინდოდა, - მიუგო სანჩომ, - თქვენს მოწყალებას ჩემთვის დაევალებინა, ჭიშკარს გარეთ გასულიყო, იქ ჩემს ვირს ნახავთ, გთხოვთ უბრძანოთ თავლაში შეიყვანონ, ან თვითონ თქვენ შეიყვანეთ, თორემ საბრალო ძალიან მხდალია და მარტოკა დარჩენა არ შეუძლია.

- თუ შენი ბატონიც შენსავით ჭკუიანია, - უპასუხა დუენიამ, - კარგი რამ საშოვარი გვიპოვიხართ. თავიდან მომშორდი, ძმაო, თქვენცა და ისიც, ვინც თქვენ აქ მოგიყვანათ. თქვენ თვითონ მოუარეთ თქვენს ვირს, რადგან ჩვენ ამ სახლის დუენიები ვართ და მაგგვარ საქმეს ჩვეულებრივად გახლავართ.

- მერწმუნეთ, რომ, - შეესიტყვა სანჩო, - თვითონ ჩემი ბატონისაგან გამიგონია, რომანების კარგი მცოდნე, რომ არის, როდესაც ლანსელოტი ბრიტანეთიდან დაბრუნებულა, სენიორები ემსახურებოდნენ იმას, ხოლო დუენიები მის მერანს უვლიდნენ და, რაც ჩემს ვირს შეეხება, მე იმას სენიორ ლანსელოტის ჯაგლაგზედაც კი არ გავცვლი.

- ძმობილო, თუ ხუმარა ხართ, - უთხრა დუენიამ, - თქვენ ხუმრობა იმას შეუნახეთ, ვინც მაგაში ფასს მოგცემთ, თორემ ჩემგან დამჭკნარი ლეღვის ჩირსაც ვერ მიიღებთ.

- მაგისთვისაც მადლობელი ვარ, - უთხრა სანჩომ, - რადგან თქვენი ნაბომები ლეღვი თქვენი ხნისა იქნება და მაშასადამე-მწიფე.

- ჰოი, შე მეძავის შვილო! - დაუყვირა გაბრაზებულმა დუენიამ, - ბებერი ვარ თუ არა, ამის ანგარიშს ღმერთს მივცე და არა თქვენ, უმაქნისო, ნივრით აყროლებული ვიგინდარავ.

ისე ხმამაღლა დაიყვირა ეს სიტყვები, რომ ჰერცოგის ცოლმა გაიგონა, მოიხედა და, თავისი დუჟნია, რომ აღელვებული და თვალეზაპრიალებული დაინახა, ჰკითხა: ვის ეჩხუბებო?

- აი, ამას, ამ კეთილ კაცს, დაჟინებით, რომ მგზავნის - წადი, ჩემი ვირი ჭიშკარს გარეთ დავტოვე, თავლაში შეიყვანეო, და, მაგალითად მოჰყავს, სადღაც, ვიღაც ლანსელოტს სენიორები ემსახურებოდნენო და დუენიები მის მერანს უვლიდნენო, და თანაც დაატანა - დედაბერი ხარო.

- მაგ უკანასკნელ სიტყვას მე ძალიან საწყენად მივიღებდი, - თქვა ჰერცოგის მეუღლემ.

მერე სანჩო მიუბრუნდა და უთხრა:

- იცოდეთ, მეგობარო სანჩო, რომ დონა როდრიგესი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა. ტოკას იმიტომ ატარებს, რომ მისი თანამდებობის და ჩვეულების სამკაულია, და არა იმისათვის, ვითომც ხნიერი იყოს.

- ყველა ჩემი სიცოცხლის ხანი უბედურებაში გავატარე, - მიუგო სანჩომ, - თუ მე ეგა მქონოდეს აზრად. მე ეგ მხოლოდ იმიტომ ვუთხარ, რომ ძალიან მიყვარს ჩემი ვირი და მეგონა სენიორი დონა როდრიგესზე გულშემატკივარს ვერავის მივანდობდი.

დონ კიხოტმა ყველა ეს ლაპარაკი, რომ გაიგონა, მიმართა სანჩოს და უთხრა:

- განა აქ ასეთი ლაპარაკი შესაფერია?

- სენიორ, - მიუგო სანჩომ, ყველა იძულებულია იმაზე ილაპარაკოს, სადაც უნდა იმყოფებოდეს, რაც უჭირს. ჩემი ვირი აქ მომაგონდა, ამიტომ იმაზე აქ ვილაპარაკე, თავლაში, რომ მომგონებოდა, მაშინ აქ კი არა, თავლაში ვილაპარაკებდი.

ამაზე ჰერცოგმა თქვა:

- სანჩო სავსებით მართალია, მაშ მისი ბრალდებაც არ შეიძლება. ლურჯას იმდენს აჭმევენ, რამდენის შეჭმასაც შეიძლება, და სანჩო ნუ იწუხებს. ვირს ისე მოუვლიან, როგორც მის პატრონს შეეფერება.

დონ კიხოტს გარდა, ამ ყველასათვის საგულისხმო ლაპარაკის შემდეგ ყველანი მალა ავიდნენ და რაინდი ფარჩულითა და ოქროთი ძვირფასად მორთულ დარბაზში შეიყვანეს. აქ ექვსმა მშვენიერმა ყმაწვილმა ქალმა, ჰერცოგისა და მისი ცოლისაგან დარიგებულმა, თუ რა უნდა ექნათ, როგორ მოპყრობოდნენ დონ კიხოტს, რათა რაინდს ჰგონებოდა და დაენახა, რომ ისე ეპყრობიან, როგორც მოგზაურ რაინდს შეეფერებოდა, - იარაღის ახსნა დაუწყეს და ემსახურებოდნენ. იარაღი, რომ მოხსნეს და თავისი აქლემის ყელის კამზოლით და ვიწრო შარვლით დარჩა - მაღალი, ფერმიხდილი, გამხდარი, ლოყებჩაცვივნილი, თითქოს ერთმანეთის საკოცნელად მიიწევენო, ყბისთავებგამოშვერილი დონ კიხოტი ისეთ სასაცილო სანახავს წარმოადგენდა, რომ, თუ მის მომვლელ მშვენიერ ქალებს (როგორც სასტიკად ჰქონდათ ნაბრძანები) ყოველნაირი ძალ ღონით თავი არ შეეკავებინათ, მგონია, სიცილით დაიხოცებოდნენ.

მოახლენი სთხოვდნენ, მოურიდებლად გაეხადა ტანთ და მათთვის ნება მიეცა, პერანგი გადაეცვათ. მაგრამ რაინდი ამაზე არავითარი გზით არ დათანხმდა და იძახოდა: მოგზაურ რაინდებს დარცხვენა იმდენადვე აქვთ შეფერებული, რამდენადაც სიმამაცეო. მაინც სთხოვა, პერანგი სანჩოსათვის მიეცათ. მარტო მასთან შეიკეტა კარი მშვენიერ დარბაზში, სადაც არა ნაკლებ მშვენიერი ლოგინი იდგა, და თავისი მორთულობა დაასრულა. სანჩოსთან მარტომ, რომ დაიგულა თავი, მიუბრუნდა და უთხრა:

- ახლადშეთითხნილო ხუმარავ და დაძველებული სულელი ერთი მითხარი, კარგს სჩადიოდი - ისეთ დარბაისელ და პატივსაცემ დუნას აწყენინებდი და აუპატიურებდი? რა დროს ვირზე ლაპარაკი იყო, რომ დაიწყე? ისეთი სენიორები სად გინახავს, რომ ვირზე ზრუნვა დავიწვებოდეთ, როდესაც მის პატრონს ალერსიანად და სიამოვნებით ეპყრობიან. თუ ღმერთი გწამს, სანჩო, ჭკუას დაადექი, თავი შეიკავე, რომ ძაფის მიხედვით ვერ გაიგონ, რა მსხვილი და ტლანქი ნართისაგანა ხარ მოქსოვილი. შეიგნე, ცოდვილო, რომ ბატონს იმდენად მეტ პატივს სცემენ, რამდენადაც მისი მსახურნი უფრო ზრდილნი და დარბაისელნი არიან, და ერთი დიდი უპირატესობა პრინციებისა სხვა ხალხთან შედარებით ის არის, რომ მათი მსახურნი ისევე კარგები არიან, როგორც მათი ბატონები არიან კარგები, განა არ გაგეგება, შე უგუნურო ადამიანო, რომ, ვინც შენს ტლანქ ხეპრობას დაინახავს, ან შენს ბრიყვ ხუმრობას გაიგონებს, შეუძლია იფიქროს, რომ მეც ვინმე მატყუარა და ცრუ რაინდი ვარ? არა, არა, მეგობარო სანჩო, ამ ხიფათს ერიდე, რადგან, ვინც ყბედ ხუმარასავით ბორძიკობს, პირველსავე გაუფრთხილებელ ნაბივე ძირს ეცემა და სასაცილო მასხარა ხდება. შენი ენა შელაგმე, ყველა სიტყვა, ვიდრე პირიდან გამოუშვებ, მოიფიქრე და გახსოვდეს, რომ ისეთ ადგილს მოვედით, საიდანაც ღვთისა

და ჩემი ვაჟკაცობის შემწეობით, სამჯერ და ხუთჯერ მეტი დიდებით და ქონებით გასვლა მოგველის.

სანჩო დიდი გულწრფელობით აღუთქვა, რომ უმალ ტუჩებს გაიკერავდა ან ენას მოიკვნეტდა, ვიდრე ამიერიდან მოუფიქრებლად და უალაგო ალაგს რამე სიტყვას იტყოდა, და არხეინად ყოფნა სთხოვა დონ კიხოტს, რადგან მისი მიზეზით ვერავინ აღმოაჩენდა, თუ ვინ იყვნენ ისინი და რანი იყვნენ.

ამასობაში დონ კიხოტმა ტანთ ჩაიცვა, წელზე ხმალი შემოირტყა, მხრებზე ძოწეული ტილომა წამოისხა, თავზე ჰერცოგის მოახლეთაგან მორთმეული მწვანე ატლასის პატარა ქუდი დაიხურა და ასე მორთული საზეიმო დარბაზში შევიდა, სადაც ორ მხარეზე თანასწორად ჩამწკრივებული, მისგან უკვე ნახული მშვენიერი ქალები დახვდნენ. ყველას პირსაბანად საჭირო რამე იარაღი ეჭირა, რომ რაინდისათვის ხელები დაეზანინებინათ, და ეს მრავალი ფართიფურთოებით და რევერანსებით შეასრულეს, შემდეგ დარბაზში სახლთუხუცესის მეთაურობით ოთხი პაჟი შემოვიდა, რომ დონ კიხოტი სასადილო ოთახში წაეყვანათ, სადაც ჰერცოგი და მისი ცოლი მას უკვე ელოდნენ. პაჟები რაინდს გარს შემოეხვივნენ და დიდის ბრწყინვალეობითა და ზეიმით სხვა დარბაზში შეიყვანეს. იქ მდიდრულად მიწყობილ ტაბლაზე სუფრის ავედი მხოლოდ ოთხისთვის იყო დადგმული. ჰერცოგი და მისი ცოლი რაინდის მისაგებებლად კარებთან მივიდნენ, მათთან ერთი დარბაისლური სახის მღვდელიც იყო, ზოგიერთ დიდებულთა სახლში მოძღვრობას, რომ ეწევა, იმათთაგანო, რომლებიც, რაკი დიდებულად არ არიან დაბადე. გულნი, უნარი არ შესწევთ ასწავლონ დიდებულებს მათი შესაფერი მოვალეობანი, იმათთაგანო, რომლებიც საცოდავ ძუნწებად აქცევენ ყველა მათ, ვისაც ხელმძღვანელობენ და მომჭირნეობას ასწავლიან, - უეჭველია, ის დარბაისლური სახის მღვდელიც, ვამბობ, იმათთაგანა უნდა ყოფილიყო. ჰერცოგი და მისი მეუღლე დონ კიხოტს, რომ შეეგებნენ, ერთმანეთს ათასი საალერსო სიტყვა და ქათინაური უთხრეს და რაინდი სუფრასთან მიიწვიეს. ჰერცოგმა რაინდს ტაბლის თავში საპატო ადგილი შესთავაზა და, თუმცა რაინდი ძალიან უარობდა, ბოლოს სტუმარი იძულებული იყო მასპინძლის ბეჯით თხოვნას დამორჩილებოდა. მოძღვარი რაინდის პირდაპირ დაჯდა, ხოლო ჰერცოგი და მისი ცოლი დონ კიხოტს აქეთ-იქით მიუსხდნენ.

სანჩო იქ იყო, ყველაფერს ხედავდა და ისმენდა და მეტად გაკვირვებული იყო, რომ ასეთი დიდი პატივით ეპყრობოდნენ მის ბატონს. ჰერცოგის იმ გავაზებისა და თხოვნის გამო, რომ დონ კიხოტი საპატო ადგილას დამჯდარიყო, ვეღარ გაძლო, რომ არ ეთქვა:

- თქვენი მოწყალება თუ ნებას მომცემს - ენა დავძრა, ერთ ჩვენს სოფელში მომხდარ ამბავს მოგახსენებთ სუფრაზე ადგილის დაჭრის გამო.

ესა თქვა თუ არა სანჩომ, დონ კიხოტი მთელი ტანით შეინძრა, რაკი დარწმუნებულა იყო, მისი საჭურველმტვირთველი რაიმე დიდ სისულელეს მოჩმანავდა, სანჩო ფიქრს მიუხვდა და საჩქაროდ უთხრია:

- ნუ გეშინია, თქვენო მოწყალება, თავს არ დავივიწყებ და ისეთს არას ვიტყვი, ახლანდელ მდგომარეობაზე გამოჭრილი არიოს. ახლახან, რომ რჩევა მომეცით, რა როდის არის სათქმელი, არ დამვიწყებია.

- მე ეგ არ მახსოვს, - მიუგო დონ კიხოტმა, - თქვი, რაც გინდა, ოღონდ კი ჩქარა თქვი.

- რის თქმასაც ვაპირებ, - განაგრძო სანჩომ, - ჭეშმარიტი ამბავია, როგორც ის არის ჭეშმარიტი, რომ აქ მბრძანებელი ჩემი ბატონი დონ კიხოტი ტყუილს არ მათქმევინებს.

- რაიცა მე შემეხება, - უთხრა დონ კიხოტმა, - რამდენიც გინდა, ტყუილი თქვი, არ შეგაჩერებ, მხოლოდ, რის თქმაც გინდა, ჯერ მოიფიქრე.

- ბევრი ვიფიქრე და მოვიფიქრე კიდევ, - მიუგო სანჩომ, - ახლა ისევე უშიშრად შეიძლო ვთქვა, როგორც ზარის მრეკელია: ზარს ქვეშ უშიშრად, და ამას კი საქმით დაინახავთ.

- კარგს ინებებდით, თქვენო უმაღლესობავ, - უთხრა მასპინძლებს დონ კიხოტმა, რომ უბრძანოთ ეს სულელი აქედან გააგდონ, თორემ, ვინ იცის, რა უამრავ სისულელეს დასჩმახავს!

- ჰერცოგის სიცოცხლესა ვფიცავ, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა, - სანჩოს ერთ ნაბიჯზედაც არ მოვიშორებ, მეტად მომწონს, რადგან ძალიან გონიერი კაცია.

- გონიერიმც იყვნენ დღენი თქვენი სიცოცხლისა, თქვენო ბრწყინვალეობავ, შესძახა სანჩომ, - ჩემს შესახებ კარგი აზრისათვის, თუმცა მე ეგ არ დამიმსახურებია. მაგრამ, ჰო, აი ის ამბავთ, რომ მინდოდა მეთქვა. ერთმა ჩემი სოფლის იდალგომ, ძალიან მდიდარმა და პატივცემულმა (რადგან ალამოსთ მედინა დელ-კამპოს ოჯახიდან ჩამომავლობდა) ცოლად დონა მენსია დე კინიონესი შეირთო, ასული დონ ალონსო დე მარანიონესისა, დე სანტიაგოს ორდენის რაინდისა, ერადურში, რომ დაიხრჩო, ვისი მიზეზითაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს დაბაში ჩხუბი მოხდა და იმ ჩხუბში, თუ არა ვცდები, ჩემი სენიო დონ კიხოტიც მონაწილეობას იღებდა. და მაშინ იყო, რომ ჩერჩეტი თომასილიო დაიჭრა მჭედელ ბალბასტროს შვილი... ყველა ეს მართალი არ არის? ჩემო ბატონო სენიორ, თქვენო მოწყალებავ, გაფიცებთ, თქვათ, რომ ამ სენიორებმა მატყუარა ყბედად არ ჩამთვალონ.

- ჯერხანად ყბედად უფრო ჩაგთვლით, ვიდრე სიცრუის მოლაპარაკედ, - გამოელაპარაკა მოძღვარი, - შემდეგ რად ჩაგთვლით, - არ ვიცი.

- მოწმედ იმდენი ხალხი მოიხმე, - მიუგო დონ კიხოტმა, - და იმდენი ნიშნები თქვი, რომ ძალაუნებურად უნდა ვიფიქრო, იქნება მართალი თქვი. განაგრძე, მხოლოდ კი შეამოკლე შენი ამბავი, თორემ, რა გზითაც მიდიხარ, შენს ამბავს ორ დღესაც ვერ გაათავებ.

- არა, შემოკლება არ არის საჭირო, - დაიძახა ჰერცოგის მეუღლემ, - როგორც იცის, ისე თქვას, თუნდა ექვსი დღე ილაპარაკოს; იმ ექვს დღეს ჩემს სიცოცხლეში საუკეთესო დღეებად ჩავთვლი.

- ჰოდა, ჩემო სენიორებო, ვამბობ, - განაგრძო სანჩო, - რწორედ იმ იდალგომ, რომელსაც ჩემი ხუთი თითივით ვიცნობ, რადგან ჩემი სახლიდან მის სახლამდის ერთი მშვილდ-ისრის გასროლის მანძილის მეტი არ იქნება, სადილზე ერთი ღარიბი, მაგრამ პატიოსანი გლეხი მიიწვია.

- ძმობილო, თქვენ იმ გზით მიდიხართ, რომ, მგონია, მაგ ამბავს მეორედ მოსვლამდის ვერ დაამთავრებთ, - უთხრა მოძღვარმა.

- ნუ სწუხართ, სააქაოს ნახევარ გზაზედაც დავასრულებ, თუ ღმერთი შემეწია, მიუგო სანჩომ. - ჰოდა, ის სოფლის მეურნე, ვიხედავ გითხარით, რომ მოვიდა დამპატიჟებელ იდალგოსთან, უფალმა ულხინოს მის სულს, რადგან უკვე მოკვდა და, როგორც იტყვიან, ანგელოზის

სიკვდილით მოკვდა, მაგრამ მე კი არ დავსწრებივარ იმის სიკვდილს, რადგან მაშინ ტემბლეკში სამკალად ვიყავ...

- თუ ღმერთი გწამს, შვილო, - კვალად დაუძახა მოძღვარმა, - დაბრუნდი მაგ შენი ტემბლეკიდან და იდალგოს დამარხვას ნუ მოჰყვები, თუ მასთან ჩვენი დამარხვაც არ გინდა.

- როდესაც უკვე მზად იყვნენ სუფრაზე დასასხდომად, - განაგრძო სანჩომ, - ღმერთმანი, ისე მგონია, თითქოს ახლა მათ თვალითა ვხედავ-მეთქი, უფრო უკეთესადაც, ვიდრე მაშინ...

ჰერცოგსა და მას ცოლს მოძღვრის მოუთმენლობა და უკმაყოფილება მეტად აცინებდა, როდესაც სანჩო თავის ამბავს ამ გაჭიანურებულ წვრილმან დამატებას დაურთავდა ხოლმე, დონ კიხოტი კიდეც შეკავებული ბრაზისა და წყენისაგან ენთებოდა.

- ეს ორი სუფრაზე უნდა დამსხდარიყვნენ, - განაგრძო სანჩომ, - მაგრამ ეს იყო, რომ გლეხი გაჯიუტდა და იდალგოს ემუდარებოდა - პირველ ადგილზე დამჯდარიყო. იდალგოს კიდეც უნდოდა პირველ ადგილზე გლეხი დამდგარიყო, რადგან იდაგო თავის სახლში იყო, და ამბობდა, როგორც მსურს, ისე უნდა მოვიქცეო. მაგრამ გლეხი ზრდილობას და რიგიან აღზრდას ჩემობდა და არასგზით არ თანხმდებოდა, ვიდრე იდალგომ მხრებში ხელი არ წაავლო და პირველ ადგილზე შემდეგი სიტყვებით ძალით არ დასვა: "დაჯექ, შე ხეპრეე", - უთხრა მან, - მე სადაც უნდა დავჯდე, შენზე მუდამ და ყველგან პირველ და საპატიო ადგილზე ვიჯდეები". ეს არის ჩემი ამბავი და, მგონია, საეხლაოდ ზედგამოჭრილია.

დონ კიხოტს ჯერ ალმური აედინა, მერე მკვდრის ფერი დაედო, შავგვრემანი სახე აუფორეჯდა. ჰერცოგი და მისი ცოლი მიხვდნენ სანჩოს აზრს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, სიცილს იკავებდნენ, რომ დონ კიხოტი არ გაერისხებინათ, რადგან მიხვდნენ, რომ სანჩო იმის გამო თქვა ეს ამბავი. ლაპარაკი, რომ როგორმე გადაგსხვაფერებიათ და სანჩოსათვის კვალად რაიმე სისულელის თქმის მიზეზი არ მიეცათ, ჰერცოგის მეუღლემ მკითხა დონ კიხოტს: დუღსინესაგან რა ამბავი მოგდისო, ამ უკანასკნელ ხანებში საჩუქრად ვინმე ჯადოქარი ან დევი ხომ არ გაგიგზავნიაო, უეჭველია, რამდენიმე მათგანი გეყოლება დამარცხებულიო.

- ჩემო სენიორა, - უპასუხა დონ კიხოტმა, - თუმცა ჩემთა უბედურებათა დასაბამი ჰქონდათ, მაგრამ დასასრული კი მაინც არ ექნებათ. მე ვამარცხებდი დევგმირებს, ვუგზავნიდი ჩემს მინურს ჯადოქრებს და მოღალატეთა, მაგრამ სად და როგორ ეპოვათ იგი, როდესაც ამჟამად მოხიბლულია და საზიზღარ გლეხის დედაკაცად გარდაქმნილი, ისეთ საზიზღრად, რომ უარესის წარმოდგენაც არ შეიძლება.

- ვერაფერი გამიგია, - ჩაერია სანჩო პანსა, - მე კი დუღსინე ყველაზე გულის წარმტაც ქმნილებად მეჩვენა, ეს კარგად იმით მაინც ვიცი, რომ მეტად მკვირცხლია და მსუბუქად ხტის. ამ ხელოვნების ნიჭით თოკზე მოთამაშე ჯამბაზსაც არ დაუვარდება. ღმერთსა ვფიცავ, თქვენო უმაღლესობავ, სახედარს სწორედ კატასავით შეახტება ხოლმე.

- თქვენ, სანჩო, განა გინახავთ ის მოხიბლული, - ჰკითხა ჰერცოგმა.

- მაშ ვიღას უნდა ენახა, თუ არა მე? - მიუგო სანჩომ, - ან ეგ მისი მოჯადოების საქმე ვინ მოიფიქრა, თუ არა მე იგი ისე არის მოჯადოებული, როგორც ცხონებული მამაჩემი.



მოდვარმა დევები, ჯადოქრები და მოხიბვლა-მოჯადოება გაიგონა თუ არა, სრულებით დარწმუნდა, რომ ჰერცოგის სტუმარი სწორედ ის ლამაზი დონ კიხოტი უნდა ყოფილიყო, რომლის მოგზაურობას ჰერცოგი სიამოვნებით კითხულობდა - რის გამოც მოძღვარი არა ერთხელ გვიცხავდა მას და ეუბნებოდა: სულელთა ამბების კითხვა სისულელეაო, რაკი სრულებით დარწმუნდა, რომ მის წინაშე სახელოვანი რაინდი იმყოფებოდა, მოძღვარმა ვეღარ მოითმინა და ჰერცოგს წყრომით უთხრა:

- თქვენო ბრწყინვალეზავ, ჩემო სენიორ! უფლის წინაშე პასუხისგება მოგიხდებათ იმაზე, რასაც ეს კეთილი კაცი სჩადის, ეს დონ კიხოტი თუ დონ უგუნური, ანუ რაც უნდა იყოს მისი სახე. ლა. მე ვფიქრობ, ისეთი უგუნური სულაც არ არის, როგორც თქვენს უმაღლესობას სურს გამოიყვანოს იმით, რომ შემთხვევას აძლევთ ყოველგვარი სისულელისა და აბდაუბდის ჩმახვისას, რითაც მას თავი აქვს გამოტენილი.

მოდვარი მერე დონ კიხოტს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- ხოლო თქვენ, ტვინგადმობრუნებულო, ისეთი დამთხვეული აზრი ვინ ჩაგაგონათ თავში, ვითომც დევებს ამარცხებდეთ და დადო ქრები ტყვედ მიგყავდეთ? გეყოფათ ხალხის სასაცილოდ აგდება. შინ წადით, შვილები აღზარდეთ, თუ გყავთ, მეურნეობას შეუდექით და მაგ ყველა მცნობისა და უცნობისათვის სასაცილო ხეტიალს თავი დაანებეთ. ამ ჩვენს დროში სად გამონახეთ მოგზაური რაინდები სად გინახავთ ესპანეთში დევები და ქამანჩაში ჯადოქრები? სად გინახავთ მოხიბლულა დულსინეები და ყველა ის სისულელე და ჭორი, რასაც თქვენზე ლაპარაკობენ?

მოდვრის ყველა ნათქვამი, ბრწყინვალე მასპინძლების მოურიდეზლად წარმოთქმული, დონ კიხოტმა მდუმარებით და ყურადღებით მოისმინა და, როდესაც მან გათავება ინება, რაინდი წამოხტა და რისხვით ანთებულმა და მეტად აღელვებულმა გულის. წყრომით თქვა...

მაგრამ ეს პასუხი ღირსია ცალკე თავში იყოს გადმოცემული.

თავი XXXII

როგორ უპასუხა დონ კიხოტმა თავის შეურაცხმყოფელს და სხვა ღირსშესანიშნავი და სასაცილო შემთხვევები

მაშას დონ კიხოტი ფეხზე წამოხტა, სინდიყით მოწამლულის მსგავსად თავით ფხებამდის აკანკალდა და აღელვებულმა სწრაფად წარმოთქვა:

- სახლი, სადაც აწ ვიმყოფები, დიდებულ გვამთა აქმყოფობა და ის პატივისცემა, რა პატივისცემაც სასულიერო პირთადმი მუდამ მქონდა და კლავაც მექნება, მაიძულებენ ჩემი სამართლიანი რისხვის კვეთება შევიკავო. ამის გამო, რაც ვთქვი, და იმიტომაც, რომ ვიცი და ყველამაც იცის - რომ ანაფორის მარე ბელთა იარაღი იგივეა რაც მანდილოსანთა იარაღი - სახელდობრ ენა - და მეც თანასწორი იარაღით შევებრძოლები თქვენს მოწყალებას ვისგანაც - უმაღ უშვერი კიცხვისა გულკეთილი რჩევის იმედი უნდა მქონოდა კეთილმსახურებითი და კეთილგანზრახვიანი, მოძღვრისებური განკიცხვა სხვანაირად და სხვა სახით უნდა

გამოცხადებულიყო, მაგრამ მკიცხავდით მე საჯარო და იმ კიცხვაში სულ ცოტა, რომ ვთქვა, კეთილი დარიგების საზღვარს გადასცდით, რადგან კეთილი დარიგება უფრო სირბილეზე არის დამყარებული, ვიდრე სიმკაცრეზე. ცუდია, როდესაც ცოდვისა არა ვიცით რა, ვკიცხავთ კი მას, მის ჩამდენს ვტუქსავთ და ყველაფრის მიუხედავად ჩამდენს სულელს და ჭკუაარეულს ვეძახით. თუ რაცა ვთქვი, ასე არ არის აბა მიბრძანეთ თქვენო მოშველება რა უგუნურობა დაინახეთ ჩემგან ჩადენილში, რას მიწუნებთ და რის გამო მკიცხავთ? შინ წასვლას მიბრძანებ ცოლისა და შვილების მოსავლელად ის კი არ იცით, მყვანან ისინი თუ არა. ნუთუ სხვა აღარაფერი მოითხოვება იმის მეტი, ოღონდ რაიმე გზით სხვის სახლში შევიდეთ და მის მეურნეობაზე ვიუფლოთ? აღიზრდებით რა რომელიმე ლატაკური საერთო საცხოვრებლის ოთხ კუ ლელს შუა ოცი ან ოცდაათი მილის მანძილის იქით გარშემო ვედარას ხედავთ და თამამად გამოდიხართ და რაინდობას კანონებს უწერთ და მოგზაურ რაინდებზე მსჯელობს. ანუ იქნება უსარგებლო საქმეა ამაოდ დაკარგული დროა ის დრო, რომელიც ქვეყანაზე მოგზაურობაში იხარჯება იმიტომ კი არა, ცხოვრების სიტკბოება ვეძებოთ, არამედ ეკლიანი გზის ძებნაში, რა გზითაც ღვაწლმოსილნი უკვდავების ტახტზე ზე იწევინ. მე, რომ რაინდებმა დასახონ უგუნურად, სულგრძელებმა, ამაღლებულებმა, მაღალ. შობილებმა, მე ამას დიდ შეურაცხყოფად მივიღებდი; მაგრამ, თუ მწიგნობარნი მთვლიან ლიტონ კაცად, რომელთაც რაინდობაში ფეხი არასოდეს არ შეუდგამთ და არც მისებრ მია ქცეულან, ამას მე გროზადაც არ ჩავთვლი, რაინდი ვარ და რაინდადვე, მოვკვდე. მი, თუ ზენაარსო ამას ინებებს. ზოგი ზვიადი პატივმოყვარეობის ვრცელ ასპარეზზე მიდის, ზოგი - მდაბალ და მონურ მლიქვნელობას ეწევა, სხვები - მატყუარა ფარისევლობას მკიდებენ ხელს და ძალიან მცირედია ისეთი, ჭეშმარიტი სარწმუნოების გზას, რომ ადგას, გოლო მე ჩემი ბედის ვარსკვლავის ხელმძღვანელობით მოგზაური რაინდობის ვიწრო ბილიკით მივდივარ და, ვასრულებ რა ჩემს მოწოდებას, მიწიერ სიკეთეს უგულველყოფ, მაგრამ პატივს კი არა! მე დაჩაგრულთათვის სამაგიეროს ვუხდიდი, ბოროტს კეთილ გზაზე ვაყენებდი, კადნიერებას ვსჯიდი, დევებს ვამარცხებდი .და ურჩხულებს ფეხით ვთელავდი. გამიჯნურებული ვარ, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოგზაურ რაინდს შეჰფერის. ბიწიერთა რიცხვს არ ვეკუთვნი, არამედ მომთმინოთა, პლატონითურთ რიცხვში ვიმყოფები. ჩემი წადილები მუდამ კარგი მიზნებისკენ არიან მიმართულნი: ყველას კეთილი ვუყო და არავისთვის ბოროტი არა ვქმნა. ვინც ასე ფიქრობს, ვინც ასე მოქმედებს და ვინც ასე ცხოვრობს - განა სულელად მიჩნევის ღირსია- მიბრძანეთ, თქვენო უმაღლესობავ, ბრწყინვალე ჰერცოგო და ჰერცოგის მეუღლე?

- ჩინებულია, ღმერთსა ვფიცავ, ჩინებული! - შეჰყვირა სანჩომ. - მეტსაც ნურას იტყვით თავის გასამართლებლად, თქვენო მოწყალება, ჩემო სენიორ და ბატონო, რადგან აღარც რამეა სათქმელი, აღარც რამეა საფიქრელი და აღარც რამეა დასამტკიცებელი. ამასთანაც, თუ ეს სენიორი უარყოფს, როგორც უარყოფდა - ქვეყანაზე მოგზაური რაინდები არა ყოფილანო, მაშ რაღა საკვირველი, რომ იმაზე ლაპარაკობდეს, რაც არ იცის.

- იქნება, ძმობილო, თქვენ, - ჰკითხა მღვდელმა, - ის სანჩო პანსა ხართ, რომელსაც, როგორც ისტორიაში მოგვითხრობენ, მისი ბატონი დონ კიხოტი კუნძულის გუბერნატორობას დაჰპირდა?

- დიახ, მე სწორედ ისა ვარ, - მიუგო სანჩომ, - რომელიც სხვაზე ნაკლებ არ არის გუბერნატორობის ღირსი, - მე იმათ ვეკუთვნი, რომლებზედაც ამბობენ, "კეთილს მიეკედლა და თვითონაც კეთილი შეიქნაო", "ვინც კარგ ხეს მიეყუდება, კარგი ჩრდილით დაიფარებაო". მე კარგ ბატონს მივეყუდე და უკვე მრავალი თვია, რაც მასთან ერთად ვიმყოფები და მისი

მსგავსი შევიქნები, თუ ღმერთი ინებებს, დღეგრძელ იყოს იგი, დღეგრძელ ვიყო მე, რადგან არც მას მოაკლდება იმპერიები საგამგებლოდ, არც მე კუნძულები, სადაც გუბერნატორობას გავწევ.

- დიახ, არ მოგაკლდება, ჩემო მეგობარო სანჩო, - დაიძახა ჰერცოგმა, - და მე სენიო დონ კიხოტის პატივსაცემად, მოგიძღვნიტ თქვენ ერთ-ერთი ჩემი კარგა დიდი კუნძულის გუბერნატო.

- სანჩო, მუხლი მოიდრიკე და მის ბრწყინვალეობას დიდი რობას.

წყალობისათვის ფერხთა ეამბორე. - უთხრა დონ კიხოტმა.

სანჩო რაინდის ბრძანება საჩქაროდ ასრულა. მოძღვარმა, რომ ეს დაინახა, ტაბლიდან მეტისმეტად განრისხებული ადგა და გაბრაზებულმა უთხრა:

- თქვენო უმაღლესობავ, ამ ანაფორას ვფიცავ, ზედ, რომ მაცვია, იძულებული ვარ ვაღიარო, რომ თქვენი ბრწყინვალეობა ისეთივე უგუნურია, როგორც ეს ორი ცოდვილი. აბა რატომ არ უნდა იყვნენ უგუნურნი, როდესაც საღი გონების პატრონები მათ უგუნურებას შეაქებენ. დარჩით ამათთან, თქვენო უმაღლესობავ, და, ვიდრე ესენი აქ იქნებიან, მე გირჩევნია შინ ვიჯდე და თავიდან იმისი გაკიცხვა და ჯაფა ავირიდო, რისი შეცვლაც არ შემიძლია.

ამის მეტი აღარა თქვა რა, ჭამას თავი დაანება და წავიდა, მისდამი ყურადღების მიუპყრობლად, რომ ჰერცოგი და მისი ცოლი დარჩენას სთხოვდნენ. ისიც კი იყო, ჰერცოგი არცთუ ისე ძალიან იჭერდა მას, რადგან მღვდლის უადგილო განრისხებაზე ატეხილი სიცილი ლაპარაკს უშლიდა. სიცილი, რომ გაათავა, დონ კიხოტს უთხრა:

- თქვენო მოწყალეობავ, სენიორ ლომთა რაინდო, - თქვენ ისე მარჯვედ და ძლევამოსილად უპასუხეთ თქვენს მოწინააღმდეგეს, რომ თქვენდა ვითომ მოყენებული წყენა სრულებით გააუქმეთ. ნამდვილი, რომ ვთქვათ, თქვენთვის არავის უწყენინებია, რადგან სასულიერო პირთ, როგორც მანდილოსანთ, არავითარი წყენა არ შეუძლიათ, რაც ჩემზე უკეთესად თქვენმა მოწყალეობამ უწყის.

- სრულ სიმართლეს ბრძანებთ, - მიუგო დონ კიხოტმა, - და მაგისი მიზეზი ის არის, რომ, ვისი შეურაცხყოფაც არ შეიძლება, მას სხვისი შეურაცხყოფა არ შეუძლია. მანდილოსანთ, ბავშვებს და სასულიერო პირთ არ შეუძლიათ თავი დაიცვან და, თუნდაც, რომ მათ ვინმემ წყენა მიაყენოს, მაინც შეურაცხყოფილნი არ იქნებიან, რადგან წყენა და შეურაცხყოფას შორის, როგორც თქვენ. მი მოწყალეობამ ჩემზე უკეთესად იცის, დიდი განსხვავებაა, შეურაცხყოფა ანუ გაუპატიურება იმის მხრიდან მოდის, ვისაც შეუძლია ის წყენინება გაამაგროს, მას სარჩლი გაუწიოს, ხოლო წყენა ყველას შეუძლია უიმისოდ, რჯი შეურაცხყოფად არ გადააქციოს იგი, მაგალითად: ქუჩაში მიდის ვინმე დამშვიდებული. უცებ შეიარაღებული კაცი ესხმის თავს და დოზით სცემს, იგი მაშინვე ხმალს იძრობს და თავის მოვალეობას აღვისრულებს, ესე იგი სამაგიეროს გადახდა უნდა, მაგრამ მტრის სიმრავლე ხელს უშლის. ის კაცი ნაწყენი იქნება და არა შეურაცხყოფილი, ანუ გაუპატიურებული ასეთივე მეორე მაგალითი; კაცს უკანადად ვინმე მოეპარა, ჯოხი დაარტყა და გაიქცა: ვინც დარტყმა მიიღო, მაგივრის გადასახდელად უკან გამოუდგა, მაგრამ ვერ მოგწია. ესეც წყენაა და არა გაუპატიურება, იმიტომ, რომ გაუპატიურებას გამაგრება და სარჩლი უნდა. თუ ვინც ჯოხი დაარტყა, ვერაგული აზრი ჰქონდა, გაუპატიურება უნდოდა, უნდა დამდგარიყო, ხმალი ამოედო და თავისი მტრისათვის ელოდნა, მაშინ ჯოხდარტყმული კაცი ნაწყენიც იქნებოდა და გაუპატიურებულაც: ნაწყენი

იმიტომ, რომ უკანადაც მიპარვით ჯოხის დარტყმა მიიღო, და გაუპატიურებული იმიტომ, რომ, ვინც დაარტყა, კი არ გაიქცა, იქვე დადგა და მით თავის დარტყმას სარჩლი გაუწია, გაამაგრა. და ასე ამგვარად, იმ შეჩვენებულა ხმაღში გამოწვევის კანონით, მხოლოდ გულნაწყენი ვარ და არა გაუპატიურებული და შეურაცხყოფილი, რადგან ბავშვებს და მანდილოსნებს ბოროტი არ ახსოვდებოდათ, არც გარბიან და არც დაცდის მიზეზი აქვთ. წმიდა სარწმუნოების მსახურთათვისაც ასეა, რადგან იმ სასულიერო პირთა სამ რიგობას თავის დაცვისათვის იარაღი არა აქვს არც შეტევისათვის, არც მოგერიებისათვის და, თუმცა ბუნებას კანონით იძულებულნი არიან თავი დაიცვან, მაგრამ ის იძულება კი არა აქვთ, ვინმეს თავს დაესხნენ, და თუ, რაც ეს-ეს არის ვთქვი, შემდეგლო თავი ნაწყენად ჩამეთვალა, ახლა ვამბობ, რომ ნაწყენიც არა ვარ, რადგან, ვისი წყენაც არ შეიძლება, მით უმეტეს იმას არავისი წყენა არ შეუძლია, მხოლოდ სანანურად მაქვს, რომ ცოტა ხანს არ დაიცადა, მე დავუმტკიცებდი, რა ძლიერ სცდება იგი, რომ ფიქრობს და ამბობს, ვითომც ქვეყანაზე მოგზაური რაინდები არა ყოფილან და არც არიანო. ამადისს ანუ მის მრავალრიცხოვან წარმომადგენელ. თავანს ეს, რომ გაეგონა, მაშინ მის მაღალ ღირსებას ცუდი საქმე დაემართებოდა.

- დიახაც, ისე დასთხლემდა მახვილს, - თქვა სანჩომ, - რომ თავიდან ბოლომდის ბროწეულივით ან დროგადასულ ნესვივით შუაზე გაჩეხდა. ისინი ისეთი ადამიანები როდი იყვნენ, რომ ვიზომე ხუმრობა აეტანათ! რეინალდო მონტალბანელი იმ კაცუნას ლაპარაკი, რომ მოესმინა, პირჯვრის მაღლმა, პირში ისეთს ჩააფარებდა, მთელ სამ წელიწადს სიტყვა ვეღარ წამოეყრანტალეზინა. აბა ერთი ხელი ეხლო მისთვის, ნახავდა, რა უბედურებას დამართებდა.

ჰერცოგის ცოლი, რომ სანჩო უსმენდა, სიცილით კვდებოდა და მის ბატონზე უფრო სასაცილოდ და ჭკუაარეულად ეჩვენებოდა. ბოლოს დონ კიხოტი დამშვიდდა და სადილიც მშვიდობიანად გათავდა. სუფრა, რომ ალაგეს, ოთახში ოთხი ყმაწვილი ქალი შემოვიდა ერთს ვერცხლის ტაშტი ეჭირა, მეორეს - ისეთივე ალთაფა, მესამეს - თოვლივით სპეტაკი ორი პირსახოცი და მეოთხეს, ნიდაყვებამდის დამკლავებულს, თეთრ ხელებში (ხელები კი სწორედ თეთრი მქონდა) ერთი ნაჭერი მრგვალი ნეაპოლური საპონი. პირველი ქალი შნოიანი რხევით მივიდა დონ კიოტთან და ტაშტი წვერქვეშ შეუდგა. რაინდს ეს თუმცა გაუკვირდა, მაინც ხმა არ ამოუღია, გაიფიქრა, ალბათ აქაური ჩვეულებით ნასადილევს ხელების მაგიერ წვერს ჰბანენო. ამიტომ, რაც კი შეეძლო, კისერი წაიგრძელა და თავი აიწია, რომ წვერი კარგად გამოჩენილიყო. მაშინ ალთაფისმჭერელი ქალი მივიდა და წყალი მთლად პირისახეზე ჩამოასხა, ხოლო საპნისმჭერელმა დიდი აჩქარებით არა მარტო წვერი, მთელ პირისახეზე სამი გოლის სისქედ თეთრად აუქაფა სახე და წვერი. ადამიანს ეგონებოდა, რაინდს სახე-წვერზე დიდი თოვლი დასდებიაო, და ამ ყოფით, კისერწაგრძელებული, სახე ზევით აწეული და თვალმდებარეული, რომ საპონს არ დაეწვა, დონ კიხოტი მორჩილებით უცდიდა ამ აბანოს დასასრულს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დასასრული გვიანდებოდა, რადგან ალთაფაში წყალი სწორედ მაშინ გამოიღია და, ვიდრე მოიტანდნენ, რაინდი იძულებული იყო ამ ყოფაში დარჩენილიყო. ჰერცოგი და მისი ცოლი, ამ ხუმრობის არ მომლოდინენი, ვერ მიმხვდარიყვნენ, ეს უცნაური პირის ბანა რით უნდა გათავებულყო. ყველას ყურადღება იმაზე იყო მიქცეული, რომ ამ ყოფით დარჩენილ რაინდზე არავინ იცინოდა, და ეს მხოლოდ სასწაულს უნდა მიეწეროს. მოახლეები მთელ ამ ხანს თვალმდებარეილნი იდგნენ და თავიანთი ბატონებისათვის შეხედვა ვერ გაეხედათ და ბატონებსაც ცალკე სიბრაზე და ცალკე შეკავებული სიცილი ახრჩობდათ, არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ - მოახლენი ამ კადნიერებისათვის დაეტუქსათ, თუ დაესაჩუქრებინათ იმ სიამოვნებისთვის, ამ სასაცილო სახით, რომ აჩვენეს რაინდი. ბოლოს

ალთაფიანი მოახლე მოვიდა და დონ კიხოტის აბანოც დასრულდა, პირსახოცებიანმა მოახლემ დონ კიხოტს პირი და წვერი კარგად გაუმშრალა და, ოთხმავე მოახლემ თავის დაკვრით და მუხლების ღრმად ჩაკეცვით, რომ გასვლა დააპირეს, ჰერცოგმა იმის შიშით, დონ კიხოტი არ მიმხვდარიყო, სასაცილოდ ამიგდესო, ტაშტისმჭერელ მოახლეს დაუძახა და უთხრა;

- აბა, ახლა მე დამზანეთ, მაგრამ გაფრთხილდით, წყალი არ დაგაკლდეთ.

ეშმაკმა და მიხვედრილმა გოგონამ ჰერცოგს წვერქვეშ ტაშტი შეუდგა, მოახლეებმა საჩქაროდ საპონი წაუსვეს, ისევე, როგორც ეს დონ კიხოტს გაუკეთეს, წვერი ჩამოიბანეს, პირი შეუწმინდეს და, რომ დაასრულეს, დიდი მოწიწებით თავი დაუკრეს და სასადილო ოთახიდან გავიდნენ, შემდეგში შეიტყვეს, რამ ჰერცოგი ამ კადნიერი მოახლეების სასტიკად დასჯას აპირებდა, თუ არ მიხვედრილიყვნენ და თავიანთი დანაშაული მისი პირის დაბანით არ გამოესწორებინათ.

სანჩო ყურადღებით უცქეროდა პირის ბანის ზეიმს და თავისთვის წაიბუტბუტა:

"ღმერთო მიშველე. იქნება აქ საჭურველმტვირთველის პირის დაბანაც ჰქონდეთ ჩვეულებად, ისე, როგორც რაინდებს ბანენ, რადგან, ღმერთსა და ჩემს სულს ვფიცავ, ჩემთვის ეს ძალიან საჭიროა და, რომ ამ წვერს სულაც მომპარსავდნენ, დიდ სიკეთედ ჩავთვლიდი".

- რას ჩურჩულებთ, სანჩო? - ჰკითხა ჰერცოგის ცოლმა.

- იმას ვამბობ, სენიორა, - მიუგო სანჩომ, - რომ, მე მუდამ მესმოდა სხვა თავადების სახლში ნასადილევს ხელზე წყალს უსხამენ და წვერსაც ჰბანენო. ამიტომ კარგია კაცმა დიდხანს იცოცხლოს, რომ ბევრი რამ ნახოს: მაგრამ ამასაც ამაბობენ, ვინც ბევრს სწავლობს, ბევრ გაჭირვებასაც ითმენსო, თუმცა, ერთი ასეთი დაბანაც, რომ გამოსცადოს, სიამოვნებას უფრო მეტს იგრძნობს, ვიდრე შეწუხებას.

- ნუ სწუხართ, მეგობარო სანჩო, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა, - ახლავ ვუბრძანებ ჩემს მოახლეებს წვერი დაგბანონ და, თუ საჭიროა, შეგიმშრალონ კიდეც.

- ამ ჯერობაზე წვერის დაბანას ვიკმარებ, - უთხრა სანჩომ, - და მერე ისე იყოს, როგორც ღმერთი ინებებს.

- სახლთუხუცესო, - დაუძახა ჰერცოგის ცოლმა, - გაიგონეთ, კეთილი სანჩო რას ითხოვს? სურვილი ბეჯითად აუსრულეთ.

სახლთუხუცესმა მოახსენა, მზადა ვარ სენიო სანჩო სამსახური გაუწიო. ეს თქვა, სადილის საჭმელად წავიდა და სანჩო თან წაიყვანა. ხოლო ჰერცოგი, მისი ცოლი და დონ კიხოტი სასადილო ოთახში ისევ მაგიდასთან ისხდნენ და სხვადასხვა საომარ საქმეებთან კავშირის მქონე საგნებსა და მოგზაურ რაინდობაზე ლაპარაკობდნენ. ჰერცოგის ცოლმა სთხოვა დონ კიხოტს, - რადგან კარგი მეხსიერების პატრონი იყო, - დუღსინეს სილამაზე და გარეგნობა აეწერა, რომელიც, როგორც ხმებია გავრცელებული, ისეთი მშვენიერი უნდა იყოს, რომ მისი მსგავსი მთელს ქვეყნიერებაზე და მთელს ლამანჩაშიაც არ მოიპოვებაო. დონ კიხოტმა ჰერცოგის ცოლის ეს სურვილი, რომ მოისმინა, ღრმად ამოიოხრა და თქვა:

- მე, რომ მკერდიდან ჩემი გულის ამოღება და თქვენს წინაშე, აი ამ მაგიდაზე, სინით დადგმა შემეძლოს, მაშინ ჩემს ენას შრომა აღარ დასჭირდებოდა, ის ვთქვა, რის წარმოდგენა ძლივს შეიძლება, რადგან თქვენი უმაღლესობა ცხადად დაინახავდა იმ გულზე აღბეჭდილ სენიორა

დულსინეს სახეს. მე კი როგორ გავბედავ წარმოვიდგინო და აღვწერო დაწვრილებით უბადლო დულსინე მშვენიერება? იგი ტვირთია, რომელიც ჩემზე ღონიერ მხრებს მოითხოვს; იგი განზრახვაა, რომელიც პარასიუსის, ტიმანტესის და აპელესის ყალმის ან ლისიპეს საკვეთის ღირსია, რომ ტილოზე დაიხატოს, მარმარილოსა და ბრინჯაოზე ამოიჭრას, და ციცერონული ან დემოსთენური მჭევრმეტყველება საჭირო, რომ შესაფერი ხოტბა შეესხას.

- რა არის დემოსთენური მჭევრმეტყველება, სენიო დონ კიხოტო? - ჰკითხა ჰერცოგის ცოლმა, - ეგ სიტყვა ჯერ არსად გამიგონია.

- დემოსთენური მჭევრმეტყველება, - უპასუხა დონ კიხოტმა, - იგივეა, რომ ვიტყვით, მჭევრმეტყველება დემოსთენისა. აგრეთვე ციცერონული მჭევრმეტყველება ნიშნავს მჭევრმეტყველებას ციცერონისას; ეს ორი კაცი მსოფლიოში ყველაზე დიდებული ორატორები იყვნენ.

- დიახ, სწორედ აგრეთ, - თქვა ჰერცოგმა, - თქვენ კი ამ საგნის უმეცრება გამოიჩინეთ. მაინც კი, სენიო დონ კიხოტი დიდად დაგვაძალეზდა ჩვენთვის სენიორი დულსინე აეწერა, რადგან მისი სახის მცირედი მოხაზულობითაც ისეთნაირად გამოიყვანდა, რომ ულამაზესი ქალის გულშიაც კი შურს აღძრავდა.

- დიდი სიამოვნებით აგიწერდით, - მიუგო რაინდმა, - თუ იმ უბედურებას, დულსინეს, რომ დაემართა, მისი სახე ჩემი მეხსიერებიდან არ ამოეფხვრა. ეს უბედურება კი იმგვარია, რომ ამჟამად მე უმალ მის სილამაზეს უნდა ვიგლოვდე, ვიდრე აღვწერდე, რადგან საჭიროა იცოდეთ, თქვენო მოწყალეზავ, რომ, როდესაც ამ რამდენიმე ხნის წინ წავედი მისი ხელის საკოცნელად და მისი ლოცვა-კურთხევისა და ნებართვის მისაღებად, რომ მესამე გამგზავრებას დავდგომოდი, მე იგი, როგორსაც ვეძებდი, ისეთი ველარ ვპოვე. ვპოვე მე იგი მოხიბლული და პრინცის ასულის მაგიერ გლეხის ქალად გარდაქმნილი, მშვენიერებიდან - მახინჯად, ანგელოზიდან - ემშაკად, კეთილსურნელოვანიდან - აყროლებულად, ნაზიდან -- ტლანქად, მშვიდობიანიდან - დამთხვეულად, ნათელბრწყინვალის მაგიერ - დახამშულ-დაბნელებულად, ერთი სიტყვით, დულსინე ტობოსელის მაგიერ - საიაგოელ გლეხის დედაკაცად.

- ღმერთო მიშველე! - მაღალი ხმით შეჰყვირა ჰერცოგმა, - ეგეთი ბოროტება რომელმა ბილწმა მიაყენა ქვეყნიერებას? ვინ წარსტაცა სენიორა დულსინეს მისი ქვეყნის გამახარებელი სილამაზე, მისი გამშვენიერებული სიტურფე და მისი გამაპატიოსნებელი სიმშვიდე და კრძალულება?

- ვანა? - მიუგო დონ კიხოტმა, - სხვა ვინ იქნებოდა, თუ არ ბოროტი ჯადოქარი, მრავალთაგან ერთ-ერთი ჩემი მოშურნე, ჩემი მდეველი - შეჩვენებული თესლისა, ქვეყნად მიტომ მოსული, რათა კეთილთა ღვაწლი დაბინდოს და მოსრას, ხოლო ბოროტთა საქმენი აღამაღლოს და ელვარება მოჰფინოს: ჯადოქარნი მდევენიდნენ, ჯადოქარნი მდევენიან და კვლავაცა მათგან დევნილ ვიქნები, ვიდრე მეც და ჩემთა დიადთა რაინდულ ღვაწლთა დავიწყების ღრმა უფსკრულში არ შთააგდებენ. ისინი ვნებას მაყენებენ და იქ მგვემენ, სადაც ყველაზე მეტად ვიგრძნობ ტკივილს, რადგან მოგზაური რაინდისათვის მიჯნურის წართმევა იგივეა, რომ თვალი გამოსთხარონ, რითაც ხედავს თავის მანათობელ მზეს, და საყრდნობები გამოაცალონ, რაზედაც იგი ემყარება. არეც ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მოგზაური რაინდი უმიჯნურქალოდ ჰგავს უფოთლო ხეს, უსამირკვლო სახლს და და მაჩრდილებელ საგანს მოკლებულ ჩრდილს.

- მაგის წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება - თქვა ჰერცოგის ცოლმა, - მაგრამ თუ დაუფჯერებთ ახლახან გამოსულ წიგნს, სადაც მოთხრობილია სენიორ დონ კიხოტის ისტორია, საერთო ქება რომ დაიმსახურა, უნდა დავასკვნათ, რომ თქვენს მოწყალებას სენიორა დულსინე არასოდეს არ უნახავს და, რომ ასეთი სენიორა ქვეყანაზე არც არსებობს, ხოლო იგი არის მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ოცნების ქმნილება, თქვენი მოწყალების წარმოდგენაში დაბადებული, ხოლო თქვენ იგი, როგორც მოისურვებთ, ისე ყოველგვარი მშვენიერებით და სისრულით შეამკეთ.

- მაგაზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, - მიუგო დონ კიხოტმა. - მარტო ერთმა ღმერთმა უწყის ქვეყანაზე - დულსინე არსებობს თუ არა? სინამდვილეა მისი არსებობა, თუ წარმოდგენით არის გაჩენილი? ყველა ეს ისეთი რამ არის, გამოკვლევაც არ შეიძლება, მის ფუმემდისაც ვერ მიიყვანს ადამიანს. იგი მე არ გამიჩენია და არც ჩემს წარმოდგენას უშობია, თუმცა ჩემს თვალწინ მიმავლებს იგი ამ სახით, რა სახეც სენიორას შეეკვრება, იმ თვისებებით მოჭმული, რა თვისებებსაც შეუძლია მას მთელ ქვეყანაზე სახელი გაუთქვას, - სახელდობრ: იგი უნდა იყოს უზადო მშვენიერი, უამპარტავნო სერიოზული, მოკრძალებით შეყვარებული - მგრძნობელობის ზრახვათა უქონლად, ალერსიანი, თვინიერ ზრდილობისა, ზრდილი კეთილად აღზრდის გამო და, დასასრულ, წარჩინებული შთამომავლობისა, რადგან კეთილშობილი სისხლის გამო სილამაზე ელვარების და სისრულის უმაღლეს საფეხურზედაც შუქსა ჰყენს, რასაც დაბალი შთამომავლობის ლამაზები მოკლებულნი არიან.

- სავსებით მართალი ბრძანდებით, - დაუდასტურა ჰერცოგმა, - მაგრამ სენიორ დონ კიხოტმა ნება მომცეს ვუთხრა რასაც მისი ღვაწლის ისტორიის წაკითხვა მაიძულებს. ეს ისაა, რომ კიდევ დაუშვავთ დულსინე ტობოსოში ანუ მის გარეთ სადმე არსებობს და მისი სილამაზეც, როგორც თვითონ თქვენმა მოწყალებამ აგვიწერა, სისრულის უაღრეს ხარისხამდის აღწევს, მაინც დიდებული შთამომავლობით მას არ შეუძლია გაუთანასწორდეს არც ორიანას, არც ალასტრახარეას, არც მადასიმას და მათ მსგავსთა, რომლებითაც სავსეა თქვენი მომე მოწყალებისთვის ნაცნობი ყველა რომანი.

- მაგაზე შემძლია მოგახსენოთ, - უპასუხა დონ კიხოტმა, - რომ დულსინე თავისთა საქმეთა შვილია, რომ ღირსებანი სისხლს აკეთილშობილებენ და, რომ სიქველე მდაბიო გვარის ადამიანთა უდიდესი პატივის ღირსია, ვიდრე ბიწიერება დიდი გვარის შთამომავლისა. ამას გარდაც, დულსინე ისეთ ღირსებათა პატრონია, რომელთაც ძალუძთ თუნდა მეფის მეუღლის ხარისხამდის მისი ამაღლება გვირგვინი და კვერთხიც აკუთვნონ მას, რადგან ლამაზი და კეთილმოქმედი მშვენიერი მანდილოსნის ღირსებას უდიდესი სასწაულის მოხდენა შეუძლია და თავისი არსით აშკარად თუ არა ვირტუალურად მაინც უაღრეს ბედნიერებას შეიცავს.

- ვაღიარებ, სენიორ დონ კიხოტო, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა, რომ ყველაფერი, რაც თქვენმა მოწყალებამ თქვა, ამტკიცებს, გველივით ბრძენი რომ ხართ და თქვენი აზრი მუდამ უდიდეს სიღრმესა ზომავს; ამიერიდან სამუდამოდ ვიწამებ, ჩემს სახლშიაც ყველას ვაწამებინებ და თუ დამჭირდება, ჩემს სენიორ ჰერცოგსაც ვაიძულებ იწამოს, რომ დულსინე ტობოსელი არსებობს, რომ იგი ახლაც ცოცხალია, დიდი გვარისაც არის და ღირსია მას ემსახუროს ისეთი რაინდი, როგორც სენიორ დონ კიხოტია. რაც შემძლია ვთქვა, მისთვის უაღრეს ქებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ არ შემძლია ზოგი რამ ეჭვი არ გამოვთქვა და აგრეთვე არ შემძლია სანჩოს შესახებ რაღაც სამდურავს არა ვგრძნობდე, ეს ის არის, რომ ზემოხსენებულ ისტორიაში ნათქვამია, ვითომც, როდესაც სანჩო პანსამ დულსინეს თქვენი მოწყალების წერილი მიუტანა,

იგი მაშინ ხორბალს ცხრილავდა და, მასთან, იგივე ისტორია მოუთხრობს, ის ხორბალი ყვითელი იყო. აი ეს გარემოება სენიორა დულსინეს დიდ შთამომავლობაზე რაღაც მაქვებს.

ამაზე დონ კიხოტმა უპასუხა:

- ჩემო სენიორა, თქვენს უმაღლესობას უნდა მოვახსენო, რომ ყოფილივე ანუ თითქმის ყველაფერი ჩემთვის არაჩვეულებრივი სახითა ხდება, სრულებით ისე არა, როგორც სხვა მოგზაურ რაინდებს უხდებათ, და არ ვიცი გამოუკვლეველი რამ ჩემი ბედისწერისგან არის ეს თუ რომელიმე ჩემი მოშურნის ბოროტი განზრახვით. ახლა უკვე დამტკიცებულია, რომ ყველას ანუ სახელოდან მოგზაურ რაინდთა მეტ წილს სხვადასხვა უპირატესობა ჰქონდათ მინიჭებული; ზოგს მოჯადოება არ ეკარებოდა, ზოგი ისეთი მაგარი სხეულის პატრონი იყო, რომ მისი დაჭრა არ შეიძლებოდა, როგორც, მაგალითად, როლანდი იყო, საფრანგეთის ერთი თორმეტთაგანი პერი, რომელზედაც მოუთხრობენ, რომ მისი დაჭრა შეიძლებოდა მარტო მარცხენა ფხის ქუსლში და ისიც მხოლოდ მსხვილი ქინძისთავის წვერით. იგი რონსევალის მინდორზე ბერნარდო დელ კარპომ მოკლა. როცა ნახა, რომ მასზე მახვილი არ მოქმედებდა, მაშინ მოაგონდა, ჰერკულესმა დევის მსგავს ანტეოსს, დედამიწის შვილად მიჩნეულს, როგორ სძლია, - იმანაც როლანდი ხელში აიყვანა და დაახრჩო. ამ ნათქვამიდან მინდოდა დამესკვნა - იქნება მეც რაიმე უპირატესობითა ვარ მოჭრმული, - ისეთით კი არა, ჩემი დაჭრა არ შეიძლებოდა, ამას ვერ ვიტყვი, რადგან გამოცდილებამ სულ უკუღმა მაჩვენა, - ჩემი სხეული ნაზია და ადვილი დასაკოდი. არც იმით, რომ ჩემი მოჯადოება არ შეიძლებოდა, რადგან ჩემი თავი უკვე გალიაში ვნახე მოჯადოებული, სადაც ვერავითარი ძალა ვერ შემამწყვდევდა, თუ ჯადოქრის მოხიბვლა არა ყოფილიყო. მაგრამ მას აქეთ, რაც იქიდან თავი დავაღწიე, შემიძლია ვიფიქრო, რომ აღარავითარი ჯადო ვედარავითარ ვნებას ვერ მომიტანს. ის ჯადოქრები კი ხედავენ რა, რომ ჩემზე ვეღარ მოქმედებენ, სამაგიეროს გადახდა იმაზე გადაიტანს, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, და ცდილობენ ჩემთვის სანატრელი დულსინეს დევნით სიცოცხლე მომისპონ. ამიტომ, ვფიქრობ, როდესაც ჩემი საჭურველმტვირთველი ჩემი დავალებით მასთან მივიდა, მათ იგი გლეხის დედაკაცად გარდაქმნეს, ისეთთ ტლანქი საქმის მკეთებლად, როგორც ხორბლის ცხრილვაა. მაგრამ მე წელან ვთქვი, რომ ის ხორბალი ყვითელი ხორბალი კი არ აყო, - არამედ აღმოსავლეთის მარგალიტი. ამ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად თქვენს მშვენიერებას მოვახსენებ, რომ ამ ცოტა ხნის წინ ტობოსოში გავლის დროს მე იქ დულსინეს სასახლეები ვეღარ ვიპოვე, ხოლო მასუკან ჩქარა, როდესაც ჩემმა საჭურველმტვირთველმა იგი დაინახა ნამდვილი სახით, ესე იგი ქვეყნიერებაზე უპირველეს მშვენიერად - იგი ჩემს წინ ტლანქ და მახინჯ სოფლის დედაკაცად წარმოდგა და ლაპარაკითაც ძალიან ბრიყვულად ლაპარაკობდა, თუმცა იგი გონიერების განსახოვნებაც არის. და რადგან თვითონ მე მოხიბლული არა ვარ და საღი მსჯელობის ძალით ჩემი მოხიბვლა არ შეიძლება, ამიტომ თვითონ ჩემი მიჯნურია მოხილული, დამახინჯებული, შეგინებული და შეცვლილი; ჩემმა მტრებმა ჩემი სამაგიეროს გადახდევინება იმაზე გადაიტანეს. ამის გამო მთელი ჩემი სიცოცხლე განუწყვეტლად ცრემლი უნდა ვღვარო, ვიდრე დასასრულ, მას პირველყოფილი სახით არ ვიხილავ ყველა ეს იმიტომ ვთქვი, რომ სანჩოს სიტყვებს ყურადღება არავინ მიაქციოს, ვითომც დულსინე ხორბალს ცხრილავდა, რადგან, თუ ჯადოქრებმა იგი ჩემს თვალებს შეუცვალეს, რა არის საკვირველი, რომ სანჩოსთვისაც შეეცვალათ? დულსინე დიდი შთამომავლობისაა, ტობოსოს კეთილშობილი გვარეულობისაა. იქ ძველი წარჩინებული გვარეულობაში ბევრნი არიან და, ეჭვს გარეშეა, რომ მათგან არა მცირედი ნაწილი გადმოვიდა მემკვიდრეობით უბადლო დულსინეში; და მისი მეოხებით მისი სამშობლო სოფელი მომავალ



საუკუნეებში დიდად სახელოვანი შეიქმნება, როგორც ელენეს მეოხებით ტროადა შეიქნა და კავას მეოხებით - ესპანეთი, თუმცა შესაძლოა ჩემმა მიჯნურმა თავისი სამშობლო უფრო დიდებული სახით ასახელოს. მეორე მხრივ მინდა თქვენი უმაღლესობის ყურადღება იმას მივაპყრა, რომ სანჩო პანსა ყველაზე სასაცილო და ხუმარა საჭურველმტვირთველია მათში, ვისაც კი ოდესმე მოგზაურ რაინდებთან უმსახურია. ხანდახან მოხდება, გულუბრყვილობას ჩაიდენს, იმდენად მახვილგონივრულს, რომ ადამიანი ვერ გაარჩევს სულელია იგი თუ მახვილგონიერი. ხანდახან ისეთი სიტყვა-პასუხი აქვს, რომ ადამიანი გაიმვერად ჩათვლის, ხან კიდევ ისეთ გარეწარ რასმეს იტყვის და ჩაიდენს, ადამიანს სულელად ეჩვენება. იმას ყველაფერი სწამს და იმავე დროს ყველაფერს ეჭვით უცქერის. როდესაც მეჩვენება, რომ თავის სისულელის მორევში ჩაინთქა-მეთქი, უცებ ისეთ გონიერებას იჩენს, რომ ცამდის აღამაღლებს მას. ერთი სიტყვით, მე მას არც ერთ საჭურველმტვირთველზე არ გავცვლი, თუნდაც სართად მთელი ქალაქიც ზედ დაუმატონ, ამიტომაც ვეჭვობ, კარგს ვიზამ თუ არა, იმ კუნძულის გუბერნატორად გავგზავნო, თქვენმა უმაღლესობამ რომ უბოძა? თუმცა მასში გამგებლობის ნიჭს კიდევ ვპოვებ. ცოტაოდენადაც რომ გაშალაშინებულებიყო მისი გონება, მაშინ წარმატებით გაუძღვებოდა ყოველგვარ საგუბერნატოროს, როგორც მეფე თავის შემოსავალს უძღვება, - მით უფრო, რომ მრავალი მაგალითით ვიცით: გუბერნატორად ყოფნისთვის დიდი ხელოვნება და ცოდნა როდია საჭირო, რადგან ესპანეთში ასი და ორასი ისეთი გუბერნატორია, წერა-კითხვა ძლივს რომ იცის, მაგრამ არწივივით გუბერნატორობს. საქმის მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კარგი განზრახვები ჰქონდეს და კეთილი სურვილი, მუდამ სიმართლით მოიქცეს, რადგან ისეთი დამრიგებელი არ მოაკლდება, კარგი რჩევა აძლიოს და ასწავლოს, თუ რის გაკეთებაც არის საჭირო, როგორც იმ შემთხვევაშია, როდესაც გუბერნატორად უსწავლელი აზნაურია და მერხაბების საშუალებით მსაჯულობს. მე ვურჩევდი სანჩოს, "ქრთამები არ აელო", თანაც "თავისი უფლება არავისთვის შეელახვინებინა" და კიდევ სხვა წვრილმანსაც, რასაც თავის დროზე ვიტყვი, როგორც სანჩოს სარგებლობისათვის, ისე იმ კუნძულის სიკეთისთვის, რომელიც საგამგებლოდ მიეცემა.

ამ ალაგას ჰერცოგის, მისი ცოლისა და დონ კიხოს ლაპარაკი საშინელი ყვირილით და ხმაურობით იქნა შეწყვეტილი. ყვირილი ჰერცოგის დარბაზიდან გაისმოდა და ზედ დატანებით სასადილო ოთახში მთლად აღელვებული, ყელზე ხელსახოცის მაგიერ სამზარეულოს დასტამალშემოხვეული სანჩო შემოვარდა და მას რამდენიმე პატარა ბიჭი, ანუ უკეთ ვთქვათ, სამზარეულოს პიკარო და სხვა ხალიც შემოჰყენენ. ერთი იმათგანი სანჩოს უკან მოსდევდა, დაჟინებით ცდილობდა მისთვის ნიკაპქვეშ, ვინ იცის, რა ნარეცხებით სავსე რაღაც მათრათი შეედეგა, ხოლო მეორეს, ისეთივე უქნარას, უნდოდა იმ ნარეცხებით სანჩოსთვის წვერი დაეზანა.

- ეს რას ნიშნავს, ძმებო, - ჰკითხა ჰერცოგის ცოლმა, - რა ამბავში ხართ, რა გინდათ ამ კეთილი კაცისაგან? ნუთუ დაგავიწყდათ, რომ ეს გუბერნატორად არის დანიშნული?

ამაზე მზარეულმა-დალაქმა მიუგო:

- ეს სენიორი ნებას არ გვამლევს პირი ისე დავბანოთ, როგორც ჩვენმა ბატონმა ჰერცოგმა და მისმა საკუთარმა პატრონმა, დაიბანეს.

- არა, მე ძალიანაც მინდა პირის დაბანა, მაგრამ წყლით მინდა და არა რაღაც ნარეცხებით, - მიუგო მეტად განრისხებულმა სანჩომ, - ისიც მინდა, რომ პირსახოცი ამ დასტამალზე სუფთა

იყოს, წყალი სუფთა და ხელებიც არც ისე ჭუჭყიანი. მე და ჩემს ბატონში არც ისეთი დიდი განსხვავებაა, რომ მას პირი ანგელოზის წყლით დაბანონ, მე კი ეშმაკის ნაცარტუტითა. სხვადასხვა ქვეყნის და თავადების ჩვეულება მაშინ არის კარგი, თუ ადამიანს უსიამოვნებას არ აყენებს, აქაური ჩვეულება კი ყოველგვარ სინანულის გვემაზე უარესია. მე წვერი სუფთა მაქვს და აბანოს არ საჭიროებს, მაგრამ ვინც გაბედავს და ჩემს თმასა და წვერს, შეეხება, უპატიური სიტყვა რომ არ ვთქვა, ისეთ მუშტს ვთხლეშავ გოგრაში, რომ თავის კოსროში გაეჭედოს, რადგან პირისახის გასაპვნის ასეთი ჩ ერემონიები, როგორითაც აქ მიმასპინძლებიან, უფრო მასხარად აგდებას ჰგავს, ვიდრე სტუმრის სიამოვნებას.

ჰერცოგის ცოლი სანჩოს ლაპარაკს რომ ისმენდა და მას უცქეროდა, სიცილით კვდებოდა, ხოლო დონ კიხოტი ვერაფრად იყო კმაყოფილი, რომ მისი საჭურველმტვირთველი რაღაც ჭრელი ჩვრებით მოერთოთ და სამზარეულოს უქნარანი შემოხვეოდნენ. ამიტომ ზეზე წამოდგა, ჰერცოგს და მის ცოლს თავი დაბლა დაუკრა, თითქოს იმის ნიშნად, რომ მათ ლაპარაკის ნებას სთხოვდა, თავხედ ბრბოს მიუბრუნდა და დამშვიდებული ხმით უთხრა:

- ჰეი, თქვენ, სენიორ კავალერებო, მოეხსენით ჩემს მსახურს და, საიდანაც მოსულხართ, იქვე ანუ, საცა გენებოთ, იქ წადით, რადგან ჩემი საჭურველმტვირთველი ისევე სუფთაა, როგორც ყველა სხვა, და ეს ნარეცხების მართაი ამისთვის შესაფერი ჭურჭელი არ არის, გაიგონეთ ჩემი რჩევა და თავი ანებეთ მაგას, თორემ არც ამას და არც მე მაგვარი ხუმრობა არ გვესმის და არ გვიყვარს.

სანჩომ თავის ბატონს სიტყვა ჩამოართვა და განაგრძო:

- ასე მხოლოდ უსახლკარო მაწანწალას გამამსახრავებენ. მე სანჩო პანსა არ ვყო, თუ ეს მოვითმინო! ერთი სცადონ ახლოს მოვიდნენ და სოფლის ხეპრეს გამეხუმრონ, ისე მოვუთმენ ყველაფერ ამას, როგორც ახლა ღამეა და არა დღე. სავარცხელი ან, რაც გინდათ, მომიტანთ და ეს წვერი ჩამომვარცხნეთ. თუ შესარცხვენი რამე იპოვონ, დაე მთელ თავზე ქარბუქი ამადინონ და ისე გადამკრიჭონ.

ჰერცოგის ცოლმა სიცილის შეუკავებლად თქვა:

- სანჩო პანსა ყველაფერში მართალია, რაცა თქვა, და მართალი იქნება, რასაც კიდევ იტყვის. ის სუფთა არის და პირის ბანას არ საჭიროებს და, თუ ჩვენი ჩვეულება არ მოსწონს - მისი სული მის ხელთ არის, მით უფრო, რომ თქვენ სისუფთავის მსახურნო, ძალიან დაუდევარნი გამოხვედით და არ ვიცი, გითხრათ თუ არა, კადნიერებიცა, რომ ასეთი პიროვნებისთვის ასეთი წვერისათვის ოქროს ტაშტის, ალთაფისა და ჰოლანდიური პირსახოცის მაგიერ ეს ხის მათრათი და სამზარეულოს დასტამლები მიუტანეთ. უეჭვოა, ბოროტი ხალხი ხართ, გაუზრდელი და არ შეგიძლიათ, უმაქნისებო, მოგზაური რაინდის საჭურველმტვირთველის წინააღმდეგ აღძრული შური დაფაროთ.

არათუ სამზარეულოს პიკარობმა, სახლთხუცესმაც კი ჰერცოგის ცოლის სიტყვები ნამდვილ დატუქსვად მიიღეს და ცხვირები ჩამოუშვეს. დარცხვენილებმა სანჩოს მაშინვე ყელიდან ჩვარი მოხსნეს, თავი დაანებეს და შეშფოთებულნი სასადილო ოთახიდან გაიძურწნენ.

სანჩომ რომ ჰერცოგის ცოლის წასარჩლებით თავი დიდი საშიშრებისაგან განთავისუფლებული დაიგულა, მსწრაფლ ჰერცოგის ცოლის წინ მუხლი მოიყარა და უთხრა:

- დიდთა წყალობითა - დიდთა ბატონთაგან უნდა მოელოდე და იმ წყალობისთვის, რაც ეს არის ახლა თქვენმა უმაღლესობამ მომზადლა, შემძლია მაგიერი გადაგიხადოთ მხოლოდ იმ სურვილით, რომ ჩქარა ვიხილო ჩემი თავი დალოცვილ მოგზაურ რაინდად, რათა ჩემი სიცოცხლის ყველა დღენი თქვენი ბრწყინვალე პიროვნების სამსახურს შევწირო. მე უბრალო გლეხი ვარ, სანჩო პანსა მქვია, ცოლი და შვილები მყავს და საჭურველმტვირთველად ვმსახურებ. თუ ყველა ამით რაიმე სამსახურის გაწევას შევიძლებ თქვენი დიდებულებისათვის, უმაღლესებს თქვენს ბრძანებას, ვიდრე მის წარმოთქმას მოასწრებდეთ.

- ახლავე ჩანს, სანჩო, - მიუგო ჰერცოგს ცოლმა, - რომ ზრდილობა თვითონ ზრდილობის სკოლაში გისწავლიათ, - მინდოდა მეთქვა - ახლავე ჩანს-მეთქი, რომ თქვენი ბატონი დონ კიხოტის ხელმძღვანელობითა ხართ აღზრდილი, რომელსაც არ შეუძლია ზრდილობის მართებულობის ყვავილად, ანუ როგორც იტყვიან ხოლმე თავაზიანობის ნალებად არ ითვლებოდეს. ღმერთიც ფარავდეს ასეთ ბატონსაც და ასეთ მსახურსაც. ერთს - ვითა მოგზაური რაინდობის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავსა, ხოლო მეორეს - ვითა ვარსკვლავს საჭურველმტვირთველობის ერთგულებისას. ახლა, მეგობარო სანჩო, ადექით. მე თქვენი მართებულების მაგიერს იმით გადაგიხდით, რომ ჩემს სენიორ ჰერცოგს ვთხოვ დაპირებული კუნძულის გუბერნატორობა რაც შეიძლება ჩქარა გიბოძოთ.

საუბარი ამით დაასრულეს და დონ კიხოტი ნასადილევს მოსასვენებლად წავიდა, ხოლო ჰერცოგის ცოლმა სანჩოს სთხოვა, თუ ძალიან არ ეძინებოდა, მასთან და მის მოახლეებთან გაეტარებინა დრო ძალიან გრილ დარბაზში. სანჩომ უპასუხა, რომ, თუმცა ზაფხულობით ჩვეული იყო ნასადილევს ოთხ-ხუთ საათს დაეძინა, მაგრამ მისი ბრწყინვალეების სიამოვნებისათვის მზად იყო წელში გაწყვეტილიყო და დღეს ერთ წამსაც ოვალი არ მოეხუჭა და, რასაც კი ჰერცოგის ცოლი უბრძანებდა, ყველაფერი აესრულებინა. ხოლო ჰერცოგმა თავისი ბრძანება განამტკიცა, თუ როგორ მოპყრობოდნენ დონ კიხოტს, როგორც მოგზაურ რაინდს და იმ ზეიმინობას ოდნავადაც არ გადასცდენოდნენ, რა ზეიმინობითაც, მათზე დაწერილი რომანების სიტყვით, ძველ რაინდებს ეპყრობოდნენ.

თავი XXXIII

ჰერცოგის ცოლისა და მისი მოახლეების საუბარი სანჩო პანსასთან, რაც წაკითხვისა და აღნიშვნის ღირსია

შემდეგ ჩვენი ისტორია გადმოგვცემს, რომ სანჩოს იმ დღეს ნასადილევს არა სძინებია და მიცემული სიტყვის ასასრულებლად ჰერცოგის ცოლს თან გაჰყოლია. რაკი სანჩოს ლაპარაკით სიამოვნებდა. ჰერცოგის ცოლმა მას თავის გვერდით დაბალ სელზე დაჯდომა უბრძანა, მაგრამ სანჩო ზრდილობის გამო უარობდა, მაშინ ჰერცოგის ცოლმა უთხრა - დამჯდარიყო, როგორც გუბერნატორი, და ელაპარაკა, როგორც საჭურველმტვირთველს, რადგან ორივე გარემოების მიზეზით იგი ღირსი იყო სიდ რუის დიას კამპედორის სავარძელში დამჯდარიყო. სანჩომ მხრები შეიმშუშნა და დაჯდა. ჰერცოგის ცოლი, დუენიები და მოახლე ქალები გარს შემოეხვივნენ და დიდი დუმილით მოემზადნენ მისი ნაამბობი ყურადღებით მოესმინათ. მაგრამ ჰერცოგის ცოლმა პირველმა დაიწყო ლაპარაკი და თქვა:

- ახლა, რაკი მარტონი ვართ და ყურს არავინ გვიგდებს, მინდოდა, სენიორ გუბერნატორ სანჩოს ზოგიერთი საკითხი გაერკვია ჩემთვის, რამაც დიდებული დონ კიხოტის ახლახან დასტამბული ისტორიის კითხვის დროს დამაეჭვა, აი, პირველი მათგანი: თუ კეთილ სანჩოს სულ არ უნახავს დულსინე, - მინდოდა მეთქვა, სენიორა დულსინე ტობოსელი, - არც დონ კიხოტის წერილი მიუტანია მისთვის, რადგან ის წერილი დონ კიოტთანვე დარჩა სიერა მორენაში, მაშ როგორ გაბედა, იმ წვრილის პასუხი თვითონ შეეთხზა, და უთხრა - დულსინე ვნახეო, ხორბალს ცხრილავდაო? ეს ხომ სიცრუე და ბოროტი დაცინვა იყო უბადლო დულსინეს სახელის გამტეხი და ერთგული საჭურველმტვირთველის თანამდებობისათვის სრულებით შეუფერებელი.

სანჩო ხმამოუღებლად სელიდან ადგა, წინ წახრილმა ოთახს ნელი ნაბიჯით გარს შემოუარა, ტუჩებზე თითი მიიღო, ფარდებს უკან დაათვალიერა და, როცა დარწმუნდა ოთახში უცხო არავინ იყო, თავის ადგილზე დაჯდა და განაცხადა:

- ახლა, ჩემო სენიორა, რაკი დავრწმუნდი, ყურს არავინ გვიგდებს და ამ მანდილოსნებს გარდა არავინ გვისმენს, უშიშრად და დამშვიდებით გიპასუხებთ, რაც მკითხეთ და რის კითხვასაც კიდევ ინებებთ. თავდაპირველად უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ბატონი ნამდვილად ჭკუაარეულად მიმაჩნია, თუმცა ხანდახან ისე გონივრულად და მოფიქრებით ლაპარაკობს, რომ ჩემი აზრით და მათი აზრითაც, ვისაც მისი ლაპარაკი მოუსმენია, იმაზე ჭკუიანური ლაპარაკი ეშმასაც არ შეუძლია. მაინც კი ჩემ თავად გადაწყვიტე, რომ სრულ ჭკუაზე არ არის და, რადგან ეს თავში მაგრად მაქვს ჩაჭდობილი, ვბედავ ხოლმე, ისეთი რამ დავაჯებინო, რაც არასდროს არ ყოფილა და რასაც არც თავი აქვს და არც ბოლო. როგორც, მაგალითად, მის წერილზე დულსინეს პასუხი და ამ ექვსი თუ რვა დღის წინათ მომხდარი და მის ისტორიაში ჯერ არ ჩაწერილი ამბავი დავაკერებინე - ვითომც დონა დულსინე მოჯადოებულია-მეთქი, მაგრამ ეს ისევე მართალნია და დასაჯერებელი, როგორც ისა, რომ მსხალს ქლიავი ასხია.

ჰერცოგის ცოლმა სთხოვა სანჩოს ამ მოჯადოებაზე ანუ ოინზე, ეამბნა. სანჩომაც ყველაფერი უაბო, როგორც იყო, და ამ ამბით მსმენელნი ძალიან შეაქცია. ლაპარაკი განაგრძეს და ჰერცოგის ცოლმა შენიშნა:

- რაც კეთილმა სანჩომ მიამბო, ჩემში ერთი ახალი ეჭვი დაბადა და ის ეჭვი, აი, მესმის-ყურში როგორ ჩამძახის: თუ დონ კიხოტი სულელია, უგუნური, ჭკუანაკლები და გადარეულა და მისმა საჭურველმტვირთველმა სანჩო პანსამ ყველა ეს იცის, მაინცკი მას ემსახურება, უკან დასდევს და ყველა მისი ტყუილი დაპირება სჯერა. მაშ, უეჭველად, სანჩო პანსაც თავის ბატონზე უფრო სულელი და ჭკუაარეული უნდა იყოს: და რაკი ასეა და საქმითაც ასე გამოდის, ვერაფრად მოგიფიქრია, ქალბატონო ჰერცოგის მეუღლე, რომ აპირებ იმ სანჩო პანსას საგამგებლოდ კუნძული ჩაუგდო ხელში, რადგან, ვინც თავის მოვლა არ იცის, სხვის მოვლას და პატრონობას როგორ შეიძლებს?

- ღმერთსა ვფიცავ, სენიორა, - დაიძახა სანჩომ, - ეგ ეჭვი სამართლიანად გაგჩენიათ და მაგ ეჭვს და თქვენს გულისთქმას, თქვენო მოწყალება, უთხარით, რომ ცხადად და ხმამაღლა თქვას, ანუ ისე, როგორც ენებოს, რადგან ვიცი, რომ მართალს ამბობთ. მე რომ ოდნავ მაინც საღი გონება მქონდეს, დიდი ხანია ჩემს ბატონს თავს დავანებებდი, მაგრამ რა ვქნა, - და ჩემი უბედურებაც ეს არის, სხვა რიგად არ შემიძლია მოვიქცე, უნდა უკანვდიო, მე და ის ერთი სოფლისანი ვართ, ძალიან მიყვარს, მის პურსა ვჭამ, პატიოსანი კაცია, ჩემს სამსახურს კარგად აჯილდოებს,

ჩოჩორებიც მაჩუქა და თან მასთან შევრდომილი ვარ. ამიტომაც სამარის ბარ-ნიჩაბის გარდა ვერაფერი დაგვაშორებს ერთმანეთს და, თუ თქვენს შავარდნისებურ უმაღლესობას დაპირებული კუნძულის ჩუქება არა ნებავს, - რა ვუყოთ, ღმერთმა დატაკად გამაჩინა და კუნძული რომ არ მივიღო, იქნება ჩემი სინდისისთვის საკეთილოც. იყოს, რადგან, თუმცა ბრიყვი და უბრალო კაცი ვარ, მაინც მესმის, რად არის ნათქვამი ანდაზა: "ქიანჭველას რომ ფრთები გამოესხა, მისი უბედურება მაშინ დაიწყოს". და შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ სანჩო-საჭურველმტვირთველი უფრო ჩქარა მოთავსდეს სასუფეველში, ვიდრე სანჩო-გუბერნატორი; აქაც ისევე კარგ პურს აცხოვენ, როგორც საფრანგეთში. ქვეყანა ჩალით როდია დახურული და ღამე ყველა კატა რუხი ფერისაა. ის კაცი საკმაოდ უბედურია, ვინც შუადღის უკან ორ საათამდის უზმადაა და პირში ნამცეცი არ ჩაუდვია, და ერთი კუჭი არ არის, რომ სხვების კუჭზე ერთი ბეწვათი დიდი იყოს და მისი ავსება ბზით და თივით შეიძლებოდეს, და პატარა მინდვრის ჩიტუნებს ღმერთი აჭმევს და ასაზრდოებს. ოთხი ადლი მსხვილი კუნკური მაუდი უფრო ათბობს, ვიდრე ოთხი ადლი წმინდა სეგოვიური და ერთნაირად მიდიან მიწის წიაღში და ერთნაირ ადგილს იჭერენ დღიური მუშა და თავადი. და პაპის სხეულიც იმოდენავ ადგილს იჭერს მიწაში, რამოდენასაც უბრალო მნათეს სხეული, თუმცა პირველი მეორეზე ბევრად დიდმნიშვნელოვანია; მაგრამ, როდესაც საფლავში ჩაწოლა გვიხდება, მაშინ ჩვენ ვიკუმშებით, ერთმანეთს ვაწვებით, ერთმანეთში ვირევით, ანუ უკეთ ვთქვათ: გვაშურებენ, გვაწვებიან, გვრევენ და არ გვეკითხებიან - გვენებავს ან მოგვწონს ეს თუ არა, და შემდეგ - ღამე მშვიდობისა! ხელახლად ვამბობ, თუ თქვენს უმაღლესობას არა ნებავს კუნძული მიბოძოს, როგორც სულელს, მე ოდნავადაც არ ვიწუხებ და, როგორც ჭკუიანი, მასზე უარის თქმასაც შევიძლებ. გამიგონია ანდაზა: ამბობენ - "ჯვარს უკან ეშმაკი დგასო". ყველაფერი ოქრო როდია, რაც ბრწყინავს, და გლეხი ვამბავს ხარბშებმულ ურემს, გუთანს და აჩეჩს მოჰგლიჯეს და ესპანეთის სამეფო ტახტზე დასვეს, ხოლო მეფე როდრიგო მოწეულს, ფარჩას და ფუფუნებას მოაშორეს და გველხოკერებს შესაჭმელად მისცეს, თუ ძველი რომანსების ლექსები მართალია და არა ტყუიან.

- არა, არა ტყუიან, - წამოიძახა მაშინ დუნია როდრიგესმა, სხვენთან ერთად სანჩოს ლაპარაკს რომ ისმენდა, - ერთ სიმღერაში ნათქვამია, რომ მეფე როდრიგო გომბეშოებით, ჯოჯოებით და გველებით სავსე საფლავში ცოცხლივ, დიახ, მთლად ცოცხალი ჩასვეს და ორი დღის შემდეგ იქიდან სუსტი, მწუხარე ხმა მოისმოდა:

აჰა, დაიწყეს, ხრავენ იმ ადგილს,

რომლითაც ხშირად მე შემიცოდავს.

და თუ ამას მივხედეთ, ეს სენიორი სრულებით მართალს ამბობს, რომ გლეხად დარჩენა ურჩევნია მეფედ ყოფნას, თუკი ქვემძრომების შესაჭმელი გახდება.

ჰერცოგის ცოლმა თავისი დუნეიას მიამიტობაზე სიცილის შეკავება ვერ შეძლო და სანჩოს სიტყვის მასალებით და ანდაზებით გაოცებულმა უთხრა:

- კეთილმა სანჩომ იცის, თუ რაინდი ვინმეს რაიმეს პირდება, თავის დაპირებას კიდევ აასრულებს, თუნდაც სიცოცხლედ დაუჯდებოდეს. ჰერცოგი, ჩემი ბატონი და მე, უღლე, აგრეთვე რაინდია, თუმცა კი მოგზაურთაგანი არ არის, - ამიტომ სანჩოს დაპირებულ კუნძულს მისცემს, ყველას მოშურნეობისა და ბოროტების გამოჯავრებული. მხნედ იყოს სანჩო და სწორედ იმ წამს, როდესაც ამის მოლოდინი ნაკლებად ექნება, იგი თავის თავს კუნძულის

მმართველად და სახელმწიფოს ტახტზე მჯდარს დაინახავს და გუბერნატორობის სადავეს ხელთ იპყრობს, ვიდრე უკეთესზე არ გასცვლის, ისეთზე, რომელიც მას ოქროს მთებს მისცემს. მე მხოლოდ ვთხოვ სანჩოს თავისთა ქვეშევრდომთა სამართლიანი გამგებლობის ჟამს ახსოვდეს, რომ ყველა ისინი ერთგული და კეთილშობილი ხალხია.

- ასეთი თხოვნა ჩემთვის საჭირო არ არის, - მიუგო სანჩომ, - ბუნებით ღმობიერი კაცი ვარ, ღარიბი ხალხის სიბრალული დიდი მაქვს. ვინც ცოლს თვითონ ზელს და თვითონვე აცხობს, მას პურის ყუას მე არ მოვპარავ და, ამ პირჯვრის მადლსა ვფიცავ, ყოველგვარი დაწრუპუნება გამეგება, ისიც ვიცი, სიფხიზლე როდის უნდა. თვალეზში მტრის ჩაყრას ვერ ვიშვინევ, რადგან მესმის - ფეხსაცმელი სად მიჭერს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კეთილი ხალხის დახმარება და ხელის გაწვდა ვიცი, ბოროტისათვის არც გზა მაქვს და არც მისი მიკარება მინდა. რაც გამგებლობას შეეხება, ასე მგონია, საქმე დასაწყისია; ძალიან შესაძლებელია, ორი კვირის უკან გუბერნატორობის საქმეში უფრო მეტი გამეგებოდეს, ვიდრე მინდვრის საქმეში, სადაც აღვიზარდე და გამოვიკვებე.

- მართალს ამბობ, სანჩო, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა, - იმიტომ, რომ მცოდნე თავიდანვე არავინ დაბადებულა, ეპისკოპოსებები ადამიანებისაგან გამოდიდნ და არა ქვებისაგან. მაგრამ სენიორა დულსინეს მოჯადოებაზე რომ ლაპარაკს დაუბრუნდეთ, მე უეჭველ ჭეშმარიტებად მიმაჩნია, რომ დულსინე ნამდვილად მოჯადოებულია და ის რომ კეთილმა სანჩომ თავისი ბატონის აგდება განიზრახა და დაარწმუნა - გლეხის დედაკაცი დულსინე არისო, და მისმა ბატონმაც იგი ვერ იცნო, უთუოდ იმიტომ მოხდა, რომ დულსინე ნამდვილად იყო და არის მოჯადოებული სენიორ დონ კიხოტის ერთ-ერთი მოქიშპე ჯადოქრისგან. მე ნამდვილი წყაროებიდან ვიცი, გლეხის დედაკაცი ვირს რომ შეახტა, იყო და არის დულსინე ტობოსელი და სანჩომ წარმოიდგინა, ვითომც თავისი ბატონი მოატყუა, ნამდვილად კი თვითონ იყო მოტყუებული. ამაზე რაიმე ეჭვის გატარება არ შეიძლება, როგორც ყველა იმაზე, რაც არაოდეს არ გვინახავს, სანჩო პანსამ უნდა იცოდეს, რომ ჯადოქრები ჩვენს ციხე-დარბაზშიაც არიან და მოკეთებობას გვწვენენ, ყველაფერს სიწრფელით და უტყუარად გვიამბობენ ხოლმე, რაც კი ქვეყნიერებაზე ხდება, და სანჩომაც დამიჯეროს, რომ ის ხტუნია გლეხის დედაკაცი იყო და არის დულსინე ტობოსელი, ისევე მოჯადოებული, როგორც მისი მშობელი დედაა. და როდესაც ჩვენთვის ყველაზე ნაკლებად იქნება მოსალოდნელი, სანჩოს თვალთაგან რიდე მოეხსნება, შეცდომა თავიდან მოშორდება და დულსინესაც ნამდვილი სახით დაინახავს.

- ყველა ეგ ძალიანაც შესაძლებელია, - უპასუხა სანჩომ, - და ახლა მზადა ვარ ისიც ვირწმუნო, რაც ჩემმა ბატონმა მონტესინოსის მღვიმეში მომხდარი ამბავი გველაპარაკა, სადაც ვითომ დულსინე ტობოსელი ნახა სწორედ იმ კაბით და იმ ტანისამოსით, რა ტანისამოსშიაც, როგორც ვთქვი, მას შევხვდი, ვითომ მოხიბლული, რომ ვეჩვენე. ყველაფერი კი იქნება სულ სხვანაირად იყო, როგორც თქვენი მოწყალება, ჩემი სენიორა ბრძანებს. ან კი ჩემს სულელ ჭკუას სად შეემლო ერთ წამში ასეთი მოხერხებული ტყუილი შევთხზა და არცთუ ჩემი ბატონია, მგონი, ისეთი უჭკუო, რომ ჩემი უსუსური და საბრალო სიცრუე დაეჯერებინა. მაგრამ, სენიორა, კარგი არ იქნება, თქვენმა გულკეთილობამ მე ბოროტი ზნისა ჩამთვალოს, - ბეჩავი ჭკუისა სად შემიძლია განვჭვრიტო ბოროტი განზრახვანი და ბოროტი ცბიერება საზიზღარი ჯადოქრებისა? ის ხუმრობა მხოლოდ იმიტომ მოვიგონე, რომ ჩემი ბატონი დონ კიხოტის რისხვა თავიდან ამერიდებინა, და არა იმიომ, მისთვის მეწყენინებინა და, თუ საქმე პირუკუ გამოვიდა, ღმერთია ცათა შინა და იგია გულთამხილავი.

- სეც ნამდვილია, ჩემო მეგობარო, - დაეთანხმა ჰერცოგის ცოლი. - მაგრამ, ნეტავი გამაგებინა, ის რა შემთხვევა იყო მონტენსინოსის მღვიმეში, წედან რომ ახსენე? სიამოვნებით მოვისმენდი.

სანჩომ ჰერცოგის ცოლის სურვილი აასრულა და სიტყვასიტყვით გადასცა მონტენსინოსის მღვიმეში მომხდარი უკვე ცნობილი ფათერაკი. ჰერცოგის ცოლმა რომ ეს მოისმინა, თქვა:

- მაგ შემთხვევიდან უნდა დავასკვნათ, რომ, თუ სახელოვანმა დონ კიხოტმა იმ მღვიმეში ვითომც სწორედ ის გლეხის ქალი ნახა, რომელიც სანჩოს ტობოსოდან გამოსვლისას შეხვდა, მაშ, ეჭვს გარეშეა, რომ ის სწორედ დულსინე იქნება და, რომ აქაური ჩვენი ჯადოქრები ძალიან ეშმაკები და გაიძვერები ყოფილან.

- მაგას მეც ვამბობ ხოლმე, - მიუგო სანჩომ, - და თუ ჩემი ქალბატონი დულსინე ტობოსელი მოჯადოებულია, მით უარესი მისთვის. ჩემი ბატონის მტრებთან, - უეჭველია, ისინი ბევრნიც არიან და დიდი ბოროტებიცა, - დავის გაწევა რა ჩემი საქმეა, ამიტომ, მართალი, რომ ვთქვა, მე ვინც ვნახე, გლეხის ქალი იყო და გლეხის ქალადაც მივიღე და, თუ ის დულსინე იყო, მაგისი ანგარიში მე რად უნდა გავწიო, ეგ არც ჩემი საქმეა და არც საჭიროა წამეჩხუბოს ვინმე. მორჩა და გათავდა! როგორ შეიძლება ყოველ ნაბიჯზე უკან დამდეგდნენ და შეკითხვებითა და გამოკითხვებით მაცივდებოდნენ: "სანჩო ესა თქვაო", "სანჩო ეს ჩაიდინაო", "სანჩო წავიდაო", "სანჩო დაბრუნდაო," - თითქოს ეს სანჩო ვინმე ვიგინდარა იყოს და არა სწორედ ის სანჩო პანსა, რომლის შესახებ მთელს ქვეყანაზე ყველას შეუძლია წიგნებში წაიკითხოს, როგორც ეს სამსონ კარასკომ მითხრა, რომელიც, სულ რომ არა იყოს რა, სალამანკის უნივერსიტეტის ბაკალავრთა ბაკალავრია, - ისეთმა კაცმა, რომ ტყუილის თქმა არ შეუძლია, თუ ამისთვის განსაკუთრებული რამ სურვილი არა აქვს, ანუ რამე სარგებლობას არ გამოეღოს. მაშ, ჩემი გაკიცხვის მიზეზი არავისა აქვს და, რადგან კარგი სახელის პატრონი ვარ, და ჩემი ბატონისაგანაც გამიგონია - კარგი სახელი დიდ სიმდიდრეს სჯობიაო, ამიტომ ერთი ზურგზე ამკიდონ ის გუბერნატორობა და მაშინ ნახავენ სასწაულებს, რადგან ვინც კარგი საჭურველმტვირთველი ყოფილა, კარგ გუბერნატორობასაც მოახერხებს.

- რაც ახლა კეთილმა სანჩომ წარმოთქვა, - განაცხადა ჰერცოგის ცოლმა ნამდვილად ბატონის ნათქვამს ემსგავსება, ანუ ის მაინც არის, რომ თვითონ მიქაელ ვერინოს ნაწარმოების წიაღიდან არიან ამოღებულნი, რომელიც ფლორენტიზუს ოცციდიტ ანის. ერთი სიტყვით, სანჩოსებურად რომ ვთქვათ: ცუდ მოსასხამს ქვეშ ხშირად კეთილი ლოთი იმალება.

- სიმართლით, რომ ვთქვა, სენიორა, - მიუგო სანჩომ, - ბიწიერების გამო არაოდესაც არ დამიღვევია, წყურვილის გამო კი მოხდება ხოლმე; რადგან არ მინდა ფარისევლობა გავწიო, ვსვამ, როცა დალევს ხალისიც მაქვს და, თუ სასმელი არა მაქვს და მთავაზობენ, მაშინაც ვსვამ, რომ არა თქვან, ინაზებაო, ანუ უზრდელ კაცად არ ჩამთვალონ. ან კი რა ისეთი მარმარილოს გულისა უნდა ვიყო, რომ, როცა მეგობარი ჩემს სადღეგრძელოს სვამს, ჭიქას ხელი არ წავავლო და მისი ნათქვამი სადღეგრძელოც არ დავლიო. ასე რომ, თუმცა შარვალს ვატარებ, მაგრამ შიგ არასოდეს გამისვრია. მით უფრო, რომ მოგზაური რაინდების საჭურველმტვირთველები მუდამ ტყე-ტყე, მთა-მთა და კლდე-კლდე ხეტიალში არიან. მეტი რა ჩარა აქვთ, თუ მარტო წყალი არა სვან, რადგან იქ ერთი ყლუპი ღვინის შოვნაც არ შეუძლიათ, თუნდ იმაში თავიანთი თვალის კი მისცენ.

- ეგეც მჯერა. - უთხრა ჰერცოგის ცოლმა. - ახლა კი სანჩოს შეუძლია მოსასვენებლად წავიდეს. სხვა დროს უფრო თავისუფლად და დაწვრილებით ვილაპარაკებთ და განკარგულებას გავცემთ, რომ, როგორც თვითონ ამბობს, ზურგზე გუბერნატორობა ჩქარა ავკიდოთ.

სანჩომ ჰერცოგის ცოლს ხელზე ეამბორა და სთხოვა - ბრძანება გაეცათ - კარგად მოუარონ თვალისჩინივით საყვარელ ჩემს ლურჯასო.

- ეგ რა ლურჯაზე ამბობ? - ჰკითხა ჰერცოგის ცოლმა.

- ჩემი ვირი გახლავთ; ვირი, რომ არა ვთქვა, "ლურჯას" ვეძახი, - მიუგო სანჩომ. - აქ რომ შემოვედი, აი ამ ქალბატონ დუნიას ვთხოვე, იმაზე ზრუნვა გაეწია, მაგრამ ქალბატონმა დუნიამ გაწყრომა ინება და გამიბრაზდა, თითქოს სიბერე ან უსახიერობა დამეწამებინოს. მე კი, რომ მკითხოს კაცმა, დუნიებისთვის უფრო შესაფერი და ბუნებრივი იქნებოდა ამ დარბაზებში ჯდომის მაგიერ ვირისთვის მოევლოთ, ღმერთო მიშველე! ერთი ჩვენი მეზობელი იდალგო ასეთ ნადუნიებს მუდამ ბოროტად ეპყრობოდა, რადგანაც ისინი ძალიან არ ექაშნიკებოდა.

- ეგ ვინმე უხეში გლეხი იქნებოდა, - შეესიტყვა დუნია დონა როდრიგესი. - ის რომ ნამდვილი და კარგი შთამომავლობის იდალგო ყოფილიყო, მათ მზე და მთვარის ტახტს დაუდგამდა.

- ახლა კი გვეყოფა, - თქვა ჰერცოგის ცოლმა. - დონა როდრიგეს, დაჩუმდით, ხოლო სანჩო დამშვიდდეს. მის ლურჯაზე ზრუნვას მე ვკისრულობ, თუკი იგი სანჩოსათვის ასეთი განძია, იმას ჩემს თვალის ჩინზედაც მაღლა დავაყენებ.

- ლურჯასთვის თავლაში ყოფნაც საკმარისია. - მიუგო სანჩომ, - რადგან თქვენი ბანოვანობის თვალის ჩინზე მის მაღლა დაყენების ღირსი არც მე და არც ის არა ვართ, უმაღლ იმაზე დავთანხმდები, ხანჯლებით ნაკუწ-ნაკუწ მაქციონ, ვიდრე ეს ჩაიდინოთ, და, ჩემმა ბატონმა დაარწმუნოს ყველა - ზრდილობის საქმეში გადამლაშება ჯობია, ვიდრე მარილის დაკლებათ, მაგრამ ფაშატებისა და ვირების საქმეში მაინც ხელში კომპასი უნდა გეჭიროს და ზომიერების წრე არ უნდა გადალახო.

- მაშ, სანჩო, ლურჯა შენს საგუბერნატოროში წაიყვანე, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა, - იქ შეგიძლია შენი სურვილის კვალობაზე მოუარო და შრომისაგანაც გაათავისუფლო.

- ნუ იფიქრებთ, თქვენო მოწყალეებავ, სენიორა ჰერცოგის მეუღლე, - უთხრა სანჩომ, - ვითომც უმაგალითო რამე ბრძანეთ, რადგანაც გუბერნატორად მიმავალი ვირი ერთი არ მინახავს და ორი და, თუ ჩემი ლურჯაც წავიყვანე, ახალი და გასაკვირველი აქ არაფერი იქნება.

სანჩოს სიტყვებმა ჰერცოგის ცოლი ხელახლად გააცინა და გაამხიარულა. მოსაუბრე რომ დასასვენებლად გაისტუმრა, ჰერცოგთან წავიდა და სანჩოსთან საუბარი უამბო. მასუკან ორივემ მოილაპარაკეს და გეგმა შეადგინეს, დონ კოტისათვის ოინი გაემართათ, ისეთი, რომ საგანგებოც ყოფილიყო და რაინდული რომანების შესაფერიც; ამგვარად, გადაწყვიტეს მრავალი მახვილგონივრული და სახუმარო ოინის მოწყობა. და ყველა ისინი ამ დიდებულ ისტორიაში აღწერილ ფაქტურაკებს შორის საუკეთესო ფაქტურაკებად ჩაითვლებიან.



სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მონახეს საშუალება უბადლო დულსინე ტობოსელის მოჯადოების გაუქმებისათვის, ხოლო ეს ფათერაკი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავია ჩვენს წიგნში

ჰერცოგი და მისი ცოლი დიდ კმაყოფილებას განიცდიდნენ, როდესაც დონ კიხოტსა და სანჩო პანსასთან ჰქონდათ საუბარი (ჰერცოგის ცოლს განსაკუთრებით სანჩოს გულუბრყვილობა აკვირვებდა, რომ დულსინე ტობოსელის მოჯადოება სრულ ჭეშმარიტებად მიიღო, მაშინ, როდესაც მისი მომჯადოებელი, მთელი იმ საქმის მოუხერხებელი და ბატონის მომტყუებელი თვითონ იყო). ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, დონ კიოტისათვის რამდენიმე ოინი და ხუმრობა მოეწყოთ, საგნად თვით დონ კიოტისაგან ნაამბობი მონტესინოსის მღვიმეში ნახული ამბები აიღეს და უნდოდათ ისე მოეწყოთ, რომ საგანგებო რამ ფათერაკები გამოსულიყო და ერთი კარგად გაესულელებინათ რაინდი. და ასე, თავიანთ მსახურებს უბრძანეს დაწვრილებით ვის რა უნდა აღესრულებინა და ერთი კვირის შემდეგ დონ კიხოტი და სანჩო სანადიროდ წაიყვანეს მრავალი მწევარ-მეძებრითა და იმდენი კურძვალ-მსახურით, რაც თვითონ გვირგვინოსან მეფესაც არ ეყოლებოდა. დონ კიხოტს სანადირო კოსტუმი შესთავაზეს, ხოლო სანჩოს ძალიან წმინდა მაუდის მწვანე ტანისამოსი მისცეს. რაინდმა საჩუქარზე უარი თქვა იმ მიზეზით, რომ ჩქარა მოუხდებოდა თავის მკაცრ სამხედრო ხელობას დაბრუნებოდა, ამიტომ ბევრი ტვირთისა და გარდერობის ტარებას ვერ შეიძლებდა, რადგან მეზარგულე პირუტყვი არა ჰყავდა. სანჩომ კი უარის უთქმელად აიღო ნათავაზები იმ განზრახვით, რომ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში გაეყიდა.

დანიშნული დღე რომ დადგა, დონ კიხოტმა თავისი აბჯარი აისხა, ხოლო სანჩო ნაჩუქარ ტანისამოსში გამოეწყო, თუმცა კარგ ცხენს სთავაზობდნენ, მაგრამ მაინც თავის განუშორებელ ვირზე შეჯდა და კურძვალთა გუნდს შეერია. მდიდრულად მორთული ჰერცოგის ცოლი გამოცხადდა თუ არა, დონ კიხოტი ზრდილობის წესის მიხედვით მაშინვე მივიდა და მისი მერნის სადავეს მოჰკიდა ხელი, თუმცა ჰერცოგი ამას ძალიანაც უარობდა. მონადირენი მალე ორ მაღალ მთას შუა მდებარე ტყეში შევიდნენ, იქ ყველა გასავალი და ბილიკი დაიჭირეს, მერე სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ, სანადირო ბუკი დაჰკრეს. ძაღლებმა სირბილი, ყეფა და წკაფწკავი მორთეს და ამ არეულ ხმებს ადამიანთა ყვირილი და ძახილი შეუერთდა, ისე, რომ ერთმანეთის გაგება არ შეეძლოთ. ამგვარად ნადირობაც დაიწყო. ჰერცოგის ცოლი ცხენიდან ჩამოხტა, ხელში მკვეთრი ოროლი აიღო და იმ ალაგას დადგა, სადაც, როგორც იცოდა, გარეული ღორები გაირბენდნენ ხოლმე. ჰერცოგი და დონ კიხოტი აგრეთვე დაქვეითდნენ და ჰერცოგის ცოლს აქეთ-იქით მოუდგნენ. სანჩო ყველას უკან მოექცა, ვირიდან არ ჩამოხტა, რადგან მისი დატოვება არ უნდოდა იმ შიშით, რომ მას რაიმე უბედურება არ შემთხვეოდა. ყველას თავისი ადგილის დაჭერა ვერ არ მოესწრო, რომ შორიახლოს ერთი უშველებელი ტახი დაინახეს, ძაღლებისგან გამოგდებული და მონადირეთაგან დადევნებული, ეშვების კრაჭუნით და პირზე ქაფმორეული, პირდაპირ მათკენ მსრბოლი. დონ კიხოტმა დინასა თუ არა, მსწრაფლ ფარი მიიფარა, ხმალი იძრო და მძვინვარე ნადირის შესახვედრად მამაცად წინ წადა, ჰერცოგმაც ხელში ოროლი აიღო და ისევე მოიქცა, მაგრამ ჰერცოგის ცოლი ორივეზე ჩქარა გადაგებოდა წინ, ჰერცოგს რომ არ შეეკავებინა; ხოლო სანჩომ გაშმაგებული ნადირი რომ დაინახა, ისე შეშინდა, თავისი ვირიც კი დაავიწყდა, საჩქაროდ გადმოხტა და, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა, დიდი მუხისაკენ გაიქცა, რომ ზედ ასულიყო, მაგრამ საუბედუროდ მარცხი დაემართა: ხის ნახევრამდის, რომ აფოფხდა, ერთ ტოტს მოჭიდა ხელი, რომ აწეულიყო და ზედ კენწეროზე მოქცეოდა, მაგრამ ბედი იმდენად შეუბრალებლად და მკაცრად მოეპყრა, რომ ტოტი მოუტყდა, ჩამოვარდნაზე ტანისამოსით მახვილ რტოს გამოედო და ცას და დედამიწის შუა

თავდაყირა დაიკიდა. ამ საშინელ ყოფაში ძვირფასი ტანისამოსი რომ ეფხრიწებოდა და თავის თავსაც მძვინვარე ტახის მსხვერპლად თვლიდა, საშინელი ყვირილი და ძახილი მორთო. რაკი მონადირეებს ხმა ესმოდათ და სანჩოს კი ვერა ხედავდნენ, ასე ეგონათ, იგი რომელიმე ნადირის ხახაში ჩავარდაო. ამასობაში დიდ ეშვებიანი ტახი მრავალი მონადირის შუბებით და ოროლებით განგმირული წაიქცა. მაშინ დონ კიხოტმა გაიგო, რომ ყვირილისა და ძახილის ხმა სანჩოსი იყო, თავის საჭურველმტვირთველისაკენ გაიქცა, იგი მუხის როკზე დაკიდებული დაინახა და მასთან იდგა ვირი, რომელიც თავის პატრონს გაჭირვებაშიც არა შორდებოდა. აქ სიდ ჰამეტ ბენენჰელი უმატებს, რომ სანჩოს იშვიათად ნახავდით უპიროდ და მის ვირსაც უსანჩოპანსოდ, ისე დიდი იყო მათი მეგობრობა და ის ძლიერ იყვნენ ერთმანეთთან შევრდომილნიო.

დონ კიხოტი მივიდა და სანჩო ხეს ჩამოხსნა და, როდესაც მან თავი განთავისუფლებული დაიგულა და მიწაზე მდგარი დაიხაზა, თავისი სანადირო ტანისამოსი გაისინჯა და ისე იგრძნო, თითქოს ტანსაცმელთან ერთად გულიც დაგლეჯოდა. ისე ძვირფასად მიაჩნდა იგი, რომ მასში მთელ მაიორატს არ გასცვლიდა. ამასობაში უშველებელი ტახი საბარგო ჯორს აჰკიდეს; ზღვისვარდას და ტვიის ტოტებით მორთეს და, როგორც გამარჯვების ალაფი, ტყის შუაგულ მდელოზე დადგმულ კარავში მიიტანს, სადაც მონადირეთ გაშლილ ტაბლაზე საგანგებო საუზმე მიელოდა - მასპინძლის სიმდიდრისა და დიდ გვაროვნობის დამადასტურებელი. სანჩომ ჰერცოგის ცოლს დახეული ტანისამოსი აჩვენა და უთხრა:

- ჩვენ რომ კურდღლებზე ანუ სხვა წვრილ ფრინველებზე გვენადირა, ტანისამოსი მთელი დამრჩებოდა, არ მესმის რა სიამოვნებაა - დადგეთ და ლოდინი დაუწყეთ ისეთ ნადირს, რომელიც ეშვებით მოგწვდებათ და ერთი დაკვრით სიცოცხლეს გამოგასალმებთ. მახსოვს ერთი ძველი რომანსი, სადაც ასე მღერიან:

დაე, დაგახრჩოს დათვმა მძვინვარემ,

როგორც ფავილა სახელგანთქმული.

- ეს გუთების ერთ-ერთ მეფეზეა ნათქვამი, - შენიშნა დონ კიხოტმა, - ნადირობის დროს დათვებმა რომ შესჭამეს.

- მეც მაგას არ ვამბობ, - მიუგო სანჩომ, - რომ რიგი არ არის პრინციები და მეფეები რაღაც სიამოვნებისთვის ისეთ საფრთხეში ეჩხირებოდნენ, სადაც, ნამდვილად რომ ვთქვათ, არაფერი სიამოვნებაც არ არის, რადგან აბა რა სიამოვნებაა ნადირის მოკვლა, რომელსაც არაფერი დაუშავებია?

- არა, თქვენ სცდებით, სანჩო, - შენიშნა ჰერცოგმა, - რადგან მტაცებელ მხეცებზე ნადირობა ყველა სხვა საქმეზე უფრო მეტად შესაფერი და საჭიროც არის მეფეთა და დიდებულთათვის. ნადირობა - ომს წარმოადგენს, მასში სტრატეგიაც არის, სამხედრო თვალთმაქცობაც, ჩასაფრებაც, რომ არაფერი დაგიშავდეს და მტერი დაამარცხო. ნადირობაში სიცივესაც ითმენენ და დიდ სიციხესაც, ხალისდებიან, მხნევდებიან, ძილსაც ივიწყებენ. ნადირობა სხეულს აკაჟებს, ყოველ ასოს ძალასა და სიმარჯვეს აძლევს. და სასრულ, ნადირობას ბევრი სიამოვნება შეუძლია, ვნება კი არავისთვის არ მოაქვს. მასთანაც მსხვილ ნადირზე ნადირობას ის სიკეთე სჭირს, რომ ასეთი ნადირობა ყველას არ შეუძლია მიმინოთი ნადირობის გარდა, რომელიც აგრეთვე განსაკუთრებით მეფეებისა და დიდი კაცების თავშესაქცევია. ამიტომ, მეგობარო

სანჩო, გამოიცვალეთ თქვენი აზრი ნადირობაზე და, როდესაც გუბერნატორი იქნებით, თავი ნადირობით შეიქცეით და მაშინ დაინახავთ, რომ ასკეცად ნასიამოვნები დარჩებით.

- არა, ბატონო, არასოდეს! - მიუგო სანჩომ. - ყველა კარგი გუბერნატორი ფეხმოტეხილივით შინა ზის. აბა, რა კარგი იქნება შორიდან ვინმე საჩქარო საქმისთვის მოვიდეს მასთან და ამდროს ის სადღაც ტყეში შეექცეოდეს; კარგი მართვა-გამგეობა იქნებოდა! მე თუ მკითხავთ, თქვენო მოწყალეებავ, ნადირობა, როგორც ყოველგვარი გართობა, ზარმაცებისთვის არის გაჩენილი და არა გუბერნატორებისათვის. თავის გასართობად დიდ-დიდ დღესასწაულებზე მე ჩემს ბანქოს ვითამაშებ, მცირე დღესასწაულების დროს და კვირადღეობით კი - რიკ-ტაფელასა; და ის თქვენი ყოველგვარი ნადირობა არაფრად მეჭაშნიკება და ჩემი სინდისიც მასა ვერ შეიგუებს.

- ღმერთმა ქნას, როგორც ამბობთ, ისე მოხდეს, - უთხრა ჰერცოგმა, - რადგან სიტყვიდან საქმემდის დიდი მანძილია.

- რამდენიც არ უნდა იყოს, - მიუგო სანჩომ, - კარგ გადამხდელს შეტანილი გირაო არ აღონებს. და ქვეყანაზე ის უფრო კარგად ცხოვრობს, ვისაც ღმერთი შველის, ვიდრე ის, ვინც მამლის ყივილზე ადრიანად დგება, ფხებს მუცელი ამომრავებს და არა ფეხები მუცელს. მე ამით ის მინდა ვთქვა, თქვენო მოწყალეებავ, რომ, თუ შემწედ ღმერთი მეყოლება და იმას ვიზამ, რაც კეთილი განზრახვით მოვალე ვარ ვქმნა, არწივისებურად ვიგუბერნატორებ. ვისაც არა სჯერა, აბა ერთი პირში თითი ჩამიდოს, ნახავს, ვუკბენ თუ არა.

- შეგაჩვენოს ღმერთმა და ყოველმა მისმა წმიდანმა, წყეულო სანჩო, - დაიყვირა დონ კიხოტმა. - ნეტავ დადგება ოდესმე ის დღე, რომ შენ უანდაზებოდ, მიუკიბ-მოუკიბავად ილაპარაკო? შენთვის რამდენჯერ მითქვამს, უანდაზებოდ ილაპარაკე, გონივრულად და დალაგებით-მეთქი? თქვენო დიდებავ, ჩემო სენიორებო, ყურს ნუ უგდებთ, თორემ ორს კი არა ორი ათას ანდაზას შუა დაგიფქვავთ სულს, მერე ისე უადგილოდ და უსაფუძვლოდ ნათქვამს, რომ ღმერთმა დაგვლახვროს ისიც და მეც, თუ მოსმენის ხალისი მქონდეს.

- თუმცა სანჩოს უფრო მეტი ანდაზა აქვს, ვიდრე ბერძნების კომანდორს, - თქვა ჰერცოგის ცოლმა, - მაინც მომწონს, რადგან მოკლედ ამბობს. ჩემ თავად ვიტყვი, რომ სანჩოს ანდაზები კომანდორის ყველა ანდაზაზე უდრო მეტად მომწონან, თუნდ ის ანდაზები თავის ადგილას მუნასიბად არ აყვანენ მოყვანილნი.

ამ და სხვა შესაქცევარი ლაპარაკით კარავიდან ტყეში გამოვიდნენ და სხვადასხვა სანადირო სადარაჯოების დათვალიერებაში დღე დაილია და დაღამდა, მაგრამ ისეთი ღამე დადგა, როგორც იმ დროისთვის, ე. ი. შუაზაფხულისათვის მოსალოდნელი იყო, და ამ ღამეს თან რაღაც ისეთი ბინდი მოჰყვა, რომ ჰერცოგისა და მისი ცოლის განზრახვის შესრულებას ხელს უწყობდა. დედამიწას რომ ღამის ჩრდილი უფრო მეტად მოეფინა, უცებ ბნელ ტყეს ოთხივე მხარეზე თითქოს ცეცხლი მოეკიდაო და იმავე წამს აქაიქ, ახლოს და შორს უამრავი საყვირის და სხვა საკრავების ხმა გაისმა, მრავალ ცხენოსანთა ფეხის თქარათქურთან არეული, თითქოს ცხენოსანთა რაზმები ტყეზე გასავლელად მოდიოდნენ. ელვარედ განათებული ტყე, სამხედრო საკრავების მუსიკა ღამის აბრმავებდა და აყრუებდა ჰერცოგისა და მისი ცოლის გარშემო შეგროვილთ და ტყეში მყოფ სხვა ხალხს. შემდეგ გაისმა უამრავი "ლეღილის" ძახილი, როგორადაც ჩვეულებრივად გაჰყვირიან მავრები მტერზე თავდასხმისას, ატყდა დაფდაფების ბრახუნი, საყვირების და ბუკ-ნალარების ღრინანცელი, ამღერდა სალამურები, - ყველა ერთად, ერთ დროს, მეტისმეტად ძლიერ და შეუფერხებლად ახმაურებული ისეთი საზარელი და

შესაშინებელი იყო, რომ ადამიანი უგრძობელი უნდა ყოფილიყო, გული არ შედონებოდა - ამდენი საკრავების არეული ხმის მოსმენით. ჰერცოგს თავზარი დაეცა, მისი ცოლი განცვიფრდა, დონ კიხიტი გაოცდა, სანჩო მთელი ტანით ცახცახი დაიწყო და თითქმის ისინი კი შეშფოთდნენ, ვინც ამ ხუმრობის მონაწილენი იყვნენ. ამ შიშთან საერთო სიჩუმე ჩამოვარდა, ამ დროს ეშმაკად მოკაზმული ცხენოსანი შიკრიკი მოვიდა და უზარმაზარი მოგრეხილი ბუკით საზარელი ხმები აღმოუტევა.

- გამიგონეთ, ძმობილო შიკრიკო, - უთხრა ჰერცოგმა, - ვინა ხართ საიდან ხართ და ის რა მხედრობაა ჩვენს ტყეზე რომ მიდის?

ამაზე ეშმაკმა საზარელი და მრისხანე ხმით უპასუხა:

- მე ეშმაკი ვარ და დონ კიხოტ ლამანჩელს გეძებ. იქ რომ მხედრობა მიდის, ექვსი რაზმი ჯადოქრებისაგან შედგება და საზეიმო ეტლით დუღსინე ტობოსელი მიჰყავთ. იგი ფრანგ მონტესინოსთან მიდის მოჯადოებული, რომ დონ კიხოტს ასწავლოს, თუ რა საშუალებით შეიძლება მისი მოჯადოების გაუქმება.

- თუ ნამდვილი ეშმაკი ხარ, როგორც ამბობ დეა როორც შენი გარეგნობის მიხედვით უნდა ვიფიქრო, - უთხრა ჰერცოგმა, - შენ შეგეძლო დონ კიხოტი ლამანჩელი მაშინვე გეცნო, რადგან იგი შენ წინა დგას.

- ღმერთსა და ჩემს სინდისს ვფიცავ. - თქვა ეშმაკმა, - მაგისტვის ყურადღება სულ არ მიმიქცევია, თავში იმდენი სხვადასხვა აზრი მიტრიალებს, რომ უმთავრესი რისთვისაც აქ მოვედი, სულ დამავიწყდა.

- ეს ეშმაკი უთუოდ კარგი კაცი და კეთილი ქრისტიანი უნდა იყოს, - დაიძახა სანჩომ, - თორემ ერთიცა და მეორეც რომ არ იყოს, თავის სულსა და სინდისს არ დაიფიცავდა, ლამის ახლა ვიფიქრო, რომ რიგიანი კაცები ჯოჯოხეთშიაც ყოფილან.

ახლა ეშმაკმა ცხენიდან ჩამოუსვლელად დონ კიხოტს მიმართა და უთხრა:

- ლომთა რაინდო! - (ნეტა იმათ კლანჭებში მაჩვენა შენთ თავი!) - შენთან გამომგზავნა უბედურმა, მაგრამ მამაცმა რაინდმა მონტესინოსმა და მიბრძანა - გითხრა იმ ადგილას მოუცადო მას, სადაც გიპოვი, რადგან მას თან ის ქალი მოჰყავს, რომელსაც დუღსინე ტობოსელი ჰქვია, და სურს საშუალება გაგაცნოს, რითაც მისი მოჯადოების გაუქმება შეიძლება. მარტო ამისთვის მოველ აქ და ახლა კიდევ უნდა გავქრე აქედან. ეშმაკებიც დარჩენილან შენთან, როგორც მე ვარ, ხოლო ამ ბატონებს ანგელოზებიც ფარავდნენ.

ესა თქვა, თავისი საზარელი ბუკი დააყვირა, მსწრაფლ მიტრიალდა და ისე წავიდა, რომ არავის პასუხისათვის არ დაუცდია. ყველანი ხელახლად გაოცდნენ. ყველაზე მეტად კი სანჩო და დონ კიხოტი. სანჩო იმიტომ, რომ, ჭეშმარიტების წინააღმდეგ, დუღსინეს ძალად ხდიდნენ მოჯადოებულად; დონ კიხოტი იმიტომ, რომ ჯერაც არ იყო დარწმუნებული, მართალი იყო თუ არა ყველა ის, რაც მონტესინოსის მღვიმეში შეემთხვა. დონ კიხოტი, რომ ამაზე ღრმად იყო ჩაფიქრებული, ჰერცოგმა ჰკითხა:

- გწადიათ თუ არა, თქვენო მოწყალება, სენიორ დონ კიხოტო, მონტესინოსს აქ დაუცადოთ?

- რატომაც არა? - მიუგო დონ კიხოტმა, - მოვუცდი მტკიცედ და უშიშრად, თუნდაც მთელი ჯოჯოხეთი თავდასხმას მემუქრებოდეს.

- მე კი, - შეჰყვირა სანჩომ, - თუ კიდევ სხვა ეშმაკი დავინახე და სხვა ისეთი ძლიერი საყვირი გავიგონე, სწორედ ისე დავრჩები აქ, როგორც ახლა ფლანდრიაში ვარ.

ამასობაში ტყეში უფრო დაბნელდა და აქა-აქ ყოველ მხარეზე სინათლე გამოკრთოდა იმის მსგავსად, როგორც ცაში დედამიწიდან ხმელი აორთქლილი ნივთიერება ციმციმებს და, ძირს რომ ვარდება, ჩვენ მოწყვეტილ ვარსკვლავად გვეჩვენება. იმავე წამს საშინელი ხმა გაისმა ხარებშებმული მძიმე ურმის თვლების რახრახის მსგავსი, ისეთი შეუწყვეტელი ხრიგინით, რის ხმაზედაც, როგორც იტყვიან, მგლები და დათვები გზიდან გარბიანო. ამ რახრახს სხვა რაღაც ერთვოდა, უფრო მეტად საზარელი, რაღაც გუგუნო იყო და იმას ჰგავდა, თითქოს ტყის ოთხსავე მხარეზე ერთდროულად ოთხი ბრძოლა ან შეტაკება წარმოებდა; ერთი მხრიდან ყრუ და საზარელი ზარბაზნების სროლა მოისმოდა, მეორე მხრიდან უთვალავი თოფების ბათქაბუთქი, აქ ახლოს მებრძოლთა ხმაურობა იდგა, იქ შორს - მავრული "ლეილი", ზარბაზნების გრიალი, თოფების ზუზუნი და ნამეტნავად ურმების მძიმე რახრახი და ჭრიჭინი - ყველა ეს ერთად ისეთ საზარელ ღრინცელს აჩენდა, რომ დონ კიოტსაც კი მთელი თავისი მამაცობის ძალ-ღონე უნდა მოეკრიბა, რომ ეს აეტანა. სანჩოს კი სიმამაცემ უმტყუნა და გულშეღონებული ჰერცოგის ცოლის ფეხებთან დაეცა. ჰერცოგის ცოლმა თავისი კაბის კალთა გადააფარა და უბრძანა - საჩქაროდ წყალი მოეტანათ. მოიტანეს, პირზე შეასხეს და მოაბრუნეს. სანჩო სწორედ იმ დროს მობრუნდა, როდესაც რახრახით და ჭრიჭინით ოთხხარშებმული ეტლი შემოგრიალდა და იმ ალაგას დადგა, სადაც ყველა შეგროვილი იყო. ხარებს შავი საბურავი ჰქონდათ დაფარებული და ყოველ რქაზე ანთებული ცვილის კელაპტარი ჰქონდათ მიმაგრებული. ურემზე მაღალი ტახტის მსგავსი დასაჯდომი იდგა და ზედ შავი ტილოს ტოლომა წამოსხმული, წელამდის ჩამოწვდილ თეთრ-სპეტაკ წვერიანი დარბაისელი მოხუცი იჯდა და, რადგან ურემი უამრავი სანთლით იყო განათებული, შიგ ყველაფრის გარჩევა ადვილი იყო. მოხუცს აქეთ-იქით ორი საზიზღარი და საზარელი ეშმაკი მოსდევდა, აგრეთვე შავი ტილოს ტანისამოსიანი. სანჩომ რომ მათ შეხედა, მაშინვე თვალები დახუჭა, რომ ისინი მეორედ აღარ დაენახა. როცა ურემი ჩვენს მონადირეებს დაუპირდაპირდა, მოხუცი თავისი მაღალი ტახტიდან წამოდგა და ხმამაღლა დაიძახა:

- მე ვარ ბრძენი ლირგანდო!

და მაშინვე ურემი დაიძრა და გზა განაგრძო, მოხუცს კი ხმა აღარ ამოუღია. ამ ურემს შემდეგ სწორედ ისეთივე ურემი მოჰყვა ისეთივე ტახტზე მჯდარი მოხუცით. მანაც ურემს შეჩერება უბრძანა, ტახტიდან წამოდგა და არა ნაკლებ დიდებულად წარმოთქვა:

- მე ვარ ბრძენი ალკიფე, უცნობი იურგანდის დიდი მეგობარი.

და ურემმაც გაიარა. შემდეგ იმავე წესით მესამე ურემი მოვიდა და ტახტზე მოხუცი კი არა, ბრგე მხარბეჭიანი ვაჟკაცი იჯდა, უსიამო სახის პატრონი. ურემი გაჩერდა და, როგორც ის ორი, ისე ისიც თავისი ტახტიდან ადგა და რაღაც საზარელი, ეშმაკისებურად ჩახლეჩილი ხმით წარმოთქვა:

- მე ვარ ჯადოქარი არკალაუსი, მოსისხლე მტერი ამაღის გალელისა და მთელი მისი შთამომავლობისა.

ესა თქვა, თავის ალაგზე დაჯდა და ურემმაც გაიარა. ამ სამმა ურემმა რომ გაიარა და მოშორებით დადგა, მათი თვლების მოსაბეზრებელი ღრიჭინი შეწყდა და იმწამსვე მშვენიერი, ნაზი საკრავების ხმა მოისმა. სანჩოს ეს მეტისმეტად გაუხარდა, კარგის მომასწავებელ ნიშნად ჩათვალა და ჰერცოგის ცოლს, რომელსაც ერთი ნაბიჯითაც არ მოშორებია, უთხრა:

- სენიორა, სადაც მუსიკის ხმა გაისმის, იქ არავითარი ცუდის მოლოდინი აღარ შეიძლება.

- იგივე შეიძლება ითქვას იმ ადგილზე, სადაც სინათლე და ცეცხლია, - მიუგო ჰერცოგის ცოლმა.

ამაზე სანჩომ უთხრა:

- ცეცხლი სინათლეს იძლევა და კოცონებიც პრიალებენ, როგორც აი, აქ. მაგრამ შეიძლება იმათ ჩვენც დაგვწვან; მუსიკა კი მუდამ საზეიმო მხიარულებისა და სიხარულის ნიშანია.

- მაგასაც მალე დავინახავთ, - თქვა დონ კიხოტმა, რომელაც მათ ლაპარაკს ისმენდა.

და მართალიცა თქვა, როგორც შემდეგ თავში დავრწმუნდებით.

თავი XXXV

სადაც გრძელდება ამბავი, თუ როგორ გაიგო დონ კიხოტმა დულისინეს მოჯადოების გაუქმების საშუალება და სხვა განსაცვიფრებელი შემთხვევები

ამ დროს ჩვენმა მონადირეებმა დაინახეს, რომ მუსიკის საამო ხმაზე მათ საზეიმო ეტლი უახლოვდებოდათ. შიგ ექვსი ქურანა ჯორი ება და ყველა ჯორს თეთრი ტილოს საძაგრავი ეფარა. თითოეულ ჯორზე მომნანიებელი იჯდა თეთრებჩაცმული და ხელში ანთებული ცვილის კერეონი ეჭირა.

ეს ეტლი წინანდელეზე ორჯერ თუ სამჯერ დიდი იყო. მის ორივე მხარეზე თორმეტი სხვა მონანული იჯდა, თოვლივით თეთრტანისამოსიანი და აგრეთვე ანთებული კერეონებით. ამ სანახავს შეეძლო ერთსა და იმავე დროს ადამიანი გაეოცებინა კიდეც და შეეხარა კიდეც. ეტლის შუა ამართულ ტახტზე ნიშვა იჯდა, ათასი ძვირფასი ქსოვილით დაბურული, ის ქსოვილები მოდებულნი იყვნენ უამრავი ბრჭყვიალა ოქროს ფიფინურებით, რაც ამ მორთულობას თუ არ აძვირფასებდა, აეღვარებდა მაინც. ნიშვას პირისახეზე აბრეშუმის გამჭვირვალე ქსოვილის პირბადე ჰქონდა აფარებული და შიგ, მისი ჩამოშვებული ნაკეცების მიუხედავად, ქალის სახე გამოსჭვიოდა. მრავალი კერეონის სინათლეზე ამ ნიშვას წლოვანების განსაზღვრა და მისი სახის მომხიბლავთ ხილამაზის დანახვა შეიძლებოდა. როგორც ეტყობოდა, ოცზე მეტისა და ჩვიდმეტზე ნაკლების წლისა არ უნდა ყოფილიყო. მის გვერდზე სხვა ფიგურა იდგა, ფეხებამდის ჩამოშვებული გრძელშლიეფიანი ტანისამოსითა და თავზე შავი საბურველით. იმ დროს, როცა ეტლი ჰერცოგის, მისი ცოლის და დონ კიხოტის წინ დადგა, ეტლზე მყოფი საყვირები გაჩუმდა, ქნარების და სტვირების დაკვრაც შეწყვიტეს და გრძელ ტანისამოსიანი ფიგურა ზეზე წამოდგა, კაბის კალთები გაიწია, პირბადე ჩამოიგდო და გამხმარი, ნამდვილი სიკვდილის გამძალტყავებული სახე გამოიჩინა, იქამდის საზარელი, რომ დონ კიხოტსაც კი შეაჟრჟოლა, სანჩო შეშინდა, მთელი ტანით ცახცახი დაიწყო, ჰერცოგი და მისი ცოლი ოდნავ შეკრთნენ. ეს ცოცხალი სიკვდილი რომ წამოდგა და გასწორდა, თითქოს ნამძინარევი ხმით და ზარმაცად მოძრავი ენით შემდეგი წარმოთქვა:

მე ვარ მერლინი, რომელზედაც არის თქმულება,  
თითქოს ის იყოს ეშმაკისა შთამომავალი  
(და ეს თქმულება ოდითგანვე დამკვიდრებულა);  
ო, მე თილისმის მფლობელი ვარ და მბრძანებელი,  
ზოროასტრული სიბრძნის წყარო დაუშრობელი.  
ვებრძვი ჟამთასვლას, წყვდიადს განვლილ საუკუნეთა,  
რათა ვერ შთანთქან მათ საქმენი ეგზომ დიადნი,  
მოხეტიალე, სახელმორჭმულ პალადინების,  
ჩემთვის მარადის საყვარელი რაინდებისა.  
და თუ მისანნი, კუდიანნი და ჯადოქარნი  
არიან კუმტნი, ულმობელნი, უკარებელნი,  
მე ვარ ბუნებით რბილი, ნაზი, ალერსიანი,  
უხვად სიკეთის და წყალობის მომნიჭებელი.  
ოდეს მე ვიყავ დიტეს შავბნელ გამოქვაბულში,  
და საიდუმლო ხაზებს, რომბებს ბედისწერისა  
იქ კითხულობდა სული ჩემი დაწაფებული,  
ამ დროს მომესმა განუზომელ ტანჯვის ძახილი,  
ხმა თვით უბადლო დულსინეა ტობოსელისა,  
და წამსვე ვცანი, ბოროტ სულებს გრძნეულებითა  
გარდაუქმნიათ ბანოვანი კეთილშობილი  
ვინმე გლეხუჭას უხემ ქალად, და სიბრალულით  
დულსინეასი მოვათავსე მე სული ჩემი  
საშინელ ჩონჩხში, მაგრამ ჩონჩხში მოთავსებამდე  
ასი ათასი გადავფურცლე წიგნი მისნური,  
ვსწავლობდი სიბრძნეს იდუმალსა და, ჰა, მოვედი  
განსაკურნავად დიდი ტანჯვის, დიდი ტკივილის,  
ჰო რაინდო, ვაჟკაცობით სახელმორჭმულო.

აწ და მარადის იყოს ქვეყნად მისი დიდება,  
ვისაც აუსხამს ტანთ ფოლადის მტკიცე ჯავშანი.  
ჰოი, შუქურავ, წინამძღოლო, გზის მჩვენებელო  
ყველა იმ გმირთა, რბილ საწოლში ბუმბულებისა  
რომელთაც ძილი და განცხრომა დავიწყებით  
და თავი თვისი სასიკვდილოდ სისხლისმღვრელ ომში  
დიდ საქმეთათვის განუწირავად დაუზარებლად.  
გთხოვთ მომისმინოთ გმირთა-გმირო სწორუპოვარო,  
ვისაც ჯერ ხობტა ჯეროვანი არ გღირსებიათ,  
ო, დონ კიხოტო, თავმდაბალო, ბრძენო მაღალო!  
ლამანჩის ბრწყინვავ და ვარსკვლავო ესპანეთისავ,  
რათა ტობოსელ დულსინეას მეთუნახავსა,  
დღეს გლეხის ქალსა, დაუბრუნდეს კვლავ წინანდელი  
სახიერება, დე საჭურველმტვრთველმა სანჩომ  
თვის პატიოსან დუნდულებზე დაე მათრახი  
მან სამი ათას სამას გზისად თვითონ დაირტყას  
ისე, რომ ყველა უცქეროდეს, გამიშვლებულსა  
ზოლნი წითელნი ტანზე როგორ აღებეჭდება.  
ასეთი არის განჩინება იმ ბოროტ სულთა,  
მომვლინებელთა ეგზომ დიდი უბედურების.  
მე კი ვარ მხოლოდ მაცნე, ამის მაუწყებელი.

- ჯანდაბამდის გზა გქონია! რაზედაც გინდათ დავიფიცებ, - შეჰყვირა სანჩომ, - სამი ათას ჯოხს  
კი არა, სამსაც არ დავიკრავ, როგორც სამჯერ ხანჯალს არ დავირტყამ. მასეთი ჯადოს გაუქმება  
ეშმაკსაც წაუღია. არჩვიცი, ღმერთმანი, მოჯადოების გაუქმებასთან ჩემს დუნდულებს რა  
კავშირი აქვს. თუ ბატონი მერლინი ქალბატონ დულსინე ტობოსელის ჯადოს სხვა საშუალებას  
არ გამოუნახავს, ღმერთსა ვფიცავ, მას შეუძლია საფლავში მოჯადოებული ჩაწვეს.

- მე თქვენ აგიყვანთ, უმაქნისო, ნივრით აყროლებულო გლეხუჭავ, - უთხრა დონ კიხოტმა, -  
ხეზე მიგაკრავთ და სამი ათასსამასს კი არა, ექვსი ათას ექვსას მათრახს მოგარტყამთ, ისეთ  
ცხარეს, რომ სამი ათას სამასი ოინითაც ვერ დაუძვრებით. ამაზე არაფერი მიპასუხოთ, თორემ  
სხეულიდან სულს ამოგართმევთ.



ეს მუქარა რომ მერლინმა გაიგონა, უთხრა:

- ეგ არ შეიძლება. კეთილმა სანჩომ ძალით კი არა, თავისი ნებით უნდა დაირტყას მისთვის დანიშნული მათრახები და ისიც მაშინ, როდესაც ამის სურვილი ექნება, რადგან ამისათვის ვადა არ დაენიშნება. მაგრამ თუ სურს ამ დანიშნული დარტყმის ნახვერიდან თავი დაიხსნას, მაშინ მას შეუძლია სხვისი, თუნდაც ცოტა მძიმე ხელით დაირტყას ეს მათრახები.

- არც საკუთარი, არც სხვისა, არც მძიმე და არც მსუბუქი, ერთი სიტყვით - არავითარი ხელით დარტყმული მათრახები არ მომეკარება, - მიუგო სანჩომ. - არა, განა მე ვშობე ქალბატონი დულსინე ტობოსელი, რომ მისი მშვენიერი თვალების საკანონო ჩემი დუნდულებით მოვიხადო. ჩემი ბატონი სულ სხვაა, თავისი შიჯნური ქალის ნაწილს რომ შეადგენს და ყოველ ნაბიჯზე ამბობს: ჩემი სიცოცხლე, ჩემი სული, ჩემი შემწე და საყრდნობელიო. მისთვის თავიც მან უნდა გაიმათრახოს და ყოველივე ზრუნვა და საქმე მისი მოჯადოებისაგან დახსნისთვის მან უნდა იკისროს და გადაიხადოს. მე რომ თავი გავიმათრახო - აბერნუტო.

სანჩომ ის იყო სიტყვა გაათავა, რომ მერლინის მოლანდების გვერდზე მჯდომარე ვერცხლოვანი ნიძვა ადგილიდან წამოდგა, ეთეროვანი პირბადე აიწია, მეტად მშვენიერი სახე გამოაჩინა, მეტად მამაკაცური სითამამით და ქალისთვის შეუფერებელი ხმით უთხრა:

- ჰოი, შავ სვიანო საჭურველმტვირთველო, შე ქარაფშუტავ, უსულგულო, რიყის ქვისა და ტალის შიგნეულობავ, შე უსირცხვილო, უმაქნისო, შე ავაზაკო, შენთვის რომ ებრძანებინათ, მაღალი კოშკიდან ძირს ჩამოვარდო, კაცობრიობის მტერო, შენთვის რომ ეთხოვათ - თორმეტი გომბეშო, ოცდაათხი ხვლიკი დათდათექსმეტი გველი გადაყლაპეო; - შენთვის, რომ ეთქვათ, ცოლი და შვილები საშინელი და ბასრი ხანჯლით აჩეხეო, მაშინ კიდევ ჰო - საკვირველი არ იქნებოდა - უარი გეთქვა, შეგზიზღებოდა და გადაბრღნილიყავ. მაგრამ სამი ათას სამასი მათრახის დარტყმას ასეთ მნიშვნელობას აძლევ მაშინ, როდესაც ობოლთა უფასო სასწავლებულში ისეთი, თუნდაც სუსტი და მთლად ცუდი შეგირდი არ არის, რომ ყოველ თვეს იმდენივე არ მოხვედროდეს, - შენგან უარის თქმა აკვირვებს, აოცებს და ყველა შემბრალებელ გულს არისხებს, ვისაც კი შენი უარი ესმის და იმათაც კი - ვინც მომავალ დროში გაიგონებს. ჰოი, საძულველო და საცოდავო, გულქვა პირუტყვო, მიმართე-მეთქი შენი დაფეთებული ბუკიოტის თვალები ჩემი თვალების გუგას, მოციმციმე ვარსკვლავებს რომ დამსგავსებინან, და დაინახავ, როგორ წვეთ-წვეთად, ნაკად-ნაკადად აფრქვევენ ცრემლებს და მათი დაღარული კვლები და ბილიკები ჩემთ მშვენიერ ღაწვთა ველებს როგორ მიდაღვენ. ვერაგო და ბოროტის მზრახველო ურჩხულო, შეიბრალე ჩემი ახალგაზრდობა (ჯერ ხომ მეორე ათეული წელიწადი არ შემსრულებია, მე ხომ ჯერ ცხრამეტი წლისა ვარ და ოცის ჯერ სრული არა ვარ), როგორ ჭკნება და სწუხდება გლეხის ქალის უხეშ სამოსის ქვეშე! და თუ დღეს ამ სახით მოველ, ეს მხოლოდ ბრძენი მერლინის განსაკუთრებული წყალობით არის, უწინდელი მშვენება დამიბრუნა, რათა ჩემი მშვენიერებით გული მოგიღობო: მშვენიერის ცრემლები ხომ ვეფხვსაც ცხვრად ხდის და კლდეებსაც - ბამბისგზრ არბილებს. დაირტყი, დაირტყი-მეთქი სამი ათას სამასი მათრახი მაგ შენს ჩასუქებულ ტანზე, მძვინვარე, მოუდრეკელო მხეცო! ვაჟკაცობა გაიმხნევე, რომელსაც მხოლოდ იმიტომ მოიხმარ, მუცელი და პირი აივსო. დაუბრუნე ჩემს კანს სინაზე, ჩემს სახეს სიმშვენიერე, ჩემს გულს სიმშვიდე. თუ ჩემი გულისთვის არ გინდა მოლბე და გონების ხმას უსმინო, საბრალო რაინდის გულისათვის მაინც ქმენი ეს, გვერდზე რომ გიდგას და სული რომ უკვე ამოსვლაზე ტუჩებამდის ათი თითის დადგმაზე ყელში გაჩხირვია

და შენს პასუხს ელის - მკაცრსა თუ ნაზს, რომ ან პირიდან აღმოუტევდეს, ანუ უკანვე სტომაქში დაუბრუნდეს...

ეს რომ დონ კიხოტმა მოისმინა, თითებით ყელი გაისინჯა და ჰერცოგს უთხრა:

- ღმერთს ვფიცავ, სენიორ, დულსინემ მართალი თქვა: სული მართლა თითქოს არბალეტის ტყვიასავით ყელში გამეჩხირა.

- აბა, ამაზე რაღას იტყვი, სანჩო? ჰკითხა ჰერცოგის ცოლმა.

- იმას, სენიორა, რაც წელან ვთქვი, - მიუგო სანჩომ, - აბერნუტიო.

- მასე კი არა, - აბრენუნტიო უნდა თქვა, სანჩო, - გაუსწორა ჰერცოგმა.

- თავი მანებეთ, თქვენო უმაღლესობავ, - მიუგო სანჩომ. - ახლა იმ გუნებაზე არა ვარ, რომ ჩემს თავს ყური ვუგდო, რომელი ასო წინა ვთქვა, რომელი უკან. იმ შეჩვენებულმა მათრახებმა, მე რომ უნდა დავიკრა, ან სხვა დამარტყამს, ისე მომშალეს და ამაღელეს, რომ არ ვიცი, ან რას ჩავდივარ, ან რას ვამბობ. ნეტავ გამაგებინოს სენიორა დულსინე ტობოსელმა, სად ისწავლა ასეთი საკვირველი თხოვნის ჰანგები, როგორითაც აქ მოსულა და მთხოვს, მათრახის დარტყმით ტანი შუაზე გავიგლიჯო და თანაც სალანძღავ სახელებს მეძახის, სათქმელად ეშმაკის საკადრის. - მძვინვარე მხეცს, ქარაფშუტას, შეუგნებელ პირუტყვს და მთელ ასხმულა ისეთ უკადრის სიტყვებს, რომ ეშმაკიც არ აიტანს. არა, განა თუ ჩემი ტანი ბრინჯაოსია? და ანუ ჩემთვის ძალიან საჭიროა ქალბატონი დულსინე მოჯადოებული იქნება თუ მოუჯადოებელი? ჩემი გულის მოსაგებად რა თეთრეულის კალათა მოუტანია ჩემთვის: პერანგი, მისი ამხანაგები, ხელსახოცები, წინდები (თუმცა წინდებს არა ვხმარობ)? სრულებით არაფერი და ამის მაგიერ ლანძღვას ლანძღვაზე მაყრის, თუმცა კარგად იცის ჩვენში ხშირად ხმარებული ანდაზები, რომ "ოქროთი დატვირთული ვირი მთაზე ადვილად ადის", რომ "საჩუქრები კლდესაც ანგრევენ", რომ "ღმერთს სთხოვე, თან ჩაქუჩი ამუშავეო", და, რომ "ერთი აიღე ორ მოგცემს სჯობია". მერე ჩემი სენიორ ბატონიც იმის მაგიერ, რომ დამიყვავოს და კარგ გუნებაზე დამაყენოს - მპირდება - ხეზე შიშველი მიმაკრას და, რასაც მინიშნავენ, იმაზე ერთი ორად მეტი მათრახი მიმარტყას. ამ მოჯადოებულმა ბატონებმა განა ყურადღება არ უნდა მიაქციონ, რომ მათრახით გალახვას ითხოვენ არა მარტო საჭურველმტვირთველისას, არამედ გუბერნატორისასაც, ისე, თითქოს ვინმე ამბობდეს - ალუბლის ნაყენით შეერგებაო. ამ ვაჟბატონებმა ჯერ თხოვნა ისწავლონ, ზრდილობიანი და გულისხმიერნი იყონ, რადგან დრო სხვადასხვაგვარია და ადამიანიც მუდამ კარგ გუნებაზე როდია. თავად ისეც მოშლილი ვარ, რომ ჩემს მწვანე სანადირო ტანსაცმელს დახეულს ვხედავ, მომდგომიან, "შენი კეთილი ნებით მათრახით თავი გაიტყვიპეო", თუმცა ასეთ აზრს ისე შორს გავურბივარ, როგორც კაციკად გახდომას.

- ჩემო მეგობარო სანჩო, - უთხრა ჰერცოგმა, - თუ მწიფე ლეღვივით არ მოლბებით, გუბერნატორობას ვერ მიიღებთ. აბა, რა კარგს ვიზამ, რომ ჩემს კუნძულელთ ასეთი გულქვა და სასტიკი გუბერნატორი გავუგზავნო, რომელსაც ვერც შეწუხებულ მშვენიერ გოგონათა ცრემლები, ვერც განმსჯელი, ძლიერი და ძველისძველი ჯადოქრების თხოვნა გულს ვერ უწყლავს. ერთი სიტყვით, სანჩო, ან თვითონ უნდა გაიმათრახოთ თავი, ან სხვას გაამათრახებინოთ, ანუ გუბერნატორობას უნდა გამოეთხოვოთ.

- ბატონო ჰერცოგო, არ შეიძლება ორი დღე მიბოძოთ მოსაფიქრებლად? - ჰკითხა სანჩომ.

- არა, - დაიძახა მერლინმა, - არასგზით, აქვე, დაუყოვნებლივ და ადგილიდან დაუძვრელად უნდა გადაწყდეს ეს საქმე, - დუღსინე ან ისევე მონტესინოსის მღვიმეში უნდა დაბრუნდეს, გლეხის დედაკაცად გადაქცეული, ანუ ახლანდელი სახით ელისეს მინდვრებში წაიყვანენ და იქ თქვენი გამათრახების დასრულებას დაელოდება.

- გამიგონეთ, კეთილო სანჩო, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა, - მხნეობა მოიკრიბეთ, აჩვენეთ თქვენს ბატონს დონ კიხოტს, რომ მისი მადლიერი ხარტ, პურს რომ გაჭმევდათ, რომ ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ მას ვემსახუროთ და მადლობელი ვიყოთ მისი კეთილმიდრეკილებისა და აღმატებული რაინდობისა. თქვით, შვილო, - დიახ, თანახმა ვარ თავი გავიმათრახო-თქო, და დაე, ეშმაკი ეშმაკთან წაეხიროს და შიში სულმოკლეებთან, რადგან მამაცი გული ბოროტ ბედს სჯობნის, როგორც თქვენ ეს უკვე კარგად იცით.

ჰერცოგის ცოლს სანჩომ პირდაპირი პასუხი არ გასცა, მხოლოდ მერლინს მიუბრუნდა და შემდეგი აბდაუბდა სიტყვებით მიმართა:

- მითხარით და ამიხსენით, თქვენო მოწყალეზავ სენიორ მერლინო, წელან რომ აქ შიკრიკი ეშმაკი მოვიდა და ჩემს ბატონს სენიორ მონტესინოსის დაბარებული მოახსენა, რომ აქ დაეცადა, რადგან მონტესინოსი ჩემს ბატონთან მოვიდოდა და დუღსინეს ჯადოს გაუქმების საშუალებას ასწავლიდა, აქამდე რატომ არ მოდის ის მონტესინოსი ანუ ვინმე მისი მსგავსი?

- მეგობარო სანჩო, - მიუგო მერლინმა, - ის ეშმაკი დიდი გაიძვერა და უმაქნისია, შენი ბატონის მოსამებნად თვით მე გამოვგზავნე და არა მონტესინოსმა. ხოლო რაინდი მონტესინოსი თავის მღვიმეში ზის და იქ მოხიზვლის დასრულებას უცდის, რადგან ჯერ კიდევ ბევრი ცოდვა აქვს მოსანანიებელი. თუ მას თქვენი რაიმე მართებს, ანუ თქვენა გაქვთ მასთან რაიმე საქმე, სადაც გნებავთ და როდესაც გნებავთ, თქვენთან მოვიყვან. ახლა კი თქვენს გამათრახებაზე თანხმობა განაცხადეთ და დამიჯერეთ, გამათრახება თქვენს სულსაცა და სხეულსაც დიდ სარგებლობას მოუტანს, სულს - იმიტომ, რომ შემთხვევას მისცემს გამოთქვას თავისი ქრისტიანული გულმტკივნეულობა, ხორცს იმიტომ, რომ, როგორც ვიცით, სისხლჭარბი კაცი ხარტ; ცოტაოდენი სისხლის გამოშვება არას გაწყენთ.

- ბევრი ექიმია ქვეყანაზე, - ჯადოქრებიც კი ექიმობენ, - უთხრა სანჩომ, - რაკი ყველა ძალას მატანთ და აღარ მეშვებით, - თუმცა პირადად მე მაგის საჭიროებას ვერა ვხედავ, - თანხმობას გიცხადებთ სამი ათას სამასი მათრახის დარტყმაზე, მაგრამ იმ პირობით, რომ ამას მაშინ ვიზამ, როცა მომესურვება. არავითარ ვადას - არც დღეს და არც საათს - არ დავდებ, მხოლოდ აღვითქვამთ, ეს ვალი რაც კი შეიძლება მალე გადავიხადო, რომ ქვეყანა ქალბატონი დუღსინე ტობოსელის მშვენიერებით დასტკბეს, რაკი ძალიან ლამაზი ყოფილა, როგორც სულ არ მეგონა. ამას გარდა ერთი პირობით, მოვალე არა ვარ ისე დავირტყა, რომ ტანზე სისხლი დავიდინო, და თუ ისეთი დარტყმაც მომიხდეს როგორმე, რომ მხოლოდ ბუზები ამიფრინოს, ისიც ანგარიშში უნდა ჩამეთვალოს. და რომ როგორმე სათვალავი არ შემეშალოს, თვითონ ყოვლისმცოდნე ბატონმა მერლანმა შრომა გასწიოს და დათვალოს, ხოლო მე შემატყობინოს - მაკლდება რამე თუ სათვალავს გადავაჭარბე და რამდენი.

- თუ სათვალავს გადააჭარბე, შეტყობინება საჭირო არ იქნება, - მიუგო მერლინმა, - რადგან, დაირტყამ თუ არა, რამდენიც დანიშნული გაქვს, მაშინვე და უცებ სენიორი დუღსინე ტობოსელის მოჯადოება გაუქმდება და კეთილ სანჩოსთან, თავის მხსნელთან, კეთილი საქმისათვის მადლობის გადასახდელად და დასასაჩუქრებლად მოვა. ამიტომ საჭირო არ არის

იმაზე იფიქროთ, მეტი დაირტყით თუ ნაკლები. ღმერთმა დამიფაროს, თუნდაც მისი თმის ერთი ღერის ოდენაც კი მოვატყუო ვინმე, ვინც უნდა იყოს იგი.

- მაშ ღვთის ხელთ ვაძლევ ჩემს თავს, - თქვა სანჩო, - და ჩემდა საუბედუროდ გამათრახებაზე თანახმა ვარ, როგორც ვთქვი, იმ პირობით.

ეს უკანასკნელი სიტყვები ჯერ არც კი ვთქვა სანჩოს, რომ სალამურები ხელახლად ახმაურდნენ და უამრავი თოფის სროლა მოისმა, ხოლო დონ კიხოტი მივარდა სანჩოს, კისერზე მოხვია ხელები და ლოყები და შუბლი ათასეულად დაუკოცნა. ჰერცოგი, მისი ცოლი და ყველა იქ მყოფნი ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ, რომ საქმე კეთილად დაბოლოვდა. მერლინის და დულსინეს ეტლი დაიდრა. დულსინე ეტლიდან ჰერცოგს და მის ცოლს თავი დაბლა დაუკრა, ხოლო სანჩო დიდი რევერანსი გაუკეთა.

ამასობაში გარიჟრაჟი დაიწყო და მოცინარი და მხიარული დილა ახლოვდებოდა, მინდვრის ყვავილებმა თავიანთი კოკრების გაშლა დაიწვეს, ხოლო ანკარა ნაკადულებმა თეთრსა და რუხ ქვებზე ჩხრიალი მორთეს და თავის ბროლისებრი წყალს, როგორც სათანადო ხარკს, მათ მომლოდინე მდინარეებისაკენ მიაქანებდნენ. გახარებული დედამიწა, შეალისფერებული ცა, გამჭვირვალე ჰაერი, კამკაშა სინათლე - ყველა ეს, ცალკე და ერთად აღებული, იმისი ცხადი ნიშანი იყო, რომ ავრორას კვალდაკვალ გამოდევნებული დღე წყნარი და მცხუნვარე იქნებოდა. ჰერცოგი და მისი ცოლი, კმაყოფილნი იმით, რომ ნადირობა და მათი განზრახვა - ასე მოხერხებულად გაეპამპულეზინათ დონ კიხოტი, კარგად დაბოლოვდა, თავიანთ ციხე-დარბაზს დაბრუნდნენ იმ გადაწყვეტილებით, რათა კვლავ განეგრძოთ ხუმრობა, რადგან ვერავითარი სხვა საქმე ვერ მიანიჭებდა მათ უმეტეს სიამოვნებას.

თავი XXXVI

სადაც მოთხრობილია არაჩვეულებრივი და წარმოუდგენელი ფათერაკი ღუენია დოლორიდასთან, ანუ სხვა სახელით - გრაფის

მეუღლე ტრიფალდისთან, და აგრეთვე სანჩო პანსას მიერ თავის ცოლ ტერესა პანსასთან გაგზავნილი წერილის შესახებ

ჰერცოგს დიდად მარჯვე და მახვილგონიერი სახლთუხუცესი ჰყავდა. ის იყო, მერლინის როლს, რომ ასრულებდა, ყველაფერი დაწვრილებით მან მოაწყო და დულსინეს როლი ერთ პაჟს აასრულებინა. ერთი სიტყვით, ჩვენგან აღწერილი ფათერაკის მოწყობას მთლად ის განაგებდა. ცოტა ხნის შემდეგ ბატონების დახმარებით სხვა, ახალი, უფრო უცნაური ხუმრობა მოიგონა, ისეთი, როგორსაც ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს.

მეორე დღეს ჰერცოგის ცოლმა ჰკითხა სანჩოს: დულსინე ტობოსელის ჯადოს გაუქმებისათვის მოსანანიებელ გამათრახებას უკვე შეუდექი თუ არაო? დიახ, დავიწყეო, უპასუხა სანჩომ, წუხელის ბარე ხუთჯერ დავირტყიო. რა დაირტყიო, ჰკითხა ჰერცოგის ცოლმა. ხელიო, უპასუხა სანჩომ.

- არა, ეგ მათრახით გვემა როდია, უფრო ტაშის ცემასა ჰგავს, - შენიშნა ჰერცოგის ცოლმა. - მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ თუ თქვენს თავს აგრე მოწყალედ მოეკიდებით, ბრძენი მერლინი თანახმა არ იქნება. კეთილი სანჩო, თქვენ ეკლებიანი ან კვანძებიანი თოკის მათრახი

უნდა იშოვოთ, რომ მისი დარტყმით უფრო ბევრი ტკივილი იგრძნოთ, როგორც იტყვიან, სწავლისათვის ფრიად სასარგებლოა ცემა-ტყეპა, და ისეთი დიდებული მანდილოსნის განთავისუფლება, როგორც დულსინეა, ასე იაფად არ შეიძლება და კიდევ უნდა იცოდეთ, სანჩო, რომ დაუდევრად და უნიათოდ ან გულგრილად შესრულებულ კეთილ საქმეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და მას არავინ არ ჩაგითვლით.

- მაშ შრომა გასწიეთ, თქვენო მოწყალეზავ და, შესაფერი მათრახი ან თოკის ნაჭერი მიბოძეთ, - მიუგო სანჩომ, - და მეც იმით გავილახტავ თავს. მაგრამ ისეთი კი იყოს, რომ ძალიან არ მატკინოს, რადგან თქვენს მოწყალეზავს უნდა მოვახსენო, რომ, თუმცა გლეხი ვარ, მაინც ტანი ბამბას უფრო მიგავს, ვიდრე ხამ ლერწამს. მასთანაც განა კარგი იქნება სხვისი სარგებლობისათვის თავი დავიმახინჯო?

- კეთილი, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა. - ხვალ ისეთ მათრახს მოგცემთ, რომ თქვენი შესაფერი იქნება და თქვენს ნაზ კანს ღვიძლ დასავით მოერგება.

- ბარემც მომისმინეთ, თქვენო დიდებავ, ჩემი სულის სენიორავ, - უთხრა სანჩომ, - ჩემს ცოლს ტერესა პანსას წერილი მივწერე, შიგ ყველაფერი ვუამბე, იმ დღიდან შემთხვეული, რაც ერთმანეთს დავშორდით. აქა მაქვს უბეში და მისამართის დაწერა არის საჭირო. მინდოდა, თქვენს სიბრძნეს წაეკითხა. ვგონებ გუბერნატორულად არის დაწერილი, ესე იგი, როგორც გუბერნატორები წერენ.

- ვინ შეგიტხზათ იგი? - მკითხა ჰერცოგის ცოლმა.

- ვინ შემითხზავდა, თუ არა თვითონ მე ცოდვილი, - მიეგო სანჩომ.

- დაწერთაც თქვენ დაწერეთ? - განაგრძობდა ჰერცოგის ცოლი.

- დაწერით კი მე არ დამიწერია, რადგან არც წერა ვიცი და არც კითხვა, - მიუგო სანჩომ, - თუმცა მარტო ხელის მოწერა კი ვიცი.

- აბა ერთი აქ მომეცით, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა. - ეჭვი არა მაქვს, მთელი თქვენი ჭკუა და ღირსება ამ წერილში გამოთქვით.

სანჩო უბიდან დაუბეჭდავი წერილი ამოიღო, ჰერცოგის ცოლმა გამოართვა და შემდეგი წაიკითხა:

სანჩო პანსას წერილი

მისი ცოლის - ტერესა პანსასადმი

თუმცა მე გამათრახება მიმისაჯეს, მაგრამ სამაგიეროდ ცხენდაცხენ მედიდურად გავისეირნე. თუ ახლა კარგი საგუბერნატორო მაქვს, ის მე კარგ მათრახებად მიღირს. შენ ახლა ამას ვერ მიხვდები, ჩემო ტერესა, მაგრამ მერე აგიხსნი და გაიგებ. უნდა იცოდე, ტერესა, რომ მე გადავწყვიტე შენ კარეტით იარო, ეს არის შენთვის ნამდვილად შესაფერი, რადგან სხვებზე სიარული კატის სიარულს ემსგავსება. ახლა შენ გუბერნატორის ცოლი ხარ და ყურადღებით იყავ, რომ ფეხზე ფეხი არავინ დაგადგას. ამ წერილთან სანადირო მწვანე ტანსაცმელს გიგზავნი; - ეს მე სენიორა ჰერცოგის მეუღლემ მაჩუქა. მოახერხე, რომ აქედან ჩვენს ქალს კაბა და ზედაწელი გამოუყვანო. ამ მხარეში ლაპარაკობენ, - ჩემი ბატონი დონ კიხოტი თუმცა სულელი

და ჭკუარეულია, მაგრამ არც მთლად გიჟიაო, და იმასაც ამბობენ, რომ მე მას არაფერში ჩამოვრჩები. ჩვენ მონტესინოსის მღვიმეში ჩავეშვით და ბრძენმა მერლინმა დუღისინე ტობოსელის ჯადოს გაუქმების საშუალებად და წამლად მე ამირჩია, იმ დუღისინესი, ჩვენში რომ აღდონსა ლორენსოს ეძახიან. სამი ათას სამასი მათრახის შემდეგ, მე, რომ ხუთის გამოკლებით უნდა დავირტყა, დუღისინე ჯადოსაგან მთლად განთავისუფლდება, როგორც მისი მშობელი დედა არის თავისუფალი. ამაზე ნერავის ნურაფერს ეტყვი, თორემ, თუ ეს საქმე ქვეყნად გამოიფინა, ათასგვარ ჭორებს შეთხზავენ. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს საგუბერნატოროში მივდივარ იმ დიდი სურვილით, რომ იქ ბლომად ფულები მოვაგროვო; მეუბნებიან, ყველა ახალი გუბერნატორი თავის საგუბერნატოროში ასეთივე სურვილით მიდისო. იმ საგუბერნატორს მაჯას გავუსინჯავ და შეგატყობინებთ წამოხვიდეთ თუ არა. ჩვენი ლურჯა კარგად არის და დიდ მოკითხვას გითვლის. მის მოშორებას არა ვფიქრობ, თუნდაც სულთნად დამსვან ოსმალეთში. ჩემი სენიორა, ჰერცოგის მეუღლე ათას ხელკოცნას გითვლის, შენც სამაგიეროდ ორი ათასი კოცნა შემოუთვალე, რადგან ჩემი ბატონის სიტყვით ისე იაფად არაფერი ფასობს, როგორც ზრდილობიანი ქცევა. ამ ჯერობაზე ღმერთმა აღარ ინება სხვა ჩემოდანი მოეცა ჩემთვის ასე ოქროთი სავსე, როგორც ამას წინათ იყო: ამაზე ნუ იწუხებ, ჩემო ტერესა, რადგან უშიშრად ის არის ვინც სამრეკლოზე ზარს რეკავს, და ყველაფერი გუბერნატორობის ნაცარ-წყალში გაირეცხება. მე მარტო იმან დამანადვლიანა, რომ მეუბნებიან როცა გუბერნატორობის გემოს გავიგებ, თითებიანად ხელებსაც კი შიგ ჩავატან და, ეს რომ მოხდეს, იგი ძალიან ძვირად დამიჯდება, თუმცა უხელო მათხოვრებს და ხეიბრებს მათხოვრობით დიდი შემოსავალი აქვთ და მღვდლებივით უდარდელად ცხოვრობენ. ასე იქნება თუ ისე, შენ ნამდვილად მდიდარი და ბედნიერი შეიქნები. უფალმა ყველა კეთილი მოგმადლოს და მეც იმისთვის შემინახოს და დამიცვას, რომ შენ სამსახური გაგიწიო.

დაიწერა ამ ციხე-დარბაზში 1614 წლის 20 ივლისს.

შენი ქმარი და გუბერნატორი

სანჩო პანსა.

ჰერცოგის ცოლმა რომ წაიკითხა, სანჩოს უთხრა:

- ჩვენს კეთილ გუბერნატორს ამ წერილში ორ ალაგას ცოტაოდენად გზა დაბნევია: ჯერ ერთი, ამბობს, ვითომც გუბერნატორობა იმ მათრახების გამო მიიღო, ტანზე რომ უნდა დაირტყას, როდესაც იცის და ამას არც უარყოფს, რომ ჰერცოგი, ჩემი სენიორი, გუბერნატორობას მაშინ დაჰპირდა, როდესაც მათრახები ქვეყანაზე სიზმრადაც არავის მოლანდებია; მეორეც - წერილში სანჩო თავის თავს ძალიან ხარბ კაცად გვაჩვენებს, მე კი სულაც არ მინდოდა ისეთი ყოფილიყო, რადგან სიხარბე ტომარას ხევს და ხარბი გუბერნატორი სამართალს ცუდად აწარმოებს.

- მე ეგ სულაც არ მინდოდა მეთქვა, ქალბატონო, - მიუგო სანჩომ, - თუ თქვენი აზრით წერილი რიგიანად არ არის დაწერილი, ჯობს დაიხეს და სხვა დაიწეროს, მაგრამ ის სხვა ვაითუ უარესი გამოვიდეს, თუ ისევ ამ ჩემი თავიდან არ მომიხდა მისი დაწერა.

- არა, არა, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა, - ეს წერილი კარგია, რიგიანად არის დაწერილი, წავალ, ჰერცოგს წავაკითხებ.

ესა თქვა და ბაღში წავიდა, სადაც იმ დღეს უნდა ესადილათ. ჰერცოგის მეუღლემ სანჩოს წერილი ჰერცოგს აჩვენა. ჰერცოგი ამ წერილის წაკითხვამ ბევრი აცინა და ძლიერ ასიამოვნა.

სადილი რომ გათავდა და სუფრა აალაგეს, ჰერცოგი და მისი ცოლთ სანჩოს სალადობო შემაქცავარი ლაპარაკით დიდხანს სიამოვნებდნენ. უცებ ბაღში სალამურის მწუხარე და დაფდაფების შეუწყობელი ბლანდი ხმა გაისმა. ამ მჭმუნვარე და საგანგაშო სამხედრო მუსიკამ ყველანი გააოცა და შეაშფოთა, მეტადრე დონ კიხოტი, რომელიც ისე აღელდა, რომ ადგილზე ჯდომაც ვეღარ შეიძლო;

სანჩოზე კიდევ ის უნდა ითქვას, რომ შიშმა თავისი ჩვეულებრივი საფარი მოანახვინა - ჰერცოგის ცოლის კაზის კალთებს ქვეშ შეძვრა. ეს მუსიკა მართლაც მჭმუნვარე და ნაღვლიანი იყო. ყველანი რომ ასე შეშფოთებული იყვნენ და რაღაცას მოელოდნენ, დაინახეს, რომ ბაღში ორი კაცი შემოვიდა ფეხებამდე სამგლოვიარო გრძელ ტოლომაწამოსხმული, ორნიც შავმაუდგადაკრულ დაფებს უკრავდნენ. მედაფეთა გვერდზე მესალამურე მოდიოდა, აგრეთვე კუპრივით შავებში ჩაცმული. ამ სამ მემუსიკეს ერთი ახმახი ტანის კაცი მოჰყვებოდა, უფრო მეტად გრძელ შავ ტოლომაწამოსხმული. მას ტოლობის გარედან განიერი სარტყელი ჰქონდა წელზე შემორტყმული და მასზე უზარმაზარი ხმალი ეკიდა ისეთივე შავსახელურ-ქარქაშიანი. პირისახე შავი გამჭვირვალე პირბადით ჰქონდა აფარებული და იქიდან გრძელი, თოვლივით თეთრი წვერი უჩანდა. მედიდურად და დამშვიდებით მოდიოდა - დაფების ხმაზე ფეხის აყოლებით. მისი სიშავე, მისი უზარმაზარი ტანი, მედიდური სიარული, უკან მომყოლი ამაღა - ყველას თავზარს სცემდა და დასცა კიდევ, ვინც არ იცოდა, თუ ვინ იყო იგი.

მედიდური და ზომიერი ნაბჯით, როგორც უკვე ვთქვით, მიუახლოვდა ის ნაცნობ-ახლობელთა წრეში მდგარ ჰერცოგს. მის წინ მუხლი მოიდრიკა, მაგრამ ჰერცოგმა მისი მოსმენა არასგზით არ ისურვა, ვიდრე ფეხზე არ წამოდგებოდა. როცა ეს საშინელი საფრთხობელა დათანხმდა და ფეხზე წამოდგა, პირბადე გადაიგდო და გაოცებულთ მის მაცქერალთ ისეთი მეტად გრძელი, ხშირი და საშინელი წვერი დაანახვა, რომ ადამიანის თვალს არსად არაოდეს არ ენახა. მერე უცნობმა თავისი განიერი მკერდის სიღრმიდან მჭახე და ძლიერი ხმა აღმოუტევა, ჰერცოგს დაამტერდა და უთხრა:

- უძლიერესო და უმაღლესო ბატონო. მე მქვია ტრიფალდინთეთრწვერა და ვარ გრაფის მეუღლე ტრიფალდის - სხვა სახელით - დუნია დოლორიდად წოდებულის საჭურველმტვირთველი. მისგან დავალებული მაქვს თქვენს დიდებულებას შემდეგი მოვახნო - ეგების თქვენმა ჩინებულებამ ინებოს თვითონ იგი გეახლოთ, რათა მოგახსენოთ თავისი ისეთი საკვირველი და სრულიად არნახული უბედურება, როგორის წარმოდგენა თვითონ გამწარებულ ოცნება-გამოხატულებასაც არ შეუძლია. მაგრამ ყოვლის უწინარეს მას სურს შეიტყოს, იმყოფება თუ არა თქვენს ციხე-დარბაზში უშიშარი და არაოდეს არავისგან ძლეული რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი, რომლის ძებნაში მან ყოვლადვე უჭმელ-უსმელმა და ფეხშიშველმა კანდაის სამეფოდან თქვენი უგანათლებულესობის სამფლობელომდის მოაღწია, რაიცა შესაძლოა და ჯერარსცა მიეწეროს სასწაულს ანუ ძალას ჯადოქრობისასა, იგი ამ ციხის ანუ ქალაქარე სასახლის კარიბჭესთან იმყოფება და თქვენგან აქ შემოსვლის ნებართვას ელოდება. მე დავამთავრე.

ესა თქვა, ხველა მორთო, ორივე ხელი ზევიდან ქვევით წვერს ჩამოუსვა და დიდად ამპარტავნულად ჰერცოგის პასუხს მოელოდა. ჰერცოგმა შემდეგი უთხრა:

- კეთილო საჭურველმტვირთველო ტრიფალდინ-თეთრწვერავ, უკვე დიდი ხანია გაებული მაქვს, რაც სენიორა გრაფის მეუღლეს ტრიფალდის უბედურება შეემთხვა და ჯადოქრების

მეოხებით იძულებულია დუენია დოლორიდას სახელი დაირქვას. და თქვენ, ჰოი, განსაცვიფრებელი საჭურველმტვირთველო, შეგიძლიათ მოახსენოთ გრაფის მეუღლეს, აქ მობრძანდეს და რომ აქ იმყოფება ღვაწლმოსილი რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი, რომლის სულგრძელი აზრების მიხედვით სრულად დაიმედებულს შეუძლია ყოველგვარ შემწეობასა და მფარველობას მოელოდეს. აგრეთვე ჩემს მაგიერ მოახსენეთ (თუ ჩემგანაც დასჭირდება მფარველობა) მე მის სამსახურად მზად ვარ, რადგან ჩემი რაინდობის წოდება მავალეს შემწე ვეყო ყოველ მანდილოსანს, მით უმეტეს დუენიებს, ქვრივებს, შეურაცხყოფილთ და დამცირებულთ, რომელთაც მისი ბრწყინვალეობა გრაფის მეუღლე უნდა ეკუთვნოდეს.

ეს რომ ტრიფალდინმა მოისმინა, მუხლები მიწამდის ჩაიკეცა, სალამურსა და დაფდაფებს ანიშნა და იმავე მუსიკის აყობებით და იმავე მედიდური ნაბიჯით ბალიდან გავიდა და თავის ტანისამოსით და გარეგნობით ყველანი გაოცებულნი დასტოვა.

ჰერცოგი დონ კიხოტს მიუბრუნდა და უთხრა:

- ძლივს, ოი, დიდებულო რაინდო, ამიერიდან ბოროტებისა და უმეცრების წყვილი ვერ წაეფარება და თქვენი ღვაწლისა და კეთილმოქმედების ელვარებას ვერ დაბინდავს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჯერ ერთი კვირაც არ არის, რაც თქვენი სიქველე ამ ციხედარბაზში იმყოფება, და თქვენთა ღვაწლთა ხმა ქვეყნის კიდი-კიდემდე მოფენილია თქვენს სამებნელად მოდიან შორეული მხრიდან არა ეტლით, ან ცხენით, ანუ აქლემით, არამედ ფეხით და მარხულობით - დევნილნი და დამცირებულნი - დაიმედებულნი, რომ თქვენი ძალოვანი მკლავი დაიხსნის მათ ყოველგვარი განსაცდელისა და უბედურებისაგან.

- რარიგად მინდოდა, სენიორ ჰერცოგო, - მიუგო დონ კიხოტმა, - ახლა აქ ყოფილიყო ის კურთხეული მოძღვარი, ამას წინათ რომ სადილზე მოგზაურ რაინდებს ისე გაბოროტებით და მტრულად იხსენიებდა, ახლა საკუთარი თვალებით დარწმუნდებოდა საჭირონი არიან ქვეყნისათვის მოგზაური რაინდები თუ არა? ახლა, შეიძლება ასე ვთქვათ, თავისი ხელის შეხებით გაიგებდა იმ ჭეშმარიტებას, რომ უზომოდ შეწუხებულნი და უნუგეშონი, ყველა ძნელ შემთხვევაში და დიდ უბედურებაში ჩავარდნილნი შემწეობის მოსაპოვებლად სწავლულთა სახლებში ანუ სოფლის დიაკვნებთან და მუდამ შინმჯდომარე რაინდებთან კი არ მიდიან, ანუ კიდეც უსაქმურ და განაზებულ კარისკაცებთან, ახალ ამბებს და ჭორებს რომ აგროვებენ, რათა ყველგან მოჰფინონ და ილაპარაკონ და ისეთ საქმეს და ღვაწლს არ ეკიდებიან, რომ სხვათა აღწერისა და მოთხრობის ღირსი გახდეს. მწუხარების ხელისაპყრობა, უბედურთა შემწეობა, ყმაწვილ ქალთა მფარველობა, ქვრივთა ნუგეშის ცემა - ყველაზე უკეთ მოგზაურ რაინდებს შეუძლიათ, ვიდრე სხვა წოდების ადამიანებს, და რომ მე ერთი მათგანი ვარ, უზენაესს დიდ მადლობას ვწირავ და ვაქებ-ვადიდებ ყოველგვარ შრომას და გაჭირვებას, რაც ესოდენ საპატიო მოწოდების აღსრულების ჟამს შესაძლოა მე შემხვდეს. დაე, მოვიდეს აქ ის დუენია და ყველაფერი მთხოვოს, რაიცა სურს; ჩემი მკლავის და ჩემი მამაცი გულის გაბედულება მის უბედურებას განკურნებას მოუპოვებს.

თავი XXXVII

სადაც გრძელდება დუენია დოლორიდას ღირსშესანიშნავი ფათერაკების ამბავი



ჰერცოგი და მისი ცოლი მეტისმეტად აღტაცებულნი იყვნენ, რომ დონ კიხოტი მათი განზრახვის შესაფერისად ასე ადვილად მოიმართა. მაგრამ ამ დროს სანჩომ თქვა:

- მარტო მისი მეშინია, იმ ქალბატონმა ჩემს გუბერნატორობას რაიმე კვანტი არ გამოსდოს, რადგან ერთი ტოლედოელი მეაფთიაქისაგან გამიგონია, იადონსავით რომ ლაპარაკობდა, სადაც დუენიები გაერევიან, იქ არავითარი ხეირიანი საქმის მოლოდინი არ შეიძლებაო. ღმერთო შენ მიშველე, რარიგად სძულდა იმ მეაფთიაქეს დუენიები! ამიტომაც ვფიქრობ, რომ, თუ ყველა დუენია აუტანელი და მავნეა, რა წოდებისა და მდგომარეობისაც არ უნდა იყოს იგი, მაშ როგორები იქნებიან დოლორიდა დუენიები, ამ სამკალთას თუ სამკუდას მსგავსნი? (იმიტომ, რომ ჩვენში კალთა თუ კუდი ერთი და იგივეა).

- გემუდარები, მეგობარო სანჩო, გაჩუმიდი, - უთხრა დონ კიხოტმა. - რადგან ეს დუენია ისეთი შორი ქვეყნიდან მოსულა ჩემს რამებნელად, რომ არ შეიძლება იმათგანი იყოს, ვის შესახებაც შენი მეაფთიაქე ლაპარაკობდა, მით უფრო, რომ გრაფის ცოლია, გრაფის ცოლები კი დუენიებად მხოლოდ მეფისა და იმპერატორის ცოლებს ემსახურებიან; ხოლო შინ ისინი ისეთივე ქალბატონები არიან, როგორც სხვები, და საკუთარი დუენიებიც ჰყავთ.

ამ სიტყვის მოსმენისას იქვე მყოფმა დონა როდრიგესმა დაუმატა:

- აქ მის უგანათლებულესობას პერცოგის მეუღლეს ისეთები ემსახურებიან, რომელთაც შეეძლოთ გრაფის ცოლებად გამხდარიყვნენ, რომ ბედს ენებებინა, მაგრამ ხომ იცით: როგორც მეფეები ინებებენ, კანონებსაც ისე აღასრულებენ, - მაშ ცუდად ნურავინ ახსენებს დუენიებს, მეტადრე ხნიერებს და ყმაწვილ ქალებს, იმიტომ, რომ, თუმცა მე მათ რიცხვს არ ვეკუთვნი, მაინც კარგად გამეგება და ცხადადაც ვხედავ, რა უპირატესობა აქვს ყმაწვილ დუენიას ქვრივ დუენიასთან შედარებით და, ვისაც ჩვენი გაკრეჭა სურდა, მაკრატელი ხელში გაეხირა.

- მაინცდამაინც, - შეესიტყვა სანჩო, - თუ ჩემს დალაქს დავუჯერე, დუენიებს იმდენი რაღაცები აქვთ მოსაკრეჭი, რომ ჯობია ბრინჯი ფლავში არ აურიო, თუნდაც აილანძოს.

- საჭურველმტვირთველები მუდამ ჩვენი მტრები არიან, - მიუგო დონა როდრიგესმა, - რაკი ყველა დერეფანში დაეხეტებიან და ყოველ ნაბიჯზე გვხედავენ და ყოველ მხრივ გვჩხრეკენ, და თუ არა ლოცულობენ (ასეთი დრო ბლომადაა აქვთ), ჩვენზე ჭორებით შეექცევიან და ჩვენს კდემამოსილებას მიწაში ფლავენ. მე ამ მოძრავი ძირკვების გამოჯავრებული ვიტყვი, რომ ქვეყანაზე ვიცხოვრებთ და წარჩინებულ ოჯახებშიაც ვიქნებით, თუნდაც შიმშილით ვიხოცებოდეთ და ჩვენს სხეულს, - ნაზსა თუ არა ნაზს, - შავი მონაზონის სამოსელით ვიფარავდეთ, როგორც დღესასწაულის დღეს ანუ საზეიმო ლიტანიის დროს ნეხვის გროვას ხალიჩებს აფარებენ ხოლმე. ღმერთმანი, მე რომ ნება დამრთონ, არა მარტო აქ დამსწრეთ, არამედ მთელ ქვეყანას ავუხსნიდი, რომ ისეთი სიქველე და სათნოება არც ერთი არ არის, რომ დუენიას არ გააჩნდს.

- მე მგონია, - თქვა ჰერცოგის ცოლმა. - ჩემი კეთილი დონა როდრიგესი მართალს ამბობს, მაგრამ მისთვის საჭიროა მარჯვე შემთხვევას მოუცადოს, რომ თავისი თავიც და სხვა დუენიებიც დაიცვას და იმ სამაგელი მეაფთიაქის აზრი დაარღვიოს და ძირ-ფესვიანად ამოფხვრას ის, რასაც დიდი სანჩო პანსა გულში იმარხავს.

- მას აქეთ, რაც გუბერნატორობის ბუჯი თავში მეცა, - თქვა სანჩომ, - რაც ჩემში საჭურველმტვირთველური ლანდები იყვნენ, მთლად გამიქრნენ და, ქვეყანაზე რაც დუენიებია, მათში ერთ მჭუნარ ხურმასაც არ მივცემდი.

დუენიებზე ლაპარაკი ალბათ გაგრძელდებოდა, თუ ხელახლად სალამურისა და დაფდაფების ხმას არ დაეშალა: ამ ხმამ ყველას დუენია დოლორიდას ბაღში შემოსვლა აუწყა. ჰერცოგის ცოლმა ჰკითხა ჰერცოგს, სტუმრის მისაგებებლად არ უნდა გავიდეთ, რადგან გრაფის მეუღლე წარჩინებული მანდილოსანიაო? ჰერცოგს პასუხი სანჩომ დაასწრო და თქვა:

- რამდენადაც გრაფის ცოლია, გასვლა საჭიროა, და რამდენადაც იგი დუენია არის, ჩემის აზრით, თქვენ აქედან ერთი ნაბიჯიც არ უნდა გადადგათ.

- სანჩო, შენს აზრს ვინა გკითხავს? - უთხრა დონ კიხოტმა.

- ვინა მკითხავს, სენიორ? - მიუგო სანჩომ. - თვითონ მე ვთქვი, ვითარცა საჭურველმტვირთველმა, ზრდილობის სრულ კურს-გავლილმა თქვენი მოწყალების სკოლაში, თქვენგანვე ზრდილობის წესგბნასწავლმა - უაღრესად ზრდილისა და მართებული რაინდისა. თუ იმას მივხედეთ, რაც თქვენგან გამიგონია - ერთნაირად შეიძლება წაგება, თუნდა ერთი ქაღალდით მეტი გეჭიროს, თუნდა ნაკლებიო. ამის მეტს არას ვამბობ. ვისაც მიხვედრის ნიჭი აქვს, ერთი სიტყვაც საკმაოა.

- სანჩო დიახაც მართალს ამბობს, - თქვა ჰერცოგმა. - ჯერ ისა ვნახოთ - რა გრაფის ცოლია და შესაფერ ზრდილობას მაშინ მივუზომავთ.

ამ დროს მესალამურე და მედაფენი იმავე წესით ბაღში შემოვიდნენ, როგორც პირველად, მაგრამ ამ მოკლე თავს ავტორი აქ ამთავრებს და ამ ჩვენს ისტორიაში საგანგებო და მნიშვნელოვან ფათერაკად ჩასათვლელ ამბავს შემდეგ თავში განაგრძობს.

თავი XXXVIII

სადაც მოთხრობილია დუენია დოლორიდას უბედურების ამბავი

მწუხარე მესაკრავეთა შემდეგ ბაღში ორ რიგად დაწყობილმა თორმეტმა დუენიამ იწყო შემოსვლა; ყველას მონაზონის განიერი გრძელი კაბები ეცვა და თავზე კაბის ბოლომდის ჩაშვებული თეთრი ლეჩაქის საბურველები ეხურა. დუენიებს შემდეგ ტრიფალდინ-თეთრწვერას ხელის დაჭერით გრაფის ცოლი ტრიფალდი მოჰყავდა. ქალს წმინდა თივთიკის შავი კაბა ეცვა ისეთი გრძელი დაუგრეხავ ხაოიანი, რომ, დაგრეხილი, რომ ყოფილიყო, თითოეული ხორკალი უთუოდ მარტოსული ცერცვისოდენა იქნებოდა. კაბის კუდი, ანუ შლეიფი, ანუ რაც გინდათ დაუძახეთ, სამ ნაწილად გაყოფილი, სამ პაჟს ეჭირა, აგრეთვე სამგლოვიაროდ შავებჩაცმულებს. მისი სამი ბოლო, სამ მახვილ კუთხედ შემდგარი, საუცხოო მათემატიკურ ფიგურას წარმოადგენდა და ყველა, ვინც ამ მახვილკუთხიან შლეიფს უცქეროდა, მიხვდებოდა, თუ გრაფის მეუღლე ტრიფალდად - სამკალთად, ანუ სამკუდად რად იწოდებოდა. სიდ ჰამეტ ბენენჰელი ამბობს, იმას ეს სწორედ იმიტომ ერქვა, თორემ ნამდვილად იგი გრაფის ლობუნას ცოლი იყო, რადგან მის საგრაფოში ბევრი მგელი იცოდა, და, რომ იქ

მგლების ნაცვლად მელები ყოფილიყვნენ, მაშინ სორუნა ერქმეოდაო, რადგან იმ ადგილის მემამულეებს ჩვეულებად ჰქონდათ იმ საგანთა სახლი მიეღოთ, რაც ურო უხვად იყო მათ მამულში. მაგრამ, რადგან გრაფის ცოლი ახალი სახის კაბას ატარებდა, ლობუნას სახელი გამოეცვალა და ტრიფალდი დაერქვა.

გრაფის მეუღლე თორმეტი დუენის თანხლებით წყნარი და მედიდური ნაბიჯით მოდიოდა. მის დუენებს ისეთი სქელი პირბადეები ჰქონდათ ჩამოფარებული, რომ შიგ სრულებით არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა, რადგან ტრიფალდინის პირბადესავით გამჭვირვალე როდი იყო. ეს პროცესია გამოჩნდა თუ არა, ჰერცოგი, მისი ცოლი, დონ კიხოტი და ყველა, ვინც ბაღში იყვნენ, ფეხზე წამოდგნენ. ჰერცოგთან რომ მოახლოვდნენ დუენები შედგნენ, ორ მხარეზე მიდგნენ, რომ გრაფის ცოლის გასავლელად განი ექმნათ. ჰერცოგი, მისი ცოლი და დონ კიხოტი იმის მისაგებებლად თორმეტიოდე ნაბიჯით წინ წადგნენ. ტრიფალდინის ხელზე დაყრდნობილი დოლორიდა ციხე-დარბაზის პატრონების წინ მუხლებზე დაეცა და იმდენად ნაზი და ჟღეროვანი ხმით არა, რამდენადაც ღონიერი და მჭახე ხმით თქვა:

- თქვენო დიდებულებანო, კეთილ ინებეთ არა ხარჯოთ ეგოდენ მრავალი მართებულება ამ თქვენი მონისადმი, უნდა მეთქვა - მხევლისადმი, იმიტომ, რომ ესოდენ დამწუხრებული ვერ შევიძლებ მაგ თქვენს ალერსიანობას ჯეროვანი პასუხი გავცე, რადგან ჩემმა უცნაურმა, ჯერ არსად ნახულმა უბედურებამ ჩემი გონება თან წაიღო, არ ვიცი კი სად, ვეჭვობ - ძალიან შორს, ასე, რომ, რამდენადაც მეტად ვეძებ მას, იმდენად უფრო ვერა ვპოულობ.

- სენიორა გრაფის მეუღლეო! - მიუგო ჰერცოგმა. - გონება მოკლებული ის იქნებოდა, ვინც თქვენი გარეგნობით თქვენი ღირსების მიხვედრას ვერ შეიძლებდა, იმ ღირსებისა, რომელიც, უეჭველია იმსახურებს უაღრეს თავაზიანობასა და კეთილ აღმზრდელობის ყველა ყვავილით.

მივიდა, ფეხზე წამოაყენა და თავისი ცოლის გვერდით სელზე დასვა, იმანაც დიდი თავაზიანობითა და ალერსით მიიღო გრაფის მეუღლე. დონ კიხოტი მდუმარებდა; სანჩოს სურვილი კლავდა ტრიფალდის სახე დაენახა ან მისი თორმეტთაგანი დუენიასი, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, ვიდრე თვითონ თავიანთი ნებით პირბადეს არ აიხდიდნენ.

ყველანი დამშვიდებულნი ჩუმად იყვნენ, თითქოს ელოდნენ, პირველი ვინ დაილაპარაკებდა. ეს სიჩუმე დუენია დოლორიდამ დაარღვია და შემდეგი თქვა:

- დარწმუნებული ვარ, ყოვლადმღიერო სენიორ, უმშვენიერესო სენიორა და თქვენც, უბრძნესო ბატონებო, რომ ჩემი ნაღველი და უღრმესი მწუხარება თქვენს ყოვლად ულმობიერეს და სულგრძელ გულში, იმდენადვე სათუთში, რამდენადაც შემბრალებელში, გამოხმაურებას ჰპოვებს, რადგან ჩემი მწუხარება იმგვარია, რომ შეუძლია ყველაზე მძვინვარე გულის პატრონთა მარმარილო დაარბილოს და ფოლადი დაადნოს, მაგრამ, ვიდრე ჩემი მწუხარების ამბავი თქვენი სმენის კარიბჭეს (არ ვიტყვი - ყურებს-მეთქი, რადგან ეს სიტყვა მეტად უხეშად მეჩვენება) არ შეეხება, გთხოვთ მიბრძანოთ, აქ, თქვენს მაღალ საზოგადოებაში, ჯგუში თუ კრებულში ხომ არ იმყოფება ყოვლად უპატიოსნესი და უსაჩინოესი რაინდი დონ კიხოტი ულამანჩელესი და მისი უსაჭურველმტვირთველესი პანსა?

- პანსა აქა ვარ, - დაიყვირა სინჩომ, ვიდრე სხვა ვინმე დუენიასათვის პასუხს მოიფიქრებდა. - უდონკიხოტესიც აქ არის და თქვენც, უდუენიესო, უდოლორიდესო, შეგიძლიათ თქვათ, რაც გენებებათ, და ჩვენც თქვენს უსამსახურესად უმზადესნი ვართ.

ახლა დონ კიხოტი წამოდგა ფეხზე დუენიას მიმართა და უთხრა:

- თუ თქვენი მწუხარება, სვეგამწარებულო, დატანჯულო სენიორა, იმედოვნებს შვება მიიღოს რომელიმე მოგზაური რაინდის მამაცობით ანუ ღვაწლით, მაშინვე ყველა ჩემი ძალ-ღონე, თუმცადა სუსტი და მცირე, მზადაა თქვენს სამსახურად მოვიხმარო. მე ვარ დონ კიხოტი ლამანჩელი და ჩემი მოწოდებაა მწედ ვექმნე ყველა გაჭირვებულს, და, რაკი ასეა და საქმითაც ასე არის - თქვენ, სენიორა, არა გჭირდებათ არც კეთილგანწყობილების მოპოვება, არც გულის მოგებისათვის მეცადინეობა, არამედ პირდაპირ, უიგავებოდ და უბრალოდ გვიამბეთ - რაგვარია თქვენი უბედურება რადგან დარწმუნებული იყავით, ვინც აქ არიან და გისმენენ, შველას თუ ვერ შეიძლებენ, თანაგრძნობას მაინც გაგიწევენ.

ეს რომ დუენია დოლორიდამ მოისმინა მზად იყო ფეხებში ჩავარდნოდა დონ კიხოტს და კიდევ ჩაუვარდა და, ცდილობდა რა მათ მოხვეოდა, შეჰყვირა:

- შენთა ფერხთა და შენთა ტერფთა ვეამბორები, ჰოი, რუმღეველო რაინდო, დედაბოძო და ბურჯო მოგზაურ რაინდობისავ! მსურს თქვენთა ფერხთა ვეამბორო, ვინაიდან ჩემი ღირსების აღდგენა მათ ნაბიჯებზე არის დამოკიდებული, ჰოი, ღვაწლმოსილო მმოგზაურებელო! თქვენი ჭეშმარიტნი გმირობანი ბანდავენ და შორს ტოვებენ ამადისების, ბელიანისების და ესპლანდიანების ყველა ზღაპრულ გმირობას.

შემდეგ დოლორიდა სანჩო პანსას მიუბრუნდა, ხელი დაუჭირა და უთხრა:

- ჰოი, შენ, ყველა საჭურველმტვირთველთაგან უერთგულესო, ვისაც კი ოდესმე წარსულსა და აწმყო საუკუნეებში მოგზაურ რაინდთათვის უმსახურია; შენ, რომლის გულკეთილობა ჩემი თანამგზავრის, აქვე მყოფი ტრიფალდინის წვერზე უგრძესია, თანდებულ ხარ იმით იამაყო, რომ დიდებულ დონ კიხოტს ემსახურები და მით თითქოს ყველა იმ რაინდს უწევს სამსახურს, რომელთაც ოდესმე ქვეყანაზე ხმალი უტარებიათ. გაფიცებ ყველას, რასაც კი ვალდებულს გყოფს შენი დიდსაიმედო გულკეთილობა, ჩემდა კეთილმიდრეკილი მოსარჩლე იყო შენი ბატონის წინაშე, რათა ერთ წამსაც არ დაყოვნდეს და უუბედურესსა და უმორჩილესს დახმარება მომმადლოს.

ამაზე სანჩომ უპასუხა:

- ჩემო სენიორა, ჩემთვის სულ ერთია და მცირედადაც არის საზრუნველი, თუ ჩემი გულკეთილობა და ღირსებები ისე გრძელი და ბარაქიანია, როგორც თქვენი საჭურველმტვირთველის წვერი. ჩემთვის უალრესად მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ჩემი სული იყოს წვერ-ულვაშიანი, როდესაც ამ ქვეყანას დასტოვებს და საიქიოს გადაბარგდება, თორემ ყველა აქაურ მიწიერ წვერთან მე რა მესაქმება. მაგრამ, მე თქვენს უთხოვნელად და დაუმახებლად ჩემს ბატონს ვთხოვ, (რადგან ვიცი, რომ ვუყვარვარ, მეტადრე ახლა, როდესაც ჩემთან ერთი რამ საქმეცა აქვს), თქვენს მოწყალებას - რითაც შეუძლია დაეხმაროს და სადაც შეუძლია - მფარველობა გაწიოს. აბა, უამბეთ თქვენი მწუხარება, მოგვეცით იგი სამოქმედოდ და ბევრს ნუ იწუხებთ, როგორმე ურთიერთთან მდვრიგდებით.

ჰერცოგი და მისი ცოლი, ამ ფათერაკის მომწყობნი, ამას, რომ ისმენდნენ, სიცილით იხოცებოდნენ და გულში აქებდნენ გრაფის მეუღლე ტრიფალდის მახვილგონივრულ და ოსტატურ აღსრულებას. გრაფის ცოლი ტრიფალდი დაჯდა და თავისი ამბავი დაიწყო:

- კანდაის დიდებული სამეფო დიდ ტრაპოზანსა და სამხრეთის ზღვის შუა მდებარეობს, კომორინის კონცხიდან ორი მილის მოშორებით. მას დედოფალი დონა მალუნსია განაგებდა, მეფე არჩიპელის ქვრივი. მათი შეუღლებისაგან ინფანტა ანტიანომასია დაიბადა, ტახტის მემკვიდრე. ეს ინფანტა ანტიანომასია იზრდებოდა და იწვრთნებოდა ჩემი ხელმძღვანელობით, რადგან მისი დედის ყველაზე საპატიო და უფროსი დუენია მე ვიყავ. დღეს დღე მისდევდა და ჩემმა გაზრდილმა ანტიანომასიამ თოთხმეტ წელს მიაღწია. ისეთი საუცხოო სილამაზის პატრონი იყო, რომ უკეთესის გაჩენა თვითონ ბუნებასაც არ შეეძლო. იმის თქმაც არ შეიძლება, რომ სილამაზეზე ჭკუა ნაკლები ჰქონოდა. პირიქით, ისევე ჭკვიანი იყო, როგორც ლამაზი და აქამდისაც ისეთი დარჩა, თუ მოშურნე ბედმა და ულმობელმა პარკებმა მისი სიცოცხლის ძაფი არ გაწყვიტეს. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იმათ არა ქმნეს ეს, ალბათ იმიტომ, რომ ზენას არ შეეძლო დაეშვა - დედამიწას ეგოდენი მარცხი მისცემოდა - იშვიათი ყურძნის მტევანი უმშვენიერესი ვაზიდან ჯერ კიდევ უმწიფარი მოწყვეტილიყო. უტურფესი არსება, ვისი ღირსეული შექებაც ჩემს მოუქნელ მძიმე ენას არ ძალუძს, მრავალს უნებურ და უცხოელ პრინცს გულში სიყვარულის ცეცხლს უღვივებდა. მათ შორის სასახლის კარზე მყოფმა ერთმა უბადლო რაინდმა, თავის სილამაზეზე, ახალგაზრდობაზე, გონების სიმკვირცხლესა და თავის სხვა ღირსებაზე დაიმედებულმა, გაბედა თვალნი ამ ზეციურ სილამაზისათვის მიეპყრა. თუ თქვენთა დიდებულებათ ჩემი მოსმენა არ მოსწყინდებათ, მოგახსენებთ, რომ ის რაინდი პოეტი იყო, აგრეთვე საოცარი მოცეკვავე და მასთანაც გიტარაზე ისე უკრავდა, რომ მის სიმებს სწორედ აამეტყველებდა ხოლმე. დასასრულ, ჩიტების გალიებს ისეთი ოსტატობით აკეთებდა, რომ მარტო იმ ხელობით შეეძლო თავი ერჩინა, თუ ამას გარემოება აიძულებდა. ასეთი ღირსებისა და ნიჭის პატრონს მთების შეკვრა და გადმოზრუნება შეუძლია, არათუ მარტო სუსტი და ნაზი ქალის გულის დაპყრობა. მაგრამ მაინც მთელი მისი სინატიფე და ღირსება, ყველა მისი ნიჭი და უნარი ჩემი გაზრდილის ციხის სიმტკიცეს ვერ დასჯაბნიდა, თუ იმ ურცხვსა და ავაზაკს ეშმაკობა არ ეხმარა და პირველად შეტევა ჩემს წინააღმდეგ არ მოემართა. იმ უმაქნისმა და გულქვა გაიძვერამ განიზრახა, ჯერ მე, მისი მსუბუქ გონებიანი აღმზრდელი ვუცდინე და მისით გატაცებული იძულებული გავვხადე იმ ქალის დამცველი ციხის გასაღები ხელში ჩაეგდო. ერთი სიტყვით, მარტო ღმერთმა იცის, რა თილისმებით იყო, რომ მომხიბლა და მთლად მის ნებად დამიმორჩილა. ჩემი სიმტკიცე იმან უფრო ადვილად შეარყია და საბოლოოდ დასცა, რომ ერთხელ, ღამით, ჩემი ოთახის სერსეროიან ფანჯარასთან, რომელიც ვიწრო შუკაში გადიოდა, მომესმა მისი სიმღერა. თუ მეხსიერებამ არ მიმტყუნა, იგი ასე მღეროდა:

მტერმა ლამაზმა დამიჭრა გული,

ო, არცა ოხვრა, არცა ჩივილი...

და მით მწვავდება უფრო ტკივილი,

რომ უნდა იყოს ტანჯვა ფარული.

ეს ლექსი წმინდა მარგალიტად მეჩვენა, მისი ხმა კი თაფლზე უტკბესად და შემდეგ, მინდა ვთქვა, მას აქეთ, როცა მივხვდი იმ ლექსმა და სხვა ისეთმა ლექსებმა რა უბედურებამდის მიმიყვანა, დავასკვენი, რომ კარგ, კეთილმოწყობილ სახელმწიფოებიდან პოეტები უნდა განიდევნონ, როგორც ამას პლატონი ურჩევდა, - ისეთები მაინც, რომელნიც ავხორცები არიან და ყმაწვილ ქალებს რყვნიან. მართლაც, რომ საჭიროა იმათი განდევნა, რადგან ისეთ ლექსებს არა სწერენ როგორც მანტუას მარკიზზეა დაწერილი, და ქალებსა და ბავშვებს შეაქცევს,

აღტაცების ცრემლებს ჰგვრის. არა, მათი მახვილგონივრული ტაეპები თქვენს სულს უნაზეს ეკლების მსგავსად ესობიან, ჩხვლეტენ მას და ელვასავით გულსა გმირავენ, თუმცა ტანისამოსს ღრმად ველარ ატანენ.

მან ხელმეორედ ეს ლექსი იმღერა:

მოდი, სიკვდილო, უხმოდ და წყნარად.

მსურს ვერ შეგიცნო შემოპარული,

თორემ აღმადგენს ის სიხარული,

რომ წამებული მოვკვდები ჩქარა.

და ბევრსაც კიდეც სხვა ამგვარ ტაეპებს და ოთხსტრიქონიან სულ ასეთ ლექსებს მიმღეროდა, სულ ისეთებს, რომ, როდესაც მათ მღეროდა ან კითხულობენ, აღტაცებაში მოჰყავთ ადამიანი; მე ადრე, როდესაც პოეტები თავს იქამდის იმდაბლებენ და ისეთ ლექსებს თხზავენ, როგორც მაშინ ჩვენს კანდაიში შემოიღეს. მათ სახელად სეგიდილიას ეძახდნენ. ასეთი ლექსებისაგან სულიც ათამაშდება სიცილიც აუტყდება ადამიანს, ტანიც საცეკვაოდ ამოძრავდება, ერთი სიტყვით, ყველა მგრძნობიარე ალაგში ვერცხლის წყალივით გაირბენს ხოლმე. ამიტომაც ვამბობ, ჩემო სენიორებო, ასეთი მესტვირეები სწორედ ხვლიკების კუნძულზე უნდაგაიგზავნონ. მაგრამ დამნაშავენი ისინი კი არ არიან, არამედ ის გულუბრყვილონი, ვინც მათ ქებაშია, და უგუნური და ბრიყვი მანდილოსნები, ვისაც მათი რამ სჯერა; და მე, როგორც რიგი და წესი იყო, ისეთი სათნო დუენია რომ ვყოფილიყავი, რა თქმა უნდა ვერ მაცდუნებდა მეღამიათა ყველა ეს სიმღერა და მეც არ ვირწმუნებდი და არ დავიჯერებდი მათი ამგვარი ნათქვამების სიმართლეს: სიკვდილში ვცოცხლობ, ყინულში ვიწვი, ცეცხლში ვიყინები, უიმედოდ ვიმედოვნებ, ვრჩები რომ მივდივარ და კიდეც სხვა ასეთ სისულელეებს, რითაც სავსეა ეს ლექსები, ნეტა რას არ ამბობენ და გვპირდებიან: არაბეთის ფენიქსს, არიადნეს გვირგვინს, მზის რაშებს, სამხრეთის მარგალიტებს, ტიზარას ოქროს და პანკაის ბალზამს. თავიანთი კალამი მის ნებაზე ჰყავთ მიშვებული და ნაწერებს ავსებენ დაპირებებით, რის აღსრულებაც არ შეუძლიათ და აღსრულება ფიქრადაც არა აქვთ. მაგრამ საით გავუხვიე მე უბედურმა? რა სისულელეა, რა უგუნურებაა სხვის შეცდომაზე ლაპარაკი, როდესაც გულზე მრავალი საკუთარი შეცდომა გაწევს. ვაი ჩემს თავს! ვაი ჩემს თავს! მისმა ლექსებმა კი არა, ჩემმა საკუთარმა სისულელემ და სიბრიყვემ დამამონა იმას. მისმა სიმღერებმა კი არ გამარბილეს, ჩემმა სისუსტემ დამიღბო, ჩემმა საკუთარმა უმეცრებამ, ჩემმა გაფრთხილების უარყოფამ ბილიკი გაუწმინდა და გამარჯვება გაუმზადა დონ კლავიხოს, ეს სახელი ერქვა, წედან რომ რაინდი ვახსენე. ამგვარად ჩემი შუამავლობით, ჩემი მფარველობით ერთხელ კი არა, მრავალჯერ მოსულა ანტონომასიას საწოლ ოთახში, იმისგან კი არა, ჩემგან რომ იყო მოტყუებული. მართალია მასთან კანონიერი ქმრის სახით მიდიოდა, რადგან, თუმცა მე ცოდვილიცა ვარ, მაინც არასოდეს არ მივცემდი ნებას, დონ კლავიხო ანტონომასიას მაშეების ლანჩას მიჰკარებოდა, სანამ მისი ქმარი არ შეიქნებოდა. არა და არა! ამის ნებას არაოდეს არ მივცემდი. ქორწინება ასეთ საქმეს აუცილებლად წინ უნდა უძლოდეს, მხოლოდ მაშინ შემიძლია ხელის შეწყობა. ამ საქმეს მარტო ერთი ცუდი მხარე ჰქონდა, ეს ისა, რომ თანასწორნი არ იყვნენ. დონ კლავიხო უბრალო აზნაური იყო. ანტონომასია კი სამეფო ტახტის მემკვიდრე. ანტონომასია ჩემი სიფრთხილისა და წინდახედულობის მეოხებით რამდენიმე ხანს თავის მიჯნურობას მალავდა, ყველას თვალებს უბამდა, მაგრამ, ჩქარა რომ რაღაც მუცლის ამსივნება

დაგმართა, მაშინ ვიფიქრე, საიდუმლო გამომჟღავნდება-მეთქი. ამან ყველანი დაგვაფიქრა, სამივემ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, ვიდრე დონ კლავიხოს ცუდი ამბავი ქვეყანას მოეფინებოდა, მას ვიკარისათვის ეთხოვა, ანტონომასიაზე ჯვარი დაეწერა იმ წერილობითი აღთქმის ძალით, ინფანტასაგან რომ ჰქონდა მიღებული გაყოლის თანხმობაზე. ჩემი მოსაზრებულობით ეს საბუთი ისე ხერხიანად იყო დაწერილი და ისეთი ძალა ჰქონდა, რომ თვითონ სამსონ ძლიერად ვერ შეიძლება მის დარღვევას. ყველა საჭირო ღონისძიება იყო მიღებული, ვიკარის ინფანტას წერილობითი ვალდებულება მიერთვა, ანტონომასიას აღსარება მოისმინა, - ქალი ყველაფერში გამოუტყდა, და ვიკარიმ განკარგულება მოახდინა - ანტონომასია დედაქალაქის ერთ დიდად დარბაისელ ალგუასილის ზედამხედველობის ქვეშ მიეცა...

აქ სანჩომ წამოიძახა:

- რამდენადაც კანდაიშიც ყოფილან პოეტები, დედაქალაქის ალგუასილები და სეგიდილიები, ღმერთსა ვფიცავ ამქვეყნად ყველგან ერთნაირად ყოფილა მოწყობილი ყველაფერი. მაგრამ, სენიორა სამკალთაო, ეგ თქვენი ამბავი ცოტა დააჩქარეთ, რადგან ადრე აღარ არის, და მეც მეტად მიხდა ჩქარა გავიგო, თუ რით გათავდა ეგ გრძელი ამბავი.

- მაგას ახლავე გეტყვით, - მიუგო გრაფის ცოლმა.

თავი XXXIX

სადაც გრაფის მეუღლე ტრიფალდი განაგრძობს თავის განსაცვიფრებელსა და ღირსსახსოვარ ამბავს

სანჩოს ნათქვამ ყოველ სიტყვას ჰერცოგის ცოლი აღტაცებაში მოჰყავდა. დონ კიხოტს კი აბრაზებდა და თავის საჭურველმტვირთველს უბრძანა ხმაგაკმენდილი ყოფილიყო. და მაშინ სენიორა დოლორიდამ ამბავი განაგრძო და თქვა:

- ბოლოს, მრავალი გამოკითხვისა, გამოძიებისა და მოლაპარაკების შემდეგ, ვიკარიმ, მიიღო რა მხედველობაში, რომ ინფანტა თავის გადაწყვეტილებაზე მტკიცედ იდგა, წინათ მიცემულ ჩვენებაში არაფერს ცვლიდა, საქმე დონ კლავიხოს სასარგებლოდ გადაწყვიტა და ანტონომასია მას კანონიერ მეუღლედ მისცა. ამან დედოფალი დონა მალუნსია, ინფანტა ანტონომასიას დედა, ისე გაამწარა, რომ სამი დღის შემდეგ დავასაფლავეთ.

- მაშ, ჩანს მომკვდარა, რაღა? - წარმოთქვა სანჩომ.

- უეჭველია, - მიუგო ტრიფალდინმა, - კანდაიში ცოცხლებს არა მარხავენ.

- განა ცოტა გვინახავს, სენიორ საჭურველმტვირთველო, - მიუგო სანჩომ, - რომ გულშეღონებული დაუმარხავთ, რაკი მკვდართ ჰგონებიათ. ჩემი აზრით, დედოფალ მალუნსიას უმალ გული უნდა შეღონებოდა, ვიდრე მომკვდარიყო, რადგან, სიცოცხლე რომ შეერჩინა, კიდევ ბევრის გასწორებას შეიძლება. ყველა სენს წამალი აქვს და ინფანტას საქციელიც რა ისეთი საზარელი იყო, რომ გულს ეგრე მაგრა მიიკარა? ეს ქალბატონი რომელიმე თავის პაჟს ან სხვა მისი კარის მსახურს მისთხოვდებოდა, - როგორც გამიგონია, ასეთი რამ მის მსგავს ბევრს ჩაუდენია, - გაუსწორებელი უბედურება იქნებოდა. მაგრამ, როგორც აქ დუენიამ

ავგიწერა, იგი წარჩინებულ და გონიერ რაინდს გაჰყოლია; თუ სასულელეა, მაინც დიდი უბედურება არ არის, რადგან ჩემი ბატონის სიტყვით (რომელიც აქვე იმყოფება და ნებას არ მომცემს სიცრუე ვთქვა), - იმის მსგავსად, როგორც ნასწავლი ადამიანებიდან ეპისკოპოსებს აკეთებენ, ისე რაინდებიც, მეტადრე თუ მოგზაურებიც არიან, შესაძლოა მეფეებად გახდნენ, ანუ იმპერატორებად.

- მართალი ხარ, სანჩო, - დაადასტურა დონ კიხოტმა. - მოგზაურ რაინდს ორი გოჯი ბედი მაინც თუ შესწევს, ძალიან ადვილად შეუძლია ქვეყანაზე ძლიერი ხელმწიფე შეიქმნეს. მაგრამ დაე სენიორა დოლორიდამ თავისი ამბავი განაგრძოს, რადგან, ვფიქრობ, აქამდის ტკბილი ნაამბობიდან მწარელა დარჩა საამბობი.

- დიახ, დიახ, და მერე როგორი მწარე! - დაიძახა გრაფის ცოლმა. - ისეთი მწარე, რომ მასთან შედარებით ეშმაკის ვაშლი ტკბილად მოგეჩვენებათ და ოლეანდრას ფოთლები გემრიელად. და ასე დედოფალი ნამდვილად მკვდარი და არა გულშეღონებული დავმარხეთ და, ჯერ მიწა მთლად არ მიგვეყარა და უკანასკნელი შენდობა არ გვეთქვა, რომ უცებ (ქუის ტალია ფანდო ტემპერეტ ალაცრემის? დედოფლის საფლავზე ხის ცხენზე მჯდარი მალუნსიას ბიძაშვილი, სასტიკი და მასთანაც ჯადოქარი გოლიათი მალამბრუნო გამოცხადდა. რაკი თავისი ხელობა - ჯადოქრობა კარგად იცოდა, უნდოდა თავისი ბიძაშვილის მალუნსიას სიკვდილის სამაგიერო გადაეხადა და დონ კლავიხო - კადნიერებისათვის და ანტონომასია - განუსჯელი საქციელისათვის დაესაჯა, და იქვე საფლავზე ისინი მოხიბლა და მოაჯადოვა: ანტონომასია ბრინჯაოს მაიმუნად გადააქცია, ხოლო დონ კლავიხო - რაღაც უცნობი ლითონისაგან გაკეთებულ საშინელ ნიანგად, მათ შუა აგრეთვე ლითონის სვეტი აღმართა ზედ სირიული წარწერით, რაც კანდაიურად და იქიდან ესპანურად ნათარგმნი შეიცავს შემდეგს: "ეს ორი თავხედი და კადნიერი მიჯნური თავიანთ უწინდელ სახეს ვერ მიიღებენ, ვიდრე მამაცი ლამანჩელი ჩემთან ბრძოლად არ გამოვა, რადგან ბედი მხოლოდ მარტო მისი სახელისა და ვაჟკაცობისთვის ინახავს ამ არსად გაგონილ და არნახულ ფათერაკს". მალამბრუნომ რომ ისინი მოაჯადოვა და ესა თქვა, თავისი ბრტყელი და უზომოდ გრძელი მახვილი ქარქაშიდან ამოიძრო, თმაში ხელი მტაცა და თითქოს აპირებდა ჩემთვის ყელი გამოეჭრა და ერთი მოქნევით თავი ტანიდან მოეგდებინებინა. შიშისაგან ხმა ყელში გამეჩხირა, საშინელი თავზარი დამეცა, მაინც როგორც კი შევიძელ, ძალა მოვკრიბე და აკანკალებული ძლივს გასაგონი ხმით იმდენი რამ და ისეთი რამ ვუთხარი, რომ იძულებულთ შეიქნა თავისი სასტიკი განზრახვა გადაედო. ბოლოს განკარგულება მოახდინა - სასახლის ყველა დუენია გამოცხადებოდა, აი ესენი, ახლა რომ თქვენს წინაშე არიან. ჩვენი დანაშაული გააზვიადა, დუენიების აზრები გაკიცხა, მათი ცბიერება, ყველა მათი ბოროტი ოინი და განზრახვა დაგმო, ჩემი დანაშაული ყველას თავზე მოახვია და თქვა: სიკვდილით არ დაგსჯით, მაგრამ უფრო საგრძნობელ მწუხარებას მოგაყენებთ, რომელიც ხანგრძლივ ტანჯვად, სამარცხვინო სიკვდილად შეგექმნებათო. იმ წამს, როდესაც ეს სიტყვები გვითხრა, ჩვენ ვიგრძენით, რომ პირისახის კანზე ნაჩვრეტები გაივსნენ და ტკივილი იწყეს, თითქოს ნემსებით ჩხვლეტა დაგვიწესო, მაშინვე სახეზე ხელი მოვისვით და ვიგრძენით, რომ ისეთები შევიქენით, როგორცაა ახლა გვხედავთ.

ეს რომ თქვა, დოლორიდამ და სხვა დუენიებმა პირბადე აიხადეს და წვერიანი სახეები გამოაჩინეს, ზოგმა ქერა, ზოგმა შავი, ზოგმა თეთრი და ზოგმაც ჭადარა. ჰერცოგმა და მისმა ცოლმა წვერიანი ქალები რომ დაინახეს განცვიფრდნენ, დონ კიხოტი და სანჩო გაცდნენ და საგონებელში ჩავარდნენ. ყველა იქ მყოფი გაკვირვებას მიეცა. ხოლო გრაფის ცოლმა ტრიფალდიმ განაგრძო:



- აი, ასე დაგვსაჯა იმ ვერაგმა და გაიძვერა მალამბრუნომ. ჩვენი სახის სინარნარე და სითეთრე ხეშეში ჯაგარით მოჰფინა. ნეტავ ზენას ისე ენებებინა და იმ ურჩხულს თავისი საშინელი მახვილით თავები მოეკვეთა ჩვენთვის და ჩვენი სახის ელვარება ამ დამამახინჯებელი ბანჯგვლით არ დაეზნელებინა! რადგან, თუ კარგად ჩაუკვირდებით საქმეს, ჩემო სენიორებო (ის, რასაც ახლა გეტყვით, ცრემლების შადრენებად გადაქცეული თვალებით უნდა მეთქვა, მაგრამ ჩვენმა უბედურებამ და ცრემლების ზღვამ, აქამდის რომ გვდიოდა, სისველე წაართვეს ჩვენს თვალებს და მწიფე პურის თავთავივით გამოაშრეს და გაახმეს, მიტომაც უცრემლოდ გელაპარაკებით), - გეტყვით: წვერიან დუენიას განა ვისთანმე მისვლა შეუძლია? რომელი მამა, რომელი დედა შეიბრალებს? ვინლა მისცემს რაიმე შემწეობას? მაშინაც კი, როდესაც მისი სახე სწორი და ღლუა და ათასგვარი საცხებლებით, ფერუმარილითა და წასასმელებით იტანჯება, ეგების მოეწონოს ვინმეს, მაშინაც კი ძლივს შოულობს თავისთვის მფარველს, მამ იმან რაღა უნდა ქნას, ვისი სახეც ჯაგარ ტყედ არის გადაქცეული? ვიშ, დუენიებო, ჩემო მეგობრებო! ჩვენ ავსა და ბოროტ ვარსკვლავზე დავბადებულვართ ამ ქვეყნად და უბედურ ჟამს ჩავსახულვართ დედის მუცელში!

ამ უკანასკნელ სიტყვაზე დაეცა და, როგორც ყველა ნიშნით ეტყობოდა, გულშეღონებული იყო.

## თავი XL

ამბები იმ საგნებზე, რომლებიც ამ ფათერაკსა და ამ ღირსსახსოვარ ისტორიას შეეხება

სიმართლითა და ჭეშმარიტებით რომ ვთქვათ, ამ ჩვენი ისტორიის მსგავსი ამბების მოყვარულნი მისი პირველი ავტორის, სიდ ჰამეტ ბენენჰელის დიდად მადლიერნი უნდა იყვნენ იმ გულმოდგინებისა და ცნობისმოყვარეობისათვის, როგორითაც არ იზარებს იგი ყველა წვრილმანიც კი ჩაიწეროს და ზუსტად გააშუქოს ყველაფერი, თვით უმნიშვნელო ფაქტების გამოუტოვებლად. იგი გვიხატავს და ცხადყოფს აზრებსა და ზრახვებს, მდუმარე კითხვებზე გვიპასუხებს, საეჭვოს ნათელს ჰფენს, იდუმალ შესიტყვების პასუხს ასწრებს და, დასასრულ, გამოიცნობს და ყოველმხრივ აკმაყოფილებს უაღრესად ახირებული ცნობისმოყვარის მეტად უხიაკ სურვილებსაც კი. ჰოი, უჩინებულესო ავტორო! ჰოი, ბედნიერო დონ კიხოტო! ჰოი, სახელგანთქმულო დულსინე! ჰოი, მახვილგონიერო და ხუმარა სანჩო პანსა, ყველანი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე უკუნითი უკუნისამდე იცოცხლებს მთვარის ქვეშეთი ქვეყნის ყველა მკვიდრთა გასართობად და სასიამოვნოდ!

შემდეგ ჩვენი ისტორია მოგვითხრობს; დოლორიდა გულშეღონებული რომ დაინახა, სანჩომ თქვა:

- პატიოსანი კაცის ღირსებასა და პანსას ყველა წინაპართა სახსენებელს ვფიცავ, ჩემს სიცოცხლეში არაოდეს არ მინახავს, არც გამიგონია და ჩემს ბატონსაც არათუ არაოდეს არ უთქვამს, ფიქრადაც არ მოსვლია ამისი მსგავსი ფათერაკი. მე არ მსურს ვიგინებოდე, მაგრამ ათასმა ეშმაკმაც შეგაჩვენოს შენ, ახმახო ჯადოქარო მალამბრუნო, განა სხვა სასჯელს ვერ მოიგონებდი ამ ცოდვილისათვის იმის მაგიერ, რომ ამათთვის წვერები არ გამოგესხა? განა უკეთესი არ იქნებოდა ამათთვის წვერებით დაჯილდოების მაგიერ შუა ადგილიდან დაწყებული ნახევარი ცხვირი მოგეჭრა, თუნდაც მერე ცხვირში დუდღუნითაც ელაპარაკათ? დაგენადლებებით, რომ ამ საბრალო ქალებს წვერის მოსაპარსი თანხაც არ გააჩნიათ.

- დიახ, სენიორ, მართალს ბრძანებთ, - უპასუხა თორმეტიდან ერთ-ერთმა დუენიამ, - დალაქის მისაცემი ფასიც არ გაგვაჩნია. ამიტომაც, როგორც იაფი საშუალება, ფისის მალამოს ხმარება დავიწყეთ. იმ მალამოს დავიკრავთ წვერზე, მერე ერთბაშად ავიგლეჯთ და ლოყები და ნიკაპი ქვის როდინის ფსკერივით სუფთა და ღლუ გაგვიხდება ხოლმე. თუმცა კანდაიში ბევრი ისეთი დედაკაცია, აქა-იქ სახლებში რომ დადიან და ქალებს პირისახეს უსწორებენ, წარბებს ჩამოუქნიან და მათ სხვადასხვა წამლებს უმზადებენ, მაგრამ ჩვენ, ჩვენი სენიორის დუენიები, მათ სამსახურს მუდამ უარვყოფდით, რადგან მათი ხელობა ცოტა არ იყოს მაჭანკლობას ედარება. თუ ბატონი დონ კიხოტი არ გვიშველის, მაშინ საფლავშიაც წვერიანებს მოგვიხდება ჩაწოლა.

- უმალ ჩემს წვერს დავიგლეჯ მავრების მიწაზე, - შესძახა დონ კიხოტმა, - თუ მაგ წვერებიდან ვერ დაგიხსნით.

ამ დროს გრაფის ცოლი ტრიფალდი გონზე მოვიდა და თქვა:

- გულმელონებული ვიყავ, მაგრამ მაგ დაპირების ტკბილი ხმა, ღვაწლმოსილო რაინდო, ჩემს სმენას ეკვეთა და გონზე მომიყვანა. ხელახლად გემუდარებით, დიდებულო და დაუცხრომელო მოგზაურო ვაჟკაცო, შენი პატიოსანი დაპირება იყოსმცა საქმედ გადაქცეული.

- ჩემზე ვერ იტყვიან დაპირება არ აასრულაო, - უპასუხა დონ კიხოტმა. - მითხარით, სენიორა, რა უნდა ვქნა? ჩემი მედგარი სული სრულებით მზადაა სამსახური გაგიწიოთ.

- საქმე ის არის, რომ აქედან კანდაის სამეფომდის, - მიუგო დოლორიდამ, - ხმელეთის გზით ხუთი ათასი მილი იქნება, ორიოდ მილით ან მეტი ან ნაკლები, და თუ სწორი გზით ჰაერით გავფრინდებით, სულ სამი ათას ორას ოცდაშვიდი მილია. ამასთან ისიც უნდა ვთქვა, რომ მალამბრუნომ მითხრა, ვითომც, როდესაც მე ჩემს განმათავისუფლებელ რაინდს შევხვდები, ის იმ რაინდს ცხენს გამოუგზავნის ბევრად უკეთესს და უხინჯოს, ვიდრე დაქირავებული ჯაგლაგები არიან, და სწორედ იმ ხის ცხენს, რომლითაც ღვაწლმოსილმა პიერ პროვანსელმა მშვენიერი მალელონა მოიტაცა. ის ცხენი კრკალით მოძრაობს, შუბლში რომ აქვს ჩასმული და აღვირის მაგივრობას უწევს; ჰაერში ისეთი სისწრაფით მოძრაობს, თითქოს ეშმაკები მიაქანებენო. თუ ერთ ძველ გადმოცემას დავუჯერებთ, ბრძენი მერლინისაგან არის გაკეთებული. მერლინმა ის ცხენი თავის მეგობარს პიერს ათხოვა და მან იმ ცხენით მრავალი დიდი მოგზაურობა მოახდინა და, როგორც წელან მოგახსენეთ, მშვენიერი მალელონა უკან შემოისვა და დედამიწიდან ჰაერში მიმავლის მაცქერალნი სულელებივით ხახადაფჩენილნი იყვნენ, ერთ ალაგას გაჩერებულნი. მერლინი იმ ცხენს მხოლოდ მას ათხოვებდა, ვინც უყვარდა, და პიერის შემდეგ აქამდე არ ვიცით, რომ იმ ცხენზე ვინმე მჯდარიყოს. მალამბრუნომ თავისი ჯადოქრობით იშოვა ის ცხენი და მით აქა-იქ დადის. დღეს რომ აქ არის, ხვალ საფრანგეთშია, ზეგ კიდევ - პოტოსში იმყოფება. ის ცხენი მეტად კარგი იმით არის, რომ არცა ჭამს, არც სძინავს, არც დაჭედვას საჭიროებს და უფრთებოდ ისეთი დამშვიდებული, წყნარი და თანაბარი იორღით მიდის, რომ ზედ მჯდომს შეუძლია ხელში წყლით სავსე თასი დაიჭიროს, ერთი წვეთიც არ დაიღვრება. ამიტომაც იყო, რომ მშვენიერი მალელონა დიდი სიამოვნებით დადიოდა იმ ცხენით.

ამაზე სანჩომ თქვა:

- რაიცა შეეხება დამშვიდებულ ტარებას, ჩემს ლურჯაზე უკეთესი არ იქნება და, თუმცა ჰაერში სიარული არ იცის და მიწაზე დადის, მაინც მთელი ქვეყნის იორღებზე არ გავცვლი.

ყველამ გაიცინა, ხოლო დოლორიდამ განაგრძო:

- და თუ მალამბრუნოს სურს ჩვენს ტანჯვას დასასრული მისცეს, ბინდი რომ დადგება, ნახევარ საათს უკან იმ ცხენს გამოგზავნის; იმ ცხენის მოსვლა, ასე მითხრა მალამბრუნომ, მისი მაჩვენებელი იქნება, რომ მე, რომელსაც ვეძებ, ის რაინდი ვიპოვე.

- რამდენი კაცი დაეტევა იმ ცხენზე? - ჰკითხა სანჩომ.

- ორი, - მიუგო დოლორიდამ, - ერთი უნაგირზე და მეორე უკან გავაზე და ის ორი უნდა იყვნენ უთუოდ რაინდი და საჭურველმტვირთველი ან მოტაცებული ქალი.

- ახლა, ნეტავი მაცოდინა, სენიორა დოლორიდა, - უთხრა სანჩომ, - იმ ცხენს რა ჰქვია?

- იმას, - უპასუხა დოლორიდამ, - ის არა ჰქვია, რაც ბელეროფონტის ცხენს, პეგასი რომ ერქვა, არც ისე - ალექსანდრე მაკედონელის ცხენს ბუცეფალი რომ ერქვა, იმას არც ბრილიადორი ჰქვია, შმაგი როლანდის ცხენის სახელი რომ იყო, არც ბაიარდი, რეინალდო მონტალბანელს რომ ჰყავდა, არც ფრონტინო, რუჟერის ცხენს რომ ერქვა, არც ბოტესი და პერიტოა - როგორც გადმოცემით ეძახდნენ მზის ცხენებს, არც ორელია რომელზედაც გუთების უკანასკნელი მეფე, უბედური როდრიგო იჯდა იმ ბრძოლის დროს, სადაც სიცოცხლეც დაჰკარგა და სამეფოც.

- დაგენამლევებით, - დაიძახა სანჩომ, - რომ, თუ არც ერთი იმ შესანიშნავი და სახელოვანი ცხენების სახელი არა რქმევია, ალბათ არც იმ სახელით იქნება მონათლული, რაც ჩემი ბატონის ცხენს ჰქვია - როსინანტი, რა სახელიც ჩვენი ცხენისათვის ისეა ზედგამოჭრილი, რომ არც ერთ თქვენგან ჩამოთვლილ ბედაურს არ ექნება.

- მარილია, - მიუგო წვეროსანმა გრაფის ცოლმა, - მაგრამ მალამბრუნოს ცხენის სახელიც მეტად ზედგამოჭრილია იმისათვის: იმას ჰქვია კლავილენიო ფეხმარდი, რაც მეტისმეტად შეჰფერის იმითაც, რომ ხისგან არის გაკეთებული და იმიტომაც, რომ შუბლზე კრკალი აქვს და მასი ჭენების სისწრაფეც ისეთია, რომ თავისი სახელით შეუძლია როსინანტს მეტოქეობა გაუწიოს.

- ჰო, სახელს არა უჭირს რა, - უთხრა სანჩომ, - მაგრამ რა აღვირით ანუ ლაგამით ატარებენ?

- ეგ მე უკვე გითხარით, - მიუგო ტრიფალდიმ - კრკალის შემწეობით ატარებენ-მეთქი. კრკალის აქეთ-იქით მიტრიალებით ზემჯდომს შეუძლია, საითაც უნდა, იქით მიმართოს, ან მაღლამალა ჰაერში, ანუ ძირს დედამიწაზე, ისე, რომ მიწას ეკარებოდეს, თითქოს აგვევინებსო, ან გზის შუა ალაგს, რომელზედაც სიარული ყველაზე გონივრულია და უკეთესიც არის.

- ნეტავ ეგ ცხენი მაჩვენა, - თქვა სანჩომ. - მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ იმის უნაგირზე ან გავაზე ოდესმე შევჯდე; ამისი ფიქრი ის იქნება, ვინმემ თქვას, ტირიფი მსხალს ისხამსო. რა კარგი იქნებოდა და, ჩემს ლურჯაზე და აბრეშუმისგან რბილ კურტანზე თავს ძლივს ვიმაგრებ, - მითხრან ხის გავაზე შეჯგეპიო უსაფენოდ და უბალიშოდ? არა! ვფიცავ, რომ სულაც არა მწადაია ტანი დავიჟეჟო, აქაოდა, ვიდაცას წვერი მოეპარსოსო. დაე, ყველამ ისე მოიპარსოს, როგორც ეხერხება. მე კი ასეთ დიდ მანძილზე ჩემი ბატონის გაყოლას სულაც არა ვფიქრობ, მით უფრო,

რომ არა მგონია, საჭირო ვიყო. ამ მანდილოსნების წვერების ჩამოცლისათვის, როგორც ქალბატონი დულსინეს ჯადოს გაუქმებისათვის, არა ვარ საჭირო.

- არა, ჩემო მეგობარო, საჭირო ხარ, - მიუგო დოლორიდამ, - უთქვენოდ ვერაფერს გავარიგებთ და არაფერიც არ გამოვა.

- ესეც ახალი მოპრიანება, - დაიძახა სანჩო, - მიხსენით და დამიფარეთ, კეთილო ხალხნო, და რა საქმე აქვს საჭურველმტვირთველებს ბატონების ფათერაკებთან? რა კარგია - ბატონებმა ყველა ფათერაკზე სახელი და დიდება მოიხვეჭონ და ჩვენ კი მარტო შრომა გვერგოს! ჩემს სხეულს ვფიცავ, ისტორიკოსები რომ მაინც იტყოდნენ, "ამა და ამ რაინდმა ესა და ეს ფათერაკი ბედნიერად დააბოლოვა ამა და ამ საჭურველმტვირთველის დახმარებით და მის დაუხმარებლად იმ ფათერაკს კეთილად ვერ დააბოლოვებდაო", - კიდევ ჰო, მაგრამ ისინი სულ უბრალოდ წერენ: "დონ პარალიპომენონმა, სამ ვარსკვლავთა რაინდმა, ექვსი ურჩხულის ფათერაკი დასჯაბნაო". მისი საჭურველმტვირთველის სახელსაც კი არ იხსენიებენ, თითქოს იმ ფათერაკში ისიც არ დასწრებოდეს და ქვეყანაზე სულაც არ ყოფილიყოს! ხელახლად მოგახსენებთ, სენიორებო, რომ ბატონ დონ კიხოტს შეუძლია მარტო წაბრძანდეს და ღმერთმაც ხელი მოუმართოს; მე კი აქ ჩემს სენიორასთან, ჰერცოგის მეუღლესთან დავრჩები. შესაძლებელია, დაბრუნებისას სენიორა დულსინეს საქმე სამ მეოთხედზე მაინც წინ წაწეული დახვდეს, რადგან, ვფიქრობ, თავისუფალ დროს ჩემს ტანს იმდენი მათრახები მივარტყა, რომ ზედ ერთი ღერი თმაც ვეღარ გამეზარდოს.

- მაინც კი, კეთილო სანჩო, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა, - შენი ბატონის გაყოლა მოგიხდება, თუკი ეს საჭირო გახდება, რადგან ამას ღირსეული პირები მოითხოვენ. არ შეიძლება ეს სენიორები თქვენი ცუდ უბრალო შიშის გამო ტანბანჯგვლით შემოსილნი დარჩნენ. ეს თქვენთვის საძრახისი იქნება.

- ახლა ხელმეორედ უნდა დავიყვირო, კეთილო ხალხნო, მიშველეთ-მეთქი, - შეესიტყვა სანჩო. შებრალება რომ ვინმე დაპატიმრებულ ქალებს სჭირდებოდეს ანუ ობოლთა თავშესაფარის პატარა გოგონებს, - შეიძლებოდა ადამიანს მათთვის რაიმე შრომა გაეწია, მაგრამ ამ დუენიების წვერის მოსაგლეჯად იმდენი შრომის ატანა როგორ შეიძლება. შემაჩვენოს ეშმაკმა და ღმერთმა, ის მირჩვენია, ყველა მათ, დიდიდან პატარამდის, პირველი პრანჭიდან უკანასკნელ მანჭამდე წვერიანებს ვხედავდე.

- მეგობარო, სანჩო! ვერაფერი სინაზით ეკიდებით დუენიებს, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა, - და მათ შესახებ აზრით თქვენს ტოლედოელ მეაფთიაქეს ძალიან ჰგავხართ. მაგრამ, მართალი რომ ვთქვათ, ძლიერ სცდებით. მე სახლში ისეთი დუენიები მყავს, რომ დუენიების მაგალითად შეუძლიათ ყოფნა და აი აქ დამსწრე როდრიგესი მათზე სხვას ვერაფერს მათქმევინებს.

- თქვენმა უგანათლებულებობამ დაე სულ სხვა თქვას, - მიუგო დონა როდრიგესმა, - რადგან ღმერთმა უწყის, მართლა კარგები არიან თუ ცუდები, წვერიანები არიან თუ უწვერონი თქვენი დუენიები. ჩვენც დედებმა გვშობეს, როგორც სხვა ქალები არიან ნაშობნი. და რაკი ღმერთმა ქვეყნად გაგვაჩინა, მან იცის, თუ რისთვისაც, და ჩვენც მის მოწყალეობაზე უფრო ვემყარებით, ვიდრე ვისიმე ქებასა და წვერზე.

- ახლა კმარა, სენიორა როდრიგეს, - უთხრა დონ კიხოტმა, - იმედი მაქვს, სენიორი ტრიფალდი და მისნო მხლებელნო, რომ ზენა გულშემატკივარი თვლით გადმოგვხედავს და სანჩოც

აღასრულებს, რასაც ვუბრძანებ. ოღონდ კლავილენიო აქ მოვიდეს და მალამბრუნო ჩემს წინაშე გამოცხადდეს, რადგან ვიცი, რომ ისეთი სამართებელი არ არსებობს, რომელიც ისე ადვილად მოპარსავდა წვერს თქვენს მოწყალებას, როგორც ჩემი მახვილი მალამბრუნოს მხრებიდან თავს მოსხეპს, ვინაიდან ღმერთი ბოროტებას ითმენს, მაგრამ სამუდამოდ კი არა.

- ვიშ! - შეჰყვირა დოლორიდამ, - ეგრემც ცის ყველა არეს ვარსკვლავებმა კეთილმიდრეკილი თვალით უმზირონ თქვენს დიდებას, ღვაწლმოსილო რაინდო, და თქვენს სულს მოჰფინონ კეთილსვეობა და ახოვნება, რათა ფარად და საყრდნობად ექნეთ ცილწამებულს და მოძულეებულ დუენიების ტომს, მეაფთიაქეთაგან შეურაცხყოფილს, საჭურველმტვირთველთაგან შეგინებულს და პაჟებისაგან მასხარად აგდებულს! მწუხარებამ განმეხოს ის საცოდავი ქმნილება, რომელიც ახალგაზრდობაში დუენიად სამსახურს არჩევს მონოზნად შედგომას. ჩვენ, დუენიები უბედურები ვართ, რადგან, თუნდა ტროადელი ჰექტორის შთამომავალნიც ვიყოთ, ჩვენი სენიორანი კვლავ არ დაიშლიან, პირში გვახალონ ხოლმე: "აქეთ მოიხედეთ, ჩემო კარგო!" თითქოს ჰგონიათ ამით დედოფლები გახდებიან. ჰოი, გოლიათო მალამბრუნო! თუმცა ჯადოქარიცა ხარ, მაინც შენს დაპირებაზე მტკიცედ დგახარ, - მაშ ჩქარა გამოგვიგზავნე შეუდარებელი კლავილენიო, რომ ჩვენს ტანჯვას ბოლო მოეღოს, რადგან მალე სიცხე დადგება და წვერიანები დავრჩებით, მაშინ ხომ კიდევ დავილუპებით!

ტრიფალდომ ისეთი გრძნობით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ ყველა იქ მყოფის თვალს ცრემლი მოჰგვარა, თვითონ სანჩოსაც მოებლისა თვალები და გუნებაში ფიცი დადო - თავის ბატონს გაჰყოლოდა, თუნდაც ქვეყნის კიდემდისაც წასულიყო, თუკი ამით ამ საპატიო მანდილოსნებს ნიკაპებიდან ბანჯგვლი მოშორდებოდათ.

## თავი XLI

კლავილენიოს მოვლინება და ამ გაჭიანურებული ფათერაკის

დასასრული

ამასობაში დედამიწას ღამის სიბნელე ჩამოაწვა და ის ჟამი დადგა, როდესაც შესანიშნავი ცხენი კლავილენიო უნდა მოვლენილიყო. რაკი იგვიანებდა, დონკიხოტი მოუსვენრობდა, რადგან საგონებელში ჩავარდა, ალბათ, მალამბრუნო იმიტომ არა გზავნიდა ცხენს, რომ ეს ღვაწლი სხვა რაინდისათვის იყო დანიშნული, ანუ იქნებ მასთან შებრძოლებას ვერ ბედავდა. მაგრამ უცებ ბაღში ფათალოთი შემოსილი ოთხი ველური კაცი შემოვიდა და მხრებით დიდი ხის ცხენი მოჰქონდათ. ეს ცხენი დონ კიხოტს გვერდზე დაუდგეს და ერთმა იმ ველურთაგანმა თქვა:

- ამ მანქანაზე ის რაინდი შეჯდეს, ვისაც მამაცობა შესწევს.

- მაშ მაგაზე შემჯდომი მე არა ვყოფილვარ: - თქვა სანჩომ, - რადგან რაინდი არა ვარ და მამაცობაც სულ არ შემწევს.

მაგრამ ველურმა განაგრძო:

- და თუ მას საჭურველმტვირთველი ჰყავს, ამ ცხენზე რაინდს უკან შემოუჯდეს. რაინდს შეუძლია სრულებით დაენდოს მამაც მალამბრუნოს და მისი ხმლის გარდა სხვა არავითარი ვერაგობისა არ ეშინოდეს. მხოლოდ ხელი შეახოს კლავილენიოს კისერზე ჩასმულ კრკალს და

ცხენიც თავის მხედარს იქით გააქანებს, სადაც მას მალამბრუნო მიეღოს. და, რომ სიმაღლემ და გზის სიმშვენიერემ თავბრუ არ დაახვიოს, თვალეზახვეულნი უნდა ისხდნენ, ვიდრე ცხენი არ დაიჭიხვინებს. ეს ნიშანი იქნება, რომ სიარულს მორჩნენ და დანიშნულ ალაგს მივიდნენ.

ესა თქვა, ცხენი დატოვეს და ოთხნივ, საიდანაც მოვიდნენ, მწყობრი ნაბიჯით იქითვე წავიდნენ. დოლორიდამ თვალცრემლიანმა უთხრა დონ კიხოტს.

- ღვაწლმოსილო რაინდო! მალამბრუნომ აღთქმა შეასრულა, ცხენი მოვიდა, ჩვენი წვერები იზრდება და თითოეული მათი თმა გემუდარება მათ მოსკობას და მოკრეჭას, რადგან ისღა არის საჭირო, ამ ცხენზე შეჯდე შენი საჭურველმტვირთველითურთ და ბედნიერი დასასრული დაუდო ამ შენს უმაგალითო მგზავრობას.

- სენიორა გრაფის მეუღლე ტრიფალდი, - უთხრა დონ კიხოტმა, - ისე ძალიან მსურს თქვენი და ყველა ამ მანდილოსნის სუფთა სახით ნახვა და ისე მემურება ეს, რომ უნაგირის ბალიშსა და დეზების გაკეთებაზე აღარა ვზრუნავ, თქვენი შველა ისე ძლიერ მეჩქარება.

- მე კი არც მეჩქარება და არც რაიმე ხალისით ვიზამ მაგას, - განაცხადა სანჩომ. - და თუ ამათი გაპარსვა ამ რაღაც ხის ცხენზე შეუჯდომლად არ შეიძლება, ჩემს ბატონს ნება აქვს სხვა საჭურველმტვირთველი მოძებნოს და ამ ცხენის გავაზე ის შესვას, ანუ ამ მანდილოსნებმა თავიანთ გასაპარსად სხვა საშუალება მონახონ, რადგან ჯადოქარი ხომ არა ვარ, ჰაერში მოგზაურობაში რამე სიამოვნებას ვხედავდე. ან კი რას იტყვიან ჩემი კუნძულის მცხოვრებნი, როცა გაიგებენ, მათი გუბერნატორი ჰაერში დაფრიალებდაო, ამას გარდა კანდაიმდე სამი ათასი და რამდენიღაც მილია; ჩვენი ცხენი რომ დაიღალოს, ანუ ის გოლიათი გაწყრეს დაბრუნებაზე, - ექვსი წელიწადი ფეხით სიარული მოგვიხდება და აღარც კუნძული იქნება მაშინ ქვეყანაზე და აღარც კუნძულის მცხოვრებნი, რომ მიცნონ. "შიში - დაგვიანებაშიაო", ამბობენ და "როდესაც დეკეულს გაძლევენ, თოკით გაიქეციო". ამიტომ ამ მანდილოსნის წვერებმა მომიტევეთ. "წმიდა პეტრე რომშიაც კარგად არის". ამით იმას ვამბობ, რომ მე აქაც კარგადა ვარ, ამ სახლში, სადაც ასე კარგად მეაღერებთან და მისი პატრონისგანაც ისეთ დიდ წყალობას მოველოდები, როგორიც გუბერნატორობაა.

- ჩემო მეგობარო, სანჩო - უთხრა ჰერცოგმა, - ჩემი დაპირებული კუნძული არსად წავივა და არც სადმე გაიქეცვა. ისეთი ღრმა ფესვები აქვს და ისე გამაგრებული აქვს მიწაში, რომ ვერაფერი ძალა ვერ მოგლეჯს და ვერც ადგილიდან დასძრავს. ამასთანაც თქვენც კარგად იცით და მეც, რომ ისეთი დიდი თანამდებობა არ არსებობს, რომ მის მისაღებად რაიმე ქრთამი არ გაიღოს მსურველმა და მეც - იმ გუბერნატორობაში რისაც მიღება მინდა - ის არის, რომ - თქვენს ბატონს, დონ კიხოტს გაჰყვეთ ამ შესანიშნავი ფათერაკის კეთილად დასაბოლოვებლად. კლავილენიოთი სწრაფად დაბრუნდებით თუ მუხთალი ბედის გამო სოფლიდან სოფელში, სახლიდან სახლში, ფუნდუკიდან ფუნდუკში შესვლით გვიან მოგიხდებათ დაბრუნება მოგზაური მლოცველის მსგავსად, თქვენი კუნძული სადაც დასტოვით, იქვე დაგხვდებათ და კუნძულის მცხოვრებნიც უწინდელეებრ მზად იქნებიან გუბერნატორად მიგიღონ. ხოლო მე თქვენდამი იმავე კეთილგანწყობით დავრჩები, როგორითაც აქამდის ვიყავი, თუ ამ ჩემი ნათქვამის ჭეშმარიტებაში ეჭვს შეიტანთ, ეს ის იქნება, სენიორ სანჩო, რომ თქვენდა სამსახურის გაწევის ჩემს სურვილს ცხადი შეურაცხყოფა მიაყენოთ.

- კმარა, სენიორ, - დაიძახა სანჩომ, - მე ერთი საბრალო საჭურველმტვირთველი ვარ და მაგდენ მართებულ მოპყრობას ზურგით ვერ ვზიდავ. ჩემი ბატონი შებრძანდეს ცხენზე, მეც თვალეზი

ამიხვიონ და ღმერთს მიმბარონ. მხოლოდ ნება მიბოძეთ გკითხოთ: ჰაერში ფრენის დროს მალიდან შემეძლება თქვენს ღმერთს ვევედრო, ანუ ანგელოზები მოვიხმო, რომ დამიცვან?

ამაზე ტრიფალდიმ უპასუხა:

- თქვენ, სანჩო, თამამად შეგიძლიათ, თქვენი თავი ღმერთს ან, ვისაც გინდათ, იმას მიანდოთ, რადგან მაღამბრუნო, თუმცა ჯადოქარიც არის, მაინც ქრისტიანია და თავის ჯადოებს წინდახედულად ხმარობს, რათა უსიამოვნებას არ შეეყაროს.

- მაშ, - თქვა სანჩომ, - ღმერთი იყოს ჩემი მფარველი და გაეტის უწმიდესი სამება იყოს შემწე ჩემი.

- მაუდის სათელავ წისქვილებთან ფათერაკის შემდეგ არ მახსოვს, რომ სანჩო ასე სადმე შიშს აეტანოს, - თქვა დონ კიხოტმა, - და რომ ისეთი ცრუმორწმუნე ვიყო, როგორც სხვები არიან, შესაძლოა, გული ცოტაოდენად მაინც ამღელვებოდა. მაგრამ, სანჩო, აქ მოდი, ამ სენიორების ნებართვით მიინდა მარტოს ორიოდე სიტყვა გითხრა:

დონ კიხოტმა სანჩო ერთ პატარა ხეების ჯგუფს ქვეშ შეიყვანა, ორივე ხელი დაუჭირა და უთხრა:

- ჩემო ძმაო სანჩო, ხომ ხედავ, რა შორი გზა გვიდევს წინ? ღმერთმა უწყის, როდის დავბრუნდებით იქიდან, ან როგორ მოეწყობა ჩვენი საქმე, რომ მოხერხებული დრო ჩვენს ნებაზე მოვიხმაროთ. ამიტომ მიინდოდა ახლა ოთახში შესულიყავ საგზაოდ რამე აუცილებელი საქმისათვის და იქ ერთი თვალის დახამხამებაზე დანიშნული სამი ათას სამასიდან ხუთასი მათრახი მაინც მიგერტყა შენთვის. ამგვარად საქმეს დასაწყისი მიეცემოდა და, ხომ იცი, ყველა დაწყებული საქმე მის ნახევრებამდის გათავებულად უნდა ჩაითვალოს.

- ღმერთსა ვფიცავ, თქვენო მოწყალეზავ, - უთხრა სანჩომ, - უთუოდ ჭკუიდან შეიშალეთ. ეს მაგონებს ანდაზას: "უკვე ვმშობიარობ, შენ კი მეკითხები - ქალწული თუ ხარო". ახლა, როდესაც ცარიელ ხმელ ფიცარზე მომიხდება ჯდომა, თქვენს მოწყალეზავს სურს საჯდომი ისე დავიბეჭო, რომ ჯდომაც აღარ შემეძლოს ღმერთმანი, თქვენის მხრივ ეგ კარგი არ არის. წავიდეთ, ამ მანდილოსნების წვერის მოპარსვას დავეშუროთ და, როდესაც დავბრუნდებით, მაშინ ისეთი კაცის სიტყვას გაძლევეთ, როგორც თვითონ მე ვარ, ჩემს გაღახვას დავეშურები და სრულებით დაგაკმაყოფილებთ. თუ ეს ასე არ იყოს, სანჩო აღარ მერქვას, ახლა ამის მეტს აღარას ვიტყვი.

- ეგ დაპირება საკმაოა ჩემთვის, - უთხრა დონ კიხოტმა. - დარწმუნებული ვარ, მაგას აასრულებ, რადგან, თუმცა უბირიცა ხარ, მაინც მართალი კაცი ხარ.

- მე მწვანე არა ვარ, შავგვრემანი ვარ, - უთხრა სანჩომ, - მაგრამ ჭრელიც რომ ვიყო, ჩემს სიტყვას მაინც არ გადავიდოდი.

ამ ლაპარაკის შემდეგ რაინდი და საჭურველმტვირთველი კლავილენიოსთან დაბრუნდნენ და, დონ კიხოტი რომ ზედ შესაჯდომად ემზადებოდა, სანჩოს მიუბრუნდა და უთხრა:

- სანჩო, თვალეზავ აიხვიე და დაჯექი, რადგან მწამს - ვინც ისეთი შორი ქვეყნიდან მიგვიხმო, ჩვენს მოტყუებას არ ინდომებს, რადგან - ჯერ ერთი, ეს სირცხვილი იქნება მისთვის და, მეორეც, ამით დიდ პატივსა და სახელს ვერ მოიხვეჭს. თუნდაც უკუღმა მოხდეს ის, რასაც

ვფიქრობ, მაინც ასეთი ღვაწლით მოხვეჭილ დიდებას ვერავითარი ბოროტება ვერ ჩრდილავს ამ ქვეყანაზე.

- წავიდეთ, ბატონო, - უთხრა სანჩომ, - თორემ ამ მანდილოსნების ცრემლი და წვერები გულში ჩამეკრნენ. მანამ იმათ ნიკაპებს გასუფთავებულს არ დავინახავ, იმ დრომდე ყელში ლუკმა არ ჩამივა. აბრძანდით, თქვენო მოწყალეზავ, და თვალებიც პირველმა აიხვიეთ, რადგან მე გავაზე უნდა ვიჯდე, ცხადია, უნაგირზე ვინც ჯდება, პირველი ის ადის.

- შენ მართალი ხარ, - მიუგო დონ კიხოტმა.

ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო და დოლორიდას სთხოვა თვალები აეხვია. იმან თვალები აუხვია, რაინდმა მაშინვე მოიხსნა და თქვა:

- ვერგილიუსის ნაწერებში ტროადელი პალადიუმის ისტორია წამაკითხეს. თუ მეხსიერება არა მდალატობს, იგი ხის ცხენი იყო, ბერძნებისაგან ქალღმერთი პალადისათვის მსხვერპლად მიტანილი, და იმაში შეიარაღებული რაინდები იყვნენ დამალულნი, და ბოლოს ტროადაც მათი საშუალებით დაემხო. ამიტომ მეტი არ იქნება ვნახოთ, ამ კლავილენიოს მუცელში ხომ არა არის რა.

- ეგ სულაც საჭირო არ არის, - უთხრა დოლორიდამ, - რადგან თავდები მე ვარ. კარგად ვიცი, რომ მალამბრუნოს გულში ვერაგობისა და დალატის ნატამალიც არ მოიპოვება. უშიშრად შებრძანდით, თქვენო მოწყალეზავ სენიორ დონ კიხოტო და თუ ცუდი რამ შეგემთხვეთ, დაე, სრული პასუხისმგებლობა ჩემს თავს დაატყდეს.

დონ კიხოტმა იფიქრა, ჩემს უშიშროებაზე თუ კიდევ ვთქვი რამე, ეს ჩემი მამაცობისათვის საზიანო იქნებაო, ამიტომ აღარაფერი თქვა კლავილენიოზე შეჯდა და კრკალს ხელი მოჭიდა. რადგან ფეხები უზანგებში არა ჰქონდა და მთელ სიგრძეზე ჩაეკიდა, ამიტომ იგი ერთ იმ ფიგურას ჰგავდა, რომელიმე ფლანდრულ ხალეზზე რომ არის დახატული ან ამოქარგული და რომის ისტორიიდან აღებულ სანახაობას წარმოადგენს.

სანჩო ზარმაცად და ზღაპრით ავიდა ცხენზე და რაც შეეძლო ცდილობდა - მოხერხებით დამჯდარიყო გავაზე. მაინც იგი საკმაოდ ხმელად და უსიამოვნოდ ეჩვენა. ამიტომ ჰერცოგსა სთხოვა, თუ შეიძლება, რაიმე ბალიში ან ნაალის ნაჭერი მიეცათ მისთვის, თუნდა ჰერცოგის ცოლის ტახტიდან ან რომელიმე მსახურის ლოგინიდან, რადგან ცხენის გავა უფრო მარმარილოსას ჰგავდა, ვიდრე ხისას.

ამაზე ტრიფალდომ უთხრა, რომ კლავილენიო ვერავითარ მოკაზმულობას ვერ შვნეობს თავის ზურგზე, ამიტომ ბალიშის მიცემა არ შეიძლებაო. უკიდურეს შემთხვევაში სანჩოს შეუძლია ქალურად დაჯდეს, მაშინ დასაჯდომი აგრერიგად მაგარი არ მოეჩვენებაო. სანჩოც ასე მოიქცა, ყველას გამოეთხოვა და თვალები აახვევინა. მაგრამ ისევ მოიხსნა, ბაღში მყოფთ ცრემლმორეული თვალით შეხედა და მუდარებით სთხოვა ამ განსაცდელის წამს თქვენს ლოცვა-კურთხევას ნუ მომაკლებთო და რანდენიმეჯერ "პატერ ნოსტერ-ი და ავე მარია" წაიკითხეთო: ამის სანაცვლოდ, თუ რაიმე გასაჭირში ჩავცვივდებით, ღმერთი ისეთ კაცს მოგივლენთ, დღემუდამ თქვენთვის ილოცოსო. მაგრამ ამ დროს საქმეში დონ კიხოტი ჩაერია და შეუყვირა:



- სახრჩობელაზე ხარ, შე არამზადავ, თუ უკანასკნელი სიცოცხლის საათი დაგიდგა, რომ მაგვარი თხოვნით და მუდარით მიმართავ? შე უგულო და მხდალო ქმნილება, განა იმ ადგილზე არა ზიხარ, სადაც მშვენიერი მალელონა მჯდარა და საიდანაც, თუ ისტორია არა ცრუობს, საფლავში კი არ ჩასულა, საფრანგეთის სამეფო ტახტზე ასულა, და მეც შენთან ერთად არა ვზივარ? განა არ შემიძლია დავედარო ღვაწლმოსილ პიერს, იმავე ალაგს რომ მჯდარა, რა ალაგზეც ახლა მე ვზივარ? აიხვიე, აიკარ ეგ თვალეები, მშიშარა ცხოველო, და შენს სიმხდალეზე ჩემს წინ სიტყვაც აღარ დასძრა.

- მაშ თვალეები ამიხვიონ, - უპასუხა სანჩო, - და რაკი არა სურთ ჩემი თავი ღმერთს მივანდო და სხვასაც უშლიან ჩემთვის ლოცვას, განა საკვირველია - მეშინოდეს - აქ სადმე იქნება ეშმაკების ლეგიონია და პირდაპირ პერალვილიოში გაგვაქანონ-მეთქი?

როგორც იქნა ორივეს თვალეები აუხვიეს და, დონ კიხოტმა იგრძნო რა, რომ ყოველივე რიგზე იყო, კრკალს მოჭიდა ხელი. იმ წყეულმა დუენიამ და ბაღში მყოფთ ხმამაღლა შესძახეს:

- გფარავდეს ღმერთი, ღვაწლმოსილო რაინდო!

- აგრეთვე შენც, მამაცო საჭურველმტვირთველო!

- აი, აი, ჰაერში მიფრინავთ და ისრის უსწრაფესად მიაპობთ მას.

- აი, უკვე აკვირვებთ და აოცებთ ყველას, ვინც ამ დედამიწიდან გიცქერთ!

- ხელი მაგრად მოსჭიდე, ვაჟკაცო სანჩო! ნუ ტოკავ, ფრთხილად იყავ, არ ჩამოვარდე, თორემ შენი ჩამოვარდნა იმ გაბედული ჭაბუკის ჩამოვარდნაზე უსაშინლესი იქნება რომელსაც უნდოდა თავისი მამის - მზის ეტლი ეტარებინა!

სანჩოს ყველა ეს ესმოდა, თავის ბატონს უფრო მაგრად ეკვროდა და ხელეზმაგრაჩაბლუჯულმა უთხრა:

- თქვენო მოწყალეებავ, ამბობენ, ვითომც ძალიან მაღლა ავიწიენით, მაგრამ ყველა მათი სიტყვა ის მესმის, თითქოს აქ გვერდზე გვიდგანანო.

- მაგას ყურადღებას ნუ მიაქცევ, სანჩო, - უპასუხა დონ კიხოტმა, - ჰაერში მოგზაურობა ყველა ჩვეულებრივი მოგზაურობისაგან მეტად განსხვავებულია, ამიტომაც ათასი მილის სიშორეზედაც, რასაც კი ისურვებ, დაინახავ კიდეც და გაიგონებ კიდეც, თანაც ასე მაგრად ნუ მომაწვები, თორემ ცხენიდან გადმომავდებ. არ ვიცი, ღმერთმანი, რა გაშფოთებს და გაშინებს ჩემს დღეშიაც არ მივლია ასეთი დამშვიდებული ნაბიჯით მატარებელი ცხენით, როგორც ეს არის. ისე მგონია, თითქოს ადგილიდანაც არ ვიძვრით. ეგ შიში გაიქარვე, მეგობარო, ყველაფერი ისე მიმდინარეობს, როგორც რიგია, ქარიც უკანადან გვიბერავს.

- ეგ მართალია, - უთხრა სანჩომ. - აქეთა მხრიდან ისეთი გრილი ქარი მიბერავს თითქოს ათასი საბერველი აუმუშავებიათო.

სანჩო მართალს ამბობდა. იმის მხარეზე მართლაც რამდენიმე დიდი საბერველით უბერავდნენ. ეს ფათერაკი ჰერცოგს, მის ცოლსა და სახლთუხუცესს ისე კარგად მოეწყოთ, რომ არაფერი არა ჰქონდათ დავიწყებული, რათა იგი ყოველმხრივ სრული ყოფილიყო.

დონ კიხოტმა იგრძნო ქარის ქროლვა და თქვა:

- სანჩო, ჩვენ, უთუოდ, ახლა ჰაერის მეორე სფეროში ავედით, სადაც სეტყვა და თოვლია, მესამე სფეროში ქუხილი და ელვა ჩნდება და, თუ მაღლა მაღლა ავედით, ვინ იცის - ჩქარა ცეცხლის სფეროსაც მივაღწიოთ. არ ვიცი, ეს კრკალი როგორ მივატრიალო, რომ იქამდის არ მიგვიყვანოს და არ დავიწვათ.

ამ დროს რაინდისა და საჭურველმტვირთველის სახესთან გრძელ ლერწამზე გაკეთებული ანთებული ნამჯის მაშხალა მიიტანეს, როგორც შორიდან ადვილად ასანთები, ისე ადვილად გასაქრობიც, და სანჩომ რომ სიცხე იგრძნო, თქვა:

- თოკით ჩამომკიდონ, თუ ჩვენ ცეცხლის სფეროში არ ავსულიყვით. ან მასთან ახლო მაინც არ ვიყოთ. რადგან ნახევარი წვერი კიდევ შმეტრუსა. ნეტავ თვალეები გამახელინა, დავინახო - ახლა სადა ვართ.

- ეგ არა ქნა, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა. - გაიხსენე ლიცენციატ ტორალბას ნამდვილი ამბავი, ემმაკებმა რომ მადრიდიდან ლერწმის ჯოხ-ცხენით ჰაერში სულ ჭენებ-ჭენებით წაიყვანეს. თორმეტი საათის შემდეგ რომში მიფრინდა. ამ ქალაქში, ერთ-ერთ ქუჩას ტორედე ნონა რომ ჰქვია, იმ ქუჩაზე ჩამოემვა და იქ არეულობა, ბრძოლა, ბურბონის ჰერცოგზე თავდასხმა და მისი მკვლელობა ნახა. ხოლო მეორე დღეს დილით მადრიდს დაბრუნდა და ყველა ნახულის ანგარიში ჩააბარა. სხვათა შორის, ყველას უამბო როდესაც ჰაერში მიფრინავდა, ემმაკმა უბრძანა - თვალეები აეხსნა, და რომ აიხსნა, მთვარე ისე ახლოს ეჩვენა, ხელის მიწვდენაც შეეძლო, მაგრამ დედამიწაზე ჩამოხედვა კი ვერ გაბედა, ეშინოდა - თავბრუ არ დახვეოდა. ამიტომ, სანჩო, არც უნდა ავიხსნათ თვალეები, ვინც ჩვენ გვმფარველობს, თვითონ ის იზრუნებს ჩვენთვის, და ვინ იცის - სულ მაღლა-მაღლა იმიტომ ავდივართ, რომ კანდაიში ერთბაშად ჩავემვათ, ვით შავარდენი, მაღლიდან რომ უცებ თავის დავლას დააცხრება ხოლმე, და, თუმცა მეჩვენება, რომ ნახევარი საათიც არ არის, რაც ბალი დავტოვეთ, მაინც მგონია, კარგა დიდი მანძილი გავიარეთ.

- მაგისი არა ვიცი რა, - მიუგო სანჩომ. - მარტო იმის თქმა შემიძლია, რომ, თუ სენიორა მაღალიანესს ანუ მაღელონას ეს ცხენის გავა არ აწუხებდა, ჩანს, მისი სხეული ძალიანაც ნაზი არა ყოფილა.

ჰერცოგი, მისი ცოლი და მთელი მათი ამალა, ვინც კი ბაღში იყო, ორი მამაცის საუბარს ყურადღებით ისმენდნენ, მათი ნათქვამი ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვიათ და ამით დიდადაც სიამოვნებდნენ. ამასთან უკვე სურდათ ეს ოსტატურად მოფიქრებული უცნაური ფათერაკი მალე დაებოლოვებინათ, ამიტომ კლავილენიოს კუდქვეშ ერთი ბლუჯა ანთებული ნამჯა შეუდეს, და, რადგან ცხენის მუცელი ტკაცუნა შუმხუნებით იყო გამოტენილი, ამიტომ საშინელი გრიალით იფეთქა, ჰაერში ავარდა და ბოლით გამურული დონ კიხოტი და სანჩო ძირს ჩამოყარა.

წვერიანი დუენიები და მასთან ტრიფალდი ბადიდან წინაღვე წავიდნენ, დანარჩენები კი კლავილენიოს აფეთქებისას მიწაზე დაეცნენ და ვითომ გულშეღონებულნი ეყარნენ. ცოტაოდენად დაბეგვილი დონ კიხოტი და სანჩო წამოდგნენ, ყველა მხარეზე მიმოიხვდეს და მეტად გაოცდნენ და გაკვირდნენ, რომ იმავე ბაღში იმყოფებოდნენ საიდანაც კანდაის გაემგზავრნენ, მათი ნაცნობი საზოგადოებაც მიწაზე უძრავად ეყარა. გაკვირვება გაუორკვედათ როდესაც ბაღის ერთ კუთხეში მიწაში ჩარჭობილი გრძელი შუბი და ზედ აბრეშუმის ორი

მწვანე ზონრით დაკიდებული ეტრატე დაინახეს, რომელზედაც ოქროს მსხვილი ასოებით შემდეგი ეწერა:

სახელოვანმა რაინდმა დონ კიხოტმა ლამანჩელმა გრაფის მეუღლე ტრიფალდის, სხვა სახელით დუენია დოლორიდად წოდებულის - და მისთა მხლებელთა ფათერაკი ბოლომდის მიიყვანა და დაამთავრ უკვე იმით, რომ მის შესასრულებლად წავიდა. მალამბრუნო აცხადებს, რომ იგი ამით სრულებით დაკმაყოფილებულია, რადგან, როგორცა სურდა, ყოველივე ისე მოხდა. დუენიებს ნიკაპები სრულებით გაწმენდილი და გასუფთავებული აქეთ, მეფე-დედოფალს - დონ კლავიხოს და ანტონომასიას თავისი წინანდელი მდგომარეობა დაუბრუნდათ და, როდესაც საჭურველმტვირთველი გამათრახებას შესრულებს, თეთრი გვრიტი მისი მდევენილი ქორის ბასრი კლანჭებიდან განთავისუფლდება და გაეშურება თავისი ძვირფასი მოლულუნე მტრედის ჩასაკონებლად, რადგან ყველა ჯადოქართა მთავარ-ჯადოქარმა ბრძენმა მერლინმა ასე დაადგინა.

დონ კიხოტმა რომ ეტრატზე ეს წარწერა წაიკითხა, ცხადად გაიგო, რომ ეს დულისინე ჯადოს მოხსნას შეეხებოდა. ზენაარს უაღრმესი მადლობა შესწირა, რომ დიდებული ღვაწლი ასე უვნებლად შეასრულა და მით ახლა ბალიდან გასული - ღირსეული დუენიების ნიკაპებს უწინდელი სილღუვე და სისუფთავე დაუბრუნა. შემდეგ ჰერცოგთან და მის ცოლთან მივიდა, ჯერაც რომ არ იყვნენ გონზე მოსულნი, ჰერცოგს ხელი დაუჭირა და უთხრა:

- ყოჩაღად იყავით, კეთილო სენიორ, მეტი სიმამაცე მოიეცით, რადგან მთელი ფათერაკი ისე მორჩა, როგორც აგერ იმ ბოლოში დაკიდული წარწერიდან ჩანს, რომ არავის ვნება არ მისცემია.

ჰერცოგი ღრმა ძილისაგან გამოღვიძებული ადამიანივით ნელი-ნელ გონს მოვიდა; მასუკან მისი ცოლი და დანარჩენნიც გამოერკვნენ და ისეთი გაკვირვებული და შეშინებული სახით, რომ შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, თითქოს მთელი ეს შემთხვევა მარჯვედ მოფიქრებული ხუმრობა კი არ იყო, არამედ - ნამდვილად მომხდარი ამბავი. ჰერცოგმა ეტრატზე წარწერა ნახევრად მოხუჭული თვალით წაიკითხა, დონ კიხოტთან მივიდა, მთლად გაშლილი ხლებით გადაეხვია და უთხრა: შენებრ სახელოვანი რაინდი ჯერ არც ერთ საუკუნეში არ ყოფილაო. ამასობაში სანჩო აქა-იქ დოლორიდას ეძებდა, რომ ენახა, უწვერო ისეთი ლამაზი იყო, როგორც მის ვაჟკაცურ გარეგნობას შეეფერებოდა თუ არა, მაგრამ უთხრეს, დუენიები ტრიფალდისთან ერთად გაქრნენ მთლად გაპარსულებიო, - სწორედ იმ წამში, როდესაც ცეცხლმოდებული კლავილენიო ჰაეროვანი სიმაღლიდან დედამიწას დაენარცხა და ნამსხვრევებად დაილეწაო. ჰერცოგის ცოლმა ჰკითხა სანჩოს: ხანგრძლივი მგზავრობის ჟამს თავს როგორ გრძნობდითო, და იმანაც უპასუხა:

- მე ვგრძნობდი, სენიორა, და ჩემი ბატონიც მეუბნებოდა, რომ ცეცხლის სფეროში ვიმყოფებოდით, და მე მიხდოდა ცოტა ოდენად თვალი ამეხადნა, მაგრამ ჩემმა ბატონმა ამისი ნება არ მომცა; მაინც, რაკი ცოტა ცნობისმოყვარე ვარ და მიხდა ის ვიცოდე, რასაც მიმალავენ და რასაც მიშლიან, - ჩუმად, ისე, რომ არავის დაენახა, სახვევი ოდნავ ცხვირთან ავიწიე და ჭუჭრუტანიდანა ძირს, დედამიწაზე დავიხედე, სწორედ მდოგვის მარცვლის ტოლად მეჩვენა და ზედ მავალი ადამიანები კიდევ კაკლის ოდენად. აქედან შეიძლება დავასკვნათ, თუ რა სიმაღლეზე უნდა ვყოფილიყავით ასული.

- მოიფიქრეთ, მეგობარო სანჩო, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა, - ეტყობა სულ არ დაგინახავთ დედამიწა, მარტო იქ მიმავალი ადამიანები გინახავთ, დედამიწა რომ მდოგვის მარცვლის

ოდენად გჩვენებოდათ და ყოველი ადამიანიც კაკლის ტოლა, მაშინ ხომ ერთ ადამიანს თავისი ტანით მთელი დედამიწის ბურთობი უნდა დაეფარა?

- ეგ მართალია, - მიუგო სანჩომ, - დედამიწის ერთი წიბო გამოჩნდა, მაგრამ მაინც მთელ დედამიწას ვხედავდი.

- სანჩო, ერთი პატარა წიბოდან და პატარა ჭუჭრუტანიდან რისამე მთლად დანახვა არ შეიძლება, - შეეკამათა ჰერცოგის ცოლი.

- მე მაგ დანახვებისა არა ვიცი რა, - შეესიტყვა სანჩო. - მხოლოდ ის ვიცი, რომ კარგი იქნებოდა თქვენს სენიორობას შეეგნო, რაკი ჯადოქრების ძალით მივფრინავდით, დედამიწისა და ხალხის დანახვაც, როგორც უნდა მეცქირა მისთვის, ჯადოქრობის ძალით შემეძლო და, თუ ეს არა გჯერათ, თქვენო მოწყალებავ, მაშ, იმასაც არ დაიჯერებთ, რომ, როცა თვალები წარბებამდის ავიხსენი, ცა ისე ახლოს დავინახე, რომ სულ ერთი ალაგის სიშორეზე იყო, და ყოველგვარ ფიცს ქვეშ შემძლია ვთქვა, ჩემო სენიორა, რომ ცა მეტისმეტად დიდია. ისე მოხდა, რომ ჩვენ მაშინ იმ ალაგს მივფრინავდით, სადაც შვიდი თიკანი იმყოფება, და ღმერთსა და ჩემს სულს ვფიცავ, რადგან ყმაწვილობისას ჩვენს სოფელში თხებს ვმწყემსავდი, ის თიკნები დავინახე თუ არა, სურვილი მომეცა მათთან ცოტა ხანს თავი შემეცქია, ეს, რომ არ მექნა, მგონია, კიდევ მოვკვდებოდი. არავისთვის არაფერი არ მითქვამს, თვითონ ჩემს ბატონსაც არაფერი ვუთხარი, კლავილენიოდან ჩუმად, დეხაკრეფით ჩამოვედი, იმ თიკნებთან მივედი, - მიხაკის ყვავილზე ლამაზები რომ არიან - და თითქმის სათის სამი მეოთხედი შევეცქეოდი მათთან. კლავილენიო ადგილიდან არ დამრულა და წინ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს.

- კეთილო სანჩო, - მინამ თიკნებთან თავს ირთობდით, - სენიორ დონ კიხოტი რაღას აკეთებდა?  
- ჰკითხა ჰერცოგმა.

ამაზე დონ კიხოტმა უპასუხა:

რადგან ყველა ეს ამბავი და ფათერაკი საგანთა არაჩვეულებრივი მიმდინარეობით ხდება, ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ სანჩო იმას ამბობს, რასაც ამბობს. რაიცა მე შემეხება, შემძლია ვთქვა, რომ თვალების ასახვევი არც ქვევით ჩამიწევია არც ზევით ამიშვია, არც დედამიწა დამინახავს, არც ცა და არც ზღვა, არც ქვიშნარი. მე მართალია ვგრძნობდი, რომ ჰაერის სხვადასხვა სფეროში მივექანებოდით, ცეცხლის არეს ახლოს ვიყავით, მაგრამ, უფრო მაღლა რომ ავედით, ამას არ დავიჯერებ, რადგან ცეცხლის არე მთვარის არესა და ჰაერის უკანასკნელ არეს შუა მდებარეობს და, მაშასადამე, შვიდი თხის ვარსკვლავედიც იქ არის და, იქამდის რომ ავსულიყავით, ესე იგი - სულ მაღლა ცამდის - დავიწვებოდით და თუ არ დავიწვით, მაშ არც ავსულვართ. და სანჩო რომ ამბობს - შვიდი თიკანი ვნახეო, - ან ცრუობს, ან სიზმარში მოსჩვენებია.

- არა ვცრუობ და არც მომჩვენებია, - მიუგო სანჩომ, - და თუ ჩემი არა გჯერათ, აბა იმ თიკნების ნიშნები მკითხეთ და მაშინ დაინახავთ - ვცრუობ, თუ მართალს გამბობ.

- მაშ იმათი ნიშნები აგვიწერე, სანჩო. - უთხრა ჰერცოგის ცოლმა.

- ორი მათგანი ლურჯია, - უთხრა სანჩომ, - ორი მწვანე, ორი წითელი და ერთი ჭრელი.

- ეგ ახალი ჯიშის თხები ყოფილა, - უთხრა ჰერცოგმა. - მაგისტანა ფერის თხა ჩვენს ქვეყნიერებაზე არსად მოიპოვება.

- ეგ დიახაც ცხადია, - უთხრა სანჩომ, - დედამიწისა და ცის თხებში, რა თქმა უნდა, რამე განსხვავება უნდა იყოს.

- ისიც გვითხარი, სანჩო, იმ თხებში ვაციც იყო? - ჰკითხა ჰერცოგმა.

- არა, სენიორ, ვაცი არ მინახავს, - მიუგო სანჩომ, - მაგრამ ის კი გამიგონია, რომ მთვარის რქებში ჯერ არც ერთ რქიან თხას არასოდეს არ გაუვლია.

ჰერცოგმა და მისმა ცოლმა ზეცაში მოგზაურობაზე სანჩოს გამოკითხვა აღარ ინდომეს, რადგან მიხვდნენ, რომ ის მზად იყო ბალიდან ფეხის გადაუდგმელად მთელი ცა მოევლო და ყველაფერი ეამბნა, რაც კი რამ იქ ხდებოდა. ერთი სიტყვით დუენია დოლორიდას ფათერაკის დასასრული ასეთი იყო და მან ჰერცოგს და მის ცოლს მიზეზი მისცა, არათუ იმ დღეს ეცინათ, არამედ მთელი სიცოცხლე სიცილით გაეტარებინათ, ხოლო სანჩოს მთელი საუკუნეებისთვის საამბობი და საუბრის მასალა მისცა, თუკი იმდენ ხანს იცოცხლებდა. დონ კიხოტი სანჩოსთან მივიდა და ყურში უჩურჩულა:

სანჩო, თუ ძალიან გსურს დაგიჯეროთ, რაც ზეცაში ნახე, ვალდებული ხარ შენც შენი მხრით დამიჯერო, რაც მონტესინოსის მღვიმეში ვნახე, და ამის მეტს არას გეტყვი.

თავი XLII

რჩევა-დარიგებანი, დონ კიხოტმა სანჩო პანსას კუნძულის გამგებლად წასვლის წინ რომ მისცა, და მასთან სხვა მრავალმნიშვნელოვანი ამბები

დუენია დოლორიდას მხიარული და მარჯვე ფათერაკით ჰერცოგი და მისი ცოლი მეტად კმაყოფილნი დარჩნენ და გადაწყვიტეს თავიანთი ხუმრობა განეგრძოთ, რადგან ამისათვის ხელთ ისეთი სტუმრები ჰყავდათ, რომელთაც ყოველგვარი თვალთმაქცობა სინამდვილედ მიაჩნდათ. გეგმა შეადგინეს და თავიანთ მსახურებს და ხელქვეითებს აუხსნეს, ბრძანება გასცეს - როგორ უნდა მოპყრობოდნენ და თავი როგორ დაეჭირათ სანჩოსთან დაპირებულ კუნძულზე გუბერნატორობის დროს და თითოეული მათგანი როგორ მოქცეულიყო. კლავილენიოზე მოგზაურობის მეორე დღეს ჰერცოგმა უთხრა სანჩოს, რომ კუნძულზე წასასვლელად მომზადებულიყო, სადაც მას კუნძულელები მოუთმენლად მოელოდნენ, ისე, როგორც მასისა წვიმას. სანჩომ ჰერცოგს თავი დაუკრა და უთხრა:

- მას აქეთ, რაც ციდან ჩამოვედი და მას შემდეგ, რაც მისი სიმალიდან დედამიწას დავხედე და იგი მეტად ნამცეცად დავინახე, გუბერნატორად გახდომის სურვილი, ცოტა არ იყოს, გამინელდა, რადგან რა დიდი საქმეა, მდოგვის მარცვალზე ბრძანებლობდე, და რა დიდი პატივი და დიდებაა, ექვსიოდე ტყის თხილის ტოლა ადამიანს მართავდე, - მაღლიდან მაინც ისე მეჩვენა, რომ მთელი დედამიწის ზურგზე იმაზე დიდი ადამიანები არ მოიპოვებიან. თქვენს სენიორობას რომ კეთილი ენებებინა და ჩემთვის ცის პატარა ნაწილი ებოძებინა, თუნდაც ნახევარი მილის ტოლა, უმეტესი ხალისით მივიღებდი, ვიდრე დედამიწაზე უზარმაზარ კუნძულს.

- იცით რა, მეგობარო სანჩო, - მიუგო ჰერცოგმა, - ზეცაში რაიმე ნაწილის მიცემა არავისთვის არ შემიძლია, თუნდაც ფრჩხილის ოდენიც რომ იყოს, რადგან ასეთი წყალობის გაცემის უფლება მარტო ღმერთს ეკუთვნის. რის მოცემაც შემიძლია, იმას კიდევაც გაძლევთ, - საუცხოო და დიდად მშვენიერ კუნძულს, მრგვალსა და ვაკეს. არაჩვეულებრივად ნაყოფიერსა და უხვმოსავლიანს, და თუ საქმეს რიგიანად შეუდგებით, იქაური მიწიერი საუნჯით ზეციერი საუნჯეც თქვენთვის ადვილი შესაძენი იქნება.

- კარგი და პატიოსანი, - მიუგო სანჩომ, - აგრე იყოს - კუნძული მომეცით და ვეცდები უმაქნისთა ჟინაზე ისეთი გუბერნატორი ვიყო, რომ პირდაპირ ცაში მოვექცე. სიხარბით კი არ მომდის, რომ ჩემი ქობნახის დატოვება და დიდ სასახლეებში გამოჭიმვა მინდა, არამედ იმიტომ, რომ სურვილი მაქვს გავიგო, თუ რა გემოსია ეს გუბერნატორობა.

- თქვენ რომ ეგ ერთხელ მაინც იგემოთ, სანჩო, - უპასუხა ჰერცოგმა, - ყველა თითებს შიგ ჩაატანთ, ისეთი ტკბილი რამ არის - მბრძანებელი იყო და ხედავდეთ, რომ გემორჩილებიან, და როდესაც თქვენი ბატონი იმპერატორი გახდება, - და უეჭველიც არის, რომ გახდება, როგორც იმის საქმეებიდან ვხედავ, - მისი ბატონობიდან მოგლეჯა შეუძლებელი შეიქნება და გულში იმ დროს დაინანებს, რაც დროც იმპერატორად გახდომამდის დაკარგა.

- დიახ, სენიორ, - უპასუხა სანჩომ, - მე წარმოდგენილი მაქვს, რომ მბრძანებლობა და გამგებლობა ყოველთვის ყველაფრისა კარგია, თუნდაც ეს ცხვრის ფარაც იყოს.

- ჩვენ ორივეს ერთნაირი გემოვნება გვაქვს, სანჩო, - უთხრა ჰერცოგმა, - ყველაფერი გაგეგებათ და იცით, და იმედი მაქვს ისეთი კარგი გუბერნატორი იქნებით, როგორც თქვენი გონიერებიდან არის მოსალოდნელი. ახლა ამას თავი დავანებოთ. იცოდეთ, რომ ხვალ თქვენს საგუბერნატოროში წასვლა მოგიხდებათ. ხოლო დღეს გუბერნატორის შესაფერ ტანსაცმელს მიიღებთ და ყველა იმას, რაც თქვენს გასამგზავრებლად საჭიროა.

- როგორც გნებავთ, ისე ჩავიცვამ, - უთხრა სანჩომ, - მაგრამ რაც უნდა ჩამაცვან, მე მაინც სანჩო პასად დავრჩები.

- ეგ მართალია, - მიუგო ჰერცოგმა, - მაგრამ ტანისამოსი თანამდებობისა და მდგომარეობის შესაფერი უნდა იყოს, რადგან არ ივარგებდა, რომ კანონების მცოდნე მეცნიერს კარისკაცის ტანისამოსი ჩაეცვას, ანუ ჯრისკაცს - მღვდლის ტანისამოსი. თქვენ, სანჩო, ნახევრად მხედრისა და ნახევრად მეცნიერის ტანისამოსი გეცმებათ, ვინაიდან იმ კუნძულზე, მე რომ გაძლევთ, სამხედრო ხელოვნება თანაბრად ისევე საჭიროა, როგორც მეცნიერება და მეცნიერებაც - როგორც სამხედრო ხელოვნება.

- ჩემი მეცნიერება ძალიან მოიკოჭლებს, - უთხრა სანჩომ, - რადგან ანბანიც კი არ ვიცი, მაგრამ ისიც საკმაოა, რომ მეხსიერებში ქრისტე მაინც მყავს, რათა კარგი გუბერნატორი ვიყო. რაც სამხედრო ხელოვნებას და იარაღს შეეხება, რა იარაღსაც ხელში მომცემენ, მას დავიჭერ, ვიდრე არ დავეცევი და ღმერთი იყოს ჩემი შემწე.

- ყოველთვის ასეთი მაღალი მოსაზრებებით იხელმძღვანელე. ასეთი კარგი მეხსიერების პატრონი, სანჩო, - უთხრა ჰერცოგმა, არასოდეს არც ერთ შეცდომას არ ჩაიდენს.

ამ დროს დონ კიხოტიც შემოუერთდათ და, რა გაიგო, სანჩოს საგუბერნატოროში წასვლა ისე ჩქარა უხდებოდა, ჰერცოგის ნებართვით ხელი მოჰკიდა და თავის ოთახში წაიყვანა, რომ რჩევა-

დარიგება მიეცა, თუ როგორ მოქცეულიყო თანამდებობის შესრულებისას. ოთახში რომ შევიდნენ კარები ჩაიკეტა. სანჩო თითქმის ძალათ გვერდით მოისვა და დამშვიდებული ხმით უთხრა:

- ჩემო მეგობარო სანჩო ზენაარს უზომოდ ვმადლობ, რომ ბედმა ჩემზე ადრე შენ გაგიღიმა და ესოდენ დიდი წარმატება გარგუნა. მე ვიმედოვნებდი, ჩემდა მონიჭებული ღვთის სიუხვეთა ნაწილით შენი სამსახური დამეჯილდოვებინა, მაგრამ ვხედავ, რომ კეთილდღეობისაკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადამიდგამს, შენ კი დროზე ადრე და ჩვეულებრივი ანგარიშის წინააღმდეგ შენს სურვილს უკვე დაგვირგვინებულს ხედავ. სხვები ქრთამებს აძლევენ, თავს აბეზრებენ, ევედრებიან, ადრინადად დგებიან, აზრები შეაქვთ, ძალას ატანენ და მაინც ვერ იღებენ იმას, რის მიღებასაც ცდილობენ. ამ დროს კიდევ სხვა გამოტყვერება და, არ იცის საიდან და როგორ, იმ თანამდებობას შოულობს, რა თანამდებობაც მრავალმა ბევრგვარი მეცადინეობით და შეჯიბრებით ვერ იშოვა. სწორედ ამ გარემოებისთვის ზედგამოჭრილადაა ნათქვამი: თანამდებობის მიღება და მიუღებლობა ბედზე არის დამოკიდებული. შენ, რომელსაც მე, ყოვლად უეჭველად, ჩლუნგი ჭკუის ადამიანად გთვლიდი, არც დილაადრიან დგები, არც ღამეებს ატარებ უძილოდ, ყოველგვარი შრომის გაუწევლად და მხოლოდ იმიტომ, რომ შენ მოგზაური რაინდობის სუნთქვა მოგკარებია, გაურჯელად, უზრუნველად შენს თავს, არც იქით, არც აქეთ, კუნძულის გუბერნატორად ხედავ. ჰოი, სანჩო! ყველა ამას იმიტომ გეუბნები, რომ შენდა ბოძებული წყალობა არაფერ დამსახურებას არ მიაწერო. ჯერ ზენას შესწირე მადლობა, რომ ასე ბედნიერად დაგაბინავა, და შემდეგ კი მაღლიერი იყავ მოგზაურ რაინდთა ორდენისა, რომელსაც, ესოდენი შემძლებლობა გააჩნია.

იმის რწმენად განამზადე შენი გული, რაც გითხარ, ჰოი, შვილო სანჩო, და შენი ახალი კატონის სიტყვა ყურადღივად, ვინაიდან მას სურს გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად და წინამძღვრად გვექმნეს, რათა, აზვირთებულ ზღვაში რომ ცურვას შეუდგები, უხიფათოდ გატაროს და უშიშარ ნავსადგურში შეგიყვანოს, რადგანაც მიღებული მაღალი თანამდებობა და ადგილი ყოველგვარი განსაცდელით აღსავსე დიდად ღრმა და ღურღუნვ მორევს მიემსგავსება.

პირველად ყოვლისა, შვილო ჩემო, ღვთისა უნდა გეშინოდეს; რამეთუ ღვთის შიში სიბრძნის დასაბამია, და, თუ ბრძენი იქნები, არასოდეს არ შეცდები.

მეორეც - თვალნი შენნი შენს თავს მიჰმართე, რათა გაიგო, რა ხარ, რაც საცოდნელად მეტად ძნელია. შენს თავს რომ იცხოვ, იმ ბაყაყვიით არ გაიბერები, ხარის ტოლად გახდომა რომ მოინდომა. და თუ ამას იზამ - ის გახსენება, რომ შენ შენს სოფელში მეღორე იყავ, შენი უმეცრების და ამპარტავნობის გაშლილ ბოლოს ფარშევანგის უშნო ფეხებად შეექმნება.

- ეგ მართალია, - მიუგო სანჩომ, - მაგრამ ღორების მწყემსი პატარა ბიჭობისას ვიყავ, მერე, როცა წამოვიზარდე ბატების მწყემსი ვიყავი და არა ღორებისა. მაგრამ, მგონია, საქმეს ეს არ შეეხება. ხომ მართალია, რომ სახელმწიფოს ყველა გამგე მეფის შთამომავლობიდან არ მომდინარეობს?

- მართალია, და ამიტომაც ვინც დიდი გვარეულობიდან არ შთამომავლობს, მისდა მინიჭებულ დიდ ხარისხს თავმდაბლობა და ღმობიერი ხასიათი უნდა შეუერთოს, - უპასუხა დონ კიხოტმა. - ღმობიერი ხასიათი, გონივრულად მოხმარებული, ბოროტი ენების გესლსა და ცილისწამებას აიცდენს. უამისოდ კი გესლისა და ცილისწამებისგან ვერავითარი პატივი ვერ დაგიფარავს. შენი მდაბალი შთამომავლობით იამაყე, სანჩო, ნუ და გეთაკილება, რომ გლეხის

შთამომავალი ხარ; რაკი დაგინახავენ, რომ შენ ეს არ გეთაკილება, მაშინ სხვაც არავინ შეგარცხვენს. ყველაზე მეტად ფასი იმას დასდე, რომ კეთილმოქმედი და ღარიბი ხარ, და არა იმას, რომ წარჩინებული ცოდვილი იყო. ბევრს, დაბალი შთამომავლობისას, მიუღწევია პაპისა და იმპერატორის უმაღლეს ხარისხამდე. ამაზე იმდენი მაგალითის მოყვანა შემიძლია, რომ მოსმენა მოგეწყინოს.

გახსოვდეს, სანჩო, თუ საშუალებად კეთილმოქმედებას აირჩევ და შეიძლებ, კეთილი საქციელით იამაყო, მაშინ შენ იმათი შესაშურებელი არა გექნება რა, ვისაც თავის წინაპრად პრინციბი და დიდი კაცები ჰყოლია, რადგანაც სისხლი დაიმკვიდრების, ქველმოქმედება კი მოიპოვების, და ქველმოქმედებასაც თავისთავად ისეთი ფასი აქვს, რომ სისხლი მას ვერ შეედრება.

რაკი ყველაფერი ასეა, და მართლაც ასეც არის, როცა შენს კუნძულზე იქნები, ვინიცობაა შემთხვევით ვინმე ნათესავმა გინახულოს, ნუ უარყოფ მას და ნუ აწყენინებ, პირიქით, მიუალერსე, მიესალამე და წვეულებაც გაუმართე, პატივი ეცი, ამით შენ ღვთის ნებას შეასრულებ და იმასაც, რასაც ბუნების ბრძნული კანონი გავალბებს - არც ერთი მისი ქმნილება არ უნდა გძულდეს.

ცოლი თუ შენთან მიიყვანო, (რადგან ხანგრძლივი ვადით თანამდებობაზე მყოფი მთავარ მმართველის დიდხანს უცოლოდ ყოფნა არ ვარგა), ასწავლე, გაანათლე, ძალა დაატანე, ეცადე, რომ მისი ბუნებითი უხეშობა მოქნა და გაწმინდო, ვინაიდან, რასაც გონიერი გუბერნატორი მოინაგრებს, იმას რეგვენი და გაუთლელი დედაკაცი დაკარგავს და გაანიავებს.

ვინიცობაა დაქვრივდე (შეუძლებელი არა არის რა) - და შენი თანამდებობის შესაფერი თანამგზავრი აირჩიო, ისეთს ნუ შეირთავ, რომ მოტყუების იარაღად, ანკესად გაგიხდეს, - და შემდეგ სულ ასე ჩაგჩინებდეს: - შენზე უმჯობეს ქმარს კი ვიშოვი, - თუ არ გაივსე კაპიუშონი; რადგან, ჭეშმარიტად გეტყვი მე შენ, ყველა იმ ქრთამისათვის, რასაც მსაჯულის ცოლი აიღებს, მის პასუხს ქმარი საშინელ სამსჯავროზე გასცემს, და სიკვდილის შემდეგ ერთიორად გადაიხდის იმას, რასაც სიცოცხლის ჟამს ყურადღებას არ აქცევდა.

საკუთარი, თვითნებური კანონებით ნურასოდეს ნუ იხელმძღვანელებ, როგორც უმეცარნი ჩადიან, თავიანთი თავი რომ ყოვლის გამჭვრეტი ჰგონიათ.

ღარიბ ღატაკთა ცრემლებმა შენს გულში მეტი თანაგრძნობა მოიპოვოს, ვიდრე მდიდრის საჩუქრებმა. მაგრამ თანაგრძნობა სამართლიანი უნდა იყოს.

ეცადე ყველაფერში ჭეშმარიტება აღმოაჩინო - როგორც მდიდრის დაპირებასა და საჩუქრების დროს, ისე ღარიბ-ღატაკთა ქვითინსა და მოსაწყენ მუდარის დროს.

როდესაც მიუდგომლობა მსხვერპლს მოითხოვს, დამნაშავეს თავს სასტიკი კანონის რისხვას მთლად ნუ დაატეხ: სასტიკი მსაჯული ღმობიერ მსაჯულზე უმჯობესი არ არის.

თუ მართლმსაჯულების კვერთხის დახრა დაგჭირდეს, ეს ჩაიდინე არა საჩუქრების იძულებით, არამედ შებრალების იძულებითა.

თუ ოდესმე შენი მტრის საჩივრის განხილვა მოგიხდეს, დაივიწყე შენი პირადი მტრობა და უსიამოვნება და მხოლოდ იმაზე იფიქრე, თუ ვის მხარეზეა სიმართლე.



სხვისი საქმის გარჩევის ჟამს პირადი ჟინით თვალს ნუ აიხვევ, მარტო სიმართლე გახსოვდეს, რადგან უფრო ხშირად გაუსწორებელ შეცდომას ჩაიდენ და მათი გასწორება შესაძლოა - ეს შენგან დამსახურებული ნდობის და შენი ქონების ხარჯით მოგიხდეს.

თუ სამართლის მისაღებად შენთან ლამაზი ქალი მოვიდეს, მის ცრემლებს თვალი მოარიდე და მისი ოხვრის გასაგონად ყური დაიცვი და მოცლილ დროს კარგად გაარჩიე მისი თხოვნა, თუ არ გინდა შენი გონება ცრემლებში ჩაიხრჩოს და შენი პატივი იმისმა ოხვრამ გააქარვოს.

როდესაც დამნაშავეს საქმით დასჯა მოგიხდეს, სიტყვით წყენას ნუ მიაყენებ, რადგან უბედურისთვის სასტიკი სიტყვების დაუმატებლად დასჯის ტანჯვაც საკმარისია.

როდესაც ბრალდებულის განსჯა მოგიხდეს, უცქირე მას, ვითა საწყალ ადამიანს, ჩვენი გარყვნილი ბუნების ყოველგვარი სისუსტის პატრონს, და, რამდენადაც შეიძლება, მეორე მხარისადმი წყენის მიუყენებლად, შებრალებით და ლმობიერად მოეკიდე, რადგან, თუმცა ყველა თვისება, რასაც ღმერთს მიაწერენ, თანასწორია, მაინც ლმობიერება ჩვენს თვალში უფრო მეტად ბრწყინავს და ელვარებს.

თუ, შენ, სანჩო, ამ წესებს მიჰყვები, შენნი დღენი ხანგრძლივი იქნებიან, შენი დიდება - საუკუნო, ჯილდო - აღურაცხელი, ბედნიერება - უღვეელი. შენს შვილებს ნაკლებობა არაფერში ექნებათ; შენს შვილებს და შვილთაშვილებს პატივი და მაღალი ხარისხი არ მოაკლდებათ; შენ მშვიდად და ხალხის პატივით გარემოცული იცხოვრებ და სიცოცხლის უკანასკნელი ნაბიჯების ჟამს ღრმა და მშვიდ მოხუცობაში სიკვდილი მოგველინება და შენნი შვილისშვილისშვილნი თავიანთი მოსიყვარულე ნაზი ხელებით თვალეებს დაგიხუჭავენ. რაც აქამდის გელაპარაკე, სანჩო, სულის დამამშვენებელი დარიგება იყო; ახლა ის დარიგება მომისმინე, რაც შენს სხეულს დაამშვენებს.

### თავი XLIII

რჩევა-დარიგებათა მეორე ნაწილი, დონ კიხოტმა სანჩო პანსას რომ მისცა

ვინც ახლა დონ კიხოტის ზემოხსენებულ რჩევა-დარიგებას გაიგონებდა, ისეთი ვინ იქნებოდა, რომ გონიერ და კარგი აზრების მქონე კაცად არ ეცნო იგი. მაგრამ, როგორც ამ დიდ ისტორიაში არა ერთხელ არის ნათქვამი, ჩვენს რაინდს გზა მაშინ აერეოდა და ბოდვას მოჰყვებოდა ხოლმე, როდესაც მისი საუბარი რაინდობას შეეხებოდა. ყველა სხვა შემთხვევაში მისი ლაპარაკი სადი გონებისა და ჭკვიანი კაცის ლაპარაკი იყო, ისე, რომ მისი საქციელი ყოველ ნაბიჯზე მის განუსჯელობას ეწინააღმდეგებოდა, ხოლო მისი განუსჯელობა მისი საქციელის ნდობას გვარგავდა. მაგრამ, სანჩოს რომ მეორე ნაწილი რჩევა-დარიგება მისცა, აქ მან მახვილგონიერების დიდი წადილი გამოიჩინა და თავისი განუსჯელობაც და უგუნურებაც უმადლეს ხარისხამდის მიიყვანა. სანჩო მას დიდი ყურადღებით უსმენდა და ცდილობდა - მისი რჩევა დაეხსომებინა, რადგან იმ რჩევის მეოხებით იმედი ჰქონდა თავისი გუბერნატორობის ფეხმძიმეობისაგან ადვილად განთავისუფლებულიყო. ხოლო დონ კიხოტი ასე განაგრძობდა:

- რაც შეეხება, სანჩო, იმას, თუ საკუთარ შენს თავს და შენს ოჯახს როგორ უნდა გამგეობდე, ყველაზე უწინარეს - ვალად გდებ, რომ სუფთად იყო, ფრჩხილები დაიჭრა ხოლმე, ძალიან გრძლად არ გამოუშვა, როგორც ამას ზოგიერთნი, ბინძურნი და წუნწკლიანნი თავისი

უმეცრებით სჩადიან, წარმოუდგენიათ რა, ვითომ დიდი ფრჩხილები ხელებს ამშვენებდეს, და იმას კი ვერ მიმხვდარან, რომ მართლა ფრჩხილებს კი არა, ხვლიკებზე მონადირე ქორცქვითას ჭუჭყიან ბრჭყალებს იზრდიან. ეს ფრიად ღორული და სამაგელი ჩვეულებაა. მასთან, ჩემო სანჩო, უქამროდ, ბინძურად და ბელეშად ნურასოდეს ნუ ივლი; სიბინძურე, ბელეშობა და დაუდევრობა ზარმაცი კაცის ნიშანია, თუ, რასაკვირველია, განზრახ არ არის, როგორც იულიოს კეისარზე ფიქრობენ.

შენს თანამდებობას მაჯა კარგად გაუსინჯე, რომ გაიგო - შენს წილად რის მოცემა შეუძლია, და თუ დაინახო, რომ შენი მსახურების ლივრეებით შემოსვა შეგიძლია, ლივრეები ჩააცვი, მაგრამ მდიდრული და ბრჭყვიალა ფერისა კი არა, არამედ სუფთა, მაგარი და მოხერხებული შეუკერე და შენს მსახურებს და ღარიბებს გაუნაწილე. მე ამით ის მინდა გითხრა: თუ ექვსი მსახურის ჩაცმა-დახურვა მოგიხდეს, სამი პაჟი შემოსე და სამიც ღარიბი. ასე, პაჟები ზეცაშია ცეცოლებიან და დედამიწაზედაც. ამ ახალი წესით მსახურების შემოსვას განუსჯელი და პატივმოყვარე ხალხი ჯერ ვერ მიხვედრილა.

ხახვსა და ნიორს ნურასოდეს ნუ სჭამ, რომ სუნმა შენი გლახური უხეშობა არ გასცეს.

აჩქარებით ნუ ივლი, დამშვიდებით ილაპარაკე, მაგრამ ისე კი, არა, თითქოს შენს ლაპარაკს ყურს შენვე უგდებდე, რადგან ყოველგვარი ყოყლოჩინობა ცუდზე უცუდესია...

სადილზე ცოტა ჭამე, ვახშამზე უფრო ცოტა, - რადგან მთელი სხეულის კარგამყოფობა ჩვენი კუჭის სამჭედლოში იწრთობა და იჭედება.

სმაში ზომიერება იქონიე, გახსოვდეს, რომ გადამეტებით დალეულმა ღვინომ არც საიდუმლოს შენახვა იცის, არც დაპირებულის აღსრულება.

ეცადე, სანჩო, საჭმელი ორი ყბით არასოდეს არა ღეჭო და, ნურავის წინ ნუ ერუტარებ.

- სიტყვა ერუტარი არ მესმის რა არის, - უთხრა სანჩომ.

დონ კიხოტმა უპასუხა:

- ერუტარი, სანჩო, ბოყინია, და ესპანურ ენაზე ერთ-ერთი ყველაზე უსამაგლესი სიტყვაა, თუმცა ლამაზი გამოსათქმელიცაა. ამიტომ განათლებულმა ხალხმა ლათინურ სიტყვას მიმართა და ბოყინისა მაგიერ ერუტარს ხმარობს, "დაბოყინების" ნაცვლად - ერუტაციას. და თუ ვინმე ამ სიტყვას ვერ გაიგებს, რა უშავს, რომ ამ სიტყვის ხშირი თქმა საზოგადო ხმარებაში შემოიტანოს, შემდეგ ის ადვილი გასაგები შეიქმნება და მას ენის გამდიდრება ეწოდება.

- მართალი რომ მოგახსენოთ, სენიორ, - მიუგო სანჩომ, - მაგ სიტყვას უთუოდ დავიხსომებ და ვეცდები თქვენი რჩევა ავასრულო, რადგან წამდაუწუმ ბოყინი ვიცი.

- ერუტარი-თქო, სანჩო, "ბოყინს" ნუ ამბობ, - გაუსწორა დონ კიხოტმა.

- ამას იქით ერუტარს ვიტყვი, - მიუგო სანჩომ, - და არც დამავიწყდება.

- აგრეთვე, სანჩო, რიგი არ არის ყოველ ლაპარაკში ისე ბლომად გაურიო ანდაზა, როგორც შენ მოგდგამს, რადგან, თუმცა ანდაზები მოკლედ გამოთქმული ზნეობრივი სწავლაა, მაგრამ შენ იმათ ისე ხშირად სწვდები თმაში, რომ შენი პირიდან გამოსულნი უფრო სისულელეს ჰგვანან, ვიდრე მოკლედ გამოთქმულ ჭეშმარიტებას.

- მაგაში ღმერთიც შემეწიოს, - უთხრა სანჩომ. - რა ვქნა, რომ ჩემს თავში უფრო მეტი ანდაზებია, ვიდრე წიგნში, და დავიწყებ თუ არა ლაპარაკს, პირში იმდენი გროვდება, რომ იქიდან ჩქარა გამოსასვლელად ერთ ალიაქოთს ასტეხენ ხოლმე. მაგრამ ამიერიდან ვეცდები მარტო ისეთი ანდაზები ვთქვა, როგორც ჩემი დიდი ხარისხისთვის უფრო შესაფერი იქნება, რადგან: რომ მისცე და გქონდეს - ჭკუა უნდა გქონდეს; რომელ სახლშიც სიუხვეა, იქ ვახშამი არავის აცდევინებს; როდესაც საქონელს ხელსაყრელ ფასად ყიდიან, ვაჭრობა საჭირო აღარ არის; ვინც ზარს რეკავს, ის ხანძრის ჩასაქრობად როდი მიდის.

- ეგრე, ეგრე, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - აბლანდე, ააგე, ჩაურთე, ერთმანეთზე ასხი ანდაზები, არავინ დაგაკვებს: დედა მე მშოლტავს, მე ჩემს ბზორილას ვშოლტავო. მე გეუბნები, ანდაზებს წარამარა ნუ ამბობ-მეთქი, შენ კი ანდაზების მთელი ტვირთი დაახვავე და იმდენადვე უადგილოდ და შეუსაბამოდ, რამდენადაც ძროხას უნაგირი უხდება. გამიგონე, სანჩო, მე როდი ვამბობ, რომ თავის ალაგას ნათქვამი ანდაზა ცუდი იყოს, მაგრამ მათი ერთმანეთზე ასხმა და წარამარა უადგილოდ თქმა საუბარს ასუსტებს, ასამაგლებს.

ცხენით რომ გზად მიდიოდე, უნაგირის უკანა ტახტაზე გადაზნექით ნუ დაჯდები და ფეხებსაც ხის ფხებივით ცხენის მუცლიდან შორს გაფშევილად ნუ დაიჭერ, არამედ ცხენის ფერდებს მაგრა შემოუჭირო. აგრეთვე ნურც ისე დუნედ და ტომარასავით დაჯდები, რომ შენს ვირზე ჯდომას ჰგავდეს, რადგან ცხენით სიარული ზოგს რაინდად ზრდის, ზოგსაც მეჯინიბედ.

ზომიერი ძილი იცოდე, რადგან, ვინც მზესთან ერთად არა დგება, ის დღის მშვენიერებით ვერ ტკბება. გახსოვდეს, ჩემო სანჩო, რომ ბეჯითობა გამარჯვების წყაროა, ხოლო მის მოპირდაპირე - სიზარმაცეს - კეთილი განზრახვით დასასრულ მიზნამდის არასოდეს არ მიულწევია.

ახლა კი, სანჩო, მინდა უკანასკნელი რჩევა მოგცე. თუმცა ის რჩევა შენი სხეულის დამშვენიებას არ შეეფერება, მაინც სურვილი მაქვს კარგად დაიხსომო, რადგან, ვფიქრობ, ის რჩევა წინათ მოცემულ რჩევაზე არა ნაკლებ სასარგებლო იქნება შენთვის, სახელდობრ: შთამომავლობის შესახებ კამათში ნურასოდეს ნუ გაებმები; ეს მაინც ჰქენ - მათ ერთმანეთთან შედარებას მოერიდე, რადგან ექვს გარეშეა, რა შთამომავლობასაც ერთმანეთთან ადარებენ, ერთი უთუოდ საუკეთესო შთამომავლობა გამოვა, ხოლო მეორე მასზე მდარე, შენგან დამდაბლებული შეგიძულეებს, ხოლო ამაღლებული არაფრით არ დაგაჯილდოებს.

შენი ტანისამოსი უნდა იყოს: გრძელი შარვალი, გრძელი კამზოლი და იმაზე ცოტა გრძელი მოსასხამი, ხოლო გრეკუესკოს ჩაცმას ფიქრადაც ნუ გაიტარებ, რადგან იმისი ჩაცმა არც რაინდისათვის არის შესაფერი, არც გუბერნატორისათვის.

აი, სანჩო, ჯერ ხანად ეს რჩევა მიმოვიდა თავში; რჩევა-დარიგებას კვლავ კიდევაც მოგცემ, თუ შემატყობინებ, რა მდგომარეობაში იქნები.

- ჩემო სენიორ, - მიუგო სანჩომ, - კარგად მესმის, რომ თქვენმა მოწყალებამ რაც მითხარით, სულ კარგია, წმინდა და ჩემთვის სასარგებლოა, მაგრამ რაში გამოვიყენებ, თუკი ერთსაც ვერ დავიხსომებ? მართალია, ფრჩხილების დაჭრაზე და, თუ შემთხვევა მომეცა, მეორე ცოლის შერთვაზე რაც მიბრძანეთ, ის გოგრაში მაგრად ჩამერჭო, მაგრამ დანარჩენი აბდაუბდები და დომხალი - ახლაც აღარ მახსოვს და კვლავაც არ მეხსომება, როგორც შარშანდელი თოვლი არ მახსოვს. მაშ, თქვენო მოწყალება, შრომა გასწიეთ და ყველა ერთ ქალაქზე დამიწერეთ,

თუმცა არც კითხვა ვიცი და არც წერა, იმ დაწერილს ჩემს მოძღვარს მივცემ, რომ კარგად დაიხსომოს და, როდესაც საჭირო იქნება, თავში ჩამიჭედოს ხოლმე.

- ვაი, მე ცოდვილს! - თქვა დონ კიხოტმა. - რარიგად არ შვენიის გუბერნატორს წერა-კითხვის უცოდინრობა! ვაჰ, სანჩო, უნდა იცოდე, როდესაც კაცმა კითხვა არ იცის, ან ცაცია არის, ფიქრობენ, ის კაცი ან მეტად ღარიბია, ან მდაბიო ოჯახში დაბადებულია, ანუ კიდევ ისეთი გაფუჭებული და უზნეო ყოფილა, რომ მასზე ვერც კარგ მაგალითს ჰქონია გავლენა, ვერც კარგ ცხოვრებასო. წერა-კითხვის უცოდინრობა დიდი ნაკლია შენთვის და ნეტავი ის მაინც მოახერხო - შენი სახელის და გვარის მოწერა ისწავლო.

- ეგ კი ვიცი, - მიუგო სანჩომ, - მე რომ ჩვენი სოფლის მამასახლისი ვიყავი, მაშინ რამდენიმე ასოს გამოყვანა ვისწავლე, ისეთებისა, როგორსაც საპალნის ცალებზე ხატავენ, და მეუბნებოდნენ: ამ ასოებიდან შენი სახელი გამოდისო. ამასთან ვითვალთმაქცებ, ვითომ მარჯვენა ხელი დასახიჩრებული მაქვს და ჩემს მაგიერ ხელს სხვას მოვაწერინებ. ქვეყანაზე, თქვენო მოწყალეზე, სიკვდილის მეტს ყველაფერს აქვს საშველი; და როდესაც ხელში გუბერნატორის უფლება და კვერთხი მეჭირება და იქ ყველას მეფე და ღმერთი ვიქნები, რასაც მოვიწოდებ, იმას ვიზამ, - ჩემი სიტყვა კანონი იქნება. მით უფრო, რომ ვისაც მამა ალკალდი ჰყავს... და როდესაც გუბერნატორი ვიქნები, რაც ალკალდზე ბევრად დიდია, ამობრძანდნენ და თვალხუჭუნა მეთამაშონ, დამცინონ და ცილი დამწამონ, რადგან: გასაკრეჭად მოვლენ და გაკრეჭილები წავლენ. ვისაც ღმერთი სწყალობს, მის სახლში ყველა ღმერთზე ლაპარაკობს; მდიდარი კაცის ნათქვამი სისულელე ბრძნის ნათქვამად დადის; და როდესაც მდიდარი შევიქნები, გუბერნატორი გავხდები და მასთან წადილიც მექნება - უხვი ვიყო, მაშინ ჩემს ნაკლს ვედარავინ შეამჩნევს; ამბობენ, თაფლი გახდი და ბუზები შეგჭამენო. რამდენიც გაქვს, იმდენად ღირხარო, ამბობდა ხოლმე ბებიაჩემი. ვისაც საბატონო მამული აქვს, მას შურისძიებას ვერ მიაკარებ.

- ვაჰ, ღმერთმაც კი შეგაჩვენოს, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - სამოცი ათასმა ეშმაკმა წაგიღოს შენცა და შენი ანდაზებიცა. მთელი საათი ასხამდი მათ ერთმანეთზე და თითოეული მათგანი ახალ ახალ ტანჯვა-წამებას მაყენებდა. გარწმუნებ, ეგ ანდაზები ოდესმე სახრჩობელამდის მიგიყვანენ: მათ გამო შენი ხელქვეითნი კუნძულის გუბერნატორობას ჩამოგართმევენ, ანდა მათ შორის ამბოხება დაიწყება. ერთი მითხარ, შე ბრიყვო, სად პოულობ მაგდენს. ან როგორ უფარდებ საუბარს, შე უმეცარო? ერთი ანდაზის თქმა და იმისი მოხერხებულად შეფარდება რომ მიწოდდეს, ოფლით ისე გავიწურები, თითქოს წერაქვით მიწას ვთხრიდე.

- ღმერთს ვფიცავ, სენიო, ჩემო ბატონო, - შეესიტყვა სანჩო, - თქვენი მოწყალეობა თავს უბრალო რამეზე იწუხებს. მე რომ ჩემი ავლადიდებით ვისარგებლო, რომელ ეშმაკს უშლის რამეს? სხვა არა მაქვს რა, არავითარი ქონების პატრონი არა ვარ, მთელი ჩემი ქონება მხოლოდ ანდაზებია და კიდევ ანდაზები. და აი, ახლაც ენაზე ოთხი ანდაზა მომადგა და ოთხივე საეხლაოდ ისე ზედგამოჭრილია, როგორც მსხალი კალათისათვის, მაგრამ არ ვიტყვი, რადგან: "ვინც ცხოვრებაში მდუმარეა, მას სანჩო ეწოდება".

- მხოლოდ ის სანჩო შენ არა ხარ, - უთხრა დონ კიხოტმა, რადგან შენ არათუ კარგი დუმილი არ იცი, არამედ სადაგლადა ყბედობ და ლაზღანდარობ, არავის ანგარიშს არ უწევ. მაინც ნეტავი გამაგონა, ეგ რა ოთხი ანდაზაა, რომ ენაზე მოგადგა და საეხლაოდ ზედგამოჭრილია, რადგან,

რამდენიც უნდა ვჩხრიკო ჩემს მეხსიერებაში, - თუმცა ხსოვნა დიდი მაქვს, - მაინც ერთ ანდაზასაც ვერ ვპოულობ.

- ამაზე უკეთესი ანდაზები რომელიღაც იქნება, - მიუგო სანჩო, - "ორი სიბრძნის კბილს შუა თითს ნუ დასდებ"; "ჩემი სახლიდან მოუსვით, ჩემი ცოლისგან რა გინდათ?" ამაზე რა პასუხის გაცემა შეიძლება? "კოკას ქვა მოხვდება თუ ქვას კოკა, მანც ვაი კოკის ბრალი". ეს ანდაზები სწორედ ახლა სათქმელია, რადგან გუბერნატორს შეკამათება არავინ არ უნდა გაუბედოს, ანდა იმას, ვინც უფროსია, თორემ ცუდი საქმე დაემართება იმასაც, ვინც პირში ორი სიბრძნის კბილს შუა ანუ უკანა კბილებს შუა თითს ჩადებს, თუმცა სიბრძნე აქ არაფერ შუაშია, მხოლოდ კბილი კი იყოს და... დანარჩენს მნიშვნელობა როდი აქვს. იმასაც - ვინც იტყვის გამეცალე სახლიდან ჩემი ცოლისგან რა გინდაო. რაც კოკასა და ქვას შეეხება, ამას ბრმაც დაინახავს. ამიტომ თქვენო მოწყალეებავ, ვინც სხვის თვალში ბეწვს ხედავს, ჯობს - თავის თვალში ადრე დაინახოს, რომ იმაზე არა თქვან: მკვდარს თავმოჭრილისა შეეშინდაო და თქვენმა მოწყალეებამაც კარგად უწყის, რომ სულელმა თავისი სახლისა უფრო მეტი იცის, ვიდრე სხვის სახლში მცხოვრებმა ჭკვიანმა.

- არა, სანჩო, მაგაზე ვერ დაგეთანხმები, - მიუგო დონ კიხოტმა, რადგან სულელმა არც თავისი სახლისა იცის რამე, არც სხვისა, იმ მიზეზით, რომ უგუნურობის საძირკველზე გონების შენობას ვერ ააშენებ. მაგრამ ახლა ყველა მაგას თავი დავანებოთ, სანჩო, რადგან, თუ მმართველობას ცუდად გასწევ, ბრალი შენი იქნება, ხოლო სირცხვილი - ჩემი. მე მაინც ის მანუგეშებს, რომ ჩემი ვალი მოვიხადე, რამდენადაც კი შემიძლო, გულწრფელი და გონივრული რჩევა მოგეცი და ჩემი აღთქმა და დაპირებაც ავასრულე. იყოსმცა შენი ხელმძღვანელი ღმერთი და შენს გამგეობაში მფარველად გეყოს შენ. ხოლო მე იმ მოუსვენარი შიშისაგან დამიხსნას, რომ შენ მთელ კუნძულს ყირამალა გადააბრუნებ. ამის განრიდება შემიძლო, ოღონდ კი ჰერცოგისთვის მეთქვა, თუ ვინა ხარ და, რომ მთელი შენი სიმსუქნე და მთვლი შენი ზორბა გვამი ანდაზებით და გაიძვერობით გატენილი ტომარაა.

- ბატონო ჩემო, - შეესიტყვა სანჩო, - თუ თქვენს მოწყალეებას ჰგონია საგუბერნატოროდ არ ვვარგივარ, ახლავე უარს ვიტყვი, რადგან ჩემი სულის ერთ ფიორს უფრო მეტად ვაფასებ, ვიდრე მთელ ჩემს სხეულს; უბრალო სანჩოდაც კარგად გავატარებ ჩემს სიცოცხლეს - ხახვითა და პურით, როგორც გუბერნატორად - ყვერულებითა და კაკბებით. მით უფრო რომ, როცა გვძინავს, ყველანი თანასწორნი ვართ: დიდიცა და პადარაც, მდიდარიცა და ღარიბიც, ძლიერიცა და სუსტიც. და თუ თქვენი მოწყალეება ამას ჩაუკვირდება, დაინახავს, რომ გუბერნატორობის აზრი მხოლოდ თქვენ ჩამაგონეთ, რადგან კუნძულების გუბერნატორობისა ისე ცოტა რამ გამეგება, როგორც ღორს ფორთოხლის გემო, და თუ გგონიათ, როცა გუბერნატორი გავხდები, ეშმაკები თავისთან გამიღებენ, მაშინ მირჩევნია ისევე უბრალო სანჩო დავრჩე და სამოთხეში მთვექცე, ვიდრე გუბერნატორი გავხდე და შემდეგ ჯოჯოხეთში გადავბარგდე.

- ღმერთსა ვფიცავ, სანჩო, - შესძახა დონ კიხოტმა, - მარტო მაგ უკანასკნელი სიტყვებისათვის, ახლა, რომ თქვი, არათუ ერთი კუნძულისა, ათასი კუნძულის გუბერნატორობის ღირსი ხარ. შენ ბუნებითი მიდრეკილებები პატიოსანი გაქვს და მასთან კარგი გულის კაციც ხარ, ურომლისოდაც ვერავითარი მეცნიერება ვერას გიშველის: ღვთის ნებას მიანდე შენი თავი და ეცადე, პირველ განკარგულებაში არ შეცდე; ამით ის მინდა გითხრა, რომ გულში მუდამ მტკიცე და შეურყეველი სურვილი იქონიე - ყველა საქმეში, რაც კი ოდესმე შეგხვდება, სამართლიანი

იყო, რადგან ზენა კეთილ განზრახვათა მუდამ ხელის ამპყრობია. ახლა კი წავიდეთ, ვისადილოთ, მგონია, ჰერცოგი და მისი ცოლი კიდევ გველიან.

თავი XLIV

როგორ გაემგზავრა სანჩო პანსა კუნძულზე და უცნაური ფათერაკი, დონ კიხოტს ჰერცოგის დარბაზში რომ შეემთხვა

ამბობენ, ვითომც ამ ისტორიის დედანში წერია, სიდ ჰამეტი ამ თავამდის რომ მისულა, - რომელიც მთარგმნელს ისე არ გადაუთარგმნია, როგორც დედანში ყოფილა დაწერილი, - თავისი თავისათვის რაღაც ჩივილივით მიუმართავს, რომ მან ასეთ მშრალ და ვიწრო ჩარჩოში მოქცეულ ისტორიას მოჰკიდა ხელი, როგორც დონ კიხოტის ისტორიაა, რადგან მასში სულ მხოლოდ დონ კიოტზე და მის საჭურველმტვირთველზე უნდა მოეთხრო და გარეშე სხვა საყურადღებო და შესაქცევარი ამბების ჩართვა კი ვერ გაებედა. იგი ამბობდა, თუ გონება ხელი და კალამი მუდამ ერთი და იგივე საგნის აღწერაზე შრომობს და ორიოდ ადამიანის პირით უხდება ლაპარაკი, - მეტად აუტანელი შრომა არისო და მის ავტორს არავითარ სარგებლობას არ აძლევსო. და ეს უხერხულობა რომ თავიდან აეცილებინა, პირველ ნაწილში ოსტატურად ამბების მოგონებას მიმართა და შიგ რამდენიმე ნოველა ჩაურთო, სახელდობრ: "უგუნური ცნობისმოყვარე" და "ტყვედყოფილ კაპიტნის თავგადასავალი", რომელნიც მთავარი მოთხრობიდან მთლად განცალკევებულნი არიან. დანარჩენი ნაამბობი კი თვითონ დონ კიხოტს შეემთხვა, ამიტომაც მათი მიტოვება არ შეიძლებოდა. სიდ ჰამეტმა ისიც იფიქრა: ბევრნი თავიანთ ყურადღებას დონ კიხოტის გმირულ საქმეებს მიაპყრობენ (ამ ყურადღების ღირსნი კი არიან ისინი), ხოლო იმ ჩართულ მოთხრობებს ან საჩქაროდ ან უგულოდ გაიკითხავენ და არც მათ ხელოვნებას მიაქცევენ ყურადღებას, არც მათ სიმშვენიერეს, რაც უფრო დიდი ელვარებით გამოჩნდებოდა ცალკე რომ ყოფილიყვნენ გამოცემულნი და დონ კიხოტის უგუნურ გამოსვლებთან და სანჩო პანსას სისულელეებთან არა ყოფილიყვნენ გადაბმულნიო. ამგვარად ამ მეორე ნაწილში აღარ მოისურვა განცალკევებული რამ მოთხრობები ჩაერთო. მხოლოდ ისეთი შემთხვევები კი ჩაურთო, რა შემთხვევებიც თითქოს თვითონ მომხდარი ამბიდან გამომდინარეობდნენ და ასეთებიც კი - ძალიან მცირედი რიცხვით, - იმდენი მოკლესიტყვაობით, რამდენიც მათ ცხადად გამოსახატავად საჭირო იყო. ხოლო რაკი იგი იკრძალვის და მოთხრობის ვიწრო ფარგალში თავს იკავებს, თუმცა მთელი მსოფლიოს შესახებ მსჯელობის გასაწევად ჰკუაყა ჰყოფნის, ნიჭიცა და ცოდნაც, მაინც მოითხოვს - მის შრომას ნუ უგულვებლყოფენ და შეაქონ ის იმიტომ კი არა, რასაც წერს, არამედ იმის გამო, რის დაწერაზედაც თავი შეიკავა.

ამ სიტყვების შემდეგ სიდ ჰამეტი უბრუნდება თავის ისტორიას და ასე განაგრძობს: რა დღესაც დონ კიხოტმა სანჩოს დარიგება მისცა, სადილი გაათავა თუ არა, იმ საღამოს ის დარიგება თავის საჭურველმტვირთვლს დაწერილი ჩააბარა, რომ მის წასაკითხად მოეძებნა ვინმე მწიგნობარი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ის დაწერილი დარიგება სანჩომ მიიღო თუ არა, მაშინვე დაჰკარგა და იგი ჰერცოგს ჩაუვარდა ხელში. მან კიდევ თავის ცოლს გადასცა და ორნი დონ კიხოტის ჰკუაყასა და უჰკუობაზე ხელახლად გაჰკვირდნენ. და ასე, უნდოდათ რა თივიანთი ხუმრობა ხელახლად განეგრძოთ, ჰერცოგმა და მისმა ცოლმა სანჩო დიდი ამალით გაგზავნეს ერთ დაბაში, რომელიც სანჩოსათვის კუნძულად უნდა გადაქცეულიყო. ისე მოხდა, რომ ვისაც ეს საქმე ჩაბარებული

ჰქონდა, ჰერცოგის სახლთუხუცესი იყო, ძალიან ჰკვიანი და მახვილგონიერი კაცი (მახვილგონიერება კი ხომ უჭკუოდ არ შეიძლება), - და სწორედ ის, რომელმაც გრაფის ცოლი ტრიფალდი, როგორც უკვე ნაამბობია, სასიამოვნოდ წარმოადგინა. ასეთი ნიჭის პატრონმა და მასთანვე ჰერცოგის ცოლისაგან დარიგებულმა, თუ სანჩოს როგორ უნდა მოპყრობოდა, სახლთუხუცესმა თავისი დავალება მშვენივრად შეასრულა, სანჩომ რომ სახლთუხუცესის სახე დაინახა, გრაფის ცოლ ტრიფალდის მეტისმეტად მსგავსი, დონ კიხოტს მიუბრუნდა და უთხრა:

- სენიორ, ან ეშმაკებმა წამიღონ აქედან, ვით მორწმუნე და მართალი კაცი, ანდა თქვენი მოწყალება უნდა დამეთანხმოს, რომ ამ ჰერცოგის სახლთუხუცესის სახე სწორედ დონა დოლორიდას სახეა.

დონ კიხოტი სახლთუხუცესს ყურადღებით დააცქერდა და შემდეგ უთხრა:

- საჭირო არ არის, სანჩო, არც როგორც მართალი და არც როგორც მორწმუნე ეშმაკებმა წაგიღონ (თუმცა კი არ ვიცი - ამით რა გინდოდა გეთქვა), რადგან სახლთუხუცესის სახე პირწავარდნილი დოლორიდას სახეა. მაინც აქედან როდი გამომდინარებს, რომ სახლთუხუცესი იყო დოლორიდა. ის რომ ყოფილიყო, დიდი და უცნაური წინააღმდეგობა გამოვიდოდა, ახლა რომ მაგის გამოკვლევას შევუდგეთ, გაუვალ ლაბირინთში შეგვიყვანს, დამიჯერე, ჩემო მეგობართ, ჩვენთვის ახლა მეტად საჭიროა ჩვენს უფალს შევევედრნეთ, ჩვენ ორნი ბოროტი ჯადოქრებისაგან და საშინელი გრძნეულებისაგან რომ დავვიხსნა.

- ეგ მე ხუმრობისთვის როდი ვთქვი, - სენიორ, - შეესიტყვა სანჩო. - ეს-ეს არის მისი ლაპარაკი მომესმა, ისე მეგონა, ტრიფალდის ხმა მესმის-მეთქი... კარგი, ბატონო, დავრწმუნდები, მაგრამ მუდამ გულმოდგინედ თვალყურის დევნებას არ მოვიშლი, ეგებ ისეთი რამ კიდევ აღმოჩნდეს, ჩემი ეჭვი ან დაადასტუროს, ან გააქარვოს.

- სწორედ ეგრე უნდა მოიქცე, სანჩო, - უპასუხა დონ კიხოტმა, - და ყველაფერიც შემატყობინე ხოლმე, რასაც მაგ საგანზე გაიგონებ, და ყველაფერი ისიც მომწერე, რაც შენს გუბერნატორობაში შეგემთხვევა.

ბოლოს მსაჯულის ტანისამოსში გამოწყობილი, მუქ მიხაკისფერი ტალღოვანი კამლოტის განიერ მანტია წამოსხმული, თავზე წაბლისფერი ფათრათიონის შალის ქუდით, სანჩო მრავალრიცხოვანი ამაღის თანხლებით კუნძულს გაემგზავრა. იგი ჯორით მიდიოდა, მოკლეუხანგებიან უნაგირზე მჯდარი, ხოლო უკან, ჰერცოგის განკარგულებით, ახალი და მშვენიერი კურტნით მოკაზმული, აბრეშუმის სამაგრავეგადარებული ლურჯა მისდევდა. სანჩო ხანდაზმით უკან იხედებოდა, რომ თავისი ვირი დაენახა, და მასთან ერთად ყოფნით მიმავალს თავი ისე მოსწონდა, რომ თავის მდგომარეობას გერმანეთის იმპერატორობაზედაც არ გაცვლიდა. გამოთხოვებისას ჰერცოგს და მის ცოლს ხელზე ეამბორა; თვალეზე ცრემლმორეულმა დონ კიხოტმა დალოცა, ხოლო სანჩომ ის დალოცვა გულამოსკვნილი ტირილით მიიღო.

ახლა, საყვარელო მკითხველო, კეთილი სანჩო დაუტყვე, - დაე, ბედნიერად და მშვიდობით იმგზავროს; ხოლო შენ სულითა და გულით მხიარული სიცილისათვის მოემზადე და სწორედ ბევრს იცინებ და იხარხარებ, როდესაც გაიგებ, თუ როგორ ეწეოდა სანჩო თავის კუნძულზე გუბერნატორობას. მაგრამ კი ის ამბავიც ყურად იღე, რაც იმ ღამეს მის ბატონს შეემთხვა. თუ ის შენამთხვევი არ გაგაცინებს, ის მაინც იქნება - ტურქებს სასაცილო ღიმილი მაიმუნით

დაგიმანჭავს, რადგან დონ კიხოტის ფათერაკებს ადამიანმა ან გაკვირვებით, ან სიცილით უნდა სცეს პატივი.

და ასე, შემდეგ მოთხრობილია, რომ, სანჩო წავიდა თუ არა, დონ კიხოტმა თავისი სიმართლე იგრძნო და, რომ შესძლებოდა სანჩოს გუბერნატორად დანიშვნა გაეუქმებინა და უკან დაებრუნებინა, ამას, უეჭველად, კიდეც იზამდა. ჰერცოგის ცოლმა დონ კიხოტს მწუხარება რომ შეატყო, უთხრა, რაზე სწუხხარო? თუ სანჩოს წასვლა გაწუხებს, ჩემს სახლში იმდენი საჭურველმტვირთველი, დუენია და მოახლე მოიპოვება, რომ თქვენს სამსახურს და ყველა სურვილს სიამოვნებით ასრულებენო.

- მართალს ბრძანებთ, ჩემო სენიორა, - მიუგო დონ კიხოტმა, - სანჩოს მოშორება მაწუხებს, მაგრამ ჩემს სახეს რომ ნაღველს ამჩნევთ, იმისი უმთავრესი მიზეზი ის არ არის; ხოლო რაც შეეხება თქვენი მოწყალებისაგან შემოთავაზებულს, მე მხოლოდ კეთილ სურვილს ვკიდებ ხელს, როგორც იგინი არიან შემოთავაზებულნი, დანარჩენზე კი თქვენს უგანათლებულესობას ვემუდარები დამეთანხმოს და ნება მიბოძოს ჩემს ოთახში ჩემი თავი ჩემთავად განვაგო და ჩემს თავს სამსახური თვითონ მე გავუწიო.

- არა, სენიორ დონ კიხოტო, - უთხრა ჰერცოგის ცოლმა, - მაგაზე არ შეიძლება დაგეთანხმოთ, რადგან თქვენ ჩემი მოახლეთაგანი, ოთხი ვარდივით მშვენიერი მხევალი გაგიწევთ სამსახურს.

- ისინი მე ვარდებად კი არა, ასკილებად მექმნებიან, - უპასუხა დონ კიხოტმა, - და გულში ჩამერჭმიან. ის ქალები იქნებიან თუ სხვები, უმალ ფრენას შეიძლებენ, ვიდრე ჩემს ოთახში შემოსვლას. თუ თქვენს უმაღლესობას ნებავს თავისი წყალობა უწინდელეზრ მომაგოს, რაიცა არაფრით დამიმსახურებია, დამტოვეთ - ჩემს ნებაზე მოვიქცე და ნება მიბოძეთ ჩემი ოთახის კარებს იქით ჩემს თავს თვითონ მე ვემსახურო და მით ჩემს სურვილებსა და უმანკობას შორის ზღუდე დავდგა. იმ სიუხვის გამო, რასაც თქვენი დიდება მთავაზობს, ვერ ვინდომებ ჩემთ ჩვეულება დავარღვიო. ერთი სიტყვით, ვამჯობინებ - ჩაცმულმა დავიძინო, ვიდრე ტანთ გასახდელად ვინმე მივუშვა.

- კმარა, კმარა, სენიორ დონ კიხოტო, - შეაწყვეტინა ჰერცოგის ცოლმა. - არხეინად იყავით. ვუბრძანებ, თქვენს ოთახში ქალები კი არა, ბუზიც არ შემოუშვან. იმგვარი ადამიანი როდი ვარ, ჩემი მიზეზით ბატონი დონ კიხოტის უმწიკვლოებისა და კრძალულებას ზიანი მიადგეს და დაიბინდოს. ახლა კარგად ვხედავ, რომ მრავალ სათნოებითა შორის თქვენში მეტი ელვარებით უმანკობა ბრწყინავს, ტანთ გაიხადეთ და ჩაიცვით, როდესაც და როგორც მოგესურვებთ, თქვენი მომზირალი და დამშლელი არავინ იქნება. თქვენ ოთახში ყველა სამკაულს იპოვით, რაც კი შესაძლოა დასჭირდეს, ვისაც ჩაკეტილ ოთახში სძინავს და იძულებული არ არის ბუნებითი მოთხოვნილების გამო იგი გააღოს. ათას საუკუნეს იცოცხლოს დულისინე ტობოსელმა და მოეფინოსმცა მისი სახელი მთელ ქვეყანას, რადგან მან ესოდენ ღვაწლმოსილი და კდემამოსილი რაინდის სიყვარული დაიმსახურა, და კეთილმოწყალე ზენამ გააჩინოსმცა ჩვენს გუბერნატორ სანჩო პანსას სულში სურვილი - თავისი გამათრახება ჩქარა დაასრულოს, რათა სახელოვანი მანდილოსნის უბადლო სილამაზით ხელახლად დასტკბეს მთელი მსოფლიო.

ამაზე დონ კიხოტმა უპასუხა:



- თქვენი უმაღლესობის სიტყვები ყოველმხრივ შეეფერება თქვენს სიდიადეს, რადგან კეთილ და ღირსეულ მანდილოსანთა ბაგეთაგან არც ერთ დედაკაცზე ცუდი და ავი სიტყვა არ წარმოითქმის. დულსინე მით უმეტეს განითქვება და ბედნიერი შეიქმნება, რომ თქვენმა უმაღლესობამ იგი შეაქო - ყველა იმ ქების უაღრეს, როგორც წარმოთქმასაც კი შეიძლებდნენ დიდად მჭევრმეტყველნი ამა ქვეყნისანი.

- კმარა ქათინაურები, სენიორ დონ კიხოტო, - უპასუხა ჰერცოგის ცოლმა. - ახლა ვახშმის დროა და ჰერცოგიც, უეჭველია, მიგველის, გთხოვთ - პურის საჭმელო ოთახში გამომყვით; ხოლო ნავახშმევს დასაძინებლად ადრე წაბრძანდით, რადგან, წუხელის რომ კანდაიში მოგზაურობა მოგიხდათ, ისე მოკლე როდი იყო, არ დაღლილიყავით.

- დაღლილობას მაინც არა ვგრძნობ, სენიორა, - უპასუხა დონ კიხოტმა. - ფიცით შემძლია ვთქვა, რომ მთელ ჩემს სიცოცხლეში არსად მიმგზავრია ისე მსუბუქად მატარებელ ცხოველზე, როგორც კლავილენიო იყო. ვერ გამიგია, მალამბრუნო რას უნდა აეძულებინა, რომ ისეთ ჩინებულ და ფეხმარდ ცხენს შეეღია და დასწვა.

- უთუოდ ის ბოროტება შეინანა, რაც ტრიფალდის, მის ამაღას და სხვებს მიაყენა, - მიუგო ჰერცოგის ცოლმა. - თავისი ჯადოქრული ბოროტება რომ შეინანა, ალბათ უნდოდა თავისი გრძნეულების ყველა იარაღი შეემუსრა და, როგორც უმთავრესი მათგანი, კლავილენიო, დასწვა, რომლითაც იგი ერთი ქვეყნიდან მეორეში დაძრწოდა და ყველას მეტისმეტ მწუხარებას აყენებდა, ხოლო მისი ფერფლი და მალამბრუნოს წერილი, ნადავლივით დატოვებული, სამარადჟამოდ იქნებთან დიდი დონ კიხოტ ლამანჩელის სახელისა და ღირსების დამადასტურებელნი.

დონ კიხოტმა ვახშამი გაათავა თუ არა, ჰერცოგის ცოლს ხელახლად მადლობა გადაუხადა და თავის ოთახში წავიდა, - და რომ ვინმე გაჰყოლოდა მას სამსახურის გასაწევად, ამაზე დიდი უარი თქვა, რადგან ძალიან ეშინოდა მიზეზი არ მისცემოდა რაიმე შემთხვევას გაეხედვინებინა ან ძალა დაეტანებინა - უმანკოებისათვის ეღალატა, რასაც თავისი მიჯნური ქალის დულსინე ტობოსელის პატივისათვის იცავდა. ამ მხრივ მოგზაური რაინდობის ყვავილი და სარკე რაინდი ამადისი ედგა მუდამ თვალწინ და მას ბაძავდა. ოთახში შესვლისას კარები ჩაიკეტა, ორი ცვილის სანთლის შუქზე გაიხადა და, პაჭიჭ-წინდას რომ იხდიდა (ჰოი, უბედურებავ, ასეთი კაცისაგან დაუმსახურებელი!), - გულიდან რაღაც ამოჰსქდა, არცთუ ოხვრა იყო, არც სხვა რამ ისეთი, რომ მის ზნეობრივ სისუფთავეზე ეჭვის მიტანა ყოფილიყო შესაძლო. - მხოლოდ ეს იყო: მის პაჭიჭ-წინდაზე ორიოდე ათეული თვალი ჩაცვივნილიყო და დაცხრილულ დარაბას დამსგავსებოდა. ჩვენი კეთილი სენიორი მეტისმეტად შეწუხდა და დიდი ხალისით ერთ უნცს ვერცხლს მისცემდა ვისმე, რომ მისთვის ერთი დრახმი მწვანე აბრეშუმის ძაფი მიეცა, - მწვანე აბრეშუმისას იმიტომ ვამბობ, რომ მისი პაჭიჭ-წინდა მწვანე ფერისა იყო. აქ ბენენჰელი, განაგრძობს რა ამბავს, შესძახებს:

"ჰოი, სიღარიბევ, სიღარიბევ! არ ვიცი, დიდი კორდოველი პოეტი რა მიზეზმა აიძულა, როცა მოგიწოდა:

ო, წმინდა ჯილდოვ, შენ ვერავინ ვერ დაგაფასა!

თუმცაღა მავრი ვარ, მაინც მას აქეთ, რაც ქრისტიანებთან ერთობა მქონდა, კარგად ვიცი, რომ წმიდანობა მდგომარეობს გულკეთილობაში, თავმდაბლობაში, სარწმუნოებაში, მორჩილებასა

და სიღარიბეში. მაინც ყველა ამასთან ვიტყვი, ადამიანს ღმერთთან სიახლოვე ბევრ რიგად უნდა ჰქონდეს, რომ თავისი სიღარიბით კმაყოფილი იყოს, თუ ეს იმგვარი სიღარიბე არ არის, რომელზედაც ერთმა უდიდესმა წმიდანმა თქვა: "ყველა საგანს ისე ფლობდე, თითქოს არც კი ფლობო", ესე იგი - ეგრეთ წოდებულ სულიერ სიგლახაკესო; მაგრამ შენ, მეორე გვარის ჩვეულებრივო სიღარიბეც (სახელდობრ, რომელსაც მე ვამბობ), რად რჩეობ უფრო მეტად იდაღოები და წარჩინებული გვარის ხალხს დაატყდე თავს, ვიდრე სხვებს, რად აიძულებ მათ თავიანთი ფეხსაცმელები თვითონ შეითითხონ და ისე ახერხებენ, რომ მათი კამზოლის ღილები ზოგი აბრეშუმისაა, ზოგი ძუისა და ზოგიც შუშისაა? მათი საყელოები მეტწილად არც გატყვეილია, არც გახამებული, არც ნაოჭებიანი" (რაც ამტკიცებს, რომ ღია, ნაოჭებიანი და გახამებული საყელოს ხმარება დიდი ხნიდანვეა შემოღებული). და ბენენჰელი განაგრძობს: "ვამ იმ აზნაურს, რომელიც თავის პატივს და ღირსებას ცოტაოდენ ხარკს უხდის, კარმიხურულ ოთახში უხეიროდ ნასადილევი, კბილების გაჩიჩქნის თვალთმაქცურად მიმხმარე, ქუჩაში გამოდის და კბილებს იჩიჩქნის, თუმცა პირში ერთი ლუკმაც არ ჩაუდვია. ვამ-მეთქი, ვამბობ, იმას, ვისაც იმდენად დამფრთხალი და შეშინებული პატივი და ღირსება აქვს და თანაც ჰგონია, ვითომც ერთი ეჯის სიმორიდანვე ჩანს მის ფეხსაცმელზე დაკერებული ჯღანი, მის ქუდზე ოფლი, მოსასხამზე ნაჩვრეტები და მის კუჭში შიმშილი".

ყველა ეს ფიქრი მოადგა დონ კიხოტს, როდესაც პაჭიკ-წინდაზე ჩაცვივნილი თველები დაინახა, და თავი იმით ინუგემა, რომ სანჩოს მისთვის თავისი ყელიანი წაღები დაეტოვებინა, და სახვალიოდ მათი ჩაცმა გადაწყვიტა. დასასრულ ლოგინში ჩაწვა დაღონებული და დაფიქრებული ჯერ იმიტომ, რომ სანჩო თან არა ჰყავდა, მეორეც იმიტომ, რომ მის პაჭიკ-წინდას საშველი არ ჰქონდა; დიდი ხალისით გაჰქნესავდა თუნდა სხვაფერი აბრეშუმის ძაფით, რაც ლატაკი იდაღოს სიღარიბის მკაფიო ნიშანია. სანთლები ჩააქრო, მაგრამ სიცხის გამო ვერ დაიძინა. ლოგინიდან ადგა, მშვენიერი ბალისაკენ გადასახედი სერსეროიანი სარკმელი ცოტად გააღო და, რომ აღებდა, იგრძნო და შენიშნა, რომ ბაღში ვიღაც დასეირნობდა და ლაპარაკობდა. ყურადღებით დაუწყო მოსმენა, ბაღში მყოფთაც ხმა აიმაღლეს, ისე, რომ მათი ლაპარაკის გარჩევა შეეძლო და შემდეგი სიტყვები მოესმა:

- ნუ მთხოვ, ემერენსია, ვიმღერო რამე. ხომ იცი, იმ წამს აქეთ, რაც ჩვენ ციხე-დარბაზში ეს უცხოელი გაჩნდა და ჩემმა თვალებმა იგი დაინახეს, სიმღერის გუნებაზე აღარა ვარ, მხოლოდ სულ ტირილი მინდა; მით უფრო არ შემიძლია ვიმღერო, რომ ჩემმა ქალბატონმა ფრთხილი ძილი იცის, მე კი მთელი ქვეყნის საუნჯის გამოც კი არ ვინდომებ ჩვენთვის აქ მოესწრო. ვთქვათ კიდევ, რომ მაგრად სძინავს და არ გაიღვიძებს, რისთვის ვიმღერო, თუ ამ ახალ ენეასს, ჩემს სასაცილოდ ასაგდებად ამ მიდამოში რომ გადმოვარდნილა, არ გაეღვიძება და ჩემს სიმღერას არ მოისმენს?

- მაგაზე ნუ სწუხხარ, მეგობარო ალტისიდორა, - მიუგო მეორემ, - უეჭველია, ამ სახლში ახლა ჰერცოგის ცოლსაც და ყველასაც სძინავს შენი გულის მბრძანებელს და შენი სულის აღმაშფოთებელს გარდა, რადგან ეს-ეს არის სერსეროიანი სარკმელი გააღო, მამასადამე, არა სძინავს. იმდერე, ჩემო საბრალოვ, ტკბილ-ნაზი ხმით, ქნარის აყოლებით. თუ ჰერცოგის მეუღლე შენს მღერას გაიგონებს, ეს შეხუთული და ცხელი ღამე მოვიმიზებოთ.

- ვაჰ, ემერენსია, საქმე ეგ როდია, - მიუგო ალტისიდორამ, - საქმე ის არის, რომ არ მინდა ჩემმა სიმღერამ ჩემი გულისნადები გაამჟღავნოს და მათ, ვისთვისაც სიყვარულის ძლიერი ძალა

გაუგებარია, ქარაფშუტა და თავშეუკავებელ ქალად ჩამთვალონ. მაგრამ რაც იყოს - იყოს: გულის ჭრილობას სახეზე სირცხვილის ფერადი სჯობია.

ამ სიტყვების შემდეგ ქნარს ძალიან ნაზი ხმები ამოაღებინა.

ეს რომ დონ კიხოტს მოესმა, განცვიფრდა, რადგან მაშინვე თავში გაუელვა დაუსრულებელმა სიმრავლემ სერსეროიანი სარკმელებისამ, ბაღებში მღერამ, სიყვარულის გამოცხადებამ, გულშეღონების ფათერაკებმა, რაც თავის ბედშავ, თავბრუდამხვევ სარაინდო წიგნებში ჰქონდა წაკითხული. მაშინვე წარმოიდგინა, რომ ჰერცოგის ცოლის რომელიმე მოახლეს შეჰყვარებია იგი, მაგრამ მოკრძალება აიძულებს ეს თავისი სიყვარული საიდუმლოდ შეინახოს. ეშინოდა - მოხიბვლას ვერ გაუძლებდა, მაგრამ ფიქრში გადაწყვიტა არ დაძლეულიყო. და ასე, სრული სულით და გულით მიენდო რა თავის სენიორა დულისინე ტობოსელს, გადაწყვიტა მუსიკა მოესმინა, და რომ მათთვის გაეგებინა, რომ სარკმელთან იდგა, განგებ ცხვირი დააცემინა, რამაც ქალები ძალიან გაახარა, რადგან მხოლოდ ის უნდოდათ, დონ კიხოტს მათი სიმღერა მოესმინა. ალტისიდორამ ქნარი მომართა და შემდეგი რომანსი დაამღერა:

შენ, როლიც ლოგინში ხარ,

ჰოლანდიურ ზეწრებში ხარ,

და სიამით განისვენებ

საღამოდან რიჟრაჟამდე,

ვინც ლამაზში დაბადებულ

ყველა გმირზე მამაცი ხარ,

ვინც არაბულ ბაჯალოზე

ძვირფასი და ლამაზი ხარ,

გთხოვ, უსმინო ქალწულს ტანადს,

ბედკრულსა და შესაბრალისს,

ო, მას სულში ჩანთებია

შუქი შენი ორი მზისა.

თუმც დიდებას ეძებ შენთვის,

სხვას წუხილით აჯილდოებ,

მწარედ ჰგმირავ და არც ფიქრობ,

მიაწოდო მას წამალი.

დაე, ღმერთი გმფარველობდეს,

თქვი, ჭაბუკო გულმედგარო,

რად შობილხარ, ლიბიაში  
თუ თვით ხაკას მწვერვალებზე?  
შენ გველებმა გამოგკვებეს,  
თუ აღმზრდელნი შენი სულის  
იყვნენ კლდენი საშინელნი  
და უღრანნი დაბურულნი?  
შეუძლია დაიქადოს,  
თქვას ლამაზმა დულსინეამ,  
მან ავაზა ულმობელი,  
რომ გახადა თვინიერი.  
მას ამიტომ ხოტბას ეტყვის  
ენარესი და ხარამა,  
ტახო და მანსანარესი,  
პისუერგა და არღანსა.  
რომ ადგილი შემიცვალოს,  
დულსინეას მივცემ სართად  
კაბას ოქროსფოჩებიანს,  
სხვა კაბებზე უბრწყინვალესს.  
მინდა ვიყო შენს მკლავებში,  
ან შენს გვერდით ვიწვე მხოლოდ,  
თავის კოსროს ნაზად გფხანდე,  
და ფრჩხილებით მკბენარს ვკლავდე!  
მაგრამ არ მაქვს მე უფლება  
ამ დიდების ღირსი ვიყო.  
მოშეც, ფერხნი დაგიზილო,  
ესეც მეყოს სიხარულად.  
ჰოი, რამდენს გიბოძებდი

შენ ატლასის შარვალს, წინდას,  
ვერცხლისფერსა სავარცხელსა,  
ტილოს ძვირფას მოსასხამებს.  
ანდა რამდენ მარგალიტსა,  
თხილზე მცირეს, იშვიათსა,  
ქვეყნად "ოზლად" წოდებულსა.  
რადგან არ მყავს არსად ტოლი.  
შენ ტარპეის მაღალ კლდიდან  
ჩემს დამწველ ცეცხლს ნუ დასცქერი,  
ნუ აღვივებ მძვინვარებით,  
ო, ნერონო ლამანჩელო!..  
ჯერ ნორჩი და პატარა ვარ,  
ვერ თხუთმეტი წლისაც არ ვარ,  
თოთხმეტს ცოტა გადავცილდი,  
ამას ღმერთიც დამიმოწმებს.  
არ ვარ კოჭლი, მაიმახი,  
მაქვს ხელებიც წესიერი,  
თმებიც, მსგავსი შროშანასი,  
თვით მიწამდე დაშვებული.  
თუ მაქვს ცხვირი მიჭყლეტილი,  
ბაგეც ოდნავ ჩახეული,  
კბილი ტოპაზიონისა  
სამოთხისებრი იერს მამლევს.  
ჩემი ხმა კი, შენც ხომ გესმის,  
არის მეტად საამური.  
ტანადობით - შუა ტანის,  
თან არცა ვარ შუა ტანის.

სილამაზით აი რა ვარ,

ვინც შენ დასჭერ კაპარჭითა

ვარ მსახური ამა კოშკის,

მე თვით ალტისიდორა ვარ.

სიყვარულით მძიმედ გულდაკოდილმა ალტისიდორამ ამით დაასრულა, ხოლო მისით ცდუნებულმა და მოხიბლულმა დონ კიხოტმა, ერთი ღრმად ამოიოხრა და შეშფოთებულმა გაიფიქრა:

- ო, რა უბედური მოგზაური რაინდი ვარ, რომ არც ერთ ქალს არ შეუძლია ისე შემომხედოს, რომ არ მოიხიბლოს. რა სამწუხარო ბედისაა უბადლო დუღსინე ტობოსელი, რომ დამშვიდებით და მხოლოდ მარტო მას არ შეუძლია ჩემი უმაგალითო ერთგულებით დასტკბეს! მეფის მეუღლენო, რა გინდათ მისგან? იმპერატორების მეუღლენო, რისთვის სდევნით მას? რისთვის ტანჯავთ მას, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ქალწულნო? აცადეთ, აცადეთ იმ უბედურს, იმ ბედით იზეიმოს, გაიხაროს და დასტკბეს, რაც ამურმა არგუნა მას ჩემი გულისა და სულის დამონებითა და დასაკუთრებით. იცოდე, ჩემზე შეყვარებულ ქალთა ბრბოვ, რომ მხოლოდ დუღსინესთვის ვარ ცომივით რბილი, მხოლოდ მისთვის ვარ შაქრის კუპატი, ხოლო ყველა დანარჩენისთვის მე ტალი ვარ; მისთვის თაფლი ვარ, თქვენთვის - ალოეს წვენი. ჩემთვის მარტოდენ დუღსინეა - მშვენიერი, გონიერი, კეთილზნეობიანი, ნარნარი და დიდი გვარისა; ხოლო ყველა დანარჩენი - გონჯები, სულელები, ქარაფშუტები და მდაბიო შთამომავლობისანი არიან. მას ვეკუთვნოდე და სხვას არავის - ბუნებამ ქვეყნად ამისთვის გამომგზავნა. დაე, ალტისიდორამ იტიროს თუ იმღეროს, დაე, სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს ის ბანოვანი, რომლისთვისაც მოხიბლული მავრის ციხე-დარბაზში მიმბეჭეს; ასე თუ ისე მე დუღსინე უნდა ვეკუთვნოდე და ვიქნები კიდეც მისი, მოხარულიც, შემწვარიც, სუფთა, კეთილად ზრდილი და უმანკო, - მთელი ქვეყნიერების ყველა ჯადოქრული ძალის ჟინაზე.

და ამ სიტყვებთან სარკმელი ხმაურით მიახეთქა და აღელვებული და შეწუხებული, თითქოს დიდი უბედურება დამირთიაო, ლოგინში ჩაწვა; ჩვენც ცოტა ხანს იგი იქ დავტოვოთ, რადგან დიდგული სანჩო პანსა გვიხმობს, თავის სახელოვან საგუბერნატოროში შესვლის დიდი მოსურნე.

თავი XLV

თუ როგორ მიიღო სამფლობელოდ დიადმა სანჩო პანსამ თავისი კუნძული და როგორი წესით დაიწყო მისი მართვა-გამგებლობა

ჰეი, შენ, მარადიულო მოთვალთვალევი ანტიპოდებისავ, მსოფლიოს ჩირაღდანო, თვალო ზეცისავ, შენ, ტკბილო ამამომრავებელო კანტიმპლორებისავ, აქ ტიმბრიო, იქ თებო, ხან მოისარო, ხან მკურნალო! პოეზიის მამავ, მუსიკის შემოქმედო; შენ, რომელიც მუდამ ამოდიხარ, მაგრამ, თუმცა ჩამავლად გვეჩვენები, მაინც არაოდეს არ ჩადიხარ! შენ მოგმართავ, ჰოი, მზეო, ვისი დახმარებით ადამიანი ადამიანს აჩენს, შენ მოგმართავ, დამეხმარო, ჩემი გონების წყვდიადი განანათლო, რათა დიდი სანჩო პანსას გუბერნატორობის ამბავი

დაწვრილებით ვთქვა, რადგან უშენოდ ჩემს თავს სუსტად, გაუბედავად და შეშფოთებულად ვგრძნობ...

ამგვარად, სანჩო პანსა მთელი თავისი ამალით ერთ დაბაში მივიდა, სადაც სულ ათასიოდე მცხოვრები იყო და ჰერცოგის ერთ-ერთ საუკეთესო დაბად ითვლებოდა. მას მოახსენეს, კუნძულს ბარატარია ეწოდებოდა, რადგან ან მართლა ეს სახელი ერქვა, ანდა ამ სახელით უნდოდათ გამოეხატათ ის ამბავი, თუ რა ადვილად იშოვა სანჩომ გუბერნატორობა. ეს კარგად არაა ცნობილი. კედელშემოვლებულ ქალაქის ჭიშკართან სანჩოს დაბის საბჭო მიეგება ზარების რეკვით და მცხოვრებთა სიხარულის ყიჟინით. დიდი ზეიმით მიიყვანეს ტაძარში და იქ პარაკლისს შემდეგ სხვადასხვა სასაცილო ცერემონიებით ქალაქის გასაღები ჩააბარეს და კუნძულ ბარატარიის უცვლელ გუბერნატორად აღიარეს. ახალი გუბერნატორის ტანსაცმელი, წვერი, სიმსუქნე და დაბალი ტანი ყველას აკვირვებდა, ვინც ამ ამბის ალიან-ჩალიანი არ იცოდა, და თითქმის იმათაც კი, ვინც ეს იცოდა, - ასეთები ბლომად იყვნენ. დასასრულ, სანჩო ტაძრიდან გამოიყვანეს, მსაჯულის სავარძელთან მიიყვანეს, ზედ დასვეს და ჰერცოგის სახლთუხუცესმა უთხრა მას:

- ამ კუნძულზე, სენიორ გუბერნატორო, ძველთაგანვე ერთი ჩვეულება არსებობს: ყველა, ვინც მის მართვას იწყებს, ვალდებულია ერთ მისდა მიმართულ, ცოტა არეულ და დახლართულ კითხვაზე უპასუხოს. მისი პასუხის კვალობაზე ხალხი ახალი გუბერნატორის ნიჭს და უნარს გამოსცდის და იმის მიხედვით ან გაიხარებს ან მწუხარებას მიეცემა.

სახლთუხუცესი ამას რომ ამბობდა, სანჩო თავის პირდაპირ კედელზე დაწერილ მსხვილ ასობს სინჯავდა და, რაკი კითხვა არ იცოდა, იკითხა: იმ კედელზე რა სურათებია?

- იქ, ბატონო, წერია და აღნიშნულია დღე, როდესაც თქვენი მოწყალება ამ კუნძულის მმართველად შემოვიდა, - უპასუხეს მას, - და იგი წარწერა ამბობს: "დღეს, ამა და ამ რიცხვში ამა და ამა თვესა და წელს კუნძულის მფლობელობა დაიწყო სენიორმა დონ სანჩო პანსამ. დასტკბესცა იგი ამით მრავალჯამიერ".

- ვის ეძახიან ამ დონ სანჩო პანსას? - ჰკითხა სანჩომ.

- თქვენს მოწყალებას, - უპასუხა სახლთუხუცესმა, - რადგან ამ კუნძულზე სხვა სანჩო პანსა არავინ მოსულა იმის გარდა, ვინც ახლა ამ სავარძელში ზის.

- თუ ეგრეა, ჩემო ძმაო, - უთხრა სანჩომ, - იცოდეთ, რომ ჩემს გვარში არავის რქმევია დონი. მე მარტო სანჩო პანსა მქვია, მამაჩემსაც სანჩოს ეძახდნენ და პაპაჩემსაც. ყველა ჩემი წინაპარი პანსა იყო, ყოველგვარი დონისა და ზედონების დაუმატებლად. როგორც ვხედავ ამ კუნძულზე დონები რიყის ქვაზე უმრავლესნი არიანი. მაგრამ კმარა. ღმერთია ჩემი გულთამხილავი და, თუ ჩემი გუბერნატორობა ოთხიოდე დღეს გაგრძელდა, მაგ დონების გამარგვლას მოვახერხებ. ეგ დონები თავიანთი სიმრავლით ადამიანს კოლოებზე უარესად აბეზრებენ თავს. ახლა კი სენიორმა სახლთუხუცესმა თავისი კითხვა მომცეს, მეც, როგორც შევიძლებ - ხალხის სასიხარულო იქნება თუ სამწუხარო - ვუპასუხებ.

იმ წამს სამსაჯულო დარბაზში ორი კაცი შემოვიდა: ერთი გლეხად ჩაცმული, მეორე - თერძად, რადგან ხელში მაკრატელი ეჭირა. თერძმა თქვა:

- სენიორ გუბერნატორო, მე და ეს გლეხი თქვენს მოწყალებასთან იმ მიზეზით მოვედით, რომ გუშინ ეს კეთილი კაცი ჩემს სახელოსნოში მოვიდა, (რადგან აქ დამსწრეთა ნებადართვით ნაფიცო ოსტატი თერძი ვარ, კურთხეულ იყოს სახელი უფლისა!), მაუდის ნაჭერი მომიტანა და მკითხა: სენიორ, ამ ნაჭრიდან ქუდი გამოვაო? - მაუდი გავზომე და ვუთხარი, გამოვა-მეთქი. ალბათ, როგორც მგონია, წარმოიდგინა და მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, - რომ იმ მაუდის ნაწილის მოპარვა მინდოდა, - უეჭველია, ეს იფიქრა, - ბოროტი გულისა იყო და თერძებსაც საზოგადოდ ცუდი სახელი აქვთ; ამიტომ ხელახლად მითხრა, კარგად გამეზომა, იქნება ორი ქუდი გამოსულიყო. მივუხვდი აზრს და ვუპასუხე: დიახ, ორიც გამოვამეთქი, ის კი თავისი შეჩვენებული ექვიანობის ცხენს უფრო და უფრო მიაქროლებდა, სულ თითოობით უმატებდა ქუდს, მე კიდევ სულ ჰოს ვეუბნებოდი, ვიდრე ხუთ ქუდამდის მივიდოდა. იმ ქუდებისთვის დღეს მოვიდა, მეც ვამღევ ყველას და ხელფასსა ვთხოვ, ეს კი არც ქუდებს იღებს, ხელფასზედაც უარს მეუბნება და თავის მაუდს უკან მთხოვს.

- მართალს ამბობს, ძმობილო? - ჰკითხა სანჩომ გლეხს.

- დიახ, სენიორ, მართალი გახლავთ, - მიუგო გლეხმა. - უბრძანეთ, თქვენო მოწყალება, გაჩვენოთ, რა ქუდები შეკერა.

- სიამოვნებით ვაჩვენებ, - მიუგო თერძმა, თავისი მოსასხამიდან ხელი გამოიღო და ხუთი, თითზე ჩამოცმული, პატარა ჩაჩი აჩვენა. - აი, ის ხუთი ჩაჩი, ეს კეთილი კაცი რომ მთხოვს. ღმერთსა და ჩემს სინდისს ვფიცავ, მაგისი მაუდის ერთი გოჯიც არ დამრჩენია, და ხელობის გასასინჯად ხელოსნების ზედამხედველს წარვუდგენ.

ამ ჩაჩების სიმრავლეზეც და დავის უცნაურობაზე ყველა დამსწრეს გაეცინა, ხოლო სანჩომ რამდენიმე წამს მოისაზრა და უპასუხა:

- მე მგონია ამ დავის გადაწყვეტა დიდი ხნის მოფიქრებას არ საჭიროებს. საღი გონებით ახლავე შეგვიძლია განვსაჯოთ და აი ჩემი განჩინება: თერძი ხელფასს ჰკარგავს, გლეხი - მაუდს, და ეს ქუდები საპყრობილეში დაპატიმრებულთა სასარგებლოდ გადაიცემა - მორჩა და გათავდა.

თუ სანჩო ამის შემდეგმა განაჩენმა მწყემსის ქისის შესახებ დამსწრეთა გაკვირვება გამოიწვია, ამ განაჩენმა კი ყველას სიცილი მოჰგვარა, მაგრამ გუბერნატორის გადაწყვეტილება შესრულებულ იქნა. ამის შემდეგ მის წინ ორი ხანშიშესული კაცი წარმოდგა. ერთს ხელში ლერწმის ჯოხი ეჭირა, ხოლო მეორე უჯოხო იყო. ამ უჯოხომ თქვა:

- ბატონო გუბერნატორო! აი, ამ კეთილ კაცს ამ რამდენიმე ხნის წინ ათი ოქრო ვასესხე, ამის დახმარება მინდოდა და კეთილი საქმე ჩავიდეინე, - იმ პირობით - როცა მოვთხოვდი, უნდა გადაეხადა. დიდი ხანი გავიდა, რომ ის ფული ამისაგან არ მომთხოვია, არ მინდოდა უფრო დიდ გაჭირვებაში ჩამეგდო, ვიდრე მაშინ იყო, როდესაც მე ამას ის ფული ვასესხე. მაგრამ, რაკი ვხედავდი, რომ ჩემი ვალის გადახდაზე არაფერს ზრუნავდა, ერთხელ და რამდენჯერმე ჩემი ფული მოვთხოვე. მაგრამ ეს არათუ არ მამღევს ფულს, პირიქით, მეუბნება - ჩემთვის ფული არასოდეს არ მოგიციაო და, თუ მოგიცია, დიდი ხანია გადახდილი მაქვსო. მე არც იმის მოწმე მყავს, რომ ფული ვასესხე, არც იმისი, რომ დამიბრუნა, რადგან სულაც არ დაუბრუნებია. თუ ფიცქვემ იტყვის, რომ ვალი დამიბრუნა, მზადა ვარ ჩემს ფულზე ხელი ავიღო - აქაც და ღვთის წინაშეც.

- რას იტყვი ამაზე, კეთილო ხელჯოხიანო ბერიკაცო? - ჰკითხა სანჩომ.



- ვალიარებ, სენიორ, - მიუგო ხელჯოხიანმა, - რომ ამან ნამდვილად მასესხა ფული, მაგრამ, თქვენო მოწყალეზავ, კვერთხი დაუშვით, რადგან, რაკი ფიცს მთხოვს, მზადა ვარ დავიფიცო, რომ ნამდვილად და სწორედ ის ფული ამას უკანვე დავუბრუნე.

გუბერნატორმა კვერთხი დაუშვა, ხოლო მოხუცმა ჯოხი მეორე მოხუცს გადასცა, ვიდრე ფიცს იტყოდა, თითქოს ის ჯოხი დაფიცებას დაუშლიდა; შემდეგ კვერთხის ჯვარს ხელი დაადო და დაიფიცა: მისგან ნამდვილად ვალად ათი ოქრო მივიღე, რასაც ახლა მთხოვსო, მაგრამ ის ფული მე ხელიდან ხელში უკვე ჩავაბარე და ახლა გულმავიწყობის გამო მეორედ მართმევსო.

ეს რომ დიდმა გუბერნატორმა მოისმინა, ფულის მიმცემს ჰკითხა: მოვალის პასუხზე რას იტყვიო? მან უპასუხა: ალბათ მოვალე მართალს ამბობს, რადგან პატიოსან და კარგ ქრისტიან კაცად ვიცნობო, - იქნებ მე დამვიწყებია, ფული სად და როდის დამიბრუნაო. ამიტომ ამას იქით აღაროდეს არაფერს მოვთხოვო. ამას შემდეგ ჯოხი პატრონს დაუბრუნა და თავჩაღუნული დარბაზიდან გავიდა.

სანჩომ მომჩივნის მორჩილება და მოვალის სიტყვის დაუძვრელად წასვლა რომ ნახა, თავი ჩაჰკიდა, მარჯვენა ხელის სალოკი თითი წარბებზე მოისვა, მერე ცხვირზე მიიღო, რამდენიმე ხანს ასე დარჩა. შემდეგ თავი მაღლა აიღო და უბრძანა - ჯოხიანი ბერიკაცი დაებრუნებინათ. ბერიკაცი რომ დაბრუნდა, სანჩომ უთხრა:

- კეთილო კაცო, ეგ ჯოხი აქ მომეცი, ჩემთვის საჭიროა.

- ინებეთ, თქვენო მოწყალეზავ, მიუგო ბერიკაცმა და ჯოხი სანჩოს მისცა.

სანჩომ ჯოხი გამოართვა, მომჩივან ბერიკაცს გადასცა და უთხრა:

- წადი, ჩემო მეგობარო, შენი ფული მიღებული გაქვს.

- როგორ თუ მიღებული? - ჰკითხა მოვალემ. განა ეს ჯოხი ათ ოქროდ ღირს?

ღირს, - მიუგო გუბერნატორმა, - თუ არა და - მაღლს ქვეყანაზე დიდი სულელი ვყოფილვარ! ახლავ ნახავთ ნიჭი მაქვს თუ არა მთელი სამეფოს გამგებლობისა.

ეს თქვა და უბრძანა, აქვე, ყველას თვალწინ ჯოხი გაეტეხათ და შუაზე გაეხეთქათ. ჯოხი გახეთქეს და შიგ თითო ესკუდოიანი ათი ოქრო იპოვეს. ყველა მეტისმეტად განცვიფრდა და თავიანთი გუბერნატორი ახალ სოლომონ ბრძენად აღიარეს. რომ ჰკითხეს სანჩოს, როგორ გაიგე, ათი ოქრო იმ ჯოხში უნდა ყოფილიყო, - უპასუხა: მოვალემ რომ ვალის პატრონს ჯოხი მისცა და, მანამ ფიცს იტყოდა ხელში დააჭერინა, ხოლო, როცა ფიცი გაათავა, ჯოხი ისევ უკან გამოართვა, ფიქრმა გამიელვა, რომ ფულები იმ ჯოხში უნდა ყოფილიყო. აქედან უნდა დავასკვნათ, - განაგრძო სანჩომ, - რომ, ვინც გუბერნატორობს, თუნდაც ჩლუნგი გონებისაც იყოს, ზოგჯერ მის მართვა გამგეობაში ღმერთი არის მისი ხელმძღვანელიო. ამას გარდა ერთი ამის მსგავსი ამბავი ჩემი სოფლის მღვდლისგან მაქვს მოსმენილი და ისეთი კარგი მეხსიერების პატრონი ვარ, ყველა იმას, რის დახსომებაც მსურს, არ ვივიწყებო. უკეთესი მეხსიერების პატრონი მთელ კუნძულზე არ მოიპოვებაო.

ამგვარად ერთი ბერიკაცი შერცხვენილი წავიდა, მეორემ თავისი ფული მიიღო, ხოლო დამსწრენი გაოცებულნი დარჩნენ; და ის, ვინც სანჩოს სიტყვას, მოქმედებას და ქცევას სწერდა, გადაწყვეტას ვერ ახერხებდა - სანჩო გონიერ კაცად ეცნო თუ უგუნურად.

ეს დავა გათავდა თუ არა, სამსჯავროში ერთი დედაკაცი შემოვიდა, თან მდიდარი მეჯოგის მსგავსად ჩაცმული კაცი მაგრად ჩაბლუჯული შემოიყვანა და ხმამაღლა ყვიროდა:

- მართლმსაჯულება, სენიორ გუბერნატორო, მართლმსაჯულება! თუ მას დედამიწაზე ვერ ვიპოვი, მის საძებნელად ცაში წავალ. სენიორ, ჩემი სულის გუბერნატორო! აი, ეს ბოროტი კაცი შუა მინდორში დამეცა და ჩემი სხეულით ისარგებლა, ისე, თითქოს ჭუჭყიანი ჩვარით: და ვაიმე უბედურს! უმაქნისმა საუნჯე მომტაცა, ოცდასამ წელიწადს რომ ვინახავდი და ვიცავდი - მავრებისაგან, ქრისტიანებისაგან, უცხოებისა და ჩვენინებისაგან და მუდამ ისე მაგრად და მტკიცედ ვიყავი როგორც მუხა, და ჩემი თავი ისე უმწიკვლოდ დავიცავი, როგორც ცეცხლში სალამანდრა რჩება უვნებელი, და თავი ისე შევინახე განა იმისთვის, რომ ეს ყაჩაღანა მოსულიყო და თავისი ჭუჭყიანი ხელებით ჩემს ტანს შესაგინებლად შეხებოდა.

- ჯერ გამოკვლევაა საჭირო - ამ არშიყ კაცს ჭუჭყიანი ხელები აქვს თუ არა, - თქვა სანჩომ. მერე მას მიუბრუნდა და ჰკითხა:

- ამ ქალის ბრალდებაზე რას იტყვი?

ხოლო მთლად არეულმა მწყემსმა აკანკალებული ხმით უპასუხა:

სენიორ, მე ერთი საწყალი მელორე გახლავარ. დღეს დილით აქედან გავედი და ოთხი, უკაცრაული პასუხია, ღორი გავყიდე; ხვადასხვა ხარკისა და ბეგარას გადახდის შემდეგ მცირეოდენი ფული დამრჩა. უკან რომ დავბრუნდი გზაზე ეს პატივსაცემი დუენია შემხვდა და ეშმაკმა, ყველას არევას და დახლართვას რომ ცდილობს, ისე მოგვმართა, რომ მე და ამან დრო გავატარეთ. რაც ერგებოდა მივეცი, მაგრამ არ იკმარა, ყანყრატოში მწვდა და, მანამ აქ არ მომიყვანა, არ მომეშვა. ამბობს, ვითომც ძალა მეხაროს. ვფიცავ და მზადაცა ვარ, ფიცი მივიღო, რომ ცრუობს. ყველა ეს სიმართლით მოგახსენე და ერთი ბეწვა სიცრუე არ გამირევია.

მაშინ გუბერნატორმა ჰკითხა იმ მწყემსს: თან ვერცხლის ფული გაქვს თუ არაო. მწყემსმა უპასუხა: ტყავის ქისაში ოციოდე დუკატი მექნება, უბეში მიძევსო. - სანჩომ უბრძანა, ისჩქისა ფულით მომჩივანი დედაკაცისთვის მიეცათ და იმანაც მთლად აკანკალებულმა ბრძანება აღასრულა. დედაკაცმა ქისა გამოართვა, ყველას გარშემო ათასჯერ თავი დაუკრა, გუბერნატორის დღეგრძელობისთვის ღმერთს შეევედრა, რომ ასე მზრუნველობს ღარიბ-ობოლთა და უმწეო ქალებისათვის და სამსჯავროდან გახარებული გავიდა. თან ქისა მაგრად ჩაბლუჯული ეჭირა, უმაღ კი გასინჯა, შიგ რა იყო. ის რომ გავიდა სანჩო მომტირალ და ქისისკენ თვალებდარჩენილ მწყემსს უთხრა:

- კეთილო კაცო, იმ ქალს გამოუდექი და, როგორც იყოს, ძალით ქისა წაართვი და ორნიც ისევ ჩემთან მოდიო.

ვისაც ეს უთხრა სანჩომ, სულელი და ყრუ როდი იყო, მაშინვე წამოხტა და სამსჯავროდან ელვასავით გავარდა. დამსწრენი გაკვირდნენ და ამ დავის დასასრულს მოუთმენლად ელოდნენ. რამდენიმე ხანს უკან მწყემსი და დედაკაცი, უწინდელზე უფრო მეტად ერთმანეთთან ჩაბლუჯულნი, დარბაზში შემოვიდნენ. დედაკაცს კაბის კალთაში გახვეული ქისა გულზე მაგრად მიეკრა, მწყემსი კი იმის წართმევას მთელი ძალ-ღონით ცდილობდა, მაგრამ ვერასგზით ვერ ართმევდა, ხოლო დედაკაცი ყვიროდა:

- ღვთისა და ხალხის წინაშე - მართლმსაჯულება! - ხედავთ, თქვენო მთწყალეზავ, სენიორ გუბერნატორო, ამ ბოროტი კაცის უსინდისობა და თავხედობა სადამდის მივიდა? დღისით, ქუჩაში, ხალხის წინ უნდოდა, ქისა წაერთმია, თქვენმა მოწყალეზავმ რომ ჩემთვის მოცემა უბრძანა.

- მერე, წაგართვა? - ჰკითხა გუბერნატორმა.

- როგორ თუ წამართვა? როგორ წამართმევდა? უმაღლეს სიცოცხლეს დავთმობდი, ვიდრე ქისა! რა ბავშვი მნახეთ! სხვა უფრო მარჯვე კატუნების მოსევვა ჩემზე საჭირო და არა ასეთი დაბდურისა და ჩოღოთისა. გაზებით, ჩაქურებით, სატეხებით და ლომის ბრწყალეზავითაც ამ ქისას ხელიდან ვერ წამგლეჯდნენ; იმას უფრო შეიძლებდნენ, სხეულიდან სული ამოეგლიჯათ, ვიდრე ეს ქისა ხელიდან გავუშვა.

- მართალს მოგახსენებთ, - თქვა მწყემსმა - და მეც ჩემი თავი ძლეულად და დაღლილად აღმირებია; ამის ხელიდან ქისის წართმევის ღონე არა მაქვს. დაე მას დარჩეს.

ეს თქვა და დედაკაცს ჩამოეცალა.

- მაჩვენე ეგ ქისა, პატოსანო, ღვაწლმოსილო მანდილისანო. - უთხრა სანჩომ.

დედაკაცმა ქისა დაუყოვნებლივ მისცა, ხოლო გუბერნატორმა ის ქისა მწყემსს გადასცა და დედაკაცს უთხრა:

- ჩემო დაო, თქვენ იმისი ნახევარი ძალა რომ გეხმარათ, რაც ამ ქისის შერჩენისათვის იხმარეთ, და ისევე გაბედულად და მედგრად დაგეცვათ თქვენი სხეული, როგორც ის ქისა დაიცავით, მაშინ თქვენს ძალით გაუპატიურებას თვითონ ჰერკულებს ვერ შეიძლებდა. გასწით აქედან და ამ კუნძულზე და მის მიდამოში ექვსი მილის მანძილზე აღარავინ გნახოთ, თორემ ორასი მათრახის დარტყმით დაისჯებით. ახლავე წადით აქედან, - გეუბნებით, ურცხვო, მატყუარავ და გაიმვერავ!

დედაკაცი შეშინდა, თავჩაღუნული და შეწუხებული წავიდა, ხოლო გუბერნატორმა მწყემსს უთხრა:

- წადით, კეთილო კაცო, თქვენს სოფელში და თქვენი ფულები შინ მიიტანეთ და, თუ გინდათ შეგრჩეთ, ნულარავის, ვინც უნდა იყოს, ნუ გაეთამაშებით.

მწყემსმა გუბერნატორს მეტად უშნოდ მადლობა გადაუხადა და წავიდა, ხოლო დამსწრენი ახალი გუბერნატორის განაჩენით და გადაწყვეტილებით კვლავ განცვიფრდნენ. სანჩოს ყველა ეს მოქმედება მისი მემატანისაგან დაწვრილებით აღინიშნა და დაუყოვნებლივ ჰერცოგს წარედგინა, რომელიც მოუთმენლად ელოდა ამ ცნობებს.

მაგრამ ახლა აქ კეთილი სანჩო დავტოვოთ, რადგან ალტისიდორას სიმღერით შემფოთებულ მის ბატონთან წასვლას ვეშურებით.

ევენებიანი კატების საშინელი ალიაქოთი, გამიჯნურებულ ალტისიდორასთან სიყვარულის ახსნის დროს დონ კიხოტს რომ შეემთხვა

ჩვენ დონ კიხოტი შეყვარებული ქალწულის ალტისიდორას მუსიკისაგან გამოწვეული აზრების დეღვა-ტეხვაში დავტოვეთ. იმ აზრებით ლოგინში ჩაწვა, მაგრამ ის აზრები თითქოს რწყილებად გადაექნენ და ერთ წამსაც არ დაადინეს და არც მოასვენეს; ამას გაცვეთილ წინდებზე ზრუნვაც დაერთო და მით მოუსვენრობაც გაუორკვედა. მაგრამ, რადგან დრო სწრაფად წარმავალია და ისეთი ზღუდე არ არსებობს, რომ მისი შეჩერება შეეძლოს, ამიტომ საათები ჭენებით მიჰქროდნენ და ჩქარა გათენებაც დაიწყო. და ამას რომ თან დღევ მოჰყვა, დონ კიხოტმა რბილი ლოგინი დატოვა, თავისი მუშის ტანისამოსით მარდად მოირთო და, წინდის ბედშობა რომ დაეფარა, საგზაო ყელიანი წაღები ჩაიცვა, ზევიდან კამკამწითელი მოსასხამი წამოისხა, თავზე ბუზმენტით მორთული მწვანე ხავერდის ქუდი დაიხურა, მხარილღივ ყაწიმით თავისი ერთგული ბასრი მახვილი ჩამოიკიდა, ხელში მედამ განუმორებელი დიდი კრიალოსანი აიღო და დიდმედიდური საზეიმო ნაბჯით დარბაზს გაემართა, სადაც ჰერცოგი და იმისი ცოლი უკვე ჩაცმულნი იმყოფებოდნენ და, როგორც ეტყობოდა, მას მოელოდნენ. ტალანში რომ მიდიოდა, იქ ალტისიდორა და მისი ამხანაგი ქალები შეხვდნენ; ისინი განგებ მის შესახვედრად იყვნენ, იქ მისულნი. ალტისიდორამ დონ კიხოტს თვალი მოჰკრა თუ არა, მოაჩვენა, ვითომც გული შეუღონდა და დაცემას ლამობდა, მაგრამ ამხანაგებმა ხელები შეაშველეს და აჩქარებით კაბის გახსნა დაუწყეს. დონ კიხოტმა რომ ეს დაინახა, მათთან მივიდა და თქვა:

- ამ გულშეღონებისა და უბედური შემთხვევის მიზეზი მე უკვე ვიცი.

- მე კი არაფერი ვიცი, - მიუგო ალტისიდორას ამხანაგმა, - რადგან ალტისიდორა ამ სახლში ყველაზე საღი ქალია და, რაც ხანი ვიცნობ, არ მახსოვს, რომ ერთხელაც არის ამოეოხროს, წყეულიც იყოს და დაიღუპოს ყველა მოგზაური რაინდი, რამდენიც კი ქვეყანაზე იმყოფება, ყველა ისინი ესოდენ უმადლონი თუ არიან! გთხოვთ მოგვმორდეთ, სენიო დონ კიხოტო, რადგან, ვიდრე თქვენი მოწყალება აქ დარჩებით, საბრალო ქალი გონს ვერ მოვა.

ამაზე დონ კიხოტმა უპასუხა:

- გთხოვთ, თქვენო მოწყალება, სენიორა, მოახერხოთ, რომ ამაღამ ჩემს საწოლ ოთახში ჩანგი დამიდოთ; რამდენადაც კი შევიძლებ, ამ მაშვრალ ქალს ვანუგემებ: რადგან სიყვარულის დასაწყისშივე მოხიბვლის სწრაფი გაქარვება - უებარ წამლადაა მიჩნეული.

ეს თქვა და განშორდა, რადგან არ სურდა აქ იგი ვინმეს შეემჩნია. დონ კიხოტი თვალთაგან მიეფარა თუ არა, ალტისიდორა წამსვე მოსულიერდა და თავის ამხანაგს უთხრა:

- ამაღამ ჩანგი აუცილებლად უნდა დავუდოთ. დონ კიხოტს უთუოდ სურს დაუკრას რამე, მისი მუსიკა ურიგო არ იქნება.

შემდეგ ორივემ ჰერცოგის ცოლს გადასცა, რაც მოუხდათ და ისიც - საამაღამოდ დონ კიხოტმა ჩანგი რომ მოითხოვა. ჰერცოგის ცოლს ეს ამბავი ძალიან გაუხარდა, ჰერცოგს და თავის ქალებს მოელაპარაკა და გადაწყვიტეს - რაინდისათვის ახალი ხუმრობა მოეწყობოთ, უფრო სასაცილო, ვიდრე საშიშარი, და დაღამებას ლოდინი დაუწყეს. დღემაც დონ კიხოტთან ჰერცოგისა და მისი ცოლის საამო საუბარში ჩქარა გაიარა და ღამე დადგა. ამ დღეს ჰერცოგის ცოლმა ნამდვილად

და მართლა ერთი თავისი პაჟი (ის, რომელმაც ბაღში დულსინე წარმოადგინა) - ტერესა პანსასთან გაგზავნა მისი ქმრის სანჩო პანსას წერილით და ბოღჩით, რომელშიაც კაბა იდო და სანჩომ თავის ცოლთან გასაგზავნად დასტოვა. პაჟს უბრძანა, დაბრუნებისას დაწვრილებით მოეხსენებინა მისთვის ყველაფერი, რაც ტერესასთან ყოფნის დროს შეემთხვეოდა. ეს საქმე რომ შესრულდა, სწორედ ღამის თერთმეტ საათზე დონ კიხოტი თავის საძილო ოთახში შევიდა და იქ ჩანგი დახვდა. აიღო იგი, მომართა, სერსეროიანი ფანჯარა გააღო და მოესმა, რომ ბაღში ვიღაც დასეირნობდა. წამსვე სიმებს თითები გააყოლა, საჩქაროდ მომართა, ჩაახველა, ყელი გაიწმინდა და ცოტა ხრინწიანი ხმით, მაგრამ სწორი კილოთი შემდეგი, იმ დღეს მის მიერ საგანგებოდ შეთხზული რომანსი დაამღერა:

ჩვენს სულს ხშირად ვნების ძალა

ახსნის ხოლმე კაუჭიდან,

იარაღად მოიმარებებს

უქმად ყოფნას უზრუნველსა.

ხელსაქმე და მუშაობა,

მუდამ მოუცლელად ყოფნა

სიყვარულით დაბნედილის

მკურნალია უებარი.

ქალწულს კეთილგონიერსა,

ვისაც უნდა გათხოვება,

კარგ სახელად, მზითვად ეყოს

ყოფაქცევა უძრახველი.

გიჟმაჟ ბიჭებს ქალაქელთა,

და მოგზაურ რაინდებსაც

სურთ დროებით - კისკასები

და ცოლად კი თვინიერნი.

ზოგჯერ არის სიყვარული

ველის ქარზე უსწრაფესი:

დაგიქროლებს, გაფრინდება,

უკან აღარ დაბრუნდება.

თუ ვნებაა შემთხვევითი,

- დღეს შეგიპყრობს, ხვალ გაქრება;

არასოდეს ის არ ტოვებს

გულში სურათს წარუშლელსა.

ვერ მოხიბლავს თვალს სურათი,

მკრთალ ფერებით დახატული.

ძველ სიყვარულს ვერ დასძალავს

შემთხვევითი გატაცება.

ჩემი გულის დიცარზედან

დუღსინეა ტობოსელი

ისე მტკიცედ აღბეჭდილა,

რომ არასდროს წაიშლება.

სიმტკიცე კი სიყვარულში

ფასუთქმელი განძი არი,

ვისაც ეს აქვს, აამაღლებს

მას ამური ჯადოქარი.

დონ კიხოტის სიმღერას ისმენდნენ ჰერცოგი, მისი ცოლი, ალტისიდორა და სასახლის თითქმის ყველა მსახური და, როდესაც იგი ამ ადგილამდის მივიდა, ზემო ტალანიდან სწორედ ზედ მის ფანჯარაზე თოკი ჩამოუშვეს, რომელზეც ასზე მეტი ეჟვანი ეკიდა, და იმავე წამს დიდ ტომარას პირი მოხსნეს და იქიდანაც კუდებზე წვრილ-წვრილ ეჟვანშებმული კატები გამოცვივდნენ. ეჟვნების ჟღარუნმა და კატების კნავილმა ისეთი საზარელი ხმაურობა ასტეხა, რომ თვით ამ ოინის მომწყობნი - ჰერცოგი და მისი ცოლიც კი შეჩქვიფდნენ, ხოლო შეშინებულ დონ კიხოტს ნამდვილად თავზარი დაეცა. შემთხვევას ენება, რომ ორი იყო თუ სამი კატა დონ კიხოტის ფანჯრიდან მის ოთახში შევარდნილიყო და ფეთიანებივით რბენა დაეწყო და საშინელი ღრიანცელი აეტეხა. გარეთ გამოსასვლელი ადგილის ძეხნაში კატებმა რაინდს სანთლები ჩაუქრეს, თანაც თოკი ადიოდ-ჩადიოდა და მით ეჟვნებს განუწყვეტელი ჟღარუნი გაჰქონდა. დონ კიხოტი ადგა, მახვილი იშიშვლა, ფანჯარას საშინლად ჩეხვა დაუწყო და მაღალი ხმით გაჰყვიროდა:

- გამშორდით, ბოროტო ჯადოქრებო! გამშორდით, თვალთმაქცებო! მე დონ კიხოტი ლამანჩელი ვარ, რომლის წინააღმდეგ თქვენი ბოროტი განზრახვები უღონონი და ამაონი არიან! მერე დაფეთიანებულ კატებს მიუბრუნდა და ხმალი რამდენჯერმე დაარტყა. კატები ფანჯარას ეცნენ და გადახტნენ, მაგრამ ერთი კატა, ხმლის დარტყმით გამწარებული, დონ კიხოტს ეცა და კბილები და ბრჭყალები ცხვირ-პირში ისე მწვავედ ჩაუყარა, რომ რაინდმა ტკივილისაგან რაც ძალ-ღონე ჰქონდა დაიკვილა. ეს კვილი რომ ჰერცოგმა და მისმა ცოლმა გაიგონეს, მიზეზს მიხვდნენ, საჩქაროდ დონ კიხოტის ოთახთან მიირბინეს, კარი თავიანთი

გასაღებით გააღეს და დაინახეს, თუ რა გამშაგებით ებრძოდა რაინდი კატას, რათა პირისახიდან მოეგლიჯა. წამსვე სანთლები მოიტანეს და დონ კიხოტის კატასთან შმაგი ბრძოლა ნათლად გამოჩნდა. ჰერცოგი მივარდა, რომ მებრძოლი გაეშველებინა, მაგრამ დონ კიხოტმა დიდი ხმით დაიყვირა:

- ნურავინ ჩამოერევით, ამ დემონთან, ამ თვალთმაქცთან პირისპირ მარტოდ დამტოვეთ, რადგან თვითონ ვაჩვენებ მე, ვინც არის დონ კიხოტი ლამანჩელი!

მაგრამ კატა ამ მუქარას ყურს არ ათხოვებდა, კნაოდა, რაინდის ფხაჭნას და კბენას განაგრძობდა და ბრჭყალებს პირისახეში უფრო მაგრად ასობდა. მაინც ჰერცოგმა კატა მოაშორა და სარკმლიდან გადაისროლა, ხოლო დონ კიხოტი დაკაწრული პირისახით და დაშავებული ცხვირით ჯავრმორეული დარჩა, რომ ჯადოქართან მედგარი ბრძოლა ბოლომდის ვერ მიიყვანა. მცისვე აპარისიოს ზეთი მოიტანეს და თვითონ ალტისიდორამ თავისი ლურჯ-თეთრი ხელებით სახის ჭრილობებზე წასცხო და შეუხვია, თანაც დაბალი ხმით უთხრა:

- ყველა ეს უბედურება, გულქვა რაინდო, იმის სახდელად გვევლინება, რომ გადაბარჯნილი და კერპი ხარ. ღმერთმა ქნას შენს საჭურველმტვირთველ სანჩოს თავის გამათრახება დაავიწყდეს და შენს საყვარელ დულსინეს მოხიბვლა არ მოეხსნას და იმასთან ქორწინების სარეცელის გაზიარება არ გეღირსოს, იმ დრომდის მაინც, მანამ მე ცოცხალი ვარ.

ამ გრძნობით სავსე სიტყვებზე დონ კიხოტმა ერთი სიტყვითაც არ უპასუხა, მხოლოდ ღრმად ამოიოხრა და იმწამსვე ლოგინზე გაიშლართა. ჰერცოგს და მის ცოლს წყალობისათვის მადლობა გადაუხადა, იმიტომ კი არა, რომ იმ ეჭვნიანი და ჯადოქრული კატების ხროვამ შიში აგრძნობინა, არამედ იმიტომ, რომ ცოლქმარი მას კეთილი განზრახვით მიეშველა.

ჰერცოგმა და მისმა ცოლმა თავისი სტუმარი მოსასვენებლად დასტოვეს და იმას სწუხდნენ, რომ მათგან მოგონილმა ხუმრობამ ცუდი შედეგით ჩაიარა. სულ არ ფიქრობდნენ, რომ ის ხუმრობა მძიმე საწუხრად გაუხდებოდათ. დონ კიხოტს ეს ფათერაკი ხუთ დღეს ოთახში დაპატიმრებად და ლოგინში წოლად დაუჯდა და ამ დროს მას სხვა ფათერაკი დაემართა, წინანდელზე უფრო სასიამოვნო. მაგრამ ისტორიკოსს არა სურს ის ფათერაკი ახლავე გვიამბოს და ისევ სანჩო პანსას უბრუნდება, თავი, რომ ფრიად გამჭრიახ და შემაქცევარ გუბერნატორად გამოიჩინა.

## თავი XLVII

გაგრძელება მოთხრობისა, თუ როგორ იქცეოდა სანჩო პანსა თავის საგუბერნატოროში

ჩვენი ისტორია გადმოგვცემს, რომ სამსაჯულო დარბაზიდან გუბერნატორი მდიდრულ სასახლეში წაიყვანეს, სადაც დიდ დარბაზში მეფური ტაბლა იყო გაშლილი. სანჩო დარბაზში შევიდა თუ არა, ნაღარა დააყვირეს და ხელზე წყლის დასასხმელად მასთან ოთხი პაჟი მოვიდა; ეს ხელის დაბანის ცერემონია მან დიდღირსებინადად შეასრულა, საკრავები დააჩუმეს და სანჩო სუფრის თავში დაჯდა; მაინც სუფრასთან სხვა სელი არსად იდგა და არც ვისთვისმე სხვისთვის ჭურჭელი იყო დაწყობილი. სანჩოს გვერდზე ვიღაც კაცი მოუდგა და ხელში ვეშაპის კბილის პატარა კვერთხი ეჭირა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ის კაცი ექიმი იყო. მაგიდას ძვირფასი თეთრი სუფრა გადახადეს, ხილსა და მრავალ რიგ საჭმელებს რომ ეფარა. მეორე კაცმა,

გარეგნობით სამღვდლო პირმა, სუფრა აკურთხა, პაჟმა სანჩოს მანქანებით მორთული ხელსახოცი მკერდზე ჩამოაფარა და მეორე პაჟმა, მაესტრესალის თანამდებობის აღმსრულებელმა, პირველ კერძად სინით ხილი მოართვა. სანჩომ ერთი პატარა ნაჭერი შეჭამა თუ არა, ექიმმა სინს კვერთხი შეახო და სინი წამსვე ააცალეს, მაესტრესალმა მაშინვე მეორე სინი მოართვა, მაგრამ, ვიდრე, იგი ერთ ნაჭერს აიღებდა და პირში ჩაიღებდა, სინს კვერთხი შეეხო და ისიც ხილის სინივით მსწრაფლ გააცალეს.

სანჩო ამ საქციელმა გააოცა და დააბნია, გარშემო, დარბაზში მყოფთ თვალი მოავლო და ჰკითხა: სადილი უნდა ვჭამო, თუ მარტო უნდა ვუცქირო და თქვენი ხელების სიმარჯვე მიკვირდესო? - ამაზე კვერთხიანმა კაცმა შემდეგი უპასუხა:

- თქვენ, სენიორ გუბერნატორო, ისე უნდა ისადილოთ, როგორც მიღებულია სხვა კუნძულებზე, სადაც კი გუბერნატორები გამგებლობენ. მე, სენიორ, ექიმი ვარ და ამ კუნძულზე ჯამაგირი იმიტომ მეძლევა, გუბერნატორის კარგამყოფობაზე რომ უფრო მეტად ვიზრუნო, ვიდრე ჩემს თავზე. დღედაღამ ვცდილობ გუბერნატორების აგებულება შევისწავლო, რადგან ავად გახდომის დროს უფრო მარჯვედ ვუწამლო. უმთავრესი ჩემი ვალდებულება ის არის - განუშორებლად ვიყო მათთან იმ დროს, როდესაც სჭამენ და მარტო იმისი ჭამის ნება მივცე, რაც მათ აგებულებას შეეფერება, ხოლო ყველაფრის ჭამა ავუკრძალო, რასაც მათთვის საზიანოდ დავინახავ. ხილის სინი იმიტომ გავატანინე, რომ ძალიან წყლიანი საჭმელია, შემდეგი სინივე კიდევ იმიტომ, რომ ძალიან ხმელი და მხურვალე საჭმელი იყო, ბევრი სანელებელი ჰქონდა, რაც წყურვილს აჩენს, ხოლო, ვინც ბევრს სვამს, თავის სხეულში ძირეულს, ჩვენი სიცოცხლის არსებით სისველეს აუქმებს.

- მაშ, აგერ იმ მშვენიერ შემწვარ კაკბებს, მგონია, ჩემი წყენა არ შეუძლიათ? - უთხრა სანჩომ.

ამაზე ექიმმა უპასუხა:

- ვიდრე ცოცხალი ვარ, ბატონი გუბერნატორი კაკბების გემოსაც ვერ ნახავს.

- რატომ? - ჰკითხა სანჩომ.

- იმიტომ, - მიუგო ექიმმა, - რომ ჩვენი მასწავლებელი ჰიპოკრატე, მთელი მკურნალობის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი და მნათობი, ერთ თავის აფორიზმში ამბობს: ომნის სატურატიო მალა, პერდიცის აუტემ პესსიმა, რაც ნიშნავს: "ყოველგვარი ღორმუცლობა მავნებელია, მაგრამ კაკბებით ღორმუცლობა უფრო მეტად მავნებელიაო".

- თუ აგრეა, - უთხრა სანჩომ, - მაშ ამ სუფრაზე რაც საჭმელია, სენიორ ექიმო, იმათგან ისეთები ამირჩიეთ, რაც ჩემთვის უფრო მარგებელია და ნაკლებად მავნებელი, და ნება მომეცით თქვენი ჩხირის შეუხებლად ვჭამო, რადგან, გუბერნატორის სიცოცხლეს ვფიცავ, და ღმერთმაც მისით დამატკბოს, - რაც არ უნდა ილაპარაკოთ, სენიორ ქიმო, და რამდენიც არ უნდა გაბრაზდეთ, ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლის განგრძობის მაგიერ ფეხებს გამაფხეკინებთ.

- მართალსა ბრძანებთ, თქვენო მოწალებავ, სენიორ გუბერნატორო, - უთხრა ექიმმა, - მაშ ჩემი აზრით თქვენმა მოწყალებამ აგერ ის შემწვარი კურდღლის ბაჭიების ბოლლამა არ უნდა მიირთვას, რადგან ეს ნანადირევი ხორცი წვრილ ბეწვიანია და ძნელი მოსანელებელი. ხოლო ეს ხბოს ხორცი ძლიერ ჩახრაკული და დაბუღული რომ არ იყოს, შეიძლება და მიგერთმიათ. ახლა კი არაგზით არ შეიძლება.



- აგერ ის დიდი სინი, ოხშივარი რომ ასდის, - უთხრა სანჩომ, - მე მგონია ოლა პოდრიდა უნდა იყოს და, რაკი ოლა პოდრიდაში სხვადასხვა ბოსტნეული და ხორცია, უეჭველია, იმათში რამე იქნება გემრიელი და ჩემთვის სასარგებლო.

- აბსიტ! - შესძახა ექიმმა. - ეს მაგნე აზრი თქვენგან შორს განდევნეთ. არც ერთი საჭმელი ამქვეყნად არ აფუჭებს და ახდენს ჯანმრთელობას ისე, როგორც ოლა პოდრიდა. ის კარგია ბერებისათვის, სასწავლებელთა რექტორებისათვის, გლეხის ქორწილებში, მაგრამ გუბერნატორის მაგალაზე მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს; გუბერნატორი მხოლოდ ნაზი, საგანგებოდ და მკაცრად შერჩეული სანოვაგით უნდა იკვებებოდეს და, აი რატომ: მუდამ და ყველგან მარტივი წამლები რთულ და შერეულ წამლებზე უფრო მეტად ფასობს და უფრო დიდ პატივშია, რადგან მარტივი წამლების შედგენისას ექიმი არ შეცდება, ხოლო რთულსა და შერეულში ადვილად შესაძლებელია შემადგენელი ნივთიერების ზომა რომ შეეცვალოს და ყველაფერი დაღუპოს. მაგრამ მე ვიცი, რომ თუ სენიორ გუბერნატორს სურს თავისი ჯანმრთელობა დაიცვას და გაამაგროს, ახლა ასიოდე წვრილი ბისკვიტის ნამცხვარი უნდა მიირთვას და კომშის რამდენიმე თხელი ნაჭერი, - ერთიცა და მეორეც კუჭისთვის ძალიან სასარგებლოა და მონელებას ხელს უწყობს. სანჩომ ეს რომ მოისმინა, სავარძლის ზურგზე გადაწვა, ქიძს დააშტერდა და მკაცრად ჰკითხა: რა გქვია და სად გისწავლიაო?

ამაზე ექიმმა უპასუხა:

- მე, სენიო გუბერნატორო, ექიმი პედრო რესიო დე აგუერო ვარ, დავიბადე დაბა ტირტეაფუერაში, კარაკულისა და ალმოდოვარ დელ კამპოს მარჯვენა მხარეს რომ მდებარეობს, ხოლო ექიმის ხარისხი ოსუნის უნივერსიტეტში მივიღე.

სანჩოს ალმური აედინა და გაბრაზებულმა უთხრა:

- სენიო ექიმო, პედრო რესიო დე მალ-აგუერო გვარეულობით ტირტეაფუერელო, კარაკუელიდან ალმოდოვარ დელ კამოსკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეზე რომ მდებარეობს, და ექიმის ხარისხი ოსუნის უნივერსიტეტში რომ მიგიღია - ახლავე აქედან გაეთრიე და თვალით აღარ დამენახვო, თორემ, მზეს ვფიცავ, კეტს წამოვავლებ ხელს და თქვენგან დაწყებული ყველა ექიმს ისე მივბეგვავ, კუნძულზე ერთი ექიმიც არ დარჩეს ცოცხალი, ყოველ შემთხვევაში ისეთებს მაინც, რომელნიც თქვენსავით უზრდელნი მეჩვენებიან, რადგან ბრძენს, მცოდნეს, გონიერსა და ფრთხილ ექიმს თვალისჩინზე უფრო გავუფრთხილდები და ისე ვცემ პატივს, როგორც ღვთაებრივ ადამიანს შეეფერება. გიმეორებთ, ახლავე გამეცალეთ აქედან, პედრო რესიო, თორემ, რაზედაც ვზივარ, იმ სელს ავიღებ და თავზე დაგამტვრევთ და, თუ ამისთვის პასუხგებაში მიმცეს, თავს გავიმართლებ და ასე ვიტყვი: ცუდი ექიმი იყო, საზოგადოების ჯალათი იყო და იმის მოკვლით ღვთის ნება ავასრულე-მეთქი. ახლა მომეცით რამე გჭამო, თუ არა და ეს გუბერნატორობა უკან წაიღეთ. ის თანამდებობა, რომელიც მის ამსრულებელს შიმშილით კლავს, ცერცვის ორ მარცვლადაც არა ღირს.

ექიმმა რომ ასე ძლიერ განრისხებული გუბერნატორი ნახა, ხუმრობაგაშვებით შეშინდა; და ის იყო დარბაზიდან გასვლას და გაქცევას აპირებდა, რომ ამ დროს ქუჩიდან ფოსტის საყვირის ხმა მოისმა; მაესტრესალმა ფანჯრიდან გაიხედა, მობრუნდა და გუბერნატორს მოახსენა:

- ჩემო სენიორ, ჰერცოგისაგან შიკრიკი მოვიდა, წერილი მოაქვს, ალბათ რამე მნიშვნელოვანი ბრძანება არის.

გამტვრიანებული და ოფლში გაწურული შიკრიკი დარბაზში შემოვიდა, უბიდან წერილი ამოიღო და გუბერნატორს მიაართვა. სანჩომ ეს წერილი მაესტრესალს გადასცა და მისამართის წაკითხვა უბრძანა; მისამართზე ეწერა:

- "დონ სანჩო პანსას, კუნძულ ბარატორის გუბერნატორს პირადად, ანუ იმის მდივანს საკუთარ ხელში."

ეს რომ სანჩომ მოისმინა, იკითხა:

- ჩემი მდივანი აქ ვინ არის?

- მე გახლავარ, სენიორ, რადგან წერა-კითხვა ვიცი, ამას გარდა მე ბისკაელი ვარ, - მიუგო ერთ-ერთმა იქ დამსწრეთაგანმა.

- მაგ დამატებით, - უთხრა სანჩომ, - თვითონ იმპერატორის მდივნობასაც შეძლებდით. წერილი გახსენით და ნახეთ, შიგ რა სწერია.

ახლადგამომცხვარმა მდივანმა ბრძანება ასრულა, წერილი წაკითხა და თქვა: ეს წერილი ისეთ საგანზე არის, რომ გუბერნატორს საიდუმლოდ უნდა ეცნობოს, სანჩომ ყველას დარბაზიდან გასვლა უბრძანა, მხოლოდ მაესტრესალი და სახლთუხუცესი დაიტოვა. ექიმი და მასთან ყველანი გავიდნენ და მდივანმა გუბერნატორს შემდეგი წაუკითხა:

სენიორ დონ სანჩო პანსა. მე გავიგე, რომ ერთ-ერთ უახლოეს ღამეს, დანამდვილებით არ ვიცი კი, თუ რომელ ღამეს, ჩემი და თქვენი მტრები ამზადებენ თავდასხმას თქვენს კუნძულზე; ამიტომაც ფხიზლად და მხნედ იყავით, რათა ანაზღად ტავს არ დაგესხან. აგრეთვე ჩემი სანდო მსტოვარისაგან გავიგე, რომ ვიღაც ოთხი კაცი, ტანისამოსგამოცვლილი, თქვენს კუნძულზე შემოპარულა და განზრახვა აქვთ, მოგკლან, რადგან თქვენი დიდი და გამჭრიახი ჭკუა და სიბრძნე საშიშროებას უქადის მათ; ოთხი თვალი გამოისხით, ყველას დააცქერდით და გასინჯეთ, ვინც თქვენს მისაღებად ან საალაპარაკოდ მოვიდნენ, და ნურაფერს მიირთმევთ, ვინც რა შემოგთავაზოთ. თუ გაჭირვებაში ჩავარდებით, მე ვეცდები სასწრაფოდ შველა გაგიწიოთ, ხოლო ყველაფერში ისე მოიქეცით, როგორც თქვენი კეთილგონიერებისაგან მოველოდები. მიეცა ჩვენს ციხე-დარბაზში, აგვისტოს თექვსმეტსა დღესა, დილის ოთხ საათსა ზედან.

თქვენი მეგობარი ჰერცოგი.

ამ ამბავმა სანჩოს თავზარი დასცა, მასთან მყოფნიც თითქოს გაკვირდნენ, სანჩომ სახლთუხუცესს მიმართა და უთხრა:

- აი, რა არის საჭირო, ამ წამშივე რომ გაკეთდეს; ეს ექიმი რესიო ჯურდმულში ჩააგდეთ, რადგან, თუ ვინმეს ჩემი მოკვლის განზრახვა აქვს, მხოლოდ და მხოლოდ ის არის და ჩემი მოკვლა ხანგრძლივი და საშინელი მტანჯველი საშუალებით - შიმშილით სწადია.

- მეც ეგრე მგონია, - თქვა მაესტრესალმა. - თქვენმა მოწყალებამ არაფერი არ უნდა ჭამოს, რაც ამ სუფრაზე არის, რადგან მონაზვნების შეკაზმულია და მოტანილი, და ხომ მოგეხსენებათ, ნათქვამია: ჯვარს უკან ეშმაკი იმალებაო.

- მაგის უარს არა ვყოფ, - მიუგო სანჩომ, - მაშ ახლა ერთი ნაჭერი პური მომიტანეთ და ოთხიოდე გირვანქა ყურძენი, იმაში საწამლავი არ იქნება; გარწმუნებთ, მეტი შიმშილის მოთმენა აღარ შემიძლია, და თუ განზრახული თავდასხმის მოსაგერებლად მზადყოფნა გვიხდება საჭირო, მაშ დანაყრებაც და ჯანზე მოსვლაც გვჭირია, რადგან სიმამაცე და ვაჟკაცობა კუჭზეა დამოკიდებული და არა პირიქით. თქვენ, მდივანო, პასუხი მისწერეთ ჩემს სენიორ ჰერცოგს, რომ ყველა მისი ბრძანება მტკიცედ და ოდნავ შეუცვლელად იქნება ასრულებული; ისიც დასწერეთ, რომ სენიორი ჰერცოგის მეუღლეს ხელზე ვეამბორები და თანაც ვემუდარები, ის წერილი და ფუთა, ჩემს ცოლთან - ტერესა პანსასთან გასაგზავნად რომ დავტოვე, შიკრიკის ხელით მათი გაგზავნა არ დაივიწყოს; ამას ჩემს მხრივ მისგან დიდ წყალობად მივიღებ და ვეცდები ყველა ძალ-ღონით ვემსახურო მას; ბარემაც წერილში ჩაურთეთ, რომ ჩემს ბატონს, სენიო დონ კიხოტ ლამანჩელს ხელზე კოცნას მოვახსენებ; - დაე დაინახოს, რომ მისი პურის მადლობელი ვარ, და ნუ იფიქრებს, რომ უმადური ადამიანი გავხდი. ხოლო თქვენ, როგორც კარგმა მდივანმა და კეთილმა ბისკაელმა, შეგიძლიათ თქვენის მხრივ დაუმატოთ, რასაც მართებულად და შესაფერისად დაინახავთ. ახლა კი ეს ტაბლა აალაგონ და რამე საჭმელი მომიტანონ და, თუ ვიღაც ჯაშუშები, კაცის მკვლელები და ჯადოქრები მე ან ჩემს კუნძულს თავს დაგვესხმიან, შევძლებ მათ გამკლავებას.

ამასობაში დარბაზში პაჟი შემოვიდა და გუბერნატორს მოახსენა:

- ერთ გლეს სურს თქვენი მოწყალების ნახვა, როგორც ირწმუნება, რაღაც დიდი საქმის მოსახსენებლად.

- რა უცნაური ხალხია, - თქვა სანჩომ, - ეს მთხოვნელები ნუთუ იმდენად უგუნურნი არიან, რომ არაფერი არ ესმით? განა ამ დროს რაიმე საქმის გაკეთება შეიძლება? განა ჩვენ, გუბერნატორები და მსაჯულები, ისეთივე ადამიანები არა ვართ, ხორცისა და ძვლებისაგან შემდგარნი, და არ გვეკუთვნის ბუნებრივი მოთხოვნილებით საჭირო დასვენება მოგვცენ? და იქნებ ის უნდათ - ქვისგან, მარმარილოსაგან ვიყვნეთ გაკეთებულნი? ღმერთსა და ჩემს სინდისს ვფიცავ, თუ გუბერნატორობა დიდხანს შემრჩა (გული კი თითქოს მეუბნება, დიდხანს არაო), ასეთ საქმიან ვაჟბატონებს ჭკუას ვასწავლი. ახლა კი იმ კეთილ კაცს უთხარით შემოვიდეს. ჯერ დარწმუნდით: ჯაშუში ან ჩემი მკვლელთაგანი ხომ არ არის.

- არა, სენიორ, - მიუგო პაჟმა, - ისე მეჩვენება, თითქოს დოყლაპია ვინმეა; ან მე არა გამეგება რა, ან ის კაცი კარგი პურივით კეთილი და ალალი უნდა იყოს.

- შიში ნურაფრისა გაქვთ, - უთხრა სახლთუხუცესმა. - ყველანი აქა ვართ.

- არ შეიძლება, მაესტრესალო, - ჰკითხა სანჩომ, - რაკი ექიმი პედრო რესიო აქ არ არის, ახლა რაიმე რიგიანი და ყუათიანი საჭმელი მომიტანონ, თუნდა ერთი ნაჭერი პური და ხახვი მაინც.

- ვახშამი აგინაზღაურებთ უსადილობას და თქვენი უგანათლებულებობა კმაყოფილი დარჩება, - მიუგო მაესტრესალმა.

- ღმერთმა ინებოს, - თქვა სანჩომ.

ამ დროს გლეხი შემოვიდა, ისეთი შესახედაობა ჰქონდა, რომ ადამიანი ათასი მილის მანძილზე შეატყობდა, ჩინებული და კეთილი კაცი უნდა ყოფილიყო, და შემოსვლისთანავე იკითხა:

- აქ სენიორ გუბერნატორი რომელია?

- სხვა ვინ იქნება, თუ არა ის, აგერ იქ რომ სავარძელში ზის, - უთხრა მდივანმა.

- მაშ მის წინაშე ქედს ვიდრეკ, - თქვა გლეხმა.

მუხლებზე დაეცა და გუბერნატორს ხელზე კოცნის ნებას სთხოვდა. სანჩომ ხელზე კოცნის ნება არ მისცა, გლეხს ადგომა უბრძანა და ჰკითხა რისთვის ხარ მარულიო. გლეხმა ბრძანება აასრულა და თქვა:

- მე, თქვენო მოწყალეზავ, სოფელ მიგელტურის მცხოვრები გლეხი გახლავარ, ეს სოფელი საუდად რეალიდან ორი მილის მანძილზე მდებარეობს.

- ესეც რაღაც მეორე ტირტეაფურაა, - თქვა სანჩომ. - განაგრძეთ, შემოდგომა გითხრათ, რომ მიგელტური ჩემი სოფლის ახლოს არის, ამ სოფელს კარგად ვიცნობ.

- საქმე ის გახლავთ, - განაგრძო გლეხმა, - რომ წყალობითა ღვთისათა და წმიდა რომის კათოლიკე ეკლესიის ნებართვით ცოლი შევირთე; ორი ვაჟი მყავს, ორივე სტუდენტი, უმცროსი ბაკალავრობას სწავლობს და უფროსი - სალიცენციატოდ ემზადება. ქვრივი გახლავარ, რადგან ცოლი მომიკვდა, ანუ უკეთ რომ ვთქვა, ერთმა უმსგავსმა ექიმმა მომიკლა, - მაშინ მისცა სასაქმებელი, როდესაც ფეხმძიმედ იყო. და თუ ღმერთი ინებებდა და ვაჟს შობდა, ვფიქრობდი, დოქტორი გამომეყვანა, რომ თავისი ძმების ლიცენციატობა და ბაკალავრობა არ შემურებოდა.

- ისე რომ, თუ ცოლი არ მოგკვდომოდა, ან ექიმს არ მოეკლა, - უთხრა სანჩომ, - თქვენ ახლა ქვრივი არ იქნებოდით.

- დიახ, სენიორ. არასგზით ქვრივი არ ვიქნებოდი, - მიუგო გლეხმა.

- ეს კი დიდად სანუგეშოა, ჩემმა მზემ. აჩქარებით კი მივდივართ წინ, - შენიშნა სანჩომ. - დაემურეთ, ძმობილო, ახლა ძილის დრო უფროა, ვიდრე საქმეზე ლაპარაკისა.

- ჰოდა ვამბობ, თქვენო მოწყალეზავ, იმ ვაჟს, - განაგრძო გლეხმა, - ბაკალავრობას რომ სწავლობს, ჩვენს დაბაშივე ერთი ქალი შეუყვარდა, კლარა პერლერინო ჰქვია, ანდრეს პერლერინოს ასულია, ძალიან მდიდარი მეურნისა, და ეს მათი სახელი, პერლერინო, იმათ წინაპართაგან მისცემიათ, რადგან მათი გვარეულობისას ყველას სიდამპლე ემართებოდათ. და აი, ეს სიტყვა ოდნავ შეალამაზეს და მათ პერლერინო დაარქვეს. მაინც, მართალი უნდა ვთქვა, ის კლარა სწორედ აღმოსავლეთის მარგალიტია, და მარჯვენა მხრიდან რომ შეხედოს კაცმა, მინდვრის ყვავილსა ჰგავს, მარცხენა მხრიდან თუ შეხედა, ისეთი ლამაზი აღარ არის, რადგან იმ მხარეზე თვალი აკლია, - ყვავილმა გაუფუჭა. თუმცა სახეზედაც დიდრონი ნაყვავილარი აყრია, მაინც ყველანი, ვისაც კი უყვარს, ამბობენ: ეს ნაყვავილარი კი არ არის, მისი თავყვანისმცემლების სულთა საფლავებიაო. ის ქალი იმდენად ფაქიზია, რომ ნიკაპის გასვრის შიშით ცხვირი მუდამ მაღლა აკაუჭებული უჭირავს. თითქოს ტუჩებს გაურბისო. მაინც კი მეტისმეტად ლამაზია, რადგან პირის ნაპოზი დიდი აქვს და ათი თუ თორმეტი წინა და უკანა კბილები რომ არ აკლდეს, ულამაზესი გოგონა იქნებოდა მთელს ქვეყანაზე. ტუჩებზე აღარას ვამბობ ისეთი თხელი და ნარნარი ტუჩები აქვს, რომ ტუჩებიდან ძაფის ამოხვევა რომ ჩვეულებად იყოს, იმის ტუჩებიდან მთელი გორგალი ამოიხეოდა, და, რადგან ტუჩებს ჩვეულებრივი ფერი არა აქვთ, არამედ მწვანე, ლურჯ და იისფერი ლაქებით არის

დაწინწკლული, ამიტომ საუკეთესო ტურებად მოჩანან. ბატონმა გუბერნატორმა მაპატიოს, რომ ის ქალი ასე დაწვრილებით ავწერე; იგი ადრე თუ გვიან ჩემი რძალი უნდა გახდეს, რადგან ძალიან მიყვარს და ფრიად ლამაზადაც მეჩვენება.

- რამდენიც გენებოს აწერე, - უთხრა სანჩომ, - მხატვრობა ძალიან მომწონს და, რომ ნასადილევი ვიყო, იმაზე უკეთესი ჩაროზი და სატკბილობელი არა მინდოდა, რაც თქვენ სურათი დამიხატეთ.

- მეც ამით შემიძლია სამსახური გაგიწიოთ, - უთხრა გლეხმა, - მაგრამ მოვა დრო და, რაც არა გვაქვს - გაგვიჩნდება. უნდა მოგახსენოთ, სენიორ, მისი სინარნარისა და ლერწმისებრი წერწეტი ტანის აღწერა რომ შემეძლოს, სწორედ გაგაკვირვებდით, მაგრამ საუბედუროდ არ შემიძლია იმ მიზეზით, რომ მოგრეხილია და კუზიანი. მისი მუხლები ნიკაპს ებჯინება. მაინც შეიძლება ადამიანმა ივარაუდოს, რომ, თუ მთელი ტანი გაეჭიმა, თავით ჭერს მიებჯინება. ის ქალი დიდი ხანია ჩემს ბაკალავრს მისცემდა თავის ხელს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ხელი ვერ გაუწვდია - მოგრეხილი აქვს, მაგრამ მისი ხელების სიმშვენიერე იქიდან ჩანს, რომ განიერი დაღარული თათები აქვს და თითის ფრჩხილები შიგნით აქვს შეხრილი, რაც მის ზნეკეთილობასა, ლაზათიანობას და სიფაქიზეს ამჟღავნებს.

- ძალიან კარგი, - გააწყვეტინა სანჩომ, - ყურადღება მიაპყარ იმას, რომ ის ქალი თავით ფეხებამდის უკვე მთლად დამიხატე; ხლა მითხარ, რა გინდა ჩემგან, პირდაპირ საქმე თქვი გადაუხვევ-გადმოუხვევლად, მოიარებით და ქარაგმებით ლაპარაკს, ლაცობას და გაჭიანურებას ნუ მივყვები.

- მე მინდოდა, სენიორ, - მიუგო გლეხმა, - რომ წყალობა მოგეღოთ, ჩემი სარძლოს მამასთან ბარათი მიგეწერათ და გეთხოვათ, ჯვარის წერაზე დათანხმებულიყო და ქორწილი ჩქარა გადაეხადა, რადგან მე და ის ერთმანეთისგან არც ქონებით განვსხვავდებით, არც შთამომავლობით. და რომ მართალი ვთქვა, სენიორ გუბერნატორო, ჩემი შვილიც ავი სულელებისაგან არის დამონებული; დღე ისე არ გავა, ბორტმა სულელებმა სამჯერ-ოთხჯერ არ შეაშფოთონ. ასე იმიტომ არის, რომ ცეცხლში ჩავარდა, პირისახე ეტრატვიით დაეჭიმუქნა და თვალებიდანაც წირპლი და ჩირქი სდის; სამაგიეროდ გული სწორედ ანგელოზისა აქვს და დროდადრო თავის თავს რომ არ ეცეს ხოლმე და მუშტებით ცემა არ დაუწყოს, სწორედ წმიდანი იქნებოდა.

- ნუთუ ესაა შენი სათხოვარი? იქნებ სხვა რამეც გინდოდეს, კეთილთ კაცო? - ჰკითხა სანჩომ.

- ერთი რამ კიდევ მინდოდა, - თქვა გლეხმა, - მაგრამ თქმას ვერ ვბედავ... ალაღბედზე ვიტყვი, რომ ეს სურვილი გულშივე არ ჩაკვდეს: მინდოდა თქვენი მოწყალება ჩემს შვილს ბაკალავრს სამასი ან ექვსასი ოქროთი დახმარებოდა. ხომ მოგეხსენებათ, საკუთარ ოჯახად უნდა იცხოვროს, რათა სიმამრის და სიდედრის უსიამოვნება და საყვედური თავიდან აიცილოს.

- მოიფიქრე, იქნება კიდევ გინდოდეს რამე? - ჰკითხა სანჩომ, - თქვი, ნურც მოკრძალებით დაიშლი და ნურც დარცხვენით.

- არა, მეტი აღარა მინდა რა, - უპასუხა გლეხმა.

მაგრამ ეს პასუხი არ გაეთავებინა, რომ გუბერნატორი ადგა, რაზედაც იჯდა, იმ სელს ხელი წამოავლო და მრისხანედ დაუყვირა:

- ეშმაკმა წაგიღოს, დონ ოტროველავ, მძორო, უხეშო და გაუთლელი! ახლავ თუ აქედან არ გახვალ და ჩემთა თვალთაგან არ გაქრები, ამ სელით თავს შუაზე გავაპობ. მეძავის შვილო, გაიძვერა, უმაქნისო, ბილწო, ეშმაკის მხატვარო, დრო იპოვე, რომ ექვსასი ოქროს სათხოვნელად მოხვედი? საიდან მოგიტანო ის ოქროები? კიდეც რომ მქონდეს, რად უნდა მოგცე, შე აყროლებულო არამზადავ? რა მესაქმება მიგელტურთან და პერლერინოს მთელ გვარეულობასთან? აქედან დამეკარგე, თვალთაგან მომშორდი-მეთქი, გეუბნები; თუ არა, ჩემი სენიორ ჰერცოგის სიცოცხლეს ვფიცავ, რაც დაგპირდი, კიდეც ავასრულებ. როგორც გატყობ, მიგელტურიდან კი არა ხარ, ვიღაც გაქნილი გარეწარი ხარ, ჯოჯოხეთიდან ეშმაკის გამოგზავნილი - ჩემს საცდენად. ჯერ დღე ნახევარიც არ გასულა, რაც გუბერნატორად ვარ, და წარმოგიდგენია, ამ ხანში შენთვის ექვსას ოქროს კიდეც მოვიმაგრებდი?

მაესტრესალმა ანიშნა გარეთ გასულიყო და გლეხიც თავჩაღუნული გავიდა, თან მოაჩვენა, ვითომც ეშინოდა - გუბერნატორს თავისი მუქარა არ შეესრულებინა. გაიძვერამ ჩინებულად შეასრულა თავისი როლი.

მაგრამ ახლა გაბრაზებული სანჩო თავისი რისხვით აქ დავუტევოთ, საყოველთაო მშვიდობა ვუსურვოთ და დონ კიხოტს დავუბრუნდეთ, კატისგან დაკაწრული იარების გამო შეხვეული სახით რომ დავტოვეთ. ამ იარებს რაინდი რვა დღის განმავლობაში მკურნალობდა და ჯერაც არ მორჩენოდა. ამ ხანში, ერთ დღეს, მას ის შეემთხვა, რასაც სიდ ჰამეტი გვიპირდება გვიამბოს იმავე სინამდვილით და სისწორით, როგორითაც ჩვეულებრივ ამ ისტორიისთვის უმნიშვნელო ამბებს მოგვითხრობს ხოლმე.

## თავი XLVIII

თუ რა შეემთხვა დონ კიხოტს ჰერცოგის ცოლის დუენია

დონა როდრიგესთან და აღწერისა და სამარადისოდ უკვდავყოფის ღირსი სხვა ამბები

ამგვარად სასტიკად დაკაწრული დონ კიხოტი ლოგინში იწვა მეტისმეტად სევდიანი და დაღვრემილი; პირისახე შეხვეული ჰქონდა და ზედ იარები აჩნდა, მაგრამ ღვთის ხელით კი არ იყო დაჭდეული, არამედ კატის ბრჭყალებისაგან, - თუმცა ასეთი ხიფათი მოგზაურ რაინდთა ბედის მუდმივი და განუყრელი თანამგზავრია. ექვს დღეს ადამიანის თვალს არ სჩვენებია. და ერთხელ ღამით, როდესაც თვალხილული ფხიზლობდა და თავის უბედურებასა და ალტისიდორას დევნაზე ფიქრობდა, უცბად მოესმა, ვიღაც მისი ოთახის კარს გასაღებით აღებდა. მაშინვე წარმოიდგინა, რომ შეყვარებული ქალი მასთან მიდიოდა, რათა იერიში მიეტანა რაინდის უმწიკვლოებაზე და ძალა დაეტანებინა, გულისვარდის - დულსინე ტობოსელის ერთგულებისთვის ეღალატა.

- არა, - წამოიძახა მან, თავისი ფანტაზიის სინამდვილეში მთლად დარწმუნებულმა, და ისე ხმამაღლა შესძახა, რომ ყველას შეეძლო გაეგონა, - მთელს ქვეყანაზე უმშვენიერეს სილამაზესაც არ ძალუძს იმის სიყვარულზე ხელი ამაღებინოს, ვისი სახეც ჩემი გულის სიღრმეში არის შეჭრილი და ჩაბეჭდილი და ჩემი არსების თვით დაფარულ წიაღში იმყოფება. დაე, გადაგაქციონ და გარდაგქმნან შენ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, გინდ ხახვის სუნით გაჟღენთილ აყროლებულ გლეხის დედაკაცად, გინდ ოქროვანი ტახოს ტალღებში მობანავე ნიმფად, ოქრომკედითა და აბრეშუმის ძაფებით უძვირფასეს ქსოვილს რომ ქსოვს, დაე,

მერლინსა და მონტესინოსს, სადაც ნებავდეთ, იქ ვყავდე დატყვევებული; სადაც უნდა იყო, - ჩემი ხარ და, სადაც უნდა ვიყო, - შენი ვარ და შენადიც დავრჩები.

ეს სიტყვები არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ ამ დროს კარი გაიღო; ყვითელი ატლასის საბანში გახვეული დონ კიხოტი წამოდგა და მთელი ტანით ლოგინზე აიწოწა. თავზე სადამური არახჩინი ეხურა. პირისახე და უღვაშები შეარტახებული ჰქონდა; პირისახე იმიტომ, რომ კატას დაეფხაჭნა, ხოლო უღვაშები, - რომ არ ასწეოდა და ძირს არ ჩამოშვებულიყო, და ამ მორთულობით რაღაც უცნაურ და არნახულ მოჩვენებას მიემსგავსებოდა. თვალები კარებს მიაშტერა და იმ დროს, როდესაც რაინდი მისგან დამონებული ალტისიდორას შემოსვლას მოელოდა, იმის ნაცვლად დარბაისელი დუენია დაინახა, თავით ფეხებამდის თეთრი პირსბადით დაბურული. დუენიას მარცხენა ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, მეორეთი სანთლის შუქისაგან თვალებს იჩრდილებდა, უიმისოდაც უშველებელი სათვალეებით დაჩრდილულებს. ნელი ნაბიჯით მიდიოდა და ფეხებს ფრთხილად ადგამდა.

დონ კიხოტი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა და მორთულობის და საიდუმლოებრივი მდუმარების გამო დაასკვნა, რომ ვინმე თვალთმაქცი ბოროტი საქმის ჩასადენად მოვიდა მასთან და, რაც კი ძალ-ღონე ჰქონდა, აჩქარებით დაიწყო პირჯვრის წერა. მოჩვენება უახლოვდებოდა და ნახევარი ოთახი რომ გაიარა, რაინდს შეხედა და, თუ დონ კიხოტი მისმა შეხედვამ შეაშინა, ახლა რაინდმა დასცა მას თავზარი, როცა დაინახა ყვითელ საბანში გახვეული მისი გრძელი ფიგურა და არტახებით შეხვეული დასახიჩრებული სახე.

- იესო მაცხოვარო, - ხმამაღლა შეჰყვირა მან, - ამას რას ვხედავ?

დაფეთებულს ხელიდან სანთელი გაუვარდა. სიბნელეში რომ დარჩა, გასვლა დააპირა, მაგრამ შიშისაგან არეული თავისსავე კაბაში გაიხლართა და იატაკზე გაიშხლართა.

შეშინებულმა დონ კიხოტმა მაშინ უთხრა:

- გაფიცებ, აჩრდილო, ანუ ვინც გინდა იყო, მითხარ - ვინა ხარ და ჩემგან რა გინდა? თუ მომნანიებელთა ტანჯული სული ხარ, მითხარ და შენთვის ყველაფერს ჩავიდენ, რაც ჩემს ხელთ არის, რადგან მე ქრისტიანი და კათოლიკე ვარ. მე დონ კიხოტი ლამანჩელი ვარ და ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი ყველას შემწეობა გავუწიო. ამიტომ შევიქენ მოგზაური რაინდი, რომლის მოვალეობაა დაეხმაროს ყველას, თვით სალხინებელში მყოფ სულებსაც კი.

გონებადაფანტული დუენია მიხვდა, რომ დონ კიხოტი მისგან იყო შეშინებული, როგორც თვითონ დუენია რაინდისაგან, და წყნარი და მწუხარე ხმით უთხრა:

- სენიო დონ კიხოტო (თუ თქვენი მოწყალეობა მართლა დონ კიხოტია), - მე მოჩვენება არა ვარ, არც სალხინებელში მყოფი სული, როგორც იქნებ თქვენს მოწყალეობას ჰგონია; მე დონა როდრიგესი ვარ, სენიორი - ჰერცოგის მეუღლის უბედური დუენია. თქვენთან მოვედი იმ ერთი გასაჭირის გამო, რომელშიც თქვენი მოწყალეობა ჩვეულებრივ ყველას შველის.

- სენიორი დონა როდრიგეს, - უთხრა დონ კიხოტმა, - მითხარით, იქნებ თქვენი მოწყალეობა ჩემთან სამაჭანკლოდ მოვიდა? წინასწარ გიცხადებთ და გაფრთხილებთ, რომ ჩემი უბადლო სენიორი დულსინე ტობოსელის სილამაზის გამო სამიჯნურო საქმისთვის არ ვარგვივარ. და ამ საქმიდანაც არავითარი ხიერი არა გამოვა რა. ერთი სიტყვით, სენიორა დონა როდრიგეს, გეუბნებით, თუ თქვენი მოწყალეობა ყოველგვარ სამიჯნურო დავალებას და ოინს განზე

გადადებს და დაუტევებს, შეგიძლიათ წახვიდეთ, სანთელი ანთოთ და, რომ დაბრუნდებით, ყველაფერზე მოვილაპარაკოთ, რაც კი გნებავთ და რაც კი კმაყოფილებას მოგცემთ და გასიამოვნებთ, გარდა, როგორც უკვე ვთქვი, ყოველგვარი სამიჯნურო ხიმაკლობისა.

- ვერა გცნობივართ, თქვენო მოწყალეზავ, - მიუგო დონა როდრიგესმა. - განა მაგისთანა დავალებას ვიკისრებდით და არც ისე ვარ ხანში შესული, მაგგვარ ქარაფშუტობას მოვკიდო ხელი, რადგან, ღვთის მადლით, სხეულში სული ჯერ მაგრად მიდგას და პირშიაც კბილები მთელი მაქვს, ცოტაოდენს გარდა, ისიც ღრძილების გაციებისაგან დამცვივდა, - არაგონში ხომ ეს ჩვეულებრივი სატკივარია. მაშ დამიცადეთ, თქვენო მოწყალეზავ, სანთელს ავანთებ, დავბრუნდები და ჩემს მწუხარებას გაიმბობთ თქვენ, ქვეყანაზე ყველა მწუხარეთა და ტვირთმძიმეთა დამხსნელს და მოსარჩელს.

დუენიამ პასუხს აღარ დაუცადა და გავიდა, ხოლო დონ კიხოტმა დაფიქრებულმა და დამშვიდებულმა მას ლოდინი დაუწყო, მაგრამ მაშინვე ამ ახალი არნახული ფათერაკის გამო თავში ათასმა ფიქრმა გაუელვა. სანაურად გაუხდა, რომ ვერ მოიფიქრა და თავისი მიჯნურისადმი მიცემული აღთქმა ხიფათში ჩააგდო, და თავის თავს ლაპარაკი დაუწყო; "ვინ იცის, იქნებ ვერაგმა და ცბიერმა ეშმაკმა ამ დუენიის საშუალებით ჩემი მოტყუება განიზრახა, რადგან ამის ჩადენა მას იმპერატორების, მწფეების, ჰერცოგების, მარკიზებისა და გრაფების ცოლების საშუალებით არ შეეძლო და ამ მხრივ იმედი დაკარგული ჰქონდა. ბევრჯერ და ბევრი ჭკუიანი კაცისაგან გამიგონია, რომ ეშმაკს, სადაც კი შეუძლია, უმაღლესი პაჭუა ცხვირიანს წამოგჩხირავს, ვიდრე ბერძნულ ცხვირიანსო. და ვინ იცის, მარტოობამ, ამ ხელად მოვლენილმა შემთხვევამ და იმ სურვილთა დუმილმა, რომლებიც ჩემში თვლემენ, ვაითუ ხანდაზმულს ძალა დამატანონ და იქ წავიქცე, სადაც არც კი წამიბორძიკნია? ამგვარ შემთხვევაში ბრძოლის ლოდინს უკან დახევა სჯობია. მაგრამ იქნებ მე სრულ გონებაზე არა ვარ, რომ ასეთ სისულელეებს ვფიქრობ და ვამბობ, რადგან აბა რა საფიქრელია, რომ თეთრ თავსახურავიანმა დუენიამ, ჩასუქებულმა და თვალეზზე სათვალევიანმა რაიმე ვნებათა დატკობის სურვილი აღგზნას და გამოიწვიოს თუნდაც მთელ ქვეყანაზე უგარყვნილესის გულში? მერე ისიც, ქვეყნად ისეთი დუენია მოიპოვება, რომ სალი და მიმზიდველი სხეულის პატრონი იყოს? დედამიწის ზურგზე განა ისეთი დუენია არის სადმე, რომ აბეზარი, უხიაკი და ბუზღუნა არ იყოს? მაშ შორს ჩემგან დუენიების ბრბოვ, ადამიანის ყოველგვარი სიხარულისა და კმაყოფილებისათვის უსარგებლოვ! რა ჩინებულად მოიქცა ის სენიორი, რომელზედაც ამბობენ, თითქოს მისი მისაღები ოთახის შესავალს ორი ხისგან გაკეთებული დუენიების ფიგურა ამშვენებდაო, თვალეზზე სათვალევი ჰქონდათ გაკეთებული და წინ პატარა ბალიშები ედოთ, ვითომ ხელსაქმობდნენ; და ეს ქანდაკები ისევე კარგად იცავდნენ მის ოთახებში კეთილ მორთულობას, როგორც ნამდვილი დუენიებიო! ამას რომ ამბობდა, დონ კიხოტი ქვეშაგებიდან წამოხტა, რომ კარი ჩაეკეტა და დონა როდრიგესი აღარ შემოეშვა, მაგრამ გასაღებს წამოავლო თუ არა ხელი, წამსვე დონა როდრიგესი ანთებული თეთრი ცვილის სანთლით კარებთან გაჩნდა. დონ კიხოტი ახლოს რომ დაინახა - ყვითელ საბანში გახვეული, პირისახე არტახებით შეხვეული და თავზე სადამური არახჩინით, ხელახლა შეშინდა, ცოტათი უკან დაიხია და თქვა:

- იმედი მაქვს, რომ აქ არავითარი ხიფათი არ მომელის, სენიო დონ კიხოტო, არა? საკეთილო ნიშნად მიმაჩნია, რომ თქვენი მოწყალეზავა ლოგინიდან ამდგარა.

- მეც ასევე უნდა გითხრათ, - უთხრა დონ კიხოტმა, - და გკითხავთ კიდევ: შემიძლია თუ არა დარწმუნებული ვიყო, რომ თქვენ არ დამეტაკებით და ჩემზე ძალას არ იხმართ?



- ვისგან და ან ვისთვის მოითხოვთ მაგ თავდებობას, სენიორ რანდო? - ჰკითხა დუნენამ.

- ამას თქვენგან და თქვენს წინააღმდეგ ვითხოვ, - უპასუხა დონ კიხოტმა, რადგან არც მე ვარ მარმარილოსგან გაკეთებული და არც თქვენა ხართ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული. დროც ახლა დილის ათი სათი კი არ არის, ღამის თორმეტი საათია, და მე ცოტაოდენად მეტსაც ვიქრობ: მე და თქვენ ახლა უფრო განმარტოებულ და მიყრუებულ ოთახში ვიმყოფებით, ვიდრე ის მღვიმე იყო, სადაც ვერაგი და თავხედი მოღალატე ენეასი მშვენიერი და გულშემატკივარი დიდონას სიყვარულით დასტკბა. მაშ თქვენი ხელი მომეცით, სენიორა, რადგან ჩემი უმანკოება და თავშეკავება ისე, როგორც თქვენი საპატიო სამოსელი, საუკეთესო თავდებობას წარმოადგენს.

ეს რომ თქვა, თავის მარჯვენა ხელს აკოცა, როდრიგესიც ამგვარივე ფართიფურთით მოეცა თავის მარჯვენა ხელს და იგი დონ კიხოტის გამოწვდილ ხელს ჩაუდო.

ამ ადგილას სიდ ჰამეტი ფრჩხილებში შენიშვნას ურთავს და ამბობს: "მაჰმადის სახელსა ვფიცავ, ორი ჩემი ალმალაფიაგან ერთ-ერთს საუკეთესოს მივცემდი, ვინც დამანახვებდა, ეს ხელიხელჩაკიდებული წყვილი კარებიდან ლოგინამდის თუ როგორ მივიდაო".

დასასრულ, დონ კიხოტი ლოგინში ჩაწვა, ხოლო სენიორი როდრიგესი ლოგინიდან ცოტა მოშორებით სავარძელში ჩაჯდა; არც სათვალეები მოუხსნია და არც ხელიდან სანთელი გაუშვია.

დონ კიხოტი კი საბანში ის მაგრად მოკუნტული გაეხვია, რომ მარტო პირისახელა უჩანდა. ორნივ ოდნავ რომ დამშვიდდნენ, პირველმა დონ კიხოტმა დაარღვია სიჩუმე და თქვა:

- ახლა, თქვენო მოწყალეზავ, სენიორა დონა როდრიგეს, შეგიძლიათ ადამიანთ თქვენი ბაგენი და ჩემს წინაშე ყველაფერი ის გადმოშალოთ, რითაც სავსეა თქვენი მწუხარე გული და ტანჯული მკერდი. თქვენ მოგისმენენ უმანკო ყურები და შემწყალებელი ხელები თქვენს საშველად აღიძვრებიან.

- ეგ ყველაფერი მჯერა, - მიუგო დუნენამ, - რადგან თქვენი მოწყალეების მშვენიერი და სასიამო გარეგნობისაგან არ შეიძლებოდა სხვა რაიმე მოლოდინი მქონოდა, თუ არა მხოლოდ მაგგვარი ქრისტიანული პასუხისა. საქმე ის არის, სენიორ დონ კიხოტო, რომ, თუმცა თქვენი მოწყალეა ახლა აქ ამ სელზე მჯდომარეს მხედავს და შუაგულ არაგონის სამეფოში ვიმყოფები, თუმცა საბრალო დუნენის სამოსი მაცვია და ყველანი მე მაძაგებენ და მდევნიან, მაგრამ მე დავიბადე ოვიედოს ასტურიაში, ისეთ ოჯახში, რომელსაც ენათესავეებიან ამ მიდამოს საუკეთესო და წარჩინებული ოჯახები; მაგრამ ჩემმა დუხჭირმა ბედმა, ჩემი მშობლების დაუდევრობამ და ნაადრევმა გაღარიბებამ, - არ ვიცი კი რა და როგორ, - მე ჩვენს დედაქალაქ მადრიდს მიმიყვანა და ჩემმა მშობლებმა, ჩემი თანხმობით და თანაც იმიტომ, რომ უფრო დიდ უბედურებაში არ ჩავვარდნილიყავი, ერთ წარჩინებულ სენიორის მკერავ-მოახლედ მიმცეს. ხოლო უნდა მოგახსენოთ, თქვენო მოწყალეზავ, რომ ფუნჯების გვირისტში და თეთრეულის კერვაში მთელი ჩემი სიცოცხლე ვერავინ მჯობნიდა. მშობლებმა მოახლედ დამტოვეს და თავიანთ სამშობლოში წავიდნენ, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალნენ და უკვე ზეცას ავიდნენ, რადგან მუდამ კეთილი კათოლიკე ქრისტიანები იყვნენ. მე ობლად დავრჩი და ვკმაყოფილდებოდი მცირედი ჯამაგირით და უმნიშვნელო საჩუქრებით, სასახლეში რომ ჩვეულებად აქვთ მოახლეებს მისცენ ხოლმე. ამ ხანში ერთმა ფარეშმა შემიყვარა, - ამის მიზეზი მისთვის სულაც არ მიმიცია, - უკვე ხანში შესული კაცი იყო, წვეროსანი და წარმოსადეგი გარეგნობისა, და მის გარდაც ისეთი იდალგო, თვით მეფესაც არ ჩამოუვარდებოდა, რადგან ტომით მონტანიდან

იყო. ძლიერ ვცდილობდი, ჩვენი სიყვარული საიდუმლოდ დაგვეფარა, მაგრამ ჩვენმა ქალბატონმა ეს მაინც გაიგო და ყოველგვარი მოთქმა-მოთქმისა და ჭორების ასარიდებლად ჩვენი უწმიდესი დედის - რომის კათოლიკეთა ეკლესიის ნებართვითა და დასტურით იმ კაცს ცოლად შემერთო. ამ ქორწინებიდან ჩემს ჭირად ქალი გამიჩნდა, რათა ყველა ბედნიერება მოესპო ჩემთვის, - თუკი ოდესმე ვიყავი ბედნიერი, - იმიტომ კი არა, რომ ლოგინობით მოვკვდი, - არა, მშვიდობიანად და დროულად მოვილოგინე; იმიტომ, რომ ჩვენი ქალის დაბადების შემდეგ ჩქარა ქმარი მომიკვდა შეშინებისაგან. დრო რომ მქონდეს, ამ ამბავს ვუამბობდი თქვენს მოწყალებას და ვიცი, ძალიან გაგიკვირდებოდათ.

აქ დუენიამ მწარე ტირილი მორთო და თქვა:

- მამატიე, თქვენო მოწყალება, სენიორ დონ კიხოტო, თავის შეკავება არ შემიძლია, რადგან მუდამ, ვახსენებ თუ არა ჩემს უბედურ ქმარს, თვალები ცრემლებით მევსება, ოჰ, ღმერთო ჩემო, რა სიამაყით ატარებდა თავისი ღონიერი, კუპრით შავი ჯორის გავაზე შემოსმულ მის ქალბატონს! რადგან იმ დროს ხმარებაში არც ეტლი იყო, არც ტახტრევანი, - ამბობენ, ახლა თურმე შემოუღიათ. ქალბატონები თავიანთ ფარეშებს ჯორზე უკან შემოუსხდებოდნენ და ისე დადიოდნენ. მაგრამ ერთი ამბავი კი უნდა გიამბოთ, რომ დარწმუნდეთ, რარიგად გაზრდილი და თავაზიანი იყო ჩემი კეთილი ქმარი. ერთხელ მადრიდში მან სანტ-იაგოს ქუჩაზე მოუხვია; როგორც ვიცით, ეს ქუჩა ძლიერ ვიწროა; და ასე მოხდა, რომ სწორედ მაშინ მის პირდაპირ დედაქალაქის ალკალდი ორი ალგვასილით მიდიოდა; იგი ჩემმა კეთილმა ქმარმა დაინახა თუ არა, ჯორი მოატრიალა და ალკალდის უკან გაყოლა დააპირა. ჯორის გავაზე მჯდარმა მისმა ქალბატონმა ხმადაბლა უთხრა: "რას ჩადიხარ, უბედურო, ხომ ხედავ, მეც აქა ვარ და იმ მხარეზე არ მივდივარო". ზრდილობის გამო ალკალდმა ცხენი შეაყენა და ჩემს ქმარს უთხრა: "თქვენს გზაზე წაბრძანდით, სენიორ, რადგან დონა კასილდას (ასე ერქვა ჩემი ქმრის ქალბატონს) გაცილება მე უფრო მეკუთვნისო". მაგრამ ჩემი ქმარი, ქუდმოხდილი, მაინც თავისას არ იშლიდა და ალკალდის გაცილება სურდა. მაშინ ამის დამნახავმა გაჯავრებულმა და გაბოროტებულმა ქალბატონმა აბგიდან გამოიძრო თმის დასამაგრებელი მსხვილი ქინძისთავი, უფრო კი სადგისი, და ჩემს ქმარს შიგ წელში გაუყარა, ისე, რომ იგი მთლად მოიკრუნჩხა, გაითანგა და საშინელი ყვირილით ქალბატონიანად ჯორიდან ჩამოვარდა. ქალბატონს ორი მისი მსახური, ალკალდი და ალგვასილები მისცვივდნენ და ზეზე აყენეს; გვადალახარის მთელი კარიბჭე შეიძრა ამ ამბით, შეშფოთდა და აფორიაქდა; ესე იგი, მე მინდა ვთქვა, თვით კარიბჭე კი არა, არამედ - იქ მყოფი მოხეტიალე ბრბო. ქალბატონი ქვეითად გაემართა შინ, ჩემი ქმარი დალაქთან გაიქცა და ყვიროდა, შიგნეულობა მთლად დაჩვრეტილი მაქვსო. მას ისეთი ზრდილობიანი კაცის სახელი გაუვარდა, რომ ქუჩებში სულ უკან დასდევდნენ პატარა ბიჭები, და აი, ამ მიზეზით და აგრეთვე იმის გამოც, რომ ოდნავ ბეციც იყო, ქალბატონმა ის დაითხოვა. მაშინ, როგორც მგონია, ამ დარდისაგან მოკვდა და მე უქმროდ, უმანკო ქვრივად დამტოვა პატარა ქალიანად, რომლის სილამაზე დღითიდღე ზღვის ქაფივით მატულობდა და იზრდებოდა. შემდეგ ჩემმა სენიორმა ჰერცოგის მეუღლემ, იმ ხანებში ჩემს ბატონს ჰერცოგს რომ მისთხოვდა, გაიგო, რომ მე გამოცდილი მკერავი ვიყავი, და ჩემი ქალიანად არაგონის სამეფოში წამიყვანა; ამასობაში დღე დღეს მისდევდა, ჩემი ქალი იზრდებოდა, იფურჩქნებოდა და ყველაზე უტურფესი ქმნილება გახდა ამ ქვეყანაზე; იგი ტოროლასავით მდერის, ცეცხლის გრიგალივით უვლის ფერხულს, გიჟმაჟივით ცეკვავს, სკოლის მასწავლებელივით კითხულობს და წერს და მოვანხსავით ანგარიშობს და ითვლის. ისეთი ფაქიზია, რომ არ ითქმება, რადგან ასე გგონია, იმაზე წმინდა და სუფთა მთის მდინარის წყალიც არ იქნება, და თუ მეხსიერება არ

მდალატობს, ახლა თექვსმეტი წლისა, ხუთი თვისა და სამი დღის უნდა იყოს, შეიძლება ერთი დღით მეტი ან ნაკლები. აი სწორედ ეს ჩემი ქალი ერთ მდიდარ გლეხს შეუყვარდა, აქვე, ახლოს - ჩემი ბატონის, ჰერცოგის მამულში მცხოვრებს. არ ვიცი როგორ მოხდა ეს, მხოლოდ მათ ერთმანეთი გაიცნეს, იმ ვაჟბატონმა ჯვარისწერის პირობა მისცა, შეაცდინა და ახლა თავის დაპირებაზე უარს ამბობს. თუმცა ჩემმა ბატონმა ჰერცოგმა იცის ეს საქმე, რადგან იმ უმაქნისზე ბევრჯერ მიჩივლია მასთან და მითხოვნია; იმ მატყუარას უბრძანოს - ჩემს ქალზე ჯვარი დაიწეროს, მაგრამ ის ყურს არ იბერტყავს და არც ესმის ჩემი თხოვნა, თითქოს ერთი უჯიათი ვინმე იყოს. საქმე იმაშია, რომ იმ მაცდური გლეხის მამა ძლიერ მდიდარია, ხშირადაც ჰერცოგს ფულს ასესხებს და ხანდახან შუამავლობასა და თავდებობას უწევს სხვადასხვა ბნელ საქმეებსა და ოინებში, - ამიტომ ჰერცოგს არაფრით არ უნდა მისი წყენა და შეწუხება. და აი, მე ვთხოვდი თქვენს მოწყალეებს, ჩემო კეთილო ბატონო, თქვენი იმედი მაქვს, ეს საქმე როგორმე მოაგვაროთ და სიტყვით იქნება თუ იარაღით, ეს უსამართლობა აღმოფხვრათ, ვინაიდან მთელმა მსოფლიომ იცის, რომ თქვენი მოწყალეობა თურმე იმიტომ მოსულხართ ამქვეყნად, რათა სიმართლე აღადგინოთ, უსამართლობა დათრგუნოთ, ტანჯულ-გვემულნი და ტვირთმძიმენი დაიფაროთ, უბედურთ მწედ ეყოთ; თქვენო მოწყალეებავ, ყურად იღეთ ჩემი ქალის ობლობა, მისი სიტურფე, მიჰხედეთ მის ყმაწვილქალობას და მის სხვა საუცხოო თვისებებს, რაც უკვე გიამბუთ; გეფიცებით ღმერთსა და ჩემს სინდისს, ჩემს ქალბატონს რაც მხეველები ჰყავს, იმის ფეხთა მტკერის ღირსნიც არ არიან; თვით ქალწული ალტისიდორა, რომელიც აქ ყველაზე ლამაზ და თამამ ქალად ითვლება, ჩემს ქალს ორი დღის სავალზე ჩამორჩება. დამიჯერეთ, თქვენო მოწყალეებავ, ჩემო ბატონო, რომ ყველა ოქრო როდია, რაცა ბრწყინავს, და ის ალტისიდორა პრანჭია და თავხედი უფროა, ვიდრე მორცხვი და ლამაზი; ამას გარდა პირი ისე უყვარს, რომ მის ახლოს ერთ წამსაც არ შეიძლება დარჩენა; და თვითონ ქალბატონი ჰერცოგის ცოლი... მაგრამ ეს დარჩეს, ... აქ უმჯობესია დავდუმდე, რადგან, ნათქვამია, კედლებსაც ყურები აქვსო.

- ჰერცოგის ცოლი? - ჰკითხა დონ კიხოტმა. - თუ ღმერთი გწამთ, სენიორა როდრიგეს, ამიხსენით - რა გსურდათ გეთქვათ ჰერცოგის ცოლზე?

- რა გაეწყობა, - მიუგო დუენიამ, - რაკი დამაფიცეთ, ყველაფერი გულახდილად უნდა გითხრათ. თქვენ ნახეთ, თქვენო მოწყალეებავ, სენიორ დონ კიხოტო, თუ რა მშვენიერია ჩემი ქალბატონი ჰერცოგის მეუღლე: მისი პირის კანი პრიალებს და ბრწყინავს, როგორც ორლესული მახვილი; თქვენ ნახეთ მისი ვარდ-ზამბახი ლოყები, მზისა და მთვარის მსგავსი თვალები, მისი ამაყი სიარული, თითქოს ფეხქვეშ დედამიწას არა გრძნობსო; და ადამიანი იფიქრებს, სადაც კი ფეხს დაადგამს, გარშემო სიცოცხლეს აფრქვევსო. მაგრამ იცოდეთ, თქვენო მოწყალეებავ, ყველა ამისთვის ჰერცოგის ცოლი ჯერ ღმერთს უნდა სწირავდეს მადლობას და მერე ფეხებზე დუგუნებს, საიდანაც როგორც ამბობენ, მისი სხეულის ყოველგვარი უწმინდური წვენი გამოდის; ექიმები ასე ამბობენ, ჰერცოგის მეუღლე თავიდან ფეხებამდე ამ წვენითაა სავსეო.

- ყოვლად წმიდაო ქალწულო! შესძახა დონ კიხოტმა. -- განა შესაძლებელია ქალბატონ ჰერცოგის ცოლს ასეთი რამ სადინარი მიღები ჰქონდეს? მაგას მაშინაც არ დავიჯერებდი, საკუთარი თვალითაც რომ მენახა და ფეხშიშველ ბერებსაც რომ ემტკიცებინათ ეს ამბავი; მაგრამ რაკი ამას ქალბატონი დონა როდრიგესი ამბობს, უნდა დავიჯერო, მაინცდამაინც ვფიქრობ, რომ მის მშვენიერ ფეხთა დუგუნებიდან უწმინდური წვენი კი არა, წმინდა

გუნდრუკი გადმოსჩქევს. და მართლაც, ამიერიდან საბოლოოდ იმ აზრს ვაღიარებ, რომ დუგუნების გახსნა ჯანმრთელობისათვის ფრიად სასარგებლო რამაა.

დონ კიხოტმა ვერც კი მოასწრო ამ სიტყვების წარმოთქმა, რომ ოთახის კარები ისეთი საშინელი ხმაურით გაიღო, რომ მოულოდნელობისაგან თავზარდაცემულ დონა როდრიგესს სანთელი ხელიდან გაუვარდა და ოთახში წყვილი დადგა. როგორც იტყვიან, კაცი თვალში თითს ვერ მიიტანდა. იმავე წამს საწყალმა დუენიამ იგრძნო, რომ ორი ხელი ისე მაგრად და სწრაფად ეცა ყელში, რომ დაყვირება ვეღარ მოასწრო. ვიღაც მეორემ ხმაამოუღებელი უცბად უკანადან კაბა აუწია და რაღაც ტუფლის მსგავსი საგნით ცემა-ტყეპა დაუწყო, - პირდაპირ შეეცოდებოდა ადამიანს; დონ კიხოტს საწყალი დუენია კიდევ შეებრაღა, მაგრამ ლოგინიდან არ დაძრულა. თანაც ამ ფათერაკის გამო დიდხანს აზრზე ვერ მოვიდა. მთელი ის ხანი არ განძრეულა და ხმა არ ამოუღია, რადგან ეშინოდა, იმ მოჩვენებებს ისიც არ გაეტყვიპათ, ეს იმისი შიში არცთუ ტყუილი გამოდგა. დუენია რომ კარგად მიასიკვდილეს, უხილავი და მდუმარე ჯალათები ახლა დონ კიხოტს მიადგნენ. ზეწარი და საბანი გადახადეს და ისე უწყალოდ დაუწყეს ჩქმეტა და წიწკნა, რომ საბრალო რაინდი იძულებული შეიქნა მათ მოსაგერიებლად მუშტები ეხმარა. საოცარ სიჩუმეში თითქმის ნახევარ საათს გასტანა ამ ბრძოლამ; ამის შემდეგ მოჩვენებანი გაქრნენ; დონა როდრიგესმა კაბის კალთები ჩაუშვა და თავისი თავსგარდავლილი უბედურების გამო მტირალი ისე გავიდა დონ კიხოტის ოთახიდან, სიტყვა არ დაუძრავს. დაფიქრებული, აღელვებული, დაჩქმეტილი, გატანჯული, დარცხვენილი და გაცბუნებული დონ კიხოტი თავის ლოგინში მარტოდმარტო დარჩა და თან სურვილი სწვავდა - გაეგო, თუ რომელმა ვერაგმა ჯადოქარმა უყო მას ასეთი ოინი. ეს თავის დროზე გამოირკვევა, ხოლო ახლა კი სანჩო გვეძახის თავისთან და ისტორიის რიგიც მოითხოვს, იმას დაუბრუნდეთ.

## თავი XLIX

რა შეემთხვა სანჩო პანსას კუნძულის შემოვლის ჟამს

დიდი გუბერნატორი ჩვენ მაშინ დავტოვეთ, როდესაც განგებ თავმოსულელებულ, გაიძვერა მხატვარ-გლეხისაგან ძლიერ იყო განრისხებული და გაბრაზებული. იმ გლეხმა ჰერცოგის შეგულიანებითა და სახლთუხუცესის დარიგებით ჩინებულად აასრულა საოცნებო კუნძულის გუბერნატორის მასხარად აგდება; მაგრამ სანჩოც, თუმცა ძალიან გულუბრყვილო, უსწავლელი და უხეში იყო, მაგრამ თავის დამცინავთ ისე მარჯვედ და მედგრად უხვდებოდა, რომ არსად არ წაუბორძიკნია. და აი, როცა ჰერცოგის საიდუმლო ცნობა წაიკითხეს და ექიმი პედრო რესიოც დაბრუნდა დარბაზში, სანჩომ ყველა დამსწრეს განუცხადა:

- ბატონებო, რაკი ჰერცოგისაგან ეს საიდუმლო წერილი მივიღე, ჭეშმარიტად ახლა ვხვდები, რომ მსაჯულები და გუბერნატორები ნამდვილი რკინა-კაცები უნდა იყვნენ, რომ დამშვიდებით და აუღელვებლად გაუძლონ იმ აბეზარ მთხოვნელთა ურცხვ გაციებასა და სილაღეს, ჩვენთან რომ სხვადასხვა საქმისათვის ყოველ წუთსა და ყოველ დროს მოდიან; ისინი დაჟინებით მოითხოვენ, რა დროც უნდა იყოს - მოვუსმინოთ და მთელი დრო მათ საქმის გარჩევას მოვანდომოთ; იმათ ხომ მხოლოდ საკუთარი საქმეები ადარდებთ, დანარჩენი აგრერიგად არ აწუხებთ: და თუ საბრალო მსაჯულმა არ მოუსმინა და მათი საქმე არ გაარჩია, შეუძლებლობით იქნება თუ მათი უდროო დროს მოსვლით, - მაშინ ის ვაჟბატონი მთხოვნელები წყევლა კრულვასა და ბუზღუნს მოჰყვებიან; მსაჯულს თავიდან ფეხებამდე განაქიქებენ და მის

საგვარტომო ნუსხაშიაც კი იქეცებიან. რეგვენო მთხოვნელო, ჭკუათხელო მთხოვნელო, რას ეშურები და ეჩხირები მაგ შენი საქმით, მარჯვე დროსა და შემთხვევას დაუცადე და მაშინ ითხოვე, რაც გინდა; მაშინ რად მოდიხარ, როცა მსაჯულები სადილობენ ან იძინებენ, - ისინიც ხომ ხორცისა და ძვლებისაგან შექმნილი ადამიანები არიან და ბუნებას თავიანთი ბუნებრივი ხარკი უნდა მისცენ; მარტო მე გახლავართ გამონაკლისი და არცა ვჭამ და არცა ვსვამ ამ ექიმ პედრო რესიო ტირტეაფურერის წყალობით, რომელსაც გადაუწყვეია უეჭველად მშიერი მომკლას და თან ამტკიცებს, ეს სიკვდილი ნამდვილი სიცოცხლეაო, - ნეტამც არ იქნება ღმერთმა ასეთი სიცოცხლე თვითონ ამას მისცეს და მთელ ამის მოდგმას, ესე იგი ყველა ბოროტ და უვარგის ექიმს, რადგან კარგი ექიმები დაფნისა გვირგვინის ღირსნი არიან.

სანჩო პანსას ყველა მცნობს მისი გონივრული ლაპარაკი და ნატიფი შნოიანი სიტყვები უკვირდა და არ იცოდნენ, რისთვის მიეწერათ ასეთი ცვლილება. თუმცა ცნობილია, რომ მაღალი თანამდებობა და საპასუხისმგებლო ადგილი ხან ზეცამდე აღამაღლებენ და გაანათლებენ ადამიანს და ხანაც საშინელ წყვდიადსა და უკუნში ჩაყურსავენ მას.

ამჯერად საქმე იმით გათავდა, რომ ექიმმა პედრო რესიო აგუერო დე ტირტეაფურერამ აღუთქვა სანჩოს, სალამოზე ვახშმის ჭამის ნებას მოგცემო, თუნდაც ამისათვის ჰიპოკრატეს ბრძნულთ რჩევა-დარიგების მსხვერპლად მოტანაც დამჭირდესო. ამ დაპირებამ მეტად გაახარა გუბერნატორი და დიდი მოუთმენლობით ელოდა სალამოს და ვახშმობის ჭამის მოახლოებას. და თუმცა მას ეჩვენა, რომ დრო უძრავად იდგა ერთ ადგილას, მაინც ნანატრი ვახშმის დრო, როგორც იყო, დადგა და იმასაც ხახვით შეზავებული დაბულული ძროხის ხორცი მოართვეს და არცთუ ეგრერიგად ნორჩი ხბოს მოხარშული ფეხები. ყველაფერი ეს სანჩომ მაღიანად შეთქვლიდა. ეს ვახშამი სანჩოს მილანას ტყის ქათამზე, რომის ხობებზე, სორენტოს ხბოს ხორცზე, მირონის კაკებზე და ლავახოსის ბატებზე უფრო გემრიელი ეჩვენა.

- მომისმინეთ, ბატონო ექიმო, - უთხრა სანჩომ პედროს ვახშმის დროს, - თავს ნუ შეიწუხებთ - საგანგებო საჭმელებით და შერჩეული კერძებით მიმასპინძლოთ; ჩემი კუჭი თხის ხორცს, ცხვრის ხორცს, ღორის ხორცს, ქონს, თალგამს და ხახვს არის დაჩვეული; სხვადასხვა სამეფო საგანგებო საჭმელების ჭამა, რომ დავიწყო, ის იქნებოდა - ჩემი კუჭი თავის ჩვეული ალაგიდან დამეძრა. ყველა იმ ძვირფას საჭმელს ჩემი კუჭი ღრეჯით ინელებს და თანაც ზოჯეერ - ზიზღითაც; მოურავი ყველაზე უკეთესს იმას იზამდა, ჩემთვის ოლა პოდრიდა მოეტანა, თუნდა შიგ დამპალი ნადირის ხორციც ერიოს, - არა უშავს რა, უკეთესი სუნი ექნება. რაც გინდათ, ყველაფერი ჩააყარეთ, მაგით საგანგებოდ დამავალეზთ და მეც ვეცდები ოდესმე თქვენი ღვაწლი დავაფასო და ორმაგად გადაგიხადოთ. მაგრამ, თუ ღმერთი გწამთ, ჩემთან ხუმრობას და ჩემს გაქირდვას თავი დაანებეთ. აქ დარჩენა გნებავთ - დარჩით; არა გნებავთ - როგორც გნებოთ; მშვიდობიანად და მეგობრულად ვიცხოვროთ და ნუ დავივიწყებთ, რომ ღმერთი ყველას ერთნაირად ჰფენს მზის სინათლეს ამ კუნძულის გამგეობის დროს არც ხარკსა და ბეგარას დავკარგავ, არც მე ავიღებ რაიმე ქრთამს და არც არას სხვას ავალეზინებ. ეს ანდაზა თქვენც იცით: თუ ვინმე თაფლად იქცა, - მას ბუზები შეჭამენ. ამიტომ ყველა ყურმახვილად და ფხიზლად იყოს, თორემ ჩვენც რამე გაგვეგება და ვაჩვენებ, რომ ცეკვაში ეშმაკი ჩამორეულა. და თუ შემთხვევა მომეცა, სასწაულებსაც ჩავიდენ.

- სინდისს გეფიცებით, სენიორ გუბერნატორო, თქვენმა მოწყალებამ ღრმა ჭეშმარიტების ბრძანება ინება, - მიუგო მოურავმა, - და ყველა ამ კუნძულის მცხოვრებთ თავდებად დავუდგები, რომ თავგამოდებით ერთგულად და სიყვარულით გემსახურებიან, რადგან

თავიდანვე თქვენ ისეთ მოწყალე მმართველად მოაჩვენეთ თავი, რომ უნდა ვიგულისხმოთ - ცოდვა იქნებოდა მათ განეზრახათ ან ჩაედინათ რაიმე თქვენს საწინააღმდეგოდ და საზიანოდ.

- დიახაც, - მიუგო სანჩომ, - და მგონია, მარტო უგუნურებს შეუძლიათ სხვანაირად იფიქრონ და იმოქმედონ, მხოლოდ, კიდევ გავიმეორებ, ეცადეთ კარგად გვაჭამონ მეც და ჩემს ვირსაც, რადგან ყველა საქმეთაგან ეს უმთავრესია და გადაუდებელი. და ახლა სწორედ მარჯვე დროც არის ეს მეთქვა. თავის დროზე შემოვივლით ამ კუნძულს, მინდა გავწმინდო აქაურობა ზარმაცებისა, მატანტალებს ისა და საზოგადოდ ყველა უმაქნისისგან; მინდა დაგარწმუნოთ, ჩემო მეგობრებო, რომ საზოგადოებაში უმაქნისი ადამიანი სკაში, შრომისმოყვარე მუშა ფუტკრის მიერ მომზადებულ თაფლის მჭამელ მუქთახორა - მურ-ფუტკარს ემსგავსება. მე მინდა მფარველობა გავუწიო მეურნე გლეხებს, იდალგოების უფლებები დავიცვა, სათნო და კეთილი ხალხი დავაჯილდოვო და, განსაკუთრებით, კიდევ პატივი ვცე სარწმუნოების მიმდევარ ადამიანებს, აბა, რას იტყვით ამაზე, ჩემო მეგობრებო? მართალს ვამბობ თუ არა? მითხარით, - თუ ცუდი იყოს, მზადა ვარ თავი ჩემი ხელითვე გავიჭეჭყო.

- თქვენო მოწყალეებავ, სენიორ გუბერნატორო, - მიუგო სახლთუხუცესმა, - მე მხოლოდ ის მაკვირვებს, საიდან შეუძლია სრულიად უწიგნო კაცს, - თქვენ, თქვენო მოწყალეებავ, მგონია, წერა-კითხვა სულ არ იცით, - ასეთი ჭეშმარიტი აზრების გამოთქმა და საერთოდ გონივრული, ბრძნული ლაპარაკი? გეფიცებით, არც ჩვენ, არც ისინი, ვინც ჩვენ აქ თქვენთან ერთად გამოგვგზავნა, თქვენგან ასეთ საქმეს სულ არ მოელოდნენ, როგორც ჩანს ქვეყანაზე მუდამდღე ახალ რამეს ნახავს კაცი, - დაუმატა სახლთუხუცესმა, - ხუმრობა გონივრულ სიტყვად იქცევა და მასხრადამგდებნი - თვითონ გამოდიან მასხრად აგდებულნი და გაქირდულნი.

დადგა სალამო და გუბერნატორმაც ექიმ რესიოს ნებართვით ივახშმა. ნავახშმევს განიზრახა თავისი ამალით კუნძული მოევლო და დაეთვალაიერებინა. მას ახლდნენ სახლთუხუცესი, მოურავი, მდივანი, ჟამთაძწერელი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა სანჩოს ყველა მოძრაობა და მოქმედება ჩაეწერა შთამომავლობისათვის გადასაცემად. მათ უკან მისდევდა მთელი ჯარი ალგვასილებისა და სხვადასხვა მოხელეთა. სანჩოს ხელში კვერთხი ეჭირა და იმ გროვა ხალხშემოხვეული მედიდურად მიდიოდა. რამდენიმე ქუჩა რომ გაიარეს, ერთ ალაგას უცბად იარაღის ჩხარუნი მოესმათ. ყველანი იქითკენ გაექანე და დაინახეს, რომ მხოლოდ ორი კაცი იბრძოდა; მოწინააღმდეგენი წესრიგის დამცველთა დანახვაზე შედგნენ და ერთ-ერთმა მათგანმა თქვა:

- ღვთისა და მეფის სახელით, - გკითხავთ, განა ამის ატანა შეიძლება, რომ ამ სოფლის შუა ქუჩაში ყველას თვალწინ თავს ესხმიან ადამიანს?

- დამშვიდდით, კეთილო კაცო, - უთხრა სანჩომ, - და მიაშბეთ, რა მოხდა და რისთვის იბრძვით? მე აქაური გუბერნატორი ვარ.

- ბატონო გუბერნატორო, - მიუგო მას მეორე მოწინააღმდეგემ, - რაც კი შეიძლება, მოკლედ მოგახსენებთ, რაც მოხდა. იცოდეს თქვენმა მოწყალეებამ, რომ ამ ვაჟბატონმა, ეს არის ახლა საყომარბაზო სახლში, აგერ პირდაპირ რომაა, ათას რეალზე მეტი მოიგო, - მარტო ღმერთმა იცის როგორ და რა ხერხით? თამაშობაში რომ იყო, მეც ვესწრებოდი და სინდისის წინააღმდეგ რამდენიმე საეჭვო მოგება ავაღებინე და, როცა ველოდი, ამისთვის მადლობას გადამიხდის და ერთ ოქროს მაინც მომცემს-მეთქი, როგორც ეს შემფერის ჩემებრ საპატიო პიროვნებას, გავლენიან ადამიანს, უზენაეს მსაჯულს, რომელიც თვალყურს ადევნებს თამაშის

მსვლელობას, აშოშმინებს მოჩხუბართ და ჰკვეთს მოსალოდნელ უკანონობას; მაგრამ მან თამაშის შემდეგ მოგებიანად შინისკენ არხეინად გასწია - თითქოს აქ არაფერიაო. რაკი დავინახე, რომ ამ ვაჟბატონმა ჯიბეში ფული ჩაიდო და არხეინად თავის გზას დაადგა, გაბრაზებული უკან გამოვუდექე და ზრდილობიანად, თავმდაბლად ვთხოვ - რვა რეალი მაინც მოგცა; ამან ძალიან კარგად იცის, რომ რიგიანი და პატიოსანი კაცი ვარ და არც მამული მაქვს, არც რამე საქმე, ჩემმა მშობლებმა არ ინებეს და არც ერთი დამიტოვეს და არც მეორე არ მასწავლეს. მაგრამ ეს ვაჟბატონი - კაკუზე უარესი ქურდია და ანდრადილაზე უფრო მეტად გაიძვერა და მატყუარა - მეუბნება - ოთხ რეალზე მეტს არ მოგცემო. ახლა თვითონ ხედავთ, თქვენო მოწყალეებავ, რომ ამ კაცს არც სინდისი აქვს და არც სირცხვილი გააჩნია, მაგრამ ამ მოგებისგან კეთილს არ შეეყრება, თუ თქვენ არ მოგესწროთ, ბატონო გუბერნატორო, ამ მოგებას ხელიდან წავგლეჯდი და მე ამას ჩემს თავს კარგად გავაცნობდი, - გაიეგბდა, თუ როგორ იქცევიან რიგიანი და წესიერი ადამიანები.

- რას იტყვით ამაზე? - ჰკითხა სანჩომ ბრალდებულს.

- იმასვე, რასაც ჩემი მოწინააღმდეგე ამბობს, - მიუგო ბრალდებულმა, - ეგ სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, ოთხ რეალზე მეტის მიცემა არ მინდოდა, რადგან უიმისოდაც ბევრი ფული მიმიცია მაგისტვის, მხოლოდ დაფუმატებ, ვინც მოთამაშისაგან მადლობის გადახდას და რაიმე საბოძვარს ელის, ზრდილი და თავაზიანი უნდა იყოს, რასაც ამლევენ, ის სიხარულით და სიამოვნებით აიღოს, არაფერი ანგარიში არ გაუწიოს, თუ დანამდვილებით არ იცის, რომ მოთამაშე გაიძვერა და ყალბაბანდობით იგებს; ხოლო გაიძვერა და ყომარბაზი, რომ არა ვარ, ამას ყველაზე მეტად ის ამტკიცებს, რომ ამ თავხედისთვის არაფრის მიცემა არ მინდოდა; ნამარცვს მარტო ქურდები უყოფენ თავის ამხანაგებს, ხოლო ყომარბაზებს ყოველთვის უხდებათ ხარკი გადაუხადონ იმ გაიძვერებს, რომლებიც იცნობენ მათ ჯიბგირულ ხელობას.

- ეგ მართალია, - დაადასტურა სახლთუხუცესმა, - შემდეგ სანჩოს მიუბრუნდა და ჰკითხა: - ბატონო გუბერნატორო რას, ბრძანებთ რა ვუყოთ ამ ვაჟბატონებს?

- აი, რა, - მიუგო სანჩომ, თქვენ, რომელსაც ფული მოგიგიათ პატიოსნად თუ უპატიოსნოდ, - არც ისე თუ არც ასე, ახლავე მიეცით თქვენს მოწინააღმდეგეს ასი რეალი და ამას გარდა ციხეში დაპატიმრებულთა სასარგებლოდ - ოცდაათი რეალი გაიღეთ, ხოლო თქვენ, საქმისა და ქონების უქონელმა და, მაშასადამე, უსაქმურად მცხოვრებმა, ჩქარა გამოართვით ამას ასი რეალი და ხვალვე აქედან გადაიკარგეთ; ამ კუნძულიდან ათი წლის ვადით ჩაითვლებით განდევნილად და თუ ამ ვადაზე ადრე დაბრუნდებით, მაშინ ამ ათი წლის დანაკლისის შესრულება საიქიოს მოგიხდებათ, რადგან, თუ ჩემს ბრძანებას გადახვედით, მაშინ მე ან ჩემი ბრძანებით ჯალათი სახრჩობელასკენ გზას გიჩვენებთ; ნუ შემესიტყვებით, ვაი მას, ვინც ერთი სიტყვის თქმას მაინც გამიბედავს, - ის ჩემი ხელის სიმძიმეს გამოსცდის.

ყომარბაზმა რომ ეს მოისმინა, ფული ამოიღო და მისმა მოქიშპემ კი გამოართვა. ერთმა კუნძული დაუტევა, მეორე შინ წავიდა. ისინი რომ წავად-წამოვიდნენ, გუბერნატორმა წამოიძახა:

- ან ჩემი ძალაუფლება გახვრეტილ ფარად არ ეღირება, ან ყველა ამ საყომარბაზოს ერთიანად მივაკეტინებ. ჩემის აზრით, მათგან დიდი ზიანის მეტი არა გამოდის რა.

- ამას კი, ჩვენს გვერდზე, რომ არის, - შენიშნა ერთ-ერთმა მსაჯულთაგანმა, - თქვენი მოწყალეობა ვერ მოსპობს, რადგან ერთ წარჩინებულ კაცს უჭირავს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში უფრო ბევრ ფულს კარგავს, ვიდრე ბანქოს თამაშიდან იგებს. სხვა საყომარბაზო სახლები და წვრილ წვრილ ქურდბაცაცათა ბუნაგები კი, ყოველ უმაქნისს რომ უჭირავს, სულ სხვაა. იმათ, თქვენო მოწყალეობავ, შეგიძლიათ თქვენი ძალა უჩვენოთ, ვინაიდან ისინი უალრესად მავნე და ზიანის მომცემნი არიან და თანაც ყოველგვარი გარყვნილების ბუდეებად არიან ქცეულნი; ისიც უნდა ითქვას, რომ წარჩინებული კაბალეროებისა და აზნაურთა სახლებში ყომარბაზი თავის ყალთაბანდური ხელოვნების გამოჩენას ვერ გაბედავს; და რამდენადაც თამაშის დროს ეს არაჯანსაღი ჩვეულება საზოგადოებრივ უბედურებად გადაიქცევა, დაე ისევ წარჩინებულთა და დიდებულთა სახლებში ითამაშონ, ვიდრე წვრილ ხელოსნებთან, სადაც ნაშუადამევს შეათრევენ რომელიმე ბედშავ მოთამაშეს და შემდეგ ცოცხლად ტყავს გაამრობენ.

ამ დროს გუბერნატორთან ვიღაც ყმაწვილი კაცი მოიყვანეს.

- ბატონო გუბერნატორო, - უთხრა პოლიციელმა, ეს კაცი ჩვენსკენ მოდიოდა და, თქვენ, რომ დაგინახათ, გაბრუნდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა. ცხადი ნიშანია, გაიძვერა ვინმე უნდა იყოს. უკან გამოვუდექ და, რომ ფეხი არ დასხლეთოდა და არ წაქცეულიყო, ვერაოდეს ვერ დავეწეოდი.

- ყმაწვილო კაცო, რად გარბოდი? - ჰკითხა სანჩომ.

- იმიტომ, ბატონო გუბერნატორო, - უპასუხა ჭაბუკმა, - რომ ამ პოლიციელს ძლიერ უყვარს გამოკითხვა, მე კი არ მსურდა პასუხი გამეცა.

- რა ხელობას ეწყობი?

- ვფეიქრობ.

- რასა ქსოვ?

- ისრებისთვის ბუნიკებს ვამზადებ, თქვენის ნება დართვით, თქვენო მოწყალეობავ!

- ჰოო, ხუმრობის გუნებაზე ხარ? პირშიაც დამცინი? კეთილი! სად მიხვალ და რა საქმისათვის?

- სუფთა ჰაერი მინდა ჩავყლაპო, თქვენო მოწყალეობავ.

- ეგ სად არის, სუფთა მაგრის ჩასაყლაპად რომ მიდიან?

- იქ, სადაც სუფთა ჰაერია.

- ძალიან კარგი. როგორც ვხედავ სულელი არა ხარ, სიტყვები სამეხნელი არ გიხდება. მაშ წარმოიდგინე, ჩემო კარგო, რომ მე - სუფთა ჰაერი ვარ, პირდაპირ ზურგში გიბერავ და პირდაპირ სატუსალოსკენ გაგასეირნ-გაგანიავებ. ეი, თქვენ! წაიყვანთ ეს და სატუსალოში ჩაკეტეთ! - დაიძახა გუბერნატორმა. - უჰაეროდაც კარგად დაიძინებს ამაღამ. ეყოფა გაგრილება.

- ღმერთმანი, თქვენო მოწყალეობავ, - უთხრა ჭაბუკმა, - თქვენთვის უფრო ადვილი იქნება მეფედ გამხადოთ, ვიდრე საპყრობილეში ჩამსვათ და იქ გამოძინება მიბრძანოთ!



- მერედა რატომ ვერ ჩაგვამ, თუ იცი, საპყრობილეში? - ჰკითხა სანჩომ. - განა არ შემიძლია ვუბრძანო, ახლავე შეგბოჭონ ან გაგათავისუფლონ, როცა მომეპრიანება?

- რაც უნდა ძალა გქონდეთ, - მიუგო ჭაბუკმა, - მაინც ვერ შეძლებთ სატუსალოში გამატარებინოთ ღამე.

- როგორ თუ ვერ შევძლებ? ახლავ წაიყვანეთ სატუსალოში; თავისი საკუთარი თვალით დარწმუნდეს, სატუსალოს უფროსი ალკაიდი გაათავისუფლებს თუ არა. რაც უნდა მოწყალების ჩადენაც უნდოდეს ანგარების მიზეზით, მას ვაიძულებ ორასი ოქრო ჯარიმა გადაიხადოს, საპყრობილიდან თუნდაც ერთი ნაბიჯის გადადგმის ნება რომ მოგცეს.

- ხუმრობთ თუ რა არის! - უთხრა ჭაბუკმა, - მთელს ქვეყანაზე არავისაც არ შეუძლია საპყრობილეში დამაძინოს.

- მითხარი, შე წყეულო და შეჩვენებულო ეშმაკო, - კვლავ დაუძახა სანჩომ, - ზურგს უკან მფარველთ ანგელოზი ხომ არ გიდგას, საპატიმროდან რომ გამოგიხსნას და ბორკილები დაგიმსხვრიოს, - თუ რა არის?

- ბატონო გუბერნატორო, - თამამად და ხუმრობის კილოთი უთხრა ჭაბუკმა, - მოდი ამ საქმეს გონივრული თვალთ შევხედოთ: ვთქვათ, საპატიმროში გამგზავნეთ, ვთქვათ ბორკილებიც გამიყარეთ და ჯაჭვიც შემაბით, ხაროშიაც ჩამაგდეთ და ალკაიდსაც სასტიკად უბრძანეთ - არსად გამიშვას. ვთქვათ - ბრძანება აგისრულდათ, მაინც თუ ძილი არ მინდა და მთელ ღამეს თვალი არ მოვხუჭე და ფხიზლად ვიყავი, განა, თქვენო მოწყალება, თქვენს ხელთ არის ჩემს უნებურად ძილი მაიძულოთ?

- არა, ღმერთსა ვფიცავ, არა! - დაიძახა მდივანმა, - ყოჩად ბიჭო, ვაჟკაცურად დაიხსნა თავი...

- მაშასადამე, თუ არ დაიძინებ, - უთხრა სანჩომ, - იმით მხოლოდ შენს თავს ასიამოვნებ და ჩემი საწინააღმდეგო კი არაფერი გექნება; ხომ?

- არა, არა, ეგ ფიქრადაც არა მქონია, - მიუგო ჭაბუკმა.

- მაშ, თუ აგრეა, შენთვის შინ მშვიდობით წადი, - განაგრძო სანჩომ, - და უფალმა ტკბილი სიზმრებით დაგაძინოს; შენთვის მაგის მოკლება არა მსურს, მაგრამ კი გირჩევ, კვლავ უფროსებთან ხუმრობას თავი დაანებე, ვინ იცის - ვაითუ ისეთ ვინმეს მიაწყდე, ენა მოგაკვნიტინოს.

ჭაბუკი წავიდა და გუბერნატორმა გზა განაგრძო კუნძულის შემოსავლელად. პატარა ხანს უკან მასთან ორი პოლიციელი მოვიდა და ერთი ვიღაც სხვა მამაკაცი დაჭერილი მოიყვანეს.

- ბატონო გუბერნატორო, - უთხრეს მას, - ეს კაცი თურმე მამაკაცი არ არის - დედაკაცია და მერე ძალიან ლამაზი, მხოლოდ მამაკაცურად არის ჩაცმული.

ტანისამოსგამოცვლილ დედაკაცს ორი თუ სამი მაშუქი მიუნათეს თვალებთან და თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ქალის მშვენიური სახე დაუნახეს, ოქრომკედისა და მწვანე ძაფის ესპანური ბადით ჰქონდა თმა შეკრული და აღმოსავლეთის მარგალიტივით მშვენიერი იყო. თავიდან ფეხებამდის გასინჯეს და ნახეს, რომ მწვანე შარვალი ეცვა ოქრომკედის ფარჩისა და ზედა ტანისამოსიც თეთრი ოქრომკედის ქსოვილისა იყო, ზედაც ხიფთანი ეცვა იმავე მწვანე ფარჩისა,

როგორც შარვალი იყო. წითელ აბრეშუმის წინდებზე წვრილი მარგალიტით მოქარგული ოქროს აბზინდიანი თეთრი წვივსაფრები ჰქონდა შემოკრული, თეთრი ვაჟური მაშეები, ძვირფასი ქამარ-ხანჯალი და ძვირფასი ბეჭდები ამთავრებდნენ მის მორთულობას. ერთი სიტყვით, ეს ქალი ყველას მოეწონა, მაგრამ ვინ იყო, ის კი არავინ იცოდა. ადგილობრივი მცხოვრებლები აზრზედაც ვერ მოვიდნენ, თუ საიდან გაჩნდა ეს ქალი, მაგრამ მისმა გამოცხადებამ უფრო ისინი გააკვირვა, ვინც იცოდა, თუ როგორ აპამპულეზდა ჰერცოგი სანჩოს, ხოლო ამ ტურფა ასულის გამოჩენა და ეს ფათერაკი მათ გაუგებრად მოხდა; ახლა ისინი გაცბუნებული ელოდნენ, თუ რით გათავდებოდა ეს საქმე.

ყმაწვილი ქალის სილამაზით სახტად დარჩენილმა სანჩომ ჰკითხა: ვინა ხარ, სად მიხვალ, აგრე რად ჩაგიცვამსო?

სირცხვილისგან გაწითლებულმა და აღელვებულმა ყმაწვილმა ქალმა თვალები ძირს დახარა და მიუგო:

- სენიორ, არ შემიძლია ყველას წინ ვთქვა ის, რაც საჭიროა დიდი საიდუმლოებით დავფარო. მხოლოდ გარწმუნებთ, არა ვარ ქურდი, ბოროტი, მაცდური, მხოლოდ უბედური ქალი ვარ, ეჭვმა იქამდის მიმიყვანა, რომ ჩემი თავის პატივი დამავიწყა.

- ბატონო გუბერნატორო, - ჩაერია სახლთუხუცესი, - უბრძანეთ ამ ხალხს იქით წავიდეს, ამ ქალბატონმა თავისი საიდუმლო მოურიდებლად მართო ჩვენ გაგვიცხადოს.

გუბერნატორმა ეს რჩევა დაიჯერა, ხალხს უკან დაწევა უბრძანა და მასთან მხოლოდ სახლთუხუცესი, მოურავი და მდივანი დარჩნენ. ქალი დარწმუნდა, რომ სხვა ვინმე აღარ უსმენდა და შემდეგი თქვა:

- მე ვარ პედრო პერეს მასორკის ქალი. მამაჩემი აქ მატყლის საიჯარო საქმეს აწარმოებს და სადილად მამაჩემთან ხშირად დადის ხოლმე.

- რა აბდა-უბდაა? - გააწყვეტინა სახლთუხუცესმა; - ძალიან კარგად ვიცნობ პედრო პერესს და ისიც ვიცი, არც ვაჟი ჰყავს და არც ქალი. ამასთან ამბობთ: მამაჩემი მამაჩემთან ხშირად დადის სადილადო.

- მეც შევნიშნე, რომ აქ საქმე რაღაც სხვანაირად არის, - თქვა სანჩომ.

- ღმერთმანი, ბატონებო, ისე ვარ აღელვებული, რომ მე თვითონაც არ ვიცი, რას ვამბობ, - მიუგო ყმაწვილმა ქალმა. - მე პედრო პერესის ქალი სრულიადაც არა ვარ, მე ვარ დიელო დე ლა ლიანის ქალი, რომელსაც ყველანი უნდა იცნობდეთ.

- ჰო, ეს სხვა საქმეა და აზრიანადაც არის ნათქვამი, - შენიშნა სახლთუხუცესმა. - დიელო დე ლიანას ვიცნობ; ვიცი, რომ მდიდარი და პატიოსანი იდალგოა და, რომ ქალ-ვაჟი ჰყავს და, რაც დაქვრივდა, მას აქეთ მისი ქალი არავის არ უნახავს, გამოკეტილ ოთახში ჰყავს; როგორც ამბობენ, თურმე იმის შეხედვის ნებას თვითონ მზესაც კი არ აძლევსო. მაინც კი ყველა ამბობს, გასაოცარი ლამაზიაო.

- ეგ სწორედ ასეა და ის ქალი მე ვარ; ლამაზი ვარ თუ არა, ეს ახლა თქვენ თვითონ შეგიძლიათ განსაჯოთ, სადაც თქვენივე თვალებით დამინახეთ, - თქვა ყმაწვილმა ქალმა და თან ცრემლებს აფრქვევდა.

- უთუოდ მართლაც განსაკუთრებული რამ შეემთხვა, - წასჩურჩულა მოურავს მდივანმა, - რომ ასეთი კეთილშობილი ქალი ამ დროს და ასეთი ტანისამოსით სახლიდან გამოქცეულა.

- უთუოდ აგრე იქნება, - მიუგო მოურავმა, - მაგ ექვს უფრო მაგის ცრემლები მოწმობენ.

სანჩომ საბრალო ქალი ანუგეშა, როგორც შეეძლო, და სთხოვა - უშიშრად ეთქვა, თუ რა შეემთხვა, თანაც ყველა იქ მყოფთა სახელით აღუთქვა, გულითა და სულით შეძლებისამებრ დავეხმარებიო.

- მთელი ჩემი უბედურება ის არის, - განაგრძო უცნობმა ქალმა, - რომ მამაჩემს აგერ ათი წელიწადია გამოკეტილ ოთახში ვყავარ, იმ დღიდანვე, რაც დედაჩემი ცივ სამარეს მივაბარეთ. წირვა-ლოცვას მხოლოდ ჩვენს მდიდრულ კარის პატარა ეკლესიაში ატარებენ ხოლმე და მე მთელი ამ ხნის განმავლობაში დღისით მხოლოდ მზე და ღამით მთვარე და ვარსკვლავები დამინახავს. არ ვიცი რა არის ქურები, ქალაქი, ტაძრები, ისიც კი არ ვიცი - ხალხი რა არის, რადგან არავინ არ მინახავს მამისა, ძმისა და მოიჯარადრე პედრო პერესის გარდა, ხშირად, რომ დადის ჩვენსას. ის მაიძულებს მამას არ ვიცნობდე, ჩემს მამობას ის ჩემულობს. ამ მუდმივმა კარჩაკეტილობამ, გარეთ საღ ჰაერზე გამოსვლის აკრძალვამ, ეკლესიაში შესვლის აღკვეთამაც რაღაც აუტანელი ნაღვლიანობა მომგვარა და რამდენიმე თვეა ასე ვცხოვრობ. მე მინდოდა ქვეყანა მენახა, ის მხარე მაინც, სადაც დავიბადე; მეგონა ამ სურვილში კეთილშობილი ყმაწვილი ქალისთვის საძრახისი არა არის რა-მეთქი. როცა გავიგე, რომ ქალაქში ეწყობა ხარების ბრძოლა, კომედიების წარმოდგენა, დოლი და მარულა, ჩემს ძმას ვეკითხებოდი, სულ ერთი წლით, რომ არის ჩემზე უფროსი, - ეგ ყველა რა არის მეთქი, აგრეთვე სხვა რამესაც ვეკითხებოდი, რაც ჩემს დღეში არ მენახა; ჩემი ძმა მიპასუხებდა ხოლმე, როგორც იცოდა, და ამით სურვილს უფრო მიმატებდა - ყველაფერი ჩემი საკუთარი თვალთ მენახა. მაგრამ ჩემი დაღუპვის ამბის გადმოსაცემად საჭიროა გითხრათ, რომ ჩემს ძმას ვთხოვდი, ვემუდარებოდი...

ვიშ, ნეტა არასოდესაც არაფერი მეკითხა მისთვის!

ამ სიტყვებზე ყმაწვილმა ქალმა ისევ ცრემლების ფრქვევა დაიწყო.

- განაგრძეთ, გეთაყვა, - უთხრა მას სახლთუხუცესმა, - გვითხარით, რა შეგემთხვათ; თქვენი სიტყვები და ცრემლები გვაოცებენ და ვერა გაგვიგია რა.

ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სატირელი და სათქმელი კი ცოტა დამრჩა, - მიუგო ქალმა, - რა გაეწყობა? უგუნურ, ცუდად მიმართულ სურვილებსა და ოცნებებს მუდამ სამწუხარო შედეგი მოსდევს.

ყმაწვილი ქალის სილამაზემ მოურავს გული მოუკლა, სახეში მაშუქი კიდევ ერთხელ მიანათა და ისე ეჩვენა, რომ მშვენიერ თვალებს ცრემლი კი არა, ბროლის ცვარი სცვიოდა, ან უფრო მარგალიტი; და ძლიერ სურდა ქალის უბედურება მართლა ისეთი საზარელი არ გამომდგარიყო, როგორც მისი ცრემლებისა და ოხვრისაგან იყო მოსალოდნელი. გუბერნატორს კიდევ ის აწუხებდა, რომ ის ქალი თავის ამბავს არ ათავებდა, და ბოლოს სთხოვა, ნუ აყოვნებ, რადგან გვიან არის და ქალაქის ადგილები ჯერ კიდევ ბლომად მაქვს მოსავლელიო. მაშინ ქალმა ხამუშ-ხამუშ ქვითინითა და მძიმე ვაი-ვიშით ასე განაგრძო:

- მთელი ჩემი უბედურება, მთელი ჩემი ვარამი ის არის, რომ ჩემს ძმას ტანისამოსს ვთხოვდი, რომლითაც შეიძლებოდა ღამ-ღამობით, როცა მამას ეძინებოდა, ეს სოფელი დამევილო და

მენახა. ჩემი თხოვნით გაბეზრებული ძმა ბოლოს დამთანხმდა, თავისი ტანისამოსი მომცა და თვითონ კიდევ ჩემი ტანისამოსი ჩაიცვა, და ისე მოერგო, თითქოს მისთვის ყოფილიყოს შეკერილი; ჩემს ძმას ჯერ წვერ-ულვაში არა აქვს, ჩემს ტანისამოსში ლამაზ ყმაწვილ ქალს ძალიან ჰგავს და დღეს ღამით, რაღაც სულიერი, განუსაზღვრელი ახალგაზრდული სურვილით შეპყრობილნი, ტანისამოსგამოცვლილნი გამოვედით სახლიდან, - მგონია, მას აქეთ ერთი საათი იქნება გასული და, როდესაც შინ დაბრუნება დავაპირეთ, ხალხის ჯგუფი დავინახეთ. დაო, - მითხრა ჩემმა ძმამ, - ეს უთუოდ დარაჯები არიან, აბა მარდად, ფეხებზე ფრთები გამოისხი და ჩქარა გამომყევით; თუ გვიცნეს, ვაი ჩვენს ტყავსო. ეს თქვა, გატრიალდა და კი არ მირბოდა, მიფრინავდა, მე კი ექვსი ნაბიჯი გავირბინე და დავეცი, - ისე ძალიან შემეშინდა. მაშინ ეს ხალხი მე მომცვივდა და თქვენთან მომიყვანა. ახლა მეტად მრცხვენია, რომ აგრე ჩაცმული ვარ, ამდენი ხალხი მომჩერებია და ცუდი და სულელი გოგონა ვგონივარ.

- სხვა არაფერი მომხდარა თქვენს თავს? - ჰკითხა სანჩომ, - მაშ, ჩანს, თქვენი სახლიდან გამოსვლის მიზეზი არავითარი ეჭვი არა ყოფილა, როგორც წელან ბრძანეთ?

- სხვა არაფერი მომხდარა ჩემს თავს, - მიუგო ყმაწვილმა ქალმა, - და არც რაიმე ეჭვს გამოუყვანივარ სახლიდან, მხოლოდ მინდოდა ქვეყანა მენახა და აქაური ქუჩები დამეველო.

ამ დროს, თითქოს ყმაწვილი ქალის სიტყვების დასამოწმებლად, პოლიციელებმა მისი ძმა შემოიყვანეს, ქალზე ადრე შეპყრობილი. იმას ძვირფასი აბრეშუმის კაბა და ზევიდან ოქრომკედის ფუნჯებზემოვლებული ცისფერი ბურუსი ეცვა, თავზე არა ხურა რა თავისი თმების მეტი, ოქროს რგოლებს, რომ ემსგავსებოდნენ - ისეთი ღია ფერისა და ხუჭუჭი თმები ჰქონდა. გუბერნატორმა, სახლთუხუცესმა და მოურავმა განზე გაიყვანეს იგი და ისე ჰკითხეს, რომ ყმაწვილ ქალს არ გაეგო, ქალურად რად ჩაიცივო. დარცხვენილმა და შემკრთალმა ყმაწვილმა ყველაფერი ისე უამბო, როგორც მისმა დამ თქვა და თავისი ნაამბობით ძალიან გაახარა მოურავი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ყმაწვილი ქალი მეტად შეუყვარდა.

- უეჭველია, რომ ძლიერ წინდაუხედავად მოქცულხართ, ბატონებო. რაღაც სისულელებს ლაპარაკობთ, - უთხრა გუბერნატორმა გამოქცეულებს, - და მაგ სისულელეს რომ გვიამბობდით, იმდენი ტირილი და ოხვრა რა საჭირო იყო, პირდაპირ და უბრალოდ მეტყოდით: ჩვენ ორნი, ესა და ეს, მამაჩვენის სახლიდან ჩუმიად გამოვიპარენით და ეს ოინი მარტოდნენ ცნობისმოყვარეობის მიზეზით მოვიფიქრეთ და სხვა არავითარი განზრახვა არა გვქონია-თქო, და ყველაფერი ისე ითქმოდა, - რომ არც ტირილით, არც ოხვრით და არც ამდენი ფშლუკუნით გულს არ გაიხეთქავდით.

- მართალია, - თქვა ყმაწვილმა ქალმა, - მაგრამ მეტად აღელვებული ვიყავ, თქვენო მოწყალეზავ, და თავი ვეღარ შევიკავე.

- კარგი, დიდი არა მომხდარა რა, - შენიშნა სანჩომ; წამომყევით, მამათქვენთან წაგიყვანთ, იქნება თქვენი წამოსვლა ჯერ არც კი გაუგია, კვლავ კი ნულარ იქნებით ასეთი ცნობისმოყვარე ბავშვები და აგრე ძლიერ ნულარ მოინდომებთ ქვეყნის ნახვას: კარგი და პატიოსანი ქალი ფეხმოტეხილივით ზის შინ: დედაკაცსა და ქათამს სირბილი კეთილს არ დააყრის, და ვისაც სხვისი ნახვა უნდა, იმას ისიც უნდა, რომ სხვებმაც ის ნახონ, მორჩა და გათავდა. იმედი მაქვს ჩემი სიტყვები კარგად გაიგეთ.

ყმაწვილმა კაცმა თვითონ და თვისი დის მაგიერ მადლობა გადაუხადა გუბერნატორს და ლტოლვილთა მთელი გუნდი სახლისაკენ გაემართა. შორსაც არ იყო. სახლთან რომ მივიდნენ ყმაწვილმა კაცმა კენჭი ესროლა ფანჯარას; ამ ნიშნის მომლოდინე მოახლემ იმწამსვე კარები გაუღო და და-ძმა მაშინვე შინ შევიდა. შინ რომ მოიყვანეს, გუბერნატორი და მისი ამაღა იმ ყმაწვილების სილამაზით გაკვირვებულნი დარჩნენ და იმითიც, რომ იმათ ღამით თავიანთი სოფლიდან გაუსვლელად ქვეყნიერების ნახვა მოსურვებოდათ, ამის მოპრიანება, რა თქმა უნდა მათ სიყმაწვილეს მიაწერეს. გულდაკოდილმა მოურავმა გადაწყვიტა მეორე დღესვე ცოლად ეთხოვა დონ დიელოს ქალი. დარწმუნებულიც იყო, უარს არ ეტყოდნენ: ამას პერცოგთან თავისი დაახლოება აიძულებდა. სანჩოს კიდევ სურვილი აღეძრა იმ ქალის ძმისთვის თავისი ასული სანჩიკა მიეთხოვებინა, და თანაც განიზრახა, ეს საქმე თავის დროზე მოეგვარებინა, იმ რწმენით, რომ გუბერნატორის ქალის შერთვას არავინ იუარებდა.

ამგვარად დამთავრდა იმ ღამით ქალაქის ჩამოვლა-დათვალიერება. ხოლო ორი დღის შემდეგ მისი გუბერნატორობაც ჩაიფუშა და სანჩოს იმედებიც თან გაჰყვა, როგორც ამას მკითხველი შემდეგში დაინახავს.

#### თავი L

სადაც ირკვევა, თუ ვინ იყვნენ დუენის გამწკვპლავი და დონ კიხოტის დამჩქმეტი და დამკაწვრელი ჯადოქრები და ჯალათები, და მოთხრობილია ისიც, თუ როგორ მიართვა წერილი ჰერცოგის ცოლის პაჟმა სანჩო პანსას ცოლს, ტერესა სანჩას

ამ მართალი ისტორიის ყველა უმცირეს წვრილმანთა გულმოდგინე გამომკვლევნი სიდ ჰამეტი ამბობს, რომ, როდესაც დონა როდრიგესმა თავისი ოთახი დასტოვა და დონ კიხოტისაკენ წარემართა, მისი ოთახის გვერდზე მძინარე მეორე დუენიამ თავისი მეზობლის წასვლა გაიგო, ცნობისმოყვარეობით აღიძრა, ყველაფრის შეტყობა და გაგება მოისურვა და დონა როდრიგესს ჩუმად უკან გაჰყვა ისე, რომ მას არც კი გაუგია, თუ ვინმე თვალყურს ადევნებდა. დონ კიხოტის ოთახში შესული რომ ნახა, მზვერავი დუენია, - რაკი არ უნდოდა ბეზღობასა და ჭორიკანობაში თავის ამხანაგებს ჩამორჩენოდა, მაშინვე ჰერცოგის ცოლთან წავიდა და უთხრა, - დონა როდრიგესი დონ კიხოტთან ზისო. ჰერცოგის ცოლმა ეს ამბავი ქმარს გადასცა და ნებართვა სთხოვა ალტისიდორა წაეყვანა და გაეგო დონა როდრიგესს დონ კიხოტი რაში დასჭირებოდა. ჰერცოგის ნებართვა რომ მიიღო ჰერცოგის ცოლი და ალტისიდორა დონ კიხოტის ოთახთან ფრთხილად და ფეხაკრეფით მიიპარნენ და ისე ახლოს დადგნენ კარებთან, რომ იქ ნალაპარაკევი ყველაფერი ესმოდათ. როცა ჰერცოგის ცოლმა გაიგონა, რომ როდრიგესმა როგორც იტყვიან, ქუჩაში გაფინა მთელი არანხუესის შადრევნების, ესე იგი ქალბატონის დუგუნების საიდუმლო, ვერც მან და ვერც ალტისიდორამ ამის მოთმენა ვეღარ შესძლეს და გაბრაზებულნი და შურისძიების სურვილით შეპყრობილნი ანაზდად ოთახში შევარდნენ, დონ კიხოტი დაკაწრეს და დუენია გაწკვპლეს, როგორც ეს უკვე მოთხრობილი იყო; ვინაიდან ქალთა სილამაზისა და ამპარტავნობის წიწაღმდეგ მიმართული შეურაცხყოფა და სახელის შებღალვა განსაკუთრებით ძლიერ ამძვინვარებს და შურისგების სურვილით აანთებს ხოლმე მათ. ეს შემთხვევა ჰერცოგის ცოლმა ქმარს უამბო, რითაც ძლიერ ასიამოვნა იგი; ხოლო შემდეგ გადაწყვიტა, კვლავ განეგრძო დონ კიხოტის გაპამპულება, და მან სწორედ ის პაჟი, რომელიც მოჯადოების ცრუ გაუქმებაში დულისინეს როლს ასრულებდა (რაც თავის საგუბერნატორო

საქმეებით გართულ სანჩო პანსას უკვე გადაავიწყდა), სანჩოს ცოლთან, ტერესა პანსასთან გაისტუმრა და თან გაატანა მისი ქმრის წერილი და თავისი საკუთარი ბარათიც, ამასთან ერთად საჩუქრად გაუგზავნა მარჯნის დიდი მანიაკი.

შემდეგ ჩვენს ისტორიაში მოთხრობილია, რომ მოხერხებული და მხიარული ხასიათის პაჟი ცდილობდა თავისი ქალბატონისთვის ესაიმოვნებინა და ამიტომაც დიდი ხალისით გამგზავრა სანჩოს სოფელში. სოფელს რომ მიუახლოვდა, მდინარესთან მესარეცხე დედაკაცების ჯგუფი დაინახა და მათ ჰკითხა, სად ცხოვრობს აქ ტერესა პანსა, დონ კიხოტ ლამანჩელის საჭურველმტვირთველის ცოლიო.

ეს სიტყვები ერთმა ახალგაზრდა მრეცხავმა ქალმა რომ გაიგონა, წამოდგა და მიუგო:

- ტერესა პანსა დედაჩემია, სანჩო პანსა კიდეც - მამაჩემი, ხოლო ის რაინდი, თქვენ რომ ახსენეთ, ჩვენი ბატონია.

- მაშ დედათქვენთან მიმიყვანთ, - უთხრა პაჟმა, - მამითქვენისგან წერილი და საჩუქარი მომიტანია.

- ძალიან კარგი, - უთხრა ყმაწვილმა ქალმა, ასე თოთხმეტი წლისამ, თავისი სარეცხი ერთ-ერთ ამხანაგს დაუტოვა და თავშიშველი და თმაგაწეწილი პაჟის ცხენს წინ გაუძღვა.

- აგერ ჩვენი სახლი, სოფლის ბოლოს, - იძახდა იგი. - დედაჩემი ძალიან წუხს, რომ დიდი ხანია მამიჩემისაგან ამბავი აღარ მოგვსვლია.

- მაშ დამშვიდდეს, - უთხრა პაჟმა: - ისეთი ამბები მოგიტანთ, რომ ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს.

ყმაწვილმა ქალმა ხტომითა და კუნტრუმით გაირბინა გზა და თავისი სახლის კარებთან ყვირილი მორთო:

- გამოდი, დედი, გამოდი. ბატონმა ჩვენი კეთილი მამისაგან წერილი და ნივთები მოგიტანა.

ამ ყვირილზე ხელში თითისტარით გამოვიდა ტერესა პანსა. შემოწუთხული თალხი ჩითის ზედატანით, სახელოებგადაკეცილი პერანგით და მოკლე ჟღალი ქვედატანით, კაცი უნებურად იფიქრებდა, თითქოს ცუდი ყოფაქცევისთვის მუხლებს ზევით ძალისძალათი შემოუჭრიათო. იგი ორმოც წელზე ხნიერი ჩანდა, მაგრამ ჯერ მოხუცებულად არ ჩაითვლებოდა, შავგვრემანი, ბრგე, გამრჯე და ღონიერ სოფლის დედაკაცად გამოიყურებოდა.

- რა იყო, შვილო, ან ეს ბატონი ვინ არის? - დაიძახა მან, თავისი ქალი და მის გვერდზე ცხენიანი პაჟი რომ დაინახა.

- მე ვარ ჩემი ქალბატონის, დონა ტერესა პანსას უმორჩილესი მსახური, - მიუგო პაჟმა.

ამ სიტყვებით ცნენიდან ჩამოხტა, სენიორი ტერესას წინ ფრიად მოწიწებით მუხლი მოიდრიკა და უთხრა:

- ნება მიბოძეთ ხელზე ვეამბორო დონა ტერესა პანსას, კუნძულ ბარატარიის სრულუფლებიანი გუბერნატორის დონ სანჩო პანსას საკუთარ და კანონიერ მეუღლეს.

- ადექით, თუ ღმერთი გწამთ, ჩემო ბატონო, ადექით! - შეჰყვირა ტერეზამ. - მე ქალბატონი კი არა, უბრალო გლეხის დედაკაცი ვარ, მიწის მუშის ქალი, მოგზაური საჭურველმტვირთველის ცოლი. აბა გუბერნატორის ცოლი საიდან ვიქნები?

- არა, თქვენო მოწყალება, ბატონი მაღალ აღმატებული გუბერნატორის მეუღლე ბრძანდებით. ამის დასამტკიცებლად ინებეთ და ეს წერილი წაიკითხეთ და საჩუქარიც მიიღეთ.

ეს, რომ უთხრა, ჯიბიდან მარჯნის მანიაკი ამოიღო და ტერეზას ყელზე შემოახვია.

- ეს წერილი ბატონი გუბერნატორისაგან გახლავთ, - უთხრა მან. - ხოლო ეს მანიაკი და ეს მეორე წერილიც ქალბატონი ჰერცოგის ცოლისაგან მოგერთვათ; თქვენს მოწყალებასთანაც იმან გამომგზავნა.

ეს რომ გაიგონეს, ტერესა და მისი ქალი გოცებისაგან გაქვავდნენ; შემდეგ, როგორც იყო, სანჩიკამ შესძახა:

- აქვე მომკალით, თუ ეს საქმე ბატონი დონ კიხოტისგან არ იყოს მოხერხებული. სწორედ ის მისცემდა მამილოს გრაფობას თუ გუბერნატორობას, აქ რომ რამდენჯერმე დაჰპირდა.

- გამოიცანით, - დაატანა პაჟმა. - ბატონი სანჩო კუნძულ ბარატარიის გუბერნატორი გახდა ბატონი დონ კიხოტის წყალობით, როგორც ამას ამ წერილიდან შეიტყობთ.

- წაგვიკითხეთ, გეთაყვა, ბატონო აზნაურო, - უთხრა ტერესამ, - თუმცა ძაფის დართვა ძალიან კარგად ვიცი, წერა-კითხვისა კი, რა მოგახსენოთ, არაფერი გამეგება.

- არც მე ვიცი, - დაურთო სანჩიკამ, - მაგრამ მოიცათ, მღვდელთან გავიქცევი, ან ბაკალავრ სამსონ კარასკოსთან; მამიჩემის ამბის გასაგებად სიხარულით მოვლენ და ამ წვრილსაც წაგვიკითხავენ.

- იმათი დამახება საჭირო არ არის, - უთხრა პაჟმა, - თუმცა მე ძაფის დართვა არ ვიცი, სამაგიეროდ წერილების წაკითხვა შემიძლია.

და ჯერ სანჩოს წერილი წაიკითხა, ზევით რომ იყო მოხსენებული, რის გამოც ახლა მას აღარ ვიმეორებთ, და შემდეგ ჯიბიდან ამოიღო ჰერცოგის ცოლის წერილი, რომელშიც შემდეგი ეწერა:

საყვარელო ტერესა, თქვენი ქმრის, სანჩოს, სულისა და გონების ჩინებულმა თვისებებმა მაიძულეს ჩემი ქმრისთვის, ჰერცოგისთვის, მეთხოვა - ერთ-ერთი თავისი მრავალრიცხოვანი კუნძულის გუბერნატორად დაენიშნა სანჩო. ახლა შევიტყვე, რომ თქვენი ქმარი არწივისებრ გუბერნატორობს; ამან მე მეტად გამახარა, ხოლო ჰერცოგი, ჩემი ქმარი, ხომ უფრო უმეტესად. ათასჯერ ვმადლობ ზენას, რომ არჩევანში არ მოვტყუვდი. კარგი გუბერნატორის შოვნა, უნდა მოგახსენოთ, ძალიან ძნელია, და ღმერთმა ქნას, ყველა ისეთი უხინჯო იყოს, როგორც თქვენი ქმრის გამგეობაა. ნეტავი ღმერთმა ისეთი ნიჭი და უნარი მე მომმადლოს, არას ვინაღვლებდი.

გიგზავნით, ჩემო ტურფავ, მარჯნის მანიაკს ოქროს დუგმებით და, თან სურვილს ვაყოლებ, რომ ეს მანიაკი აღმოსავლეთის მარგალიტებისა ყოფილიყოს. მაგრამ თქვენ, უეჭველია, იცით ანდაზა: "ვინც ძვალს გადმოგიგდებს, შენს სიკვდილს არ მოელოდებო". დრო მოვა, რომ თქვენთან მოვალთ, გნახავთ, ერთმანეთს გავიცნობთ და მაშინ, ღმერთმა უწყის, რა შეიძლება

მოხდეს. ჩემ მაგიერ თქვენს ქალს სანჩიკას აკოცეთ და უთხარით - წამოსასვლელად მოემზადოს, მე მწადია კარგი საქმრო ვუშოვო და ჩინებულადაც დავაბინავო, როდესაც მაგას ამის მოლოდინი ყველაზე ნაკლებად ექნება.

ამბობენ, თქვენს სოფელში თურმე ბევრი მსხვილი და ტკბილი რკო იშოვება, გეთაყვა, ერთი ოციოდე ცალი გამომიგზავნეთ; თქვენი ხელიდან მიღებული, იგი ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი იქნება. თქვენი ყოფაცხოვრების და კარგამყოფობის ამბავი დაწვრილებით მომწერეთ და, თუ რამე გჭირიათ, საკმარისია თქვათ და ყველაფერი თქვენი სურვილისამებრ გაკეთდება. ღმერთო იყოს თქვენი მფარველი.

მიეცა ჩემს მამულში.

თქვენი მოყვარული მეგობარი

ჰერცოგის ცოლი.

- ოჰ, ღმერთო ჩემო! კეთილი და თავმდაბალი ქალბატონი უნდა იყოს, - შეჰყვირა ტერესამ, წერილი რომ მოისმინა. - რა უბრალოა და სადა. ნეტავი არ იქნება - ასეთ ქალბატონებთან დამმარხოვნ. არა ჰგვანებია ჩვენი სოფლის იდაღოების ცოლებს, რომ წარმოუდგენიათ, თითქოს იმათ აზნაურობას ქარიც ვერ გაუბედავს შეხებას. საყდარში რომ დიდგულად და გაბერილები დადიან, გეგონებათ, დედოფლები არიანო, გლეხი დედაკაცის შეხედვა რომ თავის დამცირებად მიაჩნიათ. ის კეთილი ქალბატონი, ჰერცოგის ცოლი კი მე - უბრალო გლეხის დედაკაცს, მეგობარ ქალს მეძახის და ისე მწერს, თითქოს თავის ტოლ-ამხანაგს წერდეს. უფალმაც აღამაღლოს იგი თვით ლამაზის უმაღლეს სამრეკლოზედაც. ტკბილ რკოს მთელ კალათს გაუფუზავნი, სულ არჩეულს, ისეთს მსხვილს, რომ საგანგებოდ მის სანახავად მიდიოდნენ და უკვირდეთ. ახლა კი, სანჩიკა, ამ ბატონს გაუმასპინძლდი, ამის ცხენსაც მოუარე, საქათმეში კვერცხები ნახე, ბლომად ქონი დასჭერ, ერთი თავადური, საგანგებო სადილი გაუმართოთ, რადგან ამისი სილამაზე და მოტანილი ამბები კარგი სადილის ღირსნია. მე კი მეზობლებთან მივირბენ, ჩვენს ბედნიერებას შევატყობინებ, ბარემ მღვდელთან და დალაქთან, ოსტატ ნიკოლასთანაც შევივლი; ისინი ხომ მუდამ მამაშენის კარგი მეგობრები იყვნენ და ახლაც არიან.

- ყველაფერს გავაკეთებ, დედილო, - მიუგო სანჩიკამ, - ოღონდ მაგ მანიაკის ნახევარი მე მომეცი; ქალბატონი ჰერცოგის ცოლი, უეჭველია, ისეთი სულელი არ არის, რომ ეგ მანიაკი მარტო თქვენთვის გამოეგზავნა.

- სულაც შენია, - უთხრა ტერესამ, - მხოლოდ ნება მომეცი რამდენიმე დღე ვატარო, სიხარულისაგან ვეღარ მომიშორებია.

- აი, ამ ფუთაში ისეთი რამე ძევს, რომ უფრო გაგახარებთ, - უთხრა პაჟმა; - ამაში ტანისამოსია საგანგებო წმინდა მაუდისა. იგი სულ ერთხელ ეცვა გუბერნატორს ნადირობაში და ახლა ქალბატონ სანჩიკას გამოუგზავნა.

- ათას წელს ადღეგრძელოს ღმერთმა, - შესძახა სანჩიკამ, - ისიც, ვინც გამოგზავნა, და ისიც, ვინც ეს ტანისამოსი მოგვიტანა, და თუ უნდათ, ორი ათას წელსაც იცოცხლონ.



ამასობაში ტერესა სახლიდან გავიდა წერილებით ხელში და ყელზე მანიაკით. მიდიოდა და თან წერილებს დაფდაფივით უტყაპუნებდა თითებს. მღვდელი და სამსონ კარასკო რომ შეხვდა, ცეკვა-თამაშითა და ფუნდრუკით უთხრა:

- ობლის მამა ღმერთია! ახლა პატარა მამულიც გვაქვს და, აბა ერთი დიდად მედიდური ვინმე იდაღოს ცოლი წამომეჩხიროს, ღვთის წყალობა მოგეცეთ, მალე უკან დავახევიწო.

- რა დაგმართნია, ტერესა პანსა? რამ აგაცეტა? - უთხრა მღვდელმა, - ანდა რას ამბობ, ეგ რა ქალაქები გიჭირავს?

- არც ავცეტებულვარ და არც რა. ეს წერილები ჩემთან ჰერცოგის ცოლებისა და გუბერნატორებისაგანაა მოწერილი, ყელზეც ოქროს მსხვილმარცვლებიანი ძვირფასი მარჯნის მანიაკი მაქვს ლოცვათა წარმოსათქმელად, და თან გუბერნატორის ცოლიცა ვარ.

- ღმერთმა იცის, რას ამბობ, ტერესა, - უთხრა ბაკალავრმა - ვერაფერი გამიგია.

- აი, აქედან ყველაფერს გაიგებთ, - უთხრა ტერესამ და წერილები მიაწოდა.

მღვდელმა ხმამაღლა წაიკითხა და გაოცებულმა გაოცებულსვე კარასკოს გადახედა. ბაკალავრმა ქალს ჰკითხა: ეს წერილები ვინ მოგიტანაო? ტერესამ უპასუხა: ჩვენსაა შემოიარეთ და იქ ნახავთ ანგელოზივით მშვენიერ პაჟს, ჰერცოგის ცოლისაგან გამოგზავნილს - წერილებით, მანიაკით და სხვა უფრო ძვირფასი საჩუქრებითო.

მღვდელმა ტერესას მანიაკი მოხსნა, მარჯანი გასინჯა, დარწმუნდა, რომ უბრალო არ იყო, და უფრო მეტად გაკვირდა.

- ამ ანაფორის მადლსა ვფიცავ - შეჰყვირა მან, - არ ვიცი რა ვიფიქრო და ან რა ეთქვა. ერთის მხრივ, ხელში მიჭირავს მანიაკი და ვხედავ ამ მარჯნის ღირსებას, მეორე მხრივ - ვკითხულობ, რომ ჰერცოგის ცოლს ოციოდე რკოს სათხოვნელად კაცი გამოუგზავნია.

- დიახ, საითაც გავიქეცი, - იქით წავიქეციო! ეგ, როგორც მოახერხოთ, ისე მოინელეთ, - შენიშნა კარასკომ, - მანამ კი წავიდეთ, ვნახოთ ეს წერილები ვის მოუტანია; და რომ ჩვენი გაუგებრობა გავარკვიოთ, ყველაფერი თვითონ მას გამოეკითხოთ.

მღვდელი და ბაკალავრი ტერეზასთან წავიდნენ და სწორედ იმ დროს მივიდნენ, როცა პაჟი თავის ცხენს ცოტა ქერს უცხრილავდა, ხოლო სანჩიკა ქონს სჭრიდა, რომ კვერცხები მოეწვა და თავის სტუმარს გამასპინძლებოდა. პაჟის სილამაზემ და ტანისამოსმა მღვდლისა და ბაკალავრის გელი ერთბაშად მოინადირა. მისალმების შემდეგ სამსონმა სთხოვა დონ კიხოტისა და სანჩოს ამბავი ეამზნა მათთვის. თუმცა სანჩოსი და ქალბატონი ჰერცოგის მეუღლის წერილები წავიკითხეთ, - დაუმატა მან, - მაინც ვერ გავიგეთ, სანჩო რა კუნძულის გუბერნატორი უნდა იყოს ნეტავი, მეტადრე კუნძულისა, როდესაც თითქმის ხმელთაშუა ზღვის ყველა კუნძული მის უდიდებულესობას - მეფეს ეკუთვნისო.

- რომ ბატონი სანჩო გუბერნატორია, - მიუგო პაჟმა, - ეს ნამდვილია, ხოლო კუნძულს გამგებს ის თუ სხვა რასმეს - ამ საქმეში არ ვერევი; მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ მის სამფოლობელოში ათას მცხოვრებზე მეტი ითვლება. ხოლო ქალბატონი ჰერცოგის მეუღლე რომ რკოსა სოხოვს, იმაში საკვირველი არაფერია; ის ძალიან უბრალო და თავმდაბალია, მოხდება ხშირად, რომ ჩვენი ქალბატონი მეზობელ გლეხის ქალს სავარცხელს სთხოვს ხოლმე, ისეთი უბრალო

ადამიანია. ჩვენი არაგონელი წარჩინებული მანდილოსნები კასტილიელ მანდილოსნებივით ამპარტავნები და გაბერილები როდი არიან. თავიანთ ხალხსაც უფრო თავმდაბლურად ეპყრობიან.

ამ დროს სანჩიკამ კვერცხებით სავსე კალთით სახლში შეირბინა, - პაჟს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- ერთი მითხარით, გეთაყვა, ბატონო, რაც მამაჩემი გუბერნატორი გახდა, შემართული გრძელი შარვალი ხომ არ აცვია?

- ღმერთმანი არ შემინიშნავს, - მიუგო პაჟმა, - უეჭველია, აგრე ეცმევა.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ძალიან მინდა ვნახო შემართულ გრძელ შარვალში, - წამოიძახა სანჩიკამ, - რაც გავჩენილვარ, სულ ამას ვნატრობდი.

- მაშ რას ჩაიცვამს, თუ არა შემართულ შარვალს. იცოცხლებთ და ნახავთ, ნუ გეშინიათ. - მიუგო პაჟმა. - ღმერთმანი, თუ მისი გუბერნატორობა ორ თვეს მაინც გაგრძელდა, არათუ გრძელი შარვლით, საგზაო ნიღაბითაც კი მოუხდება სიარული.

მღვდელმა და ბაკალავრმა კარგად შეამჩნიეს, რომ პაჟი ხუმრობდა, მაგრამ მაინც მათ თავგზა დაუბნია ჩინებულმა მარჯანმა და საგანგებო სანადირო ტანისამოსმა, - ტერესამ ესეც კი აჩვენა მათ. ისინი ძალიან გაამხიარულა სანჩიკას მიამიტმა სურვილმა და უფრო მეტად იცინეს ტერესას გულუბრყვილო სიტყვებზე, როცა მან მღვდელს უთხრა:

- ბატონო მოძღვარო, გეთაყვა, ეგებ როგორმე გაიგოთ, ჩვენი სოფლიდან ხომ არავინ მიდის მადრიდს ან ტოლედოს; მინდა დავაბარო, საუკეთესო ტანსაცმელი მიყიდოს. რითაც კი შემძლია, ჩემი თავი მის გუბერნატორობას ყველაფრით უნდა შევუფარდო. თუ გავბრაზდი, იმასაც კი ვიზამ, რომ სასახლეში მივალ და როგორც სხვები სჩადიან, კარეტაში ჩავჯდები: გუბერნატორი კარეტას ვერ მიყიდის თუ?!

- დიახაც, დედილო, - დაიძახა სანჩიკამ, - მხოლოდ ღმერთს იმასა ვთხოვ, ყველაფერი ჩქარა აღსრულდეს, რომ, როდესაც ქალბატონ დედაჩემის გვერდით კარეტაში გამოვიჭიმები, ბოროტმა ენებმა ილაქლაქონ: "შეხედეთ იმ გომბიოს, იმ ნივრით ამყრალებულ გლეხის გოგოს, როგორი დიდი ვინმე გახდა, ქალბატონივით კარეტებითაც კი დაბრმანდებო". დაე, რაც უნდათ, ისა თქვან, მე კი კარეტით ვივლი და იმათ ტალახში იტყაპუნონ. ღმერთმა შეაჩვენოს ბოროტი ენები ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც! ოღონდ მე ფეხები თბილად მქონდეს და, დაე, რაც ქვეყანაზე ჭორიკანები არიან, იმდენი იცინონ, მანამ მოსწყინდებათ. მართალს არ ვამბობ, დედი?

- დიახაც, მართალს ამბობ, ჩემო შვილო, - უპასუხა ტერესამ, - და ყველა ეგ სიამოვნება და ბევრიც სხვა, უფრო დიდი, ყველა წინადვე მიქადაგა ჩემმა კეთილმა სანჩომ, როდი მოისვენებს, თორემ კი ნახავ, შვილო, მანამ გრაფის მეუღლედ არ გამხდის. აგრეც უნდა. მთავარია, ბედნიერების გზაზე მარტო ერთი ნაბიჯი შედგა, და შემდეგ ყველაფერი თავისთავად მოეწყობა. ტყუილად კი არ ამბობენ, ხბო რომ გაჩუქოს ვინმემ, მაშინვე თოკი შაბიო, როცა გუბერნატორობას გაძლევენ - გამოართვი, გრაფობას გაძლევენ - ხელიდან არ გაუშვა, და როდესაც კარგ რამე ნივთს გაჩვენებენ და გეუბნებიან, აჰა, აჰაო, - ახტი, ხელი სტაცე და ხელად ჩაიჯიბე. ასე ამბობდა ხოლმე, შვილო, კეთილი მამაშენი, ყველა ჩვენი ანდაზების მამა რომაა.

დასაწყისის მოვლაა საჭირო, თორემ მერე ფიქრი აღარ არის. თუ არადა - დაწექ და დაიძინე და, ბედმა და მოსავალმა თუ კარი დაგიჩაბუნოს, ნუ გაეხმაურები.

- ან კი რა მენაღვლევა, - თქვა სანჩიკამ, - თუ ვინმე, დიდ მანდილოსნად მნახავს, იტყვის: "აგერ უცქირეთ - ძალღს საყელური შეაბეს და თავის ამხანაგს ვეღარ ცნობსო".

- ღმერთსა ვფიცავ! - დაიძახა მღვდელმა, სანჩიკას სიტყვები რომ გაიგონა, - ამ პანსას ოჯახში ყველას დაბადებიდანვე ერთი ტომარა ანდაზა დაჰყოლია თან, ამათში ერთს არ ვიცნობდი, რომ ყოველ ნაბიჯზე ანდაზები არ ეთესის და არ ეფანტოს.

- მართალს ბრძანებთ, - უთხრა პაჟმა; - ბატონი გუბერნატორი სანჩოც ყოველ ნაბიჯზე ანდაზას ამბობს და, თუმცა ბევრჯერ უალაგოდაც იტყვის ხოლმე, მაინც ქალბატონ ჰერცოგის მეუღლეს და მის ქმარს ჰერცოგს, ჩემს ბატონს, მოსწონთ და ძალიანაც აქებენ.

- არა, ხუმრობაგაშვებით გასურთ დაგვარწმუნოთ, რომ სანჩო გუბერნატორია? - შეჰყვირა ბაკალავრმა, - და რომ ქვეყანაზე მართლა არსებობს ჰერცოგის ცოლი, რომელიც იმის ცოლს წერილს სწერს და საჩუქრებსაც უგზავნის, მაგრამ ჩვენ, თუმცა საჩუქრებიც ვნახეთ და წერილებიც წავიკითხეთ, მაინც არა გვჯერა და ვფიქრობთ, ეს ჩვენი მეზობელი დონ კიხოტის ახალი რამ ოინი უნდა იყოს, - იმას ხომ წარმოდგენილი აქვს, რომ მის გარშემო ყველაფერი ჯადოქრობის საშუალებით ხდება. გამოტეხილი უნდა გითხრათ, ძალიან მინდოდა ერთი კარგად გამესინჯა თქვენი მოწყალება და მენახა რა ხართ: ელჩი, აჩრდილი თუ ხორცშესხმული ადამიანი?

- ჩემზე იმას მოგახსენებთ, რომ ნამდვილად ჰერცოგის ცოლისგან ვარ გამოგზავნილი წერილებით, - უპასუხა პაჟმა; - ხოლო ბატონ სანჩოზე კი იმას, რომ ნამდვილად გუბერნატორია; ჩემმა ბატონმა ჰერცოგმა და მისმა მეუღლემ სამფლობელო მისცეს და იმ სამფლობელოს, როგორც გამიგია, გასაოცრად კარგად განაგებს. ყველა ეს ჯადოქრობაა თუ არა, ამაზე თქვენ ერთმანეთში შეგიძლიათ, რამდენიც გნებავთ, იკამათოთ; ხოლო მე, რაც გითხარით, იმის მეტი არა ვიცი რა და, რომ მართალი გითხარით, ჩემი მშობლების სიცოცხლეს გეფიცებით, რომელნიც ძალიან მიყვარან, პატივსა ვცემ და ღვთის მადლით ჯერაც ცოცხალნი არიან.

- ყველა ეგ ძალიან შესაძლებელია აგრეც იყოს, - თქვა ბაკალავრმა, - მაგრამ დუბიტას აუგუსტინუს.

- რამდენიც გნებოთ - ეჭვი იქონიეთ, მაგრამ მე კი ნამდვილად სიმართლეს მოგახსენებთ, რომელსაც სიცრუე მუდამ ზევიდან მოაგდებს ხოლმე, როგორც წყალი ზეთს. და თუ ოპერიბუს ცრედიტე ეტ ნონ ვერბის, ამისათვის საკმაოა თან წამომყვეთ.

- მე, მე მინდა წამოგყვეთ, - დაიძახა სანჩიკამ, - ცხენს უკან შემისვით. დიდი სიამოვნებით წამოვალ ჩემს ბატონ მამილოსთან.

- გუბერნატორის ქალისთვის შარაგზაზე მარტოდმარტო სიარული შესაფერისი არ არის, - უპასუხა პაჟმა, - გუბერნატორის ქალები ისე დადიან, რომ გარს კარეტები, ტახტრევნები და მსახურნი ახვევიან.

- ჩემთვის სულ ერთია, ვირით ისე წამოვალ, როგორც კარეტით, - თქვა სანჩიკამ. - როგორც გგონიათ, ისეთი პრანჭია და მიუკარებელი როდი ვარ.

- გაჩუმდი, სულელი! - დაუყვირა ტერესამ; - შენ თვითონ არ გესმის, რას ლაპარაკობ. ეს ბატონი დიახაც მართალს ამბობს. სხვა დროა და სხვანაირადაც უნდა მოიქცე. როცა მამაშენი მარტოდენ სანჩო იყო, შენც უბრალო სანჩიკა იყავი. ახლა, როცა გუბერნატორობის დრო დადგა, შენც დიდი მანდილოსანი შეიქენ. არ ვიცი, ამით ცუდი ხომ არაფერი ვთქვი?

- იმაზე მეტი და უკეთესი, რასაც ჰფიქრობთ, ქალბატონო ტერესა, - უპასუხა პაჟმა, - მაგრამ, გეთაყვათ, სადილი მაჭამეთ, მეშურება, დღეს საღამოსვე უკან უნდა გავბრუნდე.

- წამოდით, ჩვენთან ისადილეთ, - უთხრა მღვდელმა პაჟს - ქალბატონ ტერესას თქვენისთანა სტუმრის სამასპინძლოდ სურვილი მეტი აქვს, ვიდრე საშუალება.

პაჟი ამ მიპატიჟებას ჯერ უარობდა, მაგრამ ბოლოს, თავის სარგებლობისათვის, უნდა დათანხმებულიყო. მღვდელმა სიამოვნებით წაიყვანა იგი თავისთან და იმით იყო გახარებული, რომ შეემლო დონ კიხოტისა და მისი ფათერაკების ამბავი გამოგვითხა.

ბაკალავრმაც ტერესას უთხრა, - სანჩოსთან წერილის პასუხს დაგიწერო, მაგრამ ტერესას ბაკალავრი ყბედ და ლაზღანდარა კაცად მიაჩნდა და არ უნდოდა თავიანთ საქმეში გაერია. იმან არჩია ისევ საყდრის რომელიმე მწიგნობარ მსახურს გამასპინძლებოდა ორიოდ კვერცხითა და პურის ყუით და ბრძნულად შეთხზული თავისი ორი წერილი - ქმართან და ჰერცოგის ცოლთან - მისთვის დაეწერინებინა. ასეც მოიქცა და ის წერილები ამ შესანიშნავ ისტორიაში მოხსენიებულ წერილთა შორის არცთუ ისე უხეიროდ ჩაითვლება, როგორც ამას შემდეგში დავინახავთ.

თავი LI

სანჩოს შემდგომი მართვა-გამგეობისა და სხვა ჭეშმარიტად შესანაშნავი ამბების შესახებ

ის ღამე - გუბერნატორმა რომ თავისი კუნძული მოიარა, ხოლო მოურავმა ვაჟურად ჩაცმულ ქალზე ფიქრებში თვალმოუხუჭავად გაატარა, სახლთუხუცესმა კიდევ სანჩო პანსას სიტყვითა და საქმით გაკვირვებულმა, იმის შეთხზვას მოანდომა, რათა თავისი ბატონებისათვის ანგარიში მიეცა გუბერნატორის მოქმედებაზე, რომლის სიტყვასა და საქმეში გონიერება და სისულელე დომხალივით იყო ერთმანეთში არეული, - ის ღამე რომ გათენდა, გუბერნატორი ქვემაგებიდან წამოდგა. ექიმ პედრო რესიოს ბრძანებით ცოტა მურაბა და ორიოდ ყლუპი ცივი წყალი მიუტანეს; ამ საუზმეს სანჩო დიდი სიამოვნებით ერთ ნატეხ პურსა და მტევან ყურძენზე გასცვლიდა, მეტი რა ღონე ჰქონდა, ბედს უნდა დამორჩილებოდა, რადგან თანხმობას მას აღარ ეკითხებოდნენ, მწუხარე გულით და უმადური კუჭით უნდა დაკმაყოფილებულიყო იმით, რაც მიართვეს. პედრო რესიომ დაარწმუნა იგი, რომ მსუბუქი და ნაზი საჭმელები გონებას ახალისებენო, და ამას, ეუბნებოდა იგი, მაღალი თანამდებობის პატრონებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვსო, რადგან იმათ გონებით უფრო უხდებათ მოქმედება, ვიდრე სხეულითაო.

ამ საბუთების მეოხებით კეთილი სანჩო იძულებული იყო მთელი ხანი თავის კუნძულზე მშვიერი ყოფილიყო, და ეს შიმშილი ისე ძალიან აწუხებდა, რომ გუნებაში შეჩვენებას უთვლიდა თავის გუბერნატორობასაც, და იმასაც, ვინც მას გუბერნატორობა მისცა. მაინც მშვიერ კუჭზე მარტო მურაბა მიირთვა და შემდეგ საქმეს შეუდგა. ამ დილით მასთან ვიღაც უცნობი კაცი

მივიდა და მოურავის და გუბერნატორის მთელი ამალის თანდასწრებით სთხოვა - ერთი საკითხი გაერკვია მისთვის.

- ბატონო ჩემო, ერთი მემამულის მიწებს ღრმა და განიერი მდინარე შუაზე ჰყოფს (თქვენს მოწყალეობას ვთხოვ ყურადღებით მომისმინოს, - უბრალო საქმე არ არის და გადასაწყვეტად ძნელია). ამ მდინარეზე გადებული ხიდის ბოლოს სახრჩობელა დგას და იქვე რაღაც სამსჯავროსავით არის გამართული, სადაც ოთხი მსაჯული ზის; მათი მოვალეობაა იმ მამულის, ხიდის და მდინარის პატრონისაგან დადგენილი კანონის აღსრულებას თვალყური ადევნონ: "ყოველი ადამიანი, ვინც ამ ხიდზე ერთი კიდიდან მეორე კიდეზე გადადის, - ამბობს ის კანონი, - ვალდებულია ფიცის ქვეშ თქვას, ვინ არის, სად მიდის და რად მიდის; თუ მართალს იტყვის, უნდა გაუშვან, თუ იცრუებს იქვე ამართულ სახრჩობელაზე ჩამოჰკიდონ". ამ სასტიკი კანონის მიუხედავად, ხიდზე მრავალი ხალხი გადიოდა და იმის მიხედვით, თუ ხიდზე გამვლელნი ფიცქვეშ რას ამბობდნენ, სამსჯავრო წყვეტდა - მართალს ამბობდნენ თუ ტყუილს. თუ მართალს ამბობდნენ თავისუფლად უშვებდა. ერთხელ ისე მოხდა, რომ ხიდზე გასულმა ერთმა კაცმა ფიცქვეშ თქვა: "ვფიცავ ღმერთს, იმიტომ მივდივარ, რომ ამ სახრჩობელაზე ჩამომკიდონო". ამ ფიცმა მსაჯულები გააცბუნა და თქვეს: თუ ეს კაცი გავუშვით გამოვა, რომ იცრუა და კანონით კი უნდა მოკვდეს; და თუ ჩამოვახრჩეთ, მან ხომ დაიფიცა და ასე თქვა: იმიტომ მივდივარ, რომ ამ სახრჩობელაზე ჩამომკიდონო, მაშასადამე, გამოვა, რომ მართალი თქვა და კანონით მისი ჩამოხრჩობის უფლება არა გვაქვსო". და ასე გადაწყვიტეს, ბატონო გუბერნატორო, თქვენი აზრი გაიგონ, ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცნენ. აქამდის ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დასდგომიან, თქვენი ღრმა და გამჭრიახი გონების ქებამ მსაჯულნი აიძულა თქვენს მოწყალეობასთან გამოვეგზავნე იმის საკითხავად - ეს დახლართული საქმე როგორ გადაწყვიტონ.

- ვისაც თქვენ გამოუგზავნიხართ, - უთხრა სანჩომ, - ტყუილი შრომა გაუწევია, რადგან ჩემს სხეულს მეტი ხორცი აქვს, ვიდრე ჩემს გონებას გამჭრიახოება. მაინც, აბა, ხელმეორედ მითხარით, რაშია საქმე, რომ კარგად გავიგო, იქნება მოვახერხო მაგის გადაწყვეტა.

უცნობმა თავისი ნათქვამი გაიმეორა და მაშინ სანჩომ უთხრა:

- მაგას მე სულ უბრალოდ, ორიოდ სიტყვით გადაწყვეტდი: განსასჯელი კაცი ჰფიცავს: იმიტომ მოველ, სახრჩობელაზე ჩამომკიდონო. მაშასადამე, თუ ჩამოახრჩეს, - გამოვა, რომ მართალი უთქვამს, და კანონით კი მისი ჩამოხრჩობა არ შეიძლება და თუ გაუშვებს, გამოვა, რომ ტყუილად დაიფიცა და იმავე კანონის ძალით უნდა ჩამოახრჩონ.

- ნამდვილი სიმართლეა, ბატონო გუბერნატორო, - უთხრა გამოგზავნილმა, - თქვენ, უეჭველად, სავსებით სწორედ გაიგეთ საქმე, ისე, რომ მეტი აღარ შეიძლება.

- ასეთ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ, - განაგრძო სანჩომ, - იმ კაცის ის ნაწილი, რომელმაც მართალი თქვა, უნდა გაუშვან, ხოლო ის ნაწილი, რომელმაც იცრუა, უნდა ჩამოახრჩონ. ამგვარად ზუსტად იქნება დაცული ხიდზე გადასვლის ყველა პირობა.

- მაშინ ხომ, ბატონო გუბერნატორო, - ორად უნდა გაიჭრას - ცრუ და მართლის მთქმელ ნაწილად. - მიუგო დესპანმა; - და თუ გაიჭრება, მაშინ ხომ მოკვდება და არც გაშვებაა საჭირო და არც ჩამოხრჩობა და კანონიც არც ერთ ნაწილში დაკმაყოფილებული არ იქნება, ამ საქმეში კი საჭირო ის არის, რომ კანონი მთლიანად იყოს დაკმაყოფილებული.

- გამიგონეთ, ჩემო საყვარელო, - მიუგო სანჩომ, - ან მე არა გამეგება რა, ან იმ კაცს აქვს იმდენივე უფლება ხიდზე გავლისა, რამდენიც უფლება აქვს ჩამომხრჩვალს იყოს; მართლის თქმა იფარავს მას, სიცრუე კი სახრჩობელას გაუჩენს. თუ ასეა, მაშ თქვენს გამომგზავნელ მსაჯულს უთხარით, რომ ჩემი აზრით იმ კაცს უნდა მიუტევოს. მართლმსაჯულების სასწორზე დასჯისა და პატიების მიზნები თანასწორნი არიან, და მაინც ცუდისა და ბოროტის ქმნას კარგისა და კეთილის ჩადენა სჯობია. ამას მევე დავწერდი და ზედ ხელსაც მოვაჩერდი კიდეც, წერა რომ ვიცოდე. ამასთანაც ამ შემთხვევაში ჩემს აზრს არ ვამბობ, მხოლოდ ის დარიგება გავიმეორე, რომელიც სხვათა შორის, ჩემმა ბატონმა დონ კიხოტმა მომცა ამ კუნძულზე საგუბერნატოროდ წამოსვლის წინა ღამეს. მან მითხრა, როდესაც გადაწყვეტილება ირყევა, შეწყალებისკენ უნდა გადახაროსო. ღვთის ძალით, ეს დარიგება ახლა მომაგონდა, როდესაც სწორედ საჭირო იყო.

- ფრიად მართალი ბრძანეთ, - უთხრა სახლთუხუცესმა; - თვითონ ლიკურსაც, ლაკედემონელთა კანონმდებელს, ჩემი აზრით, უკეთესი განაჩენის დადგენა არ შეეძლო. დღეს სამოსამართლო საქმეების გარჩევა ამით გავათავოთ და ახლა განკარგულებას მოვახდენ, რომ ბატონმა გუბერნატორმა ისე ისაძილოს, როგორც ეს იამოვნებოდეს.

- მეც სწორედ ეგ მინდა, - შესძახა სანჩომ, - ოღონდ მაჭამეთ და თუნდა ათასი დახვლანჯული და გაურკვეველი კითხვა კითხვაზე მომყარეთ, სულ ხელდახელ მოგცემთ პასუხს.

სახლთუხუცესმა, რომელსაც სინდისმა ქენჯნა დაუწყო, რომ ასეთ გონიერ გუბერნატორს შიმშილით ჰკლავდა, ამ ჯერობაზე, თვისი სიტყვა შეასრულა. მასთან ფიქრობდა, როგორც დავალებული ჰქონდა, იმ საღამოს ერთი უკანასკნელი ოინიც გაეთამაშა და მით სანჩოსთან კომედია დაემთავრებინა.

და აი, სწორედ იმ დღეს, როცა სანჩომ, ექიმ ტირტეაფუერას ყველა წესისა და დარიგების მიუხედავად, სადილი მიირთვა და სუფრიდან დგებოდა, სასადილო ოთახში შიკრიკი შემოვიდა და დონ კიხოტის წერილი მოართვა. სანჩომ მდივანს უბრძანა წერილი ჯერ თავისთვის წაეკითხა, შიგ ხომ განსაკუთრებული რამ საიდუმლო არ იყო, და თუ ასეთი არა იქნებოდა რა, მაშინ ხმამაღლა წაეკითხა. მდივანმა წერილს თვალი გადაავლო და თქვა:

- ამ წერილის წაკითხვა ხმამაღლა შეიძლება. რადგან, რასაც სენიორ დონ კიხოტი თქვენს მოწყალებას წერს, ოქროს ასოებით დაბეჭდვის ღირსია; ის კი აი რასა გწერთ:

წერილი დონ კიხოტი ლამანჩელისა სანჩო პანსასთან, კუნძულ

ბარატარიის გუბერნატორთან

იმ დროს, როდესაც, ჩემო მეგობარო სანჩო, შენი უთაურობის, სისულელის და სიბრიყვის ამბებს მოველოდი, პირიქით, შენი ბრძნული საქციელის ამბავი მივიღე. ამაში მე ზენაარსის განსაკუთრებული წყალობა დავინახე, ნეხვიდან ღარიბის ამომყვანისა, სიბრძნის სინათლით სულელი ადამიანის განმანათლებლისა. ამბობენ, შენ გამგებლობ, ვითარცა კაცი, და კაცადვე შთენილს უტყვ პირუტყვამდის დამცირება მოგიხერხებია. მაინც კი გეტყვი, სანჩო, თუ გვინდა ჩვენი ღირსება დავიცვათ, საჭიროა ხანდახან ჩვენი სულის თავმდაბლობაზე ზეავმადლდეთ; საზოგადოების მაღალ საფეხურზე მდგარი კაცი მოვალეა თავისი ხარისხის მოთხოვნილების შესაფერისად დაიჭიროს თავი და არა თავისი ბუნებრივი მიდრეკილების კვალობაზე. კარგად ჩაიცი და დაიხურე, სანჩო, მორთული ჯოხი ჯოხად როდილა მოჩანს. იმას არ ვამბობ, ბაბთებითა და ძვირფასი თვლებით მოირთო და სამოქალაქო წარჩინებულმა სამხედრო

ტანისამოსი ჩაიცვა, - იმას ვამბობ, რიგიანად, სუფთად და შენი წოდების შესაფერისად გამოეწყო. ერთხელ კიდევ გეტყვი (წინათ ხომ გითხარი), ყველას მართებულად და ალერსიანად მოექეცი და ყოველგვარი ღონით ხალხის საზრდოზე იზრუნე და გახსოვდეს, რომ უბედურს, ღარიბს, ისე ძლიერ არაფერი ჩაგრავს, როგორც შიმშილი. შენი საგამგეოს მცხოვრებთა გულს ამით მოინადირებ.

ბევრი ქაღალდისა და ბრძანების წერას ნუ მოჰყვები, ეცადე შენი წერა და ბრძანება მარტო საქმეს შეიცავდეს, მეტადრე კიდევ იმას ეცადე, შენი ბრძანება უთუოდ აღსრულებული იყოს. თუ არ იქნება, ჯობს არც კი რამ უბრძანო. ბრძანების აუსრულებლობა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ გამგეს მათ გამოსაცემად საკმაო სიბრძნე და უფლება ჰქონია, მაგრამ სიამაო გამბედაობა და ძალა ჰკლებია მათ აღსასრულებლად. შესაშინებლად დანიშნული და არასოდეს არაღსრულებული კანონები იმ ღორ-ბაყაყების მეფე-ჯირკს ემსგავსებიან, პირველში რომ თავისი სანახაობით შეაშინა, შემდეგში კი აგდებული და შეურაცხყოფილი შეიქმნა მათგან, რომ ბაყაყები კისერზე შეახტებოდნენ ხოლმე. მამად ექმენ სიქველეს და მამინაცვლად ბიწიერებას. მუდამ ნუ იქნები სასტიკი, ნურც მუდამ მოწყალე, ამ ორ უკიდურესობის შუა იმოქმდე. საპყრობილეები, ბაზრები, სასაკლაოები, საყასბოები ინახულებოლმე; ამ ადგილებში უფროსის გამოჩენა მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმეა. განაჩენების მომლოდინე პატიმარნი ანუგეშე. სასტიკად მოეპყარ ყასბებსა და ვაჭრებს, ძალა დაატანე, საქონელი ჯეროვანი წონისა და ზომისა ყიდონ. თუ მუნწი ხარ, ხარბი, ქალების ამყოლი (ვფიქრობ, რომ ასეთი არა ხარ!), - ეცადე ეს ნაკლულოვანება ხალხის თვალს მოარიდო; ეს თუ შეიტყო, მეტადრე იმ ხალხმა, ვისაც ოდესმე მთავრობასთან რაიმე საქმე ექნება, სუსტი მხრიდან მოგივლის, ჩქარა დაგბალთავს და დაღუპვის უფსკრულამდის მიგიყვანს. წაიკითხე და გადაიკითხე, გაიხსენე და დაიხსომე რჩევა-დარიგება, რაც კუნძულზე წასვლამდის დაგიწერე. ის რჩევა-დარიგება გაგიადვილებს შრომას და საშუალებას მოგცემს ყველა ის დაბრკოლება დაძლიო, რაც გამგეთ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებათ ხოლმე. ჰერცოგს წერილი მოსწერე, უმადურ კაცად ნუ ეჩვენები, ვინაიდან უმადურობა ამპარტავნობის შვილია და ქვეყანაზე უდიდესი ცოდვაა. ადამიანის მაღლიერი ღვთის მაღლიერიც არის, რომლისგანაც მოელის და კვლავაც მიიღებს დიდთა და დიდთა წყალობათა.

ქალბატონმა ჰერცოგის მეუღლემ შენს ცოლთან, ტერესა პანსასთან, საგანგებოდ კაცი გაგზავნა შენი სანადირო სამოსითა და სხვა საჩუქრებით. მისგან ყოველწამს პასუხს ველით. მე ცოტა უქეიფოდ ვიყავ, კატამ სახე დამიკაწრა და ცხვირიც ცოტა ცუდად მექონდა, მაგრამ ამას ყური არ ვათხოვე. თუ ჯადოქრები არსებობენ, ჩემთვის ბოროტისმქნელნი, სამაგიეროდ ისეთებიც არიან ამ ქვეყანაზე, რომ დამიცვან და ჩემი კეთილისმყოფელნი იყვნენ. შემატყობინე, ტრიფალდის საქმეში შენი სახლთუხუცესი რამე მონაწილეობას იღებდა თუ არა. შენ თითქოს ეჭვი შეიტანე იმაზე, საერთოდ შემატყობინე, რაც შეგემთხვეს, - ჯერ ხანად ხომ ერთმანეთთან ახლო ვართ. ვაპირებ ჩქარა დავეთხოვო ამ უქმს, ჩემთვის მოსაწყენ ცხოვრებას. მე ასეთებისთვის არა ვარ გაჩენილი. დასასრულ, გეტყვი, რომ ციხე-დარბაზში რაღაც-რაღაცა მოხდა ისეთი, რომ შეიძლება ჩემდამი ჰერცოგისა და მისი ცოლის უკმაყოფილება გამოიწვიოს. თუმცა ეს ძალიან არ მესიამოვნება, მაგრამ არცთუ ძალიან სამწუხაროა ჩემთვის: ბოლოს და ბოლოს მე მოვალე ვარ უფრო ჩემი წოდების დანიშნულებას ვემორჩილებოდე, ვიდრე სხვის სიამოვნებას ვცდილობდე, ვინც უნდა იყოს ის სხვა, თანახმად ცნობილი ნათქვამისა: ამიცუს Pლატო, სედ მაგის ამიცა ვერიტას. ამას ლათინურად ვწერ იმ ფიქრით, რომ, უეჭველია, რაც გუბერნატორი გახდის, ამ ენას უკვე ისწავლიდი. მშვიდობით და ღმერთი იყოს შენი მფარველი.

შენი მეგობარი

დონ კიხოტი ლამანჩელი.

სანჩო ეს წერილი დიდი ყურადღებით მოისმინა, ხოლო იქ დამსწრეთ დიდად შეაქვს დონ კიხოტის ეპისტოლე და ფრიად გონივრულად ჩათვალეს იგი; შემდეგ სანჩო სუფრიდან ადგა, მდივანი თან გაიყოლა, კაბინეტში ჩაიკეტა და თავის ბატონ დონ კიხოტთან დაუყოვნებლივ წერილის მიწერა მოისურვა. მდივანს უბრძანა, რასაც უკარნახებდა, ის დაეწერა, არც მიემატებინა რამე და არც დაეკლო. მდივანიც ასე მოიქცა და სანჩოს კარნახით შემდეგი შინაარსის საპასუხო წერილი დაწერა:

სანჩო პანსას წერილი დონ კიხოტ ლამანჩელთან

იმდენი საქმე მაქვს, თავის მოსაფხანადაც ვერ ვიცი, ფრჩხილებიც კი ვერ დამიჭრია და ამიტომ ისე ძალიან გამეზარდა, რომ მეტი აღარ შეიძლება.

ამიტომ გწერთ, თქვენო მოწყალეზავ, ჩემო ძვირფასო ბატონო, არა სწუხდეთ ჩემთვის, რომ აქამდის ჩემი ამბავი ვერ შეგატყობინეთ, არც კარგი და არც ცუდი, არც ჩემი გუბერნატორობისა, რომლის დროსაც მე უფრო მეტ შიმშილს ვითმენ, ვიდრე იმ დროს იყო, როდესაც მე და თქვენ ტყე-ღრეებში დავხეტებოდით.

იმ დღეს ჰერცოგმა, ჩემმა მეუფემ, მომწერა: კუნძულზე რამდენიმე ჯაშუში შემოგპარვია და შენი მოკვლა უნდათო, მაგრამ აქამდის ჯერ არც ერთი არ აღმომიჩენია, გარდა ვინმე ერთი ექიმისა, რომელიც ამ კუნძულზე ყველა გუბერნატორის მოსაკლავად და სულის გასაცხებინებლად ყოფილა ჯამაგირით დანიშნული; მისი სახელი არის პედრო რესიო, სოფელ ტირტეაფურადან შთამომავლობს. ყურადღება მიაპყარით, თქვენთ მოწყალეზავ, მის სახელს და მიბრძანეთ, იმისი ხელით სიკვდილისა არ უნდა მეშინოდეს? თვითონ ამბობს: ავადმყოფებს კი არა, კარგადმყოფებს ავად გახდომამდის ვკურნავო, რომ ავად არ გახდნენო, და ამისთვის მარტო ერთ წამალს უწერს - ფარეზს და ამ ფარეზით ჩქარა იქამდის მიმიყვანს, რომ ძვლები ტყავიდან თავებს გამოჰყოფენ, - თითქოს სიგამხდრე ციებაზე უკეთესი იყოს. იგი შიმშილით ნელა-ნელა მკლავს და ბოლოს მიღებს, ლამის ჯავრისაგან მოკვდება. ვფიქრობდი, ამ გუბერნატორობაში ცხელ საჭმელს, გრილ სასმელს, ლბილ დოშაკს, ჰოლანდიურ თეთრეულს ვიშოვიდი, ის კი არა თუ, თითქოს ბერი ვიყო, აქ ცოდვების მოსანანიებლად გამოგზავნილი, და, რადგან ჩემი ნებით სულაც არ ვიგვემავ თავს, ამიტომ, მგონია, ბოლოს და ბოლოს - ამ გუბერნატორობიდან ეშმაკი გადმომართევს.

აქამდის ჯერ არათუ ჯამაგირი და არც რამე შემოსავალი მიმიღია, არამედ ისიც არ ვიცი, ეს სახელები რასა ჰქვია. მე კი ისე გამიგონია, გუბერნატორები რომ კუნძულის განსაგებლად მიდიან, იმაზე ზრუნავენ, რომ მათ მისვლამდე კუნძულელებმა ბლომად ფულები მიუტანონ ან ასესხონ და, როგორც ამბობენ, სხვა გუბერნატორებიც ამავე ჩვეულებას მისდევენო.

გუშინ საღამოს, კუნძულს რომ ვათვალიერებდი, ერთი ძალიან ლამაზი ქალი შემხვდა, ვაჟურად ჩაცმული, თანაც ქალურად ჩაცმული ძმა ჰყავდა. ის ქალი ჩემს მოურავს შეუყვარდა და გუნებაში მისი შერთვა გადაწყვიტა; მე კიდევ განვიზრახე იმ ქალის ძმას ჩემი ქალი შევერთო. ამაზე დღეს უნდა მოველაპარაკო იმ ყმაწვილების მამას, ვილაც ძველთაძველ ქრისტიანს, იდალგო დიელო დე ლა ლიანას.



ბაზრებს მოვივლი ხოლმე, როგორც თქვენი მოწყალე მირჩევს, და გუშინ ერთი ვაჭარი დედაკაცი ვამხილე, ახალი კაკლის გამყიდველი. კაკალი გავსინჯე და კალათაში ნახევარი ძველი, დამპალი და ფუჭი კაკალი ეყარა. სულ ერთიანად თავშესაფარში დაბინავებული ობლებისათვის ჩამოვართვი, იმ საწყლებმა ძველი და ახალი კაკალი ერთმანეთში ვერ გაარჩიეს; ვაჭარ დედაკაცს კიდევ ვუბრძანე - ორ კვირას ბაზარში აღარ გაიჭაჭანო-მეთქი! ამ ბრძანებით ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ. ჩვენში ამ კუნძულზე, თქვენო მოწყალეზ, ამბობენ, ამ ბაზარში მოვაჭრე დედაკაცებზე უარესი აღარავინ არისო, ყველანი უსინდისო და უსირცხვილო გაიძვერები არიანო. მე ეს მჯერა, რაკი ვიცი, თუ რანი არიან სხვა მხარის ვაჭარი დედაკაცები.

ძალიან გამიხარდა, რომ შევიტყვე, ქალბატონ ჰერცოგის მეუღლეს წერილის მიწერა უნებებია ჩემ ცოლთან, ტერესა პანსასთან, და როგორც მწერთ, საჩუქრებიც გაუგზავნია. თავის დროზე ვეცდები ამისი სამაგიერო მადლობა გადავუხადო. გთხოვთ, თქვენო მოწყალეზ, ჩემს მაგიერ ხელზე აკოცოთ და უთხრათ: ძირგავარდნილ ტომარაში არ ჩაგიგდია შენი სიკეთე-თქო. ამას თავის დროზე საქმით დაინახავს.

ნეტავი თქვენს მოწყალეზას ჩემს ბატონ ჰერცოგთან და მის ცოლთან არაფერი უსიამოვნბა არ მოუვიდეს. თქვენ რომ იმათ წაეჩხუბოთ, მაშინ, აშკარაა, მთელი ვაივაგლახი ჩემს თავზე დატრიალდება; თქვენ ხომ თვითონ მირჩევთ ყოველთვის მათი მადლიერი ვიყო? ამიტომ მათთან უმადურება არც თქვენ გმართებთ, - იმათ თავის ციხე-დარბაზში ხომ ისე მოწყალედ და ალერსიანად მიგიღეს!

ვერ გავიგე, კატების რა გაკაწვრაზე ბრძანებთ, რომ მწერთ, - უთუოდ თქვენი მდეველი ჯადოქრების ახალი რამ ოინი უნდა იყოს! მაგრამ ამას მაშინ გავიგებ, როდესაც ერთმანეთს ვნახავთ.

მინდოდა თქვენი მოწყალეებისათვის რამე საჩუქარი გამომეგზავნა, მაგრამ არ ვიცი კი რა? იქნებ ოყნის ბუშტიანი საშხაპუნებელი გაიმებთ? აქ მეტად კარგებს აკეთებენ. თუ გუბერნატორობა გამიგრძელდა და რაიმე მანქანებით ხელიდან არ წამივიდა, მაშინ მთელ კუნძულს გადავატრიალებ და ერთ კარგ გუბერნატოროულ საჩუქარს გამოგიგზავნით.

ვინიცობაა ჩემი ცოლის, ტერესა პანსას წერილი იყოს, გთხოვთ, მომტანს რაც ერგებოდეს, უბოძოთ და ის წერილი საჩქაროდ გადმომიგზავნოთ. ძალიან მინდა გავიგო ჩემი ცოლისა და ქალის ამბავი. ახლა კი ღმერთსა ვთხოვ თქვენს მოწყალეზას ბოროტი ჯადოქრები აშოროს და მეც საღსალამათად გამაშოროს ამ გუბერნატორობისაგან, რომელიც, მგონია, ბოლოს მომიღებს, თუ იმას მივდიე, რასაც ექიმი პედრო რესიო მიმართავს.

უმორჩილესი მონა თქვენი მოწყალეზისა,

გუბერნატორი სანჩო პანსა.

მდივანმა წერილი დაბეჭდა და იგი მაშინვე შიკრიკის ხელით გაგზავნა. ამასობაში სანჩოს გარშემო მყოფმა ოინების მომწყობებმა მოილაპარაკეს, თუ გუბერნატორი თავის საგუბერნატოროდან როგორ უნდა მოეშორებინათ. ნასადილევს მთელი დრო სანჩომ იმ რჩევასა და დადგენილებას მოახმარა, რაც იმ ოცნებითი კუნძულის მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის იყო საჭირო. მან უბრძანა მოესპოთ სანოვაგის ჩარჩული ყიდვა-გაყიდვა. ყოველი მხრიდან ღვინის შემოტანის ნება დართო იმ პირობით, რომ გამოეცხადებინათ ხოლმე, საიდან შემოჰქონდათ, და მასზე მისი სიკეთისა და სადაურობის მიხედვით დაედოთ ფასი.

სიყალბისა და ღვინოში წყლის გარევის სასჯელად სიკვდილით დასჯა დაადგინა. მისი აზრით ტანისამოსს დიდი ფასი ედო. ეს ფასი შეამცირა, მეტადრე ფეხსაცმელზე. მოსამსახურეთა ხელფასს ნიხრი დაუწესა; მკაცრი სახჯელი დაუდგინა იმ მომღერლებს, რომლებიც დღისითა და ღამით ქუჩებში უწმაწური და მიუღებელი შინაარსის ლექსებს მღეროდნენ; დაადგინა, რომ ბრმა გლეხებს მოწყალეების თხოვნის დროს არ ემღერათ სასწაულებზე, რომელთა სინამდვილის დამტკიცებას ვერ შეიძლებდნენ, - სანჩო ფიქრობდა, რომ ის სასწაულები მოგონილი და ნამდვილად მომხდარ სასწაულების საზიანონი იყვნენ. ღარიბებს საკუთარი ალგვასილები დაუნიშნა მათ სადევნელად კი არა, არამედ იმიტომ, რომ ნამდვილი ღარიბები აღმოეჩინათ და ჯანსაღ ლოთებსა და უმაქნის ქურდბაცაცებს აკრძალვდათ განგებ ამოჰფარებოდნენ ხეიბრობასა და ცრუ იარებს. ერთი სიტყვით, მან იმდენი კარგი და შესანიშნავი დადგენილება და განკარგულება გამოსცა, რომ იმ მხარეში დღემდისაც ასრულებენ იმ კანონებს შემდეგი სახელწოდებით: სჯულისდება დიდი გუბერნატორის სანჩო პანსასი.

## თავი LII

სადაც მოთხრობილია მეორე დამწუხრებული, ანუ უფრო სწორად, შეჭირვებული, დონა როდრიგესად წოდებული დუენიის ფათერაკი

სიდ ჰამეტი მოგვითხრობს, რომ, დონ კიხოტს კატების განაკაწრი მოურჩა თუ არა, იფიქრა, ციხე-დარბაზში მოგზაურ რაინდთათვის ყოვლად შეუსაბამო, უქმ ცხოვრებას ვატარებო, და გაწყვიტა, - ჰერცოგსა და მის ცოლს გამოსთხოვებოდა, ის აპირებდა წასულიყო სარაგოსაში, სადაც მალე ტურნირი იმართებოდა. რაინდს იმედი ჰქონდა, რომ იმ ტურნირში გამარჯვებულის ჯილდოდ დანიშნულ აბჯარს მიიღებდა. ერთხელ, როცა მასპინძლებთან ერთად მაგიდას უჯდა და ის იყო გამოთხოვების ნებართვის აღებას აპირებდა, ამ დროს უცებ დარბაზში შემოვიდა თავით ფეხებამდის შავებში გამოწყობილი ორი მანდილოსანი (ორნი რომ იყვნენ, შემდეგ გამოირკვა). ერთი მათგანი დონ კიოტთან მივიდა, იატაკზე მთლად გართხმული ფეხებში ჩაუვარდა და ისეთი საშინელი ოხვრა-ვაება ამოუშვა, რომ ყველანი დიდად შეაშფოთა. თუმცა ჰერცოგმა და მისმა ცოლმა იფიქრეს, რომ ეს უეჭველად რამე ახალი ოინი იქნება, ჩვენი მსახურებისგან დონ კიხოტისთვის მოწყობილიო, მაგრამ დედაკაცის მწარე გოდებამ, ტირილმა და ოხვრამ ისინიც რაღაც გაუგებრობაში ჩააგდო, გულაჩუყებულმა და შეწუხებულმა დონ კიხოტმა მტირალი ქალი წამოაყენა და მის ცრემლიან პირისახეს რიდე აჰხადა. ეს უბედური, - ამას ვინ იფიქრებდა, - ჰერცოგის ცოლის დუენია დონა როდრიგესი აღმოჩნდა; მის გვერდით შავებში ჩაცმული ქალი კი მისი ქალი იყო, მდიდარი მეურნის ვაჟისაგან მოტყუებული. მათი მოსვლა ყველას გაუკვირდა: მეტადრე მასპინძლები იყვნენ გაკვირვებულნი. და თუმცა ისინი დონა როდრიგესს საკმაო სულელად თვლიდნენ, მაინც არ მოელოდნენ, რომ ასეთ სისულელესაც ჩაიდენდა.

- ნება მიბოძეთ, თქვენო უგანათლებულესობავ, - შეჰლაღადა მან ჰერცოგს და იმის ცოლს, - ბატონ რაინდს დონ კიხოტს ზოგი რამ მოვახსენო; ეს ჩემთვის იმიტომ არის საჭირო, რომ იმ მწუხარე მდგომარეობიდან გამარჯვებული გამოვიდე, რა მდგომარეობაშიც იმ თავხედმა და უმაქნისმა გლეხუჭამ ჩემი ქალის გაუპატიურებით ჩამაგდო.

ჰერცოგმა ნება დართო დონ კიხოტისთვის ეთქვა, რაც ნებავდა. როდრიგესმა თვალეხი მიაპყრო რაინდს და უთხრა:

- ამ რამდენიმე დღის წინათ, მამაცო რაინდო, მე გიამბეთ, თუ ერთმა უღირსმა და უმაქნისმა გლეხმა რა უგვანო მოტყუებით შეაცდინა და შეურაცხყო ჩემი ძვირფასი და ღვთისწიერი ასული; ეს უბედური მსხვერპლი ახლა თქვენს წინაშე დგას. თქვენ აღმითქვით, რომ მას შემწედ იქმნებოდით და მისდამი მიყენებულ მარცხს გაასწორებდით. გავიგე, რომ ციხე-დარბაზიდან წასვლას აპირებთ ფათერაკების საძებნელად, - ღმერთმა ბევრიმც გაპოვნინოთ; ამიტომ მოველ გთხოვოთ, ვიდრე შარაგზაზე მოგზაურობას დაიწყებდეთ, ჯერ ის აღვირახსნილი, საზიზღარი გლეხუჭა გამოიწვიოთ ხმალში და ძალა დაატანოთ თავისი აღთქმა აასრულეს და ჩემს ქალზე ჯვარი დაიწეროს. სანამ გვერდს მოუწვებოდა, ხომ დაჰპირდა, შენი ქმარი გავხდებიო! ჰერცოგისგან რომ მომეთხოვა სამართალი, ეს ის იქნებოდა - მუხაზე მსხალი მომეძებნა; მე თქვენ საიდუმლოდ ნამდვილი სიმართლით გითხარით, ჩემი წასარჩლება თუ რატომ არ უნდა. მეტი სათქმელი არაფერი მაქვს, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი და მე და ჩემს ქალსაც მწედ გვექმნას იგი.

ამ სიტყვებზე მკაცრად და მედიდურად უპასუხა მას დონ კიხოტმა:

- კეთილო დუენია, შეიშრეთ თქვენი ცრემლები და შეამცირეთ თქვენი ამაო ურვა-გოდება. თქვენს ასულს ჩემი მფარველობის ქვეშ ავიყვან; და მხოლოდ ამას ვეტყვი - უკეთესს იზამდა, მიჯნურის დაპირებას ასე ადვილად არ აჰყოლოდა, დაპირება ძალიან ადვილია, მაგრამ აღსრულება კი ფრიად ძნელი. მაშ ასე, ჩემი ბატონი ჰერცოგის ნებართვით ამ წამსვე წავალ იმ უპატიოსნო მაცდურის მოსაძებნად, ვიპოვი, ბრძოლაში გამოვიწვევ და, თუ პირობის შესრულებაზე უარი მითხრა - ჭეშმარიტად გეტყვი: მოვკლავ, ვინაიდან აწ ჩემი უპირველესი მოვალეობაა: მორჩილთა პატიება და ამაყთა დასჯა, ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვა - ტანჯულთა ხელთა პყრობა და მდევნელთა დამხოვა.

- თქვენო მოწყალეზავ, ვიხედაც ეს დუენია ჩივის, მისი ძებნა არ მოგიწდებათ და არც ჩემი ნებართვა არის საჭირო ბრძოლაში მის გამოსაწვევად, - უთხრა ჰერცოგმა დონ კიხოტს. - მე იმას უკვე გამოწვეულად ვთვლი და თვითონ ვკისრულობ არათუ შევატყობინო ყველა ეს, არამედ გამოწვევის მიღებაც ვაიძულო. მე იმას პასუხის საგებად ჩემს დარბაზში მოუწოდებ და მოსალაპარაკებლად ორივე მხარეს თავისუფალ ასპარეზს მოგცემთ იმ პირობით, რომ ასეთი შემთხვევისთვის ყველა დადგენილი წესი იყოს აღსრულებული. როგორც ყველა მბრძანებელი, თავის სამფლობელოში მოწინააღმდეგეთათვის თავისუფალი ასპარეზის მიმნიჭებელი, ისე მეც თითოეული თქვენგანისთვის იმას ვიზამ, რასაც სიმართლე ვალად მდებს.

- მაგ დამცველი პირობითა და თქვენი უგანათლებულებლობის ნებართვით, - უპასუხა დონ კიხოტმა - ვაცხადებ, რომ უარს ვყოფ ჩემი წოდების უპირატესობას შეურაცხმყოფელის წოდებამდის ქვე ჩამოვდივარ და თანახმა ვარ შევებრძოლო მას, ვითა სწორი სწორს და თუმცა იგი ახლა აქ არ არის, მაინც მას ბრძოლაში ვიწვევ ამ საბრალო მანდილოსნისადმი უმაღლო საქციელისათვის, რომელიც ქალწული იყო და მისი მაცდუნებელის მიზეზით აწ იმად აღარ არის. გამოვიწვევ რა ბრძოლაში, ახლავ ვუცხადებ ამ მანდილოსნისთვის მიცემული პირობა შეასრულოს, ცოლად შეირთოს და თუ ამის უარს იტყვის მაშინ დაე, ბრძოლაში მოკვდეს.

უკანასკნელი სიტყვა რომ თქვა, რაინდმა ხელთათმანი წაიძრო და დარბაზის შუა იატაკზე გადასროლა. ჰერცოგმა აიღო ის და ხელმეორედ თქვა ამ გამოწვევას ჩემი ყმის მაგიერ მე მივიღებო და ბრძოლის დღედ დღეიდან მეექვსე დღეს ვნიშნავო. ბრძოლა ციხედარბაზის წინ მოედანზე მოხდებაო; მოპირდაპირენი რაინდთა იარაღით უნდა იყვნენ აღჭურვილნი, შუბით,

ფართო, ჩაჩქანით და სხვა ყველაფრით, რაც ამთავითვე შუაკაცებისგან იქნება გასინჯული; იმ იარაღებს თილისმა რამ არ უნდა ჰქონდეს, ანუ სიყალბე და საერთოდ რაიმე სხვაგვარი მოტყუებაო. მაგრამ ყოვლის უწინარეს, დაუმატა ჰერცოგმა, ამჩვეთილმა დუენიამ და მისმა თავქარიანმა ქალმა თავიანთი საქმის დაცვის უფლება დონ კიხოტს უნდა ჩააბარონ, უამისოდ ბრძოლა ვერ მოხდება და რაინდის გამოწვევასაც ძალა არ ექნებაო.

- ჩამიბარებია, - მიუგო დუენიამ.

- მეც აგრეთვე, - დაუმატა შემკრთალმა დარცხვენილმა და ატირებულმა მისმა ქალმა.

გამოწვევის ყველა წესის აღსრულების შემდეგ მომჩივანი მანდილოსნები წავიდნენ; ხოლო ჰერცოგი ფიქრს შეუდგა, როგორ მოქცეულიყო. ჰერცოგის ცოლის ბრძანებით დუენიას და მის ქალს იმ დღიდან ციხე-დარბაზში უნდა მოჰქცეოდნენ არა როგორც მოახლეებს, არამედ როგორც ციხე-დარბაზში სიმართლის სამებნელად მოსულ უცხო ქვეყნელ მანდილოსნებს. იქვე ცალკე სადგური მიუჩინეს და, როგორც სტუმრებს, ისე ემსახურებოდნენ. სხვა მოახლეებს ეს ამბავი აოცებდა და არ იცოდნენ ამ ურცხვი დუენიასი და მისი ქარაფშუტა ქალის სულელურ თავხედობას რა ბოლო ექნებოდა.

ამ დროს, თითქოს დღესასწაულის ბრწყინვალედ დასასრულებლად და ნასადილევს საგანგებო ტკბილეულით გასამასპინძლებლად დარბაზში ის პაჟი შემოვიდა, გუბერნატორ სანჩა პანსას ცოლს, ტერესა პანსას რომ წერილი და საჩუქრები წაუღო. ჰერცოგსა და ჰერცოგის ცოლს მისი მოსვლა მეტად იამათ, რადგან მოუთმენლობით სურდათ გაეგოთ, თუ როგორ იმგზავრა, გზაში რა გადახდა, მაგრამ პაჟმა უთხრა, მაგას ყველასთან ვერ ვიტყვი და რამდენიმე სიტყვითაც ვერ გიამბობთო, ამიტომ ნებართვა სთხოვა, მათ ბრწყინვალეობას მარტოდმარტო გამოეკითხათ ყველაფერი, მოტანილი წერილები კი ჰერცოგის ცოლს გადასცა. ერთზე ეწერა: "წერილი ქალბატონ ამა და ამას, ჰერცოგის ცოლს, სახელად რა ჰქვია, არ ვიცი". მეორეზე ეწერა: "ჩემს ქმარს სანჩო პანსას, კუნძულ ბარატარიას გუბერნატორს, უფალმა დაიცვას იგი ჩემიანად, მრავალჟამიერ".

რაკი მოუთმენლად სურდა ჩქარა წაეკითხა წერილები, ჰერცოგის ცოლმა ისინი საჩქაროდ გახსნა; ერთი წერილი გადაათვალიერა და, რადგან იქ საიდუმლო არა იყო რა, ჰერცოგს და სხვა იქ მყოფთ ხმამაღლა წაუკითხა შემდეგი:

ტერესა პანსას წერილი ჰერცოგის ცოლისადმი

ჩემო ქალბატონო, დიდად გამახარა თქვენი უმაღლისობისაგან ჩემდამი მოწერილმა წერილმა. მართალი უნდა ვთქვა, დიდი ხანია იმის მიღების სურვილი მქონდა. მარჯნის მანიაკი საუცხოოა და ლამაზი და ჩემი ქმრის სანადირო ტანისამოსი ხომ ისეთია, რომ არაფერში არ გავცვლი. მთელ ჩვენს სოფელს მეტად გაუხარდა, როცა გაიგო, რომ თქვენ გინებებით და ჩემი ქმარი სანჩო პანსა გუბერნატორი გაგიხდიათ, თუმცა ეს არავის სჯერა და მეტადრე მღვდელს, დალაქ ნიკოლას და ბაკალავრ სამსონ კარასკოს. მაგრამ ეს არ მაწუხებს, ოღონდ კი ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის; მაშინ ყველამ დაე ისა თქვას, რაც ნებაგს. მართალი რომ ვთქვა, უმარჯნოდ და უიმსანადირო-ტანისამოსოდ თვითონ მეც არ დავიჯერებდი, რომ ჩემი ქმარი, რომელსაც აქ დიდ სულელად თვლიან - გუბერნატორია, და არავის არ შეუძლია წარმოიდგინოს იგი სხვა რამ გუბერნატორად, თუ არა თხების გუბერნატორად. მაგრამ ღმერთი

იყოს მაგისი მწყალობელი და ან წარმართოს მთელი მისი საქმე ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ.

ხოლო მე, ჩემი სულის ძვირფასო ქალბატონო, რადგან მსურს, როგორც იტყვიან, ჩემი სახლი გავაბედნიერო, ბეჯითად გადავწყვიტე, თქვენი მოწყალების ნება დართვით, კარეტაში გამოჭიმული წამოვიდე სასახლეში და ამით ათას ჩემს მოშურნეს, უკვე რომ გამიჩნდა, თვალი გამოვთხარო. ამიტომ, გთხოვთ, თქვენო უგანათლებულესობავ, ჩემს ქმარს ურჩიოთ, ცოტა ფული გამომიგზავნოს, მაგრამ კი მთლად ნუ იძუნწებს. სასახლეში, ვიცი, ხარჯი დიდია. ერთი პატარა პური რეალი ღირს, გირვანქა ხორცი - ოცდაათი მარავედისი, - საშინელებაა. და თუ ჩემს ქმარს არ უნდა წამოვიდე, მაშინ ეს ცქარა შემატყობინეთ; ფეხები მეტად მერჩიან წამოსასვლელად. ჩემი ტოლი ქალები და მეზობელი მანდილოსნები ამბობენ, შენ რომ შენი ქალით სასახლეში გამოპრანჭული გამოცხადდე, შენი ქმარი ამის გამო უფრო სახელოვანი შეიქმნება, ვიდრე შენაო! რადგან მაშინ ბევრი იკითხავს: "ეს ვინმოდის კარეტითაო", და ერთ-ერთი ჩემი ფარეში უპასუხებს: "ეს ქალია და ეს კი მეუღლე სანჩო პანსასი, კუნძულ ბარატარიის გუბერნატორისაო". ამგვარად სანჩო სახელოვანი შეიქმნება, მე ქებას დამიწყებენ, ხოლო რომი ყველა ჩვენთაგანისათვის იზრუნებს!

როგორ ვწუხვარ, ამის თქმაც არ შემძლია, რომ წელს ჩვენში რკო არ მოვიდა, მაგრამ მაინც ნახევარი ბათმანი ჩემი ხელით მოვკრიფე ტყეში, სულ თითო-თითოდაა არჩეული და გიგზავნით, მეტი ვერ გიშოვე; როგორ მენატრება, თითო სირაქლემას კვერცხის ტოლა რომ ყოფილიყო.

არ დაივიწყოთ, ჩვენო დიდებავ, ჩემთან წერილის მოწერა, ხოლო მე ვეცდები პასუხი მოგწეროთ ხოლმე, ჩემი ამბავი და ყველაფერი შეგატყობინოთ, რაც ხდება ჩვენს სოფელში, სადაც ვშთები თქვენი უგანათლებულესობისათვის ღვთის მავედრებელი, რათა გფარავდეთ თქვენ და მეც მისი მოწყალებით ნუ დამივიწყებთ. ჩემი ქალი სანჩიკა და ჩემი ვაჟი თქვენს მოწყალებას ხელზე ეამბორებიან.

გწერთ ის, ვისაც თქვენი უგანათლებულესობის ნახვა უფრო უნდა, ვიდრე წერილის მიწერა.

თქვენი მსახური

ტერესა პანსა.

ეს წერილი ყველამ დიდი სიამოვნებით მოისმინა, მეტადრე ცოლ-ქმარმა. ამათ ნებართვა სთხოვეს დონ კიხოტს გუბერნატორთან მიწერილი წერილიც წაეკითხა, წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ მეტად კარგი იქნებოდა. მასპინძლებისთვის რომ ესიამოვნებინა, დონ კიხოტმა წერილი თავისი ხელით გახსნა. აი რას სწერდა გუბერნატორს მისი ცოლი:

ტერესა პანსას წერილი მისი ქმრის სანჩო პანსასადმი

შენი წერილი მივიღე, ჩემო სულისდგმავ - ჩემო სანჩო, და როგორც ქრისტიანი კათოლიკე, ვფიცავ, ცოტას გაწყდა სიხარულით ჭკუიდან არ შევიშალე, როცა გავიგონე, რომ შენ, ჩემო მეგობარო, გუბერნატორი გახდი, - არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ მოხდა, იქვე სული რომ არ გავანთხიე. ხომ იცი მოულოდნელი სიხარული ისევე ადვილად ჰკლავს ადამიანს, როგორც მოულოდნელი მწუხარებაო; სანჩიკამ კიდევ ქვედა საცვალი ჩაისველა და სიხარულისგან ვერც კი გაიგო. შენს გამოგზავნილ ტანსაცმელს ვუცქეროდი, ქალბატონი ჰერცოგის მეუღლისაგან

გამოგზავნილი მანიაკიც ყელზე გავიკეთე, წერილებიც ხელში მეჭირა; ჰერცოგის ცოლის გამოგზავნილი კაციც ჩემ თვალთა წინ მედგა და მაინც ისე მეგონა, ყველა ეს, რასაც ხელით ვეხებოდი და თვალთა ვხედავდი, სიზმარში მეჩვენებოდა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ თხის მწყემსი კუნძულის გუბერნატორი გახდებოდა? ხომ იცი, ჩემო ტურფავ, დედაჩემი იტყოდა ხოლმე, დიდი ხნის სიცოცხლეა საჭირო, რომ ადამიანმა ბევრი რამ ნახოსო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იმედი მაქვს კიდევ ბევრი რამ ვნახო, თუ ბევრს ვიცოცხლებ, და მგონია ვერ მოვისვენო, მანამ ბაჟების მოიჯარადრედ ან ხარჯის ამკრებად არა გნახავ; ეს ისეთი თანამდებობაა, რომ, თუმცა ეშმაკებს მიაქვთ იმათი თავი, ვისაც ცუდად მიჰყავს საქმე, მაინც ფულს ბევრს შოულობენ. ქალბატონი ჰერცოგის ცოლი ჩემს სურვილს შეგატყობინებს, რომ სასახლეში წამოსვლა მინდა. ამაზე იფიქრე და შენი თანხმობა შემატყობინე, - ვეცდები პატივი დაგდო და კარეტაში გამოჭიმული გეახლო.

მღვდელს, დალაქს, ბაკალავრს და თვითონ მნათესაც არა სჯერათ, რომ შენ გუბერნატორი ხარ; ამბობენ, ვითომ ყველა ეს ისეთივე სიცრუე ან ჯადოქრობა უნდა იყოს, როგორც ყველა ფათერაკია, რაც შენს ბატონს დონ კიხოტს დაემართა. სამსონი იმასაც კი ამბობს, რომ წამოვა და შენი თავიდან გუბერნატორობას გამობერტყავს, ხოლო დონ კიხოტის ტვინიდან კიდევ მის სისულელეს. ამ ჩემს მარჯუნის მანიაკს ვუცქერი, ჩემ თავად ვიცი თანაც შენს ტანისამოსსა ვზომავ, რომ ჩემს ქალს გადავუკეთო.

ქალბატონ ჰერცოგის ცოლს რკო გავუგზავნე, ნეტამც რა იქნებოდა, ოქროსად გადაქცეულიყო ის რკო. ეგებ მარგალიტის რამე მანიაკი გამომიგზავნო, თუ მაგ შენს კუნძულზე ატარებენ ასეთ მანიაკებს.

ჩვენი სოფლის ახალი ამბები ეს არის: ბარუეკამ თავისი ქალი ერთ ვიღაც წყალწაღებულ მხატვარს მიათხოვა, - ეს მხატვარი საიდანღაც მოვიდა და სურდა, რასაც კი შეუკვთოდნენ, ყველაფერი გადაეხატა. სოფლის სამმართველოს სათათბირომ შეუკვეთა - სამეფო ღერბი გადაეხატა, სათემო გამგეობის კარიბჭის შესავალში რომ ჰკიდია, იმ თხუპნიამ სამუშაოს შესრულებაში ორი ოქრო ითხოვა, მისცეს კიდევ. რვა დღე იმუშავა და რვა დღის უკან გამოაცხადა. ამდენი წვრილმანის დახატვა არ შემოიძლიაო. ფულები უკან დააბრუნა. ამას მაინც არ დასდიეს და როგორც ხელოვანმა მხატვარმა ცოლი შეირთო, მაგრამ ახლა ყალამსა და ფუნჯს თავი დაანება, ხელში ბარი აიღო და დატაკი აზნაურივით ყანაში წავიდა. პედრო დე ლობოს ვაჟმა ხარიხები მოხვეტა, ტონზურა შეიკვეცა და მღვდლობას აპირებს. ეს მინგო სილვატოს შვილიშვილმა მინგილომ რომ გაიგო, დავა აუტეხა, რადგან იმისთვის სიტყვა მიუცია - ცოლად შეგირთავო; ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, ვითომც მისგან ფეხმძიმედაც იყოს, მაგრამ ქალი ამაზე არაფერს ამბობს.

წელს ზეთისხილს არ ასხია და მთელ სოფელში ერთ წვეთ ძმარს ვერ იშოვი. ჩვენს სოფელზე ერთმა რაზმმა ჯარმა გაიარა და თან სამი გოგო გაიყოლა, არ გეტყვი კი ვინ არიან, იქნება უკანვე დაბრუნდნენ და კეთილი ხალხი ვინმე გამოჩნდეს, მათი სიკარგე და სიცუდე არ გაარჩიოს და ცოლად შეირთოს.

სანჩიკა მაქმანებსა ქსოვს და ყოველდღე რვა მარავედისს ნაღდსა შოულობს, ყულაბაში აგროვებს სამზითვოდ, მაგრამ ახლა, რაკი გუბერნატორი ხარ, მზითევს შენ დაუმზადებ; თავის შრომით ფულების შოვნა აღარ დასჭირდება.

ჩვენს მოედანზე რომ შადრევანი და აუზი იყო, გაფუჭდა და ამოშრა; მეხმა კიდე სახრჩობელა დალეწა. ნეტამც მთელი ქვეყნის სახრჩობელებიც ასე დაუღუწია!

ამ წერილის პასუხსა და შენს დასტურს ველი, რომ სასახლეში წამოვიდე. ახლა კი ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, ან იმდენ ხანს მაინც, რამდენ ხანსაც მე მაცოცხლებს. არ მინდა, რომ უჩემოდ მარტო დარჩე ამ ქვეყანაზე.

შენი ცოლი

ტერესა პანსა.

ეს წერილები იმის ღირსად სცნეს, რომ შეექოთ, ეცინათ, გაჰკვირვებოდათ და მოსწონებოდათ. ამ სიამოვნებას თან ისიც დაერთო, რომ სწორედ ამ დროს საჩხოსთან გაგზავნილი შიკრიკი მოვიდა და დონ კიხოტს საჩხოსგან წერილი მოუტანა. ეს წერილიც ხმამაღლა წაიკითხეს და ცოტა არ იყოს გუბერნატორის სისულელეში ეჭვი შეუვიდათ. ამასობაში ჰერცოგის მეუღლე დარბაზიდან გამოვიდა და პაჟს ჰკითხა: საჩხოს სოფელში რა შეგემთხვაო. პაჟმა თავისი მოგზაურობა დაწვრილებით უამბო, ისე, რომ უთქმელი არა დაუტოვებია რა. ჰერცოგის ცოლს რკო მიართვა და მასთან ყველიც, ტერესასგან ჰერცოგის ცოლისთვის ძღვნად გამოგზავნილი, რადგან იგი ტრონჩონის ყველზედაც უკეთესად მიაჩნდა. ჰერცოგის ცოლმა ყველი დიდი სიამოვნებით მიიღო და ჩვენც ამ სიამოვნებით დავტოვოთ იგი, რომ გიამბოთ, დიდმა საჩხო პანსამ, დიდებამ და მშვენიებამ ყველა კუნძულთა გუბერნატორებისამ, როგორ დაასრულა თავისი გუბერნატორობა.

თავი LIII

საჩხო პანსას გუბერნატორობის სამწუხარო ბოლო და დასასრული

ის ფიქრი, ვითომც ამ ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი ერთსა და იმავე მდგომარეობაში რჩებაო, ის იქნებოდა, რომ შეუძლებელიდაგვეჯერებინა. პირიქით, მე მგონია, რომ აქ, დედამიწის ზურგზე, ყველაფერი წრის შემოვლებით და მიმოქცევით მოძრაობს; გაზაფხულს ზაფხული მოსდევს, ზაფხულს - შემოდგომა, შემოდგომას - ზამთარი, ზამთარს კიდეც გაზაფხული და დროც მუდამ ასეთ მოძრავ ბორბალზე ტრიალებს. მხოლოდ მარტოდენ ადამიანის სიცოცხლე, რომელიც დროზე უფრო მსუბუქი რამ არის, ყოველ ნაბიჯზე თავის დასასრულს უახლოვდება, - იმ იმედით, რომ საიქიო ცხოვრებაში ხელახლად აღდგინდება, სადაც საზღვარი არაფერს არა აქვს. ასე ამბობს მაჰმადიანი ფილოსოფოსი სიდ ჰამეტი; რადგან ამ ცხოვრების მსწრაფლ მსვლელობა და ცვალებადობა და მყობადი ცხოვრების მარადჟამობა მრავალთ იმათაც განიცადეს და შეიგნეს, ვინც ჭეშმარიტი სარწმუნოების სინათლით არ არიან. განათლებული და მარტოდენ ბუნების მოვლენებს ეყრდნობიან. ჩვენს ისტორიკოსს ამ ცხოვრების სწრაფლწარმავლობა საჩხოს გუბერნატორობის სწრაფლწარმავლობამ მოაგონა, ისე სწრაფად, რომ ჩაიფუშა, ბოლად იქცა და გაცამტვერდა.

თავის გუბერნატორობის მეშვიდე ღამეს ხსენებული საჩხო ლოგინში იწვა მამლარი პურითა და ღვინით კი არა, არამედ საქმეთა განხილვით, მრავლად გაცემული რჩევით, დადგენილი და განცხადებული კანონებით და შედგენილი განაჩენებით. და იმ წუთში, როდესაც ძილმა შიმშილი დასძლია და გუბერნატორის ქუთუთოებს მიეპარა, ისეთი საშინელი გრიალი მოესმა,

თითქოს მთელი კუნძული ინგრევას. ლოგინზე წამოჯდა და ყური მიუგდო, რომ გაეგო, რა განგაში და აურზაური იყო, მაგრამ ვერაფრის გაგება ვერ შესძლო. მხოლოდ ხალხის ხმაურობა და ზარების რეკვა ესმოდა, რასაც დაფდაფების ბრაზხუნი და საყვირების ხმები აყრუებდა. შეშინებული ლოგინიდან წამოხტა, ფოსტებში ფეხი წაჰყო, რადგან იატაკი ნესტიანი იყო, ხალათის ან სხვა რამის ჩაცმაც ვეღარ მოასწრო და მაშინვე საძილე ოთახის კარებს მივარდა. იმავე წამს ტალანში ანთებული ჩირაღდნებითა და გაშიშვლებული ხმლებით ოცზე მეტი კაცი შემოვარდა, მასთან ყველანი ხმამაღლა გაჰყვიროდნენ:

- იარაღი! იარაღი! იარაღი აისხით, ბატონო გუბერნატორო! უთვალავი მტერი შემოესია კუნძულს; დავილუპეთ, თუ თქვენმა ხელოვნებამ და მამაცობამ არ გვიშველა!

ამ საშინელი ყვირილითა და ღრიანცელით მიუახლოვდნენ, შიშისგან ცოცხალმკვდარ და გაშტერებულ სანჩოს.

- თქვენო მოწყალეზავ, - შესძახა ერთმა მათგანმა გუბერნატორს, - ჩქარა იარაღი აიღეთ ხელში, თქვენი თავისა და თქვენი კუნძულის დაღუპვა თუ არ გინდათ.

- მერე რა? იარაღით რას გავარიგებ? - უპასუხა სანჩომ, - განა იარაღისა გამეგება რამე? ყველას ისა სჯობს, ეს საქმე ჩემს ბატონს დონ კიხოტს მივანდოთ, ის გაფანტავს მტერს და ყველას ერთი ხელის მოქნევით დაგვიხსნის. მე კი, ცოდვილს, მაგ დავიდარაბისა არა გამეგება რა.

- რას ბრძანებთ, ბატონო გუბერნატორო! - დაიძახა მეორემ, - რა სულმოკლეობაა? ჩქარ იარაღი აიღეთ! აქ, აი, შესატევიცა და მოსაგერებელიც თქვენ მოგართვით, ბრძოლის ადგილს მიაშურეთ, იყავით ჩვენი სარდალი და, როგორც ამ კუნძულის გუბერნატორმა, გვიწინამძღვრეთ!

- მაშ, შემასხით იარაღი, - შესძახა სანჩომ, - და ღმერთმაც ხელი მოგიმართოთ!

გუბერნატორი იმავე წამს, - როგორც იყო, ისევე პერანგის ამარა დარჩა, - ორი დიდი ფარი მიაკრეს, ერთა წინ და მეორე უკან, ხელები გამოჭრილებში გააყრევინეს და მერე ორივეზე თოკი შემოუჭირეს, ორ ფიცარს შუა გაჩრილ სანჩო არც დაძვრა შეეძლო, არც სხვა მიხრა-მოხრა, მხოლოდ თითისტარივით სწორად უნდა მდგარიყო. ხელში შუბი მიაჩეჩეს, რომ ძირს არ დაცემულიყო და ასე შებოჭილს სთხოვეს - წინ გასძლოლოდა მათ და ბრბო გაემხნევებინა, თან არწმუნებდნენ გუბერნატორს, ვიდრე ჩვენს კომპასად, მანათობელ ვარსკვლავად და შუქურად გვეყოლები, ჩვენი საქმე კარგად და ჩინებულად იქნებაო.

- თქვე ქაჯებო და ეშმაკებო! როგორ წამოვიდე მე უბედური ამ ფარებში ჩაჭედილი, - შეჰყვირა სანჩომ, - როდესაც მუხლების მოკეცვა არ შემიძლია? ხელით წამიღეთ, - განაგრძო მან, - სადმე გასავალში დამდგით ან დამდეთ და ამ შუბით ან ჩემი საკუთარი ტანით დავიცავ გასავალს.

- ფარები კი არა, შიში გიშლით მოძრაობას, ბატონო გუბერნატორო, - უთხრა გუნდიდან ვიღაცამ, - ჩქარა წადით და მტერს საქმე გაუთავეთ, თორემ გვიანდება: მტრის ძალას ემატება, ყიჟინა ძლიერდება, საქმე უფრო სახიფათო ხდება!

ამ საყვედურმა და დარცხვენამ საბრალო გუბერნატორი აიძულა ადგილიდან დაძრულიყო, მაგრამ წამსვე ისე მაგრად დაეცა, ეგონა - მთლად დავიმტვერიო; და ასე დარჩა თავის აბჯარში როგორც კუ ანუ როგორც ორ ვარცლს შუა ლორის ნაჭერი, ანუ კიდევ როგორც ნაპირზე



გამორიყული მოპირქვავებული ნავი. დამცინავთა ბრბოს არათუ არ შეებრალა მიწაზე გართხმული თავისი გუბერნატორი, პირიქით კერეონები და ჩირაღდნები ჩააქრეს, უფრო საშინელი ყოყინა დასცეს და ზედ ფეხით სიარული და ქელვა დაუწვეს, თანაც თავისი იარაღით სცემდნენ გუბერნატორის ფარს ისე, რომ, სანჩო რომ არ მოკუნტულიყო და თავი ფეხებში არ ჩაემალა, უეჭველია, სიცოცხლესაც გამოასალმებდნენ. ასე, ბნელეთში მწოლარე, სისხლსა და ოფლში გაწურული, გულის სიღრმიდან შესთხოვდა ღმერთს ამ ვაივაგლახისაგან დაეხსნა. ამასობაში კი ზოგი იმაზე ფეხს წაიბორძიკებდა, ზოგი ზედ ეცემოდა, ხოლო ერთი ვიღაც მასხარა ზედ შედგა და იქიდან, თითქოს სადარაჯო კომკიდან, ბრძანებას აძლევდა ჯარებს:

- აქეთ, ჩვენებო! - ყვიროდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, - მტერი იქიდან გვაწვება, ეს ფლატე დაიცავით, ის კარები ჩაკეტეთ, ეგ კიბეები ჩახერგეთ, მოიტანეთ ფისით სავსე ქოთნები ადუღებული ქონის გობები, ქუჩები ლეიბებით გადაღობეთ!

ერთი სიტყვით, ყოველგვარ იარაღს ასახელებდა, რითაც კი იერიშს იგერიებენ. ამ ბრძანებათა მიმცემის ფეხებით გაქედილი, მისი ბრძანების მომსმენი და მგრძნობი საბრძოლო სანჩო ითმენდა და თავისთვის დუღუნებდა:

- ღმერთო, ნეტავ ჩქარა აიღონ ეს კუნძული, ბარემ მომკლან და ამ საშინელი ტახჯვისაგან გამათავისუფლონ.

ბოლოს ზენამ შეიბრალა გუბერნატორი, მისი ვედრება შეისმინა და როდესაც ყველაზე ნაკლებად მოელოდა, მაშინ მოესმა ყვირილი:

- გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ! მტერი უკან იხევს! ადექით, ბატონო გუბერნატორო, ადექით! გამარჯვება იდღესასწაულეთ და გაგვიყავით ნადავლი, მაგ თქვენი მამაცი და უძლეველი ხელით მტერს რომ წავართვით!

- ამაყენეთ, - მოქანცული და ნაღვლიანი ხმით თქვა სანჩომ.

ის ზეზე წამოაყენეს; წამოდგა და თქვა:

- თუ მართლა მე გავიმარჯვე, ჩემი დამარცხებული მტრის შუბლზე მიმლურსმეთ; ამაზე თანახმა ვარ, ნადავლის გაყოფაზე კი უარს ვამბობ და ვთხოვ ჩემს მეგობრებს, თუ ერთი მეგობარი მაინც კიდევ დამრჩენია, ერთი ყლუპი ღვინო მომეცით ყელი ჩავისველო, შემდეგ ტანი გამიმშრალეთ, თორემ ოფლად ვდნები.

ტანი გაუმშრალეს, ღვინო მოუტანეს, ფარები მოხსნეს და გუბერნატორი, შიშ-მწუხარებას და ტანჯვას გამოვლილი, მოქანცული, უგრძნობლად ლოგინზე დაეშვა. ამ ხუმრობის მომწყობები სინანულში ჩავარდნენ, რომ თავიანთაო ხუმრობა ძალიან გადააჭარბეს, მაგრამ მათი მწუხარება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან სანჩო თანდათან გონს მოვიდა და დამშვიდდა. იკითხა, მერამდენე საათიაო? უთხრეს, აგერ გარიჟრაჟს იწყებსო. პასუხის გაუცემლად ტანთ ჩაცმა დაიწყო, ყველანი მიუმხვდარნი უცქეროდნენ, თუ რით გათავდებოდა ეს საქმე. ტანთ რომ ჩაიცვა, ოთახიდან წყნარად გავიდა (ჩქარი სიარულისთვის ძალიან დაბეგვილ-დათეთქვილი იყო) და თვლაში წავიდა. ამაღა უკან გაჰყვა. სანჩო თავის ლურჯასთან მივიდა, მოეხვია, ნაზად შუბლზე აკოცა და თვალცრემლიანმა უთხრა:

- მოვედ ჩემდა, ჩემო ამხანაგო, ჩემო მეგობარო და თანაშემწევ შრომასა და მწუხარებაში; წავიდეთ, ჩემო ერთგულო; როდესაც მე და შენ მშვიდობიანად და თანხმობით ვცხოვრობდით, ყველა ჩემი ფიქრი და აზრი მხოლოდ შენ დაგტრიალებდა, მუდამ იმას ვზრუნავდი, მორთულ-მოკაზმული მყოლოდი და შენი პატარა მუცელი კარგი საკვებით ამომეცსო, მაშინ ჩემი საათები, დღეები და წლები ბედნიერად მიმდინარეობდნენ. მაგრამ როდესაც მიგატოვე, ცრუ დიდებისა და ამპარტავნობის კომპლექსზე შეაავმალდი, მას აქეთ ათასი უბედურება, ათასი მწუხარება და ათასი შეჭირვება დამატყდა თავს.

ასე ეუბნებოდა სანჩო ვირს, თანაც კაზმავდა და ამ ხანში მისთვის ერთი სიტყვაც არავის უთქვამს. შეკაზმვა რომ დაასრულა, კვნესით და კრუსუნით, ძლივძლივობით ზედ შეჯდა, მერე მიუბრუნდა სახლთუხუცესს, მოურავს, მდივანს, ექიმ პედრო რესიოს და ყველა იქ მყოფთ და უთხრა:

- ჩამომეცალენით, ბატონებო, ნება მომეცით ჩემს უწინდელ თავისუფალ ცხოვრებას დავუბრუნდე, ნება მომეცით ამ სიკვდილისაგან აღვსდგე. საგუბერნატოროდ არა ვარ დაბადებული და არც ნიჭი მაქვს მტრებისაგან დავიცვა კუნძულები, გინდ ქალაქები. ჩემი საქმე მიწის ხვნა და ბარით მუშაობაა, ურმის მართვა, ვენახის მოვლა და არა კანონების წერა, თემებისა და სახელმწიფოების მართვა და დაცვა. წმიდა პეტრეს ადგილი რომშია, ხოლო ყველა ჩვენგანი მაშინ არის თავის ადგილზე, როდესაც თავის საქმეს აკეთებს და რისთვისაც ის დაბადებულია. მე ნამგალი შემფერის ხელში მეჭიროსო და არა გუბერნატორის კვერთხი და ვიღაც ბრიყვი, რეგენი ქიმის წყალობით შიმშილით სიკვდილს ხახვით შენელებული შეჭამადის ჭამა მირჩევნია; ტყვეობაში ჰოლანდიურ ზეწრებზე და კვერნისა და წავის ბეწვს ქვეშ ძილს ზაფხულობიო მუხის ჩრდილში და ზამთრობით ჩემს სქელ ქურქქვეშ ძილი მიჯობს. დამე მშვიდობისა, ბატონებო; გთხოვთ ჩემს ბატონს ჰერცოგს გადასცეთ, რომ შიშველი დავიბადე, შიშველივე ვრჩები, არც არა მომიგია, არც არა წამოგიარა. გუბერნატორობა უგრომოდ ჩავიბარე, უგრომოდვე ვტოვებ მას, არა ვმგვანებივარ სხვა გუბერნატორებს, რომლებიც სულ სხვაგვარად იქცევიან. ჩამომეცალენით, გამიშვით ჩემთვის წავიდე; მივდივარ, გვერდები ქონით დავიზილო, რადგან ასე მგონია მტრებისაგან მთლად ჩამტვრეული მაქვს, წუხელის ჩემს მუცელზე რომ დანავარდობდნენ.

- ნურაფერსაც ნუ წაიცხებთ ბატონო გუბერნატორო, - შეჰყვირა ექიმმა რესიომ. - ისეთ წამალს მოგცემთ დაბეგვილისა და დალურჯებულისთვის, რომ ერთი თვალის დახამხამებაში მოგიჩრებთ ნატკენი და წინანდელი ძალღონე დაგიბრუნდებათ. ამასთან აღვითქვამთ, ამიერიდან, რასაც კი ინებებთ, ყველაფრის ჭამის ნებას მოგცემთ.

- გვიან მოხვედით გონს! - უპასუხა სანჩომ. - ისევე შეიძლება ჩემი აქ დარჩენა, როგორც ოსმალოდ გადაქცევა ან ფრენით ცაში ასვლა. კმარა! ასეთი ოინები კვლავ აღარ განმეორდება. ისეთი საქმეებიც არის ქვეყანაზე, რომ იმათკენ მეორედ მიბრუნება აღარ შეიძლება. სამუდამოდ გამოვეთხოვე ამას და ყველა სხვა გუბერნატორობას, თუნდა ორ თავ საქმელს შუა სინზე დადებული ომართვან იგი. მე პანსას გვარეულობიდან ვარ და ჩვენს გვარში ყველა ეშმაკივით ჯიუტი და თვითრჯული იყო, როდესაც ვიტყვი, არა, სწორედ "არა" იქნება მთელი ქვეყნის ჯიბრზე. ამ თავლაში ჭიანჭველის იმ ფრთებს ვტოვებ, ჰაერში, რომ ფრინველების შესაჭმელად ამაფრინეს. " ისევ ძირს ჩამოვიდეთ და ჩვენი გლეხური ორი ფეხით ვიაროთ მტკიცე ნაბიჯით. და თუ კორდოვული მეშის მოსირმული ჩექმები არ გვექნება, თოკისაგან მოქსოვილ ქალამნებს

ხომ ვიშოვით, იმასაც არ დავიწუნებთ. ყველა ერკემალი თავისი ყოჩისთვის იყოს და ფეხები საბნის ტოლად უნდა გაჭიმოს კაცმა. გთხოვთ გამიშვათ, უნდა წავიდე, გვიანდება.

- ბატონო გუბერნატორო! - უთხრა პასუხად სახლთუხუცესმა, - სიამოვნებით გავუშვებდით თქვენს მოწყალეობას, თუმცა სამძიმოც არის ჩვენთვის თქვენისთანა ბრძენი და ქრისტიანი გუბერნატორის განშორება, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, გუბერნატორს თავისი საგამგეოს დატოვება ანგარიშის ჩაბარებამდის არ შეუძლია, ამიტომ თქვენმა მოწყალეობამაც თქვენი ათი დღის გამგეობის ანგარიში უნდა ჩავვაბაროს და მას უკან წაბრძანება შეგიძლიათ.

- მაგ ანგარიშის მოთხოვნა ჩემგან არავის არ შეუძლია ჩემი მეუფე ჰერცოგის მეტს, - მიუგო სანჩომ. - ახლა იმასთან მივდივარ და ჩემი მოქმედების სრულ ანგარიშს მას ჩავაბარებ. ამასთანაც მთლად ცარიელი გავდივარ გუბერნატორობიდან. ამაზე უკეთესი საბუთი სხვა რომელიღა გინდათ იმის დასამტკიცებლად, რომ მე ანგელოზივით ვმართავდი ამ კუნძულს?

- ღმერთსა ვფიცავ, დიდებული სანჩო მართალია? - შესძახა ექიმმა რესიომ, - და ჩვენც უნდა გავუშვათ იგი, რომ ჰერცოგს ვასიამოვნოთ.

ექიმს ყველა დაეთანხმა და სანჩო გაისტუმრეს, მასთან უთხრეს, საპატიო დარაჯებად თან გეახლებით და, რაც გზაზე დაგჭირდება, ყველაფერს გაგატანთო. სანჩომ მხოლოდ ცოტა ქერი სთხოვა ვირისათვის და თავისთვის კიდევ ცოტა პური და ყველი და უთხრა: სხვა არაფერი საგზალი ჩემთვის საჭირო არ არის, რადგან სამაგისო დიდი მანძილი არა მაქვს გასავლელიო. გამოხოვებისას სანჩო ყველას გადაეხვია და თავისი გონივრული ლაპარაკითა და უეცარი, მედგარი გადაწყვეტილებით ყველანი გააოცა.

#### თავი LIV

სადაც ლაპარაკია ამბებზე, რომლებიც სწორედ ამ ისტორიას შეეხება და არავითარ რაიმე სხვას

ჰერცოგსა და მის ცოლსაც არ სურდათ დონ კიხოტისგან მათი შინაყმის, დონა როდრიგესის ქალის გამაუპატიურებელის ხმაღში გამოწვევა უყურადღებოდ დაეტოვებინათ, მაგრამ საქმე ის იყო, რომ მაშინ დონ კიხოტის მოწინააღმდეგე თავის ანჩხლ სასიდედროს დონა როდრიგესს გაქცეოდა და ფლანდრიაში იმყოფებოდა. ამიტომაც ჰერცოგმა იმის მაგიერ თავისი გასკონელი მსახურის ტოსილოსის წარდგენა იფიქრა და კიდევ დაარიგა იგი, დონ კიოტთან ბრძოლის დროს როგორ უნდა მოქცეულიყო. მეორე დღეს ჰერცოგმა უთხრა დონ კიხოტს, მოწინააღმდეგე, ჯეროვანად შეიარაღებული, ოთხი დღის შემდეგ გამოცხადდება ბრძოლაში გამოწვევის მისაღებადაო და იარაღით ხელში იწყებს დამტკიცებას, რომ დონა როდრიგესის ქალი ნახევრად და თითქმის სულ მთლად ტყუის, როდესაც ამბობს, ვითომც მას ცოლად შერთვის პირობა მიეცესო. უდიდესი კმაყოფილებით მოისმინა ეს დონ კიხოტმა და თავის თავს აღუთქვა, რომ სანაქებოდ გადაიხდიდა ბრძოლას. დიდ ბედნიერებად სთვლიდა, რომ შემთხვევა ეძლეოდა ციხე-დარბაზის პატრონებისთვის ეჩვენებინა, თუ როგორი ძალოვანი იყო მისი მკლავი; კმაყოფილსა და სიხარულით აღტაცებულს სალოდნელი ოთხი დღე ოთხ საუკუნედ ეჩვენებოდა.

მაგრამ, დაე, ეს ოთხი დღე ისე გავიდეს, როგორც მრავალს გაუვლია ქვეყანაზე, მანამდის დავტოვოთ დონ კიხოტი და მივუბრუნდეთ ნახევრად დაღონებულს, ნახევრად კმაყოფილს

სანჩოს, თავის ბატონთან რომ ბრუნდებოდა, რომელთანაც ყოფნა მთელი ქვეყნის კუნძულის გამგეობას ერჩინა.

თავის კუნძულს რომ პატარა მანძილზე გამოშორდა (მართალი უნდა ვთქვათ, ერთხელაც არ მოსვლია ფიქრად ვინმესთვის ეკითხა, თუ სად გუბერნატორობდა: კუნძულზე, ქალაქში, დაბაში თუ სოფელში), სანჩომ ექვსი გლახა დაინანა მგზავრის ყავარჯნებით, რომელნიც მოწყალეობას გალობით ითხოვდნენ. სანჩოს რომ დაუპირდაპირდნენ, ორ რიგად გამწკრივდნენ და თავიანთ ენაზე გალობა დაიწყეს. სანჩოს მათი არა ესმოდა რა, - მხოლოდ ერთი სიტყვა მოწყალეობა - გაიგო და ამან აუხსნა ყველაფერი. სიდ ჰამეტის სიტყვებით, მეტად გულმტკივნეულმა კუნძულიდან საგზაოდ წამოღებული ერთი ნატენი პური და ერთი ნაჭერი ყველი ამოიღო და გლახებს მისცა, თანაც ნიშნებით აჩვენა, რომ სხვა არა გააჩნდა რა. გლახებმა მოწყალეობა სიხარულით ჩამოართვეს და თან იძახდნენ:

- გელტე, გელტე!

- არ მესმის, რას მთხოვთ, კეთილო ხალხო! - უთხრა სანჩომ.

ამის პასუხად ერთმა გლახამ უბიდან ქისა გამოიღო და სანჩოს უჩვენა, რომ ძმობა ფულს სთხოვდა. სანჩომ ცერი ყელზე მიიღო, დანარჩენი თითები ჰაერში გაფარჩხა და ამით აჩვენა, ჯიბეში არაფერი მაქვსო. მერე ვირს მათრახი გადაჰკრა და თავის გზაზე წავიდა. მაგრამ ერთმა გლახამ თავით ფეხებამდის თვალი ავლო, უკან გამოუდგა, ქამარში ხელი წაავლო და წმინდა ესპანურ ენაზე ხმამაღლა დაიყვირა:

- სანჩო! ღმერთო ჩემო! ამას ვის ვხედავ, ნუთუ ეს ჩემი კეთილი მეზობელი სანჩო პანსაა? დიახ, სწორედ, ყოველივე ეჭვს გარეშეა, რადგან არც მძინავს და არც მთვრალი ვარ.

სანჩოს ძალიან გაუკვირდა, რომ ვიღაც გლახამ ახსენა და თანაც გადაეხვია. მდუმარემ დიდხანს ყურადღებით უცქირა იმ გლახას, მაგრამ ვერ იცნო, ვინ იყო.

გლახამ რომ სანჩოს გაცბუნება შენიშნა, უთხრა:

- ძმაო სანჩო პანსა, - განა ვერ სცნობ შენს მეზობელ მავრ რიკოტეს, შენი სოფლის მეწვრილმანეს?

სანჩომ ეს რომ გაიგონა დამტერებით დააცქერდა გლახას და ნელნელა თავისი მეზობლის სახე გაიხსენა. ვირიდან ჩამოუსვლელად მოეხვია რიკოტეს და ეუბნებოდა:

რა ეშმაკი გიცნობდა, რიკოტე, მაგ ტანისამოსში? მაგ ფრანგის ტანისამოსით ვინ მოგართო და ესპანეთში მოსვლა როგორ გაბედე? აქ რომ გნახონ, ხომ კეთილი არა დაგეყრება რა?

- თუ შენ არ გამცემ, სანჩო, - მიუგო მგზავრმა, - დარწმუნებული ვარ, ამ სახით აქ ვერავინ მიცნობს. მაგრამ ამ გზას გადავიდეთ და იმ ტყეში შევიდეთ; იქ დავისვენოთ, დავნაყრდეთ კიდეც. შენც დანაყრდი ჩემს კარგ ამხანაგებთან ერთად. იქ გაიმბობ რა შემემთხვა რაც ჩვენი სოფლიდან წამოველ - რაკი მისი უდიდებულესობის ბრძანება ჩვენი ერის უკანასკნელ ნაშთს სისასტიკით ემუქრებოდა.

სანჩო დაეთანხმა, რიკოტე ამხანაგებს მოელაპარაკა და ყველანი გზის ახლოს მდებარე ტყისკენ გაემართნენ. მგზავრები, მოხუცებული რიკოტეს გარდა, სულ ლამაზი ყმაწვილკაცები იყვნენ. ჯოხები მიწაზე დაჰყარეს, სამგზავრო წამოსასხამები მოიხადეს, მიწაზე დასხდნენ, დახსნეს

საგზლით გატენილი გულები, ორი მილის მანძილზე რომ მადას მოჰგვრიდა ადამიანს, და ბალახის სუფრაზე ამოლაგეს: პური, მარილი, დანები, კაკალი, ყველი, ლორის ნარჩენი ძვლები, რაც თუ არ გამოიხვრებოდა, გამოიწუნებოდა მაინც. ამას გარდა ამოიღეს წყურვილის მომგვრელი ხიზილალა და ბლომად, თუმცა გამხმარი და შეუნელებელი, მაინც გემრიელი და თავისუფალ დროს ადვილად დასალეჭი ზეთისხილი. მაგრამ ამ ნადიმზე ყველაზე მეტად ექვსი ტიკჰორა ღვინო ბრწყინავდა. ხოლო თვითონ კეთილმა რიკოტემ, მავრიდან რომ გერმანელად გადაქეულიყო, აგრეთვე თავისი ტიკჰორა გადმოდო, - სიდიდით რომ დანარჩენი ხუთივე ტიკჰორისთვის შეეძლო მეტოქეობა გაეწია. მასუკან მგზავრებმა წყნარად, მაგრამ ძალიან მაღიანად დაიწყეს ჭამა. რომ დანაყრდნენ, ტიკჰორები მაღლა ასწიეს, თვალეხი ზეცას მიაპყრეს და თავის ქნევით მასრები პირში ჩაიდეს. ამ თავის ქნევით აჩვენებდნენ, რომ ეს საქმე ძალიან ესიამოვნებოდათ და ასეთ მდგომარეობაში რამდენიმე წამს დარჩნენ. ამას რომ უცქეროდა სანჩო "არც წუხდა, არცა ნალვლობდა", - არამედ დიდ სიამოვნებას გრძნობდა და იმ ანდაზის მიხედვით "რა სოფელშიაც შეხვალ იმ სოფლის ქუდი დაიხურეო", - რიკოტეს ტიკჰორა ჩამოართვა და იმავე სიამოვნებით მოიწავა, როგორც დანარჩენებმა. ასე ოთხ-ოთხჯერ მოწაფეს ტიკჰორები და მეხუთედ მოწაფება კი ვეღარ შეძლეს, რადგან მათდა სამწუხაროდ ტიკჰორები გამოფიტულ ჩალასავით დაიფშუტა. ამიტომ მხიარულება ოდნავ შენელდა - ყველა მგზავრი ხანდაზმით ხელს უჭერდა სანჩოს და ეუბნებოდა:

- ესპანელი და გერმანელი ორი კარგი ბიჭი, კარგი ამხანაგი!

ამაზე სანჩო უპასუხებდა:

- ორი კარგი ბიჭი, ღმერთი გეფიცები!

მერე მთელი საათობით სიცილს მორთავდა და მაშინ მთლად ავიწყდებოდა რაც კი რამ თავისი გუბერნატორობის დროს გადახდა. ჭამისა და სმის დროს, - ვინ არ იცის, - ყველა გაჭირვება ავიწყდება ადამიანს. სმის დასასრული ძილის დასაწყისად გახდა და მგზავრებმაც ბალახზე ხვრინვა ამოუშვეს. მარტო სანჩოს და რიკოტეს არ დაუძინიათ, რადგან მათ უფრო ბევრი ჭამეს, ვიდრე სვეს. ცოტა განზე გავიდნენ, წიფლის ქვეშ დასხდნენ და იმ ხანში, როდესაც ამხანაგები ტკბილ ძილში იყვნენ, რიკოტემ წმინდა ესპანური ენით, მავრული სიტყვების შეურევლად, სანჩო პანსას შემდეგი უამბო:

- შენ ძალიან კარგად იცი, ჩემო მეგობარო და მოკეთვე სანჩო პანსა, - ამბობდა იგი, - რა საშინელებაში ჩაგვყარა მისი უდიდებულესობის ბრძანებამ, ჩვენი საცოდავი ერის წინააღმდეგ რომ გამოსცა. მე მაინც ის მეგონა, რომ სასჯელი მთელი ძალით ჩემს თავს და ჩემს შვილებს იმაზე ადრე დაატყდა-მეთქი, ვიდრე ესპანეთის დატოვებისთვის გვქონდა დანიშნული. რაკი ვიცოდი, ჩემი სახლიდან უნდა გამოვიდე, გონიერება ვიხმარე და ზრუნვას შევუდექი, სადმე სხვა სახლი მომეძებნა, რომ შიგ დავბინავებულიყავ. ყველაზე ადრე მე დავტოვე ესპანეთი და წავედი - ისეთი ადგილი მომეძებნა სადაც გულდამშვიდებით შემემლებოდა სახლობა გადამეყვანა, და ისე არ ავჩქარებულყავი როგორც ესპანეთიდან წასვლა სხვა მავრებს მოუხდათ. მე და სხვა ჩვენი მოხუცები მივხვდით, რომ ის ბრძანება უბრალო მუქარა როდი იყო, როგორც ზოგიერთს ეგონა, არამედ ნამდვილი კანონი იყო და თავის დროზედაც უნდა შესრულებულიყო. ამაში უფრო მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ზოგიერთი მავრის უგუნური და შემცოდე განზრახვა გავიგე, და მეფის ბეჯითი გადაწყვეტილება ზეგარდმო შთაგონებით მომხდარად მეჩვენა. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა დამნაშავენი ვართ,

ჩვენში გულწრფელი ქრისტიანებიც მოიპოვებიან, მაგრამ ისინი ისე ცოტანი იყვნენ, რომ მოპირდაპირე მხრის წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეიძლებს: იმდენი მტრის შეფარება კი სახელმწიფოში ის იქნებოდა - საკუთარ მკერდზე გველი აღეზარდათ. მაშ სამართლიანად ვართ განდევნილნი; - ზოგის აზრით ეს მსუბუქი სასჯელია, მაგრამ ნამდვილად კი ჩვენთვის ამაზე საზარელ სასჯელს ვერ მოიგონებდნენ. სადაც უნდა ვიყვეთ, ესპანეთი უნდა ვიგლოვოთ; რაც არ უნდა იყოს, იქ დავიბადებით და წვენი ნამდვილი სამშობლო ის არის. ბერბერიაში და აფრიკის სხვა ადგილებში, სადაც დაბინავების იმედი გვქონდა და სადაც გვეგონა ძმურად მიგვიღებდნენ, შეურაცხვეყოფენ, ყველაზე ცუდად გვეპყრობიან. ვაი ჩემს თავს! ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვცანით, როდესაც იგი დავკარგეთ და ყველას ისე ძალიან სურდა ესპანეთში დაბრუნება, რომ ჩვენგანი მეტი ნაწილი ესპანურად მოლაპარაკე, აქვე მოდის და თავის ცოლ-შვილს ღვთის ანაბარად სტოვებს; აი სადამდის გვიყვარს ეს ჩვენთვის ძვირფასი ქვეყანა; მხოლოდ ახლა ვიგრძენით, თუ რა ტკბილია სამშობლო მხარე. ჩემი სოფელი რომ დავტოვე, საფრანგეთში წაველ და, თუმცა იქ დიდი სიამოვნებით მიმიღეს, მაინც მოვიწადინე ჯერ ბევრი ქვეყანა მენახა და მერე გადამეწყვიტა, სად დავბინავებულიყავ. საფრანგეთიდან იტალიაში წავიდოდი, შემდეგ გერმანიას და ისე მეჩვენა, რომ ყველაზე თავისუფლად გერმანიაში შეიძლებოდა ცხოვრება. იქ ყველა ისე ცხოვრობს როგორც ეხერხება, არავის ხელი არა აქვს მასთან და იქ ყველგან სინდისის სრული თავისუფლებაა. ერთ სოფელში დავბინავდი, აულსბურგის ახლოს და შემდეგ ამ მომლოცავ მგზავრებს გავუამხანაგდი, ყოველ წელს რომ ესპანეთს მოდიან წმიდა ადგილების თავყანსაცემად და თავიანთთვის ახალ ქვეყნად ხდიან; კარგი და ნაღდი საშოვრის იმედიცა აქვთ. ეს მომლოცავი მოგზაურები მთელ ესპანეთს აღმადაღმა მოივლიან ხოლმე და ერთი სოფელი არ არის, სადაც ამათ არ აჭამონ და არ ასვან და ფულადაც, სულ რომ ცოტა ვთქვა ერთი რეალი მაინც არ შესთავაზონ. ამგვარად ესკუდოს შოულობენ, ოქროზე სცვლიან, ფარულად ტანისამოსში და გახვრეტილ ყავარჯნებში ინახავენ, ან როგორმე სხვარიგად მალავენ და ისე მიაქვთ თავიანთ სამშობლოში, იმის მიუხედავად, რომ ნავსადგურისა და საზღვრის მეზაჟეები მგზავრებს ჩხრეკენ ხოლმე. ახლა კი, სანჩო, ჩემი განძისთვის მოვდივარ, მიწაში რომ მაქვს დაფლული. ამას უხიფათოდ მოვახერხებ, რადგან ფული სოფელს გარეთ მაქვს დამალული. მერე მინდა ჩემს ცოლსა და ქალს მივწერო, ან თვითონ წავიდე ვალენსიიდან ალჟირს და იქ რაიმე ვიღონო საფრანგეთში მათ წასაყვანად და იქიდან კიდევ გერმანიაში გადასაყვანად, იქ კი იმედი მაქვს ღმერთი უნუგემოდ არ დაგვტოვებს, რადგან ჩემი ქალი რიკოტა და ცოლი ფრანცისკა რიკოტა ჭემმარიტი ქრისტიანები არიან და თვითონ მეც უფრო ქრისტიანი ვარ, ვიდრე მავრი, და მუდამ ღმერთს შევთხოვ - გონება სიბრძნის ნათელიო განმინათლოს, რომ მისი სამსახური შევიძლო. მარტო ეს მაკვირვებს, ჩემი ცოლი და ქალი ბერბერიის ქვეყანაში რად წასულან, რატომ საფრანგეთს არწიწვიდნენ, სადაც როგორც ქრისტიანებს ცხოვრება შეეძლოთ?

- მეგობარო რიკოტე, - მიუგო სანჩომ, - ალბათ ადგილის არჩევა ვერ შეიძლებს, სად დასახლებულიყვენ. აქედან ისინი შენმა ცოლისძმამ ხუანო ტიოპიეიომ წაიყვანა; ის, ხომ იცი, გადაბრჯნილი მავრია, და თვისი აზრით უკეთეს ქვეყანაში წაიყვანა. ისიც უნდა გითხრა, ჩემო მეგობარო, ვაითუ ტყუილად მიდიოდე დამარხული განძის მოსაძებნად; როგორც ამბობენ, საბაჟოში გასინჯვისას შენს ცოლს და ცოლისძმას თურმე ბევრი ფული და მარგალიტი დაეკარგათ.

- შეიძლება, - თქვა რიკოტემ, - მაგრამ ეს კი ვიცი, ვერავინ ვერ მიხვდებოდა, სადაც დავმარხე, არავისთვის არ მითქვამს, ფული სად შევინახე, მეშინოდა - უბედურება არ შემმთხვეოდა და, თუ გინდა, ჩემო მეგობარო სანჩო, თან წამომყვე და ჩემი ფულების ამოღება მიშველო, მაშინ მე შენ ორას ესკუდოს მოგცემ; გამოგადგება, ვიცი, გაჭირვებული კაცი ხარ.

- დიდი სიამოვნებით დაგთანხმდებოდი, - მიუგო სანჩომ, - მაგრამ, ეს არის, ხარბი კაცი არა ვარ, თორემ ამ დილით ხელიდან როდი გავუშვებდი ისეთ ადგილს, რა ადგილზე ყოფნითაც შემეძლო ჩემი სახლის კედლები ოქროთი შემეჭედა და ნახევარ წელიწადზე ადრე სულ ვერცხლის სინებიდან მეჭამა კერძი. აი ამიტომ და იმიტომაც, რომ, მგონი მეფეს ვუღალატებ, მის მტერს რომ ვუშველო, ვერ წამოგყვები, თუნდაც ორასი ესკუდოს მაგიერ ახლავ ნაღდად ოთხასი დამითვალო.

- ეგ რა ადგილი დაგიტოვებია? - ჰკითხა რიკოტემ.

- გუბერნატორის ადგილი, მერე ისეთი კუნძულისა, რომ მისი მსგავსი ირგვლივ სამ მილზეც არ მოიპოვება, - უთხრა სანჩომ.

- მერე ეგ კუნძული სად არის?

- სადა - და აქედან ოთხი მილის სიშორეზე, ბარატარიის კუნძული.

- ნეტავ რას ჩმახავ, სანჩო? - უთხრა რიკოტემ, - განა მშრალ მიწაზე კუნძული შეიძლება? - კუნძულები ზღვაშია.

- რას ამბობ, მეგობარო რიკოტე, - მიუგო სანჩომ, - ის კუნძული სწორედ ამ დილით დავტოვე, ხოლო გუშინ მისი გუბერნატორი ვიყავ და დავტოვე იმიტომ, რომ გუბერნატორად ყოფნა საშიში საქმეა.

- მერე გუბერნატორობით რა მოიგე?

- იმისი შეგნება მოვიგე, რომ კუნძულებისა კი არა, არამედ ცხვრის ფარის გუბერნატორობა შემიძლია, და რომ გუბერნატორობის ადგილზე სიმდიდრე მოსვენების ფასად მოიპოვება: მოსვენებაც, ძილიც და თითქმის საჭმელიც უნდა დათმოს გუბერნატორმა; ცოტა უნდა ჭამოს, მეტადრე თუ გუბერნატორის კარგამყოფობაზე საზრუნველად ექიმიც არის მიჩენილი.

- შენი ვერა გამიგია რა, სანჩო, - მიუგო რიკოტემ; - მგონია რადაც სისულელეს ჩმახავ. ნეტავი რომელი ეშმაკი იყო, კუნძულის გუბერნატორი რომ გაგხადა? განა ქვეყანაზე შენს მეტი გუბერნატორი სხვა ვეღარ მოიძებნა? გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, და იფიქრე, წამომყვები, რომ ჩემი მომავალი სიმდიდრე გამოვიტანო, თუ არა? - რაც იქ დავტოვე, შეიძლება სიმდიდრე დავარქვა.

- აკი გითხარ, რიკოტე, ვერა-მეთქი, - მიუგო სანჩომ. - ისიც იკმარე, რომ არ გაბეზდებ, და წადი შენთვის, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. მე კიდევ ჩემს გზაზე წავალ. გახსოვდეს ჩვენი ანდაზა: რაც კეთილად არის ნაშოვნი, ის ხშირად იკარგებაო, და რაც სიცულის გზითაა ნაშოვნი, ის მშოვნელიანად იკარგებაო.

- კარგი და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, აღარ დაგაძლებ, - უთხრა რიკოტემ; - ეს მაინც მითხარ, ჩემი ცოლისა და ქალის წასვლას დაესწარი?

- დავესწარ, - უთხრა სანჩო. - და უნდა გითხრა, მთელთ სოფელი გარეთ გამოვიდა შენი ქალის სანახავად, როცა მიდიოდნენ, და ყველა ამას ამბობდა: მთელს ქვეყანაზე ასეთი არ დაიბადებოდა - ისეთი ლამაზი ჩანდა. ტირილით ეთხოვებოდა თავის მეგობრებს, ჰკოცნიდა და ყველას სთხოვდა: უფალს და მის ყოვლად წმიდა დედას შემავედრეთო. ისე შესაბრაღისად ტიროდა, რომ თვალებზე ცრემლები მეც მომერია, თუმცა ბუნებით მტირალა და ქალაჩუნა არა ვარ. ღმერთს ვფიცავ, ბევრს უნდოდა თავის სახლში დაემალა, ან გზაზე მოეტაცნა, მაგრამ ყველას მეფის ბრძანების ურჩობის შიშმა შეაკავებინა თავი. ყველაზე მეტად პედრო გრეგორიოს უყვარდა იგი; შენ იცნობ იმას, მდიდარი მამა ჰყავს და როგორც ყველანი ამბობდნენ, შენი ქალი ძალიან უყვარდა. რაც ის წავიდა, მას აქეთ აღარავის უნახავს პედრო ჩვენს სოფელში, ყველა ფიქრობს - თან ხომ არ გაჰყვაო და გზაზე მისი მოტაცება ხომ არ განიზრახაო, მაგრამ აქამდის მისი აღარა გაგვიგია რა.

- მე მუდამაც ვფიქრობდი, რომ იმ აზნაურს ჩემი რიკოტა უყვარდა, მაგრამ, რაკი ჩემს ქალს ვენდობოდი, არ მეშინოდა. ხომ იცი, სანჩო, ჩვენი ქალები ძველ ქრისტიანებს იშვიათად მისთხოვდებოდნენ ხოლმე. ჩემი ქალი კი უფრო ქრისტიანად ყოფნას ცდილობდა, ვიდრე გამიჯნურებას და, როგორც მგონია, იმ მდიდარი მემკვიდრის ტრფობას ყურს არ უგდებდა.

- კარგიც უქნია: ის კაცი მისი ფარდი არ აყო, - უთხრა სანჩომ, - მაგრამ დროა გამოვეთხოვოთ ერთმანეთს, რიკოტე, მეშურება, მინდა ამ საღამოსვე ჩემს ბატონ დონ კიხოტთან მივიდე.

- ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ძმაო სანჩო, - უთხრა რიკოტემ, - აგერ ჩემი ამხანაგებიც თვალებს იფშვნეტენ, მამ დროა მეც გზას გავუდგე.

ეს რომ თქვა ძველი ნაცნობები ერთმანეთს ნაზად გადაეხვივნენ; ერთმანეთი გადაჰკოცნეს და სხვადასხვა გზას დაადგნენ: სანჩო ვირით და რიკოტე - ქვეითად - თავისი ყარიბული არგნით.

## თავი LV

რა შეემთხვა გზაზე სანჩოს და სხვა ამბები, რომლის უმჯობესს კაცი ვერაფერს გამოიგონებს

რიკოტესთან ხანგრძლივმა ლაპარაკმა სანჩო გზაში დააგვიანა და ჰერცოგის ციხე-დარბაზში იმავე საღამოს მისვლა ვეღარ მოასწრო. ციხე-დარბაზამდის ნახევარი მილის მანძილზე ბნელმა ღამემ უწია, მაგრამ ზაფხული იყო და სანჩო ძალიანაც არა სწუხდა, რომ ღამე ცისქვეშ დარჩენა მოუხდებოდა. ღამის გასათევი ბინის საშოვრად გზიდან მხოლოდ ცოტა განზე გადაუხვია. მაგრამ როდესაც ღამის გასათევად ბინას ეძებდა, სწორედ იმ დროს მის ბოროტ ვარსკვლავს ენება სანჩო ვირიანად ბნელ და ღრმა ორმოში ჩავარდნილიყო; ეს ორმო რაღაც ძველი შენობების ნანგრევებს შუა იმყოფებოდა. სანჩომ იგრძნო, რომ ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა, თავისი ბედი ღმერთს მიანდო და ისე ეგონა - უძირო ქვესკნელში მივექანებო. ასე ექვსი შვიდი ადლის სიღრმეზე ქვესკნელს ძირი აღმოუჩნდა და სანჩო დაუშავებლად ფეხზე დადგა. მაინც მთელი ტანი ხელით გაისინჯა და სუნთქვა შეიგუბა, რომ დარწმუნებულიყო - საღსალამათი გადარჩა თუ არა. სიმთელეში რომ დარწმუნდა, ასეთი წყალობისათვის ღმერთს მადლობა შესწირა, რადგან ფიქრობდა - სულ დამსხვრეული ვარო. მერე ხელის ცეცებით ჯურღმულის კედლები



გასინჯა, უნდოდა გაეგო - შეიძლებოდა თუ არა იქიდან სხვის დაუხმარებლად ამოსულიყო, მაგრამ დახე უბედურებას! კედლები შვეულად ღლუვი აღმოჩნდა, ჩაკიბული დასაბჯენი არსად არა ჰქონდა და იმ ჯურღმულიდან ამოსვლა ძნელი იყო. ამ აღმოჩენამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, მეტადრე, როდესაც თავისი ვირის მწუხარე ყროყინი გაიგონა, - და არცთუ უბრალო იყო იმ საბრალო ცხოველის ვაი-ვიში, - იმ ხნარცვში ჩავარდნამ მას მშვიდობიანად როდი ჩაუარა.

- ვაი ჩემს თავს! - შეჰყვირა მაშინ სანჩომ, - რამდენი უბედურება ატყდება თავს ამ უბადრუკი ქვეყნის მცხოვრებს. ვინ იფიქრედა, რომ გუშინდელი კუნძულის გუბერნატორი თვისთა მსახურთა და ხელქვეითთა მბრძანებელი დღეს ბნელ ჯურღმულში ცოცხალი დაიმარხებოდა და აღარც მსახურნი და აღარც ხელქვეითნი ეყოლებოდა, რომ მის დასახსნელად მოსულიყვნენ. ახლა ისღა დამრჩენია, აქ ჩემი ვირით შიმშილით ამოვიღრძო, თუიკი შიმშილამდის ჩემი ვირი დაშავებისაგან და მე დარდისაგან არ დავიხოცენით. ის ბედი ვინ მომცა, რა ბედიც ჩემს ბატონს დონ კიხოტს ჰქონდა, როდესაც მოჯადოებული მონტესინოსის მღვიმეში ჩავიდა, სადაც მას თითქოს გაშლილი სუფრა და დაგებული ლოგინი ელოდა. იქ მან განსაცვიფრებელი, თვალის საამო სანახავები იხილა. მე კი აქ, უეჭველია, მხოლოდ ჯოჯოებს და გველებს ვნახავ. ვაჰმე, უბედური, ჩემმა სისულელემ და იმედებმა სად მომიყვანა! აქედან ჩემს ძვლებსღა ამოათრევენ, თუკი ზენამ ის მაინც ინება, რომ ისინი მაინც იპოვოს ვინმემ - გამხმარი, გათეორებული, ჩემი ვირის ძვლებთან ერთად, და იმანაც, ვინც იცის, რომ არც სანჩო პანსა შორდებოდა თავის ვირს და არც ვირი სანჩო პანსას, კარგია - თუ იცნო, ვისია ის ძვლები. ვაი ჩემს თავს! ბედს არ უნდოდა ჩვენს მხარეში მოვმკვდარიყავით, ჩვენიანებში, სადაც გულშემატკივარი გამოჩნდებოდა, შეგვიბრალებდა, ჩვენს უკანაკნელ აღმოკვნესას გაიგონებდა და თვალებს დაგვიხუჭავდა. ვაჰ ჩემო მეგობარო! ჩემო ამხანაგო! რა ცუდად გადაგიხადე სამსახური! - ეუბნებოდა ვირს, - შემინდე და ბედს შესთხოვე, როგორც კი უკეთ მოახერხო, რომ ამ უბედურებისაგან დაგვიხსნას, თუ შეგისმინა, ერთიორად მოგცემ საჭმელს და დაჯილდოებული პოეტივით დაფნის გვირგვინს დაგადგამ თავზე.

ასე მოსთქვამდა სანჩო, ხოლო მისი საბრალო ვირი ისე ძალიან იტანჯებოდა, რომ თავისი ბატონის ლაპარაკს კი ისმენდა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უპასუხია. მძიმე ოხვრაში გატარებული ღამის შემდეგ, როგორც იყო, დღე გათენდა და ალიონის შუქზე სანჩომ ცხადად დაინახა, რომ სხვის დაუხმარებლად იმ ჯურღმულიდან ვერ ამოვიდოდა. ახლა უფრო საშინელი ტირილი და საზარელი ყვირილი მორთო იმ იმედით, რომ ვინმე იმის მწუხარებას გაიგონებდა. მაგრამ მისი ხმა უდაბნოსა შინა ღალადი იყო, გარშემო ერთი სულიერიც არ მოიპოვებოდა. საწყალი სანჩო თავის თავს უკვე მკვდრად თვლიდა. მან დიდი ვაივაგლახით დაუწყო წამოყენება მიწაზე უძრავად დადებულ ვირს. საბრალო პირუტყვი ძლივს იდგა ფეხზე. ვირი, რომ ააყენა, სანჩომ თავისი თავისა და ვირის მწუხარე ბედში მყოფი ხურჯინიდან პურის ნაჭერი ამოიღო და ამხანაგს მიუტანა. რომ ნახა, ვირს პური ეგემრიელა, სანჩომ უთხრა მას, თითქოს იგი გაიგებდა რამეს:

- პური აადვილებს ცის ქვეშ ცხოვრებას. იგი ყველაზე უბარი წამალია ამ ქვეყანაზე.

ამ დროს მან კედელში გასავალი დაინახა, სადაც ადამიანს მხოლოდ დაჩოქილს შევძლო გაძრომა. სანჩომ იმ გასავალთან მიირბინა, შიგ ფოფხვით გაძვრა და რაღაც ბანის მსგავს სახურავში ჭუჭრუტანებიდან შესული მზის სხივის სინათლეზე დაინახა, რომ თანდათან განივრად წასული ხვრელი ღრმა ფოსოთი თავდებოდა. მაშინვე წვეტიანი ქვით თხრა დაუწყო

ხვრელს და იმდენად გააგანიერა, რომ ვირს ადვილად შეეძლო გაძრომა. ახლა ვირს ავშარა დაუჭირა, ხვრელში გაიყვანა და გასავალში დაიწყო სიარული, რომ გარეთ გასასვლელი ადგილი ეპოვა. ხან ბნელაში იარა, ხან სინათლეში და თან კი სულ ეშინოდა.

- ღმერთო ჩემო, - ამბობდა ის, - ეს ჩემთვის უბედური ფათერაკი ჩემი ბატონი დონ კიოტისათვის უბედნიერესი იქნებოდა, ეს ჯურღმული მას აყვავებულ ბაღად და გალინას ციხე დარბაზად მოეჩვენებოდა. ყვავილებით გადაპნტილ ველს დაუწყება აქ ძებნას. მაგრამ მე, წყალწაღებული, უბედური, ვაჟკაცობას მოკლებული იმასდა ველი, - რომ ეს-ეს არის ფეხქვეშ მიწა გამომეცლება და უფრო ღრმა უფსკრული ჩამთქავ-სმეთქი.

ამ მწუხარე ფიქრებით დარეტიანებულ სანჩოს მოეჩვენა, რომ ნახევარი მილის ოდენი გზა მაინც გაიარა; ბოლოს კედლის ნაპრაღში რაღაც სინათლის მსგავსი დაინახა და ის ნაპრაღი სხვა ქვეყანაში შესასვლელ კარებად მიიღო.

სიდ პამეტ ბენენჰელი აქ ტოვებს სანჩოს და დონ კიხოტს უბრუნდება, დონ კიხოტს, რომელიც აუწერელი სიხარულით მოელოდა დონა როდრიგესის ქალის შეურაცხყოფელთან ბრძოლას და იმედი ჰქონდა, რომ იმ ქალს იარაღით მოსწმენდდა ლაქას. ბრძოლისთვის მოსამზადებლად რაინდი წინა დღით ციხე-დარბაზიდან გავიდა და იმის გამოსაცდელად, თუ მოპირდაპირეს როგორ დასცემდა, სრული ჩორთით გაუშვა როსინანტი და მოულოდნელად რაღაც ორმოს ისე ახლოს შეეფეთა, ცხენის შეყენება, რომ ვერ მოესწრო, უეჭველად შიგ გადაიხარშებოდა. ცხენი რომ შეაყენა, დონ კიხოტი ორმოსთან ახლოს მივიდა, ცხენიდან დაუწყო სინჯვა და უცბად ჯურღმულიდან ამოსული ხმით იქნა გაოცებული:

- ჰეი, ვინა ხართ მანდ? ნეტავ ზვით ქრისტიანს არავის ესმის ჩემი ხმა, ან ვინმე გულკეთილ რაინდსა თუ ესმის, შემიბრალოს მე უბედური, ცოცხლად დამარხული ცოდვილი.

დონ კიხოტს მოეჩვენა, რომ სანჩო ხმა ესმოდა. გაკვირვებულმა და შეშინებულმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაუყვირა:

- მანდ ვინა ხარ, ვინ ითხოვს შველას?

- ვინ უნდა იყოს, თუ არა ბედშავი სანჩო პანსა, თავისი ცოდვების გამო და მუხთალი ბედის წყალობით კუნძულ ბარატარიას გუბერნატორი და სახელოვანი დონ კიხოტი ლამანჩელის საჭურველმტვირთველი.

ეს რომ დონ კიხოტმა გაიგონა, თავზარი დაეცა და მეტად გაოცდა; მას ეჩვენა, რომ სანჩო უკვე მკვდარი იყო და მისი სული სალხინებელში იმყოფებოდა. ამაში მთლად დარწმუნებულმა თავის საჭურველმტვირთველს დაუყვირა:

- გაფიცებ ყველაფერს და გემუდარები, როგორც კათოლიკე ქრისტიანი, მითხარ: ვინა ხარ? თუ ტანჯული სული ხარ, მითხარ რა უნდა ვქნა შენთვის? ამქვეყნად მწუხარეთა შემწეობის მოვალე, ჩემს მოვალეობას იქამდის განვაგრცობ, რომ საიქიო ცხოვრებაშიაც შევეწიო, ვისაც შველა თავისით არ შეუძლია.

- როგორც ლაპარაკზე გატყობთ, თქვენ ჩემი ბატონი დონ კიხოტი უნდა იყოთ; თქვენი ხმა მარწმუნებს, რომ სწორედ თქვენა ხართ.

- დიახ, მე ვარ, დონ კიხოტი, - უპასუხა რაინდმა, - ფიცი რომ დავდე ცოცხალსაც და მკვდარსაც მწედ ვეყო. გაუგებრობაში ნუღარ მამყოფებ, მითხარ, ვინა ხარ? თუ ჩემი საჭურველშტვირთველი სანჩო პანსა ხარ, თუ სიცოცხლე განუტევე და შენი სული ჯოჯოხეთში არ არის, არამედ უფლის შემწეობით სალხინებელში იმყოფება, ჩვენი რომის კათოლიკე ეკლესიას თავისი ლოცვით შეუძლია შენი სული ტანჯვებიდან დაიხსნას; მეც ჩემის მხრივ, რითაც შემიძლია, დაგეხმარები. ნუღარ აყოვნებ, მიპასუხე ვინა ხარ?

- ვფიცავ ათას ქაჯსა და ეშმაკს და იმ პირველი შემხვედრი ადამიანის დაბადებას, რომელსაც თქვენი მოწყალეობა დაასახელებს, შემოქმედს ვფიცავ, ბატონო დონ კიხოტო ლამანჩელო, თქვენი საჭურველშტვირთველი სანჩო პანსა ვარ, ჯერ ერთხელაც არ მოვმკვდარვარ, რაც ცოცხალი ვარ. მხოლოდ ეს არის, გუბერნატორობა რომ დავუტევე ისეთი მიზეზის გამო, რომ სიტყვითაც არ ითქმის, გუშინ საღამოს ამ ჯურღმულში ჩავვარდი და აქამდის ჩემი ვირით აქ ვიმყოფები, ის ჩემს გვერდით დგას და ნებას არ მომცემს სიცრუე ვთქვა.

ვირმა, თითქოს თავისი ბატონის სიტყვა გაიგო, საშინლად დაიყოყნა.

- საუცხოო მოწამეა! ამ ყროყინს ისე ვიცნობ, თითქოს მისი მოქმედი ჩემი შვილი იყოს, და შენს ხმასაც, ჩემო კეთილო სანჩო! - შეჰყვირა დონ კიხოტმა. - მანდ დამიცადე, ახლავ ციხე-დარბაზს წავალ და რამდენიმე კაცს მოვიყვან, მაგ უფსკრულიდან რომ ამოგიყვანო.

- ღვთის გულისათვის, წაბრძანდით და ჩქარა დაბრუნდით, - ამოსძახა სანჩომ; - ვეღარ ვიტან, რომ ჩემს თავს ამ ჯურღმულში ცოცხლად დამარხულს ვხედავ, ვგრძნობ, რომ შიშისაგან ვკვდები და ვთავდები.

დონ კიხოტი ციხე-დარბაზს გაეშურა, რომ სანჩო პანსას ფათერაკი ეამბნა. ჰერცოგი და მისი ცოლი მიხვდნენ, რომ სანჩო უთუოდ ერთ-ერთ იმ ჯურღმულში უნდა ჩავარდნილიყო, უხსოვარ დროიდანვე რომ იმ არემარეში არსებობდა; მხოლოდ ის უკვირდათ, გუბერნატორობისათვის რომ დაენებებინა თავი და მათ კი არაფერი იცოდნენ. ამასობაში ციხე-დარბაზიდან თოკები და ბაგირები გაგზავნეს და რამდენიმე ხელის დახმარებით სანჩო სიბნელიდან სინათლეში ამოზიდეს.

ამ ამბის შემსწრე ერთ-ერთმა სტუდენტმა თქვა:

- აი, როგორც ამ ცოდვილს, გაფითრებულს, შეწუხებულს, მშიერს და, როგორც მგონია, ჯიბეცარიელს ამოზიდავენ, სწორედ ისევე უნდა გაზიდონ თავთავიანთი საბრძანებლიდან ყველა ცუდი გუბერნატორი.

ამის პასუხად სანჩომ უთხრა სტუდენტს:

- ცილისმწამებლო ჩემო ძმაო! სულ რვა თუ ათი დღე იქნება, რაც კუნძულის გუბერნატორობა მიბოძეს, და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთ საათსაც არა ვყოფილვარ მამდარი. იმ რვა დღის განმავლობაში ექიმები მდევნიდნენ, მტერმა ძვლები ერთიანად ჩამილეწა და დრო არა მქონდა შემოსავალს მივკარებოდი. ამიტომ, როგორც მგონია, ღირსი არა ვარ ისე გამოვიდე გუბერნატორობიდან, როგორც შენ ამბობ, მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი იცინისო - ნათქვამია. მან ჩვენზე უკეთესად იცის, ვის რა ღონე გვაქვს. მაშ ნურავინ ჩააფურთხებს ჭაში და, სადაც იმედი აქვთ ქონი იშოვონ, მოხდება ხოლმე, რომ წამოსაღებად ჭურჭელიც კი არ გააჩნიათ.

ღმერთი ხომ მისმენს და ჩემთვის ესეც საკმარისია, ჩუმადა ვარ, თუმცა კიდევ ბევრის თქმა შემეძლო.

- ნუ ჯავრობ, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - და ნურც გაირჯები, რაც გითხრეს, იმაზე პასუხი გასცე, თორემ ვეღარასოდეს ვერ გაათავებ. თუკი შენი სინდისი წმინდა არის, დაე, ხალხმა, რაც უნდა, ის თქვას. სხვის ენას ვერ დააბამ, როგორც მინდორს ჭიშკარს ვერ შეაბამ; გამდიდრებულ გუბერნატორს ქურდს ეძახიან, გაუმიდრებელს კი სულელსა და უბადრუკს.

- მამ მე უფრო სულელს დამიძახებენ, ვიდრე ქურდს, - უპასუხა სანჩომ.

ამ საუბრის დროს დონ კიხოტი და სანჩო, ბავშვებითა და გროვა ხალხით შემორტყმულნი, ციხე-დარბაზს მიუახლოვდნენ, სადაც აივანზე ჰერცოგი და მისი ცოლი ელოდებოდნენ. ჰერცოგთან მისვლამდის სანჩომ თავისი ვირი დიდი მზრუნველობით დააბინავა თავლაში და თან ჩიოდა, საბრალო პირუტყვმა წარსული ღამე ცუდად გაატარაო. ვირს რომ მოუარა, ზევით ავიდა, ბატონებს წარუდგა, დაუჩოქა და მოახსენა:

- თქვენო დიდებავ, ჩემო სენიორებო, კუნძულ ბარატარიაზე გუბერნატორად ჩემი გაგზავნა ინებეთ, თუმცა ასეთი წყალობა არაფრით არ დამიმსახურებია; შიშველი და საწყალი წაველ იქ, შიშველივე და საწყალი დავბრუნდით, არც არაფერი მოვიგე და არც არაფერი წავაგე. ხოლო, თქვენს კუნძულს კარგად განვაგებდი თუ ცუდად, ამას ჩემი გამგეობის მოწმენი მოგახსენებენ. მე ვარჩევდი საჩივრებს და გამომქონდა განაჩენი მუდამ მშიერს, რადგან ასე სურდა დოქტორს პედრო რესიოს, ტირტეაფუეროელს, კუნძულისა და გუბერნატორის ექიმს. ღამე მტერი დაგვესხა თავს და დიდ შიშში ჩავგავდო; მართალია, თითქოს ჩემი სიმამაცით და რიმარჯვით ეს თავდასხმა ძლევამოსილად მოვიგერიეთო, მაგრამ ისეთი ბედნიერება მიეცეთ მათ ამქვეყნად და საიქიოსაც, როგორ მართალსაც ისინი ამბობენ. იმ ხანში მე გუბერნატორობის განაწევ სიმძიმეს ვწონიდი და ვპოვე, რომ ჩემი ზურგი მას ვერ ზიდავდა და რომ ის ისარი ჩემს კაპარჭს არ ადგებოდა; და ვიდრე გუბერნატორობა მე დამტოვებდა, თვითონ მე დავტოვე გუბერნატორობა. გუშინ დილით მივატოვე კუნძული ისეთივე, როგორიც დამხვდა, იმავე ქუჩებით, სახლებით და ბანებით, როგორიც უწინ იყო. არავისაგან არა მისესხია რა და ჩემი გუბერნატორობიდან არაფერი სარგებლობა არ გამომიღია, და თუმცა რამდენიმე, როგორც მგონია, დიდად სასარგებლო განკარგულება მოვახდინე, მაინც ნამდვილად არა მომიხდენია რა, რადგან ჩემს ბრძანებას, უეჭველია, არავინ არ ასრულებს; მე მაინც ასე მგონია: გამეცა რამე ბრძანება, თუ არ გამეცა, ერთი და იგივე იქნებოდა. მე ისე დავტოვე კუნძული, როგორც მოგახსენეთ, რომ ჩემი ვირის მეტი არავითარი ამაღა არ გამომყოლია, გზაზე რაღაც ჯურღმულში ჩავვარდი, მთლად იქაურობა მოვიარე და, რომ ზენას მაშველად ჩემი ბატონი დონ კიხოტი არ მოევლინებინა, საუკუნოდ იქ დავრჩებოდი. და ასე, თქვენო უგანათლებულესობავ, ჩემო ბატონო ჰერცოგო და ჰერცოგის მეუღლეო, თქვენს წინაშე გახლავართ თქვენი გუბერნატორი სანჩო პანსა, რომელმაც ათი დღის გუბერნატორობის დროს გაიგო, რომ გუბერნატორობისათვის არ არის შექმნილი და არცა სურს გუბერნატორობა არათუ რომელიმე კუნძულისა, არამედ მთელი ქვეყნისაც. ამაში დარწმუნებული ფეხზე ვეამბორები თქვენს მოწყალებას და მოგახსენებთ, როგორც პატარა ბიჭები იტყვიან ხოლმე თამაშობის დროს: "მაქედან ისკუპე და აქ ჩამოხტი", მეც სკუპს ვშვრები გუბერნატორობიდან და ისევე ჩემი ბატონი დონ კიხოტის მსახურად ვხდები; თუმცა მასთან ხანდახან შიშქვეშ მიხდება ხოლმე პურის ჭამა, მაგრამ მაძღარი მაინც ვარ, - ჩემთვის კი სულ ერთია, კაკბის ხორციით გავძლები თუ სტაფილოთი.

ამ ლაპარაკის დროს დონ კიხოტი სირცხვილისაგან იწურებოდა, რადგან ეშინოდა, მის საჭურველმტვირთველს ათასი სისულელე არ დაეროშა, და ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ამგვარი არა მოხდა რა. დიდად ვწუხვარ, რომ გუბერნატორობაზე ეგრე ჩქარა თქვით უარიო, - უთხრა ჰერცოგმა და თან მოეხვია სანჩოს, - მაგრამ მე მოგცემთ სხვას, უფრო კარგ ადგილს და სარფიან თანამდებობასო; ჰერცოგის ცოლიც მოეხვია სანჩოს და ბრძანა მისთვის კარგი საუზმე მოემზადებიათ და კარგი ღვინო მიერთმიათ, რადგან, ეტყობოდა, მართლა ძალიან მოქანცული და დამშეული იყო.

თავი LVI

დონ კიხოტ ლამანჩელის არნახული და უმაგალითო ბრძოლა ჰერცოგის მსახურ ტოსილოსთან - დუენია დონა როდრიგესის ასულის ღირსების დასაცავად

ჰერცოგი და მისი ცოლი დიდად არა ნანობდნენ, რომ სანჩოს სამასხაროდ კუნძული უბოძეს, რაც სანჩოს კუნძულზე გადახდა, იმ ხუმრობამ ისინი საკმაოდ ასიამოვნა, მით უფრო, რომ იმავე დღეს სახლთუხუცესი დაბრუნდა და ყველაფერი სიტყვასიტყვით უამბო, რაც სანჩოს კუნძულზე ყოფნის დროს ეთქვა ან მოემოქმედნა. იმან უამბო კუნძულზე თავდასხმა და იერიში, სანჩოს შიში და უეცრად იქიდან წამოსვლა. ყველა ამან, რა თქმა უნდა, ჰერცოგი და მისი ცოლი ძლიერ გაამხიარულა.

ბოლოს, როგორც ისტორია მოგვითხრობს, ორთა შებრძოლების დროც დადგა. ჰერცოგმა თავისი მსახური ტოსილოსი წინდაწინ დაარიგა, თუ რა უნდა ექნა, რომ დონ კიხოტი დაემარცხებინა, ისე კი, რომ არ დაეკოდა და არც მოეკლა. შუბებზე რკინები მოახსნევინა და დონ კიხოტს უთხრა, რომ ქრისტიანობრივი გულმტკივნეულობით აღსავსე ნებას ვერ მისცემდა ბრძოლა მომაკვდინებელი ყოფილიყო, ისიც საკმაოაო, რომ ბრძოლისათვის ჩემს მიწაზე თავისუფალ ადგილს გაძლევი, თუმცაღა საეკლესიო წმიდა საბჭოსაგან ყოველგვარი ხმაღში გაწვევა აკრძალულიაო და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ნებართვის მოცემა არასგზით არ შემძლიაო. დონ კიხოტმა უპასუხა: მის უგანათლებულესობას ხამს ბრძანება, ხოლო მე აღსრულებაო.

ბოლოს დადგა ეს მრისხანე დღეც. ციხე-დარბაზის წინ, მოედანზე, მსაჯულთა და მომჩივან მანდილოსანთათვის ადგილი ამართეს და ბრძოლის დღეს ჰერცოგის ციხე-დარბაზის ეზოს მახლობელი სოფლებიდან აუარებელი ხალხი მოაწყდა, რადგან ყველას უნდოდა ეს საშინელი ბრძოლა ენახა, - იმგვარი რამ იმ მხარეში ჯერ არც ახლანდელ ცოცხლებს ენახათ და არც წინათმყოფებს.

ასპარეზზე ჯერ რიგის მიმცემი გამოვიდა. მან, ყოვლის უწინარეს, ბრძოლისათვის დანიშნული ადგილი გასინჯა და გაზომა, რომ ცხადად თუ ფარულად ისეთი არაფერი ყოფილიყო, რომ მებრძოლნი წაბორძიკებულიყვნენ ან წაქცეულიყვნენ. ამის შემდეგ დუენია და მისი ქალი მოვიდნენ, თვალეზამდის და თითქმის ყელამდის პირბადით შებურულნი, მწუხარე სახით და მათთვის დანიშნულ ადგილზე დასხდნენ. დონ კიხოტი უკვე ასპარეზზე ბრწყინავდა. მათ შემდეგ მალე დიდ ბრბოშემოხვეული დიდებული მსახური ტოსილოსი მობრძანდა, ლურჯხალეებიანი მკერდგანიერი ცხენით, რომლის ფეხთა ქვეშ დედამიწა ზანზარებდა. მსახურს პირისახეზე მოთარჯი ჰქონდა ჩამოშვებული და მძიმე, ელვარე აბჯარში იჯდა. ვაჟკაც

მებრძოლს ჰერცოგისაგან კარგად ჰქონდა შესწავლილი, როგორ უნდა ებრძოლა გამოჩენილ დონ კიხოტ ლამანჩელთან. უპირველეს ყოვლისა ნაბრძანები იყო, რაინდი არ მოეკლა და იმ დროს არ დასცემოდა თავს, როდესაც შეატყობდა, რაინდისათვის ეს დამღუპავი იქნებოდა.

ტოსილოსმა ასპარეზი მოიარა, დუენიებს დაუმხარდამხარდა, შედგა და სინჯვა დაუწყო ქალს, ცოლად შერთვას რომ აძალეზდნენ.

რიგის მიმცემმა სთხოვა დონ კიხოტს ტოსილოსთან მოახლოებულიყო და დუენიებს ჰკითხა: თანახმანი ხართ თქვენი საქმე ამ რაინდს ჩააბაროთ? იმათ "ჰო" უთხრეს და დასძინეს, რომ ყველაფერზე თანახმანი ვართ, რასაც კი დონ კიხოტი ჩაიდენს ჩვენი საქმის წასარჩლებისათვის. ამასობაში ბრძოლის ასპარეზისაკენ მდებარე აივანზე ჰერცოგი და მისი ცოლი გამოვიდნენ, მოაჯირს იქიდან კიდევ იმდენი მაცქერალი მოგროვდა, რომ თავის სიცოცხლეში აქ ჯერ არავის ენახა. ასეთი პირობა დადგეს: თუ დონ კიხოტი დაამარცხებდა მოწინააღმდეგეს, მას დონ როდრიგესის ქალი უნდა შეერთო და, თუ რაინდი დამარცხდებოდა, მაშინ მოწინააღმდეგე მიცემული პირობისა და მოტყუებული ქალისადმი ყოველგვარი ვალდებულებისაგან განთავისუფლდებოდა.

რიგისმიმცემმა მიწა და მზე მებრძოლთა შორის შუა გაჰყო და მოწინააღმდეგეთ თავ-თავისი ადგილი უჩვენა. მასუკან დაფების ბრახუნი დაიწყეს და ბუკი დააყვირეს, ცხენების ფეხქვეშ დედამიწა შეირყა და თამამად მოსულ ხალხს, ბრძოლის ბედნიერი თუ უბედური დასასრულის მომლოდინეს, შიშისა და კრთოლვისაგან გული აუფანცქალდა.

დონ კიხოტმა გულის სიღრმიდან ღმერთსა და თავის მიჯნურს დულსინე ტობოსელს ჩააბარა თავი და შერკინების ნიშანს ლოდინი დაუწყო. მაგრამ მისი მოწინააღმდეგე მსახური თავდასხმაზე სულაც არა ფიქრობდა და, რაზე ფიქრობდა, ახლავ ვიტყვი. ამ ჭირში ჩამგდებ თავის მტერს რომ დააცქერდა, მთელს ქვეყანაზე უმშვენიერეს ქალად ეჩვენა და უსინათლო ბავშვმა კუპიდონმა, ქვეყანაზე სიყვარულს, რომ ეძახიან, მისვე თავის ძლევაძოსილ კაბადონში ჩასწერა იგი. საბრალო მსახურთან უჩინრად მივიდა და ორპირი ისარი შიგ გულში გაუტარა. ამგვარად უჩინარმა სიყვარულმა, თავის მოქმედებაში რომ ანგარიშს არავის აძლევს და თავის მსხვერპლს ადვილად იმონებს, საბრალო მსახური მთლად დაიმონა, - და როდესაც შეტაკების ნიშანი მისცეს, გამიჯნურებული ტოსილოსი ალაგიდან არ დამრულა, საყვირის ხმა არ გაუგონია და თავის მშვენიერ დამმონებელს ისე თავდავიწყებით უმზერდა. დონ კიხოტმა კი ბუკის პირველსავე ხმაზე დეზი ჰკრა ცხენს და მოწინააღმდეგისაკენ ისეთი სისწრაფით გაექანა, რა სისწრაფითაც კი როსინანტს გაქანება შეეძლო.

ეს რომ კეთილმა საჭურველმტვირთველმა სანჩომ დაინახა, ხმამაღლა შესძახა:

- შენთან იყოს ღმერთი, მოგზაურ რაინდთა თვალისჩინო, გამარჯვება მოგანიჭოს მან, რადგან შენსკენაა სიმართლე!

თუმცა ტოსილოსმა დაინახა, თუ რა გამმაგებით გაექანა მისკენ დონ კიხოტი, მაინც ადგილიდან არ დაიძრა, პირიქით ხმამაღლა დაუძახა ასპარეზის გამგეს და საჩქაროდ მასთან მისულს უთხრა:

- მოწყალეო ხელმწიფევე! რა მიზეზით უნდა ვიბრძოლო? იმიტომ ხომ არა, რომ ის ქალი შევირთო?

- მხოლოდ იმიტომ, - მიუგო მან.

- მაშ მოგახსენებთ, უთხრა მსახურმა, - რომ სინდისის ქენჯნა მაშინებს, ამიტომ ბრძოლაზე უარს ვამბობ, რომ ჩემი სული მძიმე ცოდვით არ დავიმძიმო. დამარცხებულად ვაცხადებ ჩემს თავს და თანახმა ვარ ის ქალბატონი შევიერთო.

ტოსილოსის სიტყვები რომ ესმოდა რიგისმიმცემს, ყურებს არ უჯერებდა, რაკი ამ ამბის საიდუმლო იცოდა. დიდ გაჭირვებაში ჩავარდა და არ იცოდა - რა ეპასუხა. ხოლო დონ კიხოტი ნახევარ მანძილზე შედგა, რაკი დაინახა, რომ მოპირდაპირე ადგილიდან არ დაიდრა. ჰერცოგმაც არ იცოდა, რა მიზეზით შეჩერდა ბრძოლა და რა იყო ამისი მიზეზი. რიგის მიმცემმა აუხსნა. ტოსილოსის საქციელმა ჰერცოგი გააკვირვა და მეტად განარისხა.

ამასობაში ტოსილოსი ესტრადასთან მივიდა, სადაც დონა როდრიგესი იჯდა და ხმამაღლა უთხრა:

- ქალბატონო, მზადა ვარ თქვენი ასული ცოლად შევიერთო და არა მსურს ბრძოლითა და დავით მივიღო ის, რის მიღებაც მშვიდობიანად შემიძლია.

ეს, რომ გაიგონა, უშიშარმა დონ კიხოტმა თქვა:

- თუ აგრეა, ჩემი აღთქმა შემისრულება და ახლა თავისუფალი ვარ. დაე ჯვარი დაიწერონ, ვისურვებ მათთვის ბედნიერებას და, რაც მაგათ ღმერთმა მისცა, წმიდა პეტრემ აკურთხოს.

ამასობაში ჰერცოგი მოედანზე გამოვიდა, ტოსილოსთან მივიდა და უთხრა:

- რაინდო, მართლა დამარცხებულად თვლით თავს და სინდისისაგან შეწუხებული ამ ქალზე ჯვარს იწერთ?

- დიახ, თქვენო უგანათლებულესობავ, - მიუგო ტოსილოსმა.

- კარგადაც შვრებით, - ჩაერია სანჩო, - კატას ის მიეცი, რაც თავგს ერგება, - მორჩა და გათავდა.

ტოსილოსი მოთარჯის ახსნას შეუდგა და სთხოვა ეშველათ, ჩქარა მოემორებინა, რადგან იძახდა: სულს მიგუბებს და ამ მჭიდრო საპრობილეში დარჩენა აღარ შემიძლიაო. საჩქაროდ მოხსნეს თავის სამკაული და საზოგადოებას მსახური სახე ახდილი წარმოუდგა. ეს რომ როდრიგესმა და მისმა ქალმა დაინახეს, საშინელი ხმით შეჰყვირეს:

- მოგვატყუეს, სამაგლად მოგვატყუეს! ჩემი კანონიერი საქმროს მაგიერ ჰერცოგმა თავისი მსახური წამომიყენა. ღვთისა და მეფის სახელით სამართალს ვითხოვ ამ, ოინზაზური, რომ არა ეთქვა, ვერაგულ საქმეში.

- დამშვიდდით, - უთხრა მათ დონ კიხოტმა, - აქ არც ბოროტებაა, არც სიცრუე. ეს სულ ჩემი მდევნელი ჯადოქრების საქმეა. იმათ შემურდათ, ჩემთვის რაც ამ ბრძოლაში დიდება უნდა მომეხვეჭა, და ამიტომ თქვენი საქმრო იმ კაცად გარდაქმნეს, რომელსაც თქვენ ჰერცოგის მსახურს ეძახით. მე დამიჯერეთ, ჯადოქრების ბოროტებას შეაფურთხეთ და ამ კაცს მისთხოვდით; ყოვლად უეჭველად ეს სწორედ ის კაცია, რომელიც თქვენთვის არის საჭირო.

ეს, რომ განრისხებულმა ჰერცოგმა მოისმინა, კინაღამ არ გადაიხარხარა.

- რაც კი ბატონ დონ კიხოტს შეემთხვევა ხოლმე, - თქვა მან, - იქამდის უჩვეულებრივია, რომ მზადა ვარ დავიჯერო - ეს მსახური მართლა ჩემი მსახური არ არის. მაინც ხერხს მივმართავ, ქორწილს ორი კვირით გადავდებ და იმ დრომდის ამ კაცს დაკეტილში ვამყოფებ. იქნებ ბოროტი ჯადოქრების დონ კიოტისადმი შურისძიებამ იმ ხანს იქით აღარ გასტანოს, - მეტადრე თუ დაინახეს, რომ ყველა თავიანთი ოინისა და ადამიანების გარდაქმნისაგან ვერაფერს იგებენ, - და ორი კვირის უკან ამ კაცმა იქნებ თავისი საკუთარი სახე მიიღოს.

- თქვენო უგანათლებულესობავ, - შეჰყვირა სანჩომ, - ეს ბოროტი ჯადოქრები ერთს მეორედ ყველა იმას გარდაქმნიან ხოლმე, რაც კი ჩემს ბატონს დონ კიხოტს შეეხება. ამასწინათ მან სარკეთა რაინდი დაამარცხა და, როგორ გგონიათ, იმ ჯადოქრებმა ის რაინდი ჩვენ ბაკალავრ სამსონ კარასკოდ არ წარმოგვიდგინეს, ჩვენ მეგობრად და მეზობლად და დულსინე ტობოსელი კიდეც იმათ ისე გადაასხვაფერეს, რომ უხეშ გლეხის დედაკაცად გვეჩვენა. მე გგონია ამ მსახურის ბედისწერა ის არის, მსახურადვე იცხოვროს და მსახურადვე მოკვდეს.

- ვინც უნდა იყოს ის, ვისა ჩემზე ჯვარის დაწერა უნდა, - გააწყვეტინა დონა როდრიგესის ქალმა, - მე მაინც მისი დიდი მადლობელი ვარ მსახურის კანონიერი ცოლობა სჯობია აზნაურის ხასად ყოფნას, მეტადრე მაშინ, როცა ჩემი მაცდუნებელი სულაც არ არის აზნაური.

საქმე იმით გათავდა, რომ ტოსილოსი იმ დრომდის ჩაჰკეტეს, ვიდრე თავის ნამდვილ სახეს არ მიიღებდა. ამის შემდეგ ხალხმა ერთხმად დაიღრიალა: "დიდება ძლევა მოსილ დონ კიოტსაო!" ბევრი მაინც გულნაკლული წავიდა, რომ ვერც ერთი მეზობელი ნაკუწ-ნაკუწად ქცეული ვერ ნახა. ამ გუნებით ცხვირჩამოშვებული ბიჭბუჭები ბრუნდებიან შინ, როდესაც სახრჩობელაზე ვერა ნახავენ, ვინც უნდა ჩამოეხრჩოთ, რადგან მას ბრალმდებელმა ან სამსჯავრომ დანაშაული უკვე აპატია. ბოლოს ხალხი მაინც დაიშალა, ჰერცოგი და მისი ცოლი ციხე-დარბაზს დაუბრუნდნენ, ტოსილოსი ჩაკეტეს, ხოლო დონა როდრიგესი და მისი ქალი კმაყოფილნი დარჩნენ, რადგან ეს ფათერაკი ასე თუ ისე ქორწილით უნდა დაბოლოვებულიყო და ტოსილოსსაც ამაზე ძლიერ არა უნდოდა რა.

## თავი LVII

სადაც მოთხრობილია, თუ როგორ გამოეთხოვა ჰერცოგს

დონ კიხოტი და რა შეემთხვა მას ჰერცოგის ცოლის

მოახლესთან, გიჟმაჟ და ყოჩად ალტისიდორასთან

დონ კიხოტმა იფიქრა, რომ ახლა კი დრო იყო ამ ხანგრძლივ უქმ ცხოვრებას გამოთხოვებოდა. რაინდმა წარმოიდგინა, რომ დიდ დანაშაულს სჩადიოდა სტუმართმოყვარე ჰერცოგის ციხე დარბაზში თავის თავს ფუფუნებასა და განცხრომაში ყოფნის ნება რომ მისცა და ამ სიამოვნებასა და ნადიმებში გატარებული დღეების გამო ოდესმე ღვთისთვის ანგარიში უნდა ჩაებარებინა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ბოლოს ციხე დარბაზის პატრონებს გამოთხოვების ნებართვა სთხოვა. ჰერცოგი და მისი ცოლი ამას დიდი სინანულით დასთანხმდნენ. ჰერცოგის ცოლმა სანჩოს ცოლის წერილი გადასცა. საჭურველმტვირთველი რომ ამ წერილის ისმენდა, თქვა:



- ვინ იფიქრებდა, რომ ჩემი ცოლის, ტერესა პანსას, ის მშვენიერი იმედები ჩემმა გუბერნატორობამ რომ აღუძრა, ასე ჩქარა ბოლივით გაქრებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ ხელახლად მომიხდებოდა ჩემი ბატონი დონ კიხოტის უკან ხეტიალი და მასთან ერთად სხვადასხვა ფათერაკებთან ხელახლა შეჯახება. მაინც კი ჩემი ტერესა პანსას პასუხმა გამახარა; ის გამიხარდა, რომ ჰერცოგის მეუღლისათვის რკოს გამოგზავნით თავისი კეთილისმყოფელისადმი მაღლიერება უჩვენებია. მისი საჩუქარი ქრთამს არა ჰგავს, ის მაშინ გამოუგზავნია, როდესაც უკვე გუბერნატორი ვიყავ, ისე, რომ ის რკო უბრალო მაღლობა გამოვიდა, წყალობისათვის კი მუდამ მაღლობას უნდა ამბობდეს ადამიანი, თუნდაც მცირედი იყოს. ლატაკი და შიშველი მივედი კუნძულზე, ლატაკადვე და შიშველმავე დავტოვე იგი და დამშვიდებული სინდისით შემიძლია ვთქვა: შიშველი დავიბადე და შიშველადვე ვრჩები, არცა რა მოვიგე, არც არა წავაგე, ეს კი უბრალო რამ როდია.

ასე ამბობდა სანჩო ჰერცოგის ციხე დარბაზიდან გამოსვლის წინა ღამეს. დონ კიხოტი ციხე-დარბაზის პატრონებს იმ საღამოსვე გამოეთხოვა და მეორე დღეს, დილაადრიან, რაინდებმა აბჯარასხმული, გასავალ კარებში გაჩნდა. შუშაბანდებიდან და აივნებიდან უცქეროდა მას ციხე-დარბაზის ყველა მცხოვრები, მათ შორის ციხე დარბაზის პატრონებიც. სანჩო ჩემოდნით და სხვადასხვა საგზლით პირთამდის გატენილი ხურჯინით დატვირთულ ვირზე აფოფხდა - ამ წაშში მთლად ბედნიერი იყო. ჰერცოგის სახლთუხუცესმა, ტრიფალდის როლი რომ ითამაშა, წასვლის წინ დონ კიხოტის ნამალავად, გზაში ყოველგვარი მოულოდნელი შემთხვევისათვის სანჩოს ორასი ოქროთი სავსე ქისა გადასცა და იმ დროს, როდესაც ყველას თვალი მიმავალ რაინდისკენ იყო მიქცეული, უცებ შუშაბანდში მყოფ დუენიებისა და ჰერცოგის მეუღლის მოახლეთა გუნდიდან ცელქ და ყაჩაღანა, მშვენიერ ალტისიდორას მწუხარე ხმა გაისმა და გამოთხოვებისას რაინდს შემდეგი ლექსი უმღერა:

ჰე, რაინდო ბიწიერო,  
ხელში აღვირს ნუ მოზიდავ,  
ნუ უგმირავ გამხდარ ფერდებს,  
ნადირს ურჩსა დეზებთა.  
დე, იცოდე, მოლალატევ,  
ბილწ გველს კი არ გაგეცი,  
გაურბიხარ კრავს, რომელსაც  
ჯერ ადრეა ერქვას ცხვარი.  
შენ გოგონას აწყენინე,  
რომლის მსგავსი არ უნახავს  
არც დიანას - მწვერვალებზე,  
არც ვენერას უღრანებში.  
ჰეი, ლტოლვილო ენეასო, მკაცრო ბირენო,

გაჰყევ ბარაბას, გარდიხვეწე სამარადისოდ?

შენ კლანჭებით მიგაქვს გული

(ჰოი, ტვირთი სამარცხვინო)

ერთგული და უნაზესი

მხევლის - შენი მოთაყვანის.

მიგაქვს სამი თავსაფარი.

წვივსაკრავი ლამაზ დერხთა,

რომელიც ჰგავს მხოლოდ მარმარს,

შავ დორეჯით მოხატულსა.

თან ათასი ოხვრაც მიგაქვს,

რაც თავისი მძაფრი ცეცხლით

ერთად დასწვავს ათას ტროას,

თუ სადმეა ქვეყანაზე.

ჰეი, ლტოლვილო ენეასო, მკაცრო ბირენო!

გაჰყევ ბარაბას, გარდიხვეწე სამარადისოდ.

შენს საჭურველმტვირთველ სანჩოს,

დაე ერქვას ულმოზელი,

დულისინეას უმძიმებდეს

სულს ბოროტი გრძნეულება.

დაე, ზვარაკს უცოდველსა

მოეთხოვოს შენი ცოდვა,

რადგან ცოდვის საზღაურსა

ხშირად იხდის უცოდველი.

დიდებისკენ სწრაფვა შენი,

იქცეს მხოლოდ ფათერაკად,

ფუჭ ზმანებად - სიხარული

და ღალატად - ერთგულება.

ჰეი, ლტოლვილო ენეასო, მკაცრო ბირენო!

გაჰყევ ბარაზას, გარდიხვეწე სამარადისოდ.

დაე, ვერაგს გიწოდებდნენ

სევილიით მარჩენამდე,

გრანადიდან ლოხის მთამდე,

ლონდონიდან თვით ტემზამდე.

თუ დაიწყებ ბანქოს თამაშს,

შვიდიანი, ანდა ტუზი

არასოდეს მიგივიდეს,

მაგრამ "მეფის" გეშინოდეს.

თუ იჭრიდე ფეხზე კოჟიჟს,

ზედ მას ხორციც მიაყოლო.

დაე, კბილის ამოთხრისას

ყბაც მოგენგრეს ერთიანად.

ჰეი, ლტოლვილო ენეასო, მკაცრო ბირენო!

გაჰყევ ბარაზას, გარდიხვეწე სამარადისოდ!

მწუხარე ალტისიდორა რომ ამ სიტყვებით თავის სევდა-ვარამს ანთხევდა, ამ დროს დონ კიხოტი მას დაშტერებით უცქეროდა და, როდესაც გაათავა, რაინდმა მას არა უპასუხა რა, ხოლო სანჩოს უთხრა:

- გაფიცებ შენთა წინაპართა სულის ცხონებას, ჩემო კეთილო სანჩო, მართალი მითხარ: მართლა მიგაქვს თუ არა აქედან წვივსაკრავები და სამი თავსაფარი, ის გამიჯწურებული ქალი რომ ამბობს?

- სამი თავსაფარი მიმაქვს, - უპასუხა სანჩომ, - მაგრამ წვივსაკრავები სიზმარშიაც არ მინახავს.

ალტისიდორას ურცხვობამ მეტად გააოცა ჰერცოგის ცოლი, თუმცა მისი დამცინავი და მკვირცხლი ხასიათი იცოდა, მაინც ასეთ თავზედ გოგოდ არ იცნობდა. მასთან ასეთი განზრახვა ქალბატონისათვის წინდაწინვე ნათქვამი არა ჰქონდა. ყველაფერი ეს ხუმრობად რომ გადაეყვია, ჰერცოგმა უთხრა დონ კნხოტს:

- იმ კარგი მიღებისა და გამასპინძლების შემდეგ, რაინდო, როგორიც აქ, ციხე-დარბაზში, გაგიწიეთ, თქვენგან კარგი არ არის, რომ სულ ცოტა სამი თავსაფარი და ორი წვივსაკრავი გაგიტაციათ. ასეთი საქციელი სულ არ შეესაბამება თქვენგან მოხვეჭილ დიდებას, ხოლო

თქვენი გრძნობებისათვის სასარგებლოს არას ამბობს. დაუბრუნეთ ამ ქალს თავისი წვივსაკრავები, თუ არადა მე ბრძოლაში გითხოვთ; იმას არ დავხედავ, რომ ბოროტი ჯადოქრები ჩემს სახეს შეცვლიან, როგორც ამასწინათ თქვენთან მეზრძოლი ჩემი მსახური ტოსილოსის სახე შეცვალეს.

- ღმერთმა დამიფაროს იმის წინააღმდეგ ხმალი ვიშიშვლო, ვინც თავის ციხე-დარბაზში ესოდენ ალერსიანად მიმიღო, - მიუგო დონ კიხოტმა. - თავსაფრებს დავუბრუნებ, რადგან სანჩო ამბობს - წამოვიღეო; წვივსაკრავებს კი ვერ დავუბრუნებ, რადგან არა მაქვს. მაგ ქალმა თავისთან მოძებნოს, უეჭველია, იპოვის კიდეც, ბატონო ჰერცოგო, არასოდეს არა ვყოფილვარ ქურდი და, მგონია, არც ვიქნები ჩემს სიცოცხლეში, ღმერთი არ შემრისხავს. ხოლო მაგ ქალს, რომ ვუყვარვარ, ამაში დამნაშავე სულაც არა ვარ და არც მოვალე ვარ ამაში, ან მაგის წინაშე, ანუ თქვენი უგანათლებულებობის წინაშე ბოდიში მოვითხოვო. მხოლოდ გთხოვთ ჩემზე უკეთესი აზრისა იყოთ და ნება მიბოძეთ გზა განვაგრძო.

- ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ბატონო დონ კიხოტო, - დაიძახა ჰერცოგის ცოლმა, - და ინებოს მან თქვენს საგმირო საქმეებზე ბედნიერი ამბები გაგვაგონოს. მიბრძანდით, მიბრძანდით, რადგანაც, რამდენიც აქ მეტ ხანს დარჩებით იმდენი ამ ქალის გულს, თვალს რომ ვერ გაშორებთ, მეტი ალი ედება. მაგრამ სამაგიეროდ დავსჯი იმას, რომ კვლავ აღარ მისცეს ნება არც ენას და არც თავის თვალებს.

ერთი სიტყვაც, უშიშარო დონ კიხოტო, - შეჰყვირა ალტისიდორამ. - მაპატიეთ, რომ ბრალი დაგდეთ წვივსაკრავების ქურდობაში. ჩემს სულს და სინდისს ვფიცავ ფეხებზე მაქვს და სწორედ ისე შევცდი, როგორც ის, ვინც ვირს ეძებდა და ზედ კი იჯდა.

- განა მართალი არ მითქვამს, - შეჰყვირა სანჩომ, - მე, დიახ არც ისეთი კაცი ვიქნები, ნაქურდალი რომ დავმალო. მე რომ ამისი ხალისი მქონოდა, უეჭველად ვიშოვიდი რამეს გუბერნატორად ყოფნისას.

დონ კიხოტმა ჰერცოგს, ჰერცოგის ცოლს და ყველა იქ მყოფთ თავი დაუკრა, როსინანტი შეჰქუსლა, სანჩოს თანხლებით ციხე-დარბაზიდან გავიდა და სარაგოსის გზას დაადგა.

თავი LVIII

სადაც მოთხრობილია, თუ როგორ დაატყდა თავს დონ კიხოტს ეგოდენ მრავალი ფათერაკი, რომ სულის მობრუნებაც აღარ აცალა

ტრიალ მინდორზე, გამიჯნურებული ალტისიდორასაგან თავისუფალი თავი რომ დაიგულა, დონ კიხოტმა ხალვათობა იგრძნო, სული მოითქვა და რაინდული მოგზაურობის გასაგრძელებლად განახლებული ძალ-ღონე ჩაუდგა; სანჩოს მიუბრუნდა და უთხრა:

- იცი თუ არა, სანჩო, რომ თავისუფლება ყველაზე უძვირფასესი სიკეთეა და განძი, რომელიც ზენამ მომადლა ადამიანს? ვერაფერი შეედრება თავისუფლებას, ვერც დედამიწის ქვესკნელში დამარხული საუნჯენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ. თავისუფლებაზე სანუკვარი ბედნიერება ამქვეყნად არ არსებობს. თავისუფლებისათვის, ისე როგორც სახელისათვის, თამამად შეიძლება თავგანწირვა, რადგან მონობა და ტყვეობა უდიდეს უბედურებას შეადგენს ამ ქვეყანაზე. ხომ ნახე, ჩემო მეგობარო, ჰერცოგის ციხე-დარბაზში რა სიუხვესა და ფუფუნებაში ვიყავით. მაგრამ რა! იმ სათუთ საქმეებს რომ ვჰამდი და იმ გამაგრილებელ სასმეებს რომ ვსვამდი, მაინც

ვერძნობდი - მშობდა, რადგან იმ საჭმელ-სასმელებით თავისუფლად ვერ ვსარგებლობდი, რა თავისუფლებითაც ვისარგებლებდი, ჩემი საკუთარი სანოვაგე რომ მეჭამა და მესვა; ვგრძნობდი, წყალობა ვალად მედებოდა, მაშ ჩემს სულს ბორკილი ეყრებოდა. ბედნიერია, ვისთვისაც ზენას ლუკმაპური მიუცია და მისთვის მარტო ზენას უნდა შესწიროს მადლობა.

- მაინც კი, თქვენო მოწყალეზავ, - მიუგო სანჩომ, - მაინც კი ჩვენ ჰერცოგის მადლიერნი უნდა ვიყოთ ორასი ოქროსათვის, მისმა სახლთუხუცესმა ქისით რომ ჩამაბარა, გამომაცოცხლებელი და დამამშვიდებელი ბალზამივით გულთან ახლოს ვინახავ ყველა მოულოდნელი შემთხვევისათვის; განა მუდამ მოგვიხდება გზადაგზა ციხე-დარბაზებში ქეიფი? იქნებ ფუნდუკებში თავის ამოყოფა კიდევაც მოგვიხდეს, სადაც ჯოხებით გვიმასპინძლებიან.

მოგზაური რაინდი და მისი საჭურველმტვირთველი გზას ამგვარი ლაპარაკით განაგრძობდნენ. ერთი მილის მანძილი რომ გაიარეს, თორმეტობდე გლეხკაცი დაინახეს, რბილ მდელოზე სუფრის მაგიერ მოსასხამები გაეშალათ და სადილობდნენ. მათ გვერდზე თეთრ ზეწრებში გახვეული რაღაც საგნები მოჩანდა - ჩამწკრივებული და ტილოგადაფარებული. დონ კიხოტი რომ მიუახლოვდა, გლეხებს ზრდილობიანად თავი დაუკრა და ჰკითხა: ტილოს ქვეშ ეგ რა გაქვთო.

- ჩემო ბატონო, გამოქანდაკებული წმიდა ხატებია, ჩვენი სოფლის საყდრის კანკელისათვის მიგვაქვს: რომ არ გამტვრიანდეს, ტილო გადავაფარეთ, და, რომ არ დაგვემტვრეს, ზურგით ვატარებთ.

- დიდად მასიამოვნებთ, თუ ნებას მომცემთ ვნახო, - უთხრა დონ კიხოტმა. - ალბათ კარგი ხატებია, რომ ასეთი სიფრთხილით მიგაქვთ.

- დიხაც, განა რა ფასი მიგვიცია, რომ კარგები არ იყვნენ, - თქვა ერთმა გლეხთაგანმა. - ამათში ერთი არ არის ისეთი, რომ ორმოცდაათ ოქროზე ნაკლები მიგვიცეს. და რომ დარწმუნდეთ - არა ვტყუით, ცოტა მოითმინეთ და ამ საათში გაჩვენებთ.

სადილი მიატოვა, ადგა თავისი ადგილიდან, ხატებთან მივიდა და ტილო ახადა ძლევაძოსილ წმიდა გიორგის ქანდაკს, ცხენზე მჯდარს ამაყი სახის გამომეტყველებით, როგორც წმიდას ჩვეულებრივ ხატავენ, და მის ფეხქვეშ გართხმულ გველვეშაპს - ყელში შუბგარჭობილს. ეს ხატი და ქანდაკი კი არა, როგორც იტყვიან წმინდა ოქრო იყო. ეს რომ ნახა, დონ კიხოტმა თქვა:

- ეს იყო უდიდებულესი მოგზაური რაინდი ზეციური ლაშქრისა, წმიდა გიორგი ძლევაძოსილი, ამას გარდა ყმაწვილი ქალწულების სახელგანთქმული მფარველი. ახლა სხვა ქანდაკი ვნახოთ.

გლეხმა მეორე ქანდაკსაც ახადა საბურველი. მეორე ხატზე წმიდა მარტინე იყო გამოხატული, აგრეთვე ცხენით, თავის წამოსასხამს რომ ყარიბს უყოფდა.

- ესეც ერთი ქრისტიანი რაინდთაგანი იყო, - თქვა დონ კიხოტმა, უფრო უხვი, ვიდრე მამაცი. ხედავ, სანჩო თავისი წამოსასხამის ნახევარს ყარიბს აძლევს; უეჭველია, ეს ზამთარში იქნებოდა, თორემ ხომ მთელ წამოსასხამს მისცემდა, ისეთი გულკეთილი იყო ეს რაინდი.

- მაგიტომ კი არა, - მიუგო სანჩომ, - არამედ იმიტომ, რომ ანდაზა ამბობს, რომ მქონდეს და ვაძლიო, თვლა უნდა ვიცოდეთო.

დონ კიხოტმა გაიღიმა და სთხოვა, შემდეგი ხატი ეჩვენებინათ, რომელზედაც ესპანეთის მფარველი იყო გამოხატული. ცხენზე მჯდარი, ხელში გასისხლიანებული მახვილით, დამარცხებულ მავრებს რომ თავს ჰკვეთდა.

- ეს არის დიდებული ქრისტეს მხედრობის რაინდი დონ სანდიეგო მატამოროსი, ერთი უმამაცესთაგანი რაინდი ქვეყანასა ზედა და ზეცას განსვენებულთა შორის, - დაიძახა დონ კიხოტმა.

შემდეგ კიდევ ერთი საბურველი ახსნეს და მის ქვეშ აღმოჩნდა წმიდა პავლე, ცხენიდან ჩამოვარდნილი, ყველა იმ წვრილმანებით, რის დანახვაც შეიძლება საკურთხეველთა ზღუდეებზე, სადაც გამოხატულია ამ წმიდანის მოქცევა. როცა დონ კიხოტმა დაინახა ის ასე ცოცხლად, - თითქოს ქრისტე ეს-ეს არის პავლეს ელაპარაკება და ის კი უპასუხებსო, - შესძახა:

- ეს იყო ქრისტიანული ეკლესიის დაუძინებელი მტერი და მდევნელი იმ დროს და შემდეგ კი მისი საუკეთესო დამცველი გახდა იმათთაგან, რომელიც კი ოდესმე იქნება ამქვეყნად: მოხეტიალე რაინდი სიცოცხლეში და უმშვიდესი წმიდანი სიკვდილის შემდეგ; დაუცხრომელი მუშაკი საუფლო ვენახში და ხალხთა განმანათლებელი, რომლის სასწავლებელი ზეცაში იყო, ხოლო მასწავლებად და მოძღვრად თვით ქრისტე ჰყავდა.

მეტი ქანდაკი აღარ იყო; ამიტომ დონ კიხოტმა სთხოვა, კვლავ დაეფარათ ისინ, და ასე მიმართა გლეხებს:

- ყველა ამ წმიდა რაინდმა, - განაგრძო მან, - ზეცა დაიპყრო თავისი მკლავის ძალით, რადგან სასუფეველი ცათა ძალით მოიპოვების, მაგრამ არ ვიცი, ღმერთმანი, ჩემი შრომითა და გაჭირვებით მე რაღა მოვიპოვე? ის მაინც რომ შემემძლოს, დუღსინე ტობოსელი ტანჯვისაგან გამოვიხსნა იქნება უფრო ბედნიერი შევიქნე და გაბრწყინებული სულით უკეთესი გზისაკენ მივიმართო, ვიდრე ახლა მივდივარ.

- ღმერთმა გისმინოს, ეშმაკმა განგარინოს, - ჩუმად წაიბუტბუტა სანჩო.

დონ კიხოტის ლაპარაკმა გლეხები იმდენადვე გააკვირვა, რამდენადაც მისმა გარეგნობამ, თუმცა რასაც ამბობდა იმის ნახევარიც ვერ გაიგეს. სადილი რომ გაათავეს ხატები ზურგზე წამოიკიდეს, დონ კიხოტს გამოეთხოვნენ და თავიანთ გზას გაუდგნენ.

ხოლო სანჩო, თითქოს დონ კიხოტს არ იცნობდა, - მისგან გამოთქმული ცოდნით იყო გაკვირვებული და ფიქრობდა, ქვეყანაზე ისეთი ამბავი და შემთხვევა არა იყო რა, რომ მის ბატონს არა სცოდნოდა და არ ხსომებოდა.

- ბატონო ჩემო, - უთხრა მან, - რაც დღეს მოგვიხდა, თუ ფათერაკად ჩაითვლება, მაშინ უნდა ვაღიარო, რომ რაც კი ოდესმე ჩვენს მოგზაურობაში შეგვმთხვევია, ყველა იმ ფათერაკზე უფრო სასიამოვნო და უფრო ტკბილი ფათერაკი ეს იყო. უდავიდარაბოდ და უცემატყეპოდ გათავდა; მახვილიც ხელთ არ აგვიღია, ჩვენი ტანით დედამიწის ცემაც არ დაგვჭირდა, არც დავმშეულვართ; კურთხეულ იყოს სახელი უფლისა, რომ ასეთი ფათერაკი მოგვივილინა.

- შენ მართალი ხარ, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - მაგრამ ცხოვრებაში მუდამ ერთი და იგივე როდი ხდება, ერთი შემთხვევა მეორეს როდი ჰგავს, ყველა შემთხვევითი მოვლენანი, ხალხი ჩვეულებრივ წინადმოსწავებას რომ ეძახის, ბუნების არავითარ კანონებს არ ემორჩილება, ანდა

გონიერი კაცი მათში მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას ხედავს და სხვა არაფერს; მაგრამ ცრუმორწმუნე კი, დილით ადრე რომ სახლიდან გამოვიდეს და ნეტარ ფრანცისკის ორდენის ბერი შეხედეს, მაშინვე საჩქაროდ უკან დაბრუნდება, თითქოს გრიფონი ენახოს. სხვა კიდეც, რომელიმე ჩვენებურმა მენდოსამ, ტაბლაზე რომ მარილი დააბნოს, მაშინვე დაღონდება და მოილუშება, თითქოს ბუნებას ადამიანის ყველა მოსასვლელი უბედურების შეტყობინება ეკისროს. ჭეშმარიტი ქრისტიანი ამ უბრალო შემთხვევით როდი უნდა იგებდეს ზენაარსის ზენა სურვილს. სციპიონი რომ აფრიკას ჩავიდა, ნაპირზე გასვლისას წაიბორძიკა და დაეცა. მისმა ჯარისკაცებმა ეს შემთხვევა ცუდი ამბის მომასწავებლად ჩათვალეს, მან კი გულში ჩაიკრა მიწა და შესძახა: "ახლა კი ველარსად წამიხვალ, აფრიკავ, რადგან ხელეებში მყავხარ ჩაბლუჯულიო". ამიტომ, სანჩო, უნდა გითხრა, რომ წმიდა ხატების შეხვედრა ჩვენთვის უბედნიერესი შემთხვევა იყო.

- მეც ასე ვფიქრობ. ბედნიერი რატომაც არ იქნებოდა, - მიუგო სანჩომ. - მაგრამ, თქვენო მოწყალეებავ, ერთი ეს მიბრძანეთ, ესპანელნი რომ ბრძოლას იწყებენ, რატომ სწორედ ამ სანდიეგო მატამოროსს მოუხმობენ შემწედ და ასე რად გაჰყვირიან: "სანტ-იაგო, ჩაჰკეტე ესპანეთი!" განა ესპანეთი ღია არის და მისი ჩაკეტვა განა კარგი იქნება, თუ ეს სხვა რამ ოინია?

- რა ყვეყნი და მიამიტი ხარ, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - განა არ იცი, რომ მეწამული ჯვრის იმ დიდგულ რაინდს ზენამ ესპანეთის მფარველად და მწედ ყოფნა მიანიჭა, მეტადრე მავრებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების დროს? ამიტომ ესპანელნი მას ყველა ომის დროს მოუწოდებენ, როგორც თავიანთ შემწეს, და რამდენჯერ ყოფილა, რომ თვითონ შეჭრილა აგარიანთა ლეგიონებში და ისინი დაუჩეხია, შეუმუსრავს და გაუნადგურებია. ეს რომ მართალია, მე შემიძლია ესპანეთის ჭეშმარიტი ისტორიიდან მრავალი მაგალითით დაგიმტკიცო.

სანჩომ საუბარი ერთბაშად გადაასხვაფერა და თავის ბატონს ჰკითხა:

- ძალიან მიკვირს ჰერცოგის ცოლის მოახლის ალტისიდორას ურცხვობა. ალბათ, იმ ბოროტმა სიყვარულმა ძალიან დაკოდა, იმ ბრძამ, ანუ უკეთ ვთქვათ, იმ უთვალეზო მონადირემ, ყველას რომ ისარს ჰკრავს, ვასაც დაინახავს; ერთი კი ნიშანში ამოიღოს გული და, რაც უნდა პატარა იყოს, მაინც მოარტყამს და ყველა მხარეზე განგმირავს. ესეც კი, გამიგონია - მოკრძალებულ და გონიერ ქალებისაგან ის ისრები უკანვე ბრუნდებიან და იმსხვრევიანო. ალტისიდორას კი, პირიქით, ღრმად ჩასობიან.

- აგრეა, სანჩო. - უთხრა დონ კიხოტმა, - სიყვარული ქელავს გონებას და ყოველგვარ მართებულობას. ის არავის არ უწევს ანგარიშს და არავითარი ზომა და კანონი მას არ გააჩნია. იგი თანაბრად იჭრება მეფის დიდებულ ციხე-დარბაზებში და მწყემსთა უბადრუკ კარვებში და, როცა სავსებით და იუფლებს სულს, უწინარეს ყოვლისა, იქიდან გამოდევნის შიშსა და სირცხვილს: ხომ ნახე, ალტისიდორამ რა ურცხვად გამიმჟღავნა თავისი სურვილები, რომელთაც უფრო შემაშფოთეს, ვიდრე სიბრალულით მისკენ მიმახედეს.

- არ გაგონილი სისასტიკეა, საშინელი უბედურება, - შეჰყვირა სანჩომ. - თქვენს ადგილას მე რომ ვყოფილიყავ, მგონია, პირველ ნიშნებაზედვე თავით ფეხებამდის მისი გავხდებოდი. ჰოი, ქვის გულო, ბრინჯაოს მკერდო, რკინის სულო! მაგრამ ეს კი არ ვიცი, ღმერთმანი, თქვენში ასეთი რა იპოვა, რომ ასე შეგიყვარათ? რა მორთულობამ, რა სილამაზემ, რა წყალობამ მოაჯადოვა ისე? არც თქვენს მორთულობას, არც თქვენს სილამაზეს, არც რაიმე ამგვარს, ერთად თუ ცალ-ცალკე

აღებულს, მგონია - არ შეძლო მისთვის თქვენი სიყვარული აეძულებინა. ხშირად გათვალისწინებთ ხოლმე თავით ფეხებამდის და ვრწმუნდები, რომ უფრო ხალხის შესაშინებლად ხრთ გაჩენილი, ვიდრე მისთვის, თავი ვინმეს შეაყვაროთ. ამბობენ, სილამაზე ყველაზე უფრო ჩქარა აღძრავს ხოლმე სიყვარულსაო, თქვენ კი ლამაზი არა ხართ, მაშ ის საბრალო ქალი რად გიჟდება თქვენთვის?

- დაიხსომე, სანჩო, სილამაზე ორგვარია, - უთხრა დონ კიხოტმა, - სულიერი და ხორციელი. სულიერი სიყვარული გამოჩნდება და ბრწყინავს გონებაში, სიუხვეში, კეთილმდრეკილებაში, ზრდილობაში: ყველა ეს შეიძლება სულ ულამაზო კაცთანაც შეგხვდეს. ამ სილამაზეს შეუძლია ისეთივე მგზნებარე და ხანგრძლივი სიყვარული აღანთოს კაცის გულში, როგორც ხორციელ სილამაზეს. მე ძალიან კარგად ვიცი - ლამაზი არა ვარ, მაგრამ არც გონჯი ვარ, ხოლო, კაცს თუ სულიერი სილამაზე აქვს, ოღონდ კი მთლად გონჯი ნუ იქნება და შეუძლია ადამიანის გულში მგზნებარე სიყვარული აღძრას.

ამგვარი ლაპარაკით ჩვენი ფათერაკების მამებარნი გზის პირად მდებარე ტყის სიღრმეში შევიდნენ და დონ კიხოტი უცებ ხეებს შორის გაბმულ მწვანე აბრეშუმის ბადეში მოჰყვა. რომ ვერა გაიგო რა, თუ რა უნდა ყოფილიყო, ჩვენმა რაინდმა სანჩოს უთხრა:

- მე მგონი, სანჩო, ეს ბადე - ერთი იმ უცნაურ ფათერაკთაგანია, რაც კი ჩვენ შეგვმთხვევია ოდესმე. აქვე ჩამომახრჩონ, თუ ყოველმხრივ ჩემს მდევნელ ჯადოქრებს ჩემი ამ ბადეში გაბმა არ განეზრახოთ იმის სასჯელად, რომ ალტისიდორას ისე სასტიკად მოვექციე. ამაზე მე მათ ვუპასუხებ, რომ ეს ბადეები მწვანე აბრეშუმისა კი არა, აღმასზედაც მაგარი რომ იყოს, ანუ იმ ბადეზედაც მტკიცე, რომლითაც მჭედელთა ეჭვიანმა ღმერთმა ვულკანმა ვენერა და მარეხი ჩაკეტა, მაშინაც ბამბის ძაფით გავგლეჯდი.

და ის იყო ბადის გაგლეჯა დააპირა, ამ დროს მოულოდნელად ხეების ჯგუფიდან გამოსული ორი მშვენიერი მწყემსი ქალი, ანუ მწყემსურად ჩაცმული ორი ლამაზი ქალი დაინახა. მათი ქათიბები და კაბები ნამდვილი ფარჩისა იყო, - თუმცა არა - ოქრომკედით ნაქსოვი ქალაღაის კაბები ეცვათ. მხრებზე კულულებად მოფენილი თმა ისეთი ღია ოქროს ფერისა ჰქონდათ, რომ შეეძლოთ თვითონ მზეს შეჯიბრებოდნენ. თავები მწვანე დაფნისა და წითელი ჯიჯლაყას გრეხილებით დაემშვენებინათ. ხნით ასე თხუთმეტ-თვრამეტი წლისას ჰგავდნენ.

მათმა გამოცხადებამ სანჩო გააკვირვა, დონ კიხოტს თავრეტი დაახვია, მზის მოძრაობა შეაყენა და ყველანი რაღაც საოცარ მდუმარებაში ჩააგდო. ეს მდუმარება ერთმა მწყემსმა ქალმა დაარღვია:

- გეთაყვა, ეგ ბადე არ დაგლიჯოთ, - უთხრა მან დონ კიხოტს. - ეგ ჩვენს შესაქცევად გავაბით, თქვენი გზის შეღობვა ფიქრად არა გვქონია. გინდათ გვკითხოთ - რად გავაბით და ვინა ვართ? ამაზე ორიოდ სიტყვით გიპასუხებთ: ერთ სოფელში, აქედან რომ ორი მილის მანძილზეა, რამდენიმე იდალგო და სხვა კეთილშობილი ხალხი ცხოვრობს. მათმა მამებმა, ქმრებმა და ძმებმა თავიანთ ცოლებთან, ქალებთან, მეგობრებთან და ნათესავებთან პირობა დასდეს, დროს გასატარებლად აქ მოვიდნენ ხოლმე, რადგან ამ მიდამოში ეს ადგილი ყველაზე საუკეთესოა. ჩვენ აქ ახლოს მწყემსურ არკადიას ვმართავთ ხოლმე. ქალები და ვაჟები აქ მწყემსის ტანისამოსით მოდიან. ორი ეკლოგა დავისწავლეთ ზეპირად: ერთი სახელოვანი პოეტის - გარსილასო დე ლა ვეგასი, მეორეც ნამდვილ პორტუგალურ ენაზე, - სწორუპოვარი კამონისისა; მაგრამ ჯერ არ წარმოგვიდგენია, რადგან მხოლოდ გუშინ მოვედით აქ. მწვანეზე, წყაროს



პირად, ამ ადგილებს რომ რწყავს, რამდენიმე კარავი დავდგით. წუხელის ხეებზე ფრინველების დასაჭერად ბადეები გავაბით; ხმაურობას ავტეხავთ, ფრინველი აქ თავის შესაფარებლად მოვა და დავიჭერთ. თუ ინებებთ, ჩვენთან დარჩებით სტუმრად, დიდად გვასიამოვნებთ და თვითონაც მხიარულად გაატარებთ დროს, რადგან ნებას არ ვაძლევთ აქ სადმე ჭმუნვამ და მოწყენილობამ დაისადგუროს.

მწყემსი ქალი დაჩუმდა და დონ კიხოტმა უპასუხა მას:

- მშვენიერო, კეთილშობილო მანდილოსანო! აქტეონი რომ მობანავე დიანას შეხვდა, უეჭველია, იმაზე მეტად არ იყო გაკვირვებული, როგორც ახლა მე ვარ, თქვენი სიმშვენიერის შემხედვარე. არ შემიძლია ქება არა ვთქვა თქვენგან გამართული შექცევისა და დიდად გამადლობთ მიწვევისათვის. თუ ჩემი მხრივ შემიძლია რითიმე ვიყო თქვენთვის სასარგებლო, მხოლოდ მითხარით და დარწმუნებული იყავით - დაგმორჩილდებით. ჩემი წოდება მამცნებს მადლობელი ვიყო და კეთილმადრეკილი ყოველთადამი და მეტადრე ისეთი მანდილოსნებისადმი, როგორც თქვენა ხართ. ეს ბადეები, ამ პატარა ადგილის დამჭერი, მთელ დედამიწას რომ ჰფარავდნენ, მაშინ მე სხვა სამყაროთა სამებნელად წავიდოდი, ოღონდ თქვენთა ხელთა ნამოქმედარი არ წამეხდინა. და რომ შეიძლოთ რამდენადმე ერწმუნოთ ამ ჩემს ელფეროვან და მოქარგულ სიტყვებს, უწყოდეთ, რომ ამას გეუბნებათ დონ კიხოტი ლამანჩელი, თუკი ეს სახელი ოდესმე გსმენიათ.

- ძვირფასო მეგობარო ჩემი სულისავ! - შეჰყვირა მეორე მწყემსმა ქალმა, - რა ბედნიერება გვეწია, ჩემო სულო! ჩვენ გველაპარაკება ყველაზე უმამაცესი, ყველაზე მეტად შეყვარებული, ყველაზე მეტად ზრდილი რაინდი, როგორსაც კი ოდესმე ქვეყანაზე უცხოვრია. თუკი არა ცრუობს დაბეჭდილი ამისი საგმირო საქმეთა ისტორია, რომელიც მე წამიკითხავს. გვერდზედაც, - სანაძლეოს დავდებ, თუ მისი საჭურველმტვირთველი სანჩო პანსა, ყველაზე მეტად საყვარელი და მახვილგონიერი ხუმარა კაცი არ ედგეს.

- მართალი ხართ, - უთხრა სანჩომ, - მე სწორედ ის ხუმარა და გონიერი საჭურველმტვირთველი გახლავართ, ხოლო ეს ბატონი სწორედ ის ლამანჩელი დონ კიხოტია, რომელზედაც სწერენ და სტამბავენ.

- ჩემო სულო, - მიუბრუნდა მწყემსი ქალი თავის ამხანაგს. - ვთხოვოთ აქ დარჩნენ და მით ჩვენი ნაცნობ-ნათესავები გავახაროთ. ამ რაინდის ღვაწლი და მამაცობა გამიგონია. ამბობენ ყველაზე მეტად სახელი თავისი მიჯნურის, მთელს ესპანეთში სილამაზის დაფნით დაჯილდოებულ დულსინე ტობოსელისადმი ერთგულებით გაითქვაო.

- და იგი მაგის ღირსიც არის, - დაატანა დონ კიხოტმა, - თუ მას ეგ თქვენი უბადლო მშვენიერება მეტოქედ არ გაუხდება. მაგრამ ეს არის, რომ ამაოდ კარგავთ დროს ჩემს აქ დარჩენაზე თხოვნით. ჩემი წოდების ვალდებულება ნებას არ მაძლევს სადმე დავისვენო.

ამ დროს მათთან ერთ-ერთი მწყემსი ქალის ძმა მოვიდა, აგრეთვე მწყემსურად, მდიდრულად და მშვენივრად მორთული. მწყემსმა ქალებმა უთხრეს მას, რომ ჩვენ წარჩინებული დონ კიხოტი ლამანჩელი და მისი საჭურველმტვირთველი სანჩო გველაპარაკებიანო. აღმოჩნდა, რომ იმ ყმაწვილ კაცსაც წაეკითხა მისი ისტორია და იცნობდა ორივეს. ეს რომ გაიგონა, მორთული მწყემსი რაინდს მიუბრუნდა და მის სამსახურად თავისი გამზადებულება გამოუცხა, და ისე დაჟინებით იწვევდა მას თავის კარავში, რომ დონ კიხოტი იძულებული იყო

დათანხმებოდა. კარვებთან ამ დროს ნადირობა იყო გამართული და ბადეები შიგ გაბმული ფრინველებით სავსე იყო; ბადეების ფერით მოტყუებული ფრინველები სწორედ იმ მახეში ებმებოდნენ, რომელსაც დიდი სისწრაფით გაუბოდნენ. ნადირობაში ოცდაათ კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას, მწყემსებად და მწყემს ქალებად ჩაცმული. რომ შეიტყვეს, დონ კიხოტი და სანჩო გვესტუმრნენო, ყველას მეტად გაუხარდა, რაკი გამოჩენილ ფათერაკების მაძებართა ისტორიას იცნობდნენ.

მონადირენი კარვებში წამოვიდნენ, სადაც ძვირფასი და უხვი სასმელებით დატვირთული ტაბლები იყო გაშლილი, და დონ კიხოტს, რომელმაც ყველანი გააოცა, ადგილი ტაბლის თავში დაუთმეს. საუზმის შემდეგ, სუფრა რომ აიღეს, დონ კიხოტმა ხმა აღიმადლა და წარმოთქვა:

- თუმცა ყველანი ამტკიცებენ უდიდესი ცოდვა სიამაყეაო, მე მაინც, რაკი სხვებთან ერთად მწამს ანდაზა, რომ: "ჯოჯობითი უმადურებით არის დასახლებული", და უდიდეს ცოდვად უმადურებას ვთვლი, მას აქეთ, რაც ჩემი გონებით ვცხოვრობ, ყოველგვარი ღონისძიებით ვცდილობდი უმადურობას მოვრიდებოდი. და თუ არ შემიძლია, ვინც მე სიკეთეს მიშვრება, მაგიერთ სიკეთე მივაგო, ის მაინც არის, რომ ამისი სურვილი მუდამ მეზადება; და როდესაც იძულებული ვხდები ეს სურვილი ვიკმარო, მაშინ, ვინც რა სიკეთე მიყო - ვამჟღავნებ ხოლმე. ვინც თავისადმი ჩადენილ სიკეთეს ამჟღავნებს, ის იმის მზადყოფნას აცხადებს, შემთხვევის მას სიკეთის მაგიერი საქმით გადაუხადოს. მიმღებნი მეტ ნაწილად მიმცემთა ზედა დაბლა დგანან; ყველა ჩვენთაგანზე მალლა ღმერთი დგას, ჩვენი სართო კეთილისმყოფელი, და ყველა ჩვენი კეთილი მის კეთილის ყოფას ვერ შეედრება, - მათ შუა უზომო სივრცე ძევს, მაგრამ ამ ჩვენი სიგლახაკის მაგიერობას მაღლიერება სწევს. და მეც, აქ თქვენი თავაზიანი მიღების მაღლიერი, ღონემოკლებული ამგვარივე მიღებით გადაგიხადოთ, შესაძლო ვიწრო ფარგლებში ჩავიყენებ თავს და ვეცდები, სარაგოსაში მიმავალი, შარაგზას დავადგები თუ არა, ორი დღის განმავლობაში იარაღით ხელში სულ იმას ვიძახებ, რომ ეს ტურფა მწყემსი ქალები ყველა ქალებზე ულამაზესი და უმშვენიერესნი არიან-მეთქი მთელს ქვეყანაზე, გარდა უბადლო დულსინე ტობოსელისა, ჩემთა განზრახვათა ერთადერთი მფლობელისა; გთხოვთ ამ გამონაკლისს აქ მზრმანებელთაგანი ნურავინ იწყენს.

თავის ბატონის ამ ნათქვამ სიტყვებს ყურადღებით რომ ისმენდა სანჩო, ველარ მოითმინა და ხმამაღლა შეჰყვირა:

- განა ქვეყანაზე ისეთი თავხედი კაცი იქნება ვინმე, კიდევაც თქვას, ჩემი ბატონი სულელიაო? ღვთის გულისათვის, ერთი მითხარით, თქვენო მოწყალეზავ, ბატონო მწყემსებო, რომელ სოფელში მოიპოვება ისეთი განათლებული და მჭევრმეტყველი მღვდელი, რომ ის თქვას, რაც ახლა ჩემმა ბატონმა წარმოთქვან და მთელ ქვეყანაზე განა მოიპოვება ისეთი მამაცი და სახელგანთქმული მოგზაური რაინდი, რომ ისე მოიქცეს, როგორც ახლა ჩემი ბატონი მოიქცა?

ამის პასუხად დონ კიხოტი თავის საჭურველმტვირთველს მოუბრუნა და მრისხანებით უთხრა:

- ნეტავ თუ იპოვება ვინმე მთელ ქვეყანაზე ისეთი, რომელმაც არა თქვას, რომ სირეგვენსთან ერთად ცბიერი ბოროტებითაც ხარ გატენილი? სხვის საქმეში რად ერევი? ვინ გთხოვს დამოწმებას - გონიერი კაცი ვარ თუ უგუნური? ხმა გაიკმინდე, ნუ შემესიტყვები და გასწი, როსინანტი თუ უნაგირმოხდილია, შეკაზმე, მე კი ჩემი აღთქმის ასასრულებლად წავალ; ჩემი სიმართლე ამთავითვე ყველას დაამარცხებს, ვინც გაბედავს და სიტყვას შემომიბრუნებს.

ეს თქვა, გაჯავრებული სახით წამოდგა და მით ყველანი გააოცა: ეს კაცი ჭკვიანია თუ სულელიო? - უნებლიეთ გაიფიქრა ყველამ. ისინი ამაოდ არწმუნებდნენ დონ კიხოტს, უარი ეთქვა ამ გამოწვევაზე და უმტკიცებდნენ, რომ არავის არ აეჭვებდა მისი რაინდული ზრახვები და კეთილი გრძობები; რაინდის მადლიერებისა და კეთილი გულის დასამტკიცებლად საჭირო არ იყო რაიმე საგმირო საქმეთა ჩადენა, რადგან ამას ისედაც საკმაოდ ადასტურებდა მისი თავგადასავალი; მიუხედავად ამისა, მაინც დონ კიხოტის სიმტკიცის შერყევა ვერაფერმა ვერ შეიძლო; როსინანტზე რომ შეჯდა, ფარი მიიფარა, შუბი მოიმარჯვა და მწვანე ველის პირას მიმავალ შარაგზის შუა ჩადგა. სანჩოც თავისი ვირით მისდევდა და მათ მთელი მწყემსური მარაქა გაჰყვა, რადგან უნდოდათ გაეგოთ, თუ რით გათავდებოდა ეს სულელური და თავისთავად საიშვიათო განზრახვა.

შუა გზაში რომ ჩადგა, დონ კიხოტმა ამ სიტყვების ყვირილით შეარყია ჰაერი:

- რაინდო, საჭურველმტვირთველნო, ცხენოსანნო და ქვეითნო, ამ გზაზე ორი დღის განმავლობაში გამვლელნო და გამომვლელნო! ისმინეთ, რომ მოგზაური რაინდი დონ კიხოტი ლამაზი აქადგას და ამტკიცებს, რომ მშვენიერება და ჩინებულება ქვეყნისა, გარდა ჩემი გულის მფლობელი დულისინე ტობოსელის მშვენიერებისა, ვერ შეედრება იმ ნიმფათა მშვენიერებას და ჩინებულებას, ამ ტყეზურვილი ახლო მდებარე ველზე რომ მოსახლეობენ, და ვინც წინააღმდეგს ამბობს, ის ჩემს წინ წარმოდგეს, აქ ველოდები!

ეს შეძახება რაინდმა სიტყვასიტყვით ორჯერ გაიმეორა და იგი ვერც ერთხელ ვერც ერთმა მოგზაურმა რაინდმა ვერ გაიგონა. მაგრამ მისმა თანდათან უფრო ხელისშემწყობმა ბედმა მოისურვა, ცოტა ხნის შემდეგ გზაზე ცხენოსანთა გუნდი გამოჩენილიყო, მეტწილად შუბებით შეიარაღებული. უწესრიგო არეულ ბრბოდ მოდიოდა და, როგორც ჩანდა, სადღაც მიეშურებოდა. ეს რომ დონ კიხოტთან მყოფმა საზოგადოებამ დაინახა, გზიდან გადავიდა, რადგან მიხვდა, რომ მათი შეხვედრა სახიფათო იქნებოდა; ხოლო მარტოოდენ დონ კიხოტი უშიშრად დარჩა შუა გზაზე და სანჩო კიდევ როსინანტს ამოეფარა. ამასობაში მომავალი შუბებიანი უწესრიგო ბრბო რაინდს უახლოვდებოდა და წინამძღოლი მხედარი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დონ კიხოტს უყვიროდა:

- გზიდან ჩამოგვეცალე, შე ქაჯო და ეშმაკო, თორემ ეს ხარები გაგთელავენ და გაგანადგურებენ!

- ჰეი, შე არამზადავ! - მიუგო დონ კიხოტმა. - ვერავითარი ხარები ვერ შემაშინებენ, თუნდაც ისინი ხარამის ნაპირებზე გაზრდილიც იყვნენ, გიჟნი, ფიცხნი და თავაშვეულნი, რომ არიან. აღიარეთ და იწამეთ, ავაზაკნო და ჯადოქარნო, იწამეთ-მეთქი - ერთობლივ და თითოეულად ყველამ, რასაც ახლა გეტყვით, თუ არა - ბრძოლაში გიწვევთ და ჩემთან მოგიხდებათ შერკინება.

მწყემსმა ვერ მოასწრო დონ კიხოტისთვის პასუხის გაცემა, ხოლო დონ კიხოტმა კიდევ გზიდან ვერ გადაასწრო, - ვერც გადაასწრებდა, თუნდაც ნდომებოდა; გაგიჟებული ხარების ნახირს, რომელშიც გაწვრთნილი და მშვიდი ბულებიც ერივნენ, მწყემსები და სხვა მრავალი ხალხი მიერეკებოდნენ ერთ ქალაქში, სადაც მეორე დღეს ხარების ბრძოლა უნდა გამართულიყო. მთელი ნახირი დონ კიხოტს, როსინანტს, სანჩოს და მის ლურჯას დაეტაკა, წააქცია და გადათვლა ისინი. სანჩო ძლიერ იყო დაშავებული, დონ კიხოტი კი - თავზარდაცემული, არცთუ როსინანტს დაეყარა კეთილი, ვირიც ცოტას გაწყდა - არ დამახინჯდა; მაინც, როგორც იყო, წამოდგნენ და დონ კიხოტი ბარბაცით და ბორძიკით რქოსან ნახირს უკან გამოუდგა. და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უყვიროდა:

- შესდექით, თქვე მანწანწალებო და ჯადოქრებო, არამზადა ავაზაკებო, სულ ერთადერთი რაინდი გიცდით, იმათგანი კი არა, რომელნიც ფიქრობენ და ამბობენ: "გაქცეულ მტერს ვერცხლის ხიდი გაუდეო".

ამ ყვირილმა დაშურებით მიმავალი ლტოლვილნი მაინც ვერ შეაჩერა, ისინი რაინდის მუქარას ისევე აქცევდნენ ყურადღებას, როგორც შარშანდელ თოვლს. მოქანცული დონ კიხოტი ბოლოს იძულებული გახდა შემდგარიყო და უფრო რისხვით აღძრული, ვიდრე სამაგიეროს გადახდის სურვილით შეპყრობილი, გზის ნაპირას ჩამოჯდა და სანჩო, როსინანტს და ვირს უცდიდა. ბატონმა და მსახურმა რომ თავი ერთად დაიგულეს, პირუტყვებზე შესხდნენ, ცრუ და ყალბ არკადიში მყოფთ არ გამოთხოვებთან, უფრო დარცხვენით, ვიდრე ხალისითა და სიხარულით თავიანთი გზა განაგრძეს.

თავი LIX

სადაც მოთხრობილია არაჩვეულებრივი შემთხვევა, დონ კიხოტს რომ მოუხდა, რაც შეიძლება ფათერაკად ჩაითვალოს

დონ კიხოტმა და სანჩომ ბრიყვი ხარებისაგან მტვერში ამოგანგვლის წამალი ხშირ ხეებს შუა, გრილ ჩეროთა შორის მიმდინარე ანკარა ნაკადულში ჰპოვეს. უნაგირ-და-კურტანმოხდილი, აღვირ-და-ავშარამოხსნილი როსინანტი და ვირი საძოვარზე რომ თავისუფლად გაუშვეს, ბატონი და მსახური, ორივე ხარებისაგან გათელილები, ნაკადულის პირას დასხდნენ. სანჩომ პირი გამოირეცხა, ხოლო დონ კიხოტმა პირი დაიბანა და ამით გაგრილებულებს დაცემული სულის ახოვანება კვლავ დაუბრუნდათ. სანჩომ ჩვეულებრივ საკუჭნაოს - ხურჯინს მიმართა და იქიდან ყველაფერი ამოალაგა, რასაც საგზალს ეძახდა. რაინდმა გამწარებისა და ჯავრის გამო არა სჭამა რა, სანჩოც თავმდაბლობისა და ზრდილობის გამო თავის წინ მდებარე სანოვაცეს პირს არ აკარებდა და სულ უცდიდა, იქნებ ჩემმა ბატონმა პირველმა იგემოსო. მაგრამ როცა დაინახა, ფიქრებში გართულ რაინდს ჭამა არ აგონდებოდა, სანჩომ პურსა და ყველს მიჰყო ორივე ხელი და პირში იტენიდა.

- ჭამე, ჩემო მეგობარო სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - შენს სიცოცხლეს ხელი შეუწყვე; იგი შენთვის უფრო საჭიროა, ვიდრე ჩემთვის ჩემი სიცოცხლე. მე კი ფიქრების ტვირთქვეშ დამტოვე. დაე, ჩემს უბედურებათა კვეთებისაგან მოვკვდე. მე, სანჩო, გაჩენილი ვარ სიკვდილით ვიცოცხლო. შენ კი დაბადებულხარ - პირში ლუკმაგაჩრილი მოკვდე. და რომ ამაში დარწმუნდე, შემომხედე - წიგნებში დასტამბული, ბრძოლებში სახელგანთქმული, მოქმედებაში გულჩვილი და თავაზიანი, ქვეყნის დიდებულთაგან პატივცემული, ქალებში სიყვარულის აღმგზნები - აი, როდესაც მოველოდი ჩემი დიდი და სახელოვანი საქმეებითა და სიმამაცით დასახურებული დაფნის გვირგვინებს და ჯილდოებს მივიღებ-მეთქი, დღეს კი ჩემს თავს უწმინდური და საძაგელი ცხოველებით ფეხით გათელილს და დაბეგვილს ვხედავ. ეს ფიქრი კბილებს მიჩლუნგებს, ყბებს მიდუნებს, ხელებს მიდამბლავებს და ჭამის ხალისს სრულიად მართმევს, ისე, რომ ვფიქრობ - შიმშილით მოვიკლა თავი, რაც ყოველ სიკვდილზე საზარელია და საშინელი.

- მაშ, როგორც ჩანს, - უთხრა სანჩომ და თან პირს არ აჩერებდა და ყბებს წარმოუდგენელი სისწრაფით ამოძრავებდა, - მაშ თქვენი მოწყალება იმ ანდაზას არ ეთანხმება - ნათქვამი რომაა: "მაძლარი მუცლით სიკვდილი იოლიაო". მე მაინც თავის მოკვლას არა ვფიქრობ, პირიქით, მეჩქემესავით მინდა მოვიქცე, ტყავს, რომ კბილებით იმდენ ხანს ჭიმავს და სწევს, ვიდრე,

სადაც უნდა, იქამდის არ მიიყვანს. მე ჩემს თავს ვასაზრდოვებ და ჩემს სიცოცხლეს იქამდის გავჭიმავ, ვიდრე ზენაარსისაგან დანიშნულ საზღვარს არ მიაღწევს. იცოდეთ, ბატონო, სასოწარკვეთილებას რომ მისცემია თქვენი მოწყალება, ამაზე დიდი სისულელე სხვა არ არსებობს. დამიჯერეთ, მიირთვით, მერე ამ ამწვანებულ მდელოს ლეიბზე წამოწეკით და დაიძინეთ; რომ გაიღვიძებთ, უდიდეს შვებას იგრძნობთ.

დონ კიხოტი სწორედ ისე მოიქცა, რადგან სანჩოს რჩევა უფრო ფილოსოფოსის რჩევად ეჩვენა, ვიდრე უმეცარი კაცის მსჯელობად, და უთხრა:

- შენ თუ გსურს, ჰოი სანჩო, ის ჩაიდინო ჩემთვის, რასაც ახლა გეტყვი, ჩემი შვება უფრო ნამდვილი იქნება და მწუხარებაც შემიმსუბუქდება. მე რომ დავიძინებ, ცოტა განზე გადი და როსინანტის აღვირის თასმები შიშველ ადგილებზე სამასჯერ ან ოთხასჯერ მაინც დაირტყი იმ სამი ათასზე მეტი მათრახის ანგარიშში, დულსინეს მოჯადოების გაუქმებისთვის რომ დაგინიშნეს. განა არ გებრალება ის საწყალი ქალი, შენი დაუდევრობით და უთაურობით აქამდისაც მოჯადოებული რომ რჩება?

- მაგაზე ბევრი რამ შეიძლებოდა მეპასუხა, - მიუგო სანჩომ, - მაგრამ ახლა, მოდით, ორივემ დავიძინოთ და მერე, დაე, ღმერთმა გვიბრძანოს, რა უნდა ვქნათ. იცოდეთ, თქვენო მოწყალება, მშვიერი, მჭლე სხეულის დამშვიდებით და გულგრილად გამათრახება - ძალიან მკაცრი საქციელი და სამძიმო საქმეა. ჩემმა ქალბატონმა დულსინემ ცოტა მოითმინოს და, როდესაც სულ არ ექნება ამის მოლოდინი, მათრახის ტოტით აჭრელბულს მნახავს. სიკვდილამდის ყველა ცოცხალია, - ამით ის მიინდა ვთქვა, რომ ჯერ ხანად ცოცხალი ვარ და სურვილი მაქვს - რაც აღმითქვამს, კიდევ აღვასრულო.

დონ კიხოტმა ამაზე სანჩოს მადლობა უთხრა და ოდნავ წაიხემსა. სანჩო კი ლაზათიანად დანაყრდა. შემდეგ ჩვენი ფათერაკების მამებარნი დასაძინებლად დაწვენენ, ხოლო თავიანთი განუყრელი თანამგზავრები და მეგობრები - როსინანტი და ვირი ბალახით აბიზინებულ ველზე საძოვრად გაუშვეს. რაინდმა და მისმა საჭურველმტვირთველმა კარგა გვიან გაიღვიძეს. ერთი ცხენზე შეჯდა, მეორე ვირზე და გზა განაგრძეს, რათა ჩქარა იმ ფუნდუკამდის მისულიყვნენ, იქიდან ერთი მილის მანძილზე რომ მოჩანდა. ფუნდუკს იმიტომ ვამბობ, თვითონ დონ კიხოტმა დაარქვა ეს სახელი, თუმცა მისი ჩვეულებით, ყველა ფუნდუკს ციხე-დარბაზებს უწოდებდა ხოლმე.

იქ რომ მივიდნენ, პატრონს ჰკითხეს - ღამის გასათევი ოთახი თუ გაქვსო? პატრონმა უპასუხა: ისეთი მყუდრო და კარგი ოთახი მაქვს და საუცხოო საჭმელებიც, რომ მათზე უკეთესი სარაგოსაშიც არ მოიპოვებაო. ჩამოხტნენ და სანჩომ თავისი სანოვაგე შეიტანა საკუჭნაოში, რომლის გასაღებიც მეფუნდუკემ მისცა. შემდეგ როსინანტი და ვირი თავლაში დააბინავა, საჭმელი დაუყარა და ღმერთს მადლობა შესწირა, მისმა ბატონმა ეს ფუნდუკი ციხე-დარბაზად რომ არ მიიღო; შემდეგ ბრძანების მისაღებად ჭიშკართან მერხზე ჩამომჯდარ დონ კიოტთან მივიდა. ამასობაში ვახშმის დროც დადგა და სანჩომ მეფუნდუკეს ჰკითხა: ვახშმად რა გაქვსო.

- ყვლაფერი, რასაც კი მოითხოვთ, - მიუგო მეფუნდუკემ, რადგან ჩემი ფუნდუკი დოვლათით სავსეა, - ჰაერის ფრინველები, მიწის ცხოველები, ზღვის თევზები, - ყველაფერი ბლომად მომეპოვება.

- მაგდენიც არა გვინდა რა, - უთხრა სანჩომ, - ჩვენთვის ორი შემწვარი ვარიაც საკმაოა. ჩემი ბატონი ცოტას მიირთმევს და არცთუ მე ვარ აგრერიგად გაუმადლარი და ღორმუცელა.

- ვარიები არა მყავს, - უთხრა მასპინძელმა, - რადგან აქ ბევრი ძერა იცის და მათ დაკორტნეს და გამიწყვიტეს.

- მამ ბატონმა მასპინძელმა უბრძანოს ქათამი შეგვიწვან, - უთხრა სანჩომ, მაგრამ ბებერი კი არ იყოს.

- ქათმები? - წაილაპარაკა მასპინძელმა, - ჰოი, ღმერთო ჩემო! გეფიცებით, გუშინ ორმოცდაათ ქათამზე მეტი ქალაქს გავგზავნე გასაყიდად, ქათმის გარდა, რაც გნებავთ, მოითხოვეთ, თქვენო მოწყალეზავ.

- მამ ხბოსი ან თიკნის ხორცი მაინც გექნებათ, - უთხრა სანჩომ.

- მთელი საგზალი სწორედ ახლა გამომელია: არც ხბო მყავს, არც თიკანი, - უპასუხა მასპინძელმა. - იმ კვირაში კი ყველაფერი ბლომად მექნება.

- კარგი დაგემართოს! - უთხრა სანჩომ. - სანაძლეოს დავდებ, რომ ყველა ამ დანაკლისს დუმა და კვერცხის სიუხვე აანაზღაურებს.

- ღმერთსა ვფიცავ, - თქვა მეფუნდუკემ, - ჩემს სტუმრებს მცირედი მეხსიერებაც არა ჰქონიათ: მე ვეუბნები, არც ქათამი მყავს, არც ვარიები-მეთქი, ესენი კვერცხებს მთხოვენ. ღვთის გულისათვის სხვა რამე მთხოვეთ, ქათმებს და ჩიტის რძეს კი ნულარ მომკითხავთ.

- გეყოფა ხუმრობა! - დაუყვირა სანჩომ. - თქვი, რაცა გაქვს, მაგ გადაცემ-გადმოცემას თავი ანებე.

- ბატონო სტუმარო, - უთხრა მეფუნდუკემ, - ნამდვილად ორი ძროხისა და ორი ხბოს ფეხები მაქვს, ცხვრის ნაზი და ჩვილი ფეხების მსგავსი, ხახვით და ნივრით შეკაზმული, მუხუდოიანად ღორის ქონში მოხარშული; მოხარშვის დროს თითქოს გაიძახოდნენ "შეგვჭამეთ, შეგვჭამეთ!"

- სულ აქ მოგვიტანეთ, - უთხრა სანჩომ, - არავინ მიეკაროს, ყველაზე კარგ ფასს მე მოგცემ, - ეგ სწორედ ჩემი გემოვნების საჭმელია. ხარის ჩლიქებია თუ ხბოს ფეხები, ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ ფეხები კი იყოს.

- არავის მივაკარებ, - უთხრა მეფუნდუკემ. - მაინც ახლა ჩემთან ჩამომხდარი მგზავრები სულ წარჩინებული ხალხია, საკუჭნაო და სამზარეულო თავისი მზარეულით და ფარეშებიანად მუდამ თან დააქვთ.

- თუ წარჩინებაზე მიდგება საქმე, ჩემს ბატონზე წარჩინებული არავინ არის, - მიუგო სანჩომ, - მაგრამ მისი წოდება კალათით საგზლისა და ღვინის ტარების ნებას არ აძლევს. მე და ჩემი ბატონი პირდაპირ გაშლილ ველზე ჩამოვხტებით ხოლმე და რკოსა და შინდს არხეინად შევექცევით.

ასეთი საუბარი ჰქონდათ სანჩოსა და მეფუნდუკეს. სანჩომ საუბრის გაგრძობა აღარ ისურვა და მეფუნდუკის კითხვაზე - თუ ვინ იყო მისი ბატონი, ან რა ხელობისა იყო იგი, არაფერი უპასუხა. ამასობაში ვახშმის დროც დადგა. დონ კიხოტი ოთახში შევიდა, მეფუნდუკემ ხბოს ფეხები შეუტანა და რაინდი სუფრას მიუჯდა. იმ ოთახის გვერდზე მეორე ოთახი იყო, თხელი კედლით გადატიხრული, და იმ ოთახიდან რაინდს ასეთი ლაპარაკი მოესმა:

- ბატონო დონ ჰერონიმო, თქვენს სიცოცხლეს გაფიცვით, ვიდრე ვახშამს მოგვიტანდნენ, დონ კიხოტ ლამანჩელის მეორე ნაწილიდან ერთი თავი კიდევ წაიკითხეთ.

მოესმა თუ არა დონ კიხოტს, რომ მისი სახელი ახსენეს, მსწრაფლ სელიდან წამოხტა და გაფაციცებული ყურადღებით მიუგდო ყური, თუ რას ლაპარაკობდნენ მის შესახებ. ხოლო მან ზემოხსენებულ დონ ჰერონიმოს შემდეგი პასუხი გაიგონა:

- რად გინდათ, თქვენო მოწყალეზავ, ბატონო დონ ხუან, მასეთი მოჩმახული აბდაუბდისა და სისულელეების წაკითხვა? ვისაც დონ კიხოტ ლამანჩელის პირველი ნაწილი წაუკითხავს, მას ამ მეორე ნაწილის წაკითხვა არავითარ კმაყოფილებას არ მიანიჭებს.

- მაინც, მიუგო დონ ხუანმა, - კარგი იქნებოდა მისი წაკითხვა, რადგან ისეთი უხეირო წიგნი არ მოიპოვება, რომ შიგ ცოტა კარგი რამეც არ იყოს. მაგ ნაწილში ყველაზე მეტად ის არ მომწონს, რომ დონ კიხოტი მანდ ისეა გამოხატული, თითქოს დუღსინე ტობოსელი აღარ უყვარდეს.

ეს რომ დონ კიხოტმა გაიგონა, მრისხანებითა და გულისწყრომით აღსავსემ ხმამაღლა დაიძახა:

- ვინც უნდა იყოს ამის მთქმელი, ვითომც დონ კიხოტ ლამანჩელმა დუღსინე ტობოსელი დაივიწყა, ანუ შეუძლია დაივიწყოს, მე იმას თანაბარი იარაღით დავუმტკიცებ, რომ დიდად ცდება! დონ კიხოტს იმ ბანოვანის დავიწყება არ შეუძლია, ხოლო უებრო დუღსინე ტობოსელი არ შეიძლება დავიწყებული იყოს, რადგან დონ კიხოტის დევიზია პირიანობა და სიმტკიცე, ხოლო მისი აღთქმაა - თავისი მიჯნური ქალის ერთგულება.

- ვინ არის, რომ გველაპარაკება? - ჰკითხეს მეორე ოთახიდან.

- ვინ უნდა იყოს, - განაცხადა სანჩომ, - თუ არა თვითონ დონ კიხოტი ლამანჩელი, რომელიც თავს დასდებს იმ სიტყვებისათვის რაც ახლა თქვა და რასაც კიდევ იტყვის ვინაიდან კარგ გადამხდელს ვალის გადახდა როგორ დააღონებს.

სანჩომ თავისი სიტყვები დაასრულა თუ არა, ოთახის კარი გაიღო და შიგ ორი კაბალერო (ასეთებად მოჩანდნენ) შემოვიდა. ერთი მათგანი მეგობრულად მოეხვია დონ კიხოტს და უთხრა:

- ვერც თქვენი გარეგნობა დაჰკარგავს თქვენს სახელს და ვერც თქვენი სახელი თქვენს გარეგნობას. ეჭვს გარეშეა, რომ თქვენ ნამდვილი დონ კიხოტი ლამანჩელი ხართ, დილის ვარსკვლავი მოგზაური რაინდობისა, იმის ჯიბრსა და ჟინაზე ვისაც წიგნში, ახლა რომ გადმოგცემთ, უნდოდა თქვენი სახელი და დიდება მოეპარა და თქვენი გმირული ღვაწლი გაექარწყლებინა.

ეს რომ თქვა თავის ამხანაგს წიგნი გამოართვა და დონ კიხოტს ჩაუდო ხელში. დონ კიხოტმა ჩამოართვა იგი და ხმაამოუღებლივ ფურცვლა დაუწყო. ცოტა ხანს უკან წიგნი დაუბრუნა და უთხრა:

- იმ რამდენიმე ადგილას, რის გადათვალიერებაც მოვასწარი სამი შეუსაბამობა ვპოვე: პირველი - რამდენიმე სიტყვა და გამოთქმა, წინასიტყვაობაში რომ შემხვდა; მეორე - მისი არაგონული კილოკავი, ავტორი ხანდახან სიტყვის ზოგიერთ ნაწევარს არ ხმარობს, და მესამეც - რაც ყველაზე მეტად მის უმეცრებას ამტკიცებს - ისა, რომ იგი ხშირად იბნევა, თვით არსებით საგანში ცდება და ჭეშმარიტებას შორდება; სახელდობრ: ის ამბობს, რომ ჩემი

საჭურველმტვირთველის, სანჩო პანსას ცოლს მარი გუტერესი ჰქვია, მისი ნამდვილი სახელი კი ტერესა პანსაა და, თუ იგი ასეთ არსებითსა და მნიშვნელოვან წვრილმანებში ცრუობს, მამ - უნდა ვიფიქროთ, სხვა დანარჩენ ამბებშიც იცრუებს და შეცდება.

- რა საუცხოო ისტორიკოსი ყოფილის! - თქვა სანჩომ, - ეტყობა ჩვენი საქმეები კარგად ცოდნია, რომ ჩემს ცოლს, ტერესა პანსას, მარი გუტერესს ეძახის. აბა, თქვენო მოწყალება, ერთი ეს წიგნი აიღეთ ხელში და ნახეთ, ჩემზე არის რამე ნათქვამი, თუ ჩემი სახელიც შეუცვლიათ?

- იმ ნათქვამის მიხედვით, რაც ახლა მოვისმინე, მეგობარო, - თქვა დონ ჰერონიმომ, - თქვენ, უეჭველად, დონ კიხოტის საჭურველმტვირთველი სანჩო პანსა ხართ.

- დიახ, მე სწორედ მისი საჭურველმტვირთველი გახლავართ, - უპასუხა სანჩომ, - და მით ვამაყობ კიდევ.

- მაშ, ღმერთს ვფიცავ, - მიუგო დონ ჰერონიმომ, - ეს ახალი ისტორიკოსი იმ მართებულებით არ გეპყრობათ, რა მართებულებაც მთელ თქვენს არსებაში გამოსჭვივის. ის გსხავთ თქვენ ღორმუცელად, სულელად, მახვილგონიერებას მოკლებულ ადამიანად, - სრულიად იმ სანჩოს მსგავსად კი არა, როგორც თქვენი ბატონის ისტორიის პირველ ნაწილშია აღწერილი.

- ღმერთმა შეუნდოს! - მიუგო სანჩომ, - ჯობდა ჩემს კუთხეში დავეტოვებინე, სულაც არ მოვგონებოდი. ცეკვას მხოლოდ ის გამართავს, ვისაც შეუძლია ჩანგს ხმა რიგიანად ამოაღებინოს; წმიდა პეტრეც მხოლოდ რომში გრძნობს თავს არხეინად.

ორივე კაბალერომ დონ კიხოტს სთხოვა - მათ ოთახში გადასულიყო და ერთად ევახშმათ: კარგად ვიცით, ამ ფუნდუკში თქვენი საკადრისი არაფერი არ მოიპოვებაო. მუდამ ზრდილობიანმა დონ კიხოტმა მათ თხოვნას პატივი სცა და მათთან ივახშმა. ხოლო მოხარშული ფეხები სანჩოს სრულ უფლებაში დარჩა, სანჩო მაგიდის თავში დაჯდა, გვერდით ფუნდუკის პატრონი მიუჯდა, ისიც ხბოს ფეხების დიდი მოყვარული.

ვახშამზე დონ ხუანმა ჰკითხა დონ კიხოტს, რა ამბავი იცოდა დულსინე ტობოსელისა: ხომ არ გათხოვილიყო, შვილი ხომ არ შესძენოდა, ან ორსულად ხომ არ იყო, თუ ქალწულადვე იმყოფებოდა, და რაკი მისი შეყვარებული რაინდი ახსოვდა, უეჭველია, თავის უმანკობას და კარგ სახელს დაიცავდა.

- დულსინე უმანკო ქალწულადვე დარჩა, - უპასუხა დონ კიხოტმა, - ჩემი მისადმი სიყვარულიც ახლა უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე იყო; ჩვენი ურთიერთობა უწინდელეზე უმწიკველია, მაგრამ ვაი, რომ მისი სილამაზე უხეში გლეხის ქალის გარეგნობით შეიცვალა.

შემდეგ დაწვრილებით მოუთხრო დულსინე ტობოსელის მოხიზვლა-მოჯადოების ამბავი და ისიც, რაც მონტესინოსის მღვიმეში შეემთხვა, და ბრძენმა მერლინმა დულსინეს მოჯადოების გასაუქმებლად საშუალება რომ ასწავლა. კაბალეროები დიდი სიამოვნებით უსმენდნენ დონ კიხოტს მისი საკვირველი ფათერაკების ამბავს. მათ მისი სისულელე იმდენადვე აოცებდაო, რამდენადაც მისი თხრობის მშვენიერი კილო; იგი ხან გონიერ კაცად ეჩვენებოდათ, ხან უგუნურად და ჭკუაარეულად და ვერ გადაეწყვიტათ: სალი გონებისა და ჭკუაშემცდარობის შუა რა ხარისხზე დაეყენებინათ იგი.



სანჩომ ვახშამი გაათავა, შემთვრალი მეფუნდუკე დასტოვა, ბატონის ოთახში შევიდა, კარებთან შედგა და წარმოთქვა:

- აქვე მომკლან, ბატონებო, თუ მაგ თქვენგან მოტანილი წიგნის დამწერს ჩემთან წაჩხუბება არ უნდოდეს. თუ მე, როგორც თქვენი მოწყალე ბრძანებს, გაუმაძღარსა და ღორმუცელას მეძახის, ლოთობას მაინც ნუღარ მწამებს.

- დიახ, სწორედ ლოთიც დაგიძახათ, - უთხრა დონ ჰერონიმომ, - არ მახსოვს სად და როგორ, ის კი ვიცი, რომ რიგიან კაცად არა გასახავთ და ამასთან, თქვენზე ძლიერ ბევრ ტყუილს ჩმახავს, რამდენადაც შეიძლება ეს განვსაჯო, როცა ახლა თქვენ გიყურებთ, კეთილო სანჩო.

- დამერწმუნეთ, თქვენო მოწყალეზავ, - უპასუხა სანჩომ, რომ ამ ისტორიის სანჩო და დონ კიხოტი სულ სხვანი უნდა იყვნენ, ვიდრე სიდ ჰამეტ ბენენჰელის დაწერილ ისტორიაში არიან. სიდ ჰამეტის ისტორიაში აღწერილები ჩვენა ვართ: ჩემი ბატონი ღვაწლმოსილი ბრძენი და შეყვარებული და მე გულუბრყვილო, ხუმრობის მოყვარული, მაგრამ არც ღორმუცელა და არც ლოთი.

- მეც აგრე ვფიქრობ, - თქვა დონ ხუანმა, - და რომ შეიძლებოდეს, ბრძანება უნდა გამოცემულიყო - არავის გაეხედა დიდებული დონ კიხოტის სახელოვან საქმეებზე წერა, სიდ ჰამეტის გარდა, ისე, როგორც ალექსანდრე მაკედონელი თავისი სურათის დახატვის ნებას აპელესის მეტს არავის აძლევდა.

- დაე, ვისაც სურს, ჩემი სურათი დახატოს, - თქვა დონ კიხოტმა, - მაგრამ კი ნუ დამამახინჯებს, მოთმინება ხშირად ილევა, თუ მას შეუპოვრად შეურაცხყოფენ.

- განა შეიძლება ბატონ დონ კიხოტს შეურაცხყოფა მიაყენოს ვინმემ? - თქვა დონ ხუანმა, - რა შეურაცხყოფა იქნება ისეთი, რომ სამაგიეროს გადახდა არ შეიძლოს, თუ თავისი მოთმინების ფართით არ მოიგერია, რომელიც, მე მგონი ძლიერი და მკიცე უნდა იყოს.

ასეთ საუბარში ღამის დიდმა დრომ გაიარა. დონ ხუანმა სთხოვა დონ კიხოტს, იმ წიგნში კიდევ რამე წაეკითხა; მას სურდა გაეგო - რა კილოთი აყბედდებოდა იგი და კიდევ რა აზრებდას მოსჩმახავდა, მაგრამ რაინდმა გადაჭრილი უარი მოახსენა და ასე უთხრა, რომ მთელ წიგნს უკვე წაკითხულად ვთვლი, თავიდან ბოლომდის სისულელედ მიმაჩნია და არ მსურს ავტორი იმ ამბით გავახარო, რომ ეს წიგნი დონ კიხოტს ხელთ ეჭირა და იგი წაიკითხაო. ამასთან, დაუმატა მან, არათუ თვალი, არამედ ფიქრიც კი ზურგს უნდა შეაქცევდეს ყველაფერ ჭუჭყიანს, უხამსს და ურიგოსო. როცა დონ კიხოტს ჰკითხეს, თუ საით აპირებდა ახლა გამგზავრებას, მან მიუგო: სარაგოსაში მივდივარ, ტურნირზე მინდა დავესწრო იმ ქალაქში ყოველ წელიწადს რომ იმართება და გამარჯვებულს ჯილდოდ სატურნირო აბჯარი ეძლევაო. დონ ხუანმა შენიშნა, რომ ამ ახალ წიგნში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ დონ კიხოტმა ანუ მისი სახელით მოხსენებულმა უთუოდ სხვა ვინმემ, როგორი მონაწილეობა მიიღო იქ გამართულ ფრიად ღარიბულ, უბადრუკი დევიზებითა და ლატაკურად მორთულ დოლსა და რგოლთა შეჯიბრებაშიო; მასთან ის რაინდი მოკლებული იყო ყოველგვარ გონიერებას, უხეიროდ იბრძოდა, ტანსაცმელიც ღარიბული ეცვა, სხვადასხვა სისულელით კი უხვად იყო დაჯილდოებულიო.

- სწორედ მაგ მიზეზით, - მიუგო დონ კიხოტმა, - სარაგოსაში ფეხსაც არ შევდგამ და ამით მთელი ქვეყნის წინაშე იმ ახლად გამომცხვარი ისტორიკოსის სიცრუეს გამოვააშკარავებ; დაე, ხალხმა დაინახოს, რომ მე ის დონ კიხოტი არა ვარ, ვიზედაც ის მოუთხრობს.

- მაგას ძალიან კარგს იზამთ, - უთხრა დონ ჰერონიმომ. - მით უმეტეს, რომ მსგავსი ტურნირები ბარსელონაშიც იმართება, სადაც ბატონ დონ კიხოტს შეუძლია მთელი თავისი სიმამაცე გამოიჩინოს.

- მეც სწორედ მაგას ვაპირებ, - მიუგო დონ კიხოტმა. - ახლა კი გთხოვთ, თქვენო მოწყალეზავ, ნება მომეცით წავიდე, რადგან უკვე დროა ლოგინში ჩავწვე; მასთან მიმიღეთ და თქვენთა საუკეთესო მეგობართა და მსახურთა რიცხვში მიგულეთ.

- აგრეთვე მეც, - დაუმატა სანჩომ, - იქნებ მეც შევიძლო და რაშიმე გამოგადგეთ.

ამ სიტყვებით ერთმანეთს გამოეთხოვნენ. დონ კიხოტი და სანჩო თავიანთ ოთახში წავიდნენ, ხოლო დონ ხუანი და დონ ჰერონიმო გაცეცხულნი დარჩნენ იმ საღი გონებისა და სისულელის ერთმანეთთან შერევით, როგორც მათ რაინდმა აჩვენა, და ნამდვილად დარწმუნდნენ, რომ სწორედ ესენი იყვნენ დონ კიხოტი და სანჩო, და არა ისინი, რომელნიც არაგონელმა ავტორმა აღწერა.

დონ კიხოტმა მეზობლებს დილაადრიან კედელზე დაუკაკუნა და თავის მასპინძელ კაბალეროებს გამოეთხოვა. სანჩომ მეფუნდუკეს ფული უხვად გადაუხადა და რჩევა მისცა თავის ფუნდუკში ნუზლი ნაკლებად შეექო, ანუ უკეთესი დაემზადებინა.

## თავი LX

თუ რა შეემთხვა ბარსელონას მიმავალ დონ კიხოტს

როდესაც დონ კიხოტი ფუნდუკიდან გამოვიდა, გრილი დილა იყო, ეტყობოდა დღეც ისეთივე იქნებოდა. ამთავითვე გამოიკითხა, ბარსელონაში რომელი გზა უფრო მოკლედ მიიყვანდა, რათა სარაგოსას ასცდენოდა, ისე ძალიან უნდოდა ის ახალი ისტორიკოსი, როგორც უთხრეს - მისი ცილისმწამებელი, - ცრუ კაცად გამოეყვანა და აი, ისე მოხდა, რომ ექვსი დღის განმავლობაში მას აღწერის ღირსი არა შემთხვევია რა; მეშვიდე დღეს კი, როდესაც შარაგზიდან გადაუხვია, ხშირ ფოთლოვან მუხებსა თუ კორპის ხეებს შუა ღამემ უსწრო. ამ ხეებზე სიდ ჰამეტი განსაკუთრებულად არას ამბობს, თუმცა სხვა შემთხვევაში ყველაფრის დანამდვილებით გარჩევას არა ჰღალატობს. ბატონი და მსახური თავისი ცხოველებიდან გადმოხტნენ და ხეების ძირში დაბინავდნენ. იმ დღეს კარგად ნასაუზმევმა სანჩომ მაშინვე ძილის ჭიშკარი შეაღო, დონ კიხოტს კი უფრო ფიქრები და ოცნება უშლიდა ძილს, ვიდრე შიმშილი, ამიტომაც თვალი ვერ მოხუჭა. იგი ფიქრებით ათას ადგილას დახეტილობდა. ხან ეჩვენებოდა, ვითომც მონტესინოსის მღვიმეში იყო, ხან გლეხის დედაკაცად გარდაქმნილ დულსინეს ხედავდა, თუ როგორ იჯდა ის ვირზე და მიაჭენებდა, ხან ყურში ბრძენი მერლინის სიტყვები ჩაესმოდა, თუ როგორ მოქცეულიყო, რა ღონისძიება ეხმარა, რომ დულსინე ჯადოებისაგან განთავისუფლებულიყო. სასოწარკვეთილებამი ვარდებოდა საჭურველმტვირთველი სანჩოს დაუდევრობისა და გულქვაობის გამო, როცა გაიხსენებდა, რომ მან აქამდის, დონ კიხოტის ანგარიშით, მხოლოდ ხუთჯერ დაირტყა მათრახი, რაც ბევრის

ბევრად მცირე და უმნიშვნელო იყო იმ ურიცხვ-უთვალავ დარტყმასთან შედარებით, რაც ჯერ კიდევ აკლდა და შესასრულებელი იყო. ამ გახსენებაზე ისეთი მწუხარება და გულისჯავრი შემოაწვა, რომ თავის თავს უთხრა:

- თუ ალექსანდრე დიდმა გორდიოსის ნასკვი ხმლით გადაკვეთა და თანაც თქვა, გადაკვეთა და გახსნა სულ ერთიაო, და მაინც მთელი აზიის მბრძანებლად დარჩა, მაშ ახლა დულსინეს მოჯადოების საქმეში იგივე მეორდება. სანჩოს მის ჯინაზე თვითონ დავუწყებ გამათრახებას, რაკი პირობა ისეთია, რომ სანჩომ სამი ათასი დარტყმა უნდა მიიღოს, რა ჩემი საქმეა, თვითონ დაირტყამს თუ სხვა დაარტყამს, საქმე ისაა, რომ მან სამი ათასი დარტყმა უნდა მიიღოს - საიდანაც უნდა იყოს ეს დარტყმა, სულ ერთია.

ამ განზრახვით როსინანტის აღვირი აიღო, ისე მოკვცა, რომ მით დარტყმა შესაძლო ყოფილიყო, მივიდა და სანჩოს ქამრის შეხსნა დაუწყო, რითაც მისი განიერი შარვალი იყო აწეული. ამის ცოდვილს რომ მოჰყვა, სანჩომ გაიღვიძა, თვალეზი დააჭყიტა და იკითხა:

- რა ამბავია? ქამარს ვინ მხსნის, ან ტანთ ვინ მხდის?

- ეს მე ვარ, - მიუგო დონ კიხოტმა, - მოგელ - შენგან შეუსრულებელი პირობა შევასრულო, შენი დაუდევრობა გამოვასწორო და ჩემი მწუხარება შევიმსუბუქო. შენს გასამათრახებლად მოველ სანჩო, რომ შენგან ნაკისრი ვალი რამდენადმე მაინც გადაიხადო. დულსინე ილუპება, შენ კი უდარდელად ცხოვრობ, მეც მწუხარება მკლავს. შენი ნებით გაიხადე, რადგან ჩემი ნება ასეთია - ამ მიყრუებულ ადგილს ორი ათასი მათრახი მაინც დაგარტყა.

- ვერ მოგართვით, ვერა, - უთხრა სანჩომ. - წყნარად, თქვენო მოწყალება, თორემ ჭეშმარიტ ღმერთს ვფიცავ, ჩვენს ხმას ყრუებიც გაიგონებენ. მე რომ გამათრახება ვიკისრე, ჩემი კეთილი ნებით უნდა მოხდეს და არა ძალდატანებით, ახლა კი გამათრახების ხალისი სრულებით არა მაქვს. ისიც იკმარეთ, რომ თქვენს მოწყალებას პირობას ვუდებ: ვირტყა და ვიგემო, როდესაც თვითონ ვინებებ.

- ამის მიგდება მარტო შენს ნდომასა და სურვილზე არ შეიძლება, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - რადგან ღრძო გული გაქვს და, თუმცა უხეში და ხეპრე ხარ, მაინც სხეული ნაზი გაქვს.

ამას რომ ამბობდა, თან ცდილობდა და ყველა ღონეს ხმარობდა - შარვალი ჩაეხადა. სანჩო ფეხზე წამოხტა, თავის ბატონს მივარდა, ხელები მოხვია, სარმა წამოსდო და მიწაზე გულადმა დასცა. მარჯვენა მუხლი მკერდზე დააჭირა და ხელები ისე მაგრად დაუჭირა, რომ დონ კიხოტს არც წამოდგომა და არც განძრევა აღარ შეეძლო. მაშინ დონ კიხოტმა უთხრა მას:

- როგორ თუ? შე მოღალატე! შენს ბატონს და ბუნების მბრძანებელს ეწინააღმდეგები? მის წინააღმდეგობას ბედავ, ვის პურსაც ჭამ?

- მე არც ტახტიდან ჩამომყავს და არც ტახტზე ამყავს მეფე, - მიუგო სანჩომ, - მე ჩემს თავს ვშველი, რადგან ჩემი თავის ბატონი თვითონ მე ვარ. თქვენმა მოწყალებამ დამშვიდებით ყოფნა აღმიტქვას ახლა ჩემს გალახვას ნუღარ მამალებს და მაშინ გაგიშვებთ და გაგათავისუფლებთ კიდევ, თუ არა და:

აქვე მოკვდები, შე მოღალატე,

დონია სანჩას მტერო ავსულო.

დონ კიხოტმა ამის ასრულება აღუთქვა და მთელი სულითა და გულით შეჰფიცა, რომ სანჩოს ტანისამოსის ერთ ძაფსაც კი ხელს არ ახლებდა და გამათრახებას სრულ მის ნებაზე მიაგდებდა.

სანჩო ადგა და კარგა მოშორებით მეორე ხეს მიუჯდა და მიეყუდა. ამ დროს იგრძნო, რომ მის თავს ვიღაც შეეხო: ხელები მაღლა ასწია და წინდა-ჩექმებ-ჩაცმული ფეხები დახვდა. შიშისაგან აკანკალებული სანჩო ახლა მეორე ხისკენ გაიქცა, მაგრამ იქაც იგივე განმეორდა. მაშინ ხმამაღლა დაუყვირა დონ კიხოტს - საშველად მასთან მისულიყო. დონ კიხოტი მივიდა და ჰკითხა, რა იყო, რამ შეგაშინაო. სანჩომ უპასუხა, ყველა ეს ხე ადამიანის ფეხებითაა სავსეო. დონ კიხოტმა გასინჯა ისინი, მაშინვე მიხვდა, რაც უნდა ყოფილიყო, და სანჩოს უთხრა:

- შენთვის აქ საშიში არაფერია, რადგან ეს ფეხები, შენ რომ შეხებიხარ და ვერ დაგინახავს, უეჭველია, ამ ხეებზე ჩამომხრჩვალნი ყაჩაღებისა და ავაზაკებისაა, აქ მართლმსაჯულებას ჩვეულებად აქვს, შეიპყრობს თუ არა იმათ, ოცსა და ოცდაათს ერთად ჩამოახრჩობს. ეს იმის ცხადი ნიშანია, რომ აქედან ბარსელონა შორს აღარ არის.

როგორც თქვა, სწორედ ისეც იყო. გათენება რომ დაიწყო, მაღლა აიხედეს და დაინახეს, რომ ყაჩაღები ხეებზე მტევნებივით ეკიდნენ. უკვე გათენდა და, თუ ისინი მკვდრებმა შეაშინეს, არანაკლები შიში ორმოცზე მეტმა ცოცხალმა ყაჩაღმა დამართათ, რომელნიც უცებ შემოეხვივნენ გარს და კატალონურად უთხრეს - გაჩერებულიყვენ და ადგილიდან არ დამრულიყვენ, ვიდრე მათი მეთაური არ მოვიდოდა. დონ კიხოტი ქვეითი იყო, მის ცხენს აღვირი მოხსნილი ჰქონდა, მისი შუბი ხესთან ეყუდა, - ერთი სიტყვით თავდაცვის საშუალება არა ჰქონდა; ამიტომ ამჯობინა გულხელი დაეკრიფა, ქედი მოედრიკა და თავისი თავი უფრო შესაფერი დროისა და შემთხვევისათვის შეენახა.

ყაჩაღები ვირს მისცვივდნენ და, რაც ხურჯინსა და საგზაო ჩემოდანში იყო, ყველაფერი გამარცხეს. სანჩოს ბედი, რომ ჰერცოგის ოქროები და შინიდან წამოღებული ფული ტიტველ ტანზე შემოკრულ ქამარში ჰქონდა დამალული. მაინც კი ეს კეთილი ხალხი მთლად გაბდღვნიდა მას, ისე ბეჯითად გაჩხრეკდა, ტყავსა და ხორცს შუაგ კი გასინჯავდა, დამალული ხომ არა აქვს რაო, თუ ამ დროს მათი მეთაური არ მოსულიყო. იგი ოცდაათობმეტი წლისას ჰგავდა, შავგვრემანი, მკაცრ-მედიდური შესახედაობისა და შუათანაზე უდრო მაღალი იყო. ღონიერ ცხენზე იჯდა, ფოლადის ჯავშანი ეცვა და აქვთ-იქით წელში წყვილ-წყვილად ოთხი დამბაჩა ჰქონდა გარჰობილი (ასეთებს იმ მხარეში კაჟიან დამბაჩებს ეძახიან). როცა დაინახა, რომ მისი საჭურველმტვირთველები (სწორედ ასე უწოდებდნენ ამ ხელობის ხალხს) სანჩოს გამარცხვას აპირებდნენ, უბრძანა - მოშვებოდნენ მას; ბრძანებას წამსვე დაემორჩილნენ და სანჩოს ქამარი მათ ხელიდან გაუსხლტათ. მეთაურმა რომ ხეზე მიყუდებული შუბი, მიწაზე დაგდებული ფარი და აბჯარში გამოწყობილი, დაფიქრებული, დაღონებული, სევდიანი სახის და მწუხარების ქანდაკის მსგავსი დონ კიხოტი დაინახა, გაუკვირდა, მიუახლოვდა მას და უთხრა:

- აგრე ნუ იწუხებთ, კეთილო კაცო, რადგან თქვენ ვიღაც გულქვა ოზირისს კი არ ჩავარდნიხართ, თქვენ როკე გინარტის ხელში ხართ, რომელიც უფრო ღმობიერია, ვიდრე უწყალო.

- ჩემი მწუხარება იმით კი არ არის გამოწვეული, - მიუგო დონ კიხოტმა, - რომ შენ ხელთ ჩავვარდი, ჰოი ღვაწლმოსილო როკე, რომლის დიდებას დედამიწაზე საზღვარი არა აქვს, არამედ იმიტომ, რომ ჩემი დაუდევრობა ეგოდენ დიდი იყო, შენი ჯარისკაცები

მოულოდნელად დამატყდნენ თავს, - მაშინ, როდესაც მოგზაური რაინდობის წესით, რომელ წოდებასაც მე ვეკუთვნი, ვალდებული ვარ მუდამ ფრთხილად ვიყო და ყოველ წამს ჩემს თავს დარაჯად ვედგე. მოვალე ვარ გითხრა, ჰოი დიდო როკე, თუ მათ ცხენზე მჯდარი დავხვედროდე, ფართა და შუბით ხელში, ძალიანაც არ გაუადვილდებოდათ ჩემი დამორჩილება, რადგან მე ის დონ კიხოტი ლამანჩელი ვარ, რომლის გმირულ საქმეთა ამბები მთელ მსოფლიოშია მოფენილი.

როკე გინარტი მაშინვე მიხვდა, რომ დონ კიხოტის სენი სისულელეს უფრო ემხრობოდა, ვიდრე ვაჟკაცობას და, თუმცა ზოგჯერ გაეგონა კიდეც მისი ამბები, მაინც ის ამბები და ღვაწლმოსილობა არასოდეს არა სჯეროდა, - არა სჯეროდა, რომ მსგავს მიზეზიანობას ადამიანის სულის დამონება შეეძლო; არა სჯეროდა, რომ ქვეყანაზე ვინმეს თავში მოუვიდოდა მოგზაურ რაინდად გახდომა. მეტისმეტად კმაყოფილი და მოხარული იყო, რომ საკუთარი თვალით იხილა ის და შეეძლო განეცადა ყველაფერი, რაც შორიდან ჰქონდა გაგონილი. ამიტომაც უთხრა მას:

- ღვაწლმოსილო რაინდო! გულს ნუ გაკლიათ, ნუ გარისხდებით და შავსვიან ბედად ნუ ჩათვლით იმას, რამაც აქ მოგიყვანათ; ეს ახლა ნაგრძნობი გაჭირვება შეიძლება თქვენ გამარჯვებადაც გადაიქცეს, რადგან ზენა ძალიან ხშირად საკვირველი, არგაგონილი, ადამიანთათვის მიუხდომელი გზით დაცემულთ ფეხზე აღადგენს და ღარიბთ განამდიდრებს.

დონ კიხოტი მაღლობის თქმას აპირებდა, რომ ამ დროს მათ უკან ისეთი ხმაურობა მოისმა, თითქოს მთელი ცხენის ჯოგი მოჰქროდა; აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ ერთი ცხენი იყო, რომელზედაც ოციოდე წლის ჭაბუკი იჯდა, ოქროს ბუზმენტმემოვლებული მწვანე აბრეშუმის ტანისამოსით მოსილი, განიერი შარვალი და მოკლე კამზოლი ეცვა და ვალონურ ყაიდაზე ჩატეხილი ქუდი ეხურა; ფეხებზე ვიწროყელიანი ცვილით გაპრიალებული წაღები ეცვა და ზედაც ოქროს დეხები ეკრა; ხმაღ-ხანჯალი ერტყა, ქამარში ორი დამბაჩა ჰქონდა გარჭობილი და ხელში პატარა თოფი ეჭირა. ხმაურობა რომ მოესმა, როკემ მისკენ მიიღო თავი და დაინახა მშვენიერი მხედარი, რომელმაც ცხენი მის წინ შეაყენა და უთხრა:

- როგორც იქნა მოგძებნე, კეთილშობილო როკე, რომ შენი დახმარებით ხსნა თუ არა, ჩემი უბედურების შემსუბუქება მაინც ვპოვო. ვხედავ, ვერ მიცან, ამიტომ გეტყვი - ვინცა ვარ. მე კლავდია ჰერონიმა ვარ, სიმონ ფორტეს ქალი, შენი უახლოესი მეგობრისა, კლაუკელ ტორელიასის დაუძინებელი მტერი რომ არის; ხოლო ეს ტორელიასი ხომ შენი მტერიცაა, რადგან შენს მტრულ პარტიას ეკუთვნის. ხომ იცი, რომ იმ ტორელიასს ვაჟი ჰყავს, სახელად დონ ვისენტე ტორელიასი ჰქვია, - ყოველ შემთხვევაში ასე ეძახდნენ ამ ორი საათის წინათ. ჩემი უბედურების ამბავი, რომ არ გავაჭიანურო, მოკლედ გეტყვი, რა დამიშავა ამ ჭაბუკმა. გამიცნო და ტრფიალი დამიწყო, მეც მამის უჩუმრად შემეყვარდა, - ხომ იცით, ისეთი ქალი არ მოიპოვება, რაც უნდა განკერძოებით ცხოვრობდეს და რაც უნდა ფრთხილობდეს, მაინც ბლომად დრო არ იპოვოს თავისი მშფოთვარე სურვილების ასასრულებლად. ერთი სიტყვით, ქმრობა აღმითქვა, მეც ცოლად გაყოლას შევპირდი. ამაზე შორს კი არ წავსულვართ. გუშინ შევიტყვე, რომ მოცმული პირობა დაუვიწყია, სხვას ირთავს ცოლად და დღეს დილით ჯვარი უნდა დაიწეროს. ამ ამბავმა გონება ამირია და ჩემი მოთმინების ფიალაც აივსო. და, რადგან მამაჩემი სხვაგან იყო წასული, შევიძელ, მისი ტანისამოსი ჩამეცვა, დეზი ვკარ ცხენს, აქედან ერთი მილის სიშორეზე დავეწიე დონ ვისენტეს და დაუყოვნებლივ რომ არც საყვედური მეთქვა და არც თავის გამართლება მომესმინა, ეს თოფი ვესროლე, ზედაც ეს დამბაჩები

მივაყოლე. ვფიქრობ, მის სხეულს ორ ტყვიაზე მეტი დავახალე და მისი სისხლის სადენად კარი გავადე, რომ მით ჩემი პატივი განზანილიყო. ის იქ დავტოვე, სისხლში მცურავი მის მსახურთა შუა, რომელთაც ვერ გაბედეს და არც შეეძლოთ მისი გამოსარჩლება და დაცვა. ახლა კი მოველ შენს მოსამებნად, რომ საფრანგეთში გადამიყვანო, იქ ნათესავები მყავს, ცხოვრება მათთან შემძლია; ამასთან იმასაცა გთხოვთ, მამაჩემს მფარველობა გაუწიო, რათა დონ ვისენტეს მრავალი ნათესავის რისხვა და შურისძიება სამაგიეროს გადასახდელად თავს არ დაატყდეს.

როკემ, კლავდიას მშვენიერებით, გამბედაობით, თვალტანადობით და მისგან ჩადენილი საქმით გაოცებულმა, უთხრა მას:

- ჯერ წავიდეთ, სენიორა, ვნახოთ, მოკვდა თუ არა შენი მტერი, და შემდეგ გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

დონ კიხოტმა ყურადღებით მოისმინა კლავდიას ამბავი და როკს პასუხი და უთხრა როკეს:

- ამ ქალბატონის გამოსარჩლების შრომას ნურავინ იღებს თავს, რადგან ამას მე ვკისრულობ. მომცენ ჩემი ცხენი და საჭურველი და თქვენ აქ დამიცადეთ. მე წავალ, მოვებნი იმ კაბალეროს და ცოცხალსა თუ მკვდარს ვაიძულებ ის პირობა აასრულოს, ამ მშვენიერი ქალისთვის რომ მიუცია.

- ნურავის ექნება ამისი ეჭვი, - თქვა სანჩომ, - რადგან ჩემს ბატონს ქორწილების გაჩარხვაში ბედნიერი ხელი აქვს. მას აქეთ დიდი ხანი როდია, რაც ერთი ასეთივე ჭაბუკი აიძულა ის ქალი შეერთო, რომლისთვისაც პირობა მიეცა, მერე კი შერთვა აღარ უნდოდა, - მაგრამ ჩემი ბატონის მოწინააღმდეგე ჯადოქართ რომ იმ კაცის გარეგნობა არ შეეცვალათ და მსახურად არ გადაექციათ, ახლა ის ქალწული - ქალწული როდი იქნებოდა.

როკე მშვენიერი კლავდიას ამბით უფრო იყო გართული, ვიდრე ჩვენი რაინდისა და მსახურის ლაპარაკით, და ყურს არ უგდებდა მათ. თავის საჭურველმტვირთველთ უბრძანა, სანჩოსათვის რაც ვირის ბარგი წაერთმიათ, ყველა დაებრუნებინათ, იქ წასულიყვნენ, სადაც წუხელის ღამე გაატარეს, და თვითონ მსწრაფლ კლავდიასთან ერთად დაჭრილი თუ მკვდარი დონ ვისენტეს მოსამებნად გაეშურა. იმ ადგილს მივიდნენ, სადაც იგი კლავდიას შეხვედროდა, მაგრამ იქ ახლადდაღვრილი სისხლის მეტი ვერა იპოვეს რა. მაინც ყოველ მხარეს მიმოიხედეს, ერთი ბორცვის ფერდობზე რამდენიმე კაცი შენიშნეს და გადაწყვიტეს, როგორც ნამდვილად იყო, რომ ისინი დონ ვისენტეს მსახურნი უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც იგი მკვდარი თუ ცოცხალი მიჰქონდათ სამკურნალოდ ან დასამარხავად. ცხენები შეჰქუსლეს და მალეც მიეწივნენ ნელი-ნელ მიმავალ მსახურთ, რომელთაც დონ ვისენტე ხელით მიჰქონდათ. მათ დაინახეს დონ ვისენტე. იგი ნელი, ძლივს გასაგონი ხმით ემუდარებოდა მსახურთ, აქვე დაეტოვებინათ მომკვდარიყო, რადგან ჭრილობათა ტკივილი გზის გაგრძელების ნებას არ აძლევდა.

კლავდია და როკე ცხენებიდან ჩამოხტნენ და მასთან მივიდნენ. მსახურებმა როკე რომ დაინახეს შეეშინდათ, ხოლო კლავდია დონ ვისენტეს დანახვით ძლიერ შეშფოთდა. შეწუხებული და მკაცრი მაინც მიუახლოვდა, ხელი დაუჭირა და უთხრა:

- შენ რომ ჩემთვის ეს შენი ხელი მოგეცა, როგორც პირობა გვქონდა, ამ მდგომარეობაში არასოდეს არ ჩავარდებოდი.

დაჭრილმა კაბალერომ თითქმის ჩამქრალი თვალები გაახილა, კლავდია იცნო და უთხრა:

- ვხედავ, მშვენიერო, მოტყუებულო სენიორა, რომ შენ მომკალი, რაც დაუმსახურებელი და ჩემი განზრახვებით გამოუწვეველი სასჯელია; ჩემი წადილითა და საქციელით არასოდეს არ მსურდა და არც შემემძლო შენთვის წყენა და შეურაცხყოფა მომეყენებინა.

- როგორ, მაშ ტყუილია, - შეჰკვივლა კლავდიამ, - რომ შენ დღეს დილით მდიდარ ბალბასტროს მემკვიდრე ქალზე, ლეონორაზე, ჯვარის დასაწერად მიდიოდი?

- დიახაც ტყუილია, - უპასუხა დონ ვისენტემ, - ჩემს შავსვიან ბედს შენთვის ეგ ამბავი უნდა მოეტანა, რომ შური გეძია და ჩემთვის სიცოცხლე წაგერთმია. მაგრამ, რაკი ამ სიცოცხლეს შენს ხელზე და შენს ხვევნაში ვკარგავ, ჩემს ხვედრს ბედნიერად ვთვლი. და, რომ ამის სინამდვილეში დაგარწმუნო, ხელი მომიჭირე და შენს მეუღლედ მიმიღე, თუ გსურს, რადგან არ შემიძლია სხვა უდიდესი დაკმაყოფილება მოგანიჭო იმ შეურაცხყოფის სამაგიეროდ, რომელიც, გგონია, მე მოგაყენე.

კლავდიამ ხელი მოუჭირა და გული ისე შეუწუხდა, რომ დონ ვისენტეს გასისხლიანებულ მკერდზე უგრძობლად დაეცა. ხოლო დონ ვისენტეს სიკვდილის კრუნჩხვა დაეწყო. როკე არეული და შეძრწუნებული იდგა და არ იცოდა, რა ექნა. მსახურები წყლის მოსატანად გაიქცნენ, რომ ორივესთვის სახეზე ეპკურებინათ. მოიტანეს და აპკურეს. კლავდია მობრუნდა, მაგრამ დონ ვისენტე აღარ მობრუნებულა, რადგან მისი სიცოცხლე გაქრა. როდესაც კლავდიამ დაინახა, რომ მის ძვირფას მეუღლეს მოძრაობა და სუნთქვა აღარ ჰქონდა, გოდებით იქაურობა შესძრა, ჩივილით ზეცა შეაშფოთა, თმას იგლეჯდა და იწეწდა, ფრჩხილებით სახეს იხოკდა ყველა იმ მწუხარებისა და ტანჯვის ნიშნებით, რაც კი დატანჯულ გულს შეუძლია გამოიჩინოს.

- ჰოი, დაუნდობელო, უწყალო და წინდაუხედავო დედაკაცო, - მოთქვამდა კლავდია, - როგორ სწრაფად გადაწყვიტე შენი ეგოდენ ბოროტი განზრახვის შესრულება; ჰოი, ეჭვიანობის უწყალო ძალავ, როგორ უკიდურეს სასოწარკვეთილებამდის მიგყავს ის, ვინც თავის გულში ბინას გაძლევს! ჰოი, მეუღლეო ჩემო, რადგან ჩემი საუნჯე იყავ, რომელმა ბოროტ სვიანმა ბედმა განგიმზადა საქორწინო სარეცელის ნაცვლად - ცივი სამარე?

იმდენად საზარელი და სამწუხარო იყო კლავდიას გლოვა და გოდება, რომ როკს თვალებსაც კი ცრემლი მოერია, თუმცა მისი თვალები, რაც უნდა შემთხვევა ყოფილიყო, ცრემლთა დენას ჩვეულნი არ იყვნენ. მსახურნი ტიროდნენ, კლავდიას წამდაუწუმ გული უღონდებოდა და მთელი არემარე მწუხარებისა და უბედურების სავანედ გადაიქცა. ბოლოს როკე გინარტმა უბრძანა მსახურთ, დონ ვისენტეს გვამი იქვე ახლოს მდებარე სოფელში, მამამისის სახლში წაესვენებინათ დასამარხავად. კლავდიამ უთხრა როკეს, რომ მონასტერში სურდა შესვლა, სადაც იღუმენიად მამიდამისი იყო, და ეწადა თავისი სიცოცხლე სხვა უკეთესი და სამარადისო საქმროს ახლოს დაესრულებინა. როკემ კეთილი განზრახვა მოუწონა და ყველგან გაყოლა შესთავაზა, სადაც კი მოისურვებდა, აგრეთვე აღუთქვა, რომ დაიცავდა და გამოესარჩლებოდა მამამისს დონ ვისენტეს ნათესავებისაგან და ყველა იმათგან, ვინც მის წყენასა და შეურაცხყოფას გაბედავდა. კლავდიამ გაცილებაზე გადაჭრით უარი უთხრა, როგორც მოეხერხებოდა, მადლობა გადაუხადა და ტირილით გამოეთხოვა მას. მსახურთ დონ ვისენტეს ცხედარი წაასვენეს, ხოლო როკე თავის ამხანაგებთან დაბრუნდა. ასე დასრულდა კლავდია ჰერონიმას სიყვარულის ამბავი. აქ საკვირველი რა არის, თუ მისი საუბედურო სიყვარულის ქსოვილი ეჭვიანობის დაუძლეველი და მკაცრი ძალებით აყო მოქსოვილი.

როკე გინარტმა თავისი საჭურველმტვირთველნი იქ ჰპოვა, სადაც წასვლა უბრძანა, და მათ შორის როსინანტზე მჯდარი დონ კიხოტიც. იგი მათ უქადაგებდა და ცდილობდა დაეყოლიებინა, რომ თავიანთ ხელობაზე უარი ვთქვათ, რომ ის ხელობა დიდად საშიში იყო, როგორც მათი სულისათვის, ის ხორცისთვისაც, მაგრამ, რადგან მათგან მეტი წილი ბასკები იყვნენ, უხეში და აღვირახსნილი ხალხი, დონ კიხოტის ქადაგება ძალიანაც არ მოეწონათ. როკე რომ მივიდა, სანჩო პანსას ჰკითხა: დაგიბრუნეს ის ძვირფასი თვლები და განძეულობა, ვირიდან რომ აგაცალესო? სანჩომ უპასუხა, დამიბრუნესო, მხოლოდ სამი თავსაფარი მაკლია, სამ ქალაქად ღირებულო.

- აბა, მაგას რასა რომავ, მეგობარო? - უთხრა ერთმა იქ დამსწრეთაგანმა, - ის თავსაფრები მე მაქვს და სამ რეალადც არა ღირს.

- მართალს ამბობ, - დაეთანხმა დონ კიხოტი. - მაგრამ ჩემმა საჭურველმტვირთველმა ისინი ასე ძვირად იმიტომ დააფასა, რომ პატივსაც სცემს იმ პიროვნებას, ვინც ისინი მაჩუქა.

როკე გინარტმა უბრძანა - თავსაფრები დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ სანჩოსათვის. თანაც განკარგულება გასცა გამწვრივებულ იყვნენ და მოეტანათ იქ ყველა ტანისამოსი, განძეულობა და ფული, ყველა ის, რაც უკანასკნელ გაყოფის შემდეგ ნამარცვი ჰქონდათ. შემდეგ საჩქაროდ შეფასება მოახდინა და, რის გაყოფაც არ შეიძლებოდა, ფულად აქცია და თავის რაზმელებს დაურიგა ისე სამართლიანად და გონივრულად, რომ ერთ ციციქნაზედაც არ გადაუცილებია სასტიკ განმანაწილებელ მართლმსაჯულებას. ეს რომ გათავდა და ყველა კმაყოფილი დარჩა, როკემ უთხრა დონ კიხოტს.

- მე რომ ასე სისწორით არ ვიქცეოდე, ამ ხალხთან ცხოვრება არ შემეძლებოდა.

ამაზე სანჩომ თქვა:

- იმის მიხედვით, რაც აქ ვნახე, სამართლიანობა ისეთი კარგი განძი ყოფილა, რომ იმით ხელმძღვანელობა ქურდებშიაც კი საჭიროა და გამოსადეგი.

ერთმა საჭურველმტვირთველთაგანმა ეს რომ გაიგონა, თოფი აიქნია და სანჩოს კონდახით უეჭველად თავს გაუჩხავდა, თუ როკე გინარტს არ დაეყვირა მისთვის - შეჩერებულიყო. სანჩო შეშინდა და გადაწყვიტა, ვიდრე ამ ხალხში იქნებოდა, კრინტი აღარ დაედრა.

ამ დროს ერთი იმ საჭურველმტვირთველთაგანი მოიჭრა, რომელნიც მგზავრების მეთვალთვალედ იყვნენ დაყენებულნი, რათა მათი მოახლოება მეთაურისთვის ემცნოთ.

- ბატონო ჩემო, - უთხრა მან, - ბარსელონისაკენ მიმავალ შარაზე ხალხის დიდი ჯგუფი მოედინება.

- კარგად დაათვალიერე თუ არა? - ჰკითხა როკემ, - ნამდვილად ისინი არიან, ვინც ჩვენ გვეძებენ, თუ ისინი, ვისაც ხვენ ვეძებთ?

- იმათთაგანი არიან, ვისაც ჩვენ ვეძებთ, - უპასუხა საჭურველმტვირთველმა.

- მაშ წადით, - დაიძახა როკემ, - და ყველანი ახლავ აქ მომიყვანეთ, ხელიდან არავინ გაგისხლტეთ.



როგორც უბრძანა, ისეც მოიქცნენ. დონ კიხოტი, სანჩო და როკე მარტონი დარჩნენ და ელოდნენ, საჭურველმტვირთველნი თუ ვის მოიყვანდნენ. მანამ მოვიდოდნენ, როკემ უთხრა დონ კიხოტს:

- ბატონ დონ კიხოტს, ალბათ, აოცებს და არაჩვეულებრივად უნდა მოეჩვენოს ჩვენი ცხოვრება, არაჩვეულებრივად და თანაც სახიფათოდ - მთელი ჩვენი საქმიანობა, ფათერაკები და შემთხვევებია; და ეს მე არც მიკვირს, რადგან ჭეშმარიტად მეც ვაღიარებ, რომ ამაზე მოუსვენარი და შფოთიანი ცხოვრება სხვა არა არის რა. ამ ცხოვრებას სწორი, ზომიერი გონების შერყევის ძალა აქვს, და არ ვიცი, იქამდის რა შურისძიების სურვილმა მიმიყვანა. ბუნებით მე შემბრალებელი და სიკეთის მოსურნე ვარ, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, შურისძიების სურვილმა ჩემდამი მიყენებული შეურაცხყოფის გამო ყველა ჩემი კეთილი მიდრეკილება ისე ჩააქრო, რომ, რასაც ვგრძნობ, იმის ჟინაზე ამ ასპარეზზე შეუპოვრად ვრჩები და ერთ უფსკრულს მეორისკენ მივყავარ, ერთი ცოდვა მეორისკენ მიმაქანებს. ჩემგან ჩადენილი შურისძიებანი ერთმანეთში ისე გადაიხლართნენ, რომ მე არათუ მარტო საკუთარი, არამედ სხვის მაგიერ შურისგებასაც ვკისრულობ. მაგრამ, ღვთის მადლით, თუმცა ჩემს თავს ჩემთა შეცდომათა ხლართშიც ვხედავ, მაინც იმედს არა ვკარგავ, ამ ყოფიდან უშიშარ ნავსაყუდელში გამოვიდე.

დონ კიხოტი გაკვირვებული იყო, რომ როკე ასე დალაგებითა და გონივრულად ლაპარაკობდა, რადგან ეგონა, რომ იმ ხალხში, ვისი ხელობაც ქურდობა, კაცისკვლა და შარაგზებზე ყაჩაღობაა, არავინ იქნებოდა, ასე გონივრულად რომ ემსჯელა. მან უპასუხა როკეს:

- პატიოსანო როკე! სენის განკურნების დასაბამი სენის გაგებაშია და იმაშიც, რომ ავადმყოფმა ქიმის მიცემული წამალი ხალისიანად მიიღოს, თქვენი მოწყალება ავად არის, რა ავადმყოფობაც გჭირთ - იცით. ზენაც, ანუ უკეთ ვთქვათ, ღმერთი, რომელიც ჩვენი მკურნალია, წამალს შეგირჩევთ და განგკურნავთ, მაგრამ წამლები, ჩვეულებრივ, ნელ-ნელა ჰკურნავენ და არა უცებ, რაიმე სასწაულით. ამასთან დავუმატებ, რომ გონიერი ცოდვილნი უფრო ადვილად მოიქცევიან და სწორდებიან, ვიდრე უგუნურნი. და, რადგან თქვენმა მოწყალებამ ლაპარაკის დროს სიბრძნე გამოამჟღავნა, ისღა დაგრჩენიათ, სულის სიფხიზლე დაიცვათ და თქვენი დაავადებული სინდისის განკურნების იმედი იქონიოთ. და თუ თქვენი მოწყალება მოისურვებს გზა შეამოკლოს და ცხონების გზისაკენ ადვილად შეუხვიოს, მე გამომყევით, მოგზაურ რაინდობას გასწავლით და ამ გზაზე სიარულით ბევრი შეწუხებისა და განსაცდელის მოთმინება მოგიხდებათ, იგი სულიერი განკანონების გადახდად ჩაგეთვლება და თვალის დახამხამებაზე სამოთხეში მიგიყვანთ.

როკემ დონ კიხოტის რჩევაზე ჩაიცინა, ლაპარაკი შესცვალა და კლავდია ჰერონიმას უბედური შემთხვევა უამბო, რამაც სანჩო მეტად შეაწუხა, რადგან ყმაწვილი ქალის სილამაზე, გამბედაობა და თავგამოდება მეტად მოეწონა. ამ დროს დაბრუნდნენ ნადავლის მოსატანად წასული ყაჩაღები და თან მოიყვანეს ორი ცხენოსანი კაბალერო, ორი ქვეითი მომლოცავი მგზავრი და ერთი კარეტა, რომელშიც რამდენიმე დედაკაცი იჯდა, მათ გარდა ორი მეჯორეც იყო, იმ კაბალეროების მსახურნი. საჭურველმტვირთველნი მათ გარს შემოეხვივნენ და როგორც დამარცხებულნი, ისე გამარჯვებულნი მდუმარედნენ იმის მოლოდინში, თუ რას ეტყოდა მათ დიდი როკე გინარტი. მან ჰკითხა კაბალეროებს ვინაობა, სად მიმავლობა და რამდენი ფული ჰქონდათ თან. ერთმა-მათგანმა უპასუხა:

- ბატონო, ჩვენ ორნივე ესპანეთის ქვეითი ჯარის კაპიტნები ვართ. ჩვენი რაზმები ნეაპოლში არიან, ჩვენ ახლა ბარსელონას მივდივართ, როგორც გაგვიგონია, იქ ოთხი ხომალდი დგას და ნაბრძანები აქვთ - სიცილიაში წავიდნენ. ჩვენც იმ ხომალდებით ვაპირებთ წასვლას. თან ორასი თუ სამასი თქრო გვაქვს, მდიდრებად მოგვაქვს თავი და სიხარულით მივდივართ, რადგან ჯარისკაცის სიღარიბე უფრო მეტი ქონების წაღების ნებას არ გვაძლევს.

როკემ ორ მომლოცავსაც ისა ჰკითხა, რაც კაბალეროებს, და მათ უპასუხეს, ხომალდში ვსხდებოდით და რომს მივემგზავრებოდითო. ორივეს თან სამოციოდე რეალი მოეპოვებოდათ. როკემ მოისურვა გაეგო - ვინ იყო კარეტაში, სად მიდიოდა და თან რამდენი ფული მიჰქონდა. ერთმა ცხენოსანმა მხლებელმა უთხრა:

- კარეტაში ჩემი ქალბატონია, დონია გიომარ დე კინიონესია, ნეაპოლის სამსჯავროს თავმჯდომარის ცოლი, პატარა ქალით, მოახლით და გამდლით. მას ექვსი მსახური ვახლავართ. თან ექვსასი ოქრო გვაქვს.

- ისე, რომ, - თქვა როკემ, - ჩვენ აქ ცხრაასი ოქრო და სამოცი რეალი გვაქვს, ხოლო ჯარისკაცი, მგონია, სამოცამდის უნდა მყავდეს. აბა რადგან მე უხეირო მოანგარიშე ვარ, თქვენ დათვალეთ - თითოზე რამდენი მოვა.

ეს რომ ავაზაკებმა გაიგონეს, ხმამაღლა შეჰყვირეს:

- დღეგრძელ იყოს როკე გინარტი! მრავალჟამიერ მისი სიცოცხლე მისი დაღუპვის მოსურნე არამზადათა ჟინაზე!

კაპიტნები დანაღვლიანდნენ, ქალბატონი სამსჯავროს თავმჯდომარის ცოლი შეწუხდა და არცთუ სხვა მგზავრებს გახარებიათ, რადგან მათი ქონების წართმევას ლამობდნენ. როკემ რამდენიმე წამს გაუგებრობაში დასტოვა იგინი, მაგრამ, მათი მწუხარება რომ არ განეგრძო, რის შემჩნევაც თოფის გასროლის მანძილზეც შეიძლებოდა, - კაპიტნებს მიუბრუნდა და უთხრა:

- თქვენო მოწყალეზავ, ბატონო კაპიტნებო, წყალობა მოიღეთ და სამოცი ოქრო მასესხეთ, ხოლო ქალბატონმა თავმჯდომარის მეუღლემ ოთხმოცი ოქრო გაიღოს, რომ ეს ჩემი მხლებელი რაზმი დავაკმაყოფილო, რადგან მღვდელი იმით ცხოვრობს, რომ წირვაზე გალობს. მას უკან შეგიძლიათ თქვენი გზა თავისუფლად და დაუბრკოლებლად განაგრძოთ და, რომ არავინ შეგაწუხოს, დამფარველ სიგელს მოგცემთ, რათა, ვინცობაა ამ მიდამოში დაყენებული ჩემი რაზმიდან სხვა ვინმე შეგხვდეთ, არავითარი ვნება არ მოგაყენოს, მე არ მინდა ჯარისკაცებსა და მანდილოსნებს ვაწყენინო, მეტადრე თუ წარჩინებულთა გვარისანი არიან.

კაპიტნებმა როკეს სამადლობლად მჭევრმეტყველური სიტყვების მთელი ნაკადული ადინეს, შეაქეს მისი ზრდილობა, სულგრძელობა და სიუხვე, რაკი მათ საკუთარი ფული დაუტოვა. ქალბატონი დონა გიომარ დე კინიონესი მზად იყო კარეტიდან გამოვარდნილიყო და სახელოვანი როკეს ხელები და ფეხები დაეკოცნა, მაგრამ როკემ დაუშალა, პირიქით, ბოდიში მოიხადა, რომ თავის უპატიოსნო ხელობის მტკიცე ვალდებულების გამო აწყენინა. ქალბატონმა სამსჯავროს თავმჯდომარის მეუღლემ ერთ თავის მსახურს უბრძანა - მსწრაფლ ოთხმოცი ოქრო მიეცა, ხოლო კაპიტნებმა ხვედრი სამოცი წინადვე მისცეს. ქვეითმა მლოცველმა მგზავრებმა თავიანთი საბრალო გროშების სულ ერთიანად მიცემა დააპირეს, მაგრამ როკემ უთხრა მათ - არ შეწუხებულ იყვნენ. შემდეგ თავის ხალხს მიუბრუნდა და უთხრა:

- ამ ოქროებიდან თითო თქვენგანზე ორ-ორი ოქრო მოდის და ოცი კიდე მეტი რჩება. მათგან ათი ამ მლოცავ მგზავრებს მიეცით, ხოლო დანარჩენი ათი რაინდის კეთილ საქურველმტვირთველს, რათა ამ შემთხვევაზე კარგი რამ ილაპარაკოს.

სამწერლო მასალა მიაერთვეს, მუდამ რომ თან ატარებდა, დამფარავი სიგელი დასწერა და მგზავრების გამცილებელ რაზმის უფროსს მისცა და ტყვეები გაისტუმრა. თვითონ თავის რაზმთან დარჩა. მისი მშვენიერი გარეგნობით, კეთილშობილური მოქცევით და უცნაური ცხოვრებით გაოცებულმა მგზავრებმა ალექსანდრე დიდის მსგავსად უფრო ჩათვალეს იგი, ვიდრე შარაგზის სახელგანთქმულ მძარცველად. ერთმა საქურველმტვირთველთაგანმა თავისი ბასკურ-კატალონური კილოკავით ჩაილაპარაკა:

- ეს ჩვენი კაპიტანი ბერს უფრო ჰგავს, ვიდრე ყაჩაღს. თუ ამიერიდან კვლავაც ასეთი სიუხვის გამოჩენას მოისურვებს, თავისი ქონებიდან გაიღოს იგი და არა ჩვენი მონაგარიდან.

იმ უბედურმა ეს სიტყვები ისეთი დაბალი ხმით არა თქვა, რომ როკს არ გაეგონა. მან ხმალი იძრო, თავხედს თითქმის შუაზე გაუპო თავი და დაუმატა:

- აი, ასე ვსჯი კადნიერს, ყბედსა და თავხედს!

ყველას თავზარი დაეცა, სიტყვის თქმა კი ვერავინ გახედა, იქამდის იყვნენ მის მორჩილებას ჩვეულნი.

როკე განზე გავიდა და ერთ თავის მეგობარს ბარსელონაში წერილი მისწერა, ატყობინებდა, რომ სწორედ ახლა მასთან იმყოფებოდა სახელოვანი დონ კიხოტი ლამანჩელი, ის მოგზაური რაინდი, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობდნენ; ატყობინებდა, იგი შემაქცევარი და მასთან გონიერი კაციაო; ქვეყანაზე სხვა ასეთი არ მოიპოვებო, და ოთხი დღის უკან, - სახელდობრ წმინდა იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულზე - იგი მიიყვანდა დონ კიხოტს ქალაქის სანაპიროზე, მთლად შეიარაღებულს, თავის ცხენზე - როსინანტზე მჯდარს და აგრეთვე მის საქურველმტვირთველს სანჩო პანსას, ვირზე ამხედრებულს. არ დაგავიწყდესო, - სწერდა იგი, - ეს ამბავი ჩვენს მეგობარ ნიაროსებს შეატყობინო, რომ შეიძლონ რაინდის ნახვით თავი შეიქციონო. მაგრამ ჩემთვის სასურველია, ამ სიამოვნებას მოკლებულნი ყოფილიყვნენ ჩვენი მტრები კადელეები, თუმცა ეს შეუძლებელიც არის, რადგან დონ კიხოტის გონიერება და უგუნურება და მისი საქურველმტვირთველის სანჩო პანსას გონებამახვილობა მთელ ქვეყანას თავს შეაქცევინებს და გაართობსო.

როკემ ეს წერილი ერთ თავის საქურველმტვირთველს გაატანა, მან ყაჩაღის ტანისამოსი გლეხის ტანისამოსით შეიცვალა, ბარსელონაში შევიდა და წერილი კუთვნილებისამებრ ჩააბარა.

თავი LXI

რა შეემთხვა დონ კიხოტს ბარსელონაში შესვლისას და სხვა უფრო ჭემმარიტი, ვიდრე გონივრული ამბები

დონ კიხოტმა როკესთან სამ დღესა და სამ ღამეს დაჰყო და, მასთან სამასი წელიწადიც რომ დარჩენილიყო, მაშინაც არ მოაკლდებოდა, თუ რისთვის ეცქირა და მათი ცხოვრების ნირში რა

გაჰკვირვებოდა. დილას აქ იღვიძებდნენ, სულ სხვა ადგილას სადილობდნენ, ხან გარბოდნენ, არ იცოდნენ კი ვის გაურბოდნენ; სხვა დროს ელოდებოდნენ, არც ის იცოდნენ, თუ ვის ელოდებოდნენ. დგომელა ეძინათ და ხშირად იღვიძებდნენ, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე გადასულიყვნენ. მათი საქმიანობა მარტო ის იყო, რომ აქა-იქ მსტოვრებს აყენებდნენ და ყური მათკენ ეჭირათ, თავიანთი თოფების ფალიებს და პატრუქებს განუწყვეტილად უბერავდნენ, რომ ცეცხლი არ გამქრალიყო, თუმცა ასეთი თოფები ცოტა ჰქონდათ, რადგან ყველა ტალიანი დამბაჩებით იყო შეიარაღებული. როკე ღამეს სხვაგან ათევდა, თავისიანების მოშორებით, სხვა იმათთვის უცოდინარ ადგილებსა და თავშესაფრებში, რადგან მუდამ ეშინოდა ბარსელონის მთავარმართებლის მრავლად გამოცემული ბრძანებებისა, რომლებშიც როკის შეპყრობისთვის ჯილდო იყო გამოცხადებული, არავის არ ენდობოდა, შიშობდა, რომ მისსავე ხალხს შეეძლო ან მოეკლა, ან მართლმსაჯულებისათვის გადაეცა იგი, - ასეთი უბადრუკი და აუტანელი ცხოვრება ჰქონდა.

დასასრულ, უგზო-უკვლო, სოფელ-სოფელ, მივარდნილი საიდუმლო ბილიკებით, როკე, დონ კიხოტი, სანჩო და მათთან ექვსი საჭურველმტვირთველი ბარსელონას მიადგნენ და იქ, იოანე ნათლისმცემლების წინა ღამეს ზღვის სანაპიროზე გავიდნენ; როკე დონ კიხოტსა და სანჩოს გადაეხვია (სანჩოს დაპირებული ათი ოქრო ახლა მისცა). გამოეთხოვა მათ და თან ორივე მხარემ ათასი სამსახურის გაწევა აღუთქვა ერთმანეთს.

როკე წავიდა, ხოლო დონ კიხოტი, როგორც იყო, ესე-იგი ცხენზე მჯდარი, დარჩა გათენების მოლოდინში; და მართლაც დიდი ხანი არ გასულა, რომ აღმოსავლეთის აივნებზე გამოჩნდა ავრორას ნათელი სახე, გაახარა ადამიანთა სმენა თუ არა, ყოველ შემთხვევაში აბიზინებელი მდელი და ნაზი ყვავილები მაინც, თუმცა იმავე წამს სმენის გამხარებელი იყო მრავალი საყვირი, დაფი, ბობლანი და დაირები ცხენოსანი ჯარისა, რომელიც, ეტყობოდა, ქალაქიდან მოდიოდა. თან ისმოდა შემახილები: "ჰეი, ჩამოდექით! გზა მოგვეცი, გზა!" ცისკარმა ადგილი მზეს დაუთმო, მისი სახე მომცრო რგვალ ფარზე ფართო იყო და ტატნობის კიდიდან წყნარად მოიზღაზნებოდა.

დონ კიხოტმა და სანჩომ გარშემო ცქერა დაიწყეს და ყველაზე უწინ ზღვა დაინახეს, რომელიც ჯერ არ ენახათ. იგი მეტად დიდი ეჩვენათ, ლამანჩში ნახულ რუიდეის ტბებზე უზომოდ დიდი. სანაპიროსთან მდგარი ხომალდებიც შენიშნეს. მათ იალქნები დაეშვათ და მრავალი დროშითა და აღმით მოერთოთ; ეს დროები ქარზე ფრიალებდნენ, ზევით ჰქროდნენ, ტალღებისკენ ეშვებოდნენ, მათ ეამბორებოდნენ; ხოლო შიგ ხომალდებში საყვირები და დაფდაფები გრიალებდნენ. ახლოსა და შორ სივრცეს საამური და საომარი ხმებით ავსებდნენ. შემდეგ ხომალდებმა დამშვიდებული ზღვის უბეში ბრძოლის მსგავსი ერთმანეთის შეხეთქება დაიწვეს და მათთან ერთად ქალაქიდან გამოსულმა საუცხოო ცხენებით და მშვენიერ ტანისამოსში მოკაზმულმა კაბალეროებმა ტურნირისებური ვარჯიშობა გამართეს; ხომალდთა ჯარისკაცებმა თოფების სროლა ასტეხეს, ქალაქის კედლებზე და ფორტებზე გამწკრივებული ჯარისკაცები ისეთივე სროლით უპასუხებდნენ; ხოლო მძიმე ზარბაზნები თავისი ყუმბარების საშინელი გრიალით აპობდნენ ჰაერს და მათ ხომალდებიდან ქვემეხებით უპასუხებდნენ. მხიარული ზღვა, მოხარული დედამიწა, დროდადრო სროლის ბოლით მიბინდული გამჭვირვალე ჰაერი - ყველაფერი ეს უეცარი სიხარულით, მძაფრი აღტაცებითა და შვებით ავსებდა ადამიანთა გულებს. სანჩო ვერ წარმოიდგენდა, თუ ამ უზარმაზარ ზღვაში მოძრავ ამსიდიდე ზვირებს იმდენი ფეხი ექნებოდათ.

ამ დროს ყვირილით, ყიჟინით და ხმამაღალი მისალმების შეძახილებით მშვენივრად გამოწყობილმა მხედრებმა იმ ადგილას ჩააჭენეს ცხენები, სადაც გაცბუნებული და გაოცებული დონ კიხოტი მილურსმულივით იდგა, და ერთმა მათგანმა, - იმან, რომელსაც როკემ წერილი მისწერა, - ხმამაღლა უთხრა დონ კიხოტს:

- კეთილი იყოს ჩვენს ქალაქში თქვენი მობრძანება, სრულიად მოგზაური რაინდობის სარკვე, შუქურავ, ზღვაში გზის მაჩვენებლო ვარსკვლავო და მზისდარო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება-მეთქი, ვამბობ მე, ღვაწლმოსილო დონ კიხოტო ლამანჩელო! არა ყალბო, თვალთმაქცურო, ამ ცოტა ხნის წინათ ზოგიერთ ცრუ ისტორიაში გამოხატულო, არამედ ჭეშმარიტო, კანონიერო, ნამდვილო, რომელიც ისტორიკოსთა რჩეულმა ყვავილმა და თვალისჩინმა სიდ ჰამეტ ბენენჰელიმ აგვიწერა!

დონ კიხოტმა ერთი სიტყვაც არ უპასუხა, კაბალეროებმა მაინც მის პასუხს არ დაუცადეს, ცხენებით ნავარდი იწყეს და ასე დონ კიხოტს გარშემო წრედ შემოერთყენენ. მაშინ დონ კიხოტი სანჩო მიუბრუნდა და უთხრა:

- აშკარაა, რომ ბატონებმა გვიცნეს; სანამდღოს დავდებ, რომ ჩვენი ნამდვილი ამბავი წაკითხული აქვთ, აგრეთვე ამას წინათ დაბეჭდილი არაგონელის ისტორიაცა.

დონ კიხოტს რომ წინათ ცხენოსანი ელაპარაკებოდა, კვალად მან მიმართა და უთხრა:

- თქვენო მოწყალეზავ, ბატონო დონ კიხოტო, ჩვენთან წამობრძანდით. ჩვენ ყველანი როკე გინარტის დიდი მეგობრები ვართ და თქვენ სამსახურადაც განმზადებულნი გახლავართ.

ამაზე დონ კიხოტმა უპასუხა:

- თუ ზრდილობა ზრდილობასა შობს, თქვენი ზრდილობა, ბატონო კაბალეროებო, უნდა იყოს ასული ანუ ახლო ნათესავი დიდებული როკეს ზრდილობისა. სადაც გსურთ წამიყვანეთ, რადგან მე თქვენი ნების გარდა სხვა ნება არა მაქვს, მით უფრო, თუ თქვენ ინებებთ და თქვენს უმორჩილეს მოსამსახურედ გამხდით.

ამაზე კაბალეროებმა არანაკლები ზრდილობით და თავაზიანობით უპასუხეს, გარს შემოეხვივნენ და საკრავებისა და დაფდაფების დაკვრით ქალაქს გაემართნენ. ქალაქში შესვლისას ბოროტი სულის შთაგონებით, ხოლო პატარა ბიჭები ხომ ბოროტ სულზე ბოროტები არიან, - ორი მათგანი, ავი და კადნიერი, ხალხში გაძვრა, ერთმა ვირს აუწია კუდი, მეორემ როსინანტს, კუდებქვეშ გარეული კვრინჩხის კონები შეუწყო და დაამაგრა. საბრალო ცხოველებმა ეს უცნაური დეზები რომ იგრძნეს, კუდები ამოიძუეს, მით წამება გაიორკეცეს და ტლინკვა იწყეს, ისე, რომ თავისი მხედრები პარტყა-პურტყით ძირს წამოჰყარეს. აღშფოთებულმა და ნაწყენმა დონ კიხოტმა თავისი ჯაგლაგის კუდს საჩქაროდ მოხსნა მორთულობა, ხოლო სანჩოც თავის ვირს ასევე მოექცა. კაბალეროებს თავხედი ბიჭების დასჯა უნდოდათ, მაგრამ შეუძლებელი იყო, რადგან ისინი მათ უკან ათასობით ადევნებულ ბავშვთა გროვაში გაქრნენ.

დონ კიხოტი და სანჩო ისევ თავიანთ პირუტყვებზე შესხდნენ და იმავე თანაგრძნობის გამომხატველი სიხარულით და მუსიკით თავიანთ დამპატიყბელის სახლში მივიდნენ. ის სახლი დიდი და მშვენიერი იყო, ისეთი, როგორც მდიდარ კაბალეროს სახლს შეჰფერის. ჯერხანად ყველანი აქ დავტოვოთ, რადგან სიდ ჰამეტს ასე ნებავს.

თავი LXII

სადაც მოთხრობილია ფათერაკი ჯადოქრულ თავთან და სხვა სისულელე, რაც შეუძლებელია არ იქნეს ნაამბობი

დონ კიხოტის მასპინძელი, სახელად დონ ანტონიო მორენო, მდიდარი და გონიერი კაბალერო იყო. მას რიგიანი და მახვილგონივრული გართობა და მხიარულება უყვარდა. სახლში დაიგულა თუ არა დონ კიხოტი, ფიქრში შევიდა, თუ როგორ გამოეწვია რაინდი სისულელეებზე სალაპარაკოდ, ისე კი, რომ ამით ზიანი არავის მისცემოდა; იგი იმ აზრისა იყო, საზოგადოდ სხვისი გაპამპულებით დროს გატარება არ ვარგაო. ყველაზე უწინ განკარგულება მოახდინა, დონ კიოტისათვის აბჯარი მოეხსნათ, და მას უკან იგი, აქლემის ბწვის ვიწრო კამზოლში გამოწყობილი (რაც ბევრჯერ აგვიწერია და გამოგვიხატავს), ქალაქის დიდი ქუჩის მხარის აივანზე გამოიყვანა, მთელი ხალხისა და ბიჭების თვალწინ რომელთაც მას ცქერა დაუწყეს, როგორც იშვიათ მაიმუნს.

რაინდის წინ ხელახლად გაჩნდნენ მშვენიერ ტანისამოსში გამოწყობილი ცხენოსნები, თითქოს ეს ტანისამოსი მარტო რაინდის პატივსაცემად ჩაეცვათ და არა ამ დღესასწაული დღეს სამხიარულოდ, - და დაიწყეს ნავარდი. სანჩოს ეს მეტად უხაროდა, ისე ეჩვენებოდა, თითქოს მან მოულოდნელად და უცნაურად ქამაჩოს სხვა ქორწილი ჰპოვა, დონ დიელო დე მირანდას სახლის მსგავსი სხვა სახლი და ჰერცოგის ციხე-დარბაზის მაგიერი. იმ დღეს დონ ანტონიოსთან რამდენიმე მისი მეგობარი სადილობდა, დონ კიხოტს ყველა პატივისცემით და ისე ეპყრობოდა, როგორც მოგზაურ რაინდს შეეფერებოდა. ამიტომ სიამაყით და ცრუ დიდებით აღსავსე რაინდი სიამოვნებისაგან გონს ვერ მოდიოდა. რაც შეეფერება სანჩოს, მისი მოსწრებული სიტყვები ისე საუცხოო იყო, რომ სახლის ყველა მოსამსახურე და ყველა, ვინც კი მას უსმენდა, თითქოს მის ტუჩებთან მიიჯაჭვნენო. როცა მთელი საზოგადოება სუფრას მიუჯდა, დონ ანტონიომ უთხრა სანჩოს:

- ჩვენ აქ ისეთი ცნობა გვაქვს, ვითომც თქვენ, ჩემო საყვარელო და კეთილო სანჩო, ისე გყვარებით ჩახოხბილი ვაროები და მოხარული გუფთები, რომ შესაქმელად რასაც ვერ მოერევით, მეორე დღისათვის უბეში შეინახავთ ხოლმე.

- არა, ბატონო, ეგ ტყუილია, - მიუგო სანჩომ, - რადგან მე უფრო ფაქიზი ვარ ვიდრე ღორმუცელა, და აქ დამსწრე ბატონმა დონ კიხოტმაც კარგად ოცის, ერთი მუჭა რკოთი ან კაკლით ორნი ერთი კვირის განმავლობაში იოლად რომ წავსულვართ. მართალია, როდესაც კი მოგვიხდებოდა ხოლმე და როცა ხბოს გვთავაზობენ, მე თოკით გავრბოდი, ამით ის მინდა ვთქვა, რასაც მომცემენ იმას ვჭამ და დროს და გარემოებას ისე ვხმარობ და ვეგუები, როგორც არის; და თუ ვინმე იტყვის, რომ მე საშინელი ღორმუცელა ვარ და უსუფთაო, გაიგონოს ჩემგან, რომ იგი შემცდარია, მე ამას, რასაკვირვლია, სხვანაირად ვიტყვოდი, პატივს რომ არა ვცემდე ამ სუფრაზე მყოფ საზოგადოებას.

- ეჭვს გარეშეა, - თქვა დონ კიხოტმა, - რომ სანჩოს ზომიერება ჭამაში და მისი სისუფთავე ღირსნი არიან აღწერისა და ბრინჯაოს ფიქალზე აღბეჭვდისა, რათა მათი ხსენება მომავალ საუკუნეებს გადაეცეს. მართალია, როდესაც მშიერია, თითქოს ოდნავ ღორმუცელას ჰგავს, რადგან მარდად ჭამს და ორივე ყბით იღეჭება, მაგრამ სისუფთავეს მუდამ ბეჯითად იცავს და

როდესაც გუბერნატორად იყო, ისეთი ფაქტიზი ჭამა ისწავლა, რომ ყურძენს და ბროწეულის მარცვალს ჩანგლით მიირთმევდა.

- როგორ, შესძახა დონ ანტონიომ, - სანჩო გუბერნატორად იყო?

- დიახ, - მიუგო სანჩომ, - კუნძულის გუბერნატორად ვიყავ, ბარატარია რომ ჰქვია. ათი დღე ვგუბერნატორობდი საუკეთესოდ, იმ ხანში სიმშვიდე დამეკარგა და ის ვისწავლე, რომ ახლა მთელი ქვეყნის გუბერნატორობას ზიზღითა და სიძულვილით ვეკიდები. იქიდან გამოვიქეცი, ჯურღმულში ჩავვარდი, თუ იქ არ დავიღუპე და ცოცხალი ამოვხობდი, ეს მხოლოდ რაღაც სასწაულით მოხდა.

დონ კიხოტმა სანჩოს გუბერნატორობის ისტორია დაწვრილებით უამბო, რითაც მსმენელნი დიდად ასიამოვნა.

მაგიდიდან რომ სუფრა აიღეს, დონ ანტონიომ დონ კიხოტს ხელი ჩაავლო და ცალკე ოთახში შეიყვანა, სადაც არავითარი მორთულობა და ავეჯი არ იყო, მხოლოდ ერთი იასპის ქვის მაგიდა დგა იმავე ქვის ფეხებიანი, ხოლო მაგიდაზე წელამდის გამოქანდაკებული თავი იდო. დონ ანტონიომ დონ კიხოტთან ერთად მთელი ოთახი რამდენჯერმე გაიარა, მაგიდას შემოუარა და შემდეგ უთხრა:

- ახლა, ბატონო დონ კიხოტო, რაკი დავრწმუნდი, რომ ჩვენ არავინ გვხედავს და არც არავინ მოგვისმენს, კარებიც დაკეტილია, მინდა ერთი დიდად საკვირველი შემთხვევა, ანუ ნამდვილად რომ ვთქვა, ახალი ამბავი გითხრათ, როგორიც შეიძლება მხოლოდ წარმოიდგინოს ადამიანმა, - იმ პირობით კი, რომ, რასაც თქვენს მოწყალებას ვეტყვი, უდიდეს საიდუმლოებასავით უნდა დაიცვათ.

- მაგას გეფიცებით, - მიუგო დონ კიხოტმა, - და მასთანაც უმეტესი უშიშროებისათვის ჩემს ფიცს ქვის ფიქალს ზედ დავხურავ, რადგან მსურს, თქვენო მოწყალებავ დონ ანტონიო (რაინდმა უკვე მოასწრო მასპინძლის სახელის გაგება), იცოდეთ, რომ თქვენ ელაპარაკებით კაცს, რომელსაც თუმცა ყურები აქვს მოსასმენად, მაგრამ ენა კი არა აქვს სალაქლაქოდ, მამ თქვენს მოწყალებას შეუძლია მთელი თავისი გულის ნადები ჩემს გულში დამშვილებით გადმონერგოს და სავსებით დარწმუნებული იყოს, რომ დუმილის უფსკრულში ჩამალა იგი.

- დავენდობი რა თქვენს აღთქმას, - მიუგო დონ ანტონიომ, - განცვიფრებას მოგვგრი თქვენს მოწყალებას იმით, რასაც ნახავთ და გაიგონებთ. ამით რამდენიმედ შევიმსუბუქებ იმ ტვირთს, რაც მაწევს, იმის გამო, რომ ისეთი არავინა მყავს - ჩემი საიდუმლო გადამეცა; ის საიდუმლო კი იმგვარი არ არის, რომ შესაძლო ყოფილიყო ყველასათვის გამენდო იგი.

დონ კიხოტი ვერ მიმხვდარიყო და მოუთმენლად ელოდა, რით დაბოლოვდებოდა ეს გაფრთხილება. დონ ანტონიომ ხელი გამოართვა, იგი ბრინჯაოს თავს, მთელ მაგიდას, მის ფეხებს მოუსვა და შემდეგ თქვა:

- ეს თავი, ბატონო დონ კიხოტო, - გაკეთებული და გამოგონილი იყო მთელი ქვეყნის ერთი უდიდესი ჯადოქარ-გრძნეულისაგან, - მე ვფიქრობ, იგი ტომით პოლონელი იყო და სახელოვანი ესკოტილიოს მოწაფე, რომელზედაც მრავალ სასწაულს მოგვითხრობენ. ის პოლონელი აქ ჩემს სახლში ცხოვრობდა და ეს თავი ათას ოქროდ გამიკეთა. იგი ისეთი უნარისა და ნიჭის მქონეა, რომ ყველა კითხვაზე, რასაც ყურში ჩასმახებენ, პასუხს იძლევა. იმ ჯადოქარმა

ფიგურები დახატა, ნიშნები დახაზა, ვარსკვლავთ კრებული შეისწავლა, წერტილები აღნიშნა და ბოლოს ეს თავი სრულყოფილი გახადა, როგორც ამას ხვალ ნახავთ, რადგან პარასკევით იგი მდუმარებს, და დღეს კი პარასკევია; ამიტომ ხვალამდის უნდა მოვიცადოთ. ამ ხანში, თქვენო მოწყალეზავ, შეგიძლიათ გადაწყვიტოთ, რას ჰკითხავთ ამ თავს; გამოცდილებით ვიცი, რასაც კი უპასუხებს - მართალს ამხობს.

დონ კიხოტი ამ ქანდაკის უნარმა და ნიჭმა გააოცა, მაგრამ დონ ანტონიოს სიტყვები ძალიანაც არა სჯეროდა. მაინც რაკი გამოცდამდის ცოტა ხანი რჩებოდა, არაფრის თქმა არ მოინდომა, მხოლოდ დონ ანტონიოს მადლობა უთხრა, რომ მას დიდი საიდუმლო გაანდო. ოთახიდან გავიდნენ, კარები დონ ანტონიომ გასაღებით დაკეტა და დარბაზში შევიდნენ, სადაც დანარჩენი სტუმრები იმყოფებოდნენ. იმ ხანში სანჩომ მათ ბევრი ფათერაკი და შემთხვევა უამბო, რაც კი მის ბატონს თავს გადახდომოდა.

იმავე საღამოს დონ კიხოტი სასეირნოდ წაიყვანეს აბჯარაუსხმელ საშინაო ტანისამოსში და აგურისფერ მაუდის ბალანდანგადაცმული, რომელშიც წელიწადის იმ დროს თვით ყინულსაც კი ოფლს დაასხამდა. მოსამსახურეებს ნაბრძანები ჰქონდათ სანჩო ისე გაერთოთ, რომ სახლიდან არ გამოსულიყო. დონ კიხოტი როსინანტზე კი არ იჯდა, არამედ ერთი ახმახი, წყნარი ნაბიჯით მოსიარულე და ძვირფასად დაკაზმული ჯორით მირონინებდა. რაინდს მოსასხამი მოახურეს, მის შეუმჩნევლად ზურგზე ეტრატო მიაკრეს და ზედ მსხვილი ასოებით წააწერეს: "ესე არს დონ კიხოტი ლამანელი". პირველი ნაბიჯის გადადგმაზევე წარწერამ ყველა გამვლელის თვალი მიიზიდა და ისინი წარწერას კითხულობდნენ: "ესე არს დონ კიხოტი ლამანჩელიო". რაინდს უკვირდა, ამდენი მაცქერალი ხალხი კარგი ნაცნობებივით მის სახელს რომ ახსენებდა; გვერდით მყოფ დონ ანტონიოს მიუბრუნდა და უთხრა:

- უდიდესი უპირატესობის შემცველია მოგზაური რაინდობა, ვინაიდან იგი საქვეყნო დიდებასა და სახელს ანიჭებს ყველას, ვინც მას აღიარებს. აბა, მაშ რით უნდა აიხსნას, სენიო დონ ანტონიო, რომ ამ ქალაქის მთელი მოსახლეობა, თვით პატარა ბიჭებიც კი მიცნობენ, თუმცა წინათ არასოდეს არ ვუნახივართ.

- სწორედ აგრეა, ბატონო დონ კიხოტო, - მიუგო დონ ანტონიომ, - როგორც ცეცხლის ალის დამალვა არ შეიძლება, ისე ადამიანის კეთილმოქმედებას არ შეუძლია უჩინრად დარჩეს, ხოლო სამხედრო საქმეში გამოჩენილი გმირული საქმე და ღვაწლი კაშკაშითა და ბრწყინვალეობით ყოველივეს აღემატება და ჩრდილავს.

და აი, ის მოხდა, რომ იმ დროს, როცა დონ კიხოტი საზეიმო და ჩვენს მიერ უკვე აღწერილი სახით ქუჩებში დარონინებდა, ერთმა ვიღაც კასტილიელმა მის ზურგზე წარწერა წაიკითხა თუ არა, ხმამაღლა შესძახა:

- ეშმაკებსაც წაუღიხარ დონ კიხოტო ლამანჩელიო! როგორ, აქამდისაც მოატანე და არ ჩამაღლდი უთვალავი ჯოხების ცემით, შენს ზურგზე ბაგაბუგი რომ გაჰქონდა? შენ ხომ ნახევრად შეშლილი ხარ! და მასე შეშლილი და გიჟი ჩუმად რომ იჯდე შენს კუთხეში გამოკეტილი, იმდენად ცუდი არ იქნებოდა; შენი ღირსებაა მასხარებად, სულელებად და უგუნურებად აქციო ყველა, ვინც შენ გეცნაურება და შენთან ახლოს დადის. ვისაც ეს არა სჯერა, აბა შეხედოს აქ ბატონებს, თან რომ გახლავან! გასწი შენს სახლში, ჰკუა გამოცლილო, შენს ოჯახს, შენს ცოლ-შვილს მიხედე, თავი ანებე მაგ სისულელებს, ტვინი რომ გამოგჭამა და ჰკუა გაგიხმო.



- ძმობილო, - უთხრა დონ ანტონიომ, - თქვენი გზით წადით და, ვინც არა გთხოვთ, რჩევას ნუ აძლევთ. ბატონი დონ კიხოტი ლამანჩელი სრულ ჭკუაზეა და ჩვენ, მასთან ერთად რომ მივდივართ, უჭკუონი როდი ვართ. მაღალ ღირსებასა და კეთილმოქმედებას ყოველთვის პატივი უნდა ვცეთ, სადაც უნდა შეგვხვდეს იგი. წადით თქვენთვის თქვენს სახიფათო წამს, აქედან დაიკარგეთ, ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ და იქ ნუ ეჩხირებით, სადაც არას გეკითხებიან.

- მიწამ მიყოს პირი, თუ მართალი არ იყოთ, თქვენო მოწყალეზავ, - უთხრა კასტილიელმა, - რადგან ამ ვაჟბატონისთვის რჩევის მიცემა იმას უდრის - შიშველი მუშტი მახვილს დაარტყა. მაინც დიდად მწყინს და სიბრაულეს ვგრძნობ, რომ საღი ჭკუა და ნათელი გონება, რომელსაც ის ჩვეულებრივ დანარჩენ ყველაფერში ამჟღავნებს, მოგზაური რაინდობის ტლაპოშია ჩაფლული. მაშ, დაე, ის მარცხი, რაც თქვენმა მოწყალეზავმა ისურვა ჩემთვის, დაგვატყდეს მე და ჩემს მთელს შთამომავლობას და მართლაც ჯანდაბამდის გზა გვქონდეს, თუ კვლავ (თუნდა მათუსალაზედაც დიდხანს ვიცოცხლო) ამ ბატონს რჩევა მივცე რამე, თუნდ ძალიანაც მთხოვდეს.

მრჩეველი წავიდა, სეირნობა გაგრძელდა და, რადგან მრავალი ბავშვი და ხალხი შეგროვდა და წარწერას კითხულობდნენ, დონ ანტონიომ ისე მოხერხებულად მოხსნა იგი, თითქოს სხვა რამეს ხსნიდა.

დაღამდა, ყველანი შინ დაბრუნდნენ და ბალი გაიმართა ქალებით, რადგან დონ ანტონიოს ცოლმა, დიდად წარჩინებულმა, მხიარულმა, ლამაზმა და ჭკვიანმა ქალმა თავისი რამდენიმე მეგობარი მოიწვია, რათა პატივი ეცათ სტუმრისათვის და იმის უმაგალითო ჭკუადამთხვეულობითა და უცნაურობით გართულიყვნენ. ბევრნი მოვიდნენ. ვახშამი მშვენიერი იყო და ბალი ღამის ათი საათიდან დაიწყო.

იმ მანდილოსნებში აღმოჩნდა ორი მეტად ცელქი და გიჟმაჟი ქალი; თუმცა წესიერად იქცეოდნენ, მაგრამ, როდესაც ხალისიან და სავსებით უწყინარ ხუმრობაზე მიდგებოდა საქმე, თავისუფლად და მკვირცხლად ირჯებოდნენ. ხუმრობაც ისეთი ჰქონდათ, რომ უსიამოვნებას არავის აყენებდნენ. ეს ორი ქალი ისე დაუღალავად და დაუსვენებლად იწვევდა დონ კიხოტს საცეკვაოდ, რომ არათუ სხეული, სულიც კი დაუმსხვრიეს. სანახავად ღირდა დონ კიხოტის ახმახი, გამვალტყავებული, გაყვითლებული, ვიწრო, შემოწუთხულსამოსიანი, ტლანქი ზორზოხა ფიგურა! ქალები ვითომ მალულად ეტრფოდნენ მას, მალულადვე თვალს უშვრებოდნენ, ეჩურჩულებოდნენ; ისიც ვითომ უჩუმრად უგულებელჰყოფდა მათ ტრფობას; მაგრამ, რაკი თავი ვერ დააღწია მათ ალერსს და ისინიც არ ეშვებოდნენ, მაშინ ხმამაღლა შესძახა: "Fუგიტე პარტეს ადვერსაე! განვედით ჩემგან, ბილწნო და მაცდურნო გულისთქმანო! ღვთის გულისათვის დასცხრით, მშვენიერნო მანდილოსანნო, თქვენი სურვილები და ზრახვები დაიოკეთ, რადგან ჩემი სურვილების მეუფე უბადლო დუღისინე ტობოსელია, რომელიც თავისი სურვილების გარდა სხვას ნებას არ აძლევს დამიმორჩილოს და დამიმონოს".

ეს რომ თქვა, შუა დარბაზში იატაკზე ჩაჯდა, საცეკვაო ვარჯიშობიდან მთლად დაქანცული და გატანჯული. დონ ანტონიომ მსახურთ უბრძანა - ხელში აეყვანათ და ლოგინში დაეწვინათ. მასთან ყველაზე უწინ სანჩო მივიდა და უთხრა:

- ძალიან ცუდად ცეკვავდით, ჩემო ბატონო! ხომ არა გგონიათ, რომ ყველა მამაცი ხალხი მოცეკვავეც არის და ყველა მოგზაური რაინდი თოკზე მოთამაშე? ღმერთს ვფიცავ, თუ თქვენ

ასე ფიქრობთ, ძალიანს ცდებით. ზოგი რაინდი გოლიათის მოკვლას უფრო გაბედავს, ვიდრე ჰაერში ლამაზად შეხტომას. კიდევ კარგი, თუ საქმე ფეხების ბარტყუნით ცეკვაზე მიდგა, როცა ფეხსაცმელის ლანჩებზე ხელები უნდა იტყაპუნო, მაშინ თქვენს მაგივრობას მე შევიძლებდი, რადგან არწივივით ვცუნდრუკობ, ამ ბატონკაცურ ცეკვაში კი ნაბისაც ვერ გადავდგამ და არც არაფერი გამეგება.

ამ და სხვა მსგავსი სიტყვებით სანჩომ ბალზე მყოფნი ძლიერ გაამხიარულა, თავისი ბატონი ლოგინში ჩააწვინა, საბანი კარგად დახურა, რომ ოფლი მოსვლოდა და ცეკვისაგან გაციებული მომჯობინებულიყო.

მეორე დღეს დონ ანტონიომ გადაწყვიტა თავისი ჯადოსნური თავი გამოეცადა და იმ ოთახში ჩაიკეტა დონ კიხოტით, სანჩოთი, ორი თავისი მეგობრით და იმ ორი ცელქი ქალით, დონ კიხოტი რომ ძალიან გააწვალეს ცეკვით და იმ ღამეს დონ ანტონიოს ცოლთან დარჩნენ. დონ ანტონიომ უამბო მათ, რა თვისებისა იყო თავი, სთხოვა საიდუმლოდ დაეცვათ ყველაფერი და უთხრა, რომ ჯადოსნური თავი დღეს პირველად უნდა გამოვცადო. ანტონიოს ორი მეგობრის გარდა ამ თავის გაკეთებისა და ჯადოსნობის არსი არავინ იცოდა და, რომ დონ ანტონიოს მათთვის წინაღვე არ ემცნო ეს ამბავი, ისინიც სხვებივით, უეჭველად, გაკვირვებულნი დარჩებოდნენ, ისე ხელოვნურად და თვალთმაქცურად იყო მოწყობილი.

იმ თავის ყურებთან პირველი თვით დონ ანტონიო მივიდა და დაბალი ხმით, მაგრამ ისე, რომ სხვასაც გაეგონა, ჰკითხა:

- მითხარი, თავო, შენი სასწაულებრივი თვისების ძალით, ამ წამს რაზე ვფიქრობ?

თავმა ტუჩების გაუღებლად ცხადი და ჟღეროვანი, ყველასათვის გასაგონი ხმით უპასუხა:

- მე სხვის ფიქრებს როდი ვკითხულობ.

ეს რომ გაიგონეს, ყველანი გაოცდნენ, მით უფრო, რომ არც ოთახში და არც მაგიდასთან სხვა არავინ ადამიანიშვილი არ იყო, ბრინჯაოს თავის მაგიერ პასუხის მიცემა რომ შეძლებოდა.

- რამდენი ვართ აქ? - ხელახლა ჰკითხა დონ ანტონიომ. და იმავე ხმით თავმა აუჩქარებლად უპასუხა:

- შენ და შენი ცოლი, ორი შენი მეგობარი, ორი შენი ცოლის მეგობარი ქალი, სახელოვანი რაინდი დონ კიხოტი ლამაზჩელი და მისი საჭურჯელმტვირთველი სანჩო პანსა.

ამ პასუხმა ყველა უფრო მეტად გააოცა, შიშისგან ყველას თმა ყალყზე დაუდგა. დონ ანტონიო თავს ოდნავ მოშორდა და თქვა:

- ახლა ჩემთვის საკმარისია დავრწმუნდე, რომ მოტყუებული არა ვარ, ვინც შენი ბრძენი, მიუწვდომელი, საკვირველად მოლაპარაკე და პასუხის მომცემი თავი მომცა. ახლა მოვიდეს სხვა და, რაცა სურს, გკითხოს.

რადგან ქალები, ჩვეულებრივ, აჩქარებულნი და ცნობისმოყვარენი არიან, დონ ანტონიოს შემდეგ თავთან ერთ-ერთი მისი ცოლის მეგობარი მივიდა და ჰკითხა:

- მითხარ, საოცარო თავო, როგორ მოვიქცე, რომ ძალიან ლამაზი ვიყო?

თავმა უპასუხა:

- იყავ უმანკო.

- მეტს აღარას გკითხავ, - თქვა ქალმა.

მაშინ მისი მეგობარი ქალი მივიდა და ჰკითხა:

- მე მინდა ვიცოდე, თავო, ჩემს ქმარს ვუყვარვარ თუ არა?

პასუხად მიიღო:

- ჩააკვირდი შენს შესახებ მის საქციელს და მაგას გაიგებ, უყვარხარ თუ არა.

ქმრიანი მოშორდა და თქვა:

- ეს პასუხი კითხვას არც კი საჭიროებდა; მართლაც, სიყვარული იმ საქციელით მტკიცდება, ვინ როგორ გვეპყრობა.

მასუკან თავთან დონ ანტონიოს ერთ-ერთი მეგობარი მივიდა და ჰკითხა:

- მე ვინა ვარ?

- ეგ შენ თვითონ იცი, - უპასუხა თავმა.

- მაგას კი არ გკითხავ, - უთხრა კაბალერომ, - მინდა გავიგო, მიცნობ თუ არა?

- დიახაც გიცნობ, - იყო პასუხი, - შენ დონ პედრო ნორისი ხარ.

- კმარა, ეგ პასუხი მარწმუნებს, ჰოი, თავო, რომ შენ ყველაფერი იცი.

ის რომ მაგიდას მოშორდა, თავთან ანტონიოსის მეორე მეგობარი მივიდა და ჰკითხა:

- მითხარი, თავო, რა სურვილები აქვს ჩემს შვილს, მთელი ჩემი ავლადიდების მემკვიდრეს?

- აკი ვთქვი, - უპასუხა თავმა, - სხვისი სურვილებისა არა ვიცი რა-მეთქი; მაინც შემძლია გითხრა, რომ შენი შვილის სურვილი შენი ჩქარა დამარხვაა.

- დიახაც, - თქვა კაბალერომ, - ამას თვალთ ვხედავ და თითებით ვეხები. მეტი საკითხავიც არა მაქვს რა.

მაგიდასთან ანტონიოს ცოლი მივიდა და უთხრა:

- არ ვიცი, თავო, რა გკითხო; მინდოდა მხოლოდ ის მცოდნოდა, ჩემს ქმართან სიცოცხლით დიდხანს დავტკბები?

თავმა უპასუხა:

- დიახ, მრავალ წელიწადს, რადგან მისი ჯანმრთელობა, ყოველმხრივ ზომიერი ცხოვრება მრავალჯამიერ სიცოცხლეს უქადის მას. სხვანი კი ხშირად სიცოცხლეს ცუდი ცხოვრებით იმოკლებენ.

შემდეგ დონ კიხოტი მივიდა და ჰკითხა:

- მითხარ, ჰოი შენ, ყველა კითხვაზე პასუხის მომცემო თავო, სინამდვილე იყო თუ სიზმარი, მე რომ მონტესინოსის მღვიმეში ვნახ? სანჩოს გამათრახება ბოლომდის იქნება მიყვანილი თუ არა? დულსინეს მოჯადოების გაუქმება ჯეროვნად იქნება ასრულებული?

- რაც მღვიმეს შეეხება, - მოისმა თავისაგან, - ამაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება; შიგ მართალიც და სიცრუეც ბლომადაა. სანჩოს გამათრახება ნელ-ნელა და აუჩქარებლად წავა წინ; დულსინესაგან ჯადოს მოშორება თავის დროზე კეთილად დახრულდება.

- მეტის ცოდნაც არ მინდა, - თქვა დონ კიხოტმა, - ოღონდ დულსინეს ჯადო მოშორდეს და მე მივიჩნიე, რომ ყველა ბედნიერება, რითაც კი შემემლო ნეტარება, ერთბაშად მომევილინა მეთქი.

უკანასკნელი სანჩო მივიდა თავთან და ჰკითხა:

- თავო, კიდევ მივიღებ თუ არა გუბერნატორობას? თუ ამ საბრალო საჭურველმტვირთველად მოვკვდები? მეღირსება კი ოდესმე ცოლშვილის ნახვა?

ამაზე პასუხად მიიღო:

- შენ შენს სახლში გასწევ გუბერნატორობას და, თუ შინ დაბრუნდები, შენს ცოლ-შვილს ნახავ, და თუ სამსახურს თავს დაანებებ, საჭურველმტვირთველობასაც დაეხსნები.

- ესეც პასუხი! ეგ ხომ მე თვითონაც ვიცოდი! - დაიძახა სანჩომ. - მაგას ჩვენი წინასწარმეტყველი პედრო გრულიოც მეტყოდა.

- რეგვენო, - უთხრა დონ კიხოტმა, - სხვა რაღა პასუხი გინდოდა? შენთვის საკმაო არაა, რომ თავმა, რაც ჰკითხე, იმის პასუხი მოგცა?

- სავსებით საკმაოა, - მიუგო სანჩომ, - მაგრამ მინდოდა ამ თავს ცხადად ელაპარაკა და უფრო მეტი ვთქვა.

კითხვები და პასუხები ამით დასრულდა, მაგრამ ყველას გაოცება კი, დონ ანტონიოს ორ მეგობარს გარდა, არ დასრულებულა; იმ ორმა მეგობარმა საოცარი თავის საიდუმლო უკვე იცოდა. სიდ ჰამეტ ბენენჰელიმ მოიწადინა ეს საიდუმლო მაშინვე აეხსნა, რათა მთელი ქვეყანა გაუგებრობაში არ ჩაეგდო და არავისთვის ეფიქრებინა, თავი რაიმე თვალთმაქცობას და არაჩვეულებრივ საიდუმლოს შეიცავსო. სიდ ჰამეტი გვამცნობს, რომ დონ ანტონიო მორენოს იმის მსგავსი სხვა თავი მადრიდში ენახა, ვინმე სპილენძზე ამომჭრელის გამოგონილი და უვიცთა გასართობად და გასაოცებლად თავის სახლში გააკეთებინა. იმ თავის მოწყობილობა ასეთი იყო: მაგიდის ფიცარი ხისა იყო, იასპის ქვის ფერად დაჭრელებული და გალაქული; იმგვარადვე გაკეთებული ხის ფეხი შუაში ჰქონდა შედგმული და, რომ მაგიდა სწორად მდგარიყო, იმ ფეხს ბოლოში ოთხი არწივისებური კლანჭი ჰქონდა ჯვარედინად გაშვერილი. თავი, რომის იმპერატორის ბიუსტის მსგავსი მოყვანილობისა, ბრინჯაოს ფერად იყო შეღებილი, ხოლო შიგნით ღრუ ჰქონდა და მაგიდის ამოჭრილში ისე ჯუფთად იყო ჩასმული, რომ შეერთების ნიშანს ვერავინ შეამჩნევდა. მაგიდის ფეხიც აგრეთვე ამოფულრული იყო და თავის მკერდსა და ყელს უპირდაპირდებოდა და ამ ოთახის ქვეშ მეორე ოთახს უერთდებოდა. ფეხის, მაგიდის, მკერდის, ყელის და თავის ყველა ამ ფულურში თუნუქის მილი ისე იყო გაყვანილი, რომ დანახვა არავის შეემლო. ქვედა ოთახში ის ბინავდებოდა, ვისაც თუნუქის მილზე ტუჩის მიდებით პასუხი უნდა მიეცა, ისე, რომ ხმა როგორც ძირიდან ამოდიოდა, ისე

ზევიდან ქვევით ჩადიოდა და სიტყვებიც ისე მკაფიოდ და ცხადად ისმოდა, რომ არავითარი სიყალბე არ ემჩნეოდა. დონ ანტონიოს დისწული, ჭკვიანი და მარჯვე სტუდენტი, იძლეოდა პასუხს და, რადგან ბიძამ ამთავითვე შეატყობინა, იმ დღეს მასთან ოთახში ვინც იქნებოდა, ამიტომ მისთვის ადვილი იყო, პირველსავე კითხვაზე სწრაფად და სისწორით ეპასუხა. დანარჩენებზე კი, რადგან თვითონაც გონიერი კაცი იყო, მიხვედრილ და გონივრულ პასუხებს აძლევდა.

სიდ ჰამეტი კიდევ იმასაც ამბობს, რომ ეს საოცარი მანქანა ათი თუ თორმეტი დღე აოცებდა ხალხს, მაგრამ, რადგან ქალაქში ხმა გავრცელდა - დონ ანტონიოს სახლში ჯადოსნური თავი აქვსო, ყველა, ვინც რამეს ჰკითხავს, პასუხს აძლევსო, იმის შიშით, რომ ეს ამბავი ჩვენი უწმიდესი სარწმუნოების მუდამ ფხიზელი დარაჯების ყურამდის არ მისულიყო, დონ ანტონიომ ინკვიზიტორებს აუხსნა, როგორც იყო საქმე. ინკვიზიტორებმა უბრძანეს - დაუყოვნებლივ თავი მოესპო, კვლავ ამ ცულლუტობით აღარ გართობილიყო და მით უვიცი ხალხიც არ გადაერია. დონ კიხოტისა და სანჩოს გონებაში თავი მაინც ჯადოსნად დარჩა და დონ კიოტისათვის უფრო დამაკმაყოფილებელი პასუხების მიმცემად ვიდრე სანჩოსათვის.

ბარსელონელმა კაბალერობმა დონ ანტონისთვის რომ ესამოვნებინათ, დონ კიხოტიც გაერთოთ და შემთხვევა მიეცათ, თავისი ახირებული უცნაურობით მას ხალხი შეექცია, გადაწყვიტეს გაემართათ დოლი რგოლებით, მაგრამ ეს განზრახვა ვერ შეასრულეს იმ მიზეზით, რომელიც ქვევით იქნება ნახსენები. დონ კიხოტმა ქალაქში გავლა მოისურვა, უბრალოდ, ფეხით, - ცხენით გასეირნებისა ეშინოდა, ბიჭები აგვედევნებო. ის, სანჩო და ანტონისაგან ხლებული ორი მსახური სასეირნოდ გავიდნენ. ისე მოხდა, რომ რომელიღაც ქუჩაზე მიმავალმა დონ კიხოტმა ერთი სახლის თავზე თვალი მოჰკრა მსხვილი ასოებით წარწერილს: "აქ იბეჭდება წიგნები". ამან ძალიან გაახარა, რადგან ჯერ არც ერთი სტამბა არ ენახა, და მოისურვა დაეთვალეირებინა, როგორ იყო იგი მოწყობილი. მთელი თავისი ამალით შიგ შევიდა და ნახა: ერთ ალაგას მანქანიდან ფურცლებს როგორ იღებდნენ, მეორე ალაგას როგორ ასწორებდნენ, - აქ ასოებს აწყობდნენ, იქ ანაწყობს ასწორებდნენ, - ერთი სიტყვით მთელი საქმიანობა როგორ სწარმოებდა და რაც კი დიდ სტამბაში შეიძლება ნახოს ადამიანმა. დონ კიხოტი ერთ-ერთ ყუთთან მივიდა და იკითხა, თუ რას აკეთებდნენ. მუშებმა ყველაფერი აუხსნეს, მას გაუკვირდა და მეორე განყოფილებაში შევიდა. ერთ ასოთამწყობთან მივიდა დაჰკითხა, რას აკეთებო? ასოთამწყობმა უპასუხა:

- ბატონო, აი ამ კაბალერომ, - და ერთ მის გვერდით მდგარ ფრიად წარმოსადეგ კაცზე მიუთითა, - ერთი წიგნი იტალიურიდან ჩვენს ენაზე თარგმნა და იმას ვაწყობ დასაბეჭდად.

- რა სათაური აქვს მაგ წიგნს? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

ამაზე თვითონ მთარგმნელმა უპასუხა:

- იტალიურად ამ წიგნის სათაური არის Le Bagatelle.

- ესპანურ ენაზე რას ნიშნავს Le Bagatelle? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- Le Bagatelle, - მიუგო მთარგმნელმა, - იგივეა, რასაც ესპანურად ვიტყვით: უმნიშვნელო რამ, და თუმცა სათაურით ეს წიგნი ძალიან უბრალოა, მაინც კარგა და საყურადღებო საგნებს შეიცავს.

- მე, - უთხრა დონ კიხოტმა, - იტალიური ცოტაოდენად გამეგება, დატრაბახებით შემძლია განვაცხადო, რომ არიოსტოდან ზოგიერთ სტანსაც კი ვიმღერებ. მითხარით, თქვენო მოწყალეზავ, ჩემო ბატონო (ამას იმიტომ კი არა გკითხავთ, რომ თქვენი ცოდნის გამოცდა მინდოდეს, არამედ მხოლოდ ცნობისმოყვარეობით), - მაგ თქვენს წიგნში შეგხვდათ სადმე თუ არა სიტყვა "Pიგნატა"?

- დიახ, ხშირად, - მიუგო მთარგმნელმა.

- თქვენი მოწყალეზავ ამ სიტყვას როგორღა თარგმნის? - ჰკითხა დონ კიხოტმა.

- სხვაგვარად მისი თარგმნა როგორ შეიძლება, - უპასუხა მთარგმნელმა, - თუ არ სიტყვით ქოთანნი?

ვფიცავ ჩემს სხეულს, - შესძახა დონ კიხოტმა, - თქვენი მოწყალეზავ იტალიური ენის ცოდნაში ძალიან შორს წასულა. მე შემძლია არა მცირედი სანაძლეო დავდო, რომ, სადაც იტალიელი ამბობს "პიაცე", თქვენი მოწყალეზავ კასტილურად თარგმნის მომწონსო, ხოლო სადაც იტყვის პიუ, თქვენ ამბობთ მეტო, და იმის სიტყვას სუ-ს თარგმნით სიტყვით ზევით, ხოლო გიუ-ს - ქვევით.

- დიახ, რასაკვირველია, - თქვა მთარგმნელმა. - მაშ ყველა ეგ სხვაგვარად როგორ გადაითარგმნება?

- შემძლია დავიფიცო, - თქვა დონ კიხოტმა, - რომ თქვენ, თქვენო მოწყალეზავ, ხალხის ბრბო არ გცნობიათ, რადგან იგი ცუდად აჯილდოვებს ნიჭიერ ადამიანებსა და ღირსეულ ნაშრომებს; ქვეყანაზე რამდენი ნიჭი ქრება და იკარგება! რამდენ ღირსეულ ადამიანს უგულუბელყოფენ! რამდენი კეთილი მოქმედებაა, რომ არაფრად აფასებენ. მაინც მე მგონია, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, - ხოლო არა ბერძნულიდან და ლათინურიდან, იმ ყველა ენის მეფეთაგან, - იმას ჰგავს, კაცმა უცქიროს გადმობრუნებულ ფლამანდიულ ხალიჩას, რომელზედაც, თუმცა სურათებიც და ფიგურებიც ჩანს, მაგრამ ისინი მაინც გაბუნდოვანებულები არიან დაბლანდული ძაფებით და დაკარგული აქვთ საპირის მთელი ფერადოვნება და სისალუქე; ამასთან ადვილი და მონათესავე ენებიდან თარგმნა დიდი ჰკუასა და მჭევრმეტყველების გამომხატველი ვერ იქნება, ხოლო ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქზე გადაწერას ემსგავსება. ამით როდი მინდა ვამტკიცო, რომ მთარგმნელის შრომა ქების ღირსი არ იყოს, სულაც არა. ადამიანს შეუძლია სხვა უფრო ცუდი შრომა გასწიოს, ნაკლები სარგებლობის მიმცემი. აქედან ორ სახელგანთქმულ მთარგმნელს გამოვაკლებ, ერთს - დოქტორ ქრისტობალ დე ფიგეროას - "ერგული მწყემსის" ავტორს, ხოლო მეორეს - დონ ხუან დე ხაურეგის - "ამინტას" ავტორს, რომელთა ქმნილებები ისე ხერხიანადაა შესრულებული, რომ ვერ გაგირჩევია, თარგმანია თუ დედანი. ერთი მითხარით თქვენო მოწყალეზავ, თქვენი ხარჯით ბეჭდავთ მაგ წიგნს თუ გამოცემის უფლება ვინმე წიგნების გამყიდველისათვის წინასწარ მიგიყიდიათ?

- ჩემი ხარჯით ვბეჭდავ, - მიუგო მთარგმნელმა, - იმედი მაქვს პირველ გამოცემიდან სულ ცოტა ათასი ოქრო მაინც მივიღო. ეს პირველი გამოცემა ორი ათასი ცალეული გამოვა და ამ წამსვე თითო ექვს რეალად გაიყიდება.

- თქმა არ უნდა, ეს კარგია. თქვენი ანგარიში სრულებით სწორია, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაგრამ ცხადად ჩანს, რომ გამომცემლებისა და მათი ურთიერთშეთანხმების ხერხები არ იცით. სიტყვას გაძლევთ, როცა თქვენ თქვენს თავს ორი ათასი წიგნით დატვირთულს დაინახავთ,

მთელი ტანი ისე დაგიწყებთ ტეხვას, რომ შეგზარავთ, მით უმეტესად, თუ თქვენი წიგნები ოდნავ ჩვეულებრივი გზის გარეთ არიან და სულ მცირე ლაზათიც არა აქვთ.

- მერე რა? - უთხრა მთარგმნელმა, - ხომ არ გინდათ, თქვენო მოწყალეებავ, გამოცემის უფლება წიგნის გამყიდველს მივცე, რომელიც ამ უფლებაში სამ მარავედისს მომცემს და თანაც იფიქრებს, ამ ფულის მოცემით დიდი წყალობა მოიღო. მე ჩემს წიგნს იმიტომ კი არ ვბეჭდავ, მარტოდენ დიდება და სახელი მოვიხვეჭო, მე ჩემი ნაწარმოებით უკვე საკმაოდ მიცნობს მთელი ქვეყანა. მე მინდა მოგებაც მივიღო, რადგან უიმისოდ დიდება გახვრეტილ გროშადაც არა ღირს.

- ღმერთმა ინებოს თქვენი მოწყალების სრული გამარჯვება, - უთხრა დონ კიხოტმა და სხვა განყოფილებაში გადავიდა. იქ ერთ-ერთი წიგნის ფურცელს ასწორებდნენ, რომლის სათაური იყო - ნათელი სულისა, და რომ დახედა, თქვა:

- აი ასეთი წიგნები, თუმცა მცირე როდია გამოშვებული, მაგრამ მაინც უნდა იბეჭდებოდეს, რადგან დედამიწის ზურგზე ბლომადაა ცოდვილი ხალხი და წყვდიადში მოხეტიალეთა გასაცისკროვანებლად საჭიროა თვალისმომჭრელი სინათლე.

იქიდან სხვაგან გადავიდა და აქაც რომელიღაც წიგნს ასწორებდნენ. სათაური რომ იკითხა, ასე უთხრეს: ესაა მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელის მეორე ნაწილი, სოფელ ტორდესილასში მცხოვრებ ვიღაც ავტორის მიერ შეთხზული.

- მე უკვე ვიცნობ ამ წიგნს, - უთხრა დონ კიხოტმა, - და სიმართლით და სინდისით რომ ვთქვა, მეგონა მაგის სისულელის გამო აქამდის უკვე დაწვავდნენ და ნაცარ-ტუტად აქცევდნენ; მაგრამ წმიდა მარტინეს დღე მაგისთვისაც დადგება, როგორც ყველა ღორისათვის, რადგან მოგონილი ამბავი იმდენადაა კარგი და საინტერესო, რამდენადაც სიმართლეს ანუ მის მსგავსებას ემხრობა; ხოლო ჭეშმარიტი ამბები იმდენად უმჯობესნი არიან, რამდენადაც ჭეშმარიტებასთან ახლოს დგანან.

ამ სიტყვებით და ცოტა ნაწყენი სახით სტამბიდან გამოვიდა.

იმავე დღეს დონ ანტონიომ განიზრახა მისთვის ხომალდები ეჩვენებინა. ეს ხომალდები იმ ჟამად ნავსადგურში იდგნენ. სანჩოს ეს ძალიან გაუხარდა, რადგან ხომალდები თავის დღეში არ ენახა. დონ ანტონიომ შეატყობინა ესკადრის უფროსს, რომ ნასადილევს თავის სტუმარს, სახელოვან დონ კიხოტ ლამანჩელს, მიიყვანდა. იმას და მთელ ქალაქსაც დონ კიხოტის იქ ყოფნა გაგებული ჰქონდათ და, რაც შემდეგ იქ მოხდა, შემდეგ თავში იქნება მოთხრობილი.

### თავი LXIII

რა უბედურება შეემთხვა სანჩო პანსას გალერების დათვალიერების დროს და მშვენიერი მავრიქალის არაჩვეულებრივი თავგადასავალი

დონ კიხოტი დიდხანს ცდილობდა გამოეცნო, ჯადოსნური თავი პასუხს რა ღონისძიებით იძლეოდა, მაგრამ ვერც ერთმა მისმა მსჯელობამ მოტყუებას თავი ვერ აუხადა და მარტო იმ დაპირებას უყენებდა წინ, რასაც სარწმუნოდ თვლიდა - იმას, რომ დულსინე მოჯადოებისაგან განთავისუფლდებოდა. ამ რწმენას კვალად და კვალად უბრუნდებოდა და ხარობდა, რომ ამ

დაპირების შესრულებას მალე მოესწრობოდა. სანჩოს კი, როგორც ნათქვამი იყო, გუბერნატორობა სძულდა კიდევ, მაინც სურვილს გრძნობდა ხელახლად მბრძანებელი შექნილიყო, ენახა, რომ მას ემორჩილებოდნენ, - ასეთი სენი სჭირს უფლებიანობას, თუნდაც სახუმაროდ და შესაქცევად იყოს იგი მოგონილი.

ბოლოს, ნასადილევს, მასპინძელი, დონ ანტონიო მორენო, მისი ორი მეგობარი, დონ კიხოტი და სანჩო გალერეის სანახავად წავიდნენ. ესკადრის უფროსი, რაკი ორი სახელოვანი კაცის, დონ კიხოტისა და სანჩოს მისვლა ჰქონდა გაგებული, მათ მისაღებად თვითონ გამოვიდა. მიახლოებული დონ კიხოტი და სანჩო დაინახა თუ არა, მაშინვე ხომალდებზე იალქნები აუშვეს და საკრავებმა ხმაურობა ასტეხეს. წამსავე ზღვაში ძვირფასი ხალებით და წითელი ხავერდის ბალიშებით დაგებული ნავი ჩაუშვეს; დონ კიხოტმა ნავში ფეხი ჩადგა თუ არა, მთავარი ხომალდის ბანიდან ზარბაზნის სროლა გაისმა და აგრეთვე დანარჩენი ხომალდებიდანაც გაისმა გრიალი, და როდესაც დონ კიხოტი მარჯვენა ქიმიდან ხომალდზე კიბით ავიდა, მთელი რაზმი "უ-უ-უ-ს" სამგზისი შემახილით მიესალმა, როგორც მაშინ ჩვეულებად იყო, ყველა სახელოვანი კაცის მისვლას ასე მიესალმებოდნენ ხოლმე. გენერალმა (ამ სახელით მოვიხსენიოთ ხომალდის მეთაური სახელოვანი ვალენსიელი კაბალერო) დონ კიხოტს ხელი ჩამოართვა, მოეხვია და უთხრა:

- დღევანდელ დღეს თეთრი ქვით აღვნიშნავ, რადგან, ვფიქრობ, იგი ჩემს სიცოცხლეში საუკეთესო დღეა, ვინაიდან დღეს ვხედავ ბატონ დონ კიხოტ ლამანჩელს. დაე, ეს დღე და ეს ნიშანი მუდამ გაგვახსენებდეს, რომ თქვენ, სახელოვანო რაინდო, აცისკროვნებთ და განასახიერებთ მოგზაური რაინდობის მთელ სახელსა და დიდებას!

ასეთი დიდებული მიღებით ნასიამოვნებმა დონ კიხოტმა არა ნაკლები ალერსიანი და მაღალფარდოვანი სიტყვებით უპასუხა. ყველანი მშვენივრად მორთული ხომალდის კიჩოზე გადავიდნენ და ქიმების გასწვრივ ჩამწკრივებულ მერხებზე ჩამოსხდნენ. ბოცმანმა მენიჩბეთა მწკრივს ჩამოუარა და სასტვენით ნიშანი მისცა - ქურთუკები გაეხადათ, რაც მსწრაფლ იყო აღსრულებული. სანჩომ რომ ამდენი ტიტველი ხალხი დაინახა, გაკვირვებისაგან პირი დაალო, მაგრამ უფრო იმან გააოცა, რომ იალქნები სწრაფად დასჭიმეს, ისე ჩვენა, თითქოს სამუშაოდ ყველა ეშმაკი იქ მოსულიყო, მაგრამ ეს მხოლოდ ხაჭაპურები და თაფლის პურები იყო მასთან შედარებით, რასაც ახლა ვიტყვი. სანჩო ხომალდის მარჯვენა ქიმთან პირველი მენიჩბის გვერდზე იჯდა. ეს მენიჩბე წინდაწინვე დარიგებული იყო, რაც უნდა ჩაედინა; მან ხელი დასტაცა სანჩოს და მალლა ასწია, მაშინ ფეხზე ამდგარმა მთელმა რაზმმა, მარჯვენა ქიმიდან მოყოლებული მისი ხელიდან ხელში გადაცემა დაიწყო და იგი მერხიდან მეორე მერხზე ისეთი სისწრაფით ფრინავდა, რომ საწყალ სანჩოს თვალთ დაუბნელდა და დაბეჯითებით იფიქრა, რომ მას ნამდვილად ქაჯები აფრენდნენ. ეს ქაჯები მანამ არ მოეშვნენ, ვიდრე მთელი მარცხენა ქიმი არ გაატარეს და კიჩოზე არ მიიტანეს.

საბრალო მთლად დათეთქვილი იყო, სული ეგუბებოდა; ცივ ოფლში იწურებოდა და ვერ მიხვედრილიყო, თუ რა მოუვიდა. დონ კიხოტმა სანჩოს უფრთებოდ ფრენა რომ დაინახა, გენერალს ჰკითხა: ნუთუ ჩვეულებად გაქვთ, რომ ხომალდების სანახავად ყველა პირველად მომსვლელს ასეთი ზეიმით დახვდეთო. თუ მართლა ასეაო, დაუმატა მან, თანახმა არა ვარ ამ ჩვეულებას დავემორჩილო, ასეთი ვარჯიშობა არა მსურს და, ღმერთს ვფიცავ, თუ ვინმე მომეკარება და საფრენად ხელს მახლებს, სულს გავაფრთხოვინებო. ეს რომ თქვა, წამოდგა და ხმლის ვადას ხელი გაივლო.



იმწამს იალქანი ჩამოუშვებს და მთავარი ქანდარა საშინელი ხმაურით ძირს დასცეს. სანჩოს ეგონა, ცა თავისი ანჯამებიდან დასხლტა და თავზე მეცემაო. საშინლად შეშინებულმა თავი დახარა და ლაჯებქვეშ დამალა. არც დონ კიხოტს მოეწონა ეს, რადგან შეკრთა, მხრები შეიმძუმწა და გაფითრდა. რაზმმა ქანდარა იმავე სისწრაფით და იმავე გრიალით ასწია, როგორც ჩამოუშვა; ყველა ამას უჩუმრად სჩადიოდნენ, თითქმის არც ხმა ჰქონდათ და არც სუნთქვა. ბოცმანმა ნიშანი მისცა - ღუზა ამოეწიათ, მერხებს შუა გასავალში შევარდა, გაფისული თასმით თუ ხარის ლართის მათრახით ტყლაშუნი აუყენა მენიჩბეთა შიშველ ბეჭებს და ხომალდებმაც ზღვაში ნელინელ მოძრაობა დაიწყო. როდესაც სანჩომ ამდენი მოძრავი წითელი ფეხი დაინახა (ნიჩბები ფეხები ეგონა), გაიფიქრა და ჩაიბუტბუტა:

- აი ეს არის ნამდვილი ჯადოქრობა და არა ის, რასაც ჩემი ბატონი ჩმახავს; რა დააშავეს ამ უბედურებმა, რომ ასე უწყალოდ სცემენ. მერე როგორ არის, რომ ეს ერთი კაცი, აქ, რომ სტვენით ბოლთასა სცემს, ისე გაკადნიერებულა, რომ ამდენ ხალხს უტყლაშუნებს. ახლა კი ვიტყვი, რომ ეს ჯოჯოხეთია, ან სულ მცირე - სალხინებელი.

დონ კიხოტმა დაინახა, რომ სანჩო დიდი ყურადღებით უცქეროდა, რაც მის გარშემო ხდებოდა, და უთხრა მას:

- ვაჰ, მეგობარო სანჩო! რომ მოგესურვათ რა ადვილად და მცირედი შრომით შეგეძლოთ წელქვევით ტანი გაგეტიტვლებინათ, ამ ბატონებს შუა დამდგარიყავით და დუღსინესათვის მოჯადოება მოგეშორებინათ. ესოდენ მრავალ ტანჯვა-წვალეებაში ისე ძლიერ ვედარ იგრძნობდით საკუთარ ტანჯვას. ამას გარდა იქნებ ისეც მომხდარიყო, რომ მერლინს ასეთი მძიმე და ღონიერი ხელით ერთი დარტყმა ათად ჩაეთვალა იმის ანგარიშში, რაც მაინცდამაინც მოგიხდებოდათ თვითონ თქვენივე ხელით დაირტყათ.

გენერალმა ის იყო დააპირა ეკითხა, რა დარტყმასა და დუღსინესაგან რა ჯადოს მოშორებას გულისხმობთო, რომ ერთმა გუშაგმა მოახსენა:

- მონჟუიკიდან ნიშანს გვაძლევენ, დასავლეთიდან ნაპირ-ნაპირ ზღვაზე მომავალი ნიჩბებიანი ნავი მოჩანსო.

გენერალმა რომ ეს მოისმინა, შუა ბანზე ავარდა და დაიყვირა:

- მარდად მოუსვით, ჩემო შვილებო, ნუ გაუშვებთ ხელიდან ნავს. უეჭველია, ეს ალჟირის მეკობრეთა რომელიმე ბრიგანტინია, ციხიდან რომ ნიშანს გვაძლევენ.

დანარჩენი სამი ხომალდი მეწინავეს მიუახლოვდა, რომ გაეგო - რა ბრძანებას მიიღებდა. გენერალმა ზღვაში გასვლა უბრძანა, დანარჩენი ორით ნაპირ-ნაპირ ივლიდა, რადგან ამ სახით მეკობრეთა ნავი ხელიდან ვედარ გაუსხლტებოდათ. რაზმი ნიჩბებს დააწვა და ისე გაშმაგებულად გააქანა ხომალდები, რომ ადამიანს ეგონებოდა - გაფრინდნენო. გაშლილ ზღვაში შესულმა ხომალდებმა ორი მილის მანძილზე ნავი დაინახეს და ერთი თვალის გადავლებით დაასკვნეს, რომ იგი თორმეტ ანუ თხუთმეტ ნიჩბიანი იყო, და მართლაც შემდეგ ასეთი ნავი გამოდგა. ნავმა ხომალდები დაინახა თუ არა, სწრაფად მოკურცხლა და იმედი ჰქონდა, თავისი ჩქარი სიარულის მეოხებით თავს დააღწევდა მათ. მაგრამ ბრიგანტინს ბედმა უმტყუნა, რადგან მეწინავე ხომალდი სხვებზე უფრო ჩქარი მოსიარულე იყო. ამიტომ ისე მალე წამოეწია, რომ ბრიგანტინზე მყოფნი ცხადად მიხვდნენ - ხსნა აღარ იყო. ამაში, რომ დარწმუნდნენ, არაესმა მენიჩბეებს უბრძანა, ნიჩბები ხელიდან გაეყარათ და

დანებებულიყვნენ, რათა ხომალდების უფროსი კიდევ უფრო არ გაეზრახებინათ. მაგრამ ბედმა, საქმეს რომ მუდამ სხვა მიმართულებას აძლევს ხოლმე, ასე როდი ინება. როდესაც მეწინავე ხომალდი ისე მიუახლოვდა, რომ ბრიგანტინზე მყოფთ შეეძლოთ გაეგონათ ბრძანება - დაგვნებდითო, ამ დროს ორმა ტორაკისმა, ანუ სხვა სიტყვით, ორმა მთვრალმა თურქმა, ბრიგანტინზე მყოფ ათეულ თურქთაგანმა, თოფები გაისროლა და ჩვენს ხომალდზე ერდოსთან მდგარი ორი ჯარისკაცი მოკლა. ეს რომ გენერალმა დაინახა, შეჰფიცა - ცოცხალს არავის გაუშვებდა, ვისაც კი ნავზე დაატყვევებდა, და გაშმაგებულმა მსწრაფლ იმ ნავზე იერიში მიიტანა. ნავზე მყოფთ დაინახეს, რომ ილუპებოდნენ, მაგრამ ბრიგანტინმა თავი დაიძვრინა და მტრის ხომალდს ნიჩბებქვეშ გაუსხლტა. ხომალდმა კარგა შორს გაუსწრო ბრიგანტინს და, ვიდრე ხომალდი მობრუნდებოდა, მათ იალქანი აუშვეს და კვალად გაქცევას ლამობდნენ. მაგრამ მათმა მეცადინეობამ იმდენად ვერ უშველა, რამდენადაც მათმა შეუპოვრობამ ავნო; ხომალდი ნახევარ მილის მანძილზე მოეწია; შემდეგ აბორდაჟზე გადავიდნენ და ყველანი ცოცხლად დაატყვევეს. ამ დროს ორმა დანარჩენმა ხომალდმაც მოუსწრო და ოთხნივ მთელი ნადავლით ნავსადგურს მოადგნენ, სადაც დიდძალი ხალხი ელოდა მათ, რათა ენახა - თუ რას მოიტანდნენ. გენერალმა სანაპიროს შორიახლო ჩაუშვა ღუზა და, ნაპირზე ბარსელონაში მყოფი მეფისნაცვალი დაინახა თუ არა, უბრძანა ნავი ჩაეშვათ, რომ იგი ხომალდზე ამოსულიყო, და მასთან ანმა ამართვინა, რათა დაუყოვნებლივ ჩამოეხრჩოთ არაესი და ბრიგანტინზე ყველა დატყვევებული ოცდათექვსმეტიოდე თურქი. ყველანი მაგარი, ჯანღონიანი, დარჩეული ბიჭები, მეტწილად თურქთა მუშკეტერები იყვნენ. გენერალმა ჰკითხა, თუ ვინ იყო ბრიგანტინის არაესი, და ერთმა ტყვეთაგანმა კასტილურად უპასუხა (მერე აღმოჩნდა, რომ იგი ესპანელი განდგომილი იყო):

- ეს ყმაწვილი კაცია, ბატონო, აქ, რომ ხედავთ, ჩვენი არაესი, - და მიუთითა ერთ მეტად მშვენიერ, მოხდენილ ჭაბუკზე. შესახედაობით ეტყობოდა, ოც წელზე მეტისა არ იყო. გენერალმა ჰკითხა მას:

- მითხარ, შეჩვენებულო და უგუნურო ძაღლო, ჩემი ჯარისკაცების მოკვლა რამ გაიძულა, როდესაც კარგად ხედავდი, ვერსად წაგვიხვიდოდი? ეგ არის განა მთავარი ხომალდების პატივისცემა? განა არ იცი, რომ უგუნურება ვაჟკაცობა არ არის? საეჭვო იმედებს და სიკვდილის საფრთხეს შეუძლია ადამიანს გამბედაობა მისცეს და არა უგუნურება და ჭკუადმთხვეულობა.

არაესს უნდოდა რაღაც ეპასუხა, მაგრამ გენერალს მოსმენა არ შეეძლო, რადგან გაეშურა, რათა შეგებებოდა ხომალდზე ამომავალ მეფისნაცვალს, რომელსაც თან ახლდნენ რამდენიმე მსახური და ქალაქის მცხოვრები.

- კარგი ნადირობა გქონიათ, ბატონო გენერალო? - ჰკითხა მეფის ნაცვალმა.

- ისეთი კარგი, - მიუგო გენერალმა, - რომ თქვენი ბრწყინვალეობა ახლა ამ ანძაზე ჩამომხრჩვალ ნანადირევსაც დაინახავს.

- როგორ თუ ნანადირევს? - ჰკითხა მეფისნაცვალმა.

- იმიტომ, - მიუგო გენერალმა, - რომ ამათ ყოველგვარი კანონისა და სამხედრო უფლება-ჩვეულების წინააღმდეგ, ორი ჯარისკაცი მომიკლეს, ამ ხომალდზე საუკეთესონი, და მეც ფიცი დავდე, ვისაც კი დავატყვევებდი, ყველანი ჩამომეხრჩო, პირველ რიგში ეს ჭაბუკი, ბრიგანტინის არაესი.

და გენერალმა იმაზე აჩვენა, ვისთვისაც ხელები უკვე შეეკრათ და კისერზედაც თოკის ქამანდი გაეკეთებინათ. იგი სიკვდილს ელოდებოდა. მეფისნაცვალმა შეხედა ჭაბუკს და ისეთ მშვენივრად, მოხდენილად და უწყინრად ეჩვენა იგი, რომ ჭაბუკის სიმშვენიერე იმწამს მისთვის მფარველობის წერილად შეიქნა. მეფისნაცვალს სურვილი აღედგრა სიკვდილისაგან დაეხსნა იგი და ამიტომ ჰკითხა:

- მითხარ, არაესო, შენ შთამომავლობით თურქი ხარ, მავრი თუ განდგომილი?

ამაზე ჭაბუკმა აგრეთვე კასტილურ ენაზე უპასუხა:

- მე არც თურქი ვარ, არც მავრი, არც განდგომილი.

- მამ ვინა ხარ? - ჰკითხა მეფისნაცვალმა.

- ქრისტიანი ქალი, უპასუხა ჭაბუკმა.

- ქრისტიანი ქალი და მაგ ტანისამოსით? მაგ თანამდებობაზე? ყველაფერი ეს უფრო გასაოცარია, ვიდრე სარწმუნო და დასაჯერებელი.

- გადასდეთ, ჰოი ბატონებო, - უოხრა ჭაბუკმა, - ჩემი სიკვდილით დასჯა; ბევრს არაფერს დაჰკარგავთ, რომ თქვენი შურიგება რამდენიმე ხნით გადასდეთ, ვიდრე ჩემი ცხოვრების ამბავს გაიმბობთ.

ვინ იქნებოდა ისეთი უღმობელი გულისა, რომ მის სიტყვებს არ მოეღობო, ან იმის მოსმენა მაინც არ მოსურვებოდა, რაც იმ უბედურს და შებრალების ღირსს უნდოდა ეამბნა. გენერალმა ნება დართო: დაე, სთქვას, რაც ენებება, მაგრამ თავისი დანაშაულის პატიების იმედი კი ნუ ექნებაო. ეს ნებართვა, რომ მიიღო ჭაბუკმა, თავისი ამბავი ასე დაიწყო:

- წარმოშობით იმ უფრო უბედურ ვიდრე გონიერ ხალხს ვეკუთვნი, რომელსაც ამ უკანასკნელ დროს მთელი ზღვა უბედურება დაატყდა თავს; მე მავრი მშობლების ქალად დავიბადე. იმ დროს, როდესაც ჩვენს ხალხს უბედურება ეწვია, ორმა ჩემმა ბიძამ ბერბერიაში წამიყვანა. მაინცდამაინც არაფერი მიშველა იმან, რომ მე ქრისტიანად გამოვაცხადე თავი, რაც ნამდვილად ვარ და არა იმათაგანი, რომელნიც მხოლოდ მოჩვენებით არიან და არა ჭეშმარიტი კათოლიკენი. არავითარი შვევა არ მომეცა იმით, რომ მე ეს ჭეშმარიტება იმ პირთ გამოვუცხადე, რომელთაც ჩვენი სასტიკი განდევნის ზედამხედველობა ჰქონდა მინდობილი; არც ჩემს ბიძებს და არც ბიცოლებს უნდოდათ ამის დაჯერება, ჩემს სიტყვებს სიცრუედ სცვლიდნენ და განგებ მოგონილად ვითომც იმიტომ, რომ, სადაც დავიბადე, იმავ ქვეყანაში დავრჩენილიყავი. ამგვარად უფრო ძალით, ვიდრე ჩემი საკუთარი ნებასურვილით თან წამიყვანეს. დედაჩემი ქრისტიანი იყო, მამაჩემიც, გონიერი კაცი, აგრეთვე ქრისტიანი იყო. მე ქრისტეს სარწმუნოება დედის რძესთან ერთად შევიწოვე და აღზრდილიც კარგი წესებით ვიყავი. არც წესებით, არც ენით, არც ჩვეულებით, როგორც მგონია, მავრის ქალს არა ვგავდი. ამ სიქველესთან, (რადგან მე მათ სიქველედ ვთვლი) სილამაზეც მემატებოდა, თუკი მართლა სილამაზის პატრონი ვარ; თუმცა ჩემი სიფრთხილე და განმარტოება დიდი იყო, ვინ იცის - არც იმდენად დიდი, რომ ერთ ახალგაზრდა კაბალეროს, სახელად დონ გასპარ გრეგორიოს, სახელოვანი კაბალეროს შვილს, მაიორატის მემკვიდრეს არ შევემჩნეო; მისი მამული ჩვენი სოფლის გვერდზე იყო. როგორ მნახა, ერთმანეთთან ლაპარაკი როგორ მოგვინდა, როგორ ძლიერ შემიყვარა და მეც გამიტაცა, - ყველა ამაზე ლაპარაკი დიდხანს მომიხდებოდა, მერე ისეთ დროს, როდესაც ვშიშობ, ეს

წყეული თოკი ჩემს ყელს ჩქარა წაეჭირება და ხმას ჩამიკმენდს, მაშ მარტო იმას ვიტყვი, რომ დონ გრეგორიომ ჩვენს განდევნაში მოისურვა თან გამომყოლოდა, განდევნილ მავრებს შეუერთდა, რადგან მავრული ენა კარგად იოდა, და მოგზაურობის დროს ჩემს ბიძებს დაუმეგობრდა. იმათ იმიტომ მივყავდი, რომ მამაჩემი გონიერი და წინდახედული კაცი იყო და, რაკი ესპანეთიდან ჩვენს განდევნაზე მეფის პირველი ბრძანება გაიგო, მაშინვე სხვა სახელმწიფოში სადმე ჩვენთვის ბინის საძებნელად გაემართა. მან დიდძალი მარგალიტი და ძვირფასი თვალი, აგრეთვე ფულად მრავალი ოქროს დუბლონი და კრუსადორი ჩამარხა მიწაში (ის ადგილი მარტო მე ვიცი) და დამავალა, ხელი არასგზით არ მეხლო დაფლული საუნჯისთვის, თუ ვინცობაა მის დაბრუნებამდის განგვდევიდნენ. ასეც მოვიქეცი და, როგორც ვთქვი, ჩემს ბიძებსა და ნათესავ მეგობრებს ბერბერიაში გავყევი და ალჟირში დავსახლდი, რაც ჯოჯოხეთში დასახლებას ედრებოდა. ჩემი სილამაზის ხმა ალჟირის მეფემდის მივიდა; აგრეთვე ჩემი სიმდიდრის ამბავიც გაიგო, რაცა ცოტაოდნავ ჩემს ბედნიერებად გახდა. მან თავისთან მიმიხმო, მკითხა, ესპანეთის რომელი ადგილიდან ვიყავ, თან რამდენი ფული და განძეულობა მქონდა წამოდებული. მე ვუთხარ, რა ადგილიდანაც ვიყავ და ისიც, რომ ფული და განძეულობა იქ იყო დამარხული და მისი მიღება მარტო მაშინ შეიძლებოდა, თუ იმათ მოსატანად ესპანეთში თვითონ მე წავიდოდი. ყველა ეს იმიტომ ვუთხარ, ეგებ მის სიხარბეზე მემოქმედა და ჩემს სილამაზეს არ გაეტაცნა, უყურადღებოდ დავეტოვებინე. იმ დროს, როდესაც მასთან ვლაპარაკობდი, მოვიდნენ და უთხრეს, რომ მე თანამგზავრი მყავდა, მეტად მშვენიერი და თვალტანადი ჭაბუკი, ისეთი, როგორისაც მხოლოდ წარმოდგენა შეიძლებოდა. მაშინვე მივხვდი, რომ ლაპარაკი იყო დონ გრეგორიოზე, რომელსაც ვერც ერთი პირმშვენიერი მზეჭაბუკი ვერ შეედრება და იგი უალრესი ხოტბის ღირსია. რადგან იმ ბარბაროსებში ლამაზი ბიჭი ანუ ჭაბუკი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ქალი, რაც უნდა ლამაზიც იყოს. მეფემ მაშინვე უბრძანა, დონ გრეგორიო მასთან მიეყვანათ, რადგან მისი ნახვა უნდოდა, და მკითხა: ის ჭაბუკი, როგორც ამბობენ, მართლა ისეთი ლამაზიაო? მაშინ, თითქოს ზეგარდმოშთაგონებით, ვუპასუხე: დიახ, მართალია, მაგრამ იგი ჭაბუკი არ არის, ისეთივე ქალია, როგორიც მე ვარ, ნება მიბოძეთ წავიდე და მისთვის შესაფერი კაბით მოვრთო, რომ მისი სილამაზე სრული თავისი ბრწყინვალეობით წარმოგიდგეთ და თვითონ ისიც ნაკლებად შეკრთეს თქვენს წინაშე-მეთქი. მეფემ წასვლის ნება დამრთო და თანაც მითხრა, ხვალ მოვილაპარაკოთ, რა ღონისძიება ვიხმაროთ, რომ ესპანეთში წახვიდე და იქ დამარხული საუნჯე მოიტანო. მაშინვე დონ გრეგორიოსთან წავედი, ვუამბე, რა საფრთხეში ვარდებოდა, თუ მამაკაცის ტანისამოსით მივიდოდა. მავრის ქალად მოვრთე და იმავე საღამოს მეფესთან წავიყვანე. მეფე მისი მშვენიერებით აღტაცებაში მოვიდა და გადაწყვიტა სულთანისათვის საჩუქრად შეენახა იგი და, რომ თავის ჰარამხანაში რაიმე ზიანი არ მოსვლოდა და მასთან თავისი თავისაც ემინოდა, უბრძანა - რომელიღაც მდიდარი მავრის ქალების ოჯახში დაებინავებინათ და მისთვის მოევლოთ. და იმავე წამს დონ გრეგორიო კიდევ წაიყვანეს. რაც ჩვენ მაშინ ერთავემ განვიცადეთ (უარს ვერ ვიტყვი, რომ იგი მიყვარს, ამის მსჯავრს იმას მივანდობ, ვინც იძულებული იყო საყვარელს განშორებოდა. მას შემდეგ მეფემ მალე გადაწყვიტა ესპანეთში დავბრუნებულიყავი ამ ბრიგანტინით და ეს ორი ნამდვილი თურქი გამომყოლოდა, რომელთაც თქვენი ჯარისკაცები მოკლეს. ჩემთან ერთად ეს ესპანელი განდგომილიც წამოვიდა (და იმაზე მიუთითა, ვინც პირველმა ილაპარაკა), რომელიც კარგად ვიცი - ფარული ქრისტიანია და იმიტომ წამოვიდა, რათა უფრო მეტი სურვილი ჰქონდა ესპანეთში დარჩენილიყო, ვიდრე ბერბერიაში დავბრუნებულიყო. ბრიგანტინის დანარჩენი გუნდი - მავრები და თურქები არიან და მათი მოვალეობა მხოლოდ მენიჩბეობაა. ამ ორმა

ხარბმა და თავხედმა თურქმა ჩემი ბრძანება არ შეასრულა. მე და ამ განდგომილს გვინდოდა ფარული ქრისტიანული ტანისამოსით ესპანეთის რომელიმე სანაპიროსთან გავჩერებულიყავით და ნაპირზე გადავსულიყავით. მაგრამ ჯერ ნაპარ-ნაპარ ცურვა მოინდომეს, ეგებ რაიმე საკბილოს შეხვედროდნენ და ხელთ ეგდოთ, თანაც ნაპირზე ჩვენი ადრე გადმოყვანისა ეშინოდათ, რომ ჩვენ ზღვაში ბრიგანტინის ყოფნას გავცემდით და, თუ ახლოს ხომალდები იქნებოდნენ, მას შეიპყრობდნენ. ამ ნაპირებამდის დღეს დამით მოვალწიეთ და, რადგან არ ვიცოდით, რომ აქ ოთხი ხომალდი იდგა, დაგვინახეს და ის შეგვემთხვა, რაც უკვე იცით. ამგვარად გრეგორიო ქალის ტანისამოსით დედაკაცებში იმყოფება და იმ შიშშია, რომ უეჭველად დაიღუპება. ხოლო მე შეკრული ხელებით ვდგავარ აქ იმ მოლოდინით, ანუ უკეთ, რომ ვთქვა, იმ შიშით, რომ უნდა გამოვესალმო სიცოცხლეს, ჩემთვის, რომ უკვე სამძიმო შეიქნა. აი, ბატონებო, ჩემი სამწუხარო ამბავი, ისევე მართალი, როგორც უბედური. მხოლოდ იმას გთხოვთ - მსურს ისე მოკვდე, როგორც ქრისტიანი, რადგან მე იმ საქმეში არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, რაც ჩემმა თანამემამულეებმა ჩაიდინეს.

ეს თქვა და დადუმდა ცრემლით სავსე თვალებით. იქ დამსწრეთა შორისაც მრავალს მოადგა ცრემლი თვალებზე.

კეთილი და შემბრალებელი გულის მეფისნაცვალი მივიდა მასთან და სიტყვის უთქმელად თავისი ხელით გახსნა თოკი, მავრი ქალის მშვენიერი ხელები, რომ იყო შეკრული.

იმ დროს, როდესაც მავრის ქრისტიანი ქალი თავის საკვირველს ამბავს მოუთხრობდა, ერთი უცხო მოგზაური, ხომალდზე მეფისნაცვალთან ერთად ასული, თვალს არ აშორებდა ქალს და, მან გაათავა თუ არა, ის კაცი ფეხებში ჩაუფარდა, მოეხვია მას, ოხვრითა და გოდებით აქვითინებულმა შესძახა:

- ჰოი, ანა-ფელიქს, უბედურო ჩემო ასულო! მე შენი მამა რიკოტე ვარ, შენ მოსამებნად დავბრუნდი, რადგან უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, შენ ხომ ჩემი შვილი ხარ, ჩემი სიხარული!

ეს რომ სანჩოს მოესმა, თვალები გაახილა და თავი მაღლა აიღო, აქამდის რომ ჩაღუნული ჰქონდა და თავისი წელანდელი ფრენის გამო ჩაფიქრებული იყო. მგზავრს შეხედა, რიკოტე იცნო, გუბერნატორობაზე უარის თქმის დღეს რომ შეხვდა, და დარწმუნდა კიდევ, რომ ეს ქალი სწორედ რიკოტეს ქალი იყო. უკვე ხელებგახსნილი ქალი მამას მივარდა და მოეხვია და თავისი ცრემლები მის ცრემლებს შეურია, მოხუცმა გენერალსა და მეფისნაცვალს მიმართა და უთხრა:

- აი, ბატონებო, ჩემი ასული, ბედით ნაკლებ ბედნიერი, ვიდრე სახელით: ამას ანა-ფელიქსი ჰქვია, გვარად რიკოტე. და იგი როგორც სილამაზით არის სახელგანთქმული, ისე ჩემი სიმდიდრითაც. ჩემი სამშობლოდან უცხო ქვეყნებში წავედი, რომ ჩვენთვის თავშესაფარი მომეძებნა, ასეთი შესაფერი გერმანეთში ვპოვე და აქ დავბრუნდი ამ ყარიბი მოგზაურის ტანისამოსით სხვა გერმანელებთან ერთად. მინდოდა ჩემი ქალი მომეძებნა და დამალული ჩემი სიმდიდრე მიწიდან ამომეღო. ჩემი ქალი ვერ ვპოვე, ჩემი სიმდიდრე კი ამოვიღე და ახლა თან მიმაქვს. მაგრამ საოცარ გარემოებათა ერთმანეთთან შეხლით, რის მოწმენიც თქვენა ხართ, მე უდიდესად გამამდიდრებელი საუნჯე ვპოვე - ჩემი საყვარელი ასული. თუ ჩვენი მცირედი დანაშაული, მისი და ჩემი ცრემლი, თქვენი მკაცრი მსჯავრის გზით შეიძლებენ ღმობიერების კარის გაღებას, მოიღეთ ეგ მოწყალება ჩვენთვის, რომელთაც ფიქრადაც არასოდეს არა გვქონია

თქვენთვის გვეწყენინებინა, და არავითარი სახით მოზიარენი არ ვიყავით იმ ჩვენი თანამემამულეთა განზრახვისა, რომელნიც სამართლიანად იყვნენ განდევნილნი.

მაშინ სანჩომ თქვა:

- მე რიკოტეს კარგად ვიცნობ და იმასაც ვამოწმებ, რომ მართალს ამბობს - ანა-ფელიქსი მაგისი ქალია. ხოლო, რაც შეეხება დანარჩენ უმნიშვნელო საგნებს: იმის წასვლას და დაბრუნებას, მას კარგი განზრახვა ჰქონდა თუ ცუდი, მე ამ საქმეში არ ვერევი.

ყველა იქ დამსწრე ამ უცნაური შემთხვევით გაოცებული დარჩა და გენერალმა თქვა:

- დიახ, თქვენი ცრემლები ჩემს ფიცს ვერ ამასრულებინებენ. იცოცხლეთ, მშვენიერო ანა-ფელიქს, იმდენ წელს, რამდენიც თქვენთვის დაუნიშნავს ზენას, და დაე ღირსეული სასჯელი ამ არამზადებს მიეგოთ, ვინც დანაშაული ჩაიდინა.

და მაშინ უბრძანა ანძაზე ჯარისკაცების მკვლეელი ორი თურქი ჩამოეხრჩოთ. მაგრამ მეფისნაცვალმა დაჟინებით სთხოვა გენერალს, არც ისინი ჩამოეხრჩოთ, რადგან მათი საქციელი უფრო უგუნური იყო, ვიდრე თავხედური, გენერალმა მისი თხოვნა აასრულა, რადგან ძნელია შურისძიების გულგრილად ასრულება მაშინ, როდესაც რისხვა უკვე განელეებულია. შემდეგ იწყეს ფიქრი და გეგმის შედგენა იმაზე, თუ როგორ ეხსნათ დონ გრეგორიო ხიფათისაგან. რიკოტემ ამ საქმისათვის ორი ათას ოქროზე მეტის გაღება აღუთქვა. სხვა გეგმებიც გაარჩიეს, მაგრამ ყველაზე უკეთესი ესპანელი განდგომილის გეგმა აღმოჩნდა, მან იკისრა მომცრო ექვსმერხიანი ნავით და ქრისტიანი მენიჩბეებით ალჟირში დაბრუნებულიყო, რაც მან იცოდა, სად, როდის და როგორ უნდა გადმომხდარიყვნენ ნაპირზე. მასთან სახლიც იცოდა, სადაც გრეგორიო იმყოფებოდა. გენერალი და მეფისნაცვალი ეჭვობდნენ, შეიძლებოდა თუ არა განდგომილს დანდობოდნენ და მისთვის ქრისტიანი მენიჩბენი მიენდოთ, მაგრამ ანა-ფელიქსი, თავდებად დაუდგა, ხოლო მისმა მამამ რიკოტემ თქვა, თუ ქრისტიანებს იქ დაატყვევებენ, მათ გამოსახსნელ ფულს მე გადავიხდით.

მაშინ განდგომილის გეგმა მიიღეს, მეფისნაცვალი ნაპირზე გადმოვიდა, ხოლო დონ ანტონიო მორენომ მავრის ქალი და მისი მამა თავისთან წაიყვანა; გენერალმა დაავალა მას კარგად გამასპინძლებოდა და, როგორც კი შესაძლებლად დაინახავდა, მოევლო მათთვის. და თან თავის მხრივ შესთავაზა მათი გამასპინძლებისათვის ყველაფერი, რაც კი მოეპოვებოდა სახლში. ესოდენ დიდი იყო კეთილგანწყობილება და შებრალება, რაც ანა-ფელიქსის სილამაზემ მას სულში შთაუწერა.

თავი LXIV

ამბავი ფათერაკისა, რომელმაც იმაზე უფრო დიდი მწუხარება მიაყენა დონ კიხოტს, ვიდრე მანამდის შემთხვეულ ყველა ფათერაკს მიუყენებია

ისტორია მოგვითხრობს, რომ დონ ანტონიოს ცოლმა ანა-ფელიქსი დიდი სიხარულითა და ალერსით მიიღო თავის სახლში და როგორც მისი სილამაზით, ისე მისი ჭკუით იყო გაკვირვებული: შვენიერი მავრის ქალი მართლაც იმდენადვე ლამაზი იყო, რამდენადაც

ქკვიანი, მთელი ქალაქის მცხოვრებნი ზარის ხმით მოწოდების მსგავსად სანახავად მოდიოდნენ და მისი მშვენიერება აოცებდათ.

დონ კიხოტმა უთხრა დონ ანტონიოს, რომ დონ გრეგორიოს გასათავისუფლებლად მოწონებული გეგმა არ ვარგაო, რადგან იგი უფრო საშიშია, ვიდრე მოსახერხებელიო, და უკეთესი იქნება, თვითონ მე, დონ კიხოტი, გამგზავნეთ ბერბერიაში, შეიარაღებული და ცხენზე მჯდარი, და მუსულმანთა მთელი ხროვის ჟინაზე დონ გრეგორიოს გავათავისუფლებ, როგორც დონ გაიფეროსმა თავისი ცოლი მელისენდრა გაათავისუფლაო.

- ნუ დაივიწყებთ, თქვენო მოწყალეზავ, - უთხრა სანჩომ, - რომ დონ გაიფეროსმა თავისი მეუღლე ხმელეთიდან გააპარა და საფრანგეთს აგრეთე ხმელეთით მიიყვანა; აქ კი, თუ დონ გრეგორიოს დახსნა ჩვენ წილად შეგვხვდებოდა, ხმელეთით მას ესპანეთში ვერ მივიყვანდით, რადგან შუაზე ზღვა გვიძევს.

- სიკვდილის მეტს ყველაფერს წამალი მოეპოვება, - შენიშნა დონ კიხოტმა, - ნავი თუ ზღვის კიდეს მოადგება, შეგვიძლია ზღვაში შევცუროთ, თუნდაც მთელი ქვეყანა წინ დაგვიდგეს.

- თქვენი მოწყალეებისათვის ყველაფერი ძალიან ადვილია, - უპასუხა სანჩომ, - მაგრამ სიტყვიდან საქმემდის დიდი მანძილი ძევს. მე მაინც განდგომილის მხარე მიჭირავს, რადგან იგი კარგ კაცად, კეთილი სულის პატრონად გიცვნია.

- თუ განდგომილი, - თქვა დონ ანტონიომ, - ნაკისრ ვალდებულებას ვერ შეასრულებს, მაშინ დონ კიხოტს მივმართავთ და ბერბერიაში გავგზავნით.

ორი დღის შემდეგ განდგომილი მსუბუქი თორმეტ ნიჩბიანი ნავით და მამაცთა გუნდით ალჟირს გაემართა, ხოლო ორი დღის შემდეგ ხომალდები ლევანტის ნაპირებისაკენ გაემართნენ. წასვლის წინ გენერალმა სთხოვა მეფისნაცვალს, შეეტყობინებინა მისთვის როგორც დონ გრეგორიოს განთავისუფლება, ისე ანა-ფელიქსის ამბავი და მეფისნაცვალის თხოვნის აღსრულებას დაჰპირდა.

ერთხელ დილით დონ კიხოტი სასეირნოდ გამოვიდა მთლად შეიარაღებული (რადგან, როგორც ხშირად ამბობდა, იარაღი მისი მშვენიერება იყო, ხოლო ბრძოლა - დასვენება, ისე, რომ უიარაღოდ ერთ წამსაც არ შეეძლო ყოფილიყო). ამ სეირნობის დროს დაინახა, რომ მას ვიღაც რაინდი უახლოვდებოდა, აგრეთვე მთლად შეიარაღებული, თეთრ აბჯარში ჩამჯდარი, ფარზე თეთრად მოელვარე მთვარე ჰქონდა გამოხატული. დონ კიხოტთან როცა ისე ახლოს მივიდა, რომ მისი ხმის გაგონება შეეძლო, რაინდმა ხმა აღიმალა და დონ კიხოტს მიმართა:

- ოი, ღვაწლმოსილო რაინდო, ჯერ არაოდეს არავისაგან ღირსეულად ქებულო დონ კიხოტო ლამანჩელო! მე ვარ თეთრი მთვარის რაინდი, რომლის არნახულმა საგმირო საქმეებმა იქნებ ჩემი თავი მოგაგონონ. აქ მოველ შენთან საბრძოლველად, შენი ხელის ძალის გამოსაცდელად, რათა სცნა და გაამჟღავნო, რომ ჩემი სატრფო ქალი, ვინც უნდა იყოს იგი, შენს დულსინე ტობოსელზე შეუდარებლად ლამაზია. ამ ჭეშმარიტებას თუ დაუყოვნებლივ აღიარებ, შენ სიკვდილისაგან დაიხსნი თავს, ხოლო მე შენი მოკვლის შრომას და ჯაფას ამარიდებ, თუ ამ ბრძოლაში დაგამარცხე, სხვა დაკმაყოფილებას არას მოვითხოვ იმის მეტს, რომ იარაღი დაჰყარო, ფათერაკების ძებნა მიატოვო და შენს სახლში განიდგეო ერთი წლის ვადით და მთელი ეს ხანი ისე იცხოვრო, რომ შენს ხმალს ხელი აღარ მოჰკიდო, მყუდროებაში და შენთვის სასარგებლო დამშვიდებით, რადგან ეს საჭიროა შენი ქონების გასამრავლებლად და შენი

სულის საცხონებლად. და თუ შენ დამამარცხებ, ჩემი თავი შენს განკარგულებაში იქნება, ჩემი იარაღი და ჩემი ცხენი შენს დავლად შეიქნება და შენს დიდებას თან ჩემთა ღვაწლია დიდება მიემატება. მოიფიქრე, რა სჯობია შენთვის და ახლავ მიპასუხე, რადგან მთელი დღევანდელი დღე მისთვის დავნიშნე, რომ შენ შეგებრძოლო.

დონ კიხოტი ზარდაცემული და გაოცებული იყო როგორც თეთრი მთვარის რაინდის თავხედობით, ისე მიზეზით, რა მიზეზითაც ბრძოლაში იწვევდა, მან დინჯად, მკაცრი სახით და ღირსეულად უპასუხა:

- ოი, რაინდო თეთრი მთვარისავ! შენთა ღვაწლთა ამბავს ჩემამდის ჯერ არ მოუღწევია. მზად ვარ გაიძულო ფიცით თქვა, რომ შენ შესანიშნავი დულისინე არასოდეს გინახავს, რომ გენახოს ამ ბრძოლაში გამოწვევას ვერ გაბედავდი, ჩემი მიჯნურის სახე იარაღს დაგაყრევინებდა, შენი შეცდომა გაიფანტებოდა და შეიგნებდი, რომ დულისინეს მსგავსი მშვენიერი ქვეყანაზე არც ყოფილა და არც იქნება. მაშ არ ვიტყვი - ცრუობ-მეთქი; ვიტყვი, როს ცდები, და შენგან მოხსენებული პირობებით მივიღებ შენს გამოწვევას, მივიღებ მას აქვე, დაუყოვნებლად, რომ დღევანდელი დღე არ დაგეკარგოს. შენი პირობიდან მხოლოდ ერთს გამოვრიცხავ - ჩემს ღვაწლთან შენი ღვაწლის მიმატებას; არ ვიცი, ის რა თვისებისაა, და მე ჩემთა ღვაწლთა საკუთარი დიდებით ვკმაყოფილდები. მაშ ასპარეზის ნაწილი აირჩე, რომელიცა გსურს, მეც იმას ვიზამ; და რასაც ვის მისცემს ღმერთი, დაე წმიდა პეტრემ აკურთხოს.

ქალაქიდან თეთრი მთვარის რაინდი დაინახეს. მეფისნაცვალს აცნობეს, რომ მას დონ კიხოტ ლამანჩელთან რაღაც მოლაპარაკება აქვსო. მეფისნაცვალმა იფიქრა, ეს უთუოდ რაიმე ახალთ ოინია, დონ ანტონიო მორენოსაგან ან ვისგანმე ქალაქში მცხოვრებ კაბალეროსაგან მოგონილიო, და დაუყოვნებლივ დონ ანტონიოთი და ბევრი სხვა მის მხლებელ კაბალეროებით ზღვის სანაპიროზე წავიდა და სწორედ იმ დროს მივიდა, როდესაც დონ კიხოტმა როსინანტი მოაბრუნა, რომ თავისთვის, რამდენიც საჭირო იყო, ადგილი მოზომა. რა დაინახა, რომ ორივე რაინდი მზად იყო ერთმანეთს შებრძოლებოდა, მეფისნაცვალი შუაში ჩაუდგა მათ და ჰკითხა, ასე უცბად შებრძოლება რა მიზეზმა გაიძულათო. თეთრი მთვარის რაინდმა მოახსენა, საქმე სილამაზის უპირატესობაზე არისო, და მოკლედ გაუმეორა, რაც დონ კიხოტს უთხრა და ისიც, რომ ბრძოლის პირობები ორივესაგან მიღებულიაო. მეფისნაცვალი დონ ანტონიოსთან მივიდა და ჩუმად მკითხა, იცნობდა თუ არა თეთრი მთვარის რაინდს, ან იქნება ეს საქმე დონ კიხოტის წინააღმდეგ მოგონილი ხუმრობააო. დონ ანტონიომ უპასუხა, რომ არც ის იცოდა ის რაინდი ვინ იყო, არც ის, ბრძოლა ხუმრობით ხდებოდა თუ მართლა. ამ პასუხმა მეფისნაცვალი გაუგებრობაში ჩააყენა და არ იცოდა, ბრძოლის ნება მიეცა თუ არა; მაგრამ მაინც დარწმუნებული იყო, რომ ეს ხუმრობის მეტი არა იქნებოდა რა, მოშორდა მათ და თქვა:

- ბატონო რაინდო, თუ სხვა გზა არა გაქვთ, ან მოთხოვნილი აღიარება უნდა იკისროთ, ან დაიხოცნეთ, ხოლო ბატონი დონ კიხოტი დაჟინებით ადგას თავის სიტყვას და თქვენ, თქვენო მოწყალებავ, რაინდო თეთრი მთვარისავ, არა ნაკლები დაჟინებით თქვენსას გაიძახით, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, დაიწყეთ ბრძოლა!

თეთრი მთვარის რაინდმა მეფისნაცვალს ნებართვისათვის ზრდილობიანი და მშვენიერი სიტყვებით მადლობა უთხრა, ასევე მოიქცა დონ კიხოტიც. მან (როგორც ბროლის წინ ჩვეულებად ჰქონდა) თავისი თავი სრული გულით ზენასა და დულისინეს მიანდო, როსინანტი მოატრიალა, რომ ცოტა მოშორებით დამდგარიყო, რადგან დაინახა, რომ მოწინააღმდეგე ასევე



იქცეოდა. ამ დროს ვინმეს არც საბრძოლო საყვირი და არც საბრძოლო რაკრაკები არ დაუკრავს. მაგრამ მაინც ორივემ ერთსა და იმავე წამს ცხენები მოატრიალეს და ფიცხლავ ადგილიდან გასხლიტეს; ვინაიდან თეთრი მთვარის რაინდის ცხენი უფრო ჩქარი მოსიარულე იყო, დონ კიხოტის მოწინააღმდეგე გასავლელი მანძილის ორ მესამედზე შეხვდა მას და აქ თითქოს განგებ ზევით აშვერილი შუბის უხმარებლად ისეთი ძალით შეეხალა, რომ დონ კიხოტი როსინანტიანად მიწაზე გაიშხლართა. წამსვე თეთრი მთვარის რაინდი მივარდა მას, შუბი ჩაფხუტზე მიაბჯინა და უთხრა:

- დამარცხებული ხარ, რაინდო, და სიცოცხლეს გამოესალმებით, თუ ჩვენი ბრძოლის პირობებს არ დაემორჩილებით.

დონ კიხოტმა, მთლად დათეთქვილმა და დარეტიანებულმა, ჩაფხუტის აუწევლად სუსტი ხმით და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით, თითქოს სამარიდან ამბობსო, უთხრა:

- დულსინე ტობოსელი მთელ ქვეყანაზე ულამაზესი ქალია, ხოლო მე მთელს ქვეყანაზე უუბედურესი რაინდი ვარ. ეს ჭეშმარიტება არ უნდა დაამციროს ჩემმა უღონობამ, ამ ჭეშმარიტებას მაინც არ ვუღალატებ. გაგმირე მაგ შუბით, რაინდო, და სიცოცხლე მომისწრაფე, რადგან პატივი და ღირსება ხომ წამართვი!

- მაგას დიახაც არ ვიზამ, - უთხრა თეთრი მთვარის რაინდმა. - დაე, ბრწყინავდეს შეუდარებელი სინათლით დიდება დულსინე ტობოსელისა, რადგან მე იმითიც ვარ დაკმაყოფილებული, რომ დიდებული დონ კიხოტი ერთი წლით განგიდგება თავის სოფელში, ანუ იმ ვადით, რასაც დავუნიშნავ, როგორც ბრძოლის დაწყებამდის პირობა დავდეთ.

ყველაფერი ეს დაინახეს მეფისნაცვალმა, დონ ანტონიომ და სხვა დამსწრეებმა და ცხადად გაიგონეს, რაც თეთრი მთვარის რაინდმა თქვა და ისიც, რაც დონ კიხოტმა უპასუხა - თუ ისეთს ირასა მთხოვ, რაც დულსინეს ზიანს მიაყენებს, როგორც კეთილსინდისიერი რაინდი, ყველაფერს ავასრულებო. თეთრი მთვარის რაინდმა დონ კიხოტის ეს განაცხადი რომ მოისმინა, მეფისნაცვლის წინ თავაზიანად თავი მოიდრიკა, ცხენი მოატრიალა და მოკლე კამარით ქალაქისაკენ გაემართა. მეფისნაცვალმა დონ ანტონიოს უბრძანა - მას უკან გაჰყოლოდა და ყველა ღონე ეხმარა გაეგო - ვინ იყო იგი. დონ კიხოტი წამოაყენეს პირისახეზე ახადეს და ნახეს, რომ გაფითრებული და გაოფლიანებული ჰქონდა. როსინანტი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მოძრაობა აღარ შეეძლო. ძალიან გულნატკენმა და დაღონებულმა სანჩომ არ იცოდა, რა ეთქვა ან რა ექნა. მას ისე ეგონა, თქოს რაც ის-ის იყო მოხდა - სიზმარში ეჩვენებოდა და ყველაფერი ეს ჯადოქრების ოინი იყო. თავისი ბატონი დამარცხებული ნახა და დავადებული - მთელი წლის განმავლობაში იარაღი ხელში აღარ აედო. მას თვალწინ წარმოუდგა, რომ დონ კიხოტის ღვაწლთა დიდების ბრწყინვალეობა დაბნელდა, ამას წინათ დაპირებულის აღსრულების იმედიც გაჰქრა, როგორც ქარი გააბნევს ბოლს. იმისიც ეშინოდ, როსინანტის ყველა სახსარი სამუდამოდ ნაღრძობი არ დარჩენილიყო - და მისი ბატონის ნაღრძობი ჰკუპაც უცებ განკურნებული აღმოჩენილიყო (თუმცა უკანასკნელი გარემოება დიახაც უდიდესი ბედნიერება იქნებოდა!). ბოლოს მეფისნაცვალმა საკაცე რომ მოატანინა, დონ კიხოტი იმაზე დასდეს და ქალაქს წაიღეს; მეფისნაცვალს ქალაქს დაბრუნდა, რომ გაეგო ის თეთრი მთვარის რაინდი ვინ იყო, დონ კიხოტს რომ ასე სასტიკად გაუსწორდა და სამწუხარო ყოფაში ჩააგდო.

თავი LXV

სადაც განმარტებულია, თუ ვინ იყო თეთრი მთვარის რაინდი, და აგრეთვე მოთხრობილია ტყვეობიდან დონ გრეგორიოს განთავისუფლება და სხვა შემთხვევები

დონ ანტონიო მორნო თეთრი მთვარის რაინდს გამოუდგა; მასვე ბიჭუჭუბის მთელი ხროვა მისდევდა, ვიდრე ქალაქის ერთ სასტუმროში შეაფარებდა თავს. დონ ანტონიო სასტუმროში თან შეჰყვა, რაინდს აბჯრის მოსახსნელად საჭურველმტვირთველი შეეგება. რაინდი ქვედა სართულის ოთახში შევიდა და დონ ანტონიოც მასთან გაჩნდა, რადგან უდიდესი სურვილი ჰქონდა გაეგო, ვინ იყო იგი. რაინდმა რომ დაინახა, რომ ის კაბალურო არ ეშვებოდა, უთხრა:

- კარგად მესმის, ბატონო, რისთვისაც მოხვედით; თქვენ გინდათ გაიგოთ, ვინა ვარ, რადგან არავითარი მიზეზი არა მაქვს თავი დავიმალო. ვიდრე ჩემი მსახური იარაღს მომხსნის, გიამბობთ მთელ ჭეშმარიტებას, ისე, რომ ერთ ბეწვზედაც არ ავცდები მას. მე, ბატონო, ბაკალავრი სამსონ კარასკო გახლავართ; მე და დონ კიხოტი ლამანჩელი ერთ სოფელში ვცხოვრობთ; მისი უგუნურება ჩვენ ყველა მის ნაცნობს სიბრალულსა გვგვრის, ხოლო მე - იქნება მეტსაც, ვიდრე სხვებს. მე გადავწყვიტე, რომ მისი მორჩენა მის დამშვიდებაზე არის დამოკიდებული; იგი თავის სოფელში შინ უნდა იჯდეს და მშვიდობიანად იცხოვროს. ამიტომ ხერხს მივმართე, შინ ჯდომას ვაიძულებ-მეთქი. და ამ სამი თვის წინათ ამ აზრით უკან დავედევნე მოგზაური რაინდის სახედ. სახელად სარკეთა რაინდი დავირქვი, განზრახვა მქონდა - შევბრძოლებოდი და დამემარცხებინა, ვნება კი არაფერი მიმეყენებინა, ხოლო ჩვენი ბრძოლის პირობად დაგვედო ჩვენი თავი გამარჯვებულის ნებაზე მიგვედო. რაკი ჩემი თავი გამარჯვებულად მიმაჩნდა, მინდოდა მისგან მომეთხოვა, რომ იგი თავის სოფელში დაბრუნებულიყო და იქიდან მთელი წლის განმავლობაში აღარსად წასულიყო. ვფიქრობდი, იქნებ ამ ხანში განიკურნოს მეთქი, მაგრამ ბედმა მიმტყუნა. მან დამამარცხა და ცხენიდან გადმომაგდო. ამგვარად ჩემი გეგმა ვერ შევასრულე, მან თავის გზა განაგრძო, მე კი დამარცხებული, შერცხვენილი და ცხენიდან გადმოვარდნაში საკმაოდ დაბეგვილი შინ დავბრუნდი. მაინც იმ მარცხმა სურვილი არ წამართვა კვალად მომეძებნა და დამემარცხებინა იგი, რაც დღეს კიდევ შევასრულე. და, რადგან აგი მეტისმეტი სიბეჯითით ასრულებს მოგზაური რაინდობის წესებს, ამიტომ, ყოვლად უეჭველია, ჩემს დავალებასაც შეასრულებს და თავის სიტყვას არ უმტყუნებს. აი, ბატონო, მთელი ამბავი ეს არის და საამბობიც მეტი არა მაქვს რა. მხოლოდ ამას გემუდარებით - არ გამცეთ, დონ კიხოტს არ უთხრათ, ვინა ვარ, რომ ჩემი კეთილი განზრახვა არ ჩაფუშოს; ეგებ ჰკუა და აზრი დაუბრუნდეს კაცს, რომელიც დიდად გონიერია, როდესაც წუთით მოგზაური რაინდობის სისულელეებს ივიწყებს.

- ოჰ, ბატონო, - უთხრა დონ ანტონიომ, - გაპატიოთ ღმერთმა ის დანაკლისი, რაც თქვენ მთელ ქვეყანას გინდათ მოუტანოთ იმით, რომ მოგისურვებიათ გონება დაუბრუნოთ იმ დიდად საყურადღებო მახვილგონიერ უგუნურს, რომლის მსგავსი ქვეყანაზე სხვა არ მოიპოვება! ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მისი გონიერებით მოცემული სარგებლობა იმ სიამოვნებას ვერ აღემატება, რასაც მისი არეული გონება გვაძლევს? მაინც, მგონია, ბატონი ბაკალავრის ხერხიანობა საკმარისი არ იქნება ასე გაშმაგებულად ჰკუაარეული საღი გონების კაცად გადააქციოს. გულმტკივნეულობის წინააღმდეგი რომ არ იყოს, რადგან მისი განკურნებით არა მარტო მის ახირებულ ზნესა და უცნაურობას ვკარგავთ, არამედ ვეთხოვებით მისი საჭურველმტვირთველის ენამახვილობასაც, თითოეულ მათგანს შეუძლია ყველაზე პირქუში, სევდიანი და დაზაფრული ადამიანის გამხიარულება, - მაინც ჩუმად ვიქნები, არაფერს ვეტყვი

დონ კიხოტს, მხოლოდ იმის მოლოდინში ვიქნები, ჩემთ სიტყვა გამართლდეს, რომ ბატონმა კარასკომ თავისი გამარჯვებით ვერაფერი მოიგო.

ბაკალავრმა მიუგო, მაინც კარგ გზაზე ვარ დაყენებული და ბედნიერი შედეგის იმედი მაქვსო. ამის შემდეგ დონ ანტონიომ, რასაც მოისურვებდა, ყველაფერში თავისი სამსახური აღუთქვა და კარასკო მას გამოეთხოვა. უბრძანა, ჯორისთვის აეკიდნათ აბჯარი, რომლითაც დონ კიხოტს ებრძოდა, იმ ცხენზე წამსვე შეჯდა და თავის სოფლისკენ მოუსვა. გზაზე მას ისეთი არაფერი შემთხვევია, ამ ჭეშმარიტს ისტორიაში მოხსენების ღირსი რომ იყოს.

დონ ანტონიომ მეფისნაცვალს უამბო ყოველივე, რაც კარასკომ უთხრა; ეს ამბავი მეფისნაცვალს სულაც არ მოეწონა, რადგან სარაინდო ასპარეზიდან დონ კიხოტის მოშორებით ის სიამოვნება იკარგებოდა, რაც ყველას რაინდის სულელური მოგზაურობით ჰქონდათ ნაგრძნობი.

ექვსი დღე დაჰყო დონ კიხოტმა ლოგინში, მოდუნებულმა, დაფიქრებულმა, ცუდ გუნებაზე მყოფმა. წამდაუწუმ იგონებდა და თავისი უბედური დამარცხების ამბავს უბრუნდებოდა. სანჩო ცდილობდა ენუგეშებინა იგი და, სხვათა შორის, უთხრა:

- ჩემო ბატონო, თავი მაღლა აიღეთ. თქვენო მოწყალეზავ, გამხნევდით. ღმერთს მაღლობა შესწირეთ, რომ მიწაზე და ცემის დროს არც ერთი წიბო-ძვალი არ გაგიტყდათ. გახსოვდეთ, რომ სადაც არტყამენ იქ დარტყმასაც იღებენ; ყველგან როდია ლორი, სადაც მისი დასაკვიდებელი კაუჭი ჩამოუკიდიათ. ექიმი დაითხოვეთ, უიმისოდ ჩვენც მოგარჩენთ. შინ დავბრუნდეთ, გვეყოფა ქვეყნისქვეყნად უცხო ადგილებში ფათერაკების სამეზნელად ტანტალი და, საქმეს რომ კარგად დავაკვირდეთ, ამით მე მეტს ვკარგავ, ვიდრე თქვენი მოწყალეზავა. მე გუბერნატორობის უარყოფასთან ერთად კვალად გუბერნატორად გახდომის ხალისი თუმცა დავკარგე, გრაფად გახდომის ხალისი კი არ დამიკარგავს. მაგრამ რაკი თქვენი მოწყალეზავა რაინდი აღარ არის, მამ მეფედ გახდომაც აღარ შეგიძლიათ და მეც გრაფი აღარ ვიქნები. ამ სახით ჩემთ იმედები ბოლივით გაცამტვერდა.

- გაჩუმდი, სანჩო! - უთხრა დონ კიხოტმა, - განა არ იცი - მე მოვალე ვარ მხოლოდ ერთ წელიწადს დავრჩე სოფელში, რის შემდეგ ჩემს კეთილშობილურ ხელობას კვლავ დავუბრუნდები და ჩემთვის სამეფოს, შენთვის კი საგრაფოს ბლომად ვიშოვი.

- გისმინოთ ღმერთმა, ეშმაკმა კი ყურები დაიცოს! - უთხრა სანჩომ, - ნათქვამია: კარგი იმედი სჯობია უხეირო სინამდვილესაო.

ასეთი მასლაათი რომ ჰქონდათ, დონ ანტონიო გახარებული სახით შევარდა მათთან და უთხრა:

- ჯილდო მომეცით, ბატონო დონ კიხოტო, რადგან კარგი ამბავი მოვიტანე: დონ გრეგორიო და მასთან წასული განდგომილი უკვე მოვიდნენ; ახლა მეფისნაცვალთან არიან და ორიოდე წამს უკან აქ მოვლენ.

დონ კიხოტი თითქოს ცოტა გამხიარულდა და თქვა:

- ის უფრო გამიხარდებოდა, რომ წინააღმდეგი მომხდარიყო, მაშინ ბერბერიაში მე წავიდოდი და ჩემი მკლავის ძალით არათუ მარტო დონ გრეგორიოს გავათავისუფლებდი, არამედ ყველა ქრისტიან ტყვესაც, რამდენიც უნდა ყოფილიყვნენ იქ. მაგრამ რას ვამბობ მე უბედური? განა

დამარცხებული არა ვარ? განა მე არ ვიყავ, რომ ცხენიდან მიწაზე დამცეს? განა მე არა ვარ ვალდებული მთელ წელიწადს იარაღს ხელი არ შევახო? ვის რას ვპირდები? რითღა ვინუგეშებ თავს, როდესაც ახლა ის შემშვენის - თითისტარი ავიღო ხელში და არა მახვილი.

- კმარა, ბატონო! - უთხრა სანჩომ. - იცოცხლოს ქათამმა, იცოცხლოს თავისი წიწაკის სნეულებით; დღეს შენ გაიმარჯვე, ხვალ მე გავიმარჯვებ. ბრძოლის საქმეში, როდესაც ხმლებს ჩახაჩუხი გააქვს, თავდებად ვერავის დაუდგები: დღეს ის ეცემა, ვინც ხვალ ზევით აიწევს, თუ ლოგინში დარჩენას არ მოინდომებს. მამაცი დღეს ნუ დაღონდება და ხვალ უწინდელი ვაჟკაცობით დაიწყოს ბრძოლა. მაშ აბრძანდით, თქვენო მოწყალებავ, დონ გრეგორიოს შეეგებეთ; აგერ, ხმაურობა არ გესმი? უეჭველად, იგი უკვე აქ არის.

მართლაც იქ იყო; დონ გრეგორიომ და განდგომილმა დაბრუნების და მგზავრობის ანგარიში მისცეს მეფისნაცვალს და დონ გრეგორიომ, ანა-ფელიქსის ჩქარი ნახვის სურვილით აღძრულმა, განდგომილთან ერთად დონ ანტონიოსთან დაშურებით მიიბრინა. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ დონ გრეგორიო ალჟირიდან წამოსვლისას ქალის ტანისამოსით იყო, ნავში მასთან ერთად გამოქცეული ტყვე ქრისტიანის ტანისამოსი ჩაიცვა; მაგრამ რა ტანისამოსითაც უნდა ყოფილიყო, არ შეიძლებოდა მასზე ადამიანს გული არ შევარდნოდა; გასაოცარი სილამაზის პატრონი იყო, ხნით ასე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ჭაბუკი იქნებოდა. რიკოტე და მისი ქალი გამოეგებნენ, მამა - თვალცრემლიანი, ხოლო ქალი - მომხიბვლელი შეწითლებული სახით. ისინი ერთმანეთს არ მოხვევიან, რადგან, სადაც დიდი სიყვარულია, იქ მოკრძალებაც დიდია. დონ გრეგორიოს და ანა-ფელიქსის სილამაზემ ყველა დამსწრე გააოცა. ორ შეყვარებულთა მაგიერ დუმილი ლაპარაკობდა, ხოლო თვალები მათი სიხარულის და უბიწო აზრების გამომხატველ ენად გადაიქცა.

განდგომილმა უამბო ხერხსა და საშუალებაზე, რაც მან დონ გრეგორიოს ტყვეობიდან გამოსახსნელად მოიხმარა, დონ გრეგორიომ იმ შიშსა და განსაცდელზე მოუთხრო, რაც დედაკაცებში ცხოვრების ჟამს განიცადა, და ყველა ეს - სიტყვაგაუგრძელებლად, მოკლედ, რითაც დაამტკიცა, რომ მისმა ჭკუამ მის ასაკს წინ გაუსწრო. ბოლოს რიკოტემ უხვად გადაუხადა და დააჯილდოვა როგორც განდგომილი, ისე ის ქრისტიანები, ვინც მენიჭებებად იყვნენ. განდგომილი რომის კათოლიკე ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა და დამპალ-დამყაყებელი წევრისაგან მონანიებითა და საკანონოს მოხდის გზით განწმენდილ საღ წევრად შეიქნა.

ორი დღის შემდეგ მეფისნაცვალი და დონ ანტონიო მსჯელობდნენ, რა მოემოქმედათ, რომ ანა-ფელიქსი და მისი მამა ესპანეთში დარჩენილიყვნენ, რადგან არავითარ შეუსაბამობას და შიშს არა ხედავდნენ, ესპანეთში დაეტოვებინათ ესოდენ გულმოდგინე ქრისტიანი ქალი და მისი სათნო მამა. დონ ანტონიომ იკისრა ამ მიზნით დედაქალაქში მეცადინეობა გაეწია, სადაც მას სხვა საქმეების გამო წასვლა სჭირდებოდა, თან იმედი გამოთქვა, რომ სასახლეში შემწეობითა და ქრთამით სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვა შეიძლებოდა.

- არა, - თქვა ამ ლაპარაკის დამსწრე რიკოტემ, - შემწეობასა და ქრთამებზე იმედის დამყარება არ შეიძლება; დიდებულ დონ ბერნარდინო დე ველასკო გრაფ დე სალასარზე, რომელსაც შისი უდიდებულესისაგან ჩვენი განდევნის გამგეობა აქვს მინდობილი, არც ცრემლი, არც მუდარა, არც დაპირება და არც ქრთამი არ მოქმედებს. მართალია, იგი მართლმსაჯულებას ღმობიერებით აზავებს მოწყალებასთან, მაგრამ, რადგანაც ხედავს, რომ ჩვენი ერის მთელი

სხეული შემწიკვლულია და ლპობას იწყებს, ფიქრობს, მისი მორჩენა გახურებული შანთით უფრო შეიძლება, ვიდრე გამაყუჩებელი მალამოთი. რა გონიერებითაც ასრულებს თავის თანამდებობას და რა თავზარსაც სცემს ყველას, მხოლოდ ამით შეიძლო იმ დიდი ტვირთის თავის კისრად აღება და იგი ჯეროვან სისრულემდისაც მიიყვანა. არავითარმა ჩვენმა ხერხმა, ოინმა, მუდარამ და მოტყუებამ ვერ შეიძლეს მისი არგუსის თვალი აებათ. მისი თვალები მუდამ დარაჯად არიან, რომ ჩვენგანი არავინ დარჩეს, არ დაიმლოს და, როგორც მიწაში უჩინარმა ფესვმა, დროის განმავლობით ყლორტები არ ამოუშვას და შხამიანი ნაყოფი არ მოიტანოს ესპანეთში, უკვე განწმენდილში და შიშისაგან გათავისუფლებულში, რომელშიაც ჩვენმა სიმრავლემ ჩააყენა. დიდებულია ფილიპე მესამის გაბედული გადაწყვეტილება და იშვიათია მისი სიბრძნე, რომ იმ გადაწყვეტილების შესრულება დონ ბერნარდინო ველასკოს ჩააბარა.

- რა თქმა უნდა, - თქვა დონ ანტონიომ, - მივალ თუ არა, ყოველგვარ ღონისძიებას მოვიხმარ სასახლეში და მერე, დაე, რაც ზენამ ინებოს, ის მოხდეს! დონ გრეგორიო თან წამომყვება, თავის მშობლებს ანუგეშებს, ამის განშორებით დამწუხრებულთ. ანა-ფელიქსი ჩემს ცოლთან დარჩება, ჩემს სახლში, ანუ მონასტერში, და დარწმუნებული ვარ მისი აღმატებულება მეფისნაცვალის კეთილ რიკოტეს თავისთან მისცემს ბინას, ვიდრე ჩემი მეცადინეობის შედეგი არ გამოირკვევა.

მეფისნაცვალის ყველა ამ წინადადებაზე დათანხმდა, მაგრამ დონ გრეგორიოს ჯერ არაფრის გულისათვის არ უნდოდა ანა-ფელიქსს განშორებოდა. მაგრამ ჩქარა მშობლების ნახვის სურვილმა და იმან, რომ სასახლეში ნებართვას აიღებდა და საცოლეს წასაყვანად დაბრუნდებოდა, აიძულეს დათანხმებულიყო. ანა-ფელიქსი დონ ანტონიოს ცოლთან დარჩა, ხოლო რიკოტე მეფისნაცვალის სასახლეში გადავიდა.

დონ ანტონიოს წასვლის დღე დადგა, ხოლო ორი დღის შემდეგ დონ კიხოტი და სანჩო გაემგზავრნენ. ცხენიდან ჩამოვარდნამ რაინდს ნება აღარ მისცა ამაზე უფრო ადრე წასულიყო. დონ გრეგორიო ანა-ფელიქსს რომ ეთხოვებოდა, ბევრი ცრემლი, ოხვრა, გულშეღონება და ტირილი დაიხარჯა. რიკოტემ თავის ხასიძოს, დონ გრეგორიოს, ყოველ შემთხვევისათვის ათასი ოქრო შესთავაზა, მაგრამ მან არაფერი გამოართვა, მხოლოდ დონ ანტონიოსგან ხუთი ოქრო ისესხა მადრიდში გადახდის პირობით. დასასრულ ორნივე გაემგზავრნენ და შემდეგ, როგორც ვთქვით, დონ კიხოტი და სანჩო მათ მიჰყვნენ, - დონ კიხოტი შეუიარაღებლად, სამგზავრო ტანისამოსში, ხოლო სანჩო ქვეითად, რადგან ლურჯა ჯავშან-აბჯრით იყო დატვირთული.

თავი LXVI

სადაც მოთხრობილია ის, რასაც მკითხველი წაიკითხავს, ხოლო მენელი გაიგონებს

დონ კიხოტი რომ ბარსელონიდან მიდიოდა, თავისი დამარცხების ადგილი დაინახა და შესძახა:

- აქ იყო ტროადა! აქ ჩემმა სულმოკლეობამ და ჩემმა უბედურმა ვარსკვლავმა ჩემი წარსული დიდება დააბნელა! აქ ბედმა თავისი ცვალებადობის სათამაშოდ მაქცია, აქ ჩაესვენა ჩემთა გმირულ საქმეთა ბრწყინვალე მზე. დასასრულ, აქ დაეცა ჩემი ბედნერება, რომ აღარასოდეს აღარ წამოდგეს.

ეს რომ სანჩომ გაიგონა, უთხრა:

- ღვაწლმოსილ ადამიანთა თვისებაა, თქვენო მოწყალეზავ, უბედურებაში იმდენადვე მოთმინება გამოიჩინონ, რამდენადაც ბედნიერებაში სიხარულს განიცდიან. ეს ჩემს თავზე გამომიცდია, გუბერნატორად რომ ვიყავ, მხიარულად ვგრძნობდი თავს, ხოლო, როდესაც ქვეითად მავალი საჭურველმტვირთველი შევიქენი, ახლა არც ამას ვნადვლობ. გამიგონია, ის, რაღაც ბედს რომ ეძახიან, - ავზნე, უხასიათო დედაკაცია, მასთანაც მუდამ მთვრალი და ზედაც ბრმა; იგი რასაც სჩადის, ვერ ხედავს და არც იცის, ვის ამცირებს და ვის ამაღლებსო.

- შენ დიდი ფილოსოფოსი ხარ, სანჩო, - უპასუხა დონ კიხოტმა, - არ ვიცი ასეთი გონივრული ლაპარაკი ვინ გასწავლა. ამას კი გეტყვი, რომ ქვეყანაზე კარგი თუ ავი შემთხვევით არა ხდება, არამედ ზეცის განსაკუთრებული განჩინებით გვეგზავნება; ამიტომაც ამბობენ: ყველა თავისი ბედისა და უბედურების მიზეზი თვითონ არისო; ყველა თავის ბედსა და უბედობას თვითონ სჭედსო. მეც ჩემი ბედნიერების მჭედელი ვიყავ, მაგრამ ჯეროვანი კეთილგონიერება არ მქონდა და ამიტომ ჩემი თავის იმედიანობამ მწუხარებამდის მიმიყვანა. იმთავითვე უნდა მომესაზრა, რომ თეთრი მთვარის რაინდის ცხენის დიდ ღონეს მჭლე როსინანტის სისუსტე ვერ გაუმაგრდებოდა. მაინც შებრძოლება გავბედე; რაც შემეძლო, ვიბრძოდი. მაგრამ უნაგირიდან ამგლიჯეს და ძირს დავეცი, და თუმცა პატივი და დიდება დავკარგე, ჩემი სიტყვის აღსრულების ნიჭი არ დამიკარგავს. როდესაც უშიშარი მოგზაური რაინდი ვიყავ, თამამი და ღვაწლმოსილი, მაშინ ჩემი ხელი და ჩემი საქმეები ჩემს მაგიერ ლაპარაკობდნენ; ახლა კი უბრალო იდაღოდ ქცეულმა მინდა ჩემი სიტყვის დამცველი რაინდის სახელი გავითქვა და მიცემული აღთქმა მტკიცედ ავასრულო. შინ წავიდე, მეგობარო სანჩო, გამოცდის წელიწადი სამშობლოში გავატაროთ და ამ განდევილობის დროს ახალი ძალა მოვიკრიბოთ, რომ თავის დროზე ჩემთვის უკუნისამდე დაუვიწყარ სამხედრო ხელობას კვლავ დავუბრუნდე.

- თქვენო მოწყალეზავ, - უთხრა სანჩომ, - ფეხით სიარული მაგდენად სასიამოვნო არ არის, რომ დიდი მანძილების გავლა ვიკისრო. მოდით, რაინდობის მტვერი ფეხთაგან დავიბერტყოთ და ეს აბჯარი აქ რომელიმე ხეზე ჩამომხრჩვალის მაგიერ ჩამოვკიდოთ, და როდესაც ჩემს ვირს ზურგზე შევაჯდები და ფხებს მიწის ტკეპნას მოვაშორებ, მაშინ, რა მანძილზედაც გნებავთ, ვიაროთ, ხოლო თუ ფიქრობთ, რომ ეს დიდი მანძილი ფეხით ვიტანტალო, ეს შეუძლებელი იქნება.

- კარგად თქვი, სანჩო, - უპასუხა დონ კიხოტმა, - ჩემი აბჯარი აქ დავკიდოთ ალაფის მსგავსად და მის ქვეშ ან გარშემო ხეზე ამოვჭრათ წარწერა, რაც როლანდის ასეთსავე ალაფზე იყო დაწერილი:

...მათი შეხების იმას აქვს ნება,

გმირობით როლანდს ვინც შეედრება.

- ყველაფერი ეს, - თქვა სანჩომ, - ნამდვილ ოქრო სიტყვებად მეჩვენება და, რომ ჩვენი მოგზაურობისათვის როსინანტი არა გვჭირდებოდეს, თქვენს მოწყალეზავს ვურჩევდი, ისიც აქ, თქვენს აბჯართან ჩამოგვეკიდა.

- სწორედ მაგიტომ არც როსინანტს და არც აბჯარს აქ არ ჩამოვკიდებ, - უთხრა დონ კიხოტმა, - არა მსურს ჩემზე თქვან: კარგი სამსახური ცუდად დააჯილდოვან!

- თქვენმა მოწყალეებამ ჩინებულად შენიშნა, - მიუგო სანჩომ, - ვინაიდან ჭკვიანი ხალხის აზრით, ვირის დანაშაული არ შეიძლება მის კურტანს მიეწეროს და ამ საქმეში კი თქვენი მოწყალეობა არის დამნაშავე, მაშ თვითონ თქვენი თავი დასაჯეთ და თქვენს რისხვას დამტვრეულ და დასისხლიანებულ აბჯარს და კეთილ და წყნარ როსინანტს თავზე ნუ დაატებთ; აგრეთვე ჩემს ნაზ ფეხებსაც ნუ მოსთხოვთ იმაზე მეტი იარონ, ვიდრე რიგი და წესია.

ამგვარ ლაპარაკში გაიარა მთელმა იმ დღემ და ოთხმაც კიდევ სხვამ და ისეთი არა შემთხვევითაა რა, რომ მათი მგზავრობისათვის ხელი შეეშალა. მეხუთე დღეს, რომელიღაც ერთ სოფელში შესვლისას ფუნდუკის კარებთან მრავალი ხალხი დაინახეს, რომელიც, რაკი უქმე დღე იყო, შეექცეოდა და მხიარულობდა.

დონ კიხოტი რომ მათ მიუახლოვდა, ერთმა გლეხმა ხმამაღლა თქვა:

- დაე, ჩვენი საქმე, ახლა, რომ ორი სენიორი მოვიდა და არ იცნობს მოდავე მხარეებს, ამ ორში ერთმა რომელიმემ გადასჭრას.

- თანახმა ვარ, - უთხრა დონ კიხოტმა, - სრული სიმართლით გადავჭრა, თუკი გავარჩიე, რაშია საქმე.

- საქმე იმაშია, კეთილო ბატონო, - უთხრა გლეხმა, - რომ ამ სოფლის ერთმა მცხოვრებმა, ისეთმა მსუქანმა, რომ თერთმეტ არობას აიწონის, თავისი მეზობელი სირბილში გამოიწვია, რომელიც ხუთ არობაზე მეტს არ იწონის. პირობა იყო, ასი ნაბიჯი გაერბინათ თანაბარი სიმძიმით და, როდესაც გამომთხოვნელს ჰკითხეს, სიმძიმე როგორ გავათანასწოროთო, თქვა, - გამოწვეულმა ექვსი არობა რკინა ზურგზე უნდა აიკიდოსო და ამგვარად გამხდარის ხუთი არობის წონა სქელის თერთმეტს გაუთანასწორდებაო.

- დამაცადეთ, დამაცადეთ! - დაიძახა სანჩომ, ვიდრე დონ კიხოტი მოასწრებდა პასუხს. - ამ საქმის გადაწყვეტა მე მეკუთვნის, როგორც რამდენიმე დღის წინ გუბერნატორად და მსაჯულად ნამყოფს: სწორედ მე შემფერის ასეთი გაუგებრობის ახსნა და ამგვარი კვანძების გახსნა.

- ძალიან კარგი, აუხსენ, მეგობარო სანჩო, - დაიძახა დონ კიხოტმა, - მე არავითარი რჩევის მიცემა არ შემიძლია, ვიდრე გონება არეული და ახლართული მაქვს.

ეს ნებართვა, რომ მიიღო, სანჩომ უთხრა გლეხებს. გარშემო რომ შემოეხვივნენ და პირდაღებულნი მის განაჩენს ელოდნენ:

- ძმებო, რასაც სქელი ითხოვს, იმაში არც კეთილგონიერბაა და არც სიმართლე; თუ გამოწვეულს უფლება აქვს იარადის არჩევისა, კარგი არ არის გამოწვევმა ისეთი იარადი აირჩიოს, რომელიც მას გამაჯვებას დაუშლის. მაშ, ჩემი აზრით, სქელმა, სირბილში გამომწვევმა, უნდა მოიხსნას, მოიჭრას, მოიწმინდოს, მოიკლოს, მოითალოს, მოიფხიკოს ექვსი არობა ხორცი თავისი სხეულისა, სადაც ენებება ანუ სამჯობინოდ დაინახავს, და ამ საშუალებით ხუთი არობის წონამდე მისული თავის მოწინააღმდეგეს გაუთანასწორდება და მასთან ერთ დონეზე დადგება, მაშინ შეუძლიათ თანაბარი პირობით გაიქცნენ.

- ღმერთს ვფიცავ, მართალს ამბობს, - დაიძახა ერთმა გლეხმა, - ამ ბატონმა ისე გადასჭრა, როგორც წმინდანმა და ისე განსაჯა. როგორც ბერმა! მაგრამ ექვს გარეშეა, სქელი თავისი ხორცის ერთ მისხალსაც არ დათმობს, არათუ ექვს არობას.

- ყველას ის სჯობია, სულაც არ ირბინონ, - თქვა მეორე გლეხმა, - მაშინ გამხდარს სიმძიმის ქვეშ წელის მოწყვეტა არ დასჭირდება და სქელს თავისი ხორცის მოჭრა. დაე, სანამღელს ნახევარი ღვინოზე დაიხარჯოს და ეს ბატონებიც თან წავიყვანოთ კარგ სამიკიტნოში, სადაც გვარიანი ღვინოა და ეს საქმე ამით გათავდეს.

- დიდად გმადლობთ, ბატონებო, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაგრამ შეჩერება ერთ წამსაც არ შემძლია; ნაღვლიანი აზრები და მწუხარე შემთხვევა მაიძულებს უზრდელად გეჩვენოთ და გზას გავეშურო.

ეს, რომ უთხრა, როსინანტს დეზი ჰკრა და წავიდა, ყველანი როგორც მისმა უცნაურმა გარეგნობამ, ისე სანჩოს ბრძნულმა გადაწყვეტილებამ გააკვირვა და ერთმა გლეხმა წამოიძახა:

- მსახური რომ ასეთი ჭკვიანია, ბატონი რაღა უნდა იყოს! სალამანკას რომ წავიდნენ და კურსი მოისმინონ, სანამღელს დავდებ, თუ წამსვე სასახლის კარის ალკალდები არ შეიქნენ. ქვეყანაზე ყველაფერი ფუჭია, - მხოლოდ უნდა ისწავლო და ისწავლო, შემწე გყავდეს, ბედიც გქონდეს და, როდესაც სულ ნაკლებ ფიქრობ, უცებ ხელში კვერთხი გიჩნდება, ანუ თავზე ეპისკოპოსის მიტრას იდგამ.

ის ღამე ბატონმა და მსახურმა ტრიალ მინდორზე გაატარეს, ხოლო მეორე დღეს, გზას რომ განაგრძობდნენ, დაინახეს, რომ მათკენ ქვეითი კაცი მოდიოდა, მხარილლივ აბგაგადაკიდებული, ხოლო ხელში ხელშუბი თუ შუბი ეჭირა, როგორც მოქვეითე შიკრიკების ჩვეულება იყო. დონ კიხოტს რომ მიუახლოვდა, ნაბიჯი აუჩქარა, თითქმის სირბილით მივიდა მასთან, მარჯვენა ფეხზე მოეხვია, თემოზე აკოცა, რადგან იმას ზევით ვერ მისწვდა, და დიდი სიხარულით დაიძახა:

- ჰოი, ჩემო ბატონო, დონ კიხოტო ლამანჩელო, რარიგად გაუხარდება ჩემს ბატონს ჰერცოგს, როდესაც მის ციხე-დარბაზში დაბრუნებულს გნახავთ; ის ჯერაც იქ არის თავისი მეუღლით.

- არ გიცნობთ, მეგობარო, - უპასუხა დონ კიხოტმა. - მითხარით, ვინა ხართ?

- ბატონო დონ კიხოტო, - უპასუხა შიკრიკმა, - მე ტოსილოსი ვარ, ჩემი ბატონი ჰერცოგის მსახური, ის, რომელმაც თქვენს მოწყალეობასთან შებრძოლება არ ინდომა დონა როდრიგესის ქალის ქმრობის გამო.

- ღმერთო დიდებულო! - შესძახა დონ კიხოტმა, - განა შესაძლოა? მაშ ისა ხართ, ჩემმა მტერმა ჯადოქრებმა რომ მსახურად გადაგაქციეს, რათა იმ ბრძოლაში მოხვეჭილი დიდება ჩემთვის ხელიდან გამოეცალათ.

- კმარა, თქვენო მოწყალეზავ, - უპასუხა ტოსილოსმა, - რის ჯადოქრები, რის გადაქცევა? მე, ტოსილოსი, ისეთივე მსახური გამოვედი ბრძოლის ასპარეზზე, როგორიც იქიდან უბრძოლველად წავედი, რაკი ის ქალი ძალიან მომეწონა და მისი ცოლად შერთვა მოვისურვე. მაგრამ, საუბედუროდ, ჩემი სურვილის წინააღმდეგ მოხდა. თქვენი მოწყალეობა ციხე-დარბაზიდან წავიდა თუ არა, ჩემმა ბატონმა, ჰერცოგმა უბრძანა, ასი ჯოხი დაერთყათ ჩემთვის,



რადგან, რაც მან ბრძოლის დაწყებამდის მიბრძანა ამესრულებინა, არ ავასრულე. ყველაფერი იმით გათავდა, რომ ის ქალი ახლა მონაზონია, ხოლო დონა როდრიგესი კასტილიას დაბრუნდა. ახლა მე ბარსელონას მივდივარ, ჩემი ბატონისაგან მეფისნაცვალთან წერილი მიმაქვს. თუ თქვენს მოწყალებას ნებავს, რაიმე გამაგრებელი სასმელი მიირთვას, თან ძვირფასი ღვინით სავსე კულა მაქვს და რამდენიმე ნაჭერი ტრონჩონის ყველი, რომელიც წყურვილს მოგვკრით, თუ არა გწყურიათ.

- ეგ წინადადება მომწონს, - დაიძახა სანჩომ, - ქათინაურები გვერდზე მიაგდე, ბატონო ტოსილოს, და დიდი ინდოეთის ყველა ჯადოქართა ჯიბრზე სავსე ჭიქა დაასხით.

- ერთი სიტყვით, - თქვა დონ კიხოტმა, - შენ, სანჩო, მთელ ქვეყანაზე დიდი უძღვები და უმეცარი კაცი ხარ, რაკი იქამდის ვერ დამირწმუნებინარ, რომ ეს შიკრიკი მოჯადოებული და ყალბი ტოსილოსია, დარჩი მაგასთან და მუცელი აივსე. მე კი ნელ-ნელა ვატარებ ცხენს და შენც ადვილად წამომეწევი.

ეს რომ ტოსილოსმა მოისმინა, სიცილი ასტეხა, მერე აბგიდან ღვინო, ყველის ნაჭრები და პური ამოიღო. ისა და სანჩო მწვანე ბალახზე დასხდნენ, მშვიდობიანად და თანხმობით ისე გულმოდგინედ გამოათავეს, რაც კი აბგაში იყო, რომ ბოლოს წერილებთან პაკეტსაც კი ლოკვა დაუწყეს, რადგან ყველის სუნი ასდიოდა. ტოსილოსმა უთხრა სანჩოს:

- შენს ბატონს, ჩემო მეგობარო სანჩო, ასე მგონია, დიდი ჭკუა არ უნდა მართებდეს.

- როგორ თუ მართებდეს? - მიუგო სანჩომ. - ძალიან ნაღდა, არავისი არაფერი მართებს, ყველას ნაღდად უსწორდება, მეტადრე, როდესაც თავისი სისულელით უსწორდება. მე ეს თვითონვე მისთვისაც რამდენჯერ მითქვამს, მაგრამ არა გამოდის რა. მეტადრე ახლა, როდესაც თეთრი მთვარის რაინდისაგან დამარცხდა, ჭკუა სრულებით დაჰკარგა.

ტოსილოსმა სთხოვა ეამზნა, ეს დამარცხება როგორც მოხდაო. სანჩომ უპასუხა: უზრდელობა იქნება, ჩემს ბატონს ვაცდევინო, მეორედ თუ შევხვდით სადმე ერთმანეთს, მაშინ გაიმბობო. ტანისამოსიდან და წვერებიდან ნამცეცები ჩამოიბერტყა, ადგა, წინ ვირი გაიგდო, ტოსილოსს გამოეთხოვა და გზას გაუდგა; მალე თავის ბატონს მიეწია, ერთი ხის ჩრდილის ქვეშ, რომ ელოდა მას.

## თავი LXVII

როგორ გადაწყვიტა დონ კიხოტმა მწყემსად გახდომა და აღთქმულ ერთ წელიწადს ველ-მინდვრებში ცხოვრება, და სხვა ჭეშმარიტად შესაქცევი და სამხიარულო შემთხვევები

თუ წინათ, დამარცხებამდის, დონ კიხოტს მრავალი ფიქრი და ტანჯვა აშფოთებდა, ამ უბედური შემთხვევის შემდეგ ბევრად უფრო მეტმა ფიქრმა და დარდმა დაუწყო წვალემა. როგორც ვთქვით, იგი სანჩოს ხის ქვეშ ელოდა და იმ ლოდინის დროს, როგორც თავის ბუზები, ისე ეხვეოდა, ნესტრავდა და არ ასვენებდა ათასგვარი ფიქრი და აზრი. ზოგი მათგანი დულსინეს ჯადოს მოხსნის გარშემო უტრიალებდა, ზოგი მის მომავალ განდევილ ცხოვრებისკენ მიემართებოდა. სანჩო რომ მივიდა, ტოსილოსის უხვ გამასპინძლებას ქება დაუწყო.

- ნუთუ, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - შენ აქამდისაც გგონია, ვითომც ის ნამდვილი მსახური იყოს? ნუთუ დაგავიწყდა დულსინე, ტლანქ გლეხის დედაკაცად გარდაქმნილი, და სარკის რაინდი, ბაკალავრ სამსონ კარასკოდ მოჩვენებული? ყველა ეს ხომ თვალთმაქცების საქმეა, მე რომ მდევნიან? განა არა ჰკითხე იმ კაცს, შენ რომ ტოსილოსს ეძახი, რა მოუხდა ალტისიდორას? ჩემს განშორებას გლოვობდა, თუ ჩემს იქ ყოფნაში სიყვარული რომ აღელვებდა, ჩემი წასვლის შემდეგ დავიწყების უფსკრულში ჩამარხა?

- მერწმუნეთ, ახლა იმ გუნებაზე არა ვარ, - უთხრა სანჩომ, - რომ მასეთი სისულელით შევიქციო თავი; ან კი თქვენ ახლა, თქვენო მოწყალეებავ, სხვისი აზრების გაგება რაში გეპრიანებათ, მეტადრე შეყვარებულთა აზრებისა?

- იცი, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - სიყვარულის სამაგიერო საქციელსა და მადლობას შორის დიდი განსხვავება არსებობს; ადვილად შესაძლებელია, რაინდი შეყვარებული არ იყოს, მაგრამ მან, თუ მკაცრად ვიტყვით, უმადურობა რომ გამოიჩინოს, - ეს შეუძლებელია. ყველაფრით ჩანდა, რომ ალტისიდორას ნაზი სიყვარულით ვუყვარდი; მან სამი თავსაფარი მაჩუქა; ეს ხომ შენც იცი; ტიროდა, როდესაც მოვდიოდი, მაყვდრიდა, შეჩვენებას მეუბნებოდა, მოკრძალება დაივიწყა და ყველა ამას სხვის თვალწინ სჩადიოდა, ეს კი იმას ამტკიცებს, ამაზე მეტი დამტკიცება რაღა გინდა, - რომ იგი მე მალმერთებდა; შეყვარებულთა რისხვა ჩვეულებრივად შეჩვენებით გადმოინთხევა ხოლმე. მე იმედითაც ვერ ვანუგეშე, რადგან ყველა ჩემი იმედი დულსინეს ეკუთვნის. არც განძეულობა მქონდა, რომ მიმედღვნა, რადგან მოგზაური რაინდის საუნჯე, მოტანტალე ცეცხლი, ლანდი და ამაო მოჩვენებაა. მაშ, ალტისიდორას საჩუქრად შემიძლია მხოლოდ მოგონებანი მივცე იმ მოგონებათა დაუზარალებლად, რაც ჩემს გულში დულსინემ დასტოვა. იმ დულსინემ, რომელსაც შენ დიდ წყენას აყენებ იმით, რომ შენს ხორცილთა სავსე სხეულს არ ილახავ. ვაჰ, ნეტამც მგლებსაგან შეჭმული ვნახო ეგ სხეული, მიწის მატლებს რომ უნახავ დასაღრღნელად, იმისთვის კი არ გემეტება, ჩემს საბრალო მიჯნურს ბედი შეუმსუბუქო.

- მართალი უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, - მიუგო სანჩომ, - ვერ გამიგია ჩემს გამათრახებას ჯადოს გაუქმებასთან რა კავშირი უნდა ჰქონდეს. ეს ხომ იმას ჰგავს: თავი თუ გტკივა, მალამო ფეხის ქუსლებზე წაიციხო. ფიცით შემიძლია ვთქვა, რომ თქვენს მოწყალეებას რამდენიც კი მოგზაურ რაინდებზე მოთხრობილი ამბები წაუკითხავს, ერთთანაც არ შეხვედრია, რომ ვინმეს ჯადო მათრახის დარტყმით მოშორებოდეს. მაინც, რაც არ უნდა იყოს, თავს გავილახტავ, როდესაც ამის ხალისი მექნება და შესაფერ დროსაც დავიგულებ.

- ღმერთმა ინებოს! - მიუგო დონ კიხოტმა, - და ზენამაც განანათლოს შენი ჭკუა, რათა გონზე მოხვიდე და შენი მოვალეობა შეიგნო, უშველო ჩემს ქალბატონს, რომელიც შენი ქალბატონიც არის, რადგან შენ ჩემი მსახური ხარ.

ამ ლაპარაკით განაგრძობდნენ გზას, ვიდრე იმ ადგილამდის არ მივიდნენ, სადაც ხარებისგან იყვნენ წაქცეულნი და გათელილნი. დონ კიხოტმა ეს ადგილი იცნო და სანჩოს უთხრა:

- აი ის ველი, სადაც ტურფა მწყემს ქალებს და პირმშვენიერ მწყემსებს შევხვდით, რომელთაც სურდათ აქ მწყემსური არკადია აღედგინათ. მშვენიერი და გონივრული აზრია! თუ შენც მოიწონებ და დამეთანხმები, სანჩო, ამ მშვენიერი მწყემსი ქალების მიზამდით ჩვენც მწყემსებად გადავიქცეთ თუნდაც იმ ხანს, რაც მოვალე ვარ განმარტოებაში გავატარო. რამდენიმე ცხვარს და მწყემსის ხელობისათვის საჭირო საგნებს ვიყიდი და მწყემსობა დავიწყეთ. მე მწყემს

კიხოტისოს დავირქმევ, შენ მწყემსი პანსინო იქნები და მთა-მთა, ტყე-ტყე და ველ-მინდორზე ხეტიალი დავიწყოთ. აქ მხიარული სიმღერები შემოვძახოთ, იქ მწუხარედ და სევდიანად ვილიდინოთ. წყურვილს ბროლის მსგავსი ანკარა წყარო ან დიდი მდინარეების წყალი მოგვიკლავს; მუხები უხვი ხელით ტკბილ ნაყოფს შემოგვთავაზებენ, კორპის ხეები გრძელი და გამხმარი ტოტებით საჯდომად და საფარად გვექნებიან, ტირიფი ჩრდილს მოგვცემს, ვარდი - კეთილსურნელებას; ვრცელი ველები ათას ყვავილებით მორთულ ხალებად გაგვეშლებიან; სუფთა, გამჭვირვალე ჰაერი სუნთქვას გაგვიმაგრებს. მთვარე და ვარსკვლავები სიბნელის დამჯაბნელ სინათლეს მოგვცემენ; სიმღერები - სიტკბოსა და სიხარულის ცრემლს; აპოლონი - ლექსებს, სიყვარული - გრძნობიერ აზრებს შთაგვაგონებს, რის მეოხებით სახელოვანი და უკვდავი შევიქნებით, არათუ აწმყოში, არამედ მომავალ საუკუნეებშიაც.

- ღმერთსა ვფიცავს! - დაიძახა სანჩომ, - მასეთი ცხოვრება ჩემი გემოვნებისაა; მასთანაც ბაკალავრი სამსონ კარასკო და დალაქი თქვენთან ერთად მწყემსად გახდომის უარს არ იტყვიან. ვინ იცის, თვითონ მღვდელსაც აეშალოს მწყემსობის საღერდელი და ისიც შემოგვიერთდეს; მერე რა მხიარული და სიამოვნების მოყვარული კაცია.

- შენ ეგ ძალიან კარგად შენიშნე, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა; - მაშინ ჩვენ ბაკალავრ სამსონ კარასკოს, თუ ის ჩვენს წრეში შემოვიდა, და უეჭველადაც შემოვა, - მწყემსი სამსონინო ან მწყემსი კარასკონო ვუწოდოთ, ხოლო დალაქ ნიკოლას შეიძლება ნიკულოსო დაერქვას; ისე, როგორც ჩვენმა ბებერმა ბოსკანმა ნემროსო დაირქვა; მღვდელს რაღა დავარქვათ, არ ვიცი; მისი თანამდებობიდან თუ გავაკეთებთ მის სახელს და ვუწოდებთ - მწყემსი კურიამბრო. ჩვენგან შეყვარებულ მწყემს ქალებს თუ რა სახელები დავარქვათ - ამის ამორჩევა ისე ადვილია, როგორც ხიდან მსხლის მოკრეფა; მასთანაც ჩემი მინური ქალის სახელი თავადის ქალისა და მწყემსი ქალის სახელს ერთნაირად მიემსგავსება, ამიტომ ჩემთვის საჭირო არ არის მისთვის უფრო მარჯვე სახელის ძებნით საქმე გავიჭირო. შენ კი, სანჩო, შენს მწყემს ქალს, რა სახელიც გინდა, ის დაარქვი.

- მე იმას ტერესონას დავარქმევ, სხვას არა, - უთხრა სანჩომ, - ტერესონა მის სიმსხოსაც კარგად შეეფერება და მის საკუთარ სახელსაც, რადგან ტერესა ჰქვია; მით უფრო, რომ, როდესაც ჩემს ლექსებში იმას ქებას შევასხამ, მე ჩემს უბიწო სურვილებს განვუცხადებ; იმათგანი კი არა ვარ, ვინც უფრო თეთრისა და უკეთესი პურის სამეზნელად სხვის სახლებში შედის. რაც შეეფერება მღვდელს, მისთვის მწყემსი ქალი სულაც არ არის საჭირო, რათა კარგი მაგალითი გვაჩვენოს; თუ ბაკალავრმა კარასკომ თავისთვის მწყემსი ქალი მოიწადინა, დაე, რაც უნდა, ის დაარქვას - მისი სული მის ხელშია.

- ღმერთო მაღალო! - შესძახა დონ კიხოტმა, - რა ჩინებულ ცხოვრებას დავიწყებთ მე და შენ, მეგობარო სანჩო! ჩვენს სმენამდის საყვირისა და სტვირის, სალამურის, დაირისა და რაბელის რამდენი ხმა მოატანს და, თუ სხვადასხვაგვარ საკრავთან ალბოლების ხმაც გაისმა, მაშინ ყველა მწყემსური საკრავის მთელი გუნდი შედგება.

- ეგ ალბოლი რაღაა? - ჰკითხა სანჩომ, - ეგ საკრავი არაოდეს არ გამიგონია და ჩემს სიცოცხლეშიაც არ მინახავს.

- ალბოლი, - მიუგო დონ კიხოტმა, - სპილენძის ფირფიტებისა იყო, შანდლების ფეხების მსგავსი . ისინი რომ ერთიმეორისათვის მიერთყათ გამობერილი ან შეწეული მხრით, ხმას გამოიღებდნენ, თუმცა დიდად ნაზსა და მწყობრსაც არა, მაინც კი უკმაყოფილებას არ

აღუძრავდნენ ადამიანს; სოფლის სიმარტივესთან კარგად იყვნენ შეთანხმებული, როგორც სტვირი და დაირა. სიტყვა ალბოგუეს - არაბულია, როგორც ალ-ით დაწყებული ყველა ესპანური სიტყვა, სახელდობრ: ალმოჰაზა, ალმორზარ, ალჰომრა, ალგუაცილ, ალჰუცემა, ალმაცენ, ალცანცია და რამდენიმე მათი მსგავსი სხვა. ჩვენს ენაში მხოლოდ სამი მავრული სიტყვა გვაქვს ი-ით დაბოლოებული, ეს სიტყვებია ბორცეგუი, ზაქუიზამი, და მარავედი. ხოლო სიტყვები ალჰელი და ალფაქუი როგორც დასაწყისით, ისე დაბოლოებით არაბულია. ყველაფერი ეს სხვათა შორის გითხარა, რადგან ეს საგნები უნებურად ალბოლებმა მომაგონა. მერე ჩვენს მწყემსობის ხელობაში ისიც დაგვეხმარება, რომ მე ცოტაოდენად პოეტი ვარ, შენ ეს უკვე იცი; ბაკალავრი კარასკო კი ჩინებული პოეტია. მღვდელზე არაფერს ვამბობ, მაგრამ მზად ვარ სანადლეო დავდო, რომ პოეტური ცელქობა და ცუდლუტობა მასაც ეხალისება, და დალაქი ნიკოლასიც, რომ პოეტურად არის განწყობილი, ამაში ეჭვი სრულებით არ მეპარება, რადგან ყველა, ანუ დალაქების მეტი წილი გიტარას აჟღერებს და შაირებს დადილინებს. - მე სატრფოს განშორებას დავიტირებ, შენ შენი სიყვარულის შეურყევლობას დაამღერებ, მწყემსი კარასო თავის თავს განდეგილად წარმოიდგენს და მიჯნურის გულგრილობას აღწერს, ხოლო მღვდელი კურიამბრო იმას გამოსახავს, რასაც უფრო შესაფერად ჩათვლის. და ასე - ჩვენი საქმე ისე ჩინებულად წავა, რომ უკეთესიც არ შეიძლებოდეს.

ამაზე სანჩო უპასუხა:

- მე, ბატონო, ისეთი უბედური ვარ, რომ ვშიშობ, ვაითუ მასეთი მშვენიერი ცხოვრება არასოდეს არ მეღირსოს. იჰ, რა ლამაზ კოვზებს დავთლი, მწყემსი რომ შევიქნები! რამდენი მაწონი და ნაღები გვექნება, რამდენ ტყემალს ჩამოვაყრევინებ, რამდენ სატაცურს მოვკრეფ, რამდენ კალათს დავწნავ და მწყემსურ სათამაშოებს გავაკეთებ! ამ საქმეებმა იქნებ ჭკუიანი კაცის დიდება არ მომანიჭონ, მაგრამ გამგონე და მარჯვე კაცის სახელს კი გამითქვამენ. ჩემი ქალი სანჩიკაც სადილს მოგვიტანს ხოლმე მინდვრად, მაგრამ არა! ფრთხილად! განა ყველა მწყემსი გულუბრყვილოა, იმათშიც არიან ვერაგები, ჩემი ქალი კი ლამაზია, როდი მინდა მატყლისათვის წავიდეს და თვითონ გაკრეჭილი დაბრუნდეს იქიდან. სამიჯნურო ფათერაკები და უწმინდური სურვილები მინდვრებსა და ქალაქებშიც გვხვდებიან, მწყემსების ქოხებშიც და მეფეთა სასახლეებშიც ბლომად იპოვის კაცი. მიზეზს რომ განვარიდებთ, ცოდვაც განშორდება და, რასაც თვალი არა ხედავს, იმაზე გული არა წუხს, კეთილი კაცისათვის რისამე თხოვნას ღობეზე გადახტომა ჯომია.

- გეყოფა, სანჩო, ეგ ანდაზები, - გააწყვეტინა დონ კიხოტმა, თითოეული მათგანი, რაც თქვი, შენი აზრის გაგებისათვის საკმაოა; მრავალჯერ მითქვამს შენთვის, ანდაზებს ნუ ფლანგავ მეთქი, და როცა იმათ ამბობ, თავშეკავებული იყავ-მეთქი. მაგრამ ამის თქმა შენთვის კედელზე ცერცვის შეყრაა და უდაბნოში ქადაგებაა: დედაჩემი მცემს, მე კი მაინც ჩიკორს ვაბზრიალებო".

- მე მგონია, უთხრა სანჩომ, - თქვენი მოწყალეობაც იმასვე სჩადის, როგორც ამბობენ: ტაფამ ქვაბს უთხრა, აქედან დაიკარგე, შე გამურულოო. თქვენ მე მტუქსავთ, ანდაზებს ნუ ამბობო, თვითონ თქვენი მოწყალეობა კი წყვილ-წყვილად კინძავთ მათ.

- შეიგნე, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - რომ მე ანდაზა თავის ალაგს მომყავს და, როდესაც ანდაზას ვამბობ, ისეა სიტყვასთან შეწყობილი, როგორც თითზე ბეჭედი. შენ კი თმით ეწევი მათ, არ უცდი, რომ თვითონ მოგადგნენ ენაზე. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბევრჯერ მითქვამს შენთვის - ანდაზა - მოკლე სიტყვაა, ჩვენთა ძველთა ბრძენთაგან გამოცდილებით და

დაკვირვებით გამოყვანილი. მაგრამ უალაგო ალაგას მოყვანილი ანდაზა უფრო სისულელეა, ვიდრე ბრძნული სიტყვა, მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ და, რადგან ღამე ახლოვდება, ამ შარავზიდან ოდნავ გადავუხვიოთ და ღამის გასათევი ადგილი მოვნახოთ. ხოლო ხვალ რა იქნება, ეს ღმერთმა უწყის.

შარავზას გაშორდნენ, სანჩოს სამწუხაროდ გვიან და ცუდად ივახშმეს; სანჩო ამოიხრთ იგონებდა ტყეებსა და მთებში მოგზაური რაინდების სიდუხჭირეს და ხელნაკლებობას, თუმცა ხანდახან მათ ადგილს სიუხვე იჭერდა. მაგალითად, დიელო დე მირანდასთან მდიდარ ქამაჩოს ქორწილში, დონ ანტონიო მორენოს სახლში, მაგრამ როცა გაიფიქრა, რომ არც ნათელი დღე და არც ბნელი ღამე განუწყვეტლად და დაუსრულებლად არ ყოფილა არასოდეს, - დონ კიხოტის გვერდით ძილს მისცა თავი; მის ბატონს კი მთელი ღამე თვალი არ მიუხუჭავს.

თავი LXVIII

არასასიამოვნო, სხვლეთია ფათერაკი, დონ კიხოტს რომ შეემთხვა

ბნელი იყო ღამე, თუმცა ცაზე მთვარე მისცურავდა და ანათებდა კიდეც, მაგრამ იმ მხარეზე არა, საიდანაც მისი დანახვა შეიძლებოდა, რადგან ქალბატონი დიანა ხანდახან გასეირნებას ანტიპოდებისკენ ნებულობს, ღელეებს და მთებს სიბნელესა და წყვიდადში სტოვებს. დონ კიხოტი ბუნების კანონებს დაემორჩილა და პირველი ძილით დაიძინა, მაგრამ მეორე ძილს კი აარიდა თავი. მისი საჭურველმტვირთველი კი, პირიქით, საღამოზე, რომ დაიძინებდა, დილით გაიღვიძებდა ხოლმე, არ იცოდა მეორე ძილი რა იყო; ეტყობოდა, საღამო იყო, თავისი სიცოცხლის სასიამოვნოდ გამტარებელი. დონ კიხოტმა კი, მუდამ დაღონებულმა და დაფიქრებულმა, მოუსვენარი ძილი იცოდა, ფიქრებმა ძილი სულ განუფანტეს, მან სანჩო გააღვიძა და უთხრა:

- შენი უდარდელი ხასიათი მაოცებს, სანჩო, თითქოს მარმარილოსაგან ხარ გაკეთებული, ან ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული; შენ, როგორც ქანდაკს, არც მოძრაობა გაქვს, არც გრძნობა. მე ვფხიზლობ - შენ გძინავს, მე ვტირი - შენ მღერი, მე ვმარხულობ, ქანცი მიწყდება, შენ კი ყელამდის მაძლარი ძლივს ქმინავ. ერთგული მსახურის მოვალეობა კი ის არის, თავისი ბატონის დარდს თანაუგრძნოს და მისი მწუხარება გაიზიაროს, თუნდაც მხოლოდ გულკეთილობის საჩვენებლად. შეხედე, როგორ ნათელია ეს ღამე, როგორ ბიბინებს ეს ველი, როგორი მარტოობა გვახვევია გარს და გვიწვევს მცირედად მაინც ვიფხიზლოთ ამ მდუმარე ღამეს. ღვთის გულისათვის, სანჩო, ადექი, ცოტა განზე გადი და ვაჟკაცის გულით და შემბედავი სულით სამასი ან ოთხასი მათრახი მაინც დაირტყი იმის ანგარიშში, რაც დულსინეს ჯადოს მოსაშორებლად უნდა დაირტყა. ამას გთხოვ და გვედრები, რადგან არ მინდა შენთან ხელჩართული ბრძოლა გავწიო, როგორც იმ დღეს იყო; ვიცი, რომ ტლანქი და მძიმე ხელი გაქვს. შენ რომ მათრახებს დაირტყამ, მას შემდეგ დანარჩენი ღამე სიმღერაში გავატაროთ: მე ჩემს მიჯნურთან განშორებაზე ვიმღერებ, შენ - ერთგულების სიამოვნებაზე იმღერე. და ამგვარად ჩვენს მწყემსურ სიამოვნებას დასაბამი მივცეთ და ჩვენს სოფელშიც ასე ვატაროთ დრო.

- მე ბერი ხომ არა ვარ, ბატონო ჩემო, - მიუგო სანჩომ, - რომ ძილიდან ავდგე და თავი გავიმათრახო, და ისიც ძლიერ სამწუხარო იქნება, მგონი, რომ გამათრახების შემდეგ

გასისხლიანებული ტანის პატრონმა სიმღერაზე გადასვლა შევძლო. ნუ მიშლით, თქვენო მოწყალება, დავიძინო და ცემა-ტყეპას ნუ მამურებთ, თორემ იძულებულს გამხდით ფიცი დავდო - ჩემი ტოლობის ხაოსაც კი ნელი არ შევახო, არათუ ჩემს კანს.

- ჰოი, გულქვა ადამიანო! ჰოი, შეუბრალებლო საჭურველმტვირთველო! ჰოი, ცუდად დახარჯულო პურო და ამაოდ დაკარგულო წყალობავ, რაც მე უკვე მოგანიჭე და კვალად ვფიქრობ მოგმადლო! ჩემი მეოხებით შენ შენი თავი გუბერნატორად ნახე და ჩემი მეოხებითვე იმედი გაქვს ახლო მომავალში გრაფიც გახდე, ანუ მისი თანაბარი რაიმე ხარისხი მიიღო; ხოლო ამ იმედების განხორციელება ამ წლის ბოლოზე გვიან არ გადაიდება, რადგან პოსტ ტენებრას სპერო ლუცემ.

- მე ეგ სიტყვები არ მესმის, - უთხრა სანჩომ, - მე მარტო ის ვიცი, მინამ მძინავს, არც შიში მაქვს, არც იმედები, არც შრომა და არც დატკობა. ღმერთმა აკურთხოს, ვინც მოგვანიჭა ძილი - ის ტოლომა, ადამიანის ყველა განზრახვათა დამფარავი, საჭმელი, - შიმშილისაგან მხსნელი, წყალი - წყურვილის მომკლავი, ცეცხლი - სიცივის დამთმობი, სიცივე - სიცხის გამაყუჩებელი, და დასასრულ, იგი მსოფლიო ფული, რომლითაც ყველაფრის ყიდვა შეიძლება, სასწორი და აბრები - მწყემსისა მეფესთან და მდაბიოსი ბრძენთან გამათანასწორებელი. მხოლოდ იმას ერთი ცუდი მხარე სჭირს, ეს ის არის, როგორც გამიგონია, რომ სიკვდილს ჰგავს; მძინარესა და მკვდარს შორის ცოტა განსხვავებაა.

- არც ერთხელ არ გამიგონია, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - რომ შენ ეგრე გონივრულად გელაპარაკოს. ხანდახან რომ ანდაზა მოგყავს ხოლმე, ის ანდაზა მართალს ამბობს: "შენ იმასთან კი არ ცხოვრობ, ვისთანაც დაიბადე, არამედ იმასთან, ვისაც შეეთვისე".

- აბა, ჩემო ბატონო, - უთხრა სანჩომ, - ახლაც მე ვარ, რომ ანდაზებს ვკინძავ? ღმერთსა ვფიცავ, თქვენი მოწყალება ჩემზე უკეთესად აზნევს ანდაზებს. ეს არის მხოლოდ, თქვენი მოწყალების ანდაზები თავის ალაგას მოდიან, ჩემი ანდაზები კი - ზოგი ალთას, ზოგი ბალთას. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, მაინც ხომ ანდაზებია.

სწორედ ამ დროს დამაყრუებელი გრიალი და მკვეთრი ხმაურობა მოესმათ. ეს ხმაურობა მთელ არემარეს მოედო. დონ კიხოტი ფეხზე წამოხტა და ხმალს გაიკრა ხელი, სანჩო კი ვირს ქვეშ შეუძვრა და აქეთ-იქით შეკრული აბჯარი და კურტანი მოიწყო; იგი შიშით იმდენად კანკალებდა, რამდენადაც დონ კიხოტი იყო აღელვებული. ხმაურობა თანდათან ძლიერდებოდა და ორ დამფრთხალსა და შეშინებულს უახლოვდებოდა, ერთს მაინც ძალიან შეშინებულს, - მეორის ვაჟკაცობა ხომ ყველას საკმაოდ გაგებული გვაქვს. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ამ დროს რამდენიმე კაცი ექვსასზე მეტ ღორს ბაზარში გასაყიდად მიერეკვებოდა, - ამ ღორების ხმაურობა, ღრუტუნნი და ფრუტუნნი იყო, რომ დონ კიხოტი და სანჩო გააყრუეს და ვერ მიმხვდარიყვნენ, ეს ამოდენა ხმაურობა რისგან უნდა ყოფილიყო. ამასობაში ფართოდ გაშლილი ჯოგი ღრუტუნ-ფრუტუნით მორბოდა, დონ კიხოტისა და სანჩოს ღირსებას სრულებით არ მიხედა და ზედ მრწყდა. სანჩოს სანგარი გადათელა, დონ კიხოტი წააქცია, როსინანტიც მას ზედ მიაყოლა. ამ უწმინდური ცხოველების გაჩქარებული სირბილით გამოწვეულმა თავდასხმამ კურტანი, აბჯარი, ვირი, როსინანტი, სანჩო და დონ კიხოტი ერთიანად მიწაზე გააკრა და მიყარ მოყარა.

სანჩო, როგორც იყო, წამოდგა და თავის ბატონს ხმალი სთხოვა, უნდოდა, ის თავხედი ღორები ათიოდე მაინც აეჩეხა (ჩქარა გაიგო, რომ ღორები იყვნენ), რათა მათთვის ზრდილობა ესწავლებინა.

- თავი დაანებე, მეგობარო, - მწუხარე ხმით უთხრა დონ კიხოტმა, - დაე თავიანთი გზა მშვიდობიანად განაგრძონ. ეს შეურაცხყოფა ჩემი ცოდვების სასჯელად მომევილინა. დამარცხებული მოგზაური რაინდის სამართლიანი სასჯელია, რომ იგი ტურებმა დაჩქლითონ, კრაზანებმა დაკბინონ და ღორებმა გათელონ.

- მაშ, იქნება ზეცის სასჯელი ისიც არის, - მიუგო სანჩომ, - რომ დამარცხებული რაინდის საჭურველმტვირთველს ბუზები ჰკბენდნენ, ტილები ესეოდნენ, ჭამდნენ და შიმშილი აწუხებდეს. ჩვენ, საჭურველმტვირთველები, რაინდთა შვილები რომ ვიყვეთ ან მათი ახლო ნათესავები, საკვირველი არ იქნებოდა მათი დანაშაულის სასჯელი მეოთხე თაობამდის ჩვენც გაგვტეხოდა თავს, მაგრამ საიდან სადაო? პანსას დონ კიოტთან რა კავშირი აქვს? მაგრამ ახლა გადავბრუნდეთ და დილამდის ცოტა თვალი მოვატყუოთ. ღმერთი მზეს მოგვფენს და ჩვენი საქმეც მოგვარდება.

- შენ დაიძინე, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - რადგან მაგისტვის ხარ ნაშობი, მე კი იმისათვის დავბადებულვარ - ვიფხიზლო; გათენებამდის ჩემს ოცნებებს ჩავეხვევი და პატარა მადრიგალს გამოვუთქვამ მათ; ის მადრიგალი გუშინ საღამოს შევთხზე, შენ რომ ჯერაც არ იცი.

- მე მგონია - უთხრა სანჩომ, - ის აზრები, რომელნიც ლექსის შეთხზვის მიზეზად ხდებიან, ადამიანის შემწუხებელნი არ უნდა იყვნენ. თქვენმა მოწყალებამ ლექსები თხზას, რამდენიც ნებაგს, მე კი დავიძინებ, რამდენსაც შევიძლებ.

და მაშინვე მიწაზე გაწვა, მოიკუნტა და მაგრად დაიძინა, ხოლო დონ კიხოტი წიფლის თუ კორპის ხეს მიეყრდნო (სიდ ჰამეტ ბენენჰელი არ ამბობს ნამდვილად - რა ხე იყო), საკუთარ ოხვრათა მუსიკის აყოლებით შემდეგი დაამღერა:

ამურო, ოდეს წარმომიდგება,

თუ რარიგ მტანჯავ დაუნდობელი,

მე ღონემიხდილს გული მიკვდება

და საფლავს ვნატრობ ტანჯვის მგმობელი.

მაგრამ როდესაც უკვე სამარეს

ვუახლოვდები, - ტანჯვაც დუმდება,

და ეს ამბავი ისე მაამებს,

რომ მე სიცოცხლე კვლავ მიბრუნდება.

ვცოცხლობ იმისთვის, რომ მოვკვდე შემდეგ,

და მაინც მელის მკვდარს გაცოცხლება.

ასე, სიკვდილს და სიცოცხლეს დღემდე

ერთად მიგზავნის მე საოცრება.

ყოველ სტრიქონს დონ კიხოტი მრავალ ოხვრას და ცრემლს ურთავდა, როგორც თავისი დამარცხების მწუხარებით და დულსინეს განშორებით გულგატეხილი ადამიანი.

ამასობაში დღეც გათენდა და მზემაც თავისი სხივები სანჩოს თვალებს მიაყარა. სანჩომ გაიღვიძა. ცოტა ხანს იწვა, იძაბებოდა, იზმორებოდა და თავის ზარმაც ხელ ფეხს და ტანს ისწორებდა; მერე ღორებისაგან მიყრილ-მოყრილსა და დაცარიელებულ ხურჯინს შეხედა, ღორების მთელ ჯოგს და მის მწყემსებს შეჩვენება შეუთვალა და შემდეგ მათ გამჩენსაც შეუკურთხა.

დასასრულ, ორივემ დაწყებული მგზავრობა განაგრძეს და დაბინდებისას დაინახეს, რომ მათკენ ათიოდ ცხენოსანი და ორი თუ ხუთი ქვეითი კაცი მოდიოდა. დონ კიხოტს ღელვისაგან გული აუჩქროლდა, ხოლო სანჩო შიშისაგან დაუდუნდა, რადგან იმათკენ მომავალ ხალხს ხელში შუბები ეჭირა, გვერდზე ხმლები ეკიდათ და თან რაღაც საიდუმლოდ და მამაცურად იყურებოდნენ.

დონ კიხოტი სანჩოს მიუბრუნდა და უთხრა:

- მე რომ ჩემი აღთქმა ხელ-ფეხს არ მიკრავდეს და შემემლოს იარაღს მოგვიდო ხელი, ჩვენკენ რომ დიდი ხროვა მოდის, თაფლის კვერებად და კუპატებად მომეჩვენებოდა და სულ გუფთა-გუფთად დაკვეპავდი, მაგრამ იქნება ეს სულ სხვა რამე იყოს და არა ის, რისიც გვეშინია.

ამ დროს ცხენოსნები მოვიდნენ, სიტყვის უთქმელად შუბები მოიმარჯვეს, დონ კიხოტს გარს შემოეხვივნენ, ზურგსა და მკერდზე შუბები დაადირეს და თან სიკვდილით ემუქრებოდნენ. ერთ-ერთმა ქვეითმა ტუჩებზე თითი მიიღო იმის ნიშნად, რომ რაინდს ხმა არ ამოელო, როსინანტის სადავეს ხელი მოჰკიდა, გზიდან გადაიყვანა, დანარჩენმა ქვეითებმაც საშინელი დუმილით სანჩო და ვირი წინ გაიგდეს და იმას მიჰყვნენ უკან, ვისაც დონ კიხოტი მიჰყავდა. დონ კიხოტს ორჯერ თუ სამჯერ უნდოდა ეკითხა - სად მიჰყავდათ იგი, ან მისგან რა უნდოდათ, მაგრამ, ტუჩებს აატოკებდა თუ არა, მასთან მყოფნი დაუბღვერდნენ და შუბების დაღირებით დაადუმებდნენ. სანჩოც ამ მდგომარეობაში იყო, დალაპარაკებას დააპირებდა თუ არა, მასთან მიმავალი ერთ-ერთი ქვეითი წვეტიანი ჯოხით ჩხვლეტდა მას და მის ვირსაც, თითქოს ამ უკანასკნელსაც ლაპარაკი სურდა. ამასობაში დაღამდა; ცხენოსნებმა და ქვეითებმა ნაბიჯს აუჩქარეს და ორივე დატყვევებულის შიშიც გაძლიერდა მეტადრე იმიტომ, რომ დროდადრო მათ უყვიროდნენ:

- გასწით, ტროგლოდიტებო!

- ჩუმად, ბარბაროსნო!

- იტანჯეთ, ანტროპოფაგებო!

- სისხლისმწოველო ლომებო, სკვითებო, გეყოფათ ჩივილი!

- თვალს ნუ ახელთ, ძაღლთაპირო პოლითემებო!

ასეთი შემახილები ბატონისა და მისი მსახურის ყურთასმენას შეურაცხყოფდა და მეტისმეტად ზარავდა. სანჩო მიდიოდა და თან ფიქრობდა:



- რა ტროგლოდიტები და ბარბაროსები ჩვენა ვართ, ასე რომ მოგვმართავენ. ეს სახელები სულაც არ მომწონს. ცუდმა ქარმა დაბერა და ყველა ეს უბედურება ერთბაშად თან მოგვიტანა; როგორც ძალს, ისე დაგვატყდა თავს ეს ჯოხები და ღმერთმა ინებოს, ამ ფათერაკს მარტო ამ ჯოხებით გადავრჩეთ!

დონ კიხოტი გაოგნებული მიდიოდა; ძლიერ ცდილობდა და მაინც ვერ მიხვედრილიყო, ეს სალანძღავი სიტყვები მას და მის საჭურველმტვირთველს რომ სთავაზობდნენ, რას ნიშნავდა. დარწმუნებული იყო, უფრო ცუდის მოლოდინი უნდა ჰქონოდა, ვიდრე კარგისა. ამასობაში ღამის პირველ საათზე იმ ჰერცოგის ციხედარბაზს მივიდნენ, სადაც ამას წინათ დონ კიხოტი რამდენიმე ხანს ცხოვრობდა.

- ღმერთო დიდებულო! - თქვა მან, როცა მიხვდა, თუ სად იმყოფებოდა, - ყველაფერი ეს რას უნდა ნიშნავდეს? ამ სახლში ზრდილობა, ალერსიანობა, მხიარული მიღება სუფევდა. მაგრამ დამარცხებულისათვის ყველაფერი კარგი ცუდით იცვლება და უკეთესი - უარესად გადაიქცევა ხოლმე.

ბატონი და მსახური ციხედარბაზის მთავარ ეზოში შეიყვანეს. ეს ეზო ისეთი მორთული და იმრიგად იყო მომზადებული, რომ ორივე მეტად გააოცა და შიში გაუორკვეა, როგორც ამას შემდეგ თავში დაინახავთ.

#### თავი LIX

ფრიად საიშვიათო და არაჩვეულებრივი ფათერაკი, რომლის მსგავსიც დონ კიხოტს ამ დიდებული ისტორიის მანძილზე ჯერ არასოდეს არ შემთხვევია

მხედრები ცხენებიდან ჩამოხტნენ და ფეხოსანთა დახმარებით სანჩო და დონ კიხოტი უცბად ასწიეს და ხელით ეზოში ციმციმ შეიტანეს. ამ ეზოს გარშემო, დასადგმელებზე ჩამაგრებული ასი კერეონი ენთო, ხოლო ეზოსაკენ გამოსულ ციხე-დარბაზის ტალანებს ხუთასზე მეტი მომცრო ლამპარი ანათებდა, ისე, რომ ბნელი ღამის მიუხედავად დღის უსინათლობა არ ეტყობოდა. ეზოს შუაგულში ორი ვარას სიმაღლეზე ამართული კოხტა კატაფალკის მსგავსი რაღაც იდგა, ზემოდან შავი ფართო ხავერდის ფარდით დახურული. კატაფალკის გარშემო საფეხურებზე ვერცხლის შანდლებში ასზე მეტი თეთრი ცვილის სანთელი ენთო. ამ კატაფალკზე ესვენა ცხედარი ისეთი მშვენიერი ქალისა, რომ მისი სიტურფით თვითონ, სიკვდილსაც ამშვენიერებდა. მისი თავი ფარჩის ბალიშზე ესვენა. და სხვადასხვა სურნელოვანი ყვავილებისაგან დაწნული გვირგვინით ჰქონდა მორთული, ხოლო გულზე დაკრეფილ ხელებში პალმის ყვითელი რტო ეჭირა. ეზოს ერთ მხარეზე ფიცარნაგი იყო დადგმული და ზედ ორ სავარძელში ორი კაცი იჯდა, თავზე გვირგვინები ეხურათ და ხელშიც სკიპტრები ეჭირათ. ამის მიხედვით ისინი ან მართალი, ან ცრუ მეფეები უნდა ყოფილიყვნენ. ამ ფიცარნაგის გვერდზე, სადაც რამდენიმე საფეხური ადიოდა, ორია სხვა სავარძელი იდგა და სავარძელში დატყვევებული დონ კიხოტი და სანჩო დასვეს. ყველაფერი ეს დუმილით წარმოებდა და ორივესაც ანიშნებდნენ, ხმა არ ამოეღოთ, თუმცა უიმისოდაც არ იღებდნენ ხმას, რადგან ამ გასაოცარმა სანახაობამ მათ ენა დაუბა. ამის შემდეგ ფიცარნაგზე დიდი ამალით ორი წარჩინებული პიროვნება ავიდა (ისინი დონ კიხოტმა მაშინვე იცნო, მისი წინანდელი მასპინძლები - ჰერცოგი და მისი ცოლი იყვნენ). ისინი მეფის მსგავსი პირების გვერდზე

მდიდრულად მორთულ სავარძლებში ჩასხდნენ. ყველაფერ ამის მნახველი განა ისეთი ვინ იქნებოდა, რომ არ გაოცებულიყო, მეტადრე დონ კიხოტი, რომელმაც კატაფალკზე მდებარე მკვდარში მშვენიერი ალტისიდორა იცნო! ჰერცოგი და მისი ცოლი რომ ფიცარნაზე ავიდნენ, დონ კიხოტი და სანჩო ადგნენ და მძიმედ თავი დაუკრეს, ჰერცოგმა და მისმა მეუღლემ მათ მცირედი თავის დაქნევით უპასუხეს.

ამასობაში მსახური მოვიდა სანჩოსთან და ცეცხლის ენებით მოხატული შავი ბამბურის მოსასხამი წამოასხა. ქუდი მოხადა და თავზე არახჩინი დაახურა, იმის მსგავსი, როგორსაც ინკვიზიციისაგან მსჯავრდადებულნი ატარებდნენ, და მასთან უჩურჩულა, ხმა არ ამოელო, თორემ პირში ალიკაპს ჩასჩრიდნენ, ან მოკლავდნენ. სანჩომ თავის თავს ახედ-ჩახედა და ალში გახვეული დაინახა და, რადგან იგი არა სწვავდა, აინუნშიაც არ ჩაუგდია, მერე არახჩინი, მოიხადა, ზედ დახატული ეშმაკები დაინახა და ისევ დაიხურა, თანაც თავისთვის ჩაილაპარაკა:

- რა კარგია, რომ არც ალი მწვავს და არც ეშმაკებს მივყავარ თავისთან!

დონ კიხოტმაც შეხედა სანჩოს, თუმცა შიშმა გრძნობები შეუბოჭა, მაინც სანჩოს სანახაობაზე გაღიმება ვერ შეიკავა. ამ დროს თითქოს კატაფალკის ძირიდან წყნარი და სასიამოვნო სალამურის ხმები მოისმა და ეს ხმები, რაკი მათ არავითარი ადამიანის ხმა არ არღვევდა, ნაზად და ტკბილად ჟღერდნენ. უცბად იმ ბალიშის ახლოს, რომელზეც მიცვალებულის თავი ესვენა, მშვენიერი ჭაბუკი გამოჩნდა, რომაულ ტანისამოსში მოკაზმული, ხელში ქნარი ეჭირა და მასზე ხმის აყოლებით, ჟღეროვანი და ტკბილი ხმით ორი შემდეგი სტანსი იმღერა:

ვიდრე ასული კატაფალკზე ძევს მდუმარებით,  
ო, იგი მსხვერპლი დონ კიხოტის მრისხანებისა,  
ვიდრე სათუთ მხრებს ბანოვანნი მოსასხამებით  
დაიფარავენ მწუხარების შესადარისად,  
და სენიორიც, რომ მოირთონ ბებრუხანები,  
თვითონ ურიგებს უხეშ საცმელს სამოსლისა,  
ხმა უტკბილესად თვით თრაკიის დიდ მომღერალზე,  
მინდა გიმღეროთ მისი ტანჯვა და სილამაზე.  
აწ ვერასოდეს ვერაფერი ვერ დამამუნჯებს,  
მე მისი სახე მუდამ თვალწინ წარმომიდგება,  
სიკვდილის წამშიც, ოდეს ვიგრძნობ სიცივეს უჩვევს,  
პირზე მეკეროს მაინც მისი ხოტბა-დიდება,  
ან ოდეს სული მიატოვებს მიწიერ ჭურჭელს  
და თავისუფლად სტიქსეს წყალზე გადაფრინდება,  
სულ მას ვუმღერებ და წკრიალი ამ სიმღერისა,

მწამს შეაჩერებს მდინარებას დავიწყებისას.

- კმარა, - გააწყვეტინა ერთმა მეფის მსგავსთაგანმა, - კმარა, ღვთაებრივო მგოსანო! შენი სიმღერა დაუსრულებელი იქნებოდა, შეუდარებელი ალტისიდორას სიკვდილისა და მშვენიერების აღწერა რომ დაიწყო. იგი არაა მკვდარი, როგორც უმეცარ ქვეყანას ჰგონია, არამედ ათას ენაზე მლაღადებელი სიტყვებით ამბობენ, ცოცხალიაო, და წყვილიდან დაკარგულ ქვეყანას დაუბრუნდება, თუ აქ დამსწრე სანჩო პანსა თავს გაიმართახებსო. და ამიტომ, ჰოი, რადამანტო, ჩემთან ერთად დიტეს პირქუმ მღვიმეთა შორის მსაჯულად მჯდარო, შენ უწყი, რომელ ბედის განუქვრეტელ წიგნებში მისი ნებით წინადავე განწესებულა - ეს ნორჩი ქალწული ჯერარს გაცოცხლდესო, მაშ, ამავე წამს ეს ამბავი გამოაცხადე, მეტ ხანს ნუღარ დააყოვნებ - ის ბედნიერება მოგვანიჭო, რასაც მისი აღდგინებისაგან მოველოდებით.

მსაჯულმა და რადამანტოს ამხანაგმა მიხოსმა ეს თქვა თუ არა, რადამანტო თავის ადგილიდან წამოდგა და ხმამალა დაიძახა:

- ეჰა, ისმინეთ, დიდნო და მცირენო, მოხუცნო და ახალგაზრდანო, მალაღნო და დაბაღნო, მსახურნო, ამ სავანეში ბედის ბრძანების აღმსრულებელნო, ყველანი აქ შემოკრებით და ალტისიდორას გასაცოცხლებლად სანჩოს ცხვირში ოცდაოთხჯერ წკიპურტი ჰკარით, ხელეგზე თორმეტჯერ უჩქმით და წვივებსა და წელზე ქინძისთავით ექვსჯერ უჩხვლიტეთ.

ეს რომ სანჩომ გაიგონა, დუმილი უკუაგდო და შესძახა:

- ჯანდაბამდის გზა გქონიათ! უმალ მავრი გავხდები, ვიდრე ნებას მივცემ ვინმეს, ცხვირზე წკიპურტები მკრას და სახე დამიჩქმიტოს! ეშმაკსაც წაუღია! რა კავშირი აქვს ალტისიდორას აღდგინებასთან ჩემი სახის დაჩქმეტას? კარგი მადა მოგსვლიათ! დედაბერს ამარანტი მოეპრიანაო... დულისინეს მოაჯადოებენ და მისი ჯადოს გასაუქმებლად მათრახი უნდა დავირტყა, ალტისიდორა ღვთისაგან მოვლენილი ავადმყოფობით კვდება და მის აღსადგინებლად საჭიროდ თვლიან ოცდაოთხჯერ ცხვირში მთხლიშონ, ქინძისთავებით მთელი სხეული დამიციხრილონ და ხელეგზე გალურჯებამდის დამიჩქმიტონ, ეგ ეშმაკური ოინი თქვენი მაზლისათვის შემოინახეთ და მას დაავალეთ. ვერა, ვერ მოგართვით, ბებერი მელა ვარ, ვერ მომატყუებთ.

- მაშ მოკვდები! - მალალი ხმით შესძახა რადამანტომ, - დაგვმორჩილი, აფთარო! მოლბი და დაშოშმინდი, ზვიადო ნებროთო! იტანჯე და ჩუმად იყავ; შენგან შეუძლებელს არას მოითხოვენ და ნურც განიზრახავ ამ ჩვენი ამოცანის სიძნელის ახსნას. ყბებში სილაქები უნდა მიიღო, ტანი ქინძისთავებით დაიჩხვლიტო და ხელეგზე დაგეჩქმიტოს. მსახურნო, ჩემი ბრძანების აღმსრულებელნო, საქმეს შეუდექით, თუ არადა - ვაი თქვენს ტყავს, დაინახავთ, რისთვისაც ხართ გაჩენილები.

ამ დროს ეზოში ექვსი დუენის პროცესია გამოჩნდა. ერთად მოდიოდნენ; ოთხი მათგანი სათვალეებით იყო. ყველას მარჯვენა ხელი მალა აეწია, სახელოები ოთხი თითის დადებაზე ჩამოეშვა, რათა ხელეგზე უფრო გრძელი გამოსვლოდა, როგორც მოდაში იყო მაშინ. რაწამს სანჩომ დუენიები დაინახა, ხარივით დაიბღავლა და შესძახა:

- არა, არა! მთელმა ქვეყანამ მქენჯნოს და დამწიხლოს, ეს დუენიები კი ნუ მომეკარებიან! დაე კატებმა დამიკაწრონ პირისახე, როგორც ამავე ციხე-დარბაზში ჩემს ბატონს დაუკაწარეს, ბასრი ხანჯლებით დამიჩხვლიტონ ტანი, ხელეგზე გახურებული მარწუხებით დამიფლითონ, ყველას

მოთმინებით ავიტან, რათა ამ ვაჭბატონებს ვასიამოვნო. მაგრამ დუნებმა, რომ ხელი შემახონ, ამას ვერ მოვითმენ, თუნდაც ეშმაკებმა წამიღონ.

აქ დონ კიხოტმაც დაარღვია დუმილი და სანჩოს უთხრა:

- მოთმინებით აღიჭურვე, შვილო, ამ ბატონების ბრძანება აღასრულე და მხურვალე მადლობა აღახვენ ზეცის მიმართ, შენთვის ესოდენ სასწაულებრივი თვისება რომ მოუნიჭებია, შენი ტანჯვით მოჯადოებულ ჯადოს ხსნი და მკვდარს აღადგინებ.

სანჩო დამშვიდდა, დაშოშმინდა და სავარძელში ჩაჯდა. მაშინ დუნები შემოეხვივნენ; პირველ მათგანს ლოყები და წვერი გაუწოდა, დუნამ მის სახეზე ხუთი თითი მაგრად აღბეჭდა და შემდეგ ქედმოდრეკით რევერანსი გაუკეთა.

- ნაკლები ზრდილობა და ნაკლები ნელსაცხებელი, ქალბატონო დუნია, - წაიბუტბუტა სანჩომ.  
- ღმერთსა ვფიცავ, თქვენს ხელებს საპირფარეშოს სუნი უდის.

დასასრულ ყველა დუნამ წვიპურტები ჰკრა და შინაურმა მსახურებმა იგი დაჩხვლიტეს. მაგრამ ყველაზე მძიმე ასატანი მისთვის ქინძისთავის ჩხვლეტა იყო, რამაც სავარძლიდან გაშმაგებული წამოახტუნა. ახლოს მდგარ ანთებულ კერეონს ხელი დასტაცა და დუნებებსა და სხვა თავის ჯალათებს მივარდა ყვირილით:

- იქით გამეცალენით, ჯოჯოხეთის მსახურნო! მე ხომ ბრინჯაოსი არა ვარ, რომ ესოდენ საშინელი ტანჯვა-წვალება ავიტანო?

ამ დროს ალტისიდორა გვერდზე გადაბრუნდა, - ალბათ იმდენ ხანს გულადმა წოლით დაიღალა; ეს, რომ დაინახეს, ყველა დამსწრემ ერთხმად დაიძახა:

- ალტისიდორა გაცოცხლდა! ალტისიდორა გაცოცხლდა!

რადამანტომ სანჩოს უბრძანა თავისი რისხვა გაენელებინა, რადგან მიზანი მიღწეული იყო. დონ კიხოტმა დაინახა თუ არა, რომ ალტისიდორამ მოძრაობა დაიწყო, სანჩოს წინ მუხლი მოიდრიკა და შესძახა:

- სწორედ ახლაა დრო, შვილო ჩემი სულისა, და არა საჭურველმტვირთველო ჩემო, რამდენიმე მათრახი დაირტყა იმ რიცხვიდან, რაც აღთქმული გაქვს, და ამით დულსინეს ჯადო მოხსნა. ახლ-მეთქი ვამბობ, როდესაც შენთვის მონიჭებული ძალა უფრო ძლიერია და ნამდვილად ნაყოფიერი იმ კეთილი საქმის მისაღწევად, რასაც შენგან მოელოდებიან!

ამაზე სანჩომ უპასუხა:

- ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო, ამაზეა ნათქვამი; ესეც თქვენი თავლის კვერები! ეგლა მაკლია, რომ სიღების, წვიპურტების, ჩქმეტისა და ქინძისთავით ჩხვლეტის შემდეგ ახლა მათრახები ვუთავაზო ჩემს ტანს. ის არ სჯობია, კისერზე მძიმე ქვა მომაბათ და ჭაში ჩამაგდოთ? ეს მე ძალიან არ შემაწუხებდა, თუკი სხვისი სენის მოსარჩენად ვყოფილვარ გაჩენილი. მომასვენეთ, ღვთის გულისათვის, თორემ გეფიცებით, ჩემს თავს თავდებად ვერ დავუდგები და არ ვიცი, რას ჩავიდენ.

ამასობაში ალტისიდორა უკვე წამოჯდა კატაფალკზე და იმავე წამს საკრავების ხმა გაისმა. ყველა დამსწრეთა ხმაც მას შეუერთდა და დაიძახა:

- იცოცხლოს და იდღეგრძელოს ალტასიდორამ!

ჰერცოგი, მისი ცოლი, მინოსი, რადამანტო და ყველანი დონ კიხოტითა და სანჩოთი ალტისიდორას კუბოდან ამოსაყვანად მივიდნენ. მან განგებ ახლად გამოღვიძებულის სახე მიიღო, ჰერცოგს მის ცოლს და ორივე მეფეს თავი დაუკრა, დონ კიხოტს აღმაცერად გადახედა და მოქანცული ხმით უთხრა:

- ღმერთმა გაპატიოს, უსულგულო და უგრძობელო რაინდო, შენი სისასტიკით მე იმ საიქიოს, როგორც მგონია, ათას წელიწადზე მეტი დავყავ. ხოლო შენ, ჰოი, მთელ ქვეყანაზე უგულვეთილესო საჭურველმტვირთველო, მადლობას გწირავ, რადგან შენგან ვარ ჩემი სიცოცხლით დავალებული და მადლობის ნიშნად ჩემს ექვს პერანგს საჩუქრად გაძლევ. მათგან შენთვის ექვსი სალამური პერანგი გაიკეთე, თუ ყველა მაგარი და მთელი არ არის, ყოველ შემთხვევაში ყველა გარეცხილი და სუფთაა.

სანჩომ ამის სამადლობლად დაუჩოქა, არახინი ხელში დაიჭირა და ხელზე აკოცა. ჰერცოგმა უბრძანა მისთვის არახინი ჩამოერთმიათ და ქუდი დაებრუნებინათ, მოსასხამი მოეხსნათ და მისი ტანისამოსი ჩაეცმიათ. სანჩომ ჰერცოგს სთხოვა, შესამოსი და არახინი მისთვის დაეტოვებინა, რადგან უნდოდა შინ წაეღო ჯერ არნახული შემთხვევის ნიშნად და სახსოვრად. მისმა ძველმა და უცვლელმა მფარველმა, ჰერცოგის ცოლმა, არახინი და მოსასხამი აჩუქა. შემდეგ ჰერცოგმა უბრძანა ეზო დაელაგებინათ და ყველანი თავთავის ოთახებში წასულიყვნენ, სადაც ამასწინათ იყვნენ დაბინავებულნი.

თავი LXX

რომელიც მოსდევს სამოცდამეცხრეს და სადაც ამ ისტორიის

ცხად-გასაგებად საჭირო საგნებზეა საუბარი

სანჩოს იმ ღამეს დონ კიხოტთან ერთ ოთახში ერთმანეთთან მიდგმულ ტახტზე მოუხდა ძილი. ეს ერთად ყოფნა ძალიანაც არ ეჭაშნიკებოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ მისი ბატონი კითხვებითა და საუბრით ძილს დაუშლიდა; ის კი ბევრი ლაპარაკის გუნებაზე როდი იყო, რადგან განვლილი ტანჯვის ტკივილებს ჯერაც კიდევ გრძობდა და ეს ენის თავისუფალ მოძრაობას უშლიდა. მას ერჩივნა ახლა ამ მდიდრულ ოთახში დონ კიხოტთან ყოფნას სადმე ქოხში მარტოდმარტო ყოფილიყო. მისი შიში და ეჭვი გამართლდა და საფუძვლიანი გამოდგა; ჯერ ლოგინში არ ჩაწოლილიყო, რომ დონ კიხოტმა ამ სიტყვებით მიმართა:

- ამ ღამეს მომხდარ ფათერაკზე რას იტყვი, სანჩო? სიყვარულის უგულვებელყოფის ძალა თუ როგორი დიდი და შემძლებელია, ახლა ეს საკუთარი თვალებით დავინახე. ალტისიდორა მოკვდა და არა ისრებით ან მახვილით, არა რაიმე სამხედრო იარაღით ან სიცოცხლის მომსპობი შხამით, არამედ ის მოკლა მხოლოდ პირქუშობამ და უგულვებელყოფამ, რასაც მე მუდამ ვიჩენდი მის მიმართ.

- ეშმაკებსაც წაუღია მისი თავი და ტანი! - მიუგო სანჩომ, - როგორც და როდესაც სურდა, მომკვდარიყო, ოღონდ ჩემთვის თავი დაენებებინა; მთელ ჩემს სიცოცხლეში მე ის არც შემოყვარებია და არც უგულემულმიყვია. არ ვიცი, ვერ გამიგია, იმ რეტეანი გომბიოს

განკურნებას რა კავშირი უნდა ჰქონდეს, როგორც ადრეც მითქვამს, სანჩო პანსას ტანჯვასთან? ახლა მე ნამდვილად, ცხადად და უეჭვოდ ვხედავ, რომ ქვეყანაზე ჯადოქრები, ჯადოქრობა და მოჯადოებულებიც არსებობენ. უფალმა მიხსნას მათგან, რადგან თვითონ მე მათგან ჩემი თავის დახსნა არ შემძლია. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, გემუდარებით, თქვენო მოწყალეზავ, თავი მანებეთ, დავიძინო, მეტს ნულარას მკითხავთ, თუ არ გინდათ ფანჯრიდან თავდაყირა გადავეშვა.

- დაიძინე, ჩემო მეგობარო სანჩო, - უპასუხა დონ კიხოტმა, - თუკი ქინძისთავების ნაჩხვლეტები, ნაჩქმეტები და ლოყებზე სილაქები და წვიპურტები ძილს არ დაგიშლიან.

- არავითარი ტკივილი არ შეიძლება შეეძაროს იმ წყენას, - მიუგო სანჩომ, - რომ წვიპურტები დუენიებმა მირტყეს, - კისერიმც მოუტეხიათ! ხელახლად გემუდარებით, თქვენო მოწყალეზავ, ღვთის გულისათვის დამეხსენით, დავიძინო, რადგან ძილი მწუხარების შემსუბუქებაა.

- დაე აგრე იყოს, უთხრა დონ კიხოტმა, - ღმერთი იყოს შენი მფარველი.

ორივემ დაიძინა. ამ დიდებული ისტორიის ავტორს, სად ჰამეტს, სურს მათი ძილით ისარგებლოს და თქვას, თუ რამ აიძულა ჰერცოგი და მისი ცოლი, რომ ასეთი დიდი ზეიმით მოაწყვეს ზემოხსენებული წარმოდგენა. სიდ ჰამეტი გადმოგვცემს, რომ ბაკალავრ სამსონ კარასკოს გულიდან არ გადაუყრია, რომ დონ კიხოტმა იგი სარკის რაინდად ყოფნის დროს დაამარცხა და ცხენიდან გადმოაგდო და ამ დამარცხებამ ყველა მისი გეგმა ჩაშალა და გააუქმა. მან მაინც გადაწყვიტა ხელმეორედ ეცადა ბედი და დაიმედებული იყო, საქმეს წინანდელზე უკეთესი ბოლო ექნებოდა. პაჟმა, რომ სანჩო ცოლს, ტერესა პანსას, სანჩოს წერილი და საჩუქრები მიუტანა, კარასკომ იმ პაჟისგან გაიგო - თუ სად იმყოფებოდა დონ კიხოტი; მან სხვა ცხენი და ახალი აბჯარი იშოვა, ფარზე თეთრი მთვარე გამოხატა, ყველაფერი ეს ერთ ჯორს აჰკიდა და გამყოლად თავისი უწინდელი საჭურველმტვირთველი თომა სესიალი კი არა, სულ სხვა გლეხი აიყვანა, რომ დონ კიხოტს და სანჩოს იგი არ ეცნოთ, და დონ კიხოტს კვალდაკვალ მიჰყვა. იგი ჰერცოგის ციხე დარბაზში მივიდა და იქ გაიგო, დონ კიხოტი სარაგოსას ტურნირზე დასასწრებად ამა და ამ გზითა და მიმართულებით წავიდაო; ჰერცოგმა ისიც უამბო, რამდენი სათვალთმაცხო ხუმრობა და ოინი გაუმართეს და გააპამპულეს დონ კიხოტი, და ისიც აუწყა, რომ დულსინეს მოჯადოება მოჭორეს და დაარწმუნეს, რომ მისგან ჯადოს მოსაშორებლად საჭირო იყო სანჩოს თავისი უკანალი გაემართახებინა. დასასრულ, ისიც შეატყობინა, თუ სანჩომ თავისი ბატონი როგორ გაამასხარავა და დაარწმუნა, რომ დულსინე მოჯადოებულია და გლეხის დედაკაცადაა გადაქცეულიო; ისიც, თუ ჰერცოგის ცოლმა როგორ დაარწმუნა სანჩო, რომ თვითონ ის იყო მოტყუებული და დულსინე მართლაც მოჯადოებული აღმოჩნდა. ყველაფერ ამაზე ბაკალავრმა ბევრი იცინა და იმდენადვე სანჩოს გულუბრყვილობა აკვირვებდა, რამდენადაც დონ კიხოტის გასაოცარი უგუნურება. ჰერცოგმა ბაკალავრს სთხოვა, თუ რაინდს იპოვიდა, მიუხედავად იმისა, დაამარცხებდა მას თუ არა, - მაინც იმავე გზით მასთან დაბრუნებულიყო და მომხდარი ამბავი შეეტყობინებინა. ბაკალავრმა ჰერცოგს მისი სურვილის აღსრულება აღუთქვა და დონ კიხოტის სამებნელად წავიდა. რაკი სარაგოსაში ვერ იპოვა, ბარსელონას წავიდა, სადაც ის მოხდა, რაც უკვე ნამბობი იყო. დაბრუნებისას ბაკალავრმა ჰერცოგთან შეიარა და ყველაფერი უამბო, აგრეთვე ამცნო ბრძოლის პირობებიც და დასძინა, რომ დონ კიხოტი უკანვე მოდის, რათა, ვით ჭეშმარიტმა მოგზაურმა რაინდმა, აღთქმული პირობა - ერთი წლით სოფელში განდევილობა - შეასრულოსო. ამ ხანში კი, - თქვა ბაკალავრმა, - იმედი მაქვს, რაინდი თავისი სისულელისაგან განიკურნოს, რადგან სწორედ ეს

იმედი მქონდა, ტანისამოსი, რომ შევიცვალე და რაინდულად ჩავიცვი; დიდად მებრალებოდა, როცა ვუცქეროდი, რომ ასეთ გონიერ და დიდად ჭკუით მორჭმულ იდალგოს გონება აერიაო. ამ სიტყვების შემდეგ სამსონ კარასო გამოეთხოვა ჰერცოგს და თავის სოფელში წავიდა, რომ იქ დონ კიოტისათვის დაეცადა. ამ ნაამბობით ისარგებლა ჰერცოგმა, რომ დონ კიოტისათვის ეს ზემოთ აღწერილი ხუმრობა გაეწია; რაინდისა და მისი საჭურველმტვირთველის გაპამპულეობა მეტად ეხალისებოდა. მან უბრძანა ციხედარბაზის შორიახლოს ჩასაფრებოდნენ ყველა მიმართულების გზებზე, რა გზებითაც მისი აზრით დონ კიოტი უნდა დაბრუნებულიყო; ამისათვის მრავალი ცხენოსანი თუ ქვეითი მსახური დანიშნა, რომ, თუ დონ კიოტს იპოვიდნენ, ძალით თუ ნებით ციხე-დარბაზში მოეყვანათ. მართლაც იპოვეს და ჰერცოგს შეატყობინეს. მან ამთავითვე შეამზადა, რის მოხდენასაც ფიქრობდა. მიიღო თუ არა ცნობა, დონ კიოტი ციხე-დარბაზს უახლოვდებოდა, უბრძანა ეზოში კერეონები და ლამპრები აენთოთ, ალტისიდორა კატაფალკზე დაეწვინათ, ყველაფერი იმ სამზადისით, რაც ნაამბობი იყო და ყოველივე ეს ის კარგად და მშვენივრად იყო წარმოდგენილი, რომ ნამდვილისაგან მცირედით განსხვავდებოდა.

ამის გამო სიდ ჰამეტი შენიშნავს, რომ ეს ლაზღანდარა ხალხი, მისი აზრით, იმდენადვე უგუნურები და გიჟები იყვნენ, რამდენადაც ისინი, ვისაც ამასხარავებდნენ და აპამპულეობდნენ, რადგან ამ სულელურ საქმეში ჰერცოგი და მისი ცოლი ესოდენ გულმოდგინეობას იჩენდნენ, რომ თვით ხდებოდნენ პამპულეები და სულელები; რაც შეეხება ორ ჩვენ ყვეყნ მოგზაურს, ერთ მათგანს უკვე ღრმა ძილით ეძინა, ხოლო მეორე თავის დაუცხრომელ აზრებსა და ოცნებაში შთანთქმული გათენებამდის ფხიზლობდა. დონ კიოტს, გამარჯვებულს თუ დამარცხებულს, საბან-ბუმბულში თუ ფაფუკ ყურთუკზე უქმად და ტკბილად განცხრომა არასოდეს არ ჰგვრიდა კმაყოფილებას.

და ანაზღად თავისი ბატონების ახალი ოინის შემსრულებელი ალტისიდორა, (რომელსაც ჩვენი რაინდი მკვდრეთით აღდგენილად თვლიდა), იმავე გვირგვინით თავზე, რაც მას კატაფალკზე მწოლარეს ჰქონდა, ტანზე ოქრომკედის ყვავილებით მოქარგული თეთრი თაფთის ქათიბით, მხრებზე გაშლილი თმით, შავი ხის ძვირფას ყავარჯენზე დაყრდნობილი, დონ კიოტის ოთახში შემოვიდა. დონ კიოტმა იგი რომ დაინახა, შეკრთა, აირია, მოიკუნტა, ჩარსავები და საბნები თავზე მთლად წაიხურა, დამუნჯდა და ღონე წაერთვა - მისთვის რაიმე ალერსიანი სიტყვა ეთქვა. ალტისიდორა სასთუმალთან ახლო სელზე დაუჯდა, ღრმა ამოოხვრით და ნაზი, მისუსტებული სიტყვებით ასე დაიწყო:

- როდესაც წარჩინებული მანდილოსანნი და უმანკო ქალები სიყვარულის გამო თავის პატივს ფეხით სთელავენ და ნებას აძლევენ ყველა ზღუდე გადალახონ და საქვეყნოდ ილაღადონ იმ საიდუმლოებაზე, რომელიც მათ გულშია ჩამარხული, ისინი, უეჭველად, უდიდეს უკიდურესობამდის არიან მისულნი. მე, ბატონო დონ კიოტო ლამანჩელო, ერთი მათგანი შეყვარებული ვარ - განმეხილი, დამარცხებული, - მაგრამ მასთანვე მომთმენი, უმანკო და იმ ზომად უმანკო, რომ ჩემი გული მდუმარებას მიეცა, დაბნდა და მე მოგკვდი. შეუბრალებელი რაინდო! ამ ორი დღის წინ ჩავუკვირდი მას, თუ რა გულგრილად და მკაცრად მომექცეო, გამახსენდა შენი მტკიცე მარმარილოსებრ გულქვა მოპყრობა, როგორითაც ჩემთა აღიარებათ მოეპყარ და მე მწუხარებამ მომკლა, ან ის მაინც იყო, რომ, ვინც მხედავდა, მკვდრად მსახავდა. და თუ სიყვარულს არ შევბრალებოდი, თუ სიყვარული არ დამხმარებოდა, ამ კეთილი საჭურველმტვირთველის ტანჯვით, მე სამუდამოდ საიქიოს დავრჩებოდი დავანებული.

- უკეთესი იქნებოდა, - უთხრა სანჩომ, - ეგ სიყვარული ჩემი ვირის ტანჯვაში ჩანერგილიყო და მისი დახმარებით გაცოცხლებულიყავით, მე ამისი ძალიან მადლობელი ვიქნებოდი. მაგრამ მითხარით, ქალბატონო, - აგრემც ღმერთი ჩემს ბატონზე უკეთეს მიჯნურსა და ნაზ მეგობარს მოგანიჭებდეთ, საიქიოს რა ნახეთ? ჯოჯოხეთში რას აკეთებენ? ხომ ასეა, ვინც სასოწარკვეთილებისაგან კვდება, ნებით თუ უნებლიეთ ჯოჯოხეთში უნდა ჩავარდეს?

- მართალი რომ ვთქვა, - მიუგო ალტისიდორამ, - ალბათ მე მთლად არ მოვმკვდარვარ, რადგან ჯოჯოხეთში არა ვყოფილვარ; მე რომ იქ ჩავვარდნილიყავი, იქიდან ვერასოდეს ვერ გამოვიდოდი, თუნდაც ძალიან მსურვებოდა. მე მხოლოდ ჯოჯოხეთის კარიბჭემდე მივედი და იქ ათიოდე ეშმაკი ვნახე, ბურთს თამაშობდნენ; ყველას, როგორც რიგია, შარვლები და ფლამანდიელი ბაფთამოვლებული კამზოლები ეცვათ; სახელოებიც ისეთივე იყო და სამაჯურების მაგივრობას სწევდა. სახელოებიდან ოთხი თითის დადებაზე მაჯები მოუჩანდათ, რათა ხელები უფრო გრძელი გამოსჩენოდათ; ხელში ყველას ანთებული მაშხალა ეჭირა. ყველაზე უფრო ის გამიკვირდა, რომ ბურთის მაგიერ მათ ნამჯით გატენილი და ქარით გაბერილი წიგნები ჰქონდათ - ყოვლად არნახული და გასაოცარი ამბავი! მაგრამ ამას იმდენად არ გავუკვირვებოვარ, არამედ უფრო კიდევ იმან გამოაცა, რომ, ყველა მოთამაშეთა ჩვეულების წინააღმდეგ, მათ არც მოგება უხაროდათ, არც წაგება სწყინდათ, მხოლოდ ყველანი ბრაზობდნენ, ჩხუბობდნენ და ერთმანეთს ლანძღავდნენ.

- ეგ საკვირველი და საოცარი სრულიადაც არ არის, - შენიშნა სანჩომ, - რადგან ეშმაკები თამაშობენ, თუ არ თამაშობენ, იგებენ თუ აგებენ, - არასოდეს კმაყოფილნი არ არიან.

- ალბათ აგრეა, - მიუგო ალტისიდორამ, - მაგრამ იქ სხვა რამეც იყო გასაოცარი (ანუ მე მაინც გამოაცა), ისა, რომ ბურთს რომ მაღლა აისროდნენ, ძირს აღარ ვარდებოდა, ისე, რომ მერე სხვა წიგნი უნდა აეგდოთ და ამგვარად წიგნები, ძველი და ახალი, ერთიმეორის შემდეგ გასაოცრად მიფრიალებდნენ ზევით. მაგრამ ერთი სულ ახალთახალი კარგად დაკაზმული, მთლად ცეცხლმოდებული წიგნი ისე დაახალეს, რომ შიგნეულობა მთლად გადმოაყრევინეს, და ყველა მისი ფურცელი გაიფანტა. "აბა ერთი ნახე, ეგ რა წიგნია", - უთხრა ერთმა ეშმაკმა მეორეს. "მეორე ნაწილია დონ კიხოტ ლამანჩელის ისტორიისაო", - უპასუხა მეორემ, პირველი მისი ნამდვილი ავტორის, სიდ ჰამეტ ბენენჰელის შეთხზული კი არა, არამედ, ვიღაც ტორდესილასის მკვიდრ არაგონელისაგან, "გადაადეთ აქედან, - დაუყვირა ეშმაკმა, - ჯოჯოხეთის სულ უღრმეს ალაგს ჩააგდეთ იგი, რომ ჩემმა თვალებმა აღარ დაინახონ". "განა ასე ცუდია?" - ჰკითხა მეორემ. - "ისე ცუდია, - მიუგო პირველმა, - რომ მე, თვითონ ეშმაკიც, ვცდილიყავი იმაზე უარესი დამეწერა, მაინც ვერ მოვახერხებდი". თამაშობა განაგრძეს, სხვა წიგნებს ისროდნენ, ხოლო მე, მომესმა თუ არა დონ კიხოტის სახელი, რომელიც გაღმერთებამდის მიყვარს, ეს მოჩვენება კარგად დავიხსომე.

- იქნება თქვენ ეს მოჩვენება ცხადად ნახეთ, - უთხრა დონ კიხოტმა, - რადგან მეორე დონ კიხოტი ქვეყანაზე არავინ არის. ეს ახალი წიგნი არც ხელიდან ხელში გადადის და არც ერთში არა რჩება, რადგან ყველა მას წიხლავს და მტვერში სვრის. მაინც ის არ მაშფოთებს, რომ ვითა ლანდი დავძრწი უფსკრულთა წყვდიადში და მზით გასხივოსნებულ დედამიწის ზურგზეც, - რადგან ვისზედაც ის ისტორია მოუთხრობს, მე არა ვარ. თუ იგი კარგია, მართალი და ჭეშმარიტი, საუკუნეთა მანძილზე იცოცხლებს და თუ ცუდია აკვნიდან სამარემდის მანძილს ვერასოდეს ვერ გაივლის.



ალტისიდორა ის იყო მოემზადა ხელახლად დაეწყო ჩივილი და საყვედური დონ კიხოტის უფულო მოპყრობაზე, მაგრამ დონ კიხოტმა დაასწრო და უთხრა:

- ბევრჯერ გითხარით, ქალბატონო, რომ თქვენი სიყვარული ჩემდამი ტყუილით მომართეთ, რადგან მისი თანაგრძნობა და სიყვარულის ურთიერთობა მე არ შემიძლია; მაგისთვის შემიძლია მხოლოდ მადლობა მოგახსენოთ. მე დულისინიე ტობოსელისთვის ვარ დაბადებული და ჩემმა ბედისწერამ (თუ იგი არსებობს) ჩემი თავი მას მიაართვა ძღვნად. ის ფიქრი, ვითომც სხვა მშვენიერებას შეუძლია ჩემს გულში დულისინეს ადგილი დაიჭიროს, შეუძლებელი ოცნება იქნება. შეუძლებელი შეუძლებლად რჩება. იცანით ჭემმარიტება, რათა თქვენს უმანკოებას დაუბრუნდეთ და მე დამივიწყოთ.

ეს, რომ ალტისიდორამ მოისმინა, ვითომ ძალიან გაჯავრებული სახე მიიღო და შესძახა:

- ვაჰ, შე დონ ვირთევზას შაშხო! ბრინჯაოს გულო, ინდის ხურმის კურკავ! მომაკვდინებელი ცოდვავ! ტლანქ გლეხივით კერპო და მოუქნელო! უსულგულო, უმაქნისთუმაქნისო! უფალსა ვფიცავ, მე, რომ კლანჭები ჩაგიყარო, მაგ თვალებს გამოგთხრიდი. იქნებ გგონია, დონ დამარცხებულო, დონ ჯოხებით ნაცემო, რომ მე შენს გამო მოვკვდი? ყველა, რაც წუხელი ნახე, მოჩვენება და კომედია იყო. მე ისეთი ქალი როდი ვარ, რომ შენებრი აქლემისთვის არათუ სული დავლიო, არამედ ფრჩხილის მტვრის ოდენი სულის ტკივილი ვიგრძნო.

- მეც აგრე მგონია, - თქვა სანჩომ, - როდესაც ამბობენ, შეყვარებული სიყვარულის გამო კვდებაო, მხოლოდ გასაცინებლად ამბობენ; ენა უძვლოა, რასაც უნდა, იტყვის, მაგრამ სიყვარულისაგან სიკვდილი კი - დაე იუდა გამცემელმა დაიჯეროს.

ამ დროს ოთახში შემოვიდა მუსიკოსი, მომღერალი და მგოსანი, ალტისიდორას ცხედართან ზემომოყვანილი ორი ლექსი რომ იმღერა. დონ კიხოტს მძიმედ თავი დაუკრა და უთხრა:

- თქვენო მოწყალეზავ, ბატონო რაინდო, გთხოვთ მიმილოთ და ჩამთვალთ თქვენს უერთგულეს მოსამსახურედ, რადგან დიდი ხანია თქვენს მიერ ჩადენილი საგმირო საქმეები და აგრეთვე თქვენი ქება-დიდებაც გაგონილი მაქვს.

- მითხარით, ვინა ხართ, - უთხრა დონ კიხოტმა, - რათა შევიძლო ის პასუხი მოგცეთ, როგორისაც ღირსი ხართ.

ყმაწვილმა კაცმა მიუგო, წინა ღამეს, რომ ვმღეროდი, ის მეხოტბე და მუსიკოსი ვარო.

- თქვენ მშვენიერი ხმა გაქვთ, - უთხრა დონ კიხოტმა, - მაგრამ ის, რაც თქვენ იმღერეთ, უნდა გითხრათ ძალიან უადგილო იყო. რა კავშირი აქვს გარსილასოს სტანსებს ამ ქალბატონის სიკვდილთან:

- არაფერი, - მიუგო მუსიკოსმა, - მაინც ნუ გაიკვირვებთ, თქვენო მოწყალეზავ: ჩვენი დროის გრძელთმიან უმეცარ მგოსნებში ჩვეულებაა, თითოეულმა ის დაწეროსარ, რაც ფიქრად მოუვა და თითოეულმა მოიპაროს, რასაც მოისურვებს; იმას აღარ დაეძებს, შესაფერია თუ შეუფერებელი; მან ის იცის, რომ ყველა ნამღერი და ნაწერი გაუვა, როგორც პოეტური სილალე და თავისუფლება.

დონ კიხოტი რაღაც პასუხის მისაცემად მოემზადა, მაგრამ ამ დროს ჰერცოგი და მისი ცოლი შემოვიდნენ. სტუმრებსა და მასპინძლებს შორის გრძელი, სასიამოვნო ლაპარაკი გაიბა და ამ

ლაპარაკის განმავლობაში სანჩომ იმდენი სასაცილო რამ და გესლიანი ხუმრობა წარმოთქვა, რომ ჰერცოგი და მისი ცოლიც კვლავ გააოცა როგორც თავისი გულუბრყვილობით, ისე მახვილგონიერებით. დონ კიხოტმა ჰერცოგს ნებართვა სთხოვა, იმ დღესვე წასულიყო, რადგან, მისი აზრით, დამარცხებული რაინდისათვის სადმე საღორეში ცხოვრება უფრო შესაფერი იყო, ვიდრე მეფის სასახლეში განცხრომით ცხოვრება. ჰერცოგი სიამოვნებით დაეთანხმა, ხოლო მისმა ცოლმა ჰკითხა დონ კიხოტს, ალტისიდორაზე გაჯავრებული ხომ არა ხარო.

- ჩემო ქალბატონო, - მიუგო დონ კიხოტმა, - დაე უწყოდეს თქვენმა მოწყალეებამ, რომ ამ ქალს ყველა უბედურება და ვარამი უსაქმობისაგან მოსდის; ეს უსაქმურობა ყველა მისი სენის მიზეზია. ამის საწინააღმდეგო წამლად მე ალტისიდორას პატიოსან და მუდმივ შრომას ვურჩევდი. ეს იყო, ახლა თქვა, ჯოჯოხეთში ბაფთებს ატარებენო, და, რადგან ალტისიდორამ მათი მოქსოვა უნდა იცოდეს, ამ საქმეს ხელიდან ნურასოდეს ნუ გააგდებს: ძაფის კოჭების გადარჩევა გამორჩევით გართული რომ იქნება, სიყვარულის თუ საყვარლების სახის გადარჩევისთვის ველარ მოიცლის. აი მთელი სიმართლე, ჩემი აზრი და ჩემი რჩევა-დარიგება.

- აგრეთვე ჩემი რჩევაც ეგ არის, - დაუმატა სანჩომ, - რადგან მთელ ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ მინახავს, რომ ბაბთისმქსოველი სიყვარულის გამო მომკვდარიყოს. მშრომელი ქალი თავის საქმეზე უფრო ზრუნავს, ვიდრე სიყვარულის ფიქრებს მიეცეს. ამას ჩემი საკუთარი გამოცდილებით ვამბობ. როდესაც მინდორში ვმუშაობ, ჩემი დიასახლისი სრულებით არ მაგონდება, ესე იგი - ჩემი ტერესა სანჩა, ჩემი თვალის ჩინზე მეტად რომ მიყვარს.

- ძალიან კარგად თქვით, სანჩო, - შენიშნა ჰერცოგის ცოლმა, - და მეც დღეიდანვე ალტისიდორას რაიმე საქმეზე დავსვამ, მერედა - ბევრნაირი ხელსაქმის ოსტატიცაა.

- ეგ საჭირო აღარ არის, ქალბატონო, - უთხრა ალტისიდორამ, - მარტო ერთი იმის გახსენება, რომ უმაქნისი მაწანწალა, აგრე უხეშად და სასტიკად მომეპყრა, საკმარისია ჩემში ყოველგვარი სიყვარული ჩაჰკლას. ნება მიბოძეთ აქედან წავიდე, რომ ჩემი თვალები არა ხედავდნენ ამის... არ ვიტყვი მწუხარე სახეს-მეთქი, არა, ამის მახინჯ და საზიზღარ სიფათს.

- ეს, - თქვა ჰერცოგმა, - მაგონებს ცნობილ ნათქვამს:

ვინაც დაგიწყო ლანძღვა-გინება, -

მას პატიებაც ეცოდინება.

ალტისიდორამ მოაჩვენა, ვითომც ცხვირსახოცით ცრემლებს იწმენდდა, ბატონებს რევერანსი გაუკეთა და ოთახიდან გავიდა.

- ოჰ, საბრალო ქალი, - თქვა სანჩომ, - საცოდავი, მაგრამ ახია მაგაზე, რად შეიყვარა ასეთი მიუკარებელი, ქვა გულისა და ჩალასავით გამომშრალი სულის პატრონი? ჩემთან რომ საქმე დაეჭირა და შეეყვარებოდი, მაშინ სულ სხვა ჰანგზე ვუმღერებდი და ჩვენი მამალიც სხვაგვარად დაიყვილებდა.

საუბარი დასრულდა. დონ კიხოტმა ტანთ ჩაიცვა, ჰერცოგთან და მის ცოლთან ერთად ისადილა და იმავ საღამოს გზას გაუდგა.

თავი LXXI

რა შეემთხვათ დონ კიხოტსა და მის საჭურველმტვირთველ სანჩო

პანსას თავიანთ სოფლისაკენ მიმავალ გზაზე

დამარცხებული, ბედისგან დევნილი და მგზავრობით დაღლილი დონ კიხოტი ერთი მიზეზით ძალიან დაღონებული და მეორე მიზეზით ძალიან გახარებული მიდიოდა. დაღონება მისი დამარცხების გამო იყო, ხოლო მხიარულება სანჩოს სასწაულებრივი ძლიერების გამო, ალტისიდორიას აღდგინებაში რომ გამოიჩინა. ესეც კი იყო, ჩვენი რაინდი თითქოს ცოტაოდენად ეჭვობდა კიდეც, რომ ის ქალი მართლაც მისი სიყვარულით მომკვდარიყო.

სანჩო სრულიადაც არ იყო მხიარული, იმიტომ უფრო, რომ ალტისიდორამ დანაპირები არ აუსრულა: პერანგები არ აჩუქა. ამაზე რომ სხვადასხვანაირად ფიქრობდა, თავის ბატონს უთხრა:

- მართალი, რომ ვთქვა, ჩემო ბატონო, - ყველა ექიმზე უუბედურესი ვყოფილვარ. სხვა ქიმები ავადმყოფებს ჰკლავენ და ამაში ფულსაც იღებენ. რა შრომაა და! რაღაც ფარატინა ქალადზე წამლებს სწერენ, იმ წამლებსაც ხომ თვითონ არ აკეთებენ, მეაფთიაქე ამზადებს, დასცინცლავენ ფულს და, ჰერი ბიჭო! მთელი ამბავი ეს არის; მე კი სხვისი სენის განსაკურნავად სილაქებსაც მაჭმევენ, მჩქმეტენ, ქინძისთავებით მჩხვლეტენ, სისხლს მადენენ, მათრახით მცემენ და - ერთ გროშსაც არ მაძლევენ. ან კი, მორჩა და გათავდა! ვფიცავ: თუ ვინმე ავადმყოფი ჩავიგდე ხელში, მის მორჩენამდის ჯერ ხელების გათბობას მოვითხოვ; მღვდელიც წირვა-ლოცვით ცხოვრობს. ვერ დავიჯერებ, რომ ზენას ჩემთვის სასწაულებრივი ძალა მხოლოდ იმისთვის მოენიჭებინოს, რომ იგი სხვას სულ არაფრისათვის და მუქთად მოვახმარო.

- მართალი ხარ, მეგობარო სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - ალტისიდორაც ცუდად მოიქცა რომ დაპირებული პერანგები არ მოგცა, თუმცა ძალა, შენ, რომ გაქვს, შენთვის გრატის დატა არის, რადგან უშრომლად მიგიღია, მაინც სწავლა-მეცნიერებაზე დიდი ის არის, რომ შენ წამება განიცადე. ჩემს შესახებ შემძლია ის გითხრა: თუ დულსინეს ჯადოს მოსაშორებლად გამათრახებისათვის ფასის მიღებას მოისურვებდი, მთლიანად მოგეცემოდა; მაგრამ არ ვიცი, განკურნებას წამლობის საფასური კარგად მიუდგება? არ მინდოდა დაჯილდოებას წამლის მკურნალი ძალა გაეუქმებინა. მაინც, მგონია, ცდით არაფერს დავკარგავთ, ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია. მითხარ, სანჩო, რამდენის მიღება გსურს, და მაშინვე გამათრახება დაიწყე და შენი ხელით სრულად ჩაიბარე, რადგან ჩემი ფული შენა გაქვს.

ეს რომ მოისმინა სანჩომ, თვალები დააჭყიტა, ყურები დაცქვიტა და გუნებაში დათანხმდა, კეთილსინდისიერად თავი გაემათრახებინა, და თავის ბატონს უთხრა:

- კარგი, ბატონო, მზადა ვარ თქვენი მოწყალება დავაკმაყოფილო, რადგან ჩემი ცოლისა და შვილების სიყვარული მაიძულებს ანგარების მოყვარულ კაცს დავემსგავსო. მითხარით, თქვენო მოწყალება, თითო დარტყმაში რას მიბოძებთ?

- ის ჯილდო, რომ მომეცა შენთვის, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - რაც შენ ნაგრძნობ ტკივილს და წამლობის მნიშვნელობას შეეფერება, მაშინ არც ვენეციის ყველა საუნჯე და არც ჰოტოსის საბადოები იკმარებდნენ; ანგარიშისთვის ის მიიღე, რაც შენთან ჩემი ფულია, და ყველა დარტყმას ფასი ისე დაუნიშნე.

- დარტყმა სულ, - მიუგო სანჩომ, - სამი ათას სამასი და რაღაცაა, ამაში ხუთი უკვე დავირტყი, მაშ სამი ათას სამას დარტყმაზე ვილაპარაკოთ. თითო დარტყმა რომ თითო კუარტილიოდ ვიანგარიშოთ (ამაზე ნაკლებს არ ავიღებ, თუნდა მთელი ქვეყანა შემომადგეს) - სამი ათას სამას კუარტილიოს შეადგენს, სამი ათასი კუარტილიო იქნება ათას ხუთასი ნახევარრეალი, ანუ შვიდას ორმოცდაათი რეალი, ხოლო სამასი დარტყმისა გამოვა ას ორმოცდაათი ნახევარრეალი, ანუ სამოცდათხუთმეტი რეალი; პირველ შვიდას ორმოცდაათს რომ მივუმატოთ, მთელი საერთო ჯამი გამოვა რვაას ოცდახუთი რეალი. ამას იმ ფულიდან ავიღებ, რაც თქვენი მოწყალების ფულია ჩემთან, და შინ მდიდარი და კმაყოფილი დავბრუნდები, თუმცა ძლიერ ნაცემიც, რადგან ვისაც გელაქნურების დაჭერა უნდა.... მეტს არას ვიტყვი.

- ჰოი, კურთხეულო, ჰოი, ჩემო საყვარელო სანჩო! - შეჰყვირა დონ კიხოტმა. - ჩვენ ორნი, მე და დულსინე, როგორ დავალებულად ჩავთვლით თავს, მთელი სიცოცხლე როგორი მადლიერი დაგრჩებით! თუ წინანდელი სახე დაუბრუნდა დულსინეს, (ხოლო არ შეიძლება არ დაუბრუნდეს), მისი უბედურება ბედნიერებად გარდაიქმნება და ჩემი დამარცხება - უდიდეს დღესასწაულად და ზეიმად გადაიქცევა. მაშ მითხარ, სანჩო, გალახვის დაწყებას როდის აპირებ? თუ დაუჩქარებ, ას რეალს კიდევ მოგიმატებ.

- როგორ თუ როდის? უეჭველად ამაღამვე, - მიუგო სანჩომ, - ოღონდ ისე მოეწყვეთ, თქვენო მოწყალებავ, რომ ღამე მინდორში, ცის ქვეშ გავატაროთ და მეც მთელ ჩემს ტანს დავიგლეჯ.

ღამე ახლოვდებოდა, მაინც დონ კიხოტი მოუთმენლად ელოდა დაღამებას, მას ეჩვენებოდა, რომ აპოლონს ეტლის თვლები დამტვრეოდა და დღე ჩვეულებრივზე მეტად ჭიანჭურდებოდა. სწორედ ისე, როგორც ეს ემართებათ შეყვარებულებს, რომელთაც არ შეუძლიათ თავიანთი სურვილების დაოკება და არ იციან, ისინი დროს როგორ შეუთანხმონ. ბოლოს გზას ცოტა გადაუხვიეს და შარაგზის ოდნავ მოშორებით მშვენიერ ჭალაში ხეებს შუა მოექცნენ. იქ როსინანტს უნაგირი და ვირს კურტანი მოხსნეს, ამწვანებულ მდელოზე გაიჭიმნენ და სანჩოს ხურჯინიდან ივახშმეს. შემდეგ სანჩომ როსინანტის აღვირის თასმებიდან და ვირის ავშარიდან მაგარი და რბილი მათრახი გაიკეთა და ოციოდე ნაბიჯზე თავისი ბატონის შორიახლოს მაგარ წიფლის ჩრდილქვეშ გადას. როცა დონ კიხოტმა დაინახა, სანჩო თავის გამათრახების ადგილისკენ გაბედულად და თავგამოდებით მიდიოდა, უთხრა:

- ფრთხილად, მეგობარო სანჩო, ტანი მთლად არ დაიშავო. დარტყმასა და დარტყმას შუა დაისვენე, ბოლომდის მისვლას ნუ დააჩქარებ, რომ შუა გზაზე სუნთქვა არ შეგიწყდეს, მე მინდა ვთქვა, ისე გაშმაგებით ნუ მოეკიდები საქმეს, რომ უმალ სიცოცხლეს გამოესალმო, ვიდრე დარტყმების რიცხვს ბოლომდის მიიყვანდე, და ერთი ზედმეტი ქაღალდის ან ქულის მიზეზით თამაშობა არ წააგო. განზე გავდგები და ამ კრიალოსანზე დავთვლი, რამდენსაც დაირტყამ. ზენამაც გაგიწიოს მფარველობა, რისი ღირსიც შენი კეთილი განზრახვაა.

- კარგ გადამხდელს შეტანილი გირაო არ აშინებს, - მიუგო სანჩომ, - მე ისე მინდა დავირტყა, რომ მეტკინოს, მაგრამ კი არ მომკლას. ამ სასწაულის საქმეც ამაში უნდა მდგომარეობდეს.

მაშინვე წელამდის გატიტვლდა, მათრახი აიღო და რამდენიმეჯერ გადაიჭირა. დონ კიხოტი კი ყველა დარტყმას ითვლიდა. რვა თუ ათი დარტყმის შემდეგ სანჩოს ეს ძალიან მძიმე ხუმრომად ეჩვენა, ხოლო მისი ფასი მტისმეტად იაფად მიიჩნია და ცოტა ხანს უკან თავის ბატონს უთხრა: ანგარიშში შევცდიო, თითო ასეთი დარტყმა ნახევარ რეალად უნდა დაფასდეს და არა კუარტილიოდაო.

- განაგრძე, ჩემო მეგობარო სანჩო, ნუ მოგერიდება, - უთხრა დონ კიხოტმა, - და ფასი ერთიორად მიიღე.

- მაშ, - თქვა სანჩომ, - ღმერთი იყოს ჩემი შემწე! ახლა კი სეტყვასავით დავიშენ მათრახს.

მაგრამ იმ ცბიერმა თავის ბეჭებსა და ზურგს თავი დაანება და ხეებს დაუწყო ტყლაშუნი, დროდადრო კი ისე გმინავდა, ყოველ გმინვაზე თითქოს სული სხეულიდან შორდებოდა. მეტად მგრძნობიარე დონ კიხოტი შეშინდა, სანჩოს მართლა თავი არ მოეკლა და ამ გაუფრთხილებლობით მთელი საქმე არ დაელუპა. ამიტომ უთხრა მას:

- სიცოცხლეს გაფიცებ, მეგობარო, ჯერხანად ეგ ვიკმაროთ, წამალი ძალიან მწარედ მეჩვენება, მისი მიღება დროგამოშვებით ემჯობინება, - სამორაც ხომ ერთ დღეს და ერთ საათს არ აუღიათ! თუ თვლაში არ შევცდი, შენ ორი ათასზე მეტი უკვე დაირტყი, ჯერჯერობით ეს საკმარისია, მდაბიურად რომ ვთქვათ გადაჭარბებულ ტვირთს ვირიც ვერ ზიდავს.

- არა, არა, ბატონო, - მიუგო სანჩომ, - არ მინდა ჩემზე თქვან: "ფული მიიღო და ხელები მოიჭრაო". ისევ ცოტა განზე გადექით, თქვენო მოწყალებავ, მაცადეთ ერთი ათასიოდე მაინც კიდევ დავიკრა, ორ ხამუშად გავათავებ საქმეს და მაშინ თქვენ სადარდელი აღარა გექნებათ რა.

- თუ აგრე კარგ გუნებაზე ხარ, - უთხრა დონ კიხოტმა, - ზეცა იყოს შენი შემწე, საქმე განაგრძე, მე კი მოგშორდები.

სანჩო თავის საქმეს დაუბრუნდა ისეთი თავგამოდებით, რომ რამდენიმე ხეს ქერქი გააძრო, ისე დაუნდობლად ილახავდა თავს და დულსინეს ჯადოს აშორებდა. ბოლოს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ერთ დიდ წიფლის ხეს შემოარტყა და შეჰყვირა:

- აქ მოკვდა სამსონი და ყველა ფილისტიმელი! დაე მეც მათსავით დავიღუპო!

ამ მწუხარე ხმაზე და ლახტის საშინელ დარტყმაზე დონ კიხოტმა მიირბინა, დაგრეხილ თასმებსა და თოკს, სანჩოს ლახტად რომ ჰქონდა, ხელი სტაცა და უთხრა:

- ნუ ინებოსმცა ღმერთმა, მეგობარო სანჩო, რომ ჩემი სიამოვნებისთვის შენ სიცოცხლეს გამოესალმო, რაც ეგოდენ საჭიროა შენი ცოლ-შვილისათვის. დაე დულსინემ მოთმინებით იცხოვროს უფრო ხელსაყრელ შემთხვევამდის, როგორც მე ამ საქმის ჩქარა აღსრულების იმედით, და ელოდოს, ვიდრე მოლონიერდები, რომ ეს საქმე ჩვენდა ყველას საბედნიეროდ დაასრულო.

- თუ თქვენს მოწყალებას, ჩემო ბატონო, ასე სურს, მიუგო სანჩომ, აგრე იყოს, და თქვენი ტოლომა მომახურეთ ბეჭებზე. მთლად ოფლში ვცურავ, სურდო არ დამემართოს, როგორც მონანიებისთვის პირველად გამათრახებულთ ემართებათ ხოლმე.

დონ კიხოტმა საჩქაროდ მოსასხამი მოიხსნა და სანჩოს მოახურა, თვითონ მარტოოდენ კაშხოლით დარჩა. სანჩომ მაშინვე არხინად დაიძინა და იმ დრომდის არ გამოღვიძებია, ვიდრე მზის სხივებმა არ გააღვიძეს; მაშინვე გზას დაადგინა და სამი მილის მანძილზე მდებარე სოფელში მივიდნენ. იქ ჩამოხტნენ სასტუმროში, რომელიც დონ კიხოტმაც სასტუმროდ მიიღო და არა ღრმა არხებით შემოვლებულ კოშკებიან, სერსეროებიან და ასაწევ ხიდებიან ციხე-დარბაზად. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დონ კიხოტი დამარცხების შემდეგ ყველა საგანზე გონივრულად მსჯელობდა. რაინდსა და საჭურველმტვირთველს ქვემო სართულში მისცეს

ოთახი. იმ ოთახის კედლებს ტყავის მაგიერ ძველი მოხატული, ტილოები ჰქონდა გაკრული. ერთ-ერთ მათგანზე მეტად ტლანქად ელენეს მოტაცება იყო გამოხატული, სწორედ ის წუთი, როცა თავხედი სტუმარი იტაცებს მენელაოსის მეუღლეს. მეორეზე - დიდონასა და ენეასის ამბავი ეხატა; დიდონა მაღალ კოშკზე იდგა და თითქოს გაქცეულ სტუმარს მთელ ჩარსავს უქნევდა; ხოლო სტუმარი ზღვაში ფრეგატით თუ ბრიგანტინით მიჰქროდა. დონ კიხოტი, რომ ამ სურათებს სინჯავდა, შენიშნა, რომ ელენე არცთუ უხალისოდ მიჰყვებოდა მომტყუებელს, ჩუმჩუმად გაიძვერულად იღიმებოდა; ხოლო მშვენიერი დიდონა თითქოს ბერძნული კალის ტოლა ცრემლებს აფრქვევდა.

- ეს ორი ქალი, - თქვა მან დაკვირვებით გასინჯვის შემდეგ, - მეტად უბედურები იყვნენ იმით, რომ ამ საუკუნეში არ დაიბადნენ; ხოლო მე უფრო მეტად უბედური ვარ იმით, რომ მათ დროში არ დავიბადე. მე რომ იმ პარისს და ენეასს შევხვედროდი, არც ტროადა იქნებოდა დამწვარი, არც კართაგენი იქნებოდა დანგრეული; საჭირო იყო მარტო პარისი მომეკლა და ამით ყველა იმ უბედურების აცდენა შეიძლებოდა.

- სანადღოს დავდებ, - თქვა სანჩომ, - რომ ჩქარა ერთი დუქანი, ერთი ბაკი, ერთი სასტუმრო, სახამრო ანუ სადალაქო და ფუნდუკი აღარ იქნება, რომ ჩვენი სახელოვანი საქმეების ისტორიიდან დაჯღაბნილი სურათებით არ იყოს აჭრელებული. მაგრამ მინდოდა კი ეს სურათები იმაზე უკეთეს მხატვარს დაეხატა, ვისაც ესენი დაუხატავს.

- მართალი ხარ, სანჩო, - უთხრა დონ კიხოტმა, - ეს მხატვარი უბედულ მხატვარს ორბანესს ჰგავს: ის რომ რაიმეს ხატავს და ჰკითხონ, რასა ხატავო, უპასუხებს: იმას, რაც გამოვაო, და თუ ვინცობაა მამალს დახატავდა, ქვეშ აწერდა: ესე არს მამალიო, რომ სხვებს მელა არ ჰგონებოდათ. ასეთივე უნდა იყოს, როგორც მგონია, მხატვარი, ანუ მწერალი, - ეს ორი ერთია, - ამას წინათ გამოცემული დონ კიხოტის ახალი ისტორიის დამწერი; იმის დამხატავი თუ დამწერი ალაღბედზე სწერდა, - რაც უნდა გამოსვლოდა, მისთვის სულ ერთი იყო; იგი მე ერთ პოეტ მაულეონსაც მაგონებს, რამდენიმე წლის წინათ სასახლეში გამოცხადებულად რომ მივიდა და ყველა კითხვაზე უცებ იძლეოდა პასუხს, და როდესაც ერთხელ ვიდაცამ ჰკითხა: რას ნიშნავს Dეუმ დე Dეო, იმან უპასუხა: Dე დონდე დირე-ო. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მითხარი, სანჩო, გსურს თუ არა ამდამ ხელახლად თავს მთელი სეტყვა დაიტეხო და როგორ ისურვებ, სახლში ჩაიდენ ამას თუ ცის ქვეშ?

- ღმერთმანი, ბატონო, - უპასუხა სანჩომ, - რისი დარტყმაც კიდევ მწადია, სულ ერთია, საფარქვეშ იქნება თუ მინდორში, თუმცა ისევ ხეებქვეშ მირჩევნია დარტყმა, რადგან ისე მგონია, ის ხეები ამხანაგად მიხდებიან-მეთქი და დარტყმის ატანას საკვირველად მშველიან.

- არა, მეგობარო სანჩო, - უპასუხა დონ კიხოტმა, - დღეს ნურც სახლში დაირტყამ და ნურც ცის ქვეშ, რომ ძალ-ღონე მოიკრიბო, ეს საქმე ჩვენს სოფელში მისვლამდის გადავდოთ, ჩვენ იქ სულ გვიან, ზეგ მაინც მივალთ.

- როგორც გნებავთ, - მიუგო სანჩომ, - ისე იყოს, მაგრამ მე მინდოდა ეს საქმე ჩქარა დამესრულებინა, რადგან "დაყოვნებაში შიში იმალება". "ღმერთს სთხოვე, ჩაქუჩით კი არახუნეო", "ორს დაპირებულს სჯობს - ერთი აიღო" და "ხელში ბედურა გირჩევნის გაფრენილ შავარდენსაო".

- გეყოფა ანდაზები, სანჩო, - ღვთის გულისათვის, გეყოფა, - უთხრა დონ კიხოტმა. - მგონია შენს სიცუტ ერატ-ს უბრუნდები. ილაპარაკე ცხადად, მარტივად, დაუხლართავდი, როგორც შენთვის ხშირად მომიცია რჩევა, და ნახავ, რომ ერთი პურიტ ასჯერ გაძღვები.

- არ ვიცი, რა უბედურებაა ჩემს თავს, - მიუგო სანჩომ, - უანდაზოდ გონივრულად რისამე თქმა არ შემიძლია და ისეთი ანდაზაც არ ვიცი, გონივრულად არ მეჩვენებოდეს. მაგრამ გამოვსწორდები, თუ შევიძელ.

მათი საუბარი იმ ღამეს ამით დასრულდა.

თავი LXXII

როგორ ჩავიდნენ სოფელში დონ კიხოტი და სანჩო პანსა

მთელი ის დღე დონ კიხოტმა და სანჩომ იმ სოფელში და იმ სასტუმროში გაატარეს. ერთს უნდოდა იმ ღამეს ტრიალ მინდორზე თავის გამათრახება დაესრულებინა, ხოლო მეორეს - ამ გამათრახების დასასრული ენახა, რაც ყველა მისი სურვილის შესრულებას შეიცავდა. ამასობაში სასტუმროში ერთი ვიღაც ცხენოსანი მგზავრი მოვიდა სამი თუ ოთხი მსახურით და ერთმა მათგანმა მიმართა მხედარს, ალბათ მათ ბატონს, და უთხრია:

- თქვენო მოწყალეზავ, დონ ალვარო ტარფე, შეგიძლიათ ნაშუადღევამდის აქ რიგიანად დაისვენოთ, სასტუმრო, როგორც ჩანს, სუფთა და გრილია.

ეს რომ დონ კიხოტმა გაიგონა, სანჩოს უთხრია:

- სანჩო, მე რომ დონ კიხოტის მეორე ნაწილს ვფურცლავდი, მახსოვს იქ დონ ალვარო ტარფეს სახელს თვალი მოვკარი.

- ძალიანაც შესაძლებელია, - მიუგო სანჩომ, - აბა, როცა ცხენიდან ჩამოხტება და აქ შემოვა, ვკითხოთ.

მგზავრი ცხენიდან ჩამოხტა და სასტუმროს დიასახლისმა ქვემო სართულში, დონ კიხოტის ოთახის პირდაპირ მისცა ოთახი, ისეთივე დახატული ტილოებით, როგორც დონ კიხოტის ოთახში იყო. მოსულმა კაბალერომ საზაფხულო ტანისამოსი ჩაიცვა, გრილ, ფართო ტალანში რომ გამოვიდა, დონ კიხოტს შეხვდა და ზრდილობიანად ჰკითხა:

- საით მიბრძანდებით, თქვენო მოწყალეზავ, ბატონო კაბალერო?

- ჩემს სოფელში, აქედან ერთი მილის მანძილზეა, - უპასუხა დონ კიხოტმა, - თქვენა, თქვენო მოწყალეზავ, საით მიემართებით?

- მე, ბატონო, - მიუგო კაბალერომ, - გრანადას მივდივარ, ჩემი სამშობლო იქ არის.

- სწორედ კარგი სამშობლო გქონიათ, - უთხრა დონ კიხოტმა, - იქნება, თქვენო მოწყალეზავ, კეთილ ინებოთ და თქვენი სახელი მითხრათ.

- ჩემი სახელია - დონ ალვარო ტარფე, - მიუგო მგზავრმა.

- თქვენ ის დონ ალვაო ტარფე ხომ არა ხართ, ერთურთი უახლესი შემთხვევის მიერ ახლახან დაბეჭდილი და გამოცემული დონ კიხოტ ლამანჩელის ისტორიის მეორე ნაწილში რომ არის მოხსენებული?

- სწორედ ისა ვარ, - მიუგო დონ ალვარომ, - ხოლო იქ მოხსენებული დონ კიხოტი, იმ ისტორიის მთავარი მოქმედი პირი, ჩემი საუკეთესო მეგობარია. სოფლიდან იგი მე გამოვიყვანე და ვაიძულე სარაგოსაში ტურნირზე წამოსულიყო. საერთოდ დიდი მეგობრობა გავუწიე მას. ერთხელ მისი ბეჭები ჯალათის მათრახებიდანაც დავიხსენი, - ცოტას გაწყდა მისი უზომო ზვიადობისათვის თავს არ დააცხრა და ბეჭები არ აუნთო.

- ახლა ეს მითხარით, თქვენო მოწყალება, ბატონო დონ ალვარო, - ჰკითხა რაინდმა, - ვგავარ რითიმე იმ დონ კიხოტს, რომელსაც ამბობთ?

- რა თქმა უნდა, არაფრით, - უპასუხა მგზავრმა, - სრულებით არაფერში.

- იმ დონ კიხოტს, - ჰკითხა რაინდმა, - ჰყავდა საჭურველმტვირთველი, სახელად სანჩო პანსა?

- დიახ, ჰყავდა, - მიუგო დონ ალვარომ, - და იმითიც გაითქვა სახელი, რომ დიდი ხუმარა და გონებამახვილი იყო, მაგრამ მე კი იმისაგან არც ერთი მოსწრებული სიტყვა არ გამიგონია.

- მაგას ადვილად დავიჯერებ, - დაიძახა სანჩომ, - მახვილგონიერების ნიჭით ყველა როდია დაჯილდოებული. ის სანჩო, ვიხედავ ლაპარაკობთ, თქვენო მოწყალება, უთუოდ დიდი გაიძვერა, უმაქნისი და თანაც ქურდი იყო, რადგან ნამდვილი სანჩო - მე ვარ და თქვენ სამსახურად იმდენი მახვილგონიერული ხუმრობა მაქვს, რამდენიც ღრუბლებში წვიმის წვეთია. თუ არა გჯერათ, თქვენო მოწყალება, გამომცადეთ, - თუნდა ერთი წელიწადი იარეთ ჩემთან ერთად და ნახავთ, ყოველ ნაბიჯზე რამდენს ვლაპარაკობ, როგორ სიცილით ვხოცავ ყველას, ხშირად თვითონაც არ ვიცი, როგორ და რით. ხოლო ნამდვილი დონ კიხოტი ლამანჩელი, სახელოვანი, ღვაწლმოსილი, გონიერი, შეყვარებული, ბოროტის გამასწორებელი, მცირეწლოვანთა და ობოლთა მფარველი, ქვრივთა საყრდნობელი, ქალწულთა ოცნება, ის, რომელსაც მხოლოდ ერთი ფიქრთა მფლობელი ჰყავს, უბადლო დუღსინე ტობოსელი - ეს, აი აქ დამსწრე ბატონია და იგი ჩემი ბატონიც არის. ყველა, ვინც უნდა იყოს სხვა დონ კიხოტი, და ყველა, ვინც უნდა იყოს სხვა სანჩო პანსა, მხოლოდ მოჩმახული ჭორია და მარტოოდენ ლაყბობა.

- მჯერა, მჯერა, - მიუგო დონ ალვარომ, - რადგან ოთხ თქვენს ნათქვამ სიტყვაში უფრო მეტი შემაქცევარი რამე თქვით, ვიდრე მეორე სანჩო პანსას მთელ თავის სიცოცხლეში უთქვამს. ის უფრო ღორმუცელა იყო, ვიდრე მჭევრმეტყველი მოლაპარაკე, და უფრო ჩერჩეტი, ვიდრე ხუმარა. და მე დარწმუნებული ვარ, კარგი დონ კიხოტის მდევნელ ჯადოქრებს აზრადა ჰქონდათ ცუდი დონ კიხოტით ეხტიბარე გაეტეხათ ჩემთვის. მაგრამ არ ვიცი, რა ვიფიქრო, რა ვთქვა: ერთი დონ კიხოტი საგიჟეთში დავტოვე, ნუნცის სახლში, ტოლედოში, ახლა კი აქ სხვა ახალ დონ კიხოტს ვხვდები, რომელიც სრულებით არა ჰგავს პირველს.

- არ ვიცი, - მიუგო დონ კიხოტმა, - კარგი ვარ თუ არა, მაგრამ იმის თქმა კი შემეძლია, რომ ყოველ შემთხვევაში ცუდი დონ კიხოტი არა ვარ. ამის დამამტკიცებელი ის არის, რომ მთელ ჩემს სიცოცხლეში სარაგოსაში არა ვყოფილვარ, პირიქით, გავიგე თუ არა, რომ ის ახლად გაჩენილი დონ კიხოტი იმ ქალაქის ტურნირში მონაწილეობას იღებდა, იქ წასვლა აღარ ვინდომე, რათა მთელი ქვეყნის წინაშე მისი სიცრუე ცხადმეყო; და პირდაპირ მშვენიერებით და



მდებარეობით შეუდარებელ ბარსელონას წაველ, იმ ბარსელონაში - ზრდილობის საცავი რომაა და უცხო ქვეყნელთა სავანე, ყარიბთა თავშესაფარი, მამაცთა სამშობლო, შეურაცხმყოფელთა შურისმგებელი, წრფელი მეგობრობის სასიამოვნო სამყოფელი. თუმცა, რაც იმ ქალაქში შემემთხვა, დიდი სიამოვნება არ მომიტანა, პირიქით უაღრესი მწუხარება შემამთხვია, მაგრამ მაინც უდრტვინველად ვიტან იმ მწუხარებას მხოლოდ იმიტომ, რომ ბარსელონის სანახაობით დავტკბი. ერთი სიტყვით, ბატონო დონ ალვარო ტარფე, მე ვარ - ის შესანიშნავი, სახელგანთქმული დონ კიხოტი ლამანჩელი, ხოლო იმ მეორე დონ კიხოტს უნდოდა ჩემი სახელი მოეპარა და ჩემი ამბებით სახელი გაეთქვა. ვემუდარები თქვენს მოწყალებას, როგორც ჭეშმარიტ აზნაურს. კეთილ ინებოთ და ამ ადგილის ალკალდს გამოუცხადოთ, რომ თქვენს მოწყალებას მე აქამდე თავის დღეშიაც არ უნახავარ, რომ მე იმ მეორე ნაწილში ჩაბეჭდილი დონ კიხოტი არა ვარ და, რომ ჩემი საჭურველმტვირთველი სანჩო პანსა არ არის იგი, თქვენი მოწყალება რომ იცნობს.

- მაგას დიდი სიამოვნებით აგისრულებთ, - მიუგო დონ ალვარომ, - მაგრამ თუმცა ძალიან გაკვირვებული ვარ, რომ ერთსა და იმავე დროს ორ დონ კიხოტს ვხედავ და ორ სანჩოს, სახელებით იმდენადვე ძალიან მსგავსებს, რამდენადაც მოქმედებით განსხვავებულე, მაინც ვამბობ და ვამტკიცებ, რომ არ მინახავს ის, რაც ვნახე და არ შემემთხვია ის, რაც შემემთხვა.

- თქვენი მოწყალებაც, - უთხრა სანჩომ, - უეჭველია, მოჯადოებული უნდა იყოს, როგორც ჩემი ქალბატონი დულსინე ტობოსელია. ღმერთმა ინებოს, თქვენი ჯადოს მოსახსნელადაც მე მომიხდეს სხვა სამიათას სამასი და რამდენიღაც მათრახის დარტყმით ჩემი თავის გამათრახება, სწორედ იმდენისა, რამდენიც დულსინეს ჯადოს მოსახსნელად დავირტყი, თქვენთვის ამას სულ მუქთად ჩავიდენ.

- არ მესმის, რა მათრახის დარტყმას ამბობთ, - უთხრა დონ ალვარომ.

- ეს გრძელი ამბავია, - უპასუხა სანჩომ, - ამას გაიმბობთ, თუ ერთი გზით მოგვიხდება სიარული.

ამასობაში სადილის დროც დადგა და დონ კიხოტი და დონ ალვარო სუფრას ერთად მიუსხდნენ. სადილის დროს შემთხვევით სასტუმროში ადგილობრივი ალკალდი და მისი მწერალი შემოვიდნენ. დონ კიხოტმა ალკალდს თხოვნა მიართვა და სთხოვდა შეემოწმებინა და მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად შეედგინა აქტი, რომ იქ მყოფი აზნაური დონ ალვარო ტარფე ადასტურებდა მისი მოწყალების სენიორ ალკალდის წინაშე, რომ იგი სრულებით არა ცნობდა იქვე მყოფ დონ კიხოტ ლამანჩელს და, რომ ეს დონ კიხოტი სრულებით ის დონ კიხოტი არ იყო, რომელიც მოხსენებულია შემდეგი სათაურით დასტამბულ წიგნში: "მეორე ნაწილი დონ კიხოტ ლამანჩელისა, - შეთხზულია ქ. ტორდესილასის მკვიდრ ვილაც აველიანედას მიერ. ალკალდმა კანონიერი წესით შეასრულა ეს და აქტი შეადგინა ყველა იმ ფორმალობის დაცვით, რაც ასეთ შემთხვევაშია მიღებული. დონ კიხოტი და სანჩო დიდად კმაყოფილნი დარჩნენ, თითქოს ამ შემოწმების აქტს მათთვის დიდი რამ მნიშვნელობა ჰქონოდა, თითქოს ორივე იმ დონ კიხოტებისა და სანჩოების შორის განსხვავება უამისოდაც საკმაოდ ცხადი არ იყო.

დონ ალვარო და დონ კიხოტი ერთმანეთს მრავალი სამსახურის შეთავაზებას დაჰპირდნენ და მრავალი ქათინაური უთხრეს, და დიდმა ლამანჩელმა ისეთი გონიერება გამოიჩინა, რომ დონ ალვარო ტარფე ცთომილებისაგან გამოიყვანა და ლამის ფიქრში შეიყვანა - მართლა ხომ

მოხიბლული არ იყო, ერთმანეთისაგან სრულებით განსხვავებულ ორ დონ კიხოტს, რომ შეხვდა.

სალამოხანს გზას დაადგნენ და ნახევარი მილისოდენი რომ გაიარეს, გზა ორად გაიყო, ერთი დონ კიხოტის სოფლისაკენ მიდიოდა, მეორეთი კი დონ ალვარო უნდა წასულიყო. იმ პატარა მანძილის გავლაში დონ კიხოტმა უამბო თავისი უბედური დამარცხება, დულსინეს მოჯადოებაც. იმ მოჯადოების მოსახსნელად მერლინისაგან დანიშნული საშუალებაც. ყველა ამან დონ ალვარო ხელახლად გააოცა. დონ კიხოტსა და სანჩოს მეგობრულად გამოეთხოვა და თავის გზას გადაუხვია, ხოლო დონ კიხოტი საჭურველმტვირთველით მეორე გზას დაადგა.

ის ღამე დონ კიხოტმა მომცრო ტყეში გაატარა, რათა სანჩოსათვის საშუალება მიეცა თავისი საკანონო შეესრულებინა. საჭურველმტვირთველმაც როგორც წინა ღამეს, ახლაც ისე გაიმართახა თავი წიფლის ხეებზე მათრახის ძლიერი ტყლაშუნით. თავის ზურგს ისე უფრთხილდებოდა, რომ მასზე მათრახის შეხება ბუხსაც ვერ აუფრენდა. მოტყუებულმა დონ კიხოტმა თვლაში ერთი დარტყმაც არ ააცდინა და დაადასტურა, რომ წინა ღამეს დარტყმულთან ერთად სამი ათას ოცდაცხრა დარტყმა შეუსრულდა. მზე თითქოს გამათრახებულის დასანახავად ამოსვლას დაეშურაო, იმ დილით ადრე ამოვიდა და მის პირველ სხივებზე ბატონი და მსახური კვლავ გზას გაუდგნენ, დიდად მოხარულნი, რომ დონ ალვაროს ცთომილება გაუქარვეს. და თან ისიც ძლიერ ახარებდათ, რომ კარგად მოიქცნენ და ამ ცთომილების უარყოფისთვის მას სასამართლოს წესით შესრულებული მოწმობა ჩამოართვეს.

მთელი ის დღე და შემდეგი ღამე მგზავრობაში გაატარეს; ამ ხნის განმავლობაში ისეთი არაფერი შემთხვევიათ, საამბობად რომ ღირდეს, იმის გარდა, რომ იმ ღამეს სანჩომ ნაკისრი გვემა დაასრულა, რის გამოც დონ კიხოტი, უზომოდ კმაყოფილი, გათენებას ელოდა, რომ ენახა, ეგებ გზაში თავისი მიჯნური დულსინე შეხვედროდა, ჯადოსაგან უკვე განთავისუფლებული; მთელი გზა ისე გაიარა, რომ რამდენი დედაკაციც კი შეხვდებოდა, არც ერთს არ გაუშვებდა, რომ არ მისულიყო და არ გაესინჯა - დულსინე ტობოსგლი ხომ არ არისო, რაკი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მერლინის დაპირება სიცრუე არ იქნებოდა; ამ სასიამოვნო იმედით გათანგული რაინდი და საჭურველმტვირთველი ერთი ბორცვის წვერზე ავიდნენ და იქიდან თავიანთი სოფელი დაინახეს. სანჩო მუხლებზე დაეცა და შესძახა:

- თვალი გაახილე, სასურველო სამშობლოვ! შემოხედე შენს საფარს ქვეშ დაბრუნებულ შენს შვილს - სანჩო პანსას, რომელიც თუმცა გაუმდიდრებელი, მაგრამ ჯოხითა და მათრახით მაგრად ნაცემი გიბრუნდება! ხელები გაშალე მოსახვევად და გულზე მიიკარ აგრეთვე შენი შვილი დონ კიხოტიცა, თუმცა სხვისი ხელით დამარცხებული, თავის თავზე კი გამარჯვებული, რაც, მისივე სიტყვით, უდიდესი გამარჯვებაა, როგორსაც კი ადამიანი მოისურვებს! თან ფული მომაქვს, რადგან თუმცა მათრახითაც ბევრჯერ მაცეკვეს, სამაგიეროდ ჩემს ადგილზე მაგრად ჯდომაც მასწავლეს.

- მაგ სისულელეებს თავი ანებე, - უთხრა დონ კიხოტმა, - დაჩუმებული და მარჯვენა ფეხის წინგადადგმით შევიდეთ ჩვენს სოფელში. იქ ჩვენს ოცნებას თავისუფალი გზა მივცეთ და, მწყემსურ ცხოვრებას რომ ვფიქრობთ, იმისი გეგმა შევადგინოთ.

ამ სიტყვების შემდეგ ბორცვიდან ჩამოვიდნენ და თავიანთი სოფლისაკენ გაემართნენ.

თავი LXXIII

ცუდი ამბების მომასწავებელი ნიშნები, სოფელში შესვლისას დონ კიხოტი რომ განმეხა, და აგრეთვე სხვა შემთხვევები, რომლებიც ამკობს და უაღრესად უტყუარს ხდის ამ დიდებულ ისტორიას

როგორც სიდ ჰამეტი გადმოგვცემს, დონ კიხოტი რომ სოფელში შევიდა, დაინახა, რომ სოფლის საბძელთან ორი პატარა ბიჭი ჩხუბობდა და ერთმა მათგანმა მეორეს დაუყვირა:

- რაც უნდა ჰქნა, პერიკილო, იმას შენს სიცოცხლეში მაინც ვეღარ იხილავ.

დონ კიხოტმა ეს რომ გაიგონა, სანჩოს უთხრა:

- ვერ გაიგონე, მეგობარო, ამ პატარა ბიჭმა რა თქვა? "შენ იმას შენს სიცოცხლეშიც ვეღარ თხილავ".

- მერე, - მიუგო სანჩომ. - თქვენ რა, რომ პატარა ბიჭმა ეგა თქვა?

- როგორ თუ რა? - უპასუხა დონ კიხოტმა, - ეს სიტყვები ჩემს მდგომარეობას და სურვილებს რომ შეეფუარდო, გამოვა - დულსინეს ვერასოდეს ვეღარა ვნახავ.

სანჩოს პასუხი უნდა მიეცა, მაგრამ დაუშალა მინდორზე გამოქცეულმა კურდღელმა, რომელსაც მონადირეები და მწევრები მოსდევდნენ. შეშინებული კურდღელი საფარს ეძებდა და სანჩოს ვირის ფეხებქვეშ შეძვრა და დაიძალა. სანჩომ კურდღელი დაიჭირა და დონ კიხოტს მიართვა. ამაზე დონ კიხოტმა თქვა:

- malum signum! Malum signum! კურდღელი გარბის, მწევრები მას მისდევენ; აშკარაა, დულსინეს ვეღარ ვნახავ.

- ძალიან უცნაური ხართ, თქვენო მოწყალეზავ, - უთხრა სანჩომ. - წარმოიდგინეთ, კურდღელი დულსინე ტობოსელია, მწევრები ბოროტი ჯადოქრები არიან, გლეხის ქალად მისი გარდამქმნელები. მე ამას ვიჭერ და თქვენს მოწყალეზავს ვთავაზობ; თქვენ ხელში გიჭირავთ, ეალერსებით - რა არის ამაში ცუდი და რა წინათმოსწავების გამოყვანა შეიძლება აქედან?

ამ დროს რაინდსა და საჭურველმტვირთველს ორი ზემოხსენებული მოჩხუბარი ბიჭი მიუახლოვდა. სანჩომ ჰკითხა, რაზე ჩხუბობთ? იმან, რომელმაც მეორეს უთხრა: "შენ მას შენ სიცოცხლეშიაც ვეღარ იხილავო", - უპასუხა, რომ მეორე ბიჭს გალია წავართვი ჭრიჭინებით და თავის სიცოცხლეშიაც აღარ ვაპირებ მის დაბრუნებასო. სანჩომ ჯიბიდან ოთხი კუარტილიო ამოიღო, პატარა ბიჭს მისცა გალიაში, დონ კიხოტს გადასცა და უთხრა:

- აი, ბატონო, ყველა ის ცუდი წინათმოსწავება მოშორებულა და გაუქმებული. და რაც უნდა სულელი ვიყო, მაინც ვიტყვი, რომ ის წინათგრძნობანი იმდენადვე შეგვეხებიან, რამდენადაც შარშანდელი ღრუბლები. თუ მეხსიერება არა მღალატობს, ჩვენმა სოფლის მღვდელმა, ჰკვიანმა ადამიანმა და ჰემმარიტმა ქრისტიანემ, თქვა: მასეთ სისულელეს ყურადღება არ უნდა მიაქციოთ. მგონია, თქვენმა მოწყალეზავმ დიდი ხანი არ არის, რაც ეს მითხრა და ჩამაგონა: კარგი და ცუდი ნიშანი მხოლოდ სულელებს სჯერათო. მამ ყველა ამას თავი დავანებოთ და ჩვენს სოფელში შევიდეთ.

მონადირენი მოვიდნენ მათთან და თავისი კურდღელი მოსთხოვეს. დონ კიხოტმა მაშინვე დაუბრუნა. შემდეგ რაინდი და საჭურველმტვირთველი ისევ დაიძრნენ და ზედ სოფლის შესავალში მწვანე კორდზე მსხდარი მღვდელი და ბაკალავრი სამსონ კარასო დაინახეს. მათ ხელში კურთხევანები ეჭირათ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ვირს და მასზე აკიდებულ აბჯარს ზევიდან საძაგრაგვივით წებნაქსის შესამოსი ჰქონდა გადაფარებული, ცეცხლის ელვარე ენებით მოხატული, ჰერცოგის ციხე-დარბაზში ალტისიდორას გაცოცხლების ღამეს სანჩოს რომ ჩააცვეს; არახჩინიც ვირს ჰქონდა თავზე მომართული, ერთი სიტყვით, ვირი ისე იყო მორთული, რომ არასოდეს არც ერთი ვირი ისე მორთული და მოკაზმული არა ყოფილა.

მღვდელმა და ბაკალავრმა ჩვენი ფათერაკების მაძებარნი მაშინვე იცვენეს და ხელგაშლილები მივარდნენ მათ. დონ კიხოტი ცხენიდან ჩამოხტა და თავის მეგობრებს მაგრად მოეხვია, ხოლო პატარა ბიჭებმა (მათ ფოცხვერულ თვალებს ხომ არა გამოეპარება რა) ვირზე არახჩინი შეამჩნიეს, სანჩოსთან მიიბრინეს და ერთმანეთს უძახოდნენ:

- მოდით, ბიჭებო, სანჩო პანსას ვირი ნახეთ, როგორ მინგო რევეულგოზე უკეთესად მორთულა. და დონ კიხოტის ცხენიც იხილეთ, უწინდელზე უფრო მეტად, რომ გაჯაგლაგებულა.

ბოლოს ბიჭებშემოხვეულნი, მღვდლისა და ბაკალავრის თანხლებით, რაინდი და საჭურველმტვირთველი სოფელში შევიდნენ და დონ კიხოტის სახლისაკენ გაემართნენ. აქ სახლის გამგე დიასახლისი და დისწული უცდიდით. მისი მოსვლის ამბავი უკვე გაგებული ჰქონდათ. ეს ამბავი სანჩოს ცოლს ტერესა პანსასაც გაეგო და თმაგაწეწილს, ნახევრად ტიტლიკანას, თავისი ქალისთვის - სანჩიკასათვის ხელი მოეკიდა და ქმრის სანახავად მოიბრინა და, რაკი იგი გუბერნატორის შესაფერისად მორთული ვერა ნახა, შეჰყირა:

- ღმერთო! ამას რას ვხედავ? ჩემო ქმარო, ეგ რა სახით მოდიხართ, ძალივით ქვეითად, ფეხებდასიებული? როგორც ვხედავ, უმაქნისი რამ ხარ და არა გუბერნატორი.

- დაჩუმდი, ტერესა! - მიუგო სანჩომ, - ლორს ხშირად იქ ვერ ნახავ, სადაც მისთვის დასაკიდებელი ჩანგლებია. შინ წავიდეთ და სასწაულებს იქ გიამბობ. მე ფულები მოვიტანე, ჩემი შრომით ნაშოვნი და არა მოპარული, ეს კი უმთავრესია.

- ჩემო ტურფავ! მაშ, ფულები მოგვიტანე! - დაიძახა გახარებულმა ტერესამ. - განა სულ ერთი არ არის, როგორც უნდა გეშოვოს, ისე თუ ასე, ამგვარად თუ იმგვარად, პირველი შენ არა ხარ და უკანასკნელიც შენ არ იქნები. ყველა სხვადასხვანაირად შოულობს ფულს.

სანჩიკა მამას კისერზე მოეხვია და ეკითხებოდა: მე რაღა ნუგბარი რამ მომიტანეო, თან ეუბნებოდა, მაისის წვიმასავით გელოდითო. შემდეგ მამამისს ერთი ხელი მოხვია წელზე და ქამარში ჩასჭიდა, მეორე მხარეს ცოლმა დაუჭირა ხელი, ვირი წინ გაიგდეს და ეს სასიამოვნო სახლობა თავის სახლში წავიდა, ხოლო დონ კიხოტი სახლის გამგისა და დისწულის მზრუნველობას მიანება და მღვდელთან და ბაკალავრთან დასტოვა.

მეგობრებთან რომ თავი მარტო დაიგულა, დონ კიხოტმა სხვა დროს აღარ მოუცადა, მაშინვე ოთახის კარი ჩაიკეტა, მღვდელსა და ბაკალავრს მოუთხოო თავისი დამარცხების ამბავი და გააცნო ნაკისრი ვალდებულება - მთელი წლის განმავლობაში სოფლიდან არსად გავალ და იმ ვალდებულებას, როგორც ნამდვილი მოგზაური რაინდი, ჩემი რაინდული ორდენის სასტიკი წესებისა და დადგენილებათა მორჩილი, მტკიცედ, ერთი ნაბიჯის გადაუხვევლად აღვასრულებო. მერე კიდევ განუცხადა მათ, ამ ერთი წლის განმავლობაში მსურს მწყემსურ

ცხოვრებას შევუდგე, უდაბურ ველმინდვრებში ვიხეტიალო, სადაც შემეძლება მგზნებარე სატრფიალო ოცნებებსა და ფიქრებში ჩავიძირო და თანაც მაღლიანი მწყემსური ცხოვრება განვიცადო. შემდეგ ხვეწნა დაუწყო მათ, თუ ძალიან არა ხართ დატვირთული საქმით და უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი არ გიშლით ხელს, ხომ არ ისურვებთ შემომიერთდეთ და ამხანაგებად გამიხდეთო. მე ერთ ფარა ცხვარს ვიყიდი, იმდენს, რომ მწყემსის სახელის შერქმევა შეგვეძლოს. უმთავრესი საქმე, რაც ამისათვის საჭიროა, უკვე შევასრულე - სახელები ამოვირჩიე, ისეთები, რომ ყველაჩვენგანისათვის ზედგამოჭრილიაო.

- აბა, ეს რა სახელები დაგვარქვით? - ჰკითხა მღვდელმა დონ კიხოტს.

- თვითონ მე, - უთხრა დონ კიხოტმა, მწყემსი კიხოტისი დავირქვი, ბაკალავრს - მწყემსი კარასკონი, - მღვდელს - მწყემსი კურიამბრო და სანჩო პანსას - მწყემსი პანსინო.

ორივე მეგობარი ძლიერ გააოცა და თავზარი დასცა დონ კიხოტის ამ ახალმა სიგიჟემ; მაგრამ სოფლიდან რომ ხელახლა სარაინდო მოგზაურობისათვის არ წასულიყო, და თან იმედი ჰქონდათ, ერთი წლის განმავლობაში მოარჩენდნენ, მღვდელმა და ბაკალავრმა ეს განზრახვა დიდად მოუწონეს, მის ახალ სულიერულ წადილს ქება შეასხეს და დასთანხმდნენ; შენს მწყემსურ ცხოვრებაში ჩვენც ჩავებმებითო.

- ეს მით უფროც, - უთხრა სამსონ კარასკომ, - რომ, როგორც ახლა მთელმა ქვეყანამ იცის, - უჩინებულესი პოეტი ვარ, ყოველ ნაბიჯზე მწყემსურ ანუ საგმირო ლექსებს შევთხზავ, ანდა როგორც თავში მომივა, რათა იმ უდაბურსა და განმარტოებულ ადგილებში, სადაც ხეტიალი მოგვიხდება, თავი შევიქციოთ. ახლა ყველაზე საჭირო ის არის, ჩემო ბატონებო, - თქვა მან, - ყველა ჩვენგანმა თავისი მწყემსი ქალის სახელი აირჩიოს, რომლის შექმნაც განზრახული აქვს თავის ლექსებში. ჩვენ არ უნდა დავტოვოთ არც ერთი ხე, რაც უნდა მაგარიც იყოს იგი, რომ ზედ ჩვენი მწყემსი ქალების სახელი არ დავაწეროთ, ან არ ამოვჭრათ, - შეეყარებულ მწყემსთა წესებისა და ჩვეულებების მიხედვით.

- ჩინებულია! - სწორედ მაგაშია საქმის ნამდვილი არსი, - შესძახა დონ კიხოტმა. - პირადად მე არ მჭირდება საოცნებო მოგონილი მწყემსი ქალის სახელის მოძებნა, რადგან უკვე მყავს შეუდარებელი დულსინე ტობოსელი, დიდება და სახელი ამ მდინარეთა ნაპირებისა, მშვენება ამ ველ-მინდვრებისა, სილამაზის საუნჯე, მშვენიერების და გონიერების საკვირველება და, დასასრულ, განხორციელება სისრულისა, რომელიც ყოველგვარი ხოტბის ღირსია.

- ეგ მართალია, - თქვა მღვდელმა, მაგრამ დანარჩენებმა ისეთი მწყემსი ქალები უნდა მოვძებნოთ, რომ, თუ ჩვენთან შეთანხმება არ შეგეძლება, ხელში მაინც მოგვხვდნენ.

ხოლო სამსონ კარასკომ დაუმატა:

- თუ ისეთ მწყემს ქალებს ვერ ვიშოვით, მაშინ ავიღოთ ის სახელები, რომლებიც დასტამბული წიგნებით მთელ ქვეყანაზე არიან განთქმული: რომელიმე ფილიდა, ამარილისი, დიანა, ფლორიდა, გალატეა, ბელისარდა. ისინი ყოველ ბაზარში იყიდებიან, - თამამად შეგვიძლია მათი ყიდვა და გამოყენება, თუ ჩემი გულისვარდს, ანუ ნამდვილად, რომ ვთქვა, ჩემს მწყემს ქალს შემთხვევით ანა ერქმევა, მე მას ანარდის სახელით შევასხამ ქებას, და თუ ის ფრანცისკა იქნება, ფრანსენიას დავარქმევ, ლუსიას კი ლუსინდას და ყველაფერი რიგზე იქნება. სანჩო პანსამ, თუ ისიც ჩვენს ძმობაში შემოვა, თავისი ცოლი ტერესა პანსა ტერესაინას სახელით შეაქოს.

ამ უკანასკნელ სახლზე დონ კიხოტს გაეცინა, ხოლო მღვდელმა მისი უბიწო და საპატიო განზრახვა გადაჭარბებით შეაქო და კვალად აღუთქვა ამხანაგობა მთელ იმ დროს, რაც მას აუცილებელი მოვალეობის შესრულების შემდეგ დარჩებოდა. შემდეგ მოსაუბრენი დონ კიხოტს გამოეთხოვნენ, თან ურჩევდნენ და ემუდარებოდნენ, ჯანმრთელობაზე ეზრუნა, არაფერი მოეკლო, რაც კი მისთვის სასარგებლო იქნებოდა.

ბედს ისე ენება, რომ დისწულსა და დიასახლისს იმ სამის ლაპარაკი მოესმინათ, და, მღვდელი და ბაკალავრი წავიდნენ თუ არა, ორნიც დონ კიხოტთან შევიდნენ და დისწულმა უთხრა:

- რა არის, ბიძაჩემო, გვეგონა, თქვენი მოწყალეობა დაბრუნების შემდეგ შინ დარჩებოდა და ჩვენთან ერთად მშვიდობითა და გონივრულად იცხოვრებდა, თქვენ ისევ მოგსურვებიათ ახალ ლაბირინთში გაიხლართოთ, ისე, რომ ყველა გეძახოდეს:

მწყემსო, საიდან მოდიხარ,

ან საით მიემურებინ?

მერწმუნეთ, ჭვავის ჩალის ღერი ისე ძალიან არის გამხმარი, რომ მისგან სტვირი აღარ გაკეთდება.

დიასახლისმა ამას დაუმატა:

- განა შეიძლება, თქვენო მოწყალეობავ, მინდორში ზაფხულის სიციხე, სადამოს ნისლი, ზამთრის სიცივე და მგლების ყმული აიტანოთ? რა თქმა უნდა - ვერა. ეგ საქმე ტლანქი და ღონიერი, თითქმის აკვნიდანვე ასეთი საქმისათვის აღზრდილი ხალხის საქმეა და, თუ ორი ჭირისაგან ერთის არჩევა არის საჭირო, მწყემსად ყოფნას ისევ მოგზაურ რაინდად ყოფნა სჯობია. აი რა, ბატონო, დაუჯერეთ ჩემს რჩევას. მე მას ქარის გასაყოლად კი არ გეუბნებით, არც იმიტომ - რომ ენა მექავებოდეს, არამედ იმიტომ, რომ ზურგზე ორმოცდაათი წლის გამოცდილება მკიდია. დამიჯერეთ, სახლში დარჩით, თქვენს მეურნეობას მოვკიდეთ ხელი, ხშირად თქვით აღსარება, ღარიბებს კეთილი უყავით და, დაე, ჩემმა სულმა ზღოს ცოდვა, თუ თქვენ რამე ცუდი შეგემთხვეთ.

- კმარა, კმარა, ჩემო კეთილო შვილებო, - მიუგო დონ კიხოტმა, - მე თვითონ ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. ლოგინთან მიმიყვანეთ, რადგან, მგონია, შეუძლოდა ვარ, და დარწმუნებული იყავით, მოგზაური რაინდი შევიქნები თუ მოგზაური მწყემსი, ისე არასოდეს არ დაგტოვებთ, რომ ყველაფერში, რაც თქვენთვის საჭირო იქნება, შემწეობა არ გაგიწიოთ; ამას თქვენ საქმითაც დაინახავთ.

და კეთილმა შვილებმა, (რადგან დიასახლისი და დისწული მართლაც კეთილები იყვნენ) იგი ლოგინში ჩააწვინეს, ლოგინშივე საქმელი მიუტანეს და, რაც კი შეეძლოთ, ბეჯითად უვლიდნენ მას.

თავი LXXIV

დონ კიხოტის ავადმყოფობა, ანდერძი და გარდაცვალება

რადგან ამ ქვეყანაზე და მით უმეტესად ადამიანის ცხოვრებაში საუკუნო არა არის რა, ყოველივე თავისი დასაბამიდან დასავლისაკენ მიემართება, ვიდრე უკანასკნელ დასასრულს მიაღწევს; და, რადგან დონ კიხოტს ზეცისგან არავითარი ზესთაბუნებრივი უპირატესობა არა ჰქონდა მინიჭებული, რომ სიცოცხლის მიმდინარეობა შეეყენებინა, ამიტომ საზღვარი და სიცოცხლის დასასრული მაშინ დაუდგა, როდესაც ამას ყველაზე ნაკლებ მოელოდა იგი. იმ წყენისაგან იყო, რაც მას დამარცხებამ დამართა, თუ ზეცის მიუწვდომელი დადგენილების მიზეზით, იგი მომქანცავმა ციებამ შეიპყრო და ექვს დღეს ლოგინიდან არ ამდგარა. ამ ხანში მეგობრები: მღვდელი, ბაკალავრი და დალაქი დღეში რამდენჯერმე მოდიოდნენ სანახავად, ხოლო სანჩო პანსა, მისი კეთილი საჭურველმტვირთველი, თითქმის მოუშორებლად სასთუმალთან უჯდა. მეგობრები ფიქრობდნენ, დონ კიხოტი ამ მდგომარეობაში დამარცხების წუხილმა და დუღისინეს ჯადოს მოშორების უიმედობამ ჩააგდო, და ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობდნენ ნუგეში ეცათ, გაემხნევიანათ. ადექით, ადექით, ეუბნებოდა ბაკალავრი, - რომ ჩვენი მწყემსური ცხოვრება ჩქარა დავიწყოთ; ამისათვის ეკლოგა უკვე დაწერე, ისეთია, სანადაროს ყველა ეკლოგას დაჩრდილავსო; ერთი კუნტანარელი მწყემსისაგან ჩვენი მომავალი ფარის სადარაჯოდ ორი ჩინებული ძაღლიც ვიყიდეთ, ერთს ბარსინო ჰქვია, მეორეს კი ბუტრონიო. მაგრამ ყველაფერმა ამან დონ კიხოტს სევდა ვერ გაუქარვა.

მეგობრებმა ექიმი მოიხმეს; მან დონ კიხოტს მაჯა გაუსინჯა, არ მოეწონა, თავი გაიქნია და ავადმყოფის მეგობრებს ურჩია, ყოველ შემთხვევისათვის, მისი სულის განკურნებაზე ეზრუნათ, რადგან სხეულის განკურნება უკვე საეჭვო იყო. დონ კიხოტმა თავისი სიკვდილის ეს განაჩენი დამშვიდებით მოისმინა, მაგრამ დიასახლისმა, დისწულმა და საჭურველმტვირთველმა ცხარე ტირილი მორთეს, თითქოს ავადმყოფი მათ წინ უკვე მკვდარი ესვენა. ექიმის აზრით, დონ კიხოტს იდუმალი ნაღველი და სევდა უღებდა ბოლოს. დონ კიხოტმა ძილი მოინდომა და სთხოვა მარტო დაეტოვებინათ. ყველანი გავიდნენ და დონ კიხოტს, როგორც იტყვიან, გამოუფხიზლებლად ექვს საათზე მეტი ეძინა, ისე, რომ დიასახლისსა და დისწულს ეგონათ, ძილში ხომ არ გარდაიცვალაო. ბოლოს გაიღვიძა და ხმამაღლა დაიძახა:

- იყოსმცა კურთხეულ ყოვლადშემძლებელი ღმერთი, რომელმაც ამ წამს თავისი ძაღლი მომფინა! ჭეშმარიტად მის ღმობიერებას არა აქვს საზღვარი და ჩვენთა ცოდვათა არ ძალუძთ მისთა ღმობიერებათა არცა გადრეკა, არცა შემცირება!

დისწული ბიძამისის სიტყვებმა გააოცა, რადგან ისინი მისი უწინდელი სიტყვებს მსგავსნი არ იყო, ამიტომ ჰკითხა მას

-- მაგას რას ბრძანებთ, თქვენო მოწყალეზავ, ჩემო ბატონო? განა რაიმე ახალი ამბავი გაიგეთ? ღვთის რა ღმობიერებას ან ხალხის რა ცოდვას ახსენებთ?

- მე იმ ღმობიერებაზე ვთქვი, ჩემო დისწულო, - მიუგო დონ კიხოტმა, - რაც უზენაესმა ეს არის ახლა მომძაღლა და ამას ჩემმა საკუთარმა ცოდვებმა არ დაუშალეს. ახლა ვგრძნობ, ჩემს გონებას ნათელი ეფინება და იმ სქელი ნისლიდან გამოდის, რომლითაც საზიზღარი სარაინდო წიგნების შავსვიანმა და დაუცხრომელმა კითხვამ დამიბნელა გონება. მათი უშვერობა და სიცრუე ახლა შევიგენ და მხოლოდ იმას ვნანობ, რომ ყველაფერი ეს ძალიან გვიან გავიგე, დრო

აღარ მრჩება ჩემი ბუდისთვის ნათვლის მომფენი წიგნები წავიკითხო და მით ჩემი შეცდომა გამოვასწორო.

ვგრძნობ, ჩემო დისწულო, რომ ჩემი უკანასკნელი წამები ახლოვდება, და სააქაოდან წარმავალს მინდა ისე მოვკვდე - ყველამ გაიგოს, რომ ჩემი სიცოცხლე ისეთი ცუდი არ იყო, რომ ჭკუიდან შემცდარის სახელი შემრჩეს. უგუნური ვიყავ, მაგრამ არ მინდა ჩემი სიკვდილი ამის დამამტკიცებელი იყოს. მოიხმე, საყვარელო შვილო, ჩემი კეთილი მეგობრები: მღვდელი, ბაკალავრთ სამსონ კარასკო და დალაქი ოსტატი ნიკოლასი, - მინდა აღსარება ეთქვა და ანდერძიც დავწერო.

ვისიმე დამახება საჭირო არ იყო, რადგან სამივენი იმ წუთს მოვიდნენ. დონ კიხოტმა ისინი დაინახა თუ არა, უთხრა:

- მომილოცეთ, ჩემო კეთილო ბატონებო! ახლა თქვენ აქ დონ კიხოტ ლამანჩელს კი არა ხედავთ, არამედ უბედურ იდალგოს ალონსო კიხანოს, რომელსაც თავისი მშვიდი საქციელის გამო კეთილი დარქმევია. ამ წამიდან დაუცხრომელი მტერი ვარ ამადის გალელისა და მთელი მისი შთამომავლობისა; შევიძულე მოგზაურ რაინდთა ყველა უგუნური, მოჭორილი და ბილწი ისტორიები და ამგვარად ვხედავ მთელ იმ უგუნურებასა და ვნებას, რაც მე მათმა წაკითხვამ მარგუნა. ახლა, ამქვეყნად ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წამში, ყოვლად ღმობიერი მეუფის მეოხებით გონება გამინათლდა და ვაცხადებ, რომ ის წიგნები მეზიზღება და მათდამი სიძულვილს ვგრძნობ.

ეს სიტყვები, რომ მოისმინეს, მეგობრებმა იფიქრეს, ალბათ კვლავ რომელიმე ახალმა სისულელემ შეიპყრო, და სამსონ კარასკომ უთხრა:

- აბა რას ბრძანებთ, ბატონო ჩემო, როდესაც ცნობა მივიღეთ, ქალბატონი დულსინე ჯადოსაგან განთავისუფლდაო, როდესაც ჩვენ მზადა ვართ მწყემსები შევიქმნეთ და ჩვენი სიცოცხლე დიდკაცურად სულ სიმღერებში გავატაროთ, ნუთუ ახლა გვტოვებთ და განდევნილად გახდომას აპირებთ? ღვთის გულისათვის, გონს მოდით და მასეთ სისულელეს თავი ანებეთ.

- დიახ, სისულელეს, - უპასუხა დონ კიხოტმა, - რომელიც აქამდის, ჩემდა საზიანოდ, ჭეშმარიტებად მეჩვენებოდა. დიახ, ეს სისულელე მეტად ნამდვილი იყო, და ღმერთმა ისე ინებოს, რომ ჩემმა სიკვდილმა მაინც შეიძლოს ჩემი გამართლება. ჩემო მეგობრებო, ვგრძნობ, საიქიოს კარებს ვუახლოვდები და, ვფიქრობ, ახლა ხუმრობის დრო აღარ არის. მღვდელს დაუმახეთ - აღსარება მათქმევინოს და ნოტარიუსიც მოიხმეთ - ანდერძი შეადგინოს. ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის სულთან ხუმრობა შეუსაბამოა, ამიტომ გთხოვთ, ვიდრე მღვდელი აღსარებას მათქმევინებდეს, ნოტარიუსი მომიყვანოთ.

დონ კიხოტის ამ სიტყვებით გაოცებულმა მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს. სიკვდილის მოახლოება უეჭვო იყო; ამაში მისმა გონების დაბრუნებამ დაარწმუნა ისინი. და თუმცა მაინც კიდევ ეჭვიანობდნენ, მაგრამ ზემორე ნათქვამს სხვაც ბევრი გონივრული და ქრისტიანული გრძნობით აღსავსე და საფუძვლიანად მოსაზრებელი სიტყვა რომ დაუმატა, მაშინ მათი ეჭვები განქარდნენ და საბოლოოდ ირწმუნეს, რომ დონ კიხოტი სრულ გონებაზე იყო.

მღვდელმა ყველას სთხოვა ოთახიდან გასულიყვნენ და მომაკვდავთან მარტო დაეტოვებინათ, ვიდრე აღსარებას ათქმევინებდა; ბაკალავრმა ნოტარიუსი მოიყვანა. ბაკალავრს სანჩო პანსაც მოჰყვა და, რომ გაიგო თავისი ბატონის უიმედო მდგომარეობა და მტირალი დისწული და



დიასახლისი დაინახა, მანაც ქვითინი ამოუშვა და ტირილი მორთო. როდესაც აღსარება გათავდა, მღვდელი გამოვიდა და თქვა:

- ჩემო მეგობარნო! ალონსო კიხანო კეთილს სრული გონება დაუბრუნდა, მაგრამ სიცოცხლე კი მართლაც აღარ დაუბრუნდება. შედით მასთან და ანდერძის შედგენას დაესწარიტ.

ამ სიტყვებმა დიასახლისს, დისწულს და კეთილ საჭურველმტვირთველს სანჩო პანსას თვალებზე ცრემლების ახალი ნაკადული მოჰგვარა; მწარე ქვითინი ამოუშვეს და ოხვრა და ვაი ვიში გაამრავლეს, რადგან, როგორც უკვე ნათქვამი იყო, დონ კიხოტი მაშინაც კი, როდესაც უბრალო ალონსო კიხანო კეთილი იყო და შემდეგაც, როდესაც რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი შეიქმნა, მუდამ მშვიდი, თავმდაბალი და სასიამოვნო ხასიათს იყო, და იგი არათუ ნათესავებს, მეგობრებს და მსახურებსაც, არამედ ყველა ნაცნობს უყვარდა. ნოტარიუსი სხვებთან ერთად ოთახში შევიდა და ანდერძის შესავალი დაწერა, შიგ დონ კიხოტის სული ღმერთს მიანდო და ყველა შესაფერი წესრიგის შესრულების შემდეგ მომაკვდავის კარნახით ანდერძის წერა ასე დაიწყო:

"Item", ჩემი ნება არის - სანჩო პანსას, ჩემი უგუნურების დროს საჭურველმტვირთველად რომ ავიყვანე, - დარჩეს ფული, რაც მის ხელთაა, რადგან ჩემსა და მის შორის სხვადასხვა ანგარიშები იყო, და იმ ფულიდან ჩემი ვალის განაღდების შემდეგ ვინცობაა მცირედი რამ გადარჩეს, ის გადანარჩენიც მის საკუთრებად გადავიდეს და კეთილადაც მოხმარდეს. თუ ჩემი ჭკუადამთხვეულობის დროს მას კუნძულის მფლობელობა მივანიჭე, ახლა სრული გონებით მყოფს, რომ შემემლოს, მთელ სამეფოს მივცემდი. იგი ამის ღირსია გულუბრყვილობისა, ერთგულებისა და გულწრფელობისათვისა".

აქ სანჩოს მიუბრუნდა და უთხრა:

- მაპატიე, ჩემო მეგობარო, რომ ჩემი სიგიჟის გამო შენც გიჟის სახელი დაგივარდა, რომ მოგზაური რაინდობის ოცნებით გატაცებულმა, სიგიჟით აღფრთოვანებულმა შენც გაგიტაცე და ისეთი ჭკუაარეული ხალხის საჩვენებლად გამოგიყვანე, როგორი თვითონ მე ვიყავ.

- ვაჰ მე, - შესძახა აქვითინებულმა სანჩომ. - ნუ მოკვდებით, ჩემო კეთილო ბატონო, ყურად იღეთ ჩემი რჩევა: იცოცხლეთ, იცოცხლეთ მრავალჟამიერ, თქვენო მოწყალება, რადგან უდიდესი სიგიჟე ამქვეყნად ისაა, როცა კაცი, არც აცივებს და არც აცხელებს, და ისე უცებ, უმიზეზოდ კვდება, როცა მას მარტოოდენ სევდა-ვარამის გარდა, არავინ არცა ჰკლავს და არც ანადგურებს. მაშ, გთხოვთ, უსაქმობას ნუ მიეცემით, წამოდექით, თავს ძალა დაატანეთ, ველ-მინდვრად მწყემსად გავიდეთ, როგორც პირობა გვქონდა, იქნებ რომელიმე ბუჩქს უკან თქვენდა სასიხარულოდ, ჯადომოხსნილი ქალბატონი დულსინე ვიპოვოთ და მაშინ სანატრელი აღარაფერი გვექნება რა, თუ თქვენ ის დარდი გკლავთ, რომ დაგამარცხეს, მაგის ბრალი მე დამდეთ; თქვით, უნაგირიდან იმიტომ გადმოვარდით, რომ სანჩო პანსამ როსინანტს მოსართავები კარგად ვერ მოუჭირა თქო, და განა თქვენს რაინდულ წიგნებში არ წაგიკითხავთ, რაინდებისთვის ერთმანეთის დამარცხება არაჩვეულებრივი და საიშვიათო საქმე რომ არ არის? და დღეს ვინც ამარცხებს, ხვალ თვითონ იგია დამარცხებული?

- მართალია, - თქვა კარასკომ, - კეთილი სანჩო ამ საგანზე ძალიან სწორადა მსჯელობს.

- კმარა, ჩემო მეგობრებო, - გააწყვეტინა დონ კიხოტმა, - შარშანდელ ბუდეებში ნორჩი ბარტყები როდი ბუდობენ. ჭკუაარეული ვიყავ, მაგრამ ახლა საღ გონებაზე ვარ. მე ოდესღაც დონ კიხოტი

ლამანჩელი ვიყავ, მაგრამ კვალად ვამბობ, ახლა ალონსო კიხანო კეთილად მხედავთ. აგრემც იყოს, რომ ჩემმა გულწრფელმა მონანიებამ თქვენი უწინდელი პატივისცემა დამიბრუნოს. - ბატონო ნოტარიუსო, გთხოვთ განაგრძოთ:

"Item, მთელს ჩემს ქონებას, უძრავსა და მოძრავს, ყოველივე განუმარტებლად, ვუტოვებ აქ დამსწრეს ჩემს დისწულს ანტონია კიხანოს, ამთავითვე იმ ფულის გამოკლებით, რაც სხვადასხვა პირთათვის მისაცემი ჩემს ანდერძშია მოხსენებული და ყოვლის უწინარეს მათ შორის ჩემს სახლის გამგე დიასახლისს მიეცეს ჯამაგირი, რაც მე მთელი მისი სამსახურის ხნისა მმართველს და ამას გარდა ზედმეტად ტანისამოსისათვის ოცი დუკატი. ჩემი ანდერძის აღმსრულებლად ვნიშნავ აქ დამსწრე მღვდელსა და ბაკალავრ სამსონ კარასკოს.

"Item, ჩემი ნება არის - ჩემი დისწული ანტონია კიხანო ისეთ კაცს მისთხოვდეს, ვისაც სარაინდო წიგნებისა არა გაეგება რა, და ეს წინასწარ უნდა იქნეს დადასტურებული; და თუ გამოირკვევა, რომ ის კაცი სარაინდო წიგნებს ეწყობა, და ჩემი დისწული მაინც მოისურვებს მის გაყოლას, მაშინ მას ჩემი ნაანდერძევი უნდა ჩამოერთვას და მთელი ქონება ჩემს მინდობილთ, ანდერძის აღმსრულებელთ გადაეცეს, მათი შეხედულებისამებრ კეთილი საქმისთვის მოსახმარებლად.

"Item, ვთხოვ და ვემუდარები ხსენებულ ჩემს მინდობილებს, თუ ოდესმე შეხვდეთ დამწერი იმ წიგნისა, რომლის სათაურია "მეორე ნაწილი დონ კიხოტი ლამანჩელისა", ჩემს მაგიერ გადასცენ და სთხოვონ მას, მაპატიოს, რომ ყოვლად განუზრახელად მიზეზი მივეცი იმდენი სისულელის დაწერისა, რასაც ეს წიგნი შეიცავს. უთხრან მას, სამარის კარზე მდგარს დიდად, რომ მქენჯნიდა სინდისი და მეტისმეტად ვწუხდი ამაზე".

ანდერძი, რომ დასრულდა და ზედ ბეჭედი დაესვა, ქანცმილეული დონ კიხოტი გულშეღონებული ლოგინზე დაეცა და გაიშლართა. ყველანი შეშფოთდნენ და საშველად მივარდნენ, მაგრამ ვერაფერი უშველეს. სამ დღეს თითქმის მოუბრუნებლად და უგონოდ იყო. მთელი სახლი აირ-დაირთა და შეჭირვებამ მოიცვა. ამის მიუხედავად დისწული ჩვეულებრივი მადით ჭამდა, დიასახლისი და სანჩო ისე გულიანად აღარ სწუხდნენ, ისინიც ჩვეულებრივ ჭამდნენ, სვამდნენ და თავს ინებებდნენ. ასეა, მემკვიდრეობის მიღების მოლოდინი ყოველივეს ახელებს და აყურებს, თუნდაც საყვარელი არსების დაკარგვით გამოწეულ ბუნებრივ დარდსა და მწუხარებას.

დასასრულ, დონ კიხოტის უკანასკნელმა საათმა დაჰკრა - იგი გარდაიცვალა, ხოლო სიკვდილის წინ ქრისტიანული წესი შეასრულა: ზიარება მიიღო და სარაინდო წიგნებს შეჩვენება და ზიზღი შეუთვალა. იქვე მყოფმა ნოტარიუსმა შენიშნა, ჯერ მე არც ერთ რაინდულ წიგნში არ წამიკითხავს, რომ რომელიმე მოგზაური რაინდი დონ კიხოტით თავის ლოგინში დამშვიდებით და ქრისტიანულად მომკვდარიყოსო; მან კი ყველა დამსწრეთა ურვა წუხილსა და ცრემლთა ფრქვევა-ქვითინში განუტევა სული, ესე იგი მოკვდა.

მღვდელმა ნოტარიუსს სთხოვა, მოწმობა მიეცა მისთვის, რომ ჩვეულებრივ დონ კიხოტი ლამანჩელის სახელით ცნობილი ალონსო კიხანო კეთილი ამქვეყნიურ ცხოვრებას გაეყარა და ბუნებრივი სიკვდილით საუკუნო ცხოვრებაში გადავიდა. ეს მოწმობა მისათვის სჭირდებოდა, რათა სიდ ჰამეტ ბენენჰელის გარდა ვინმე სხვა მთხზველსა და მჯღაბნელს ნება აღარ ქონოდა დონ კიხოტი ხელახლად გაეცოცხლებინა და კვალად უთვალავ ამბავთა ცრუ გმირად გაეხადა.

ასეთი იყო მახვილგონიერი ლამანჩელი იდალგოს ბოლო და აღსასრული. სიდ ჰამეტ ბენენჰელიმ მისი დაბადების ადგილი და სამშობლო სოფელი განთავისებებით არ აღნიშნა იმ განზრახვით, რომ ლამანჩის ყველა ქალაქსა და სოფელს ერთმანეთთან დავა არ აეტეხათ იმ პატივის მისათვისებლად, რომ მის სამშობლოდ გამხდარიყვნენ, როგორც ჰომეროსის მისათვისებლად საბერძნეთის შვიდი ქალაქი დაობდა.

ჩვენ აქ დონ კიხოტის დიასახლისის, დისწულისა და სანჩოს ცრემლებს არ მოვიხსენებთ; არც მისი საფლავისთვის დაწერილ ეპიტაფიებზე ვიტყვით რამეს, მხოლოდ სამსონ კარასკოს მიერ შეთხზულ ეპიტაფიას კი აღვნიშნავთ. აი ის ეპიტაფია:

აქ არის განთქმულ იდალგოს ბინა,

ვინც იყო გმირი შეუსადარი,

ვინც ბოროტებას აღუდგა წინა,

ვინც თვით სიკვდილმა ვერ შეაშინა,

ოდეს გაულო სამარის კარი.

დასთმო ქვეყანა ხმაურიანი,

ეხეტებოდა ვით სიცხიანი,

რითაც გაართო ყველა მნახველი,

სამარადისო ჰპოვა სახელი,

და მოკვდა გიჟი, როგორც ჭკვიანი.

აქ ბრძენთა ბრძენმა და შორსმჭვრეტელმა სიდ ჰამეტ ბენენჰელიმ მიმართა თავის კალამს და ასე შესძახა:

"ჰოი ჩემო კალამო, - არ ვიცი კარგად თუ ცუდად გამოჭრილო და წვერწამახულო, - ამიერიდან ამ კაუჭსა და სპილენძის მავთულზე იქნები ჩამოკიდებული და მრავალ საუკუნესაც გაატარებ მანდ, თუ უნიჭო, თავხედი და არამზადა ისტორიკოსები არ ჩამოგიღებენ და არ შეგბლალავენ. მაგრამ, ვიდრე ისინი ხელს შეგახებდნენ, შეგიძლია გააფრთხილო და, რაც შეიძლება, მართებულად შესძახო მათ:

ფრთხილად, ფრთხილად, მოღალატევ,

არ გაბედოთ ხელის ხლება,

რადგან მე მხვდა წილად, მეფევ,

ამნაირი თავდადება!

"ღიახ, მარტოდენ ჩემთვის დაიბადა დონ კიხოტი, ისე როგორც მისთვის გავჩნდი და დავიბადე მე. მას წილად ხვდა ემოქმედა, მე - ამეწერა. ჩვენ ორნი ერთ განუყრელ სულსა და სხეულს შევადგენთ - იმ ვიღაც მატრაკვეცა და ცრუპენტელა ტორდესილასელი მჯღაბნელის ჯინაზე, რომელმაც გაბედა (ანუ კვლავ გაბედავს) ტლანქი და ცუდად გამოჭრილ-წამახული

სირაქლემას ფრთის კალმით აღწეროს ჩემი დიდებული კაბალეროს საგმირო საქმეები. ეს ტვირთი მისი მხრებისათვის მეტად აუტანელია; ეს შრომა მისი გაყინული ტვინისათვის ფრიად სამძიმოა. თუ ოდესმე შემთხვევით შეხვდე მას, ურჩიე და უთხარ, დონ კიხოტის დაღლილსა და უკვე გახრწნილ ძვლებს ნუ შეარყევს და შეაშფოთებს კუბოში და სიკვდილის ყველა კანონის ჯიბრზე ძველ კასტილიაში ნუ წაიყვანს; ნუ გამოიხმობს მას სამარიდან, სადაც იგი მთელი თავისი სიგრძით უცვალებლად და საბოლოოდ გამოტილა და მესამედ გასამგზავრებლად ღონე აღარა აქვს. უამრავ მოგზაურ რაინდთა ურიცხვი ხეტიალის დასაცინარად და აბუჩად ასაგდებად საკმარისია მისი ორი გამგზავრებაც, ყველა იმათ გასაკვირვებლად და შესაქცევარად ჩადენილი, - ვის ყურამდისაც (შორეულ თუ მახლობელ ადგილებში) ამ ამბებმა მიაღწიეს. ამას, რომ ჩაიდენ, შენს ქრისტიანულ ვალს მოიხდი და შენთვის ბოროტის მსურველს კეთილ რჩევა-დარიგებას მისცემ; ხოლო მე - ბედნიერი ვიქნები და იმით ვიამაყებ, რომ პირველმა ვიგრძენ და განვიცადე ჩემთა თხზულებათა ნაყოფის ფრიადი სიტკბო-სიამე; რადგან მე მხოლოდ ერთადერთი სურვილი მქონდა და მამოძრავებდა - საყოველთაოდ მასხარად და აბუჩად ამეგდო რაინდული რომანები და შთამეგონებინა ადამიანებისთვის სიძულვილი იმ წიგნებში მოჭორილი სულელური ამბებისა, რომლებიც ჩემი დონ კიხოტის ჭეშმარიტი ისტორიის მეოხებით სასიკვდილოდ დაკოდილნი - უკვე ბარბაცით მიიზღაზნებიან და ადრე თუ მალე უეჭველად მთლად დაემხოებიან - Vale"

დასასრული